

პაკლე ინგოროყვა



გორგი მერჩულე

ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა



ნაკვეთი ძეგლი საქართველოს
ლიტერატურის, კულტურის
და სასელმწიფოებრივი ცხოვრების
ისტორიიდან



«საბჭოთა მწერალი»
თბილისი

1954

၌ရဝဲလ္ၵဝဲ
ရဲၵတၢ်ဒၢဝဲ ဝဲၵရဲၵဝဲ-ဝဲၵဝဲၵဝဲ
ဝဲၵတၢ် ဝဲၵဝဲ

ნაწილი პირველი



ბ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე

ქართველი მწერალი მეთე საუკუნისა

* * *

1950 წელს შესრულდა ათასი წელი, რაც ქართულ ენაზე დაიწერა კლასიკური ქართული მწერლობის განთქმული ძეგლი: „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“. ავტორი ამ ძეგლისა არის მეთე საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მერჩულე.

დასახელებული თხზულება გიორგი მერჩულისა ბევრნაირად იქცევს ძველი ქართული ლიტერატურისა და ძველი ქართული კულტურის ისტორიკოსის ყურადღებას. გიორგი მერჩულის თხზულების სახით ჩვენ გვაქვს მაღალი რანგის ლიტერატურული ნაწარმოები, შეიძლება ითქვას — ეპოქალური ძეგლი, ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლთაგანი ძველი ქართული პროზისა.

ამასთან გიორგი მერჩულის თხზულება განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს როგორც საისტორიო წყარო.

თხზულება გიორგი მერჩულისა დაწერილია საისტორიო ნაწარმოების მიზანდასახულობით.

გიორგი მერჩულის თხზულება განეკუთვნება ბიოგრაფიულ-ლიტერატურულ ჟანრს, რომელსაც ძველ-ქართულ მწერლობაში ეწოდებოდა „ცხოვრება“ და რომელ ჟანრსაც ძველ-ქართულ ლიტერატურაში ხანგრძლივი ტრადიცია ჰქონდა.

გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში ისახავს საგნად აგვიწეროს „შრომა და მოღვაწება“ მე-8—9 საუკუნეთა ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელისა (758—860 წ.წ.), მისი თანამშრომლებისა და მოწაფეებისა.

მაგრამ გიორგი მერჩულის თხზულება ეს არ არის ჩვეულებრივი ტიპის — ვიწროდ შემოფარგლული ბიოგრაფიული შინაარსის ძეგლი. გიორგი მერჩულის თხზულების სახით ჩვენ გვაქვს დიდი ტილო, რომელიც ასახავს საქართველოს სინამდვილეს მე-8—10 საუკუნეთა მანძილზე.

პრეციზული ანალიზი ძეგლისა ადასტურებს ამასთან, რომ გიორგი მერჩულის თხზულება, როგორც საისტორიო წყარო, უაღრესი ნდობის ღირსია. ცნობები ისტორიული ხასიათისა, რომელსაც გვაწვდის მწერალი, აღბეჭდილია სრულის ზედმიწევნით და სიზუსტით. უწყება ავტორისა, რომ მან აღწერა თავისი წიგნი „ქეშმარიტად თხრობილი“, არ არის ლიტონი განცხადება და ისტორიული კრიტიკა ამარტლებს ამ განცხადებას.

გიორგი მერჩულის თხზულება მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს ცოდნას ძველი საქართველოს ისტორიული ვითარების შესახებ და მას გვერდს ვერ აუვლის ისტორიკოსი საშუალო-საუკუნეთა საქართველოსი, ქართული სინამდვილის რომელ მხარესაც არ ეხებოდეს იგი.

საწიუხაროდ, გიორგი მერჩულის თხზულება დღემდე სათანადო სისრულით შესწავლილი არაა.

უფრო მეტიც, ზოგ ნარკვევში გიორგი მერჩულის თხზულებასთან დაკავშირებული ძირითადი ისტორიული საკითხები სრულიად უაღბოდ არის გაშუქებული (აქ მხედველობაში გვაქვს პირველ რიგში საქართველოს სამხრეთ მხარეთა ისტორიის საკითხი, აგრეთვე წყება სხვა საკითხებისა ძველი საქართველოს პოლიტიკური ცხოვრებისა და კულტურის ისტორიიდან, რომელთა შესახებ სრულებით შემცდარი შეხედულებები იყო წარმოდგენილი).

წინამდებარე გამოკვლევაში, რომელსაც ვუძღვნით გიორგი მერჩულესა და მის თხზულებას, ჩვენ განვიხილავთ გიორგი მერჩულის ნაწარმოებს პირველ რიგში როგორც საისტორიო პირველწყაროს. ჩვენ წარმოვადგენთ განხილვას და ინტერპრეტაციას ძირითადი საისტორიო ცნობებისას, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის ძეგლი.

გამოკვლევის მეორე ნაწილში ვეხებით საკუთრივ ლიტერატურულ საკითხებს.



I

თარიღი ვიოკვი მერჩულის ქიბლისა—გრიგოლ ხანძთელის ცხორებისა. ავტორის ვინაობა

1

ქიბლის თარიღი

პირველი საკითხი, რომლის განხილვაზე აქ შევჩერდებით. ეს არის თარიღი გიორგი მერჩულის ძეგლისა.

მკითხველს მოეხსენება, რომ ძველი მწერლობის ძეგლთა დათარიღება ხშირად დიდ სიძნელეებს წარმოადგენს ხოლმე და არის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ძეგლის თარიღის გამო არის მერყეობა მთელი საუკუნეებით.

გიორგი მერჩულის თხზულება ამ მხრივ ბედნიერ გამოწვევის წარმოადგენს. თუ როდის არის დაწერილი გიორგი მერჩულის თხზულება — ცხორება გრიგოლ ხანძთელისა — ამის შესახებ თვით ნაწარმოებში არის დაკული დაწვრილებითი ზუსტი ცნობა. ეს ცნობა იმდენად მნიშვნელოვანია, აქ ავტორი ისეთის სისრულითა და ისტორიკოსის ზედმიწევნილობით აღნიშნავს თარიღსა და ჩამოთვლის თავის თანამედროვეებს, საქართველოს მეფე-მთავრებს, აგრეთვე საეკლესიო მოღვაწეებს, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ მთელი ტექსტი.

ტექსტში იკითხვის შემდეგი (იხ. უკანასკნელი, I თავი გრიგოლ ხანძთელის ცხორებისა):

„ხოლო იყო გარდაცვალებაჲ... გრიგოლისი (ხანძთელისა) რიცხუსა წელიწადთა მისთასა ას და მეორესა წელსა ც. ი. გრიგოლ ხანძთელი გარდაიცვალა, როდესაც იგი 102 წელს იყო მიწვენილი, ქრონიკონსა 81-სა;

„არამედ გარდაცვალებითგან მისით დაიწერა ცხორებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმეოც-და-ათისა წლისა,

„დასაბამითგან გარდასრულთა წელთა 6554-სა წელსა,

„იერუსალმს პატრიარქობასა აგათონისსა,

„მცხეთას კათალიკოზობასა მიქაელისსა,

„ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნერსე ქართველთა მეფისასა,

„აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კოსტანტი მეფისასა,

„ერისთავთა-ერისთვობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა,

„მაგისტროსობასა ადარნერსეჲსსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა,

„ერისთვობასა სუშბატისსა, ძისა დავით მამფლისასა;

„ხოლო ჟამსავე მას იყო ანჩს ეპისკოპოსი მაკარი,

„და ნეტარისა მამისა გრიგოლის შენებულთა მათ მონასტერთა იყვნეს მამასახლისნი, ნათესავით დიდთა აზნაურთა შვილნი:

„ხანძთას მამაჲ თეოდორე, დის-წული მცხუედაჲსაჲ,

„და შატბერთს მამაჲ გრიგოლ, ძეჲ ლიპარიტისი“¹.

*

ჯერ გრიგოლ ხანძთელის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღის შესახებ.

გრიგოლ ხანძთელი, როგორც აღნიშნულია ზემოთ-მოყვანილ უწყებაში, გარდაიცვალა 81 ქრონიკონს.

ქრონიკონი იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს (მე-9 საუკუნიდან — მე-10 საუკუნის ნახევრამდე), იანგარიშებოდა 1 სექტემბრიდან. ამ ანგარიშის თანახმად 81 ქრონიკონი დაიწყო 860 წელს 1 სექტემბერს და დასრულდა 861 წელს 31 აგვისტოს.

ამასთან ერთად ჩვენ გვაქვს მეორე ცნობაც გრიგოლ ხანძთელის შესახებ: ძველ-ქართულ სინაქსარებში გრიგოლ ხანძთელის ხსენება აღნიშნულია 5 ოქტომბერს, რა რიცხვიც, როგორც ჩანს, აღნიშნავს გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების დღეს.

შეფარდება ამ ორი საქრონოლოგიო ცნობისა — ქრონიკონისა და თვის რიცხვისა — გვაძლევს საშუალებას ზუსტად განვსაზღვროთ, რომ გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების თარიღი არის 860 წელი, 5 ოქტომბერი².

¹ იხ. გვ. 137—139. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტი ციტირებული გვაქვს ყველგან ჩვენი გამოცემით (თბილისი, 1949 წ.).

² გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალების თარიღად დღემდე შეცდომით იყო მიჩნეული არა 860 წელი, არამედ 861 წელი, ე. ი. მხედველობაში არ იყო მიღებული, რომ ქრონიკონი ამ ეპოქაში იწყებოდა არა 1 იანვრიდან, არამედ 1 სექტემბრიდან (წინა წლისა). ამ შემცდარი დათარიღების გამო ადგილი ეძლეოდა შემდეგს გაუგებრობას, ქრონოლოგიურ შეუსაბამობას: ჩვენ ვლებულობდით ერთწლოვან განსხვავებას გიორგი მერჩულის თხზულებაში დაცულ ორ თარიღს შორის, რომელთაგან პირველი (ქრონიკონი) აღნიშნავს გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებას, ხოლო მეორე („დასაბამითგანნი წელნი“) გიორგი მერჩულის თხზულების დაწერის თარიღს. სინამდვილეში არავითარ ქრონოლოგიურ შეუთანხმებლობას აქ ადგილი არა აქვს.

ჩვენ აქ არ შევიდევართ ძველი ქართული კალენდარის სპეციალური საკითხების განხილვაში, აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს. როგორც ირკვევა წყაროების შესწავლიდან, მე-9—10 საუკუნეებში მიღებული ყოფილა შემდეგი გამოსავალი თარიღები სხვადასხვა სახის წელთაღრიცხვისათვის:

წელთაღრიცხვა ქრონიკონით იანგარიშებოდა 1 სექტემბრიდან;

წელთაღრიცხვა „ქრისტესით“ იანგარიშებოდა 1 იანვრიდან;

წელთაღრიცხვა „დასაბამითგანნი წელნი“ იანგარიშებოდა 1 იანვრიდან resp. 1 მარტიდან.

სამივე ეს სათარიღო დასაწყისები ჩვენ გვხვდება ამ ეპოქის ქართულ წყაროებში.

კერძოდ, წლის დასაწყისი 1 სექტემბრიდან აღნიშნულია ქართულ იადგარებში მე-10 საუკუნისა, სადაც 1 სექტემბერს ეწოდება „გვარგვნი წელიწდისაჲ“ (იხ. სინური ხელნაწერები მე-10 საუკუნისა, №№ 59 და 65, 6. მარი, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940, გვ. 101, 143).

ზემოთ-მოყვანილ უწყებაში აღნიშნულია ამასთან, რომ გრიგოლ ხანძთელი გარდაცვლილა ღრმა მოხუცებას მიწვენილი — 102 წლისა; მაშასადამე, გრიგოლ ხანძთელის დაბადების თარიღი არის 758 წელი.

*

ამის შემდეგ გიორგი მერჩულის თხზულების დაწერის დროის შესახებ.

თხზულებაში, როგორც ვნახეთ, ნაჩვენებია, რომ გრიგოლ ხანძთელის გარდაცვალებიდან „დაიწერა ცხოვრებაჲ ესე მისი შემდგომად ოთხმოცდაათისა წლისა“. ამის მიხედვით გიორგი მერჩულის თხზულება დაწერილია 950 წელს (860+90).

თხზულებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ იგი დაიწერა „დასაბამითგან გარდასრულთა წელთა 6554-სა“. ძველ-ქართული სათვალავით „დასაბამითგან 6554 წელი“ უდრის ჩვენი წელთაღრიცხვის 950 წელს (6554—5604=950 წ.), ე. ი. აღნიშნავს იმავე თარიღს გიორგი მერჩულის წიგნის დაწერისა.

გიორგი მერჩულეს, როგორც ვნახეთ, მოხსენებული ჰყავს მისი თხზულების დაწერის დროინდელი საქართველოს მეფე-მთავრები და აგრეთვე საეკლესიო მოღვაწენი.

საეკლესიო მოღვაწეთაგან აქ მოხსენებული არიან:

1. იერუსალიმის პატრიარქი აგათონი;
2. მცხეთის (ქართლის) კათალიკოზი მიქაელი;
3. ანჩის ეპისკოპოსი მაკარი;
4. ხანძთის მამასახლისი თეოდორე;
5. შატბერთის მამასახლისი გრიგოლი.

აქ დასახელებული უკანასკნელი სამი პირი (მაკარი ანჩელი, თეოდორე ხანძთელი და გრიგოლ შატბერთელი) — უცნობნი არიან და ამის გამო მათი მოხსენება გიორგი მერჩულის თხზულებაში არ იძლევა რაიმე დასაყრდენს თარიღის შესამოწმებლად. ხოლო რაც შეეხება პირველ ორ პირს — აგათონ პატრიარქსა და მიქელ კათალიკოზს — ისინი ცნობილი არიან სხვა საისტორიო წყაროების მიხედვითაც. იერუსალიმის პატრიარქი აგათონი მოიხსენება მეთექვსმეტე საუკუნის შუა წლებში (დაახლოებით 936—967 წლებს შორის). მცხეთის კათალიკოზი მიქაელი აგრეთვე მოიხსენება მე-10 საუკუნის შუა წლებშივე („მოქცევაჲ ქართლისაჲს“ მატიანის შატბერთული ხელნაწერის სიაში).

სავსებით ზედმიწევნითი და ზუსტი ცნობები გვაქვს საქართველოს მეფე-მთავრების შესახებ, რომელთაც ასახელებს გიორგი მერჩულე. საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ყველა ისინი მთავრობდნენ სწორედ 950 წელს.

1. აშოტ ქართველთა კურაპალატი, ძე ადარნერსე ქართველთა მეფისა, მთავრობდა 937 წლიდან — 954 წლამდე¹.

¹ აშოტ ადარნერსეს-ძემ ტიტული კურაპალატობისა მიიღო 923 წელს (იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი De administrando imperio, c. 46, ბონის კორპუსის გამ. III, 213) და 923 წლიდან ვიდრე 937 წლამდე იყო თანამმართველი თავის ძმის დავით ქართველთა მეფისა, ხოლო 937 წლიდან, როდესაც გარდაიცვალა დავით ქართველთა მეფე, ვიდრე 954 წლამდე, აშოტი არის ქართველთა სამეფოს პირველი ხელისუფალი — კურაპალატის ტიტულითვე (იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *580/349, *581/350).

2. გიორგი კონსტანტის-ძე, მეფე დასავლეთ საქართველოსი („აფხაზეთისა“), მეფობდა 922 წლიდან — 957 წლამდე¹.

3. სუმბატ, ძე ადარნერსე ქართველთა მეფისა, ერისთავთა-ერისთავად იყო 941 წლიდან 954 წლამდე².

4. ადარნერსე, ძე ბაგრატ მაგისტროსისა, მაგისტროსად იყო 945 წლიდან 958 წლამდე³.

5. სუმბატ, ძე დავით მამფლისა, მთავრობდა არტანუჯში (ჯერ ერისთავის, ხოლო უფრო გვიან ერისთავთ-ერისთავის ტიტულით) 941 წლიდან 988 წლამდე⁴.

ამრიგად, ყველა ეს ცნობა, რომლებიც მოგვეპოვება გიორგი მერჩულის თხზულების თარიღის შესახებ, შეთანხმებით უჩვენებენ, რომ გიორგი მერჩულის თხზულება დაწერილია 950 წელს.

2

ავტორი — გიორგი მერჩულე

გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში აღნიშნულია, რომ ავტორი ნაწარმოებისა — „წიგნისა ამის აღმწერელი“ — არის გიორგი მერჩულე.

ჩვენ დრომდე არ მოღწეულა რაიმე ისეთი უწყება ან ლიტერატურული ცნობა, რომელიც შეიცავდეს მთლიანს თხრობას გიორგი მერჩულის ბიოგრაფიის შესახებ, მაგრამ ზოგიერთი ფაქტი მწერლის ბიოგრაფიიდან შესაძლოა დადგინდეს იქმნეს თვით ნაწარმოების ტექსტის მიხედვით.

გიორგი მერჩულის ცხოვრების წლები

(დაიბადა 875/885 წ.წ. — გარდაიცვალა 950/960 წ.წ.)

ჩვენ აქ შევეცდებით მიახლოებით განვსაზღვროთ გიორგი მერჩულის ცხოვრების წლები.

ირკვევა, რომ ჩვენი ძეგლი — ცხორება გრიგოლ ხანძთელისა — გიორგი მერჩულეს დაუწერია თავისი ცხოვრების დაისზე, უკვე მოხუცებულობის ეპოს

¹ თარიღი — „მეფეთა დივანის“ აღდგენილი ტექსტის მიხედვით.

² სუმბატ, ძე ადარნერსე ქართველთა მეფისა, ერისთავთ-ერისთავის ტიტულს ღებულობს გურგენ დიდის გარდაცვალების შემდეგ (ეს უკანასკნელი გარდაიცვალა 941 წელს). სუმბატი ატარებდა ერისთავთ-ერისთავის ტიტულს 941 წლიდან 954 წლამდე, ხოლო 954 წელს სუმბატმა მიიღო ქართველთა კურაპალატისა და მეფის ტიტული. გარდაიცვალა 958 წელს (იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *580/349, *580/350, *581/350, აგრეთვე დოლისყანის წარწერები 954—958 წლებისა, სადაც სუმბატი მეფის ტიტულით მოახსენება, — ნ. მარი, TP, VII, გვ. 184—185).

³ ადარნერსე ბაგრატიის-ძე ატარებდა მაგისტროსის ტიტულს 958 წლამდე, ხოლო 958 წელს მიიღო ქართველთა კურაპალატის ტიტული. ამის შემდეგ ადარნერსე გადააყენეს მისმა შვილებმა (ბაგრატ ერისთავთ-ერისთავმა და დავით დიდმა) და იძულებით ბერად შეაყენეს. ადარნერსე გარდაიცვალა 961 წელს (იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *580/350, *581/351).

⁴ სუმბატ დავითის-ძემ არტანუჯი მიიღო სამფლობელოდ გურგენ დიდის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. 941 წელს (იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit. p. 207). იგი ჯერ ატარებდა ერისთავის ტიტულს, ხოლო უფრო გვიან მიიღო ერისთავთ-ერისთავის ხარისხი (966, წელს, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის შემდეგ); გარდაიცვალა 988 წელს (იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *580/350, *581/351).

გიორგი მერჩულე თავისი თხზულების შესავალში წერს, — განზრახული მაქვსო, „რათა ვიტყოდო ღირსად-ცხოვრებასა — მამისა ჩუენისა გრიგოლისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთასა...“, რაოდენცა შეუძლო უწყებად მსმენელთა — ქეშმარიტად თხრობილი მოწაფეთაგან და მოწაფის-მოწაფეთაგან მის წმიდისათა (გრიგოლ ხანძთელისათა)“¹.

გრიგოლ ხანძთელი, როგორც გამორკვეულია, გარდაიცვალა 860 წელს. გრიგოლ ხანძთელის „მოყუასნი“ (აქ იგულისხმებიან გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწენი საბან იშხნელი, თევდორე ნეძვისა მაშენებელი და ქრისტეფორე კვირიკეთისა მაშენებელი) გარდაიცვალნენ 860 წელზე ადრე; მოწაფენი გრიგოლ ხანძთელისა, რომლებიც მოიხსენებიან მის ცხოვრებაში, — ეპიფანე, მატრი, ზენონი, მიქელ პარეხელი, მაკარი ოპიზელი, ეფრემ მაწყვერელ და არსენი ქართლისა კათალიკოზი, — გარდაიცვალნენ მე-9 საუკუნის უკანასკნელ მესამედში, ხოლო ბასილი ხანძთისა წინამძღვარი გარდაიცვალა არა უგვიანეს 900—918 წლებისა². და რაკი გიორგი მერჩულე მოსწრებია არა მხოლოდ გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა-მოწაფეებს, არამედ თვით გრიგოლ ხანძთელის მოწაფეებსაც და მათი „ქეშმარიტად თხრობილი“ მოუსმენია, ამის მიხედვით სავარაუდებელი ხდება, რომ გიორგი მერჩულე დაბადებულა არა უგვიანეს მე-9 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა, 875—885 წლებისა. ამრიგად, გიორგი მერჩულე, როდესაც მან დაწერა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, ე. ი. 950 წელს, უკვე მოხუცებას ყოფილა მიწვენილი.

გიორგი მერჩულის ცხოვრების დროის განსაზღვრისათვის მნიშვნელობა აქვს აგრეთვე მეორე ცნობას, რომელსაც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე თავის თანამედროვე მწერალთა შესახებ. მერჩულე წერს:

„ხოლო ყოველი ვერ შეუძლე აღწერად უმეტრებისა გზითა, რამეთუ ვპოვნებდ ცხოვრებისა ამის დაწერად ბრძენთაგან და სრულთა მამათა, რომელნიცა იყვნეს ჟამთა ჩუენთა:

„დიდი სოფრონ, სანატრელი მამაჲ, შატბერთისა ეკლესიისა განახლებით აღმაშენებელი და უკუნისამდე გვრგვნი მისი,

„და ღმერთშემოსილი მამაჲ ილარიონ პარეხელი,

„...და ღირსნი გიორგი მაწყუერელი ეპისკოპოსი და სტეფანე მტბევარი ეპისკოპოსი პირველი, და სხუანი მსგავსნი მათნი.

„და ვითარცა მათნეტართა დაიძინეს, მაშინლა რეცა განმელჳდა უცებსა ამას... კელყოფად და აღწერად ცხოვრებაჲ“. (იხ. თავი XXXVIII, გვ. 100).

აქ ჩამოთვლილი მწერლების შესახებ, რომელთაც ასახელებს გიორგი მერჩულე, შემდეგი ცნობები მოგვეპოვება.

სოფრონ შატბერთელი, რომელიც ყოფილა მესამე წინამძღვარი შატბერთისა (გრიგოლ ხანძთელის შემდეგ) — მოღვაწეობდა მე-9 საუკუნის დასასრულში (იგი მოხსენებულია 897 წელს, შატბერთის ოთხთავის ანდერძში)³.

¹ იხ. გვ. 12.

² თარიღები ირკვევა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტის მიხედვით. (კერძოდ, ბასილი ხანძთისა წინამძღვარი რომ გარდაცვლილა ყოველ შემთხვევაში 918 წლის უწინარეს, იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 71—72; 918 წლისთავის და ამის წინა ხანებში, აშოტ კუხის დროს, ხანძთის წინამძღვრად ყოფილა არსენი, რომლის წინამძღვრობა ბასილის შემდგომ დროს ეკუთვნის).

³ მხედველობაში გვაქვს ძეგლი, ცნობილი „ჰადისის“ ოთხთავის სახელით, რომელიც გადაწერილია შატბერთში.

სტეფანე მტბევარი პირველი ჩანს მე-10 საუკუნის პირველ მეოთხედში, 910-იან წლებში. იგი არის თანამედროვე შავშეთის ერისთავთ-ერისთავის აშოტ კუხისა (გურგენ კურაპალატის ძისა), რომელიც მთავრობდა 896 წლიდან 918 წლამდე. ძველი ქართველი მემკვიდრე სუმბატ დავითის-ძე აღნიშნავს: „აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს, და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა და დასუა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე უწყებითა სულისა წმიდისაჲთა“¹. სტეფანე მტბევარის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა მარტილობა გობრონისი, რომელიც დაწერილია 914—918 წლებს შორის.

რაც შეეხება ილარიონ პარეხელსა და გიორგი მაწყვერელს, მათ შესახებ ცნობები არ შენახულა; მაგრამ რადგან მწერლების ჩამოთვლა ზემოთ-მოყვანილ უწყებაში, ჩანს, ქრონოლოგიურ თანრიგს მისდევს² და რაკი ილარიონ პარეხელი და გიორგი მაწყვერელი მოიხსენებიან მე-9—10 საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწე მწერლის სოფრონ შატბერთელის შემდეგ და მე-10 საუკუნის პირველი მეოთხედის (910-იანი წლების) მწერლის სტეფანე მტბევარის წინ, — მათი მოღვაწეობა, ცხადია, ამავე ვიწროდ შემოფარგლულს ქრონოლოგიურ წრეში უწყევს: მე-9 საუკუნის ბოლო — მე-10 საუკუნის პირველი მეოთხედი.

გიორგი მერჩულის ზემოთ-მოყვანილ უწყებაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ გიორგი მერჩულე არათუ მოსწრებია აქ ჩამოთვლილ მწერლებს, — სოფრონ შატბერთელს, ილარიონ პარეხელს, გიორგი მაწყვერელსა და სტეფანე მტბევარს, — არამედ გიორგი მერჩულე, როგორც ჩანს, უკვე მათ დროსვე სამწერლო ასპარეზზე ყოფილა გამოსული. გიორგი მერჩულე აღნიშნავს, რომ იგი არ შეუდგა გრიგოლ ხანძთელის ცხორების აღწერას დასახელებულ მწერალთა სიცოცხლეში, რადგან ვფიქრობდიო, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხორებას აღწერდნენო ეს „ბრძენნი და სრულნი“ მწერალნი „რომელნიცა იყვნეს უამთა ჩუენთა“; და როდესაც ისინი გარდაიცვალნენ, „ვითარცა მათ ნეტართა დაიძინეს“, მხოლოდ მას შემდეგ შეებედეთ ამ საქმეს, „მაშინლა რეცა განმეღვძა უცებსა ამას... კელყოფად და აღწერად ცხორებაჲ“.

ამრიგად, ყველა იმ ცნობის მიხედვით, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის თხზულება, — ჯერ ერთი გრიგოლ ხანძთელის მოწაფეთა შესახებ (რომელთაც გიორგი მერჩულე მოსწრებია და მათგან „კეშმარიტი თხრობილი“ მოუსმენია) და, ამას გარდა, იმ ცნობების მიხედვითაც, რომელთაც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე თანამედროვე მწერალთა შესახებ, — როგორც აღნიშნეთ, სავარაუდებელი ხდება, რომ გიორგი მერჩულე დაბადებულა არა უგვიანეს მე-9 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედისა, 875/885 წლებისა.

¹ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *579/349.

² რომ აქ დატულია ქრონოლოგიური თანრიგი, ამას მიუთითებს კერძოდ ის გარემოება, რომ მწერლები აქ არაა ჩამოთვლილი სასულიერო ხარისხის მიხედვით, არამედ ჯერ დასახელებული არიან უბრალო ბერები (პირველად — სოფრონ შატბერთელი, მეორედ — ილარიონ პარეხელი), შემდეგ კი ეპისკოპოსნი (მესამედ — გიორგი მაწყვერელი, მეოთხედ — სტეფანე მტბევარი).

რაც შეეხება გიორგი მერჩულის გარდაცვალების თარიღს, იგი სავარაუდებელია მე-10 საუკუნის 60-იანი წლების უწინარეს. გიორგი მერჩულემ, როგორც გამორკვეულია, ცხობება გრიგოლ ხანძთელისა დაწერა 950 წელს; ხოლო მე-10 საუკუნის სამოციან წლებში გიორგი მერჩულეს უკვე აღმოს-ჩენია გამგრძელებელი: გიორგი მერჩულის თხზულება შეუესია ახალი დამატებებით ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს 961—966 წლებში.

ასეთია ის ქრონოლოგიური ცნობები, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის თხზულება და რომელთა მიხედვით შესაძლოა საკმაო მიახლოებით განსაზღვრულ იქმნეს გიორგი მერჩულის ცხოვრების დრო: მე-9 საუკუნის უკანასკნელი მეოთხედი — მე-10 საუკუნის 50-იანი წლები (დაახლოებით 875/885 წ.წ.—950/960 წ.წ.).

ბ

განათლება

გიორგი მერჩულის აღზრდისა და განათლების შესახებ პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ თვით ნაწარმოების ტექსტის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ავტორი ფართო განათლების ადამიანია, იგი დგას მისი თანამედროვე ქართული განათლების მთელ სიმაღლეზე.

ხოლო იმდროინდელი ქართული მაღალი განათლება, როგორც ეს ირკვევა თვით ავტორის სიტყვებიდან, მოიცავდა არა მხოლოდ საქრისტიანო მწერლობის ცოდნას, არამედ განათლებულ ადამიანს „სიბრძნეცა ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ“ უნდა შეესწავლა „კეთილად“, ე. ი. საერო ფილოსოფიასაც საფუძვლიანად გაცნობილი უნდა ყოფილიყო (იხ. გიორგი მერჩულის თხზულება. თავი I, გვ. 14).

ამასთან იმდროინდელი ქართული მაღალი განათლება, როგორც ამას აღნიშნავს ავტორი, არა მხოლოდ საკუთრივ ქართული მწერლობის შესწავლას გულისხმობდა, განათლებულ ადამიანს უნდა სცოდნოდა არა მარტოდენ „სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი“, არამედ შესწავლილი უნდა ჰქონოდა „მწიგნობრობაჲცა მრავალთა ენათაჲ“, უნდა ყოფილიყო — „მრავალთა ენათა წურთილ და მრავალ-მოსწავლე“ (იხ. გიორგი მერჩულის თხზულება, თავი I და XI, გვ. 14, 44).

ამ ცნობაში — „მწიგნობრობაჲ მრავალთა ენათაჲ“ — ავტორი, ცხადია, პირველ რიგში იგულისხმებს ბერძნულ ენასა და მწიგნობრობას, ამასთან ერთად მეორე ძირითადს საქრისტიანო ენას — სირიულს და, ამას გარდა, ცხადია, არაბულსაც, იმდროინდელ საერთაშორისო ენას აღმოსავლეთში¹.

გიორგი მერჩულემ რომ იცოდა კერძოდ ბერძნული და სირიული ენები, ეს შესაძლოა შემჩნეულ იქმნეს გიორგი მერჩულის თვით ქართული ტექსტის ზოგიერთი ადგილების მიხედვითაც. ასე, გიორგი მერჩულე ერთგან აღნიშნავს: „მონაზონებაჲ ჰრქვან კრძალვასა“ (იხ. გვ. 86). აქ ავტორს შეგნებულად ხახვასმული აქვს ტერმინ *εγκλεισ-*ის ეტიმოლოგიური ნიუანსი ბერძნული ენის მიხედვით (ბერძნულში ეს სიტყვა დაკავშირებულია

¹ რაც შეეხება არაბულ ენას, ინტერესს ამ ენისადმი აძლიერებდა ის გარემოებაც, რომ არაბულ ენაზე, — იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, — საკმაოდ მდიდარი საქრისტიანო მწერლობა არსებობდა.

როგორც ცნებასთან „კრძალვა“, ისე ცნებასთან „მონაზონება“). სხვა შემთხვევაში კიდევ ავტორი აღნიშნავს, რომ მონაზონნი არიან ისინი, რომელთაც „აღირჩიეს ღმრთისათვის მწუხარება“ (იხ. გვ. 56გ). აქ ავტორს ხაზგასმული აქვს სიტყვა მონაზონის ეტიმოლოგიური ნაუნასი სირიული ენის მიხედვით (სირიულში შესაფარდი სიტყვა „მწუხარე“-ს აღნიშნავს)¹.

ამას გარდა საჭიროა ისიც მოვიხსენოთ, რომ ჩვენი მწერალი, როგორც ეს ქვემოთ იქნება გამორკვეული, იყო „მერჩულე“, ე. ი. მეცნიერი სჯულის მოძღვარი, სჯულის მასწავლებელი; ხოლო სჯულის მოძღვარი — უნდა ყოფილიყო, როგორც ეს ჩანს გრიგოლ ხანძთელის ცხორების მიხედვით, ფართოდ განათლებული სწავლული, „წიგნთა საღმრთოთა მეცნიერი და ენათაცა წურთილი“ (იხ. ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, თავი XXXV, გვ. 94).

ბ

გიორგი მერჩულის მოღვაწეობის ადგილი — ხანძთა

გიორგი მერჩულე, მოხუცებულობის ეამს, როდესაც იგი წერდა თავის თხზულებას — გრიგოლ ხანძთელის ცხორებას — ბერად ყოფილა შემდგარი.

გიორგი მერჩულის მოღვაწეობის ადგილი არის განთქმული მონასტერი ხანძთა, რომელიც დაარსებული იყო გრიგოლ ხანძთელის მიერ და რომელმაც განსაკუთრებული როლი შეასრულა ძველი ქართული განათლების ისტორიაში. ხანძთის მონასტერი, რომლის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი, მდებარეობდა ძველ-ქართულ მხარეში კლარჯეთში, (ქოროხის ხეობაში, ტერიტორიაზე, რომელიც ამჟამად საქართველოდან არის მოწყვეტილი), მე-9—10 საუკუნეთა ძველი სატახტო ქალაქის არტანუჯის ახლო.

თხზულება — ცხორება გრიგოლ ხანძთელისა — გიორგი მერჩულეს ხანძთაში დაუწერია. ეს პირდაპირ აღნიშნულია თვით ძეგლში².

ღ

გიორგი მერჩულის თანამშრომელნი:

თევდორე ხანძთელი და იოვანე ხანძთელი

გიორგი მერჩულეს თავის ნაწარმოების ანდერძში მოხსენებული ჰყავს თანამშრომელნი, ხანძთელი მოღვაწენი: ხანძთის წინამძღვარი თევდორე და თევდორეს ძმა იოვანე. ანდერძში ნათქვამია, რომ თევდორეს და იოვანეს, ავტორთან — გიორგი მერჩულესთან ერთად, „გულს-მოდგინებაჲ“ გამოუჩენიათ თხზულებაზე მუშაობის დროს. ავტორი წერს:

„ხოლო ხანძთისა წინამძღურისა [თევდორეჲსა] და იოვანე ძმისა მისისა, და წიგნისა ამის აღმწერელისა — გიორგი მერჩულისა, — სამ-

¹ შეად. ნ. მარი (TP VII, 1911, გვ. LVIII) და ივ. ჯავახიშვილი (ქართული სამართლის ისტორია, II-ბ, 1929, გვ. 28), სადაც გიორგი მერჩულის ტექსტის უწყება სხვა ასპექტშია განხილული.

² გიორგი მერჩულის თხზულება, თავი I, გვ. 139. — რომ გიორგი მერჩულე ხანძთაში მკვიდრობდა, ეს ჩანს, გარდა I, თავისა, თხზულების სხვა ადგილებიდანაც (ასე იხ. 47¹⁴⁻¹⁵, 49¹⁴⁻¹⁵, 136¹⁴, 23-24).

თავე ამათ ერთად გულს-მოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა — გრიგოლის ცხორებაჲ ესე“ (იხ. თავი L, გვ. 139).

რასი გამოიხატება „გულს-მოდგინებაჲ“ თევდორესი და იოვანესი, რომელთაც ავტორი გიორგი მერჩულე თავმდაბლობით მოიხსენებს თავის-თავზე უწინარეს? იყო ეს ლიტერატურული თანამშრომლობა? იქნება მათ დაწერეს ან დაამუშავეს თხზულების ცალკეული ნაწილები? როგორც ჩანს — არა. ანდერძში გარკვევით არის აღნიშნული, რომ „წიგნისა ამის აღმწერელი“ არის გიორგი მერჩულე (ხოლო ძველ-ქართულად „აღმწერელი“ ნიშნავს მწერალს, ავტორს). ამას გარდა თვით ნაწარმოების ტექსტიდანაც სრულიად გარკვევით ჩანს, რომ ავტორი ერთი პირია (იხ. წიგნის „წინა სიტყუაჲ“, გვ. 11—12, თავი XXXVIII, გვ. 100₁₀—₁₅, აგრეთვე გვ. 13₄, 111₁₄).

მაშასადამე, „გულს-მოდგინებაჲ“ თევდორე და იოვანე ხანძთელთა, — ეს არ ყოფილა ლიტერატურული თანამშრომლობა; „გულს-მოდგინებაჲ“ თევდორე ხანძთელისა, საფიქრებელია, იმაში გამოიხატებოდა, რომ თევდორე, როგორც წინამძღვარი და „სულიერი მამა“ ხანძთის ძმობისა, იყო მაკურთხეველი და გამამხნევებელი გიორგი მერჩულისა წამოწყებული მუშაობის დროს. ხოლო იოვანე ხანძთელი, ძმა წინამძღვრისა, მეგობრულ „თანადგომა“-გამხნეებასთან ერთად, შესაძლოა ეხმარებოდა ავტორს ზოგიერთი ცნობების მოწოდებითაც, რომლებიც მერჩულემ გამოიყენა როგორც მასალა.

9

გიორგი მერჩულის ადრინდელი ლიტერატურული მემკვიდრეობა.

ჰიმნოგრაფიული პოეზია

გიორგი მერჩულეს „ცხორება გრიგოლ ხანძთელისა“, როგორც გამოირკვა, დაუწერია 950 წელს, უკვე მოხუცობის ეპოქაში, როდესაც ავტორი 65—75 წლებამდე ყოფილა მიწვენილი.

რასაკვირველია, არაერთი ეპიკური არ არის იმაში, რომ ცხორება გრიგოლ ხანძთელისა არ არის პირველი ნაწარმოები ჩვენი მწერლისა. რომ გიორგი მერჩულეს ლიტერატურული მოღვაწეობა დაუწყია ბევრად ადრე, ვიდრე იგი გამოაქვეყნებდა გრიგოლ ხანძთელის ცხორებას, ეს ჩანს კერძოდ იმ ცნობის მიხედვითაც, რომელსაც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე თანამედროვე მწერლებზე (სოფრონ შატბერთელის, ილარიონ პარეხელის, გიორგი მაწყვერელისა და სტეფანე მტბევარის შესახებ), და საიდანაც ჩვენ ვგებულობთ, რომ გიორგი მერჩულე ლიტერატურულ ინტერესს იჩენდა ჯერ კიდევ ახალგაზრდობისას, მე-10 საუკუნის პირველ მეოთხედში (იხ. ზემოთ, გვ. 12). ხოლო, რაც მთავარია, საკმაოა გადაკითხვა თვით გრიგოლ ხანძთელის ცხორების ტექსტისა, რათა ცხადი გახდეს, რომ იგი არაა პირველი ლიტერატურული ნაშრომი ჩვენი მწერლისა, — აქ ყოველ სტრიქონში იგრძნობა გამოცდილი, დახელოვნებული ოსტატის ხელი.

სამწუხაროდ, ძველი ქართული მწერლობის საუნჯე, როგორც ცნობილია, მეტწილად დაღუპულია, ძველი ქართული მწერლობის ძეგლებიდან — მხოლოდ ნაწილი, შეიძლება ითქვას — უმცირესი ნაწილია გადარჩენილი, და

ამის გამო გიორგი მერჩულის ადრინდელი ლიტერატურული მემკვიდრეობა მთელის მოცულობით ჩვენთვის უცნობი რჩება. ირკვევა მხოლოდ, რომ გიორგი მერჩულეს უწერია ჰიმნოგრაფიის (სასულიერო პოეზიის) დარგში. წერდა თუ არა იგი მწერლობის სხვა დარგებშიაც, ასე, კერძოდ, ბიოგრაფიულ-ჰაგიოგრაფიულ ჟანრში (ე. ი. იმ ჟანრში, რომელსაც წარმოადგენს გიორგი მერჩულის გვიანდელი ნაწარმოები — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება) — გამოურკვეველი რჩება.

რაც შეეხება ჰიმნოგრაფიას, რომ გიორგი მერჩულეს აღუბეჭდავს თავისი კვალი ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, — ეს დოკუმენტალურად დასტურდება.

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის კრებულში, რომელიც შედგენილია 978—988 წლებში განთქმული ქართველი პოეტი-ჰიმნოგრაფის მიქაელ მოდრეკილის მიერ, მოიპოვება ორი ტექსტი, რომელთა ზედწერილები ჩვენს ავტორზე მიუთითებს.

პირველი ტექსტი, მოკლე საგალობელი („ოხითაჲ“), ატარებს ასეთს ზედწერილს: „მერჩულიული“¹.

მეორე ტექსტი, საგალობელნი დიდი ფორმისა, ეგრეთ-წოდებული „კანონი“ ანუ „გალობანი“, ატარებს შემდეგ ზედწერილს: „მერჩულიული უცხონი“². როგორ უნდა გავიგოთ ეს ზედწერილი „მერჩულიული“? აქ ორი ახსნაა შესაძლებელი:

ან ეს ჰიმნები ეკუთვნის გიორგი მერჩულეს;

ან-და ეს ჰიმნები დაწერილია იმ ფორმით, რომელიც პირველად შემოულია ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში გიორგი მერჩულეს.

ჰიმნოგრაფიული ტექსტების შესწავლიდან ირკვევა, რომ სწორია მეორე ახსნა (ამაზე დაწერილებით ქვემოთ). სახელწოდება „მერჩულიული“ ეს ყოფილა იმავე ტიპის სახელწოდება, როგორც „ჩახრუხაული“, „ძაგნაკორული“, „ბისტიკაური“ და სხვანი. ისევე, როგორც „ჩახრუხაული“, აღნიშნავს ჩახრუხაისძის მიერ შემოღებულს პოეტურ ფორმას, „ძაგნაკორული“ — ძაგნაკორელის მიერ შემოღებულ ფორმას, ასევე „მერჩულიული“, როგორც ირკვევა, აღნიშნავს თავისებურ ფორმას, რომელიც გიორგი მერჩულეს შემოულია ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში.

გიორგი მერჩულეზე, როგორც პოეტ-ჰიმნოგრაფზე, ჩვენ საგანგებოდ გვექნება საუბარი ცალკე თავში, სადაც წარმოვადგენთ ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის მიმოხილვას მე-8—10 საუკუნეთა მანძილზე და საიდანაც ნათელი გახდება ის განსაკუთრებული ღვაწლი, რომელიც მიუძღვით ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის განვითარებაში გრიგოლ ხანძთელსა და მისი ტრადიციების გამგრძელებელს გიორგი მერჩულეს.

*

დასასრულ, აქ შევჩერდებით კიდევ ერთ ჩვენებაზე, რომელიც გვაცნობს გიორგი მერჩულის ინტერესებს ხელოვნების დარგში.

¹ იხ. მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 113.

² იხ. მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 471—473. — „გალობანი“ გამოცემულია ჩვენ მიერ (იხ. ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 310_გ—315_გ).

ჰიმნოგრაფიული პოეზია, როგორც ცნობილია, დაკავშირებული იყო მუსიკასთან. ჰიმნები იგალობებოდა ხოლმე. ჩვენ დრომდე მოღწეულა სწორედ ამ ეპოქიდან — მე-10 საუკუნიდან — ჰიმნოგრაფიული კრებულები, რომლებშიაც ჰიმნები ნოტირებულია, საგალობელი კილო აღნიშნულია თავისებური სანოტო ნიშნებით, ეკრეთწოდებული ნევმებით. (ეს ძველ-ქართული სანოტო ნიშნები დღემდე ამოშიფრული არაა. თავისი სახეობით ქართული ნევმები განსხვავდება ბერძნული ნევმებისაგან, აგრეთვე აღმოსავლეთში მიღებული ნიშნებისგანაც, რაც მაჩვენებელია ძველი ქართული მუსიკალური კულტურის თავისებურებისა). ამასთან ძველ-ქართულ მწერლობაში ჩვენ გვაქვს ცნობა მუსიკოს კომპოზიტორთა შესახებ, რომლებიც ჰიმნებისათვის მუსიკას ანუ „ხმა“-ს, როგორც, მაგალითად, იოვანე ქართლისა კათალიკოზი. რომელსაც ერთი ქართველი მწერალი (არსენი იყალთოელი) უწოდებს — „კეთილად-მორთული ორღანოჲ ჯელოვანთ-მთავარი“ და რომელიც ყოფილა საგალობელთა „ჯმისა დამღებელი“ — ჰიმნების მუსიკის შემთხვევი¹.

არაა ინტერესს მოკლებული აღნიშნოთ, რომ გიორგი მერჩულე, თვით პოეტი-ჰიმნოგრაფი, ამავე დროს მუსიკის მცოდნე და მოყვარული ყოფილა. ეს ჩანს იმის მიხედვით, თუ როგორის სიყვარულითა და როგორის წვლილადღობით აგვიწერს გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის ცოდნას მუსიკის დარგში:

„კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწდისა განგებითა მოძღუარი იყო განუკითხველად... განგებაჲ კეთილად იცოდდა... და აქუნდა ჯმისა ნებიერობაჲ და ტკბილობისა შეენიერებაჲ“².

აქ ჩვენ გვესმის მუსიკის მცოდნის, მუსიკის მოყვარულის ხმა.

3

მწერლის ზედწოდება „მერჩულე“

გიორგი მერჩულის შესახები ბიოგრაფიული ცნობების განხილვის დასასრულს ჩვენ აქ შეეჩერდებით მწერლის ზედწოდებაზე „მერჩულე“.

რას აღნიშნავს ეს ზედწოდება?

არის ეს საგვარეულო ტიპის სახელწოდება? ან იქნებ ეს ზედწოდებაჲ წარმოებია გეოგრაფიული სახელიდან და აღნიშნავს სადაურობას მწერლის საგვარეულოსას ან თვით მწერლისას? ან აქ გვაქვს პირადად მწერლისათვის შერქმეული სახელი? თუ ეს არის თანამდებობა-პროფესიის აღმნიშვნელი სახელწოდება?

ეს საკითხი დღემდე გადაწყვეტილი არაა, ანუ, უფრო სწორად, ეს საკითხი არც კი ყოფილა საერთოდ განხილვის საგანი.

ძველ-ქართული მასალების გათვალისწინებიდან შესაძლო ხდება დადგენილ იქმნეს, რომ ზედწოდება „მერჩულე“ — ეს არის თანამდებობა-პროფესიის

¹ იხ. ანდერძი არსენისი, დაცული სინას მთის ქართულ ხელნაწერში № 83 (გაპოქემულია აკად. ნ. მარის მიერ, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, 1940 წ., გვ. 203—204).

² იხ. გვ. 80.

ალმნიშენელი სახელწოდება. „მერჩულე“ ეწოდება სჯულის მეცნიერს, კანონიკური სამართლის სწავლულ მკოდნეს. ძველ საქართველოში არსებული ინსტიტუტი „მერჩულე“-თა, სჯულის მეცნიერთა, და ჩვენი მწერალი ამ კორპორაციის წევრი ყოფილა.

*

ვიდრე გადავიდოდეთ ძირითადი საკითხის განხილვაზე, აქ საჭიროა რამდენიმე წინასწარი განმარტება.

ძველ-ქართულში სიტყვა „რჯული“ ჩვენ გვხვდება შემდეგი ფორმებით: „რჩული“, „სჯული“ და „შჯული“.

ეს სიტყვა რჯული, ანუ ძველ-ქართულად „რჩული“ (სჯული, შჯული) — ჩვენ ამჟამად გვესმის როგორც „სარწმუნოება“. მაგრამ თავდაპირველად სიტყვა „რჩული“ აღნიშნავდა ცნებას: კანონი, სამართალი, ე. ი. სჯულდებით განსაზღვრული წესი, ნორმა. „რჩული“ აღნიშნავდა იმავე ცნებას, რასაც ბერძნული νόμος, ლათინური jus. ძველ-ქართული სამართლის ძეგლებში ბერძნული νόμος ასე ითარგმნებოდა: „რჩულის კანონი“. (ასე, მაგალითად, მე-10—11 საუკუნეთა ქართველი მწერლის ეფთიმე მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან ქართულად გადმოღებულ წიგნს νόμος-ს ეწოდება „რჩულის-კანონი“).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ სიტყვა „რჩული“ (სჯული, შჯული) თუმცა თავდაპირველად აღნიშნავდა ცნებას „სამართალი“ „კანონი“, — მაგრამ ამ ტერმინს ამავე დროს აღრიდანვე მიეცა აგრეთვე მნიშვნელობა აღსანიშნავად ცნებისა „სარწმუნოება“, რადგან სარწმუნოება ეს არის იგივე „რჩული“, ე. ი. შჯულდებით განსაზღვრული წესი.

*

შემდეგი საკითხი: როგორ გამოითქმოდა ჩვენი მწერლის ზედწოდება: „მერჩულე“ თუ „მერჩული“?

აკადემიკოსმა ნიკო მარმა, რომელმაც პირველად გამოსცა გრიგოლ ხანძთელის ცხორება, მწერლის ზედწოდება შეცდომით გახსნა როგორც „მერჩული“. მას შემდეგ ეს ფორმა „მერჩული“ გავრცელებას პოულობს სამეცნიერო ლიტერატურაში და არავის შეპარვია ეჭვი მის სინამდვილეში.

რას ემყარება ნ. მარს, როდესაც იგი აღადგენს მწერლის ზედწოდებას ამ ფორმით: „მერჩული“? აქ საქმე გვაქვს უბრალო გაუგებრობასთან, რაც შემდეგიდან წარმოსდგა.

გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში ზედწოდება მწერლისა მოხსენებულია მხოლოდ ერთხელ, ამასთან ეს ზედწოდება მოყვანილია არა სახელობითს ბრუნვაში, არამედ ნათესაობითს ბრუნვაში: „მერჩულისა“. სახელდობრ, გრიგოლ ხანძთელის ცხორების I თავში ეკითხულობთ:

„წიგნისა ამის აღწერელისა გიორგი მერჩულისა... გულს-მოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხორებაჲ ესე“ (იხ. გვ. 139).

აქედან ნ. მარს გამოჰყავს დასკვნა, რომ ავტორის ზედწოდება არის „მერჩული“. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არსაიდან არ გამომდინარეობს. ძველ-

ქართულში ნათესაობითს ბრუნვაში ჩვენ გვაქვს დაბოლოება „ი-სა“ არა მარტო თანხმონიანი ფუძის სიტყვებიდან (მაგალითად: სახელობითი კაცი-ი, ნათესაობითი კაცი-ისა), არამედ სიტყვებიდანაც, რომელთა ფუძე სრულდება ბოლოკიდურით „ე“.

მაგალითისათვის მოვიგონოთ იმავე ეპოქის მეორე ქართველი მწერლის სახელი და ზედწოდება: ეფრემ მცირე. სახელობითი ბრუნვა, კლასიკური ნორმების მიხედვით: ეფრემ მცირე-ე; ნათესაობითს ბრუნვაში: ეფრემ მცირ-ისა.

იმის გამო, რომ ნათესაობითს ბრუნვაში ჩვენ გვაქვს „ეფრემ მცირისა“, რასაკვირველია, სრულიად არ გამომდინარეობს, რომ ამ მწერლის სახელი და ზედწოდება იყო „ეფრემ მცირი“ და არა „ეფრემ მცირე“.

ასევე ძველ-ქართული ნორმების მიხედვით ითქმის: „ლექსნი (ხოტბანი) ჩახრუხახსძისა“. მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ მე-12 საუკუნის ცნობილ ქართველ პოეტს ეწოდებოდა „ჩახრუხახსძი“; მას ერქვა „ჩახრუხახსძე“ (სახელობითი ბრუნვა, კლასიკური ნორმების მიხედვით: ჩახრუხახსძე-ე; ნათესაობითი ბრუნვა: ჩახრუხახსძ-ისა).

ამნაირადვე ჩვენი მწერლის სახელი და ზედწოდება გამოითქმოდა როგორც გიორგი მერჩულე (სახელობითი ბრუნვა, კლასიკური ნორმების მიხედვით: გიორგი მერჩულე-ე; ნათესაობითი ბრუნვა: გიორგი მერჩულ-ისა). ამიტომაც, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში ჩვენ ვკითხულობთ: „წიგნისა ამის აღმწერელისა გიორგი მერჩულისა... ვულს-მოდგინებითა დაიწერა ხანძთას შინა ნეტარისა გრიგოლის ცხორებაჲ ესე“.

*

რომ ჩვენი მწერლის ზედწოდება გამოითქმოდა როგორც „მერჩულე“, ეს დოკუმენტალურად დასტურდება თვით ჩვენი მწერლის ეპოქის სამი ხელნაწერიდან, რომლებიც გადაწერილია მე-11 საუკუნეში, და სადაც ეს სიტყვა წარმოდგენილია როგორც „მერჩულე“. მე-11 საუკუნის ამ ხელნაწერთა შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი.

აქ კი ჯერ შევხერხდებით ერთ ჩვენებაზე, რომელიც აგრეთვე ეთანხმება იმ დასკვნას, რომ მწერლის ზედწოდებაა „მერჩულე“ (და არა „მერჩული“).

ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ ჩვენს მწერალს შემოუღია ახალი ფორმა ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, რომელსაც მწერლის ზედწოდებიდან დარქმევია: „მერჩულიული“.

საიდან არის ნაწარმოები ეს ტერმინი, ფორმიდან „მერჩულე“ თუ „მერჩული“?

ძველ-ქართულის ნორმების თანახმად, ფორმიდან „მერჩული“ შეუძლებელია მიღებულ იქმნეს „მერჩულიული“. ფორმიდან „მერჩული“ ჩვენ გვექნებოდა „მერჩულ-ური“ ან „მერჩულ-ული“ (ისევე, როგორც სახელიდან „რუსთველი“ ჩვენ გვაქვს „რუსთველური“ და არა „რუსთველიური“, სიტყვიდან კაცი — კაციური და არა კაციური და სხვ.).

რაც შეეხება ფორმას „მერჩულე“, აქედან, ძველ-ქართულის ნორმების მიხედვით, შესაძლებელია ორკვარი სიტყვის-წარმოება:

ა) შეკუმშული; ასეთ შემთხვევაში „მერჩულე“ მოგვეცემდა იმავე ფორმას: მერჩულე-ური, ან მერჩულ-ული.

ბ) სრული; ასეთ შემთხვევაში „მერჩულე“ მოგვეცემდა ფორმებს: „მერჩულე-ური“ — „მერჩულე-ული“, რასაც დისიმილაციის წესით კანონზომიერად შეენაცვლება „მერჩული-ული“.

დისიმილაციური შენაცვლება „მერჩულეული“ = „მერჩულიული“ იმავე სახისაა, როგორც, მაგალითად, ქვემოთ ჩამოთვლილ სიტყვებში ბოლოკიდურით „ე“ (ე. ი. იმავე ბოლოკიდურით, რომელიც გვაქვს სიტყვაში „მერჩულე“):

„დღე“ — აქედან (დღეური) დღიური;

„მზე“ — აქედან (მზეური) მზიური და სხვ.

ამავე ტიპისაა შენაცვლება ბგერისა „ე“-სი ბგერით „ი“ სიტყვებში: ადამიანი—ადამიანი, მირიანი—მირიანი და სხვ.

შეად. აგრეთვე ტერმინი „სახეობა“ (ნაწარმოები სიტყვიდან „სახე“); „სახეობა“ დისიმილაციის წესით გვაძლევს ფორმას: „ს ა ხ ი ბ ა“. (ასე, იხილეთ გრიგოლ ხანძთელის ცხობრება, გვ. 93^ა, სადაც წარმოდგენილია სწორედ დისიმილაცია-მიღებული ფორმა: ა ხ ა ლ - ს ა ხ ი ბ ა).

ასეთია ის მასალები, რაც ჩვენ მოგვეპოვება ჩვენი მწერლის ზედწოდების შესახებ.

ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული სურათი:

ა) ერთი მხრით თვით მწერლის ეპოქის ძეგლებში, მე-11 საუკუნის სამხელნაწერში (რომელთა შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვაქვს საუბარი). ეს ტერმინი პირდაპირ დამოწმებულია ფორმით: „მერჩულე“.

ბ) დანარჩენ შემთხვევაში, სადაც ტერმინი მოცემულია ან ნათესაობითს ბრუნვაში, ან ბოლოკიდურით „ული“, აქაც, როგორც ირკვევა, პირველადი ფორმა ტერმინისა არის იგივე „მერჩულე“.

*

გადავდივართ ამის შემდეგ განხილვაზე ძირითადი საკითხისა, თუ რას აღნიშნავდა რეალურად ზედწოდება ჩვენი მწერლისა: „მერჩულე“.

ეს ზედწოდება, ცხადია, დაკავშირებულია ზემოთ აღნიშნულ ტერმინთან „რჩული“ — სჯული. „მერჩულე“ — ეს არის იგივე „მესჯულე“.

მაგრამ აქ იბადება ასეთი საკითხი: რისთვის მიემართებოდა ჩვენს მწერალს ეს ზედწოდება „მერჩულე“: არის ეს პირადად მისთვის შერქმეული სახელი — იმის გამო, რომ იგი „რჩულის“ მეცნიერების განსაკუთრებულ ავტორიტეტად ითვლებოდა? თუ „მერჩულე“ ეს იყო თანამდებობა-პროფესია „რჩულის“ მეცნიერისა.

როგორც ირკვევა, ჩვენ მეორე გარემოებასთან გვაქვს საქმე; „მერჩულე“ ეს არ ყოფილა პირადად ჩვენი მწერლისათვის შერქმეული სახელი, არამედ თანამდებობა-პროფესია.

როდესაც ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ ჩვენი მწერლის სახელწოდება „მერჩულე“ დაკავშირებულია სიტყვასთან „რჩული“, ჩვენ მივმართეთ ჩვენი ლექსიკოგრაფების შრომებს, მაგრამ აქ ტერმინი „მერჩულე“ არსად არ აღმოჩნდა აღნიშნული. აქ ნაჩვენებია მხოლოდ ამ ტერმინის გვიანდელი ფორმა „მესჯულე“ და ამასთან მითითებულია მხოლოდ მე-17—18 საუკუნეთა წყაროები

(ფარსადან გორგიჯანიძე, ვახტანგის სამართალი და ანტონ I კათალიკოზის მარტირია)¹.

საკითხის გამოსარკვევად მართო ეს გვიანდელი წყაროები, რასაკვირველია, საქმარისი არ იყო, რადგან მე-17—18 საუკუნის ძეგლების მიხედვით გადაწყვეტა საკითხისა, რომელიც მე-10 საუკუნეს ეხება, ცხადია, უსათუძელო იქნებოდა.

ამასთან, არც ის მასალები, რომელიც გამოყენებული აქვს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილს თავის კაპიტალურ შრომაში „ქართული სამართლის ისტორია“, არ იძლეოდა რაიმე ჩვენებას მერჩულეთა (ან მესჯულეთა) ინსტიტუტის არსებობის შესახებ ძველ საქართველოში.

საბედნიეროდ, ძველ-ქართულ ტექსტებში ჩვენ მოგვეცა შემთხვევა აღმოგვეჩინა საძიებელი ტერმინი „მერჩულე“, რის შემდეგაც საკითხს უშუალოდ მოეხიზნა. „მერჩულე“ მოხსენებულია მე-10—11 საუკუნეთა ქართველი მწერლის ეფთიმე მთაწმიდელის ერთ შრომაში. ის გარემოება, რომ „მერჩულე“ მოიხსენება ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩვენი საკითხისათვის, რადგან ეფთიმე მთაწმიდელი არის უდიდესი ავტორიტეტი ძველ-ქართულ „რჩულის“ მეცნიერების ისტორიაში; ამას გარდა, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ეფთიმე მთაწმიდელი მოღვაწეობდა სწორედ იმ ეპოქაში, რომელიც ამ ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენს.

ეფთიმე მთაწმიდელმა სთარგმნა ბერძნულიდან ქართულად ერთი ძეგლი, რომელიც ეკუთვნის ბერძნული თეოლოგიის ერთ-ერთ ფუძემდებელს გრიგოლ ნაძიანძელს (სახელდობრ ნაწარმოები: „ნათლისღებისათვის უფლისა... დღესა განცხადებასა“).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ეფთიმეს ტექსტი არ წარმოადგენს თარგმანს ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით, არამედ ადგილ-ადგილ განმარტებითს გადმოცემას შეიცავს; ეს არის, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი მანერა ეფთიმე მთაწმიდელისა. ეფთიმე უდიდეს ავტორიტეტად ითვლებოდა თეოლოგიაში, და მას, როგორც აღნიშნავს ერთი ძველ-ქართველი ავტორი, „ჩველ-ეწიფებოდა შემატებაჲცა და დაკლებაჲცა“.

დასახელებულ ძეგლში გრიგოლ ნაძიანძელი ეკამათება მწვალების (ერეტიკოსის) ნავატის მოძღვრების მიმდევართ.

მოგვეყავს აქ ამ ძეგლის ერთი ადგილი ეფთიმე მთაწმიდელის განერცობილი განმარტებითი თარგმანის თანახმად (იხ. ხელნაწერი A—92, მე-11 საუკუნის დასაწყისისა, გადაწერილი ეფთიმე მთაწმიდელის სიცოცხლეში, 1028 წლის უწინარეს, გვ. 701—704):

„ხოლო შენ რასა იტყვ. რასა სჯულის-მდებელობ, ზ ახლო ფარისეველო..“

„არა ვჰბაძე მე წესსა ამასი და ვინ დამიღვინა მე ნავატ მერჩულედ და მისი იგი კაცთ-მოძულეზაჲ სახედ |“ :

ამრიგად, ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტში დადასტურებულია სახელწოდება „მერჩულე“, რაც აქ აღნიშნავს „რჩულის“ მოძღვარს, სჯულის ნორმების გამრიგებელს, რჩულის კანონის განმაწესებელს.

¹ იხ. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი, სიტყვები: მერჯულე, მესჯულე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სახელწოდება „მერჩულე“, როგორც ირკვევა, არ მომდინარეობს ბერძნული დედნიდან, არამედ ჩვენ გვაქვს მხოლოდ ეფთიმე მთაწმიდელის ქართულ ტექსტში, საიდანაც ცხადი ხდება, რომ „მერჩულე“ ქართული სინამდვილიდან აღებული სახელწოდებაა.

გრიგოლ ნაძიანძელის ბერძნულ დედანში უკანასკნელი აბზაცი იკითხვის ამრიგად¹:

Kai τίς μοι νόμος ἢ Ναυατλου μισαυφρασια,
რაც სიტყვა-სიტყვითს თარგმანში შემდეგს აღნიშნავს: „და რა კანონი (νόμος) არის ჩემთვის ნავატის კაცთ-მოძულება“.

ამრიგად ეფთიმე მთაწმიდელი იძლევა ტექსტის განვრცობილს განმარტებითს გადმოცემას, რაც, როგორც მოვიხსენეთ, ჩვეული წესია ეფთიმე მთაწმიდელისა. გრიგოლ ნაძიანძელის ტექსტი: „რა კანონი (νόμος) არის ჩემთვის ნავატის კაცთ-მოძულება“, — ეფთიმეს, როგორც ვხედავთ, შეუცვლია ასეთი განვრცობილი განმარტებით:

„და ვინ დამიდგინა მე ნავატ მერჩულედ (ე. ი. რჩულის მოძღვრად, რჩულის კანონთა გამრიგებლად) და მისი იგი კაცთ-მოძულებაა სახედ (ე. ი. ნორმად)“.

აქედან, მაშასადამე, უცილობელი ხდება, რომ „მერჩულე“ ეს ყოფილა ცოცხალი ტერმინი ქართული სინამდვილისა მე-10—11 საუკუნეებში, როდესაც მოღვაწეობდა ეფთიმე მთაწმიდელი, ძველ-ქართული „რჩულის“-მეცნიერების ეს უდიდესი ავტორიტეტი.

გავეცნოთ ამის შემდეგ ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტის არსებულ ხელნაწერებს, თუ როგორის ვარაიაციებით არის წარმოდგენილი ტერმინი „მერჩულე“ სხვადასხვა ეპოქის დედნებში.

ჩვენს განკარგულებაში არის შვიდი ხელნაწერი ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტისა, რომლებიც ეკუთვნიან სხვადასხვა დროს მე-11 საუკუნის დასაწყისიდან — ვიდრე მე-18 საუკუნემდე².

ამ ხელნაწერებში ტერმინი „მერჩულე“ წარმოდგენილია შემდეგი ფორმებით:

ხელნაწერი A — 92 (გადაწერილია მე-11 საუკუნის დასაწყისში, 1028 წლამდე), გვ. 704:

ხელნაწერი A — 1 (გადაწერილია 1031 წელს)³, გვ. 403:

ხელნაწერი A — 87 (გადაწერილია 1065 წლის ახლო), გვ. 154:

ხელნაწერი S — 383 (გადაწერილია მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში), გვ. 36 ა:

ხელნაწერი A — 80 (გადაწერილია მე-13 საუკუნეში), გვ. 126 ა:

ხელნაწერი A — 518 (გადაწერილია 1708 წელს), გვ. 107 ა:

ხელნაწერი S — 3638 (გადაწერილია 1799 წელს), გვ. 342:

„მერჩულე“

„მერჩულე“

„მერჩულე“

„მეჯულე“

„მესჯულე“

„მესჯულე“

„მესჯულე“

¹ იხ. Migne, PG, t. 36, p. 557.

² ხელნაწერები დაცულია საქართველოს მუზეუმის ძველ-ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში.

³ გარდა ხელნაწერისა A — 1, რომელიც გადაწერილია 1031 წელს, მოიპოვება აგრეთვე ამ ხელნაწერის პირი A — 16; ამ უკანასკნელშიაც (გვ. 136 b) წარმოდგენილია ფორმა „მერჩულე“:

ამრიგად ფორმა „მერჩულე“ დადასტურებულია სამ უძველეს ხელნაწერში მე-11 საუკუნისა.

ხელნაწერებში წარმოდგენილი პარალელური ტექსტებიდან მკითხველისათვის ისიც აშკარაა, რომ „მერჩულე“ ყოფილა იგივე „მესჯულე“ („მეშჯულე“); ეს ფორმები „მერჩულე“ და „მესჯულე“ ერთიმეორის ნაცვლად იხმარება ხელნაწერებში.

ზ

„მერჩულე“-თა („ჩხულის მოძღუართა“) ინსტიტუტის ისტორიისათვის ძველ საქართველოში. — გიორგი მერჩულე, როგორც თეოლოგი და კანონიკური სამართლის მეცნიერი

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლიდან ირკვევა, რომ მე-10—11 საუკუნეებისათვის სამართლის მეცნიერებას საქართველოში განვითარების მაღალი დონისათვის მიუღწევია.

კერძოდ, დაკავშირებით იმ საკითხთან, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს („მერჩულე“-თა ინსტიტუტის რაობა), საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მე-10—11 საუკუნეებში საქართველოში ყოფილან მეცნიერი იურისტები, რომელთაც ეწოდებათ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“. ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელიდან ირკვევა, რომ „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ საგანგებოდ მოიწვეოდნენ ხოლმე სახელმწიფოს უზენაესი ორგანოს — სახელმწიფო დარბაზის — სხდომაზე რთული იურიდიული საკითხების განხილვის დროს.

აქ შესაძლოა აღიძრას საკითხი, ხომ არ არიან ეს „მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი“ — იგივე „მერჩულე“-ნი.

როგორც ირკვევა, არა.

ქართული ძეგლების შესწავლიდან დასტურდება, რომ დასახელებულ ეპოქაში „საბჭოჲ“, „საბჭოთა საქმენი“ — ს ა ე რ ო სამართლის დარგს წარმოადგენდა.

ხოლო „ჩხული“ ამ ეპოქაში აღნიშნავდა სპეციფიკურად კანონიკურ სამართალს, ხოლო უფრო ფართო გაგებით — მთელ საქრისტიანო მოძღვრებას, რამდენადაც ეს მოძღვრება აღბეჭდილია წერილობითი ძეგლების სახით („დაწერილი ჩხული“).

„მერჩულე“, როგორც ირკვევა, ეს იყო მეცნიერი „ჩხულისა“, სპეციალურად კანონიკური სამართლის სწავლული მცოდნე, და ამავე დროს მეცნიერი მთელი საქრისტიანო მოძღვრებისა, „დაწერილი ჩხულისა“, ე. ი. თეოლოგი მეცნიერი.

*

ძველი ქართული თეოლოგია და, კერძოდ, ძველი ქართული კანონიკური სამართალი, დაკავშირებული იყო თავისი საწყისებით ბერძნულ ორთოდოქსალურ თეოლოგიასთან და ბერძნულ კანონიკურ სამართალთან (— რამდენადაც ქართული ეკლესია ორთოდოქსალურ მოძღვრებას იზიარებდა).

„მერჩულე“ თავისი პირდაპირი მნიშვნელობით — ეს არის ზუსტად ბერძნული νομαχός (νομαχος = „რჩული“, აქედან νομαχος = „მერჩულე“).

იმისათვის, რომ ზედმიწევნით გავითვალისწინოთ რეალური შინაარსი „მერჩულე“-თა ინსტიტუტისა, აქ საჭიროა გავეცნოთ, თუ როგორ გადმოსცემდნენ ქართულად ამ ტერმინს.

Νομαχός — ე. ი. „მერჩულე“ ახალი აღთქმის წიგნების ძველ-ქართულ თარგმანებში ასეა გადმოცემული:¹

1. რჩულის მეცნიერი (ლუკა X₂₆; XI₄₈);
2. რჩულის მოძღვარი (ლუკა XI₅₂; XIV₃);
3. რჩულის მდებელი (მათე XXII₂₈ — ჰადისის ოთხთავში);
4. რჩულის მწერალი (ეპისტოლე ტიტესადმი III₁₂);
5. რჩულის აგანი (ლუკა VII₃₆).

დასახელებული ტერმინები ძველ-ქართულ ტექსტებში ერთიმეორის მაგივრად იხმარება².

შეფარდება ძველი ქართული ტექსტების ამ ჩვენებათა იმ ცნობებთან, რომელთაც შეიცავს ეფთიმე მთაწმიდელის ზემოთ დასახელებული ტექსტი, ჩვენ გვაძლევს შესაძლებლობას ზუსტად განვსაზღვროთ „მერჩულე“-თა ინსტიტუტის რაობა.

„მერჩულე“, როგორც ირკვევა, ყოფილა არა მხოლოდ თეოლოგი, სწავლული მცოდნე ქრისტიანული მოძღვრებისა და სპეციალურად კანონიკური სამართალისა („რჩულის კანონი“-სა), არამედ მერჩულე, როგორც „რჩულის მეცნიერი“ და „რჩულის მოძღვარი“ (ე. ი. რჩულის მასწავლებელი) უფლებამოსილი იყო აგრეთვე მოეხდინა განჩინება „წესთა“ (ე. ი. დადგენა სავალდებულო ნორმებისა) ქრისტიანული მოძღვრების ანუ „რჩული“-ს საფუძველზე. ამას ძველ-ქართულ კანონიკურ სამართალში ეწოდებოდა „წესისა დადება“³.

„წესისა დადება“ — ეს არის იგივე „რჩულისა წესისა დადება“ და ამიტომ არის, რომ მერჩულეს მიემართება აგრეთვე სახელწოდება: „რჩულის მდებელი“⁴.

ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტიდან ირკვევა ამასთან, რომ „მერჩულე“ ეს იყო არა მხოლოდ „მეცნიერი“ რჩულისა, ქრისტიანული მოძღვრებისა, არამედ ამავე დროს „რჩული“-ს სიწმიდის მცველი; მერჩულე „განაწესებს კა-

¹ ჩვენ შევაწამეთ შემდეგი დედნები: ჰადისის ოთხთავი 897 წლისა, ოთხთავის ხელნაწერები მე-10 საუკუნისა H — 1660, A — 1453, A — 28, ეპისტოლეთა წიგნი მე-9 — 10 საუკუნეთა ხელნაწერები S — 407 და S — 1398, აგრეთვე გიორგი მთაწმიდელისეული ტექსტები ოთხთავისა და ეპისტოლეთა წიგნისა.

² ჩამოთვლილ ტერმინებში შემავალი სიტყვა „რჩული“ ხელნაწერებში წარმოდგენილია როგორც ამ ძირითადი ფორმით „რჩული“ (—უძველეს ჰადისურ ხელნაწერში), ისე პარალელური ფორმებით — „სჯული“, „სჯული“.

³ „წესის დადების“ შესახებ იხ. ცხორება გრიგოლ ხანძთელისა 95₂₁. ეფთიმე მთაწმიდელის ზემოდასახელებულ ტექსტში ნათქვამია: „არა ვჭაბავ მე წესისა ამას“, ე. ი. წესისა დადებულსა ნავატის მიერ. ეფთიმე მთაწმიდელის ტექსტის პირდაპირი ჩვენების თანახმად ნავატი—რჩულის ახალი „წესი“-ს დადებით — თავის-თავზე ღებულობდა „მერჩულე“-ს ფუნქციას.

⁴ იხ. ჰადისის ოთხთავი მთ. XXII₂₈. აღსანიშნავია ამასთან, რომ ეფთიმე მთაწმიდელის იმავე ტექსტში ნავატს, როგორც ახალი „წესის“ დამდებელს, აგრეთვე ეწოდება „სჯულის მდებელი“ (იხ. ტექსტი: „ხოლო შენ რასა სჯულის-მდებელობ... რომელი ეგო სჯულის-მდებელობ...“).

ნონსა“ მათთვის, რომლებიც გარდახდნენ ქრისტიანული „რჩული“-ს წესებს, ე. ი. მერჩულე უფლებამოსილია იკისროს ამავე დროს კანონიკური სამართლის მსაჯულის ფუნქციები¹.

დააარსულ, აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ „მერჩულე“ (νομοιός) ძველ ქართულ ტექსტში მოიხსენება როგორც „რჩული მწერალი“². „მერჩულე“ — რჩულის მოძღვარი, როგორც ირკვევა, აწარმოებდა „მოძღურებას“ არა მხოლოდ სიტყვიერად, არამედ წერილობითი ძეგლების სახითაც გადასცემდა თავის მოძღვრებას.

თუ რამდენად დიდი იყო „მერჩულეთა“ („მესჯულეთა“) ავტორიტეტი ძველ საქართველოში, ამას ადასტურებს ძველ-ქართული კანონიკური ძეგლი „მცნება სასჯულო“, სადაც კათალიკოზს მიემართება შემდეგი ზედწოდება: „მესჯულეთა (=მერჩულეთა) თავი და უხუცესი“³.

*

„მერჩულეთა“ ანუ „რჩულის მოძღვართა“ ინსტიტუტის შესახებ ძველ საქართველოში ქართულ ძეგლებში დაცულია უაღრესად მნაშვნელოვანი ცნობები, რაც ინტერესს წარმოადგენს არა მხოლოდ ამ ინსტიტუტის ისტორიის გასათვალისწინებლად, არამედ საერთოდ ქართული განათლებისა და ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიისათვის.

„რჩულის მოძღვრება“ ძველ საქართველოში, როგორც ირკვევა, არ წარმოადგენდა მარტო ეკლესიის უპირატეს უფლებას, არამედ ყოფილან აგრეთვე ერისკაცნი „რჩულის მოძღვარნი“ („რჩულის მასწავლენნი“, ანუ, რაც იგივეა, „მერჩულე“-ნი).

ერისკაცთა უშუალო ჩარევას „რჩულის მოძღვრების“ საქმეში ეკლესია ეჭვის თვალით უცქეროდა.

საკითხი, უფლებამოსილნი არიან თუ არა ერისკაცები იყვნენ „რჩულის მოძღვარნი“, იმდენად საჭირობოროტო ყოფილა, რომ ეს საკითხი გამადარა საგანგებო მსჯელობის საგნად სრულიად ქართლის (იბერიის) საეკლესიო კრებაზე, რომელიც შეიკრიბა ჯაფახეთში 845 — 850 წლებში ქართლ-მესხეთის მთავრის გვარამ მამფალის მოწვევით.

ამ კრების ისტორია და მსვლელობის ამბავი დაწვრილებით აქვს აღწერილი ჩვენს მწერალს გიორგი მერჩულეს⁴.

გვარამ მამფალმა ამ კრებაზე საგანგებოდ მიმართა ეკლესიის ხელმძღვანელ წრეებს შემდეგის შეკითხვით:

¹ იხ. ეფთიმე მთაწმიდელის დასახელებული ტექსტი, სადაც იკითხვის: „შემსგავსებულად სინანულისა განვაწესებ კანონსა“. გამოთქმა „კანონთა განწესება“ აქ აღნიშნავს სასულიერო სასჯელის დანიშვნას მათთვის, ვინც და არღვევდა ქრისტიანული „რჩული“-ს წესებს. (რომ „მერჩულე“-ს ეკისრებოდა ფუნქცია მსაჯულისა კანონიკური სამართლის დარგში, ეს ჩანს ვახტანგის კანონების მიხედვითაც, იხ. § 238).

² Νομοιός; (ე. ი. „მერჩულე“): გადმოცემულია როგორც „რჩულის მწერალი“ („მსჯულის მწერალი“) ეპისტოლეში ტიტესადმი III, (იხ. ხელნაწერები S — 407, S — 1328 და გიორგი მთაწმიდელისეული ტექსტი).

³ იხ. „მცნება სასჯულო“, თ. ჟორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, 1897წ., გვ. 295.

⁴ იხ. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თავები XXXIV — XXXV (გვ. 88 — 96).

„უკუეთუ ქუეყანისა ჩუენისა ერისკაცნი ვინმე, წიგნთა საღმრთოთა მეცნიერი და ენათაცა წურთილი მიიწიოს იერუსალმად ანუ სხუათა წმიდათა ადგილთა [იგულისხმება კონსტანტინეპოლი და „საჩინონი საბერძნეთისა ადგილნი“], — და იხილოს რაამე კეთილი წესი, რომელ ქრისტიანობასა შუენოდის და ჩუენ შორის არა იყოს, გინა თუ წიგნთაგან წმიდათა გულისგმა ყოს, და თავით თვისით ერსა უსწავლელსა ასწავებდეს, — კეთილ არს ანუ არა?“ (იხ. გვ. 94).

აღსანიშნავია ამასთან ის გარემოება, რომ თვით ამ ჯავახეთის საეკლესიო კრებაზედაც წარმოდგენილნი ყოფილან, როგორც წევრები, ეს ერისკაცნი, რომელნიც ყოფილან „წესისა და შჯულისა (რჩულისა) მასწავლელნი“ და რომელნიც „წესსა დაუდებდეს ერსა“.

გვარამ მამფალის მიერ აღძრულ საკითხზე ეკლესიის ხელმძღვანელმა წრეებმა შემდეგი განაცხადეს:

„წერილ არს: «ტვრთი განწესებული ეყოფინ ნავსა, უკუეთუ დაუძიმო — დაინთქას, და უკუეთუ სუბუქად იყოს — ქართა და ღელვათა წარიტაცონ». ეგრეთცა ტვრთი შჯულისაჲ და წესი ქრისტიანობისაჲ, რომელი აწ ქუეყანასა ჩუენსა უპყრის, ფრიად კეთილ არს“ (იხ. გვ. 95).

ეს ცნობები გრიგოლ ხანძთელის ცხობებისა ბევრნაირად არის საყუარადღებო.

ჯერ ერთი, როგორც ირკვევა, ერისკაცთა მიერ „რჩულის მოძღურება“ — ეს არ ყოფილა შემთხვევითი მოვლენა, არამედ ამას საქართველოში ფართო გავრცელება ჰქონია. ამასთან ეს ერისკაცნი მაღალი მომზადებით ყოფილან აღქურვილნი, ისინი ყოფილან „საღმრთოთა წიგნთა მეცნიერნი და ენათაცა წურთილნი“ (ე. ი. ენათა სწავლულნი) და მდგარან სათანადო სიმაღლეზე, რათა ეწარმოებინათ „რჩულისა გამოძიება“ და „მოძღურება“. ყურადღების ღირსია აგრეთვე ის გარემოება, რომ ეს ერისკაცნი — „წესისა და რჩულისა მასწავლელნი“, კოდნისა და გამოცდილების შესავსებად მოგზაურობდნენ საზღვარგარეთაც — იერუსალიმს, კონსტანტინეპოლს და „საჩინოთა საბერძნეთისა ადგილთა“, და ყოფილა შემთხვევები, როდესაც მათ უცხოეთში შეუნიშნავთ „კეთილი წესი“, რომელიც „ქრისტიანობასა შუენოდა და ჩუენ შორის არა იყო“ და სცდილან მათ გადმონერგვას საქართველოში. ამასთან ეს ერისკაცნი ხელმძღვანელობდნენ არა მარტოდენ უცხოეთში მიღებული გამოცდილებით და მაგალითით, არამედ „კეთილთა წესთა“ საჭიროება მათ გაუთვალისწინებიათ „წიგნთა საღმრთოთა მეცნიერების“ გზით, ე. ი. საქრისტიანო თეოლოგიური მოძღვრების შესწავლის საფუძველზე მათ აუცილებლად უცნიათ ამა თუ იმ „კეთილი წესის“ შემოღება. ხოლო, რაც მთავარია, ამ ერისკაცთა საქმიანობა განისაზღვრებოდა არა მარტოდენ თეორიული დადგენით ამა თუ იმ „ახალი წესი“-ს შემოღების საჭიროებისა, ისინი არკმაყოფილდებოდნენ მხოლოდ „რჩულის გამოძიებით“, არამედ საჯაროდ ქადაგებდნენ თავის მოძღვრებას, მოძღვრიდნენ ხალხს, „ერსა ახალსა წესსა დაუდებდეს“.

ეს გარემოება, სხვას რომ თავი დავანებოთ, მაჩვენებელია ქართული განათლების მაღალი დონისა დასახელებულ ეპოქაში. (ნუ დაგვაიწყდება, რომ

ეს არის ხანა, როდესაც დასავლეთ ევროპაში საერო წრეებში თვით წერაკითხვის ცოდნაც კი იშვიათი ამბავი იყო, და ზოგჯერ თვით მთავრები და მეფეები უწიგნურნი იყვნენ; დასახლებულ ეპოქაში განათლების საქმე აქ უპირატესად ეკლესიის ხელში იყო). ხოლო საქართველოში საერო წრეები, როგორც ირკვევა, არ კმაყოფილდებოდნენ საერო მოღვაწეობის ასპარეზით, არამედ თვით საეკლესიო საქმეებშიაც უახლოეს ნონაწილეობას იღებდნენ; საერო წრეებში ყოფილან არა უბრალო მცოდნენი ქრისტიანული მოძღვრებისა, არამედ სწავლულნი ქრისტიანული თეოლოგიისა, „საღმრთოთა წიგნთამეცნიერნი“ და „ენათაცა წურთილნი“ („მრავალ-მოსწავლენი“)¹.

მეორე მხრით, ქართული განათლებისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის თვალსაზრისით საყურადღებოა აგრეთვე ის პასუხი, რომელიც ჩვენ გვესმის მოწინააღმდეგე ბანაკიდან. ისინი აღიარებენ, რომ ქართული ქრისტიანული მსოფლიოსათვის არაა სავალდებულო ის წესები, რომლებიც მიღებულია უცხოეთში, თუნდაც ეს იყოს თვით საბერძნეთი და იერუსალიმი, ე. ი. ჩვენ არ ვართო სხვების მოწაფე, არამედ საქართველოს ეკლესია თვითმყოფია და დამოუკიდებელი; ამასთან ქართულმა თეოლოგიამ მიაღწიაო სრულყოფას და მის მიერ დაწესებულ ნორმებს ახალსა და კარგს ვერას შემატებსო სხვების მაგალითი. ეს თვალთახედვა მკვეთრად არის გამოსახული იმ პასუხში, რომლითაც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელნი მიმართავენ გვარამ მამფალს: „წერილ არს — «ტვრთი განწესებული ეყოფინ ნავსა, უკუეთუ დაუბძიმო—დაინთქას, და უკუეთუ სუბუქად იყოს—ქართა და დღელვათა წარიტაცონა. ეგრეთცა ტვრთი შჯულისაჲ (რჩულისაჲ) და წესი ქრისტიანობისაჲ, რომელი აწ ქუეყანასა ჩუენსა უპყრიეს, ფრიად კეთილ არს!» მისაბაძი მაგალითის აღება ჩვენ სხვებისაგან აღარ გვკირდებაო.

ჩვენ ამგზის ამით დავასრულებთ საუბარს ჯაეახეთის კრების საკითხთა გამო და მასზე ისევ გვექნება საუბარი შემდეგ, როდესაც საგანგებოდ შევჩერდებით გრიგოლ ხანძთელის ცხორების ისტორიულ ცნობათა ინტერპრეტაციაზე.

აქ კი დაგვრჩენია შემდეგი აღენიშნოთ:

ის გარემოება, რომ ჩვენი მწერალი გიორგი მერჩულე ყოფილა „რჩულის მოძღუარი“, „მერჩული“-ს ხარისხით აღჭურვილი, გასაგებს ხდის ბევრ მხარეს ჩვენი მწერლის თხზულებისა; გასაგებია ამის შემდეგ, რომ ჩვენი მწერალი, როგორც მეცნიერი თეოლოგი და „რჩული“-ს საკითხთა სწავლული მცოდნე, უახლოეს და უშუალო ინტერესს იჩენს „რჩული“-ს წესთა, კანონიკური სამართლისა და თეოლოგიური პრობლემებისადმი. გიორგი მერჩულის თხზულებაში სპეციალურად მიძღვნილია მთელი რიგი ადგილებისა ასეთი წყების საკითხთა გასაშუქებლად.

ასეთია, მაგალითად, მსჯელობა მწვალებელთათვის (პავლიკიანთა და ერთბუნებიანთა შესახებ)²; სწავლა სამებისათვის³; სწავლა ბუნებისათვის კაცი-

¹ კერძოდ, „ენათა წურთილობის“ და „მრავალ-მოსწავლენობის“ შესახებ (მრავალ-მოსწავლე = $\pi\omicron\lambda\mu\alpha\beta\gamma\delta$) შეად. გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში 94² და 44².

² იხ. გვ. 128¹ — 129¹.

³ იხ. გვ. 129¹ — 130².

სა¹; მსჯელობა მღვდელობის ინსტიტუტის შესახებ²; მთელი რიგი მსჯელობათა მონაზონების შესახებ, აგრეთვე ეკლესიისა და საერო ხელისუფლების ურთიერთობის გამო, საეკლესიო და საერო ხელისუფლების უფლება-მოვალეობის შესახებ³; ასევე გაშუქება კანონიკური სამართლის საკითხებისა, რაც ასეთის წვლილადობით არის წარმოდგენილი ჯავახეთის საეკლესიო კრების მსვლელობის აღწერის დროს⁴, აგრეთვე ცქირის ისტორიის გადმოცემის დროს⁵.

უნდა აღინიშნოს, რომ გიორგი მერჩულე ბრწყინვალე თეოლოგოსი არის და „რჩული“-ს მეცნიერების საკითხთა მართლაც ავტორიტეტული სწავლული მცოდნე. ამას ემატება ავტორის დიდი ლიტერატურული ტალანტი, იგი ბრწყინვალე ლიტერატურულ ფორმაში იძლევა მკვეთრს ფორმულირებას თეოლოგიურ და კანონიკურ დებულებათა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი მწერალი „რჩულის“ მეცნიერების საკითხთა გამო ზოგჯერ არ ეთანხმება ორთოდოქსალური ეკლესიის კანონიკურ მწერლობაში განმტკიცებულს შეხედულებას და შესაძლოდ მიაჩნია ავტორიტეტულის ტონით უარყოს კანონიკურ „წერალ“-ში განსაზღვრული წესი (ასე, იხ. მსჯელობა მწვალებელთა შესახებ, გვ. 128—129).

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ საეკლესიო მშენებლობის საკითხებში ჩვენი მწერალი რესპუბლიკური იდეოლოგიის დამცველად გამოდის; მწერალი აღიარებს, რომ არჩევნებითი პრინციპის დარღვევა „არცა სათნო არნ სამართლითა საბჭოჲთა“; თუკი არ არის „ერის“ ერთნებაობა და თანადგომა არჩევის დროს, — ასეთი არჩევანი „რჩული“-ს დარღვევას წარმოადგენსო (იხ. გვ. 114₁₈₋₂₁, 115₁₃₋₁₄, 118, 89₁₀₋₁₁).

გიორგი მერჩულეს იტაცებს ძველი ქრისტიანული მოძღვრების იდეალები. ასე, შრომის საკითხის გამო ჩვენი მწერალი აცოცხლებს ძველი ქრისტიანული მოძღვრების ტრადიციას და აღიარებს, რომ შრომა სავალდებულოა ყველასათვის: „რომელი არა შურებოდეს, ნუცაღა ჭამს“-ო; ამ დებულებით გამოხატავს ჩვენი ავტორი თავის დამოკიდებულებას შრომის საკითხისადმი (იხ. გიორგი მერჩულის თხზულება, გვ. 120₁₆₋₁₇).

ასეთია „რჩულის მოძღვრების“ საკითხთა ის წრე, რომელთაც ეხება ჩვენი მწერალი თავის თხზულებაში.

¹ იხ. გვ. 30₈₋₁₀, 135₁₀₋₁₁.

² იხ. გვ. 16₁₄ — 18₁₀.

³ იხ. გვ. 55₁₆ — 56₁₃, 65₂₀ — 66₁₂, 59, — 70₁₃, 82₁₀ — 83₁₁, 29₁₉ — 30₇.

⁴ იხ. გვ. 88₂₂ — 96₉.

⁵ იხ. გვ. 114₁₄₋₂₁ და შემდგომნი.

II

მომავ, ასახული ვიოგვი მერჩულის მგვლი

გიორგი მერჩულის თხზულება, როგორც მოხსენებული გვქონდა, დაწერილია მე-10 საუკუნის ნახევარში, 950 წელს. ძველი ეხება ამის წინარე ორი საუკუნის ეპოქას, დაწყებული მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან — მე-10 საუკუნის ნახევრამდე.

ეს ხანა, მე-8 საუკუნიდან — მე-10 საუკუნემდე, არის ის დრო, როდესაც არაბთა მფლობელობის „ეამთა-სიავის“ შემდეგ, საქართველოში თანდათან ჩამოყალიბდა ახალი ფეოდალური სახელმწიფოებრივი გაერთიანებანი: ქართლ-მესხეთისა, დასავლეთ-საქართველოსი, კახეთისა და ჰერეთისა, რომლებიც უფრო გვიან, მე-10—11 საუკუნეთა მიჯნაზე, ჩამოყალიბდა საქართველოს ერთიანი ფეოდალური სახელმწიფოს სახით.

გიორგი მერჩულის თხზულება გვისურათებს „ახლად შენებას“, რომელსაც განიცდიდა ჩვენი ქვეყანა ეროვნული სახელმწიფოებრივობის აღდგენის ამ ხანაში. ასახავს ისტორიულ-კულტურულ გარემოს იმ ეპოქისას, რა დროიდანაც დაიწყო აღმავლობა საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ქართული კულტურის ახალი აღორძინება.

*

ვიდრე შევუდგებოდეთ განხილვას იმ ცნობებისას, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის თხზულება მე-8 — 10 საუკუნეთა საქართველოს „ახლად შენების“ შესახებ, აქ საჭიროა წინასწარ გავითვალისწინოთ ის ისტორიული ვითარება, რომელიც წინ უსწრებდა ამ ახალ ეპოქას, ეროვნული სახელმწიფოებრივობის აღდგენას და ახალი აღორძინების დასაწყისს.

საქართველოს ქვეყნების პოლიტიკურ ისტორიაში ამის წინარე ხანაში, მე-6 — 7 საუკუნეთა მანძილზე, ჩვენ გვაქვს ორი დიდი ტეხილი: ეს არის საქართველოს სახელმწიფოებრივ ერთეულთა დამოუკიდებლობის გაუქმება მე-6 საუკუნეში, ხოლო შემდეგ არაბთა მფლობელობის დამყარება მე-7 საუკუნეში.

მე-6 საუკუნის დასაწყისისათვის საქართველოს ტერიტორიაზე არსებობდა ორი სახელმწიფოებრივი გაერთიანება:

1. ი ბ ე რ ი ის (ქართლის) სამეფო, რომელიც აერთიანებდა მთელ აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებს (შემდეგდროინდელს ქართლს, მესხეთს და კახეთ-ჰერეთს).

2. ლ ა ზ ი კ ი ს (ეგრისის) სამეფო, რომლის ფარგლებშიც გაერთიანებული იყო დასავლეთ საქართველოს ქვეყნები.

მე-6 საუკუნის მანძილზე ორი მეზობელი დიდი იმპერია — ირანისა და აღმოსავლეთ რომისა (ბიზანტიისა) — განამტკიცებენ თავის პოლიტიკურ გავლენას საქართველოს ქვეყნებზე.

პირველად, მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში, ირანმა დაიპყრო და შეიერთა იბერიის (ქართლის) სამეფო, რომელსაც ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ტრადიციები, მრავალსაუკუნოვანი ისტორიული წარსული ჰქონდა. იბერიის ძველი სამეფო ჩამოყალიბდა სახელმწიფოებრივი ერთეულის სახით ანტიკურ ხანაში და იგი არსებობდა როგორც ერთიანი სახელმწიფო „სამეფო“ — ვიდრე საშუალო-საუკუნეთა დასაწყისამდე. მე-6 საუკუნის პირველ ნახევარამდე ჩვენი წელთაღრიცხვისა, რა დროსაც, ძველი ქართველი მემკვიდრის გამოთქმა რომ გავიმეოროთ, „დაესრულა მეფობა ქართლისა“, მოხდა იბერიის დაპყრობა ირანის იმპერიის მიერ.

იბერიის (ქართლის) სამეფოს დაცემას მოჰყვა ლაზიკის (დასავლეთ-საქართველოს) სამეფოს დაცემა. მას შემდეგ რაც ირანმა შეიერთა იბერია, წარმოებს ხანგრძლივი დიდი ომები ირანისა და ბიზანტიის (აღმოსავლეთ-რომის) იმპერიებს შორის პოლიტიკური უპირატესობის მოპოვებისათვის დასავლეთ საქართველოში — ლაზიკაში. ეს ომები იმით დასრულდა, რომ ლაზიკა საბოლოოდ ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში რჩება. ამის შემდეგ, მე-6 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, ბიზანტიის იმპერია თანდათანობით აუქმებს სახელმწიფოებრივობის ინსტიტუტებს ლაზიკაში, სპობს „მეფობა“-ს.

ჩვენ აქ აღარ ვჩერდებით საქართველოს ქვეყნების პოლიტიკური ისტორიის სხვა მომენტებზე მე-6 — 7 საუკუნეთა განმავლობაში ვიდრე მე-7 საუკუნის შუა წლებამდე, როდესაც კავკასიაში პირველად ჩნდება ახალი პოლიტიკური ფაქტორი — არაბობა, რამაც ახალი მიმართება მისცა კავკასიის ხალხთა ისტორიას, ისევე როგორც მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის მსვლელობას.

აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ იბერიაში მე-5 საუკუნის 70-იან წლებში მოხდა აჯანყება ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ, რაც დასრულდა ეროვნული ხელისუფლების აღდგენით იბერიაში. მაგრამ მდგომარეობა იბერიის ამ ახალი ხელისუფლებისა არ იყო მტკიცე; ამის გამოსახულებაა კერძოდ ის ფაქტიც, რომ იბერიის ხელისუფლების მეთაური ატარებს არა „მეფის“, არამედ „ერისმთავრის“ ან-და „დიდი ერისთავის“ ტიტულს; იმ დროს არსებულს საერთაშორისო ვითარებაში იბერიის ძველი „სამეფო“-ს აღდგენა ვერ მოხერხდა.

იბერიის ამ ახალ ხელისუფლებას უხდება მერყეობა ორ გარეშე ძალას — ირანსა და ბიზანტიას — შორის. 590 — 604 წლებში იბერია ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცევა; შემდეგ, 605 წლიდან — ვიდრე 620-იან წლებამდე, იბერიაში ისევ ირანის მფლობელობა დამყარდა; ხოლო 620-იანი წლებიდან, ირაკლი კეისრის აღმოსავლეთში ლაშქრობის დროიდან, იბერია კვლავ ბიზანტიის გავლენის სფეროშია მოქცეული.

*

ასეთ მდგომარეობაში, პოლიტიკურად დაშლილი და მკვიდრ სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას მოკლებული შეხედნენ საქართველოს ქვეყნები ახალი

ძალის, არაბების, გამოჩენას კავკასიაში — მე-7 საუკუნის შუა წლებში. ამ დროიდან, მე-7 საუკუნის ნახევრიდან, იწყება არაბთა მფლობელობა საქართველოში.

ჩვენ აქ შეგვიძლია არ გავაგრძელოთ სიტყვა იმის შესახებ, თუ რა მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა არაბული ხალიფატის დაარსებას, თუ რა ძირითადი მნიშვნელობის ძვრები გამოიწვია ამ ახალმა მსოფლიო-ისტორიულმა ფაქტორმა როგორც აღმოსავლეთის ხალხთა ცხოვრებაში, ისე თვით დასავლეთის ქვეყნების ისტორიის მიმართებაში.

აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ მაგისტრალურ ხაზებს საქართველოს პოლიტიკური ისტორიისას მომდევნო ეპოქაში.

მომდევნო ეპოქა, — მე-7 საუკუნის მეორე ნახევარი და მე-8 საუკუნე, — ეს არის ხანა, როდესაც საქართველოს ქვეყნებში პოლიტიკური უპირატესობის მოპოვების მიზნით ისევე იბრძვის ორი გარეშე ძალა — არაბთა ხალიფატი და ბიზანტია. არაბები მტკიცედ დამკვიდრდნენ აღმოსავლეთ საქართველოში. დროგამოშვებით არაბები ავრცელებენ თავის გაელენას დასავლეთ-საქართველოზედაც, მაგრამ არა ხანგრძლივად, დასავლეთი საქართველო ამ ეპოქაშიაც უპირატესად ისევე ბიზანტიის გავლენის სფეროშია მოქცეული.

ამ ხნის მანძილზე საქართველოს ქვეყნებში არ შეწყვეტილა ბრძოლა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ; ქართველი ხალხი, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი დიდი ისტორიული წარსული ჰქონდა, არ შერიგებია სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოსპობას. ბრძოლა იმ პირობებში, რომელიც მე-7 — 8 საუკუნეებში შეიქმნა, უსწორო იყო, და ქართველ ხალხს ბევრ სისხლად დაუჯდა ეს ბრძოლა ეროვნული თვითმყოფობისათვის. საკმაოა მოვიგონოთ არაბთა მხედართმთავრის მურვან-ყრუს დამსჯელი ექსპედიციები მე-8 საუკუნის 30-იან წლებში. ეს ექსპედიციები ჩატარებულ იქნა 80 წლის შემდეგ, რაც არაბები პირველად დამკვიდრდნენ საქართველოში, და ჩვენ ვხედავთ, რომ ხანგრძლივი ბატონობის შემდეგაც არაბთა მხედართმთავარს უხდება ქართველი ხალხის წინააღმდეგობის გასატეხად ცეცხლითა და მახვილით გაიაროს საქართველოს მიწა-წყალზე. მურვან-ყრუს ამ ლაშქრობამ ნანგრევებად აქცია საქართველო. თუ რა გამანადგურებელი შედეგები მოჰყვა მურვან-ყრუს ამ ლაშქრობას, ამის შესახებ ჩვენ უფრო დაწვრილებით გვექნება საუბარი, როდესაც შევეხებით ქართლ-მესხეთის ახალი ფეოდალური სამეფოს დაარსების ისტორიას.

მე-7 — 8 საუკუნეთა განმავლობაში საქართველოს ქვეყნები თუმცა არა ხანგრძლივად, მაგრამ მაინც ახერხებენ დროგამოშვებით თავი დააღწიონ არაბთა ბატონობას. ასე, მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში ქართლის ერისმთავარი ნერსე I ამარცხებს არაბთა სარდალს ბარაბას და განდევნის არაბებს.

უფრო გვიან, მე-8 საუკუნის 40-იან წლებში, იბერიაში ისარგებლებენ იმ დიდი არეულობით, რომელიც დაიწყო არაბულ ხალიფატში და რაც შემდეგ ხალიფების პირველი დინასტიის (ომეიადების) დამხობით დასრულდა. ამ დროს საქართველოს დიდი ნაწილი განთავისუფლდა არაბთა მფლობელობისაგან და აღდგენილ იქმნა, თუმცა არა ხანგრძლივად, „მეფობა ქართლისა“.

საქართველოს ხელისუფლების სათავეში ამ დროს დგას გორგასლიანთა ძველი ეროვნული დინასტიის უკანასკნელი დიდი წარმომადგენელი არჩილ II, რომელმაც გახააბლა ძველი ერთიანი იბერიის სახელმწიფოებრივი ტრადიცია იმითაც, რომ მან მიიღო „ქართველთა მეფის“ ტიტული. მიღება „ქართველთა მეფის“ ტიტულისა, რომელსაც აღარ ატარებენ საქართველოს მულაბელი მთავრები ამის წინარე ორი საუკუნის განმავლობაში (მე-6 საუკუნიდან — მე-8 საუკუნემდე), — ეს ნიშნავდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დეკლარირებას.

ქართველთა მეფის სამფლობელოში მე-8 საუკუნის 40-იან — 50-იან წლებში გაერთიანდა საქართველოს ძირითადი პროვინციები: კახეთ-ჰერეთი, ქართლი (გარდა თბილისის მხარისა, სადაც არაბები ისხდნენ), მესხეთი, აგრეთვე ნაწილი ლაზიკისა (დასავლეთ საქართველოსი). ქართველთა მეფის სამფლობელო სწვდებოდა ცენტრალური კავკასიიდან (ნუხის მხარიდან) — ვიდრე შავ ზღვამდე (ქოროხის ხეობაში). ამას გარდა ქართველთა სამეფოს გავლენის ზონაში მოქცეული იყო აგრეთვე ჩრდილო-კავკასიის მთიელთა ზოგიერთი პროვინციები (დაღისტანის სანაპირო თემები).

არჩილმა, როგორც ირკვევა, ფართო მასშტაბის სახელმწიფოებრივი მშენებლობა წამოიწყო. მის დროსვე ჩატარდა აგრეთვე დიდი მნიშვნელობის საეკლესიო რეფორმაც, სახელდობრ, არჩილის დროს მოხდა საქართველოს საკათალიკოზოს გამოყოფა ანტიოქიის პატრიარქატიდან დამოუკიდებელი ეკლესიის სახით. (ამ ფაქტს, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის გამოცხადებას, ცხადია, ჰქონდა არა მარტოდენ ვიწრო-საეკლესიო მნიშვნელობა, არამედ ეს პირველ რიგში განსაკუთრებული მნიშვნელობის ზოგად-პოლიტიკურს აქტს წარმოადგენდა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფობის განმტკიცებას მოასწავებდა).

მაგრამ არჩილის დროს შექმნილი სახელმწიფოებრივი გაერთიანება — ქართველთა სამეფო — ხანმოკლე დროის მანძილზე არსებობდა, მან იარსება მე-8 საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე. ამ დროისათვის ხალიფატში განმტკიცდა აბასიდების ახალი დინასტია და კავკასიაშიც არაბობამ მოიცა ძალა. ხალიფა მანსურის დროს არაბთა სარდლობა რამდენჯერმე ილაშქრებს არჩილის სამეფოს წინააღმდეგ. აღსანიშნავია, რომ არჩილის დროს შექმნილი ქართული სახელმწიფოებრივი გაერთიანება, როგორც ირკვევა, არ იყო ეფემერული, იგი მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდა და არაბებს ისე ადვილად ვერ მოუხერხებიათ მისი დაპყრობა. მაგრამ ქართველობას ძვირად დაუჯდა ეს უსწორო ბრძოლა.

არაბთა ჯარმა ჯერ დალაშქრა ქართლი („მოაოხრა და შემუსრა ყოველი შენებული ქართლისა“, როგორც გადმოგვცემს ძველი საისტორიო წყარო) და მოადგა კახეთს, სადაც ამ დროს იყო არჩილის სამეფოს მთავარი ცენტრი. მაგრამ არაბებმა ვერ შესძლეს შესვლა კახეთში და არაბთა ეს პირველი ექსპედიცია, როგორც ირკვევა, დამარცხდა. არაბთა ისტორიკოსი იაკუბი მოგვითხრობს, რომ აბუ-ჯაფარის (მანსურის) ხალიფობის დროს წანართა (კახეთ-ქართლის მთიანეთის) წინააღმდეგ გაილაშქრა არაბთა მმართველმა კავკასიაში ალ-ჰასანმა კახტაბის-ძემ, შეებრძოლა მათ, მაგრამ ვერა გააწყო

რა. ამის შემდეგ, როგორც მოგვიტხრობს იგივე ისტორიკოსი იაკუბი, ჰასანმა აცნობა ხალიფას მდგომარეობის გართულება, მოწინააღმდეგეთა ძლიერება და მათი მრავალრიცხოვანობა, რისთვისაც ითხოვდა ხალიფასაგან დამხმარე ჯარს. ხალიფამ გამოგზავნა დამხმარე მხედრობა ამირა ალ-ჰარისი ისმაელის-ძის სარდლობით. არაბთა ჯარი შევიდა კახეთში და გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლები. გარდამწყვეტი ბრძოლა არაბებსა და ქართველთა ჯარს შორის რამდენიმე დღე გაგრძელებულა და ბოლოს არაბების გამარჯვებით დასრულებულა. იაკუბის სიტყვით ქართველთა ჯარის მხრით ამ ბრძოლაში დახოცილა 16.000 კაცი, გარდა ტყვეებისა, რომლებიც არაბებს წაუყვანიათ. იაკუბი გადმოგვცემს, რომ გამარჯვებული არაბთა მხედართმთავარი ალ-ჰარისი გამოემართა თბილისისაკენ, გზაში ამოსწყვიტა ტყვეები, ხოლო არაბთა რაზმები სათარეშოდ მიუშვა წანარეთის (ქართლ-კახეთის მთიანეთის) თემებზე. ასე დასრულდა ეს ბრძოლა¹.

მე-8 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული აღმოსავლეთი საქართველო ისევ არაბთა ბატონობის ქვეშ იმყოფება.

ის ვითარება, რომელიც არსებობდა აღმოსავლეთ საქართველოში მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, კარგად აქვს დასურათებული ამ ეპოქის ქართველ მწერალს იოანე საბანის-ძეს:

„ვართ — მძლავრებასა ქუეშე (არაბთასა) დამონებულ, — შეკრულნი ვითარცა რკინითა, გუემულნი და ქენჯნილნი, ძვრ-ძვრად ზღუეულნი!“

მაგონამ როდესაც ვეცნობით იოანე საბანის-ძის იმავე ძეგლს, რომელიც წარმოადგენს ქართული ეროვნული იდეოლოგიის დეკლარაციას, ვეცნობით იმ შემოქმედებითი პატრიოტიზმის სულს და აქტივიზმის იდეოლოგიას, რომლითაც გამსჭვალული არიან მოწინავე ქართული წრეები, ჩვენთვის ცხადი ხდება, რომ წინააღმდეგობის ძალა ქართველი ხალხისა არ არის ვატეხილი; საკმაოა ოდნავ ხელსაყრელი ცვლილებანი საერთაშორისო ვითარებაში, რაისა ქართველმა ხალხმა „ჩვეულ ებისა ებრ მამულისა სლვისა“² — ისევ შეუხრელად განაგრძოს ბრძოლა თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის.

*

ახალი ხანა, მოსაბრუნე თარიღი საშუალო-საუკუნეთა საქართველოს ისტორიაში იწყება მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც საქართველოს ცალკეული მხარეები თანდათანობით თავს დააღწევენ უცხოელთა ბატონობას და საფუძველი ჩაეყრება ახალ ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოებრივ ერთეულებს.

ქართულ ფეოდალურ სახელმწიფოებრივ ერთეულთა ჩამოყალიბება იწყება საქართველოს სანაპიროებიდან; ცენტრი — შიდა-იბერია — ძველი კულტურული და პოლიტიკური მეტროპოლია ქართული ქვეყნებისა, სადაც უფრო მკვიდრად იყო ფეხმოკიდებული არაბობა, თავისუფლდება შედარებით უფრო გვიან.

¹ არჩილ II-ის ეპოქის შესახებ იხ. უფრო დაწვრილებით ჩვენს წერილში: ლეონტი მროველი (ენიშკის მოამბე, X, 1941 წ., გვ. 142 — 148).

² იოანე საბანის-ძის სიტყვებია.

პირველად სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღდგენილ იქმნა დასავლეთ საქართველოში — მე-8 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ამ დროს, მე-8 საუკუნის დასასრულისათვის, როდესაც, ძველი ქართველი ისტორიკოსის გამოთქმა რომ გავიმეოროთ — „მოუძღურდეს ბერძენნი“, საფუძველი ჩაეყარა დასავლეთ-საქართველოს „სამეფო“-ს, ცენტრით ქალაქ ქუთაისში.

ამავე ხანებში, მე-8 — 9 საუკუნეთა საზღვარზე, შეიქმნა ქართული ფეოდალური სამთავროები საქართველოს აღმოსავლეთ სანაპიროზე: კახეთსა და ჰერეთში. ეს ორი ფეოდალური სამთავრო კახეთისა და ჰერეთისა — არის უშუალო მემკვიდრე არჩილ II-ის დროს შექმნილი ქართველთა სამეფოსი. მას შემდეგ, რაც არჩილის სამეფო, ხანმოკლე არსებობის შემდეგ, დაეცა, არჩილის მემკვიდრენი, როგორც ეს ირკვევა ძველ-ქართულ მატთანეთა უწყების მიხედვით, გამაგრებულან კახეთ-ჰერეთის თემებში. არაბებმა მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში თუმცა დალაშქრეს „წინართი“, მაგრამ საბოლოოდ და მკვიდრად, როგორც ირკვევა, აქ არაბობამ ფეხი ვერ მოიდგა. ხოლო მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე, როდესაც „მოუძღურდეს სარკინოზნი“ (არაბნი), აღმოსავლეთ საქართველოს ამ სანაპიროზე შეიქმნა ქართული ფეოდალური სახელმწიფოები — კახეთისა, რომლის სათავეში დგას კახეთის „ქორ-ეპისკოპოსი“, და ჰერეთისა, რომლის სათავეში დგას ჰერეთის მთავარი „პატრიკი“ (რომლებიც უფრო გვიან „მეფის“ ტიტულს ღებულობენ).

ამის შემდეგ, მე-9 საუკუნის პირველ მეოთხედში, 809 — 826 წლებში, საფუძველი ჩაეყარა ეროვნულ სახელმწიფოებრივობას ცენტრალურ იბერიაში, ქართლ-მესხეთის მხარეებში, რომელიც ძველი იბერიის („ქართლის“) სახელმწიფოებრივი ტრადიციების მემკვიდრედ გამოდის და იწოდება „ქართველთა სამეფოდ“.

შომდეგნო ხანა, მე-9 — 10 საუკუნეები, ეს არის ეპოქა, როდესაც წარმოებს კონსოლიდაცია ამ ოთხი ქართული ფეოდალური სახელმწიფოსი: ქართლ-მესხეთისა, დასავლეთ-საქართველოსი, კახეთისა და ჰერეთისა.

მე-10 საუკუნის დასასრულსა და მე-11 საუკუნის პირველ წლებში ეს ოთხი ქართული ფეოდალური სახელმწიფო პირველად ერთიანდება ერთი მთლიანი პოლიტიკური ერთეულის სახით.

ხოლო ამ დროიდან იწყება ის აღმავლობა ქართული სახელმწიფოებრივობისა, რაც შემდეგ, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში, დასრულდა დიდი ქართული სახელმწიფოს შექმნით, რომლის ფარგლებშიაც გაერთიანდა მთელი კავკასია და წინა-აზიის მეზობელი ქვეყნები და რომელმაც მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული მისია შეასრულა.

გიორგი მერჩულის ძეგლი იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი როგორც საისტორიო ნაწარმოები, რომ აქ ჩვენ ვეცნობით „ახლად შენების“ დასაწყისს ქართული სახელმწიფოებრივობის აღდგენის პირველ ხანაში, ვეცნობით ისტორიულ-კულტურულ ვითარებას, ვეცნობით მთელ რიგ ახალ ფაქტებს საქართველოს ისტორიიდან, ვეცნობით კონკრეტულ ისტორიულ გარემოში ქართველ მოღვაწეებს, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე ეწევიან „ახლად შენების“ საქმეს, საფუძველს უყრიან ახალ საქართველოს.

ქართლ-მესხეთის ფეოდალური სახელმწიფო
(«ქართველთა სამეფო»)
და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის ძეგლი

საისტორიო ცნობებიდან, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის ძეგლი საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოთა შესახებ, აქ ჩვენ პირველ რიგში შევჩერდებით იმ ცნობებზე, რომლებიც ქართლ-მესხეთის სახელმწიფოს («ქართველთა სამეფოს») შეეხება.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ცნობები გიორგი მერჩულისა ქრონოლოგიურად მოიცავს დროს მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან — მე-10 საუკუნის ნახევრამდე, ე. ი. ეხება არა მხოლოდ იმ ეპოქას, როდესაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა «ქართველთა სამეფო» (მე-9 საუკუნის დასაწყისში), არამედ ნაწილობრივ ეხება ამის წინარე დროსაც, არაბთა ძლიერების ხანას აღმოსავლეთ საქართველოში.

1

აღმოსავლეთი საქართველო

მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან — მე-9 საუკუნის დასაწყისამდე
 (ქართლის შიშვეთაპარნი: ნეკე II, სტეფანოზ IV და ანოტ I)

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრივი ერთეულებიდან ყველაზე გვიან ჩამოყალიბდა «ქართველთა სამეფო», რაც იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოს ცენტრში — ქართლის მხარეში — არაბობა უფრო მტკიცედ იყო დამკვიდრებული, ვიდრე სანაპირო პროვინციებში. აქ, საქართველოს გულში, ქართლის მხარეში, არაბებს ეპყრათ იბერიის ძველი დედაქალაქი თბილისი, რომელიც არაბებმა გაიხადეს თავისი მფლობელობის მკვიდრ ციტადელად და აქედან ავრცელებდნენ თავის გავლენას საქართველოს სხვა მხარეებზე. «უფლება სარკინოზთა (არაბთა) განდიდნა», — მოგვითხრობს ძველ-ქართველი ისტორიკოსი, — «რამეთუ დაიპყრეს ქალაქი ტფილისი აგარიანთა (არაბთა) და შექმნეს საყოფელად თჳსად და მიიღებდეს ხარკსა ქუეყანისა ამისგან, რომელსა ჰრქვან ხარაჯა»¹.

¹ იხ. მატჩანე ქართლისა, გვ. *440/217.

არჩილ II-ის დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოს მხარეებმა დროებით თავი დააღწიეს არაბთა ბატონობას, თბილისი და თბილისის მხარე ისევ მკვიდრად არაბთა ხელში დარჩა. ხოლო, როდესაც ხანმოკლე არსებობის შემდეგ დაეცა არჩილ II-ის დროს შექმნილი სახელმწიფოებრივი გაერთიანება, თბილისში მსხდომმა არაბებმა ისევ გააგრძელეს თავისი გავლენა მთელ აღმოსავლეთ საქართველოზე (მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში).

ჩვენ აქ არ ვისახავთ მიზნად დეტალურად განვიხილოთ, თუ როგორი იყო სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია არაბთა მიერ დაპყრობილ საქართველოს მხარეთა. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ არაბთა მფლობელობის დროს საქართველოში თუშცა მოსპობილი იყო „მეფობა ქართლისა“ (ე. ი. გაუქმებული იყო ქართული სახელმწიფოებრივობა), მაგრამ შერჩენილი იყო ზოგიერთი ინსტიტუტი ძველი სახელმწიფოებრივობისა, კერძოდ, „ქართლის ერისმთავარის“ ინსტიტუტი.

„ქართლის ერისმთავარი“ (რომელსაც ეწოდებოდა აგრეთვე „ქართლის ერისთავი“ ანუ „დიდი ერისთავი“, აგრეთვე „მთავარი“) — ითვლებოდა ქართული ეროვნული ხელისუფლების წარმომადგენლად არაბთა მთავრობის წინაშე. ქართლის ერისმთავარს, როგორც ირკვევა, ნიშნავდა და ამტკიცებდა ამ პოსტზე თვით ხალიფა¹. რეზიდენცია ქართლის ერისმთავარისა იყო თბილისი.

თბილისშივე ჰქონდა რეზიდენცია ხალიფატის უზენაეს მოხელეს — არაბთა ამირას, რომელიც წარმოადგენდა ხალიფის ძალაუფლებას არაბთა მიერ დაპყრობილ საქართველოს მხარეებში.

*

მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან — ვიდრე მე-9 საუკუნის დასაწყისამდე არაბთა მიერ დაპყრობილ საქართველოში „ქართლის ერისმთავრებად“ იყვნენ შემდეგნი პირნი ბაგრატიონთა სახლისა:

1. ნერსე II ერისმთავარი (ძე ადარნერსე ერისმთავარისა და კურაპალატისა) — მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ვიდრე 781 წლამდე.

2. სტეფანოს IV ერისმთავარი (ქართლ-მესხეთის ბაგრატიონთა მეორე შტოს წარმომადგენელი, ძე გურგენ ერისთავისა) — 781 წლიდან მე-8 საუკუნის დასასრულამდე.

3. აშოტ I დიდი (ბიძა სტეფანოზ IV ერისმთავარისა, ძმა გურგენ ერისთავისა) — მე-8 საუკუნის დასასრულსა და მე-9 საუკუნის დასაწყისში.

გიორგი მერჩულის ძეგლში მოიხსენება პირველი ამ ერისმთავართა შორის — ნერსე II. ხოლო უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს გიორგი მერჩულე მესამე ერისმთავარის აშოტ I დიდის შესახებ, რომელიც უალრესად თვალსაჩინო ფიგურაა ადრეულ საშუალ-საუკუნეთა საქართველოს ისტორიისა, აღმადგენელი „ქართველთა სამეფო“-სი.

ნერსე II მოიხსენება გიორგი მერჩულის ძეგლში გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით. გრიგოლ ხანძთელი იყო შვილობილი ნერსე II-ისა:

¹ ამას ადასტურებს მე-8 საუკუნის ავტორის იოანე საბანის-ძის ცნობა, რომელიც ეხება ქართლის ერისმთავრებს ნერსე II-ს და სტეფანოს IV-ს (იხ. იოანე საბანის-ძე, მარტვილობა აბო ტფილელისა, კ. კეკელიძის გამოცემა, 1935 წ., გვ. 66 და 63).

გიორგი მერჩულე მოგვითხრობს გრიგოლ ხანძთელის შესახებ, რომ „ესე იყო შვილი წარჩინებულთა დიდებულთა... მამა-დედათაჲ, და სახლსა შინა სამეფოსა დიდისა ნერსეჲ ერისთვისასა აღზრდილ იყო ჯელითა კეთილად - მსახურისა დედოფლისა ნერსეჲს ცოლისაჲთა, რომელსაცა ეშვილა, რამეთუ იყოცა ძმისწული მისი“¹. ამრიგად, გრიგოლ ხანძთელი ნერსე II-ის მეუღლის ძმისწული ყოფილა; იგი შვილად აუყვანიათ ნერსე II-სა და მის მეუღლეს და თავისთან აღუზრდიათ.

ნერსე II-ის კარზე, გიორგი მერჩულის უწყების თანახმად, გრიგოლ ხანძთელს ბრწყინვალე განათლება მიუღია; აქ მან „სამოძღუროჲ ქართულსა ენასა შინა ყოველი დაისწავლა“, „მწიგნობრობაჲცა ისწავა მრავალთა ენათაჲ“, და „სიბრძნეჲცა ამის სოფლისა ფილოსოფოსთაჲ ისწავა კეთილად“².

ნერსე II-ის „კარი სამეფოჲ“, როგორც ირკვევა, გარს იკრებდა იმდროინდელს ქართულ განათლებულ წრეებს. ასე, ნერსე II-ის წრის მოღვაწეა განთქმული ქართველი მწერალი იოანე საბანის-ძე, ქართული ეროვნული იდეოლოგიის ეს უდიდესი ბაირახტარი აღრეულ საშუალო საუკუნეებში.

გასაგებია, რომ ამ წრეში გრიგოლ ხანძთელს მიუღია ის ბრწყინვალე განათლება, რაზედაც ჩვენ საგანგებოდ მოგვითხრობს გიორგი მერჩულე.

ნერსე II, როგორც ირკვევა, მიუღებელი პოლიტიკური ფიგურა იყო არაბთა ხელისუფლებისათვის, მას რამდენჯერმე განუტდია ტყვეობა და დევნა არაბებისაგან.

იოანე საბანის-ძე გადმოგვცემს, რომ 772 წელს არაბთა ხალიფამ აბდლიამ (ალმანსური) ნერსე ქართლის ერისმთავარს გაიწვია ბაღდადში. ნერსე ერისმთავარი დასმენილი ყოფილა ხალიფის წინაშე. ხალიფის კარზე წარდგომის შემდეგ ხალიფამ ბრძანა დატყვევება ნერსე ერისმთავრისა („შესმენითა ბოროტთა კაცთაჲთა“, როგორც გადმოგვცემს თანამედროვე ავტორი); ნერსე საპყრობილეში ჩააგდეს.

ნერსე ერისმთავარმა საპყრობილეში ტყვედ დაჰყო სამი წელი (772 წლიდან — 775 წლამდე), ვიდრე არ გარდაიცვალა ხალიფა ალმანსური³.

775 წელს ახლად გამეფებულმა ხალიფამ მაჰდიმ განათავისუფლა ნერსე, „გამოიყვანა მწარისა მისგან საპყრობილისა“; ნერსე აღუდგენიათ უფლებებში, ისევ დაუდგენიათ იგი ერისმთავრად ქართლისა და გამოუსტუმრებიათ თბილისში⁴.

მაგრამ ამის შემდეგაც ნერსე ერისმთავარი, რომელიც, როგორც ირკვევა, ეროვნული პოლიტიკის ხაზის გამტარებელი ყოფილა და „ჩუქულებისა ებრ მამულისა სლვისა“ იქცეოდა, — ვერ შერიგებია არაბთა ბატონობას და არაბებსაც იგი ისევ ეპეს ქვეშ აუყვანიათ. ნერსე, ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, ქართლის ერისმთავრის პოსტზე ყოფილა ხუთი წელი, 775 წლიდან — 781 წლის დასაწყისამდე. ხოლო 781 წელს მას შეტაცება მოსვლია არაბებთან და ბრძოლაში დამარცხებულია.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 13 — 14.

² იხ. იქვე, გვ. 14¹⁸ — 22 და 44¹⁸ — 5.

³ იხ. იოანე საბანის-ძე, გვ. 63.

⁴ იხ. იქვე, გვ. 63.

რით იყო უშუალოდ გამოწვეული ეს შეიარაღებული კონფლიქტი, ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი ჩვენება არ შენახულა, მაგრამ ზოგიერთ გარემოებათა გამო საუბრებელი ხდება, რომ ნერსე ერისმთავარი აჯანყებას ამზადებდა. ყოველ შემთხვევაში წყაროებიდან ირკვევა ერთი რამ: უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა შეიარაღებული შეტაკება არაბებთან, ნერსეს თავისი ოჯახი უკვე წინასწარ დახიზნული ჰყოლია დასავლეთ საქართველოში, რომელიც ამ დროს ბიზანტიის გავლენის სფეროში იყო მოქცეული. თანამედროვე ავტორი გადმოგვცემს, რომ „პირველადვე (ადრევე) წარეგზავნეს მას (ნერსე ერისმთავარსა) დედა და ცოლი და შვილნი და მონაგები (ქონება-საუნჯენი) და ყოველნი სახლისა მისისანი (მისი ოჯახ-გვარეულობის წევრნი)“ — დასავლეთ საქართველოში, „რამეთუ კრძალულ (დაცულ) იყო ქუეყანაჲ იგი (დასავლეთი საქართველო) შიშისაგან სარკინოზთაჲსა (არაბთა)“¹.

ამას გარდა ნერსე ერისმთავარი, ჩანს, ურთიერთობის დამყარებას სცდილობდა ხაზარეთის ხაკანთან, რომელიც არაბთა დაუძინებელი მტერი იყო.

არაბებს, როგორც ირკვევა, ადრევე გაუგიათ ნერსე ერისმთავრის ამ საეჭვო ხასიათის მზადებათა შესახებ და თავს დასხმიან მას. თანამედროვე ავტორი გადმოგვცემს:

„და იყო დღეთა მათ შინა კუალად განრისხებაჲ ჯელმწიფეთა მათ სარკინოზთაჲ (არაბთა) ნერსე ერისმთავარსა ზედა, და იელტოდა იგი, რამეთუ სასტიკად ჰბრძოდეს მას სარკინოზთა (არაბთა) ერი. და უფალმან დაიცივა იგი (ნერსე ერისმთავარი) ჯელთაგან მათთა (არაბთა); და განვლო მან (ერისმთავარმან) კარი იგი ოვსეთისაჲ, რომელსა დარიალან ერქუმის. და რაჟამს განვიდა (ნერსე ერისმთავარი), იყო მის თანა ერისაგან მისისა ვითარ სამასი ოდენ მამაკაცი“².

ამრიგად, ნერსე ერისმთავარს, როდესაც მას თავს დასხმიან არაბები, ბრძოლით უკან დაუხევია ქართლის მთიანეთში, გაუვლია დარიალანის (დარიალის) კარი და სამასი კაცის თანხლებით გადასულა ჩრდილო კავკასიაში.

ქართლიდან ლტოლვილი ნერსე ერისმთავარი ჯერ ჩასულა ხაზართა ხაკანთან. შემდეგ ნერსე ერისმთავარი ხაზარეთიდან გადადის დასავლეთ საქართველოში, სადაც, როგორც მოვიხსენეთ, ადრიდანვე იყო დახიზნული ნერსე ერისმთავრის ოჯახი³.

ამით დასრულდა ნერსე ერისმთავრის პოლიტიკური მოღვაწეობა. არაბთა ხალიფამ მაჰდიმ ნერსე ერისმთავრის ნაცვლად ქართლის ერისმთავრად დანიშნა იმავე ბაგრატიონთა „სახლის“ წევრი (ბაგრატიონთა გვარეულობის მეორე შტოს წარმომადგენელი) სტეფანოზ IV, ძე გურგენისა⁴. სტეფანოზ IV ქართლის ერისმთავრად არის 781 წლიდან ვიდრე მე-8 საუკუნის ბოლომდე (790-იან წლებამდე).

სტეფანოზ ერისმთავრის შუამდგომლობით არაბთა ხელისუფლება ნებას დართავს ნერსე II-ს დაბრუნდეს ქართლის ქუეყანაში. 782 წლის დასასრულს ნერსე, თავის თანხლებელ ქართველ ემიგრანტებთან ერთად, გადმო-

¹ იხ. იოანე საბანის-ძე, გვ. 65.

² იხ. იქვე, გვ. 64.

³ იხ. იქვე, გვ. 65.

⁴ იხ. იქვე, გვ. 66.

დის ქართლში, სადაც ნერსე, ერისმთავრობის პოსტიდან გადაყენებული, ცხოვრობს როგორც კერძო პირი.

სტეფანოზ IV-ის შემდეგ ქართლის ერისმთავრად დადგენილ იქმნა (არაბთა ხალიფის ჰარუნ-არ-რაშიდის დროს) აშოტ I ბაგრატიონი, რომელიც ქართლის ერისმთავრად არის მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე.

2

აშოტ I-ის მოღვაწეობა.

ბრძოლა იბერიის (ქართლის) დამოუკიდებლობისათვის
და „ქართველთა სამეფოს“ აღდგენა (800 — 826 წ.წ.)

აშოტ I-ს ქართულ საისტორიო წყაროებში მიემართება სახელწოდება „დი-დი“. იგი მართლაც არის დიდი რანგის პოლიტიკური ფიგურა. აშოტ I-ის მთელი მოღვაწეობა, მოღვაწეობა — როგორც ქვემოთ დავინახავთ — მრავალმხრივი, ამასთან ძნელ პირობებში და რთულ საერთაშორისო ვითარებაში ჩატარებული, განუხრელად მიმართული იყო ერთი მიზნისაკენ, იბერიის ქვეყნების განთავისუფლებისაკენ არაბთა ბატონობისაგან. აშოტ I-ის მოთავეობით მტკიცე საფუძველი ჩაეყარა „ქართველთა სამეფოს“.

აქ ჩვენ უფრო დაწვრილებით შევიჩრდებით აშოტ I-ის მოღვაწეობაზე და იმ ბრძოლის ისტორიაზე, რომელიც ჩატარებულ იქმნა იბერიის მხარეთა განთავისუფლებისათვის არაბთა მფლობელობისაგან, რადგან ეს საკვანძო საკითხი აღრეულ საშუალო საუკუნეთა საქართველოს ისტორიისა დღემდე არ ყოფილა სათანადოდ გამოკვლეული და სწორს ისტორიულ პერსპექტივაში მოცემული¹.

თავდაპირველად წყაროების შესახებ.

საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის შესახებ შემდეგი ძირითადი წყაროები მოიპოვება:

1. გიორგი მერჩულის „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ (რომელიც ქრონოლოგიურად ყველაზე აღრინდელია ჩვენს დრომდე მოღწეულ ქართულ საისტორიო წყაროთა შორის).

2. მათიანე ქართლისა (წე-11 საუკუნის ძეგლი, რომელშიაც გამოყენებულია მე-9 საუკუნის პირველწყაროები)².

3. სუმბატ დავითის-ძის მათიანე — „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთა“ (მე-11 საუკუნის ძეგლი, რომელშიაც აგრეთვე გამოყენებულია მე-9 საუკუნის პირველწყაროები — ბაგრატიონთა საგვარეულო არქივიდან).

ამ ძირითადი ქართული წყაროების გარდა, ამავე ეპოქის შესახებ ცნობებს იძლევა აგრეთვე სომხური და არაბული წყაროები.

¹ ქვემოთ განხილულ საკითხთა გამო ვიწრო სპეციალური ხასიათის განმარტებანი (ტექსტების ჩვენებათა შეფარდება, ქრონოლოგიის განსაზღვრა და სხვ.) იხ. სპეციალურ ექსკურსში (დამატებანი).

² ამ მათიანის ის ნაწილი, რომელიც ეხება დასახელებულ ეპოქას, ნაწილობრივ დახიანებულია არის მოღწეული, აქლია ტექსტი (იხ. სპეციალური ექსკურსი, დამატებანი).

გავეცნოთ ამის შემდეგ პირველწყაროების ჩვენებებს და შევეცადოთ მათი შედარებითი შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე აღვადგინოთ ისტორიული სურათი.

*

საისტორიო წყაროთა ჩვენებების ანალიზიდან ირკვევა, რომ ბრძოლამ იბერიის (ქართლის) დამოუკიდებლობისათვის მე-9 საუკუნის პირველ მეოთხედში რამდენიმე ფაზა გაიარა.

800—809 წლები.

აჯანყებანი არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ
ხალიფის ჰარუნ-არ-რაშიდის დროს

ჰარუნ-არ-რაშიდის გარეგნულად ბრწყინვალე ხალიფობის დროს არაბთა მფლობელობა საქართველოში, და საერთოდ კავკასიაში, უკვე განიცდიდა მოახლოებული პოლიტიკური კრიზისის პირველ ნიშნებს.

თუ რამდენად მერყევი იყო პოლიტიკური ვითარება კავკასიაში ადგილობრივი მოსახლეობის ხშირი მღელვარების გამო, ამის მაჩვენებელია კერძოდ ის გარემოებაც, თუ როგორი სისწრაფით იცვლებოდნენ ხალიფატის მიერ დანიშნული მმართველნი კავკასიაში. არაბთა ისტორიკოსის იაკუბის ცნობებიდან ირკვევა, რომ ჰარუნ-არ-რაშიდის დროს 23 წლის მანძილზე (786—809 წ.წ.) კავკასიაში შეცვლილა 17 მმართველი¹.

არაბთა წყაროების ჩვენებიდან ირკვევა აქასთან, რომ მე-9 საუკუნის დასაწყისში საქართველო აჯანყების აღშია გახვეული.

აჯანყება დაწყებულა ჰარუნ-არ-რაშიდის ხალიფობის მეორე ნახევარში 800 წლის ახლო ხანებში.

არაბი ისტორიკოსი იაკუბი, რომელიც ასე კარგად არის ორიენტირებული კავკასიის ქვეყნების პოლიტიკურ ვითარებაში, გადმოგვცემს, რომ ხალიფის მიერ წარმოგზავნილი კავკასიის მმართველი იაზიდ იბნ-მაზიადი (რომლის მმართველობა 800—801 წლების ახლო დროს უწევს) შესდგომია მღელვარებაში მყოფი ქვეყნის დაწყნარებას.

„მან [არაბთა მმართველმა] მიმოწერა გამართა სეფეშულებთან და პატრიკოსებთან [იგულისხმებიან იბერიის მმართველი წრეების წარმომადგენელნი] და მათ დიდი იმედები მისცა“-ო, წერს იაკუბი. ამ გზით არაბთა მმართველმა მიაღწიაო, — გადმოგვცემს არაბთა მემატყანე, — ქვეყნის დაშოშმინებასო².

მაგრამ აჯანყებას ისევ ახალი ძალით უფეთქნია მომდევნო წლებში.

¹ იხ. იაკუბის მატყანე („История“, текст и перевод с арабского, проф. П. К. Жузе, Баку, 1927 г.), გვ. 9—12.

² იხ. იქვე, გვ. 12.

იგივე არაბთა ისტორიკოსი იაკუბი შემდეგს გადმოგვცემს. ჰარუნ-არ-რა-შიდის მიერ კავკასიაში წარმოგზავნილი უკანასკნელი ოთხი მმართველის შესახებ (რომელთა მმართველობა დაახლოებით უწყევს 802—809 წლებს):

„ჰარუნ არ-რაშიდმა [კავკასიის] მმართველად დანიშნა ჰუზაიმა ჰაზიმის-ძე.

„მან გამოიწვია თავისთან პატრიკიოსები და სეფეწულები [იბერიის მთავარნი] და დახვდა ისინი მახვილით და საერთოდ იქცეოდა ისე სასტიკად, რომ ხელახლა გამოიწვია აჯანყებან ჯურხანში [„ქართლში“] და წანარეთში [კახეთ-ქართლის მთიანეთში].

„მმართველმა გაგზავნა მათ წინააღმდეგ [ქართლისა და წანარეთის აჯანყებულთა წინააღმდეგ] ლაშქარი, მაგრამ მათ [ქართლელებმა და წანარებმა] ვასწყუტეს იგი [არაბთა ჯარი].

„მაშინ მმართველმა გაგზავნა მათ წინააღმდეგ საიდ-იბნ-ალ-ჰაისამი იბნ-შუაბი [შუაბის-ძე] დიდი ჯარით და იგი მანამდე ეომებოდა ქართლისა და წანარეთის მცხოვრებთ, სანამ არ გადარეკა ისინი [აჯანყებულნი] ქვეყნის ფარგლებიდან.

„ამის შემდეგ ჰუზაიმა ჰაზიმის-ძე წავიდა ტფილისში, სადაც 1 წელზე ნაკლები დაჰყო, რადგან გადაყენებულ იქმნა.

„მის მაგიერ დაინიშნა სულეიმან იაზიდის-ძე. იგი იყო მოხუცი, პატიოსანი, მაგრამ უზრუნველი. იგი იმდენად სუსტი იყო, რომ არც ერთი მისი განკარგულება არ სრულდებოდა, ასე რომ ქვეყანა კინალამ გადაუდგა მას.

„ამის შემდეგ [ხალიფამ] ჰარუნ-არ-რაშიდმა მმართველად დანიშნა ალ-აბას იბნ-ზუთარი ალ-ხალალი. მის დროს აჯანყდნენ წანარები [კახეთ-ქართლის მთიელები] და იგი ებრძოდა მათ, მაგრამ ვერ სძლია.

„მაშინ [ჰარუნ] არ-რაშიდმა გაგზავნა მუჰამედ იბნ-ზუჰაირი, რომელიც იყო უკანასკნელი მოადგილეთაგანი არ-რაშიდისა...“¹

ჰარუნ არ-რაშიდი გარდაიცვალა 809 წელს.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ჰარუნ-არ-რაშიდის ხალიფობის უკანასკნელ პერიოდში საქართველო აჯანყებით ყოფილა მოცული.

ვინ იყო ამ აჯანყებათა მთავარი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი, ამის შესახებ არაბულ წყაროებში ცნობები არ შენახულა. ხოლო ქართული წყაროების ჩვენებებიდან ირკვევა, რომ არაბთა საწინააღმდეგო ამ დიდ მოძრაობას სათავეში ედგა ქართლის ერისმთავარი აშოტ I ბაგრატიონი, დიდის სახელწოდებით ცნობილი.

ბ

809—813 წ. წ.

იბერიის (ქართლის) სამეფოს აღდგენა

ხალიფის ჰარუნ-არ-რაშიდის სკვდილის შემდეგ (809 წელს), როგორც ცნობილია, დაიწყო ნამდვილი ანარქია ხალიფატში, წარმოებდა ბრძოლა ხალიფატის პრეტენდენტთა შორის, რამაც კარგა ხანი გასტანა (809—813 წლები). ამას შედეგად მოჰყვა არაბთა ძალაუფლების შესუსტება კავკასიაში.

¹ იხ. იაკუბის მათიანე, გვ. 12.

თუ ჯერ კიდევ ძლევამოსილი ჰარუნ-არ-რაშიდის დროს იბერიაში (ქართლ-ში) აჯანყების დროს იყო აფრიალებული, ბუნებრივია, რომ არაბთა ხალიფატის ამ კრიზისით უსარგებლიათ აჯანყებულებს, მოუშორებიათ არაბთა უღელი და ფაქტიური დამოუკიდებლობისათვის მიუღწევიათ.

აშოტ I-ს ამ დროს აღუდგენია „მეფობა ქართლისა“.

აშოტ I-ს, როგორც ირკვევა, გაუერთიანებია მთელი იბერია („ქართლი“) თავის ისტორიულ საზღვრებში. ძველ-ქართული საისტორიო ძეგლი „მატიანე ქართლისა“ გადმოგვცემს, რომ აშოტ I თავის მეფობის დასაწყისში „ეუფლა ქართლს; საზღვართა მისთა“ და რომ „განადიდა უფალმან მეფობა“ აშოტისი¹.

აშოტ I-ს, ქართლის სხვა მხარეებთან ერთად, შემოუერთებია აგრეთვე თბილისიც, იბერიის ეს ძეგლი დედაქალაქი, რომელიც არაბთა მფლობელობის ციტადელს წარმოადგენდა იბერიაში და სადაც საუკუნე-ნახევრის მანძილზე არაბები ისხდნენ. რომ თბილისი განთავისუფლებულ იქმნა აშოტ I-ის მიერ მისი მფლობელობის პირველ პერიოდში, ამას ადასტურებს საისტორიო ძეგლი სუმბატ დავითის-ძის მატიანე².

იგივე საისტორიო ძეგლი — სუმბატ დავითის-ძის მატიანე — გადმოგვცემს ამასთან, რომ აშოტ I-ს, თავისი მფლობელობის ამავე პირველ პერიოდში, შემოუერთებია იბერიისათვის (ქართლისათვის) აგრეთვე ალბანეთის სანაპირო თემებიც — ვიდრე ბარდავეამდე, ქალაქ ბარდავითურთ, რომელიც კავკასიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრს წარმოადგენდა³.

რა პირობებში მოხდა ბარდავის მხარის იბერიასთან (ქართლთან) შემოერთება, ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი ცნობები არ შენახულა. არაბული წყაროებიდან ირკვევა მხოლოდ, რომ ჯერ კიდევ ჰარუნ-არ-რაშიდის ხალიფობის დროს, როდესაც იბერიაში აჯანყებები ეწყობოდა, ამავე დროს ბარდავის მხარეშიაც აღვილი ჰქონია აჯანყებას არაბთა წინააღმდეგ⁴. როგორც ჩანს, ქართლის (იბერიის) განთავისუფლების შემდეგ ბარდავის მხარე, გამდგარი არაბთაგან, შემოერთებია ქართლს (იბერიას).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ აშოტ I-ს, როგორც ჩანს, უცქეროდნენ, როგორც ერთგვარ საერთო ხელმძღვანელსა და მეთაურს ქრისტიან ხალხთა ანტიარაბული ფრონტისა კავკასიაში. (ასე, სომეხთა ისტორიკოსი ვარდან დიდი გადმოგვცემს, რომ უფრო გვიან აშოტ I ვეროდა სომხეთის საქმეებშიაც და, როდესაც მუსულმანმა მფლობელმა ჯამასპმა დაიჭირა სომხეთის დედაქალაქი დვინი, აშოტმა დახმარება სთხოვა სომხებისათვის ბიზანტიის იმპერატორს ლეონ V-ს).

აშოტ I, რომელმაც ამრიგად თავისი მფლობელობის ქვეშ გააერთიანა იბერია („ქართლი“) მეზობელი სანაპირო თემებით, პირველ ხანებში უმკლავდებოდა არაბებს და ახალი ხელისუფლების მდგომარეობა მტკიცეა.

¹ იხ. გვ. *441/219.

² იხ. გვ. *573/342.

³ იხ. იქვე.

⁴ იხ. იაკობი, გვ. 10, 13.

ისტორიკოს სუმბატ დავითის-ძის უწყების თანახმად ამ პირველ პერიოდში აშოტ I „მთავრობდა ქუეყანასა ამას შინა („ქართლს“, ე. ი. იბერიაში) და სახლად მისა იყო თბილისი და ბარდავი, და ჰქონდა მას ქუეყანა, რომელ არს გარემოს მისსა“¹.

მაგრამ შემდეგ აშოტ I დამარცხდება არაბებთან ბრძოლაში. პოლიტიკური კრიზისი, რომელსაც განიცდიდა არაბული მსოფლიო ხალიფობის პრეტენდენტების ბრძოლის ხანაში. შენელდა ხალიფა მამუნის გამეფების შემდეგ არაბობამ კავკასიაში ისევ მოიცა ძალა.

ისტორიკოსი სუმბატ დავითის-ძე გადმოგვცემს: „მაშინ განძლიერდა კელმწიფება აგარიანთა (არაბთა) და იწყეს ძიება აშოტისა და ვერ უძლო წინააღმდეგობად მათდა აშოტ“². დამარცხებული აშოტ I იძულებული გახდა გასცლოდა თბილისსა და შიდა ქართლს და გადავიდა დასავლეთ მესხეთის სანაპირო თემში შავშეთ-კლარჯეთში.

აშოტ I-ის გადასვლა შავშეთ-კლარჯეთში არაბთაგან დამარცხების შემდეგ მომხდარა 813 წლის ახლო ხანებში (როდესაც გამეფდა ხალიფა მამუნის)³.

ამრიგად, აშოტ I-ის ეს პირველი ცდა იბერიის დამოუკიდებლობის აღდგენისა მარცხით დამთავრდა, მაგრამ ბრძოლა ამით არ დასრულებულა.

3

აშოტ I-ის დამკვიდრება შავშეთ-კლარჯეთში.

მესხეთის მხარეთა მდგომარეობა გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებით

დასავლეთ-მესხეთის მხარე — შავშეთ-კლარჯეთი, სადაც თავი შეაფარა არაბებთან ბრძოლაში დამარცხებულმა აშოტ I-მა, მდებარეობდა იბერიის ქვეყნების დასავლეთ ტერიტორიაზე.

ეს მთიანი კუთხე, შავშეთ-კლარჯეთი, „ქუეყანა კლდოვანი“, რომელიც, გიორგი მერჩულის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ყოვლით კერძო შეზღუდვილ არს მათათა მიერ, და ჳვენებისა, და წყალთა მათგან, საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა“, — წარმოადგენდა ბუნებრივ სიმაგრეს.

შავშეთ-კლარჯეთი (ისევე როგორც „შუა-მთიულეთი“) ისტორიულადაც ითვლებოდა ხოლმე ბუნებრივ თავშესაფარად, ანუ, როგორც ერთი ძველი ქართველი ისტორიკოსი ამბობს, „საყუდელად“, გარეშე მტერთა „განძლიერების“ დროს. „ეამთა მათ ბოროტთა“⁴.

აშოტ I და მასთან ერთად — „ერი (მხედრობა) თჳსი მცირედი“⁵, რომელიც აშოტ I-თან ერთად გადავიდა შავშეთ-კლარჯეთში, — გამაგრდა ამ

¹ იხ. 29. *573/342.

² იხ. იქვე.

³ თარიღი ირკვევა იმ ზუსტი შეფარდებიდან, რომელსაც იძლევა, ერთი მხრით, ისტორიული ამბების განვითარება, ხოლო, მეორე მხრით, სათარიღო ცნობა, რომელიც დატულია სუმბატ დავითის-ძის მატინანეში (იხ. საეციანური ექსკურსი, დამატებანი).

⁴ იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *359/157; შდრ. ჯუანშერის მატინანე, გვ. *427/207.

⁵ იხ. გვ. *573 — 574/343.

მხარეში. აქ აშოტ I და მისი თანამოღვაწენი იწყებენ „ახლად შენების“ საქმეს და გადააქცევენ ამ მხარეს ქართული სახელმწიფოებრივობის ახალ ცენტრად. აქედან შეუდგებიან ისინი საქართველოს მხარეთა ახალ შეკრებას და მკვიდრ საფუძველს ჩაუყრიან „ქართველთა სამეფო“-ს.

*

გიორგი მერჩულისა და სხვა ძველ-ქართული ძეგლების ცნობებიდან ჩვენ ვხედავთ, თუ რა მძიმე პირობებში მოუხდა აშოტ I-სა და მის თანამოღვაწეებს „ახლად შენების“ დაწყება.

შავშეთ-კლარჯეთი და დასავლეთ-მესხეთის სხვა თემები ამ დროს მთლიანად განადგურებულსა და თითქმის მიტოვებულს მხარეს წარმოადგენდა.

ამის შესახებ უაღრესად საყურადღებო ცნობებია დაცული პირველ რიგში გიორგი მერჩულის ძეგლში, და აგრეთვე მეორე ძველ-ქართველი ისტორიკოსის სუმბატ დავითის-ძის მატიანეში, რომლის ცნობები სავსებით უდგება და ეთანხმება გიორგი მერჩულის ცნობებს.

სუმბატ დავითის-ძე გადმოგვცემს, რომ, როდესაც აშოტ I დამკვიდრდა შავშეთში, „ქვეი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა, რამეთუ ეამთა სპარსთა (ე. ი. მუსულმანთა) უფლებისასა აოჭრდა, ოდეს იგი ყრუმან (მურვან) შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოვლო შავშეთიცა და ლაღონი. და კუალად შემდგომად მისსა სლვამან სატლობისამან მოაოჭრა შავშეთ-კლარჯეთი და მცირედლა დაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“¹.

ამრიგად, შავშეთ-კლარჯეთი აოხრებულა მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს, მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, ხოლო ომების შემდეგ აოხრებულ ქვეყანაში გაჩენილა ხოლერა („სლვა სატლობისა“), რასაც ისედაც განადგურებული მოსახლეობა კიდევ უფრო შეუმცირებია და ქვეყანა თითქმის უკაცრიელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ მურვან-ყრუს ლაშქრობიდან განვლო თითქმის 80 წელმა, ვიდრე აშოტ I შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრდებოდა (813 წლის ახლო), ქვეყანა ჯერ კიდევ არ ყოფილა გამობრუნებული და ფეხზე დამდგარი გადატანილი კატასტროფის შემდეგ.

გიორგი მერჩულის ძეგლი კიდევ უფრო დაზუსტებულს და დაწვრილებითს ცნობებს შეიცავს ამ ქვეყნების მდგომარეობის შესახებ როგორც აშოტ I-ის დროს, ისე ამის წინარე ხანაში.

გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ მე-8 საუკუნის 80-იან წლებში, ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე აშოტ I დამკვიდრდებოდა შავშეთ-კლარჯეთში, „კლარჯეთს და ტაოთა შინა, და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს და შენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“ (იხ. გვ. 29).

გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობები მესხეთის ქვეყნების შესახებ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ჯერ ერთი იმის გამო, რომ აქ გვაქვს უძველესი საისტორიო დოკუმენტის ჩვენება; მეორე წყარო, სუმბატ დავითის-ძის მატიანე, დაწერილია, როგორც აღვნიშნეთ, უფრო გვიან, მე-11 საუკუნეში (1031 წლის ახლო) და, ამრიგად, შეიცავს არა უშუალო მოწმობას, არამედ ძველი

¹ იხ. გვ. *574/343.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა საფუძველზე აღდგენილ სურათს¹; ხოლო გიორგი მერჩულე, რომელიც მომსწრე იყო მე-9 საუკუნის მოღვაწეთა და რომელიც ამასთან თვით ამ მხარეში მოღვაწეობდა, გადმოგვცემს ცოცხალ ხსოვნას მესხეთის ქვეყნების „პირველი მშენებლობის“ შესახებ.

ამას გარდა, გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობები უფრო სრულ სურათს გვიხატავს; მეორე წყარო, სუმბატ დავითის-ძის მატთანე, რომელიც მოგვითხრობს აშოტ I-ის შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრების შესახებ, ეხება მხოლოდ ერთი თემის — შავშეთ-კლარჯეთის ვითარებას და არას გვეუბნება, თუ რა მდგომარეობა იყო მესხეთის სხვა მეზობელ თემებში. ხოლო გიორგი მერჩულის თხზულებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ამ დროს აოხრებული ყოფილა არა მხოლოდ შავშეთ-კლარჯეთი, არამედ აგრეთვე „ტაონი“ და „ყოველნი მახლობელნი მათნი ქუეყანანი“.

კერძოდ „ტაონი“ (ე. ი. ამიერი ტაო და იმიერი ტაო) გიორგი მერჩულის ცნობების მიხედვით იმდენად ყოფილა განადგურებული, რომ ზოგჯერ თვით ძველი კულტურული ცენტრების ადგილმდებარეობაც კი დავიწყებულყოფილა და აღრინდელი დასახლებული და მოშენებული ადგილები „მის ეამისა კაცთათჳს მიუვალ“ კმნილ იყო. როდესაც მოახალშენენი მოხვდებოდნენ ამ მიტოვებულსა და მივიწყებულ ადგილებში, მათ პირველ რიგში უხდებოდათ თვით „გზათა საქმისა“ გამოძიება, რადგან „გზაჲცა მისაჲვალად“ ძველი დასახლებული ადგილებისაკენ წარბოცილი ყოფილა, და დიდ საქმედ ითვლებოდა, როდესაც მოახალშენენი შესძლებდნენ გაეკვლიათ მისადგომი გზები ძველი მიტოვებული დაბებისაკენ².

გარდა შავშეთისა, კლარჯეთისა და ტაოთა, გიორგი მერჩულის ცნობით, აოხრებული ყოფილა აგრეთვე, როგორც მოვიხსენეთ, „ყოველნი მახლობელნი მათნი ქუეყანანი“. მახლობელ ქვეყანათა სახელით აქ, ცხადია, იგულისხმება სპერის პროვინცია (რომელიც იმავე ქოროხის ხეობაში მდებარეობდა) და აგრეთვე, როგორც ირკვევა, აღმოსავლეთ-მესხეთის მეზობელი თემებიც, კერძოდ, სამცხე.

დავით და კონსტანტინეს მარტვილობაში დაცულია ცნობა, რომ მურვან-ყრუს ლაშქრობათა სიმძიმე სამცხის პროვინციასაც გადაუტანია; ჰაგიოგრაფი მოგვითხრობს, რომ მურვან-ყრუს ლაშქარი „მოეფინა ვითარცა ღრუბელი ბნელისა, სიმრავლითა ვითარცა მკალი და მუმლი, არეთა ჩრდილოეთისათა...“, რამეთუ მოვიდა სამცხეს და დაიბანაკა არეთა ოძრჯისათა, რომელი იყო ქალაქი იგი სახელოვან³. აქაც გვაქვს შეხვედრა გიორგი მერჩულის ცნობებ-

¹ არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ ერთ-ერთი წყარო სუმბატ დავითის-ძის მატთანისა, როგორც ირკვევა, ყოფილა სწორედ ჩვენი ძეგლი, გიორგი მერჩულის თხზულება. ეს დასტურდება იმის მიხედვით, რომ სუმბატ დავითის-ძის მატთანეში განმეორებულია თვით მრავალჯერა გიორგი მერჩულის ძეგლიდან (შეად. სუმბატის მატთანე: „მცირედ ღადაშთეს კაცნი ადგილ-ადგილ“; გიორგი მერჩულის ძეგლი: „მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ“. შედარეთ აგრეთვე მეორე ცნობა სუმბატ დავითის-ძის მატთანისა არტანუჯის შესახებ: „პოვა კლარჯეთს ტყეთა შინა“; გიორგი მერჩულე: „იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა“).

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 46^a-12^b, შეად. 65^a-18^a.

³ იხ. დავით და კონსტანტინეს მარტვილობა (მ. საბინინის გამოცემა, საქართველოს სა-მოთხე, 1882 წ. გვ. 324).

თან: გიორგი მერჩულე, როდესაც იგი მოგვითხრობს ნუძვისა და კვირიკეთის მშენებლობის ისტორიას, მოიხსენებს სამცხისა და ქართლის საზღვარზე მდებარე უდაბნო მხარეს, „არეთა მათ უდაბნოთა“; რაიონები სამცხისა და ქართლის სანაპირო ზონაში „უდაბნოდ“ ყოფილა ქცეული¹.

თუ რამდენად განადგურებული იყო მესხეთის ქვეყნები, ხოლო განსაკუთრებით დასავლეთ მესხეთის მხარე, ეს ჩვენთვის ცხადი გახდება, როდესაც ჩვენ შემდეგ სპეციალურად შევხებით სამონასტრო მშენებლობის ისტორიას მესხეთის ქვეყნებში, რაზედაც დაწვრილებით მოგვითხრობს გიორგი მერჩულე.

აქ კი რამდენიმე მაგალითი ერთი კუთხის, კლარჯეთის თემის ისტორიიდან. საისტორიო წყაროების ჩვენებიდან ირკვევა, რომ კლარჯეთში არაბთა მფლობელობის უწინარეს არსებობდა ძველ-ქართული სამონასტრო მნიშვნელოვანი ცენტრები—ოპიზა, პარეხნი, ტაძრები—მერისა, დაბისა, შინდობნისა. ყველა ეს მონასტრები და ტაძრები მოშლილა და აოხრებულა მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს და, როდესაც აქ მე-8—9 საუკუნეთა მიჯნაზე ისევ გაჩნდნენ ქართველნი „მოწესენი“, მათ ხედებოდათ, როგორც ამას ვხედავთ გიორგი მერჩულის მოთხრობიდან, მხოლოდ გავერანებული, დაცარიელებული სახანეები.

ან-და, არაბთა მფლობელობის უწინარეს იმავე კლარჯეთის თემში, როგორც შემდეგ გამოირკვევა, სამი ქართული საეპისკოპოსო კათედრა არსებობდა: ახიზისა, ფორთისა და ანჩისა. მათგან პირველი ორი კათედრა—ახიზისა და ფორთისა—მოსპობილა არაბთა შემოსევის ხანაში და მას შემდეგ აღარ განახლებულა.

*

გიორგი მერჩულის თხზულება იძლევა უაღრესად მნიშვნელოვანს ცნობებს მესხეთის თემების „ახლად შენების“ შესახებ, როგორც აშოტ I-ის ეპოქაში, როდესაც ამ ქვეყნის მშენებლობა ფართოდ გაიშალა, ისე ამის წინარე ხანაში, როდესაც მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ, აქ გაჩენილან პირველი პიონერები მოახალშენენი და დაწყებულა ახალი კოლონიზაცია, პირველ რიგში სამონასტრო კოლონიზაცია. ასე, გიორგი მერჩულის ცნობით, ჯერ კიდევ მე-8 საუკუნის ნახევარში, ე. ი. სულ ათიოდე-ოციოდე წლის შემდეგ, როდესაც მურვან-ყრუს ლაშქარმა ცეცხლითა და მახვილით გაიარა შავშეთ-კლარჯეთში, კლარჯეთში დაარსებულა პირველი სამონასტრო კოლონია ძველ-ქართულ ცენტრში ოპიზაში². ამის შემდეგ მე-8 საუკუნის 80-იან წლებში, ე. ი. 30 წლით ადრე, ვიდრე აშოტ I გადავიდოდა შავშეთ-კლარჯეთში, ქართლიდან გადმოვიდა და დამკვიდრდა კლარჯეთში გრიგოლ ხანძთელი — „კეთილად განმგებელი მოღუაწე და უდაბნოთა ქალაქმყოფელი“. გრიგოლ ხანძთელმა და მისმა თანამოღვაწეებმა დიდი შრომა გასწიეს, მათ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამ ქვეყნის აღორძინებისათვის დაწყებულს მუშაობაში, ისინი „ექმნეს სახე კეთილის“—ყოველთა მის ჟამისა მოღვაწეთა — „ახლად შენებასა მათსა“³.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 76₂;—29.

² იხ. იქვე გვ. 20.

³ იხ. იქვე გვ. 13.

სამონასტრო კოლონიზაციასთან ერთად, როგორც ირკვევა, დაწყებული აგრეთვე „მსოფლიოთა ერის-კაცთა“ ჩამოსახლება დასავლეთ მესხეთის თემებში ჯერ კიდევ მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ როდესაც გრიგოლ ხანძთელმა დააფუძნა ხანძთა (782 წლის ახლო) „არცა მსოფლიონი ერის-კაცნი ახლვიდეს ახლად შენებისათვის მათ ქუეყანათაჲსა“¹. ხანძთის მხარეში თუმცა „მსოფლიონი ერისკაცნი“ ჯერ კიდევ არ სახლებულან, მაგრამ „ახლად შენება“ უკვე დაწყებული ყოფილა.

*

ასეთ მდგომარეობაში იყო დასავლეთ-მესხეთის ქვეყნები, როდესაც იქ, გიორგი მერჩულის სიტყვით, დამკვიდრდა „ქელმწიფე დიდი“ — აშოტ I². ამრიგად, მესხეთის მხარეებში პირველ პიონერთა „ახლად მშენებელთა“ წყალობით, უკვე ამის წინარე ხანაში დაწყებული მუშაობა დანგრეული ქვეყნის აღდგენისათვის.

ხოლო აშოტ I-ის დროს „ახლად შენება“ ბევრად უფრო ფართო მასშტაბით წარმოებდა.

ისტორიკოსი სუმბატ დავითის-ძე მოგვითხრობს, რომ როდესაც არაბთაგან დევნილი აშოტ I ჩავიდა შავშეთში — „დაშთომილთა მათ მკვდრთა შავშეთისათა შეიწყნარეს იგი სიხარულითა და სიყუარულითა და დაემკვდრა მუნ, და მისცა ღმერთმან გამარჯვება და აწელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა. და მან სოფლები ზოგი იყიდა საფასოჲთა, და ზოგი ოჭერი აღაშენა, და განამრავლა სოფელი აშოტ კურაპალატმან ქუეყანათა მათ შინა“³.

ახალი მოსახლეობა შავშეთ-კლარჯეთში და მესხეთის სხვა თემებში, როგორც ირკვევა, გადმოდიოდა ქართლის პროვინციებიდან. ქართლი, რომელიც პირველ რიგში განიცდიდა არაბთა ბატონობის მთელ სიმძიმეს, სადაც მოსახლეობა, ძველი ისტორიკოსის სიტყვები რომ გავიმეოროთ, იყო „მძლავრებასა ქუეშე [არაბთასა] დამონებულ და ნაკლულეგანებითა და სიგლახაკითა შეკრულ, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუეშე მათსა გუემულ და ქენჯნილ“⁴, — ვერ უძლებდა ამ „ძნელ ბედობას“, ამიტომაც როგორც ამ ეპოქაში, ისე ამის წინარე ხანაშიაც, ქართლიდან გადმოდიოდა მოახალშენეთა დიდი ტალღა როგორც მესხეთის უფრო დაცული მხარეებისაკენ, ისე დასავლეთ საქართველოსაკენ.

აშოტ I-ის დროს, დასავლეთ-მესხეთის თანდათან გაშენებასთან და „მსოფლიო ერისკაცთა“ დასახლებასთან ერთად ძველს გავერანებულ სოფლებში, გრძელდებოდა აგრეთვე ამის წინარე დაწყებული სამონასტრო კოლონიზაცია; გიორგი მერჩულის ცნობით სწორედ აშოტ I-ის შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრების დროს ფართოდ გაიშალა კერძოდ სამონასტრო მოახალშენეობა. „მას ჟამსა, — მოგვითხრობს გიორგი მერჩულე აშოტ I-ის შავშეთ-კლარჯეთში დამ-

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 29.

² იხ. იქვე, გვ. 32.

³ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *574/343.

⁴ იხ. იოანე საბანის-ძე, გვ. 58.

კვიდრების ხანის შესახებ, — „უდაბნოთა შინა იწყეს წმიდათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა, და ესრეთ განმრავლდეს“ ახალნი სავანენი შავშეთ-კლარჯეთში, რომლებიც საშუალ-საუკუნებრივი განათლებისა და კულტურული მშენებლობის უმცირველგოვანეს ცენტრებად გადაიქცნენ (იხ. აქ საგანზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ).

ამ დროსვე, აშოტ I-ის შავშეთ-კლარჯეთში დამკვიდრების ხანაში, განახლებულ იქმნა ძველი ციხე-ქალაქი არტანუჯი, რომელიც ამის შემდეგ ახლად შექმნილი „ქართველთა სამეფოს“ დედაქალაქად იქცა. რომ არტანუჯი აშოტ I-ის მიერ იქმნა გაშენებული, ამას ადასტურებს როგორც გიორგი მერჩულე, ისე ბაგრატიონთა მეპატიანე სუმბატ დავითის-ძე. არტანუჯი ნანგრევებად ყოფილა ქცეული მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროიდან, და როდესაც აშოტ I გადმოვიდა შავშეთ-კლარჯეთში, არტანუჯის ნაადგილვეი ამ დროს ტყით ყოფილა დაფარული. მემატიანე მოგვითხრობს:

„და პოვა (აშოტმან) კლარჯეთს ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ გორგასალს ვახტანგს ციხედ აღეშენა. სახელით არტანუჯი, და აოხრებულ იყო (მურვანისა) მის ყრუობითგან, იგი განაახლა აშოტ და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი... და დაემკვდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად“ (იხ. სუმბატ დავითის-ძის მატთანე, გვ. *574/343—344, შეადარეთ გიორგი მერჩულე, გვ. 103).

არტანუჯი ამის შემდეგ კარგა ხნის მანძილზე რჩება ქართველთა სამეფოს დედაქალაქად.

ღ

815—826 წ.წ.

«ქართველთა სამეფო»-ს ქვეყნების ხელშეორედ განთავისუფლება

აშოტ I-მა, მას შემდეგ რაც იგი გამაგრდა შავშეთ-კლარჯეთში, როგორც ირკვევა, ყოველმხრივ გამოიყენა ეს დროებითი შესვენება, თანდათან შემოიკრიბა და დარაზმა ძალები; ამის შემდეგ მან ისევ განაახლა ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ იბერიის მხარეთა გასათავისუფლებლად.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ 815—820 წლებში ანტიარაბული ფრონტი-სათვის კავკასიაში ისევ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა. ამ დროს არაბთა ცენტრალურ ხელისუფლებას გადაუდგა მხედართმთავარი ხატიმ იბნ-ხარსამი, რომელიც ხალიფის მიერ დანიშნული იყო კავკასიის მმართველად. ამავე დროიდანვე ძლიერდება ადარბადაგანში (აზერბაიჯანში) ჰურამიტების მოძრაობა ბაბექის მეთაურობით.

განხეთქილებამ კავკასიაში დამკვიდრებულ არაბ ბელადებს შორის, რაც შედეგად მოჰყვა კავკასიის ყოფილი მმართველის ხატიმ იბნ-ხარსამის განდგომას, გამოიწვია არაბთა ყოფილი ძლიერების შესუსტება კავკასიაში. „მოუძღურებულ იყვნეს სარკინოზნი (არაბნი) და განდიდნა აშოტ“ — ამ სიტყვებით ახასიათებს შექმნილ ვითარებას ძველი ქართველი ისტორიკოსი¹.

¹ იხ. მატთანე ქართლისა, გვ. *441/219.

აშოტ I სავსებით ისარგებლებს შექმნილი საერთაშორისო ვითარებით.

აშოტ I განაახლებს ბრძოლას; იწყებს რა შეტევას არაბთა წინააღმდეგ შეეშეთ-კლარჯეთიდან, აშოტ I თანდათან გაათავისუფლებს და გააერთიანებს თავისი მფლობელობის ქვეშ იბერიის ქვეყნების მეტ ნაწილს და დაიქვრს აგრეთვე ალბანიის სანაპირო თემებსაც, ვიდრე ბარდავის ქალაქამდე.

მეპატიანე სუმბატ დაეითის-ძე ბაგრატიონთა ისტორიაში მოგვითხრობს, რომ აშოტ I, რომელმაც დაიწყო ბრძოლები შეეშეთ-კლარჯეთიდან, — „ქულად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა, და მრავალ-გზის მოსცა ღმერთმან აშოტ კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლათა შინა“¹.

გიორგი მერჩულის ძეგლში ასევე აღნიშნულია ის დიდი წარმატება, რომლისთვისაც მიუღწევია აშოტ I-ს არაბთა წინააღმდეგ ბრძოლაში და რამაც აშოტ I-ს დიდი მხედართმთავრის სახელი მოუპოვა. ხელმწიფემან აშოტ — „დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი“ — აღნიშნავს გიორგი მერჩულე (იხ. გვ. 103₁₃ -14).

გრიგოლ ხანძთელი თავის სიტყვაში აშოტ I-ის გარდაცვალების გამო ასე გვისურათებს — პანეგირიკულ ტონებში — აშოტ I-ის სამხედრო ძლიერებას და ღვაწლს:

„ჰოა მეფეო ჩემო ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო, სადაჲთ-მე მოგელოდი, აღმოსავლით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით, რამეთუ ყოველთა ზედა ნათესაეთა მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით (ბრძოლით) ჯელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკრველი ეგე დიდებული ღმრთის-მსახური ჯელმწიფეჲ“. (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 45).

აშოტ I-ს ამ ბრძოლების წარმოების დროს, როგორც ირკვევა, კავშირი დაუმყარებია მეორე ფეოდალურ ქართულ სახელმწიფოსთან, დასავლეთ საქართველოს სამეფოსთან. რომელიც, როგორც მოხსენებული გვქონდა, ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამაზე ადრე, მე-8 საუკუნის დასასრულს. ასე, ძველ ქართულ საისტორიო ძეგლში „მატიანე ქართლისა“-ში აღნიშნულია, რომ ერთ-ერთი მთავარი ლაშქრობის დროს, რომელიც ჩაუტარებია აშოტ კურაპალატს შიდა ქართლის მხარეთა დასაპყრობად და შემოსამტკიცებლად, აშოტ კურაპალატის მოკავშირედ ყოფილა დასავლეთ საქართველოს მეფე თეოდოსი I (799—825)².

აშოტ I-ს ეს ბრძოლები, რომლებიც მას უწა-მოებია არაბებთან 815—820 წლების მანძილზე, ძირითადადში დაუსრულებია 820 წლის ახლოს. სომეხთა ისტორიკოსს ვარდან დიდს დაცული აქვს ცნობა, რომ ამ ხანებში, როდესაც მოკლულ იქცნა ბიზანტიის კეისარი ლეონ V, ე. ი. 820 წლისათვის, „კურაპალატ აშოტს დაეპყრო ქვეყნები კლარჯეთიდან მოყოლებული ვიდრე თბილისამდე. აგრეთვე (იბერიის) მთიანი მხარე“³.

ამ დროი ათვის, 820 წლისათვის, აშოტ I იმდენად გაძლიერებულა და მისი მდგომარეობა იმდენად ყოფილა განმტკიცებული, რომ აშოტ I ერეოდა მეზობელ კავასიის ხალხთა საქმეებში, ნათ მოსარჩლედ და მეურვედ გამო-

¹ იხ. გვ. *574/344.

² იხ. მატიანე ქართლისა, გვ. *142/219.

³ იხ. ვარდან დიდი, ვენეტიკი, 1862 წ., გვ. 78.

დიოდა. სწორედ ამ დროს, 820 წელს, ეკუთვნის შემდეგი ცნობა სომხეთის ისტორიკოსის ვარდანისა: როდესაც მუსულმან მფლობელს ჯამასას დაუქერია სომხეთის დედაქალაქი დვინი, აშოტ I გამოსარჩლებია სომხებს და უთხოვია ბიზანტიის იმპერატორისათვის დახმარება გაეწია სომხეთისათვის. აშოტს, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ჩანს, უცქეროდნენ როგორც ერთგვარ საერთო ხელმძღვანელსა და მეთაურს ქრისტიან ხალხთა ანტიარაბული ფრონტისას კავკასიაში.

უფრო გვიან, დაახლოებით 820—826 წლებს შორის, აშოტ I-ის მიერ შექმნილი „ქართველთა სამეფო“-ს შემადგენლობაში შესულა ალბანეთის სანაპირო მხარე ვიდრე ბარდავის ქალაქამდე¹.

*

აქ საჭიროა მოკლედ შევჩერდეთ ალბანეთის ამ სანაპირო მხარის საზღვრების საკითხზე, რადგან ეს კითხვა დღემდე სათანადოდ გაშუქებული არ ყოფილა.

თავდაპირველად გასარკვევია საკითხი: სად გასდევდა ამ დროს ეთნოგრაფიული საზღვარი ქართლსა და ალბანეთს შორის, ე. ი. სად თავდებოდა ქვემო ქართლის თემები და საიდან იწყებოდა ალბანეთი.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ეთნოგრაფიული საზღვარი ქართლსა და ალბანეთს შორის ამ ეპოქაში გასდევდა მდინარეების ბერდუჯის (საგიმის) და კოტმანის სანახებში. ამის მიხედვით ყაზახ-შამშადლის მხარე (ე. ი. ტერიტორია, რომელიც მე-19 საუკუნეში შეადგენდა ყაზახის მაზრას განჯის გუბერნიისას) — ეს იყო ქვემო ქართლის ნაწილი, ხოლო ამის აღმოსავლეთით, შამქორის სექტორიდან, იწყებოდა ალბანეთი.

სახელდობრ, ამ ეპოქის საისტორიო წყაროები ამ საგანზე შემდეგ ცნობებს შეიცავენ.

1. ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის (VIII ს.) ცნობით, ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე ნაწილი ქვემო ქართლისა ეს იყო გარდაბანის ანუ ხუნანის პროვინცია². ცენტრი ამ პროვინციისა იყო ქალაქი ხუნანი, რომელიც, როგორც ეს დასტურდება საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით, მდებარეობდა მტკვრის პირად (ამის გამო ხუნანს ერქვა „მტკვრის ციხე“), იმ რაიონში, სადაც მდინარე ალისტევი (იგივე ახისტევი, ახლანდელი ალსტაფის წყალი) ერთვის მდინარე მტკვარს³. ხოლო აღ-

¹ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *574/344.

² იხ. ლეონტი მროველი, გვ. *129/20—21, *293/116, *103/6, *108/8, *112/14, *140/27, *148/31, *165/40, *18ა/53.

³ ხუნანის სანახებში მდებარეობდა აგარაკი ანუ აგარანი, რომელიც იყო საეპისკოპოსო კათედრა მცხეთის საკათალიკოსოსი გარდაბნის პროვინციაში (იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა გვ. *392/179). აგარაკის საეპისკოპოსო არის იგივე ხუნანის ანუ ზუნანაკერტის (ჭუნარაკერტის) საეპისკოპოსო, რომელიც მოიხსენება ქართლის საკათალიკოსოს საეპისკოპოსოთა სიაში 506 წლის საეკლესიო კრების აქტებში.

სომხური უსახელო გეოგრაფიისა და სხვა სომხური წყაროების ცნობებით ხუნანი (ხუნანაკერტი, ჭუნარაკერტი) მდებარეობდა ძორის თემში, რომელიც მოიცავდა ალისტევის (ალსტაფის) ხეობას და მიმდგომ ხუნანს აღმოსავლეთის მიმართულებით ვიდრე ზეგაციის სექტორამდე და როგორც დასავლეთის მხრით აკრავდა კოლბის თემი.

ხუნანის ლოკალიზაციისათვის ცნობებს იძლევა აგრეთვე არაბული წყაროები (იხ. აღისტაპრი, СМОМПК, XXIX, გვ. 33; აღ-მუჟადასი, СМОМПК, XXVIII, გვ. 17; იბნ-ჰაუკალი, იქვე, გვ. 100)

მოსავლეთი საზღვარი ქვემო ქართლში შემავალი ამ გარდაბანის პროვინციისა, იმავე ლეონტი მროველის ცნობით, იყო მდინარე ბერდუჯი, რომელსაც შემდეგ ეწოდა საგიმი (ახლანდელი ზეგაძი, ძეგამი)¹. ამრიგად, ქვემო ქართლის გარდაბანის პროვინცია მოიცავდა მთლიანად ყაზახ-შამშადილის მხარეს (ყოფილ ყაზახის მაზრას).

2. მეორე ქართველი ისტორიკოსი ამავე ეპოქისა—ვახტანგ გორგასარის ცნობების აღმწერელი—აგრეთვე ადასტურებს, რომ მდინარე ბერდუჯი წარმოადგენდა საქართველოს ეთნოგრაფიული ტერიტორიის აღმოსავლეთ მიჯნას, რომ ბერდუჯი მომდინარეობდა „საზღუართა ზედა ქართლისა და რანისათა (ალბანეთისა)“².

3. ალბანეთის ისტორიკოსს მოსე კალანკატუელს აღნიშნული აქვს თავის „ალბანეთის ცნობება“-ში, რომ მოსაზღვრე პუნქტი იბერიისა და ალბანეთისა იყო ხალხალი. ასევე სომეხთა ისტორიკოსს ელისეს მოსაზღვრე პუნქტად იბერიისა და ალბანეთისა დასახელებული აქვს იგივე ხალხალი. ხოლო ხალხალი მდებარეობდა სწორედ ბერდუჯის—ზეგამის წყალის ხეობაში (ეს არის თანამედროვე ხილხილა, ზეგამის წყალის ხეობის ზემო ნაწილში)³. ამრიგად, ალბანელ და სომეხ ისტორიკოსთა ცნობა ქართლისა და ალბანეთის საზღვრის შესახებ ზუსტად უდგება ქართველი ისტორიკოსების ლეონტი მროველისა და ვახტანგ გორგასარის მეშატეანის ცნობას.

4. ცალკეა აღსანიშნავი ჩვენება ჯუანშერის მატეანისა, რომელიც ლეონტი მროველზე ოდნავ გვიან ხანას (IX—X საუკუნეთა მიჯნას) ეკუთვნის. ჯუანშერის მატეანის ჩვენების თანახმად აღმოსავლეთი საზღვარი ქვემო ქართლისა არის მდინარე კოტმანი, რომელიც მდებარეობს იმავე ბერდუჯის სექტორში, ათიოდე კილომეტრით აღმოსავლეთით ბერდუჯიდან⁴. საზღვრის ხაზს დროთა განმავლობაში, როგორც ირკვევა, მცირეოდენი ცვლილება განუცდია და ათიოდე კილომეტრით გადაწეულა აღმოსავლეთისაკენ.

ასეთია ის ცნობები, რომელთაც შეიცავენ საისტორიო წყაროები ქართლისა და ალბანეთის ეთნოგრაფიული საზღვრის შესახებ დასახელებულ ეპოქაში.

აშოტ I-ის დროს ალბანეთის ტერიტორია, როგორც ვნახეთ, ორგზის ყოფილა შეპოვრებული, სხვადასხვა მოცულობით:

პირველად, 809—813 წლებში, აშოტ I-ის სამფლობელოში შედიოდა ალბანეთის ტერიტორია ვიდრე ბარდავამდე, თვით ქალაქ ბარდავისა და მისი თემის ჩათვლით (იხ. სუმბატ დავითის-ძე გვ. * 573/343).

ხოლო მეორე-გზის, 820—826 წლებში, ალბანეთის ტერიტორია შემოერთებული ყოფილა უფრო მცირე მოცულობით „ვიდრე კარადმდე ბარდავის ქალაქისა“. თვით ქალაქი ბარდავი და მისი თემი ამ მეორე-გზის აღებული

¹ იხ. ლეონტი მროველი, გვ. * 97/2, * 104/6, * 115/15, * 129/20, * 140/27. — ბერდუჯის და საგიმის (ზეგაძის) იგივეობის შეახებ იხ. ემთა-აღმწერელი, გვ. * 739/560.

² იხ. ცაორება ვაატ-ნგ გორგასარისა, გვ. * 275/118.

³ იხ. მოსე კალანკატუელი, 19:2 წ, გვ. 128; ელისე, 1893 წ. გვ. 139. ხალხალის ლოკალიზაციის საკითხის გამო შეად. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908 г., გვ. 223.

⁴ იხ. ჯუანშერის მატეანე, გვ. * 428/208.

არ ყოფილა, ბარდავი ისევ არაბთა ხელში დარჩენილა (იხ. სუმბატ დავითის-
ძე, გვ. * 574/344).

რაკი ქართლისა და ალბანეთის ეთნოგრაფიული საზღვარი იყო მდინარე-
ების ბერდუჯის და კოტმანის სანახები, ტერიტორია, რომელიც შეპოუერთე-
ბია აშოტ I-ს ალბანეთიდან, შემდეგი მოცულობის ყოფილა:

1. პირველად, 809—813 წლებში, შემოერთებული მხარე მოიცავდა ტერი-
ტორიას დაწყებული მდინარეების ბერდუჯ-კოტმანის ზონიდან — ვიდრე მდი-
ნარე თერთერის ზონამდე, სადაც მდებარეობს ქალ. ბარდავი (ე. ი. მოიცავ-
და განჯის მხარეს მთლიანად და ყარაბაღის მხარის ჩრდილო ნაწილს).

2. მეორედ, 820—826 წლებში, შემოერთებული მხარე მოიცავდა იმავე
ტერიტორიას თერთერის ზონის გამოკლებით, ე. ი. აშოტ I-ის სამფლობე-
ლოში ამ მეორე-გზის შედიოდა განჯის მხარე მთლიანად (ყარაბაღის სექტო-
რის მიუთვლელად).

დაგვრჩენია აღნიშნოთ, რომ ალბანეთის ეს ტერიტორია შედიოდა სა-
ქართველოს ფარგლებში არა მარტო აშოტ I-ის დროს, არამედ უფრო გვიან-
ნაც, მე-10 საუკუნის 20—30-იან წლებშიაც, ეს ტერიტორია დაკავშირებული
ყოფილა საქართველოსთან (გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავის სამფლობე-
ლოსთან)¹.

*

ასეთი იყო ისტორია იბერიის მხარეთა განთავისუფლებისა არაბთა მფლო-
ბელობისაგან აშოტ I დიდის დროს, როდესაც საფუძველი ჩაეყარა განახლე-
ბულ „ქართველთა სამეფო“-ს და რომლის ფარგლებშიაც გაერთიანდა ძვე-
ლი იბერიის მეტი ნაწილი.

სახელდობრ, აშოტ I-ის დროს შექმნილს ქართველთა სამეფოში, როგორც
ეს ირკვევა საისტორიო წყაროებიდან, გაერთიანებულია შემდეგი ტერიტორიები:

ა. მესხეთის ქვეყნები (ე. ი. პროვინციები: შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი,
აქარა, ტაონი, სპერი, სამცხე, ჯავახეთი, არტაანი);

ბ. შიდა ქართლის ქვეყნები ვიდრე ქსნის ხეობამდე და თბილისამდე, ქართ-
ლის მთიულეთის თემებით²;

გ. ლიხის იმიერი ქართლი (ვიდრე სკანდეს ხაზამდე)³;

დ. ქვემო ქართლის ქვეყნები მთლიანად (პროვინციები: ტაშირი, თრია-
ლეთი, აშოცი, გარდაბანი)—ვიდრე მდინარეების ბერდუჯი—კოტმანის ხა-
ზამდე⁴.

ამას გარდა, როგორც აღნიშნული გვექონდა, აშოტ I-ის დროს ქართველთა სამეფოში
შვეიდა აგრეთვე ქვემო ქართლის სანაპიროზე მდებარე ალბანეთის თემები „ვიდრე კარადმდე
ბარდავის ქალაქისა“ (განჯის მხარე).

¹ იხ. მე-10 საუკუნის სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოზის (დრასხანაყერტელის)
ცნობა, რის შესახებაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვაქვს საუბარი.

² იხ. მატთანე ქართლისა, გვ. * 442/219; ვარდან დიდი, ციტირებული ადგილი.

³ რომ ლიხის იმიერი ქართლი (აღმოსავლეთი არგვეთი, რომლის ცენტრი იყო პუნქტი
ჩ ი ხ ა) მე-9 საუკუნეში შედიოდა ქართველთა სამეფოში, იხ. ამის შესახებ მატთანე ქართლისა.
გვ. * 446/223.

⁴ კერძოდ ტაშირის, თრიალეთის და აშოცის შესახებ იხ. მატთანე ქართლისა, გვ. * 445/223-

ამრიგად, უკვე წინათ ჩამოყალიბებული სამი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს (დასავლეთ-საქართველოს, კახეთისა და ჰერეთის) გვერდით აშოტ I-ის დროს შეიქმნა მეოთხე ქართული სახელმწიფო საქართველოს იმ ნაწილში, სადაც უფრო მეტ ხანს იყვნენ გამაგრებული არაბები და სადაც არაბთა მფლობელობამ გასტანა საუკუნე-ნახევარზე მეტი დრო.

აშოტ I-ის დროს განახლებული „ქართველთა სამეფო“ მნიშვნელოვან მისიას შეასრულებს ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი თვითმყოფობის განმტკიცებისათვის ადრეულ საშუალ-საუკუნეებში.

აშოტ I-ის შემდეგ ბრძოლა არაბებთან არ დასრულებულა, იგი არანაკლები სიმწვავეთ გრძელდებოდა შემდეგაც, მაგრამ აშოტ I-ის დროს განახლებული „ქართველთა სამეფო“ უძღვებოდა ამ ბრძოლას და ბოლომდე შეინარჩუნა დამოუკიდებლობა, ვიდრე იმ დრომდე, როდესაც ქართული ფეოდალური სახელმწიფოები გაერთიანდნენ ერთი მთლიანი ფეოდალური მონარქიის სახით. და როდესაც მე-10—11 საუკუნეთა 'სახლგარზე' შეიქმნა ეს ახალი მთლიანი საქართველოს სახელმწიფო, მთავარი წვლილი გაერთიანების საქმეში „ქართველთა სამეფო“-ს სახელმწიფო მოღვაწეებმა შეიტანეს. ამ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ჩადგა იგივე ხელისუფლება, იგივე დინასტია, რომელიც მანამდე, აშოტ I-ის დროიდან მოკიდებული, „ქართველთა სამეფო“-ს მეთაურობდა.

2

იბერიის („ქართლის“) ქვეყნების პოლიტიკური ცენტრის გადატანა შიდა-ქართლიდან მესხეთში

იმ პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებათაგან, რომლებიც ჩატარებულ იქმნა აშოტ I-ის დროს და რამაც მნიშვნელოვნად ხელი შეუწყო ახლად შექმნილი სამეფოს მდგომარეობის განმტკიცებას, აქ ცალკეა აღსანიშნავი ერთი გარემოება: ახალი სამეფოს პოლიტიკური ცენტრის წინდახედული არჩევანი, შეფარდებული იმ საერთაშორისო ვითარებასთან, რომელშიაც მოქცეული იყო აღმოსავლეთი საქართველო ამ ეპოქაში.

აშოტ I-ის დრომდე პოლიტიკური ცენტრი, პოლიტიკური მეტროპოლია იბერიის ქვეყნებისა იყო ცენტრალური ქართლი (არმაზ-მცხეთა-თბილისის ზონა) და ეს არა ერთი და ორი საუკუნე, არამედ ათეული საუკუნის განმავლობაში, მოკიდებული ანტიკური ხანიდან ვიდრე არაბთა მფლობელობის დამყარებამდე. არაბთა მფლობელობის დროსაც რეზიდენცია იბერიის („ქართლის“) ერისმთავრისა აგრეთვე არის იგივე ცენტრალური ქართლი.

ხოლო აშოტ I-ის დროს პოლიტიკური ცენტრი იბერიის ქვეყნებისა გადატანილ იქმნა დასავლეთ მესხეთში. მას შემდეგაც, რაც 815—826 წლებში აშოტ I-ის მიერ შემოერთებულ იქმნა შიდა ქართლი და ქვემო ქართლის ქვეყნები, აშოტ I-მა პოლიტიკური ცენტრი არ დასძრა მესხეთის მივარდნილი და განადგურებული კუთხიდან — შავშეთ-კლარჯეთიდან და არ გადმოიტანა იგი არც მცხეთაში (რომელიც იბერიის ძველ ისტორიულ დედაქალაქს წარმოადგენდა; ხოლო ამ დროს იყო საეკლესიო და კულტურული მეტროპოლია

ყველა ქართული ქვეყნებისა), არ გადმოიტანა პოლიტიკური ცენტრი არც უფლისციხეში (რომელიც ადრეულ საშუალ-საუკუნეებში შიდა ქართლის მთავარი ციხე-ქალაქი იყო და მთელი ამ მხარის ბუნებრივ ცენტრს წარმოადგენდა), და არც ქვემო ქართლის ისტორიულ ქალაქებში.

ამაში ჩანს საერთაშორისო ვითარების სწორი და შორს გამიზნული შეფასება, ის დიდი პოლიტიკური ტაქტი, რომლითაც ხასიათდება საქმიანობა აშოტ I-ისა და მის თანამოღვაწეთა.

მესხეთის ქვეყნები, განსაკუთრებით დასავლეთ მესხეთის მთიანი თემები კოროხის ხეობაში ჯერ ერთი ნაკლებ მისაწვდომი იყო არაბთა ექსპანსიისათვის; ამასთან ეს მხარე მდებარეობდა ბიზანტიის მეზობლად, რომელიც ბუნებრივი მოკავშირე იყო იბერიისა არაბებთან ბრძოლაში.

ამრიგად, პოლიტიკური ცენტრის გადატანა შუა ქართლიდან (სადაც გზახსნილი ჰქონდათ არაბებს)—იბერიის ქვეყნების შორეულსა და კარგად დაცულს ზურგში, წარმოადგენდა უალრესად წინდახედულს, ქვეყნის მომავლისათვის სწორად გამიზნულს, პოლიტიკურად გამართლებულ ღონისძიებას. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი (სხვა მიზეზებთან ერთად, რასაკვირველია), რომ არაბობა ასე ადვილად ვერ გაუმკლავდა იბერიის ამ განახლებულ სამეფოს და ახლად შექმნილი პოლიტიკური მეტროპოლია დასავლეთ მესხეთში გადაიქცა ქართული სახელმწიფოებრივობის მკვიდრ ციტადელად.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ გიორგი მერჩულის ცნობის თანახმად, იბერიის ახალი დედაქალაქი არტანუჯი დაარსებულ იქმნა აშოტ I-ის დროსვე, ახალი იბერიის სამეფოს («ქართველთა სამეფო»-ს) აღდგენისთანავე.

არტანუჯი, რომელიც კლარჯეთის თემში მდებარეობდა, რჩება იბერიის («ქართველთა სამეფო»-ს) დედაქალაქად მე-9 საუკუნეში. აქ არის რეზიდენცია როგორც აშოტ I-ისა, ისე მის მემკვიდრეთა.

მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში, იმავე კოროხის ხეობაში, ამიერ-ტაოს (ძველ-ქართული ტაოს) პროვინციაში დაარსდა აგრეთვე მეორე სახელმწიფოებრივი ცენტრი «ქართველთა სამეფოსი» (ბანა). დაწყებული ამ დროიდან — ვიდრე საქართველოს გაერთიანებამდე — ქართველთა მეფეების მთავარი რეზიდენცია არის ეს ახალი ცენტრი — ტაოში. (უფრო გვიან, ბაგრატ III-ის დროიდან, გაერთიანებული საქართველოს ცენტრი ხდება ქუთაისი, ხოლო დავით აღმაშენებლის დროიდან მეტროპოლია საქართველოს სახელმწიფოსი ისევ გადმოტანილ იქმნა თბილისში, იბერიის ამ ძველ დედაქალაქში).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მას შემდეგაც, რაც დასავლეთ მესხეთში შეიქმნა ახალი ცენტრი ტაოში და რეზიდენცია ქართველი მეფეებისა არტანუჯიდან აქ იქმნა გადატანილი, არტანუჯს ამის შემდეგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს არტანუჯის შესახებ (როდესაც არტანუჯი უკვე აღარ იყო მეფეების რეზიდენცია, მაგრამ მაინც მხარის მთავარ ცენტრს წარმოადგენდა):

«არტანუჯის ციხე დიდად გამაგრებულია და აქვს დიდი «რაბატი», როგორც მხარის მთავარ ქალაქს (χαρτοπολις) შეშვენის. აქ თავს იყრის საქონელი ტრაპე-

ზუნტიდან, იბერიიდან, აბაზგიიდან [დასავლეთ საქართველოდან], სომხეთიდან და სირიის ყველა ქვეყნიდან და ქალაქს დიდი ვაჭრობა აქვს. არტანუჯის მხარე, ესე იგი არზენი, დიდია და მდიდარი, — იგი არის გასაღები იბერიისა, აბაზგიისა [დასავლეთ საქართველოსი] და მესხეთისა“¹.

ამას წერს ბიზანტიის იმპერატორი იმ არტანუჯის შესახებ, რომლის სანახები მე-9 საუკუნის დასაწყისში, როდესაც აქ პირველად დამკვიდრდა აშოტ I, ტყით დაბურულს გავერანებულ კუთხეს წარმოადგენდა. 813 წლის ახლო, ქართლიდან გადმოხვეწილმა ლტოლვილებმა ამ უდაბურ ქვეყანაში პირველად ჩაუყარეს საფუძველი არტანუჯის ციხე-ქალაქის მშენებლობას.

რა ცვლილება განუცდია ქვეყანას მის შემდეგ! განადგურებული და უკაცრიელი მხარე ქართველი მოახალშენეების თავდადებული შრომისა და დიდი რუღუნების შედეგად აყვავებულ ქვეყნად გადაქცეულა.

3

ბიზანტიის იმპერიისა და „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური დამოკიდებულება მე-9—10 საუკუნეებში

შემდეგი საკითხი, რომელზედაც აქ შევჩერდებით გიორგი მერჩულისა და სხვა ძველ-ქართული საისტორიო წყაროების ცნობებთან დაკავშირებით, — ეს არის ბიზანტიის იმპერიისა და „ქართველთა სამეფო“-ს პოლიტიკური დამოკიდებულება დასახელებულ ეპოქაში.

საისტორიო წყაროების შესწავლიდან ირკვევა, რომ ქართული ფეოდალური სამეფო-სამთავროების პოლიტიკური ხაზი ბიზანტიის იმპერიის მიმართ სხვადასხვანაირი იყო, ისევე როგორც სხვადასხვანაირი იყო თვით ამ სამეფო-სამთავროების დაარსების ისტორიული პირობები და შემდგომი მათი საერთაშორისო ვითარება.

დასავლეთ საქართველოს სამეფოში — სახელმწიფოებრივი პოლიტიკა გარკვევით ანტიბიზანტიურ სახეს ატარებს. ამას ის გარემოება განსაზღვრავდა, რომ დასავლეთი საქართველო, ვიდრე იგი დამოუკიდებლობას მოიპოვებდა, ბიზანტიის გავლენის სფეროში იყო მოქცეული. ანტილმაც დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკა მიმართულია ბიზანტიის გავლენისაგან ემანსიპაციისაკენ. ამ საგანზე ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი, როდესაც განვიხილავთ გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებს დასავლეთ საქართველოს შესახებ.

რაც შეეხება იბერიას, აქ არსებითად განსხვავებული მდგომარეობაა. იბერიის პოლიტიკური მოწინააღმდეგე ეს არის პირველ რიგში არაბული ხალიფატი, ხოლო ბიზანტია — ბუნებრივი მოკავშირე. ამის გამო ახლად შექმნილი იბერიის სახელმწიფოს („ქართველთა სამეფო“-ს) პოლიტიკა ძირითადად არის პრობიზანტიური და ანტიარაბული.

ამ გარემოებამ ახლად დაარსებულ „ქართველთა სამეფო“-ს პოლიტიკური კავშირი დაამყარებინა ბიზანტიის იმპერიასთან. აქ ჩვენ შევეცდებით გავარკვიოთ, თუ რა ხასიათისა და რა მოცულობის იყო ეს კავშირი.

¹ იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, De adm. imp. თავი 46, გვ. 207 (ბონის გამოც.).

„ქართველთა სამეფო“-ს ხელისუფლების მეთაურნი, როგორც ეს დასტურდება გიორგი მერჩულის ცნობებით და სხვა საისტორიო წყაროებით, აშოტ I-ის დროიდანვე ატარებენ ორ ტიტულს: „მეფე“ და „კურაპალატი“. გიორგი მერჩულის ძეგლში აშოტ I ასეა მოხსენებული:

„მეფე აშოტ კურაპალატი“¹.

რა პოლიტიკურ შინაარსს შეიცავდა ეს ორმაგი ზედწოდება „მეფე“ და „კურაპალატი“?

„ქართველთა სამეფო“-ს მეთაური, რამდენადაც იგი ატარებდა ტიტულს „მეფე“, ითვლებოდა დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოს დამოუკიდებელ ხელმწიფედ; საშუალ-საუკუნებრივი პოლიტიკური ფორმულის თანახმად იგი იყო „მეფე — ნებითა ღმრთისაჲთა“, რომლის უფლება მომდინარეობს არა რომელიმე გარეშე ძალისაგან, გარეშე სახელმწიფოსაგან, არამედ რომლის უფლება თვით ღვთაებისაგან არის დამყარებული. გიორგი მერჩულის სიტყვით მეფე აშოტ I არის „დავით წინაჲსწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებული ჯელმწიფეჲ“, რომლისა „მეფობაჲ“ დაამკვდრა ქრისტემან². (თვით თქმულება ქართველ მეფეთა დავით მეფე-წინასწარმეტყველისაგან ჩამომავლობის შესახებ, რომელიც ამ ხანაში გავრცელებას ღებულობს, და რომელსაც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე, იმ შეხედულების განსამტკიცებლად იყო გამოყენებული, რომ ქართველი მეფეები დამოუკიდებელი სახელმწიფოს დამოუკიდებელი ხელმწიფენი არიან).

რაც შეეხება მეორე ტიტულს — „კურაპალატი“, — ეს წოდება, როგორც ცნობილია, ბიზანტიის საიმპერატორო კარის ტიტული იყო. ის გარემოება, რომ „ქართველთა სამეფო“-ს მეთაური ატარებდა არა მარტო ტიტულს „მეფე“, არამედ ამავე დროს ატარებდა ამ მეორე ტიტულსაც „კურაპალატი“, იმისი მაჩვენებელია, რომ ქართველთა მეფე ერთგვარ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა ბიზანტიის იმპერატორისაგან (კეისრისაგან), რომელიც ამ ეპოქაში მთელი აღმოსავლეთ-ქრისტიანული მსოფლიოს ერთგვარ უზენაეს მეთაურად იყო მიჩნეული.

ვიდრე შევეუდგებოდეთ იმის გარკვევას, თუ რა ხასიათისა იყო ეს დამოკიდებულება, რა რეალურ შინაარსს შეიცავდა იგი, ან რა მიზნებს ისახავდა ქართველთა სამეფოს მეთაური, როდესაც მან მეფის ტიტულთან ერთად კურაპალატის ტიტული მიიღო, ჯერ საჭიროა დავადგინოთ, თუ რა დროიდან ღებულობს აშოტ I „მეფისა“ და „კურაპალატის“ ტიტულებს.

წყაროების ანალიზიდან ცხადი ხდება, რომ აშოტ I-ს „მეფის“ ტიტული მიუღია თავიდანვე, 809—813 წლებში, როდესაც პირველად იქმნა განთავისუფლებული იბერიის ქვეყნები არაბთა ბატონობისაგან.

ხოლო კურაპალატის ტიტული აშოტს მიუღია შავშეთ-კლარჯეთში გადასახლების შემდეგ, ისიც არა პირველ ხანებში (აშოტ I გადასახლდა შავშეთ-

¹ იხ. გვ. 38^ა—2^ა.

² იხ. გვ. 40.

კლარჯეთში 813 წლის ახლო), არამედ უფრო გვიან, თავისი მეფობის უკანასკნელ წლებში (არა უადრეს 818 წლისა).

აქ აღძრული საკითხის გამო ჩვენებებს იძლევა ძველ-ქართული ძეგლი „მატიანე ქართლისა“ და აგრეთვე ოპიზის წარწერები.

„მატიანე ქართლისა“ იმ ნაწილში, რომელშიაც იგი ეხება აშოტ I-ის მეფობის პირველ პერიოდს, დაზიანებულად არის მოღწეული (აკლია ტექსტი)¹, მაგრამ გადარჩენილი ნაწილიდან ცხადია, რომ აშოტ I-ს ჯერ მიუღია მეფის ტიტული, ხოლო შემდეგ ტიტული კურაპალატისა. სახელდობრ, მატიანეში აღნიშნულია, რომ ჯერ განდიდნა „მეფობა“ აშოტისა, რომელიც ეუფლა „ქართლს (იბერიას) საზღვართა მისთა“, ხოლო უფრო გვიან მოთხრობილია, რომ „ბერძენთა მეფემან (კეისარმა) მიუბოძა კურაპალატობა აშოტს“; კურაპალატობის ბოძება აშოტისათვის მაშინ მომხდარა, როდესაც აშოტ I უკვე შავშეთ-კლარჯეთში ყოფილა გადასული (ისიც არა პირველ პერიოდში, არამედ გვიან, სახელდობრ იმ ხანებში, როდესაც აშოტ I-მა გაილაშქრა გრიგოლ მთავრისა და თბილისის ამირას წინააღმდეგ)².

სრულიად გარკვეულ ჩვენებას აქ აღძრული საკითხის გამო იძლევა ოპიზის წარწერები.

აშოტ I-მა დიდი მშენებლობა ჩაატარა ოპიზაში, კლარჯეთის მხარის ამ უძველესსა და უმნიშვნელოვანეს საეანეში. აშოტს მეორედ აუშენებია ოპიზის მთავარი საეანე, ხოლო საეანის გვერდით აშოტს აუგია მთელი წყება ნაგებობათა, საოსტიგნე და პალატები, რაც ბრწყინვალე ხელოვნებით არის შესრულებული.

ცხადია, ეს დიდი მშენებლობა ოპიზაში აშოტს დაუწყია არა 813 წელს, როდესაც იგი არაბთაგან ლტოლვილი გადავიდა შავშეთ-კლარჯეთში, არამედ უფრო გვიან, როდესაც ქვეყანამ მოლონიერება დაიწყო და ასეთი დიდი მშენებლობის ჩატარების შესაძლებლობა შეიქმნა.

ოპიზის წარწერებიდან ირკვევა ამასთან, რომ ოპიზის მთავარი პალატის (საოსტიგნის) შენება 4 წელს გაგრძელბულა. თუ მშენებლობის დასაწყისს ვივარაუდებთ არა უადრეს 815 წლისა (ყოველ შემთხვევაში ამაზე ადრე იგი სავარაუდებელი არაა), მშენებლობის დასრულება მოუწევს არა უადრეს 818 წლისა.

და აი, ოპიზის საოსტიგნის წარწერაში, რომელიც აშოტის დროს ეკუთვნის (წარწერა თვით აშოტის სახელით არის შესრულებული) და რომელიც მოგვითხრობს მშენებლობის დასრულებაზე, აშოტს მიემართება ნხოლოდ მეფის ტიტული, ხოლო კურაპალატად იგი ჯერ კიდევ არ მოიხსენება.

საოსტიგნის დასახელებულ წარწერაში ჩვენ ეკითხულობთ:

„**საოსტიგნის წარწერაში** ჩვენ ეკითხულობთ:

ანუ ქარაგმა გახსნით:

¹ იხ. ამის შესახებ სპეციალურ ექსკურსში (დამატებაში).

² იხ. მატიანე ქართლისა, გვ. * 141—142/219 (და შენიშვნა 2), შეად. ანა-დედოფლისეული ნუსხა, გვ. 162.

³ იხ. ნ. მარი, *Древние поездки в Шавшотию и Кларджетию* (Тр. VII, 1911 г.), გვ. 162—163.

„ესე მე აშოტ მეფემან ოთხ წელსა გავაშტენე“¹.

ამრიგად 818 წლის ახლო, რომელზე აღრინდელ დროსაც ვერ მიეკუთვნება ოპიზის საოსტიგნის მშენებლობის დასრულება, აშოტი მარტოოდენ მეფის ტიტულით მოიხსენება, კურაპალატის ტიტული მას არ მიემართება.

აღსანიშნავია აგრეთვე მეორე ძეგლი — ოპიზის ცნობილი ბარცლიეფი, სადაც წარმოდგენილი არიან: ცენტრში — ქრისტე, მარცხნივ — აშოტი, მარჯვნივ დავით წინასწარმეტყველი². აშოტი ამ ბარცლიეფზე სიმბოლიზებულია როგორც „მეფე ნებითა ღმრთისაჲთა“. აშოტი წარმოდგენილია აქ როგორც შთამომავალი დავით წინასწარმეტყველისა, რომლის შთამომავლად ითვლებოდა თვით ქრისტე და ამის გამო აშოტის მეფობის უფლებაც თვით ღვთაებდსაგან წარმომდინარედ იგულისხმება.

(აქ ჩვენ გვაქვს სრული შესაბამისობა გიორგი მერჩულის ტექსტთან, სადაც აშოტ I მოიხსენება როგორც „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებული ჯელაწიფჲ“, რომლისა „მეფობაჲ“ დაამკვდრა ქრისტემან).

აღსანიშნავია, რომ არც ამ ბარცლიეფზე, სადაც აშოტი მეფის სახით არის სიმბოლიზებული, წარწერაში მას არ მიემართება კურაპალატის ტიტული.

ყოველივე ამის მიხედვით, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, მათსადაამე ირკვევა, რომ აშოტ I-ს მეფის ტიტული ნიუღია თავიდანვე 809—813 წლებში (როდესაც პირველად იქმნა განთავისუფლებული იბერიის ქვეყნები არაბთა ბატონობისაგან); ხოლო კურაპალატის ტიტული, მეფის ტიტულის დაცვით, მას მიუღია უფრო გვიან, თავის მეფობის უკანასკნელ წლებში, არა უადრეს 818 წლისა.

*

რით იყო გამოწვეული და რას აღნიშნავდა კურაპალატის წოდების მიღება აშოტის მიერ, რომელიც უკვე ატარებდა „მეფას“ ტიტულს.

ეს, ცხადია, მოასწავებდა ერთგვარი დამოკიდებულების აღიარებას ბიზანტიის კეისრისაგან, რომელიც, როგორც მოვიხსენეთ, მთელი აღმოსავლეთ-ქრისტიანული მსოფლიოს ერთგვარ უზენაეს მეთაურად ითვლებოდა.

მაგრამ ნიშნავდა ეს ვასალიტეტს? როგორც ირკვევა, არა. სინამდვილეში ეს იყო, როგორც შემდეგ დავინახავთ, მხოლოდ პოლიტიკური კავშირი და არა ვასალიტეტი. ხოლო რაც შეეხება კურაპალატის წოდების მიღებას, ეს თავისთავად სრულებითაც არ მოასწავებდა ვასალობის აღიარებას. კურაპალატის ტიტული, როგორც ცნობილია, არა ერთხელ მიუღიათ ბიზანტიის კეისრისაგან დასავლეთ ევროპის დამოუკიდებელ მეფეებს, როგორც მაგალი-

¹ წარწერა აქამდე სწორად ამოშიფრული არ იყო. აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ წარწერაში წარმოდგენილი სახეობა მეფის ტიტულის დაქარაგმებისა ამავე სახითვე არის წარმოდგენილი სპერის პროვინციის ოთხთა-ეკლესიის წარწერაში მე-10 საუკუნისა, რომელიც ეკუთვნის დავით დიდ კურაპალატს, და რომელიც გადმოღებული აქვს აკადემიკოს ე. თაყაიშვილს. პატივცემულ მეცნიერს მადლობას მოვახსენებთ ოთხთა-ეკლესიის წარწერის პირის გადმოცემისათვის.

² იხ. ბარცლიეფის გამოცემა ე. თაყაიშვილის შრომაში, *Археологические экскурсии, разыскания и заметки*, II, 1905 г., გვ. 56—59.

თად ფრანკების, ბურგუნდების, ოსტ-გუთების ხელმწიფეებს, რომლებიც ბიზანტიის ვასალები არასდროს არ ყოფილან.

იბერიის („ქართველთა სამეფოს“) და ბიზანტიის ურთიერთობა რეგულირებული ყოფილა ხელშეკრულებებით, რომელიც ისეთ უფლებრივ ურთიერთობას ამყარებდა ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის, რაც არ შეიძლება შეფასებულ იქმნეს როგორც ვასალიტეტი.

რომ ჩვენ სწორად გავიგოთ ამ პოლიტიკური კავშირის რეალური შინაარსი, გავიგოთ ამასთან ის მიზნები, რომელთაც ისახავდა ამ კავშირის შეკვრის დროს როგორც ბიზანტია, ისე ქართველთა სამეფო, საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ რა ისტორიულ პირობებში წარმოიშვა ეს კავშირი.

პირველ რიგში აღსანიშნავია შემდეგი:

აშოტ I, როდესაც იგი დაუკავშირდა ბიზანტიას, არ იყო ამის წინარე ხანაში რაიმე ვასალურ დამოკიდებულებაში ბიზანტიასთან. იბერია ამის უწინარეს საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში არაბების მფლობელობაში იმყოფებოდა. აშოტ I საკუთარი ძალებით აუჯანყდა არაბებს და ფაქტიურ დამოუკიდებლობას შიძენდა.

აშოტ I, პირველი დამარცხების შემდეგ, 813 წლის ახლო, გადავიდა და გამაგრდა შავშეთ-კლარჯეთში. ეს კუთხეც, შავშეთ-კლარჯეთი, არ შეადგენდა ბიზანტიის უშუალო სამფლობელოს, არამედ აგრეთვე არაბთა გაყვლების ზონად ითვლებოდა (როგორც ნაწილი იბერიისა), ხოლო სინამდვილეში, როგორც ვნახეთ, სრულებით განადგურებულსა და მიტოვებულ მხარეს წარმოადგენდა¹.

ბიზანტია აშოტ I-ის მიერ წარმოებულ ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ, ცხადია, თანაგრძნობით ეკიდებოდა, მაგრამ ბიზანტია ამ ეპოქაში საკმაოდ უძლური იყო, რომ გამოეჩინა დიდი აქტივობა. ბიზანტიის სიმპათიები აშოტ I-ის საქმისადმი, როგორც ჩანს, მხოლოდ უბრალო „კეთილი სურვილებით“ ამოიწურებოდა. ყოველ შემთხვევაში ბიზანტიას, როგორც ირკვევა, არ გაუწევია რაიმე რეალური დახმარება, როდესაც აშოტ I შავშეთ-კლარჯეთიდან ხელახლა შეუდგა იბერიის ქვეყნების შეკრებას, განათავისუფლა არაბთა მფლობელობისაგან შიდა ქართლი და ქვემო ქართლი და ქართველთა სამეფოს საზღვრები ბარდავის კარამდე მიიტანა. თუკი ბიზანტიელებს რაიმე მონაწილეობა მიეღოთ ამ ბრძოლებში, წყაროებში იქნებოდა ანის შესახებ ჩვენება (ისევე, როგორც დასაჯლეთ საქართველოს სამეფოს დაარსების გამო აღნიშნულია, რომ ლეონ II-მ ქვეყნის განათავისუფლება შესძლო ხაზართა ძალების დახმარებით). ხოლო წყაროები ბიზანტიელთა რაიმე დახმარების შესახებ სდუმან.

აღსანიშნავია, რომ როდესაც მე-8 საუკუნის დასასრულს (ე. ი. ათიოდე წლის უწინარეს) ბიზანტიას განუდგა დასავლეთი საქართველო, ბიზანტიამ

¹ რომ კორონის ხეობა ამ ეპოქაში არ შეადგენდა ბიზანტიის სამფლობელოს, არამედ არაბთა გაყვლების ზონაში ითვლებოდა, ეს ჩანს როგორც ქართული წყაროებიდან (იხ. სუნდატ დავითის ძის მატიაწე, გვ. *573 — 574/343, სტრ. 8 — 12, შეად. გვ. *576/346, სტრ. 1—3), ისე სომხური წყაროებიდან (იხ. ლევონდი, ხალიფათა ისტორია, სომხ. ტექსტი, 1887 წ. გვ. 168, რუსული თარგმანი კ. პატკანიანისა 1862 წ., გვ. 116).

ვერ შესძლო თავისი უფლებების დაცვა, თავისი ხელისუფლების აღდგენა ამ მხარეში. ცხადია, მით უფრო ძნელი წარმოსადგენი იყო ბიზანტიის მიერ აქტივობის გამოჩენა თავისი საზღვრების გარეთ, რაიმე საგრძნობი დახმარების გაწევა აშოტ I-სათვის, როდესაც იგი ბრძოლებს აწარმოებდა არაბებთან შიდა კავკასიაში.

რაკი იბერიის ქვეყნების განთავისუფლება და „ქართველთა სამეფო“-ს აღდგენა აშოტ I-ის დროს მომხდარა საკუთარის ძალებით და არა ბიზანტიის დახმარებით, გასაგები ხდება ამის შემდეგ თვით ხასიათი ამ კავშირისა.

ამ კავშირში დაინტერესებული იყო ორივე მხარე.

პირველ რიგში ამ კავშირში, ცხადია, დაინტერესებული იყო უფრო სუსტი მხარე — ქართველთა სამეფო, რადგან თუნდაც პოლიტიკური თანაგრძნობა მეზობელი დიდი ქვეყნის — ბიზანტიის — მხრით, ხოლო მომავლისათვის შესაძლებლობაც ბიზანტიის დახმარებისა, ახლად შექმნილი ქართველთა სამეფოს მდგომარეობის განმტკიცებისათვის, ცხადია, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. მეორე მხრით ამ კავშირში დაინტერესებული იყო ბიზანტია, რადგან იბერია უზრუნველყოფდა ბიზანტიისათვის მეტად მნიშვნელოვან ფლანგს — არაბული ხალიფატის სანაპიროზე.

ხოლო რა სახისა იყო ეს კავშირი, რა შინაარსს შეიცავდა და რა მიზნებს ისახავდა იგი, ეს ირკვევა პირველ რიგში იმ ცნობებიდან, რომელთაც გადმოგცემს ისეთი ავტორიტეტული პირი, როგორც არის თვით ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი.

*

1. თავდაპირველად აქ შევჩერდებით მოკავშირე მხარეთა ტერიტორიულ მთლიანობისა და საზღვრების გარანტირების საკითხზე.

ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტის ძეგლი (De administrando imperio) ამ საგანზე უაღრესად საყურადღებო ცნობებს იძლევა.

ამ ცნობებიდან დასტურდება, რომ ორივე მხარე — ბიზანტია და იბერია — სცნობდნენ ორივე ქვეყნის ტერიტორიულ ხელშეუხებლობასა და საზღვრების უცვლელობას. საზღვრები ბიზანტიასა და იბერიას („ქართველთა სამეფოს“) შორის ფიქსირებული ყოფილა ხელშეკრულებებით. ასე, მაგალითად, ბულღაში, რომელიც მოცემული იყო ბიზანტიის იმპერატორის რომანოზ I-ის (919—944 წ.წ.) მიერ აშოტ II ქართველთა კურაპალატისათვის (923—954 წ.წ.), საგანგებოდ აღნიშნულია, რომ აშოტ II ქართველთა კურაპალატმა — არ უნდა გადასწიოს საზღვრები თავისი სამფლობელოებისა წინანდელ იმპერატორებთან დადებულ ხელშეკრულებათა საწინააღმდეგოდ¹.

კონსტანტინე პორფიროგენეტს მოთხრობილი აქვს ორი მეტად საყურადღებო შემთხვევა ბიზანტიისა და იბერიის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან, რომლებიც სწორედ საზღვრების საკითხს ეხება და საიდანაც ჩვენ ვხედავთ, რომ იბერია არ იყო უბრალო ვასალი ბიზანტიისა, არამედ მოკავშირე სუვერენული სახელმწიფო, რომელიც მტკიცედ ატარებდა თავის

¹ იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit., თავი 45, გვ. 202.

დამოუკიდებელ პოლიტიკას იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც ეს ეწინააღმდეგებოდა ბიზანტიის ინტერესებს.

მეთე საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიის იმპერია ცდილობდა ხელში ჩაეგდო მნიშვნელოვანი ციხე-ქალაქი თეოდოსიოპოლი (ახლანდელი არზრუმი) და სანაპირო პროვინციები თეოდოსიოპოლის გარშემო, რომლებიც წინათ ბიზანტიელებს ეკუთვნოდათ, ხოლო ამ უროს არაბებს ეჭირათ.

იბერია („ქართველთა სამეფო“) თუმცა მოკავშირე იყო ბიზანტიისა, მაგრამ იბერიის ხელისუფლებას სახიფათოდ მიუჩნევია ბიზანტიის მიერ ახალი ტერიტორიების შექმნა და ამრიგად ბიზანტიის მეტისმეტი გაძლიერება საქართველოს საზღვარზე. ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი პირდაპირ აღნიშნავს, რომ იბერიელები დახმარების ნაცვლად ხელს უშლიდნენ ბიზანტიელებს თეოდოსიოპოლის აღებაში და ფარულად ხელს უმარტავდნენ კიდევ თეოდოსიოპოლის მოსახლეობას პროვიანტის მიწოდებით.

„ქართველთა სამეფო“-ს ფარგლებში ამ დროს შედიოდა „ქაჯის ციხე“¹, რომელიც მდებარეობდა საქართველოს სამხრეთ საზღვართან, დასავლეთ ეფრატის ხეობის სათავეებში, იმ თემში, რომელსაც ერქვა „ქართლის გზა“ (შემდეგ დროინდელი „გურჯი ბოლაზი“-ს ზონა).

ეს „ქაჯის ციხე“ უშუალოდ ესაზღვრებოდა თეოდოსიოპოლის (არზრუმის) სანახებს და კონსტანტინე პორფიროგენეტის სიტყვით ქართველები სწორედ ამ სანაპირო ციხიდან აწარმოებდნენ თეოდოსიოპოლის მოსახლეობის ფარულად მომარაგებას.

ბიზანტიის იმპერატორებმა არა ერთგზის სცადეს მოლაპარაკების გზით მიეღწიათ შეთანხმებას იბერიის მეფე-კურაპალატებთან; ბიზანტიის იმპერატორები ითხოვდნენ, რომ იბერიელებს ნება დაერთოთ ბიზანტიელებისათვის დროებით შეეყვანათ ქაჯის ციხეში ბიზანტიელთა გარნიზონი, რათა ამ გზით კონტროლი გაეწიათ თეოდოსიოპოლის მომარაგების საქმისათვის და შეეწყვიტათ ფარული მიწოდება პროვიანტისა თეოდოსიოპოლის მოსახლეობისათვის. ბიზანტიის იმპერატორები წერილობით ვალდებულებას ღებულობდნენ, რომ ისინი დატოვებდნენ ქაჯის ციხეს, როგორც კი თეოდოსიოპოლს აიღებდნენ.

მაგრამ იბერიის ხელისუფლება ამაზე არ დათანხმებულა. იბერიის მთავრობამ განუცხადა ბიზანტიის იმპერატორს, რომ ისინი ნებას ვერ დართავენ ქაჯის ციხეში ბიზანტიელთა გარნიზონის შეყვანაზე, ხოლო ბიზანტიის იმპერატორს შეუძლია გამოგზავნოს თავისი ხელისუფალი, ან ტურმარქი, ან ერთ-ერთი თავისი დაახლოებული პირი, რომელიც იცხოვრებს ქაჯის ციხეში და შეასრულებს მეთვალყურის როლს; იგი დარწმუნდება, რომ არავითარი სურსათის მიწოდება ქაჯის ციხის გზით თეოდოსიოპოლის მოსახლეობისათვის არ წარმოებს.

ამ წინადადებაზე ბიზანტია არ დააკმაყოფილა. ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ I (919—944) შემდეგ სწერდა იბერიის მთავრობას თავის საპასუხო ეპისტოლეში:

¹ Κατζ. ον → Κατζέου. ციხის სახელწოდება გახსნილი აქვს აკად. მ. ბროსეს როგორც „ქაჯის ციხე“.

„რა სარგებლობას მივიღებთ იმისგან, რომ გამოვგზავნოთ ტურმარქი ან ვინმე დაახლოებული პირთაგანი; თუნდაც ისინი მოვიდნენ 10 ან 12 კაცის თანხლებით, ისინი დადგებიან იქ, სადაც თქვენ მიუთითებთ და მათ არ ექნებათ საშუალება მეთვალყურეობა გაუწიონ ქალაქში [თეოდოსიოპოლში] შემავალ ქარავნებს, ვინაიდან მრავალი გზა მიემართება თეოდოსიოპოლისაკენ: ამასთან ქარავნებს აქვთ საშუალება ისე შევიდნენ თეოდოსიოპოლში ღამით, რომ ისინი [წარმოგზავნილნი პირნი] ვერაფრითარ ექვსაც კი ვერ აიღებენ“¹.

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, ეს მოლაპარაკება ქაჯის ციხეში ბიზანტიელთა გარნიზონის ღროვებით შეყვანის შესახებ გაჭიანურებულა თითქმის ნახევარი საუკუნე; იგი დაწყებულა ჯერ ბიზანტიის იმპერატორის ლეონ VI-ის დროს (886—911 წ.წ.), გაგრძელებულა რომანოზ I-ის მეფობის ხანაში და შემდეგ თვით კონსტანტინე პორფიროგენეტის დროსაც, ვიდრე მე-10 საუკუნის მეორე მეოთხედამდე, მაგრამ ბიზანტიას ვერ მიუღწევია თავისი მიზნისათვის, ბიზანტიელებს ყველა მათ წინადადებებზე ყოველთვის მტკიცე უარი მიუღიათ იბერიელებისაგან.

კონსტანტინე პორფიროგენეტი ასე ამთავრებს თავის მოთხრობას ამ უშედეგო მოლაპარაკებათა შესახებ:

„ამრიგად, იბერიელებმა, რომელთაც არ სურდათ თეოდოსიოპოლის დანგრევა, არამედ, პირიქით, ამარაგებდნენ კიდევ მას სურსათ სანოვაგით, არ ისმინეს და არ გადმოსცეს ქაჯის ციხე, თუმცა მათ [იბერიელებმა] წერილობითაც კი მიიღეს ფიცი [ბიზანტიელთაგან], რომ თეოდოსიოპოლის აღების შემდეგ ისინი [იბერიელები] უკან მიიღებდნენ ამ ციხეს. იბერიელებს არასგზით არ სურდათ დაერბიათ და წარეტყვევნათ თეოდოსიოპოლის ციხის გარშემო მდებარე ადგილები და მისი სოფლები, ასევე აბნიკის ციხე და მისი გარშემო სოფლები, აგრეთვე მანასკერტის ციხე და მისი მიწა-წყალი“².

არა ნაკლებ დამახასიათებელია მეორე შემთხვევა, რომელზედაც მოგვითხრობს იგივე კონსტანტინე პორფიროგენეტი.

923 წელს ბაგრატიონთა სახლის ერთ-ერთ წევრს აშოტ კისკასს სამფლობელოდ გადაცემული ჰქონდა ქალაქი არტანუჯი. აშოტ კისკასი კონფლიქტში იმყოფებოდა საქართველოს სხვა მთავრებთან; აშოტ კისკასმა აცნობა ბიზანტიის იმპერატორს, რომ იგი თავის სამფლობელო ქალაქ არტანუჯს უთმობს ბიზანტიას. ბიზანტიის იმპერატორის დავალებით არტანუჯში გამოცხადდა საგანგებო მოხელე პროტოსპათარი კონსტანტი მანკლავეტი, ბიზანტიელთა ჯარის თანხლებით; მან არტანუჯის ციხეზე ბიზანტიის დროშა აღმართა და იმპერატორის სახელით გამოაცხადა, რომ არტანუჯი ამიერიდან ბიზანტიის ეკუთვნის, რადგან იგი მისმა უშუალო მფლობელმა აშოტ კისკასმა დაუთმო იმპერატორს.

ბიზანტიის ასეთმა მოქმედებამ დიდი აღშფოთება და მღვლეარება გამოიწვია იბერიაში. ქართველთა მეფემ დავით II-მ და სხვა ქართველმა მთავრებმა მისწერეს ბიზანტიის იმპერატორს, რომ თუკი იმპერატორი შეეცდება იბერი-

¹ იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, *op. cit.* თავი 45, გვ. 201.

² იხ. იქვე, გვ. 202.

ელთა ტერიტორიის მიტაცებას, შეეცდება დაეპატრონოს არტანუჯს, იბერი-
ელები კავშირს შეკრავენ არაბებთან, ომს გამოუცხადებენ ბიზანტიას და იბე-
რიის ჯარებს დასძრავენ ბიზანტიის წინააღმდეგ.

კონსტანტინე პორფიროგენეტი ასე ამთავრებს თავის მოთხრობას ამ კონ-
ფლიქტის გამო:

„როდესაც იმპერატორმა გაიგო ამის შესახებ [იბერიელთა მუქარის შესა-
ხებ] ზემოხსენებული მთავრების წერილებიდან და აგრეთვე იმ პირებისაგან
[ელჩებისაგან], რომელნიც გამოგზავნილნი იყვნენ იბერიელთა მიერ, იმისი
შიშით, რომ იბერიელნი არ შეერთებოდნენ სარკინოზებს და რომ მათ [იბე-
რიელებს] არ გამოეყვანათ ჯარი რომაელთა [ბიზანტიელთა] წინააღმდეგ, —
იმპერატორმა იფარა, რომ მას არტანუჯის ციხისა და მისი თემის ალების
შესახებ სრულებითაც არაფერი არ მოუწერია პროტოსპათარი კონსტანტი
მანკლავიტისათვის [ე. ი. იმ პირისათვის, რომელმაც არტანუჯში ბიზანტიელ-
თა ჯარი შეიყვანა და არტანუჯის ციხეზე ბიზანტიის დროშა აღმართა],
არამედ ყველაფერი მან [კონსტანტი მანკლავიტმა] თავისი სისულელით მოი-
მოქმედა“-ო¹.

ამრიგად, ბიზანტიის იმპერატორმა იბერიელთა მუქარის შემდეგ უკან
დაიხია და იმპერატორი იძულებული გახდა ტყუილი განცხადებითაც კი გა-
მოსულიყო, ვითომც ყველაფერი მისი ხელქვეითი ხელისუფლის თვითნებურ
მოქმედებას წარმოადგენდა. ამის შემდეგ არტანუჯის ციხიდან ბიზანტიის
დროშა ჩამოხსნეს და ბიზანტიელთა ჯარი გაყვანილ იქმნა.

ასე დასრულდა ბიზანტიის და იბერიის ეს კონფლიქტი.

მოყვანილი ორი შემთხვევა ბიზანტია-საქართველოს ამ ეპოქის ისტორი-
იდან კარგად გვისურათებს, თუ რა ხასიათისა იყო ის პოლიტიკური ურთი-
ერთობა, რაც ბიზანტიასა და იბერიას (ქართველთა სამეფოს) შორის დამყარე-
ბულა. ცხადი ხდება, რომ იბერია ამ ეპოქაში არ ყოფილა ვასალი ბიზანტიისა,
არამედ სუფერენული დამოუკიდებელი სახელმწიფო. იბერიის მეფე და კურა-
პალატი სცნობდა ბიზანტიის კეისარს, როგორც უზენაეს იმპერატორს მთელი
საქრისტიანო მსოფლიოსი, მაგამ საქმე ამ ფორმალური ცნობის იქით არ
მიდიოდა. ქართველთა სამეფო აწარმოებდა თავის დამოუკიდებელ პოლიტი-
კას, რომლისაგან იგი არ უხევედა მაშინაც კი, როდესაც ეს პოლიტიკა ეწი-
ნააღმდეგებოდა ბიზანტიის ინტერესებს (როგორც ეს ვნახეთ ქაჯის ციხისა
და თეოდოსიოპოლის შესახებ დიპლომატიური მოლაპარაკების ისტორიიდან).

ამასთან ქართველთა სამეფო სრულიად დამოუკიდებელი იყო შინაურ
საქმეებში.

*

2. ბიზანტიისა და იბერიის (ქართველთა სამეფოს) პოლიტიკური კავშირის
რაობისა და რეალური შინაარსის შესახებ საისტორიო წყაროებიდან ირკვევა
აგრეთვე ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება.

რ. ი. აიხსება, რომ იბერიის მეფეები ასე დიდად აფასებდნენ „კურაპა-
ლას“-ს ტიტულს?

¹ იხ. იქვე, თავი 46, 83. 212.

ქართველთა მეფეები, როდესაც ისინი ლეზულობდნენ ბიზანტიისაგან კურაპალატის ხარისხს, ამით თუმცაღა სცნობდნენ ერთგვარ ფორმალურ დამოკიდებულებას ბიზანტიის მსოფლიო იმპერიისაგან, მაგრამ ამის სანაცვლოდ ქართველთა სამეფოს ბიზანტიის იმპერიისაგან მიუღია მეტად მნიშვნელოვანი დათმობა.

თუ რაში მდგომარეობდა ეს დათმობა ბიზანტიის მხრით, ამას ქვემოთ განვიხილავთ. ჯერ კი ერთი შენიშვნა ქართველთა მეფის ამ ორმაგ ტიტულზე „მეფე“ და „კურაპალატი“. ქართველთა მეფე, როგორც „მეფის“ ტიტულის მატარებელი, იყო მფლობელი საქართველოს (იბერიის) ქვეყნებისა, ხოლო როგორც „კურაპალატის“ ტიტულის მატარებელი იგი იყო მფლობელი არა მხოლოდ საკუთრივ იბერიისა, არამედ აგრეთვე „აღმოსავლეთისა“. ამიტომაც ქართველთა მეფეს ეწოდებოდა არა მხოლოდ „ქართველთა კურაპალატი“, არანედ აგრეთვე „აღმოსავლეთისა კურაპალატი“.

ასე, მაგალითად, დავით დიდი კურაპალატი თანამედროვე ძეგლში მოიხსენება ასეთი ტიტულით:

„ძლიერი და ღმრთის-მსახური მეფე და ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი“¹.

ეს ტიტული „აღმოსავლეთისა კურაპალატი“ არის ხარისხი არა მარტოდენ დავით კურაპალატისა, არამედ, როგორც ირკვევა, საერთოდ ასეთი პოლიტიკური შინაარსი ჰქონდა ქართველი მეფეების ამ ტიტულს „კურაპალატი“.

ხოლო რომელი „აღმოსავლეთის“ ქვეყნები იგულისხმება აქ? აქ იგულისხმება ბიზანტია-რომის იმპერიის ძველი სამფლობელოები კავკასიის სანაპიროზე, რომელიც არაბთა ხალიფატის შექმნის წინარე ხანაში ბიზანტიას ეკუთვნოდა, ხოლო შემდეგ არაბების ხელში გადავიდა. აი ამ „აღმოსავლეთის“ ქვეყნების შესახებ (რომელიც აგრეთვე მოიხსენება სახელწოდებით „ზემონი ქუეყანანი“). მიღწეული ყოფილა შეთანხმება ბიზანტიის იმპერიასა და ქართველთა სამეფოს შორის, რომელშიაც ბიზანტია დიდ დათმობაზე წასულა იმ მიზნით, რათა უზრუნველ ეყო ქართველთა სამეფოს მტკიცე კავშირი ბიზანტიასთან და ერთიანი ფრონტი არაბების წინააღმდეგ. სახელდობრ, ბიზანტია დათანხმებულა, რომ აღმოსავლეთის ის ქვეყნები, რომელნიც წინათ ბიზანტიას ეკუთვნოდა, კავკასიის სანაპიროზე („ზემონი ქუეყანანი“), და რომელთაც ქართველები დაიპყრობდნენ ან თავის ძალით, ან-და თუნდაც ბიზანტიის ჯარების დახმარებითაც, ეს ქვეყნები, წინათ ბიზანტიისადმი ეკუთვნილი, გადავიდოდა ქართველთა სამეფოს მფლობელობაში.

საქართველოს ინტერესები ამ მხარეთა მიმართ იმით იყო გამოწვეული, რომ „აღმოსავლეთის“ ეს ტერიტორიები („ზემონი ქუეყანანი“), მდებარე ეფრატისა და არაქსის ხეობათა ზემო ნაწილებში (კარინი — თეოდოსიოპოლის მხარე, ბასიანი და მიმდგომი თემები) — ანტიკურ ხანაში საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებული, ქართველი ტომებით იყვნენ დასახლებული². ქართ-

¹ იხ. ანდერძი მე-10 საუკუნის ოშკური ხელნაწერისა (დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, 1889 წ., გვ. 244).

² იხ. ამ საგანზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ, თავი VI, 4.

ველი სახელმწიფო მოღვაწეები მიზნად ისახავდნენ საქართველოს ძველი ისტორიული ტერიტორიების გაერთიანებას ქართველთა სამეფოს ფარგლებში.

„აღმოსავლეთის“ ამ მხარეთა გამო ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის არსებულ საგანგებო ხელშეკრულება, რომელიც ახლდებოდა ბიზანტიის ყოველი ახალი იმპერატორის ტახტზე ასვლის დროს და ასევე ქართველთა მეფის მიერ კურაპალატის ტიტულის მიღების დროს.

ასე, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობილ ძეგლში მოყვანილია შინაარსი იმ ბუღლისა, რომელიც მისცა ბიზანტიის კეისარმა რომანოზ I-მა კურაპალატს აშოტ II-ს; ამ ბუღლაში შექმნილია ალწინული:

„კურაპალატი იძლევა პირობას, რაც მან თავისი საკუთარი ხელმოწერით და ფიცით დაამტკიცა, რომ იგი ყოველთვის იქნება ერთგული ჩვენი [ბიზანტიის] იმპერიისა, აწარმოებს ომებს ჩვენს მტრებთან და იარაღით დაეხმარება ჩვენს მეგობრებს, რომ იგი დაუმორჩილებს ჩვენს უფლებას აღმოსავლეთს, დაიპყრობს ციხეებს და მოიმოქმედებს ჩვენს სასარგებლოდ დიად საქმეებს“.

ხოლო ბიზანტიის იმპერატორი ამის სანაცვლოდ აძლევს თანხმობას, რათა იბერიელებმა შეიერთონ თეოდოსიოპოლი და მტრების (ე. ი. არაბების) მიერ დაქვრივლი სხვა ქალაქები („აღმოსავლეთის“ ქვეყნები, რომლებიც წინათ ბიზანტიას ეკუთვნოდა), და ეს არა მარტო იმ შემთხვევაში, როცა მარტო ქართველები შესძლებენ ამ ქალაქების აღებას, არამედ იმ შემთხვევაშიაც, როცა ქართველები ამ ქალაქებს დაიქვრენ ბიზანტიელი ჯარების დახმარებითაც¹.

ხოლო მეორე ბუღლაში, რომელიც იმპერატორმა კონსტანტინე პორფიროგენეტმა მისცა იმავე აშოტ II კურაპალატს, შემდეგი ყოფილა ალწინული:

„ქვეყნები, რომლებიც მას [აშოტ კურაპალატს] და მის ნათესაებს ადარნერსე მაგისტროსს თავისი ძალით დაუპყრიათ არაბებისაგან, ან და რომელთაც ამის შემდეგ მომავალში დაიპყრობენ [—იგულისხმება თეოდოსიოპოლის მხარე, ბასიანი და მიმდგომი თემები, რომლებიც წინათ არაბთა მფლობელობაში იყვნენ, ბიზანტიის ფარგლებში შედიოდა], — დარჩეს მისი [აშოტ კურაპალატის] მბრძანებლობისა და ძალა-უფლების ქვეშ“².

აქ აღსანიშნავია განსხვავება ერთ მუხლში, რომელსაც ჩვენ ვხედავთ რომანოზ I-ისა და კონსტანტინე პორფიროგენეტის ბუღლებს შორის. რომანოზ I-ის ბუღლის პირდაპირი აზრის თანახმად ქართველთა მფლობელობაში უნდა გადასულიყო როგორც ის ქვეყნები, რომელთაც ქართველები საკუთარი ძალით დაიპყრობდნენ, ისე ის ქვეყნებიც, რომლებიც დაპყრობილი იქნებოდა ქართველების მიერ ბიზანტიელთა დახმარებით. ხოლო კონსტანტინე პორფიროგენეტის ბუღლა ქართველების საკუთრებად აღიარებს მხოლოდ იმ ქვეყნებს, რომლებიც ქართველების საკუთარი ძალით იქნება დაპყრობილი.

როდესაც ბიზანტიისა და ქართველების ექსპანსია „აღმოსავლეთის ქვეყნებში“ გაძლიერდა, ქართველებსა და ბიზანტიელებს შორის უთაღხმოება ჩამოვარდნილა იმის გამო, თუ ვის უნდა რეგებოდა ესა თუ ის „აღმოსავლეთის“ ქვეყანა. ქართველები და ბიზანტიელები ძველად დადებულ ხელშეკრულებებს სხვადასხვანაირ განმარტებას აძლევდნენ. ქართველები მოითხოვდნენ „აღმო-

¹ იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, *op. cit.*, თავი 45, გვ. 202—203.

² იხ. იქვე გვ. 203.

საელეთის“ — თეოდოსიოპოლის მხარის — ყველა მთავარ პროვინციებს; ხოლო ბიზანტიელები, რომლებმაც უშუალო მონაწილეობა მიიღეს ამ ქვეყნების დაპყრობაში, ქართველების პრეტენზიას უსაფუძვლოდ სთელიდნენ. ამ საგანზე ჩვენ გვაქვს მეტად საყურადღებო ცნობები იმავე კონსტანტინე პორფიროგენეტის ძეგლში. კონსტანტინე პორფიროგენეტი, თვით ბიზანტიის იმპერატორი, საქმის ვითარებას ცხადია წარმოგვიდგენს ბიზანტიისათვის სასარგებლო გაშუქებით. კონსტანტინე პორფიროგენეტი ამბობს, რომ ქართველები არა თუ არ გვეხმარებოდნენ ამ მხარის დაპყრობაში, არამედ ხელს გვიშლიდნენო კიდევ და ფარულად მტრებს ხელს უპართაედნენო.

სინამდვილეში კი საქმის ვითარება ასე ყოფილა:

ქართველები, როგორც ეს ირკვევა ყველა შენახული ცნობის შეფარდებიდან, თავდაპირველად აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ბრძოლებში არაბების წინააღმდეგ, რათა განედევნათ ისინი „აღმოსავლეთიდან“, თეოდოსიოპოლის მხარიდან, ბასიანიდან და მიმდგომი ოლქებიდან. მაგრამ როდესაც გამოიკვია, რომ ბიზანტიელები თვით აპირებენ ყველა ამ ქვეყნების შეერთებას, ქართველებს ბრძოლა შეუწელებიათ. ქართველებს სახიფათოდ მიუჩნევიათ ბიზანტიის ზედმეტი გაძლიერება უშუალოდ საქართველოს სანაპიროზე; ქართველები, ჩანს, არჩევდნენ, რომ სადაო პროვინციები დროებით ისევე სუსტი მხარის, არაბთა ამირების ხელში დარჩენილიყო, ვიდრე ეს პროვინციები ამთავითვე უშუალოდ ბიზანტიის ხელში გადასულიყო. ქართველები, ჩანს, არ ჰკარგავდნენ იმედს, რომ ამ პროვინციებს საბოლოოდ თვითონ ჩაიგდებდნენ ხელში.

თუ ვის უნდა რეგებოდა „აღმოსავლეთის“ ესა თუ ის პროვინცია, ამ საგანზე ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკება წარმოებდა ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის და იგი მე-10 საუკუნის ნახევარში კომპრომისული გადაწყვეტილებით დამთავრდა. სახელდობრ, საზღვრად ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის დადებულ იქმნა მდინარე არაქსი. არაქსის ჩრდილოეთით მდებარე თემები (ჩრდილოეთი ბასიანი) შეუერთდა ქართველთა სამეფოს, ხოლო არაქსის სამხრეთით მდებარე თემები შეუერთდა ბიზანტიას.

კონსტანტინე პორფიროგენეტი საზღვრის გაყვანის გამო შემდეგსა წერს:

„საზღვრად ბასიანის (ფასიანის) მხარეში დადგენილია მდინარე არაქსი ანუ ფასისი¹; იბერიელების სამფლობელოდ რჩება მარცხენა (ჩრდილოეთი) ნაწილი, რომელიც აკრავს იბერიას, ხოლო მარჯვენა ნაწილი (სამხრეთი), რომელიც აკრავს თეოდოსიოპოლს, თავის ციხეებითა და სოფლებით, უერთდება ჩვენს საბრძანებელს (ბიზანტიას), ასე რომ მდინარე დადგენილია საზღვრად ამ ორ სამფლობელოს შორის“².

¹ ფასისი არის არაქსის ძველი სახელწოდება მისი მდინარეების ზემო ნაწილში (ეს სახელწოდება ფასისი დღემდე აქვს შერჩენილი არაქსის ზემო ნაწილის დასავლეთ ტოტს, რომელიც მომდინარეობს დაბა ფასიანლერიის სექტორში: მას ამჟამად ეწოდება ფასის-ხევი, ფასი-დერე). არაქსის ამ ძველი სახელწოდებიდან ფასისი მომდინარეობს თვით სახელწოდებაც ამ მხარისა ფასიანი = ბასიანი.

² იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, *op. cit.* თავი 45, გვ. 205.

ასეთის კომპრომისით გადაწყდა ეს სადაო საკითხი საზღვრების გამო მე-10 საუკუნის შუა წლებში.

მაგრამ დაეა ამით არ დასრულებულა.

ჩამდენიმე ათეული წლების შემდეგ, 978 წელს, ბიზანტიის ცენტრალურ ხელისუფლებას განუდგა ბარდა სკლიაროსი, რომელმაც ჩამოაშორა იმპერიას ანატოლიის პროვინციები და ემუქრობდა თვით კონსტანტინეპოლს. ბიზანტიის ხელისუფლებამ დახმარებისათვის მიმართა ქართველთა სამეფოს და დახმარების სანაცვლოდ პირობა დასდო დაეთმო ქართველთა სამეფოსათვის მთლიანად ძველი სადაო „აღმოსავლეთის“ ქვეყნები („ზემონი ქუეყანანი“).

ქართველთა სამეფოს ხელისუფლებამ (რომლის ფაქტიური ხელმძღვანელი ამ დროს იყო დავით დიდი) მიიღო ეს წინადადება. ქართველებმა დახმარება გაუწიეს ბიზანტიას და ამის შემდეგ საქართველოს შემოუერთდა „აღმოსავლეთის“ ეს სადაო ქვეყნები, თეოდოსიოპოლის (არზრუმის) მხარე მთლიანად, ყველა მოსაზღვრე პროვინციებით.

სახელდობრ, საქართველოს შემოუერთდა შემდეგი პროვინციები:

1. თვით თეოდოსიოპოლი ანუ კარინი (თანამედროვე არზრუმი), თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ეფფრატის ხეობაში მდებარეობს;
2. ციხე ხალტოჟ-არიკი და მასთან მდებარე კლისურა ამავე დასავლეთ ეფფრატის ხეობაში;
3. ჩორმაირის თემი — მდინარე ჭოროხის სათავეებთან;
4. სამხრეთი ბასიანის თემი მდინარე არაქსის ხეობაში;
5. ციხე სევეუკი თავისი თემით (მარდალიის კანტონი) მდინარე არაქსის სათავეებთან;
- 6-7. ჰარქისა და აპაჰუნის პროვინციები აღმოსავლეთ ეფფრატის (არაწანის) ხეობაში¹.

ამრიგად, 978 წელს ქართველებმა მტკიცედ მოიდგეს ფეხი არაქსის, დასავლეთ ეფფრატის და აღმოსავლეთ ეფფრატის (არაწანის) ხეობებში.

ქართველთა სამეფო არ დაკმაყოფილებულა მიღწეულით.

ამის შემდეგ ქართველთა სამეფო (რომლის ფაქტიური ხელმძღვანელი, როგორც მოვიხსენეთ, იყო დავით დიდი კურაპალატი, „მოურავი“ ქართველთა სახელმწიფოსი) — განაახლებს შეტევას მუსულმანთა წინააღმდეგ ფართო ფრონტით და დიდ წარმატებას მიაღწევს.

978—990 წლებს შორის ქართველებს დაუპყრიათ ბაგრევანდის პროვინცია — ცენტრით ქალაქ ვალაშკერტით, აღმოსავლეთ ეფფრატის ხეობაში².

¹ იხ. ასოლიკი, 1883 წ., გვ. 192. ჩამოთვლილი შვიდი მხარიდან პირველი ხუთი მხარე ისტორიულ წარსულში — ანტიკურ ხანაში — ქართველ ტომებით იყო დასახლებული (იხ. ამის შესახებ ქვემოთ, თავი VI, 4); უკანასკნელი ორი მხარე — ჰარქი და აპაჰუნი — სომხური ოლქებია.

² იხ. ასოლიკი, გვ. 267 — 268.

990 წელს ქართველებმა აიღეს იმავე აღმოსავლეთ ევფრატის ხეობაში მნიშვნელოვანი ცენტრი — ქალაქი მანასკერტი, განდევნეს აქედან მუსულმანები და ქალაქი ქრისტიანებით, ქართველებითა და სომხებით დაასახლეს¹.

ამავე დროს, მე-10 საუკუნის ბოლო მეოთხედში, ახლადშემოკრებულ „აღმოსავლეთის“ ქვეყნებში დაარსებულ იქმნა ქართველთა (მართლმადიდებელთა) საეპისკოპოსო ვალაშეკრტისა, რომელიც ამის შემდეგ არსებობდა მომდევნო საუკუნეთა მანძილზე და მცხეთის საკათალიკოზოს ფარგლებში შემოდიოდა.

მე-10 საუკუნის 90-იან წლებში ქართველთა სამეფოს საზღვრებმა ვანის ტბამდე მიაღწია. 997 წელს ქართველებმა ალყა შემოარტყეს ვანის ტბის ნაპირას მდებარე მნიშვნელოვან ქალაქს ხლათს.

998 წელს ქართველებმა უკუაქციეს მუსულმანთა დიდი კოალიცია და ქართველთა სამეფოს საზღვარი მიიტანეს ქალაქ არქეშის სანახებამდე (ვანის ტბის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირომდე)².

ამრიგად ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად არასამართლიანი ყოფილა საყვედური კონსტანტინე პორფიროგენეტისა, თითქოს ქართველები მუსულმანების მიმართ შემარიგებლობას იჩენდნენ და არა თუ არ უტევდნენ მუსულმანებს, არამედ ხელს უმართავდნენ კიდევ მათ.

სინამდვილეში ჩვენს წინაშე სულ სხვა სურათი იშლება. მას შემდეგ, რაც დაეა ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის „აღმოსავლეთის“ ქვეყნების გამო ქართველთა სამეფოს სასარგებლოდ გადაწყვეტილა და ქართველებს უკვე აღარ ჰქონდათ იმისი შიში, რომ „აღმოსავლეთის“ ქვეყნების შესახებ მათ შეეცილებოდა ბიზანტია, — ქართველებს გამოუმეღავნებიათ განსაკუთრებული აქტივობა და უფრო დიდის ენერჯით გაუშლიათ ანტიარაბული ფრონტი აღმოსავლეთში.

*

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ ექსკურსს ბიზანტიის იმპერიისა და ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან, საიდანაც ცხადი ხდება, თუ რა ხასიათის იყო, რა რეალურ შინაარსს შეიცავდა ის კავშირი, რაც ბიზანტიის იმპერიასა და ქართველთა სამეფოს შორის დამყარებულა.

აქ საჭიროა დამატებით აღვნიშნოთ შემდეგი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა სამეფოს ზოგჯერ გამწვავებული ურთიერთობა და კონფლიქტებიც კი ჰქონდა ბიზანტიასთან, მაინც ქართველთა სამეფო დიდად აფასებდა კავშირს ბიზანტიასთან და არ უხვევდა ერთხელ აღებულს პრობიზანტიურ ხაზს. ეს ყოველმხრივ გამართლებული იყო იმდროინდელი საერთაშორისო ვითარებით, რაც კარგად ჰქონიათ შეფასებული ქართველთა სამეფოს პოლიტიკის ხელმძღვანელებს. ქრისტიანული ბიზანტია ბუნებრივი მოკავშირე იყო ქართველთა სამეფოსი იმ ბრძოლებში არაბულ-მუსულმანურ მსოფლიოსთან, რომელთაც ქართველთა სამეფო აწარმოებდა ეროვნული თვითმყოფობის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის, თავისი არსებობის გადასარჩევად.

¹ იხ. აღოციკი, 267—8.

² იხ. იქვე, გვ. 269—274.

ჰართველთა სამეფო მ-9 საუკუნეში ბაზრატ I მეფე-კურაპალატის დროს
(826 — 876 წ.წ.)

მას შემდეგ, რაც გავეცანიტ ქართველთა სამეფოს აღდგენის ხანას მე-9 საუკუნის დასაწყისში აშოტ I დიდის დროს, განვიხილავთ ამის შემდეგ იმ ცნობებს, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის თხზულება ქართველთა სამეფოს შესახებ მომდევნო პერიოდში.

იბერიის განთავისუფლებისათვის დაულალავე მებრძოლი, ქართველთა სამეფოს აღდგენის დიდი მოამაგე აშოტ I დაიღუპა არაბებთან ბრძოლაში (არაბთა მხედართმთავრის ხალილ იეზიდის-ძე არაბიელის კავკასიაში ლაშქრობის დროს) 826 წელს, 26 იანვარს.

აშოტ I, როგორც ირკვევა, მოკლულ იქმნა ღალატით ნიგალის-ხეველთა ერთი ჯგუფის მიერ, რომელნიც მოსყიდული ყოფილან არაბებისაგან.

რომ აქ ღალატს ჰქონდა აღგილი, ეს ირკვევა მე-11 საუკუნის ქართული საისტორიო თხზულებიდან — სუმბატ დავითის-ძის მატეანიდან.

უფრო აღრინდელი ხანის ძეგლი — გიორგი მერჩულის თხზულება — აგრეთვე ადასტურებს, რომ აშოტ I ღალატის შედეგად დაღუპულა.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში მოყვანილია გლოვის სიტყვები გრიგოლ ხანძთელისა, წარმოთქმული აშოტ I-ის დაღუპვის გამო.

გლოვის ამ სიტყვაში, სადაც პანეგირიკული ტონით არის დახასიათებული აშოტ I-ის ძლიერება, გრიგოლ ხანძთელი ამბობს:

„ჰოჲ მეფეო ჩემო ძლიერო და დიდებულო... სადაჲთ-მე მოგელოდი, აღმოსავლით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოჲთ-მე ანუ სამხრით, რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა [ერთა] მფლობელი იყავ, რომელიცა წყობით [ბრძოლით] ჳელმწიფეთა დაიმორჩილებდ, საკვრველი ეგე დიდებული ღმრთის-მსახური ჳელმწიფეჲ! აწ ვითარ-მე მიეცი ჳელსა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა, რომელნი იგი იუდაჲს მსგავსად, შენ, უფლისა თჳხისა, მკლველ იქმნეს...“¹.

ამრიგად, როგორც ეს ჩანს გრიგოლ ხანძთელის სიტყვიდან, აშოტ I-ის მკვლელნი ყოფილან მოღალატენი, „იუდაჲს მსგავსად“ მოსყიდულნი, „შეურაცხნი. უშჯულონი და უნდონი კაცნი“.

აშოტ I-ის დაღუპვის შემდეგ ქვეყანა დიდ განსაცდელში ჩავარდა. არაბთა ამ დიდი ლაშქრობის დროს, რომელსაც, როგორც მოვიხსენეთ, არაბთა მხედართმთავარი ხალილ იეზიდის-ძე არაბიელი ხელმძღვანელობდა, საქართველომ დაჰქარგა გამოცდილი ხელმძღვანელი. აშოტ I-ის მემკვიდრენი მცირე-

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 45.

წლოვანნი იყვნენ. არაბებმა დაიპყრეს ქართველთა სამეფოს ტერიტორიები თითქმის მთლიანად, გარდა აშოტ I-ის მიერ შექმნილი ქართველთა სამეფოს ახალი ცენტრისა — არტანუჯის მხარისა.

ამრიგად, ქვეყნის ამ უკიდურესი განსაცდელის დროს დამტკიცდა, თუ რამდენად მიზანშეწონილი იყო იმდროინდელ საერთაშორისო ვითარებაში ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ცენტრის გადატანა ბერიის ქვეყნების ზურგში, არაბთაგან უფრო დაცულს არტანუჯის მხარეში, ბ. ხანტიის იმპერიის მეზობლად.

როგორც აშოტ I-ის დროს, ისე აშოტ I-ის მემკვიდრეების დროსაც, აქედან, არტანუჯის მხარიდან, დაიწყება ქართველთა სამეფოს ქვეყნების ხელახალი შემოკრება.

აშოტ I-ს სამი ვაჟი დარჩა: ადარნერსე, ბაგრატ I და გვარამი.

მემატიანის ცნობით, ვიდრე აშოტის მემკვიდრენი მცირეწლოვანნი იყვნენ, „ვიდრე უსრულოდა იყვნეს იგინი ჰასაკითა, იზრდებოდეს ციხესა შინა არტანუჯისასა“¹. ქვეყანას ხელმძღვანელობას უწევდნენ აშოტ I-ის თანამოღვაწენი.

სახელმწიფო თათბირს ქართველთა სამეფოს მეთაურად აურჩევია ჯერ კიდევ ახალგაზრდა საშუალო ძმა ბაგრატ I. ბაგრატს მეფის წოდებულება მიუღია². ამავე დროს ბიზანტიის იმპერატორისაგან მას მიუღია კურაპალატობის პატივი³. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ „მიეცა მას (ბაგრატსა) ფლობაჲ ჯელმწიფებისაჲ ზეგარდამო, და ძმანი მისნი ყოველნი, კეთილნი და დიდებულნი ჯელმწიფენი, ადარნერსე უხუცესი (უფროსი) და გუარამ მრწემი (უმცროსი), მშუგალესა მას ძმასა (ბაგრატს) მორჩილ ექმნნეს საღმრთოჲსა ძმობისა. სიყუარულითა, რამეთუ ერთ-ზრახვა, ერთ-სულ და ერთ-ნება იყვნეს იგინი. ხოლო ბაგრატ უმთავრეს მათსა იყო სიბრძნითა, სახითა და სიქველითა“⁴.

გიორგი მერჩულე განსაკუთრებული პატივით მოიხსენებს ბაგრატ I-ს, რომელიც მას ყოვლად ღირსეულ, ყოველმხრივად მომზადებულ ქვეყნის მეთაურად და ბრძენ ადამიანად მიაჩნია.

მეფე-კურაპალატი ბაგრატ I, ძმათა თანამშრომლობით, სათავეში ჩაუდგა ქვეყნის ხელახლა შეკრების საქმეს. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს: „განდიდნა მეფობაჲ სამთა მათ ძმათა ჯელმწიფეთაჲ, რამეთუ — ჯრმლითა მათითა დაიპყრნეს ფრიადნი (მრავალნი) ქუეყანანი და განიოტნეს აგარის ნათესავნი (განდევნეს არაბნი)“⁵.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად, ქართველთა სამეფოს ქვეყნების ხელახალი შემოკრება შემდეგის თანდათანობით მომხდარა.

როგორც მოხსენებული გვექონდა, 826 წლის მომდევნო ახლო ხანებში, როდესაც ბაგრატ I მეფედ იქმნა დასმული და კურაპალატობა მიიღო, ბაგრატ I-ის სამფლობელო განისაზღვრებოდა არტანუჯის სანახებით. მემატიანე მო-

¹ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *576/345—346.

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 65₂₃, 26, 27, 62₂₁, 28, 29, 63.

³ იხ. იქვე, გვ. 61.

⁴ იხ. იქვე, გვ. 61.

⁵ იხ. იქვე, გვ. 62.

გვითხრობს, რომ როდესაც ბაგრატი მთელი კურაპალატობა, „იყენეს ხარკის მიმცემელ სარკინოზთა ყოველნივე ქვენი შავშეთ-კლარჯეთ-ნიგალისანი. ხოლო არტანუჯით გამოღმართ დაიპყრეს მათ ნაქონები იგი მამისა მათისა“¹.

ამის შემდეგ, 826 - 841 წლების მანძილზე. ბაგრატ I-ს განუთავისუფლებია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციები, მესხეთის მხარენი.

842 წელს ბაგრატ I დაიქვრს შიდა ქართლის ქვეყანას. ამ დროს ბაგრატს მოხერხებულად უსარგებლია არაბთა შინაგანი განხეთქილებით. მე-9 საუკუნის 30-იან წლებში ხალიფას განუდგა თბილისის ამირა სავაკ ისმაელის-ძე. ბაღდადის ხალიფამ არა ერთგვის გამოგზავნა ექსპედიცია განდგომილი ამირას მორჩილებაში მოსაყვანად, მაგრამ უშედეგოდ. ერთ-ერთი ასეთი ექსპედიციის დროს, როდესაც თბილისის ამირას საწინააღმდეგოდ მოვიდა ხალიფის მიერ წარმოგზავნილი მხედართმთავარი მოჰმედ ხალიდის-ძე (ეს მოხდა 842 წლის ახლო), მემატიანის ცნობით „მოერთო მას ბაგრატ, ძე აშოტ კურაპალატისა“ და ამ დახმარების შედეგად ბაგრატმა მთელი ქართლი (შიდა ქართლის ქვეყანა), რომელიც მანამდე თბილისის ამირის გავლენის ქვეშ იყო².

ამის შემდეგ ბაგრატ I მკვიდრად იკიდებს ფეხს შიდა ქართლში და განამტკიცებს თავის გავლენას საქართველოს ამ ცენტრალურ ტერიტორიაზე.

უფრო გვიან ბაგრატ I-ის თანამმართველმა გვარამ მამფალმა განათავისუფლა არაბთაგან მესხეთის აღმოსავლეთი სანაპიროები და ქვემო ქართლის პროვინციები³.

ქართველთა სამეფოს ფარგლებში შემოსულა აგრეთვე ლიხთ-იმერი ქართლი (აღმოსავლეთი არგვეთი)⁴.

ამრიგად, აშოტ I-ის მემკვიდრეებმა ისევ შეკრიბეს ქართველთა სამეფოს ქვეყნები და აღადგინეს, როგორც მემატიანე ამბობს, „ნაქონები იგი მამისა მათისა“ აშოტ I-ისა⁵. ქართველთა სამეფოს ფარგლებში გაერთიანდა როგორც მესხეთის ქვეყნები (შავშეთ-კლარჯეთი, ნიგალი, აპარა, ტაონი, სპერი, სამცხე, ჯავახეთ-არტაანი), ისე შიდა ქართლის ქვეყანა, ლიხთ-იმერი ქართლის თემით, და ქვემო ქართლი.

იმ ტერიტორიებიდან, რომლებიც შედიოდა ქართველთა სამეფოში აშოტ I-ის დროს, ქართველთა სამეფოს საზღვრების გარეშე დარჩა მხოლოდ აღბანეთის პროვინციები (განჯის მხარე).

*

საქართველოს მხარეთა შემოკლების შემდეგ ქართველთა სამეფოს პოლიტიკურმა ორგანიზაციამ შემდეგი სახე მიიღო.

სახელმწიფოს სათავეში იდგა მეფე-კურაპალატი ბაგრატი.

ხოლო მისი თანამმართველნი ადარნერსე და გვარამი იყვნენ მმართველებად:

¹ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *576/346.

² იხ. მათიანე ქართლისა, გვ. *443/220.

³ იხ. იქვე. გვ. *445/223.

⁴ რომ ლიხთ-იმერი ქართლი (რომლის ცენტრი იყო ჩიხა) ბაგრატ I-ის სამეფოში შედიოდა მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, ეს ირკვევა „მატიანე ქართლისა“-ის მიხედვით, გვ. *446/223.

⁵ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *576/346.

პირველი (ადარნერსე) იყო მმართველად კლარჯეთისა;

მეორე (გვარამი) იყო მმართველად ქვემო ქართლისა (ტაშირისა, თრიალეთით და აშოციტ) და აღმოსავლეთ-მესხეთისა (ჯაფახეთ-არტაანისა).

თანამმართველი გვარამი, როგორც ეს ჩანს გიორგი მერჩულის ძეგლიდან და სხვა საისტორიო წყაროებიდან, ატარებდა ტიტულს „მამფალი“.

თანამმართველი ადარნერსე, რომელსაც მიემართება ზედწოდება „ხელმწიფე“, ჩანს აგრეთვე „მამფალი“-ს რანგში ითვლებოდა (მისი მემკვიდრენი იმავე „მამფალის“ ტიტულს ატარებენ).

რას ნიშნავდა ეს ტიტული „მამფალი“?

წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან შესაძლო ხდება იმის დადგენა, რომ „მამფალი“ თავისი მნიშვნელობით ჰქარაუვს ძველს იბერიაში მიღებულს სახელისუფლო ტიტულს „პიტიახში“. („პიტიახში“ ირანული ტერმინია, „მამფალი“ ამის შესაფარდი ერთ-ერთი ადგილობრივი, ქართული ტერმინი ყოფილა).

როგორც ეს უკვე გამოჩვენებულია, ძველს იბერიაში რამდენიმე საპიტიახშო არსებობდა. მათ შორის ერთი საპიტიახშო იყო ქვემო ქართლში, მეორე საპიტიახშო იყო კლარჯეთში. პიტიახშები იყვნენ „სეფე-წულები“, ისინი სამეფო გვარეულობიდან ინიშნებოდნენ¹.

მე-9 საუკუნეში ბაგრატ I-ის დროს აღდგენილი ქართველთა სამეფოს ორი „სამამფლო“ იგივეა, რაც ძველი იბერიის სამეფოს საპიტიახშონი.

გვარამ მამფალი, რომელიც იყო მმართველი ქვემო ქართლისა (მესხეთის მიმდგომი სანაპირო თემებით) ძველი იბერიის ქვემო ქართლის პიტიახშის ადგილზე ზის.

ადარნერსე ხელმწიფე, აგრეთვე „მამფალი“-ს რანგის ხელისუფალი, რომელიც იყო მმართველი კლარჯეთისა, ასევე ძველი იბერიის კლარჯეთის პიტიახშის ადგილზე ზის.

ამრიგად, ქართველთა სამეფოს რესტავრაციის დროს მე-9 საუკუნეში აღდგენილი ყოფილა არა მარტო „მეთის“ ინსტიტუტი, არამედ ძველი იბერიის დროინდელი ზოგი სხვა ინსტიტუტიც, რასაკვირველია, ახალი შინაარსით².

*

გიორგი მერჩულის თხზულებაში მოცემულია პორტრეტები ქართველთა სამეფოს ხელმძღვანელებისა მე-9 საუკუნეში, როგორც მეფე-კურაპალატის ბაგრატ I-ისა, ისე თანამმართველთა, ადარნერსე ხელმწიფისა და გვარამ მამფალისა.

¹ იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატიახე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია (საქართველოს სახ. მუზეუმის მოამბე, XI-b, 1941 წ.), გვ. 254—299.

² რომ ტიტული „მამფალი“ თავისი მნიშვნელობით უდრის ძველი იბერიის სახელისუფლო ტიტულს „პიტიახში“, ეს დასტურდება სხვა მასალებითაც, რომლებიც ტაშირის (ქვემო ქართლი) მფლობელთ ეხება. სამშვილდის სიონის წარწერაში მე-8 საუკუნისა (772 წლისა) ტაშირის მფლობელნი მოიხსენებიან როგორც „ნათესავით პიტიახშნი“ (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატიახე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 298); ხოლო ამავე ხანებში იგივე ტაშირის მფლობელნი მოიხსენებიან ტიტულით „მამფალი“ (დავით და აბულ მამფალნი, დასახელებულნი ბოლნისის სიონის წარწერებში). იხ. აგრეთვე სტეფანოს ტრონელის (ასოლიკის) მატიახე, სადაც ტაშირის მფლობელი მოიხსენება როგორც ტაშირის მამფალი (გვ. 257).

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ გიორგი მერჩულე განსაკუთრებული პატივით მოიხსენებს ბაგრატ I-ს, რომელიც, ჩვენი მწერლის სიტყვით, გამოირჩეოდა „სიბრძნითა, სახითა და სიქველთა“. გიორგი მერჩულე წარმოგვიდგენს ბაგრატ I-ს, როგორც დიდად განათლებულ ადამიანს, ყოველმხრივ მომზადებულ ქვეყნის მეთაურს და ბრძენ სახელმწიფო მოღვაწეს.

ბაგრატ I-ის ორ თანამმართველთაგან პირველი — ადარნერსე ხელმწიფე — ჩანს საქმაოდ უფერული ფიგურა იყო და არ თამაშობდა რაიმე მნიშვნელოვან როლს.

რაც შეეხება მეორე თანამმართველს, გვარამ მამფალს, იგი უაღრესად საინტერესო პიროვნება ჩანს.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ გვარამ მამფალი, ისევე როგორც ბაგრატ I, ფართოდ განათლებული ადამიანი ყოფილა. იგი, სახელმწიფო მოღვაწე, საერო პირი, არა მხოლოდ საერო განათლებით ყოფილა აღქურვილი (ხოლო საერო განათლებაში ამ დროს შედიოდა სწავლა „ამის სოფლისა ფილოსოფოსთა“, აგრეთვე შესწავლა „მწიგნობრობისა მრავალთა ენათა“), არამედ გვარამ მამფალი ამავე დროს ყოფილა აგრეთვე მეცნიერი მკოდნე სჯულის საქმეთა და კანონიკური სამართლისა¹. ამასთან, გიორგი მერჩულის სიტყვით, გვარამ მამფალი ბრწყინვალე ორატორი ყოფილა, „იყო იგი ფრიად სიტყუაქელოვან“, — წერს ჩვენი ავტორი².

რაც შეეხება გვარამ მამფალის სახელმწიფო მოღვაწეობას, იგი, ყველა ჩვენებათა მიხედვით, უაღრესად ენერგიული პიროვნება ყოფილა.

გიორგი მერჩულე გვარამს უწოდებს დიდს („რომელი მას ეამსა ქელმწიფე იყო მამფალი გვარამ დიდი“)³.

უნდა გვახსოვდეს, რომ მე-9—10 საუკუნეთა მოღვაწეებიდან ეს სახელწოდება „დიდი“, გარდა გვარამისა, მიემართება სამ პიროვნებას — მართლაც დიდ სახელმწიფო მოღვაწეებს: აშოტ I-ს, ქართველთა სამეფოს აღმადგენელს; დავით დიდ კურაპალატს, რომელმაც ქართველთა სამეფოს საზღვრები ვანის ტბამდე და არზრუმის მხარის დასავლეთ მიჯნამდე მიიტანა; და ბაგრატ III-ს, საქართველოს სამეფო-სამთავროთა გამაერთიანებელს ერთ სახელმწიფოში.

გვარამ მამფალი, რასაკვირველია, არაა ასეთი დიდი რანგის მოღვაწე, მაგრამ ცხადია შემთხვევითი ამბავი არ იყო, რომ მას მიემართებოდა სახელწოდება „დიდი“.

ეს სახელწოდება „დიდი“ გვარამისათვის უწოდებიათ იმის გამო, რომ იგი ყოფილა შეურიგებელი მებრძოლი არაბთა მფლობელობის წინააღმდეგ და ფაქტიური ხელმძღვანელი ანტიარაბული ფრონტისა როგორც საქართველოში, ისე საერთოდ კავკასიაში.

აღსანიშნავია, რომ პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ატარებდნენ ბაგრატ I და გვარამ მამფალი, ყოველთვის ერთმანეთს არ ემთხვეოდა. ბაგრატ I არაბებთან ურთიერთობაში უფრო ელასტიურ პოლიტიკას ატარებდა, იგი მოხერხებით სარგებლობდა არაბთა შინაგანი განხეთქილებითა და უთანხმოებით.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 91—93.

² იხ. იქვე, გვ. 93—94.

³ იხ. იქვე, გვ. 89, 16—17.

იმისათვის, რომ დაესუსტებინა თბილისში მჯდომი არაბთა ამირა, რომელიც ქართველთა სამეფოს ეცილებოდა საკუთრივ ქართლის ტერიტორიებს. ბაგრატ I ორგზის მიემხრო ბაღდადის ხალიფის მიერ წარმოგზავნილ მხედართმთავარს, რომელიც თბილისის განდგომილი ამირას დასასჯელად იყო წარმოგზავნილი (842 და 853 წლებში). ამ მოხერხებული პოლიტიკის შედეგად ბაგრატ I-მა იმას მიაღწია, რომ შესძლო განემტკიცებინა თავისი გავლენა შიდა ქართლში და შემოეერთებინა საქართველოს ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრალური ტერიტორია.

რაც შეეხება გვარამ მამფალს, იგი მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე არაბთა შეურიგებელი მეზობელი ყოფილა, რომელიც არავითარ დროებით კომპრომისებზე არ მიდიოდა. ძველ-ქართული საისტორიო წყაროს ცნობის თანახმად, არაბთა ხალიფის მხედართმთავრის ბულა-თურქის დიდძალაშქრობის დროს კავკასიაში 852—856 წლებში ანტიარაბული მოძრაობის მთავარი ხელმძღვანელი მთელ კავკასიაში გვარამ მამფალი ყოფილა და მასთან ერთად სომხეთის მთავარი აბულ-აბასი.

განდგომა არაბთაგან საქართველოს მთიელებისა და ბულა-თურქის ჯარების დამარცხება საქართველოს მთიანეთში გვარამ მამფალისა და მისი თანამოღვაწეების მოწყობილი იყო¹.

ეს დამარცხება, რომელიც არაბებმა განიცადეს საქართველოს მთიელთაგან, იყო ერთ-ერთი მიზეზი ბულა-თურქის მხედართმთავრობიდან გადაყენებისა და კავკასიიდან გაყვანისა. საქმის ვითარებაში კარგად ორიენტირებული არაბი მემატიანე იაკუბი აღნიშნავს, რომ საქართველოს მთიელთა — წანართა — მიერ უკუქცეული ბულა-თურქი ხალიფა მუტევაკილმა კავკასიიდან გაიყვანა².

ბულა-თურქის ლაშქრობის დროს კავკასიაში, რაც ოთხი წელი გაგრძელდა, არაბებმა, როგორც ცნობილია, შესძლეს დაეტყვევებინათ მთავარი ხელმძღვანელები ანტიარაბული მოძრაობისა კავკასიაში, როგორც ქართველები (მათ შორის განთქმული მოღვაწე კონსტანტი კახა), ისე სომხეთისა და არანის (ალბანეთის) მთავრები, მაგრამ გვარამ მამფალის დამორჩილება და ხელში ჩაგდება არაბებს ვერ მოუხერხებიათ.

ბულა-თურქის კავკასიიდან წასვლის შემდეგ, გვარამი წარმატებით განაგრძობდა არაბებთან ბრძოლას. გვარამს ბრძოლით გაუთავისუფლებია არაბთა მიერ დაპყრობილი მესხეთის აღმოსავლეთის სანაპიროები და ქვემო ქართლის ტერიტორიები. მემატიანე, ბულა-თურქის ლაშქრობათა მომდევნო ხანის შესახებ, შემდეგს გადმოგვცემს:

„ხოლო გვარამს დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აშოცი და არტაანი და ბრძოდა სარკინოზთა [არაბთა], ზოგჯერ სძლის გვარამ, და ზოგჯერ სარკინოზთა“³.

არაბებთან ამ ბრძოლების დროს გვარამს დაუმარცხებია არაბთა ამირა გაბულოცი, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერებული ყოფილა (მემატიანის

¹ იხ. მატინე ქართლისა, გვ. *444/221—222.

² იხ. J. Marquart. Streifzüge, გვ. 413—414.

³ იხ. მატინე ქართლისა, გვ. *445/223.

სიტყვით იგი „განდიდებულ იყო“), ტყვედ წამოუყვანია გაბულოცი და წარუგზავნია იგი დატყვევებული საბერძნეთში¹.

ცხადია, ამ შეურიგებელი ბრძოლებისათვის, რომელთაც აწარმოებდა გვარამ მამფალი არაბთა წინააღმდეგ მთელი სიცოცხლის მანძილზე, მიუკუთვნებიათ გვარამისათვის სახელწოდება „დიდი“, რა სახელწოდებითაც, როგორც აღვნიშნეთ, მას მოიხსენებს გიორგი მერჩულე.

*

გიორგი მერჩულის თხზულება ბევრ ძვირფას ცნობებს შეიცავს შინაური მშენებლობის შესახებ ქართველთა სამეფოში ბაგრატ I-ისა და მის თანამმართველთა ადარჩერსე ხელმწიფისა და გვარამ მამფალის დროს.

შეიძლება გადაუქარბებლად ითქვას, რომ არც ერთი ჩვენ დრომდე მოღწეული საისტორიო წყარო ამ ხანისა არ გვაგარძნობინებს ისე ახლო ეპოქის სულს, როგორც გიორგი მერჩულის ძეგლი.

რამდენადაც გიორგი მერჩულის ძეგლი პირველ რიგში მიძღვნილია საეკლესიო მოღვაწის ცხოვრების აღწერისადმი, ბუნებრივია, რომ აქ უმთავრესად გაშუქებულია საეკლესიო მშენებლობა; მაგრამ ამასთან ერთად აქ ვეცნობით საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა მხარეებსაც.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს განათლებისა და ქაიყნის კულტურის საერთო მაღალი დონე, რაც იგრძნობა გიორგი მერჩულის ძეგლის ცალკეული ცნობების მიხედვით.

ბაგრატ I-ის დროს წარმოებული სახელმწიფოებრივი მშენებლობის დარგიდან აქ ცალკე შევჩერდებით ამ ეპოქის საკანონმდებლო საქმიანობაზე.

გიორგი მერჩულის ძეგლის მიხედვით ირკვევა, რომ ბაგრატ I-ის დროს ჩატარებულა დიდი საკანონმდებლო მუშაობა, რომლის შედეგადაც, ჩვენი მწერლის ცნობით, მიღწეული ყოფილა „ყოვლისა ერისა სამართლით განკითხვა“. ამით შესრულდაო, ამბობს ჩვენი ავტორი, წერილის სიტყვაო: განსაჯეთ მართალი სამართლით².

როგორც ირკვევა, ამ დროს, ქართველთა სამეფოს აღდგენის ამ პირველ ხანაში, საფუძველი ჩაეყარა მთელ რიგ ინსტიტუტებს, რომლებიც მოქმედებდნენ შემდეგ, მომდევნო საუკუნეთა მანძილზე.

არაა ინტერესს მოკლებული გავითვალისწინოთ აქ ისტორია ერთ-ერთი ასეთი ინსტიტუტისა.

როგორც ცნობილია, ძველ საქართველოში, მე-12—13 საუკუნეებში, თამარის ეპოქაში, არსებობდა ინსტიტუტი სახელმწიფო ქველმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფისა; ღარიბ-ღატაკთა („გლახაკთა“) და ქვრივობოლთა დახმარებისათვის განკუთვნილ სპეციალურ თანხას, რომელიც სახელმწიფო შემოსავლიდან ყოველწლიურად გადაიდებოდა ამ მიზნისათვის, ეწოდებოდა „გლახაკთა ნაწილი“.

თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოძღვარი მოგვითხრობს, რომ მეფე თამარის დროს — „ყოვლისა სამეფოჲსა მისისა შემოსავალი, რაჲცა იყო

¹ იხ. მატრიანე ქართლისა, გვ. *445/223.

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 69₂₁—27.

შინათ და გარეთ, ყოვლისა ნაათალი გლახაკთა მიეცემოდა დაუკლებელად, ერთისა ქრთილისა მარცვლამდეცა“¹, — ე. ი. სახელმწიფო შემოსავლის ერთი მეათედი სახელმწიფო ქველმოქმედებისათვის, ღარიბ-ღატაკთა დახმარებისათვის იყო გადადებული. სახელმწიფო აპარატში არსებობდა კიდევ ცალკე უწყება, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ დარგს, სახელმწიფო ქველმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის საქმეს.

საფიქრებელი იყო, რომ ეს ინსტიტუტი დაწესებულ იქმნა გვიან ხანაში, მე-12 საუკუნეში, დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქაში, როდესაც სახელმწიფოებრივმა წყობილებამ განვითარების განსაკუთრებით მაღალ დონეს მიაღწია.

მაგრამ გიორგი მერჩულის თხზულებიდან ირკვევა, რომ ამ ინსტიტუტს უძველესი ისტორია ჰქონია.

სახელმწიფო ქველმოქმედებისა და სოციალური უზრუნველყოფის ინსტიტუტი დაწესებული ყოფილა თავდაპირველად მე-9 საუკუნეში, ბაგრატ I-ის დროს, და ამ დროიდან მოკიდებული ეს ინსტიტუტი მოქმედებაში იყო ძველ საქართველოში ვიდრე მე 12—13 საუკუნეებამდე, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქამდე (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 70₃—9).

4

გადმოცემა, წარმოდგენილი გიორგი მერჩულის ძეგლში და სხვა ისტორიულ წყაროებში ქართველ მეფეთა გვარეულობის (ბაგრატიონთა სახლის) შთამომავლობა-სადაურობის შესახებ

მას შემდეგ, რაც გავეცანით ძირითად ცნობებს, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის ძეგლი ქართველთა სამეფოს აღდგენის პირველი პერიოდის შესახებ, აქ ჩვენ შევჩერდებით აგრეთვე ერთ ცალკეულ საკითხზე, — ისტორიულ გადმოცემაზე ქართველ მეფეთა გვარეულობის შთამომავლობა-სადაურობის შესახებ; ჩვენ განვიხილავთ ბაგრატიონთა გვარეულობის ისტორიას და კერძოდ გავარკვევთ კითხვას, თუ როდის წარმოიშვა და რა მიზნით იყო შემუშავებული ფართოდ გავრცელებული ლეგენდარული თქმულება, თითქოს ქართველ მეფეთა გვარი არის შთამომავალი დავით ისრაელთა მეფისა.

როგორც შემდეგ დავინახავთ, ამ თქმულებას კავშირი აქვს იმ იდეოლოგიასთან, რომელიც შეიქმნა ქართველთა სამეფოს აღდგენის დროს. თქმულება, როგორც შემდეგ გამოირკვევა, ჩამოყალიბდა მე-9 საუკუნის დასაწყისში და ისახავდა მიზნად ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობისა და თვითმყოფობის იდეის განმტკიცებას, რამდენადაც ქართველთა სამეფოს მეთაურნი აღიარებული იყვნენ როგორც „მეფე ნებითა ღმრთისაჲთა“, როგორც პირდაპირი შთამომავალი დავით მეფე-წინასწარმეტყველისა, რომელიც — ბიბლიური თქმულებით — მეფედ დადგენილი და ცხებული იყო ღვთაების მიერ და რომელიც ხორციელი წინაპარი იყო თვით იესო ქრისტესი. ამრიგად, ამით

¹ იხ. ბასილი ენოსმოდვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, 1944 წ., გვ. 35₁₆—31.

უარყოფილი იყო ყოველგვარი უფლებრივი დამოკიდებულება გარეშე ძალე-
ბისაგან, ქართველთა სამეფო აღიარებული იყო როგორც დამოუკიდებელი,
თვითმყოფი და თავისთავადი.

*

ისტორია ბაგრატიონთა სახლისა ინტერესს წარმოადგენს როგორც სა-
ქართველოს, ისე საერთოდ კავკასიის ხალხთა ისტორიის თვალსაზრისით,
რამდენადაც ბაგრატიონთა გვარეულობა მნიშვნელოვან როლს თამაშობდა არა
მხოლოდ ძველი საქართველოს, არამედ აგრეთვე ძველი სომხეთის ისტორიაში.

ბაგრატიონთა გვარის აღზევება, ჩანს, იწყება ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში.
ადრეულ საშუალ-საუწყუნეებში ბაგრატიონთა სახლი ცნობილი იყო საქარ-
თველოსა და სომხეთში როგორც უძლიერესი, უდიდესი გავლენის მქონე მთა-
ვართა გვარეულობა.

ხოლო უფრო გვიან ორივე შტო ბაგრატიონთა, — როგორც ქართველი
ბაგრატიონები, ისე სომეხთა ბაგრატიონები, — მეფობას მიაღწევდნენ საქარ-
თველოში და სომხეთშიაც, სახელდობრ, საქართველოში მე-9 საუკუნის დასა-
წყისში (აშოტ I დიდის დროს), ხოლო სომხეთში ოდნავ გვიან, მე-9 საუკუნის
დასასრულს (885 წელს).

ვინ იყვნენ ბაგრატიონები წარმოშობით?

ამ საკითხზე, როგორც ცნობილია, დიდი ლიტერატურა არსებობს და ამ
საკითხის გამო, როგორც შემდეგ გამოიჩვენება, არა ერთი შექცადარი შეხე-
დულება ყოფილა წარმოდგენილი.

საისტორიო წყაროების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად უცილობლად
ირკვევა, რომ ბაგრატიონთა გვარეულობა ქართული წარმოშობისა იყო. რაც
შეეხება სომხეთის ბაგრატიონებს, ისინი წარმოადგენდნენ ქართველ ბაგრა-
ტიონთა გვარეულობის განშტოებას.

ისტორია ბაგრატიონთა სახლისა საქართველოსა და სომხეთში ბევრნაირად
არის საყურადღებო, რამდენადაც ამასთან დაკავშირებულია მთელი რიგი
მნიშვნელოვანი ისტორიულ-კულტურული საკითხებისა ამ ორი მეზობელი
ერის ისტორიული წარსულიდან.

საკითხს სომხეთის ბაგრატიონთა შესახებ ჩვენ ქვემოთ ცალკე შევხებით.
აქ კი ჯერ საუბარი გვექნება ბაგრატიონთა გვარეულობის ძირითადი შტოის
შესახებ, — საქართველოს ბაგრატიონთა სამეფო სახლის შესახებ.

ქართველ ბაგრატიონთა ძირითადი სამფლობელო: მესხეთის მხარე — „კლარჯეთის სახლი“.

თავდაპირველად რამდენიმე შენიშვნა იმის გამო, თუ სად მდებარეობდა
ძირითადი სამფლობელო ქართველ ბაგრატიონთა.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ქართველი
ბაგრატიონები, ვიდრე ისინი გახდებოდნენ ქართლის (იბერიის) ერისმთავარნი,
და შემდეგ ქართლის (იბერიის) მეფენი, უფრო ადრე ყოფილან მთავრები მეს-
ხეთის მხარეთა.

ყველა არსებული მასალა, რომელიც მოიპოვება ქართველ ბაგრატიონთა შესახებ ადრეულ საშუალო-საუკუნეებში, თანიშობით უჩვენებს, რომ ძირითადი საგვარეულო სამფლობელო ქართველ ბაგრატიონთა არის მესხეთის პროვინციები — კლარჯეთი — ჯავახეთი — სამცხე.

ცენტრი ბაგრატიონების ძირითადი საგვარეულო სამფლობელოსი, როგორც ირკვევა, იყო კლარჯეთი, კლარჯეთი ყოფილა რეზიდენცია ბაგრატიონთა გვარეულობის მფლობელ მთავართა; ამის გამო ამ სამფლობელოს „კლარჯეთის სახლი“ რქმევია¹.

ბ

ბაგრატიონთა გვარეულობა არის განშტოება ფარნავაზიანთა ძველ-ქართული დინასტიისა

საისტორიო წყაროებიდან ირკვევა ამავე დროს მეტად საყურადღებო ფაქტი: ბაგრატიონთა გვარეულობა ყოფილა განშტოება ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიისა, რომელიც მეფობდა იბერიაში ანტიკური ხანიდან მოკიდებული ვიდრე ადრეულ საშუალო საუკუნეებამდე.

ანტიკურ ხანაში და ადრეულ საშუალო საუკუნეებში იბერიის ცალკე მხარეთა მმართველები, მთავრები და ერისთავები, ორ რანგად, ორ ჯგუფად განიყოფებოდნენ:

ა) პირველი უფრო მაღალი რანგისა — ეს იყვნენ „პიტიახშები“, რომლებიც თვით სამეფო გვარეულობას ეკუთვნოდნენ, სამეფო გვარეულობიდან ინიშნებოდნენ;

¹ რომ ბაგრატიონთა ძირითადი სამფლობელო მოიცავდა მესხეთის მხარეებს — „კლარჯეთის სახლს“ — იხ. ამის შესახებ საისტორიო წყაროებში:

ა) ჯუანშერის ქრონიკა, გვ. *407/190 (ანასული ქ. ცხ., გვ. 143), სადაც დასახელებულია გვარამ I-ის ძირითადი სამფლობელო — მესხეთის მხარეები: 1. კლარჯეთის პროვინცია (რომელიც ამ ეპოქაში მოიცავდა ტერიტორიას შვეი ზღვიდან — არსიანის მთამდე, ე. ი. კანტონებს: ა. საქუთრიე კლარჯეთი, ბ. შავშეთი, გ. ნიგალი, დ. „სახლვარი ქართლისა საერი“, იხ. იქვე, გვ. *414/196) და 2. ჯავახეთის პროვინცია (რომელიც ამ ეპოქაში მოიცავდა ჯავახეთის, სამცხისა და არტანის კანტონებს).

ბ) ჯუანშერის ქრონიკა, გვ. *414/196, ცნობა სტეფანოზ I-ის მემკვიდრეთა შესახებ, რომელნიც, მას შემდეგ, რაც მათ სახლს ჩამოერთვა ქართლის (იბერიის) ერისმთავრობა, ისევ თავის ძველ სამფლობელოში — კლარჯეთში მკვიდრობენ.

გ) განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტექსტი — ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული ექსცერპტი მე-8 საუკუნის მატრიანისა, მარამ დედოფლისეული ქართლის ცხოვრება, გვ. *432/211, ცნობა ბაგრატიონთა სახლის ძირითადი სამფლობელოს „კლარჯეთის სახლი“-ს შესახებ (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატრიანე მოქცევა ქართლისა და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 298, შენიშვნა 3, და ქვემოთ, გვ. 74).

დ) ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა. — ცნობა „ბიგრატიანი სეფეწული“-ს სამცხის ერისთავის შესახებ (გვ. *322/134, *371/166 და შენიშვნა 5. *377/170, *394/181, *399/185). ბიგრატი — საგვარეულო სახელია ბაგრატიონთა სახლისა. ამ საისტორიო ტრადიციის თანახმად, რომელიც დაცულია ვახტანგ გორგასარის ცხოვრებაში, სამცხის ერისთავთა სახლი ბაგრატიონთა გვარეულობას ეკუთვნოდა.

ე) მატრიანე ქართლისა გვ. *441/218—219, რომლის თანახმად ადარნერსე ბაგრატიონის სამფლობელო იყო მესხეთის ქვეყნები: „ნასამალი კლარჯეთისა, აპარისა, ნიგალისა, არსისფორისა, არტანისა და ქვემო-ტაოსა“, რეზიდენციით კლარჯეთში.

იხ. აგრეთვე სპეციალურ ექსკურსში ბაგრატიონთა გვარის ისტორიისათვის, დამატებანი.

ბ) მეორე უფრო დაბალ რანგს წარმოადგენდა — ერისთავები არასამეფო წარმოშობისა.

(რომ „პიტიახშები“ — სამეფო გვარეულობის განშტოებას წარმოადგენენ, იხ. ამის შესახებ ჩვენი წერილი: ძველ-ქართული მატიაწე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 294 — 296).

საფიქრებელი იყო, რომ მმართველები ისეთი მნიშვნელოვანი პროვინციებისა, როგორც იყო ძესხეთის მხარენი — სწორედ სამეფო გვარეულობიდან ინიშნებოდნენ, ე. ი. პიტიახშები უნდა ყოფილიყვნენ.

და მართლაც ეს ასე ყოფილა.

საისტორიო წყაროებიდან დასტურდება, რომ ბაგრატიონთა საგვარეულო სამფლობელო მესხეთში — „ქლარჯეთის სახლი“ წარმოადგენდა საპიტიახშოს, ბაგრატიონები პიტიახშის ხარისხს ატარებდნენ.

მე-8 საუკუნის მატიაწეში, რომელიც ექსცერპტის სახით არის ჩართული ჯუანშერისეულ ქრონიკაში, მოთხრობილია გადასახლება კახეთ-ქერეთში ბაგრატიონთა ერთი შტოსი (აღარ-ნერსე „ბრმის“ ძმისწულებისა), მეფე არჩილის დროს, მე-8 საუკუნის შუა წლებში. მეორე შტო ბაგრატიონთა გვარისა დარჩენილა ძველ სამფლობელოში — კოროხის ხეობაში. გემატიანე ბაგრატიონთა ამ ორი შტოს შესახებ შემდეგს მოგვითხრობს:

„მასვე ეამსა პიტიახშნი ვინმე (— იგულისხმება კოროხის ხეობაში დარჩენილი ბაგრატიონები) არა შეეშენეს ქლარჯეთს სახლად და წარვიდეს ნახევარნი მათგანნი და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქვა კალძახი და აღაშენეს ციხედ. ხოლო რომელნი იგი მოვიდეს კახეთს არჩილის თანა (იგულისხმება კახეთ-ქერეთში გადასახლებული ბაგრატიონები)... მიუბოძა [არჩილმან] წუქეთი ციხით კასრითურთ“¹.

ამრიგად, ამ ავთენტიური საისტორიო წყაროს მოწმობის თანახმად, ბაგრატიონები ყოფილან პიტიახშები და, მაშასადამე, სამეფო წარმოშობისა, განშტოება ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიისა.

*

რომ ბაგრატიონთა გვარეულობა ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიის განშტოებას წარმოადგენდა, ანაჲს ადასტურებს აგრეთვე მთელი რიგი სხვა წყაროებისა.

1. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა. — ამ ძეგლში მოიხსენება სამცხის ერისთავი ბაგრატიონთა გვარისა — „ბივრატიანი“, რომელსაც ეწოდება: „ბივრატიანი სეფე-წული“². ხოლო ძველს იბერიაში „სეფე-წული“ ეწოდებოდა სამეფო გვარეულობის შთამომავალს; „ბივრატიანი სეფე-წული“ აქ ფარნავაზიანთა სამეფო გვარის შთამომავლად არის წარმოდგენილი.

2. სებეოსის მატიაწის შესავალი. — საისტორიო ძეგლში, რომელიც შესავალის სახით არის ჩართული სებეოსის მატიაწეში და რომელიც სებეოსის ანონიმის სახელით არის ცნობილი (იგი ეკუთვნის ადრეულ საშუალო საუკუნეებს), აღნიშნულია ბაგრატიონთა გვარის შთამომავლობა ფარნავაზისაგან. აქ წარმოდგენილია შემდეგი გენეალოგია ბაგრატიონთა გვარისა: „ფარნავაზ შვა ბაგამ_და ბაგრატი; ბაგრატი შვა ბივრატი; ბივრატი შვა ასპატი“ (იხ. სე-

¹ იხ. მარიამ დედოფლისეული ქართლის-ცხოვრება, გვ. *432/210—211 და შენიშვნა 5.

² იხ. ზემოთ, გვ. 78, შენიშვნა 1.

ბეოსის ანონიმი, განყ. I). ამავე საისტორიო ძეგლში ბაგრატიონთა წინაპარს — ეპონიმს ბაგრატს (ბაგარატს) პირდაპირ ეწოდება ფარნავაზიანი („ბაგარატ ფარ[ნ]ავაზიანი“ — იხ. სებეოსის ანონიმი, იქვე, განყ. II).

3. მე-12 — 13 საუკუნეთა ქართველი ავტორი არსენი მეტაფრასტი, ავტორი ზინოს ცხოვრებისა, უწყებაში, რომელიც დართული აქვს ზინოს ცხოვრებას და რომელიც ქართველთა ტომისა და ქართველი მეფეების შთამომავლობას ეხება, აღნიშნულია: „ყოველნი მეფენი ქართლისანი ამათ მეფეთა [აზო — ფარნავაზიანთა] შვილის-შვილნი არიან“¹.

ამას წერს არსენი მეტაფრასტი მე-12 — 13 საუკუნეებში, ე. ი. როდესაც საქართველოში უკვე ოთხი საუკუნის მანძილზე ბაგრატიონები მეფობდნენ. ამრიგად, არსენი მეტაფრასტის ამ უწყების თანახმად ბაგრატიონნი არიან შთამომავალნი აზო-ფარნავაზიანთა სამეფო სახლისა.

*

მას შემდეგ, რაც ირკვევა, რომ ბაგრატიონთა გვარეულობა. არის შტო ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიისა, გასაგებია იგივეობა ისტორიული გადმოცემებისა, რომლებიც არსებობს ფარნავაზიანთა დინასტიის შესახებ და ბაგრატიონთა გვარეულობის შესახებ.

გავეცნოთ ამ გადმოცემებს.

8

გადმოცემა ქართველი ხალხის გადმოსახლების შესახებ ხამხრეთიდან (არიან-ქართლიდან) აზო-ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით

უძველეს ქართულ საერო მატრიანეში, რომელსაც ეწოდება „მოქცევა ქართლისაჲ“, და აგრეთვე მის მიმდგომ სხვა ძველ ქართულ ტექსტებში (შატბერტულ-ქელიშური ზინოს ცხოვრება, არსენი მეტაფრასტის ტექსტი), დაცულია უალრესად მნიშვნელოვანი საისტორიო გადმოცემა ქართველი ხალხის გადმოსახლების შესახებ სანხრეთიდან „არიან-ქართლიდან“ აზო-ფარნავაზიანთა დინასტიის მეთაურობით.

ეს გადმოცემა შემდეგნაირად არის ფიქსირებული „ქართლის მოქცევის“ მატრიანეში.

„აზოჲ, ძეჲ არიან-ქართლისა მეფისაჲ... წარვიდა არიან-ქართლად მამისა თვისისა და წარმოიყვანა ათასი სახლი მდაბიოჲ უფლისაჲ და ათნი სახლნი მამა-მძუძეთანი, და დ-ჯდა ძუელ მცხეთას, და თანა-ჰყვანდეს კერანი ღერთად — გაცი და გა.

„და ესე იყო პირველი მეფეჲ მცხეთას შინა, აზოჲ, ძეჲ არიან-ქართველთა მეფისაჲ. და მოკუდა. „და შემდგომად მისა დადგა ფ-რნავაზ — [წინაპარი მეფეთა ქართლისათა ფარნავაზიანთა]“².

ამრიგად, ამ უალრესად მნიშვნელოვანი საისტორიო გადმოცემის თანახმად, რომელიც ქართველი ხალხის უძველეს ეროვნულ თქმულებას წარმოადგენს, ქართველები გადმოსახლებულან თანამედროვე მიწა-წყალზე სამხრეთიდან,

¹ იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატრიანე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 283.

² იხ. იქვე, გვ. 260.

რომელიდაც ქვეყნიდან, რომელსაც გადმოცემა „არიან-ქართლის“-ს სახელით ნათლავს. ეს გადმოსახლება ვითომც მომხდარა აზო-ფარნავაზიანთა დინასტიის წინაპარის მეთაურობით.

გავეცნოთ ამის შემდეგ ანალოგიურ ისტორიულ გადმოცემას ბაგრატიონთა გვარეულობის შესახებ.

ღ

გადმოცემა ქართველი ხალხის გადმოსახლების შესახებ სამხრეთიდან (იერუსალიმიდან) ბაგრატიონთა გვარეულობის წინაპართა მეთაურობით

ეს მეორე გადმოცემა, იმ სახით, როგორადაც იგი გავრცელებული ყოფილა საქართველოში მათე საუკუნეში, ჩაწერილი აქვს 952 წელს ბიზანტიის იმპერატორს კონსტანტინე პორფიროგენეტს თავის ცნობილ ძეგლში (De administrando imperio) იბერიელთა მონათხრობის მიხედვით.

მოგვეყავს კონსტანტინე პორფიროგენეტის ტექსტი:

„უნდა ვიცოდეთ, რომ იბერიელები, ე. ი. კურაპალატისანი [ქართველთა სამეფოს მკვიდრნი] ამაჲობენ იმით, რომ არიან შთამომავალნი ჰერის [იეთელის] ჯეულის [ერსავიას-]. რომელიც შეირთო მეფემ და წინასწარმეტყველმა დაეითმა; სახელდობრ, [იბერიელები] ამტკიცებენ, რომ არიან შთამომავალნი შეილებისა, რომლებიც მას [ბერსავია ხეთელს] შეეძინა დავითისაგან. ამიტომაც ისინი უწოდებდნენ თავის თავს დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ნათესავს, და აქედან ყოვლად-წაიდა ღმრთისმშობელის ნათესავსაც, რადგან ისიც [ღმრთისმშობელი] დავითისაგან არის წარმოშობილი... ისინი [იბერიელები] მოგვითხრობენ, რომ მათი ტომი იერუსალიმიდან არის მოსული, რომ ისინი [იბერიელები] წამოვიდნენ იერუსალიმიდან [ღვთის ბრძანების მომასწავებელი] სიხმრების ჩვენებით და დაესახლნენ სპარსეთის მხარეებთან, ე. ი. ქვეყანაში, სადაც ამჲამად მკვიდრობენ. ეს სიხმრის ჩვენება რომ მიიღეს და იერუსალიმიდან რომ წამოვიდნენ, იყვნენ [იბერთა წინამძღოლნი] დავითი და ძმა მისი სპანდიატ; ამ სპანდიატმა, როგორც ამის შესახებ მოგვითხრობენ თვით იბერიელები, მიიღო ღმრთისაგან წყალობად, რომ მას ბრძოლებში ხმალი ვერ დაუზიანებდა სხეულს ვერც ერთ ნაწილს, გარდა გულისა, რომელსაც იგი ბრძოლების დროს იცავდა რალაც საფარით. ამიტომაც იყო. რომ ასე ძალიან ეშინოდათ მისი სპარსელებს. მან [სპანდიატმა] გაიმარჯვა კიდევ სპარსელებზე, დასძლია ისინი და თავისი თანამონათესავე იბერიელები დაასახლა ძნელად მისადგომ ადგილებში, სადაც ისინი დღემდე მკვიდრობენ. აქედან მათ თანდათან გააფართოვეს თავისი საზღვრები, გამრავლდნენ და გადაიქცნენ დიდ ხალხად...“

„ვინაიდან იბერიელები, როგორც თვითვე ამბობენ, შთამომავლობით იერუსალიმიდან არიან, ამის გამო მათ აქვთ დიდი სიყვარული მისი [იერუსალიმისა] და უფლისა იესო ქრისტეს საფლავისა [იერუსალიმში] და განსაზღვრულ დროებში უხვად უგზავნიან ფულს წმინდა ქალაქის [იერუსალიმის] პატრიარქსა და იქაურ ქრისტიანებს.“

„დასახელებულ დავითს, სპანდიატის ძმას, ჰყავდა შვილი ბაგრატი. ბაგრატი ჰყავდა შვილი აშოტი... სპანდიატი კი, ძმა დასახელებული დავითისა, უშვილოდ გარდაიცვალა...“¹

არაა საჭირო სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, რომ ეს მეორე თქმულება ქართველი ხალხის სამხრეთიდან (იერუსალიმიდან) გადმოსახლების შესახებ ბაგრატიონთა გვარეულობის მეთაურობით არის ვარაუდით, შემდგომი ხანის შეცვლილი სახეობა ძველი საისტორიო გადმოცემისა ქართველი ხალხის

¹ იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit., თავი 45, გვ. 197 – 198.

სამხრეთიდან — „არიან-ქართლიდან“ — გადმოსახლების შესახებ ფარნავაზიანთა (აზო-ფარნავაზიანთა) დინასტიის მეოთხეობით.

რაკი ბაგრატიონთა გვარი ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიის განშტოებას წარმოადგენდა, გასაგებია ამის შემდეგ, რომ ბაგრატიონთა გვარის შესახებაც იმავე სახის თქმულება ყოფილა გავრცელებული, რაც ფარნავაზიანთა დინასტიის შესახებ.

განვიხილოთ ამის შემდეგ უფრო დაწვრილებით ის ცვლილებანი, რომელიც დასახელებულ თქმულებას თანდათანობით განუცდია დროთა განმავლობაში.

1. როგორც ვნახეთ, თქმულების უფრო ძველ ვერსიაში, რომელიც აზო-ფარნავაზიანთა დინასტიას ეხება და რომელიც დატულია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატრიანეში და მის მიმდგომ წყაროებში, ქართველთა პირვანდელ სამშობლოს ეწოდება „არიან-ქართლი“. როგორც ამის შესახებ სხვა ადგილას გვაქვს საუბარი, „არიან-ქართლი“-ს სახელწოდებით, ჩანს, იგულისხმება ხეთა-ურარტუს მსოფლიო. „არიან-ქართლი“, ჩანს, არის ბიბლიაში დასახელებული „ურ-ქაშდ[იმ]“, რომელი სახელწოდების მეორე ნაწილს „ქაშდ[იმ]“ = „ქართ[ი]“ ნ. მარი და ივ. ჯავახიშვილი უკავშირებენ ქართველების სატომო სახელთან „ქართ-ი“. სახელწოდება „ურ-ქაშდ“-ის დერივატულ ფორმებად სავარაუდებელია * ჰურ-ქართ || * ჰურ-არტ || ჰურ-არტაანი. თუ სად მდებარეობდა ბიბლიაში დასახელებული ეს ქვეყანა, ამის შესახებ მეცნიერებაში სხვადასხვა შეხედულებები იყო გამოთქმული; ზოგი მას ურარტუსთან აიგივებებს, ზოგი კი მესოპოტამიაში მდებარე ქალაქ „ურუ“-ს მხარედ სთვლის¹.

2. ბაგრატიონთა შესახებ თქმულებაში ქართველების პირვანდელ სამშობლოდ, ნაცვლად „არიან-ქართლი“-სა, დასახელებულია იერუსალიმი (კონსტანტინე პორფიროგენეტის ზემოთ დასახელებულ ტექსტში) ან და, რაც იგივეა, „ქვეყანა ფილისტიმი“ — ჰურიასტანი (სუმბატ დავითის-ძის მატრიანე). შეცვლა „არიან-ქართლი“-სა იერუსალიმით ანუ, რაც იგივეა, ფილისტიმით — ჰურიასტანით, წარმოადგენს თქმულების შემდგომს ქრისტიანიზაციას. რასაკვირველია, მოულოდნელს არას შეიცავს ის გარემოება, რომ წარმართული ხანის გადმოცემაში მოხსენებული უკნობი ქვეყნის სახელი „არიან-ქართლი“ გვიან ეპოქაში შეუცვლიათ სახელებით წმინდა ქალაქის იერუსალიმისა და აღთქმული ქვეყნის ჰურიასტანისა (ფილისტიმისა).

არაა ზედმეტი აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად ქრისტიანიზაციისა, თქმულების ამ გვიანდელ ვერსიაში მაინც არაა სავსებით წარბოცილი კვალი კავშირისა ხეთას მსოფლიოსთან; ყოველ შემთხვევაში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ბაგრატიონთა შესახებ თქმულებაში როგორადაც იგი ჩაწერილი აქვს კონსტანტინე პორფიროგენეტს, იბერთა გენეალოგიის გადმოცემის დროს განსაკუთრებით ხაზგასმულია და წინწამოწეული სახელი ბერსავია ხ ე თ ე ლ ი ს ა (ჰური ხ ე თ ე ლ ი ს მუვლისა). ამას გარდა ისიც საკითხავია, ხომ არ მოხდა შეცვლა ქვეყნის სახელისა „არიან ქართლი“ („ჰურ-ქართი“) სახელით „ჰურია-სტანი“ იმის გამო, რომ

¹ იხ. ნ. მარი, Основные таблицы к грамматике древне-грузинского языка, გვ. 5, შენიშვნა; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913 წ., გვ. 34; პ. ინგოლოვცა, ძველ-ქართული მატრიანე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 319.

ეს სახელი ერთგვარად ეწმუდება „ჭურ-ქართ“-ის სახელს, და აგრეთვე ქვეყანა „ჭური“-ს სახელს (როგორც ცნობილია სახელწოდება „ჭურია-სტანი“ თვით წარმოშობითაც „ჭური“-ს ქვეყნის სახელთან არის დაკავშირებული).

3. შემდგომი, მესამე სტადია ამ თქმულების ცვლილებისა ეს არის დაკავშირება იბერთა და ბაგრატიონთა გენეალოგიისა დავით წინასწარმეტყველთან, ჭურიასტანის მეფესთან. რომ თავდაპირველად ამ თქმულებაში არ იყო ხსენება დავით წინასწარმეტყველისა, ამას ადასტურებს თქმულების ის ვერსია. რომელიც გადმოცემული აქვს მოსე ხორენელს, და სადაც უკვე მოხსენებულია ბაგრატიონთა წარმომავლობა ჭურიასტანიდან (ნაცვლად არიან-ქართლისა), მაგრამ ჯერ კიდევ არაა დასახელებული დავით მეფე და წინასწარმეტყველი, როგორც ბაგრატიონთა წინაპარი.

8

განხილვა გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობათა

ჩვენ აქ საგანგებოდ შევიჩრდებით თქმულების მესამე ვერსიაზე, რამდენადაც იგი ფიქსირებულია გიორგი მერჩულის თხზულებაში და რამდენადაც ამას კავშირი აქვს იმ იდეოლოგიასთან, რომელიც გამომუშავდა ქართველთა სამეფოს აღდგენის დროს.

საკითხავია, როდის წარმოიშვა თქმულების ეს ახალი გადამუშავებული მესამე ვერსია, რომელიც ბაგრატიონთა გვარეულობას დავით წინასწარმეტყველის და ჭურიასტანის მეფის შთამომავლობად აღიარებს?

რასაკვირველია, არაა დიდი გონებამახვილობა საჭირო იმის გამოსაცნობად, რომ ეს თქმულება არსებულის სახით ჩამოყალიბებულა მას შემდეგ, რაც აღდგენილ იქნა ქართველთა სამეფო და ბაგრატიონთა გვარეულობამ მეფის ხარისხი მიიღო. თქმულება, როგორც ეს ზემოთაც გვქონდა აღნიშნული, ცხადია იმ მიზნით არის გადამუშავებული, რომ გაამართლოს ქართველთა სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, რამდენადაც ქართველთა სამეფოს მეთაური აღიარებული არიან როგორც პირდაპირი შტო დავით მეფე-წინასწარმეტყველისა, რომელიც, ბიბლიურის თქმულებით, მეფედ დადგენილი და ცხებული იყო თვით ღვთაების მიერ და რომელიც იყო ხორციელი წინაპარი თვით იესო ქრისტესი.

უნდა ითქვას, რომ საშუალ-საუკუნებრივი ქრისტიანული იდეოლოგიის ბატონობის პირობებში, ძნელი წარმოსადგენი იყო სხვა უფრო მკვეთრი ფორმულის გამოძებნა ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობის იდეის გასამართლებლად და განსამტკიცებლად. და შემთხვევითი კი არ არის ის გარემოება, რომ ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი ასეთის რესპექტით მოგვითხრობს იმის შესახებ, თუ როგორ ამყობდნენ ქართველები იმით რომ „უწოდებენ თავის-თავს დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ნათესავს. და აქედან ყოვლად-წმიდა ღმრთის მშობლის ნათესავსაც, რადგან ისიც (ღმრთის მშობელი) დავითისაგან არის წარმოშობილი“. ამასვე გადმოგვცემს აგრეთვე ამ ეპოქის ქართული მატრიანე, სადაც ბაგრატიონთა შესახებ

აღნიშნულია „ვიტარმედ არიან იგინი ნათესავნი დავით წინასწარმეტყველისანი, რომელი იგი მამად ღმრთისად ქორციელად იწოდა“¹.

უძველესი ლიტერატურული წყაროები, სადაც გადმოცემულია ეს თქმულება ბაგრატიონთა დავით წინასწარმეტყველისაგან შთამომავლობის შესახებ. ეკუთვნის მე-9—10 საუკუნეებს; მათ შორის მთავარია ორი:

1. ქართული — გიორგი მერჩულის თხზულება — 950 წლისა.

2. ბერძნული — კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულება — 952 წლისა.

ამას გარდა მოკლე გლოსა ამის შესახებ ჩართულია ქართული მატეანის ტექსტში, ჯუანშერის ქრონიკაში, რომელიც მე-9—10 საუკუნეთა მიჯნას (872—907 წ.წ.) ეკუთვნის².

ეს თქმულება ჩვენს დრომდე გადარჩენილ ლიტერატურულ წყაროებში თუმცა პირველად მე-9—10 საუკუნეთა საზღვარზე გვხვდება, მაგრამ ირკვევა, რომ იგი წარმოშობილია ამაზე ადრე, ქართველთა სამეფოს აღდგენის პირველ პერიოდშივე, აშოტ I დიდის დროს. ამას ადასტურებს, ჯერ ერთი, მატერიალური კულტურის ძეგლი აშოტ I დიდის დროისა და, ამას გარდა, ამასვე ეთანხმება აგრეთვე ჩვენება გიორგი მერჩულის თხზულებისა.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა ოპიზის ბარელიეფი აშოტ I დიდის ხანისა, რომელიც ეკუთვნის 818 წლის ახლო დროს, და სადაც აშოტ I წარმოდგენილია როგორც შთამომავალი დავით მეფე-წინასწარმეტყველისა და ნათესავი ქრისტესი. (ბარელიეფზე, როგორც მოვიხსენეთ, წარმოდგენილია ჯგუფი: შუაში ტახტზე ზის ქრისტე, რომლის ერთ მხარეზე დგას აშოტ I დიდი, ოპიზის ტაძრის გაქოსახულებით, ხოლო მეორე მხარეზე წარმოდგენილია დავით წინასწარმეტყველი, როგორც წინაპარი აშოტ I-ისა და ქრისტესი, რომლის მეშვეობით აშოტ I ენათესავება ქრისტეს).

რაც შეეხება გიორგი მერჩულის თხზულებას, აქაც ეს საკრალური ფორმულა ქართველ მეფეთა შთამომავლობის შესახებ დავით მეფე-წინასწარმეტყველისაგან გადმოცემულია სწორედ მაშინ, როდესაც ავტორი ქართველთა სამეფოს აღმადგენელს აშოტ I დიდს ეხება, სახელდობრ, როდესაც გიორგი მერჩულე მოგვითხრობს აშოტ I-ისა და გრიგოლ ხანძთელის შეხვედრის შესახებ.

აღწერა ამ შეხვედრისა — ბიბლიურ ხაზებში გაშლილი — ბევრნაირად არის საინტერესო ამ ეპოქის იდეოლოგიის გასაცნობად.

გიორგი მერჩულეს ამ შეხვედრის აღწერის დროს აშოტ I წარმოდგენილი ჰყავს როგორც „მეფე ნებითა ღმრთისაჲთა“, დამოუკიდებელი ქვეყნის დამოუკიდებელი ხელმწიფე, რომლის უფლება მომდინარეობს მხოლოდ ღმრთაებისაგან; ავტორის წარმოდგენით ქართველთა მეფე, როგორც შთამომავალი დავით მეფე-წინასწარმეტყველისა, არის სწორი აღთქმული ქვეყნის მეფეებისა — „მეფეთა ისრაელისათა“, რომელნიც ბიბლიის თანახმად, თვით უფლის მიერ იყვნენ მეფედ ცხებულნი.

¹ იხ. მატეანე ქართლისა, გვ. *440/218.

² იხ. გვ. *430/209.

ხოლო გრიგოლ ხანძთელი ავტორს წარმოდგენილი ჰყავს როგორც სული-
ერი მოძღვარი ერისა, მოსილი ისეთივე ავტორიტეტით, როგორც ბიბლიური
წინასწარმეტყველნი.

ამ შეხვედრის დროს აშოტ I, მსგავსად ისრაელის მეფეთა, შემდეგის სი-
ტყუებით მიმართავს გრიგოლ ხანძთელს, როგორც ახალს წინასწარმეტყველს:

„მეფეთა ისრაელისათა ჟამად-ჟამად [დრო და დრო] წინასწარ-
მეტყუელი აღუდგინის ღმერთმან სიქადულად მათა, ზღუდედ შჯულისა და
შესაწევნელად მორწმუნეთა... ეგრეთვე ჟამთა ჩუენთა შენ გამოგაჩინა... ქრის-
ტიანეთა სიქადულად...“¹.

ხოლო გრიგოლ ხანძთელი, როგორც მოძღვარი ერისა, საპასუხო სიტყვაში
ასე მიმართავს აშოტ I-ს:

„დავით წინასწარმეტყუელისა და უფლისა მიერ ცხებულისა შეილად წო-
დებულო ქელმწიფეო, მეფობაჲ და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვდრენ
ქრისტემან..., რომლისათვისცა ამას მოგავსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაჲ
შვილთა შენთა და ნათესაეთა მათთა [ქართველთა] ქუეყანათა ამათ უკუნი-
სამდე ჟამთა, არამედ იყვენენ იგინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და
მთათა საუკუნეთა, და დიდებულ იყვენენ უკუნისამდე“².

რასაკვირველია, შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ გიორგი მერჩულე
ამ საკრალურ ფორმულას ქართველ მეფეთა დავით წინასწარმეტყველისაგან
შთამომავლობის შესახებ გრიგოლ ხანძთელს მიაწერს.

ეს შეხედულება შესაძლოა სპორადულად წინათაც იყო გამოთქმული, მაგ-
რამ მისი საბოლოოდ ჩამოყალიბება, როგორც იდეოლოგიური საფუძვლისა
ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობის და თვითმყოფობის იდეის განსა-
მტკიცებლად, ჩანს, უნდა მიეკუთვნოს გრიგოლ ხანძთელსა და მის სკოლას.

გრიგოლ ხანძთელი თავისი ეპოქის იდეოლოგიური ცხოვრების ნამდვილი
შეთაური და ხელმძღვანელი იყო.

გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულის დახასიათებით — „მადლითა საყსე,
განსრულებულ სიბრძნითა, კეთილად განმგებელი მოღუაწე და უდაბნოთა
ქალაქ-მყოფელი“, რომელსაც ჩვენი ავტორი ერის მოძღვრად დაგვისახავს,
დიდი პატრიოტული სულისკვეთებით შთაგონებული მოღვაწეა. გრიგოლ ხანძ-
თელის დიდი პატრიოტიზმი იგრძნობა კერძოდ მისი ჰიმნებიდან, რომელთა
შესახებ ქვემოთ გვაქვს საუბარი. გრიგოლ ხანძთელისათვის უაღრესად ახლო
ყოფილა ქართველთა სამეფოს სახელმწიფო მშენებლობის საქმე. იმავე გიორ-
გი მერჩულეს მოთხრობილი აქვს, რომ როდესაც აშოტ I-ის არაბებთან ომში
დაღუპვის შემდეგ ტახტზე ავიდა მისი მემკვიდრე ბაგრატ I, გრიგოლ ხანძ-
თელმა მიუძღვნა მას „ჯერისაებრი შესხმაჲ“. გიორგი მერჩულის სიტყვით.
გრიგოლ ხანძთელის „ქებაჲ იგი შესხმისაჲ ჟამისა მის ბრძენთა მიერ შეუცა-
ვი“ იყო, ე. ი. ეს შესხმა იყო იმდენად ღრმა შინაარსისა, რომ თვით იმ-
დროინდელ ბრძენთათვისაც კი „შეუცავი“, მიუწვდომელი, იყოო³.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 40.

² იხ. იქვე.

³ იხ. იქვე, გვ. 62.

სამწუხაროდ, რა შინაარსისა იყო ეს „შესხმაჲ“ ქებისაჲ გრიგოლ ხანძთელისა, რომელიც, საფიქრებელია, წერილობითად იყო აღბეჭდილი და რომელიც ამა თუ იმ სახით (წერილობით თუ გადმოცემით) სცნობია გიორგი მერჩულეს, ჩვენთვის უცნობი რჩება; მაგრამ ერთი რამ შესაძლოა ითქვას, რომ ეს „შესხმაჲ“, მიძღვნილი ქართველთა სამეფოს მეთაურის ბაგრატ I-ისადმი, ცხადია, იმავე პატრიოტული სულით იყო შთაგონებული, რომლითაც გამსჭვალულია გრიგოლ ხანძთელის სიტყვები, მიმართული აშოტ I დიდისადმი, სადაც იგი ქართველთა ქვეყანას უსურვებს იყოს „მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მთათა საუკუნეთა“.



ჩვენ ამით დავასრულებთ განხილვას საისტორიო ცნობებისას და უძველეს გადმოცემათა და თქმულებათა, რომლებიც ეხება ქართველ მეფეთა სახლს, ბაგრატიონთა გვარეულობას.

ირკვევა მაშასადამე შემდეგი:

1. ქართველ ბაგრატიონთა თავდაპირველი საგვარეულო სამფლობელო არის მესხეთის მხარენი — „კლარჯეთის სახლი“.

2. ბაგრატიონთა გვარეულობა არის განშტოება ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიისა, რომელიც მეფობდა იბერიაში ანტიკური ხანიდან მოკიდებული ვიდრე საშუალ-საუკუნეებამდე (მე-ნ საუკუნის დასაწყისამდე ახ. წ.).

3. ბაგრატიონები, განშტოება ფარნავაზიანთა დინასტიისა, ფარნავაზიანთა ძირითადი შტოს მეფობის დროს ყოფილან „პიტიახშები“, მმართველი მთავრები მესხეთის მხარეთა, „კლარჯეთის სახლი“-სა. უფრო გვიან ბაგრატიონები გახდებიან ქართლის (იბერიის) ერისმთავარნი, ხოლო შემდეგ ქართლის (იბერიის) მეფენი.

4. საისტორიო თქმულებანი, რომლებიც არსებობენ ფარნავაზიანთა დინასტიის და მათი განშტოების ბაგრატიონთა გვარეულობის შესახებ, დაკავშირებული არიან ქართველი ხალხის უძველეს ეროვნულ საისტორიო გადმოცემასთან ქართველი ხალხის სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ.

ამ საისტორიო გადმოცემას შემდეგი ცვლილებანი განუცლია დროთა განმავლობაში:

ა. გადმოცემის უფრო ძველ ვერსიაში ქართველი ხალხის პირვანდელ სამშობლოს ეწოდება „არიან-ქართლი“ (=ურ-ქაშდომ, ჰურ-ქართი).

ბ. გადმოცემის შემდგომი ხანის ვერსიაში სახელი ქვეყნისა „არიან-ქართლი“ (ურ-ქაშდომ, ჰურ-ქართი), როგორც გაუგებარი, გადაკეთებულია უფრო ნაცნობი სახელით ჰურიასტანი, იერუსალიმი.

გ. გადმოცემის მესამე, კიდევ უფრო გვიანი ხანის ვერსიაში ქართველებისა და ბაგრატიონთა გვარის გენეალოგია დაკავშირებულია დავით წინასწარმეტყველთან, ჰურიასტანის მეფესთან. თქმულების ეს მესამე გვიანდელი ვერსია, რომელიც ფიქსირებულია კონსტანტინე პორფიროგენეტისა და გიორგი მერჩულის თხზულებაში, — ჩამოყალიბებულა მას შემდეგ, რაც აღდგენილ იქმნა ქართველთა სამეფო და ბაგრატიონთა გვარეულობამ მეფის ხარისხი მიიღო. თქმულება გადაკეთებულია იმ მიზნით, რომ გაამართლოს ქართველ-

თა სამეფოს დამოუკიდებლობა და თვითმყოფობა, რამდენადაც ქართველთა სამეფოს მეთაურნი აღიარებულნი არიან როგორც მეფენი „ნებითა ღმრთი-სადათა“, როგორც პირდაპირი შტო დაეით მეფე-წინასწარმეტყველისა, რომელც ბიბლიის სიტყვით ცხებული იყო თვით ღვთაების მიერ.

8

შენიშვნა ბაგრატიონთა გვარეულობის სომხური შტოს შესახებ

დაკავშირებით იმ საკითხებთან, რაც ზემოთ იყო განხილული, აქ საჭიროა, მიმოხილვის სისრულისათვის, შევხვით აგრეთვე საკითხსაც ბაგრატიონთა გვარეულობის სომხეთის შტოს შესახებ.

სომხეთის ბაგრატიონთა შესახებ დიდი ლიტერატურა არსებობს და მათი წარმოშობის საკითხის გაშო ბევრი შემცდარი შეხედულება იყო წარმოდგენილი.

მას შემდეგ, რაც გამოიჩინა, რომ ბაგრატიონთა გვარეულობა ქართული წარმოშობისა ყოფილა და ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიის გან-შტოებას წარმოადგენდა, ჩვენ აქ დაგვრჩენია პასუხი გავცეთ შემდეგ სა-კითხებზე:

ა. როდის მოხდა სომხეთის ბაგრატიონთა გამოყოფა საქართველოს ბაგრა-ტიონთა გვარეულობიდან.

ბ. შენახულა თუ არა სომხურ საისტორიო წყაროებში ჩვენებანი, თქმულე-ბანი ან საისტორიო გადმოცემანი, რაც სომხეთის ბაგრატიონთა საქართვე-ლოდან წარმომავლობას ადასტურებდეს.

იმისათვის, რომ პასუხი გავცეთ პირველ კითხვაზე, — თუ როდის მოხდა სომხეთის ბაგრატიონთა გვარეულობის გამოყოფა საქართველოს ბაგრატიონ-თა გვარეულობიდან, — ამისათვის ჯერ საჭიროა გავითვალისწინოთ, თუ სად იყო ძირეული სამკვიდრო-სამფლობელო სომხეთის ბაგრატიონთა.

ადრეულ საშუალ-საუკუნეებში ბაგრატიონთა სამფლობელოები სომხეთში მდებარეობდა სამ პროვინციაში: სპერის პროვინციაში, კოგის პროვინ-ციაში და ბაგრევანდის პროვინციაში.

ამათგან უკანასკნელი ორი პროვინცია — კოგისა და ბაგრევანდისა (რომლებიც აირარატის მხარის ნაწილს შეადგენდნენ) — არაა ბაგრატიონთა თაედაპირველი სამფლობელო.

ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის ცნობის თანახმად, კოგის პროვინცია, რომლის ცენტრი იყო განთქმული ციხე-სიმაგრე დარონქი (ახლანდელი ბაი-აზეთი), შეადგენდა სომხეთის სამეფო გვარეულობის არშაკიდების სამფლო-ბელოს¹; ეს პროვინცია გადასულა ბაგრატიონთა ხელში მას შემდეგ, რაც სომხეთში დაეცა არშაკიდების სამეფო².

¹ იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, 1883 წ., V, 1, 83-157.

² VII საუკუნეში კოგის პროვინცია (დარონქით) ბაგრატიონთა მფლობელობაშია (იხ. სუ-ბოსი, 1679 წ., გვ. 68, 116).

რაც შეეხება ბაგრატიონის პროვინციას, იგი, როგორც ეს ირკვევა ისტორიკოსის ლაზარე ფარქელის ცნობების მიხედვით, მე-4 საუკუნეში ეკლესიის სამფლობელო ყოფილა და ეს კუთხეც უფრო გვიან გადასულა ბაგრატიონთა მფლობელობაში, ბაგრატიონთა გვარის გავლენის გაძლიერების შემდეგ.

თავდაპირველი ძირითადი სამფლობელო სომხეთის ბაგრატიონებისა არის სომხეთის სპერის პროვინცია. რომ სწორედ სპერის პროვინცია შეადგენდა სომხეთის ბაგრატიონთა ძირითადს თავდაპირველ სამკვიდროს, ამას ადასტურებს ჩვენება სომეხ ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელისა¹. და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამასვე ადასტურებს აგრეთვე სომხეთის ბაგრატიონთა საგვარეულოს ისტორიკოსი — მოსე ხორენელი².

*

გავეცნოთ ამის შემდეგ სომხეთის სპერის პროვინციის ისტორიას.

სომხეთის სპერის პროვინცია მდებარეობდა ქოროხის ხეობის სათავეებში. მთავარი პუნქტი სომხეთის სპერის პროვინციისა იყო ქალაქი ბაიბერთი (თანამედროვე ბაიბურთი).

საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ ტერიტორიები ქოროხის ხეობისა ისტორიულ წარსულში, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, მოსახლეობის შემადგენლობით ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა.

კერძოდ ეს კუთხეც ქოროხის ხეობისა — სომხეთის სპერის პროვინცია — არ იყო ძირეული სომხური მხარე, არამედ ქართული ოლქი, რომელიც ანტიკურ ხანაში სომხეთმა შეიერთა საქართველოდან (იბერიიდან).

ჩამოშორება ამ კუთხისა საქართველოდან და მისი პოლიტიკურად გაერთიანება სომხეთთან მომხდარა საკმაოდ გვიან ხანაში, ანტიკური ხანის დასასრულს, მეორე-მესამე საუკუნეებში ახალი წელთაღრიცხვისა³.

შემდგომი ისტორია სპერის ამ მხარისა, რომელიც პოლიტიკურად დაუკავშირდა სომხეთს, შემდეგი იყო.

ვიდრე მე-4 საუკუნის დასასრულამდე სპერის ეს კუთხე შედის არშაკიდების სომხეთის სამეფოს ფარგლებში.

მე-4 საუკუნის დასასრულს, 387 წელს, არშაკიდების სომხეთის სამეფოს ორად გაყოფის შემდეგ, სპერის ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, ბიზანტიის საზღვრებში შევიდა. ამის შემდეგ, 389 წელს, ბიზანტიის სომხეთში გაუქმებულ იქმნა მეფობა და სპერის ეს სექტორი, დასავლეთ სომხეთის სხვა მხარეებთან ერთად, ბიზანტიის პროვინცია ხდება.

დაწყებული ამ დროიდან, მე-4 საუკუნის დასასრულიდან — ვიდრე მე-9 საუკუნემდე, სპერის ეს ნაწილი ბიზანტიის საზღვრებშია მოქცეული და ადმინისტრაციულად დაკავშირებულია სომხეთის იმ პროვინციებთან, რომლებიც ბიზანტიას ჰქონდა დაპყრობილი.

¹ იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, V, 44, გვ. 216.

² იხ. მოსე ხორენელი, II, 3, 37, III, 43.

³ იხ. ამ საკითხზე დაწერილებით ქვემოთ, თავი VI, 3, ე: „სპერის მხარის ისტორიისათვის“.

ბოლო მე-9 საუკუნიდან მოკიდებული, მას შემდეგ რაც ქართველთა სამეფოს ცენტრი ქოროხის ხეობაში — არტანუჯში — იქმნა გადატანილი, საქართველო ავრცელებს თავის გავლენას ქოროხის ხეობის ყველა სანაპიროზე. ამ დროსვე ქართველთა სამეფოსთან გაერთიანებულ იქმნა საქართველოს ეს ძველი კუთხეც — სპერის სექტორი.

ამის შემდეგ ჩვენ განვიხილავთ საკითხს, თუ როგორი იყო საზღვრები სომხეთის სპერისა და აგრეთვე როგორი იყო ეთნოგრაფიულ შემადგენლობა ამ მხარის მოსახლეობისა.

საზღვრები სომხეთის სპერის პროვინციისა სრულიად ზუსტად ირკვევა იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც დაცულია ქართულ, სომხურ და ბერძნულ წყაროებში.

სახელდობრ, წყაროებიდან ირკვევა, რომ სომხეთთან შეერთებული ყოფილა არა მთელი ძველი ისტორიული სპერის მხარე, არამედ მხოლოდ ერთი ნაწილი სპერის მხარისა.

არსებულა სომხეთის სპერი, რომელიც შედიოდა სომხეთში; ამის გვერდით არსებულა იბერიის (ქართლის) სპერი, რომელიც შედიოდა იბერიაში (ქართლში); არსებულა აგრეთვე ქანეთის სპერი, რომელიც ტერიტორიულად აკრავდა იბერიისა და სომხეთის ზონებს, მაგრამ პოლიტიკურად არ შედიოდა არც იბერიაში და არც სომხეთში, არამედ ტრაპიზონის მხარის ქანების პოლიტიკური გაერთიანების ნაწილს შეადგენდა.

ტერიტორიული მოცულობა ამ სამი ზონისა შემდეგი იყო:

სომხური სპერი, როგორც ეს სრულიად ზუსტად ირკვევა პროკოპი კესარიელის ცნობების მიხედვით, მოიცავდა მდინარე ქოროხის სათავეებს ვიდრე ქალაქ ბაიბურთამდე; ბაიბურთთან თავდებოდა სომხეთის საზღვარი (თვით ქალაქი ბაიბურთი სომხეთში შედიოდა)¹.

იმავე პროკოპი კესარიელის ცნობებიდან ირკვევა ამავე დროს, რომ ქოროხის ხეობის (სპერის) მეორე ზონა, — საკუთრივ ქანური ტერიტორია, — იწყებოდა ბაიბურთის ქვემოთ და მოიცავდა ბაიბურთის მოსაზღვრე დართის ველს².

ამის ქვემოთ უწევს ტერიტორია მესამე ზონისა, — იბერიის (ქართლის) სპერისა, — რომელიც მოიცავდა ქოროხის ხეობის იმ ნაწილს, სადაც მდებარეობს ქალაქი სპერი (თანამედროვე ისპირი). ეს კანტონი, ქართული სპერი, კარგად არის ცნობილი ძველ-ქართული საისტორიო წყაროებით. ჯუანშერის ქრონიკაში, ტექსტში, რომელიც მე-7 საუკუნის პირველ მესამედს ეხება, მოიხსენება, როგორც საქართველოს ტერიტორიის ნაწილი „საზღვარი ქართლისა სპერისა“³.

¹ იხ. პროკოპი კესარიელი De Aedificiis (ed. Bonn.), III, 4; Н. Адонц Археология эпохи Юстиниана, 1908 წ. გვ. 60, 62.

² იხ. პროკოპი კესარიელი op. cit., III, 6; ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, II, გვ. 182—188; Н. Адонц, op. cit., გვ. 60—65.

³ იხ. ჯუანშერი, გვ. *414/196.

ეს კუთხე — „საზღვარი ქართლისა სპერი“ — წარმოადგენდა ძირეული ქართული მიარის კლარჯეთის ნაწილს. (როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, კლარჯეთის მხარე ძველი დანაწილებით აერთიანებდა ოთხს კანტონს: საკუთრივ კლარჯეთი, ნიგალი, შავშეთი და „საზღვარი ქართლისა სპერი“) ¹.

განვიხილოთ ამის შედეგ ამ მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის საკითხი.

ქოროხის ხეობის ის სექტორი, რომელიც უჭირავს სპერის მხარის ზემოთ დასახლებულ სამ კუთხეს, უძველესი დროიდანვე დასახლებული ყოფილა ქართველი ხალხის ორი შტოს — იბერიელების (მესხების) და ქანების მიერ.

სპერის მხარეთა ზემო ნაწილში, როგორც ეს ირკვევა პროკოპი კესარიელის ცნობების მიხედვით, სახლობდნენ ქანები; ქვემო ნაწილში კი, ჩანს იბერიელები (მესხები) შეადგენდნენ უმრავლესობას. (როგორც ეს დადგენილია სპეციალურ ლიტერატურაში, თვით სახელწოდებაც ამ მხარისა სპერი || * სბერი || ჰიბერი დაკავშირებულია იბერთა სატომო სახელთან).

საკითხავია, როგორი მდგომარეობა დამყარდა სპერის იმ ნაწილში, რომელიც სომხეთმა დაიკირა, შეიცვალა იქ მოსახლეობა მას შემდეგ, რაც იგი იბერიას ჩამოსცილდა და სომხეთში გადავიდა? თუ აქ იგივე ძველი ქართული (ქანურ-იბერიული) მოსახლეობა დარჩა, როგორც სპერის დანარჩენ ნაწილებში, ქანურ სპერში და იბერიის სპერში?

როგორც ირკვევა, ამ კუთხეში, ე. ი. სპერის იმ ნაწილში, რომელიც სომხეთმა დაიკირა, მოსახლეობის შემადგენლობა ძირითადად არ შეცვლილა. სომხების ჩამოსახლებას აქ არ ჰქონია ადგილი და არც სომხურ ენას მიუღია აქ გავრცელება.

სომხეთის ბაგრატიონთა მემკვიდრე — მოსე ხორენელი — პირდაპირ აღნიშნავს, რომ სომხეთის ბაგრატიონთა სამფლობელო, რომელიც მდებარეობს სომხეთის დასავლეთ სანაპიროზე, არისო ის მხარე, სადაც უკვე არ იმისო სომხური ენა ².

ასევე მე-8 საუკუნის სომეხთა მწერლის სტეფანოს სივნიელის ცნობის მიხედვითაც სპერში სომხურ ენას გავრცელება არა ჰქონია ³.

*

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, შუქი ეფინება სომხეთის ბაგრატიონთა წარმოშობის საკითხს.

ჩვენ უკვე დადგენილი გვქონდა, რომ ქართველ ბაგრატიონთა გვარეულობა იყო განშტოება ძველ-ქართული ფარნავაზიანთა დინასტიისა და მისი წევრები დადგენილი იყვნენ „პიტიახშებად“, ე. ი. მმართველ მთავრებად მესხეთის მხარეთა — „კლარჯეთის სახლისა“.

ხოლო სომხური სპერი, ე. ი. სპერის ის ნაწილი, რომელიც იბერიიდან სომხეთის ფარგლებში გადავიდა, ტერიტორიულად უშუალოდ ეკვრის მესხეთის მხარეებს — „კლარჯეთის სახლს“.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 78.

² იხ. მოსე ხორენელი, წიგნი II, თავი 3.

³ იხ. სტეფანოს სივნიელი, გამოცემა ნ. აღონცისა (Джониси Фривискии и армянские топонимы, 1915 წ.) გვ. 187. — სტეფანოს სივნიელის ამ ტექსტის შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ.

უფრო მეტი: სომხეთის სპერი არათუ მარტოოდენ ტერიტორიულად ეკვრის მესხეთის მხარეებს — „კლარჯეთის სახლს“, არამედ სომხეთის სპერი ეს არის ნაწილი, ჩამონაჭერი მესხეთის მხარეებისა — „კლარჯეთის სახლი“-სა. (ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ სპერის ის სექტორი, რომელიც საქართველოში დარჩა, — „საზღვარი ქართლისა სპერი“, — ძველი ადმინისტრაციული დანაწილებით კლარჯეთის ნაწილს შეადგენდა).

ამის შემდეგ გასაგებია, რომ სპერის ამ ტერიტორიაზე, რომელიც სომხეთის ფარგლებში გადავიდა, მმართველ მთავრებად დარჩენილა განშტოება იმავე ბაგრატიონთა გვარისა, რომლებიც მკვიდრობდნენ აქ უფრო ადრე, ვიდრე ეს მხარე სომხეთს შეუერთდებოდა.

ამრიგად აქაც, სომხეთის სპერში, იგივე მდგომარეობა არსებულა, როგორსაც ჩვენ ვხედავთ ამავე ეპოქაში მეორე პროვინციაში, გოგარენის სამთავროში.

როგორც ცნობილია, ანტიკურ ხანაში, იმავე პერიოდში, როდესაც სომხეთის ფარგლებში შევიდა სპერის მხარე, სომხეთის საზღვრებში მოქცეული იყო აგრეთვე მეორე ქართული მხარე — გოგარენის სამთავრო. და როგორც ეს დასტურდება სომეხთა ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის ცნობებიდან, გოგარენში, სომხეთთან შეერთების შემდეგაც, მმართველ მთავრებად — პიტიახშებად — დარჩენილა იგივე ძველი ქართველ მთავართა გვარეულობა, „ფარნავაზიანნი“, განშტოება იბერიის მეფეთა დინასტიისა; ქართველ ფარნავაზიანთა მთავრობა გოგარენში გავრძელებულა ამ მხარის სომხეთთან შეერთების შემდეგაც რანდენიმე საუკუნის მანძილზე¹.

აღსანიშნავია, ამას გარდა, რომ გოგარენის პროვინციას, ისევე, როგორც სომხეთის სპერს, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩამოცილებული იყო იბერიას და პოლიტიკურად სომხეთთან იყო გაერთიანებული, არ დაუქარგავს ქართული ეთნიკური სახე და არც ამ მხარის მმართველ მთავრებს — პიტიახშებს — შეუწყვეტიათ კავშირი ქართულ მსოფლიოსთან. და როგორც ეს ჩახს სომეხთა ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის ცნობებიდან, როდესაც მე-4 საუკუნეში (ახ. წ.) გოგარენი განუღგა სომხეთს და შეუერთდა იბერიას, ამ მოძრაობას იბერიასთან შეერთებისათვის იგივე გოგარენის პიტიახშების სახლი — ფარნავაზიანნი — ხელმძღვანელობდნენ².

*

წარმოდგენილი მასალების მიხედვით ამრიგად ირკვევა, რომ სომხეთის ბაგრატიონთა შტოს გამოყოფა ქართველ ბაგრატიონთა გვარეულობიდან უძველეს ხანაში მომხდარა, ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში, როდესაც სომხეთმა შეიერთა იბერიის სანაპირო სპერის მხარე.

მას შემდეგ სომხეთის ბაგრატიონთა ეს შტო დიდ როლს თამაშობს სომხეთის ისტორიაში. მათი გავლენა თანდათან იზრდება; ფართოვდება აგრეთვე მათი სამფლობელოები. მე-4 საუკუნის შემდეგ, როდესაც სომხეთში დაეცა

¹ იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, V, 15, გვ. 177—178.

² იხ. იქვე.

არშაკიდების სამეფო სახლი, სომხეთის ბაგრატიონთა მფლობელობაში გადადის აირარატის მხარის კოვის პროვინცია, რომლის განთქმული ციხე-ქალაქი დარონქი (ახლანდელი ბაიაზეთი) ამის შემდეგ იქცა სომხეთის ბაგრატიონთა მთავარ რეზიდენციად. სომხეთის ბაგრატიონთა მფლობელობაში გადავიდა აგრეთვე აირარატის მხარის ბაგრევანდის პროვინცია.

ამრიგად, ბაგრატიონთა გვარის სომხეთის შტო დროთა განმავლობაში ახლო დაუკავშირდა სომხეთის ქვეყანას. უფრო გვიან მათ სომხეთის მეფობაც მიიღეს.

ჩვენ დრომდე მოღწეული სომხური და ქართული საისტორიო წყაროები ეკუთვნიან საშუალო საუკუნეებს და ამრიგად მეტად დიდი მანძილით არიან დაშორებული იმ ეპოქას, როდესაც მომხდარა სომხეთის ბაგრატიონთა შტოს გამოყოფა. ამიტომაც, რასაკვირველია, არ არის მოსალოდნელი, რომ ამ შედარებით გვიანდელ საისტორიო ძეგლებში დაცული იყოს პირდაპირი ავთენტური ცნობები სომხეთის ბაგრატიონთა შთამომავლობა-სადასურობის შესახებ.

მაგრამ წყაროებში მაინც შენახულა უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენებანი, საისტორიო გადმოცემები, რომლებიც მიუთითებენ სომხეთის ბაგრატიონთა შტოს საქართველოდან წარმომავლობას.

სომხურ საისტორიო მწერლობაში უძველესი ძეგლები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს სომხეთის ბაგრატიონთა ადრინდელი ისტორიის შესახებ, შემდეგია:

1. მე-7 საუკუნის ისტორიკოსის სებეოსის მატიანის შესავალში ჩართული ძეგლი, რომელიც სებეოსის ანონიმის სახელით არის ცნობილი. ეს ტექსტი, სებეოსის ანონიმი, დაახლოებით მე-6 საუკუნით თარიღდება.

2. მოსე ხორენელის ისტორია, რომლის თარიღი ზუსტად გარკვეული არაა და რომელიც ყველა ნიშნით მე-7 საუკუნეზე გვიან დროს არ ეკუთვნის.

პირველ ძეგლზე, რომელიც სებეოსის მატიანშია ჩართული, ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი. ამ ძეგლში მოყვანილია გენეალოგია ბაგრატიონთა გვარისა, რომელიც იწყება ფარნავაზიდან. ამავე ძეგლის მეორე ადგილას სომხეთის ბაგრატიონთა სახლის წარმომადგენელი ბაგრატი (ბაგრატი) მოიხსენება როგორც „ფარ(ნ)ავაზიანი“¹.

ამ უძველესი სომხური საისტორიო წყაროს უწყებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ზემოთ წარმოდგენილ დებულებათა დასადასტურებლად. ამის მიხედვით ირკვევა, რომ სომხეთის ბაგრატიონთა გვარის შესახებ თვით სომხეთში არსებულა გადმოცემა, რომ ისინი არიან ფარნავაზიანი და, მაშასადამე, აქ ჩვენ ვვაქვს ერთ-ერთი მაჩვენებელი იმისა, რომ სომხეთის ბაგრატიონთა გვარი მომდინარეობს ქართველ ბაგრატიონთა გვარეულობიდან, რომელიც ძველ ქართული ფარნავაზიანთა დინასტიის განშტოებას წარმოადგენდა.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია ძველი სომხური საისტორიო მწერლობის მეორე ძეგლის — მოსე ხორენელის ისტორიის ჩვენება.

¹ იხ. სებეოსი, 1939 წ., გვ. 6 — 7, 9 (იხ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 80).

მოსე ხორენელი, როგორც ცნობილია, სომხეთის ბაგრატიონების კარის ისტორიკოსი იყო და მის თხზულებაში ჩვენ გვაქვს გამომდახილი იმ შეხედულებათა და გადმოცემათა, რაც სომხეთის ბაგრატიონთა კარის წრეში ყოფილა მიღებული და გავრცელებული.

თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ მოსე ხორენელი საგანგებოდ აფრთხილებს სომეხ მკითხველებს, რომ სომხეთის ბაგრატიონები არ არიან სომხური შთამომავლობისა. მოსე ხორენელი წერს:

„ზოგიერთი პირები, რომლებიც არ არიან ღირსნი ნდობისა და არ ხელმძღვანელობენ ქემმარიტებით, თვითნებურად ამბობენ, რომ გვირგვინის-დამდგმელთა ბაგრატიონთა გვარი თითქოს მომდინარეობს პაიკისაგან. ამაზედ გეტყვი: არ ერწმუნო ასეთ სულელურ სიტყვებს იმიტომ, რომ ასეთ სიტყვებში არ არის არავითარი კვალი, არავითარი ნიშან-წყალი სიმართლისა“¹.

ამრიგად, მოსე ხორენელი კატეგორიულად უარყოფს სომხეთის ბაგრატიონთა სომხურ შთამომავლობას.

მაშ ვინ იყვნენ სომხეთის ბაგრატიონნი?

მოსე ხორენელს მოჰყავს თქმულება ბაგრატიონთა გვარის ჰურიასტანიდან შთამომავლობის შესახებ².

დღემდე გაუგებარი და აუხსნელი იყო, თუ საიდან წარმოიშვა ეს გადმოცემა. ამის შესახებ სხვადასხვა ჰიპოთეზები იყო წარმოდგენილი.

მაგრამ მას შემდეგ, რაც ჩვენ გავარკვეეთ გენეზისი უძველესი ქართული საისტორიო თქმულებისა ქართველი ხალხის „არიან ქართლიდან“ გადმოსახლების შესახებ, გავარკვეეთ აგრეთვე ის ცვლილებანი, რომელნიც ამ თქმულებას შემდეგ ხანებში განუცდია, ცხადი ხდება, რომ მოსე ხორენელის მიერ მოყვანილი გადმოცემა — ეს არის გამომდახილი ქართველი ხალხის ამ უძველესი ეროვნული თქმულებისა.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მოსე ხორენელის თხზულებაში ეს თქმულება ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი. კერძოდ, ამის მიხედვითაც ირკვევა, რომ თქმულების ქართული ვერსია არის პირველწყარო, ხოლო სომხური ვერსია მომდინარეობს ქართულიდან, წარმოადგენს ამ უკანასკნელის შემდეგდროინდელს გაბუნდოვანებულ ვარიაციას.

სახელდობრ, მოსე ხორენელის თხზულებაში ეს თქმულება წარმოდგენილია ორ ცალკეულ ფრაგმენტად, რომელთა შორის კავშირი გაწყვეტილია.

1. პირველი ფრაგმენტი. მოსე ხორენელი თავისი თხზულების მეორე წიგნის მე-8 თავში აღნიშნავს, რომ იბერიელები (ქართველები) გადმოსახლებული არიან თანამედროვე მიწა-წყალზე ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის დროს. როგორც ამის შესახებ უფრო დაწვრილებით სხვა ადგილას გვაქვს საუბარი, მოსე ხორენელის მოთხრობაში ჩვენ გვაქვს შეცვლილი ვერსია თქმულებისა ქართველების არიან-ქართლიდან გადმოსახლების შესახებ³.

¹ იხ. მოსე ხორენელი, წიგნი I, თავი 22.

² იხ. იქვე.

³ იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატრიანე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 284—286.

2. მეორე ფრაგმენტი. მოსე ხორენელი მეორე ადგილას (წიგნი I, თავი 22) გადმოგვცემს, რომ ბაგრატიონები არიან შთამომავალი ებრაელი დიდებულისა, რომელიც ეკუთვნოდა იმ ტყვეების რიცხვს, რომლებიც ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა წამოიყვანა ჰურიასტანიდან.

ეს მეორე თქმულება მოყვანილია პირველისაგან დამოუკიდებლად. ხოლო სინამდვილეში აქ საქმე გვაქვს ერთი და იმავე თქმულების ორ ნაწყვეტთან. პირველი ფრაგმენტი (იბერიელები, „ტყვედ“ წამოყვანილნი ბაბილონის მეფის მიერ და დასახლებულნი საქართველოს თანამედროვე მიწა-წყალზე), და მეორე ფრაგმენტი (ებრაელი დიდებული, წინაპარი ბაგრატიონთა გვარისა, აგრეთვე „ტყვედ“ წამოყვანილი იმავე ბაბილონის მეფის მიერ) — ეს არის ცალკეული ნაწილები ერთი და იმავე თქმულებისა ქართველების სამხრეთიდან („არიან-ქართლიდან“) გადმოსახლების შესახებ.

ამრიგად, სომხეთის ბაგრატიონთა გვარეულობის მემბტიანეს მოსე ხორენელს დაუცავს მეტად მნიშვნელოვანი ჩვენება, რაც მიუთითებს სომხეთის ბაგრატიონთა საქართველოდან შთამომავლობას. მიუხედავად იმისა, რომ სომხეთის ბაგრატიონები საუკუნეთა განმავლობაში სომხეთთან იყვნენ დაკავშირებული, სომხეთის ბაგრატიონთა გვარში დარჩენილი ყოფილა ძველი საგვარეულო გადმოცემა მათი წინაპრების ქართველი ბაგრატიონებისა, დაკავშირებული უძველეს ქართულ ეროვნულ თქმულებასთან ქართველი ხალხის სამხრეთიდან გადმოსახლების შესახებ ბაგრატიონთა (იმავე ფარნავაზიანთა) სახლის მეთაურობით.

*

დასასრულ, ჩვენ აქ შევჩერდებით კიდევ ერთ საკითხზე, — ბაგრატიონთა გვარის ონომასტიკონზე, საგვარეულო სახელებზე, რაც აგრეთვე მიუთითებს სომხეთის ბაგრატიონთა გვარის საქართველოდან შთამომავლობას.

როგორც ცნობილია, დიდებულთა ძველ გვარეულობებში გავრცელებული იყო ეგრეთწოდებული საგვარეულო სახელები, ე. ი. სახელები, რომლებიც უპირატესად გარკვეულ გვარეულობაში იხმარებოდა.

კერძოდ, ბაგრატიონთა გვარში, როგორც ქართველ ბაგრატიონთა შტოში, ისე სომხეთის ბაგრატიონთა შტოში, მიღებული იყო შემდეგი ოთხი სპეციფიკური საგვარეულო სახელი, რომლებიც ყველა ბოლოვდება ერთი და იმავე გრამატიკული ელემენტით „ტ-ი“:

ბ ა გ რ ა-ტ-ი; ს უ მ ბ ა-ტ-ი; ბ ი ვ რ ა-ტ-ი; ა შ ო-ტ-ი.

რა წარმოშობისაა ეს სახელები?

სომხური ონომასტიკონის საკითხები კარგად არის შესწავლილი და არსებული მასალების მიხედვით შესაძლოა გადაკრით ითქვას, რომ ამ სახელებს არა აქვთ არაერთარი კავშირი სომხურ ენობრივ სამყაროსთან. ეს სახელები ბაგრატიონთა გვარის კუთვნილებაა და ეს სახელები გავრცელებულა სომხეთში მხოლოდ მას შემდეგ, რაც სომხეთში ბაგრატიონთა გვარი დამკვიდრდა და აქ გავლენას მიიღწია. რომ ეს სახელები არ ეკუთვნის სომხურ ონომასტიკონს, ირკვევა კერძოდ იმის მიხედვითაც, რომ სომხური ონომასტიკონისათვის საერთოდ უცხოა ამ ტიპის სახელები, დაბოლოებული გრამატიკული ელემენტით „ტ-ი“.

ამ ოთაი სახელიდან, რომლებიც აუტსანელად ითვლება, მხოლოდ პირველი სახელის — „ბაგრატი“ — ს შესახებ გამოთქმული იყო მოსახრება პ. რ. ნ. ადონცის მიერ, რომ ეს სახელი „ბ ა გ რ ა-ტ-ი“ (რომლის ვარიანტიული ს. ხ. უკაა აგრეთვე „ბ ა გ ა რ ა-ტ-ი“) ვითომც მომდინარეობს ირანულიდან „ბ ა გ ა დ ა ტ“. ამის მიტედვით ნ. ადონცი გამოთქვამდა მოსახრებას რომ ბაგრატიონთა გვარა, ჩანს, ირანის სანაპირო ნხარეებიდან არის წარმოშობილი¹.

¹ იხ. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908 წ., გვ. 307—308, 412—413.

მაგრამ, ჯერ ერთი, თუნდაც სახელი „ბაგრა-ტ-ი“ იყოს იგივე ირანული „ბაგადატ“, ეს სრულიად არ მოასწავებს ბაგრატიონთა შთამომავლობას ირანიდან, თუ ირანის სანაპირო მხარეებიდან. ირანული სახელები საერთოდ ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოსა და კავკასიაში და ირანული სახელების ხმარება არავითარ ჩვენებას არ იძლევა სადაპრობა-შთამომავლობის შესახებ.

შემდეგ, თავისთავად ეს ჰიპოთეზი, რომ სახელი „ბაგრა-ტ-ი“ ვითომც არის ირანული „ბაგადატ“ — შეუშოწმებელ მოსაზრებას წარმოადგენს, რაც არაფრით არ დასტურდება. საისტორიო წყაროებში ჩვენ არა გვაქვს არც ერთი მაგალითი იმისა, რომ ბაგრატიონთა გვარში გვხვდებოდეს ეს სახელი ფორმით „ბაგადატ“, ანდა ერთმანეთის წაცულად იხმარებოდეს სახელები „ბაგრა-ტ-ი“ და „ბაგადატ-ი“.

ბოლო მთავარი გარემოება, რომლის მიხედვითაც ირკვევა სრული უსაფუძვლოა ამ მოსაზრებისა სახელების „ბაგრა-ტ-ი“-ს და „ბაგადატ“-ის ვითომდა იგივეობის შესახებ, არის შემდეგი. ბაგრატიონთა ეს საგვარეულო სახელი „ბაგრა-ტ-ი“ ცხადია არ შეიძლება ღვაწლათ ბაგრატიონთა სხვა საგვარეულო სახელებს, რომლებიც ყველა ერთი და იმავე ტიპისაა და ბოლოვდება ერთი და იმავე გრამატიკული ფორმანტით „ტ-ი“, ე. ი. სახელებისაგან „სუმბა-ტ-ი“, „ბივრა-ტ-ი“, „აშო-ტ-ი“. და თუ ჩვენ დავეუშვებდით, რომ ირანული წარმოშობისაა სახელი „ბაგრა-ტ-ი“, ირანული წარმოშობისად უნდა მიგვეჩინა აგრეთვე დანარჩენი სახელებიც — „სუმბა-ტ-ი“, „ბივრა-ტ-ი“, „აშო-ტ-ი“; მაგრამ ამ უკანასკნელი სახელებისათვის ირანულ ონომასტიკონში ვერავითარი ანალოგია ვერ იქმნა მოძებნილი.

ამრიგად, საკითხი სახელი „ბაგრა-ტ-ი“-ს ირანული წარმოშობის შესახებ თავისთავად იხსნება.

მაშ სად უნდა ვეძიოთ ამ სახელების ახსნა?

რაკი გამოირკვა, რომ ბაგრატიონთა გვარი ქართული წარმოშობისა ყოფილა, საფიქრებელი ხდება, რომ ეს სახელებიც ქართული წარმოშობისაა.

და, როგორც ირკვევა, ეს მართლაც ასეა.

თავდაპირველად აღვნიშნავთ, რომ გარდა ბაგრატიონთა გვარეულობისა, რომლის ძირითად სამფლობელოს მესხეთის მხარენი — „ქლარჯეთის სახლი“ — კოროხის ხეობა შეადგენდა, მეორე ძველ-ქართულ გვარეულობაშიც, ორბელინთა (ქან-ბაკურიან-ორბელინთა) გვარში, რომლებიც, როგორც ირკვევა, იმავე მხარეთაგან, კოროხის ხეობიდან იყვნენ წარმოშობით (ტაოდან, resp. კოროხის ქანეთიდან), ჩვენ გვაქვს იმგვარივე სახელები, დაბოლოებული გრამატიკული ელემენტით „ტ-ი“, როგორც, მაგალითად, „ლიპარი-ტ-ი“, „რა-ტ-ი“, ე. ი. სახელები იმავე ტიპისა, რაც ბაგრატიონთა სახელები: ბაგრა-ტ-ი, სუმბა-ტ-ი, ბივრა-ტ-ი, აშო-ტ-ი.

რას აღვნიშნავს ეს დაბოლოება „ტ-ი“, დართული სახელების ბოლოში?

ქართულს ონომასტიკონში აზგვარი დაბოლოება „ტ-ი“, როგორც ირკვევა, ორ შემთხვევაში იხმარება:

ა. როგორც დაბოლოება გვარის სახელებისა, გვარებისა;

ბ. როგორც დაბოლოება პირთა სახელებისა.

გვეცნოთ ამ ორივე ტიპს.

ა. დაბოლოება გვარებისა: „ტ-ი“.

ქართულ გვარებში, როგორც ცნობილია, მრავალგვარი დაბოლოებაა მიღებული: „-ძე“, „-შვილი“, „-ური“, „-ანი“ („-იანი“) და სხვანი.

გვარების ამგვარ დაბოლოებათა რიცხვს ეკუთვნის დაბოლოება „თი“ და მისი ვარიანტული სახეობა „ტი“.

დაბოლოება გვარებისა „თი“ დღემდე შერჩენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, მაგალითად ხევში, და აგოეთვე მესხეთში.

ხევში გვარის დაბოლოება „თი“ ფართოდ არის გავრცელებული, იგი იხმარება პარალელურად დაბოლოებისა „-შვილი“ და „-ური“. ასე, მაგალითად, გვარი „ჩოფიკა-შვილი“ ხევში ორნაირად გამოითქმის: როგორც „ჩოფიკა-შვილი“, და „ჩოფიკე-თი“; ასევე „გოძია-შვილი“ და ამის პარალელურად „გომიე-თი“. „ხეთაგ-ური“ და ამის პარალელურად „ხეთაგე-თი“ და სხვანი.

ასრევა მესხეთშიაც. ჩესხეთში ჩვენ გვაქვს, მაგალითად, გვარი „თამარა-შვილი“, ხოლო ამის პარალელად „თამარა-თი“, ასევე „ტატალა-შვილი“ და ამის პარალელად „ტატალა-თი“ და სხვანი.

გვარის ეს დაბოლოება „თი“, ძველად, როგორც ირკვევა, განსაკუთრებით ფართოდ ყოფილა გავრცელებული მესხეთში, კერძოდ კუროხის ხეობაში, შავშეთ-კლარჯეთში. ჩვენამდე მოღწეულა საშუალო საუკუნეებრიდან ძეგლი, სულთა-ნატიანე მიქინიანის ხევისა, რომლის ძირითადი ტექსტი მე-14—15 საუკუნეებს ეკუთვნის¹; ამ ძეგლში, რომელშიაც აღწერილია სოფლობრივ მოსახლეობა კუროხის ხეობის მიქინიანის (მაკახელის) თემისა, რომელიც შავშეთის ფარგლებში შედიოდა, ადგილობრივი მოსახლეობის გვარები წარმოდგენილია ამ დაბოლოებით: „თი“. როგორც ირკვევა, ძირითადი სახეობა გვარებისა შავშეთ-კლარჯეთში ძველად, საშუალო საუკუნეებში, სწორედ ამ სახეობისა ყოფილა.

ეს რაც შეეხება გვარის დაბოლოებას „თი“.

პარალელურად ამ დაბოლოებისა „თი“ არსებობს აგრეთვე ამავე სახის დაბოლოება ქვარისა „ტი“, რომელიც, ჩანს, წარმოადგენს დაბოლოება „თი“-ს სახესხვაობას, ქართული ენის სხვა დიალექტში წარმოქმნილს.

ძველ-ქართულ საბუთებში ჩვენ გვხვდება მაგალითად გვარი: „გიგი-ტი“². იგი ნაწარმოებია სახელიდან: „გიგი“. ამწარად გვარა „გიგი-ტი“ იგივეა, რაც „გიგი-თი“ („გიგის-ძე“).

ასევე გვარი „ჯიბუ ტი“. იგი ნაწარმოებია სახელიდან: ჯიბო, ჯიბუ. ამრიგად „ჯიბუ-ტი“ იგივეა, რაც „ჯიბუ-თი“ (ჯიბუს-ძე).

ასეთივე ტიპისაა, როგორც „გიგი-ტი“, „ჯიბუ-ტი“, აგრეთვე გვარები „ლლონ-ტი“, „ყენ-ტი“, „ხუბუ-ტი“ (აქედან, ორმაგი დაბოლოების დართვით, ხუბუ-ტი-ა).

ეს გვარები დაბოლოებით „ტი“ უმთავრესად გურიაშია გავრცელებული. მაგრამ ასეთი ტიპის გვარები მანც იმდენად იშვიათია გურიაში, რომ ცხადია ისინი არ არიან ადგილობრივნი, არამედ სხვა კუთხიდან არიან შეუხიხნული. გურიაში, როგორც ცნობილია, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოსულია მესხეთიდან და ჰანეთიდან (მას შემდეგ, რაც ეს კუთხეები თურქეთსა დაიპყრო). გვარის ორნაირი დაბოლოებიდან — „თი“ და „ტი“ პირველი („თი“) გავრცელებული იყო მესხეთში, ხოლო გვარები მეორე ტიპისა, როგორც ირკვევა, ჰანეთის ენობრივ სამკაროსთან არის დაკავშირებული; ასეთი შენაცვლება ბგერათა თ=ტ ჰანური დიალექტისათვის არის დამახასიათებელი. ამრიგად, ეს გვარები, დაბოლოებით „ტი“, ჩანს მომდინარეობს ჰანეთიდან, ან ჰანეთის მთაპირე მესხეთის ზონიდან, რომელიც ჰანური დიალექტის გავლენას განიცდიდა.

*

ბ. დაბოლოება პირთა სახელებისა: „ტი-ი“.

გარდა იმისა, რომ ქართულ ონომასტიკონში ბოლოკიდური „ტი“ ჩვენ გვხვდება როგორც დაბოლოება გვარის სახელებისა (გვარისა), ამავე სახის ბოლოკიდური „ტი-ი“ (ეარიანტით „ტი-ა“) ჩვენ გვხვდება აგრეთვე როგორც დაბოლოება პირთა სახელებისა.

გაეცნოთ ამ მეორე სახეობას, რაც ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს.

რას აღნიშნავს ბოლოკიდური „ტი-ი“ პირთა სახელებში?

პირთა სახელებში დამატება ბოლოკიდურისა „ტი-ი“, როგორც ირკვევა, სახელებს ანიჭებს გაძლიერებულს საალერსო კინობით მნიშვნელობას.

ავიღოთ მაგალითისათვის სახელი გიორგი; სახელთან გიორგი დაკავშირებულია კინობითი სახეობა: გოგო, გოგია; ხოლო ამ უკანასკნელიდან არის ნაწარმოები გაძლიერებული საალერსო კინობითი ფორმა: „გოგი-ტი-ი“, იგივე „გოგი-ტი-ა“.

კერძოდ, ამ სახელის სახეობიდან „გოგი-ტი-ი“ მომდინარეობს გვარი „გოგიტი-ძე“, „გოგიტი-შვილი“.

¹ ეს ძეგლი აღმოჩნდა აკადემიკოს მარი ბროსეს არქივში (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ყოფ. საახიო მუზეუმში).

² იხ. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი. I, 1907 წ., გვ. 130

(გარიანტულ ფორმებს შორის „გოგი-ტ-ი“ და „გოგი-ტ-ა“ იგივე ნიუანსური სხვაობაა, როგორც ფორმებს შორის „სიმონ-ი“ და „სიმონ-ა“, „ბასილ-ი“ და „ბასილ-ა“ და სხვანი).

ისევე, როგორც სახელთან გიორგი დაკავშირებულა გოგია, ხოლო ამ უკანააქნელისაგან მომდინარეობს საალერსო-კინობითი გოგი-ტ ი ო გოგი-ტ-ა, ამნაირადვე სახელიდან კონსტანტინე ნაწარმოებია კოტე, ხოლო ამ უკანა კნელიდან კოტე-ტი ო კოტე ტ-ა.

ასევე ძველ ქართულში ჩვენ გვაქვს სახე ლი ხახუა, აქედან ნაწარმოებია საალერსო-კინობითი: ხახუ ტ-ი ო ხახუ ტ-ა;

სახელიდან ჩანია ნაწარმოებია: ნანი-ტ-ი, ნანი-ტ-ა.

სახელიდან ხოსია: ხოსი-ტ-ი, ხოსი-ტ-ა.

სახელიდან შოშია: შოში-ტ-ი, შოში-ტ-ა.

სახელიდან კაცი, კაჟა: კაცი-ტ-ი, კაცი-ტ-ა.

სახელიდან ბერი: ბერი-ტ-ი, ბერი-ტ-ა და სხვანი.

როგორც ირაკლე ა, ძე ლად ამ ფორმანტს „ტ-ი“ ო „ტ-ა“ ფართო გავრცელება ჰქონია; ეს ბოლოკიდური „ტ-ი“ ო „ტ-ა“ შეიძლება ვეღვა სახელს დამატებოდა, რითც სახელს საალერსო-კინობითი მნიშვნელობა ეძლეოდა.

ასე, მაგალითად, ძველ ქართულ საბუთებში ჩვენ გვხვდება ასეთი სახელები.

გივი-ტ-ი, გივი-ტ-ა (სახელიდან გივი).

ხახუ-ტ-ი, ხახუ-ტ-ა (სახელიდან ხახა, ხახო).

ბეგი-ტ-ი, ბეგი-ტ-ა (სახელიდან ბეგია).

შალუ-ტ-ი, შალუ-ტ-ა (სახელიდან შალვა).

ოსი-ტ-ი, ოსი-ტ-ა (სახელიდან ოსე).

გიგი-ტ-ი, გიგი-ტ-ა (სახელიდან გიგი).

ბახუ-ტ-ი, ბახუ-ტ-ა (სახელიდან ბახუა).

სუხი-ტ-ი, სუხი-ტ-ა (სახელიდან სუხია).

გელი-ტ-ი, გელი-ტ-ა (სახელიდან გელია, გელა) და მრავალი სხვანი¹.

რომ ეს ფორმანტი „ტ-ი“ ო „ტ-ა“ ძველ ქართულში ფართოდ იხმარებოდა, ამის მაჩვენებელია განსაკუთრებით ის გარემოება, რომ ძველ საბუთებში ჩვენ გვხვდება სახელები ამგვარი კინობითი-საალერსო დამოლოებით „ტ-ი“ ო „ტ-ა“, ხოლო თვით ძრითადი სახელები, რომლებიდან ნაწარმოებია ეს კინობითი-საალერსო ფორმები, აღარ შენახულა.

ასეთია, მაგალითად, სახელები:

კოჭ-ტ-ი, კოჭა-ტ-ა

გოსი-ტ-ი, გოსი-ტ-ა

ხუბი-ტ-ი, ხუბი-ტ-ა

იალი-ტ-ი, იალი-ტ-ა

ბოჭო-ტ-ი, ბოჭო-ტ-ა

მაჭუ-ტ-ი, მაჭუ-ტ-ა და მრავალი სხვა².

ამრიგად ირაკლეა, რომ ქართულ ონომასტიკონში ბოლოკიდური „ტ-ი“ ფართო გავრცელებით სარგებლობდა, იგი მიღებული ყოფილა, როგორც გვარის სახელებში (გვარებში), ისე პირთა სახელებში.

ჩვენი საკითხისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეორე ჯგუფი, საკუთრივ პირთა სახელები. რამდენადაც ჩვენი გახსნის საგანი, ბაგრატიონთა საგვარეულო ონომასტიკონი, პირადი სახელების წილებს ეუფლება.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, ნათელი ხდება, რომ ბაგრატიონთა გვარის ეს სპეციფიკური სახელება, — ბაგრა-ტ-ი, სუფა-ტ-ი, ბიგრა-ტ-ი, აშო-ტ-ი (ისევე როგორც კან-ბაკურიან-ორბელიანთა გვარის სახელები: ლიპარი-ტ-ი და რა-ტ-ი; ქართული წარ-

¹ სახელები ამოკლებილი გვაქვს რუისის სამწყსოს დავთრიდან (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907 წ.) და საბუთების კრებულიდან „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“, I, 1940 წ. (E. ბერძენიშვილი: რედაქციით), სადაც გვხვდება როგორც ეს სახელები, ისე ამ სახელებიდან ნაწარმოები გვარები).

² სახელები ამოკლებილია ზემოთ-დასახელებული დოკუმენტებიდან.

მოშობისა ყოფილა, აქ ჩვენ გვაქვს ნიშანდობლივ პირთა სახელების ზემოაღნიშნული სახეობა დაბოლოებით „ტ-ი“, რაც ასე ფართოდ ყოფილა გავრცელებული ძველად ქართულში.

დამატებით აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ბაგრატიონთა გვარის ამ სახელებს ქართული წარმოშობა ირკვევა არა მარტო მათი საერთო კომპოზიციით, ქართული სახელებისათვის დამახასიათებელი ბოლოკიდური „ტ-ი“-ს დართვით, არამედ ზოგ შემთხვევაში შესაძლოა ამოცნობილ იქმნას თვით ის ძირითადი სახელიც კი, რომელიც საფუძვლად დასდებია ამ რთული ფორმის სახელებს ბოლოკიდურით „ტ-ი“.

1. სახელი ბ ა გ რ ა - ტ - ი. ეს სახელი, როგორც აღნიშნული გვქონდა, ორი ფორმით გვხვდება: ბაგრა-ტ-ი და ბაგარა-ტ-ი. ძველ-ქართულში ამავე დროს არსებობდა სახელი ბაკურ, იგივე ბაქარ (კერძოდ, ფორმიდან ბაქარ ნაწარმოებია გვარი ბაქრა-ძე). სახელი ბაგრა ტ-ი, ბაგარა-ტ-ი ცხადია მომდინარეობს სწორედ ამ ფუძე-სახელიდან ბაქარ || *ბაგარ (ბაქრა- || *ბაგრა), ქართული ბოლოკიდური ფორმანტის „ტ-ი“-ს დართვით¹.

2. სახელი ს უ მ ბ ა - ტ - ი. ძველ-ქართულში ეს სახელი ორი ფორმით გვხვდება: სუმბა-ტ-ი და სუბა-ტ-ი (სუბა-ტ-ი). ამავე დროს, ძველ-ქართულ ონომასტიკონში არსებული სახელი *სუბა || ზუბა (აქედან მომდინარეობს გვარი: ზუბა-ძე), ანუ მეორე ვარიანტით *სუმბა || ზუმბა (აქედან მომდინარეობს გვარი: ზუმბა-ძე). სახელი სუნბა-ტ-ი (იგივე სუბა-ტ-ი) ცხადია ნაწარმოებია ამ ფუძე-სახელიდან სუმბა ანუ სუბა, ბოლოკიდური ფორმანტის „ტ-ი“-ს დართვით².

3. სახელი ა შ ო - ტ - ი. ეს სახელი ჩვეულებრივ გვხვდება ამ ფორმით (აშო-ტ-ი), მაგრამ ამ სახელის უძველესი ფორმა ყოფილა არშო-ტ-ი (როგორც ეს დამოწმებულია მე-ნ საუკუნის ტექსტში)³; ამავე დროს ძველ ქართულში არსებული სახელი არშაჲ, არშოჲ⁴. როგორც ირკვევა, ამ უკანასკნელი ფუძე-სახელიდან არის ნაწარმოები, ბოლოკიდური „ტ-ი“-ს დართვით, სახელი არშო-ტ-ი, სადაც შემდეგ მივიღეთ ფორმა აშო-ტ-ი.

აღსანიშნავია, რომ ეს სახელი არშო-ტ-ი, იგივე აშო-ტ-ი ანუ აშო-თ-ი გავრცელებული ყოფილა კანურ-მეგრულ ენობრივ სამყაროში. (ამ სახელიდან არშო-ტ-ი || აშო-ტ-ი || აშო-თ-ი მომდინარეობს ამჟამად სამეგრელოში არსებული გვარები: აშორტი-ა და აშოთი-ა)⁵.

4. სახელი ლ ი პ ა რ ი - ტ - ი. ძველ ქართულ საბუთებში დამოწმებულია სახელი ლიპარი⁶. თავისთავად ცხადია სახელი ლიპარი-ტ-ი ამ სახელიდან არის ნაწარმოები, ბოლოკიდური „ტ-ი“-ს დართვით.

¹ არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ ძველი ისტორიული ტრადიცია (რომელიც შენახულა მამიკონიანებისა და ორბელიანების, ჭორახის ხეობის ამ ძველი ბინადარი გვარების, ცნობილ ისტორიულ გადმოცემებში)—კანეთის მეფეების საგვარეულო სახელად აღნიშნავს სახელს: „ბაკურ“. რამდენადაც სპერის (ჭორახის ხეობის) კანეთი ამ დროს ბაგრატიონთა სამფლობელოს წარმოადგენდა, ამდენად შემთხვევითად არ შეიძლება ჩაითვალოს ეს შეხედრა ბაგრატიონთა საგვარეულო სახელისა ბაგრა-ტ-ი, რომელიც, როგორც ჩანს, მომდინარეობს სახელიდან ბაქარ || ბაკურ, და კანეთის მეფეების ამ საგვარეულო სახელისა ბაკურ.

² იგივე სახელი *სუბა ქართულში არსებულა აგრეთვე ფორმით სუპა; აქედან არის ნაწარმოები, ბოლოკიდური „ტ-ი“-ს დართვით, ფორმა სახელისა სუპა-ტ-ი, ხოლო ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს გვარი სუპატა-შვილი.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ სახელი *სუბა არსებულა აგრეთვე ფორმითაც *სუბია || ზუბია; ამ უკანასკნელიდან ნაწარმოებია სახელი ზუბი-ტ-ი || ზუბი-ტა, რომელიც ჩვენ გვხვდება ძველ დოკუმენტებში (იხ. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი I, 1907 წ. გვ. 174, 181).

³ იხ. Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, 1908 წ., გვ. 246—247.

⁴ სახელი არშაჲ || არშოჲ შედის როგორც შემადგენელი ნაწილი ორნაწილედ სახელში არშო-უშა || არშ-უშა (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატრიანე „მოქცევა ქართლისა“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, გვ. 296—298).

⁵ გვარი ა შ ო რ ტ ი ა — იხ. საისტორიო მოამბე, III, 1947 წ., გვ. 230.—გვარი ა შ ო თ ი ა — იხ. გახეთი „კომუნისტი“, 1950 წელი, № 282 (სამგლოვიარო განცხადებაში).

⁶ იხ. მაგალითად დაეთარი რუისის სამწყსოსი (ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907 წ., გვ. 169).

რაც შეეხება სახელებს რა-ტი და ბიერა-ტი, მათი ფუძე-სახელები არ შენახულა (კერძოდ, სახელი რა-ტი, ჩანს, შეკვეცილად არის მოღწეული), მაგრამ ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ ეს სახელებიც იმავე სახით არის ნაწარმოები, როგორც ამავე ჯგუფის დანარჩენი სახელები, ბოლოკიდურის „ტ-ი“-ს დართვით.

ასეთია ის დასკვნები, რომელთაც ჩვენ ვღებულობთ ბაგრატიონთა საგვარეულო ონომასტიკონის განხილვის შედეგად.

ამრიგად, ონომასტიკონის ანალიზი თავის მხრივ ადასტურებს იმ დასკვნებს, რაც ჩვენ მივიღეთ საისტორიო პირველწყაროების განხილვიდან ბაგრატიონთა გვარეულობის ქართული შთამომავლობის შესახებ.

ჩვენ ამით დავასრულებთ ბაგრატიონთა გვარის ისტორიის ამ მიმოხილვას¹.

5

ცნობები გიორგი მერჩულის ძეგლისა შავშეთ-არტაანისა და მიმდგომი მხარეების მმართველი მთავრების (ერისთავთ-ერისთავების) შესახებ

საისტორიო ცნობებიდან, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის ძეგლი ქართველთა სამეფოს შესახებ, აქ ცალკე შევჩერდებით ქართველთა სამეფოს ცალკეული სამფლობელოების მმართველი მთავრების შესახებ.

ამათ რიცხვს ეკუთვნიან გიორგი მერჩულის თხზულებაში დასახელებული პირნი, ბაგრატიონთა სახლის წევრნი:

1. ერისთავთ-ერისთავი აშოტ კუხი (896—918 წ.წ.) და
2. დიდი ერისთავთ-ერისთავი გურგენი (918—941 წ.წ.).

*

აშოტ კუხი კარგად ცნობილი ისტორიული პიროვნებაა, მოხსენებული მთელ რიგ ძველ-ქართულ საისტორიო წყაროებში. აშოტ კუხი იყო შვილი გურგენ I კურაპალატისა (აშოტ I დიდის შვილის-შვილისა)².

აშოტ კუხი ატარებდა ერისთავთ-ერისთავის ტიტულს და იყო მმართველი შავშეთ-არტაანისა, სამცხისა და აჭარისა. ცენტრი ამ სამფლობელოსი იყო შავშეთ-არტაანი (ამის გამო ეწოდებოდა მას შავშეთ-არტაანისა და მიმდგომი მხარეების სამფლობელოს)³.

¹ ზოგიერთი ვიწრო სპეციალური საკითხის შესახებ იხ. აგრეთვე სპეციალურ ექსკურსში, დამატებანი. (კერძოდ, ამ ექსკურსში განხილული გვაქვს ცნობა გვიანდელი ხანის ისტორიკოსის ვარდან აღმოსავლელისა; როგორც დოკუმენტალურად დასტურდება, ეს ნაგვიანევი ცნობა ტენდენციური ხასიათისაა, ანაქრონიზმს შეიცავს და ეწინააღმდეგება დადგენილ ისტორიულ ფაქტებს; ამდენად იგი მოკლებულია მნიშვნელობას ისტორიისათვის).

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71.

³ შავშეთ-არტაანი ჩამოყალიბდა ცალკე სამფლობელოდ გურგენ I კურაპალატის დროს (იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *576/348). გობრონის მარტივობიდან და კონსტანტინე პორფიროგენეტის ძეგლის ცნობებიდან ირკვევა, რომ აშოტ კუხის დროს (აგრეთვე გურგენ ერისთავთ-ერისთავის მთავრობის დასაწყისში) ამ სამფლობელოში, გარდა შავშეთ-არტაანისა, შედიოდა აგრეთვე სამცხე (ყველის-ციხის თემი) და აჭარა. ამას გარდა სავარაუდებელია, რომ აშოტ კუხის დროს (და ამაზე ადრეც, გურგენ კურაპალატის დროს) ამ სამფლობელოში შედიოდა აგრეთვე სანაპირო კუთხე კლარჯეთისა, ხანძთა და მისი სანახები (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71—72).

რეზიდენცია აშოტ კუხისა იყო ტბეთში, რომელიც შავშეთის პროვინციაში მდებარეობს. აქ, ტბეთში, აშოტ კუხის მოღვაწეობით აგებულია ერთ-ერთი უმესანიშნავესი ძეგლი ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა, განთქმული ტბეთის ტაძარი, რომელიც დღემდის ამშვენებს თურქთაგან მიტაცებულ ამ კუთხეს.

აშოტ კუხი ქართული მწერლობის დიდი მოამაგე ყოფილა. ტბეთი აშოტ კუხის დროს გადაქცეულა ქართული მწერლობისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან ცენტრად. აქ, ტბეთში, აშოტ კუხის დროს მოღვაწეობდა განთქმული მწერალი სტეფანე მტბევარი, რომელსაც მოიხსენებს გიორგი მერჩულეც თავის ძეგლში. (იმავე მე-10 საუკუნეში ტბეთში მოღვაწეობს გამოჩენილი პოეტი-ჰიმნოგრაფი იოვანე მტბევარი). არაა ინტიმესს მოკლებული აღნიშნვით, რომ სტეფანე მტბევარის ცნობილი ჰაგიოგრაფიულ-ისტორიული ნაწარმოები — მარტილობა გობრონისი — აშოტ კუხის პირადი ინიციატივით ყოფილა დაწერილი: ნაწარმოების ზედწერილში თვით ავტორი აღნიშნავს, რომ ეს ძეგლი მან დაწერა „ბრძანებითა აშოტ ერისთავთა-ერისთავისაჲთა“.

გიორგი მერჩულის ძეგლიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ აშოტ კუხი არა მხოლოდ მაშენებელი ყოფილა ტბეთისა, არამედ აშოტ კუხს დიდი მიწინებლობა ჩაუტარებდა აგრეთვე ძველი ქართული კულტურის მეორე ცნობილ ცენტრში, — ხანძთაში, სადაც მოღვაწეობდა გიორგი მერჩულე¹.

*

აშოტ კუხი უძეოდ გარდაიცვალა და მისი მემკვიდრე იყო მისი ძმისწული გურგენი. გიორგი მერჩულის ძეგლში აღნიშნულია, რომ ერისთავთ-ერისთავის აშოტის (კუხის) გარდაცვალების შემდეგ — „გურგენ, ძმისწული აშოტისა, დიდი იგი ჯელმწიფეჲ ფრიადთა ნათესავთაჲ [მრავალთა ერთა]... დაჯდა ერისთავთა-ერისთავად“².

მოღვაწეობა გურგენ ერისთავთ-ერისთავისა (რომელსაც შემდეგ „დიდი ერისთავთა-ერისთავის“ ზედწოდება მიუღია), დღემდე სათანადოდ გაშუქებული არაა, სინამდვილეში კი გურგენ ერისთავთა-ერისთავი, როგორც ირკვევა, მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართველთა სამეფოს მოღვაწეთა შორის მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში.

თავდაპირველად აღსანიშნავია გიორგი მერჩულის დახასიათება გურგენ ერისთავთ-ერისთავისა. მართლაც, საკითხავია, რისთვის უწოდებს გიორგი მერჩულე გურგენ ერისთავთა-ერისთავს — „დიდი იგი ჯელმწიფეჲ ფრიადთა ნათესავთაჲ“. ე. ი. დიდი იგი ხელმწიფე მრავალთა ერთა, მრავალთა ტომთა? რით იყო გურგენი „დიდი ჯელმწიფე“? რომელ „ფრიადთა ნათესავთა“ მბრძანებელი იყო გურგენი?

გიორგი მერჩულის საისტორიო ცნობები აღბეჭდილია ხოლმე განსაკუთრებულის სიზუსტით და ცხადია გამოთქმა „დიდი იგი ჯელმწიფეჲ ფრიადთა ნათესავთაჲ“ — არ არის შემთხვევითი და უსაფუძვლოდ ნახმარი.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71—72.

² იხ. იქვე, გვ. 72.

რომ გიორგი მერჩულე არ აქარბებს გურგენ ერისთავთ-ერისთავის დახასიათების დროს, ამას ადასტურებს მეორე ძეგლი იმავე ეპოქისა, სუმბატ დავითის-ძის ბაგრატიონთა საგვარეულო მატთანე; სუმბატ დავითის-ძის მატთანეში აღნიშნულია, რომ დიდმა ერისთავთ-ერისთავმა გურგენმა „უმეტესნი სიმკნენი და ბრძოლანი ქმნა ყოველთა მამათა მისთასა და დაიმორჩილნა ყოველნი გარემოსნი“, ე. ი. ისეთი სიმხნე გამოიჩინა და ბრძოლები გადაიხადა, რომელთა სწორი არც ერთ მის წინაპარს (ე. ი. ბაგრატიონთა სახლის არც ერთ მეფე-მთავარს) არ მოუქმედნიაო. და დაიმორჩილა „ყოველნი გარემოსნი“, გარეშემო ქვეყნებო¹.

საკითხავია, რომელი გარეშემო ქვეყნები დაუპყრია გურგენ ერისთავთ-ერისთავს, რომლის შედეგად იგი, გიორგი მერჩულის სიტყვის თანახმად, გამბდარა „დიდი იგი ქელბწიფეფ ფრიალთა ნათესავთაჲ“ (პრავალთა ერთა, მრავალთა ტომთა).

ამ საკითხს ნაწილობრივ შუქი ეფინება ამავე ეპოქის მესამე ძეგლიდან, იოანე სომეხთა კათალიკოზის მატთანედან.

ამ ძეგლის მიხედვით, რომელიც გურგენის მთავრობის დასაწყისს ეხება, ჩვენ ვგებულობთ, რომ გურგენს, ჯერ კიდევ თავისი მთავრობის პირველ წლებში, დაუპყრია სომხეთის სანაპიროები; მას შემოუერთებია მხარენი ტაშირისა, რომელიც ამ დროს სომხების მიერ იყო დაქერილი, შემოუერთებია აგრეთვე ტერიტორია ალბანეთის ტომებისა — უტის ქვეყანა (თანამედროვე განჯა-ყარაბაღის მხარე).

ეს ბრძოლები, რომლებიც უწარმოებია გურგენ ერისთავთ-ერისთავს, შემდეგ ვითარებაში იყო წარმოშობილი.

როგორც ცნობილია, მე-9 საუკუნის დასასრულს ახლად ჩამოყალიბებულმა სომეხთა სამეფომ სცადა გაეფართოვებინა თავისი საზღვრები ჩრდილოეთისაკენ, საქართველოსა და ალბანეთის მიმართულებით. ამ დროს სომეხებმა შესძლეს დაეპირათ საქართველოსადმი კუთვნილი ტაშირის პროვინციები. სომხეთმა შეიერთა აგრეთვე ალბანეთის მხარეები, მათ შორის უტის ქვეყანა.

საქართველოს პროვინციების დაქერამ გამოიწვია საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის დიდი გამწვავება. თუ რამდენად გამწვავებული იყო ამ დროს სომეხ-ქართველთა ურთიერთობა, ეს შესაძლოა გავითვალისწინოთ ამ ეპოქის ძეგლის გობრონის მარტვილობის მიხედვით, რომელიც დაწერილია მე-10 საუკუნის დასაწყისში; 914—918 წლებში (დაწერილია ამასთან სწორედ შავშეთში, ე. ი. იმ მხარეში, რომელიც აშოტ კუხისა და გურგენ ერისთავთ-ერისთავის საწვლლობელს შეადგენდა).

როგორც მოხსენებული გქქონდა, 918 წელს, აშოტ კუხის გარდაცვალების შემდეგ, გურგენი დასვეს ერისთავთ-ერისთავად შავშეთ-არტაანისა და მიმდგომი მხარეებისა. გურგენის ეს სამფლობელო აღმოსავლეთის მხრით, არტაანისა და ჯაყახეთის ხაზით, ემიჯნებოდა ტაშირის პროვინციებს, რომლებიც სომეხებს ჰქონდათ დაქერილი.

921—922 წლებში გურგენ ერისთავთ-ერისთავს დაუწყია ბრძოლა ტაში-

¹ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *580/350.

რის მხარეთა განსათავისუფლებლად. სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოზის ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ ამ დროს, 921 — 922 წლებში, გურგენს უკვე შეუერთებია ტაშირის მხარის ტერიტორიები, გარდა ზოგიერთი ციხეებისა, და ბრძოლა წარმოებდა ამ ცალკეული ციხეების აღებისათვის¹.

აქვე ხანებში გურგენ ერისთავთ-ერისთავს შემოუერთებია აგრეთვე ალბანეთის ტერიტორიები, უტის ქვეყანა (განჯა-ყარაბაღის მხარე), რომელიც სომეხებს ეჭირათ.

უტის ქვეყნის (განჯა-ყარაბაღის მხარის) შემოერთება საქართველოსთან შემდეგს ვითარებაში მომხდარა:

სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოზის ცნობებიდან ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც გურგენ ერისთავთ-ერისთავი დამკვიდრებულა ტაშირის მხარეში, სომეხთს გასდგომია უტის ქვეყანა (განჯა-ყარაბაღის მხარე) და შეერთებია გურგენ ერისთავთ-ერისთავის სამფლობელოს. კერძოდ, გურგენს მიმხრობია უტის ქვეყნის უძლიერესი მთავარი ამრამი, რომელიც გამხდარა ვასალი გურგენ ერისთავთ-ერისთავისა. საქართველოს ძალა-უფლება უცვნიათ აგრეთვე ალბანეთის დანარჩენ მთავრებსაც. თანამედროვე სომეხთა ისტორიკოსი იოანე კათალიკოზი აღნიშნავს, რომ ალბანეთის ქვეყანა გურგენ ერისთავთ-ერისთავმა გადაიბირა, ჩამოაშორა სომეხთს და ალბანეთის ნახარაგები (მთავრები) თავის ვასალებად გახადაო. ყველა ამ კუთხის (ალბანეთის ქვეყნის) ნახარარობას თავისთან ალაშქრებდა და სომეხთიდან განდგომას მოუწოდებდაო².

გურგენ ერისთავთ-ერისთავმა ალბანეთის ამ მხარეების—უტის ქვეყნის (განჯა-ყარაბაღის პროვინციების) საქართველოსთან შემოერთებით აღადგინა ის ძველი საზღვარი ქართველთა სამეფოსი, რომელიც აშოტ I-ის დროს არსებობდა³.

უტის ქვეყნის შემოერთება საქართველოსთან მომხდარა 922 წელს, გურგენ ერისთავთ-ერისთავის მთავრობის დასაწყისში.

ამის შემდეგ, 923 წელს, ქართველთა სამეფოს, როგორც ცნობილია, კონფლიქტი ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან არტანუჯის გამო, რაზედაც დაწვრილებით მოგვითხრობს კონსტანტინე პორფიროგენეტი.

აღსანიშნავია, რომ იმავე 923 წელს, მხოლოდ უფრო ადრე, ვიდრე დაიწყებოდა ეს კონფლიქტი, ბიზანტიის იმპერატორმა გურგენ ერისთავთ-ერისთავს მიუბოძა მაგისტროსის ხარისხი, რაც დიდ პატივად ითვლებოდა. მაგრამ, მიუხედავად ამ კეთილგანწყობილებისა, რომელიც ბიზანტიის იმპერატორმა გამოხატა ამ აქტით, გურგენ ერისთავთ-ერისთავი არა თუ დარიდებია იმპერატორის წყენას, არამედ, პირიქით, სწორედ გურგენ ერისთავთ-ერისთავი ყოფილა მთავარი ორგანიზატორი იმ დიდი დემონსტრაციისა, რომელიც მოეწყო ქართველთა სამეფოში ბიზანტიის წინააღმდეგ. როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ამ დემონსტრაციამ უკან დაახევინა ბიზანტიას; იმის შიშით, რომ ქართველთა სამეფოს ომი არ დაეწყო ბიზანტიასთან, ბიზანტიელებმა უკან გაიყვანეს არტანუჯიდან თავისი ჯარი.

¹ იხ. იოანე კათალიკოზი (დრასხანაერტელი), 1853 წ., გვ. 171—172.

² იხ. იქვე, გვ. 172—173.

³ იხ. ზემოთ, გვ. 42, 50—52.

ასეთია ის ცნობები, რომელთაც გადმოგვცემენ გურგენ ერისთავთ-ერისთავის შესახებ თანამედროვე უცხოელი ავტორები იოანე კათალიკოზი და კონსტანტინე პორფიროგენეტი. ამ ცნობების მიხედვით გურგენ ერისთავთ-ერისთავი დიდად ენერგიული, დიდი მასშტაბის სახელმწიფო მოღვაწე ყოფილა, რომელსაც, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვნად გაუფართოვებია ქართველთა სამეფოს ტერიტორია და მისი საზღვრები განჯა-ყარაბაღის მხარემდე მიუტანია. ეს ცნობები, როგორც ვხედავთ, ეთანხმება და ამართლებს გურგენ ერისთავთ-ერისთავის იმ დახასიათებას, რომელიც წარმოდგენილია გიორგი მერჩულის ძეგლში და სუმბატ დავითის-ძის ქრონიკაში.

6

სია ქართველთა სამეფოს მეთაურთა — მეფეთა და კურაპალატთა ·
მე-9 საუკუნის დასაწყისიდან — მე-11 საუკუნის დასაწყისამდე

(გიორგი მერჩულის ძეგლისა და სხვა საისტორიო წყაროების
ჩვენებათა მიხედვით)

გიორგი მერჩულის თხზულებაში წარმოდგენილი ქართველთა სამეფოს შესახებ ცნობების განხილვის დასასრულს მოგვყავს აქ სია ქართველთა სამეფოს მეთაურთა — მეფეთა და კურაპალატთა, დაწყებული ქართველთა სამეფოს აღდგენის დროიდან მე-9 საუკუნის დასაწყისში, ვიდრე მე-10—11 საუკუნეთა მიჯნამდე, როდესაც, ბაგრატ III-ის დროს, საქართველოს სამეფო-სამთავრონი გაერთიანდნენ სრულიად საქართველოს სახელმწიფოს სახით.

ამ სიის მოყვანა საქიროდ მიგვაჩნია კერძოდ იმის გამო, რომ არსებული ნუსხა, მიღებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, არ არის ზუსტი.

შეფარდება ყველა იმ ჩვენებათა, რომელთაც შეიცავს გიორგი მერჩულის თხზულება (— უძველესი ქართულ საისტორიო ძეგლთა შორის, რომლებიც ასახავენ ამ ეპოქას), სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა, მატიანე ქართლისა და სხვა ქართული საისტორიო წყაროები და მასალები, აგრეთვე უცხოური წყაროები, გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ შემდეგი ნუსხა ქართველთა სამეფოს მეთაურთა დასახელებულ პერიოდში.

1. აშოტ I დიდი (ძე ადარნერსესი)

ა. ქართლის ერისმთავარი

VIII საუკუნის ბოლო-დან — 809 წლამდე.

ბ. ქართველთა მეფე და კურაპალატი

809/813 — 826 წ.წ. (1)

1 იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 32, 38—41, 44—45, 61—63, 103—107; დანარჩენი წყაროები მითითებულია ზემოთ, გამოკვლევაში.

2. ბაგრატი I (ძე აშოტ I-ისა), ქართველთა მეფე და კურაპალატი თანამმართველნი: 826—876 წ.წ. (2)
- 2-ა. ადარნერსე ხელმწიფე (ძე აშოტ I-ისა) 826—867/9 წ.წ.(3)
- 2-ბ. გუარამ მამფალი (ძე აშოტ I-ისა) 826—882 წ.წ.(4)
3. დავით I (ძე ბაგრატი I-ისა), ქართველთა მეფე და კურაპალატი 876—881 წ.წ.(5)
4. ადარნერსე I (ძე დავით I-ისა), ქართველთა მეფე და კურაპალატი (881) 888—923 წ.წ. (6)
- ა. მემკვიდრე (მცირეწლოვანობის დროს) 881 წლიდან;
- ბ. მეფედ დადგენილ იქმნა 888 წელს;
- გ. კურაპალატად დადგენილ იქმნა 891 წლის შენდევ. თანამმართველნი:
- 4-ა. აშოტ (ძე ბაგრატი I-ისა), რეგენტი (მეფის ტიტულით) 881—885 წ.წ.(7)
- 4-ბ. გურგენ I (ძე ადარნერსე I-ისა), ქართველთა კურაპალატი 881—891 წ.წ.(8)
5. დავით II (ძე ადარნერსე I-ისა), ქართველთა მეფე 923—937 წ.წ.(9)
- 5-ა. ბაგრატი მაგისტროსი, (ძე ადარნერსე I-ისა), მეფედ წოდებული (ბაგრატი მაგისტროსს, მეფედ წოდებულს, ვერ მიუღია საერთაშორისო ცნობა და მეფის ტიტული ვერ დაუმკვიდრებია). 937—945 წ.წ.(10)

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 32, 41, 44, 46, 61—63, 65—66, 67—70, 71, 115, 117, 118; სუმბატ დავითის-ძის მატიაწე, გვ. *576—577/345—346; მატიაწე ქართლისა, გვ. *443—446/220—223.

³ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 32, 41, 44, 46, 61, 67—70, 71, 107—109; სუმბატ დავითის-ძე გვ. *576/345—346; მატიაწე ქართლისა, გვ. *445/223.

⁴ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 32, 41, 44, 46, 61, 67—70, 89—96; სუმბატ დავითის-ძე გვ. 576—577/345—347; მატიაწე ქართლისა, გვ. *444—447/222—225.

⁵ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71; სუმბატ დავითის-ძის მატიაწე გვ. *577/346—347; მატიაწე ქართლისა გვ. *446—447/224, ჰადიშის ოთხთავის ანდერძი (MAB, XIV, გვ. 15, საიდანაც დასტურდება, რომ დავით I, კურაპალატის ტიტულითან ერთად, მეუღს ტიტულს ატარებდა).

⁶ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 133; სუმბატ დავითის-ძის მატიაწე გვ. *577—579/347—348; მატიაწე ქართლისა გვ. *447—448/225; ჰადიშის ოთხთავის ანდერძი. უცხოური წყაროები: კონსტანტინე პორფიროგენეტი op. cit., თავი 45 და იოანე კათალიკოზის (დრასხანაყერტელის) მატიაწე, გვ. 83 და შემდგომნი.

⁷ იხ. სუმბატ დავითის-ძის მატიაწე, გვ. *577/347, მატიაწე ქართლისა გვ. *447/224; ჰადიშის ოთხთავის ანდერძი (საიდანაც დასტურდება, რომ აშოტს, როგორც რეგენტს, მიემართებოდა მეფის ტიტული).

⁸ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71, 109; სუმბატ დავითის-ძის მატიაწე, გვ. *576—579/346—348; მატიაწე ქართლისა გვ. *447—448/225.

⁹ იხ. სუმბატ დავითის-ძის მატიაწე, გვ. 579—580/349—350; კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit., თავი 46.

¹⁰ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 138; სუმბატ დავითის-ძე გვ. *580/349—350; კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit., თავები 45, 46; იშხანის საფრესკო წარწერა (იხ. აგრეთვე განმარტება სიის ბოლოში უმეფობის დროის შესახებ).

ნ-ბ. აშოტ II (ძე ადარნერსე I-ისა),

ქართველთა კურაპალატი

(923) 937—954 წ.წ.⁽¹¹⁾

(აშოტ II 923—937 წლებში იყო თანამმართველი დავით I-ისა ქართველთა კურაპალატის ტიტულით; 937—945 წლებში იყო მეთაური სახელმწიფოსი, ქართველთა კურაპალატის ტიტულით, ბაკრატ მაგისტროსთან ერთად. 945—954 წლებში იგი ერთპიროვნული მეთაურია სახელმწიფოსი, აგრეთვე ქართველთა კურაპალატის ტიტულით. 937—954 წლებში მეფობის ინსტიტუტი გაუქმებული იყო).

5. სუმბატ I (ძე ადარნერსე I-ისა) ქართველთა მეფე და კურაპალატი

954—958 წ.წ.⁽¹²⁾

7. ბაკრატ II, რეგენდ წოდებული (ძე სუმბატ I-ისა), ქართველთა მეფე თანამმართველნი:

958—994 წ.წ.⁽¹³⁾

7-ა. ადარნერსე II (ძე ბაკრატ მაგისტროსისა), ქართველთა კურაპალატი

958—961 წ.წ.⁽¹⁴⁾

7-ბ. ადარნერსე III (ძე სუმბატ I-ისა), ქართველთა კურაპალატი

961—983 წ.წ.⁽¹⁵⁾

7-გ. დავით III დიდი (ძე ადარნერსე II-ისა), ქართველთა კურაპალატი, მოურავი ქართველთა სამეფოსი, მეფე იმიერი ტაოსი და აღმოსავლეთის მხარეთა

(961) 978—1001 წ.წ.⁽¹⁶⁾

ა. მიიღო მაგისტროსის ტიტული 951 წ.

ბ. მფლობელი იმიერი ტაოსი 961/966 წლებიდან.

გ. მიიღო კურაპალატობა და შემოიერთა ბიზანტიიდან აღმოსავლეთის მხარენი 978 წ.

¹¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 138; სუმბატ დავითის-ძის მატიაწე გვ. *580—581/349—350; კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit., თავები 4ა, 4ბ.

¹² იხ. სუმბატ დავითის-ძის მატიაწე, გვ. *580—581/349—350; დოლისყანის წარწერები (იხ. ნ. მარი, TP. VII, გვ. 84—182). სუმბატ I, ვიდრე იგი 954 წელს მეფის და კურაპალატის ტიტულს წიიღებდა, ამხე ადრე, 941—954 წლებში, ერისთავთ-ერისთავის ტიტულს ატარებდა. გიორგი მერჩულის თხზულებაში, 950 წელს, სუმბატ I მოიხსენება ერისთავთ-ერისთავად, იხ. გვ. 138;

¹³ იხ. სუმბატ დავითის-ძის მატიაწე, გვ. *561—582/350—351; მატიაწე ქართლისა გვ. *466/240—241; სტეფანოს ტარონელის (სოლიკის) მატიაწე, გვ. 252, 267, 270.

¹⁴ იხ. სუმბატ დავითის-ძის მატიაწე, გვ. *580—581/350—351; ადარნერსე II, ვიდრე იგი 958 წელს კურაპალატის ტიტულს მიიღებდა, ამხე ადრე, 945—958 წლებში, მაგისტროსის ტიტულს ატარებდა; გიორგი მერჩულის თხზულებაში, 950 წელს, ადარნერსე II მოიხსენება მაგისტროსის ტიტულით, იხ. გვ. 138; იხ. აგრეთვე კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit., თავი 4ბ.

¹⁵ იხ. სუმბატ დავითის-ძის მატიაწე, გვ. *561—582/351.

¹⁶ ძირითადი ქართული წყაროები: მატიაწე ქართლისა (გვ. *459—467/235—241); სუმბატ დავითის ძის მატიაწე (გვ. *581—582/351—352); ცხოვება იოანე და ეფთჳმე სპაწმიდელთა (1946 წ., გვ. 15—20, 25, 28).—უცხოური წყაროები: სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი), არისტაკეს ლასტივერტელი, მათე ედესელი, კედრენე, ზონარა, იაკობ ანტიოქიელი.

8. გურგენ I (ძე ბაგრატ II-ისა), ქართველთა მეფეთა მეფე

(975) 994 — 1008 წ.წ.⁽¹⁷⁾

9. ბაგრატ III (ძე გურგენ II-ისა) მეფე სრულიად საქართველოსი, აფხაზთა მეფე, ქართველთა მეფე და კურაპალატი

(975) 978 — 1014 წ.წ.⁽¹⁸⁾

ა. მემკვიდრე მფლობელი ქართლისა	975 წლიდან
ბ. მეფე აფხაზეთისა	978 წლიდან
გ. მიიღო ქართველთა კურაპალატის ტიტული	1001 წელს
დ. მიიღო ქართველთა მეფის ტიტული	1008 წელს
ე. საქართველოს გაერთიანება დამთავრდა კახეთ-ჰერეთის შემოერთებით	1010 წლის ახლო.

*

მოყვანილი სიის გამო ჩვენ აქ შევჩერდებით ერთ საკითხზე, — მეფობის ინსტიტუტის დროებით შეჩერებაზე, — რასაც ადგილი ჰქონია მეთექვსმეტე საუკუნის მეორე მესამედში, 937—954 წლებში, აშოტ II ქართველთა კურაპალატის დროს, და რასაც შუქი ეფინება გიორგი მერჩულის ძეგლიდან.

გიორგი მერჩულე, როგორც აღნიშნული გვექონდა, იყო თანამედროვე აშოტ II ქართველთა კურაპალატისა; თხზულება გიორგი მერჩულისა — ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა — დაწერილია აშოტ II-ის კურაპალატობის დროს, 950 წელს.

გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში აშოტ II კურაპალატს უწოდებს არა მეფეს, არამედ მთავარს.

გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების უკანასკნელ თავში გიორგი მერჩულეს ჩამოთვლილი ჰყავს თავისი თანამედროვე მფლობელი და ხელისუფალნი, როგორც ქართველთა სამეფოსი (იბერიისა), ისე აფხაზეთისა (დასავლეთ საქართველოსი); სახელდობრ, გიორგი მერჩულე აქ აღნიშნავს, რომ მისი თხზულება დაიწერა 950 წელს —

„ქართველთა ზედა მთავრობასა აშოტ კურაპალატისასა, ძისა ადარნერსე ქართველთა მეფისასა, აფხაზთა ზედა მეფობასა გიორგისსა, ძისა კონსტანტი მეფისასა, ერისთავთ-ერისთვობასა სუმბატისსა, ძისა ადარნერსე მეფისასა, მაგისტროსობასა ადარნერსეასსა, ძისა ბაგრატ მაგისტროსისასა, ერისთვობასა სუმბატისსა, ძისა დავით მამფლისასა“¹.

¹⁷ იხ. მატიანე ქართლისა, გვ. *461—468/236—242; სუმბატ დავითის-ძის მატიანე, გვ. *582/351—352; სტეფანოს ტარონელის (ასოლიკის) მატიანე, გვ. 250, 270, 276, 278—9; არისტაკეს ლასტივერტელი (1912 წ.), გვ. 5, 23.

¹⁸ ძირითადი ქართული წყაროები: მატიანე ქართლისა (გვ. *461—473/236—246), სუმბატ დავითის-ძის მატიანე, (გვ. *582—584/351—353), დივანი აფხაზთა მეფეთა („ძველი საქართველო“, 1913 წ., გვ. 21—22). — უცხოური წყაროები: სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი) (გვ. 252, 276), არისტაკეს ლასტივერტელი (გვ. 5, 7).

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 137—138.

ამრიგად, ამ ჩამოთვლისას გიორგი მერჩულე პირველად მოიხსენებს ქართველთა სახელმწიფოს (იბერიის) მეთაურს, რომელსაც მიემართება ტიტული მთავრისა; შემდეგ მოხსენებულია აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) სახელმწიფოს მეთაური, რომელსაც მიემართება ტიტული მეფისა; შემდეგ კი ჩამოთვლილი არიან ქართველთა სახელმწიფოს (იბერიის) უმაღლესი ხელისუფალნი — ერისთავთ-ერისთავი, მაგისტროსი და ერისთავი.

აქ საჭიროა ხაზი გაუუსვიათ იმ გარემოებას, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში მფლობელი მეფე-მთავრებისა და ხელისუფლების ტიტულატურის აღნიშვნის დროს ზუსტად არის დაცული ოფიციალური პოლიტიკური ტერმინოლოგია; იგი არ ხმარობს ამ ტიტულებს *ad maiorem gloriam*, არამედ ისტორიკოსის სრული ზედმიწევნით იგი იცავს ოფიციალურად მიღებულ ტიტულატურას.

ეს ჩანს კერძოდ ზემოთმოყვანილი ტექსტიდანაც.

გიორგი მერჩულე, როგორც ვნახეთ, პირველად მოიხსენებს იბერიის სახელმწიფოს მეთაურს, იმის გამო, რომ იგი მისი ქვეყნის ხელმწიფეა, ხოლო მეორედ აფხაზეთის (დასავლეთ საქართველოს) ხელმწიფეს; მაგრამ ამავე დროს იგი პირველს უწოდებს მთავარს, ხოლო მეორეს მეფეს. აშკარაა ამის მიხედვით, რომ იბერიის სახელმწიფოს მეთაურს ამ დროს მეფის ტიტული არ ჰქონია.

აღსანიშნავია ამავე დროს ისიც, რომ გიორგი მერჩულე მეფის ტიტულით მოიხსენებს იბერიის სახელმწიფოს წინანდელ მეთაურთ, კერძოდ, აშოტ II კურაპალატის მამას ადარნერსე მეფეს (იხ. ზემოთ, აქვე მოყვანილ სიაში). ასევე გიორგი მერჩულის თხზულებაში ამავე მეფის ტიტულით მოიხსენებიან იბერიის სახელმწიფოს მეთაური მე-9 საუკუნისა: აშოტ I დიდი (809—826 წ.) და ბაგრატ I (826—872 წ.)

ამრიგად, გიორგი მერჩულის ტექსტის მიხედვით სრულიად უდავოდ ირკვევა, რომ მისი დროის იბერიის სახელმწიფოს მეთაური აშოტ II კურაპალატი აღარ ატარებდა ტიტულს „მეფე“, არამედ იგი ყოფილა „მთავარი“-ს რანგის მფლობელი; მეფობის ინსტიტუტის მოქმედება ამ დროს შეჩერებული ყოფილა.

საკითხავია ამის შემდეგ, ჰქონდა თუ არა ადგილი მეფობის ინსტიტუტის მოქმედების შეჩერებას სხვა დროსაც იბერიაში და რით იყო ეს გამოწვეული.

წყაროების შესწავლიდან ირკვევა, რომ ასეთ ფაქტს მხოლოდ ორგზის ჰქონია ადგილი მე-9—10 საუკუნის განმავლობაში:

პირველად მე-9 საუკუნის ოთხმოციან წლებში, ხანმოკლე დროის მანძილზე, დავით I-ის მოკვლის შემდეგ — ადარნერსე I-ის გამეფებამდე;

მეორედ, მე-10 საუკუნეში, აშოტ II კურაპალატის დროს 937 წლიდან 954 წლამდე.

პირველ შემთხვევაში, ე. ი. მე-9 საუკუნის 80-იან წლებში, მეფობის ინსტიტუტის დროებითი შეჩერება გამოწვეული იყო შინაგანი არეულობით, რომელსაც ადგილი ჰქონდა იბერიაში, და მემკვიდრის ადარნერსეს მცირეწლოვანობით.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, მეფობის ინსტიტუტის შეჩერებას მეთათე საუკუნეში, აშოტ II კურაპალატის დროს, 937—954 წლების მანძილზე, ამას,

როგორც ირკვევა, სულ სხვა მიზეზები ჰქონდა; იგი გამოწვეული ყოფილა ბიზანტიისა და ქართველთა სამეფოს პილიტიკური ურთიერთობის გართულებით, მეფობის ინსტიტუტის შეჩერება ბიზანტიის ინტრიგების მეოხებით მომხდარა.

როგორც ირკვევა, მეფობის ხარისხის მისაღებად სახელმწიფოს მეურის მიერ არ იყო საკმარისი ნაერთი აღიარება მეფედ; იმისათვის რომ მეფედ არჩეულს ოფიციალურად განემტკიცებინა ეს თავისი ტიტული, მას უნდა მიეღო საერთაშორისო ცნობა მეზობელი ქვეყნებისაგან და პირველ რიგში, ცხადია, ბიზანტიისაგან. მეფედ ცნობა ეს იყო არა უბრალოდ ტიტულატურის საკითხი, არამედ ეს იყო ამავე დროს ქვეყნის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ცნობის საკითხი.

ხოლო მე-10 საუკუნის ოციანი წლებიდან მოკიდებული ვიდრე ორმოცდაათიან წლებამდე ქართველთა სამეფოსა და ბიზანტიის შორის გამწვავებული ურთიერთობა არსებობდა ჯერ არტანუჯის კონფლიქტის გამო, ხოლო შემდეგ არაბთაგან დაპყრობილი „აღმოსავლეთის ქვეყნების“ (თეოდოსიოპოლისა და მიმდგომი მხარეების) კუთვნილების საკითხის გამო. მდგომარეობა იმდენად გართულებული იყო, რომ საქმე ომის მუქარამდეც კი მიდიოდა.

როგორც ცნობილია, პირველ კონფლიქტში ქართველთა სამეფომ გაიმარჯვა. მეორე კონფლიქტშიაც გამარჯვება ნაწილობრივ აგრეთვე ქართველთა სამეფოს ხვდა, რამდენადაც ქართველთა სამეფომ მიიღო ნაწილი სადაო ქვეყნებისა არაქსის ხეობაში, — ჩრდილო ბასიანი.

სწორედ ამ ხანებში, როდესაც დაწყებული იყო ეს მეორე კონფლიქტი „აღმოსავლეთის ქვეყნების“ გამო და მდგომარეობა თანდათან რთულდებოდა, 937 წელს გარდაიცვალა უძეოდ ქართველთა მეფე დავით I (რომლის თანამმართველი იყო აშოტ II კურაპალატი). მემკვიდრეობის წესით მეფის ხარისხი უნდა მიეღო მის მომდევნო ძმას ბაგრატ მაგისტროსს.

როგორც ირკვევა, ბაგრატ მაგისტროსს მიუღია კიდევ მეფის ტიტული.

რომ ბაგრატ მაგისტროსს, ძმის ვარდაცვალების შემდეგ, მეფის ტიტული მიუღია, ამას დოკუმენტალურად ადასტურებს საფრესკო წარწერა განთქმული იშხანის ტაძრისა. იშხანის ტაძარში დაცულია საფრესკო ეხატეობა ბაგრატ მაგისტროსის დროისა; თვით ბაგრატ მაგისტროსის საფრესკო გამოსახულებას თან ახლავს შემდეგი წარწერა მე-10 საუკუნის ასომთავრულით:

„ბაგრატ მაგისტროსი, ქართველთა მეფე“¹.

მაგრამ ბაგრატ მაგისტროსს ვეღარ დაუმკვიდრებია საბოლოოდ ეს ტიტული ქართველთა მეფისა.

როგორც აღვნიშნეთ, მეფის ტიტულის დამკვიდრებისათვის საჭირო იყო საერთაშორისო ცნობა მეზობელი ქვეყნებისაგან და პირველ რიგში აღმოსავლეთის ქრისტიანული მსოფლიოს მთავარი ქვეყნის ბიზანტიისაგან. ხოლო რაკი ამ დროს ურთიერთობა ბიზანტიისა და იბერიის შორის ასე გამწვავებული იყო, ცხადია ბიზანტია შეეცდებოდა, რათა ბაგრატ მაგისტროსს, რო-

¹ წარწერა გადმოღებულია აკადემიკოს ვ. თაყაიშვილის მიერ 1917 წელს თურქეთის საქართველოში მოგზაურობის დროს. წარწერის პირის გადმოცემისათვის პატივცემულ მეცნიერს მადლობას მოვახსენებთ.

გორც ქართველთა მეფეს, არ მიელო ასეთი ცნობა. (რომ თვით ბიზანტიამ ამ გამწვივებულთა ურთიერთობის გამო აღარ სცნობდა იბერიის სახელმწიფოს მეთაურს, როგორც მეფის რანგის მქონე ხელმწიფეს, ეს დასტურდება სწორედ ამ ეპოქის ბიზანტიური ძეგლიდან, კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებიდან, სადაც იბერიის ხელმწიფეს მიემართება ტიტული მთავრისა და არა მეფისა).

ასეთ პირობებში ბაგრატ მაგისტროსს ვეღარ მიუღია საერთაშორისო ცნობა, როგორც ქართველთა მეფეს, ვერ დაუმკვიდრებია მეფის ხარისხი.

ამრიგად, ბიზანტიამ ამით აიღო რეჟანში იმ პოლიტიკურ დამარცხებათა გამო, რომელიც მან, იპერიისთან ურთიერთობის დროს, სხვა საკითხებში განიცადა.

რომ ბაგრატ მაგისტროსს ვეღარ დაუმკვიდრებია ქართველთა მეფის ხარისხი. — ამას ადასტურებს გიორგი მერჩულის ძეგლი. გიორგი მერჩულის თხზულებაში ბაგრატს, არ მიემართება ტიტული „ქართველთა მეფე“; იგი მოიხსენება მხოლოდ როგორც მაგისტროსი, მეფის ტიტულის გარეშე (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 138).

სხვათა შორის ამ მაგალითის მიხედვითაც კარგად ჩანს, თუ როგორი სიზუსტით არის აღბეჭდილი გიორგი მერჩულის ცნობები, თუ როგორ პრეციზულ ზედმიწევნილობას იჩენს ამ მხრივ ჩვენი ავტორი, როგორც ისტორიკოსი.

945 წელს გარდაიცვალა ბაგრატ მაგისტროსი. მას შემდეგ, მემკვიდრეობის წესით, მეფის ხარისხი უნდა მიეღო მის მომდევნო ძმას აშოტ II-ს, ქართველთა კურაპალატს.

ბაგრატ როგორც მოვიპსენეთ. და როგორც ეს დასტურდება გიორგი მერჩულის ძეგლიდან, აშოტ II-ს აგრეთვე ვერ დაუმკვიდრებია ქართველთა მეფის ხარისხი იმავე მიზეზების გამო. აშოტ II რჩება სახელმწიფოს მეთაურად „ქართველთა კურაპალატი“-ს ტიტულით, მხოლოდ როგორც არა მეფე, არამედ როგორც მთავრის რანგის ხელმწიფე.

მეფობა აღდგენილ იქმნა აშოტ II კურაპალატის შემდეგ, მისი მემკვიდრის სუმბატ I კურაპალატის დროს (954—958 წ.წ.), როგორც ეს დასტურდება დოლისყანის წარწერიდან.

ამის შემდეგ ქართველთა სამეფოს მეთაურნი მუდამ აჭარებდნენ ამ ტიტულს: „ქართველთა მეფე“ (აგრეთვე „ქართველთა მეფეთ-მეფე“). სუმბატ I-ის მემკვიდრეა ბაგრატ II, ქართველთა მეფე (958—991 წ.); მას მოსდევს გურგენ I ქართველთა მეფეთ-მეფე (994—1008 წ.); ხოლო ამ ოქანასენელის მემკვიდრეა ბაგრატ III, რომლის დროსაც მოხდა გაერთიანება საქართველოს სამეფო სამთავროებისა ერთიანი საქართველოს სახელმწიფოს სახით და დაიწყო ახალი ერა ქართული სახელმწიფოებრივობისა.

ასეთია ისტორია უმეფობისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ქართველთა სახელმწიფოში მე-10 საუკუნის მეორე მესამედში, 937—954 წლებს შორის.

ჩვენ ამით დავასრულებთ შედარებითს განხილვას გიორგი მერჩულისა და მისი ეპოქის სხვა საისტორიო წყაროების ცნობებისას ქართველთა სამეფოს შესახებ.

წარმოდგენილმა მასალებმა ჩვენ მოგვცა საფუძველი არსებითად გადაგვესინჯა ის შეხედულებანი, რომლებიც დღემდე მიღებული იყო საისტორიო მეცნიერებაში ქართველთა სამეფოს (იბერიის) მე-9—10 საუკუნეთა ისტორიის მთელ რიგ ძირითად საკითხთა გამო.

ეს შემცდარი შეხედულებანი, რომლებიც დღემდე მიღებულია საისტორიო მეცნიერებაში, შემუშავებული იყო მეტ წილად უფრო ადრე, ვიდრე გიორგი მერჩულის თხზულება აღმოჩენილი და გამოქვეყნებული იქნებოდა. გიორგი მერჩულის თხზულების აღმოჩენის შემდეგ ეს საკითხები აღარ ყოფილა ახლებურად განხილული, შეუარდებით ახალ მასალებთან.

ამ შემცდარ შეხედულებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემცდარი შეხედულება ქართველთა სამეფოს აღდგენის დროის შესახებ.

სახელდობრ, საისტორიო მეცნიერებაში დღემდე შემდეგი შეხედულებანი იყო მიღებული დამოუკიდებელი სახელწიფოების — „სამეფოების“ — აღდგენის შესახებ ცენტრალურ და სამხრეთ კავკასიაში — იბერიაში („ქართლში“) და სომხეთში.

„სამეფოს“ აღდგენა, მიღებული შეხედულების თანახმად, ვითომც პირველად მოხდა სომხეთში მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში (885 წელს), ხოლო „ქართველთა სამეფო“ (იბერიის სამეფო) ვითომც აღდგენილ იქმნა ამის შემდეგ, მომდევნო წლებში (888 წელს).

რომ სომხეთში მეფობის აღდგენა მართლაც მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა, ეს ცნობილი ისტორიული ფაქტია, დამოწმებული საისტორიო წყაროებით.

ხოლო რაც შეეხება შეხედულებას, თითქოს „ქართველთა სამეფო“-ს აღდგენაც აგრეთვე მომხდარიყოს მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში, სომხეთის სამეფოს აღდგენის შემდეგ, — ეს არ შეეფერება სინამდვილეს.

საისტორიო წყაროების განხილვიდან გამოიკვეა, რომ იბერიის დამოუკიდებლობის — „ქართველთა სამეფო“-ს აღდგენის პირველ ცდას ადგილი ჰქონია ჯერ კიდევ მე-8 საუკუნეში, როდესაც არჩილ II-ის დროს, ხანმოკლე დროის მანძილზე, აღდგენილ იქმნა „მეფობა ქართლისა“.

ხოლო მკვიდრად და საბოლოოდ „ქართველთა სამეფო“-ს აღდგენა მომხდარა მე-9 საუკუნის დასაწყისში აშოტ I დიდის დროს, 809/813—826 წლებში. ამას ადასტურებს, როგორც ვნახეთ, გიორგი მერჩულის თხზულება, უძველესი ქართულ საისტორიო ძეგლთა შორის, რომლებიც ასახავენ ამ ეპოქას; ამასვე ეთანხმება აგრეთვე, როგორც გამოიკვეა, სხვა საისტორიო წყაროებიც ამავე ეპოქისა¹.

¹ ამ საკითხზე იხ. აგრეთვე სპეციალურ ექსკურსში (დამატებანი), სადაც მოცემული გვაქვს განხილვა არსებულ მცდარ შეხედულებათა.

ჩვენ აქ აღარ ჩამოვთვლით დანარჩენ მცდარ შეხედულებებს, რომლებიც დღემდე მიღებული იყო ქართველთა სამეფოს ისტორიის სხვა საკვანძო საკითხთა გამო, რამდენადაც ეს საკითხები გაშუქებულია ამ გამოკვლევის მანძილზე. ასე, როგორც გამოირკვა, დღემდე არ ყოფილა სწორად აღდგენილი სურათი იმისა, თუ რა კონკრეტულ ვითარებაში ჩაეყარა საფუძველი და სწარმოებდა მშენებლობა იბერიის ამ განახლებული სამეფოსი, კერძოდ, არ ყოფილა გათვალისწინებული პერიპეტიები იმ დიდი და ხანგრძლივი ბრძოლისა, რომელიც ქართველ ხალხს უწარმოებია ქართველთა სამეფოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

აქ დამატებით საჭიროდ მიგვაჩნია მხოლოდ ხაზი გაეუსვათ ერთ შეცდომას, რომელიც ეხება იბერიის სახელმწიფოს, „ქართველთა სამეფო“-ს თვით სახელწოდებას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ სახელმწიფოს, რომელიც ჩამოყალიბდა აშოტ I დიდის დროს მე-9 საუკუნის დასაწყისში, უწოდებენ „ტაო-კლარჯეთს“, „ტაო-კლარჯეთის სამთავროს“.

ამ სახელწოდებაში „ტაო-კლარჯეთის სამთავრო“ ორნაირი შეცდომაა.

ჯერ ერთი, აშოტ I დიდის დროს შექმნილი სახელმწიფო, როგორც გამოირკვა, ეს იყო არა სამთავრო, არამედ „სამეფო“, ე. ი. დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფო.

ხოლო მეორე არანაკლები მძიმე შეცდომა—ეს არის თვით სახელწოდება „ტაო-კლარჯეთი“.

აშოტ I-ის დროს მოხდა აღდგენა იბერიის დამოუკიდებლობისა. ამ დროს დაარსებულ იქმნა არა რომელიმე პროვინციული სამფლობელო, ტაო-კლარჯეთის სამთავრო, არამედ აღდგენილ იქმნა, — ძველი მემატრანის გამოთქმა რომ გავიმეოროთ, — „მეთობა ქართლისა“, აღდგენილ იქმნა სახელმწიფო იბერია („ქართლი“ ძველი გაგებით), ანუ „ქართველთა სამეფო“. ამიტომ არის, რომ ამ სახელმწიფოს მეთაური ოფიციალურად ატარებენ ტიტულს: „ქართველთა მეფე“, „ქართველთა კურაპალატი“ (და არა „ტაო-კლარჯეთი“-ს მეფე ან კურაპალატი).

ამრიგად, ამ სახელწოდებაში „ქართველთა სამეფო“ ღრმა პოლიტიკური შინაარსია ჩადებული და შენაცვლება ამ ზოგადი სახელწოდებისა „ქართველთა სამეფო“ ვიწრო პროვინციული ტერმინით — „ტაო-კლარჯეთი“—საქმის ვითარებას არასწორად წარმოგვიდგენს.

სახელწოდება „ტაო-კლარჯეთი“ არაა ამ შემთხვევაში გამართლებული არა მარტო პოლიტიკურად; იგი არაა აგრეთვე გამართლებული ამ ფეოდალური სახელმწიფო ერთეულის ტერიტორიული მოცულობის მიხედვითაც.

„ქართველთა სამეფო“-ს ფარგლებში მისი აღდგენის პირველ პერიოდში, აშოტ I დიდის დროს, როგორც გამოირკვა, გაერთიანებული იყო ძველი იბერიის მთავარი ნაწილები: მე ს ხ ე თ ი ს ანუ ზ ე მ ო - ქ ა რ თ ლ ი ს მ ხ ა რ ე ე ბ ი (სახელდობრ, პროვინციები: სამცხე, ჯავახეთი, არტაან-კოლა, შავშეთი, აქარა, ნიგალი, კლარჯეთი, ტაონი, სპერი) და ს ა კ უ თ რ ი ე ქ ა რ თ ლ ი ს მ ხ ა რ ე ე ბ ი (შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, ლიხის-იმერი ქართლი).

ამიტომაც, თუ ჩვენ გამოვალთ ამ სახელმწიფოებრივი ერთეულის ტერიტორიული მოცულობიდან, მას უნდა ვუწოდოთ ქართლ-მესხეთის (ან მესხეთ-ქართლის) ფეოდალური სახელმწიფო; ხოლო თუ ჩვენ ისტორიული ტერმინოლოგიის ფარგლებში დავრჩებით, მას უნდა ვუწოდოთ იბერიის ანუ „ქართლის“ სამეფო ანუ „ქართველთა სამეფო“.

ის გარემოება, რომ ცენტრი სამეფოსი, პოლიტიკური ვითარების გამო, გადატანილი იყო შიდა ქართლიდან ზემო ქართლში, საქმის ვითარებას, რასაკვირველია, არა სცვლის.

ტერიტორიული მოცულობა ქართველთა სამეფოსი (ქართლ-მესხეთის ფეოდალური სახელმწიფოსი) მე-9—10 საუკუნეთა განმავლობაში, როგორც ცნობილია, არ იყო ერთნაირი; მისი საზღვრები ხან შემოიფარგლებოდა მარტო მესხეთის (ზემო ქართლის) მხარეებით; ხან კი იგი მოიცავდა არა მარტო მესხეთის (ზემო ქართლის) და საკუთრივ ქართლის ტერიტორიებს. არამედ სანაპირო ქვეყნებსაც. (ასე, გარკვეულ პერიოდებში ქართველთა სამეფოს ფარგლებში შედიოდა ნაწილი ალბანეთისა — განჯა-ყარაბაღის მხარეები, და ეგრეთ-წოდებული „აღმოსავლეთის ქვეყნები“, ვიდრე ვანის ტბამდე სამხრეთით და ხალტოვარქის თემამდე არზოუმის დასავლეთით).

იმ პერიოდებში, როდესაც ქართველთა სამეფოში ქართლ-მესხეთის ქვეყნებიდან შედიოდა მარტო მესხეთის (ზემო ქართლის) ქვეყნები, მას ზოგჯერ მიემართებოდა სახელწოდება „ტაო“. აქ საკიროა აღენიშნოთ, რომ „ტაო“ ეწოდებოდა მას არა იმის გამო, რომ ამ პერიოდში იგი მარტო ტაოს პროვინციას შეიცავდა, არამედ იმის გამო, რომ ადმინისტრაციული ცენტრი ამ მხარეთა იყო ტაოში. წყაროების ჩვენებათა მიხედვით სრულიად ზუსტად ირკვევა, რომ „ტაო“ ამ გაგებით, ე. ი. როგორც ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ერთეული, შეიცავდა არა მარტო ტაოს, და არა მარტო ტაო-კლარჯეთს, არამედ მესხეთის (ზემო ქართლის) ყველა მხარეს (ე. ი. ზემოთ ჩამოთვლილს შეჰდევს 9 პროვინციას: სამცხე, ჯავახეთი, არტაან-კოლა, შავშეთი, აქარა, ნიგალი, კლარჯეთი, ტაონი და სპერი)¹.

ხოლო აქ საკიროა ხაზი გავუსვათ შემდეგს უაღრესად მნიშვნელოვანს პოლიტიკურ ფაქტს.

როგორც აღენიშნეთ, საზღვრები ქართველთა სამეფოსი დროთა მანძილზე იცვლებოდა, იგი ზოგჯერ განიცდიდა პოლიტიკურ კრიზისებს და ტერიტორიის შემცირებას, ასევე იგი განიცდიდა პოლიტიკურ წარმატებებსა და ტერიტორიის გაფართოებას, მაგრამ ძირითადი პოლიტიკურ-იდეოლოგიური სახელმწიფოებრივი კონცეფცია უცვლელი რჩება. სახელდობრ, ყველა ამ პერიოდში, როგორც პოლიტიკური კრიზისების, ისე პოლიტიკური წარმატებების პერიოდებში. მაგისტრალური ბაზი ქართველთა სამეფოს პოლიტიკური იდეოლოგიისა ის იყო, რომ ეს სახელმწიფო კი არ არის რომელიმე პროვინციული სამფლობელო, რომელიმე ცალკე კუთხური ერთეული, არამედ იგი არის პოლიტიკური მემკვიდრე ძველი იბერიის ერთი მთლიანი სახელმწიფოსი. ამის გამო ყველა პერიოდში, მე-9—10 საუკუნეთა მანძილზე, ამ

¹ იხ. მატინე ქართლისა, გვ. *458/242, *461—464/237—239.

სახელმწიფოს ოფიციალური სახელწოდება ყოველთვის იყო: „ქართველთა სამეფო“, ხოლო მისი მეთაურნი ატარებდნენ ტიტულს: „ქართველთა მეფე“, „ქართველთა კურაპალატი“.

ეს იდეოლოგია, რომ ქართველთა სამეფო არ არის პროვინციული კუთხური სამფლობელო, არამედ არის პოლიტიკური მემკვიდრე ერთი მთლიანი ძველი იბერიის სახელმწიფოსი, მკაფიოდ არის გამოვლინებული, კერძოდ, გიორგი მერჩულის ძეგლში¹.

უნდა აღინიშნოს ამასთანავე ისიც, რომ ამ იდეოლოგიამ მე-9—10 საუკუნეებში გზა გააკაფა საქართველოს გარეთაც და საერთაშორისო ცნობა მიიღო. ყველა თანამედროვე უცხოელი ავტორი მე-9—10 საუკუნეთა (როგორც, მაგალითად, ბიზანტიელი ავტორი კონსტანტინე პორფიროგენეტი, ასევე სომეხთა ისტორიკოსები), რომლებიც ეხებიან ამ სახელმწიფოს, მოიხსენებენ მას არა ტაო-კლარჯეთის სახელით, არა რომელიმე სხვა პროვინციული სამფლობელოს სახელით, არამედ უწოდებენ მას იბერიის სახელმწიფოს, ქართველთა სახელმწიფოს.



¹ აღსანიშნავია, რომ თვით კახეთისა და ჰერეთის სამთავროებს, რომლებიც დამოუკიდებელი სამფლობელოების სახით არსებობდნენ მე-9—10 საუკუნეებში, გიორგი მერჩულე არა სცნობს ცალკე პოლიტიკურ ერთეულებად და მიაჩნია ისინი განუყოფელ ნაწილად ქართველთა სახელმწიფოსი. ეს მკაფიოდ ჩანს მისი თხზულების უკანასკნელი, დამაბოლოებელი თავიდან, სადაც საქართველოს მცფე-მთავართა და ხელისუფალთა ჩამოთვლის დროს, გიორგი მერჩულე არ უთმობს მათ შორის ადგილს კახეთისა და ჰერეთის მთავრებს.

IV

დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო (აფხაზეთის სამეფო) და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის კვლევი

მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული, მე-8—10 საუკუნეთა მანძილზე, დასავლეთ საქართველოს, როგორც ცნობილია, ეწოდება „აფხაზეთი“. ასე ეწოდება დასავლეთ საქართველოს, კერძოდ, გიორგი მერჩულის ძეგლშიაც.

აქ საქაროა აღნიშნოთ ამასთან, რომ ეს სახელწოდება „აფხაზეთი“ შერჩა დასავლეთ საქართველოს უფრო გვიან ხანაშიაც, მას შემდეგაც, რაც საქართველოს სამეფო-სამთავროები მე-10—11 საუკუნეთა საზღვარზე გაერთიანდნენ ერთი მთლიანი სახელმწიფოს სახით. ამ გაერთიანებული სამეფოს ოფიციალურ სახელწოდებაში, როგორც ცნობილია, პირველად მოიხსენებოდა აფხაზეთი, რა სახელითაც იგულისხმებოდა მთელი დასავლეთი საქართველო.

მე 12—13 საუკუნეებში, როდესაც საქართველოს ფარგლებში გაერთიანდა მთელი კავკასია (და აგრეთვე შემოერთებულ იქმნა კავკასიის მოსაზღვრე სანაპიროები ანატოლიისა და ირანისა), სრული ტიტულატურა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურთა, როგორც ცნობილია, შემდეგი იყო:

„მეფე აფხაზეთა და ქართველთა (=ქართლელთა), რანთა და კახთა, სომეხთა, შარვანშა (=შარვან შაჰი) და შაჰანშა (=შაჰან-შაჰი), და ყოვლისა აღმოსავლეთისა და დასავლეთისა ფლობით მპყრობელი“.

როდესაც ეს ტიტულატურა შემოკლებით იხმარებოდა, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს ეწოდებოდა „მეფე აფხაზეთა“, ხოლო საქართველოს სახელმწიფოს მთლიანად აღებულს ეწოდებოდა „აფხაზეთი“, „ქუეყანა აფხაზეთისა“. ასე, მაგალითად, როგორც ქართულს, ისე უცხოურ წყაროებშიაც, დავით აღმაშენებელს და თამარ მეფეს ხშირად მიემართება ეს ტიტული — „მეფე აფხაზეთა“, ხოლო მე-12—13 საუკუნეთა საქართველოს, რომელიც მთელს კავკასიას მოიცავდა, ეწოდება „აფხაზეთი“, „ქუეყანა აფხაზეთისა“.

ამრიგაუ, სახელწოდება „აფხაზეთი“ გახდა სინონიმი ჯერ დასავლეთ საქართველოსი, ხოლო საქართველოს გაერთიანების შემდეგ იგი იხმარებოდა როგორც სინონიმი მთლიანად საქართველოს სახელმწიფოსი.

რა წარმოშობისაა ეს სახელწოდება „აფხაზეთი“ ასეთის გაფართოებული მნიშვნელობით? ვინ იყვნენ თვით აფხაზნი, რომელთაც თავისი სახელწოდება გადასცეს ჯერ დასავლეთ საქართველოს, ხოლო შემდეგ მთელ საქართველოს სახელმწიფოს?

სახელწოდება „აფხაზეთი“ — გაფართოებული მნიშვნელობით, როგორც ზოგადი სახელწოდება დასავლეთ საქართველოსი, პირველად შემოდის ხმარებაში, როგორც მოვიხსენეთ, მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან, რა დროსაც შეიქმნა დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო — „აფხაზეთის სამეფო“ ანუ „აფხაზთა სამეფო“.

ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს — „აფხაზთა სამეფოს“ — დაარსების გამო ის შეხედულებაა მიღებული, ვითომც ამ დროს, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, მოხდა დაპყრობა დასავლეთ საქართველოსი აფხაზების მიერ (რომლებიც, ამ შეპყდარი შეხედულების თანახმად, არა-ქართველ ტომად არის მონათლული), და ვითომც ამის შემდეგ ორი მომდევნო საუკუნე (მე-9—10 საუკუნეები) — ეს არის ერთგვარად „აფხაზური ერა“ დასავლეთ საქართველოს ისტორიაში.

ქართული ისტორიის მიღებულ სახელმძღვანელოში დასავლეთ საქართველოს — „აფხაზეთის სამეფოს“ — დაარსების ისტორია ასეა განმარტებული; მოგვყავს სათანადო ამონაწერი:

„მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა ამ დროისათვის [მე-8 საუკუნის მეორე ნახევრისთვის] დასავლეთ საქართველოშიაც. როგორც ვიცით, მე-6 საუკუნის დამდეგიდან აბაზგების [აფხაზების] სამთავრო ეგრისის სამეფოდან გამოყოფილი იყო და ბიზანტიის კეისარს ემორჩილებოდა უშუალოდ. ეს მთავრები შემდეგში კეისრებმა თავის ერისთავებად აქციეს აფხაზეთში. მე-8 საუკუნეში აფხაზეთი უკვე მკიდროდ დასახლებული და მშვიდობიანობით მოსარგებლე ქვეყანა იყო.

„მე-8 საუკუნის დამლევს ბიზანტიაში დიდი შინაური შფოთი და არე-დარევა ატყდა. ამით ისარგებლა აფხაზთა ერისთავმა ლეონ მეორემ, მოირთო ძალა ხაზართა მეფისაგან, რომლის ასულის შვილიც იგი იყო, და თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა. ამ დროს ძველი ეგრისის [დასავლეთ საქართველოს] სამეფო დაუძლურებული იყო. აფხაზთა ერისთავმაც აღვილად დაიპყრო ეგრისი და არგვეთი [დასავლეთი საქართველო — ვიდრე ლიხის მთამდე].

„ლეონმა და მისმა მემკვიდრეებმა თავის სატახტო ქალაქად ქუთათისი, დღევანდელი ქუთაისი, აირჩიეს... ამის შემდეგ აფხაზთა ერისთავმა „მეფის“ წოდებულებაც მიიღო.

„დინასტიის მიხედვით დასავლეთ საქართველოს ამ ახალ სამთავროსაც „აფხაზთა სამეფო“ ეწოდა. თვით მოსახლეობის შემადგენლობაში დიდი ცვლილებები არ მომხდარა. მე-9—10 საუკუნეებშიაც დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ისევ საკუთრივ ქართველი ტომები — ქართვები, მეგრელები და სვანები შეადგენდნენ“¹.

¹ იხ. საქართველოს ისტორია, I, ს. ჯანაშიას რედაქციით, 1948 წ., გვ. 146—147.

ამრიგად, ამ შეხედულებების თანახმად, აფხაზებს მე-8 საუკუნის დასასრულს ვითომც დაუპყრიათ დასავლეთი საქართველო — ვიდრე ლიხის მთამდე და დაუარსებიათ „აფხაზთა სამეფო“.

ხოლო ვინ იყვნენ აფხაზები?

აფხაზები, წარმოდგენილი შემცდარი შეხედულებით, მიჩნეული არიან არაქართული მოდგმის ტომად. თუმცაღა მას შემდეგ, რაც აფხაზებმა ვითომც, დაიპყრეს დასავლეთი საქართველო, მოსახლეობის შემადგენლობაში „დიდი ცვლილება“ არ მომხდარაო და დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ისევ საკუთრივ ქართველი ტომები, — ქართვები, მეგრელები და სვანები, — შეადგენდნენო, მაგრამ, სახელმძღვანელოს დასკვნის თანახმად, ივარაუდება, რომ ნაწილობრივი ცვლილება მაინც მომხდარა; ეს ნაწილობრივი ცვლილება ვითომც იმაში გამოიხატა, რომ ქართველი ტომების (ქართვების, მეგრელებისა და სვანების) მიწა-წყალზე მოხდა ნაწილობრივი ჩამოსახლება არა-ქართველი აფხაზთა ტომისა, მოხდა გაფართოება აფხაზთა ტომის ტერიტორიისა ქართველი ტომების ტერიტორიის ანგარიშზე.

*

ეს შეხედულებანი დასავლეთ საქართველოს — „აფხაზთა სამეფოს“ — ისტორიის შესახებ, რაც მიღებულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, არ შეეფერება სინამდვილეს.

საისტორიო მასალების პრეციზული ანალიზის შედეგად, როგორც ეს ქვემოთ ნათელი გახდება მკითხველისათვის, ირკვევა შემდეგი:

1. აფხაზეთის ტერიტორია იმ ეპოქაში, როდესაც დაარსდა „აფხაზთა სამეფო“, ე. ი. მე 8 საუკუნეში, დასახლებული იყო ქართველი ტომებით, და ეს არა მარტო ამ დროს, მე-8 საუკუნეში, არამედ საერთოდ მთელი ძველი ისტორიის მანძილზე, ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში. აფხაზები და აფხაზეთში მოსახლე სხვა ტომები (აბსილები, მისიმიანები, სანიხები) — ეს ისეთივე წმინდა ქართველი ტომები იყვნენ, ქართული წარმოშობისა, ქართულის დიალექტზე მოლაპარაკე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართველი ტომები — ქართვები, მეგრელები და სვანები.

2. გარდა იმისა, რომ აფხაზები ქართველები იყვნენ წარმოშობითა და ენით, თვით ისტორიული ვითარება აფხაზეთის სამეფოს დაარსებისა არაა სწორად გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში. სინამდვილეში არავითარი დაპყრობა დასავლეთ საქართველოსი აფხაზების (ე. ი. აფხაზეთში მოსახლე ქართველი ტომის) მიერ არ მოხდარა, არამედ მოხდა აფხაზეთის ერისთავის მოთავეობით განთავისუფლება როგორც აფხაზეთისა, ისე დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ტერიტორიებისა ბიზანტიის იმპერიის ბატონობისაგან.

ძირითად ისტორიულ პირველწყაროში — „მატიანე ქართლისაჲს“ ს ძველში — პირდაპირ აღნიშნულია, რომ აფხაზთა ერისთავი „გაადგა ბერძენთა (ბიზანტიელთა), და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლისამდე“ (იხ. ქართლის ცხოვრება, ანასეული ნუსხა, გვ. 161), ე. ი. აფხაზთა ერისთავმა აფხაზეთიდან კი არ დაიპყრა ეგრისი, არამედ ორივე მხარე, აფხაზეთიც და ეგრისიც ვიდრე ლიხის მთამდე, დაიპყრა ბიზანტიელთაგან, განათავისუფლა ბიზანტიელთა ბატონობისაგან.

აქ ჩვენ ხაზს ვუსვამთ ამ ერთ ფაქტს, ხოლო ისტორიული ვითარება მთლიანის სახით აღდგენილი გვაქვს ქვემოთ.

3. ზემოთ აღნიშნულთან დაკავშირებით აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთ-
ვე იმ გარემოებასაც, რომ სწორედ მას შემდეგ, რაც დასავლეთი საქართველო,
აფხაზეთთან ერთად, აფხაზეთის დინასტიის მოთავეობით, განთავისუფლდა
ბიზანტიის ბატონობისაგან, და შეიქმნა დასავლეთ-საქართველოს — „აფხაზე-
თის სამეფო“, სწორედ ამ დროიდან იწყება მკვეთრი, წმინდა ქართული სა-
ხელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარება დასავლეთ საქართველოში. ბერძნული
ენა, რომელიც ბიზანტიის ხანგრძლივი ბატონობის შედეგად გაბატონებული
იყო დასავლეთ საქართველოში როგორც მთავარი სახელმწიფო ენა, განდევ-
ნილ იქმნა სწორედ აფხაზეთა დინასტიის მიერ და ბერძნულის ადგილი მთლი-
ანად ქართულმა დაიკავა. ბერძნული ენა განდევნილ იქმნა ეკლესიიდანაც და მის
მაგიერ ქართული იქმნა შემოღებული. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რო-
მელიც მანამდე იერარქიულად დაკავშირებული იყო კონსტანტინეპოლის პატ-
რიარქატთან, ჩამოშორდა კონსტანტინეპოლს და დაუკავშირდა ქართლის
(იბერიის) საკათალიკოსოს.

ამრიგად, ხანა „აფხაზეთა სამეფოსი“ — ეს არის ეპოქა ქართული სახელმწი-
ფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ სა-
ქართველოში.

რასაკვირველია, ყოველივე ეს უცნაური და გაუგებარი იქნებოდა, თუ ჩვენ
დავუშვებდით, რომ დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთა სამეფო“ ვითომც შე-
იქმნა დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შედეგად უცხო, არა-ქართველი
ტომის მიერ. მაგრამ, როგორც მოვიხსენეთ, არაფერი ამის მსგავსი სინამდვი-
ლეში არ მომხდარა; დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო
შექმნილია ქართველი ტომების მიერ, და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის
არის ქართველი ტომი აფხაზები.

*

შეხედულებანი, რომლებიც მიღებულია აფხაზეთა ტომის ვინაობის შესახებ
და დასავლეთ საქართველოს — „აფხაზეთის სამეფოს“ — დაარსების ისტორი-
ული ვითარების შესახებ იმდენად დაცილებულია სინამდვილეს, იმდენად შე-
მცდარად წარმოგვიდგენს არა თუ ერთ კერძობითს საკითხს, არამედ მთელ
პერიოდს ქართველი ხალხის ისტორიაში, რომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია დაწვ-
რილებით შევჩერდეთ ამ საგანზე, რათა საკითხში სრული სინათლე იქმნეს შე-
ტანილი. ჩვენ აქ სპეციალურ მიმოხილვას მივუძღვნით საკითხებს:


ა) როგორი იყო აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობის ეთნოგრაფიული შე-
მადგენლობა ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში, ვინ იყვნენ აფხაზები
და აფხაზეთის მკვიდრი სხვა ტომები;

ბ) რა ისტორიულ ვითარებაში მოხდა დასავლეთ საქართველოს — „აფხაზე-
თის სამეფოს“ — დაარსება.

ამ საკითხთა განხილვის შემდეგ ჩვენ შევეხებით ცნობებს, რომელთაც შე-
ეცავეს გიორგი მერჩულის ძეგლი „აფხაზეთის სამეფოს“ შესახებ.

აფხაზეთის მხარენი

ანგიურ ხანასა და სამუდლო საუკუნეებში



აფხაზეთის მხარენი:

- I . შიონი აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი)
- II . ზღვისპირა აფხაზეთი (ძველი ჯამბურთიქნიობეთი)
- III . შიდა ქუჩიობეთი (სანიბეთი. სანიგეთი)
- IV . აფხაზეთის კოქეთი (ძველი შრდილო ქუჩიობეთი)
- V . აბსილეთი (ძველი კორიბეთი)
- VI . მისიმიანეთი (ძველი კოლაეთი)
- VII . აფხაზეთისა და უგრისას საბაპარო მხარე «შუა სოფელი»

აშხაზეთის მხარეთა მოსახლეობის ეთნიკური შეადგენლობა
ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში

გადავდივართ რა აფხაზეთის ისტორიული ეთნოგრაფიის საკითხთა განხილვაზე, ჩვენ აქ წინასწარ შევჩერდებით კითხვაზე, თუ როგორი იყო ტერიტორიული მოცულობა საკუთრივ აფხაზეთის მხარეთა (ვიწრო მნიშვნელობით).

აფხაზეთის მხარეთა ტერიტორიული მოცულობა

სახელწოდებით „აფხაზეთის მხარენი“ ანუ „აფხაზეთი“ ვიწრო მნიშვნელობით — ჩვენ ვგულისხმობთ ისტორიულ „აფხაზეთის საერისთავო“-ს ტერიტორიას იმ ფარგლებში, რომლებშიაც იგი არსებობდა მე-8 საუკუნის შუა წლებში (ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე დაარსდებოდა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფო „აფხაზეთის სამეფოს“ სახელწოდებით).

ეს ტერიტორიული ერთეული, — „აფხაზეთის საერისთავო“ ანუ „აფხაზეთი“ ვიწრო მნიშვნელობით, — არ იყო შემთხვევითი, დროებით შეკოწიწებული ადმინისტრაციული ერთეული, არამედ წარმოადგენდა მყარს გეოგრაფიულ მთლიანს, რომელსაც არ შეუცვლია თავისი ადრინდელი ტერიტორიული მოცულობა მას შემდეგაც, რაც იგი შევიდა ჯერ დასავლეთ საქართველოს ფეოდალურ სახელმწიფოს შემადგენლობაში, ხოლო შემდეგ — გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში.

როდესაც ძველ-ქართულსა და ბიზანტიურს საისტორიო წყაროებში საუბარია აფხაზეთის ქვეყანაზე ვიწრო მნიშვნელობით, იგულისხმება აფხაზეთის ტერიტორია ზემოთ აღნიშნულ ფარგლებში, ე. ი. მე-8 საუკუნის აფხაზეთის საერისთავოს მოცულობით. კერძოდ, გვიან ხანაში, მე-12—13 საუკუნეებში (თამარის ეპოქაში) არსებული ადმინისტრაციული ერთეული ცხუმის საერისთავო — ტერიტორიული მოცულობით იგივეა, რაც მე-8 საუკუნეში არსებული აფხაზეთის საერისთავო.

*

საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად, საზღვრები საკუთრივ აფხაზეთის მხარეთა (მე-8 საუკუნის აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში) შემდეგი იყო.

ჩრდილოეთის მხრით საზღვრად დასახელებულია მდინარე ნიკოფსიის (ნიკოფსისის) ხეობა. ამ მდინარესთან მდებარეობდა ქალაქი ამავე სახელწოდებისა, საისტორიო წყაროებში კარგად ცნობილი ქალაქი ნიკოფსია (ნიკოფსისი).

მდინარე ნიკოფსია ერთვის შავ ზღვას ტუაფსესა და გელენჯიკს შუა, ტუაფსიდან ოცი კილომეტრის ჩრდილოეთით¹.

¹ ქალაქ ნიკოფსიის ადგილმდებარეობა ზუსტად ირკვევა მე-5 საუკუნის გეოგრაფოსის პერიპლუსში აღნიშნული მანძილების მიხედვით (იხ. SC, I, გვ. 278). აღსანიშნავია ამასთან, რომ მდინარე ნიკოფსიას დღევანდელ შერჩენილი აქვს ძველი სახელი; მას ამჟამად ეწოდება, ოდნავ შეცვლილად, „ნიკოფსუბო“ ანუ „ნეკოფსუხო“ (რუსულ რუკებზე Героуеухо). მდინარე ნიკოფსიის ხეობაში შენახულა ნანგრევები ნიკოფსიის ძველი ნაქალაქეისა. (ნიკოფსიის ადგილ-

მდინარე ნიკოფსიის ხეობა გაჰყოფდა აფხაზეთის მხარეებს დიდი ჯიქეთიდან. (კერძოდ, ქალაქი ნიკოფსია, რომელიც საზღვრის ხაზზე მდებარეობდა, შედიოდა აფხაზეთის ფარგლებში)¹.

ეს რაც შეეხება ჩრდილოეთ საზღვარს.

აფხაზეთის მხარეთა (აფხაზეთის საერისთავოს) სამხრეთი საზღვარი ეს იყო ძველი დროიდანვე არსებული დიდი საფორტიფიკაციო ნაგებობა — კელასურის ზღუდე-კედელი, „ზ ლ უ დ ე, ს ა ზ ღ ვ ა რ ი კ ლ ი ს უ რ ი ს ა“ (ძველი წყაროების კოზრახის ზ ლ უ დ ე), რომელიც იწყება მდინარე კელასურის შესართავთან (ქალაქ სუხუმის მიდამოებში, 4 კილომეტრის მანძილზე სამხრეთით), მიჰყვება ჯერ კელასურის ხეობას (მარცხენა სანაპიროს), შემდეგ უხვევს აღმოსავლეთისაკენ და ქეჩის მთის ხაზით გადადის ფანავის ქედზე კოდორის ხეობაში.

ეს სამხრეთი საზღვარი გაჰყოფს აფხაზეთის მხარეებს (ყოფილ აფხაზეთის საერისთავოს) ეგრისიდან.

ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი აფხაზეთის მხარეთა არის კავკასიონი; სამხრეთ-დასავლეთი საზღვარია შავი ზღვა.

*

აფხაზეთის მხარეთა დასახელებული საზღვრები ზუსტად ირკვევა როგორც ქართული, ისე ბერძნული საისტორიო წყაროებით.

მოგვეყავს აქ წყაროების ჩვენება.

მე-10 საუკუნის ბერძენ ავტორს კონსტანტინე პორფიროგენეტს ასე აქვს აღწერილი ჯიქეთის (დიდი ჯიქეთის) და აფხაზეთის მხარეების ტერიტორიული მოცულობა; კონსტანტინე პორფიროგენეტი წერს:

„ჯიქეთი [იგულისხმება დიდი ჯიქეთი] მდებარეობს 300 მილის მანძილზე, დაწყებული უკრუხიდან [მდინარე ყუბანიდან] ვიდრე მდინარე ნიკოფსისამდე, სადაც მდებარეობს ამავე სახელწოდების ქალაქი...

„ჯიქეთიდან, ე. ი. მდინარე ნიკოფსისიდან, ვიდრე ქალაქ სოტირიუპოლამდე [=ძველი დიოსკურია, თანამედროვე ქ. სუხუმის სექტორში]² ზღვის ნაპირას მდებარეობს აბაზგია [აფხაზეთი], აგრეთვე 300 მილის მანძილზე“³.

ამრიგად, აქ მოხაზულია აფხაზეთის მხარეთა ის საზღვრები, რაც ზემოთ იყო ნაჩვენები.

რაც შეეხება ქართულ წყაროებს, აქ აფხაზეთის მხარეთა საზღვრები ასეა აღნიშნული:

სამხრეთ საზღვრად აფხაზეთის მხარეებისა ნაჩვენებია კელასურის ზღუდე-კედელი — „ზღუდე იგი, საზღვარი კლისურისა“ (ჯუანშერის მატრიანე)⁴.

მდებარეობის შესახებ იხ. აგრეთვე: ფრ. დიუბუა დე მონპერე, Voyage autour du Caucase, I, 1839 წ., გვ. 194—195; კარლ შიულერი, Fragmenta historicorum Graecorum, V, 1870 წ., გვ. 180, 187; ფ. ბრუნი — წერილი Восточный берег Черного моря по древним периплажам и компасовым картам, წიგნში Черноморье, II, 1880 წ., გვ. 259); В. Латышев, К истории христианства на Кавказе, 1911 წ., გვ. 5.

¹ იხ. გიორგი მცირე მთაწმიდელი, ცხორება გიორგი მთაწმიდელისა (ათონის კრებული, 1901 წ.), გვ. 315.

² სოტირიუპოლის ლოკალიზაციის საკითხის გამო იხ. ქვემოთ.

³ იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit., თავი 42, გვ. 181—182.

⁴ იხ. გვ. *419—420/201, *429/208—209.

ხოლო ჩრდილოეთ საზღვრად წყაროებში დასახელებულია:

ა) ნიკოფსია ანუ ნაფსაჟს ნავთსადგური (იოანე საბანისძე. ეფთიმე მთაწმიდელი, გიორგი მცირე მთაწმიდელი, აგრეთვე შემდგომი ხანის ქართული მატრიანეები)¹.

ბ) „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“ (ვახტანგ გორგასარის მატრიანე)². როგორც ეს ცხადი ხდება ერთმხრივი ჩვენებებიდან საისტორიო წყაროებისა, რომლებიც აფხაზეთის ჩრდილოეთ საზღვრად ნიკოფსიას აღნიშნავენ, „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“ ქალაქ ნიკოფსიის სექტორის მდინარე ყოფილა³.

აღსანიშნავია, რომ ქალაქი ნიკოფსია არა მხოლოდ მე-8 საუკუნეში ყოფილა საზღვარი აფხაზეთის მხარეებისა, არამედ შემდეგაც იგივე ნიკოფსია იყო საზღვარი დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სამეფოსი („აფხაზეთის სამეფოსი“), ხოლო შემდეგ გაერთიანებული საქართველოს სახელმწიფოსი.

უფრო გვიანაც, მე-12—13 საუკუნეებში, დავით აღმაშენებლისა და თამარის ეპოქაში საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარია იგივე ნიკოფსია. (მე-12—13 საუკუნეებში, საზღვრები საქართველოს სახელმწიფოსი, რომელიც ამ დროს მოიცავდა მთელ კავკასიას, ასე აღინიშნებოდა: „ნიკოფსიითგან — დარუბანდამდე“)⁴.

რაც შეეხება აფხაზეთის მხარეთა სამხრეთ საზღვარს კელასურის კედლის სექტორში, ისიც აგრეთვე არ წარმოადგენდა დროებითი ხასიათის მიჯნას. არამედ სასაზღვრო ხაზი ამ სექტორში საუკუნეთა მანძილზე არსებულა, ჯერ კიდევ ანტიკური ხანიდან მოკიდებული⁵.

¹ იხ. იოანე საბანისძე, გვ. 66; ეფთიმე მთაწმიდელი, გლოსა ჩართული ბერძნულიდან თარგმნილ ანდრია მოციქულის ცხოვრებაში (საქართველოს სამოთხე, 1832 წ., გვ. 36); გიორგი მცირე მთაწმიდელი, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა (ათონის კრებული, 1901 წ.) გვ. 315. იხ. აგრეთვე აქვე შენიშვნა 4.

² იხ. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *358/157. შეად. აგრეთვე ლეონტი მროველი, გვ.*98/3 (ტუანშერის მატრიანეში, გვ. *429/209, ტექსტი დაზიანებულია).

³ „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“, როგორც ირკვევა საისტორიო წყაროების ჩვენებათა შეუარღებიდან, ეს არის მდინარე შაფსუხო, რომელიც მომდინარეობს ნიკოფსიის ხეობის მოსაზღვრედ ჩრდილოეთის მხრიდან; იგი არის პირველი მდინარე დიდი ჯიქეთისა ნიკოფსიის საზღვრის ჩრდილოეთით. დიდი ჯიქეთი მე-8 საუკუნეში პოლიტიკურად ხაზარეთთან იყო დაკავშირებული (იგი, როგორც ირკვევა, „მცირე ხაზარეთში“ შედიოდა) და ამიტომ არის, რომ მოსაზღვრე პირველი ხეობის მდიარეს რქევეა „მდინარე მცირისა ხაზარეთისა“.

ამ მდინარის შესახებ წყაროებში ამავე დროს აღნიშნულია, რომ იგი მდინარებს იმ სექტორში, „სადა დასწყდების წვერი კავკასიასა“. ტუაფსის ჩრდილოეთით კავკასიონის ქედის სიმაღლე თანდათან კლებულობს, აქედან იწყება კავკასიონის ქედის „დაწყდომა“. კერძოდ, მდინარე ნიკოფსიასა და შაფსუხოს სათავეებთან კავკასიონის ქედის ჩამოღის მძლავრი შუო, რომლის კვერნაქები ადგება შავ ზღვას მდინარე შაფსუხოს და ნიკოფსიის ხეობათა გაყოფებით. როგორც ჩანს, ეს შტო კავკასიონისა იგულისხმება ქართულ წყაროებში, სადაც აღნიშნულია, რომ მცირისა ხაზარეთისა მდინარის ზონაში „დასწყდების წვერი კავკასიასა“ (ანუ მეორე ტექსტით: „წასწყდების წვერი კავკასიასა“).

⁴ იხ. დავით აღმაშენებლის ანდერძი (ქრონიკები, II, გვ. 51); ისტორია-აზმანი შარავანდედთანი (გვ. *701/500, *711.516 *650/435) და სხვანი.

⁵ იხ. კლავდი პტოლემეს გეოგრაფია (მე-2 საუკ. ახ. წ.), სადაც კოლხიდის საზღვარი აღნიშნულია ამავე სექტორში, მდ. კორაქსთან (კელასურთან), ქ. დიოსკურიის ზონაში (SC, I, 240). იხ. აგრეთვე მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, სადაც ლაზეთის (ძველი კოლხეთის) საზღვარი ასევე ნაჩვენებია ქ. დიოსკურიის ზონაში (SC, I, 275).

ჩვენ ამით დავასრულებთ აფხაზეთის მხარეთა საზღვრების ამ მიმოხილვას. ამრიგად, როგორც ირკვევა, აფხაზეთის მხარეები მოიცავდა ტერიტორიას კელასურის კედლიდან ვიდრე ნიკოფსიამდე (ნიკოფსიის ჩათვლით). თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით იგი შეიცავდა შემდეგ ერთეულებს: ახლანდელი აფხაზეთის ასსრ-ის ჩრდილოეთ ნაწილს (სახელდობრ, სუხუმის, გუდაუთის და გაგრის რაიონებს მთლიანად და ნაწილს გულრიფშის რაიონისა), ადლერის რაიონს, სოქის რაიონს და ტუაფსის რაიონს.

აფხაზეთის მხარენი აქ აღნიშნულ საზღვრებში დასახლებული იყო რამდენიმე ტომით, რომელთა შორის მე-8—10 საუკუნეებში და, საერთოდ საშუალო საუკუნეებში, მთავარი ადგილი ეკირა აფხაზთა ტომს, რის გამოც მთელ მხარეს აფხაზეთი ეწოდებოდა.

სახელდობრ, აფხაზეთში (აფხაზეთის საერისთავოს ფარგლებში) მოსახლეობდა შემდეგი ოთხი ადგილობრივი ტომი: 1. აფხაზები; 2. სანიგები (სანიხები) ანუ ჰენიოხები; 3. აბსილები (აფსილები); 4. მისიმიანები. გარდა ამ ოთხი ადგილობრივი მკვიდრი ტომისა, აფხაზეთის მხარეთა ჩრდილოეთ სანაპიროზე ჩამოსახლებული ყოფილან ჯიქები (ეს არის აფხაზეთის ჯიქეთი).

სულ აფხაზეთის მხარეები მოსახლეობის ტომობრივი შემადგენლობისა და გეოგრაფიული განაწილების მიხედვით განიყოფებოდა შემდეგ ერთეულებად, რომლებიც ქვემოთ არის ჩამოთვლილი.



I. მთიანი აფხაზეთი ანუ ძირითადი აფხაზეთი.


ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების შედარებითი განხილვიდან ირკვევა, რომ ძირითადი ტერიტორია აფხაზეთის ტომისა ეს იყო მთიანი ზონა აფხაზეთისა, რომელიც მოიცავდა შემდეგ სექტორებს: 1. მდინარე ბზიბის (*ბზების) ხეობის შუა და ზემო ნაწილი; 2. მდინარე ფსოუს (ფსუს) ხეობის ზემო ნაწილი; 3. მდინარე მძიმთის ხეობის შუა და ზემო ნაწილი. ეს ტერიტორია აფხაზეთის ტომს უჭირავს როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში. აღრინდელი ცენტრი ამ ძირითადი აფხაზეთისა (მთიანი აფხაზეთისა), როგორც ირკვევა, იყო მძიმთის ხეობაში. თვით მძიმთის მდინარეს (რომელიც ადღერთან ერთის შავ ზღვას), ეწოდებოდა მდინარე *აბასხი (აბასკი), აფხაზეთა მდინარე¹.

II. ზღვისპირა აფხაზეთი ანუ ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი (სანიხეთი, სანიგეთი). — ზღვისპირა მხარე ისტორიული აფხაზეთისა, სახელდობრ ზონა სუხუმის, ლიხნი-ბიკვინთის, გაგრის და ადღერის სექტორებისა ანტიკურ ხანაში შედიოდა ჰენიოხების (სანიხების, სანიგების) ტომის ტერიტორიის ფარგლებში, ხოლო ანტიკური ხანის დასასრულს ეს მხარე მეზობელ აფხაზეთის ტომის ტერიტორიის ფარგლებში გადასულა. წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან ირკვევა, რომ ეს მომხდარა მე-3 — 4 საუკუნეებში ახალი წელთაღრიცხვისა². ამ დროიდან მოკიდებული, საშუალო საუკუნეთა განმავლობაში, ეს ზონა აფხაზეთა სატომო ტერიტორიის ნაწილს შეადგენს. პოლიტიკური ცენტრი ამ მხარისა — ზღვისპირა აფხაზეთისა (ძველი სამხრეთი ჰენიოხეთისა) იყო ცხუმი (თანამედროვე სუხუმი), ხოლო საეკლესიო ცენტრი — ბიკვინთა (რეზიდენცია აფხაზეთის კათალიკოზთა).

აღრეული საშუალო საუკუნეების საისტორიო წყაროებში მოხსენებულ ორი სამთავრო აფხაზეთისა — ეს არის ზემოთ დასახელებული მხარეები — მთიანი აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი) და ზღვისპირა აფხაზეთი.

¹ მდინარე *აბასხი (აბასკი) მოხსენება არიანეს პერიპლუსში (იხ. SC, I, გვ. 223) და მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსში (SC, I, გვ. 278). ამ წყაროებში ნაჩვენებ მანძილებიდან დასტურდება, რომ ეს სახელწოდება *აბასხი (აბასკი), — ე. ი. აფხაზეთა მდინარე, — მძიმთას რქმევია. აღსანიშნავია, რომ ეს სახელწოდება — აფხაზეთა მდინარე — მძიმთას მიემართებოდა არა მარტო ანტიკურ ხანაში, არამედ საშუალო საუკუნეებშიც, ვიდრე მე-16—17 საუკუნეებამდე. ნავთსადგური, რომელიც მდებარეობდა მდინარე *აბასხის შესართავთან, საშუალო საუკუნეთა რუკებზე აღნიშნულია როგორც *Abbazia*, (*Avogazia*, *Avogaxia*) ე. ი. აფხაზეთი (იხ. ვენეციური რუკა XIII საუკუნისა, კატალონური რუკა 1375 წლისა, ბიანკოს რუკა 1435 წლისა, კ. მაიოლოს რუკა 1519 წლისა). ემილიო ღორტელი დ'ასკოლი (1634 წელს) ამ ნავთსადგურს მოიხსენებს სახელწოდებით *Abbasia*.

² არიანეს პერიპლუსის ცნობების მიხედვით ზღვისპირა აფხაზეთი მე-2 საუკუნეში სანიხების ტერიტორიის ფარგლებში შედიოდა (იხ. SC, I, გვ. 222), ხოლო მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსის ცნობების თანახმად, მე-5 საუკუნეში ზღვისპირა აფხაზეთი უკვე აღარ შედის სანიხეთის ფარგლებში; სანიხების ტერიტორია ამ დროს შემოიფარგლებოდა ზონით მდინარე მძიმთის ხეობის დასავლეთიდან ვიდრე მდინარე შახმდე (იხ. ქვემოთ).



*

განვიხილოთ ამის შემდეგ ისტორიული აფხაზეთის ჩრდილოეთი მხარენი.

III. შიდა ჰენიოხეთი (სანიხეთი, სანიგეთი). — აფხაზეთში მოსახლეობის ძირითადი ტომიდან (აფხაზები, ჰენიოხები, აბსილები და მისიმიანები) ანტიკური ხანის დასასრულსა და საშუალო საუკუნეებში მთავარი ადგილი ეკუთვნის აფხაზების ტომს, ხოლო უფრო ადრე, ანტიკურ ხანაში, აფხაზეთის ამ ტომთა შორის ასევე მთავარი ადგილი სჭერია ჰენიოხებს (იგივე სანიხები, სანიგები). შუაგული იმ ტერიტორიისა, სადაც ძველიდანვე მოსახლეობდა ჰენიოხთა ტომი, ეს არის სოქის რაიონი, დაწყებული მდინარე *აბასხის (მძიმის) ხეობის დასაწყებიდან, ვიდრე მდინარემდე ახეთნთა (შახე). ეს შუაგული ნაწილი თავისი ძველი სატომო ტერიტორიისა, რომელიც ჰენიოხებს ეკუთრათ ანტიკურ ხანაში, შეუნარჩუნებიათ მათ საშუალო

საუკუნეებშია¹. (რაც შეეხება ძველი ჰენიოხეთის სამხრეთ ნაწილს, იგი, როგორც მოვიხსენეთ, აფხაზთა სატომო ტერიტორიას შეუერთდა, ხოლო ჩრდილო ჰენიოხეთის შესახებ, რომელიც ჯიქებს დაუქვრია, ქვემოთ გვაქვს საუბარი).

IV. აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი — მოიცავდა ახლანდელ ტუაფსის რაიონს, დაწყებული ახუნთას (შახეს) მდინარედან ვიდრე ნიკოფსიამდე. ეს ტერიტორია, რომელიც, როგორც ირკვევა, ადრე ჰენიოხების მიწა-წყალს შეადგენდა, შემდეგ ჯიქების ხელში გადასულა. საერთოდ, ჯიქები შავი ზღვის სანაპიროზე მოსული ტომია: ჯიქები თავდაპირველად იმიერი კავკასიის მკვიდრი ტომი ყოფილა და შემდეგ გადმოსულა შავი ზღვის სანაპიროზე, სადაც მათ თანდათან გაუფართოებიათ თავიანთი ტერიტორია².

რომ ჯიქები არ არიან ძველი აბორიგენები აფხაზეთის მხარეთა ჩრდილო სანაპიროზე, არამედ შემდეგ გადმოსულან ამ თემში, ეს ირკვევა არა მხოლოდ ანტიკური ხანის წყაროების ჩვენებათა მიხედვით, არამედ ტრადიცია ამის შესახებ დატულია საშუალო საუკუნეთა ქართულ მატრიანებშია³, სადაც აღნიშნულია, რომ ჯიქების თავდაპირველი სამშობლოა კავკასიის იმიერი მხარე და მხოლოდ გვიან ხანაში „ჯიქნი დაემკვიდრნეს ბოლოსა აფხაზეთისასა“³.

ცენტრი აფხაზეთის ჯიქეთისა (ძველი ჩრდილო ჰენიოხეთისა) იყო ქალაქი ნიკოფსია. აღსანიშნავია, რომ ძველი სახელი ქალაქ ნიკოფსიისა ყოფილა „ლ ა ზ ი კ ა“. არიანეს პერიპლუსში, აგრეთვე მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსში, ეს პუნქტი მოიხსენება სახელწოდებით Πηλιαι Λαζικη „ძველი ლაზიკა“ (იხ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ).

¹ მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსში სახლვრები სანიხების ძირითადი ტერიტორიისა ასეა განსაზღვრული: „მდინარე ახუნთიდან ვიდრე მდინარე აბასკამდე (*აბასხი) — სახლობენ სანიხები“ (იხ. SC, I, გვ. 278). როგორც ირკვევა პერიპლუსში აღნიშნული მანძილებიდან, მდინარე ახუნთა ეს არა მდინარე შახე. რაც შეეხება მდინარე აბასკს (*აბასხი), იგი, როგორც ეს ზემოთ გვქონდა აღნიშნული, არის მდინარე მძიმთა. ამრიგად, სანიხების ძირითადი ტერიტორია მე-5 საუკუნეში მოიცავდა ხ.რ.ნ.ს მდინარე შახედან ვიდრე მდინარე მძიმთამდე. (რაც შეეხება თვით მძიმთის ანუ *აბასხის ხეობას, რომელიც აკრავდა სახლვარს, იგი უკვე საკუთრივ აფხაზეთის ნაწილს შეადგენდა; ამის მიხედვით სახლვარი იწყებოდა მძიმთის — *აბასხის ხეობის გაყოლებით, დასავლეთის მხარეზე, ხოსტის სექტორიდან).

სანიხები მკვიდრობდნენ ამ ტერიტორიაზე საშუალო საუკუნეთა მანძილზე (იხ. ისტორიანი და ახანნი შარაყანდედთან, გვ. *650/435: ცნება სანიხთა — სანიხთა შესახებ მე-12 საუკუნეში).

² ანტიკური ხანის ავტორები მე-6 საუკუნიდან ვიდრე 1 საუკუნემდე ძველი წელთაღრიცხვისა, რომლებიც ეხებიან პონტოს ამ ნაწილს (ჰეკატე მლეტელი, ჰელანიკე მიტილენელი, სკილაქს კარიანდელი, პალეფატე აბიდოსელი, არტემიდორე ეფესელი), შავი ზღვის სანაპიროზე არ იცნობენ ჯიქებს და უშუალო მეზობლად ჰენიოხებისა მოხსენებული არიან ახაველნი. მხოლოდ სტრაბონი (მითრიდატის ომის ისტორიკოსთა ცნობების მიხედვით) პირველად მოიხსენებს ჯიქებს, რომლებიც ჩამოსახლებულან ახაველთა და ჰენიოხთა შუა. ამის შემდეგ ჯიქები თანდათან აფართოებენ თავიანთ ტერიტორიას და დაიქვრენ ახაველთა მიწა-წყალს მთლიანად, ხოლო ჰენიოხეთიდან თავის გაკლვის ზონაში მოაქცნენ ნის ჩრდილოეთ სანაპიროს.

³ იხ. ცხობება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *322—323/135.



*

ისტორიული აფხაზეთის აღმოსავლეთი ნაწილი შეიცავდა ორ მხარეს: აბსილეთსა და მისიმიანეთს.

V. აბსილეთი. — აფხაზეთის მხარეთა ტომს, რომელიც ატარებდა სახელწოდებას აბსილი ანუ აფსილი (იგივე აფშილი), ეჭირა მდინარე კელასურის (ძველი კორახის მდინარის) ხეობის ზემო ნაწილი და მისი მიმდგომი ზონა გუმისთის ხეობიდან ვიდრე კოდორის ხეობამდე. ჩრდილოეთის მხრით იგი ესაზღვრებოდა კავკასიონის ქედს (მარუხის უღელტეხილის სექტორში). მთავარი პუნქტი აბსილეთის ტერიტორიისა იყო წიბელი (წიბელთა, თანამედროვე წებელდა) ¹.

¹ საზღვრები აბსილეთის მხარისა ირკვევა შემდეგ ცნობათა მიხედვით:

ა. აღმოსავლეთი საზღვარი. — მე-6 საუკუნის ავტორის აგათია სქოლასტიკოსის ჩვენების თანახმად წიბელი (წებელდა), რომელიც აბსილეთის მთავარ პუნქტს წარმოადგენდა, მისიმიელთა ქვეყნის საზღვართან მდებარეობდა (იხ. აგათია სქოლასტიკოსის ტექსტი, ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, III, გვ. 160). ასევე მე-7 საუკუნის ავტორის ანასტასი აპოკრიიარის ცნობით ფუსთა (ფუსტა), რომელიც იმავე წებელდის სექტორში მდებარეობს, აბსილთა და მისიმიანთა საზღვრის ზონაში არის ნაჩვენები (ibid., IV, 1, გვ. 44). ამის მიხედვით აღმოსავლეთი საზღვარი აბსილეთისა გასდევდა წებელდის სექტორში, ამ პუნქტის აღმოსავლეთით.

ბ. დასავლეთი საზღვარი. — პროკოპი კესარიელის ცნობის თანახმად საზღვარი საკუთრივ აფხაზეთსა და აბსილეთს შორის იყო ქედი, რომელიც ეშვება კავკასიონიდან და აღება შეუზღვას ციხე ტრაქეასთან (ანაკოფიასთან). ამის მიხედვით აბსილეთი მოიცავდა გუმისთის ხეობას (გარდა ქვემო სექტორისა) და საზღვრის ხაზი გასდევდა ამ ხეობის დასავლეთით (ibid., II, გვ. 127).

გ. ჩრდილოეთი საზღვარი აბსილეთისა, მე-6 საუკუნის ავტორის მენანდრე პროტექტორის ცნობის თანახმად, იყო კავკასიონის ქედი, დარენის გზის (ჩრდილო კავკასიიდან გადმოსასვლელი უღელტეხილის) ზონაში (ibid., III, გვ. 236—237). აბსილეთი ადგებოდა კავკასიონის ქედს მარუხის უღელტეხილის სექტორში (მისიმიანეთის დასავლეთით და მთა-აფხაზეთის აღმოსავლეთით).

დ. სამხრეთის მხრით აბსილეთი ესაზღვრებოდა შიდა ეგრისს (კელასურის კედლის ხაზით) და ცხუმის (სუხუმის) თემს.

VI. მისიმიანეთი. — აფხაზეთის მხარეთა ტომი, რომელიც ატარებდა სახელწოდებას მისიმიანი, მოსახლეობდა კოდორის ხეობაში (წებელდას ზემოთ, ვიდრე კლუხორის უღელტეხილამდე). მთავარი პუნქტი მისიმიანთა ტერიტორიისა იყო ჩხარი, იგივე ჩხალი (თანამედროვე ჩხალი, ჩხალთა, — კოდორის ხეობის ზემო ნაწილში), რომელსაც აგრეთვე „რკინის-ციხე“ რქმევია¹.



*

VII. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ექვსი მხარისა, რომლებიც შედიოდა აფხაზეთის მხარეების (აფხაზეთის საერისთავოს) შემადგენლობაში, აქ ცალკე უნდა მოვიხსენოთ კიდევ ერთი პროვინცია, რომელიც თუმცა არ შეადგენდა აფხაზეთის მხარეთა უშუალო ნაწილს, მაგრამ ერთხანად დაკავშირებული ყოფილა აფხაზეთთან. ეს არის მხარე, რომელიც მდებარეობდა აფხაზეთსა და შიდა ეგრისის შორის და რომელსაც ძველ-ქართულ მატრიანეებში ეწოდება „ეგრის-წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა“².

ტერიტორიული მოცულობა აფხაზეთსა და შიდა-ეგრისის შუა მდებარე ამ ბუფერული მხარისა შემდეგი იყო:

სამხრეთ-აღმოსავლეთი საზღვარი, რომელიც გაჰყოფდა ამ მხარეს შიდა-ეგრისიდან გასდევდა ბედიის სექტორში. თვით ბედია (ქალაქი ეგრისი)

¹ საზღვრები მისიმიანეთის მხარისა ირკვევა მე-6—7 საუკუნეთა ავტორების—ავათია სქოლასტიკოსის, მენანდრე პროტექტორის და ანასტასი აპოკრისიარის ცნობების მიხედვით. მისიმიანეთის მხარის მოსახლეობა იყვნენ: დასავლეთით — აბსილეთი; სამხრეთით — ეგრისი (რომლისაგან მას გაჰყოფს ბუნებრივი საზღვარი — ფანავის ქედი); აღმოსავლეთით — სვანეთი (რომლისაგან მას გაჰყოფდა აგრეთვე ბუნებრივი საზღვარი სვანეთ-აფხაზეთის ქედი); ჩრდილოეთ საზღვრად აღნიშნულია კავკასიონი (კლუხორის უღელტეხილის ზონა).

² იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. 119 (ანასეული ქართლის ცხოვრება).

ეკუთვნოდა შიდა-ეგრისს, ხოლო ამის ჩრდილო-დასავლეთით იწყებოდა ეს ბუფერული ზონა¹. მოსაზღვრე მდინარე, რომელიც დასახელებულია საისტორიო წყაროებში — „ე გ რ ი ს-წყ ა ლ ი“ — ეს არის მდინარე ლ ა ლ ი ძ გ ა. (აღსანიშნავია, რომ თვით სახელწოდება ამ მდინარისა ლ ა ლ ი ძ გ ა მეგრულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ლეღე კიდისა, მდინარე საზღვრისა)².

ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი ამ ბუფერული ზონისა ყოფილა კელასურის (კორახის) კედელი, „ზღუდე, საზღვარი კლისურისა“³.

დანარჩენი საზღვრები — ბუნებრივი მიჯნებია: ჩრდილოეთით ფანავის ქედი, სამხრეთ-დასავლეთით — შავი ზღვა.

ამრიგად, ამ ბუფერული ზონის ტერიტორია მოიცავდა თანამედროვე ოჩამჩირის რაიონს და სამხრეთ ნაწილს გულრიფშის რაიონისა.

ეთნოგრაფიულად და ისტორიულად ეს ბუფერული ზონა შიდა-ეგრისის ნაწილს შეადგენდა და აფხაზეთთან იგი მხოლოდ პოლიტიკურად ყოფილა დაკავშირებული, ისიც ხანმოკლე დროის განმავლობაში. საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ მთელი ანტიკური ხანის მანძილზე და აგრეთვე ადრეულ საშუალო საუკუნეებში ვიდრე მე-5 საუკუნემდე ეს ბუფერული ზონა საკუთრივ ეგრისის ნაწილს შეადგენდა. ხოლო მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში, ასევე მე-8 საუკუნეში, როდესაც ჩამოყალიბდა აფხაზეთის საერისთავო, ეს კუთხე უკვე აღარ შედიოდა აფხაზეთის მხარეთა შემადგენლობაში და ისევ ძველებურად ეგრისის (ლაზიკის) ნაწილად ითვლებოდა⁴. ამრიგად, უშუალო პოლიტიკური კავშირი ამ კუთხისა აფხაზეთთან მე-6—7 საუკუნეთა ფარგლებს არ გასცილებია.

აქ რამდენიმე შენიშვნა ამ მხარის სახელწოდებაზე. როგორც აღნიშნული გვექონდა, ქართულ მატრიანეებში ეს მხარე მოიხსენება როგორც „ეგრია-წყალსა და კლისურასა შუა ქუეყანა“. გამოთქმა „შუა ქუეყანა“ აქ არაა შემთხვევით ნახმარი მემატრიანის მიერ, არამედ ასეთი სახელი ჰქონია შერქმეული ამ ბუფერულ მხარეს თვით ადგილობრივ. არქაული პერიოდის ძველ-ქართულში სინონიმი სიტყვისა „ქუეყანა“, როგორც ცნობილია, არის სიტყვა „სოფელი“, ასე რომ სახელწოდება „შუა ქუეყანა“ არქაული პერიოდის ძველ-ქართულში იქნებოდა „შუა სოფელი“. აღსანიშნავია, რომ ეს სახელწოდება ამ მხარისა, სწორედ ამ უძველესი არქაული ფორმით „შუა სოფელი“ შენახული ყოფილა ადგილობრივ ბოლო დრომდე, თვით მე-18—19 საუკუნეებამდე. ერთ საისტორიო ძეგლში, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის (ნიკოლოზ დადიანის „ქართველთა ცხოვრება“), აღნიშნულია, რომ აფხაზეთის ტერიტორიას, რომელიც იწყებოდა სუხუმის სამხრეთით და აღწევდა მდინარე

¹ იხ. ცხობა ვახტანგ გორგასარისა, გვ. *305/124, *358/157, *399/185. შეად. ჯუანშერი, გვ. *401/186, ლეონტი მროველი, გვ. *98/3, *122/10, *128/20, *190/25.

² მდინარე ლალიძგას შერჩენილი ჰქონდა ძველი სახელწოდება ე გ რ ი ს-წყ ა ლ ი ვიდრე მე-17—18 საუკუნეებამდე (არქანჯელო ლამბერტის ლალიძგა მოხსენებლი აქვს სახელწოდებით „ეკარისი“ = „ეგრისი“ (იხ. СМОДНН. XLIII, 1913 წ., გვ. 3, 193).

³ იხ. ჯუანშერი, გვ. *419/201 (ნახეული ნუსხა, გვ. 149) *429/208—209, *401/186; ცხობა ვახტანგ გორგასარისა, გვ. *358/157.

⁴ იხ. ამის შესახებ ქვემოთ, გვ. 132 (ცნობა თეოდორე განგრელის ტექსტისა), ჯუანშერი, გვ. *419/201, *429/208—209.

ლალიძგამდე, ერქვა „შუა სოფელი“¹. ამრიგად, ეს უძველესი დროიდან მომდინარე სახელწოდება „შუა სოფელი“ დაცული ყოფილა ადგილობრივ და მიემართებოდა ამ მხარეს იმავე ტერიტორიულ ფარგლებში, როგორცაა ეს აღნიშნულია ქართულ მატრიანებში.

ბ

აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხაზლე ტომთა ვინაობა

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ ვინ მოსახლეობდა ზემოთ ჩამოთვლილ აფხაზეთის მხარეებში ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში (და კერძოდ იმ ეპოქაში, როდესაც ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფო).

წყაროების განხილვიდან ირკვევა, რომ აფხაზეთის მხარეთა ტერიტორია მთელი ამ პერიოდის მანძილზე, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, დასახლებული ყოფილა ქართველი ტომებით, სახელდობრ:

1. „შუა სოფელ“-ში, ე. ი. ტერიტორიაზე ეგრის-წყალიდან ვიდრე კელასურამდე — მოსახლეობდნენ ეგრისელები, — მეგრულ-ლაზნი.

2. მთა აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი) დასახლებული ყოფილა ტომით, რომლის ტომობრივი სახელწოდება ყოფილა „მოსხი“, იგივე მესხი. როგორც ირკვევა, აფხაზეთშიაც ადგილი ჰქონია ისეთსავე ტერიტორიულ თანამეზობლობას მეგრულ-ლაზურ და მესხთა ტომებისა, როგორც ჩვენ გვაქვს სამხრეთ კოლხიდაში, სადაც სამეგრელოსა და ქანეთს შუა ზოლთა-შორისად არის შეჭრილი მესხური ტომის შტო (გურულები და ქობულელ-აქარლები). რომელ დიალექტზე ლაპარაკობდა აფხაზეთის მესხთა ეს ტომი, საკუთრივ ქართულზე, თუ ადგილობრივ ეგრისულ დიალექტზე, გაურკვეველი რჩება. საფიქრებელია, რომ თავდაპირველი ენა ამ ტომისა საკუთრივ ქართული იყო (რასაც გვაფიქრებინებს მთელი რიგი გეოგრაფიული სახელების საკუთრივ ქართული ხასიათი).

3. შიდა ჰენიოხეთი (სოკის რაიონი), როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, დასახლებული იყო მეგრულ-ლაზთა ტომით (ჰენიოხები, იგივე სანიხები ანუ სანები, როგორც ამის შესახებ ქვემოთ გვაქვს საუბარი, მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდნენ).

4. ზღვისპირა აფხაზეთი (ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი) ანტიკურ ხანაში წარმოადგენდა ჰენიოხთა სატომო ტერიტორიას, ხოლო ანტიკური ხანის დასასრულიდან მოკიდებული ეს ზონა, როგორც აღნიშნული გვექონდა, მესხების (აფხაზების) სატომო ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული.

5. აბსილეთში (რომლის ძველი სახელწოდებაა კორახეთი) ნარევი მოსახლეობა იყო ორი ქართველი ტომისა: მეგრულ-ლაზებისა და მესხებისა.

¹ იხ. ე. თაყაიშვილის გამოცემა (OP, I), გვ. 15.

6. მისი მიიანეთში (რომლის ძველი სახელწოდებაა კოლაეთი) ასევე ნარევი მოსახლეობა იყო ორი ქართველი ტომისა: მეგრელ-ლაზებისა და სვანებისა. ამ მხარეში მოსახლე ტომს მიემართებოდა სახელწოდება: „სვან-კოლხები“ ანუ „ეგერ-სვანები“ (ე. ი. მეგრელ-სვანები).

7. დასასრულ, ისტორიული აფხაზეთის ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე მხარე — აფხაზეთის ჯიქეთი ანუ ძველი ჩრდილო ჰენიოხეთი (ტუაფსის რაიონი) — ანტიკურ ხანაში დასახლებული ყოფილა მეგრელ-ლაზთა ტომით ჰენიოხებით, ხოლო ანტიკური ხანის ბოლო პერიოდსა და საშუალო საუკუნეებში ამ მხარეში შერეული მოსახლეობაა ჰენიოხებისა (სანიხებისა) და ჯიქებისა.

*

განვიხილოთ ამის შემდეგ წყაროების ჩვენებანი ჩამოთვლილი მხარეების მოსახლეობის შესახებ.

თავდაპირველად შეეჩერდებით ჩვენებაზე, როველსაც შეიცავს ძველ-ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის თხზულება „ცხოვრება ქართველთა“ (VIII ს.).

ლეონტი მროველის თხზულების ჩვენება უაღრესად მნიშვნელოვანია ჯერ ერთი იმის გამო, რომ ეკუთვნის ეპოქას, როდესაც ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“; ამასთან ამ ჩვენებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ ამ საისტორიო ძეგლის გეოგრაფიულ-ეთნოლოგიური ცნობები აღბეჭდილია პრეციზული სიზუსტითა და ზედმიწევნილობით.

ლეონტი მროველი, როგორც ცნობილია, სპეციალურად ეხება კავკასიის ეთნოლოგიის საკითხებს; იგი ისახავს მიზნად წარმოგვიდგინოს კავკასიის იმდროინდელი ტომობრივ-ეთნიკური შემადგენლობის მთლიანი სურათი.

სახელდობრ, ლეონტი მროველის თხზულებაში მოხსენებულია კავკასიის შემდეგი ხალხები, განხილულია მათი წარმოშობის საკითხი და აღნიშნულია მათი გეოგრაფიული გავრცელება:

ა) ქართველები და მათი ცალკე ტომები: „ქართუელნი“ (იბერიელები), ეგრისელები (დასავლეთ საქართველოს ქართვები, მეგრელ-ლაზები და სვანები), ჰერნი;

ბ) კავკასიის ალბანეთის ტომები: რანნი და მოვაკნელნი;

გ) სომხები;

დ) დაღისტნის მთიელები: ლეკები, ხოზონიხები (ხუნზები), დიოელები;

ე) ჩრდილო-კავკასიის მთიელები: დურძუქნი (ქისტის ტომები), კავკასიანნი, ჯიქნი (ჩერქეზთა ტომები);

ვ) ჩრდილო-კავკასიის ირანული ტომი: ოვსნი;

ზ) ჩრდილო-კავკასიის მოსაზღვრე თურქი ტომები: პაქანიკნი, ხაზარნი¹.

¹ იხ. პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი (ენიქის მთაბე, X, 1941 წ.), გვ. 126 — 127.

ამრიგად, ლეონტი მროველი წარმოგვიდგენს თავისი ეპოქის კავკასიის ეთნიკურ-ტომობრივი შექადგენლობის სრულ სურათს.

რაც შეეხება აფხაზეთში მოსახლე ტომებს (აფხაზებს, ჰენიოხ-სანიხებს, აბსილებს, მისიმიანებს), ლეონტი მროველი მათ ცალკე არ ასახელებს, რადგან, როგორც ირკვევა, არა სთვლის მათ ქართველებისაგან გამოყოფილ ცალკე ეთნიკურ ერთეულად; ისინი მას ქართველ ტომებად მიაჩნია, სახელდობრ, ამ ტომებს ლეონტი მროველი მიაკუთვნებს ეგრისელებს (ე. ი. დასავლეთ საქართველოს ქართვების, მეგრელ-ლაზებისა და სვანების) ჯგუფს. ლეონტი მროველის ცნობის თანახმად ეთნოგრაფიული ეგრისის ჩრდილოეთი საზღვარი, სადამდისაც აღწევს ეგრისელ ტომთა მოსახლეობა, ეს არის „მდინარე მცირისა ხაზარეთისა, სადა წასწვდების წვერი კავკასიასა“¹. ლეონტი მროველის ამ გარკვეული ცნობის თანახმად, ეთნოგრაფიული ეგრისის საზღვარი ნიკოფსიამდე აღწევს და აფხაზეთის მხარეთა ჯგუფი მთლიანად აღებული (ე. ი. როგორც საკუთრივ ძირითადი აფხაზეთი, ისე ისტორიული ჰენიოხეთ-სანიხეთი, აბსილეთი და მისიმიანეთი) ეთნიკურად ეგრისის ნაწილს შეადგენს, ეგრისელი ტომებით არის დასახლებული.

ამრიგად ლეონტი მროველის თხზულება აქ აღძრული საკითხის გამო სრულიად გარკვეულ ცნობას შეიცავს, რომელიც გადამწყვეტი მნიშვნელობის საისტორიო ჩვენებად უნდა ჩაითვალოს.

*

განსახილველი საკითხისათვის არაა აგრეთვე ინტერესს მოკლებული ჩვენება სომხური საისტორიო წყაროებისა.

მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“ და ამ სახელმწიფო ერთეულის ოფიციალურ სახელწოდებად მიღებულ იქმნა „სამეფო აფხაზეთისა“ ანუ „სამეფო აფხაზთა“, ადრინდელი ხანის სომხურ წყაროებში აფხაზეთის ამ სახელმწიფო ერთეულს ეწოდება ეგრისის სამეფო, ხოლო აფხაზთა მეფეებს ეწოდება „ეგრისელები“ ანუ „მეგრელები“. ტერმინი ეგრისელი აქ სინონიმია ტერმინისა „აფხაზი“, აფხაზეთი იდენტიფიცირებულია ეგრისთან, ხოლო აფხაზი — ეგრისელთან, მათ შორის არავითარი სხვაობა არაა დადებული. ასეა ეს ყველაზე ადრინდელ სომხურ საისტორიო ძეგლში, რომელიც ასე ფართოდ ეხება „აფხაზეთის სამეფოს“ ისტორიას, მე-9 – 10 საუკუნეთა მწერლის იოანე სომეხთა კათალიკოზის მატრიანეში.

*

განვიხილოთ ამის შემდეგ საისტორიო წყაროების ჩვენებანი აფხაზეთის ცალკეული მხარეების ეთნიკური შემადგენლობის შესახებ ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში.

მიმოხილვას დავიწყებთ სამხრეთიდან.

¹ იხ. ლეონტი მროველი, გვ. *98/3.

1. „შუა სოფელი“ (ტერიტორია მდინარე ვერის-წყალიდან ვიდრე კელასურამდე, მოქვის და ღრანდის თემები).

ანტიკურ ხანაში (დაწყებული მე-6 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა) და აღრეულ საშუალო საუკუნეებში მოსახლეობა ამ მხარისა ყველა არსებულ წყაროებში ნაჩვენებია კოლხები-ლაზები.

იხ. ჰეკატე მილეტელი (მე-6 საუკ. ძვ. წ.), SC, I, გვ. 2.

სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძეგლი (მე-4 საუკ. ძვ. წ.), SC, I, გვ. 85—86.

სტრაბონი (I საუკუნე ახ. წ.), SC, I, გვ. 135.

პლინიუს სეკუნდუ (I საუკ. ახ. წ.), SC, II, გვ. 178—179.

არიანე (134 წ. ახ. წ.), SC, I, გვ. 221—222.

კლავდი პტოლემე (მე-2 საუკ. ახ. წ.), SC, I, გვ. 240, 247.

ანონიმი გეოგრაფოსი მე-5 საუკუნისა (ახ. წ.), SC, I, გვ. 275.

ანონიმი გეოგრაფოსი მე-5 საუკუნისა (ახ. წ.) პერიპლუსში წერს:

„დიოსკურიიდან ანუ სებასტოპოლიდან [თანამედროვე სუხუმი] ვიდრე აფსარამდე [თანამედროვე სართი ბათუმის რაიონში, მდ. კოროხის სამხრეთით] — სახლობს ხალხი, რომელსაც ეწოდებოდა კოლხი, და რომელსაც ამჟამად გადარქმეული აქვს სახელი როგორც ლაზი“ (იხ. SC, I, გვ. 275, § 48).

მე-7 საუკუნის ავტორის თეოდოსი განგრელის ცნობების მიხედვითაც ეს კუთხე საკუთრივ ლაზიკის ნაწილია. აქ, სოფელ მოქვის სანახებში, მდებარეობდა ერთ-ერთი რეზიდენცია ლაზიკის მთავრის — პატრიკიოსისა. (ამ რეზიდენციის სახელწოდება იყო „ჯიხა-ხორა“)¹.

როგორც ამ პერიოდში, მე-5—7 საუკუნეებში (რომელიც უშუალოდ წინ უსწრებდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოს“ დაარსების ხანას), ისე ამის შემდეგაც, მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე, ამ მხარის მოსახლეობა ქართულია. ეთნიკური ცვლილებანი ამ მხარეში მოხდა ახალ საუკუნეებში, მე-17 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული (რის შესახებაც ჩვენ ქვემოთ ცალკე სპეციალურ ნარკვევში გვაქვს საუბარი).

ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ვახუშტი ბატონიშვილის ცნობებიდან ირკვევა, რომ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში ქართული მოსახლეობა იყო არა მხოლოდ „შუა სოფლის“ მხარეში (ე. ი. მოქვისა და ღრანდის თემებში), არამედ ქართველებით დასახლებული იყო ასევე ცხუმის (სოხუმის) რაიონი, რომელიც ამ ხანაში ოდიშთან არის დაკავშირებული. ოდიშის ფარგლებში შემავალი ქართული პროვინციის ცხუმის (სუხუმის) რაიონის საზღვარი ამ დროს აღწევდა ვიდრე ანაკოფიის ზონამდე (თანამედროვე ახალი ათონი)².

შალრესად საყურადღებოა აგრეთვე ცნობები, რომლებიც დატულია უცხოურ წყაროებში ამ მხარის მოსახლეობის შესახებ მე-15—17 საუკუნეებში.

¹ იხ. თეოდოსი განგრელის მოგონებანი (ს. გაუზიშვილის გეორგია, IV, 1, გვ. 50, 54). — „ჯიხა-ხორა“ მეგრულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ციხე-სახლი“.

² იხ. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 169.

იტალიურ რუკებზე მე-15 საუკუნისა (რუკა ბენინკაზისა—1480 წლისა და კ. ფერდუჩისა—1497 წლისა) ნავთსადგური მდინარე კელასურის შესართავთან მოიხსენება სახელწოდებით *Porto Mengrelo*¹. მე-15 საუკუნისათვის (ისევე როგორც ამის წინა პერიოდებში საშუალო საუკუნეთა მანძილზე) ეს მხარე „შუა სოფელი“ ეგრისის ნაწილს წარმოადგენდა და დასახლებული იყო მეგრელებით, რის გამოც კელასურის ნავთსადგურსაც ეგრისის ანუ მეგრელთა ნავთსადგური ეწოდებოდა.

მე-17 საუკუნის უცხოელი ავტორებიდან ცნობები „შუა სოფლის“ მხარის მოსახლეობის შესახებ დაცული აქვთ თურქ მოგზაურს ევლია ჩელების, ევროპელ ავტორებს ლუი გრანეის, პატრი იოანეს, არქანჯელო ლამბერტის, დოსითეოს პატრიარქს, შარდენს, რუს ელჩებს ფედოტ ელჩინსა და პავლე ზახარეის.

უაღრესად საყურადღებოა ცნობები თურქი მოგზაურის ევლია ჩელებისა, რომელმაც 1641 წელს მოგვლო შავი ზღვის სანაპირო. ევლია ჩელების ცნობებიდან ირკვევა, რომ ქართული ენა (მისი მეგრული დიალექტი) მოსახლეობის დედა-ენას შეადგენდა არა მხოლოდ „შუა-სოფლის“ მხარეში (მოქვისა და დრანდის რაიონებში) და ცხუმის (სუხუმის) რაიონში, არამედ ქართული იყო მოსახლეობის დედა-ენა აფხაზეთის სამთავროს ძირითად ნაწილში, ჩაჩის (საშერვაშიძეოს) რაიონში. ევლია ჩელები წერს: „მთავარი ტომი აფხაზეთში არის ჩაჩი, რომელიც ლაპარაკობს იმავე მეგრულით, რომელიც ხმარებაშია ფაშის იმიერ მხარეს“². ეს ძირითადი მხარე აფხაზეთის სამთავროსი—ჩაჩის თემი—არის საშერვაშიძეო, სახელდობრ მხარე, რომლის ცენტრი იყო დაბა ლიხნი, და რომელიც მოიცავდა თანამედროვე გუდაუთის რაიონის ტერიტორიას, ანაკოფიის (ახალი ათონის) სექტორიდან მოკიდებული ვიდრე ზვის ნავთსადგურამდე (მდინარე მიქიშის ხეობამდე).

ამრიგად ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა მე-17 საუკუნის პირველი ნახევრის თურქი მოგზაურის ევლია ჩელებისა, რომელმაც პირადად მოიარა აფხაზეთის მთელი სანაპირო, სავსებით ადასტურებს და ავსებს იმ ცნობებს აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობის შესახებ მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში, რომელსაც გადმოგვცემს ქართველი მეცნიერი ვახუშტი ბატონიშვილი.

მე-17 საუკუნის ევროპელი ავტორებიდან ამავე ხანას, მე-17 საუკუნის პირველ ნახევარს, ეხებიან ლუი გრანეი და პატრი იოანე.

ლუი გრანეის მოხსენება, როგორც ცნობილია, დაწერილია აქვე, „შუა სოფლის“ მხარეში, მოქვეში (იგი ასეა ხელმოწერილი: „მოქვი, სამეგრელოში, 2 მარტს, 1615 წელს“)³.

პატრი იოანეს მოხსენებაში (1629 წელს) აღნიშნულია, რომ ოდიშის საზღვარი მის დროს აღწევდა ძველი ქალაქის სკისორუმის ზონამდე, ე. ი.

¹ იხ. ფ. ბრუნი, *Восточный берег Черного моря по древним перипламам и компасным картам* (Черноморье, II, 1880 წ.), გვ. 247 და ტოპოგრაფიული ტაბულა.

² იხ. ევლია ჩელების ტექსტი, ინგლისური თარგმანი ჰაშერისა *Narrative of travels in Europe, Asia and Afrika ... by Ewliya Efendi*, ლონდონი, 1850. II, გვ. 53; რუსული თარგმანი ფ. ბრუნისა, *Записки Одесского общества Истории и Древностей IX*, 1876 წ., გვ. 173.

³ იხ. მოხსენება ლუი გრანეისი, *СМОНПК*, XLIV, 1915 წ., გვ. 31—52.

ახაკოფიამდე¹. ამრიგად, პატრი იოანეს დასახელებული აქვს იგივე საზღვრის ხაზი, რაც ვახუშტი ბატონიშვილს.

პატრი იოანეს ცნობის მიხედვით ოდიშთან დაკავშირებულ ამ სექტორში, გ. ი. ცხუმის (სუხუმის) თემში და „შუა სოფლის“ მხარეში, ქართული მოსახლეობა იყო².

1639—1640 წლებში „შუა სოფლის“ მხარე, მოქვისა და დრანდის თემები, მოიარეს რუსეთის ელჩებმა ფედოტ ელჩინმა და პაეღე ზახარიევმა, რომელთა ცნობებითაც ეს კუთხე, „შუა სოფლის“ მხარე, ოდიშის ნაწილს წარმოადგენს³.

უაღრესად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი ცნობები არქანჯელო ლამბერტისა, რომელმაც ათეული წლები დაჰყო სამეგრელოში.

არქანჯელო ლამბერტის ცნობების თანახმად მე-17 საუკუნის შუა წლებისათვის ჩრდილო-დასავლეთი პოლიტიკური და ეთნიკური საზღვარი ოდიშისა იყო მდინარე კოდორისა და დრანდის ზონა. არქანჯელო ლამბერტის ცნობათა მიხედვით ირკვევა, რომ საზღვრის ხაზი ამ დროს გასდევდა ფანავის ქედს, ადგებოდა კოდორის შუა წელს წებელდასთან, მიჰყვებოდა კოდორს დრანდის სექტორამდე, ხოლო შემდეგ გადადიოდა კოდორის მარჯვენა მხარეზე და ადგებოდა შავ ზღვას დრანდის თემის დასავლეთით⁴.

მე-17 საუკუნის ორმოცდაათიან-სამოცდაათიან წლებში ამ მხარეში — „შუა სოფელში“ — იყვნენ დოსითეოს პატრიარქი და შარდენი (დოსითეოსი ჩავიდა „შუა სოფელში“ 1659 წელს, შარდენი — 1672 წელს). ამ ავტორების ჩვენებითაც „შუა სოფლის“ მხარე, კოდორის რეგიონი, ოდიშის ნაწილს წარმოადგენდა⁵.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც ჩვენ საისტორიო წყაროებში მოგვეპოვება ამ მხარის — „შუა სოფლის“ — შესახებ, და საიდანაც ირკვევა, რომ მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობით „შუა-სოფლის“ მხარე ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში და ახალ საუკუნეთა დასაწყისში.

*

2. ჰენიოხეთ-სანიხეთის ისტორიული ტერიტორიები.

ჰენიოხეთ-სანიხეთის ისტორიული ტერიტორიები, როგორც მოხსენებული გვექონდა, განიყოფებოდა სამ ნაწილად:

ა) ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი, შემდეგ ზღვისპირა აფხაზეთი (რომელიც მოიცავდა ზღვის სანაპირო ზონას სოხუმიდან ადღერამდე);

¹ იხ. პატრი იოანეს მოხსენება, მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902 წ., გვ. 144. — რომ „ძველი ქალაქი სკისორნუმი“ არის ანაკოფია. ეს ირკვევა მანძილის მიხედვით, რომლითაც იგი დაშორებულია ნეთსადგურ სკურჩადან ანუ ისკურიიდან (სკისორნუმიდან ვიდრე სკურჩამდე ითვლებოდა ხომალდით დღე-ნახევრის გზა).

² იხ. პატრი იოანეს მოხსენება, იქვე, გვ. 145 (შეად. გვ. 149).

³ იხ. Посольство дьяка Федота Елчина и священника Павла Захарьина в Дальний Сибирь 1639—1640 гг., С. Белокуров, Материалы для Русской Истории, 1888 г.

⁴ იხ. არქანჯელო ლამბერტი, СМОНК, XLII, 1913 წ., გვ. 128 (შეად. გვ. 2) და რუკა არქანჯელო ლამბერტისა.

⁵ იხ. დოსითეოსის — იერუსალიმის პატრიარქთა ისტორია (Селезнев, Руководство к познанию Кавказа, I, 1847 წ., 30—31), შარდენი, Voyage, 1687 წ., გვ. 71—73.

ბ) ში და ჰენიოხეთი (სოკის რაიონი);

გ) ჩრდილო ჰენიოხეთი, შემდეგ აფხაზეთის ჯიქეთი (ტუაფსის რაიონი).

საისტორიო წყაროებში სახელწოდება ამ ტერიტორიებზე მოსახლე ძირითადი აბორიგენული ტომისა დამოწმებულია, როგორც აღნიშნული გვქონდა, შემდეგის ფორმებით: ჰენიოხი, სანიხი და სანიგი.

ყველა ეს ფორმა ერთი და იმავე ეთნიკური სახელწოდების დიალექტური სახესხვაობაა. უფრო ადრინდელ ხანაში, დაწყებული მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა ვიდრე 1—2 საუკუნეებამდე ახალი წელთაღრიცხვისა, ეს სახელი გვხვდება ფორმით ჰენიოხი (ასე, იხილეთ ანტიკური ხანის ავტორები: ჰელანიკე, სკილაქს კარიანდელი, არტემიდორე ეფესელი, სტრაბონი, პლინიუს სეკუნდე, კლავდი პტოლემე), ხოლო ახალი წელთაღრიცხვის 1—2 საუკუნეებიდან ამ სახელწოდების ჩვეულებრივი ფორმაა — სანიხი ანუ სანიგი (იხ. პლინიუს სეკუნდე, არიანე, მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, აგრეთვე საშუალო საუკუნეთა ქართული საისტორიო ძეგლი „ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“).

სახელწოდება ამ ტომისა გვიჩვენებს, რომ იგი ეკუთვნოდა ქართველ ტომთა კოლხურ-ლაზურ (მეგრულ) შტოს; ეს სახელწოდებანი — ჰენიოხი, სანიხი, სანი — მიღებული იყო სწორედ კოლხურ-ლაზურ (მეგრულ) ტომთა ჯგუფში, სადაც იგი ფართო გავრცელებით სარგებლობდა.

სახელდობრ, გარდა აფხაზეთისა, ეს სატომო სახელწოდება ჩვენ გვხვდება შიდა საქართველოში, საქართველოს კოლხურ-ლაზური ზონის მთელ რიგ მხარეებში.

ა. ეს სატომო სახელწოდება მიღებული იყო სამხრეთ კოლხიდაში; ანტიკური ხანისა და ადრეულ საშუალო საუკუნეთა წყაროების ჩვენების თანახმად „ტომი სანთა ჰენიოხთა“, „ტომი ჰენიოხთა“ ეწოდებოდა სამხრეთ კოლხიდის ლაზური შტოს ტომს, რომელიც მოსახლეობდა რიზე-ათინას მხარეში (თანამედროვე ლაზები)¹.

ბ. ჰენები, ჰენეთელი (= ჰენიოხები) ეწოდებოდა ქანური შტოს ტომს პონტოში (ხალიბების მეზობლად)².

გ. სახელწოდება სანები მიღებული იყო პონტოს მთების ქანურ ტომებში³.

დ. სახელწოდება „ჰენიოხი“ ჩვენ გვხვდება აგრეთვე კოლხური ტომის განსახლების ძველ ტერიტორიაზე — პროვინციაში კოლა; კოლის მთებს ეწოდება „ჰენიოხთა მთები“, აგრეთვე „კორახის მთები“⁴.

¹ იხ. პლინიუს სეკუნდე, SC, II, გვ. 178; არიანე, SC, I, გვ. 222; მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსი, SC, I, გვ. 273.

² იხ. პლინიუს სეკუნდე, SC, II, გვ. 178 (შეად. Гап, Известия древних греческих и римских писателей о Кавказе, I, 1884 წ., გვ. 103); იხ. აგრეთვე სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძეგლი, SC, I, გვ. 86 (ჰენეთის ნავთსადგური), სტრაბონი, SC, I, გვ. 157 (ჰენეთის მდინარე), აპოლონ როდოსელი, SC, I, გვ. 413, 414 (ჰენეთის კონცხი).

³ იხ. სტრაბონი, SC, I, გვ. 158; არიანე, SC, I, გვ. 222.

⁴ იხ. პლინიუს სეკუნდე, SC, II, გვ. 181.

რაკი, ამრიგად, ირკვევა, რომ სახელწოდება ჰენიოხი-სანი (სანი) ყოფი-
ლა სახელწოდება კოლხურ-ლაზური (მეგრული) ტომებისა, გასაგები ხდება
ამის შემდეგ ის გარემოება, რომ ანტიკური ხანის წყაროებში აფხაზეთის ჰე-
ნიოხების ტერიტორიას ხან ჰენიოხების მიწა-წყალი ეწოდება, ხან კოლხებისა.

ასე მაგალითად, ანტიკური ხანის წყაროების ჩვენების თანახმად ქალაქი
დიოსკურია და მისი თემი ჰენიოხების მიწა-წყალზე მდებარეობდა, ხოლო
დიოსკურიას ეწოდება არა მხოლოდ ჰენიოხთა ქალაქი, არამედ ამავე დროს
კოლხთა ქალაქი¹.

ასევე ძველი ქალაქი ბიკინთა, რომელიც ჰენიოხების მიწა-წყალზე მდე-
ბარეობდა, აგრეთვე კოლხთა ქალაქის სახელწოდებით მოიხსენება².

რომ ჰენიოხები ეკუთვნოდნენ ქართველ ტომთა ჯგუფს (კოლხურ-ლაზურ
შტოს), ეს სრულიად უდავოდ დასტურდება კერძოდ იმით, რომ ჰენიოხთა მი-
წა-წყლის გეოგრაფიულ პუნქტთა სახელწოდებანი, რომლებიც მოიხსენება სა-
ისტორიო წყაროებში, იხსნება ქართულის, ქართველური ენა-დიალექტების
საშუალებით.

გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებათა საკითხს ქვემოთ ცალკე სპე-
ციალურად ვეხებით, აქ კი ჯერ შევჩერდებით ერთი გეოგრაფიული პუნქტის
სახელწოდებაზე, რომელიც ეთნიკურ სახელთან არის დაკავშირებული, სა-
ხელწოდებაზე ლ ა ზ ი კ ა.

როგორც მოხსენებული გვექონდა, აფხაზეთის მხარეთა ყველაზე ჩრდილოე-
თით მდებარე პუნქტი ეს იყო ნიკოფსია, რომელიც მდებარეობდა ჩრდილო
ჰენიოხეთის (შემდეგდროინდელი აფხაზეთის ჯიქეთის) ჩრდილო მიჯნაზე. სა-
ხელწოდება ნიკოფსია შედარებით ახალი წარმოშობისაა; იგი დამოწმებულია
მხოლოდ მე-5 საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვისა, ხოლო ანტიკურ ხანაში
ნიკოფსიას რქმევია: „ლ ა ზ ი კ ა“, („ძველი ლ ა ზ ი კ ა“), ლ ა ზ თ ა ქ ა ლ ა ქ ი.
მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსში აღნიშნულია, რომ შავი
ზღვის სანაპიროზე, ლაიას კონცხის ჩრდილოეთით, მდებარეობს პუნქტი
„ძველი ლ ა ზ ი კ ა“ (Παλαιά Λαζική), სადაც ამჟამად არის ეგრეთწოდებული
ნიკოფსიისი³.

ეს პუნქტი, ამავე სახელწოდებით „ძველი ლ ა ზ ი კ ა“, მოიხსენება აგ-
რეთვე მე-2 საუკუნის ავტორის არიანეს პერიპლუსში⁴.

მე-2 საუკუნის მეორე ავტორის კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში ესევე პუნქტი
მოიხსენება სახელწოდებით Λαζός (Λαζός πάλιν, ქალაქი ლ ა ზ ი, ლ ა ზ თ ა)⁵.

ის გარემოება, რომ აფხაზეთის ქვეყნების (ძველი ჩრდილო-ჰენიოხეთის)
ჩრდილოეთ საზღვარზე მდებარე პუნქტს ნიკოფსიას რქმევია ლ ა ზ თ ა ქ ა ლ ა ქ ი
და ლ ა ზ ი კ ა, ე. ი. იგივე სახელი, რომელიც ერქვა ეგრიისის ქვეყანას, —

¹ იხ. სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძეგლი, SC, I, გვ. 85; სტრაბონი,
SC, I, გვ. 135; პლინიუს სეკუნდო, SC, II, გვ. 179; კლავდი პტოლემე, SC, I, გვ. 240;
იულიუს სოლინუსი, SC, II, გვ. 278.

² იხ. სტრაბონი. SC, I, გვ. 135.

³ იხ. SC, I, გვ. 278.

⁴ იხ. SC, I, გვ. 224.

⁵ იხ. გეოგრაფია, წ. V, თ. VIII, § 9 (შესახებ წაკითხვისა Λαζός πάλιν იხ. კ. მიულერი,
Fragmenta historicorum Graecorum, V, 1870 წ. გვ. 180, 187).

შუალრესად მნიშვნელოვანი ჩვენებაა; აქ ჩვენ გვაქვს სრულიად ზუსტი, ბრწყინვალე დადასტურება მე-8 საუკუნის ქართველი ავტორის ლეონტი მროველის ცნობისა, რომლის თანახმადაც შავი ზღვის სანაპირო ვიდრე ნიკოფსიამდე შეადგენდა ეგრისის ნაწილს.

*

3. საკუთრივ აფხაზეთი (შიდა-აფხაზეთი).

აქ ჩვენ საგანგებოდ შევჩერდებით აფხაზეთის მხარეთა მთავარი ტომის აფხაზეთის სატომო სახელზე.

წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ამ ტომის სახელწოდების თავდაპირველი სახეობა არის მოსხი, იგივე მესხი.

ანტიკური ხანის ყველა ძველ წყაროში, დაწყებული მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა ვიდრე 1-ლ საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა აფხაზებს ეწოდება მხოლოდ ეს სახელი მოსხი. (რაც შეეხება ტერმინებს *აბასხი, აფხაზი, რაც დიალექტური სახესხვაობაა იმავე ძველი სატომო სახელწოდებისა „მოსხი“, — ესენი ბევრად უფრო გვიან შემოდის ხმარებაში. ამათ შესახებ ქვემოთ).

ძველი ბერძენი ავტორი ჰელანიკე მიტილენელი (მე-5 საუკ. ძვ. წ.) თანამედროვე აფხაზეთში მოსახლე ტომს უწოდებს: მოსხი¹. ჰელანიკეს ცნობით აფხაზეთის მოსხთა ტომის მოსაზღვრენი არიან ჰენიოხები, კორახები (მდინარე კორახის, თანამედროვე კელასურის ხეობის მცხოვრებნი), კერკეტნი (ჩერქეზნი, კავკასიონის ქედის იმიერ) და ქარიმანტნი, ამ ჩვენებათა მიხედვით მოსხებზე ეს ტერიტორია ზუსტად განისაზღვრება შიდა-აფხაზეთის (საკუთრივ აფხაზეთის) ზონით.

პალეფატე აბიდოსელს (მე-4 საუკუნე ძვ. წ.) აფხაზეთში მოსახლე ტომი ასევე მოხსენებული ჰყავს სახელწოდებით მოსხი (მის მეზობლად დასახლებულნი არიან იგივე კერკეტნი და ქარიმანტნი)².

უფრო გვიან ხანაშიაც, მითრიდატ დიდის ომების ისტორიკოსები და აგრეთვე თვით სტრაბონი აფხაზებს იცნობენ მხოლოდ ამ სახელწოდებით მოსხი (მათ მოსაზღვრედ მოიხსენებიან იგივე ჰენიოხნი და კერკეტნი)³.

აქ საპიროა შევჩერდეთ აგრეთვე აფხაზთა ამ ძველი სატომო სახელის — „მოსხი“-ს სხვადასხვა დიალექტურ ფორმებზე, რომ გასაგები გახდეს ამ სახელწოდების გვიანდელი ფორმები: *აბასხი, აფხაზი.

აფხაზთა ამ სატომო სახელწოდების „მოსხი“-ს არქაული დიალექტური ფორმებია:

მოსხი (მოსოხი) = მასხი (მასახი) = ბასხი (ბასახი).

ამ უკანასკნელი ფორმიდან ბასხი (ბასახი) მომდინარეობს აფხაზთა ერთ-ერთი კლანის ეთნიკური სახელწოდება ბასხოგი⁴, აგრეთვე შიდა-აფხაზეთის თემის სახელწოდება *ბასხი⁵.

¹ იხ. SC, I, გვ. 270.

² SC, I, გვ. 270.

³ SC, I, გვ. 135.

⁴ იხ. ლ. ლიულიე. Общий взгляд на страны, занимаемые черкесами, абхазцами и другими смежными с ними народами, ЭКОРГО, 1857 წ., IV, გვ. 181.

⁵ ამ უკანასკნელი სახელწოდების სახენაცვალი ფორმა (აფსუას ენაზე): ბსხუ, ფსხუ (იხ. იქვე, გვ. 181).

დაბოლოება „ხი“, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივი ბოლოკიდური ფორმანტია ქართული ეთნიკური სახელებისა: მოს-ხი (მეს-ხი), კოლ-ხი, კას-ხი (კა-ხი), ტაო-ხი, ჰენი-ხი (ჰენიოხი) = სახი-ხი.

ბოლოკიდური „ხი“ ეთნიკური სახელების დაბოლოებაში სადაურობაზე მიუთითებს; იგი იმავე ფუნქციას ასრულებს, როგორც დაბოლოებანი „-ელი“, „-არი“ (მაგალითად, სახელწოდებაში: ოდიშ-ელი, ოდიშ-არი).

ასე, ქვეყნის სახელია ტაო, ხოლო ტომის სახელია: ტაო-ხი, ტაო-ელი. ქვეყნის სახელია კოლა, ხოლო ტომის სახელია კოლ-ხი, იგივე კოლ-ელი, ანუ კოლარი¹.

ისევე, როგორც სახელწოდებას „კოლ-ხი“ მოეპოვება პარალელური ფორმები კოლა-ელი და კოლარი, ასევე ეთნიკურ სახელწოდებას ბასხი (ბასახი) ჰქონია ასეთი პარალელური ფორმები:

ბასხი (ბასა-ხი) = ბას-ილი = ბას-არი.

ყველა ეს ფორმა ამ სატომო სახელისა, როგორც ბასხი, ისე ბასილი და ბასარი აგრეთვე დამოწმებულია².

განვიხილოთ ამის შემდეგ ამ სატომო სახელებიდან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელწოდებანი.

ძველ-ქართულში გეოგრაფიულ სახელწოდებათა ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ისეთი სახეობა, როდესაც გეოგრაფიულ სახელწოდებას თავში ერთვის აფიქსი „ა“ ან „ე“.

ასე, სატომო სახელიდან „ჰანი“ ჩვენ გვაქვს გეოგრაფიული სახელწოდებანი:

ა) ჰან-ეთი და

ბ) *ა-ჰან-რა, რომლის სახენაცვალი ფორმაა: ა-ჰარა.

ან-და მეორე მაგალითი.

ძველად, ანტიკურ ხანაში, დასავლეთ საქართველოში ჩვენ გვაქვს სატომო სახელწოდება „გურ-ი“ ანუ „გერ-ი“, ხოლო აქედან არის ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები:

ა) გურ-ია,

ბ) ე-გურ-ისი და ე-გერ-ისი, საიდანაც, ქართული ენისათვის ჩვეულებრივი ფონეტიკური წესის — რედუქციის (ძირის ხმოვნის ამოღების) გზით, მიღებულია: ე-გრ-ისი.

ეს თავიკიდური გრამატიკული ნაწილაკი „ა“ (როგორც, მაგალითად, გეოგრაფიულ სახელში „ა-ჰარა“), და მისი ვარიანტული სახეობა „ე“ (როგორც, მაგალითად, გეოგრაფიულ სახელში „ე-გრ-ისი“), თავისი მნიშვნელობით უდრის გრამატიკულ ნაწილაკს „სა“ (მაგალითად, გეოგრაფიულ სახელში „სა-მცხ-ე“).

რომ აქ ჩვენ გვაქვს სწორედ ამგვარი შეფარდება, ამას მკითხველი ადვილად გაითვალისწინებს შემდეგი სიტყვების მაგალითიდან:

¹ ეთნიკური სახელის ამ ფორმიდან კოლ-არი მომდინარეობს *კოლარჯი → კლარჯი-

² იხ. ქვემოთ, გვ. 141.

„ა-დგილი“ — იგივეა რაც „სა-დგილი“,

„ა-ბანო“ — იგივეა რაც „სა-ბანო“ და სხვანი.

ამნაირადვე *ა-ჭან-რა იგივეა რაც სა-ჭან-რა, სა-ჭან-ო.

ასევე ე-გერ-ისი ანუ ე-გურ-ისი იგივეა, რაც სა-გერ-ისი, ანუ სა-გურ-ისი (შეადარეთ გურ-ია).

გადავიდეთ ამის შემდეგ სატომო სახელებზე ბასხი და ბასილი და მათგან ნაწარმოებ გეოგრაფიულ სახელწოდებებზე.

სატომო სახელიდან ბასხი იწარმოება გეოგრაფიული სახელწოდება ა-ბასხეთი (=იგივე სა-ბასხ-ეთი) ანუ ა-ბასხ-ია.

სატომო სახელიდან ბასილი იწარმოება გეოგრაფიული სახელწოდება ა-ბასილეთი (=სა-ბასილ-ეთი), საიდანაც, ქართული ენის ფონეტიკური კანონის — რედუქციის, ე. ი. ძირის ხმოვნის ამოღების გზით (რაც აუცილებელი წესია ხმოვნიანი ახალი ფორმანტის მიმატებისას), მიღებულია ფორმა: ა-ბსილ-ეთი, იგივე ა-ბსილ-ია.

აქ საჭიროა ამავე დროს აღვნიშნოთ შემდეგი გარემოებაც. ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა სატომო სახელების მეორადი წარმოება გეოგრაფიული სახელებიდან.

ასე, მაგალითად, სატომო სახელიდან კახი ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელწოდება კახეთი. შემდეგ თავდაპირველი ფორმა ამ სატომო სახელისა (კახი) ხმარებიდან გამოვიდა და მის მაგიერ დამკვიდრდა გეოგრაფიული სახელწოდებიდან ნაწარმოები მეორადი ფორმა: კახელი.

ასევე სახელწოდებაშიაც ა-ქარელი ჩვენ გვაქვს მეორადი წარმოება სატომო სახელისა გეოგრაფიული სახელწოდებიდან.

ამგვარადვე სატომო სახელი ეგრი ანუ ეგერი (ასევე მ-ეგრ-ელი) ეს არის მეორადი წარმოება ქვეყნის სახელიდან ე-გერ-ისი (=სა-გერ-ისი).

ანალოგიური ვითარება გვაქვს ჩვენ სატომო სახელების ბასხის და ბასილის მიმართაც.

სატომო სახელიდან ბასხი მომდინარეობს ქვეყნის სახელწოდება ა-ბასხეთი ანუ ა-ბასხ-ია (ე. ი. იგივე სა-ბასხ-ეთი); ხოლო შემდეგ ქვეყნის ამ სახელიდან აბასხ-ეთი ანუ აბასხ-ია დამკვიდრდა სატომო სახელის ეს მეორადი ფორმა: აბასხი, რომლის სახენაცვალ ფორმაა *აბხასი, აბხაზი, აფხაზი. (კერძოდ, ფორმიდან *აბასხი ჩვენ გვაქვს ბერძნულში 'Αβασχ-).

ასევე სატომო სახელიდან ბასილი მომდინარეობს ქვეყნის სახელწოდება ა-ბსილ-ეთი ანუ ა-ბსილ-ია (ე. ი. იგივე სა-ბსილ-ეთი, ანუ, სრული ფორმით, სა-ბასილ-ეთი); ხოლო შემდეგ ქვეყნის ამ სახელიდან აბსილ-ეთი დამკვიდრდა სატომო სახელის ეს მეორადი ფორმა: აბსილი.

ჩვენ ამგზის ამით დავასრულებთ ამ ლინგვისტიკურ ექსკურსს აფხაზთა სატომო სახელწოდების სხვადასხვა ვარიანტულ სახეობათა შესახებ¹.

ამრიგად, ირკვევა, რომ აფხაზთა ტომის სახელწოდების ყველა არსებული ვარიანტი მომდინარეობს აფხაზთა სატომო სახელის ძირითადი სახეობიდან: მოსხი (მ.ოსოხი), იგივე მესხი. ხოლო თვით ის ფაქტი, რომ აფხაზთა ტომის

¹ იხ. ამ საგანზე აგრეთვე სპეციალურ ექსკურსში (დამატებანი).

ძირითადი სატომო სახელწოდება იყო მოსხი (მოსოხი), ეს დასტურდება, როგორც ვნახეთ, მთელი რიგი საისტორიო წყაროებით ანტიკური ხანისა, დაწყებული მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა (პელანიკე მიტილენელი), ვიდრე I საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა (სტრაბონი).

ის გარემოება, რომ აფხაზთა ტომის სახელწოდება ყოფილა „მოსხი“ (მოსოხი), იგივე მესხი, უკვე თავისთავად ცხადყოფს, რომ აფხაზები ქართველ ტომთა ჯგუფს ეკუთვნოდა.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ უძველეს ხანაში მეჩხთა ტომი, როგორც ირკვევა, ბევრად უფრო ფართოდ ყოფილა განსახლებული საქართველოს მიწა-წყალზე, ვიდრე შემდგომ პერიოდში. მესხებით ყოფილა დასახლებული არა მხოლოდ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, შემდეგდროინდელი სა-მცხე და მისი მიმდგომი თემები; მესხების მოსახლეობა ყოფილა აგრეთვე შიდა-ქართლშიაც, რის მაჩვენებელია შიდა-ქართლის დედაქალაქის თვით სახელწოდება მცხე-თა=სა-მცხე. მესხების მოსახლეობა ყოფილა აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, ფშავ-ხევსურეთში: როგორც ცნობილია, კავკასიის მთიელები-აფარიელები ფშავ-ხევსურებს „მოსოხი“-ს (ანუ „მოსოქი“-ს) სახელით იცნობენ¹. რაც შეეხება აფხაზებს, აქ, როგორც ეს ზემოთაც მოვიხსენეთ, ადგილი ჰქონია ისეთსავე ტერიტორიულ თანამეზობლობას მესხური ტომისა ეგრისელ ტომებთან, როგორც ჩვენ გვაქვს სამხრეთ კოლხიდაში, სადაც ეგრისელ ტომებს მეგრელებსა და ჭანებს შორის სახლობს მესხური ტომის შტო (გურულები და ქობულელ-აქარლები).

*

4. ა ბ ს ი ლ ე თ ი.

აბსილეთის მხარე, როგორც გამორკვეულია, მოიცავდა მდინარე კელასურის (ძველი კორახის მდინარის) ზემო-ნაწილს და მის მიმდგომ ზონას გუმისთის ხეობიდან ვიდრე კოდორის ხეობამდე.

აბსილეთის ტერიტორია ესაზღვრებოდა: სამხრეთის მხრით კოლხებს-ეგრისელებს (დიოსკურიის და დრანდის თემებს), დასავლეთის მხრით საკუთრივ აფხაზებს (ე. ი. აფხაზეთის მესხებს), აღმოსავლეთის მხრით მისიზიანებს ანუ სვან-კოლხებს; ჩრდილოეთი საზღვარი იყო კავკასიონის ქედი (მარუხის უღელტეხილის ზონაში).

აბსილეთის ტერიტორიაზე, როგორც ირკვევა, ნარევი მოსახლეობა იყო ორი ქართველი ტომისა: აფხაზეთის მესხებისა (ბასხები=ბასილები, იგივე აბსილები) და აფხაზეთის კოლხებისა (=კორახები).

აბსილეთის ტერიტორია ანტიკური ხანისა და საშუალ-საუკუნეთა წყაროებში ორი სახელწოდებით არის ცნობილი: აბსილეთი და კორახეთი.

უფრო ძველ წყაროებში ეს მხარე კორახეთის სახელწოდებით მოიხსენება. სახელდობრ, ანტიკური ხანის ძეგლებში—დაწყებული მე-6 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა ვიდრე I საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა—ამ

¹ იხ. II. Усхар, Аварский язык, 1889 წ., ნაწილი მეორე, გვ. 24, 26.

მხარეს ეწოდება „კორახთა“ (კორაქსთა) ქვეყანა“, ხოლო აქ მოსახლე ტომს ეწოდება კორახნი (კორაქსნი)¹.

ეს სატომო სახელი შენახულა ამ მხარის თვით გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. ასე, ამ მხარის შუაგულ მდინარეს ეწოდება კორახის (კორაქსის) მდინარე²; საფორტიფიკაციო ნაგებობას, კელასურის კედელს, რომელიც გაკყოფს ამ მხარეს შიდა-ეგრისიდან, ეწოდება კორახის (კორაქსის) კედელი³: კავკასიონის ქედის იმ ნაწილს, რომელიც ჩრდილოეთით აკრავს ამ მხარეს (მარუხის უღელტეხილის ზონა) ეწოდება კორახის (კორაქსის) მთები⁴.

თუ ვინ იყვნენ კორახები (კორაქსები), რომელ სატომო ჯგუფს ეკუთვნოდნენ ისინი, ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი ცნობა შენახულა. ჰეკატე მილეტელს აღნიშნული აქვს: „კორახები (კორაქსები)—კოლხთა ტომია“⁵.

რაც შეეხება ამ მხარეში მოსახლე მეორე ტომს, აბსილებს, ისინი მოიხსენებიან კორახებზე უფრო გვიან, სახელდობრ, აბსილები პირველად მოიხსენება 1-ლ საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა⁶.

აქ დამატებით რამდენიმე შენიშვნა ამ ტომის სახელწოდების ფორმათა შესახებ.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ამ ტომის სახელწოდების პირვანდელი ფორმაა ბასილი, საიდანაც შემდეგ წარმოშობილა ამ სახელწოდების სახესხვაობანი: აბსილი. (აფსილი, აფშილი).

აღსანიშნავია. რომ სახელწოდება ამ ტომისა თავისი პირვანდელი ფორმით ბასილი შენახულა ამ მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში. ისევე როგორც სახელწოდება კორახთა ტომისა შენახულა ამ მხარის მდინარის სახელწოდებაში (კორახის მდინარე), ასევე სახელწოდება ბასილთა ტომისა შენახულა ამ მხარის მეორე მდინარის სახელწოდებაში ბასილა, ბასილეთი (ბასლეთი), რომელიც მომდინარეობს ამ მხარის სამხრეთი რაიონიდან და ერთვის შავ ზღვას ქალაქ ცხუმთან⁷.

როგორც აღვნიშნეთ, აბსილთა ტომი პირველად მოიხსენება I საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა: დაწყებული ამ დროიდან, I საუკუნიდან, ეს მხარე უკვე აღარ იწოდება კორახეთად, არამედ მხოლოდ აბსილეთად. ეს სახელწოდება აბსილეთი მიემართება ამ მხარეს საშუალო საუკუნეებშიც⁸.

¹ იხ. ჰეკატე მილეტელი, SC, I, გვ. 2; ჰელანიკე, SC, I, გვ. 270; სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძეგლი, SC, I, გვ. 85; პომპონიუს მელა, SC, II, გვ. 118; პლინიუს სეკუნდო, SC, II გვ. 179.

² იხ. კლავდი პტოლემე, SC, I, გვ. 237, 240.

³ იხ. ჰეკატე მილეტელი, SC, I, გვ. 2.

⁴ იხ. პომპონიუს მელა, SC, II, გვ. 117; პლინიუს სეკუნდო, SC, II, გვ. 177.

⁵ იხ. SC, I, გვ. 2.

⁶ პლინიუს სეკუნდო, SC, II, გვ. 179.

⁷ აღვნიშნავთ ამას გარდა, რომ ეს სატომო სახელწოდება ფორმებით ბასარი და აბსილი დატულია ადგილობრივ საგვარეულო სახელებში (ბასარი-ა, აბშილა-ვა).

⁸ ანტიკური ხანის წყაროებიდან, გარდა პლინიუს სეკუნდოს თხზულებისა, აბსილები (აფსილები) მოიხსენება არიანეს პერიპლუსში. ბიზანტიური პერიოდის წყაროებიდან აბსილები მოიხსენება მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსში, იუსტინიანეს ნოველებში, პრო-

ეს ქრონოლოგიური მონაცვლეობა ამ ორი სატომო სახელწოდებისა—კორახეთი და აბსილეთი — გვიჩვენებს, რომ უფრო ადრინდელ პერიოდში უპირატესობა ამ მხარეში კორახთა (კოლხთა) ტომს ჰქონია, ხოლო შემდეგ უპირატესობა აბსილთა ტომზე გადასულა. ამასთან ის გარემოება, რომ I საუკუნის შემდეგ კორახთა ტომი ცალკე აღარ იხსენება, გვაფიქრებინებს, რომ საუკუნეთა მანძილზე მომხდარა ამ მხარეში მოსახლე ორი მონათესავე ტომის შერევა.

აგათია სქოლასტიკოსის ცნობის მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ საშუალო საუკუნეებში (მე-6 საუკუნეში ახ. წ.) სალაპარაკო ენა აბსილებისა (ე. ი. შერეულ კორახ-აბსილთა ტომისა) — ლაზური (მეგრული) ყოფილა. (იხ. ქვემოთ, გვ. 145).

*

5. მისიმიანეთი.

მისიმიანეთის მხარე, როგორც გამოჩვენებულია, მდებარეობდა კოდორის ხეობაში.

მისიმიანეთის ტერიტორია ესაზღვრებოდა: სამხრეთის მხრით კოლხებს— ეგრისელებს; დასავლეთის მხრით აბსილებს (—კორახ-აბსილთა ნარევე ტომს, რომელიც ენობრივად ამავე მეგრულ-ლაზურ შტოს ეკუთვნოდა); დასავლეთით — სვანებს; ჩრდილოეთით საზღვარი იყო კავკასიონი (კლუხორის უღელტეხილის ზონაში).

მისიმიანეთის ძველი სახელწოდებაა კოლათი (ბერძნ. Κολαίη). ანტიკური ხანის წყაროებში აქ მოსახლე ტომს ეწოდება კოლნი ანუ კოლათელი¹.

მეორე სატომო სახელი ამ ტერიტორიაზე მოსახლე ტომისა მისიმიანო ჩვენ გვხვდება ადრეულ საშუალო საუკუნეებში (მე-6—8 საუკ.)².

კოპი კესარიელთან, აგათია სქოლასტიკოსთან, მენანდრე პროტექტორთან, თეოდოსი განგრელთან, თეოფანე ეპითაქალმწერელთან. საშუალო საუკუნეთა ქართულ წყაროებში აღუშლილთი, ნაწილი აფხაზეთის საერისთავოსი, მოიხსენება ჯუანშერის ქრონიკაში (გვ. *420/201, ანასეული გვ. 149). აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ „შარავანდედთა ისტორია-აზმანში“ მოხსენებულნი აფსარნი (იხ. გვ. *420/201, შენ. 3)—ეს არ არის აფხაზეთის მხარეებში მოსახლე აბსილთა ტომი, არამედ აფსართა (აბსართა) სახელწოდებით ამ საისტორიო თხზულებაში იგულისხმება ჩრდილოეთი კავკასიის მეზობელ ზონაში დამკვიდრებული აბსელთა ანუ აბსართა II აბსართა ტომი (აბაზღლები), რომელიც საშუალო საუკუნეებში პოლიტიკურად უპირატესად აღანეთთან იყო დაკავშირებული (იხ. ამის შესახებ დამატებაში, სპეციალურ ექსკურსში). სომხურ წყაროებში აფშილნი, რომელნიც მკვიდრობენ აფხაზეთის მხარეში აფშილეთში (და აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მეზობელი სექტორის ბასილნი) მოხსენებული არიან უსახელო გეოგრაფიაში მე-7—9 საუკუნეთა. ბასილნი მოიხსენება აგრეთვე მოსე ხორენელთან (II, 58, 65, 85).

¹ იხ. ჰეკატე მილეტელი, SC, I, გვ. 2; სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძეგლი, SC, I, გვ. 85.

² იხ. აგათია სქოლასტიკოსი (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 85 — 90, 154 — 157, 159 — 174); მენანდრე პროტექტორი (ibid., II, გვ. 236 — 237); თეოდოსი განგრელი (ibid., IV, 1, გვ. 42, 44).

რომელ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნოდა მოსახლეობა მისიმიანეთის მხარისა, რომელიც ატარებდა ამ სატომო სახელებს: კოლაელი და მისიმიანი?

წყაროების ჩვენებათა მიხედვით ისტორია ამ მხარის მოსახლეობისა ასე წარმოგვიდგება.

ძველი აბორიგენული მოსახლეობა ამ მხარისა კოლხური ყოფილა. უფრო გვიან აქ მომხდარა ჩამოსახლება სვანებისა (მისიმიანებისა), ხოლო შემდეგ მომხდარა შერევა ამ ორი ტომისა — კოლხებისა და სვანებისა და წარმომდგარა ნარევი ტომი, რომელთაც ეწოდებოდა „სვან-კოლხები“ ანუ „ეგერ-სვანები“ (მეგრელ-სვანები).

რომ მისიმიანეთის მხარის ძირითადი აბორიგენული მოსახლეობა კოლხურ შტოს ეკუთვნოდა, ამას ცხადყოფს თვით სახელწოდება ამ მხარისა კოლაეთი და სახელწოდება ამ მხარეში მოსახლე ტომისა კოლაელი, დამოწმებული უძველესი ხანის წყაროებში. სახელწოდება კოლაელი, როგორც აღნიშნული გვექნა, წარმოადგენს კოლხთა სატომო სახელის ერთ-ერთ ფორმას. (ისევე როგორც, მაგალითად, ტაოხი და ტაოელი სინონიმური მნიშვნელობის ტერმინებია, ასევე კოლხი და კოლაელი სინონიმებია. იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 138).

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ კოლაელების — კოლხების სატომო სახელწოდება შერჩენილია ამ მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაშიაც. წყაროების ჩვენების თანახმად კავკასიონის ქედის იმ ნაწილს, რომელიც აკრავს ამ მხარეს და სადაც მდებარეობდა ჩრდილო კავკასიიდან ამიერკავკასიაში გადმოსავალი ზეკარები, ე. ი. ნიშანდობლივ კავკასიონის ქედის კლუხორის ზონას, ეწოდებოდა კოლაეთის (კოლხეთის) მთები *Καλαχθ βρη*. ამ ზუსტი ჩვენების თანახმად კოლხთა სახელთან არის დაკავშირებული თვით სახელწოდება უღელტეხილისა *კოლხორი (საიდანაც მომდინარეობს ამ ტერმინის გვიანდელი სახენაცვალი ფორმა: კლუხორი).

აღვნიშნავთ ამასთან, რომ ეს სახელწოდება *კოლხორი გრამატიკულს გაფორმებით ბოლოკიდური ფორმანტი (*h-ორი*) ენათესავება ამავე მხარეთა მეორე ადგილობრივ გეოგრაფიულ ტერმინს: კოლორი. წყაროების ჩვენების თანახმად კოლორი ეწოდებოდა კოლორის ხეობაში მდებარე სოფელს, საიდანაც შემდეგ დაერქვა სახელი მდინარე კოლორს.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ იმავე კოლორის ხეობაში დამოწმებულია მეორე სახელწოდება სოფლისა, კოდა, ე. ი. ამ შეუთხვევაში ჩვენ გვაქვს იგივე სახელწოდება კოლორი, მხოლოდ ბოლოკიდური გრამატიკული ფორმანტის დაურთველად. ამრიგად, ისევე როგორც სახელწოდებაში კოლორი ფუძე-სიტყვაა კოდა, ასევე გეოგრაფიულ სახელწოდებაში კოლხორი ფუძე-სიტყვაა ეთნიკური სახელი კოლხი¹.

ეს რაც შეეხება მისიმიანეთის მხარეში მოსახლე პირველ ტომს კოლაელებს, რომელიც კოლხთა შტოს წარმომადგენელი ყოფილა.

ხოლო რომელ შტოს ეკუთვნოდა ამ მხარეში მოსახლე მეორე ტომი — მისიმიანები?

¹ იხ. ჰეკატე მილეტელი, სკლაქს კარიანდელი, მენანდრე პროტექტორი (loc. cit.).

² გეოგრაფიულ-ეთნიკურ სახელწოდებათა შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ გვაქვს კაუბარი.

თავდაპირველად აღენიშნავთ, რომ სახელწოდება „მისიმიანი“ (*მგ-სიმი-ანი) თავისი გრამატიკული გაფორმებით წმინდა ქართულ ტიპს წარმოადგენს ისევე, როგორც აფხაზეთის მხარის ყველა დანარჩენი სატომო სახელი. ამ სახელწოდებაში *მგ-სიმი-ანი ბოლოკიდური „-ანი“ ეს არის ქართული ეთნიკური სახელების ფუძის დეტერმინანტი იმავე ტიპისა, როგორც სვანი, ზანი, სანი, ქანი; ხოლო თავკიდური „მ-“ ეს არის ქართველური ენებისათვის, კერძოდ სვანურისათვის, დამახასიათებელი ფორმანტი, რომელიც თავში ერთვის ეთნიკურ სახელებს.

იმის მიხედვით, რომ მისიმიანეთის მხარე გარშემორტყმული იყო ერთი მხრით კოლხური (resp. მეგრულ-ლაზური) მოსახლეობით, ხოლო მეორე მხრით სვანური მოსახლეობით, მისიმიანთა ტომი, ცხადია, ან კოლხთა, ან სვანთა ტომის შტო უნდა ყოფილიყო.

საისტორიო წყაროებიდან დასტურდება, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში აფხაზეთის მხარეებში, სხვა ქართველი ტომების გვერდით, სვანური მოსახლეობაც იყო.

სტრაბონი იმ ხალხთა შორის, რომელნიც ემხრობიან დიოსკურიის (სოხუმის) თემს — მოიხსენებს სვანებს. სტრაბონის სიტყვით სვანები „არიან პირველნი ძალითა და ძლიერებით (პონტოს მთიელ ტომთა შორის)“, ისინი „მბრძანებლობენ ყველა გარემო ტომებზე და უჭირავთ კავკასიონის მთიანი მხარე, რომელიც აღმართულია დიოსკურიის ზემოთ“¹.

ამრიგად, ერთ-ერთ მხარეში აფხაზეთისა, დიოსკურიის მეზობლად, სვანური მოსახლეობა ყოფილა, ხოლო ვინაიდან ეს მხარე არ იყო არც ზღვისპირა აფხაზეთი (რომელიც ჰენიოხებით იყო დასახლებული), არც აბსილეთ-კორახეთი (სადაც მესხურ-კოლხური ნარევი მოსახლეობა იყო), რჩება ერთადერთი პროვინცია მისიმიანეთი, რომელიც წარმოადგენს მთის მხარეს, მდებარეს „დიოსკურიის ზემოთ“, და სადაც ამრიგად, როგორც ირკვევა, სვანური მოსახლეობა ყოფილა².

სტრაბონის ამ ცნობებს ავსებს და კიდევ უფრო აზუსტებს მეტად მნიშვნელოვანი ჩვენება ანტიკური ხანის მეორე ავტორის კლავდი პტოლემესი (მე-2 საუკ. ახ. წ.) და საშუალო საუკუნეთა სომეხი ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელისა (მე-5-6 საუკ.).

კლავდი პტოლემეს პონტოს (შავი ზღვის მხარის) ჩრდილოეთ ტომთა შორის, რომლებიც მოსახლეობდნენ აფხაზეთის მხარეთა ზონაში, ჰენიოხების მეზობლად, დასახლებული ჰყავს ტომი სვან-კოლხები (Σιανωνχοιλοι)³. როგორც მოხსენებული გვქონდა, ჰენიოხების მოსახლეობა ამ დროს დიოსკურიაზე აღწევდა და თვით დიოსკურია ჰენიოხების ქვეყანაში შედიოდა. სვან-კოლხები, რომლებიც კლავდი პტოლემეს მოხსენებული ჰყავს უშუალოდ ჰენიოხების შემდეგ, ჩანს, ჰენიოხების მეზობლად სახლებულან. ამრე-

¹ იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, 19, (SC, I, გვ. 138).

² შდრ. ამავე საკითხზე ს. ყაუხჩიშვილი, მისიმიანთა ტომი (თბ. სახ. უნ. შრომები, I, 1936 წ.).

³ იხ. კლავდი პტოლემე, გეოგრაფია, წიგნი V, თავი VIII, 25 (SC, I, 239).

გად, სვან-კოლხები არის იგივე სვანური მოსახლეობა, რომელიც მოხსენებული ჰყავს სტრაბონს და რომელიც, სტრაბონის სიტყვით, მკვიდრობდა „კავკასიონის მთიან მხარეში, დიოსკურიის ზემოთ“, ე. ი. მისიმიანეთში.

მისიმიანეთის მხარის ეს ნარევი ტომი—სვან-კოლხები მოხსენებული ჰყავს აგრეთვე აღრეულ საშუალო საუკუნეთა სომეხთა ისტორიკოსს ფავსტოს ბიზანტიელს — სახელწოდებით: ეგერ-სვანი, ე. ი. მეგრელ-სვანი¹.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყველა იმ ცნობას, რომლებიც დაცულია საისტორიო წყაროებში მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ, ირკვევა შემდეგი:

ა. ძველი აბორიგენული მოსახლეობა ამ მხარისა — კოლხები, რომლებიც მოიხსენებიან მე-6—4 საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა (ჰეკატე მილეტელისა და სკილაქს კარიანდელის გეოგრაფიულ ტექსტებში) — ეკუთვნოდნენ კოლხურ შტოს.

ბ. შემდეგ ხანაში, არა უგვიანეს ძველი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნისა, აქ მომხდარა ჩამოსახლება სვანური ტომისა (სტრაბონი).

გ. უფრო გვიან მომხდარა შერევა ამ ორი ტომისა კოლხებისა და სვანებისა და წარმომდგარა ნარევი ტომი: სვან-კოლხები ანუ ეგერ-სვანები, მეგრელ-სვანები (კლავდი პტოლემე, ფავსტოს ბიზანტიელი).

რომელ ენაზე ლაპარაკობდა მისიმიანეთის მხარის ეს ნარევი ტომი, სვან-კოლხები ანუ ეგერ-სვანები (მეგრელ-სვანები)?

აფხაზეთის მხარეთა ამ კუთხის მოსახლეობის ენის შესახებ ერთგვარ ჩვენებას იძლევა ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი (მე-6 საუკუნე); აგათია სქოლასტიკოსი აღნიშნავს, რომ მისიმიანნი „კოლხთა (ლაზთა მეფის ქვეშევრდომნი არიან, მსგავსად აფსილებისა, ხოლო განსხვავებულ ენაზე ლაპარაკობენ და სხვა კანონებს მისდევენ“².

აგათია სქოლასტიკოსის ცნობის მიხედვით, აფსილები (ე. ი. აფსილეთის მხარეში მოსახლე მესხ-კოლხთა ნარევი ტომი) ენის მიხედვით, საფიქრებელია, არ განსხვავდებოდნენ კოლხებისაგან (მეგრელ-ლაზებისაგან), ხოლო რაც შეეხება მისიმიანებს (ე. ი. მისიმიანეთის მხარეში მოსახლე სვან-კოლხთა ნარევი ტომს), მათი ენა, როგორც პირდაპირ აღნიშნავს აგათია, არ იყო კოლხური (მეგრულ-ლაზური); ამის მიხედვით მისიმიანეთის მხარის მოსახლეობის ენა ყოფილა ან სვანური, ან ადგილობრივი მისიმიანური დიალექტი, რომელიც სვანური და მეგრული ენის შერევის ნიადაგზე წარმოშობილა.

ჩვენ ამით დავამთავრებთ განხილვას საკითხისას, თუ როგორი იყო ეთნიკური შედგენილობა აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობისა ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში.

როგორც გამოიკვია, აფხაზეთის მხარეები დასახლებული ყოფილა ქართველი ტომებით, სახელდობრ, აქ მოსახლეობდა ქართველ ტომთა სამი შტო: მესხები, კოლხები (მეგრელ-ლაზები) და სვანები.

¹ იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, III, 7.

² იხ. აგათია სქოლასტიკოსის ისტორია (ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, III, გვ. 66).

სპეციალური მძსკურსი

აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიული სახელწოდებანი
და მათი კავშირი ქართულ ენობრივ სამყაროსთან

იმისათვის, რომ აქ აღძრულ საკითხში აფხაზეთის მხარეთა ეთნიკური შემადგენლობის შესახებ სრული სინათლე იყოს შეტანილი, ჩვენ აქ სპეციალურად შევეხებით აგრეთვე ერთ საკითხს: აფხაზეთის მხარეთა გეოგრაფიულ ძველ სახელწოდებებს, რომლებიც მოხსენებულია საისტორიო წყაროებში და რომლებიც ანტიკური ხანიდან და საშუალო საუკუნეებიდან მომდინარეობენ.

ყველა ეს სახელწოდებანი, როგორც გამოირკვევა, ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის. (კერძოდ, ამ ძველ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის ჩვენ ვერ ვაოგებთ ვერც ერთ სახელწოდებას, რომელიც იხსნებოდეს ჩერქეზული ჯგუფის ენით. ამის მიხედვით სრულიად აშკარა ხდება უსაფუძვლოა იმ შეხედულებისა, რომელიც ამ მხარის ძირითად მოსახლეობას ჩერქეზულ შტოს მიაკუთვნებდა).

ამრიგად, გეოგრაფიული სახელწოდებანი იძლევიან სრულიად გარკვეულ ჩვენებას იმის შესახებ, თუ ვინ იყო ბინადარი მკვიდრი აფხაზეთის მხარეებისა. აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობა, როგორც ირკვევა, თავიდანვე ქართულ ეთნიკურ წრეს ეკუთვნოდა, და ასეთივე ქართული ხასიათი ჰქონდა ამ მხარეს კერძოდ იმ ეპოქაში, როდესაც დაარსდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“.



გეოგრაფიულ სახელწოდებათა მიმოხილვას დაეიწყებთ აფხაზეთის მხარეთა ცენტრალური ნაწილიდან, საკუთრივ აფხაზეთიდან, ე. ი. მხარეებიდან: მთა აფხაზეთი (ძირითადი აფხაზეთი) და ხღვი სპირა აფხაზეთი (ძველი სამხრეთი ჰენიოხეთი).

აქ ჩვენ შევიჩრებთ შემდეგ დასახლებულ პუნქტთა სახელებზე, რომლებიც მოიხსენება ძველ წყაროებში.

1. ძველი დიოსკურია — ტყუბუნი (ტყუბუნი, *ტყუბუნი).
2. ახალი დიოსკურია (სებასტოპოლი) — ცხომი, ცხუმი.

აფხაზეთის მხარეთა ცენტრალური პუნქტი და ამავე დროს უძველესი ქალაქი აფხაზეთის მხარეთა, რომელიც მოიხსენება საისტორიო წყაროებში, ეს არის დიოსკურია. მისი სახელი პირველად გვხვდება წყაროებში მე-4 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა¹.

პირველ საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა ძველი დიოსკურია დაცემულა და მისი ადგილი დაუპერია ახალ ქალაქს, რომელიც ბერძნულ-რომაულ წყაროებში მოიხსენება სახელწოდებით — სებასტოპოლი². რადგან სებასტოპოლი დიოსკურიის მეზობლად ყოფილა გაშენებული, ამიტომ სებასტოპოლზე გადასულა ძველი ქალაქის სახელიც, ამ ახალ ქალაქს სებასტოპოლს აგრეთვე დიოსკურიასაც უწოდებენ³.

დიოსკურია და სებასტოპოლი ამ ქალაქთა ბერძნული სახელებია; ხოლო რა ერქვა ამ ქალაქებს ადგილობრივ?

ჯერ ძველი დიოსკურიის სახელწოდების შესახებ.

ძველი დიოსკურიის ნაქალაქევეს (რომელიც მდებარეობს ქ. სუხუმიდან 4 კილომეტრით სამხრეთით, მდინარე კლასურის შესართავის ზონაში) დღემდე შერჩენილი აქვს სახელწოდება: ტყუბუნი (ტყუბუნი)⁴.

რა ურთიერთობაშია ეს ადგილობრივი სახელწოდება ტყუბუნი (ტყუბუნი) და ბერძნული სახელწოდება დიოსკურია?

¹ იხ. სკილაქს კარიანდელის სახელით წარწერილი ძველი, SC, I, 85.

² იხ. პლანიუს სეკუნდუსი, SC, II, გვ. 179.

³ იხ. არიანე, SC, I, გვ. 222.

⁴ იხ. დ. გულია, История Абхазии, 1925 წ. გვ. 148; Л. Н. Соловьев, Диоскурия—Севастополь—Цхум (Труды Абхазского Гос. Музея, I, 1947 წ., გვ. 141).

როგორც ცნობილია, ბერძნულ მითოლოგიაში ჯიოსკურები ეწოდებოდა ტყუბ ძმებს (კასტორსა და პოლუქსს, ღეთის-შვილებად წოდებულ გმირებს); სახელწოდება ქალაქისა დიოსკურია დაკავშირებულია ამ გმირების, ტყუბ ძმების ლეგენდასთან.

საისტორიო მეცნიერებაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ბერძნული სახელწოდებანი კოლხიდის ქალაქებისა ადგილობრივ სახელწოდებათა თარგმანს წარმოადგენენ, და რომ ასევე თქმულებებსა და ლეგენდებშიაც, რომლებიც კოლხიდასთან არის დაკავშირებული, ადგილობრივი თქმულებების გამოძახილთან გვაქვს საქმე.

ეს შეხედულება მართლდება კერძოდ ამ შემთხვევაშიაც.

სრულიად აშკარაა, რომ ბერძნული სახელწოდება ამ ქალაქისა დიოსკურია, დაკავშირებული ტყუბ ძმების ლეგენდასთან, კავშირში იმყოფება და მომდინარეობს ამ ქალაქის ადგილობრივი სახელწოდებიდან ტყუბ ბუნი, ტყუბ გენი resp. *ტყუბნი.

ამრიგად, ქართული წარმოშობა ძველი დიოსკურიის სახელისა (დიოსკურია = ტყუბნი, *ტყუბნი) უდავოდ უნდა ჩაითვალოს.

გადავიდეთ ამის შემდეგ მეორე ქალაქის — სებასტოპოლის სახელწოდებაზე.

აფხაზეთის მხარეთა ამ მეორე ცენტრალური ქალაქის სებასტოპოლის ადგილობრივი სახელწოდებაა: ცხომი ანუ ცხუმი.

ეს სახელწოდება ქალაქისა ცხომი, იგივე ცხუმი, დადასტურებულია ძველ ქართულ საისტორიო წყაროებში მე-8 საუკუნიდან¹ და ამ სახით გვხვდება იგი მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე. (ამჟამად არსებული ფორმა ქალაქის სახელისა სოხუმი, სუხუმი, მომდინარეობს ამ პირველადი ფორმიდან: ცხომი, ცხუმი).

სახელწოდება ცხომი, ცხუმი, როგორც ეს ჩანს მისი გრამატიკული გაფორმებიდან, ქართული წარმოშობისაა. აქ ჩვენ გვაქვს სახელწოდება ბოლოკიდური ფორმანტით „-ომ-ი“, რაც ჩვეულებრივია ქართული გეოგრაფიული სახელებისათვის; ასე, შეადარეთ ამ სახელწოდებას ცხომი ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი: წრომი, ბორჯომი, ბათომი, დილომი, თორთომი და მრავალი სხვა.

სახელწოდებას ცხომი, ცხუმი შეადარეთ აგრეთვე გეოგრაფიული სახელწოდებანი შიდა საქართველოში: ცხუმარი ანუ ცხმარი (სახელი თემისა სვანეთში)², ცხმორი (სახელი სოფლისა რაჭაში), ცხმორისი (სახელი სოფლისა აჭარაში), ცხომარეთი (სახელი სოფლისა იმერეთში, საჩხერის რაიონში)³.

სახელწოდებასთან ცხომი, ცხუმი, ჩანს, კავშირში იმყოფება აგრეთვე სახელწოდება მხარისა „ჩხუმი“ (რაც ხანური შესატყვისია ფორმისა ცხომი, ცხუმი)⁴.

3. ბიკვინთა.

ბიკვინთა აგრეთვე ეკუთვნის აფხაზეთის მხარეთა უძველესი პუნქტების რიცხვს. იგი მოხსენებული აქვს არტიმიდორე ფესელს (2—1 საუკუნეები ძვ. წ.), სტრაბონს და მომდევნო ხანის ანტიკურ ავტორებს (პლინიუს უფროსი, არიანე), აგრეთვე ადრეული საშუალო საუკუნეების ავტორებს (ამიანე მარცელინე, თეოდორიტი კვირელი, მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსი, ზოსიმე, პროკოპი კესარიელი, თეოდანე ბიზანტიელი).

ბერძენ-რომაელ ავტორებთან ამ პუნქტს ეწოდება Pityus, Pityunta. ქართული სახელწოდებაა: ბიკვინთა, ბიკვინტა.

სახელწოდება ამ პუნქტისა ფიკვის სახელთან არის დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ბიკვინთან მდებარეობს განთქმული ფიკვის ტყე, რომელიც საღმრთო ტყედ ითვლებოდა.

¹ იხ. ჯუანშერის მატიანეში ჩართული ექსცერპტი მე-8 საუკუნისა, გვ. *421/201.

² სვანეთის ამ თემის გავრცელებული სახელწოდების „ცხუმარი“-ს გვერდით დამოწმებულია აგრეთვე ამ სახელწოდების მეორე ფორმაც „ცხმარი“ (იხ. ძველი „მატიანე სვანეთისა კრებისა“, პ. ინგოროყვას გამოცემა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, 1941 წ., გვ. 142).

³ საისტორიო წყაროებიდან ირკვევა აგრეთვე, რომ ოდიშში სოფელ ზობის ერთ-ერთ უბანს ერქვა საცხომარიო (იხ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, I, 1921 წ., გვ. 143). ამას გარდა გალის რაიონში, ლეკუხონის თემში, არის სოფელი ცხუმარისგა.

⁴ როგორც ეს დადგენილია სამეცნიერო ლიტერატურაში, პირვანდელი ფორმა პროვინციის სახელწოდებისა ლეჩხუმი არის ჩხუმი, რა ფორმაც დადასტურებულია ადრეულ საშუალო საუკუნეთა წყაროებით (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, II, გვ. 96—97).

სახელწოდებაში ბიჭვინთა ფუძე-სიტყვა „ბიჭვი“ იგივეა რაც „ფიჭვი“. რაც შეეხება დაბოლოებას („-ნ-თა“) ეს არის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჩვეულებრივი ქართული ფორმანტი, რომელიც ჩვენ გვაქვს მთელ რიგ ქართულ გეოგრაფიულ სახელებში; ასე შეადარეთ „ბიჭვინთა“ და „ქორინთა“, „გურიანთა“ და სხვანი.

ამრიგად, სახელწოდება ბიჭვინთა—ქართულია როგორც თავისი ფუძე-სიტყვით („ბიჭვი“ = „ფიჭვი“), ისე ბოლოკიდური ფორმანტით („-ნ-თა“).

რაც შეეხება ამ პუნქტის სახელწოდებას, დაუფლს ბერძენ-რომაელ ავტორებთან, პირველი მათგანი—Pityus წარმოადგენს თარგმანს ქართულიდან (pitys ბერძნულად ნიშნავს ფიჭვს); ხოლო მეორე ფორმა Pityuntა წარმოადგენს სახენაცვალ სახეობას ქართული სახელწოდებისას (ბიჭვინთა = ფიჭვინთა), ქართული ბოლოკიდური ფორმანტის დაცვით¹.

4. ბ ხ ი ბ ი ს (*ბ ხ ე ბ ი ს) ხეობა და მდინარე. — სოფელი ბ ხ ი ბ ი (*ბ ხ ე ბ ი). — ბ ხ ი ს ნავთსადგური (ა ფ ხ ა ხ თ ა ნავთსადგური).

აფხაზეთის მთავარ მდინარეს, როგორც ცნობილია, ბ ხ ი ბ ი ს (*ბ ხ ე ბ ი ს) წყალი ეწოდება, რომელიც ბ ხ ი ბ ი ს (*ბ ხ ე ბ ი ს) ხეობაზე მოედინება.

ეს სახელწოდება დაკავშირებულია მცენარის სახელთან ბ ხ ა.

ისევე როგორც ბიჭვინთის (ფიჭვინთის) ხეობისათვის დამახასიათებელია ფიჭვი, ისე ბ ხ ი ბ ი ს (*ბ ხ ე ბ ი ს) ხეობისათვის დამახასიათებელია ხე ბ ხ ა, რომელიც აქ მთელ ტყეებს შეადგენს.

ბხიბის ხეობის ქვემო ნაწილში, იმ სექტორში, სადაც ბხიბის წყალი გააკვეთს მთის დეფილეს და კლდეხეარასთან მთიდან ბარში გამოდის, გაშენებული იყო სოფელი, რომელსაც ეწოდებოდა ბ ხ ი ბ ი (*ბ ხ ე ბ ი). ეს სოფელი, რომელიც დასავლეთი აფხაზეთის ერთ-ერთ მთავარ პუნქტს წარმოადგენდა (ამ სოფლის სახელიდან მომდინარეობს სხელწოდება დასავლეთი აფხაზეთისა — ბ ხ ი ბ ი ს ა ფ ხ ა ხ ე თ ი), განფენილი იყო მდინარე ბხიბის-წყალსა და მუწის-წყალს (მუკიშს) შუა². ეს სოფელი ბ ხ ი ბ ი (ბ ხ ე ბ ი) მუწის-წყალის ხეობის გზით დაკავშირებული იყო ზღვასთან.

ხოლო იმ სექტორში, სადაც მუწის-წყალი ერთვის ზღვას, მდებარეობდა აფხაზეთის მთავარი ნავთსადგური, რომელსაც „ბ ხ ი ს ნ ა ვ თ ს ა დ გ უ რ ი“ ეწოდებოდა.

ფრ. დიუბუა დე მონპერე, რომელიც მე-19 საუკუნის 30-იან წლებში იყო აფხაზეთში, შემდეგსა წერს ამ ნავთსადგურის შესახებ:

„ოდესღაც ეს იყო აფხაზეთის უმთავრესი ბაზარი. ეს ნავთსადგური აღნიშნულია მეფე ალექსანდრეს რუკაზე [1738 წლისა] — „აფხაზეთა ნავთსადგურის“ სახელწოდებით, შარდენის რუკაზე — სახელწოდებით Portus Abcessorum („აფხაზეთა ნავთსადგური“). ეს არის *cavo de buxo* — „ბხის ნავთსადგური“, რომელი სახელწოდებაც სავსებით დამსახურებულია, რადგან აქ ოდესღაც ჰყვაროდა ბხით ვაჭრობა“. ფრ. დიუბუა დე მონპერე ამასთან აღნიშნავს: „ბხა ვხლაც (მე-19 საუკუნის 30-იან წლებში) ერთ-ერთი მთავარი საგანია აფხაზეთის ვაჭრობისა. არასდ არ იწოდება უფრო მშვენიერი ბხა, ამასთან ასე უხვად და თან იაფადაც... ყველაზე საუკეთესო ბხა გამოაკეთ შიდა ხეობიდან და მთის ძირიდან“³.

დასახელებული ნავთსადგური აფხაზეთისა, რომელთანაც დაკავშირებული იყო ბხიბის (*ბ ხ ე ბ ი ს) ხეობა, და რომელზედაც მუწის-წყალის ხეობის გზით გამოდიოდა სოფელი ბხიბი (*ბ ხ ე ბ ი), — მოხსენებულია „ბხის ნავთსადგურის“ (*cavo de buxo*-ს) სახელწოდებით შემდეგ.

¹ რაც შეეხება პარალელურ ფორმებს ბიჭვინთა = ბიჭვინტა, ეს კანონზომიერი მონაცვლეობაა ქართული ენის ფონეტიკის თანახმად. ქართულ გეოგრაფიულ სახელთა დაბოლოებაში როგორც ცნობილია, ადგილი აქვს ანალოგიურ შენაცვლებას ბგერებისას თ და ტ: შეადარეთ ბიჭვინთა = ბიჭვინტა და ბუჭყინთა = ბუჭყინტა (სოფლის სახელწოდება ხევსურეთში), კვინთა = კვინტა (სოფლის სახელწოდება მესხეთში, ახალციხის რაიონში) და სხვანი. ეს შენაცვლება ბგერებისა იმით არის გამოწვეული, რომ ამ სიტყვების ფუძეებში გვაქვს ბგერა კ (ბიჭვინთა-ბუჭყინთა, კვინთა). ხოლო ბგერა თ, მეზობლობაში ბგერასთან კ, ასიმილაციის წესით გადადის ბგერაში ტ. ამ გზით არის ფორმიდან ბიჭვინთა მიღებული ბიჭვინტა, ისევე როგორც ფორმიდან ბუჭყინთა — ბუჭყინტა, ფორმიდან კვინთა — კვინტა.

² იხ. ფ. დიუბუა დე მონპერე, Voyage autour du Caucase, I, 1839 წ., გვ. 221.

³ იხ. ფ. დიუბუა დე მონპერე, op. cit., გვ. 269, 271—272.

რუკებზე: კ. ვესკონტისა 1318 წლისა, კ. ლუქსოროსი XIV საუკუნის დასაწყისისა, უსახელო რუკაზე 1351 წლისა, ძმ. პიციგანთა 1367 წლისა, კატალანისა 1375 წლისა, პასკვალინისა 1408 წლისა, ბიანკოსი 1436 წლისა, ბენინკახასი 1480 წლისა, კ. ფერდუჩისი 1497 წლისა, კ. მაიოლოსი 1519 წლისა¹.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, დადგენილად ჩათვლება, რომ სახელწოდებანი ბ ხ ი ბ ი ს (*ბ ხ ე ბ ი ს) ხეობისა და მდინარისა, ასევე სახელი სოფლისა ბ ხ ი ბ ი (*ბ ხ ე ბ ი), ქართული წარმოშობისაა და დაკავშირებულია ზის სახელთან ბ ხ ა.

5. გ ა გ რ ა = გ ა გ ა რ ი.

სახელწოდება აფხაზეთის ქალაქისა გ ა გ რ ა, როგორც ირკვევა, ოდნავ შეცვლილი სახით არის დაცული. პირვანდელი სახე ამ ქალაქის სახელწოდებისა ყოფილა „გ ა გ ა რ ი“, როგორც ეს დასტურდება მე-14 საუკუნის ძველ-ქართული წარწერიდან².

სახელწოდება „გ ა გ ა რ ი“ (გაგ-არ-ი) თავისი გრამატიკული გაფორმების მიხედვით ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა ჯგუფს ეკუთვნის. ბოლოკიდური „-არ-ი“ ჩვეულებრივი დაბოლოებაა ქართული გეოგრაფიული სახელებისა; შეადარეთ, მაგალითად, სახელწოდებანი: ხ ი დ ა რ ი (არაგვის ხეობაში)³, კ ი ნ ძ ა რ ი (მცხეთის რაიონში)⁴, გ ო მ ა რ ი (სამცხეში) და სხვანი.

აღსანიშნავია, რომ გ ა გ ა რ ი უდგება ქართულ გეოგრაფიულ სახელებს როგორც გრამატიკული გაფორმებით, აგრეთვე ფუძე-სიტყვითაც. ისევე როგორც სახელწოდებაში ხ ი დ ა რ ი ფუძე-სიტყვაა ხიდი, ან სახელწოდებაში გ ო მ ა რ ი ფუძე-სიტყვაა გომი (შეადარეთ გეოგრაფიული სახელი გომი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში), ასე სახელწოდებაში გ ა გ ა რ ი ფუძე-სიტყვაა გ ა გ ი.

ხოლო თავის მხრივ ეს ფუძე-სიტყვა გ ა გ ი იდენტურია ქართულ გეოგრაფიულ სახელებთან: გაგი (სახელწოდება ძველ-ქართული ქალაქისა ქვემო ქართლში), გაგვ (სოფელი სამცხეში). აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე სახელწოდებაზე ქვემო ქართლის ერთ-ერთი მხარისა: გ ო გ ა რ ე ნ ი ანუ გ ა გ ა რ ე ნ ი. ამ მხარის სახელწოდების ორი სახიდან, რომლებიც დამოწმებულია წყაროებში (გოგარენი და გაგარენი), პირველადია, როგორც ირკვევა, გ ა გ ა რ ე ნ ი⁵, რადგან ამასთან არის დაკავშირებული სახელი ამ მხარის მთავარი ქალაქისა გ ა გ ი. სახელწოდებიდან გაგი ნაწარმოებია გაგარი, ხოლო ამ უკანასკნელიდან, მრავლობითი რიცხვის ნიშნის დართვით (-ენი) გაგარ-ენი.

ამრიგად, როგორც ფუძე-სიტყვით, ისე გრამატიკული გაფორმებით, ქვემო ქართლის გ ა გ ი — გ ა გ ა რ ი (გაგარ-ენი) წარმოადგენს პარალელს აფხაზეთის მხარის ამ გეოგრაფიულ სახელწოდებასთან გ ა გ ი — გ ა გ ა რ ი.

6. გ ა გ ი.

მე-17 საუკუნის მოგზაურის ველია ჩელების ცნობიდან ირკვევა, რომ იმავე სექტორში, სადაც მდებარეობს გ ა გ ა რ ი (ნავთსადგური), არსებულა მეროვ პუნქტი მონათესავე სახელწოდებით, სოფელი გ ა გ ი⁶. ეს მეროვ პუნქტი — სოფელი გ ა გ ი — ცხადია გაშენებული იყო

¹ იხ. ფ. ბრუნი, *op. cit.* (ტოპოგრაფიული ტაბულა).

² იხ. თ. ჟორდანიას, *ქრონიკები*, II, გვ. 199; ე. თაყაიშვილი, *არქ. მოგზ. სამეგრელოში*, ძველი საქართველო, III, 1913-1914 წ., გვ. 133.

³ იხ. ქართლის მოქცევის მარტიანე (OP, II) გვ. 720.

⁴ იხ. ლეონტი მროველი, გვ. * 212/67.

⁵ ფორმა გ ა გ ა რ ე ნ ი დამოწმებულია სტრაბონის გეოგრაფიის ხელნაწერების ვარიანტებში (*Γαγαρηνί*). იხ. K. Ган, *Известия древних греческих и римских писателей о Кавказе*, 1884 წ., I, გვ. 78.

⁶ იხ. ველია ჩელების ტექსტი, ინგლისური თარგმანი (II, 1850 წ.), გვ. 54, რუსული თარგმანი (*Записки Одесского Общества Истории и Древностей*, IX, 1875 г.), გვ. 154. სახელწოდება ნავთსადგურისა გ ა გ ა რ ი ველიას გადმოცემული აქვს (თურქულის ტრანსკრიპციით) როგორც *Kokur*, ხოლო სახელწოდება სოფლისა გ ა გ ი როგორც *Khaki*. ეს მეროვ სახელწოდება უნდა ამოხსნილ იქმნას ფონეტიკურად როგორც გ ა გ ი, რასაც ადასტურებს ქვემოთ აღნიშნული სახელწოდება მდინარისა, რომელშიაც ეს ფუძე-სიტყვა „გ ა გ ი“ უცვლელად არის შემონახული.

მდინარესთან, რომელსაც ამჟამად ეწოდება გაგ-რიფში ანუ გაგის წყალ¹. მდინარე გაგ-რიფში (გაგის წყალი) შეერთვის ზღვას ძველი გაგრიდან ერთ კილომეტრზე დაშორებით (სამხრეთით).

ამრიგად, თვით ადგილობრივ აფხაზეთშივე არსებული ეს გეოგრაფიული სახელწოდება-ორივე ფორმით გაგ და გაგარი, ისევე, როგორც ეს ჩვენ გვაქვს ქვემო ქართლში: გაგ და გაგარ-ენი.

7. ულანნი.

„ულანნი“ ყოფილა სახელწოდება სიმაგრისა, რომელიც მდებარეობდა გაგის რაიონში. მე-14 საუკუნის ძველ-ქართულ წარწერაში ერთად მოიხსენებიან „სიმაგრენი გაგარი და ულანნი“².

სახელწოდება „ულანნი“ წმინდა-ქართულია. ძველ-ქართულში „ულანი“ ჩვეულებრივ-სიტყვაა; ლექსიკოგრაფები მას ასე განმარტავენ:

საბა: „ულანი — ძნელსაველი“.

დ. ჩუბინაშვილი: „ულანი — ძნელად სავალი მთა“.

როგორც ცნობილია, გაგის სექტორში კავკასიონის მთები ადგება შავ ზღვას და ჰკეტავს ჩრდილოეთიდან დასავლეთ საქართველოში გადმოსავალ გზას. ამიტომ არის რომ მე-14 საუკუნის დასახელებულ წარწერაში — „სიმაგრენი გაგარი და ულანი“ მოიხსენებიან როგორც „მიუვალნი“.

გაგის სექტორის მოხსენებული ორი სიმაგრედან — გაგარი და ულანი — პირველი, გაგარის ციხე-სიმაგრე, დღემდის შენახულა და მდებარეობს გაგის ვიწრობის სამხრეთ სექტორში, სადაც ყელი უფრო ფართოვდება. ხოლო რაც შეეხება სიმაგრეს ულანი, იგი, ჩანს, იყო ის სიმაგრე, რომელიც მდებარეობდა გაგის ვიწრობის სათავეში, ჩრდილოეთის ხაზზე, თვით ვიწრობის კარებთან, და რომლის ზღუდე-კედელი უშუალოდ ჰკეტავდა ჩრდილოეთიდან შემოსავალ გზას. (აქ დღემდის შენახულა ძველი ზღუდე-კედლის ნანგრევები)³. ამ ხონას ჩრდილოეთის ხაზზე, სადაც მთები უშუალოდ ებჯინება ზღვას და მიუვალს ხდის შემოსასვლელ ყელს, სავსებით შეეფერება სახელწოდება „ულანი“ — „ძნელსაველი“, „მიუვალი“.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული Καρσζον Τελχοδ = „მაგარი ზღუდე“ (რომელიც აღნიშნულია აფხაზეთში, ზღვის პირას, გაგის სექტორის ზონაში)⁴, — არის ეს სიმაგრე „ულანი“, რომლის ზღუდე-კედელი ჰკეტავდა გაგის ვიწრობის ყელს. თვით სახელწოდება Καρσζον Τελχοδ = „მაგარი ზღუდე“, რომელიც საკუთარი სახელის სახით არის ხმარებული და რომელიც ადგილობრივი სახელწოდების გადმოცემას წარმოადგენს, ცხადია, მომდინარეობს ამ ზღუდე-სიმაგრის ძველ-ქართული სახელწოდებიდან „ულანი“ = „ძნელსაველი“, „მიუვალი“ = მაგარი ზღუდე.

8. სობლისი.

საისტორიო წყაროებში მე-8 საუკუნეში მოიხსენება ციხე აფხაზეთისა სობლისი, რომელიც მდებარეობდა მთა-აფხაზეთში, ჩრდილო-კავკასიაში გადასავალ უღელტეხილთან (ბზიბის ხეობის სექტორში)⁵.

სახელწოდება ამ ციხისა ქართულია. სახელწოდებაში სობლ-ის-ი ჩვენ გვაქვს ქართული ბოლოკიდური ფორმანტი „-ის-ი“, როგორც გეოგრაფიულ სახელებში: ტფილ-ის-ი, ქუთათ-ის-ი, ურბნ-ის-ი და სხვანი.

ფუძე-სახელის მხრით შეადარეთ ეს სახელწოდება სობლისი (*სობ-ახ-ის-ი) და სახელი სოფლისა შიდა საქართველოში (ქართლში): სობისი (სობ-ის-ი).

¹ აფხაზურად „რიფში“ ნიშნავს წყალს, მდინარეს; გაგ-რიფში = გაგის წყალი.

² იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 199; ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზ. სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, 1913—1914 წ., გვ. 133.

³ იხ. ფრ. დიუბუა დე მონპერე, op. cit., I, გვ. 211; К. Кудрявцев, Сборник материалов по истории Абхазии, 1926 წ., გვ. 32.

⁴ იხ. SC, I, გვ. 237 (ამას გარდა ვ. ლატიშევის გამოცემის პირველ ტომთან დართული კლავდი პტოლემეს რუკა).

⁵ იხ. ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული ექსცერპტი მე-8 საუკუნის მატიანისა მურვან-ყრუს ლაშქრობის შესახებ, გვ. *420/201.

9. *ბ ა ს ხ ი.

იმევე მთა-აფხაზეთში (ბზიბის სექტორში) არსებობდა სახელწოდება თემისა *ბ ა ს ხ ი, რაც ადის აფხაზეთა ტომის სახელწოდების პირვანდელ სახეობასთან: მოსხი—ბასხი (იხ. ზემოთ გვ. 137).

10. ბ ა ტ რ ა ხ ი.

კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში (მე-2 საუკ.), მთა-აფხაზეთში, მდინარე თესვრზე (თანამედროვე ფსოუ), მოიხსენება დასახლებული პუნქტი სახელწოდებით ბ ა ტ რ ა ხ ი¹.

შეადარეთ ამას სახელწოდება მეორე გეოგრაფიული პუნქტისა პ ა ტ რ ა ხ უ წ ა შიდა ეგრისში (ბედის თემში).

11. ა ნ ა კ ო ფ ი ა.

აფხაზეთის განთქმული ციხე-სიმაგრე ანაკოფია მოიხსენება ძველ-ქართულ წყაროებში მე-8 საუკუნიდან მოკიდებული².

სახელწოდება ანაკოფია თავისი ბოლოკიდური ფორმანტით, დაბოლოებით „-ია“, ქართული გეოგრაფიული სახელების ჯგუფს განეკუთვნება. ასე, შეადარეთ გეოგრაფიული სახელები ანალოგიური დაბოლოებით „-ია“: ელფია, ტელეფია (ტელეფა), ბედია, გონია, გოკია, ვარძია, ტანძია, იტრია, ქცია და სხვანი. ფუძე-სახელის მხრით შეადარეთ ანაკოფია (ანაკ-ოფ-ია || ანაკ-ობ-ია) და გეოგრაფიული სახელწოდებანი შიდა საქართველოში: ანაკ-ეთი (სოფლის სახელი ასპინძის რაიონში), ანაგა (სოფლის სახელი ქიზიყში), ანაკლია და ანკლია (სოფლის სახელები ოდიშში და ართვინის მხარეში, შავშეთ-კლარჯეთში).

12. ე ნ ა ნ თ ი ა (ო მ ა ნ თ ი ა).

კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში (მე-2 საუკ.) შავი ზღვის სანაპიროზე, ადლერ-ცანთას სექტორში (იხ. ქვემოთ ცანთა, № 16), მოიხსენება დასახლებული პუნქტი სახელწოდებით ეხანთია (ომანთია)³.

ეს სახელწოდება, ჩანს, წარმოადგენს თარგმანს ადგილობრივი გეოგრაფიული სახელისას ბერძნულ ენაზე („ომანთია“ = ვახიანი)⁴.

13. ლ ი ხ ნ ი. — ლ უ ხ უ ნ ი.

აფხაზეთის მთავართა რეზიდენცია ბოლო პერიოდში იყო პუნქტი, რომელსაც ეწოდებოდა ლ ი ხ ნ ი (ლიხინი).

ამ სახელწოდებას ლ ი ხ ნ ი (ლიხინი) მოეპოვება პარალელური ფორმა — ლ უ ხ უ ნ ი, რაც მიღებულია ძირითადი ფორმიდან ლ ი ხ ნ ი⁵.

ეს პუნქტი — ლ ი ხ ნ ი — როგორც ჩანს, მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა საშუალო საუკუნეებში. აქ მოღწეულა ძველი ქართული ხელოვნების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი, — ტაძარი ფრესკებით, რომელსაც დაუტავს ქართული წარწერები XI საუკუნისა.

სახელწოდება იმ პუნქტისა ლ ი ხ ნ ი, თავისი გრამატიკული აღნაგობით (მრავლობითის აღმნიშვნელი ბოლოკიდური ფორმანტით „-ნი“) — ქართულია.

ქართულია თვით ფუძე-სიტყვაც ან სახელწოდებისა. „ლი ხ ი“ — სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, არის „ფრიად მაღალი შაბი“ (ბალახი).

სიტყვისაგან „ლიხი“ ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელწოდებანი როგორც აფხაზეთში, ისე შიდა საქართველოში: ლ ი ხ ნ ი, მთა ლ ი ხ ი ს ა (ე. ი. მაღალი შამბარით დაფარული მთა) — სახელწოდება მთაგრეხილისა შუა საქართველოში, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სახლერზე; ლ ი ხ თ ა — სახელწოდება მთისა აფხაზეთში⁶; ლ ი ხ ე თ ი — სახელწოდება სოფლისა რაჭაში.

¹ იხ. SC, I, გვ. 240.

² იხ. ჯუანშერის ქრონიკის მე-8 საუკუნის ექსცერპტი, გვ. *420/201.

³ SC, I, გვ. 237.

⁴ ნიშანდობლივია, რომ ამავე სექტორში მეორე ბერძენ ავტორს (მე-5 საუკუნის ანონიმ გეოგრაფოსს, იხ. SC, I, გვ. 277) მოხსენებული აქვს ადგილი Ἰσχυμεύς (→ Ἰσχυλ(ω)ς), რაც აგრეთვე „ვახიან“-ს ნიშნავს.

⁵ ამ სახელწოდებას განუცდია ფორმების მონაცვლეობა შემდეგი თანდათანობით: ლიხ-ნი → ლიხინი → ლუხნი → ლუხნი. ფორმა ლ ი ხ ნ ი წარმოდგენილია 1738 წლის, რუკაზე აღექსანდრე იმერთა მეფისა. ფორმა ლუხნი, ლუხნი — ეს არის მეგრულისათვის და აფხაზურისათვის დამახასიათებელი სახეობა. რაც შეეხება ფორმას ლუხუნი, იგი დამოწმებულია ნ. დადიანის თხზულებაში — ქართველთა ცხოვრება, OP, I, გვ. 54—55.

⁶ ადგილობრივს მეტყველებაში სახელწოდება ამ მთისა ლ ი ხ თ ა გამოითქმის როგორც ლუხთა (იხ. Д. Гучиш, op. cit., გვ. 302).

ალხანიშნავია, რომ ისევე როგორც აფხაზეთში ერთმანეთს ენაცვლება სახელწოდებანი ლიხნი და ლუხუნი, ანალოგიური შენაცვლება გვაქვს ჩვენ აგრეთვე რაჭის გეოგრაფიულ სახელწოდებებში. მდინარეს, რომელიც ერთის რიონს რაქაში (წესის ზემოთ) და რომელზედაც მდებარეობს სოფელი ლიხეთი, ეწოდება ლუხუნი, ლუხუნის წყალი¹.

სახელწოდების ფორმას ლუხუნი შეადარეთ აგრეთვე ლუხეანო (სახელი სოფლისა ლეჩხუმში).

14. ზუფუ.

აფხაზეთის მთავართა ზემოთ მოხსენებული რეზიდენცია ლიხნი ცნობილი იყო აგრეთვე სახელწოდებით ზუფუ.

როგორც ირაკვევა ალექსანდრე იმერთა მეფის 1738 წლის რუკიდან, ზუფუ რქმევია ლიხნის თემის სამხრეთ უბანს (სადაც გაშენებული იყო მთავართა სასახლე). მდინარეს, რომელიც ამ თემის ტერიტორიაზე მომდინარეობდა, ზუფუს მდინარე ერქვა².

ისევე როგორც გეოგრაფიულ სახელწოდებას გუფუ-ი გუფუ-უ მოეპოვება პარალელური სახეობა გუბ-ი (იხ. ქვემოთ, № 50, გვ. 169), ასევე პარალელური სახეობა გეოგრაფიული სახელწოდებისა „ზუფუ-უ“ არის „ზუბ-ი“.

ეს გეოგრაფიული სახელწოდება ჩვენ გვხვდება როგორც აფხაზეთში, ისე შიდა საქართველოში (ორივე ფორმით ზუფუ-უ და ზუბ-ი):

ზუბი — სახელი სოფლისა ბობის რაიონში (სანსტორით წყაროებში იგი ამავე დროს მოიხსენება როგორც ზუფუ)³;

ზუბი — სახელი სოფლებისა ჩხოროწყუს და ცაგერის რაიონებში.

15. ხოფი. — *ხოფალი.

სოფელი ხოფი მდებარეობს გუდაუთის რაიონში, მთის ზონაში. მდინარე, რომელზედაც ედებარეობს ეს სოფელი (ხოფის წყალი) შეერთების მდინარე მუწის-წყალს ანუ შუკის ხოფიდან ოთხ კილომეტრზე დაშორებით.

ალხანიშნავია, რომ ამავე სექტორში მეორე სოფლის სახელწოდებაც, როგორც ჩანს, დაკავშირებულია ამავე ფუძე-სახელთან: ხოფი. მე-17 საუკუნის მოგზაურს ევლია ჩელების ამ რაიონში ზღვის პირას დასახლებული აქვს მეორე სოფელი „ხ(ა)ჩალი“ (თურქული ტრანსკრიპციით)⁴, რაც, ჩანს, წარმოადგენს სახენაცვალს გადმოცემას ადგილობრივი სახელწოდებისას *ხოფალი. ეს მეორე სოფელი „ხ(ა)ჩალი“ ანუ *ხოფალი ევლია ჩელების ნაჩვენები აქვს ზღვის სანაპიროზე, ჩაჩის თემის (საშერვაშიძეს) და არღანის თემის (საინალი-შვილს) საზღვართან, ე. ი. ბზის ნავთსადგურის ზონაში, სადაც ზღვას უერთდება გაერთიანებული მუწის-წყალი (მუკიშ-ი) და ხოფის-წყალი. სოფელი *ხოფალი, ჩანს, განთენილი იყო ხოფის-წყალის შესართავიდან ზღვამდე.

ეს სახელწოდება ხოფი, რომელიც უცვლელად არის დაცული პირველი სოფლის სახელში (მთის ზონაში), ხოლო სახენაცვალი ფორმით მოღწეულა მეორე სოფლის სახელწოდებაში (ზღვის სანაპიროზე), ქართულ გეოგრაფიულ სახელთა ჯგუფს ეკუთვნის. სახელწოდება ხოფი ჩვენ მრავალგზის გვხვდება შიდა საქართველოში; ასეთებია:

¹ იხ. ვახუშტის გეოგრაფია, 1941 წ., გვ. 159 „მდინარე ლუხუნი“; გვ. 159 „ლუხუნის ხეობა“; გვ. 117, 162 „ლუხუნი“ (ხეობის მნიშვნელობით).

² იხ. ვახუშტის გეოგრაფია, 1941 წ., გვ. 171. მას შემდეგ, რაც ზუფუ გახდა რეზიდენცია აფხაზეთის მთავართა, სახელწოდება ზუფუ ფართო მნიშვნელობითაც იხმარებოდა, როგორც სახელწოდება მთელი კუთხისა (ზღვის სანაპიროსი ანაკოფიიდან ვიდრე ბზიამდე, რა კუთხეც XVII საუკუნის მეორე ნახევრამდე აფხაზეთის მთავართა ძირითადს სამფლობელოს წარმოადგენდა). ასეთი ფართო მნიშვნელობით არის ნახმარი სახელწოდება ზუფუ ილორის ხატის წარწერაში 1651 წლისა (წარწერა დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში). აქ საქართა აღნიშნით ამასთან, რომ ამ პუნქტს ზუფუს, მას შემდეგ რაც იგი აფხაზეთის სამთავროს ცენტრი გახდა, მეორე პარალელური სახელწოდების სახით ერქვა „აფხაზეთი“. ეს პარალელური სახელწოდებანი ზუფუ=აფხაზეთი აღნიშნულია ალექსანდრე იმერთა მეფის რუკაზე 1738 წლისა.

³ იხ. ივ. ჯავახიშვილის ისტორიული რუკა საქართველოსი (1923 წ.).

⁴ იხ. ევლია ჩელები (Зав. Одесского Общ. Ист. и Др., IX), გვ. 173—174.

ხოფი (ხობი) — ცნობილი ისტორიული პუნქტი ოდიშში, განთქმული მონასტრით:

ხოფი ანუ ხოფა იგივე ხოფათი (ხუფათი) — ასევე ძველი ისტორიული პუნქტი ლაზეთში¹;

ხოფა — ისტორიული პუნქტი ქართლში, ქსნის ხეობაში, ძველი მონასტრით (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, 1941 წ., გვ. 68);

ხოფსა — სოფელი თიანეთში.

16. ცანთა. — ცანთი.

ზღვისპირა აფხაზეთის სექტორი ბზიბის მდინარიდან ვიდრე მდინარემდე ლაფსთა მე-16—19 საუკუნეებში ცნობილი იყო „ცან“-ების თემის სახელწოდებით. აქ მოსახლე ტომს „ცან“-ები ეწოდებოდა.

„ცან“-ების ტერიტორია განიყოფებოდა ორ რაიონად (მუხურად): დიდი „ცან“-თა რაიონი და მცირე „ცან“-თა (ანუ მთიელ „ცან“-თა) რაიონი.

პირველი, დიდი „ცან“-თა რაიონი მოიცავდა ზონას გაგარის ვიწრობიდან ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით — ვიდრე ლაფსთას ხეობამდე; ხოლო მეორე, მცირე „ცან“-თა რაიონი მოიცავდა ზონას გაგარის ვიწრობიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ვიდრე მდინარე ბზიბამდე.

ცენტრი დიდი „ცან“-ების ტერიტორიისა ახალ საუკუნეებში ცნობილი იყო სახელწოდებით „ცან-და“ (იგი მდებარეობდა იმ სექტორში, სადაც ამჟამად გაშენებულია სოფელი განთიადი, და ნავთსადგურს წარმოადგენდა)².

„ცან“-ების თემის მეთაურ თავადთა გვარეულობა ატარებდა სახელწოდებას „ცან“ (თვით თემის სახელის მიხედვით), აგრეთვე სახელწოდებას „ცანდ-ია“ (რაც კავშირშია თემის ცენტრის სახელთან „ცანდა“). კერძოდ, ეს საგვარეულო სახელწოდება ამ კუთხის მფლობელი გვარისა ფორმით „ცანდია“ დამოწმებულია ძველ-ქართულ საისტორიო ტექსტში, რომელიც მე-16 საუკუნეს (1533 წელს) ეხება³.

მდინარეს, რომლის ხეობაში განთენილი იყო უმთავრესად მოსახლეობა დიდი „ცან“-ების ტომისა და რომელიც მდინარეც შეერთვის ზღვას ამ თემის ცენტრთან „ცანდა“, ამჟამად ეწოდება „ცანდ-რიფშ“. „რიფშ“ — მდინარეს, წყალს ნიშნავს; „ცანდ-რიფშ“ = ცანდის წყალი.

აქ საუბრობა აღინიშნოს ამავე დროს, რომ სახელწოდება „ცან“-ების თემის ცენტრისა „ცან-და“ გვიანდელი სახენაცვალი ფორმაა; პირვანდელი სახე არის „ცან-თა“.

შენაცვლება ბგერებისა „თ“ და „დ“ ამ სახელწოდებაში ცანთა → ცანდა იმავე სახისაა, როგორც მთელ რიგ სხვა ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში (ჯანსაყთრებით ამავე აღნაგობის ორმარცვლედ ფონეტიკურ კომპლექსებში მკვეთრი მახვილით პირველ მარცვალზე „ნ“-ს წინ), როგორც *სკანთა → სკანდა (სახელი სოფლისა იმერეთში), *ქანთა → ქანდა (სახელი სოფლისა ქართლში), *წუნთა → წუნდა (სახელი ძველი ნაქალაქებისა ჯავახეთში) და სხვანი.

სახელწოდებაში „ცან-თა“ ჩვენ გვაქვს ისეთივე შეფარდება სატომო სახელისა გეოგრაფიულ სახელთან, როგორც სატომო სახელი „წოვა“ და გეოგრაფიული სახელი „წოვა-თა“, ან-და საგვარეულო სახელი „მიდელაური“ და გეოგრაფიული სახელი „მიდელაურ-თა“ და სხვანი; ასევე სატომო სახელიდან „ცან-ი“ ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელი „ცან-თა“, ე. ი. „ცან“-ებისა.

„ცან“-ების თემის ეს ცენტრი „ცან-თა“, როგორც ირკვევა არქეოლოგიური ნაშთებიდან, მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა ისტორიულ წარსულში, აქ დატულია ნანგრევები ძველ-ქართული ხუროთმოძღვრული სტილით ნაგები ტაძრისა, რომელიც ადრეულ საშუალო საუკუნეებს ეკუთვნის.

¹ იხ. ბასილი ზარხმელი, გვ. 179; ცხორება გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ისა, გვ. *487/261, *494/266; დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *531/298, *537/303.

² თურქები ამ ნავთსადგურს უწოდებდნენ „ჩანდა“ ანუ თურქული მრავლობითი რიცხვის ნაწილაკის დართვით „ჩანდა-ლარ“. ეს პუნქტი, სახელწოდებით „ჩანდა“, აღნიშნულია ბელის რუკაზე. პუნქტი (ნავთსადგური) სახელწოდებით „ჩანდა-ლარ“ და დიდი და მცირე „ჩანდ“-ის („ცან“-ის) თემები მოხსენებული აქვს ევლია ჩელეების (იხ. შაჰ. ოღ. ოზმა. ისტ. II ტომი, IX, გვ. 174).

³ იხ. Chronique Georgienne (მ. ბროსეს გამოცემა), გვ. 6—7.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ ანტიკურ ხანაში „ცან“-ების თემი, როგორც ირკვევა, „ცან-ითი“-ს სახელწოდებით ყოფილა ცნობილი. მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსში (რომელიც არიანეს მე-2 საუკუნის ტექსტიდან არის დამოკიდებული) „ცან“-ების ტერიტორია — „ცანთა“-ს („ცანდა“-ს) სექტორი — მოიხსენება, როგორც *ΤΣΑΝΝΙΤΙΚΗ (→ ΣΤΕΝ-ΝΙΤΙΚΗ) ΧΩΡΑ¹, ე. ი. „ცანიტიკე“ მხარე, რაც ოდნავ სახენაცვალი გადმოცემა სახელწოდებისა „ცანიითი“ (ბოლოკიდური „-იკე“ ბერძნული დაბოლოებაა; შეადარეთ „ლაზი“-ი და „ლაზი-კე“; ასევე „ცან-ი“, „ცან-ით-ი“ და „ცან-ით-იკე“).

17. *აბასხის, აფხაზეთის ნავთსადგური.

როგორც აღნიშნული გვექნა (იხ. ზემოთ, გვ. 123), მდინარე მძიმთას ანტიკურ ხანაში ერ-
ქვა *აბასხი (აბასკი), ე. ი. აფხაზთა მდინარე, რა სახელწოდებაც ამ მდინარეს შერჩა შემ-
დეგ პერიოდშიაც, ვიდრე ახალ საუკუნეებამდე. ამ მდინარის შესართავთან მდებარეობდა ნავთ-
სადგური, რომელიც ვენეციურ რუკაზე XIII საუკუნისა აღნიშნულია როგორც Abkazia, კატა-
ლონურ რუკაზე 1375 წლისა — Αβογαζια, ბიანკოს რუკაზე 1436 წლისა — Abcazia, კ. მაიო-
ლოს რუკაზე 1519 წლისა Αβογαζια, ე. ი. აფხაზეთი. ესე ნავთსადგური (სახელწოდებით
Abhasa) მოხსენებული აქვს და აქ წარმოებული ვაჭრობის შესახებ დაწვრილებით მოგვით-
ხრობს კაფერის პრეფექტი ემილიო დორტელი დ'ასკოლი — თხზულებაში „აღწერა შავი ზღვი-
სა და სათათრეთისა“ (1634 წ.)².

18. ლაიაში, ლიაში.

ნავთსადგური მძიმთის ხეობის დასავლეთით, მდინარე კვდფსთას შესართავთან, ცნობილი
იყო სახელწოდებით — ლაიაში, ლიაში³.

ფუძე-სიტყვაა ლაია ანუ ლია (ბოლოკიდური „-ში“ ხანური სუფიქსია).

ძველ-ქართულად სიტყვა ლია, რომლის პირველადი ამოსავალი ფორმაა *ლაია (ლა-ია),
ნიშნავს იმასვე, რასაც ძველ-ქართული სიტყვა ლამი (*ლა-ამ-ი): საფლობი ტლახი,
მდინარის მიერ დატოვებული შლამი (ШЛ, ТИШ).

ბოლოკიდური ფორმანტი „-ია“ სიტყვაში *ლაია (საიდანაც შემდეგ მიღებულია ლია)
და ბოლოკიდური ფორმანტი „-ამ-ი“ სიტყვაში ლამი (*ლა-ამ-ი) — იდენტურია. ფორმანტი
„-ია“ ნიშნავს იმასვე, რასაც „-იანი“; ასევე ფორმანტი „-ამ-ი“ აგრეთვე ნიშნავს „-იანი“ (ასე-
ვეს ამჟამად მეგრულში და ასევე ყოფილა იგი ძველად ზოგად-ქართულშიაც).

რაც შეეხება სიტყვის ძირს, რაც წარმოდგენილია ამ სიტყვებში *ლა-ია (|| ლია) და *ლა-
ამ-ი (= ლამი), იგივე ძირი ჩვენ გვაქვს მრავლობითი რიცხვის დეტერმინანტის დართვით სიტყ-
ვაში ლაფი. (ფუძის დეტერმინანტი „-ფი“ მრავლობითი რიცხვის ნიშანის სახეობაა; შე-
ადარეთ მეგრულში მრავლობითი რიცხვის ფორმანტები: „-ფი“ = „-ბი“).

ამრიგად ლია || ლაია (ლა-ია) და ლამი (*ლა-ამ-ი) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: ლაფ-იანი.

¹ იხ. SC, I, გვ. 277. არიანესთან დაზიანებული დაწერილობაა (იხ. SC, I, გვ. 223) =
... ΕΣ ΤΗΝ ΝΙΤΙΚΗΝ ← *ΕΙΣ ΣΤΕΝΝΙΤΙΚΗΝ (ΤΣΑΝΝΙΤΙΚΗΝ) ΧΩΡΑΝ...

² იხ. Записки Одесского Общества Истории и Древностей, XXIV, გვ. 100. — აქ საჭი-
როა შეეჩერდეთ აგრეთვე ამ პუნქტის შემდეგდროინდელ სახელწოდებებზედაც. მდინარე
*აბასხის (მძიმთის) ხეობის ქვემო ნაწილი ახალ საუკუნეებში ცნობილი იყო „ართ“-თა ანუ
„ართ“-თა თემის სახელით. ამის მიხედვით *აბასხის ნავთსადგურს თურქებმა დაარქვეს
„ართ“-თა ნავთსადგური: „ართ-ლარ“ (ბოლოკიდური „ლარ“ მრავლობითი რიცხვის ნაწილა-
კია თურქულად). *აბასხთა ნავთსადგური ამ ახალი სახელწოდებით „ართ-ლარ“ მოხსენებული
აქვს მე-17 საუკუნის 40-იან წლებში მოგზაურს ველია ჩელების. (აღსანიშნავია, რომ ველია
ჩელები იმასვე მოგვითხრობს ამ ნავთსადგურის მნიშვნელობისა და მასში წარმოებული ვაჭ-
რობის მთავარი დარგების შესახებ, რასაც ემილიო დორტელი). მე-17—18 საუკუნეებშივე ეს
ახალი სახელწოდება „ართლარ“ საერთოდ განმტკიცდა. სახელწოდებიდან „ართლარ“ მომდი-
ნარეობს თახმედროვე სახელი ამ ნავთსადგურისა: ადლერი.

³ სახელწოდება ამ პუნქტისა ლაიაში, ლიაში წყაროებში ასეა ტრანსკრიბირებული:

Ляш (რაეესკი), Ляш (ტორნაუ), Liouch (ველია ჩელები), Laiazo, Laiazo (საშუალო საუკუნე-
თა იტალიურ რუკებზე).

ეს სახელწოდება დარქმევია ამ პუნქტს, რომელიც მდინარის შესართავთან მდებარეობს, იმის გამო, რომ მდინარის სანაპიროები აქ ლიას ანუ ლამს წარმოადგენს.

ალსანიშნავია, რომ გეოგრაფიული სახელწოდებანი, ნაწარმოები იმავე სიტყვებიდან ლია, ლამი, ჩვენ სხვაგანაც გვაქვს საქართველოში: ლია (სოფელი ოდიშში, ზუგდიდის რაიონში); ლამი (სოფელი ქართლში, მცხეთის რაიონში); ლამი-სყანა (სოფელი ქართლში, კასპის რაიონში); ლამიანი (სოფელი ყოფილ არტაანის ოლქში).

ირკვევა ამასთან, რომ ლია (ლია) ყოფილა ძველი სახელწოდება ტუაფსისა (იხ. ქვემოთ).

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე აფხაზეთის მეორე მხარის — აბსილეთის დასახლებული პუნქტების სახელებისა, რომლებიც მოიხსენება ძველ წყაროებში.

19. წიბელი, წიბელთა.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ადრეული საშუალო საუკუნეების საისტორიო წყაროების ცნობების თანახმად (პროკოპი კესარიელი, აგათია სქოლასტიკოსი) აბსილეთის მხარის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იყო ციხე, რომელიც ატარებდა სახელწოდებას: წიბელი. ეს არის თანამედროვე წებელდა კოდორის ხეობაში.

ამ პუნქტის სახელწოდების სხვადასხვა სახეობათა განხილვის შედეგად ირკვევა, რომ ამ პუნქტის სახელის ორი ძირითადი ფორმა არსებულა; წიბელი და *წიბელთა (ამ უკანასკნელიდან მომდინარეობს სახენაცვალი ფორმა: *წიბელთა — წებელდა).

ეს სახელწოდება წიბელი, წიბელთა დაკავშირებულია ხის სახელთან: წიბელი; იგივე წიფელი. ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს იმავე ტიპის სახელი, როგორცაა ზემოთ განხილულნი ბიჭვინთა და ბზიბი. (ალსანიშნავია, რომ წიბელთის კუთხის მცენარეულობისათვის დამახასიათებელია სწორედ წიფელი, ისევე როგორც ბიჭვინთისთვის — ფიჭვი და ბზიბისათვის ბზა).

აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე თვით ფონეტიკურ სახეობაზე ამ სიტყვისა: წიბელი = წიფელი. როგორც ირკვევა, პირველადი სახეობა სიტყვისა წიფელი არის სწორედ წიბელი. (ხის ნაყოფის სახელწოდება: წი-წიბო, რაც ადის პირველ ფორმამდე *წიბ-წიბო: ნაყოფის ამ სახელთან დაკავშირებულია ხის სახელიც: წიბ-ელ-ი).

აღვნიშნავთ ამასთან, რომ სახელწოდებაც მეორე მცენარისა, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, — ფიჭვისა, — ასევე ორი ფორმით არის მოღწეული, სიდაც ერთმანეთს ენაცვლება ბ და ფ: ბიჭვი = ფიჭვი. აქაც, როგორც ირკვევა, პირველადია ბანიანი ფორმა — ბიჭვი-სიტყვა „ბიჭვი“ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით ეს არის სახელწოდება წიჭვისა და აქედან მომდინარეობს თვით ხის სახელი. სიტყვასთან „ბიჭვი“ (წიჭვის მნიშვნელობით) დაკავშირებულია სიტყვები: ბეწვი, აგრეთვე ბეწო (მცირის მნიშვნელობით). ამავე ფუძესთან კავშირშია სიტყვები: ბიჭი (რაც მცირეს ნიშნავს), ნაბიჭვეი (ძველ-ქართულად: მცირე ნაბუსრვეი, ნაფხვენი), აგრეთვე „ბაჭია“ და „ბუჭულა“ (ეს სიტყვებიც „მცირის“ ცნებას უკავშირდება). ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს ბ და არა ფ.

ამრიგად, როგორც ირკვევა, აფხაზეთის ადგილობრივ ქართულ ენაში მიღებული ყოფილა არქაული სახეობანი სიტყვებისა: ბიჭვი (ფიჭვი) და წიბელი (წიფელი). საიდანაც ჩვენ გვაქვს გეოგრაფიული სახელწოდებანი: ბიჭვინთა და წიბელი, წიბელთა.

აქ ამავე დროს ხაზგასასმელია აგრეთვე მეორე უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება: აფხაზეთის მესხების სალაპარაკო ენა ჩანს იყო არა მეგრულ-ქანური დიალექტი, არამედ საკუთრივ ქართული, ყოველ შემთხვევაში ადრინდელ პერიოდში. ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ადგილობრივი გეოგრაფიული სახელწოდებანი უმთავრესად საკუთრივ დედა-ქართულთან არიან დაკავშირებულნი.

კერძოდ. სიტყვა წიბელი (წიფელი) მეგრულ-ლაზურში გამოითქმის როგორც წიფური. ამ სახითვე არის ეს სიტყვა წარმოდგენილი გეოგრაფიულ სახელებშიაც (მაგ. დიდი წიფური, სახელი სოფლისა შიდა ეგრისში, გალის რაიონში).

20. კოდორი (I).

კოდორი თავდაპირველად დაბის სახელწოდება ყოფილა და აქედან დარქმევია შემდეგ ეს სახელი მდინარეს. ვახუშტი ბატონიშვილი წერს მდინარე კოდორის გამო, რომ მან „მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელიც არს დრანდას ზეით ამ წყალზედ მთაში“¹.

¹ იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 169.

დაბა კოდორი მოიხსენება საშუალო საუკუნეთა ქართულსა და ბერძნულ-ლათინურ წყაროებში (გიორგი მთაწმიდელის დიდ სვინაქსარში და ანასტასი აპოკრიფის წერილში)¹. დაბა კოდორი, დასახელებული ამ წყაროებში, მდებარეობდა აბსილეთში, იმ სექტორში, სადაც აბსილეთის მხარე ადგება მდ. კოდორს, ე. ი. წებელდის აღმოსავლეთით.

სახელწოდება კოდორი ქართულია როგორც ფუძე-სიტყვით, ისე გრამატიკული გაფორმებით.

ბოლოკიდური გრამატიკული ფორმანტი „-ორ-ი“ ეს არის, როგორც აღნიშნული გვექონდა, ჩვეულებრივი დაბოლოება ქართული გეოგრაფიული სახელებისა, როგორც მაგალითად: ილო-რი („შუა-სოფლის“ მხარეში და შიდა ეგრისში), შორი (ჯავახეთსა და რაჭაში), ჯოჯორი (რაჭაში), სხეიტორი, ლოდორი (იმერეთში), კოჯორი (ქართლში), გომბორი, კოტორი (კახეთში) და სხვანი.

სახელწოდებაში კოდორი, როგორც ეს ზემოთ გვექონდა აღნიშნული, ფუძე-სიტყვაა კოდი, კოდა.

აღსანიშნავია, რომ ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა შორის მრავლად გვხვდება სახელები, რომლებიც შეიცავენ ამ სიტყვას კოდი, კოდა, ან მისგან ნაწარმოებ სახელწოდებებს. ასე მაგალითად: კოდი (სახელი სოფლისა, გვხვდება ქართლში ორ ადგილას); კოდა (სახელი სოფლისა, გვხვდება ქართლში აგრეთვე ორ ადგილას); კოდი-წყარო (სახელი სამი სხვადასხვა სოფლისა ქართლში); კოდიანი (სახელი მთისა ქართლისა და მესხეთის სახელგარე). შეადარეთ აგრეთვე კოდმანი (სახელი სოფლისა ქართლში).

კერძოდ, ეს სახელწოდება ფორმით კოდორი ჩვენ გვხვდება არა მხოლოდ აფხაზეთში, არამედ აგრეთვე შიდა საქართველოში, სამეგრელოსა და იმერეთის [სახელგარე (სოფელი კოდორი აბაშის რაიონში).

დასასრულ აღნიშნავთ, რომ აფხაზეთში, იმავე კოდორის ხეობაში, კოდორი-ს სახელის გვერდით, ჩვენ გვხვდება აგრეთვე სახელწოდებაც კოდა (ორი სოფელი: დიდი კოდა და პატარა კოდა წებელდის რაიონში).

21. ფუსთა (ფუსტა).

მე-7—8 საუკუნეთა საისტორიო წყაროების ცნობებით *ფუსთა (ფუსტა) აფხაზეთის მხარეთა მნიშვნელოვანი ცენტრი ყოფილა. მე-8 საუკუნის ავტორი ეპიფანე კონსტანტინეპოლელი მას ქალაქის სახელით მოიხსენიებს². ფუსთას ძველი ნაადგილეთი მდებარეობს კოდორის ხეობაში³.

სახელი ამ პუნქტისა ფუსთა, ჩანს ენათესავენა ქალაქ ფოთის ძველი სახელწოდების ერთ-ერთ სახეობას.

აღნიშნავთ აქ ძირითად ცვლილებებს, რომელიც განუცდია ქალაქ ფოთის სახელწოდებას საუკუნეთა განმავლობაში. პირველადი სახელწოდება ამ პუნქტისა არის ფასთი ქალაქი ანუ ფასთი (ფას-თი), რომლის პარალელური სახეობაა ფოსთი, საიდანაც შემდეგ წარმოიშვა ფოთი → ფოთი.

პარალელურად ფორმისა ფოსთი, საიდანაც მომდინარეობს ფოთი → ფოთი, არსებულა აგრეთვე ფორმა ფუსთი, საიდანაც მომდინარეობს ფუთი → ფუთი. „ფუთი“ — ასე ეწოდება ამჟამად ქალაქს მეგრულ დიალექტზე.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ძველ-სომხურ მწერლობაში სახელწოდება ქალაქისა დადასტურებულია როგორც ფუთი, რაც ადის პირველ-ფორმამდე ფუსთი⁴.

¹ იხ. ქართული ხელნაწერი მე-11 საუკუნისა A-97 (სვინაქსარი გიორგი მთაწმიდელისა, 13 ავისტოს თარიღის ქვეშ); ბერძნული ტექსტი ანასტასი აპოკრიფის წერილისა და მისი ლათინური და ძველ-ქართული თარგმანები (იხ. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გეორგიკა, IV, 1, გვ. 42—43).

² იხ. ეპიფანე კონსტანტინეპოლელი, ანდრიას[ცხოვრება (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 57—58). შეად. ანასტასი აპოკრიფის წერილი (ibid., გვ. 44).

³ ფუსთას ნაადგილეთს ამჟამად ეწოდება „ყადა აფსთა“ (იხ. დ. გულია, op. cit., გვ. 298). ამ სექტორში გაშენებულ სოფელს ამჟამად ეწოდება აფუსტა.

⁴ იხ. ლენტი, ისტორია ხალიფთა, 1857 წ., გვ. 58.

ამრიგად, სახელწოდება აფხაზეთის მხარეთა ქალაქისა ფუ ს თ ა, ჩანს, იდენტურია ქალაქ ფოთის სახელწოდების ამ ფორმასთან: ფუ ს თ ი, ფო ს თ ი.

22. ნ ა ა ნ ა.

კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში (მე-2 საუკ.) აბსილეთში, მდინარე კორახის (კელასურის) ხეობაში, დასახელებულია პუნქტი ნ ა ა ნ ა ¹.

ამ პუნქტის სახელთან, ჩანს, კავშირი აქვს სახელწოდებას სოფლისა ნ ა ა, რომელიც მდებარეობს მდინარე კოდორის ხეობაში.

შეფარდება სახელწოდებათა ამ ორი სახეობისა ნ ა ა და ნ ა ა ნ ა გვიჩვენებს, რომ სახელწოდებაში ნ ა ა ნ ა ბოლოკიდური „-ნა“ არ არის სიტყვის ძირითადი ნაწილი, არამედ წარმოადგენს გრამატიკულ ნაწილას.

ბოლოკიდური ფორმანტი „-ნა“, როგორც ცნობილია, ჩვეულებრივია ქართულ გეოგრაფიულ სახელებში. ასე, შეადარეთ ნ ა ა ნ ა ამ ტიპის ქართულ გეოგრაფიულ სახელებს: ალაპანა, ასკანა, ბოდორნა, ნოკორნა, ოქონა და სხვანი.

23. ხეობა გ უ მ ა. — მდინარე გ უ მ ი ს ი და მისი შემდინარე გ უ მ ა. — სოფელი გ უ მ ი ს თ ა.

აბსილეთის ისტორიულ ტერიტორიაზე, მდინარე გუმისის სექტორში (პუნქტში, სადაც მე-19 საუკუნეში გაშენდა სოფელი მიხაილოვსკოე), — დატულია ძველი ნაქალაქევის ნაშთები და ტაძარი, რომელიც ადრეულ საშუალო საუკუნეებს ეკუთვნის. ისტორიული სახელწოდება ამ პუნქტისა არის გ უ მ ი ს თ ა.

ეს პუნქტი და ტაძარი აღნიშნულია ალექსანდრე იმერთა მეფის რუკაზე 1738 წლისა.

სახელწოდება ამ პუნქტისა, აგრეთვე ხეობისა და მისი მთავარი მდინარისა (შემდინარით), შემდეგ ფორმებს წარმოგვიდგენს:

ა. სახელწოდება ხეობისა, ე. ი. მთელი კუთხისა, არის გ უ მ ა. აფხაზეთის ტერიტორია, დაწყებული მდინარე ბზიბიდან ვიდრე მდინარე ლაიძგამდე XVIII—XIX საუკუნეებში, როგორც ცნობილია, განიყოფებოდა სატომო ერთეულებად: ბ ზ ი ბ ი ს აფხაზეთი, გ უ მ ი ს აფხაზეთი, წ ი ბ ე ლ ი ს აფხაზეთი, შ უ ა - ს ო ფ ლ ი ს (აბუჯის) აფხაზეთი. სახელწოდება გ უ მ ა ამ შემთხვევაში იხმარება როგორც სახელი მთელი კუთხისა, ხეობისა.

ბ. სახელწოდება ხეობის მთავარი მდინარისა არის გ უ მ ი ს ი. სახელწოდება ნაწარმოებია სახელიდან გ უ მ ა, რომელსაც დაერთვის ბოლოკიდური ფორმანტი „-ის-ი“: „გუმ-ის-ი“. სიტყვის წარმოება წმინდა ქართულია (შეადარეთ ქართული გეოგრაფიული სახელები ბოლოკიდური ფორმანტით „-ის-ი“)².

გ. სახელწოდება ერთ-ერთი შემდინარისა, რომელიც ერთვის გუმისის მდინარეს შუა წელში არის გ უ მ ა (კუმა). აქვე არის ადგილი ამავე სახელწოდებით გ უ მ ა (კუმა)³. ამრიგად ამ სექტორს, რომელიც მდებარეობს გუმის ხეობის შუა-ნაწილში, მიემართება იგივე სახელი, რაც მთელ ხეობას; როგორც ჩანს, ეს ადგილი თავიდანვე შეადგენდა ხეობის ცენტრს და ამიტომ სახელწოდება ხეობისა და მისი ცენტრალური ხონისა იდენტურია, ამ ადგილს მიუყვია სახელწოდება ხეობისთვის.

დ. ხეობის მთავარი მდინარის სახელწოდებიდან გ უ მ ი ს ი, ბოლოკიდური ფორმანტის „-თა“-ს დართვით, ნაწარმოებია ხეობის მთავარი დასახლებული პუნქტის სახელწოდება: გ უ მ ი ს -თ ა (შეადარეთ ანალოგიური წარმოება დასახლებულ პუნქტთა სახელებისა მდინარის სახელიდან იმავე სექტორში: მდინარე გ უ დ ა ვ ა, ამ მდინარეზე მდებარე პუნქტი: გ უ დ ა უ -თ ა)⁴.

¹ იხ. SC, I, გვ. 240.

² სახელწოდების ამ ძირითადი სრულხმოვანი ფორმიდან გ უ მ ი ს ი მომდინარეობს გვიანდელი შეკუმშული ფორმა: გუმს-ი, გუმსჯ (იხ. Д. Гудия, История Асхазии, 1925 წ., გვ. 304).

³ იხ. Д. Гудия, op. cit., გვ. 157.

⁴ სახელწოდებას ამ პუნქტისას შემდეგ განუცდია ფონეტიკური ცვლილებანი: ადგილობრივ მეტყველებაში იგი გამოითქმის როგორც გუმისთა, ისე გუმსთა (იხ. Д. Гудия, იქვე, გვ. 299). ფორმიდან გუმისთა (მოსაშუალო ფორმების გზით გუმსთა → გუმუსთა) მომდინარე-

ამრიგად, ყველა ეს სახელწოდება თავისი გრამატიკული აღნაგობით ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის (სახელწოდება მდინარისა „გუმ-ის-ი“, სახელწოდება პუნქტისა „გუმ-ის-თა“).

ეს სახელწოდებანი უკავშირდება ქართულ სამყაროს არა მარტო გრამატიკული სახეობით, არამედ ფუძე-სიტყვითაც: გუმა (კუმა). შედარეთ გეოგრაფიული სახელწოდებანი შიდა საქართველოში: გუმა-თი (სახელწოდება სოფლისა ქუთაისის რაიონში), კუმი-ს-ი (სახელწოდება სოფლისა და ტბისა თბილისის რაიონში).

24. ა ბ ს ა რ ა [არხი].

ამ სახელწოდებას ატარებდა სოფელი, რომელიც მდებარეობდა მდინარე ჩხალთის სათავეებში, მარუხის უღელტეხილის ზონაში (საიდანაც გადმოდიოდა ძველად გზა ალანეთიდან აბსილეთში) ¹.

სახელწოდება ამ პუნქტისა თუმცა არაა მოხსენებული საისტორიო წყაროებში, მაგრამ ცხადია, იგი ძველი წარმოშობისაა. ამ პუნქტის სახელს (მეორე ნაწილს) დროთა მანძილზე გაენუცდია ცვლილება, მაგრამ სახელის პირველ ნაწილს შემოუნახავს ძველი სატომო სახელწოდება: ა ბ ს ა რ ი.

სახელწოდება ა ბ ს ა რ ი თავისი ბოლოკიდური ფორმანტით „-არი“ ქართული ფორმაა (შედარეთ აბს-არი და ოდიშ-არი, ზუფუ-არი, ოპიზ-არი და სხვ.).

*

გადავდივართ განხილვაზე აფხაზეთის მესამე მხარის მისიმიანეთის დასახლებულ პუნქტთა სახელებისა, რომლებიც მოიხსენება ძველ წყაროებში.

25. ჩ ხ ა რ ი (ჩ ა ხ ა რ ი), ჩ ხ ა ლ ი, ჩ ხ ა ლ თ ა.

მე-6 საუკუნის ავტორს აგათიას სქოლასტიკოსს მოხსენებული აქვს მთავარი ციხე-სიმაგრე მისიმიანეთის მხარისა, რომელსაც, აგათიას სიტყვით, „ძველითგანვე“ ეწოდებოდა ჩხარი ანუ ჩახარი (Τῆχχαρ), და რომელსაც მეტსახელად „რკინის-ციხე“ რქმევია. ესევე პუნქტი, რკინის-ციხე, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სიმაგრე აფხაზეთის მხარისა, მოხსენებული აქვს აგრეთვე თეოფანე ეპითაალმწერელს (მე-9 საუკ.) ².

ეს ისტორიული ციხე-სიმაგრე მისიმიანეთის მხარისა ჩ ხ ა რ ი (ჩ ა ხ ა რ ი) ანუ რ კ ი ნ ი ს-ციხე არის პუნქტი, რომელსაც ამჟამად ეწოდება ჩ ხ ა ლ ი ანუ ჩ ხ ა ლ თ ა; იგი მდებარეობს მისიმიანეთის მხარის (ზემო-კოდორის ხეობის) შუაგულში და ჰქვია კლუხორისა და მარუხის უღელტეხილებიდან მომავალ გზებს. აქ დღემდე შენახულია ძველი ციხის ნანგრევები. აღნიშნავთ ამასთან, რომ ამ პუნქტის (ჩხალთის) მიდამოებში მოიპოვება რკინის მადნები, რის გამოც, ცხადია, დარქმევია ამ ციხე-სიმაგრეს „რკინის-ციხე“.

ამრიგად, იდენტურობა საშუალო საუკუნეთა წყაროებში მოხსენებული ციხე-სიმაგრისა ჩ ხ ა რ ი (ჩ ა ხ ა რ ი), და პუნქტისა, რომელსაც ეწოდება ჩ ხ ა ლ ი, ჩ ხ ა ლ თ ა, უდავოა.

უდავოა აგრეთვე ისიც, რომ ეს სახელწოდებანი ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის. შედარეთ ჩ ხ ა რ ი (ჩ ა ხ ა რ ი) აფხაზეთისა და ჩ ხ ა რ ი იმერეთისა, აგრეთვე მთელი წყება იმავე ძირის გეოგრაფიული სახელებისა შიდა-საქართველოში: ს ა ჩ ხ ე რ ე, [ჩ ხ ე რ ი (ჩხერის

ობს — გუმუსტა. უკანასკნელი ფორმა ამ პუნქტის სახელწოდებისა წარმოდგენილია ალექსანდრე იმერთა მეფის რუკაზე 1738 წლისა.

აქ საჭიროა აღნიშნოთ ამასთან, რომ ამ პუნქტს, გარდა ამ სახელწოდებისა გუმი-ს-თა (რაც მდინარე გუმისის სახელიდან არის ნაწარმოები), ეწოდებოდა აგრეთვე გუმი-ა ანუ გუმი-ი, ე. ი. იგივე სახელი, რაც ხეობას, რომლის ცენტრსაც იგი წარმოადგენდა (ო. ლიულიეს რუკაზე იგი აღნიშნულია როგორც Гум; იხ. ЗКОРГО, т. IV, 1857 წ.).

¹ სოფელი აღნიშნულია ო. ლიულიეს რუკაზე (იხ. ЗКОРГО, IV, 1857 წ.). სოფელი მოიშალა მუჰაჯირობის დროს, როდესაც დალი-წებელდის მოსახლეობა მთლიანად აიყარა სამშობლო მიწა-წყალიდან.

² იხ. აგათიას სქოლასტიკოსი (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, III, გვ. 163 — 164), თეოფანე ეპითაალმწერელი (ibid., IV, 1, გვ. 111—113, 115).

(ციხე იმერეთში). ჩხე რ ი ს მ ე რ ე (იმერეთში)¹, ჩიხორი (იმერეთსა და მესხეთში), ჩიხა (იმერეთში)².

ასევე მეორე სახეობაც ამავე გეოგრაფიული სახელწოდებისა ჩხალი, ჩხალთა შეადარეთ ართვინის მხარის გეოგრაფიულ სახელწოდებასთან: ჩხალი, ჩხალის მდინარე, ჩხალის ხეობა.

26. ბოკერი = ბოკელი.

საშუალო საუკუნეთა საისტორიო წყაროებში დასახელებულია მისიმიანეთის მხარის ციხე-სიმაგრე, რომელიც მდებარეობდა კოდორის ხეობაში, ალანეთის მეზობლად, და რომელსაც ეწოდებოდა: ბოკერი (resp. ბუკერი), იგივე ბოკელი (resp. ბოკელი)³.

მონაცვლეობა ბგერებისა „რ“ და „ლ“ ამ სახელწოდებაში ბოკერი და ბოკელი ისეთივეა, როგორც ჩხარი და ჩხალი (იმავე მისიმიანეთის მხარის მეორე პუნქტის სახელწოდებაში).

სახელწოდება ბოკერი, ბოკელი, თავისი გრამატიკული გაფორმებით, ბოლოკიდურით „-ერ-ი“ და „-ელ-ი“, წმინდა ქართულია.

შეადარეთ ქართული გეოგრაფიული სახელები:

ბოლოკიდურით „-ერ-ი“: ცაგერი, თაკვერი, კვიბერი, სვერი, კობერი, წალვერი და სხვანი.

ბოლოკიდურით — „ელი“: პირველ რიგში თვით ტერმინი „სოფელი“, აგრეთვე სოფლის სახელები: ახატელი, ყვარელი, (კახეთში), წალველი (ქაოთლში, იხ. ვახუშტი, *ოპ. cit.* გვ. 204). ღრელი (სამცხეში), ყველი (სამცხეში), სადმელი (რაჭაში), ჩხუტელი (ღებუშუში) და სხვანი.

დაკავშირებით ამ გეოგრაფიულ სახელწოდებასთან ბოკერი, საჭიროა აგრეთვე აღინიშნოს ქართული გვარი ბოკერი-ა, რაც იმავე ფუძე-სიტყვას წარმოგიდგენს, რასაც გეოგრაფიული სახელი ბოკერი.

27. დალი.

კოდორის ხეობის ერთ ნაწილს, რომელიც შედიოდა მისიმიანეთის ფარგლებში, ეწოდებოდა დალი, დალის ხეობა. იქვე მდებარეობდა სოფელი დალი⁴.

ეს სახელწოდება უკავშირდება სვანების წარმართული პანთეონის ქალ-ღმერთის სახელს დალი.

რამდენადაც მისიმიანეთში, როგორც გამოიკვია, სვან-კოლხების შერეული მოსახლეობა იყო, ბუნებრივია სვანური წარმოშობის გეოგრაფიულ სახელწოდების არსებობა მისიმიანეთის მხარეში.

*

გადავდივართ სანიხთა ტომის ძირითადი ტერიტორიის — შიდა სანიხეთის დასახლებული პუნქტების სახელწოდებათა განხილვაზე.

28. სანია.

საშუალო საუკუნეთა იტალიურ რუკებზე ისტორიული ცენტრი სანიხეთისა აღნიშნულია სახელწოდებით სანია (Sania) ანუ სანა (Sanna)⁵. ძირითადი ფორმა სანია.

¹ იხ. ლაშა გიორგის დროინდელი მემატთანე, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, 1927 წ., გვ. 13.

² აქ საჭიროა შევჩერდეთ ამ პუნქტის სახელწოდების დაწერილობაზე *Тѣхадѣ*, რომელიც დატულია აგათიას თხზულებაში. იგი შესაძლოა ორნაირად იქმნას ამოხსნილი, როგორც ჩახარი და როგორც ჩხარი. ბერძნულისათვის უცხოა თანხმოვნების შეჯგუფება იმ ტიპისა, როგორც მიღებულია ქართულში, ამიტომაც ბერძნულად მაგალითად „ტიფილისი“ იწერებოდა „ტიფილისი-ი“. ასევე დაწერილობით *Тѣхадѣ* შესაძლოა გადმოცემულ იქმნას როგორც „ჩახარი-ი“, ისე „ჩხარი-ი“.

მაგრამ დამოუკიდებლად იპისგან, თუ როგორ გაეხსნით აგათიას ტექსტის ამ დაწერილობას, „ჩახარი“ თუ „ჩხარი“, ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ ქართულად არსებულა, როგორც სრულხმოვანი ფორმები (ჩახარი, ჩიხორი, ჩიხა), ისე შეკუმშული ფორმები (ჩხარი, ჩხერი, ჩხალი).

³ იხ. ქართული ხელნაწერი მე-11 საუკუნისა A—97 (სვინაქსარი გიორგი მთაწმიდელისა. გლმსა: „ბუკერი“, გვ. 269 ს); იხ. აგრეთვე ანასტასი აპოკრიფისათვისა და აგათია სქოლასტიკოსის ტექსტები (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, 86, IV, 1, გვ. 42—44).

⁴ იხ. ლ. ლიულიე, *op. cit.* გვ. 181, *Guldenstüdt*, p. 133 (ed. Clapr.).

⁵ ფ. ბრუნი, *op. cit.* (ტაბულა).

სახელწოდება დაკავშირებულია სატომო სახელთან ს ა ნ ი ხ ი, ს ა ნ ი (ბოლოკიდური ფორ-
მანტი „-ია“ ამ სახელწოდებაში „სან-ია“ იმავე სახისაა, როგორც სახელწოდებაში „გურ-ია“,
„იბერ-ია“).

ანალოგიური სახის სახელწოდებანი, როდესაც მხარის მთავარი ცენტრის სახელი იდენ-
ტურია სატომო სახელთან, ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს; შეადარეთ სახელწოდებანი:
ქალაქი ქართლი (არმაზი) — ქართლში; ქალაქი ეგრისი (ბედია) — ეგრისში. შეადარეთ აგრეთვე
ხემოთ განხილული სახელწოდება „აფხაზეთი“ (*აბასის, აფხაზეთის ნავთსადგური). ამას გარდა-
ანალოგიური სახელწოდება პუნქტისა „ჯიქეთი“, რომელიც ჯიქეთის მხარეში მდებარეობდა,
განხილული გვაქვს ქვემოთ (გვ. 166—167).

დასახელებული ცენტრი სანიხების (სანების) მხარისა ს ა ნ ი ა, როგორც ეს ირკვევა სა-
შუალო საუკუნეთა იტალიური რუკების მიხედვით, მდებარეობდა იმ სექტორში, სადაც ამჟა-
მად მდებარეობს დაბა ვორდანე (სოკის რაიონში)¹.

29—31. ს ო კ ი. — ბ ზ ი ს კონცხი (Πυζιου).—*ჭ ა ნ დ ა რ ი.

შიდა-სანიხეთის ტერიტორია განიყოფებოდა რამდენიმე თემად და მათ რიცხვს ეკუთვე-
ნოდა თემი ს ო კ ი. სახელწოდება ამ თემისა მომდინარეობს მისი ცენტრის სახელიდან, რო-
მელიც დღემდე ატარებს ამ სახელს — ს ო კ ი².

სახელწოდება ქალაქისა ს ო კ ი დაკავშირებულია ხის სახელთან: სოკი.

ამ სახელწოდებაში ს ო კ ი ჩვენ გვაქვს იმავე ტიპის სახელი, როგორიცაა ცალკეული-
კუთხისათვის დამახასიათებელ მცენარეულობასთან დაკავშირებული გეოგრაფიული სახელწო-
დებანი აფხაზეთისა: ბიკინთა (დაკავშირებული ფიჭვის სახელთან), ბიბი resp. *ბებეი (—ბზის
სახელთან), წიბელი ანუ წიბელთა (=წიფელთა), დაკავშირებული წიფელის სახელთან.

იმავე შიდა ჰენიოხეთში მცენარის სახელთან დაკავშირებული ყოფილა აგრეთვე გეოგრაფი-
ული სახელწოდება — ბ ზ ი ს კონცხი = Πυζιου, რომელიც მოხსენებულია მე-5 საუკუნის ანონიმი-
გეოგრაფოსის პერიპლუსში³. ეს კონცხი პერიპლუსში მითითებულია მდინარე ბურხონთან
(სოკის წყალის) შესართავის ჩრდილოეთით, 60 სტადიით (10 კილომეტრით) დაშორებით.
აღსანიშნავია, რომ დასახელებული ზონა ამჟამადაც ბზის ტყით არის დაფარული (იხ. ფ. ბრუნი,
op. cit., გვ. 258) და სახელწოდებაც ბ ზ ი ს კონცხი = Πυζιου, ცხადია, აქედან წარმომდგარა..

¹ საშუალო საუკუნეთა იტალიურ რუკებზე ს ა ნ ი ა (ს ა ნ ა) ნაჩვენებია ნავთსადგურ კუბას.
ჩრდილოეთით; ხოლო ნავთსადგური კუბა — ეს არის თანამედროვე დაგომისის ლიბანი (იხ. ქვე-
მოთ გვ. 163). ამავე დროს ცნობილია, რომ სანიხების ტერიტორია ჩრდილოეთის მიმართულებით
აღწევდა მდინარემდე ახუნთა (შახე), სადაც მდებარეობდა ნავთსადგური სუბეში. ამის მიხედ-
ვით სანიხების ცენტრი ს ა ნ ი ა იყო სუბეშის (შახეს) სამხრეთით, ხოლო კუბის (დაგომისის).
ჩრდილოეთით, ე. ი. იმ სექტორში, სადაც ამჟამად მდებარეობს დაბა ვორდანე, ბუნებრივი
ცენტრი ამ ზონისა.

² ს ო კ ი ს თემი მოხსენებული აქვს ევლია ჩელების (თურქული ტრანსკრიპციით) „Sudj-“,
მრავლობითი რიცხვის ნაწილაკის დართვის „Sudja-lar“, იხ. Зам. Од. Оѣм. Ист. и Ар., IX,
გვ. 176. პეისონელს ქალაქი (ნავთსადგური) სოკი მოხსენებული აქვს ფორმით Soudji (1787
წლის გამოცემაში შეცდომითაა დაბეჭდილი Djoudji, იხ. II, გვ. 4).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ შიდა-სანიხეთში გვიან ჩამოსახლებული უბიხთა ტო-
მის მეტყველებაში სახელწოდებას „სოკი“ ცვლილება განუცდია, გადაკეთებულა როგორც „სა-
ჩა“. მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში უბიხები სახლობდნენ სოკის-წყალის ხეობის ხემო
ნაწილში და მათი თემი „საჩა“-ს სახელწოდებით ყოფილა ცნობილი, იმ დროს, როდესაც სო-
კის-წყალის ხეობის ქვემო ნაწილს შერჩენილი ჰქონია ძველი სახელწოდება — სოკი (უბიხე-
ბის თემი, ევლია ჩელების, განსხვავებით საკუთრივ სოკის თემიდან, აღნიშნული აქვს როგორც
„საჩა“). უფრო გვიან, როდესაც უბიხები ჩამოსახლდნენ სოკის ხეობის ქვემო ნაწილში, სახელ-
წოდება „საჩა“ მათ გადმოიტანეს ხეობის ქვემო ნაწილზედაც. ეს გარემოება, სახელწოდება-
„სოკი“-ს ხემოთ-აღნიშნული ისტორია, არა აქვს გათვალისწინებული ზოგიერთ მკვლევარს,
რომლებიც ერთმანეთში ურევენ პირველად ფორმას (სოკი) და გვიანდელ ფორმას (საჩა).

³ იხ. SC, I, გვ. 278.

ენათაგან ერთი რა მცენარეულობის სახელებთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა განხილვას, აღვნიშნავთ, რომ ასეთ სახელწოდებათა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე სოფლის სახელი აჰანდარა (← *ჰ ა ნ დ ა რ ი) — ზღვისპირა აფხაზეთში (გუდაუთის რაიონში). ეს სახელწოდება სოფლისა თუმცა არაა დამოწმებული ძველ საისტორიო წყაროებში, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, უძველესი წარმოშობისაა. სოფელში დღემდე შენახულია ათასწლოვანი გრანდიოზული კანდარი, რომელიც განთქმულია მთელს აფხაზეთში და რომლის სიდიდისა და ხნოვნების ხე აფხაზეთში არ მოიპოვება. როგორც ცნობილია საისტორიო წყაროებიდან, აფხაზეთში ფართო გავრცელება ჰქონდა მცენარეულობის კულტა (იხ. პროკოპი კესარიელი, *de bello Gotlico IV*, 31, ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, I, 1928 წ., გვ. 86—89, თავი: ხეთა მსახურობა და მცენარეულობის ღვთაება). მცენარეულობის კულტის ერთ-ერთ მთავარ ცენტრად აფხაზეთში ითვლებოდა სწორედ ეს სოფელი *ჰ ა ნ დ ა რ ი (აჰანდარა) და წმინდა მთა დიდრიფში ამავე სოფელთან. სოფელში მკვიდრობდა ქურუმთა კასტა; მთავარ ქურუმთა წოდება გადადიოდა გვარის უფროს წარმომადგენლებზე. ქურუმნი აწარმოებდნენ მსხვერპლშეწირვას წმინდა ხეებისადმი; ამ ხეებთან წარმოებდა ფიცის მიღება, ხალხის დამწყალობება და სხვ. (იხ. *Н. Державин, Абхазия в этнографическом отношении, СМОМОРК, т. XXXVII*, გვ. 32—33). დასახელებული გრანდიოზული სანახაობის, არაჩვეულებრივი სიდიდის კანდარი წარსულში საკულტო მცენარე ყოფილა და ამის გამოა, რომ სოფელს კანდარისაგან მიუღია სახელწოდება. აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ სიტყვა კანდარი უცნობია ჩერქეზული შტოს ენებში, ქართულში კი ეს სიტყვა ძირეულია (სიტყვა კანდარი დამოწმებულია ქართული ბიბლიის ვერსიაში, V საუკუნის ტექსტში; იხ. სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის მითითება). ამრიგად სახელწოდება ამ სოფლისა, დაკავშირებული კანდარის სახელთან, არ ეკუთვნის ჩერქეზული ჯგუფის ენობრივ სამყაროს, არამედ ქართული წარმოშობისა¹.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ გარდა სოფელ კანდარისა, მცენარეთა თაყვანისცემის წარმართული კულტის მეორე მთავარი ცენტრი ყოფილა ბზიბის ხეობისა და ბზის ნავთსადგურის მხარეში. მე-18 საუკუნის ავტორი პეისონელი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ აქ არისო „განთქმული ხე, რომელსაც ეწოდება კოდოში, და რომელსაც აფხაზები თაყვანსა სცემენ ისევე, როგორც ჩერქეზები ხეს *pangiassan*“². ეს ხე ჩანს იყო ბზის ხე, საიდანაც მიუღია სახელწოდება ბზიბის ხეობას და ბზის ნავთსადგურს.

ზოლო ყველაზე უძველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი ცენტრი მცენარეთა თაყვანისცემის წარმართული კულტისა ისტორიულ წარსულში იყო ბიჭვინთა, სადაც არის განთქმული ფიჭვის ტყე, რომელიც რელიგიურ სიწმინდედ ითვლებოდა და საიდანაც მიუღია სახელწოდება თვით ამ პუნქტს: ბიჭვინთა. აღსანიშნავია, რომ მას შემდეგაც, რაც აფხაზეთში წარმართული კულტი შესცვალა ქრისტიანობამ, მთავარ ცენტრად ახალი სარწმუნოებისა (რეზიდენციად აფხაზეთის კათალიკოზებისა) — დარჩა ისევე ეს პუნქტი ბიჭვინთა, ძველი წარმართული კულტის ადრინდელი ცენტრი.

32. კ უ კ უ ნ და (* კ უ კ უ ნ თ ა).

კლავდი პტოლემეს (მე-2 საუკ.) მოხსენებული აქვს პუნქტი კ უ კ უ ნ და, რომელიც მდებარეობდა მდინარე ბუჯონთან (სოჭის წყალის) ხეობაში³.

გრამატიკული გაფორმებით (ბოლოკიდური ფორმანტით) შეადარეთ კ უ კ უ ნ და და ამავე ტიპის ქართული გეოგრაფიული სახელები დაბოლოებით — ნდა, ნთა (როგორცაა, მაგალითად, სკანდა, გურიანთა, კორინთა, ბიჭვინთა და სხვანი).

ფუძე-სიტყვის მხრით შეადარეთ ქართულ გეოგრაფიულ სახელებს: კუკია, გოკია, resp. კოკია (სოფელი ჯავახეთში), კოკი (სოფელი ოდიშში), კოკა (სოფელი იმერეთში, ოკრიბაში), კოკათი (სოფელი გურიაში) და სხვანი.

¹ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ საკულტო მცენარის კანდარის სახელიდან არის ნაწარმოები სახელწოდება როგორც ამ სოფლისა გუდაუთის რაიონში, ისე სოფლის სახელები სოხუმის რაიონში (გუმისთის თემში), გულრიფშის რაიონში (ძველი სახელი ნასოფლარისა, სადაც მე-19 საუკუნეში გაშენდა პოლტავსკოე, არის *ჰ ა ნ დ ა რ ი, სიღის თემში).

² იხ. პეისონელი, *Traité...*, II, გვ. 3.

³ იხ. SC, I, გვ. 240.

33. ხოსთა (ხოსტა, ხოშტა).

ხოსთა (ხოსტა, ხოშტა) ძველი ისტორიული პუნქტია შიდა ჰენიოხეთის მხარისა (ზღვისპირა აფხაზეთის საზღვართან). იგი აღნიშნულია იტალიურ რუკებზე XI V—XVII საუკუნეებისა¹. ამავე სახელწოდებას ატარებს აგრეთვე მდინარე, რომლის შესართავთან მდებარეობს ეს პუნქტი. სახელწოდებაში ხოს-თა (ხოს-თა, ხოშ-ტა) ბოლოკიდური ნაწილი „-თა“ („-ტა“) ჩვეულებრივი ფორმანტია ქართული გეოგრაფიული სახელებისა. ფუძე-სიტყვაა ხოს-ი || ხოშ-ი. ისევე როგორც ჩვენ გვაქვს პარალელურად მდინარის და პუნქტის სახელწოდებანი გუმის-ი და გუმის-თა, ასევე პარალელურად მიღებული ყოფილა სახელწოდებანი ხოს-ი (ხოშ-ი) და ხოს-თა (ხოს-ტა, ხოშ-ტა)².

აქ საჭიროა აღნიშნოთ ამასთან, რომ ეს გეოგრაფიული სახელი ხოსთა (ხოსტა, ხოშტა) ჩვენ გვხვდება როგორც ამ კუთხეში, ისე შიდა საქართველოში. ხოსთა (ხოსტა) ეწოდება სოფელს ყოფილ ართვინის ოლქში (იმერხევის მხარეში; იხ. რუსული ხუთვერსტიანი რუკა: ХИСТА). ამას გარდა მე-17 საუკუნის წარწერაში სამეგრელოში მოიხსენება სოფელი სახელწოდებით ხოშტი³.

ფუძე-სიტყვის მხრით შეადარეთ სახელწოდება ხოს-ი || ხოშ-ი და შიდა საქართველოს სოფლების სახელწოდებანი: ხოშ-ი (ტაოში, ოლთისის ოლქში), ხოშ-ორ-ა (ფშავეთში), ხოშ-ურეთ-ი (არტანის ოლქში), ხოს-ორ-ი (ტაოში, ოლთისის ოლქში), ხოზა (დუშეთის რაიონში), ხოზო-ეთ-ი (ქსნის ხეობაში).

34. მაწესთა.

სახელწოდება პუნქტისა სოქისა და ხოსთას შუა, განთქმული სამკურნალო წყლებით⁴. ესევე სახელწოდება მაწესთა მიემართება მდინარესაც, რომლის ნაპირასაც ეს პუნქტი მდებარეობს.

სახელწოდება მაწესთა თავისი გრამატიკული სახეობით ქართულ ენობრივ სამყაროს ვკუთვნის (შეადარეთ ხოსი—ხოს-თა, გუმისი—გუმის-თა და მაწეს-თა; შეადარეთ აგრეთვე მთელი წყება აფხაზეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა. ქართული სუფიქსით „-თა“).

ამას გარდა, სახელწოდება მაწესთა დაკავშირებულია ქართულ გეოგრაფიულ სახელებთან თავისი ფუძე-სიტყვითაც; შეადარეთ მაწესთა და სახელწოდება მდინარისა კახეთის გაღმა-მხარეში—მაწის-წყალი (ლაგოდეხის და ბელაქნის რაიონების საზღვარზე, იხ. ვახუშტის გეოგრაფია, 1941 წ., გვ. 98), მაწის-ციხე ანუ მაწიმის ციხე (იმავე მდინარეზე), მაწეხი (სახელი სოფლისა და მდინარისა საინგილოში), მაწევანი (სახელი სოფლისა ქართლში), მაწიეთი || მეწიეთი (სახელი სოფლისა გურიაში).

35. მამაჲ, მამაჲს ციხე.

მამაჲ ანუ მამაჲს ციხე ერქვა პუნქტს, რომელიც მდებარეობდა სოქის რაიონში მდინარე ფსახეს შესართავთან⁵. იგი ნავთსადგურს წარმოადგენდა; აქვე ყოფილა ციხე-სიმაგრეც. ისტორიულ წარსულში იგი, ჩანს, მნიშვნელოვანი ცენტრი იყო: მოღწეულია ძველი ნაქალაქების ნანგრევები⁶.

¹ იტალიური ტრანსკრიფციით Costa, Costo, Chasto, რაც სახენაცეალი ფორმაა ადგილობრივი სახელწოდებისა ხოსთა (ხოსტა). იხ. ფ. ბრუნი, op. cit., ტაბელა.

² სახელწოდება ამ პუნქტისა ფორმით ხოშ-ი დამოწმებული აქვს პეისონელს, Traité., II, გვ. 4.

³ ეს პუნქტი ხოშტი დასახელებულია ხობის ხატის ლევან დადიანის (1611—1657) სახელით შესრულებულ წარწერაში (იხ. ვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, 1913—1914 წ., გვ. 144). ამავე სახელწოდებასთან კავშირში იმყოფება აგრეთვე ისტორიული სახელწოდება სოფლისა იმერეთში ხოშტიბელი — ხოშტიბ-ი (იხ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის რედაქტორობით, I, გვ. 58), რომლის ამოსავალი სახეობაა ხოშტა. აღსანიშნავია ამასთან, რომ გეოგრაფიულ სახელწოდებასთან ხოსთა (ხოსტა, ხოშტა), ჩანს, დაკავშირებულია გვარი ხოშტ-არი (დაბოლოება „-არი“ იგივეა რაც „-ელი“: ოდიშ-არი = ოდიშ-ელი, ოპიხ-არი = ოპიხ-ელი, ხოშტ-არი = ხოშტ-ელი).

⁴ რუსულად: Магиста.

⁵ იხ. პეისონელი, Traité..., II, გვ. 4.

⁶ იხ. ა. მარქსის დიდი ატლასი (რუკათა კრებული), 1905 წ., რუკა № 19, VIII, სადაც მდინარე ფსახეს შესართავთან აღნიშნულია: „Древний Мамаѣ (развалины)“.

შეადარეთ სახელწოდება ამ პუნქტისა მამაჲ (მამაჲს ციხე) და გეოგრაფიული სახელწოდებანი შიდა საქართველოში: სოფ. მამაჲ (ქვემო ქართლში, მარნეულის რაიონში); სოფ. მამათი (გურიაში); სოფ. მამანეთი, ხემო და ქვემო (ყოფილი ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ამჟამად თურქეთს აქვს დატერილი); სოფ. მამანელი სი (ყოფ. ართვინის ოლქში).

36. კუბა, კობა.

საშუალო საუკუნეთა იტალიურ რუკებზე სოკის რაიონის შავი ზღვის სანაპიროზე აღნიშნულია ნავთსადგური კუბა ანუ კობა¹. ამ სახელწოდებით ცნობილი ყოფილა დაგომისის ლიმანი (მდებარე სოკის ჩრდილოეთით, 10 კილომეტრზე დაშორებით)².

შეადარეთ სახელწოდება სანიხეთის მხარის ამ პუნქტისა კუბა II კობა და გეოგრაფიული სახელწოდებანი შიდა საქართველოში: სოფ. კობი (ყაზბეგის რაიონში); კობათ-კარი (დუშეთის რაიონში, ფასანაურის თემში); კობიანთ-კარი (დუშეთის რაიონში, ბაზალეთის თემში); კობალეთი (ბათუმის რაიონში); კობალთა (ხულოს რაიონში).



გადავდივართ აფხაზეთის მხარეთა ჩრდილოეთი ნაწილის, ჩრდილოეთი ქენიოხეთის დასახლებულ პუნქტთა სახელწოდებების განხილვაზე.

37. ლახიკა.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ლახიკა (Πλαζή Λαζική = „ძველი ლახიკა“) ეს იყო ძველი სახელწოდება ქალაქ ნიკოფსიასი აფხაზეთის მხარეთა ჩრდილოეთ საზღვარზე, რაც ნიშანდობლივ უჩვენებს, რომ ამ მხარეთა მოსახლეობა ქართველ ტომთა ლაზურ შტოს გვუთენოდა (იხ. ხემოთ, გვ. 136).

38. ქვთასი (ქუთასი).

აფხაზეთის ჯიქეთის ტერიტორია — შავი ზღვის სანაპირო სექტორში, დაწყებული „ძველი ლახიკის“ ზონიდან ვიდრე მდინარემდე ახუნთა (სუბეშიხი, თანამედროვე შახე), განიყოფებოდა, როგორც ირკვევა ველია ჩელების ჩვენებათა მიხედვით, თემებად: ქვთასის (ქუთასის) თემი, წუხწუს (წურწუხის) თემი, აშე-ღალის თემი და სუბეშის თემი³.

ქვთასის (ქუთასის) თემი ერქვა აფხაზეთის ჯიქეთის ყველაზე ჩრდილოეთ ზონას, სადაც მდებარეობდა ნიკოფსია — ძველი ლახიკა.

სახელწოდება ამ თემს მიუღია პუნქტიდან ქვთასი (ქუთასი), რომელიც ერთხანად ამ კუთხის ცენტრი ყოფილა⁴.

რამდენადაც აფხაზეთის ჯიქეთის ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) ისტორიის ძველ პერიოდს განეკუთვნება, შემთხვევითად არ უნდა ჩათვალოს ის გარემოება, რომ ერთმანეთს ხედებიან სახელწოდება ჯიქეთში მდებარე „ძველი ლახიკის“ თემისა და ამ კუთხის ცენტრისა ქვთასი (ქუთასი), და კოლხეთის ძველი დედაქალაქის სახელწოდება, დამოწმებული ანტიკური ხანის წყაროებში: Κυθαζ⁵ ანუ Κυθαζ⁶. ამავე სახელწოდებითვე არის ცნობილი ადრეულ საშუალო საუკუნეებიდან მოკიდებული დედაქალაქი დასავლეთ საქართველოსი ქუთა-თი-სი, ქუთა-ის-ი.

39 — 40. ლაია (=ლია). — წურწუხი (წუწახი).

ძველი სახელწოდება ქალაქ ტუაფსისა არის ლაია (იგივე ლია) და წურწუხი (ანუ წუწახი).

¹ იხ. ფ. ბრუნი, op. cit., ტაბულა.

² აღსანიშნავია, რომ ეს ძველი სახელწოდება კუბა ბოლო დრომდე შენახულა. დაგომისის ლიმანთან მდებარე პოსტს მე-19 საუკუნეში და მე-20 საუკუნის დასაწყისში ეწოდებოდა „Пост Кубанский“ (იხ. ა. მარქსის დიდი ატლასი, 1905 წ., რუკები № 29, VIII და № 28).

³ იხ. ველია ჩელები (შაჰ. ოფ. ოსტ. მტ. ი ღრ., IX), გვ. 178—180.

⁴ ეს პუნქტი ქვთასი (ქუთასი) მდებარეობდა ქვთასის ყურეს ნაპირას (მე-19 საუკუნის რუკებზე აღნიშნულია როგორც კოთაში, Kotam ანუ Rodam).

⁵ იხ. აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა, II, 1268: Κυθαζ⁵ Ἰλίας.

⁶ ლეკოფრონი, SC, I, გვ. 399.

რაც შეეხება თანამედროვე სახელწოდებას ტ უ ა ფ ს ე, — იგი ახალი წარმოშობისაა. როგორც ირკვევა მე-17 საუკუნის მოგზაურის ევლია ჩელების თხზულებიდან, ეს სახელწოდება ჯერ კიდევ მე-17 საუკუნის 40-იან წლებში არ იყო ცნობილი. სახელწოდება ტუაფსე (ტ'უაფსე) ხმარებაში შემოსულა მე-17—18 საუკუნეებში, მას შემდეგ, რაც ამ კუთხეში დამკვიდრდა ჩერქეზთა (ადიღეელები) ტომი — შაფსულ-ნატუხაელები. (ტერმინი ადიღეური წარმოშობისაა; ადიღეურად ტ'უაფსე ნიშნავს: ორ-წყალი). ამრიგად ექსკურსები ძველი ეთნოგრაფიის საკითხების გასარკვევად სახელწოდება ტუაფსის ეტიმოლოგიის საფუძველზე (რასაც ჩვენ არა-ერთგზის ვხვდებით ნ. მარისა და სხვათა ნაწერებში) — მოკლებულია მნიშვნელობას.

რაც შეეხება ამ პუნქტის ძველ სახელწოდებებს, ამის შესახებ წყაროები შემდეგ ჩვენებებს იძლევა: მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფის პერიპლუსის ჩვენების თანახმად ეს პუნქტი ადრეულ საშუალო საუკუნეებში ცნობილი იყო სახელწოდებით ლაია (Λαία)¹.

უფრო გვიან ხანში, მე-14—16 საუკუნეთა რუკების ჩვენების თანახმად, გავრცელებული სახელწოდება ამ პუნქტისა იყო წ უ რ წ უ ხ ი ა ნ უ წ უ წ ა ხ ო, თუმცა ძველი სახელწოდებაც ლაია ჯერ კიდევ არ ყოფილა ხმარებიდან გამოსული².

რა წარმოშობისაა ეს სახელწოდებანი ლაია და წ უ რ წ უ ხ ი (წუწახო)?

ეტიმოლოგია გეოგრაფიული სახელწოდებისა ლაია ანუ ლია უკვე გვექონდა დადგენილი (იხ. გვ. 154—155). ძველ-ქართულად ლია (იგივე *ლაია) — ნიშნავს იმასვე, რასაც მეორე ძველ-ქართული ტერმინი — ლამი: საფლობი ლაფი, მდინარის მიერ დატოვებული საფლობი შლამი (ШЛ, ТШЛ).

ხოლო რას აღნიშნავს მეორე სახელწოდება ამ პუნქტისა, — წ უ რ წ უ ხ ი (ანუ წუწახო)? იმასვე რასაც ლია (ლაია).

ქართულში არსებობს ტერმინი წ უ ნ წ უ ხ ი, რაც ნიშნავს: საფლობი ლაფი (ТННА)³. ფონეტიკური სახესხვაობა ამ სიტყვისა წუნწუხი არის წურწუხი (იგივე წუწახო).

ამგვარად, ეს ორი სახელწოდება ამ პუნქტისა ლაია (=ლია) და წ უ რ წ უ ხ ი (წუწახო) ერთიმეორეს ენაცვლება იმის გამო, რომ ეს სახელწოდებანი სინონიმები ყოფილა.

ეს პუნქტი ლაია (=ლია), იგივე წ უ რ წ უ ხ ი, — ნავთსადგურს წარმოადგენდა, იგი მდებარეობდა მდინარის შესართავთან და ეს სახელწოდება დარქმევია ამ პუნქტს მდინარის შლამიანი სანაპიროს გამო.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ამ სახის გეოგრაფიული სახელწოდებანი ჩვენ სხვაგანაც გვხვდება საქართველოში, როგორცაა ლია, სახელწოდება სოფლისა ოდიშში (ხუგდიდის რაიონში), ასევე ლიაში ანუ ლაიაში (ფუძე-სახელია ლია, ლაია), სახელწოდება მეორე ნავთსადგურისა იმავე აფხაზეთში.

დასასრულ, დაგვრჩენია ხახი გაუუსვათ იმ გარემობას, რომ ამ პუნქტის ეს ორმაგი სახელწოდება, რომლებიც ერთსა და იმავე შინაარსს შეიცავს, იძლევა გარანტიას იმისას, რომ აქ არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს რაიმე შემთხვევითს მსგავსებას სიტყვებისას; ასეთი ორმაგი დამთხვევა სახელწოდებათა შინაარსისა იძლევა მეტად მაიშვნელოვან საკონტროლო შეპოვნებას და მკვიდრ საბუთს იმისა, რომ ეს სახელწოდებანი ქართული წარმოშობისაა⁴.

¹ იხ. SC, I, გვ. 278.

² სახელწოდება წურწუხი კ. ვესკონტეს 1318 წლის რუკაზე ტრანსკრიბირებულია როგორც Zurzuchi, კ. ლუქსორის XIV საუკუნის დასაწყისის რუკაზე Zorzuqui; დანარჩენ იტალიურ რუკებზე XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან — XVI საუკუნის დასაწყისამდე — Susakho, Susako (იხ. ფ. ბრუნი, op. cit., ტაბულა), რაც ფონეტიკურად უნდა გაიშიფროს როგორც წ უ რ წ ა ხ ო (პარალელად ფორმისა წ უ რ წ უ ხ ი — Zurzuchi). უფრო გვიანი ხანის — XVII საუკუნის ავტორის ევლია ჩელების თხზულებაში (გვ. 179) სახელწოდება წ უ რ წ უ ხ ი ს თემისა ტრანსკრიბირებულია Sulsu (თურქული ტრანსკრიფციით), რაც ფონეტიკურად უნდა გაიშიფროს როგორც წ უ რ წ უ ხ ო. (ამას გარდა ევლიას მოხსენებული აქვს ნავთსადგურის ახალი სახელწოდებაც: ხარდენა). აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ბიანკოს იტალიურ რუკაზე 1436 წლისა სახელწოდება ამ პუნქტისა აღნიშნულია როგორც porto de Laio, ე. ი. ნავთსადგური Laio (ეს სახელწოდება ფ. ბრუნის შედგომით აქვს ამოხსნილი როგორც Laco). სახელწოდება Laio (← Laco), ცხადია, იგივეა, რაც Λαία მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფის პერიპლუსისა.

³ დ. ჩუბინაშვილი სიტყვას წუნწუხი ასე განმარტავს: СЛЯКОТЬ; ТННА, ЛУЖА. ძირითადი მნიშვნელობაა ТННА.

⁴ აღნიშნავენ ამასთან, რომ Geogr. Rav. P. 367, ed. Parthey, აფხაზეთის მხარეებში მეზობლად მოიხსენებიან ლამის ქალაქი (Lamiopolis) და ნიკოლს ქალაქი (Nicolopolis), რომელთაგან პირველი ჩანს უდრის პუნქტს ლაია, ხოლო მეორე პუნქტს ნიკოლსია. ამრიგად, აქაც გვაქვს შინაარსობრივი დამთხვევა ლაია — ლამი.

41. ბ ა გ ა.

მე-5 საუკუნის გეოგრაფოსის პერიპლუსში (SC, I, გვ. 278) ჩრდილოეთ ჰენიონხეთში მოიხსენება პუნქტი, სახელწოდებით ბ ა გ ა. იგი ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა¹.

შეადარეთ ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი: ბ ა გ ა (სახელი სოფლებისა ქართლში და ართვინის მხარეში, ჩხალის ხეობაში), ბ ა გ ე ბ ი (სახელი სოფლებისა ქართლში, გორისა და თბილისის რაიონებში).

42. ნავთსადგური ა შ ე-ლ ა ლ ი. — ციხე-სიმაგრე ლ ა ლ ი-ჯ ი ხ ა.

მე-17 საუკუნის მოგზაურს ევლია ჩელების აფხაზეთის ჯიქეთის ოთხ თემთა შორის მოხსენებული აქვს, როგორც აღნიშნული გვექონდა, თემი აშე-ლალი (Ashe-gali), რომელიც მდებარეობდა მდინარე ა შ ე ს რაიონში (სუბემის თემის ჩრდილოეთით, ხოლო ტუაფის ანუ წურწუხის თემის სამხრეთით). სახელწოდება ამ თემს მიუღია მისი ცენტრის სახელიდან ა შ ე-ლ ა ლ ი. ეს პუნქტი ა შ ე-ლ ა ლ ი წარმოადგენდა ნავთსადგურს, რომელიც მდებარეობდა მდინარე ა შ ე ს შესართავთან.

რას ნიშნავს ეს სახელწოდება?

სახელწოდება მისი ორივე ფორმით, როგორც რთული სახით ა შ ე-ლ ა ლ ი (Ashe-gali), ისე მარტივი სახით ა შ ე, — მდინარის სახელია, რომლის ნაპირასაც ეს პუნქტი (ნავთსადგური) მდებარეობდა. ხოლო რაკი მდინარეს საკუთარი სახელის სახით ეწოდება მარტივად ა შ ე, რთულ სახელწოდებაში აშე-ლალი (Ashe-gali), მეორე ნაწილი ლალი (gali), ცხადია, აღნიშნავს თვით ცნებას „მდინარე“.

ამიტომაც ევლია ჩელების მეცნიერი მთარგმნელი ფ. ბრუნი სავსებით მართალი იყო, როდესაც მან ეს სიტყვა ლალი (gali) ქართული წარმოშობისად სცნო და დაუკავშირა იგი მეგრულ სიტყვას „ლალი“². (რომ gali ფონეტიკურად უნდა წაკითხულ იქმნას როგორც „ლალი“, ამას ეთანხმება აგრეთვე ამ სიტყვის იტალიური ტრანსკრიფცია Chali, ორნაწილედ სიტყვაში Chali-zicha, რის შესახებაც ქვემოთ გვაქვს საუბარი). აქ საჭიროა აღნიშნოთ ამასთან, რომ მეგრული სახელწოდება მდინარისა „ლალი“ იმავე ფუძის სიტყვაა, რაც ზოგად-ქართული „ღელე“. ამრიგად სახელწოდება „აშე-ლალი“ სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „აშე-მდინარე“, „აშე-ღელე“. გვეცნოთ ამის შემდეგ სახელწოდებას ძველი ციხე-სიმაგრისა, რომელიც ნავთსადგურის ა შ ე-ლ ა ლ ი ს გვერდით მდებარეობდა.

ცნობები ამ ციხე-სიმაგრის შესახებ დაცული აქვს მე-17 საუკუნის მოგზაურს ევლია ჩელეების. ეს ძველი ციხე-სიმაგრე მე-17 საუკუნის პირველ ნახევარში უკვე დანგრეული ყოფილა. უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ ეს ციხე-სიმაგრე, თვით ნანგრევების სახითაც, როგორც ირკვევა, იმდენად მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენდა, რომ ევლია ჩელები, რომელიც იშვიათად მოიხსენებს არქეოლოგიურ ნაშთებს, აშე-ლალის თემის აღწერის დროს პირველად ამ ციხე-სიმაგრის ნანგრევებს აღნიშნავს; იგი წერს: „აქ [აშე-ლალის თემში] მდებარეობს ნანგრევები ციხე-სიმაგრისა, რომლის ახლოსაც არის ნავთსადგური ა შ ე-ლ ა ლ ი“ (იხ. გვ. 178).

რა ერქვა ამ ციხე-სიმაგრეს?

სახელწოდება ამ ციხე-სიმაგრისა დაცულია ძველ იტალიურ რუკაზე XV საუკუნისა, რადროსაც ეს ციხე-სიმაგრე ჯერ კიდევ არ ყოფილა დანგრეული და მცხოვრებული. სახელდობრ ბიანკოს რუკაზე 1436 წლისა, იმ სექტორში, სადაც ევლია ჩელების დასახელებული აქვს ნავთსადგური ა შ ე-ლ ა ლ ი, აღნიშნულია პუნქტი შემდეგის სახელწოდებით: Chali(-)zicha³, რაც ფონეტიკურად უნდა გაიშიფროს როგორც ლ ა ლ ი-ჯ ი ხ ა ანუ ლ ა ლ ი-ც ი ხ ა. მეგრულად

¹ პერიპლუსში აღნიშნული მანძილების მიხედვით, ციხე-სიმაგრე ბ ა გ ა მდებარეობდა მდინარე მაკო-ფსეს ხეობის ზონაში. აქ საჭიროა აღნიშნოთ ამასთან, რომ მდინარის ეს თანამედროვე სახელწოდება, მაკო-ფსე, რომელიც ორნაწილედ სიტყვას წარმოადგენს, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს (ჩერკეზულად): შ ა კ ო ს მდინარე, ხოლო სახელწოდება „შ ა კ ო“, ჩანს, არის გვიანდელი სახენაცვალი ფორმა ამ მდინარის ნაპირას მდებარე ციხის ძველი სახელწოდებისა: ბ ა გ ა.

² იხ. ფ. ბრუნი, ევლია ჩელების ტექსტის თარგმანთან დართული შენიშვნა (Ивн. Ол. Ист. и Др., IX, გვ. 179, სქოლიო 16).

³ იხ. ფ. ბრუნი, op. cit. (ტაბულა).

„ჯიხა“ ციხეს ნიშნავს. ამრიგად, ეს მეორე სახელწოდებაც და ლ ი-ჯ ი ხ ა ანუ და ლ ი-ც ი ხ ა, ვ. ი. ლალის ციხე, — ქართულია, ისევე, როგორც ქართულია სახელწოდებაც თვით მდინარისა ა შე-ღ ა ლ ი, რომლის ნაპირსაც ეს და ლ ი ს - ც ი ხ ე მდებარეობდა.

43. ს უ ბ ე შ ი.

ს უ ბ ე შ ი მდებარეობდა მდინარე ახუნთას (თანაშედროვე შახეს) შესართავთან და წარმოდგენდა ნავთსადგურს. (ამ პუნქტის სახელწოდებიდან ს უ ბ ე შ ი ნაწარმოებია აგრეთვე მდინარის ერთ-ერთი სახელწოდებაც: სუბეშინი)¹.

ს უ ბ ე შ ი, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა საშუალო საუკუნეებში. მე-17 საუკუნის მოგზაურს ევლია ჩელების სუბეშის ნავთსადგურთან აღნიშნული აქვს: „ნანგრევები ძველი ციხე-სიმაგრისა“².

სახელწოდება ს უ ბ ე შ ი ჩვენ გვხვდება როგორც ამ რაიონში, აფხაზეთის ჯიქეთში, ისე შიდა საქართველოში.

ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში, რომელიც „აფხაზეთის საკათალიკოზოს დიდი იადგარისა“ სახელით არის ცნობილი, მოიხსენება სოფელი ს უ ბ ე შ ი (ორ ტექსტში: XVI საუკუნისა და 1627—1629 წლებისა)³. მეორე ძველ-ქართულ საისტორიო დოკუმენტში — „აფხაზეთის საკათალიკოზოს გლეხების დიდ დავთარში“ (1621 წ.), ესევე პუნქტი მოიხსენება სახელწოდებით სუბეი (სუბე)⁴. ეგვევ პუნქტი აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის რუკაზე (Subeis), საიდანაც ირკვევა, რომ იგი მდებარეობდა შიდა ეგრისის ზონაში, ბედიის სექტორში, მდინარე ბედიის-წყალის (ოხოჯას) ხეობის ქვემო ნაწილში (მარჯვენა სანაპიროზე).

ამრიგად, როგორც ირკვევა, ორი ს უ ბ ე შ ი არსებულა, ერთი აფხაზეთის ჯიქეთისა (ტუაფსის და სოჭის რაიონების საზღვართან), მეორე — შიდა საქართველოში (ბედიის სექტორში).

სახელწოდებაში ს უ ბ ე შ ი ფუძე-სიტყვაა ს უ ბ ე (ბოლოკიდური „-ეშ-ი“ ხანური ფორმანტია). ეს გეოგრაფიული სახელი სწორედ ამ ფუძე-სიტყვის სახით ს უ ბ ე (სუბეი) დამოწმებულია კიდევ, როგორც აღნიშნეთ, XVII საუკუნის დასაწყისის საისტორიო დოკუმენტში („აფხაზეთის საკათალიკოზოს გლეხების დიდ დავთარში“).

სახელწოდება სუბ-ე (სუბ-ი || სუბ-უ) არის სახესხვაობა გეოგრაფიული სახელწოდებისა ზუბ-ი || ზუფ-უ, რაც ჩვენ რამდენსამე ალაგას გვხვდება საქართველოს სხვადასხვა რაიონებში (იხ. ზემოთ № 14, გვ. 152).

შეადარეთ აგრეთვე ეს გეოგრაფიული სახელწოდება სრულის სახით, ვ. ი. ბოლოკიდური ფორმანტის „-ეშ“-ის დართვით ს უ ბ ე-შ-ი და გეოგრაფიული სახელი ს ო ბ - ი ს - ი ქართლში (ზემო და ქვემო სობისი, სოფლები გორის რაიონში); სახელწოდებანი იდენტურია როგორც ფუძით, ისე გრამატიკული აღნაგობით (ხანური სუფიქსი „-ეშ-ი“ იგივეა, რაც ზოგად-ქართული „-ის-ი“).

44. ჯ ი ქ ე თ ი.

XIV—XVI საუკუნეთა იტალიურ რუკებზე აფხაზეთის ჯიქეთის ტერიტორიაზე აღნიშნულია პუნქტი სახელწოდებით ჯ ი ქ ე თ ი (Zichia)⁵.

ეს პუნქტი ბიანკოს რუკაზე 1436 წლისა ნაჩვენებია ზღვის სანაპიროზე ლალი-ჯიხას სამხრეთით. ხოლო რაკი აფხაზეთის ჯიქეთი სამხრეთის მიმართულებით აღწევდა სუბეშის სექტორამდე, ამის მიხედვით ეს პუნქტი „ჯიქეთი“ მდებარეობდა ლალი-ჯიხას სამხრეთით, ხოლო სუბეშის ჩრდილოეთით.

¹ სახელწოდება სუბეშინი, როგორც პარალელური სახელწოდება მდინარე შახესი, ბოლოდრომდე შერჩა, იგი აღნიშნულია მე-19 საუკუნის და მე-20 საუკუნის დასაწყისის რუკებზე; ასე, იხ. ლ. ლიულიეს რუკა, ЗКОРГО, IV, 1857 წ.; p. Шахе (Субеших). ა. მარქსის დიდ ატლასში (1905 წ.) მდ. შახეს შესართავთან აღნიშნულია: пост Головицский (Субеших); იხ. რუკა № 29, VIII.

² იხ. ევლია ჩელები (Зап. Од. Общ. Ист. и Др. (IX), გვ. 178.

³ იხ. ძეგლის გამოცემა ს. კაკაბაძის რედაქტორობით (საისტორიო მოამბე, 1925 წ., 5. II): XVI საუკუნის ტექსტი, გვ. 183 (სუბეში), 1627—1639 წლების ტექსტი, გვ. 190 (სუბეში).

⁴ იხ. ძეგლის ტექსტი, გამოცემული ს. კაკაბაძის რედაქტორობით (1914 წ.), გვ. 31—35.

⁵ იხ. ფ. ბრუნი, op. cit., ტაბულა.

ამ რაიონში, ზღვის სანაპიროზე, სუბემისა და ლალი-ჯიხას შუა, სუბემიდან 10 კილომეტრზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის 1951 წლის ექსპედიციამ აღმოაჩინა ძველი ნაქალაქევის ნანგრევები (ეს ადგილი ა. მარქის დიდ ატლასში აღნიშნულია წარწერით: „развалины монастыря“; იხ. რუკა № 29, VIII).

ის გარემოება, რომ მოხსენებულ პუნქტს საკუთარი სახელის სახით ჯიქეთი რქმევია, იმისი მაჩვენებელია, რომ იგი საშუალო საუკუნეთა გარკვეულ პერიოდში აფხაზეთის ჯიქეთის ცენტრი ყოფილა. (შეადარეთ ანალოგიური მაგალითები, როდესაც მხარე და მხარის ცენტრები ატარებენ ერთსა და იმავე სახელს: ქალაქი ქართლი და მხარე ქართლი, ქალაქი ეგრისი და მხარე ეგრისი და სხვ., იხ. ზემოთ, გვ. 160).

ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში „მატიანე ქართლისაჲ“-ში მოთხრობილია, რომ აფხაზეთის მეფემ გიორგი II-ემ (922 — 957) ომის დროს ტყვედ წამოიყვანა კახეთის დიდებული ხანხუა არიშის-ძე და „წარსცა პყრობილად ჯიქეთს“¹. ჯიქეთის სახელით ამ შემთხვევაში უნდა იგულისხმებოდეს არა ზოგადად ჯიქეთის მხარე, არამედ ციხე-ქალაქი ჯიქეთი.

*

განხილვას აფხაზეთის მხარეთა დასახლებული პუნქტების სახელებისა, რომლებიც მოიხსენება ძველ წყაროებში, დავამთავრებთ შუა-სოფელის მხარის მიმოხილვით.

45. შუა სოფელი.

ამ მხარის ზოგად სახელწოდებაზე „შუა სოფელი“ (რაც ძველ-ქართულად ნიშნავს: „შუა ქვეყანა“) უკვე გვქონდა საუბარი (იხ. ზემოთ, გვ. 128—129). ის გარემოება, რომ ამ მხარის სახელწოდებად თვით ადგილობრივი მიღებული ყოფილა არქაული წარმოშობის ქართული გეოგრაფიული ტერმინი, იმისი მაჩვენებელია, რომ ამ მხარის მოსახლეობაში ძველიდანვე ქართული ენა ყოფილა გავრცელებული.

46. დანდარი (დრანდა).—წყვბუნი (წყვბუ-ნი, წყვბ-ა, წყუბ-ა).

ძველი ფორმა აფხაზეთის ცნობილი პუნქტის დრანდის სახელწოდებისა არის დანდარი². (ისევე, როგორც პირველადი ფორმიდან: გაგარი წარმოიშვა შეძმეგ გაგრა, ასევე პირველადი ფორმიდან დანდარი მომდინარეობს დანდრა³ და დრანდა).

დანდარი რქმევია როგორც დასახლებულ პუნქტს, ისე მთელ თემს; ამავე დროს დანდარი სატომო სახელიც ყოფილა⁴.

სახელწოდება დანდარი უძველესი დროიდან მომდინარეობს: იგი ჩვენ გვხვდება, როგორც მოიხსენიეთ, უკვე ჰეკატე მილეტელთან (მე-6 საუკუნე ძველი წელთაღრიცხვისა).

სახელწოდება დანდარი თავისი გრამატიკული გაფორმებით განეკუთვნება ქართული გეოგრაფიული სახელების ჯგუფს, ანალოგიური ბოლოკიდური ფორმანტით „-არი“, როგორცაა: გაგარი, ხიდარი, ქინძარი, გომარი, ბიყარი, წუნარი და სხვანი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ძველი ბერძენი ავტორები აფხაზეთის მხარესთან დაკავშირებულ მითოლოგიურ თქმულებას ტყუბი გმირების (დიოსკურების) შესახებ უკავშირებენ არა მხოლოდ ძველ დიოსკურიას, არამედ ამ პუნქტსაც, დანდარს⁵.

საფიქრებელი იყო, რომ ბერძნულ თქმულებაში, ისევე როგორც სხვა შემთხვევაში, აქაც საქმე გვქონდა ადგილობრივი თქმულების გამოძახილთან.

და როგორც ირკვევა, ეს მართლაც ასე ყოფილა.

¹ იხ. მატიანე ქართლისა, გვ. *455/232.

² იხ. ჰეკატე მილეტელი, SC, I, გვ. 1. ფორმა დანდარი თვით ბოლო საუკუნეებამდე იყო შერჩენილი (იხ. შარდენის რუკა და აგრეთვე 1723 წელს პარიზში გამოცემული რუკა, რომლის შედგენის დროს გამოყენებული ყოფილა სულხან-საბა ორბელიანის მასალები).

³ ფორმა „დანდრა“ დამოწმებულია არქანჯელო ლამბერტისთან.

⁴ იხ. ჰეკატე მილეტელი, loc. cit. („დანდარელი“ ანუ „დანდარნი“); დიონისე პერიეგეტი, SC, I, 184 („ჰეკეანა ტინდარელთა“. შეადარეთ პლინიუს სეკუნდე, სადაც ქალაქ დანდარს ეწოდება ქალაქი ტინდარიდა, SC, II, გვ. 178).

⁵ იხ. პავსანი პერიეგეტი, SC, I, გვ. 573 (შეად. დიონისე პერიეგეტი, loc. cit.).

აღსანიშნავია, რომ ამ პუნქტს დანდარი (დრანდა) ორი სახელწოდება ჰქონია; გარდა ძირითადი სახელწოდებისა დანდარი (დრანდა), მას ადგილობრივ დღემდე შერჩენილი აქვს მეორე სახელი: წყვბუნი (წყვბუნი)¹.

ამ მეორე სახელწოდებას წყვბუნი (წყვბუნი) ძველად ჰქონია აგრეთვე ასეთი პარალელური ფორმა: წყვბ-ა, წყუბ-ა².

ეს სახელწოდება დრანდისა — წყვბ-ა, წყუბ-ა ანუ წყვბუნი (ისევე როგორც სახელწოდება ძველი დიოსკურიისა ტყუბუნი) დაკავშირებულია ცნებასთან „ტყუბი“.

თვით ფუძე-სიტყვა ამ სახელწოდებისა „წყვბ“=„წყუბ“- ერთი ძირისაა სიტყვასთან ტყუბი. შეადარეთ აგრეთვე *წყვბ-ი და წყვლ-ი (წყვილი), აგრეთვე ძველ-ქართული რ წყუმა (შერწყმა, რაც შეწყვილებას, შეერთებას ნიშნავს).

ამრიგად, ეს მეორე სახელწოდებაც დრანდისა წყვბუნი, დიოსკურების უძველეს ოქმულებასთან არის დაკავშირებული და აგრეთვე ქართული წარმოშობისაა.

47. მოქვი.

მოქვი, მნიშვნელოვანი პუნქტი აფხაზეთის „შუა-სოფლისა“, ცნობილია ადრეული საშუალო საუკუნეებიდან³.

სახელწოდება მოქვი ჩვენ გვხვდება არა მარტო აფხაზეთის შუა-სოფელში, არამედ შიდა საქართველოშიაც („მოქვა“ შავშეთში).

გრამატიკული გაფორმებით, ბოლოკიდური ფორმანტით, შეადარეთ მოქვი და იმავე ტიპის სხვა ქართული გეოგრაფიული სახელები: თმოგვი, ჩაქვი, ბახვი, ნეძვი, ძეგვი, არაგვი და სხვანი.

48. თუსავი, თუსუმი.

ადრეულ საშუალო საუკუნეებში მოქვის ზონაში მოიხსენება პუნქტი ორგვარი სახელწოდებით: თუსავი და თუსუმი⁴.

გრამატიკული გაფორმებით (ბოლოკიდურებით „-ავი“ და „-უმი“) ორივე სახე ამ სახელწოდებისა ქართულია. შეადარეთ ქართული გეოგრაფიული სახელები:

ა. ბოლოკიდურით „-ავი“: თელავი, მანავი, ხანავი, ბობნავი, ბოდავი, ტყვიავი და სხვანი. (შეადარეთ ამას გარდა იქვე, თვით შუა-სოფლის ტერიტორიაზე: ფანავი, ფანავის ქედი).

ბ. ბოლოკიდურით „-ომი“ „-უმი“: ცხომი, იგივე ცხუმი, თორთომი, იგივე თორთუმი, და სხვანი.

49. ჯიხა-ხორა.

მოიხსენება ადრეულ საშუალო საუკუნეებში, მოქვის ზონაში. იგი იყო ერთ-ერთი რეზიდენცია ეგრისის მთავრისა⁵.

სახელწოდება, როგორც აღნიშნული გვექონდა, ქართული წარმოშობისაა: ჯიხა-ხორა მეგრულ დიალექტზე სიტყვა-სიტყვით ნიშნავს: „ციხე-სახლი“.

50. გუბი.

დასახლებული პუნქტი მდინარე ლალიძგას ხეობაში (ხემო სექტორში).

¹ იხ. დ. გულია, *op. cit.*, გვ. 148.

² იხ. იტალიური რუკები ძმ. პიციგანთა 1367 წლისა და ბიანკოსი 1436 წლისა (ფ. ბრუნი. *op. cit.* ტაბულა). არსებობს აგრეთვე ამ სახელწოდების ასეთი ფორმაც — „წყაბა“ (იხ. ნ. დანიანი, *op. cit.*, გვ. 22, აგრეთვე იტალიური რუკები), მაგრამ ეს მეორადი სახეობაა, მონდინარე ფორმიდან წყვბა.

³ იხ. მე-4 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, SC, I, გვ. 275. მოქვის შესახებ იხ. აგრეთვე ცნობები თეოდოსი განგრელის ტექსტში (ს. ყაუხჩიშვილი, *გეოგრაფია*, IV, 1, გვ. 50) და ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში „მატიანე ქართლისა“ (გვ. *457/233).

⁴ იხ. თეოდოსი განგრელის ტექსტი (*loc. cit.*).

⁵ იხ. თეოდოსი განგრელის ტექსტი (*loc. cit.*).

ამ პუნქტის სახელწოდებას ორნაირი პარალელური ფორმა მოეპოვება: გუბ-ი და გუფ-ი ო გუფ-უ. (აქ ჩვენ გვაქვს ისეთივე პარალელიზმი ფორმებისა, როგორც ხუბ-ი და ხუფ-უ. იხ. ზემოთ, გვ. 152) ¹.

ფორმა გუბ-ი დამოწმებულია ძველ რუკებზე².

სახელწოდება ქართულია. ეს სახელწოდება „ბუ ბი“ ჩვენ გვხვდება როგორც ამ კუთხეში, ისე შიდა საქართველოში (სოფლები დიდი გუბი და პატარა გუბი იმერეთში, ხონის რაიონში; იქვე მდინარე გუბის-წყალი).

რაც შეეხება ამ სახელწოდების მეგრულ სახეობას გუფ-ი ო გუფ-უ, იგი იმასვე ნიშნავს, რასაც ზოგად ქართული გუბი ო გუბე (შეგუბებული წყალი).

51. მ ა რ გ უ ლ ი, მ ე რ გ უ ლ ა.

ამ პუნქტს ამჟამად ეწოდება მ ე რ გ უ ლ ა; ძველ წყაროებში: არქანჯელო ლამბერტის (იხ. რუკა) — მ ე რ გ უ ლ ა; ლუი გრანეითა: მ ა რ გ უ ლ ი; ფედოტ ელჩინინთა და პაულე ხახარიევით: მარკული, მარგული ³.

შეადარეთ შიდა საქართველოში: მარგვი, მარგვისი (ლეონტი მროველი, გვ. *128/20) აგრეთვე მარგვიში (სოფლის სახელი ლეჩხუმში).

სახელწოდებაში: მარგული, მერგულა, ბოლოკიდური „-ულ-ი“, „-ულ-ა“ ქართული ფორმანტია.

52. დ ღ ვ ა ნ ა (დ ვ ა ნ ა).

დასახლებული პუნქტი იმავე მოქვის ხეობის ქვემო ნაწილში (იხ. არქანჯელო ლამბერტის რუკა) ⁴.

ეს სახელწოდება დ ღ ვ ა ნ ა, დ ვ ა ნ ა, ჩვენ გვხვდება არა მხოლოდ ამ მხარეში, არამედ შიდა საქართველოს სხვა პროვინციებშიაც, რაც მია ქართულ წარმოშობაზე მიუთითებს. ასეთია გეოგრაფიული სახელები: დ ღ ვ ა ნ ა — სახელწოდება სოფლისა შიდა სამეგრელოში (გუგუქორის რაიონში, კურხუს თემში); დ ღ ვ ა ნ ი — სახელწოდება სოფლისა აჭარაში (ხულოს რაიონში, ოლადაურის თემში); დ ვ ა ნ ი — სახელწოდება სოფლისა ქართლში (გორის რაიონში).

სახელწოდებაში დღვანი ო დღვანა, დვანი ო დვანა, ბოლოკიდური „-ნი“, „-ნა“ გეოგრაფიული სახელების ჩვეულებრივი მაწარმოებელი ფორმანტებია ქართულში. კერძოდ ბოლოკიდური „-ნა“ ჩვენ გვაქვს ქართული გეოგრაფიული სახელების მთელ რიგში, როგორცაა ალ-პა-ნა, ასკა-ნა, ბოდორ-ნა და სხვანი, კერძოდ აფხაზეთში ისტორიული პუნქტის სახელწოდებაში (ნაა → ნაა-ნა (იხ. ზემოთ, გვ. 157)).

53—56. პ ი ტ ა უ რ ი. — კ ვ ი ტ ა უ ლ ი (კ ვ ი ტ ა უ ლ ი), კ ვ ი ტ ა უ რ ი. — ლ უ რ ძ ა უ ლ ი. — მ ე რ ხ ე უ ლ ი.

მოქვის ხეობის დასავლეთით არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია სოფელი პ ი ტ ა უ რ ი.

¹ ფორმებიდან გუფუ და ზუფუ იწარმოება გუფუარი (=გუფუელი; იხ. ი. ყიფშიძე, *Грамматика шаврельского языка*, 1914 წ., გვ. 0127) და ზუფუარი (=ზუფუელი; იხ. წარწერა ილორის ხატისა 1651 წლისა).

² იხ. ფრ. დიუბუა დე მონპერე, *op. cit.*, I, გვ. 336, ტაბულა. ფორმა გუბ-ი, პარალელად ფორმასთან გუფ-ი (გუფ-უ) ამჟამადაც იხმარება (იხ. K. Кудрявцев, *op. cit.*, გვ. 28).

³ იხ. ლუი გრანეიე, *op. cit.*, გვ. 49. — ელჩინინსა და ხახარიევის *Посолецтво...* გვ. 351, 323 (*Маркул-и, Маркул-, Моргул-*, ფონეტიკურად „მარგულ-ი“). — კ. ვესკონტის რუკაზე 1318 წლისა მდინარის სახელწოდება ტრანსკრიბირებულია როგორც *Murkula*.

⁴ ლამბერტის ტრანსკრიფციით *Tguana(s)*. ეს სახელწოდება ადგილობრივ დღემდის შენახულა და გამოითქმის როგორც დ ღ ვ ა ნ ა და დ ვ ა ნ ა (დღვანა). იხ. დ. გულია, *История Абхазии*, I, 1925 წ., გვ. 162; კ. ბერულავა, აფხაზეთის ისტ. ადგ., 1951 წ., გვ. 73—74.

ამავე ხონაში ამაჲმად მდებარეობს სოფელი სახელწოდებით კვიტაული ანუ კვიტო-ული. ეს სოფელიც აგრეთვე ისტორიულად ცნობილი ძველი დასახლებული ადგილია. იგი მოხსენებული აქვს მოსკოვის სამეფოს ელჩს ფედოტ ელჩინს თავის მოხსენებითს ბარათში (1640 წ.). ფორმით კ'ვიტოული¹. სახელწოდება ამ პუნქტისა დამოწმებულია აგრეთვე პარალელური ფორმითაც: კვიტაური (1816 და 1834 წლების რუკებზე)².

ეს სახელწოდებანი — კვიტაური, კვიტაური, კვიტაული — გრამატიკული გაფორმებით, ბოლოკიდური ფორმანტით „ა-ურ-ი“, „ა-ულ-ი“ — ქართულია.

ამავე ჯგუფს განეკუთვნება გეოგრაფიული სახელწოდებანი იმავე შუა-სოფლის მხარისა ქართული გრამატიკული ფორმანტით „ა-ულ-ი“ და „ე-ულ-ი“:

ღურძაული (სახელწოდება სოფლისა და მთაგრეხილისა კოდორსა და მაჭარ-წყალს-შუა);

მერხეული (სოფელი მაჭარ-წყალის ხეობაში).

შეადარეთ ქართული გეოგრაფიული სახელები:

ა. ბოლოკიდურით „ა-ურ-ი“: ამბროლაური, სოლიბაური, მანინჯაური, ფასანაური, ბულა-ჩაური, ქისტაური და სხვ.

ბ. ბოლოკიდურით „ა-ულ-ი“ და „ე-ულ-ი“: ბერძენაული, ჩარეკაული, ბუთურაული, ხარაგაული, როდინოული, ალექსანდროული და სხვ.

გ. ბოლოკიდურით „ე-ულ-ი“: ნაფარეული, მირიანეული, კობრეული, ბარეული, ბუგეული და სხვ.

ფუძე-სიტყვის მიხედვით შეადარეთ დასახლებული გეოგრაფიული სახელწოდებანი აფხა-ზეთისა და შიდა საქართველოს მხარეებისა:

პიტაური (აფხაზეთში) და პიტარეთი (ქვემო ქართლში);

კვიტაული ანუ კვიტაური აფხაზეთში და კვიტაური ანუ კვინტაური კოროხის ხეობაში (ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილში, რომელიც ამაჲმად თურქეთს აქვს მიტაცებული; იხ. 5-ვერსტიანი რუკა);

მერხეული (აფხაზეთში) და მარხი, ხემო და ქვემო (ხემო სვანეთში);

ღურძაული (აფხაზეთში) და ღურძაული (აჭარაში, ხელოს რაიონში).

57. სოფელი ტამაში, ტამუში.—მდინარე ტამა.

შუა-სოფლის მხარეში მდებარეობს სოფელი, რომელსაც ძველად რქმევია ტამაში, ტამუში³.

მდინარეს, რომელთანაც გაშენებულია სოფელი, რქმევია ტამა (resp. ტამუ) და აქედან არის წარმომდგარი სოფლის სახელწოდება ტამა-ში, ტამუ-ში⁴.

ბოლოკიდური „-ში“ ჩვეულებრივი გრამატიკული ფორმანტია მეგრულში (უდრის ზოგად-ქართულს „-სი“). ტამა-ში, ტამუ-ში, ნიშნავს: ტამა-სი, ტამუ-სი.

ეს გრამატიკული ფორმანტი მეგრული დიალექტისა „-ში“ (= „-სი“) ჩვენ გვხვდება იმავე შუა-სოფლის მხარის გეოგრაფიულ სახელწოდებათა მთელ რიგში (წვირი-ში, თოუმი-ში, დლა-მი-ში, ლაგუა-ში, ყუარა-ში და სხვ.).

58. სოფელი კანდახი.—მდინარე კანდახა.

შუა-სოფლის მხარეში, ტამუშის დასავლეთით, მდებარეობს სოფელი, რომელსაც ამაჲმად ეწოდება კინდლი (კენდღი-ი); ძველი სახელწოდება ამ სოფლისა ყოფილა კანდახი; ბოლო

¹ იხ. ПОСОЛСТВО ..., ს. ბელოჯუროვის გამოცემა, 1888 წ., გვ. 325.

² იხ. ფრ. დიუბუა დე მონპერე, op. cit., I, გვ. 336, ტაბულა.

³ იხ. იტალიური რუკები XIV—XVI საუკუნეებისა (ფ. ბრუნი, op. cit., ტაბულა); ნ. დანიანი, ქართველთა ცხოვრება, OP, I, გვ. 46. სოფელს ამაჲმად ეწოდება ტამუში (ტამუში).

⁴ უფრო გვიან სოფლის სახელწოდება გადასულა მდინარეხედაც და მას საშუალო საუკუნეებში რქმევია როვორც ტამა, ისე ტამაში || ტამაშა, ანუ ტამუში || ტამუშა (ტამა — იხ. იტალიურ რუკაზე ძმ. პიციგანთა 1367 წლისა. სახელწოდებათა ვარიანტები იხ. ფ. ბრუნი, op. cit., ტაბულა).

მდინარე ლაგუაშს, რომელსაც ესახლება ეს სოფელი აღმოსავლეთის მხრით (და რომლის ნაპირზედაც ძველად განფენილი ყოფილა ძირითადად ეს სოფელი) რქმევია კანდახა¹.

ალსანიშნავია, რომ ეს სახელწოდება სოფლისა კანდახი ჩვენ გვხვდება არა მხოლოდ შუა-სოფლის მხარეში, არამედ სხვაგანაც საქართველოში. კანდახი ეწოდება ინგილოთაძველ სოფელს (ხაქათალის რაიონში).

59. ნავთსადგური სკურია ანუ ისკურია.—მდინარე სკურჩა.

შავი ზღვის სანაპიროზე, მდინარე სკურჩას შესართავთან, მდებარეობდა მღავარი ნავთსადგური შუა-სოფლის მხარისა.

ამ ნავთსადგურის სახელწოდება დატულია ფორმით „ისკურია“², მაგრამ ძირითადი ფორმის სახელწოდებისა, როგორც ირკვევა, იყო „სკურია“. რომ ფუძე-სიტყვა ამ სახელწოდებისა არის „სკურ-“, ამას ცხადყოფს სახელწოდება მდინარისა „სკურჩა“³. მონაცვლეობა⁴ ფორმებისა „სკურია“ და „ისკურია“ იმავე სახისაა, როგორც მონაცვლეობა ფორმებისა სახელწოდებებში: წრია და იწრია⁵, სპერი და ისპირი⁶.

სახელწოდება სკურია ქართული წარმოშობისაა, რასაც ადასტურებს ის გარემოება, რომ სახელწოდება ამ ფუძე-სიტყვით ჩვენ მრავალგზის გვხვდება შიდა საქართველოში. ასეთებია:

სოფ. სკურია—ხობის რაიონში (ზ. ქვალონის თემში);

სოფ. სკური (ისტორიული ციხით) წალენჯიხის რაიონში (იქვე სკურის წყალი)⁷;

სკურ-დიდი, სახელწოდება სოფლისა ბათუმის რაიონში (აქარის-წყალის თემში);

სკურა, სახელწოდება სოფლისა ქობულეთის რაიონში (კინტრიშის თემში);

⁸ სკურდი — სახელწოდება სოფლებისა ცხაკაიას რაიონში (ხორშის თემში) და გეგეჭკორის რაიონში (გაჭედელის თემში).

რაც შეეხება მდინარის სახელწოდების ფორმას „სკურჩა“, ანალოგიური წარმოება გეოგრაფიულ სახელწოდებათა აგრეთვე დამოწმებულია შიდა საქართველოში. ისევე როგორც ფუძე-სიტყვისაგან „სკურ-“ (სკურჩა) მიღებულია სახელწოდება სკურჩა, ასევე სახელწოდებიდან მუხური ჩვენ გვაქვს მუხურჩა⁹, სახელწოდებიდან წიფა (წიფორი, წიფერი)—წიფერჩი¹⁰; ანალოგიური სახისაა აგრეთვე გეოგრაფიული სახელწოდებანი: ოზჩა, ვარჩა, სუხჩე (სუხჩა), წარჩე და სხვ.

კერძოდ, თვით ეს სახელწოდება „სკურჩა“ სხვაგანაც გვხვდება საქართველოში. სკურჩა ეწოდება სოფელს კოროხის ხეობაში (ყოფილი ბათუმის ოლქის იმ ნაწილში, რომელიც თურქეთს აქვს მიტაცებული). ამას გარდა სახელწოდება სკურჩა ჩვენ მეორეგზის გვხვდება იმავე შუა-სოფლის მხარეში (სახელი მდინარისა, რომელიც ერთვის ზღვას კოდარის ჩრდილო-დასავლეთით, სოფელ ბაბუშარასთან).

¹ კ. ვესკონტეს რუკაზე 1318 წლისა Catancha ←* Cantacha კანტახა (კანდახა), იხ. ფ. ბრუნი, op. cit., ტაბულა. მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუკაზე (1834 წლისა) სოფლის სახელი წარმოდგენილია როგორც კანდიხ-ი (კანდუხ-ი — კანდახ-ი) იხ. ფრ. დიუბუა დე მონპერე, op. cit., გვ. 336, ტაბულა.

² იხ. ფრ. დიუბუა დე მონპერე, op. cit., I, გვ. 307, 316, 336 (ტაბულა).

³ წრია სახელწოდება პუნქტისა კოროხის ხეობაში (ყოფ. ართვინის ოლქში), იწრია — ქართლში (დუშეთის რაიონში).

⁴ დოსითეოს პატრიარქი ნავთსადგურს უწოდებს „[ს]კურჩა“-ს (ნ[ს]კურსა“-ს) ნავთსადგურს. პატრი იოანეს მოხსენებაში (1629 წ.)—სკორჩა. რაც შეეხება შარდენტან და სხვა ვეროპელ ავტორებთან დატულ ფორმას Izgaour, Isgaour (Isgeou) იგი თურქული გადმოცემა სახელწოდებისა „ისკურია“. აღნიშნავთ ამასთან, რომ ფორმა „ისკურია“ წარმოდგენილია მე-19 საუკუნის რუკებზე.

⁵ სახელწოდება ამ სოფლისა სკური მოიხსენება აგრეთვე ფორმითაც სკურდი (იხ. ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობა სამეგრელოში, ძველი საქართველო, III, 1913—1914, გვ. 192, 241).

⁶ სახელწოდება პუნქტისა ოდიშში (გეგეჭკორის რაიონი).

⁷ სახელწოდება პუნქტისა ლეჩხუმში.

60. წყურგილი.

სახელწოდება სოფლისა მდინარე სკურჩას მარცხენა სანაპიროზე (იხ. არქანჯელო ლამბერტის რუკა). სახელწოდება ქართული წარმოშობისაა. მეგრულად „წყურ-გილი“ ნიშნავს: „წყარო გრილი“ („წყურ“—წყარო, „გილი“—გრილი).

გეოგრაფიული პუნქტი (სოფელი) ამავე სახელწოდებით „წყურ-გილი“ არის აგრეთვე ოდიშში (ხუგდიდის რაიონში).

61—62. ტკვაჯა. — ტკვარჩელი.

ტკვაჯა ეწოდებოდა სოფელს მდინარე კოდორის ზონაში, ფანავის ქედის სამხრეთ კალთებზე (იხ. არქანჯელო ლამბერტის რუკა).

„ტკვა-ჯა“ ორნაწილადი სიტყვაა. ტკვა მეგრულად ნიშნავს კიბეს; ჯა ნიშნავს ხეს. „ტკვა-ჯა“ სიტყვა-სიტყვით: კიბე-ხე; ასე ეწოდება ხის ერთი მორისაგან გამოთლილ კიბეს.

იგივე ფუძე-სიტყვა „ტკვა“ = „კიბე“ ჩვენ გვაქვს შუა-სოფლის მხარის მეორე გეოგრაფიულ სახელწოდებაში: ტკვარჩელი („ტკვა-რჩელი“ ასევე ორნაწილადი სიტყვაა; ნიშნავს: დაფენილი კიბე) ¹.

აღსანიშნავია, რომ სახელწოდება „კიბე“, როგორც სახელი გეოგრაფიული პუნქტისა, სხვაგანაც გვხვდება საქართველოში (კიბე—სახელი სოფლისა აჭარაში, ბათუმის რაიონში; კიბულა—სახელი სოფლისა იმერეთში, ქუთაისის რაიონში).

63. სათამაშო.

მდინარე კოდორის დელტის მარცხენა სანაპირო ზონაში არქანჯელო ლამბერტის რუკაზე აღნიშნულია სოფელი ქართული სახელწოდებით: სათამაშო. ეს პუნქტი „სათამაშო“ აღნიშნულია მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის რუკებზედაც ². სოფელი ამჟამად აღარ არსებობს, მაგრამ ნასოფლარს დღემდე აქვს ადგილობრივ შერჩენილი სახელწოდება „სათამაშო“ ³.

64. კოდორი (II). კოდა.

XIV—XVI საუკუნეთა იტალიურ რუკებზე მდინარე კოდორის დელტაში აღნიშნულია პუნქტი, სახელწოდებით კოდო ⁴, იგივე კოდა. ესევე პუნქტი დელილს (1738 წელს) აღნიშნული აქვს სახელწოდებით კოდორი ⁵.

როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, ეს ქართული გეოგრაფიული სახელწოდებანი კოდორი და კოდა ჩვენ გვხვდება მდინარე კოდორის ხეობაში არა მარტო შუა-სოფლის მხარეში, არამედ აგრეთვე აბსილეთის მხარეში, წიბელის (წებელდის) მეზობლად ⁶.

*

65—82. აქ ცალკე ვებებით შუა-სოფლის მხარის თერამეტ სოფელს, რომლებიც აღნიშნულია აფხაზეთის საკათალიკოზოს საისტორიო საბუთებში.

ბიკვინთის (აფხაზეთის საკათალიკოზო ტანტის) XVI—XVII საუკუნეთა საისტორიო საბუთებში შუა-სოფლის მხარის დასახლებულ პუნქტთა შორის მოიხსენება შემდეგი სოფლები:

65. მარმარის-კარი; 66. ფშია ანუ ფშა; 67. თილითი ანუ თლითი; 68. ჭალა; 69. ნაჯაიანუ ანუ ჯაიანისეული; 70. ნაჯგვიბიუ; 71. ხეგანი; 72. თხილარი; 73. მარცხეული ანუ მარცხული; 74. მარცხეული-თხილარი; 75. კამულეთი; 76. ლალიძა; 77. ილორი; 78. ხაუველი ანუ სახაუველო; 79. ტყაურუ; 80. ხორი ანუ ხკრი; 81. წამხარი; 82. მუხური.

ამ პუნქტების ადგილმდებარეობისა და სახელწოდებათა შესახებ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.

65. მარმარის-კარი.

სოფელი სახელწოდებით მარმარის-კარი მოიხსენება საისტორიო დოკუმენტში, რომელიც აფხაზეთის საკათალიკოზოს დიდი იადგარის სახელით არის ცნობილი (XVI საუკუნის

¹ ტკვარჩელის ეტიმოლოგიის შესახებ იხ. პროფ. ი. ყიფშიძე, *Граматика Мингрельского языка*, 1914 წ., გვ. 329; კ. ბერულავა, აფხაზეთის ისტ. ადგილები, 1951 წ., გვ. 79.

² იხ. დიუბუა დე მონპერე, *op. cit.*, გვ. 336, ტაბულა.

³ იტალიური ტრანსკრიფციით Goto, Gotto (იხ. ფ. ბრუნეი., ტაბულა).

⁴ იხ. დიუბუა დე მონპერე, *op. cit.*, გვ. 336, ტაბულა.

⁵ იხ. ხემოთ, № 20, გვ. 155—156.

ტიქსტში)¹. სოფელი აღნიშნულია აგრეთვე არქანჯელო ლამბერტის რუკაზე, რუკიდან ირკვევა, რომ სოფელი მარმარი-ს-კარი მდებარეობდა კოდორის ზონაში, მდინარე სკურჩას მარჯვენა სანაპიროზე.

არქანჯელო ლამბერტის რუკიდან (და აგრეთვე XVII—XVIII საუკუნეთა სხვა რუკებიდანაც)² ირკვევა ამასთან, რომ მდინარე სკურჩას მეორე სახელად რქმევია მარმარი-წყარი. აღსანიშნავია, რომ ეს სახელწოდება მდინარისა დღემდისაც შენახულა ადგილობრივ (ფორმით მარმარა, მარმარი-წყარი)³.

სახელწოდება სოფლისა მარმარი-ს-კარი — ტიპიურად ქართულია. ანალოგიური გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელთაც ერთვის სიტყვა „კარი“, გავრცელებულია როგორც აღმოსავლეთ საქართველოში (ტაშის-კარი, მთიულთ-კარი, კობიანთ-კარი, ვეგანანთ-კარი და სხვ.), ისე დასავლეთ-საქართველოში (უფალის-კარი, გულეი-კარი, წალი-კარი, და სხვ.).

66. ფ შ ი ა ანუ ფ შ ა (მრავლობითი რიცხვის ფორმით: ფ შ ე ფ ი = ფ შ ე ბ ი).

სოფელი სახელწოდებით ფ შ ი ა ანუ ფ შ ა მოიხსენება აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდ იადგარში (1611—1616 წლების ტექსტში)⁴ და აგრეთვე აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის რუკაზე. მდებარეობდა ეს სოფელი კოდორის ზონაში, მდინარეების სკურჩას და ლაგუაშის სათავეებში (სოფ. ათარას სექტორში).

მოსკოვის სამეფოს ელჩის ფედოტ ელჩინის მოხსენებით ბარათიდან (1640 წ.) ირკვევა ამასთან, რომ ამ სოფლის სახელწოდება მრავლობითი რიცხვის ფორმითაც ყოფილა ცნობილი ფ შ ე ფ ი (= ფ შ ე ბ ი)⁵.

სახელწოდება ქართული წარმოშობისაა. ფ შ ა, ფ შ ანი (= ფ შ ე ბ ი) ქართული სიტყვაა.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „ფ შ ა—მდინარისაგან წყარო, მუნვე ახლოს გამოდენილი“.

„ფ შ ა ნ ი—მრავალ-ფ შ ა“ (= ფ შ ე ბ ი).

გეოგრაფიული სახელწოდებანი, ნაწარმოები სიტყვისაგან „ფ შ ა“, ჩვენ გვაქვს როგორც ამ სოფლის სახელწოდებაში ფ შ ა, ფ შ ი ა, ისე აფხაზეთის მხარეთა მთელ რიგ სხვა გეოგრაფიულ სახელებში:

ფ შ ე ფ ი (→ ფ შ ა ფ ი) სახელწოდება მდინარისა და სოფლისა იმავე შუა-სოფლის მხარეში, დრანდის სექტორში.

ფ შ ა უ რ ი — სახელწოდება სოფლისა გალის რაიონში.

ფ შ ი ა — სახელწოდება მდინარისა გაგრის რაიონში.

67. თ ი ლ ი თ ი ანუ თ ლ ი თ ი.

სოფელი სახელწოდებით თ ი ლ ი თ ი ანუ თ ლ ი თ ი მოიხსენება ბიჭვინთის მთელ რიგ დოკუმენტებში: აფხაზეთის საკათალიკოსოს გლეხების დიდ დავთარში⁶, აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდ იადგარში⁷ და ბიჭვინთის სიგელებში 1611—1612 წლებისა⁸ და 1628 წლისა⁹.

¹ დოკუმენტი პირველად გამოცემულია პროფ. ალ. ხახანაშვილის მიერ (გუჯრები, 1891 წ. გვ. 124—153), მეორედ ს. კაკაბაძის მიერ (საისტორიო მოამბე, 1925 წ., წ. II, გვ. 177—197). დოკუმენტი ქვემოთ ციტირებული გვაქვს მეორე გამოცემის მიხედვით („მარმარის-კარი“—იხ. გვ. 183).

² იხ. რუკა შარდენისა და 1723 წელს პარიზში გამოცემული (ფრანგულად) რუკა კავკასიისა და კასპიის ზღვის მიმდგომ მხარისა (რომლის შედგენის დროს გამოყენებული ყოფილა სულხან-საბა ორბელიანის მასალები).

³ ეს სახელწოდება მდინარისა აღნიშნულია მე-19 საუკუნის რუსულ რუკებზედაც (Мармар). იხ. აგრეთვე ფრ. დიუბუა დე მონპერე, op. cit., I, გვ. 336, ტაბულა.

⁴ იხ. გვ. 187.

⁵ იხ. Погоженко... (ს. ბელოკუროვის გამოცემა, 1888 წ.), გვ. 325. ელჩინის ტრანსკრიფციით * ფ შ ე ფ ე → ფ შ ე ა ფ ე (Шешафэ).

⁶ იხ. 1914 წლის გამოცემა (ს. კაკაბაძის რედაქტორობით), გვ. 33—36, 46.

⁷ იხ. გვ. 194 (ტიქსტი 1600 წლის ახლო დროისა).

⁸ იხ. საქართველოს სიძველენი (ე. თაყაიშვილის რედაქტორობით), I, 1920 წ., გვ. 34.

⁹ იხ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები (ს. კაკაბაძის რედაქტორობით), I, 1921 წ., გვ. 41.

სოფელი აღნიშნულია აგრეთვე არქანჯელო ლამბერტის რუკაზე. მდებარეობდა ეს სოფელი მოქვის ჩრდილოეთით, მოქვის-წყალის ხეობის ზემო ნაწილში.

სახელწოდება ქართულია. (გარდა იმისა, რომ ბოლოკიდური ფორმანტი „-თი“ ჩვეულებრივი დაბოლოებაა ქართული გეოგრაფიული სახელებისა, სახელწოდება თილი-თი || თლი-თი ფუძე-სიტყვის მიხედვითაც უკავშირდება ქართულ გეოგრაფიულ სახელებს; შეადარეთ სოფლის სახელები ლიახვის ხეობაში: თლი || თლი-სი, თლია).

68. ქ ა ლ ა.

სოფელი ამ წმინდა ქართული სახელწოდებით ქ ა ლ ა მოიხსენება აფხაზეთის საკათალიკოზოს დოკუმენტებში: დიდ იადგარში (ტექსტები 1611—1616 წლებისა)¹ და დიდ დავთარში (ტექსტი 1622 წლისა)². მდებარეობდა იგი მოქვის ხეობის ზემო ნაწილში, სოფელ თილითის გვერდით (აფხაზეთის საკათალიკოზოს გლეხების დიდ დავთარში მოსახლეობა თილითისა და ქალისა ერთად არის აღნუსხული)³. ადგილმდებარეობის ამ ზუსტი ჩვენების მიხედვით, ისტორიული სოფელი ქ ა ლ ა არის თანამედროვე პუნქტი კილოუ. თვით ეს თანამედროვე სახელწოდება (კილოუ), ცხადია, არის გვიანდელი სახენაცვალი სახეობა ძველ-ქართული სახელწოდებისა ქ ა ლ ა. (აღსანიშნავია, რომ სოფლის ერთ-ერთ მუხურს დღემდე შერჩენილი აქვს სახელწოდება „ქალოუ“ „ქალოუ-აიმარა“; იხ. ათკილომეტრიანი ადმ. რუკა).

დაგვრჩენია აღენიშნოთ, რომ სახელწოდება ქ ა ლ ა, როგორც დასახლებულ პუნქტთა სახელი, ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში: იგი ჩვენ გვხვდება ქართლში, კახეთის მთიულეთში (თიანეთში), მესხეთში, იმერეთში, რაჭაში, გურიაში, სამეგრელოში (ქალა-დიდი), აჭარაში.

69. ნ ა ჯ ა ი ა ნ უ ა ნ უ ჯ ა ი ა ნ ი ს ე უ ლ ი.

პუნქტი ნ ა ჯ ა ი ა ნ უ, რომელსაც აგრეთვე ეწოდებოდა „ჯ ა ი ა ნ ი ს ე უ ლ ი მამული“ იყო ნაწილი სოფელ ქალისა. მოიხსენება აფხაზეთის საკათალიკოზოს ორსავე მთავარ დოკუმენტში, დიდ იადგარსა და დიდ დავთარში⁴.

„ნაჯაიანუ“ (ნა-ჯაიან-უ) მეგრული ფორმაა სახელწოდებისა „ჯაიანისეული“.

70. ნ ა ჯ გ ი ბ ი უ (ნაჯგვბიუ).

პუნქტი ნ ა ჯ გ ი ბ ი უ (ნაჯგვბიუ) მდებარეობდა სოფ. თილითის მეზობლად (აფხაზეთის საკათალიკოზოს გლეხების დიდ დავთარში იგი თილითთან ერთად მოიხსენება)⁵.

სახელწოდება ამ პუნქტისა თავისი გრამატიკული სახეობით ისეთივეა, როგორც ზემოთ-დასახელებული ნ ა ჯ ა ი ა ნ უ (ნა-ჯაიან-უ) = ჯ ა ი ა ნ ი ს ე უ ლ ი; ასევე ნ ა ჯ გ ი ბ ი უ (ნაჯგვბიუ) იგივეა რაც ჯ გ ი ბ ი ა ს ე უ ლ ი.

71. ხ ე გ ა ნ ი.

სოფელი ამ წმინდა ქართულის სახელწოდებით ხ ე გ ა ნ ი, მოხსენებული ბიჭვინთის 1628 წლის სიგელში⁶, მდებარეობს მდინარე ლალიძგას და მოქვის-წყალს შუა. ეს სოფელი ამავე სახელწოდებით დღემდის შენახულა.

72. თ ხ ი ლ ა რ ი (→თხალარი, თხინი).

ბიჭვინთის 1628 წლის სიგელში, შუა-სოფლის მხარეში მოიხსენება სოფელი სახელწოდებით თ ხ ა ლ ა რ ი; სახელდობრ ამ მხარის პუნქტთა ჩამოთვლის დროს იგი დასახელებულია თილითის შემდეგ და ზეგანის წინ⁷. ამ ჩვენების მიხედვით ირკვევა, რომ ეს სოფელი არის თანამედროვე თ ხ ი ნ ი (რომელიც სწორედ თილითსა და ზეგანს შორის მდებარეობს).

¹ იხ. გვ. 187—188.

² იხ. გვ. 39—40, 46.

³ იხ. გვ. 46.

⁴ იხ. დიდი იადგარი (1611—1616 წლების ტექსტი), გვ. 187; დიდი დავთარი (1622 წლის ტექსტი), გვ. 39—40.

⁵ იხ. დიდი დავთარი, გვ. 35.

⁶ იხ. დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები (ს. კაკაბაძის რედაქტორობით), 1921 წ., I, გვ. 41—42.

⁷ იხ. იქვე.

ვარიანტები ამ სახელწოდებისა თხალარი და თხინი გვიჩვენებს, რომ პირველადი სახე ამ სახელწოდებისა არის თხილარი (|| თხილნარი).

აღნიშნავთ ამასთან, რომ ანალოგიური სახელწოდებანი გეოგრაფიული პუნქტებისა ფართოდ არის გავრცელებული შიდა საქართველოში; ასეთებია სოფლები: თხინალა — აჭარაში (ბათუმის რაიონში); თხილარა — ქართლში (თეთრიწყაროს, გორის და ლენინგორის რაიონებში); თხილოვანი — ქართლში (დუშეთის რაიონში); თხილვანი — აჭარაში (ხულოს რაიონში); *თხილვანი — თხინვალა — ქართლში (თბილისის რაიონში); თხინალა — ქართლში (ხაშურის რაიონში); თხინაშ-კარი — გალის რაიონში; თხილთა-წყარო — იმერეთში (ჩხარის რაიონში) და სხვ.

73. მარცხეული ანუ მარცხული.

სოფელი მარცხეული ანუ მარცხული მდებარეობდა ლალიძგის ხეობის შუა ნაწილში, მდინარის მარცხენა სანაპიროზე, ტყვარჩელის ქვემო ზონაში. (ამ სოფლის სახელწოდების ორი ფორმიდან მარცხეული აღნიშნულია ბიჭვინთის სიგელში 1628 წლისა¹, მარცხული — არქანჯელო ლამბერტის რუკაზე).

სახელწოდება როგორც გრამატიკული სახეობით, ისე ფუძე-სიტყვით, ქართულია. ძველქართულად „მარცხულ“ ნიშნავს „მარცხნით“ -ს. ეს სახელწოდება სოფლისა მარცხული ანუ მარცხეული ჩანს იმისგან წარმომდგარა, რომ სოფელი მდინარის მარცხენა ნაპირას მდებარეობდა (ასეა იგი აღნიშნული ლამბერტის რუკაზე).

74. სოფელი მარცხეული — თხილარი (მარცხეული-თხალარი).

მოხსენებულია ბიჭვინთის 1628 წლის სიგელში². როგორც გვიჩვენებს მისი სახელწოდება, რომელშიაც გაერთიანებულია სახელები ორი მეზობელი სოფლისა, იგი მდებარეობდა მდინარე ლალიძგასა და მოქვის წყალს შუა (ლალიძგას ხაზით ესაზღვრებოდა მარცხეულს, მოქვის-წყალის ხაზით — თხილარს)³.

75. კამულეთი.

როგორც ირკვევა ბიჭვინთის 1628 წლის სიგელიდან, კამულეთი მეზობელი სოფელი ყოფილა თილითისა (მოსაზღვნი თილითისა და კამულეთისა ამ საბუთში ერთად არიან აღნუსხულნი)⁴. კამულეთი, ცხადია, მდებარეობდა მდინარეზე, რომელსაც, ამჟამად ეწოდება კუმარჩა, იგივე კამურჩა (ე. ი. კამურის მდინარე; შეადარეთ სკურჩა — სკურის მდინარე; იხ. ზემოთ, გვ. 171). ეს მდინარე შეერთვის მდინარე მოქვის-წყალის დასავლეთ სათავე ტოტს სწორედ კალათილითის ზონაში.

სახელწოდება კამულეთი თავისი გრამატიკული აღნაგობით (გეოგრაფიულ სახელთა ჩვეულებრივი დაბოლოებით „-ეთ-ი“) ქართულია. აღსანიშნავია ამასთან, რომ ეს სახელწოდება ჩვენ გვხვდება აგრეთვე შიდა საქართველოში (კამულეთი — სახელწოდება სოფლისა ლიჯანის-ზევში, კორონის ხეობაში, მურღულს ზემოთ; იხ. 5-ვერსტიანი რუკა).

76. ლალიძგა.

სოფელი სახელწოდებით ლალიძგა მოიხსენება აფხაზეთის საკათალიკოსოს დოკუმენტებში — დიდ დავთარში (მე-17 ს. დასაწყისის ტექსტი)⁵, დიდ იადგარში (1627—1639 წლების ტექსტი)⁶ და ბიჭვინთის სიგელში 1628 წლისა. აღნიშნულია არქანჯელო ლამბერტის რუკაზე.

სახელწოდება სოფელს მიღებული აქვს მდინარე ლალიძგას (ეგრის-წყალის) სახელიდან; მდებარეობდა სოფელი მდინარის მარჯვენა სანაპიროზე (იხ. ლამბერტის რუკა).

სახელწოდება ქართული წარმოშობისაა (განმარტება იხ. გვ. 128).

¹ იხ. იქვე.

² იხ. იქვე.

³ ორივე თხილარი (თხალარი), ე. ი. საკუთრივ თხილარი და მარცხეული-თხილარი ატარებდა საერთო სახელწოდებას თხილარები (ანუ სახენაცვალი ფორმით: თხალარები); იხ. ილიორის ხატის წარწერა 1651 წლისა (დაცული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში).

⁴ იხ. დასახელებული გამოცემა, გვ. 41—42.

⁵ იხ. გვ. 48—49.

⁶ იხ. გვ. 190.

77. ილორი.

სოფელი ილორი, რომელიც მოიხსენება აფხაზეთის საკათალიკოზოს ისტორიულ დოკუმენტებში¹, მდებარეობს მდინარე ლალიძგას (ეგრის-წყალის) შესართავთან. სოფელი ამჟამად მდინარის მარცხენა სანაპიროზეა განთენილი (სადაც მდებარეობს განთქმული წმინდა გიორგის ტაძარი), მაგრამ ისტორიულ წარსულში სოფელი მდინარის ორივე ნაპირას ყოფილა გაშენებული. (როგორც ეს ჩანს არქანჯელო ლამბერტის რუკიდან, მე-17 საუკუნეში ძირითადი ნაწილი სოფლისა მდინარის მარჯვენა ნაპირას მდებარეობდა).

სახელწოდება სოფლისა ილორი, თავისი გრამატიკული აღნაგობით, როგორც ამას გვიჩვენებს მისი ბოლოკიდური ფორმანტი „ორ-ი“, ქართული წარმოშობისაა (შეადარეთ ქართული გეოგრაფიული სახელები ამავე სუფიქსით „ორ-ი“: სხეიტორი, კოდორი, შაორი, გომბორი და სხვანი). აღსანიშნავია ამას გარდა, რომ თვით სახელი ილორი ჩვენ გვხვდება არა მარტო ამ მხარეში, არამედ შიდა საქართველოშიაც (ილორი — სახელწოდება სოფლისა სამეგრელოსა და იმერეთის საზღვარზე, აბაშის რაიონში, საქილაოში).

78. ხაუჟელი, სახაუჟელო.

სოფელი ხაუჟელი ანუ სახაუჟელო მოიხსენება აფხაზეთის საკათალიკოზოს მთავარ დოკუმენტებში, დიდ დავთარსა და დიდ იადგარში². სოფელი ჩანს მდებარეობდა თილითის მეზობლად, თილითისა და ლალიძგას სექტორში³. სახელწოდება, თავისი გრამატიკული სახეობით ქართულია (ბოლოკიდური „-ელ-ი“, „ელ-ო“, თავკიდური „სა-“).

79. ტყაურუ.

სოფელი ტყაურუ მოიხსენება აფხაზეთის საკათალიკოზოს დოკუმენტებში შუა-სოფლის მხარის დასახლებულ პუნქტთა შორის⁴. როგორც ირკვევა, სოფელი ზღვისპირას მდებარეობდა⁵. ფუძე-სიტყვა ამ სახელწოდებისა ტყაურუ არის ტყა, რაც მეგრულად ტყეს ნიშნავს (შეადარეთ სოფლის სახელწოდება ტყაია ხუგდიდის რაიონში).

80. ხორი.

სოფელი ხორი ანუ ხვრი (ხირი, ხირი) აფხაზეთის საკათალიკოზოს დოკუმენტებში მოიხსენება შუა-სოფლის მხარის სოფლების ჯგუფში⁶.

სახელწოდება ქართული წარმოშობისაა. შეადარეთ სახელწოდება ხორი და შიდა საქართველოს გეოგრაფიული სახელები: ხორ-ით-ი (იმერეთში), ხორ-ეთ-ი (გურიაში), ხორ-ში (ოდიშში), ხორ-ენ-ია (ჯავახეთში).

¹ იხ. დიდი იადგარი (1627—1639 წლ. ტექსტი), გვ. 190, 1628] წლის ბიკვინთის სიგელი და სხვანი.

² იხ. დიდი დავთარი (1622 წლის ტექსტი), გვ. 36—39, 46; დიდი იადგარი, (1600 წლის ახლო დროის ტექსტი (გვ. 194) და 1627—1639 წლების ტექსტი (გვ. 190; ს. კაკაბაძის გამოცემაში შეცდომით: ბაუჟელი).

³ შუა-სოფლის მხარის სოფლების ჩამოთვლის დროს იგი მოიხსენება თილითის და ლალიძგას გვერდით.

⁴ იხ. დიდი იადგარი (XVI საუკ. ტექსტი), გვ. 183; დიდი დავთარი (1622 წლის ტექსტი), გვ. 39.

⁵ ამას გვიჩვენებს ის გარემოება, რომ ამ სოფლის მოსახლეობას ბეგარად ეღვა მენავეობა (მეთევზეობასთან ერთად).

⁶ იხ. დიდი დავთარი — XVI საუკუნის ტექსტი (გვ. 56) და 1624 წლის ტექსტი (გვ. 29—31, 46); დიდი იადგარი—XVI საუკუნის ტექსტი (გვ. 183) და 1627—1639 წლ. ტექსტი (გვ. 190). ბიკვინთის სიგელები 1611—1622 წლ. (საქართველოს სიძველენი, I, გვ. 34), 1661—1680 წლებისა (საქართველოს სიძველენი, I, გვ. 36), 1696—1704 წლებისა (დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 88).—დიდი დავთარის XVI საუკუნის ტექსტში სახელწოდება სოფლისა წარმოდგენილია ფორმით: ხორი. დანარჩენ ტექსტებში წარმოდგენილი სახეობანი ხირი და ხირი მომდინარეობენ პირველადი ფორმიდან ხვრი.

81. წამხარი.

სოფელი წამხარი მოიხსენება აფხაზეთის საკათალიკოსოს დიდ იადგარში (XVI საუკუნის ტექსტში) სოფელ ხორთან ერთად¹.

სახელწოდებაში წამხარი ბოლოკიდური „-არ-ი“ ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა მაწარმოებელი ჩვეულებრივი სუფიქსია (შეადარეთ გეოგრაფიული სახელები შიდა საქართველოში: წუნარი, ხიდარი, გომარი, კინძარი და სხვანი, აგრეთვე თვით აფხაზეთში: გაგარი, დანდარი). ფუძე-სიტყვის მიხედვით შეადარეთ წამხ (-არ-ი) და წახ (-არ-ი) — სახელი სოფლისა მესხეთში, წახ (-ეთ-ი) — ისტორიული სახელწოდება კუთხისა და დასახლებული პუნქტისა აღმოსავლეთ კახეთში (საინგილოში)².

82. მუხური.

სოფელი მუხური აფხაზეთის საკათალიკოსოს დოკუმენტებში ასევე დასახლებულია შუა-სოფლის მხარის პუნქტთა შორის³.

სახელწოდება მუხური თავისი პირველადი მნიშვნელობით მხარეს აღნიშნავს. (მუხური ხანური შესატყვისია სიტყვისა მხარე). ქართული წარმოშობის ეს სახელწოდება მუხური გვხვდება როგორც ამ კუთხეში, ისე შიდა საქართველოში მთელი რიგი გეოგრაფიული პუნქტების სახელების სახით.

დასაბრუნებლად, დაგვრჩენია აღენიშნოთ, რომ აფხაზეთის საკათალიკოსოს დასახლებულ საისტორიო საბუთებში, რომლებიც მე-16—17 საუკუნეებს ეკუთვნის, დაკულია ცნობები ზემოთ-ჩამოთვლილი თვრამეტი პუნქტის (№№ 65—82) მოსახლეობის შესახებ (აღნიშნულია ამ სოფლის მკვიდრთა სახელ-გვარები), საიდანაც ირკვევა, რომ ამ სოფლების მოსახლეობა დასახლებულ ეპოქაში მთლიანად ქართული იყო.

*

ცალკე შეგვრდებით აფხაზეთის მხარეთა მდინარეების სახელებზე, რომლებიც მოიხსენება ძველ წყაროებში.

სახელწოდება აფხაზეთის მხარეთა ოთხი მდინარისა დაკავშირებულია აფხაზეთის მხარეებში მოსახლე ტომების სახელებთან. ესენია:

83—84. მდინარე *აბასხი (აბასკი). მეორე სახელწოდება: მძიმთა (შხიმთა).

როგორც მოხსენებული გვექონდა, მდინარე *აბასხი (აბასკი), ე. ი. აფხაზთა მდინარე, ეწოდებოდა ანტიკურ ხანაში მდინარე მძიმთას, რომელიც ერთვის შავ ზღვას ქალაქ ადლერთან (იხ. არიანე, SC, I, გვ. 223; მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, SC, I, გვ. 278). ეს სახელწოდება აფხაზთა მდინარისა მას შერჩა მომდევნო პერიოდშიაც, საშუალო საუკუნეთა მანძილზე, ახალ საუკუნეებამდე (იხ. ზემოთ, გვ. 123, 154).

რაც შეეხება ამ მდინარის მეორე პარალელურ სახელწოდებას მძიმთა (შხიმთა), ისიც, ჩანს, აგრეთვე ძველი წარმოშობისაა; ეს სახელწოდებაც ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის (სახელწოდებაში მძიმ-თა ჩვენ გვაქვს იმავე ტიპის გეოგრაფიული სახელი სუფიქსით „-თა“, როგორც აფხაზეთის მთელ რიგ სხვა ქართულ გეოგრაფიულ სახელებში, როგორცაა ჩხალ-თა, გუმის-თა და სხვანი).

85. მდინარე კორახი.

მდ. კორახი, როგორც აღნიშნული გვექონდა, ანტიკურ ხანაში ეწოდებოდა კელასურის-წყალს. ამას გარდა, დიდი საფორტიფიკაციო ნაგებობა, რომელიც იწყება მდ. კელასურის ზღვასთან შერთვისას, ხოლო შემდეგ კარგა მანძილზე მიჰყვება მდ. კელასურის სანაპიროს, ანტიკურ ხანაში ცნობილი იყო კორახის ზღუდის (კედლის) სახელით. (საშუალო-საუკუნეთა ქართულ წყაროებში მას ეწოდება „ზღუდე, საზღვარი კლისურისა“). კორახის ტომი, რომლის სახელთან დაკავშირებულია როგორც მდინარის, ისე საფორტიფიკაციო ნაგებობის სახელწოდება, კოლხთა ტომს ეკუთვნოდა (იხ. ზემოთ, გვ. 140—141).

¹ იხ. დიდი იადგარი (XVI საუკუნე. ტექსტი), გვ. 183.

² იხ. არჩილი, თხზულებათა სრული კრებული (აღ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქტორობით), II, 1937 წ., გვ. 82.

³ იხ. დიდი იადგარი (XVI საუკუნე. ტექსტი), გვ. 183, დიდი დავთარი (1622 წლის ტექსტი), გვ. 46.

86—87. მდინარე ბასილა (ბასილეთი) = ანთემის წყალი.

როგორც გამორკვეული იყო, სახელწოდება ამ მდინარისა ბასილა (ბასილეთი) დაკავშირებულია სატომო სახელთან ბასილი (იხ. ზემოთ, გვ. 141).

ამავე მდინარეს აგრეთვე მეორე სახელაც რქმევია: ანთემის წყალი¹. ეს მეორე სახელწოდება მას, საფიქრებელია, მიუღია მდინარის ნაპირას მდებარე პუნქტიდან. (სახელწოდება ანთემი გრამატიკულის გაფორმებით იმავე ტიპის სახელია, როგორც ქართული გეოგრაფიული სახელები: გრემი, ილემი, ძარწემი, წყემი, გურძემი და სხვანი).

88—89. ჰენის წყალი = კოდორის მდინარე.

როგორც მოხსენებული გვექნა, სახელწოდება „კოდორის მდინარე“ მომდინარეობს დაბის სახელიდან, რომელიც ამ მდინარის ნაპირას მდებარეობდა (იხ. ზემოთ, გვ. 155—156). ხოლო ძირითადი თავდაპირველი სახელი ამ მდინარისა, როგორც ირკვევა, ყოფილა ჰენის-წყალი.

ეს სახელწოდება დაკავშირებულია სატომო სახელთან ჰენი-ხი (ჰენიოხი).

აქ საკიროა აღვნიშნოთ, რომ ფუძე-სახელი ამ სატომო სახელწოდებისა ჰენი-ხი (ჰენიოხი) არის ჰენი (იხევე როგორც ფუძე-სახელი სატომო სახელწოდებისა კოლხი არის კოლ-ი: შეადარეთ ქვეყნის სახელი კოლ-ა, აქედან კოლელი). ცნობილია, რომ ჰენიოხთა ერთ-ერთი შტოს თემის სახელწოდება იყო ჰენე-თი (იხ. ზემოთ, გვ. 135).

მოსახლეობა ჰენიოხებისა ანუ ჰენების ტომისა, რომელიც მკვიდრობდა დიოსკურიის (ცხუმის) თემში, ანტიკური ხანის ადრეულ პერიოდში, როგორც ირკვევა, აღწევდა მდინარე კოდორამდე და აქედან მიუღია ამ მდინარეს სახელწოდება: ჰენის წყალი.

რომ ჰენიოხთა ტომის მოსახლეობა არქაულ პერიოდში აღწევდა მდინარე კოდორამდე, ეს ირკვევა კერძოდ თქმულებიდან დიოსკურების შესახებ. როგორც ცნობილია, ანტიკური ხანის ავტორები თქმულებას დიოსკურთა შესახებ ჰენიოხთა ტომს უკავშირებენ. ამასთან ეს თქმულება ანტიკური ავტორების ჩვენების თანახმად ლოკალიზებულია აფხაზეთის მხარეთა ორ პუნქტში: დიოსკურიაში და დანდარის (დრანდის) თემში, ე. ი. სწორედ მდინარე კოდორის სექტორში.

სახელწოდება მდინარე კოდორისა, რომლის ძველი, თავდაპირველი სახელი ყოფილა ჰენის წყალი (ჰენიოხთა, ჰენთა მდინარე) — ანტიკური ხანის ბერძენ ავტორებს მოხსენებული აქვთ როგორც ჰიპოსი, ე. ი. ცხენი. ეს იმის გამო, რომ ძველ-ქართულად ჰენი = ცხენ და ცხენი სინონიმური სიტყვებია. ბერძენ ავტორებს ამ სახელწოდებაში „ჰენის-წყალი“ სიტყვა ჰენი გაუგიათ თავის პირდაპირი მნიშვნელობით (ჰენი = ცხენი) და მდინარის სახელიც ამრიგად გადმოუციათ².

აქედან ირკვევა აგრეთვე ისიც, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ენა ამ ეპოქაში ქართული იყო და ამ ენაზე ჰენი, ჰუნე ნიშნავდა ცხენს.

აქ საკიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ანტიკური ხანის ავტორთა თქმულებებში თვით ჰენიოხთა ტომის სახელწოდება დაკავშირებულია ცხენთან და ცხენოსნობასთან, რაც ამავე ვერხალურ შეფარდებას ემყარება: ჰენი (ჰუნე) = ცხენი.

90—91. მდინარე ეგრის-წყალი = ლალიძგა (იხ. ზემოთ, გვ. 175).

92—93. მდინარე ტარსურა = მოქეის წყალი.

ტარსურა არის ძველი სახელწოდება მოქეის-წყალისა, დამოწმებული ანტიკური ხანის ძეგლებში³.

ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში მდინარეების სახელთა ჩვეულებრივ დაბოლოებას წარმოადგენს: „-ულა“ და „-ურა“, როგორც მაგალითად: ჩხარულა, კრიხულა, ძირულა, ბარულა, ლებურა და სხვანი. ამავე ტიპისაა მდინარის ეს სახელიც ტარსურა⁴.

¹ იხ. პლინიუს სეკუნდუ, SC, II გვ. 179.

² იხ. არიანე, SC, I, გვ. 221; მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, SC, I, გვ. 275.

³ იხ. არიანე (loc. cit.) და მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი (loc. cit.).

⁴ აღსანიშნავია, რომ პლინიუს სეკუნდუსთან დამოწმებულია თვით ფუძე-სიტყვა ამ სახელწოდებისა, დაურთველად ბოლოკიდურისა „-ურა“ (Thersos; იხ. SC, II, გვ. 179).

შეორე სახელწოდება ამ მდინარისა—მოქეი — დამოწმებულია მე-5 საუკუნიდან¹.

94. მდინარე თ ა გ უ რ ა (თ ა გ უ რ ი).

შარდენის რუკის ჩვენებით მდინარეს, რომელიც მომდინარეობს მოქეის-წყალის დასავლეთით, ერქვა თავურა ანუ თავური².

ეს სახელწოდება თავურა II თავური იმავე ტიპის სიტყვის-წარმოებას წარმოადგენს, როგორც ზემოთ-განხილული ტარსურა.

ფუძე-სიტყვის მიხედვით შეადარეთ თავ-ურ-ი და ძველი ისტორიული სახელწოდება თავ-ურ-ი. შეადარეთ აგრეთვე თავ-ონ-ი (გალის რაიონში).

95. მდინარე თ ე ს ვ რ ი (თ ე წ ვ რ ი).

კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში თ ე ს ვ რ ი (ანუ თ ე წ ვ რ ი, ბერძნული ტრანსკრიფციით Θεσσαλι) ეწოდება მდინარეს გაგრის (კარტაგონ-ტიზოსის) ჩრდილოეთით და ადღერის სექტორის (ენანთიას) სამხრეთით³. ამ ჩვენების თანახმად იგი, ჩანს, უდრის მდინარეს, რომელსაც ამჟამად ფსოუ ეწოდება.

სახელწოდება ამ მდინარისა თ ე ს ვ რ ი (თ ე წ ვ რ ი) იმავე ტიპის სიტყვის-წარმოებას წარმოადგენს, რაც ზემოთ განხილული სახელწოდებანი ტარსურა, თავური II თავურა.

შეადარეთ თესვრი (თეწვრი) და სახელწოდებანი: სვირი, დეზვირი, ტეზური და სხვ.

შეადარეთ აგრეთვე ფუძე-სიტყვის მიხედვით თ ე ს (-ვრ-ი), თ ე წ (-ვრ-ი) და სახელწოდებანი მდინარეებისა შიდა საქართველოში: * თეს-ი II თეხ-ი და თეხ-ამ-ი (თეძ-ამ-ი).

96. მდინარე ტ ა მ ა (იხ. ზემოთ, გვ. 170).

97. მდინარე კ ა ნ დ ა ხ ა (იხ. ზემოთ, გვ. 170—171).

98—100. მდინარე წ ყ უ ხ ა მ ე ლ ა (სკურჩა, მარმარ-წყარი).

მდინარე, რომელიც ერთვის შავ ზღვას სკურიის (ისკურიის) ნავთსადგურთან, ცნობილია სახელწოდებებით: სკურჩა, მარმარ-წყარი და წყუხამელა (წყუხამელი).

პირველი ორი სახელწოდება დაკავშირებულია ამ მდინარის ნაპირას გაშენებული გეოგრაფიული პუნქტების სახელებთან (სკურჩა და მარმარის-კარი, იხ. ზემოთ, გვ. 171, 172—173), ხოლო ძირითადი საკუთარი სახელწოდება ამ მდინარისა არის წ ყ უ ხ ა მ ე ლ ა ანუ წ ყ უ ხ ა მ ე ლ ი ⁴.

სახელწოდება ქართულია. ბოლოკიდური ფორმანტი „-ელ-ა“ („-ელ-ი“) ჩვეულებრივი დაბოლოებაა მდინარეთა სახელებისა (შეადარეთ წყუხამელა, — ჩხერიმელა და სხვ.). ამას გარდა თავკიდური ფუძე-სიტყვა „წყუ“ ნიშნავს წყალს, წყაროს. (ამავე მდინარის, ნაპირას გაშენებული სოფლის სახელია „წყუ-რ გი ლ ი“ = წყარო გრილი“. იხ. ზემოთ, გვ. 172).

101. მდინარე ჩ ხ ა ლ თ ა.

ჩხალთა ეწოდება მდინარე კოდორის დასავლეთ სათავე ტოტს, რომელიც ჯერთდება აღმოსავლეთ სათავე ტოტს (საკენს) — მისიმიანეთის მხარის ძველ ისტორიულ ცენტრთან, რომელსაც ერქვა ჩ ხ ა რ ი, ჩ ხ ა ლ ი (იხ. ზემოთ, გვ. 158 - 159). სახელწოდება მდინარისა ჩ ხ ა ლ თ ა (ჩხალ-თა) მომდინარეობს პუნქტის ამ სახელიდან — ჩხალი, ჩხარი ⁵.

¹ იხ. მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, loc. cit.

² შარდენის ტრანსკრიფციით Tagour. რამდენადაც ყველა მდინარეთა ისტორიული სახელები მოქეის-წყალის დასავლეთით ვიდრე კოდორამდე ცნობილია გარდა ორისა, — დამიშის წყალისა და ცხენის-წყალისა, — თავური ცხადია არის სახელი ერთ-ერთისა ამ ორ უკანასკნელ მდინარეთაგან.

³ იხ. SC, I, გვ. 237.

⁴ მდინარის სახელწოდებათა შესახებ იხ. ფ. დიუბუა დე მონპერე, op. cit., გვ. 317. სახელწოდება წყუხამელა დღემდისაც ცოცხალია.

⁵ შემდეგ მდინარის სახელი გადასულა პუნქტის სახელადაც და სახელწოდება ჩხალთა მიეგარება როგორც მდინარეს, ისე პუნქტს.

სახოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში გეოგრაფიული სახელები მთელ რიგ შემთხვევებში იწარმოება სუფიქსის „-თა“-ს დართვით, როგორც ეს გამოიკვეა ზემოთ-განხილული მაგალითებიდან და რაც ქართულისათვის დამახასიათებელ სიტყვის-წარმოებას წარმოადგენს¹. გარდა სახელწოდებისა ჩხალ-თა, ამავე წყებას ეკუთვნის სახელწოდებანი გუმის-თა (ნაწარმოებია მდინარის სახელიდან გუმის-ი), წიბელ-თა II წიფელ-თა (ნაწარმოებია სიტყვისაგან წიბელი, წიფელი), გუდაუ-თა (ნაწარმოებია მდინარის სახელიდან გუდაეა), მაწეს-თა, მძიმ-თა, ხოს-თა, ურ-თა, ლიხ-თა (სახელწოდება მთისა აფხაზეთში, იხ. ზემოთ, გვ. 151). შეადარეთ აგრეთვე გეოგრაფიული სახელწოდებანი ბოლოკიდური ფორმანტით „ნ-თა“; ბიკვი-ნ-თა, *კუკუ-ნ-თა, *ბრუხ-ონ-თა, *ახე-უნ-თა; აგრეთვე ფორმანტით „-თი“: თილითი, კამულეთი, პარნაუთი, ბასილა, ბასილეთი II ბასლეთი (სახელწოდება მდინარისა) და სხვანი.

102. მდინარე ა.ს ტ ე ლ ე ფ ი.

ასე ეწოდება ანტიკური ხანის წყაროებში მდინარეს, რომელიც დაშორებული იყო მდინარე ჰიპპოს (ე. ი. ჰენის-წყალს, კოდორს) 30 სტადიის მანძილით (ჩრდილოეთის მიმართულებით)². ამ ჩვენების თანახმად ასტლეფი არის მდინარე მეორე სკურჩა (რომელიც ერთვის ზღვას სოფელ ბაბუშარასთან).

შეადარეთ სახელწოდება ამ მდინარისა ა.ს ტ ე ლ ე ფ ი და სახელწოდებანი: ტელეფა (სახელი სოფლისა ზემო-იმერეთში), ტელეფისი (სახელი სოფლისა საჯავახოს რაიონში, მოიხსენება. საშუალო საუკუნეებში)³.

მეორე სახელწოდება ამ მდინარისა ყოფილა ე ვ რ ი პ ი ს წყალი⁴.

103. მდინარე მ ა ჯ ა რ ა.

მდ. მ ა ჯ ა რ ა მომდინარეობს სოფ. მერხულზე და ერთვის ზღვას კელასურის ხეობის საზღვრით. (სახელწოდება მდინარისა, ფორმით მ ა ჯ ა რ ა, დამოწმებული აქვს ნ. დადიანს „ქართველთა ცხოვრება“-ში, გვ. 53).

სახელწოდება მ ა ჯ ა რ ა ქართულია. შეადარეთ სახელწოდება მ ა ჯ ა რ - წყ ა ლ ი ბორჯომის რაიონში.

104. ც ხ თ მ ი ს მდინარე (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 169). მეორე სახელწოდებაა მდი-ნარე ბასილეთისა.

105—106. მდინარე გ უ მ ი ს ი და შემდინარე გ უ მ ა (იხ. ზემოთ, გვ. 157—158).

107. ა ნ ა კ თ ე ი ს მდინარე (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 169); სახელწოდება მომდინარეობს ისტორიული ციხე-ქალაქის ანაკოფიის სახელიდან.

108—109. ა ლ ა ც თ ს - წყ ა ლ ი და მისი შემდინარე მ წ ა რ ა.

ქართული წყაროების ჩვენების თანახმად ა ლ ა ც თ ს - წყ ა ლ ი ეწოდებოდა მდინარეს გუდაუთის რაიონში⁵. სახელწოდება მომდინარეობს სოფლის სახელიდან ა ლ ა ც თ (ამ სოფელს ამჟამად ეწოდება ააცი).

შეადარეთ სახელწოდება ალაცო (ალაცი) და გეოგრაფიული სახელწოდებანი შიდა საქართველოში: ატოცი, დიცი, არგვიცი, აგრეთვე ბოცო (ბოცო-ხევი, ამჟამად ფოცხოვი).

ალაცოს-წყალის მარჯვენა შემდინარეს ეწოდება მ წ ა რ ა. აქვეა სოფელი ამავე სახელწოდებით: მ წ ა რ ა.

¹ გეოგრაფიულ სახელწოდებათა მაწარმოებელი სუფიქსი „-თა“, რაც ორგანულია ქართული ენისათვის (იგი სახელთა ბრუნვის ნიშანია ქართულად), ქართული ენიდან შეუთვისებია აგრეთვე ადგილობრივს აფხაზურ (აფსუას) მეტყველებას.

² იხ. არიანეს პერიპლუსი, SC, I, გვ. 211—222; მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, SC, I, გვ. 275.

³ იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, III, გვ. 30—47, 160.

⁴ იხ. მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, loc. cit.

⁵ იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 171 (ეს მდინარე სახელწოდებით ა ლ ა ც თ აღნიშნულია აგრეთვე ალექსანდრე იმერთა მეფის რუკაზე 1738 წლისა).

110. ზუფუს მდინარე (იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 171). სახელწოდება მომდინარეობს დაბის სახელიდან ზუფუ (იხ. ზემოთ, გვ. 152).

111. მიწის-წყალი, მიწისი.

მდინარე ბზიბის-წყალს ქვემო ნაწილში გამოეყოფა შტო, რომელიც, მდინარის ძირითადი კალაპოტიდან დაცილების შემდეგ, 30 კილომეტრის მანძილზე მომდინარეობს მიწის ქვეშ და მხოლოდ შემდეგ გამოდის ზედაპირზე¹.

მიწიდან გამომდინარე ბზიბის-წყალის ამ შტოს ადგილობრივ ამჟამად უწოდებენ სახელს „მუკიშ“. ასევე სახელი „მუკიშ“ მიემართება აგრეთვე მეორე მდინარეს, რომელიც იქვე ბზიბის-წყალის დასავლეთით მომდინარეობს და ერთვის ზღვას ბიჭვინთასა და გუდაუთს შუა (ძველ ისტორიულ „ბზის ნავთსადგურთან“).

მდინარეთ, რომელიც ამჟამად ცნობილია სახელწოდებით მუკიშ, მე-17—18 საუკუნის წყაროებში ეწოდება მუწის-წყალი ანუ მუწუს-წყალი².

ხოლო პირველადი სახე ამ სახელწოდებისა, ცხადია, არის „მიწის-წყალი“ ანუ „მიწისი“. ამ პირველადი ფორმიდან „მიწისი“ — „მიწის-წყალი“ წარმოქმნილა ჯერ მუწის-წყალი (მუწუს-წყალი), აქედან კი მუწის-წყალი (მუწუს-წყალი). შემდეგს ტრანსფორმაციას ამავე სახელწოდებისას „მიწის-წყალი“ ანუ „მიწისი“ წარმოადგენს თანამედროვე სახელი მდინარისა „მუკიშ“.

რომ სახელწოდება მდინარისა მუწის-წყალი || მუწუს-წყალი მომდინარეობს პირველადი ფორმიდან „მიწის-წყალი“, ამას ადასტურებს გათვალისწინება ანალოგიური სახის ფონეტიკური ცვლილებისა, რომელიც განუტედა სხვა გეოგრაფიულ სახელწოდებებსაც აფხაზეთში, ასე მაგალითად, გეოგრაფიულ სახელწოდებას ლიხნი || ლიხინი. ამ შემთხვევაშიაც იმავე კონონო-მიერებით ფორმიდან ლიხინი ჯერ წარმოქმნილა ლუხნი, ხოლო შემდეგ ლუხუნი (იხ. ზემოთ, გვ. 151).

მას შემდეგ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, რომ სახელწოდება „მუკიშ“ მიემართება მდინარე ბზიბის-წყალის იმ შტოს, რომელიც დიდ მანძილზე მიწის ქვეშ მომდინარეობს და მხოლოდ შემდეგ გამოდის მიწის ზედაპირზე, თავისთავად გასაგებია წარმოშობა ამ სახელწოდებისა „მიწის წყალი“, „მიწისი“.

დასასრულ, დაგვიჩენია აღვნიშნოთ, რომ ანალოგიური სახელწოდება მდინარისა ჩვენ სხვაგანაც გვაქვს საქართველოში; ასე, მდინარეს, რომელიც შეერთვის მტკვარს წრომის სექტორში, ეწოდება მიწობის-წყალი ანუ მიწობის-ხევი³.

112—113. ბზიბის (*ბეჩის) წყალი=კაპოეტის წყალი.

ამ მდინარის პირველ სახელწოდებაზე (ბზიბის ანუ *ბეჩის წყალი) უკვე გვქონდა საუბარი (იხ. ზემოთ, გვ. 148—149).

აქ ჩვენ შევიჩრდებით ამ მდინარის მეორე სახელწოდებაზე: კაპოეტის წყალი⁴.

ეს მეორე სახელწოდებაც წმინდა ქართულია.

სიტყვას კაპოეტი — ქართულად ორნაირი მნიშვნელობა აქვს.

კაპოეტი ეწოდება გარეულ მონადირე ფრინველს (წელიწადზე მეტი ხნისას).

ამავე დროს კაპოეტი ეწოდება თევზს (იხ. საბა ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონები). თევზი კაპოეტი კალმახ-ორაგულის ჯიშს ეკუთვნის; იგი მოზრდილი სახის კალმახია და გვხვდება სწორედ ამ მდინარეში, კაპოეტის წყალში.

ამრიგად სახელწოდება ამ მდინარისა კაპოეტის-წყალი მომდინარეობს თევზის სახელიდან კაპოეტი.

მაშასადამე, სახელწოდება ამ მდინარისა კაპოეტის-წყალი იმავე სახისაა, როგორც სახელწოდებანი მდინარეებისა: საკალმახე, ოკალმახე, კაპარჩინა ანუ კაპარჩინის წყალი (კაპარჩინა — თევზის სახელია; იხ. საბას ლექსიკონი) და სხვანი.

¹ იხ. К. Худравцев, Сборник материалов по истории Абхазии, 1926 წ., გვ. 9.
² ვახუშტის გეოგრაფიაში — მუწის-წყალი (იხ. გვ. 171). — ილორის ხატის წარწერაში 1651 წლისა — მუწუს-წყალი.
³ იხ. ვახუშტის გეოგრაფია, გვ. 58.
⁴ სახელწოდება მდინარისა პირვანდელის სახით „კაპოეტის წყალი“ წარმოდგენილია ზემოთ დასახვლებულ ილორის ხატის წარწერაში 1651 წლისა.

114. მდინარე ფ შ ი ა.

სახელწოდება მდინარისა გაგარის რაიონში¹.

ნაწარმოებია სიტყვისაგან ფშა, რაც ქართულად წყაროს ნიშნავს (იხ. ხემოთ, გვ. 173).

115. მდინარე ც ი ხ ე-რ უ ა.

გ ა გ რ ი ს (გ ა გ ა რ ი ს) ზონა ისტორიულ წარსულში ციხე-სიმაგრეთა მთელ წყებას შეიცავდა, რომლებიც დასაუღლეთ საქართველოს საფარს წარმოადგენდნენ ჩრდილოეთის ხანზე. ბუნებრივია ამის გამო, რომ რომელსავე მდინარეს გაგარის ზონაში ციხისაგან დარქმეოდა სახელი. ამას მართლაც ჰქონია ადგილი. სახელწოდება პატარა მდინარისა, რომელიც შეერთვის ზღვას ძველ გაგარასა და ახალ გაგარას შუა არის: „ცი ხ ე-რ უ ა². საფიქრებელია ამ მდინარიდან იყო გაყვანილი რუ ერთ-ერთ სიმაგრეში და აქედან უნდა წარმოშდგარიყო სახელწოდება „ციხე-რუა“.

116. მდინარე კ ი ნ კ უ ლ ი.

სახელწოდება მდინარისა გაგარის სექტორში³.

გრამატიკული აღნაგობა სახელწოდებისა (ბოლოკიდური ფორმანი „-ულ-ი“). ქართულია.

117—118. მდინარე ხ ო ს თ ა (ხოსტა).— ხ ა მ ი შ ი ო⁴.

ხოსთა (ხოსტა) არის სახელწოდება როგორც ძველი ისტორიული პუნქტისა შიდა ჰენიოხეთში, ისე მდინარისა, რომლის ნაპირასაც ეს პუნქტი მდებარეობს (იხ. ხემოთ, გვ. 162). მეორე სახელწოდება მდინარისა არის ხ ა მ ი შ ი ო.

119. მდინარე მ ა წ ე ს თ ა.

მ ა წ ე ს თ ა არის სახელწოდება როგორც დასახლებული პუნქტისა, ისე მდინარისა შიდა სანიხეთში (იხ. ხემოთ, გვ. 162).

120—121. ბ რ უ ხ ი ს წყალი, * ბ რ უ ხ ო ნ თ ა. — მ ი ძ ღ ლ ი ს წყალი.

სახელწოდებანი სოკის მდინარისა ანტიკურ ხანაში⁵.

პირველი სახელწოდება ბ რ უ ხ ი ს წყალი, * ბ რ უ ხ ო ნ თ ა (—ბრუხონტა) დაკავშირებულია კავკასიის მთიელების ბრუხების ტომის სახელთან, რომელიც მოსახლეობდა იმიერ-კავკასიაში, აფხაზეთის მხარეთა და აღანუთს შორის⁶. სოკის-წყალის სათავეები არის კავკასიის მთების იმ სექტორში, რომელიც ესახლერებოდა ბრუხების ტერიტორიას და აქედან მომდინარეობს სახელწოდება ბრუხის წყალი, ბრუხონთა. ბოლოკიდური „-ნ-თა“ ამ სახელწოდებაში ბრუხონთა (ბრუხონტა) იმავე ტიპისაა, როგორც ქართულ გეოგრაფიულ სახელებში ბიკეინთა (ბიკეინტა), ბუქეინთა (ბუქეინტა), კორინთა და სხვანი.

მეორე სახელწოდება მდინარისა მიძღლის წყალი (Μιζυχο) საფიქრებელია მომდინარეობს გეოგრაფიული პუნქტის სახელიდან.

122. ნ ე ს ი ს წყალი.

ასე ეწოდება ანტიკურ ხანაში მდინარეს, რომელიც ერთვის შავ ზღვას ბზის კონცხთან (შიდა ჰენიოხეთში)⁷.

¹ მდინარე ფშია ერთვის ზღვას ბზის ჩრდილოეთით (4 კილომეტრზე დაშორებით).

² რუსულ 5-ვერსტიან რუკაზე: „Цихе(-)рва“.

³ იხ. ფრ. დიუბუა დე მონპერე, op. cit., I, გვ. 203, 214.

⁴ ხ ა მ ი შ ი ო ეწოდება მდინარეს და ამავე დროს მთელ ხეობას, თემს (ხამიშის თემი მოხსენებული აქვს ევლია ჩელეხის).

⁵ იხ. მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, SC, I, 278. (შეად. არიანე, SC, I, გვ. 223; კლავდი პტოლემე, SC, I, გვ. 240).

⁶ იხ. პრატოპი კესარიელი, de bello Gotlico, VII (ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, II, გვ. 105).

⁷ იხ. არიანე, loc. cit.; მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, loc. cit.

123. მდინარე ახეს (ახეის) წყალი, *ახეუნთა.

სახელწოდებანი მდინარისა შიდა ჰენიოხეთში (აფხაზეთის ჯიქეთის სახლვართან) — ანტიკურ ხანაში¹; ამჟამად შახე ეწოდება.

სახელწოდება *ახეუნთა (→ახეუნტა) იმავე ტიპის სიტყვის-წარმოებაა, როგორც ზემოთ განხილულნი ბრუნონთა (ბრუნონტა), ბიკეინთა (ბიკეინტა).

124. მდინარე აშე-ლალი.

აფხაზეთის ჯიქეთის ერთ-ერთი ნავთსადგური ატარებდა სახელწოდებას აშე-ლალი, რაც მდინარის სახელიდან მომდინარეობს. სახელწოდება, როგორც გამოირკვა, ქართული წარმოშობისაა. მეორე სიტყვა ამ ორნაწილედ სახელწოდებაში „ლალი“ — იგივეა, რაც მეგრული „ლალი“ (=მდინარე), რასაც ზოგად-ქართულში შეესატყვისება „ღელე“ (იხ. ზემოთ, გვ. 165)

*

125—126. აფხაზეთის მხარეთა მდინარეების ისტორიულ სახელწოდებათა განხილვის დასასრულს აქ გამოვყოფთ და ცალკე შევხებით მდინარეთა ორ სახელწოდებას:

ა. მდინარე ნიკოფსისი ანუ ნიკოფსია;

ბ. მდინარე ლაგუმფსა.

მდინარე, რომელსაც ეწოდებოდა ნიკოფსისი ანუ ნიკოფსია, მომდინარეობს აფხაზეთის მხარეთა ჩრდილოეთ საზღვართან; როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, იგი ერთის შავ ზღვას ქალაქთან, რომლის თავდაპირველი სახელი იყო ლახიკა. უფრო გვიან სახელწოდება მდინარისა ქალაქზედაც იქნა გადატანილი და ქალაქ ლახიკას შემდეგ ეპოქაში ეწოდება ესევე სახელი ნიკოფსისი ანუ ნიკოფსია. მე-5 საუკუნის გეოგრაფოსის პერიპლუსში ამ ქალაქის შესახებ აღნიშნულია (იხ. SC, I, გვ. 275): ... „Παλαιὰ Ἀδῆ· αἴθ' ἐν τῇ (ზღვა) ἡ νῦν λεγ· μῆνη Νίκα (ქ)...“ — „... ძველი ლახიკა, სადაც ამჟამად არის ეგრეთწოდებული ნიკოფსისი...“. მე-10 საუკუნის ავტორის კონსტანტინე პორფიროგენეტის წიგნი (De administrando imperio, c. 42) — მოხსენებულია „მდინარე ნიკოფსისი, სადაც მდებარეობს ამავე სახელწოდების ქალაქი“.

რაც შეეხება მეორე მდინარეს, რომელსაც ეწოდებოდა ლაგუმფსა, იგი აღნიშნულია აფხაზეთის მხარეთა სამხრეთ ზონაში. (ეს მდინარე სახელწოდებით ლაგუმფსა *Λαγυμψα* მოხსენებულია მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსში)².

რა წარმოშობისაა ეს სახელწოდებები?

აკად. სიმ. ჯანაშია წერილში „ჩერქეზული (ადილეური) ელემენტი საქართველოს ტოპონიმიაში“ აყენებს დებულებას, რომ სახელწოდებანი ნიკოფსისი ანუ ნიკოფსია და ლაგუმფსა — ჩერქეზული წარმოშობისაა; ჩერქეზულად სიტყვა „ფს“ ნიშნავს წყალს, და მდინარეთა სახელწოდებანი, რომელთაც ერთის ეს სიტყვა, ნიკოფსისი (ნიკოფსია) და ლაგუმფსა, — ჩერქეზულ სახელწოდებებს წარმოადგენენო³.

რამდენად შეეფერება სინამდვილეს ეს მტკიცება?

¹ იხ. არიანე, loc. cit.; მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პერიპლუსი, loc. cit.

² იხ. SC, I, 275. მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსი, განმარტავს რა მე-2 საუკუნის ავტორის არიანეს ტექსტს, აღნიშნავს, რომ ლაგუმფსა ამჟამად ეწოდებოდა მდინარეს, რომელსაც ძველად ჰიპპოსი (ჰენის-წყალი) ერქვათ. ჰიპპოსი (ჰენის-წყალი) კოდორის ძველი სახელწოდებაა. (იხ. ზემოთ, გვ. 178). მე-5 საუკუნის ანონიმი ძველი და ახალი სახელწოდებების გაიგივებაში, როგორც ირკვევა, სცდება; ლაგუმფსა, როგორც ამას გვიჩვენებს სახელწოდებათა შეხვედრა, ჩანს, არის თანამედროვე ლაგუაშა — *ლაგუან-ფშა, რომელიც ჰენის-წყალის (კოდორის) მეზობლად მომდინარეობს. (ფ. ბრუნი, წერილში — *Восточный берег Черного моря по древним периплсам и компасовым картам*, აგრეთვე მიდის იმ დასკვნამდე, რომ ლაგუმფსა არის ლაგუაშა, იხ. გვ. 248).

³ იხ. ს. ჯანაშიას დასახელებული წერილი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის მოამბე, 1940 წ., ტ. I, № 8, გვ. 623—627.

თავდაპირველად საჭიროა აღინიშნოს, რომ მდინარეების ანალოგიური სახელწოდებანი, რომლებშიც ჩვენ გვაქვს ეს ფუძე-სიტყვა ფსი (ფსა) || ფსისი, იგივე ფასი || ფასისი, გვხვდება არა მარტო აფხაზეთის მხარეთა ამ მდინარეთა სახელწოდებებში — ნიკოფსისი (ნიკოფსია) და ლაგუმფსა, არამედ შიდა საქართველოს მთელ რიგ მდინარეთა სახელებში. ასეთებია: გ. პირველ რიგში ისტორიული სახელწოდება კოლხეთის მთავარი მდინარისა — რიონისა — ფასი, ფასისი.

დ. ისტორიული სახელწოდება კოროხის მდინარისა — აკამ-ფსისი (=აკამ-ფასისი), რომლის პირველადი სახეობაა *ქაკამ-ფასისი. ფორმა აკამ-ფსისი დამოწმებულია არიანეს პერიპლუსში და პროკოპი კესარიელთან¹. VII—IX საუკუნეთა უსახელო გეოგრაფიაში აღნიშნულია, რომ ხალდები (ქანები) კოროხს უწოდებდნენ სახელს „აკამ-არი“, ხოლო ეგრისელები „ქაკამ-ფსისი“². ხალდური (ქანური) სახელწოდება კაკამარი იგივეა, რაც კაკამელი, კაკამელა, ე. ი. კაკამის მდინარე (შეადარეთ მდინარეთა ანალოგიური სახელები: ჩხერიმელა, წყუზამელა და სხვ. ქანურში დაბოლოება „-არი“ აღნიშნავს იმასვე, რასაც „ელი“; შეადარეთ ოპიხარი || ოპიხელი). ხოლო მეორე სახელწოდება ქაკამ-ფსისი (← *კაკამ-ფასისი) ორნაწილადი სიტყვაა. „ფსი“ (ფს-ისი) აქ წყალს აღნიშნავს; კაკამ-ფსისი (კაკამ-ფასისი), ე. ი. კაკამ-მდინარე, კაკამ-წყალი³.

ე. სახელწოდება მდინარისა სუფსა, რომლის პირველადი სახეა *სურ-ფსა. ეს მდინარე ლებულობს სათავეს ტემბში, რომლის სახელწოდებაა *სურ-ი, სურ-ებ-ი. სურ-ფსა ნიშნავს: სურის (სურების) წყალი⁴.

ვ. ტერიტორია ზემო-არაქსის ხეობისა — ბასიანი (ფასიანი) — ანტიკურ ხანაში, როგორც ცნობილია, ქართველ ტომთა განსახლების ზონაში შედიოდა, იგი შეადგენდა მესხეთის მხარეთა ნაწილს. აქაც ჩვენ გვხვდება იგივე სახელწოდება ფასისი; სახელდობრ ფასისი ერქვა მდინარე არაქსის ზემო-ტოტს, რომელიც ბასიანის ტერიტორიაზე მომდინარეობს (იხ. ქსენოფონტეს ანაბაზისი, წ. IV, თ. 6, § 5; კონსტანტინე პორფიროგენეტის De administrando imperio, c. 45). ზემო არაქსის ტოტის ამ სახელწოდებიდან ფასისი მომდინარეობს თვით პროვინციის სახელწოდებაც ფას-იანი (რომლის სახენაცვალე ფორმაა ბას-იანი).

ამრიგად, როგორც ვხედავთ, სახელწოდებანი მდინარეებისა, სადაც წარმოდგენილია ეს ფუძე-სიტყვა ფსი || ფსისი, ფასი || ფასისი, ფართოდ ყოფილა გავრცელებული ისტორიული საქართველოს მიწა-წყალზე, დაწყებული აფხაზეთის მხარეებიდან — ვიდრე მესხეთამდე, კოროხის ხეობამდე და არაქსის სათავეებამდე.

ცხადია, თუ დავუშვებდით, რომ ეს სიტყვა ფსი || ფსისი, ფასი || ფასისი — ჩერქეზულიდან მომდინარეობს, მაშინ უნდა დაგვეშვა, რომ ეს ტერიტორია ოდესღაც დასახლებული იყო ჩერქეზთა ტომებით, რომელთაც დაუტოვებიათ კვალი ადგილობრივ ტოპონიმიკაში. აკად. სიმ. ჯანაშია აკეთებს კიდევ ასეთ დასკვნას. იგი ვარაუდობს, რომ დასავლეთი საქართველო ვიდრე გურიამდე (სუფსის ხეობამდე), ასევე მესხეთი (კოროხის = აკამ-ფასისის ხეობა), ეთომც ოდესღაც ჩერქეზული ტომებით იყო დასახლებული, რა ტერიტორიაც შემდეგ ქართველებმა დაიკავესო. სიმ. ჯანაშია თავის წერილს ასე დაასკვნის: „ზემო თქმულის გათვალისწინებით საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმიკა უდავოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს (საცილობელი საკითხები ამ წერილში არც კი აღგვიძრავს). ეს კი ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევია“.

ეს შეხედულება, რომელიც ასეთის კატეგორიულობით არის წარმოდგენილი, არ შეეფერება სინამდვილეს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ არ შეიძლება გამოტანა ასეთი უდიდესი მნიშვნელობის დასკვნებისა, რომლებიც ხალხის ისტორიის ძირითად საკვანძო საკითხებს ეხება, — ასეთის სა-

¹ იხ. არიანე, პერიპლუსი (SC, I, 219); პროკოპი კესარიელი, de bello Gothico, VIII, 2 (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, გვ. 93).

² იხ. უსახელო გეოგრაფია VII—IX საუკუნეთა, ა. სურის გამოცემა, 1881 წ., გვ. 35.

³ აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ კოროხს, პარალელად ამ ორნაწილადი სახელწოდებისა* კაკამ-ფასისი, პირდაპირ რქმევია აგრეთვე ფასისი. ეს ჩანს პროკოპი კესარიელის ტექსტის მიხედვით (იხ. de bello Persico, II, 29, ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, II, 71—72). ამას გარდა, ანდრია მოციქულის მიმოსვლის ძველ ქართულ თარგმანში ბერძნული დედნის ფასისი ქართულად გადმოცემულია როგორც კოროხი (იხ. ქართული ტექსტი — საქართველოს სამოხბე, 1882 წ., გვ. 36 17—18; ბერძნული ტექსტი — ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 1, გვ. 58 17—18).

⁴ სახელწოდება სუფსას ეტიმოლოგიის შესახებ (*სურ-ფსა) იხ. ნ. მარი, O звыках и историчи Аджаров (კრებული), 1938 წ., გვ. 179 და ს. ჯანაშია, დასახლებული წერილი.

ბუთიანობით, სულ რამდენიმე სიტყვის (არსებიდან სამი სიტყვის) საექვო ეტიმოლოგიზაციის საფუძველზე.

ჩერქეზულ ენაზე სიტყვა „ფს“ აღნიშნავს წყალს, მაგრამ აქედან არაფერი არ გამომდინარეობს. საქმე ის არის, რომ ამავე ფუძისეული სიტყვა არსებული არქაული პერიოდის ქართულ-შიც, რა დროსაც ეკუთვნის ამ გეოგრაფიულ სახელწოდებათა წარმოშობა.

ხოლო ის ფაქტი, რომ ამავე ძირის სიტყვა ჩვენ გვხვდება აგრეთვე ჩერქეზულშიაც, აიხსნება იმით, რომ ჩერქეზული ერთგვარ ნათესაობაში იმყოფება ქართულთან (საერთო წარმოშობის სიტყვები არა ერთი და ორი მოაპოვება ქართულსა და ჩერქეზულში), ან და, შესაძლოა იმითაც, რომ ეს სიტყვა ჩერქეზულში ნასესხებია ქართულიდან.

ხოლო ქართულ ენაში რომ სიტყვა ფას - ი || ფს - ი (აქედან ფას-ის-ი, ფს-ის-ი) ძირეულია და აღნიშნავდა ცნებას „წყალი“, ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ამ ფუძეს მრავალგვარი განშტოება მოეპოვება ქართულში.

ასე, განშტოებას ამ ფუძე-სიტყვისას ფას-ი || ფს-ი (=წყალი) წარმოადგენენ:

სიტყვა „ფ შ ა“, რაც ნიშნავს წყაროს, წყალს;

„ფ შ ა ნ ი“ — დიდი ფშა (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „მრავალ-ფშა“), წყარო-მდინარე;

„ფ შ ა - ტ ა ლ ა“ — სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „წყალი თოვლ-ნარევი“;

„ფ ო ს ო“, „ფ ო ს ვ ი“, — „დაღრმობილი“, წყლოვანი ადგილი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *urina*-ს სახელი ქართულად *ფ(ა)სელი—*ფს-ელი*, საიდანაც უდავოდ დასტურდება, რომ ფუძე ფას || ფს აღნიშნავდა ცნებას წყალი¹.

მეგრულ დიალექტზე ტერმინი „ფსია“ მიემართება ადიღებულ მდინარეს, აღნიშნავს წყლის დიდრობას, დიდ-წყალიანობას.

ასეთი მრავალგვარი განშტოება ამ სიტყვისა ქართულში იმისი მაჩვენებელია, რომ ეს ფუძე ფას-ი || ფს-ი ძირეულია ქართულ ენაში და გადმოსცემდა ცნებას წყალი.

აღნიშნულის შემდეგ საკითხი გარკვეულად უნდა ჩაითვალოს.

ამრიგად სახელწოდებანი ზემოთჩამოთვლილი მდინარეებისა, და კერძოდ სახელი კოლხეთის მთავარი მდინარისა ფას-ი, ფას-ის-ი, არაა უცხოური წარმოშობისა, არამედ ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის².

¹ *urina*-ს სახელწოდება ქართულად რედუქცია-ქინილი ფორმაა, მომდინარე ძირითადი სახეობიდან: *ფ(ა)ს-ელი. ქართული ენის ფონეტიკის თანახმად დართვა ხმოვნიანი ბოლოკიდური ფორმანტისა („-ელი“) იწვევს რედუქციას (ხმოვნის გაკრობას ფუძეში) და ამ გზით არის მიღებული სრული ფორმიდან „ფას-“ შეკუმშული ფორმა „ფს-“ *ფს-ელი*.

² კერძოდ, რომ სახელწოდება მდინარისა ნიკოფსისი || ნიკოფსია ქართული წარმოშობისაა, ამას, გარდა ზემოთ-აღნიშნულისა, ადასტურებს თვით გრამატიკული აღნიშვნა ამ ტერმინებისა; ბოლოკიდური ფორმანტი „-ია“ (ნიკოფს-ია) და „-ისი“ (ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი დართული ფუძე-სიტყვისათან: ნიკოფს-ისი);— დამახასიათებელია ქართული სიტყვის-წარმოებისათვის. აღსანიშნავია ამას გარდა ისიც, რომ როდესაც შემდგომ ხანაში ამ კუთხეში დამკვიდრდნენ ადიღეველნი (ჩერქეზები), მათ შესცვალეს ეს სახელწოდება როგორც ნიკოფსუხო || ნიგებუსუხა, ანუ ნიჩეფსუხო || ნიჩეფსუხა, რაც იმისი მაჩვენებელია, რომ ადიღეველთათვის უცხო იყო ამ სახელწოდებათა უძველი (ქართული) ფორმა, დამოწმებული საისტორიო წყაროებში: ნიკოფსისი, ნიკოფსია.

რაც შეეხება მეორე მდინარის სახელწოდებას ლაგუმ-ფსა (*Лагум-фса*), აქ საჭიროა დამატებით აღვნიშნოთ შემდეგი:

ამ მდინარეს, როგორც ზემოთ გვქონდა მითითებული (იხ. გვ. 183), აშეამად ეწოდება ლაგუმა, ხოლო მისი სახელწოდების აღრინდელი ფორმა, ჩანს, არის *ლაგუმან-ფშა. მდინარის ნაპირას მდებარეობს სოფელი, სახელწოდებით ო-ლაგუმან-ე, ხოლო მდინარე სათავეს ლებულობს სექტორში, სადაც მდებარეობდა სოფელი ფშია ანუ ფშა (იხ. ზემოთ, გვ. 173). ამ პუნქტების სახელწოდებანი ო-ლაგუმან-ე (|| ლაგუმანი) და ფშია (|| ფშა), ცხადია, კავშირში იმყოფება მდინარის სახელწოდებასთან *ლაგუმან-ფშა. ამრიგად მე-5 საუკუნის ანონიმი ავტორის გადმოცემულ ფორმას *Лагум-фса* (ლაგუმ-ფსა) შეეფარდება *ლაგუმან-ფშა. აქ

აფხაზეთის მხარეების მდინარეთა სახელებში ფუძე-სიტყვა „ფას-ი“ (აღსანიშნავად ცნებისა „მდინარე“, „წყალი“), — გარდა მდინარეებისა ნიკო-ფსისი (ნიკო-ფსია) და ლაგუმ-ფსა, დაძოწმებულია საისტორიო წყაროებში პარალელურ სახელწოდებათა სახით შემდეგ მდინარეთა მიმართ:

127. მდინარე ახუნთა = ბასი (*ფასი).

მდინარე ახუნთა, რომელიც შიდა სანიხეთის და აფხაზეთის ჯიქეთის სახლვარზე მომდინარეობდა (იხ. ხემოთ, გვ. 183), ატარებდა პარალელურ სახელწოდებას ბასი. მე 5 საუკუნის ანოიმი გეოგრაფოსის პერიკლესში აღნიშნულია: „მდინარე ახუნთა, რომელსაც აგრეთვე ეწოდება ბასი, გაჰყავს ჯიქებს სანიხებისაგან“¹. ეს მეორე სახელწოდება მდინარისა ბასი — იგივეა რაც ფასი (შეადარეთ ბას-იანი = ფას-იანი).

128. მდინარე თესკრი (თეწკრი) = ფასი (ფსუ).

მდინარე, რომელიც ანტიკურ ხანაში მოიხსენება სახელწოდებით თესკრი ანუ თეწკრი (იხ. ხემოთ, გვ. 179), აგრეთვე ატარებდა მეორე სახელს *ფასი || ფსი. ივლია ჩელების (XVII ს.) ეს მდინარე მოხსენებული აქვს სახელით ფსუ, resp. ფესუ (Phessu); ამჟამად მას ფსოუ ეწოდება. ეს ნაგვიანევი ფორმები ფსუ, ფსოუ წარმოადგენენ დერიატს პირველადი სახეობიდან: ფასი || ფსი.

*

მდინარეთა სახელწოდებაში სიტყვას ფასი || ფსი, ზოგჯერ დაერთვის როგორც აღნიშნული გვექონდა, ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი მხოლოდობითი რიცხვისა „-ისი“ და ამგზობით სიტყვიდან ფასი || ფსი იწარმოება ფას-ისი || ფს-ისი (ფასი || ფას-ისი, — სახელწოდება რიონისა, *კაკამ-ფსი || *კაკამ-ფსისი, — სახელწოდება ჭოროხისა; ნიკო-ფსი || ნიკო-ფსისი, — სახელწოდება ჯიქეთის, *ძველი ლახიკის“ მდინარისა).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ სიტყვას ფასი || ფსი დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი არა მარტო მხოლოდობითი რიცხვისა („-ისი“), არამედ აგრეთვე მრავლობითი რიცხვისაც („-თა“) და ამრიგად ფუძე-სიტყვიდან ფასი || ფსი ჩვენ ვღებულობთ როგორც ფორმას ფას-ისი || ფს-ისი, ისე ფორმას *ფას-თა || ფს-თა.

ეს სიტყვა, ფორმით „ფსთა“, ჩვენ გვხვდება მთელ რიგ მდინარეთა სახელებში. ამათ რიცხვს ეკუთვნის:

129. სოკა-ფსთა = სოკის მდინარე.

ძველი სახელწოდება სოკის მდინარისა, როგორც აღნიშნული გვექონდა, იყო ბრუნობითი (იხ. ხემოთ, გვ. 182). მეორე სახელწოდება მდინარისა ყოფილა „სოკა-ფსთა“, ე. ი. სოკის მდინარე, რაც ხმარებაში იყო მე-19 საუკუნემდე². (აღვნიშნავთ ამასთან, რომ არსებულა მდინარის სახელწოდების აგრეთვე შემდეგი ფორმა: „სოკალი“³. ეს შესაძლო სახელწოდებაც, ისევე როგორც პირველი ორი, ქართული წარმოშობისაა: მისი აღნაგობა ქართულია, ბოლოკიდურია „-ალი“ ქართულ ფორმანტს, ფუძის დეტერმინანტს წარმოადგენს).

130. ანაკო-ფსთა = ანაკის მდინარე.

ასე ეწოდება მდინარეს, რომელიც ერთვის ზღვას გაგრის ვიწრობთან. (ამ სახელწოდებაში „ანაკო-ფსთა“ = ანაკის მდინარე — ფუძე-სიტყვა ანაკ-ი იგივეა, რაც მთელ რიგ ქართულ გეოგრაფიულ სახელებში: ანაკ-ეთი, ანაგ-ა, ანაკ-ობ-ია || ანაკ-ოფ-ია; შეად. ხემოთ გვ. 151).

საჭიროა ხაზი გავესვათ შემდეგ გარემოებას: როგორც არ უნდა იყოს ეტიმოლოგია ამ მდინარის სახელწოდებისა, თავისთავად ის ფაქტი, რომ მდინარის სათავეში მდებარე სოფელი ატარებდა სახელწოდებას ფსა, რასაც კავშირი აქვს მდინარის სახელთან (*ლაგუნ-ფსა || ლაგუნ-ფსა — ლაგუნ-ფსა), ერთხელ კიდევ ადასტურებს, რომ მდინარეთა სახელწოდებებთან დართული სიტყვა „ფსა“ — წყარო, წყალი, — იდენტურია, ორივენი ერთ ენობრივ წრეს, ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნიან.

¹ იხ. SC, I, გვ. 278.

² იხ. ფ. ბრუნი, op. cit., გვ. 258.

³ იხ. ფ. დიუბუა დე მონპერე, op. cit. I, გვ. 200—201, Sotcha იგივე Soutchali (თურქულ გადმოცემაში) — სოკალი.

131. კვდე-ფსთა, კვდეს მდინარე.

ასე ეწოდება მდინარეს, რომელიც შეერთვის ზღვას ხოსთას დასავლეთით. ეს მდინარე საზღვრის მდინარეს წარმოადგენდა: ძველ ხანაში იგი გაჰყოფდა საკუთრივ აფხაზეთის მხარეს (ზღვისპირა აფხაზეთს) შიდა სანიხეთიდან, ხოლო შემდეგ აფხაზეთს გაჰყოფდა უბი-ხების ტერიტორიიდან. ამის გამო საფიქრებელია, რომ ამ ორნაწილედ სახელწოდებაში კვდე-ფსთა = კვდეს მდინარე, პირველი სიტყვა „კვდე“ ეს არის სახენაცვალი ფორმა სიტყვისა „კიდე“, — იგი კიდის მდინარეს ნიშნავდა. აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ანალოგიური სახელწოდება ჩვენ სხვაგანაც გვხვდება აფხაზეთის მხარეებში; საზღვრის მდინარეს, რომელიც გაჰყოფს შუა-სოფლის მხარეს შიდა-გურისიდან, ეწოდება, როგორც ცნობილია, ლალი-ძგა, რაც სიტყვა-სიტყვით კიდის მდინარეს აღნიშნავს (ლალი — მეგრულად ნიშნავს მდინარეს, „ლელე“; ძგა ნიშნავს — „ძგიდე“, კიდე; ამრიგად სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობა სახელწოდებისა „ლალი-ძგა“ ასეთია: „ლელე კიდისა, კიდის მდინარე“).

ასეთია სახელები აფხაზეთის მხარეთა მდინარეებისა, რომელთაც დამატების სახით დაერთვის სიტყვა „ფსთა“ — მდინარე, და რაც თავისი მნიშვნელობით იგივეა, რაც „ფსისი“ („ფუსისი“)!.

*

დასასრულ, აღვნიშნავთ აფხაზეთის მხარეთა მთებისა და უღელტეხილების სახელებს, მოხსენებულს ძველ წყაროებში.

132. კოლის (კოლაეთის) მთები (იხ. ზემოთ, გვ. 143).

133. უღელტეხილი კოლხორი (იქვე, გვ. 143).

134. კორახის მთები (იხ. ზემოთ, გვ. 141).

სამივე ეს სახელწოდება კოლისა და კორახის მთებისა და კოლხორის უღელტეხილისა, დადაკავშირებული არის, როგორც გამოჩვენდება, აფხაზეთის მხარეებში მოსახლე კოლხთა ტომის სახელთან (იხ. გვ. 141, 143).

135. დარენი (დარენის გზა).

დარენი ეწოდებოდა უღელტეხილს, რომელზედაც გასდევდა გზა ჩრდილო კავკასიიდან (აღანეთიდან) აბსილეთში.

ისტორიული აბსილეთის ტერიტორიას ჩრდილო კავკასიასთან აერთებს უღელტეხილი მარუხი (მდინარე ჩხალთის სათავეებში). დარენი, როგორც იჩვენება, მარუხის უღელტეხილის სახელწოდება იყო².

¹ აღვნიშნავთ ამასთან, რომ ეს სიტყვა „ფსთა“ ქართულიდან შეთვისებულია აფხაზეთში (აფსუას ენაში) ფორმით „აფსთა“ და აქ იგი ხეობას, ხუეს ნიშნავს.

² მეექვსე საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის მენანდრე პროტექტორის მიერ აღწერილი მარშრუტით, ჩრდილო კავკასიიდან აბსილეთში მომავალი მგზავრი გამოიქცეოდა კავკასიონის უღელტეხილს — დარენის გზას და ჩამოვიდოდა პუნქტში, რომლის სახელწოდება დედნებში დაზიანებულად არის წარმოდგენილი როგორც (ΡΟ)ΓΑΤΟΠΙΟΝ (←*ΓΟ ΓΑΤΟΠΙΟΝ), რაც უდრის თეოდორე განგრელის ტექსტის (Σ)ΚΟΤΟΠΙΝ-ს და რაც გიორგი მთაწმიდელის დიდ სვინაქსარში გადმოცემულია როგორც კოტორი = კოდორი (იხ. გიორგი მთაწმიდელის სვინაქსარი, მე-11 საუკუნის ხელნაწერი. A-97, 13 ავეისტოს თარიღის ქვეშ. მენანდრეს და თეოდორე განგრელის ტექსტები იხ. სიმ. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, III, გვ. 236-237, IV, 1 გვ. 42). მენანდრე აგვიწერს შემდეგს მარშრუტს (—მისიმიანეთის გზის ავლით): მარუხის უღელტეხილი — მდინარე ჩხალთის სათავეები — ამტყელის ხეობა და დაბა კოდორი (რომელიც მდებარეობდა მდინარე კოდორის შუა წელში, წებელდის რაიონში, სადაც ამტყელის ხეობა ადგება მდინარე კოდორს; იხ. ზემოთ, გვ. 155—156). ხოლო დაბა კოდორიდან გზა მიემართებოდა ზღვისაკენ მდინარე კოდორის ხეობით.

თუ კი დარენი ყოფილიყო არა მარუხის, არამედ ნურის ან ცაგერ-კარის უღელტეხილი, გაშინ ჩვენ გვეჩვენებოდა მარშრუტი უღელტეხილიდან არა კოდორზე, არამედ ცხომზე.

სახელწოდება და რენი თავისი გრამატიკული სახეობით იმავე ტიპისაა, როგორც კავკასიონის მთების მეზობელი სექტორის გეოგრაფიული სახელწოდება საკენი (ბოლოკიდური „ნი“ მრავლობითი რიცხვის ნიშანი).

136. ს ტ რ ო ბ ი ლ ი ა ნ უ ს წ რ ო ბ ი ლ ი.

მე-2 საუკუნის ავტორის არიანეს ცნობით აფხაზეთის მთების ერთ-ერთ მწვერვალს (კოდორის ხეობაში), სადაც, ადგილობრივი გადმოცემით, მიჯაჭვული იყო პრომეთე (ამირანი), — ეწოდებოდა ს ტ რ ო ბ ი ლ ი.¹

აქ საკითხია აღვნიშნოთ, რომ ბერძნული დაწერილობა ამ სახელისა შესაძლოა ორგვარად იქმნეს წაკითხული: როგორც „სტრობილი“ და როგორც „სწრობილი“ (ბერძნული ტრანსკრიფცია ქართული სახელები დაწვრილობით „ს“ გადმოკვეცვს როგორც კომპლექს „სტ“, ისე კომპლექს „სწ“).

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ თვით ქართულ დიალექტებშიაც ჩვენ გვაქვს შენაცვლება ფონეტიკური კომპლექსებისა „სწ“ = „სტ“ (როგორც მაგალითად სწავლა = სტავლა, სწორი = სტორი და მისთანანი).

სახელწოდება ამ მწვერვალისა ს ტ რ ო ბ ი ლ ი ა ნ უ ს წ რ ო ბ ი ლ ი, როგორც ამას ცხად-პყფს თვით მისი გრამატიკული გაფორმება (ბოლოკიდური ფორმანტი „-ობილი“), წმინდა ქართულია.

დასასრულ, დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ მე-2 საუკუნის ავტორის არიანეს ცნობა უაღრესად მნიშვნელოვანია კერძოდ იმ მხრივაც, რომ ამ ცნობის თანახმად აფხაზეთის ქართველ ტომთა შორის ანტიკურ ხანაში გავრცელება ჰქონია ქართველი ხალხის უძველეს თქმულებას პრომეთე-ამირანის შესახებ².

*

ამ ნარკვევით აფხაზეთის მხარეთა ისტორიული გეოგრაფიის შესახებ, აფხაზეთის ისტორიული ტოპონიმიკის, გეოგრაფიული სახელების ქართულ ენობრივ სამყაროსთან კავშირის შესახებ, ჩვენ ვამთავრებთ ამ სპეციალურ გამოკვლევას საკითხისას, თუ როგორი იყო აფხაზეთის მხარეთა მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში.

როგორც გამოიკვეა, აფხაზეთის მხარეები ძირეული ქართული ქვეყანაა, რომელიც ძველი დროიდანვე ქართველებით იყო დასახლებული. აფხაზეთის მხარეების მოსახლეობა ქართული იყო როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში და, კერძოდ, საშუალო საუკუნეთა იმ მონაკვეთზე, მე-8 საუკუნეში, როდესაც დაარსდა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფო“.

¹ იხ. არიანე, SC, I, გვ. 223.

² აღვნიშნავეთ ამასთან, რომ თქმულება პრომეთე-ამირანის (ამრსკილის) შესახებ დღემდე ფართოდ არის გავრცელებული აფხაზეთის მხარეში. თქმულებას ამირანზე აფხაზეთში აკავშირებენ კილოუს (ქალის) მღვიმესთან, სადაც ვითომც დატყვევებულია ამირანი.

ამირანის თქმულების ამ ადგილობრივი ლოკალიზაციის მიხედვით ამირანის მთა ს ტ რ ო ბ ი ლ ი (ს წ რ ო ბ ი ლ ი) რქმევია ფანავის ქედის მთავარ მწვერვალს, რომელიც დასცქერის კილოუს მღვიმეს და სადაც ღებულობს სათავეს კილოუსთან მომდინარე დასავლეთი სათავე მოქვის-წყალისა.

მეორე საუკუნის ავტორის არიანეს აღწერით ამირანის მთა ს ტ რ ო ბ ი ლ ი (ს წ რ ო ბ ი ლ ი) სახილველი იყო ზღვაზე მოხაუართათვის კოდორის ხეობის ზონაში (ჰიპოს — ასტელეფის ზაზზე); ასეთია სწორედ ფანავის ქედის დასახლებული მწვერვალი, რომელიც გამოირჩევა კოდორის ხეობის პანორამაში.

გადავდივართ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ რა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მოხდა ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი ქართველი ხალხის ისტორიაში, დაარსება მე-8 საუკუნეში დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოსი“, რითაც საზღვარი დაედვა უცხო ძალების — ბიზანტიელებისა და არაბების — ბატონობას ძველი კოლხეთის, დასავლეთ საქართველოს მიწა წყალზე და შეიქმნა პირობები ქართული სახელმწიფოებრივობისა და ქართული კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის.

2

დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოს“
დაარსების ისტორიისათვის

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ საშუალო საუკუნეთა დასაწყისში დასავლეთ საქართველოს ქვეყნები გაერთიანებული იყო სახელმწიფოებრივ ერთეულში, რომელსაც ეწოდება ლაზეთის ანუ ეგრისის სამეფო (იგივე კოლხეთი).

ლაზეთის ეს სამეფო ამ დროისათვის საკმაოდ ძლიერსა და მნიშვნელოვან სახელმწიფოს და ამასთან მაღალ-კულტურულ ქვეყანას წარმოადგენს.

მე-4—6 საუკუნეებში ლაზეთის სამეფოს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის მაგისტრალურ ხაზს განსაზღვრავდა მისი გეოგრაფიული მდებარეობა ისეთ ზონაში, სადაც ერთი-მეორეს ხედებოდა პოლიტიკური ინტერესები ამ ეპოქის ორი დიდი იმპერიისა, აღმოსავლეთ-რომისა (ბიზანტიისა) და სასანიანთ ირანისა.

ლაზეთის სამეფოს ხელმძღვანელებს ამ ეპოქაში უხდებოდათ ელასტიკური პოლიტიკის წარმოება ამ ორი მეზობელი იმპერიის მიმართ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად. მე-4—6 საუკუნეებში ლაზეთის სამეფო პოლიტიკურ კავშირში იმყოფება ხან ბიზანტიასთან, ხან ირანთან.

თუ რამდენად დაწინაურებული და მაღალ-კულტურული ქვეყანა ამ დროს ლაზეთი, ეს შეგვიძლია გავითვალისწინოთ ამ ეპოქის ბიზანტიელი ავტორების ცნობებიდან. ერთ-ერთი ბიზანტიელი ისტორიკოსი მე-6 საუკუნისა შემდეგს წერს ლაზეთის შესახებ:

„ლაზეთი — ძლიერი და მამაცი ხალხია და სხვა ძლიერ ხალხებსაც მბრძანებლობენ. ისინი ამყოფენ კოლხთა ძველი სახელით და ზომაზე მეტად ქედმაღლობენ და, უნდა ითქვას, არც თუ უსაფუძვლოდ. იმ ხალხებს შორის, რომლებიც სხვა სახელმწიფოს გავლენის ქვეშ იმყოფებიან¹, მე არ მეგულება არც

¹ 562—582 წლებში, რა დროსაც ეკუთვნის ეს ცნობა, ლაზეთის სამეფო ბიზანტიის გავლენის სფეროში იყო მოქცეული.

ერთი სხვა ესოდენ სახელგანთქმული და მორქმული, როგორც თავისი სიმდიდრის სიუხვით, ისე ქვეშევრდომთა სიმრავლით, როგორც მიწა-წყალის სიჭარბით და მოსავლიანობით, ისე ხასიათის სილამაზით და სიცქეიტიით... მას შემდეგ, რაც არგოს ნავი მოადგა მათ ნაპირებს [ე. ი. იაზონისა და კოლხეთის მეფის აიეტის ხანის შემდეგ], ისინი (კოლხები — ლაზები) შეუდგნენ ნაოსნობა-მეზღვაურობას და ვაჭრობაშიაც დიდ სარგებლობას ნახულობენ. და, საერთოდ, ისინი სრულებითაც არ არიან ბარბაროსნი და არც მათებურ ცხოვრებას ეწევიან. არამედ რომაელებთან ურთიერთობის შედეგად ლაზებს შემოღებული აქვთ სახელმწიფოებრივი წყობა და მათი ცხოვრება კანონებზე დამყარებით არის მოწყობილი. ასე რომ, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას... საკვირველსა და დაუჯერებელ ამბებს, რაც პოეტებმა ასეთის ხელოვნებით შეთხზეს აიეტის (ძველი კოლხეთის მეფის) შესახებ, შესაძლოა გადაჭრით ითქვას, რომ მათი (ლაზების) ახლანდელი ვითარება კიდევ უფრო უკეთესია, ვიდრე წარსული“¹.

*

ლაზეთის სამეფოს დიდი პოლიტიკური კრიზისის ხანა დაუდგა მე-6 საუკუნეში. აპ დროს, მე-6 საუკუნის 20-იანი წლებიდან მოკიდებული, იწყება დიდი და ხანგრძლივი ომები ბიზანტიისა და ირანის იმპერიებს შორის პოლიტიკური უპირატესობის მოპოვების მიზნით ლაზეთში. ეს ომები, რომელიც ორმოც წლამდე გაგრძელდა და თვით ლაზეთის ტერიტორიაზე წარმოებდა, რამაც დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას, — იმით დასრულდა, რომ ლაზეთის სამეფო საბოლოოდ ბიზანტიის იმპერიის გავლენის სფეროში რჩება.

ამის შემდეგ, მე-6 საუკუნის 60-იანი წლებიდან მოკიდებული, ბიზანტიის იმპერია მკვიდრად გაბატონდება ლაზეთში, თანდათანობით ზღუდავს ლაზეთის სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და აუქმებს „მეფობას“.

ბიზანტიამ მეფობის ინსტიტუტის გაუქმება ლაზეთში თავდაპირველად სცადა ძალიან მარტივი და უხეში საშუალებით, ზურგს უკან ვერაგულად მოწყობილი პოლიტიკური მკვლელობის გზით. 554 წელს, როდესაც ჯერ კიდევ ომი წარმოებდა ბიზანტიასა და ირანს შორის, ბიზანტიის მხედართმთავრებმა ვერაგულად მოჰკლეს ბიზანტიელთა მოკავშირე ლაზეთის მეფე გუბაზ II.

ამან უდიდესი აღშფოთება და მღელვარება გამოიწვია ლაზეთში. სახალხო კრებაზე, რომელიც ლაზეთში გაიმართა პოლიტიკური მდგომარეობის გამო და სადაც ბჭობის საგანი იყო ორიენტაციის საკითხი, კრების მონაწილე ლაზი დიდებული აიეტი, ცნობილ ისტორიულ სიტყვაში, მოითხოვდა კავშირის გაწყვეტას ბიზანტიასთან და პირდაპირ ბრალსა სდებდა ბიზანტიის იმპერატორს იუსტინიანეს, რომ ეს ვერაგული მკვლელობა ლაზეთის ქვეყნის მეთაურისათვის იმპერატორის შთაგონებით არის მოწყობილიო².

¹ იხ. ავათია სქოლასტიკოსის ისტორია, III, 5.

² იხ. აიეტის სიტყვა ავათია სქოლასტიკოსის ისტორიაში, III, 9—10.

ბიზანტიის მთავრობა იძულებული გახდა ანგარიში გაეწია ლაზეთში და-
წყებული მღელვარებისათვის, მოეწყო გასამართლება მკვლელობის გამო და
სიკვდილით დაესაჯა ლაზთა მეფის უშუალო მკვლევები — ბიზანტიელი ნი-
დართმთავრები, ხოლო ლაზეთის ტახტზე მეფედ დაემტკიცებინა გუბაზ II-ის
ძმა, წათე II.

მაგრამ მას შემდეგ, რაც დასრულდა ომი ბიზანტიასა და სპარსეთს შორის
და 562 წლის ზავის შედეგად ბიზანტია საბოლოოდ გაბატონდა ლაზეთში, ბი-
ზანტია, როგორც მოვიხსენეთ, თანდათანობით ზღუდავს ლაზეთის სახელმწი-
ფოებრივ დამოუკიდებლობას და აუქმებს ლაზეთში „მეფობას“. მეფობის
ინსტიტუტის გაუქმება, როგორც ირკვევა, მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში
მომხდარა; ამ დროიდან მოკიდებული ლაზეთის ქვეყნის მეთაურნი აღარ ატა-
რებენ „მეფის“ წოდებულებას.

ბიზანტიამ თუმცა გააუქმა „მეფობა“ ლაზეთში, მაგრამ ბიზანტიის მთა-
ვრობას მაინც ვერ დაუნახავს შესაძლოდ ლაზეთის პოლიტიკური ავტონომიის
მთლიანად მოსპობა. ლაზეთი შედის ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში არა რო-
გორც პროვინცია, ბიზანტიის თემი, არამედ როგორც ავტონომიური ერთე-
ული, რომლის სათავეში დგას ადგილობრივი მთავარი, „ლაზეთის პატ-
რიკიოსის“ (პატრიკიოს-მაგისტროსის) ტიტულით.

*

მომდევნო ხანის ისტორია დასავლეთ საქართველოსი მე-6 საუკუნის მეო-
რე ნახევრიდან მოკიდებული მე-8 საუკუნემდე სრულიად შეუსწავლელია, და
ამით აიხსნება, რომ ღღემდე არ არის სწორ ისტორიულ პერსპექტივაში წარ-
მოდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტი საშუალო საუკუნეთა საქართველოს
ისტორიისა, როგორც არის დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის სამეფოს“
დაარსება მე-8 საუკუნეში.

ამის გამო ჩვენ მოგვიხდება აღვადგინოთ მაგისტრალურ ხაზებში ძირი-
თადი მომენტები დასავლეთ საქართველოს ისტორიისა მე-6—8 საუკუნეთა
მანძილზე.

თავდაპირველად შევჩერდებით დასავლეთ საქართველოს მმართველი
მთავრების სიაზე.

საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ მე-6 საუკუნის დასასრულს
600-იანი წლების ახლო ხანებში, ლაზეთის მთავრების „პატრიკიოსების“ ხა-
რისხი დაუმკვიდრებია ლაზთა ერთ გვარეულობას და ამის შემდეგ ეს ხარისხი
ამ გვარის მემკვიდრეობით კუთვნილებად ხდება. ამ დროიდან დაედვა საფუ-
ძველი ლაზეთის მთავრების (პატრიკიოსების) ახალ დინასტიას.

ლაზეთის მთავართა ამ დინასტიის მთელმა რიგმა მოღვაწეებმა, როგორც
შემდეგ გამოირკვევა, მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს დასავლეთ საქართვე-
ლოს მომდევნო ხანის პოლიტიკურ ისტორიაში.

თვით დაარსება დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოსი მე-6 საუკუნეში ამ დინასტიის მოთავეობით მომხდარა და ეგრეთწოდებული „აფხაზეთა“ დინასტია, ეს არის, როგორც შემდეგ დავინახავთ, იგივე დინასტია ლაზეთის მთავრებისა.

ამრიგად, არ მომხდარა არავითარი „შეცვლა“ დინასტიებისა, მით უფრო არ მომხდარა არავითარი „შეცვლა“ ეთნიკური ჯგუფებისა და „დაპყრობა“ დასავლეთ საქართველოსი აფხაზეთა მიერ (ხოლო, რაც მთავარია, თვით აფხაზები, იგივე ქართველები იყვნენ, იმავე საკუთრივ ქართულ ეთნიკურ ჯგუფს ეკუთვნოდნენ, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი ქართველი ტომები — ქართვები, მეგრელები და სვანები).

ქართული ავთენტური წყაროები (პირველ რიგში „დივანი მეფეთა“, ისტორიული მემორანდუმი, გამოქვეყნებული მეფის ბაგრატ III-ის, საქართველოს გამაერთიანებლის, მიერ), და ამის გვერდით ჩვენებანი ბიზანტიური წყაროებისა (თეოფანე ჟამთააღმწერელი, თეოდოსი განგრელი), გვაძლევენ საშუალებას აღვადგინოთ სრული გენეალოგიური ნუსხა ამ დინასტიისა, რომლის წარმომადგენელნი ჯერ ატარებენ ტიტულს ლაზეთის პატრიკიოსებისა, მერმე აფხაზეთის ერისთავებისა (როდესაც მე-7 საუკუნის ბოლო წლებში არაბები დაიპყრობენ დასავლეთ საქართველოს ძირითად ტერიტორიებს და ლაზეთის პატრიკიოსები გამაგრდებიან აფხაზეთში), ხოლო შემდეგ დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ მეფეებისა (მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველოს ქვეყნები განთავისუფლებულ იქმნა უცხოელთა ბატონობისაგან).

ვინაიდან ჩვენ ქვემოთ არა ერთგზის მოგვიხდება მოვიხსენოთ ცალკეული მოღვაწენი ამ დინასტიისა, მოგვყავს აქ მათი გენეალოგიური ნუსხა, აღდგენილი ქართული და უცხოური წყაროების ჩვენებათა მიხედვით¹.

¹ ძირითადი წყაროები გენეალოგიური ნუსხისა:

ა) „დივანი მეფეთა“. — აქ მოიხსენებიან შემდეგნი მთავარნი. ერისთავნი და მეფენი, რომლებიც სიაში აღნიშნული გვაქვს ნომრებით: 1—4, 6, 7, 9, 10, 12—17, 20—25.

ბ) ჯუანშერის ქრონიკა. — მოიხსენება ლეონ I.

გ) მატიანე ქართლისა. — მოიხსენება ლეონ I და მეფეები, რომლებიც გენეალოგიურ სიაში აღნიშნული გვაქვს ნომრებით: 14—17, 20—22, 22-ა, 23—25.

დ) გიორგი მერჩულე. — მოიხსენებიან მეფე დემეტრე II, ბაგრატ შაროელი (უფლისწული), ანასტასია-ბეკრეულისი (დედოფალი) და მეფეები კონსტანტი III და გიორგი II.

ე) თეოდოსი განგრელი. — მოიხსენებიან მთავრები: გრიგოლ I და ბარნუკი (ლეობარნუკი) I და გიორგი I.

ვ) თეოფანე ჟამთააღმწერელი. — მოიხსენებიან მთავრები ბარნუკი (ლეობარნუკი) I და გიორგი I.

ზ) ნიკოლოზ I კონსტანტინეპოლის პატრიარქი. — მოიხსენება მეფე გიორგი II.

თ) კონსტანტინე პორფიროგენეტი იმპერატორი. — მოიხსენება მეფე გიორგი II.


ი) იოანე სომეხთა კათალიკოზი. — მოიხსენება მეფე კონსტანტი III.

კ) სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი). — მოიხსენებიან მეფეები კონსტანტი III და თეოდოსი III.


დაწერილებითი განმარტება გენეალოგიური ნუსხისა, ქრონოლოგიის განსაზღვრით, წარმოდგენილია სპეციალურ ექსკურსში (იხ. დამატებანი).

**გენეალოგიური წესბა ლაზეთის მთავართა (ვატრიკიოსთა),
შემდეგ დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფეთა**


ა.
ლაზეთის
მთავარნი
(ვატრიკი-
ოსნი)



ბ.
აფხაზეთის
მხარეთა
მკრისტავენი



გ.
დასავლეთ
საქართვე-
ლოს („აფ-
ხაზეთის“)
მეფენი



* 858—881 წლების მანძილზე დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მეფეთა ტახტზე უპირა მეროვ დინასტიის (შავლიანთა სახლის) მეფეებს: 18. იოანე I-სა და 19. ადარნერსე I-ს.

გავეცნოთ ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს — ლაზეთის მხარეების პოლიტიკური ისტორიის მთავარ მომენტებს მე 6 — 8 საუკუნეთა მანძილზე.

წინასწარ რამდენიმე შენიშვნა ლაზეთის სამთავროს საზღვრების შესახებ. ბიზანტიური წყაროების ჩვენებათა თანახმად, მას შემდეგ, რაც ლაზეთის ყოფილი სამეფო ბიზანტიის ფარგლებში მოექცა, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული საზღვრები ამ მხარისა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

ბიზანტიურ წყაროებში მე-7 საუკუნის 60-იან წლებში მოიხსენებიან ლაზეთის მთავარი გრიგოლი (რომელსაც წყაროებში ეწოდება „ლაზთა ქვეყნის ქეშმარიტად ქრისტესმოყუარე პატრიკიოსი და მაგისტროსი“, აგრეთვე „სახელოვანი და ღმრთივ-დაცული პატრიკიოსი და ღმრთივ მაგისტროსი“), რომლის მემკვიდრეა ლაზეთის მთავარი ლეზარეუკი ანუ ბარეუკი (რომელიც ასევე „ლაზეთის პატრიკიოსის“ ტიტულით მოიხსენება)¹. წყაროებიდან ირკვევა, რომ მათ დროს ლაზეთის სამთავროს ფარგლებში შედიოდა დასავლეთ საქართველოს იგივე ქვეყნები, რაც ძველად, ლაზეთის სამეფოს არსებობის დროს, სახელდობრ შემდეგი მხარეები:

ა) შიდა-ეგრისი და არგვეთი (ე. ი. თანამედროვე იმერეთი, სამეგრელო და გურია, ქობულეთ-ბათუმის რაიონით), — ვიდრე სკანდა-შორაპნის ხაზამდე აღმოსავლეთით და კოროხის ხაზამდე სამხრეთით;

ბ) სვანეთი და თაკვერი (ე. ი. თანამედროვე სვანეთი და რაჭა-ლეჩხუმი)²;

გ) აფხაზეთის მხარეებიდან ორი მხარე: აბსილეთი და მისიმიანეთი, აგრეთვე — „შუა სოფელი“ (მოქვისა და დრანდის თემები). კერძოდ, აქ, „შუა სოფელში“, იყო ერთ-ერთი რეზიდენცია ლაზეთის მთავრისა³.

რაც შეეხება საკუთრივ აფხაზეთს (ე. ი. ცხუმი-ბიჭვინთის მხარეს), ჯერ კიდევ ლაზეთის სამეფოს არსებობის დროს, მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში, იმპერატორმა იუსტინიანემ სცადა მისი გამოყოფა ლაზეთის სამეფოდან და უშუალოდ მისი ბიზანტიასთან დაკავშირება⁴. ასევე იმავე იუსტინიანეს დროს ეკლესიურადაც აფხაზეთი ცალკე ერთეულად იქმნა ჩამოყალიბებული.

ამის შემდეგ აფხაზეთის პროვინცია ერთგვარად განკერძოებულ ადგილს იჭერს ლაზეთის მხარეთა შემადგენლობაში. იგი თუმცა ლაზეთის ქვეყნის ნაწილად ითვლება (და მოსახლეობის შემადგენლობითაც იგი ქართულია), მაგრამ პოლიტიკური გავლენა ბიზანტიისა აქ უფრო ძლიერია, ვიდრე ლაზეთის სხვა მხარეებში. ასეთი მდგომარეობა შეიქმნა მე-6 საუკუნეში და ასეთი მდგომარეობა გაგრძელებულა აქ მე-7—8 საუკუნეებშიაც.

¹ იხ. თეოდოსი განჯრელი (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, IV, 1, გვ. 50, 49) და თეოდანე გამთაღმწერელის მატრიანე (ibid., გვ. 105).

² იხ. თეოდოსი განჯრელი, გვ. 41—43.

³ იხ. იქვე გვ. 42, 44—48, 50.

⁴ იხ. იუსტინიანეს ნოველა XXXI/XXVIII (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, II, გვ. 198).

ბიზანტიის მფლობელობამ დასაველეთ საქართველოში, ლაზეთის სამთავროსა და აფხაზეთში, ორი საუკუნე გასტანა. (პირველი პერიოდი ბიზანტიელთა მფლობელობისა გრძელდება მე-6 საუკუნიდან მე-7 საუკუნის ბოლომდე, ხოლო მეორე გზის, არაბთა ხანმოკლე ბატონობის შემდეგ, დასაველეთი საქართველო ისევ ბიზანტიელთა მფლობელობის ქვეშ იმყოფება მე-8 საუკუნის 50-იანი წლებიდან 80-იან წლებამდე).

დასაველეთი საქართველო, როგორც ამის შესახებ უკვე გვექონდა საუბარი და როგორც ამას თვითონ ბიზანტიელი ავტორები აღნიშნავენ, იმდენად დაწინაურებული და მაღალკულტურული ქვეყანაა ამ დროს, ძველი სახელმწიფოებრივი ტრადიციებით, რომ იგი, ცხადია, ასე ადვილად არ შეირგებია უცხოელთა ბატონობას.

თვით ბიზანტიაც, როგორც აღვნიშნეთ, ძალაუნებურად ანგარიშს უწევდა ამ გარემოებას, და ამით იყო გამოწვეული, რომ ბიზანტია იძულებული გახდარა შეენარჩუნებინა ლაზეთის ქვეყნისათვის ერთგვარი პოლიტიკური ავტონომია.

აღსანიშნავია, რომ ლაზეთის მთავრებს-პატრიკიოსებს თავი დამოუკიდებლად უპირავთ ბიზანტიის მიმართ, ისინი თავს თვლიან ბიზანტიის არა ქვეშევრდომებად, არამედ ბიზანტიის მოკავშირეებად.

როგორც გადმოგვცემს ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ჟამთააღმწერელი, ერეკლე კეისრის ხანაში, მისი ხანგრძლივი ლაშქრობის დროს აღმოსავლეთში (მე-7 საუკუნის 20-იან წლებში)—ლაზები და აფხაზები (ე. ი. აფხაზეთის ქართველები), იბერიელებთან ერთად, ოფიციალურადაც ბიზანტიის მოკავშირეების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და სამხედრო თაბიბრების დროს ისინი თვით კარნახობდნენ სამხედრო გეგმებს. ხოლო როდესაც მათი გეგმა არ იქმნა განხორციელებული, ლაზები და აფხაზები, — როგორც გადმოგვცემს იგივე ისტორიკოსი, — „გამოეთიშნენ რომაელთა მოკავშირეობიდან და საკუთარ ქვეყანაში დაბრუნდნენ“¹.

მე-7 საუკუნის მანძილზე, როგორც ირკვევა, არა ერთგვის ჰქონია ადგილი კონფლიქტს ბიზანტიასა და ლაზეთის სამთავროს შორის. ასე, მაგალითად, თეოდოსი განგრელის თხზულებიდან, რომელიც მე-7 საუკუნის 60-იან წლებს ეხება, ჩვენ ვგებულობთ, რომ ამ დროს, 60-იან წლებში, ორგზის ყოფილან გადაყენებული ლაზეთის მთავრები.

ურთიერთობა ბიზანტიასა და ლაზეთის სამთავროს შორის მე-7 საუკუნის მეორე ნახევარში, როგორც ირკვევა, დიდად გამწვავებული ყოფილა; ეს მტკიცდება იმ ამბებიდან, რაც ამის შემდეგ, მე-7 საუკუნის დასასრულს, დატრიალდა.

მე-7 საუკუნის მეორე ნახევრიდან ლაზეთის სამთავროს საზღვრებთან ჩნდება ახალი ძალა — არაბობა. ამ დროს არაბებმა მკვიდრად მოიდგეს ფეხი კავკასიაში და არაბთა ხალიფატი უშუალო მეზობელი გახდა ლაზეთის სამთავროსი.

¹ იხ. თეოფანე ჟამთააღმწერელი, იქვე, გვ. 97.

მე-7 საუკუნის დასასრულს, 697 წელს, ლაზეთის სამთავროში მოხდა აჯანყება ბიზანტიის წინააღმდეგ ლაზეთის მთავრის გიორგი ბარნუკის-ძის მოთავეობით.

რა ვითარებაში მომზადდა და ჩატარდა ეს აჯანყება, ამის შესახებ ცნობები არ შენახულა; ირკვევა მხოლოდ, რომ აჯანყებულნი ცდილან გამოეყენებინათ ბიზანტიელების წინააღმდეგ არაბები.

ბიზანტიელი ისტორიკოსი თეოფანე ქამთააღმწერელი ამ აჯანყების გამო წერს:

„697 წელს აჯანყდა [ბიზანტიის წინააღმდეგ] ლაზეთის პატრიკოსი გიორგი ბარნუკის-ძე და ეს ქვეყანა [ლაზეთი] არაბებს დაუქვემდებარა¹.

როგორც მოვიხსენეთ, საისტორიო წყაროებში არ შენახულა ცნობები იმის შესახებ, თუ რა ვითარებაში მომზადდა და ჩატარდა აჯანყება, თუ როდის მიმართეს აჯანყებულებმა არაბებს, აჯანყების დასაწყისშივე, თუ შემდეგ, როდესაც გამოირკვა, რომ აჯანყებულნი საკუთარის ძალებით ვერ უმკლავდებოდნენ ბიზანტიელებს.

ყოველ შემთხვევაში აქ ხაზგასასმელია შემდეგი. ის გარემოება, რომ საშუალო საუკუნეთა იდეოლოგიის პირობებში, როდესაც ასეთი გასავეალი ჰქონდა სარწმუნოებრივ შეუთრგებლობას, აჯანყებულნი დაკავშირებიან „ურწმუნო“ არაბებს ერთმორწმუნე ბიზანტიელების წინააღმდეგ, გვიჩვენებს, თუ რამდენად დიდი ყოფილა უკმაყოფილება ბიზანტიელთა საუკუნე-ნახევრის ბატონობით დასავლეთ საქართველოში.

აჯანყებულებმა, ცხადია, გარკვეული დაპირებანი მიიღეს არაბებისაგან. მაგრამ ეს დაპირებანი, როგორც მოსალოდნელი იყო, არ იქმნენ გამართლებულნი.

უახლოეს ხანებში გამოირკვა, თუ რამდენად შემცდარი იყო ის გზა, რომელიც აჯანყებულებმა აირჩიეს არაბებთან კავშირის გაბმით.

საქმე საბოლოოდ იმით დასრულდა, რომ არაბებმა გზა გაიხსნეს დასავლეთ საქართველოსაკენ.

არაბებმა ფაქტიურად დაიკავეს დასავლეთი საქართველო თითქმის მთლიანად, გარდა ზოგიერთი ზღვის სანაპირო ქალაქებისა, რომლებიც შეინარჩუნეს ბიზანტიელებმა.

ამრიგად, 697 წლის აჯანყების შემდეგ ქვეყანამ არა თუ თავისუფლება ვერ მოიპოვა, არამედ იგი ბევრად უფრო მძიმე განსაცდელში ჩავარდა. ბიზანტიელების მფლობელობა შეიცვალა ბევრად უფრო მძიმე უღლით, არაბების ბატონობით.

*

არაბების ბატონობამ დასავლეთ საქართველოში გასტანა ნახევარი საუკუნე, 697 წლიდან — მე-8 საუკუნის 40-იან წლებამდე.

თუ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა არ ურიგდებოდა და წინააღმდეგობას უწევდა ბიზანტიელთა მფლობელობას, მით უფრო მძაფრი წინააღ-

¹ იხ. თეოფანე ქამთააღმწერელი, იქვე, გვ. 105.

მდგომარეობა უნდა გამოეწვივა არაბების ბატონობას, რომელიც აქაც, დასავლეთ საქართველოში, იმავე ბარბაროსულ სახეს ატარებდა, მოსახლეობის ისეთივე უსაზღვრო შევიწროებით, არაბთა ლაშქრის ისეთივე დამსჯელი ექსპედიციებით, როგორც კავკასიის სხვა ქვეყნებში.

მე-8 საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებში დასავლეთ საქართველოში გაიშალა ფართო მოძრაობა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ.

არაბთა საწინააღმდეგო ამ მოძრაობას ორგანიზებული სახე მისცა და სათავეში ჩაუდგა ლაზეთის მთავარი ლეონ I.

ლეონ I მეტად მნიშვნელოვანი ფიგურაა მე-8 საუკუნის საქართველოს ისტორიაში. ლეონ პირველმა, როგორც არაბთა საწინააღმდეგო მოძრაობის ორგანიზატორმა და ხელმძღვანელმა, დიდი ღვაწლი დასდო თავის ქვეყანას.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა განხილვა და საერთო პოლიტიკური სიტუაციის გათვალისწინება გვადლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ლეონ I-ის მოღვაწეობა ხასიათდებოდა დიდი სახელმწიფოებრივი ტაქტით, პოლიტიკური ვითარების სწორი შეფასებით.

ლეონ I, მას შემდეგ, რაც იგი შესდგომია არაბთა საწინააღმდეგო ბრძოლას, გასცლია შიდა-ეგრისს, სადაც მკვიდრად ჰქონდათ ფეხი მოკიდებული არაბებს, გადასულა ლაზეთის ქვეყნების ჩრდილოეთ სანაპიროზე — აფხაზეთში და იქ გამაგრებულა.

მე-8 საუკუნის ოციან წლებამდე აფხაზეთი, ისევე როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენი მხარეები, არაბების ხელში იყო. ამ დროს „სარკინოზებს ეპყრათ აბაზგიაც, ლაზიკეც და იბერიაც“ — როგორც ეს აღნიშნულია თეოფანე ეპიმთაღმწერელის მატიანეში (ცნობა — 717 წლის თარიღით).

ლეონ I-ს გაუთავისუფლებია არაბებისაგან აფხაზეთის მხარეები, როგორც საკუთრივ აფხაზეთი, ისე აბსილეთი, მისიმიანეთი და სანიგეთ-ჯიქეთი (ტერიტორია შემდგომი ხანის აფხაზეთის სამფლობელოსი).

ლეონ I-ს აფხაზეთის მხარეთა განთავისუფლებისათვის ბრძოლების დროს ახლო ურთიერთობა დაუმყარებია ბიზანტიასთან.

ლეონ I-სათვის, როგორც რეალური პოლიტიკოსისათვის, რასაკვირველია, აშკარა უნდა ყოფილიყო, რომ იგი ვერ შესძლებდა ვერც აფხაზეთის მხარეების შენარჩუნებას და ვერც შემდგომი ბრძოლის განგრძობას დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისათვის არაბთა მსოფლიო იმპერიის — ომეიადების ხალიფატის წინააღმდეგ, თუ იგი არ დაემყარებოდა მეორე დიდ საერთაშორისო ძალას ამ ეპოქაში, ე. ი. ბიზანტიის იმპერიას.

ამის გამო ლეონ I-ს პოლიტიკური კავშირი დაუმყარებია ბიზანტიასთან და უტყვნია ბიზანტიის კეისრის სიუზერენიტეტი. ამავე დროს თვით ბიზანტიასაც გარკვეული ვალდებულებანი აუღია და, კერძოდ, ლეონ I-ის დინასტია უტყვნია მეგვიდრობით მფლობელებად არაბებისაგან განთავისუფლებული აფხაზეთის მხარეებისა, — კეისრის ერისთავის — აკონტის ტიტულით¹.

ბიზანტიის სიუზერენიტეტის აღიარება ლეონ I-ის მიერ ეს იყო, რასაკვირველია, კომპრომისი, მაგრამ იგი ნაკარნახევი იყო პოლიტიკური მდგომარე-

¹ იხ. ჯუანშერის მატიანე, გვ. *420/201, *424—426/205—206, *429/208—209.

ობის სწორი შეფასებით. ეს იყო ნაკლები ბოროტება და ამასთან ერთად ერთი გამოსაყალი შექმნილს პოლიტიკურ ვითარებაში.

ამ გზით დაედვა საფუძველი ახალ პოლიტიკურ ერთეულს „აფხაზეთის“ სამფლობელოს, რომლის ფარგლებშიაც გაერთიანდა არაბთაგან განთავისუფლებული ლაზეთის ქვეყნის მთელი ჩრდილოეთ-დასავლეთი ნაწილი, — აფხაზეთის მხარეები, — საკუთრივ აფხაზეთი, აბსილეთი, მისიმიანეთი და სანიგეთ-ჯიქეთი ვიდრე ნიკოფსიამდე (ძველ ლაზიკამდე).

ლეონ I, მფლობელი ლაზეთის ამ ჩრდილო-დასავლეთი სანაპიროსი — აფხაზეთის მხარეებისა, ჩანს, წარმატებით განაგრძობდა ბრძოლას არაბთა წინააღმდეგ.

რომ ლეონ I-ს მნიშვნელოვანი წარმატებისთვის მიუღწევია არაბებთან ბრძოლაში, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ ლეონ I-თან ურთიერთობაში შესულან და კავშირი გაუბამთ ანტიარაბული ფრონტის მეთაურებს. იბერიის (ქართლში), იბერიის მთავრებს მირსა და არჩილს.

არაბებს გადაუწყვეტიათ ერთხელ და სამუდამოდ მოესპოთ წინააღმდეგობის ეს კერა დასავლეთ საქართველოში. ამ მიზანს ისახავდა ის დიდი ლაშქრობა, რომელიც ჩაატარა დასავლეთ საქართველოში 736—738 წლებში ხალიფის მოადგილემ კაფკასიაში ამირა მურვანმა, რომელსაც უმაგალითო სისასტიკის გამო ქართველმა ხალხმა სახელად შეარქვა „მურვან ყრუ“.

არაბთა მხედრობამ, თვით მურვანის სარდლობით, ცეცხლითა და მახვილით გაიარა დასავლეთ საქართველოზე. როგორც მოგვითხრობს მემატიაწე, მურვანმა „შემუსრნა ყოველნი ქალაქნი და სიმაგრენი“ დასავლეთ საქართველოსი, კერძოდ, დაანგრია ლაზეთის ყოფილი სამეფოს ძველი დედაქალაქი ციხე-გოჯი (ნაქალაქევი)¹.

დასავლეთ საქართველოს შიდა-ნაწილის (არგვეთისა და შიდა-ეგრისის) აოხრების შემდეგ, მურვანი შეიქრა აფხაზეთის მხარეებში, სადაც გამაგრებული იყვნენ ლეონ I და მისი მოკავშირეები იბერიის მთავარი მირი და არჩილი. მემატიაწის სიტყვით, მურვანის ლაშქარმა „შემუსრა და შევლო ზღუდე, საზღვარი კლისურისა, ... შემუსრა ქალაქი აფხაზეთისა და აფშილეთისა ცხუმი“². არაბთა ლაშქრის ერთი ფრთა (სულეიმან ისამის-ძის სარდლობით) ავიდა მისიმიანეთში, აიღო და გაანადგურა ეგრეთ-წოდებული „რკინის-ციხე“³.

ცხუმის ალების შემდეგ არაბთა ლაშქარი, მურვანის მხედართმთავრობით, მოადგა ანაკოფიის ციხეს, აფხაზეთის მხარეთა შუა ნაწილში.

აქ, ანაკოფიის მიდამოებში, შეჩერებულ იქმნა არაბთა ჯარის ეს მსველლობა. გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელიც გაუმართეს არაბებს ანაკოფიის კედლებთან იბერიისა და აფხაზეთის შეერთებულმა ჯარებმა, გამარჯვება ერგო იბერიელ-აფხაზთა შეერთებულ მხედრობას.

ამავე დროს არაბთა ჯარში, როგორც ჩანს, ქირიც გაჩენილა. ამის შემდეგ მურვანი იძულებული გამხდარა უკან დაეხია აფხაზეთის მხარეებიდან⁴.

¹ იხ. ჯუანშერის მატიაწე, გვ. *419/201.

² იხ. ჯუანშერის მატიაწე, გვ. *419—420/201 (ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 149)-

³ იხ. თეოფანე ეპითაღმწერელი, იქვე, გვ. 115.

⁴ იხ. ჯუანშერის მატიაწე, გვ. *419—424/201—204.

ასე დასრულდა მურვან ყრუს ეს ექსპედიცია დასავლეთ საქართველოში, რომლის შემდეგ საბოლოოდ განმტკიცდა პოლიტიკური მდგომარეობა ამ ახალი პოლიტიკური ერთეულისა, — „აფხაზეთის“ სამფლობელოსი. არაბები თუმცა ამის შემდეგაც ფლობენ დასავლეთ საქართველოს ძირითად ნაწილს, მაგრამ ლაზეთის ქვეყნის ეს ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი — „აფხაზეთის“ სამფლობელო — საბოლოოდ თავისუფლდება არაბთა ბატონობისაგან.

ზემოთ-დასახელებული ანაკოფიის ბრძოლა ღირსსახსოვარი იყო კერძოდ იმის გამო, რომ აქ ერთად, ერთი დროშის ქვეშ, იბრძოდნენ იბერიელები და აფხაზები (ე. ი. აფხაზეთის ქართველები). საერთო საქმისათვის ერთად დაღვრილი სისხლი იბერიელებისა და აფხაზებისა იყო საწინდარი საქართველოს ამ ორი მხარის, იბერიისა და ლაზეთ-აფხაზეთის, მომავალი პოლიტიკური ერთობისა.

*

ახალი მოსაბრუნე თარიღი დასავლეთ საქართველოს ისტორიაში იწყება მე-8 საუკუნის 40-იან—50-იან წლებიდან.

მე-8 საუკუნის 40-იან წლებში არაბთა ხალიფატში, როგორც ცნობილია, იწყება დიდი შინაგანი არეულობა. ამირა მურვანი (მურვან ყრუ), ომეიადების დინასტიის წევრი, 744 წელს მიდის კავკასიიდან სირიაში და ბრძოლების შემდეგ იქერს ხალიფის ტახტს. მაგრამ მღელვარება და არეულობა ხალიფატში ამით არ დასრულებულა და თანდათან ძლიერდებოდა.

ეს შინაგანი არეულობა ხალიფატში დასრულდა ომეიადების დინასტიის დაღვრით. მურვანი, უკანასკნელი ხალიფა ომეიადთა დინასტიისა, მოკლულ იქმნა 750 წელს.

ამის შემდეგაც, უახლოეს წლებში, სანამ განმტკიცდებოდა მდგომარეობა ახლად დამკვიდრებული აბასიდების დინასტიისა, არაბთა ხალიფატი მოკლებულია საშუალებას გამოიჩინოს აქტივობა ხალიფატის ისეთ შორეულ სანაპიროზე, როგორც იყო კავკასია.

ამავე დროს, იმ დიდი რეფორმების შედეგად, რომლებიც ჩატარდა ბიზანტიაში გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის და დიდი მხედართმთავრის ლეონ III ისაერიელის (717—741 წ.წ.) დროს, იწყება ნამდვილი აღორძინება ბიზანტიისა და მისი სამხედრო ძლიერების განუხრელი ზრდა. 740 წელს მოპოვებულ იქმნა დიდი გამარჯვება არაბებზე. ამის შემდეგ, ლეონ III-ის მემკვიდრის კონსტანტინე IV-ის დროს, 745 და 751 წლებში, ბიზანტიამ დიდი სამხედრო წარმატება მოიპოვა ხალიფატთან ომებში და იმპერიასთან შემოერთებულ იქმნა მნიშვნელოვანი ტერიტორიები სირიაში, მესოპოტამიაში და სომხეთში.

რაც შეეხება საქართველოს ქვეყნებს, იბერიასა და დასავლეთ საქართველოს, ლაზიკა-აფხაზეთს, რომლებიც ჯერ კიდევ ხალიფატის ძლიერების ხანაში აქტიურ წინააღმდეგობას უწევდნენ არაბებს, ამის შემდეგ, როდესაც არაბთა ხალიფატს კრიზისის ხანა დაუდგა, თავს დააღწივენ არაბთა ბატონობას.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ სწორედ ამ დროს, მე-8 საუკუნის 40-იან—50-იან წლებში, იბერიის მთავრის არჩილის დროს აღდგე-

ნილ იქმნა, თუმცა ხანმოკლე დროის მანძილზე (744—759 წლებში), იბერიის (ქართლის) დამოუკიდებლობა, „მეფობა ქართლისა“¹.

ამავე დროს, მე-8 საუკუნის 40-იან — 50-იან წლებში, მომხდარა დასავლეთ საქართველოს განთავისუფლება არაბთა მფლობელობისაგან.

აქ, დასავლეთ საქართველოში, არაბთა წინააღმდეგ ჩვენ გვაქვს საერთო ფრონტი ბიზანტიის იმპერიისა და დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოსი.

მთავარი როლი დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებაში არაბთა ბატონობისაგან შეუსრულებია, როგორც ირკვევა, დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს, რომელიც, ჯერ კიდევ არაბთა მფლობელობის ხანაში, გადაიქცა დასავლეთ საქართველოს თავისუფლების პირველ კერად.

რაც შეეხება ბიზანტიას, დახმარება ბიზანტიისა ამ შემთხვევაში, როგორც ირკვევა, არ ყოფილა იმდენად დიდი. ეს დახმარება, ჩანს, უფრო პოლიტიკური თანაგრძნობით განისაზღვრებოდა, ხოლო რაიმე მნიშვნელოვანი მონაწილეობა თვით ბრძოლებში ბიზანტიას არ მიუღია (ყოველ შემთხვევაში არავითარი ცნობა არც ქართულ წყაროებში და არც ბიზანტიურ წყაროებში არ შენახულა იმის შესახებ, რომ ბიზანტიას ამ ეპოქაში ეწარმოებინოს რაიმე სამხედრო ზეპირაცია დასავლეთ საქართველოში).

მას შემდეგ, რაც დასავლეთ საქართველო განთავისუფლებულ იქმნა არაბთა მფლობელობისაგან და ამრიგად ფაქტიურად ხელახლა გაერთიანდა ლაზეთის ყოფილი სამთავროს ქვეყნები და „აფხაზეთის“ მხარეები ერთ პოლიტიკურ ერთეულად — „აფხაზეთის“ მფლობელის მმართველობის ქვეშ, — ბიზანტიას, როგორც „აფხაზეთის“ სამფლობელოს სიუზერენს, უცვნია მომხდარი ფაქტი და მოუხდენია ამ ახალი მდგომარეობის პოლიტიკური რეგლამენტაცია. ამის შემდეგ „აფხაზეთის“ მფლობელი ოფიციალურად არის ცნობილი როგორც მეთაური გაერთიანებული დასავლეთ საქართველოსი, ბიზანტიის სიუზერენიტეტის ქვეშ.

ამ დროიდანვე ხმარებაში შემოდის დასავლეთ საქართველოს ზოგადი სახელწოდების სახით „ქუეყანა აფხაზეთისა“, როგორც დინასტიური ტერმინი, რამდენადაც „აფხაზეთის“ მფლობელი ამავე დროს არის მეთაური მთელი დასავლეთ საქართველოსი.

*

არაბთა განდევნით დასავლეთ საქართველოდან მე-8 საუკუნის შუა წლებში დასრულდა პირველი ეტაპი დასავლეთ საქართველოს განთავისუფლებისა.

ამის შემდეგ გადასაქრელი რჩება ისევ იგივე ძველი საჭირობოროტო საგანი — ბიზანტიელთა ოპიკის თავიდან მოშორების საკითხი.

ეს მეორე საკითხიც გადაჭრილ იქმნა იმავე მე-8 საუკუნეში, საუკუნის დასასრულს.

სახელმწიფო მოღვაწე, რომლის დროს და რომლის ხელმძღვანელობითაც შესრულებულ იქმნა ეს ისტორიული აქცია — განთავისუფლება დასავლეთ საქართველოსი ბიზანტიის პოლიტიკური ოპიკისაგან — იყო დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) მფლობელი ლეონ II.

¹ იხ. ხეშოთ, გვ. 31—33.

ლეონ მეორეს მიუღია „აფხაზეთის“ მფლობელის ხარისხი მე-8 საუკუნის 50-იან წლებში („მეფეთა დივანი“-ს ტექსტის მიხედვით დაახლოებით 753 წელს), ე. ი. იმ წლებში, როდესაც ბოლო ელებოდა არაბთა ბატონობას და საფუძველი ეყრებოდა დასავლეთ საქართველოს ქვეყნების გაერთიანებას ერთ პოლიტიკურ ერთეულად „აფხაზეთის“ მფლობელის მმართველობის ქვეშ.

ლეონ II-ის მმართველობა გაგრძელებულა თითქმის ნახევარი საუკუნე („მეფეთა დივანი“-ს ტექსტის მიხედვით 753 წლიდან—798 წლამდე).

ლეონ II-ის ამ ხანგრძლივი მმართველობის დროს მომხდარა დასავლეთ საქართველოს—„აფხაზეთის“ სამფლობელოს პოლიტიკური კონსოლიდაცია და მდგომარეობის განმტკიცება.

ლეონ II, რომლის მფლობელობის ქვეშ გაერთიანებულია ყოფილი ლაზეთის სამეფოს ქვეყნები, არ კმაყოფილდება კეისრის ერისთავის—არქონტის ტიტულით; ლეონ II, ვიდრე იგი გადაუდგებოდა ბიზანტიას და დამოუკიდებელ მეფობას აღადგენდა დასავლეთ საქართველოში, ამაზე ადრე, ჯერ კიდევ ბიზანტიის სიუზერენიტეტის ქვეშ, ღებულობს „მთავრის“ წოდებულებას.

„მთავრის“ ტიტულის მიღება ლეონ II-ის მიერ მე-8 საუკუნის 80-იან წლებზე ადრე მომხდარა. იოანე საბანის-ძის თხზულებაში, რომელიც ეხება დასავლეთ საქართველოს 781—782 წლებში, ლეონ II უკვე „მთავრის“ ტიტულით მოიხსენება.

იოანე საბანის-ძის თხზულებიდან ჩვენ ვხედავთ, თუ რა დიდი წარმატებისათვის მიუღწევია დასავლეთ საქართველოს ლეონ II-ის ხანგრძლივი მმართველობის დროს. ქვეყანას უკვე მოუშუშებია ძველი ქრილობები. დასავლეთი საქართველო ამ დროს, იოანე საბანის-ძის სიტყვით, „კრძალულ არს შიშისაგან სარკინოზთაჲსა“, ქვეყანა სარგებლობს მშვიდობიანი ცხოვრებით და მოწესრიგებული სახელმწიფოებრივი წყობით.

იოანე საბანის-ძის თხზულებიდან ჩვენ ვგებულობთ აგრეთვე, რომ ის კავშირი, რომელიც გაიბა იბერიასა და დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს შორის მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც იბერიელები და აფხაზები (აფხაზეთის ქართველები) ერთი დროშის ქვეშ იბრძოდნენ არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ, გრძელდება მე-8 საუკუნის მეორე ნახევარშიაც. იბერიელებს, რომელთაც ისევ უხდებათ ბრძოლის განგრძობა არაბთა წინააღმდეგ, ზურგი გამაგრებული აქვთ დასავლეთ საქართველოდან. ქართლის ერისპთავარს ნერსე II-ს, რომელიც მე-8 საუკუნის 80-იან წლებში განდგომას აშაფებდა არაბთაგან, როგორც ირკვევა, კავშირი ჰქონდა დამყარებული ლეონ II-სთან. (ნერსე ერისპთავარმა, განდგომის განცხადებამდე, წინასწარ დახიზნა თავისი ოჯახი დასავლეთ საქართველოში, ლეონ II-ის კარზე. უფრო გვიან, აქვე, დასავლეთ საქართველოში, ლეონ II-ის კარზე პოულობენ თავშესაფარს არაბთაგან ლტოლვილი იბერიელი ემიგრანტები)¹. ეს ახლო კავშირი და თანამშრომლობა ძალაში რჩება შემდეგ ხანაშიაც².

¹ იხ. ზემოთ, გვ. 38.

² მოვიგონოთ თანამშრომლობა იბერიის მეფე-კურაპალატის აშოტ I-ისა და დასავლეთ საქართველოს მეფის თეოდოსი II-ისა მე-9 საუკუნის პირველ მეოთხედში.

ლეონ II-ს, ვიდრე იგი ბიზანტიას გადაუდგებოდა და დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა, ამაზე უფრო ადრე დიდი დიპლომატიური წარმატებისათვის მიუღწევია ბიზანტიასთან პოლიტიკური ურთიერთობის ხაზით.

სახელდობრ ლეონ II-ის დროს მომხდარა შემოერთება დასავლეთ საქართველოსთან (დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოსთან) სამხრეთ კოლხეთის (ქანეთის) ტერიტორიისა— ტრაპიზონის მხარისა.

ჩვენ აქ მოგვიხდება საგანგებოდ შევჩერდეთ ამ საკითხზე.

როგორც ეს ირკვევა ბეოძნულ-რომაული და ქართული საისტორიო წყაროებიდან, ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში ქართველი ტომებით დასახლებული იყო სამხრეთი კოლხეთის (ქანეთის ანუ ქანეთ-ლაზეთის) ტერიტორია შავი ზღვის სანაპიროზე, დაწყებული ქოროხის შესართავიდან—ვიდრე მდინარე თერმოდონამდე (რომელიც ერთგის შავ ზღვას ქალაქ თერმესთან, 60 კილომეტრზე სამსუნის აღმოსავლეთით).

სამხრეთი კოლხეთი ამ ძველს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ საზღვრებში, ქოროხიდან ვიდრე თერმოდონამდე,—განიყოფება, როგორც ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისე ისტორიული თავგადასავლის მიხედვით, სამ დიდ სამხარეო ერთეულად:

1. რიზეს მხარე; 2. ტრაპიზონის მხარე; 3. კერასუნ-ფარნაკიის მხარე.

1. რიზეს მხარეში მოსახლე ქართველი ტომები ანტიკურ ხანაში ცნობილი იყვნენ უმთავრესად შემდეგი სატომო სახელწოდებებით: მაკრონები (მეგრელები). ანუ სანები (ქანები), სანიგები, ჰენიოხები. ამ ქართველი ტომების სახელიდან რიზეს მხარეს ანტიკურ ხანაში ეწოდება მაკრონთა—სანთა და ჰენიოხთა ქვეყანა, სანეთი Σανυαίη), იგივე სოსანეთი (*Σοσαυαία→Σοισαυαία), სანიგეთი (სოსანიგეთი)¹.

¹ სკიმნე ქიოსელთან და მენიპე პერგამელთან მხარეს ეწოდება სანეთი ანუ სანიკე Σανυαίη (იხ. ექსკურსტი სკიმნე ქიოსელთან 5 საუკუნის ანონიმ გეოგრაფოსთან, SC. I. გვ. 277, § 55 და სქოლიო; ექსკურსტი მენიპე პერგამელიდან იხ. სტეფანე ბიზანტიელთან, s. v. Χαλδία). პლინიუს სკუთხედ ამ მთაყმით მოსახლე ტომებს მოიხსენებს სახელწოდებებით სანნი, ჰენიოხნი (gens Sannorum. Heniochorum. იხ. NH, წ. V, § 11, SC. II, გვ. 179).—არიანეს ამ მთარეში მოსახლე ტომები (ვიდრე ძვდრელთა თემამდე) მოხსენებული ჰყავს სახელწოდებებით მაკრონი იგივე სანნი, ცანნი და ჰენიოხნი, ხოლო ქვეყანას ეწოდება სანეთი ანუ ცანეთი Σανυαίη→Θανυαίη; იხ. SC. I. 227, 219; მაკრონთა და სანთა იგივეობის შესახებ იხ. სტრაბონი, XII, თ. 3, § 13, SC. I, 158).—V საუკუნის ანონიმ გეოგრაფოსი იმეორებს არიანეს, სკიმნე ქიოსელის და მენიპე პერგაელის ცნობებს (იხ. SC. I. გვ. 272, 273, 276).—ანდრია მოციქულის მიმოლაგათა მოსახლეობებში მხარეს ეწოდება *სოსანეთი (*Σοσαυαία→Σοισαυαία) ანუ სოსანიგეთი (ქართულ ვერსიაში; იხ. ქვემოთ, გვ. 223—226).—იპოლიტეს „ქრონიკაში“ აქ მოსახლე ტომი აღინიშნება სახელწოდებით სანნი და სანიკნი (Sanni, qui appellant Sanices; იხ. Chr. Pasch II. გვ. 247).—პასქალურ ქრონიკაში მათ ეწოდება სანნი (დახიანებული წყითათა—„საღლები“) ანუ სანტიები, რომელთა მოსახლეობაც, ქრონიკის ცნობით, აღწევს ტრაპიზონის ზონამდე (ed. Bonn., 61).

გარდა ამ ძირითადი სატომო სახელწოდებებისა (მაკრონნი—სანნი, სანიგნი, ჰენიოხნი), ანტიკური ხანის ავტორებთან გვხვდება აგრეთვე შემდეგი სახელები:

ა) მხარის ჩრდილოეთ ნაწილში: ბიჭურნი (Βιჭυρες; მომდინარეობს გეოგრაფიული სახელიდან ბიჭ ანუ ვიჭი; ეს სახელწოდება Βιჭυρες იხ. ჰეკატე მილეტელთან, ფს.-სკილაქსთან, აპოლონ როდოსელთან, სტრაბონთან, პლინიუს სკუთხედსთან); ძვდრელნი (იხ. არიანესთან და V საუკუნის ანონიმ გეოგრაფოსთან; სახელწოდება ძვდრელნი ჩანს აგრეთვე მომდინარეობს გეოგრაფიული პუნქტის სახელიდან; შუად. კლავდი პტოლემესთან მოხსენებული პუნქტი Ζαδρίς; V საუკუნის ანონიმ გეოგრაფოსის ჩვენების თანახმად ბჭურნი ძველი სახელწოდებაა ამ კუთხის მცხოვრებთა [ძველი ცენტრის მიხედვით], ხოლო ძვდრელნი ახალი სახელწოდებაა [ახალი ცენტრის მიხედვით].

ბ) მხარის სამხრეთ ნაწილში; ხოა, resp. ხოელნი, ხოირნი (იხ. ჰეკატე მილეტელი, რასაც ფს.-სკილაქსთან შეეუარდება ევებარნი, resp. ევებარნი); საპეარნი ანუ *სპერნი (იხ. აპოლონ როდოსელის არგონავტიკა).

უფრო გვიან, ადრეულ საშუალო საუკუნეებიდან, რიზეს მხარეს ეწოდება ზღვისპირა კლარჯეთი (როდესაც ეს კუთხე აღმოსავლეთ საქართველოს, იბერიის საზღვრებში შედის და იბერიის პროვინციასთან—კლარჯეთთან არის დაკავშირებული). ხოლო შემდეგ (როდესაც ეს მხარე დასავლეთ საქართველოს—ლაზეთის სფეროში შევიდა), მას მიეკუთვნა სახელწოდება ლაზია; ეს უკანასკნელი სახელწოდება ლაზია საბოლოოდ შეჩა ამა მხარეს (მე-7—8 საუკუნეებიდან მოკიდებული)¹.

2. ტრაპიზონის მხარეში მოსახლე ქართველი ტომები ანტიკურ ხანაში ცნობილი არიან უმათერესად სატომო სახელწოდებებით: კოლხები (სამხრეთის კოლხები), აგრეთვე მაკრონები (მეგრელები), სანები (ქანები), ხალიბები—ხალდები ანუ ქალდები². საშუალო საუკუნეებში ტრაპიზონის მხარე უპირატესად ქალდიის ანუ ხალდიის (ხალდია—ქანეთის) სახელით არის ცნობილი³.

3. კერასუნ-ფარნაკიის მხარეში მოსახლე ქართველი ტომები ანტიკურ ხანაში ცნობილი არიან სატომო სახელწოდებებით: ტიბარენები, მოსინიკები, ხალიბები—ხალდები ფარნაკიისა, ხალიბები, ჰენეთნი და მაკრონი თერმოდონისა⁴. ყველა ეს ტომები ცნობილი იყვნენ ამასთან საერთო სახელწოდებითაც: ტიბარენიის ხალხი⁵. საშუალო საუ-

¹ იხ. ქვემოთ, გვ. 205—207, 209—210.

² კოლხი—იხ. ქსენოფონტე (SC, I, გვ. 76—77, 79) და არიანე (SC, I, 219).—მაკრონი და სანნი იხ. ჰეკატე მილეტელი (SC, I, გვ. 13), ფს.-სკილაქსი (SC, I, გვ. 86), აპოლონ როდოსელი (SC, I, გვ. 413, 416), სტრაბონი (SC, I, გვ. 158). — ხალიბები იგივე ხალდები—იხ. სტრაბონი (SC, I, 158). — ქვეყანა ხალდია—იხ. მენიპე პერგამელი (ექსეგრატი სტეფანე ბიზანტიელთან, s. v. Χαλδία).

გარდა ამ ძირითადი სატომო სახელწოდებებისა (კოლხი, მაკრონი, სანი, ხალიბი—ხალდი) ანტიკურ ხანის ავტორებთან გვხვდება აგრეთვე შემდეგი სახელები: ა) ბეზირნი (იხ. ჰეკატე მილეტელთან, ფს.-სკილაქსთან, აპოლონ როდოსელთან, პლინიუს სეკუნდუსთან; სახელწოდება ბეზირნი დაკავშირებულია პურქტის სახელთან ბეზირია, რა სახელიც ადრეულ ანტიკურ ხანაში ერქვა დაბა სურინეს); ბ) შქეთნი (სახელწოდება მთიელებისა, რომელნიც შქეთი ის მთების სექტორში მოსახლეობდნენ; მოხსენებულა ქსენოფონტესთან. სტრაბონთან მათ ეწოდება „შიდსოფლენი“=ჰეპაკომეტები. ამ სახელწოდების შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ, გვ. 483—484). გ) დრილნი (მთიელი ქანები იმავე შქეთის სექტორში; მოიხსენება ქსენოფონტესთან).

³ ქალდია ანუ ხალდია იხ. კონსტანტინე პორფიროგენეტთან და საშუალო საუკუნეთა სხვა ბერძენ ავტორებთან. ქართველი ავტორებიდან—ქალდია (ხალდია) იხ. იოანე საბანისძესთან, სუმბატ დავითისძესთან და გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის მემორიანესთან. არაბი ავტორებიდან—ხალდიას ასახელებს იბნ-ჰორდადბე. სომეხი ავტორებიდან მოსე ხორენელთან და 7—9 საუკუნეთა გეოგრაფიაში—ხალტეთი-ხალდია, ანუ „ქანივი“ (ქანეთი).

⁴ ტიბარენი—იხ. ჰეკატე მილეტელთან, ჰეროდოტესთან, ქსენოფონტესთან. აპოლონ როდოსელთან, სკიმნე ქიოსელთან, მენიპე პერგამელთან, პლინიუს სეკუნდუსთან. — მოსინიკები—იხ. ჰეკატე მილეტელთან, ქსენოფონტესთან, აპოლონ როდოსელთან (უკანასკნელი ავტორი მონისიკებთან ერთად ასახელებს ფილირებს, რომელნიც, საფიქრებელია, იმავე მოსინიკთა სატომო ჯგუფს ეკუთვნოდნენ).—ხალიბები—ხალდები ფარნაკიისა იხ. ქსენოფონტესთან (=ხალიბნი მოსინიკეთისა) და სტრაბონთან (=ხალიბნი—ხალდნი ფარნაკიისა).—ხალიბები თერმოდონისა იხ. ჰეკატე მილეტელთან, ფს.-სკილაქსთან, პლინიუს სეკუნდუსთან. პლინიუს სეკუნდუს თერმოდონის სექტორში, ხალიბებთან ერთად, დასახელებული ჰყავს ჰენეთთა (გენეტთა, კენთა) ტომი. [აპოლონ როდოსელს ამ ზონაში აღნიშნული აქვს გეოგრაფიული პუნქტი: გენეტის კონცხი]. ჰეროდოტე თერმოდონის მოსახლურ ხალიბთა ჯგუფს, რომელიც ლევკასირების მუხობლად მოსახლეობდნენ, მოიხსენებს მაკრონთა სახელით (II, 104).

⁵ იხ. სტრაბონი, წ. VII, თ. 4, § 3; წ. II, თ. 5, § 31. ასეთივე ფართო მნიშვნელობით აქვს ნახმარი ტერმინი ტიბარენი (ტიბარენია) აგრეთვე სკიმნე ქიოსელსა და მენიპე პერგამელს (იხ. ამ ავტორთა ციტირებული ადგილები).

კუნებში ეს მხარე ტიბარენებისა და ხალიბების ქვეყნად, აგრეთვე ჭანების (დასავლეთ ჭანების) ქვეყნად იწოდება¹.

იმ ეპოქისათვის, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, პოლიტიკური ორგანიზაცია, ტერიტორიული მოცულობა და საზღვრები, როგორც დასავლეთ საქართველოსი (ძველი ლაზეთის სამეფოსი, შემდეგ-დროინდელი „აფხაზეთის“ სამფლობელოსი) და სამხრეთი კოლხეთისა (რიზეს, ტრაპიზონის და კერასუნ-ფარნაკიის მხარეებისა)—შემდეგი იყო.

1. დასავლეთ საქართველოს—ისტორიული ლაზეთის სამეფოს—სამხრეთი საზღვარი ზღვის სანაპიროზე იყო მდინარე ჭოროხის ზონა. ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეთა დასაწყისში ვიდრე მე-5 საუკუნის მეორე ნახევარამდე საზღვარის ხაზი გასდევდა ციხე-ქალაქის აფსარის სექტორში, რომელიც მდებარეობდა მდინარე ჭოროხას სამხრეთით (ძველი ციხე-ქალაქი აფსარი გაშენებული იყო თანამედროვე სარდის ზონაში)². ხოლო მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ბიზანტიის იმპერატორის ლეონ I-სა და ლაზეთის მეფის გუბაზ I-ის დროს, საზღვრად დადგენილი ყოფილა ციხე ხუფათი (თანამედროვე ხოფა თურქეთში, რიზე-ლაზისტანის სანჯაქში). საშუალო საუკუნეთა ჰაგიოგრაფიულ ძეგლში—დანიელ სტილიტის ცხოვრებაში—საზღვარის დადგენის გამო მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში აღნიშნულია:

„მოვიდა ლობაზიანოს (გუბაზი) მეფე აფხაზთა (ლაზთა) ხილვად ლეონ მეფისა ბერძენთაჲსა, ხოლო აქუნდა ორთავე ამათ მეფეთა საურავი რაჲმე ქუეყანათა დაწყნარებისათჳს, ზღვართა განყოფისა, სადამდის არის საბერძნეთისა (ბიზანტიისა) ანუ მეგრელთა აფხაზეთის (ლაზეთის) სამეფოჲსა... და დასდევს საზღვრად ციხე ხუფათი“³.

შემდეგ, მე-6 საუკუნისათვის, საზღვარის ხაზი ისევ გადაწყვეტილია ოდნავ ჩრდილოეთით და მას შემდეგ გასდევდა თვით მდინარე ჭოროხზე⁴.

¹ იხ. ევსტათი თესალონიკელთან: ტიბარენნი („ტიბარენნი, რომელთაც ჩვენ ვეძახით [ე. ი. ავტორის დროს] ტიბარენნი“) და ხალიბნი (თერმოდონის თემისა; იხ. SC, I, გვ. 209). სტეფანე ბიზანტიელთან (SC, I, გვ. 269) ხალიბეთი — *Χαλιβιαι*; მიქაელ პანარეტთან (გვ. 3, 12, 17) *Χαλιβια*. — აღსანიშნავია კერძოდ, რომ საშუალო საუკუნეების სელჯუკთა ოფიციალურ მატრიანში, რომელსაც სელჯუკ-ნამე ეწოდება, კერასუნ-ფარნაკიის მხარეს ეწოდება საკუთრივ ჭანეთი. ამ ძეგლში ტერიტორია სამხრეთი კოლხეთისა ჭოროხიდან ვიდრე თერმოდონამდე აღნიშნულია საერთო სახელწოდებით: სრულიადი ჭანეთი, რომელიც თავის მხრივ განიყოფება სამ მხარედ: ა) ლაზეთი (რიზეს მხარე); ბ) ტრაპიზონის მხარე; გ) საკუთრივ ჭანეთის მხარე (იხ. ფ. Успенский, История Византийской империи, III, 1948 წ., გვ. 602—603).

² თანამედროვე სახელწოდება სარფი (←*ფსარეფი, მრავლობითი რიცხვის ლაზური დაბოლოებით) არის სახენაცვალი ფორმა ძველი სახელწოდებისა აფსარი (მრავლობითი რიცხვის ლაზური დაბოლოებით *აფსარეფი=აფსარები).

აფსარი, როგორც საზღვარი შიდა-კოლხეთისა (შემდგომი ხანის ლაზეთის სამეფოსი) აღნიშნული აქვს ჯერ კიდევ ფს.-სკილაქსს (იხ. SC, I, გვ. 86). ესევე საზღვარის ხაზი ლაზეთის სამეფოსი ნაჩვენებია აქვს მე-5 საუკუნის ანონიმ გეოგრაფოსს (SC, I, 275).

³ იხ. ხელნაწერი A—397, გვ. 400, და კ. კეიკელიძის გამოცემა *Историко-географическое описание Христианского Востока*, 1913, т. II, вып. 2, გვ. 188—190.

⁴ მე-6 საუკუნის ბიზანტიელი ავტორების ცნობებით აფსარი (ჭოროხის სამხრეთით) ბიზანტიის ზონაში ითვლებოდა, ხოლო პეტრა (ჭოროხის ჩრდილოეთით) ლაზეთის საზღვრებში იყო მოქცეული.

2. რიზეს მხარე, რომელიც მოიცავდა ტერიტორიას კოროხის სექტორიდან დაწყებული ვიდრე ოფი-სურმენეს სექტორამდე, წარმოადგენდა ერთგვარ ბუფერს შიდა კოლხეთს (ისტორიული ლაზეთის სამეფოს), იბერიასა და ბიზანტიას შორის, მთავარი ეტაპები ამ მხარეს ისტორიისა, ანტიკური ხანიდან ვიდრე ადრეულ საშუალო საუკუნეებამდე, შემდეგი იყო:

ა) ანტიკურ ხანაში ვიდრე I საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა რიზეს მხარე კოლხეთის ნაწილს წარმოადგენდა¹.

ბ) მეორე საუკუნის დასაწყისში რიზეს მხარის ჩრდილოეთი სექტორი, კოროხიდან ვიდრე ბიწეს (ვიწეს) ნავთსადგურამდე (ბიწერთა, იგივე ძვდრელთათემი), — შევიდა იბერიაში; ხოლო დანარჩენი ტერიტორია რიზეს მხარისა (ბიწეს ანუ ვიწეს სექტორიდან ვიდრე ოფის სექტორამდე) ჩამოყალიბდა ცალკე ქართული სამთავრო-სამეფოს სახით, რომელსაც მაკრონთა (მაკრონ — სანთა) და ჰენიოხთა სამეფო ეწოდება (იგივე სანეთი = სანიგეთი, ანუ სოსანეთი = სოსანიგეთი)². ცენტრი ამ სამთავროსი იყო ქალაქ ათინას ჩრდილოეთით, პუნქტში, რომელიც ცნობილია ძველი ტრაპიზონის სახელით³. მეორე საუკუნის პირველ ნახევარში მოიხსენება მფლობელი ამ მხარისა მეფე ანხიალი, რომელიც 114—115 წ.წ., იბერიისა და კოლხეთის მფლობელებთან ერთად, მონაწილეობდა რომის იმპერატორის ტრაიანეს ლაშქრობაში პართიევლთა წინააღმდეგ⁴. იგივე მეფე ანხიალი მოხსენებული ჰყავს 134 წელს არიანეს (რომელმაც ამ დროს იმოგზაურა კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროზე)⁵.

გ) მომდევნო პერიოდში, მე-3—4 საუკუნეებში, ტერიტორია ამ სამფლობელოსი, რომელიც ცნობილი იყო სახელით სანეთი ანუ სანიგეთი (იგივე სოსანეთი, სოსანიგეთი), გაფართოებულა. სახელდობრ, ამ მომდევნო ხანაში საზღვარს ჩრდილოეთი ხაზით მიუღწევია კოროხამდე, ხოლო სამხრეთის ხაზით ვიდრე სურმენეს ზონამდე. ჩრდილოეთ სექტორში მდებარე ციხე-ქალაქი აფსარი, და სამხრეთ სექტორში მდებარე ჰუსის ნავთსადგური (=სურმენე), ამ მომდევნო ხანაში სანეთის ფარგლებში არის მოქცეული⁶.

¹ ქსენოფონტეს დროს საზღვარი კოლხეთისა აღწევდა ქალაქ კერასუნამდე (ძველი კერასუნი) — ტრაპიზონის დასავლეთით (წ. V, თ. 3, § 2, იხ. SC, I, გვ. 79), ხოლო სტრაბონის დროს კოლხეთის პოლიტიკური საზღვარია ტრაპიზონთან (ტრაპიზონის აღმოსავლეთით). იხ. წ. VII, თ. 4, § 3; წ. XII, თ. 3, § 17; წ. XI, თ. 2, § 14.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ კერასუნი (ძველი კერასუნი), დასახლებული ქსენოფონტესთან, სხვა პუნქტია. ვიდრე შემდგომ ხანაში გაშენებული კერასუნი-ფარნაკია. ეს უკანასკნელი (კერასუნი-ფარნაკია) არის თანამედროვე ქ. გირესუნი, ხოლო მეორე კერასუნი (ძველი კერასუნი) არის თანამედროვე ნავთსადგური დიდი ლიზანი (ვაჭვიჭვიბირი), რომელიც მდებარეობს გირესუნსა და ტრაპიზონს შუა.

² იხ. არიანე (SC, I, გვ. 222), დიონ კასიოსი (XVIII, 18) და ანდრია მოციქულის მიმოსღვათა მოსახსენებელი (იხ. ქვემოთ გვ. 225—226).

³ მეფის სასახლე არიანეს (S¹, I, გვ. 219) აღნიშნული აქვს ათინას ჩრდილოეთით, მდინარე ფურტუნას შესართავთან (რომელიც ანტიკური ხანის წყაროებში მოიხსენება როგორც Πόρθαυα, — იხ. ფს.-სკილაქსთან, SC, I, გვ. 86, ანუ Πουρταυος — იხ. არიანესთან, I, c). ამ პუნქტში მდებარე ქალაქს, როგორც ირკვევა, მე-7 საუკუნემდე რემევიცა ტამბურთი, ხოლო მე-7 საუკუნიდან მოკიდებული ჰამამაშენი (იხ. ქვემოთ).

⁴ იხ. დიონ კასიოსი (LVIII, 8). — შეად. Eutrop. VIII, 3, Fest. Brev., 20.

⁵ იხ. არიანე. SC, I, 219, 222.

⁶ იხ. ანდრია მოციქულის მიმოსღვათა მოსახსენებელი (ქვემოთ, გვ. 223—226).

დ) მე-5—6 საუკუნეში ეს მხარე სანეთი ანუ სანიგეთი წარმოადგენს ერთ-გვარს ბუფერულ ზონას ლაზეთის სამეფოსა და ბიზანტიას შორის. მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში (კეისრის ლეონ I-ის დროს) ბიზანტია ცდილა თავისი გავლენა გაეფრცელებინა ამ კუთხეზე¹, მაგრამ, როგორც ირკვევა, უშედეგოდ. მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში ეს მხარე ისევ დამოკიდებულია ბიზანტიისაგან. ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი საყურადღებო ცნობებს გადმოგვცემს ამ მხარის მდგომარეობის შესახებ მე-6 საუკუნის ნახევრისათვის. პროკოპი კესარიელის ცნობით ამ მხარეში მდებარეობს დაბა ქალაქები: რიზე, ათინა, არქაბი და აფსარი. უკანასკნელი ქალაქი აფსარი, რომელიც ამავე დროს ციხეს წარმოადგენდა, პროკოპის ცნობით, ძველად მეტად მნიშვნელოვანი პუნქტი იყო. პროკოპი წერს: „ეს ქალაქი (აფსარი) ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უფლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით და მას მრავალი სხვა რამეც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია“². პროკოპის დროს კი ქალაქი აფსარი ჩამომცრობილი ყოფილა. დასასრულ, პროკოპი აღნიშნავს სანეთის მხარის შესახებ, რომ ეს მხარე დამოუკიდებელია. პროკოპი წერს: „იქაური მცხოვრებლები არც რომაელთა და არც ლაზთა ქვეშევრდომები არ არიან, გარდა იმისა, რომ რადგან ისინი ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპისკოპოსები უწესებენ მათ მღვდელმსახურებს“³.

ამრიგად, ეს ბუფერული ზონა, სანეთის მხარე, ეკლესიურად ამ დროს ლაზეთთან ყოფილა დაკავშირებული.

ე) მეექვსე საუკუნის ბოლო მესამედში, იმ პერიოდში, როდესაც იბერიის აღდგენილ იქმნა ერისმთავრობა, რიზეს მხარე შესულა იბერიის შემადგენლობაში. ეს მხარე ამ დროს დაკავშირებულია როგორც ვასალური სამფლობელო მესხეთთან („კლარჯეთის სახლთან“) და ცნობილია სახელწოდებით ზღვისპირა კლარჯეთი. მე-7 საუკუნის პირველ მესამედში მოიხსენება ამ მხარის, ზღვისპირა კლარჯეთის, მფლობელი (ვასალი მთავარი) ჰამამი, რომელიც დინასტიურად დაკავშირებული იყო შიდა-კლარჯეთის იბერიელ მთავართა სახლთან⁴.

ვ) მე-7 საუკუნის ოცდაათიან წლებში ბიზანტიამ შეიერთა იბერიიდან სპერი და რიზეს მხარე („ბოლო კლარჯეთისა ზღვის-პირი“). ჯუანშერის მატინეში აღნიშნულია, რომ ბიზანტიის კეისრის ერეკლეს დროს მე-7 საუკუნის 30-იანი წლებისათვის „წარიღეს ბერძენთა (ბიზანტიელთა) საზღვარი ქართლისა სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვის პირი“⁵. ამ დროს, მე-7 საუკუნეში, დასავლეთი საქართველო — ყოფილი ლაზეთის სამეფო — ბიზანტიის საზღვრებში იყო მოქცეული და ახლად შემოერთებული რიზეს მხარე („ბოლო კლარჯეთისა ზღვის-პირი“) — ბიზანტიას, როგორც ირკვევა, ადმინისტრაციულად შეუერთებია დასავლეთ საქართველოსთან — ლაზეთთან. მას შემ-

¹ იხ. დანიელ სტილიტის ცხოვრების ცნობა (იხ. ზემოთ, გვ. 204).

² იხ. პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 2 (ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, II, გვ. 94—95).

³ იხ. იქვე.

⁴ იხ. ქვემოთ, გვ. 423—425.

⁵ იხ. ჯუანშერის მატინე, გვ. *414/196.

დევ რიზეს მხარეს, რომელიც მანამდე სანეთის ანუ სანიგეთის (სოსანეთის, სოსანიგეთის) სახელით იყო ცნობილი, ეწოდება ლაზეთი, ლაზია. ამ დროიდან, მე-7 საუკუნიდან მოკიდებული, ეს სახელწოდება ლაზეთი, ლაზია საბოლოოდ მიეკუთვნა ამ მხარეს¹.

ასეთი იყო ამ კუთხის, რიზეს მხარის, ისტორიული თავგადასავალი ანტიკურ ხანაში და ადრეულ საშუალო საუკუნეებში ვიდრე მე-8 საუკუნემდე.

3. ტრაპიზონის მხარე მოიცავდა ტერიტორიას, დაწყებული რიზეს მხარის საზღვრიდან (ოფი-სურმენეს სექტორიდან) — ვიდრე მდინარე ხარშუტის ხაზამდე (რომელიც გაჰყოფდა ტრაპიზონის მხარეს კერასუნ-ფარნაკიის მხარიდან). ანტიკურ ხანაში ტრაპიზონის მხარე კოლხეთის ფარგლებში შედიოდა. ქსენოფონტეს ცნობით, ქალაქი ტრაპეზუნტი კოლხეთში მდებარეობდა, ისევე როგორც კოლხეთის საზღვრებში ითვლებოდა ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ქალაქი ძველი კერასუნი (დიდი ლიმანი)². მომდევნო პერიოდებში, ელინისტურ ეპოქაში, მითრიდატე ევპატორის ხანაში, პოლიტიკური ბედი ტრაპიზონის მხარისა ცვალებადი იყო. I საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა, კოლხეთის, ტრაპიზონის და კერასუნ-ფარნაკიის გაერთიანებული სამეფოს მფლობელის პითოდორიდას შემდეგ, საბოლოოდ ირღვევა ძველი კოლხეთის მთლიანობა და ტრაპიზონის მხარე რომის პროვინციად ხდება. მას შემდეგ ეს ძირეული ქართული ქვეყანა — ტრაპიზონის მხარე, ვიდრე მე-8 საუკუნემდე, პოლიტიკურად ჯერ რომის იმპერიის, ხოლო შემდეგ აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიის ფარგლებში შედიოდა. მხოლოდ ერთმა ნაწილმა ტრაპიზონის მხარისა, — ქანეთის მთიულეთმა (პონტოს მთიანეთის მხარემ, რომელიც ბერძნულ წყაროებში საკუთრივ *Παρυχαίης*-ს „ქანიკე“-ს სახელით არის ცნობილი), — შეინარჩუნა დამოუკიდებლობა ვიდრე იუსტინიანეს ეპოქამდე.

4. კერასუნ-ფარნაკიის მხარე მოიცავდა ტერიტორიას მდ. ხარშუტის ხეობის დასავლეთით ვიდრე მდინარე თერმოდონამდე. (მდინარე თერმოდონი, რომლის საზღვრებთან მდებარეობდა დასავლეთი ხალიზია, წარმოადგენდა ქართული მოსახლეობის დასავლეთ მიჯნას ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში). პოლიტიკური თავგადასავალი ამ ქართული ქვეყნისა კერასუნ-ფარნაკიის მხარისა იგივე იყო, რაც მეზობელი ტრაპიზონის მხარისა. იმ ეპოქისათვის, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, კერასუნ-ფარნაკიის მხარე ბიზანტიის ფარგლებში შედიოდა.

ასეთი იყო მე-8 საუკუნის მეორე ნახევრისათვის, ლეონ II-ის დროს, პოლიტიკური ორგანიზაცია, ტერიტორიული მოცულობა და საზღვრები დასავლეთ საქართველოსი („აფხაზეთის“ ქვეყნისა) და სამხრეთ კოლხეთის ძველქართული მხარეებისა.

*

იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს და რადროსაც ეკუთვნის ორგანიზება ადრეულ საშუალო საუკუნეთა ქართული ფეოდალური

¹ იხ. ქვემოთ, გვ. 209—210.

² იხ. ქსენოფონტე, ანაბასისი, წ. IV, თ. 8, § 8—24; წ. V, თ. 2, § 1; წ. V, თ. 3, § 2 (= SC, გვ. 73—77, 79). შეად. ზემოთ, გვ. 205, შენიშვნა 1.

სახელმწიფოებრივი ერთეულებისა—დასავლეთ საქართველოსი („აფხაზეთისა“) და აღმოსავლეთ საქართველოსი (იბერია—ქართლისა),—ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები, როგორც ირკვევა, ფართო პოლიტიკურ მიზნებს ისახავენ სამხრეთ კოლხეთის ამ მხარეთა მიმართ, რომლებიც მოწყვეტილი იყო საქართველოს და ბიზანტიის ფარგლებში იყო მოქცეული.

ლეონ II-ეს ამ მხრივ დიდი პოლიტიკური წარმატებისათვის მიუღწევია. ლეონ II-ის დროს, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, მომხდარა ტრაპიზონის მხარცს, ამ ძირეული ქართული ქვეყნის, გაერთიანება დასავლეთ საქართველოსთან (დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოსთან).

ბიზანტიის იმპერია, როგორც ირკვევა, იძულებული გამხდარა ანგარიში გაეწია პოლიტიკურად უკვე გაძლიერებულ დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“ სამფლობელოს) მოთხოვნისათვის და წასულა ასეთ დათმობაზე, რათა უზრუნველყო ბიზანტიასა და დასავლეთ საქართველოს შორის არსებული პოლიტიკური კავშირი.

ხოლო თვით ეს ფაქტი, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, ლეონ II-ის დროს, ტრაპიზონის მხარე დასავლეთ საქართველოს ნაწილს შეადგენს, — დასტურდება მთელი რიგი წყაროებით.

1. პირველ რიგში აქ შევჩერდებით მე-8 საუკუნის ავტორის იოანე საბანის-ძის ჩვენებაზე.

იოანე საბანის-ძის თხზულებაში, რომელიც 786 წლის ახლო ხანებში არის დაწერილი (ლეონ II-ის დროს), დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს საზღვრები ასეა აღნიშნული:

„საზღვარ მათდა არს ზღვაჲ იგი პონტოჲსა (შავი ზღვა), სამკვდრებელი ყოვლადვე ქრისტეანეთა, მისაზღვრამდე ქალდიაჲსა. ტრაპეზუნტი მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსაჲ, და ნაფსაჲს ნავთსადგური“¹.

როგორ უნდა გავიგოთ გამოთქმა „მისაზღვრამდე ქალდიაჲსა“: შედიოდა თუ არა თვით ქალდია (ე. ი. ტრაპიზონის პროვინცია) დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოში, თუ დასავლეთ საქართველო მხოლოდ აღწევდა ქალდიის მიჯნამდე?

ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო აკად. ს. ჯანაშია და ის აზრი გამოსთქვა, რომ ქალდია (ტრაპიზონის პროვინცია) თითქოს არ შედიოდა დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“ სამფლობელოს) ფარგლებში“. წერილში „О времени и условиях возникновения Абхазского царства“ იგი წერს:

„Абхазия в политическом смысле не простиралась южнее реки Чорохи и едва ли она когда-нибудь ее достигала; в отношении понимания текста спор, на наш взгляд, исключается выражением памятника „мисаზღვრამდე ქალდიაჲსა“ «до (т. е. Абхазия простирается до) границ Халдии», а перечисление некоторых прибрежных пунктов (Трапезунд и др.) дано в качестве географического определения Халдвии. Под послед-

¹ იხ. იოანე საბანის-ძე, გვ. 66.

ვნი პიდაზუმეაქსეა ვიანტიისკა პროვინცია, ვხოდინიანი ვიუაქემიი ნამი პერიოდი ვიფემუ არმენიასე.. ტიკოე რივგრაიჩისიე ხვადნი ი აბხაზნი ვი რასკავე სოპრემენიანი ვიოლიე ესთესთენიო: ხვადნი ირედსთაქლია სოხოე იესოპრედსთაქლიანი ადმინისტრაციულიე ქაქტიე იმერია, ა აბხაზია — ილშიე ვასეალნი ვიანისიე კნიჟესთეო"¹.

ეს შეხედულება არ მართლდება.

თავდაპირველად უნდა აღენიშნოთ, რომ არ შეეფერება სინამდვილეს, თითქოს ტრაპიზონის პროვინცია (ხალდია) ამ ეპოქაში, მე-8 საუკუნეში, „არმენიაკის“ თემში შედიოდა. ს. ჯანაშია ამ შემთხვევაში იმეორებს თ. უსპენსკის მიერ გამოთქმულ ჰიპოთეზურ მოსაზრებას, რაც წყაროების ჩვენებებით არ დასტურდება. საისტორიო წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ ხალდიის თემი, ვიღრე იგი გაერთიანდებოდა დასავლეთ საქართველოსთან (ლაზიკასთან), შედიოდა არა არმენიაკის თემში, არამედ ანატოლიკის თემში ბიზანტიის იმპერიისა.

როგორც ეს დადგენილი აქვს ჰ. გელცერს, რომელიც სპეციალურად სწავლობდა ბიზანტიის თემების წარმოშობის ისტორიას, მე-7 საუკუნეში (როდესაც პირველად იწყება თემების ორგანიზაცია) — მცირე აზიაში ჩამოყალიბდა ხუთი თემი, და ერთი ამ ხუთ თემთაგანი იყო არმენიაკის თემი, რომელიც შეიცავდა ძველ პროვინციებს: კაპადოკია I, კაპადოკია II და არმენია III. ხოლო რაც შეეხება პონტოს (ე. ი. შავი ზღვის სანაპიროს), იგი ამ პირველ პერიოდში შედიოდა ანატოლიკის თემის ფარგლებში². შემდგომ ხანაში, მე-8 საუკუნიდან მოკიდებული, ძველი ანატოლიკის თემის ტერიტორია იყოფა სამ ერთეულად: 1. ანატოლიკი, 2. ბუქელარი და 3. ხალდია (ეს უკანასკნელი მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან ლაზიკასთან გაერთიანდა). ხოლო რაც შეეხება არმენიაკის თემის ტერიტორიას, იგი მომდევნო ხანაში განიყოფება ოთხ ერთეულად: 1. არმენიაკი (რომელსაც შეუერთდა შავი ზღვის სანაპირო სინოპ-სამსონის ზონაში); 2. სებასტია; 3. კოლონა; 4. მცირე კაპადოკია. ამრიგად, არ ყოფილა არც ერთი პერიოდი, როდესაც ხალდია არმენიაკის თემის ფარგლებში ყოფილიყოს მოქცეული. (აღსანიშნავია, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტი, რომელიც ხალდიის თემის ისტორიას ეხება, არ აღნიშნავს, რომ ხალდიის თემს წინარე ხანაში კავშირი ჰქონოდას არმენიაკის თემთან. ასევე იბნ-ხორდადბევიც ცალკე ასახელებს ხალდიას და ცალკე არმენიაკის თემს).

ასევე უსაფუძვლოა ს. ჯანაშიას მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ დასავლეთი საქართველო („აფხაზეთი“ მე-8 — 9 საუკუნეთა) ვითომც „в политическом смысле не простиралась южнее реки Чорохи и едва ли когда нибудь её достигала“. თუნდაც მართალი გამომდგარიყო ს. ჯანაშიას მტკიცება, რომ ტრაპიზონი არ შედიოდა მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან დასავლეთ საქართველოს ფარგლებში (სინამდვილეში კი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, შედიოდა), ყოველ შემთხვევაში უდავოა, რომ დასავლეთ საქართველო ამ დროს არა თუ აღწევდა ქოროხს, არამედ დასავლეთ საქართველოსთან — ლაზიკასთან — ამ დროს ადმინისტრაციულად გაერთიანებული იყო ქოროხის სამხრეთით მდებარე რიზეს მხარე, რომელმაც სწორედ ამ დროიდან, მე-7 — 8 საუკუნეებიდან, დაიპყვიდრა სახელწოდება ლაზიკისა.

როგორც გამორკვეული გვექონდა, რიზეს მხარე ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში, მე-2 საუკუნიდან მე-6 საუკუნემდე, როდესაც

¹ იხ. ს. ჯან. შია, დასახელებული წერილი, ენიმკის მოამბე, VIII, 1940 წ., გვ. 150.

² იხ. Г. Гельцер, Очерк политической истории Византии (Очерки по истории Византии, вып I, 1912 г.), გვ. 64, შენ. 1.

იგი დამოუკიდებელ ქართულ სამფლობელოს წარმოადგენდა, ცნობილი იყო სახელწოდებებით: მაკრონ-სანთა და ჰენიოხთა ქვეყანა, სანეთი, სანიგეთი; მე-6—7 საუკუნეთა საზღვარზე ეს მხარე უერთდება იბერიას და იგი ცნობილია ზღვისპირაკლარჯეთის სახელით; ხოლო სახელწოდება ლაზია რიზეს მხარეს მიუღია მე-7 საუკუნიდან მოკიდებული, როდესაც ეს მხარე აღმანის ტრაკიულად გაერთიანებულა დასავლეთ საქართველოსთან, ისტორიულ ლაზეთან. აღსანიშნავია, რომ ეს სახელწოდება „ლაზია“ = „ლაზივი“ მიემართება რიზეს მხარეს მე-7—9 საუკუნეთა გეოგრაფიაში. (ამავე სახელწოდებით, სპეციფიკურად ლაზიის სახელით, ცნობილი არის რიზეს მხარე შემდგომი ხანის ბერძნულსა და ქართულს წყაროებში).

უაღრესად საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ მე-7—9 საუკუნეთა გეოგრაფია ერთიმეორისაგან განარჩევს ლაზიის პროვინციას (რა სახელწოდებითაც აღნიშნულია აქ რიზეს მხარე) და ჰანივის—ხალტეთის ანუ ხალდიის პროვინციას (რა სახელწოდებით აღნიშნულია ტრაპიზონის მხარე). უდავო ხდება ამის მიხედვით, რომ ხალდიის პროვინცია ამ დროს არ შეიცავდა რიზეს მხარეს და იგი მხოლოდ ტრაპიზონის მხარის ტერიტორიით შემოიფარგლებოდა. საზღვარის ხაზი, რომელიც გაჰყოფდა „ლაზიის“ პროვინციას (ე. ი. რიზეს მხარეს) ჰანეთ-ხალტეთის ანუ ხალდიის პროვინციისაგან (ე. ი. ტრაპიზონის მხარისაგან), გასდევდა ოფი-სურმენეს სექტორში: ამ ზონაში არის აღნიშნული საზღვარის ხაზი ტრაპიზონის მხარისა არიანესთან, მე-5 საუკუნის გეოგრაფოსთან, ანდრია მოციქულის მიმოსლვათა მოსახსენებელში, პროკოპი კესარიელთან. რომ საზღვარის ხაზი ხალდიისა გასდევდა სწორედ დასახელებულ ზონაში, ამას ადასტურებს აგრეთვე თვით გეოგრაფიული სახელწოდებანი ამ სასაზღვრო ხაზის გასწვრივ, სახელდობრ: ა) დაბა ოფის ზონაშია პუნქტი ხალდი და ხალდიის მთა; ბ) მდინარე ოფის წყალის სათავეებშია პუნქტი ხალდი-ზენი (= ზენა ხალდი, ზემო ხალდი); ოფის წყალის ზემო შემდინარეს ეწოდება ხალდი-ზენის ხევი; მთებს ამ მდინარის სათავეებთან ეწოდება ხალდი-ზენის მთები¹.

მაგრამ დაუბრუნდეთ იოანე საბანის-ძის ტექსტს.

იოანე საბანის-ძე, როგორც ვნახეთ, აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის საზღვარი არისო შავი ზღვა (ზღვა პონტოასა)—„მისაზღვრამდე ქალდიაჲსა“.

იოანე საბანის-ძის ეს ჩვენება—„მისაზღვრამდე ქალდიაჲსა“; როგორც ირკვევა, ისე უნდა იქმნას გაგებული, რომ ქალდია (ხალდია) ამ დროს საქართველოს ნაწილი იყო. (გამოთქმა, რომ საქართველოს მიჯნა შავი ზღვის მხრით აღწევსო „მისაზღვრამდე ქალდიაჲსა“ იმავე სახისაა, როგორც მაგალითად შემდეგი გამოთქმა: „საქართველოს მიჯნა აღმოსავლეთის მხრით აღწევს მისაზღვრამდე კახეთისა“).

რომ ტექსტის მხოლოდ ამნაირი გაგებაა სწორი, ეს უდავოდ დასტურდება

¹ თანაშედროვე ხუთკლომეტრიან რუკაზე (1:500.000) ეს პუნქტები ასეა აღნიშნული: სოფელი Халт; მთა Халт-теши; სოფელი Халдиаса; მდინარე Халдиаси дере; მთები Халдиаси даглары.

შომდეგენო წინადადებიდან: „ტრაპეზუნტი მუნ არს, საყოფელი იგი აფსარეაჲსა, და ნაფსაჲს ნავთსადგური“.

რა პუნქტებია ეს პუნქტები და რისთვის ასახელებს მათ ჩვენი ავტორი? იოანე საბანის-ძე აქ ასახელებს დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სამ პუნქტს შემდეგის განრიგებით: 1) ყველაზე სამხრეთს; 2) ცენტრალურ პუნქტს; და 3) ყველაზე ჩრდილოეთს.

ყველაზე სამხრეთით მდებარე პუნქტია — ტრაპეზუნტი; ცენტრში მდებარეობდა ციხე-ქალაქი აფსარი (მდინარე ჯორჯის ზონაში).

ხოლო ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე პუნქტი დასავლეთ საქართველოსი იყო, როგორც ცნობილია, ნიკოფსია, იგივე ნაფსაჲს ნავთსადგური.

ამრიგად, იოანე საბანის-ძის ტექსტის შინაარსი შემდეგია (მოგვყავს მთელი ტექსტის კომენტარებული თარგმანი ახალ ქართულზე):

„საზღვარი მათი [ე. ი. დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოსი] არის შავი ზღვა [„ზღვა პონტოჲსა“], სამკვიდრებელი ქრისტიანეთა, სადამდისაც მიუწევს ქალდიის თემის საზღვარი [„მისაზღვრამდე ქალდიასა“]. იქ [დასავლეთ საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე] მდებარეობენ: ტრაპეზუნტი [სამხრეთ მიჯნასთან], აფსარი [შუაში], და ნაფსაჲს ნავთსადგური [ჩრდილოეთ მიჯნასთან]“.

სხვანაირი ინტერპრეტაცია ამ ტექსტისა შეუძლებელია.

აღსანიშნავია აქას გარდა შემდეგი გარემოება. დასახელებული სამი პუნქტი დასავლეთ საქართველოსი, — ტრაპეზუნტი — სამხრეთი მხარიდან, აფსარი — შუა მხარიდან და ნაფსაჲს ნავთსადგური (ნიკოფსია) ჩრდილოეთი მხარიდან, —ნიშანდობლივ ამორჩეული აქვს იოანე საბანის-ძეს, კერძოდ, იმის გამო, რომ სწორედ ამ პუნქტებთან იყო დაკავშირებული გადმოცემები ქრისტიანობის გავრცელების შესახებ დასავლეთ საქართველოში თვით მოციქულთა მიერ. სამხრეთით მდებარე ტრაპეზუნტი არის ის პუნქტი, სადაც, გადმოცემით, იქადაგა ანდრია მოციქულმა და საიდანაც იგი შემოვიდა საქართველოში; შუა მხარეში მდებარე აფსარი არის ის პუნქტი, სადაც, გადმოცემით, დასაფლავებული იყო ანდრიას თანამოღვაწე მოციქული მატათა; ჩრდილოეთ მხარეში მდებარე ნაფსაჲს ნავთსადგური (ნიკოფსია) არის პუნქტი, სადაც, გადმოცემით, დასაფლავებული იყო ანდრიას მეორე თანამოღვაწე, მოციქული სიმონ კანანელი¹.

ეს რაც შეეხება იოანე საბანის-ძის ტექსტს.

¹ რომ იოანე საბანის-ძე ამ შემთხვევაში საგანგებოდ აღნიშნავდა მოციქულთა მოღვაწეობის პუნქტებს, ამას ადასტურებს კერძოდ სპეციფიკური გაჯოთქმა, სახელწოდება აფსარის ციხე-ქალაქისა: „საყოფელი აფსარეაჲსი“. მოციქულთა მიმოსვლის მოსახსენებლებში აფსარის ციხე-ქალაქი მოიხსენება როგორც *Παρεμβιστή Ἀψάριος*, „პარემბოლე“ ნიშნავს ჯარის ადგილ-სამყოფელს (ციხე-სიმაგრეს), რაც ძველ ქართულში გადმოცემოდა როგორც „საყოფელი“ ანუ „ბანაკი“. ამრიგად, იოანე საბანის-ძის ტექსტის „საყოფელი აფსარეაჲსი“ იმეორებს მოციქულთა მიმოსვლის მოსახსენებლების გამონათქვამს: *Παρεμβιστή Ἀψάριος*.

ნიემართოთ ამის შემდეგ სხვა წყაროებს.

რომ ტრაპიზონი და მისი პროვინცია მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს ფარგლებში შედიოდა, ამას ადასტურებს, გარდა იონანე საბანის-ძის თხზულებისა, მთელი რიგი სხვა საისტორიო წყაროების ჩვენებანი.

2. აქტები მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრებისა (რომელიც 787 წელს შედგა), გვიჩვენებს, რომ ტრაპიზონი ამ დროს ეკლესიურად დაკავშირებულია დასავლეთ საქართველოსთან.

მე-7—8 საუკუნეებში, იმ ხანაში, როდესაც ტრაპიზონი უშუალოდ ბიზანტიის ფარგლებში შედიოდა, ტრაპიზონი ეკლესიურად ითვლებოდა პოლემონის პონტოს მიტროპოლიის შემადგენლობაში (ამას ადასტურებს მე-7—8 საუკუნეთა ექთეზისები)¹. ხოლო როდესაც ტრაპიზონი დასავლეთ საქართველოს ფარგლებში შესულა, ეკლესიურად ტრაპიზონი გაერთიანებულია ლაზიკის მიტროპოლიასთან, რომლის ცენტრად ითვლებოდა ქალაქი ფასისი (ფოთი); ამ გაერთიანების შემდეგ ფასისი (ფოთი) და ტრაპიზონი ერთ მეტროპოლიას, ერთ საეპისკოპოსო კათედრას წარმოადგენს. ამას ადასტურებს მეშვიდე მსოფლიო საეკლესიო კრების ზემოთ დასახელებული აქტები 787 წლისა, რომელსაც, სხვა მონაწილეებთან ერთად, ხელს აწერს: „ქრისტეფორე ეპისკოპოსი ფასისისა ანუ ტრაპეზუნტისა“.

ამ უაღრესად მნიშვნელოვან დოკუმენტალურ ჩვენებას, საიდანაც დასტურდება, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ტრაპიზონი დასავლეთ საქართველოსთან ყოფილა დაკავშირებული, და ფასისთან (ფოთთან) ერთად ერთ ოლქს შეადგენდა, — პირველად ყურადღება მიიქცია ცნობილმა მკვლევარმა P. Peeters-მა².

3. ამის შემდეგ, აქ შევჩერდებით კიდევ ერთ უაღრესად მნიშვნელოვან ჩვენებაზე, რომელიც მკვლევართა ყურადღების გარეშე არის დარჩენილი. მხედველობაში გვაქვს დასავლეთ საქართველოს აღწერილობა, რომელიც წარმოდგენილია სომხურ უსახელო გეოგრაფიაში მე-7—9 საუკუნეთა, რომლის ტექსტი (არსებული რედაქციები) მე-8—9, resp. მე-9 საუკუნეს ეკუთვნის.

მოგვეყავს ამ აღწერილობის ძირითადი ტექსტი მთლიანად; აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„კოლხეთი, ე. ი. ეგრი, არს ქვეყანა აზიასა და მდებარეობს პონტოს ზღვიდან სარმატიამდე, და მდინარე დრაკონიდან ვიდრე კავკასიის მთამდე და მის შტომდე [ლიხამდე], რომელიც ჰყოფს მას ივერიიდან...“

და იგი განიყოფება ოთხ მცირე ქვეყნად:

ა) მარ[გ]ველი-ვი;

ბ) ეგრევიკი, რომელ არს საკუთრივ ეგრი, ფასისის მდინარის მოსახლერედ, ამავე სახელწოდების (ფასისის) ქალაქითურთ;

გ) ლაზი-ვი;

დ) ჭანი-ვი, რომელ არს ხალტეთი (ხალდია)...

აქვს ხუთი ქალაქი: იანი, კოტა (=ქუთაისი), როდოპოლისი (=ვარდციხე), ათინა, რიზონი და სხვა მრავალნი ნავთსადგურნი, ე. ი. ზღვის სანაპირო დაბა-ქალაქნი, რომელთა შორის არს ტრაპეზუნტი“³.

¹ იხ. ნოტიციები, რომლებიც ქვემოთ აღნიშნული გვაქვს ნომრები 1 და 2 (G. Parthey-Hieroclis Synecdemus..., VII, IX).

² იხ. P. Peeters, Les Khazars dans la passion de S. Abo de Tiflis (Analecta Bolandiana, LII, fasc. I—II, 1934 წ., გვ. 45).

³ იხ. სომხური გეოგრაფია, 1881 წ., გვ. 27—28.

ამრიგად, ამ ძეგლის ჩვენების თანახმად, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში შედიოდა პროვინცია ქანი-ვი, იგივე ხალდია, და ქალაქები: ათინა, რიზე და ტრაპიზუნტი.

4. წყაროების მიხედვით ისიც შესაძლოა დადგინდეს იქმნას, თუ სად გასდევდა საზღვარი დასავლეთ საქართველოს ტრაპიზონის მხარის შემოერთების შემდეგ. საზღვარის ხაზი, როგორც ირკვევა, გასდევდა მდინარე ხარშუტის ზონაში, ე. ი. საკუთრივ ტრაპიზონის მხარე შედიოდა დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“ სამფლობელოს) ფარგლებში, ხოლო ამის დასავლეთით მდებარე კერასუნ-ფარნაკიის მხარე დასავლეთ საქართველოს ფარგლებს გარეთ დარჩენილა და ბიზანტიის უშუალო სამფლობელოს წარმოადგენდა. ეს ჩანს, კერძოდ, საეკლესიო ოლქების ისტორიული სახელწოდებებიდან. საშუალო საუკუნეებში, ვიდრე მე-8 საუკუნის მეორე ნახევარამდე, როგორც ტრაპიზონის მხარე, ისე კერასუნ-ფარნაკიის მხარე, ითვლებოდა პოლემონის პონტოს საეკლესიო ოლქის ნაწილად (რომლის მიტროპოლია იყო ნეოკესარიაში). შემდეგ, როდესაც მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ტრაპიზონის მხარე დასავლეთ საქართველოს შეერთებია, ტრაპიზონი, როგორც აღნიშნული გვექონდა, ეკლესიური მხრითაც გაერთიანებულა დასავლეთ საქართველოსთან, ლაზიკის მიტროპოლიასთან (რომლის ცენტრს წარმოადგენდა ფასისი-ფოთი); ამიტომაც ტრაპიზონი, ამ დროიდან მოკიდებული, ეკლესიური დანაწილების მიხედვით, ლაზიკად იწოდება. რაც შეეხება კერასუნ-ფარნაკიის მხარეს, იგი, როგორც ბიზანტიის პროვინცია, ისევე რჩება (როგორც თავიდანვე იყო) პოლემონის პონტოს საეკლესიო ოლქის ნაწილად¹.

რომ საზღვარი დასავლეთ საქართველოსი მე-8—9 საუკუნეთა მიჯნაზე გასდევდა ხარშუტის ხეობის ზონაში (ე. ი. იმ სექტორში, სადაც ერთიმეორეს ესაზღვრებოდა საეკლესიო ოლქები ლაზიკისა და პოლემონის პონტოსი), ამას ადასტურებს აგრეთვე ზემოთ-მოყვანილი მე-8—9 საუკუნეთა ტექსტი გეოგრაფიისა, სადაც დასავლეთ საქართველოს (კოლხეთის) ქალაქთა შორის მოხსენებულია ათინა, რიზე და ტრაპიზონი, ხოლო არაა მოხსენებული ქალაქები ხარშუტის ხეობის დასავლეთით (კერასუნი-ფარნაკია, კოტიორა პოლემონი).

5. ცალკეა აღსანიშნავი აგრეთვე შემდეგი გარემოება. მას შემდეგ, რაც, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ტრაპიზონის მხარე დასავლეთ საქართველოს შემადგენლობაში შევიდა, ტრაპიზონის მხარეს არა მხოლოდ როგორც საეკლესიო ოლქს მიეკუთვნა ლაზიკის სახელი, არამედ ტრაპიზონის მხარეზე

¹ აღსანიშნავია, რომ ეს სხვაობა საეკლესიო ოლქების ისტორიული სახელწოდებებისა ბოლომდე შერჩა მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე. ტრაპიზონის კათედრას, მას შემდეგაც, რაც იგი ცალკე საეკლესიო ერთეულის (სამიტროპოლიტოს) სახით ჩამოყალიბდა, ისევ ეწოდება იგივე სახელი ლაზიკა, რა სახელწოდებაც ხმარებაში დამკვიდრდა ლაზიკის მიტროპოლიასთან დაკავშირების შემდეგ (იხ. ნოტიციები X—XVI საუკუნეთა, რომლებიც ქვემოთ აღნიშნული გვყავს №№-ებით 6, 7, 8, 14, 20, და სხვ.). ხოლო რაც შეეხება კერასუნ-ფარნაკიის მხარის კათედრებს, კერასუნის საეპისკოპოსოს (შემდეგ სამიტროპოლიტოს) და პოლემონის საეპისკოპოსოს, ისინი მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე პოლემონის პონტოს საეკლესიო ტერიტორიის ნაწილად ითვლებიან (იხ. ნოტიციები X—XVI საუკუნეთა).

საერთოდ გავრცელებულა ეს ისტორიული ზოგადი სახელწოდება დასავლეთ-საქართველოსი -- ლ ა ზ ი კ ა, ლ ა ზ ი ა.

ჩვენ მოხსენებული გაქონდა, რომ ტრაპიზონის მხარეში მოსახლე ქართველი ტომები ანტიკურ ხანაში და აღრეულ საშუალო საუკუნეებში მოიხსენებიან სახელწოდებებით კოლხები (სამხრეთის კოლხები), მაკრონები, სანები (ქანები), ხალიბები — ხალდები (ქალდები). რაც შეეხება სახელწოდებას ლ ა ზ ი, ეს სატომო სახელწოდება ქუთუნის თავდაპირველად დასავლეთ საქართველოს შიდა ნაწილს და უცნობია ქოროხის სამხრეთ მხარეებში. მხოლოდ მე-7 საუკუნიდან, როდესაც ქოროხის სამხრეთით მდებარე რიზეს მხარე ადმინისტრაციულად დაუკავშირდა დასავლეთ საქართველოს, რიზეს მხარეზე გავრცელებულა დასავლეთ საქართველოს ეს ზოგადი სახელი ლ ა ზ ი ა. ხოლო მომდევნო ხანაში, როდესაც მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთ საქართველოს შეუერთდა ტრაპიზონის მხარე, ეს სახელწოდება ლ ა ზ ი კ ა — ტრაპიზონის მხარეზედაც გადავიდა. ყველა არსებული საისტორიო წყაროების ერთხმივი ჩვენება არ ტოვებს არაერთარ ეჭვს, რომ სახელწოდება ლაზიკა არ მიემართებოდა რიზეს მხარეს მე-7 საუკუნემდე, ხოლო ტრაპიზონის მხარეს მე-8 საუკუნის მეორე ნახევარამდე.

გავეცნოთ ამის შემდეგ ამ მომდევნო ხანის საისტორიო წყაროებს, მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული.

ამ მომდევნო ხანაში, მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როდესაც ტრაპიზონის მხარე დაუკავშირდა დასავლეთ საქართველოს, საისტორიო წყაროებში ტრაპიზონის მხარეს მიემართება შემდეგი სახელწოდებანი:

ბერძნულ წყაროებში: ძველი სახელწოდება -- ხ ა ლ დ ი ა; ახალი სახელწოდება -- ლ ა ზ ი კ ა.

ქართულ წყაროებში: ძველი სახელწოდება -- ხ ა ლ დ ი ა (ქ ა ლ დ ი ა); ახალი სახელწოდება -- „ქუეყანა მეგრელთა“ ანუ „ქუეყანა სამეგრელოჲსა“ (=ლაზია).

შევჩერდეთ ჯერ ბერძნულ წყაროებზე.

ა. მე-8 საუკუნის მეორე ნახევრის ავტორი ეპიტანე კონსტანტინეპოლელი, რომლის სალიტერატურო მოღვაწეობა 780-იან წლებს ეკუთვნის (ე. ი. სწორედ იმავე ხანას, რა დროსაც ტრაპიზონის მხარე გაერთიანდა დასავლეთ საქართველოსთან, ისტორიულ ლ ა ზ ი კ ა ს თ ა ნ), ქალაქ ტრაპიზონს უწოდებს -- „ლ ა ზ ი კ ი ს ქ ა ლ ა ქ ი ტ რ ა პ ე ზ უ ნ ტ ი“ („Τραπεζοντα πάλιν τῆς Ααζιχῆς“. იხ. PGR, t. 120, 229).

ბ. თეოფანე აღმსარებელის ქრონოგრაფიაში, რომელიც მე-9 საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის (810—814 წ.წ.), ტრაპიზონის მხარეს ლ ა ზ ი კ ა ეწოდება. აგვიწერს რა ერეკლე კეისრის მეორე ლაშქრობას კავკასიაში (როდესაც ერეკლე ტრაპიზონის გზით გადავიდა არმენიაში), თეოფანე ტრაპიზონის მხარეს აღნიშნავს ლ ა ზ ი კ ი ს სახელით¹.

¹ იხ. А. Манаңдян, Маршруты персидских походов иш. Ираня, Виз. Вр., III, 1950, გვ. 148.—თეოფანეს ქრონოგრაფიის ტექსტი, დე ბოორის გამოცემა (1833 წ.), გვ. 315—316 (=ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, IV, 1, გვ. 98—100).

გ. ნიკიფორე კონსტანტინეპოლელი პატრიარქი (806—815 წ.წ.), ეხება რა ერეკლე კეისრის იმავე მეორე ლაშქრობას კავკასიაში, ასევე ტრაპიზონის მხარეს ლაზიკის სახელით მოიხსენებს¹.

ჩვენ აქ შევჩერდით მხოლოდ მე-8—9 საუკუნეთა ბერძენ ავტორებზე.

გვიანი ხანის ბერძნულ წყაროებშიაც ტრაპიზონის მხარე ასევე ლაზიკის, ლაზთა ქვეყნის სახელით მოიხსენება (იხ. მაგ. Georgii Pachimeris de Mich. Paleologo, ed. Bonnæ, გვ. 270, 287, 519; Fontes historiae Trapezuntis, ა. პაპადულო კერამევის გამოცემა, გვ. 151 და სხვ.).

მიემართოთ ამის შემდეგ ქართულ წყაროებს.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ტრაპიზონის მხარეს ქართულ წყაროებში ეწოდება როგორც ხალდია, ქალდია, ისე „ქუეყანა მეგრელთა“ ანუ „ქუეყანა სამეგრელოჲსა“ (= ლაზია).

ხალდიის ანუ ქალდიის სახელწოდებით ტრაპიზონის მხარე მოიხსენება იოანე საბანის ძის თხზულებაში (იხ. ზემოთ, გვ. 208), სუმბატ დავითის ძის მათიანეში (იხ. გვ. *585/355—356), გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ის ცხოვრებაში (გვ. *475/248).

ანდრია მოციქულის მიმოსლვათა მოსახსენებელის ქართულ ვერსიაში, რომელიც ეფთიმე მთაწმიდელს (958—1028 წ.წ.) ეკუთვნის², ტრაპიზონის მხარეს ეწოდება „სოფელი [ქუეყანა] მეგრელთა“. ეფთიმე მთაწმიდელი, აგვიწერს რა ანდრია მოციქულის ქადაგებას პონტოსა და საქართველოს ცხარეებში, აღნიშნავს:

„მოიწია უკვე ქალაქად ტრაპეზუნტად, რომელ იგი უნ არს [= გაშენებულია] სოფელსა [= ქუეყანასა] მეგრელთასა“³.

მეორე ქართულ ტექსტში, აკათისტოს საკითხავის ქართულ ვერსიაში, რომელიც გიორგი მთაწმიდელს (1009—1065 წ.წ.) ეკუთვნის, ტრაპიზონის მხარეს ასევე ეწოდება—ქუეყანა სამეგრელოჲსა. ამ ტექსტში, ერეკლე კეისრის კავკასიაში მეორე ლაშქრობის აღწერის დროს, აღნიშნულია, რომ ერეკლე „მიიწია — ტრაპეზუნტად სანახებთა (მხარეთა) მათ სამეგრელოჲსათა“ (იხ. ხელნაწერი 1042 წლისა, A—500, გვ. 516-b; მ. ჯანაშვილის გამოცემა, СМОНПР, XXVII, გვ. 49; თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, გვ. 64).

ორივე ქართულ ტექსტში წარმოდგენილი სახელწოდება „სამეგრელო“ შეეფარდება ამ ძეგლების პირველ-დენებში წარმოდგენილ სახელწოდებას „ლაზიკა“.

ჩვენ ამით დავასრულებთ: ამ ექსკურსს ტრაპიზონის მხარის დასაველეთ საქართველოსთან გაერთიანების შესახებ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, 780 წლის ახლო ხანებში.

*

გადავდივართ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ როდის და რა ვითარებაში მოხდა დასაველეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, აღდგენა მეფობისა.

¹ იხ. ნიკიფორე კონსტანტინეპოლელის „მოკლე ისტორია“, დე ბოორის გამოცემა, 1880 წ., გვ. 15 (=ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 2, გვ. 207—208).

² ეფთიმე მთაწმიდელს ანდრია მოციქულის მიმოსლვათა მოსახსენებელის ქართულ ვერსიაში გამოყენებული აქვს ეპ. ფანე კონსტანტინეპოლელისა და ნიკიტა პაფლაგონელის ტექსტები.

³ იხ. საქართველოს სამოთხე (მ. საბინინის გამოცემა), 1882 წ., გვ. 30.

ცნობები ამის შესახებ დაცულია ძველ-ქართულ საისტორიო ძეგლში „მატიანე ქართლისა“.

მატიანის ცნობით, ლეონ II-ის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება მაშინ მომხდარა, „რამეს მოუძღურდეს ბერძენნი“¹.

ბიზანტიის ამ „მოუძღურებას“, რაზედაც მიუთითებს მემატიანე, ადგილი ჰქონდა მე-8 საუკუნის დასასრულს, უკანასკნელი ორი ათეული წლების მანძილზე.

780 წელს გარდაიცვალა ბიზანტიის იმპერატორი ლეონ IV და იმპერატორად გამოცხადებულ იქმნა მცირეწლოვანი (ათი წლისა) კონსტანტინე VI, ხოლო რეგენტად მისი დედა ირინე დედოფალი. დაწყებული ამ დროიდან, ბიზანტია ხდებდა ასპარეზი ხანგრძლივი შინაგანი არეულობისა. ამას შედეგად მოჰყვა ბიზანტიის ყოფილი სამხედრო ძლიერების შესუსტება. 783 წელს ბიზანტიამ შესძლო მიეღწია ზავისათვის არაბებთან მხოლოდ იმით, რომ თავს იდგა ყოველწლიური ხარკი არაბთა სასარგებლოდ. ამის შემდეგ ბიზანტიამ კიდევ განიცადა მარცხი ომებში არაბებთან და ბულგარებთან.

შინაგანი პოლიტიკური და სამხედრო კრიზისი ბიზანტიისა გრძელდება როგორც კონსტანტინე VI-ის მეფობის დროს (780—797 წ. წ.), ისე კონსტანტინე VI-ის გადაყენების შემდეგ, მისი დედის ირინეს მეფობის დროს (797—802 წ. წ.).

ასეთ ვითარებაში დასაველთ საქართველოს („აფხაზეთის“ სამფლობელოს) ხელისუფლებას მიუჩნევია, რომ დადგა ხელსაყრელი დრო იმისათვის, რათა აღდგენილიყო ქვეყნის დამოუკიდებლობა, რაც კოლხეთმა მთელი საუკუნეები იყო რომ დაჰკარგა.

ლეონ II გადასდგამს გადამწყვეტ ნაბიჯს. იგი გადაუდგება ბიზანტიას. გამოაცხადებს დასაველთ საქართველოს („აფხაზეთის“ სამფლობელოს) დამოუკიდებლობას და მიიღებს მეფის წოდებულებას.

ეს მომხდარა, როგორც დასტურდება წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან. 786—798 წლებს შორის².

როგორ შეხვდა ამ აქტს ბიზანტია? ჩატარდა ეს აქტი უომრად და ბიზანტია მხოლოდ შეურიგდა მომხდარ ფაქტს?

როგორც ირკვევა, არა.

ბიზანტიას, რომელიც დასაველთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამფლობელოს სიუზერენი იყო, საფიქრებელია, უნდა ჰყოლოდა, და როგორც ირკვევს ჰყოლია კიდევ, თავისი ჯარები დაბანაკებული დასაველთ საქართველოში.

(ცნობილია, რომ ჯერ კიდევ მე-8 საუკუნეში, როდესაც ლაზეთის სამეფო ბიზანტიის მოკავშირედ ითვლებოდა, ბიზანტიას ჰყავდა თავისი მუდმივი ჯარები ლაზეთში არა მხოლოდ ომის დროს, არამედ მშვიდობიანობის დროსაც)³.

¹ იხ. მათიანე ქართლისა, გვ. *441/218.

² როგორც ირკვევა იოანე საბანის-ძის ტექსტიდან, ლეონ II-ის განდგომა ბერძენთაგან და მეფის ტიტულის მიღება მომხდარა 786 წლის შემდეგ. ხოლო ლეონი გარდაიცვალა 798 წლის ახლო (არა უგვიანეს 799 წლისა, ვინაიდან დემეტრე II, რომელიც გამეფდა ლეონის გარდაცვალებიდან 27 წლის შემდეგ, უკვე მეფედ ჩანს 826 წელს; იხ. ცხორება გრიგოლ ხანძთელი-სა, გვ. 51—53).

³ იხ. აგათია სქოლასტიკოსის ისტორია (ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, III, გვ. 187).

ლეონ II-ეს, როგორც ირკვევა, მოუხდა ბრძოლა დასავლეთ საქართველოში დაბანაკებულ ბიზანტიის ჯარებთან და მათი განდევნა დასავლეთ საქართველოს ფარგლებიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ ბიზანტიიდან განდგომის საქმე კარგად ყოფილა წინასწარ მომზადებული დასავლეთ საქართველოს ხელისუფლების მიერ.

ლეონ II-ს, ვიდრე იგი გამოაცხადებდა განდგომას ბიზანტიიდან, ამაზე ადრე კავშირი დაუწყარებია ხაზარეთის სამეფოსთან, რომლის დინასტიასთან იგი ნათესაურ კავშირშია იმყოფებოდა (ლეონის დედა ხაზართა მეფის ასული იყო) და მიუღია ხაზართაგან სამხედრო დახმარება. მემატთანე წერს, რომ ლეონ II ხაზართა ჯარის დახმარებით „გააღვა ბერძენთა, და იპყრა აფხაზეთი და ეგრისი ვიდრე ლიხამდე“¹.

ამრიგად, ლეონს მოუხდა დაპყრობა ბერძენთაგან დასავლეთ საქართველოს ტერიტორიებისა (აფხაზეთისა და ეგრისისა ვიდრე ლიხამდე) და ამ ბრძოლებში მას დამხმარედ ჰყოლია ხაზართა ჯარები.

ბრძოლა ამით არ დამთავრებულა.

ამ დამარცხების შემდეგაც, რომელიც განიცადა ბიზანტიის იმპერიამ დასავლეთ საქართველოში, ბიზანტია, როგორც ირკვევა, არ შერიგებია მომხდარ ფაქტს და მომდევნო ხანაში არა ერთგზის ცდილა სამხედრო ინტერვენცია მოეწყო დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის სამეფოში, ძველი მდგომარეობის აღდგენის მიზნით. ეს ბრძოლები ბიზანტიის იმპერიასა და აფხაზეთის სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) შორის გაგრძელებულა მთელი ნახევარი საუკუნე. ბრძოლები სწყდებოდა, და ისევ ასლდებოდა დროთა მანძილზე.

ბიზანტიურ წყაროებში დაცულია ცნობა ბიზანტიელთა სამი სამხედრო ექსპედიციის შესახებ დასავლეთ საქართველოში ამ მომდევნო ხანაში, მეცხრე საუკუნის პირველ ნახევარში, რაც სამჯერვე ბიზანტიელთა სასტიკი დამარცხებით დამთავრებულა.

ერთი ასეთი ექსპედიციის შესახებ, რომელიც მოუწყვიათ ბიზანტიელებს აფხაზეთის სამეფოს (დასავლეთ საქართველოს) წინააღმდეგ თეოფილე კეისრის დროს 830-იან წლებში, ბიზანტიელი მემატთანე (თეოფანეს ქრონოგრაფიის გამგრძელებელი) შემდეგს გადმოგვცემს:

„აფხაზეთში იქმნენ გაგზავნილნი თეოფოზე [ხორასნელი მთავარი, რომელიც თავისი რაზმებით მიემხრო ბიზანტიელებს] და თეოდორას [ბიზანტიის დედოფლის] ძმა ბარდა, — დიდძალი ჯარით, და სასტიკად დამარცხდნენ, ასე რომ ძალიან ცოტანილა დაბრუნდნენ იქიდან უკან“².

ასევე სასტიკი დამარცხება განიცადა ბიზანტიის იმპერიამ შემდგომი ორი დიდი ლაშქრობის დროსაც, რომლებიც ბიზანტიამ მოაწყო დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ მომდევნო ათეულ წელიწადში, 840-იანი წლების დასაწყისში, 842—844 წლებში.

¹ იხ. მატთანე ქართლისა, გვ. * 441/218.

² იხ. თეოფანეს ქრონოგრაფიის გაგრძელება, ed. Bonnac, გვ. 137 (=ს. ყაუხჩიშვილი, ჰეორგია, IV, 2, გვ. 327).

ბიზანტიელების ამ ლაშქრობათა სარდალი იყო ბიზანტიის იმპერიის ლოგოთეტი, ხელმძღვანელი მინისტრი, თეოქტისტე.

იგივე ბიზანტიელი მემატიანე (თეოფანეს ქრონოგრაფიის გამგრძელებელი) შემდეგს გადმოგვცემს ბიზანტიელების ამ ლაშქრობათა შესახებ აფხაზეთის სამეფოში (დასავლეთ საქართველოში):

„თეოქტისტე (ლოგოთეტი)... მუდამ დამარცხებული ბრუნდებოდა და ჯარს სრულიად განადგურებაში აგდებდა... მზის ორი დაბნელება რომ მოხდა, აბაზგების (აფხაზეთის სამეფოს) წინააღმდეგ სარდალად დანიშნულმა, ლეთის რისხვა იგემა უბედურმა: ჯარის ერთმა ნაწილმა ხომალდის დამსხვრევა განიცადა და სიცოცხლე შესწირა, სხვები კიღევ, თუმცა ხმელეთზე გავიდნენ, მაგრამ უბედურება გააზიარეს. აი ასე დაიღუპა ეს ჯარი.

„ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა და მან კვლავ მეტის გაბედულებით ომს მოჰკიდა ხელი და 40 ათას კაცზე მეტი დაჰკარგა თავისი ჯარიდან“¹.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ბიზანტიის იმპერიასა და დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის სამეფოს) შორის დიდი მასშტაბის ომები წარმოებდა, რამდენადაც, მემატიანის ცნობით, ამ ერთი ექსპედიციის დროს ბიზანტიელებს ორმოცი ათას კაცზე მეტი დაუკარგავთ.

ბიზანტიელთა ეს ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში, რომელიც 840-იან წლებში მოეწყო, უკანასკნელი იყო. იმ გამანადგურებელი დამარცხების შემდეგ, რომელიც ამ დროს ბიზანტიამ განიცადა, ბიზანტიის იმპერიას აღარ უცდია განეახლებინა ბრძოლა.

ასე გამოიქვედა ამ ბრძოლებში ქართველი ხალხის თავისუფლება. ასე იქმნა აღდგენილი დამოუკიდებლობა დასავლეთ საქართველოს ქვეყნებისა, ძველი კოლხეთისა, და დაიწყო ახალი ერა დასავლეთ საქართველოს ისტორიაში.

პოლიტიკური ცენტრი დასავლეთ საქართველოსი—„აფხაზეთის“ სამეფოსი—გადმოტანილ იქმნა საკუთრივ აფხაზეთიდან ქუთაისში, კოლხეთის მხარეთა ამ ძველ ქალაქში. (უფრო გვიან, საქართველოს გაერთიანების შემდეგ, ქუთაისი ხდება სრულიად საქართველოს დედაქალაქი და ასეთად რჩება იგი დღევით აღმაშენებელის ეპოქამდე, როდესაც დედაქალაქი ქუთაისიდან თბილისში იქმნა გადმოტანილი).

3

ცნობები გიორგი მერჩულის ძეგლია „აფხაზეთის“ სამეფოს შესახებ.

ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა „აფხაზეთის“ სამეფოს ხელისუფლებისა

გიორგი მერჩულის ძეგლი „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ შეიცავს ცნობებს დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს შესახებ მისი დაარსების მომდევნო ხანიდან, მე-9 — 10 საუკუნეებში.

გიორგი მერჩულის ძეგლში მოიხსენებიან დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს დინასტიის წევრები:

¹ იხ. თეოფანეს ქრონოგრაფიის გაგრძელება, ed. БОНА., გვ. 202 — 203 (=ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, IV, 2, გვ. 328—329).

მეფე დემეტრე II (825—861 წ.წ.), ძე აფხაზეთის სამეფოს დამაარსებელის ლეონ II-ისა;

მეფე კოსტანტი III (893—922 წ.წ.);

მეფე გიორგი II (922—957 წ.წ.);

ბაგრატ შაროელი ხელმწიფე (უფლისწული);

ბევრეულისი—ანასტასია დედოფალი, ასული ბაგრატ შაროელისა, მეუღლე ადარნესე ხელმწიფისა ბაგრატიონისა, აშოტ I-ის ძისა.

ძეგლში დასახელებულია დასავლეთ საქართველოს — „აფხაზეთის“ სამეფოს—გეოგრაფიული პუნქტები, საეანეები:

1. უბეჲ, დაარსებული 826 წლის ახლო დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ მეფის დემეტრე II-ის მოღვაწეობით გრიგოლ ხანძთელის მიერ. ეს ისტორიული უბეჲ აფხაზეთისა არის თანამედროვე უბისი ზემო-იმერეთისა. უბეჲს საეანის წინამძღვრად გრიგოლ ხანძთელის მიერ დადგენილი იქმნა ილარიონი, მოღვაწე იერუსალიმის ქართული კოლონიისა, რომელიც ცნობილი იწიგნობარი-ბიბლიოფილი ყოფილა.

2. ფერსათი — პუნქტი დასავლეთ საქართველოში, მდინარე ხანის-წყალის ხეობაში, დაბა ბაღდადის სანახებში. გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობის თანახმად, მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში ფეწსათში არსებულა დედათა მონასტერი, სადაც მოღვაწეობდა ბევრეულისი-ანასტასია დედოფალი, ასული ბაგრატ შაროელისა. თვით ეს მხარე, როგორც ირკვევა, მთავრის (უფლისწულის) ბაგრატ შაროელის სამფლობელოს შეადგენდა, და ფერსათის ეს მონასტერი, ჩანს, მთავრის სახლის საეანე იყო.

აღსანიშნავია, რომ ფერსათის ეს მონასტერი, რომელიც მოხსენებული აქვს გიორგი მერჩულეს მე-9 საუკუნეში, არსებულა შემდეგ ხანაშიაც, და იგი, უკვე გაუქმებული, მაგრამ ჯერ კიდევ მთლიანად დაცული, მოხსენებული აქვს მე-18 საუკუნეში ვახუშტი ბატონიშვილს.

ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ვარდციხეს ხეთ ერთვის რიონს ხანის-წყალი, გამოსდის ფერსათს (მთას), მოდის ჩრდილოთ და მიერთვის რიონს სამარხიდანე. ამაზედ აღაშენეს... ციხე... და პირველ ეწოდა ადგილსა ამას ბაღდადი. ამ წყალზედ, (ბაღდადის) ციხის სამართო, ფერსათის კალთას, არს მონასტერი გუმბათიანი, კეთილშენი და აწ უქმი“ (იხ. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 150)¹.

გიორგი მერჩულის ძეგლის აღნიშნული ცნობები დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს შესახებ, როგორც უძველესი უწყებანი ქართული ნაციონალური წყაროსი დასავლეთ საქართველოზე, ბევრნაირად ინტერესს წარმოადგენს ისტორიკოსისათვის.

¹ ვახუშტის ამ ცნობის თანახმად ფერსათის მონასტერი გაშენებული ყოფილა არა თანამედროვე სოფელ ფერსათში (რომელიც ბაღდადის ჩრდილოეთით, ბარში მდებარეობს), არამედ ფერსათის მთის კალთაზე, ბაღდადის ციხის სამხრეთით. ფერსათის სახელწოდება ამ მონასტერს, ჩანს, მიუღია ფერსათის მთიდან და არა თანამედროვე სოფელ ფერსათიდან. (არაა გამორჩეული, რომ თვით სოფელი ფერსათიც ამ დროს აქ, ფერსათის მთის კალთაზე, იყო გაშენებული).

რაკი ეს ძეგლი მე-18 საუკუნეში ჯერ კიდევ მთლიანად ყოფილა შენახული, შესაძლოა იგი დღემდისაც იყოს ამა თუ იმ სახით დაცული. (აჭირა ამ კუთხის არქეოლოგიური მიმოხილვა დასავლეთ-საქართველოს ამ ერთ-ერთი უძველესი თარიღიანი ძეგლის აღმოსაჩენად.

მაგრამ მთავარი მაინც ეს არაა.

მთავარი ინტერესი გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებისა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს შესახებ იმაში მდგომარეობს, რომ ჩვენ აქ ვლტებლობთ ახალ ჩვენებებს იმ მკვეთრი ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შესახებ, რომლის გამტარებელია დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს ხელისუფლება დღიდან ამ სამეფოს დაარსებისა.

ეს ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი, თავიდანვე მიმართულია უცხოეთის, ბიზანტიის გავლენისაგან ემანსიპაციისაკენ. ეს ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა, კერძოდ, იმაში გამოიხატა, რომ ბერძნული ენა, ბიზანტიის ხანგრძლივი მფლობელობის შედეგად გაბატონებული დასავლეთ საქართველოში როგორც მთავარი სახელმწიფო და საეკლესიო ენა, განდევნილ იქმნა და ბერძნულის ადგილი მთლიანად ქართულმა დაიჭირა. ქართული ენა გამოცხადებულია ერთადერთ სახელმწიფო ენად, ქართული ენა გაბატონდა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპარეზზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ ბერძნული ენა განდევნილ იქმნა თვით ეკლესიიდანაც, აქაც ბერძნული ქართულმა შესცვალა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, თუ რა მონოპოლიური მდგომარეობა ეჭირა ეკლესიას განათლების საქმეში საშუალო საუკუნეთა პირობებში, როდესაც განათლება და მწიგნობრობა უპირატესად ეკლესიის საფარს ქვეშ ვითარდებოდა, განათლებისა და მწიგნობრობის მთავარ ცენტრებს უმთავრესად მონასტრები და ეკლესიის გავლენის ქვეშ მყოფი სასწავლებლები და სკოლები შეადგენდნენ, — ადვილად წარმოსადგენია, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ბერძნული ენის ნაცვლად ქართულის შემოღებას ეკლესიაში.

ეს უდიდესი მნიშვნელობის რეფორმა, შეცვლა ეკლესიაში ბერძნული ენისა ქართულით, შესაძლო გახდა ჩატარებულ იქნა იმის შედეგად, რომ „აფხაზეთა“ სამეფოს ხელისუფლებამ დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც იერარქიულად დაკავშირებული იყო ბიზანტიის საიმპერიო ეკლესიასთან, კონსტანტინეპოლის პატრიარქატთან, ჩამოაშორა კონსტანტინეპოლს და დაუკავშირა ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოს.

ამრიგად, ხანა „აფხაზეთა“ სამეფოსი—ეს არის ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში.

ამ ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის შედეგი იყო ის, რომ მე-9—10 საუკუნეებში, ე. ი. უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა საქართველოს გაერთიანება ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულად, განმტკიცდა ქართველი ხალხის კულტურული ერთიანობა, რაც გახდა წინაპირობა ქართველი ხალხის შემდგომი პოლიტიკური გაერთიანებისათვის.

გიორგი მერჩულის თხზულებაში, რომელიც დაწერილია ეპოქაში, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ დანაწილებულია სამეფო-სამთავროებად, წარმოდგენილია ფორმულა საქართველოს კულტურული მთლიანობისა, და ეს

არა მარტო საეკლესიო ერთობის საფუძველზე, არამედ ენის ერთობის საფუძველზე, ვინაიდან ამ დროს ქართული ენა გახდა კულტურის საერთო ენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, საერთო ენა მწერლობისა, ეკლესიისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგისა.

გიორგი მერჩულის ძეგლში ეს კლასიკური — თავისი ეპოქისათვის ფორმულა საქართველოს მთლიანობისა ასეა წარმოდგენილი:

„ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“¹.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ამ ფორმულაში ნიშანდობლივ ხაზგასმულია, რომ „აფხაზეთის“ სამეფო არის იგივე „ქართლი“.

როგორც ცნობილია, ადრეულ საშუალო საუკუნეებში ქართლის სახელწოდებით აღინიშნებოდა იბერია (ე. ი. აღმოსავლეთ საქართველო, საკუთრივ ქართლი, ქახეთითა და მესხეთით).

ხოლო ამ ფორმულით გიორგი მერჩულე სახელწოდებას „ქართლი“ სულ სხვა შინაარსსა და სულ სხვა მნიშვნელობას ანიჭებს. გიორგი მერჩულე აქ გვეუბნება, რომ ქართლი ეს არის არა მარტო ეთნოგრაფიული ქართლი-იბერია, არამედ, „ფრიადი ქუეყანა“ (— დიდი ქვეყანა), მთელი საქართველო, სადაც კი ქართული ენაა მიღებული, სადაც კი ქართულითა ენითა „ეამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“.

რომ ქართლის სახელწოდებით აქ იგულისხმება ძველ იბერიასთან ერთად „აფხაზეთის“ სამეფო, ეს სრულიად უდავოდ დასტურდება, კერძოდ, ბოლო განმარტებიდან: „რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების“. ამ დროს, როდესაც გიორგი მერჩულე წერდა ამ სიტყვებს, მე-10 საუკუნის შუა წლებში, „აფხაზეთის“ სამეფოში უკვე ჩატარებული იყო რეფორმა ეკლესიისა და აქ „ქართულითა ენითა ეამი შეიწირვოდა და ლოცვაჲ ყოველი აღესრულებოდა“. უფრო მეტიც. „აფხაზეთის“ სამეფოს ეკლესიაში არა თუ განდევნილი იყო ბერძნული და ქართული იყო გაბატონებული, არამედ თვით აფხაზეთის სამეფო ამ დროს გამხდარა ერთ-ერთი ცენტრი ქართული საეკლესიო მწერლობისა, აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლების საგანგებო მფარველობის ქვეშ. ასე, უფრო ადრე, ვიდრე დაიწერებოდა გიორგი მერჩულის თხზულება, „აფხაზეთის“ მეფის გიორგი II-ის (922—957 წ. წ.) დროს აფხაზეთში მოღვაწეობს განთქმული ქართველი მწერალი პოეტი—ჰიმნოგრაფი ივანე მინჩხი, რომლის საგალობელნი, საეკლესიო ჰიმნები ქართულს ენაზე, დაწერილნი აფხაზეთში, აქედან პოულობენ გავრცელებას საქართველოში. ივანე მინჩხის ეს მოღვაწეობა მიმდინარეობს აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის პირადი მფარველობით. ივანე მინჩხის ერთ-ერთ ჰიმნს (გალობას) დართული აქვს ასეთი წარწერა:

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 97.

„ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერებთან მინჩხისადა“¹.

აღსანიშნავია, რომ ქართულ საეკლესიო მწერლობას აფხაზეთში მკვიდრი ნიდაგი ჰქონია ამაზე აღრინდელ ხანაშიაც, მე-9 საუკუნეში. ასე, აფხაზეთიდან არის ის გამოჩენილი ქართველი მწერალი (პოეტი) მე-9 საუკუნის დასაწყისისა, რომელსაც ეკუთვნის პაგიოგრაფიული პოემა, მარტვილობა მიქაელ საბაწმიდელისა (—ნაწარმოები, რომელიც „აბუკურა“-ს სახელით იყო ცნობილი, და რომელიც უფრო გვიან, „სიბრძნე ბალავარისა“-ს წიგნთან ერთად, ქართულიდან თარგმნა ბერძნულად განთქმულმა ქართველმა მწერალმა ეფთიმე მთაწმიდელმა)².

ამავე ხანაში არის დაწერილი აფხაზეთში (დასავლეთ არგვეთში, ანუ აფხაზეთის არგვეთში) ქართული საეკლესიო (პაგიოგრაფიული) მწერლობის ძეგლი, პირველდენი და ვითის და კონსტანტინეს მარტვილობისა, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო მარტვილობის მეტაფრასტულ ვერსიას³.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ქართულ ენაზე იწერება ამ ეპოქაში როგორც საეკლესიო მწერლობის ძეგლები, ისე საისტორიო მწერლობის ძეგლები. ასე, ამ ხანაში აფხაზეთში სდგება მატიანეები, — ცხორება აფხაზეთა (რესპ. ცხორება აფხაზეთა მეფეთა). გამონაკრები აფხაზეთის ამ მატიანეებისა შეტანილია მეორე ძველ-ქართულ საისტორიო თხზულებაში „მატიანე ქართლისაჲ“, რომელიც შეიცავს საისტორიო მოთხრობას როგორც ქართლის (იბერიის) შესახებ, ისე აფხაზეთის მხარეთა შესახებ, მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული ვიდრე ბაგრატ III-ის, საქართველოს გამაერთიანებლის ეპოქამდე. („მატიანე ქართლისაჲ“-ში დაცულია პირდაპირი მითითება აფხაზეთის მატიანეებზე მეთათე საუკუნის პირველი ნახევრისათვის; იხ. გვ. *451/228)⁴.

*

ამის შემდეგ ჩვენ სპეციალურად შევჩერდებით საკითხზე, თუ როდის, სახელობრ რა ისტორიულ ვითარებაში და რა სახით ჩატარდა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს ისტორიაში, საეკლესიო რეფორმა, ანუ უფრო სწორად რეფორმაცია დასავლეთ საქართველოს ეკლესიისა, მისი ჩამოშორება კონსტანტინეპოლის პატრიარქატიდან და ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოსთან დაკავშირება, რაც მის ნაციონალიზაციას, გაქართულებას მოასწავებდა.

ეს საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში დღემდე გარკვეული არაა. ამ საკითხთა გასარკვევად მეტად მნიშვნელოვან ჩვენებას იძლევა, კერძოდ, გიორგი მერჩულის ძეგლი.

ვიდრე გადავიდოდეთ აქ აღძრულ საკითხებზე, წინასწარ ჩვენ მოგვიხდე-

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ., გვ. 145.

² იხ. პ. ინგოროყვა, ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (ჟურნ. „მნათობი“, 1939 წ., № 9, გვ. 116—119, № 10—11, გვ. 249—254).

³ იხ. იქვე, № 10—11, გვ. 250.

⁴ იხ. იქვე, № 10—11, გვ. 220—221.

ბა შევეხოთ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ისტორიის ძირითად მომენტებს ვიდრე რეფორმაციის ხანამდე.

დასავლეთ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელება, როგორც ირკვევა, უძველეს ხანას, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებს ეკუთვნის.

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ ანტიკური ხანის დასასრულს არსებულა გადმოცემები, რომ ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში (და დასავლეთ საქართველოსთან ერთად იბერიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, მესხეთში) ვითომც მოციქულთა ხანაში გავრცელდა. ეს ლეგენდარული ხასიათის გადმოცემები, რომელიც მიეწერება მესამე და მეოთხე საუკუნის ავტორებს, ცხადია იმისი მაჩვენებელია, რომ ქრისტიანობას დასავლეთ საქართველოში უძველესი ტრადიცია ჰქონია.

გავეცნოთ აქ ამ გადმოცემებს, კერძოდ იმიჯომაც, რომ ამ გადმოცემებში დაკუთვნილია უაღრესად საყურადღებო ჩვენებები დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან (რაც იძლევა ზემოთ-განხილული ზოგიერთი ცნობების ხელახალ შემოწმებასა და დადასტურებას).

1. ტექსტში, რომელიც მიეწერება დოროთეოს ტვირელს (მესამე საუკუნის დასასრულის ავტორს) და ეპიფანე კვიპრელს (მეოთხე საუკუნის მეორე ნახევრის ავტორს), მოიპოვება შემდეგი ცნობა ანდრია მოციქულის მოღვაწეობის შესახებ დასავლეთ საქართველოში.

„ანდრია... მივიდა დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე („პარემბოლე“ — ჯარის „ბანაკი—საყოფელი“), და მდინარე ფასისი, სადაც ცხოვრობენ უშინაგანესნი ეთიოპნი (=კოლხნი)“¹...

ამ ცნობაში აღნიშნულია სამი პუნქტი, მოხსენებულია სამი კუთხე:

ა) ჩრდილოეთი კოლხეთი, ანუ აფხაზეთი, რომლის მთავარი ცენტრი იყო „დიდი სებასტოპოლი“ (=ციხუმი);

ბ) სამხრეთი კოლხეთი ანუ ქანეთი, რომელიც ცნობილი იყო სახელწოდებით სანეთი (სოსანეთი, სოსანივეთი), რომლის ერთ-ერთი მთავარი პუნქტი იყო ძველი ციხე-ქალაქი აფსარი (ჭოროხის სამხრეთით);

გ) შიდა კოლხეთი (ცენტრალური კოლხეთი) — მდებარე მდინარე ფასისზე (რიონზე).

2. მეორე ტექსტში, სახელდობრ დამატებაში იერონიმეს თხზულებისა, რომელიც მიეწერება მეოთხე საუკუნის ავტორს სოფრონის, ანდრია მოციქულის შესახებ ნათქვამია:

„ანდრია, როგორც გადმოგვეცეს წინაპრებმა, იქადაგა დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე, და მდინარე ფასისი“².

ამრიგად ანდრიას შესახებ აქ უცვლელად მეორდება ზემოთ-მოყვანილი ცნობა.

¹ იხ. Schermann, *Prophet. vitae fab.* p. 153 sq. 156: ვ. ვასილიევსკი, Христеини Ап. Андрей... (Труды. II, 1, 1909 №), გვ. 225. არსებობს ამ პირველი ტექსტის ძველ-ქართული თარგმანი (წარწერილი დოროთეოს ტვირელის სახელით), დაცული მე-10 საუკუნის ქართულ ხელნაწერებში A-95 (გვ. 161—162) და A-144 (გვ. 347); აქ იკითხვის: „ანდრეა... წარვიდა სებასტოპოლთა ქალაქსა მას დიდსა [=დიდ სებასტოპოლისს], სადა ბანაკი [=„პარემბოლე“] იგი იყო აფსარელთა და ფასისი მდინარეს...“

² იხ. O. Gebhardt, *Hieronimus de viris illustribus...*, 1896 (TU, XIV), p. 3, 7—14. ვ. ვასილიევსკი, *op. cit.*, გვ. 225—226.

ხოლო ანდრია მოციქულის თანამოღვაწისა და თანამგზავრის მატათა მოციქულის შესახებ ამ მეორე ტექსტში აღნიშნულია:

„მატათამ... იქადაგა სახარება მეორე ეთიოპიაში (კოლხეთში), სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე და ჰვსის ნავთსადგური... იქვე გარდაიცვალა და დამარხულია ღღემდე“¹.

მატათა მოციქულის მისიონერული მოღვაწეობის ასპარეზად აქ წარმოდგენილია სამხრეთი კოლხეთი ანუ სანეთი (სოსანეთი, სოსანიგეთი), რომლის ჩრდილოეთ სექტორში მდებარეობდა ციხე-სიმაგრე აფსარი, ხოლო სამხრეთ სექტორში ჰვსის ნავთსადგური (რა სახელწოდებითაც ცნობილი იყო შემდეგდროინდელი სურამენე)².

3. მესამე ტექსტში, ზედწერილში მე-8 საუკუნის ავტორის ეპიფანე კონსტანტინეპოლელის თხზულებისა, რომელიც ანდრია მოციქულის მისიონერულ მოღვაწეობას ეხება, დაკულია შემდეგი მითითება მე-4 საუკუნის ავტორზე—ეპიფანე კვიპრელზე:

„კვიპრელი ეპისკოპოსის ეპიფანეს სიტყვით, მან იცოდა გადმოცემიდან, რომ ნეტარმა მოციქულმა ანდრიამ... იქადაგა დიდ სებასტოპოლში, სადაც არის აფსარის ციხე-სიმაგრე, და ჰვსის ნავთსადგური, და მდინარე ფასისი, და სადაც მოსახლეობენ იბერიელნი, სუს[ან]ელნი (resp. სოსანელნი), და ფუსტელნი, და ალანნი“³.

ასეთი შინაარსისაა ეს ტექსტები, რომლებიც მიეწერება მე-3—4 საუკუნეთა ავტორებს, დოროთეოს ტვირელს, სოფრონის და ეპიფანე კვიპრელს.

მართალია, ეს ტექსტები არ მოღწეულა პირველ-ჩანაწერთა სახით, მაგრამ საფიქრებელია, რომ მათი პირველდენი მართლაც მე-3—4 საუკუნეებიდან მომდინარეობს. ამას ადასტურებს, კერძოდ, გეოგრაფიული ნომენკლატურა.

¹ იხ. O. Gebhardt, op. cit., p. 9, 17—22. ვ. ვასილიევსკი, op. cit., გვ. 226.

² აღნიშნავთ, რომ არსებობს აგრეთვე მატათა მოციქულის შესახებ ტექსტის შემდეგი ვერსია:

„მატათა გარდაიცვალა გარე ეთიოპიაში (კოლხეთში), სადაც არის აფსარის ციხე, იქადაგა რა იქ სახარება“ (იხ. Chronicon Pachale, t. II, გვ. 247, ed. Bonn., შენიშენა. შეად. ვ. ვასილიევსკი, op. cit. გვ. 227).

აღნიშნავთ ამასთან, რომ ტექსტი, რომელიც დაბეჭდილია Chronicon Pasch. II, 247, და რომელიც ანდრიას ეხება, დახიანებულად არის დაკული. თავდაპირველი დაწერილობიდან „... *ἐν Σεβαστοπόλει ἢ μαγάλῃ* სიტყვაში „სებასტოპოლი“ აქ ამოვარდნილია პირველი ნაწილი *Σεβαστοπόλει* და არა მარტოდენ *πόλει*, ეს უდავოდ დასტურდება ამ ტექსტის შედარებიდან პირველწყაროებთან: დოროთეოს ტვირელის, ეპიფანე კვიპრელის და სოფრონის ზემოთ ციტირებულ ტექსტებთან. ამიტომაც ის დასკვნები, რომლებიც წარმოდგენილი აქვს ამ დახიანებულ ტექსტზე დაწყებით პროფ. ს. ყაუხჩიშვილის წერილში „ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის“ (ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, X, გვ. 17—23), თითქო ბათუმს ეწოდებოდაო *πόλις μαγάλῃ* (ე. ი. „დიდი პოლისი“, „დიდი ქალაქი“), უნდა მოიხსნას. სინამდვილეში ეს ცნობა ეხება არა ბათუმს, არამედ სუზუმს, სებასტოპოლს.

³ იხ. Migne, PGr., t. 120, გვ. 221; ვ. ვასილიევსკი, op. cit., გვ. 226.

დასახელებულ ტექსტებში ჩვენ გვხვდება გეოგრაფიული სახელწოდება ჰქსის ნავთსადგური. სახელწოდება „ჰქსი“ ამ ნავთსადგურს ერქვა მე-5 საუკუნის დასაწყისამდე. სახელდობრ სახელწოდება ჰქსი ზიემართება ამ ნავთსადგურს მე-2 საუკუნის ავტორებთან—არინესთან, კლავდი პტოლემესთან, აგრეთვე იგი აღნიშნულია Tabula Peutingeriana-ში და ტექსტში Notitia Dignitatum. ხოლო მე-5 საუკუნიდან ეს ძველი სახელწოდება შეცვლილა და ნავთსადგურს დარქმევია სუსარშია ანუ სუსურმენე (იგივე სურმენე). მე-5 საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის თხზულებაში აღნიშნულია, რომ ძველს ჰქსის ნავთსადგურს „ამჟამად ეწოდება სუსარშია“¹. ამ სახელწოდებით—სუსარშია, სუსურმენე, სურმენე—აღნიშნება ეს პუნქტი ყველა ავტორებთან მე-5 საუკუნიდან მოკიდებული, კერძოდ, პროკოპი კესარიელთან² და ორენტიოსისა და ძმთა მარტილობაში³. არც ერთ წყაროში, მე-5 საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული, ამ პუნქტს ჰქსი აღარ ეწოდება.

აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე მე-8 საუკუნის ავტორის ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ვრცელ ჰაგიოგრაფიულ თხზულებაზე ანდრია მოციქულის შესახებ, რომლის შედგენის დროს ავტორს, მისივე სიტყვით, უსარგებლნია ძველი წერილობითი წყაროებით (კლემენტი რომაელის, ეპიფანე კვიპრელის და ევაგრე სიცილიელის ტექსტებით).

ეს თხზულება ეპიფანე კონსტანტინეპოლელისა შემდეგ გამოიყენა განთქმულმა ქართველმა მწერალმა ეფთიმე მთაწმიდელმა ანდრია მოციქულის შესახებ „მოსაკსენებელის“ ქართულ ენაზე შედგენის დროს⁴.

ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში წარმოდგენილია შემდეგი ცნობები ანდრია მოციქულისა და მისი თანამოღვაწე მოციქულების მატათას და სიმონ კანანელის მისიონერული მოღვაწეობის შესახებ დასავლეთ საქართველოში და აგრეთვე იბერიის სანაპირო მხარეებში.

ეპიფანეს ცნობით ანდრია მოციქული პირველი მოგზაურობის დროს— „მივიდა ტრაპეზუნტში, ლაზიკის ქალაქში... (ეფთიმე მთაწმიდელის ქართული ვერსიით: „მიიწია... ქალაქად ტრაპეზუნტად, რომელი იგი შენ [გაშენებულ] არს სოფელსა [ქუეყანასა] მეგრელთასა“). აქედან ის წავიდა იბერიაში. მას შექდეგ, რაც მან ზღვის-პირის მცხოვრებნი მრავალნი განანათლნა, ის ჩავიდა იერუსალიმში“.

მეორე მოგზაურობის დროს, ჰაგიოგრაფის ცნობით, ანდრია ისევ „მოიწია ქალაქსა ტრაპეზუნტს“.

მესამე მოგზაურობის დროს,—გადმოგვეცემს ჰაგიოგრაფი,—ანდრია და მისნი თანამოღვაწენი მატათა და სიმონ კანანელი მოწაფეებითურთ „ჩავიდნენ იბერიაში და ფასისში“ (ეფთიმე მთაწმიდელის ქართული ვერსიით: „მოიწიენეს ქუეყანასა ქართლისასა და ვიდრე მდინარედმდე ქოროხისასა“). აქედან მოციქულნი გადასულან მხარეში, რომელსაც ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ბერძნულ ტექსტში ეწოდება სუსანეთი resp. სოსანეთი (Σουσανη ← Σισανη), ხოლო ეფთიმე მთაწმიდელის ქართულ ტექსტში სოსანიგეთი. ეს არის, როგორც გამორკვეული გვქონდა, სანების ანუ სანიგების მხარე, რომელიც ანტიკური ხანის დასასრულსა და აღრეულ

¹ იხ. SC, I, 272.

² იხ. BP, VIII, 2=გეორგიკა, II, 92.

³ იხ. კ. კეკელიძის გამოცემა, ლიტერატურული ძიებანი, IV, №. 120.

⁴ ეპიფანე კონსტანტინეპოლელის ბერძნული ტექტი იხ. Migne, PG., t. 120. ეფთიმე მთაწმიდელის ქართული ვერსია, იხ. საქართველოს სამოთხე, 1882 წ., გვ. 24—45.

საშუალო საუკუნეთა დასაწყისში (ვიდრე მე-ნ საუკუნემდე) ცალკე ქართულ სამთავროს წარმოდგენდა და რომლის ტერიტორიაზე მდებარეობდა ციხე-ქალაქი აფსარი (ჩრდილოეთ სექტორში) და ჰვსის ნავთსადგური (სამხრეთ სექტორში). ეპიტანე კონსტანტინეპოლელის ცნობით, მატათა თავისი მოწაფეებით დარჩა ამ მხარეში, სოსანეთში. (ძეორე ავტორის, ზემოთ-მოხსენებული სოფრონის ცნობით, მატათა ამ მხარეში მისიონერული მოღვაწეობის შემდეგ, აქვე, სოსანეთში გარდაცვლილა. მისი დასაფლავების ადგილად დასახლებულია აფსარი)¹. სოსანეთიდან, როგორც აღნიშნავს ეპიტანე კონსტანტინეპოლელი, ანდრია, სიმონ კანანელი და მათი მოწაფეები მისულან (შიდა კოლხეთის გზით) „ალანიიში და ქალაქ ფუსტაში“. (ფუსტა მდებარეობდა აფხაზეთის მთიანეთში, მხარეში, რომელსაც მისიმიანეთი ერქვა). ფუსტიდან, ჰაგიოგრაფის ცნობით, მოციქულნი გადმოსულან საკუთრივ აფხაზეთში (აბაზგიაში). ჰაგიოგრაფი გადმოგვცემს: „დიდ სებასტოპოლისში (ცხუმში) რომ ჩავიდნენ, იქადაგეს ღმრთის სიტყვა. ანდრიამ დასტოვა იქ სიმონი მოწაფეებითურთ და თვით წავიდა ჯიქეთში“. ჰაგიოგრაფის ცნობის თანახმად, სიმონი ამ მხარეებში (აფხაზეთსა და აფხაზეთის ჯიქეთში) მოღვაწეობის შემდეგ აქვე გარდაცვლილა და დაუსაფლავებიათ ნიკოფსიაში, რომელიც აფხაზეთის ჯიქეთში მდებარეობდა. ეპიტანე კონსტანტინეპოლელის ბერძნულ ტექსტში ნათქვამია: „არის ჯიქეთის ნიკოფსიაში საფლავი, რომელსაც აქვს წარწერა სიმონ კანანელისა“. ხოლო ეფთიმე მთაწმიდელის ქართულ ვერსიაში ნიკოფსიის ადგილმდებარეობა უფრო დაზუსტებულია: „ხოლო სვმონ კანანელისა საფლავი არს ნიკოფსე ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა“, ე. ი. აფხაზეთის (აფხაზეთის ჯიქეთის) და საკუთრივ ჯიქეთის (დიდი ჯიქეთის) საზღვართან.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც დაკუთვლია ეპიტანე კონსტანტინეპოლელის ჰაგიოგრაფიულ თხზულებაში ანდრია მოციქულისა და მისი თანამშრომელი მოციქულების მისიონერული მოღვაწეობის შესახებ დასავლეთ საქართველოში და იბერიის სანაპირო მხარეებში.

აქ საკიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ძველ ქართულ მწერლობაში გადმოცემას ანდრია მოციქულის მისიონერული მოღვაწეობის შესახებ აღრიდანვე მიუღია გავრცელება.

ამ გადმოცემას, როგორც ირკვევა, იცნობდა იოანე საბანის-ძე (იხ. ზემოთ, გვ. 211).

ამავე გადმოცემას იცნობს აგრეთვე მეცხრე საუკუნის ქართველი ავტორი (დასავლეთ საქართველოდან), რომელსაც ეკუთვნის ჰაგიოგრაფიული პოემა შიქაელ საბაწმიდელის შესახებ; ამ ნაწარმოებში აფხაზეთის ქვეყანა მოციქულთა წილხდომილად მოიხსენება².

ცნობა ანდრია მოციქულის მისიონერული მოღვაწეობის შესახებ დასავლეთ საქართველოსა და ძესხეთში (კლარჯეთში) ჩართულია აგრეთვე ქართულ მატაიანებში³.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 224 და შენიშვნა 2.

² იხ. კ. კველიძის გამოცემა Keimena, I, გვ. 270. პ. ინგოროყვა. ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939 წ., № 9, გვ. 116—119, № 10—11, გვ. 249—254.

³ იოანე დეკანოზისეული დანართი ლეონტი მროველის თხზულებისა იხ. პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ვინაყის მთაბზე, X, 1941 წ., გვ. 119).

განსაკუთრებით ფართო გავრცელება მიიღო გადმოცემამ ანდრია მოციქულის შესახებ მას შემდეგ, რაც ქართველმა მწერალმა ეფთიმე მთაწმიდელმა გამოაქვეყნა „მოსაკსენებელი მიმოსლეთათჳს და ქადაგებათა... მოციქულისა ანდრეასი“, დამუშავებული ეპიფანე კონსტანტინეპოლელისა და ნიკიტა პაფლაგონელის ტექსტების გამოყენებით.

გადმოცემას ანდრია მოციქულის შესახებ ეხებიან და აღნიშნავენ მომდევნო ხანის ქართველი ავტორები: გიორგი მთაწმიდელი (დიდ სვინაქსარში), გიორგი მცირე მთაწმიდელი, ეფრემ მცირე. გადმოცემამ კანონიზაცია მიიღო რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე და აღბეჭდილია ამ კრების ბეგლის-წერაში.

ასეთია, მოკლედ, ისტორია ამ თქმულებისა ანდრია მოციქულის მისიონერული მოღვაწეობის შესახებ საქართველოში, ძველ ბერძნულსა და ძველ ქართულს მწერლობაში.

დასასრულ, დაგვრჩენია ხაზი გაუსვავთ იმ გარემოებას, რომ ეს თქმულება, მიუხედავად იმისა, რომ ლეგენდარული ხასიათისაა, იგი, როგორც აღვნიშნეთ, იმისი მაჩვენებელია, რომ ქრისტიანობას დასავლეთ საქართველოში უძველესი დროიდანვე მიუღია გავრცელება, რამდენადაც ჯერ კიდევ მე-3—4 საუკუნეებში ქრისტიანობის პირველ დანერგვას დასავლეთ საქართველოში მიაკუთვნებენ თვით მოციქულთა ხანას.

ქრისტიანობის ფართო გავრცელება და განმტკიცება დასავლეთ საქართველოში მომხდარა მე-4 საუკუნის პირველ ნახევრისათვის.

მე-5 საუკუნის ავტორს გელასი კვიზიკელს აღნიშნული აქვს, რომ მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში, რომის იმპერატორის კონსტანტინე I-ის (306—337 წ.წ.) დროს—„ღმრთის მცნება მიიღეს პონტოს გასწვრივ მდებარე მიწა-წყალზე მცხოვრებმა იბერებმა და ლაზებმა“. ამ ავტორის უწყებით, როგორც იბერებში, ისე ლაზებში, ქრისტიანობის დამკვიდრება იყო შედეგი წმ. ნინოს („რყვე დედაკაცის“) მისიონერული მოღვაწეობისა¹.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ კოლხეთში, ჭანეთ-ლაზეთში, თვით მე-17 საუკუნემდე (როდესაც ჭანეთ-ლაზეთი უკვე თურქებს ჰქონდათ დაპყრობილი), შერჩენილი ყოფილა გადმოცემა, რომ ქრისტიანობა ამ მხარეში ნინომ გავრცელა. მოხსენებაში, რომელიც 1651 წელს წარუდგენია რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის-ძისათვის ოფის resp. პოფის (ლაზეთის მხარის) მიტროპოლიტს გერმანეს, აღნიშნულია, რომ ტაძარი ოფისა (პოფისა, Хопши), რომელიც ლაზეთის სამიტროპოლიტო კათედრას წარმოადგენდა, ითვლებოდა დაარსებულად ნინოს მიერ, „Ею же Иверская земля приведена во святое крещение“².

¹ იხ. გელასი კვიზიკელის ტექსტი ს. ყაუხჩიშვილის წერილში: გელასი კესარიელი ქართლის მოქცევის შესახებ (მიმონხილველი, 1, 1526 წ., გვ. 55). გელასი კვიზიკელს უსარგებლნია მე-4 საუკუნის ავტორის გელასი კესარიელის თხზულებით, რომელიც მას ახალი ცხოვრებით უუყვია. ასეთი ახალი ცნობების რიცხვს ეკუთვნის გელასი კვიზიკელის მოყვანილი უწყება ლაზეთის შესახებ.

² მოსკოვის მთავარი არქივი. ЦДГА, Дела Грузинские, 1651 წ. № 2, ფ. 1. (შეად. ქეპოთი, გვ. 262, შენიშვნა 1).

იმავე მე-4 საუკუნიდან ჩვენ გვაქვს ცნობა ბიქვინთის საეპისკოპოსოს შესახებ აფხაზეთში. ბიქვინთის ეპისკოპოსი ყოფილა მონაწილე 325 წლის ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრებისა (ხელმოწერა ბიქვინთის ეპისკოპოსისა დაცულია ნიკეის კრების აქტებზე). ამრიგად, როგორც ირკვევა, საეკლესიო ორგანიზაცია დასავლეთ საქართველოსი იმდენად განმტკიცებული ყოფილა, რომ ბიქვინთაში ცალკე საეპისკოპოსო კათედრა არსებულა და მისი წარმომადგენელი საეკლესიო კრებაზედაც ყოფილა მიწვეული. ბიქვინთის საეპისკოპოსო ამ დროს დაკავშირებული ყოფილა პოლემონის პონტოს საეკლესიო ოლქთან, რომლის სათავეში იდგა ნეოკესარიის იერარქი და რომელ ოლქშიაც, ბიქვინთის კათედრასთან ერთად, ამ დროსვე შედიოდა ტრაპიზონის კათედრა¹.

მე-5 საუკუნეში ლაზებს საეკლესიო მშენებლობა უწარმოებიათ თვით ლაზეთის გარეთაც, პალესტინის ლაზურ კოლონიაში. პროკოპი კესარიელი, წიგნში De Aedificiis (V, 9), აღნიშნავს, რომ იუსტინიანემ იერუსალიმში განაახლა იბერთა მონასტერი და ლაზთა მონასტერი. თუკი მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში საქარო გამბდარა ლაზთა მონასტრის განახლება, ცხადია, იგი დაარსებული იყო არა უგვიანეს მე-5 საუკუნისა.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობას დასავლეთ საქართველოში ასეთი დიდი ტრადიცია ჰქონდა და ფართო გავრცელებით სარგებლობდა, სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად გამოცხადება ქრისტიანობისა დასავლეთ საქართველოში მხოლოდ მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა, და ეს იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთ საქართველოში, იბერიის სამეფოში, ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად იქმნა გამოცხადებული მთელი ორი საუკუნით ადრე, მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში.

ამას განსაზღვრავდა იმდროინდელი პოლიტიკური ვითარება ამ ორი ქართული სახელმწიფო ერთეულისა, იბერიის სამეფოსი და ლაზეთის სამეფოსი, მათი გეოგრაფიული მდებარეობა ორი დიდი იმპერიის, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) და ირანის მეზობლად, და აქედან გამომდინარე პოლიტიკა-ქართველი სახელმწიფო მოღვაწეებისა, ნაკარნახევი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და ეროვნული თვითმყოფობის დაცვის მიზნებით.

იბერიის სამეფოს უახლოესი მეზობელი იყო ირანის სასანიანთა იმპერია, რომელიც საუკუნეთა მანძილზე აგრესიულ პოლიტიკას აწარმოებდა იბერიის მიმართ, ცდილობდა იბერიის მოქცევას თავის გავლენის სფეროში. ხოლო ერთ-ერთი საშუალება პოლიტიკური გავლენის განმტკიცებისათვის ამ ეპოქაში ეს იყო სარწმუნოებრივი ერთობა. ირანში სახელმწიფოებრივ სარწმუნოებას წარმოადგენდა მაზდეიანობა (ზოროასტრიზმი), რომლის ახალი აღორძინება ირანში სასანიანთა დინასტიის საქმე იყო, და რომლის განმტკიცებას სასანიანთა შაჰები სცდილობდნენ კავკასიაში. ამიტომაც იბერიის სამეფოში გამარჯვება ქრისტიანობისა, რომელიც მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში სახელმწიფო სარწმუნოებად იქმნა გამოცხადებული და რომლის განმტკიცება-

¹ იხ. Patrum Nicaenorum nomina... 1898 წ., გვ. 65. ს. ყაუხჩიშვილი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, 1948 წ., გვ. 42.

საც ხელს უწყობს იბერიის ხელისუფლება მე-4—6 საუკუნეთა მანძილზე, გამომდინარეობდა ქართული ეროვნული პოლიტიკიდან, მიზნად ისახავდა ეროვნული თვითმყოფობის განმტკიცებას, ირანის შემოტევიდან თავდაცვას.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ლაზეთის სამეფოს, მისი საერთაშორისო მდგომარეობა ამ ეპოქაში განსხვავებული იყო. როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ლაზეთის სამეფოს, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, მე-4—6-საუკუნეებში უხდება უალრესად ელასტიკური სახელმწიფოებრივი პოლიტიკის წარმოება ამ ორი დიდი იმპერიის, აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) და ირანის მიმართ. მე-4—6 საუკუნეებში ლაზეთის სამეფოს უხდება პოლიტიკური კავშირის დამყარება ხან ერთთან, ხან მეორესთან. ხოლო რამდენადაც ამ ორი დიდი აგრესიული იმპერიიდან ლაზეთის სამეფოს უშუალო მეზობელი იყო აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერია, სადაც ქრისტიანობა სახელმწიფოებრივ სარწმუნოებას და ამავე დროს სახელმწიფოებრივი პოლიტიკის იარაღსაც წარმოადგენდა, ლაზეთის მეფეები თავს იკავებენ რომის იმპერიის ოფიციალური სარწმუნოების სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადებისაგან ლაზეთში, და თვით პირადადაც იშვიათად თუ ლეზლობენ ქრისტიანობას, თუმცა ქრისტიანობისადმი შემწყნარებლობას იჩენენ¹.

მაგრამ მდგომარეობა არსებითად იცვლება მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში.

ამ დროს, მე-6 საუკუნის 20-იანი წლებისათვის, როდესაც ირანი განსაკუთრებით გაძლიერდა კავკასიაში, შესძლო იბერიის დაპყრობა, რის შემდეგაც ლაზეთის სამეფოც ირანის აგრესიის უშუალო საფრთხის წინაშე დადგა, ლაზეთის სამეფოს პოლიტიკურ ხელმძღვანელებს უხდებათ მოახდინონ არჩევანი ორი ბოროტებისაგან ნაკლები ბოროტებისა. ლაზეთში იმარჯვებს ბიზანტიის ორიენტაცია. ამ დროს, ლაზეთის მეფის დანაძეს გარდაცვალების შემდეგ, ლაზეთის ტახტის მემკვიდრე, შემდეგ ლაზეთის მეფე, წათე I (რომელიც ახალგაზრდობისას ქრისტიანობის მიმდევარი ყოფილა, ხოლო შემდეგ მაზღვანობაზე გადასულა), 524 წელს ჩადის ბიზანტიონში (კონსტანტინეპოლში). აქ იგი რომის იმპერატორის წინაშე შეასრულებს ქრისტიანობის მიღების წესებს, რის შემდეგაც დიდის ზემოთ ეკურთხება ლაზეთის მეფედ². ამ დროიდან მოკიდებული, ქრისტიანობა ერთდერითი ოფიციალური სახელმწიფო სარწმუნოებაა დასავლეთ საქართველოში, ლაზეთის სამეფოში.

ბუნებრივია, რომ ნომდევნო ხანაში ბიზანტიის იმპერია უალრესის ინტერესით ეკიდება ქრისტიანობის განმტკიცების საქმეს დასავლეთ საქართვე-

¹ ისტორიკოსის პრისკე პანიელის ცნობის მიხედვით (*Historici graeci minores*, I, 1870 წ., გვ. 345) ლაზეთის მეფე გუბაზ I (V საუკუნის მეორე ნახევარში), რომელიც ჯერ ბიზანტიას გადაუდგა, ხოლო შემდეგ იძულებული გახდა კონსტანტინეპოლში ჩასულიყო იმპერატორთან შესახვედრად, ბიზანტიაში ყოფნის დროს ქრისტიანობის მიმდევრობას აშვლავნებდა (შესაძლოა დიპლომატიური მოსახრებებითაც). შეად. აგრეთვე დანიელ სტილიტის ცხოვრების ცნობები გუბაზ I-ის შესახებ (*კ. კეკელიძე, Историко-географические отрывки, Христианский Восток*, 1913, т. II, вып. I, გვ. 187—191).

² იხ. მაღალას ქრონოგრაფია, XVII, ed. Bonn., გვ. 412—414 (= გეორგიკა, III, გვ. 263—267), *Chronicon Paschale*, ed. Bonn., გვ. 612—614 (= გეორგიკა, IV, 1, გვ. 11—14).

ლოში, ლაზეთის სამეფოში, ასევე ლაზეთის მეზობელ ქართულ სამთავროებში. ასე, ლაზეთის სამხრეთ სანაპიროზე, საკუთრივ აფხაზეთში, სადაც მე 5 საუკუნის მანძილზე ქრისტიანობა საგრძნობლად შესუსტებულა, იმდენად, რომ აქ ამ დროს მოშლილა კიდეც ძველად არსებული ბიკეინთის კათედრა, იუსტინიანემ გაგზავნა ქრისტიანობის გასაერცელებლად და განსამტკიცებლად მისიონერი ევფრატა, წარმოშობით აფხაზი¹. იუსტინიანეს დროსვე, მეექვსე საუკუნის შუა წლებში, იქმნა აგებული ცხუმში (სებასტოპოლში) საკათედრო ტაძარი, ახალი რეზიდენცია აფხაზეთის იერარქთა².

გავეცნოთ ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ორგანიზაციას მომდევნო ეპოქაში, მე-6—8 საუკუნეთა მანძილზე.

რამდენადაც ქრისტიანობა დასავლეთ საქართველოში თავიდანვე დაკავშირებული იყო რომის იმპერიის ქრისტიანობასთან (ბიკეინთის საეპისკოპოსო კათედრა, როგორც აღნიშნული გვექონდა, იერარქიულად პოლემონის პონტოს მიტროპოლიის ფარგლებში შედიოდა), და რადგან მე-6 საუკუნეში, როდესაც ქრისტიანობა ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადდა, დასავლეთი საქართველო — ლაზეთის სამეფო — ბიზანტიის სფეროში იყო მოქცეული, — დასავლეთ საქართველომ ეკლესიაც იერარქიულად იმავეთვე ბიზანტიის ეკლესიის, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს სფეროში მოექცა.

ეს ეკლესიური კავშირი ბიზანტიასთან კიდე უფრო განმტკიცდა მომდევნო ხანაში, მე-6 საუკუნის ნახევრიდან — მე-8 საუკუნემდე, როდესაც დასავლეთი საქართველო პოლიტიკურად ბიზანტიის მულობელობის ქვეშ იმყოფებოდა.

ამ მომდევნო ეპოქაში, ბიზანტიის მულობელობის ხანაში, მე-6—8 საუკუნეთა მანძილზე, დასავლეთ საქართველოში არსებობს სამი საეკლესიო ოლქი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ფარგლებში:

1. ლაზიკის მიტროპოლია, რომლის ცენტრი იყო ქალაქი ფასისი (ფოთი), რომელშიაც შედიოდა ოთხი საეპისკოპოსო (გარდა თვით ფასისის მიტროპოლიისა):

ა) ქალაქ როდოპოლისისა ანუ ვარდციხისა (თანამედროვე ვარციხე იმერეთში, ქუთაისის ზონაში).

ბ) ქალაქ პეტრასი (თანამედროვე ციხისძირი, ბათუმის ზონაში; ამ საეპისკოპოსოს ფარგლებში შედიოდა, გარდა ბათუმის მხარისა, გურია-აჭარისა, აგრეთვე ქანეთი-ლაზია, რიზეს მხარე, რომელზედაც ვრცელდებოდა იურისდიქცია ლაზიკის მიტროპოლიისა)³.

¹ იხ. პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 3. ევფრეს ისტორია, IV, 22. ეფრემ მცირე (ქრონოგები, I, 53).

² იხ. წინა შენიშვნაში დასახელებული წყაროები, აგრეთვე წერილი ი. კულაკოვსკისა: Гдѣ былъ построенъ имп. Юстинианомъ храмъ для Абазговъ, Археологическiе известiя и замѣтки, V, 1857 წ., გვ. 33—37.

³ იხ. ზემოთ, გვ. 206.—პეტრას ლოკალიზაციის საკითხს ცალკე ვეხებით.

გ) დაბა ცაიშისა (ოდიშში)¹.

დ) დაბა ძილანებისა ანუ გუდაყვისა (თანამედროვე გუდაუა, ილორის ზონაში)².

2. აფხაზეთის სამთავარეპისკოპოსო, რომლის ცენტრი იყო სებასტოპოლი (ცხუმი).

3. ჯიქეთის (სამხრეთ ჯიქეთის ანუ აფხაზეთის ჯიქეთის) სამთავარეპისკოპოსო, რომლის ცენტრი იყო ქალაქი ნიკოფსია. (დასავლეთ საქართველოს ამ ყველაზე ჩრდილოეთით მდებარე საეკლესიო ოლქში შედიოდა თანამედროვე ტუათსეს რაიონი, სოჭის რაიონის ჩრდილო სანაპიროთი).

ასეთი იყო დასავლეთ საქართველოს საეკლესიო დანაწილება მე-6—8 საუკუნეებში³.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ფარგლებში ამ ეპოქაში, როგორც ცნობილია, მხოლოდ ბერძნული ენა იყო მიღებული და დასავლეთ საქართველოს ამ საეკლესიო ოლქებშიაც ბერძნული იყო გაბატონებული.

*

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ როდის მოხდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაცია, მისი გამოყოფა კონსტანტინეპოლის პატრიარქატიდან და ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოსთან დაკავშირება.

ეს მომხდარა მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, ე. ი. უახლოეს პერიოდში მას შემდეგ, რაც გამოცხადებულ იქმნა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობა.

¹ ცაიშის სახელწოდება ბერძნულ ნოტიციებში (Parthey-ს გამოცემით) წარმოდგენილია შემდეგი სახით: ნოტიციაში VIII : *Σαισιωσας*; ნოტიციაში VII : *Σαρυωσας*; ნოტიციებში IX და I დახიანებული დ.წ.ობობაა: IX-ში *Σαρυωσας*, I-ში *'Αβισσιωσας*, *'Αβισσιωσας* → *Σαισιωσας*.

² ამ პუნქტის ძილანები—გუდაყვას ლოკალიზაციის საკითხის გამო საკიროა აღენიშნოთ შემდეგ. გიორგი მთაწმიდელის დიდი სინაქსარის XI საკუნის ბელნ.წერში A—97, ორენტიოსისა და ძმათა მოსახსენებელში, აღნიშნულია, რომ ორენტიოსის ძმა კვირიაკოსი მივიდა „საეგროსა ქუეყანასა, ადგილსა, რომელსა ზილანეს ეწოდების“ და იქვე დართულია გლოსა: „გუდაყუასა იტყვს ზილანესად“ (იხ. გვ. 228 ბ). ამრიგად ზილანესის (*Ζιγάνεος*) ანუ ძილანების მეორე სახელწოდება ყოფილა „გუდაყუა“ (გუდაყუა). ძილანების ეს კათედრა, გუდაყვას საეპისკოპოსოს სახელწოდებით, მოხსენებულია აგრეთვე ქართულ საისტორიო ძეგლში „მატიანე ქართლისაჲ“-ში და ამ უკანასკნელი წყაროს მიხედვითაც იგი საეგროს მხარეში მდებარეობდა, სახელდობრ, ბედისის საეკლესიო ოლქში (იხ. გვ. *471/245). დაბა ძილანები = გუდაყუა (გუდაყუა), როგორც ირაკვეთა, გაშენებული ყოფილა ზღვის სანაპიროზე, მდინარე ძილანის შესართავთან (რა სახელწოდებითაც ცნობილი ყოფილა მდ. ერის-წყალი) და რომლის ზონაში დღემდე დაცულია პუნქტი სახელწოდებით გუდაუა (გუდაყუა). მდინარე ძილანის და მის ნაპირას მდებარე პუნქტი ძილანები მოიხსენება შემდეგ წყაროებში: პლინიუსი სეკუნდე (SC, II, 179: მდ. *Sigania*); არიანე (SC, I, 221: მდ. *Σιγάνης*, სანაოსო); ანონიმი V საუკ. (SC, I, 245: მდ. *Σιγάνης* = *Ζιγάνεος*); კლავდი პტოლემე (SC, I, 240: პუნქტი *Σιγάνεας*); ტაბულა პეტრენგერიანა (ნავთმისადგომი *Sicanalis*); საეპისკოპოსოთა ნოტიციები (Parthey-ს გამოცემით: I, VI, VII, VIII, IX: *Ζιγάνεας*, *Τζιγάνεας*, *Τζιγάνεας*); ორენტიოსისა და ძმათა წამება (ლიტ. ძიგბანი, IV, გვ. 122—123: ზილანესი (= *Ζιγάνεος*). ამას გარდა, როგორც აღნიშნული გვექონდა, გიორგი მთაწმიდელის დიდი სინაქსარი A—97 ბელნაწერში გვაქვს ზილანესი (*Ζιγάνεος*) = გუდაყუა; „მატიანე ქართლისაჲ“-ში აგრეთვე გუდაყუა.

³ იხ. კონსტანტინეპოლის პატრიარქატის ნოტიციები ქვემოთ, გვ. 234—241.

ამ ორ აქტს შორის, პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადებასა და საეკლესიო რეფორმაციას შორის, — ორგანული კავშირია; საეკლესიო რეფორმაცია — ეს იყო მეორე აქტი, შემდგომი საფეხური დასავლეთ საქართველოს კულტურული ემანსიპაციისა.

რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესიის გამოყოფა კონსტანტინეპოლის პატრიარქატიდან და საქართველოს (მცხეთის) საკათალიკოზოსთან დაკავშირება მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში მომხდარა, ამას ადასტურებს გიორგი მერჩულის ძეგლი და მასთან ერთად მთელი რიგი ქართული და უცხოური წყაროების ჩვენებანი.

1. თავდაპირველად შეეჩერდებით ცნობებზე, რომელსაც გადმოგვცემს მე-11 საუკუნის ქართველი მწერალი გიორგი მცირე მთაწმიდელი საეკლესიო კრების შესახებ, რომელიც გაიმართა 1057 წელს ანტიოქიაში, და სადაც მსჯელობის საგანი იყო საქართველოს საეკლესიო დამოუკიდებლობის (ავტოკეფალობის) საკითხი.

როგორც ცნობილია, საბერძნეთის ეკლესიას, რომელიც მსოფლიო მართლმადიდებლური ეკლესიის მოთავეობას იჩეუბდა, არა ერთგზის გამოულაშქრნია საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ; საბერძნეთის ეკლესიის მეთაურნი არა ერთგზის სცდილან, რათა საქართველოს ეკლესია, ქართლის (მცხეთის) საკათალიკოზო, შესულიყო როგორც შემადგენელი ნაწილი საბერძნეთის ეკლესიის ერთ-ერთ საპატრიარქოში და ამით დამყარებულიყო ერთობა საბერძნეთისა და საქართველოს ეკლესიათა.

კერძოდ, ანტიოქიის 1057 წლის კრებაზე, რომელიც გაიმართა ანტიოქიის პატრიარქის თევდოსის თავმჯდომარეობით, მსჯელობის საგანი ყოფილა — „რომელ ეკლესიანი და მღვდელთმოდღუარნი ქართლისანი (საქართველოჲსანი) არა რომლისა პატრიარქისა კელმწიფებასა ქუეშე არიან, და ყოველნი საეკლესიონი წესნი მათ მიერ განეგებიან, და თვთ დაისმენ კათალიკოზთა და ეპისკოპოსთა“; საბერძნეთის ეკლესიის მესვეურნი აღნიშნავენ, რომ „არა სამართალ არს ესე (დამოუკიდებლობა ქართველთა ეკლესიისა), რამეთუ ათორმეტთა მოციქულთაგანი არაეინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა, და ჯერ არს, რათა ქალაქსა ამას ღმრთისასა (ანტიოქიას) და საყდარსა მოციქულთა თავისასა (პეტრე მოციქულისასა) დაემორჩილნენ... და აქა იქურთხეოდის კათალიკოზი მათი, და ვიყვნეთ ჩუენ ერთ სამწყსო და ერთ მწყემს“¹.

ანტიოქიის ამ საეკლესიო კრებას ესწრებოდა გამოჩენილი ქართველი მოღვაწე და მეცნაერი გიორგი დიდი მთაწმიდელი. ანტიოქიის პატრიარქმა მიმართა გიორგი მთაწმიდელს წინადადებით, ეცნობებინა საქართველოს მეფისათვის კრების აზრი, რათა საქართველოს ეკლესიას დაემყარებინა ერთობა ანტიოქიის საპატრიარქოსთან; ხოლო თუ ამას არ ისმენსო ქართველთა მეფე, — განაცხადა ანტიოქიის პატრიარქმა, — „მიუწეროთ ოთხთავე პატრიარქთა (კონსტანტინეპოლისა, რომისა, ალექსანდრიისა და იერუსალიმისა), და ვაუწყოთ თვთ-რჯულთაჲ და ქედფიცხელობაჲ თქუენისა ნათესავისა (ქართ-

¹ იხ. გიორგი მცირე მთაწმიდელი, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, ათონის კრებული, 1901 წ., გვ. 314.

ველი ხალხისა), და ვითარმედ თვნიერ სამოციქულოჲსა კანონისა თვთ იმწყსე-
ბიან, და მოციქულთაგანი არაეინ მისრულ არს ქუეყანასა მათსა, და ესრეთ
შრაველსა ღუაწლსა შეეთხინე (შრაველსა შრომასა შეეამთხვიო), ვიდრე არა
თვთ მეფე თქუენი წინაშე ჩუენსა მოვიდეს და კელმწიფობასა ჩუენსა დაე-
მორჩილოს“¹.

გიორგი მთაწმიდელმა ღირსეული პასუხი გასცა ანტიოქიის პატრიარქს:
„...რაჲსათვსმე ესრეთ ადვლად კელ-ჰყოფ დიდისა ამის და მალღისა მოგო-
წებად და აღსრულებად? ვინანი არიან უგუნურნი განმზრახნი შენნი, ანუ რად
ესრეთ უგუნურად შეგირაღბიეს ნათესავი ქართველთა, წრფელი და უმანკო?!
აჲა ესერა. ვარ მე უნარჩევესი და უმდაბლესი ყოველთა ძმათა, მე მოგცე მათ
ყოველთა წილ პასუხი...“²

ამ ღირსებით აღსავსე სიტყვაში, რომელიც წარმოსთქვა გიორგი მთა-
წმიდელმა და რომლითაც მან ასე ბრწყინვალედ დაიცვა საქართველოს უფლე-
ბები, ჩვენთვის ამჟამად საინტერესოა ის ნაწილი, სადაც მოხსენებულია
აფხაზეთის ქეყანა, და სადაც აღნიშნულია ანდრია მოციქულის მისიო-
ნერული მოღვაწეობა საქართველოში (დასავლეთ საქართველოში).

გიორგი მთაწმიდელმა მიუთითა ბერძნულ წყაროებზე, სადაც მოხსენებუ-
ლია, რომ საქართველო (დასავლეთი საქართველო) არისო ანდრია პირველ-
მოციქულის წილხდომილი ქეყანა და „სამწყსო მის მიერ (ანდრია მოციქუ-
ლის მიერ) განათლებული“. ამასთან გიორგი მთაწმიდელმა აღნიშნა: „ერთი
წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი, სიმონს ვიტყვ კანანელსა, ქუეყანასა
ჩუენსა დამარხულ არს, — აფხაზეთს, [ქალაქსა] რომელსა ნიკოფსი
ეწოდების“³.

გიორგი მთაწმიდელის ამ პასუხიდან ორი რამ ირკვევა:

ჯერ ერთი ირკვევა, რომ აფხაზეთის ქეყანა ამ დროს ჩამოშორებული
იყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და აფხაზეთის ეკლესია (ბიქვინთის
საკათალიკოზო) შედიოდა ზოგად-ქართულ ეკლესიაში, ქართლის საკათა-
ლიკოზოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი აფხაზეთის ქეყანა ეკლესიურად
კონსტანტინეპოლის ნაწილი ყოფილიყო, მაშინ, თავისთავად ცხადია, არა-
ვითარი აზრი არ ექნებოდა აფხაზეთის მოხსენებას ქართლის საკათალიკოზოს
უფლებათა დასაცველად.

და მართლაც, როგორც ეს დასტურდება ამ ეპოქის სხვა წყაროებიდან,
და პირველ რიგში რუის-ურბნისის კრების „ძეგლის-წერიდან“, საქართვე-
ლოს ეკლესია ამ ეპოქაში წარმოადგენს ერთს განუყოფელს მთლიანს, რომ-
ლის ფარგლებშიაც შედის როგორც აღმოსავლეთი საქართველო, ისე დასა-
ვლეთი საქართველო (აფხაზეთის ადგილობრივი საკათალიკოზო); ამ ზოგად-
ქართული ეკლესიის სათავეში დგას ქართლისა კათალიკოზი, რომელსაც
ეწოდება „ყოველისა საქართველოჲსა დიდი მამათმთავარი“ —
პატრიარქი⁴.

¹ იხ. გიორგი მტარე მთაწმიდელი, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 314—315.

² იხ. იქვე, გვ. 315.

³ იხ. იქვე, გვ. 315.

⁴ იხ. ძეგლის-წერა რუის-ურბნისის კრებისა (ქრონიკები, II, გვ. 62, 70).

ირვევა ამასთან ისიც, რომ აფხაზეთის ქვეყანა ჩამოშორებია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და შეერთებია ზოგად-ქართულ ეკლესიას — ქართლის საკათალიკოსოს — შორეულ წარსულში; წინააღმდეგ შემთხვევაში გიორგი მთაწმიდელს უპასუხებდნენ, რომ აფხაზეთის ქვეყანა კანონიკურად კონსტანტინეპოლის ნაწილი იყო, იგი კონსტანტინეპოლს ეკუთვნოდაო უახლოეს ხანებში, და რომ საქართველომ იგი შეიერთაო უკანონოდ. აშკარაა, რომ აფხაზეთის დაკავშირება ზოგად-ქართულ ეკლესიასთან შორეულ წარსულში მომხდარა, იგი უკვე ხანგრძლივი ტრადიციით იყო განმტკიცებული და დაკანონებული.

ასეთია ის ფაქტები, რაც დასტურდება დასახელებული ქართული ძეგლებიდან.

მივმართოთ ამის შემდეგ ბიზანტიურ წყაროებს.

*

2. ბიზანტიური წყაროები: კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს კათედრათა ნოტიციები (ნუსხები).

ბერძნულ მწერლობაში ცნობილია მთელი წყება საისტორიო ძეგლებისა, რომლებიც შეიცავენ საეკლესიო კათედრათა ნუსხებს, ეგრეთწოდებულ ნოტიციებს ანუ ექთესისებს. ამ ნოტიციებში ჩამოთვლილია სხვადასხვა საპატრიარქოებში შემავალი კათედრები.

სულ შენახულა ოცამდე ასეთი ნოტიცია, რომლებიც ეხება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და რომლებიც გამოცემული აქვთ: G. Parthey-ს (*Hieroclis Syneclemus et notitiae graecae episcopatum*, 1866 წ.); H. Gelzer-ს (a: *Georgii Cyprii Descriptio orbis Romani*, 1890 წ. 50—83; b: *Ungedruckte und ungenügend veröff. Texte der Notitiae episcopatum*, 1901 წ.); ვ. ბენეშევიჩს (*Studii Byzantini*, II, 1927 წ., გვ. 130—155).

ეს ნოტიციები ეკუთვნიან ხანას მე-7 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე ახალ საუკუნეებამდე.

მოგვეყავს აქ ამ ნოტიციების (ძირითადი ტექსტების) სია, ქრონოლოგიურის თანრიგით:

ნოტიცია № 1 (= Parthey, VII, გვ. 150—161; Gelzer, b, I, გვ. 531—549). ეკუთვნის მე-7 საუკუნეს.

ნოტიცია № 2 (= Parthey, IX, გვ. 181—196). ეკუთვნის მე-7 საუკუნეს.

ნოტიციები 3, 4, 5 (= Parthey, VIII, გვ. 162—180; VI, გვ. 145—149; I, გვ. 55—94) — მომდინარეობენ არქეტიპიდან, რომელიც მე-8 საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნოდა. ხოლო არსებული (შეესებული) ტექსტები ეკუთვნის: ნოტიცია № 3 და № 4 806—813 წლებს (ნიკიფორე პატრიარქის ხანას), ნოტიცია № 5 (ბასილი სოფენელისა) 820-იან წლებს (820—829 წ. წ.).

ნოტიცია № 6 (= Gelzer, b, II, გვ. 549—567) ეკუთვნის ბიზანტიის კეისრის ლეონ VI-ის ხანას, 886—911 წლებს, ან უფრო ზუსტად 901—907 წლებს, რამდენადაც ეს ნოტიცია შედგენილია ლეონ VI-ის მიერ კონსტანტინეპოლის პატრიარქთან ნიკოლოზ მისტიკოსთან ერთად.

ამავე ლეონ VI-ის ხანას, 886—911 წლებს, ეკუთვნის არქეტიპი ქვემოთ-აღნიშნული ნოტიციისა № 9, რომელიც ხელნაწერებში ატარებს სათაურს: „ლეონ ბრძენის მიერ შედგენილი დიატიპოსისი“ (მოღწეული შეესებული რედაქცია № 9 ნოტიციისა ეკუთვნის 1080-იან წლებს).

ნოტიცია № 7 (= Gelzer, a) ეკუთვნის კეისრის კონსტანტინე პორფიროგენეტის ხანას და შედგენილია 927—940 წლებში.

ნოტიცია № 8 (=Gelzer, b, III, გვ. 568—575) ეკუთვნის კეისრის იოანე ციმისზის ხანას, 969—976 წლებს.

ნოტიცია № 9 (=Parthey, II, 95—101) ეკუთვნის კეისრის ალექსი I კომნენის მეფობის დასაწყისს, 1080-იან წლებს.

ნოტიციები № 10 და № 11 (=Gelzer, b, V-a, V-b, გვ. 584—589) და № 12 (=ბენეშ). ეკუთვნის კეისრის მანუელ კომნენის მეფობის ბოლო პერიოდს, 1170-იან წლებს.

ნოტიცია № 13 (=Gelzer, b, V-a, გვ. 598—589) ეკუთვნის კეისრის ისაკ ანგელის ხანას (1186—1196 წ. წ.).

ნოტიცია № 14 (=Parthey, X, გვ. 197—224) ეკუთვნის ნიკეელ კეისართა ბოლო პერიოდს, 1250-იან წლებს.

ნოტიცია № 15 (=Gelzer, b, VI, გვ. 590—595) ეკუთვნის კეისრის მიქაელ პალეოლოგის (1261—1282) ხანას, უფრო ზუსტად 1250-იან წლებს.

ნოტიციები № 16 (=Gelzer, b, VII, გვ. 595—606), № 17 და № 18 (Parthey, XI და XII, გვ. 225—233 და 236—243) ეკუთვნის კეისრის ანდრონიკე II პალეოლოგის (1282—1328) ხანას, უფრო ზუსტად 1300—1328 წლებს.

ნოტიცია № 19 (=Gelzer, b, VIII, გვ. 605—616) ეკუთვნის კეისრის ანდრონიკე III პალეოლოგის (1328—1341) ხანას.

ნოტიცია № 20 (=Gelzer, b, IX, გვ. 613—637) ეკუთვნის თურქთა მფლობელობის ხანას.

გავეცნოთ ამის შემდეგ, თუ რომელი ტერიტორიები, რა კათედრები შედიოდა ამ დოკუმენტების მიხედვით კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ფარგლებში სხვადასხვა ეპოქაში.

ჯერ მოგვყავს ნუსხა, შავი ზღვის სანაპირო მხარეებში არსებული კათედრებისა როგორც საკუთრივ დასავლეთ საქართველოსი ნიკოფსიიდან (ტუაფსის რაიონიდან) — ვიდრე ქოროხამდე, ისე სამხრეთ კოლხეთისა, ქოროხიდან — ვიდრე თერმოდონამდე.

A. საკუთრივ დასავლეთ საქართველოში, მე-9 საუკუნიდან მე-8 საუკუნემდე, როგორც აღნიშნული გვექონდა, არსებობდა შემდეგი შეიდი კათედრა (ჩამოვთვლით ტერიტორიული თანამიმდევრობით, ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ):

I. ნიკოფსიის ანუ ჯიქეთის (აფხაზეთის ჯიქეთის) სამთავარეპისკოპოსო;

II. სებასტოპოლის (კაუპის) ანუ აფხაზეთის სამთავარეპისკოპოსო;

III—VII. ლაზიკის მიტროპოლია, რომელშიაც შედიოდა ხუთი კათედრა: საკუთრივ ლაზიკის მიტროპოლია (ცენტრით ფასისში — ფოთში) და ოთხი საეპისკოპოსო: ძილანებისა ანუ გუდაყვისა, ცაიშისა, პეტრასი და ვარდციხისა (როდოპოლისისა).

B. სამხრეთ კოლხეთში, ქოროხიდან ვიდრე თერმოდონამდე, შემდეგი კათედრები არსებობდა (ჩამოვთვლით ტერიტორიული თანამიმდევრობით):

VIII. რიზეს (I-ის, ლაზიის რიზეს) კათედრა.

IX. სოტიროპოლის (პითიის) ანუ ოფის კათედრა¹.

X—XII. ტრაპიზონის კათედრა, რომლის ტერიტორიაზე მე-9 საუკუნეში ჩამოყალიბდა სამი ერთეული: საკუთრივ ტრაპიზონის სამიტროპოლიტო და ტრაპიზონის სამიტროპოლიტოში შემავალი ხერიანისა და კერამევის საეპისკოპოსონი².

¹ სოტიროპოლის (პითიის) კათედრის ლოკალიზაციის საკითხის გამო იხ. ქვემოთ, სპეციალური ეპსკურსი (გვ. 249—263).

² ტრაპიზონის სამიტროპოლიტოსთან მე-9 საუკუნიდან მიწერილი იყო აგრეთვე მთელი რიგი კათედრები სამხრეთ-კოლხეთის ტერიტორიის გამო: ბაბერთისა და ლერიონისა (ხემა

XIII. კერასუნის კათედრა.

XIV. რიზე II-ის (პოლემონის პონტოს რიზეს) ინუ ორიზის კათედრა¹.

XV. პოლემონის კათედრა.

ზემოთ-დასახელებული დოკუმენტები—ნოტიციები (№№ 1—20), შეჯერებით სხვა ბიზანტიურ წყაროებთან, გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, თუ რომელი კათედრები შედიოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში სხვადასხვა ეპოქაში და რომელი კათედრები ჩამოსცილებია კონსტანტინეპოლს და შეერთებია საქართველოს ეკლესიას, ქართლის საკათალიკოზოს.

სურათი, აღდგენილი ყველა ამ წყაროების მიხედვით, წარმოდგენილია ტაბულაზე, რომელიც დაბეჭდილია 238—241 გვერდებზე².

კოროზის ზონაში, ფასიანისა (ზემო არაქსის ზონაში), აგრეთვე არმენიის სანაპირო სექტორებისა (ბიზანა და სხვ.), მაგრამ ამ უკანასკნელთ არ ვეხებით, რადგან აქ ჩვენი განხილვის საგანს მხოლოდ სამხრეთი კოლხეთის ტერიტორია შეადგენს.

¹ გარდა ლახიის რიზესი (I-ისა) არსებობდა რიზე II (resp. ორიზი), რომელიც მდებარეობდა ქალაქ ორდუს ზონაში. ეს მეორე რიზე ითვლებოდა პოლემონის პონტოს საეკლესიო პროვინციაში (იხ. ნოტიციები: № 12=ბენ., № 14=Parthey X, აგრეთვე Parthey III და XIII), და ეს იმ დროს, როდესაც რიზე I ამ ეპოქაში ლახიის საეკლესიო ოლქს წარმოადგენდა და ტერიტორიულადც მოწყვეტილი იყო პოლემონის პონტოს (რონლინაგანაც მას ტრაპიზონის მხარის ტერიტორია გაჰყოფდა). აღვნიშნავთ ამასთან, რომ ორივე რიზე ერთად არის დასახელებული ნოტიციაში № 15 (იხ. Gelzer, ხ, გვ. 592 და 593, პირველი—რიზეს სამთავარეპისკოპოსოს, ხოლო მეორე—რიზეს სამიტროპოლიტოს სახელწოდებებით). აგრეთვე ნოტიციაში № 20 (იხ. Gelzer, ხ, გვ. 629, პირველი—ლახიის სამიტროპოლიტოს, ხოლო მეორე—რიზეს სამიტროპოლიტოს სახელწოდებით).

² ტაბულის წყაროების შესახებ საჭიროა დამატებით აღვნიშნოთ შემდეგი:

ა) VI საუკუნის ნახევარი. პროკოპი კესარიელის ცნობით სებასტაოლის აფხაზეთის კათედრა დაარსებულია იუსტინიანე კეისრის დროს 50-იან წლებში (იხ. ზემოთ, გვ. 230). პროკოპი კესარიელის ცნობითვე ლახიის კათედრის იურისდიქცია ვრცელდებოდა რიზეს მხარეზე (იხ. ზემოთ, გვ. 20ა).

ბ) VI—VII საუკუნეები (572—630 წლები). რიზეს მხარე (ზღვისპირა კლარჯეთი) VI—VIII საუკუნეთა მიჯნაზე იბერიასთან არის დაკავშირებული. ამ ეპოქაში, ისტორიკოსის იოანე მამიკონიანის ცნობის თანახმად, რიზეს მხარეში არსებობს ტამბურის საეპისკოპოსო (იხ. გვ. 424).

გ) VII საუკუნე=ნოტიციები №№ 1 და 2.

დ) VIII საუკუნის პირველ ნახევრის სურათს იძლევა არქეტეპი ნოტიციებისა №№ 3, 4 და 5.

ე) VIII საუკუნის მეორე ნახევარი. ლახიის (ფასიის—ფოთის) კათედრასთან გაერთიანება ტრაპიზონის კათედრისა დასტურდება 787 წლის საეკლესიო აქტებით (იხ. ზემოთ, გვ. 212).

ვ) IX—X საუკუნეები, 886—911 წლები=ნოტიცია № 9 (და არქეტეპი ნოტიციისა № 9).

ზ) X საუკუნე, 927—940 წლები=ნოტიცია № 7.

თ) X საუკუნე, 969—976 წლები=ნოტიცია № 8.

ი) XI საუკუნე, 1023—1073 წლები,—ნოტიცია არ შენახულა; ქართული საისტორიო წყაროებით, პოლიტიკური სახლვარი საქართველოსი ამ დროს აღწევს ქ. ზუფათის სექტორამდე (იხ. ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა, გვ. *488, 261, *494/266).

ი) XI საუკუნე, 80-იანი წლები=ნოტიცია № 9.

ია) XII საუკუნე, 70—90-იანი წლები=ნოტიციები №№ 10, 11, 12, 13.

იბ) XIII საუკუნე, 50-იანი წლები=ნოტიცია № 14.

ივ) XIII საუკუნე, 60-იანი წლები=ნოტიცია № 15.

იდ) XIV საუკუნე, პირველი მეოთხედი=ნოტიციები №№ 16, 17, 18.

იე) XIV საუკუნე, 1328—1341 წლები=ნოტიცია № 19.

ივ) თურქთა მფლობელობის ხანა=ნოტიცია № 20.

ამ დოკუმენტების მიხედვით ირკვევა შემდეგი:

ა. პერიოდში მე-6 საუკუნის ნახევრიდან ვიდრე მე-8 საუკუნემდე (ჩათვლით), ე. ი. იმ ხანაში, როდესაც დასავლეთ საქართველო ბიზანტიის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა, — ყველა დოკუმენტში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ნაწილად არის მოხსენებული დასავლეთ საქართველოში არსებული საეკლესიო ოლქები, ე. ი. ლაზიკის (ფასისის — ფოთის) მიტროპოლია (მასში შემავალი საეპისკოპოსოებით: ძილანები, ცაიში, პეტრა, ვარდციხე), სებასტოპოლის ანუ ცხუპის (საკუთრივ აფხაზეთის) სამთავარეპისკოპოსო, და ნიკოფსიის (აფხაზეთის ჯიქეთის) სამთავარეპისკოპოსო. ირკვევა ამრიგად, რომ მე-6—8 საუკუნეებში დასავლეთი საქართველო ეკლესიურად კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შედიოდა.

ბ. ყველაზე გვიანი ხანის დოკუმენტი, სადაც დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ოლქები ნაჩვენებია როგორც ნაწილი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსი, ეს არის ნოტიციები № 3, 4 და 5. ამ ნოტიციების არქეტიპები, როგორც აღნიშნული გვექონდა, ეკუთვნის მე-8 საუკუნის პირველ ნახევარს, ხოლო არსებული მათი რედაქციები ეკუთვნის მე-9 საუკუნის პირველ მესამედს (ნოტიციები № 3 და 4 806—815 წლებს, ნოტიცია № 5 820—829 წლებს). არაა გამორიცხული, რომ მოხსენება ამ ნოტიციებში დასავლეთ საქართველოს საეკლესიო ოლქებისა მომდინარეობდეს მე-8 საუკუნის პირველი ნახევრის არქეტიპიდან (მით უფრო, რომ ამ ნოტიციების გეოგრაფიულ ნომენკლატურაში შეინიშნება მე-8 საუკუნეში არსებული ვითარების გადპონაშები¹).

ამიტომაც ამ ნოტიციების მიხედვით შეუძლებელია გადაჭრით თქმა, შედიოდა დასავლეთ საქართველოს დასახელებული ოლქები მე-9 საუკუნის პირველ მესამედში კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში, თუ არ შედიოდა. შესაძლოა დასავლეთი საქართველო მე-9 საუკუნის პირველ მესამედში ჩამოშორებული იყო კიდევ კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს, მაგრამ რადგან ეს ჯერ კიდევ ახალი დროის ამბავი იყო, ან-და რადგან ჩამოშორების ეს პროცესი შესაძლოა არ იყო ბოლომდე დაშთაერებული და არ ჰქონდა ჯერ კიდევ მიღებული ოფიციალური ცნობა, ამიტომაც ამ უკანასკნელი ნოტიციების შემდგენელ-გადამწერლებს შესაძლოა არ გაუწევიათ ანგარიში ახალი ვითარებისათვის და აღარ ამოუშლიათ დასავლეთ საქართველოს კათედრები მე-8 საუკუნიდან მომდინარე პირველდენიდან.

გ. გავეცნოთ ამის შემდეგ დოკუმენტს, რომელიც მეცხრე-მეათე საუკუნეთა მიჯნას, კეისრის ლეონ VI-ის (886—911 წ. წ.) დროს ეკუთვნის.

ლეონ VI-ის დროს არის შედგენილი, როგორც აღნიშნული გვექონდა, ნო-

¹ ასე, ამ ნოტიციებში ტრაპიზონის კათედრას მიემართება სახელწოდება პოლემონის პონტოსი, რაც მე-8 საუკუნის ვითარებას ასახავს. როგორც დადგენილი გვექონდა, მე-8 საუკუნის ბოლო მესამედში ტრაპიზონის კათედრა გამოეყო პოლემონის პონტოს საეკლესიო ოლქს და ლაზიკის მიტროპოლიას დაუკავშირდა, რის გამო ტრაპიზონის კათედრაზედაც გაერცულა სახელწოდება ლაზიკისა. ეს სახელწოდება ამ დროიდან საბოლოოდ დაიმკვიდრა ტრაპიზონის მხარემ; სახელწოდება ლაზიკა მიემართება ტრაპიზონის კათედრას მას შემდეგაც, რაც იგი ცალკე საეკლესიო ოლქის (მიტროპოლიის) სახით ჩამოყალიბდა და ეს სახელწოდება ლაზიკისა შერჩა მას ბოლომდე (იხ. ზემოთ, გვ. 213).

	I ნიკოფსია	II სებასტოპოლი (ცხუმი)	III—VII ლაზიკა: ფასისი (ფოთი); ძილანები; ცაიში; პეტრა; ვარდ- ციხე.	VIII რიზე I (ლაზიისა)
VI საუკუნის ნახევარი	ნიკოფსიის (ჯიქეთის) კათედრა	სებასტოპოლის (აფხაზეთის) კათედრა	ფასისის (ლაზიკის) კათედრა	
VI—VII ს.ს. (572—630 წ.წ.)	ნიკოფსიის (ჯიქეთის) სამთავარეპისკ.	სებასტოპოლის (აფხაზეთის) სამთავარეპისკ.	ფასისის (ლაზიკის) სამიგრ.	[ცამბურის საეპისკოპოსო ქართლისა]
VII საუკუნე	ნიკოფსიის (ჯიქეთის) სამთავარეპისკ.	სებასტოპოლის (აფხაზეთის) სამთავარეპისკ.	ფასისის (ლაზიკის) სამიგრ.	. . .
VIII საუკუნის პირველი ნახევარი	ნიკოფსიის (ჯიქეთის) სამთავარეპისკ.	სებასტოპოლის (აფხაზეთის) სამთავარეპისკ.	ფასისის (ლაზიკის) სამიგრ.	. . .
VIII საუკუნის მეორე ნახევარი	ნიკოფსიის (ჯიქეთის) სამთავარეპისკ.	სებასტოპოლის (აფხაზეთის) სამთავარეპისკ.	ფასისის (ლაზიკის) სამიგროპო-	
IX—X ს.ს. 886—911 წ.წ.	—	(¹)	—	რიზეს [ლაზიის] სამთავარეპისკ.
X საუკუნე 927—940 წ.წ.	—	—	—	რიზეს [ლაზიის] სამთავარეპისკ.
X საუკუნე 969—976 წ.წ.	—	—	—	—

შეშოკლებანი: ლაქისკ. = საეპისკოპოსო; სამთავარეპისკ. = სამთავარეპისკოპოსო
სამიტრ. = სამიტროპოლიტო.

¹ ბერძნულ კოლენიას ქალაქ სებასტოპოლში მე-9 — 10 საუკუნეთა საზღვარზე აქვს
ცალკე კათედრა (სამთავარეპისკოპოსო). იხ. გვ. 242.

IX სოციალ-დემოკრატიული (ოფი)	X—XII ცრაპიზონი; სერია;ნა; კერაშევი	XIII კერასუნის	XIV რიზე II (პოლემონის პონტოსი)	XV პოლემონი
. . .				პოლემ. პონტოს (ნეოკესარიის) კათედრა
. . .				პოლემ. პონტოს სამიგრ. ¹
. . .	ცრაპიზონის საეპისკოპ.	კერასუნის საეპისკ.	პოლემონის საეპისკ. პოლემ. პონტოს სამიგრ.	
. . .	ცრაპიზონის ¹ სამთავარეპისკ.	კერასუნის საეპისკ.	პოლემონის საეპისკ. პოლემ. პონტოს სამიგრ.	
ლიტო (ცრაპიზონით)		კერასუნის საეპისკ.	პოლემონის საეპისკ. პოლემ. პონტოს სამიგრ.	
სოციალ-დემოკრატიული სამთავარეპისკ.	ცრაპიზონის სამიგრ.	კერასუნის საეპისკ.	პოლემონის საეპისკ. პოლემ. პონტოს სამიგრ.	
სოციალ-დემოკრატიული სამთავარეპისკ.	ცრაპიზონის სამიგრ.	კერასუნის საეპისკ.	პოლემონის საეპისკ. პოლემ. პონტოს სამიგრ.	
სოციალ-დემოკრატიული სამთავარეპისკ.	ცრაპიზონის სამიგრ.			პოლემ. პონტოს სამიგრ.

¹ პოლემონის პონტოს სამიტროპოლიტოს კათედრა მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე არის ნეოკესარიაში.

	I ნიკოფსია	II სებასტოპოლი (ცხუმში)	III – VII ლაზიკა: ფასისი (ფოთი); ძილანები; ცაიში; პეტრა; ვარდ- ციხე.	VIII რიზე I (ლაზიისა)
XI საუკუნე 1023 – 1073 წ. წ.	—	—	—	
	(შედის ქართლის საკათალიკოზოში)			
XI საუკუნე 80-იანი წლები	—	—	—	—
	(შედის ქართლის საკათალიკოზოში)			
XII საუკუნე 70 – 90-იანი წლები	—	—	—	—
	(შედის ქართლის საკათალიკოზოში)			
XIII საუკუნე 60-იანი წლები	—	(¹)	—	—
	(შედის ქართლის საკათალიკოზოში)			
XIII საუკუნე 60-იანი წლები	—	(¹)	—	რიზეს [ლაზიის] სამთავარეპისკ.
	(შედის ქართლის საკათალიკოზოში)			
XIV საუკუნე პირველი მეოთხედი	—	(¹)	—	
	(შედის ქართლის საკათალიკოზოში)			
XIV საუკუნე 1328 – 1341 წ.წ.	—	(¹)	—	—
	(შედის ქართლის საკათალიკოზოში)			
(თურქთა მფლო- ბელობის ხანა ჭანეთ-ლაზეთში)				ლაზიის სამიგრ.

¹ ბერძნულ კოლონიას ქალაქ სებასტოპოლში მე-13 საუკუნის ნახევრიდან მე-14 სა-
უკუნის ნახევრამდე აქვს ცალკე კათედრა (სამიტროპოლიტო). იბ. 243, შენიშვნა 2.

IX სოტიროპოლი (ოფი)	X – XII ტრაპიზონი; სერიანა; კერამევი	XIII კერასუნი	XV რიზე II (პოლემონის პონტოსი)	XV პოლემონი
---------------------------	---	------------------	---	----------------

სოტიროპოლის სამთავარეპისკ.	ტრაპიზონის სამიტრ.	კერასუნის სამიტრ.	პოლემ. პონტოს სამიტრ.	
. . .	ტრაპიზონის სამიტრ.	კერასუნის სამიტრ.	რიზეს [პონტოს] საეპისკ.	პოლემონის საეპისკ. პოლემ. პონტოს სამიტრ.
სოტიროპოლის სამთავარეპისკ.	ტრაპიზონის სამიტრ.	კერასუნის სამიტრ.	რიზეს [პონტოს] სამიტრ.	პოლემონის საეპისკ. ²
სოტიროპოლის სამთავარეპისკ.	ტრაპიზონის სამიტრ.	კერასუნის სამიტრ.	რიზეს [პონტოს] სამიტრ.	პოლემონის საეპისკ. ²
(¹) შედის ქართლის საკათალიკოზოში	ტრაპიზონის სამიტრ.	კერასუნის [და რიზე II-ის] სამიტრ.		პოლემონის საეპისკ. ²
(¹) შედის ქართლის საკათალიკოზოში	ტრაპიზონის სამიტრ.	კერასუნის [და რიზე II-ის] სამიტრ.		პოლემონის საეპისკ. ²
ოფის საეპისკ.	ტრაპიზონის სამიტრ.	კერასუნის სამიტრ.	რიზეს [პონტოს] სამიტრ.	პოლემონის საეპისკ. ²

¹ სოტიროპოლის კათედრის შესახებ მე-14 საუკუნეში იხ. გვ 261—263.

² პოლემონის საეპისკოპოსო შედის პოლემონის პონტოს (ნეოკესარიის) სამიტროპოლიტოში.

ტიცია № 6. (ლეონ VI-ის დროს ყოფილა აგრეთვე შედგენილი არქეტვიპი ნოტიციისა № 9).

ნოტიციაში № 6 კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში უკვე აღარ არის მოხსენებული დასავლეთი საქართველო, სახელდობრ, არაა დასახელებული დასავლეთ საქართველოს შემდეგი ექვსი კათედრა: ფასისი-ფოთის მიტროპოლია, საეპისკოპოსონი ძილანებისა, ცაიშისა, პეტრასი და ვარდციხისა, აგრეთვე სამთავარეპისკოპოსო ნიკოფსიისა (აფხაზეთის ჯიქეთისა).

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ფარგლებში ნოტიცია № 6-ში დასავლეთ საქართველოდან აღნიშნულია მხოლოდ ერთადერთი კათედრა: სებასტოპოლი. მაგრამ ამ კათედრის ფარგლებში, გვაქვს საფუძველი დავისკენათ, ამ დროს აღარ შედიოდა სებასტოპოლის ძველი საეკლესიო ოლქი, არამედ სებასტოპოლის ამ კათედრის სამწყსოს შეადგენდა მარტოოდენ ქალაქ სებასტოპოლის ბერძნული კოლონია, რომელსაც არ შეუწყვეტია ეკლესიური ერთობა კონსტანტინეპოლთან მას შემდეგაც, რაც დასავლეთი საქართველო ჩამოსცილდა კონსტანტინეპოლს.

რომ სებასტოპოლის მხარე, დასავლეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, ამ დროს ჩამოცილებული იყო კონსტანტინეპოლს, ამას ადასტურებს თვით გეოგრაფიული მდებარეობა სებასტოპოლის ოლქისა დასავლეთ საქართველოს შიდა ნაწილში. თუკი კონსტანტინეპოლს ჩამოშორებული იყო ერთის მხრივ თანამედროვე იმერეთი და გურია-ოდისი (ე. ი. კათედრები ფოთი-ფასისისა, ძილანებისა, ცაიშისა, პეტრასი და ვარდციხისა), ხოლო მეორე მხრით ჩამოშორებული იყო აგრეთვე ნიკოფსიის კათედრა, ე. ი. ტუაფსის რაიონი სოკის სანაპიროთი, ცხადია, რომ ამათ შუა მდებარე სებასტოპოლის ოლქიც აგრეთვე ჩამოშორებული ყოფილა. დასავლეთი საქართველო, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან ჩამოცილების შემდეგ მე-9 საუკუნეში, ეკლესიურად დაუკავშირდა ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსოს; და რაკი ქართლის (მცხეთის) საკათალიკოსოს ფარგლები გავრცელებულა თვით ნიკოფსიამდე, ე. ი. ტუაფსის რაიონამდე, ცხადია ამის სამხრეთით მდებარე სებასტოპოლის (ცხუმის) ოლქიც ქართლის საკათალიკოსოს ტერიტორიას შეადგენდა.

დ. მეთე საუკუნის დასაწყისში გაუქმებულა კონსტანტინეპოლის გავლენის უკანასკნელი დასაყრდენი — სებასტოპოლის ბერძნული კოლონიის კათედრა. დოკუმენტებში, რომლებიც ეყუთენიან მეთე საუკუნის პირველ ნახევარს (ნოტიცია № 7 — კონსტანტინე პორფიროგენეტის დროისა) და მეთე საუკუნის მეორე ნახევარს (ნოტიცია № 8 — იოანე ციმისხის დროისა), კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში არაა მოხსენებული არც ერთი კათედრა დასავლეთ საქართველოსი, არც იმერეთისა და გურია-ოდისისა (ფოთი — ფასისი, ძილანები, ცაიში, პეტრა, ვარდციხე), არც საკუთრივ აფხაზეთისა (სებასტოპოლი — ცხუმი) და არც აფხაზეთის ჯიქეთისა (ნიკოფსია).

ე. მომდევნო საუკუნეთა შესახებ ჩვენ შეგვიძლია აღარ გავაგრძელოთ სიტყვა. ამ მომდევნო პერიოდში, მე-10 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე ახალ საუკუნეებამდე, დასავლეთ საქართველოს არაერთარი კავშირი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან არა აქვს, არც ერთი კათედრა დასავლეთ საქართველოსი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ფარგლებში აღარ შედიოდა (იხ. ნოტიციები №№ 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 20)¹.

¹ დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთ პუნქტში, ქალაქ სებასტოპოლში, როდესაც აქ მე-13 — 14 საუკუნეებში ხელახლა გაჩენილა ბერძნული კოლონია, ისევ აღდგენილა დრო-

ასეთია სურათი, რაც ირკვევა ბიზანტიური წყაროების მიხედვით.

ამრიგად, ბიზანტიური წყაროების ანალიზი ჩვენ გვაძლევს მკვიდრ საფუძველს დავასკვნათ, რომ დასავლეთ საქართველოს გამოყოფა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან მომხდარა მე-9 საუკუნეში, რამდენადაც მე-8 საუკუნემდე, ჩათვლით, დადასტურებულია დასავლეთ საქართველოს კავშირი კონსტანტინეპოლის პატრიარქატთან, ხოლო არც ერთ წყაროში მე-9 საუკუნის შემდგომი დროისა დასავლეთ საქართველოს ოლქები კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში აღარ მოიხსენება.

2. იოანე სომეხთა კათალიკოზის ისტორიის ცნობა.

აქ აღძრული საკითხის გამო მნიშვნელოვანია აგრეთვე ჩვენება, რომელსაც შეიცავს მათიანე იოანე სომეხთა კათალიკოზისა (კათალიკოზად დადგენილი იქმნა 899 წელს; მათიანე დაწერილია 924 წლის ახლო). ამ ისტორიკოსის ცნობით მცხეთის (ქართლის) ეკლესიის მეთაური იყო მამათმთავარი „იბერიელთა, გუგარელთა და ეგრისელთა“¹. ამრიგად, დასავლეთი საქართველო (რომელიც იოანე კათალიკოზის მათიანეში ეგრისის ანუ ეგერის სახელწოდებით აღინიშნება), მცხეთის საკათალიკოზოს სამწყსო იყო. ირკვევა ამასთან, რომ ეს დაკავშირება დასავლეთ საქართველოსი მცხეთის საკათალიკოზოსთან ბევრად უფრო ადრინდელი ამბავი ყოფილა, ვიდრე დაიწერებოდა იოანე კათალიკოზის თხზულება, რომ ამას ადგილი ჰქონია არა უგვიანეს მე-9 საუკუნის პირველი ნახევრისა².

3. განვიხილოთ ამის შემდეგ გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენება.

გიორგი მერჩულის ძეგლში აღნიშნულია, რომ ეფრემ მაწყვერელმა, რომელიც 845 წლის ახლო ხანებში ქართლის კათალიკოზის მოსაყდრედ ყოფილა, ახალი ღონისძიებანი ჩაატარა ქართლის საკათალიკოზოში, ანუ ქართ-

ბით სებასტოპოლის ადრინდელი ბერძნული კათედრა, რომლის სამწყსოსაც, ჩანს, შეადგენდა ქალაქის ადგილობრივი ბერძნული მოსახლეობა. სებასტოპოლის ამ განახლებული ბერძნული კათედრის არსებობა გავრძელებულა მე-13 საუკუნის ნახევრიდან — მე-14 საუკუნის ნახევრამდე (იხ. ნოტიციები XIII საუკუნის 50-იანი წლებიდან XIV საუკუნის ნახევრამდე).

¹ იხ. იოანე კათალიკოზის მათიანე, 1912 წ., გვ. 65.

² იოანე კათალიკოზს ის ვითარება, რომელიც მის დროს არსებობდა (ე. ი. დასავლეთ საქართველოს კავშირი მცხეთის საკათალიკოზოსთან) თავიდანვე არსებულ წესად მიაჩნია; ასე, კვირიონ კათალიკოზს, რომელიც მე-6—7 საუკუნეთა საზღვარზე მოღვაწეობდა, იოანე ძეგლის მიერივლთა, გუგარელთა და ეგრისელთა მამათმთავრად და ამრიგად მან არ იცის, რომ მე-6—8 საუკუნეებში, ვიდრე მე-9 საუკუნის დასაწყისამდე, დასავლეთი საქართველო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შედიოდა. ცაღია ამის მიხედვით, რომ დასავლეთ საქართველოს დაკავშირება მცხეთასთან ბევრად ადრე მომხდარა, ვიდრე დაიწერებოდა იოანე კათალიკოზის თხზულება. იოანე კათალიკოზმა, როგორც მოვიხსენეთ, კათალიკოზობა მიიღო 899 წელს (მატიანე დაწერილია 924 წლის ახლო) და თუ დასავლეთ საქართველოს დაკავშირება მცხეთასთან მომხდარიყო თვით იოანე კათალიკოზის დროს, ან მის უახლოეს ხანაში, შეუძლებელია ეს არ სცნობოდა ისეთ განათლებულსა და საქართველოსთან ახლო მდგომ პირს, როგორიც იყო იოანე კათალიკოზი. ამის მიხედვით დასავლეთ საქართველოს მცხეთასთან დაკავშირება მე-9 საუკუნის პირველ ნახევარზე გვიან დროს ვერ მიეკუთვნება.

ლის ქვეყანაში; ხოლო იმის განსამარტებლად, თუ რა საზღვრებში იგულისხმება ქართლი, გიორგი მერჩულეს მოჰყავს თავისი ცნობილი ფორმულა იმის შესახებ, რომ ქართლი არის არა ეთნოგრაფიული ქართლი — იბერია, არამედ ფრიადი ქვეყანა, მთლიანი საქართველო, სადაც კი ქართული ენაა მიღებული, სადაც ქართულითა ენითა „ეპამი შეიწირვის და ლოცვაა ყოველი აღესრულების“. კერძოდ, სპეციალურად დასავლეთ საქართველოს გულისხმობს გიორგი მერჩულე, როდესაც საგანგებოდ უმატებს: „მხოლოდ (მარტო-ოდენ) კვრიელეჟსონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს უფალო წყალობა ყავნ...“ ე. ი. ბერძნული მღვდელმსახურება შეცვლილია ქართულით, და ბერძნულიდან მარტოოდენ ერთიდა სიტყვა „კვრიელეჟსონი“ არის შერჩენილიო¹.

ასეთია ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენება, რომელსაც შეიცავს აქ აღძრული საკითხის გამო გიორგი მერჩულის ძეგლი.

ამრიგად, თუ ჩვენ შევაჯამებთ ყველა იმ ცნობებს, რომელთაც იძლევა ამ საკითხის შესახებ ერთის მხრით გიორგი მერჩულე, და მეორის მხრით უცხოური წყაროები, ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ რეფორმაცია დასავლეთ საქართველოს ეკლესიისა, მისი ჩამოშორება კონსტანტინეპოლის პატრიარქატიდან და დაკავშირება მცხეთის საკათალიკოზოსთან, მისი ნაციონალიზაცია და შეცვლა ეკლესიაში ბერძნული ენისა ქართული ენით, მომხდარა მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, და ყოველ შემთხვევაში ეს რეფორმა დასრულებული ყოფილა 845 წლის უწინარეს პერიოდში, რა დროსაც ეხება გიორგი მერჩულის ზემოთ-მოყვანილი ცნობა.

*

4. განვიხილოთ ამის შემდეგ კიდევ ერთი საისტორიო ცნობა, რომელიც ამავე საკითხს შეეხება და რომელიც დატულია შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“.

„ქართლის ცხოვრების“ ივრეთწოდებულ შევსებულ რედაქციებში (კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ ბარათაშვილისეულსა და სამეგრელოს მთავრის ვარიანტებში) მოიპოვება შემდეგი ცნობა „ქართველთა სამეფოს“ (ქართლ-მესხეთის ფეოდალური სახელმწიფოს) მეთაურის ბაგრატ I მეფე-კურაპალატის (826—872 წ. წ.) შესახებ:

„ხოლო ამან ბაგრატ განაჩინა და განაწესა კათალიკოზი აფხაზეთს ქრისტეს აქეთ 9^ზ (830)“².

თარიღი, პანოდორეს ქრონოლოგიური სისტემით, აღნიშნავს ჩვენი წელთაღრიცხვის 838 წელს (830+8).

ამრიგად, ამ ცნობის თანახმად, აფხაზეთის საკათალიკოზოს დაარსებამ (ე. ი. აფხაზეთის ეკლესიის გამოყოფა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოდან, მისი ორგანიზება ადგილობრივი აფხაზეთის საკათალიკოზოს სახით და დაკავშირება ზოგად-ქართულ ეკლესიასთან, ქართლის საკათალიკოზოსთან) მომხდარა 830-იან წლებში.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 97, ზემოთ გვ. 221—222, ქვემოთ გვ. 350.

² იხ. ქართლის ცხოვრება, I, მ. ბროსეს გამოცემა, 1849 წ., გვ. 190.

ეს თარიღი, როგორც ვხედავთ, სავსებით უდგება იმ თარიღს, რომელიც ჩვენ ზემოთ დავადგინეთ გიორგი შერჩულისა და სხვა წყაროების მიხედვით.

აღნიშნულის მიხედვით, შეესებულე „ქართლის ცხოვრების“ ეს ცნობა, როგორც ირკვევა, ავთენტური ხასიათისაა¹.

აქ ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აფხაზეთის საკათალიკოზოს დაარსების მონაწილედ დასახელებულია ქართლ-მესხეთის სამეფოს (იბერიის) მეთაური ბაგრატ I მეფე-კურაპალატი.

რით აიხსნება ეს ფაქტი? იბერია (ქართლ-მესხეთის სამეფო) და აფხაზეთი (დასავლეთი საქართველო) ამ დროს ხომ ორ ცალკე სახელმწიფო ერთეულს წარმოადგენდა?

ეს მეტად მნიშვნელოვანი საისტორიო ფაქტი, მონაწილეობა ქართლ-მესხეთის სამეფოს (იბერიის) მეთაურისა აფხაზეთის საკათალიკოზოს დაარსებაში, რასაც შედეგად მოჰყვა დაკავშირება აფხაზეთის ეკლესიისა ზოგად-ქართულ ეკლესიასთან, ე. ი. ქართლის საკათალიკოზოსთან, ცხადია, იმით იყო გამოწვეული, რომ მცხეთა, ცენტრი საკათალიკოზოსი, ისტორიულად იბერიის (ქართლის) ნაწილს, იბერიის ძველ დედაქალაქს წარმოადგენდა, და ქართლის კათალიკოზი, არჩევის შემდეგ, პირველ ცნობას, ძველი ტრადიციის თანახმად, იბერიის (ქართლ-მესხეთის) მეფე-კურაპალატისაგან ღებულობდა. ამასთან, ქართლის საკათალიკოზოს ტერიტორია ძირითადად „ქართველთა სამეფოს“ (ქართლ-მესხეთის ფეოდალური სახელმწიფოს) ფარგლებში შედიოდა².

ამრიგად, აფხაზეთის ადგილობრივი საკათალიკოზოს ორგანიზაცია, მისი დაკავშირება ზოგად-ქართულ ეკლესიასთან, ქართლის საკათალიკოზოსთან, ერთნაირად ეხებოდა როგორც დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის სამეფოს“), ისე აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-მესხეთს).

როდესაც ჩაჩარდა ეს დიდი რეფორმა 830-იან წლებში, მეთაური დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის სამეფოში“) იყო მეფე დემეტრი II, ძე ლეონ II-ისა (753—798 წ. წ., რომლის დროსაც, მე-8 საუკუნის ბოლო მეოთხედში, აღდგენილ იქმნა დასავლეთ საქართველოს „აფხაზეთის“ დამოუკიდებლობა) და ძმა თეოდოსი I-ისა, რომლის მეფობა 798—825 წლებს უწევს.

¹ აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ყველა ამ სახის ექსცერპტები, რომლებიც შეტანილია შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“, მომდინარეობენ ძველ-ქართული საისტორიო წყაროებიდან. (კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ იმავე ბარათაშვილისეულ ვარიანტში სადაც მოთავსებულია ზემოთ-მოყვანილი ცნობა აფხაზეთის საკათალიკოზოს შესახებ, შეტანილია ა გარკვევ ექსცერპტულად ძველ-ქართული საისტორიო ძეგლი „დივანი აფხაზთა მეფეთა“).

² აშოტ I-ის დროს, მე-9 საუკუნის 20-იან წლებში, „ქართველთა სამეფოს“ ფარგლებში გაერთიანებული იყო ძველი იბერიის ისტორიული ტერიტორიების მთავარი ნაწილი, მესხეთის მხარეები — ზემო ქართლი, შიდა და ქვემო ქართლი. 826 წელს, აშოტ I-ის დაღუპვის შემდეგ, არაბებმა თუმცა ისევ დაიპყრეს ქართველთა სამეფოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი, მაგრამ მომდევნო პერიოდში, 830-იან წლებში, ბაგრატ I-მა გაათავისუფლა არაბთა მფლობელობისაგან ზემო ქართლის პროვინციები, მესხეთის მხარეები. რაც შეეხება შიდა ქართლს, იგი ერთხანს პოლიტიკურად თუმცა არაბთა გავლენის ქვეშ დარჩა, მაგრამ ეკლესიურად ქართლის ყველა ნაწილი ერთ მთლიან წარმოადგენდა.

ბაგრატ I-მა ზემო ქართლის, მესხეთის მხარეების განთავისუფლების შემდეგ 830-იან წლებში, თანდათანობით გაავრცელა თავისი გავლენა აგრეთვე შიდა ქართლზედაც, რომელიც ბაგრატ I-მა საბოლოოდ შეიერთა პოლიტიკურად 842 წელს (იხ. ზემოთ, გვ. 70—71).

დემეტრე II გამეფებულა თეოდოსი I-ის შემდეგ, 825 წლის ახლო ხანებში, და მისი მმართველობა გაგრძელებულა 36 წელი, 861 წლამდე.

აღსანიშნავია ამასთან, რომ ამ ეპოქაში, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, ახლო თანამშრომლობა არსებობს დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“) და აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლ-მესხეთის) სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა შორის.

ასე, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში აღმოსავლეთ საქართველოს ეროვნული ხელისუფლების მეთაური ნერსე ქართლის ერისმთავარი კავშირშია დასავლეთ საქართველოს მფლობელთან ლეონ II-სთან; როდესაც ნერსე ქართლის ერისმთავარი დაამარცხეს არაბებმა, მან საფარველი დასავლეთ საქართველოში — „აფხაზეთში“ — იპოვა (იხ. ზემოთ, გვ. 38, 201).

შემდეგ, მეცხრე საუკუნის პირველ მეოთხედში, აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური აშოტ I დიდი (ბაგრატიონი) აგრეთვე კავშირში იმყოფება დასავლეთ საქართველოს — „აფხაზეთის“ მეფესთან თეოდოსი II-სთან (იხ. ზემოთ, გვ. 201).

ასევე, როგორც ირკვევა, მომდევნო პერიოდშიაც, მეცხრე საუკუნის მეორე მეოთხედში, 830-იან წლებში, აღმოსავლეთ საქართველოს სახელმწიფოს მეთაური ბაგრატ I მეფე-კურაპალატი თანამშრომლობას ეწევა დასავლეთ საქართველოს სამეფოს მეთაურთან დემეტრე II-სთან იმ დიდი რეფორმის ჩატარების დროს, როდესაც აფხაზეთი ეკლესიურად გამოეყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და ზოგად-ქართულ ეკლესიას, ქართლის საკათალიკოსოს დაუკავშირდა, მოხდა აფხაზეთის ეკლესიის ნაციონალიზაცია, გაქართულდება.



დემეტრე II, რომლის დროსაც ჩატარდა ეს დიდი რეფორმა „აფხაზეთის“ სამეფოში, როგორც ირკვევა, უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ფიგურაა მე-9 საუკუნის ქართველ მოღვაწეთა შორის.

დემეტრე II-ის სახელმწიფო მოღვაწეობა განისაზღვრება არა მხოლოდ ქვეყნის შინაგან საქმეთა ახალი ორგანიზაციით, არამედ, ამავე დროს, დემეტრე II ყოფილა დიდი სამხედრო ლიდერი.

სწორედ დემეტრე II-ის დროს იყო, რომ დასავლეთ საქართველოს — „აფხაზეთის“ სამეფომ სამჯერ სასტიკად დაამარცხა ბიზანტიის იმპერიის ჯარები, პირველად 830-იანი წლებში, ხოლო მეორედ და მესამედ 842—844 წლებში. უკანასკნელი (მესამე) დამარცხება, რომელიც განიცადა ბიზანტიამ, იმდენად გაპანადკურებელი იყო (ბიზანტიელი მემკვიდრის ცნობით ამ უკანასკნელ ომში ბიზანტიამ დაჰკარგა ორმოციათას კაცზე მეტი), რომ ბიზანტიას აღარ უცდია ამის შემდეგ კვლავ განეახლებინა ბრძოლა დასავლეთ საქართველოს წინააღმდეგ (იხ. ზემოთ, გვ. 217—218).

გიორგი მერჩულის თხზულებაში, რომელიც ერთადერთი ჩვენ დრომდე გადაჩენილი ადგილობრივი ქართული ეროვნული ძეგლია, რომელშიაც დაცულია ცნობები დემეტრე II-ის შესახებ, მოიპოვება უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენებანი, თუ როგორ ტარდებოდა დემეტრე II-ის უშუალო ხელმძღვა-

ნელობით რეფორმაცია აფხაზეთის ეკლესიისა, ამასთან დაკავშირებული ღონისძიებანი მისი ნაციონალიზაციისათვის, გაქართულებისათვის.

ასე, გიორგი მერჩულის ძეგლიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ დემეტრე II-ის მოღვაწეობით „აფხაზეთის“ სამეფოში არსდებოდა ქართული მონასტერ-სავეანეები, რომლებიც ძველი დროიდანვე დამკვიდრებული ბერძნული გავლენის შესუსტებასა და ქართული მწიგნობრობის ტრადიციების განმტკიცებას ისახედნენ მიზნად.

გიორგი მერჩულის სიტყვით, დემეტრე II იბერია-მესხეთიდან აფხაზეთის სამეფოში სამოღვაწეოდ გადმოსულ პირებს „დიდითა პატავითა“ ლებულობდა, „ადგილსა კეთილსა“ დაამკვიდრებდა და „საშენებლად“ ქართულ სავეანეთა „ფრიადსა საფასესა“ გაიღებდა.

ერთ-ერთი ასეთი ქართული სავეანე დაუარსებია აფხაზეთის სამეფოში გრიგოლ ხანძთელს 826 წლის ახლო ხანებში, დემეტრე II-ის პირადი ინიციატივითა და თანამოღვაწეობით¹.

აქ საჭიროა ხაზი გაუუსვათ იმ გარემოებას, რომ ქართული სავეანეების მოწყობის დროს ყურადღების ცენტრში პირველ რიგში და საგანგებოდ ქართული მწიგნობრობის საქმე ყოფილა. ასე, მაგალითად, გიორგი მერჩულე, მოგვითხრობს რა აფხაზეთში დაარსებული ქართული სავეანის შესახებ, საჭიროდ თვლის საგანგებოდ აღნიშნოს, რომ ქართული სავეანის ახლად დადგენილი წინამძღვარი მწიგნობრობის ცნობილი მოღვაწე იყო და რომ მას „აქჴნდეს კეთილნი წიგნნი“. ამავე დროს, გიორგი მერჩულის სიტყვით, თვით გრიგოლ ხანძთელსაც საგანგებოდ მიუძღვნია წიგნები ახლად დაარსებული სავეანისათვის².

ქართული სავეანეები, ცენტრები ქართული მწიგნობრობისა, იყვნენ განმამტკიცებელნი ქართული მწერლობის და ქართული კულტურის ტრადიციებისა და ამდენად ეს სავეანეები იყვნენ დასაყრდენნი იმ დიდი რეფორმის ჩატარების დროს, რომელიც მიზნად ისახავდა დასავლეთ საქართველოს ეკლესიის ნაციონალიზაციას და მასში — ბერძნულის ნაცვლად — ქართული ენისა და მწიგნობრობის დამკვიდრებას.

ასეთი დიდი მასშტაბის რეფორმის ჩატარებას, განსაკუთრებით საშუალო საუკუნეთა პირობებში, რელიგიური იდეოლოგიის ბატონობის ხანაში, ბუნებრივია, დიდი სიძნელეები ელოდებოდა. საჭირო ხდებოდა საუკუნეებით დამკვიდრებული და რელიგიური ტრადიციით განმტკიცებული წესების დარღვევა.

უეჭველია აგრეთვე ისიც, რომ ელიზოფილობისა და ძველი ტრადიციების დაცვის საფარველს ქვეშ მოქმედებდა ბიზანტიის პოლიტიკური აგენტურა, რომელიც ცდილობდა დაკარგული მდგომარეობის აღდგენას დასავლეთ საქართველოში. უშუალო, ახლო კავშირი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე არსებობდა ადგილობრივ ეკლესიასა და კონსტანტინეპოლის პატრიარქატს შორის, ცხ-

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 51—56.

² იხ. იქვე, გვ. 53.

დია, აადვილებდა ბიზანტიის აგენტურის შენიღბულსა და მოხერხებულ მოქმედებას.

მაგრამ დასაველეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლება დიდ სიმტკიცეს იჩენს, იგი განუხრელად ატარებს თავის ხაზს.

იმისათვის, რომ გაენელებინათ ძველი ტრადიციების გავლენა და სათავეშივე მოესპოთ ბიზანტინოფილური წრეების საქმიანობა, დასაველეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლება გაბედულად ჩაატარებს შემდეგს რადიკალურ ღონისძიებას: იგი სპობს ძველად არსებულ საეკლესიო ცენტრებს, საეპისკოპოსო კათედრებს, და მათ ნაცულად ახალ ცენტრებს აარსებს.

ასე მოსპობილ იქმნა შემდეგი ძველი ცენტრები, ძველი კათედრები და მათ ნაცულად დაარსებულ იქმნა შემდეგი ახალი ცენტრები:

ა) გაუქმებულ იქმნა აფხაზეთის საარქიეპისკოპოსო ცხუმში (სუხუმში), ასევე გაუქმებულ იქმნა ნიკოფსიის საარქიეპისკოპოსო, და ამ ორი ძველი ცენტრის ნაცულად დაარსებულ იქმნა ახალი ცენტრი — ბიქვინთის კათედრა, რეზიდენცია აფხაზეთის კათალიკოზთა.

ცხუმის და ნიკოფსიის კათედრებს, როგორც ცნობილია, ხანგრძლივი სარელიგიო ტრადიციები ჰქონდათ. კერძოდ, ცხუმის კათედრა ითვლებოდა მთავარ ცენტრად აფხაზეთის ეკლესიისა. აფხაზეთში, ქრისტიანობის სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად განოცხადების დროს მე-9 საუკუნეში, აქ, ცხუმში, ბიზანტიის იმპერატორის იუსტინიანე I-ის მიერ აგებულ იქმნა საკათედრო ტაძარი, რომელიც მხარის სიწმიდედ ითვლებოდა.

ბიზანტინოლოგი ი. კულაკოვსკი, რომელიც ეხება ცხუმისა და ბიქვინთის კათედრათა ისტორიის საკითხებს და რომლისთვისაც გაუგებარი რჩება, თუ რით იყო გამოწვეული კათედრათა შეცვლა, წერს:

„რა იყო მიზეზი, რომ ბიქვინთას მიეცა უპირატესობა, როგორც კათედრას, ცხუმის წინაშე, — უცნობი რჩება. მაგრამ ყოველ შემთხვევაში უეჭველია, რომ თავდაპირველად, სამ საუკუნეზე მეტი ხანი (მეექვსე საუკუნიდან — მეცხრემდე) აფხაზებს ჰქონდათ თავიანთი სასულიერო ცენტრი არა ბიქვინთაში, არამედ სებასტოპოლში, ე. ი. თანამედროვე სუხუმში“¹.

ეს შენაცვლება კათედრებისა, რაც დღემდე არ იყო ახსნილი, დაკავშირებული ყოფილა, როგორც ახლა ირკვევა, დასაველეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაციასთან. აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლება, იმისათვის, რომ მოესპო ტრადიციები ბიზანტინიზმის ამ ძველი ციტადელისა, იუსტინიანე იმპერატორის მიერ დაარსებული ცხუმის კათედრისა, არ დარიდებია რელიგიური ტრადიციის დარღვევას, გაუქმებია ეს მთავარი რელიგიური ცენტრი ცხუმში და მის ნაცულად მოუწყვია ახალი ცენტრი ბიქვინთაში. ბიქვინთა ახალ ცენტრად აღრჩევიათ, კერძოდ, იმის გამო, რომ აქ, ბიქვინთაში, უძველეს ხანაში, ჯერ კიდევ III—IV საუკუნეებში, არსებულა საეკლესიო კათედრა, რომელიც შემდეგ მოსპობილა (იხ. ზემოთ, გვ. 228, 230); ამიტომაც ბიქვინთას, რომელთანაც დაკავშირებული იყო ადრინდელი საქრისტიანო გადმოცემები, შეეძლო ერთ-

¹ იხ. Ю. Кулаковский, Где был построен имп. Юстинианом храм для Аваггов. Археологические известия и заметки, т. V, 1897 №., стр. 38.

გვარად მეტოქეობა გაეწია ცხუმისათვის. ამასთან, რათა გარეგნულის მხრითაც დაეჩრდილათ იუსტინიანე იმპერატორის მიერ აგებული მხარის მთავარი სიწმინდე—ცხუმის კათედრალი, აქ, ბიქვინთაში აუგიათ ის გრანდიოზული, ბრწყინვალე ხელოვნების ძეგლი, — ბიქვინთის საკათალიკოზო ტაძარი, რომელიც დღემდისაც შენახულა და რომელიც ქართული კლასიკური ხე-როთმოდევრების უმნიშვნელოვანეს ძეგლთა რიცხვს ეკუთვნის.

ბ) ასევე შეუცვლიათ აგრეთვე ძველი ცენტრები ლაზეთის მიტროპოლიაში: როდოპოლისის (ვარდციხის) კათედრა გადატანილ იქნა დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს დედაქალაქში ქუთათისში; ამავე დროს გაუქმებულ იქმნა ზღვის სანაპირო ზონაში პეტრას (ბათუმის მხარის) კათედრა და ბათუმის მხარე დაკავშირებულ იქმნა ქუთათისთან¹.

ძველი ცენტრების ეს შენაცვლება, რაც მე-9 საუკუნეში დაიწყო, გრძელდება შემდეგ ხანაშიაც.

გ) აფხაზეთის მეფის გიორგი II-ის დროს (922—957 წ.წ.) გაუქმებულ იქმნა ზღვის სანაპირო ზონაში ფასისის კათედრა, და იგი გადატანილ იქმნა შიდა მხარეში, ახალ ცენტრში — ჭყონდიდში².

დ) ასევე მათე საუკუნის დასასრულს გაუქმებულ იქმნა ზღვის სანაპირო ზონაში ძილანების (გულაყვის) კათედრა და ისიც გადატანილ იქმნა შიდა მხარეში, ახალ ცენტრში — ბეღიაში³.

ამავე დროს დასავლეთ საქართველოს შიდა მხარეებში არსდება მთელი რიგი ახალი კათედრები: მოქეი და დრანდა, („შუა სოფელში“, საკუთრივ აფხაზეთისა და საეგროს სანაპიროზე), ცაგერი (ლეჩხუმში), ნიკოლოზ-წმიდა ე. ი. ნიკორწმიდა (რაჭაში).

ასეთი იყო ის ღონისძიებანი, რომელნიც ჩაუტარებია დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლებას დასავლეთ საქართველოს ეკლესიის რეფორმაციასთან, მის გაქართულებასთან დაკავშირებით.

ამრიგად, როგორც ირკვევა, აფხაზეთის სამეფოს ხელისუფლება არ შეჩერებულა საუკუნეებით დამკვიდრებული და რელიგიური ტრადიციით განმტკიცებული წესების დარღვევის წინაშე ამ დიდი სახელმწიფოებრივი მიზნების განხორციელების დროს.

4

შ ე ნ ი შ ვ ნ ა

სოტიროპოლისა და ალანეთის შესახებ

ჩვენი მიმოხილვა აფხაზეთის ისტორიის საკითხებისა, კერძოდ საკითხისა აფხაზეთის საკათალიკოზოს შესახებ (რომელიც დაკავშირებული იყო ზოგად-

¹ რომ ბათუმის მხარე, ქვემო-აპარით, ეკლესიურად ქუთათისის ოლქთან იქმნა დაკავშირებული და რომ ქუთათისის ოლქი ქვემო-აპარისა და ზემო-აპარის მიჯნაზე ესაზღვრებოდა მესხეთის ტბეთის ოლქს, ეს ირკვევა მესხეთის საეპისკოპოსოთა სახდერების აღწერილობიდან (იხ. მესხეთის საეპისკოპოსოთა ნუსხა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, I, 1907 წ., გვ. 77).

² იხ. მატჩანე ქართლისა, გვ. *452/229.

³ იქვე, გვ. *471/245.

ქართულ ეკლესიასთან, ქართლის საკათალიკოზოსთან) არ იქნება სრული, თუ აქ სპეციალურად არ შევვებით ერთ კერძო საკითხს სოტიროპოლის და ალანეთის შესახებ.

საქმე ის არის, რომ ბიზანტინოლოგიაში დღემდე გაბატონებულია მცდარი შეხედულება, ვითომც აფხაზეთი ეკლესიურად კი არ შედიოდა ზოგად-ქართულ ეკლესიაში (ქართლის საკათალიკოზოში), არამედ ვითომც აფხაზეთი მთელ საშუალო საუკუნეთა განმავლობაში კონსტანტინეპოლთან იყო დაკავშირებული, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ნაწილს შეადგენდა. ეს მცდარი შეხედულება ეწყარება ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის საეკლესიო ოლქის ისტორიის არა სწორ გაშუქებას.

სახელდობრ ფიქრობენ, რომ სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი, რომელიც საშუალო საუკუნეთა განმავლობაში მოიხსენება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში, ვითომც მოიცავდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას.

ამ შეხედულებას იზიარებენ ისეთი დიდი ავტორიტეტები ბიზანტიის ისტორიის, კერძოდ ბიზანტიის საეკლესიო ისტორიის საკითხებში, როგორიც არიან პროფ. ი. კულაკოვსკი, პროფ. ვ. ბოლოტოვი, აკად. ვ. ლატიშევი. ეს მცდარი შეხედულება დღემდე საერთოდ მიღებულია ბიზანტინოლოგიაში.

აქ საკამათოდ მიჩნეულია მხოლოდ საკითხი, თუ რომელი პუნქტი აფხაზეთისა იყო ცენტრი (კათედრა) სოტიროპოლის საეკლესიო ოლქისა, სებასტოპოლი — ცხუმი, თუ ბიჭვინთა.

საშუალო საუკუნეთა ერთ ბერძნულ საისტორიო წყაროში დაცულია ცნობა, რომ სოტიროპოლის მეორე სახელწოდება იყო პეტია Πητεια¹. ვინაიდან სახელწოდება პეტია ჰგავს ბიჭვინთას (ბერძნულ-რომაული წყაროების Pytius, Pytiunta), ამის მიხედვით დაასკენიან, რომ ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის საეკლესიო ოლქის ცენტრი (კათედრა) იყო აფხაზეთის ბიჭვინთაში.

ამავე დროს, ემყარებიან რა კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობას სოტიროპოლის შესახებ², ვარაუდობენ აგრეთვე იმასაც, რომ ცენტრი ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის ამ საეკლესიო ოლქისა შესაძლოა ყოფილიყო აფხაზეთის ქალაქი სებასტოპოლი — ცხუმი.

შეხედულებას, რომ ცენტრი (კათედრა) სოტიროპოლის საეკლესიო ოლქისა იყო ბიჭვინთა (ვითომც-და პეტია), იცავდა პროფ. ი. კულაკოვსკი³.

შემდეგ პროფ. ვ. ბოლოტოვმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ ცენტრი ვითომც ყოფილა სებასტოპოლი — ცხუმი.

მას შემდეგ ეს კითხვა ცენტრის შესახებ საკამათოდ არის ქცეული, ხოლო ის კი უდავოდ არის მიჩნეული, რომ სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი შეიცავდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიას, დამოუკიდებლად იმისაგან, თუ სად იყო მისი ცენტრი (კათედრა) ბიჭვინთაში თუ სებასტოპოლ — ცხუმში⁴.

¹ იხ. G. Parthey, Hieroclis Synecdemus..., 1866 წ., გვ. 315 (ცნობა კოდინისა).

² იხ. De administrando imperio c. 42 (გვ. 182).

³ იხ. Ю. Кулаковский, Где был построен нын. Юстинианом храм для Авабгов (Археологические известия и заметки, 1897 წ., VI).

⁴ იხ. Ю. Кулаковский, Христианство у Алаб, Византийский Временник, 1898 წ., V. გვ. 12; В. В. Датышев, К истории христианства на Кавказе, 1911 წ.

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ სად მდებარეობდა ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი და რომელი პუნქტი არის ამ საეკლესიო ოლქის ცენტრი ქალაქი—სოტიროპოლი, რომლის მეორე სახელწოდება ყოფილა პითია (პუთია).

თავდაპირველად საჭიროა გათვალისწინებული გექონდეს ის გარემოება, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთიდაიგივე გეოგრაფიული სახელწოდება მიემართება სხვადასხვა პუნქტს, გვხვდება სხვადასხვა მხარეებში. რასაკვირველია, სახელწოდება „სოტიროპოლი“ შესაძლოა არსებულიყო როგორც აფხაზეთში, ისე სხვაგანაც. მით უფრო ეს მოსალოდნელია ისეთი სახელწოდების მიმართ, როგორცაა „სოტიროპოლი“. ბერძნულად Σατήρ ნიშნავს მაცხოვარს (ქრისტეს), Σατηροπίσις მაცხოვარის ქალაქი, მაცხოვარისი; სახელწოდება წარმომდგარა ქალაქში გაშენებული მაცხოვრის სახელობის ეკლესიისაგან. ცხადია, ასეთი სახელწოდების გეოგრაფიული პუნქტი — სოტიროპოლი (მაცხოვრის ქალაქი, მაცხოვარისი) — შესაძლოა არა ერთი არსებულიყო.

წყაროების განხილვა არ ტოვებს არაერთარ ეჭვს იმაში, რომ საძიებელი ქალაქი სოტიროპოლი არ იყო არც სებასტოპოლი—ცხუმი და არც ბიჭვინთა.

1. სოტიროპოლის საეკლესიო ოლქის ცენტრი ქალაქი სოტიროპოლი რომ არ არის აფხაზეთის სებასტოპოლი—ცხუმი, ეს დოკუმენტალურად დასტურდება საეპისკოპოსოთა ნუსხებიდან, ეგრეთწოდებული ნოტიციებიდან (Notitiae episcopatum). არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე დოკუმენტში ერთდროულად არის მოხსენებული ცალკე სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი და ცალკე აფხაზეთის სებასტოპოლის (ცხუმის) საეკლესიო ოლქი.

ასე, მაგალითად, ნოტიციაში № 6 (Gelzer, b, II) მოხსენებულია ერთდროულად სოტიროპოლის ოლქი (სამთავარეპისკოპოსო, № 34) და აფხაზეთის სებასტოპოლის (ცხუმის) ოლქი (სამთავარეპისკოპოსო, № 47).

აგრეთვე ნოტიციებში № 14 (Parthey, X) და № 19 (Gelzer, b, IX) ასევე ერთდროულად არის მოხსენებული ცალკე სოტიროპოლის ოლქი (სამთავარეპისკოპოსო, № 23) და ცალკე აფხაზეთის სებასტოპოლის (ცხუმის) ოლქი (სამიტროპოლიტო, № 51/91).

ამრიგად, აღნიშნულის მიხედვით დოკუმენტალურად დასტურდება, რომ სებასტოპოლის საეკლესიო ოლქის ცენტრი ქალაქი სოტიროპოლი არ არის აფხაზეთის სებასტოპოლი—ცხუმი.

2. საძიებელი ქალაქი სოტიროპოლი არ არის აგრეთვე არც აფხაზეთის ბიჭვინთა. ერთადერთი მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გამოჰყავდათ ასეთი დასკვნა, როგორც აღვნიშნეთ, შემდეგი იყო: სოტიროპოლის მეორე სახელწოდება არისო პუთია (Πυθια) და ეს სახელწოდება იდენტური უნდა იყოსო ბიჭვინთის სახელწოდებასთან. მაგრამ ეს არის მხოლოდ ვარაუდი, რაც არაფრით დამოწმებული, არაფრით დადასტურებული არაა.

რომ აფხაზეთის ბიჭვინთა სხვაა, ხოლო სოტიროპოლი (პუთია) სხვა, ამას ცხადყოფს ჯერ ერთი შემდეგი:

ა) სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი მრავალჯის მოიხსენება საისტორიო წყაროებში საშუალო საუკუნეთა მანძილზე და მას ყოველთვის ეწოდება ოფი-

ციალურად სოტიროპოლი (სოტიროპოლის სამთავარეპისკოპოსო ანუ სოტიროპოლის სამიტროპოლიტო);

ბ) ამნაირადვე აფხაზეთის ბიქვინთა მრავალგზის მოიხსენება ამავე პერიოდის საშუალო საუკუნეთა წყაროებში და მას ყოველთვის ეწოდება ბიქვინთა (ბიქვინთის საკათალიკოზო, აფხაზეთის საკათალიკოზო) და არასოდეს მას არ ეწოდება სოტიროპოლი (სოტიროპოლის სამთავარეპისკოპოსო, სამიტროპოლიტო). ამრიგად აქ განსხვავებაა როგორც თვით სახელებში (ბიქვინთა, სოტიროპოლი), ისე აგრეთვე რანგში (ერთ შემთხვევაში საკათალიკოზო, ხოლო მეორე შემთხვევაში სამთავარეპისკოპოსო და სამიტროპოლიტო). ეს ერთი ფაქტი.

ხოლო მთავარი და გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტი, საიდანაც უდავოდ დასტურდება, რომ სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი არ მდებარეობდა არც აფხაზეთში, და არც საერთოდ დასავლეთ საქართველოს რომელსამე სხვა მხარეში, არის შემდეგი.

წყაროებიდან ირკვევა, რომ სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი, მე-10 საუკუნიდან მოკიდებული ვადრე მე 13 საუკუნემდე (ჩათვლით), შედიოდა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ფარგლებში (იხ. ნოტიციები №№ 6, 7, 8, 9, 14, 15)¹. ხოლო, როგორც ეს ჩვენ ზემოთ დავამტკიცეთ ყველა არსებული მასალების ყოველმხრივი ანალიზის შედეგად, დასავლეთი საქართველო მთლიანად, და მათ შორის აფხაზეთის საეკლესიო ოლქი, ჯერ კიდევ მე-9 საუკუნის 30-იან წლებში გამოეყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს და ზოგად-ქართულ ეკლესიას (ქართლის საკათალიკოზოს) დაუკავშირდა; მას შემდეგ, მე-9 საუკუნიდან მოკიდებული, მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე დასავლეთი (და მასთან ერთად საკუთრივ აფხაზეთი) არის განუყოფელი ნაწილი ზოგად-ქართული ეკლესიისა და არაერთგვაროვანი იერარქიული კავშირი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსთან მას არ ჰქონია. ეს ფაქტი, როგორც ვნახეთ, უცილობელად მტკიცდება როგორც ქართული, ისე უცხოური, კერძოდ, ბიზანტიური საისტორიო წყაროების მიხედვით. მაშასადამე, სავსებით უდავოა, რომ ბიზანტიურ წყაროებში მონსენებული სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი, რომელიც იყო შემადგენელი ნაწილი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოსი, არ არის არც აფხაზეთი და არც დასავლეთ საქართველოს სხვა რომელიმე ნაწილი.

საკითხავია ამის შემდეგ, სად მდებარეობდა ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული სოტიროპოლის ეს საეკლესიო ოლქი და რომელი პუნქტი არის მისი ცენტრი ქალაქი სოტიროპოლი, რომლის მეორე სახელწოდება ყოფილა პითია (პუთია).

ამის დადგენაც შესაძლებელია. წყაროებიდან ირკვევა, რომ სოტიროპოლის ეს ოლქი მდებარეობდა არა აფხაზეთში, არამედ სულ სხვა ზონაში. სახელდობრ ქანეთში, ტრაპიზონის მხარეში. სოტიროპოლი ანუ პითია (პუთია) არის პარალელური სახელწოდება ქალაქისა ოფი, რომელიც ტრაპიზონის

¹ შესახებ ნოტიციისა № 16—იხ. ქვემოთ.

აღმოსავლეთით მდებარეობს; სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი, მოხსენებულ ბიზანტიურ წყაროებში, ეს არის ოფის ოლქი.

გავეცნოთ წყაროებს.

ა) კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში, შავი ზღვის სანაპიროზე, ტრაპიზონის მხარეში, ტრაპიზონსა და რიზეს შორის, აღნიშნულია ორი პუნქტი, ნავთსადგურები, რომლებიც ატარებენ შემდეგ სახელებს: 1) Πεισιμα (პიტიუსა) და Ίσισις λιμήν (ჰვისის ნავთსადგური)¹.

ხოლო ტრაპიზონს და რიზეს შუა მართლაც ორი ნავთსადგურია: სურმენე და ოფი.

როგორც ეს დასტურდება V საუკუნის ანონიმი გეოგრაფოსის პირდაპირი ჩვენებიდან, ჰვისის ნავთსადგური ერქვა სურმენეს (იხ. SC, I, გვ. 272 და ზემოთ, გვ. 252). მაშასადამე Πεισιμα ყოფილა სახელწოდება ოფისა.

ბ) ამიანე მარცელინეს ტრაპიზონის მხარეში მოხსენებული აქვს პუნქტი Pityus პიტუსი, რაც იდენტურია კლავდი პტოლემეს მიერ აღნიშნულ პუნქტთან Πεισιμα, პიტიუსა, იგივე ოფი².

გ) V საუკუნის დასაწყისის ძეგლში, რომელსაც ეწოდება Notitiae Dignitatum, პონტოს პროვინციაში, ტრაპიზონის მხარეში, დასახელებულია 11 პუნქტი, რომელთაგან 4 პუნქტი მდებარეობდა შავი ზღვის სანაპიროზე; ესენია: ტრაპიზონი, ჰვისის ნავთსადგური (Usi porto), პითია (Pithia) და „ქენე პარემბოლე“ (Caena Parembola = ბერძ. Καενή παραμυθολή „ახალი ციხე“ ანუ „ახალი ბანაკები“, ჯარის სადგომი ციხე-სიმაგრე).

ამათგან — ჰვისის ნავთსადგური (Usi porto), როგორც აღვნიშნეთ, ეს არის სურმენე;

პითია (Pithia) არის კლავდი პტოლემეს Πεισιμα და ამიანე მარცელინის Pityus, იგივე ოფი;

„ქენე პარემბოლე“ (= „ახალი ციხე“ ანუ „ახალი ბანაკები“) მდებარეობდა ოფისა და რიზეს შუა, მდინარე კალოს („კალოს პორტამოსის“) შესართავთან, რის გამო მას ერქვა აგრეთვე კალოს ციხე ანუ კალოს „პარემბოლე“, „ბანაკები“. (აღვნიშნავთ ამასთან, რომ გვიან ხანაში, ხალხურ გამოთქმაში, სახელწოდება „ქენე პარემბოლე“ — „კალოს პარემბოლე“ გადაკეთებულია შემდეგნაირად: კალიპარაული, ე. ი. მას მიუღია ტიპიურ ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა სახე³).

¹ იხ. კლავდი პტოლემე, გეოგრაფია, 1867 წლის პარიზული ფოტოტიპიური გამოცემა, გვ. LI.

² იხ. ამიანე მარცელინი, XXII, 8, 16—17.

³ პუნქტი „ქენე პარემბოლე“ საშუალო საუკუნეთა ძეგლის — ორენტიოსისა და ძმათა მარტილოპის — ტექსტის თანახმად მდებარეობდა შავი ზღვის სანაპიროზე სურმენესა და რიზეს შუა (მარტილოპის მეტაფრასტულ ტექსტში: „ქენი პარემბოლე“ — იხ. გვ. 120; გიორგი მთაწმიდელის სეინაქსარში: „ბანაკები“, იხ. გვ. 126). სახელწოდების მეორე სახე „კალოს პარემბოლე“ დამოწმებულია V საუკუნის ანონიმ გეოგრაფოსთან (იხ. SC, I, გვ. 272). გვიანდელი ხალხური ფორმა სახელწოდებისა კალიპარაული აღნიშნულია აქვს XVII საუკუნის დასაწყისში ლუი გრანდიეს (იხ. COMPIÈRE, XLIV, 1915 წ., გვ. 37).

რაც შეეხება პონტოს მხარის დანარჩენ გეოგრაფიულ პუნქტებს, რომლებიც აღნიშნულია Notitiae Dignitatum-ში, ესენი შემდეგია: ზიჯანა, ხაძანა (Chaszanenica), სილუანა, მოხორა, აჟაბა (Αζαβα), ვალენცია, სებასტოპოლი.

ამ პუნქტების ადგილმდებარეობის გამო საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი.

ამ წვიმი პუნქტიდან სამი პუნქტი აღნიშნულია Tabula Peutingeriana-ში ტრაპიზონის

დ) აქ აღძრულ საკითხს საბოლოოდ შექსა ჰფენს მე-13 საუკუნის ერთი ბერძნული საისტორიო ძეგლი, რომელიც დაწერილია ტრაპიზონში და საიდანაც ირკვევა, რომ სოტიროპოლი შედიოდა ტრაპიზონის სამეფოში¹.

ამ ძეგლის ცნობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმის გამო, რომ იგი ადგილობრივი წყაროა, რომელიც კარგად არის ორიენტირებული მთელს ადგილობრივ ვითარებაში, კერძოდ მხარის გეოგრაფიაში.

მე-13 საუკუნის ამ ძეგლში მოთხრობილია, რომ 1223 წელს ტრაპიზონის სამეფოზე გამოილაშქრა იკონიის სულთანმა; შემოსული მტრის უკუსაქცევად, — მოგვითხრობს ძეგლი, — ტრაპიზონის მეფემ მოაგროვაო ჯარი მთელი სამეფოდან — „დაწყებული სოტიროპოლიდან და ლაზიკიდან ვიდრე ოჯემდე“².

აქ აღნიშნულია ერთის მხრით ტრაპიზონის საწმეფოს აღმოსავლეთი საზღვარი — სოტიროპოლი და ლაზიკა, ხოლო მეორეს მხრით ტრაპიზონის სამეფოს დასავლეთი საზღვარი ოჯენე.

ქალაქი ოჯენე, რომელიც დასახელებულია დასავლეთ საზღვარზე, ეს არის კარგად ცნობილი ისტორიული პუნქტი მდ. თერმოლონის სექტორში, შავი ზღვის სანაპიროზე (მას ანემად ეწოდება უნიე, ცენტრივილიეთისა). ქალაქ ოჯენს ოლქი ადგებოდა მდინარე თერმოლონს, რომელიც ტრაპიზონის სამეფოს დასავლეთ მიჯნას წარმოადგენდა.

რაც შეეხება ლაზიკას, რომელიც დასახელებულია აღმოსავლეთ საზღვარზე, უნდა ვიცოდეთ, რომ ტრაპიზონის XIII—XV საუკუნეთა ადგილობრივ წყაროებში (აგრეთვე ამავე ეპოქის ქარაულ წყაროებში) საკუთრივ ლაზიკა ანუ ლაზია (ვიწრო მნიშვნელობით) ეწოდება რიზეს ოლქს³.

მხარეში, ტრაპიზონის სამხრეთით (ტრაპიზონსა და სატალას შუა) სახელდობრ პუნქტები: ზიგანა, ზაძანა (Chaszanenica = Gizenenica), სილუანა (Siluana = Solonenica).

ადგილმდებარეობა ორი პუნქტისა — მოხორა და ავაძა, რომლებიც დღემდე ატარებენ ამავე სახელს, დადგენილი აქვს ნ. აღნცს (იხ. Армения в эпоху Юстиниана, გვ. 99—100).

ადგილმდებარეობა უკანასკნელი ორი პუნქტისა — ვალენცია და სებასტოპოლი — გაურკვეველია. აქ დასახელებული პონტოს სებასტოპოლი არ უნდა იყოს ის სებასტოპოლი, რომელიც პოლემონის პონტოს მოსახლერედ მდებარეობდა და ითვლებოდა პირველი არმენიის პროვინციაში; ეს უკანასკნელი პუნქტი დიდად არის დაშორებული Not. Dign.-ში დასახელებულ პოატოს დანარჩენ პუნქტებს, რომლებიც ყველანი მდებარეობენ ტრაპიზონის ზონაში. რომის იმპერიის იმდროინდელ ს. ზღვართან. არაა გამორიცხული, რომ პუნქტი, რომელიც Tab. Peut.-ში აღნიშნულია ტრაპიზონის მხარეში როგორც Sediscapilonti, იყოს იგივე Sebastopolis: შესაძლოა, რომ აქ დაზიანებულ დაწერილობასთან გვეკონდეს საქვე).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ნ. აღნცი ცვდება, როდესაც მას ტრაპიზონის მხარის პუნქტი ზიგანა (Zigana) და ლაზეთის სამეფოს პუნქტი ძიღანეტი — (Ζιζάνων, Τζιζάνων, Sicanabis) ერთი და იგივე ჰგონია. ტრაპიზონის მხარის ზიგანა, რომელიც მოხსენებულია Tab. Peut.-ში, კლავიპოსთან და საშუალო საუკუნეთა სხვა წყაროებში, მდებარეობს ტრაპიზონის სამხრეთით, უღელტეხილთან, რომელზედაც გასდევს გზა ტრაპიზონიდან ხარაშურის ზეობაში (უღელტეხილი, და უღელტეხილთან მდებარე პუნქტი დღემდე ატარებენ ამ სახელწოდებას ზიგანა). რაც შეეხება ლაზეთის სამეფოში მდებარე პუნქტს ძიღანეტი, იგი სულ სხვა ზონაში მდებარეობდა, სახელდობრ ჩრდილოეთ ეგრისში, ბედიის საეკლესიო ოლქის საზღვრებში (იხ. ზემოთ, გვ. 231)

¹ იხ. А. Паладопуло-Керамеве, Сборник источников по истории Трапезунтской империи. 1847 г., Iohannis Lazuruli. Miracula s. Eugenii. ძეგლის თარგმანი იხ. Ф. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи, 1929 წ. გვ. 51—58.

² იხ. თ. უსპენსკის თარგმანი, გვ. 52.

³ გარდა აქ დასახელებული ძეგლისა იხ. მიქაელ პანარეტი, ტრაპეზუნტის ქრონიკა. 1905 წ., გვ. 5, 14, 15, 16, 19; ბასილი ეხოზმოძღვარი, ცხორება მეფეთ-მეფისა თამარისი, 1944 წ., გვ. 31.

მოყვანილ მე-13 საუკუნის ტექსტში ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: იმ დროს, როდესაც ტრაპიზონის სამეფოს დასავლეთ საზღვარზე დასახლებულია ერთი ერთეული, ოჯანეს ოლქი, აღმოსავლეთ საზღვარზე დასახლებულია ორი ერთეული: ა) სოტიროპოლის ოლქი და ბ) ლაზიკა (რიზეს ოლქი).

ეს გამოწვეულია იმით, რომ პოლიტიკური მდგომარეობა ამ ორი ერთეულისა, სოტიროპოლის ოლქისა და საკუთრივ ლაზიკისა ანუ ლაზიისა (რიზეს ოლქისა), ამ ეპოქაში სხვადასხვანაირი იყო. მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში საკუთრივ ლაზია (რიზეს ოლქი) არ შეადგენდა ტრაპიზონის სამეფოს უშუალო სამფლობელოს; საკუთრივ ლაზია ამ დროს იყო კონდომინიუმი (საერთო სამფლობელო), რომელზედაც ვრცელდებოდა ხელისუფლება როგორც ტრაპიზონის სამეფოსი, ისე საქართველოს სახელმწიფოს ცენტრალური მთავრობისა. (როგორც ეს აღნიშნულია ამ ეპოქის ერთ დოკუმენტში, ადგილობრივი ფეოდალები იყვნენ ხელქვეითნი როგორც ტრაპიზონის „მეფისა“, ისე საქართველოს „მეფეთ-მეფისა“¹. მხარეში, როგორც ირკვევა, ხელისუფლება უპირატესად საქართველოს ცენტრალური მთავრობის ხელში იყო. ეკლესიურადაც რიზეს მხარე ამ დროს, მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში, დაკავშირებულია საქართველოსთან, ქართლის საკათალიკოსოსთან)².

აი ამიტომ არის, რომ ამ ძეგლში, ტრაპიზონის სამეფოს დასავლეთ საზღვარზე დასახლებულია ერთი ერთეული ოჯანეს ოლქი, ხოლო აღმოსავლეთ მიჯნაზე დასახლებულია ორი ერთეული, სოტიროპოლის ოლქი და ლაზია (რიზეს ოლქი). პირველი მათგანი, სოტიროპოლი, არის ტრაპიზონის სამეფოს უშუალო სამფლობელო, ხოლო მეორე, ლაზია (რიზეს ოლქი) — კონდომინიუმი, რომელზედაც ვრცელდება ხელისუფლება როგორც ტრაპიზონის „მეფისა“, ისე საქართველოს „მეფეთ-მეფისა“.

ამრიგად ირკვევა, რომ სოტიროპოლის ოლქი, უშუალო სამფლობელო ტრაპიზონის სამეფოსი, მდებარეობდა კონდომინიუმს, ე. ი. საკუთრივ ლაზიას (რიზეს ოლქსა) და ტრაპიზონს შუა. მაშასადამე, სოტიროპოლის ოლქი ყოფილა ქ. ოფის ზონა (რომელიც ტრაპიზონსა და რიზეს შუა მდებარეობს); სოტიროპოლი პარალელური სახელწოდებაა ქალაქ ოფისა.

ე) აქ შევჩერდებით აგრეთვე სახელწოდება „სოტიროპოლის“ გვიანდელ ხალხურ ფორმებზე.

სახელწოდება სოტიროპოლი, როგორც მოვიხსენეთ, ბერძნული წარმოშობისაა. ასეთს ბერძნული წარმოშობის სახელებს ქანეთში შემდეგ განუცდიათ გაქართულება, ადგილობრივს ქართულ-ქანურ მეტყველებაში მათ მიუღიათ ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებათა სახე; ასე, მაგალითად, როგორც აღნიშნული გვექონდა, ბერძნული სახელწოდება „ქალე პარემბოლე“ გვიან ხანაში გადაკეთებულა როგორც „ქალიპარაული“ (იხ. ზემოთ, გვ. 253). ასევე

¹ იხ. ნ. მარი, *Грузинские приписки греческого евангелия из Коринда, ИАН, 1911* წ. გვ. 223—224; იხ. აგრეთვე ქვემოთ, გვ. 234.

² ნოტიციები №№ 9, 10, 11, 12, 13 და 14 ადასტურებენ, რომ მე-11 საუკუნის 80-იანი წლებიდან ვიდრე მე-13 საუკუნის 50-იან წლებამდე რიზეს კათედრა არ შედის კონსტანტინუპოლის საპატრიარქოში (იხ. ზემოთ, გვ. 238).

ბერძნული სახელწოდება სოტროპოლი ადგილობრივს ქართულ-ქანურ მეტყველებაში გადაკეთებულა შემდეგნაირად: სატრაპელა და სატყეპელა.

ჩვენ ქვემოთ გვექნება საუბარი იმის შესახებ, რომ მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიპყრეს ქანეთი, სოტროპოლის (ანუ ხალხური გამოთქმით სატრაპელას) სამიტროპოლიტო კათედრა მე-16—17 საუკუნეთა საზღვარზე დროებით გადმოუტანიათ გურიიში, და თვით იმ პუნქტისათვის, სადაც მოეწყო დროებითი რეზიდენცია სოტროპოლის (სატრაპელას) მიტროპოლიტისა, უწოდებიათ იგივე ქანეთიდან მოტანილი სახელი სატრაპელა. ეს სახელწოდება ამ ფორმით „სატრაპელა“ (Satrapela) დამოწმებული აქვს მე-17 საუკუნის დასაწყისში ლუი გრანეიეს¹.

მეორე ხალხური ფორმა სატრაპელას სახელწოდებისა—სატყეპელა ჩვენ გვხვდება ბერი ეგნატაშვილის მატრიანეში „ახალი ქართლის ცხოვრება“² და ვახუშტი ბაგრატიონთან. ვახუშტი, საქართველოს გეოგრაფიაში, ქანეთ-ლაზიის აღწერილობაში, წერს:

„... არს ქალაქი რიზა ზღვის კიდებზე... ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა კნინლა ზღვამდე ქანეთის მთიდან და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა (ტრაპიზონის სამეფოსი)³. აქა არს რკინის-პალო, აქაე არს სატყეპელა“⁴.

რკინის-პალო არის სახელწოდება ისტორიული ციხისა, რომელიც მდებარეობდა მდინარე კალოს ხეობაში⁵. ამის დასავლეთით მდებარეობდა სატყეპელა—სატრაპელა (სოტროპოლი, იგივე ოფი).

3) რომ სოტროპოლი არის სახელწოდება ოფისა, ამას ადასტურებს აგრეთვე საეკლესიო ოლქების სახელწოდებანი თურქთა მფლობელობის ხანაში. საშუალო საუკუნეებში, თურქთა მფლობელობის დამყარებამდე, ორი საეკლესიო ოლქი, რომელიც განთენილი ყოფილა ქოროხიდან ტრაპიზონამდე, ატარებდა

¹ იხ. ლუი გრანეიეს წერილი, СМОНИР, XLIV, 1915 წ., გვ. 45—46.

² იხ. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940 წ., გვ. 71 (ცნობა ეხება XV საუკუნეს. ეს ცნობა განმეორებულია აგრეთვე „ქართლის ცხოვრების შედგენი“ და ვახუშტი ბაგრატიონის საქართველოს ისტორიაში).

³ ვახუშტი აქ აღნიშნავს საზღვარს, რომელიც დამყარდა მე-13 საუკუნის დასასრულს, 1297 წელს, (იხ. ქვემოთ, გვ. 288—289).

⁴ იხ. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 142.

⁵ კალოს ხეობაში მდებარე ერთ-ერთი ცენტრალური პუნქტი დღემდე ატარებს სახელწოდებას: „დემირ-ყაფუ“, რაც ნიშნავს: „რკინის-კარი“; აგრეთვე მთებს, რომელიც აკრავს მდ. კალოს სათავეებს, ეწოდება „დემირ-დაღ“=„რკინის-მთა“ (იხ. ნაკილომეტოიანი რუკა 1:500.000). ეს დღემდე შერჩენილი სახელწოდებანი კალოს ხეობაში—„რკინის-კარი“ და „რკინის-მთა“. ცხადია, კავშირშია სახელწოდებასთან ძველი ისტორიული ციხისა „რკინის-პალო“, რომელიც ვახუშტი აღნიშნული აქვს სწორედ ამ სექტორში, კ რიხეს დასავლეთით. საფიქრებელია, რომ ეს ციხე, სახელწოდებით „რკინის-პალო“, გაშენებული იყო იმავე ხონაში, სადაც მდებარეობს ამჟამად პუნქტი „რკინის-კარი“. მაგრამ არაა აგრეთვე გამორიცხული ისიც, რომ „რკინის-პალო“ იყოს აპარალელური, ადგილობრივი სახელწოდება ციხისა, რომელსაც ბერძნები „ქენე პარემბოლე“-ს ეძახდნენ, და რომელიც მდებარეობდა მდ. კალოს შესართავთან (იხ. ზემოთ, გვ. 253). ჩვენ უფრო პირველი შეიძლება მიგვაჩნია სინამდვილესთან ახლო, ვ. ი. იდენტობა „რკინის-პალოსი“ და „რკინის-კარისა“. მაგრამ როგორადაც არ უნდა გადაწყდეს მომავალში ეს საკითხი, ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უდავოა, რომ ისტორიული ციხე „რკინის-პალო“ გაშენებული იყო კალოს ხეობაში, რადგან ამას ადასტურებს ჯერ ერთი, როგორც აღვნიშნეთ, ვახუშტის პირდაპირი ჩვენება, რომ „რკინის-პალო“ მდებარეობს რიხეს დასავლეთით, ხოლო მეორე მხრივ კალოს ხეობაში დატული „რკინის-პალოს“ ციხის სახელთან დაკავშირებული სახელწოდებანი „რკინის-კარი“ და „რკინის-მთა“.

სახელებს— რ ი ზ ე და ს ო ტ ი რ ო პ ო ლ ი (რიზე იხ. ნოტიციები №№ 6, 7, 15; სოტიროპოლი იხ. ნოტიციები №№ 6, 7, 8, 9, 14, 15, 19); ხოლო თურქთა მფლობელობის დროს ამ საეკლესიო ოლქებს ეწოდება: ლაზია და ოფი (იხ. ზემოთ, გვ. 240—241, ნოტიცია № 20). ლაზიამ შესცვალა ადრინდელი სახელწოდება რიზე; ოფმა შესცვალა ადრინდელი სახელწოდება სოტიროპოლი.

ჩვენ ამით დაუასრულებთ განხილვას საკითხისას ამ პუნქტის სახელწოდების სხვადასხვა სახეობათა შესახებ.

იჩკვევა ამრიგად, რომ ქალაქი ს ო ტ ი რ ო პ ო ლ ი, რომლის მეორე სახელწოდებად მოიხსენება პ ი თ ი ა, მდებარეობდა ქანეთში, ტრაპიზონის მხარეში; სოტიროპოლი — პითია რქმევია ქალაქ ოფის; სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი არის იგივე ოფის საეკლესიო ოლქი.

*

გადავიდეთ ამის შემდეგ აღძრული საკითხის დანარჩენი მხარეების განხილვაზე.

ბიზანტიურ წყაროებში მოხსენებული ს ო ტ ი რ ო პ ო ლ ი ს საეკლესიო ოლქი ცალკეულ პერიოდებში დაკავშირებული ყოფილა, როგორც ეს აღნიშნულია წყაროებში, ალანეთის მიტროპოლიასთან.

საქიროა გავარკვეოთ, როდის და რა ვითარებაში მომხდარა ეს დაკავშირება ეკლესიურად ალანეთისა და სოტიროპოლისა. ვიდრე ეს გარკვეული არაა, მანამდე აქ აღძრული სადაო საკითხი საბოლოოდ გადაჭრილად ვერ ჩაითვლება.

ჯერ რამდენიმე სიტყვა ალანეთზე და ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ამ ქვეყანაში.

ალანეთი (როგორც ეწოდება ამ ქვეყანას ბერძნულად), ანუ ოვსეთი (როგორც ეწოდება მას ძველ-ქართულ წყაროებში), ჩრდილო კავკასიის მხარეა. საშუალო საუკუნეებში ალანების — ოვსების სახელმწიფოებრივ გაერთიანებას ეპირა ჩრდილო კავკასიის უდიდესი ნაწილი და მასში შედიოდა როგორც ალანები — ირონები, ისე ჩრდილო კავკასიის მთელი რიგი სხვა ტომები¹.

უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ ალანეთ-ოვსეთის ეს გაერთიანება საშუალო საუკუნეებში არ წარმოადგენდა მტკიცედ შეკავშირებულს სახელმწიფო ერთეულს, არამედ განიყოფებოდა მთელ რიგ-სამეფო-სამთავროებად, რომელთა შორის კავშირი, ჩანს, საკმაოდ სუსტი იყო. ქართულ წყაროებში, დავით აღმაშენებლის მატიანეში, მოიხსენებიან „ოვსეთის მეფენი და მთავარნი“².

კულტურის მხრივაც, ალანეთის — ოვსეთის სხვადასხვა მხარეები, როგორც იჩკვევა, სხვადასხვა დონეზე იდგა. იყო მხარეები, სადაც სამოქალაქო ცხოვრება საკმაოდ დაწინაურებული ყოფილა. (ასეთი იყო, პირველ რიგში,

¹ ალანეთის გაერთიანების ტომობრივი შედგენილობის საკითხს სპეციალურად ვეხებით დამატებებში.

² იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *534/301.

სამხრეთი, საქართველოს მოსაზღვრე ზონა)¹. ხოლო ამის გვერდით ყოფილა მხარეები, სადაც მოსახლეობდნენ ნომადები, რომლებიც მომთაბარეობას მისდევდნენ (ასეთი იყო ჩრდილო კავკასიის სტეპების ზონა)².

ქრისტიანობა ალანეთში ვრცელდება საკმაოდ გვიან ხანაში, ჩეთე საუკუნის პირველ მეოთხედში.

ქრისტიანობა ალანეთში, როგორც ირკვევა, ორი მხრიდან გავრცელებულა: ბიზანტიიდან და საქართველოდან, აფხაზეთის სამეფოდან.

რომ ბიზანტიელი მისიონერების გვერდით ალანეთში ქრისტიანობის გავრცელების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა აფხაზეთს, და კერძოდ აფხაზეთის სამეფოს მეთაურს მეფე გიორგი II-ს (922—957 წ.წ.), ამას ადასტურებს ბიზანტიური წყაროები.

კონსტანტინეპოლის პატრიარქი ნიკოლოზ მისტიკოსი (901—907, 912—925), წერილში, რომელიც მიმართულია აფხაზეთის მეფის გიორგი II-სადმი, ქებას უფასხამს აფხაზეთის ქვყნის მეთაურს იმ ღვაწლის გამო, რომელიც მან გამოიჩინა ალანეთის ხალხის განთავისუფლებისათვის და განაგრძობს: „სხვადასხვა პირთაგან, რომელთაც უწყიან შენი მოღვაწეობის შესახებ, გავიგეთ, რომ შენ, ღვთის დახმარებით, გამოიჩინე დიდი მონღომება ალანეთის მთავრის ქრისტიანობით განათლების საქმეში, და აგრეთვე იმ პირთა განათლებაში, რომელთაც ალანეთის მთავართან ერთად მიიღეს ნათლისღება“³.

კონსტანტინეპოლის პატრიარქის ეს წერილი ეკუთვნის 922—925 წლებს.

მას შემდეგ, რაც ალანეთში მეთე საუკუნის პირველ მეოთხედში დამკვიდრდა ქრისტიანობა, ალანეთზე გაავრცელა თავისი გავლენა კონსტანტინეპოლის საპატრიარქომ, მიუხედავად იმისა, რომ ალანეთის გაქრისტიანების საქმეში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა აფხაზეთს. ბიზანტია ამჟამად იმდენად ძლიერი იყო, რომ უზრუნველყო კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს უპირატესობა. ალანეთი ამ დროიდან ითვლება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში, როგორც ცალკე საეკლესიო ოლქი (ჯერ სამთავარეპისკოპოსო, ხოლო შემდეგ სამიტროპოლიტო), რომლის ხელმძღვანელადც იგზავნებოდნენ კონსტანტინეპოლიდან ბერძნები იერარქები.

მომდევნო ხანაში, მას შემდეგ, რაც საქართველო გაერთიანდა მე-10—11 საუკუნეთა საზღვარზე, საქართველოს სახელმწიფოს გავლენა ალანეთზე იზრდება. მე-11 საუკუნიდან მოკიდებული დინასტიური კავშირი მყარდება საქართველოსა და ალანეთის მეფე-მთავრებს შორის. ხოლო მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედში, დავით აღმაშენებლის დროს, ალანეთის — ოსეთის სამეფო-სამთავროები საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში შევიდა. როგორც ეს აღნიშნულია ერთ წყაროში (ანდერძი დავით აღმაშენებლისა), საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში ამ დროს, მე-12 საუკუნის პირველ

¹ რომ ალანეთის ცალკეულ მხარეებში სამოქალაქო ცხოვრება საკმაოდ დაწინაურებული იყო, ეს ჩანს არაბული წყაროებიდან (იხ. მასუდი, СМОНПК, XXXVIII, 1, გვ. 54).

² იხ. ქვემოთ, გვ. 259.

³ იხ. Migne, PG, ტ. CXI, გვ. 241. Ю. Булаковский, Христианство у Алян, Византийский Временник, V, 1898 წ., გვ. 3—4.

შეოთხედში, შედიოდა ქვეყნები „ნიკოფსიითგან-დარუბანდის საზღვრამდე, და ოვსეთითგან — სპერად და არიგაწამდე“¹.

მას შემდეგ, რაც ალანეთ-ოვსეთის მხარენი მე-12 საუკუნეში საქართველოს დაუქავშირდა პოლიტიკურად. საქართველოს მეფეთ-მეფის ტიტულატურას დაემატა განოთხება: „ჩრდილო მხარე მფლობელი“. საქართველოს მეფეთ-მეფე ამ დროიდან მოიხსენება როგორც მფლობელი საქართველოს ქვეყნებისა და ამავე დროს როგორც „შარვანშია და შაჰანშია და აღმოსავალისა და ჩრდილო მხარე მფლობელი“². „ჩრდილო მხარე“ სახელწოდებით აქ იგულისხმება ჩრდილოეთი კავკასია, პირველ რიგში მთავარი ქვეყანა ჩრდილოეთი კავკასიისა ალანეთი — ოვსეთი.

მომდევნო პერიოდში, თამარის ხანაში, ეს კავშირი, ალანეთ-ოვსეთისა საქართველოს სახელმწიფოსთან კიდევ უფრო განმტკიცდა. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც თამარის ეპოქაში საქართველოსთან პოლიტიკურ კავშირში იმყოფებოდნენ, დასახელებული არიან, ამიერკავკასიის ქვეყნებთან ერთად, ჩრდილოეთი კავკასიის ქვეყნები: ოვსეთი (ალანეთი), ქაშაგეთი (ჩერქეზეთი), ლუხძეთი (ავარია, დაღისტანი), ლურძუქეთი (ქისტეთი)³.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ იმ დროიდან მოკიდებული, რაც ალანეთ-ოვსეთის სამეფო-სამთავროებზე გავრცელდა საქართველოს პოლიტიკური გავლენა, ეს მხარეები ეკლესიურადც დაკავშირებიან საქართველოს.

ბიზანტიის პოლიტიკური და საეკლესიო გავლენის ქვეშ დარჩენილა ალანეთ-ოვსეთის ის ნაწილი, რომელიც განუფენილი იყო ჩრდილო კავკასიის სტეპებში და რომლის მოსახლეობასაც მშობთაბარე ნომადები შეადგენდნენ.

ვინაიდან ალანეთ-ოვსეთის ამ ნაწილში არ იყო მოწყობილი დაბა-ქალაქები, სადაც მუდმივი კათედრა ჰქონოდა კონსტანტინეპოლიდან გამოგზავნილ იერარქს, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს საჭიროდ დაუნახავს ალანეთის საეკლესიო ოლქის (მიტროპოლიის) გაერთიანება საპატრიარქოს რომელსამე სხვა ოლქთან.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ერთ დოკუმენტში, რომელიც ალანეთის მიტროპოლიას ეხება, პირდაპირ აღნიშნულია, რომ ასეთი გაერთიანების მიზეზი იყო შემდეგი გარემოება: „ალანეთის მიტროპოლიას სრულიად არა აქვს საკუთარი სამღვდელთმთავრო კათედრა, რადგან აქაური ხალხი მომთაბარეობას, ნომადურ ცხოვრებას ეწევა“⁴.

აი ეს ყოფილა მიზეზი, რომ ალანეთის მიტროპოლია მე-12 საუკუნის პირველ მეოთხედში გაუერთიანებიათ სოტორიპოლის საეკლესიო ოლქთან, რომელიც ამ დროს კონსტანტინეპოლის საპატრიარქოში შედიოდა.

ხოლო რისთვის გააერთიანეს ალანეთის მიტროპოლია სწორედ სოტორიპოლის ოლქთან, და არა სხვა რომელიმე ერთეულთან?

იმის გამო, რომ ბიზანტიის იმპერიის ფარგლები ამ დროს მხოლოდ სო-

¹ იხ. თ. ყორღანია, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 51. შეად. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *534—535/301.

² იხ. სიგელ-გოგორგი III-ისა, საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორთ-ბით, ტ. III, დამატება, 1926 წ., გვ. 2.

³ იხ. ბასილი ენოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, 1944 წ., გვ. 35; თამარის მეორე ისტორია (ისტორია-აზმუნთა გაგრძელება), გვ. *720/528.

⁴ იხ. Miclesich et Müller. Acta Patr. Const., I, n 114 (= Ю. Куяковских, op. cit. გვ. 13). ციტირებული დოკუმენტი დათარიღებულია 1347 წლით.

ტიროპოლამდე სწვდებოდა, აქ, სოტიროპოლის ზონაში იყო ამ ეპოქაში საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის.

ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით გვაქვს საუბარი იმის შესახებ, თუ სად გასდევდა საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური საზღვარი სხვადასხვა დროს, მე-8 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-11 საუკუნემდე. ხოლო მე-11 საუკუნის 70-იან წლებში (1073 წლიდან) საზღვარი ბიზანტიასა და საქართველოს შორის სოტიროპოლის ზონაში გატარებულა. საქართველოს ტერიტორიის ფარგლებში ამ დროს შედის ზღვისპირა კლარჯეთი¹ (—რომელიც მოიცავდა საკუთრივ ლაზიას, რიზეს ოლქს), ხოლო ამის სამხრეთი სექტორი პოლიტიკურად ბიზანტიის საზღვრებშია მოქცეული. აქვე გასდევს აგრეთვე ბიზანტიის და საქართველოს საეკლესიო ოლქების საზღვარი; რიზეს ოლქი საქართველს ეკლესიის ფარგლებში შედის, ხოლო სოტიროპოლის ოლქი კონსტანტინეპოლის საპატრიარქოშია მოქცეული².

ამიტომაც, როდესაც ბიზანტიის კეისრის ალექსი I კომნენის (1081—1118) დროს დაისვა საკითხი, რომ ალანეთის მიტროპოლია გაერთიანებული ყოფილიყო რომელიმე სხვა საეკლესიო ოლქთან (რადგან ალანეთის იმ ნაწილში, რომელიც ბიზანტიის გავლენის სფეროში დარჩა, არ იყო ისეთი დაბა-ქალაქი, სადაც მოწყობილიყო მუდმივი კათედრა), ბუნებრივია, რომ ალანეთი გაუერთიანებიათ სოტიროპოლის საეკლესიო ერთეულთან, რადგან სოტიროპოლი იყო ყველაზე აღმოსავლეთით მდებარე მხარე შავი ზღვის სანაპიროზე, საქართველოს საზღვართან, ხოლო დანარჩენი ტერიტორია შავი ზღვის სანაპიროსი საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა³.

გავეცნოთ ამის შემდეგ მოკლედ ამ ოლქების მომდევნო ხანის ისტორიასაც.

მე-13 საუკუნის დასაწყისში, 1204 წელს, საქართველომ დაიბრუნა ბიზანტიისაგან ტრაპიზონის მხარე, შემოიერთა შავი ზღვის სანაპირო ვიდრე პაფლაგონიამდე (ჩათვლით), და დააარსა ტრაპიზონის სამეფო საქართველოს პოლიტიკური გავლენის ქვეშ.

ტრაპიზონის სამეფოს არსებობის პირველ პერიოდში ჩრდილოეთი სანაპირო ტრაპიზონის სამეფოსი, რიზეს ოლქი, არის, როგორც აღნიშნული გვექონდა, კონდომინიუმი (საერთო სამფლობელო) ტრაპიზონის „მეფისა“ და საქართველოს „მეფეთ-მეფისა“. ხოლო მე 13 საუკუნის დასასრულს, 1297 წელს, როგორც ეს აღნიშნული აქვს ამ ეპოქის ისტორიკოსს ჟამთააღმწე-

¹ იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *514/282 („კლარჯეთი ზღვის პირამდის“; შეად. გვ. *531/298 და *537/303—ცნობა ხეფათის შესახებ).

² ნოტიციაში № 9 (Parthey, II), რომელიც ალექსი I კომნენის მეფობის დასაწყისს, XI საუკუნის 80-იან წლებს ეკუთვნის, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში ნაჩვენებია სოტიროპოლის საეკლესიო ოლქი, ხოლო რიზეს ოლქი ნაჩვენებია არაა.

³ გაერთიანება ალანეთის და სოტიროპოლისა მომხდარა კეისრის ალექსი I კომნენის დროს. (იხ. Ю. Кулаковский, op. cit., გვ. 11).

რელს, ტრაპიზონის საშეფოს ჩამოშორდა ტრაპიზონის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორია კანეთისა, რომელიც წევიდა მესხეთის (სამცხე-საათაბაგოს) ფარგლებში¹. მესხეთს შეერთებია ამ დროს როგორც რიზეს ოლქი, ისე სოტიროპოლის ოლქი — „ტრაპიზონს აქეთი“².

დაწყებული ამ დროიდან, მე-13 საუკუნის დასასრულიდან. ვიდრე მე-16 საუკუნემდე, ეს ტერიტორია, რიზეს და სოტიროპოლის ოლქები, საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. (იგი მე-15 საუკუნემდე შედის მესხეთის ფარგლებში, ხოლო მე-15—16 საუკუნეებში დაკავშირებულია ხან მესხეთთან, ხან გურიასთან). ეკლესიურადაც ეს მხარე საქართველოსთან არის გაერთიანებული.

აღსანიშნავია, რომ კონსტანტინეპოლის საპატრიარქო არ შერიგებია ამ ფაქტს—სოტიროპოლის ოლქის გაერთიანებას საქართველოსთან არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეკლესიურადაც.

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს დაუტოვებია ნომინალურად სოტიროპოლის ეპარქიის სახელწოდება და კათედრა სოტიროპოლის იერარქიისა გადაუტანია ტრაპიზონში. ამის შემდეგ ეს იერარქი, დამკვიდრებული ტრაპიზონში, თუმცა განაგრძობს სოტიროპოლის მღვდელმთავრის სახელის ტარებას, მაგრამ სინამდვილეში მისი იურისდიქცია უკვე აღარ ვრცელდება თვით სოტიროპოლის ოლქის ტერიტორიაზე. (სოტიროპოლის მხარეში მას ეკუთვნის მხოლოდ ერთადერთი ეკლესია ქ. სოტიროპოლში).

რაც შეეხება ამ ფიქტიური სოტიროპოლის კათედრის (ე. ი. ტრაპიზონში გადატანილი კათედრის) კავშირს ალანეთთან, ეს კავშირი ხან არსებობს, ხან არაა³.

დოკუმენტში, რომელიც ეკუთვნის XIV საუკუნეს და დათარიღებულია 1364 წლით, აღნიშნულია, რომ ალანეთისა და სოტიროპოლის სამიტროპოლიტოს სამფლობელოს შეადგენდა:

ა) ეკლესია ღმრთისმშობლისა ტრაპეზუნტში, თავისი კლიროსით და ამ ეკლესიისადმი კუთვნილი ადგილებით;

ბ) ეკლესია ათონის ღმრთისმშობლისა სოტიროპოლში;

გ) ადგილები ალანეთისა, კავკასიონისა და ახოხიის მახლობლად⁴.

ამრიგად, როგორც დასტურდება ამ დოკუმენტით, ეს კათედრა მხოლოდ ნომინალურად ატარებდა სოტიროპოლის სახელს, ხოლო სინამდვილეში მისი იურისდიქციის ფარგლებში არ შედიოდა თვით სოტიროპოლის ოლქი (გარდა ერთადერთი ეკლესიისა ქ. სოტიროპოლში).

*

გავეცნოთ ამის შემდეგ თვით სოტიროპოლის ოლქის ისტორიას საქართველოს ეკლესიასთან გაერთიანების დროიდან.

¹ იხ. ეამთაღმწერელი, გვ. *915/758 (შენ. 7); ქართლის ცხოვრება, I, 1849 წ., მ. ბროსეს გამოცემა, გვ. 433.

² იხ. ქვიმოთ, გვ. 287—289.

³ 1347 წლამდე კავშირი ალანეთთან გაწყვეტილია; 1347—1356 წლებში კავშირი აღუდგინათ; 1356—1364 წლებში იგი კვლავ წყდება, ხოლო 1367 წლისათვის კავშირი ისევ აღდგენილ იქმნა. იხ. Ю. Кузнецовский, op. cit., გვ. 12—16.

⁴ იხ. Ю. Кузнецовский, op. cit., გვ. 15.

მას შემდეგ, რაც სოტიროპოლის ოლქი, რიზეს ოლქთან ერთად, საქართველოს ეკლესიას დაუკავშირდა, აქ შეიქმნა ერთი საეკლესიო ერთეული (სამიტროპოლიტო), რომლის ცენტრი არის ოფი¹ (—სოტიროპოლი; იგივე სატრაპელა). ამ საეკლესიო ერთეულის იერარქი მოიხსენება შემდეგი ტიტულებით: 1) „ლაზიის მიტროპოლიტი“ (ანუ მთავარეპისკოპოსი)²; 2) „ოფის (—სოტიროპოლის, სატრაპელას) მიტროპოლიტი“. ხოლო ვინაიდან ოფთან (სოტიროპოლთან) ისტორიულად დაკავშირებული იყო ალანეთის კათედრა, ოფიციალურ სახელწოდებაში აღინიშნება აგრეთვე ალანეთიც („ოფისა და ალანეთის მიტროპოლიტი“)³.

უფრო გვიან ხანაში, მე-16 საუკუნეში, როდესაც თურქეთმა დაიპყრო ქანეთი, ოფისა და რიზეს მხარე, და ქანეთში დაიწყო მუსულმანობის გავრცელება, ლაზიის (ოფის ანუ სოტიროპოლ-სატრაპელას) კათედრა გადმოუტანიათ გურიაში და თვით იმ პუნქტისათვის, სადაც მოეწყო დროებით რეზიდენცია ლაზიის მიტროპოლიტისა, უწოდებიათ ლაზეთიდან მოტანილი სახელი — სატრაპელა. მე-17 საუკუნის დასაწყისში, 1617 წელს, გურიაში იყო რომის მისიონერი ლუი გრანჯიე, რომელმაც ინახულა ამ ახალ რეზიდენციაში — გურიის სატრაპელაში — ლაზიიდან გადმოხიზნული იერარქი, რომელსაც იგი ლაზიის მთავარეპისკოპოსისა და მიტროპოლიტის სახელით მოიხსენებს⁴.

მომდევნო უახლოეს პერიოდში, მე-17 საუკუნის მეორე მეოთხედში, საქართველოს ეკლესია, აფხაზეთის საკათალიკოსოს სახით, ისევ სცდილა აღედგინა თვით ადგილობრივ ლაზიაში ძველი კათედრა იმ იმედით, რომ ოსმა-

¹ ამ საეკლესიო ოლქის კათედრას წარმოადგენს ოფის ღმრთისმშობლის სახელობის ტაძარი. იგი მე-17 საუკუნის რუსულ წყაროებში (რომელიც ეხება ლაზიის მიტროპოლიტის გერმანეს მგზავრობას რუსეთში) მოიხსენება როგორც ძველარე „ძველ საქართველოში“ („В царствъ грузинской землѣ“), ე. ი. თურქთაგან მიტაცებულ მხარეში და ეწოდება „города Хопи монастырь усения пречистая богородица (იხ. მოსკოვის მთავარ-არქივი, ЦГДА, ფონდო Дела Грузинские, 1646 წ., № 2, ფ. 1—6. 1652 წ., № 2, ფურც 1—6, Приезд митрополита Германа). დაწერილობით „Хопи“ მე-17 საუკუნის დასაბელებულ რუსულ წყაროში გადმოიყვება ჰოფი (ოფი). არაა ინტერესს მოკლებული აღენიშნოთ, რომ ოფის ამ ტაძრის დაარსება მიეკუთვნება იინოს ქართველთა განმანათლებელს — „строила святая Ирива (sc. Нива), сю же Иверская земля привидена во Святое крещение“ (იხ. იქვე, 1652 წ., № 2, ფ. 1, მოხსენება ლაზიის მიტროპოლიტის გერმანესი). ეს გადმოცემა მ. ჩვენებელია ადგილობრივი ლაზური საქრისტიანო ტრადიციების ერთიანობისა ხოვად-ქართულ ტრადიციებთან.

აღნიშნავთ ამასთან, რომ იმავე მე-17 საუკუნის წყაროს ცნობით მეორე მთავარი საეკლესიო ცენტრი ლაზიისა ყოფილა „монастырь близ Чиряого Моря св. великомученика Феодора Тирона (იხ. იქვე). ეს ტაძარი, საფიქრებელია, წარმოადგენდა ლაზიის მეორე ძველ კათედრას — რიზეს ოლქში. არაა გამორიკებული, რომ თეოდორუს სახელობის ამ ტაძრიდან მომდინარეობს სახელწოდება ქალაქისა თეოდორაიდა, რომელიც მოახსენებული აქვს მე-6 საუკუნეში აგათია სქოლასტიკოსს და რომელი სახელწოდებაც, აგათიას ტექსტის მიხედვით, მიეართება ან რიზეს ერთ-ერთ უბანს (პარალელური სახელწოდების სახით), ან ყოველ შემთხვევაში აღნიშნავდა ქ. რიზეს სანაპიროებში მდებარე პუნქტს (იხ. აგათიას ისტორია, V, 1)

² იხ. ცნობა ლუი გრანჯიესი, მე-17 საუკუნის დასაწყისისა (ქვემოთ, შენიშვნა 4).

³ იხ. ქვემოთ, გვ. 263.

⁴ იხ. ლუი გრანჯიეს მოხსენება, СМОНПК. XLIV, 1915 წ. გვ. 46.

ლეთის ხელისუფლება, ომების დამთავრებისა და პოლიტიკური მდგომარეობის ერთგვარი სტაბილიზაციის შემდეგ, არ შეუშლიდა ხელს ქრისტიანული კათედრის არსებობას ამ მხარეში.

დასაყვამთ საქართველოს (აფხაზეთის) კათალიკოსის მაქსიმეს წერილში, რომელიც მიწერილია რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისადმი (1646 წლის 1 იანვრის თარიღით), მოთხრობილია, რომ მან, აფხაზეთის კათალიკოსმა, ჩამოიყვანა ლაზიიდან, ოფის ღმრთისმშობლის სახელობის მონასტრიდან (რომელიც ჯერ კიდევ მოშლილი არ ყოფილა) მონაზონი გერმანე და აკურთხა იგი ლაზიის მიტროპოლიტად „ოფისა და ალანეთის მიტროპოლიტის“ ტიტულით („...поставив есьми по закону во святой митрополии Хопейском [=ჰოფისა, ოფისა] и Аланейском“)¹.

საქართველოს ეკლესიის მიერ ლაზეთის იერარქად დადგენილს ამ პირს შემდეგ განუცდია დევნა ოსმალთაგან. ოსმალეთის ხელისუფალს სეფერ ფაშას დაუპატიმრებია ლაზეთის მიტროპოლიტი გერმანე იმ მიზეზის გამო, რომ მან ქრისტიანობაში მოაქცია „თურქის“ (მუსულმანის) ოჯახი. საქართველოს ეკლესიამ და მეფე-მთავრებმა მიიღეს ზომები დატყვევებული ლაზიის მიტროპოლიტის გასათავისუფლებლად. ოთხი თვის პატიმრობის შემდეგ ლაზიის მიტროპოლიტი გამოსხნილ იქმნა და იგი ჩამოვიდა იმერეთში აფხაზეთის კათალიკოსთან.

ამის შემდეგ ლაზიის მიტროპოლიტი გერმანე, აფხაზეთის კათალიკოსის მაქსიმეს წერილით, რომელიც მიმართული იყო რუსეთის მეფისადმი, გაემგზავრება რუსეთში 1646 წელს და მოსკოვში წარუდგება რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილის ძეს.

აღსანიშნავია, რომ ყველა დოკუმენტებში, რომლებიც ეხება ლაზეთის მიტროპოლიტს და მის მგზავრობას რუსეთში, ყოველთვის საგანგებოდ აღნიშნულია, რომ ქვეყანა, საიდანაც იგი არის, ე. ი. ლაზია, ეს არის საქართველო „საქართველოს ძველი ქვეყანა“ („Грузинская земля“, „старая Грузинская земля“, „Иверская земля“)².

ასეთია ეს ერთი საყურადღებო ფურცელი ლაზიის მხარის ისტორიისა იმ პერიოდისა, როდესაც ეს მხარე თურქეთმა დაიპყრო.

მიუხედავად იმისა, რომ ლაზია — ქანეთი ამ დროს მოწყვეტილი იყო დედა-სამშობლოს, ამ ქვეყანას საქართველოს განუყოფელ ნაწილად თვლიდნენ.

¹ მოსკოვის მთავარი არქივი ЦГДА, ფონდი Дела Грузинские, 1646 წ., Присяга Митрополита Германа, ფ. 18. — ამავე „ოფის (=ჰოფის) და ალანეთის მიტროპოლიტის“ ტიტულით მოიხსენებს თავისთავს თვით მიტროპოლიტი გერმანე მოხსენებითს ბარათში, რომელიც მას, რუსეთში ჩასვლის შემდეგ, წაუდგენია რუსეთის მეფის ალექსი მიხეილის ძისათვის („Иверские земли Хопневский и [А]ланский митрополит“; იხ. იქვე, Дела Грузинские, 1652 წ., № 2, ფ. 1). ამავე ტიტულით მოიხსენება იგი აგრეთვე მეფის ალექსი მიხეილის ძის სიგელში („Грузинские земля города Хопья и Алания... митрополит“; იხ. იქვე, Дела Грузинские, 1652 წ., № 2, ფ. 3).

² მოსკოვის მთავარი არქივი, ЦГДА, ფონდი Дела Грузинские, 1646—1652 წ., № 2 (დასახელებული საქმე, Присяга Митрополита Германа).

წინამდებარე გამოკვლევის მანძილზე, დასავლეთ საქართველოს — „აფხაზეთის“ სამეთოს — ისტორიის მიმოხილვასთან დაკავშირებით, ჩვენ მოგვიხდა შევხებოდით ჭანეთ-ლაზეთის (სამხრეთ კოლხეთის) ისტორიის ცალკეულ მხარეებს.

დასასრულ, რათა სრული სინათლე იყოს შეტანილი ზემოთ განხილულ საკითხებში, აქ საჭიროა დამატებით წარმოვადგინოთ მოკლე მთლიანი ექსკურსი ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო VIII საუკუნიდან მოკიდებული. (რაც შეეხება პერიოდს ვიდრე VIII საუკუნემდე, ეს ჩვენ უკვე განხილული გვქონდა იმ მოცულობით, რამდენადაც ეს საჭირო იყო აქ აღძრული საკითხების გასაშუქებლად).

ჭანეთ-ლაზეთის ისტორიის ძირითად საკითხთა ასეთი მიმოხილვა აუცილებელი ხდება განსაკუთრებით იმის გამო, რომ ამ საგანზე საისტორიო მეცნიერებაში სრულიად მცდარი შეხედულებებია გამოთქმული.

ასე, ქართულ საისტორიო მეცნიერებაში გავრცელებით სარგებლობს შეხედულება, რომ ჭანეთ-ლაზეთი თუმცაღა ეთნიკურად ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, მაგრამ პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად იგი მოწყვეტილი იყო საქართველოს.

ასე მაგალითად, თვით დიდად ავტორიტეტულ საისტორიო შრომებში ჩვენ გვხვდება ასეთი მტკიცებანი:

„მე-7 საუკუნიდან კრისტეს წინ მოყოლებული შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირებსა და მის მოსაზღვრე ქვეყანაში არას დროს, თამარ მეფის ლაშქრობის გარდა, ქართველების ბატონობას ფეხი არ შეუდგამს“... „ქართველებმა მხოლოდ მე-13 საუკუნის დასაწყისს ჩაიგდეს მთელი ეს ქვეყანა ხელში... მაგრამ იმის მაგივრად, რომ მრავალი საუკუნეების განმავლობაში ქართველებზე დაშორებული და მოწყვეტილი ღვიძლი ძმები ლაზები და ქანები ქართველობისაკენ მოებრუნებინა და დაპყრობილი ქვეყანა საქართველოს სამეფოსათვის მიემატებინა, თამარ მეფემ ტრაპიზონის სამეფო დააარსა და თავის ნათესავს ალექსი კომნენს, ანდრონიკის შვილს უბოძა“... „თუმცა ლაზურ-ქანურ შტოს ერთმა წილმა დედა-ენა შეინარჩუნა, მაგრამ ქართველი ტომების საერთო სახელმწიფოს და საზოგადოებრივ ცხოვრებას მოწყდა და ამის გამო საქართველოს მერმინდელი ისტორიისათვის მათმა არსებობამ უნაყოფოდ ჩაიარა“¹.

ჩვენ უკვე გვქონდა აგრეთვე საუბარი სიმ. ჯანაშიას მტკიცებების გამო, რომ დასავლეთ საქართველოს — „აფხაზეთის“ ქვეყნის სამხრეთი საზღვარი არც კი აღწევდაო ქოროსს („... в политическом смысле не простиралась южнее реки Чорохи, и едва ли когданибудь ее даже достигала“), და ეს მაშინ, როდესაც ამ პერიოდში დასავლეთ საქართველოს („აფხაზეთის“ ქვეყნის)

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913 წ., გვ. 49—50; 1951 წ., გვ. 414—415.

სახლურებში შედიოდა არათუ ქოროხის ზონა, არამედ ქოროხის სამხრეთით მდებარე რიზეს მხარე, და აგრეთვე ტრაპიზონის მხარეც, — ხალდია¹.

რასაკვირველია, მხოლოდ საისტორიო წყაროების შეუსწავლელობით აიხსნება ეს მცდარი შეხედულება, თითქოს ქანეთ-ლაზეთის მხარეები პოლიტიკურად და სახელმწიფოებრივად მოწყვეტილი იყო საქართველოს თითქმის მთელი ისტორიის მანძილზე და შეადგენდაო ნაწილს ჯერ მცირე აზიის ელინისტურ სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა, შემდეგ რომის იმპერიისა, ხოლო უფრო გვიან აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) იმპერიისა.

განსაკუთრებით უმართებულოა ასეთი აზრი საკუთრივ ლაზიის (რიზეს მხარის) მიმართ.

როგორც ეს ირკვევა საისტორიო წყაროებიდან, ანტიკურ ხანაში, ჩვენი წელთაღრიცხვის წინა პერიოდში, რიზეს მხარე, ტრაპიზონის მხარესთან ერთად, ნაწილია კოლხეთისა.

(ქსენოფონტე, ანაბასისი, წ. IV, თ. 8, § 8—24; წ. V, თ. 2, § 1; წ. V, თ. 3, § 2. — იხ. ზემოთ, გვ. 207).

მომდევნო ხანაში, ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, I საუკუნისათვის, კოლხეთის ნაწილს შეადგენს ტერიტორია ტრაპიზონის აღმოსავლეთით, მათ შორის რიზეს მხარე, და აგრეთვე ქოროხის ხეობის დასავლეთი ნაწილი ვიდრე ქალაქ იდის ზონამდე — ოლთისის ხეობაში, საიდანაც უკვე იწყება იბერიის ტერიტორია.

(სტრაბონი, გეოგრაფია, წ. VII, თ. 4, § 3; წ. XII, თ. 3, § 17; წ. XI, თ. 2, § 14, თ. 2, § 18. — იხ. ზემოთ, გვ. 205, ქვემოთ, გვ. 438—439).

უფრო გვიან, II საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა, რიზეს მხარე ასევე არ შეადგენს რომის იმპერიის პროვინციას, არამედ, როგორც ეს უკვე აღნიშნული გვქონდა, ჩრდილოეთი ნაწილი შედის იბერიაში (ძვდრელთა თემი), ხოლო სამხრეთი ნაწილი შეადგენს ქართულს (ქანურს) სამეფო-სამთავროს, რომელიც ცნობილია სანეთის სახელწოდებით (მაკრონ-სანთა და ჰენი-ოხთა სამეფო)

(არიანე, SC, I, გვ. 222. — იხ. ზემოთ, გვ. 205).

მომდევნო პერიოდში, III საუკუნიდან ვიდრე VI საუკუნემდე, რიზეს მხარის ტერიტორია ასევე არ შედის რომის იმპერიაში, არამედ აქ არსებობს. იგივე ქართულ-ქანური სანეთის სამეფო — სამთავრო, რომლის ფარგლებშიც გაერთიანებულია, რიზეს მხარესთან ერთად, ტრაპიზონის ზონაში მდებარე სურმენეს პროვინცია².

შემდეგ, მე-6 საუკუნის 70-იან წლებში რიზეს მხარის ტერიტორია შედის იბერიის (ქართლის) სახელმწიფოში და ამ დროიდან მას მიემართება სახელწოდება ზღვისპირა კლარჯეთი³.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 208—215.

² იხ. ზემოთ, გვ. 205—206, 223—226.

³ იხ. ზემოთ, გვ. 206, ქვემოთ, გვ. 423—425

მხოლოდ VII საუკუნის 30-იან წლებში ბიზანტიამ დაიჭირა ეს მხარე, როდესაც, როგორც გადწოდებულს ქართული მათიანე, ბიზანტიის კეისარმა ერეკლემ მისტაცა იბერიას „სახლვარი ქართლისა სპერი და ბოლო კლარჯეთისა ზღვის პირი“¹.

მაგრამ ბიზანტიის უშუალო მფლობელობაში ეს მხარე მცირე ხანს დარჩენილა. მე-8 საუკუნეში, როდესაც ჩამოყალიბდა დასავლეთ საქართველოს — „აფხაზეთის“ სამეფო, მასში შევიდა რიზეს მხარე (საკუთრივ ლაზია), და მასთან ერთად აგრეთვე ტრაპიზონის მხარე (ხალდია)².

ჩვენ აქ შევეხებით საკუთრივ ლაზიის ანუ რიზეს მხარის ისტორიას მე-8 საუკუნემდე.

მომდევნო პერიოდში, მე-8 საუკუნიდან ვიდრე მე-16 საუკუნემდე, როგორც ამის შესახებ ქვემოთ გვაქვს დაწვრილებით საუბარი, რიზეს მხარე, საკუთრივ ლაზია, განუყოფელი ნაწილია საქართველოსი, გარდა იმ ხანმოკლე პერიოდებისა, როდესაც უცხოელი დამპყრობელნი ძალით ახერხებენ მის მოწყვეტას საქართველოდან.

ასეთია ისტორია ქანეთ-ლაზეთის მხარეთა ამ აღმოსავლეთი ნაწილისა. საკუთრივ ლაზიისა.

აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად მცდარია შეხედულება, თითქოს ისტორიულ წარსულში ქანეთ-ლაზეთის მხარეები სახელმწიფოებრივად არ ყოფილიყოს დაკავშირებულა საქართველოსთან.

აქ საჭიროა ამასთან ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ქანეთ-ლაზეთი, რომელიც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე მდებარეობდა და საქართველოს ეროვნული ტერიტორიის ყველაზე შორეულ პერიტერიას წარმოადგენდა, მუდმივად იყო აგრესიის საგანი ძლიერი მეზობლების მხრივ. საქართველომ ისტორიულ წარსულში, მართალია, ვერ შესძლო ქანეთ-ლაზეთის ტერიტორიის დაცვა მთელის მოცულობით, აგრესორებმა შესძლეს ხანგრძლივად მოეწყვიტათ საქართველოდან ქანეთ-ლაზეთის ქვეყნის დასავლეთი ნაწილი, მაგრამ მტკიცება იმისა, რომ ქანეთ-ლაზეთის ქვეყანას არ ჰქონდაო საქართველოსთან სახელმწიფოებრივი კავშირი, არ შეეუვრება სინამდვილეს. ქანეთ-ლაზეთი განუყოფელი ნაწილია საქართველოსი არა მხოლოდ ეთნიკურად, არამედ მას აერთებს საქართველოსთან აგრეთვე ისტორიული წარსული, სახელმწიფოებრივი ერთობა საქართველოსთან მისი ცალკეული ნაწილებისა.

დასასრულ, დაგვრჩენია აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ქართულ ისტორიოგრაფიაში პოლიტიკური ვითარება ტრაპიზონის სამეფოს დაარსებისა არაა სწორად გაშუქებული, არაა სწორ ისტორიულ პერსპექტივაში მოცემული.

თუ ასეთ შეცდომებთან გვაქვს საქმე ქართულ ისტორიოგრაფიაში ქანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა გამო, ბუნებრივია, რომ კიდევ მეტ შეცდომებს აქვს ადგილი უცხოელ მეცნიერთა შრომებში, რომელთათვისაც ქართული საისტორიო პირველწყაროები მიუწვდომელი იყო.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 206.

² იხ. ზემოთ, გვ. 208—215.

ასე, ცნობილი ბიზანტინისტი თ. უსპენსკი, რომელმაც ასე ბევრი გააქეთა ტრაპიზონის მხარის ისტორიის შესწავლისათვის, მთელ რიგ შემთხვევებში მძიმე შეცდომებს უშვებს საქართველოს ისტორიის საკითხთა გამო.

თუ რამდენად შორს მიდის ეს შეცდომები, ჩანს იქიდან, რომ თ. უსპენსკის მოსაზრებით, არმენიაკის თემის საზღვარი VII—VIII საუკუნეებში ვითომც აღწევდა რიონამდე (ფასისამდე); შემდეგ ბიზანტიის ხალდიის თემის საზღვარი ვითომც ასევე რიონამდე აღწევდა; ხოლო ბოლოს ტრაპიზონის სამეფოს საზღვარი ვითომც კვლავ და კვლავ ისევ რიონამდე აღწევდა!

თ. უსპენსკის დასკვნით გამოდის, რომ თვით თამარის დროსაც კი, დასავლეთ საქართველოს სამხრეთი ნაწილი, რიონის სამხრეთით მდებარე მხარეები, მათ შორის გურია, აჭარა და კლარჯეთის სანაპირო ვითომც არ შედიოდა საქართველოში!..¹

რასაკვირველია, ყოველსავე ამას ისტორიულ სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო.

ამ წინასწარი შენიშვნების შემდეგ გადავდივართ ქანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა განხილვაზე.

ჩვენ აქ ვეხებით, როგორც აღვნიშნეთ, ხანას მე-8 საუკუნიდან მოკიდებული, რამდენადაც წინა პერიოდის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა მოკლედ საუბარი გამოკვლევის წინა თავებში.

თავდაპირველად შევჩერდებით ზოგადი ხასიათის ცნობებზე.

ზოგადი ცნობები

1. ქანეთ-ლაზეთის (სამხრეთ კოლხეთის) ისტორიულ სახელწოდებანი VIII—XVI საუკუნეებში.

ქართულ, სოკხურ, ბერძნულ და თურქულ—სელჯუქურ საისტორიო წყაროებში ქანეთ-ლაზეთი VIII—XVI საუკუნეებში ცნობილია შემდეგი სახელწოდებებით:

ა. ქართულ წყაროებში ქვეყნის სახელწოდებაა — ქანეთ-ლაზეთი (ლაზია), და ქალდია (ხალდია), ნაწარმოებნი ქართველ ტომთა სახლებიდან: ქანი, ლაზი, ქალდი (ხალდი).

ამათგან ქანეთი არის ზოგადი სახელწოდება მთელი სამხრეთ კოლხეთისა²;

¹ თ. უსპენსკი, წიგნი Очерки из истории Трапезунтской империи, წერს (იხ. გვ. 21) Береговая полоса от Фермоидии до Фазиса была в полном обладании Алексея и Давида (в первый период существования Трапезунтского царства).

შემდეგ როდესაც ტრაპიზონის სამეფო ტერიტორიის მოცულობაში ცვლილებები მოხდა (ჯერ მოემატა დასავლეთ პონტოს და პაფლაგონიის ტერიტორიები, ხოლო შემდეგ ისევ ხმობილდა), ჩრდილოეთ საზღვრად ვითომც იგეგვ რიონი (ფასისი) დარჩენილა:

„Власть великих Комнепов в Трапезунте значительно сократилась и в конце концов была ограничена прежней фемой Халдия (с одной стороны Фермоидон, с другой Фазис, на юге цепь гор“ (იქვე, გვ. 32).

² იხ. ემთაღამჭერელი. გვ. *915/758 და შენიშვნა 7 (ქართლის ცხოვრება, მ. ბროსეს გამოცემა. I. 1849 წ., გვ. 433).

ლაზია არის სახელწოდება ქვეყნის აღმოსავლეთი ნაწილისა, რიზეს მხარისა (ამავე მხარეს ეწოდება აგრეთვე ზღვისპირა კლარჯეთი)¹;

ქალდია (ხალდია) არის სახელწოდება ქვეყნის ცენტრალური ნაწილისა — ტრაპიზონის მხარისა²;

რაც შეეხება ქვეყნის დასავლეთ ნაწილს, კერასუნ-ფარნაკიის მხარეს, იგი ქართულ წყაროებში მოიხსენება ზოგადი სახელწოდებით — პონტოს ადგილი³.

ბ. სომხურ წყაროებში, ისევე როგორც ქართულში, სამხრეთ-კოლხეთის მიმართ დამოწმებულია იგივე სატომო სახელწოდებანი; ქანები, ლაზები, ხალდები. სახელდობრ სომხურ წყაროებში ლაზია („ლაზიე“) — ეწოდება ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს, რიზეს მხარეს; ცენტრალურ ნაწილს, ტრაპიზონის მხარეს, ეწოდება ხალდია („ხალტიქ“) და ქანეთი („ქანიე“). დასავლეთ ნაწილს, (კერასუნ-ფარნაკიის მხარეს) მიემართება ზოგადი სახელწოდება პონტოსი.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მე-7—9 საუკუნეთა სომხურ გეოგრაფიაში პროვინციები ლაზეთი და ხალდია — ქანეთი ითვლებიან ნაწილად „ეგერის“ (ეგრისის) ანუ კოლხეთის ქვეყნისა⁴.

გ. ბერძნულ წყაროებში, VIII საუკუნიდან მოკიდებული, ქანეთ-ლაზეთი (სამხრეთ კოლხეთის ქვეყანა) და მისი ცალკეული ნაწილები ცნობილია შემდეგი სახელწოდებებით.

1) ხალდიის თემი. სახელწოდება ხალდია თავდაპირველად მიემართება ქვეყნის ცენტრალურ ნაწილს, ტრაპიზონის მხარეს. მაგრამ რადგან ტრაპიზონის ადმინისტრაციული ერთეული — ხალდიის თემი ცალკეულ პერიოდებში აერთიანებდა ტერიტორიას ჰოროხიდან თერმოლონამდე, ამიტომ სახელწოდება ხალდიის თემი, ხალდია, ჩვენ გვხვდება აგრეთვე როგორც ზოგადი სახელწოდება მთელი სამხრეთი კოლხეთისა.

2) ლაზეთი, ლაზიკა. ბერძნულ წყაროებში, VII—VIII საუკუნეებიდან მოკიდებული, სახელწოდება ლაზეთი (ლაზიკა) მიემართება ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილს, რიზეს მხარეს (ისევე, როგორც ქართულსა და სომხურ წყაროებში). მაგრამ მას შემდეგ, რაც ტრაპიზონის მხარე VIII საუკუნის მეორე ნახევარში ადმინისტრაციულად დასავლეთ საქართველოს დაუკავშირდა, ეს სახელწოდება ლაზეთი (ლაზიკა) გავრცელდა აგრეთვე ტრაპიზონის მხარეზეც (იხ. ზემოთ, გვ. 214—215). მომდევნო პერიოდებში სახელწოდებით ლაზეთი აღინიშნება როგორც საკუთრივ რიზეს მხარე (უპირატესად). ისე მთელი სამხრეთი კოლხეთი. ასე, მაგალითად, საშუალო საუკუნეთა ბერძენი ავტორის გიორგი პახიმერის თხზულებაში ტრაპიზონის მეფეებს მიემართება სახელწოდება მთავარი ლაზთა, მფლობელი ლაზთა (იხ. Georgii Pachimeris, de Mich. Paleologo, ed. Bonn, გვ. 270, 287, 519).

¹ ლაზია — იხ. ბასილი ეზოსმოდვარი, გვ. 31. ზღვისპირა კლარჯეთი — იხ. ჯუანშერი, გვ. *414/196 („ბოლო კლარჯეთისა ზღვის პირი“), იტორია დეით აღმაშენებლისა, გვ. *514/282 („კლარჯეთი ზღვის პირამდის“).

² ქალდია (ხალდია) — იხ. იოანე საბანის-ძე, გვ. 66: სუმბატ დავითის-ძე, გვ. *585/355—ბ: ცხორება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა, გვ. *475/248.

³ იხ. ბასილი ეზოსმოდვარი, loc. cit.

⁴ იხ. ზემოთ, გვ. 212 (ქანეთი — ხალდია იხ. აგრეთვე მოსე ხორენელთან, II, 77).

3) საშუალო საუკუნეთა ბერძნულ წყაროებში ქვეყნის საერთო სახელად იხმარება აგრეთვე სახელწოდება კოლხეთი (სამხრეთი კოლხეთი). ასე, საშუალო საუკუნეთა ბერძენი ავტორი ლაონიკოს ხალკოკონდილესი ტრაპიზონის მეფეებს მოიხსენებს სახელწოდებით: კოლხეთის მეფენი, კოლხეთის მთავარი (იხ. Laonici Chalcocondylae, IX, 461, ed. Bonn).

4) სატომო სახელწოდება ქაწი (Τζαυσι) გვიანი ხანის ბერძნულ წყაროებში უპირატესად მიემართება ტრაპიზონის ნხარეში, პონტოს მთიანეთში მოსახლე მთიელებს.

5) ქვეყნის დასავლეთ ნაწილში მოსახლე ქართველი ტომები საშუალო საუკუნეთა ბერძნულ წყაროებში ცნობილი არიან ხალიბებისა და ტიბარენების (ტიბრანების) სახელწოდებით. ამ სატომო სახელიდან ქვეყნის დასავლეთ ნაწილს (კერასუნ-ფარნაკიის მხარეს) ეწოდება ხალიბთა და ტიბარენთა მხარე ანუ ხალიბია¹.

გ. თურქ-სელჯუკების ოფიციალურ მატრიანეში, რომელსაც სელჯუკ-ნამე ეწოდება, ქანეთ-ლაზეთის (სამხრეთი კოლხეთის) შესახებ შემდეგი ცნობებია წარმოდგენილი. ქანეთ-ლაზეთის (სამხრეთ კოლხეთის) ქვეყანას, მთლიანად აღებულს, აქ ეწოდება სრულიადი ქანეთი. ეს ქვეყანა, სრულიადი ქანეთი, მატრიანის ცნობით, განიყოფება სამ მხარედ: 1) ლაზიის მხარე—(რიზეს პროვინცია); 2) საკუთრივ ტრაპიზონის მხარე; 3) საკუთრივ ქანეთის მხარე (ვიწრო მნიშვნელობით), რა სახელწოდებითაც უპირატესად ცნობილი ყოფილა ქვეყნის დასავლეთი ნაწილი².

აღსანიშნავია, რომ სელჯუკები საკუთრივ ქანეთს (ვიწრო მნიშვნელობით) უწოდებენ ქვეყნის დასავლეთ ნაწილს; ეს იმის გამო, რომ თურქი სელჯუკები პირველად დამკვიდრდნენ შავი ზღვის სანაპიროზე სწორედ ამ ზონის მეზობლად, თერმოდონის სექტორში მოსახლე ქანების დასავლეთით. (თვით სახელწოდება ოსმალეთის გვიანდელი ადმინისტრაციული ერთეულისა — „ქანიქის“ ანუ „ჯანიქის“ სანჯახისა, რომელიც ტრაპიზონის ვილაიეთში შედიოდა, იქიდან წარმოსდგა, რომ მის ფარგლებში მოქცეული იყო თერმოდონის სექტორის ქანური ზონა).

2. ტერიტორიული ერთეულები: მხარეები და ოლქები.

გავეცნოთ ამის შემდეგ ქანეთ-ლაზეთის მხარის დანაწილებას ტერიტორიულ ერთეულებად, მხარეებად და ოლქებად.

ჯერ სამხარეო ერთეულების შესახებ.

როგორც ეს ცხადი გახდა წარმოდგენილი მიმოხილვიდან, ქანეთ-ლაზეთი ანუ სამხრეთი კოლხეთი განიყოფებოდა სამ მთავარ სამხარეო ერთეულად: რიზეს მხარე (აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთი), ტრაპიზონის მხარე (შუა ქანეთ-ლაზეთი) და კერასუნ-ფარნაკიის მხარე (დასავლეთი ქანეთ-ლაზეთი); ისინი საშუალო საუკუნეთა წყაროებში, VIII—XV საუკუნეთა მანძილზე,

¹ ხალიბნი და ტიბარენნი (ტიბრანნი) იხ. ვესტატი თესალონიკელთან (SC, I, 208—209). ხალიბია—მიქაელ პანარეტის ტრაპეზუნტის ქრონიკაში (1905 წ., გვ. 3, 11, 12, 17).

² იხ. Ф. Успенский, История Византийской империи, III, 1948 წ., გვ. 602—603. შეად. ზემოთ, გვ. 204.

ატარებენ, როგორც გამოიჩვენა, შემდეგს ძირითადს, სატომო წარმოშობის სახელწოდებებს:

I. რიზეს მხარე (აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთი) = საკუთრივ ლაზია, ზღვისპირა კლარჯეთი;

II. ტრაპიზონის მხარე (შუა ქანეთ-ლაზეთი) = საკუთრივ ქალდია (ხალდია).

III. კერასუნ-ფარნაკიის მხარე (დასავლეთი ქანეთ-ლაზეთი) = ხალიზია, ხალიზია — ტიბარენია.

ეს სამი მთავარი სამხარეო ერთეულები თავის მხრივ განიყოფებიან უფრო მცირე მოცულობის საოლქო ერთეულებად.

თუ როგორც იყო ქანეთ-ლაზეთის ქვეყნის დანაწილება როგორც სამხარეო, ისე საოლქო ერთეულებად, ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა შემდეგი ცხრილი:

სამხარეო ერთეულები

საოლქო ერთეულები

<p>I. რიზეს მხარე ანუ საკუთრივ ლაზია (ზღვისპირა კლარჯეთი)</p>	}	<p>1. რიზეს ოლქი ანუ საკუთრივ ლაზია (ვიწრო მნიშვნელობით)</p> <p>1—ა. გონია-აფსარის სანაპირო უბანი</p> <p>2—ბ. მურლულის სანაპირო უბანი</p> <p>2. სოტიროპოლის ანუ რკინის-ქალის ოლქი</p>
<p>II. ტრაპიზონის მხარე ანუ საკუთრივ ქალდია</p>	}	<p>3. გიმორას ოლქი</p> <p>4. ტრაპიზონის ოლქი</p> <p>5. მაკუკას ოლქი</p> <p>6. საკუთრივ ქალდია (ვიწრო მნიშვნელობით)</p>
<p>III. კერასუნ-ფარნაკიის მხარე ანუ ხალიზია (ხალიზია-ტიბარენია)</p>	}	<p>7. კერასუნ-ფარნაკიის ოლქი</p> <p>8. კოტიორას ოლქი</p> <p>9. ლიზანის ანუ ოზნეს ოლქი</p>

მოგვეყავს აგრეთვე შეფარდება საოლქო ერთეულებისა საშუალო საუკუნეებში არსებულ საეკლესიო დანაწილებასთან; იგი შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს:

1. რიზეს ოლქი
2. სოტიროპოლის ანუ რკინის-ქალოს ოლქი

1. რიზე (ლაზიისა)
2. სოტიროპოლი

3. გიმორას ოლქი
4. ტრაპიზონის ოლქი
5. მაჭუქას ოლქი
6. საკუთრივ ხალდია

3. ტრაპიზონი (მიტროპოლია) შედგავალი საეპისკოპოსოებით

7. კერასუნ-ფარნაკიის ოლქი
8. კოტიორას ოლქი
9. ლიმანის ანუ ოანეს ოლქი

4. კერასუნი
5. რიზე II (პოლემონის პონტოსი) ანუ ორიზა
6. პოლემონი

აქვე ვურთავთ კანეთ-ლაზეთის (სამხრეთ კოლხეთის) ისტორიულ რუკას (იხ. გვ. 272)

ცალკე საოლქო ერთეულებისა და მათი შემადგენელი ნაწილების შესახებ საპირთა აღნიშნოთ შემდეგი:

ა. რიზეს მხარის ძირითადი ერთეულის — რიზეს ოლქის შესახებ (=საკუთრივ ლაზია ვიწრო მნიშვნელობით) — იხ. ზემოთ, გვ. 254 — 257.

ბ. სოტიროპოლის ანუ რკინის-ქალოს ოლქი (რომელიც მოიცავდა ოფის პროვინციას) და გიმორას ოლქი (რომელიც მოიცავდა სურმენეს პროვინციას) წარმოადგენდა როგორც ანტიკურ ხანაში. ისე საშუალო საუკუნეებში, ერთგვარ გარდამავალ ზონას რიზესა და ტრაპიზონის მხარეთა შორის. ბოლო უპირატესად სოტიროპოლის — ოფის პროვინცია დაკავშირებულია რიზეს მხარესთან, სურმენეს პროვინცია — ტრაპიზონის მხარესთან. (კერძოდ, ასეთი მდგომარეობა გვაქვს განსახილველი პერიოდის ბოლო საუკუნეებში)¹.

გ. რიზეს მხარის ჩრდილოეთ სექტორში მდებარე გონია-აფსარის სანაპირო უბანი წარმოადგენდა გარდამავალ ზონას შიდა კოლხეთის (დასავლეთ საქართველოს) საზღვართან: ასევე მურღულის სანაპირო უბანი გარდამავალ ზონას წარმოადგენდა მესხეთის საზღვართან.


დ. დანაწილება ტრაპიზონის მხარისა საოლქო ერთეულებად (საკუთრივ ტრაპიზონი, გიმორა, მაჭუქა, საკუთრივ ხალდია) ნაჩვენები გვაქვს იმ სახით, როგორადაც იგი აღნიშნულია განსახილველი პერიოდის ტრაპიზონის მხარის ადგილობრივ დოკუმენტებში².

¹ იხ. ზემოთ, გვ. 260—262; შუად. გვ. 288—289.

² იხ. ფ. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи, 1929 წ., გვ. 81—89.

ისიფხვარ-საქარაღი

საქარაღი სასაქარაღი



- ① - სასაქარაღი
- ② - სასაქარაღი
- ③ - სასაქარაღი
- ④ - სასაქარაღი
- ⑤ - სასაქარაღი
- ⑥ - სასაქარაღი
- ⑦ - სასაქარაღი
- ⑧ - სასაქარაღი
- ⑨ - სასაქარაღი
- ⑩ - სასაქარაღი
- ⑪ - სასაქარაღი

მკნი შვნა. არაბული ციფრებით აღნიშვულია სასაქარაღი ციფრები (1, 2, 3...) და სანაპირო უბნები (1 ა, 1 ბ), რომლებიც იქნავე ციფრების თანრიგით აღნიშვულია ცხრილში (იხ. მკ. 270).

დ. დასასრულ, დასავლეთის სამი ოლქის, კერასუნის, კოტიორასა და ლიმანის შესახებ (რომლებიც დასახელებულია ქართულ მატრიანებში)¹, საკიროა შემდეგი აღნიშნოთ:

კერასუნის (კერასუნ-ფარნაკიის) ოლქი მოიცავდა ზონას, რომელიც ანტიკური ხანის წყაროებში მოიხსენება, როგორც მოსინიკების და ფარნაკიის ხალიბების (ხალიბ-ხალდების) ტერიტორია²;

კოტიორას ოლქი არის ისტორიული ტერიტორია ტიბარენების ტომისა (რომლებიც საშუალო საუკუნეებში ტიბოანების სახელწოდებით მოიხსენება)³;

ლიმანის ანუ ოჯნეს ოლქი არის ისტორიული ტერიტორია თერმოდონის სექტორში მოსახლე ხალიბთა, მაკრონთა და ჰენეთთა ტომებისა⁴.

ბ

ქანეთ-ლაზეთის მხარეთა პოლიტიკური მდგომარეობა VIII—XVI საუკუნეებში

ვიძლევიტ მოკლე მიმოხილვას, თუ როგორი იყო პოლიტიკური მდგომარეობა ქანეთ-ლაზეთის მხარეთა VIII—XVI საუკუნეთა მანძილზე.

ა. მე-8 საუკუნის მეორე ნახევარი — მე-9 საუკუნის პირველი ნახევარი.

ყველა არსებული საისტორიო წყაროების განხილვის შედეგად ჩვენ უკვე დადგენილი გვქონდა, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში ქანეთ-ლაზეთის მხარეები, — რიზეს მხარე — საკუთრივ ლაზია, და ტრაპიზონის მხარე — ხალდია, პოლიტიკურ ადმინისტრაციულად გაერთიანებულია დასავლეთ საქართველოსთან (იხ. ზემოთ, გვ. 208—215).

ეს კავშირი რიზეს მხარისა და ტრაპიზონის მხარისა დასავლეთ საქართველოსთან — აფხაზეთის სამეფოსთან — არსებობს აგრეთვე მე-9 საუკუნის დასაწყისში⁵.

¹ იხ. ბასილი ეზოსმოდვარი, 100. cit.

² მითითება წყაროებზე იხ. ზემოთ, გვ. 203—204.

³ ტიბარენთა შეახებ იხ. იქვე, გვ. 203—204.

⁴ უკომოკონის ხალიბთა, მაკრონთა და ჰენეთთა შესახებ იხ. იქვე, გვ. 203—204. ქანეთ-ლაზეთის მხარეთა დასავლეთის მ. სანაპირო ოლქში, რომელიც ქართულ მატრიანებში მოიხსენება ლიმანის სახელწოდებით (იხ. ბასილი ეზოსმოდვარი, გვ. 31), საშუალო საუკუნეებში მთავარი ცენტრებია ლიმანი (ანუ ლიმნია) და ოჯნე. ოჯნეს შესახებ იხ. ზემოთ გვ. 254—255 და მიქაელ პანარეტის ტრაპეზუნტის ქრონიკა, გვ. 5, 16. ლიმანის ანუ ლიმნიის ადგილმდებარეობის შესახებ, რომელიც მრავალჯერ მოიხსენიება მიქაელ პანარეტის ქრონიკაში (გვ. 2, 5, 6, 8, 9, 10, 17) იხ. ფ. Успенский, Очерки из истории Трапезунтской империи, 1929 წ., გვ. 90—99.

⁵ მე-9 საუკუნის პირველი მეოთხედის ბიზანტიელი ავტორები, როგორც აღნიშნული გვქონდა, ტრაპიზონის მხარეს მოიხსენებენ ნაწილად ლაზიკისა, რა სახელწოდებითაც ბიზანტიელი ავტორები აღნიშნავენ დასავლეთ საქართველოს (თოფანე აღმსარებელი, 810—814 წ. წ.; ნიკოფორე კონსტანტინეპოლელი 806—815 წ. წ.: ამავე ხაზს ეკუთვნის ბერძნული პირველწყარო აკათისტოს საკითხავისა. იხ. ზემოთ, გვ. 214—215). ასევე სომეხურ უსახელო გეოგრაფიაში, რომლის არსებული ტექსტი მე-9 საუკუნით თარიღდება, რიზეს მხარე — ლაზია („ლაზიე“) და ტრაპიზონის მხარე — ხალდია („ხალტიკ“ — „ქანე“) დასახელებულია როგორც ნაწილი „მეგრ“-ისა, ეგრისისა ანუ დასავლეთ საქართველოსი. იხ. ზემოთ, გვ. 212.

ბ. მე-9 საუკუნის პირველი ნახევრიდან — მე-10 საუკუნის სამოციან წლებამდე.

მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტია ხანგრძლივ ომებს აწარმოებს დასავლეთ საქართველოსთან, აფხაზეთის სამეფოსთან. ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ მე-9 საუკუნის 30-იან და 40-იან წლებში ბიზანტიამ სამი ლაშქრობა მოაწყო დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს — წინააღმდეგ. სამივე ლაშქრობა ბიზანტიელების სასტიკი დამარცხებით დამთავრდა. (უკანასკნელი ლაშქრობის დროს, როგორც გადმოგვცემს ბიზანტიური წყარო, ბიზანტიელებმა დაჰკარგეს 40.000 კაცზე მეტი)¹.

ბიზანტიელებმა, ამ დამარცხებათა შემდეგ, ხელი აიღეს ინტერვენციის ცდაზე თვით დასავლეთ საქართველოში, მაგრამ მათ მოუხერხებიათ დაქვრად დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს — სამხრეთი ნაწილისა, ჯერ ტრაპიზონის მხარისა (ხალდიისა), ხოლო შემდეგ რიზეს მხარისა (საკუთრივ ლაზიისა).

სახლვარის ხაზი ჯერ გატარებულა ქ. სოტიროპოლთან, ხოლო შემდეგ, მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, ბიზანტიის პოლიტიკური საზღვარი აღწევს ქოროხამდე².

გ. მე-10 საუკუნის 60-იანი წლებიდან — მე-11 საუკუნის დასაწყისამდე, დავით დიდი კურაპალატის (961/966 — 1001 წ. წ.) ხანა.

მე-10 საუკუნის 60-იანი წლებიდან — ვიდრე მე-11 საუკუნის დასაწყისამდე ქართველთა სამეფოს (ქართლ-მესხეთის სახელმწიფოს) ფაქტიური ხელმძღვანელია გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე დავით დიდი კურაპალატი, მორაი ქართველთა სამეფოსი.

დავით კურაპალატს ორგზის შემოუერთებია ბიზანტიიდან ტერიტორიები, „ზეჰონი ქუეყანანი“.

ჯერ კიდევ დავითის სახელმწიფო მოღვაწეობის დასაწყისში, ბიზანტიის კეისრის ნიკიფორე ფოკას (953 — 969) დროს, ქართველთა სამეფოს შემოუერთებია „ზემო ქუეყანათა“ ერთი ნაწილი, — რიზეს მხარე (საკუთრივ ლაზია,

¹ იხ. ზემოთ, გვ. 217—218.

² ქ. პორფიროვსკენეტი ცნობით ჩრდილოეთი საზღვარი აფხაზეთისა (რა სახელწოდებითაც ქ. პორფიროვსკენეტი აღნიშნავს დასავლეთ საქართველოს სამეფოს) — არის ნიკოფსია, ხოლო სამხრეთი საზღვარი — ქ. სოტიროპოლი (იხ. De administrando imperio, c. 52). აქ ნაჩვენებია, როგორც ჩანს, აფხაზეთის სამეფოს აღრინდელი ისტორიული სახელწოდება სახლვარი (იხ. ავსტრიულ აკრეფულ სპეციალური შენიშვნა დამატებებში). ხოლო შემდეგ, მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, ბიზანტიის სახელმწიფო რა სახლვარს ფაქტიურად მიუღებია მდინარე ქოროხამდე კონსტანტინე პორფიროვსკენეტის ცნობის თანახმად. ბიზანტიის სერარში მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში მოქცეული იყო თეშები მურღულითა და აკადფსიისითა; ხოლო აკარის ტერატორიისთან (რომელიც ქართველთა სამეფოში შედიოდა) სახლვარის ხაზზე დასაბელებელია Κανίσις (ცოროლის-წყალი); იხ. De administrando imperio, c. 46.

ზღვისპირა კლარჯეთი)¹. ბიზანტია, ჩანს, იძულებული გამხდარა ანგარიში გაეწია საქართველოს პოლიტიკური მოთხოვნისათვის და წასულა დათმობაზე იმის გამო, რათა უზრუნველ ეყო ქართველთა სამეფოს და ბიზანტიის პოლიტიკური კავშირი. ქართველთა სამეფოს ამ დროს არა მხოლოდ პოლიტიკურად შემოუერთებია რიზეს მხარე, არამედ ეკლესიურადაც რიზეს მხარე შორდება კონსტანტინეპოლს და საქართველოს ეკლესიას, ქართლის საკათალიკოსოს შემადგენლობაში შედის. ნოტიციაში № 7, რომელიც კონსტანტინეპოლითიოგენეტის ხანას, მე-10 საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში ნაჩვენებია სოტიროპოლის და რიზეს ეპარქიები; ხოლო ნოტიციაში № 8, რომელიც იოანე ციმისხის დროს, 969—970 წლებს ეკუთვნის, კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ფარგლებში აღნიშნულია მხოლოდ სოტიროპოლის ეპარქია, ხოლო რიზეს ეპარქია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში უკვე აღნიშნული არაა. იხ. ზემოთ, საეკლესიო ოლქების ნუსხა, გვ. 238—239).

აღსანიშნავია ამასთან, რომ რიზეს მხარის პოლიტიკურად და ეკლესიურად საქართველოდან გაერთიანების შემდეგ, ბერძნული ენის ხმარება ეკლესიაში და საქმის წარმოებაში შეუცვლია ქართულს. დამახასიათებელია ამ მხრივ კორიდეთის სახარების მინაწერები: მე-10 საუკუნის პირველ ორ მესამედში, როდესაც რიზეს მხარე (მულულის ხეობით, სადაც მდებარეობს კორიდეთი) — ბიზანტიის ეპირა, წარწერები კორიდეთის სახარებისა შესრულებულია ბერძნულით (იხ. ბერძნული წარწერები № № I, V, VIII: ამათგან V დათარგმნებულია 965 წლით); ხოლო წარწერები, რომლებიც ეკუთვნიან მომდევნო პერიოდს, მე-10 საუკუნის ბოლო მესამედს, დავით კურაპალატის (961/966—1001) ხანას, შესრულებულია ქართულით (წარწერა II—პიტრიონისა, ოთხთავის განახლების შესახებ, და წარწერა XXII—გიორგი ზუციძისა და სტეფანე დოლისყანელისა²).

უფრო გვიან, 978 წელს, ქართველთა სამეფომ მნიშვნელოვანი სამხედრო დახმარება გაუწია კონსტანტინეპოლს, რისთვისაც ბიზანტიამ ქართველთა სამეფოს დაუთმო აღმოსავლეთში მდებარე ახალი ქვეყნები— „ზემონი ქუეყანანი“ არაქისისა და ეფტრატის ხეობებში (იხ. ზემოთ, გვ. 67). ამ დროსვე, ჩანს, გაფართოებულა ქართველთა სამეფოს ტერიტორია შავი ზღვის სანაპიროზე და საზღვარს ტრაპიზონამდე მიულწევია. ეს ჩანს იმის მიხედვით, რომ მომდევნო პერიოდში, მე-11 საუკუნეში, როდესაც ატყდა ომი ბიზანტიასა და საქართველოს შორის „ზემო ქუეყანათა“ გამო, ბრძოლა წარმოებს ტრაპიზონის ზონაში.

¹ გიორგი მთაწმიდელის ცნობით, „ზემო ქუეყანათა“ შემოერთება ბიზანტიიდან დავით კურაპალატის დროს ორგზის მომხდარა: პირველად 963—969 წლებში, ნკიფორე ფოკას დროს (იხ. გიორგი მთაწმიდელი, ცხობება იოანესი და ეფთემესი, 1946 წ., გვ. 16; შედარებით სვინაქსარული რედაქცია ცხობებისა გვ. 58); მეორედ 978 წელს (იხ. იქვე, გვ. 19). რომ პირველად, 963—969 წლებში შემოერთებული „ზემო ქუეყანანი“ შეიკავდა რიზეს მხარეს, ამას ადასტურებს ქვემოთ-მომხსენებული ნოტიცია № 8 (საიდანაც ირკვევა, რომ რიზეს მხარე არა მხოლოდ პოლიტიკურად, არამედ ეკლესიურადაც ჩამოშორებია ბიზანტიას ამავე ხანაში).

² აღსანიშნავია, რომ ასეთივე მდგომარეობა გვაქვს შემდგომ ხანაშიც. მე-11 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც რიზეს მხარეზე ისევ გაავრცელა პოლიტიკური გავლენა ბიზანტიამ, კორიდეთის წარწერები კვლავ ბერძნულია (ბერძნ. წარწერები IX და II). ხოლო მე-11 საუკუნის ბოლო პერიოდში (1073 წლის ახლო დროიდან) და მთელი მე-12 საუკუნე, როდესაც რიზეს მხარე საქართველოს საზღვრებში შედის, ყველა წარწერები ქართულად არის შესრუ-

დ. 1001—1023 წლები.

1001 წელს, როდესაც გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი, ბიზანტიის კეისარმა ბასილი II-ემ, როგორც ცნობილია, დაიქირა სამხრეთი ტაო და „ზემონი ქუეყანანი“, რომელიც ბიზანტიამ დაუთმო საქართველოს X საუკუნეში.

ეს გახდა მიზეზი დიდი ომისა, რომელიც შემდეგ გაიმართა ბიზანტიის იმპერიასა და საქართველოს შორის.

საქართველოს მეფემ გიორგი I-მა ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ბიზანტია ჩაბმული იყო ბულგარეთთან ომში, დაიქირა ბიზანტიელთაგან მიტაცებული სამხრეთი ტაო და „ზემონი ქუეყანანი“ და განდევნა ბიზანტიის გარნიზონები¹.

როდესაც ბიზანტიის კეისარმა ბასილი II-ემ ძლევამოსილად დაამთავრა ომი ბულგარეთთან, მან მოსახოვა საქართველოს მთავრობას დაეცალა ეს უკან დაბრუნებული საქართველოს ტერიტორიები, რაზედაც საქართველოს მთავრობამ უარით უპასუხა.

1021 წელს ბიზანტიამ დაიწყო ომი საქართველოსთან, რომელიც სამ წელს, 1021—1023 წლები გაგრძელდა.

ბრძოლა 1021 წელს დაიწყო ბასიანში. ფრონტი გასდევდა ბასიანიდან ტრაპიზონამდე. 1021—1022 წლების ზამთარში ბასილი კეისარს ბანაკი აქვს, როგორც აღნიშნულია ქართულ მატიაწებში, — „ქუეყანასა ხალდიისასა, მახლობელად ქალაქსა ტრაპიზონთასა“².

ლებული (ასეთია მოავალრიტოვანი ქართული წარწერები: ერისთავის ბეშქან I-ის დროისა — V და XX, მურვან I-ის დროისა — XIII, III, XXI; ბეჟა-ბეშქან II-ის დროისა — IX, XVI, VI, XIV; მურვან II-ის დროისა — X, XI, XV, XVII; ყუთლუ-არსლანის დროისა — XVIII; დაწერილი იოანე მათაშელისა — XII).

მე-13 საუკუნეში, როდესაც რიხეს მხარე წარმოადგენს კონდომინიუმს ტრაპიზონის „მეფისა“ და საქართველოს „მეფეთ-მეფისა“, ჩვენ გვაქვს ერთი ჩემდნული წარწერა (II) 1222—1232 წლებისა, და ქართული წარწერა ამირახოვისა ეან კიას ძისა (I), რომელიც მე-13 საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის. ხოლო მომდევნო პერიოდში, მე-13 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული, როდესაც რიხეს მხარე პოლიტიკურად საქართველოს ფარგლებშია მოქცეული (მე-13 საუკუნის ბოლოდან—მე-16 საუკუნემდე), წარწერები ქართულია (XXII და IV — ერისთავთ-ერისთავის ბეშქან III-ისა, ამირახოვის ეან კიას-ძის ძისა).

ამრიგად. კორიდული წარწერები, მათი ქართულობა ან ბერძნულობა, მრავლისმეტყველ ჰქვებნას იძლევა, ისინი ზუსტად შეეფარდება ამ მხარის პოლიტიკურ ისტორიას.

(კორიდეთის სახარების ქართული წარწერები შესწავლილი გვაქვს დედანში. ნომრები: ქართული წარწერებისა ზემოთ ნაჩვენები გვაქვს იმ რიგით, როგორადაც ეს აღნიშნულია ნ. მარის გამოცემაში: *Грузинские приписки греческого евангелия из Коридии*, 1911 წ., ИАН, 211 და შდდ. ნომრები ბერძნული წარწერებისა ნაჩვენები გვაქვს ენიშნის ინსტიტუტის გამოცემით: კორიდეთის ხელნ. წერი. 1937. შესახებ ქართული წარწერისა XXIII და ბერძნული წარწერებისა IX — იხ. აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილის წერილი, *ქურნ. ჩვენი მეცნიერება*, 1924 წ., № № 11—12, გვ. 83 და შდდ.)

¹ იხ. არაბი მეზიტაწიანი იაკობ ანტიოქელი, *გ. როზენის გამოცემა (Император Василій Болгаринъ, 1883 წ., გვ. 61.*

² იხ. ცხორება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა, გვ. *475/248; სუმბატ დავითის-ძე, ცხორება ბაგრატიონთა, გვ. *ა85/ა55—356.

ბრძოლების შესახებ ტრაპიზონის ზონაში ბერძნულ წყაროებში უფრო დაწვრილებითი ცნობები ყოფილა დაცული, ვიდრე ქართულ მატრიანებში. პროფ. ალ. ხახანაშვილი Fischer-ის გამოკვლევაზე მითითებით (Trapezus in XI - XII Jahrh.) აღნიშნავს: „Василий Болгаробойца и Георгий I царь Абхазии и Грузия воюют из за Трапезундской области. Георгий I вознамерился занять Трапезундский порт в 1022 году и явился перед воротами города, но был отбит Василием Болгаробойцей“¹.

ბიზანტინოლოგს თ. უსპენსკის თავის კაპიტალურ შრომაში „История Византийской империя“, (т. III, 1948 წ., გვ. 599) აგრეთვე აღნიშნული აქვს „походы Василия Болгаробойцы против грузинского царя Георгия, подступившего к Трапезунту“.

ომი დასრულდა 1023 წელს ბიზანტიის გამარჯვებით. ბიზანტიამ ამ დროს შეიერთა შავი ზღვის სანაპირო — რიზეს მხარე. საზღვარი გატარებულა რიზეს მხარის ციხე-ქალაქ ხუფათის (ხოფის) სექტორში. (თვით ციხე-ქალაქი ხუფათი ბიზანტიის ფარგლებში დარჩენილა)².

ე. 1023—1073 წლები.

მომდევნო ნახევარი საუკუნის მანძილზე, 1023—1073 წლებში, რიზეს მხარე და ტრაპიზონი ბიზანტიას აქვს დაპყრობილი.

1045 წელს საქართველოს მეფემ ბაგრატ IV-ემ სცადა დაებრუნებინა ბიზანტიის მიერ დაკერძოებული ქანეთ-ლაზეთის მხარეები. ქართულ მატრიანებში მოთხრობილია, რომ 1045 წელს ბაგრატ IV-ემ „მოიყვანა ქუთათისისა სამოქალაქოსა ლაშქარი, და გურიელნი აზნაურნი და ლომსიანნი, მოაყენა ხუფათს; დაუდგეს ფილაკევანნი და ბრძოდეს“³.

მაგრამ იმ შინაგანი განხეთქილების გამო, რაც გამოიწვია ლიპარიტ ორბელიანის განდგომამ (რომე ლთანაც ერთად მოქმედებდა ბიზანტიელების პოლიტიკური კრეატურა, საქართველოს ტახტის პრეტენდენტი დემეტრე გიორგისძე, ძმა ბაგრატ IV-ისა), — ჩაიშალა დაწყებული ბრძოლა ქანეთ-ლაზეთის დასაბრუნებლად. ბაგრატ IV იძულებული გამხდარა შეეჩერებინა ბრძოლა ხუფათის ფრონტზე.

1056 წელს საზღვრად საქართველოსა და ბიზანტიას შორის ისევ ციხე-ქალაქი ხუფათი ყოფილა⁴.

ვ. 1073—1089 წლები.

მე-11 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, როგორც ცნობილია, დაიწყო თურქების (სელჯუკების) განსაკუთრებული გაძლიერება ანატოლიის სანაპიროზე, რამაც გამოიწვია ბიზანტიელების პოზიციების შესუსტება კავკასიაში.

¹ იხ. ალ. ხახანაშვილი, Трапезунтская хроника Михаила Папарета, 1905 წ., გვ. VII—VIII. (სამწუხაროდ თვით Fischer-ის შრომა თბილისის და მოსკოვის წიგნთსაცავებში არ მოიპოვება და ჩვენ იძულებული ვართ დავყავით დღევანდელი პროფ. ალ. ხახანაშვილის ამ მითითებით).

² იხ. ცხორება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა, გვ. *487/261.

³ იხ. იქვე, loc. cit.

⁴ იხ. იქვე, გვ. *494/266.

1073—1074 წლებში საქართველოს მეფის გიორგი II-ის (1073—1089 წ.წ.) დროს საქართველომ დაიბრუნა ბიზანტიიდან „მძლავრებისაგან ბერძენთასა წარხუმელნი“ — ე. ი. შიტაცებულნი ქვეყანანი. ჯერ კიდევ 1073 წელს გიორგი II-ემ დაიპყრა ბიზანტიელთაგან ანაკოფიის ციხე („თავადი ციხეთა აფხაზეთისათა“), რომელიც ბიზანტიელებს ეპირათ მე-11 საუკუნის 30-იანი წლებიდან; შემდეგ, 1073—1074 წლებში, საქართველომ დაიბრუნა სამხრეთი სანაპირო ზონა, — დ. ვით კურაპალატის ყოფილი პროვინციები, — რომელიც დაპყრობილი ჰქონდა ბიზანტიას ბასილი კეისრის დროიდან, 1021—1023 წლების ომის შემდეგ. ამავე დროსვე საქართველომ შემოიერთა აგრეთვე მესხეთის საზღვრებზე მდებარე „ქარისა ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქუეყანა“¹.

დავით კურაპალატის დროინდელ სხვა ქართულ პროვინციებთან ერთად, საქართველოს ამ დროსვე შემოუერთებია რიზეს მხარე, საკუთრივ ლაზია ანუ ზღვისპირა კლარჯეთი („მრავალნი ციხენი კლარჯეთისა“)².

დაწყებული ამ დროიდან რიზეს მხარე (საკუთრივ ლაზია, ზღვისპირა კლარჯეთი) საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს როგორც მე-11 საუკუნეში, ისე მომდევნო ხანაში, მთელი მე-12 საუკუნის მანძილზე³.

აქ საქიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ საქართველოსთან პოლიტიკურად გაერთიანების შემდეგ, რიზეს მხარე ეკლესიურადაც ჩამოშორებია კონსტანტინეპოლს და გაერთიანებულა ზოგად ქართულ ეკლესიასთან (ქართლის საკათალიკოსოსთან).

კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ყველა დოკუმენტებში, რომლებიც ეკუთვნიან ხანას მე-11 საუკუნის 80-იანი წლებიდან ვიდრე მე-13 საუკუნის 50-ან წლებამდე, რიზეს საეკლესიო ოლქი აღარ აღინიშნება კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შეზღვევებში (იხ. ნოტიციები: № 9 — XI საუკუნის 80-იანი წლებისა; № 10, 11, 12, 13 — XII საუკუნისა; № 14 — XIII საუკუნის 50-იანი წლებისა. — იხ. ხეშოთ, გვ. 240).

ბ. დავით აღმაშენებლის ხანა (1089—1125 წ.წ.)

დავით აღმაშენებლის დროს საქართველომ გააფართოვა გავლენის სფერო ქანეთ-ლაზეთის მხარეებში. თუ დავითის დრომდე და დავითის მეფობის დასაწყისში, მე-11 საუკუნის ბოლო ათეულში, საქართველოს საზღვრებში შედიოდა მხოლოდ რიზეს მხარე (საკუთრივ ლაზია ანუ ზღვისპირა კლარჯეთი), დავით აღმაშენებლის მეფობის მეორე პერიოდში (როდესაც XII საუკუნის პირველ მეოთხედში ჩამოყალიბდა საქართველოს ძლიერი სახელმწიფო, რომლის ფარგლებშიაც გაერთიანდა კავკასიის ქვეყნები შავი ზღვიდან — კასპიის ზღვამდე), საქართველოს პოლიტიკურად დაუკავშირდა ყოველი ხალხის თემი, ტრაპიზონის ადგილობრივი სამფლობელო (სამთავრო), რომელიც ამ დროს შეიცავდა ტრაპიზონისა და კერასუნ-ფარნაკიის მხარეებს.

¹ იხ. ცხოვება გიორგი II-ისა (ექსცერპტი), გვ. *511 — 512/280; დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *512/281.

² იხ. ცხოვება გიორგი II-ისა (ექსცერპტი), loc. cit.

³ იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *514/282 (სადაც საქართველოს ნაწილად დასახელდა „ქლარჯეთი ზღვის პირამდია“); გვ. *531/288 და *537/503 (სადაც საქართველოს საზღვრებში აღნიშნულია რიზეს მხარის — ლაზეთის ციხე-ქალაქი ზუფათი). იხ. აგრეთვე ხეშოთ, გვ. 275—276, შენიშვნა 1 (განხილვა კორიდეთის ოთხთავის წარწერებისა).

ტრაპიზონის სამფლობელოს (სამთავროს) ჩამოყალიბებამ და მისი საქართველოსთან დაკავშირება შემდეგ პირობებში მომხდარა.

1071 წლის სამხედრო კატასტროფის შემდეგ, როგელიც განიცადა ბიზანტიამ, როდესაც თურქ-სულჯუკებმა მანასკერტის ბრძოლაში დაამარცხეს ბიზანტიის ჯარი და თვით ბიზანტიის კეისარი რომანოზ დიოგენი ტყვედ წაიყვანეს, — თურქები გაქრილან შავი ზღვის სანაპიროზე, ხალდიის ტემში (ტრაპიზონისა და კერასუნის მხარეებში). მცირე ხნით თურქებს, 1074 წლის ახლო, ხელთ ჩაუგდიათ ავით ქალაქი ტრაპიზონიც.

თურქ-სელჯუკები განდევნეს ქალაქ ტრაპიზონიდან და შემდეგ ხალდიის თემიდან (ტრაპიზონისა და კერასუნის მხარეებიდან) თვით ხალდია-ქანეთის ადგილობრივმა ძალებმა, თეოდორე გავრას მოთავეობით.

თეოდორე გავრა არის დამაარსებელი ხალდიის (ტრაპიზონის) ადგილობრივი სამფლობელოსი, სამთავროსი.

თეოდორე გავრა ხალდია-ქანეთის ადგილობრივ თავადთა გვირგვინიდან ყოფილა წარმოშობით.

ტრაპიზონის განთავისუფლების შემდეგ 1074 წლის ახლო, თეოდორე გავრას მოუხდენია ადგილობრივი ძალების ორგანიზაცია, ენერგიულად შესდგომია ბრძოლას თურქ-სელჯუკების წინააღმდეგ და საბოლოოდ გაუწმენდია ხალდიის თემი (ტრაპიზონისა და კერასუნის მხარეები) შემოსეული მტრებისაგან.

ამ ბრძოლების დროს კონსტანტინეპოლის მთავრობას არაერთხელ დახმარება არ გაუწევია ტრაპიზონისათვის. ანატოლია ამ დროს მოფენილი იყო თურქთა ურდოებით, რომლებიც მაშინ პირველად მკვიდრდებოდნენ ანატოლიის მიწა-წყლებზე, და ურთიერთობა კონსტანტინეპოლისა ტრაპიზონთან ფაქტიურად შეწყვეტილი იყო. მთელ ამ ბრძოლებს თურქებთან ხალდიის თემში აწარმოებენ ადგილობრივი ხალდია-ქანეთის ჯარები თეოდორე გავრას მოთავეობით.

ამრიგად ჩაეყარა საფუძველი ხალდიის (ტრაპიზონის) ადგილობრივ სამფლობელოს (სამთავროს), რომლის ფარგლებშიაც გაერთიანდა ტრაპიზონის და კერასუნის მხარეები. ხალდიის (ტრაპიზონის) სამფლობელო ამ დროს აღწევს სამხრეთით კოლონიამდე, აღმოსავლეთით კოროხის ხეობის სათავეებამდე¹. (რაც შეეხება რიხეს მხარეს, საკუთრივ ლაზიას ანუ ზღვისპირა კლარჯეთს, იგი, როგორც აღნიშნული გვექონდა, საქართველოს სამეფოს ნაწილს წარმოადგენს).

თეოდორე გავრა სრულიად დამოუკიდებლად მართავს ხალდიის (ტრაპიზონის) სამთავროს, თუმცა პირველ პერიოდში მას არ შეუწყვეტია კავშირი კონსტანტინეპოლთან. თეოდორე გავრა იყო კონსტანტინეპოლში და აქ მან სამეფო კარზე დასტოვა თავისი ვაჟი, რომელიც სიძე უნდა გამხდარიყო ბიზანტიის კეისრის ალექსი კომნენისა. მაგრამ კონსტანტინეპოლის მთავრობას, რომელიც არ ურიგდებოდა ხალდია-ქანეთის ფაქტიურ დამოუკიდებლობას, თეოდორე გავრას ვაჟი მძევლად გამოჰუცხადებია. როდესაც ახალგაზრდა გავრა სცდილა სამშობლოში, ქანეთში, გაქცევას, იგი დაუტყვევებიათ და გადაუ-

¹ იხ. Ф. Успенский, История Византийской империи, т. III, 1548 წ., გვ. 600.

სახელმწიფოთ ფილიპოპოლში. მას ამის შემდეგ აღარ ღირსებია სამშობლოში დაბრუნება¹.

ამ გარემოებამ, რასაკვირველია, კიდევ უფრო გააღრმავა განხეობილება კონსტანტინეპოლსა და უკვე ფაქტიურად დამოუკიდებელ ტრაპიზონის სამთავროს შორის.

უფრო გვიან, როდესაც გარდაიცვალა თეოდორე გაერა, რომლის დროსაც, როგორც აღნიშნეთ, საფუძველი ჩაეყარა ხალდიის ფაქტიურ დამოუკიდებლობას, კონსტანტინეპოლი კვლავ სცდილა დაემორჩილებინა ხალდია.

ბიზანტიის კეისარმა მოახერხა დაეტყველებინა თეოდორე გაერას მემკვიდრე, ხალდიის (ტრაპიზონის) მფლობელი გრიგოლ გაერა, რომელიც ამის შემდეგ ერთი წლის განმავლობაში ტყვედ ჰყავდათ კონსტანტინეპოლში. შემდეგ იგი განათავისუფლეს და ისევ დააბრუნეს ხალდიის თემის მმართველად, ცხადია იმ პირობით, რომ იგი სცნობდა კონსტანტინეპოლის მთავრობის ხელისუფლებას.

მაგრამ გრიგოლ გაერა, ტრაპიზონში დამკვიდრების შემდეგ, ისევ განაგრძობს თავისი მამის ხაზს. კავშირი კონსტანტინეპოლს და ტრაპიზონს შორის ისევ სუსტდება.

ამ პერიოდს, XII საუკუნის პირველ მეოთხედს, ეკუთვნის საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერება დავით აღმაშენებლის დროს.

დავით აღმაშენებელი, როგორც აღნიშნავენ, არა ერთგზის გამოჩენილა თავისი ძლიერადილი ჯარებით ტრაპიზონთან².

დავითის დროს ხალდია-ტრაპიზონის სამფლობელო (რომელიც ამ დროს მოიცავდა ტრაპიზონისა და კერასუნის მხარეებს), პოლიტიკურად უკავშირდება საქართველოს.

ძველქართული ძეგლიდან, საქართველოს ხელმწიფის კარის გარიგებიდან, დასტურდება, რომ დავით აღმაშენებლის დროს ტრაპიზონის სამფლობელო საქართველოს სახელმწიფოსთან არის დაკავშირებული და ტრაპიზონის მფლობელი საქართველოს მეფეთ-მეფის ვასალთა შორის ითვლებოდა³.

ეს ვასალი საქართველოს სახელმწიფოსი თუმცა სახელდებით მოხსენებული არაა, მაგრამ ქრონოლოგიის მიხედვით იგი, ჩანს, იყო გრიგოლ გაერა.

კავშირი ტრაპიზონის სამფლობელოსი საქართველოს სახელმწიფოსთან, რომელიც დამყარებულა გრიგოლ გაერას დროს, ასევე გრძელდება მისი შვილის და მემკვიდრის კონსტანტინე გაერას მფლობელობის დროს.

კონსტანტინეპოლი, ცხადია, არ შერიგებია ტრაპიზონის მხარის ჩამოშორებას. ბიზანტიურ წყაროებში დაცულია ცნობა, რომ ამ დროს (როდესაც ტრაპიზონის მფლობელად იყო კონსტანტინე გაერა) ბიზანტიის კეისარს იოანე II კომნენს (1118 - 1143) გამოულაშქრნია ტრაპიზონის წინააღმდეგ, მაგრამ დაიარცხებული უკან გაბრუნებულა⁴.

¹ იხ. Ф. Успенский, *op. cit.*, გვ. 600.

² იხ. პრაუ აღ. იახანაშვილი, *Хроника Михаила Панагета* (1905 წ., გვ. III): „Давид, грузинский царь, прозванный Возобновителем, ... простер свои завоевательные претензии на всю Азиатлию до Трапезунда...“; გვ. VIII: „Царь Давид Возобновитель берегунную полосу встревожил своими завоеваниями и Трапезундская феода подверглась его яворжеишу...“

³ იხ. საქართველოს ხელმწიფის კარის კარიგება, § 20 (ი. თაყაიშვილის გამოცემა, 1920 წ., გვ. 12).

⁴ იხ. Ф. Успенский, *История Византийской империи*, т. III, 1948 წ., გვ. 600.

ბ. დავით აღმაშენებელიდან — თამარის ხანამდე (1125—1184 წ.წ.).

მომდევნო პერიოდში, მე-12 საუკუნის მანძილზე, გრძელდება მეტოქეობა ბიზანტიასა და საქართველოს შორის ტრაპიზონის მხარის გამო.

ერთხანად ბიზანტია აღწევს თავის მიზნებს. ტრაპიზონში XII საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა გადატრიალება; რის შედეგად გავრას გვარეულობა განდევნილ იქმნა ტრაპიზონიდან. მას შემდეგ კონსტანტინეპოლი ავრცელებს თავის გავლენას ტრაპიზონზე და ნიშნავს აქ თავის ხელქვეით დუკებს. შემდეგ, XII საუკუნის შუა წლებში, გავრები კვლავ ბრუნდებიან ტრაპიზონში.

საქართველოს მთავრობა, დაინტერესებული ტრაპიზონის მხარის ბედით, ცხადია გულგრილად არ შესცქეროდა ამ ამბებს.

ცნობილი ბიზანტიოლოგი თ. უსპენსკი, ეხება რა იმ აქტიურ პოლიტიკას, რომელსაც აწარმოებენ საქართველოს მეფეები XII საუკუნეში შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე (ტრაპიზონის მხარის ზონაში) უპირატესობის მოპოვების მიზნით, აღნიშნავს, რომ ქართველი ჯარები თამარის მამის გიორგი III-ის (1155—1184 წ.წ.) დროს აღწევენ როგორც კარნუ-ქალაქამდე (არზრუმამდე), ისე ტრაპიზონამდე¹.

*

თ. თამარის ხანა. პირველი პერიოდი (1184—1204 წ.წ.).

თამარის მეფობის პირველ პერიოდში საუკუნოვანი მეტოქეობა ბიზანტიასა და საქართველოს შორის ტრაპიზონის მხარეში უპირატესობის მოპოვებისათვის გართულდა ახალი მომენტებით.

1183 წელს ბიზანტიის ტახტზე ავიდა კომნენთა გვარეულობის მეორე შტოს წარმომადგენელი ანდრონიკე კომნენი, რომელიც, ქართულ მატთან ერთად, საქართველოში იყო ერთხანად (იმ პერიოდში, როდესაც იგი ბიზანტიიდან იყო განდევნილი); ანდრონიკე კომნენი მეგობრულ ურთიერთობაში ამყოფებოდა საქართველოს მეფესთან გიორგი III-თან და საქართველოში ყოფნის დროს იგი მონაწილეობასაც ღებულობდა ქართველთა ლაშქრობებში². ანდრონიკე კომნენი ნათესაურ კავშირშიაც იყო საქართველოს სამეფო სახლთან.

1185 წელს კონსტანტინეპოლში მოხდა გადატრიალება; ანდრონიკე კომნენი მოკლულ იქმნა და გამეფდა ახალი დინასტია — ანგელნი. ანდრონიკე კომნენის შვილები გადმოიხვეწივნენ საქართველოში და აქ მათ, სხვა ბიზანტიელ ლტოლვილებთან ერთად, თავშესაფარი ჰპოვეს თამარ მეფის კარზე.

ბიზანტიის მთავრობა, ახალი დინასტიის — ანგელთა — სახით, ცხადია, უკმაყოფილო იყო იმ მფარველობით, რომელსაც საქართველო უწევდა ბიზანტიის ჩამოგდებულ დინასტიასა და კონსტანტინეპოლელ ემიგრანტებს. ამი ჯომა ც ბიზანტიის მთავრობა ამ დროიდან ადგება აგრესიულ ანტი-ქართულ პოლიტიკას. როდესაც 1187 წელს საქართველოდან განდევნილ იქმნა გიორგი, ძე ანდრია ბოგოლიუბსკისა, მან თავშესაფარი კონსტანტინეპოლში ჰპოვა. შემდეგ

¹ იხ. იქვე, გვ. 600.

² იხ. ისტორია-ახმანნი შარავანდედთანი, გვ. *611—612/384—385.

შემოგზავნა საქართველოში გიორგი ანდრიას-ძისა, და აჯანყება, რომელიც დასავლეთ და სამხრეთ საქართველოში მოეწყო 1190—1191 წლებში, ეს იყო ბიზანტიელთა შენიღბული ჩარევა საქართველოს საქმეებში, ბიზანტიის ანტი-ქართული პოლიტიკა შოქმედებაში.

ამ დროს, მე-12 საუკუნის ბოლო ათეულში, ბიზანტიელებს განუმტკიცებიათ თავისი პოზიციები ტრაპიზონში და მოუხერხებიათ თავისი პოლიტიკური გავლენა გაეერცვლებიათ აგრეთვე თვით რიზეს მხარეზედაც (საკუთრივ ლაზია), რომელიც მე-11 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან საქართველოს სამეფოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ი. თამარის ხანა, მეორე პერიოდი (1204—1212 წ.წ.). ტრაპიზონის სამეფოს დაარსება 1204 წელს.

საუკუნოვანი მეტოქეობა ბიზანტიასა და საქართველოს შორის ტრაპიზონის მხარის გამო დასრულდა თამარის მეფობის მეორე პერიოდში, 1203—1204 წლებში, როდესაც საქართველომ დაიკირა ქანეთის მხარეები მთლიანად და აგრეთვე მისი მეზობელი ქვეყნები შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე.

თანამედროვე ქართველ ისტორიკოსს ბასილი ეზოსმოდვარს შემდეგნაირად აქვს ჩამოთვლილი ის ქვეყნები, რომლებიც საქართველომ დაიკირა ბიზანტიასთან ამ ომის შედეგად 1203—1204 წლებში; ისტორიკოსის სიტყვით, ქართველებმა „წარუღეს“ ბიზანტიელებს:

„ლაზია, ტრაპიზონი, კერასუნტი, კოტიორა, ლიმანი, სამისონი, სინოპი, ამასტრია, ერაკლეა, და ყოველნი ადგილნი ფებლალონიისა და პონტოსანი“¹.

ჩამოთვლილი მხარეებიდან, პირველი ხუთი—საკუთრივ ქანეთის ტერიტორიას შეიცავს: ლაზია—რიზეს მხარე; ტრაპიზონი—ხალდია; შემდეგი სამი ერთეული—კერასუნტი, კოტიორა და ლიმანი არის ოლქები ხალიზია-ტიბარენიისა (კერასუნ-ფარნაკიის მხარისა).

დანარჩენი მხარეები, რომლებიც თერმოდონის დასავლეთით მდებარეობდნენ,—სამისონი, სინოპი, ამასტრია, ერაკლეა და ყოველი ადგილნი ფებლალონიისა— უკვე ბერძნული ქვეყნებია. (კერძოდ, უკანასკნელი მხარე, ერაკლიის ოლქი, სულ ორასიოდე კილომეტრის მანძილზე ახლავს კონსტანტინეპოლს).

ეს ბერძნული ქვეყნები, რომლებიც დაუქერია ქართველთა ჯარს 1203—1204 წლებში, თავისი მოკულობით არა ნაკლები იყო, ვიდრე საკუთრივ ქანეთის ტერიტორია.

რაკი ამრიგად ქართველების მიერ 1203—1204 წლებში ომის შედეგად დაქერილი ტერიტორია შეიცავდა არა მარტო საკუთრივ ქანეთს, არამედ ბერძნულ ქვეყ-

¹ იხ. ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა; 1944 წ., გვ. 11. (აღნიშნაეთ ამასთან, რომ გვიანდელ ხელნაწერებში ქალაქების თანრიგი ერთ ადგილას არეულია, სახელდობრ კერასუნტი და კოტიორა მოაქნებულია სიოპის შემდეგ, რაც არღვევს ჩამოვლის დროს მიღებულს გეოგრაფიულ თანმიმდევრობას. ტექსტი ჩვენ აქ მოგვყავს მისი პირვანდელი სახით).

ნებსაც, საქართველოს მთავრობას, იმ პოლიტიკის თანახმად, რომელსაც იგი ამ ეპოქაში ატარებდა ახლად შემოერთებული და განსხვავებული სახელმწიფოებრივი ტრადიციების შქონე ქვეყნებს მიმართ, — მიზნშეწონილად დაუნახავს ამ ახალი ტერიტორიების ორგანიზება ცალკე სამეფოს სახით, საქართველოს პოლიტიკური გაუღენის, პროტექტორატის ქვეშ (1204 წელს).

ტრაპიზონის ამ ახლად შექმნილი სამეფოს სათავეში საქართველოს მთავრობამ დააყენა კომნენტა დინასტიის წარმომადგენელი ალექსი ანდრონიკეს-ძე, ხოლო მის თანამოსაყდრედ მისი ძმა დავითი (ამ უკანასკნელის სამფლობელოს შეადგენდა საკუთრივ ბერძნული ქვეყნები დასავლეთ პონტოსა და პაფლაგონიაში).

უნდა ვიცოდეთ, რომ ალექსი და დავითი კომნენტები საქართველოში იყვნენ აღზრდილი ბავშვობიდანვე და სავსებით გაქართველებულნი იყვნენ. აკადემიკოსი კუნიკი შრომაში „Основание Трапезундской империи в 1204 году“ სამართლიანად წერს ალექსი და დავით კომნენტა შესახებ:

„Комнены еще младенцами попали в Грузию, где и получили воспитание. Природным языком их был грузинский. Воспитываясь и вырастая при дворе своей родственницы (царицы Тамар)... они всюду были под влиянием грузинской жизни и грузинских понятий...“¹.

აქ საკიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ საქართველოს სახელმწიფოს ამ ეპოქაში აქვს პრეტენზიები იყოს მეთაური აღმოსავლეთის ქრისტიანული მსოფლიოსი და შესცვალოს ამ მხრივ ბიზანტიის (აღმოსავლეთ რომის) ამ დროს უკვე დაკნინებული იმპერია². და კერძოდ ეს ფაქტი, რომ თამარ მეფის მთავრობამ ამ ახლად შექმნილი ტრაპიზონის სამეფოს სათავეში დააყენა კომნენტები, ბიზანტიის ყოფილი დინასტიის წარმომადგენლები, რომლებიც ატარებდნენ მალალ ტიტულს — რომაელთა ავტოკრატორი (იმპერატორი), და რომ ტრაპიზონის სამეფოს საქართველოს მთავრობამ მიაკუთვნა ძველი ბიზანტიის იმპერიის შემცვლელის როლი, და ეს მაშინ, როდესაც ტრაპიზონის მეფე ფაქტიურადაც და უფლებრივადაც საქართველოს „მეფეთ-მეფის“ ვასალი იყო, — არის მაჩვენებელი ამავე იდეოლოგიისა, რომელსაც იცავენ საქართველოს სახელმწიფო მოღვაწენი, და რომელიც საქართველოს „მეფეთ-მეფეს“ აღმოსავლეთის ქრისტიანული მსოფლიოს მეთაურის როლს მიაკუთვნებდა.

ცნობილი ბიზანტინისტი თ. უსპენსკი ასე აფასებს ტრაპიზონის სამეფოს დაარსებას და კომნენტა დინასტიის დამკვიდრებას ტრაპიზონის სამეფოს ტახტზე:

„Утверждение (Комненов) на Черноморье было делом правительства Тамар, и на первых порах Алексей должен был сознавать себя ее вассалом, сколько бы знатен он сам ни был. В таком свете основание государства Комненов является лишь эпизодом в борьбе Грузии за преобладание на восточном Черноморье, продолжением политики отца Тамар, войска которого доходили и до Ерэрума и до самого Трапезунта“.

¹ იხ. Ученые записки Академии Наук, по I и III отд., 2 т., вып. 5, 1854 წ., გვ. 726.

² იხ. პ. ინგოროვცა, თამარ მეფის იამბიკონი (ეურნ. მნათობი, 1941 წ., № 3, გვ. 130—131, 133—139).

თ. უსპენსკის დასკვნით — კომენტები იყვნენ თამარის პოლიტიკის იარაღნი (»орудиями её политики«)¹.

საქართველოს სახელმწიფოს ოფიციალური სტატუსით ტრაპიზონის სამეფო საქართველოს სახელმწიფოს პროტექტორატის ქვეშ ითვლებოდა და იგი ისეთივე ხელქვეითი იყო საქართველოს »მეფეთ-მეფისა«, როგორც »ყმად-ნაფიცი« (ვასალური) ქვეყანა შირვანი.

(იხ. საქართველოს ხელმწიფოს კარის გარიგება, § 20)².

თამარ მეფის ისტორიკოსი ბასილი ეზოსმოდვარი ჩამოთვლის საქართველოს სახელმწიფოს ვასალურსა და პროტექტორატის ქვეშ მყოფ ქვეყნებს კავკასიაში, როგორიც იყვნენ:

ა) აღმოსავლეთ კავკასიის ქვეყნები: შირვანი და დარუბანდი;

ბ) კავკასიის მთიელთა ქვეყნები (ჩრდილო კავკასიაში): ლუნძეთი (ავარია, დაღისტანში), ოვსეთი (ალანეთი), ქაშაგეთი (საჩერქეზო);

გ) სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში: კარნუ-ქალაქი (— არზრუმის მხარე).

საქართველოს ამ ხელქვეითი ქვეყნების რიცხვს, ისტორიკოსის ცნობით, ეკუთვნის აგრეთვე ტრაპიზონი. ისტორიკოსის სიტყვით, ყველა ეს ქვეყნები, რომლებიც საქართველოს მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, საქართველოს წყალობით ეღირსნენ თავისუფალ ცხოვრებას და მტრებისაგან დაცვას; ისტორიკოსი წერს: »მოწამე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ლუნძეთა, ოვსეთა, ქაშაგეთა, კარნუ-ქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რამეთუ თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ [თამარის მიერ] იყვნეს და მტერთაგან უზრუნველობასა«³.

*

ია. XIII საუკუნე (1212—1297 წლები).

მე-13 საუკუნის მეორე ათეულში ტრაპიზონის სამეფოში ტერიტორიული ცვლილებები მოხდა: სახელდობრ ტრაპიზონის სამეფოს ჩამოშორდა ბერძნული ტერიტორიები (სამისონის, სინოპის, ამასტრიის და ერაკლიის ოლქები), რომლებიც მეტწილად დაიპირეს თურქებმა; ხოლო ნაწილობრივ (დასავლეთი სანაპირო ოლქები) შევიდა ბიზანტიის (ნიკეის) სამეფოში. ამის შემდეგ, მთელი მომდევნო ისტორიის მანძილზე, ტრაპიზონის სამეფოს ტერიტორია შეიცავს მხოლოდ ქანეთის მხარეებს და მისი საზღვარი დასავლეთის მხრით აღწევს მდ. თერმოდონამდე, რომელიც ქანური მოსახლეობის ისტორიულ დასავლეთ მიჯნას წარმოადგენდა.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ მე-13 საუკუნეში, ვიდრე 80-იან წლებამდე, ტრაპიზონის სამეფოსთან ადმინისტრაციულ კავშირში იმყოფება რიზეს მხარე ანუ საკუთრივ ლაზია, რაც ქართული გავლენის გაძლიერებას იწვევდა ტრაპიზონის სამეფოში. რამდენადაც რიზეს მხარე, თავისი ისტორიული წარსულით, განსაკუთრებით მკადროდ იყო დაკავშირებული შიდა საქართველოსთან. რიზეს მხარე ამ ხანაში, მე-13 საუკუნეში, განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს: იგი არის კონდომინიუმი (საერთო სამფლობელო) საქართვე-

¹ Ф. Успенский, История Византийской империи, III, 1948 წ., გვ. 601.

² ე. თაყაიშვილის გამოცემა, 1920 წ., გვ. 12.

³ იხ. ბასილი ეზოსმოდვარი, ცხოვება მეფეთ-მეფისა თამარისა, გვ. 35.

ლოს სახელმწიფოსი და ტრაპიზონის სამეფოსი. აქაური ფეოდალები ითვლებიან ხელკეითად როგორც ტრაპიზონის „მეფისა“, ისე საქარსველოს „მეფეთ-მეფისა“¹. ფაქტიური ძალა-უფლება რიზეს მხარეში, როგორც ჩანს, საქართველოს ცენტრალური მთავრობის ხელშია. ეკლესიურადაც რიზეს მხარე ეკუთვნის საქართველოს, ქართლის საკათალიკოსოს, და არა კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს².

აღსანიშნავია ამას გარდა განსაკუთრებული სტატუსი — ჭანეთ-ლაზეთის მეორე სეტორისა, — ქალდიის ვერცხლის მალაროების ზონისა. ტრაპიზონის მხარეში, საკუთრად ქალდიის ოლქის (ენჯრი, სახელდობრ პუნქტი, რომე: საც ბერძნულ წყაროებში ეწოდება „არგირონ კასტრონ“ — „იერცხლის ციხე“, ქართულად — ქალდია. ბოლო თურქულად — გიუმშიშხანე (თურქული სახელწოდება წარმოადგენს თარგმანს ძველი სახელწოდებისას — „არგირონ კასტრონ“. „ვერცხლის ციხე“); ანტიურ ხანასა, საშუალო საუკუნეებში, და შემდეგაც, ცნობილი იყო ვერცხლის მალაროებით. ეს ვერცხლი: მალაროები, ტრაპიზონის სამეფოს არსებობის ხანაში, საქართველოს სახელმწიფოს მფლობელობაში ყოფილა და აქაური ვერცხლის გამომწევა („გაბოსავალი“) საქართველოს ეკუთვნოდა. თვით ქალაქიც ქალდია (ვერცხლის-ციხე), როგორც ირკვევა, უშუალოდ საქართველოს სახელმწიფოს სფეროში ყოფილა მოქცეული.

რომ ქალდიის ვერცხლის მალაროები საქართველოს ძველ კუთვნილებას შეადგენდა და რომ თვით ქალქი ქალდია საქართველოს სფეროში შედიოდა, ამის შესახებ ცხოველი გადმოცემა არ გამკრალა მას შემდეგაც კი, რაც ამ მხარეში თურქთა მფლობელობა დამყარდა. ცნობილი მოგზაური ტიმოთე მთავარეპისკოპოსი, რომელიც იყო ქალდიაში მე-18 საუკუნის შუა წლებში (1756 წელს), — გადმოგვცემს:

„მივწინით ქალდიას (ქ.ლდიას), აწ უხმობენ თურქნი გუმიშანას, სადა ეწამნეს წმიდანი მოწარენი ევგენი, კანდიდოს, უაღვრიანე. და მიერთგან განვიხილენით იკლესიანი და იყო აღშენებელი ქართველთაგან. და ვიკითხე რა, იგოი (აღვლობრივნი მკვიდრნი — ა. ი.) მეტყოდენ, ვთარმიდ გუმშიშანა საქართველოსა მეფეთი (მეფეთა) არისო, რამეთუ ვერცხლი (ვერცხლი) გამოსავალი აქაური საქართველოთი (=საქართველოსი) ყოფილათ კორთისი წყლის სათავე ეს არისო სახლვარი საქართველო“³.

*

მე-13 საუკუნის მეორე მეოთხედში საქართველომ განიცადა ხვარაზმელთა შემოსევა; შემდეგ მონგოლთა მფლობელობა დამყარდა. ამას შედეგად მოჰყვა საქართველოს ყოფილი ძლიერების შესუსტება, მაგრამ მაინც საქართველოს სახელმწიფო მთავარი პოლიტიკური ძალაა კავკასიაში. (საქართველოს სახელმ-

¹ იხ. აქტი ამირახორისა ეან ჰიას-ძისა, სადაც აღნიშნულია, რომ მამული მას ჰქონდა საქართველოს ხელმწიფის — „თვით დავით მეფეთ-მეფისაგან“ და ტრაპიზონის „ბერძეთ მეფის გიორგისაგან“ (იხ. Н. Марр, Грузинские приишские греческого епископа из К. ридии, გვ. 223 - 224).

² ნოტიციაში № 15, რომელიც ეკუთვნის XIII საუკუნის 50-იან წლებს და რომელიც შეიცავს კონსო ანტინეპოლის საპატრიარქოს ეპარქიების ნუსხას, რიზეს ეპოქია კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს ჩემადგენლობაში დასაბეღლებული არაა.

³ ტიმოთე მთავარეპისკოპოსი ტუმინა „საქართველო“ ხმარობს ორნაირი ფორმით: „საქართველო“ და „საქარსველონი“. ტიმოთეს ტექსტში გამოთქმა „საქართველოთი“ (=საქართველოთა) ნიშნავს იმასვე, რასაც „საქართველოსი“. (აღვნიშნაუთ ამასთან, რომ ფორმა „საქართველოთი“ ძვილ-ქართულად აღიხსნება: არცთუ როგორც „საქართველოსული“; შეადარეთ ადრე აღნიშნულის მართიანეში, გვ. *578/294: „მამული ლიპარიტეთი“ = მამული ლიპარიტისეული).

⁴ იხ. ტიმოთე მთავარეპისკოპოსის „მოხილვა... აღმოსავლეთისა ადგილთა“, — ავტოგრაფული ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა Q.80, გვ. 122მ. (დასახელებული ავტოგრაფული ხელნაწერი გამოსვლინებულთა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის უფროსი მკვნიერი თანამშრომლის ელ. მეტრეველის მიერ).

წიფოს სამხრეთი საზღვარი აღწევს მდ. არაქსამდე, აღმოსავლეთი საზღვარი — კასპიის ზღვაზე; შარვანა ისევე ვასალური ქიყანაა საქართველოს სახელმწიფოსი). მე 13 საუკუნის მანძილზე პოლიტიკური კავშირი ტრაპიზონის სამეფოსი საქართველოს სახელმწიფოსთან არ შეწყვიტილა. ტრაპიზონის სამეფოს ისტორიის მიმოხილვაში ბიზანტიისტი თ. უსპენსკი სრულის სამართლიანობით საჭიროდ თელის საგანგებოდ ხაზი გაუსვას უახლოეს კავშირს, რომელიც არსებობდა ამ ეპოქაში საქართველოსა და ტრაპიზონის სამეფოს შორის; იგი წერს: „...Нельзя не выдвинуть и не подчеркнуть с особенной настойчивостью те условия, которые в начале XIII века, и почти целое столетие после образования империи, указывают на преобладание в Трапезунте местных, лавианских тенденций, поддерживаемых из Тифлиса и являвших поддержку в симпатиях трапезунтских царей“¹.

მაგრამ მე-13 საუკუნის ზეორე ნახევარში, როდესაც საქართველოს პოლიტიკური მთლიანობა დაირღვა და სახელმწიფო ორ სამეფოდ გაიყო, ქართული გავლენა ტრაპიზონის სამეფოში კლებას იწყებს და ტრაპიზონის მმართველი წრეების ცალკე ჯგუფებში თავს იჩენს პრო-ბიზანტიური ტენდენციები².

ამას შედეგად მოჰყვა ბრძოლა პოლიტიკური 'ჰეგემონიისათვის ტრაპიზონის სამეფოში ქართულ და ბიზანტიურ პარტიებს შორის, რაც წლები გაგრძელდა.

1281 წელს ტრაპიზონში მოხდა გადატრიალება, ორგანიზებული ქართული პარტიის მიერ. მეფე იოანე II, რომელიც სიძე გახდა ბიზანტიელ პალეოლოგთა სამეფო სახლისა, მეფობიდან გადააყენეს და დაატყვევეს კიდეც. შემდეგ იგი თუმცა განათავისუფლეს პატიმრობიდან, მაგრამ ტრაპიზონში დარჩენის ნება აღარ მისცეს და გადაყენებული მეფე გაემგზავრა კონსტანტინეპოლში.

1282 წელს დასავლეთ საქართველოს მეფე დავით ნარინი დაიქვრს ტრაპიზონის სამეფოს ტერიტორიას ვიდრე ტრაპიზონამდე და ალყას შემოარტყამს ტრაპიზონს³.

იმავე 1282 წელს ქართული პარტია მეფედ დასვა მთეოდორას, მანუელ I-ის ასულს, რომელიც დედით ქართველი იყო (თეოდორა იყო შვილი რუსუდან დედოფლისა, რომელიც იბერიიდან იყო გამოთხოვილი).

1283 წელს კონსტანტინეპოლიდან ბრუნდება იოანე II, რომელიც კავშირს აბამს ქართულ პარტიასთან. 1285 წელს გადაყენებულ იქნა დედოფალი თეოდორა, რომელიც გადაიხვეწება იბერიაში. ხელახლა გამეფდება იოანე II, რომელიც ამ დროიდან მოქმედებს ქართულ პარტიასთან თანხმობით.

¹ იხ. Ф. Успенский. Очерки из истории Трапезунтской империи, 1929 წ., გვ. 60.

² ბიზანტიური გავლენა იხრდება მას შიგნით, რაც პალეოლოგთა დინასტია კონსტანტინეპოლში დაჰკვიდრდა 1261 წლიდან. ბიზანტიური გავლენის ზრდის მაჩვენებელია, კერძოდ, ფაქტები საეკლესიო ცხოვრებიდან. ასე, რიხეს საეკლესიო ოლქზე, რომელიც მთელი საუკუნეები ქართულ ეკლესიაში შედიოდა (ვიდრე XIII საუკუნის 50 წლებამდე. იხ. ზემოთ, გვ. 278 და 235, 240), პრეტენზიას ახადებს კონსტანტინეპოლის საპატრიარქო. იმ დროს, როდესაც ნოტიციაში № 14, რომელიც XIII საუკუნის 50-იან წლებს ეკუთვნის, რიხეს ეპარქია არაა დასახულებული კონსტანტინეპოლის საპატრიარქოს შემადგენლობაში. იგი უკვე შეტანილია ამის შემდგომი დროის ნოტიციაში № 15, რომელიც XIII ს-უკუნის 60-იან წლებით თარიღდება (იხ. ზემოთ, გვ. 235, 240.)

³ იხ. მიქაელ პანარეტი, ტრაპეზუნტის ქრონიკა, 1905 წ., გვ. 2.

იბ) ტრაპიზონის სამეფო მე-13 საუკუნის დასასრულიდან — 1451 წლამდე.

1297 წელს ტრაპიზონში გამეფდა იოანე II-ის შვილი ახალგაზრდა ალექსი II, რომლის ძეგობა გაკრძედა 1297 - 1330 წლების მანძილზე. ეს არის ხანა ქართული პარტიის ჰეგემონიისა ტრაპიზონის სამეფოში.

აქ საქიროა აღენიშნოთ ამათთან, რომ მე-13 საუკუნის დასასრულს მოხდა მეტად ჩნიშვნელოვანი ცვლილება ტრაპიზონის სამეფოს ტერიტორიულ მოცულობაში. საკუთრივ ლაზია ანუ რიხეს მხარე, რომელიც მე-13 საუკუნის მანძილზე წარმოადგენდა საერთო სამფლობელოს ტრაპიზონის მეფისა და საქართველოს მეფეთ. მეფისა, ჩამოშორდა ტრაპიზონის სამეფოს და გაერთიანდა საქართველოსთან. 1282 წელს რიხეს მხარე დაიჭირა დავით ნარინმა (როდესაც დავითმა ალყა შემოარტყა ტრაპიზონს)¹, ხოლო 1297 წლიდან ლაზია ანუ რიხეს მხარე მთელის მოცულობით (როგორც საკუთრივ რიხეს ოლქის, ისე სოტიროპოლის ანუ რკინის-პალოს ოლქის შემადგენლობით) — შედის მესხეთის (სამცხე-საათაბაგოს) შემადგენლობაში². ამ დროიდან მოკიდებული რიხეს მხარე ანუ საკუთრივ ლაზია საქართველოს განუყოფელი ნაწილია, მას საქართველოსთან საერთო ისტორია აქვს.

რიხეს მხარის ანუ საკუთრივ ლაზიის ისტორიას მე-13 საუკუნიდან მოკიდებული, მას შემდეგ, რაც იგი საქართველოს უშუალო ნაწილი გახდა, ჩვენ ისევ დაუფიქრებელი. აქ კი ჯერ შევჩერდებით საკუთრივ ტრაპიზონის სამეფოს ისტორიის მთავარ მომენტებზე — მოქდევნო პერიოდში.

ალექსი II-ის მეფობის პერიოდი, 1297 - 1330 წლები, არის, როგორც მოვიხსენეთ, ხანა ქართული პარტიის ჰეგემონიისა ტრაპიზონის სამეფოში. თვით ალექსი II ოჯახურადაც დაუნათესავდა მესხეთის მთავართა სახლს (ალექსი II-მ შეირთო მესხეთის მთავარს ბექას ასული). ამ გზით იგი დაუკავშირდა აგრეთვე საქართველოს საწეფო სახლსაც³.

ალექსი II-ის დროს ტრაპიზონში დგას ქართული გარნიზონები. სამხედრო ძალა-უფლება ტრაპიზონის სამეფოში ქართველთა ხელშია⁴.

პოლიტიკური კავშირი ტრაპიზონისა საქართველოს სახელმწიფოსთან საკუთრებით განმტკიცდა გიორგი ბრწყინვალის დროს, რომელმაც საქართველოს სახელმწიფოს ისევ დაუბოუნა ძველი ძლიერება. გიორგი ბრწყინვალის ხანაში, როგორც ეს დასტურდება საქართველოს სახელმწიფოს კარის გარეგნიდან, ტრაპიზონის მეფე ძველებურად ითვლებოდა საქართველოს სახელმწიფოს ვასალთა შორის⁵.

¹ იხ. მიქაელ პანარეტი, ტრაპიზონის ქრონიკა, loc. cit.

² იხ. გამთაბამეფრელი, გვ. *915/758 და შეიიშუა 7, ქართლის ცხოვრება, I, 1849 წ. მ. ბროსეს გამოცემა, გვ. 433. შეად. ქვემოთ, გვ. 287-289.

³ ბექას მეოუ ასული ალის დედა საქართველოს მეფის გიორგი ბრწყინვალისა. საერთოდ უნდა აღენიშნოთ, რომ ტრაპიზონის მეფეები მე-13 — 14 საუკუნეებში დინასტიურად დაკავშირებული არიან საქართველოს სამეფო სახლთან.

⁴ Georgii Pachimeris de Andron. Paleologo, ed. Bonnue. ტ II, გვ. 449 (= Известия гр.-византских и русск.-византских историков о Константи, კ. განის გამოცემა II, 1890 წ., გვ. 207-210).

⁵ იხ. საქართველოს ხელმწიფის კარის გარეგნა, § 20 (ე. თაყ-იზვილის გამოცემა. 1920 წ., გვ. 12).

ალსანიშნავია ამასთან, რომ ალექსი II-ის გარდაცვალების შემდეგ ისევე იჩინა თავი ერთხანს პრო-ბიზანტიურმა ტენდენციებმა და ისევე განახლდა ბრძოლა ქართულ და ბიზანტიურ პარტიებს შორის. ამ ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდია ტრაპიზონის დაქვერება 1341 წელს ქართულ-ლაზურის ჯარებით¹.

მომდევნო პერიოდში, მე-14 საუკუნის ბოლო ნახევარსა და მე-15 საუკუნის პირველ ნახევარში, ტრაპიზონის სამეფოს ტერიტორია თანდათან მცირდება. ტრაპიზონის სამეფოს ქართული გარნიზონები და ადგილობრივი ქანური ჯარები ვერ უძლებენ მოზღვავებულ თურქობას და ტრაპიზონის მხარის სანაპიროებს თანდათანობით იკერენ თურქები. ხოლო 1461 წელს, ოსმალეთის სულთანმა ბაიაზეთმა აიღო ტრაპიზონი. ტრაპიზონის ქანურმა სამეფომ, შექმნილმა თამარ მეფის მიერ, რომელმაც ორ საუკუნე ნახევარი იარსება, შესწყვიტა არსებობა.

*

ი. გ. საკუთრივ ლაზია (რიზეს მხარე, აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთი) მე-13 საუკუნის დასასრულიდან მე-16 საუკუნის ნახევრამდე (1282—1547 წ.წ.),

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, საკუთრივ ლაზია (რიზეს მხარე, აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთი), რომელიც მე-13 საუკუნეში იყო კონდომინუმი (საერთო სამფლობელო) საქართველოს სახელმწიფოსი და ტრაპიზონის სამეფოსი, მე-13 საუკუნის 80-იან წლებში ჩამოშორდა ტრაპიზონს და შეუერთდა საქართველოს, რომლის განუყოფელ ნაწილსაც ეს მხარე ყოველთვის შეადგენდა ისტორიულ წარსულში.

სახელდობრ, როგორც აღნიშნეთ, საკუთრივ ლაზია (რიზეს მხარე, აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთი) ჯერ 1282 წელს დაიქირა დასავლეთ საქართველოს მეფემ დავით ნაონიმა; ხოლო 1297 წლიდან ეს მხარე შეუერთდა მესხეთს (სამცხე-საათაბაგოს).

დაწყებული ამ დროიდან, მომდევნო ორ საუკუნე ნახევრის მანძილზე, 1297 წლიდან — ვიდრე 1463 წლამდე ლაზია (აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთი) არის ნაწილი მესხეთისა (სამცხე-საათაბაგოსი).

შემდეგი პერიოდი, 1463 წლიდან — 1547 წლამდე, საკუთრივ ლაზია (აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთი) შედის ხან გურიის სამთავროში, ხან კი ისევ მესხეთში (სამცხე-საათაბაგოში); სახელდობრ:

1463—1502 წლებში იგი არის ნაწილი გურიის სამთავროსი;

1502—1535 წლებში არის ნაწილი მესხეთისა (სამცხე-საათაბაგოსი);

ხოლო 1535—1547 წლებში ისევ ნაწილი გურიის სამთავროსი².

ამრიგად, საკუთრივ ლაზია (აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთი) უკანასკნელი პერიოდის, სამ საუკუნე ნახევრის განმავლობაში, 1282 წლიდან — 1547 წლამდე, საქართველოს უშუალო ნაწილს წარმოადგენდა.

აქ საჭიროა აგრეთვე შევჩერდეთ საქითხზე, თუ როგორი იყო ამ ეპოქაში ტერიტორიული მოცულობა საკუთრივ ლაზიისა (აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთისა), რომელიც საქართველოს ფარგლებში შედიოდა და რომელიც ქართულ

¹ იხ. მიქაელ პანარტი, ტრაპეზუნტის ქრონიკა, 1905 წ., გვ. 5.

² იხ. ჟამთააღმწერელი, გვ. *915/758 და შენიშვნა 7, ქართლის ცხოვრება, I, 1849 წ., მ. ბროსეს გამოცემა, გვ. 43; ვახუშტი ბაგრატიონი, ისტორია საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, II, 1847 წ., გვ. 154, 158, 160, 189, 190—1; ბერი ვგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940 წ., გვ. 49, 69.

წყაროებში, XIII—XIV საუკუნეებიდან მოკიდებული, უპირატესად ქანეთის სახელით არის ცნობილი. ირკვევა, რომ ეს მხარე ამ ეპოქაში შეიცავდა რიზეს მხარის ტერიტორიას მთელის მოცულობით, ე. ი. როგორც საკუთრივ რიზეს ოლქს, ისე სოტიროპოლის (სატრაპელას) ანუ რკინის-პალოს ოლქს.

წყაროებში ამ მხარის ტერიტორიული მოცულობის გამო შემდეგი ცნობებია დაცული.

ა) XIV საუკუნის ქართველი ისტორიკოსის ჯამთაღმწერელის თხზულებაში აღნიშნულია, რომ 1297 წელს მესხეთს (სამცხე-საათაბაგოს) შეუერთდა „ს რ უ ლ ი ა დ ი ქ ა ნ ე თ ი“¹; იგულისხმება ტრაპიზონის დასაყვებით მდებარე მხარე.

ბ) საქართველოს სამეფო-სამთავროთა საზღვრების აღწერილობაში, რომელიც შეტანილია ვახტანგ VI-ის სწავლულ კაცთა კომისიის მიერ შედგენილს „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ და რომელიც გადმოგვცემს იმ მდგომარეობას, რომელიც არსებობდა XV საუკუნის მეორე ნახევარში, აღნიშნულია, რომ გურიის სამთავროს ფარგლებში შედიოდა, გარდა საკუთრივ გურიის ტერიტორიისა, — „ა ქ ა რ ა და ქ ა ნ ე თ ი, რ კ ი ნ ი ს - პ ა ლ ო ს ა ქ ა თ ი“².

გ) ვახუშტი ბაგრატიონის შრომაში „აღწერა სამეფოისა საქართველოისა“ მოცემულია აღწერილობა ქანეთისა (საკუთრივ ლაზიისა) იმ საზღვრებში, რომელშიც იგი არსებობდა უკანასკნელ საუკუნეთა მანძილზე, XIII—XVI საუკუნეებში, როდესაც ეს მხარე სამცხისა და გურიის ნაწილს შეადგენდა.

ვახუშტის ქანეთი აღწერილი აქვს როგორც შემადგენელი ნაწილი მესხეთისა (სამცხე-საათაბაგოსი), ვინაიდან ბოლო საუკუნეებში ქანეთი უპირატესად მესხეთს ეკუთვნოდა (1297—1463 და 1502—1535 წლები); გურიის საზღვრებში კი, როგორც მოხსენებული გვქონდა, ქანეთი ნაკლები ხანი შედიოდა (1463—1502 და 1535—1547 წლები). თვით ვახუშტი წერს: „გურიელს ეპყრა ოდესმე აქარა, ქანეთი, არამედ არს სამცხისა (მესხეთისა), ამისათვის მუნვე (სამცხესა თანა) დაწერეთ“³.

ვახუშტი მხარის აღწერილობაში შემდეგს გადმოგვცემს:

„ხოლო ბაიბურდისა (აღმოსავლეთით)⁴ და ფორჩხის სამხრით⁵, ქანეთის მთას იქით, არს ქანეთი და უწოდებენ ლაზსავე. არს ესე შავი ზღვის კიდის წადევნებით გონიიდან ტრაპიზონის საზღვრამდე... არს ქალაქი მცირე რიზა ზღვის კიდზე... ხოლო ამის დასავლეთით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინლა ზღვამდე, ქანეთის მთილამ, და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა [— ტრაპიზონისა, რომლის სათავეში იდგნენ კომნენები, საბერძნეთ-ბიზანტიის იმპერატორთა ყოფილი დინასტია]. აქა არს რკინის-პალო, აქავე არს სატყეპელა (— სატრაპელა, სოტიროპოლი)“⁶.

დ) ვახტანგ VI-ის კომისიის „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ სატყეპელა (სატრაპელა) მოიხსენება XVI საუკუნეში როგორც პუნქტი, მდებარე გურიის სამთავროს სამხრეთ ისტორიულ საზღვართან⁷.

¹ იხ. ჯამთაღმწერელი. loc. cit.

² იხ. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940 წ., გვ. 49.

³ იხ. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა, 1941 წ., გვ. 142.

⁴ ბაიბურდი — ზემო კოროხის ხეობაში.

⁵ ფორჩხა — თანამედროვე ბორჩხა, კოროხის ხეობის ქვემო ნაწილში.

⁶ იხ. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა, გვ. 142.

⁷ იხ. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940 წ., გვ. 71.

გ) რომ საქართველოში ამ ეპოქაში შედიოდა რიზეს მხარე მთელის მოცულობით, ე. ი. როგორც რიზეს ოლქი, ისე სოტიროპოლის ანუ რკინის-პალოს ოლქი, ეს დასტურდება აგრეთვე ამ ეპოქის საეკლესიო ტერიტორიული დანაწილებიდან. სახელდობრ დასახელებულ ეპოქაში რიზეს ოლქი და სოტიროპოლის ანუ რკინის-პალოს ოლქი გაერთიანებული იყო ერთ საეკლესიო ერთეულად, ლაზის ანუ ოფი-სოტიროპოლის (სატრაპელას) სამიტროპოლიტოს სახელწოდებით, რომელიც შედიოდა საქართველოს ეკლესიაში (იხ. ზემოთ, გვ. 261—263).

ამრიგად ტერიტორიული მოცულობა საკუთრივ ლაზისა (აღმოსავლეთ ქანეთ-ლაზეთისა) დადგენილად უნდა ჩაითვალოს.

ეს რაც შეეხება საკუთრივ ლაზიას, რიზეს მხარეს (აღმოსავლეთ ქანეთ-ლაზეთს). ხოლო გარდა ლაზიისა, საქართველოს სახელმწიფოს კუთვნილებას შეადგენდა აგრეთვე, როგორც აღნიშნული გვექონდა, ქალდიის ვერცხლის მაღაროები ქ. ქალდიის (ვერცხლის-ციხის) ზონაში (იხ. ზემოთ, გვ. 285)¹.

გადავიდეთ ამის შემდეგ აღმოსავლეთ ქანეთ-ლაზეთის ისტორიის ბოლო პერიოდზე, როდესაც ამ მხარეს დაიპყრობს ოსმალეთი.

ქართული წყაროების ცნობებით ბრძოლა ქანეთისთვის ოსმალეთთან გრძელდებოდა დროგამოშვებით თითქმის ძველი საუკუნე, XV საუკუნის მეორე ნახევრიდან XVI საუკუნის შუა წლებამდე.

შემოტევა ოსმალეთისა რიზეს მხარეზე (საკუთრივ ლაზიაზე) დაწყებულა მას შემდეგ, რაც ოსმალებმა დაიპყრეს ტრაპიზონი 1461 წელს.²

ოსმალეთის შემოტევა გაძლიერებულა XVI საუკუნის დასაწყისში³, მაგრამ საქართველომ შესძლო ლაზიის (აღმოსავლეთ ქანეთ-ლაზეთის) შენარჩუნება XVI საუკუნის შუა წლებამდე.

ლაზეთის ბედი გადაწყდა XVI საუკუნის 40—50-იან წლებში, როდესაც ოსმალეთმა დაიპყრა სამხრეთ საქართველოს პროვინციები, და მათ შორის მოაადინა აგრეთვე ოკუპაცია ლაზიისა.

როგორც ცნობილია, ამ დროს, XVI საუკუნის 40-იან წლებიდან მოკიდებული, ოსმალეთი იწყებს გენერალურ შემოტევას საქართველოს წინააღმდეგ. მთავარი ეტაპები იმ ბრძოლებისა, რომლებიც გაიმართა XVI საუკუნის 40-იანი წლებიდან, შემდეგი იყო.

1543 წელს ოსმალეთის დიდი ლაშქარი, სულთან სულეიმან II ის მხედართმთავარის მუსტაფა-ფაშის სარდლობით, შემოვიდა მესხეთში. ოსმალთა ჯარმა ააოხრა და დაარბია მესხეთის სამხრეთი პროვინცია ტაო. მაგრამ შემდეგ ოსმალებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს. გადამწყვეტი ბრძოლა ოსმალთა და ქართველთა ძალებისა მოხდა კარაგაქს, ტაოში. ქართველთა ჯარმა (იმერთა მეფის ბაგრატ II-ის მოთავეობით) გაანადგურა მტრის ლაშქარი.

¹ ტიპოვ მთავარეპისკოპოსის ცნობით საქართველოს სახლერეზში შედიოდა რიზეს მხარე (ქალაქი რიზე, ტაოეთის ცნობით, არის „ძველითგან თქმული საქართველოთა სახლერე“, იხ. დასაულებული ავტორის ხელნაწი, გვ. 22). ასევე გიემიშანე—ქალდია (იხ. ზემოთ, გვ. 285).

² იხ. ეახუშტი, ისტორია საქართველოსი, ქართლის ცხოვრება, II, 1851, გვ. 155.

³ იხ. იქვე, გვ. 158.

ოსმალთა ჯარი, რომელიც 22.000 ჯარისკაცისაგან შედგებოდა, მოსპობილ იქმნა და ოსმალთა ჯართან ერთად ოსმალთა დაილუპა სარდლობაც¹.

ამის შემდეგ, 1545 წელს, სულთან სულეიმან II-ემ საქართველოს წინააღმდეგ დასძრა ანატოლიის გაერთიანებული სამხედრო ძალები. თურქები შემოვიდნენ შესხეთის სანაპირო მხარეში — ბასიანში. ოსმალთა ჯარს ბასიანში შეეგება საქართველოს სამეთუ-სამთავროების გაერთიანებული ლაშქარი (იმერეთის მეფის ბაგრატ II-ის და ქართლის მეფის ლუარსაბ I-ის მოთავეობით). გენერალური ბრძოლა ბასიანში მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა ამ ბრძოლაში დაჰკარგეს ოთხჯერ მეტი ჯარისკაცი, ვიდრე ქართველებმა, რიცხვითი დიდი უპირატესობა მაინც ოსმალთა მხარეზე იყო; საბოლოოდ გამარჯვება ოსმალებს დარჩა².

ბასიანის ეს ბრძოლა 1545 წლისა — გადამწყვეტი იყო. ქართველთა გაერთიანებული ლაშქრის განადგურების შემდეგ ოსმალებს გზა ხსნილი ჰქონდათ საქართველოსაკენ.

ამის შემდეგ, 1547 წელს, ოსმალეთი აწყობს სამხედრო ექსპედიციას გურიის სამთავროს წინააღმდეგ. ოსმალებმა ამ დროს დაიპირეს რიზეს მხარე (აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთი), შემოვიდნენ აქარასა და ქობულეთში და აიღეს ბათუმი (რომელიც ამ დროს გურიის სამთავროს დედაქალაქს წარმოადგენდა). თუმცა გურიის სამთავროს ჯარები შედარებით მცირერიცხოვანი იყო, მათ მაინც შესძლეს ოსმალთა დამარცხება, წაართვეს ბათუმი ოსმალებს და გადაარქვეს ოსმალები ქოროხს გაღმა. ქართულ საისტორიო წყაროებში 1547 წლისათვის მოთხრობილია: „მოვიდა სპა ხონტქრისა გურიისა ზედა... მიუღეს გურიელს ქანეთი, დაუწყეს შენება ციხესა ბათომს... ეწყო (ებრძოლა) გურიელი ოსმალთა, და თავდასხმით აოტნა (დაამარცხა, გააქცია) ოსმალნი ხმელეთს ზედა, და მოსრნა (მოსწყვიტა) იგინი; და სხვანი შეყადნენ კატარღეთა შინა და განვიდეს ქოროხს იქით“³.

მაგრამ გურიამ თავისი მცირე ძალებით ვეღარ შესძლო დაებრუნებია თურქთა მიერ დაპყრილი ის ტერიტორიები, რომლებიც ქოროხის სამხრეთით მდებარეობდა. ოსმალებმა ამ დამარცხების შემდეგ ისევ მოიციეს ძალა და დამკვიდრდნენ ქოროხის სამხრეთით, რიზეს მხარეში, აღმოსავლეთ ქანეთ-ლაზეთში; აქ, ქანეთ-ლაზეთის ჩრდილო საზღვარზე, გონიაში, მათ დაიწყეს სიმაგრის შენება. ქართულ მატყიანებში აღნიშნულია, რომ ოსმალნი ქოროხის სამხრეთით განდევნის შემდეგ — „მივიდეს გონიას, და იწყეს შენება ციხისა, და გამაგრდეს ოსმალნი, და იწყეს მძლავრება, ამოსწყვიტეს ქანეთი და თვით დაიპურეს“⁴.

¹ იხ. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940 წ., გვ. 64—65. — შედგვი ქართლის ცხოვრებისა (ქართლის ცხოვრება, II, 1854 წ., გვ. 275; ქართლის ცხოვრება, მარიამის ვარიანტი, 1905 წ., გვ. 920). — იკორათის ქრონიკონები (ქრონიკები, II, 386). — ვახუშტი ბაგრატიონი, ისტორია საქათველოსი (ქართლის ცხოვრება, II, 1854 წ.), გვ. 160, 189.

² იხ. ბერი ეგნატაშვილი ახალი ქართლის ცხოვრება, 1940 წ., გვ. 64—65. — შედგვი ქართლის ცხოვრებისა (ქართლის ცხოვრება, II, 1854 წ., გვ. 275—276; ქართლის ცხოვრება, მარიამის ვარიანტი, 1905 წ., გვ. 920—922). — ვახუშტი ბაგრატიონი, ისტორია საქათველოსი (ქართლის ცხოვრება, II, 1854 წ.), გვ. 23, 161; ქრონიკონები (იქვე), გვ. 243.

³ იხ. ვახუშტი ბაგრატიონი, ისტორია საქათველოსი (ქართლის ცხოვრება, II, 1854 წ.), გვ. 191—1. შეად. ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940 წ., გვ. 69—70: შედგვი ქართლის ცხოვრებისა (ქართლის ცხოვრება, II, 1854 წ., გვ. 277—8. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, 1905 წ., გვ. 924—5).

ქანეთის დაპყრობის შემდეგ 1547 წელს, თურქები თანდათან აფართოებენ ოკუპაციის ზონას სამხრეთ საქართველოში. 1550 წელს ოსმალებმა დაიპირეს ტაოთა მხარე. 1552 წელს ოსმალებმა დაიკავეს შავშეთ-კლარჯეთი (ვიდრე არსიანის მთაჲდ) და არტაან-კოლა. ზოლო მე-16 საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალებმა მოახდინეს ოკუპაცია მთელი მესხეთისა.

აქ საქიროა აღნიშნოთ. რომ ოსმალთა მფლობელობის დამყარების შემდეგაც სამხრეთ საქართველოში, ისევ გრძელდებოდა ბრძოლა, მოსახლეობა. წინააღმდეგობას უწევდა ოსმალების ბარბაროსულ რეჟიმს, რასაც ოსმალეთი უპასუხებდა სასტიკი რეპრესიებით, დამსჯელი ექსპედიციებით. ასე იყო ეს მესხეთში, ასე იყო ეს ქანეთშიაც. წყაროებში საგანგებოდ აღნიშნულია, რომ ოსმალეთმა განსაკუთრებული სისასტიკე გამოიჩინა მოსახლეობის მიმართ ქანეთში, სავსებით დაარბია ქვეყანა და ამოსწყვიტა ნაწილი მოსახლეობისა. მატიანებში — „ახალ ქართლის ცხოვრებაში“ — აღნიშნულია, რომ ქანეთში დამკვიდრების შემდეგ 1547 წელს „ოსმალთა... ქანეთი ამოწყვიტეს“¹. (შეადარეთ მატიანეთა მეორე ტექსტის „ქართლის ცხოვრების შედეგის“ ცნობა: „გამაგრდეს ოსმალნი, და იწყეს მძლავრება, ამოსწყვიტეს ქანეთი“) ².

ოსმალებმა, მას შემდეგ, რაც მათ ფეხი მოიკიდეს ქანეთ-ლაზეთში, დაიწყეს აქ მამადიანობის გავრცელება. სარწმუნოებრივი დევნის შედეგად ნაწილი ქრისტიანული მოსახლეობისა ქანეთიდან გადმოხიზნულა შიდა საქართველოში. აქვე, შიდა საქართველოში, სახელდობრ გურიაში, გადმოუტანიათ დროებით, მე-16—17 საუკუნეთა საზღვარზე, ლაზიის სამიტროპოლიტო კათედრა და ახლად დაარსებული საეკლესიო ცენტრისათვის გურიაში — უწოდებიათ, როგორც აღნიშნული გექონდა, იგივე ძველი, ლაზეთიდან მოტანილი სახელი, სატრაპელა.

ჩვენ უკვე გექონდა აგრეთვე საუბარი იმ მზრუნველობის შესახებ, რომელსაც იჩენდა ქართული ეკლესია მომდევნო პერიოდში, მე-17 საუკუნის მანძილზე, ქანეთ-ლაზეთის ადგილობრივი ქრისტიანული მოსახლეობისადმი — იმ იმედით, რომ ოსმალეთი, ომების დამთავრებისა და მდგომარეობის ერთგვარი სტაბილიზაციის შემდეგ, არ შეუშლიდა ქრისტიანულ საეკლესიო ცენტრის არსებობას ქანეთ-ლაზეთში, ქართულ ეკლესიას აღუდგენია XVII საუკუნის 40-იან წლებში ოფის (ლაზიის) სამიტროპოლიტო. მაგრამ ოსმალეთის ხელისუფალთა დევნის გამო ეს ქართული საეკლესიო ცენტრი ლაზიაში ისევ მოსპობილა. ოსმალეთი, კავკასიაში არსებული სხვადასხვა ქრისტიანული ორგანიზაციებიდან (ქართველთა, ბერძენთა, სომეხთა და კათოლიკეთა ეკლესიებიდან), განსაკუთრებით მტრულად ეკიდებოდა ქართულ ეკლესიას, რადგან საქართველო ამ დროს ერთადერთ პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა კავკასიაში და ოსმალეთის მთავრობა ქართულ ეკლესიას თვლიდა საქართველოს პოლიტიკური გავლენის გამტარებლად ოსმალეთის მიერ დაპყრობილ სამხრეთ საქართველოს მხარეებში.

ასე მიმდინარეობდა ეს საუკუნოვანი ბრძოლები ქართველი ხალხისა სამხრეთ საქართველოსათვის და კერძოდ ლაზეთ-ქანეთის მხარეებისათვის.

¹ იხ. ბერი ვგნ ტაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, I ოც. იქ.

² იხ. შედეგი ქართლის ცხოვრებისა, I ოც. იქ. (შეად. ვახუშტი ბაგრატიონი, ისტორია საქართველოსი, I ოც. იქ.).

ქართველი ხალხი, სამხრეთ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ ოსმალეთის მიერ, არ შერიგებია საქართველოს ამ ძველი ისტორიული ნაწილებს, მესხეთისა და ქანეთ-ლაზეთის მხარეთა დაკარგვას.

ალსანიშნავია, რომ მე-17 საუკუნეში, ლაზეთ-ქანეთის მხარის მკვიდრი, ლაზიის მიტროპოლიტი გერმანე, რომელიც 1646 წელს საქართველოდან რუსეთს გაემგზავრა და მოსკოვში წარუდგა რუსეთის მეფეს ალექსი მიხეილისძეს, საჭიროდ თელის ყველა შემთხვევებში ხაზი გაუსვას იმ გარემოებას, რომ მხარე, საიდანაც არის იგი (ლაზია) არის საქართველოს ქვეყანა (Грузинская земля, старая Грузинская земля, старая Грузия, Иверская земля)¹.

ალსანიშნავია აგრეთვე უწყება ცნობილი მოგზაურის ტიმოთე მთაფრეთისკოპოზისა, რომელიც მე-18 საუკუნის ნახევარში იყო შუა ქანეთ-ლაზეთში, ქალდიის ოლქში, და რომლის ცნობებიდან ჩვენ ვგებულობთ, რომ ქანეთ-ლაზეთის მოსახლეობაში, მიუხედავად თურქთა ხანგრძლივი ბატონობისა, არ იყო შენელებული იმისი შეგნება, რომ ქანეთ-ლაზეთი ისტორიულად საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა (იხ. ზემოთ, გვ. 285).

მე-18 საუკუნის დასასრულს, იმ მოლაპარაკების დროს, რომელსაც საქართველოს (ერეკლე II-ის) მთაფრობა აწარმოებდა რუსეთთან და რომელიც დასრულდა 1783 წლის ტრაქტატის დადებით, ერთ-ერთ ძირითად საკითხად იდგა დაბრუნება საქართველოსათვის სამხრეთ-საქართველოს ტერიტორიებისა (ისტორიული სამცხე-საათაბაგოსი, მესხეთისა და ლაზიისა). ამ ტრაქტატით რუსეთმა აიღო ვალდებულება მიეღო ყოველი ზომები, როგორც პოლიტიკურ-დიპლომატიური, ისე სამხედრო, რათა დაებრუნებინა საქართველოსათვის ძველი ისტორიული ქართული ქვეყნები. ამან გამოსახულება ჰპოვა რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატის მეოთხე სეპარატულ არტიკულში; აქ ჩვენ ვკითხულობთ (მოგვეყვას ტრაქტატის რუსული ტექსტი):

„Его императорское величество (император России) обещает в случае войны употребить всевозможные старания, а в случае мира настоящие, — о возвращении земель и мест, издавна к Царству Карталинскому и Кахетинскому принадлежавших, кои так и останутся во владении царей тамошних, на основании трактата о покровительстве“.

ალსანიშნავია, რომ დასახელებულ ტრაქტატში ერეკლე II მოიხსენება ტიტულით: „მემკვიდრე მფლობელი სამცხე-საათაბაგოსი“, რითაც ხაზგასმულია, რომ საქართველო არ სცნობდა ოსმალეთის მიერ ოკუპაციას სამცხე-საათაბაგოს ქვეყნისა, რომელშიაც ისტორიულად, მესხეთთან ერთად, შედიოდა ლაზია².

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ სპეციალურ ექსკურსს ქანეთ-ლაზეთის მხარეთა ისტორიის შესახებ.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 263.

² ალენიშნავთ ამასთან, რომ 1783 წლის ტრაქტატის დადების შემდეგ, როდესაც რუსეთი 1791 წელს მოლაპარაკებას უნდა შესდგომოდა ოსმალეთთან, ერეკლე II-ის ელჩი აცნობებდა რუსეთის მთაფრობას:

„რადგანაც ტრაქტატსა შინა აღთქმულია, რომ წარმომდინარეობითა დროისათა ჩვენს დაკარგულს სამფლობელოს ჩვენ მივიღებთ რუსეთის სატურველის ძალით და ან სხვა საქმით

ჩვენ გავეცანით ცნობებს დასავლეთ საქართველოს—„აფხაზეთის“ სამეფოს შესახებ.

ჩვენ გავეცანით აგრეთვე, დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით, ცნობებს სამხრეთ კოლხეთის, ქანეთ-ლაზეთის მხარეთა შესახებ.

დაგვრჩენია გავაკეთოთ დასკვნები.

წარმოდგენილი მიმოხილვიდან ირკვევა შემდეგი.

1. დასავლეთ საქართველოს ის ნაწილი, რომელიც საშუალო საუკუნეებში აფხაზეთის (საქუთრივ აფხაზეთის მხარეების) სახელწოდებით არის ცნობილი, მოიცავდა ტერიტორიას კელასურის კედლიდან ვიდრე ძველ ლაზიკამდე (ნიკოფსიამდე), რაც თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით შეიცავს შემდეგ ერთეულებს: ახლანდელი აფხაზეთის ასსრ-ის ჩრდილოეთ ნაწილს, ადღერის რაიონს, სოჭის რაიონს და ტუაფსის რაიონს.

2. აფხაზეთის ტერიტორია ზემოთ-აღნიშნულ საზღვრებში (ე. ი. კელასურიდან ძველ ლაზიკამდე)— ისტორიულად ძირეული ქართული ქვეყანაა. ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში იგი დასახლებული იყო ქართველ ტომებით, სახელდობრ აქ მოსახლეობდა ქართველ ტომთა სამი შტო: მესხები (იგივე აფხაზები), კოლხები (მეგრულ-ლაზები) და სვანები.

3. დასავლეთ საქართველოს აფხაზეთის სამეფოს დაარსების ისტორია შემცდარად არის გაშუქებული თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში.

სახელდობრ, თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს დაარსების გამო ის შეხედულებაა მიღებული, ვითომც მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა დაპყრობა დასავლეთ საქართველოსი აფხაზების მიერ (რომლებიც არაქართული წარმოშობის ტომად არის მიჩნეული) და ვითომც ამის შემდეგ მომდევნო ორი საუკუნე (მე-9—10 საუკუნეები) ეს არის ერთგვარად „აფხაზური ერა“ დასავლეთ-საქართველოს ისტორიაში.

სინამდვილეში არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა.

როგორც ეს გამოირევა საისტორიო წყაროების პრეციზული ანალიზიდან, დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო დაარსებული ყოფილა არა უცხო ტომის მიერ (დაპყრობის შედეგად), არამედ დასავლეთ საქართველოს ქართული სახელმწიფო შექმნილი იყო ქართველი ტომების მიერ და ერთ-ერთი ამ ტომთა შორის იყო ქართველი ტომი აფხაზები.

როგორც, — ითხოვს მათი სიმაღლე [მეფე ერეკლე], რომ მათი ძველადვე სამფლობელო საათაბაგო ოსმალთა სამფლობელოდამ ამ შერიგების დროს გამოიხსნათ, ახალციხე და მისი პროვინციები ქართლსა და კახეთს დაადოთ, და საათაბაგო აქარა და იქით მხარე [ზღვის სანაპირო, ლაზია] — იმერეთს“. (იხ. ერეკლე II-ის ელჩის მოხსენება 1791 წლის 14 დეკემბრის თარიღით. მოსკოვის მთავარი არქივი, Гривьяевские дела, K-70, Грамоты, указы, рескрипты, договоры, 1774—1804 г.г., ფურცალი 120. პირი დოკუმენტისა, რომელიც უკარ გამოცემული არაა, მოგვაწოდა პროფ. იასე ცინცაძემ, რისთვისაც მადლობას მოვხსენებთ).

4. ხელისუფლება დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოსი (რომელიც წმინდა ქართული სახელმწიფოა), დღიდან ამ სამეფოს დაარსებისა, არის გამტარებელი მკვეთრი ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა. ეს ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა კერძოდ იმაში გამოიხატება, რომ ბერძნული ენა, რომელიც ბიზანტიის ხანგრძლივი მფლობელობის შედეგად გაბატონებული იყო დასავლეთ საქართველოში, როგორც მთავარი სახელმწიფო ენა, განდევნილ იქმნა და მისი ადგილი მთლიანად ქართულმა დაიკირა. ბერძნული ენა განდევნილ იქმნა აგრეთვე ეკლესიიდან და მის მაგიერ ქართული იქმნა შეპოლებული. დასავლეთ საქართველოს ეკლესია, რომელიც მანამდე იერარქიულად დაკავშირებული იყო ბიზანტიის საიმპერიო ეკლესიასთან, კონსტანტინეპოლის პატრიარქატთან, ჩამოშორდა კონსტანტინეპოლს და დაუკავშირდა ქართლის (იბერიის) საკათალიკოსოს. ამრიგად, ხანა დასავლეთ საქართველოს — აფხაზეთის სამეფოს არსებობისა ეს არის ეპოქა ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის სრული და საბოლოო გამარჯვებისა დასავლეთ საქართველოში.

5. შედეგი ამ ქართული სახელმწიფოებრივი პოლიტიკის გატარებისა იყო ის, რომ მე-9—10 საუკუნეებში, უფრო ადრე, ვიდრე მოხდებოდა საქართველოს გაერთიანება ერთ სახელმწიფოებრივ ერთეულად, განმტკიცდა ქართველი ხალხის კულტურული ერთიანობა, რაც გახდა წინაპირობა ქართველი ხალხის შემდგომი პოლიტიკური გაერთიანებისათვის.

6. გიორგი მერჩულის თხზულებაში, რომელიც დაწერილია ეპოქაში, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ დანაწილებულია სამეფო-სამთავროებად, წარმოდგენილია ფორმულა საქართველოს კულტურული მთლიანობისა, და ეს არა მარტო საეკლესიო ერთობის საფუძველზე, არამედ ენის ერთობის საფუძველზე, ვინაიდან ამ დროს ქართული ენა საბოლოოდ დამკვიდრდა როგორც კულტურის საერთო ენა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ამერეთ-იმერეთში, როგორც საერთო ენა მწერლობისა, ეკლესიისა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგისა. გიორგი მერჩულე სახელწოდებას „ქართლი“ ზოგად კულტურულ შინაარსს ანიჭებს. გიორგი მერჩულის განმარტებით „ქართლი“ ეს არის არა ეთნოგრაფიული ქართლი-იბერია, არამედ „ფრიალი ქუეყანა“, მთლიანი საქართველო.

7. დასასრულ, ქანეთ-ლაზეთის ისტორიის საკითხთა განხილვიდან ნათელი გახდა სრული უსაფუძვლობა მთელ რიგ შეხედულებათა, რომლებიც გავრცელებით სარგებლობს საისტორიო მეცნიერებაში საქართველოს ამ ძველი ისტორიული ნაწილის შესახებ. საისტორიო წყაროების განხილვამ ცხადპყო, რომ ქანეთ-ლაზეთი არის განუყოფელი ნაწილი საქართველოსი როგორც ეთნიკურად, ისე აგრეთვე თავისი ისტორიული წარსულით, საქართველოსთან კულტურული და სახელმწიფოებრივი ერთობით ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე.

**მესხეთის (ზემო ქართლის) მხარეები
და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის კვლევით**

მას შემდეგ, რაც ჩვენ განვიხილეთ გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენებანი საქართველოს ძირითადი პოლიტიკური ერთეულების შესახებ მე-8—10 საუკუნეებში (იბერიის „ქართველთა სამეფოს“ შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში, და „აფხაზეთის სამეფოს“ შესახებ დასავლეთ საქართველოში),—ჩვენ აქ შევჩერდებითა გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებზე მესხეთის (ზემო ქართლის) მხარეთა შესახებ, რომელიც დასახლებულ ეპოქაში შეადგენდა იბერიის „ქართველთა სამეფოს“ ძირითად შემადგენელ ნაწილს.

გიორგი მერჩულის ძეგლი ერთ-ერთი მთავარი წყაროა მესხეთის მხარეთა ისტორიის საკითხების გასაშუქებლად მე-8—10 საუკუნეთა მანძილზე.

ხოლო სპეციალური განხილვა გიორგი მერჩულის ძეგლის საისტორიო ცნობებისა (და მასთან დაკავშირებით ამავე ეპოქის სხვა წყაროების ჩვენებათა) მესხეთის შესახებ აუცილებელი ხდება განსაკუთრებით იმის გამო, რომ სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც შემდეგ დავინახავთ, გამოთქმული იყო შეხედულებები, რომლებიც შეცდომით, შეიძლება ითქვას სრულიად ყალბად წარმოგვიდგენენ საერთოდ მესხეთის მხარეების და კერძოდ ტაო-კლარჯეთის ისტორიულ თავგადასავალს.

ინტერესი მესხეთის მხარეთა ისტორიისადმი კიდევ უფრო ძლიერდება იმის გამო, რომ დიდი ნაწილი მესხეთისა, რომელსაც ესოდენ დიდი როლი მიუძღვის ქართველი ხალხის ისტორიაში, მოწყვეტილია დედა სამშობლოს და ქართველი ხალხის ეს ძირითადი მიწა-წყალი თურქეთის მიერ არის შიტაცებული.

1

მესხეთის მხარეების (ზემო ქართლის) ტერიტორიული მოცულობა

მესხეთის მხარეები ანუ ზემო ქართლი (რომელიც უფრო გვიან ხანაში სამცხე-საათაბაგოს სახელით იყო ცნობილი), შეადგენს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს.

სახელდობრ, მესხეთის მხარეების (ზემო ქართლის) ფარგლებში შედის შემდეგი ტერიტორიები:

1. მტკვრის აუზის ზემო ნაწილი, დაწყებული სათავეებიდან (კოლას რაიონიდან) — ვიდრე ბორჯომის ხეობამდე;

2. კოროხის აუზი — დაწყებული სათავეებიდან (სპერის მხარეიდან) — ვიდრე აქარის-წყალის ხეობამდე.

გარდა მტკვრისა და კოროხის აუზის აქ დასახლებული ტერიტორიებისა, მესხეთის ძირეულ ნაწილს შეადგენს აგრეთვე შექმნილი მცირე მოცულობის სექტორები მეზობელი არაქსისა და დასავლეთ ეფრატის ხეობებისა:

ა. არაქსის ხეობის სანაპიროზე — პალაკაციოს (ანუ ჩილდირის, ძვ. ჩრდილის) სექტორი, რომელიც ისტორიულად არტაანის მხარის ნაწილს შეადგენდა;

ბ. დასავლეთ ეფრატის ხეობის სანაპიროზე ქართლის ყელის ანუ ქართლის გზის სექტორი, რომელიც ისტორიულად ტაოს მხარის (თორთომის რაიონის) ნაწილს შეადგენდა. აქ, ამ სექტორის სამხრეთ მიჯნასთან, მდებარეობს განთქმული ბუნებრივი სიმაგრე, ვიწრობი „ქართლის ყელი“ (თურქების მიერ „გურჯი-ბოლაზი“-ს სახელით წოდებული), რომელიც იცავდა სამხრეთიდან საქართველოსაკენ მომავალ გზებს.

ჩვენ აქ შემოვყარვლეთ მესხეთის მხარეთა მხოლოდ ძირითადი ნაწილი, რომელიც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს ფრონტული ტერიტორიის ორგანულ ნაწილს შეადგენდა. აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ, გარდა ხეშოთ-აღნიშნული მესხეთის მხარეთა ძირითადი ტერიტორიისა, გარკვეულ პერიოდებში მესხეთთან დაკავშირებული იყო აგრეთვე მეზობელი რაიონები არაქსისა და ეფრატის ხეობებში, მათ შორის ბასიანის მხარეები, საყუთრივ ბასიანი და კარის (ყარისის) მხარე, მაგრამ მათ ჩვენ ამგზის არ ვვხებით და მათ შესახებ შემდეგ ცალკე გვექნება საუბარი.

მესხეთის მხარეები ზემო-აღნიშნულ ფარგლებში, ე. ი. მესხეთის ძირითადი ტერიტორია ზემო-მტკვრისა და კოროხის ხეობებისა (პალაკაციოსა და ქართლის ყელის სექტორების მითვლით), შეიცავს — ფართობს 34.230 კვადრატულ კილომეტრს.

მესხეთის მხარეთა ზემოაღნიშნული ტერიტორიიდან საქართველოს საზღვრებში ამჟამად შედის მხოლოდ მცირედი ნაწილი, ჩრდილოეთი ზონა, ხოლო უდიდესი ნაწილი, სამხრეთი პროვინციები, თურქეთის მიერ არის დაპყრობილი.

სახელდობრ მესხეთის მხარეთა ტერიტორიიდან საქართველოს საზღვრებში ამჟამად შედის 7.115 კვადრატული კილომეტრი, ხოლო თურქეთის ფარგლებში მოქცეულია 27.115 კვადრატული კილომეტრი.

საქართველოს საზღვრებში შემავალს ისტორიული მესხეთის პროვინციებს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით შეადგენს 7 რაიონი: 1. ახალციხე, 2. აღიგენი, 3. ასპინძა, 4. ახალქალაქი, 5. ბოგდანოვკა, 6. ხულო. 7. ქედა და ამათ გარდა აქარის წყალის უბანი ბათუმის რაიონისა და ჩრდილო-დასავლეთი სექტორი ბორჯომის რაიონისა (მტკვრის მარცხენა სანაპირო).

თურქეთის საზღვრებში შემავალ ისტორიული მესხეთის პროვინციებს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით შეადგენს შემდეგი 12 რაიონი (კახა): 1. ფოცხოვი, 2. ჩილდირი, 3. არტაანი, 4. კოლა (მერდენიკი),

5. ბორჩხა¹, 6. ართვინი, 7. შავშეთი, 8. ოლთისი, 9. თორთუმი, 10. ეგდემი, 11. ისპირი, 12. ბაიბურთი და, ამას გარდა, გურჯი-ბოლაზის უბანი². (დასახელებული ერთეულებიდან — პირველი ოთხი რაიონი მტკვრის ხეობაში მდებარეობს, უკანასკნელი რვა რაიონი — ქოროხის ხეობაში).

როგორც ცნობილია, მესხეთის მხარეები პირველად დაპყრობილ იქმნათურქების მიერ მე-16 — 17 საუკუნეთა მანძილზე.

თურქების მიერ მიტაცებული ტერიტორიებიდან 1829 წელს დაბრუნებულ იქმნა ახალციხე-ახალქალაქის მხარე (სახელდობრ ტერიტორია, რომელიც თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით შეიცავს ხუთ რაიონს: 1. ახალციხე, 2. ადიგენი, 3. ასპინძა, 4. ახალქალაქი, 5. ბოგდანოვკა).

მას შემდეგ, 1878 წელს, თურქეთიდან დაბრუნებულ იქმნა ისტორიული მესხეთის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც შევიდა ახლად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული ერთეულების ბათუმის, ართვინის, ოლთისის და არტაანის ოლქებში.

მაგრამ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და მას შემდეგ, 1918 — 1921 წლებში, თურქეთმა ხელახლა დაიპყრო მესხეთის ტერიტორიებიდან ბათუმის ოლქის ნაწილი და ართვინის, ოლთისის და არტაანის ოლქები მთლიანად. ეს ტერიტორია, ოკუპირებული თურქების მიერ 1918 — 1921 წლებში, ამჟამად არსებული ადმინისტრაციული დანაწილებით შეადგენს თურქეთის 3 რაიონს (კახას): 1. ბორჩხა, 2. ართვინი, 3. შავშეთი, 4. ოლთისი, 5. ფოცხოვი, 6. ჩილდირი, 7. არტაანი, 8. კოლა.

ამთგან ბორჩხის რაიონი არის ჩამონაჭერი ბათუმის ოლქისა;

ართვინის და შავშეთის რაიონები შეადგენდნენ ყოფილ ართვინის ოლქს;

ოლთისის რაიონი შეადგენდა ყოფილ ოლთისის ოლქს;

ფოცხოვის, ჩილდირის, არტაანისა და კოლის რაიონები შეადგენდნენ ყოფილ არტაანის ოლქს.

ამრიგად, ტერიტორია, რომელიც ამჟამად თურქეთს დაპყრობილი აქვს მესხეთის ისტორიული მიწა-წყალიდან, და რომელიც თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით 12 რაიონს (კახას) და 1 უბანს შეიცავს, ორ ზონად განიყოფება:

ა. პირველი ზონა — ტერიტორია, ოკუპირებული თურქების მიერ 1918 — 1921 წლებში, რომელიც შეიცავს ზემოთ-ჩამოთვლილ 8 რაიონს;

ბ. მეორე ზონა — ტერიტორია, რომელიც თურქეთს დაპყრობილი აქვს მე-16 საუკუნიდან და რომელიც შეიცავს დანარჩენ 4 რაიონს და 1 უბანს.

¹ ბორჩხის რაიონი წარმოადგენს გარდამავალ ზონას მესხეთსა და ლაზეთს შორის; ადრესავლეთი ნაწილი ისტორიულად ეკუთვნის მესხეთს, დასავლეთი ნაწილი უპირატესად ლაზეთს (ქოროხის მარცხენა სანაპირო, მურღულის თემი).

² გურჯი-ბოლაზის უბანი ამჟამად გაერთიანებულია არზრუმის კახასთან.

ეს ორი ზონა ისტორიული მესხეთისა ტერიტორიული მოცულობის მიხედვით ასე ნაწილდება:

ა) პირველი ზონა (ტერიტორია ოკუპირებული თურქების მიერ 1918—1921 წლებში, 8 რაიონი: ბორჩხა, ართვინი, შავშეთი, ოლთისი, ფოცხოვო, ჩალდირი, არტაანი, კოლა)	13.425 კვადრ. კილ.
ბ) მეორე ზონა (ტერიტორია დაპყრობილი თურქების მიერ მე-16 საუკუნეში, 4 რაიონი: თორთუში, ეგდემი, ისპირი, ბაიბურთი და გურჯი-ბოლაზის უბანი)	13.690 კვადრ. კილ.
ს უ ლ	27.115 კვადრ. კილ.

* ჩვენ აქ აღვნიშნეთ მხოლოდ მესხეთის ისტორიული ტერიტორიები, რომლებიც ამჟამად დაპყრობილია თურქეთის მიერ.

გაოდა მესხეთის ისტორიული ტერიტორიებისა, თურქეთს დაპყრობილი აქვს საქართველოს მიწა-წყლიდან აგრეთვე ჭანეთ-ლახეთის მხარეები.

ჭანეთ-ლახეთის მხარეების შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა ზემოთ საუბარი. როგორც ეს დადგენილი გვქონდა ბერძნული და ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებებით, ისტორიულ წარსულში, ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში, სამხრეთ კოლხეთის ქართველი ტომებით, ჭანეთის-ლახეთის უკუფეთ, დასახლებული იყო შაეი ზღვის სანაპირო ქოროხის შესართავიდან — ვიდრე მდინარე თერმოლის ხაზამდე (რომელიც უძველესი დროიდანვე ითვლებოდა ქართველ ტომთა მოსახლეობის დასავლეთ მიჯნად)¹.

ჩვენ დადგენილი გვქონდა აგრეთვე, რომ ჭანეთ-ლახეთის მხარეები, აღებული ამ ისტორიულ საზღვრებში, განიყოფებოდა სამ მთავარ სამხარეო ერთეულად:

I. რიხეს მხარე ანუ საკუთრივ ლაზია (ზღვისპირა კლარჯეთი).	
II. ტრაპიზონის მხარე ანუ ხალდია.	
III. კერასუნ-ფარნაკიის მხარე ანუ ხალიზია-ტიბარენია.	
ტერიტორიული მოცულობა ² ამ სამხარეო ერთეულებისა შემდეგია:	
I. რიხეს მხარე ანუ საკუთრივ ლაზია ³	5.834 კვადრ. კილ.
II. ტრაპიზონის მხარე ანუ ხალდია ³	8 791 " "
III. კერასუნ-ფარნაკიის მხარე ანუ ხალიზია-ტიბარენია ⁴	9.960 " "
სულ	24.585 " "

მთლიანად მოცულობა საქართველოს ისტორიული ტერიტორიებისა, რომლებიც მიტაცებულია თურქეთის მიერ, შემდეგია:

ა. მესხეთის მხარეები	27.115 კვადრ. კილ.
ბ. ჭანეთ-ლახეთის მხარეები	24.585 " "
საერთო ჯამი	51.700 " "

¹ მდ. თერმოლონი ერთვის შავ ზღვას ქალაქ თერმესთან, 60 კილომეტრზე ქ. სამსუნის აღმოსავლეთით.
² თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით — რაიონები (კახები): 1. ხოფა; 2. ათინა; 3. რიხე; 4. ოფი; 5. დაავლეთი ნაწილი ბორჩხის რაიონისა.
³ თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით — რაიონები (კახები): 1. სურმენე; 2. ტრაპიზონი; 3. პლატანა; 4. დიდი ლიმანი; 5. ელვეი; 6. გიუმშიშანე; 7. არდასა; 9. ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი კელკიტს რაიონისა.
⁴ თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით — რაიონები (კახები): 1. ტრიპოლი; 2. კერასუნი; 3. ბულანჯაი; 4. ორდუ; 5. მესუდიე; 6. ფაცა; 7. უნიე; 8. თერმე — ვიდრე მდინარე თერმოლონის ხაზამდე.

დავუბრუნდეთ მესხეთის (ზემო ქართლის) მხარეებს.

ვიდრე შევეუდგებოდეთ განხილვას საისტორიო ცნობებისას მესხეთის მხარეთა შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია გიორგი მერჩულის ძეგლში და ამავე ეპოქის სხვა წყაროებში, აქ საჭიროა წინასწარ წარმოვადგინოთ ცნობები მესხეთის ისტორიულ ადმინისტრაციულ-ოემობრივ დანაწილებაზე სამხარეო ერთეულებად საშუალო საუკუნეებში, პირველ რიგში მე-8 — 10 საუკუნეებში, ე. ი. იმ ეპოქაში, რომელსაც უშუალოდ ეხება გიორგი მერჩულის ძეგლი.

როგორც ეს ირკვევა ქართული მატრიანეებიდან (მატიანე ქართლისა, სუმბატ დავითის ძის მატრიანე), გიორგი მერჩულის ძეგლიდან, ასევე ამავე ეპოქის სხვა წყაროებიდან, რომლებიც მე-8 — 10 საუკუნეთა საქართველოს ეხება, მესხეთი ანუ ზემო ქართლი ზემოთ-ნაჩვენებ საზღვრებაში, ე. ი. ზემო მტკვრის ხეობა მთლიანად (პალაკაციოს სექტორით) და ქოროხის ხეობა მთლიანად (ქართლის ყელის სექტორით) მე-8 — 10 საუკუნეებში განიყოფებოდა ცხრა მხარედ; ესენია:

1. სამცხე, 2. ჯავახეთი, 3. არტაანი (არტაან-კოლა), 4. აქარა, 5. ნიგალი, 6. შავშეთი, 7. კლარჯეთი, 8. ტაონი, 9. სპერი.

იმავე წყაროებიდან ირკვევა აგრეთვე აქ მხარეთა ადგილმდებარეობა და ტერიტორიული მოცულობა.

1. სამცხე მდებარეობდა მტკვრის ხეობაში და მოიცავდა ახალციხის პროვინციას. (სახელდობრ, სამცხის ფარგლებში შედიოდა თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით: ახალციხის და ადიგენის რაიონები, ნაწილი ასპინძის და ბორჯომის რაიონებისა და, ამას გარდა, თურქეთის საზღვრებში მდებარე ფოცხოვის რაიონი).

2. ჯავახეთი აგრეთვე მდებარეობდა მტკვრის ხეობაში და მოიცავდა ახალქალაქის პროვინციას. (სახელდობრ, ჯავახეთის ფარგლებში შედიოდა თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით ახალქალაქის და ბოგდანოვის რაიონები და ნაწილი ასპინძის რაიონისა).

3. არტაანი (არტაან-კოლა) მოიცავდა მტკვრის ხეობის ზემო ნაწილს და პალაკაციოს სექტორს. ისტორიული არტაანის მხარე ამჟამად მთლიანად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. (სახელდობრ, ისტორიული არტაანის მხარის ტერიტორიას შეადგენს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით თურქეთის საზღვრებში მდებარე რაიონები არტაანისა, ჩილდირისა და კოლისა).

4. აქარა მოიცავდა თანამედროვე ეთნოგრაფიულ აქარას (მდინარე აქარის-წყალის ხეობას: ხულოსა და ქედის რაიონებს და აქარის-წყალის უბანს ბათუმის რაიონისა).

5. ნიგალი (ნიგალის-ხევი) მდებარეობდა ქოროხის ხეობაში და მოიცავდა ართვინის პროვინციას. ეს მხარე — ნიგალი — ამჟამად მთლიანად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. (სახელდობრ, ისტორიული ნიგალის მხარის ტერიტორიას შეადგენს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით თურქეთის საზღვრებში მდებარე ბორჩხის რაიონის აღმოსავლეთი ნაწილი და ართვინის რაიონის დასავლეთი ნაწილი).

ქვესეთის მხარეები

VIII-X საუკუნეებში



ქვესეთთან დაკავშირებულია:
 აფხაზეთის სამთავრო - (თბილისი)
 თათარი (სამთავრო) და სომხები (აზერ)



6. შავშეთი მდებარეობდა ქოროხის ხეობაში და მოიცავდა ამჟამად თურქეთის ფარგლებში მდებარე შავშეთის რაიონს (კახას), თურქეთის საზღვრებშივე მდებარე იმერხევის უბანს ართვინის რაიონისა და აგრეთვე მაქახელის ხეობას. (მაქახელის ხეობის ერთი ნაწილი, ზემო-მაქახელი, ამჟამად თურქეთშია მოქცეული, ხოლო მეორე ნაწილი, ქვემო-მაქახელი, საქართველოს საზღვრებში შედის).

7. კლარჯეთი აგრეთვე ქოროხის ხეობაში მდებარეობდა და მოიცავდა ქალაქ არტანუჯის მხარეს. კლარჯეთი ამჟამად მთლიანად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. (სახელდობრ, კლარჯეთის მხარის ტერიტორიას შეადგენს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით თურქეთის საზღვრებში მდებარე ართვინის რაიონის აღმოსავლეთი ნაწილი — არტანუჯის უბანი).

8. ტაონი — ორ ნაწილად განიყოფებოდა: ამიერი და იმიერი ტაო (ანუ ქვემო და ზემო ტაო). ტაოს ორივე ნაწილს ეჭირა: ა. ქოროხის შემდინარე ოლთისის-წყალის ხეობა მთლიანად, აგრეთვე მისი მიმდგომი ქართლის-ყელის (გურჯი-ბოლაზის) სექტორი; ბ. მდინარე ქოროხის მარჯვენა-სანაპირო დაწყებული ორჯნალიდან (ეხლანდელი ოშნალი) ვიდრე თუხარისამდე (ხერსის წყალის ხეობამდე). ტაოთა ორივე ნაწილი ამჟამად მთლიანად თურქეთის საზღვრებშია (სახელდობრ, ტაოთა მხარეს, თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით, შეადგენს თურქეთის საზღვრებში მდებარე ოლთისის რაიონი, თორთუმის რაიონი, დასავლეთი ნაწილი ეგდემის რაიონისა და გურჯი-ბოლაზის უბანი).

9. სპერი მდებარეობდა ქოროხის ხეობის ზემო ნაწილში. ისტორიულად იგი სამ ნაწილად განიყოფებოდა (ქვემო, შუა და ზემო სპერი). ეს მხარეც ამჟამად მთლიანად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. (სპერის მხარის ტერიტორიას შეადგენს, თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით, თურქეთის ფარგლებში შემავალი ისპირის რაიონი, დასავლეთი ნაწილი ეგდემის რაიონისა და ბაიბურთის რაიონი).

ასეთია ქართული მატრიანეების („მატიანე ქართლისაჲ“-ს, სუმბატ დავითის-ძის ქრონიკის), გიორგი მერჩულის ძეგლისა და სხვა საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად მესხეთის დანაწილება სამხარეო ერთეულებად მე-8—10 საუკუნეებში.

(იხ. აქვე დართული ისტორიული რუკა, გვ. 301).

2

კულტურის მთავარი ცენტრები კლარჯეთში.

სამართველოს სინაჲ ანუ კლარჯეთის თორმეტი სავანი.

განხილვას გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებისას მესხეთის მხარეთა შესახებ დავიწყებთ კლარჯეთიდან. პირველ რიგში შევჩერდებით კლარჯეთის თორმეტი სავანის ისტორიაზე, რომლებიც კულტურის მთავარ ცენტრებს წარმოადგენდნენ კლარჯეთში.

ჩვენ უკვე დაწვრილებით გეჰქონდა განხილული საკითხი, თუ რა პოლიტიკურ ვითარებაში მოხდა — მე-9 საუკუნის დასაწყისში — გადატანა იბერიის

(ქართველთა სამეფოს) პოლიტიკური ცენტრისა შიდა ქართლიდან მესხეთის მხარეებში, კლარჯეთში. მე 9 საუკუნის ათიანი წლებიდან მოკიდებული კლარჯეთის ქალაქი არტანუჯი, განახლებული აშოტ I დიდის მიერ, ხდება იბერიის (ქართველთა სამეფოს) დედაქალაქი.

ამავე ხანებში, მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე, კლარჯეთში დაარსდა მთელი რიგი სავანეებისა (აგრეთვე განახლებულ იქმნა მთელი რიგი ძველად არსებული სავანეები), რომლებიც გახდნენ ქართული განათლების კერად. კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრებად საშუალო საუკუნეებში.

ჩამოვთვლით ამ სავანეებს.

1. კლარჯეთის სავანეთა შორის პირველად მოხსენებული უნდა იქმნას ოპიზა. იგი, როგორც ირკვევა, ეკუთვნის საქართველოს უძველეს სავანეთა რიცხვს. ოპიზა პირველად დაარსებული ყოფილა მე-5 საუკუნეში, ვახტანგ გორგასარის დროს, მაგრამ გვიან ხანაში მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, მურვან-ყრუს ლაშქრობის დროს კლარჯეთში, ოპიზა განადგურებულა და დატლილა, ისევე როგორც განადგურებულა და დატლილა კლარჯეთის სხვა სავანეები და კლარჯეთის დასახლებული პუნქტების დიდი ნაწილი. ამის შემდეგ ოპიზა ხელმეორედ აღუდგენიათ მე-8 საუკუნის 50 იან წლებში (სამოელ ოპიზარის მოღვაწეობით). ამრიგად, ეს ხელახალი აღდგენა ოპიზისა მომხდარა უფრო ადრე, ვიდრე იბერიის (ქართველთა სამეფოს) პოლიტიკური ცენტრი გადმოტანილი იქმნებოდა კლარჯეთში.

2. ამავე პერიოდში, მე-8 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (782 წლის ახლო ხანებში), დაარსებულ იქმნა ხანძთა განთქმული მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის მიერ, რომელიც დამფუძნებელია კლარჯეთში და რომელიც ხდება ხელმძღვანელი კულტურული მშენებლობისა ამ მხარეში.

მე-9 საუკუნის ათიანი წლებიდან მოკიდებული, რა დროიდანაც პოლიტიკური ცენტრი იბერიისა გადმოვიდა კლარჯეთში, ეს მშენებლობა კლარჯეთის მხარეში განაკუთრებით ფართოდ გაშლილა. დაწყებული ამ ხანიდან, მე-9 საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე, კლარჯეთში დაარსებულ და განახლებულ იქმნა შემდეგი სავანეები:

3. შატბერთი (შატბერდი)¹ — დაარსებული უშუალოდ გრიგოლ ხანძთელის მიერვე.

4. მიძნაძოროჯ — დაარსებული დავით მიძნაძოროელის მიერ;

5. წყაროსთავი — დაარსებული ილარიონ წყაროსთაველის მიერ;

6. ბარეთელთა — დაარსებული ზაქარია ბარეთელთელის მიერ;

7. მერე — განახლებული მოღვაწე ქალის ფებრონიას მიერ (თავდაპირველად მერე დაარსებული ყოფილა მე-5 საუკუნეში).

ამავე დროსვე დაარსებულ და განახლებულ იქმნა კლარჯეთში სავანეები:

8. დაბა, 9. ჯმერკი, 10. ბერთა, ხოლო მათ შემდეგ, 11. პარეხნი (ბერთისა პარეხნი) და 12. დოლისყანა.

¹ სახელწოდება ამ სავანისა წყარუებში ორნაირად გვხვდება: შატბერთი და შატბერდი. როგორც ირკვევა, უფრო სწორია (პირველადია) პირველი ფორმა და ჩვენც ქვემოთ ეს სავანე „შატბერთი“-ს სახელწოდებით გვექნება მოხსენებული.

როგორც ეს ჩანს კლარჯეთის სავანეთა ზემოთ-მოყვანილი სიიდან, რაც გიორგი მერჩულის ძეგლის მიხედვით გვაქვს დადგენილი, კლარჯეთის ეს სავანეები, დაარსებული და აღდგენილი მე-8 — 9 საუკუნეებში, რიცხვით თორმეტი ყოფილა. ამიტომ არის, რომ ძველ-ქართულ წყაროებში ისინი კლარჯეთის „ათორმეტ“ (ე. ი. თორმეტ) სავანეთა სახელით არიან ცნობილი.

როგორც ქვემოთ იქნება გამორკვეული, ეს თორმეტი სავანე ტერიტორიულადაც ერთ ზონაში იყო გაშენებული, ისინი ერთ განცალკევებულ ერთეულს, ცალკე მხარეს შეადგენდნენ (სახელდობრ, მათ ეჭირათ კლარჯეთის პროვინციის ჩრდილოეთი მხარე, შავშეთის-წყალის ხეობიდან — ლაღოს მთებამდე).

*

კლარჯეთის ამ თორმეტ სავანეთა მხარეს ძველ-ქართულ წყაროებში მიემართება სახელწოდება საქართველოს „სინაჲ“ (სინას მთა). ამ ზედწოდებით ხაზგასმულია ამ სავანეთა მნიშვნელობა. ისევე. როგორც ბიბლიურის თქმულებით სინას მთა ითვლებოდა წმინდა ადგილად, საიდანაც მიღებულ იქმნაო მცნება, ასევე საშუალო საუკუნეთა ქართველი მწიგნობრები კლარჯეთის ამ თორმეტ სავანეთა მხარეს უწოდებდნენ საქართველოს „სინა“-ს. როგორც ქართული განათლების კერას, როგორც ქართული განათლების ყველასაგან აღიარებულს უმნიშვნელოვანეს ცენტრს.

თუ რამდენად დიდი იყო კლარჯეთის სავანეთა მნიშვნელობა ქართული განათლებისათვის მე-8 — 10 საუკუნეთა მანძილზე, ეს შეიძლება გავითვალისწინოთ იმ როლით, რომელიც ეკუთვნოდა ამ ხანაში კლარჯეთის სალიტერატურო სკოლას, რომლის წარმომადგენელი იყვნენ გრიგოლ ხანძთელი, მეთაური ქართული განათლებისა მე-8 — 9 საუკუნეებში, არსენი დიდი კათალიკოზი, სოფრონ შატბერთელი, იოანე-ზოსიმე შატბერთელ-სინელი, ილარიონ პარეხელი, ქართველი ჰიმნოგრაფების პლეადა და სხვანი; ამ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის კერძოდ გიორგი მერჩულე, რომელიც კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის უდიდესი წარმომადგენელია მე-10 საუკუნეში და რომლის ძეგლი „ცხორება გრიგოლ ხანძთელისა“ აქ, კლარჯეთში, ხანძთაში არის დაწერილი.

გიორგი მერჩულის ეს ძეგლი, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, სპეციალურად ეხება კლარჯეთის თორმეტ სავანეთა ისტორიას და ჩვენც ამ ისტორიის განხილვაზე გადავდივართ.

ა

ადგილმდებარეობა კლარჯეთის თორმეტ სავანეთა

პირველი კითხვა კლარჯეთის თორმეტ სავანეთა შესახებ, რომელზედაც აქ მოგვიხდება შეჩერება, ეს არის დადგენა ამ სავანეთა გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა.

ამ საგანზე, როგორც ცნობილია, მთელი ლიტერატურა არსებობს.

კლარჯეთის მხარის ცენტრი ქალაქი არტანუჯი თურქებმა დაიპყრეს მე-16 საუკუნის ნახევარში (1551 წელს), ამ დროსვე თურქების მიერ დაპყრო-

ბილ იქმნა მთელი კლარჯეთი, მათ შორის თორმეტ სავანეთა მხარე, და ამ დროიდან მოკიდებული სამი საუკუნის განმავლობაში კლარჯეთი თურქეთის საზღვრებში იყო მოქცეული.

კლარჯეთი, როგორც აღნიშნული გვექონდა, განთავისუფლებულ იქმნა თურქთა ბატონობისაგან 1878 წელს და მას შემდეგ კლარჯეთის ტერიტორია შევიდა ახლად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული ერთეულის ართვინის ოლქის შემადგენლობაში; მაგრამ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და მომდევნო ხანაში (1918 — 1921 წ. წ.) კლარჯეთის მხარე ისევ დაიპყრო თურქეთმა და ამჟამად იგი კვლავ თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

თურქეთის ხანგრძლივი ბატონობის დროის მანძილზე ძველი ქართული კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი — კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარე — გავერანებულა, ბევრი ძველი დანგრეულა, ზოგიერთი ძველად არსებული პუნქტები მოსპობილა, ზოგის ძველი სახელი დაეიწყებას მისცემია. ამის გამო კლარჯეთის ზოგიერთი ძველი სავანის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა საძიებელი ხდება.

პირველი ქართველი შოგზაური, რომელიც მე-19 საუკუნეში გვაწვდის ცნობებს კლარჯეთის მხარის სავანეთა შესახებ, ეს არის გიორგი ყაზბეგი, რომელმაც 1874 წელს, ჯერ კიდევ თურქთა ბატონობის დროს, იმოგზაურა თურქეთის საქართველოში. გიორგი ყაზბეგმა კლარჯეთის სავანეებიდან პირველად აღწერა ოპიზა, და ამავე დროს აღნიშნა, რომ კლარჯეთში მოიპოვება დიდ სავანეთა ნაშთები ბერთასა და ფორთაში (ამ პუნქტებში თვით გ. ყაზბეგი არ ყოფილა)¹.

მას შემდეგ, 1879 წელს (ე. ი. კლარჯეთის მხარის თურქთაგან დაბრუნების მეორე წელს), კლარჯეთში იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელიც გადმოგვცემს დამატებით ცნობებს ოპიზის შესახებ, ხოლო კლარჯეთის დანარჩენ სავანეთაგან იგი ეხება დოლისყანას. დ. ბაქრაძემ პირველად გადმოიღო ამ ძეგლების, ოპიზისა და დოლისყანის, საისტორიო წარწერები, რამაც ახალი შუქი შეიტანა ამ მხარის არქეოლოგიაში².

დ. ბაქრაძე ამავე დროს კლარჯეთში ეძიებდა შატბერთის ადგილმდებარეობას, მაგრამ მის კვალს ვერ მიაგნო. დ. ბაქრაძე წერს: „შატბერ(თ)ი განთქმულია ჩვენს ძველს მწერლობაში... და თუმცა იგი მდებარეობდა ქოროხის ხეობაში, მაგრამ სახელდობრ სად, არ ვიცით და ვერ გვიპოვნია... ჩვენ ვფიქრობთ, რომ შატბერ(თ)ად უნდა იგულისხმებოდეს დოლისყანა (ლოლის-

¹ გიორგი ყაზბეგი, Три месяца в Турецкой Грузии, 1874 წ., გვ. 75—79.

² იხ. დ. ბაქრაძე, Об археологической поездке, совершенной в 1879 году... в Батум, Арташи и Артанудж, ЭИАН, XXXVII, I; დ. ბაქრაძის შერ გამოცემული ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორიის (1885 წ.) შენიშვნები, გვ. 122, 130; მისივე Статьи по истории и древностям Грузии, приложение к LV тому Записок А. И. 1887 წ., გვ. 20 — 30; მისივე, ისტორია საქართველოსი, 1889 წ., გვ. 214, 232; .6. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის Описание памятников древности..., 1890 წ., გვ. 44 — 47. ამ უკანასკნელ შრომაში დ. ბაქრაძე ეხება ბერთას, მაგრამ თვით ბერთაში დ. ბაქრაძე არ ყოფილა (წერილში Статьи по истории и древностям Грузии დ. ბაქრაძე შეცდომით აიგივებდა ბერთასა და ფორთას).

ყანა), თუმცა ახლა, როგორც მე ადგილობრივ დავრწმუნდი, ეს სახელი და-
კარგულია“¹.

აქ აღნიშნავთ, რომ დ. ბაქრაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ
დოლისყანა შესაძლოა იყოსო იგივე შატბერთი, არ გამართლდა. განსაკუთ-
რებით მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა გიორგი მერჩულის ძეგლი, სრულიად
უდავოდ გამოირკვა, რომ დოლისყანა სხვა ყოფილა, ხოლო შატბერთი—სხვა.
ეს ორი პუნქტი, დოლისყანა და შატბერთი, ცალ-ცალკე მოიხსენება როგორც
გიორგი მერჩულის ძეგლში, ისე სხვა ძველ-ქართულ წყაროებში.

1888 წელს კლარჯეთში იმოგზაურა აკად. ა. პაველინოვმა, რომელმაც
მოგვცა აღწერილობა ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით კლარჯეთის ძეგ-
ლებისა. რომლებიც უკვე ცნობილი იყო გიორგი ყაზბეგისა და დიმიტრი
ბაქრაძის შრომებით, სახელდობრ ოპიზისა, დოლისყანისა, ფორთის უსახელო
სავეანისა (რომლის ძველი სახელი ამ დროს ცნობილი არ იყო) და ბერ-
თისა².

1889 წელს პირველად გამოქვეყნდა ერთი ნაწყვეტი გიორგი მერჩულის
ძეგლიდან³. ამ ტექსტის მიხედვით პირველად გამოირკვა, რომ ძველი ქარ-
თული სავეანეები ხანძთა და შატბერთი დაარსებული ყოფილა მე-8—9 საუ-
კუნეებში გრიგოლ ხანძთელის მიერ.

ამ ტექსტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურა-
ში ხელახლა აღიძრა საკითხი როგორც შატბერთის, ისე ხანძთის ადგილმდებ-
არეობის შესახებ. ე. თაყაიშვილმა 1890 წელს „სამი ისტორიული ქრონიკის“
გამოცემის შესავალ წერილში გამოსთქვა მოსაზრება, რომ ხანძთისა და შატ-
ბერთის ადგილმდებარეობა სავარაუდებელი არისო არა კლარჯეთში, არამედ
ვეფრატის ხეობაში⁴, მაგრამ ამ შეხედულების უსაფუძვლობა იმთავითვე ცხადი
იყო (რაც აღნიშნულ იქმნა კიდევ იმდროინდელ სპეციალურ ლიტერატურა-
ში)⁵. ხოლო მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა გიორგი მერჩულის თხზულების
სრული დედანი, საბოლოოდ და მტკიცედ დადასტურდა, რომ ხანძთა და
შატბერთი კლარჯეთის მხარეში მდებარეობდნენ, ქოროხის ხეობაში, არტა-
ნუჯისა და ანჩის მეზობლად, სახელდობრ კლარჯეთის იმ ზონაში, სადაც
მდებარეობს ოპიზა.

გიორგი მერჩულის თხზულების სრული დედანი მოპოვებულ იქმნა იერუ-
სალიმის ჯვარის მონასტრის ძველ-ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში აკად.
ნ. მარის მიერ 1902 წელს (ამ ხელნაწერის არსებობა პირველად აღნიშ-
ნა ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ 1845 წელს, მის მიერ შედგე-

¹ იხ. დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული ვახუშტი ბატონიშვილის ისტორია, გვ. 129—130.

² იხ. А. М. Павлович, Экспедиция на Кавказ 1886 года. Материалы по археологии Кавказа, III, 1893 წ., გვ. 6, 63—68.

³ იხ. გაზეთი „ივერია“ 1839 წ. № 70, 72, 73. „საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი
(ჯვარის მონასტერი და მისი მღვდმარეობა 1845 წლამდე)“; იხ. აგრეთვე ქვემოთ, გვ. 307, შენ. 1.

⁴ იხ. ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, 1890 წ., გვ. LXI—LXXIII.

⁵ იხ. კრიტიკა ე. თაყაიშვილის შეხედულებისა თ. ჟორდანიას მიერ, ქრონიკები, I, 1892 წ.,
გვ. 97—99, II, 1897 წ., გვ. 53. (შეადარეთ აგრეთვე მოსაზრებანი ამავე საგანზე არ. ქუთა-
თელაძისა, „ივერია“, 1889 წ., № 70 და დ. ბაქრაძისა, ისტორია საქართველოსი, 1889 წ.
გვ. 233—234).

წილს იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ძველ-ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში) ¹.

1904 წელს ნ. მარმა იმოგზაურა კლარჯეთში, რათა დაედგინა ადგილმდებარეობა იმ პუნქტებისა, რომლებიც მოიხსენებიან გიორგი მერჩულის ძეგლში ².

კლარჯეთის თორმეტ საეანეთაგან, რომელთაც მოიხსენებს გიორგი მერჩულე, გარკვეულ იქმნა ადგილმდებარეობა ათი საეანისა.

ამათგან სამი საეანის მდებარეობა, როგორც აღვნიშნეთ, უკვე დადგენილი ჰქონდათ გიორგი ყაზბეგს, დიმიტრი ბაქრაძეს და ა. პავლინოვს; სახელდობრ, ადგილმდებარეობა საეანეებისა: ოპიზისა, დოლისყანისა და ბერთისა.

სამი პუნქტი, ძველი სახელწოდებებით: დაბა, ჯმერკი და წყაროსთაფი, — აღნიშნული იყო კავკასიის შტაბის მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოცემულ 2-ვერსტიან და 5-ვერსტიან რუკებზე.

ნ. მარმა დამატებით დაადგინა ადგილმდებარეობა ოთხი საეანისა, რომლებიც დღემდე ატარებენ იმავე ძველად არსებულ სახელებს; ესენია: მიძნა-ძოროჟ, ბარეთელთა (ბარათელთა), პარეხი და მერე.

მაგრამ ნ. მარს გამოუტყვეველი დარჩა ადგილმდებარეობა ორი საეანისა: ხანძთისა და შატბერთისა, ე. ი. სწორედ იმ მთაყარ საეანეთა, რომლებთანაც დაკავშირებულია მოღვაწეობა გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულისა.

ნ. მარის ჩვენების თანახმად კლარჯეთის 12 საეანეთა მხარეში სახელები ხანძთისა და შატბერთისა აღარ შენახულა, ეს სახელები ადგილობრივ უკვე გადავიწყებულა.

ნ. მარმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ შატბერთი უნდა იყოსო უსახელო საეანე, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის მიდამოებში, სახელდობრ ფორთის სამხრეთ ზონაში (რომელიც ამჟამად ქვემო-ფორთის ანუ „ფორთის ბაღების“ სახელით არის ცნობილი) ³; ხოლო ხანძთა უნდა იყოსო ძველი, რომელიც მდებარეობს იმავე სოფელ ფორთის ჩრდილოეთ ზონაში (ზემო-ფორთის სექტორში) და ცნობილია სახელწოდებით „ნუკა საყდარი“ ⁴.

როგორც შემდეგ დავინახავთ, ეს შეხედულება ნ. მარისა ხანძთისა და შატბერთის ადგილმდებარეობის შესახებ არ მართლდება.

გადავიდეთ ამის შემდეგ ხანძთისა და შატბერთის ადგილმდებარეობის საკითხის განხილვაზე.

წყაროების ყოველმხრივი ანალიზი ჩვენ გვაძლევს საშუალებას საბოლოოდ გადავწყვიტოთ საკითხი ხანძთის შესახებ. დავადგინოთ მისი ადგილმდებარეობა, ვუჩვენოთ ხანძთის საეანის ჩვენ დრომდე მოღწეული ძეგლი.

¹ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სიძველეთა აღწერილობა, სადაც წარმოდგენილია ცნობა გიორგი მერჩულის თხზულების შემცველი ხელნაწერის შესახებ (ვრცელი ამონაწერით გიორგი მერჩულის ტექსტიდან) და რომელიც დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“ 1889 წ. №№ 70, 72, 73, („საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი“), ნიკოლოზ ჩუბინაშვილს ეკუთვნის (იგი შეუდგენია ნ. ჩუბინაშვილს იერუსალიმში მოგზაურობის დროს 1845 წელს). იგივე აღწერილობა ნ. ჩუბინაშვილის ავტოგრაფული ხელნაწერის მიხედვით დაბეჭდა 1894 წელს პროფ. ალ. ცაგარელმა, *Сведениа о памятниках грузинской письменности*, III, გვ. 44 — 52.

² იხ. ნ. მარი, *Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию*, ТР, VII, 1911 წ.


³ იხ. იქვე, გვ. 139.

⁴ იხ. იქვე, გვ. 125.

რაც შეეხება შატბერთს, მისი ადგილმდებარეობა შესაძლოა განსაზღვრულ იქნეს მხოლოდ მიახლოებით.

იმისათვის, რომ შესაძლო გახდეს აქ აღძრული საკითხების გადაწყვეტა.

კლარჯეთის თორმეც სავეანეთა მხარე



— კლარჯეთის თორმეც სავეანეთა მხარის საზღვრები
 - - - - - სავეანეთა საზღვრები

არაბული ციფრებით აღნიშნულია ბაგრატი IV-ის სიგელში მოხსენებული ადგილები:

1. ტახარის კლდისა ზიმღვომი ქედი.
2. ეყენათა ქედი.
3. დიდუბისა ხერთვისი.
4. საქათმისკარის ქედი.
5. ერთკარის ქედი.

გავეცნოთ ჯერ, თუ რა ჩვენებებს იძლევა გიორგი მერჩულის თხზულება და აგრეთვე ამ ეპოქის სხვა წყაროები კლარჯეთის 12 სავეანეთა ადგილმდებარეობის შესახებ და, კერძოდ, ხანძთისა და შატბერთის ადგილმდებარეობის საკითხის გამო.

ამ ჩვენებათა მიხედვით ირკვევა შემდეგი:

1. კლარჯეთის 12 სავანე ტერიტორიულად ერთ ზონაში იყო მოქცეული, ასინი ერთ განცალკევებულ ტერიტორიულ ერთეულს, ცალკე მხარეს შეადგენდნენ.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 54—55).

2. კლარჯეთის 12 სავანეთა ეს მხარე მდებარეობდა არტანუჯისა და ანჩის მეზობლად.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 104, 67, 114—119).

3. კლარჯეთის ამ თორმეტ სავანეთა მხარის საზღვრები იყო: ერთი მხრით (ჩრდილოეთის მხრით) — დადოს მთა, რომელიც კარჩხალის მთების განშტოებას წარმოადგენს, ხოლო მეორე მხრით (სამხრეთის მხრით) საზღვარი იყო შავშეთ-იმერხეთის წყალის ხეობა.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 54: ეამთაღმწერელი გვ.* 853 — 858/700 — 703; ბაგრატ IV-ის სიგელი ოპიზისა და მიძნაძროჯა შესახებ)¹.

4. თუ როგორ ესაზღვრებოდნენ ერთმეორეს კლარჯეთის სავანეები, ამის შესახებ სავსებით ზუსტი ცნობებია დაცული გიორგი მერჩულის ძეგლში. გიორგი მერჩულეს აღწერილი აქვს, თუ როგორ იმოგზაურეს კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარეში მე-9 საუკუნის 30-იან წლებში მეფე-კურაპალატმა ბაგრატ I-მა და მისმა ძმებმა, გრიგოლ ხანძთელისა და მისი თანამოღოლაშენების თანხლებით². სახელდობრ, გიორგი მერჩულის ძეგლში ნაჩვენებია შემდეგი მარშრუტი არტანუჯიდან დაწყებული, კლარჯეთის სავანეებზე გავლით:

ა) მოგზაურები, წამოსულნი არტანუჯიდან, პირველად მისულან შატბერთში.

ბ) შატბერთიდან მგზავრები გადასულან კლარჯეთის სავანეთა იმ კუთხეში, რომელსაც ეწოდებოდა „ბერთაჲ და მახლობელი მისნი“³. მე-9 საუკუნის 30-იან წლებში აქ მდებარეობდნენ სავანეები: ბერთა, დაბა და ჯმერკი. გიორგი მერჩულის სიტყვით, უფრო გვიან (ე. ი. მე-9 საუკუნის 30-იან წლების შემდეგ) ამ კუთხეშივე გაშენებულა დოლისყანა.

გ) ბერთის (ბერთა-დოლისყანის) ამ კუთხიდან მგზავრები გადასულან ოპიზაში.

დ) ოპიზიდან მგზავრები გადასულან ხანძთაში, რომელიც, როგორც ირკვევა, ერთის მხრით ესაზღვრებოდა ოპიზას, ხოლო მეორეს მხრით — მიძნაძროსს.

ე) ხანძთიდან მგზავრები გადასულან სავანეების — მიძნაძროჯს წყაროსთავის და ბარეთელთას კუთხეში. სახელდობრ, მგზავრები

¹ გიორგი მერჩულის ძეგლში საზღვრად მოხსენებულია „შავშეთის-წყალის“ ხეობა. ხოლო, როგორც ეს ირკვევა ბაგრატ IV-ის სიგელიდან, „შავშეთის-წყალი“ ამ დროს რქმევია არა მხოლოდ თანაჲდროჲე შავშეთის-წყალს, არამედ აგრეთვე მის გაგრძელებას მდინარე იმერხევს, რომელიც ერთის კოროსს).

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 67—70.

³ შდრ. გიორგი მერჩულე, გვ. 131.

ჯერ მისულან მიძნადოროში, აქედან წყაროსთავში, შემდეგ ბარეთელთაში.

ასეთია ეს უაღრესად მნიშვნელოვანი აღწერილობა კლარჯეთის სავანეთა მხარეში მოგზაურობისა, რომელთა მიხედვით ზუსტად ირკვევა ამ სავანეთა ადგილმდებარეობა.

5. გიორგი მერჩულის ძეგლში და სხვა ძველ-ქართულ წყაროებში, გარდა ზემოთაღნიშნული ცნობებისა, ჩვენ გვაქვს კიდევ, შემდეგი ჩვენებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ კლარჯეთის სავანეთა ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად.

ა) გიორგი მერჩულის თხზულებაში მეორე ადგილასაც ხაზგასმულია, რომ ხანძთა და ოპიზა ერთიმეორის უშუალო მოსაზღვრენი იყვნენ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 127).

ბ) ასევე მეორე ძველ-ქართულ ტექსტშიაც, რომელიც შეიცავს მესხეთის საეპისკოპოსოების საზღვრების აღწერილობას, ხანძთა და ოპიზა დასახელებულია ერთიმეორის მოსაზღვრედ¹.

გ) კერძოდ, შატბერთის ადგილმდებარეობის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გიორგი მერჩულის ძეგლის შემდეგ ჩვენებასაც: გიორგი მერჩულის ამ მეორე ცნობის თანახმად (რაც ზუსტად უდგება კლარჯეთის სავანეთა მხარეში მოგზაურობის ზემოთმოყვანილს აღწერილობას) — შატბერთი მდებარეობდა კლარჯეთის სავანეთა მხარის განაპირაზე და დაშორებული იყო როგორც ხანძთას, ისე მის მიმდგომ სავანეებს. გიორგი მერჩულის ამ მეორე ცნობით ხანძთის მეზობელი სავანეები იყო ოპიზა, ბერთა და „მახლობელნი მისნი“ (დაბა და ჯმერკი), მიძნადორო და წყაროსთავი, ხოლო შატბერთი ამ სავანეებს დაშორებული ყოფილა; გიორგი მერჩულე წერს: „ხოლო შატბერთი დალაცათუ სხუათა მათ უდაბნოთა [—სავანეთა: ხანძთასა, ოპიზასა, ბერთასა და მახლობელთა მისთა—დაბასა და ჯმერკსა, მიძნადოროსა და წყაროსთავს] მცირედ შორავს, არამედ განუყოფელად თანამომე არს მათი... მოძღურებისა წესითა... და ყოვლითავე კეთილისა საქმითა“², ე. ი. შატბერთი თუმცა მცირედ დაშორებულია ხანძთას და სხვა ჩამოთვლილ სავანეებს, მაგრამ მოძღვრებითა და კეთილის საქმით მათი განუჯრელი თანამომე არისო.

ასეთია ის ცნობები გიორგი მერჩულის ძეგლისა და სხვა ქართული წყაროებისა, რომელთა მიხედვით შესაძლო ხდება სინათლის შეტანა კლარჯეთის სავანეთა ადგილმდებარეობის საკითხში.

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ სახელდობრ სად მდებარეობდნენ ღღემდე აღმოუჩენელნი ხანძთა და შატბერთი.

¹ იხ. აღწერილობის ტექსტი — თ. ჟორდანია, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 187; დ. ბაქრაძე, Археологическое путешествие по Гурии и Абхазе, 1878 წ., გვ. 81; ე. თაყაიშვილი — არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I. 1907 წ., გვ. 76.

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 131.

ა. ხ ა ნ ძ თ ი ს ა დ გ ი ლ მ დ ე ბ ა რ ე ო ბ ა

წყაროების ჩვენებათა. შეფარდებიდან სრულიად უდავოდ დასტურდება, რომ ხანძთა არის სწორედ ის უსახელო საეანე, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის სამხრეთ ზონაში (რომელიც ამჟამად ქვემო-ფორთის ანუ „ფორთის ბაღები“-ს სახელით არის ცნობილი), ე. ი. ის საეანე, რომელიც ნ. მარმა შეცდომით შატბერთად მიიჩნია.

რომ ფორთის სამხრეთი ზონის (ქვემო-ფორთის) ეს უსახელო საეანე არის ხანძთა, ამას ამტკიცებს მთელი რიგი ექვემიუტანელ ჩვენებანი.

1. თავდაპირველად ჩვენ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას შემდეგს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ წყაროების ნიშანდობლივი ჩვენებათა თანახმად, ხანძთა მდებარეობდა ოპიზის მოსაზღვრედ, ოპიზისა და მიძნაძოროს შუა (ამას ადასტურებს გიორგი მერჩულის ძეგლის ორგზისი უწყება და მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობა, იხ. ზემოთ, გვ. 309—310). ხოლო ფორთის სამხრეთი ზონის (ქვემო-ფორთის) უსახელო საეანე მდებარეობს ნიშანდობლივ სწორედ აღნიშნულ ადგილას, ოპიზის მოსაზღვრედ, ოპიზისა და მიძნაძოროს შუა.

(რაც შეეხება შ ა ტ ბ ე რ თ ს, იგი, როგორც გამოიკვა, დაშორებული იყო ოპიზა-მიძნაძოროს ზონას; შატბერთი მდებარეობდა არა ოპიზისა და მიძნაძოროს შორის, არამედ არტანუჯსა და დოლისყანა-ბერთის სექტორს შუა. იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 309 და აგრეთვე ქვემოთ, გვ. 316 — 317).

2. მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების ზემოთ-დასახელებულ აღწერილობაში აღნიშნულია, რომ ერთიმეორის მოსაზღვრე პუნქტებს — ხანძთას და ოპიზას — შორის მდებარეობდა ადგილი, რომელსაც რქმევია და ხ ა ტ უ ლ ა. („ხ ა ნ ძ თ ა ს და ო პ ი ზ ა ს შუ ა და ხ ა ტ უ ლ ა“ — ნათქვამია საზღვრების აღწერილობაში). ეს სახელწოდება ადგილისა და ხ ა ტ უ ლ ა დღემდისაც შენახულა ადგილობრივ. ნ. მარს თავის მოგზაურობაში 1904 წელს აღნიშნული აქვს, რომ ადგილს, რომელიც მდებარეობს ქვემო-ფორთის უსახელო საეანის ტერიტორიისა და ოპიზას შუა, დღესაც ეწოდება და ხ ა ტ უ ლ ა¹.

ამრიგად, ამის მიხედვითაც აგრეთვე დასტურდება, რომ ქვემო-ფორთის უსახელო საეანე არის ხანძთა.

(ნ. მარს, რომელმაც აღნიშნა სახელწოდება და ხ ა ტ უ ლ ა არსებობა ოპიზისა და ქვემო-ფორთის საეანეს შუა, ამავე დროს გამოპარვია მხედველობიდან მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობის ზემოთ-მოყვანილი ცნობა დახატულას შეახებ, რომ იგი მდებარეობს ხანძთას და ოპიზას შუა, და საიდანაც დასტურდება ხანძთისა და ქვემო-ფორთის უსახელო საეანის იგივეობა).

3. რომ ქვემო-ფორთის ეს უსახელო საეანე არის იგივე ხანძთა, ამას სრულიად უდავოდ და დოკუმენტალურად ამტკიცებს ამ საეანის ერთი წარწერა, რომლის ცნობა უდგება სინას მთის „სულთა-მატიანის“ ტექსტის ჩვენებას ხანძთის მაშენებელთა შესახებ.

¹ იხ. ნ. მარი, Дневник, TP, VII, გვ. 141—142

ქვემო-ფორთის საეპისკოპოსოს ტერიტორიაზე, საეპისკოპოსოს მთავარი ტაძრის გვერდით, აგებულია სამრეკლოს გუმბათიანი შენობა. სამრეკლოს გუმბათზე დაცულია წარწერა. შესრულებული ასომთავრულით, რომელშიაც იკითხვის:

„ქრისტე შეიწყალე მარკოზ, დედა-მამა მისი. შეუნდვენ ღმერთმან“¹.

ეს პირი, მარკოზი, მოხსენებული სამრეკლოს გუმბათის წარწერაში, როგორც ირკვევა, ყოფილა მაშენებელი სამრეკლოსი.

მივმართოთ ამის შემდეგ მეორე წყაროს, სინას-მთის სულთა-მატიანეს, სადაც დაცულია ცნობები ხანძრის (ხანცთის) მაშენებელთა შესახებ; ამ ძეგლში, სინას-მთის სულთა-მატიანეში, ჩაწერილია ასეთი მოხსენებელი:

„ხანცთისა აღმაშენებელსა სულკურთხეულსა გრიგოლს (—სულკურთხეულ ყოს ღმერთმან და მაყვლოვნისა [სინისა] ღმრთისმშობელმან! —) [და] მისსა ყმასა მარკოზსა, ხანცთისა სამრეკლოსა აღმაშენებელსა, — შეუნდოს ღმერთმან...“².

სინას მთის სულთა-მატიანეში მოხსენებული „ხანცთისა აღმაშენებელი გრიგოლ“ არის გრიგოლ ხანძთელი. ხოლო მარკოზ, „ხანცთისა სამრეკლოსა აღმაშენებელი“, როგორც ვხედავთ, არის იგივე მარკოზ, ჩვენი ძეგლის სამრეკლოს მაშენებელი, რომლის სახელი მოხსენებულია სწორედ სამრეკლოს წარწერაში.

ამრიგად, უდავო ხდება, რომ ეს ძეგლი, ქვემო-ფორთის უსახელო საეპისკოპოსოს, არის იგივე ხანძთა.

4. დასასრულ, შევჩერდებით ქვემო-ფორთის უსახელო საეპისკოპოსოს (როგორც გამოირკვეა ხანძთის) ერთ წარწერაზე, რომლის თვით ტექსტში მოიხსენება ხანძთა (ხანცთა).

ეს წარწერა, რომელიც დიდი მოცულობისა ყოფილა, ამჟამად ნაკლულევანად არის მოღწეული. წარწერა თავდაპირველად ოთხ ქვაზე ყოფილა მოთავსებული, ამათგან შენახულა პირველი და მესამე ქვები, ხოლო მეორე და მეოთხე ქვები დაკარგულია (ამასთან თვით მოღწეულ პირველსა და მესამე ქვებზე სტრიქონები აღვიღ-აღვიღ დაზიანებულია).

პირველი ქვა წარწერისა ჩამოტანილი იყო ქვემო-ფორთიდან (ე. ი. ხანძთიდან) თბილისში (ყოფილ კავკასიის მუზეუმში) დ. ი. ერმაკოვის მიერ. ამ პირველი ქვის წარწერის ტექსტი დაბეჭდილი აქვს ე. თაყაიშვილს (Археологические экскурсии, размышления и заметки, II, 1905 წ., გვ. 56—61).

მესამე ქვა წარწერისა იპოვა ქვემო-ფორთაში 1904 წელს ნ. მარმა. დაწერილობა ამ მესამე ქვისა, აგრეთვე მისი ზომა (სიმაღლე და განი) და სტრიქონების რიცხვი უდგება პირველ ქვას. ამ მესამე ქვის წარწერის ტექსტი დაბეჭდილი აქვს ნ. მარს (იხ. TP, VII, გვ. 140).

თუ ჩვენ შევედრებით ამ ერთი წარწერის განცალკევებულ ნაწილებს, მივიღებთ შემდეგ სურათს.

მოაკვყავს მოღწეული ტექსტი ქარაგმების გაუხსნელად, დაზიანებული და დაკარგული ადგილების აღდგენით.

¹ იხ. ნ. მარი, Дневник, TP, VII, გვ. 145 და სურ. 52.

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ., გვ. 241.

ნიშანი I აღნიშნავს, რომ ასო მხოლოდ ნაწილობრივ არის დაზიანებული და მისი წაკითხვა შესაძლებელია.

დეფისებით აღნიშნულია დაკარგული ნაწილები (დეფისების ნიშნების რაოდენობა დაახლოებით უჩვენებს დაკარგული ასოების რაოდენობას).

მრგვალ ფრჩხილებში () ჩასმულია ასოები და სიტყვები, რომლებიც დაკარგულია, და რომელთა აღდგენა შესაძლებელი ხდება სიტყვის გადარჩენილი ნაწილისა და აზრის საერთო მიმდინარეობის მიხედვით.

(I ქვა)	(II ქვა)	(III ქვა)	(IV ქვა)
1. ქ. სახელითა ღმთ	(ა)-----	გ----- ხ'ნ'ც'	(თისა წმლისა)
2 მთვრ მოწმისა	(გ'ნითა)-----	ი----- თ'ეს ეუ	-----
3. მამა იოვანე ურ ერ	(სთვთა ერსთვი)-	სა----- (მი)ვ'ლ'თ მისგ'ნ	-----
4. მს შველთ ესე ც'პრი	-----	რლ----- 'ლ'დ მ'ფსა. მი	-----
5. ც'რი ად სჯ'რდ ჩი გაოს	(როკლე)-	ვს----- 'თსა ო'ო ქთ(?)	-----
6. (ლიპარი?)ც ერსთვთა ერს	(თვი)-----	იე: გნი--ლირს ყოს ღ'ნ	-----
7. ---- ვიწნე (?) ეკლეს	(ია)-----	ა ა'ნ ესე მ'სე ღ'წვე ლცვ:	(ყ'თ ყ'თათუქ)
8. (და ჩემ) ცღვლ	(სთვსცა ღ'ცვა)	ყ'თ	

ქარაგმების გახსნით ტექსტში შესაძლოა ამოკითხულ იქმნეს შემდეგი ადგილები:

1. ქ. სახელითა ღმრთისაჲთ || (ა)----- || გ----- ხანც' (თისა წმიდისა) ||
2. მთავარმოწამისა || (გიორგისითა)----- || ი----- თეოდორეს ეუ ||----- ||
3. მამა იოვანე ყოფილი ერ' || (ისთავთა-ერისთავი) - || სა----- (მი)ვილთ მისგან ||----- ||
4. მას მიუყიდეთ. —
ესე ცაპარი ||----- || რომელ----- ლად მეფესა მი ||----- ||
5. ც'რი(?) არამედ საგუარემ ჩემი გაუს || (რულე)----- || ვს----- თსა უფალო ქთ(?) |----- |
6. (ლიპარი?)ც ერისთავთა-ერის || (თავი)----- || იე(?)გნი--ლირს ყოს ღმერთმან ||----- ||
7. ---- ვიწნე (?) ეკლეს' || (ია)----- || ა, ამეს. ესე მოსე დავწერე, ლოცვა || (ყავთ უოველთათუქ),
8. (და ჩემ) ცოდვილი || (სათვსცა ლოცვა) || ყავთ.

ამ დაზიანებულ წარწერაში ჩვენთვის ამჟამად ინტერესს წარმოადგენს მისი დასაწყისი: „ქ. სახელითა ღმრთისაჲთა... ხანც(თისა წმიდისა) მთავარ-მოწამისა (გიორგისითა)...“

ხანძთის ტაძარი, როგორც ეს ჩანს გიორგი მერჩულის თხზულების ტექსტიდან, აგებული იყო „მთავარმოწამის გიორგი“-ს სახელობაზე. (იხ. გიორგი, მერჩულე, გვ. 37—38, 68, 118).

ამრიგად, ადგილობრივი წარწერის ეს დოკუმენტალური ჩვენება, დასახელება თვით „ხანც(თისა)“, და ამის გვერდით „(წმიდისა) მთავარმოწამისა (გიორგისა)“, რომლის სახელზედაც აგებული იყო ხანძთა, საბოლოოდ ამტკიცებს, რომ ფორთის სამხრეთი ზონის (ქვემო-ფორთის) ეს უსახელო საფანე არის ნიშანდობლივ ხანძთა.

*

ბ. ძველი ფორთა, კათედრალი მე-5 — 7 საუკუნეთა.

წარმოდგენილი მასალებიდან, ამრიგად, გამოირკვა, რომ ფორთის სამხრეთი ზონის (ქვემო-ფორთის) უსახელო საფანე არის ხანძთა.

აქ საჭიროა შევეხოთ აგრეთვე საკითხსაც, თუ რა დროისაა თვით სახელწოდება ფორთა, არის იგი ახალი წარმოშობისა, თუ იგი ძველი ეპოქიდან მომდინარეობს.

როგორც ირკვევა, კულტურული ცენტრი ფორთაში უძველესი დროიდანვე არსებულა და ეს სახელწოდება „ფორთა“ ადრეულ საშუალ-საუკუნეებიდანვე არის დამოწმებული.

ფორთაში მე-5—7 საუკუნეებში საეპისკოპოსო კათედრა არსებულა. იბერიის (ქართლის) საკათალიკოსოს საეპისკოპოსოთა ცნობილ სიაში, რომელიც 506 წელს ეკუთენის, მოიხსენება საეპისკოპოსო ფორთა¹.

საისტორიო წყაროები გვაძლევენ საშუალებას დავადგინოთ, რომ წინა-არაბულ ხანაში, მე-5—7 საუკუნეებში, კლარჯეთსა და მის მიმდებარე მხარეებში (ნიგალის-ხევი და შავშეთში, ზემო-აქართი) — სანი საეპისკოპოსო არსებობდა: ახიხისა, ფორთისა და ანჩისა². უფრო გვიან ხანაში კი, მე-8—9 საუკუნეებში, კლარჯეთი და დასახლებული მიმდგომი მხარეები (ნიგალის-ხევი, შავშეთი და ზემო-აქარა) მთლიანად ანჩის საეპისკოპოსოს ფარგლებში არის გაერთიანებული. როგორც ცნობილია, მე-9 საუკუნის 30-იან წლებში კლარჯეთი და მიმდგომი მხარეები გახდა ასპარეხი არაბთა მიედართმთავრის მურვან-ყრუს ლაშქრობისა, რის შედეგადაც კლარჯეთი და მიმდგომი მხარეები განადგურდა და მოსახლეობა საგრძობლად შეპყირდა; ცხადია, ამათ იყო გამოწვეული გაერთიანება ყოფილი სამი საეპისკოპოსოს ტერიტორიისა ერთი საეპისკოპოსოს (ანჩის) ფარგლებში.

უფრო გვიან, მე-10 საუკუნის დასაწყისში, ანჩის ამ გაერთიანებულ საეპისკოპოსოს გამოუყო საეპისკოპოსო ტბეთისა და ამ დროიდან აქ ორი საეპისკოპოსო არსებობს: ანჩისა (რომელიც მოიცავს კლარჯეთსა და ნიგალის-ხევს) და ტბეთისა (რომელიც მოიცავს შავშეთს ზემო-აქართი)³.

ასეთია სახლერების ცვლილებანი ამ მხარეთა საეპისკოპოსოებისა: ახიხისა, ფორთისა, ანჩისა და ტბეთისა⁴.

რაკი აზრიგად ირკვევა, რომ ფორთა ადრეულ საშუალ-საუკუნეებში, წინა-არაბულ ხანაში, მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა და აქ საეპისკოპოსო ცენტრი არსებობდა, საკითხავი ხდება, ხომ არ შენახულა აქ ძველი კათედრალის ნაშთი.

როგორც ირკვევა, ეს ნაშთი ძველი კათედრალისა დღემდის მოღწეულა.

¹ იხ. ეპისტოლეთა წიგნი („გირქ თლთოც“), 1901 წ., 182 — 183; შდრ. უხტანეს ურპაელი, ქართულ-სომეხთა განყოფის ისტორია, 1871 წ., გვ. 86.

² ახიხის შესახებ იხ. ცნობება ვანტანგ გორგასარისა, გვ. * 391/179; ანჩის შესახებ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 114 21-24.

³ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. * 579/349, *590/360; გიორგი მერჩულე, გვ. 114 და სხვანი (ცნობა ანჩის შესახებ) და 100 (ცნობა პირველი მტბეგრის შესახებ); სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხა (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, ტ. I 1907 წ., გვ. 75—77).

⁴ იხ. ამ საკითხებზე აგრეთვე ქვემოთ, გვ. 376 — 379.

ზენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ ფორთის მიდამოებში მოიპოვება ძველი, ძველი ტაძარი, ნაწილობრივ დანგრეული, რომელიც „ნუკა-საყდარი“-ს სახელით არის ცნობილი.

ეს ძველი, ნუკა-საყდარი, მდებარეობს სოფელ ფორთის ჩრდილოეთ ზონაში, სახელდობრ, ზემო-ფორთის ახლოს, სადაც ძირითადი ნაწილია სოფელ ფორთისა. ფორთის ეს ძველი, ნუკა-საყდარი, დაახლოებით ოთხი კილომეტრით არის დაშორებული ხანძთას (ე. ი. ქვემო-ფორთის უსახელო სავანეს).

რას წარმოადგენს და რა დროს ეკუთვნის ეს ძველი ნუკა-საყდარი?

ნ. მარს, როგორც აღვნიშნეთ, გამოთქმული ჰქონდა მოსაზრება, რომ ეს ძველი, ნუკა-საყდარი, ვითომც იყოს ხანძთა, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოირკვა ხანძთის ნამდვილი ადგილმდებარეობა, ნ. მარის ეს შემცდარი მოსაზრება თავისთავად იხსნება.

აქ საკვირაო აღვნიშნოთ ამასთან, რომ ნუკა-საყდარი თავისი სახეობით, არქიტექტურული ტიპით, ჩანს, ბევრად აღრინდელ დროს ეკუთვნის, ვიდრე მე-9—10 საუკუნეები.

ნ. მარი ამ ძველს მე-10 საუკუნეს მიაკუთვნებდა; სახელდობრ, ნ. მარი ფიქრობდა, რომ ეს ძველი შესაძლოა იყოსო ხანძთის ის „ახალი“ ტაძარი, რომელიც, გიორგი მერჩულის სიტყვით, აგებულ იქნა ხანძთაში ერისთავთ-ერისთავის აშოტ კუხის († 918 წ.) და მისი შემკვიდრის ერისთავთ-ერისთავის გურგენ დიდის († 941 წ.) მოღვაწეობით¹.

მაგრამ ეს მოსაზრება, რაც არაფრით არ ყოფილა დასაბუთებული, თავისთავად მიუღებელია არა მხოლოდ იმის გამო, რომ ხანძთა, როგორც გამოირკვა, სხვა ადგილას მდებარეობდა, არამედ ჯერ მართლაც ამ ძველის თვით არქიტექტურული სახეობის მიხედვითაც.

ნუკა-საყდარი არქაული ტიპის უგუმბათო ბაზილიკას წარმოადგენს².

ხოლო, როგორც ეს ირკვევა შევშეთ-კლარჯეთის ძველთა შესწავლიდან, მას შემდეგ, რაც 815—826 წლებში აშოტ I-ის დროს აგებულ იქნა ოპიხა, შევშეთ-კლარჯეთის მთავარი საპარადო ტაძრები გუმბათიანი შენობებოდა და, კერძოდ, წმინდა ბაზილიკური სახის შენობებსაც გუმბათიანს აგებდნენ. რომ ოპიხის ტაძარი, აგებული აშოტ I-ის მიერ, თავიდანვე გუმბათიანი ყოფილა, ეს უდავოდ დასტურდება აშოტ I-ის ბარელიეფიდან, სადაც აშოტ I, როგორც მაშენებელი, გამოქანდაკებულია ოპიხის ტაძრის მოდელით³. გუმბათიანი ყოფილა აგრეთვე არ ტანუჯის კათედრალი, აგებული აშოტ I-ის დროსვე. გუმბათიანია წმინდა ბაზილიკური ტიპის ტაძარი ბერთისა, რომელიც მე-9 საუკუნის ძველს წარმოადგენს. ასევე გუმბათიანია კლარჯეთის ჩვენ დრომდე მოღწეული ყველა სავანეების მთავარი ტაძრები: ხანძთისა (ე. ი. ფორთის სამხრეთი ზონის უსახელო სავანისა), რომელიც თარიღდება მე-10 საუკუნის პირველი ნახევრით (იხ. ქვემოთ, გვ. 319—322), წყაროსთავისა, მიძნაძოროისა და დოლისყანისა (ეს უკანასკნელი, თვით გუმბათზე ამოკვეთილი წარწერის თანახმად, თარიღდება მე-10 საუკუნის 50-იანი წლებით). ხოლო, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ასევე გუმბათიანია ტბეთის ტაძარი, რომელიც აგებულია მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში აშოტ კუხის ერისთავთ-ერისთავის მიერ (ე. ი. სწორედ იმ მთავრის მიერ, რომელსაც ნ. მარი მიაკუთვნებდა აგრეთვე ნუკა-საყდარის აგებასაც).

ნუკა-საყდარი არსებითად გამოირჩევა შევშეთ-კლარჯეთის იმ ტაძრებიდან, რომლებიც მე-9—10 საუკუნეებს ეკუთვნიან. ნუკა-საყდარი, როგორც მოვიხსენეთ, წარმოადგენს არქაული ტიპის ბაზილიკას, იგი თავისი სახეობით იმეორებს მე-5—7 საუკუნეთა უგუმბათო ბაზილიკების ტიპს. აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ნუკა-საყდარი მოკლებულია ყოველგვარ იმ არქიტექტურულ მოკაზმულობას, რაც შევშეთ-კლარჯეთის მე-9—10 საუკუნეთა ძველებს ახასიათებს. (ხო-მითაც იგი ბევრად ნაკლებია, ვიდრე კლარჯეთის სავანეთა მთავარი ტაძრები მე-9—10 საუკუნეთა).

ამრიგად, ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ნუკა-საყდარი ბევრად უფრო ძველ ხანას ეკუთვნის, ვიდრე—მე-9—10 საუკუნეები.

¹ იხ. ნ. მარი, TP, VII, გვ. XX.

² იხ. ფოტო ძველისა ნ. მარის გამოცემაში, TP, VII, გვ. 176 (სურათი 40).

³ იხ. ფოტო ბარელიეფისა ე. თაყაიშვილის შრომაში—Археологические раскопки и заметки, II, 1905 წ., გვ. 57.

ხოლო რაკი გამოირკვა, რომ ფორთა აღრინდელ ეპოქაში, მე-5—7 საუკუნეებში, საეპისკოპოსო კათედრას წარმოადგენდა, ცხადი ხდება, რომ ფორთის ჩრდილოეთი ზონის ეს ტაძარი (ნუკა-საყდარი), ტიპური ნაგებობა არქაული ეპოქისა, წარმოადგენს ფორთის ძველი კათედრალის ნაშთს.

*

გ. შატბერთის ადგილმდებარეობა.

გადავიდეთ ამის შემდეგ კითხვაზე, თუ სად მდებარეობდა შატბერთი. ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ ნ. მარს გამოთქმული ჰქონდა მოსაზრება, რომ შატბერთი უნდა იყოსო ქვემო-ფორთის უსახელო სავანე, ე. ი. სავანე, რომელიც, როგორც გამოირკვა, არის ხანძთა.

ხოლო რაც შეეხება ხანძთას, ნ. მარი, როგორც აღვნიშნეთ, ფიქრობდა, რომ ხანძთა უნდა იყოსო ნუკა-საყდარი, ე. ი. ფორთის ძველი კათედრალის ნაშთი.

უსათუძვლობა ნ. მარის ამ შეხედულებათა უკვე გამოირკვა.

აქ დამატებით აღვნიშნავთ კიდევ ერთ გარემოებას, საიდანაც ცხადი ხდება ნ. მარის ამ შეხედულებათა მცდარობა. ნ. მარის ეს შეხედულებანი აშკარად ეწინააღმდეგება გიორგი მერჩულის ტექსტის გარკვეულ ჩვენებებს.

ჩვენ უკვე აღვნიშნული გვექონდა, რომ გიორგი მერჩულის ცნობით შატბერთი მდებარეობდა კლარჯეთის სავანეთა მხარის განაპირაზე და დაშორებული იყო როგორც ხანძთას, ისე ხანძთის უშუალო მეზობელ სავანეებს გიორგი მერჩულის ცნობით, ხანძთის უშუალო მეზობელი სავანეები იყო: ოპიზა, ბერთა და „მახლობელნი მისნი“ (დაბა და ჯმერკი), მიძნადოროჲ და წყაროსთავი. გიორგი მერჩულეს, როგორც მოხსენებული გვექონდა, აღვნიშნული აქვს: „ხოლო შატბერთი დალაკათუ სხუათა მათ უდაბნოთა [—სავანეთა: ხანძთასა, ოპიზასა, ბერთასა და მახლობელთა მისთა — დაბასა და ჯმერკსა, მიძნადოროსა და წყაროსთავს] მცირედ შორავს, არამედ განუყოფელად თანამოდმე არს მათი... მოძღურებისა წესითა... და ყოვლითავე კეთილისა საქმითა“, ე. ი. შატბერთი თუმცაღა მცირედ დაშორებულია ხანძთასა და ყველა ჩამოთვლილ სავანეებს, მაგრამ მოძღვრებითა და კეთილი საქმითა მათი განუყრელი თანამოდმე არისო¹.

ხოლო თუ ჩვენ დაუშვებდით ნ. მართან ერთად, რომ შატბერთი ვითომც არის ფორთის სამხრეთი ზონის სავანე, ხოლო ხანძთა ვითომც არის ნუკა-საყდარი (ფორთის ჩრდილოეთი ზონის ძველი), ამით ჩვენ აშკარა წინააღმდეგობაში ჩავეარდებით გიორგი მერჩულის ტექსტის მიმართ.

მკითხველი გაეცნოს კლარჯეთის სავანეთა მხარის აქ დართულ რუკას (იხ. გვ. 308).

გიორგი მერჩულის ცნობით, როგორც ვნახეთ, შატბერთი უფრო დაშორებული იყო ხანძთას, ვიდრე ჩამოთვლილი სავანეები (ოპიზა, ბერთა, დაბა, ჯმერკი. მიძნადორო, წყაროსთავი). ხოლო თუ ჩვენ გავიზიარებთ ნ. მარის გაიგივებას, მაშინ ჩვენ სრულიად საწინააღმდეგო სურათს ვღებულობთ; გამოდის, გიორგი მერჩულის ჩვენების საწინააღმდეგოდ, ვითომც შატბერთი იყო არა ყველაზე შორეული, არამედ პირიქით, ვითომც შატბერთი იყო ყველაზე

¹ იხ. ზემოთ, გვ. 310.

ახლო ბელი საეანე ხანძთისა; შატბერთი ვითომც უფრო ახლო ყოფილა ხანძთასთან, ვიდრე ყველა ჩამოთვლილი საეანე (ოპიზა, ბერთა, დაბა, ჯმერკი, მიძნაძოროჲ, წყაროსთაეი).

ამრიგად, ნ. მარის ეს ლოკალიზაცია სრულიად აშკარა წინააღმდეგობაში იმყოფება გიორგი მერჩულის ტექსტის მიმართ და მისი მკლარობა ცხადია.

*

მაშ სად მდებარეობდა შატბერთი?

შევაჯამოთ ის ცნობები, რომელთაც ამ საგანზე იძლევა გიორგი მერჩულის ძეგლი.

ა. შატბერთი, როგორც გამოიჩქვა, მდებარეობდა კლარჯეთის საეანეთა მხარის განაპირაზე და დაშორებული იყო კლარჯეთის საეანეთა ძირითად ზონას (რომელსაც შეადგენდნენ საეანეები: ხანძთა და ოპიზა, ბერთა, დაბა და ჯმერკი, მიძნაძოროჲ და წყაროსთაეი).

ბ. შესაძლო ხდება იმისი დადგენაც, თუ სახელდობრ კლარჯეთის საეანეთა მხარის რომელ განაპირა კუთხეში მდებარეობდა შატბერთი: იგი მდებარეობდა ამ მხარის სამხრეთ-დასავლეთ განაპირაზე.

ჩვენ უკვე განხილული გეგონდა გიორგი მერჩულის თხზულებაში აღწერილი მარშრუტი, არტანუჯიდან დაწყებული, კლარჯეთის საეანეებზე გავლით, შატბერთიდან ვიდრე ბარეთელთამდე. ეს მარშრუტი, როგორც ვნახეთ, ასეთია:

1. არტანუჯი. — 2. შატბერთი. — 3—6. „ბერთა და მახლობელნი მისნი“ (დოლისყანა — ჯმერკი — დაბა — ბერთა). — 7. ოპიზა. — 8. ხანძთა. — 9. მიძნაძოროჲ. — 10. წყაროსთაეი. — 11. ბარეთელთა.

ამ მარშრუტის თანახმად შატბერთი მდებარეობდა კლარჯეთის საეანეთა მხარის სამხრეთ-დასავლეთ განაპირაზე, სექტორში, რომელსაც ერთი მხრით ესაზღვრებოდა არტანუჯის ზონა, ხოლო მეორე მხრით დოლისყანა — ბერთის კუთხე.

თუ გავითვალისწინებთ აქ აღნიშნულს, ცხადი ხდება, რომ შატბერთი მდებარეობდა იმ სექტორში, სადაც მდინარე იმერხევი ერთვის მდინარე კოროხს.

სამწუხაროდ, ეს სექტორი კლარჯეთისა არქეოლოგიურად დაწვრილებით შესწავლილი არ ყოფილა (კერძოდ, აქ არ შემოგზაურნია 1904 წელს ნ. მარს). ამის გამო შატბერთის ზუსტიადგილმდებარეობა გაურკვეველი რჩება.

არაა გამორიცხული, რომ ძველი შატბერთი იყოს ამ სექტორის იმ ადგილას, სადაც არტანუჯის უბანის კავკასიის შტაბის ძველ 5-ვერსტიან რუკაზე (1900—1914 წ. წ.) აღნიშნულია პუნქტი შაგორა და ნაჩვენებია ტაძრის ნანგრევები „Р. П.“ („Развалины Церкви“). საერთოდ, ამ რუკაზე ტაძრის ნანგრევები იშვიათად აღინიშნება ხოლმე, და ის გარემოება, რომ სოფელ შაგორასთან საგანგებოდ არის დასახელებული ტაძრის ნანგრევები, გვაფიქრებინებს, რომ აქ ნიშნველოვანი ძეგლის ნაშთი უნდა იყოს.

მაგრამ დამოუკიდებლად იმისგან, არის თუ არა სოფელ შაგორას მიდამოებში დასახელებული ტაძრის ნანგრევები ნაშთი ძველი შატბერთისა, ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უცილობელია, რომ ძველი შატბერთი საძიებელია არტანუჯის მხარის ამ უბანში, დოლისყანის მახლობლად, სექტორში, სადაც მდინარე იმერხევი ერთვის კოროხს.

აღსანიშნავია, რომ თვით სახელწოდებაც შატბერთი შესაძლოა არ იყოს დაკარგული. ისტორიკოსს თ. ფორდანიას ჩაწერილი აქვს 1890 წელს მესხეთის მხარეთა კარგი მცოდნის გრიგოლ გურიელის ცნობა, რომ „სოფელი შატბედი (რაც, ალბათ, დამახინჯებაა შატბერთის სახელისა) მდებარეობს ჭოროხის ხეობაში. მთაზედ; ართვინიდან შახბედამდე 40 ვერსტიაო“ (იხ. ქრონიკები, I, გვ. 97). გრიგოლ გურიელს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არა ერთგზის უმოგზაურნია ჭოროხის ხეობაში (შავშეთ-კლარჯეთში), როგორც თურქთა მფლობელობის დროს, ისე შემდეგაც¹; ამის გამო ეს ცნობა არ შეიძლება ჩაითვალოს მნიშვნელობას მოკლებულად. (აღსანიშნავია, რომ ზემოთ-დასახლებული შაგორა, რომლის მიდამოებშიაც სავარაუდებელია ძველი შატბერთი, დაშორებული არის ართვინს, — არსებული გზების მხედველობაში მიღებით, — დაახლოებით 30—40 კილომეტრით, ხოლო პირდაპირის ხაზით ნაკლების მანძილით).

ასეთია ის ცნობები, რაც ჩვენ მოგვეპოვება შატბერთის შესახებ, და რომელთა მიხედვითაც შესაძლო ხდება ზოგადად მაინც განსაზღვრულ იქმნეს ზონა შატბერთის ადგილმდებარეობისა.

არქეოლოგიური ექსპედიცია ამ მხარეში საბოლოოდ გააკრევედა ყველა აქ აღძრულ საკითხებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ქართველი მეცნიერი მოკლებულია ამჟამად საშუალებას იმოგზაუროს ძველი საქართველოს ამ მიწა-წყალზე, რომელიც თურქთაგან არის მიტაცებული.

ბ

ხანძთის სავანის ჩვენს დრომდე მოღწეული ნაშთები

წარმოდგენილი მიმოხილვის შემდეგ, კლარჯეთის იმ სავანეთა რიცხვს, რომელთა ადგილმდებარეობა გამოკრევეული იყო, ამჟამად ემატება ხანძთა.

როგორც გამოირკვა, ხანძთა ყოფილა ის უსახელო სავანე, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის სამხრეთ ზონაში და რომელიც ლიტერატურაში ფორთის (ქვემო-ფორთის) სახელით არის აღწერილი.

ხანძთა ძველი ქართული განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი, დაარსებული გრიგოლ ხანძთელის მიერ, ხოლო შემდეგ მოღვაწეობის ადგილი გიორგი მერჩულისა (სადაც დაიწერა თვით ეს თხზულებაც მერჩულისა, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს). მრავალმხრივ ღირსსახსოვარი ძეგლია ჩვენი წარსულისა.

ჩვენ აქ შევჩერდებით ხანძთის სავანის ჩვენ დრომდე მოღწეულ ნაშთებზე².

*

ხანძთის სავანე, როგორც ეს ირკვევა მოღწეული ნაშთების მიხედვით, დიდ არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენდა, იგი ნაგებობათა მთელ წყებას შეიცავდა.

¹ კერძოდ, 1874 წელს გიორგი ყახბეგმა იმოგზაურა თურქეთის საქართველოში გრიგოლ გურიელთან ერთად. (იხ. აგრეთვე ნ. მარის ცნობა გრიგოლ გურიელის შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის შესახებ, TP, VII, გვ. 9).

² სავანის ლიტერატურა: 1. აკად. ა. პავლინოვი, Экспедиция на Кавказ 1898 года (Материалы по археологии Кавказа, III, 1893 წ., გვ. 66—67); 2. ნ. მარი, Дневник поездки в Шапшетию и Кларджетию (TP, VII, 1911 წ., გვ. 139—156); ვ. თაყაიშვილი, Археологические экспедиции, разыскания и заметки, II, 1905 წ., 59—61. ფოტოები ხანძთისა (ე. ი. სამხრეთ-ფორთის უსახელო სავანისა) მოიპოვება დ. ერმაკოვის ცნობილს კოლექციაში.

ხანძთის საეანის ნაშთებიდან, რომლებიც ჩვენ დრომდე მოღწეულა, პირველ რიგში აღსანიშნავია შემდეგი არქიტექტურული ძეგლები:

1. საეანის მთავარი ტაძარი, რომელიც, როგორც ირკვევა გიორგი მერჩულის თხზულებიდან, აგებულია მეათე საუკუნის პირველ ნახევარში (იხ. ქვემოთ).

2. მეორე ტაძარი (მცირე), რომელიც, ჩანს, არის ის „ძველი“ ტაძარი, რომელიც, გიორგი მერჩულის ცნობით, აგებული იყო მე-9 საუკუნის დასაწყისში¹.

3. დიდი არქიტექტურული ნაგებობა — „საოსტიგნე“-დ წოდებული. საშუალო საუკუნეთა საეანეებში ამ ტიპის არქიტექტურული ნაგებობანი ჩვეულებრივ დანიშნული იყო სემინარია-სასწავლებელთათვის.

4. მეორე დიდი არქიტექტურული ნაგებობა, გრძელი დარბაზი, რომლის დანიშნულება გამოურკვეველია და რომელიც, შესაძლოა, ბიბლიოთეკის შენობას წარმოადგენდა².

ამათ გარდა ხანძთის საეანე, როგორც ირკვევა, შეიცავდა მთელ რიგ სხვა ნაგებობებს, დარბაზებს, რომელთა ნანგრევებით დაფარულია ხანძთის ტერიტორია³.

აქ ჩვენ შევჩერდებით ხანძთის მთავარი ტაძრის ნაგებობაზე.

ეს ძეგლი, ხანძთის მთავარი ტაძარი, თავისი გეგმით ბაზილიკისა და ჯვარის ტიპის შეერთებას წარმოადგენს. ხანძთის ეს ძეგლი, რომელსაც გიორგი მერჩულე „მშვენიერი“-ს სახელწოდებით მოიხსენებს, კლარჯეთის არქიტექტურული სკოლის მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა. კლარჯეთის საეანეთა მხარის ძეგლებიდან, რომლებიც ჩვენ დრომდე მოღწეულია, ხანძთა, კიბისთან ერთად, ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლებია.

მნიშვნელობა ხანძთის ძეგლისა ქართული ხელოვნების ისტორიისათვის კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ შესაძლო ხდება ამ ძეგლის ზუსტად დათარიღება.

ცნობილია აგრეთვე ამ ძეგლის ხუროთმოძღვარიც.

გიორგი მერჩულე ამ ძეგლის, ხანძთის მთავარი ტაძრის აგების შესახებ (რომელსაც იგი „ახალი ეკლესიის“ სახელწოდებით მოიხსენიებს), დაწერილებით ცნობებს გადმოგვცემს. ეს ცნობები მე-10 საუკუნის თანამედროვე მწერლისა თავისი დეტალებით, რომლებიც იმდროინდელ მშენებლობას ეხება, იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მისი მოყვანა. გიორგი მერჩულე გადმოგვცემს:

„შემდგომად გურგენ ქურაპალატისა [881—891 წ.], ძეჲან მისჲან აშოტ ერისთავთა-ერისთავმან [კუხმან, 896—918 წ.] ხანძთას ახალი ეკლესიაჲ დაიწყო წადიერად და ურიცხვ შესაწირავი გარდაჰმატა მას. ხოლო იყო მას ეამსა ხანძთას წინამძღურად მამაჲ არსენი, ნათესავით (ე. ი. შთამომავლობით) აზნაური; ამისითა განზრახვითა იქმნა დაწყებაჲ ახ-

¹ მხედველობაში გვაქვს ტაძარი დარბაზული ტიპისა, რომლის აღმოსავლეთი კედლის კამაროსან მინაშენთან გამოყვანილია წყარო (ტრ, VII, გვ. 155 და სურათი 49).

² ამ ნაგებობის — დარბაზის შესახებ ნ. მარი შენიშნავს: „Нашичелние здания, сны и их устройство, библнотека или что другое, пока трудно сказать“ (ტრ, VII, გვ. 154).

³ იხ. იქვე, გვ. 139—156.

ლისა მის და შუენიერისა ეკლესიისაჲ ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქვითა-კირითა მყარითა მრავალთა ეამთა-დაავაჲეს, და ესრეთ შეჰრაცხეს შემზადებამ ადგილისაჲ მის, ვითარმცა სრულიად აღეშენა. არამედ აკურთხენ ქრისტემან ამონა [ხუროთმოძღვარი], სობრძნით სრულიად მაშენებელი, და შემწენი ყოველნი, რომელთაგან კეთილად განემარჯუებოდა შენებამ ეკლესიისაჲ მის. ხოლო ქვაჲ და კირი ფრიად-შორით მოაქუნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა, და ყოველი სასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი.

„მას ეამსა გარდაიცვალა ღმრთის-მსახური იგი კელმწიფეჲ [აშოტ კუხი, ერისთავთ-ერისთავი, 918 წელს], წმიდათა ეკლესიათა მაშენებელი და მონაგებთა შემწირველი და გლახაკთა მოლუაწეჲ და დაემარხა ხანძთას...

„ხოლო გურგენ [918—941 წ.], ძმის-წული აშოტისი, დიდი იგი ჯელმწიფეჲ ფრიადთა ნათესავთაჲ, ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა-ერისთავად, და მან განასრულა ეკლესიაჲ იგი ახალი ხანძთისაჲ, და მის თანა ყოველთა დიდებულთა ჯელმწიფეთა, და აზნაურთა, და ყოველმან ერმან მორწმუნეთა-მან, და უფალმან კეთილი მოუკლებელი მიეცინ ყოველთავე“¹.

ამრიგად, ხანძთის ტაძარი აგებული ყოფილა მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, ხელმწიფეთა (მთავართა) — აშოტ კუხის ერისთავთ-ერისთავის († 918 წ.) და გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავის († 941 წ.) დროს.

ხუროთმოძღვარი ძეგლისა ყოფილა ამონა, რომელსაც განთქმული ხელოვანის სახელი ჰქონია მოხვეჭილი და რომელსაც გიორგი მერჩულე „სობრძნითა მაშენებელს“ უწოდებს.

აქ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ გიორგი მერჩულის აღწერილობის, კერძოდ, ერთ-დეტალზე, საიდანაც ჩვენ ვღებულობთ ახალ ზედმეტ დადასტურებას იმ ფაქტისას, რომ ეს სავენე არის სწორედ ხანძთა, ხოლო მთავარი ტაძარი არის ის ძეგლი, რომელსაც გიორგი მერჩულე „ახალი ტაძარის“ სახელით მოიხსენიებს.

გიორგი მერჩულეს, როგორც ვნახეთ, აღნიშნული აქვს, რომ ხანძთის ტაძარი აგებულ იქმნაო „ფიცხელსა მას კლდესა ზედა“, რომლის დავაკებამ, „ქვითა-კირითა მყარითა“ გასწორებამ, „მრავალი ეამის“ შრომა მოითხოვაო, იმდენად დიდი შრომა, რომ როდესაც ადგილი საფუძველისა შეამზადეს, ეს ისე იქმნაო მიღებული, რომ მთავარი შრომა უკვე გაწეულია და ტაძარი ძირითადში კიდევ ააშენესო. გიორგი მერჩულე, როგორც ვნახეთ, წერს: „იქმნა დაწყება ახლისა მის და შუენიერისა ეკლესიისაჲ ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქვითა-კირითა მყარითა მრავალთა ეამთა დაავაჲეს და ესრეთ შეჰრაცხეს შემზადებამ ადგილისაჲ მის, ვითარმცა სრულიად აღეშენა“.

საკმაოა გავეცნოთ ხანძთის მთავარი ტაძრის ფოტოგრაფიებს (იხ. ფოტო ძეგლისა ნ. მარის გამოცემაში, TP, VII, გვ. 138—140, სურათები 48 და 51), რათა ნიშანდობლივ ამოვიცნათ გიორგი მერჩულის აღწერილობა. ხანძთის ტაძარი, მართლაც, აგებულია „ფიცხელი“ კლდის ფერდობზე, იგი მთლიანად ამოყვანილია ხელოვნურად შექმნილს საფუძველზე. კლდის ფერდობი იმდენად „ფიცხლად“ დაქანებული ყოფილა, რომ მის დასავალებლად აუცილებელი გამზადარა მაღალი კედლის აღმართვა და ხელოვნური მოედნის შექმნა.

ეს ხელოვნური მოედანი თავისი აზიდული კედლით იმდენად თავისებურია და დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ნ. მარი ხანძთის ამ მთავარი ტაძრის აღწერილობის დროს საგანგებოდ შენიშნავს: „сущая же [црква] изринухъ есе бодсе сего оубахъ исе“. ნ. მარი ტაძრის აღწერილობის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ამ ხელოვნური საფუძველის აღწერილობას მიუძღვნის; ნ. მარი წერს:

¹ გიორგი მერჩულე, გვ. 71—72.

„სტარუმი [ღერვი] любопытно более всего основание. Почва здесь представляет скат и прежде всего калдяно крупными малоотделанными камнями сравнена почва. Для сравнения почвы под цоколем с стороны Портинской решки понадобилось у верхней линии склона семь рядов кладки, высотой 2 сажени, 1 арш., 6 1/2 в., у нижней линии десять рядов, высотой 2 сажени, 2 арш., 10 1/2 в. В эту же высоту входит довол цоколя из черного камня, с одним рядом шпакли камней под ним.

„Сверху и снизу, т. е. с севера и с юга, этого выведенного из камней фундамента на протяжении 5 сажени, 2 арш., 11 в. примыкают кладки, также для уравнивания почвы...

„Церковь выведена аккуратно на собственно искусственно созидаемом фундаменте так, что линии ее стен находятся в одной плоскости с линиями соответствующих стен фундамента...“

ამრიგად, აღნიშნულის შემდეგ გასაგები ხდება გიორგი მერჩულის საგანგებო მოთხოვნა ტაძრის საფუძვლის შემზადების შესახებ, რომ ტაძარი აგებულ იქნა „ფიტელსა მას კლდე-სა ხედა, რომელი ფრიადითა შრომითა და ქეთა-კირითა მყარითა მრავალთა რამთა დააკა-ყეს და ესრეთ შეპრაცხეს შემზადებაჲ ადგილისაჲ მის, ვითარცა სრულიად აღუშენა“.

ხანძთის მთავარი ტაძრის აშენების დროს ეკუთვნის დაზიანებულად და-ცული წარწერა (რომელიც თავდაპირველად, როგორც ჩანს, ხუთ ქვაზე ყო-ფილა მოთავსებული და რომლისაგან ამჟამად ორი ქვაა გადარჩენილი). წარ-წერა შესრულებულია კლასიკური ხანის — მეათე საუკუნის ასომთავრულით².

მოგვეყავს წარწერის ტექსტი, ქარაგმების გაუხსნელად, დაკარგული და დაზიანებული ადგილების აღდგენით.

ნიშანი () აღნიშნავს, რომ ასო დაზიანებულია მხოლოდ ნაწილობრივ და მისი წაკითხ-ვა შესაძლებელია.

მრგვალ ფრჩხილებში () ჩასმულია ასოები და სიტყვები, რომლებიც დაკარგულია და რომელთა აღდგენა შესაძლებელი ხდება სიტყვის გადარჩენილი ნაწილისა და ახრის საერთო მიმდინარეობის მიხედვით.

	(I)	(II)	(III)	(IV)	(V)
1.	(სახელით	ღ-ის	(ათა და)	იდვა	(საფუჲ)
2.	(ძველი დ)	ა ბა	(ლაეარი)	გარდ	(აერთხა)
3.	(ღ-წლითა)	ველმ	(წიფეთა და)	ერისით	(ა მამთ)
4.	(მთ-ვრბ)	სა ე	(ზრამსა)	ა-ჩსს	(ა)-----
5.	-----	ს'ით	-----	ლსა	-----
6.	-----	დსაკე	-----	თ დრა	-----
7.	-----	ლოც	(ვასა მო)	მივსე	(ნეთ)

ქარაგმების გახსნით:

1. (სახელითა) ღმრთისა(ათა და)იდვა (საფუ)-
2. (ძველი დ)ა ბა(ლაეარი) გარდ(აერთხა)
3. (ღუაწლითა) ველმ(წიფეთა და) ერისით(ა, მამათ)-

² იხ. ნ. მარი, Дневник, TP, VII, გვ. 149.

³ იხ. იქვე, სურათი 53 (გვ. 145—146).

4. (მთავრობა)სა ე(ზრახსა) ანჩელისს(ა) * ----
5. -----
6. -----
7. -----ლოც(ვასა მო)მიცხე(ნეთ).

გიორგი მერჩულე, როგორც ვნახეთ, მოგვეთხრობს, რომ ხანძთის მთავარი ტაძარი აგებული იყო მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში ხელმწიფეების (მთავრების) აშოტ კუხისა და გურგენ დიდის დროს, თანამოღვაწეობით სხვათა ხელმწიფეთა, აზნაურთა და აგრეთვე ერისა.

ამას უდგება ჩვენი წარწერის ტექსტის ჩვენება:

„(ლუაწლითა) კელმ (წიფეთა და) ერისით(ა)“.

აქ გამოთქმებიც კი ერთი და იგივეა; შეადარეთ ამას გიორგი მერჩულის ტექსტი: განასრულეს — „დიდებულთა კელმწიფეთა...და ყოველძან ერმან“ (გიორგი მერჩულე, გვ. 72).

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ შენიშვნებს ხანძთის სავანის ამ ძეგლის შესახებ.

ჩვენ აქ აღარ ვჩერდებით ხანძთის სავანის დანარჩენ ძეგლებზე. მათი აღწერილობა მოცემულია ნ. მარის მიერ (იხ. *Дневник поездки в Шавшетию и Еларджетию*, ТР, VII, გვ. 139—155, 202).

ბ

ძირითადი წყაროები კლარჯეთის სავანეთა ისტორიისათვის

მეორე სპეციალური საკითხი, რომელზედაც უნდა შევიჩრდეთ აქ წინასწარ, ვიდრე გადავიდოდეთ კლარჯეთის 12 სავანეთა ისტორიის ზოგად განხილვაზე, ეს არის ძირითადი პირველწყაროების მიმოხილვა.

კლარჯეთის სავანეთა ისტორიისათვის მე-5 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-10 საუკუნემდე სამი ძირითადი წყარო არსებობს:

მთავარი წყარო, რომელიც მოიცავს კლარჯეთის სავანეთა ისტორიას მერვე საუკუნიდან მეათე საუკუნემდე, — ეს არის ჩვენი ძეგლი — გიორგი მერჩულის თხზულება.

ხოლო უფრო ადრინდელი ხანისათვის, მეხუთე საუკუნიდან ვიდრე მეშვიდე საუკუნემდე, კლარჯეთის სავანეთა შესახებ ცნობებს შეიცავს ორი ძეგლი:

ა. „ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა“.

ბ. ბასილი ზარზმელის თხზულება: „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“.

*

ა. საისტორიო ძეგლი „ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა“ შეტანილია ძველ ქართულ მატანეთა ცნობილ კრებულში ქართლის ცხოვრებაში (იხ. ქართლის ცხოვრების კრებული, მარიამ დედოფლისეული ნუსხა, გვ.*294 — *400).

* ანგლი მამამთავარი, რომლის სახელიც დაწერილობა დაზიანებულად არის მოღწეული და რომლის სახელი იწვევს ასოთი „ე(—)“, ჩანს, არიან „ე(ზრ) ანჩელ“. როგორც ეს ირაკლია გიორგი მერჩულის ძეგლის დამატებიდან. „ეზრ... ლიხსი ანჩელი მამათთავარი... დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილი“ მე-10 საუკუნის ნახევრის მოღვაწე იყო (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 167).

ეს ძეგლი, ცხორება ვახტანგ გორგასარისა, რომლის შესახებ უფრო დაწერილებით სხვა ადგილას გვაქვს საუბარი, როგორც ირკვევა, დაწერილია მე-9 საუკუნეში¹.

ირკვევა ამასთან, რომ ავტორს ხელთა ჰქონია ვახტანგ გორგასარის მეფობის აღწერილობის ძველი წყარო. ეს ძველი წყარო ავტორს გამოყენებული აქვს მეტწილად მათიანის უკანასკნელ თავებში (იხ. მათიანის ტექსტი, გვ. *391—*400 მარიამის ნუსხით; იხ. აგრეთვე გვ. *359).

კერძოდ, ამ ძველი პირველწყაროდან მომდინარეობს ორი ნაკვეთი, რომლებიც ეხება საეკლესიო მშენებლობას საქართველოში და, კერძოდ, კლარჯეთში.

რადგან ჩვენ ქვემოთ არა ერთგზის მოგვიხდება დავემყაროთ ამ ტექსტებს, მოგვყავს აქ ისინი მთლიანად.

პირველი ტექსტი, რომელიც ეხება საეკლესიო მშენებლობას მთლიანად საქართველოში, იკითხვის შემდეგნაირად:

„ხოლო მცხეთას მეფემან ვახტანგ [გორგასარმან] ალაშენა ეკლესია მოციქულთა სვეტი-ცხოველი, და უპყრა სვეტსა შინა სანხრით ადგილსა მას, სადა იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიოჩი დიდი, და მუნ შინა დასვეს პეტრე კათალიკოზად, და სამოელ ეპისკოპოსად—მცხეთას საეპისკოპოსოსა;

„და დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახიზისასა;

„ერთი არტაანს—ერუშეთს;

„ერთი ჯაფახეთს—წუნდას;

„ერთი—მანგლისს;

„ერთი—ბოლნისს;

„ერთი—რუსთავს;

„ერთი ნინოწმიდას, უჯარმის კარსა, რომელ ვახტანგს გორგასარსა აღეშენა;

„ერთი—ქერემს, მისევე აღშენებულსა, და მუნ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი ალაშენა მანვე;

„ერთი—ჩელეთს, რომელი სოფელსა შუა ალაშენა;

„ერთი—ხორნაბუჯს;

„და ერთი აგარაკს, რომელი არს ხუნანის გაერთებით (resp. გაშართებით).

„და შემდგომად ამისსა ალაშენა ეკლესია ნიქოზისა, საგზებელსათანა (იეცხლისასა, და დასვა ეპისკოპოსი, სადა იგი ეფულა გვამი წმიდისა რაედენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა (ბრძოლასა) ვახტანგისასა“².

¹ ეს ძეგლი, ცხორება ვახტანგ გორგასარისა, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჯ. უანშერის ქრონიკის აოსებულ რედაქციას, ხოლო ეს უკანასკნელი 872—912 წლებს ეკუთვნის. ამავე დროს იუკვევა, რომ ცხორება ვახტანგ გორგასარისა უფრო გვიანი დროისაა. ვიღრე ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, რომელიც მე-8 საუკუნის ძეგლია. (იხ. პ. ინგოლოყა, ლეონტი მროველი, ცნობის მოამბე, X, 1941 წ., გვ. 93—152; პ. ინგოლოყა, ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოიხილვა, თბილ. მნათობი, 1939 წ., № 10—11, გვ. 199—208, 211—24).

² იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *391—392/179 (ანასეული ნუსხა, გვ. 125).

როგორც სამართლიანად აღნიშნა ივანე ჯავახიშვილმა, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელიც მე-5 საუკუნეს, ვახტანგ გორგასარის ხანას ეხება, ავთენტური ხასიათისაა¹.

ასევე ავთენტური ხასიათისაა და ცხადია ვახტანგ გორგასარის იმავე ძველი მატრიანიდან მომდინარეობს აგრეთვე მეორე ტექსტი, რომელიც იდენტური ხასიათისაა და ეხება მშენებლობას კლარჯეთის მხარეში;

„ხოლო [ერისთავმან ვახტანგ გორგასარისამან კლარჯეთისა ქუეყანასა] ალაშენა ციხე არტანუჯისა,

„და მონასტერი, რომელი არს ოპიზისა,

„და სამნი ეკლესიანი: დაბისა, მერისა და შინდობნისა,

„და განაახლა ციხე ახიზისა და ქმნა იგი ქვაბად“².

ასეთია ეს ორი მოკლე ტექსტი, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანს ავთენტურ ცნობებს შეიცავენ და რომლებიც, როგორც ირკვევა, მომდინარეობენ ვახტანგ გორგასარის ძველი მატრიანიდან.

ამრიგად, ამ უწყებათა თანახმად, კლარჯეთის საეპისკოპოსო ახიზისა დაარსებული ყოფილა ვახტანგ გორგასარის დროს, მე-5 საუკუნეში (იხ. პირველი ტექსტი).

ასევე მე-5 საუკუნეში ყოფილა დაარსებული კლარჯეთის სავანე ოპიზა, აგრეთვე ტაძრები კლარჯეთისა — დაბისა, მერისა და შინდობნისა. მე-5 საუკუნეშივე ყოფილა აგებული კლარჯეთის ციხე არტანუჯი. რაც შეეხება ახიზის ციხეს, იგი ვახტანგ გორგასარის ხანის ადრე არსებულა და მე-5 საუკუნეში იგი მხოლოდ განუახლებიათ (იხ. მეორე ტექსტი).

*

გადავიდეთ ამის შემდეგ მეორე ძეგლზე — ბასილი ზარზმელის თხზულებებზე: „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“.

ამ ძეგლზე ჩვენ მოგვიხდება აქ დაწვრილებით შევჩერდეთ, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად შემცდარი შეხედულება იყო გამოთქმული ამ ძეგლის დაწერის თარიღის შესახებ და აგრეთვე ამ ძეგლში აღწერილი ამბების დროის შესახებ.

სახელდობრ, გამოთქმული იყო შეხედულება, რომ ბასილი ზარზმელის თხზულება დაწერილია მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო სერაპიონ ზარზმელი და მისნი თანამედროენი (რომელთა ბიოგრაფიასაც აგვიწერს ბასილი ზარზმელი) ვითომც იყვნენ მოღვაწენი მეცხრე საუკუნის — მეათე საუკუნის დასაწყისისა.

სინამდვილეში კი, როგორც შემდეგ გამოიკვევა, აქ არის შეცდომა მთელი სამი საუკუნით.

სახელდობრ, როგორც შემდეგ დავინახავთ, ბასილი ზარზმელის თხზულება დაწერილია არა მეათე საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ მეშვიდე

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928 წ., გვ. 277—278.

² იხ. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *359/157—158 (იხ. ხელნაწერთა ვარიანტები ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრების გამოცემაში, გვ. LXXXII—LXXXIII).

საუკუნეში; ხოლო სერაპიონ ზარზმელი და მისნი თანამედროვენი ყოფილან მოღვაწენი არა მეცხრე-მეათე საუკუნეთა, არამედ მეექვსე-მეშვიდე საუკუნეთა.

დადგენა ბასილი ზარზმელის თხზულების დაწერის თარიღისა (ასევე დადგენა ამ თხზულებაში მოხსენებული მოღვაწეებას ცხოვრების დროისა). — განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, საქართველოს ძველი კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის, ხოლო კერძოდ კი იმ საკითხისათვის, რომელიც აქ ჩვენი განხილვის უშუალო საგანს შეადგენს, — მესხეთის მხარეთა ისტორიისათვის.

იმისდა მიხედვით, თუ რა დროს მივაკუთვნებთ სერაპიონ ზარზმელისა და მის თანამედროვეთა მოღვაწეობას, მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებს, თუ მეცხრე-მეათე საუკუნეებს, სრულებით სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება მესხეთის მხარეთა ისტორია ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

ამის გამო ჩვენ აქ მოგვიხდება დეტალურად განვიხილოთ ამ ძეგლის თარიღის საკითხი.

რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოხსენებულნი პირნი მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, იოანე და სხვანი მეექვსე-მეშვიდე საუკუნეთა მოღვაწეები არიან და რომ ბასილი ზარზმელის თხზულება მე-7 საუკუნეში დაწერილი, ამის შესახებ თვით თხზულებაში ჩვენ გვაქვს გარკვეული ჩვენებანი.

ჯერ მიქელ პარეხელის დროის შესახებ, რომელმაც დააარსა კლარჯეთში სავანე პარეხი და რომელიც იყო მასწავლებელი სერაპიონ ზარზმელისა.

მიქელ პარეხელის მოღვაწეობის დასაწყისის გამო, ბასილი ზარზმელის თხზულებაში შემდეგია მოთხრობილი:

„ალეშენა რა წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ [სავანე] ოპიზაჲ — მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდება ანონა, ანდრია, პეტრე და მაქარი, ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით [ოპიზით] [მიქელ] და აღაშენა — მცირე ეგუტერი, შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ — რომელსა პარეხ უწოდებდნ. ხოლო ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუნდა, რამეთუ მიქელ იყო აღმაშენებელი, — რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოხსი, საკვრველთ-მოქმედისაჲ, რომელი ვითარცა მთიები განთიადისაჲ ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“¹.

ამ ცნობაში ჩვენ გვაქვს ორი სრულიად გარკვეული სათარილო ჩვენება, რომლებიც ქრონოლოგიურად ეფარდება და ამოწმებს ერთიმეორეს.

1. ოპიზა, როგორც ეს დასტურდება ვახტანგ გორგასარის მატეანის ზემოთ-მოყვანილი უწყებიდან, დაარსებული იყო ვახტანგ გორგასარის დროს, ე. ი. მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში.

2. შიო მღვიმელი, „რომელი ვითარცა მთიები განთიადისაჲ ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა“, მე-6 საუკუნის პირველი ნახევრისა და შუა წლების

¹ იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 150.

მოლვაწეა; დასაწყისი შიო მღვიმელის მოლვაწეობისა, ჩანს, არ სცილდება 510 — 520 წლებს¹.

ამრიგად, როგორც მოგვითხრობს ბასილი ზარზმელი, ჯერ კიდევ არ იყო გასული დიდი ხანი მას შეჰდევ, რაც დაარსებულ იქმნა ოპიზა, რომ აქ, ოპიზაში, დამკვიდრებულა შიო მღვიმელის მოწაფე მიქელი; ხოლო რაკი ოპიზა დაარსებული იყო მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო შიო მღვიმელის მოლვაწეობა 510 — 520-იანი წლებიდან იწყება, ამის მიხედვით მიქელის დამკვიდრება ოპიზაში საკმაო მიახლოებით შეექმნე საუკუნის შუა წლებს უნდამიეკუთვნოს. აღნიშნულის მიხედვით, მიქელის მოლვაწეობა კლარჯეთში, ჯერ ოპიზაში, ხოლო შემდეგ პარეხში, ძირითადად შეექმნე საუკუნის მეორე ნახევრით შემოიფარგლება.

მიქელის მოლვაწეობის შედეგად პარეხი განათლების მნიშვნელოვანი ცენტრი გამხდარა. ბასილი ზარზმელის ცნობით მიქელს „მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა“, რომელთა შორის მთავარნი ყოფილან ბასილი და მარკელაოზ პარეხელნი. უფრო გვიან ბასილის მოწაფენი გამხდარან სერაპიონ ზარზმელი და მისი ძმა იოანე. მიქელთან დაახლოებული პირი ყოფილა აგრეთვე გიორგი მაწყვერელი.

მიქელ პარეხელი განთქმული მოძღვარი ყოფილა და ბასილი ზარზმელის სიტყვით მისნი მოწაფენი მოისმენდნენ „მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა“.

მიქელ პარეხელის გარდაცვალების შემდეგ მისი ბიოგრაფია აღუწერიათ მის მოწაფეებს. ეს ბიოგრაფია მიქელ პარეხელისა მოხსენებული აქვს ბასილ ზარზმელს თავის თხზულებაში².

განვიხილოთ ამის შემდეგ ბასილი ზარზმელის ცნობები სერაპიონ ზარზმელის შესახებ.

ბასილის ცნობით, სერაპიონ ზარზმელი წარმოშობით კლარჯეთის ქვეყნიდან იყო, მდაპიოთა წრიდან; სერაპიონის მშობლები ყოფილან „ლიტონად“ (უბრალოდ) მცხოვრებნი, რომლებიც „შრომით და ქუეყნის მოქმედებით“ (მის-მის-მოქმედებით) ირჩენდნენ თავს.

სერაპიონი და ორი მისი ძმა (ერთი უფროსი, რომლის სახელი მოხსენებული არაა, და მეორე უმცროსი, სახელად იოანე) ჯერ კიდევ არ ყოფილან სრულწლოვანნი, როდესაც დაობლებულან, მათ დაჰკარგეს ჯერ დედა, შემდეგ მამა.

მამის სიკვდილის შემდეგ უფროსი ძმა მამულში დარჩენილა და მიწათმოქმედებას შესდგომია, ხოლო უმცროსი ძმები — სერაპიონი და იოანე — შესულან სასწავლებლად პარეხის საეანეში.

ამ დროისათვის პარეხის საეანეში, მიქელ პარეხელის ხელმძღვანელობით, ფართოდ ყოფილა გაშლილი საგანმანათლებლო მუშაობა.

სერაპიონისა და მისი ძმის იოანეს შესვლა სასწავლებლად პარეხის საეანეში, როგორც ირკვევა, მომხდარა პარეხის დაარსების არა პირველ ხანაში,

¹ შიო მღვიმელის მეტაფრასული ცხორების მიხედვით, შიო მღვიმელის მოლვაწეობის პირველი პერიოდი იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც იბერიაში (ქართლში) ჯერ კიდევ არ იყო მეფობა მოსპობილი.

² იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 150—151.

არამედ შემდეგ, დაახლოებით მიქელის მოღვაწეობის შუა პერიოდში, როდესაც მიქელი გარშემორტყმული ყოფილა მრავალი მოწაფეებით. პარეხის საეანეში სერაპიონისა და მისი ძმის უშუალო მასწავლებლები ყოფილან მიქელ პარეხელის წოწაფეები ბასილი და მარკელაოზ პარეხელნი.

აღნიშნულის მიხედვით, სერაპიონისა და იოვანეს პარეხში დამკვიდრება უნდა მიეკუთვნოს საკმაო მიახლოებით მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარს. ხოლო რაკი სერაპიონი და იოანე, პარეხში სასწავლებლად შესვლის დროს, ჯერ კიდევ ყმაწვილები ყოფილან, ამის მიხედვით მათი დაბადების თარიღი დაახლოებით მეექვსე საუკუნის შუა წლებში არის სავარაუდებელი.

სერაპიონი და მისი ძმა იოანე, მას შემდეგ რაც ისინი განათლებას მიიღებენ პარეხის საეანეში, გადადიან სამცხის პროვინციაში. აქ, სამცხეში, სერაპიონი დააარსებს ზარზმის განთქმულ საეანეს, ხოლო შემდეგ იოანე დააარსებს აგრეთვე სამცხეში, ყველის ხეობაში (ახლანდელ ფოცხოვში, რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია), მეორე საეანეს, რომელსაც ეწოდა იოანე-წმიდა.

მიქელ პარეხელი, რომლის მოღვაწეობა კლარჯეთში მეექვსე საუკუნის ნახევრიდან იწყება, ჩანს, გარდაცვლილა მეექვსე საუკუნეშივე, ან მეექვსე-მეშვიდე საუკუნეთა საზღვარზე, სერაპიონისა და იოანეს სიცოცხლეში (სახელდობრ, როგორც აღნიშნულია ბიოგრაფიაში, მიქელი გარდაცვლილა მას შემდეგ, რაც სერაპიონმა დააარსა ზარზმის საეანე, ხოლო უწინარეს იოანე-წმიდის საეანის დაარსებისა).

რაც შეეხება სერაპიონსა და იოანეს, ისინი, ჩანს, გარდაცვლილან მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში; სერაპიონსა და იოანეს ღრმა მოხუცებამდე მიულწვევიათ, ბიოგრაფის სიტყვით მათ წარელეს „სიმრავლე წელთა და სიბერიითა კეთილითა განპოხნეს“.

ამრიგად, სერაპიონისა და იოანეს დაბადების თარიღი საკმაო მიახლოებით უნდა მიეკუთვნოს მეექვსე საუკუნის შუა წლებს, ხოლო გარდაცვალება მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარს.

დასასრულ, მწერლის ბასილი ზარზმელის ცხოვრების დროის შესახებ.

ბასილი ზარზმელი იყო ძმისწული სერაპიონისა, შვილი სერაპიონის უფროსი ძმისა.

ბასილი მისულა ზარზმაში მისი ბიძის სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში. უფრო გვიან ბასილი გამხდარა წინამძღვარი ზარზმის საეანისა.

ბასილის თავისი თხზულება, — ბიოგრაფია სერაპიონ ზარზმელისა და მისთა თანამოღვაწეთა, — დაუწერია ზარზმაში; დაუწერია იგი, ჩანს, უფრო ადრე, ვიდრე ზარზმის წინამძღვარი გახდებოდა.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება ჩვენი მწერლის ბასილი ზარზმელის შესახებ.

ამრიგად ირკვევა, რომ ბასილი ზარზმელის საზოგადოებრივი მოღვაწეობა მე-7 საუკუნეს ეკუთვნის და მისი თხზულება — ცხობება სერაპიონ ზარზმელისა — მე-7 საუკუნეშია დაწერილი.

ჩვენ გავეცანით უველა იმ ძირითად სათარღლო ცნობებს, რომელთაც შეიცავს ბასილი ზარზმელის თხზულება და რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ამ ძეგლის ქრონოლოგიის დასადებად.

დაგვრჩენია შევაჯამოთ ზემოთ-აღნიშნული.

ირკვევა, მაშასადამე, შემდეგი:

1. კლარჯეთის უძველესი სავანე ოპიზა დაარსებულია მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასარის დროს. ამ თარიღს ადასტურებს ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ორი საისტორიო წყარო: ვახტანგ გორგასარის მატთანე და ბასილი ზარზმელის თხზულება.

2. კლარჯეთის მეორე სავანე პარეხი დაარსებულია მე-6 საუკუნის ნახევრის ახლო ხანებში. მისი დამაარსებელია მიქელ პარეხელი, მოწაფე შიო მღვიმელისა.

3. მიქელ პარეხელის მოწაფეების სერაპიონისა და იოანეს ცხოვრების თარიღები, როგორც ირკვევა, შემდეგია: მათი დაბადება ეკუთვნის დაახლოებით მეექვსე საუკუნის შუა წლებს, ხოლო გარდაცვალება მე-7 საუკუნის პირველ ნახევარს. სერაპიონს დაუარსებია ზარზმის სავანე სამცხეში მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში ან მეექვსე-მეშვიდე საუკუნეთა საზღვარზე (მიქელ პარეხელის სიცოცხლეში); მას შემდეგ იოანეს დაუარსებია, აგრეთვე სამცხეში, მეორე სავანე, რომელსაც ეწოდა იოანე-წმიდა.

4. საზოგადოებრივი მოღვაწეობა მწერლის ბასილი ზარზმელისა (რომელიც იყო ძმისწული სერაპიონ ზარზმელისა) — მეშვიდე საუკუნეს ეკუთვნის. თხზულება ბასილისა — ცხორება სერაპიონ ზარზმელისა — თარიღდება მეშვიდე საუკუნით.

*

ამრიგად, როგორც ირკვევა, ბასილი ზარზმელის თხზულება სრულიად ზუსტ ჩვენებებს შეიცავს, თუ როდის არის იგი დაწერილი (პირველ-დედანი), და რა დროს ეკუთვნიან ამ ძეგლში მოხსენებულნი მოღვაწენი.

გავეცნოთ ამის შემდეგ, თუ რას ემყარება ის შეხედულება, რომელიც ბასილი ზარზმელის თხზულებას აშორებს მე-6—7 საუკუნეთა საზღვრებს და უფრო გვიან ხანას მიაკუთვნებს. ამ შეხედულების თანახმად, როგორც მოვისსენეთ, ბასილი ზარზმელის თხზულება ვითომც დაწერილია მე 10 საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო სერაპიონ ზარზმელი და მისნი თანამედროვენი ვითომც იყვნენ მოღვაწენი მე-9 საუკუნისა და მე-10 საუკუნის დასაწყისისა.

ეს შეხედულება უკანასკნელად ჩამოაყალიბა აკად. კორნელი კეკელიძემ ბასილი ზარზმელის თხზულების ახალი გამოცემის შესავალ წერილში¹.

რას ემყარება ეს შეხედულება?

სათავე ამ შეხედულებისა უნდა ვეძიოთ აკად. ნ. მარის შემცდარ კონცეფციის კლარჯეთის მხარის ისტორიის შესახებ, კლარჯეთის მხარის ეროვნული კუთვნილების შესახებ.

¹ იხ. კ. კეკელიძის გამოცემა: „დრინდელი ხანის ფეოდალური ქართული ლიტერატურა“ (I. იოანე საბანის-ძე, II. ბასილი ზარზმელი), თბილისი, 1935 წ., გვ. 99—143.

ნ. მარის მთელ რიგ თავის ნაწერებში იმ აზრს ავითარებს, ვითომც კლარჯეთი მერვე საუკუნემდე სომხური პროვინცია იყო, სომხეთს ეკუთვნოდა, და ვითომც აქ ქართველები მხოლოდ მე-8 საუკუნიდან დამკვიდრდნენ.

ეს შეხედულება ნ. მარს, კერძოდ, გამოთქმული აქვს გიორგი მერჩულის თხზულების გამოცემის შესავალ წერილში, რომელიც 1911 წელს გამოქვეყნდა.

ნ. მარის ავტორიტეტი ჩვენში იმდენად დიდი იყო, რომ ნ. მარის ეს დაუსაბუთებელი მოსაზრება უკრიტიკოდ იქმნა მიღებული მთელ რიგ მკვლევართა მიერ, და მათ შორის კ. კეკელიძის მიერ. ნ. მარის მიღევებით კ. კეკელიძე თავის ლიტერატურულ შტუდიებში დღემდისაც იმავე აზრს იცავს, რომ კლარჯეთი ვითომც სომხური პროვინცია იყო მე-8 საუკუნემდე, და რომ ქართველები აქ ვითომც მხოლოდ მე-8 საუკუნიდან დამკვიდრდნენ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941 წ., გვ. 47).

ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით გვექნება განხილული ეს შეხედულება ნ. მარისა და კ. კეკელიძისა. ჩვენ ვნახავთ, რომ ნ. მარის და კ. კეკელიძის ეს აზრი სავსებით მცდარია, იგი სრულიად ყალბად აშუქებს ორი მეზობელი ქვეყნის საქართველოსა და სომხეთის ისტორიის საკვანძო საკითხებს. პრეციზული ანალიზი ქართული, ბერძნული და აგრეთვე სომხური საისტორიო წყაროებისა საბოლოოდ ადასტურებს, რომ კლარჯეთი და აგრეთვე მისი მიმდგომი მხარეები, რომელთაც არა ქართულად აღიარებდნენ, ისტორიულად ძირეული ქართული ქვეყნებია.

საქართველო-სომხეთის ისტორიის ამ ძირითად საკითხებს, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ შევხებით. აქ კი ჯერჯერობით საუბარი გვექნება ბასილი ზარზმელის თხზულების თარიღის საკითხზე.

აქ საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ბასილი ზარზმელის თხზულების მონაცემები (ისევე როგორც ქართული მატრიანეების ჩვენებანი) ძირითადად ეწინააღმდეგება და აბათილებს ნ. მარისა და კ. კეკელიძის ზემოაღნიშნულ შეხედულებას კლარჯეთის შესახებ. ბასილი ზარზმელის თხზულებიდან (ისევე როგორც ქართული მატრიანეებიდან) ირკვევა, რომ კლარჯეთი ძირითადი ქართული ქვეყანა ყოფილა და ეს მე-8 საუკუნეზე ბევრად ადრე. ადვილად გასაგებია ამის გამო, რომ ისინი, რომელნიც გამოსთქვამდნენ შეხედულებას, რომ კლარჯეთი მე-8 საუკუნემდე არ იყო ქართული ქვეყანა, ვერ გაიზიარებდნენ იმ აზრს, რომ ბასილი ზარზმელის თხზულება მე-8 საუკუნეზე ადრეა დაწერილი და ეხება მე-8 საუკუნეზე ადრინდელ ამბებს. ამიტომაც ბასილი ზარზმელის თხზულების თარიღი ექვს ქვეშ იქმნა დაყენებული და მთელი საუკუნეებით გვიან იქმნა გადმოტანილი, როგორც შემდეგ დავინახავთ, სრულიად უსაბუთოდ.

*

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ რას ემყარება ეს შეხედულება, ვითომც ბასილი ზარზმელის თხზულება დაწერილია არა მეშვიდე საუკუნეში, არამედ მეთთე საუკუნეში, და ვითომც აქ აღწერილი ხანა ეს არის არა შეექვსე-მეშვიდე საუკუნეები, არამედ მეცხრე-მეთთე საუკუნეები.

ეს შეხედულება მხოლოდ და მხოლოდ იმას ემყარება, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში დასახელებული ზოგიერთი პირი ატარებს იმავე სახელებს,

რა სახელებსაც ატარებენ გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებული ზოგიერთი მოღვაწე (ხოლო გიორგი მერჩულის თხზულება კი უფრო გვიან ხანას აგვიწერს).

გადამწყვეტი მნიშვნელობის საბუთად მიჩნეულია უმთავრესად შემდეგი: ბასილი ზარზმელის თხზულებაში, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, მოთხრობილია, რომ პარეხის სავანე დაარსებული იყო მიქელის მიერ (რომელსაც ამის გამო ეწოდება მიქელ პარეხელი) და რომ მიქელს ჰყავდა მოწაფეები, რომელთაგან ერთი ატარებდა სახელს ბასილი; ხოლო გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებულია, რომ მე-9 საუკუნეში პარეხში მკვიდრობდაო ვინმე მიქელი, ხოლო მიქელის გარდაცვალების შემდეგ პარეხში მკვიდრობდაო ვინმე ბასილი (ეს უკანასკნელი თუმცაღა მიქელის მოწაფედ არ მოიხსენება).

ამის მიხედვით დაასკენიან, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოხსენებული პარეხელი მოღვაწენი მიქელი და ბასილი უნდა იყვნენო გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებულნი გვიანი დროის მოღვაწეები მიქელი და ბასილი.

ამ გაიგივებას შემდეგი მოსაზრება უღვეს საფუძვლად. სახელების შეხვედრა ერთსა და იმავე პუნქტში (ამ შემთხვევაში პარეხში) თითქოს არ შეიძლება იყოს შემთხვევითი და ეს ვითარცა იმის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რომ აქ ერთსა და იმავე პირებთან გვაქვს საქმე.

ეს მოსაზრება, რასაკვირველია, ვერ უძლებს სერიოზულ კრიტიკას.

ვფიქრობთ არაა საჭირო სიტყვის გავრცელება იმის შესახებ, რომ მართო სახელების შეხვედრის მიხედვით არაფრის დამტკიცება რა შეიძლება. მით უმეტეს ისეთი სახელები, როგორიცაა მიქელი და ბასილი, იმდენად გავრცელებული და ხშირი იყო, რომ საუკუნეთა განმავლობაში ეს სახელები, რასაკვირველია, შესაძლოა მრავალგზის ყოფილიყო განმეორებული.

ავიღოთ მაგალითისათვის ძველი ქართული ონომასტიკონიდან ქართლის კათალიკოზთა სია. ამ სიის განხილვიდან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხშირად მეორდებოდა ვიწრო პერიოდის ფარგლებში ერთი და იგივე სახელები (მათ შორის შედარებით მეტად იშვიათი სახელებიც კი).

ხოლო განსაკუთრებით ხშირი იყო სახელების განმეორება ძველ მონასტრებში. როდესაც მონასტერში ბერები პირველად აღიკვეცებოდნენ (ე. ი. მიიღებდნენ ბერობის ხარისხს), ისინი, როგორც ცნობილია, გამოიცვლიდნენ ერისკაცობის სახელებს, ხოლო ახალ სახელებად ისინი განსაკუთრებით ხშირად ღებულობდნენ მონასტრის დამაარსებელთა სახელებს, რომელთა ხსენებაც მიღებული იყო მონასტერში. ასე, მაგალითად, ზარზმის მონასტრის დამაარსებელი იყო სერაპიონი. ხოლო ამის შემდეგ ზარზმის წინამძღვართა შორის ჩვენ არა ერთგზის ვხვდებით ეს სახელი სერაპიონი. (ასე სერაპიონის სახელს ატარებს ზარზმის წინამძღვარი მეფე ბაგრატის დროისა, გამოსახული ზარზმის ფრესკაში; ასევე სერაპიონის სახელს ატარებს ერთ-ერთი უკანასკნელი წინამძღვარი ზარზმისა მე-16 საუკუნეში).

ცხადია, ანალოგიური ვითარება გვაქვს ჩვენ პარეხის სავანეში. დამაარსებელი პარეხის სავანისა იყო მიქელი, ხოლო მიქელის პირველი რჩეული მოწაფე და შემკვიდრე იყო ბასილი (როგორც აღნიშნული გვქონდა,

მიქელის ცხოვრება საგანგებოდ ყოფილა კიდევ აღწერილი და ფართო პოპულარობით სარგებლობდა). ბუნებრივია ამის გამო, რომ შემდგომი ხანის პარეხელ მოღვაწეთა შორის გავრცელებით სარგებლობდა ეს სახელები პირველ პარეხელთა — მიქელისა და ბასილისი. და, კერძოდ, მეცხრე-მეათე საუკუნის საზღვარზე, გაორგი მერჩულის ხანაში, პარეხში დამკვიდრებულს მოღვაწეს, ბერად შედგომის დროს, არსებული ჩვეულების თანახმად, მიუღია სახელი ძველი პარეხელი მოღვაწის ბასილისა.

*

ამრიგად, მარტოოდენ შეხვედრა სახელებისა, რასაკვირველია, არაფერს ამტკიცებს.

ხოლო კიდევ უფრო უცნაურია დავეყაროთ ისეთ საექვო საბუთს, როგორც არის სახელების უბრალო შეხვედრა და ამის მიხედვით უარყოფით ისეთი პირდაპირი და უექველი საბუთები, როგორც არის საისტორიო წყაროების გარკვეული დამატარებელი ჩვენებანი, სახელდობრ: 1) ჩვენება ოპიზის სავანის დაარსების შესახებ მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, 2) ჩვენება შიო მღვიმელის მოღვაწეობის შესახებ მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარსა და შუა წლებში, და 3) ჩვენება პარეხის სავანის დაარსების შესახებ შიო მღვიმელის მოწაფის მიერ ამავე დროს, მეექვსე საუკუნეში.

კერძოდ, საკითხში ოპიზისა და პარეხის დაარსების თარიღის გამო მე-5—6 საუკუნეთა მანძილზე, როგორც ვნახეთ, ერთმანეთს ეფარდება და ერთიმეორეს ამოწმებს ქართული მატრიანებისა და ბასილი ზარხმელის თხზულების შეთანხმებული ჩვენებანი.

ასეთია ეს სრულიად უექველი და გადამწყვეტი მნიშვნელობის დოკუმენტაცია ბასილი ზარხმელის თხზულების თარიღისა.

მაგრამ შესაძლოა ამაზე მეტიც ითქვას.

წყაროების ანალიზი ჩვენ გვაძლევს მკვიდრ საფუძველს სრულიად უდავოდ დაედასტუროთ აგრეთვე, რომ ბასილი ზარხმელის თხზულებაში მოხსენებულნი მიქელ პარეხელი და მისი მოწაფე ბასილი სხვა პირები არიან, ხოლო გაორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებულნი მიქელი და ბასილი კიდევ სულ სხვა პირები. ამრიგად ამ ექვს, რომელიც გამოთქმული იყო ბასილი ზარხმელის თხზულების თარიღის გამო, ისეთი ზერელე მოსაზრების საფუძველზე, როგორც არის სახელების უბრალო შეხვედრა, საბოლოოდ ეცლება ნიადაგი.

იმისათვის, რათა ნათელი გახდეს, რომ ბასილი ზარხმელისა და გაორგი მერჩულის თხზულებებში დასახელებული მოღვაწეები სხვადასხვა პირები არიან, აქ საკიროა წინასწარ გავითვალისწინოთ ზოგიერთი მომენტები კლარჯეთის სავანეთა მხარის ისტორიისა ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად კლარჯეთის მხარეში მე-5 — 6 საუკუნეებში ფართო საეკლესიო-სამონასტრო მშენებლობა ჩატარებულა; ამ დროს არის დაარსებული კლარჯეთში საეპისკოპოსო კათედრალეები ახიზისა და ფორთისა, სავანეები ოპიზა და პარეხი, ტაძრები დაბისა, მერისა და შინდობნისა.

ცნობილია აგრეთვე, რომ უფრო გვიან, მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში, კლარჯეთის მხარემ დიდი კატასტროფა განიცადა, არაბთა გამანადგურე-

ზელი შემოსევა გადაიტანა. ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი იმის შესახებ, რომ მე-8 საუკუნის 30-იანი წლებში, როგორც ეს ირკვევა გიორგი მერჩულის ძეგლიდან და სუმბატ დავითის-ძის მატინიდან, შეფეთ-კლარჯეთი გავერანებულა მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს, „ოდეს იგი ყრუმან... შემუსრნა ციხენი ყოველნი და მოვლო შეფეთიცა და ლაღონი“, რის შემდეგაც, საისტორიო წყაროთა ცნობით, აობრებულა და უკაცრიელი გამხდარა დიდი ნაწილი შეფეთ-კლარჯეთისა¹.

კერძოდ, „ლაღონი“, რომელიც საგანგებოდ მოიხსენება მურვან-ყრუს ლაშქრობათა აღწერის დროს, ეს არის სწორედ კლარჯეთის სავანეთა მხარე², ე. ი. ის კუთხე, სადაც მდებარეობდა ოპიზა, პარეხი, დაბა, მერე, ფორთა.

ამრიგად, ამ დიდი დამსჯელი ექსპედიციების დროს, რომელიც ჩაუტარებია მურვან-ყრუს შეფეთ-კლარჯეთში, კერძოდ ეს კუთხე — კლარჯეთის სავანეთა მხარე — დაულაშქრავს არაბთა მხედრობის მთავარ ძალებს თვით მურვანის მხედართმთავრობით; ამით აიხსნება ის განსაკუთრებული განადგურება, რომელიც ამ კუთხეს, წყაროების ცნობის თანახმად, განუცდია.

მხარის ხელახალი აღდგენა იწყება მე-8 საუკუნის ნახევრიდან და გრძელდება მე-9 საუკუნის მანძილზე.

ამ დროს, მე-8 — 9 საუკუნეებში, კლარჯეთში არსდება მთელი რიგი ახალი სავანეები (ხანძთა, შატბერთი და სხვანი), ხოლო რაც შეეხება წინათ-არსებულ სავანე-მონასტრებსა და ტაძრებს, ზოგი მათგანი ისევ აღუდგენიათ ხელახლა, ზოგი კი მას შემდეგ აღარ განახლებულა.

კერძოდ, აღდგენილ იქმნა მე-8 საუკუნის შუა-წლებში ოპიზა, რომლის შემდგომი მშენებლობა მე-9 საუკუნეში გრძელდება. მე-9 საუკუნეში აღუდგენიათ დაბა და მერე. რაც შეეხება შინდობანს, ახიზასა და ფორთას, ისინი ამ შემდგომ ხანაში აღარ განახლებულა.

გადავიდეთ ამის შემდეგ პარეხის ისტორიაზე.

მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ ძველი სავანე პარეხი (ანუ პარეხნი) ისევე მიტოვებული და გავერანებული ყოფილა, როგორც კლარჯეთის ამავე კუთხის სხვა სავანე-ტაძრები.

მე-9 საუკუნის 40-იან წლებში პარეხის ამ მიტოვებულ სავანეში დამკვიდრებულა მარტოდმყოფი ბერი მიქელი.

გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში მოთხრობილია ამ მიქელის ბიოგრაფია. მიქელი წარმოშობით შეფეთის ქვეყნიდან ყოფილა, სოფელ ნორგიალიდან. მიქელი თავდაპირველად ბერად შემდგარა მიძნაძოროს მონასტერში; შემდეგ მიქელი მიძნაძოროდან გადასულა ხანძთაში, სადაც იგი დამოწაფებია გრიგოლ ხანძთელს.

უფრო გვიან მიქელს განუზრახავს შემდგარიყო მეუღლებნოე მარტომყოფად. (საშუალო საუკუნეთა სამონასტრო ცხოვრებაში, როგორც ცნობილია, არა იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა ბერების განმარტოებით, დაუ-

¹ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *573—574/343; გიორგი მერჩულე, გვ. 29.

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 40, 54; გამათაღმწერელი გვ. *855—858/700—702; შეად. ხე-მთ, გვ. 309.

დებით ცხოვრება, რასაც „მარტოდმყოფობა“ ეწოდებოდა). მიქელი წასულა ხანძთის საენიდან და შემდგარა როგორც განმარტოებული „მარტოდმყოფი“ მეუდაბნოე პარეხში, რომელიც ამ დროს მიტოვებული ყოფილა.

აქ. პარეხში, მიქელს, როგორც „მარტოდმყოფ“ მეუდაბნოეს, გაუტარებია მთელი თავისი სიცოცხლე, იქვე გარდაცვლილა და იქვე დამარხულა.

მიქელის შემდეგ პარეხში დაძვეიდრებულა „მარტოდმყოფ“ მეუდაბნოედ ვინმე ბასილი, რომელიც აგრეთვე იქვე გარდაცვლილა და დასაფლავებულა.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ამასთან თვით დოკუმენტი, ძველქართული ტექსტი გრიგოლ ხანძთელის ცხორებისა, სადაც მოთხრობილია ზემოთ-მოყვანილი ბიოგრაფია მიქელისა. გრიგოლ ხანძთელის ცხორების ამ ტექსტში ჩვენ ვკითხულობთ:

„რამეს ხანძთაჲ იქმნა სახელოვან... — მას ეამსა [მეცხრე საუკუნის ორმოციან წლებში] მიძნადოროჲთ ხანძთად მოვიდა დიდი მეუდაბნოეჲ მიქელ მამაჲ, რომელიცა დაემკვდრა პარეხთა, რამეთუ იყო მეგობარ — გრიგოლისა [ხანძთელისა] და ეძიებდა მარტოდმყოფებასა. და პოვა თავისა თვისისა სამკვდრებელი ბერთისა. პარეხთა, და განზრახვითა ამის წმიდისაჲთა [გრიგოლ ხანძთელისა] დაემკვდრა მათ შინა [პარეხთა]...“

„ხოლო იყო ნეტარი მამაჲ მიქელ ქუეყანისა შავშეთისაჲ, სოფლისა ნორგიალისაჲ, და მიძნადოროს მონაზონ იქმნა; ხოლო პარეხთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა (იცხოვრა), და აღ-რამ-ეს-რულა, მუნვე (იქვე) დაემარხა. და აწ საფლავი მისი და დიდებულისა მამისა ბასილისი, რომელიცა შემდგომად მისსა პარეხთა მკვდრიყო, ერთგან არიან“¹.

ასეთია გრიგოლ ხანძთელის ცხორების ტექსტის ცნობები პარეხში დაძვეიდრებული მიქელ მარტოდმყოფის შესახებ, და აგრეთვე მისი მემკვიდრის ბასილი მარტოდმყოფის შესახებ, რომელიც პარეხში მიქელის გარდაცვალების შემდეგ დაძვეიდრებულა.

საკითხავია ამის შემდეგ, არის თუ არა ეს მიქელ მარტოდმყოფი, რომელიც მე-9 საუკუნის მოღვაწე ყოფილა, ის მიქელ პარეხელი, რომელზედაც მოგვითხრობს ბასილი ზარზმელის თხზულება?

საკმაოა დაძვეიდრებული შედარება ამ ორი თხზულების ჩვენებათა, რათა ცხადი გახდეს, რომ ეს ორი მიქელი არ არის ერთი და იგივე პირი, აქ აშკარად ორი სხვადასხვა პიროვნებაა.

ამას გარდა ისიც აშკარაა, რომ ამ ორ თხზულებაში აღწერილია პარეხის საენის ისტორიის ორი სხვადასხვა პერიოდი: ბასილი ზარზმელის დროის პარეხი — მოქმედი საენაჲ, სადაც შემოკრებილია მთელი წყება მოღვაწეებისა, რომელთა სათავეში დგას საენის დამაარსებელი მიქელ პარეხელი;

¹ იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხორება, გვ. 79—80.—გარდა გრიგოლ ხანძთელის ცხორების ძირითადი ტექსტისა, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ, მიქელის შესახებ საუბარია აგრეთვე გრიგოლ ხანძთელის ცხორების დამატებაში (რომელიც ბაგრატ ერისთავთ-ერისთავს ეკუთვნის); აქ მოთხრობილია ეპიზოდი მიქელის ცხორებისა იმ ხნიდან, ოდესაც იგი, როგორც მარტოდმყოფი, მკვიდრობდა პარეხში (იხ. გვ. 153—154). გრიგოლ ხანძთელის ცხორების ამ გვიანდელ დამატებაში აღნიშნულია, რომ მიქელს ჰყავდაო ერთი მოწაფე; ხოლო რამდენადაც თვით, მიქელ მარტოდმყოფი, ანაქორეტის სახით იყო განდგომილი პარეხთა უდაბნოში, ეს მოწაფე, ჩანს, მკვიდრობდა არა თვით პარეხში, არამედ მებობლად, პარეხთა სანახებში.

მიქელი აქ გარშემორტყმულია მოწაფეებით. ხოლო გრიგოლ ხანძთელის დროს პარეხი უკვე მიტოვებული ყოფილა (მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ) და ამ მიტოვებულ ყოფილ საეანეში ჯერ დამკვიდრებულა მარტოდმყოფი მიქელი, ხოლო მიქელის გარდაცვალების შემდეგ აქ დამკვიდრებულა აგრეთვე მარტოდმყოფი ბასილი.

რომ მკითხველისათვის ნათელი გახდეს აქ აღნიშნული, მოგვყავს თვით ტექსტი ბასილი ზარზმელის თხზულებიდან, რომელიც, როგორც დავინახავთ, სრულებით სხვას მოგვეთხრობს, ვიდრე ზემოთ მოყვანილი გრიგოლ ხანძთელის ცხორების ტექსტი.

სახელდობრ, ბასილი ზარზმელის თხზულებაში მიქელისა და მის მიერ დარსებული პარეხის საეანის შესახებ შემდეგია მოთხრობილი:

„არამედ აწ ჯერ არს ჩუნდა, რათა დიდთა მათთვის უდაბნოთა [საეანეთა] და მონასტერთა მოვიტყნოთ, თუ ვინაჲ იქმნა შენებაჲ მათი, ანუ ვინ იყვნეს მაშენებელნი იგა...“

„აღეშენა რა წმიდაჲ და დიდი უდაბნოჲ [საეანე] ოპიზაჲ მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ამისაა შემდგომად მოვიდა მუნით [ოპიზით] [მიქელ] და აღაშენა—მცირე ეგუტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათაჲ ადგილსა—რომელსა პარეხ უწოდიან. ხოლო ესე სიტყუაჲ მამათა მიერ მოვალს ჩუნდა, რამეთუ მიქელ იყო აღმაშენებელი, — რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოჲსის, საკვრელთ-მოქმედისაჲ, რომელი, ვითარცა მთიები განთიადისაჲ, ბრწყინვიდა ქუეყანასა ქართლისასა.“

„ამისა ნეტარისა მიქელის მიმართ წარემართა ყოვლად ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანა ჰყვა ძმაჲ მცირე პასაკითა [იოანე], რამეთუ დიდსა მიქელს, ვითარცა მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა შეჰვედრა თავი თვისი. ხოლო ნეტარსა მას [მიქელსა] სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქელს ბასილი და მარკელაოზ. და მათ თანაშეჰვედრა — სერაპიონ თანა ძმითურთ [იოანეთურთ] და თანააღრაცხილ ყვნა დასსა მოწაფეთასა...“

„და ამან ყოვლად განთქუმულმან — მიქელ აღზარდნა და სრულებად სათნოებისად აღიყვანნა იგინი [მოწაფენი მისნი], ვინაჲცა ხედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა და მდინარეთა უქდიდრესთა სწავლათა — რომელნი შემდგომად სიკუდილისა მისისა აღწერნეს მოწაფეთა მისთა“¹.

მოყვანილი ორი ტექსტის — ბასილი ზარზმელის თხზულებისა და გრიგოლ ხანძთელის ცხორების შედარებიდან, რასაკვირველია, სრულიად აშკარაა, რომ ამ ტექსტებში პარეხის საეანის ისტორიის ორი სხვადასხვა ხანაა აღწერილი და აქ მოხსენებული პირნი სრულებით სხვადასხვანი არიან.

1. ჯერ ერთი, ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოხსენებული მიქელი ყოფილა მოწაფე შიო მღვიმელისა, იგი ქართლიდან მოდის ოპიზაში, ხოლო შეჰდეგ აარსებს პარეხის საეანეს;

¹ იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 150—151.

ხოლო გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში მოხსენებული მარტოდმყოფი მიქელ შავშეთის მკვიდრია, იგი ბერად შედგება მიძნაძოროში, ხოლო მიძნაძოროდან იგი მივა ხანძთაში, სადაც დაემოწაუება გრიგოლ ხანძთელს.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არც ერთ ხაზში ცნობები პირველი მიქელის შესახებ არ ემთხვევა ცნობებს მეორე მიქელის შესახებ.

2. ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოხსენებული მიქელი, მას შემდეგ რაც მან დააარსა პარეხის საფანე, გარშემორტყმულია აქ მოწაფეებით. კერძოდ, როგორც გამოირკვა, მისნი მოწაფენი ყოფილან ბასილი და მარკელაოზ, სერაპიონ ზარზმელი, იოანე და სხვანი. მიქელის ბიოგრაფიაში ამასთან აღნიშნულია: „ხოლო ნეტარსა მას [მიქელსა] სხუანიცა მრავალნი აქუნდეს მოწაფენი“. მიქელი არის მოძღვარი და ხელმძღვანელი მის გარშემო შემოკრებილ მოწაფეთა ამ კრებულისა, რომელნიც არიან „კეთილად მიმღებელნი სწავლათა მისთანი“. ეს მოწაფენი, მიქელის სიკვდილის შემდეგ, აღწერენ თავისი მასწავლებლის ცხოვრებას.

ხოლო გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში დასახელებული მიქელი არის განმარტოებით დაყუდებული მეუდაბნოე, რომელიც დამკვიდრებულა არაბთა შემოსევის შემდეგ მიტოვებულ პარეხის საფანეში და აქ მარტოდმყოფი მეუდაბნოსის სახით გაუტარებია თავისი სიცოცხლე. ასევე ამ მარტოდმყოფი მეუდაბნოსის მიქელის გარდაცვალების შემდეგ პარეხში დამკვიდრებულა მეორე მარტოდმყოფი მეუდაბნოე ბასილი.

ამრიგად, საკვებით აშკარაა, რომ არც მეუდაბნოე მარტოდმყოფ მიქელს და არც მეუდაბნოე მარტოდმყოფ ბასილის არაფერი აქვთ საერთო იმ პირობებთან, რომლებიც მოხსენებული არიან ბასილი ზარზმელის თხზულებაში.

3. აღსანიშნავია ამას გარდა შემდეგიც. გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში მოხსენებული მიქელ პარეხელი განთქმული მოღვაწე იყო, რომლის სახელი ფართოდ ყოფილა ცნობილი მთელ იბერიაში. როგორც გადმოგვცემს ბასილი ზარზმელი. „სახელი დიდისა მის მოძღურისა“ მიქელ პარეხელისა ყველგან უდიდეს ავტორიტეტად ითვლებოდა, იგი საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი თავისი „მდინარეთა უმდიდრესი“ სწავლა-მოძღვრებით.

ბასილი ზარზმელს მოთხოობილი აქვს, რომ როდესაც მიქელის მოწაფენი უცხო მხარეში მოხვდნენ, საკმაო იყო მათ განეცხადებინათ — „მოწაფენი ვართ დიდისა მის და განთქმულისა მიქელ პარეხელისანი“, — რომ მარტო მიქელის სახელის ხსენებით მიქელის მოწაფენი განსაკუთრებული პატივით მიეღოთ. „სახელი დიდისა მის მოძღურისა“ — მიქელ პარეხელიცა საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი და ყველას მიერ უდიდეს ავტორიტეტად აღიარებული¹.

ამრიგად, გაიგივება სრულიად უმნიშვნელო პიროვნების მიქელ მარტოდმყოფისა აქ საჩქეყნოდ ცნობილ მოღვაწესთან, განთქმულ მოძღვართან მიქელ პარეხელთან, როგორც ვხედავთ, მოკლებულია საფუძველს.

ჩვენ ამით დავასრულებთ განხილვას იმ მოსაზრებათა, რომელთა მიხედვითაც ცდილობდნენ ბასილი ზარზმელის თხზულების ქრონოლოგიის შეკვლას

და მისი თარიღის სამი საუკუნით გვიან გადმოწევას სახელების უბრალო შეხვედრის მიხედვით. ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად ზერელე ყოფილა წყაროების ანალიზი და რამდენად მცდარი ყოფილა მიღებული დასკვნები.

*

განვავრძოთ ისევ ძიება აღძრულ საკითხთა გამო.

რომ ბასილი ზარზმელის თხზულება დაწერილია მეშვიდე საუკუნეში (და არა მეათე საუკუნეში) და რომ ამ თხზულებაში აღწერილი ეპოქა არის მეექვსე-მეშვიდე საუკუნეები (და არა მეცხრე-მეათე საუკუნეები), ამას, გარდა ზემოთ-მოყვანილი საბუთებისა, ადასტურებს აგრეთვე მთელი რიგი სხვა ჩვენებანი.

გარკვეულ ჩვენებას ამ საკითხზე იძლევა კერძოდ სამცხის მფლობელ მთავართა ისტორია მე-6 — 9 საუკუნეთა მანძილზე.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოთხრობილია, რომ იმ ხანაში, როდესაც სამცხეში დაიწყო მოღვაწეობა სერაჰიონ ზარზმელმა (ე. ი., როგორც გამოირკვა, მეექვსე-მეშვიდე საუკუნეთა საზღვარზე), სამცხის მხარის მთავარი მფლობელი ყოფილა გიორგი ჩორჩანელი, რომელიც დიდი მთავრის ტიტულით მოიხსენება¹.

გიორგი ჩორჩანელს შვილები არა ჰყოლია და გიორგი ჩორჩანელით დასრულებულა სამცხის მთავართა ეს გვარეულობა.

გიორგი ჩორჩანელის დაილტავერი გათხოვილი ყოფილა სამცხის მეორედიდ ფეოდალზე მირიანზე, და გიორგი ჩორჩანელს გარდაცვალების დროს თავის მემკვიდრედ დაუნიშნავს მირიანის შთამომავლობა. (მირიანის შვილები იყვნენ სამნი ძენი: სულა, ბეშქენ და ლაკლაკი)².

ამრიგად დაედვა საფუძველი სამცხის მფლობელ მთავართა ამ მეორე ახალსახლს. სამცხის მთავართა ეს მეორე სახლი მირიანის-ძენი (იგივე ახალ ჩორჩანელთა გვარეულობა), რომელთა ხელში გაერთიანდა როგორც გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეობა, ისე ძველი სამფლობელო ამ გვარისა, ამის შემდეგ ხდება ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ სახლად სამხრეთ საქართველოში, მისი გავლენის ქვეშ არის მთელი სამცხის პროვინცია.

სამცხის მფლობელ მთავართა ამ ახალი გვარეულობის მირიანის-ძეთა სახლის წარმომადგენელთა შესახებ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე გიორგი მერჩულე.

გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებულია მთავარი ანუ „დიდებული უფალი“ მირიან (II) და მისი მეუღლე დიოფალი კრავი. ეს მთავარი მირიან (II), როგორც ირკვევა, ამ მირიანის-ძეთა სახლის შთამომავალია, იგი, გიორგი მერჩულის ცნობით, არის მთავარი სამცხისა.

ეს მთავარი მირიანი (II), გიორგი მერჩულის ცნობათა მიხედვით, დაბადებულია მე-8 საუკუნის დასასრულს (780/790 წლებში). იგი მოიხსენება როგორც მთავარი სამცხისა 826 და 845 — 850 წლებში³.

¹ იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 154 და შემდგომნი.

² იხ. იქვე, გვ. 172—173.

³ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 50—51, 57—58, 89, 91,

მირიან¹ II, მთავარი სამცხისა. იმდენად ძლიერი მფლობელი ყოფილა, რომ მან, წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების მეთაურის გვარამ დიდი მამფალის სურვილისა, შესძლო ქართლის კათალიკოზად დაედგინა თავისი შვილი არსენი. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ სამცხის მთავარმა მირიანმა „მძლავრ სამცხისა ცრითა ძეჲ თვისი [არსენი] დაადგინა კათალიკოზად, თანადგომითა და კურთხევითა მკირედთა ეპისკოპოსთაჲთა“².

საქართველოს ხელისუფლების მეთაურმა გვარამ დიდმა მამფალმა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ყოვლისშემძლე ფეოდალის მირიან სამცხის მთავრის მიმართ, მოინდომა არსენი კათალიკოზის გადაყენება და ამ მიზნით მოიწვია სრულიად საქართველოს საეკლესიო კრება ჯავახეთში. საბოლოოდ ეს კონფლიქტი დასრულდა კომპრომისით; მოხდა შერიგება მხარეთა და არსენი დატოვებულ იქმნა ქართლის კათალიკოზის (კოსტზე)³.

ასეთია ის ცნობები, რომელთაც გადმოგვცემს სამცხის ამ მთავართა (მირიანის-ძეთა) გვარეულობის შესახებ ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულის თხზულებანი.

ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულის ამ ცნობათა შეფარდებიდან აშკარა ხდება, თუ რამდენად შემცდარი არიან კ. კეკელიძე და სხვები, რომელთაც ბასილი ზარზმელის თხზულებაში აღწერილი ამბების თარიღი მეცხრე-მეათე საუკუნეებში გადმოაქვთ.

კ. კეკელიძის ქრონოლოგიის თანახმად სამცხის მთავარი გიორგი ჩორჩანელი ვითომც მეცხრე საუკუნის ნახევრის მოღვაწე იყო და ვითომც გიორგი ჩორჩანელი 880—890 წლებში გარდაიცვალა⁴. ამრიგად, კ. კეკელიძის შეხედულების თანახმად სრულიად სამცხის მფლობელთა ამ ახალ სახლს, ახალ ჩორჩანელთა (მირიანის-ძეთა) გვარეულობას, საფუძველი დაეფუძნა 880—890 წლებში.

მაგრამ კ. კეკელიძეს გამოჰპარვია მხედველობიდან და ვერ გარკვეულა გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენებაში. გიორგი მერჩულის ტექსტის მიხედვით აშკარა ხდება, რომ მირიანის-ძეთა გვარეულობა გამხდარა მფლობელი სამცხისა მე-9 საუკუნის დასასრულზე აღრინდელ ხანაში. გიორგი მერჩულეს, როგორც ვნახეთ, ჰოასენებული ჰქავს ამ მირიანის-ძეთა გვარეულობის შთამომავალი სამცხის მთავარი მირიან (II), რომელიც მე 8—9 საუკუნეთა მოღვაწეა (იგი, როგორც აღვნიშნეთ, დაბადებულია მე-8 საუკუნის ბოლო მეოთხედში, 780/790-იან წლებში, ხოლო გარდაცვლილა 850-იანი წლების ახლო).

ამრიგად, აშკარა ხდება კ. კეკელიძის ქრონოლოგიის უსაფუძველობა.

*

რომ ბასილი ზარზმელის თხზულება დაწერილია მეშვიდე საუკუნეში (და არა მეათე საუკუნეში) და რომ ამ თხზულებაში აღწერილი ეპოქა არის შეეჭვსე-მეშვიდე საუკუნეები (და არა მეცხრე-მეათე საუკუნეები), ამის ცხადსაყოფად მივუთითებთ აგრეთვე შემდეგ ჩვენებებზე.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 89.

² იხ. იქვე, გვ. 89—96.

³ იხ. კ. კეკელიძე, შესავალი წერილი ბასილ ზარზმელის თხზულების გამოცემისა, გვ. 111—112 და შემდგომი.

1. კლარჯეთის საეპარქიო ბასილი ზარზმელის ხანაში (მე-7 საუკუნე) და გრიგოლ ხანძთელის ხანაში (მე-8—9 საუკუნეები).

ბასილი ზარზმელის თხზულებიდან ირკვევა, რომ ბასილი ზარზმელის დროს ჩრდილოეთ-კლარჯეთში (ე. ი. კლარჯეთის საეპარქიო მხარეში) მხოლოდ ორი საეპარქიო-მონასტერი არსებობდა: ოპიზა და პარეხი.

ბასილი ზარზმელი ასე იწყებს მოთხრობას კლარჯეთის მონასტერ-საეპარქიო შესახებ:

„არამედ აწ გერ არს ჩუენდა, რათა დიდთა მათთჳს უდაზნოთა [საეპარქიო] და მონასტერთა მოვიკენოთ, თუ ვინაჲ იქმნა შენებაჲ მათი, ანუ ვინ იყენეს მაშენებელნი იგი“¹.

ავტორს ამრიგად განზრახული აქვს ჩამოთვალოს ეს მონასტრები და მოიხსენოს მათი მაშენებელნი. ხოლო ქვემოთ დასახელებულია მხოლოდ ორი მონასტერი, ოპიზა და პარეხი, და მოხსენებული არიან ამ ორი მონასტრის მაშენებელნი (სახელდობრ, ოპიზის მაშენებელნი — ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი ოპიზარნი. და პარეხის მაშენებელი — მიქელ პარეხელი).

საკითხავია, რომელ ეპოქას წარმოგვიდგენს ბასილი ზარზმელის ძეგლი? ცხადია, ეს არის ადრინდელი ხანა, არა უგვიანესი მე-7 საუკუნისა.

რაც შეეხება უფრო გვიანდელ ეპოქას—მე-8—9 საუკუნეებს, ე. ი. გრიგოლ ხანძთელის ხანას, ამ დროს კლარჯეთის საეპარქიო რიცხვი გაცილებით მეტი იყო. გიორგი მერჩულის ცნობით 830—840 წლებში კლარჯეთში უკვე 10 საეპარქიო არსებობდა (ოპიზა, ხანძთა, შატბერთი, მერე, მიძნაძოროჲ, წყაროსთაფი, ბარეთელთა, ბერთა, დაბა, ჯმერკი). ხოლო 840 წლის შემდეგ ამათ მიემატა ორი საეპარქიო (განახლებული პარეხი, რომელიც დატლილი იყო არაბთა შემოსევების დროს, და ახლად დაარსებული დოლისყანა). ამრიგად, კლარჯეთის საეპარქიო რიცხვმა თორმეტს მიაღწია. ამის შემდეგ ეს „ათორმეტნი“ საეპარქიო კლარჯეთისანი არსებობენ საშუალო საუკუნეთა მანძილზე.

ამჟამად ამრიგად, რომ ბასილი ზარზმელის თხზულება უფრო ადრინდელია, ვიდრე ეს მეორე ხანა, იგი უფრო არქაულ ეპოქას წარმოგვიდგენს. არა უგვიანეს მე-7 საუკუნისა.

2. გრიგოლ ხანძთელის მოუხსენებლობა ბასილი ზარზმელის თხზულებაში.

როგორც ცნობილია, გრიგოლ ხანძთელი მე-8—9 საუკუნეებში იყო ნამდვილი სულიწამდგმელი მთელი კულტურული ცხოვრებისა კლარჯეთში და; კერძოდ, კლარჯეთის საეპარქიო უშუალო ხელმძღვანელი.

ხოლო ბასილი ზარზმელი, რომელიც საეპარქიოდ ეხება კლარჯეთის საეპარქიო ისტორიას, არას ამბობს გრიგოლ ხანძთელზე.

ცხადია, ბასილი ზარზმელს, როგორც კლარჯეთის საეპარქიო ისტორიის მომთხრობელს, არ შეეძლო აეელო გვერდი კლარჯეთის საეპარქიო პირდაპირი ხელმძღვანელისა და მოძღვარის გრიგოლ ხანძთელისათვის, თუკი მის მიერ აღწერილი ეპოქა მართლაც მეცხრე საუკუნე ყოფილიყო (და ეს მით უფრო,

¹ იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 1:0.

ათუ პარეზის აღმაშენებელი მიქელი, როგორც ამას შეცდომით დაასკენიდა კ. კეკელიძე, იყო გრიგოლ ხანძთელის მოწაფე).

აშკარაა ამის მიხედვით, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში აღწერილი ეპოქა, ეს არ არის გრიგოლ ხანძთელის დრო, არამედ ამაზე აღრინდელი ეპოქა.

3. ბასილი ზარზმელის თხზულება მეფობის ინსტიტუტის აღდგენის უწინარეს ხანას ეკუთვნის.

ბასილი ზარზმელის თხზულების თარიღის საკითხისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში არაა მოხსენებული მეფე, არსად არაა აქ აღნიშნული მეფობის ინსტიტუტის არსებობა.

აშკარაა ამის მიხედვით, რომ ბასილი ზარზმელის თხზულება უფრო აღრინდელ ხანას ეკუთვნის, ვიდრე აშოტ I დიდი აღადგენდა მე-6 საუკუნიდან მოსპობილს მეფობის ინსტიტუტს.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში აღწერილი ეპოქა არის ნიშანდობლივი ხანა, როდესაც მემატიანის სიტყვით „დაესრულა მეფობა ქართლისა“ და აღდილობრივი ხელისუფლება ერისთავთა ხელში გადავიდა, როდესაც, მემატიანის უწყების თანახმად, „ერისთავნი იგი იყვნეს თვის-თვისსა საერისთავოსა შეუცვალებლად“.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის გარემოება, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში არ არის არაერთი ცნობა არაბობაზე, არაბთა მფლობელობის ძნელბედობაზე.

ესეც აგრეთვე ეთანხმება თარიღს ამ ძეგლისას, რომელიც, როგორც ირკვევა, დაწერილია მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში, ერის-მთაერობის ხანაში, არაბთა მფლობელობის დამყარებამდე, და ასახავს ეპოქას შეიქმნა საუკუნიდან — მეშვიდე საუკუნემდე.

*

ჩვენ ამით დავასრულებთ ბასილი ზარზმელის თხზულების თარიღის საკითხის განხილვას¹.

ჩვენ მოგვიხდა ასე დაწვრილებით შევჩერებულიყავით თარიღის საკითხზე. რადგან ბასილი ზარზმელის თხზულების შემცდარ დათარიღებას, მისი თარიღის გვიან გადმოწევას სამი საუკუნით, სრული არე-დარევა შეჰქონდა მესხეთის მხარეთა ისტორიის საკითხთა განხილვაში.

აქ არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ბასილი ზარზმელის თხზულების ზუსტი ქრონოლოგიის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, საქართველოს ძველი კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის.

¹ ზოგიერთ ცალკეულ კითხვებზე იხ. დამატებანი.

პირველწყაროების კრიტიკული ანალიზის შემდეგ გადავდივართ კლარჯეთის თორმეტ სავანეთა ისტორიის ზოგად მიმოხილვაზე.

მიმოხილვას წარმოვადგენთ ქრონოლოგიურის თანრიგით, სავანეთა დარსების თანამიმდევრობით.

1. ოპიზა.

*

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად, ოპიზა არის უძველესი სავანე არა მხოლოდ კლარჯეთში, არამედ საერთოდ საქართველოში. ვახტანგ გორგასარის მატიანის უწყებით პირველი სავანე, რომელიც დაარსდა საქართველოში, ეს იყო ოპიზა¹. ამ მატიანის ჩვენებით ოპიზა დაარსებულია მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასარის მეფობაში².

ამრიგად, დროის მიხედვით. ოპიზის სავანე წინ უსწრებს იოანე ზედაზადნელისა და მის მოწაფეთა მიერ საქართველოში დაარსებულ სავანეებს — ზედაზადნის, გარესჯის მრავალმთას, შიომღვიმესა და სხევას.

ვახტანგ გორგასარის მატიანის ზემოთ-აღნიშნულ უწყებას ოპიზის სავანის დაარსების შესახებ მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში ეთანხმება და ავსებს როგორც გამორკვეული გვქონდა, ბასილი ზარზმელის თხზულების ცნობა; ბასილი ზარზმელს მოხსენებული ჰყავს თვით ეს ქართველი მოღვაწენი, რომელთაც მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში დაუარსებიათ ოპიზა. ბასილი ზარზმელი, როგორც ვნახეთ, აღნიშნავს:

„აღეშენა...წჳიდაჲ და დიდი უდაბნოჲ [სავანე] ოპიზაჲ—მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი“³.

უერო გვიან, მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში, ოპიზაში მოღვაწეობს, როგორც გამორკვეული გვქონდა. ქართლიდან გადმოსული მოწაფე შიომღვიმელისა, განთქმული მოღვაწე მიქელი, რომელმაც შემდეგ დააარსა პარეხის სავანე და რომელიც მიქელ პარეხელის სახელით არის ცნობილი⁴.

მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში — მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში ოპიზის მოღვაწეთაგან მოიხსენება გიორგი მაწყვერელი, რომელიც, ბასილი ზარზმელის თხზულების ცნობით, წარმოშობით ყოფილა სამცხის მხარიდან, „ხევისაგან შუარტკლისა“, ხოლო განათლება ოპიზაში მიუღია, „აღიზარდა იგი განთქმულსა მას [სავანესა] ოპიზას“. ოპიზაში განათლების მიღების შემდეგ გიორგი ღებულობს აწყურის კათედრას სამცხეში და ამავე დროს იღება გამგებელად სამცხის მხარისა⁵.

მე-6—7 საუკუნეთა საზღვარზე ოპიზაში ახალი მშენებლობა ჩატარებულა. ამ მშენებლობის ერთ-ერთი ხელმძღვანელია სერაპიონ ზარზმელი, ცნობილი

¹ იხ. ცხობება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *358—359/157—158 (ანასეული ნუსხა, 119—120 და LXXVII—LXXVIII).

² იხ. ზემოთ, 324—326.

³ იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 150.

⁴ იხ. იქვე, გვ. 150—151.

⁵ იხ. იქვე, გვ. 168, 173—174.

შოლვაწე, დამაარსებელი ზარზმის სავანისა სამცხეში, რომელიც ამავე დროს ხუროთმოძღვარიც ყოფილა. ბასილი ზარზმელი მოგვითხრობს, რომ სერაპიონ ზარზმელი — „დიდსა მას...[სავანესა] კლარჯეთისასა ოპიზას... დაშნითა ჯელთა იხილებოდა მდგომარედ ხუროთა თანა..., რამეთუ იყო სხუათავე თანა სათნოებათა მეცნიერ... და ფრიად შემკულ წესითა ხურობისაჲთა“¹.

ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი იმის შესახებ, რომ მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, როგორც ეს ირკვევა გიორგი მერჩულის ძეგლიდან და სუნბატ და ვითის-ძის მატინიდან, შავშეთ-კლარჯეთი და მიმდგომი მხარეები გავერანებულა მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს.

კერძოდ, „ლადონი“, რომელიც საგანგებოდ მოიხსენება მურვან-ყრუს ლაშქრობათა აღწერის დროს, — ეს არის, როგორც დადგენილია, კლარჯეთის სავანეთა მხარე.

ამრიგად, როგორც ირკვევა, იმ დიდი დამსჯელი ექსპედიციების დროს, რომლებიც ჩაუტარებია მურვან-ყრუს შავშეთ-კლარჯეთში. კერძოდ, ეს კუთხე, კლარჯეთის სავანეთა მხარე, დაულაშქრავს არაბთა მხედრობის მთავარ ძალებს თვით მურვანის მხედართმთავრობით და, ცხადია, ამით აიხსნება ის განსაკუთრებული განადგურება, რომელიც ამ კუთხეს, წყაროების ჩვენებათა თანახმად, განუცლია.

კლარჯეთის სავანეთა მხარის ამ აოხრების დროს, სხვა სავანეებთან ერთად, გავერანებულა და დაცლილა ოპიზა.

ხელახალი აღდგენა კლარჯეთის სავანეთა მხარისა იწყება მე-8 საუკუნის შუა წლებიდან.

გიორგი მერჩულის ცნობით, კლარჯეთის სავანეთა ამ მიტოვებულ მხარეში პირველად აღუდგენიათ ოპიზა. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ მე-8 საუკუნის შუა-წლებში, როდესაც პირველი მოახალშენენი მოსულან კლარჯეთის სავანეთა ამ მიტოვებულ მხარეში, მოახალშენეთა მიერ პოვნილ იქმნაო ოპიზას „ცირიე ეკლესია ნათლისმცემელისა“, რომელიც გადარჩენილა ამ კუთხის არაბთაგან აოხრების შემდეგ. ოპიზის განმანახლებელი ყოფილა ამბა სამოელი, პირველი წინამძღვარი ოპიზის სავანისა. მის შემდეგ, მე-8 საუკუნის სამოციან-ოთხმოციან წლებში, ოპიზის წინამძღვრებად ყოფილან ამბა ანდრეჲ და ამბა გიორგი².

ოპიზის მესამე წინამძღვარის ამბა გიორგის დროს, 780 წლის ახლოს, ოპიზაში დამკვიდრდა ქართლიდან გადმოსული გრიგოლ ხანძთელი და მისნი თანამოღვაწენი (საბან იშხნელი, თევდორე ნეძველი, ქრისტეფორე კვირიკეწმიდელი)³.

მიუხედავად იმისა, რომ უკვე 40 წელზე მეტი იყო გასული მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ, კლარჯეთის სავანეთა მხარე, როგორც ირკვევა, ისევ გავერანებულ კუთხეს წარმოადგენდა და 780 წლამდე აქ მხოლოდ ერთადერთი ოპიზის სავანე ყოფილა აღდგენილი. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ „მას ეამსა [780 წლის ახლო ხანებში] სხუაჲ მონასტერი არა შენ იყო

¹ იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 170.

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 20.

³ იხ. იქვე, გვ. 20—21.

მათ ქუეყანათა თუნიერ ოპიზისა (ე. ი. გარდა ოპიზისა), და არცა მსოფლიონდ-
ერისკაცი ახლვიდეს ახლად შენებისათჳს მათ ქუეყანათაჲსა, რამეთუ კლარ-
ჯეთს და ტაოთა შინა და შავშეთს და ყოველთა მათ მახლობელთა.
ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს და შენებულ ტყეთა შინა ადგილ-ადგილ¹
(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 29).

782 წელს ოპიზას მოემატა ხანძთის სავანე, დაარსებული გრიგოლ
ხანძთელის მიერ.

ახალი ხანა აღორძინებისა კლარჯეთის სავანეთა მხარისათვის, და კერძოდ.
ოპიზისათვის, იწყება მე-9 საუკუნის ათიანი წლებიდან, როდესაც კლარჯეთში
დამკვიდრდა აშოტ I დიდი და ქართველთა სამეფოს (იბერიის) პოლიტიკური
ცენტრი გადმოტანილ იქმნა კლარჯეთის მხარეში, ქალაქ არტანუჯში.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმ დიდი მშენებლობის შესახებ, რომელიც
ჩაუტარებია ოპიზაში აშოტ I-ს 815—826 წლების მანძილზე.

აშოტ I-ს ეწოდება ოპიზის „მეორედ მაშენებელი“².

ოპიზის მთავარ ტაძარში, რომელიც კლასიკური ქართული ხუროთმოძღ-
ვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს, ბოლო დრომდე დაცუ-
ლი იყო საფრესკო მხატვრობა, სადაც წარმოდგენილი იყო აშოტ I დიდი
თავისი თანამოღვაწეებით; საფრესკო მხატვრობას ახლავს შემდეგი წარწერა:
„აშოტ კურაპალატი, მეორედ მაშენებელი ოპიზისაჲ და წმიდისა ამის
საყდრისაჲ“³.

ოპიზის ამავე მთავარ ტაძარში, სამხრეთ ფასადზე, დაცული იყო ბარე-
ლიეფები (ეს ბარელიეფები ამჟამად თბილისშია ჩამოტანილი ოპიზიდან და
ინახება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში), სადაც გამოსახულია აშოტ I
დიდი, როგორც მაშენებელი ოპიზისა, ოპიზის ტაძრის მოდელით ხელში⁴.

იმ მრავალ ნაგებობათა შორის, რომლებიც შენახულა ოპიზაში (ოპიზის
სავანე, როგორც ირკვევა მოღწეული ნაშთების მიხედვით, დიდ არქიტექტურ-
ულ ანსამბლს წარმოადგენდა), ცალკეა აღსანიშნავი დიდი ნაგებობა ბაზი-
ლიკური ტიპისა, რომელიც „საოსტიგნე“-ს სახელწოდებით არის ცნობილი.
(საშუალო საუკუნეთა ქართულ სავანეებში ამ შენობებში მოთავსებული იყო
ხოლმე სემინარია — სასწავლებელი). საოსტიგნეს ამ შენობაზე, რომელიც
გადარჩენილა აშოტ I-ის დროიდან, დაცულია შემდეგი წარწერა:

„ესე მე აშოტ მეფემან ოთხ წელსა გავა[შენე]“.

როგორც უკვე გამოიკვეთილი გვქონდა, საოსტიგნეს ეს შენობა აგებული
ყოფილა 815—818 წლებში და წარწერა 818 წლის. ახლო ხანებშია შესრუ-
ლებული⁵.

ასეთია ის ცნობები, რომელთაც შეიცავენ ოპიზის ადგილობრივი წარწე-
რები იმ მშენებლობის შესახებ, რომელიც ჩაუტარებია ოპიზაში აშოტ I დიდს,
ოპიზის „მეორედ მაშენებელს“.

¹ ძველ-ქართულად „მეორედ მაშენებელი“ ნიშნავდა „განმანახლებელს“. (დამოუკიდებლად
იმისგან, ეს მშენებლობა მეორე იყო, მესამე, თუ შემდგომი).

² იხ. დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორია
(1885 წ.), გვ. 122 და 6. მარი, Дневник, ТР, VII, გვ. 160.

³ იხ. ზემოთ, გვ. 58.

⁴ იხ. ზემოთ, გვ. 57—58.

შებდგომ ხანაში ოპიზის მშენებლობა განუგრძობდა აშოტ I დიდის მეგვიდრეებს. ქართულ მატრიანეთა ცნობით, აშოტ I-ის შემდეგ მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში ახალი მშენებლობა ჩატარებია ოპიზაში აშოტ I-ის შვილს, საქართველოს მთავარს გვარამ დიდ მამფალს (გარდაიცვალა 882 წ.), რომელიც იქვე ოპიზაში დაუსაფლავებიათ¹.

ამ ეპოქის ოპიზელ მოღვაწეთაგან გიორგი მერჩულეს მოხსენებული ჰყავს მაკარი ოპიზელი, რომელიც გრიგოლ ხანძთელის მოწაფე ყოფილა (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 127—130).

გიორგი მერჩულის თხზულებაში ხაზგასმულია, რომ კლარჯეთის თორმეტ სავანეთა შორის ოპიზა განსაკუთრებული პატივით, პირველი სავანის სახელით სარგებლობდა, რადგან, გიორგი მერჩულის სიტყვით, „ამათ ყოველთა [სავანეთა] უწინარეს აღმშენებულ არს ოპიზაჲ“². და მართლაც, როგორც გამოიჩინა, ოპიზა უძველესი ყოფილა არა მხოლოდ კლარჯეთის სავანეთა შორის, არამედ საერთოდ საქართველოს სავანეთა შორის; ოპიზა აგებული ყოფილა ვახტანგ გორგასარის დროს მე-5 საუკუნეში, კლარჯეთის ყველა სავანეებზე ადრე. ხოლო შემდეგ, როდესაც კლარჯეთის სავანეთა მხარე განადგურდა მურვან-ყრუს შემოსევათა დროს, ოპიზა ამჯერადაც პირველად იქმნა აღდგენილი.

ჩვენ ამით ვამთავრებთ საუბარს ოპიზის სავანის შესახებ, რამდენადაც ჩვენ აქ მიზნად ვისახავთ კლარჯეთის სავანეთა ისტორიის მიმოხილვას გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის ხანამდე, მე-9—10 საუკუნეებამდე. აქ დაგვრჩენია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ოპიზას არ [დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა შემდეგ ხანაშია. ასე, ქართველ ისტორიკოსს ეამთაღმწერელს მე-13 საუკუნეში მოხსენებული აქვს „მთათა შინა ლადოსათა [მხარეთა კლარჯეთისათა]—ოპიზა უპირველესი ათორმეტთა [სავანეთა]“; ამ ისტორიკოსის სიტყვით განთქმული ყოფილა „სიდიდე [სავანისა] ოპიზისა და შემკობა მისი“, იგი ამ დროს მოღვაწეთა „კრებულითა აღსაყეს“ იყო, „რომელნი მას ეამს ბრწყინვიდეს ოპიზას“³.

ოპიზის სავანეს, „უპირველესს“ კლარჯეთის სავანეთა შორის, მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ქართული განათლებისა და მწიგნობრობის ისტორიაში. ცალკეა აღსანიშნავი განსაკუთრებული როლი ოპიზის სავანისა ქართული ხელოვნების ისტორიაში. საშუალო საუკუნეებში განთქმული იყო ოპიზის სკოლა ქართული სახვითი ხელოვნებისა. საკმაოა მოვიგონოთ, რომ ოპიზის სკოლას წარმოადგენდნენ ქართული ხელოვნების ისეთი ბრწყინვალე ოსტატები, როგორიც იყვნენ ბექა და ბეშქენ ოპიზარნი.

2. მერე.

ჩვენ უკვე მოყვანილი გვექონდა ვახტანგ გორგასარის მატრიანის უწყება, სადაც აღნიშნულია, რომ ვახტანგ გორგასარის დროს კლარჯეთში აშენებულ იქმნა „მონასტერი ოპიზისა, და სამნი ეკლესიანი: დაბისა, მერიისა და შინდობისა“.

¹ იხ. მატრიანე ქართლისა, გვ. *447/225.

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 82.

³ იხ. ეამთაღმწერელი, გვ. *856/700—701.

ამრიგად, ამ უწყების თანახმად, მერე აშენებული ყოფილა მე-5 საუკუნეში: ამ დროს მერე ჯერ კიდევ არ ყოფილა სავანე-მონასტერი, არამედ ეკლესია-ტაძარი.

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს, მერის სანახები, ისევე როგორც კლარჯეთის სავანეთა მთელი მხარე, გავერანებულია და მე-9 საუკუნის დასაწყისამდე იგი მიტოვებულ კუთხეს წარმოადგენდა.

გიორგი მერჩულის ცნობის თანახმად, ახალი მშენებლობა აქ დაწყებულია აშოტ I-ის დროს, მე-9 საუკუნის ათიან წლებში. გიორგი მერჩულე ამ მხარის მშენებლობისა და, კერძოდ, მერის სავანის შესახებ შემდეგს გადმოგვცემს:

„მათ ეამთა მფლობელი იყო ამათ ქუეყანათა — ჭელმწიფეჲ დიდი ბაგრატიონი აშოტ კურაპალატი, — რომლისა გამო დაემტკიცა ქართველთა ზედა მთავრობაჲ მისი და შეილთა მისთაჲ ვიდრე უკუნისადმდე ეამთა ..

„...მას ეამსა ყოველთა მათ წმიდათა უღაბნოთა შინა [კლარჯეთისათა] იწყეს წიდათა მამათა მონასტრებისა შენებად და წმიდათა ეკლესიათა და ესრეთ განმრავლდეს მსახურნი — სამეებისანი...

„ხოლო სანატრელი — დედაჲ ფებრონია მოიწია სამცხით და დაემკვდრა მერეს შინა და ღირსად ცხოვრებისა და სულიერად განგებისა მისისა არა იყო საზღუარა“¹.

ამრიგად, მერის განახლება სავანის სახით მომხდარა აშოტ I-ის დროს. ე. ი. 813—826 წლებს შორის. მეოის განმაახლებელი ყოფილა განთქმული შოლვაწე ქალი ფებრონია, რომელიც ახლო მონაწილეობას იღებდა იმდროინდელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში და რომელიც, როგორც ამას აღნიშნაუც გიორგი მერჩულე, დიდი ავტოოიტეტიტ სარგებლობდა თანამედროვეთა შორის.

მერის სავანის შესახებ მე-9 საუკუნეში დაწერილებით ცნობებს შეიცავს გიორგი მერჩულის ძეგლი. (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 38, 42, 72—75, 84—88, 105—107, 110—111, 117—118).

დასასრულ, დაგვრჩენია აღენიშნოთ, რომ მერის სავანის ნაშთები დღემდე შეუსწავლელია. გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობის თანახმად, მერე მდებარეობდა ხანძთის მეზობლად. ეს ადგილი, იმავე ძველი სახელწოდებით „მერე“, ხანძთის მახლობლად დღემდოსაც არსებობს. ნ. მარს, რომელმაც 1904 წელს იმოგზაურა კლარჯეთში, აღნიშნული აქვს, რომ ჰუნქტი, სახელწოდებით „მერე“ მდებარეობს მდინარე კარჩხალის-წყალის ხეობაში, ფორთა ხანძთის მიდამოებში (ე. ი. იმ სექტორში, სადაც ეს სავარაუდებელი იყო გიორგი მერჩულის ძეგლის მიხედვით)². მაგრამ, სამწუხაროდ, თვით მერეში ნ. მარი აღარ ასულა, და მას შემდეგ არც სხვა მკვლევარი ყოფილა ამ კუთხეში.

3. დაბა.

როგორც ვახტანგ გორგასარის მატრიანის ზემოთ მოყვანილი უწყებიდან ჩანს, დაბა დაარსებული ყოფილა ვახტანგ გორგასარის დროს, მე-5 საუკუნეში. ამ დროს, მე-5 საუკუნეში, დაბა ჯერ კიდევ არ ყოფილა განკუთ-

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 32, 38.

² იხ. ნ. მარი, *Дневник*, ТР, VII, გვ. 131, 132, 137.

ვნილი მონასტრად, არამედ ეკლესია-ტაძარს წარმოადგენდა (ისევე როგორც ეკლესია-ტაძრები ყოფილა მე-5 საუკუნეშივე დაარსებული და დაბასთან ერთად დასახლებული მერე და შინდობანი).

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს, დაბის სანახები, ისევე როგორც კლარჯეთის სავანეთა მთელი მხარე, გავერანებულა და მე-9 საუკუნის დასაწყისამდე იგი მიტოვებულ კუთხეს წარმოადგენდა.

გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობათა თანახმად დაბის განახლება სავანის სახელ მომხდარა მე-9 საუკუნის დასაწყისში, აშოტ I დიდის დროს (813 — 826 წ.).

გიორგი მერჩულეს დაბა მოხსენებული აქვს როგორც უკვე არსებული სავანე 830 — 840 წლებში, როდესაც, როგორც მოგვითხრობს მერჩულე, საქართველოს ხელისუფლების მეთაურებმა (ბაგრატ I-მა, ადარნერსე ხელმწიფემ და გვარამ მამფალმა), გრიგოლ ხანძთელთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად, მონიხულეს კლარჯეთის სავანეები და მათ შორის დაბა¹.

მე-9 საუკუნიდან მოკიდებული დაბა არსებობდა როგორც სავანე საშუალო საუკუნეთა განმავლობაში (დაბა საშუალო საუკუნეებში კლარჯეთის „ათორმეტ“ სავანეთა რიცხვში ითვლება) — ვიდრე თურქეთის მფლობელობის დამყარებამდე.

დაბის სავანე დაუნგრევიათ თურქთა მფლობელობის დროს. ნ. მარი, რომელმაც 1904 წელს ადგილობრივ ინახულა დაბა, აღნიშნავს, რომ დაბის სავანის ნაშთები მთლიანად მოსპობილია და მხოლოდ სავანის მთავარი ტაძრის ნაადგილვეი, საფუძელის ნანგრევები გაირჩევა².

4. პარეხი (პარეხნი, ბერთისა პარეხნი).

პარეხის სავანის ისტორიის მთელი რიგი მომენტები ჩვენ უკვე გაშუქებული გვექონდა ზემოთ, როდესაც განვიხილეთ ბასილი ზარხმელის თხზულების ქრონოლოგიის საკითხები.

აქ დაგვრჩენია მოკლედ შევაჯამოთ ზემოთ-აღნიშნული და დამატებით აღნიშნოთ ახალი ფაქტები.

პარეხის სავანე, როგორც გამოირკვა, დაარსებული ყოფილა მეექვსე საუკუნის შუა წლებში, შიო მღვიმელის მოწათის მიქელ პარეხელის მიერ.

პარეხი, თავისი არსებობის პირველ პერიოდშივე, მიქელის დროსვე, გადაქცეულა ქართული განათლების მნიშვნელოვან კერად. მიქელი გარშემორტყმული ყოფილა მრავალი მოწათეებით. მიქელის მოწათეთა რიცხვში ითვლებოდნენ კერძოდ ბასილი და მარკელაოზ პარეხელნი, სერაპიონ ზარხმელი და მისი ძმა იოანე; მიქელთან დაახლოებული პირი ყოფილა აგრეთვე გიორგი მაწყვერელი.

მიქელის მოღვაწეობა საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი არა მხოლოდ კლარჯეთში, არამედ კლარჯეთის გარეთაც საქართველოს სხვა მხარეებში.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 57.

² იხ. ნ. მარი, *Древний Тр*, VII, გვ. 180.

როგორც აღნიშნავს ბასილი ზარზმელი, „სახელი დიდისა მის მოძღვრისა“ მიქელისა — ყველასათვის უდიდეს ავტორიტეტად ითვლებოდა. მიქელის მოწაფენი თავის მასწავლებლის სახელისადმი უდიდესი პატივისცემის გრძნობით აცხადებენ: „მოწაფენი ვართ დიდისა მის და განთქმულისა მიქელ პარეხელი-სანი“¹.

პარეხის სავანეში მე-6—7 საუკუნეებიდანვე შექმნილა ლიტერატურული ტრადიციები. მიქელ პარეხელის ცხოვრება აღუწერიათ მიქელის მოწაფეებს. (როგორც ეს სავარაუდებელია ბასილი ზარზმელის ტექსტის მიხედვით, მიქელის ბიოგრაფიის ავტორები ყოფილან ბასილი და მარკელაოზ პარეხელნი).

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, როდესაც მურვან-ყრუს შემოსევათა შედეგად განადგურდა კლარჯეთის მხარე, გავერანებულა და დაცლილა აგრეთვე პარეხის სავანე.

როგორც ეს ირკვევა გიორგი მერჩულის ტექსტიდან, მე-9 საუკუნის 30-იან წლებში პარეხის სავანე ჯერ კიდევ არ ყოფილა აღდგენილი².

მე-9 საუკუნის 40-იან წლებში პარეხში დამკვიდრებულა მარტოდმყოფი მეუღაბნოე მიქელი, მოწაფე გრიგოლ ხანძთელისა, რომელსაც გაუტარებია აქ მრავალი წელი როგორც დაუღებულ მარტოდმყოფს; იგი პარეხში გარდაცვლილა და იქვე დაუსაფლავებიათ.

მიქელ მარტოდმყოფის გარდაცვალების შემდეგ პარეხში დამკვიდრებულა აგრეთვე განმარტოებული მეუღაბნოს სახით, ბასილი მარტოდმყოფი, რომელიც აგრეთვე იქვე პარეხში დაუსაფლავებიათ³.

უფრო გვიან, მიქელ და ბასილი მარტოდმყოფთა გარდაცვალების შემდეგ, პარეხში განუახლებიათ სავანე, რომელიც აქ გაუქმებული იყო მურვან-ყრუს შემოსევათა დროიდან. სავანის ეს განახლება პარეხში მომხდარა მეცხრე საუკუნის დასასრულს. მეცხრე-მეათე საუკუნეთა მიჯნაზე და მეათე საუკუნის პირველ ნახევარში (გიორგი მერჩულის დროს) პარეხი უკვე მოქმედი სავანეა.

ამ დროიდან მოკიდებული პარეხი ისევ იქცა ქართული განათლების მნიშვნელოვან ცენტრად, აღდგენილ იქმნა პარეხის ძველი ლიტერატურული ტრადიციები. ამ დროს, მე-9—10 საუკუნეთა საზღვარზე, პარეხში მოღვაწეობს ცნობილი მწერალი ილარიონ პარეხელი, რომელსაც გიორგი მერჩულე მიაკუთვნებს მე-9—10 საუკუნეთა უდიდეს ქართველ მწერალთა რიცხვს.

ცნობებს პარეხის სავანის შესახებ შემდგომი ხანისათვის იძლევა დოკუმენტი, შეტანილი ბერთის ოთხთავის ხელნაწერში⁴.

დაწყებული მე 9—10 საუკუნეთა საზღვრიდან, პარეხის სავანე არსებულა

¹ იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 156.

² გიორგი მერჩულეს, როგორც ცნობილია, აღწერილი აქვს კლარჯეთის ყველა სავანეთა მოხილვა მე-9 საუკუნის 30-იან წლებში ბაგრატ I-ისა და მისი ძმების მიერ, გრიგოლ ხანძთელთან და მის თანამოღვაწეებთან ერთად (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 67—70). ამ აღწერილობაში პარეხი არაა მოხსენიებული მოქმედ სავანეთა რიცხვში.

³ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 100.

⁴ იხ. ბერთის ხელნაწერის მინაწერთა შესახებ გ. წერეთელი, Полное собрание надписей Гелатского монастыря, Древности восточные, т. I, вып. 2, 1891 წ., გვ. 263—264; Н. Кондаков и Д. Бакрадзе, Описание памятников древности, 1890 წ., გვ. 44—47.

საშუალო საუკუნეთა მანძილზე (იგი ითვლებოდა კლარჯეთის თორმეტ სავანეთა რიცხვში) — ვიდრე თურქთა მფლობელობის დამყარებამდე.

პარეხის სავანის ნაშთები დღემდისაც შენახულა. მოღწეულა ნანგრევები, ორი დიდი ტაძრისა, ერთი მომცრო ნიშისა, მეფოლეთისა, ამოშენებული გამოქვაბულისა („პარეხნი“), აგრეთვე ნანგრევები „საოსტიგნე“-სი (სემინარია-სასწავლებლის შენობისა) და სხვ.¹

*

5. ხ ა ნ ძ თ ა .

განთქმული სავანე ხანძთა, როგორც ეს ირკვევა გიორგი მერჩულის ძეგლიდან და როგორც ამის შესახებ უკვე გეჰონდა საუბარი, დაარსებულია მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, 782 წლის ახლო.

ხანძთა ეს იყო ქართული განათლებისა და ქართული მწიგნობრობის უმნიშვნელოვანესი ცენტრი მე-8—10 საუკუნეებში.

ჩვენ აქ მოკლედ შევჩერდებით ხანძთელ მოღვაწეებზე, რომელთა შესახებაც საუბარია გიორგი მერჩულის ძეგლში.

პირველ რიგში მოვიხსენებთ ხანძთის სავანიდან გამოსულ მწერლებს და მწიგნობრობის მოღვაწეებს.

1. ხანძთელი მწერლების პლეადას ხსნის თვით გრიგოლ ხანძთელი (758—860 წ.). გრიგოლ ხანძთელის სამწერლო მოღვაწეობას ჩვენ ქვემოთ ვუძღვნით ცალკე თავს და ამის გამო აქ მასზე აღარ ვჩერდებით.

2. ხანძთის სავანის სკოლიდან გამოსულ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის არსენი დიდი, ქართლისა კათალიკოზი.

არსენი იყო ძე სამცხის მხარის მთავრის მირიანისა. არსენი დაიბადა 820 წელს. არსენი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, 826 წელს ჩამოიყვანეს აღსაზრდელად ხანძთაში. არსენიმ განათლება ხანძთაში მიიღო. აქ ხანძთაში არსენიმ დაპყროცი წელი, 826 წლიდან — 845/850 წლებამდე.

845—850 წლებში არსენი არჩეულ იქმნა ქართლის კათალიკოზად, ხოლო ამის შემდეგაც არსენის არ შეუწყვეტია კავშირი ხანძთასთან და თავის მოძღვარ მასწავლებელთან გრიგოლ ხანძთელთან.

გიორგი მერჩულის ცნობით, არსენი გამოჩენილი მოღვაწე ყოფილა და მას შთამომავლობაში „დიდი“-ს სახელი დაუმსახურებია. გიორგი მერჩულის სიტყვით — „არსენი, რომელსა ეწოდა ღირსად დიდი არსენი, ქართლისა კათალიკოზი და მცხეთისა საყდრისა [საკათალიკოზო ტახტისა] გვრგვნი დაუქნობელი...“, — იყო დიდი მოურნე ქვეყნისა, რომელმაც ქართლისა საკათალიკოზოს „სიხარული მიჰფინა, რამეთუ საყდარი [ტახტი] მამათმთავრობისაჲ შეამკო სრულიად და შეიმკო მადლითა“².

არსენი ამავე დროს გამოჩენილი მწერალი ყოფილა. არსენის ლიტერატურული შემკვიდრებიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა ისტორიულ-ჰაგიოგრაფიული ძეგლი — მოსახსენებელი ა ბ ი ბ ო ს ი ს ა თ ვ ი ს ნ ე კ რ ე ს ე ლ ი ს ა, რო-

¹ იხ. ნ. მარი, *Дневник*, ТР, VII, გვ. 175—177.

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 50, 96.

შელიც იწამა სპარს დამპყრობელთა მიერ ქართლში მე-6 საუკუნეში. ეს პატრიოტული ნაწარმოები ჩვენი მწერლისა. აღბეჭდილია დიდი ლიტერატურული ღირსებებით. (აღვნიშნავთ ამასთან, რომ ეს ნაწარმოები არსენისა არაა მოკლებული ინტერესს, კერძოდ, ქართული ფილოსოფიური აზროვნების ისტორიისათვის, რამდენადაც აქ მოცემულია მოძღვრება ბუნების შემადგენელი ოთხი ელემენტის შესახებ).

არსენი კათალიკოსხვე მიაკუთვნებენ აგრეთვე საისტორიო-პოლემიკურ ტრაქტატს „განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა“, მაგრამ ეს უკანასკნელი, ვფიქრობთ, უფრო ადრინდელი ხანის ძეგლი უნდა იყოს¹.

არსენი კათალიკოზი გარდაიცვალა 872/7 წლებში.

3. ხანძთის სავანის სკოლიდან გამოსულ მწერალთა რიცხვს ეკუთვნის აგრეთვე მაკარი ლეთეთელი.

მაკარი ლეთეთელი შთამომავლობით ქართლიდან ყოფილა (სოფლიდან ლეთეთი, შიდა ქართლში).

მაკარის განათლება ხანძთაში მიუღია; იგი მოიხსენება მოწაფედ გრიგოლ ხანძთელისა.

შემდეგ მაკარი გადასულა იერუსალიმში და დამკვიდრებულა საბაწმიდის სავანეში, სადაც, როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ მე-5—6 საუკუნეებიდან დაწყებული, შექმნილი იყო ქართული განათლებისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვანი ცენტრი.

მაკარი ლეთეთელი საბაწმიდაში დამკვიდრების შემდეგ არ სწყვეტს კავშირს ხანძთასთან და თავის მოძღვართან გრიგოლ ხანძთელთან. ჩვენ დრომდე მოღწეულა წერილი საბაწმიდიდან მოწერილი ხანძთაში მაკარისა და მისი თანამოღვაწის არსენის მიერ, რომლითაც ისინი მიმართავენ თავის მასწავლებელს გრიგოლ ხანძთელს (ეს წერილი შეტანილი აქვს გიორგი მერჩულეს თავის თხზულებაში).

ქართული მწერლობის დარგთაგან მაკარი ლეთეთელს, როგორც ირკვევა, მიუძღვის ღვაწლი ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში.

მაკარის უთარგმნია ბერძნულიდან კოზმან იერუსალიმელის საგალობელნი (იგი შეტანილია მიქელ მოდრეკილის კრებული მემორე ნაწილში, რომელიც მოსე ტაოელის მიერ არის შესრულებული).

აღვნიშნავთ ამას გარდა, რომ მაკარი ლეთეთელის რედაქტორობით არის შესრულებული ძველი ქართული მწერლობის ისეთი მნიშვნელოვანი კრებული, როგორცაა განთქმული ქრესტომათია „მრავალთავი“ 864 წლისა.

4. ხანძთა როგორც მე-9 საუკუნეში, ისე მე-10 საუკუნეშიაც რჩება ქართული მწერლობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად. ამ დროს, მე-10 საუკუნეში, ხანძთაში მოღვაწეობს ეპოქის უდიდესი მწერალი გიორგი მერჩულე; როგორც გამოირკვეა, აქ, ხანძთაში არის დაწერილი 950 წელს ძველი ქართული მწერლობის ეს უმნიშვნელოვანესი ძეგლი — ცხორება გრიგოლ ხანძთელისა.

¹ იხ. პ. ინგოროვეა, ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა (ქრანალი „შათობი“, 1939 წ., № 10—11, გვ. 263—268).

5—6. მეათე საუკუნეშივე მწიგნობრობის მოღვაწეთა რიცხვს ხანძთაში ეკუთვნიან ხანძთის წინამძღვარი თევდორე და მისი ძმა იოანე, რომელნიც ყოფილან თანამწრომელნი გიორგი მერჩულისა¹.

გარდა დასახელებული მწერლებისა და მწიგნობრობის მოღვაწეებისა, გიორგი მერჩულის თხოვლება შეიცავს ცნობებს მთელი რიგი სხვა ხანძთელი მოღვაწეების შესახებ მე-8—10 საუკუნეში. ამათ რიცხვს ეკუთვნიან:

7. საბანი (საბა) იშხნელი — თანამოღვაწე გრიგოლ ხანძთელისა.

საბანი დაბადებულა 760 წლის ახლო ხანებში. იგი წარმოშობით ქართლიდან იყო. 780 წლის ახლო ხანებში საბანი, გრიგოლ ხანძთელთან ერთად, გადადის სამოღვაწეოდ ქართლიდან კლარჯეთში.

824—825 წლებში საბანმა, გრიგოლ ხანძთელთან ერთად, იმოგზაურა ბიზანტიაში, კონსტანტინეპოლსა „და ყოველთა საჩინოთა ადგილთა საბერძნეთისათა“.

ბიზანტიიდან დაბრუნების შემდეგ, 826 წელს, საბანი დამკვიდრდება იშხანში, ტაოს მხარეში; საბანი განაახლებს იშხანს, რომელიც ამ დროიდან ხდება ერთ-ერთი უნიშვნელოვანესი ცენტრი ტაოს მხარისა (იხ. ამის შესახებ ქვემოთ, გვ. 384—391).

საბანი გარდაიცვალა მე-9 საუკუნის შუა წლებში.

8—9. თევდორე ნეძველი და ქრისტეფორე კვირიკეწმიდელი.

ეს ორი მოღვაწე — არიან თანამედროვენი და თანამოღვაწენი გრიგოლ ხანძთელისა. წარმოშობით ისინი აგრეთვე ქართლიდან ყოფილან და გრიგოლ ხანძთელთან და საბან იშხნელთან ერთად გადასულან სამოღვაწეოდ კლარჯეთში.

გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ ხანძთის საეანეში თევდორე და ქრისტეფორე მოღვაწეობენ ნახევარ საუკუნეზე მეტი ხანი, 782 წლის ახლო დროიდან ვიდრე 840 წლის ახლო დრომდე.

თევდორეს და ქრისტეფორეს უშუალო მოწაფეები იყვნენ ხანძთაში აღზრდილნი არსენი დიდი ქართლისა კათალიკოზი და ეფრემ მაწყვერელი.

840 წლის ახლო ხანებში თევდორე და ქრისტეფორე დაარსებენ ახალ საეანეებს ქართლისა და ნესხეთის საზღვარზე: თევდორე — ნეძვის საეანეს, ხოლო ქრისტეფორე — კვირიკეწმიდის საეანეს (იხ. ამის შესახებ ქვემოთ, გვ. 397—398).

10. ეფრემ მაწყვერელი.

გიორგი მერჩულის ცნობით, ეფრემი იყო ახლო ნათესავი, თანამოგვარე მე-9 საუკუნის მწერლის მაკარი ლეფთეელისა, რომლის მოღვაწეობა ხანძთასთან იყო დაკავშირებული (იხ. ზემოთ).

გიორგი მერჩულის ცნობათა თანახმად, თარიღები ეფრემის ცხოვრებისა შემდეგია. ეფრემი დაბადებულა 810—815 წლებში. ხანძთაში ჩამოუყვანიით აღსაზრდელად 826 წელს, ს.დაც ეფრემს მიუღია განათლება არსენისთან ერთად

¹ იხ. ზემოთ, გვ. 14—15.

(შემდეგ ქართლისა კათალიკოზი). ხანძთაში ეფრემს დაუყვია 15 წელი. 840 წლის ახლო ხანებში ეფრემი გადადის ნექჰში (თვედორე ნექველის მიერ დაარსებულ სავანეში). 840—845 წლებში ეფრემი დაუდგენიათ მაწყვერელად. გიორგი მერჩულის ცნობით ეფრემს ეჭირა მაწყვერელის პოსტი 40 წლის განმავლობაში. გარდაცვლილა ეფრემი 880—885 წლებში.

ეფრემი დიდი მასშტაბის საეკლესიო მოღვაწე ყოფილა. გიორგი მერჩულის სიტყვით ეფრემს დიდი ღვაწლი გაუწევია, რათა ქართულ ეკლესიას მოეპოვებინა სრული ექანსიპაცია უცხოეთის გავლენისაგან. გიორგი მერჩულე წერს:

„არამედ დიდი ეფრემ მრავლისა—კეთილისა“—მომნიჭებელ „ექმნა ქუეყანასა ჩვენსა... პირველად აღმოსავალისა კათალიკოზთა მიპრონი იერუსალემით მოჰყვანდა, ხოლო ეფრემ მიპრონისა კურთხევაჲ ქართლს განაწესა... არამედ ქართლად ფრიადი ქუეყანაჲ აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ეამი შვიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების...“ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 97).

ეს აქტი, რაც ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის განმტკიცებას მოასწავებდა, ეფრემს ჩაუტარებია 845 წლის ახლო ხანებში, როდესაც ეფრემი, როგორც ირკვევა, ქართლის კათალიკოზის მოსაყდრედ ყოფილა.

11. არსენი საბაწმიდელი ეკუთვნოდა გრიგოლ ხანძთელის იმ მოწაფეთა რიცხვს, რომლებიც პალესტინის ქართულ კოლონიაში მოღვაწეობდნენ.

არსენი ყოფილა ახლო ნათესავი და მოგვარე ზემოთ-დასახელებული მოღვაწეების — მაკარი ლეთეთელისა და ეფრემ მაწყვერელისა.

არსენისაც განათლება ხანძთაში მიუღია; იგი მოიხსენება გრიგოლ ხანძთელის მოწაფედ. შემდეგ მაკარი გადასულა იერუსალიმში და საბაწმიდაში დამკვიდრებულა (ზემოთ-მოხსენებული წერილი, გამოგზავნილი საბაწმიდიდან ხანძთაში და მიმართული გრიგოლ ხანძთელისადმი, რომლის ტექსტიც გიორგი მერჩულეს მოჰყავს, ეკუთვნის ამ არსენის, მაკარი ლეთეთელთან ერთად).

უფრო გვიან არსენის მონაწილეობა მიუღია ქართული სავანის დაარსებაში ბითინიის ოლიმპოში (მცირე აზიაში).

აღვნიშავთ ამასთან, რომ არსენი ყოფილა თანამშრომელი ეფრემ მაწყვერელისა ქართული ეკლესიის ექანსიპაციის ზემოთ-დასახელებულ აქტის ჩატარების დროს¹.

12. ილარიონ იერუსალიმელი, რომელიც თავდაპირველად იერუსალიმის ქართულ კოლონიაში მოღვაწეობდა, ხოლო შემდეგ ხანძთაში ჩამოსულა, გიორგი მერჩულეს მოხსენებული ჰყავს გრიგოლ ხანძთელის თანამშრომელთა რიცხვში. როდესაც გრიგოლ ხანძთელმა დააარსა დასავლეთ საქართველოში (აფხაზეთში) უბის სავანე, გრიგოლმა ეს ილარიონი დანიშნა უბის წინამძღვრად. გიორგი მერჩულის სიტყვით ილარიონი დიდი ბიბლიოფილი იყო; „აქუნდეს მას კეთილნი წიგნნი“ — სავანეგებოდ აღნიშნავს ილარიონის შესახებ ჩვენი მწერალი. (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 53).

¹ ცნობა არსენის მონაწილეობის შესახებ დასახელებული აქტის ჩატარების დროს აღნიშნულია იერუსალიმური ქართული ზელნაწკარის სინოდოკში (იხ. ნ. მარი, Исторический очерк истории грузинской церкви..., Церк. ведомости, 1907 г., № 3, приложение, стр. 126).

გარდა დასახელებული მოღვაწეებისა გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენება კიდევ მთელი წყება სხვა ხანძთელ მოღვაწეთა მე 8—10 საუკუნეთა შანძილზე; გიორგი მერჩულეს ზოგი მათგანის ვრცელი ბიოგრაფიები მოჰყავს. ჩვენ აქ დავეკმაყოფილდებით მათი სახელების ჩამოთვლით. ესენი არიან:

ა) მე-8 საუკ.

ხუედიოს ხანძთელი (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 21—26, 30—31).

ბ) მე-8—9 საუკ.

ეპიტანე, მეორე წინამძღვარი ხანძთისა გრიგოლ ხანძთელის შემდეგ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 41, 98—99, 121, 127).

მატოი ხანძთელ-მერელი (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 41, 84—87).

ზენონ ხანძთელი (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 41—42, 121, 127, 130).

გ) მე-9 საუკ.

დიმიტრიოს ხანძთელი (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 87—88).

ბასილი, მესამე წინამძღვარი ხანძთისა (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 75).

დ) მე-10 საუკუნის პირველი ნახევარი:

არსენი, მეოთხე წინამძღვარი ხანძთისა (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71—72).

მცხუედი ხანძთელი, ძე არსენისა (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 72, 178).

დასასრულ, აღენიშნავთ ჩვენ დრომდე გადარჩენილს ძველ-ქართულ ხელნაწერებს, გადაწერილს ხანძთაში. ამათ რიცხვს ეკუთვნიან:

ა. ხელნაწერი H—1350 (გიორგი მთაწმიდელის ტექსტი), გადაწერილი ხანძთაში 1083 წელს მწიგნობარის მოსე ხანძთელის მიერ შატბერთისათვის.

ბ. ხელნაწერი S—4999 (გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული ტექსტები), გადაწერილი მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში ხანძთაში მწიგნობარის სტეჟანეს მიერ სვეტის სავანისათვის (ეს უკანასკნელი სავანე კლარჯეთისა და ნიგალის საზღვარზე მდებარეობდა).

გ. ხანძთური ოთხთავი მე-13—14 საუკუნეთა, გადაწერილი ხანძთაში მწიგნობარის ივანე-გიორგის მიერ (ხელნაწერი ამეამად დატულია სსრ მეცნიერებათა აკადემიის ლენინგრადის სააზიო მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში № 111 ab).

*

6. შატბერთი (შატბერდი).

შატბერთი (შატბერდი) — მეორე განთქმული სავანეა კლარჯეთისა, რომელიც დაკავშირებულია გრიგოლ ხანძთელის სახელთან. შატბერთი დაარსებულია გრიგოლ ხანძთელის მიერ მე-9 საუკუნის მეორე მეოთხედში. კტიტორი შატბერთისა და თანამოღვაწე გრიგოლ ხანძთელისა შატბერთის მშენებლობის დროს იყო ქართველთა სამეფოს მეთაური მეფე-კურაპალატი ბაგრატ I (826—876 წ.წ.).

შატბერთი მე-9—10 საუკუნეებში ქართული მწერლობისა და ქართული განათლების არა ნაკლებ მნიშვნელოვანი ცენტრი იყო, ვიდრე ხანძთა.

აქ შევიჩრდებით შატბერთის სავანიდან გამოსულ მე-9—10 საუკუნეთა მწერლებზე და მწიგნობრობის მოღვაწეებზე.

ამათ რიცხვს ეკუთვნის:

1. სოფრონ შატბერთელი.

გიორგი მერჩულე ამ მწერალს „დიდი“-ს სახელწოდებით მოიხსენებს: „დიდი სოფრონ... [შატბერთისა] უკუნისაღმდე გვრგვნი“, — ამაბობს მის შესახებ გიორგი მერჩულე. გიორგი მერჩულე სოფრონ შატბერთელს გაგვაცნობს როგორც მთავარ ლიტერატურულ ფიგურას მე-9—10 საუკუნეთა საზღვარზე.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა მოგვეყვანა მეტად საყურადღებო ტექსტი გიორგი მერჩულისა, სადაც იგი ჩამოსთვლის თავის უფროს თანამედროვე მწერლებს; გიორგი მერჩულე წერს, რომ გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას ვფიქრობდი აღწერდნებო ისეთი გამოჩენილი მწერლები „ბრძენნი და სრულნი“, როგორც იყვნებო:

„დიდი სოფრონ... [შატბერთისა] უკუნისაღმდე გვრგვნი...“

„...მამაჲ ილარიონ პარეხელი,

„...ღირსნი გიორგი მაწყვერელი... და სტეფანე მტბევაარი... და სხუანი მსგავსნი მათნი“, —

და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისინი გარდაიცვალნენ, გაეზედნო ხელი მომეკიდნა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერისათვის (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 100).

ასე-ნა ეს უაღრესად საყურადღებო ცნობა, რომელსაც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე თავის უფროს თანამედროვე მწერალთა შესახებ, რომელთა შორის იგი პირველად სოფრონ დიდ შატბერთელს ასახელებს.

2. იოანე-ზოსიმე, გამოჩენილი ქართველი პოეტი-ჰიმნოგრაფი და მეცნიერი მე-10 საუკუნისა, შატბერთის სკოლიდან გამოსულ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის.

იოანე-ზოსიმე დაბადებულა მე-10 საუკუნის დასაწყისში.

მოღვაწეობა იოანე ზოსიმეს შატბერთის სავანეში დაუწყია (ეს ირკვევა იოანე ზოსიმეს ერთი ჰიმნოგრაფიული კრებულის ანდერძის მიხედვით).

შემდეგ იოანე-ზოსიმე გადასულა იერუსალიმში, საბაწმიდის სავანეში; უფრო გვიან იგი გადადის სინას მთის ქართულ კოლონიაში, სადაც განაგრძობს თავის ლიტერატურულ-სამეცნიერო მუშაობას.

იოანე-ზოსიმე გარდაცვლილა ღრმა მოხუცებაში მყოფი 987 წლის ახლობანებში.

იოანე-ზოსიმე, ეს ყოველმხრივ შესანიშნავი ქართველი მწერალი და მეცნიერი მე-10 საუკუნისა, იმდენად ცნობილი ფიგურაა, რომ მასზე შეგვიძლია აღარ გაეაგრძელოთ აქ სიტყვა. (იოანე-ზოსიმეს სალიტერატურო-სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ იხ. ჩვენს ნარკვევში: ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა¹. იხ. აგრეთვე ქვემოთ, თავი VII).

3. მიქაელ მოდრეკილი, განთქმული პოეტი-ჰიმნოგრაფი მე-10 საუკუნისა, აგრეთვე შატბერთის სკოლიდან გამოსული მოღვაწე ყოფილა, მოღვაწეობა ჰასაც შატბერთში დაუწყია. მიქაელ მოდრეკილის შესახებ დაწვრილებით საუბარი გვექნება ქვემოთ (იხ. თავი VII).

¹ ჟურნალი „მნათობი“, 1939 წ. №№ 10—11, გვ. 236—238, 271—272.

დასასრულ, შენიშვნა შატბერთულ ხელნაწერთა შესახებ.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ქართული განათლებისა და ქართული მწიგნობრობისა შატბერთი, ეს შეგვიძლია გავითვალისწინოთ ჩვენს დრომდე გადაჩენილი, შატბერთში გადაწერილი, ხელნაწერების მიხედვითაც.

მათ რიცხვს ეკუთვნიან: ცნობილი შატბერთული ოთხთავეები მე 9—10 საუკუნეთა, გადაწერილნი 897, 836 და 873 წლებში¹; შატბერთული კრებული, გადაწერილი 969—976 წლებში²; კრებული დავით ჯიბისძისა, გადაწერილი 1035 წელს³; გიორგი მთაწმიდელის შრომათა კრებული, გადაწერილი მე-11—12 საუკუნეებში⁴.

ამათგან განსაკუთრებით ძვირფასია ქართული ლიტერატურისა და საისტორიო მეცნიერებისათვის შატბერთის კრებული 969—976 წლებისა, გადაწერილი შატბერთელი მწიგნობარის იოანე ბერაისა და თანამოღვაწეების მიერ, სადაც დაცულია უძველესი ჩვენ დრომდე მოღწეული პირი ძველ ქართული მატრიანისა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ მოკლე ექსკურსს შატბერთელ მწერალთა და მწიგნობრობის მოღვაწეთა შესახებ.

აღვნიშნავთ დასასრულ, რომ შატბერთში მე-11 საუკუნეში მოღვაწეობდა დიდი ქართველი მწერალი გიორგი მთაწმიდელი, რომელსაც იგი 1060—1065 წლებში უცხოეთიდან საქართველოში დაბრუნდა.

7. მიძნაძოროჲ.

გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენების თანახმად მიძნაძოროჲს სავანე დაარსებულა მე-9 საუკუნის დასაწყისში, აშოტ 1-ის (813—826 წ.) დროს.

გიორგი მერჩულის ცნობით, მიძნაძოროჲს დამაარსებელი იყო დავით დიდი მიძნაძოროელი, რომელსაც მერჩულე შემდეგი სიტყვებით მოიხსენებს: „დიდი მამაჲ სანატრელი დავით, მაშენებელი მონასტერთაჲ“⁵.

ამრიგად, მერჩულის ამ უწყების თანახმად, დავით მიძნაძოროელი ყოფილა დამაარსებელი არა მხოლოდ მიძნაძოროჲსა, არამედ ამავე დროს იგი ყოფილა „მაშენებელი მონასტერთა“. თუ სახელდობრ რომელ სხვა მონასტერთა მაშენებელი იყო დავით დიდი მიძნაძოროელი, გიორგი მერჩულეს აღნიშნული არა აქვს. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ დავით დიდი მიძნაძოროელის მოწაფეები ყოფილან ილარიონი, წინამძღვარი წყაროსთავისა (შემდეგ ქართლისა კათალიკოზი), რომელმაც ააშენა წყაროსთავი, და ზაქარია, წინამძღვარი ბარეთელთისა, რომელმაც ააშენა ბარეთელთა⁶, სატიქრებელი

¹ პირველი მათგანი (897 წლისა) დაცულია სვანეთში; დანარჩენნი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში: H—1660 და A—1453.

² ხელნაწერი S—1141.

³ ხელნაწერი A—135.—არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ 1035—1036 წლებში შატბერთელმა მოღვაწეებმა, დავით ჯიბისძის მოთავეობით, დააარსეს კოლონია შავ-მთაზე, — ქრომანას სავანე. ჩვენამდე მოღწეულა ხელნაწერი, გადაწერილი შატბერთელთა ამ კოლონიაში იოანე ჯიბისძის (დავით ჯიბისძის შვილის) მიერ 1050—1060 წლებში (ხელნაწერი H—2211). თარიღი ქრომანას სავანეს დაარსებისა (1035—1036 წ. წ.) იოკევა — *terminus post quem non* — გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიიდან (იხ. ათონის კრებული, გვ. 293), *ante quem non* ხელნაწერიდან A—135 1035 წლისა (რომლის გადაწერის დროსაც დავით ჯიბისძე ჯერ კიდევ შატბერთში მოღვაწეობდა).

⁴ ხელნაწერი A—73.

⁵ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 68.

⁶ იხ. იქვე.

ხდება, რომ დავით დიდი მიძნაძორი იყო თანამოღვაწე ამ თავისი მოწაფეებისა წყაროსთავის და ბარეთელთის მშენებლობის დროს.

მიძნაძორი მოღვაწეთაგან, გარდა მისი დამაარსებლის დავით მიძნაძორელისა, გიორგი მერჩულეს მოხსენებული ჰყავს თავისი თანამედროვე (მე-10 საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე) იაკობ მიძნაძორელი, რომლის შესახებ გიორგი მერჩულე აღნიშნავს: „უამთა ჩუენთა ბრწეინვიდა ჳეესა მას მიძნაძორასასა დიდი იაკობ, ვითარცა მთიეზი შორის ვარსკულაეთა, ზემთა სიტყუსა ჩუენისა შემკობილი მრავალჟერითა მადლითა, მოყუსთა თანა საღმრთოთა“¹.

მიძნაძორელ მოღვაწეთაგან იმავე მე-10 საუკუნეში ცნობილია აგრეთვე კვირიკე მიძნაძორელი, რომლის მოღვაწეობითაც გადაწერილია სინას მთის ქართულ საეანეში მთელი რიგი ქართული ხელნაწერებისა². (კლარჯეთის საეანეებს ამ ეპოქაში ახლო კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ პალესტინის, სინას მთის, ანტიოქიის და საბერძნეთის ქართულ საეანეებთან).

მიძნაძორიდან მომდინარეობს ძველ-ქართული ხელნაწერი XI საუკუნისა A—97 (იხ. გვ. 97b; ხელნაწერი შეიცავს გიორგი მთაწმიდელისეულ სენაქსარს, მეტად საყურადღებო ექსცერპტებით IX—X საუკუნეთა კლარჯული სენაქსარიდან³).

ბაგრატ IV-ის ცნობილი სიგელის ჩვენების თანახმად, მე 10—11 საუკუნეებში მიძნაძორი საეანის კტიტორნი ყოფილან საქართველოს მეფე-მთავარნი: გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავი (918—941 წ.), გურგენ მეფეთა-მეფე (994—1008 წ.), მეფე ბაგრატ III, გამაერთიანებელი საქართველოსი (978—1014 წ.) და მეფე გიორგი I (1014—1027 წ.)⁴.

უფრო გვიანი ეპოქიდან მიძნაძორი საეანის შესახებ ცნობებს შეიცავს ეამთააღმწერელი, მონგოლთა დროის ქართული ისტორიკოსი⁵.

მიძნაძორი საეანე, ისევე როგორც კლარჯეთის სხვა საეანეები, დანგრეულა თურქეთის მფლობელობის დროს. როგორც ეს ცხადი ხდება მოღწეული ნაშთების მიხედვით, მიძნაძორი საეანე დიდი მოცულობისა ყოფილა. საეანის ტერიტორია დაფარულია მრავალ ნაგებობათა ნაშთებით⁶. მათ შორის დატულია ნანგრევები საეანის მთავარი ტაძრისა, აგრეთვე ნანგრევები დიდი კაპიტალური ნაგებობისა „საოსტიგნე“-სი (შენობა, რომელიც საშუალო საუკუნეთა საეანეებში ჩვეულებრივ დანიშნული იყო სემინარია-სასწავლებელთათვის).

8. წყაროსთავი.

გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენების თანახმად წყაროსთავის საეანე დაარსებულია მე-9 საუკუნის პირველ მესამედში. (ეს საეანე უკვე არსებულა 830—840 წლებში, როდესაც, გიორგი მერჩულის ცნობით, კლარჯეთს საეა-

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 100.

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ., გვ. 104—105; Н. Марр, Описание грузинских рукописей Синапского монастыря, 1940 წ., გვ. 110.

³ იხ. ჯ. ინგოროვეა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, „მნათობი“, 1939 წ., № 10—11, გვ. 246—248.

⁴ იხ. ბაგრატ IV-ის სიგელი, დ. ბაქრაძის გამოცემა (Приложение к V тому Записок Акадмии Наук № 1).

⁵ იხ. ეამთააღმწერელი, გვ. *857/701.

⁶ იხ. ნ. მარი, Дневник, TP, VII, გვ. 131—135.

წებები მოიხილეს ბაგრატი I-მა და მისმა ძმებმა, გრიგოლ ხანძთელთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად) ¹.

გიორგი მერჩულის ცნობით წყაროსთავის დამაარსებელი ყოფილა დავით დიდი მიძნადროელის მოწაფე ილარიონ წყაროსთაველი (რომელიც უფრო გვიან ქართლის კათალიკოზად აურჩევიათ) ².

გარდა გიორგი მერჩულის ძეგლისა წყაროსთავის საეპისკოპოსოს შესახებ საყურადღებო ცნობას შეიცავს სვინაქსარული მოსახსენებელი მე-11 საუკუნის გამორჩენილი ქართველი მოღვაწის გიორგი-პროხოვსის, რომელმაც პალესტინაში ააშენა ჯვარის ქართველთა საეპისკოპოსო. ამ სვინაქსარული მოსახსენებლის თანახმად, წყაროსთავში არსებობდა სასწავლებელი და გიორგი-პროხოვსი, რომელიც წარმოშობით წყაროსთავის მეზობელი კუთხიდან — შავშეთიდან ყოფილა, განათლება წყაროსთავის საეპისკოპოსოში მიუღია ³.

მე-11 საუკუნეში წყაროსთავის საეპისკოპოსოს დაკავშირებული არიან მწიგნობრობის ცნობილი მოღვაწენი — ძმანი კავკასის-ძენი ეგნატე, პეტრე ვესტი (ყოფილი პატრიკი) და იოანე ქყონდიდელი (ერთ-ერთი ინიციატორი გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიის დაწერისა). ეგნატე კავკასის-ძის მოღვაწეობით წყაროსთავში გადაუწერიათ გიორგი მთაწმიდელის შრომათა კრებულები. წყაროსთავის ისტორიისათვის მე-11 საუკუნეში ინტერესს წარმოადგენს მოსახსენებელი ეგნატე კავკასის-ძისა, დართული წყაროსთავში გადაწერილი ერთ-ერთი ხელნაწერისათვის 1089 წლის ახლო დროისა ⁴.

წყაროსთავიდან მომდინარეობს აგრეთვე ჩვენს დრომდე მოღწეული წყაროსთავის განთქმული ოთხთავი, გადაწერილი თამარ დიდის ეპოქაში 1195 წელს, იოანე მტბევარ-საფარელის მოღვაწეობით და შემკული ბექა ოპიზარის მიერ მოკედილი ყლით, რომლის ქანდაკებული პირები (სცენები „ჯვარცმა“ და „ვედრება“) კლასიკური ხანის ქართული ხელოვნების უნიკალურ შედევრს წარმოადგენს ⁵.

წყაროსთავის საეპისკოპოსო დანგრეულა თურქთა მფლობელობის დროს, მაგრამ მისი ნაშთები მაინც შედარებით უკეთ არის დაცული, ვიდრე მეზობელი მიძ-

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 68, 70.

² იხ. იქვე, გვ. 68.

³ სვინაქსარული მოსახსენებლის ტექსტი, თ. ჟორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 523—524.

⁴ ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა A—136, A—252/3, A—372, A—674 (იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, I, 1892 წ., გვ. 234—5; შეად. გვ. 232).

⁵ იხ. შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიზარი, 1937 წ., გვ. 6—7 და ტახტები I, II; Н. Кош-даков и Д. Бакрадзе. Опись памятников древности, 1890 წ., გვ. 43—44.

აღნიშნავთ აქვე წყაროსთავის საეპისკოპოსოს ჩვენ დრომდე მოღწეულ სხვა ხელნაწერებსაც. ამათ არიან ვაჟთენის:

ა) ოთხთავი წყაროსთაველ-ანჩური მე-12—13 საუკუნეთა, შექმნილი წყაროსთავის ანჩისათვის შეუღების თამარ დიდისა და დავით სოსლანის მწიგნობარ-ყოფილის სოფოომის მიერ. ეს ხელნაწერიც, როგორც ირკვევა სოფოომის ანდერძიდან, აგრეთვე შემკული ყოფილა მოკედილი ყლით, ქანდაკებული სახეებით, რომელიც შეუსრულებია „ღირსსა ოქროსა-ქანდაკ ბელსა ბექასა“ (ბექა ოპიზარი), მაგრამ ბექასეული ეს ოქრო-ქანდაკებანი აღარ შენახულა (თვით ხელნაწერი ამჟამად დაცულია საქართველოს ცენტრ-არქივში, ძველ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში № 323).

ბ) წყაროსთაველი მანიტურული ოთხთავი მე-13 საუკუნისა, გადაწერილი გიორგი მტბევარისათვის (ხელნაწერი, რომელიც ინახებოდა უბისში, ამჟამად გადმოტანილია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში).

ნაძროხას სავანისა. წყაროსთავის სავანე, მოღწეული ნაშთების მიხედვით, ისევე დიდი ნოცულობისა ყოფილა, როგორც სავანეები ოპიზისა, ხანძისა, მიძნაძროხასა და ბერთისა. ტერიტორია წყაროსთავის სავანისა დაფარულია ათეული სხვადასხვა ნაგებობის ნანგრევებით. მათ შორის აღსანიშნავია ნანგრევები სავანის მთავარი ტაძრისა, აგრეთვე ნანგრევები „საოსტიგნე“-სი, რომელიც შედარებით უფრო კარგად შენახულა. წყაროსთავის საოსტიგნე, როგორც არქიტექტურული ძეგლი, მაღალის ხელოვნებით არის შესრულებული. ნ. მარი, რომელმაც 1904 წელს აღვილობრივ ინახულა წყაროსთავის სავანის ნანგრევები, წერს, რომ წყაროსთავის საოსტიგნე — „обширный зал, с великолепной архитектурной отделкой“ — „производит прекрасное впечатление простором, чистотою работы, умеренностью архитектурного наряда, тщательностью кладки и светлым цветом камней“¹.

9. ბარეთელთა.

გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენების თანახმად ბარეთელთის სავანე დაარსებულია მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, ერთდროულად წყაროსთავის სავანესთან.

ბარეთელთის სავანის დამაარსებელი ყოფილა ზაქბრია ბარეთელთელი, მოწაუე დავით დიდი მოძნაძროხელისა².

ბარეთელთის სავანე მე-9 საუკუნიდან მოკიდებული არსებულა საშუალო საუკუნეთა განმავლობაში (ბარეთელთა საშუალო საუკუნეებში შედიოდა „ათორმეტ“ სავანეთა რიცხვში) — ეიდრე თურქთა მულობელობის დამყარებამდე.

თურქთა მულობელობის დროს ბარეთელთის სავანე მთლიანად მოუსპიათ. ამჟამად ბარეთელთაში ნანგრევებიც კი აღარ შენახულა ძველი სავანის ნაგებობათა, გარდა მცირეოდენი ნაშთებისა³. დღემდე მოღწეულია მხოლოდ ძველებური ხიდი შესანიშნავი ხელობისა, ერთვეალიანი, გაბედულად გადაკიდებული შავშეთას წყალის (იმერხევის) ხეობაზე; ეს ხიდი ოდესღაც აერთებდა ბარეთელთის სავანეს მეზობელ წყაროსთავისა და მიძნაძროხას სავანეებთან.

10. ბერთა.

ბერთის სავანე, გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენების თანახმად, დაარსებულია მე-9 საუკუნის პირველ მესამედში. (ეს სავანე უკვე არსებულა 830—840 წლებში, როდესაც, გიორგი მერჩულის ცნობით, კლარჯეთის სავანეები მოიხილეს ბაგრატ I-მა და მისმა ძმებმა, გრიგოლ ხანძთელთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად)⁴.

ბერთა საშუალო საუკუნეებში, ჩანს, მნიშვნელოვანი ცენტრი იყო მწიგნობრობისა.

¹ იხ. ნ. მარი, Дчевник, ТР, VII, გვ. 121—122.

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 68.

³ იხ. ნ. მარი, Дивоник, ТР, VII, გვ. 115—116.

⁴ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 67.

ბერთიდან მომდინარეობს ახლახან აღმოჩენილი ბერთის ოთხთავი (პირველი) — მეათე საუკუნისა (ამჟამად დაცულია ნიუტონის მუზეუმში)¹.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღრიდანვე ცნობილია აგრეთვე ბერთის ოთხთავი (მეორე, იოანე მთავარაფხაძისეული), რომელიც მე-11—12 საუკუნეებში ბერთაში ყოფილა დაცული და რომლსთვისაც მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში ოქრომქანდაკებელს ბეშქენ ოპიზარს დაუმზადებია მოკედილი ყდა, ქანდაკებული სახეებით. ეს ძეგლი, ბერთის მეორე ოთხთავი, და მასთან ერთად წყაროსთავის ოთხთავი, წარმოადგენენ ძველი ქართული ოქრომქანდაკებლობის უნიკალურ შედეგებს².

ბერთაში აღზრდილ მწიგნობრობის მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის მიქაელ-ზეკეპე, ბერთელ-ოლიმპელი, რომელიც შემდეგ ბიზანტიაში მოღვაწეობს და რომლის მიერ გადაწერილია ბითვინიის ოლიმპოს ძველ-ქართულ სავანეში ჩვენ დრომდე მოღწეული მანუსკრიპტი 959—969 წლებისა (ამჟამად ათონზეა დაცული)³.

ბერთა, როგორც ეს ცხადი ხდება მოღწეული ნაშთების მიხედვით, დიდი სავანე ყოფილა ოპიზის, ხანძის, შიძნაძოროს და წყაროსთავის მსგავსად.

ბერთის სავანის ძეგლებიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა მთავარი ტაძარი, ნანგრევები „საოსტიგნე“-სი და ნაშთი ზოგიერთ სხვა ნაგებობათა⁴.

ბერთის სავანის მთავარი ტაძარი შედარებით კარგად არის მოღწეული, რაც იმით აიხსნება, რომ ეს ძველ-ქართული ქრისტიანული ძეგლი, თურქთა შეღობელობის დროს, მოსახლეობის გამუსულმანების შემდეგ, მეჩეთად უქცევიათ.

ბერთის მთავარი ტაძარი, როგორც არქიტექტურული ძეგლი, იშვიათ ტიპს წარმოადგენს. აქ ჩვენ გვაქვს სამნაფიანი ბაზილიკა გუმბათოვანი განათებით, უყულო გუმბათით. ბერთის ბაზილიკა, რომელიც თავისი სტილით ენათესაება ოპიზის აშოტ I-ის დროის ნაგებობებს, ჩანს, მე-9 საუკუნეს, ე. ი. თვით სავანის დაარსების დროს ეკუთვნის და შემდგომ ხანაში არსებითი გადაკეთება არ განუტლია.

ბერთის საოსტიგნე თუმცა დანგრეულია, მაგრამ მოღწეული ნაშთის მიხედვით მისი თავდაპირველი სახეობის გათვალისწინება შესაძლებელია. ბერთის საოსტიგნე, როგორც ირკვევა, წარმოადგენდა დიდი მოცულობის მონუმენტალურ ნაგებობას ბაზილიკური ტიპისა.

¹ იხ. R. P. Blake and Der Nersessian, Byzantium, 1942—3 (XVI), გვ. 226—285.

² იხ. Н. Кошляков и Д. Бакрадзе, Опись памятников древности. 1690 г., гв. 44—45; გიორგი წერეთელი, Полное собрание падписей Гелатского монастыря, Древности восточные, т. I, вып. 2, 1891 წ., გვ. 263—4; შ. ამირანაშვილი, ბეჭა ოპიზარი, 1937 წ., გვ. 33—34 და ტაბულები XXIX და XXX.

³ იხ. Catalogue des manuscrits géorgiens de la bibliothèque de la Laure d'Iviron au mont Athos, par R. P. Blake. Extrait de la Revue de l'Orient Chrétien, 3 serie, t. IX (XXIX), № 3 et 4 (1933—1934), ხელნაწერ № 42.

⁴ იხ. ნ. მარი, Дневник, TP, VII, გვ. 168—171.

11. ჯ მ ე რ კ ი ა .

გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენების თანახმად ჯმერკის საეანე დაარსებულია მე-9 საუკუნის პირველ მესამედში. (ეს საეანე, ისევე როგორც ზემოთ-ჩამოთვლილი საეანეები, უკვე არსებულა 830—840 წლებში, როდესაც, გიორგი მერჩულის ცნობით, კლარჯეთის საეანე მოიხილეს ბაგრატ I-მა და მისმა ძმებმა, გრიგოლ ხანძთელთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად)¹.

ჯმერკის საეანე არსებულა მე-9 საუკუნიდან მოკიდებული საშუალო საუკუნეთა მანძილზე (ჯმერკი საშუალო საუკუნეებში შედის კლარჯეთის თორმეტ საეანეთა რიცხვში) — ვიდრე თურქეთის მფლობელობამდე.

ჯმერკის საეანე მთლიანად დაუნგრევიათ თურქთა მფლობელობის დროს. ამჟამად ადგილობრივ არა შენახულა რა, გარდა საეანის ზოგიერთი ნაგებობის ნანგრევთა ნაშთისა².

12. დო ლ ი ს ყ ა ნ ა .

დოლისყანა — როგორც დასახლებული პუნქტი მოიხსენება მე-9 საუკუნის დასაწყისში, აშოტ I დიდის დროს³.

რაც შეეხება დოლისყანის საეანეს, იგი, როგორც ეს ირკვევა გიორგი მერჩულის თხზულებიდან, დაარსებულია 830—840 წლების შემდეგ. გიორგი მერჩულე, აგვიწერს რა კლარჯეთის საეანეთა მოხილვას 830—840 წლებში, აღნიშნავს, რომ დოლისყანის საეანე ამ დროს (830—840 წ. წ.) კიდევ არ არსებობდაო და რომ საეანე დოლისყანაში ამის შემდეგ იქმნაო დაარსებული⁴.

ხოლო, სახელდობრ, რა დროს დაარსდა საეანე დოლისყანაში, ამის თარიღს გიორგი მერჩულე აღარ მოიხსენებს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში ირკვევა, რომ დოლისყანის საეანე დაარსებულია 950 წელზე უწინარეს (რამდენადაც თვით მერჩულის თხზულება, სადაც დოლისყანის საეანე დასახლებულია როგორც უკვე არსებული, 950 წელს არის დაწერილი).

დაწყებული ამ დროიდან. მე-10 საუკუნის შუა წლებიდან, დოლისყანა არსებობს როგორც საეანე საშუალო საუკუნეთა მანძილზე (იგი შედის კლარჯეთის 12 საეანეთა რიცხვში) — ვიდრე თურქეთის მფლობელობის დაწყებამდე.

დოლისყანის ძველი საეანის ნაშთებიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა მთავარი ტაძარი საეანისა. დანარჩენი ნაგებობანი საეანისა, როგორც მაგ. საოსტიგნეს შენობა და სხვ., მოსპობილია.

ეს ძეგლი — დოლისყანის მთავარი ტაძარი — გადაარჩენია დანგრევას და შედარებით კარგად არის დაცული იმის გამო, რომ თურქთა მფლობელობის დროს, ქართული მოსახლეობის გამუსულმანების შემდეგ, იგი მეჩეთად უქცევიათ.

დოლისყანის ამ ძეგლს დაუცავს საისტორიო წარწერები, საიდანაც ირკვევა, რომ იგი აგებულია 954—958 წლებში ქართველთა მეფის სუმბატ

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 67.

² იხ. ნ. მარი, *Древний Тр*, VII, გვ. 181—182.

³ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. * 576/345.

⁴ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 67.

I-ის მოღვაწეობით. ხუროთმოძღვარი ყოფილა გაბრიელ დოლისყანელი (ადგილობრივი მოძღვარი).

ფოტოები დოლისყანის ძეგლისა და წარწერებისა გადმოდებული აქვთ დ. ერმაკოვსა და ნ. მარს¹.

მოგვეყავს საისტორიო წარწერათა ტექსტები.

ა. გუმბათის ყელზე წარმოდგენილია ქანდაკება — გორელიეფი ტაძრის აღმაშენებელის ქართველთა მეფის სუმბატ I-ისა, რომელსაც სახე მიჰყრობილი აქვს აღმოსავლეთისაკენ; მეფეს ხელთ უწყურია ტაძრის მოძელი. მეფის ქანდაკებასთან მოთავსებულია წარწერა (ასომთავრულით):

„ქე ადღენ მეფე ჩნი სბტ“.

ქარაგმათა გახსნით:

„ქრისტე აღიდენ მეფე ჩუენი სუმბატ“.

ბ. ტაძრის სამხრეთ კედელზე, გარე მხარეზე, სარკმელის ზემოთ, დაცულია მეორე წარწერა, რომელშიაც მოიხსენება იგივე ქართველთა მეფე სუმბატ I. წარწერა შესრულებულია ასომთავრულით და იკითხვის შემდეგნაირად:

„ქე აღიდე მეფე ჩნი სბტ მზგრძობ“.

ქარაგმათა გახსნით:

„ქრისტე აღიდე მეფე ჩუენი სუმბატ მზეგრძელობით“.

გ. იქვე, ტაძრის სამხრეთ კედელზე, იმავე სარკმელთან, სარკმელის იმიერ და ამიერ, გამოქანდაკებული არიან გორელიეფით მთავარანგელოზნი, აღმოსავლეთით მთავარანგელოზი გაბრიელ, დასავლეთით მთავარანგელოზი მიქელი. გაბრიელ მთავარანგელოზის გამოსახულებასთან წარმოდგენილია მედალიონში ჩასმული ქანდაკება — გორელიეფი, ბიუსტი ადამიანისა, რომელიც ვედრებით მიმართავს გაბრიელ მთავარანგელოზს.

ამ ბიუსტთან მოთავსებულია წარწერა, რომელიც ტაძრის აშენებაზე მიუთითებს. წარწერა შესრულებულია ასომთავრულით და იკითხება შემდეგნაირად:

„შეიქმნს ჯლთა გბრლ დქსნათა“.

ქარაგმათა გახსნით:

„შეიქმნეს ჯელითა გაბრიელ ღეკანოზისათა“².

ამრიგად, როგორც ირკვევა, ეს ბიუსტი წარმოგვიდგენს გამოსახულებას ხუროთმოძღვრის გაბრიელისა, რომლის „ჯელითა“ (ხელობითა) შექმნილი ყოფილა ეს ტაძარი. ხუროთმოძღვარი გაბრიელი გამოსაუღლია, როგორც მოვიხსენეთ, მეედრებელ პოზაში თავისი სახელობის წმინდანის გაბრიელ მთავარანგელოზის წინაშე.

¹ იხ. ნ. მარი, Дневник, ТР, VII, გვ. 184—189 (სურათები 59—63).

² კომპლექსი „დქსნათა“ შესაძლოა წაკითხულ იქმნას „ღიკანისათა“ და „ღეკანოზისათა“. ჩვენ ვკითხულობთ „ღეკანოზისათა“, რადგან მეორე შემთხვევაში ეგვეე პირი მოიხსენება როგორც „მოძღუარი“. (შემოკლებული დაწერილობა „დქსნათა“, და არა — როგორც ეს მოსალოდნელი იყო — „დქსნსათა“, იმით არის გამოწვეული, რომ ნაწერის ქვაზე ამოჭრულს ადგილი არ ჰყოფნიდა ყველა ასოს მოსათავსებლად).

აღენიშნავთ, რომ ეს მნიშვნელოვანი წარწერა დღემდე არ იყო სწორად ამოხსნილი. ნ. მარი სიტყვას „ჯ-ლთა“ (ე. ი. „ველითა“=ხელითა) კითხულობდა როგორც ამოუხსნელ კომპლექსს „კეთა“, რის გამო წარწერის მთელი აზრი გაუგებარი რჩებოდა. ხოლო ფოტოში სრულიად ნათლად გაიჩვენა სიტყვა „ჯ-ლთა“, ე. ი. ხელითა („შეიკმავს კელითა...“).

დ. ეგვევი პირი ხუროთმოძღვარი გაბრიელი დეკანოზი (იგივე მოძღვარი) მოხსენებულია ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ეკვდერის წარწერაში. აქ კედელზე გამოქანდაკებულია გორელიეფით წმინდანი (სტეფანე); აქვე მოთავსებულია წარწერა (ასომთავრულით):

„წო სტეფანე, შეიწყალე მოძღვარი გაბრიელ“.

ქარაგმათა გახსნით:

„წმიდაო სტეფანე, შეიწყალე მოძღვარი გაბრიელ“.

ის გარემოება, რომ ხუროთმოძღვარი ყოფილა სასულიერო თანამდებობის პირი, გაბრიელ დეკანოზი — მოძღვარი, მოულოდნელს არას შეიცავს. ჩვენ უკვე მოხსენებული გექონდა ამავე ეპოქიდან მეორე ამისი მაგალითი. ბასილი ზარზმელის ცნობით სერაპიონ ზარზმელი (ასევე სასულიერო პირი) განთქმული ხუროთმოძღვარი ყოფილა, მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულა მშენებლობა ოპიზაში. ბასილის სიტყვით — სერაპიონ ზარზმელი „დიდსა მას... [საევანესა] კლარჯეთისასა ოპიზას... დაშნითა კელთა იხილებოდა მდგომარედ ხუროთა თანა... რამეთუ იყო სხუათავე თანა სათნოებათა მეცნიერ... და ფრიად შემკულ წესითა ხუროობისათა“¹.

ე. უკანასკნელი ჩვენ ღრომდე შენახული საისტორიო წარწერა დოლისყანის ძეგლისა, რომელიც დაცულია სამხრეთ-დასავლეთი ეკვდერის კედელზე, სამწუხაროდ, დაზიანებულად არის მოღწეული. წარწერის გადაჩენილი ნაწილი, რომელიც შესრულებულია ასომთავრულით, იკითხვის შემდეგნაირად:

ი-ვ კ-ე

				წა ესე ეკლესიაჲ წ-ე დღესა
				მეფეთა ჩ-ნთა
				კ-ე შ-ე“.

ქარაგმათა გახსნით და დაკარგულ ნაწილთა აღდგენით:

„იესუ ქრისტე“

[რომელთა აღაშენეს] წმიდაჲ ესე ეკლესიაჲ, წინაშე დღესა

[განკითხვისასა მწე ვყავ] მეფეთა ჩჳერთა

[] ქრისტე შეიწყალე“.

ასეთია დოლისყანის ძეგლის საისტორიო წარწერები.

პირველი ოთხი წარწერა, ამრიგად, საშუალებას გვაძლევს ზუსტად დავადგინოთ ამ ძეგლის აგების თარიღი — 954 — 958 წლები, დავადგინოთ აგრეთვე ვინაობა ხუროთმოძღვრისა.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ ზოგადს ისტორიულ მიმოხილვას კლარჯეთის თორმეტ სავანეთა, რომელთაც საქართველოს ძველი ისტორიის მანძილზე

¹ იხ. ზემოთ, გვ. 341.

ასეთი დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ქართული განათლების, ქართული მწერლობის განვითარების საქმეში და რომლებიც ამჟამად თურქთაგან დაპყრობილი საქართველოს მიწა-წყალის ფარგლებში არის მოქცეული.

3

ცნობები ბიორები მერჩულის ძეგლისა კლარჯეთის, შამშეთის, ბაოთა, ისპირის, ნიბალის, არბანის, ჯამახეთის, სამცხის და ქართლ-სამცხის სანაპირო მხარის (თორის) შესახებ.

გადავდივართ განხილვაზე გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებისა მესხეთის ცალკეულ მხარეთა შესახებ.

კლარჯეთი

ცნობები გიორგი მერჩულის ძეგლისა კლარჯეთის მხარის შესახებ არ განისაზღვრება იმ ცნობებით, რომელთაც გადმოგვცემს ჩვენი მწერალი კლარჯეთის თორმეტ სავანეთა ისტორიიდან. ამას გარდა, გიორგი მერჩულის თხზულება შეიცავს აგრეთვე ცნობებს კლარჯეთის მთავარი პოლიტიკური ცენტრის არტანუჯის შესახებ და კლარჯეთის საეკლესიო მეტროპოლიის ანჩის შესახებ.

1. არტანუჯი.

არტანუჯი იყო მთავარი პოლიტიკური ცენტრი კლარჯეთის მხარისა მე-5 საუკუნიდან დაწყებული ვიდრე მე-16 საუკუნემდე, ხოლო მე-9 საუკუნეში არტანუჯი ამავე დროს იყო დედაქალაქი იბერიისა — ქართველთა სამეფოსი.

არტანუჯს იმდენად მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ძველი საქართველოს ისტორიაში, რომ საჭიროდ მიგვაჩნია შევაჯამოთ აქ ყველა ის ძირითადი ცნობები, რომლებიც მის შესახებ საისტორიო წყაროებშია დაცული.

ქართული საისტორიო წყაროების ცნობათა თანახმად არტანუჯი გამხდარა მთავარი ცენტრი კლარჯეთის მხარისა მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასარის დროიდან მოკიდებული.

იმავე წყაროების ცნობათა მიხედვით, უფრო ადრე, ვიდრე არტანუჯი გახდებოდა კლარჯეთის მხარეთა ცენტრად (ე. ი. მე-5 საუკუნის მეორე ნახევრის უწინარეს), — ასეთი ცენტრი კლარჯეთის მხარისა ყოფილა ციხე-ქალაქი თუხარისი.

აქ წინასწარ რამდენიმე შენიშვნა ამ ძველი ციხე-ქალაქის თუხარისის შესახებ¹.

¹ სახელწოდება ამ ციხე-ქალაქისა ქართულ წყაროებში ორნაირად გვხვდება: თუხარისი და თუხარსი. ქვემოთ ჩვენ ყველგან ვხმარობთ ფორმას თუხარისი, რომელიც მიღებულია ქართულ მატრიცებში და უფრო გავრცელებულია.

თუ ხარისი, ძველი ცენტრი კლარჯეთისა, როგორც ეს ირკვევა საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით, მდებარეობდა მდინარე კოროხის ნაპირას, კლარჯეთისა და ტაოს მხარეების საზღვართან, სახელდობრ, სექტორში, სადაც კოროხს შეერთვის ხერსის წყალი¹.

ქართული საისტორიო ტრადიცია თუხარისს მიაკუთვნებს იბერიის უძველესი ქალაქების რიცხვს². იგი, როგორც ირკვევა, ანტიკურ ხანაშია დაარსებული.

¹ ძველი ისტორიული ციხე-ქალაქის თუხარისის ადგილმდებარეობა დღემდე არ ყოფილა ხუსტად განსაზღვრული და ამის გამო აქ საჭირო ხდება შევსრდეთ ამ საკითხზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული იყო მოსახრება, რომ ძველი ისტორიული თუხარისი ეს არისო თანამედროვე პუნქტი ხერსი, რომელიც მდებარეობს კოროხის ხეობაში, კოროხის მარჯვენა შეშინარის ხერსის-წყალის სათავეში.

ეს დასკვნა იმას ეყარება, რომ თანამედროვე სახელწოდება „ხერსი“ მიჩნეულია დამაინჯებად ძველი სახელწოდებისა „თუხარისი“ ანუ „თუხარსი“ (— [თ]ხერსი — ხერსი).

რამდენად სწორია ეს გაიგივება?

გავეცნოთ, თუ რა ჩვენებებს იძლევა თუხარისის ადგილმდებარეობის შესახებ საისტორიო წყაროები.

1. თუხარისი, როგორც ირკვევა, მდებარეობდა მდ. კოროხის ნაპირას. ლეონტი მროველის საისტორიო ძეგლში პირდაპირ აღნიშნულია, რომ ციხე ქალაქი თუხარისი მდებარეობს „მდინარესა ზედა სპერისასა, რომელ არს კოროხი“ (იხ. გვ. *112/14).

2. თუხარისი მდებარეობდა კლარჯეთისა და ტაოს მხარეთა საზღვარზე, მე-7—9 საუკუნეთა უსახლო გეოგრაფიაში აღნიშნულია, რომ მდინარე კოროხი ტაოს ქვეყნიდან ციხე თუხარისთან კლარჯეთში შედისო. (რომ თუხარისი კლარჯეთსა და ტაოს მხარეთა საზღვარზე მდებარეობდა, ამას დასტურებს აგრეთვე ის გარემოება, რომ იყო პერიოდი, როდესაც თუხარისი მცირე დროის მანძილზე, მე-7—8 საუკუნეთა მიჯნაზე, მოქცეული იყო არა კლარჯეთის, არამედ ტაოს ფარგლებში).

თუ გავითვალისწინებთ აქ აღნიშნულს, ცხადი ხდება, რომ ძველი ისტორიული თუხარისი ეს არ არის თანამედროვე პუნქტი ხერსი. ეს უკანასკნელი მდებარეობს არა მდინარე კოროხის ნაპირას, არამედ მთაში, მდინარე ხერსის-წყალის სათავეებში და ათეული კილომეტრით არის დაშორებული კოროხს.

ამევე დროს ისიც ცხადია, რომ ძველი ისტორიული თუხარისი თუმცა არ არის თანამედროვე პუნქტი ხერსი, მაგრამ იმავე ხონაში მდებარეობდა, მდინარე ხერსის-წყალის ხეობაში, რადგან ეს ხეობა არის ის სექტორი, სადაც კლარჯეთის მხარე ესაზღვრება ტაოს მხარეს.

ძველი ისტორიული ციხე-ქალაქი თუხარისი, როგორც ირკვევა, მდებარეობდა პუნქტში, სადაც მდინარე ხერსის-წყალი შეერთვის კოროხს და რა პუნქტიც ჰქვავს კოროხის ხეობის ხაზით შიდა-საქართველოსაკენ მომავალ გზას. სწორედ ამგვარი მდებარეობა მდინარე კოროხის ნაპირას, ცხადია, ანიჭებდა თუხარისის ციხე-ქალაქს იმ დიდ სტრატეგიულ მნიშვნელობას, რაზედაც საუბარია ძველ-ქართულ წყაროებში და რის გამოც თუხარისი ითვლებოდა უძლიერეს ბურჯად ძველი იბერიის დასავლეთ სანაპირაზე (იხ. ლეონტი მროველი, გვ. *112—113/14, ცხობრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *358/157). რაც შეეხება თანამედროვე პუნქტს ხერსს, იგი, გარდა იმისა, რომ ათეული კილომეტრით დაშორებულია კოროხს, მდებარეობს მივარდნილს, სამიმოსელო გზებიდან მაწყვეტილს ხონაში მდ. ხერსის-წყალის სათავეებში და მოკლებულია სტრატეგიულ მნიშვნელობას.

ძველი ისტორიული ციხე-ქალაქი თუხარისი, რომელიც მდებარეობდა მდინარე კოროხის ნაპირას, როგორც ირკვევა, დანგრეულია თურქეთის მფლობელობის დროს. ხოლო თანამედროვე ხერსი, რამდენადაც მისი სახელი დაკავშირებულია თუხარისთან, ჩანს, წარმოადგენს ძველი თუხარისის ახალშენს, გადატანილს თუხარისის ხეობის სათავეებში, ძველი თუხარისის ციხე-ქალაქის დანგრევის შემდეგ.

² იხ. ლეონტი მროველი, გვ. *105/7, *108/8, *112/14, *112—3/14, *287/112, *291/115; ცხობრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *348/150, *357/156, *358/157.

თუხარისი ყოფილა ცენტრი კლარჯეთის მხარისა კერძოდ იმ ეპოქაშიაც, როდესაც იბერიაში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად იქმნა გამოცხადებული. ქართული მატრიანეები მოგვითხრობენ საეკლესიო მშენებლობის შესახებ თუხარისში მე-4 საუკუნეში. ამ დროს თუხარისი ყოფილა როგორც პოლიტიკური, ისე საეკლესიო ცენტრი კლარჯეთის მხარისა¹.

მას შემდეგ, რაც მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული კლარჯეთის მთავარი პოლიტიკური ცენტრი გადმოტანილ იქმნა ახლად გაშენებულ არტანუჯში, თუხარისს ამის შემდეგაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

მე-7—8 საუკუნეთა მიჯნაზე, თუხარისი, რომელიც, როგორც მოვიხსენეთ, კლარჯეთისა და ტაოს საზღვარზე მდებარეობდა, შესულა ტაოს სამფლობელოს ფარგლებში; მე-8 საუკუნის დასაწყისში თუხარისი ტაოს ნაწილად ითვლება².

მე-9 საუკუნის დასაწყისში ქართველთა სამეფოს აღმადგენელს აშოტ I დიდს უწარმოებია მშენებლობა თუხარისში³.

მე-11 საუკუნეში, საქართველოს გაერთიანების შემდეგ, თუხარისი მოიხსენება როგორც საერისთავო რეზიდენცია (განცალკევებით არტანუჯის, ე. ი. საკუთრივ კლარჯეთის ადმინისტრაციული ერთეულიდან)⁴. თუხარისის საერისთავოს ფარგლებში ამ გვიანდელ ხანაში, ჩანს, გაერთიანებული იყო კლარჯეთის სამხრეთ-დასავლეთი სანაპირო, ე. ი. კლარჯეთის ის ნაწილი, რომელიც საკუთრივ ქოროხის ხეობას შეიცავს (თუხარისიდან მოკიდებული ვიდრე მდინარეების ქოროხისა და იმერხევის შესართავამდე).

თუხარისი რჩება მნიშვნელოვან ცენტრად კლარჯეთის ამ სანაპიროსი მე-16 საუკუნის ნახევრამდე, თურქთა მფლობელობის დამყარებამდე⁵.

თურქთა მფლობელობის დამყარების პერიოდში თუხარისი, როგორც ირკვევა, განადგურებულია, მოსახლეობას დაუტოვებია ეს პუნქტი⁶. მას შემდეგ ძველი თუხარისი აღარ აღდგენილა.

*

გადავიდეთ ამის შემდეგ არტანუჯზე.

ქართულ მატრიანეთა ცნობით. არტანუჯი, როგორც დასახლებული პუნქტი, არსებობდა უფრო ადრე, ვიდრე იგი კლარჯეთის მთავარი პოლიტიკური ცენტრი გახდებოდა (ე. ი. მე-5 საუკუნის მეორე ნახევრის უწინარეს), მაგრამ ამ ადრინდელ ხანაში არტანუჯი უბრალო სოფლად მოიხსენიება⁷.

¹ იხ. ლეონტი მროველი, გვ. *287/112.

² იხ. ლეონტი მოძღვარი, ისტორია ხალიფთა, 1887 წ., გვ. 26.

³ იხ. ცნობა, ჩართული მცხეთის მამულების ძველ ნუსხაში (თ. ჟორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 196).

⁴ იხ. ცხორება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა, გვ. *486/260.

⁵ მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში თუხარისი არის ცენტრი სამცხე-საათაბაგოს სათავადოსი, რომლის მფლობელნი ატარებენ სახელწოდებას „თუხარელი“ (იხ. სამცხე-საათაბაგოს თავადნი და სოფელნი, დოკუმენტი მე-16 საუკუნის პირველი ნახევრისა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907 წ., გვ. 76).

⁶ იხ. ზემოთ, გვ. 362, შენიშვნა 1.

⁷ იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *358/157.

ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად არტანუჯი ზღემა კლარჯეთის მხარის მთავარ ცენტრად, როგორც აღნიშნეთ, მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქართველთა მეფის ვახტანგ გორგასარის დროიდან მოკიდებული.

ვახტანგ გორგასარის ძველი მატეანიდან მომდინარე ავთენტურ ტექსტში, რომლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, აღნიშნულია, რომ ვახტანგ გორგასარის მიერ დანიშნულმა კლარჯეთის ერისთავმა —

„აღაშენა ციხე არტანუჯისა, და მონასტერი, რომელ არს ოპიზისა, და სამნი ეკლესიანი: დაბისა, მერიისა და შინდოზნისა, და განაახლა ციხე ახიზისა და ქმნა იგი ქვაბად“¹.

რომ არტანუჯის ციხე-სიმაგრე ვახტანგ გორგასარის დროს ვახტანგის ბრძანებით აჩის აგებული, ამის შესახებ ცნობა აქვს დაცული აგრეთვე ძველ ქართველ ისტორიკოსს სუმბატ დავითის-ძეს, რომელიც აღნიშნაეს, რომ არტანუჯი —

„პირველ გორგასარს ვახტანგს ციხედ აღეშენა“².

არტანუჯი ამ დროიდან, მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, კლარჯეთის ერისთავების საჯდომი გამხდარა.

უფრო გვიან ხანაში, არაბთა მფლობელობის დამყარების შემდეგ, არტანუჯი დანგრეულ იქმნა არაბთა მიერ მე-8 საუკუნის 30-იან წლებში. ამ დროს, მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, კლარჯეთის მხარეზე ცეცხლითა და მახვილით გაიარა არაბთა დამსჯელმა ექსპედიციამ ამირის მურვან ყრუს წხედართმთავრობით, რომელმაც ნანგრევებად აქცია ეს მხარე. მურვანს კლარჯეთის ციხე-სიმაგრეებიდან დაუნგრევია, კერძოდ, კლარჯეთის მთავარი ცენტრი არტანუჯი, ამასთან დაუნგრევია არა ნაწილობრივ, არამედ მთლიანად მოუსპია იგი. ამის შემდეგ არტანუჯის სანახები 80 წლის განმავლობაში სრულიად მიტოვებულსა და გავერანებულ კუთხეს წარმოადგენდა და, როგორც გადმოგვცემს მემატეანე, არტანუჯის ნაადგილევი ტყით დაფარულა.

მე-9 საუკუნის დასაწყისში არტანუჯი ხელახლა აუშენებია ქართველთა სამეფოს აღმადგენელს აშოტ I დიდს (813—826 წ.წ.).

გიორგი მერჩულე გადმოგვცემს:

„ველმწიფემან აშოტ კურაპალატმან დაიპყრნა მრავალნი ქუეყანანი და აღაშენა ციხეჲ არტანუჯისაჲ“ (იხ. გიორგი მერჩულე, 103—104).

მატიანეში არტანუჯის მშენებლობის შესახებ მოთხრობილია, რომ მას შემდეგ, რაც აშოტ I დიდი დამკვიდრდა შავშეთ-კლარჯეთში და შეუდგა ამ კუთხის აღდგენას —

„პოვა კლარჯეთის ტყეთა შინა კლდე ერთი, რომელი პირველ გორგასარს ვახტანგს ციხედ აღეშენა, სახელით არტანუჯი, და აოხრებულ იყო (მურვანისა) მის ყრუობითგან; იგი განაახლა აშოტ, და აღაშენა ეგრეთვე ციხედ, და წინა კერძო მისსა ქუეშეთ აღაშენა ქალაქი. და აღა-

¹ იხ. ზემოთ, გვ. 324.

² იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *574/343.

შენა ციხესა მას შინა ეკლესია მოციქულთა, პეტრესი და პავლესი... და დაემკვდრა ციხესა მას შინა ცხოვრებად. და მერმე კუალად ეუფლა ქუეყანათა — ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა, და მრავალგზის მოსცა ღმერთმან აშოტს კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლათა შინა¹.

გიორგი მერჩულისა და სუმბატ დავითის-ძის ცნობათა თანახმად — ამ დროიდან, ე. ი. მე-9 საუკუნის დასაწყისიდან, აშოტ I დიდის ხანიდან მოკიდებული, ახლად გაშენებული არტანუჯი გახდა ქართველთა სამეფოს დედაქალაქად. აქ არის რეზიდენცია იბერიის — ქართველთა სამეფოს მეთაურთა მეფე-კურაპალატთა — მე-9 საუკუნეში, როგორც აშოტ I დიდის დროს, ისე აშოტ I-ის მექვედრეთა დროს.

უფრო გვიან, მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში, იმავე ქოროხის ხეობაში, ამიერ-ტაოს (ძველ ქართულ ტაოს) პროვინციაში, დაარსდა, როგორც ეს უკვე აღნიშნული გვექონდა, აგრეთვე მეორე სახელმწიფოებრივი ცენტრი ქართველთა სამეფოსი — ბანა. (კიდევ უფრო გვიან, მე-10 საუკუნის დასასრულიდან, ბაგრატ III-ის დროს, საქართველოს გაერთიანების ხანაში, საქართველოს ქვეყნების მთავარი პოლიტიკური ცენტრი ხდება ქუთაისი, ხოლო მე-12 საუკუნის დასაწყისში, დავით აღმაშენებლის დროს, მეტროპოლია საქართველოს სახელმწიფოსი ქუთაისიდან საბოლოოდ გადმოტანილ იქნა თბილისში, იბერიის ამ ძველ დედაქალაქში).

ამრიგად, არტანუჯი ყოფილა იბერიის მთავარ პოლიტიკურ ცენტრად — დედაქალაქად — საკმაოდ მოკლე დროის მანძილზე, მე-9 საუკუნეში.

მაგრამ ამავე დროს საჭიროა აღვნიშნოთ, რომ არტანუჯს არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა მას შემდეგაც, რაც იგი იბერიის დედაქალაქი აღარ იყო და მხოლოდ კლარჯეთის მხარის საოლქო ცენტრად დარჩა.

ჩვენ უკვე მოყვანილი გვექონდა ცნობა ბიზანტიის იმპერატორის კონსტანტინე პორფიროგენეტისა არტანუჯის შესახებ; ბიზანტიის იმპერატორი შემდეგსა წერს არტანუჯის შესახებ მე-10 საუკუნის შუა წლებში (როდესაც არტანუჯი უკვე აღარ იყო სამეფო რეზიდენცია, არამედ საოლქო ქალაქს წარმოადგენდა):

„არტანუჯის ციხე დიდად გამაგრებულია და აქვს დიდი „რაბატი“, როგორც მხარის მთავარ ქალაქს შეშვენის. აქ თავს იყრის საქონელი ტრაპეზუნტიდან, იბერიიდან, აფხაზეთიდან (დასავლეთ საქართველოდან), სომხეთიდან და სირიის ყველა ქვეყნიდან და ქალაქს დიდი ვაჭრობა აქვს“. ბიზანტიის იმპერატორის ცნობით არტანუჯის ოლქი დიდსა და მდიდარ მხარეს წარმოადგენდა, იგი ითვლებოდა გასაღებად იბერიისა, აფხაზეთისა (დასავლეთ საქართველოსი) და მესხეთისა².

ამრიგად, ამ დროისათვის, მე-10 საუკუნეში, არტანუჯის ოლქი — კლარჯეთის მხარე — წარმოადგენდა აყვავებულსა და დაწინაურებულ ქვეყანას, ხოლო თვით ქალაქი არტანუჯი ამ დროს ყოფილა ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის ეკონომიური ცენტრი იბერიისა.

¹ სუმბატ დავითის ძე, *574/343—344.

² მხ. კონსტანტინე პორფიროგენეტი, op. cit., თავი 46, გვ. 207.

დასასრულ, შევზერდებით არტანუჯის ისტორიის მთავარ მომენტებზე მე-10 საუკუნის მომდევნო ხანაში.

მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში, ე. ი. საქართველოს გაერთიანების პირველ პერიოდში, არტანუჯი ყოფილა ცენტრი დიდი სამხარეო ადმინისტრაციული ერთეულისა, რომლის ფარგლებშიაც გაერთიანებული ყოფილა კლარჯეთი, შავშეთი, აჭარა და ჩრდილო სამცხე¹.

მე-11 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც ახლო აღმოსავლეთს შემოესივნენ სელჯუკი-თურქების ჯარდობი, რომელთაც წაღვეეს აღმოსავლეთი და სამხრეთი კავკასია და ბიზანტიის ანატოლიის პროვინციები, 1080 წელს ერთ-ერთი დიდი ჯარდო სელჯუკი-თურქებისა შემოიჭრა საქართველოში, მოითარეშა მესხეთის ქვეყნები, ქართლი და დასავლეთი საქართველო; კერძოდ, ამ დროს, მემატიანის სიტყვით, თურქ-სელჯუკებმა დასწვეს საქართველოს მთავარი ქალაქები: ქუთაისი (იმდროინდელი სატახტო ქალაქი) და არტანუჯი (ძველი სატახტო ქალაქი). „ესე იყო პირველი და დიდი თურქობა, ხოლო ქრონიკონი იყო სამასი“ (ე. ი. 1080 წელი), — გადმოგვცემს მემატიანე².

თურქი სელჯუკების დიდ ექსპანსიას საქართველოს სანაპიროებზე საზღვარი დაუდვა მე-12 საუკუნის დასაწყისში დავით აღმაშენებელმა.

არტანუჯი მე-11 საუკუნის ამ კატასტროფის შემდეგ, ჩანს, აღრე განახლებულა.

მომდევნო ეპოქაში, მე-12 საუკუნესა და მე-13 საუკუნის დასაწყისში, საქართველოს უდიდესი პოლიტიკური ძლიერების ხანაში, და შემდეგაც, მე-13—14 საუკუნეებში, არტანუჯი, ჩანს, ისევე რჩება მესხეთის მხარეთა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ქალაქად.

მონგოლთა ხანის ისტორიკოსი ეამთააღმწერელი, აგვიწერს რა სამცხე-საათაბაგოს (მესხეთის) ტერიტორიის მოცულობას მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში, წერს, რომ სამცხე-საათაბაგო ამ დროს მოიცავდა ქვეყნებს „ტაშის-კართგან ვიდრე კარნუ-ქალაქამდის“ (არზრუმამდის), სახელდობრ, შეიცავდა შემდეგ მხარეებსა და პუნქტებს:

- „1. სამცხე; 2. აჭარა; 3. შავშეთი; 4. კლარჯეთი; 5. უმრავლესი ტაო; 6. ვაშლოვანი (=სპერის მხარე); 7. ნიგალის-ხევი; არტანუჯი; ათორმეტნი [სავანენი]; 8. კოლა; 9. კარნიფოლა; 10. ორნივე არტაანნი; და 11. მრავალნი სოფელნი ჯავეახეთს“³.

ამრიგად, აქ ჩამოთვლილია 11 მხარე სამცხე-საათაბაგოსი, ხოლო ქალაქებიდან ცალკე გამოყოფილად მოიხსენება მხოლოდ არტანუჯი, რაც, ცხადია, მაჩვენებელია არტანუჯის განსაკუთრებული მნიშვნელობისა სამცხე-საათაბაგოს ქალაქთა შორის.

¹ გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის მატიაწეში მოიხსენება: „აბუსერი, ერისთავი არტანუჯისა (კლარჯეთ-შავშეთის მხარეთა), ხიხათა (აჭარისა), ციხის-ჯვარისა და აწყვეურის ციხის (ჩრდილო სამცხის) პატრონი“, იხ. გვ. *487/262.

² იხ. ისტორია დავის აღმაშენებლისა, გვ. *514/282—3.

³ იხ. ეამთააღმწერელი, გვ. *875/719.

სამცხე-საათაბაგოს მე-13 საუკუნის დასასრულს (1297 წელს), როგორც ცნობილია, შეუერთდა აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთი ანუ საკუთრივ ლაზია (რიზეს მხარე), რომელიც მანამდე ტრაპიზონის სამეფოსთან იყო დაკავშირებული; ამავდროს სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში შევიდა აგრეთვე კარი (ყარსის მხარე), რომელიც აღრიდანვე, ჯერ კიდევ თამარ დიდის ეპოქიდან, საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა.

მატიანეში ამის შემდეგ ისევ აღწერილია სამცხე-საათაბაგოს ტერიტორიის მოცულობა; აღნიშნულია, რომ სამცხე-საათაბაგო ამ დროს მოიცავდა ქვეყნებს „ტაშის-კარიტგან ვიდრე სპერამდე და ზღვამდე“ (ე. ი. ქანეთ-ლაზეთის ჩათვლით), სახელდობრ, შეიცავდა შემდეგ მხარეებს და პუნქტებს:

„1. სამცხე; 2. აპარა; 3. შავშეთი; 4. კლარჯეთი; 5. ნიგალის-ხევი; 6. ჭანეთი; 7. უმრავლესი ტაო; 8. [ვაშლოვანი]; 9. არტაანნი; 10. [მრავალნი სოფელნი ჯავახეთს]; 11. კოლა; 12. კარნიფოლა; 13. კარი (=ყარსის მხარე); ამათ შორის ქვეყანანი, ციხენი, არტანუჯი, და [სავანენი] ათორმეტნი კლარჯეთისანი“¹.

ამრიგად, აქ ჩამოთვლილია 13 მხარე სამცხე-საათაბაგოსი (ქანეთისა და ყარსის მხარის ჩათვლით). ხოლო ქალაქებიდან ამ მეორე შემთხვევაშიაც ცალკე გამოყოფილად მოიხსენება ნხოლოდ არტანუჯი, რაც, ცხადია, ადასტურებს არტანუჯის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სამცხე-საათაბაგოს ქალაქთა შორის.

არტანუჯი რჩება მნიშვნელოვან ცენტრად სამცხე-საათაბაგოს დასავლეთი ნაწილისა — კლარჯეთ-შავშეთის მხარეებისა — მე-16 საუკუნის შუა წლებამდე, თურქთა მფლობელობის დამყარებამდე.

თურქეთმა დაიპყრო არტანუჯი და მისი მიმდგომი კლარჯეთ-შავშეთის ოლქი ვიდრე არსიანამდე მე-16 საუკუნის ნახევარში, 1552 წელს. თანამედროვე ქრონიკები ამ თარიღისათვის გადმოგვცემენ ცნობას:

„ქრონიკონსა 240 (= 1552 წელს) ოსმალთა დაიპირეს არტანუჯი [ოლქით] — ვიდრე არსიანამდე... არტაანიც დაიპირეს. სამცხეს ვერ გადმოვიდეს“².

თურქთა მფლობელობის დროს არტანუჯი ჩაპოპრობილა და თანდათან უმნიშვნელო მცირე ქალაქად გადაქცეულა, თუმცა სამხედრო მნიშვნელობა არტანუჯის ციხეს კარგა ხანს არ დაუკარგავს.

ვახუშტი ბატონიშვილი მე-18 საუკუნის შუა წლებში წერს არტანუჯის შესახებ (არტანუჯი ამ დროს უკვე ორი საუკუნეა, რაც თურქთა ხელში იყო):

„არს არტანუჯი ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი. ესე ალაშენა გორგასალ, შემდგომად შემუსრა ყრუმ, მერმე ალაშენა და განაახლა აშოტ კურაპალატმან და ალაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე პავლესია... არს არტანუჯს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდ-შვენიერ ნაგები. ესე იყო მონასტერი და აწ არს უქმი [ოსმალთაგან]“³.

არტანუჯი, კლარჯეთის მხარესთან ერთად, ეპყრათ თურქებს სამი საუკუნე და დაბრუნებულ იქმნა თურქთაგან 1878 წელს. ამ დროიდან, საქართველოს-

¹ იხ. ვამთააღწერელი, გვ. *915/756.

² იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1854 წ., გვ. 243 („ქრონიკონები“), შდრ. თ. შორდანი, ქრონიკები, II, გვ. 396.

³ იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 137.

თან ხელახლა გაერთიანების შემდეგ, არტანუჯი და კლარჯეთის მხარე შევიდა ახლად ჩამოყალიბებული ბათუმის მხარის ართვინის ოლქის შემადგენლობაში.

1918—1921 წლებში თურქებმა ხელახლა დაიპყრეს არტანუჯი, კლარჯეთის მხარესთან ერთად. ამჟამად არტანუჯი, საქართველოს ეს ძველი დედაქალაქი, თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

აქ საჭიროა დასასრულ აღვნიშნოთ, რომ 1921 წლის შემდეგ თურქეთის ხელისუფლებამ საქართველოს ამ ძველ დედაქალაქს შეუცვალა ძველი ქართული ისტორიული სახელი არტანუჯი და უწოდა მას „ადა-ქალე“.

მაგრამ სახელის ასეთი გადაკმევით, ცხადია, ვერ დაითარება ქუშმარბიტება, ვერ შეიკვლება ის ურყევი ისტორიული ფაქტი, რომ არტანუჯი და მისი მხარე განუყოფელი ნაწილია საქართველოს ქვეყნისა.

*

აკად. ნ. შარის შემკდარი ცნობა


არტანუჯის ისტორიის შესახებ

არტანუჯის ისტორიის მიმოხილვის შემდეგ აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე შემკდარ ცნობაზე, რომელსაც გადმოგვცემს აკად. ნ. შარი არტანუჯის ისტორიის საკითხის გამო.

1906 წელს ნ. შარმა გამოსცა არაბული ვერსია გრიგოლ პართელის ცხოვრებისა, რომელიც შეიცავს მოთხრობას ქოისტიანობის გაერცელების შესახებ სომხეთში მე 4 საუკუნის დასაწყისში სომხეთის მეფის თრდატის დროს¹.

დასახელებული არაბული ვერსია გრიგოლ პართელის ცხოვრებისა, რომელიც შენახულა მე-10 საუკუნის ხელნაწერში, თარგმნილია ბერძნულიდან, ხოლო ბერძნული დედანი არაბული ვერსიისა თავის მხრივ თარგმნილია სომხურიდან.

საერთოდ ირკვევა, რომ გრიგოლ პართელის ცხოვრების რამდენიმე ტექსტი არსებულა სომხურ, ბერძნულ და არაბულ ენებზე. ამ ტექსტების ურთიერთობას წარმოგვიდგენს შემდეგი სქემა:



სწორ რკალებში [] აღნიშნულია ტექსტები, რომლებიც არ მოღწეულა, მაგრამ რომელთა არსებობა ირკვევა მოღწეული ტექსტების გენეალოგიური ურთიერთობის მიხედვით.

¹ იხ. Записки Восточного Отд. Русск. Арх. Общества, т. XVI, стр. 63—211.

6. მარი გამოსთქვიამს მოსაზრებას, რომ სომხური ჩვენ დრომდე არმოღ-
წეული რედაქცია ხ, საიდანაც მომდინარეობს მე-10 საუკუნის ხელნაწერში
დაცული არაბული ვერსია, ვითომც ეს არისო — „Халкедонитская редакция
7—8 века, возникшая в области Таши“. ეს რედაქცია, ნ. მარის მოსაზრებით,
ვითომც დამუშავებულია ქალკედონიტი (მართლმადიდებელი) სომეხის მიერ, რო-
მელიც წარმოშობით ტაოელი უნდა ყოფილიყო და რომელსაც უნდა ეცხოვრაო
მე-7—8 საუკუნეებში.

რაზე ამყარებს ნ. მარი ამ დასკვნას?

ამის საბუთად ნ. მარს მიაჩნია, ჯერ ერთი, ის გარემოება, რომ აქ არისო
საუბარი ქართველთა, ლაზ-აფხაზთა და ალბანელთა საეკლესიო ურთიერთო-
ბის შესახებ სომხებთან, ხოლო ასეთი შეხედულებების გამოთქმა შეეძლოო ქალ-
კედონიტ სომეხს, რომელიც ტაოდან, საქართველოს მოსაზღვრე მხარიდან
უნდა ყოფილიყო; ნ. მარი წერს:

«Армянши халкедоният, так живо интересовавшийся однопременно лазскою, грузинскою и албанскою церквами, мог происходить из области Таши (груз. Тао, арм. Тайк). На это указывают и интерес его к родному Артануджскому бдешхству, включенному в число княжеств армянского царя Тирдата».

ამის შემდეგ ნ. მარი აკეთებს შემდეგს დასკვნას თარიღის საკითხის გამო:

«Рав автор тайск, то он писал до половины 8-го века, он писал еще при существовании армянского бдешхства в бассейне реки Артанудж... Со второй половины 8-го века в Тао-Кларджетии начинается грузинское церковное строительство, армянское халкедонитское население грузинизуется и с тех пор не было уже почвы для зарождения идеи братского единения грузин, лазов и албанцев с армянами»¹.

თავდაპირველად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ნ. მარი იჩენს უცოდინარობას
საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისას, როდესაც იგი აიგივებს არტან-
უჯის მხარესა და ტაოს. არტანუჯის მხარე (მდინარე არტანუჯის წყალის
ხეობა) ეს არის კლარჯეთი და არა ტაო, ხოლო კლარჯეთს არასოდეს
ტაო არ ეწოდებოდა.

მაგრამ დავუთოვოთ უყურადღებოდ ნ. მარის ეს შეცდომა ისტორიული
გეოგრაფიის დარგში. გავეცნოთ ნ. მარის მტკიცებების არსებით მხარეს, გან-
ვიხილოთ, რამდენად მართალია ნ. მარის დასკვნები არტანუჯის მხარის, არ-
ტანუჯის საპიტიახშოს შესახებ.

როგორც ვხედავთ, ნ. მარი არტანუჯის საპიტიახშოს შესახებ შემდეგს
გადმოგვცემს:

ა) არტანუჯის საპიტიახშო (Артануджское бдешхство), ე. ი.
კლარჯეთის მხარე, გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ ვერსიაში ვითომც
მოხსენებულია როგორც შემადგენელი ნაწილი სომხეთის სამეფოსი თრდატ
მეფის დროს მე-4 საუკუნის დასაწყისში;

ბ) არტანუჯის საპიტიახშო ვითომც რჩება სომხეთის შემადგენ-
ლობაში მე-8 საუკუნის ნახევრამდე, ხოლო მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან
ვითომც იწყება ქართული საეკლესიო მშენებლობა არტანუჯის მხარეში, სომ-

¹ იხ. ნ. მარი, *op. cit.*, გვ. 182.

ხური ქალკედონიტური მოსახლეობა ქართველდება და არტანუჯის საპიტი-
ახშოს ტერიტორია უკავშირდება საქართველოს.

იმას, რასაც გადმოგვცემს ნ. მარის, არაფერი აქვს საერთო ისტორიულ
სინამდვილესთან.

თუ ჩვენ გავიზიარებდით ნ. მარის ამ დასკვნებს, რომ არტანუჯის მხარე
მე-4 საუკუნიდან ვიდრე მე-8 საუკუნემდე სომხეთის ნაწილს შეადგენდა, მა-
შინ ჩვენ უნდა უარყოთ მთლიანად ქართული საისტორიო წყაროების ჩვე-
ნება არტანუჯის მხარის — კლარჯეთის შესახებ. ქართული საისტორიო წყა-
როების ჩვენებათა თანახმად არტანუჯის მხარე — კლარჯეთი — ძირითად ქართულ
მხარეს წარმოადგენდა როგორც ეთნიკურად, ისე პოლიტიკურად და სა-
ხელმწიფოებრივად; კერძოდ, კლარჯეთი საქართველოს ორგანულ და გა-
ნუყოველ ნაწილს შეადგენდა მე 4 — 8 საუკუნეთა მანძილზე.

ამრიგად, თუ ჩვენ მივიღებთ ნ. მარის დასკვნებს, ჩვენ ხაზი უნდა გა-
დავუსვათ ქართულ მატრიანებს, ბასილი ზარზმელის თხზულებასა და სხვა
ძეგლებს, უარყოთ და გაეაუქმეთ ქართული საისტორიო წყაროები.

ეს რაც შეეხება ქართულ წყაროებს.

მიემართოთ ამის შემდეგ უტხოურ წყაროებს. საკითხავია, არსებობს თუ
არა სხვა წყარო, გარეშე ქართულისა, სომხური, ბერძნული ან სხვა, რომელ-
საც კორექტივი შექმნდეს ქართული წყაროების ჩვენებაში, საიდანაც ირკვე-
ოდეს, რომ არტანუჯის მხარე — კლარჯეთი — მე-4 — 8 საუკუნეთა მანძილზე
არ იყო ქართული ქვეყანა, არამედ სომხეთის ნაწილს შეადგენდა?

ასეთი წყარო, რომელიც მიუთითებდეს, რომ კლარჯეთი არ იყო საქარ-
თველოს ნაწილი მე-4 — 8 საუკუნეთა მანძილზე, არ არსებობს. პირიქით, სომ-
ხური საისტორიო წყაროები, როგორც შემდეგ დავინახავთ, ადასტურებენ,
რომ არტანუჯის მხარე — კლარჯეთი — მე-4 — 8 საუკუნეთა მანძილზე საქარ-
თველოს ნაწილს წარმოადგენდა.

მაგრამ ნ. მარის, როგორც ვნახეთ, კიდევ უფრო შორს მიდის. ნ. მარის
შეხედულებით არტანუჯის მხარე — კლარჯეთი — მე-4 — 8 საუკუნეებში არა მარ-
ტო პოლიტიკურად იყო დაკავშირებული სომხეთთან, არამედ მოსახლეობის
შემადგენლობის მხრივაც ვითოც სომხური ყოფილა. და მიოლოდ მას შემ-
დეგ, რაც მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო საეკლესიო კოლონი-
ზაცია ამ მხარისა, მოხდა ადგილობრივი სომხური მოსახლეობის თანდათან
გაქართველება.

საკითხავია, არსებობს რაიმე წყარო, რომელიც ადასტურებდეს, რომ არ-
ტანუჯის მხარის — კლარჯეთის მოსახლეობა მე-8 საუკუნემდე სომხური იყო?
ასეთი წყარო, — არც ქართული, არც სომხური, არც ბერძნული, — არ არსე-
ბობს. პირიქით, წყაროებში (როგორც ქართულში, ისე სომხურში) პირდაპირ
აღნიშნულია, რომ ამ მხარის მოსახლეობას შეადგენდა ქართველი ტომი —
კლარჯნი და არავითარი ცნობა სხვა მოსახლეობაზე არ მოიპოვება.

ასეთია საქმის ნამდვილი ვითარება.

ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შევჩერდებით და დაწვრილებით, მთელის მო-
კულობით, განვიხილავთ ნ. მარის ისტორიულ ნარკვევებს, რომლებიც ეხება
როგორც კლარჯეთს, ისე საერთოდ სამხრეთ საქართველოს, და რომლებ-

შიაც, როგორც დავრწმუნდებით, სრულიად შემცდარად არის გაშუქებული ორი მეზობელი ქვეყნის, საქართველოსა და სომხეთის ისტორიის საკვანძო საკითხები.

აქ კი ამ გზის (რამდენადაც ამას კავშირი აქვს ზემოთ-განხილულ არტანუჯის ისტორიასთან) ჩვენ გამოვეყოფთ მხოლოდ ერთ საკითხს და შეეჩერდებით მხოლოდ ერთ ძეგლზე, გრიგოლ პართელის ცხოვრებაზე. ჩვენ შევამოწმებთ, იძლევა თუ არა გრიგოლ პართელის ცხოვრება ჩვენებას იმის შესახებ (როგორც ამაში გვარწმუნებს ნ. მარი), რომ არტანუჯი და მისი მხარე (=კლარჯეთი) ვითომც არ იყო საქართველოს ნაწილი, არამედ სომხეთის ნაწილს შეადგენდა.

აქ აღძრული საკითხის გასაშუქებლად ჩვენ მოგვიხდება განვიხილოთ გრიგოლ პართელის ცხოვრების ორი ადგილი, ორი ტექსტი:

პირველი ტექსტი, — სადაც ჩამოთვლილია სომხეთის საზღვრებში შემავალი 16 მხარის მთავრები;

მეორე ტექსტი, — სადაც აღწერილია სომხეთის სახელმწიფოს საზღვრები.

ჯერ პირველი ტექსტის შესახებ.

პირველი ტექსტი, როგორც მოვიხსენეთ, შეიცავს სიას, სადაც ჩამოთვლილია სომხეთის საზღვრებში შემავალი 16 მხარის მთავრები. ეს სია დაცულია გრიგოლ პართელის ცხოვრების ყველა არსებულ რედაქციებში.

შეთარდება გრიგოლ პართელის ცხოვრების სომხური და ბერძნული ტექსტებისა გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ შემდეგი პირველადი სახე ამ სიისა:

1. მთავარი ანგელთა სახლისა.
2. მთავარი აღძნიანთა (აღძნი-ქ), რომელიც იყო დიდი პიტიაზში.
3. მთავარი მარდაქეთთა.
4. მთავარი ასპეტთა.
5. მთავარი მამიკონიანი, სპარაპეტი.
6. მთავარი ქვეყნისა კორდუქისა.
7. მთავარი ქვეყნისა წოფენისა (წოფ-ქ).
8. მთავარი ქვეყნისა გარგარისა, რომელსა ერქვა მეორე პიტიაზში.
9. მთავარი ქვეყნისა რეშტუნთა.
10. მთავარი ქვეყნისა მოქთა.
11. მთავარი ქვეყნისა სიენიეთისა.
12. მთავარი ქვეყნისა წავდეელთა.
13. მთავარი ქვეყნისა უტიელთა.
14. მთავარი ხარაქანდისა და ჭერის მხარეთა.
15. მთავარი მალხაზიანთა ტომისა.
16. მთავარი არწრუნთა¹.

არაბულ ვერსიაში, რომელიც გამოსცა ნ. მარმა, აგრეთვე მოყვანილია იგივე სია სომხეთის 16 მთავრისა.

მხოლოდ არაბულ ვერსიაში, როგორც ირკვევა, ბევრ დამახინჯებას აქვს ადგილი. და ეს, რასაკვირველია, გასაგებია. არაბული ვერსია არ არის პირველი

¹ იხ. გრიგოლ პართელის ცხოვრება, თავი CXII.

დედანი; იგი თარგმნილია ბერძნულიდან, რომელიც თავის მხრივ სომხურიდან არის თარგმნილი. ამ ორგზისი თარგმანის დროს, ხოლო შემდეგ არაბული-ვერსიის არა ერთგზისი გადაწერის დროს, ამ უცხოურ სახელებს, არაბთავის გაუგებარს, ბუნებრივია, განუცდიდათ არა ერთი და ორი დამახინჯება. (აქ უნდა გვახსოვდეს ამასთან, რომ არაბულ დამწერლობაში უბრალო გადასმა დიაკრიტიკული ნიშნებისა, წერტილებისა, სრულიად სცვლის ტექსტის წაკითხვას).

მაგრამ არაბული ტექსტის პირვანდელი სახის აღდგენა არ წარმოადგენს სიძნელეს, რადგან ჩვენ დრომდე მოღწეულა როგორც სომხური, ისე ბერძნული რედაქციები. მათი შეფარდება გვაძლევს საშუალებას გავერკვეთ არაბული ტექსტის დეფექტებში.

არაბული ვერსიის გამოცემის დროს ნ. მარმა, სომხური და ბერძნული რედაქციების მიხედვით, შეასწორა მთელი რიგი შეცდომებისა, რომლებიც მოიპოვება არაბულ ხელნაწერში, კერძოდ, სონხეთის 16 მთავრის აქ დასახელებულ სიაში.

იმისათვის, რათა მკითხველსათვის ნათელი იყოს, თუ რამდენად დიდია ეს შეცდომები არაბული ხელნაწერისა, აღვნიშნავთ აქ ზოგიერთ შეცდომას, რომლებიც გაასწორა ნ. მარმა.

ა) სომხეთის 16 მთავართა ამ სიაში სომხურსა და ბერძნულ რედაქციებში პირველად დასახელებულია „მთავარი ან გელთა სახლისა“. ხოლო არაბულ ვერსიაში ჩვენ გვაქვს ამის შესაფარდად სრულიად უაზრო დამახინჯება: მთავარი ჰ.ბ.ნ.ს. ეს დამახინჯება შემდეგნაირად წარმოდგარა. სომხურად სიტყვა „ან გლ“ (ნათ. „ან გელ“) ნიშნავს ძერას. ბერძენ მთარგმნელს გეოგრაფიული სახელი „ანგელ“ გადაუღია არა უცვლელად, არამედ უთარგმნიაროგორც ἄγγελος (რაც ბერძნულად ძერას ნიშნავს). ეს ბერძნული ἄγγελος არაბ მთარგმნელს გადმოუყვია როგორც جيس (= „ჯიბს“). შემდეგ, ნაწარმოების არაერთგზისი გადაწერის დროს, ამ სიტყვის დაწერილობაში შეცდომები მოსვლიათ წერტილების დასმისას და ამ გზით წარმოიშვა არაბული ვერსიის დამახინჯებული წაკითხვა جنس (= „ჰ.ბ.ნ.ს“).

გ) სახელწოდებაში მეხუთე მთავრისა „მამიკონიანი“ მოკვეცილია პირველი მარცვალი.

დ) სახელწოდება მეათე მთავრისა არის: „მთავარი მოკ.თა“. ხოლო არაბულში დამახინჯებულად არის წარმოდგენილი: „მთავარი მ ფ ნ.ს.თა“.

არაბულ ვერსიაში ასევე დამახინჯებულია მთელი რიგი სხვა სახელები¹. გადავიდეთ ამის შერღვე სიის მეორე მთავრის ვინაობის გარკვევაზე. ნ. მარი მასში ეძებს არტანუჯის მთავარს.

ნ. მარის ცნობით არაბულ დედანში ამ მეორე მთავრის ვინაობა ვითომც ასეა აღნიშნული:

¹ იხ. ნ. მარი, *op. cit.*, გვ. 202 (შენიშვნა შეახებ პირველი სახელისა „ანგელი“ = „ჯიბსი“), გვ. 200 (შენიშვნა შესახებ მეხუთე სახელისა „მამიკონიანი“). გვ. 206 (შენიშვნა შესახებ მეათე სახელისა: მთავარი მოკთა). ასეთივე დამახინჯება გვაქვს მესამე, მეოთხე, მეექვსე, მეშვიდე და მეთექვსმეტე სახელებში (იხ. ნ. მარი, *op. cit.*, გვ. 204—206, ნ. აღონცი, *Армяня в эпоху Юстиниана*, გვ. 293—294).

„Князь Артануджа, которого звали великим битаксом“ (= „მთავარი არტანუჯისა, რომელსაც ერქვა დიდი პიტიახში“)¹.

სწორია ეს წაკითხვა? როგორც ირკვევა, არა.

წაკითხვის შესამოწმებლად მიემართოთ სომხურ დედანს.

სომხურ დედანში სიის ამ მეორე მთავრის ვინაობა სულ სხვანაირად არის აღნიშნული; სომხურ დედანში ჩვენ ვკითხულობთ:

„მთავარი ალძნიანთა („ალძნი-ქ“-ისა), რომელიც იყო დიდი პიტიახში“.

პროვინცია სომხეთისა „ალძნი-ნი“ („ალძნი-ქ“), როგორც ცნობილია, მდებარეობდა სომხეთის სამხრეთ სანაპიროზე და მისი მთავარი მართლაც ატარებდა პიტიახშის ტიტულს. (ამასთან მას ეწოდება არა მარტივად „პიტიახში“, არამედ სწორედ „დიდი პიტიახში“).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამავე დროს, რომ ამ პროვინციის სახელწოდება ბერძნულად გამოითქმოდა ბევრით „რ“: „არზან-“ („არზან-ენე“, იხ. პროკოპი კესარიელი); ლათინურადაც „არზან-“ („არზან-ენა“, იხ. ამიანე მარცელინე); არაბულადაც აგრეთვე „არზან“².

არაბულ ვერსიაში (მით უფრო, რომ არაბული ბერძნულიდან არის თარგმნილი) ეს გეოგრაფიული სახელი უნდა გექნოდა როგორც „არზან-“, ანუ ბერძნული დაბოლოების დართვით „არზან-ონ“ (არაბი მთარგმნელი სხვა შემთხვევებშიაც იცავს სახელების ბერძნულ გრამატიკულ დაბოლოებას).

მაშასადამე, არაბულ დედანში მთელი ტექსტი თავდაპირველად ასეთი საბით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი:

„მთავარი „არზან-ონ“, რომელსა ერქვა დიდი პიტიახში“.

• არაბულად „არზან-ონ“ ასე იწერება: ارزنون

ნ. მარი გადმოგვცემს, რომ ხელნაწერში ეს სიტყვა სწერიაო როგორც ارزنون არტანუჯ.

პროფ. ნ. ადონცი, რომლისთვისაც ხელმისაწვდომი იყო ხელნაწერის ფოტოები, ასწორებს ნ. მარის წაკითხვას და აღნიშნავს რომ ეს სახელი ხელნაწერში დაწერილი არისო სხვანაირად. სახელდობრ: ارزنون „არზანუნ“ ანუ „არზანონ“, და სრულიად სამართლიანად შენიშნავს, რომ აქ გვაქვსო დამახინჯება გეოგრაფიული სახელისა „არზან-ონ“³.

შკითხველმა შეადაროს არაბული დაწერილობა ფორმებისა:

1. „არზანონ“ — ارزنون

2. „არზანონ“ — ارزنون

როგორც ვხედავთ, ეს დაწერილობანი ძალიან ემსგავსება ერთიმეორეს. ტექსტის არა ერთგზისი გადაწერის დროს სხვადასხვა გადამწერლების მიერ, რომლებიც ვერ ერკვეოდნენ უცხოურ გეოგრაფიულ სახელებში, ადვილად გასაგებია, რომ სახელის დაწერილობას დამახინჯება განუტდია. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი დამახინჯება გვაქვს არა მარტო ამ შემთხვევაში, არამედ სიის 16 სახელიდან მნიშვნელოვანი ნაწილი დამახინჯებულად არის წარმოდ-

¹ იხ. ნ. მარი, *op. cit.*, გვ. 115.

² იხ. H. Hübschmann, *Die altarmenischen Ortsnamen*, გვ. 249—250.

³ პროფ. ნ. ადონცი, *Армяны в эпоху Юстиниана*, გვ. 293, შენ. 3.

გენილი, ზოგჯერ იმდენად დაზიანებულად, რომ პირვანდელი სახის ამოცნობა შეუძლებელი იქნებოდა, თუკი არ არსებულიყო სომხური და ბერძნული დედნები.

რასაკვირველია, არ შეიძლება არსებობდეს ორი აზრი იმის შესახებ, რომ არაბულ პირველ-დედანში აქ იყო სწორედ „არზან-ონ“ და ამ შემთხვევაში აქ, ცხადია, მართალია ნ. აღონცი და არა ნ. მარი.

რომ არაბულ თავდაპირველ დედანში აქ იკითხებოდა „არზან-ონ“, ამას სრულიად უდავოდ ადატურებს ორი რამ:

ა) სომხურ და ბერძნულ დედნებში, იმავე სიაში, მეორე ადგილას მოიხსენება მთავარი სწორედ იმავე ქვეყნისა „ალძნი-ქ“ — „არზან“-ისა;

ბ) ეს მთავარი „არზან“-ისა ატარებდა ტიტულს „დიდი პიტიახში“. ამავე დროს არც ერთი სხვა მთავარი სომხეთისა არ ატარებდა ასეთ ტიტულს („დიდი პიტიახში“).

საკითხი ამრიგად სრულიად ნათელია.

ჩვენ დაგვრჩენია მხოლოდ განცვიფრება გამოვთქვით შემდეგი გარემოების გამო:

როგორ მოხდა, რომ ნ. მარი, რომელიც დეტალურად ადარებს სომხურ და ბერძნულ რედაქციებს არაბულ ვერსიასთან, სომხური და ბერძნული რედაქციების მიხედვით ასწორებს იმ შეცდომებს, რომლებსაც შეიცავს 16 მთავრის სიის გადმოცემის დროს არაბული ვერსია, ამ შემთხვევაში არ იქცევა ასე, იგი დუმილით უვლის გვერდს სწორედ ამ ჩვენთვის საინტერესო ადგილს და არც კი აღნიშნავს, რომ სომხური და ბერძნული დედნების მონაცემები სულ სხვა ჩვენებებს შეიცავს.

ეს მით უფრო აღსანიშნავია, რომ ნ. მარი, როგორც ვნახეთ, ამ თავისი შემცდარი გამოსავალი დებულებიდან აკეთებს ასე შორს მიმავალ დასკვნებს. საქართველოს ისტორიის მთელ რიგ საკვანძო საკითხთა გამო.

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ნ. მარის მთელი ეს დასკვნები „არტანუჯის საპიტიახშოს“ შესახებ ქვიშაზე არის აგებული.

დამატებით აქ აღვნიშნავთ კიდევ ერთ შეუსაბამობას, ანაქრონისტული ხასიათის შეცდომას.

როგორც ეს ირკვევა ქართული წყაროებიდან, არტანუჯის ციხე-ქალაქი აშენებულია მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში ვახტანგ გორგასარის დროს, ხოლო ამის უწინარეს ცენტრი კლარჯეთისა იყო არა არტანუჯი, არამედ თუხარისი. ამრიგად, მე-4 საუკუნის დასაწყისისათვის არც შეიძლებოდა არსებულიყო „არტანუჯის საპიტიახშო“, არამედ ამ დროს არსებობდა საქართველოს ფარგლებში შემავალი კლარჯეთის თუხარისის საერისთავო.

*

გადავიდეთ ამის შემდეგ გრიგოლ პართელის ცხოვრების მეორე ტექსტზე. რომ ძველი სომხური მწერლობის ამ ძეგლში, გრიგოლ პართელის ცხოვრებაში, კლარჯეთი (არტანუჯის მხარე) არ ითვლება სომხეთის ნაწილად, არამედ საქართველოს მხარედ, ეს სრულიად ნათლად ჩანს ამ ძეგლის მეორე

ადგლიდან, სადაც აღწერილია სომხეთის საზღვრები. ამ მეორე ტექსტში მოთხრობილია, რომ მე-4 საუკუნის დასაწყისში გრიგოლ პართელის მოღვაწეობით ქრისტიანობა გავრცელდა მთელ სომხეთში და ამასთან დაკავშირებით ავტორი აღნიშნავს, თუ რა საზღვრებს მოიცავს სომხეთის ქვეყანა.

მოგვყავს ეს მეორე ტექსტი რუსულ თარგმანში (ვემყარებით ძირითადად თარგმანს ისეთი დიდი ავტორიტეტისას, როგორც არის არმენისტი პროფ. ნ. აღონცი):

«[Христианство] разлилось по всей Армении от края и до края, от города Сатаги, мимо Халди, мимо Кларджи, до исхода пределов Маскутов (ბერძნული ვერსია უბატებს и гуинов), до ворот Ала[с]ских, до границ Каспия — Паптакрана, города армянского царства; и от Амиды, мимо города Нивиния, завоевав крайний Сирин, страны Норширакан и Кордуену, до неприступной страны Мидии до области князя Махурта, вплоть до Ариатакана»¹.

ამრიგად, გრიგოლ პართელის ცხოვრების ამ ტექსტის უწყებების თანახმად, სომხეთის საზღვრები გასდევდა „мимо Халди, мимо Кларджи“. აქ სრულიად ნიშანდობლივ აღნიშნულია, რომ კლარჯეთი და ხალდია მდებარეობდა სომხეთის საზღვრების გარეთ.

ხალდიის სახელწოდებით აქ იგულისხმება „ხალდის ხევი“, სპერის ქანეთი (ღართის მხარე ქოროხის ხეობისა).

გრიგოლ პართელის ცხოვრების აქ განხილულ ტექსტთან ერთად, რომელიც აგვიწერს სომხეთის საზღვრებს მე-4 საუკუნის დასაწყისისათვის, გრიგოლ პართელის სამისიონერო მოღვაწეობასთან დაკავშირებით, აქ საჭიროა მოვიყვანოთ აგრეთვე ტექსტი სომეხთა ისტორიკოსის მოსე ხორენელისა, რომელიც ანალოგიური ხასიათის ცნობას შეიცავს; მოსე ხორენელის ტექსტი ეხება იმავე ხანას, მე-4 საუკუნის დასაწყისს, და აგვიწერს იბერიის საზღვრებს ნინო ქართველთა განმანათლებლის სამისიონერო მოღვაწეობასთან დაკავშირებით.

მოსე ხორენელის ამ ტექსტში ჩვენ ვკითხულობთ (მოგვყავს ტექსტი ცნობილი არმენისტის ნ. ემინის რუსული თარგმანით):

«Блаженная Нупэ отправилась [из Мцхета] наставлять пречистыми устами и другие области Иверии... Дерзаям сказать, она, став апостолом, проповедывала, начиная от Кларджов, [от областей] близ Аласких врат и Каспов, до пределов Маскутов»².

ამრიგად, როგორც ვხედავთ, ტექსტები გრიგოლ პართელის ცხოვრებისა და მოსე ხორენელისა ერთნაშეზიან და ავსებენ ერთიმეორეს:

ა) გრიგოლ პართელის ცხოვრების ცნობით, სამოღვაწეო ასპარეზი გრიგოლ პართელისა არის სომხეთი, რომლის საზღვრებშიაც არ შედის კლარჯეთი.

ბ) მოსე ხორენელის ცნობით იმავე ხანაში ნინოს სამოღვაწეო ასპარეზია იბერია, რომლის საზღვრებშიაც შედის კლარჯეთი ქვეყანა, კლარჯეთი.

¹ იხ. პროფ. ნ. აღონცი, Армения в эпоху Юстиниана, გვ. 327—328 (შეად. სომხური ტექსტი გრიგოლ პართელის ცხოვრებისა, 1882 წ., გვ. 485)

² იხ. История Армении Моисея Хоренского, перевод Н. Эмина, 1893 წ., გვ. 133.

ასეთია ის ჩვენებანი, რომელთაც შეიცავს აქ აღძრულ საკითხთა გამო ეს ორი ძეგლი ძველი სომხური მწერლობისა.

ჩვენ ამ-გზის ამით დავასრულებთ ამ ექსკურსს ნ. მარის შემცდარი ცნობის გამო არტანუჯისა და მისი მხარის (კლარჯეთის, კლარჯთა ქვეყნის) შესახებ.

ქვემოთ ჩვენ ისევ დაეუბრუნდებით საკითხთა ამავე წრეს და სპეციალურად, მთელის მოცულობით, განვახილავთ ნ. მარის ისტორიულ ნარკვევებს, რომლებიც ეხება როგორც კლარჯეთს, ისე საერთოდ სამხრეთ საქართველოს, და სადაც, როგორც დავრწმუნდებით, ასევე დამახინჯებულად არის გაშუქებული ორი მოძმე ერის, ქართველებისა და სომხების ისტორიის მთელი რიგი ძირითადი საკითხები.

აქ კი ჯერ ისევ მიემართოთ გიორგი მერჩულის ძეგლს და განვაგრძოთ განხილვა გიორგი მერჩულის ცნობებისა კლარჯეთის შესახებ.

*

2. ანჩი.

გიორგი მერჩულის ძეგლი, როგორც მოხსენებული გვექონდა, გარდა იმ ცნობებისა, რომელთაც იგი შეიცავს კლარჯეთის თორმეტ სავანეთა შესახებ და კლარჯეთის პოლიტიკური ცენტრის არტანუჯის შესახებ, იძლევა აგრეთვე ცნობებს კლარჯეთის საეკლესიო მეტროპოლიის—ანჩის შესახებ.

ანჩი — მდებარეობს კლარჯეთში, მდინარე სამწყალის ხეობაში.

ჩრდილო-დასავლეთის მხრით ანჩს აკრავს კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარე.

ქართული საისტორიო წყაროების ცნობით საეკლესიო მეტროპოლია კლარჯეთისა და ქოროზის ხეობის მიმდგომი მხარეებისა მე-4 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-9 საუკუნემდე ყოფილა შემდეგ პუნქტებში: თუხარისში, ახიზაში, ფორთაში და ანჩში.

უძველესი საეკლესიო მეტროპოლია კლარჯეთისა ყოფილა თუხარისი.

ქართული საისტორიო წყაროების ცნობით, მე-4 საუკუნის შუა წლებში, იბერიაში ქრისტიანობის სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადების პირველ პერიოდში, ქართველთა მეფე შირდატმა (ბაკურის ძემ) „ალაშენა ეკლესია თუხარისისა ცახესა შინა, რამეთუ ხევისა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია, და მუნ დაადგინა მღვდელი მოძღვრად კლარჯთა“¹.

თუხარისი, როგორც ირკვევა, ყოფილა პოლიტიკური და საეკლესიო ცენტრი კლარჯეთისა მე-4 — 5 საუკუნეებში, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარმდე, ვახტანგ გორგასარის ხანამდე.

ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ქართული საისტორიო წყაროების ცნობათა თანახმად, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასარის დროს, პოლიტიკური ცენტრი კლარჯეთისა თუხარისიდან გადმოტანილ იქმნა ახლად გაშენებულ არტანუჯში; ამავე დროსვე საეკლესიო

¹ იხ. ლეონტი მროველი, გვ. *87/112—113.

შეტროპოლია კლარჯეთისა ვადმოუტანიათ იმავე არტანუჯის სექტორში, ხა-
ხელდობრ პუნქტში, რომელსაც ეწოდება ახიზა, რომელიც მდებარეობს
მდინარე არტანუჯის-წყალის ხეობაში, 5 კილომეტრის მანძილზე ქილაქ არტა-
ნუჯის დასავლეთით.

წყაროების ცნობით, ახიზაში მშენებლობა ვახტანგ გორგასარს ჩაუტარე-
ბია. ვახტანგ გორგასარის ძველი მათიანის ექსცერპტში აღნიშნულია, რომ
ვახტანგ გორგასარის მიერ კლარჯეთს დანიშნულმა ერისთავმა, არტანუჯის
მშენებლობასთან ერთად, „გ ა ნ ა ა ხ ლ ა ც ი ხ ე ა ხ ი ზ ი ს ა“¹.

შემდეგ, როდესაც ვახტანგ გორგასარის დროს გამოცხადდა იბერიის
(ქართლის) ეკლესიის ავტოკეფალია და დაარსებულ იქმნა ქართლის საკათა-
ლიკოზო, ქართულ საისტორიო წყაროთა ცნობით ამავე დროსვე მოეწყო
იბერიაში 12 საეპისკოპოსო, რომელთა შორის ყოფილა კლარჯეთის საე-
პისკოპოსო ახიზისა. ვახტანგ გორგასარის ძველი მათიანის ექსცერპტში
აღნიშნულია, რომ ვახტანგ გორგასარმა იბერიის თორმეტ ეპისკოპოსთა გან-
წესების დროს — „დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ახი-
ზისასა“².

წყაროებიდან ირკვევა ამასთან, რომ ქართლის საკათალიკოზოს დაარსე-
ბის შემდეგ, მომდევნო უახლოეს ხანაში, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარსა
და მე-6 საუკუნის დასაწყისში, იბერიის საეპისკოპოსოთა რიცხვი მნიშვნე-
ლოვნად გაზარდილა. მე-6 საუკუნის დასაწყისისათვის იბერიაში უკვე 33 საე-
პისკოპოსო ითვლებოდა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I,
1928 წ., გვ. 278).

მე-5 — 6 საუკუნეთა საზღვარზე იბერიის ამ ახლად დაარსებულ საეპისკო-
პოსოთა რიცხვს ეკუთვნოდა კლარჯეთის მეორე საეპისკოპოსო — ფორთა.
506 წელს კავკასიის ხალხთა ეკლესიების გაერთიანებულ კრებას დასწრებია
იბერიის (ქართლის) 24 ეპისკოპოსი, ქართლის კათალიკოზთან ერთად. იბერიის
(ქართლის) ამ ეპისკოპოსთა შორის მოიხსენება ეპისკოპოსი ფორთისა³.

ახიზისა და ფორთის ამ საეპისკოპოსოთა გვერდით უფრო გვიან
კლარჯეთში არსდება მესამე საეპისკოპოსო ანჩისა.

თუ სახელდობრ როდის დაარსდა კლარჯეთის ეს მესამე ანჩის საეპის-
კოპოსო, ამის შესახებ წყაროებში თუმცა არა გვაქვს პირდაპირი ცნობა,
მაგრამ ყოველ შემთხვევაში ირკვევა, რომ ანჩი დაარსებულია არაბთა მფლო-
ბელობის უწინარეს, მე-6 — 7 საუკუნეებში.

გიორგი მერჩულე მოკვითხრობს, რომ აღდგენა კლარჯეთის საეპისკოპოსოსა
(რომლებიც განადგურდა მურვან ყრუს ლაშქრობის დროს მე-8 საუკუნის
30-იან წლებში), დაიწყო მე-8 საუკუნის შუა წლებიდან, და პირველი საეპისკოპოსო,
რომელიც აღდგენილ იქმნა ამ დროისათვის, მე-8 საუკუნის შუა წლები-
სათვის, იყო ოპიზა.

¹ იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *391-392/179, ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 135. (იხ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 324).

² იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *391-392/179, ანასეული 135. (იხ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 323).

³ იხ. ზემოთ, გვ. 314.

ხოლო რაც შეეხება ანჩს, გიორგი მერჩულე აღნიშნავს, რომ კლარჯეთის სავანეებთან შეღარებით, „ფრიად ურიცხვანი ეამნი ჰქონან საყდარსა მას ანჩისასა უწინარეს აღშენებისანი“ (იხ. გიორგი მერჩულე. გვ. 114).

ამრიგად, გიორგი მერჩულის ამ ცნობის თანახმად, ანჩი დაარსებულია კლარჯეთის სავანეთა აღდგენის (ე. ი. მე-8 საუკუნის ნახევრის) ბევრად უწინარეს, წინა-არაბულ ხანაში, არა უგვიანეს მე-6—7 საუკუნეებისა.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება კლარჯეთის ამ სამი საეპისკოპოსოს ახიზის, ფორთის და ანჩის დაარსების დროის შესახებ.

საეკლესიო იურისდიქცია ამ საეპისკოპოსოებისა, როგორც ირკვევა, ვრცელდებოდა არა მხოლოდ საკუთრივ კლარჯეთზე, არამედ ქოროხის ხეობის მიმდგომ მხარეებზედაც, სახელდობრ იმ ტერიტორიაზე, რომელიც ქართული საისტორიო წყაროების ცნობით მე-5 — 7 საუკუნეებში კლარჯეთის საერისთავოს ფარგლებში შედიოდა¹.

*

ის გარემოება, რომ კლარჯეთის და მიმდგომ მხარეთა ტერიტორიაზე მე-5 — 7 საუკუნეებში სამი საეპისკოპოსო არსებულა, გვიჩვენებს, რომ ეს მხარეები ამ დროს მკიდროდ დასახლებული ქვეყანა ყოფილა.

უფრო გვიან, მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, კლარჯეთი და მიმდგომი მხარეები, როგორც ეს უკვე იცის მკითხველმა, განადგურდა არაბთა შემოსევის შედეგად და მოსახლეობა ამ დროს დიდად შემცირდა.

როგორც ირკვევა, ამ დროს, მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, გაუქმებულა და დაკლილა ახიზისა და ფორთის ძველი საეპისკოპოსოები. ისინი ამის შემდეგ აღარ განახლებულან ცალკე დამოუკიდებელი საეპისკოპოსოების სახით.

ამ კატასტროფის შემდეგ კლარჯეთის მხარეში, ნაცვლად ძველად არსებული სამი საეპისკოპოსოსი — ახიზისა, ფორთისა და ანჩისა, — რჩება მხოლოდ ანჩის საეპისკოპოსო, რომლის ფარგლებშიაც გაერთიანდა სამივე საეპისკოპოსოს ტერიტორია².

უფრო გვიან ხანაში, მე-9 — 10 საუკუნეებში, როდესაც ქვეყანამ მოიშუშა მიყენებული ჭრილობები და დაიწყო ახალი აღორძინება მესხეთის ქვეყნებისა, დასავლეთ-მესხეთის ტერიტორიაზე, ქოროხის ხეობაში, ანჩის საეპისკოპო-

¹ წყაროების ცნობით, კლარჯეთის საერისთავოს ფარგლებში ამ ეპოქაში შედიოდა ტერიტორია „ზღვითგან ვიდრე არსიანთამდის“ (იხ. ლეონტი მროველი, გვ. *291/115, ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *358/156-7). ამ ცნობათა თანახმად, კლარჯეთის საერისთავოთა ფარგლებში მოქცეული ყოფილა, გარდა საკუთრივ კლარჯეთისა, შაკშეთი, ნიგალის-ხევი. „სახლვარი ქართლისა სპერი“ (ქვემო სპერი) და აპიერი ტა. ამ ერთეულთა გარდა, კლარჯეთის საერისთავოში შედიოდა აგრეთვე (მე-6 — 7 საუკუნეებში) „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ (აღმოსავლეთი ტანეთ-ლახეთი ანჟ რიხეს მხარე). როგორც ეს ირკვევა ისტორიკოსის იოანე მამიკონიანის ცნობიდან, ამ უკანასკნელ მხარეში, ზღვისპირა კლარჯეთში, მე-6 — 7 საუკუნეებში არსებობდა საეპისკოპოსო ტ ა მ მ ზ რ ი ს ა. (საქითხს ტანბურის საეპისკოპოსოს შესახებ ცალკე ვახტანგით).

² იხ. ხემთ, გვ. 314.

სოს გვერდით, არსდება ახალი საეპისკოპოსოები, შავშეთში — ტ ბ ე თ ი ს ა ა მ ი ე რ - ტ ა ო შ ი — ბ ა ნ ი ს ა, აგრეთვე აღდგენილ იქმნა იმიერ-ტაოში ძველად არსებული ი შ ხ ნ ი ს საეპისკოპოსო. ტერიტორია დასავლეთ მესხეთისა — ქოროხის ხეობისა — ხელახლა იქმნა გადანაწილებული ამ ოთხ საეკლესიო ოლქს შორის.

ჩვენამდე მოღწეულია დოკუმენტი — აღწერილობა მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრებისა, საიდანაც ირკვევა ტერიტორიული მოცულობა დასავლეთ-მესხეთის, ქოროხის ხეობის დასახლებული ოთხი საეპისკოპოსოსი.

ამ დოკუმენტის თანახმად ტერიტორია ამ ოთხი საეკლესიო ოლქისა შემდეგი ყოფილა:

I. ანჩის საეპისკოპოსოს საზღვრებში შედიოდა: ა) შიდა-კლარჯეთი (არტანუჯის მხარე); ბ) კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარე; გ) ნიგალის-ხევი-

II. ტ ბ ე თ ი ს საეპისკოპოსოს საზღვრებში შედიოდა: ა) შავშეთი, მიქიხიანის (მაჭახელის ხეობის) მითვლით; ბ) ზემო აქარა.

III. ბ ა ნ ი ს საეპისკოპოსოს საზღვრებში შედიოდა — აღმოსავლეთი ტაო, რ რაიონი; ბანა, ტაოსკარი, ფანასკერტი, პარტიზის ხეობა, ოლთისი, ნამუროვანი.

IV. ი შ ხ ნ ი ს საეპისკოპოსოს საზღვრებში შედიოდა:

ა) დასავლეთი ტაო, ორი რაიონი: 1. თორთომი — ქართლის-ყელის (გურჯი-ბოლაზის) აქეთი; 2. იშხანის უბანი — ტაოსკარს ქვემოთი;

ბ) თუხარისის უბანი კლარჯეთისა;

გ) ისპირის მხარე, ორი რაიონი: 1. საკაეკასიძო (პარხალი) — „ორჯოხის მთას აქეთი“; 2. საკუთრივ ისპირი — „ტრაპიზონის მთას გადმოღმა“¹.

ანჩის საეპისკოპოსო, იმ საზღვრებში, რომელშიაც იგი ჩამოყალიბებულა მე-9 — 10 საუკუნეებში (ე. ი. არტანუჯის მხარის, კლარჯეთის 12 სავანეთა მხარის და ნიგალის-ხევის შემადგენლობით) — არსებულა ამის შემდეგ 7 საუკუნის მანძილზე, თურქთა მფლობელობის ხანამდე.

როგორც ცნობილია, თურქეთმა დაიპყრო მესხეთის ეს ნაწილი მე-16 საუკუნის 50-იან წლებში (იხ. ზემოთ, გვ. 367).

ამის შემდეგ, თურქთაგან დევნის გამო, ანჩის საეპისკოპოსო გაუქმებულა. ანჩის გაუქმება მომხდარა, როგორც ირკვევა, არა უგვიანეს მე-17 საუკუნის შუა წლებისა. (ყოველ შემთხვევაში 1664 წლისათვის, როგორც ირკვევა წყაროებიდან, ანჩი უკვე დაკლილი ყოფილა)².

მე-18 საუკუნის შუა წლებში ვახუშტი ბატონიშვილი წერს ანჩის გაუქმებული კათედრალის შესახებ: „არს ეკლესია ღვთაებისა ანჩა, გუნბათიანი, დიდ-შეენიერად ნაგები, კარგს აღვილს... და აწ ცალიერ არს“³.

¹ იხ. დოკუმენტის ტექსტი, ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907 წ., გვ. 76—79 (შდრ. დასახელებული გამოცემები დ. ბაქრაძისა და თ. გორდანიასი).

² იხ. ქვემოთ, გვ. 380.

³ იხ. ვახუშტი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა, 1941 წ., გვ. 136.

ამის შემდეგ, მე-18 — 19 საუკუნეებში, თურქებს დაუნგრევიათ ანჩის კათედრალი. 1879 წელს, როდესაც ახლად შემოერთებულ თურქეთის საქართველოში იმოგზაურა ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, ანჩის კათედრალი მას უკვე დანგრეული დახვდა¹.

*

დასასრულ, ანჩის ისტორიასთან დაკავშირებით, შევჩერდებით კიდევ ერთ მომენტზე.

მკითხველს შესაძლოა არ მოეხსენებოდეს, თუ საიდან მომდინარეობს სახელწოდება თბილისის ერთ-ერთი კუთხისა, ანჩის-ხატის უბნისა, ძველი თბილისის იმ კუთხისა, რომელიც გაცოცხლებულია ჩვენი მწერლის ვასილ ბარნოკის თბილისურ მოთხრობებში.

სახელწოდება თბილისის ანჩის-ხატის უბნისა და უბანში მდებარე თბილისის ძველი ანჩის-ხატის ტაძრისა, დაკავშირებულია კლარჯეთის ანჩის სახელთან, სახელდობრ კლარჯეთის ანჩიდან ჩამოტანილ ძეგლთან — „ანჩის-ხატთან“.

მას შემდეგ, რაც თურქებმა დაიპყრეს ანჩი და გააუქმეს ანჩის საეპისკოპოსო, ანჩის კათედრალის მთავარი ხატი მაცხოვრისა, „ანჩის-ხატი“, ჩამოუტანიათ 1664 წელს თბილისში². საქართველოს კათალიკოს დომენტი II-ს ეს ძეგლი „ანჩის-ხატი“ დაუსვენებია თბილისის საკათალიკოსო ტაძარში, რომელიც დომენტი II-მ განაახლა მე-17 საუკუნის 60—70-იან წლებში.

ეს ძეგლი, ჩამოტანილი ანჩიდან — „ანჩის-ხატი“ — დღემდის მოღწეულა. იგი წარმოადგენს ხელოვნების ნაშეივლ შედეგს, ძველი ქართული კედებითი ხელოვნების ერთ-ერთ უბრაწინაულეს კმნილებას. ეს ძეგლი „ანჩის-ხატი“ მოქედლია მე-12 საუკუნეში, თამარ დიდის დროს (სახელდობრ, თამარის მეფობის დასაწყის წლებში, 1184—1189 წლებს შორის). ძეგლის მთავარ წარწერაში ვკითხულობთ:

„ბრძანებითა და ნიეთის-ბოძებითა ღმრთიე-გვრგვინოსნისა დიდისა დედოფალთ-დედოფლისა თამარისაჲთა, მეოჯანე ანჩელმან რკინაელმან კელ-ყყავ... პატრიით მოქედად, — მფარველმცა არს მეფობისა მათისა ბქა და საუკუნესა. მოიჭუდა კელითა ბექასითა...“
ოჯანე ანჩელი რკინაელი, მოხსენებული ამ წარწერაში, არის მე-12 საუკუნის მოღვაწე, ცნობილი მწერალი ჰიმნოგრაფი, რომელსაც დაუწერია საგალობლები ანჩის-ხატისა. ბექა — მომქედელი ანჩის-ხატისა, არის განთქმული ხელოვანი მე-12—13 საუკუნეთა ბექა ოპიხარი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ბექა ოპიხარის მიერ მოქედილი „ანჩის-ხატი“-სათვის უფრო გვიან ხანაში, მე-14 საუკუნის პირველ მესამედში, შეუქმნიათ ოქროქანდაკებული კარები, აგრეთვე შეუქმნიათ ოქროქანდაკებული საცავი, ეგრეთ წოდებული „კუბო“. როგორც ირკვევა წარწერებიდან, „ანჩის-ხატი“-ს ეს ოქროქანდაკებული კარები და „კუბო“ შესრულებულია სამკაის მთავრის ბექა მანდატურთ-უბუცესისა (გაოდ. 1308 წ.) და მისი მემკვიდრეების დროს³.

სახელი კლარჯეთის ძველი სავანის ანჩისა⁴ იმდენად ცნობილი ყოფილა საქართველოში, ამასთან თვით ეს ძეგლი „ანჩის-ხატი“ ხელოვნება იმდენად ბრწყინვალე კმნილებაა, რომ მას შემდეგ, რაც მე-17 საუკუნეში „ანჩის-ხატი“ მოთავსებულ იქმნა თბილისის საკათალიკოსო ტაძარში, ხალხმა საკათალიკოსო ტაძარს შეარქვა „ანჩის-ხატი“-ს ტაძრის სახელი, ხოლო აქედან თვით უბანსაც „ანჩის-ხატი“-ს უბანი ეწოდა.

¹ ანჩის ძველი კათედრალის ნაშთის შესახებ იხ. დ. ბაქრაძე, *Об археологическом поезде, совершенном в 1870 году в Батум, Артвин и Артавудж, ЗИАН XXXVII, I, გვ. 49, 6. მარი, Дневник. ТР, VII, გვ. 93—94.*

² იხ. თ. გორდანი, ქართლ-კახეთის მონასტრებისა და ეკლესიების ისტორიული საბუთები, 1909 წ., გვ. 157—158.

³ ანჩის-ხატის შესახებ იხ. შ. ამირანაშვილი, ბექა ოპიხარი, 1937 წ., გვ. 7—26.

გიორგი მერჩულის თხზულებაში მეხბეთის მხარეთა შორის მოიხსენება კოროხის ხეობაში კლარჯეთის მოსახლერედ მდებარე ქვეყანა შავშეთისა (იხ. გიორგი მერჩულე, 29, 42, 54, 80).

გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენება აგრეთვე:

შავშეთის იერარქი მტბევიარი (გვ. 100), რომლის რეზიდენცია იყო ტბეთი;

საენე გუნათლე, რომელიც, გიორგი მერჩულის ცნობით, დაარსებული იყო გრიგოლ ხანძთელის მიერ მე-9 საუკუნის დასაწყისში — აშოტ I დიდის დროს (813—826 წ. წ.)¹;

სოფელი ნორგიალი, რომელიც, გიორგი მერჩულის ცნობით, შავშეთის საზღვრებში მდებარეობდა².

მთავარი ცენტრი შავშეთის მხარისა ამ ეპოქაში არის ტბეთი, სადაც, როგორც ირკვევა, ჰქონიათ რეზიდენცია შავშეთ-არტაანისა და მიმდგომ მხარეთა მთავრებს, ყოველ შემთხვევაში მე-9—10 საუკუნეთა მიჯნიდან, ერისთავთ-ერისთავის აშოტ კუხის დროიდან (896—918 წ. წ.) მოკიდებული.

მემატიანე გადმოგვცემს: „აშოტ ერისთავთა-ერისთავმან, ძემან გურგენ კურაპალატისამან, რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა და დასვა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე“³.

ტბეთის კათედრალი, აგებული მე-10 საუკუნის დასაწყისში ერისთავთ-ერისთავის აშოტ კუხის მოღვაწეობით, დღემდისაც მოღწეულა. იგი თითქმის დაუზიანებლად გადარჩენია საუკუნეებს. ტბეთის კათედრალი, ეს მონუმენტალური ძეგლი, კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი უმშვენიერესი ქმნილებაა. ტბეთის ტაძრის გამო ერთი მოგზაური წერს: „Тбетская церковь могла бы составить украшение даже Рима, так хорош её общий вид, изящны её детали“⁴.

შავშეთის მხარის მოღვაწეთაგან გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენებიან:

1. გურგენ I კურაპალატი (881—891 წ. წ.), რომლის უშუალო სამფლობელო თავდაპირველად ყოფილა ტაოს მხარის კალმახის პროვინცია, ხოლო შემ-

¹ გიორგი მერჩულე, გვ. 34—36. ეს პუნქტი გუნათლე დღემდის არსებობს შავშეთში (მას ამჟამად ეწოდება გურნათელი). აქ დაცულია ნანგრევები სავანისა, რომლის შესახებაც მოგვითხრობს გიორგი მერჩულე (აღწერილობა სავანის ნაშთისა იხ. ნ. მარის, *Дышвиж*, ТР, VII, გვ. 29).

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 80. სოფელი ნორგიალი ამავე სახელწოდებით დღემდის არსებობს შავშეთში.

³ იხ. სუბატ დავითის-ძე, გვ. * 579/349.

⁴ მთავარი ლიტერატურა ტბეთის შესახებ: გიორგი გახბევი, *Три месяца в Турецки и Грузии*, 1874 წ., გვ. 53—55; აკად. ა. პავლინოვი, *Экскурсия на Капху 1878 года*, МАК, III, 1893 წ., გვ. 71—4; აკად. ნ. მარი, *Дышвиж поездки в Шавшетию и Кларджетию*, ТР, VII, გვ. 11—25.

დგე, როგორც გადმოგვეცემს მემბტიანე, — „გურგენ კურაპალატი წარმოვიდა ტაოში, კალმახით, მამულით თვისით, ცხოვრებად შავ შეთსა და არტაანს“. გურგენ I-ის დამკვიდრება შავშეთ-არტაანში მომხდარა 888—891 წლებში.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71, 109; სუმბატ დავითის-ძე, გვ. *578/348).

2. აშოტ კუხი ერისთავთა-ერისთავი, ძე გურგენ I კურაპალატისა, მთავარი შავშეთ-არტაანისა და მიმდგომ მხარეთა (896—918 წ. წ.); მის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა რამდენიმეგზის საუბარი.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 71—72, და ზემოთ, გვ. 99—100).

3. გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავი (918—941 წ. წ.), ძმისწული და მემკვიდრე აშოტ კუხისა, რომელიც თავდაპირველად იყო მთავარი შავშეთ-არტაანისა და მიმდგომ მხარეთა, ხოლო შემდეგ გახდა „დიდი იგი კელმწიფე ფრიადთა ნათესავთა“ და თავისი მფლობელობის ქვეშ გააერთიანა დიდი ნაწილი იპერიისა, მოსაზღვრე ალბანეთის მხარეებით, არტანუჯიდან ვიდრე უტის პროვინციამდე.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 72, და ზემოთ, გვ. 100—103).

გაორკვა მერჩულის თხზულებაში დაცულია აგრეთვე ცნობები შავშეთ-კლარჯეთის მხარეთა ადგილობრივი ფეოდალების — დაფანჩულთა გვარეულობის შესახებ. გიორგი მერჩულეს მოხსენებული ჰყავს მეფე-კურაპალატის აშოტ I დიდის ერისმთავარი გაბრიელ დაფანჩული და მისნი მემკვიდრენი.

გიორგი მერჩულის ცნობით დაფანჩულთა გვარეულობის სამფლობელოს შეადგენდა გუნათლე და მისი სანახები შავშეთში, აგრეთვე სოფლები ხანძთის მეზობლად კლარჯეთის სანაპიროზე. გაბრიელ დაფანჩული ყოფილა თანამოღვაწე გრიგოლ ხანძთელისა ხანძთის მშენებლობაში. ასევე გაბრიელ დაფანჩულის თანამოღვაწეობით დაუარსებია გრიგოლ ხანძთელს გუნათლის სავანე შავშეთში.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 32—39, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, გვ. 162—3).

დასასრულ, შავშეთის მოღვაწეთაგან გიორგი მერჩულეს მოხსენებული ჰყავს მწერალი სტეფანე მტბევიარი, მოღვაწე მე-10 საუკუნის პირველი ნახევრისა, რომლის შესახებაც ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 100, და ზემოთ, გვ. 12).

აქ საჭიროა დამატებით აღვნიშნოთ, რომ სტეფანე მტბევიარმა, როგორც ირკვევა, საფუძველი ჩაუყარა ადგილობრივ დიდ ლიტერატურულ ტრადიციას. ამავე პეათე საუკუნის მეორე ნახევარში ტბეთში მოღვაწეობს მეორე განთქმული ქართველი მწერალი, პოეტი ჰიმნოგრაფი იოანე მტბევიარი. ტბეთიდან არის აგრეთვე ცნობილი ქართველი მწერალი ამავე ეპოქისა დავით ტბელი, რომელიც მე-10—11 საუკუნეთა მიჯნაზე მოღვაწეობს.

8

ტაოში, ხბერი, ნიგალი.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმ დიდი კატასტროფის შესახებ, რომელიც განუცდია მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში, მურვან ყრუს ლაშქრობათა დროს, მესხეთის მხარეებს, კერძოდ, დასავლეთ მესხეთის — ქოროხის ხეობაში მდებარე მხარეებს.

გიორგი მერჩულისა და სუმბატ დავითის-ძის ცნობათა მიხედვით ქოროხის ხეობას მხარეები არაბთა შემოსევების შედეგად იმდენად გავერანებულა, რომ დიდი ნაწილი ამ მხარეთა თითქმის დაკლილა მოსახლეობისაგან; და როდესაც მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო „ახლად შენება“ ამ მხარეებისა, გიორგი მერჩულე გადმოგვეცემს, რომ ამ დროისათვის, ახალი მშენებლობის დაწყებისას, — „კლარჯეთს, და ტაოთა, და შავშეთს, და ყოველთა მათ მახლობელთა ქუეყანათა მცირედნი იპოვებოდეს დაშენებულ ტყეთა შინა ადგილადგილ“ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 29).

ამრიგად, გიორგი მერჩულის ცნობის თანახმად, ამ გავერანებული მხარეების რიცხვს ეკუთვნოდნენ: კლარჯეთი, ტაონი, შავშეთი და „ყოველნი მახლობელნი ქუეყანანი“. „მახლობელ ქუეყანათა“ სახელით აქ, პირველ რიგში, როგორც ირკვევა, იგულისხმება სპერი და ნიგალი, რომლებიც იმავე ქოროხის ხეობაში მდებარეობენ და უშუალოდ ესაზღვრებიან აქ დასახელებულ კლარჯეთ-ტაო-შავშეთის მხარეებს. რომ სპერი და ნიგალი მურვან ყრუს დროს გამხდარა უშუალო ასპარეზი არაბთა ლაშქრის თარეშისა, ამის შესახებ ჩვენ გვაქვს პირდაპირი ჩვენება მართიანეებში, სადაც მოთხრობილია, რომ დასავლეთ საქართველოდან გადმოსულმა არაბთა დამსჯელმა ექსპედიციამ, ქოროხის ხეობის ხაზით, ე. ი. ნიგალის გზით, „განვლო სპერი“. შემატინე უმატებს, რომ არაბების შემოსევის შედეგად „განწყენილ იყო ქეყანა“, „რამეთუ არღარა იპოვებოდა ნაშენები, არცა საქამადი კაცთა და პირუტყვთა“¹.

*

გიორგი მერჩულის ცნობათა მიხედვით უნდა დავასკენათ აგრეთვე, რომ ქოროხის ხეობის ზემოთ-ჩამოთვლილი მხარეებიდან (კლარჯეთი, ტაონი, ნიგალი და სპერი) არაბთა შემოსევის შედეგად განსაკუთრებით განადგურებული ყოფილა ტაოთა მხარე.

ტაონი იმდენად ყოფილა გავერანებული, რომ ზოგჯერ თვით ძველი კულტურული ცენტრების ადგილმდებარეობაც გადავიწყებული ყოფილა და აღრინდელი დასახლებული და მოშენებული ადგილები „მის ქამისა კაცთათვის მიუვალ“ კმნილ იყო. და როდესაც მე-8—9 საუკუნეთა საზღვარზე დაიწყო ხელახალი აღდგენა ამ გავერანებული ადგილებისა, აქ მოსულ მოაბალშენეებს პირველ რიგში უხდებოდათ თვით „გზისა საქმისა“ გამოძიება, რადგან „გზაჲცა მისაველად“ ძველი დასახლებული ადგილებისაქენ წარხოცილი ყოფილა და დიდ საქმედ ითვლებოდა, როდესაც მოახალშენეები შესძლებდნენ გაეკელიათ მისადგომი ადგილები ძველი მიტოვებული დაბებისაქენ².

მე-9—10 საუკუნეებში, ქართველი მოახალშენეების დაუღალავი შრომის შედეგად, ტაონი ისევ აღდგა ფერფლიდან და აყვავებულ ქეყანად გადაიქცა. ქეყანა დაიფარა ახლად გაშენებული და განახლებული სოფლებითა და დაბებით.

ტაოთა მხარის მთავარი ცენტრებია ამ ეპოქაში: ბანა, ტაოსკარი, ოლ-

¹ იხ. ჯუანშერი, გვ. *424/204—205.

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 46, — 11; შეად. 65, — 11.

თისი, კალმახი, ფანასკერტი, ხახული, ოშკი, იშხანი, ჯამროვანი, თორთომი, ქაჯის ციხე — საქართველოს შემოსავალ კაოებთან ქართლის-ყელთან (შემდეგ-დროინდელი გურჯი ბოლახი).

თუ რა სიმაღლემდე მიაღწია კულტურის დონემ ამ მხარეში დასახელებულ ეპოქაში, ამისი მაჩვენებელია მატერიალური კულტურის ძეგლები, საირიგაციო არხები, გზები, გაყვანილი ამ მხარეში, სამეურნეო ხასიათის სხვადასხვანაგებობანი. ცალკეა აღსანიშნავი ხელოვნების ძეგლები, რომლებითაც დაფარულია ტაოთა მხარე და რომელთა რიცხვს ეკუთვნიან ხელოვნების ისეთი შედეგები, როგორცაა ძეგლები ბანისა, ოშკისა, ხახულისა, იშხანისა, ეკეისა, კალმახისა, ტაოსკარისა და სხვანი.



გიორგი მერჩულის თხზულებაში ტაოს მხარეთა ისტორიულ თავგადასავალიდან განსაკუთრებით დაწვრილებით არის მოთხრობილი ტაოს ერთ-ერთი პუნქტის, იშხანის, ისტორია და ჩვენც აქ საგანგებოდ შევიჩრდებით მასზე.

გიორგი მერჩულის ცნობით, იშხანის განახლება მომხდარა დიდი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის თანამშრომელთა მიერ. იშხანის განმაახლებელი ყოფილა გრიგოლ ხანძთელის თანამოღვაწე და მოწაფე საბანი (საბა), ცნობილი საბანი იშხნელის ზედწოდებით.

საბანი იშხნელის ვინაობის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი.

საბანი იშხნელი წარმოშობით ქართლიდან ყოფილა. საბანი დაბადებულა მე-8 საუკუნის 60-იან წლებში. 780 წლის ახლო ხანებში საბანი, გრიგოლ ხანძთელთან ერთად, გადასულა სამოღვაწეოდ კლარჯეთში. მე-8 საუკუნის დასასრულსა და მე-9 საუკუნის დასაწყისში, 782 წლის ახლო ხან-დან — ვიდრე 824—825 წლებამდე, საბანი მოღვაწეობს გრიგოლ ხანძთელთან ერთად ხანძთაში.

824/5—826 წლებში გრიგოლ ხანძთელმა საბანის თანხლებით იმოგზაურა ბიზანტიაში. როგორც ვაძმოგვეცემს გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელმა და საბანმა მოიხილეს ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინეპოლი და „ყოველნი საჩინონი აღგიღნა საბერძნეთისანი“.

826 წლის დასაწყისში, ბიზანტიიდან დაბრუნებისას, გრიგოლ ხანძთელსა და საბანს გამოუელიათ გზათ ტაოზე და უნახავთ იშხანი.

იშხანი და მისი მიდამოები, გიორგი მერჩულის სიტყვით, ამ დროს სრულიად გავერანებულსა და მიტოვებულ კუთხეს წარმოადგენდა. როგორც ვაძმოგვეცემს გიორგი მერჩულე, „მის ეამისა კაცთაგან მიუვალ იყო აღგილი იგი“ და აღრინდელი „პირველი დიდებულებაჲ“ იშხანისა ამ დროს მივიწყებული ყოფილა.

საბანს, იშხანის დათვალიერების შემდეგ, გადაუწყვეტია აღდგენა იშხანისა, რაზედაც მიუღია თავისი მასწავლებლის გრიგოლ ხანძთელის დასტური. იმავე 826 წელს საბანი დაშკვიდრდება იშხანში და შეუდგება იშხანის განახლებას. საბანთან ერთად იშხანში დაშკვიდრდნენ პირველი მოახალშენეები ხანძთიდან.

უფრო გვიან, 830—840 წლებში, საბანის მიერ დაწყებულს იშხანის მშენებლობაში უშუალო მონაწილეობას მიიღებს მეფე-კურაპალატი ბაგრატ I (826—872 წ.წ.).

ბეგრატ I-ის დროსვე იშხანში დაარსებულ იქმნა საეპისკოპოსო კათედრა ტაოთა მხარისათვის. პირველ იშხნელად დადგენილ იქმნა საბანი¹.

დაწყებული ამ დროიდან, მე-9 საუკუნის პირველი ნახევრიდან, იშხანი ხდება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრი ტაოთა მხარისა. ამავე დროს იშხანი გადაიქცა განათლებისა და მწიგნობრობის მნიშვნელოვან კერად.

ძველ ქართულ ხელნაწერთა კრებულებში ჩვენ არა ერთგზის გვხვდება ცნობა, რომ ამ კრებულებში მოთავსებულ ნაწარმოებთა დედნები იშხანიდან მომდინარეობენ.

ასე, მე-10 საუკუნის შატბერთის ცნობილ კრებულში შეტანილი „კაცისა შესაქმე“, რედაქტორის ცნობით, დაიწერა „დედითა იშხნისაჲთა“².

ასევე პატერიკის ტექსტების შესახებ, რომელიც შეტანილია მე-10 საუკუნის პარხალის დიდ ქრესტომათიაში, რედაქტორი ბოლოსიტყვაობაში აღნიშნავს, რომ ეს ტექსტები „რომელი პარხალს არა ეწერა, იშხნით მოვიღე“-ო³.

სალიტერატურო ძეგლებიდან, რომლებიც დამუშავებულია ამ ეპოქაში იშხანის მხარეში, ჩვენ დრომდე მოღწეულა მარტვილობა დავით და ტირიქანისა, რომლის ტექსტი (ქართული ვერსია) მე-9 საუკუნით თარიღდება.

*

დასასრულ, აქ ჩვენ წარმოვადგენთ ზოგიერთ შენიშვნას იშხანის ჩვენ დრომდე მოღწეული არქიტექტურული ძეგლის — იშხანის განთქმული კათედრალის შესახებ.

ცნობები მშენებლობის შესახებ იშხანში ჩვენ მოგვეპოვება ადრეულ საშუალო საუკუნეებიდან, მე 7 საუკუნიდან მოკიდებული.

გიორგი მერჩულის ცნობით, ძველი კათედრალი იშხანისა (რომელიც ქრონოლოგიურად წინ უსწრებდა ამაჲმად არსებულ იშხანის კათედრალს) — აგებული იყო მე-7 საუკუნეში ადგილობრივი იერარქის ნერსე იშხნელის მიერ⁴, რომელიც ნერსე მწიგნობლის ზედწოდებით არის ცნობილი.

იშხანის ეს ძველი ტაძარი მე 7 საუკუნისა (ისევე, როგორც ნერსე იშხნელის მიერ უფრო გვიან აგებული ზეარტნოცი) — წარმოადგენდა მრგვალი ტიპის ნაგებობას, რთულ კომპოზიციას, რომლის ცენტრი იყო მაღალი ტეტრაკონქი, გარშემო წრის სახით შემოვლებული გალერეით.

ნერსე იშხნელისეული ეს ძეგლები მე 7 საუკუნისა, როგორც იშხანი, ისე მისი შემდეგდროინდელი განმეორება ზეარტნოცი, გარეგნულად თუმცა დიდად ეფექტურ ნაგებობებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მოკლებული იყვნენ სიმკვიდრეს და ადრევე დანგრეულან.

მრგვალი ნაგებობა ამავე ტიპისა, როგორიც იყო იშხანი, ჩვენ გვაქვს აგრეთვე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლში ბანაში ი, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ ბანის გენიოს ხუროთმოძღვარს თავიდან აუცრლებია ის კონსტ-

¹ იხ. გიორგი მერჩულე, 19, 43—47, 65—66, 77.

² იხ. შატბერთის კრებული მე-10 საუკუნისა (ხელნაწერი S—1141), გვ. 121.

³ იხ. პარხალის ქრესტომათია მე-10 საუკუნისა (ხელნაწერი A—95), გვ. 1222.

⁴ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 66.

რუქციული დეფექტები, რომლებიც ძველ იშხანს ჰქონდა. ბანის ხუროთმოძღვარმა შექმნა მხატვრულად კიდევ უფრო სრულყოფილი, ხოლო კონსტრუქციულად ბევრად უფრო მკვიდრი ნაგებობა, რომელმაც ურყევად გასძლო საუკუნეები.

აქ საჭიროა აღენიშნოთ ამასთან, რომ იშხანის ძველი მე-7 საუკუნის კათედრალი თუმცა დანგრეულა, მაგრამ მთლად უკვალოდ არ გამქრალა. იშხანის ამ ძველი მე-7 საუკუნის ნაგებობიდან გადაჩენილა ერთი ნაწილი, პატარა ფრაგმენტი, მრგვალი არკადა რვა სვეტზე; ეს ფრაგმენტი ძველი მე-7 საუკუნის ნაგებობისა შემოუნახავს იშხანის ახალ ხუროთმოძღვარს, რომელსაც უცვლელად ჩაუშენებია იგი იშხანის ახლად აგებულს კათედრალში¹.

ეს რაც შეეხება იშხანის მე-7 საუკუნის ძველ ტაძარსა და მისგან გადაჩენილს პატარა ფრაგმენტს.

გადავიდეთ ამის შემდეგ იშხანის ახალ კათედრალზე.

იშხანის ახალი კათედრალი სულ სხვა ტიპის ნაგებობაა, ვიდრე ძველად, მე-7 საუკუნეში აქ არსებული ძეგლი. თუ მე-7 საუკუნის ძეგლი მრგვალი ტიპის ნაგებობას წარმოადგენდა, იშხანის ახალი კათედრალი წარმოადგენს ქართული ხუროთმოძღვრების ახლად დამკვიდრებულ სახეობას, რომელშიაც ჩვენ გვაქვს სინთეზი ბაზილიკის ტიპისა ცენტრალურ გუმბათოვან ტიპთან.

იშხანის ახალი კათედრალი სამართლიანად ითვლება კლასიკური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ ბრწყინვალე შედეგად.

რა დროს ეკუთვნის იშხანის ეს ახალი კათედრალი?

ჩვენი მხცოვანი არქეოლოგი აკად. ეჭვთიშე თაკაიშვილი, რომელმაც ესოდენ დიდი ღვაწლი დასდო მეცნიერებას ტაოს მხარეში დაცული ძველი ქართული ძეგლების შესწავლით, იმ აზრს გამოსთქვამს, რომ იშხანის ახალი კათედრალი აგებული უნდა იყოსო მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში თვით საბან იშხნელის დროს².

ამ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებულ ნაშრომში არქიტექტორი ნ. სევეროვი იშხანს ბევრად უფრო გვიან ხანას მიაკუთვნებს, იგი მას მე-11—12 საუკუნეთა ძეგლად თვლის³.

ნ. სევეროვის ეს შეხედულება, რომელიც არაფრით დასაბუთებული არ ყოფილა, როგორც ირკვევა, მცდარია.

საქმე ის არის, რომ იშხანის კათედრალის ჩრდილოეთი ეკედერის კედლებზე დაცულია დიდი საისტორიო წარწერა, რომელიც ზუსტად თარიღდება 954—955 წლებით და რომლის პირი გადმოღებული აქვს ე. თაკაიშვალს; ამ წარწერის მიხედვით ცხადი ხდება, რომ, ამ დროს, მე-10 საუკუნის შუა წლებში, იშხანი ან უკვე მთლიანად აგებული ყოფილა, ან, ყოველ შემთხვევაში, ამ დროს წარმოებდა მისი მშენებლობა.

¹ ეს ფრაგმენტი იშხანის ძველი ნაგებობისა — ნაწილი საკურთხევისა — იდენტურია მრგვალი ტიპის ტაძრების, კერძოდ ბანის შესაფარდ ნაწილთან. იხ. ე. თაკაიშვილი, *Христианские памятники, МАК, XII, გვ. 115—117.*

² იხ. ე. თაკაიშვილი, წერილი: „თურქეთის მიერ მიტაცებული ჩვენს მიწაზე“ (გაზ. „კომუნისტი“, 1946 წ., № 105).

³ იხ. Н. Семенов, *Памятники грузинского водчества, 1947 . გვ. 191—2.*

აქას გარდა, იშხანში დატულია წარწერა 1032 წლისა, რომელიც მოგვითხრობს იშხანის „განახლებისა“ და „განსრულების“ შესახებ და რომლის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ძირითადი მშენებლობა იშხანისა ამაზე ადრე ყოფილა ჩატარებული.

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, მოსაზრება, თითქო იშხანის კათედრალი მე-11 — 12 საუკუნეთა ძველი იყოს, თავისთავად იხსნება, როგორც სრულიად უსაფუძვლო, ფაქტების უბრალო უცოდინარობაზე დამყარებული.

შევეცადოთ ამის შემდეგ იშხანის კათედრალის აშენების თარიღის ზუსტად განსაზღვრას.

როგორც მოვიხსენეთ, ე. თაყაიშვილს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ იშხანის ახალი კათედრალი აგებული უნდა იყოსო მე-9 საუკუნის პირველ ნახევარშივე, საბან იშხნელის დროსვე.

ფიქრობთ, რომ ეს შეხედულება არ უნდა იყოს სწორი და აი რის გამო. სრულის საფუძვლიანობით დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს დებულება, (რაც უკვე იყო მსჯელობის საგნად სპეციალურ ლიტერატურაში), რომ იშხანის ძველი მე-7 საუკუნის ტაძარი გამხდარა ერთგვარი პროტოტიპი ბანისათვის, რომ ბანის გეგმა წარმოადგენს იშხანის ტიპის მრგვალი ტაძრის გეგმის შემდგომ გაუმჯობესებას, გადამუშავებასა და განვითარებას.

ხოლო როდის არის აგებული ბანა, ეს ჩვენ ზუსტად ვიცით. სუმბატ დავითის-ძის მატრიანე გადმოგვცემს, რომ ადარნასე ქართველთა მეფემ „ალაშენა ბანა კელითა კვირიკე ბანელისაჲთა, რომელი იგი იქმნა პირველ ეპისკოპოს ბანელ“ (გვ. *578/348). მატრიანის ამ სრულიად ზუსტი ჩვენების თანახმად ბანა აგებულია ადარნერსე ქართველთა მეფის დროს, ე. ი. 888—923 წლებს შორის.

ხოლო რაკი იშხანის ძველი მრგვალი ნაგებობა მე-7 საუკუნისა გამხდარა პროტოტიპი ბანისა, რომლის გეგმაც ბანის ხუროთმოძღვარს გადაუმუშავებია, საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ იშხანის ეს ძველი ძველი გერ კიდევ არსებულა ამ დროს; და თუნდაც იგი დანგრეული ყოფილიყო, იგი გერ კიდევ მთლიანად მოსპობილი არ ყოფილა, რადგან მისი გეგმის და კონსტრუქციის გათვალისწინება შესაძლებელი გამხდარა.

ხოლო იშხანის ახალი კათედრალის მშენებლობის დაწყების დროს ეს ძველი შენობა მე-7 საუკუნისა, უკვე მოშლილი, მთლიანად დაუნგრევიათ, და მხოლოდ მისი ერთი პატარა ნაწილი (მრგვალი არკადა რვა სვეტზე) დაუტოვებიათ და უცვლელად ჩაუშენებიათ ახლად აგებულ კათედრალში.

აღნიშნულის მიხედვით ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ იშხანის ახალი კათედრალი აშენებულია ბანის აგების შემდეგ, ე. ი. არა უადრეს 888—923 წლებისა.

ამრიგად ირკვევა, რომ იშხანის ეს ახალი კათედრალი არ არის საბან იშხნელის ეპოქის (ე. ი. მე-9 საუკუნის პირველი ნახევრის) ძველი, არამედ მომდევნო ხანას ეკუთვნის.

საკითხავია ამის შემდეგ, რაში გამოიხატა ის მშენებლობა, რომელიც ჩატარებია იშხანში მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში საბან იშხნელს.

როგორც ირკვევა, ეს მშენებლობა გამოიხატა იშხანის ძველი მე-7 საუკუნის ძველის განახლებაში და არა ახალი კათედრალის აგებაში.

მართლაც, გიორგი მერჩულე ჩვენ მოგვითხრობს არა ახალი კათედრალის

აგებაზე, არამედ ძველი ძეგლების განახლებაზე. გიორგი მერჩულე აღნიშნავს, რომ როდესაც გიორგი ხანძელი და საბანი პირველად მოვიდნენო იშხანს, მათ გამოეცხადაო „იშხნისა პირველი დიდებულეაჲ“, მათ იხილესო „დაბასა მისსა (იშხნისასა) წმიდანი ეკლესიანი“. ეს მიტოვებული ტაძრები, და მათ შორის ძველი მთავარი ტაძარი — კათედრალი, ჩანს, ჯერ კიდევ არ ყოფილა დანგრეული; მაინც, როგორც ირკვევა, ეს ტაძრები საგრძნობლად დაზიანებული და მოშლილი ყოფილა და „განახლებას“ ანუ, რაც ძველ ქართულად იმასვე ნიშნავს, „მეორედ აღშენებას“ საჭიროებდა. და გიორგი მერჩულის ცნობით საბან იშხნელმა ჩაატარა ეს სარესტავრაციო — განმაახლებელი სამუშაოები, „მეორედ აღაშენა“ იშხანი¹, ანუ, როგორც მეორე ადგილას ამბობს გიორგი მერჩულე, „ქულად განაახლა“ იგი „პირველებრ“².

ამრიგად, ეს ცნობა გიორგი მერჩულის ძეგლისა საბანის მშენებლობის შესახებ, რომ საბანმა „ქულად განაახლა“ — „პირველებრ“ იშხანი, უნდა გაგებულ იქნეს პირდაპირი მნიშვნელობით, — საბანს „განუახლებია“ იშხანი „პირველებრ“, პირვანდელი სახით.

როგორც აღნიშნული გვექონდა, მრგვალი ტაძრები ამ ძველი იშხანის ტიპისა (როგორც იყო, გარდა თვით იშხანისა, მისი უფრო გვიანდელი განმეორება ზეარტნოცი და კიდევ უფრო გვიანი ხანის ძეგლი — ანისის ტაძარი), — გარეგნულად თუმცა დიდად ეფექტურ ნაგებობებს წარმოადგენდნენ, მაგრამ მათ აკლდათ სიძვედრე და არც ერთ მათგანს არ გაუძლია ხანგრძლივად.

საბან იშხნელის მიერ მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში განახლებული ძველი იშხანი ყოველ შემთხვევაში არსებულა მე-9—10 საუკუნეთა საზღვრამდე, რამდენადაც იგი, როგორც აღვნიშნეთ, გამხდარა პროტოტიპი ბანისათვის, რომელიც აგებულ იქმნა 888—923 წლებში.

მე-9—10 საუკუნეთა საზღვარზე, როდესაც შესდგომიან ბანის მშენებლობას, იშხანი, ჩანს, უკვე ნაწილობრივ გამოდიოდა მწყობრიდან, ყოველ შემთხვევაში ამ დროს უკვე აშკარა ყოფილა მისი კონსტრუქციის დეფექტები, რაც გაუთვალისწინებია ბანის ხუროთმოძღვარს მრგვალი ტაძრის გეგმის გადამუშავების დროს.

მას შემდეგ, მათე საუკუნის პირველი ნახევრის ფარგლებში, იშხანის ძველი ტაძარი უკვე საბოლოოდ გამოსულა მწყობრიდან და შესდგომიან იშხანის ახალი კათედრალის აგებას სრულიად ახალი გეგმით (რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს სინთეზს ბაზილიკის ტიპისას ცენტრალურ გუმბათოვან ტიპთან).

იშხანის ახალი კათედრალის აშენების თარიღის დაზუსტება შესაძლო ხდება ამ ძეგლის საფრესკო მხატვრობის მონაცემებისა და საისტორიო წარწერების ანალიზის საფუძველზე.

ჯერ იშხანის საფრესკო მხატვრობის შესახებ.

როგორც ეს ირკვევა ე. თაყაიშვილის მიერ გადმოღებული წარწერებიდან, იშხანის კათედრალის საფრესკო მხატვრობაში წარმოდგენილი ყოფილან შემდეგი ისტორიული პირები:

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 66, 19.

² იხ. იქვე, გვ. 46.

1. ბაგრატი მაგისტროსი, ქართველთა მეფე (937—945 წ. წ.);

2. ბაგრატი ერისთავთ-ერისთავი, ძე ადარნერსე კურაპალატისა (958—966 წ. წ.), რომელიც არის შვილიშვილი ზემოთ-დასახელებული ბაგრატი მაგისტროსისა, ქართველთა მეფისა.

3. ბაგრატი II ქართველთა მეფე, ძე სუმბატ კურაპალატისა (958—994 წ. წ.), რომელიც არის ძმისწული ზემოთ-დასახელებული ბაგრატი მაგისტროსისა, ქართველთა მეფისა¹.

ამას გარდა, იშხანში დაცულია დიდი საისტორიო წარწერა მე-10 საუკუნისა, აღმოჩენილი ე. თაყაიშვილის მიერ; ეს წარწერა, რომელიც მოთავსებულია კათედრალის ჩრდილო ეკლესიის კედელზე და რომელიც თარიღდება 954—955 წლებით, შესრულებულია ქართველთა მეფე-კურაპალატის სუმბატ I-ის დროს (მისი მფლობელობის დასაწყისში, როდესაც მას ჯერ კიდევ არ ჰქონია მიღებული კურაპალატის ტიტული, ე. ი. ზუსტად 954—955 წლებში) და იშხანის იერარქის სტეფანე იშხნელის დროს. მეფე-კურაპალატი სუმბატ I არის უმცროსი ძმა ზემოთ-დასახელებული ბაგრატი მაგისტროსისა, ქართველთა მეფისა.

დასასრულ, იშხანის კათედრალს დაუცავს სააღმშენებლო წარწერა 1032 წლისა, სადაც აღნიშნულია, რომ ბაგრატი IV-ის დროს, იშხნელმა იერარქმა ანტონ იშხნელმა „განაახლა და განასრულა ესე ტაძარი“ და რომ ხუროთმოძღვარი, რომელსაც მოუხდენია ეს „განახლება და განსრულება“ იშხანის კათედრალისა, ყოფილა იოანე მორჩააძს-ძე.

თუ ჩვენ ერთიმეორეს შეუფარდებთ ზემოთ-დადგენილ ფაქტებსა და წარწერების ჩვენებებს, ჩვენ საფუძველი გვეძლევა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. იშხანის ძველი კათედრალი, აგებული მე-7 საუკუნეში ნერსე იშხნელის მიერ და განახლებული მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში საბან იშხნელის მიერ, არსებულა მე-10 საუკუნის პირველ ნახევარამდე, ყოველ შემთხვევაში ქართველთა მეფის ადარნერსე I-ის დრომდე, ე. ი. 888—923 წლებამდე.

2. იშხანის ეს ძველი კათედრალი გამხდარა პროტოტიპი ტაოს მეორე კათედრალის ბანის ტაძრისა, რომელიც აგებულია 888—923 წლებში; ბანის ხუროთმოძღვარს, როგორც მოხსენებული გვქონდა, გაუთვალისწინებია და დაუძლევია ის კონსტრუქციული დეფექტები, რომლებიც ძველ იშხანს ჰქონდა, და შეუქმნია ახალი, მხატვრულად სრულყოფილი და კონსტრუქციულად მკვიდრი ნაგებობა, რომელიც კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ უღიადეს მიღწევას წარმოადგენს.

3. იშხანის ახალი კათედრალის აგება დაწყებულა ბანის მშენებლობის (888—923 წ. წ.) მომდევნოდ, მე-10 საუკუნის პირველი ნახევრის ფარგლებში.

ამავე დროს ისიც ირკვევა, რომ იშხანის ეს ახალი კათედრალი მთავარ ნაწილში უკვე დასრულებული ყოფილა 954—955 წლებისათვის, როგორც ამას ცხადჰყოფს იშხანში დაცული წარწერა აღნიშნულის თარიღით.

4. იშხანის საფრესკო მხატვრობაში წარმოდგენილ ისტორიულ პირთაგან ყველაზე აღრინდელია ბაგრატი მაგისტროსი, ქართველთა მე-

¹ უკანასკნელი წარწერა, რომელიც ეხება ბაგრატი II-ის, დაზიანებულია, გადაჩენილია მხოლოდ წარწერის ბოლო: „[...ძე სუმბატ კურაპალატისა]“.

ფე, რომელიც 923—937 წლების მანძილზე იყო თანამმართველი თავისი ძმებისა, 937 წელს მიუღია მეფის ტიტული, ხოლო გარდაიცვალა 945 წელს.

ბაგრატ მაგისტროსი ქართველთა მეფე, რასაკვირველია, შემთხვევით არაა წარმოდგენილი იშხანის კედლის მხატვრობაში, მას, ცხადია, კავშირი ჰქონია იშხანის მშენებლობასთან; ხოლო თუ ჩვენ გავითვალისწინებთ, რომ ბაგრატ მაგისტროსის მფლობელობის წლები (923—937—945 წ. წ.) უდგება იმ რკალს, რომლის საზღვრებშიაც, როგორც გამოიჩვენა, წარმოებდა იშხანის კათედრალის მშენებლობა (ე. ი. 888—923 წლების შემდეგ და 954—955 წლების წინ) — ჩვენ საფუძველი გვიძლევს დავასკვნათ, რომ ბაგრატ მაგისტროსი ქართველთა მეფე ყოფილა კტიტორი იშხანისა, რომელსაც ღვაწლი მიუძღვის იშხანის ამ ახალი კათედრალის მშენებლობის დაწყებასა და პირველი ძირითადი მშენებლობის ჩატარებაში.

არაა გამორიცხული, რომ ბაგრატ მაგისტროსის თანამოღვაწენი იშხანის მშენებლობის დროს იყვნენ მისი ძმები — სამეფო სახლის წევრები (რომლებიც ერთად არიან დასახელებულნი 954—955 წლების წარწერაში) და აგრეთვე, ცხადია, იმდროინდელი იშხნელი იერარქები ბასილი და სტეფანე (რომლებიც აგრეთვე დასახელებული არიან იმავე 954—955 წლის წარწერაში).

5. იშხანის კათედრალის საფრესკო მხატვრობა, როგორც ირკვევა, შესრულებულია არა უადრეს 958 წლისა, რამდენადაც აქ გამოსახული არიან ბაგრატ II ქართველთა მეფე, რომელმაც მეფობა მიიღო 958 წელს, და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, რომელმაც ერისთავთ-ერისთავობა მიიღო აგრეთვე იმავე 958 წელს. ამავე დროს ისიც ირკვევა, რომ ეს მხატვრობა შესრულებულია იმავე მე-10 საუკუნის მეორე ნახევრის ფარგლებშივე. (იგი უკვე არსებულა მე-11 საუკუნის დასაწყისისათვის, როგორც ეს ცხადი ხდება იშხანის „განმაახლებელის“ მიერ 1032 წელს ჩატარებული სამუშაოების განხილვიდან)¹.

რაკი ამრიგად იშხანის მხატვრობა, როგორც ირკვევა, მე-10 საუკუნის მეორე ნახევრის ძეგლია, 958 წლის მომდევნო დროისა, ჩვენ საფუძველი გვიძლევს დავასკვნათ, რომ იშხანის მხატვრობა შესრულებულია თვით ამ მხატვრობის ფრესკებში გამოსახული მე-10 საუკუნის მეორე ნახევრის მფლობელების ბაგრატ II ქართველთა მეფის (958—994 წ. წ.) და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის (958—966 წ. წ.) ღვაწლით.

იშხანის მხატვრობა, როგორც ირკვევა მისი გადარჩენილი ნაშთების მიხედვით, ეკუთვნოდა ძველი ქართული ფერწერის საუკეთესო ქმნილებათა რიცხვს. ამით აიხსნება ის დიდი სახელი, რომელიც იშხანის მხატვრობას ჰქონია წარსულში: მისი სახელი ანდაზაში გადასულა. ადგილობრივ, მესხეთის მკვიდრთა შორის, გავრცელებული ყოფილა შემდეგი საანდაზო თქმა: „განთქმულია — მშენება ოშკისა, ადგილმდებარეობა ხახულისა, მხატვრობა იშხანისა“.

6. იშხანის ახალი კათედრალის საბოლოო „განსრულება“ და მე-10 საუკუნის ნაგებობის ზოგიერთ ნაწილთა „განახლება“ მომხდარა მე-11 საუკუნის პირველ მესამედში. 1032 წლის წარწერაში, როგორც მოვიხსენეთ, აღნიშნუ-

¹ იხ. ქვემოთ, გვ. 391, შენიშვნა 1.

ლია, რომ ბაგრატი IV-ის დროს იშხანის იერარქმა ანტონ იშხნელმა „განაახლა და განასრულა ესე ტაძარი“, და რომ ხუროთმოძღვარი, რომელსაც მოუხდენია ეს „განახლება“ და „განსრულება“ იშხანის კათედრალისა, ყოფილა იოანე მორჩაჰას-ძე.

ახალ ხუროთმოძღვარს იოანე მორჩაჰას-ძეს (როგორც ეს გამოარკვეია ძეგლის ადგილობრივ შესწავლის დროს ე. თაყაიშვილმა), ცვლილება შეუტანია კერძოდ გუმბათის ნაგებობაში¹.

ხოლო უმთავრესად იოანე მორჩაჰას-ძეს, როგორც ირკვევა, უმუშავია ტაძრის გარეგან საშოსელზე. გარეგან შემკულობაზე (რაც სტრლისტურად სწორედ მე-11 საუკუნის დასაწყისის ძეგლებს ენათესავენ). ამრიგად, ახალ ხუროთმოძღვარს იოანე მორჩაჰას-ძეს, იშხანის „განმაახლებელსა“ და „განმსრულებელს“, ეკუთვნის ის ბრწყინვალე ორნამენტირება, რომელიც ამშვენებს იშხანის კათედრალს, კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრების ამ დიად ძეგლს.

ღ

არტაანო

გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენება არტაანის მხარის იერარქი ერუშნელი ეპისკოპოსი (გვ. 89), რომლის რეზიდენცია იყო ერუშეთი ანუ ერუშენი.

ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებათაგან ირკვევა, რომ ერუშეთი წარმოადგენდა საქართველოს ერთ-ერთ უძველეს საეკლესიო ცენტრს. ქართული საისტორიო ტრადიციის თანახმად ერუშეთი დაარსებულა მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში, იბერიაში ქრისტიანობის სახელწიფო სარწმუნოებად გამოცხადების პირველ პერიოდში, მცხეთისა და ზანგლისის საეკლესიო ცენტრებთან ერთად².

მე-5 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ვახტანგ გორგასარის დროიდან, ერუშეთში არსებობს საეპისკოპოსო კათედრა³. მისმა არსებობამ ამის შემდეგ გასტანა თორმეტი საუკუნე, ვიდრე თურქთა მფლობელობის დამყარებამდე, მე-16—17 საუკუნეებამდე.

თურქთა მფლობელობის დროს ერუშეთი, ეს ერთ-ერთი უძველესი ცენტრი მესხეთისა. განადგურებულა. კერძოდ, ერუშეთის ძველი კათედრალი ნანგრევების სახით არის მოღწეული⁴.

¹ სახელდობრ, ახალ ხუროთმოძღვარს, „განახლებითი“ სამუშაოს ჩატარების დროს, გუმბათის რვა გლუ წახნაგი შეუქვია იშვიათის ხელოვნებით შესრულებული მოჩუქურთმებული მრგვალი სარკმლებით. რომ ეს მრგვალი სარკმლები არ ჰქონდა თავდაპირველად გუმბათს და შემდეგ „განახლების“ დროს არის გაკეთებული, ირკვევა იმის მიხედვით, რომ სარკმელთა გამოკვეთის დროს დაზიანებულა გუმბათის შიგნით გამოსახული წიხასწარმეტყველთა სურათები და მათი წარწერები (იხ. ე. თაყაიშვილი, დასახ. წერილი). აქედან ისიც დასტურდება, რომ იშხანის მხატვრობა უფრო ადრინდელი ხანისაა, ვიდრე მოხდებოდა იშხანის „განახლება“ 1032 წელს.

² იხ. მაკიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ (ე. თაყაიშვილის გამოცემა, ОР, II), გვ. 714.

³ იხ. ხემოთ, გვ. 323.

⁴ ცნობები ერუშეთის კათედრალის მოღწეული ნაშთის შესახებ იხ. ე. თაყაიშვილი, Христианские памятники, МАК, XII, გვ. 69—70.

ეს რაც შეეხება ერუშეთს.

აღნიშნავთ, ამას გარდა, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენიება პუნქტი სარწები, რომელიც აგრეთვე არტაანის მხარეში მდებარეობდა¹.

0

ჯავახეთი

გიორგი მერჩულის თხზულებაში, მესხეთის სხვა მხარეებთან ერთად, დასახელებულია მხარე ჯავახეთი. აქ, ჯავახეთში, გიორგი მერჩულის ცნობით, 845—850 წლებში შეიკრიბა სრულიად იბერიის — ქართლის საკათალიკოსოს — საეკლესიო კრება, მოწვეული საქართველოს მთავრის გვარამ მამფალის მიერ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 88—96).

გვარამ მამფალი იყო თანამმართველი ქართველთა სამეფოს მეთაურის მეფე-კუროპალატის ბაგრატ I-ისა.

მემატიანის ცნობით გვარამ მამფალის სამფლობელოს შეადგენდა მესხეთისა და ქვემო-ქართლის შემდეგი მხარეები. „ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი, აშოცი და არტაანი“². რეზიდენცია გვარამ მამფალისა, ჩანს, იყო ჯავახეთში (რომელიც პარველად არის დასახელებული გვარამ მამფალის სამფლობელო მხარეთა შორის); ცხადია, ამიტომ იყო, რომ დასახელებული საეკლესიო კრება სრულიად იბერიისა (ქართლის საკათალიკოსოსი) ჯავახეთში ყოფილა მოწვეული გვარამ მამფალის მიერ.

თუ სახელდობრ რომელი პუნქტი იყო ამ დროს, მე-9 საუკუნეში, ცენტრი ჯავახეთისა, ამის შესახებ წყაროებში პირდაპირი ცნობა არ შენახულა. უფრო აღონდეგ ხანაში, მე-9 საუკუნის უწინარეს, ჯავახეთის ცენტრად დასახელებულია წუნდა, რეზიდენცია ჯავახეთის და არტაანის მხარეთა ერისთავისა³. ხოლო უფრო გვიან ხანაში, მე-10 საუკუნისა და მე-11 საუკუნის პირველ ნახევარში, ჯავახეთის მთავარ პუნქტებად მოიხსენება დლივი და ღრტილა, სადაც აქვთ სადგური, ჯავახეთში ყოფნის დროს, საქართველოს მეფეებს⁴. რაც შეეხება ჯავახეთის ახალქალაქს, იგი ხდება მთავარი პუნქტი ჯავახეთისა მე-11 საუკუნის ნახევრის შემდეგ⁵.

8

სამცხე

გიორგი მერჩულის თხზულებაში მესხეთის სხვა მხარეებთან ერთად არა ერთგზის დასახელებულია მესხეთის ძირითადი მხარე სამცხე (იხ. გიორგი მერჩულე, 38, 41, 51, 57, 76, 89).

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 115. პუნქტი ამ სახელწოდებით სარწები დღემდისაც არსებობს არტაანის მხარეში, იგი მდებარეობს 10 კილომეტრის მანძილზე ქალაქ არტაანიდან, ჩრდილო-აღმოსავლეთით.

² იხ. მათიანე ქართლისა, გვ. *451/223.

³ იხ. ლეონტი მროველი, გვ. *129/21 და სხვ.; ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *399—400/185. *391/179 (შენ. 2).

⁴ დლივის შესახებ იხ. მათიანე ქართლისა, გვ. *468/242. ღრტილას შესახებ იხ. ცხორება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა, გვ. *485/262. *494/267; სიტყვის-გება ეფთიმე გრძელისა, საქართველოს სამოთხე, 1882 წ. გვ. 615.

⁵ ქართულ მართანეებს დაუცავთ ცნობა მშენებლობის შესახებ ახალქალაქში მე-11 საუკუნის 40-იან — 60-იან წლებში. იხ. ცხორება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა, გვ. *486—7/260, *497/269.

სამცხის პუნქტებიდან გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენება ციხე-ქალაქი სამცხის მხარისა აწყური (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 51, 89).

აწყური წარმოადგენდა სამცხის მხარის ძირითადს საეკლესიო ცენტრს, აქ იყო საეპისკოპოსო კათედრა სამცხის მხარის მთავარი იერარქებისა.

საეპისკოპოსო კათედრა აწყურში, როგორც ირკვევა, დაარსებულია მე-5—6 საუკუნეთა საზღვარზე¹. იგი არსებობდა აწყურში ამის შემდეგ თორმეტი საუკუნის განმავლობაში, ვიდრე მე-17 საუკუნემდე.

სამცხის მხარის შოლვაწითაგან გიორგი მერჩულის თხზულებაში დაწვრილებით არის მოთხრობილი ბიოგრაფია გრიგოლ ხანძთელის მოწაფის ეფრემ მარწყვერელისა (იხ. ზემოთ, გვ. 349—350).

გიორგი მერჩულის თხზულება შეიცავს ცნობებს სამცხის მფლობელ მთავართა გვარეულობის (მირიანის ძეთა სახლის) შესახებ. ამ გვარეულობის წარმომადგენელი არიან მირიან (II) — „დიდებული უფალი“ სამცხისა, და მისი ძე არსენი დიდი ქართლისა კათალიკოზი. (იხ. ზემოთ, გვ. 336—337, 347—348).

გიორგი მერჩულის ცნობით სამცხიდან იყენენ წარმოშობით განთქმული მოღვაწე ქალი ფებრონია, განმაახლებელი მერის საეპისკოპოსოსა მე-9 საუკუნის დასაწყისში², და ზენონ ხანძთელი, მოწაფე და თანამოღვაწე გრიგოლ ხანძთელისა³.

✽

ქართლ-სამცხის სანაპირო მხარე თორა.

საგანეები: ნეძვი და კვირიკეთი (კვირიკეწმიდა)

გიორგი მერჩულის ცნობით ძველ-ქართული საგანეები ნეძვი და კვირიკეთი (კვირიკეწმიდა) — მდებარეობდნენ „ზოგად ქართლისა და სამცხისა არეთა“ — „კერძოთა ქართლისათა“ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 76—79).

ამრიგად, ეს ზონა ითვლებოდა ქართლისა და სამცხის სანაპირო მხარედ („ზოგად ქართლისა და სამცხის არე“-დ), ხოლო ადმინისტრაციულად იგი ქართლის ნაწილს შეადგენდა.

იმის დასადგენად, თუ სად გასდევდა მე-8—10 საუკუნეებში ქართლისა და სამცხის ადმინისტრაციული საზღვარი და სად მდებარეობდა ქართლ-სამცხის ეს სანაპირო მხარე (რომელსაც თორი რქმევეია), საჭიროა განვსაზღვროთ ადგილმდებარეობა პუნქტებისა ნეძვისა და კვირიკეთისა (კვირიკეწმიდისა).

1. ადგილმდებარეობა ნეძვისა ცნობილია. ეს პუნქტი, ნეძვი, მდებარეობს ახლანდელ ბორჯომის რაიონში, მდინარეზე, რომელსაც ეწოდება ნეძვის-ხევი და რომელიც ერთვის მტკვარს ახალდაბასთან.

2. ადგილმდებარეობა მეორე საეპისკოპოსოსა შესაძლოა მხოლოდ ზოგადად იქმნეს განსაზღვრული.

¹ აწყურის საეპისკოპოსო მოიხსენება იბერიის (ქართლის) საეპისკოპოსოთა ცნობილ სიაში 506 წლისა (იხ. ეპისტოლეთა წიგნი, 1901 წ., გვ. 182—3; უხტანეს ურჩაელი, 1871 წ., გვ. 86. აწყურელი იერარქი მოიხსენება სიაში მესამედ. სახელის დაწვრილობა დაზიანებულია, იხ. კვე-მოთ, გვ. 442, შენ. 1).

² იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 38.

³ იხ. იქვე, გვ. 41—43.

სახელწოდება ამ მეორე საეანისა გიორგი მერჩულის თხზულებაში მოიხსენება ორნაირად: კვირიკეთი და კვირიკეწმიდა (იხ. გვ. 19, 76—78).

პუნქტი ამნაირი სახელწოდებით კვირიკეთი ანუ კვირიკეწმიდა ამჟამად ცნობილი არაა.

არსებობს მხოლოდ პუნქტი, რომელსაც მსგავსი სახელი — საკვირიკე ეწოდება. საკვირიკე ჰქვიან სოფელს, რომელიც მდებარეობს ბორჯომისა და ახალციხის რაიონების საზღვართან, მტკვრის ნაპირას, 8 კილომეტრზე სოფელ აწყურისა და ჩრდილო-აღმოსავლეთით. (იქვეა მთაც, იმავე სახელწოდებით: საკვირიკე).

სახელების მსგავსების გამო შესაძლოა გვეფიქრა, რომ საკვირიკე არის იგივე კვირიკეთი ანუ კვირიკეწმიდა, მით უფრო, რომ საკვირიკე დაახლოებით იმავე ზონაში მდებარეობს, სადაც საძიებელია კვირიკეთი — კვირიკეწმიდა, ე. ი. ბორჯომისა და ახალციხის რაიონების მიდამოებში.

მაგრამ, როგორც ეს ირკვევა ქმ-16 საუკუნის დასასრულის დოკუმენტიდან — გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრიდან, საკვირიკე სხვა ყოფილა, ხოლო კვირიკეთი (კვირიკეწმიდა) სხვა.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში მოხსენებულია ორივე ეს პუნქტი. სახელდობრ ახალციხის ლივის აწყურის ნაპირს სოფლების სიაში ჩეთარამეტედ დასახელებულია სოფელი სახელწოდებით „საკვირიკე“ كورکسا, ხოლო მეშვიდედ დასახელებულია სოფელი, რომლის სახელი ორნაირად არის მოყვანილი: ერთგზის (დავთარის ძირითად ტექსტში) — „კვირიკეწმიდა“ كورکسز ميد, მეორეგზის (დავთარის სარჩევში) — „კვირიკე“ كورکس¹.

ამრიგად, გიორგი მერჩულის თხზულებაში დასახელებული „კვირიკეთი“ — „კვირიკეწმიდა“ არის ეს მეორე სოფელი, მოხსენებული გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში „კვირიკე“ — „კვირიკეწმიდა“.

თუ სად მდებარეობდა ეს სოფელი კვირიკეთი — კვირიკეწმიდა, შესაძლოა საკმაო სიზუსტით იქმნეს დადგენილი გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარის სოფლების სიის თანამიმდევრობიდან.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში სოფლები აწყურის ნაპირის ჩვენთვის საინტერესო სექტორში ჩამოთვლილია ასეთის თანრიგით:

ორფოლა, ბლორძა, ხიდეთი, გელაანთ-უბანი, კოპეთი, კვირიკეწმიდა, საყუნეთი, ტყერლოვანა.

ამ რვა სოფლიდან — ოთხი ცნობილია: ორფოლა, ბლორძა, საყუნეთი და ტყერლოვანა; ყველა ისინი დღესაც ატარებენ იმავე სახელებს და მდებარეობენ ერთ უბანში, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, აწყურის სამხრეთით. (ამჟამად არსებული ადმინისტრაციული დანაწილებით ისინი შედიან საყუნეთის სოფლის საბჭოში).

სახელწოდება მცხეთე პუნქტისა — გელაანთ-უბანი თუმცა აღარ

¹ იხ. გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, გამოცემა ს. ჯიქიასი, 1941 წ., გვ. 8, 93 (თურქული ხელნაწერის გვ. 14 და 86).

შენახულა, მაგრამ მისი ადგილმდებარეობა აგრეთვე ზუსტად ირკვევა, რადგან დოკუმენტში პირდაპირ აღნიშნულია, რომ გელანთუბანი მდებარეობსო ბლორძასთან. ასევე დაეთარში მოხსენებული სოფელი კოპეთი, რომელიც თანრიგის მიხედვით ბლორძისა და საყუნეთის სექტორში უნდა მდებარეობდეს, ცხადია, არის თანამედროვე სოფელი კოპაძე, რომელიც სწორედ ბლორძისა და საყუნეთს შორის მდებარეობს.

ამრიგად ირკვევა, რომ ყველგ ეს სოფლები მდებარეობდნენ ერთს ვიწროდ შემოფარგლულ უბანში, საყუნეთის თემის ფარგლებში, და რომ სოფლები აქ გეოგრაფიული თანმიმდევრობის მიხედვით არიან ჩამოთვლილი.

ყოველივე აღნიშნულის მიხედვით ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ გიორგი მერჩულის თხზულებაში დასახელებული კვირიკეთი (კვირიკე-წმიდა) მდებარეობდა აქ აღნიშნულ უბანში, საყუნეთის თემის ფარგლებში. სოფლების ბლორძა — კოპაძე (კოპეთი) — საყუნეთის სექტორში.

რომ კვირიკეთი — კვირიკეწმიდა მდებარეობდა აქ აღნიშნულ ზონაში, საყუნეთის თემის ფარგლებში, ამას, გარდა გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაუთარის ხეშოთ-განხილული ჩვენებისა, ადასტურებს აგრეთვე მონგოლთა ხანის ქართველი ისტორიკოსის ე-ძთა-ალმწერელის ტექსტის ცნობა.

ეამთალმწერელს მოთარობილი აქვს თათართა და ქართველთა რახმების შეტაკების შესახებ მტკერის მარჯვენა სანაპიროზე, აწყურის მახლობლად, იმ სექტორში, სადაც მტკერის მარცხენა მხრიდან შვეოთის გურაკლის-წყალი, ე. ი. ნიშნდობლივ საყუნეთის ზონაში. ეამთალმწერელი მოგვითხრობს, რომ ბრძოლის დროს დამარცხებულნი ივლტოდნენო აწყურსა და კვირიკეწმიდაში. მოკვყავს ეამთალმწერელის ტექსტი: „სამძივარი [ბრძოლის მონაწილე ქართველი მთავარი] ცხენმოკლული ცურვით ივლტოდა და აწყურს შევიდა; მკედართმთავარი თათართა ყურუმჩი ბადურ მოიკლა და [თათარნი], უწყსოდ დაბნეულნი, გზისა სამეოტოსა ვერ დამყროხლნი, შეივლტოდეს მთად რუგეთისა, აღმართსა ძნელად სავალსა, სოფელსა, რომელსა ჰქვიან კვირიკეწმიდა“¹.

მაშასადამე, ეამთალმწერელის ამ ცხობის თანახმად, კვირიკეწმიდა მდებარეობდა აწყურის მახლობლად, რუგეთის მთის კალთებზე, საყუნეთის თემის ზონაში.

რაკი ამრიგად ადგილმდებარეობა დასახელებული ძველ-ქართული სავანეებისა, როგორც ნეძვისა, ისე კვირიკეთისა (კვირიკეწმიდისა), გარკვეულია, ჩვენ საშუალება გვეძლევა განესაზღვროთ, თუ სად მდებარეობდა ქართლ-სამცხის ეს სანაპირო მხარე — „ზოგად ქართლისა და სამცხისა არენი“ და სად გასდევდა ქართლისა და სამცხის ადმინისტრაციული საზღვარი.

ქართლ-სამცხის ეს სანაპირო მხარე, „ზოგად ქართლისა და სამცხის არენი“, რომელიც მე-8—10 საუკუნეებში ადმინისტრაციულად ქართლის ნაწილს შეადგენდა, როგორც ირკვევა, მოიცავდა თანამედროვე ბორჯომის რაიონს თითქმის მთლიანად (გარდა მტკერის მარცხენა სანაპირო ზონისა, რომელიც სამცხის ფარგლებში შედიოდა)², ამას გარდა იგი მოიცავდა ბორჯომის რაიონის

¹ იხ. ეამთალმწერელი, გვ. *864—5/709—9.

² რომ მტკერის მარცხენა სანაპირო თანამედროვე ბორჯომის რაიონისა სამცხის ფარგლებში შედიოდა, ეს ირკვევა ლეონტი მროველის ტექსტის მიხედვით: ლეონტი მროველის ცნობით სამცხი; ტერიტორია აღწევდა ვიდრე ტაშისკარამაყ. ტაშისკარი კო, შესაძლოა, ყოფილიყო სამცხის საზღვარი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბორჯომის რაიონს ერთი ნაწილი სამცხის საზღვარებში იყო მოქცეული, ხოლო რაკი მტკერის მარჯვენა სანაპირო ქართლის ნაწილს შეადგენდა, მტკერის მარცხენა სანაპირო, როგორც ირკვევა, სამცხის ტერიტორია ყოფილა.

მომიჯნავე საყუნეთის სექტორს ახალციხის რაიონისას (ე. ი. სექტორს, სადაც მდებარეობდა კვირიკეწმიდა).

ასეთი ყოფილა ქართლისა და სამცხის ადმინისტრაციული საზღვარი მე-8—10 საუკუნეებში.

უფრო გვიან, მე-10—11 საუკუნეთა მიჯნაზე, საზღვარის ხაზი ოდნავ შეცვლილა. სახელდობრ, ზემოთ-დასახელებული ტერიტორიის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, — საყუნეთის სექტორი (ახალციხის რაიონისა), — და მის მეზობლად მდებარე ტაძრისის სექტორი (ბორჯომის რაიონისა), — ჩამოშორებია ქართლს და შეერთებია სამცხეს. მე-11 საუკუნის ქართულ ძეგლში, გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიაში, ტაძრისი უკვე მოიხსენება არა ქართლში, არამედ სამცხის საზღვრებში¹.

*

განვიხილოთ ამის შემდეგ საკითხი, თუ რა ერქვა ქართლ-სამცხის ამ სანაპირო მხარეს, რომლის ფარგლებშიაც მე-8—10 საუკუნეებში მდებარეობდა სავანეები ნეძვი და კვირიკეთი (კვირიკეწმიდა), და რომელი მხარეც ამ ეპოქაში ქართლის ნაწილს შეადგენდა.

საისტორიო წყაროებიდან ცნობილია, რომ უფრო გვიან ხანაში, მე-10—12 საუკუნეებიდან მოკიდებული, ქართლისა და სამცხის ამ სანაპირო მხარეს თორი ერქვა. ხოლო რა დროიდან მომდინარეობს ეს სახელწოდება? არის თუ არა იგი ძველი დროისა, ასე ეწოდებოდა თუ არა მას წინარე ეპოქაში, მე-11 საუკუნის უწინარეს ხანაში? ეს კითხვა დღემდე გარკვეული არ იყო.

მე-7—9 საუკუნეთა ძეგლის, უსახელო გეოგრაფიის იმ ნაწილიდან, რომელიც საქართველოს აღწერას შეიცავს და რომელიც დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ ყოფილა, ირკვევა, რომ სახელწოდება ამ მხარისა თორი ძველი დროიდანვე არსებულა.

მოგვეყავს ამ ძეგლიდან ერთი ნაწყვეტი, რომელიც ეხება საქართველოს იმ სექტორს, სადაც ერთმანეთს ემიჯნება მესხეთის მხარეები ჯავახეთი, სამცხე და ზენა-სოფლის (შიდა ქართლის) მხარეები:

„... (გაილის მტკვარი) ჯავახეთის ძირობაზე. ჩამოეშვება (მტკვარი) სამცხეში. მოუტყევა მტკვარი აღმოსავლეთისაკენ, გავლით ქართლის ზენა-სოფელზე, და ჰყოფს მხარეებს: თორი, გოვათის-ხევი, ტორნის-ხეობა, მანგლისის ხეობა... ხოლო ჩრდილოეთით დიდი მდინარე მტკვრისა არგვეთის მთიანეთია და იმავე მხრიდან ველი დენისა...“².

ამრიგად, ამ ტექსტის მიხედვით დასტურდება, რომ მე-7—9 საუკუნეებში სახელწოდება ქართლ-სამცხის ამ სანაპირო მხარისა, ყოფილა თორი, და რომ თორის ეს მხარე ამ ეპოქაში ქართლის ნაწილს შეადგენდა.

სახელწოდება მხარისა თორი, მომდინარეობს დაბა თორის სახელი-

¹ იხ. ცხორება გიორგი მთაწმიდელისა (ათონის კრებული, 1901 წ.), გვ. 286.

² იხ. მე-7—9 საუკუნეთა უსახელო გეოგრაფია, 1881 წ., გვ. 28. (ტექსტი დადგენილი გუაქვს ამ ძეგლის ყველა არსებული ვერსიების მიხედვით).

დან, რომელიც ამ მხარის ცენტრი ყოფილა. (ეს პუნქტი, ამავე ძველი სახელწოდებით თორი, დღემდისაც არსებობს ბორჯომის ხეობაში).

თორის სახელი რქმევია აგრეთვე მდინარესაც, რომელიც თორის-წყალის სახელით მოიხსენება.

ადგილმდებარეობა თორისა და მის მეზობლად მდებარე სადგერისა ასე აქვს აღწერილი ვახუშტი ბატონიშვილს:

„[ხანაჲ—რვილის] ხევს ზევით ერთვის მტკვარს თორის-წყალი. ამ შესართავს სამხრით არა სადგერს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით თორის მდინარე, დასავლით შავწყალი... ამ სადგერს ზევით არს დაბა თორი“¹.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ სახელწოდება ამ მხარისა თორი, რომელიც ამრიგად დამოწმებულია მე-7—9 საუკუნეებიდან, ხმარებაში იყო როგორც სახელწოდება მხარისა (სხვადასხვა ტერიტორიული მოცულობით). მე-7—9 საუკუნეებიდან მოკიდებული ვიდრე მე-14—15 საუკუნეებამდე ხოლო უფრო გვიან, მე-14—15 საუკუნეებიდან მოკიდებული, თორი, როგორც სახელწოდება მხარისა, გამოდის ხმარებიდან და მის ნაცვლად ამ მხარეს ეწოდება სადგერი (ანუ სადგერის ხეობა)². მხარის სახელის ეს შეცვლა, ცხადია, იპით ყოფილა გამოწვეული, რომ ცენტრი მხარისა უფრო გვიან ხანაში დაბა თორიდან გადატანილი იყო სადგერში.

*

გადავიდეთ ამის შემდეგ გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებზე თორის მხარეში მდებარე სავანეების ნეძვისა და კვირიკეთის (კვირიკეწმიდის) დაარსების შესახებ.

გიორგი მერჩულის ძეგლი შეიცავს შეტად მნიშვნელოვან ცნობებს ქართლ-მესხეთის ამ სანაპირო მხარის მდგომარეობის შესახებ მე-8—9 საუკუნეთა მანძილზე.

გიორგი მერჩულის ცნობების მიხედვით ირკვევა, რომ მე-8 საუკუნეში თორის მხარეს, არაბების შემოსევათა შედეგად, დიდი განადგურება განუცლია, ისევე როგორც მესხეთის მეზობელ ქვეყნებს, კერძოდ სამცხეს. გიორგი მერჩულე მოიხსენებს „ზოგად ქართლისა და სამცხისა არეთა მათ უდაბნოთა“³. ქართლ-მესხეთის ეს სანაპირო კუთხე, თორის მხარე, იმდენად ყოფილა გაეერანებული, რომ უდაბნოდ ყოფილა ქცეული.

ამ მხარის ხელახალი აღორძინება დაწყებულია მე-9 საუკუნიდან. პიონერები ახალი მშენებლობისა ამ მხარეში ყოფილან მე-8—9 საუკუნეთა დიდი ქართველი მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის ნოწაფეები, — თევდორე, რომელსაც დაუარსებია ამ მხარეში სავანე ნეძვი, და ქრისტეფორე, რომელსაც დაუარსებია სავანე კვირიკეთი (კვირიკეწმიდა).

გიორგი მერჩულის თხზულებაში მოთხრობილია ამ მოღვაწეთა ბიოგრაფიები.

¹ იხ. ვახუშტი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა, 1941 წ., გვ. 83.

² იხ. მესხეთის საეპისკოპოსოთა საღვრების აღწერილობა (ე. თაყაიშვილი, არქ. მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907 წ., გვ. 76); ვახუშტი, იქვე, გვ. 83.

³ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 76.

თვედორე და ქრისტეფორე მე-8 საუკუნის დასასრულსა და მე-9 საუკუნის პირველ ათეულ წლებში მოღვაწეობდნენ გრიგოლ ხანძთელთან ერთად კლარჯეთში.

840 წლის ახლო ხანებში თვედორე და ქრისტეფორე გადმოსულან ქართლ-მესხეთის ამ სანაპირო მხარეში და დაუარსებიათ ეს სავანეები ნეძვი და კვირიკეთი, გრიგოლ ხანძთელის დახმარებითყე.

პირველი მოახალშენეები ამ სავანეებისა, ნეძვისა და კვირიკეთისა, გადმოსულან კლარჯეთიდან, ხანძთიდან.

(იხ. გიორგი მერჩულე, 76—79, 19, 50, 51, 53, 57, 59, 60, 98, 99).

შემდგომი ისტორია თორის მხარისა იგივეა, რაც მეზობელ მესხეთის მხარეებისა.

მომღეენო ხანა, მე-9 საუკუნიდან მოკიდებული, ეს არის ეპოქა ამ მხარის დიდი აღორძინებისა.

თორი გადაიქცა საქართველოს ერთ-ერთ მოწინავე მხარედ; როგორც ცნობილია, ამ მხარიდან, თორიდან, იყვნენ მთელი წყება განთქმული სახელმწიფო მოღვაწეებისა საშუალო საუკუნეთა საქართველოში.

მე-12—14 საუკუნეებში თორი არის ცენტრი დიდი ადმინისტრაციული გაერთიანებისა, თორის საერისთავთ-ერისთავოსი, რომლის ფარგლებშიაც შედის, გარდა საკუთრივ თორის მხარისა, ჯავახეთი და მტკვრის სამხრეთი სანაპირო ქართლისა.

უფრო გვიან ხანაში, მე-16 საუკუნის მეორე ნახევრიდან მოკიდებული, როდესაც ჩრდილო-აღმოსავლეთი მესხეთის მხარეები დაიპყრეს თურქებმა, შეიკვალა აგრეთვე თორის მხარის ბედი, იწყება ხელახალი გავერანება თორის მხარისა.

მე-16 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში თურქებმა, სამცხის ალების შემდეგ, თორის მხარეც დაიპყრეს.

თუ რამდენად მძიმე მდგომარეობა შექმნილა ამ მხარეში თურქეთის ბატონობის შედეგად, ირკვევა იმის მიხედვით, რომ დიდი ნაწილი მოსახლეობისა აყრილა ამ დროს თორის მხარიდან და გადმოსულა შიდა საქართველოში.

გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარიდან ირკვევა, რომ 1595 წლისათვის, ე. ი. თურქთა მფლობელობის დამყარების პირველ ათეულ წლებშივე, თორის მხარიდან მთლიანად აყრილა 42 სოფელი, ხოლო დანარჩენი სოფლების მოსახლეობა საგრძნობლად შემცირებულა.

მას შემდეგ, მე-17 საუკუნეში, თორის მხარე ვიდრე დვირამდე თუმცა განთავისუფლებულ იქმნა თურქთაგან და ისევ ქართლს შეუერთდა, მაგრამ ვინაიდან თურქებს ეპირათ მეზობელი სამცხე, ახალციხის მხარე, რომელიც თურქთა ბატონობის ციტადელს წარმოადგენდა, თურქები გამუდმებულ თარეშს აწარმოებდნენ მეზობელ თორის მხარეში. მას შემდეგ თორის მხარეს მშვიდობიანობა აღარ ღირსებია და მოსახლეობა იძულებული გამხდარა თანდათანობით აყრილიყო ამ მხარიდან. ასე დაიკალა და გავერანდა მე-16 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული ვიდრე მე-18 საუკუნემდე თორის მხარე.

ამ დროსვე დაცლილა და გავერანებულა კერძოდ ის ძველი საეანეებიც, რომლებიც აგებული იყო ამ მხარეში გრიგოლ ხანძთელის მოწათეთა მიერ, — ნეძვი და კვირიკეთი (კვირიკეწმიდა).

ნეძვის საეანე, რომელიც საშუალო საუკუნეებში დიდი სახელით სარგებლობდა, — (კერძოდ, აქ მოღვაწიობდა მე-11 საუკუნის 60-იან წლებში განთქმული მწერალი გიორგი მთაწმიდელი), — ამეამად ნანგრეეების სახით არის მოღწეული.

რაც შეეხება კვირიკეთს (კვირიკეწმიდას), ამ პუნქტის თვით სახელწოდებაც გამქრალია და ადგილმდებარეობა ამ საეანისა დღემდე დადგენილი არაა.



ჩვენ ამით ვასრულებთ განხილვას გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებისას მესხეთზე და მესხეთის მეზობლად მდებარე თორის მხარის შესახებ.

გადაუდივართ ამის შემდეგ განხილვაზე იმ შემცდარ შეხედულებათა, რომლებიც გამოთქმული იყო ლიტერატურაში სამხრეთ-საქართველოს ისტორიის საკითხთა გამო და, კერძოდ, მესხეთის მხარეთა ისტორიის შესახებ.



VI

ისტორიული ზეზმარიტების დამახინჯება

საძარტველოს სამხრეთი მხარეების (მესხეთისა და სამხრეთი ქართლის) ისტორიის საკითხებში

ჩვენი მიზნობილვა გიორგი მერჩულის ძეგლში დაცული საისტორიო ცნობებისა მესხეთის მხარეთა შესახებ არ იქნება სრული, თუ ჩვენ აქ სპეციალურად არ შევჩერდებით ერთ საკითხზე.

საქმე ის არის, რომ საისტორიო ლიტერატურაში ფართო გავრცელება აქვს ისტორიული ქვეშარიტების ერთ დიდს დამახინჯებას, რომელიც ეხება ორი მოძმე ქვეყნის, საქართველოსა და სომხეთის, ისტორიულ წარსულს.

სახელდობრ, საისტორიო ლიტერატურაში მე-19 — 20 საუკუნეებში ფართო გავრცელება მიიღო შეადგულებამ, ვითომც მესხეთის უდიდესი ნაწილი (მესხეთის ყველა სამხრეთი პროვინციები) და ნახევარი ქართლისა (სამხრეთი ქართლი) ეს თითქოს არის ნაწილი ისტორიული სომხეთისა, რომელიც უფრო გვიან ხანაში საქართველომ ვითომც სომხეთიდან დაიპყრო და გააქართულა.

ეს კონცეფცია, რომელიც გამოთქმული ჰქონდა ზოგიერთ მწერალს და მიღებული იყო მხითარისტების საისტორიო სკოლის მიერ, თანდათანობით განმტკიცდა ევროპის არმენისტეიაში.

ცნობილი ევროპელი არმენისტი ანტუან-ჟან სენ-მარტენი, რომელიც მხითარისტების სკოლის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა, და რომელმაც პირველად გააცნო ევროპას სომხეთის ისტორიული წარსული, თავის ცნობილ შრომაში *Mémoires historiques et géographiques sur l'Arménie*, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში (1811 — 1819 წლებში) გამოქვეყნდა, იმ აზრს გამოსთქვამს, რომ ისტორიული სომხეთის ძირითად ნაწილს შეადგენდაო მთელი ქოროხის ხეობა მესხეთისა, ასევე მთელი ზემო-მტკვრის ხეობა მესხეთისა, აგრეთვე მთელი სამხრეთი ნახევარი ქართლისა.

სახელდობრ, სენ-მარტენის მტკიცებით, ძველი ისტორიული საზღვარი სომხეთისა ვითომც იწყებოდა ქოროხის ხეობის ქვემო ნაწილში (აქარასთან), აქედან გასდევდა ახალციხეზე და აწყურზე (მთელი ახალციხის მხარის, ჯავახეთის და ყველა ამის სამხრეთით მდებარე მესხეთის პროვინციების სომხეთში ჩათვლით), ხოლო შეჰდევს გადმოდიოდა თრიალეთზე (ასევე მთელი სამხრეთი ქართლის სომხეთში ჩათვლით). სენ-მარტენის დასკვნით, აქ აღნიშნული საზღვარის ხაზის სამხრეთით მდებარეობდნენო სომხური ქვეყნები გუგარქი და ტაიქი, რომლებიც სომხეთის სამეფოს დასუსტებისა და დაცემის შემდეგ საქართველომ შეიერთაო¹.

ეს შეხედულება სენ-მარტენისა სამხრეთ-საქართველოს ისტორიული პროვინციების სომხეთისადმი კუთვნილების შესახებ ფართოდ გავრცელდა და მტკიცედ დამკვიდრდა ევროპულ არმენისტეიაში მე-19 საუკუნის მანძილზე.

¹ იხ. ა.-გ. სენ-მარტენი, *op. cit.*, I, გვ. 74—86.

კერძოდ, ამავე შეხედულების გავლენის ქვეშ იმყოფებოდა პროფ. ჰ. კიპერტი, განთქმული მეცნიერი კარტოგრაფი, რომლის ცნობილ ისტორიულ რუკებზე საქართველოსა და სომხეთის საზღვრები ამ კონცეფციასთან შეფარდებით არის აღნიშნული. (ხოლო ჰ. კიპერტის მიდევნებით, ყველა ისტორიულ რუკებზე, რომლებიც შემდეგ ევროპაში ქვეყნდება, საქართველოსა და სომხეთის ისტორიული საზღვრები ასევე დამახინჯებულად არის ნაჩვენები).

*

ზემოთ-აღნიშნული შემცდარი კონცეფცია საქართველო-სომხეთის ისტორიული საზღვრების შესახებ გავრცელებით სარგებლობს აგრეთვე მე-20 საუკუნის ევროპულ არმენისტკაში ვიდრე ღღემდე. ამ კონცეფციას იზიარებდნენ კერძოდ ი. მარკვარტი და პ. ჰიუბშმანი.

ორიენტალისტ ი. მარკვარტს, თავის ნარკვევში *Eranschahr*, საქართველო-სომხეთის ისტორიული საზღვარი ვიდრე ახალციხემდე მოჰყავს: ი. მარკვარტი იმეორებს ა. ე. სენ-მარტენის შეხედულებას, ვითომც სომხური პროვინციის ტაიქის მიჯნა ახალციხემდე აღწევდაო (ახალციხის ჩათვლით). ი. მარკვარტს ისტორიული სომხეთის ნაწილად მიაჩნია, მესხეთის ქვეყნებთან ერთად, აგრეთვე ქვემო ქართლი.

არმენისტმა პ. ჰიუბშმანმა სომხეთის ისტორიულ გეოგრაფიას ვრცელი ნაშრომი უძღვნა (*Die altarmenischen Ortsnamen, mit Beiträgen zur historischen Topographie Armeniens. 1904 წ.*). პ. ჰიუბშმანს სომხეთის ისტორიულ ნაწილად მიაჩნია ქვემო ქართლი მთლიანად (ვიდრე თრიალეთის ხაზამდე); რაც შეეხება მესხეთს, პ. ჰიუბშმანი ჩრდილოეთ ნაწილს მესხეთისას საქართველოს მიაკუთვნებს, ხოლო მესხეთის სამხრეთ ნაწილს (ტერიტორიულად უდიდეს ნაწილს მესხეთისას) — სომხეთის ნაწილად სთვლის. სახელდობრ, მესხეთის ქვეყნებიდან საქართველოს (იბერიის და კოლხეთის) ნაწილად მიჩნეულია პროვინციები: სამცხე, აქარა, შავშეთი და ნიგალი; ხოლო სომხეთის ნაწილად მიჩნეულია პროვინციები: ჯავახეთი, არტაანი, კლარჯეთი (რომლებიც ვითომც სომხურ გუგარქის ნაწილს შეადგენდნენ), ტაონი (სომხ. „ტაიქ“, რომლის ფარგლებშიაც ვითომც შედიოდა როგორც სამხრეთი ტაო, ისე ჩრდილოეთი ტაო — ბანა-ოლთისის სექტორი, ამას გარდა, მტკვრის ხეობაში მდებარე არტაანის კოლა) და სპერი (ქვემო-სპერის პროვინციის მითვლით).

პ. ჰიუბშმანის დასკვნით, ყველა ეს ქვეყნები, როგორც ქვემო ქართლი, ისე მესხეთის დასახელებული პროვინციები (ჯავახეთი, არტაანი, კლარჯეთი, ტაონი და სპერი) სომხეთის შემადგენლობაში ვითომც შევიდა სომხეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების დროსვე, მე-2 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა. ამ დროიდან მოკიდებული, მთელი ანტიკური ხანის მანძილზე, — დასახელებული ქვეყნები ვითომც სომხეთის ფარგლებში იყვნენ მოქცეული; მხოლოდ მე-4 საუკუნის მეორე ნახევარში ახალი წელთაღრიცხვისა, სომხეთის სამეფოს დამცრობისა და ორად გაყოფის დროს, ქართველებმა ვითომც დაიპყრეს სომხეთიდან ქვემო ქართლი ვიდრე თრიალეთის ხაზამდე და მესხეთის პროვინციების ნაწილი: ჯავახეთი, არტაანი და კლარჯეთი. (რაც შეეხება მესხეთის უკიდურეს სამხრეთ სექტორს, ტაოსა და სპერის პროვინციებს, მათი შემოერთება საქართველოსთან კიდევ უფრო გვიან ხანას მიეკუთვნება).

ზემოთ-აღნიშნული კონცეფცია საქართველოსა და სომხეთის ისტორიული საზღვრების შესახებ (კონცეფცია, რომელიც, როგორც შემდეგ დავინახავთ, არსებითად მცდარია და ისტორიული ქვეშარიტების დამახინჯებას წარმოადგენს) — ისე გამუდმებით, იმდენად სისტემატურად მეორდება საისტორიო ლიტერატურაში მე-19 — 20 საუკუნეთა მანძილზე, ვიდრე დღემდე, რომ ამ შეხედულებამ ფართოდ გაიდგა ფესვები.

განსაკუთრებით სამწუხაროა ის გარემოება, რომ ეს შეხედულება ჩვენ გვხვდება არა მარტო მხოლოდ სპეციალურ საისტორიო ლიტერატურაში, არამედ იგი მიღებულია სასკოლო სახელმძღვანელოებშიაც კი, რომლებიც ამ ბოლო დრომდეც ქვეყნდება.

ასე, საშუალო სკოლის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში, რომელიც 1944 წელს გამოქვეყნდა, სომხეთის საზღვრებში აღნიშნულია ისტორიული ტერიტორიები სამხრეთი ქართლისა და მესხეთისა (ზემო-მტკვრისა და კოროხის ხეობებში), რომლებიც სომხური გუგარქისა და ტაიქის სახელით არიან მონათლული. ამ სახელმძღვანელოს შესავალ ნაწილში, სადაც მოცემულია მიმოხილვა სომხეთის ისტორიული ტერიტორიისა, ჩვენ ვკითხულობთ:

„К северу и северо-западу от Айрарата находились области Гугарк и Тайк (в верхнем течении реки Куры и среднем течении Чороха, на границах с Грузией)...

Горная область Тайк, где течет река Чорох, расположена севернее „Высокой Армении“ (Бардзерж-Хайк, провинция Великой Армении)..

К востоку от Тайкской области, в северной части Великой Армении, расположен бассейн верхнего течения р. Куры. Еще восточнее идут горы Малого Кавказа — Мокрые горы (Джавахотские горы), Тriaлетский хребет и Сомхетские горы, с вершинами Лок и Лалвар.

В пределах северной Армении находятся озера Чалдыр и Арна..

В северной части Армении, между Мокрыми и Сомхетскими горами, расположено вулканическое Лорийское плато...¹ და სხვ.

მოკლედ, ისტორიული სომხეთის ნაწილად აქ ჩათვლილია სამხრეთი ქართლისა და სამხრეთი მესხეთის ტერიტორიები ზემო-მტკვრისა და ზემო-კოროხის ხეობებში.

ავიღოთ აგრეთვე ამ ბოლო დროს გამოცემული „Атлас Истории СССР, часть I, для средней школы“ (под общей редакцией проф. К. В. Базилиевича, И. А. Голубцова, М. А. Зиновьева. 1948 г. Утвержден Министерством Просвещения РСФСР). ამ ატლასში, რუკებზე 3, 3-6, 5-ა და 5-ბ ისტორიული საზღვრები სომხეთისა ნაჩვენებია ზემოთ-აღნიშნულ კონცეფციასთან შეფარდებით.

რუკაზე 3-6, სადაც აღნიშნულია სომხეთის საზღვრები მე-3 საუკუნისა (ძველი წელთაღრიცხვით), სომხეთის ფარგლებში ნაჩვენებია მტკვრის სათავეები, კოროხის ხეობით.

რუკებზე 5-ბ და 3 სომხეთის საზღვრები მეორე-პირველი საუკუნეებისა (ძველი წელთაღრიცხვით, 189 წლიდან მოკიდებული ვიდრე პირველი საუკუნის შუა წლებამდე), ასეა აღნიშნული: სომხეთის საზღვრებში მოქცეულია მთელი სამხრეთი ქართლი ვიდრე არმაზ-მცხეთამდე და, ამას გარდა, მესხეთის უდიდესი ნაწილი, სახელდობრ, ტერიტორია შემდეგი 7 პრო-

¹ იხ. История Армении, 1944 წ., გვ. 8, 3.

უნციისა: ჯაეხეთისა, არტანისა, კლარჯეთისა, შავშეთისა, ნიგალისა, ტაოთა და სპერისა. (მესხეთის ქვეყნებიდან სომხეთს გარეთ დარჩენილია მხოლოდ სამცხე და აქარა).

რუკაზე 5-მ, სადაც აღნიშნულია სომხეთის საზღვრები პირველი საუკუნიდან მეოთხე საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვით (62 — 387 წ.), სომხეთის ფარგლებში ნაჩვენებია იგივე ტერიტორია, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ სომხეთის ფარგლებს გარეთ დატოვებულია ნიგალისხევი (რომელიც დასავლეთ საქართველოსთან არის მითვლილი); სომხეთთან აქ მითვლილია მთელი სამხრეთი ქართლი ვიდრე მცხეთა-არმაზამდე და მესხეთის 6 პროვინცია (ჯაეხეთი, არტანი, კლარჯეთი, შავშეთი, ტაონი, სპერი).

*

საქართველო-სომხეთის ისტორიის აქ დასახელებულ საკითხთა დამახინჯებით გაშუქებაში თავისი „წვლილი“ შეიტანა კერძოდ აკადემიკოსმა ნ. მარმა.

აქ საჭიროა საგანგებოდ შევიჩრდეთ ამ საგანზე, რადგან ნ. მარმა თავისი მცდარი დებულებანი დაუკავშირა სწორედ იმ ძეგლის განხილვას, რომელიც აქ ჩვენი შესწავლის საგანს შეადგენს, გიორგი მერჩულის ნაწარმოებს — «ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა».

სახელდობრ, მესხეთის ის ნაწილი, — კლარჯეთი, რომელიც გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის უშუალო ასპარეზს წარმოადგენდა, კლარჯეთი, სადაც მე-8 — 9 საუკუნეთა მანძილზე განთქმული ქართველი მოღვაწეების გრიგოლ ხანძთელისა და იბერიის მეფე-კურაპალატის აშოტ I დიდის დროს დაირწა აკვანი საქართველოს კულტურული და პოლიტიკური აღორძინებისა, — ეს მხარე, კლარჯეთი, ნ. მარმა ეთნოგრაფიულ სომხეთად გამოაცხადა.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ საისტორიო ლიტერატურაში იყო სისტემატური ცდა სამხრეთი ქართლისა და მესხეთის მხარეების, მათ შორის კლარჯეთის, სომხეთის პროვინციებად გამოცხადებისა, მაგრამ ნ. მარმა ამ მხრივ, ისტორიული ქეშპარიტების დამახინჯებაში, შეიძლება ითქვას — ერთგვარ მწვერვალს მიიღწია.

სახელდობრ, ის მკვლევარნი, რომელნიც გამოსთქვამდნენ მოსაზრებას, რომ ქვემო ქართლისა და მესხეთის მხარეები, მათ შორის კლარჯეთი, სომხეთის ნაწილს შეადგენდაო, ამას მაინც მიაკუთვნებდნენ შედარებით შორეულ წარსულს; ხოლო ნ. მარმა თარიღი მნიშვნელოვნად გადმოსწია ახალი საუკუნეებისაკენ.

ასე, მაგალითად, არმენისტები ჰ. ჰიუბშმანი და ნ. ადონცი იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ დიდი ნაწილი საქართველო-სომხეთის „სადაო“ სანაპირო ტერიტორიებისა ქართველებმა შეიერთესო ჯერ კიდევ ანტიკური ხანის დასასრულს, მე-4 საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა. ჰ. ჰიუბშმანისა და ნ. ადონცის დასკვნით ამ დროიდან (მე-4 საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვისა) — საქართველოს საზღვრებშია მოქცეული სამხრეთი ქართლი მთლიანად და მესხეთის პროვინციების მთავარი ნაწილი, მათ შორის კლარჯეთი. მხოლოდ შემოერთება საქართველოსთან მესხეთის უკიდურესი სამხრეთი ნაწილისა — ტაოს ზონისა — მიკუთვნებულია უფრო გვიანი ხანისათვის, მე-8 საუკუნის შემდეგ.

ხოლო ნ. მარის მტკიცებით, შემოერთება საქართველოსთან როგორც ტაოს ზონისა, ისე აგრეთვე კლარჯეთისაც, ვითომც მხოლოდ ამ გვიან ეპოქაში, მე-8 — 9 საუკუნეებში მოხდა.

მაგრამ ეს ცოტაა. ნ. მარის დასკვნით, თუმცა კლარჯეთი, ტაოსთან ერთად, შემოერთებულ იქმნაო საქართველოსთან მე-8 — 9 საუკუნეებში, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობით იგი, ვითომც, ამის შემდეგაც სომხური დარჩა.

კლარჯეთი, ისევე როგორც ტაო, დასახლებული იყო სომხებით, რომლებიც: სარწმუნოებით ქალკედონიტები (ე. ი. მართლმადიდებლები) იყვნენ. კლარჯეთისა და ტაოს მოსახლეობას ვითომც აერთებდა საქართველოსთან მხოლოდ ეს სარწმუნოებრივი ერთობა (მართლმადიდებლობა — ქალკედონიტობა). ამ სარწმუნოებრივი ერთობის ნიადაგზე მოხდაო თანდათან დაახლოება კლარჯეთის და ტაოს სომხობისა ქართველობასთან და შემდეგ თანდათან მათი გაქართველებაო. ეს პროცესი კლარჯეთისა და ტაოს სომხური მოსახლეობის გაქართველებისა, რაც ნ. მარის დასკვნით ვითომც მე-8 — 9 საუკუნეებში დაიწყო, გაგრძელდა ამის შემდეგ მთელი საუკუნეები და არ იყო დასრულებული თვით მე-11 საუკუნის დასასრულსაც კი; ამ დროისათვის, მე-11 საუკუნის დასასრულისათვის, კლარჯეთისა და ტაოს მოსახლეობა ჯერ კიდევ ვითომც ორ-ენიანი იყო და თუმცა ქართული შეთვისებული ჰქონდა, მაგრამ სომხური დედა-ენა ჯერაც დავიწყებული არ ჰქონიაო. ამრიგად, ნ. მარის მტკიცებით, კლარჯეთისა და ტაოს მოსახლეობა, თვით შემდგომ ხანაშიაც, ეს იყვნენ არა ქართველები, არამედ ძირითადად გაქართველებული სომხები.

ასეთია ნ. მარის კონცეფცია მესხეთის ამ მხარეების — კლარჯეთისა და ტაოს ისტორიის შესახებ.

ჩვენ მოგვიხდება დეტალურად განხილვა ნ. მარის ამ შეხედულებათა, საიდანაც ცხადი გახდება, რომ ნ. მარის ეს კონცეფცია თავიდან ბოლომდე მცდარია და ყალბი.

მაგრამ წინასწარ საჭირო იქნება უფრო დაწვრილებით გავეცნოთ ნ. მარის დებულებებს აქ აღძრულ საკითხთა გამო ნ. მარის სხვადასხვა დროის ნაწერების მიხედვით.

*

პირველი ნარკვევი, სადაც ნ. მარმა ფართოდ გაშალა ეს კონცეფცია კლარჯეთისა და ტაოს მხარეთა შესახებ, ეს არის ნ. მარის წერილი „Армяны, монгольское название христиан, в связи с вопросом об армянах халкедонитах“, რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა. ეს წერილი ერთგვარი შესავალია იმ გამოკვლევისა, რომელიც შემდეგ ნ. მარმა დაურთო გიორგი მერჩულის ძეგლის — გრიგოლ ხანძთელის ცხორების გამოცემას.

„Армяны“-ში ნ. მარი შემდეგსა წერს კლარჯეთისა და ტაოს მხარეთა შესახებ, რომელთა მოსახლეობას ვითომც სომეხი ქალკედონიტები (სომეხი მართლმადიდებლები) შეადგენდნენ:

„...В связи с национализацией армянской антихалкедонской церкви, в среде халкедонитов (армян) происходит обратное явление, именно денационализация, нанесшая армянскому народу громадный ущерб, в численный и нравственный... Благодаря этому процессу денационализации армян-халкедонитов, Грузия обогатилась двумя областями в высшей степени производительными, прямо таки блестящими в культурной жизни Грузии. Речь идет о Тао и Кларджетии...“

„В начале 8-го века положение армян халкедонитов в Армении... было еще настолько прочно, что они стремились к господству. Северо-западная Армения, с областями Кларджик (Кларджетия) и Тайк (Тао), в это время была в их руках. Халкедонитство здесь находило горячую поддержку не только в греках, но и в грузинах... Артануджские Багратиды, владетели края, были уже халкедониты, и это не мало способствовало торжеству халкедонитов на этой окраине...“

... Здесь (в Кларджетии и Тао) обосновываются монашеские гавуины, все на Фавдовешких армянских постройках... И в эту же эпоху, в 9-ом, даже в 10-ом веках, гавуины монахи были окружены хотя и единоверными, но все-же иноподобными армянским населением, и несмотря на политическое господство гавуин, право называть страну грузинской, они основывали на том, что в церквях богослужение происходило на грузинском языке¹.

1906 წელს ნ. მარმა გამოსცა არაბული ვერსია გრიგოლ პართელის ცხოვრებისა, რომლის შესავალში ნ. მარი ეხება იმავე საკითხს კლარჯეთისა და ტაოს შესახებ. ნ. მარი აღნიშნავს, რომ არტანუჯში ვითომც არსებობდა სომხური საპიტიახშო („Артануджское бдешхство“ — „армянское бдешхство в бассейне реки Артанудж“); ამ სომხური საპიტიახშოს არსებობამ არტანუჯში ვითომც გასტანა მე-8 საუკუნის ნახევრამდე, რის შემდეგაც ეს მხარე, ნ. მარის სიტყვით, ქართველების გავლენის ქვეშ მოექცაო. „Со второй половины 8-го века, — წერს ნ. მარი, — в Тао-Кларджетии начинается грузинское церковное строительство, армянское халкедонитское население грузинизируется“.

ხოლო საკითხავია, საიდან ჩანს, რომ მე-8 საუკუნის ნახევრამდე არტანუჯში ვითომც არსებობდა სომხური საპიტიახშო?

ამის საბუთად ნ. მარი იმას ასახელებს, რომ გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ ვერსიაში ვითომც მოიხსენება არტანუჯის საპიტიახშო, როგორც შემადგენელი ნაწილი სომხეთის სამეფოსიო.

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა გამოგვეჩვენა, რომ ნ. მარის ეს ცნობა არტანუჯის სომხური საპიტიახშოს შესახებ ტენდენციურს, ყალბ ცნობას წარმოადგენს. გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ ვერსიაში, როგორც გამოირკვა, არავითარ არტანუჯის საპიტიახშოს შესახებ არაა საუბარი; გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ ვერსიაში დასახელებული ყოფილა არა არტანუჯის საპიტიახშო (რომელიც იბერიაში, ქოროხის ხეობაში მდებარეობდა), არამედ არზანენის საპიტიახშო, რომელიც სულ სხვა ზონაში, ტიგროსის ხეობაში მდებარეობდა².

მაგრამ ნ. მარის ცნობათა ტენდენციურობისა და მცდარობის შესახებ ჩვენ უფრო დაწვრილებით შემდეგ გვექნება საუბარი.

1911 წელს ნ. მარმა გამოაქვეყნა ტექსტი გიორგი მერჩულის ძეგლისა — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა, რომელსაც შესავალის სახით დაურთო გამოკვლევა.

ამ შესავალ გამოკვლევაში ნ. მარი, ეხება რა გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის უშუალო ასპარეზის — კლარჯეთის მხარის ისტორიას, აღნიშნავს, რომ ვითომც კლარჯეთის მხარეში რამდენჯერმე შეიცვალა მოსახლეობის შემადგენლობა.

ნ. მარი კლარჯეთის მხარის ისტორიის გამო აყენებს შემდეგ დებულებებს:

1. კლარჯეთი ანტიკურ ხანაში, უძველეს პერიოდში („на заре исторической жизни“), ნ. მარის დასკვნით, დასახლებული იყო „თუბალ-კაინური“ (მეგრულ-ქანური) ტომებით;

¹ იხ. ნ. მარი, Аркауи..., გვ. 16 — 17, 6, 22.

² იხ. ზემოთ, გვ. 368—376.

2. შემდეგს მეორე პერიოდში კლარჯეთი ვითომც შედის სომხეთის ფარგლებში და მოსახლეობაც აქ სომხური ხდება;

3. კლარჯეთის ისტორიის მესამე პერიოდში, რომელიც დაიწყო მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან (ახალი წელთაღრიცხვით) კლარჯეთი ვითომც მოექცევა ქართველების გავლენის ზონაში და ვითომც მომდევნო მე-9 — 11 საუკუნეთა მანძილზე წარმოებს კლარჯეთის სომხური მოსახლეობის თანდათან გაქართველება;

4. უკანასკნელ მეოთხე პერიოდში (მე-16 საუკუნიდან მოკიდებული) მოხდაო კლარჯეთის მოსახლეობის გათურქება.

5. მარი, გრიგოლ ხანძთელის ცხორების გამოცემასთან დართულს შესავალ წერილში, წერს:

„Поле ближайшей деятельности Григория Хандзитийского, окрещенное тогда же в Грузинский Сипай (=Кларджетли или Кларджия), настолько изолировано природой, что казалось бы, течения окружающей исторической жизни должны были без особого следа проходить мимо. Между тем все сколько нибудь серьезно и длительные исторические процессы, а их в жизни края были несколько, оставили глубокие следы в Кларджии...

„Кларджия, и тесно связанная с ней область Таля, на заре исторической жизни является с тубал-кайнским (— мегрело-чанским) населением, родственным грузинскому...

„Органической и реальной историей края, серьезными и длительными историческими процессами, объясняется то, что население края из афетических племен тубал-кайнской (— мегрело-чанской) группы перерождается в армян, из армян перерождается опять в ифетидов, но грузин, из грузин перерождается в турок.

„Перерождение грузин в турок, составляющее последний период в жизни края, засвидетельствовано достаточно хорошо. Процесс отуречения прошел три момента, Сначала это политическое праствало край в турецкий государственный организм, затем религиозная переработка — обращение в мусульманство, довершившееся лишь в XVIII — XIX веках, и наконец лингвистический момент процесса“¹.

ამის შემდეგ ნ. მარი ეხება კლარჯეთის ისტორიის უძველეს პერიოდს, როდესაც ვითომც „თუბალ-კაინური“ კლარჯეთი სომხეთში გადავიდა და მოსახლეობაც კლარჯეთისა სომხური გახდა. ნ. მარი წერს:

„Для древнейшего исторического процесса, перерождения тубал-кайнов нашего края в армян, мы располагаем столь скудными данными, что пока можем утверждать самый факт, но не можем представить исторического развития этого дела“. ნ. მარი ასახელებს ერთადერთ წყაროს, იოანე მამიკონიანის მატეანეს, რომელიც მე-7 საუკუნეს ეხება, და საიდანაც ვითომც ირკვევა, რომ აქ ადგილი ჰქონდაო „სომხურ იმიგრაციულ მოძრაობას“².

ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ იოანე მამიკონიანის მატეანეს და ვნახავთ, რომ არაფერი ამის მსგავსი ამ ავტორს მოთხრობილი არა აქვს. პირიქით, იოანე მამიკონიანის მატეანიდან სულ სხვა რამ ირკვევა, სახელდობრ ის, რომ კლარჯეთი მე-7 საუკუნეში ქართულ მხარეს წარმოადგენდა. ნ. მარი სრულიად თვითნებურსა და ტენდენციურ განმარტებას აძლევს იოანე მამიკონიანის ტექსტს-

¹ იხ. ნ. მარი, დასახელებული გამოკვლევა, გვ. II — III.

² იხ. იქვე, გვ. III — IV.

ისევე როგორც „არზანენა“ ნ. მარის ხელში „არტანუჯად“ იქცა, ასევე ტენდენციურია და მცდარი ნ. მარის ინტერპრეტაცია იოანე შამიკონიანის მატრიანისა.

მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. აქ კი ჯერ დავუბრუნდეთ ნ. მარის ნარკვევს.

ნ. მარი ამის შემდეგ ეხება კლარჯეთის ისტორიის შემდეგს პერიოდს, როდესაც ეს ვითომცდა სომხური მხარე — ქართულად გადაიქცა (— „среднего исторического процесса обращения края из армянского в грузинский“); ნ. მარის მტკიცებით ამ პროცესმაც ვითომც სამი ფაზა განვლო: პოლიტიკური, სარწმუნოებრივი და ენობრივი: „Процесс грузинизации края [обращение края из армянского в грузинский] — прошел также три момента: политический, религиозный и лингвистический“¹.

ნ. მარის მტკიცებით, კლარჯეთის მხარე საქართველოს პოლიტიკური გავლენის სფეროში ვითომც მოექცა მე-8 საუკუნის ნახევრის შემდეგ. ამ დროიდანვე, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-9 საუკუნის დასაწყისში, ვითომც პირველად წარმოებებს ქართული სამონასტრო მშენებლობა კლარჯეთში და ქართული ეკლესიის გავლენის განმტკიცება ამ მხარეში; ამას კი ვითომც შედეგად მოჰყოლია კლარჯეთის სომხების ქართულ ეკლესიასთან დაკავშირება, რაც კიდევ უფრო გააადვილა იმ გარემოებამ, რომ ამ მხარის სომხობა მართლმადიდებლობას (ქალკედონიტობას) მისდევდაო. ნ. მარის ცნობით ვითომც ირკვევა, რომ კლარჯეთის მხარის მკვიდრი მოსახლეობა — „армянское население было халкедонитское (православное), и оно после появления грузинских обитателей, продолжало долго, вплоть до конца 11-го века, сохранять параллельно с грузинским родной армянский язык, из которого в то же время в местную грузинскую речь и в грузинские литературные памятники, возникшие на месте, естественно входили лексические и иные арменизмы.

„Есть и в самом житии намек на то, что грузинский язык в Кларджии был лишь церковным, а не разговорной речью всего населения даже в половине 10-го века, когда писал Георгий Мерчуг“².

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ნ. მარის მტკიცებით, განთქმული ქართული სავანეები კლარჯეთში ვითომც არაა ქართული წარმოშობისა, ეს სავანეები აღრინდელ ხანაში ვითომც სომხების მიერ იყო დაარსებული. ქართველები კლარჯეთში მოსვლის დროს, გვიან ხანაში (მე-8 — 9 საუკუნეებში), მხოლოდ დამკვიდრდნენ სომხების მიერ აშენებულს ამ მონასტერ-სავანეებში, რომლებიც სომხების მიერ მიტოვებულ იქმნნენ არაბების შემოსევის შედეგად.

ნ. მარი წერს:

„Грузинские монахи и в Кларджии нашли армянские монастырские постройки в состоянии полного разорения или запущенности, после какого-то разрушения.

„Во всем крае, пишет агиограф, был всего один монастырь, Ошкза, по всей видимости уже грузинский“³.

¹ იხ. ნ. მარი, იქვე, გვ. IV.

² იხ. იქვე, გვ. XVI.

³ იხ. იქვე, გვ. XV.

ბ. მარი შენიშნავს ოპიზის შესახებ:

„Первая грузинская монастырская колония в Кларджии (Опиза) осела на одном из совершенно свежих пепелищ армянских обитателей, так как арабы предали край огню и мечу при Халифе Хишаме (724 — 744) в 730-м или 731 году...“¹

ამრიგად, ნ. მარის ცნობით, ოპიზა ვითომც სომხურს მონასტერ-სავანეს წარმოადგენდა, რომელიც შემდეგ ქართველებმა დაიპირესო. მაგრამ ეს ცოტაა. ნ. მარის დასკვნით ვითომც სომხური წარმოშობისა იყო არა მარტო ოპიზა, არამედ კლარჯეთის ყველა დანარჩენი სავანეები. ნარკვევში „Аркауи...“ ნ. მარი წერდა: „Здесь (в Кларджетии и Тао) обосновываются монастырские грузины, все на овдовевших армянских постройках...“².

მაშასადამე, ნ. მარის დასკვნით გამოდის, რომ ვითომც სომხური წარმოშობისა ყოფილა საქართველოს სინაის ყველა განთქმული ქართული სავანეები, როგორც ოპიზა, ისე ხანძთა, შატბერთი, მერე, დაბა, მიძნაძორობა, ბარეთელთა, წყაროსთავი, ბერთა, ჯმერკი, პარეზნი, დოლისყანა...

აქვს კი რაიმე საერთო ნ. მარის ამ მტკიცებას ისტორიულ სინამდვილესთან? როგორც შემდეგ დავინახავთ, არავითარი.

აქ ისტორიული ქეშმარიტების ტენდენციური დამახინჯება მართლაც რომ ყოველგვარ საზღვარს სცილდება.

*

ასეთია ის შეხედულებანი, რომელნიც გამოსთქვა ნ. მარმა გიორგი მერჩულის ძეგლის — გრიგოლ ხანძთელის ცხორების — შესავალ წერილში, სადაც მან გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ადგილი — კლარჯეთის მხარე — არაქართულ ქვეყნად აღიარა, ხოლო საქართველოს სინაის ყველა ქართული სავანეები არაქართული წარმოშობისად გამოაცხადა.

ეს შეხედულება კლარჯეთის შესახებ ნ. მარს განმეორებული აქვს მთელ რიგ სხვა ნარკვევებში.

ცალკეა აღსანიშნავი ნ. მარის ნარკვევი: „Батум, Ардаган, Карс, — исторический узел международных отношений Кавказа“, რომელიც ლექციად იყო წაკითხული 1918 წელს და შემდეგ ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1922 წელს.

ამ ნარკვევში ნ. მარი ეხება როგორც კლარჯეთსა და ტაოს, ისე მესხეთის სხვა მხარეთა საკითხსაც.

1. კლარჯეთის შესახებ ნ. მარი კვლავ იმეორებს და ავითარებს თავის ძველ კონცეფციას, რომ კლარჯეთი ვითომც მხოლოდ მე-8 საუკუნის შემდეგ ხდება ქართულ მხარედ³.

2. ზემო-მტკვრის ხეობის — არტაანის მხარის შესახებ ნ. მარს გამოთქმული აქვს მოსაზრება (სრულიად დაუსაბუთებლად!), რომ ვითომც არტაანის მხარე ისტორიულ წარსულში ყოველთვის არ იყოო საქართველოს ფარგლებში, არა-

¹ იხ. ნ. მარი, იქვე, გვ. XXII.

² იხ. ნ. მარი, Аркауи, გვ. 22.

³ იხ. დასახელებული შრომა, გვ. 40—43, 21 და სხვ.

შედ ზოგჯერ სომხეთისადმი კუთვნილ ყარსის მხარესთან იყო დაკავშირებული¹.

3. ნ. მარს გამოთქმული აქვს მოსაზრება, აგრეთვე სრულიად დაუსაბუთებლად, რომ გოგარენი — გუგარქი (რომელიც ერთხანად ანტიკურ ხანაში სომხებს ჰქონდა დაპყრობილი), ვითომც შეიცავდაო კერძოდ სამცხესაც, ე. ი. ახალციხის მხარეს². ნ. მარი ამრიგად „აფართოებს“ ჰ. ჰიუბშმანისა და ნ. აღონციის მიერ მოხაზულს გოგარენის ტერიტორიას. (ჰ. ჰიუბშმანისა და ნ. აღონციის დასკვნით სამცხე-ახალციხის მხარე გოგარენის ფარგლებში არ შედიოდა).

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ ნ. მარს ეს ნარკვევი Батын, Ардган, Карс — აშკარად ტენდენციურ ხასიათს ატარებს. ამ ნარკვევში საქართველოსა და სომხეთის ისტორიის სრულიად ნათელი საკითხები ტენდენციურად არის ერთგვარ ბურუსში გახვეული.

ნ. მარს სიტყვით მესხეთის მხარეში იმდენად გადაჯაჭვულიაო ერთმანეთთან კავკასიელ ხალხთა ისტორია, რომ ეს მხარე, მესხეთი, წარმოადგენსო კავკასიელ ხალხთა ეროვნული ინტერესების ერთგვარ გაუხსნელ კვანძს; ნ. მარი წერს: „...наш край не только узел, но и неразвязываемый узел общих кавказских интересов, и армян, и грузин, а ныне и турец мусульман“³.

ცალკეა აღსანიშნავი ნ. მარს ორქოფული პოზიცია არტაანის (არტაან-კოლას) და აგრეთვე ტაოს მხარის ეროვნული კუთვნილების საკითხში, საკითხში — თუ რომელ ერს აქვს ამ მხარეებზე ისტორიული უფლებები. თუმცა ნ. მარი ამ ორი მხარის — არტაანის (არტაან-კოლას) და ტაოს — ეროვნული კუთვნილების საკითხის გამო მთელი ნარკვევის მანძილზე პირდაპირსა და გარკვეულს არას ამბობს და ბუნდოვანი შენიშვნებით კმაყოფილდება, მაგრამ საბოლოო დასკვნებში იგი ამჟღავნებს თავის პოზიციას. ნ. მარი ამ დასკვნებში იმ აზრს ატარებს, რომ ბათუმის მხარე უნდა ჩაითვალოს საქართველოს ეროვნულ ტერიტორიად, ხოლო ყარსის მხარე — სომხეთის ეროვნულ ტერიტორიად⁴. ხოლო რამდენადაც არტაანისა და ოლთისის ოლქები აღმინისტრაციულად ყარსის მხარეში იყო მოქცეული, ამდენად ნ. მარი არტაანისა და ოლთისის ოლქებს (ე. ი. ისტორიული მესხეთის არტაან-კოლასა და ტაოს პროვინციებს) გამორიცხავს საქართველოს ეროვნული ტერიტორიის შემადგენლობიდან.

*

როგორც ცნობილია, ნ. მარი კავკასიის ხალხთა ისტორიის დიდ და განუსჯელ ავტორიტეტად ითვლებოდა და ამიტომაც ნ. მარს ზემოთ-აღნიშნულმა შეხედულებამ მესხეთის მხარეთა ისტორიის საკითხთა გამო, შეხედულებამ, რომ გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის უშუალო ასპარეზი — კლარჯეთის მხარე ვითომც არ იყო ძირეული ქართული ქვეყანა, ამ შემცდარმა და ტენდენციურმა კონცეფციამ ფართო გავრცელება მიიღო. ეს შეხედულება განმტკიცდა რუსულ და ევროპულ სპეციალურ ლიტერატურაში.

¹ იხ. ნ. მარი, დასახელებული შრომა, გვ. 5—6.

² იხ. გვ. 6.

³ იხ. გვ. 8.

⁴ იხ. გვ. 47—48.

ამ შეხედულებას მიმდევრები და დამცველები გამოუჩნდნენ ქართველ მკვლევართა შორისაც.

კერძოდ, ნ. მარის ეს კონცეფცია თავიდანვე გაიზიარა აკად. კ. კეკელიძემ, რომელიც ბოლო დრომდე მის დამცველად გამოდიოდა. ასე, მაგალითად, „ქართული ლიტერატურის“ ისტორიის გამოცემაში, რომელიც 1941 წელს გამოვიდა, კ. კეკელიძე იმეორებს იმ აზრს, რომ კლარჯეთი (ტაოსთან ერთად) ვითომც უკავშირდება საქართველოს მხოლოდ მე-8 საუკუნის შემდეგ, და რომ ეს მხარე, კლარჯეთი, ეთნიკურად ვითომც არ იყო ქართული ქვეყანა. კ. კეკელიძე, ეხება რა ქართველ-სომეხთა ლიტერატურულ ურთიერთობას მე-9—10 საუკუნეებში, წერს:

„აღნიშნულ ხანაში [მე-9—10 საუკუნეებში] ქართველებს თითქმის იმავე ერებთან აქვთ ლიტერატურული კავშირი და ურთიერთობა, რომლებთანაც პირველ პერიოდში [მე-9 საუკუნემდე: ბერძნებთან, ასურებლებთან და სომეხებთან]. ახლაც [მე-9—10 საუკუნეებში] განაგრძობენ ქართველები სომეხური ენიდან თარგმნას. საქმე ისაა, რომ ტაო-კლარჯეთი, სადაც მეოვე საუკუნის ნახევრიდან დამკვიდრდნენ ქართველები, და რომელიც ქართული მწერლობის ერთ-ერთ უძლიერეს ცენტრად გახდა, დასახლებული იყო ქალკედონისტ სომეხებით. რამდენიმე მნიშვნელოვანი ქართული სავანე აქ სომეხთა ნამონასტრალზე გაშენდა. აი — სწორედ ამ წრეში სადაც სომეხები და ქართველები ერთმანეთს პიოდაპირ ხედებოდნენ, განაგრძობდა არსებობას სომეხ-ქართველთა ლიტერატურული ერთობა და კავშირი, მართალია, აქაური სომეხები უკვე გაქართველების გახზე იყვნენ დამდგარი, მაგრამ ძლიერი ლიტერატურული მემკვიდრეობით და ტრადიციებით, ისინი ჯერ კიდევ აძლევდნენ ერთმორწმუნე ქართველ მწიგნობრებს შემოქმედებითსა და სათარგმნ მასალას: ქართველები მათგან სთარგმნიან არა მარტო მე-8 — 9 საუკუნეებში, არამედ მეთექვსმეტში...“ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I ტ., 1941 წლის გამოცემა, გვ. 47).

კ. კეკელიძე, თავისი შრომის მეორე ადგილას განმეორებით ეხება ტაო-კლარჯეთის ცნობილ სავანეებს (ოპიზას, ხანძთას), რომლებიც ქართული მწერლობის მთავარ ცენტრებს წარმოადგენენ მე-9 — 10 საუკუნეებში, და აღნიშნავს, რომ ეს სავანეები ვითომც არ იყვნენ ქართველების მიერ დაარსებული. კ. კეკელიძე წერს:

„ტაო-კლარჯეთის მხარეში... სომეხებს გაუშენებიათ მონასტრები, როგორცაა ოპიზა, ხანძთა, იშხანი, მიძნაძორი, შატბერდი და სხვა, სადაც კულტურულ-მემოკმედებითი და ლიტერატურული მოღვაწეობა დუღდა და გადმოდუღდა. მერვე საუკუნის ნახევარში, მურვან-ყრუს შემოსევით, ეს მხარე სულ ერთიან აოხრდა, ამას თან დაერთო ხოლერობა, რომელმაც მუსრი გააელო მცხოვრებლებს.., ამ უბედურების და აოხრების დროს დაცეპულა და დაშრეტილა ნახსენები სომეხთა მონასტრები; როდესაც გრიგოლი (ხანძთელი) მოსულა აქ, მხოლოდ ერთადერთი მონასტერი ყოფილა, ოპიზა. ეს მონასტერიც ქალკედონიტ სომეხებს სჭერიათ, მაგრამ აღნიშნული უბედურების შემდეგ, სხვებთან ერთად, ისიც მიუტოვებიათ.., მერვე საუკუნის ოცდაათიან წლებში აქ დამკვიდრებულან ქართველები... ოპიზა შეიკმნა ტაო-კლარჯეთის სამონასტრო ცხოვრების, კერად...“ (იხ. კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 84—85).

როგორც ვხედავთ, კ. კეკელიძე აქ ახალს არას გვეუბნება... აქ უცვლელად გადმოწერილია ნ. მარის მკდარი, ტენდენციური დებულებები.

*

აქ აღძრულ საკითხებთან დაკავშირებით საჭიროა აგრეთვე მოვიხსენიოთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის შრომების სერიაში ამ ბოლო დროს (1944 წ.) გამოქვეყნებული ილია აბულაძის წიგნი: „ქართული და სომეხური ლიტერატურული ურთიერთობა მე-9 — 10 საუკუნეებში“.

ეს წიგნი აგრეთვე ეკუთვნის იმ შრომათა რიცხვს, რომლებიც დამახინჯებით წარმოგვიდგენენ საქართველოს სამხრეთი მხარეების ისტორიას.

დასახელებული წიგნი ძირითადად იმეყარება იმ მცდარ დებულებებს, რომლებიც წარმოდგენილი აქვთ მესხეთის სანაპირო მხარეთა ისტორიის შესახებ პ. ჰიუბშმანსა და ნ. აღონცს. ამავე დროს ამ წიგნში გაზიარებულია აგრეთვე ნ. მარის მცდარი დებულებანი კლარჯეთის და ტაოს ისტორიის საკითხებზე.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ კლარჯეთის და ტაოს ისტორიის საკითხთა გამო პ. ჰიუბშმანისა და ნ. აღონცის კონცეფციასა და ნ. მარის კონცეფციას შორის ერთგვარი სხვაობაა.

პ. ჰიუბშმანისა და ნ. აღონცის დასკვნით ქართველებმა ვითომც მე-4 საუკუნეში შეიერთეს კლარჯეთის მხარე (რომელიც ვითომც მანამდე სომხეთის ფარგლებში შემავალი „გუგარქი“-ს ნაწილს შეადგენდა). რაც შეეხება მესხეთის უკიდურეს სამხრეთ სექტორს — ტაოს ზონას, მისი შემოერთება ქართველების მიერ უფრო გვიანი ხანისათვის არის ნაგარაუდები, არა უადრეს მე-8 საუკუნისა.

რაც შეეხება ნ. მარს, მას, როგორც მოხსენებული გვექონდა, მთელი ქორხის ხეობის ვითომცა „გაქართველების“ თარიღი უფრო ახალი დროებისაკენ აქვს გადმოწეული. ნ. მარის მტკიცებით, როგორც ტაო, ისე კლარჯეთიც, ვითომც მხოლოდ მე-8 საუკუნიდან მოექცა საქართველოს გავლენის ზონაში.

ილ. აბულაძის წიგნში ჩვენ გვაქვს ამ ორი ხაზის, ერთი მხრით პ. ჰიუბშმანისა და ნ. აღონცის უფრო „ზომიერი“ დებულების, ხოლო მეორე მხრით ნ. მარის „მაქსიმალისტური“ დებულების ერთგვარი შეთანხმების ცდა.

ილ. აბულაძე თავის წიგნში უპირატესად ეხება ტაოს ისტორიას (ძირითადად პ. ჰიუბშმანისა და ნ. აღონცის კონცეფციის მიღევნებით). ილ. აბულაძის დასკვნით ტაოს შემოერთება საქართველოსთან მე-8 საუკუნის დასასრულს მომხდარა (იხ. გვ. 09—010). ამასთან ილ. აბულაძე ვარაუდობს, რომ ეს სომხური ტაო — „ტაიქი“ ვითომც შეიცავდა მთელ იმ ტერიტორიას, რომელიც გვიან ხანაში ტაოს ფარგლებში იყო მოქცეული, ე. ი. როგორც იმიერ ტაოს, ისე აგრეთვე ამიერ ტაოსაც (ბანა-ოლთისის ზონას); ამას გარდა სომხური ტაო — „ტაიქი“-ს ფარგლებში ვითომც შედიოდა ზემო-მტკვრის ხეობის ნაწილი, კოლას რაიონი (რომელიც სინამდვილეში არტაანს, ჯავახეთის საერისთავოს ეკუთვნოდა).

ილ. აბულაძის დასკვნით ტაო (ამ ვრცელ საზღვრებში) მოსახლეობის შემადგენლობის მხრით ვითომც ძირითადად სომხურ მხარეს წარმოადგენდა, იგი მე-8 საუკუნისათვის, წერს ავტორი, „ძირითადად სომეხ თუ გასომხებული ელემენტებისაგან შესდგებოდა“-ო (გვ. 010). უფრო გვიან ხანაში ვითომც მოხდა ტაოს ამ სომხური მოსახლეობის გაქართველება. ავტორის სიტყვით — „ტაოს პოლიტიკურად დაუფლებას ქართველთა მიერ და მის ქართველთა სამეფოს ნაწილად გადაქცევას თან მოჰყვა მისი კულტურულად დაუფლება“ (გვ. 010).

ასეთია ავტორის დებულებანი ტაოს შესახებ.

ხოლო როგორი ვითარება იყო, ავტორის აზრით, კლარჯეთში?

ავტორის დასკვნით კლარჯეთშიაც იგივე ვითარება ყოფილა, რაც ტაოში;

კლარჯეთის შემოერთება ქართველების მიერ ვითომც აგრეთვე მე-8 საუკუნეში მომხდარა და მოსახლეობის ძირითადი ფენა, კლარჯეთშიაც, ისევე როგორც ტაოში, ვითომც სომხური ყოფილა. ილ. აბულაძე წერს, რომ „ტაო-კლარჯეთის სომხობა — მე-8 საუკუნის გასულიდან „ქართველთა სამეფო“-ში შემოვიდა“ (გვ. 013).

ამრიგად, ილ. აბულაძე აქ უცვლელად იმეორებს ნ. მარის კონცეფციას კლარჯეთის შესახებ, რომელსაც იგი ათავსებს და ათანხმებს ჰ. ჰიუბშმანისა და ნ. აღონციის კონცეფციასთან. ილ. აბულაძე აცხადებს, რომ ნ. მარმა სწორად გადასწყვეტაო ტაოსა და კლარჯეთის ისტორიის საკვანძო საკითხები და რომ ნ. მარის „Армян“-ში (რომელსაც ილ. აბულაძე „მეტად საგულისხმო ნაშრომს“ უწოდებს) სწორად არისო გაშუქებული, თუ როგორ მიმდინარეობდაო ქოროხის ხეობის სომხობის „ყოველმხრივი გაქართველების პროცესი“-ო.

ილ. აბულაძეს — ისტორიული თავგადასავალი როგორც ტაოსი, ისე კლარჯეთისა, მე-8 საუკუნის შემდეგ (როდესაც ვითომც კლარჯეთი, ტაოსთან ერთად, შემოერთებულ იქმნა საქართველოსთან), კულტურული ცხოვრება ამ მხარეთა, ასე აქვს წარმოდგენილი:

„ტაო-კლარჯეთის სომხობა, რომელიც მე-8 საუკუნის გასულიდან „ქართველთა სამეფო“-ში შემოვიდა, ქართველთა გავლენის სფეროში მოხვედრით, აკად. ნ. მარის სიტყვით, შეერწყმის ქართველობას. მოწყვეტილი მშობლიურ ნიადაგს (—სომხეთს), სადაც მიზი თანამოახრენი (სომეხი-ქალკედონიტები) უკვე მოკლებული იყვნენ ფართო შემოქმედებითს გასაქანს, ის (ტაო-კლარჯეთის სომხობა) ერთხანს მუშაობას მწერლობის დარგში დამოუკიდებლად ეწევა (სომხურ ენაზე). ყველაფერი, რაც მას წინანდელი შემოქმედებიდან ებადა, დატული ჰქონდა და მის ათვისებას დედა-ენაზედვე (სომხურად) ახერხებდა. მაგრამ დროთა მსვლელობაში ... ადგილობრივ ქართულ ელემენტებთან ურთიერთობისა და ქართულ კულტურულ სამყაროსთან ახლო კავშირის გამო, მისთვის სომხურ ლიტერატურულ ენაზე არსებული ძეგლები ადვილად გასაგები აღარ აღმოჩნდარა. საჭირო გამხდარა ამ ძეგლების გადმოთარგმნა უფრო ადვილად გასაგებ ენაზე, ამ შემთხვევაში ქართულზე... ამ დარგში (ჰაგიოგრაფიული მწერლობის დარგში) ტაო-კლარჯეთის სომხობას შემდეგში საკუთარი წვლილიც შეუტანია, მაგრამ არა სომხურ ენაზე, არამედ უფრო დასაძლევ ქართულზე... მისთვის (ტაო-კლარჯეთის სომხობისათვის) დედა-სამწერლო ენის მაგიერობას უტხო ენა (ქართული) ეწევა. დედა-ენა (სომხური) თუ ესმის მას, ისევე და ისევე სასაუბრო და არა სალიტერატურო ენა, ის, მოკლედ რომ მოვქრათ, გაქართველების გზახვა დამდგარი...“ (იხ. გვ. 013).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ილ. აბულაძის მტკიცებით ვითომც ტაო-კლარჯეთის სომხების მიერ არის დაწერილი ქართულად ძველი მწერლობის ძეგლი „მარტილობა ცხრათა კოლაელთა“. ეს ძეგლი, რომელიც ტაოს მხარეს ეხებაო, დაწერილი არისო ტაო-კლარჯელი სომხების მიერ ქართულ ენაზე იმ ხანაში, როდესაც ტაო-კლარჯეთის სომხობა უკვე გაქართველდაო ენობრივად, და სალიტერატურო ენის ადგილი სომხურის ნაცვლად „უფრო გასაგებმა“ ქართულმა დაიჭირაო.

საკითხავია, არსებობს კი მართლაც რაიმე საბუთი, რაც ადასტურებდეს, რომ „მარტილობა ცხრათა კოლაელთა“ ტაო-კლარჯელი სომხების მიერ არის დაწერილი? სინამდვილეში ასეთი საბუთი არ არსებობს, და არც შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ეს ძეგლი ქართულია, ქართველი ავტორის მიერ არის დაწერილი.

ჩვენ ქვემოთ გვექნება შემთხვევა შევეხოთ ამ ძეგლს და ჩვენ დავრწმუნდებით, რომ ილ. აბულაძის მტკიცება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს, მთელი მისი კონცეფცია ქვიშაზე არის აგებული.

შესახებ ამ ძეგლისა, — „მარტილობა ცხრათა კოლაელთა“, — რომელიც ადრინდელი ხანის ქართული მწერლობის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოებია, ამთავითვე აღვნიშნავთ შემდეგს.

ილ. აბულაძე ფიქრობს, ვითომც ამ თხზულებაში აღწერილი ამბავი ტაოს ეგება და ამიტომ ტაოში უნდა იყოს დაწერილიო. ხოლო რაკი ტაოში სომხური მოსახლეობა იყო, ამიტომ ეს ნაწარმოებიც სომხური წარმოშობისად უნდა ვიცნოთო. ასეთია მარტივი ხაზი ილ. აბულაძის არგუმენტაციისა.

მაგრამ აქ ორმაგი შეცდომაა დაშვებული; ჯერ ერთი, ეს ძეგლი, როგორც შემდეგ დავინახავთ, სრულიად უდავოდ ქართული თხზულებაა, და მეორეც, ამ ძეგლს არაფერი აქვს საერთო არც ტაოსთან და არც კლარჯეთთანაც.

ამ ძეგლში აღწერილი მოქმედება წარმოებს, როგორც აღნიშნულია თვით ტექსტში, „თავსა დიდისა მდინარისასა, რომელსა ჰრქვან მტკუარი, გვესა, რომელსა ჰრქვან კოლაა“.

ძველ-ქართული და ძველ-სომხური წყაროების ჩვენებათა შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ არსებულია ორი რაიონი („ხევი“), რომელთაც ეწოდებოდა მსგავსი სახელები: „კოლა“ (კოლაა) და „კოლი“. პირველი მათგანი, კოლა, მდებარეობდა მტკვრის სათავეებში და შეადგენდა არტანუხის მხარის (ჯავახეთის საერისთავოს) ნაწილს. ხოლო მეორე მათგანი, კოლი, მდებარეობდა კოროხის ხეობაში და შეადგენდა ტაოს მხარის ნაწილს (იხ. ლეონტი მოძღვარი, ისტორია ხალიფთა). შემდეგ ხანაში, ამ მხარის გეოგრაფიის უცოდინარი მწერლები ერთიმეორეში ურევდნენ ამ ორ რაიონს.

ხოლო ჩვენს ძეგლში, როგორც მოვიხსენიეთ, პირდაპირ დასახელებულია მტკვრის ხეობა და, მაშასადამე, აქ იგულისხმება არტანუხის კოლა (ჯავახეთის საერისთავოს ნაწილი).

ამრიგად, ამ ნაწარმოებს არაფერი აქვს საერთო ტაოს მხარესთან (რომელიც მთლიანად კოროხის ხეობაში იყო განფენილი).

მაშასადამე, ილ. აბულაძის არგუმენტაციას ყოველგვარი საფუძველი ეცლება.

აქ აღვნიშნავთ ამას გარდა, რომ ეს ძეგლი, მარტილობა ცხრათა კოლაელთა, გარდა იმისა, რომ ტერიტორიულად დაშორებულია ტაოს მხარეს, იგი ქრონოლოგიურადაც არ ეკუთვნის იმ ეპოქას, რომელსაც ილ. აბულაძე მიაწერს.

ილ. აბულაძე ფიქრობს, რომ მან თავისი ლიტერატურული შტუდიებით ტაო-კლარჯეთის ისტორიის კვლევის საქმეში ახალი შუქი შეიტანა. „მგონია, — წერს იგი წიგნის შესავალში, — ეხლა უფრო ნათლად და ხელშესახებად შეიძლება იმის გათვალისწინება, თუ როდის და როგორ დაიწყო და მიმდინარეობდა ტაოს (sc. ტაო-კლარჯეთის) სომხობის ყოველმხრივი გაქართველების პროცესი, რაც ამ ორმოციოდე წლის წინათ მთავარ ხაზებში წარმოადგინა ნ. მარმა...“ (გვ. IX—X).

ჩვენ ვფიქრობთ, და მკითხველი ამაში შემდეგ დარწმუნდება, რომ ვერც ნ. მარმა წარმოადგინა სწორი სურათი ტაო-კლარჯეთის მხარეთა ისტორიისა, და ვერც ნ. მარის ამ მცდარი და ტენდენციური ხაზის გამგრძელებელნი ვერა დგანან მეცნიერული კვლევა-ძიების სწორ გზაზე...

*

საკითხი, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ამ ბოლო წლების მანძილზე გახდა პოლემიკის საგანი საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურაში.

1946 წელს გამოქვეყნდა ნ. ტოკარსკის წიგნი „Архитектура древней Армении“ (რედაქტორი აკადემიკოსი ი. ორბელი). ეს წიგნი შეიცავს მთელ რიგ მცდარ დებულებებს ორი მეზობელი ქვეყნის — სომხეთისა და საქართველოს ხე-

ლოვნების ისტორიის საკითხთა გამო, ხოლო განსაკუთრებით ტენდენციურად და ყალბად აშუქებს იგი მექსიკის ხელოვნების ძეგლთა ისტორიას და საერთოდ მესხეთის ისტორიის საკითხებს.

ნ. ტოკარსკის წიგნში მესხეთის არქიტექტურის ისტორიისადმი მიძღვნილია ცალკე სპეციალური თავი (მე-6): „Таицкая архитектурная школа X века“ „ტაიქის (ტაოს) არქიტექტურული სკოლა მე-10 საუკუნისა“. სახელწოდება „ტაიქი“ (= ტაო) აქ იხმარება გაფართოებული მნიშვნელობით: ტაოს ისტორიულ მხარეებთან (იმიერ და ამიერ ტაოსთან) ერთად აქ მითვლილია აგრეთვე მესხეთის მეზობელი მხარეები: კლარჯეთი და შავშეთი. „ტაიქის (ტაოს) არქიტექტურული სკოლის“ ძეგლთა სახელწოდებით აქ განხილულია ძეგლები: ოშკი, ხახული, იშხანი (ტაოს მხარეთა), ოპიზა და ფორთა-ხანძთა (კლარჯეთის მხარისა), ტბეთი (შავშეთის მხარისა).

ეს უდიდესი ძეგლები კლასიკური ქართული ხუროთმოძღვრებისა (რომლებიც მეტწილად მე-10 საუკუნეს ეკუთვნიან), ნ. ტოკარსკიმ გამოთიშა ქართული ხუროთმოძღვრების წიაღიდან და სომხური ხუროთმოძღვრების წრეს მიაკუთვნა.

მაგრამ ეს ცოტაა. ნ. ტოკარსკიმ, როგორც ცნობილია, სრულიად უმეცრული გაშუქება მისცა ტაო-კლარჯეთის ისტორიას. ნ. ტოკარსკის აზრით, ტაო-კლარჯეთი არათუ მე-8 საუკუნემდე (როგორც ამას დაასკენიდა ნ. მარი), არამედ უფრო გვიან ხანაშიაც, მე-9—10 საუკუნეებში, ეს არისო არსებითად იგივე სომხეთის ნაწილი, რომელიც არა მხოლოდ ეთნიკურად იყო დაკავშირებული სომხეთთან, არამედ პოლიტიკურადაც სომხური ორიენტაციის გზას ადგაო. ნ. ტოკარსკი თავის უმეცრულ მტკიცებაში იქამდის მივიდა, რომ თვით დავით დიდი კურაპალატი, უდიდესი ქართველი მოღვაწე მათე საუკუნისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სრულიად-საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებას, არაქართველ მოღვაწედ გამოაცხადა, რომელიც ვითომდა ანტიქართული სახელმწიფოებრივი ტენდენციების გამტარებელი იყო...

ნ. ტოკარსკის საფუძვლიანი პასუხი გასცა აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ წერილში: „Об одном примере искажения исторической правды“¹. უდროოდ გარდაცვლილი ქართველი მეცნიერის ეს წერილი ფართოდ არის ცნობილი და ჩვენ შეგვიძლია აღარ გავაგრძელოთ მასზე სიტყვა.

ამ ბოლო დროს (1950 წ.) გამოქვეყნდა აქ აღძრულ საკითხთა გამო წერილი ვ. მიხანკოვასი, სათაურით: „Вопросы истории культуры Армении и Грузии в работах Н. Я. Марра“, რომელიც ძირითადადში წარმოადგენს პასუხს ს. ჯანაშიას ზემოთ-დასახელებული წერილისას. ჩვენ შეგვეძლო არც კი მოგვეხსენებინა ეს ავტორი, და თუ ვახსენებთ, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი ნარკვევი გამოქვეყნდა ისეთ სერიოზულ სამეცნიერო ჟურნალში, როგორიც არის „Вопросы Истории“ (სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის ორგანო)². ხაზგასასმელია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ „Вопросы Истории“-ს რადაქციამ ს. ჯანაშიას წერილი დაბეჭდა შენიშვნით, ხოლო ვ. მიხანკოვას წერილი მოათავსა უშენიშვნოდ.

¹ იხ. ჟურნალი *Вопросы Истории*, 1947 წ., № 5.

² იხ. დასახელებული ჟურნალი, 1950 წ., № 2.

ვ. მიხანკოვა აღიარებს, რომ ნ. ტოკარსკი შემცდარია, როდესაც მან მე-10 საუკუნის ძეგლები ტაოსი, შავშეთისა და კლარჯეთისა მიაკუთვნა სომხურ კულტურის წრეს; ამ დროს ქოროხის ხეობის ეს პროვინციები (ტაო-შავშეთ-კლარჯეთი) „ქართველთა სამეფოს“ ფარგლებში შედიოდა და დასახლებული ძეგლები ქართული კულტურის ძეგლებიაო.

მაგრამ რაც შეეხება უფრო ადრინდელ პერიოდს (მე-9—10 საუკუნეებზე უფრო ადრინდელ ხანას), ნ. მიხანკოვა თვლის, რომ ქოროხის ხეობის ეს პროვინციები (ტაო, შავშეთი, კლარჯეთი...) არ იყო ქართული ქვეყანა, ქართული ენითა და კულტურით, არამედ მხარე, რომელიც პოლიტიკურად და აგრეთვე ეთნიკურადაც ძირითადად დაკავშირებული იყო სომხეთთან.

ვ. მიხანკოვა თვლის, რომ ნ. მარის კონცეფცია ტაო-კლარჯეთის ისტორიისა ეს არის ურყევი ისტორიული ქვეშარიტება და იმეორებს მკითხველისათვის უკვე ცნობილს ნ. მარის დებულებებს.

ამ ბოლო დროსვე ჟურნალში *Византийский Временник* (1950, III) გამოქვეყნდა ა. იაკობსონის ვრცელი საქმიანი რეცენზია ნ. ტოკარსკის წიგნის გამო (გვ. 257—267).

ავტორი, ეხება რა ნ. ტოკარსკის წიგნის ზემოთ-დასახლებულ მე-6 თავს— „Гайкская архитектурная школа X века“, თვლის მას ყოველმხრივ შემცდარ ნარკვევად. ა. იაკობსონი ამასთან შენიშნავს:

„Эта глава книги Н. Токарского подверглась подробному и отрицательному разбору и со стороны академика С. Н. Джанашва, с выводами которого в этом отношении нельзя не согласиться“ (გვ. 263).

ავტორი იძლევა ტაოსი და შავშეთ-კლარჯეთის მე-9—10 საუკუნეთა ძეგლების მეტად საყურადღებო ანალიზს ხუროთმოძღვრული თვალსაზრით და სრულის დამაჯერებლობით ამტკიცებს, რომ ეს ძეგლები უნდა მიეკუთვნოს ნიშანდობლივ ქართულ კლასიკურ ხუროთმოძღვრებას და არა სხვას რომელსაღმე.

ავტორის დასკვნა გამოიხატება შემდეგის დებულებით:

„Глава VI «Гайкская архитектурная школа X века» выпадает из общей структуры книги, ибо те памятники, о которых идет речь, являются по всем отношениям памятниками грузинской архитектуры, и принадлежат они территории, которая по своей культуре к десятому веку стала уже грузинской“.

აღსანიშნავია, რომ ა. იაკობსონი, რომელიც კარგად არის ორიენტირებული ქართული ხელოვნების ისტორიის საკითხებში და რომელიც ტაო-შავშეთ-კლარჯეთის ძეგლების ანალიზით ამტკიცებს მათს კუთვნილებას ქართული ხელოვნების წრისადმი, როგორც ვხედავთ, შენიშნავს: ეს ძეგლები ეკუთვნიანო ტერიტორიას, რომელიც თავისი კულტურით მეათე საუკუნისათვის უკვე ქართული გახდაო („...принадлежат они территории, которая по своей культуре к десятому веку стала уже грузинской“).

მაშასადამე, თვით ასეთი კარგად ორიენტირებული და მიუდგომელი ავტორი, როგორც არის ა. იაკობსონი, დაჯერებულია, რომ მესხეთის ტერიტორიები ქოროხის ხეობისა გახდა ქართული მხოლოდ ამ გვიან ხანაში. ასეთია გავლენა ნ. მარის კონცეფციისა მესხეთის მხარეთა ისტორიის შესახებ, რომელიც დღემდე ერთგვარ დოგმად იყო მიჩნეული.

ჩვენ ამით დავამთავრებთ საკითხის ისტორიის ამ ზოგად მიმოხილვას.

ჩვენ გავეცანით ამ ფართოდ გავრცელებულ ისტორიულ კონცეფციას, რომელიც ასეთის სისტემატურობით მეორდება საისტორიო მეცნიერებაში საუკუნე-ნახევრის მანძილზე, რომ ვითომც სამხრეთი საქართველო, მათ შორის მესხეთის უდიდესი ნაწილი (მესხეთის ყველა სამხრეთი პროვინციები) და აგრეთვე ნახევარი ისტორიული ქართლი (სამხრეთი ქართლი), ეს თითქმის არის ნაწილი ისტორიული სომხეთისა, რომელიც უფრო გვიან ხანაში საქართველომ ვითომც სომხეთიდან დაიპყრა და გააქართულა.

თუ ეს შეხედულება მართალი გამოდგებოდა, ჩვენ უნდა გავვეუქმებინა, ლეგენდარულად გამოგვეცხადებინა ქართული საისტორიო წყაროები, რომლებიც ამ მხარეებს ძირეულ ქართულ ქვეყნად ასახელებენ, და არა მარტო ქართული, არამედ ასევე სომხური და კლასიკური ხანის ბერძნულ-ლათინური საისტორიო წყაროები, რომელთა ჩვენებითაც ასევე დასტურდება ამ მხარეთა საქართველოსადმი კუთვნილება.

მაგრამ, როგორც ირკვევა, გაუქმებას საჭიროებენ არა ეს საისტორიო წყაროები, არამედ ის შემცდარი და ტენდენციური კონცეფცია, რომელიც დამახინჯებით წარმოგვიდგენს ისტორიულ ქვეშარიტებას!

გადავდივართ ამის შემდეგ ამ შემცდარი და ტენდენციური კონცეფციის კრიტიკულ განხილვაზე.

საქართველოსა და სომხეთის ამ ორი მოძმე ქვეყნის კულტურული და პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია საჭიროებს უაღრესად გულისხმიერ მიდგომას. ამას გვავალებს კერძოდ ამ ორი მოძმე ერის საერთო ისტორიული თავგადასავალი.

მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ქართველ და სომეხ ხალხს ერთად ექირათ კულტურისა და პროგრესის მაღალი დროშა კავკასიაში, ახლო აღმოსავლეთის სანაპიროზე.

ისტორიულ წარსულში ქართველი და სომეხი ხალხი ერთად იღვწოდნენ. ისინი არაერთგზის ერთად, მხარდამხარ იცავდნენ თავის სამშობლოს დამოუკიდებლობასა და ეროვნულ თვითმყოფობას უცხოელ დამპყრობელთაგან.

ხოლო ახლო წარსულში ქართველი და სომეხი ხალხი ერთად განიცდიდნენ ეროვნულ ჩაგვრას.

რასაკვირველია, არათუ არაობიექტურობა, არამედ არასათანადო სიღრმით შესწავლა საკითხისა და ერთი ერის კუთვნილების გამოცხადება მეორე ერის კუთვნილებად—ეს არის არა მარტო „აკადემიური“ შეცდომა.

ჩვენ ქვემოთ შევეცდებით ყველა არსებული წყაროების გათვალისწინებით სრულის ზედმიწევნილობით განვსაზღვროთ, თუ როგორი იყო რეალური ისტორია საქართველო-სომხეთის სანაპირო მხარეებისა, თუ რომელი მათგანი, და როდის სახელდობრ, დაკავშირებული იყო პოლიტიკურად ამათუ იმ ქვეყანასთან, საქართველოსთან თუ სომხეთთან, და როგორი იყო ამ მხარეთა ეთნიკური სახე.

კლარჯეთის საპრისთავო
 ძველ-ქართული მატრიარქისა

(1. საკუთრივ კლარჯეთი და მიმდგომი მხარეები: 2. შავშეთი, 3. ნიგალი, 4. „სახლვარი ქართლისა სპერი“ ანუ ქვემო-სპერი, 5. ამიერი ტაო, 6. „ზღვისპირა კლარჯეთი“ ანუ აღმოსავლეთი ჭანეთ-ლახეთი).

საკითხებიდან, რომლებიც საქართველოსა და სომხეთის სანაპირო მხარეებს (მესხეთსა და ქვემო-ქართლს) ეხება, ჩვენ აქ ცალკე გამოვეყოფთ და პირველ რიგში განვიხილავთ კლარჯეთის ისტორიის საკითხს.

ამ საკითხის ცალკე გამოყოფა შემდეგით არის გამოწვეული.

როგორც იცის მკითხველმა, კლარჯეთი არის ის მხარე, სადაც მე-8—9 საუკუნეში საფუძველი ჩაეყარა საქართველოს ახალ კულტურულ აღმავლობას და სახელმწიფოებრივ აღორძინებას, მხარე, სადაც მოღვაწეობს გრიგოლ ხანძთელი და სადაც ამოტ I დიდი კურაპალატი განამტკიცებს მთელი საუკუნეების მანძილზე გაუქმებულს „ქართველთა სამეფოს“, რომლის დედაქალაქად ხდება კლარჯეთში მდებარე ქალაქი არტანუჯი.

ამავე დროს ნ. მარი და მისი მიმდევარნი, როგორც ვნახეთ, გვარწმუნებენ, რომ კლარჯეთი მე-8 საუკუნემდე ვითომც არ იყო ქართული ქვეყანა; უფრო მეტი: კლარჯეთი მე-8 საუკუნეში თუმცა პოლიტიკურად დაუკავშირდაო საქართველოს, მაგრამ ეთნიკურად იგი ვითომც ამის შემდეგაც უცხო მხარედ რჩება, იგი მეცხრე-მეთექვსმეტე საუკუნეთა მანძილზედაც ჯერ ისევ წარმოადგენდაო არაქართულ ქვეყანას, რომელიც მხოლოდ „გაქართველების“ გზაზე იყო დამდგარი.

თუ ჩვენ გავიზიარებდით ამ კონცეფციას, მაშინ ადრეულ საშუალო საუკუნეთა საქართველოს ისტორიის განვითარება რაღაც უცნაურ ასპექტში უნდა წარმოგვედგინა: გამოვიდოდა, რომ თვით ძირითადი მხარე, რომელიც გახდა ბაზისი საქართველოს კულტურული და სახელმწიფოებრივი აღორძინებისა მე-8—9 საუკუნეებში, თვით ეს ძირითადი მხარე ვითომც არ იყო ქართული...

სწორია ეს კონცეფცია?

რასაკვირველია, ეს ყოველად დაუჯერებელია, და როგორც შემდეგ დავინახავთ, ამ კონცეფციას ისტორიულ სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. საკითხები ჩვენ ქვემოთ შემდეგის თანრიგით გვექნება განხილული:

1. ჯერ განვიხილავთ, თუ რა მოსაზრებებს აყენებენ ნ. მარი და სხვა მკვლევარნი, ვითომც კლარჯეთი ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში პოლიტიკურად და ეთნიკურად არ წარმოადგენდაო ქართულ მხარეს;

2. შემდეგ განვიხილავთ კლარჯეთის ნამდვილ ისტორიას ყველა არსებული წყაროების გათვალისწინებით, საიდანაც ცხადი გახდება, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანასა და საშუალო საუკუნეებში პოლიტიკურად და ეთნიკურად ყოველთვის ქართულ მხარეს წარმოადგენდა.

5
5. მარისა და სხვა მკვლევართა შემცლარი მოსაზრებანი
კლარჯეთის მხარის ისტორიის შესახებ

გაცნობა იმ მოსაზრებათა, რომელთა მიხედვით დაასკენიან, რომ ვითომც კლარჯეთი ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში არ იყოო ქართული ქვეყანა, არამედ სომხეთის ნაწილს შეადგენდაო, გვიჩვენებს, თუ რამდენად ზერელეა და, შეიძლება ითქვას, რამდენად ტენდენციურია ეს მოსაზრებანი. თავდაპირველად აღსანიშნავია შემდეგი.

ა) ქართულ საისტორიო წყაროებში კლარჯეთის მხარე სისტემატურად, ყველგან და ყოველთვის მოიხსენება როგორც ძირეული ქართული ქვეყანა, პოლიტიკურად და ეთნიკურად განუყოფელი ნაწილი საქართველოსი. ასეა ეს ყველა ძველ-ქართულ მატრიანეებში, ბასილი ზარზმელის თხზულებაში, ყველა სხვა საისტორიო ძეგლებში. ხოლო თუკი კლარჯეთი მთელ საუკუნეთა მანძილზე, თვით მე-8 საუკუნემდე, გრიგოლ ხანძთელის ხანამდე, მოწყვეტილი იყო საქართველოს და სომხეთის ფარგლებში იყო მოქცეული, როგორ მოხდა, რომ ქართულ საისტორიო წყაროებში არ შენახულა ამის შესახებ არავითარი ცნობა, არავითარი ისტორიული მოგონება? ქართული საისტორიო წყაროები სხვა შემთხვევებში ხომ აღნიშნავენ, რომ ესა თუ ის მხარე მოწყვეტილი იყო საქართველოს ამა თუ იმ ხანაში, და როგორ მოხდა, რომ კლარჯეთის შესახებ არსად არავითარი ამის მსგავსი არაა აღნიშნული, არსად არავითარი ბსოენა ამის შესახებ არ მოიპოვება.

რასაკვირველია, ეს ყოვლად დაუჯერებელი ამბავი იქნებოდა, თუკი მართლაც კლარჯეთი ოდესმე მოწყვეტილი ყოფილიყო საქართველოს.

ეს ერთი გარემოება.

ბ) მეორე მხრით, სომხური საისტორიო წყაროების განხილვა გვიჩვენებს, რომ კლარჯეთი სომხეთისათვის უცხო მხარეს წარმოადგენდა. როგორც შემდეგ დავინახავთ, სომხურ საისტორიო წყაროებში კლარჯეთის მხარე მხოლოდ გაკერით მოიხსენება რამდენიმეგზის. სომხურ წყაროებში არსად არაა აღნიშნული, რომ სომხეთის ისტორიაში რაიმე როლი ეთამაშოს კლარჯეთს; სომხურ საისტორიო წყაროებში ერთხელაც არაა მოხსენებული კლარჯეთის საგვარეულოები და სანახარაროები, კლარჯეთის ფეოდალური სამფლობელოები; უფრო მეტი: სომხურ საისტორიო წყაროებში ერთხელაც კი არაა მოხსენებული ვინმე მოღვაწე კლარჯეთიდან. აღსანიშნავია ამას გარდა, რომ სომხურ საისტორიო წყაროებში არაა მოხსენებული კლარჯეთის დასახლებული პუნქტები, არაა მოხსენებული არც არტანუჯი — დედაქალაქი კლარჯეთისა, არც ახიზა, ფორთა და ანჩი, საეკლესიო მეტროპოლიები კლარჯეთისა, არც განთქმული სავანეები კლარჯეთისა — ოპიზა, ხანძთა, პარენნი, შატბერთი, მერე, დაბა და სხვანი... როგორ მოხდა ყოველივე ეს, თუკი კლარჯეთი მართლაც სომხეთის ფარგლებში შედიოდა, და ისიც არა მოკლე დროის მანძილზე, არამედ ვითომც თითქმის ათი საუკუნის მანძილზე. აშკარაა, კლარჯეთი არ ყოფილა ნაწილი სომხეთისა, წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე ეს, რასაკვირველია, დაუჯერებელი ამბავი იქნებოდა.

სომხურ საისტორიო წყაროებში ვიღრე მე-9 საუკუნემდე კლარჯეთის მხარის შესახებ საუბარია ოთხგზის.

აქედან სამჯერ კლარჯეთი მოიხსენება როგორც ნაწილი საქართველოსი (იბერიისა).

ხოლო ერთგზის ერთ ნაგვიანვე წყაროში (რომელიც არაა თანამედროვე იმ ამბებისა, რომელსაც იგი ეხება), დაცულია მცდარი ცნობა კლარჯეთის მხარის შესახებ.

ჩვენ ჯერ ამ უკანასკნელ მცდარ ცნობაზე შევჩერდებით. ეს მცდარი ცნობა მოიპოვება გეოგრაფიულ ძეგლში, რომელიც „სომხური უსახელო გეოგრაფიის“ სახელით არის ცნობილი.

ავტორი დასახელებული ძეგლისა უცნობია. მას მიაწერდნენ სხვადასხვა ავტორებს (მათ შორის ანანია შირაკელს), მაგრამ ამ ძეგლის ავტორობის საკითხი გარკვეული არაა. სპეციალურ ლიტერატურაში ამ ძეგლის თარიღად მიჩნეულია დრო მე-7 საუკუნიდან — მე-9 საუკუნემდე. ძეგლის პირველდენი არაა უადრესი მე-7 საუკუნისა, ხოლო არსებული ვერსიები მე-9 საუკუნით უნდა დათარიღდეს.

დასახელებულ ძეგლში — სომხურ უსახელო გეოგრაფიაში — ჩამოთვლილია როგორც სომხეთის, ისე აგრეთვე საქართველოს (იბერიის) ფარგლებში შემავალი პროვინციები.

საქართველოს (იბერიის) ფარგლებში შემავალად აქ აღნიშნულია მესხეთის მხარეები ქოროხის და მტკვრის ხეობებისა და მათ შორის კლარჯეთიც საქართველოს ნაწილად არის დასახელებული.

ხოლო სომხეთის აღწერის დროს აღნიშნულია, რომ სომხეთის ფარგლებში ძველად შედიოდაო გუგარქის (გოგარენის) მხარე, რომელიც ამჟამად საქართველოსთან (იბერიასთან) არისო შეერთებული. გუგარქის (გოგარენის) ფარგლებში ძველად შედიოდაო მთელი რიგი კანტონები და ამ კანტონთა შორის გუგარქის ნაწილად დასახელებულია აგრეთვე კლარჯეთიც¹.

როგორც ირკვევა, სომხური უსახელო გეოგრაფიის ავტორი ცდება, როდესაც ფიქრობს, რომ კლარჯეთი ვითომც გუგარქის ანუ გოგარენის ნაწილი იყო.

თავდაპირველად საჭიროა ვიცოდეთ, რომ სომხური უსახელო გეოგრაფია დროის მიხედვით დიდის მანძილით არის დაშორებული გოგარენის საქართველოსთან შეერთების ხანას.

სომხური საისტორიო წყაროების მიხედვით ცნობილია, რომ ძველ-ქართული მხარე გოგარენი, რომელიც ერთხანად სომხებს ჰქონდა დაქერილი, ქართველებმა დაიბრუნეს მე-4 საუკუნეში. ხოლო სომხური უსახელო გეოგრაფია, როგორც მოვიხსენეთ, მე-7—9 საუკუნეთა ძეგლია და, მაშასადამე, სამიხუთი საუკუნით არის დაშორებული გოგარენის საქართველოსთან შეერთების ხანას.

¹ იხ. სომხური უსახელო გეოგრაფია, 1881 წ., გვ. 28, 34—5.

ასეთი ხანგრძლივი დროის მანძილზე, რასაკვირველია, უშუალო ისტორიული გადმოცემები აღარ არსებობდა და სომხური უსახელო გეოგრაფიის ავტორს, როგორც ირკვევა, შეეძლოდა მოსვლია გოგარენის მხარის ტერიტორიის ფარგლებს აღნიშვნისა და მასში შემავალი კანტონების ჩამოთვლის დროს.

რომ კლარჯეთის რაიონი არ შედიოდა გოგარენის მხარის ფარგლებში, ეს სრულიად უდავოდ ირკვევა როგორც ქართული, ისე აგრეთვე ძველ-სომხური და ანტიკური ხანის ბერძნულ-რომაული წყაროებით.

ჯერ სომხურ წყაროებზე.

1. მოსე ხორენელის ჩვენება. — სომეხთა ისტორიკოსი მოსე ხორენელი, როგორც ირკვევა, წინა-არაბული ხანის მწერალია და ყოველ შემთხვევაში იგი უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნის, ვიდრე სომხური უსახელო გეოგრაფიის ავტორი. მოსე ხორენელს თავისი ისტორიის მეორე წიგნში აგრეთვე ჩამოთვლილი აქვს გოგარენის ფარგლებში შემავალი კანტონები და მათ შორის კლარჯეთი დასახელებული არაა (იხ. თავი 8). ხოლო თავისი თხზულების მეორე ადგილას მოსე ხორენელს პირდაპირ აღნიშნული აქვს, რომ კლარჯეთი საქართველოს ფარგლებში იყო მოქცეული, საქართველოს ნაწილს შეადგენდა (იხ. წიგნი მესამე, თავი 86)¹.

2. ფავსტოს ბიზანტიელის ცნობა. — თუ რა ტერიტორიას მოიცავდა გოგარენი და შედიოდა თუ არა გოგარენის მხარის ფარგლებში კლარჯეთი, ამის შესახებ სრულიად ზუსტი ჩვენება აქვს დაცული მე-5 საუკუნის სომეხთა ისტორიკოსს ფავსტოს ბიზანტიელს. აქ საქიროა ხაზი გავუსვით იმ გარემოებას, რომ ფავსტოს ბიზანტიელი წარმოადგენს ძირითად სომხურ წყაროს გოგარენის ისტორიის აღსადგენად. იმ დროს როდესაც სომხური უსახელო გეოგრაფია სამი-ხუთი საუკუნით არის დაშორებული იმ ხანას, როდესაც გოგარენი ჩამოშორდა სომეხებს და საქართველოს შეუერთდა, ფავსტოს ბიზანტიელი, მე-5 საუკუნის ავტორი, ახლო დგას ამ ხანასთან და უშუალო ისტორიულ ტრადიციას გადმოგვცემს.

ფავსტოს ბიზანტიელი, რომელიც სპეციალურად ეხება გოგარენის საქართველოსთან შეერთების ისტორიას, აღნიშნავს, რომ გოგარენის მხარე შეიცავდა ორ კანტონს: 1. ძორი და 2. კოლბი. ამის მიხედვით სრულიად ზუსტად ირკვევა, რომ გოგარენის მხარე ეს ყოფილა ყაზახ-შამშადილი (— ე. ი. ყოფილი ყაზახის მაზრა განჯის გუბერნიისა)². ამრიგად, გოგარენის მხარეს, რომელიც მტკვრის აუზში მდებარეობდა, არაფერი აქვს საერთო კლარჯეთის რაიონთან, რომელიც სულ სხვა ზონაში, ქოროხის ხეობაში არის განფენილი.

გადავიდეთ ამის შემდეგ ანტიკური ხანის ბერძენ-რომაელ ავტორთა ჩვენებებზე.

3. სტრაბონის ცნობა. — სტრაბონის გეოგრაფიის XI წიგნში (თავი 14, § 5) აღნიშნულია, რომ გოგარენი მდებარეობდა მტკვრის ხეობაში, მტკვრის იმიერ (მარჯვენა სანაპიროზე)³. ამრიგად, სტრაბონის ამ:

¹ იხ. ზემოთ, გვ. 375.

² იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, 1832 წ., გვ. 211, 159; იხ. აგრეთვე ქვემოთ, გვ. 461—468.

³ იხ. SC, I, გვ. 155.

სრულიად გარკვეული ცნობის თანახმად აგრეთვე ირკვევა, რომ გოგარენის ფარგლებში არ შედიოდა კლარჯეთი, მდებარე ქოროხის ხეობაში.

4. პლინიუს სეკუნდუს ცნობა. — პლინიუს სეკუნდუს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს (იბერიის) საზღვრებში შედიოდა მხარეები ტაშირისა და თრიალეთისა—ვიდრე პარიჰედრის მთებამდე (regio Thasie et Thriare usque ad Parihedros montes)¹, ე. ი. ქვემო ქართლის მხარეები — ბორჩალო წალკით და ლორე-ბამბაკი (ვიდრე მტკვრისა და არაქსის აუზების წყალთა-გამყოფ ქედამდე—პარიჰედრის მთებამდე)². ქვემო ქართლის ეს მხარეები—ტაშირ-თრიალეთი—გაჰყოფს ერთიმეორისაგან ყაზახ-შამშადილის პროვინციას (რომელიც მდებარეობს ტაშირ-თრიალეთის აღმოსავლეთით)—არტაანიდან და კლარჯეთიდან (რომლებიც მდებარეობენ ტაშირ-თრიალეთის დასავლეთით). ამრიგად, თავისთავად გამორიცხულია, რომ კლარჯეთი და არტაანი ყოფილიყო გოგარენის ნაწილი და სომხეთის ფარგლებში ყოფილიყო მოქცეული; პლინიუსის დროს არათუ კლარჯეთი და არტაანი, არამედ ტაშირ-თრიალეთიც იბერიის (საქართველოს) ნაწილი ყოფილა.

ასეთია ის ცნობები, რომელთაც შეიცავენ ძველ-სომხური და ბერძნულ-რომაული წყაროები აქ აღძრული საკითხის გამო და საიდანაც სრულიად უდავოდ ირკვევა, რომ კლარჯეთი, მდებარე ქოროხის ხეობაში, არ შედიოდა გოგარენის მხარის ფარგლებში, რომელიც სულ სხვა რაიონში, მტკვრის ხეობაში იყო მოქცეული და მოიცავდა შემდეგდროინდელ ყაზახ-შამშადილს (—ყაზახის მაზრას განჯის გუბერნიისას).

*

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე დანარჩენ მოსაზრებათა, რომელთა მიხედვითაც დაასკვნინდნენ, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანაში და ადრეულ საუკუნეებში ვითომც არ შედიოდა საქართველოში.

თავდაპირველად შევჩერდებით ნ. მარის მოსაზრებებზე ამ საკითხის გამო.

ნ. მარის კონცეფცია კლარჯეთის ისტორიის შესახებ, როგორც აღნიშნული გვექონდა, ასეთია:

კლარჯეთი თავდაპირველად, უძველეს ეპოქაში („на заре историческомъ жизни“) დასახლებული იყო „თუბალ-კაინური“ (მეგრულ-ქანური) ტომებით. შემდეგ, ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაშივე, კლარჯეთი ვითომც გადავიდა სომხეთის მფლობელობის ქვეშ და მოსახლეობაც აქ ვითომც სომხური გახდა. ხოლო უფრო გვიან ხანაში, მე-8 საუკუნიდან მოკიდებული, კლარჯეთი მოექცევაო ქართველების გზელენის ზონაში და ამ დროიდან მოკიდებული წარმოებდა კლარჯეთის სომხური მოსახლეობის თანდათან გაქართველებად.

ამ თავისი კონცეფციის დასადასტურებლად ნ. მარს მოჰყავს შემდეგი საბუთები, ყველა, როგორც ირკვევა, მცდარი და ტენდენციური.

იხ. SC, II, გვ. 161.

¹ პარიჰედრის მთები—ბამბაკის მთებია, რომელიც გაჰყოფს მტკვრისა და არაქსის აუზებს და რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან (მტკვრის აუზის ხაზით) ესაზღვრებოდა ტაშირი, ხოლო დასამხრეთის მხრიდან (არაქსის აუზის ხაზით) ესაზღვრებოდა შირაქი (Siracene); იხ. კლავდი პტოლემე, SC, I, 244.

1. 1906 წელს გამოქვეყნებულს გამოკვლევაში „Крещение армян, грузин, абхазов и алан...“¹ ნ. მარტი, როგორც მოხსენებული გვექონდა, გადმოგვცემს, რომ ვითომც გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ ვერსიაში მოხსენებულია არტანუჯის საპიტიახშო (— კლარჯეთი), როგორც შემადგენელი ნაწილი სომხეთის სამეფოსი თრდატ მეფის დროს მე-4 საუკუნის დასაწყისში. ამ ჩვენებაზე დამყარებით ნ. მარტი ამართლებდა თავის კონცეფციას კლარჯეთის ისტორიის შესახებ.

ჩვენ ზემოთ უკვე გვექონდა შემთხვევა საფუძვლიანად განგვეხილა ნ. მარტის ეს ცნობა, რომელიც, როგორც გამოიჩვენა, მცდარია და ყალბი. გრიგოლ პართელის ცხოვრების არაბულ ვერსიაში, როგორც დაერწმუნდით, საუბარც ყოფილა არა არტანუჯის საპიტიახშოზე (კლარჯეთზე, რომელიც ქოროხის ხეობაში მდებარეობდა), არამედ არზანენის საპიტიახშოზე, რომელიც სულ სხვა ქვეყანას წარმოადგენდა, სულ სხვა სექტორში, მდინარე ტიგროსის ხეობაში მდებარეობდა. რაც შეეხება კლარჯეთს, იგი, როგორც გამოიჩვენა, გრიგოლ პართელის ცხოვრების ავტორს, ისევე როგორც მოსე ხორენელს, მიაჩნია არა სომხეთის, არამედ, პირიქით, საქართველოს ნაწილად. (იხ. ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით ზემოთ, გვ. 368—375).

2. 1911 წელს ნ. მარმა, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების გამოცემის შესავალის სახით გამოაქვეყნა გამოკვლევა, სადაც იგი იცავს იმავე კონცეფციას კლარჯეთის ისტორიის შესახებ. ხოლო აქ აღსანიშნავია შემდეგი: 1911 წელს ნ. მარტი უკვე აღარ ახსენებს, რომ ვითომც გრიგოლ პართელის არაბულ ვერსიაში დასახელებული იყოს არტანუჯის საპიტიახშო; როგორც ჩანს, ნ. მარს შემდეგში აღარ დაუნახავს შესაძლოდ გაემეორებინა ეს ამკარად მცდარი ცნობა.

მაგრამ სამაგიეროდ ნ. მარტი ამ მეორე შემთხვევაში სრულიად ტენდენციურ ინტერპრეტაციას აძლევს სომეხი ისტორიკოსის იოანე მამიკონიანის მატიანის ტექსტს.

ნ. მარტი, 1911 წელს გამოქვეყნებულს ამ გამოკვლევაში, ეხება რა კლარჯეთის ისტორიის უძველეს პერიოდს, როდესაც ვითომცდა მოხდა ძველი „თუბალ-კაინური“ (მეგრულ-ქანური) მოსახლეობის შეცვლა სომხური მოსახლეობით, წერს:

„Для древнейшего исторического процесса, перерождения тубал-кайнов нашего края (Иларджетий) в армян, мы располагаем столь скудными данными, что пока можем утверждать самый факт, но не можем представить себе исторического развития этого дела. Полу-легендарное сообщение о совершившемся уже армянском иммиграционном движении в эту иверскую страну, да притом далее в глубь, в пределы Лазистана, относится к событиям 7-го века. Часть этого сообщения интересна и археологически, так как она явно указывает на существование в крае развалин большого города, некогда епископской резиденции, в эпоху историка Иоанна Мамикониана, автора сообщения...“¹.

ამრიგად, თვით ნ. მარტი აღნიშნავს, უაღრესი სიღარიბე არისო მასალებისა აქ აღძრული საკითხის გამო (ე. ი. კლარჯეთის ვითომცდა სომხურობის გამო), და ასახელებს ერთადერთს იოანე მამიკონიანის მატიანეს, რომელიც;

¹ იხ. TP, VII, გვ. III.

ვითომც შეიცავს ცნობას სომხური იმიგრაციული მოძრაობის შესახებ კლარჯეთში.

მკითხველი, ბუნებრივია, არ დაიწყებს იმის ძიებას, თუ რა წერია ამ ძველ და ნაკლებად ცნობილი ავტორის იოანე მამიკონიანის მატრიანეში და ირწმუნებს ნ. მარის ამ უწყებას, რომ იოანე მამიკონიანის მატრიანე მართლაც შეიცავსო რაიმე ჩვენებას სომხების იმიგრაციული მოძრაობის შესახებ კლარჯეთში.

მაგრამ თუკი მკითხველი ხელში აიღებს იოანე მამიკონიანის მატრიანეს, იგი შეუძლებელია განცვიფრებული არ დარჩეს. არაფერი ამისი მსგავსი იოანე მამიკონიანის მატრიანეში არ წერია. იოანე მამიკონიანის მატრიანე არათუ არ მოგვეთხრობს სომხური იმიგრაციული მოძრაობის შესახებ კლარჯეთში, არამედ, პირიქით, იოანე მამიკონიანის მატრიანიდან სულ სხვა ირკვევა, სახელდობრ ის, რომ მე-7 საუკუნეში მესხეთის მხარეები, მათ შორის კლარჯეთი, ქართულ მხარეს წარმოადგენდა.

ამრიგად ნ. მარი, სამწუხაროდ, აქაც ტენდენციური აღმოჩნდა... ისევე როგორც ნ. მარის ტენდენციური განმარტებით არზანენის საპიტიახშო (ტიგროსის ხეობისა) გადაიქცა არტანუჯის საპიტიახშოდ (კლარჯეთად), ასევე ტენდენციურია და მცდარი ამ მეორე შემთხვევაშიაც ნ. მარის ინტერპრეტაცია.

მაგრამ გავეცნოთ თვით იოანე მამიკონიანის მატრიანის ტექსტს.

(იხ. იოანე მამიკონიანის მატრიანე, 1832 წლის გამოცემა, გვ. 56—57, 1941 წლის გამოცემა, აშოტ აბრამიანის რედაქციით, გვ. 283—287).

იოანე მამიკონიანის მატრიანის განხილვიდან ირკვევა შემდეგი:

ა) მე-7 საუკუნეში ტერიტორია მესხეთის მხარეებისა, დაწყებული მდინარე ქოროხის ხაზიდან ვიდრე ვანანდამდე, ე. ი. საკუთრივ კლარჯეთის ჩათვლით, შეადგენდა სამფლობელოს ვაშდენ „ქართველთა (ივერიელთა) მთავრისა“. ვაშდენის მემკვიდრე ყოფილა მისი ძე ჯოჯიკი, რომელიც იოანე მამიკონიანის მატრიანეში ასევე „ქართველთა (ივერიელთა) მთავრი“-ს სახელწოდებით მოიხსენება;

ბ) ტერიტორია მდინარე ქოროხიდან ვიდრე ზღვამდე, ე. ი. ის ტერიტორია, რომელიც ძველ ქართულ წყაროებში მოიხსენება როგორც „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ (ივერიის ლაზეთი, აღმოსავლეთი ქანეთ-ლაზეთი), შეადგენდა, იოანე მამიკონიანის მატრიანის ცნობით, სამფლობელოს ვაშდენ ქართველთა მთავრის ვასალისა, რომელსაც ერქვა ჰამამი. ეს უკანასკნელი ნათესავად მოხედებოდა ვაშდენ ქართველთა მთავარს, იგი იყო დისწული ვაშდენისა.

საზღვარი ვაშდენის უშუალო სამფლობელოსა და ჰამამის ვასალურ სამფლობელოს შორის ყოფილა მდინარე ქოროხი¹.

ვაშდენ ქართველთა მთავარი, იოანე მამიკონიანის სიტყვით, ყოფილა მფლობელად ამ მხარისა ირანის შაჰის ხოსრო ფარვიზის დროს, „უწინარეს ჰერაკლეს (ბიზანტიის კეისრის) სპარსეთში მოსვლისა“, ე. ი. მე-7 საუკუნის დასაწყისში.

ამ დროს, მე-6—7 საუკუნეთა მიჯნაზე, ირანისა და ბიზანტიის იმპერიები, როგორც ცნობილია, იბრძოდნენ პოლიტიკური უპირატესობის მოპოვებისა-

¹ საკუთრივ კლარჯეთი ესაზღვრებოდა ზღვისპირა კლარჯეთს ანუ ივერიის ლაზეთს (აღმოსავლეთ ქანეთ-ლაზეთს) ქოროხის ხეობის ქვემო სექტორში, ნიგალის — მურღულის ხონაში.

თვის საქართველოსა და სომხეთში. კერძოდ, მე-7 საუკუნის დასაწყისში, 604—5 წლებიდან მოკიდებული, საქართველო (იბერია) და სომხეთი ირანის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა.

ვაშდენ ქართველთა (ივერთა) მთავარი, მფლობელი მესხეთის მხარეთა, ირანის პოლიტიკური ორიენტაციისა ყოფილა, ხოლო მისი დისწული ჰამამი (მფლობელი ზღვისპირა მხარისა—ლაზეთისა), ბიზანტიის ორიენტაციის მოღვაწედ ჩანს.

იოანე მამიკონიანი მოგვითხრობს, რომ როდესაც ვაშდენ ქართველთა მთავარმა განიზრახა შეეპყრო ირანის შაჰის ლალატში გარეული ბიზანტიის მომხრე ტარონის მთავარი, ივერიის ლაზეთის (აღმოსავლეთ ქანეთ-ლაზეთის) მფლობელს ჰამამს, ვაშდენის დისწულს, წინასწარ იღუმალ გაუფრთხილებია წერილით ტარონის მთავარი და გადაურჩენია იგი შეპყრობას.

როდესაც გამოირკვა ჰამამის ეს მოქმედება, ვაშდენ ქართველთა მთავარს განუზრახავს თავისი ურჩი ვასალის დასჯა. იოანე მამიკონიანი მოგვითხრობს, რომ „განრისხებულმა ვაშდენმა გამოიძახა ჰამამი“ და ბრძანა, რათა ჰამამი-სათვის, როგორც მოღალატისათვის, მოეკვეთათ ხელები. ამის შემდეგ ვაშდენს გადაუწყვეტია დაესაჯა ჰამამის ვასალური სამფლობელო მხარე (ივერიის ლაზეთი), მისი შორჩილებაში მოყვანა. იოანე მამიკონიანი მოგვითხრობს: „ვაშდენმა გადალახა ჭოროხი და შევიდა ჰამამის ქალაქში, რომელსაც ერქვა ტამბური, მისცა იგი ცეცხლსა და მახვილს და წარმოსტყვევნა იგი“. ეს მთავარი ქალაქი ჰამამის სამფლობელოსი (ლაზეთის მხარისა) საეპისკოპოსო კათედრა ყოფილა. ქალაქი, როგორც ირკვევა მათიანის ცნობიდან, ზღვისპირას მდებარეობდა¹.

ამ ლაშქრობის დროს, როდესაც ვაშდენ მთავარი ტამბურის ქალაქში იმყოფებოდა, იგი გარდაცვლილა.

ამის შემდეგ ჰამამი განუთავისუფლებიათ ტყვეობიდან და იგი დაბრუნებულა თავის მხარეში (ლაზეთში). ჰამამს ხელახლა აუშენებია დანგრეული ქალაქი ტამბური და უწოდებია თავისი სახელი „ჰამამა-შენი“.

რაც შეეხება ვაშდენის უშუალო სამფლობელოს, ე. ი. მესხეთის მხარეებს (ჭოროხიდან — ვანანდამდე, ე. ი. საკუთრივ კლარჯეთის ჩათვლით) — აქ ვაშდენის სიკვდილის შემდეგ მთავრად დამჯდარა ვაშდენის ძე ჯოჯიკი. ირანის შაჰს ხოსრო-ფარეხს ქართველთა (ივერიელთა) მთავრის ჯოჯიკისათვის უბოძებია ტიტული მარზპანისა.

ჯოჯიკი მესხეთის მხარეთა მთავრად ყოფილა მე-7 საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე. მემათიანის სიტყვით „ვაშდენის-ძე ჯოჯიკ, ქართველთა (ივერიელთა) მთავარი“ ცოცხალი ყოფილა მე-7 საუკუნის შუა წლებშიაც, როდესაც კავკასიაში პირველად შემოვიდნენ არაბთა რაზმები.

ასეთია ის მოთხრობა, რომელიც დაცული აქვს სომეხთა ისტორიკოსს იოანე მამიკონიანს და საიდანაც ირკვევა, რომ მე-7 საუკუნეში მესხეთის მხარეები — ქოროხიდან ვანანდამდე (საკუთრივ კლარჯეთის ჩათვლით) — შეად-

¹ იოანე მამიკონიანის მატთანში ის თავი, სადაც აღწერილია ვაშდენ მთავრის ბრძოლა ქალაქ ტამბურთან (ივერიის ლაზეთის მხარეში), ასეა დასათაურებული: „...ბრძოლისათვის, რომელიც შარილოვანი ზღვის ნაპირას მოხდა“. აქ იგულისხმება შვიი ზღვა, რომლის ნაპირას, როგორც ირკვევა, მდებარეობდა ტამბური.

გენდა სამფლობელოს ჯერ ვაშდენ ქართველთა (ივერთა) მთავრისა, შემდეგ ვაშდენის ძის ჯოჯიკ ქართველთა (ივერთა) მთავრისა; ხოლო ქოროხს გაღმა მდებარე ზღვისპირი მხაოე (ლაზეთი ივერიისა) ყოფილა სამფლობელო ვაშდენ ქართველთა მთავრის ვასალის და ნათესავის (დისწულის) ჰამამისა.

საკითხავია ამის შემდეგ, საიდან გამოიყვანა ნ. მარმა თავისი დასკვნა ვითომც იოანე მამიკონიანის ტექსტი შეიცავს ცნობას სომხური იმიგრაციული მოძრაობის შესახებ ამ მხარეში?

ამის საბუთად ნ. მარი ასახელებს იმ გარემოებას, რომ ლაზისტანის ერთ პატარა კუთხეში, რომელსაც ჰემშინის (ჰამშენის) თემი ეწოდება, ამჟამად ცხოვრობენ სომეხი მუსულმანები, ეგრეთ-წოდებული ჰემშინები.

ნ. მარი, ეხება რა იოანე მამიკონიანის მატთანეს, გაკვრით აღნიშნავს ერთ შენიშვნაში, რომ აქ დასახელებული მთავრები „ივერიელები“ არიან (იმასთან ამას აღნიშნავს იმდენად გაკვრით და ისეთნაირად, რომ მკითხველი ვერც კი გაიგებს კარგად, თუ რაშია საქმე, რა ტერიტორიას მოიცავს ამ ივერიელი მთავრების სამფლობელო და რა აქვს სინამდვილეში მოთხრობილი იოანე მამიკონიანს), ხოლო ამის შემდეგ ნ. მარი მოულოდნელად გადადის ჰემშინის სომხებზე; ნ. მარი დასახელებულ შენიშვნაში წერს:

„Вашден, мстящій ოАмаму, — князь иверов; Джоджик, сын его, иверский князь, маршан по назначению персидского царя; ოАмам, обличавший Вашдена за предание себя персам, племянник (сын сестры) Вашдеса; от ოАмама, обстроившего Тамбур и переименовавшего его в ოАмамшен, происходят, предполагается, ოАмшенские армяне в Лазистане“¹.

ამრიგად, ნ. მარის ამ ცნობით, ქართველთა მთავრის დისწულის ჰამამისაგან, რომელმაც ააშენა ჰამამაშენი, მომდინარეობენ, როგორც ფიქრობენო, ჰამშენის სომხები ლაზისტანში („происходят, предполагается, ოАмшенские армяне в Лазистане“).

ეს არის და ეს, სხვას ამ საკითხის გამო ნ. მარი არას ამბობს.

მკითხველი იფიქრებს ნ. მარის წინა განცხადების მიხედვით, რომ იოანე მამიკონიანის მატთანეში რამეა მოთხრობილი სომხების დასახლების შესახებ კლარჯეთსა და ლაზისტანში მე-7 საუკუნეში და რომ ჰამშენის სომხები მათი შთამომავალნი არიანო. ნ. მარი, როგორც აღნიშნული გვექონდა, წერს, რომ ცნობა — „о совершившемся уже армянском иммиграционном движении в эту иверскую страну, да притом, далее вглубь Лазистана, относится к событиям 7-го века. Часть этого сообщения интересна и археологически, так как она явно указывает на существование в крае развалин большого города, некогда епископской резиденции, в эпоху Иоанна Мамиконяна, автора сообщения...“ (იხ. ტრ, VII, გვ. III).

ამრიგად, ნ. მარის ამ განცხადების მიხედვით მკითხველი დაასკვნის, რომ იოანე მამიკონიანის მატთანე ვითომც შეიცავს რაიმე ცნობას სომხების იმიგრაციის შესახებ კლარჯეთსა და ლაზისტანში — მე-7 საუკუნეში. მაგრამ არაფერი ამის მსგავსი იოანე მამიკონიანის მატთანეში არაა მოთხრობილი!.. იოანე მამიკონიანს მოთხრობილი აქვს მხოლოდ ის, რაც ზემოთ გვექონდა მოყვანილი და საიდანაც მხოლოდ ის ირკვევა, რომ მესხეთის მხარეები, მათ შორის საკუთ-

¹ იხ. ტრ, VII, გვ. 1V, შენიშვნა 1.

რივ კლარჯეთი (და მის მეზობლად მდებარე ივერიის ლაზეთი) მე-7 საუკუნეში. ქართულ მხარეს წარმოადგენდა, ქართველების (ივერიელების) სამფლობელოს, და რომ აქ მე-7 საუკუნეში არავითარი უცხო ელემენტის ჩამოსახლებას აღგული არა ჰქონია.

ჩვენ დაგვრჩენია გავაკეთოთ მეტად სამწუხარო დასკვნა: ნ. მარი ამ საკითხის გაშუქების დროს აშკარად ტენდენციურია...

*

აქ საჭიროა აგრეთვე რამდენიმე შენიშვნა ჰემშინების შესახებ, რომელთა საკითხი ნ. მარმა სრულიად უადგილოდ დაუკავშირა აქ აღძრულ სხვა საკითხებს.

ჰემშინელი სომხები ანუ ჰემშინები, როგორც ცნობილია, მოსახლეობენ ლახისტანში, პონტოს მთების ზონაში. მათ უკირაეთ ისტორიული ლაზეთის სრულიად უმნიშვნელო ნაწილი. ლაზეთის ისტორიული ტერიტორია, ჯერ მარტო ვიდრე ტრაპიზონის ხაზამდე, შეიცავს ექვს დიდ რაიონს: ხოფა, ათინა, რიხე, ოფი, სურმენე, ტრაპიზონი. აქედან ჰემშინელ სომხებს უკირაეთ მხოლოდ ერთი რაიონის, სახელდობრ ათინის რაიონის პატარა მთიანი კუთხე პონტოს მთების საზღვართან.

ჰემშინელი სომხების თემის მთავარ სოფელს ეწოდება ჰემშინი (იგივე ჰამშინი, ჰამშენი), და აქედან მომდინარეობს მათი სახელწოდება: ჰემშინები ანუ ჰამშენები.

ნ. მარი ფიქრობს, რომ ეს სოფელი ჰემშინი (ჰამშინი, ჰამშენი) არის იგივე ისტორიული ქალაქი ჰამამა-შენი, ძველი ტამბური, რომელიც განაახლა მთავარმა ჰამამმა მე-7 საუკუნეში.

ამ საკითხის გამო საჭიროა შემდეგი შევნიშნოთ.

მართლაც საფიქრებელია, რომ სახელწოდებანი ჰამშენი (ჰემშინი) და ჰამამა-შენი ერთი და იგივეა, მაგრამ თუ ეს ასეა, უნდა დავუშვათ ისიც, რომ სახელწოდება ძველი ქალაქისა ჰამამა-შენი უფრო გვიან ხანაში სხვა ადგილას გადაუტანიათ, სხვა პუნქტისათვის მიუკუთვნებიათ. ძველი ისტორიული ჰამამა-შენი, როგორც ეს სავარაუდებელია იოანე მაგიკონიანის მატანიის მიხედვით, მდებარეობდა ზღვის ნაპირას, ხოლო თანამედროვე ჰამშენი მდებარეობს, როგორც აღვნიშნეთ, არა ზღვის სანაპიროზე, არამედ ზღვისხაგან დიდად დაშორებულად, პონტოს მთების კალთებზე. ადგილის ასეთი გადანაცვლება, ცხადია, უმიზეზოდ არ მოხდებოდა. სავარაუდებელია, რომ ზღვის სანაპიროზე მდებარე ძველი ქალაქი ჰამამა-შენი მოშლილა და ამავე სახელწოდების პუნქტი გაუშენებიათ გარეშე მტრებისაგან დაცულს ხეობაში, პონტოს მთების ზონაში, გარეშე მტრების — თურქების გაძლიერების ხანაში (ტრაპიზონის აღების შემდეგ), ე. ი. მე-15—16 საუკუნეებში.

ხოლო რა დროიდან გაჩნდა აქ, პონტოს მთების ჰამშენში, სომხური მოსახლეობა? ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ შენახულა.

საფიქრებელია, რომ სომხური მოსახლეობა აქ შედარებით ახლო დროებში არის მოსული. ყოველ შემთხვევაში არც ერთ ძველ წყაროში ლაზეთის შესახებ (ხოლო ასეთი წყაროები, როგორც ცნობილია, მრავლად შენახულა) — არ მოიპოვება არავითარი ცნობა სომხური მოსახლეობაზე ლაზეთში. აღსანიშნავია, რომ თვით ჰამშენის სომხები არ თვლიან თავს ადგილობრივ აბორიგენებად, არამედ გადმოცემით ისინი შიდა-სომხეთიდან არიან გადმოსულნი.

მაგრამ თუნდაც სომხური მოსახლეობა ჰამშენისა ძველ დროისა ყოფილიყო, განა დაქტიცილებოდა ამით, რომ ლაზეთი არ იყო ქართული ქვეყანა?

ვინ უარყოფს, რომ ძველად შესაძლოა არსებულებოდა სომხური, ბერძნული თუ სხვა კოლონიები ამა თუ იმ ქართულ პროვინციაში? და იმის გამო, რომ ლაზეთის ერთ პატარა კუთხეში თუნდაც არსებულებოდა სომხური კოლონია, განა ამით ლაზეთი შეიცვლიდა თავის ტომობრივ სახეს? რასაკვირველია, არა. და მართლაც, არავის მოსვლია ახრად, ჰამშენის რაიონის გამო. ლაზეთი სომხეთად გამოეცხადებია, არამედ იგი ყოველთვის ლაზეთად მოიხსენება; ლაზეთი იყო ლაზური და ასეთად დარჩა.

რაც შეეხება ჰამშენის საკითხის დაკავშირებას საკუთრივ კლარჯეთთან, ეს კი უკვე სრული გაუგებრობაა, მხოლოდ საკითხის დაბუნდოვნების მიზნით მოტანილი. მართლაც, რა ტერიტორიული კავშირი აქვს საკუთრივ კლარჯეთს, ქალაქ არტანუჯის მხარეს, რომელიც კოროხის აუზში, მდინარეების არტანუჯ-იმერხევის ხეობებშია განთავსებული, და ჰამშენს, რომელიც სრულიებით სხვა ზონაში, პონტოს მთებში, შიდა ლაზეთში მდებარეობს? არავითარი,

6. მარის ამ მთავარ მოსაზრებათა განხილვის შემდეგ, გავეცნოთ აგრეთვე სხვა მკვლევართა მიერ გამოთქმულ შეხედულებებს აქ აღძრული საკითხის გამო კლარჯეთის შესახებ.

ერთ-ერთ საბუთს იმისას, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანაში ვითომც სომხეთის ფარგლებში შედიოდა, ზოგიერთი მკვლევარი თითქო პოულობს ანტიკური ხანის გეოგრაფოსის კლავდი პტოლემეს თხზულებაში.

სახელდობრ კლავდი პტოლემეს თავის თხზულებაში „გეოგრაფიის სახელმძღვანელო“-ში აღნიშნული აქვს, რომ სომხეთის ფარგლებში მე-2 საუკუნეში (ახ. წ.) სხვა პროვინციათა შორის შედიოდა პროვინცია Katarz-, Katarz-ene, ე. ი. „კატარდ-“, „კატარდ-ენე“ (წ. V, თ. XII, § 9)¹.

პროფ. ჰ. კიპერტმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ ეს დაწერილობა ამ პროვინციის სახელისა კლავდი პტოლემეს თხზულების მოღწეულ დედნებში დამახინჯებას უნდა წარმოადგენდესო და მის ნაცვლად უნდა წერებულყო „კალარდ-“, „კალარდ-ენე“; ხოლო ეს უკანასკნელი არისო იგივე პროვინცია კლარჯეთი ანუ კლარჯქ.

ამ მოსაზრების მიხედვით პროფ. ჰ. კიპერტმა თავის რუკაზე Atlas Antiquus, № 4, — კლარჯეთის ტერიტორია ჩასთვალა სომხეთის პროვინციად, ამ თვითნებურად აღდგენილი სახელწოდებით „კალარძენე“, რომელიც სინამდვილეში არც ერთ ხელნაწერში, არც ერთ დოკუმენტში არაა დადასტურებული.

პროფ. ჰ. კიპერტის ეს შესწორება, რომ ვითომც „კატარდ-ენე“ არისო დამახინჯება სახელწოდებისა „კალარდ-ენე“, ხოლო „კალარდ-ენე“ ვითომც არისო იგივე კლარჯეთი, გაიზიარეს მთელმა რიგმა არმენისტებმა, მათ შორის ჰ. ჰიუბშმანმა², ი. მარკვარტმა³, ნ. მარმა⁴.

მაინც ასეთი გაიგივება იმდენად თვითნებურია და იმდენად ხელოვნური ჩანს, რომ თავიდანვე იწვევდა ეჭვს.

პროფ. ნ. ადონცი, გამოკვლევაში „Дниисий Фракийский и армянские толкователи“, განიხილავს რა დიონისე თრაკიელის სომხურ ვერსიაში მოხსენებულს ეთნიკურ სახელებს „გოდერდ-“ („გოდერდ-აკან“), და „ტუჰ“; კითხვას სვამს: „первое имя („Годерд-акан“) не находится ли в связи с названием области Katarzene у Птолемея, которое обыкновенно принимается за искажение Kalarzene...“⁵. ამრიგად, ნ. ადონცმა ეჭვს ქვეშ დააყენა ეს თვითნებური შესწორება პტოლემეს მიერ მოხსენებული „კატარძენე“-სი „კალარძენე“-ს სახით და მისი კლარჯეთთან დაკავშირება.

ამავე დროს მთელ რიგ მკვლევართა მიერ აღნიშნულ იქმნა, რომ სახელწოდება პტოლემეს მიერ მოხსენებული სომხეთის პროვინციისა Katarz- (Katarz-ene) ზუსტად უდგება სახელწოდებას ურარტულ ტექსტებში მოხსენებული პროვინციისას: Katarza (Katarza-ni).

¹ ვარიანტით Kotarz-eno, ე. ი. კოტარძ-ენე.

² იხ. Die altarmenischen Ortsnamen, გვ. 212.

³ Eranschahr, გვ. 116.

⁴ იხ. ნ. მარის წერილი, Христианский Восток, т. V, 1916 წ., გვ. 59—60.

⁵ იხ. გვ. CLXXII.

აღნიშნულის წიხედვით ცნობილმა თანამედროვე არმენისტმა აკად. გრ. ლაფანციანმა შემცდარად გამოაცხადა მანამდე არმენისტიაში მიღებული აზრი, ვითომც პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული სომხური პროვინცია „კატარძენე“ იყოს ქართული მხარე კლარჯეთი. წიგნში *Историко-лингвистическое значение топонимии древней Армении* (1940 წ.) გრ. ლაფანციანი წერს (გვ. 19):

„Большую натяжку мы видим в приурочении птолемеевского Katarzene к грузинской области Кларджети. Это греческое имя страны есть несомненно армянской Горедзакан, что непосредственно вместе с пародцем Тух передает древние этнические термины клинописных (урартских) текстов Katarza... и Ftini-.

„На сходство урартского Katarza с греческим Katarzene было обращено внимание и другими учеными (см. напр. у Сандаджана *Les inscriptions cunéiformes urartiques*, стр. 386), хотя дислокация... тут давалась совершенно неправильная“.

გრ. ლაფანციანი აღნიშნავს რა, რომ ურარტულ წარწერებში ერთად მოიხსენებიან სამი მხარე — „ვიდერუ“, „ლუშა“ და „კატარძა“, — გამოსთქვამს მოსაზრებას, რომ ეს სამი მხარე უნდა იყოს აღმოსავლეთ ევფრატის სათავეებში და მის მეზობელ ზონაში მდებარე პროვინციები ძველი სომხეთისა — ბაგრევანდი, წალკოტნი და კოგოვიტი.

ურარტოლოგი ბ. პიოტროვსკი ფიქრობს, რომ რამდენადაც ამ სამ მხარესთან (ვიდერუ, ლუშა, კატარძა) დასახელებულია ხოლმე ერთ ჯგუფში ქვეყნები ეტიუნი, ერაზი და იშკიგულუ, რომლებიც სომხეთის ჩრდილო ნახევარში მდებარეობდნენ, ამიტომ პირველი სამი მხარეც, მათ შორის კატარძა, სომხეთის ჩრდილო ნახევარში არის საძიებელი¹.

იმისათვის, რომ საბოლოო დასკვნები გამოვიტანოთ ყველა აქ აღძრული საკითხის გამო, გადავიდეთ თვით კლავდი პტოლემეს გეოგრაფიის ტექსტის ანალიზზე. ჩვენ მოგვიხდება დაწვრილებით და ყოველმხრივ განვიხილოთ კლავდი პტოლემეს გეოგრაფიის ეს ცნობა, რადგან სწორედ ეს ტექსტი ითვლებოდა ძირითად წყაროდ, რომლის მიხედვითაც (პ. კიპერტის, პ. ჰიუბშმანის და სხვათა მიდევნებით) დაასკენიდნენ, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანაში ვითომც სომხეთის ნაწილს შეადგენდა.

მოგვეყავს მთლიანად სათანადო ტექსტი კლავდი პტოლემეს გეოგრაფიიდან; აქ ჩვენ ვკითხულობთ:

«სომხეთის მხარეები, იმ ნაწილში, რომლებიც მდებარეობენ მდინარეებს—ევფრატს, მტკვარსა და არაქსს შორის, შემდეგია:

„[1] მოსხის მთებთან — კ ა ტ ა რ ძ ე ნ ე, ვგრეთ-წოდებული „ბოხ“-ების ზემოთ;

„მდინარე მტკვრის მიდევნებით: [2] გ ო გ ა რ ე ნ ე და [3] ო ტ ე ნ ე;

„მდინარე არაქსის მიდევნებით: [4] კ ო ლ თ ე ნ ე და მის ქვემოთ [5] ს ო დ უ კ ე ნ ე;

„პარიარდის მთებთან: [6] ს ი რ ა კ ე ნ ე და [7] ს ა კ ა ს ე ნ ე“².

¹ იხ. Б. Б. Пиотровский, *История и культура Урарту*, 1944, გვ. 66, 77.

² იხ. SC. I, გვ. 244. (სახელწოდებანი მეორე, მესამე და მეშვიდე მხარეთა ხელნაწერებში დაზიანებულია და იკითხვის: „ტოსარენე“ „ტოტენე“ და „საკაპენე“).

თავდაპირველად აღნიშნავთ შემდეგს ორ გარემოებას, რაც ირკვევა მოყვანილი ტექსტის მიხედვით.

1. კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში აქ ჩამოთვლილი 7 მხარე, როგორც: ამას აღნიშნავს ავტორი, მდებარეობდნენ ეფრატის, მტკვრისა და არაქსის ხეობებში. მაშასადამე, მხარე „კატარძენე“ არას შემთხვევაში არ შეიძლება იყოს კლარჯეთი, რადგან კლარჯეთი არ მდებარეობს არც ეფრატის, არც მტკვრის, და არც არაქსის ხეობაში, არამედ სულ სხვა ზონაში, — ჭოროხის ხეობაში; ხოლო აქ ჭოროხის ხეობის შესახებ სრულებითაც არ არის საუბარი.

2. კლავდი პტოლემეს გეოგრაფიის კონტექსტიდან ისიც ირკვევა, რომ „კატარძენე“ ნიშანდობლივ ეფრატის ხეობაში ყოფილა. მართლაც ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ჩამოთვლილი 7 მხარიდან, რომლებიც ეფრატის, მტკვრისა და არაქსის ხეობებში ყოფილან განფენილნი, გოგარენე, ოტენე და საკასენე ეკუთვნიან მტკვრის ხეობას; კოლთენე, სოლუკენე და სირაკენე ეკუთვნიან არაქსის ხეობას; მაშასადამე, პირველად დასახელებული ეფრატის ხეობისათვის რჩება ასევე პირველადვე დასახელებული კატარძენის მხარე.

მაგრამ განვაგრძოთ ძიება.

რომ კატარძენე არ იყო კლარჯეთი და რომ კატარძენე მდებარეობდა არა ჭოროხის, არამედ ეფრატის ხეობაში, ეს დასტურდება აგრეთვე სხვა ჩვენებათა მიხედვითაც.

კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში, როგორც ვნახეთ, აღნიშნულია, რომ კატარძენე მდებარეობდა მოსხის მთებთან, ეგრეთ-წოდებული „ბოხ“-ების შემოთ.

საკითხავია, რომელ მთებს ეწოდებოდა მოსხის მთები და სად მოსახლეობდა ანტიკურ ხანაში „ბოხ“-ის ტომი.

ჯერ „ბოხ“-ის ანუ „ბოხა“-ს (იგივე „ბოლხარ“-ის) ტომის შესახებ.

სტეფანე ბიზანტიელის ცნობიდან ირკვევა, რომ ცენტრი „ბოხა“-ს ტომის ტერიტორიისა ყოფილა კარინი, ე. ი. ახლანდელი არზრუმის ზონა დასავლეთ ეფრატის სათავეებში; სტეფანე ბიზანტიელი ბოხაელებს „კარინელთა ტომს“ უწოდებს¹.

ირკვევა ამასთან, რომ გარდა კარინისა (რომელიც ბოხას ტომის ძირითადი მიწა-წყალი ყოფილა), ბოხაელთა ტერიტორიის ფარგლებში შედიოდა აგრეთვე:

ა) ბასიან-ვანანდი, ეფრატის ხეობის მიჯნიდან — მტკვრის ხეობის მიჯნამდე²;

ბ) ტაოს უკიდურესი სამხრეთი კანტონი, რომელსაც ერქვა ეს სატომო სახელი „ბოხა“ ანუ „ბუხა“³ (იგივე „ბუხათა-ყური“)⁴ და რომელსაც ექირა მდინარე ოლთის-წყალის სათავეები.

რაკი ამრიგად ბოხაელთა სატომო ტერიტორია გამორკვეულია, ამის შემდეგ შესაძლოა ზუსტად იქმნას განსაზღვრული, თუ რომელი მთებია ნაგულისხმევი კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში „მოსხის მთების“ სახელწოდებით.

¹ იხ. სტეფანოს ბიზანტიელი, სიტყვასთან: Βόγχαι.

² საზღვრები იხ. იქვე, სტეფანოს ბიზანტიელთან. (ამ საკითხზე იხ. აგრეთვე ქვემოთ, გვ. 518—9)

³ იხ. უსახლო გეოგრაფია VII—IX საუკუნეთა, 1881 წ., გვ. 35.

⁴ უფრო გვიან ხანაში (სახეშეცვლით) „ბულათა-ყური“ (იხ. დაივთ აღმაშენებელის ისტორია, გვ. *543/311; რამთააღწერელი, გვ. *794/632, 795/633 = ქართლის ცხოვრება, I, 1849 წლის გამოც., გვ. 374, 375).

აშკარაა „მოსხის მთები“ რქმევია წყალთა-გამყოფ ქედს, რომელსაც ერთის მხრიდან ადგება არაქსის ხეობა, ხოლო მეორე მხრით მტკვრის და ქოროხის ხეობები. ეს ქედი იწყება ჩრდილო-აღმოსავლეთით ჯაფახეთთან, აღწევს სამხრეთ-დასავლეთით ვიდრე სპერამდე („შქედილისი“-ს მთების შესაყარამდე), ხოლო მისი სამხრეთ განშტოება ადგება ბინგელის მწვერვალებს (დევებოინუს შტოზე გავლით). სწორედ ამ მთებს ეკვრის ბოხაელთა ტერიტორია — კარინი, ბასიან-ვანანდი და ბოხას კანტონი.

რომ ანტიკურ ხანაში „მოსხის მთების“ სახელით იგულისხმებოდა სწორედ ეს მთები, ამას ადასტურებს, გარდა კლავდი პტოლემეს გეოგრაფიისა, აგრეთვე სტრაბონის ტექსტი და სხვა წყაროები (იხ. ქვემოთ, 484—485)¹.

რაკი ამრიგად გამოჩვენებულია ადგილმდებარეობა ბოხაელთა ტერიტორიისა და მოსხის მთებისა, ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნები ზემოთაღძრულ საკითხთა გამო:

1. თავდაპირველად ჩვენ აქ ვღებულობთ ერთ ზედმეტ საბუთს, რომ კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული კატარძენე ეს არ არის კლარჯეთი; კლავდი პტოლემეს სრულიად გარკვეული ცნობის თანახმად, კატარძენე მდებარეობდა „მოსხის მთებთან, ეგრეთ-წოდებული ბოხების ზემოთ“. ხოლო კლარჯეთი, ჯერ ერთი, — არ მდებარეობს იმ ქედთან, რომელსაც ერქვა „მოსხის მთები“, არამედ სულ სხვა ზონაშია მოქცეული. მეორეც, — კლარჯეთი არ ეკვრის ბოხაელთა ტერიტორიას (კლარჯეთს და ბოხას შორის მდებარეობენ მთელი წყება სხვა კანტონებისა). მესამე, — კლარჯეთი ბოხაელთა ტერიტორიის მიმართ არის არა „ზემოთ“, არამედ პირიქით, „ქვემოთ“: არტანუჯიმერხევის წყალის ხეობა, რომელზედაც მდებარეობს კლარჯეთი, განფენილია ქოროხის ხეობის არა ზემო ნაწილში (როგორც ოლთისის-წყალის ხეობა და ბოხას კანტონი), არამედ სწორედ ხეობის ქვემო ნაწილში.

2. კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული კატარძენე, როგორც ირკვევა, უნდა ვეძიოთ არა ქოროხის ხეობაში, არამედ აღმოსავლეთ ეფფრატის ზემო შემდინარეებში, ბინგელის მთების ზონაში, რადგან სწორედ ეს ტერიტორია არის ბოხების „ზემოთ“, მოსხების მთებთან. (რომ კატარძენე ეფფრატის ხეობაში მდებარეობდა, ამის შესახებ, როგორც ვნახეთ, სხვა ჩვენებებიც არსებობს; იხ. ზემოთ, გვ. 429).

საკითხავია ამის შემდეგ, ხომ არ შენახულა ამ სექტორში ეს სახელწოდება კატარძ-ი (კატარძ-ენე), ან მისი რაიმე გვიანდელი სახელშეცვლილი ფორმა. როგორც ირკვევა, შენახულა.

კლავდი პტოლემეს ხანიდან ოთხი საუკუნის შემდეგ, უკვე საშუალო საუკუნეებში, ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს მე-6 საუკუნეში კარინის მეზობლად, ე. ი. სწორედ ბოხაელთა ტერიტორიის მეზობლად, ბინგელის მთების ზონაში (აღმოსავლეთ ეფფრატის ხეობაში) მოხსენებული

¹ აღვნიშნავთ აქვე შემდეგსაც: რომ ანტიკურ ხანაში მოსხის მთების სახელით იგულისხმებოდა როგორც ძირითადი ჩრდილო წყალთაგამყოფი ქედი (მტკვარ-ქოროხსა და არაქსს შორის), აგრეთვე სამხრეთი დევებოინუს შტო (დასავლეთ ეფფრატსა და არაქსს შორის), — ეს სწორად აქვს ამოცნობილი გამოჩენილ ძველ ქართველ გეოგრაფოსს ვახუშტი ბატონიშვილს (იხ. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 121, 140).

აქეს დიდი ციხე-სიმაგრე სახელწოდებით Kithariz- (Kithariz-ბი) კითარიძ— (კითარიძ-ონ), რომელიც იცავდა რომის იმპერიის საზღვრებს ირანიდან¹.

სახელწოდება ამ ციხე-სიმაგრისა ჩვენ გვხვდება აგრეთვე სირიულ, სომხურ და ქართულ წყაროებში².

სახელწოდება ამ ციხე-სიმაგრისა კითარიძ - (კითარიძ-ონ) აშკარაა კავშირში იმყოფება პტოლემეს მიერ დასახელებული მხარის სახელთან „კატარძ“ („კატარძ-ენე“). ამის მაჩვენებელია როგორც სახელწოდებათა იდენტურობა, ისე მათი ლოკალიზაცია ერთსა და იმავე სექტორში.

დასასრულ, აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე კითხვაზე, თუ რამდენად მართებულია გაიგივება კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებულ ამ მხარის სახელთან კატარძ — (კატარძ-ენე) დიონისე თრაკიელის თარგმანში მოხსენებული ეთნიკური სახელისა გოდერძ — (გოდერძ-აკან) და ურარტულ ტექსტებში მოხსენებული მხარის სახელისა Katarza (Katarza-ni).

პირველი კითხვის გამო, არის თუ არა პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული მხარის სახელი კატარძ - (კატარძ-ენე) იდენტური ეთნიკურ სახელთან გოდერძ - (გოდერძ-აკან), არაფერი გარკვეულის თქმა არ შეიძლება, ვინაიდან არავითარი ცნობა არ მოღწეულა იმის შესახებ, თუ სახელდობრ რომელი ეთნიკური ჯგუფი აღინიშნება ამ სახელით, ან სად არის სავარაუდებელი, თუნდაც მიახლოებით, ამ ეთნიკური ჯგუფის გეოგრაფიული არე.

რაც შეეხება მეორე მოსაზრებას, რომელიც გამოთქმული იყო მთელ რიგ შეცნიერთა მიერ, რომ ურარტულ წარწერებში მოხსენებული მხარე Katarza (Katarza-ni) არისო იგივე კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში დასახელებული მხარე კატარძ- (კატარძ-ენე), ეს არ იწვევს ეჭვს. ჯერ ერთი, სახელწოდება ამ მხარეთა, როგორც ვხედავთ, სავსებით იდენტურია. ამას გარდა, ლოკალიზაცია ურარტული Katarza(ni)-ს მხარისა ზოგადად უდგება კლავდი პტოლემეს გეოგრაფიის კატარძ-ენის მხარის ადგილმდებარეობას. ურარტუს სახელმწიფოს ეტიუნის ქვეყნები (რომლის მეზობლადაც მდებარეობდა, ან რომლის კომპლექსშიაც შედიოდა ურარტული Katarza), როგორც ირკვევა, მოიცავდა აღმოსავლეთ ეფრატის (არაწანის) ხეობის ჩრდილო სექტორს და არაქსის ხეობის ზემო ნაწილს. ხოლო კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული კატარძენეს მხარე, როგორც გამოიჩვენა, იმავე ზონაში მდებარეობდა, აღმოსავლეთ ეფრატის ხეობის ზემო ნაწილში.

ჩვენ ამით დავამთავრებთ ამ ექსკურსს კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული მხარის კატარძენეს შესახებ.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო გარკვეული, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს, რომ კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში დასახელებული

¹ იხ. პროკოპი კესარიელი, Aed. III, 3, BP, II, 24. კითარიძის ლოკალიზაციის საკითხის გამო იხ. ნ. ადონცი, op. cit., გვ. 13—22.

² სირიულად: *კიტარიძ ანუ *კიტარიზ (→კიტრიზ), იხ. Gelzer, Georgii Ciprii descriptio orbis Romani, 1890, გვ. 174—175.—სომხურად: *კითარიძი (→კთრიძი), იხ. ასოლიკი 1885, გვ. 86.—ქართულად: კითარიჯი (კითრიჯი), იხ. არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართლისა და სომხეთისა (ქრონიკები, I), გვ. 329.

მხარე კატარძენე, რომელიც ეფფრატის ხეობაში მდებარეობდა, არ არის ქართული პროვინცია კლარჯეთი, მდებარე ქოროხის ხეობაში.

*

გადავდივართ ამის შემდეგ განხილვაზე ორიენტალისტის ი. მარკვარტის მიერ გამოთქმული მოსაზრებისა ამავე საკითხთა გამო.

ი. მარკვარტი იზიარებდა ზემოთ-განხილულ უსაფუძვლო ჰიპოთეზს, რომ კლავდი პტოლემეს გეოგრაფიის კატარძენე ვითომც არისო ქართული პროვინცია კლარჯეთი.

ამ მცდარ დებულებას ი. მარკვარტმა დაუკავშირა მეორე მცდარი დებულება, დამყარებული სტრაბონის გეოგრაფიის ერთი ცნობის არასწორ განმარტებაზე.

როგორც ცნობილია, სტრაბონის გეოგრაფიაში, იმ მხარეთა შორის, რომლებიც შევიდა სომხეთის შემადგენლობაში მე-2 საუკუნეში ძვ. წელთაღრიცხვისა, მოხსენებულია მხარე Χιρζηνη „ხორძენე“ (იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. XIV, § 5, 4).

ი. მარკვარტმა ამ მხარის სახელწოდებისა და ადგილმდებარეობის საკითხის გამო შემდეგი მოსაზრებანი წარმოადგინა:

ა. სტრაბონის გეოგრაფიის არსებულ დედნებში დასახელებული სახელწოდება „ხორძენე“ უნდა წარმოადგენდესო დამახინჯებულ დაწერილობას და თავდაპირველ დედანში უნდა ყოფილიყო არა „ხორძენე“, არამედ „ხო[ლა]რძენე“;

ბ. ეს სახელწოდება „ხო[ლა]რძენე“ უნდა იყოსო კლავდი პტოლემეს გეოგრაფიაში მოხსენებული „კატარძენე“, რაც აგრეთვე დამახინჯებას უნდა წარმოადგენდესო და მის ნაცვლად თავდაპირველ დედანში უნდა ყოფილიყო „კა[ლა]რძენე“ (ანუ კო[ლა]რძენე“).

გ. სტრაბონის ეს „ხო[ლა]რძენე“, იგივე კლავდი პტოლემეს „კა[ლა]რძენე“ უნდა იყოსო კლარჯეთი¹.

ი. მარკვარტს ეს მოსაზრებანი არაფრით არ დაუსაბუთებია, იგი კმაყოფილდება ამ ჰიპოთეზის დეკლარაციული სახით წამოყენებით.

ი. მარკვარტის ეს მოსაზრებანი მცდარია.

ჯერ ერთი, ანგარიშგასაწევი ის ფაქტი, რომ არ არსებობს არც ერთი ხელნაწერი სტრაბონის გეოგრაფიისა, სადაც თუნდაც ერთხელ, გადანაშთის სახით, მოიპოვებოდეს წაკითხვა „ხო[ლა]რძენე“; ყველა ხელნაწერში ჩვენ გვაქვს „ხორძენე“. (ამნაირადვე არ არსებობს არც ერთი ხელნაწერი კლავდი პტოლემეს გეოგრაფიისა, სადაც თუნდაც ერთხელ, გადანაშთის სახით, მოიპოვებოდეს წაკითხვა „კა[ლა]რძენე“ (ან „კო[ლა]რძენე“). ხოლო სახელწოდებათა ამნაირი თვითნებური გადაკეთებით, „აღდგენით“ (ხორძენეს ნაცვლად ხოლარძენე, კატარძენეს ნაცვლად კალარძენე), რაც არც ერთ ხელნაწერში არ გვხვდება, რასაკვირველია, არაფრის დამტკიცება არ შეიძლება. აქ ჩვენ გვაქვს, თუ გნებავთ, უფრო მკითხაობა, ვიდრე მეცნიერული არგუმენტაცია...

რომ სტრაბონის გეოგრაფიის ხორძენე არ არის და არც შეიძლება იყოს

¹ იხ. ი. მარკვარტი, *op. cit.*, გვ. 116, 168—169.

ქართული პროვინცია კლარჯეთი, ამას ადასტურებს სტრაბონის გეოგრაფიის ცნობები საქართველოსა და სომხეთის საზღვრების შესახებ:

1. სტრაბონის ცნობით, ქოროხის ხეობა, ტაოს ჩათვლით, ვიდრე ქალაქ იდამდე ანუ იდესამდე, საქართველოს (იბერიისა და კოლხეთის) საზღვრებში შედიოდა (იდი, იდესა მდებარეობს ტაოში, მდ. ქოროხის შემდინარის ოლთის-წყალის ხეობის ზემო ნაწილში). მაშასადამე, კლარჯეთი, რომელიც განთენილია ტაოს ჩრდილოეთით, არ შეიძლება ყოფილიყო სომხეთის საზღვრებში.

2. სტრაბონის ცნობით, საზღვარი იბერიისა და სომხეთს შორის გასდევდა „მოსხის მთებს“, და, მაშასადამე, კლარჯეთი, რომელიც მდებარეობს მოსხის მთების ჩრდილოეთით, არ შეიძლება ყოფილიყო სომხეთის ტერიტორიაზე¹.

ამრიგად უდავოა, რომ სტრაბონის გეოგრაფიაში „ხორძენი“-ს სახელწოდებით არ იგულისხმება და არც შეიძლება იგულისხმებოდეს ქართული პროვინცია კლარჯეთი.

საკითხავია ამის შემდეგ, რომელი მხარეა ეს „ხორძენი“, სად მდებარეობდა იგი? ნუთუ მის შესახებ არ შენახულა რაიმე ცნობა?

საქმე ის არის, რომ „ხორძენი“ სრულიადაც არ არის რომელიმე მართლაც უცნობი მხარე, არამედ იგი არა ერთგზის მოიხსენება ძველ საისტორიო წყაროებში, როგორც სომხურში, ისე ბერძნულში.

სახელდობრ ხორძენის ეს პროვინცია მოხსენებული აქვთ შემდეგ ავტორებს, შემდეგის სახით: „ხორძენი“ — ავტორებს: კორიუნი (1894, გვ. 24), მოსე ხორენელი (1865, გვ. 248), სომხური უსახელო გეოგრაფია, მოკლე რედაქცია (1865, გვ. 607).

„ხორძენი“ — ავტორებს: ლაზარე ფარაბეი (1875, გვ. 41), ასოლიკი (1885, გვ. 182), არისტაკეს ლასტივერტელი (1844, გვ. 46).

„ხორძენი“ — სომხური უსახელო გეოგრაფია, ვრცელი რედაქცია, 1881, გვ. 301.

„ხორძენი-ენე“ — პროკოპი კესარიელი, de Bello Persico, I, 1833, გვ. 262.

საისტორიო წყაროების ცნობებით, ხორძენის ეს პროვინცია მდებარეობდა მდინარე ეფრატის ხეობაში, სახელდობრ მდინარე ეფრატის შემდინარის გაილის სათავეებში (ქ. კოლობერდის სექტორში)².

ამრიგად, როგორც ვხედავთ, არ არსებულა არაერთი საკითხავი იმისა, რომ შევასწოროთ სტრაბონის ტექსტში დასახელებული სახელწოდება „ხორძენი“ როგორც „ხო[ლა]რძენი“ (რასაც, როგორც მოვიხსენეთ, არც ერთი ხელნაწერი არ ამართლებს) და შემდეგ ეს ხელოვნურად აღდგენილი „ხო[ლა]რძენი“ დავაახლოოთ კლარჯეთის სახელთან... არ მოიპოვება არაერთი საფუძველი ასეთი თვითნებური შესწორებისათვის, რადგან მხარე სწორედ ამ სახელწოდებით „ხორძენი“ მართლაც არსებობდა.

რომ სტრაბონის გეოგრაფიაში დასახელებული ხორძენი არის სწორედ ეს კარგად ცნობილი ხორძენის მხარე, ამას ეთანხმება აგრეთვე ის გარემოებაც, რომ სტრაბონის მიერ ხორძენისთან ერთად მოხსენებული პროვინციები კარინი, დერჰანი, აკილისენი, ანტიტავეროსის მხარე (მუძური), მდებარეობენ ეფრატის ხეობაშივე, ისევე როგორც ხორძენი.

¹ იხ. სტრაბონის გეოგრაფია, XI, 2, 17—18; I, 3, 21 (SC, I, 137—138, 98). სტრაბონის გეოგრაფიის ცნობათა უფრო დაწვრილებითი განხილვა წარმოდგენილი გვაქვს ქვემოთ, გვ. 482—488.

² იხ. სომხური გეოგრაფია, ვრცელი რედაქცია, 1881, გვ. 30. (შეად. ვარდანის გეოგრაფია, ა.-ჟ. სენ-მარტენის გამოცემა, გვ. 430).

ჩვენ ამით დავასრულებთ განხილვას ი. მარკვარტის ჰიპოთეზისა, რომელიც გაიზიარეს აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა მკვლევარებმა¹. წარმოდგენილი განხილვიდან, ვფიქრობთ, ცხადია, თუ რამდენად ზერელეა და ნიადაგს მოკლებული ეს დაუსაბუთებელი ჰიპოთეზი.



დასასრულ შეეხრავებით კლარჯეთის მხარის გეოგრაფიულ ნომენკლატურაზე.

აკად. ნ. მარი თავის კონცეფციას კლარჯეთის ისტორიის შესახებ, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში ვიდრე მე-8 საუკუნემდე ვითომც სომხეთის პროვინციას შეადგენდაო, კერძოდ, ამართლებდა კლარჯეთის მხარის გეოგრაფიული ნომენკლატურის მიხედვით, აქ მოიპოვებოდა სომხური გეოგრაფიული სახელწოდებანი.

1905 წელს გამოქვეყნებულს გამოკვლევაში „Аркхуя...“, ნ. მარი წერდა კლარჯეთისა და ტაოს შესახებ, რომ აქ პირველად გაჩნდნენო ქართველი მოღვაწეები მხოლოდ მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან და დაიკვირესო სომხების მიერ მიტოვებული სავანეები, რომლებიც სომხურ სახელებს ატარებდნენო: „Здесь обосновываются монастырские грузины все на основании армянских построек, в большинстве сохранившихся армянские имена...“ (გვ. 5). ასეთ სომხურ სახელებად ნ. მარი ასახელებს კლარჯეთიდან ორს: შატბერდსა და მიძნადორს.

1911 წელს გიორგი მერჩულის ძეგლის გამოცემასთან დართულს შესავალ გამოკვლევაში ნ. მარი ისევ იმეორებს ამავე ცნობას; იგი წერს, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც კლარჯეთში ვითომც პირველად გაჩნდნენო ქართველი მოახალშენეები — „грузинские мовахи в Кларджии пашли армянские жопастырские постройки в состоянии полного раворения или запущенности... Целый ряд мост, как-то Мндэпадзор, Шатберд и др. представляли, очевидно, мерзость запустения. и только своими армянскими названиями свидетельствовали о лучших днях, при культурном господстве соответственного (армянского) населения“ (გვ. XV—XVI).

ასევე 1922 წელს გამოქვეყნებულს ნარკვევში „Батум, Ардаган, Карс“ ნ. მარი კვლავ იმეორებს ამავე ცნობას; იგი წერს: „В 8-ом веке по Р. Х. впервые появились в Кларджии, в Батумской области, строители грузинских обителей и ошн... застали опустошенные или опустевшие армянские монастыри и села: их видели грузины, сохранив старые армянские названия“... (გვ. 42). ამრიგად, ნ. მარის ცნობით, სომხური სახელები შერჩაო როგორც სავანეებს, ისე სოფლებს. ასეთი ვითომცდა სომხური სახელებიდან ნ. მარი ასახელებს კლარჯეთიდან იმავე ორ პუნქტს: შატბერდსა და მიძნადორს, იმავე დამატებით „და სხვანი“ („и другие“).

როგორც ვხედავთ, ნ. მარი თავის ნარკვევებში ათეული წლების მანძილზე სისტემატურად იმეორებდა ამ დებულებას, რომ კლარჯეთის გეოგრაფიული ნომენკლატურა სომხურ ბეჭედს ატარებსო; მაგრამ საბოლოო ანგარიშში იგი ყოველთვის ასახელებდა კლარჯეთიდან მხოლოდ ამ ორად-ორს გეოგრაფიულ სახელწოდებას — შატბერდსა და მიძნადორს, არაფრის არ მოქმედი დამატებით „და სხვანი“ („и другие“).

გეოგრაფიული ნომენკლატურა, რასაკვირველია, უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტი ამა თუ იმ მხარის ეთნიკური ისტორიის აღსადგენად.

მაგრამ იმისათვის, რომ გამოვითქვანოთ დასკვნა ამა თუ იმ მხარის ეთნიკური ისტორიის შესახებ გეოგრაფიული ნომენკლატურის მიხედვით, საჭიროა, რათა ეს გეოგრაფიული ნომენკლატურა გათვალისწინებული იყოს მთელის მოცულობით. ხოლო ამოგლეჯა გეოგრაფიული სახელების მთელი წყებიდან ერთი ან ორი შემთხვევითი მაგალითისა, რასაკვირველია, არაფერს არ ამტკიცებს.

ნ. მარს არ ჩაუტარებია ასეთი შეჯამება კლარჯეთის ისტორიული გეოგრაფიული ნომენკლატურისა მთელის მოცულობით, რომ მართლაც საფუძველი ჰქონოდა რაიმე გარკვეული, მეცნიერულად ღირებული დასკვნის გამოსატანად.

ამჟამად ჩვენ ჩავატარებთ აქ ასეთ შეჯამებას. ჩვენ წარმოვადგენთ სრულ სიას გეოგრაფიული სახელწოდებებისას კლარჯეთიდან, რომლებიც კი მოიხსენიება საისტორიო წყაროებში, როგორც ქართულში, ისე უცხოურში.

¹ იხ. კ. მიულერის შენიშვნა გამოკვლევაში Claudii Ptolemaei geographia, 1901 წ., გვ. 937; ბ. ჰიუბშმანი, Die altarmenischen Ortsnamen, 1904 წ., გვ. 212, 354.

სულ საისტორიო წყაროებში ჩვენ გვხვდება 50-ზე მეტი გეოგრაფიული სახელწოდება კლარჯეთიდან.

აი მათი ნუსხა.

ა) კლარჯეთის ისტორიული ცენტრები:

1. კლარჯეთი (სახელწოდება მხარისა და პირვანდელი ცენტრისა; შემდეგ სახელწოდება სოფლისა). — 2. თუხარისი ანუ თუხარსი (ციხე-ქალაქი, კლარჯეთის ცენტრი ანტიკური ხანისა და საშუალო საუკუნეთა მიჯნაზე). — 3. არტანუჯი (ციხე-ქალაქი, კლარჯეთის ცენტრი მე-5 საუკუნიდან).

ბ) საეპისკოპოსო კათედრები:

4. ახიხა. — 5. ფორთა. — 6. ანჩი. —

გ) ათორმეტნი საეპისკოპოსო კლარჯეთისა:

7. ოპიხა. — 8. დაბა. — 9. მერე. — 10. პარეხი (პარეხნი). — 11. ხანძთა. — 12. შატბერთი (შატბერდი). — 13. მიძნაძოროფ. 14. წყაროსთავი. — 15. ბარეთელთა. — 16. ბერთა. — 17. ჯმერკი. — 18. დოლის-ყანა. —

დ) დაბა-სოფლები:

19. ქორთა. — 20. ტბა. — 21. ანჭკორა. — 22. სხლოვანი. — 23. ბარევა-ნი. — 24. ახალდაბა. — 25. ნიგოზეთი. — 26. სავანეთი. — 27. ციხის-ძირი. — 28. ახალდაბა. (II). — 29. ბოცოს-ჯვარი. — 30. აგარა. — 31. ქვაყრილი. — 32. სხალთა. — 33. გიორგი წმინდა. — 34. ფანაკარი. — 35. კირკიმი. — 36. ლონგოთ-ჯევი. —

ე) ადგილთა სახელები:

37. წერტაქსნი. — 38. ტახარის კლდე. — 39. დიდუბისა ხერთვისი. — 40. საქათმის კარი. — 41. წისქვილის-ქევი. — 42. მირიანეული. — 43. დახატულა. — 44. საკრულავი. —

ვ) მთები:

45. ლაღო (ლაღონი). — 46. კარჩხალი. — 47. ქვაყრილი. (=47¹ არსიანის ქედის შტო). — 48. ხორასუნთა. — 49. ორჯოხის მ¹თა. — 50. ძეგლი. — 51. ქედი ექვანთა. — 52. ქედი ერთკარი. —

ზ) მდინარეები:

53. კოროხი (=53¹ მდინარე სპერისა). — 54. შაეშეთის წყალი (=შაე-შური წყალი). — 55. სამწყარი (=სამწყარისა წყალი). —¹

¹ ჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელწოდებანი დასახელებულია შემდეგ წყაროებში:

ა) ლეონტი მროველი — სახელწოდებანი: 2, 45, 47¹, 53, 53¹.

ბ) ცხორება ვახტანგ გორგასარისა: 2, 3, 4, 7, 8, 9, 45, 47¹.

გ) ბასილი ზარზმელი: 7, 10, 47¹.

დ) გიორგი მერჩულე: 2, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19, 45, 54.

ე) გიორგი მერჩულის თხზულების დანართები: 20, 21, 37, 48.

ვ) სუმბატ დავითის-ძე: 3, 6, 7, 18, 26, 45, 53.

ზ) გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ის ცხორება: 2, 3.

თ) მელქისედეკ კათალიკოსის სიგელი: 22.

ი) ბაგრატ IV-ის სიგელი: 7, 13, 23, 38, 39, 40, 51, 52.

ი) ბერთის ოთხთავის ანდერძი: 41, 42.

ია) თამთალმწერელი: 7, 13, 45, 46, 47¹, 50, 54.

იბ) გუჯარი — მცხეთის მამულების ნუსხა (იხ. ქრონიკები, II, გვ. 196, 202): 2, 3, 18, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 32, 33, 47.

იგ) სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხა (ე. თაყაიშვილის გამ., არქეოლოგიური მონაგზაურობანი და შენიშვნანი, I, გვ. 76—77): 2, 6, 7, 11, 40, 44, 49.

იდ) სამცხე-საათაბაგოს სათავადოთა ნუსხა (ლონგოს-ძეთა საგვარეულო, რომელსაც კავშირი აქვს გეოგრაფიულ სახელწოდებასთან „ლონგოთ-ხევი“, 36).

იე) ვახუშტი: 2, 6, 34, 37.

ივ) ხელნაწერი — „მეფეთა დივანი“-ს შემცველი (ე. თაყაიშვილის გამოცემა, ძველი საქართველო, II, გვ. 15): 35.

იზ) დვინის 506 წლის საეკლესიო კრების აქტები: 5.

იძ) ლეონტი მოძღვარი, ისტორია ხალიფთა: 2, 53.

ით) უსახელო გეოგრაფია მე-7 — 9 საუკუნეთა: 2, 53.

იკ) კონსტანტინე პორფიროგენეტი: 3.

გეოგრაფიულ სახელწოდებათა ეს ნუსხა მრავლის მეტყველია.

ჩვენ აქ ამ გზის არ შევდივართ ამ გეოგრაფიულ სახელწოდებათა დეტალურ განხილვაში. (ამას სხვა ადგილას ვუხებთ), აქ კი აღვნიშნავთ შემდეგს ძირითად დასკვნებს, რაც ყველა სპეციალისტისათვის აშკარაა:

1. ეს სახელწოდებანი, გარდა, შესაძლოა, ერთი-ორისა, ეკუთვნიან ქართულ სამყაროს (ძირითადად დედა-ქართულს, ნაწილობრივ მეგრულ-ქანურს, აგრეთვე ნაწილობრივ არქაულ კავკასიანურს ენობრივ წრეს). მასთან ეს სახელწოდებანი დამახასიათებელია არა მარტო კლარჯეთისათვის, არამედ ამ ტიპის სახელწოდებანი ჩვენ გვაქვს საქართველოს სხვა მხარეებში: ზოგიერთი სახელწოდება პირდაპირ მეორდება საქართველოს სხვა მხარეთა გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, სხვები კიდევ გენეტიკურად ენათესავენა შიდა-საქართველოს გეოგრაფიულ სახელწოდებებს თავისი ტიპოლოგიით, გრამატიკული სახეობით და სხვ. მოკლედ, აქ ჩვენ გვაქვს საქართველოს ტიპური გეოგრაფიული ნომენკლატურა.

2. ამ სახელწოდებათა შორის ჩვენ არ გვაქვს სომხური სახელწოდებანი (გარდა, შესაძლოა ერთი-ორისა). ამასთან ამ სახელწოდებებს არ მოუპოვებთ არავითარი პარალელები სომხეთის გეოგრაფიულ ნომენკლატურაში; სომხეთში არ გვხვდება არც თვით ეს სახელები, არც ამ ტიპის გეოგრაფიული სახელწოდებანი.

კლარჯეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა ზემოთ-მოყვანილი სიიდან მხოლოდ ორი სახელწოდების შესახებ შესაძლოა აღიძრას ექვი მათი სომხური წარმოშობის შესახებ: ესენია შატბერთი (შატბერდი) და მიძნაძორა (მიჯნაძორა).

როგორც ვნახეთ, ნ. მარი კლარჯეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა წრიდან მხოლოდ ამ ორად-ორ სახელწოდებას ასახელებს, როგორც სომხური წარმოშობის სახელებს.

ჩვენ გვაქვს საფუძველი დავასკვნათ, რომ ნ. მარის მიერ წარმოდგენილი ეტიმოლოგია ამ სახელებისა მცდარია, და რომ ეს სახელები, კერძოდ შატბერთი (ასეთია პირველადი სახე ამ სახელწოდებისა), ქართული გეოგრაფიული სახელებისათვის დამახასიათებელი ბოლოკიდური ფორმანტით „-თი“ („შატბერ-თი“, რაც ნიშნავს: შატბერისადმი კუთვნილი, შატბერისეული), ქართულ ენობრივ სამყაროს ეკუთვნის¹.

მაგრამ დავუშვათ პირობითად, რომ ნ. მარი თითქოს მართალია და რომ ეს ორი გეოგრაფიული სახელი ვითომც მართლაც სომხური წარმოშობისაა.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ამის მიხედვით? მხოლოდ ის დასკვნა, რომ კლარჯეთის ამ ორ პუნქტში, შატბერთსა და მიძნაძორაში, ოდესღაც სომხური მოსახლეობა ყოფილა.

მაგრამ იმის მიხედვით, რომ კლარჯეთის ამ ორ პუნქტში თუნდაც ოდესმე მართლაც სომხური მოსახლეობა ყოფილიყო, განა ამით დამტკიცდებოდა, რომ კლარჯეთი არაა ქართული ქვეყანა? ვინ უარყოფს, რომ ძველად, ცხადია, არსებობდა არა ერთი და ორი არაქართული სოფელი ამა თუ იმ ქართულპროვინციაში. განა არ მოიპოვება, მაგალითად, ქართლის მხარეებში, ანდა კახეთში, არაქართული სოფლები არაქართული სახელებით? მაგრამ ამის გამო არავის მოსვლია აზრად ქართლი და კახეთი არაქართულ ქვეყნებად გამოეცხადებინა.

პირიქით, ის გარემოება, რომ კლარჯეთში მხოლოდ ამ ორად-ორი პუნქტის შესახებ შესაძლოა გამოითქვას ექვი მათი არაქართულობის შესახებ, ხოლო ძირითადში კი გეოგრაფიული ნომენკლატურა ამ მხარისა ქართულია, რასაკვირველია იმას ამტკიცებს, რომ კლარჯეთი ძირეულ ქართულ მხარეს წარმოადგენდა, დასახლებულს ქართველებით.

¹ შ ა ტ ბ ე რ ი — საკუთარი სახელია. შატბერთი (ე. ი. შატბერისადმი კუთვნილი, შატბერისეული)—იმავე ტიპის სახელწოდებაა, როგორც მაგალითად სიმონეთი (სახელიდან სიმონ). კახათი (სახელიდან კახა), ან-და მეორე გეოგრაფიული სახელწოდება იმავე კლარჯეთში: „წერტაისი“ ანუ „წერტაისნი“. როგორც ეს აღნიშნულია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების დაბატებაში (გვ. 171), წერტა საკუთარი სახელია ადამიანისა, ხოლო გეოგრაფიული სახელწოდება „წერტაისი“ ნაწარმოებია ამ საკუთარი სახელიდან.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ სახელწოდება შატბერთი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების იერუსალიმურ ხელნაწერში წარმოდგენილია ორნაირი ფორმით: შატბერთი და შატბერდი. მეორე ფორმა მიღებულია პირველისაგან (შეად. წიბელთა → წებელდა, ასევე შატბერთი → შატბერდი, და არა პირუკუ).

რაც შეეხება მეორე სახელწოდებას—მიძნაძორა, ბოლო მარცვლები ამ სახელწოდებისა „ძორა“ ჩანს არ არის სომხური სიტყვა ძორ (როგორც ამას ნ. მარი ფიქრობს), რადგან, თუ ამას დავუშვებდით, სრულიად გაუგებარი რჩება, საიდან გაჩნდა ქართულში ზედმეტი ბოლოკიდური „-რად“, რაც არ გვაქვს სომხურში ძორ.

ჩვენ გავეცანით ყველა იმ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვითაც დაასკვნიდნენ, რომ კლარჯეთი ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში ვითომც არ იყო ქართული ქვეყანა.

წარმოდგენილმა კრიტიკულმა განხილვამ, ვფიქრობთ, ცხადჰყო, რომ ეს შეხედულებები სავსებით უსაფუძვლოა და მცდარი.

გადავდივართ ამის შემდეგ ჩვენი გამოკვლევის მეორე პოზიტიურ ნაწილზე; ჩვენ განვიხილავთ ამის შემდეგ კლარჯეთის ნამდვილ ისტორიას, ყველა არსებული წყაროების გათვალისწინებით, საიდანაც ცხადი გახდება, რომ კლარჯეთი, ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში, პოლიტიკურად და ეთნიკურად ყოველთვის ქართულ მხარეს წარმოადგენდა.

ბ

განხილვა ისტორიული ცნობებისა კლარჯეთის შესახებ ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში

კლარჯეთის მხარე, მდებარე ქოროხის ხეობაში, ქოროხის ხეობის ქვემო-ნაწილის ხაზით—უშუალოდ ეკერის სამხრეთი კოლხეთის შავი ზღვის სანაპიროს.

ანტიკური ხანის უძველეს პერიოდში, კლარჯეთი, როგორც ირკვევა, შეადგენდა კოლხეთის ტომთა კოლექტივის ტერიტორიის ნაწილს. ამას მიუთითებს თვით სატომო სახელი * კოლარჯი (კლარჯი), * კოლარი.

ეს სახელწოდება, როგორც ირკვევა, იდენტურია სატომო სახელთან: კოლხი, იგივე კოლაელი ანუ კოლარი¹.

¹ რათა მკითხველისათვის ბოლომდე ნათელი გახდეს ეს იდენტურობა, საჭიროდ მიგვაჩნია მიუთითოთ შემდეგზე.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ქართულ სატომო სახელებში, რომლებიც ბოლოვდება ბოლოკიდურით „ხი“ (კოლ-ხი, ტაო-ხი, ჯაეა-ხი და სხვანი), ფუძე-სიტყვა აღნიშნავს ქვეყანას, ხოლო დაბოლოება „ხი“ გ-მოხატავს იმავე შინაარსს, რასაც დაბოლოება „ელი“.

ასე, ქვეყნის სახელია „ტაო“, ხოლო აქედან მომდინარეობს სატომო სახელი „ტაო-ხი“ ანუ „ტაო-ელი“, რაც ერთსა და იმავეს ნიშნავს.

ასევე ქვეყნის პირველადი სახელია „კოლ-ა“; ხოლო აქედან მომდინარეობს სატომო სახელი „კოლ-ხი“, რაც ნიშნავს იმასევე, რასაც „კოლა-ელი“.

აქ საჭიროა ვიცოდეთ ამასთან, რომ ქართულში ბოლოკიდურს „ელი“ ენაცვლება ბოლოკიდური „არი“; ასე, მაგალითად, ჩვენ გვაქვს „ოდიშ-ელი“ და ამის გვერდით „ოდიშ-არი“, „ცხუმ-ელი“ და „ცხუმ-არი“, „ოპიზ-ელი“ და „ოპიზ-არი“, „ოლთის-ელი“, და „ოლთის-არი“ და სხვანი. ასეთივე წარმოშობისაა „კოლა-ელი“ და მისი პარალელური „კოლ-არი“.

ამრიგად, სახელწოდებანი „კოლ-ხი“, „კოლა-ელი“ და „კოლ-არი“ იდენტურნი არიან.

დასასრულ, აღვნიშნავთ, რომ ზანურ (მეგრულ-ჭანურ) დიალექტებში ბგერა „რ“ გადადის ბგერაში „ჯ“ (თავდაპირველად რთული ბგერა: „რჯ“);

ასე, ქართული „ხარი“ — ზანურში: „ხოჯი“ („ხოჯი“).

ქართული „ფური“ — ზანურში: „ფუჯი“ („ფურჯი“) და სხვანი.

ასევე ზანური ფორმა სახელისა „კოლ-არი“ არის „*კოლ-არჯი“.

ამრიგად, ყველა ეს სახელწოდებანი „კოლხი“, „კოლაელი“, „კოლარი“ და „კოლარჯი“ („კლარჯი“) ერთი და იმავე სატომო სახელის დიალექტურ სახესხვაობას წარმოადგენენ.

აღსანიშნავია, რომ მესხეთის ისტორიული ტერიტორიებიდან კოლხების. სატომო სახელთან დაკავშირებულია სახელწოდება არა მარტო კლარჯების (* კოლარჯების, კოლარების) მხარისა, არამედ მესხეთის ზოგიერთი სხვა რაიონებისაც¹.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ უძველესი ცნობა მესხების შესახებ ანტიკური ხანის ბერძნულ მწერლობაში, რომელიც ეკუთვნის მე-6 საუკუნეს ძველი წელთაღრიცხვისა, მესხების ტომს კოლხებთან აკავშირებს (იხ. ჰეკატე მილეტელი, ფრაგმენტი 188).

*

ანტიკურ ხანაში, ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნიდან მოკიდებული — ვიდრე პირველ საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა, ცნობები მესხეთის კოროხის ხეობის მხარეთა შესახებ დაცული აქვთ შემდეგ ავტორებს: ჰეკატე მილეტელს, ჰეროდოტეს, ქსენოფონტეს და სტრაბონს.

ჰეკატე მილეტელის მიხედვით, მესხეთის მხარეთა საზღვრები აღწევდა მატინთა მხარემდე და, მამასადამე, მესხეთის ტომთა ტერიტორიის ფარგლებში ამ დროს მოქცეული ყოფილა არა მარტოდენ კოროხის ხეობა, არამედ ამის სამხრეთით მდებარე ოლქებიც, ბასიანის ზონა².

ჰეროდოტეს და ქსენოფონტეს ცნობებით კოროხის ხეობა (რომლის ფარგლებშიაც მდებარეობს კლარჯეთის სექტორი) ასევე მესხეთის მხარეთა კოლექტივში შედიოდა. კერძოდ, ქსენოფონტეს მესხეთის ქართველ ტომთა ჯგუფიდან მოხსენებული ჰყავს კოროხის ხეობის სამხრეთ ზონაში ტაოხები (ტაოში) და ხალდები — ხალიბები (სპერში), რომელთა ტერიტორია სამხრეთის მხრიდან ემიჯნება კლარჯეთს³.

სტრაბონის ცნობით, პირველი საუკუნის დასაწყისში ახალი წელთაღრიცხვისა მესხეთის მხარეები კოროხის ხეობისა პოლიტიკურად განაწილებულია კოლხეთსა და იბერიას შორის. იბერიის საზღვრებში შედიოდა აღმოსავლეთი ნაწილი კოროხის ხეობისა — ვიდრე მოსქის მთების ხაზამდე (მათ შორის აღმოსავლეთი ტაო, ქალაქ იდით ანუ იდესით, რომელიც ოლთისისწყალის ხეობაში მდებარეობს); ხოლო კოლხეთის საზღვრებში მოქცეული

¹ ასე, მესხეთის მხარეთა შორის მტკვრის სათავეებში მდებარე რაიონი, როგორც ცნობილია, ატარებდა სახელს: კოლა ანუ *კორა, რომელსაც უკავშირდება სატომო სახელი კოლ-ხი (=კოლა-ელი), ვარიანტულის ფორმით: „კორა-ხი“. ძველი რომაელი ავტორის პლინიუს სეკუნდუს ცნობით (იხ. *Naturalis historia*, VI, 26) სახელწოდება მთებისა, რომელიც აკრავს მდინარე მტკვრის სათავეებს, ყოფილა „კორახის მთები“, რაც მომდინარეობს ამ სატომო სახელიდან კორახი, კოლხი.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ მტკვრის სათავეებში მდებარე პროვინციის სახელთან „კოლა“ „კორა“ დაკავშირებულია აგრეთვე თვით მდინარე მტკვარის სახელწოდება, პირვანდელის სახით „*დ-კორი“ (→ მდ-კორი), „კორი“-ს მდინარე. (თავკიდური „დ“ არქაული კლას-კატეგორიის ნიშანია, რომელიც დაერთვის მდინარის სახელწოდებას). სტრაბონის ცნობით მტკვარს ძველად ერქვა „კორი“ *Κορος* (იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 3, § 1).

² იხ. SC, I, გვ. 3. — მათინების ანუ მარდების მხარის სახელწოდებით აქ იგულისხმება მარდალის პროვინცია არაქსის სათავეებში, რომელსაც ესაზღვრება ბასიანის ზონა.

³ იხ. SC, I, გვ. 9, 56—57, 71—74, 83—84.

ყოფილა დასავლეთი ნაწილი (ქალაქ იდის სექტორის დასავლეთით, ე. ი. დასავლეთი ტაო, ქვემო-სპერიტა და ნიგალით, ვიღრე ზღვამდე)¹.

რაც შეეხება საკუთრივ კლარჯეთს, იგი მდებარეობს ამ ორი ნაწილის შუაგულში, და ჩვენ არა გვაქვს ზუსტი ცნობა, კოლხეთის ნაწილს შეადგენდა იგი ამ დროს, თუ იბერიისას.

პირველი საუკუნის მეორე მესამედში ახალი წელთაღრიცხვით (იბერიის მეფის ფარსმან I-ის ხანაში) ქოროხის ხეობა უკვე მთლიანად იბერიის საზღვრებში გადასულა.

პლინიუს სექუნდე (24—79 წ. წ.), აგვიწერს რა ლაზეთის ზღვის სანაპიროს ვიღრე აფსარის (სარფის) ციხემდე, აღნიშნავს, რომ ქედს გადაღმა (პონტოს მთების იმიერ) მდებარეობს იბერია. პლინიუსის ამ ცნობით ქოროხის ხეობა (პონტოს ქედის იმიერი მხარე) იბერიის ნაწილი იყო².

პირველ-მეორე საუკუნეთა მიჯნაზე იბერიის საზღვრებში შესულა აგრეთვე კლარჯეთის გვერდით მდებარე ნაწილი ლაზეთისა: შავი ზღვის სანაპირო, დაწყებული არქაბი-ვიწეს (ბიწეს) სექტორიდან ვიღრე აფსარის (სარფის) ხეობამდე. ეს არის ეგრეთ-წოდებული ძვდრელთა თემი (იგივე ძველ ბიწერთა თემი)³. ძველ-ქართულ მატრიანებში შავი ზღვის სანაპირო ლაზეთის კუთხეს, რომელიც პოლიტიკურად იბერიასთან იყო დაკავშირებული, ეწოდება: „ბოლო კლარჯეთისა — ზღვისპირი“, ანუ ზღვისპირა კლარჯეთი⁴.

არიანეს 134 წლისათვის თავის პერიპლუსში აღნიშნული აქვს, რომ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ძვდრელთა თემი შეადგენს სამფლობელოს მეფის ფარსმანისა (იბერიის მეფე ფარსმან II, ფარსმან ქველი)⁵.

ანტიკური ხანის დასასრულისათვის ქრისტიანობა ვრცელდება კლარჯეთში იბერიის სხვა ნაწილებთან ერთად.

საისტორიო ტრადიცია ქართველთა მისიონერის წმიდა ნინოს მოღვაწეობის ასპარეზად ასახელებს, იბერიის სხვა მხარეებთან ერთად, კერძოდ კლარჯეთს.

ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა მოსე ხორენელის ისტორიის ტექსტი, სადაც ნინოს მოღვაწეობის შესახებ შემდეგი ცნობაა დაცული:

„ნეტარი ნინო გაემგზავრა [მცხეთიდან], რათა დაემოძღვრა თავისი წმიდა ბაგეებით იბერიის სხვა მხარეები... ვბედავთ განვაცხადოთ, რომ იგი, გახდა რა მოციქულად [ქრისტიანობისა], იქადაგა დაწყებული კლარჯეთიდან [კლარჯეთიდან], დარილანის ახლო მდებარე [ადგილებიდან] და კასთაგან [კასთა მხარიდან] — ვიღრე მასქუთთა მიჯნამდე“⁶.

ძველ-ქართულ მატრიანებში დაცულია მეტად საყურადღებო ცნობა საეკლესიო მშენებლობის შესახებ კლარჯეთის ქალაქ თუხარისში, რომელიც აქ

¹ იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, XI, 2, §§ 17—18; I, 3, § 21 (SC, I, 137—138, 98).

² იხ. SC, II, გვ. 178.

³ ძვდრელთა თემის (ძველი ბიწერთა თემის) ტერიტორიული მოცულობის შესახებ შეადარეთ ცნობები მე-2 საუკუნის ავტორის არიანესი და მე-5 საუკუნის ავტორ-წარუწერელი პერიპლუსისა (SC, I, 222, 273). იხ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 202.

⁴ იხ. ჯუანშერი, გვ. *414/196; ლეონტი მროველი, გვ. *121/21; ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *358/156—157.

⁵ იხ. SC, I, გვ. 222.

⁶ იხ. მოსე ხორენელი, II, 86.

მე-4 საუკუნეში იბერიის მეფეს (მირდატს) უწარმოებია; ამ ცნობის თანახმად „მან (მეფემან მირდატ) აღაშენნა ეკლესიანი თუხარისისა ციხესა, რამეთუ ქვესა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია, და მუნ შინა დაადგინნა მღვდელი მოძღვრად კლარჯთა, და მატა შემკობა და შენება ერუშეთისა და წუნდისა ეკლესიათა“¹.

*

გადავდივართ რა განხილვაზე ძველ-ქართულ მატრიანეთა ცნობებისა კლარჯეთის შესახებ აღრეულ საშუალო საუკუნეებში, აქ საჭიროა წინასწარ გაეითვალისწინოთ ტერიტორიული მოცულობა იმ ადმინისტრაციული ერთეულისა, რომელიც მატრიანეებში „კლარჯეთის საერისთავო“-ს სახელით მოიხსენება.

ძველ-ქართულ მატრიანეებში (ლეონტი მროველი, ცხორება ვახტანგ გორგასარისა, ჯუანშერი) სახელწოდებით „კლარჯეთის საერისთავო“ (აგრეთვე მარტივადაც, სახელწოდებით „კლარჯეთი“) იგულისხმება არა მარტო საკუთრივ კლარჯეთი ვიწრო მნიშვნელობით (ქალაქ არტანუჯის მხარე), არამედ დასავლეთ მესხეთის მთავარი ნაწილი, ტერიტორია — „ზღვით-გან ვიდრე არსიანთამდე და ხეენი, რომელნი მოსდგამენ ლაღოთა“².

სახელდობრ, ძველ-ქართული მატრიანეების ჩვენებათა განხილვიდან ირკვევა, რომ სახელწოდებით „კლარჯეთის საერისთავო“ ანუ „კლარჯეთი“ აქ იგულისხმება შემდეგი მხარეები — ერთად აღებული:

- ა) საკუთრივ კლარჯეთი;
- ბ) შავშეთი (— ვიდრე არსიანის მთამდე)³;
- გ) ნიგალი;
- დ) „საზღვარი ქართლისა სპერი“ (ქვემო სპერი)⁴;
- ე) ამიერი ტაო⁵.
- ვ) „ზღვისპირა კლარჯეთი“ ანუ „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“⁶;

ასეთია ტერიტორიული მოცულობა კლარჯეთის ამ ადმინისტრაციული ერთეულისა აღრეულ საშუალო საუკუნეებში ვიდრე მე-8 საუკუნემდე.

(უფრო გვიან ხანაში, მე-8—9 საუკუნეთა საზღვრიდან მოკიდებული, კლარჯეთი უკვე აღნიშნავდა არა ამ ექვსი პროვინციის გაერთიანებას, არამედ მხოლოდ პირველ პროვინციას — საკუთრივ კლარჯეთს).

¹ იხ. ლეონტი მროველი, გვ. * 287/112 — 113. — აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ცნობები საეკლესიო მშენებლობის შესახებ ძველ-ქართულ მატრიანეებში უძველეს ტრადიციას გადმოგვცემენ და ავთენტურ ხასიათს ატარებენ.

² იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. * 358/156 — 157.

³ იხ. ლეონტი მროველი, გვ. * 129/21, ცხორება ვახტანგ გორგასარისა, loc. cit (კლარჯეთის საერისთავოს მხარეებიდან არსიანის მთას მხოლოდ შავშეთი ეკვრის).

⁴ იხ. ჯუანშერი, გვ. * 414/196, * 424/204.

⁵ იქვე, გვ. * 432/210 — 211.

⁶ იხ. ლეონტი მროველი, loc. cit.; ცხორება ვახტანგ გორგასარისა, loc. cit.; ჯუანშერი, გვ. * 414/196. ზღვისპირა კლარჯეთის (აღმოსავლეთ კანეთ-ლაზეთის) ერთი ნაწილი (ძვდრეულთა თემი) შედის იბერიაში მე-2 საუკუნეში, ფარსმან II-ის დროს (იხ. ზემოთ, გვ. 439), ხოლო მთლიანად ეს მხარე დაკავშირებულია იბერიასთან VI—VII საუკუნეებში, 572—630 წლებში (იხ. ქვემოთ, გვ. 423—425).

განვიხილავთ ამის შემდეგ საისტორიო წყაროთა ცნობებს კლარჯეთის ამ ადმინისტრაციული ერთეულის — „კლარჯეთის საერისთავოს“ — შესახებ აღ-რეულ საშუალო საუკუნეებში, მე-5 საუკუნიდან — მე-8 საუკუნემდე.

მე-5 საუკუნე.

საისტორიო წყაროებში დაცულია უაღრესად საყურადღებო ცნობები იმ დი-დი მშენებლობის შესახებ, რომელიც ჩატარებულა კლარჯეთის საერისთავოში მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში მეფის ვახტანგ გორგასარის დროს.

ამ დროს, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასარი ააგებს კლარჯეთში ციხე-ქალაქს არტანუჯს, რომელიც ამის შემდეგ ხდება ცენტრი კლარჯეთის საერისთავოსი¹.

ვახტანგ გორგასარის დროსვე კლარჯეთის საერისთავოში წარმოებს აგ-რეთვე ფართო საეკლესიო მშენებლობა. ჩვენ უკვე გვქონდა დადგენილი — ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებათა საფუძველზე, რომ ამ დროს, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, არის აშენებული კლარჯეთში ოპიზის საფანე (რომლის დამაარსებელი ყოფილან ქართველი მოღვაწეები: ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი)². ამ დროსვეა აგებული ეკლესიები: დაბისა, მე-რისა, შინდობნისა (ამათგან პირველი ორი მდებარეობს საკუთრივ კლარჯეთ-ში, მესამე — შინდობანი — შავშეთში)³.

აქ ცალკე შევჩერდებით კლარჯეთის საეპისკოპოსო კათედრებზე.

ქართული საისტორიო წყაროების ცნობათა თანახმად, მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასარის დროს, მცხეთის საკათალიკოსოს დაარსებასთან ერთად, კლარჯეთში დაარსებულა ახიზის საეპისკოპოსო მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის ქვეშ⁴.

მომდევნო ხანაში საეპისკოპოსოთა რიცხვი კლარჯეთში გაზრდილა. სულ მე-5 — 8 საუკუნეებში კლარჯეთის საერისთავოში ოთხი საეპისკოპოსო არსე-ბულა; ამათგან სამი — ქოროხის ხეობაში: ახიზა, ფორთა და ანჩი; ხოლო ერთი შავი ზღვის სანაპიროზე, იბერიის ლაზეთში („ზღვისპირა კლარ-ჯეთი“-ს მხარეში), ქალაქ ტამბურში⁵.

აქ საქირაა ზახი გაუუსვათ აგრეთვე შემდეგ გარემოებას.

რომ კლარჯეთი ადრეულ საშუალო საუკუნეებში საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეად-გენდა და არ იმყოფებოდა კავშირში სომხეთთან, ამას საისტორიო წყაროების იმ უცილობელ ჩვენებათა გარდა, რომლებიც ზემოთ იყო მოყვანილი (და რაც დამატებით ქვემოთ გვექნება აღნიშნული), ადასტურებს აგრეთვე საქართველოსა და სომხეთის საეკლესიო ისტორიის მასა-ლები, საქართველოსა და სომხეთის საეპისკოპოსოების ნუსხათა განხილვა.

სომხურ საისტორიო წყაროებში, როგორც ცნობილია, დაცულია ნუსხები სომხეთის ფარგ-ლებში შემავალი საეპისკოპოსოებისა მე-5 — 8 საუკუნეთა მანძილზე (ნუსხები 451 წლისა, 506 წლისა, 555 წლისა, 606 წლისა, 606 — 607 წ.წ., 607 წლისა, 644 წლისა, 726 წლისა) და არც ერთ შემთხვევაში სომხეთის ფარგლებში ნაჩვენები არაა კლარჯეთის საეპისკოპოსოები, ისევე როგორც არაა ნაჩვენები საეპისკოპოსოები არც ჯავახეთისა (ჯავახეთ-ართანისა) და სამცხისა.

¹ იხ. უფრო დაწვრილებით ზემოთ, გვ. 364—365.

² იხ. ზემოთ, გვ. 340.

³ იხ. ზემოთ, გვ. 343—345.

⁴ იხ. ზემოთ, გვ. 323.

⁵ იხ. ზემოთ, გვ. 314, 377—380.

საისტორიო წყაროების ანალიზიდან ირკვევა, რომ მე-5 — 8 საუკუნეებში საქართველოს ფარგლებში შედიოდა, მცხეთის საკათალიკოსოს იურისდიქციის ქვეშ, შემდეგი საეპისკოპოსოები: მესხეთის მხარეებისა:

- ა) კლარჯეთის საერისთავოში: ახიზა, ფორთა, ანჩი, ტამბური;
- ბ) ჯავახეთის (ართან-ჯავახეთის) საერისთავოში: ერუშეთი, წუნდა = კუმურდო, წყაროსთავი, დადაშენი;
- გ) სამცხის საერისთავოში: აწყური, წურწყაბი¹.

*

მე-6 საუკუნე — მე-7 საუკუნის პირველი ნახევარი.

ვახტანგ გორგასარის ეპოქის მომდევნო ხანაში, მე-6 საუკუნის დასაწყისიდან მოკიდებული, კლარჯეთის საერისთავო კვლავ ძველებურად საქართველოს ფარგლებშია მოქცეული.

ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად კლარჯეთი და მესხეთის მიმდგომი მხარეები მე-6 — 8 საუკუნეთა მანძილზე არის სამფლობელო საქართველოს ორი მთავარი ფეოდალური სახლისა:

ა. ვახტანგ გორგასარის გვარეულობის უმცროსი შტოსი, — გორგასლიან-მირდატიანთა გვარეულობისა²;

ბ. მესხეთის მხარეთა — „კლარჯეთის სახლის“ — ბაგრატიონთა გვარეულობისა, რომლებიც „პიტიახშების“ ტიტულს ატარებენ³.

მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში ჩვენ გვაქვს, როგორც ცნობილია, დიდი ტეხილი საქართველოს — იბერიის სამეფოს ისტორიაში. მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში, ხანგრძლივი ბრძოლა, წარმოებული ირანის მიერ პოლიტიკური ბატონობის მოპოვებისათვის იბერიაში, დასრულდა ირანის გამარჯვებით. მე-6 საუკუნის 30-იან — 40-იან წლებში ირანმა მოახდინა ოკუპაცია იბერიისა და წოსპო მეფობა.

საისტორიო ცნობებით, რომელიც აღბეჭდილია ქართულ მატრიანებში, მხოლოდ ორი კუთხე იბერიისა გადარჩენია ირანელთა ფაქტიურ ოკუპაციას: კახეთის მთიულეთი და კლარჯეთი. მათიანის ცნობით — იბერიაში მეფობის მოსპობის შემდეგ „შვილნი ბაქურისნი (ქართველთა მეფისა) დარჩეს მთიულეთს კახეთისასა, და ნათესავნი მირდატისნი, ვახტანგ გორგასარის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა“; მხოლოდ ეს ორი მხარე, — კახეთის მთიულეთი აღმოსავლეთში და კლარჯეთი დასავლეთში, — მემათიანის სიტყვით, გადაურჩა ირანელთა მიერ დაპყრობას, ხოლო „სხვა ყოველი ქართლი“, კავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად, ირანელებმა დაიკავესო⁴.

¹ იხ. ქართლის საეპისკოპოსოთა ნუსხა 506 წლისა (დვინის კრების აქტები): ფორთა, კუმურდო, წყაროსთავი, აწყური („აწყურელი“ = *Ασσυρელი, აქედან დაზიანებული დაწერილობა *Uan-pa-re*, **Uan-pa-re* → **Uan-pa-re*), დადაშენი (? დადაზნელი → **Uan-pa-re*). — ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. * 391 — 392/179 (ანასეული ნუსხა, გვ. 135): ახიზა, ერუშეთი, წუნდა. — იოანე მამიკონიანი: ტამბური. — შდრ. აგრეთვე ქართლის საეპისკოპოსოთა ნუსხა არჩილის დროისათვის მიკუთვნებული (ანჩი, ერუშეთი, კუმურდო, წყაროსთავი, დადაშენი, აწყური, წურწყაბი).

² იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. 399/184 — 185; ჯუანშერი, გვ. * 400/185, * 401/186, * 402/186 — 7, * 406/190, * 407/190, * 428/208, * 430/209 — 210.

³ იხ. ზემოთ, გვ. 77 — 79.

⁴ იხ. ჯუანშერი, გვ. * 406/190.

მე-6 საუკუნის 70-იან წლებში იბერიაში მოხდა აჯანყება ირანელთა ბატონობის წინააღმდეგ, რაც დასრულდა ეროვნული ხელისუფლების აღდგენით იბერიაში.

ამ ბრძოლაში დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ჩანს, განსაკუთრებული როლი შეუსრულებია მესხეთის მხარეებს და კერძოდ კლარჯეთს. ირანელ დამპყრობელებს, როგორც ჩანს, ბოლომდე ვერ მოუხერხებიათ კლარჯეთის აღება. ქართულ მატრიანეებში კლარჯეთს ეწოდება „საყუდელი“, თავშესაფარი ქართველი ხალხისა ირანელთა მძლავრობის ხანაში, „ოდეს განძლიერდეს სპარსნი“¹.

რომ ბრძოლაში იბერიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღოდა კლარჯეთს, მესხეთის მხარეებთან ერთად, ამას ადასტურებს კერძოდ ის გარემოებაც, რომ იბერიის ხელისუფლების სათავეში დადგენილ იქმნა მესხეთის მხარეთა მფლობელი — „კლარჯეთის სახლის“ მთავარი. მატრიანეები გადმოგვცემენ, რომ ამ დროს, იბერიის (ქართლის) დამოუკიდებლობის აღდგენისას, „ერთად შეკრბა ყოველი ქართლი“, და რომ სრულიად-ქართლის (იბერიის) ერისმთავრად „განაჩინეს“ გვარამ დიდი². ჯუანშერის მატრიანის ცნობით გვარამი, ვიდრე მას სრულიად-ქართლის (იბერიის) ერისმთავრად აირჩევდნენ, ყოფილა მთავარი კლარჯეთისა და ჯავახეთისა. სუმბატ დავითისძის მატრიანის ცნობით იგი იყო წევრი ბაგრატიონთა გვარეულობისა, რომლის ძირეულ სამფლობელოს, როგორც დადგენილია, მესხეთის მხარეები — „კლარჯეთის სახლი“ — შეადგენდა.

იბერიის ახლად აღდგენილ ხელისუფლებას, რომლის სათავეშიაც არიან ჯერ-გვარამ I დიდი, ხოლო შემდეგ გვარამის მემკვიდრე სტეფანოზ I, უხდება მერყეობა ორი გარეშე ძალის — ბიზანტიისა და ირანის იმპერიებს შორის.

მე-6 — 7 საუკუნეთა მიჯნაზე, 591 — 604 წლებს შორის, იბერია ბიზანტიის გავლენის სფეროშია მოქცეული. ხოლო შემდეგ, 605 წლიდან მოკიდებული — ვიდრე 620-იან წლებამდე, იბერიაში ისევ ირანელთა მფლობელობა დამყარდა.

ამ დროს, 605 წლის ახლო დროებიდან მოკიდებული, როდესაც იბერია ისევ ირანის გავლენის ქვეშ მოექცა, მესხეთის მხარეთა მმართველად ყოფილა ვაშდენ „ქართველთა (ივერიელთა) მთავარი“, რომლის სამფლობელო იწყებოდა შავი ზღვიდან და აღწევდა ვანანდამდე, ე. ი. მოიცავდა კლარჯეთის და ჯავახეთის (ჯავახეთ-არტაანის) საერისთავოებს. ამ სამფლობელოს ფარგლებში ცალკე ვასალურ სამთავროს წარმოადგენდა ზღვისპირა კლარჯეთი (იბერიის ლაზეთი), რომლის სათავეშიაც ყოფილა ვაშდენის ნათესავი (დისწული) ჰამამი.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი კლარჯეთის მხარის პოლიტიკური ვითარების შესახებ ვაშდენ ქართველთა მთავრის დროს, და იმ ბრძოლაზე, რომელსაც აქ ჰქონია ადგილი ირანული და ბიზანტიური პოლიტიკური ორიენტაციის მომხრეთა შორის.

¹ იხ. ცხობება ვახტანგ გორგასარისა, გვ. * 309/157.

² იხ. მოქცევა ქართლისა (OP, II), გვ. 724; სუმბატ დავითისძის ქრონიკა, გვ. *569/39; ჯუანშერი, გვ. *407/190.

ვაშდენ ქართველთა (ივერიელთა) მთავრის მემკვიდრეა მისი ძე ჯოჯიკი, ქართველთა (ივერიელთა) მთავარი¹.

620-იანი წლებიდან ისევ შეიცვალა იბერიის პოლიტიკური მდგომარეობა 620-იან წლებში, ირაკლი კეისარის აღმოსავლეთში ლაშქრობის შემდეგ მოისპო ირანელთა ბატონობა იბერიაში. დაწყებული ამ დროიდან, 620-იანი წლებიდან — ვიდრე 640 — 650-იან წლებამდე იბერია კვლავ ბიზანტიის გავლენის სფეროში მოექცევა.

ამ დროს, ქართულ მატიანეთა ცნობით, ბიზანტიამ შეიერთა იბერიის ორი სანაპირო კუთხე: „საზღვარი ქართლისა სპერი“ (ქვემო-სპერი) და „ბოლო კლარჯეთის ზღვისპირი“ (ე. ი. იბერიის ლაზეთი)². ამ ორი სანაპირო კუთხის დაკარგვის შემდეგ იბერიის (ქართლის) საზღვრებში დარჩა კლარჯეთის საერისთავოს ძირითადი ნაწილი, სახელდობრ შემდეგი მხარეები: საკუთრივ კლარჯეთი, ნიგალი, შავშეთი და ამიერი ტაო.

დასახელებული ორი სანაპირო კუთხე იბერიისა „საზღვარი ქართლისა სპერი“ (ქვემო სპერი) და „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ (ლაზეთი) საქართველომ დაიბრუნა ბიზანტიიდან მე-7 საუკუნის ნახევრის შემდეგ. სახელდობრ „საზღვარი ქართლისა სპერი“ იბერიას დაუბრუნებია მე-7 — 8 საუკუნეთა მიჯნაზე, არა უგვიანეს მე-8 საუკუნის დასაწყისისა³. ხოლო „ბოლო კლარჯეთისა ზღვისპირი“ ანუ ლაზეთი, აგრეთვე მისი მიმდგომი ქალღია (ქალაქ ტრაპიზონით) მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში შეიერთა ბიზანტიიდან დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სამეფომ⁴.

*

კლარჯეთის შინაური ცხოვრების შესახებ დასახელებულ ეპოქაში, მე-5 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული ვიდრე მე-7 საუკუნის შუა წლებამდე, უაღრესად საყურადღებო ცნობებს იძლევა ბასილი ზარზმელის თხზულება „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“, რომელიც ამავე ეპოქაში, მე-7 საუკუნეშია დაწერილი და რომლის ავტორი ადგილობრივი მწერალია, კლარჯეთის ბევიდრი.

ძველი ქართული საისტორიო მწერლობის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა დაწვრილებით საუბარი.

ბასილი ზარზმელის თხზულებიდან ერთხელ და საბოლოოდ დასტურდება ის უცილობელი ისტორიული ფაქტი, რომ კლარჯეთი ძირითად ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა. მაგრამ ეს ცოტაა; ბასილი ზარზმელის თხზულებიდან ირკვევა ამავე დროს, რომ კლარჯეთი ადრეულ საშუალო საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იბერიის კულტურულ ცხოვრებაში.

აქ, კლარჯეთში, მე-5 — 6 საუკუნეებში დაარსებულა ქართული სავანეები, რომელთაც ესოდენ დიდი როლი შეასრულეს ქართული განათლების ისტორიაში.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 423 — 425.

² იხ. ჯუანშერი, გვ. * 414/196.

³ იხ. იქვე, გვ. * 424/204.

⁴ იხ. ზემოთ, გვ. 208—215

ოპიზის შემდეგ, რომელიც მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში არის და-
არსებული ქართველ მოღვაწეთა მიერ, მე-6 საუკუნის შუა წლებში კლარჯეთ-
ში ეწყობა მეორე საფანე — პარეხნი, რომლის დამაარსებელია შიო მღვი-
მელის მოწაფე მიქელ პარეხელი. კლარჯეთში მე-5 — 6 საუკუნეებში შექმნილა
ქართული მწიგნობრობისა და მწერლობის მნიშვნელოვანი კერა, აქ აღდილობ-
რივ, მე-6 საუკუნეში ყოფილა დაწერილი ერთ-ერთი უძველესი ძეგლი ქარ-
თული საისტორიო მწერლობისა, რომელშიაც აღწერილი ყოფილა მიქელ
პარეხელის მოღვაწეობა და რომლის ავტორები ყოფილან მიქელ პარეხელის
მოწაფენი (ბასილი და მარკელაოზ პარეხელნი).

კლარჯეთი მე-5 — 7 საუკუნეებში ახლო კულტურულ ურთიერთობაში
იმყოფება საქართველოს სხვადასხვა მხარეებთან. თვითონ მიქელ პარეხელი,
მოწაფე შიო მღვიმელისა, დაკავშირებულია ქართლთან და, როგორც ამას
საგანგებოდ აღნიშნავს ბასილი ზარზმელი, ეს კლარჯი მოღვაწე უდიდესი
ავტორიტეტით სარგებლობდა საქართველოში. კლარჯეთის საფანეებთან კავ-
შირში იმყოფება სამცხის მოღვაწე გიორგი მაწყვერელი.

საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ კლარჯეთი, როგორც ჩანს, ერთ-ერთი
მთავარი კულტურული ცენტრი ყოფილა მესხეთის მხარეებისა და კლარჯი
მოღვაწეები აწარმოებდნენ კულტურულ მშენებლობას მესხეთის სხვადასხვა-
კუთხეებში. ასე, მაგალითად, კლარჯეთიდან იყვნენ წარმოშობით და კლარჯე-
თის საფანეებში მიუღიათ განათლება სერაპიონ ზარზმელს და იოანე კვიპრია-
ნეს-ძეს, რომლებიც შემდეგ სამცხეში დააარსებენ საფანეებს — ზარზმასა და
იოანე-წმიდას; ასევე კლარჯეთიდან არის, როგორც მოვიხსენეთ, თვით მწერალი-
ბასილი ზარზმელი, რომელიც შემდეგ სამცხეში მოღვაწეობს.

*

მე-7 საუკუნის მეორე ნახევარი — მე-8 საუკუნე.

მე-7 საუკუნის ნახევრიდან ისევ იცვლება პოლიტიკური ვითარება რო-
გორც საქართველოში, ისე ახლო აღმოსავლეთის მეზობელ ქვეყნებში.

მე-7 საუკუნის შუა წლებში კავკასიაში პირველად ჩნდება არაბთა რაზმები.
მე-7 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-8 საუკუნეში საქართველოში არაბთა
მფლობელობა მყარდება.

ამ ხანაშიაც, მე-7 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-8 საუკუნეში, კლარ-
ჯეთი კვლავ საქართველოს ფარგლებშია.

კლარჯეთის მხარე ამ ეპოქაში არის სამფლობელო მესხეთის იმავე ორი
ძველი ფეოდალური სახლისა: ვახტანგ გორგასარის დინასტიის უმცროსი
შტოისა (გორგასლიან-მირდატიანთა გვარეულობისა) და მესხეთის („კლარჯე-
თის სახლის“) ბაგრატიონთა გვარეულობისა, რომლებიც კლარჯეთის „პიტიახ-
შების“ ტიტულს ატარებენ¹.

ვახტანგ გორგასალის დინასტიის უმცროსი შტოის წარმომადგენელთაგან
ქართულ მატრიანეებში ამ ხანაში დასახელებულია მთავარი გვარამი (II), რო-
მელიც, მატრიანეთა ცნობით, „მთავრობდა კლარჯეთსა და ჯავახეთს“. მისი

¹ წყაროები დასახელებულია ზემოთ, გვ. 442 და 77—79.

რეზიდენცია კლარჯეთში ყოფილა. გვარამი ატარებდა კურაპალატის ტიტულს¹. არაბთა გაძლიერების ამ ხანაში, გვარამს, როგორც ირკვევა, ბიზანტიასთან ჰქონია დამყარებული კავშირი.

გვარამი მთავრობდა კლარჯეთ-ჯავახეთში მე-7 — 8 საუკუნეთა საზღვარზე. მე-8 საუკუნის 30-იან წლების უწინარეს. 738 წლისათვის იგი გარდაცვლილად მოიხსენება და მის მავიერ ამ დროისათვის მთავრობენ გვარამის მემკვიდრენი².

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში კლარჯეთს დიდი კატასტროფა დაატყდა თავს: იგი გახდა ასპარეზი არაბთა დამსჯელი ექსპედიციების გამანადგურებელი შემოსევებისა (მურვან-ყრუს მთავარსარდლობით), რის შედეგადაც კლარჯეთი და მისი მეზობელი მხარეები ნანგრევებად იქმნა ქცეული.

მე-8 საუკუნის 40-იან — 50-იან წლებში, როდესაც მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ არჩილ მეფის დროს აღდგენილ იქმნა იბერიის სამეფო, კლარჯეთი. მესხეთის სხვა მხარეებთან ერთად, შედის იბერიის სამეფოს შემადგენლობაში. ქართულ მატრიანეებში არჩილის სამეფოს საერისთავოთა შორის თავში არის დასახელებული „კლარჯეთი და ჯავახეთი“³.

მე-8 საუკუნის შუა წლებში მესხეთის მხარეებში — კლარჯეთში — დამკვიდრდა ბაგრატიონთა მთავარი შტოს (სრულიად-ქართლის ერისმთავართა სახლის) წარმომადგენელი ადარნესე მთავარი (მამა განთქმული სახელმწიფო მოღვაწის აშოტ I-ისა, რომელმაც ასეთი დიდი როლი ითამაშა საქართველოს მომდევნო ისტორიაში).

ადარნესე მთავარი, ქართული წყაროების ცნობით, იყო შვილი სრულიად-ქართლის ერისმთავარის ნერსე I-ისა, რომელიც ნერსე დიდის სახელით მოიხსენება⁴.

ქართლის ერისმთავარს ნერსე I-ს, რომელიც მთავრობდა მე-7 საუკუნის უკანასკნელ მესამედში, დიდი ბრძოლები ჩაუტარებია არაბთა წინააღმდეგ. მას დაუმარცხებია არაბთა სარდალი ბარაბა და განუდევნია იბერიიდან არაბები.

მაგრამ უფრო გვიან, როდესაც არაბობა ისევ გაძლიერდა, ნერსე I, როგორც ირკვევა, იძულებული გამხდარა დაეტოვებინა იბერია და გადასულიყო ბიზანტიაში⁵.

ნერსე I-ის შვილს ადარნესე მთავარს ბიზანტიაში დაუწყია მოღვაწეობა (იგი ყოფილა ერისთავად ბიზანტიის აღმოსავლეთ სანაპიროებზე), ხოლო მე-8 საუკუნის 30-იან წლებში საქართველოში დაბრუნებულა. ქართულ მატრიანეთა ცნობით, მურვან-ყრუს ლაშქრობის დროს, ე. ი. 738 წლის ახლო ხანებში, ადარნესე მთავარი უკვე საქართველოში ყოფილა „და ტყვეობასა მას ყრუისასა შთასრულ იყო შვილთა თანა გუარამ კურაპალატისათა კლარჯეთს და მუნ დარჩომილ იყო“⁶.

¹ იხ. ჯუანშერი, გვ. *428/208, *430/209. — 210; მოქცევა ქართლისა, OP, II, გვ. 726.

² იხ. იქვე გვ. *430/209.

³ იხ. იქვე გვ. *428/208.

⁴ იხ. მოქცევა ქართლისა, OP, II, გვ. 727.

⁵ ნერსე I-ის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. სპეციალურ შენიშვნაში (დამატებანი).

⁶ იხ. ჯუანშერი, გვ. *430/209.

უფრო გვიან, როდესაც მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ აღდგენილ იქმნა იბერიის სამეფო არჩილ მეფის დროს, ადარნესე მთავარი გამხდარა ვასალი არჩილ მეფისა და მიუღია საგამგეოდ შულავერი და არტანი¹.

ადარნესე მთავარი თანდათანობით გააფართოებს თავის სამფლობელოებს მესხეთში. ქართულ მატრიანეებში აღნიშნულია, რომ მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში —

„ადარნესე ბაგრატიონმან იცვალა ნასამალი კლარჯეთისა, შავშეთისა, აპარისა, ნივალისა, არსის-ფორისა, არტანისა და ქვემო-ტაოსა, და ციხეთაგანცა, რომელი ჰქონდეს შვილის-შვილთა ვახტანგ მეფისათა [სამცხე-ჯავახეთ-კლარჯეთს]“².

მატიანის ცნობით, მესხეთის ამ სამფლობელოთა ცენტრია კლარჯეთი, სადაც ჰქონია რეზიდენცია მესხეთის მხარეთა მფლობელს ადარნესე მთავარს. ადარნესე მთავარი გარდაიცვალა მე-8 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ადარნესე მთავრის მემკვიდრეა აშოტ I დიდი, ძე ადარნესესი (მე-8 საუკუნის ბოლოდან — 826 წლამდე), აღმადგენელი ქართველთა სამეფოსი.

ჩვენ ამით დავასრულებთ კლარჯეთის მხარის ისტორიის ამ მიმობილვას უძველესი დროიდან დაწყებული ვიდრე მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნამდე.

რაც შეეხება მომდევნო ხანას, როდესაც აშოტ I-ის დროიდან მოკიდებული, კლარჯეთი მე-9 — 10 საუკუნეთა მანძილზე ხდება პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იბერიისა, ეს მომდევნო ხანა კარგად არის ცნობილი მრავალი საისტორიო წყაროებით და პირველ რიგში გიორგი მერჩულის ძეგლით; ეს მომდევნო ხანა, მე-9 — 10 საუკუნეთა პერიოდი, ჩვენ უკვე განხილული გვექონდა ამ გამოკვლევის წინა ნაწილში.

დასასრულ, აქ ცალკე შეეჩერდებით კლარჯეთის ისტორიულ ეთნოგრაფიაზე. საისტორიო წყაროებში დაცულია უაღრესად საყურადღებო ცნობები, რომელთა მიხედვით შესაძლო ხდება გავითვალისწინოთ კლარჯეთის საერისთავოს ცალკეულ მხარეთა ეთნიკური ტომობრივი შედგენილობა.

ა. კლარჯეთის საერისთავოს ძირითადი მხარე, საკუთრივ კლარჯეთი. დასახლებული იყო ქართველი ტომით, რომლის სახელწოდებაა: „კლარჯი“.

კლარჯთა ტომი, როგორც მკვიდრი აბორიგენი კლარჯეთის მხარისა, მოიხსენება როგორც ქართულ, ისე სომხურ საისტორიო წყაროებში.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ სომეხთა ისტორიკოსის მოსე ხორენელის ცნობის თანახმად, ქართველთა განმანათლებელის ნინოს სამოღვაწეო ასპარეზს მე-4 საუკუნის დასაწყისში შეადგენდა იბერიის ფარგლებში შემავალი ქვეყანა კლარჯთა. მოსე ხორენელის ტექსტში ჩვენ ვკითხულობთ (მოგვეყავს ნ. ემინის რუსული თარგმანით). „Блаженная Нуня отправилась (из Мцхета) наставлять пречистыми устами и другие области Иверии... Дерваем сказать, что она, став апостолом, проповедывала, начиная от Хларджов... до пределов Маскутов“³.

¹ იხ. ჯუანშერი, იქვე.

² იხ. იქვე, *441/218 — 219.

³ იხ. მოსე ხორენელი, ნ. ემინის თარგმანი, 1893 წ., გვ. 133.

ასევე ძველ-ქართულ მატრიანებში კლარჯეთის მხარის მოსახლეობად ნაჩვენებია იგივე ქართველი ტომი კლარჯები.

ლეონტი მროველის საისტორიო ძეგლში დაცულია უაღრესად მნიშვნელოვანი ცნობა ქართული საეკლესიო მშენებლობის დასაწყისის შესახებ კლარჯეთის მხარეში მე-4 საუკუნეში, როდესაც აქ ახლად ვრცელდებოდა ქრისტიანობა; მემატრიანის სიტყვით მეფე ნირდატმა მე-4 საუკუნეში „აღაშენნა ეკლესიანი თუხარისისა ციხესა შინა, რამეთუ კეესა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია და მუნ შინა დაადგინნა მღვდელნი მოძღვრად კლარჯთა“¹.

ამრიგად, მემატრიანის ცნობით, კლარჯეთის მოსახლეობას შეადგენდა ქართველი ტომი — კლარჯები; სხვა მოსახლეობა, გარდა ამ კლარჯთა ტომისა, კლარჯეთში არ მოიხსენება.

ამ ძველ-ქართული მატრიანის სხვა ადგილებშიაც იგივეა აღნიშნული, რომ კლარჯეთის მოსახლეობა — „მკვიდრნი კლარჯეთისანი“ არიან „კლარჯნი“².

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ამ სატომო სახელწოდებას „კლარჯი“ ადგილობრივი ქართული მოსახლეობა ატარებდა არა მარტო არქაულ ეპოქაში, არამედ ამ სახელწოდებას „კლარჯი“ იგი ატარებს მთელ საშუალო საუკუნეთა მანძილზე, ახალ საუკუნეებამდე, თურქთა მფლობელობის დამყარებამდე.

ასე, ეს სატომო სახელწოდება ადგილობრივი ქართული მოსახლეობისა „კლარჯი“ მოიხსენება საშუალო საუკუნეთა წყაროებში, როგორც მაგალითად:

სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა (გვ. *583/353);

თამარ ნეუის პირველი ისტორია — „ისტორია-აზნაღნი შარავანდედთანი“ (გვ. *610/382);

ეპითაღმწერელი (გვ. *758/584, *774/605, *793/631, *827/672, *923/767, *924/769);

ბექა და ალბუღას სამართალის წიგნი (თ. ჟორდანი, ქრონიკები, II, გვ. 257).

ბ. კლარჯეთის საერისთავოს მეორე მხარის — შავშეთის — ქართული მოსახლეობა ცნობილია სახელწოდებით: „შავში“³. საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ შავშები არ წარმოადგენდნენ ცალკე სატომო ერთეულს, არამედ ისინი იმავე კლარჯთა ტომის განშტოებაა. შავშეთი გამოეყო კლარჯეთს ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის სახით მე-8 საუკუნეში (ახ. წ.) და ეს სახელწოდება ადგილობრივი ქართული მოსახლეობისა „შავში“ ამ დროიდან ლეზულობს გავრცელებას, როგორც ცალკე სატომო სახელი. ხოლო ადრინდელ ხანაში, ვიდრე მე-8 საუკუნემდე, ქართული მოსახლეობა როგორც საკუთრივ კლარჯეთისა, ისე აგრეთვე შავშეთისა (არსიანის მთამდე) მოიხსენება ამ მხარის საერთო სატომო სახელით: კლარჯი⁴.

გ. კლარჯეთის საერისთავოს მესამე მხარე — ამიერი ტაო დასახლებული იყო ქართველი ტომით, რომლის ძველი სახელწოდებაა „ტაოხი“, ხოლო შემდეგ დროინდელი „ტაოელი“.

¹ იხ. ლეონტი მროველი, გვ. *287/112 — 113.

² იხ. იქვე, გვ. *131/22, *291/115. *154/35.

³ იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *512/281, აგრეთვე თამარის პირველი ისტორიის, ეპითაღმწერელის და ბექა და ალბუღას სამართალის წიგნის ზემოთ-დასახელებული ადგილები.

⁴ იხ. ლეონტი მროველი, გვ. *129/39, *291/115, *131/22.

ქართველთა ამ ტომის ტაოხების — ტაოელების შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი (როდესაც შევეხებით ტაოს ორივე ნაწილის, ამიერი და იმიერი ტაოს ისტორიას) და ამიტომ ამ საგანზე აქ აღარ გავაგრძელებთ სიტყვას.

დ—ე. კლარჯეთის საერისთავოს დასავლეთ განაპირაზე მდებარე მხარეები ნიგალი და ქვემო-სპერი („საზღვარი ქართლისა სპერი“) ეკერის შავი ზღვის ზონას. კლარჯეთის საერისთავოს ამ ორ სანაპირო კუთხეში, ნიგალსა და ქვემო-სპერში, როგორც ირკვევა, ერთიმეორეს ხედებოდა ორი შტო ქართველი ხალხისა: ქართ-იბერიელები (მესხები) და მეგრულ-ქანები.

სახელდობრ, ნიგალის პროვინციაში, ქართ-იბერიელებთან ერთად, როგორც ირკვევა, მოსახლეობდნენ მეგრელები.

ხოლო სპერში, ასევე ქართ-იბერიელებთან ერთად, მოსახლეობდნენ ქანები.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ ეს მრავალ-ტომიანობა, ქართ-იბერიული. მეგრული და ქანური მოსახლეობის არსებობა ქოროხის ხეობაში, ნიგალსა და სპერში, ალბეკილია თვით მდინარე ქოროხის ისტორიულ სახელებში.

საისტორიო წყაროების ჩვენებით, მდინარე ქოროხი ქართულად (ქართ-იბერიულად) ქანურად და მეგრულად ადრეულ საშუალო საუკუნეებში ცნობილი იყო შემდეგი სახელებით¹:

ა. ქართულად: „ქოროხი“ და „მდინარე სპერისა“;

ბ. ქანურად: „კაკამარი“;

გ. მეგრულად: „აკამფისი“ ანუ პირველადის სახეობით *ქაკამ-ფასისი, ე. ი. კაკამ-მდინარე („ფასისი“ — „ფასი“ მდინარეს ნიშნავს; იხ. ზეწოთ, გვ. 183—186).

რომ მე-8—9 საუკუნეებში, „ქართველთა სამეფოს“ აღდგენის ხანაში, ნიგალის მხარეში მეგრული მოსახლეობა იყო (ქართ-იბერიელებთან ერთად), ეს დასტურდება როგორც ქართული, ისე სომხური წყაროების მიხედვით².

ასევე წყაროებიდან ირკვევა, რომ სპერში, ქართ-იბერიელებთან ერთად, მოსახლეობდა ქანების ის შტო, რომლებიც ხალდების (ხალიბების) სახელწოდებით იყვნენ ცნობილნი³.

ვ. მეექვსე მხარე კლარჯეთის საერისთავოსი — „ხოლო კლარჯეთისა ზღვის-პირი“ — ეს არის, როგორც დადგენილია, ნაწილი ისტორიული ქანეთ-ლაზეთისა; ამ მხარეში ისტორიულად იყო და დღემდისაც არის ლაზური (მეგრულ-ქანური ჯგუფის) მოსახლეობა.

¹ იხ. ლეონტი მროველი, გვ. *112/14; სომხური უსახელო გეოგრაფია, 1881 წ. გვ. 35; ლეონტი მოძღვარი, ისტორია ხალიეთა, 1887 წ., გვ. 168; პროკოპი კესარიელი, BG, VIII, 2 (ს. ყაუხჩიშვილი, გეოგრაფია, II, გვ. 93).

² სომხურ უსახელო გეოგრაფიაში (მე-7 — 9 საუკუნეთა) ნიგალი დასახელებულია როგორც ნაწილი „ეგრი“-სა (ეგრისისა), იხ. გვ. 35. — ქართულ საისტორიო ტექსტში, რომელიც 826 წელს ეხება, ნიგალისხეველნი მოიხსენებიან როგორც „მეგრელნი“ (იხ. ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გვ. 345, შენიშვნა 6).

³ ხალდები — ხალიბები ქოროხის ხეობაში მოხსენებული ჰყავს ჯერ კიდევ ქსენოფონტეს. ქანურ მოსახლეობას ქოროხის ხეობაში აღნიშნავს პროკოპი კესარიელი. საშუალო საუკუნეებში ქოროხის ხეობის ზემო ნაწილს „ხალდის-ხევი“ ეწოდება (სომხური წყაროების „ხალდოა-ძორა“).

ასეთია ისტორიული ეთნოგრაფია კლარჯეთის საერისთავოში შემავალი ცალკე მხარეებისა, — საკუთრივ კლარჯეთისა, შავშეთისა, ამიერ-ტაოსი, ნიგალისა, ქვემო-სპერისა და კლარჯეთის ზღვის-პირისა.

ჩვენ დაემათავრეთ კლარჯეთის შესახები ისტორიული წყაროების კრიტიკული მიმოხილვა. განვიხილეთ ამასთან ერთად ის მცდარი შეხედულებანი კლარჯეთის ისტორიის შესახებ, რომელნიც წარმოდგენილი ჰქონდათ ნ. მარსა და მთელ რიგ სხვა ავტორებს.

ყოველივე იმის შემდეგ რაც ზემოთ იყო გარკვეული, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი:

1. ისტორიული კონცეფცია ნ. მარსა და სხვა ავტორებისა, რომ გარკვეულ პერიოდში ანტიკური ხანისა და ადრეულ საშუალო საუკუნეებისა ვითომც კლარჯეთი პოლიტიკურად და ეთნიკურად არ წარმოადგენდაო ქართულ ქვეყანას, ეს კონცეფცია მცდარია და ყალბი. არც ერთ ხაზში ეს არსებითად ტენდენციური კონცეფცია არ მართლდება საისტორიო წყაროებით.

2. საისტორიო წყაროებიდან, პირიქით, სრულიად უცილობელად დასტურდება, რომ კლარჯეთი საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, ძირეული ქართული ქვეყანა იყო. საისტორიო წყაროების პრეციზულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ არ ყოფილა არც ერთი პერიოდი, არც ანტიკურ ხანაში და არც საშუალო საუკუნეებში, როდესაც კლარჯეთი მოწყვეტილი ყოფილიყოს საქართველოს.

3. საისტორიო წყაროებიდან ირკვევა არა მარტო ის გარემოება, რომ კლარჯეთი განუყოფელი ნაწილი იყო საქართველოსი მთელი ისტორიის მანძილზე, არამედ ისიც, რომ კლარჯეთი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა იბერიის ისტორიაში ჯერ კიდევ არქაულ პერიოდში, ადრეულ საშუალო საუკუნეებში. ის გარემოება, რომ კლარჯეთი უფრო გვიან ხანაში, მე-9 — 10 საუკუნეებში, გახდა კულტურული და პოლიტიკური ცენტრი იბერიისა, ცხადია, არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო შემთხვევითი მოვლენა, არამედ ეს შემზადებული იყო კლარჯეთის მხარის წინა ისტორიით. ირკვევა, რომ კლარჯეთი იყო ქართული განათლების, ქართული მწერლობისა და მწიგნობრობის მეტად მნიშვნელოვანი კერა ჯერ კიდევ ადრეულ საშუალო საუკუნეთა ხანაში, მე-5 — 7 საუკუნეებში. ასე, მაგალითად, აქ, კლარჯეთში, ყოფილა დაწერილი მე-6 საუკუნეში ერთ-ერთი უძველესი ძეგლი ძველი ქართული საისტორიო მწერლობისა — ადგილობრივი მოღვაწის მიქელ პარეხელის შესახებ; კლარჯეთის მკვიდრია აგრეთვე მეორე ქართველი მწერალი ამავე ეპოქისა (მე-7 საუკუნისა) ბასილი ზარზმელი. ამრიგად, იმ დიდ სალიტერატურო სკოლას, რომელიც შეიქმნა კლარჯეთში მე-8 — 10 საუკუნეებში, გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის დროს, თავისი ძველი ადგილობრივი ტრადიციები ჰქონდა.

აღსანიშნავია ამასთან, რომ კლარჯეთი არა მარტო მე-9 — 10 საუკუნეებში წარმოადგენდა საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის ციტადელს,

არამედ, როგორც ამას აღნიშნავენ ძველი ქართველი ისტორიკოსები¹, კლარჯეთი ისტორიულად ითვლებოდა ქართველი ხალხის „საყუდელად“, თავშესაფარად გარეშე მტერთა „გაძლიერების დროს“, „ეთამთა მათ ბოროტთა“. ასე, მე-9 საუკუნეში, იბერიის დიდი პოლიტიკური კრიზისის ხანაში, როდესაც ირანმა მოახდინა ოკუპაცია იბერიისა, კლარჯეთი ყოფილა იბერიის ის მხარე, რომლის აღებაც ირანელ დამპყრობელებს ბოლომდე ვერ მოუხერხებიათ. ხოლო შემდეგ, როდესაც ქართველმა ხალხმა იმავე მეექვსე საუკუნეში ააფრიალა აჯანყების დროშა და დაამხო ირანელთა ბატონობა, კლარჯეთი, მესხეთის სხვა მხარეებთან ერთად, იყო პირველ რიგებში ამ ბრძოლაში თავისუფლებისათვის, იბერიის დამოუკიდებლობის აღდგენისათვის.

ასეთია ის არამცირედი წვლილი, რომელიც საუკუნეთა მანძილზე შეუტანია კლარჯეთის მხარეს ძველი საქართველოს ისტორიაში, ქართველი ხალხის კულტურულსა და სახელმწიფოებრივ მშენებლობაში.

2

სამხრეთი ქართლი

და სამხრეთ-აღმოსავლეთი მისხეთი (ჯავახეთ-არტაანი)

კლარჯეთის საკითხის განხილვის შემდეგ გადავდივართ სამხრეთ საქართველოს დანარჩენ მხარეთა საკითხების განხილვაზე.

პირველ რიგში შევეხებით სამხრეთ-ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მესხეთის (ჯავახეთ-არტაანის) საკითხებს.

როგორი იყო ამ მხარეთა რეალური ისტორია ანტიკურ ხანაში? როგორი იყო ამ მხარეთა ეთნიკური სახე დასახელებულ ეპოქაში? აი საკითხები, რომლებზედაც უნდა გავცეთ პასუხი.

წინასწარ ჩვენ მოგვიხდება შევჩერდეთ ამ მხარეთა ისტორიულ გეოგრაფიაზე აღრეულ საშუალო საუკუნეებში, მე-4 საუკუნიდან — მე-8 საუკუნემდე, რომელი ეპოქის შესახებაც საისტორიო წყაროები გვაწვდიან ძვირფას მასალას, მრავალს ერთიმეორის შემამოწმებელ ცნობებს.

სამხრეთ-ქართლისა და ჯავახეთ-არტაანის ტერიტორიული მოცულობა მე-4 — 8 საუკუნეებში. — ისტორიული დანაწილება აღმინისტრაციულ ერთეულებად: საპტიახშო-სამთავროებად, საერისთავოებად, მხარეებად, უბნებად.

გავეცნოთ ჯერ, თუ როგორია სამხრეთი ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი მესხეთის (ჯავახეთ-არტაანის) ტერიტორიული მოცულობა.

¹ ვახტანგ გორგასარის მემატიანე, გვ. *359/157; ჯუანშერი, გვ. *427/207.

1. სამხრეთი ქართლი.

ისტორიული ქართლი ადრეულ საშუალო საუკუნეებში განიყოფებოდა ორ ნაწილად: 1. შიდა ქართლი (რომლის ძველი სახელწოდებაა „ზენა სოფელი“, ე. ი. ზემო ქვეყანა); 2. სამხრეთი ქართლი ანუ ქვემო ქართლი (რომლის ძველი სახელწოდებაა „ქვენა სოფელი“, ე. ი. ქვემო ქვეყანა).

სახლდარი ქართლის ამ ორ ნაწილს შორის იყო ხაზი: თრიალეთი — თბილისი. თვით ქალაქი თბილისი და მისი უბანი შედიოდა შიდა ქართლში. რაც შეეხება თრიალეთის მხარეს, ეს სანაპირო პროვინცია ადმინისტრაციულად ხან სამხრეთ ქართლში შედიოდა (იხ. ჯუანშერის მატიანე, გვ. *428/208), ხან კი შიდა ქართლში (იხ. ლეონტი მროველი, გვ. *129/21).

ვიძლევეთ აქ სამხრეთი ქართლის ისტორიული სახლდარების აღწერილობას ეპოქისათვის მე-4 საუკუნიდან — მე-8 საუკუნემდე¹.

ა. ჩრდილოეთი სახლდარი. სახლდარის ხაზი, როგორც მოვიხსენეთ, იწყებოდა თრიალეთის ზონაში (თვით თრიალეთის პროვინცია, როგორც აღენიშნეთ, ადმინისტრაციულად ზოგჯერ სამხრეთ ქართლში შედიოდა, ზოგჯერ კი შიდა ქართლში); თრიალეთიდან სახლდარი გადადიოდა წყალთაგამყოფ მთებზე, რომლებიც აკრავს მდინარე ქციას ჩრდილოეთის მხრიდან (სამშვილდის სექტორი სამხრეთ ქართლის სახლდარებში შედიოდა და ქალაქი სამშვილდე სამხრეთ ქართლის ვრთ-ვრთი მთავარი ცენტრი იყო). შემდეგ სახლდარის ხაზი ადგებოდა მდინარე მტკვარს ქციის შესართავთან, ხოლო აქიდან სახლდარის ხაზი მიჰყვებოდა მდინარე მტკვარს აღმოსავლეთის მიმართულებით, ვიდრე მდინარე მტკვარს შეერთვოდეს მდინარე ბერდუჯი — საგიმი (თანამედროვე სახელწოდებაა ზაგამი ანუ ძეგამი).

ბ. აღმოსავლეთი სახლდარი. სამხრეთი ქართლის აღმოსავლეთ სახლდარად საისტორიო წყაროებში ჩვეულებრივ დასახელებულია მდინარე ბერდუჯი — საგიმი, მაგრამ ზოგჯერ სახლდარის ხაზი უფრო აღმოსავლეთითაც ყოფილა გადაწეული და აღწევდა მდინარე კოტბანამდე (შამქორის ხეობის ზონამდე)².

გ. სამხრეთი სახლდარი იყო მცირე კავკასიონის ძირითადი ქედი (წყალთაგამყოფი ქედი მტკვარსა და არაქსს შუა). მხოლოდ მცირე მანძილზე, ჯაჯურის უღელტეხილის დასავლეთით, სახლდარის ხაზი გადადიოდა არაქსის აუზში, მდინარე ახურიანის ხეობაში და გასდევდა მთებს, რომლებიც სამხრეთის მხრიდან აკრავს აშოციის პროვინციას. ამრიგად, აშოციის პროვინცია, რომელიც არაქსის აუზს ეკუთვნის, მაგრამ გეოგრაფიულად შემოკრიბლია მტკვარის აუზის არეში და ერთგვარ გარდაშავალ ზონას წარმოადგენს არაქსისა და მტკვარის აუზთა შორის, სამხრეთ ქართლის მხარეთა ჯგუფს ეკუთვნოდა. ასე იყო ეს მეტწილად, როგორც ამას ადასტურებს ქართული და სომხური საისტორიო წყაროები (ლეონტი მროველი, მოსე ხორენელი, მატიანე ქართლისა). მაგრამ ზოგჯერ აშოცი, როგორც ირკვევა, არ შედიოდა ქვემო ქართლის მხარეთა ჯგუფში, არამედ მიეკუთვნებოდა ხან მესხეთს, ხან კი სომხეთს.

დ. დასავლეთი სახლდარი არის ჯავახეთის მთები (რომელიც სამის მხრით ზღუდავს ჯავახეთის ზეგანს და გაჭოფს ჯავახეთს ტაშირიდან, თრიალეთიდან და აშოციდან). მაგ-

1 ძირითადი წყაროები: ლეონტი მროველი, ცხორება ვახტანგ გორგასარისა, ჯუანშერი, ფაესტოს ბიზანტიელი, ლახარე ფარაბელი, მოსე ხორენელი, სომხური უსახელო გეოგრაფია, მოსე კალანკატუელი, საეპისკოპოსოთა სია 506 წლისა (ეპისტოლეთა წიგნი). — ზოგიერთი საკითხის დასახუტებლად ცნობებს იძლევიან აგრეთვე უფრო გვიანი დროის საისტორიო წყაროები, მაგ. ეპითალმწერელი (გასარკვევად საკითხისა, თუ რომელ მდინარეს ერქვა ბერდუჯი), ისტორია-აზნანი შარავანდედთან (გასარკვევად საკითხისა ქურდ-ვაკრის ხევის შესახებ); სუმბატ დავითის-ძე, იონანე კათალიკოზი, ასოლიკი, ასევე არაბული წყაროები კავკასიის შესახებ. — ცალკეულ საკითხთა გამო იხ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 50—51.

² იხ. ზემოთ, გვ. 50—52.

ჩამ ზოგჯერ საზღვარის ხაზი უფრო დასავლეთითაც ყოფილა გადაწეული და ზემო-ჯავახეთი (ფარავანის უბანი) ადმინისტრაციულად ქვემო ქართლთან ყოფილა დაკავშირებული¹.

ასეთი იყო სამხრეთ-ქართლის ისტორიული საზღვრები.

ამრიგად, სამხრეთი ქართლის ფარგლებში, როგორც ირკვევა, შედიოდა შემდეგი ტერიტორიები (ტერიტორიის მოცულობას ვუჩვენებთ ყოფილი სამაზრო დანაწილების მიხედვით):

ა) ყოფილი ბორჩალოს მაზრა, ლორის უბანის ჩათვლით²;

ბ) ნაწილი ყოფილი თბილისის მაზრისა: სამშვილდე — თეთრწყაროს სექტორი;

გ) ბამბაკის უბანი ყოფილი გუმბრის მაზრისა;

დ) ყოფილი ყაზახის მაზრა (განჯის გუბერნიისა).

ჩვენ აქ შემოვფარგლეთ სამხრეთი ქართლის მხოლოდ ძირითადი ტერიტორია, და აქ არ მოგვითვლია ის სანაპირო პროვინციები, რომლებიც ზოგჯერ შედიოდა ქვემო ქართლში, ზოგჯერ კი არა.

ხოლო ასეთი სანაპირო პროვინციები, რომლებიც ცალკეულ პერიოდებში სამხრეთი ქართლის ნაწილს შეადგენდა, როგორც აღვნიშნეთ, ოთხი იყო:

1. თ რ ი ა ლ ე თ ი (რომელიც მოიცავდა თანამედროვე წალკის რაიონს);

2. ზ ე მ ო ჯ ა ვ ა ხ ე თ ი (ფარავანის უბანი, რომელიც მოიცავდა თანამედროვე ბოგდანოვკის რაიონს, საზღვრის ზოგიერთი ცვლილებით);

3. ა შ ო ც ი (რომელიც მოიცავდა ტერიტორიას ჯავახეთსა და გუმბრს შუა, თანამედროვე ამასიისა და ლუკასიანის რაიონებს);

4. მ დ ი ნ ა რ ე ბ ე რ დ უ ჯ ის აღმოსავლეთით მდებარე კ ო ტ მ ა ნ ის — გ ა რ დ მ ა ნ ის უ ბ ა ნ ი (ტერიტორია შამქორის მხარისა, რომელიც მოიცავდა თანამედროვე შამქორისა და ქედაბეკის რაიონებს).

ამრიგად, სამხრეთი ქართლი, როგორც ირკვევა, საკმაოდ დიდი მოცულობის ქვეყანა ყოფილა.

სულ სამხრეთი ქართლი აღნიშნულ ისტორიულ საზღვრებში შეიცავდა ტერიტორიას:

დასახელებული ოთხი სანაპირო პროვინციის მიუთვლელად 12.480 კვადრ. კილომეტრს;

დასახელებული ოთხი სანაპირო პროვინციის მითვლით 18.660 კვადრ. კილომეტრს.

II. სამხრეთ-აღმოსავლეთი მესხეთი: ჯავახეთ-არტაანი.

მესხეთის ამ კუთხის ტერიტორიული მოცულობა ჩვენ უკვე გვქონდა აღნიშნული ამ გამოკვლევის მე-V თავში.

¹ მოსე ხორენელი ზემო-ჯავახეთს (ფარავანის უბანს) სამხრეთ ქართლის ნაწილად თვლის (იხ. II, 8). ვახტანგ გორგასარის მატრიანისა და ჯუანშერის ცნობით ფარავანის უბანი მე-6 საუკუნემდე ქართლს ეკუთვნოდა, ხოლო მე-6 საუკუნის დასაწყისიდან მესხეთის მხარეებს შეუერთდა (შეადარეთ ვახტანგ გორგასარის მატრიანე, გვ. * 399/184 — 5, ჯუანშერი, გვ. * 401/186). აღსანიშნავია, რომ ზემო-ჯავახეთი (ფარავანის უბანი) გვიან ხანაშიაც ქართლთან იყო დაკავშირებული (იხ. თ. ჟორდანიას, ქრონიკები, II, გვ. 196, — ცნობა ფარავანასთავის, ფარავანის და ფოკას შესახებ; იხ. ბერი ფნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940, გვ. 48, აღწერა ქართლის საზღვრებისა).

² გარდა ქციის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ზონისა — ბაიდარის სექტორისა.

ისტორიული ჯავახეთი მოიცავდა ტერიტორიას ყოფილი ახალქალაქის მაზრისას (საზღვრების ზოგიერთი ცვლილებით); ხოლო ისტორიული არტაანი მოიცავდა ტერიტორიას ყოფილი არტაანის ოლქისას (ფოცხოვის რაიონის გამოკლებით).

სულ ჯავახეთ-არტაანის მხარეები შეიცავდა ტერიტორიას 8.805 კვადრ. კილომეტრს, ზემო-ჯავახეთის (ფარავანის) უბანის მითვლით; ხოლო გარდა ზემო-ჯავახეთისა, რომელიც ადმინისტრაციულად ზოგჯერ ქართლთან იყო გაერთიანებული, 7.185 კვადრ. კილომეტრს.

*

გავეცნოთ ამის შემდეგ, თუ როგორი იყო ადრეულ საშუალო საუკუნეებში სამხრეთი ქართლისა და ჯავახეთ-არტაანის ისტორიული დანაწილება ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად: საპიტიახშო-სამთავროდ, საერისთავოებად, მხარეებად და უბნებად.

წარმოდგენას ამის შესახებ იძლევა შემდეგი ცხრილი, აღდგენილი საისტორიო პირველწყაროების ჩვენებათა საფუძველზე, და თანდართული ისტორიული რუკა.

ცხრილი

სამხრეთ ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მესხეთის ისტორიული დანაწილება:
საპიტიახშო-სამთავროდ, საერისთავოებად, მხარეებად, უბნებად¹.

A

სამხრეთი ქართლი

(სამხრეთი ქართლის საპიტიახშო ანუ ტაშირის სამთავრო)

საერისთავონი:	მხარეები:	უბნები:
I. სამშვილდის საერისთავო	1. ტაშირი	<ul style="list-style-type: none"> ა. საკუთრივ ტაშირი. ბ. წობი გ. კანგარი
	*2. აშოცი	დ. (ერთ უბანს შეიცავს)
	*3. თრიალეთი	ე. (ერთ უბანს შეიცავს)
II. ხუნანის საერისთავო	4. გარდაბანი (= „ქართველთა ველი“)	<ul style="list-style-type: none"> ვ. ძორი ზ. კოლბი *ბ. კოტმანის-გარდმანის უბანი (= ბერდუჯის იმიერი ოლქი)

B

სამხრეთ-აღმოსავლეთი მესხეთი

III. წუნდის საერისთავო	5. ჯავახეთი	<ul style="list-style-type: none"> თ. საკუთრივ ჯავახეთი *ი. ზემო ჯავახეთი (ფარავანი)
	6. არტაანი	<ul style="list-style-type: none"> ია. საკუთრივ არტაანი იბ. პალაკაციო იგ. კოლა

¹ მხარეები და უბნები, რომლებიც ყოველთვის არ შედიოდნენ ამა თუ იმ ადმინისტრაციულ ერთეულში, აღნიშნული გვაქვს ვარსკვლავის * დართვით, სახელდობრ: *2. აშოცი; *3. თრიალეთი; *ბ. კოტმანის — გარდმანის უბანი; * ი. ზემო ჯავახეთი (იხ. მათ შესახებ განმარტება ზემოთ-გვ. 453).

ადრეულ საშუალო საუკუნეებში სამხრეთი ქართლი გაერთიანებულია საპიტიახშო-სამთავროს სახით, რომელიც ქართლის (ქვემო ქართლის) საპიტიახშოდ, ანუ ტაშირის (ტაშირელთა) სამთავროდ იწოდება (იხ. იაკობ ურტაველი, ევსტათი მცხეთელის მარტვილობის ტექსტი, კორიუნი, ლაზარე თარგელი).

რაც შეეხება ჯავახეთ-არტაანის მხარეებს, იგი მოიხსენება ცალკე ადმინისტრაციული ერთეულის წუნდის საერისთავოს სახით (იხ. ლეონტი მროველი).

ქვემო-ქართლის საპიტიახშო და წუნდის საერისთავო სულ შეიცავდა ექვს სამხარეო ერთეულს, 13 უბნის შემადგენლობით.

იმისათვის, რათა მკითხველი სწორად იყოს ორიენტირებული იმ საკითხებში, რაც ქვემოთ გვექნება განხილული, აქ საჭირო იქნება აღვნიშნოთ ამასთან, თუ რა ტერიტორიულ სექტორებს მოიცავდა ცალკეული ისტორიული მხარეები სამხრეთ-ქართლისა და ჯავახეთ-არტაანისა, ამას მკითხველი გაითვალისწინებს ქვემოთ-მოყვანილი ნუსხით:

1. ტაშირის მხარეს შეადგენდა:

ა) ყოფილი ბორჩალოს მაზრა, ლორეს ჩათვლით, მაგრამ გარდა წალკის რაიონისა (და აგრეთვე გარდა ქციის ჩრდილოეთით მდებარე პატარა ზონისა — ბაიდარის სექტორისა, რომელიც პარვარის უბანში შედიოდა);

ბ) სამშვილდე-თეთრიწყაროს სექტორი ყოფილი თბილისის მაზრისა;

გ) ბამბაკის რაიონი ყოფილი გუმბრის მაზრისა;

2. აშოცის მხარეში შედიოდა მდინარე ატურიანის სათავეები (ჯავახეთსა და გუმბრის შუა რაიონები: ამასია და ლუკასიანი);

3. თრიალეთის მხარეს შეადგენდა წალკის რაიონი;

4. გარდაბანის მხარეს შეადგენდა ყოფილი ყაზახის მაზრა (ჯანჯის გუბერნიისა), შამქორის სანაპირო სექტორით;

5. ჯავახეთის მხარეს შეადგენდა ყოფილი ახალქალაქის მაზრა (საზღვარის ხაზის მცირეოდენი ცვლილებით);

6. არტაანის მხარეს შეადგენდა ყოფილი არტაანის ოლქი (ფოცხოვის რაიონის გამოკლებით).

დასასრულ. მოგვყავს შენიშვნაში მითითება საისტორიო წყაროებზე, რომელთა მინდევითა დადგენილია ზემოთ-აღნიშნული ისტორიული დანაწილება სამხრეთ ქართლისა და ჯავახეთ-არტაანისა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულებად — საერისთავოებად, მხარეებად, უბნებად¹

¹ ქვემოთ დასახელებულ საისტორიო წყაროებში მოიპოვება ცნობები შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულთა შესახებ (რომაული ციფრები აღნიშნავენ საერისთავოებს, არაბული — მხარეებს, ქართული ასო-რიცხვები — უბნებს, ყველანი იმავე თანრიგით, როგორც ზემოთ-მოყვანილ ცხრილში, გვ. 454):

ა) წანება ცხრათა კოლაელთა: იგ.

ბ) მოქცევა ქართლისა: 4.

ც) ლეონტი მროველი: I, II, III, 1, 2, 3, 4, 5, 6, ი, ია, ივ

დ) ცხორება ვახტანგ გორგასარისა: I, II, III, 5, 6.

ე) ჯუანშერი: I, II, III, 1, 2, 3, 5, 6, 0, ი.

ფ) არსენი საფარელი: ვ, 0.

გ) სტეფანე მტბევერი: 1, 6.

ხ) მათიანე ქართლისა: 1, 2, 3, 5, 6.

ი) სუნბატ დავითის-ძე: 3, 4, 5, 6.

ი) ცხორება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა: 3, 5, 6, გ, იგ.

კ) უწყება პეტროს მკაწრეელისათვის: გ

ლ) აგათანგლოსი: 2.

ცნობები გოგარენის მხარის შესახებ

(მეორე-პირველი საუკუნეებიდან ძველი წელთაღრიცხვისა
ვიდრე მეოთხე საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა).

გავეცნოთ ამის შემდეგ საისტორიო წყაროების ცნობებს იბერიის ძველი ნაწილის — გოგარენის მხარის შესახებ.

როგორც ცნობილია საისტორიო წყაროებიდან, გოგარენის მხარე სომხეთმა დაიპყრო იბერიიდან მეორე-პირველ საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა; მას შემდეგ ეს მხარე, როგორც ირკვევა, რამდენჯერმე გადასულა ხან იბერიის, ხან სომხეთის ხელში, ხოლო მე-4 საუკუნეში ეს მხარე საბოლოოდ დაიბრუნა იბერიამ.

რომელი მხარეა იბერიის ეს ისტორიული ნაწილი გოგარენი?

როგორც აღნიშნული გექონდა, სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულია შეხედულება, რომ გოგარენის მხარე, დაპყრობილი სომხების მიერ, ვითომც მოიცავდა მთელ სამხრეთ ქართლს, ჯავახეთ-არტანს და თვით კლარჯეთსაც კი, ე. ი. მთელი იბერიის თითქმის მესამედს. მაგრამ ეს ცოტაა. არიან ისეთებიც, რომლებიც გოგარენის ტერიტორიას კიდევ უფრო აფართოებენ; გოგარენის (და აგრეთვე გოგარენის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ტაიქისა და სომხური სპერის) შემადგენლობაში თვლიან იბერიის ნახევარზე მეტ ნაწილს, მდებარეს მტკვრის სამხრეთით (საზღვარის ხაზს მდინარე მტკვარზე ატარებენ); სომხეთს მიაკუთვნებენ აგრეთვე მტკვრის ჩრდილოეთით მდებარე სამცხის პროვინციასაც (ახალციხის მხარეს). ასე მაგალითად, როგორც აღნიშნული გექონდა, ა. ჟ. სენ-მარტენი, ი. მარკვარტი და ნ. მარი სამცხის პროვინციას სომხეთის (გოგარენის და ტაიქის) ნაწილად ვარაუდობენ.

საკითხავია, რამდენად შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს ეს მტკიცება გოგარენის მხარის ასეთი ფართო ტერიტორიული მოცულობის შესახებ?

როგორც ირკვევა, ამას სრულიად არაფერი აქვს საერთო ისტორიულ სინამდვილესთან.

საისტორიო წყაროების განხილვა ჩვენ დაგვანახებებს, რომ გოგარენი მხარე ეს იყო მხოლოდ ერთი, შედარებით პატარა კუთხე, სახელდობრ გარდაბანის მხარე, რომელიც მდებარეობდა საქართველოს განაპირაზე და მოიცავდა ყოფილი განჯის გუბერნიის ყაზახის მაზრის ტერიტორიას.

მ) ფავსტოს ბიზანტიელი: ვ, ზ, ც.

ა) კორიუნნი: 1, ც.

ო) ლახარე ფარაბელი: 1, გ.

პ) მოსე ხორენელი: 1, 2, ა, ბ, გ, ვ, ზ, ც, ი.

ჟ) უსახელო გეოგრაფია: (2), 3, ა, ი, ა, ბ, გ, ვ, ზ, ი, ია, ივ.

რ) მოსე კალანკატუელი: ც.

ს) იოანე კათალიკოზი: 1, ვ, ც.

ტ) უხტანესი: 4¹.

ი) ასოლიკი: 1, 4¹, 5, ა, ბ, გ, ვ, ზ.

საისტორიო წყაროების პრეციზული ანალიზი ჩვენ სრულის უეჭველობით დაგვიმტკიცებს, რომ გოგარენის ფარგლებში არ შედიოდა არც ქვემო ქართლის ძირითადი პროვინციები ტაშირი და თრიალეთი, არ შედიოდა აგრეთვე არც ჯავახეთ-არტაანი, არ შედიოდა მესხეთის არც ერთი მხარე.

ამრიგად გოგარენი, როგორც დაინახავთ, ეს სრულიად არ იყო იბერიის ნახევარი თუ მესამედი, იგი ამასთან არ იყო არც საქართველოს შუაგულთან ახლო მდებარე კუთხე, არამედ შედარებით მკირე მოცულობის რაიონი, — გარდაბანის მხარე, რომელიც საქართველოს შორეულ პერიფერიას წარმოადგენდა, მდებარეს განჯის სანახებში.

როგორც ვხედავთ, ეს ორი კონცეფცია სრულიად სხვადასხვა ასპექტში წარმოგვიდგენს როგორც საქართველოს ცალკე მხარეების ისტორიას, ისე საქართველოს ისტორიის საერთო განვითარების ხაზს ანტიკურ ეპოქაში.

*

განვიხილოთ ამის შემდეგ გოგარენის შესახებ საისტორიო მასალები.

ცნობა გოგარენის მხარის სომეხთა მიერ დაპყრობის შესახებ დაცული აქვს სტრაბონს.

სომხეთის სახელმწიფო, როგორც ცნობილია, ჩამოყალიბდა მე-2 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა. მას შემდეგ, მეორე და პირველ საუკუნეთა მანძილზე, სომხეთმა დიდი ექსპანსია განაუზო და შეიერთა სანაპირო მხარეები მიდიიდან, იბერიიდან, პონტოს ქართველი ტომების (ხალიბების, მოსინიკებისა და ხეთონების) ტერიტორიიდან, სირიიდან. ეს პერიოდი, მეორე-პირველი საუკუნეები ძველი წელთაღრიცხვისა, არის სომხეთის პოლიტიკური ძლიერების ხანა.

სტრაბონს სომხეთის ტერიტორიის გაფართოების შესახებ დასახელებულ ეპოქაში დაცული აქვს უაღრესად მნიშვნელოვანი დაწვრილებითი ცნობები. სტრაბონი წერს (წ. XI, თ. XIV, § 5):

„გადმოგვეყვან, რომ სომხეთი (არმენია), რომელიც თავდაპირველად მკირე მოცულობისა იყო, გადიდებულ იქმნა არტაქსეს და ხარიადრის მიერ, რომლებიც ჯერ იყვნენ მხედართმთავარი ანტიოქოს დიდისა, ხოლო მერე, ანტიოქოსის დამარცხების შემდეგ, გახდნენ მეფენი..., გააფართოვეს სომხეთი, ჩამოაჭრეს რა ნაწილი მიწებისა მეზობელ ხალხებს...“

შემდეგ სტრაბონს ჩამოთვლილი აქვს, თუ რა ტერიტორიები ჩამოაჭრეს სომხებმა მიდიელებს, იბერიელებს, პონტოს ქართველ ტომებს და სირიელებს.

კერძოდ, გოგარენის მხარე, რომელიც სომხებს დაუპყრიათ იბერიიდან, სტრაბონს შემდეგნაირად აქვს დასახელებული:

„გოგარენი, მდებარე მტკვრის იმიერ მხარეს“ (იგულისხმება: სამხრეთ მხარეს)¹.

აქ საჭიროა შევჩერდეთ თარიღის საკითხზე.

სტრაბონის ცნობით, სომხეთის საზღვრების ეს გაფართოება მეზობელი ხალხების — მიდიელების, იბერიელების, პონტოელი ქართველი ტომების და სირიელების ტერიტორიების დაპყრობის გზით, მომხდარა მეორე საუკუნეში

¹ იხ. სტრაბონის გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, § 5.

ძველი წელთაღრიცხვისა, სომხეთის პირველი მეფეების არტაქსეს და ზარიადრეს დროს.

მაგრამ ეს თარიღი, როგორც ირკვევა, დაზუსტებას საჭიროებს. მთელ რიგ გარემოებათა გამო საფიქრებელი ხდება, რომ შემოერთება ყველა იმ მხარეებისა, რაც სტრაბონს აქვს ჩამოთვლილი (სულ დასახელებულია 11 მხარე), ჩანს, არ მომხდარა ერთდროულად, არამედ ისინი შემოერთებული უნდა ყოფილიყო ნაწილობრივ არტაქსესა და ზარიადრის დროს (მეორე საუკუნეში), ხოლო ნაწილობრივ მათი მემკვიდრეების და, კერძოდ, ტიგრან დიდის დროს (პირველ საუკუნეში).

ამრიგად, როგორც ჩანს, აქ ჩვენ გვაქვს გაერთიანებული სურათი სომხეთის ექსპანსიისა მეორე და პირველ საუკუნეთა მანძილზე (ძველი წელთაღრიცხვისა). სტრაბონს აქ გადმოცემული აქვს ის პოლიტიკური ვითარება, რომელიც მის დროს, პირველი საუკუნისათვის არსებულა.

შეფარდება იმ ცნობებისა, რომლებიც დატული აქვს იბერიისა და სომხეთის საზღვრების შესახებ სტრაბონსა და უფრო ძველი ხანის ავტორს, აპოლოდორეს (მეორე საუკუნე ძვ. წ.), გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ გოგარენის მხარე შეუერთებია სომხეთს არა არტაქსესა და ზარიადრის დროს (მეორე საუკუნის პირველ ნახევარში), არამედ უფრო გვიან ხანაში. აპოლოდორეს ცნობის თანახმად, საზღვარი იბერიასა და სომხეთს შორის 140 წლის ახლო ხანებში (არტაქსესა და ზარიადრის ხანის შემდეგ) გასდევდა არაქსის ხეობაში, ე. ი. გოგარენის მხარე (რომელიც მტკვრის ხეობაში მდებარეობს) ჯერ კიდევ არ ყოფილა გაერთიანებული სომხეთთან.

ხოლო სტრაბონის დროს კი საზღვარის ხაზი ჩრდილოეთით ყოფილა გადაწეული. სტრაბონი, ეხება რა აპოლოდორეს ცნობას იბერიის შესახებ, აღნიშნავს, რომ იბერიას, „აპოლოდორეს სიტყვების თანახმად, გააყოფს სომხეთიდან მდინარე არაქსი, უფრო მეტად კი კვროსი (მტკვარი) და მოსხის მთები“. (იხ. წიგნი XI, თავი III, § 21).

სტრაბონის ცნობათა ანალიზიდან ირკვევა, რომ საზღვარი იბერიასა და სომხეთს შორის სტრაბონის დროს, ე. ი. პირველი საუკუნის დასაწყისში ახალი წელთაღრიცხვისა, შემდეგი ყოფილა: საზღვარი იწყებოდა ტაოს სამხრეთით (ქალაქი იღი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ტაოში, მდ. ოლთისწყალის სათავეებში მდებარეობს, იბერიის ფარგლებში შედიოდა); საზღვარის ხაზი მიჰყვებოდა ძირითადში არა არაქსის ხეობას (როგორც აპოლოდორეს დროს), არამედ მხოლოდ ნაწილობრივ გასდევდა არაქსს¹, მეტწილად კი მიჰყვებოდა მოსხის მთებს (ე. ი. წყალთა-გამყოფ მთებს, რომელიც გააყოფს კოროხისა და მტკვრის ხეობებს არაქსის ხეობიდან), ხოლო უფრო აღმოსავლეთით მიჰყვებოდა მტკვარს (გოგარენის სექტორში).

ასეთია ის დასკვნები, რომელთაც უნდა დავადგეთ წყაროების ანალიზის საფუძველზე იბერიისა და სომხეთის საზღვრების საკითხის გამო დასახელებულ ეპოქაში.

¹ არაქსის ხეობის ტერიტორიებიდან შესხეთის მხარეებს (ტაოს) უშუალოდ ეკვრის ბასიანი, რომელიც ამ დროს, როგორც ირკვევა, იბერიის ფარგლებში შედიოდა.

გოგარენის მხარე, რომელიც, როგორც გამოიჩვენა, სტრაბონის დროისათვის, — ე. ი. პირველი საუკუნის დასაწყისში (ახალი წელთაღრიცხვისა)—სომხებს ჰქონიათ იბერიიდან დაპყრობილი, ჩანს, დიდი ხანი ალარ დარჩენილა სომხეთის მფლობელობაში.

მომდევნო ხანა, პირველი საუკუნის პირველი ნახევარი, ეს არის პერიოდი სომხეთის პოლიტიკური დასუსტებისა.

პირველი საუკუნის 30-იან წლებში სომხეთში პოლიტიკურ უპირატესობას მოიპოვებენ ირანელები (პართეელები) და ირანის მეფე სომხეთში გაამეფებს თავის შვილს (34 წ.).

იმავე ხანაში, პირველი საუკუნის პირველი ნახევრიდან მოკიდებული, იწყება იბერიის სახელმწიფოს განსაკუთრებული გაძლიერება. იბერიელები გამოდიან ირანელების მეტოქეებად კავკასიაში. იბერიელები წარმატებით აწარმოებენ ბრძოლას ირანელების წინააღმდეგ თვით სომხეთში. იბერიის სამეფო, რომლის სათავეში დგას ენერგიული სახელმწიფო მოღვაწე ფარსმან I, ზურგგამაგრებული რომთან კავშირით, ბრძოლით დაიქვრს სომხეთს—35 წელს. ირანელების კონტრშემოტევა დასრულდა ირანელების დამარცხებით და სომხეთი ფაქტიურად იბერიის ხელში გადავიდა. დაწყებული ამ დროიდან სომხეთში მეფობენ იბერიელი უფლისწულები, ჯერ მითრიდატ I, ძმა იბერიის მეფის ფარსმან I-ისა (35—37, 41—51 წ. წ.), ხოლო შემდეგ რადამისტი ფარსმანის-ძე (51—54 წ. წ.), რომლებიც იბერიის მეფის ფარსმან I-ის ფაქტიური ვასალები არიან¹.

იბერიის ამ გაძლიერების დროს, როდესაც სომხეთი ფაქტიურად იბერიის ვასალურ სამეფოდ იქცა, იბერიის სახელმწიფოს, ცხადია, უნდა დაებრუნებინა იბერიის ის ძველი ტერიტორია, რომელიც ადრე სომხეთს ჰქონდა დაპყრობილი.

პირველი საუკუნის 50-იან წლებში იბერიელებმა თუმცა დატოვეს სომხეთი (სადაც ამის შემდეგ დამკვიდრდა ირანული არშაკიდების დინასტია), მაგრამ იბერიის სამეფო ამის შემდეგაც ძლიერების ზენიტში იმყოფება მთელი პირველი საუკუნე და მეორე საუკუნის პირველი ნახევარი. ამრიგად, სომხეთის დატოვება იბერიელების მიერ სრულებითაც არ ნიშნავდა იმას, რომ იბერიელებმა ამასთან ერთად დატოვეს ისეთი საკუთრივ იბერიული ტერიტორია, როგორიც იყო გოგარენი. საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ამ მომდევნო პერიოდის მანძილზე იბერიის სამეფოს ტერიტორია არათუ არ შემცირებულა, არამედ გაზარდილა კიდევ.

ტაციტის ანალებში (XIV, 25—26) მოთხრობილია, რომ იბერიის მეფეს ფარსმან I-ს 60 წელს რომმა გადასცა სომხეთის ზოგიერთი ოლქები (იმ დახმარებისათვის, რომელიც ფარსმან I-მა რომს გაუწია).

პლინიუს სეკუნდეს ცნობებიდან ირკვევა, რომ პირველი საუკუნის 60-იან წლებში სომხეთის ფარგლებში არ შედიოდა არათუ გოგარენი, არამედ არ შედიოდა აგრეთვე საკაშენი (შაკაშენი), ე. ი. განჯის მხარე².

¹ იხ. ტაციტი, Annales IV, 32—36; XI, 8—9, 44—51, XIII, 6, 37.

² იხ. პლინიუს სეკუნდე, NH, V, § 28—29 (SC, II, 181—182), სადაც სომხეთის მოსახლურე ოლქთა შორის (და არა სომხეთში შემავალ ოლქთა შორის) ტაშირთან, თრიალეთთან და მესხეთთან ერთად, მოხსენებულია საკაშენი (Sacassani). როგორც ცნობილია, საკაშენი, resp. შაკაშენი, განჯის მხარეს ეწოდებოდა (იხ. ჰ. პიუბშმანი, Die altarmenischen Ortsnamen, გვ. 352—353).

იბერია კიდევ უფრო გაძლიერდა პოლიტიკურად და ახალი ტერიტორიები შეიერთა მეორე საუკუნის პირველ ნახევარში. ამ დროს რომი ყოველ ღონეს ხმარობს ახლო მეგობრული ურთიერთობა დაამყაროს იბერიასთან. ისტორიკოსი დიონ კასიოსი გადმოგვცემს, რომ 138 წელს იბერიის მეფე ფარსმან II უდიდესი პატივით იქმნა მიღებული რომში, და რომ ამ დროს რომმა დაუთმო იბერიას ახალი ტერიტორიები.

(იხ. დიონ კასიოსი, *Historia Romana*, LXX, 3, SC, I, გვ. 622).

*

იბერიის ისტორიის შესახებ მომდევნო ხანაში, მეორე საუკუნის მეორე ნახევრისა და მესამე საუკუნის მანძილზე, მეტად მცირე ცნობებია მოღწეული.

ამ მომდევნო ხანაში (არა ჩანს ზედმიწევნით როდის და რა ისტორიულ ვითარებაში) სომხეთს ისევ შეუერთებია გოგარენის მხარე¹.

ამის შემდეგ გოგარენი დარჩენილა სომხეთის მფლობელობაში მე-4 საუკუნის 40-იან წლებამდე.

იბერია საბოლოოდ დაიბრუნებს გოგარენის მხარეს მე-4 საუკუნის 40-იან—80-იან წლებში.

დაწერილებითი ცნობები ამის შესახებ დაცული აქვს უძველეს სომეხთა ისტორიკოსს ფავსტოს ბიზანტიელს.

ფავსტოს ბიზანტიელი გადმოგვცემს, რომ სომხეთის მეფის არშაკ II-ის დამარცხების შემდეგ, 349 წელს, გოგარენის მხარე განუდგა სომხეთს და შეუერთდა იბერიას.

უფრო გვიან, სომხეთის მეფის პაპის დროს (369 — 374 წ. წ.), სომხეთი ხელახლა შეეცადა გოგარენის დაპყრობას. ფავსტოს ბიზანტიელი გადმოგვცემს, რომ სომხეთის მეფის პაპის მხედართმთავარი მუშელ მამიკონიანი სომხეთის ჯარით შეიჭრა გოგარენში, შეიპყრო და სიკვდილით დასაჯა გოგარენის მთავარი (პიტიახში), იბერიელთა სამეფო სახლის ფარნაეზიანთა დინასტიის წარმომადგენელი, დაიპყრა განდგომილი გოგარენის მხარე და ამრიგად აღადგინა წინათ, 349 წლამდე, არსებული საზღვარი სომხეთსა და იბერიას შორის.

მაგრამ ეს მეტად მოკლე დროით. არ გასულა ამის შემდეგ თხუთმეტი წელი, რომ გოგარენი ხელახლა განუდგა სომხეთს და შეუერთდა იბერიას.

გოგარენის ეს საბოლოო შეერთება იბერიასთან 387 წელს მომხდარა².

3.

გოგარენის მხარის ტერიტორიული მოცულობა

გადავიდეთ ამის შემდეგ გოგარენის მხარის ტერიტორიული მოცულობის გარკვევაზე.

თუ როგორი იყო ტერიტორიული მოცულობა გოგარენის მხარისა, რომელიც სომხეთს ჰქონდა დაპყრობილი, ამის შესახებ სრულიად ზუსტი ცნობა

¹ თუ კლავდი პტოლემეს გეოგრაფიის მოღწეულ ხელნაწერებში დასახელებული მხარე *Ταυριουχ* (რომელიც მტკვრის ხეობაშია ნაჩვენები) არის, როგორც ეს სავარაუდებელია, დამახინჯებული დ-წერილობა *Ἰσχυριουχ*-სი (იხ. წ. V, თ. XII, § 9), მაშინ გოგარენის გაერთიანება სომხეთთან მომხდარა მეორე საუკუნის მეორე ნახევარში.

² ფავსტოს ბიზანტიელი, 1832 წ., გვ. 159, 211.

აქვეს დაცული სომეხთა უძველეს ისტორიკოსს ფავსტოს ბიზანტიელს, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, სპეციალურად ეხება ისტორიას იმ ბრძოლებიანას, რომლებიც გოგარენის გარშემო წარმოებდა მე-4 საუკუნეში. ფავსტოს ბიზანტიელის ცნობათა თანახმად, გოგარენის ტერიტორიას შეადგენდა ძორისა და კოლბის უბნები, ე. ი. ზუსტად გარდაბანის მხარე (=ყოფილი ყაზახის მაზრის ტერიტორიას).

ასეთია სრულიად გარკვეული ჩვენება ამ საკითხის გამო ფავსტოს ბიზანტიელის მატიანისა, ამ უძველესი ავთენტური საისტორიო წყაროსი.

აქ საჭიროა სპეციალურად შევჩერდეთ აგრეთვე უფრო გვიანი დროის საისტორიო წყაროებზედაც, რომლებიც შეცდომებს უშვებენ გოგარენის მხარის ტერიტორიის მოცულობის აღნიშვნის დროს.

შეცდომა გვიანი დროის საისტორიო წყაროებისა ადვილად აიხსნება და იმით არის გამოწვეული, რომ გვიან ხანაში აღარ არსებობდა უშუალო ისტორიული ტრადიცია ძველად არსებული ადმინისტრაციული ერთეულის გოგარენის მხარის საზღვრების შესახებ.

როგორც ცნობილია, გოგარენის მხარე იმ პერიოდში, როდესაც იგი სომხეთის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა, წარმოადგენდა ცალკე ავტონომიურ სამთავროს, რომლის სათავეშიაც იდგა პიტიახში, რომელიც გოგარენის პიტიახში-ის (სომხურად გუგარქის ბღეშხი-ს) სახელწოდებას ატარებდა.

როდესაც მე-4 საუკუნეში გოგარენის მხარე შემოერთებულ იქმნა იბერიასთან, ძველი გოგარენის საპიტიახშო მოისპო როგორც ცალკე ერთეული, იგი შეუერთდა მეზობლად მდებარე ქვემო ქართლის, ტაშირის მხარეს და ამ უკანასკნელთან ერთად შეადგინა ახალი ადმინისტრაციული ერთეული, სახელწოდებით „ქართლის (=ქვემო ქართლის) საპიტიახშო“ ანუ „ტაშირის სამთავრო“. ხოლო ძველი სახელწოდება გოგარენი, როგორც ცოცხალი პოლიტიკური ტერმინი, გამოდის ხმარებიდან.

ამას ადასტურებს ქართული და სომხური საისტორიო წყაროები მე-5 და მე-6 საუკუნეებისა.

ასე, მე-5 საუკუნის ქართულ ძეგლში, შუშანიკის მარტვილობაში, ქვემო ქართლის საპიტიახშოს ეწოდება არა გოგარენი, არამედ ქართლი.

ასევე მე-6 საუკუნის ქართულ ძეგლში, ევსტათი მცხეთელის მარტვილობაში, ამ მხარის მმართველს ეწოდება: „პიტიახში ქართლისა“ (და არა გოგარენისა).

ასეთივე სურათი გვაქვს ამავე ეპოქის სომხურ ძეგლებში. ასე, კორიუნის თხზულებაში ამავე მხარის მმართველს ეწოდება „მთავარი ტაშირისა“ (ანუ ტაშირელთა), ხოლო ლაზარე ფარპელის თხზულებაში „პიტიახში ქართლისა“ (ანუ ქართველთა)¹.

ამრიგად, „გოგარენი“, როგორც ცოცხალი ადმინისტრაციულ-პოლიტიკური ტერმინი, მე-4 საუკუნის შემდეგ ხმარებიდან გამოსულა; ძველი „გოგარენის საპიტიახშო“-ს ნაცვლად მე-4 საუკუნის შემდეგ არსებობდა ადმინისტრაციუ-

¹ იხ. იაკობ ცურტაველი, შუშანიკის მარტვილობა, 1938 წ., გვ. 33, 42; ევსტათი მცხეთელის მარტვილობა (საქართველოს სამთავრო, 1882 წ.) გვ. 315; კორიუნი 1894 წ., გვ. 32; ლაზარე ფარპელი, 1873 წ., გვ. 134—148 და სხვ.

ლი ერთეული „ქართლის (ქვემო ქართლის) საპიტიახშო“ ანუ „ტაშირის სამთავრო“, რომელიც ბევრად უფრო ფართო მოცულობისა იყო და რომლის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილთაგანი იყო ძველი „გოგარენის საპიტიახშო“-ს ტერიტორია.

უფრო გვიან ხანაში, მე-7 — 8 საუკუნეებში, ეს ადმინისტრაციული დანაწილება — ქართლის (ქვემო ქართლის) საპიტიახშო — შეიცვალა და მის ნაცვლად დაარსდა სხვა მოცულობის ადმინისტრაციული ერთეულები, სამხრეთ ქართლის ცალკე მხარეთა საერისთავოები. ხოლო კიდევ უფრო გვიან, მე-9 საუკუნეში, შეიქმნა ახალი ადმინისტრაციული ერთეული ქვემო ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი მესხეთის სამთავრო „სამამფალო“ (გვარამ დიდი მამფალის სამფლობელო).

რაკი ამრიგად სახელწოდება „გოგარენი“, „გოგარენის საპიტიახშო“, როგორც ცოცხალი ადმინისტრაციული ტერმინი, ხმარებიდან გამოსულა მე-4 საუკუნის შემდეგ და იგი შეუცვლია სხვადასხვა მოცულობის ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებს, გასაგებია, რომ გვიანი დროის ავტორები, რომლებიც მთელი საუკუნეებით დაშორებული არიან გოგარენის საპიტიახშოს არსებობის ეპოქას, შეცდომით წარმოგვიდგენენ გოგარენის ტერიტორიის ფარგლებს.

გვიანი ხანის საისტორიო წყაროებიდან გოგარენის შესახებ ცნობებს შეიცავენ: მოსე ხორენელის ისტორია (რომლის ეპოქა დაახლოებით მე-7 საუკუნით განისაზღვრება), სომხური უსახელო გეოგრაფია მე-7—9 საუკუნეთა (რომლის არსებული რედაქციები მე-9 საუკუნეს ეკუთვნის), მე-10 საუკუნის ავტორი იოანე კათალიკოზი, მე-13 საუკუნის ავტორი ვარდან აღმოსავლელი.

თუ რამდენად დაბუნდოვანებული იყო ისტორიული ტრადიცია გოგარენის შესახებ გვიან ხანაში, ამის მაჩვენებელია ვარდან აღმოსავლელის ცნობა: ვარდან აღმოსავლელი თავის გეოგრაფიაში აღნიშნავს¹, რომ ძველი გოგარენი ეს არისო შაქი, ე. ი. ნუხის მხარე, რასაც სინამდვილესთან არაფერი აქვს საერთო. ვარდან აღმოსავლელს გოგარენი გადააქვს ძველი იბერიის საზღვრებიდან ძველი ალბანიის საზღვრებში.

მე-10 საუკუნის ავტორმა იოანე კათალიკოზმა იცის, რომ გოგარენი ეთნიკურად იბერია იყო, რომ გოგარენის მოსახლეობას იბერიელები შეადგენდნენ, და იგი გოგარენს აიგივეებს საერთოდ იბერიასთან, აღმოსავლეთ საქართველოსთან².

რაც შეეხება მოსე ხორენელსა და სომხურ უსახელო გეოგრაფიას, ისინი გოგარენის ტერიტორიას უჩვენებენ ისტორიულ იბერიაში, ხოლო მის საზღვრებს შემოფარგლავენ არა ძველად, ე. ი. მე-4 საუკუნეში არსებული ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით, არამედ გვიანდელი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, რომლებიც მათ დროს, მე-7 — 9 საუკუნეებში არსებობდა.

ჯერ მოსე ხორენელის შესახებ.

¹ იხ. ვარდანის გეოგრაფია, ა.-ჟ. სენ-მარტენის გამოცემა, Mémoires..., 1819 წ., II, გვ. 414.

² ასე, იოანე კათალიკოზის წარმოდგენით არა მარტო ვარდანის მხარე და სამხრეთი ქართლი, არამედ მესხეთის მხარეები, აგრეთვე კახეთი და იბერიის მიწა-წყალი თვით დარიალის ხეობამდე, ეს ვითომც არის გოგარენი (იხ. იოანე კათალიკოზის ისტორია, 1851 წ., გვ. 163 — 4, 110, 137, 89 — 90, 140, 138 და სხვ.).

მოსე ხორენელის ეპოქა, როგორც მოვიხსენიეთ, მიახლოებით მე-7 საუკუნით განისაზღვრება. ამრიგად, მოსე ხორენელი მთელი საუკუნეებით არის დაშორებული ძველი „გოგარენის საპიტიახშოს“ არსებობის ხანას და მას, ცხადია, არ ჰქონია და არც შეიძლებოდა ჰქონოდა უშუალო ისტორიული ტრადიცია ძველი გოგარენის საპიტიახშოს ტერიტორიის მოცულობის შესახებ.

მოსე ხორენელის დროს არსებობდა ადმინისტრაციული ერთეული — ქვემო-ქართლის საპიტიახშო. მოსე ხორენელი ვარაუდობს, რომ ეს მის დროს არსებული ქვემო-ქართლის საპიტიახშო და ძველი გოგარენის საპიტიახშო ერთი და იგივე ერთეულებია, იგი უბრალო იგივეობის ნიშანს ატარებს ამ ორ სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა ტერიტორიული მოცულობის „საპიტიახშო“-ს შორის.

მოსე ხორენელი, მაგალითად, მე-5 საუკუნის ცნობილს ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეს არსუშა პიტიახშს მოიხსენებს „გოგარენის პიტიახში“-ს სახელწოდებით¹, იმ დროს როდესაც გოგარენის საპიტიახშო ამ დროს უკვე აღარ არსებობდა და არსუშას სინამდვილეში ეწოდებოდა (როგორც ეს ჩანს მე-5 საუკუნის ავტორების კორიუნის, ლაზარე ფარპელის და იაკობ ცურტაველის ცნობებიდან) — პიტიახში ქართლისა (ქვემო-ქართლისა), ანუ მთავარი ტაშირისა.

რაკი ამრიგად მოსე ხორენელი იგივეობის ნიშანს ატარებდა ძველად არსებულ გოგარენის საპიტიახშოსა და მის დროს არსებულ ქვემო ქართლის საპიტიახშოს შორის, გასაგებია ის შეცდომა, რომელსაც იგი გოგარენის ტერიტორიის განსაზღვრის დროს უშვებს.

მოსე ხორენელს გოგარენის ტერიტორიის მოცულობა ასე აქვს წარმოდგენილი: 1) გარდაბანის მხარე (კოლბისა და ძორის უბნები); 2) ტაშირის მხარე (საკუთრივ ტაშირის, წობის და კანგარის უბნები); 3) აშოცის მხარე; 4) ზემო ჯავახეთის უბანი².

როგორც ვხედავთ, აქ შემოფარგულია ის ტერიტორია, რომელიც ქვემო ქართლის საპიტიახშოში შედიოდა (შეად. ზემოთ, გვ. 462—463).

მაშასადამე, მოსე ხორენელი, ძველად არსებული „გოგარენის საპიტიახშო“-ს ტერიტორიის ნაცვლად (რომელიც მხოლოდ გარდაბანის მხარეს მოიცავდა), აგვიწერს ქვემო ქართლის საპიტიახშოს ტერიტორიას მის დროს არსებულ ფარგლებში.

ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს იმ სახის შეცდომა, რაც არა ერთგზის გვხვდება საისტორიო წყაროებში, როდესაც ავტორი თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით აღადგენს წარსულის სურათს.

ეს რაც შეეხება მოსე ხორენელს.

გადავიდეთ ამის შემდეგ სომხურ უსახელო გეოგრაფიაზე.

შეცდომა, რომელიც დაშვებულია სომხურ უსახელო გეოგრაფიაში გოგარენის ტერიტორიის განსაზღვრის დროს, როგორც ჩანს, იმავე სახისაა, როგორც მოსე ხორენელის ტექსტში.

¹ იხ. მოსე ხორენელი, III, 60.

² იხ. იქვე, II, 8 (ეთნარქის გუშარისა და გუშარიდების სამფლობელო ტერიტორიის აღწერილობა).

სომხური უსახელო გეოგრაფიის არსებული რედაქციები მე-9 საუკუნეს ეკუთვნის.

ხოლო მე-9 საუკუნეში უკვე აღარ არსებობდა არათუ გოგარენის საპიტიახშო, არამედ არც ქვემო ქართლის საპიტიახშო, და მის ნაცვლად მე-9 საუკუნეში გვაქვს ქვემო ქართლისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ მესხეთის სამამფალო (რომლის სათავეში დგას მამფალი გვარამ დიდი).

როგორც გამოჩვენებულია, ძველ-ქართული სახელისუფლო ტიტული „მამფალი“ აღნიშნავდა იმასვე, რასაც, „პიტიახში“¹, და მე-9 საუკუნის სამამფალო ეს იყო შემკვიდრე ამაზე აღრინდელი, მე-7—8 საუკუნეებამდე არსებული ქვემო ქართლის საპიტიახშოსი.

მე-9 საუკუნის სამამფალოში, საისტორიო ძეგლის „მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობის თანახმად, შედიოდა შემდეგი ტერიტორიები²:

ა—ბ) ტაშირი, რომლის ფარგლებშიაც მე-9 საუკუნეში გაერთიანებული იყო ტაშირისა და გარდაბანის მხარეები;

გ) თრიალეთი; დ) ჯაფახეთი; ე) არტაანი.

ეს არის სამამფალოს ძირითადი ტერიტორია³.

ამას გარდა სამამფალოს სათავეში მდგომ მთავარს გვარამ მამფალს ჰქონდა აგრეთვე წილი კლარჯეთში (როჰელიც ამ დროს საქართველოს ბაგრატიონთა საერთო სამფლობელოს წარმოადგენდა); გვარამ მამფალს, როგორც ჩანს მატიანის ცნობებიდან, მშენებლობა უწარმოებია კლარჯეთში.

შევადაროთ ამის შემდეგ სომხურ უსახელო გეოგრაფიაში აღწერილი გოგარენის საპიტიახშოს ტერიტორია და მე-9 საუკუნის ამ ადმინისტრაციული ერთეულის სამამფალოს (საპიტიახშოს) ტერიტორია. ისინი ჰფარავენ ერთიანეორეს.

სომხური უსახელო გეოგრაფიის ცნობით⁴, გოგარენის მხარე შეიცავდა ხუთ კანტონს ტაშირის და გარდაბანის მხარეებისას (ძორი, კოლბი, წობი, საკუთრივ ტაშირი და კანგარი), თრიალეთს, ჯაფახეთს, არტაანს და კლარჯეთს⁵.

ამრიგად, ისევე როგორც მოსე ხორენელის ტექსტში მე-4 საუკუნის გოგარენის საპიტიახშოს სახით აღწერილია მე-7 საუკუნეში არსებული ადმინისტრაციული ერთეულის ქვემო ქართლის საპიტიახშოს ტერიტორია, ამგვარადვე სომხურ უსახელო გეოგრაფიაში აღწერილია ავტორის დროს არსებული მე-9 საუკუნის ადმინისტრაციული ერთეულის სამამფალოს (საპიტიახშოს) ტერიტორია.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 72.

² იხ. მატიანე ქართლისა, გვ. * 445/223.

³ სამამფალოს ფარგლებში შედიოდა ერთხანად აგრეთვე არაქისი აუზში მდებარე აშოცი, მაგრამ შემდეგ, როგორც გადმოგვეყვს მემატიანე, გვარამ მამფალმა „აშოცი განუყო ცოლის ძმასა თვისსა სომეხთა მეფესა“ (იხ. მატიანე ქართლისა, გვ. * 446/223). აშოცი აპის შეღწევა საქართველოსა და სომეხეთის კონდომინიუმს წარმოადგენს.

⁴ იხ. გეოგრაფია, მოკლე რედაქცია, 1865 წ., გვ. 610, 605; ვრცელი რედაქცია, 1881 წ., გვ. 34—28.

⁵ ამას გარდა, საქართველო-სომეხეთის კონდომინიუმში აშოცი აღნიშნულია არარატის მხარის შედგენილობაში (იხ. გეოგრაფია, მოკლე რედაქცია, 1865 წ., გვ. 610).

ჩვენ ამით დავასრულებთ განხილვას იმ შემცდარი ცნობებისას, რომელთაც შეიცავს მოსე ხორენელისა და სომხური უსახელო გეოგრაფიის ტექსტი გოგარენის ტერიტორიის განსაზღვრის დროს.

ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო აღნიშნული, ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ როდესაც მოსე ხორენელი და სომხური უსახელო გეოგრაფია ფართოდ მოხაზავენ გოგარენის ტერიტორიას, ისინი ამ შემთხვევაში, ჩანს, წინასწარ აღებული ტენდენციით კი არ ხელმძღვანელობენ¹, განზრახ კი არ ამახინჯებენ სინამდვილეს, არამედ შეცდომით გადააქვთ წარსულში ის გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული დანაწილება, რომელიც მათ დროს არსებობდა.

მაგრამ როგორადაც არ უნდა აეხსნათ წარმოშობა მოსე ხორენელის და სომხური უსახელო გეოგრაფიის ტექსტის ცნობებისა, აქვს აქ ადგილი ტენდენციას თუ არა, ყოველ შემთხვევაში ერთი აშკარაა, რომ ამ ცნობებს არაფერი აქვთ საერთო სინამდვილესთან. ისტორიული სინამდვილე, ცხადია, აღბეჭდილია არა ამ ნაგვიანევი ძეგლების ცნობებში, რომლებიც სამი-ხუთი საუკუნით არიან დაშორებული გოგარენის საპიტიახშოს არსებობის ხანას, არამედ სომეხთა უძველესი ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის თხზულებაში, რომელიც უშუალო ისტორიულ ტრადიციას შეიცავს და რომელიც, როგორც ვნახეთ, სპეციალურად ეხება გოგარენის მხარის ისტორიას მე-4 საუკუნეში.

ხოლო ფავსტოს ბიზანტიელის სრულიად გარკვეული ცნობის მიხედვით, გოგარენის საპიტიახშო შეიცავდა ძორისა და კოლბის უბნებს, ე. ი. მხოლოდ გარდაბანის მხარეს (ყაზახის მხარის ტერიტორიას) და მასში არ შედიოდა არც ქვემო ქართლის დანარჩენი პროვინციები (ტაშირი, თრიალეთი, აშოცი), და მით უფრო არც მესხეთის უფრო შორეული მხარეები (ჯავახეთი, არტაანი და კლარჯეთი).

*

რომ გოგარენის საპიტიახშოს ტერიტორია შეიცავდა მხოლოდ გარდაბანის მხარეს და რომ მასში არ შედიოდა არც ქვემო ქართლის სხვა პროვინციები და არც მესხეთის პროვინციები, აჰას, გარდა ფავსტოს ბიზანტიელის ჩვენებისა, ეთანხმება და ადასტურებს მთელი რიგი სხვა წყაროები.

წყაროების ცნობებს განვიხილავთ ქრონოლოგიური თანამიმდევრობით.

ა. სტრაბონის ცნობები.

სტრაბონის გეოგრაფიის ტექსტის მიხედვით, როგორც უკვე დადგენილი გვქონდა, ირკვევა შემდეგი:

1. გოგარენი მდებარეობდა მტკვრის „იმიერ“, ე. ი. მარცხენა სანაპიროზე² (ხოლო გარდაბანის მხარე ასევე მტკვრის „იმიერ“ მდებარეობს, მტკვრის მარცხენა სანაპიროს ესაზღვრება);

2. მესხეთის სამხრეთი ქვეყნებიდან იბერიის საზღვრებში შედიოდა აღმოსავლეთი ტაო — ვიდრე ქალაქ იდამდე ანუ იდესამდე, ე. ი. ოლთისის-წყალის სათავეებამდე³.

¹ ტენდენცია მოსე ხორენელის თხზულებაში სხვა ზახით შეინიშნება.

² იხ. სტრაბონის გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, § 5.

³ იხ. იქვე, წიგნი XI, თავი II, § 18. შეადარეთ ზემოთ, გვ. 443.

3. საზღვარი იბერიასა და სომხეთს შორის, სტრაბონის ცნობათა მიხედვით, იწყებოდა ტაოს სამხრეთით, ნაწილობრივ გასდევდა არაქსს (ბასიანის ზონაში), შემდეგ მიჰყვებოდა „მოსხის მთებს“ (ე. ი. წყალთაგამყოფ მთებს, რომელიც გაპყოფს ქოროხისა და მტკვრის ხეობებს არაქსის ხეობიდან), ხოლო უფრო აღმოსავლეთით მტკვარს (გოგარენის სექტორში)¹.

ყოველივე აღნიშნულის მიხედვით აშკარა ხდება, რომ სტრაბონის დროს სომხეთის ფარგლებში არ შედიოდა მესხეთის პროვინციები არტაანი, ჯავახეთი და კლარჯეთი, რადგან ყველა ესენი მდებარეობენ ზემოთ-აღნიშნული საზღვარის ხაზის ჩრდილოეთით (ე. ი. უფრო ჩრდილოეთით ვიდრე ტაო, ვიდრე ბასიანი და ვიდრე მოსხის მთები).

ბ. პლინიუს სეკუნდუს (23 — 79 წ. წ.) ცნობები.

პლინიუს სეკუნდუს, როგორც აღნიშნული ვეკონდა, იბერიის საზღვრებში მოხსენებული აქვს მხარეები ტაშირისა და თრიალეთისა ვიდრე პარიჰედრის მთებამდე („regio Thasie et Thriare usque ad Parihedros montes“ (იხ. Naturalis historia, VI, 29, SC, I, გვ. 181).

პარიჰედრის მთების სახელწოდებით აქ მოიხსენება ბამბაკის მთები, რომელიც გაპყოფს მტკვრისა და არაქსის აუზებს და რომელსაც ჩრდილოეთის მხრიდან (საქართველოს მხრიდან) ადგება ტაშირ-თრიალეთის მხარენი, ხოლო სამხრეთის მხრიდან (სომხეთის მხრიდან) ადგება შირაკის მხარე².

ამრიგად, პლინიუს სეკუნდუს ამ სრულიად გარკვეული ჩვენების თანახმად, ქვემო ქართლის ეს ზონა, ტაშირ-თრიალეთის მხარეები ვიდრე ბამბაკის მთებამდე, იბერიის საზღვრებში ყოფილა მოქცეული და არა სომხეთში.

პლინიუსის ცნობითვე (იხ. იქვე, § 29), იბერიის ფარგლებში შედიოდა აგრეთვე მესხეთა ქვეყანა (რომელიც ამ დროს მოიცავდა ქოროხისა და ზემომტკვრის აუზებს და ბასიანის სექტორს)³.

გ. პლუტარქეს (46 — 126 წ. წ.) ცნობები.

პლუტარქეს ჩვენებით მტკვრის ხეობა ვიდრე სათავეებამდე იბერიაში შედიოდა; პლუტარქე წერს მდინარე მტკვრის (კვროსის) შესახებ: „ეს მდინარე ლებულობს სათავეებს იბერიის მთებში“⁴.

პლუტარქეს ამ პირდაპირი ჩვენების თანახმად მტკვრის ხეობაში მდებარე მესხეთის მხარეები — არტაანი და ჯავახეთი — იბერიის ნაწილს შეადგენდა.

დ. კლავდი პტოლემეს (მე-2 საუკუნის მეორე ნახევარი) ცნობები.

კლავდი პტოლემეს თავისი გეოგრაფიის სახელმძღვანელოში ორგზის აქვს აღნიშნული. რომ იბერიის საზღვრებში შედის ქალაქი არტაანი (---არტანიისა, არტანისა)⁵.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 459.

² პარიჰედრის (პარკადრის) მთების შესახებ, რა სახელწოდებითაც აღნიშნებოდა მტკვრისა და არაქსის აუზთა წყალთაგამყოფი მთები, იხ. ზემოთ, გვ. 421, მგნ. 2, და ქვემოთ, გვ. 485 — 486.

³ ჩვენ აქ აღნიშნეთ მხოლოდ შიდა-საქართველოს ტერიტორიები, რომლებიც მოხსენებული აქვს პლინიუსს. ამას გარდა, პლინიუსის ცნობებიდან ირყევა აგრეთვე, რომ გარდა დასახელებული ქვეყნებისა (ტაშირ-თრიალეთისა და მესხეთისა) I საუკუნის 60-იან წლებში იბერიის ფარგლებში შედიოდა: ა) ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთი სანაპირო — გოგარენიდან საკაშენამდე, თეთი საკაშენის (განჯის მხარის) ჩათვლით. ბ) მესხეთის მოსაზღვრედ მდებარე არტანო-ხალიბები ის ანუ ჰან-ხალიბები ქვეყანა, რომელიც მდებარეობდა ეფერატის ხეობის ხეობ ნაწილში (კარინიდან ვიდრე ან-ალიბნას [*ჰან-ხალიბის] ოლქამდე; იხ. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით სპეციალური შენიშვნებში, დამატებანი).

⁴ იხ. SC, I, გვ. 491.

⁵ იხ. SC, I, გვ. 241, 247: 'Αρτάνισσα. შიად. ლეონტი მროველი (გვ. *105/7) „ქალაქი არტანისა“. (დაწერილობა 'Αρτάνισσα გვაფიქრებინებს, რომ ქვეყნის სახელწოდების ძველი ფორმა შესაძლოა ყოფილიყოს „არტანიისი“, რესპ. „არტანიისი“, ხოლო ქალაქის — „არტანიისა“).

ამრიგად, აქაც ჩვენ გვაქვს იმისი დადასტურება, რომ არტაანის პროვინცია (აგრეთვე არტაანის ჩრდილოეთით მდებარე ჯაგახეთის პროვინცია) — იბერიის ფარგლებში იყო მოქცეული.

ე. დასასრულ შევჩერდებით ძველ-ქართული წყაროს ჩვენებაზე.

უძველესი ქართული საისტორიო ძეგლი — მათიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, ეხება რა ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გამოცხადებას იბერიაში (კონსტანტინე კეისრის ზეობის დროს, ე. ი. 337 წლამდე), გადმოგვცემს უძველეს საისტორიო ტრადიციას, რომ საეკლესიო მშენებლობა მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში ერთდროულად დაიწყო არტაანის მხარეში — ერუშეთში, ქვემო ქართლის სანაპიროზე — მანგლისში, და იბერიის დედაქალაქ მცხეთაში¹.

ამრიგად, ამ ადგილობრივი უძველესი საისტორიო ტრადიციის თანახმად, მესხეთის არტაანის მხარე, ისე როგორც ქვემო ქართლის მონაპირე სექტორი, იბერიის ძირითად განუყოფელ ნაწილად არის წარმოდგენილი.

*

ჩვენ დავამთავრეთ განხილვა ყველა ისტორიული პირველწყაროებისა, რომელთა მიხედვით შესაძლოა გარკვეულ იქმნას, თუ რა მოცულობისა იყო გოგარენის საპიტიახშო, ტერიტორია, რომელიც დაპყრობილი ჰქონდათ სომხებს იბერიიდან და რომელიც იბერიამ დაიბრუნა მე-4 საუკუნეში.

წარმოდგენილი მიმოხილვიდან, ამრიგად, შემდეგი ირკვევა:

1. გოგარენის საპიტიახშო შეიცავდა გარდაბანის მხარეს (ძორისა და კოლბის უბნებს, ე. ი. ტერიტორიას ყოფილი განჯის გუბერნიის ყაზახის მაზრისას).

2. გოგარენის საპიტიახშოს შემადგენლობაში არ შედიოდა ქვემო ქართლის დანარჩენი პროვინციები (ტაშირი და მიმდგომი მხარეები), ისევე როგორც არ შედიოდა მესხეთის პროვინციები.

ღ

გოგარენის-გარდაბანის მხარის ისტორიის ზოგიერთი საკითხები. — ეთნიკური შემადგენლობა გოგარენის-გარდაბანის მხარის მოსახლეობისა ანტიკურ ხანაში და ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

რათა სრული სინათლე იყოს შეტანილი იმ საკითხებში, რაც აქ ჩვენ განხილვის საგანს შეადგენს, ჩვენ მოგიხდება მოკლედ შევჩერდეთ გოგარენის-გარდაბანის მხარის ისტორიის ზოგიერთ საკითხზე და კერძოდ კითხვაზე, თუ როგორი იყო გოგარენის-გარდაბანის მხარის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა ანტიკურ ხანასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

*

1. მხარის სახელწოდებანი.

პირველი საკითხი, რომელზედაც აქ ჩვენ შევჩერდებით, ეს არის მხარის სხვადასხვა სახელწოდებანი და მათი წარმოშობის საკითხი.

მხარე ანტიკურ ხანაში და ადრეულ საშუალო საუკუნეებში ცნობილია შემდეგი საძი სახელწოდებით:

¹ იხ. მოქცევაჲ ქართლისაჲ, OP, II, გვ. 714.

ა. გოგარენი. — ბ. გარდაბანი. — გ. „გრაც-ლაშტ“ (— „ქართ-ველთა ველი“ სომხურად).

რა წარმოშობისაა და რას აღნიშნავს ეს სახელები?

ა. გოგარენი.

ეს სახელწოდება ანტიკური ხანის ტექსტებში შემდეგი ფორმებით არის წარმოდგენილი: „გაგარენი“ და „გოგარენი“¹.

ორივე ფორმა, როგორც „გაგარენი“, ისე „გოგარენი“, დამოწმებულია სტრაბონის გეოგრაფიის ხელნაწერებში².

ამ ორი ფორმიდან პირველადია, როგორც ირკვევა, „გაგარენი“. ეს სახელწოდება, ჩანს, დაკავშირებულია მხარის მთავარი ციხე-ქალაქის სახელწოდებასთან: „გაგი“.

ციხე-ქალაქი გაგი წარმოადგენდა მხარის ბუნებრივ ცენტრსა და ამასთან ბუნებრივს სიმაგრეს. ქალაქ გაგის აკროპოლისი (დედა-ციხე), რომელიც მიუვალად ითვლებოდა, გაშენებული იყო მთის მწვერვალზე, რომელიც ისტორიკოსის ვარდან დიდის სიტყვით „მბრძანებლობს (მის წინ გაშლილ) ფართო და უსაზღვრო ველზე“. თვით ამ ველს, რომელიც მხარის მთავარ ნაწილს წარმოადგენდა, ეწოდებოდა „გაგის ველი“³.

ციხე-ქალაქის ამ სახელწოდებიდან „გაგი“ იწარმოება „გაგარი“ (გაგ-არი), რაც ნიშნავს: „გაგელი“ (გაგ-ელი). „გაგარი“ და „გაგელი“ ისეთივე პარალელური ფორმებია, როგორც ოპიზარი და ოპიზელი, ოდიშარი და ოდიშელი და სხვანი.

ამრიგად, ეს სახელწოდება მხარისა „გაგარენი“ (გაგ-არ-ენი) სიტყვის-სიტყვით ნიშნავს: „გაგელნი“. აქ ჩვენ გვაქვს იმ ტიპის სახელწოდება, რომლის მსგავსი არა ერთია დამოწმებული ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში.

აქ საჭიროა ამავე დროს ხაზი გავუსვათ შემდეგ გარემოებასაც:

ის ფაქტი, რომ სახელწოდება მხარისა გოგარენი — გაგარენი დაკავშირებულია ციხე-ქალაქის სახელთან გაგი, — ერთი კიდევ ზედმეტი საბუთია იმისა, რომ გოგარენი — გაგარენი ეს იყო სწორედ გარდაბანის პროვინცია, ქალაქ გაგის სანახები, და არა რომელიმე სხვა მხარე.

ბ. გარდაბანი.

ეს მეორე სახელწოდება მხარისა წარმოდგენილია შემდეგის ვარიანტული ფორმებით: გარდაბანი და გარდამანი (გარდმანი).

აკად. ნ. მარი ამ სახელწოდებას უკავშირებს ქართველების ეთნიკურ სახელთან „ქართ-ი“.

თუ გავიზიარებდით ნ. მარის ამ მოსაზრებას, მაშინ პირველადი სახე მხარის სახელწოდებისა ასე უნდა იქმნას აღდგენილი: „ქართ-აბახი“, ე. ი. ქართველთა მხარე („აბანი“ — მხარეს ნიშნავს)⁴.

¹ რაც შეეხება სომხურ ფორმას ამ სახელწოდებისას „გუგარ-ქ“, იგი ითვლება მომდინარედ ფორმიდან გოგარ-ქ, იგივე გოგარენი (პ. ჰიუბშმანი).

² იხ. ზემოთ, გვ. 149, შენ. 5.

³ იხ. ვარდანის გეოგრაფია (ა. ე. სენ-მარტენის გამოცემით), გვ. 414, 424. მეორე სახელწოდება ამ ველისა არის „ხუნანის ველი“, რაც მომდინარეობს მხარის მეორე ცენტრის ხუნანის სახელწოდებიდან.

⁴ სახესხვაობა ამ სიტყვისა „აბანი“ არის „ობანი“, იგივე „უბანი“ (სამივე ფორმა გვხვდება ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებში). სიტყვა „აბანი“, რომელსაც არქაულ ქართულში „მხარის“ მნიშვნელობა ჰქონია, დამოწმებულია გარდა ქართულისა ურარტულში (ფორმით „აბანი“), სადაც ეს სიტყვა „მხარე“-ს ნიშნავს.

რომ ნ. მარი ამ შემთხვევაში მართალია, ამას ადასტურებს ორი ფაქტი, რომელიც თვით ნ. მარს არ შეუნიშნავს.

პირველი ფაქტი — ეს არის სახელწოდება გარდაბანისა, რომელიც დაცულია ვარდან დიდის გეოგრაფიაში და სადაც ამ სახელწოდების პირველ ნაწილში უცვლელად არის შენახული სატომო სახელი ფორმით: „ქართ“¹.

მეორე ფაქტი, რომელიც ადასტურებს ნ. მარის მოსაზრებას, ეს არის ქვემოთ განხილული სომხური სახელწოდება მხარისა.

გ. „ვრაც-დაშტ“.

სომხურ წყაროებში ჩვენს მხარეს მიემართება სახელწოდება „ვრაც-დაშტ“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ქართველთა ველი“.

(სომხური წყაროების ცნობით ქვემო ქართლი შეიცავდა ორ მთავარ მხარეს: ტაშირსა და „ვრაც-დაშტ“-ს, რაც უდრის ქართული წყაროების ორ მთავარ მხარეს: ტაშირსა და გარდაბანს)².

თუ რა წარმოშობისაა ეს სახელწოდება „ქართველთა ველი“, ამას შეუქიფებინება მას შემდეგ, რაც ამოცნობილ იქმნა პირველადი სახე გარდაბანის მხარის სახელწოდებისა „ქართ-აბანი“ = ქართველთა მხარე; სომხური სახელწოდება „ვრაც-დაშტ“ = „ქართველთა ველი“, ცხადია, არის პარალელი მხარის ამ ძველ-ქართული სახელწოდებისა „ქართ-აბანი“ — ქართველთა მხარე.

ჩვენ ამით დავასრულებთ მხარის ამ სახელწოდებათა განხილვას.

ამრიგად, როგორც ირკვევა, სახელწოდება გოგარენი, პირვანდელის სახით გაგარენი, დაკავშირებულია მხარის ერთ-ერთი მთავარი ცენტრის გაგის სახელთან; ხოლო უკანასკნელი ორი სახელი „ქართ-აბანი“ (= ქართველთა მხარე) და „ქართველთა ველი“ („ვრაც-დაშტ“) ეთნიკური წარმოშობისაა.

*

2. გოგარენი-გარდაბანის მხარის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები.

ვიდრე გადავიდოდეთ განხილვაზე ძირითადი საკითხისა, თუ როგორი იყო ეთნიკური შემადგენლობა გოგარენი-გარდაბანის მხარისა, ჩვენ აქ წინასწარ მოგვიხდება შევჩერდეთ აგრეთვე ამ მხარის ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთ საკითხებზე და, კერძოდ, დავაზუსტოთ ცნობები გოგარენის მხარის ცალკე უბნების ტერიტორიული მოცულობისა და საზღვრების შესახებ.

ა. გოგარენის მხარის მოსაზღვრე მდინარეები: ქურდისხევი (ქურდ-ვაქრის ხევი), ბერდუჯი და კოტმანი.

¹ ვარდან დიდის გეოგრაფიაში აღნიშნულია: „გარდმანი არის ქართამანიკი“ (იხ. გვ. 414)- ეს სახელწოდება „ქართამანიკი“, მომდინარე პირველადი ფორმიდან „ქართამანი“ || „ქართ-აბანი“, შერჩენილი ყოფილა ადგილობრივ ჯერ კიდევ მე-13 საუკუნეში (როგორც სახელწოდება გარდაბანის მხარის უძველესი ცენტრისა, რომელიც საშუალო საუკუნეთა მწვრლობაში ჩვეულებრივ „გარდმანი“-ს ანუ „გარდამანი“-ს სახით მოიხსენება).

² სამხარეთო ერთეული ტაშირი, და მის გვერდით, როგორც ცალკე სამხარეთო ერთეული, „ვრაც-დაშტ“ (შესაფარდა ქართული მხარეებისა ტაშირი და გარდაბანი), დასახელებული აქვს სტეფანე ტარონელს (იხ. წიგნი III, თავები 30, 45). ჰალაქცურტავი, რომელიც მდებარეობდა კოლბის უბანში გარდაბანის მხარისა (ტაშირისა და გარდაბანის საზღვართან) უხტანესს აღნიშნული აქვს „ვრაც-დაშტ“-ის („ქართველთა ველი“-ს) რაიონში (იხ. უხტანესი, 1871 წ., გვ. 34).

ჯუანშერის მატეანის ცნობის თანახმად დასავლეთი საზღვარი გარდაბანის მხარისა, რომელიც გაჰყოფდა გარდაბანის მხარეს ტაშირის მხარიდან, ეს იყო მდინარე, რომელსაც რქმევია ქურდის ხევი (იგივე ქურდ-ვაკრის ხევი)¹.

„ისტორია—აზმანნი შარაევანდელთანი“-ს მიხედვით ირკვევა, რომ ქურდის ხევი (ქურდ-ვაკრის ხევი) ეს არის მდინარე, რომელსაც ამჟამად ეწოდება ინჯა, რომელიც მომდინარეობს ყოფილ ყაზახის მაზრაში და რომელიც ერთვის მტკვარს მდინარე ქციის შესართავს ქვემოთ (მდინარეებს ქციასა და აღსტაფას შუა)².

ეს მდინარე ქურდის ხევი ანუ ქურდ-ვაკრის ხევი ატარებდა აგრეთვე სახელებს: კოლბის მდინარე (რადგან იგი კოლბის უბანზე მომდინარეობდა)³, და გაჩიანის მდინარე, რადგან ამ მდინარეზე, მის მტკვართან შესართავთან, გაშენებული იყო ქალაქი გაჩიანი⁴.

ეს რაც შეეხება გოგარენ-გარდაბანის მხარის დასავლეთ მიჯნას.

აღმოსავლეთი ისტორიული საზღვარი გოგარენ-გარდაბანის მხარისა, როგორც ეს უკვე აღნიშნული გვექონდა, იყო მდინარე ბერდუჯი, მაგრამ ზოგჯერ საზღვარი გასდევდა უფრო აღმოსავლეთით, მდინარე კოტმანის ხაზზე.

როგორც ეს ირკვევა საისტორიო წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან, მდინარე ბერდუჯი, რომელსაც აგრეთვე რქმევია საგამი, ეს არის მდინარე, რომელსაც ამჟამად ზაგამი (ძეგამი) ეწოდება და რომელიც მომდინარეობს ყოფილი ყაზახის მაზრის აღმოსავლეთი საზღვარის ახლო⁵.

რაც შეეხება მდინარე კოტმანს, როგორც ეს ირკვევა ვარდან დიდის ისტორიის ტექსტის მიხედვით, კოტმანი ეს არის ძველი სახელწოდება შამქორის მდინარისა⁶.

¹ იხ. ჯუანშერი, გვ. *429/208; შეადარეთ ისტორია-აზმანნი შარაევანდელთანი, გვ. *652/438, *655/442, *668/457 (შენიშვნა 5).

² „ისტორია-აზმანთა“-ს ცნობით, მდინარე მტკვარს—თბილისის ქვემოთ, ყაზახის მიმართულებით, ერთვოდა მდინარეები შემდეგის თანმიმდევრობით: 1. ალგეთი, 2. ქცია და 3. ქურდ-ვაკრის ხევი (იხ. გვ. *668/457, შენ. 5). ხოლო ქციას ქვემოთ (და აღსტაფის, ძველი ალისტაფის ხევი) მტკვარს ერთვის მდინარე ინჯა.

³ იხ. უსახელო გეოგრაფია მე-7—9 საუკუნეთა, 1861 წ., გვ. 28. ამ მდინარეზე დღემდე არსებობს პუნქტი კოლბი (რუსული ხუთეგრესტიანი რუკები № 11, თანაშემდროვე სარაიონო ცენტრთან ნოემბერიანთან).

⁴ გაჩიანის მდებარეობა ირკვევა ლეონტი მროველის, ჯუანშერის, უხტანესის და დავით აღმაშენებლის ისტორიის ცნობათა შეფარდებიდან. ქალაქი გაჩიანი მდებარეობდა ტაშირისა და გარდაბანის საზღვარზე, ე. ი. მდინარე ქურდ-ვაკრის ხევიში (იხ. ლეონტი მროველი, გვ. *103 — 104/6, ჯუანშერი, გვ. *428/208. შეადარეთ აგრეთვე „ისტორია-აზმანთა“ ხეშვით-დასახელებული ადგილები, სადაც ქურდ-ვაკრის ხევი აღნიშნულია სახლგრის ხაზზე). ეს მდინარე, რომელზედაც მდებარეობდა ქალაქი გაჩიანი, უხტანესს მოხსენებული აქვს გაჩიანის მდინარის სახელით (იხ. უხტანესი, 1871 წ., გვ. 34). გაჩიანი გაშენებული ყოფილა მტკვრის პირას (იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია. გვ. *529/296). მამასადამე, პუნქტში, სადაც გაჩიანის მდინარე ერთვის მდინარე მტკვარს.

⁵ იხ. ხეშვით, გვ. 50—51.

⁶ შეადარეთ ჩვენებანი ჯუანშერისა (გვ. *428/208) და ვარდან დიდისა (იხ. ვარდან დიდის ისტორია, ნ. ვინის თარგმანი, 1861 წ., გვ. 174 — 175). ვარდანის ცნობის თანახმად კოტმანი არის ის მდინარე, რომლის სექტორში მდებარეობდა გარდმანის ციხე-ქალაქი (—ქართამანიკი), ხოლო ეს უკანასკნელი, როგორც ცნობილია, შამქორის წყლის მარჯვენა შემდინარეზე მდებარეობდა.

გადავიდეთ ამის შემდეგ გოგარენ-გარდაბანის მხარის ცალკე უბნების ტერიტორიის განსაზღვრაზე.

*

ბ. გოგარენ-გარდაბანის მხარის ცალკე უბნები.

გოგარენ-გარდაბანის მხარე, როგორც უკვე აღნიშნული გექონდა, შეიცავდა ორ ძირითად უბანს, რომელთაც ეწოდებოდა კოლბი და ძორი, და ერთ სანაპირო უბანს, რომელიც მდებარეობდა ბერდუჯის აღმოსავლეთით (კოტმან-გარდმანის უბანი).

ცალკე უბნების ტერიტორიული მოცულობა შემდეგი იყო:

1. კოლბის უბანი მდებარეობდა მხარის დასავლეთ ზონაში. ძირითად ნაწილს ამ უბნისას, ცხადია, შეადგენდა მდინარე კოლბის ხეობა, რომლის ზემო ნაწილში მდებარეობს თვით უბნის ცენტრი კოლბი¹; აღმოსავლეთის მიმართულებით კოლბის უბანი აღდგებოდა მდინარე ალისტევის (აღსტაფის) სექტორს, მაგრამ, როგორც წყაროებიდან ირკვევა, თვით ალისტევი და მისი ხეობა არ შედიოდა კოლბის უბანში, არამედ მეზობელ ძორის უბანში.

კოლბის უბანში მდებარეობდა ქალაქი ცურტავი, რომელიც მდინარე გაჩიანის წყალის ხეობაში (ე. ი. კოლბის ხეობაში) არის აღნიშნული².

2. ძორის უბანი მოიცავდა მდინარე ალისტევის (თანამედროვე აღსტაფის) ხეობას და მის აღმოსავლეთით მდებარე სექტორს ვიდრე მდინარე ბერდუჯამდე³. ძორის უბანი შეადგენდა გოგარენ-გარდაბანის მხარის მთავარ ნაწილს (ტერიტორიის მოცულობით იგი ერთი-ოთხად დიდია კოლბის უბანთან შედარებით).

ძორის უბანში მდებარეობდა ქალაქები: გაგვი, ხუნანი, და საეპისკოპოსო კათედრა აგარაკი ანუ აგარანი, რომელიც მემბტიანის (ცნობით, „არს ხუნანის გაერთებით“ (resp. „ხუნანის გამართებით“)⁴.

3. აღმოსავლეთის სანაპირო კოტმანის-გარდმანის უბანი მოიცავდა ტერიტორიას ბერდუჯიდან — კოტმანამდე (ე. ი. შამქორის მხარეს).

ეს უბანი უძველეს ხანაში, ჩანს, შეადგენდა გოგარენ-გარდაბანის მხარის უშუალო ნაწილს, რადგან ამ კუთხეს ბოლომდე შერჩა თვით ეს სახელი გარდმანი, იგივე გარდაბანი. მაგრამ შემდეგ ეს კუთხე ჩამოშორებია გოგარენ-გარდაბანის ძირითად ნაწილს და ცალკე სამთავროს სახით ჩამოყა-

¹ იხ. ზემოთ, გვ., 471, შენიშვნა 3.

² უხტანესი, 1871 წ., გვ. 34. უფრო დაწვრილებით ცურტავის ადგილმდებარეობის შესახებ იხ. სპეციალურ შენიშვნებში (დამატებანი).

³ რომ მდინარე ალისტევის ხეობა ვიდრე სათავეებამდე ძორის უბანში შედიოდა, ეს ირკვევა იოანე კათალიკოსის (1853 წ., გვ. 168) და კირაკოს განძაკელის (1865 წ., გვ. 107) ცნობათა შეფარდებიდან. ციხე-ქალაქი კაენი, რომელიც მდინარე ალისტევის ხეობის ზემო ნაწილში მდებარეობდა, ძორის უბანის ფარგლებშია დასახელებული. სომხური უსახელო გეოგრაფიის ჩვენებიდან ირკვევა ამასთან, რომ მდინარე ალისტევის (ძორის უბნის მთავარ ხეობას) ძორის მდინარე ეწოდებოდა (იხ. 1881 წ., გვ. 28).

⁴ იხ. ცნობება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *391/179.

ლიბებულა („გარდმანის სამთავრო“-ს სახელწოდებით)¹. როდესაც მე-4 საუკუნეში გოგარენ-გარდაბანის საპიტიახშო (ძორისა და კოლბის უბნები) შეუერთდა იბერიას, ეს სანაპირო კოტმან-გარდმანის უბანი იბერიის ფარგლების გარეშე დარჩა. მომდევნო საუკუნეებში ეს კუთხე არის ერთგვარი ბუფერი იბერიასა და ალბანიას შორის და მხოლოდ დროგამოშვებით შედიოდა იგი იბერიის ფარგლებში. მოსახლეობაც ამ პერიოდში კუთხეში, ჩანს, შერეული იყო და ალბანური ელემენტი აქ აღრიდანეე ქარბად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

იბერიის ფარგლებში კოტმან-გარდმანის უბანი, როგორც ირკვევა, შედიოდა მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასარის დროს². უფრო გვიან, მე-8 საუკუნისათვის, არჩილ მეფის დროს, კოტმანის უბანს იბერიის ფარგლებში ასახელებს მემატინე ჯუანშერი³. კოტმანის უბანი დროგამოშვებით შედიოდა იბერიის ფარგლებში აგრეთვე მე-9 — 10 საუკუნეთა მანძილზე (აშოტ I დიდისა და გურგენ ერისთავთ-ერისთავის დროს)⁴.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ შემდეგს:

ქვემოთ, როდესაც ჩვენ საუბარი გვაქვს გოგარენ-გარდაბანის მხარის შესახებ, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს ორი ძირითადი უბანი გოგარენ-გარდაბანის მხარისა, ე. ი. ძორი და კოლბი, და აქ არ ვათვლით ამ შესამე სანაპირო კუთხეს, კოტმან-გარდმანის უბანს, რომელიც აღრე დაშორებია გოგარენ-გარდაბანის მხარეს და რომელსაც თავისი განსხვავებული ისტორია აქონია.

*

გ. გოგარენ-გარდაბანის მხარის ორი საეკლესიო ოლქი.

იბერიაში მე-6 — 7 საუკუნეებში, როგორც ცნობილია, 35 საეპისკოპოსო არსებობდა; აქედან გოგარენ-გარდაბანის მხარეში ორი საეპისკოპოსო იყო: 1. ხუნანისა ანუ აგარაკისა და 2. ცურტავისა.

საისტორიო წყაროთა ცნობით ორივე ეს საეპისკოპოსო დაარსებული იყო მე-5 საუკუნეში⁵.

საეპისკოპოსოების ტერიტორიების მოცულობა აღმინისტრაციული ერთეულების საზღვრებთან იყო ხოლმე შეფარდებული და გოგარენ-გარდაბანის მხა-

¹ იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, 1832 წ., გვ. 45, 159, 210. იხ. აგრეთვე კორიუნის, 1894 წ., გვ. 31: მოსე კალანკატუელი, 1860 წ., გვ. 273; არსენი საფარელი (ქრონიკები, I), გვ. 330, 332.

² იაკობ ცურტაველის თხზულებაში დასახელებული (1938, გვ. 5) — „სახლგარი ქართლისა, ქუყყანა ჰერეთისა“, რომელიც ქვემო ქართლის საპიტიახშოს ფარგლებში ყოფილა მოქცეული, ჩანს, არის ქვემო ქართლის მოსახლგრე ეს სექტორი, იბერიისა და ალბანიის ბუფერული ზონა. შეადარეთ აგრეთვე ჯუანშერის ტექსტში ჩართული ექსცერპტის ცნობა ჩანის შესახებ (გვ. *404/188).

³ იხ. ჯუანშერი, გვ. *428/208.

⁴ იხ. ხემოთ, გვ. 51—52, 101—102.

⁵ ხუნან-აგარაკის საეპისკოპოსო დაარსებულია ვახტანგ გორგასარის მიერ (იხ. ცნობება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *392/179). ცურტავის საეპისკოპოსო დაარსებულია იმავე ხანაში, შუშანიკის დროს (იხ. წიგნი ეპისტოლეთა, 1901, გვ. 178). ორივე ეს საეპისკოპოსო მოხსენებულია იბერიის საეპისკოპოსოთა სიაში 506 წელს (იხ. წიგნი ეპისტოლეთა, 1901, გვ. 183, უბტანესი, 1871, გვ. 86. იხ. აგრეთვე ხემოთ, გვ. 50, შენ. 3).

რის ორი საეპისკოპოსო (ხუნან-აგარაკისა და ცურტაეისა), ეს არის, ცხადია, საეპისკოპოსოები ამ მხარის ორი უბნისა: ძორისა და კოლბისა.

ხუნანი და აგარაკი ძორის უბანში მდებარეობდა და ხუნან-აგარაკის საეპისკოპოსო ეს არის საეპისკოპოსო ძორის უბნისა.

რაც შეეხება ცურტაეის საეპისკოპოსოს, იგი კოლბის უბნის საეპისკოპოსო ყოფილა.

*

დ. გოგარენ-გარდაბანის მხარის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობა.

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ როგორი იყო გოგარენ-გარდაბანის მხარის ეთნოგრაფიული სახე.

საისტორიო წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ გოგარენ-გარდაბანის მხარე, მოსახლეობის შედგენილობის მიხედვით, ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

წყაროები ამ საგანზე შემდეგ ჩვენებებს იძლევა.

სტრაბონის ცნობის თანახმად, გოგარენ-გარდაბანის მხარე, ვიდრე მას სომხეთი დაიპყრობდა, იბერიის ნაწილს შეადგენდა.

ამის შემდეგ, როგორც გარკვეული გეგონდა, გოგარენ-გარდაბანის მხარე ხან სომხეთთან იყო დაკავშირებული, ხან იბერიასთან, ხოლო მე-4 საუკუნეში გოგარენ-გარდაბანის მხარე საბოლოოდ დაიპყრნა იბერიამ.

იმ ცოტა ხნის მანძილზე, ვიდრე გოგარენი სომხეთთან იყო დაკავშირებული, მოსახლეობის შემადგენლობა გოგარენ-გარდაბანის მხარისა, როგორც ირკვევა, მნიშვნელოვნად არ შეცვლილა და ძირითადად ისეე ქართული დარჩენილა.

რომ გოგარენ-გარდაბანის მხარეს არ დაუკარგავს ამ ხნის განმავლობაში ქართული ხასიათი, ამას ადასტურებს ამ მხარის სომხეთიდან ჩამოშორებისა და საქართველოსთან შეერთების ისტორია.

როგორც ირკვევა ისტორიკოსის ფავსტოს ბიზანტიელის ცნობებიდან, გოგარენის მხარეს მე-4 საუკუნის მანძილზე ორჯერ მოუხდენია აჯანყება სომხეთის წინააღმდეგ, საქართველოსთან გაერთიანების მიზალწევად. პირველად გოგარენის მხარე გასდგომია სომხეთს და შეერთებია საქართველოს 349 წელს; მეორედ გოგარენის მხარე გასდგომია სომხეთს 387 წელს, და ამ მეორე აჯანყების შედეგად გოგარენის მხარეს მიუღწევია იმისათვის, რომ საბოლოოდ გაერთიანებულა საქართველოსთან.

რომ გოგარენის მხარე ადრეულ საშუალო საუკუნეებში ეთნიკურად ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, ამას ადასტურებს აგრეთვე მთელი რიგი სხვა ჩვენებათა.

აქ გასათვალისწინებელია შემდეგი:

ა) მოსე ხორენელის უწყება. სომეხთა ისტორიკოსს მოსე ხორენელს დაცული აქვს პირდაპირი ცნობა, რომ გოგარენის საპიტიახშო მოსახლეობის შემადგენლობის მხრით ქართული მხარე იყო, რომ გოგარენის მოსახლეობას ქართველები (იბერიელები) შეადგენდნენ¹.

¹ იხ. მოსე ხორენელი, II, 8.

ბ) იოანე კათალიკოზის უწყება. სომეხთა ისტორიკოსის იოანე კათალიკოზის ჩვენების თანახმად გოგარენი ეს არის იგივე იბერია და სახელწოდება გუგარელი იბერიელის სინონიმს წარმოადგენს¹.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან აგრეთვე შემდეგიც.

ის გარემოება, რომ გოგარენი ეთნიკურად ქართულ მხარეს წარმოადგენდა, რასაკვირველია, არ ნიშნავს იმას, რომ გოგარენში ქართული მოსახლეობის გვერდით არ იყო სომხური მოსახლეობა; ცხადია უკვალოდ არ უნდა ჩაეელო იმ გარემოებას, რომ გოგარენის მხარე ერთხანად დაკავშირებული იყო სომხეთთან. ამასთან გოგარენი საქართველოსა და სომხეთის მოსაზღვრე მხარე იყო და ბუნებრივია, რომ სანაპირო ოლქში ქართული მოსახლეობის გვერდით სომხური მოსახლეობაც არსებულებოდა.

სინამდვილეში ეს ასეც ყოფილა.

უაღრესად საყურადღებო ჩვენებას გოგარენ-გარდაბანის მხარეში ქართული და სომხური მოსახლეობის გავრცელების შესახებ იძლევა ის ცნობები, რომლებიც ეხება ქართული ენის ხმარებას ძველ-ქართულ საეპისკოპოსოებში.

როგორც ნოვიხსენეთ, იბერიაში მე-7 საუკუნეთა მანძილზე 35 საეპისკოპოსო არსებობდა². მათ შორის გოგარენ-გარდაბანის მხარეში იყო ორი საეპისკოპოსო: ხუნან-აგარაკისა და ცურტავისა.

იბერიის ამ 35 საეპისკოპოსოთა შორის 34 საეპისკოპოსოში ქართული ენა ყოფილა მიღებული და როგორც წირვა-ლოცვა, ისე ქადაგებანი, ქართულ ენაზე სრულდებოდა.

ამ ქართულ საეპისკოპოსოთა რიცხვს ეკუთვნოდა, კერძოდ, გოგარენ-გარდაბანის მხარის პირველი საეპისკოპოსო: ხუნან-აგარაკისა.

რაც შეეხება გოგარენ-გარდაბანის მხარის მეორე საეპისკოპოსოს (ცურტავისას), აქ ნარევი, ორ-ერიანი სამწყსო ყოფილა, ქართულ-სომხური. ამიტომ აქ წესად ყოფილა მიღებული, რათა ამ საეპისკოპოსოს მღვდელ-მსახურთ ორივე ენა უნდა სცოდნოდათ, აგრეთვე „მწიგნობრობაცა ორისავე ენისა“³.

ენის საკითხი ცურტავის საეპისკოპოსოში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით მწვავედ იდგა მე-7 საუკუნის დასაწყისში. კირიონ ქართლის კათალიკოზს სწამებდნენ, რომ მან ცურტავის საეპისკოპოსოში მოსპოო სომხური მღვდელმსახურება; კირიონი კი ამტკიცებდა, რომ „ეპისკოპოსმა, რომელი დაეადგინეთ, ქართული და სომხური მწიგნობრობა თანასწორ იცის და მსახურებას ასრულებს ორითავე მწიგნობრობითა“⁴.

აქ საჭიროა ვიცოდეთ ამასთან, რომ გოგარენ-გარდაბანის მხარის ამ ორ საეპისკოპოსოთაგან ტერიტორიულად ბევრად უფრო ფართო მოცულობისა იყო პირველი საეპისკოპოსო — ხუნან-აგარაკისა, — რომელიც ენობრივად ქართული ყოფილა. როგორც ზემოთ გვქონდა ნაჩვენები, ხუნან-აგარაკის საეპის-

¹ იხ. ზემოთ, გვ. 463.

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 1928 წ., გვ. 279; წიგნი ეპისტოლეთა, 1901 წ., გვ. 179.

³ იხ. წიგნი ეპისტოლეთა, 1901 წ., გვ. 179, 110, 166, 171, 74, 169.

⁴ იხ. იქვე, გვ. 171.

კომოსო ეს იყო კათედრა ძორის უბნისა, ხოლო ცურტავის საეპისკოპოსო კოლბის უბნისა. ამის მიხედვით ხუნან-აგარაკის საეპისკოპოსო, რომელიც ენობრივად ქართული იყო, მოიცავდა დაახლოებით 80 % -ს გოგარენ-გარდაბანის ტერიტორიისა, ხოლო ცურტავის საეპისკოპოსო, რომელიც ენობრივად ორ-ერიანი იყო, ქართულ-სომხური, მოიცავდა დაახლოებით 20 % -ს გოგარენ-გარდაბანის ტერიტორიისა.

ასეთია ეს უალრესად საყურადღებო ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება გოგარენ-გარდაბანის მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

2

დასკვნები.

ჩვენ გავეცანით ყველა არსებულ პირველწყაროებს, რომელთა მიხედვით ირკვევა ძირითადი საკითხები როგორც გოგარენ-გარდაბანის მხარის ისტორიისა, ისე საზოგადოდ სამხრეთ-ქართლისა და სამხრეთ-დასავლეთი მესხეთის მხარეების ისტორიისა ანტიკურ ხანაში და ადრეულ საშუალო საუკუნეებში.

პირველწყაროების ზემოთ-წარმოდგენილი ანალიზის შედეგად დადგინდა ჩაითვლება შემდეგი.

1. როგორც გამოირკვა, სავსებით ყალბია და შემცდარი გავრცელებული შეხედულება, რომ ანტიკურ ხანაში ვიდრე საშუალო საუკუნეთა დასაწყისამდე ვითომც სომხეთთან ყოფილიყოს დაკავშირებული სამხრეთ-ქართლის მხარეები თრიალეთი და ტაშირი (ლორე-ბამბაკით) და მესხეთის მხარეები ჯაგახეთი და არტაანი. ეს მხარეები სამხრეთ-ქართლისა და მესხეთისა არც ერთ პერიოდში ანტიკური ხანისა და ადრეული საშუალო საუკუნეებისა არ შედიოდა სომხეთში, არამედ იბერიის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

2. იბერიის ძველი ისტორიული ტერიტორია — გოგარენის მხარე, რომელიც ანტიკურ ხანაში ერთხანად სომხეთთან იყო დაკავშირებული და რომელიც იბერიამ დაიბრუნა მეოთხე საუკუნეში, შეიცავდა იბერიის მხოლოდ ერთს შედარებით პატარა კუთხეს იბერიის განაპირაზე, — სახელდობრ გარდაბანის პროვინციას (შემდეგდროინდელი ყაზახ-შამშადილი, ყოფილი ყაზახის მაზრა განჯის მხარისა).

3. იბერიის ეს ძველი ისტორიული მიწა-წყალი გოგარენ-გარდაბანის პროვინცია (ყოფილი ყაზახის მაზრა განჯის მხარისა) თუმცა ანტიკურ ხანაში ერთხანად მოწყვეტილი იყო საქართველოს, მაგრამ მოსახლეობის შემადგენლობა აქ. ამ ხნის მანძილზე საგრძნობლად არ შეცვლილა: გოგარენ-გარდაბანის პროვინცია თავიდანვე ყოფილა ქართული მხარე და შემდეგაც ძირითადში ქართულ მხარედვე დარჩენილა. ამით იყო გამოწვეული, როგორც გამოირკვა, ის გარემოება, რომ გოგარენ-გარდაბანის მხარე, იმ პერიოდში, როდესაც იგი საქართველოს იყო მოწყვეტილი, მუდამ იჩენდა მისწრაფებას გაერთიანებოდ' საქართველოს და ამის მისაღწევად გოგარენის მხარეს, როგორც ვნახეთ, ორგზის მოუხდენია აჯანყება მეოთხე საუკუნის მანძილზე, რაც საბოლოოდ ამ კუთხის იბერიასთან გაერთიანებით დასრულდა. რომ ეს მხარე

მოსახლეობის შემადგენლობის მხრით დასახელებულ ეპოქაში ძირითადადში ქართული იყო, ამას ამტკიცებს, როგორც გამოიჩვენა, აგრეთვე ის ცნობები, რომლებიც მოიპოვება ამ მხარის ეკლესიებში მიღებული ენის შესახებ ადრეულ საშუალო საუკუნეებში. აღსანიშნავია ამას გარდა თვით სახელწოდებაც ამ მხარისა „ქართველთა ველი“, რა სახელწოდებითაც ეს მხარე ცნობილია საშუალო საუკუნეთა საისტორიო წყაროებით, და რა სახელწოდებაც ამ მხარის მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის მაჩვენებელია.

დასასრულ, დაგვრჩენია ხაზი გავუსვათ აგრეთვე შემდეგ გარემოებასაც.

იმის გამო, რომ ისტორიული ქართლის ძველი ეთნოგრაფიული საზღვრები ახალ საუკუნეებში თანდათანობით შემცირდა და განჯის მხარის ყაზახ-შამშადილის პროვინციაში ქართული მოსახლეობა გვიან ხანაში მოისპოვიდა, — საქართველოს ძველი ისტორიის მკვლევართ ეს კუთხე — ყაზახ-შამშადილი — სრულიად რჩებათ მხედველობის არედან საქართველოს ძველი-მიწაწყლის ფარგლების გათვალისწინების დროს; ეს კუთხე — ყაზახ-შამშადილი — არც კია მიჩნეული ისტორიული ქართლის ნაწილად (ასეთი შეცდომა დაშვებული აქვს თვით ვახუშტი ბატონიშვილსაც კი, და ესვე შეცდომა მეორდება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში). სინამდვილეში კი, როგორც გამოიჩვენა, ეს კუთხე განჯის მხარისა — ყაზახ-შამშადილი, ძველი „ქართველთა ველი“ (გარდაბანის მხარე) ისტორიულ წარსულში არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეთნიკურადაც ნაწილი იყო ქართლის ქვეყნისა.

3

მისხეთის მხარეთა სამხრეთ-დასავლეთი სანაპიროები:

ა. იმიერი ტაო. — ბ. ზემო სპერი.

გადაედივართ განხილვაზე საკითხისა ტაოს და სპერის შესახებ.

ისტორიული წყაროებით ცნობილია, რომ ერთხანად, გვიან ანტიკურ ეპოქასა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში, საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილი ქოროხის ხეობის სამხრეთ სექტორში, ტაოსა და სპერის ზონაში. პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული.

ამ საგანზე ბევრი დაწერილა და შეიძლება ითქვას მთელი ლიტერატურაც კი შეიქმნა; მიუხედავად ამისა, რეალური ისტორია ამ მხარეებისა დღემდე არ ყოფილა აღდგენილი.

როგორც ირკვევა წყაროების ანალიზიდან, ტაოსა და სპერის ისტორიის საკითხთა გამო საისტორიო მეცნიერებაში აღგილი აქვს შემდეგს სამ ძირითად შეცდომას:

1. პირველი შეცდომა შემდეგში მდგომარეობს. ფიქრობენ, რომ ვითომც სომხეთთან დაკავშირებული იყო მთელი ტაო და მთელი სპერია. სინამდვილეში კი სომხეთთან დაკავშირებული ყოფილა არა მთელი ტაო, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი, — იმიერი ტაო. ასევეა ეს სპერის მიმართაც:

სომხეთთან დაკავშირებული ყოფილა არა მთელი სპერი, არამედ მისი მცირედი ნაწილი — ზემო სპერი.

2. მეორე შეცდომა შემდეგში მდგომარეობს. ტაოსა და სპერის ეს ჩამონაჭრები დაკავშირებული ყოფილა სომხეთთან ბევრად უფრო ნაკლები დროის მანძილზე, ვიდრე ამას ჩვეულებრივ ვარაუდობენ. (აქ აღვნიშნავთ აქვე შეცდომას არა ათეული წლებით ან ერთი საუკუნით, არამედ მთელი შეიდი-რვა საუკუნით).

3. მესამე და მთავარი შეცდომა შემდეგში მდგომარეობს. ის გარემოება, რომ ტაოსა და სპერის ეს ჩამონაჭრები (იმიერი ტაო და ზემო-სპერი) ერთ პერიოდში სომხეთთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული, ზოგ მკვლევარს ისე ესმის, თითქოს ამ პერიოდის მანძილზე მოხდა ამ მხარეთა ეთნიკური სახის შეცვლა. მაგრამ ეს შეცდომაა. პოლიტიკური საზღვრების ცვლილება თავისთავად, რასაკვირველია, არ ნიშნავს მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებას. ცნობილია, მაგალითად, რომ სომხეთის ქვეყანა მთელი საუკუნეების მანძილზე საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა პოლიტიკურად, მაგრამ ამას არ გამოუწვევია სომხეთის მხარეთა ეთნიკური სახის შეცვლა. ასევე იყო ეს ამ შემთხვევაშიაც, პოლიტიკური საზღვრების გადაწევის არ მოპყვლია ცვლილებები მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაში; ტაოსა და სპერის მოხსენებული ნაწილები, იმიერი ტაო და ზემო-სპერი, მოსახლეობის შემადგენლობით და აქ გავრცელებული ენის მიხედვით, თავიდანვე იყო ქართული მხარე და ასეთად დარჩა იგი თავისი ისტორიის შემდგომ პერიოდებში.

ასეთია ისტორიული სინამდვილე, რაც ირკვევა საისტორიო წყაროების ანალიზიდან.

გადავდივართ რა აქ აღძრულ საკითხთა განხილვაზე, პირველ რიგში შევხებით ტაოს ისტორიის საკითხებს, შემდეგ სპერის ისტორიის საკითხებს.

»

ტაოს პოლიტიკური ისტორიის თარიღები.

როგორც ეს ცნობილია საისტორიო წყაროებით, ტაოს მხარე ანტიკურ ხანაში დასახლებული იყო ქართველი ტომით, რომელიც ატარებდა სახელწოდებას: ტაოხი ანუ ტაოელი.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ტაოს მხარეში მოსახლე ამ ქართველი ტომის სატომო სახელწოდება ტაოხი იმავე სახისაა, როგორც სატომო სახელები სხვა ქართველი ტომებისა: მესხი, ჯაფახი, კოლხი, *კასხი, კახი.

ეს ქართველი ტომი ტაოხები მოხსენებული ჰყავს ჭოროხის ხეობაში, ტაოს ისტორიულ ტერიტორიაზე, ქსენოფონტეს თავის ანაბასისში, მე-5 საუკუნის დასასრულს ძველი წელთაღრიცხვისა¹.

¹ იხ. ქსენოფონტე, ანაბასისი, წ. IV, თ. VI, § 5; თ. VII. §§ 1 — 14, 17; წ. V, თ. V¹ § 17 (SC, I, გვ. 71 — 73, 83).

ამავე ხანებში ესევე ქართველი ტომი მოსხენებული ჰყავს სოფენეტე. სტიმფალელს (მეორე ანაბასისში) სახელწოდებებით: „ტაოხი“ და „ტაოელი“ ანუ „ტაელი“ (Τάους)¹.

*

რა დროიდან დაუკავშირდა ტაო თუ მისი ცალკეული ნაწილები სომხეთს? ამ საკითხზე საისტორიო მეცნიერებაში სხვადასხვა შეხედულებაანი იყო გამოთქმული.

რიგი მკვლევართა, ნ. აღონცი, გრ. ლათანციანი, ტაოს დაკავშირებას სომხეთთან მიაწერენ მე-5 საუკუნეს ძველი წელთაღრიცხვისა.

ნ. აღონცი ამ საკითხის გამო წერს²:

„Во время отступления 10.000 греков [в конце V века, под предводительством Ксенофонта], земля фасианов и есперитов, т. е. саспейров, а также таохов, считалась уже Арменией и в отличие от другой Армении называлась Западной. Правителем или сатрапом [ставленником шеридского царя] в одной части был Тирибаз, а в другой Оронт. Соседние же племена пользовались в это время независимостью, именно Кардухи, Халибы, Халдеи, Макроны, Кюахи, Моссинойки, Жойты и Тибарены.

ნ. აღონცი ამ ცნობათა დასადასტურებლად მიუთითებს ქსენოფონტეს ანაბასისზე (წ. VII, თ. 8, § 25).

გავეცნოთ ამის შემდეგ ქსენოფონტეს ანაბასისის მითითებულ ადგილს. იგი არ ამართლებს ნ. აღონცის მოყვანილ ცნობას.

ქსენოფონტეს ანაბასისის სათანადო ადგილას ჩვენ ვკითხულობთ:

„[ლაშქრობის დროს] ფასიანების და ესპერიტების ხელისუფალი იყო ტირიბაზი [სატრაპი სპარსთა მეფისა]. კარდუხები, ხალიბები, ხალდეები, მაკრონები, კოლხები, მოსინიკები, კოეტები და ტიბარენები არ ემორჩილებოდნენ [სპარსთა] მეფეს“³.

ნ. აღონცი ემყარება ქსენოფონტეს ამ ადგილს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ქსენოფონტეს აქ არა აქვს მოსხენებული ტაოხები არც პირველ ჯგუფში, როგორც ხელქვეითი ტირიბაზისა [სპარსთა მეფის სატრაპისა], და არც მეორე ჯგუფში, სადაც ჩამოთვლილია სპარსთა მეფისაგან დამოუკიდებელი ტომები.

ნ. აღონცი სრულიად თვითნებურად ვარაუდობს, რომ ტაოხები ალბათ(!) პირველ ჯგუფს ეკუთვნოდნენო და ამიტომაც, რომ წერს „а также таохов“ („Земли фасианов и есперитов, а также таохов, считались уже Арменией...“).

სწორედ რომ საოცარია, როგორ შეიძლება ასე ზეპირად, მხოლოდ და მხოლოდ ალბათობის მიხედვით, გამოტანა ასეთი კატეგორიული დასკვნისა, ან-და რა ფასი აქვს ასეთ დასკვნას!..

¹ იხ. სოფენეტე სტიმფალელი, ანაბასისი, ფრ. 4 (SC, I, გვ. 266).

² იხ. II. Αγίου, op. cit., გვ. 394.

³ იხ. ქსენოფონტე, ანაბასისი. წ. VIII, თ. 8, § 25 (SC, I, გვ. 83 — 4).

მაგრამ ეს ცოტაა. აქ საჭიროა მკითხველმა გაითვალისწინოს აგრეთვე შემდეგი.

იმ ეპოქაში, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, მე-5 საუკუნის დასასრულს ძველი წელთაღრიცხვისა, სომხეთი და სომხეთის მეზობლად მდებარე ტერიტორიები კავკასიის ზოგიერთი ტომებისა სპარსეთის სამეფოს ფარგლებში შედიოდნენ. სპარსეთის სამეფოში შემავალი კავკასიის ეს ზონა ორ ადმინისტრაციულ ერთეულად, ორ სატრაპიად იყო გაყოფილი. ერთ სატრაპიაში შედიოდა აღმოსავლეთი სომხეთი და მასთან ერთად მარდების ტერიტორია; მეორე სატრაპიაში შედიოდა დასავლეთი სომხეთი და მასთან ერთად ფასიანების და ესპერიტების ტერიტორია¹. ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს მხოლოდ და მხოლოდ სპარსეთის სამეფოს ადმინისტრაციული ერთეულები — სატრაპიები; აქ ჩვენ არა გვაქვს არც დამოუკიდებელი სომხეთის სახელმწიფო, და არც ეთნოგრაფიული სომხეთი, ისევე როგორც არა გვაქვს არც ეთნოგრაფიული მარდეთი (მატიენა), ეთნოგრაფიული ფასიანი და სხვა. როგორც ეს ჩანს სპარსეთის სატრაპიების იმ სიიდან, რომელიც მოყვანილი აქვს ჰეროდოტეს, სპარსეთის სამეფოს ეს ადმინისტრაციული ერთეულები — სატრაპიები — წარმოადგენდნენ ხელოვნურად გამოკრილს, ერთგვარად თანაზომიერს ტერიტორიებს, რომელთა ფარგლებშიაც მეტწილად გაერთიანებული იყო არა ერთი, არამედ რამდენიმე ეთნოგრაფიული ერთეული.

ამრიგად, თუნდაც ტირიბაზის ხელისუფლების ქვეშ ერთი სატრაპიის ფარგლებში გაერთიანებული ყოფილიყვნენ დასავლეთის სომხებთან, ფასიანებთან და ესპერიტებთან ერთად, აგრეთვე ტაოხებიც, ეს სრულიად არ იქნებოდა იმისი მაჩვენებელი, რომ ტაოხების ქვეყანა ეს იყო ეთნიკური სომხეთი (ისევე როგორც არ იყო ეთნიკური სომხეთი არც ფასიანი და არც არაქსის ხეობაში მდებარე ესპერიტების ზონა).

ხოლო, რაც მთავარია, ტაოხების ქვეყანა, როგორც ვნახეთ, არაა მოხსენებული სპარსეთის ამ სატრაპიის ფარგლებში². მისი ჩარცხვა ამ სატრაპიაში არის ნაყოფი ნ. ადონცის თვითნებური დასკვნისა და არა ისტორიული სინამდვილე.

მაგრამ განვაგრძოთ ძიება. საკითხავია, როგორი იყო საქმის ნამდვილი ვითარება? შედიოდა მართლაც ტაოხების ქვეყანა სპარსეთის სამეფოს ფარგლებში, თუ არ შედიოდა?

ამ საკითხზე ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული პასუხი იმავე ქსენოფონტეს ანაბაზისში.

ანაბაზისის V წიგნის მე-5 თავში (§§ 16—18) მოყვანილია სიტყვა ქსენოფონტესი, მიპართული სინოპის ელჩებისადმი, სადაც ქსენოფონტე ამბობს:

„... ჩვენ იძულებული გავხდით ბრძოლა გაგვემართა კარდუხებთან,

¹ ფასიანების ტომი მოსახლეობდა არაქსის ხეობის ზემო ნაწილში, ბასიანში (ძველი ფასიანი). რაც შეეხება ესპერიტებს, მათ სჭირიათ, როგორც ირკვევა, ფასიანების აღმოსავლეთით მდებარე სექტორი იმავე არაქსის აუზში (ახურიანის ხეობის ზონა). ესპერიტებია ეს ტერიტორია, მოხსენებული ქსენოფონტეს მიერ, არის ნაწილი დიდი სასპერეთისა, რომელსაც ასახელებს ჰეროდოტე, და რომლის მიწა-წყალი არაქსის აუზში გადადიოდა (იხ. ჰეროდოტე, III, 94, VII, 79).

² იხ. ქსენოფონტე, ანაბაზისი, V, თ. 5, § 16—18 (SC, I, გვ. 83).

ტაოხე ბთან და ხალდე ბთან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი არ არიან ქვე-
შევრდომნი მეფისა [საუბარია სპარსთა მეფეზე] და მეტად ძლიერი არიან...¹.

ამრიგად, საკითხი სრულიად ნათელია. ჩვენ ვნახეთ ზემოთ, რომ სპარსე-
თის მეფისაგან დამოუკიდებელ ტომთა შორის დასახელებული არიან კარლუ-
ხები და ხალდეები (იხ. ზემოთ, გვ. 479); მათ რიცხვში ყოფილან აგრეთვე
ტაოხე ბი.

ისტორიული სინამდვილე, ამრიგად, შემდეგია: მე-5 საუკუნის დასასრულს
(ძველი წელთაღრიცხვისა) სომხეთი შეადგენდა სპარსეთის სამეფოს ნაწილს;
ხოლო ტაოხეების ქვეყანა არათუ სომხეთის ნაწილი არ ყოფილა, არამედ იგი
არ შედიოდა არც სპარსეთის სამეფოს ფარგლებში და დამოუკიდებელ მხა-
რეს წარმოადგენდა.

*

ნ. ადონცის ამ შემცდარმა შეხედულებამ, ვითომც ტაოხეების მიწა-წყალი
მე-5 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა დაკავშირებული იყო სომხეთთან,
გავრცელება მოიპოვა.

ამ შეხედულებას იმეორებს (და კიდევ უფრო ავითარებს) აკად. გრ. ლა-
ფანციანი. გამოკვლევაში *Историко-лингвистическое впечатление топонимике
Древней Армении*, გრ. ლაფანციანი წერს ტაოელების შესახებ:

„Эти Тао уже при Ксенофоте [в V веке др. э.] арменизовались, ибо
при отступлении 10.000 греков, земля фракианов и есперитов, т. е. саспей-
ров, а также таохов, считалась уже Арменией...“ (См. Н. Адонд. *Арме-
ния в эпоху Юстиниана*, стр. 394)².

გრ. ლაფანციანი აქ იმეორებს ნ. ადონცის დებულებას, მაგრამ დასკვნებს
კი აფართოებს. ნ. ადონცი მხოლოდ აღნიშნავდა, რომ ტაოხეების ქვეყანა
მე-5 საუკუნისათვის უკვე სომხეთის ნაწილს შეადგენდა, ხოლო გრ. ლაფან-
ციანი ამას უმატებს, რომ თვით ხალხიც, ტაოხეები, ამ დროს უკვე გასომხე-
ბული იყო.

ამრიგად, ნ. ადონცის შემცდარი და უსაფუძვლო დებულება გრ. ლაფან-
ციანმა ასევე უსაფუძვლოდ კიდევ უფრო „გააღრმავა“ და დააგვირგვინა
ახალი შემცდარი დასკვნით...

*

გადავიდეთ ამის შემდეგ სხვა მკვლევართა შეხედულებებზე, რომლებიც
ეხებოდნენ ამავე საკითხს.

რიგი მკვლევართა, მათ შორის პ. კიპერტი, პ. ჰიუბშმანი, ი. მარკვარტი,
ვარაუდობენ, რომ ტაო პირველად დაუკავშირდა პოლიტიკურად სომხეთს
არა მე-5 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, არამედ უფრო გვიან, მეორე
საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა.

რამდენად სწორია ეს შეხედულება? როგორც ირკვევა, არც ეს შეხედუ-
ლებაა სწორი.

¹ იხ. ქსენოფონტე, ანაბასისი, წ. V, თ. 5, 16 — 18 (SC, I, 83).

² იხ. გრ. ლაფანციანი, *op. cit.*, გვ. 32.

ეს მეორე შეხედულება, თითქო ტაო დაკავშირებოდეს სომხეთს მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, ემყარება სტრაბონის ერთი ადგილის შემცდარ განმარტებას.

სტრაბონს, როგორც ცნობილია, აღნიშნული აქვს, რომ სომხეთმა მე-2 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა შეიერთა „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“¹.

დასახელებული მკვლევარები ვარაუდობენ, რომ პარიადრი (Παριαδρες = პარვადრეს) ვითომც ეს არის სახელწოდება პარხალის (პარხარის) მთებისა; ხოლო პარხალის მთებს სამხრეთ-დასავლეთის მხარიდან ესაზღვრებაო ტაო და სპერი და, მაშასადამე, „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“, რომელიც შეიერთა სომხეთმა, ვითომც ეს იყოს იბერიის მოხსენებული პროვინციები, — ტაოსა და სპერის მხარეები.

ხოლო რის მიხედვით დაასკვნიან, რომ პარიადრი (პარვადრეს) ვითომც ეს იყოს პარხალის მთები? მხოლოდ და მხოლოდ იმის მიხედვით, რომ ეს სახელწოდება „პარვადრეს“ შორეულად ემსგავსება სახელწოდებას „პარხალი“ („პარხარი“).

მაგრამ არის კი ეს ორი სახელწოდება ერთი და იგივე? ეს არსაიდან არა ჩანს. პირიქით, უფრო საფიქრებელია, რომ ამ ორ სახელწოდებათა შორის ეტიმოლოგიურად არაფერია საერთო.

ქართული სახელწოდება მთებისა „პარხალი“, ანუ უფრო ძველი სახით, „პარხარი“, ნაწარმოებია სიტყვისაგან „პარები“ (ბოლოკიდური ფორმანტის „არი“-ს ანუ „ალი“-ს დართვის დროს, ქართული ფონეტიკის წესების თანახმად, ფუძე-სიტყვიდან „პარები“ ამოიღება შუა-ხმოვანი „ე“: „პარები“ → „პარხ-არი“).

„პარები“ ეწოდებოდა მთის გამოქვაბულებს, რაც საქონლის დასაყენებლად გამოიყენებოდა ხოლმე. ეს სახელწოდება მთებისა „პარაზი“ იმავე ტიპისა და იმავე წარმოშობისაა, როგორც გავრცელებული სახელწოდება მთელი რიგი მთებისა, რომლებიც იწარმოება სიტყვისაგან „გომი“: „გომის მთა“ (შეად. „გომანი“, „გომაჟი“, „გომართა“ და სხვ.). პარხალის მთების კალთები, როგორც ცნობილია, განთქმულ სამოვრებს წარმოადგენდნენ (იხ. ამის შესახებ ძველ ქართული საისტორიო ძეგლი ჟამთააღმწერელი, გვ. *922/766, აგრეთვე ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოპი კესარიელი, De aedificiis, III, 6). ისევე როგორც საქონლის სადგომის სახელწოდებიდან „გომი“ მომდინარეობს სახელი „გომის მთა“, „გომარი“, ასევე საქონლის სადგომის სახელწოდებიდან „პარები“ მიღებულია სახელი „პარხის მთა“, „პარხარი“².

რაც შეეხება მთის სახელწოდებას პარიადრი („პარვადრეს“), მისი ეტიმოლოგია ბნელია.

მაგრამ თუნდაც დაეუშვათ, რომ პარიადრი („პარვადრეს“) ეტიმოლოგიურად იმასვე ნიშნავდეს, რასაც „პარხარი“, განა მარტო ამის მიხედვით ჩვენ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ სტრაბონი სახელწოდებით „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“ იგულისხმებდა სწორედ ამ პარხალის მთებს? რასა-

¹ იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. XIV, § 5 (SC, I, 155).

² შეადარეთ ცნობა პროკოპი კესარიელისა, რომელიც პარხალის მთების ზონას ეხება:

„[ლართის სიმაგრის ადგილიდან] რომ მიდიხარ აღმოსავლეთის მიმართულებით, ერთი კლდოვანი ნაპრალია გადაკიშული ჩრდილოეთისაკენ. აქ [იუსტინიანემ] ააგო ციხე, სახელად ბარხონი [= ბარხის ანუ პარხის ციხე]. ვადაღმა მთის ძირას საქონლის სადგომებია [= პარებები], სადაც ეგრეთწოდებული ოკენიტის ჭანების საქონელია მოთავსებული...“ (იხ. პროკოპი კესარიელი, De aedificiis, III, 6).

კვირველია არა. ჯერ ერთი, ერთი და იგივე სახელწოდება შესაძლოა შეგვხვდეს რამდენიმე ადგილას (მოვიგონოთ თუნდაც სახელწოდება „გომის მთა“, რომელიც მრავალგზის გვხვდება). შემდეგ, ერთი და იგივე სახელწოდება მთისა სხვადასხვა დროს შესაძლოა სხვადასხვა მოცულობისა იყოს, — ერთ შემთხვევაში ერქვას ერთ მწვერვალს ან მთის ერთ პატარა შტოს, მეორე შემთხვევაში ეს სახელწოდება გავრცელდეს მთელ ქედზე, მესამე შემთხვევაში მთების მთელ სისტემაზე და სხვა.

ამიტომ აქ საკითხს სწვევებს არა ასეთი საეჭვო ეტიმოლოგიები, როგორც დაახლოება სახელწოდებათა „პარჯადრესი“ და „პარხალი“ (რომელთაც სინამდვილეში არაფერი აქვთ საერთო), არამედ გარკვევა შემდეგი კონკრეტული საკითხებისა:

ა. რა ეწოდება თვით სტრაბონის თხზულებაში მთების იმ სისტემას, სადაც მდებარეობს მწვერვალი პარხარი (პარხალი)? როგორც შემდეგ გამოიკვევა, მთების ამ სისტემას სტრაბონი უწოდებს არა პარიადრის მთებს, არამედ სრულებით სხვა სახელს: „შქვიდისი“-ს („შქვითისი“-ს) მთებს.

ბ. მეორე კითხვა: რომელ მთებს და აგრეთვე რომელ მხარეს უწოდებს სტრაბონი „პარიადრის“-ს სახელს? როგორც შემდეგ გამოიკვევა, ეს საკითხიც არაა სწორად ამოხსნილი.

საზოგადოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ გარკვევა მთელი რიგი ძირითადი მნიშვნელობის ისტორიულ-ეთნოგრაფიული საკითხებისა ანტიკური ხანის კავკასიის შესახებ შესაძლოა მხოლოდ მას შემდეგ, როცა ზუსტად იქნება ამოცნობილი, თუ რომელ მთებს ეწოდება ანტიკურ ხანაში, და კერძოდ სტრაბონის თხზულებაში, — პარიადრის მთები, შქვიდისის (შქვითისის) მთები, და აგრეთვე მოსხის მთები.

ამის გამო აუცილებელი ხდება ამ საკითხს აქ მიუძღვნათ სპეციალური ექსკურსი¹.

1. „შქვიდისი“-ს („შქვითისი“-ს) მთები.

„შქვიდისი“-ს და აგრეთვე პარიადრის მთების შესახებ სტრაბონის გეოგრაფიის მეორე წიგნის მე-3 თავში (§ 18) ჩვენ გვაქვს შემდეგი ცნობა:

„ტრაპიზონის და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობენ ტიბარენები, ხალხები და სანები, რომელთაც წინათ მაკრონებს ეძახდნენ, და ძვეს მცირე არმენია. ამ ადგილების ახლოს ცხოვრობენ აგრეთვე აპაიტები, წინანდელი კერკეტები. ამ ადგილებზე გასდევს:

„[1] შქვიდისი, მეტად ციკაბო მთა, რომელიც უერთდება მოსხის მთებს, კოლხიდის ზემოთ რომ არის², და რომლის თხემები დასახლებულია ჰეპტაკომეტებით („შვიდ-სოფლელებით“).

„და [2] პარჯადრი, რომელიც გადაჭიმულია სიდენასა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან ვიდრე მცირე სომხეთამდე და რომელიც ჰქვნიის პონტოს აღმ.ააღეთ კიდეს“.

სტრაბონი აღნიშნავს ამასთან, რომ ჰეპტაკომეტების „შვიდ-სოფლელების“ ნაწილს ეწოდებოდა მოსინიკები და ბიწერები.

¹ ამავე საკითხს ეხება აკად. ს. ჯანაშაი წერილში: „პარიადრი, სკიდისი, მოსხის მთები“ (საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. III, № 6, 1942), მაგრამ ამ წერილში წარმოდგენილი დასკვნები, როგორც ირკვევა, არაა სწორი და გადასინჯვას საჭიროებს.

² სტრაბონის დროს კოლხეთის ფარგლებში შედიოდა პოლიტიკურად მესხეთის ნაწილი (დასავლეთი სექტორი), იხ. სტრაბონი, წ. XI, თ. II, § 18.

დიდმა ქართველმა მეცნიერმა ივ. ჯავახიშვილმა პირველად ამოხსნა, რომ სახელწოდება ამ მთებისა „შქვიდისი“ (ანუ „შქვითისი“) ქართულია და დაკავშირებულია ქართულ სიტყვასთან „შვიდი“, რაც მეგრულ-ქანურად გამოითქმის როგორც „შქვითი“¹. რომ სახელწოდება მთისა „შქვიდისი“ („შქვითისა“) დაკავშირებულია ქართულ სიტყვასთან შვიდი, ეს დასტურდება იმის მიხედვით, რომ აქ მოსახლე ტომს სტრაბონი უწოდებს ჰეპტაკომეტებს, რაც ბერძნულად „შვიდ-სოფელ“-ს ნიშნავს.

საკითხვია ამის შემდეგ, რომელი მთებია ეს „შქვითისი“-ს მთები, რომელთა სექტორშიაც მოსახლეობდნენ ჰეპტაკომეტები „შვიდ-სოფელელები“?

ეს მთებია პარხალის მთების (სისტემა, ე. ი. მთები, რომელიც გაჭყოფს კოროხის ხეობას ლახეთიდან; ეს მთები იწყება მდინარე კოროხის შესართავთან და გასდევს კოროხის ხეობასა და ლახეთს შორის ვიდრე ტრაპიზონის ზონამდე.

რომ „შქვითისი“-ს მთები ეწოდებოდა სწორედ ამ მთებს, პარხალის მთების სისტემას, ეს დასტურდება იმის მიხედვით, რომ ჩვენ გვაქვს ცნობები „შვიდ-სოფელელთა“ ტომის მოსახლეობის შესახებ — ამ მთების ორივე კალთაზე, როგორც კოროხის ხეობაში, ისე ლახეთში.

¹ ქსენოფონტეს ცნობით კოროხის ხეობის ზემო-ნაწილში მოსახლე ტომს ეწოდებოდა „შქვითენ“-ნი, Σκαμψα, იგივე „შვიდ-სოფელელი“.

(იხ. ქსენოფონტი, ანაბაზისი, წიგნი IV, თავი 7, § 18, თავი 8, § 1).

2. ლახეთში, რიხეს სანჯაყში, პარხალის მთების კალთებზე განთენილ რაიონს ამჟამად ეწოდება „კურა სება“, რაც არაბულად სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „შვიდ სოფელს“². როგორც ირკვევა, ეს თანამედროვე, თურქების მიერ შემოღებული სახელწოდება „კურა-სება“ წარმოადგენს თარგმანს ამ კუთხის ადგილობრივი ძველ ქართული სახელწოდებისა: „შვიდი (შქვითი) სოფელი“.

3. სტრაბონის ცნობით, „შვიდ-სოფელელთა“ ერთ-ერთ ნაწილს ეწოდებოდა ბიწურები, ხოლო ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების ცნობათა თანახმად ბიწურების ტომი მოსახლეობდა სწორედ პარხალის ქედის კალთაზე. ლახეთის ზონაში, დაწყებული ბიწვს (ვიწვს) ხეობიდან ვიდრე აფსარამდე (თანამედროვე სარფი). თვით სახელწოდება ამ ტომისა „ბიწური“ ბიწვს (ვიწვს) თემის სახელთან არის დაკავშირებული³.

უკვე ამ ხუტო ჩვენების მიხედვით ჩვენ საბოლოოდ დადგენილად მიგვაჩნია, რომ ანტიკურ ხანაში „შქვითისი“-ს მთების სახელი რქმევია პარხალის მთებს, ე. ი. მთების იმ სისტემას, რომელიც იწყება მდინარე კოროხის შესართავთან და მიჰყვება კოროხის ხეობასა და ლახეთს შორის—ვიდრე ტრაპიზონის ზონამდე.

*

2. მოსხის მთები.

როგორც უკვე გარკვეული გეგმონდა, მოსხის მთები ეწოდებოდა მთავარ წყალთა-გამყოფ ქედს, რომელიც ჰყოფს კოროხისა და მტკვრის ხეობას არაქსისა და ვეფრატის ხეობებიდან და აგრეთვე ამ მთ ვარი ქედის სამხრეთ განშტოებას (ეგრეთ ეწოდებული დევებონის შტოს).

ჩვენ აქ შევაჯამებთ იმას, რაც ზემოთ იყო დადგენილი და წარმოვადგენთ ამას გარდა ახალ ჩვენებებს ამავე საკითხის გამო.

1. თავდაპირველად აღსანიშნავია, რომ დასახელებულ მთებს არა მარტო ანტიკურ ხანაში რქმევია ეს სახელი „მოსხის მთები“, არამედ თვით ახალ საუკუნეებშიაც იგი ცნობილი ყოფილა ამავე სახელწოდებით: „მოსხის მთები“. ეს აღნიშნული აქვს ვახუშტი ბატონიშვილს. ამასთან ვახუშტის სწორად აქვს ამოცნობილი აგრეთვე, რომ ამ მთებს ანტიკურ ხანაში იგივე სახელი („მოსხის მთები“) ეწოდებოდა.

¹ იხ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, 1913, გვ. 44 — 45.

² იხ. იქვე.

³ იხ. პერიპლუსი მე-5 საუკუნის (SC, I, გვ. 273), არიანეს პერიპლუსი, 15 (SC, I, გვ. 222), სკილაკი კარიანდელისადმი მიწერილი პერიპლუსი, § 82 (SC, I, გვ. 86), აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა, II, 393, 1244 (SC, I, გვ. 413, 416), პლინიუს სეკუნდო, ბუნებისმეტყველება, VI § 11 (SC, II, გვ. 178), იხ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 202, 439.

ვახუშტი წერს:

„ესე მთანი არიან, რომელსა სწერენ ძველსა გეოგრაფიასა შინა მოსხის მთად, რომელ არიან მე სხის მთანი: ირაჯლუსი, თორთომისა, შეფაქლუსი, წყალნუსი, დევებოინისა და ისპირისა“¹.

ვახუშტი ბატონიშვილს მოსხის მთების (იმვე მესხის მთების) სახელწოდებით აქ აღნიშნული აქვს სწორედ ზემოთ-დასახელებული წყალთა-გამყოფი ქედი, რომელიც ჰეორთისა და მტკვრის ხეობებს არაქსისა და ვეფრატის ხეობებიდან, და აგრეთვე ამ მთავარი ქედის სამხრეთი განშტოება (დევებოინის შტო).

2. ჩვენ უკვე დადგინილი გვქონდა, კლავდი პტოლემესა და სტეფანე ბიხანტიელის ჩვენებათა თანახმად, რომ მესხეთის მთებს ესაზღვრებოდა ტერიტორია ბოხაელთა ტომისა: ა) ბოხის ანტონი ზემო-ჰეორთის (ოლთის-წყალის) ხეობისა; ბ) კარინის მხარე ზემო-ვეფრატის ხეობისა; გ) მათი მიმდგომი ზონა ბახან-ვანანდი არაქსის ხეობისა². ამ ხუსტ ჩვენებათა მიხედვით უდავო ხდება, რომ ანტიკურ ხანაში „მოსხის მთების“ სახელით ცნობილი იყო ზემოთ-დასახელებული მთები.

3. სტრაბონისა და კლავდი პტოლემეს ცნობათა მიხედვით ჩვენ ამასთან საშუალება გვაქვს დავახუსტოთ, თუ სადამდის აღწევდა დასავლეთის მიმართულებით „მოსხის მთების“ სახელწოდებით ცნობილი მთების ეს სისტემა. სტრაბონს აღნიშნული აქვს, რომ მოსხის მთები უერთდება „შქეთისი“-ს მთებს (იხ. ზემოთ, გვ. 483). მაშასადამე მოსხის მთები რქმევია ამ წყალთა-გამყოფ მთაგრეხილს ვიდრე ჰეორთის ხეობის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ მიჯნამდე, სადაც ეს მთაგრეხილი მიადგება შქეთისის მთების შტოებს. ეს ერთი ჩვენება. ამას გარდა კლავდი პტოლემეს აღნიშნული აქვს, რომ მოსხის მთები დასავლეთის მიმართულებით აღწევს კაპადოკიის პონტომდე³. ამრიგად, ამ მეორე შემთხვევაშიც ნაჩვენებია იგივე სექტორი, ჰეორთის ხეობის სამხრეთ-დასავლეთი ზონა, რომლის იქითაც კაპადოკიის პონტო იწყებოდა.

3. პარიადრის მთები.

პარიადრის მთები ხშირად მოიხსენება სტრაბონთან. ეს სახელწოდება ჩვენ გვხვდება ანტიკური ხანის სხვა მწერლებთანაც.

სტრაბონის გეოგრაფიის XI წიგნის მე-12 თავში (§ 4) ეკითხულობთ:

„ვეფრატის იმირე, მცირე სომხეთიდან მოკიდებული, ანტიტავროსის ჩრდილოეთით, გადაკიმულია დიდი მთები მრავალის განშტოებით. ერთ ნაწილს ეწოდება პარიადრი, მეორეს მოსხის მთები, სხვები კი ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით. ეს მთები შემოფარგლავენ სომხეთს ვიდრე იბერიელებამდე და ალბანელებამდე“.

სტრაბონის გეოგრაფიის XI წიგნის მეორე თავში (§ 18), როგორც უკვე ზემოთ გვქონდა აღნიშნული, ნაჩვენებია, რომ პარიადრი „გადაკიმულია სიდენასა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან ვიდრე მცირე სომხეთამდე“ და რომ პარიადრი „ჰქმნის პონტოს აღმოსავლეთ კიდეს“.

შეფარდება ყველა იმ ცნობებისა, რომლებიც დაცული აქვთ სტრაბონსა და ანტიკური ხანის სხვა ავტორებს პარიადრის მთების შესახებ, გვაძლევს საფუძველს დავადგინოთ შემდეგი:

1. პარიადრის მთები ვიწრო მნიშვნელობით რქმევია პონტოს მთებს, დაწყებული მდინარე იეშილ-ირმაკის (კელკიტ-ჩაის) შესართავის ზონიდან — ვიდრე ტრაპიზონის მხარემდე, და მის პარალელურს სამხრეთ ქვეს, რომელიც გაჰყოფს მდინარე იეშილ-ირმაკის ხეობას ლალისის ხეობიდან; ეს არის საკუთრივ პარიადრის მთები ვიწრო მნიშვნელობით, რომელიც, სტრაბონის ზემოთ-მოყვანილი სიტყვების თანახმად, „გადაკიმულია სიდენასა და თემისკირასთან მდებარე ადგილებიდან ვიდრე მცირე სომხეთამდე და ჰქმნის პონტოს აღმოსავალ კიდეს“.

2. პარიადრის მთები ფართო მნიშვნელობით ეწოდებოდა როგორც პონტოს მთების ზემოთ-მოხსენებულ სექტორს, ისე მცირე კავკასიონის მთების სისტემას, რომელიც გასდევს ვე-

¹ იხ. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოისა საქართველოსა, 1941 წ., გვ. 140 (შენიშვნა); შტრ. გვ. 121 — 122.

² იხ. ზემოთ, 429 — 430.

³ იხ. კლავდი პტოლემე, გეოგრაფია, SC, I, გვ. 244.

ფრატისა და არაქის ხეობათა ჩრდილო ნაწილებში. ასე, მაგალითად, პლინიუს სეკუნდუსა და კლავდი პტოლემეს პარიადრის მთების სახელით მოხსენებული აქეთ ბამბაკის მთები მცირე კავკასიონისა, რომელსაც სამხრეთის მხრიდან ადგება არარატის მხარის შირაქის პროვინცია, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან იბერიის თრიალეთ-ტაშირის პროვინცია¹.

*

4. პარიადრის მთიანეთის მხარე.

სტრაბონს პარიადრის მთებთან ერთად მოხსენებული აქვს აგრეთვე მხარე პარიადრის მთიანეთისა. სტრაბონი პარიადრის მთიანეთის სახელს უწოდებს დასავლეთ ეფრატის ხეობის ხეშო ნაწილს—ვიდრე დასტირის მოსაბრუნამდე. ასე, სტრაბონის ცნობის თანახმად, აკილისენის მხარე და აკილისენაში მდებარე დასტირი ეს იყო ნაწილი პარიადრის მთიანეთის მხარისა (იხ. სტრაბონის გეოგრაფია, XI, თავი III, § 28, SC, I, 160).

ასეთია ის დასკვნები, რომელთაც ჩვენ ვღებულობთ საისტორიო წყაროების განხილვიდან ანტიკური ხანის ისტორიული გეოგრაფიის ხეშოთ-აღძრულ საკითხთა გამო.

*

დაეუბრუნდეთ ამის შემდეგ ძირითად საკითხს ტაოს შესახებ.

აქ ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ კითხვაზე: შეეფარდება თუ არა სინამდვილე ეს ფართოდ გავრცელებული შეხედულება, რომ ვითომც ტაო დაუკავშირდა სომხეთს მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა (ამ შეხედულებას, როგორც ვნახეთ, იცავენ პ. კიპერტი, პ. ჰიუზშანი, ი. მარკვარტი და მთელი რიგი სხვა მკვლევარი).

ეს შეხედულება, როგორც მოვიხსენეთ, ემყარება სტრაბონის ცნობილ ადგილს, სადაც აღნიშნულია, რომ სომხეთმა მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა შეიერთა „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“.

დასახელებული მკვლევარები, როგორც აღენიშნეთ, ვარაუდობენ, რომ პარიადრი ვითომც ეს არის სახელწოდება პარხალის მთებისა; ხოლო, რადგან პარხალის მთებს სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან ესაზღვრებაო ტაო და სპერი, ამიტომაც „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“, რომელიც შეიერთა სომხეთმა, ვითომც ეს იყო ტაოს და სპერის მხარეები.

ეს არის და ეს; არავითარი სხვა საბუთი ამ დებულების დასამტკიცებლად მოტანილი არ ყოფილა, და არც არსებობს საამისო რაიმე სხვა საბუთი.

ხოლო, როგორც ეს ზემოთ-წარმოდგენილი გამოკვლევებიდან სრულიად უდავოდ დადასტურდა, სტრაბონს პარხალის მთების სისტემა აღნიშნული ჰქონია არა პარიადრის მთების სახელით, არამედ „შქვითისი“-ს მთების სახელით.

მეშასადამე, ეს ერთადერთი ვითომცდა საბუთი, რომლის მიხედვითაც გამოჰქონდათ დასკვნა ტაოსა და სპერის ტერიტორიული კუთვნილების შესახებ, თავისთავად უქმდება.

ამრიგად, უეჭველი ხდება, რომ „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“ ეს არ არის ტაო და სპერი.

საკითხავია ამის შემდეგ, რომელ მხარეს გულისხმობს სტრაბონი „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“-ს სახელწოდებით.

ამის დადგენაც შესაძლებელია.

¹ იხ. კლავდი პტოლემე, გეოგრაფია (SC, I, გვ. 244); პლინიუს სეკუნდო, ბუნებისმეტყველება (SC, II, გვ. 181).

სტრაბონისა და ანტიკური ხანის მეორე ავტორის აპოლოდორეს ცნობათა შეფარდებით ირკვევა, რომ მას შემდეგ, რაც სომხეთმა მე-2 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა შეიერთა „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“, საზღვარი სომხეთსა და იბერიას შორის გასდევდა მდინარე არაქსზე¹. მაშასადამე, „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“ ეს არის ამის სამხრეთით მდებარე კუთხე, მდინარე არაქსის სათავეების ზონა.

ამ კუთხეს საეკლესიო შეფარდება ეს სახელწოდება „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“; დასავლეთის მხრიდან იგი ესაზღვრება პარიადრის მთიანეთის მხარეს (ე. ი. აკილისენა-კარინ-დერჯანის რეგიონს); ხოლო სამხრეთის მხრით იგი ესაზღვრება სტრაბონის მიერ იქვე დასახელებულ ხორძენის პროვინციას, რომელიც იმავე პარიადრის მთიანეთის მხარის უშუალო გაგრძელებას წარმოადგენს².

*

რომ ტაოს მხარე მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა და აგრეთვე შემდეგ, სტრაბონის დროს, პირველი საუკუნის დასაწყისში ახალი წელთაღრიცხვისა, არ შედიოდა სომხეთში, არამედ საქართველოს ფარგლებში იყო მოქცეული, გარდა ზემოთაღნიშნულისა, ადასტურებს აგრეთვე სტრაბონის გეოგრაფიის პირდაპირი მითითებანი.

1. სტრაბონის გეოგრაფიის ტექსტის მიხედვით, ჩრდილოეთი საზღვარი სომხეთისა დასავლეთ კავკასიის სექტორში ეს იყო მოსხის მთები, ხოლო ნაწილობრივ საზღვარი გასდევდა კიდევ უფრო სამხრეთით, არაქსის ხეობაში (ბასიანის ზონაში)³.

ხოლო, როგორც გამოჩვენებულია, მოსხის მთები ეწოდებოდა წყალთა-გამყოფ ქედს, რომელიც გაპყოფს ქოროხსა და მტკვრის ხეობებს არაქსისა და ეფფრატის ხეობებიდან.

ამრიგად, ტაოს მხარე, რომელიც მდებარეობს ქოროხის ხეობაში, ე. ი. მოსხის მთების (და აგრეთვე ბასიანის სექტორის) ჩრდილოეთით, არ შედიოდა სომხეთის საზღვრებში, იგი საქართველოს ფარგლებში ყოფილა მოქცეული.

2. სტრაბონის გეოგრაფიის ცნობათა მიხედვით ირკვევა ამასთან, რომ პირველ საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა ტერიტორია ქოროხის ხეობისა ორ ზონად განიყოფებოდა: ერთი ზონა — აღმოსავლეთი ნაწილი — შედიოდა იბერიის სამეფოს საზღვრებში, ხოლო მეორე ზონა — დასავლეთი ნაწილი — პოლიტიკურად კოლხეთთან იყო დაკავშირებული. კერძოდ, იბერიის საზღვრებში ყოფილა მოქცეული აღმოსავლეთი ტაო, ქალაქით იდი (იღესა), რომელიც მდინარე ოლთისის სათავეებში მდებარეობს. ქალაქ იდის მხარის დასავლეთით (ე. ი. თორთომის ხეობიდან მოკიდებული) იწყებოდა კოლხეთის ზონა⁴.

¹ იხ. SC, I, გვ. 98. შეადარეთ ზემოთ, გვ. 459.

² რომ „პარიადრის (მთიანეთის) კალთები“ ეს არის არაქსის სათავეები (სამხრეთი ბასიანი და მიმდგომი სექტორი არაქსის მარჯვენა სანაპიროდან ვიდრე ბინგელის მთებამდე), ამის შესახებ იხ. აგრეთვე ქვემოთ.

³ იხ. ზემოთ, გვ. 433.

⁴ იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. II, § 16—18, SC, I, 127—8. შეად. ზემოთ, გვ. 438—439.

ამრიგად, ეს ჩვენებაც ადასტურებს, რომ ქოროხის ხეობა, ტაოს მხარის ჩათვლით, პირველი საუკუნისათვის ახალი წელთაღრიცხვისა საქართველოს (იბერიისა და კოლხეთის) საზღვრებში შედიოდა.

*

სტრაბონის ხანის მომდევნო პერიოდი, პირველი საუკუნე და მეორე საუკუნის პირველი ნახევარი (ახალი წელთაღრიცხვისა), ეს არის — როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი — ეპოქა იბერიის სამეფოს განსაკუთრებული ძლიერებისა.

ამ დროს იბერიის საზღვრებში შესულა ქოროხის ხეობის ის ნაწილები, რომლებიც წინათ კოლხეთთან იყო დაკავშირებული; იბერიის საზღვრები დასავლეთის მიმართულებით. (ქოროხის ხეობის ხაზით) აღწევს ჯერ პარხალის (შქეიდისის) მთებამდე (პირველი საუკუნის მეორე მესამედში, — იხ. პლინიუს სეკუნდუ), ხოლო შემდეგ შავ ზღვამდე (პირველ-მეორე საუკუნეთა საზღვარზე, — იხ. არიანე)¹.

ამავე დროს იბერიის სამეფოს საზღვრები გაფართოებულა სამხრეთითაც (ფარსმან I-ის და ფარსმან II-ის დროს, — იხ. ტაციტუსი, დიონ კასიუსი).

რასაკვირველია, სრულებით გამორიცხულია, რომ ამ ეპოქაში, პირველ საუკუნესა და მეორე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც იბერია ძლიერების ზენიტში იყოფება, სომხეთს შეეერთებინოს ტაო ან იბერიის რაიონ ტერიტორია ქოროხის ხეობაში. პირიქით, თვით სომხეთი ერთხანად (პირველი საუკუნის მეორე მესამედში) ფაქტიურად წარმოადგენდა იბერიის ვასალურ სამფლობელოს და იქ იბერიელი უფლისწულები მეფობდნენ. შემდეგაც გრძელდება იბერიის ეს პოლიტიკური უპირატესობა კავკასიაში. პლინიუს სეკუნდუს ცნობებიდან ირკვევა, რომ იბერიის საზღვრებში I საუკუნის სამოციან წლებში შედიოდა არა მხოლოდ მესხეთის ქვეყანა (რომელიც ამ დროს მოიცავდა ზემო-მტკვრის ხეობას, ქოროხის ხეობას, მათ შორის ტაოს, და არაქსის სათავეებში მდებარე ბასიანის მხარეს), არაჲდ იბერიის საზღვრებში მოქცეული იყო აგრეთვე მესხეთის სამხრეთით მდებარე არმენო-ხალიბების (ჰან-ხალიბები) ქვეყანა, რომელიც განთენილი იყო ეფრატის ხეობის ზემო ნაწილში². მომდევნო ხანაში, მეორე საუკუნის პირველ ნახევარში, იბერია კიდევ უფრო ძლიერდება პოლიტიკურად და, როგორც აღნიშნული გვქონდა, 138 წელს მომადარა იბერიის ტერიტორიის ხელახალი გაფართოება (იხ. დიონ კასიუსი, SC, I, 622).

*

წარმოდგენილი მიმოხილვიდან ამრიგად გამოირკვა, რომ ტაო არ იყო დაკავშირებული სომხეთთან არც მე-5 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა (როგორც ამას დაასკვნიდნენ ნ. ადონცი და გრ. ლაფანციანი); არც მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა (როგორც ამას დაასკვნიდნენ ჰ. ჰიუბშმანი, ი. მარკვარტი და სხვანი); არც პირველი საუკუნის დასაწყისში ახალი წელთ-

¹ იხ. ზემოთ, გვ. 439.

² იხ. პლინიუს სეკუნდუ, NH, XXXVII, 29 (SC, II, გვ. 181.) არმენო-ხალიბების (ჰან-ხალიბების) ქვეყნის შესახებ იხ. საეციალურ შენიშვნებში, დამატებანი.

აღრიცხვისა — სტრაბონის დროს; არც პირველ საუკუნეში და არც მეორე საუკუნის პირველ ნახევარში ახალი წელთაღრიცხვისა, იბერიის პოლიტიკური ძლიერების ამ ხანაში.

ამრიგად, დაკავშირება სომხეთთან ტაოს მხარისა (ისიც, როგორც შემდეგ დავინახავთ, არა მთელი ტაოსი, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილისა) ბევრად უფრო გვიან მომხდარა, ვიდრე ამას ვარაუდობდნენ, ე. ი. მეორე საუკუნის ნახევრის შემდეგ.

ხოლო როდის სახელდობრ?

ამის დადგენა შესაძლებელი ხდება საკმაო მიახლოებით.

სომხური წყაროებიდან ირკვევა, რომ ტაო (მისი ერთი ნაწილი) უკვე დაკავშირებული ყოფილა სომხეთთან მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში¹.

მაშასადამე, ტაოს (მისი ერთი ნაწილის) დაკავშირება სომხეთთან მომხდარა ამ ორ სათარიღო მიჯნას შორის, დაახლოებით 150 წლის ფარგლებში: არა უადრეს მეორე საუკუნის ნახევრისა და არა უგვიანეს მეოთხე საუკუნის დასაწყისისა.

აქ გასათვალისწინებელია ამასთან შემდეგი.

ტაოს იმ ნაწილს, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, სომხურ წყაროებში ეწოდება მამიკონელთა ქვეყანა². ტაოს ეს ნაწილი იყო სამფლობელო მამიკონელთა გვარეულობისა, რომლებიც, როგორც ირკვევა, ჭანები ყოფილან წარმოშობით.

სომხურ საისტორიო წყაროებში გადმოცემები მამიკონელთა გვარეულობის წარმოშობის შესახებ, აგრეთვე მათი სომხეთთან დაკავშირების შესახებ, დაკული აქვთ — ფავსტოს ბიზანტიელს, ანონიმს (სებეოსთან) და მოსე ხორენელს.

ფავსტოს ბიზანტიელის საისტორიო თხზულებაში მანუელ მამიკონიანი შემდეგი სიტყვებით მიმართავს სომხეთის მეფეს ვარაზდატს (374—377 წ.წ.): „ჩვენ არასოდეს არ ვყოფილვართ თქვენი მსახურნი, არამედ ვიყავით თქვენი ამხანაგნი, და იქნებ თქვენზე მეტად სახელოვანნიც, რადგან ჩვენნი წინაპარნი იყვნენ მეფენი ქენასტანში. მაგრამ ძმათა შორის განხეთქილების გამო, რის შედეგადაც მოხდა დიდი სისხლის ღვრა, ჩვენ დაეტოვეთ სამშობლო და მოვედით აქ (თქვენს კარზე) მშვიდობის საძებნელად“³.

ქენასტანი გვიან ხანაში ესპოდათ როგორც ჩანეთი, მაგრამ, როგორც ეს სრულიად სწორად ამოხსნა ნ. აღონციმა, აქ, ცხადია, იგულისხმება „ქენთა“ ქვეყანა, ჭანეთი, რომელიც სწორედ მამიკონელთა საგვარეულო მხარის ტაოს გვერდით მდებარეობს⁴.

ეს გადმოცემა მამიკონელთა გვარეულობის წარმომადგენლის მოსვლის შესახებ სომხეთის მეფის კარზე, ცხადია, გულისხმობს მამიკონელთა ქვეყნის (ე. ი. ტაოს ერთი ნაწილის) სომხეთთან პოლიტიკური დაკავშირების ფაქტს.

თუ რა დროს მოხდა ეს, ამის შესახებ ფავსტოს ბიზანტიელი არას გადმოგვცემს.

¹ იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, 1889, III, 18, (გვ. 47), IV, 2 (გვ. 67), IV, 18 (გვ. 132).

² იხ. იქვე.

³ იხ. იქვე, V, 37.

⁴ იხ. ნ. აღონცი, op. cit., გვ. 402—4.

რაც შეეხება იმ გადმოცემებს, რომლებიც დაცული აქვთ მამიკონელთა გვარეულობის შესახებ უკანასკნელ ორ ავტორს — სებეოსის ანონიმსა და მოსე ხორენელს, ისინი ზოგად ქრონოლოგიურ მითითებებს შეიცავენ. ეს ორი ავტორი მამიკონელთა გვარეულობის მოსვლას სომხეთის მეფის კარზე (ე. ი. მამიკონელთა ქვეყნის, — ტაოს ერთი ნაწილის, — სომხეთთან პოლიტიკურად დაკავშირებას) — მიაკუთვნებენ მესამე საუკუნეს: აქედან პირველი (ანონიმი) მესამე საუკუნის პირველ ნახევარს (228 წლის წინარე დროს), ხოლო მოსე ხორენელი მესამე საუკუნის დასასრულს (297 წლის ახლო დროს)¹.

ეს თარიღი — მესამე საუკუნე — დაცული გადმოცემებში, უდგება იმ ქრონოლოგიურ რკალს, რომელიც ჩვენ ზემოთ დავადგინეთ ისტორიული წყაროების ანალიზის საფუძველზე.

რაც შეეხება იმას, თუ რა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში მოხდა ტაოს ამ ნაწილის (მამიკონელთა სამფლობელოს) პოლიტიკური დაკავშირება სომხეთთან, ეს ჩვენთვის უცნობი რჩება საისტორიო წყაროების უქონლობის გამო.

არაა გამორიცხული, რომ აქ აღგილი ჰქონდა არა დაპყრობას, არამედ მამიკონელთა გვარის განდგომას რალაც შინაური აშლილობის გამო, რაზედაც ბუნდოვანი ხსოვნა დაცულია ფავსტოს ბიზანტიელის მიერ შემონახულ საისტორიო გადმოცემაში.

*

შემდგომი ისტორია ტაოს იმ ნაწილისა, რომელიც პოლიტიკურად დაუკავშირდა სომხეთს, ცნობილია.

მე-4 საუკუნის დასასრულს (387 წელს) — არშაკიდების სომხეთის ორად გაყოფის დროს ირანსა და ბიზანტიას შორის, ტაოს დასახელებული მხარე ირანის წილში მოექცა. ხოლო მეხუთე საუკუნის პირველ ნახევრიდან (429 წლიდან), მეფობის მოსპობის შემდეგ, ტაოს ეს მხარე, აღმოსავლეთ სომხეთის სხვა მხარეებთან ერთად, ირანის პროვინციად იქცა.

591 წელს ტაოს დასახელებული ნაწილი ბიზანტიამ შეიერთა. მე-7 საუკუნის დასაწყისში იგი ერთხანად ისევ ირანის ხელშია, ხოლო ერეკლე კეისრის ლაშქრობის შემდეგ აღმოსავლეთში, მე-7 საუკუნის 20-იანი წლებიდან მოკიდებული, ტაოს ეს მხარე კვლავ ბიზანტიის საზღვრებში შევიდა.

მე-7 საუკუნის შუა წლებიდან მოკიდებული ტაოს ეს ნაწილი ხან არაბების, ხან ბიზანტიის ხელში იყო, ხოლო მე-7 საუკუნის დასასრულისათვის აქ არაბთა მფლობელობა მყარდება.

მე-8 საუკუნის 30-იან წლებში ტაოს დიდი კატასტროფა დაატყდა თავს. როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ამ დროს, მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, არაბთა დამსჯელმა ექსპედიციებმა, მურვან-ყრუს მხედართმთავრობით, ცეცხლითა და მახვილით გაიარა ქოროხის ხეობაში მდებარე მხარეებზე და ნანგრევებად აქცია იგი. ტაოს მხარე ამის შემდეგ კარგა ხანი აღარ აღდგენილა.

ტაოს მხარის ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, საქართველომ დაიბრუნა მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე. მე-8 საუკუნის უკა-

¹ იხ. სებეოსი, 1879, გვ. 11; მოსე ხორენელი, II, 81.

ნასკნელ მეოთხედში, მესხეთის მფლობელის ადარნერსე მთავრის დროს საქართველოს ფარგლებში შესულა არსის ხეობა (არსის-ფორი)¹. ხოლო მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში ქართველთა სამეფოს შემოუერთებია ტაოს სამხრეთი სანაპიროები. საქართველოს სამხრეთი საზღვარი მიტანილ იქმნა თეოდოსიოპოლის (თანამედროვე არზრუმის) მიჯნამდე, ქაჯის ციხემდე, რომელიც ქართლის-ყელის (გურჯი-ბოლანის) ვიწრობთან ჰკეტავდა საქართველოსაკენ მომავალ გზებს².

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ტაოს ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, საქართველოს დაუბრუნდა ნანგრევების სახით.

მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში, ქართველთა მეფე-კურაპალატის აშოტ I დიდისა და მისი მემკვიდრის ბაგრატ I-ის დროს ტაოს მხარეში სწარმოებს დიდი მშენებლობა.

ქართველ მოღვაწეთა მიერ გაწეული დიდი ღვაწლის შედეგად ტაო აღდგა ნანგრევებიდან. მე-9 საუკუნიდან მოკიდებული ტაო გადაიქცა მოწინავე მხარედ, ქართული განათლებისა და ქართული კულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცენტრად.

ბ

ტაოს ტერიტორიული მოცულობა.

ტაოს მხარეები: აშიერი ტაო და იშიერი ტაო.

როგორი იყო ტერიტორიული მოცულობა ტაოს იმ ნაწილისა, რომელიც მე-4 — 8 საუკუნეებში პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული?

ასეთი კითხვა დღემდე არც კი ყოფილა დასმული. ყველა, ვინც კი შეხება ტაოს ისტორიის საკითხებს, ვარაუდობდა, რომ იმ პერიოდის მანძილზე, როდესაც ტაოს ტერიტორია სომხეთთან იყო დაკავშირებული, სომხეთში ვითომც შედიოდა მთელი ტაო (იმ საზღვრებში, რომელიც ტაოს გვიან ხანაში ჰქონდა) და ამას გარდა კოლის უბანი არტაანის მხარისა.

მაგრამ ეს შეხედულება, როგორც ირკვევა, არაა სწორი. სომხეთთან პოლიტიკურად დაკავშირებული ყოფილა არა მთელი ტაო, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი.

რათა გავერკვეთ ამ საკითხში, საჭიროა გავეცნოთ ტაოს ისტორიულ გეოგრაფიას.

(იხ. თანდართული რუკა: ტაონი, სპერი და კოლას უბანი არტაანის მხარისა).

*

ტაო ძველ-ქართულ წყაროებში მოიხსენება შემკრებელობითი სახელით: ტაონი³. (შეად. სომხური ტაიქ, იგივე ტაონი).

ტაონი შედგებოდა ორი ნაწილისაგან: ერთ ნაწილს ერქვა „აშიერი ტაო“ (ანუ ქვემო ტაო), მეორეს — „იშიერი ტაო“ (ანუ ზემო ტაო)⁴.

¹ იხ. მატთანე ქართლისა, გვ. *441/218.


² იხ. ზემოთ, გვ. 61 და შემდეგი.

³ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 29, შდრ. მატთანე ქართლისა, გვ. *463/239.

⁴ იხ. სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა, გვ. *582/352, მატთანე ქართლისა, გვ. *463/239, *441/218.

ტაოი, სპერტი

ლაკოლას უბანი არშანის მხარისა



შენიშვნა. ციფრებით აღნიშნულია ამიერი ტაოს და იმიერი ტაოს კანტონები, სახელდობრ: ამიერი ტაოს კანტონები: 1 — ტაოს-კარი, 2 — ფანასკერტი, 3 — ბანა, 4 — ლაოსი, 5 — მამროფანი, იმიერი ტაოს კანტონები: 6 — კოლი, 7 — არსის-ხეობა, 8 — ახორთის-ხეობა, 9 — თქალე, 9ა — ქართლის ყელის ტე-უბანი, 10 — ბუხა, 11 — კაკტი, 12 — ბერდისის-ხეობა, 13 — ბარტიზის-ხეობა.

ეს დაყოფა „ამიერი ტაო“ და „იმიერი ტაო“, ჩანს, იმ დროიდან მომდინარეობს, როდესაც ტაო ორად იყო გაყოფილი: ერთი ნაწილი („ამიერი ტაო“) საქართველოს საზღვრებში შედიოდა, ხოლო მეორე ნაწილი („იმიერი ტაო“) პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული.

ამიერი ტაო (ე. ი. ტაოს ის ნაწილი, რომელაც ყოველთვის საქართველოს საზღვრებში შედიოდა) მოიცავდა მდინარე ოლთისის წყალის ხეობას, დაწყებული მამროვანის (ნამროვანის) კარებიდან (ვიწროებიდან), ვიდრე ტაოს-კარის სექტორამდე. ეს არის ბანა-ოლთისის პროვინცია.

იმიერი ტაო (ე. ი. ტაოს ის ნაწილი, რომელიც ერთხანად პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული) შეიცავდა ტაოს საჩხრეთსა და დასავლეთ სანაპიროებს, დაწყებული მდინარე ბარდუსის-წყალის სათავეებიდან — ქოროხამდე.

*

თუ როგორი იყო ტერიტორიული მოცულობა იმიერი ტაოსი (ე. ი. ტაოს იმ ნაწილისა, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული), ეს ზუსტად ირკვევა სომხური უსახელო გეოგრაფიიდან და სხვა სომხური საისტორიო წყაროების ჩვენებებიდან.

სომხური უსახელო გეოგრაფიის ცნობების თანახმად სომხეთის ფარგლებში შემავალი ტაო შეიცავდა შემდეგ კანტონებს (უბნებს):

კოლი. — ბერდისის ხეობა. — პარტიზის ხეობა. — ქაკატი. — ბუხა. — ოქალე. — აზორდის (აზორთის) ხეობა. — არსის ხეობა.

ამრიგად, ტაოს ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, რვა კანტონისაგან შედგებოდა.

პირველად აქ დასახელებულია კანტონი კოლი, სადაც მდებარეობდა მთელი მხარის პოლიტიკური და საეკლესიო ცენტრები (კოლი და იშხანი).

დანარჩენი შვიდი კანტონი ჩამოთვლილია გეოგრაფიული თანამიმდევრობით, დაწყებული მდინარე ბერდისის სათავეებიდან — ვიდრე ქოროხამდე.

ბერდისის ხეობა — არის თანამედროვე დაბა ბარდუსის სექტორი.

პარტიზის ხეობა — არის ბარდუსის მეზობლად მდებარე სექტორი ძველი დაბა პარტიზისა (ამჟამად ეწოდება პერტუსი).

ქაკატი — არის დაბა ილის სექტორი.

ბუხა — არის სექტორი ბუხას ანუ ბუხათა-ყურის (ბულათა-ყურის) ციხისა მდინარე ოლთისის-წყალის სათავეებში (ამჟამად ბუჰა-კალა ანუ ბუჰა-კალა).

ოქალე (რომლის საზღვრებშიაც წყაროები ასახელებენ დღემდე არსებულ სოფლებს: ვარდიშენი, გელიკი და წალიკი) — ეს არის ზემო-თორთომის ხეობა და გურჯი-ბოლაზის (ქართლის ყელის) სექტორი.

აზორდის (აზორთის) ხეობა — არის შუა-თორთომის ხეობა (სადაც დღემდის არსებობს სოფელი — აზორდის სახელწოდებით).

არსის-ხეობა — არის დაბა ოკდემის სექტორი, ქოროხის მარჯვენა სანაპიროზე (სადაც დღემდე არსებობს პუნქტი ამ სახელწოდებით: არსისი).

ამრიგად, ზემოთ-ჩამოთვლილი შვიდი კანტონის ლოკალიზაცია ზუსტად ხერხდება.

დაგვიჩვენა ამის შემდეგ დავადგინოთ, თუ სად მდებარეობდა იმიერი

ტაოს პირველი (ცენტრალური) კანტონი: კოლი. ამ საგანზე ჩვენ მოგვიხდება უფრო დაწვრილებით შეეჩერდეთ, რადგან ამ კანტონის შემცდარ ლოკალიზაციას სრული არეგ-დარევა შეჰქონდა ტაოს ისტორიის საკითხებში.

აქ გასათვალისწინებელია შემდეგი.

ძველ-ქართული და ძველ-სომხური წყაროების ჩვენებათა შედარებითი შესწავლიდან ირკვევა, რომ მესხეთის მხარეებში არსებულა ორი რაიონი, რომელთაც ეწოდებოდა მსგავსი სახელები: კოლა (კოლაჲ) და კოლი.

პირველი ამათგანი კოლა (კოლაჲ) მდებარეობდა მტკვრის სათავეებში; იგი შეადგენდა არტაანის (არტაან-კოლას) მხარის ნაწილს და შედიოდა ჯავახეთის (წუნდის) საერისთავოს ფარგლებში¹.

ხოლო მეორე ამათგანი, კოლი (სომხური წყაროების „კოლ“), მდებარეობდა ქოროხის ხეობაში; იგი შედიოდა ტაოში და შეადგენდა იმიერი ტაოს ნაწილს.

ამ ორი კუთხიდან უფრო ცნობილია პირველი, მტკვრის კოლა, რომელსაც შედარებით ფართო ტერიტორია უჭირავს.

გვიან ხანაში მესხეთის მხარეთა გეოგრაფიის უკოდინარი მწერლები ერთიმეორეში ურევენ ამ ორ კუთხეს, — მტკვრის ხეობის (არტაანის) კოლას და ქოროხის ხეობის (ტაოს) კოლს.

სომხური უსახელო გეოგრაფიის ვრცელ ვერსიაში ტაოს კოლის შესახებ შეცდომით არის აღნიშნული, რომ იგი ვითომც მდებარეობს მტკვრის ხეობაში; ამრიგად, აქ ერთმანეთშია არეული ქოროხის ხეობის კოლი და უფრო ცნობილი მტკვრის ხეობის კოლა.

რაც შეეხება სომხური გეოგრაფიის მეორე ვერსიას, აქ ასეთ შეცდომას არა აქვს ადგილი, მითითება მტკვრის შესახებ ამ მეორე ვერსიაში არ მოიპოვება.

აქ საჭიროა ხაზი გაეუსვათ იმ გარემოებას, რომ ტაოს მხარეები, როგორც ამიერი ტაო, ისე იმიერი ტაო, ქოროხის ხეობაშია განფენილი და ამის მიხედვით ტაოს ფარგლებში შემავალი კანტონი კოლი ცხადია ქოროხის ხეობაში არის საძიებელი.

რომ იმიერი ტაოს ეს კანტონი კოლი ქოროხის ხეობაში მდებარეობდა, ეს სრულიად უდავოდ ირკვევა მე-8 საუკუნის სომეხთა ისტორიკოსის ლეონტი მოძღვარის ჩვენების მიხედვით. ეს ჩვენება სომეხთა ამ ისტორიკოსისა მით უფრო საყურადღებოა და გადამწყვეტი მნიშვნელობისა, რომ იგი ეკუთვნის იმ ხანას, როდესაც იმიერი ტაო სომეხთთან იყო დაკავშირებული.

ლეონტი მოძღვარი აგვიწერს, რომ არაბების მიერ შევიწროებული მოსახლეობის ერთმა დიდმა ჯგუფმა (რომელსაც შეადგენდა 12.000 მხედარი, დედა-წულით, ქალებითა და ბავშვებით) განიზრახა საბერძნეთში გადასვლა; ლეონტი მოგვითხრობს:

„უწყალო მტრები [არაბები] დაედევნენ მათ [ლტოლვილებს] და დაეწივნენ იბერიის საზღვართან, კანტონში, რომელსაც ეწოდება კოლი („კოლ“). მაგრამ მათ [ლტოლვილებმა] დაამარცხეს არაბები, გაჰფანტეს ისინი, ხოლო თვით გადავიდნენ მდინარე აკამფსისზე (ქოროხზე), რომელიც მომდინარეობს ტაოს ქვეყანაზე, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, და გაივლის რა ეგერს (კოლხეთს), შეერთვის პონტოს (შავ ზღვას)“².

¹ იხ. ლეონტი მროველი, გვ. *129/21,

² იხ. ლეონტი მოძღვარი, ისტორია ხალიფთა, 1887 წ., გვ. 168.

ამრიგად, ლეონტი მოძღვარის ამ სრულიად გარკვეული ცნობის თანახმად ტაოს (იმიერი ტაოს) კანტონი კოლი მდებარეობდა „იბერიის საზღვართან“, მდინარე აკამფსისის (ქოროხის) სანაპიროზე.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ მეორე ძველი ავტორის—მოსე ხორენელის ცნობის მიხედვითაც კოლის კანტონი მდებარეობდა ტაოს ქვეყანაში, პარხარის მთიანეთის ზონაში, ე. ი. ქოროხის ხეობაში¹.

კერძოდ, ლეონტი მოძღვარის ჩვენება იმდენად ნიშანდობლივია, რომ შესაძლებელი ხდება ზუსტი ლოკალიზაცია ამ კანტონისა: კოლი, იმიერი ტაოს მთავარი კანტონი, ცხადია, არის დაბა იშხანის ზონა.

აქ გასათვალისწინებელია შემდეგი:

1. იშხანის ზონა მდებარეობს იმიერი ტაოს ჩრდილო-დასავლეთ სექტორში. მას ჩრდილოეთის მხრით ადგება კლარჯეთი (რომელიც იბერიის საზღვრებში შედიოდა), ხოლო სამხრეთის მხრივ ადგება იმიერი ტაოს კანტონები (რომლებიც ლეონტის დროს სომხეთთან იყო დაკავშირებული). მაშასადამე, იშხანის ზონა იდენტურია კოლის კანტონთან, რომელიც ლეონტის ცნობით „იბერიის საზღვართან“ მდებარეობდა.

2. კოლის კანტონი, ლეონტის ცნობის თანახმად, ესაზღვრებოდა მდინარე ქოროხს; ხოლო იშხანის ზონა, მართლაც, მდინარე ქოროხის მოსაზღვრეა.

3. სახელწოდება კანტონისა კოლი, ცხადია, მომდინარეობს დაბის სახელიდან, ისევე როგორც ტაოს დანარჩენი კანტონების სახელები. ხოლო იშხანის ზონაში, მდინარე ქოროხის ნაპირას მდებარეობს დაბა, რომელსაც ამჟამად ეწოდება კოლიკი (იგი წინათ სარაიონო ცენტრი იყო და ამის გამო მას აგრეთვე ეწოდება „ლივანა კოლიკი“, ე. ი. სარაიონო დაბა კოლიკი). აშკარაა ეს დაბა, რომელსაც ამჟამად „კოლიკი“ ჰქვია (რომელიც ამასთან სწორედ ქოროხის ნაპირას მდებარეობს), არის ის ძველი დაბა კოლი, რომელსაც მიუყვია სახელწოდება კოლის კანტონისათვის.

საკითხი ამრიგად სავსებით ნათელია.

დამატებით აქ რამდენიმე შენიშვნა მტკვრის ხეობაში მდებარე კანტონის კოლას შესახებ, რომელსაც მკვლევარნი შეცდომით მიიჩნევდნენ ტაოს (იმიერი ტაოს) ნაწილად, ურევდნენ მას ქოროხის ხეობის კანტონ კოლთან.

ა. რომ მტკვრის ხეობაში მდებარე კანტონი კოლა არ არის და არც შეიძლებოდა ყოფილიყო იმიერი ტაოს ნაწილი, ამას ადასტურებს შემდეგი: მტკვრის ხეობის კოლა ტერიტორიულად არ ესაზღვრება იმიერი ტაოს კანტონებს; იგი იმიერი ტაოს მოწყვეტილია ოლთის-ბანას პროვინციით (იმიერი ტაოს მხარით), რომელიც სომხეთთან არასოდეს არ ყოფილა დაკავშირებული.

ბ. ქართულ საისტორიო წყაროებში არ არის არც ერთი შემთხვევა, როდესაც მტკვრის ხეობის კოლა ტაოს ნაწილად იყოს დასახელებული. მტკვრის ხეობაში მდებარე კანტონი კოლა წყაროებში ყოველთვის მოიხსენება როგორც ნაწილი არა ტაოსი, არამედ არტაანის მხარისა, რომელთანაც იგი ერთ ერთეულს წარმოადგენს შემდეგის საერთო სახელწოდებით: კოლა-არტაანი ანუ არტაან-კოლა.

¹ იხ. მოსე ხორენელი, II, 6.

გ. ძველი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება შეფარდებული იყო ხოლმე ბუნებრივ გეოგრაფიულ პირობებთან; ხოლო მტკვრის ხეობაში მდებარე კოლა გეოგრაფიულად სულ სხვა ზონას წარმოადგენს, ვიდრე ტაო. ეს უკანასკნელი ქოროხის ხეობაში არის განფენილი და არც ერთი სექტორით იგი მტკვრის ხეობაში არ გადმოდის.

ჩვენ ამით დავასრულებთ იმიერი ტაოს კანტონების გეოგრაფიული განლაგებისა და ტერიტორიული მოცულობის საკითხის განხილვას. ირკვევა ამრიგად, რომ იმიერი ტაოს დასახელებული კანტონები მოიცავდა ისტორიული ტაოს სამხრეთსა და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილებს.

*

გავეცნოთ ამის შემდეგ ამიერი ტაოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დანაწილებას.

საშუალო საუკუნეებში ტაოს ორივე ნაწილი, როგორც ამიერი ტაო, ისე იმიერი ტაო (ეს უკანასკნელი საქართველოსთან გაერთიანების შემდეგ) განიყოფებოდა შემდეგ ადმინისტრაციულ ერთეულებად (კანტონებად ან უბნებად).

ამიერი ტაო (ე. ი. ტაოს ის ნაწილი, რომელიც მუდამ საქართველოს ფარგლებში შედიოდა), განიყოფებოდა ხუთ კანტონად:

ტაოს-კარი. — ფანასკერტი. — ბანა. — ოლთისი. — მამროვანი (ნამროვანი)¹.

რაც შეეხება იმიერ ტაოს, მისი ახალი ადმინისტრაციული დანაწილება (საქართველოსთან გაერთიანების შემდეგ), შედარებით ძველ ადმინისტრაციულ დანაწილებასთან (როდესაც ეს კუთხე სომხეთთან იყო დაკავშირებული) ასეთ შეფარდებას წარმოადგენს:

იმიერი ტაო:		იმიერი ტაო:
ძველად არსებული დანაწილება კანტონებად (მე-8 — 9 საუკუნეებამდე)		ახალი ადმინისტრაციული დანაწილება კანტონებად (მე-8 — 9 საუკუნეთა შემდეგ)
<p>ა. კოლი</p> <p>ბ. არსის-ხეობა</p> <p>გ. ახორდის ხეობა</p> <p>დ. ოქალე</p> <p>ე. ბუზა</p> <p>ვ. ჭაკატი</p> <p>ზ. ბერდისის ხეობა</p> <p>ც. პარტიხის ხეობა</p>	<p>} } } } } } }</p>	<p>ა. არსის ხეობა²</p> <p>ბ. თორთომი³</p> <p>(გაერთიანებულია მე-5 კანტონთან მამროვანთან)³</p> <p>(გაერთიანებულია მე-4 კანტონთან — ოლთისთან)³</p> <p>გ. პარტიხის ხეობა³</p>

¹ იხ. მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობა (ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907 წ., გვ. 77). — დავით და ტირიჭანის მართკვილობა (ილ. აბულაძის გამოცემა, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, 1944, გვ. 113).

² იხ. მატჩანე ქართლისა, გვ. *441/218; დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *514/282; მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობა, გვ. 76: „ტაოს-კარს ქვემოთი“ [= არსის ხეობა].

³ იხ. მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობა, გვ. 76—77.

თუ როგორი იყო ტერიტორიული განლაგება ტაოს ამ ორივე ნაწილის ადმინისტრაციული ერთეულებისა, მკითხველი გაეცნობა თანდართულ რუკაზე.

*

დაგვრჩენია შეეჯამოთ ზემოთ-დადგენილი და გამოვიტანოთ დასკვნები. წყაროების განხილვიდან, ამრიგად, დადასტურდა, რომ მე-4—8 საუკუნეთა მანძილზე სომხეთთან დაკავშირებული იყო არა მთელი ტაო, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი „ამიერი ტაო“, რომელსაც თვით ეს სახელწოდება „ამიერი“, ჩანს, იქიდან მიუღია, რომ იგი ერთხანად მოწყვეტილი იყო საქართველოს.

რაც შეეხება ამიერ-ტაოს, ე. ი. ოლთის-ბანას პროვინციას (რომელიც მოიცავდა მდინარე ოლთისის-წყალის ხეობას მამროვანის კარებიდან მოკიდებული ვიდრე ტაოს-კარამდე), იგი, როგორც ირკვევა, ყოველთვის საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

რომ ტაოს იმ ტერიტორიაში, რომელიც ერთ ხანად სომხეთთან იყო დაკავშირებული, არ შედიოდა ამიერი ტაოს მხარე (ე. ი. ოლთის-ბანას პროვინცია), ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ სომხეთის ტაოს შემადგენლობაში არც ერთ სომხურ საისტორიო წყაროში ერთხელაც არაა მოხსენებული ამიერი ტაოს კანტონები: ტაოს-კარი, ბანა, ფანასკერტი (ფანახსკერტი), ოლთისი და მამროვანი.

უფრო მეტი: ამიერი ტაოს ეს კანტონები და ეს პუნქტები არა თუ არაა მოხსენებული სომხურ საისტორიო წყაროებში როგორც ნაწილი სომხეთისა. სომხური ტაოსი, არამედ სომხური წყაროები საერთოდ ნაკლებად იცნობენ ამ მხარეს, ამიერ ტაოს, საქართველოს ამ ძირითად ნაწილს. როგორც ცნობილია, ძველ-სომხური საისტორიო წყაროები ვიდრე მე-8 საუკუნემდე (ე. ი. ვიდრე იმ დრომდე, სადამდისაც იმიერი ტაო სომხეთთან იყო დაკავშირებული) ხშირად ასახელებენ, სომხეთის პოლიტიკურ ისტორიასთან დაკავშირებით, იმიერ ტაოს კანტონებსა და დასახლებულ პუნქტებს (იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, ლაზარე ფარპელი, მოსე ხორენელი, სებეოსი, ლეონტი მოძღვარი, აგრეთვე უსახელო გეოგრაფიის პირველადი ტექსტი, სამხედრო გუჯარი და გაჰნამაკი). ხოლო ამ ძველ სომხურ წყაროებში, რომლებიც ეკუთვნიან ხანას ვიდრე მე-8 საუკუნემდე, არც ერთხელ არ მოიხსენება ამიერი ტაოს (საქართველოს ტაოს) არც ერთი ზემოთ ჩანოთვლილი კანტონი (ტაოს-კარი, ბანა, ფანახსკერტი, ოლთისი, მამროვანი) და არც ამ კანტონების ფარგლებში მდებარე ცალკეული დასახლებული პუნქტები.

ასეთია ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ჩვენებანი, რაც ირკვევა ამ საკითხის გამო საისტორიო წყაროების ანალიზიდან.

ამრიგად, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ იყო გარკვეული, დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ისტორიული ფაქტი: მე-4—8 საუკუნეებში სომხეთთან პოლიტიკურად დაკავშირებული ყოფილა არა მთელი ისტორიული ტაო, არამედ მხოლოდ მისი ერთი ნაწილი, იმიერი ტაო.

იმიერი ტაოს მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა

ტაოს მხარის ძირეულ მოსახლეობას, როგორც ცნობილია და როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, შეადგენდა ქართველი ტომი ტაოხები ანუ ტაოელნი.

საკითხავია, რა ცვლილებები მოხდა იმიერი ტაოს მოსახლეობის ეთნოგრაფიულ შემადგენლობაში მას შემდეგ, რაც ეს მხარე სომხეთს დაუქავშირდა: შეიცვალა მან თავისი ეთნოგრაფიული სახე?

როგორც ირკვევა, არა. იმიერი ტაო, მოსახლეობის შემადგენლობისა და აქ გავრცელებული ენის მიხედვით, როგორც იყო წარსულში, ისევე ამის შემდეგაც ძირითადად ქართულ მხარედ დარჩენილა.

ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ იმიერ ტაოში არ ჰქონოდეს ადგილი სომხური ელემენტების ნაწილობრივ ჩამოსახლებას. მაგრამ ამას, როგორც ირკვევა, არ ჰქონია იმდენად ფართო ხასიათი.

საისტორიო წყაროებში დაცულია შემდეგი ცნობები ტაოს მხარეში უცხო ელემენტების ჩამოსახლების შესახებ.

ძველი ქართველი ავტორის არსენი საფარელის ცნობებით, მე-7 საუკუნის დასაწყისში, სარწმუნოებრივი უთანხმოების ნიადაგზე, სომეხთა კათალიკოზმა მოსემ განდევნა სომხეთიდან ქალკედონიტობის (მართლმადიდებლობის) მიმდევარი სამღვდლოება. არსენის ცნობით, სომხეთიდან დევნილი ეს სამღვდლოება „წარვიდეს რომელნიმე იონთა თანა (ე. ი. საბერძნეთს), რომელნიმე ტაოს“¹. ტაო ამ დროს, მე-7 საუკუნის დასაწყისში, ბიზანტიის ფარგლებში იყო მოქცეული და აქ ქალკედონიტობა (მართლმადიდებლობა) გაბატონებულ სარწმუნოებას წარმოადგენდა.

უცხო ელემენტის ამ ჩასახლებას ტაოში სრულებითაც არ ჰქონია რაიმე ფართო ხასიათი, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს. არსენი საფარელს პირდაპირ აღნიშნული აქვს, რომ გადასახლდნენ მხოლოდ „მღვდელნი“, და არა თვით სამწყსო. ამრიგად, ეს ჩასახლება უცხო ელემენტისა ტაოში მე-7 საუკუნის დასაწყისში რიცხობრივად სრულიად უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო.

მეორე ცნობა ტაოში უცხო ელემენტების ჩასახლების შესახებ ეკუთვნის მე-8 საუკუნის ბოლო წლებს. სომეხ ისტორიკოსს ვარდან დიდს მოთხრობილი აქვს, რომ მე-8 საუკუნის დასასრულს სომეხთა მთავარმა აშოტ მისაკერმა ალიოვიტის ოლქიდან გადაასახლა ტაოში (იმიერ ტაოში) გუნუიანთა თემი².

ეს არის და ეს. სხვა ცნობა უცხო ელემენტების ჩასახლების შესახებ ტაოში საისტორიო წყაროებში აღნიშნული არაა.

¹ იხ. არსენი საფარელი, თ. ყორდანის გამოცემა (ქრონიკები, I), გვ. 329.

² იხ. ვარდან დიდი, 1861 წ. ნ. ემინის რუს. თარგმანი, გვ. 98.

რასაკვირველია, ეს და სხვა ასეთი სპორადული, ცალკეული შემთხვევები უცხო ელემენტის ჩამოსახლებისა ვერ შესცვლიდა და არც შეუცვლია იმიერი ტაოს ეთნოგრაფიული სახე.

რომ იმიერი ტაო მოსახლეობის შემადგენლობისა და აქ გავრცელებული სალაპარაკო ენის მიხედვით ქართულ მხარედ დაჩინილა, ამის შესახებ მოიპოვება პირდაპირი ჩვენებანი.

უარესად საყურადღებოა ცნობა მე-8 საუკუნის სომეხთა მწერლის სტეფანოს სივნიელისა; ეს ცნობა ეკუთვნის იმ პერიოდს, როდესაც იმიერი ტაო ჯერ კიდევ სომხეთთან იყო დაკავშირებული.

სტეფანე სივნიელის ცნობის თანახმად, მე-8 საუკუნეში, სომხეთის შვიდი მხარე, რომლებიც მდებარეობდნენ სომხეთის სანაპიროებზე, ენობრივად განირჩეოდა შიდა სომხეთისაგან; ამ შვიდ მხარეში გავრცელებული ყოფილა „მოსახლვრე დიალექტები“, ადგილობრივი ენები. ეს შვიდი მხარე შემდეგი ყოფილა: ტაო (იპიერი ტაო), სპერი (ზემო სპერი); სომხეთის მეოთხე ოლქი (ხანძითის მხარე), ხოჯთის მხარე (ხოჯთი-სასუნი), არწახი, სივნიეთი და კორქეა (კორდუნა)¹.

ენობრივად ეს შვიდი მხარე ასე ნაწილდება:

ა) ქ ა რ თ უ ლ ი ჯ გ უ ფ ი: ტაო (იმიერი ტაო) და სპერი (ზემო სპერი);

ბ) ხ ე თ უ რ - ს უ ბ ა რ უ ლ ი ჯ გ უ ფ ი: სომხეთის მეოთხე ოლქი (ხანძითის მხარე, სადაც გავრცელებული იყო ორთაელთა ენა) და ხოჯთი-სასუნი (სადაც გავრცელებული იყო ხოჯთელთა (resp. ბეთელთა) ენა, რომელსაც აგრეთვე „არტანი“-ს სახელიც ეწოდებოდა);

გ) ა ლ ბ ა ნ უ რ ი ჯ გ უ ფ ი: არწახი (სადაც გავრცელებული იყო ალბანური ანუ არანული) და სივნიეთი (სადაც გავრცელებული იყო სივნიური ენა ალბანური ჯგუფისა).

დ) ი რ ა ნ უ ლ ი ჯ გ უ ფ ი: კორქეა ანუ კორდუნა (სადაც გავრცელებული იყო ქურთული)².

¹ იხ. სტეფანოს სივნიელი, გამოცემა ნ. აღონცისა, *Днишский Фракийский и армянские топонимы*, 1915 წ., გვ. 187.

² სტეფანოს სივნიელის ტექსტის ინტერპრეტაციის გამო აქ საჭიროა შემდეგი აღნიშვნით: რომ სტეფანოს სივნიელი „მოსახლვრე დიალექტები“-ს სახელწოდებით გულისხმობს ადგილობრივს დამოუკიდებელ ენებს, რომლებიც გავრცელებული ყოფილა დასაულებულ პროვინციებში, ეს დასტურდება მთელი რიგი სხვა საისტორიო წყაროების ცნობებიდან, რომლებიც ჩვენ მოგვცავენ ცალკეულ მხარეებში გავრცელებული ენების შესახებ. აღნიშნავთ აქ ამ წყაროებს:

ა) ო რ თ ა ე ლ თ ა ე ნ ის შესახებ—იხ. სირიული წყაროები Nöldeke, *ZDMG*, 33, 163 f—იოსუა სილიტი Wright-ის გამოცემა, 39,9.

ბ) ხ ო ჯ თ ე ლ თ ა ე ნ ის (იგივე „არტანი“-ს ენის) შესახებ—იხ. თომა არწრუნი, 1887 წ. გვ. 121; Nöldeke, *ZDMG*, 33, 165, Tomaschek, *Sasun*, 21.

გ) ს ი ვ ნ ი ე ლ თ ა (სისაქანის ქვეყნის) ენის შესახებ—იხ. ზაქარია რიტორი, (გეორგიკა, III, გვ. 17) და ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I, 1928, გვ. 296. (იხ. აგრეთვე მოსე ხორენელის ცნობა სივნიეთის შესახებ, რომ სივნიეთი მდებარეობდა „სომხური ენის საზღვარზე“, II, 8).

დ) ა ლ ბ ა ნ ე ლ თ ა (არანელთა) ენის შესახებ, რომელიც გავრცელებული იყო მე-10 საუკუნეში არწახ-უტის ზონაში (ბარდავის მხარეში)—იხ. ცნობა არაბული წყაროებისა, ი. მარკარტი *Iran*. გვ. 117. არწახელთა შესახებ, როგორც სომეხებისაგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფზე, იხ. აგრეთვე ცნობა სოჰეხი ისტორიკოსის ელისესი. 1859, გვ. 72.

ე) კ ო რ დ უ ე ლ თ ა (კორქეელთა) შესახებ, როგორც სომეხებისაგან განსხვავებულ ეთნიკურ ჯგუფზე—იხ. ცნობა სომეხი ისტორიკოსის ელისესი, 1859, გვ. 10, 39.

უაღრესად საყურადღებოა აგრეთვე ცნობა მოსე ხორენელისა. ეს სომეხი ისტორიკოსი, ეხება რა სომხეთის დასავლეთ სანაპიროებს, სპერსა და მის მიმდგომ მხარეებს (სპერისა და ტაოს ზონას), აღნიშნავს, რომ ამ მხარეებში „უკვე აღარ იხმის სომხური ენა“ (იხ. მოსე ხორენელი II, 3).

ასეთია ის ცნობები, რომლებიც ჩვენს საისტორიო წყაროებში მოგვეპოვება აქ აღძრული საკითხის გამო და რომელთა მიხედვითაც ჩვენ საფუძველი გვეძლევა დავასკვნათ, რომ ტაოს იმ ნაწილს, რომელიც ერთხანად სომხეთთან იყო დაკავშირებული, ე. ი. იმიერ ტაოს, ეთნოგრაფიულად არ შეუცვლია თავისი სახე; იმიერი ტაო, მოსახლეობის შემადგენლობითა და აქ გავრცელებული ენის მიხედვით, როგორც თავიდანვე იყო ქართული, ისე ამის შემდეგაც ქართულ მხარედ დარჩენილა.

ღ

ქველ-ქართული მწერლობის ძეგლი: „მარტილობა ცხრათა კოლაელთა“. შემცდარი განმარტებანი ამ ძეგლის წარმოშობისა და თარიღისა ტაოს მხარის ისტორიის საკითხებთან დაკავშირებით.

იმის გამო, რომ დღემდე არ იყო სწორად ამოხსნილი ტაოს და მეზობელ მხარეთა ისტორია, არ იყო გარკვეული ტერიტორიული მოცულობა იმ კუთხისა, რომელიც მე-4—8 საუკუნეებში პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული, ე. ი. იმიერი ტაოსი, არ იყო აგრეთვე გათვალისწინებული, თუ როგორი იყო ამ კუთხის — იმიერი ტაოს ეთნოგრაფიული სახე, მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა, — ყოველივე ამის გამო სრულიად უაღრესად გაშუქებას ღებულობდა ქართული კულტურის ისტორიის მთელი რიგი საკითხები.

აქ ჩვენ ამგზის შევჩერდებით იმ შემცდარ შეხედულებებზე, რომელნიც გამოთქმული იყო ტაოს მხარის ისტორიასთან დაკავშირებით ძველი ქართული მწერლობის ძეგლებზე: „მარტილობა ცხრათა კოლაელთა“.

ძველი ქართული მწერლობის ამ ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწარმოების შესახებ აკად. კ. კეკელიძე და პროფ. ილ. აბულაძე შემდეგ შეხედულებებს გამოთქვამენ:

კ. კეკელიძის აზრით ეს ძეგლი არ უნდა წარმოადგენდეს ქართულ ნაწარმოებს, არამედ თარგმნილი უნდა იყოს სომხურიდან. ამის საბუთად კ. კეკელიძეს შემდეგი მიაჩნია: ეს ძეგლი ვითომც ეხება ტაოს მხარეს; ხოლო რაკი ძეგლში აღწერილი ამბავი იმ ეპოქას ეკუთვნის, როდესაც ტაოს მხარე — ეკლესიურად, კულტურულად (და აგრეთვე ძირითადად ეთნოგრაფიულადაც) ¹ — სომხური მხარე იყო, ამიტომაც ეს ძეგლი სომხურად უნდა იყოს დაწერილი, რომელიც შემდეგ, ვითომც, ქართველებს უთარგმნიათ არა უაღრეს მე-9 საუკუნისა ².

¹ იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941, გვ. 47.

² იხ. იქვე, გვ. 481.

რაც შეეხება ილ. აბულაძეს, წიგნში „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა მე-9 — 10 საუკუნეებში“, იგი აყენებს სრულიად ყალბ კონცეფციას. ილ. აბულაძის აზრით მე-8 საუკუნემდე სომხებს ეპყრათ მთელი ტაო (როგორც იმიერი ტაო, ისე ამიერი ტაო) და, ამას გარდა, კოლას უბანი არტაანის მხარისა. მე-8 საუკუნისათვის, როდესაც ტაო (ვითომცდა ასეთ ვრცელ საზღვრებში) საქართველოს დაუკავშირდა, ტაო წარმოადგენდაო ძირითადში სომხურ თუ გასომხებულ ქვეყანას. მე-9 — 10 საუკუნეთა მახდომლზე ილ. აბულაძის აზრით სწარმოებს ტაოს გაქართველება ენობრივად. მაგრამ ამის შემდეგაც ტაოელები (იგივე სომხები) ვითომც რჩებიან სომხური ეროვნული კოლექტივის ნაწილად და განაგრძობენ ლიტერატურულ შემოქმედებას „უცხო“ ქართულ ენაზე... ილ. აბულაძე, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, წერს:

„ტაო-კლარჯეთის სომხობა, რომელიც მე-8 საუკუნის გასულიდან „ქართველთა სამეფო“-ში შემოვიდა, ქართველთა გავლენის სფეროში მოხვედრით, აკად. ნ. მარის სიტყვით, შეერწყმის ქართველობას. მოწვევითი მშობლიურ ნიადგას (—სომხეას), სადაც მისი თანამოაზრენი (სომეხი-ქალკედონიტები) უკვე მოკლებული იყვნენ ფართო შეპოქეების გასაქანს, ის (ტაო კლარჯეთის სომხობა) ერთ ხანს მუშაობას მწერლობის დარგში დამოუკიდებლად ეწევა (სომხურ ენაზე). ყველაფერი, რაც მას წინანდელი შემოქმედებიდან ებადა, დაცული ჰქონდა და მის ათვისებას დედა ენაზედვე (სომხურად) ახერხებდა. მაგრამ დროთა მსვლელობაში... ადგილობრივ ქართულ ელემენტთან ურთიერთობისა და ქართულ კულტურულ სამყაროსთან ახლო კავშირის გამო, მისთვის სომხურ ლიტერატურულ ენაზე არსებული ძეგლები ადვილად გასაგები აღარ აღმოჩნდარა. საჭირო გამხდარა ამ ძეგლების გადმოთარგმნა უფრო ადვილად გასაგებ ენაზე, ამ შემთხვევაში ქართულზე... ამ დარგში (მაგიოგრაფიული მწერლობის დარგში) ტაო-კლარჯეთის სომხობას შემდეგში საკუთარი წვლილიც შეუტანია, მაგრამ არა სომხურ ენაზე, არამედ უფრო დასაძლევ ქართულზე... მისთვის (ტაო-კლარჯეთის სომხობისათვის) დედა-სამწერლო ენის მაგიერობას უცხო ენა (ქართული) ეწევა. დედა ენა (სომხური) თუ ესმის მას, ისევ და ისევ სასაუბრო და არა სალიტერატურო ენა, ის, მოკლედ რომ მივუკრათ, გაქართველების გზაზეა დამდგარი“...¹.

ასეთი ერთ-ერთი ძეგლი, რომელიც ვითომც „ტაო-კლარჯეთის სომხობას“ დაუწერია მე-9 — 10 საუკუნეებში „არა სომხურ ენაზე, არამედ უფრო დასაძლევ ქართულზე“, არისო, — გვარწმუნებს ილ. აბულაძე — „მარტილობა ცხრათა კოლაელთა“.

საიდან ჩანს ეს?

ილ. აბულაძის არგუმენტაცია ძალიან მარტივია; ილ. აბულაძე, ისევე როგორც კ. კეკელიძე, ფიქრობს, რომ ამ ძეგლში აღწერილი ამბავი ვითომც ტაოს ეხება. ხოლო რაკი ტაოში ძირისადად სომხური მოსახლეობა იყო, ეს ნაწარმოებიც სომხური წარმოშობისად უნდა ვიცნათო².

¹ იხ. ილ. აბულაძე, *op. cit.*, გვ. 013.

² იხ. იქვე, გვ. 068—070.—ილ. აბულაძე ამასთან აღნიშნავს, რომ ცხრათა კოლაელთა მარტილობაში თუმცა არ შეინიშნებაო რაიმე კვალი სომხური გავლენისა, არც ენობრივი. არც შინაარსობრივი, მაგრამ აქ იხსარებაო „ხევი“ (ქევი) იმ ვე გავებით, როგორც ეს გვეხედებაო სომხურიდან თარგმნილ ძეგლებში, რომლებიც ტაოში არის შესრულებული; სახელდობრ

კ. კეკელიძის და ილ. აბულაძის ამ არგუმენტაციას სრულიად ეცლებოდა ყოველგვარი საფუძველი, როდესაც გავითვალისწინებთ, რომ ეს ძეგლი — მარტილობა ცხრათა კოლაელთა, სრულებითაც არ ეხება იმ ტერიტორიას, რომელიც პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული.

ჩვენ ჯერ აღნიშნული გვექონდა, რომ ეს ძეგლი ეხება მტკვრის ხეობის კოლას; თვით ძეგლში პირდაპირ აღნიშნულია, რომ აღწერილი ამბები სწარმოებდა „ოაესა დიდისა მის მდინარისასა, რომელსა ჰრქვიან მტკვარი, ხეცა, რომელსა ჰრქვიან კოლაჲ“¹.

ხოლო, როგორც ეს ზემოთ იყო დადგენილი, ტაოში (იმეგრ-ტაოში) შედიოდა არა ეს მხარე, მტკვრის ხეობა კოლა, არამედ სულ სხვა რაიონი, კოროხის ხეობის კოლი. ამრიგად, კ. კეკელიძისა და ილ. აბულაძის დასკვნა მოკლებულია ყოველგვარ ნიადაგს. მტკვრის ხეობის კოლა, რომელიც შეადგენდა ნაწილს არტაანის (კოლა-არტაანის) მხარისას, წარმოადგენდა ძირეულ ქართულ ქვეყანას, რომელიც სომხეთთან პოლიტიკურად არასოდეს დაკავშირებული არ ყოფილა. ამრიგად, სრულიად უდავოა, რომ მარტილობა ცხრათა კოლაელთა ქართული ძეგლია, რომელიც საქართველოს ძირეულ მხარეს ეხება.

*

აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე ამ ძეგლის თარიღის საკითხზედაც. ილ. აბულაძე ამ ძეგლის დაწერის თარიღად მიიჩნევს მე-9—10 საუკუ-

ნხევი² აქ ნიშნავს არა ხეობას, არამედ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს, მხარეს. მაგრამ ილ. აბულაძის დასკვნა შეცდომას წარმოადგენს. ტერმინი „ხევი“ (ვევი) აღსანიშნავად ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულისა (მხარისა) ეს არის დამახასიათებელი არა სპეციფიკურად ტაოში, და არა სომეხურიდან მომდინარე ძეგლებისა, არამედ ტერმინი „ხევი“ ასეთი მნიშვნელობით ჩვეულებრივია ძველ-ქართულში.

ასე, იბილეთ ძველ-ქართული მწერლობის ძეგლები:

ა) ძარტილობა აბიბოს ნეკრესელისა (მე-9 საუკუნის ტექსტი); აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„ნეტარი აბიბოს, ნეკრეს ქალაქისა ვაისკაოსის, ხევისა კახეთისა“ (იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 214).

„ხევი“ აქ, ცხადია, ნიშნავს არა ხეობას, არამედ მხარეს.

ბ) ვესტათი მცხეთელის მარტილობაში (მე-6 საუკუნის ტექსტი)—ვესტათი ამბობს:

„მე ვიყავ ქუეყანისა სპარსეთისა, ხევისა არბუეთისა, ქალაქისა განძაკისა“ (იხ. საქართველოს სამოთხე, გვ. 316).

აქაც „ხევი“ მხარეს ნიშნავს და არა ხეობას.

გ) ლეონტი მროველი (მე-9 საუკ.):

„[„ეფემან მირდატ“] აღაშენა ეკლესიანი თუხარისისა ციხესა, რამეთუ ხევისა კლარჯეთისასა არა იყო ეკლესია (გვ. *287/112).

აქაც „ხევი კლარჯეთისა“ ნიშნავს კლარჯეთის მხარეს და არა ხეობას (კლარჯეთი შეიცავდა არა ერთ ხეობას, არამედ მრავალ ხეობას).

დ) სუმბატ დავითის-ძის მატთან (მე-11 საუკ.):

„მოიწინეს ხევისა შავშეთისასა, ხოლო ხევი შავშეთისა უშენებელ იყო მაშინ გარეშე მცირედთა სოფელთასა...“ (გვ. *573/343).

აქაც „ხევი“ მხარეა და არა ხეობა.

ჩვენ აღარ შევჩერდებით დანარჩენ მაგალითებზე, რადგან საკითხი ნათელია.

¹ იხ. TP, V, გვ. 55.

ნებს და ამ თარიღთან აკავშირებს თავის შემცდარ კონცეფციას ტაოს მზარის ვითომცდა „ენობრივი“ გაქართველების შესახებ.

სინამდვილეში კი ეს ძველი დაწერილია არა მე-9—10 საუკუნეებში, არამედ სულ სხვა ეპოქაში, მე-4—6 საუკუნეებში, არა უგვიანეს. (ხოლო ეს თარიღი, მე-4—6 საუკუნეები, სრულიად არ შეესაბამება ტაოს მზარის ვითომცდა „გაქართველების“ იმ ქრონოლოგიას, რომელიც ილ. აბულაძემ წარმოადგინა).

შეხედულება, თითქო ცხრათა კოლაელთა მარტვილობა დაწერილი იყოს გვიან ხანაში, მე-9—10 საუკუნეებში, ცდილობენ გაამართლონ ერთი ტერმინის მიხედვით; ეს ტერმინია სიტყვა „სოფელი“. ჩვენს ძველში სიტყვა „სოფელი“ ნიშნავს დაბას, დასახლებულ პუნქტს. გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ ამ სიტყვამ ასეთი მნიშვნელობა ვითომც მიიღო შედარებით გვიან ხანაში, მე-9—10 საუკუნეებში, უფრო ადრე კი სოფელი ნიშნავდა არა ცალკე დასახლებულ პუნქტს, დაბას, არამედ ზოგადად ქვეყანას.

მაგრამ ეს შეხედულება ტერმინ „სოფლის“ ისტორიის შესახებ (რაც პირველად იმ დროს იყო გამოთქმული, როცა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის საკითხები ნაკლებად იყო შესწავლილი), არ არის სწორი. ძველ ხანაში სიტყვა „სოფელი“, როგორც ირკვევა, ორგვარი მნიშვნელობით იხმარებოდა: იგი აღნიშნავდა როგორც ზოგადად ქვეყანას, ისე ცალკე დასახლებულ პუნქტს, დაბას. ასეთი ორმაგი მნიშვნელობით იხმარება ეს ტერმინი უძველესი ხანის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში, რომლებშიაც მიღებულია წარმათული ხანის კალენდარული ტერმინოლოგია (წარმათული ხანის თვეთა სათვალავი) და რომლებიც ამ სათარიღო მაჩვენებლების მიხედვით მე-5—7 საუკუნეთა გვიან დროს ვერ მიეკუთვნება.

რომ ეს ძველი, მარტვილობა ცხრათა კოლაელთა; ეკუთვნის არა მე 9—10 საუკუნეებს, არამედ ბევრად ადრინდელ ეპოქას, ამას ცხადყოფს მთელი რიგი მაჩვენებლები.

ჯერ თვით ძველში აღწერილი ხანის შესახებ.

ძველი აგვიწერს იმ ხანას, როდესაც წარმართობა საქართველოში ჯერ კიდევ ძლიერი იყო და მეტოქეობას უწევდა ქრისტიანობას. ამის მიხედვით ამ ძველში აღწერილი ამბები არ სცილდება მე-4—6 საუკუნეთა ფარგლებს.

მაგრამ აქ შესაძლოა აღიძრას ასეთი საკითხი: ძველი თუმცა აგვიწერს მე-4—6 საუკუნეთა ამბებს, მაგრამ ხომ არ არის თვით ნაწარმოები გვიან ხანაში დაწერილი?

როგორც ირკვევა, არა; ამ ნაწარმოებში არათუ მხოლოდ აღწერილია არქაული ეპოქა, არა უკვიანესი მე 4—6 საუკუნეთა, არამედ თვით ნაწარმოებიც ამავე ძველ ეპოქაშია დაწერილი.

ჯერ ერთი, გვიან ხანაში არააუ არ იწერებოდა ასეთი ნაწარმოებნი, რომლებიც წარმართობის ძლიერებას აგვიწერდნენ, არამედ, პირიქით, გვიან ხანაში ასეთ ნაწარმოებებს სპობდნენ კიდევ, როგორც წარსული ისტორიული სინამდვილის არასასიამოვნო დოკუმენტებს იმ ეპოქიდან, როდესაც ქრისტიანობას უხდებოდა უკან დაეხია და უპირატესობა დაეთმო წარმართობისათვის.

აქ საჭიროა ამასთან ხაზი გაუყვანოთ აგრეთვე იმ გარემოებასაც, რომ ამ ძველში აღწერილი ისტორიული გარემო ისე ორგანულად, ისე უშუალოდ არის ასახული, რომ აქ არ იგრძნობა გვიანდელი ხანის ავტორის ხელი.

ეს რაც შეეხება ამ ძეგლის შინაარსს, მასში აღწერილ ეპოქას.

მაგრამ ამის გარეშე ძეგლში მოიპოვება აგრეთვე მთელი რიგი სხვა ეკრ-
ქოობითი ხასიათის რეალიები, რომელთა მიხედვით უცილობლად დასტურ-
დება, რომ ეს ნაწარმოები უძველეს ხანაშია შექმნილი.

ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ამ ძეგლში ასახული მღვდელთ-
მსახურების ლიტურგიული წესები. ეს წესები უაღრესად მარტივია და გან-
საკუთრებული სიძველის ნიშნებს ატარებს, — აქ ცხადლივ მოცემულია პირ-
ველყოფილი ქრისტიანობის სურათი.

აღსანიშნავია ამას გარდა სიძველის მთელი რიგი სხვა ნიშნები, ასე მა-
გალითად, ძეგლში ასახული უძველესი წესი ნათლისღებისა (მდინარეში ნათვა,
ქრისტეს მსგავსად, რაც მიღებული იყო პირველყოფილი ქრისტიანობის დროს,
ხოლო შემდეგში კი ეს წესი ხმარებიდან გამოვიდა და მის შესახებ გვიან ხა-
ნაში ხსოვნაც კი არ არსებობდა); აგრეთვე არქაული პერიოდიდან მომდინარე
გადმოცემები ქრისტეს შესახებ, რაც არ ეთანხმება გვიან ხანაში მიღებულ
შეხედულებებს და საიდანაც ცხადი ხდება, რომ ამ ძეგლის ავტორი ჯერ კი-
დეც არაა დაშორებული პირველყოფილი ქრისტიანობის ტრადიციებს.

ყოველივე აღნიშნულის მიხედვით დასტურდება, რომ მარტვილობა ცხრათა
კოლაელთა ძველი ქართული მწერლობის ერთ-ერთი ადრინდელი ძეგლია,
რომლის თარიღი მე-4—6 საუკუნეთა ფარგლებს არა სცილდება. შუშანიკის
მარტვილობისა და ევსტათი მცხეთელის მარტვილობის წიგნებთან ერთად,
მარტვილობა ცხრათა კოლაელთა ეკუთვნის უძველეს ნაწარმოებთა რიცხვს,
რომლებიც ქართულ ენაზე მოღწეულა.

ჩვენ ამგზის ამით დავამთავრებთ ამ შენიშვნას კოლაელთა მარტვილობის
შესახებ.

ჩვენ საჭიროდ ჩავთვალეთ შეეჩერებულებოდა ამ ძეგლის საკითხზე,
რადგან, ჯერ ერთი, ამ ძეგლის მიხედვით სრულიად ყალბად ამუშებდნენ ტაოს
ისტორიის საკითხებს (თუმცა ამ ძეგლს, როგორც გამოიჩვენა, ტაოსთან არა
აქვს არავითარი კავშირი), ხოლო ამას გარდა თვით ამ ძეგლის წარმოშობა
და თარიღი შეცდომით იყო განმარტებული.

დამატებით აქ კიდევ ერთი შენიშვნა იმ განსაკუთრებული მნიშვნელობის
შესახებ, რომელსაც წარმოადგენს ეს ძეგლი — მარტვილობა კოლაელთა — ტაოს
მეზობლად მდებარე ძველი ქართული მხარის არტაანის (არტაან-კოლას) ის-
ტორიისათვის.

უძველესი ქართული საისტორიო ძეგლის ქართლის მოქცევის მა-
ტიანის ცნობათა თანახმად, არტაან-კოლას მხარე ერთ-ერთი ყველაზე
მნიშვნელოვანი ცენტრი იყო ადრინდელი ქრისტიანობისა იბერიაში. საისტო-
რიო ტრადიციის თანახმად, რომელიც დაცულია მათიანეში, არტაან-კოლას
მხარის საეკლესიო ცენტრი ერთ შენი პირველი პუნქტი იყო მესხეთში, და
ერთი სამთავანი მთელს იბერიაში, სადაც დაიწყო საეკლესიო მშენებლობა მე-4
საუკუნის პირველ ნახევარში, ქრისტიანობის ოფიციალურ სარწმუნოებად გა-
მოცხადების დროს იბერიაში¹. ამის მიხედვით შეგვიძლია გავითვალისწინოთ ის
განსაკუთრებული როლი, რომელიც ეკუთვნოდა ადრინდელი ქრისტიანობის ის-

¹ იხ. მოქცევა ქართლისა, OP, II, გვ. 714.

ტორიაში არტაან-კოლას მხარეს საერთოდ იბერიის მხარეთა შორის და კერძოდ მესხეთის მხარეთა შორის.

ხოლო კოლაელთა მარტვილობა ეთანხმება და ადასტურებს ქართლის მოქცევის მათიანის ამ ცნობებს არტაან-კოლას მხარის შესახებ. არტაან-კოლას მხარე აღრიდანვე გამხდარა ცენტრი როგორც საეკლესიო-საქრისტიანო მშენებლობისა, ისე ადგილობრივი საქრისტიანო მწერლობისა. მარტვილობა ცხრათა კოლაელთა შეიცავს მოთხრობას არტაან-კოლას მხარის ადგილობრივი ისტორიიდან და, ცხადია, ადგილობრივ არტაან-კოლას მხარეშია დაწერილი. ამრიგად, სამხრეთ-საქართველოს ამ კუთხეში, არტაან-კოლაში, როგორც ირკვევა, აღრიდანვე შექმნილა ქართული საქრისტიანო მწერლობის კერა და ერთ ერთი დოკუმენტი ადგილობრივი ქართული სამწერლო ტრადიციისა არის ეს ძეგლი — მარტვილობა კოლაელთა — რომელიც ამ უძველეს ეპოქას, მე-4—6 საუკუნეთა ხანას ეკუთვნის.

დასასრულ დაგვრჩენია, ხაზი გავუსვით შემდეგს.

ისევე, როგორც ამავე ეპოქის მეორე ძეგლი — მარტვილობა შუშანიკისი — ადასტურებს, რომ ქვემო-ქართლის ტაშირ-გარდაბანის მხარეები წარმოადგენდნენ იბერიის განუყოფელ ნაწილს ადრეულ საშუალო საუკუნეებში; ისევე როგორც ბასილი ზარზმელის საისტორიო თხზულება (ცხორება სერაპიონ ზარზმელისა) ადასტურებს, რომ კლარჯეთი განუყოფელი ნაწილი იყო იბერიისა ამავე ეპოქაში, ასევე კოლაელთა მარტვილობა არის ადგილობრივი ქართული საისტორიო დოკუმენტი, საიდანაც დასტურდება, რომ არტაან-კოლას მხარე ასევე განუყოფელი ნაწილი იყო იბერიისა ადრეულ საშუალო საუკუნეებში და ამავე დროს ერთ-ერთი უძველესი კერა ქართული განათლებისა და ქართული მწიგნობრობისა.

2

სპერის მხარის ისტორიისათვის

გადავდივართ მესხეთის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ზონის — სპერის მხარის ისტორიის საკითხთა განხილვაზე.

სპერის მხარე მდებარეობს ქოროხის ხეობაში; მას უჭირავს ქოროხის ხეობის ზემო და შუა ნაწილი.

სპერის მხარის ისტორიის საკითხები ნაკლებად არის დანუშავებული.

აკადემიკოსი ს. ჯანაშია, წერილში — „იბერიის (ქართლის) სამეფოს პოლიტიკური გეოგრაფიისათვის უძველეს პერიოდში“, სპერის ადრინდელი პერიოდის ისტორიის გამო შემდეგსა წერს:

„სტრაბონი არმენიის აღწერილობაში იხსენიებს პროვინციას სისპირიტიდას (წიგნი XI, თავი XIV, § 9, 12; წიგნი XI, თავი IV, § 8), რომელიც, უქველია, ემთხვევა ფეოდალური ხანის ქართულ სპერსა და თანამედროვე ისპირს. სტრაბონის ცნობა უნდა გავიგოთ, ჩანს, ისე, რომ სისპირიტიდა — სპერი ეკუთვნოდა სომხეთს“¹.

¹ იხ. ს. ჯანაშია, *op. cit.*, საქართველოს სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 7, 1942 წ. გვ. 729.

ეს დებულება, რომელიც მიღებულია საისტორიო მეცნიერებაში, როგორც ირკვევა, გადასინჯვას საჭიროებს.

სახელდობრ საისტორიო წყაროების ანალიზიდან ირკვევა შემდეგი:

1. სომხეთთან პოლიტიკურად დაკავშირებული იყო არა მთელი ისტორიული სპერი („ფეოდალური ხანის ქართული სპერი და თანამედროვე ისპირი“), არამედ მხოლოდ ერთი პერიფერიული ნაწილი სპერისა, ზემო სპერი (ბაიბერთის სექტორი), რომელიც შეიცავს ისტორიული სპერის მხოლოდ მცირე ნაწილს (დაახლოებით მხოლოდ ერთ მეოთხედს).

2. სტრაბონის გეოგრაფიის ზემოთაღნიშნული სამი ადგილი, დასახელებული ს. ჯანაშიას წერილში, როგორც ირკვევა, არ ეხება საქართველოს სპერის პროვინციას, არამედ სულ სხვა ქვეყანას, რომელიც მდებარეობდა ტიგროსის ხეობაში.

3. სპერის ტერიტორია (ე. ი. სპერის ერთი ნაწილი, ზემო-სპერი) პოლიტიკურად დაკავშირებული ყოფილა სომხეთთან ბევრად უფრო მოკლე პერიოდის მანძილზე, ვიდრე ამას ფიქრობდნენ.

4. იმის გამო, რომ სპერის ეს ერთი კუთხე — ზემო-სპერი — ერთხანად პოლიტიკურად დაკავშირებული იყო სომხეთთან, მას არ შეუცვლია ეთნოგრაფიული სახე. მოსახლეობის შემადგენლობით და ამ მხარეში გავრცელებული ენის მიხედვით, ზემო-სპერი თავიდანვე იყო და შემდეგაც რჩება ქართულ მხარედ.

*

ზემოდასახელებული დებულებებიდან თავდაპირველად განვიხილავთ მეორე დებულებას, სახელდობრ საკითხს, ეხება თუ არა სტრაბონის გეოგრაფიის მოხსენებული სამი ადგილი საქართველოს სპერს.

გავიცნოთ ჯერ თვით სტრაბონის ტექსტები.

აქ ჩვენ ვკითხულობთ:

პირველი ადგილი (სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, თავი IV, § 8):

„მოვითხრობენ, რომ იაზონმა, თესალიელ არმენთან ერთად, კოლხეთში ჩასვლის დროს, მიაღწია კასპიის ზღვამდე, რომ მან (იაზონმა) მოვლო იბერია, ალბანია, მრავალი ნაწილები არმენიისა, მიდიისა, რასაც მოწმობენ ტაძრები იაზონის პატივსაცემად და მრავალი სხვა ძეგლები. არმენი ვითომც იყო ქალაქ არმენიდან, რომელიც ეკუთვნის ბოიბეიდის ტბის შიდამოკებში გაშენებული ქალაქების რიგს და მდებარეობს ფეროსა და ლარისას შუა; არმენის თანამგზავრები ვითომც დასახლდნენ აკისენაში¹ და სკსპირიტიში ვიდრე კალაზენამდე და აღიაბენამდე. არმენის სხელიდან ქეყანას დაერქვა არმენია“.

მეორე ადგილი (სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, § 9):

„[არმენიის ქვეყანაში]. სკსპირიტიში, კაბალას ახლოს, არის ოქროს მადნები, სადაც ალექსანდრემ (მაკედონელმა) წარგზავნა მენონი ჯარისკაცებით, თუმცაღა ადგილობრივმა მკვიდრებმა (სკსპირიტელებმა) განდევნეს ისინი“.

¹ ხელნაწერებში — „აკისენა“, მაგრამ აქ, ჩანს, თავდაპირველად უნდა ყოფილიყო აკისენა, რომელი მხარეც სტრაბონს მეორე ადგილას დასახელებული აქვს სოფენელთა სამფლობელოს ფარგლებში (წიგნი XI, თავი XIV, § 5). რაც შეეხება აკილისენას, იგი, თვით სტრაბონის ცნობით, ბევრად უფრო გვიან შევიდა სომხეთის შემადგენლობაში, სახელდობრ მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა (იხ. სტრაბონი, იქვე).

მესამე ადგილი (სტრაბონი, გეოგრაფია, წიგნი XI, თავი XIV, § 12):

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა, რომ არმენი იყო თესალიის არმენიდან, რომელიც მდებარეობს ფეროსა და ლარისას შუა ბოიბებისზე (ტბახე), და რომ მან (არმენმა) ილაშქრა არმენიაში იახონთან ერთად. ფარსალელი კირსილისა და ლარისელი მეის სიტყვებით, რომლებიც მოხაწილებდნენ ალექსანდრეს (მაკედონელის) ლაშქრობაში, ჭევეანას ეწოდა არმენია არმენის სახელისაგან. არმენის თანამგზავრობაგან ერთმა ნაწილმა დაიჭირა აკისენა¹, რომელიც სოფენთა მფლობელობაში იმყოფებოდა, ხოლო სხვანი დასახლდნენ სკსპირიტი—ვიდრე კალახენამდე და ადიამენამდე, არმენიის მთიანეთის იქით რომ მდებარეობდნენ².

*

რომელი ჭევეანაა სტრაბონის მიერ მოხსენებული „სკსპირიტი“?

საისტორიო მეცნიერებაში წინათ მიღებული იყო ის შეხედულება, რომ სტრაბონის ეს სამივე ადგილი ვითომც ეხება კოროხის ხეობაში მდებარე საქართველოს სპერს.

ორიენტალისტმა ი. მარკვარტმა პირველად შენიშნა და სრულის საბუთიანობით დაამტკიცა კადეც, რომ სტრაბონის ზემოთ-მოყვანილი სამი ადგილიდან პირველი და მესამე ეხება არა საქართველოს სპერს, არამედ სულ სხვა მხარეს, რომელსაც ეწოდებოდა შუპრია ანუ სუპრია (იგივე *სკპირიტი) და რომელიც მდებარეობდა მდინარე ტიგროსის ხეობაში, სომხეთის სამხრეთ სანაპიროზე, სომხეთსა და ძველ ნინევიას შორის³.

სტრაბონს, როგორც ვნახეთ, პირველსა და მესამე ადგილში სკსპირიტის მხარის მოსაზღვრედ დასახელებული აქვს მხარეები — კალახენა და ადიამენა. ხოლო კალახენის და ადიამენის ადკილმდებარეობა კარგად არის ცნობილი: ისინი მდებარეობდნენ ტიგროსის ხეობაში, ძველი ნინევიის მეზობლად. კალახენას და ადიამენას ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრებოდა ძვილს ისტორიაში კარგად ცნობილი მხარე შუპრია ანუ სუპრია, იგივე სკპრია (*სკპირიტი, სკსპირიტი, ვსპირიტი), სუბარების ძველი მიწა-წყალი (სახელდობრ ის ტერიტორია ტიგროსის ხეობისა, რომელიც XI—IX საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა ეპირათ მუსხებს).

აღენიშნავთ ამასთან, რომ ეს სახელწოდება დღემდის შენახულა ადგილობრივ. კიპერტის, ტაილორის და ლინჩის ცნობებით, მდინარე ტიგროსის ხეობაში, ზემოთ-აღნიშნულ ზონაში, დღემდე არსებობს კუთხე სახელწოდებით: Ispert (Ispaert, Isparut)³, რაც სახენაცვალი ფორმაა ამ მხარის ძველი სახელწოდებისა: სკპრია, *სკპირიტი (=სკსპირიტი=ვსპირიტი).

ამრიგად, ეს კითხვა საესებით ნათელია, რომ სტრაბონის ტექსტის ზემოთ-მოყვანილ პირველსა და მესამე ადგილას მოხსენებული სკსპირიტი (რომლის მოსაზღვრედ დასახელებულია კალახენა და ადიამენა). — არის ტიგროსის ხეობის მხარე და არა კოროხის ხეობის მხარე (საქართველოს სპერი), ეს საკითხი, ი. მარკვარტის მიერ წარმოდგენილი განმარტების შემდეგ, ზუსტად არის დადგენილი. ი. მარკვარტის ეს დებულება ამჟამად საყოველთაოდ

¹ იხ. ზემოთ, გვ. 506, შენიშვნა.

² იხ. ი. მარკვარტი, *Eransehahr*, გვ. 159.

³ იხ. კიპერტის რუკაზე — Isparut, ლინჩით — Ispert, ტაილორით — Ispaert (JRGS 35, 48).

მიღებულია მეცნიერებაში. კერძოდ ამ შეხედულებას იზიარებენ არმენისტები ნ. აღონცი¹, ჰ. ჰიუბშმანი², ი. მანანდიანი³, გრ. ლაფანციანი⁴ და სხვ.

აქ კითხვა დგას მხოლოდ სტრაბონის ტექსტის მეორე ადგილის შესახებ. თუ პირველი და მესამე ადგილები ეხება ტიგროსის ხეობის მხარეს, რომელ მხარეს ეხება მეორე ადგილი, ტიგროსისას, თუ ჯორჯიასას?

ი. მარკვარტი იმ აზრს ადგა, რომ ეს მეორე ადგილი ეხება ჯორჯიას ხეობის მხარეს, ე. ი. საქართველოს სპერს⁵.

ამავე შეხედულებას იზიარებს აგრეთვე ნ. აღონცი. იგი წერს: „У Страны разграничиваются две области по имени Шатрапиды: одна на Чорохе (იგულისხმება სტრაბონის მეორე ადგილი), а другая на юге, близ Тигра (იგულისხმება სტრაბონის პირველი და მესამე ადგილები)“⁶.

მაგრამ სწორია ეს შეხედულება? როგორც ირკვევა, არა. წყაროების ანალიზი არ სტოვებს არაერთარ ეჭვს იმაში, რომ სტრაბონის ეს მეორე ადგილიც, ისევე როგორც პირველი და მესამე ადგილები, ეხება ერთსა და იმავე ქვეყანას, ტიგროსის ხეობის მხარეს.

გავეცნოთ მასალებს.

1. სტრაბონის პირველი და მესამე ადგილი, როგორც ვნახეთ, შინაარსის მხრით იდენტურია. სტრაბონს ის ცნობები, რომელსაც იგი გადმოგვცემს ამ პირველსა და მესამე ადგილებში და რომელიც ტიგროსის ხეობის მხარეს სპარსის (სვსპირიტს) ეხება, ამოღებული ჰქონია ალექსანდრე მაკედონელის დროის ისტორიკოსების კირსილ ფარსალელისა და მედი ლარისელის ნაწერებიდან, რომლებიც სტრაბონის უწყების თანახმად, „მონაწილეობდნენ ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობაში“. ხოლო რას ვხედავთ ჩვენ სტრაბონის მეორე ადგილში? ისიც აგრეთვე ალექსანდრე მაკედონელს ეხება (აქ მოთხრობილია, რომ ალექსანდრე მაკედონელმა გააგზავნა მენონი ჯარისკაცებით სვსპირიტის მადნების დასათვალისწინებლად). აშკარაა, აქ სტრაბონი ერთი და იმავე წყაროთი, ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსების ტექსტით სარგებლობს და ამ მეორე ადგილსაც საუბარია იმავე ტიგროსის მხარეზე, რომელთაც ეხებიან მოხსენებული ალექსანდრე მაკედონელის ისტორიკოსები.

2. ალექსანდრე მაკედონელი, როგორც ცნობილია, არ ყოფილა საქართველოში და არც საერთოდ კავკასიაში. იგი არ ყოფილა აგრეთვე არც სომხეთშიაც. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქარმა გაიარა ტიგროსის ხეობაში, სომხეთის სამხრეთი საზღვრების ახლო, სპარსის (სვსპირიტს) მხარისაგან არც თუ ისე დიდი მანძილის დაშორებით. ამრიგად ცხადია, რომ სტრაბონის მოთხრობა ალექსანდრე მაკედონელის მიერ მენონის წარგზავნის შესახებ

¹ იხ. ნ. აღონცი, *op. cit.*, გვ. 398.

² ჰ. ჰიუბშმანი, *op. cit.*, გვ. 203.

³ იხ. მანანდიანი, კრიტიკული მიმოხილვა სომხეთის ხალხის ისტორია (სომხ.), 1945, გვ. 14 - 15.

⁴ იხ. გრ. ლაფანციანი, *Хайаса, колыхель армян*, 1947 წ., გვ. 156 და სხვ.

⁵ იხ. ი. მარკვარტი, *loc. cit.*

⁶ იხ. ნ. აღონცი, *loc. cit.*

სვსპირიტის მადნების დასათვალისწინებლად, ეხება ტიგროსის მხარეს, და არა შორეულ კავკასიაში მდებარე საქართველოს სპერს, კოროხის ხეობის მხარეს.

3. აღსანიშნავია ამასთან, რომ ტიგროსის ხეობის მხარე სვპრია (სვსპირიტი) ცნობილი ყოფილა მადნეულობის.. გვიანი ხანისათვის, საშუალო საუკუნეებისათვის, სომხურ უსახელო გეოგრაფიაში აღნიშნულია, რომ აღძნის მხარე (რომელიც მოიცავდა ძველ სვპრია — სვსპირიტის მხარეს) მდიდარი იყო რკინის მადნეულობით. აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ აგრეთვე შემდეგსაც: სომხური უსახელო გეოგრაფია სომხეთის მხარეებიდან მხოლოდ აღძნის მხარეში აღნიშნავს მადნეულობას, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ეს მხარე უპირატესად მადნეულობის ქვეყნად ითვლებოდა. ეს რაც შეეხება საშუალო საუკუნეებს. ხოლო უფრო ადრე, ანტიკურ ხანაში, ეს მხარე, რკინის მადნეულობასთან ერთად, ჩანს, ცნობილი ყოფილა აგრეთვე ოქროთი. აღსანიშნავია, რომ ასურეთის მოხარკე მუსხები (რომლებიც XI — IX საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა ამ მხარეში მკვიდრობდნენ) ხარკად უხდიდნენ ასურეთის მეფეს, სოფლის მეურნეობის ნაწარმთან ერთად, ლითონის ნაწარმს, სპილენძის ქურქელს, ოქროს.

რაც შეეხება კოროხის ხეობის სპერს, აქ ოქროს მადნეულობა, და საერთოდ მადნეულობა, საისტორიო წყაროებით, ცნობილი არაა: ამის შესახებ არას გვეუბნებიან არც ქართული, არც სომხური, არც ბიზანტიური ან სხვა საისტორიო ძეგლები (გავრცელებული შეხედულება, თითქოს კოროხის სპერსში ოქროს მადნეულობა ყოფილიყოს, იქიდან წარმოიშვა, რომ სტრაბონის მიერ მოხსენებულს სვსპირიტის მხარეს, ცნობილს ოქროთი, შეცდომით სთვლიდნენ კოროხის სპერსად).

გამოთქმული იყო ამასთან მოსაზრება, რომ ადრეულ საშუალო საუკუნეთა წყაროებში მოხსენებული „ფარანგი“, სადაც ამუშავებდნენ ოქროს, ვითომც ყოფილიყოს კოროხის სპერი. მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს შეცდომაა. „ფარანგი“ წყაროებში მოიხსენება სპარსეთის სომხეთში, ბოლის (ბოლოს) ციხესთან ერთად, ხოლო ბოლის (ბოლოს) ციხე, საისტორიო წყაროების სრულიად გარკვეული უწყების თანახმად, მდებარეობდა ბასიანის მხარეში, არაქსის ხეობაში¹.

¹ რაც შეეხება კოროხის ხეობაში მდებარე სპერს, კერძოდ ხემო-სპერს (კოროხის ხეობის სათავეებს), და აგრეთვე იმ მხარეებს, რომლებიც მას ყოველმხრივ ზღუდავენ, ე. ი. კოროხის ჭანეთს, შალგომის მხარეს და კარინის მხარეს, ისინი ბიზანტიის სამფლობელოს შეადგენდნენ სწორედ იმ ეპოქაში, როდესაც ფარანგი სპარსეთის საზღვრებში იყო მოქცეული (მე-6 საუკუნის პირველ ნახევარში).

ჩამოთვლილი მხარეები ტერიტორიულად ასეა განფენილი: დასავლეთით, კოროხის ხეობაში, მდებარეობდა სპერი, კოროხის ჭანეთის ხონით; ამის აღმოსავლეთით მდებარეობდა შალგომის მხარე—ეფრატის ხეობაში; და კარინის მხარე—აგრეთვე ეფრატის ხეობაში; კარინის მხარის აღმოსავლეთ მიჯნასთან გასდევს დევებონუს ქედი, რომელიც გაჰყოფს ეფრატის ხეობას არაქსის ხეობიდან; ეს ქედი იყო საზღვარი ბიზანტიისა და სპარსეთისა დასახლებულ ეპოქაში; ამ ქედის აღმოსავლეთით იწყებოდა სპარსეთის სომხეთი. აქ, სპარსეთის სომხეთის ფარგლებში, მდებარეობდა ბასიანის მხარე, ბოლის (ბოლოს) ციხე და „ოქროს მადნიანი მთა“, ფარანგის სახელწოდებით ცნობილი (იხ. პროკოპი კესარიელი, BG I, 15, 22; II, 29, BG IV, 13; VIII, 2. — ლაზარე ფარაბელი, 1904 წ. გვ. 145, 146.— მაღალა, კრონოგრაფია, 1831 წ.; 455—456.— კერძოდ, ბოლის (ბოლოს) ციხის ადგილმდებარეობის შესახებ ბასიანში—იხ. ლაზარე ფარაბელი, გვ. 145) და თამარის მეორე ისტორია, გვ. *702/502.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ფარანგის ეს ოქროს მადანი, მდებარე ბასიანში, არაქსის ხეობაში, ცნობილი არ ყოფილა ანტიკურ ხანაში, არამედ, როგორც ეს ირკვევა მაღალას ქრონოგრაფიიდან, იგი პირველად აღმოუჩინათ მე-5 — 6 საუკუნეთა საზღვარზე, ანასტასი I-ის დროს (491—513 წ. წ.)¹.

4. სტრაბონის ჩვენების თანახმად ოქროს მადნები სვსპირიტის მხარისა მდებარეობდა „კაბალას ახლოს“. ეს არის იგივე ქალაქი კალბა (Kalba), რომელიც მდებარეობდა სწორედ ტიგროსის ხეობის სვსპირიტის მხარეში და რომელიც მოხსენებულია ასურულ წყაროებში, მეფე ასარპადონის დროინდელ ტექსტში (იხ. Hugo Winckler, *Altorientalische Forschungen*, II, 1901 წ., გვ. 40—41).

5. სტრაბონის სამივე ადგილი ერთსა და იმავე ქვეყანას რომ ეხება, ეს აშკარაა თვითონ ტექსტიდანაც. სამივე შემთხვევაში ეს მხარე მოიხსენება ერთი და იმავე სახელწოდებით — სვსპირიტი². თუკი პირველსა და მესამე ადგილას ერთი სვსპირიტის შესახებ იყოს საუბარი (ე. ი. ტიგროსის ხეობის შესახებ), ხოლო მეორე ადგილას კიდევ სხვა სვსპირიტის შესახებ (ე. ი. ქოროხის ხეობის შესახებ), ამას უეჭველად აღნიშნავდა და განასხვავებდა ავტორი. ასეთი სხვაობის აღნიშვნა მით უფრო იყო მოსალოდნელი, რომ როგორც მეორე ადგილი, ისე მესამე ადგილი (— რომელიც უეჭველად ტიგროსის მხარეს ეხება), ერთი და იმავე თავის ნაწილია (სახელდობრ XI წიგნის მე-14 თავისა); აქ ავტორი ერთისა და იმავე თავის მანძილზე უშუალოდ გადადის ერთი მოთხრობიდან მეორე მოთხრობაზე იმრიგად, რომ არაერთარ სხვაობას ამ ორ ადგილას მოხსენებულ სვსპირიტს შორის არ აღნიშნავს.

6. სტრაბონი სვსპირიტის სახელწოდებით რომ სამსავე შემთხვევაში იგულისხმებს ტიგროსის მხარეს და არა ქოროხის მხარეს, — ამას სრულიად უდავოდ და საბოლოოდ ადასტურებს შემდეგი. სტრაბონის ცნობის თანახმად საზღვარი სომხეთსა და საქართველოს შორის გასდევდა მოსხის მთებს³. ამრიგად, სტრაბონის ამ სრულიად გარკვეული ჩვენების თანახმად ქოროხის ხეობა (და მათ შორის სპერის მხარე), რომელიც მთლიანად მოსხის მთების ჩრდილოეთით მდებარეობს, ეს იყო საქართველოს ნაწილი და არა სომხეთის ნაწილი.

ხოლო რაც შეეხება სვსპირიტის მხარეს, მას სტრაბონი, როგორც ვნახეთ, სომხეთის ძირეულ ნაწილად სთვლის. მაშასადამე, სვსპირიტის სახელით სტრაბონი სამსავე შემთხვევაში აღნიშნავს ერთსა და იმავე ქვეყანას, ტიგროსის ხეობის მხარეს, რომელიც თავიდანვე სომხეთის ფაოგლებში იყო მოქცეული.

*

მას შემდეგ რაც ირკვევა, რომ სტრაბონი სვსპირიტის სახელით გულისხმობდა ტიგროსის ხეობის მხარეს, და არა ქოროხის ხეობის მხარეს, სა-

¹ იხ. მაღალას ქრონოგრაფია *loc. cit.*

² არსებობს ამ სახელწოდების ვარიანტული წაკითხვა „სვსპირიტისი“, მაგრამ ეს უკანასკნელი კიდევ უფრო ახლო უდგება ტიგროსის ამ მხარის დღემდე დაცულ სახელწოდებას „ისპერტ“ resp. „ისპარუტ“.

³ იხ. ზემოთ, გვ. 433, 483—487.

ქართველოს სპერს, — კარდინალურად იცვლება მთელი კონცეფცია საქართველოს სპერსის უძველესი ისტორიის შესახებ.

თუკი გაპარტლელბულიყო ის შეხედულება, რომ სტრაბონი სვსპირიტის სახელწოდებით ქოროხის ხეობის სპერს გულისხმობდა, მაშინ უნდა დაგვეშვა, რომ სპერი ვითომც არათუ სტრაბონის დროს ყოფილა სომხური მხარე, არამედ თითქო სპერი სომხეთს ეკუთვნოდა ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, რადგან ცნობები სვსპირიტის შესახებ სტრაბონს ამოღებული აქვს ალექსანდრე მაკედონელის ხანის ისტორიკოსთა ნაწერებიდან. ეს ცოტაა. ჩვენ ამ შემთხვევაში ისიც უნდა დაგვეშვა, რომ სპერი არათუ მე-4 საუკუნეში ჰკუთვნებია სომხეთს, არამედ ვითომც იგი საერთოდ ძირეული სომხური ქვეყანა ყოფილა, რამდენადაც ძველი წელთაღრიცხვის მე-4 საუკუნეში გავრცელებული საისტორიო გადმოცემები სვსპირიტს წარმოგვიდგენს როგორც სომხის ხალხის უძველეს თავდაპირველ საცხოვრისს.

რასაკვირველია, ჯერ მარტო ამის მიხედვით აშკარაა, რომ სტრაბონს სვსპირიტის სახელწოდებით აღნიშნული აქვს ტიგროსის ხეობის მხარე და არა ქოროხის ხეობის მხარე. თვით სტრაბონის ცნობათა თანახმად სომხეთი ვიდრე მე-2 საუკუნემდე დიდად დაშორებული იყო ქოროხის ხეობის ზონას. „გადმოგვეცემენ, — წერს სტრაბონი, — რომ სომხეთი, რომელსაც მცირე მოცულობა ჰქონდა, — გაფართოებულ იქმნა არტაქსის და ზარიადრის მიერ [მე 2 საუკ. ძვ. წ.], რომელთაც გააფართოეს სომხეთი, ჩამოაქრეს რა მიწები მეზობელ ქვეყნებს...“¹. სომხეთის ტერიტორიის გაფართოება ჩრდილოეთის მიმართულებით ამის შემდეგ იწყება, მე-2 საუკუნიდან მოკიდებული; ხოლო მე-2 საუკუნემდე სომხეთის ტერიტორია არათუ ქოროხის ხეობას არ სწვდებოდა, არამედ, სტრაბონის ცნობით, სომხეთის ფარგლებში არ შედიოდა თვით ეფფრატის ხეობისა და არაქსის ხეობის სათავეებიც კი (არ შედიოდა ხორძენი, პარიადრის კალთები, აკილისენი, დერქანი, კარინი)¹.

უფრო მეტი. თვით სტრაბონის დროსაც, როგორც მოვიხსენეთ, საზღვრის ხაზი სომხეთისა არ სცილდებოდა მოსხის მთებს, ე. ი. ქოროხის ხეობა ამ დროსაც საქართველოს საზღვრებში ყოფილა და არა სომხეთში.



დაგვრჩენია შევაჯამოთ ზემოთ-აღნიშნული და გადავიდეთ შემდეგ საკითხებზე. გამოირკვა ამრიგად, რომ ქოროხის ხეობა, საქართველოს სპერსის მხარე, — არ იყო დაკავშირებული სომხეთთან არც ადრეულ ანტიკურ ხანაში, არც მე-4 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა (ალექსანდრე მაკედონელის დროს), არც მე-2 საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა (არტაქსის და ზარიადრის დროს), და არც პირველი საუკუნის დასაწყისში ახალი წელთაღრიცხვისა — სტრაბონის დროს.

საკითხავია ამის შემდეგ: როდის მოხდა სპერსის პოლიტიკური დაკავშირება სომხეთთან? ამასთან სომხეთს დაუკავშირდა მთელი სპერი (როგორც მას დღემდე ფიქრობდნენ), თუ სპერსის რომელიმე ცალკე ნაწილი?

¹ იხ სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. XIV, § 5.

ჯერ პირველ კითხვაზე.

სპერის დაკავშირება სომხეთთან შეუძლებელია მომხდარიყო სტრაბონის შემდეგ უახლოეს ხანაში, ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნესა და მეორე საუკუნის პირველ ნახევარში. როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ეს პერიოდი, პირველი საუკუნე და მეორე საუკუნის პირველი ნახევარი, ეს არის ეპოქა იბერიის სამეფოს განსაკუთრებული ძლიერებისა, როდესაც იბერიის ტერიტორია არათუ შემცირებულა, არამედ გაზრდილა კიდევ.

ამრიგად, სპერის დაკავშირება სომხეთთან შესაძლოა მომხდარიყო მხოლოდ მეორე საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ.

ხოლო როდის სახელდობრ?

ამის დადგენა მიახლოებით არის შესაძლებელი.

სომხური წყაროებიდან ირკვევა, რომ სპერი (მისი ერთი ნაწილი) უკვე დაკავშირებული ყოფილა სომხეთთან მეოთხე საუკუნის პირველ ნახევარში¹.

ამრიგად, სპერის (მისი ერთი ნაწილის) დაკავშირება სომხეთთან მომხდარა ამ ორ სათარიღო მიჯნას შორის: არა უადრეს მეორე საუკუნის ნახევრისა და არა უგვიანეს მეოთხე საუკუნის დასაწყისისა.

ჩვენ უკვე გამოკვეთული გვქონდა, რომ სწორედ ამავე ქრონოლოგიურ რკალში, დაახლოებით მესამე საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა, დაუკავშირდა სომხეთს იმავე ქოროხის ხეობაში სპერის მეზობლად მდებარე რაიოხი — იმიერი ტაო.

ამრიგად, აქ ჩვენ გვაქვს თარიღების ზოგადი შეხვედრა.

ირკვევა მაშასადამე, რომ სომხეთს ან ერთდროულად, ან ყოველ შემთხვევაში ერთსა და იმავე ხანაში, გაუვრცელებია პოლიტიკური გავლენა ქოროხის ხეობის ამ ორ მეზობლად მდებარე სექტორში, იმიერი ტაოსა და ზემო სპერის სანაპირო ზონაში.

*

შემდგომი ისტორია სპერის იმ ნაწილისა, რომელიც პოლიტიკურად დაუკავშირდა სომხეთს, კარგად არის ცნობილი მე-4 საუკუნიდან მოკიდებული.

მე-4 საუკუნის დასასრულს, 387 წელს, არშაკიდების სომხეთის სამეფოს ორად გაყოფის დროს, სპერის ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, ბიზანტიის წილში შევიდა; ამის შემდეგ 389 წელს ბიზანტიის სომხეთში გაუქმებულ იქნა მეფობა, და სპერის ეს სექტორი, დასავლეთ სომხეთის სხვა მხარეებთან ერთად, ბიზანტიის პროვინცია ხდება.

დაწყებული ამ დროიდან ვიდრე არაბების ხანამდე, ე. ი. მე-4 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული ვიდრე მე-7 საუკუნის შუა წლებამდე, სპერის ეს ნაწილი ბიზანტიის საზღვრებში შედის და ადმინისტრაციულად დაკავშირებულია სომხეთის იმ პროვინციებთან, რომლებიც ბიზანტიას ჰქონდა დაპყრობილი.

მე-7 საუკუნის ნახევრიდან ვიდრე მე-9 საუკუნემდე სპერი ბიზანტიისა და არაბული ხალიფატის საზღვრის სექტორში მდებარეობს. პოლიტიკურად იგი ბიზანტიის ფარგლებშია მოქცეული, მაგრამ იგი არა ერთგუნის გამხდარა ასპარეზი არაბების შემოსევათა.

¹ იხ. ფავსტოს ბიზანტიელი, 1832, გვ. 256.

მე-9 საუკუნიდან მოკიდებული, მას შემდეგ, რაც ქართველთა სამეფოს ცენტრი ქოროხის ხეობაში იქმნა გადმოტანილი, საქართველო ავრცელებს თავის გავლენას ქოროხის ხეობის ყველა სანაპიროზე; ამ დროსვე ქართველთა სამეფოსთან გაერთიანებულ იქმნა საქართველოს ეს ძველი კუთხეც, სპერის სექტორი.

*

გასარკვევია ამის შემდეგ საკითხი, თუ როგორი იყო ტერიტორიული მოცულობა სპერის იმ ნაწილისა, რომელიც მე-3—4 საუკუნეებიდან მოკიდებული მოწყვეტილი იყო საქართველოს და ერთხანად სომხეთთან იყო დაკავშირებული.

ამ საგანზე, როგორც მოხსენებული გვექონდა, საისტორიო მეცნიერებაში ის შეხედულებაა მიღებული, ვითომც სპერის ეს ტერიტორია, დაკავშირებული სომხეთთან, — ემთხვევა ფეოდალური ხანის ქართულს სპერს და თანამედროვე ისპირს¹.

მაგრამ ეს შეხედულება, როგორც ირკვევა, არაა სწორი. ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ, როგორც ეს დასტურდება ბიზანტიური, სომხური და ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან, სომხეთთან დაკავშირებული ყოფილა არა მთელი ისტორიული სპერი, არამედ მხოლოდ ერთი პერიფერიული ნაწილი სპერისა, — ზემო-სპერი, რომელიც მოიცავს ისტორიულ სპერის მხოლოდ მცირე ნაწილს (დაახლოებით ერთ მეოთხედს).

სახელდობრ, საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ ადრეულ საშუალო საუკუნეებში ისტორიული სპერი განიყოფებოდა სამ ზონად:

- ა. ზემო-სპერი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული;
- ბ. შუა-სპერი, რომელიც დაკავშირებული იყო ტრაპიზონის მხარის ქანეთთან.
- გ. ქვემო-სპერი, ანუ სპერის ძირითადი ნაწილი, რომელიც იბერიის (ქართლის) საზღვრებში შედიოდა.

ტერიტორიული მოცულობა ამ სამი ერთეულისა შემდეგი იყო:

ა. ზემო-სპერი, ე. ი. სპერის ის ნაწილი, რომელიც სომხეთთან იყო დაკავშირებული, მოიცავდა ქოროხის ხეობის სათავეებს, ვიდრე ქალაქ ბაიბერთამდე. ქალაქ ბაიბერთან თავდებოდა სომხეთის ეს ზონა (თვით ქ. ბაიბერთი სომხეთის ზონაში ითვლებოდა. — იხ. პროკოპი კესარიელი, *De Aedificiis*, ed. Bonn., III, 4—5; მოსე ხორენელი, II, 37, 38).

ბ. შუა-სპერი, ე. ი. ქანეთის სპერი, მოიცავდა ქოროხის ხეობაში მდებარე ღართის ველს და მის მიმდგომ ზონას (იხ. პროკოპი კესარიელი, *De Aedificiis*, III, 6).

გ. ქვემო-სპერი, ე. ი. იბერიის (ქართლის) სპერი, — მოიცავდა ქოროხის ხეობას ღართის ველს ქვემოთ, ე. ი. ქოროხის ხეობის იმ ნაწილს, სადაც მდებარეობს ქალაქი სპერი (თანამედროვე ისპირი).

სპერის ეს მთავარი ძირითადი მხარე, რომელიც ყოველთვის იბერიის (ქართლის) ნაწილად ითვლებოდა, კარგად არის ცნობილი ძველ-ქართულ საისტორიო წყაროებში. ჯუანშერის ქრონიკაში მას ეწოდება „საზღვარი

¹ იხ. ს. ჯანაშია, *op. cit.*, გვ. 727.

ქართლისა სპერი¹. ეს მხარე, ქვემო-სპერი („საზღვარი ქართლისა სპერი“) ადრეულ საშუალო საუკუნეებში ითვლებოდა კლარჯეთის ადმინისტრაციული ერთეულის (კლარჯეთის საერისთავოს) ნაწილად².

ასეთი იყო ტერიტორიული მოცულობა სპერის ამ სამი ნაწილისა ადრეულ საშუალო საუკუნეებში, ვიდრე ისტორიული სპერის ეს ტერიტორიები მთლიანად არ გაერთიანდა იბერიის (ქართველთა სამეფოს) ფარგლებში.

*

დასასრულ, შევჩერდებით სპერის მხარის მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობის საკითხზე.

გამოკვლევის IV თავში³ ჩვენ აღნიშნული გვექონდა, რომ ქოროხის ხეობის ის ნაწილი, რომელიც უჭირავს სპერის მხარის სამ კუთხეს (ქვემო-სპერს, შუა-სპერს და ზემო-სპერს) უძველესი დროიდანვე დასახლებული იყო ქართველი ხალხის ორი შტოს — იბერიელების (მესხების) და ქანების მიერ. სპერის მხარის ზემო ნაწილებში, როგორც ეს ირკვევა საისტორიო წყაროების ჩვენებით, სახლობდნენ უმთავრესად ქანები; ხოლო სპერის ქვემო ნაწილში იბერიელები (მესხები) შეადგენდნენ უმრავლესობას. (როგორც ეს დადგენილია სპეციალურ ლიტერატურაში, თვით სახელწოდება ამ მხარისა — სპერი, იგივე *სპერი, resp. ჰიბერი, დაკავშირებულია იბერიელების სატომო სახელთან.)

აქ მხოლოდ დასაზუსტებელი დაგვრჩა საკითხი, — თუ როგორი ვითარება დამყარდა სპერის იმ პატარა კუთხეში, ზემო-სპერში, რომელიც ერთხანად სომხეთთან იყო დაკავშირებული პოლიტიკურად; შეიცვალა აქ მოსახლეობის ეთნოგრაფიული შემადგენლობა? თუ აქ იგივე ძველი ქართული მოსახლეობა დარჩა, როგორც სპერის დანარჩენ ნაწილებში, — შუა-სპერში (ქანეთის სპერში) და ქვემო-სპერში (იბერიის სპერში)?

საისტორიო წყაროები ამ საკითხის გამო სრულიად გარკვეულ ჩვენებებს იძლევა. საისტორიო წყაროებიდან დასტურდება, რომ ზემო-სპერში, იმ პერიოდის მანძილზე, როდესაც ეს კუთხე პოლიტიკურად სომხეთთან იყო დაკავშირებული, სომხების ჩამოსახლებას ადგილი არა ჰქონია და არც სომხურ ენას მიუღია აქ გავრცელება. ზემო-სპერი, მოსახლეობის შემადგენლობისა და აქ გავრცელებული ენის მიხედვით, როგორც თავიდანვე იყო, ისე შემდეგაც დარჩენილა ქართულ მხარედ: მოსახლეობის უმრავლესობას ზემო-სპერში, როგორც ირკვევა, შეადგენდა ქართული ტომი — ქანები.

გავეცნოთ აქ სამ საისტორიო წყაროს, რომლებიც ეკუთვნიან სწორედ იმ ხანას, როდესაც სპერის ეს კუთხე — ზემო-სპერი — სომხეთთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული.

1. პროკოპი კესარიელი (VI საუკ.). პროკოპი კესარიელის ცნობით ქოროხის ხეობის ზემო ნაწილი ვიდრე ქალაქ ბაიბერთამდე (— ე. ი. ზემო-სპერი) დასახლებულ ეპოქაში სომხეთთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული

¹ იხ. ჯუანშერი, გვ. 414/196. იხ. აგრეთვე ჯუანშერის ქრონიკაში ჩართული მე-8 საუკუნის მატანიის ექსიკატრი, გვ. *424/204.

² იხ. ზემოთ, გვ. 440.

³ იხ. ზემოთ, გვ. 83—90.

(იხ. ცნობა ბაიბერტის შესახებ, De Aedificiis, III, 4, 5). ხოლო ეთნოგრაფიულად ეს მხარე პროკოპი კესარიელს ქანეთის ნაწილად მიაჩნია; მდინარე ქოროხი პროკოპი კესარიელის ცნობით ქანეთის მთებში ლებულობს სათავეს (იხ. De Aedificiis, III 6, 257). ზემო-სპერს ვიდრე ქოროხის სათავეებამდე პროკოპი კესარიელი ეთნოგრაფიულ ქანეთის ნაწილად სთვლის.

2. მოსე ხორენელი (დაახლ. VII ს.), რომელიც აგრეთვე ეკუთვნის იმ ეპოქას, როდესაც ზემო-სპერსი სომხეთთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული, აღნიშნავს ამ კუთხის შესახებ, რომ იგი არისო მხარე, სადაც არ იმისო სომხური ენა; ზემო-სპერსში სომხურ ენას გავრცელება არა ჰქონია¹.

3. შესამე ავტორი სტეფანე სიენიელი (VIII ს.) აგრეთვე აღნიშნავს, რომ სპერსში გავრცელებული იყო არა სომხური, არამედ ადგილობრივი დიალექტი².

ასეთია ის ცნობები, რომელთაც გადმოგვცემენ თანამედროვე საისტორიო წყაროები ზემო-სპერსის ეთნოგრაფიული შემადგენლობის შესახებ.

ამრიგად ირკვევა, რომ სპერსის მხარის ეს სანაპირო კუთხე — ზემო-სპერსი — ისეთსავე ძირეულ ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, როგორც შუა-სპერსი (ქანური სპერსი) და ქვემო-სპერსი (იბერიის სპერსი). არც ერთ ეპოქაში ანტიკური ხანისა და საშუალო საუკუნეებისა არც ერთ ნაწილს სპერსის მხარისას არ დაუკარგავს ქართული ეთნოგრაფიული სახე.

4

საქართველოს და სომხეთის სანაპირო ზონა არაქსის ხეობაში: ბასიანის მხარენი (საკუთრივ ბასიანი და კარი)

ჩვენ დავამთავრეთ საქართველოს სამხრეთი მხარეების — მესხეთისა და სამხრეთ-ქართლის — ისტორიის საკითხთა განხილვა.

ამის შემდეგ ჩვენ ცალკე გამოვყოფთ და სპეციალურად შევხებით საკითხს საქართველოსი და სომხეთის სანაპირო-ზონის შესახებ, რომელიც მდებარეობს არაქსის ხეობაში და მოიცავს ბასიანის მხარეებს: საკუთრივ ბასიანსა და კარის (ყარსის) მხარეს.

ეს კუთხე არაქსის ხეობისა — ბასიანის მხარენი (საკუთრივ ბასიანი და კარი) — წარმოადგენდა ერთგვარ ბუფერს საქართველოსა და სომხეთს შორის, იგი როგორც პოლიტიკურად, ისე ეთნოგრაფიულად დაკავშირებული იყო ხან საქართველოსთან, ხან სომხეთთან. მთელი ისტორიული პერიოდების მანძილზე — ბასიანის მხარენი მესხეთის საზღვრებში იყო მოქცეული.

ჩვენ აქ აღვადგენთ, თუ როგორი იყო ამ კუთხის — ბასიანის მხარეები — რეალური ისტორია.

¹ იხ. მოსე ხორენელი, ისტორია, წიგნი II, თავი 3 (იხ. აგრეთვე ზემოთ, გვ. 90).

² იხ. ზემოთ, გვ. 449.

ანტიკური ხანის საისტორიო წყაროების მიხედვით ირკვევა, რომ ანტიკურ ხანაში, ვიდრე მეორე—პირველ საუკუნეებამდე ძველი წელთაღრიცხვისა, ქართველი ტომებით დასახლებული იყო არა მხოლოდ მტკვრისა და ჭოროხის ხეობები, არამედ ქართველ ტომებს ეკირათ აგრეთვე არაქსისა და ეფრატის ხეობათა ზემონ-ნაწილი.

სახელდობრ, ქართველ ტომთა ტერიტორიის ფარგლებში დასახლებულ ეოქაში შედიოდა შემდეგი პროვინციები, მდებარე არაქსისა და ეფრატის ხეობებში:

ა) იბერიელთა და მესხთა ტერიტორიის ფარგლებში: ხორძენი, პარიადრის მთიანეთი (მარდალიის ზონა), ბასიანის მხარენი, არაქსის სასპერეთი;

ბ) პონტოს ქართველი ტომების ხალიბების ჯგუფის (ხალიბების, მოსინიკების და ხეთაონების) ტერიტორიის ფარგლებში: კარინი, დერქანი, აკილისენი¹, მუძური (ანტიტავროსის მხარე).

იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. XVI, § 5 (შეად. ქსენოფონტე, ანაბასისი, წ. IV, თ. 6, § 5; წ. VII, თ. 8, § 25)².

იბერიელების, მესხების და პონტოს ქართველი ტომების მოხსენებული პროვინციები, მდებარე ეფრატისა და არაქსის ხეობებში, შეადგენენ ტერიტორიას, რომელიც ამჟამად შედის თურქეთის სამ ოლქში: ყარსისა, არზრუმისა და ერზინჯანის ვილაიეთებში.

*

ისტორიული თავგადასავალი არაქსისა და ეფრატის ხეობებში მდებარე ანტიკური ხანის ძველ-ქაოთული ზემოთ-დასახლებული პროვინციებისა სხვადასხვანაირი იყო.

როგორც ეს ირკვევა სტრაბონის ცნობათა მიხედვით, უმრავლესობა ამ პროვინციებისა საქართველომ დაჰკარგა პოლიტიკურად მეორე—პირველ საუკუნეებში ძველი წელთაღრიცხვისა, როდესაც სომხეთმა გაავრცელა თავისი გავლენა ეფრატისა და არაქსის ხეობათა ამ სექტორებზე.

პირველ საუკუნეში ახალი წელთაღრიცხვისა, როდესაც იბერიამ დიდ პოლიტიკურ ძლიერებას მიაღწია, მან შესძლო ისევ დაებრუნებია ეს ქვეყნები. პლინიუსი სეკუნდეს ცნობებიდან ირკვევა, რომ პირველი საუკუნის 60-იან წლებში იბერიის ფარგლებში შედიოდა როგორც მესხეთის ქვეყანა (რომელიც ამ დროს მოიცავდა ზენო-მტკვრისა და ჭოროხის ხეობებს და

¹ აკილისენი—ძველ საზღვრებში, დასტირის მოსაბრუნამდე (Analibna-ს ჰან-ხალიბის სექტორამდე).

² იხ. აგრეთვე ზემოთ—ხორძენის, პარიადრის მთიანეთის, ბასიანის მხარეთა და არაქსის სასპერეთის შესახებ გვ. 432—433, 480—487.

არაქსის აუზის სანაპირო ზონას), ისე ამის მეზობელი პონტოს ქართველი ტომების (ხალიბების ჯგუფის) ტერიტორია ევფრატის ხეობაში.

ეს ტერიტორიები მოქცეულია იბერიის ფარგლებში როგორც პირველ საუკუნეში, ისე მეორე საუკუნის პირველ ნახევარში, როდესაც იბერია თავისი პოლიტიკური ძლიერების ზენიტს აღწევს.

მომდევნო ხანაში იბერია ისევ ჰყარგავს ამ ქვეყნებს. მას შემდეგ იწყება ამ მხარეთა თანდათან ეთნიკური გადაგვარება, თუმცა საშუალო საუკუნეთა დასაწყისში (ყოველ შემთხვევაში მე-7 საუკუნემდე, როგორც ეს ირკვევა წყაროებიდან), ამ ქვეყნებს ჯერ კიდევ ჰქონიათ შერჩენილი ქართული სახე.

საქართველო არ შერიგებია ამ მხარეთა დაკარგვას და საშუალო საუკუნეთა მანძილზე საქართველო ცდილობდა შემოეერთებინა არაქსის და ევფრატის ხეობებში მდებარე ეს აღმოსავლელი ქართული მხარეები. ეს არის სწორედ ის „ზემონი ქვეყანანი“, რომლის შემომტკიცებას ცდილობდა ქართველთა სამეფო მე-10 — 11 საუკუნეებში და რომლის გამოც ქართველთა სამეფოს კონფლიქტი ჰქონდა ბიზანტიის იმპერიასთან.

დასახელებული მხარეები საქართველომ დაიბრუნა ნაწილობრივ მე-10 საუკუნეში, ხოლო მთლიანად ამ მხარეთა შემოერთება მოხდა მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე, თამარ მეფის ეპოქაში. მაგრამ ეს იყო მხოლოდ პოლიტიკური დაკავშირება ამ მხარეებისა საქართველოსთან, ხოლო ეთნოგრაფიულად ამ მხარეებს ამ დროისათვის უკვე დაკარგული ჰქონდათ ქართული სახე.

*

ერთგვარ გამონაკლისს „ზემო-ქვეყანათა“ პროვინციებს შორის (ე. ი. იმ ძველ ქართულ პროვინციებს შორის, რომლებიც მდებარეობდნენ არაქსისა და ევფრატის ხეობებში), — წარმოადგენდა ბასიანის მხარენი, რომლებიც უფრო ახლო, უფრო ორგანულ კავშირში იმყოფებოდნენ საქართველოსთან. „ზემო ქვეყანათა“ ჯგუფიდან ბასიანის მხარენი ყველაზე გვიან მოსწყდა იბერიას ანტიკურ ხანაში და ყველაზე ადრე იქმნა ისევ შემოერთებული იბერიის მიერ საშუალო საუკუნეებში. ამასთან ეს მხარეები ტერიტორიულადაც უფრო ახლო აკრავს საქართველოს ძირითად მიწა-წყალს. ბასიანის მხარენი ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შედიოდა საქართველოს შემადგენლობაში, იგი ისევ საქართველოს ორგანული ნაწილი გახდა.

ჩვენ ამგზის არ ვეხებით „ზემო-ქვეყანათა“ ისტორიას მთელის მოცულობით (ამაზე სხვა ადგილას გვაქვს დაწვრილებით საუბარი) და აქ განვიხილავთ მხოლოდ ბასიანის მხარეთა ისტორიის საკითხებს, რამდენადაც ბასიანის მხარენი არა მხოლოდ შორეულ ისტორიულ წარსულში — ანტიკურ ხანაში — წარმოადგენდა ქართულ მხარეს, არამედ იგი უახლოესად დაკავშირებულია საქართველოსთან საშუალო საუკუნეებშიაც, კერძოდ საშუალო საუკუნეთა იმ პერიოდში, რომელიც ჩვენი გამოკვლევის უშუალო საგანს შეადგენს.

ბასიანის მხარეთა ტერიტორიული მოცულობა.
ძველი ეთნიკურ-გეოგრაფიული სახელწოდებანი.

გავეცნოთ ჯერ ბასიანის მხარეთა ტერიტორიულ მოცულობას და შემადგენელ ნაწილებს.

ბასიანის მხარეებს, როგორც მოვიხსენეთ, უჭირავს მდინარე არაქსის ხეობის ზემო ნაწილი, სახელდობრ ის სექტორი, რომელიც უშუალოდ აკრავს მესხეთს.

ბასიანის მხარენი ისტორიულად და გეოგრაფიულად განიყოფება ორ მხარედ:

1. პირველი მხარე — საკუთრივ ბასიანი ანუ ბასიანი, რომელიც მდებარეობს თვით მდინარე არაქსის ხეობაში. ეს მხარე, საკუთრივ ბასიანი (ბასიანი) — ესაზღვრება მესხეთის ტაოთა პროვინციას.



2. მეორე მხარეა ზემო-ბასიანი, ანუ ვანანდი, იგივე ქარის მხარე¹. იგი ძირითადში განფენილია არაქსის შემდინარის ქარის-წყალის (ქარისის-წყალის) ხეობაში². ეს მეორე მხარე, ზემო-ბასიანი ანუ ვანანდი (ქარის მხარე), ასევე ესაზღვრება მესხეთს: ტაოთა პროვინციას და კოლასა და პალაკაციოს კანტონებს.

ასეთია ბასიანის მხარეთა ძირითადი ტერიტორიულ-გეოგრაფიული დაწესებულება.

¹ ამ მხარის ძირითადი სახელწოდება ზემო-ბასიანი დამოწმებულია მოსე ხორენელის ისტორიაში (II, 6).

² მხოლოდ ერთ სექტორში — დაბა გაჩევიანის ზონაში — ზემო-ბასიანის მხარე გადადის საკუთრივ არაქსის ხეობაში. ეს სექტორი — გაჩევიანის ზონა — ზოგჯერ ცალკე კანტონს წარმოადგენდა (აბუღლიანი⁴-ს თემი აღრეული საშუალო საუკუნეებისა).

ანტიკური ხანის წყაროების ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ძველი თავდაპირველი ფორმა ბასიანის მხარეთა სახელწოდებისა იყო: „ფასიანი“. მხარეს რქმევია „ფასიანი“, ხოლო აქ მოსახლე ქართველ ტომს ეწოდებოდა ფასიანი ანუ ფასიანელი $\Phi\alpha\sigma\iota\alpha\iota\lambda$ (იხ. ქსენოფონტეს ანაბასისი, წ. IV, თ. 6, § 5; წ. VII, თ. 8, § 25. იხ. აგრეთვე კონსტანტინე პორფიროგენეტი, *De administrando imperio*, თავი 45, გვ. 205).

ირკვევა ამასთან ისიც, რომ ანტიკურ ხანაში მდინარე არაქსს, მისი მდინარების ზემო ნაწილში (ე. ი. ბასიანის ზონაში), რქმევია ფასისი. ამ სახელით მოიხსენებს მდინარე არაქსს ქსენოფონტე ($\Phi\alpha\sigma\iota\alpha\iota$. იხ. ანაბასისი, წ. VI, თ. 6, § 4).

სახელწოდება მდინარისა ფასისი ქართული წარმოშობისაა. ძველ ქართულ დიალექტებში სიტყვა „ფასი“, როგორც გამოკვეთული გექონდა¹, ნიშნავდა წყალს (შეადარეთ „ფასი“ და „ფშა“, „ფშანი“, აგრეთვე „ფოსო“)². ამიტომ არის, რომ ეს სახელწოდება „ფასისი“ მიემართება შთელ რიგ მდინარეებს საქართველოში. ფასისი ერქვა რიონს; ფასისი ერქვა კორომს (აკამ-ფასისი ანუ *აკამ-ფასისი, იგივე კაკამ-მდინარე)³; ასევე ფასისი რქმევია აგრეთვე მესამე მდინარესაც, არაქსს, მისი მდინარების ზემო ნაწილში, სადაც ქართული მოსახლეობა იყო⁴.

მხარის მთავარი მდინარის ამ სახელწოდებასთან („ფასისი“) უხადია დაკავშირებულია მხარის სახელწოდება „ფასიანი“ და სატომო სახელწოდება „ფასიანი“, „ფასიანელი“.

*

მეორე სახელწოდება ბასიანის მხარეში მოსახლე ქართველი ტომისა ყოფილა: ბოლხარი, *ბოლხი, ბოხაელნი⁵.

ეს სატომო სახელწოდება დაკავშირებულია ბასიანის მხარის ძველი ცენტრის სახელწოდებასთან; ბასიანის მხარის მთავარ ცენტრს, როგორც ცნობილია, ერქვა ბოლი⁶ resp. ბოლო.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 184—186.

² შეადარეთ აგრეთვე *urina*-ს სახელწოდება ქართულად: *ფ(ა)ს-ელი.

³ იხ. ზემოთ, გვ. 449.

⁴ აღენიშნავთ ამასთან, რომ სახელწოდება „ფასისი“ მდინარე არაქსის ზემო-ნაწილს ეწოდებოდა არა მხოლოდ ანტიკურ ხანაში, როგორც ეს დამოწმებული აქვს ქსენოფონტეს, არამედ ეს სახელწოდება „ფასისი“ ადგილობრივ შემდეგაც შერჩენილა. კონსტანტინე პორფიროგენეტი (მე-10 საუკ.) ფასისს ($\Phi\alpha\sigma\iota\alpha\iota$) უწოდებს მდინარე არაქსის ზემო ნაწილის დასავლეთ ტოტს (რომელიც იწყება დევებოინუს ქედთან, გაივლის დაბა ფასინლერს და შეუერთდება არაქსის ძირითად ტოტს სოფელ იაგანის ქვემოთ. არაქსის ამ დასავლეთ ტოტს ამჟამად ეწოდება ფასი-დერე, ე. ი. ფასის ხევი).

⁵ სტეფანე ბიზანტიელს ეს სატომო სახელი დამოწმებული აქვს ფორმით Βολχαι , კლავდი პტოლემეს Βολχ . მოსე ხორენელის მიერ მოხსენებული „ბოლხარ“-ნი (რომელთა მ. სახელობასაც ისტორიკოსი აღნიშნავს ვანანდში ანუ ზემო-ბასიანში) ამავე სატომო სახელის გადმოცემას წარმოადგენს (იხ. მოსე ხორენელი. II 6, 9).

⁶ ბასიანის მხარის ეს ძველი ცენტრი ბოლი მოხსენიებული აქვთ ლახარე ფარაქელს, 1904 წ. გვ. 146, და პროკოპი კესარიელს, BP, I, 15, გვ. 77, I, 22, გვ. 112, 114; BG. IV, 13, გვ. 526 (ed. Bonn).

ისევე როგორც ქართულში სხვა შემთხვევებში ჩვენ გვაქვს პარალელურად გეოგრაფიული სახელწოდება ტაო და სატომო სახელი ტაო-ხი, გეოგრაფიული სახელწოდება კოლა და სატომო სახელი კოლ-ხი, ასევე ერთმანეთთან არის დაკავშირებული ეს გეოგრაფიული სახელი ბოლი და სატომო სახელი *ბოლ-ხი, ბოლ-ხ-არი. დაბოლოებანი ამ სატომო სახელისა, როგორც „ხ-ი“, ისე „-არი“ დამახასიათებელია ქართულ სატომო სახელთა წარმოებისათვის. („ხ-ი“: მეს-ხი, კოლ-ხი, ჯავა-ხი, ტაო-ხი... „-არი“: გოგ-არი, ოდიშ-არი...).

ბასიანის მხარეში მოსახლე ეს ტომი „ფასიანნი“ ანუ „ბოლხარნი“, როგორც ირკვევა, წარმოადგენდნენ მესხების ერთ-ერთ ტომს¹.

დავევრჩენია ამასთან შემდეგიც აღვნიშნოთ. გარდა მდინარის სახელწოდებისა „ფასისი“ და ქვეყნის სახელწოდებისა „ფასიანი“, ქართული წარმოშობისაა მთელი რიგი სახელწოდებანი ბასიანის მხარეთა. ასე, ქართული წარმოშობისაა სახელწოდება ზემო ბასიანის მხარის მთავარი ქალაქისა: კარი (თანამედროვე ყარსი). სახელწოდება „კარი“ მიემართებოდა ხოლმე მხარის ბუნებრივ სიმაგრეებს; ხოლო ზემო-ბასიანის ეს ქალაქი „კარი“ — თავისი მდებარეობით მართლაც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესს ბუნებრივ სიმაგრეს წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში, იგი არის კარი სამხრეთ საქართველოსი.

ბ

ბასიანის მხარეში ანტიკურ ხანაში

მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა — მე-2 საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა

გავეცნოთ ამის შემდეგ ბასიანის მხარეთა ისტორიის ძირითად საკითხებს. საისტორიო ცნობები ბასიანის მხარეთა შესახებ მოიპოვება მე-5 საუკუნედან ძველი წელთაღრიცხვისა.

პირველად „ფასიანის“ (ბასიანის) მხარეებში მოსახლე ქართველი ტომი „ფასიანნი“ მოხსენებული ჰყავს ქსენოფონტეს, როგორც მოკავშირე მეზობელი ქართველი ტომებისა — ტაოხებისა და ხალიბებისა².

მე-5 საუკუნეში ფასიანთა ტომი, ისევე როგორც არაქსის იბერების (სასპირების) ტომი, სპარსეთის აქემენიანთა იმპერიის მფლობელობის ქვეშ იმყოფებოდა³.

მე-4—3 საუკუნეთა საზღვარზე, როდესაც, აქემენიანთა იმპერიის დამხობის შემდეგ, შერქმნა იბერიის სამეფო, იბერიის ფარგლებში სხვა ქართულ მხარეებთან ერთად შესულა ფასიანის (ბასიანის) მხარეებიც.

იბერიის საზღვრები ამ ეპოქაში სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით აღწევა და ვიდრე ხორძენამდე და პარიადრის მთიანეთამდე და, მაშასადამე, ბასიანის მხარეები ამ დროს მთლიანად იბერიის ფარგლებში იყო მოქცეული⁴.

¹ ეთნიკური სახელწოდება ამ ტომისა ჩვენ გვხვდება როგორც ბასიანში, ისე მესხეთის მხარეებში (ტაოში—ბოხაელთა კანტონი).

² იხ. ქსენოფონტი, ანაბასისი, წ. IV, თ. 6, § 5; წ. VII, თ. 8, § 25.

³ იხ. იქვე, წ. VII, თ. 8, § 25.—შეად. ზემოთ, გვ. 478—481.

⁴ იხ. სტრაბონი, გეოგრაფია, წ. XI, თ. 14, § 5. შეად. ზემოთ, გვ. 432—433, 481—487.

მომდევნო ხანაში, მეორე საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა, როდესაც წარმოიქმნა სომხეთის სახელწოდებები ერთეულები აირარატის მხარესა და სოფენში, საზღვარი სომხეთსა და იბერიას შორის, როგორც ეს ირკვევა აპოლოდორეს ცნობების მიხედვით, არაქსის ხეობაზე გატარებულა¹.

აპოლოდორეს ამ ჩვენების თანახმად, ბასიანის მხარეები რომელიც ძირითადად არაქსის ჩრდილოეთით არის განფენილი, ამ ეპოქაშიაც კვლავ იბერიის ფარგლებში ყოფილა მოქცეული.

საზღვარის ცვლილება იბერიასა და სომხეთს შორის არაქსის ხეობაში მომხდარა უფრო გვიან, სახელდობრ პირველ საუკუნეში ძველი წელთაღრიცხვისა; ამ დროს საზღვარის ხაზი ჩრდილოეთით გადმოწეულა.

ჩვენ უკვე გვქონდა წარმოდგენილი ანალიზი იმ ცნობებისა, რომელთაც შეიცავს სტრაბონის გეოგრაფია სომხეთის და იბერიის საზღვრების შესახებ დასახელებულ ეპოქაში. როგორც გამოიკვეთა, საზღვარი იბერიასა და სომხეთს შორის სტრაბონის დროს შემდეგი ყოფილა: საზღვარი იწყებოდა ტაოს სამხრეთით (ქალაქი იდი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთ ტაოში მდებარეობს, იბერიის ფარგლებში შედიოდა); საზღვარის ხაზი მიჰყვებოდა არა მთლიანად არაქსის ხეობას (როგორც აპოლოდორეს დროს), არამედ მხოლოდ ნაწილობრივ გასდევდა არაქსის ზონას, შემდეგ მიჰყვებოდა მოსხის მთებს (ე. ი. წყალთა-გამყოფ მთებს, რომლებიც გაჰყოფს კოროხისა და მტკვრის ხეობებს არაქსის ხეობიდან), ხოლო უფრო აღმოსავლეთით მიჰყვებოდა მტკვარს (გოგარენის სექტორში)².

სტრაბონის ცნობათა მიხედვით ირკვევა, რომ მის დროს ბასიანის მხარეები ორად ყოფილა გაყოფილი: ერთი ნაწილი, სახელდობრ საკუთრივ ბასიანი, რომელიც არაქსის სათავეების ზონაში მდებარეობს, ჯერ ისევ საქართველოს ფარგლებში შედიოდა (თუ მთლიანად არა, ყოველ შემთხვევაში მისი ის ნაწილი, რომელიც არაქსის ჩრდილოეთით არის განფენილი და უშუალოდ ესაზღვრება ტაოს); ხოლო ბასიანის მხარეთა მეორე ნაწილი — ზემო-ბასიანის მხარე ანუ ვანანდი (რომელიც ესაზღვრება მტკვრის სათავეებს) — სომხეთის ფარგლებში ყოფილა მოქცეული.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა.

როგორც ცნობილია, მომდევნო ეპოქა, ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნე და მეორე საუკუნის პირველი ნახევარი, — ეს არის ხანა, როდესაც იბერიის სამეფო თავის ძლიერების ზენიტს აღწევს და როდესაც მოხდა იბერიის საზღვრების გაფართოება სამხრეთისა და დასავლეთის მიმართულებით. ამ დროს იბერია იბრუნებს სომხეთის მიერ დაკავებულ ტერიტორიებს და მათ რიცხვში იყო ბასიანის ის ნაწილიც, რომელიც სომხეთს მცირე ხნით ჰქონია დაჭერილი³.

¹ იხ. SC I, გვ. 98; შეად. ზემოთ, გვ. 459 (აპოლოდორეს ეს ცნობა ეხება არა მთელს არაქსის ხეობას, არამედ არაქსის ხეობის ზემო ნაწილს).

² იხ. ზემოთ, გვ. 459.

³ იხ. ზემოთ, გვ. 460—461.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც მოიპოვება ბასიანის მხარეთა ისტორიის შესახებ ანტიკურ ხანაში.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ბასიანის მხარეები ანტიკურ ხანაში, დაწყებული მე-5 საუკუნიდან ძველი წელთაღრიცხვისა — ვიდრე მე-2 საუკუნემდე ახალი წელთაღრიცხვისა, ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა და პოლიტიკურადაც იგი საქართველოს (იბერიის) სახელმწიფოებრივ ერთეულთან იყო დაკავშირებული.

ღ

ბასიანის მხარენი ანტიკური ხანის დასასრულსა და ადრეულ საშუალო საუკუნეებში

(მე-3 საუკუნიდან—მე-10 საუკუნემდე)

მეორე პერიოდი ბასიანის მხარეთა ისტორიისა მოიცავს ხანას მე-3 საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე მე-10 საუკუნემდე.

როგორც უკვე გამორკვეული გვექონდა, ანტიკური ხანის დასასრულს, დაახლოებით მე-3 საუკუნეში, სომხეთს პოლიტიკურად დაუკავშირდა ორი სანაპირო კუთხე ქოროხის ხეობისა: იმიერი ტაო და ზემო-სპერია.

ამავე დროს სომხეთს გაუვრცელებია პოლიტიკური გავლენა მეზობლად მდებარე არაქსის ხეობის ქართულ ზონაზე — ბასიანის მხარეებზე (საკუთრივ ბასიანსა და კარის მხარეზე).

შემდგომი ისტორიული ბედი ამ მხარეებისა, რომლებიც სომხეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცნენ, ე. ი. იმიერი ტაოსი, ზემო-სპერიისა და ბასიანის მხარეებისა — სხვადასხვანაირი იყო; ქოროხის ხეობაში მდებარე მხარეებს — იმიერ ტაოსა და ზემო-სპერს, როგორც გამოირკვა, არ შეუტვლიათ ეთნოგრაფიული სახე და როგორც იყვნენ წარსულში, ისე შემდეგაც ქართულ ქვეყნებად დარჩნენ; რაც შეეხება არაქსის ხეობაში მდებარე ბასიანის მხარეებს (საკუთრივ ბასიანსა და კარის მხარეს), — ამათ თანდათან დაუკარგავთ ძველი ეთნიკური სახე. ამას, ცხადია, ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ ბასიანის მხარეები, რომლებიც არაქსის ხეობაში მდებარეობენ, გეოგრაფიულად უფრო დაკავშირებული იყვნენ სომხეთთან, ვიდრე ქოროხის ხეობის მხარეები, რომლებიც მოწყვეტილი არიან სომხეთს სამხრეთ კავკასიონის ქედის (მოსხის მთების) ხაზით.

ბასიანის მხარეებში, ჩანს, ადგილი ჰქონდა სომხური ელემენტის ჩამოსახლებას.

მაინც, როგორც ირკვევა, ქართული ელემენტი ამ მხარეებში მთლიანად არ მოსპობილა. ეს ირკვევა მოსე ხორენელის ცნობიდან „ბოლხართა“ მოსახლეობის შესახებ ზემო-ბასიანში (კარის მხარეში)¹.

¹ იხ. მოსე ხორენელი, ისტორია, II, 6, 9. ზემო-ბასიანის „ბოლხარნი“, ცხადია, იყვნენ ძველნი აბორიგენნი ამ მხარისა — ფასიანელთა ქართველი ტომი (ბოხაენნი ანუ ბოლხები, ბოლხარნი), და არა ჩრდილო კავკასიიდან გადმოსახლებული ტომი, როგორც ამას ლეგენდარული თქმულების სახით გადმოგვცემს სომეხთა ისტორიკოსი.

მე-7—9 საუკუნეებში ბასიანის მხარეთა სამხრეთ ნაწილში, ე. ი. საკუთრივ ბასიანის მხარეში, სომხურსა და ქართულს ეთნიკურ ელემენტს დაემატა მესამე ეთნიკური ელემენტი — არაბი მუსულმანები (სხვა მუსულმან ტომებთან ერთად).

როგორც ცნობილია, არაბები ჩნდებიან კავკასიაში მე-7 საუკუნის ნახევრიდან, ხოლო საბოლოოდ არაბები განამტკიცებენ თავის ბატონობას კავკასიაში მე-7—8 საუკუნეთა მიჯნაზე. ამ დროიდან, მე-7—8 საუკუნეებიდან, სწარმოებს არაბებისა და სხვა მუსულმანი ტომების ჩამოსახლება კავკასიის ზოგიერთ სექტორში.

კერძოდ, არაბებისა და სხვა მუსულმანი ტომების მასიურ ჩამოსახლებას, როგორც ეს ირკვევა კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობების მიხედვით, ადგილი ჰქონია საკუთრივ ბასიანის მხარეში და მის მეზობელ ზონაში (კარინის-არზრუმის მხარიდან მოკიდებული — ვიღრე ვანის ტბამდე).

მე-9 საუკუნეში, როდესაც შესუსტდა არაბთა მფლობელობის ძალა კავკასიაში და შეიქმნა ჯერ ქართველთა სამეფო — ცენტრით მესხეთში (მე-9 საუკუნის დასაწყისში), ხოლო შემდეგ სომეხთა სამეფო ცენტრით აირარატის შირაქში (მე-9 საუკუნის მეორე ნახევარში), ბასიანის მხარეთა სამხრეთი ნაწილი, ე. ი. საკუთრივ ბასიანის მხარე, არ შესულა არც სომხეთის და არც საქართველოს სამეფოების ფარგლებში; ეს მხარე, საკუთრივ ბასიანი, რომლის მოსახლეობაშიაც ფართოდ ყოფილა წარმოდგენილი მუსულმანური ელემენტი, შევიდა კაისიკთა ადგილობრივ მუსულმანურ საამიროში, რომელიც სამხრეთის მხრიდან ესაზღვრებოდა ქართველთა სამეფოს, ხოლო სამხრეთ-დასავლეთის მხრიდან — სომხეთის სამეფოს.

D

**ბასიანის მხარეთა შემოერთება საქართველოს მიერ
მე-10—11 საუკუნეებში**

ახალი პერიოდი ბასიანის მხარეთა ისტორიაში იწყება მე-10—11 საუკუნეებიდან, როდესაც ბასიანის მხარეები ისევ დაიბრუნა საქართველომ.

მე-10 საუკუნეში დაბრუნებულ იქმნა ბასიანის მხარეთა სამხრეთი ნაწილი — საკუთრივ ბასიანის მხარე. მე-11 საუკუნეში შემოერთებულ იქმნა ზემო-ბასიანი ანუ კარის მხარე.

ბასიანის მხარეთა გამო საქართველოს მოუხდა ბრძოლების წარმოება არაბებთან მე-10 საუკუნეში, ხოლო შემდეგ ბიზანტიასთან მე-11 საუკუნეში.

ჩვენ აქ მოკლედ შევჩერდებით ბასიანის მხარეთა საქართველოსთან ხელახლა შემოერთების ისტორიაზე.

გამოკვლევის III თავში ჩვენ უკვე დაწერილებით გვქონდა გაშუქებული ისტორია ბიზანტიის იმპერიის და ქართველთა სამეფოს პოლიტიკური ურთიერთობისა და სამხედრო კავშირისა მე-9—10 საუკუნეებში ¹.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 55—68.

ბიზანტიასა და საქართველოს მე-9—10 საუკუნეებში შექმნილი ჰქონდათ ერთიანი ფრონტი არაბების წინააღმდეგ კავკასიის სანაპიროზე.

მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში ბიზანტიელებმა და ქართველებმა საერთო ძალით გაათავისუფლეს არაბთა მფლობელობიდან „ზემონი ქვეყანანი“: კარინის (თეოდოსიოპოლის, თანამედროვე არზრუმის) მხარე, საკუთრივ ბასიანის მხარე და მიმდგომი რაიონები.

ქართველთა სამეფო, ბიზანტიასთან წინათ დადებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე, მოითხოვდა ამ მხარეების საქართველოსთან შემოერთებას. (დასახელებული მხარეები — „ზემონი ქვეყანანი“ — არის ის ტერიტორია, რომელიც ისტორიულ წარსულში — ანტიკურ ხანაში — საქართველოს ეკუთვნოდა.)

ბიზანტიელებმა დაარღვიეს საკავშირო ხელშეკრულება და თვით გამოაცხადეს პრეტენზიები ყველა ამ მხარეებზე.

ხანგრძლივი დიპლომატიური მოლაპარაკების შედეგად ბიზანტიის იმპერიასა და ქართველთა სამეფოს შორის მე-10 საუკუნის შუა წლებში მიღებულ იქმნა კომპრომისული გადაწყვეტილება. საზღვრად ბიზანტიასა და ქართველთა სამეფოს შორის დადებულ იქმნა მდინარე არაქსი. საქართველოს შეუერთდა საკუთრივ ბასიანის მხარის ერთი ნაწილი, რომელიც მდინარე არაქსის ჩრდილოეთით მდებარეობს (ჩრდილოეთი ბასიანი), ხოლო „ზემო ქვეყანათა“ დანარჩენი ტერიტორია შეიერთა ბიზანტიამ.

კონსტანტინე პორფიროგენეტი (წიგნში *De administrando imperio*) — შემდეგსა წერს საზღვარის ხაზის გატარების შესახებ ბიზანტიის იმპერიასა და იბერიას (ქართველთა სამეფოს) შორის:

„საზღვრად (ბიზანტიასა და იბერიას შორის) ბასიანის მხარეში დადგენილია მდინარე არაქსი ანუ ფასისი; იბერიის სამფლობელოდ რჩება მარცხენა (ჩრდილოეთი) ნაწილი (ბასიანისა), რომელიც აკრავს იბერიას, ხოლო მარჯვენა ნაწილი (—სამხრეთი), რომელიც აკრავს თეოდოსიოპოლს, თავის ციხეებითა და სოფლებით, უერთდება ჩვენს საბრძანებელს (ბიზანტიას), ასე რომ მდინარე დადგენილია საზღვრად ამ ორ სამფლობელოს შორის“¹.

*

დავა ბიზანტიასა და საქართველოს შორის „ზემო ქვეყანათა“ გამო თუმცა კომპრომისით დამთავრდა მე-10 საუკუნის შუა წლებში, მაგრამ საკითხი ამით არ გადაწყვეტილა. საქართველოს არ მოუხსნია თავისი პრეტენზიები „ზემო ქვეყანათა“ შესახებ.

მეოთხედი საუკუნის შემდეგ საქართველომ შესძლო ამ თავისი პრეტენზიების რეალიზაცია.

978 წელს ბიზანტიის იმპერიის მთავრობამ სამხედრო დახმარებისათვის მიმართა ქართველთა სამეფოს და ამის სანაცვლოდ პირობა დასდო — დაეთმო ქართველთა სამეფოსათვის ძველი სადაო ტერიტორიები.

ქართველთა სამეფოს ხელისუფლებამ, რომლის ფაქტიური ხელმძღვანელი ამ დროს იყო დიდი პოლიტიკური მოღვაწე დავით დიდი კურაპალატი („მოურავი“ ქართველთა სამეფოსი), მიიღო ეს წინადადება.

¹ იხ კონსტანტინე პორფიროგენეტი, *op. cit.*, თავი 45, გვ. 205.

საქართველომ გაუწია ბიზანტიას აღთქმული სამხედრო დახმარება და ამის შემდეგ საქართველომ, დადებული პირობის თანახმად, შემოიერთა ბიზანტიიდან საღაო ტერიტორიები.

სახელდობრ, ამ დროს საქართველოს შემოუერთდა:

I. სამხრეთ ბასიანის კანტონი, მდებარე მდინარე არაქსის სამხრეთ სანაპიროზე, და ამრიგად საქართველოს ფარგლებში მთლიანად გაერთიანდა ეს ძველი ქართული პროვინცია—საკუთრივ ბასიანის მხარე.

II. საქართველოს შემოუერთდა ამასთან შემდეგი მხარეები, რომლებიც ისტორიულ წარსულში (ანტიკურ ხანაში) საქართველოს ეკუთვნოდნენ:

ა) ქალაქი კარინი ანუ თეოდოსიოპოლი (თანამედროვე არზრუმი), თავისი თემით, რომელიც დასავლეთ ეფფრატის ხეობაში მდებარეობს;

ბ) ციხე ხალტოი-არიჭი და მასთან მდებარე კლისურა ამავე დასავლეთ ეფფრატის ხეობაში;

გ) ჩორმაირის თემი — მდინარე ქოროხის სათავესთან;

დ) ციხე სევეუკი თავისი თემით (მარდალიის კანტონი) — მდინარე არაქსის სათავესთან (იგივე „პარიადრის მთიანეთის მხარე“ ანტიკური ხანისა).

III. ზემოთ-ჩამოთვლილ ძველ ქართულ პროვინციებს გარდა, საქართველოს შემოუერთდა აგრეთვე სომხეთის ორი პროვინცია — ჰარქისა და აპაჰუნის მხარეები, — რომლებიც მანამდე ბიზანტიას ჰქონდა დაქვრილი¹.

*

ამრიგად, 978 წელს ქართველთა სამეფომ გააფართოვა თავისი ტერიტორია და დაიბრუნა თავისი ძველი ისტორიული მიწა-წყალის მნიშვნელოვანი ნაწილი არაქსისა და ეფფრატის ხეობებში.

მაგრამ ქართველთა სამეფო არ დაკმაყოფილებულა მიღწეულით.

978 წლის შემდეგ, მე-10 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, ქართველთა სამეფომ ფართოდ გაშალა ბრძოლა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ კავკასიის სამხრეთ სანაპიროზე, გაათავისუფლა მთელი რიგი სანაპირო მხარეები და ქართველთა სამეფოს საზღვრები ვანის ტბამდე მიიტანა.

აღსანიშნავია, რომ ამ დროს წარმოებს არა მარტო შემოერთება საქართველოს მიერ მუსულმანთაგან დაპყრობილი ტერიტორიებისა, არამედ დასახლება ახლად შემოერთებული მხარეებისა ქრისტიანული ელემენტით, ქართველებითა და სომხებით.

ასე, სომეხთა ისტორიკოსის სტეფანოს ტარონელის ცნობით, როდესაც დავით კურაპალატმა აიღო ქალაქი მანასკერტი, ერთ-ერთი მთავარი ცენტრი აღმოსავლეთ ეფფრატის (არაწანის) ხეობაში, აქედან მან გაასახლა მუსულმანები და მათ აღგილას ქრისტიანები — ქართველები და სომხები დაასახლა².

თუ ქართველი მოსახლეობა ამ დროს გაჩნდა თვით ისეთ შორეულ მხარეში, როგორც იყო მანასკერტი, ცხადია ამ დროს ქართველებით უნდა დასახლებულიყო პირველ რიგში სწორედ ბასიანის მხარე, რომელიც უშუალოდ აკრავს საქართველოს ძირითადს მიწა-წყალს, მესხეთს. ბასიანში, როგორც

¹ იხ. სტეფანოს ტარონელი (ასოლიკი), 1883 წ. გვ. 192.

² იხ. იქვე, გვ. 266.

ზემოთ გვქონდა აღნიშნული, მე-10 საუკუნის პირველ ნახევრამდე ფართოდ ყოფილა წარმოდგენილი მუსულმანური ელემენტი, და როდესაც საქართველომ დაიპყრა ბასიანის ნაწილები (ჩრდილო ბასიანი მე-10 საუკუნის ნახევარში, ხოლო სამხრეთი ბასიანი 978 წელს), აქ, ჩანს, ამავე ეპოქაში მომხდარა მუსულმანი მოსახლეობის შეცვლა ქართული მოსახლეობით.

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ მე-10 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში ახლად შემოერთებულ ტერიტორიაზე დაარსებულ იქმნა ქართველთა (მართლმადიდებელთა) საეპისკოპოსო ვალაშკერტისა, რომელიც ამის შემდეგ არსებობდა მომდევნო საუკუნეთა მანძილზე და მცხეთის საკათალიკოსოს ფარგლებში შედიოდა.

*

1001 წელს გარდაიცვალა დავით დიდი კურაპალატი. ამის შემდეგ ბიზანტიის იმპერატორმა ბასილი II-ემ, როგორც ცნობილია, დაიპყრა სამხრეთ ტაოს სამფლობელო და მასთან ერთად „ზემონი ქვეყანანი“, რომელიც სადაოდ იყო ქცეული ბიზანტიასა და საქართველოს შორის მე-10 საუკუნის შუა წლებიდან მოკიდებული.

ეს გახდა საბაბი დიდი ომისა, რომელიც შემდეგ გაიმართა ბიზანტიასა და საქართველოს შორის მე-11 საუკუნის პირველ მესამედში.

საქართველოს მეფემ გიორგი I-მა ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ბიზანტიის იმპერატორი ბასილი II ჩაბმული იყო ბულგარეთთან ომში და 1014—1016 წლებში დაიპყრა სამხრეთი ტაო და „ზემონი ქვეყანანი“, მათ შორის ბასიანის მხარე, და განდევნა ბიზანტიელთა გარნიზონები¹.

როდესაც ბიზანტიის იმპერატორმა გამარჯვებით დაამთავრა ომი ბულგარეთთან, მან მოსთხოვა საქართველოს მთავრობას დაეცალა სამხრეთ ტაოს სამფლობელო და „ზემონი ქვეყანანი“. საქართველოს მთავრობამ ამაზე უარით უპასუხა.

1021 წელს ბიზანტიამ დაიწყო ომი საქართველოსთან მოხსენებული ტერიტორიების გამო. ომი სამი წელი გაგრძელდა (1021—1023 წ. წ.). ფრონტი ბიზანტიელთა და ქართველთა ჯარებისა პირველად ბასიანში გაიშალა. გადამწყვეტი ბრძოლაც ომის მესამე წელს იმავე ბასიანში მოხდა².

ომი დასრულდა ბიზანტიელთა გამარჯვებით. საზავო ხელშეკრულებით, რომელიც 1023 წელს დაიდვა, ბიზანტიამ შეიერთა სადაო ტერიტორიები.

ამ ტერიტორიებიდან, რომელიც ბიზანტიამ დაიპყრო საქართველოსაგან, შეიქმნა ორი „თემი“ (ოლქი) ბიზანტიის იმპერიის ფარგლებში: ერთი—თეოდოსიოპოლის თემი, რომელიც მოიცავდა დასავლეთ ეფფრატის ხეობაში მდებარე ზონას (არზრუმის მხარე); მეორე ოლქი, რომელსაც ბიზანტიელებმა დაარქვეს „ი ბ ე რ ი ს თ ე მ ი“ — აერთიანებდა თავის ფარგლებში: სამხრეთ ტაოს სამფლობელოს, საკუთრივ ბასიანის მხარეს და არაწანის ხეობის მიმდგომ რაიონებს.

¹ იხ. არაბი მემატიანე იაჰია ანტიოქელი, ვ. როზენის გამოცემა (Император Василий Боггаровича, 1893 წ.), გვ. 61.

² იხ. ცხოვრება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა, გვ. *473/247, *475/249.

*

„იბერიის თემი“ ამის შემდეგ დარჩა ბიზანტიის იმპერიის შემადგენლობაში ნახევარი საუკუნე, 1023 წლიდან მოკიდებული ვიდრე 1074 წლამდე. ამ ხნის მანძილზე „იბერიის თემის“ ფარგლები გაფართოებულ იქმნა ახალი ტერიტორიებით.

კერძოდ, 1068 წელს „იბერიის თემს“ შეუერთდა კარის მხარე, რომელიც ამის წინარე ხანაში სომხეთის ფარგლებში შედიოდა.

კარის მხარე დაუთმო ბიზანტიას ამ კუთხის მფლობელმა გაგიკმა (რომელიც კარის მეფის ტიტულს ატარებდა) და ამ მხარის ნაცულად გაგიკმა მიიღო ბიზანტიის იმპერატორისაგან ანატოლიის ქალაქი ძამენტაუ და მისი ოლქი. გაგიკმა კარის მხარის მოსახლეობის დიდი ნაწილი გადაიყვანა ანატოლიაში ძამენტაუს ოლქში. სანახევროდ დაცარიელებული ტერიტორია კარის მხარისა ამის შემდეგ გაერთიანებულ იქმნა იბერიის თემთან, როგორც მოვიხსენეთ — 1068 წელს.

*

იბერიის თემი, ბასიანის მხარეთა შემადგენლობით, საქართველომ დაიბრუნა 1074 წელს.

იბერიის თემის დაბრუნება საქართველოს მიერ შემდეგ ვითარებაში მოხდა. მე-11 საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში, როგორც ცნობილია, დაიწყო თურქების (სელჯუკების) განსაკუთრებული გაძლიერება ანატოლიის სანაპიროზე. ბიზანტიელების პოზიციები კავკასიაში შეირყა. ამით ისარგებლა საქართველოს მეფემ გიორგი II-ემ და, როგორც ამბობს ძველი მემკვიდრე, — „მძღავერებისაგან ბერძენთასა წარხმულნი“ (ე. ი. მიტაცებული) ქვეყანანი — უკან დაიბრუნა. ჯერ გიორგი II-ეს დაუპყრია ბიზანტიელთაგან ტერიტორია, რომელიც ბიზანტიელებს დაქერილი ჰქონდათ აფხაზეთში (ანაკოფია), ხოლო შემდეგ გიორგი II-ეს შემოუერთებია იბერიის თემი, ბასიანის ქვეყნებით: საკუთრივ ბასიანის მხარე და კარის მხარე (ზემო ბასიანი).

ბასიანის მხარეთა საქართველოსთან შემოერთებისათვის ხელი შეუწყვია ცნობილს ბიზანტიელს სახელმწიფო მოღვაწეს, შთამომავლობით ქართველს, — გრიგოლ ბაკურიანის-ძეს, რომელიც ამ დროს იყო ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის ქვეყნების უმაღლეს მხედართმთავრად და რომელსაც ექვემდებარებოდა, კერძოდ, ბასიანის მხარეები (საკუთრივ ბასიანის მხარე და კარის მხარე). გრიგოლ ბაკურიანის-ძეს კარგად ესმოდა, რომ ბიზანტია, შექმნილ ვითარებაში, ვეღარ შეინარჩუნებდა ბასიანის მხარეებს და უომრად ჩაუბარებია იგი საქართველოს მეფის გიორგი II-ისათვის.

დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ამის შესახებ მოგვითხრობს, რომ გრიგოლ ბაკურიანის-ძე ეახლა გიორგი II-ეს ტაოს მხარეში, მეფის ადგილობრივ რეზიდენციაში — ბანაში, „და მოსცა გიორგი მეფესა კარისა ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა“¹.

¹ იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *512/281.

ამის შემდეგ გიორგი II ჩავიდა კარში, განაგო იქაური საქმეები და კარის ქვეყნის მმართველებად შეეშეთის აზნაურნი დაადგინა („და დაუტევნა კარსა აზნაურნი შეშნი“ — ნათქვამია დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულებაში)¹.

მეორე ძველ-ქართველი ისტორიკოსი, თანამედროვე მემატიაზე გიორგი II-ისა, დაწვრილებით ჩამოსთვლის ბასიანის მხარეთა იმ ტერიტორიებს, რომლებიც საქართველომ ამ დროს შემოიერთა; მატიაზე აღნიშნულია, რომ გიორგი შეფემან „აილო ქალაქი კარისა, ციხე, ქვეყანა და სიმაგრენი ვანანდისა, და კარნი ფორ — ბასიანი“. მემატიაზე ამასთან უმატებს, რომ ამ ქვეყანათა აღების დროს გიორგი შეფემან „იოტნა თურქნი მის ქვეყანისანი“².

ამრიგად, ამ დროს მოხდა გაერთიანება საქართველოს საზღვრებში ბასიანის მხარეთა ტერიტორიისა მთლიანად, როგორც კარის მხარის (ვანანდის), ისე საკუთრივ ბასიანის მხარის შემადგენლობით.

3

ბასიანის მხარეთა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაწილება საქართველოსთან გაერთიანების შემდეგ

ვიდრე გადავიდოდეთ ბასიანის მხარეთა შემდგომი ისტორიის განხილვაზე, აქ საჭიროა წინასწარ გავითვალისწინოთ ბასიანის მხარეთა ახალი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაწილება, რომელიც დამყარდა ამ მხარეთა საქართველოსთან ხელახლა გაერთიანების შემდეგ.

საისტორიო წყაროებში, ეპოქისათვის მე-10—11 საუკუნეებიდან მოკიდებული — ვიდრე მე-15—16 საუკუნეებამდე, — დამოწმებულია შემდეგი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაწილება ბასიანის მხარეებისა ცალკეულ კანტონებად (უანებად)³:

კანტონები (უბნები):	კანტონების (უბნების) ნაწილები:
1. ბასიანი (ბასიანნი)	{ <ul style="list-style-type: none"> ა. ჩრდილოეთი ბასიანი ბ. სამხრეთი ბასიანი
2. კარნიფორი (გაჩევანი)	
3. საკუთრივ კარი ანუ ვანანდი	
4. ხორტევანი	
5. ზარიშტიანი (წინუბანი)	

¹ იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *512:281.

² იხ. ცხორება გიორგი II-სა, გვ. *512/280.

³ ძირითადი წყაროები, რომლებიც შეიცავენ ცნობებს ჩამოთვლილ კანტონთა შესახებ:

კონსტანტინე პორფიროგენეტი (*De administrando imperio*, თავი 45); ქართლის ცხოვრების მატიაზეები (ცხორება გიორგი I-ისა და ბაგრატ IV-ისა; ცხორება გიორგი II-ისა; ისტორია დავით აღმაშენებლისა; თამარ მეფის ისტორიკოსნი; ლაშა ჩიორგის დროინდელი მემატიაზე; ეპითალანწერული; სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხა (ე თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, I, 1907 წ. გვ. 77) — ცნობები კანტონების გაჩვენის (კარნიფორის), საკუთრივ კარის, ხორტევანის და ზარიშტიანის შესახებ; გუჯარი-მცხეთის მამულების ნუსხა (თ. ჟორდანიას გამოცემა, ქრონიკები; II. 1897 წ., გვ. 196) — ცნობა წინუბანის (=ზარიშტიანის) შესახებ.



პირველი ორი კანტონი — ბასიანი და კარნიფორი — მე-11—12 საუკუნეებიდან მოკიდებული შეადგენენ ერთ სამხარეო ერთეულს, რომელსაც ეწოდება კარნიფორ-ბასიანი¹ ანუ კარნიფორი².

შემდგომი სამი კანტონი — საკუთრივ კარი (ვანანდი), ხორტევეანი და ზარიშტიანი ვიდრე მე-11 საუკუნის მეორე ნახევრამდე შეადგენენ ერთ სამხარეო ერთეულს, რომელსაც ეწოდება საერთო სახელი: კარისა ქვეყანა ანუ ვანანდი³. ხოლო მე-11 საუკუნის დასასრულიდან კარის ქვეყანა (ვანანდი) ეწოდება არა ამ სამი კანტონის გაერთიანებას, არამედ მხოლოდ მესამე კანტონს, ე. ი. საკუთრივ კარის კანტონს (ქალაქ კარის უშუალო ინტერლანდს)⁴.

რაც შეეხება ხორტევეანის და ზარიშტიანის (წინუბანის) კანტონებს, ისინი შეიძლება ხანაში გაერთიანებული არიან არა საკუთრივ კარის კანტონთან, არამედ სხვა მეზობელ ერთეულებთან, სახელდობრ: ხორტევეანი გაერთიანებულია მესხეთის კანტონთან კოლასთან⁵; ზარიშტიანი

¹ იხ. ცხოვება გიორგი II-ისა, გვ. *512/280 („კარნიფორ-[ბ]ასიანი“); დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *543/311 („კარნიფორა-ბასიანი“).

² იხ. უმთავრესი „კარნიფორი“ („კარნიფორა“) გვ. *915/758, *675/719 (შენ. 5) *755/580; აგრეთვე სატომო სახელწოდება კარნიფორ-ბასიანის მხარის მოს. ხელობისა: „კარნიფორელი“ გვ. *793/631, *924/761.

³ იხ. ცხოვება გიორგი II-ისა, გვ. *512/280; დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *512/281 (ცნობა ეხება 1073 წელს).

⁴ იხ. თამარის პირველი ისტორია (ისტორია-ახმანნი) გვ. *618/382, *637/418; თამარის მეორე ისტორია (ისტორია-ახმანთა გავრძელება), გვ. *699/495—6; ბასილი ეპოსმოდლარი, 1944 წ., გვ. 32; ლაშა-გიორგის დროინდელი მეატინე (ანასეული ჭართლის ცხოვრება, 1942 წ.) გვ. 241, 242; უმთავრესი, გვ. *874/718, *915/758.

⁵ იხ. სამცხე-საათაბაგოს საქისკოპოსოთა ნუსხა, გვ. 77.

(წინუბანი) გაერთიანებულია ჯერ ანისის მხარესთან (რომელიც დავით აღმაშენებლის დროიდან საქართველოს ფარგლებში შედიოდა)¹, ხოლო შემდეგ მესხეთ-ქართლის სანაპირო ოლქთან — თორის (ახალციხე-თორის) მხარესთან².

§

ბასიანის მხარეები

მე-11 საუკუნის დასასრულიდან — მე-13 საუკუნის დასაწყისამდე

მე-11 საუკუნის 70-იანი წლებიდან მოკიდებული (როდესაც საქართველოს ფარგლებში გაერთიანდა ბასიანის მხარეები მთელის მოცულობით) — ვიდრე მე-13 საუკუნის დასაწყისამდე, საქართველოს დიდი ბრძოლების წარმოება მოუხდა თურქებთან ბასიანის მხარეთა დასაცველად.

ჩვენ აქ მოკლედ გავეცნობით ბასიანის მხარეთა ისტორიას დასახელებულ პერიოდში.

*

მე-11 საუკუნის მეორე ნახევარი, როგორც ცნობილია, ეს იყო ეპოქა, როდესაც სწარმოებდა თურქი სელჯუკების ურდოების დიდი გადმოსახლება კავკასიის სანაპიროებზე და ანატოლიაში. მოზღვავებული თურქობა აწყდებოდა საქართველოს საზღვრებს.

1080 წელს თურქებმა დაიპირეს ქალაქი კარი³. ამაზე ადრე, ჯერ კიდევ 1064 წლიდან, თურქებს აღებული ჰქონდათ კარის მეზობლად მდებარე სომხეთის ძველი დედაქალაქი ანისი⁴. ამ ორ პუნქტში, — კარსა და ანისში, — შეიქმნა თურქული საამიროები, საიდანაც თურქები აწარმოებდნენ შემოტევას საქართველოს მხარეების და კერძოდ მესხეთის წინააღმდეგ.

პირველ რიგში თურქებს იერიშები მოჰქონდათ ქალაქ კარის საზღვართან მდებარე ბასიანის პროვინციებზე. თურქთა ურდოები ცდილობდნენ ჩამოსახლებულიყვნენ ბასიანის პროვინციებში და მესხეთის სანაპირო მხარეებში.

თურქების ძლიერება კავკასიაში საქართველომ საბოლოოდ გასტეხა დავით აღმაშენებლის დროს. დავით აღმაშენებელმა, კერძოდ, აღკვეთა თურქების ცდა ჩამოსახლებულიყვნენ მესხეთის სანაპიროებზე და ბასიანის პროვინციებში.

1116 წელს დავით აღმაშენებელმა დიდი დამარცხება მიაყენა თურქების ურდოებს, რომლებიც ჩამომდგარი იყვნენ ტაოს მხარეში — ვიდრე ბასიანამდე და კარნიჟორის მთამდე⁵.

ხოლო 1123 წელს მესხეთის პროვინციები — ჯავახეთი და კოლა, და ბასიანის პროვინციები — საკუთრივ ბასიანი (ბასიანნი) და კარნიფორი, — საბო-

¹ იხ. სამეხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხა. გვ. 77.

² იხ. თაჰარის მეორე ისტორია, გვ. *699/495—6; ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944 წ., გვ. 32; ჟამთააღმწერელი, გვ. *874/718. (თორელთა სამფლობელო საკუთრივ კარის კანტონს ესახლრებოდა ზარიშტიანის კანტონის ტერიტორიის მეშვეობით).

³ იხ. დავით აღმაშენებლის მატჩანე, გვ. *513/282.

⁴ იხ. ცხორება გიორგი I-სა და ბაგრატ IV-ისა, გვ. *498/269; არისტაკეს ლასტივერტელი, ისტორია, 1912 წ., გვ. 162—7; მათე ურპაელი, ისტორია, 1869 წ. გვ. 176—180.

⁵ იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *531—2/298.

ლოოდ გაწმენდილ იქმნენ თურქთა ურდოების ნაშთებისაგან. თანამედროვე მემკვიდრე მოგვითხრობს, რომ დავით აღმაშენებელი 1123 წელს — „წარემართა ლაშქრითა, განელო ჯაფახეთი, კოლა, კარნიფორი, ბასიანნი, — სპერამდინ, და საცა პოვა თურქმანი, მოსრა და ტყვე ყოა“¹.

იმავე 1123 წელს დავით აღმაშენებელმა განდევნა თურქები ანისიდან და ანისის მხარე შემოუერთა საქართველოს². ამრიგად, ორი თურქული ცენტრიდან — კარისა და ანისის საამიროებიდან, მეორე მათგანი — ანისის საამირო — ჰქარგაყს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას და საქართველოს უკავშირდება.

დავით აღმაშენებლის მეფობის დასასრულისათვის, 1123—1125 წლებში, დამყარდა შემდეგი საზღვრის ხაზი საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, ბასიანის მხარეთა სექტორში:

ბასიანის მხარეთა ხუთი კანტონიდან საქართველოს საზღვრებში მოქცეულია ოთხი კანტონი: 1. ბასიანი; 2. კარნიფორი; 3. ხორტევაი; 4. ზარიშტიანი (წინუბანი). თურქების ხელში ამ დროისათვის რჩება მხოლოდ ერთადერთი ზონა — საკუთრივ კარის კანტონი (კარის საამირო), რომელიც დაკავშირებულია ხლათის თურქულ სამფლობელოსთან³.

*

1123—1125 წლებიდან მოკიდებული მომდევნო ორმოცი წლის მანძილზე, მე-12 საუკუნის 60-იან წლებამდე, საზღვრის ხაზი ბასიანის მხარეთა ზონაში სტაბილურია, მას ამ ხნის მანძილზე რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებები, ჩანს, არ განუცდია.

ამ პერიოდში, მე-12 საუკუნის 20-იანი წლებიდან — 60-იან წლებამდე, სწარმოებს დასახლება ქართულის ელემენტით ბასიანის პროვინციებისა.

ქართულ მატრიანეთა ჩვენების თანახმად, როდესაც დავით აღმაშენებელმა მე-12 საუკუნის 20-იანი წლებისათვის საბოლოოდ გასწმინდა თურქთა ურდოების ნაშთებისაგან საქართველოს სანაპირონი, ამ დროისთვის საქართველოს სამხრეთი პროვინციები მთლიანად აოხრებული ყოფილა თურქთა ხანგრძლივი თარეშის შედეგად. როგორც აღნიშნავს ლაშა გიორგის დროინდელი მეპატიარე, ამ სამხრეთ პროვინციებში, მათი გათავისუფლების დროს, „ციხეთა და ქალაქთა გარდა კაცი აღარსად იყო“. ასეთნაირად ყოფილა აოხრებული კერძოდ მესხეთის სანაპირო ზონა — ჯაფახეთ-არტაან-ტაოს ხაზზე. მემკვიდრის ცნობით, ხელ-

¹ იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *543/310—311.

² იხ. იქვე, გვ. *544/311; მათე ურჩაელი, ისტორია, 1869 წ., გვ. 451; ვარდან დიდი, ისტორია, 1861 წ., გვ. 156—157; სტეფანოს ორბელიანი, სიენიეთის ისტორია, 1861 წ., გვ. 277.

³ ბასიანის და კარნიფორის კანტონთა შესახებ იხ. დავით აღმაშენებლის ისტორია, გვ. *543/310—311. რაც შეეხება ბასიანის მხარეთა ჩრდილოეთ მცირე კანტონებს — ხორტევანსა და ზარიშტიანს (წინუბანს), — რომლებიც ძველად კარის (ვანანდის) პროვინციის ნაწილს შეადგენდნენ, ისინი ჩამოშორებიან ამ უკანასკნელს თურქთაგან კარის დაპყრობის შემდეგ და შერთებიან საქართველოს სხვა მებობელ მხარეებს; სახელდობრ ხორტევანის კანტონი შემდეგ ბანაში გაერთიანებულია მესხეთის კოლას კანტონთან; ხოლო ზარიშტიანი (წინუბანი) — ჯერ ანისთან, ხოლო შემდეგ მესხეთ-ქართლის სანაპირო ოლქთან — თორის სამფლობელოსთან (იხ. ზემოთ, გვ. 529—530).

ახალი დასახლება მესხეთის ამ სანაპირო ზონისა მომხდარა დავით აღმაშენებლის შემკვიდრის დემეტრე I-ის (1125—1155 წ.წ.) დროს. მემატინე წერს მესხეთის მოხსენებული ზონის შესახებ: „ჯავახეთი, ქვენა-არტაანი და ზენა-არტაანი — ამათსა (დემეტრე I-ის) მეფობასა შინა აშენდეს და ტაოს ნაპირნი“¹.

თუკი ასე აოხრებულ იყოფილა საკუთრივ მესხეთის სანაპიროები — ჯავახეთ-არტაან-ტაოს ხაზი, ცხადია მით უფრო განადგურებული უნდა ყოფილიყო ბასიანის მხარეთა ზონა, რომელიც სამხრეთის მხრიდან არტყია ჯავახეთ-არტაან-ტაოს სექტორს და უშუალოდ ესაზღვრებოდა იმ ტერიტორიას, რომელიც ოურქეჯს ჰქონდათ დაქერილი. ცხადია, თურქთა ამ დიდი გადასახლების ხანიდან, ბასიანის მხარეები საქართველოს სრულიად გაპარტახებული და უკაცრიელი მ-ულია, და ბასიანის მხარეთა ხელახალი დასახლება, როგორც ირკვევა, ამ მომდევნო ხანაში მომხდარა, მე-12 საუკუნის 20-იანი წლებიდან — 60-იან წლებამდე.

*

ორმოცწლოვანი შესვენების შემდეგ ბასიანის მხარეები ისევ ხდება ასპარეზი თურქების თარეშისა. მე-12 საუკუნის 60-იან წლებში თურქებმა შესძლეს გაერღვიათ საქართველოს თავდაცვის ხაზი მესხეთის სანაპიროებზე და ბასიანის მხარეებში. ამ დროს თურქებმა ერთხანად მოახდინეს ოკუპაცია ტაოსა და სპერის სამხრეთი უბნებისა, ხოლო ბასიანის მხარეთაგან ბასიანის და კარნიფორის კანტონებისა.

ამის შემდეგ მომდევნო 30 წლის მანძილზე ეს კუთხე (ტაოსა და სპერის სამხრეთი უბნები და ბასიან-კარნიფორის კანტონები) — ხელიდან ხელში გადადიოდა².

მე-12 საუკუნის უკანასკნელ ათეულში ქართველებმა საბოლოოდ დაიბრუნეს ტაოს და სპერის ეს სანაპირო უბნები და აგრეთვე ბასიანის კანტონი. ამავე ხანებში საქართველოს სახელმწიფოს ძალაუფლება გაერყელდა აგრეთვე მეზობელ თურქულ სამთავროებზე — კარნუ-ქალაქის (არზრუმის) და ეზინკის (ერზინჯანის) საამიროებზე, რომლებიც საქართველოს „ყმად-ნაფიცი“ (ვასალური) ქვეყნებად გახდნენ; საქართველოს საზღვრები შიდა ანატოლიის მიხენბამდე იქმნა მიტანილი³.

ბასიანის მხარეთაგან ამ დროისათვის შემოუერთებელი რჩებოდა მხოლოდ კარნიფორის კანტონი და საკუთრივ კარის კანტონი — კარის საამირო, — რომელიც ხლათის მუსულმანური სამფლობელოს ნაწილს შეადგენდა.

¹ იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მატინე (ანასეული ქართლის ცხოვრება, 1942 წ.) გვ. 237.

² იხ. ისტორია-ახმანნი შარაენდ-დთანნი, გვ. *612/385, *635/418, *682/476 (ბასიანი); გვ. *637/418 (კარნიფორი); გვ. *610/382 (ტაოს უბანი); გვ. *661/448, შენ. 15 (სპერი).

³ კარნუ-ქალაქისა და ეზინკის საამიროები საქართველოს ვასალური ქვეყნები გახდნენ 1200 წლის ახლო ხანებში, იკონიის სულტან ოქუნადინთან ომის უწინარეს (იხ. ბასილი ეზოს-მოდღარი, 1944 წ., გვ. 25, 29). კიდევ უფრო ადრე საქართველოს საზღვრებში ცხადია უნდა შემოსულიყო ტაო-სპერის უბნები და ბასიანი (რომელთაც ტერიტორიულად უკირათ შუა ზონა ეზინკ-კარნუ-ქალაქს და შიდა საქართველოს შორის). ბრძოლა ოქუნადინთან 1205 წელს ბასიანში მოხდა, ბასიანისა და კარნუ-ქალაქის საამიროს საზღვართან, ბოლია (ბოლოს) ციხესთან (იხ. თამარის მეორე ისტორია, გვ. *702/502; ლაშა-გიორგის დროინდელი მემატინე, ანასეული ქართლის ცხოვრება, 1942 წ., გვ. 241).

1206 წელს საქართველომ საბოლოოდ შემოიერთა ეს კუთხეებიც — კარის საამირო, კარნიფორის კანტონით.

კარის საამიროს შემოერთების შესახებ საქართველოს მიერ დაწერილებითი ცნობები აქვთ დაცული ქართველ ისტორიკოსებს (— ბასილი ეზოსმოძღვარს, თამარის მეორე ისტორიკოსს — „ისტორია-აზმანთა“ გამგრძელბელს, ლაშა-გიორგის დროინდელ მემატიანეს), სომეხთა ისტორიკოსს ვარდან დიდს, არაბ ისტორიკოსს იბნ ალასირს.

საქართველოს ხელისუფლება ამ მხარის შემოერთებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდა, რადგან კარის საამირო ეს იყო უკანასკნელი დასაყრდენი თურქებისა სამხრეთ-დასავლეთ კავკასიაში.

როდესაც კარი აიღო საქართველოს ჯარმა 1206 წელს, თვით მეფე თამარი, მემკვიდრით ლაშა-გიორგით, ჩავიდა კარში და პირადად განაგო კარის ქალაქისა და მხარის საქმეები¹.

კართან ერთად, მემატიანის ცნობით, საქართველოს ჯარმა დაიჭირა — „ციხენი კარნიფორისა და ვანანდისანი და რახსის (არაქსის) პირის ციხენი“². ეს იყო საბოლოო შემომტყიცება ამ მხარისა საქართველოს მიერ.

მ

ბასიანის მხარე

მე-18 — 16 საუკუნეებში

თამარის ეპოქაში, მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე და მე-13 საუკუნის დასაწყისში, საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში გაერთიანებულია მთელი კავკასია, ანატოლიის და ირანის სანაპიროებით.

ამ ხანაში საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებული ქვეყნები შემდეგნაირად ნაწილდება:

A. უშუალო სამფლობელოები:

1—2. სომხეთი, რომელიც დანაწილებულია ორ სამფლობელოდ: ანისი და დვინი³

B. ვასალური მესულმანური სამფლობელოები აღმოსავლეთ კავკასიაში:

3. შირვანი⁴.

4. დარუბანდი⁵.

5. არანი ანუ განძა (განჯა)⁶.

6. ნახქევანი⁷.

¹ იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944 წ. გვ. 32.

² იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე (ანასელი ქართლის ცხოვრება, 1912 წ.) გვ. 241,

³ იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944 წ., გვ. 24, 32; გამთაღმწერელი, გვ. *743/543, *750/570, *763/592, *792—3/10—1.

⁴ იხ. ისტორია-აზმანნი, გვ. *633/420; ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 35 (მდრ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, ანასელი ქართლის ცხოვრება, 1942 წ., გვ. 240).

⁵ იხ. ბ. სილი ეზოსმოძღვარი, გვ. 35

⁶ იხ. ისტორია-აზმანნი, გვ. *665—673/454—472; თამარის მეორე ისტორია (ისტორია-აზმანთა გაგრძელება, გვ. *706/509; ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 19, 22, 32; გამთაღმწერელი გვ. *723—726/539—543.

⁷ იხ. თამარის მეორე ისტორია, გვ. *705/509; ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. 244; გამთაღმწერელი, გვ. *723/539.

C. ვასალური მუსულმანური სამფლობელოები ანატოლიის სანაპიროებზე:

7. კარნუ-ქალაქი (არზრუმი) ¹.

8. ეზინკი (ერზინჯანი) ².

9. ხლათი ³.

D. გველენის სფეროები:

10. ტრაპიზონის სამეფო ⁴.

12—13. „კავკასიის იმერეთის“ (ჩრდილო კავკასიის) ქვეყნები:

11. ლუნძეთი (ავარია) და დალისტანის სამფლობელოები ⁵.

12. ღურაქეთი (საჩენო) ⁶.

13. ოვსეთი ⁷.

14. ქაშაგეთი (საჩერქეზო) ⁸.

F. მობარკე ქვეყნები:

15. ადარბადაგანი, შიდა-ირანის სანაპირონი ⁹.

საკითხავია, როგორ იყო ამ ეპოქაში ადმინისტრაციულად მოწყობილი ბასიანის მხარეები, რომელ ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ ერთეულში შედიოდა იგი?

საისტორიო წყაროებიდან ირკვევა, რომ ბასიანის მხარეები ამ ეპოქაში არ იყო მიკუთვნებული არც სომხეთის ადმინისტრაციულ ერთეულებს—ანისსა და დვინს, და არც მუსულმანურ ვასალურ სამფლობელოებს; ბასიანის მხარეები ამ ეპოქაში შედიოდა უშუალოდ საკუთრივ საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობაში, სახელდობრ გაერთიანებული იყო მესხეთის მხარეებთან.

რისი მაჩვენებელია ეს გარემოება?

რასაკვირველია, ეს იმისი მაჩვენებელია, რომ ბასიანის მხარეები ამ ეპოქაში არ წარმოადგენდა არც სომხურ ქვეყანას, და არც მუსულმანურ ქვეყანას; ბასიანის მხარეებს ამ ეპოქაში უტკეროდნენ როგორც საკუთრივ ქართულ ქვეყანას და ამიტომ იგი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულად საკუთრივ საქართველოს ტერიტორიის შემადგენლობაში შედიოდა.

სახელდობრ, მე-13 საუკუნის დასაწყისში, თამარის და ლაშა-გიორგის ეპოქაში, და აგრეთვე მომდევნო ხანაში ვიდრე მე-13 საუკუნის 70-იან წლებამდე, ბასიანის მხარეთა ტერიტორია ადმინისტრაციულად ასე იყო მოწყობილი: .

¹ იხ. თამარის მეორე ისტორია, გვ. *706/509; ბასილი ეზოსმოდღარი, გვ. 25, 35; ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაწე, გვ. 244; ეამთაალმწერელი, გვ. *723/ა39.

² იხ. თამარის მეორე ისტორია, გვ. *706/509; ბასილი ეზოსმოდღარი, გვ. 25, 29 (შრდ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაწე, გვ. 241).

³ იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაწე, გვ. 243—5; ეამთაალმწერელი, გვ. *722/509.

⁴ იხ. ბასილი ეზოსმოდღარი, გვ. 31, 35.

⁵ იხ. ბასილი ეზოსმოდღარი, გვ. 35 (ლუნძეთი); შრდ. ისტორია-აზმანნი, გვ. *633/412 (ყოველნი კავკასიისა იმერელნი... ხაზარეთამდის და სკვითთამდის“).

⁶ იხ. თამარის მეორე ისტორია, გვ. *720/528.

⁷ იხ. ბასილი ეზოსმოდღარი, გვ. 35.

⁸ იხ. იქვე, გვ. 35.

⁹ იხ. თამარის მეორე ისტორია, გვ. *711—718/516—525 (ადარბადაგანი, ერანის მხარენი); ბასილი ეზოსმოდღარი, გვ. 19 („ერანისი ერავამდის დადებული ზარაჯა და ბაღდადის კრძ მარალამდის“); ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიაწე გვ. 242 („სპარსეთისა ქალაქნი და მარანდი და ერანის ქვეყანა“), გვ. 243 („დიდი სპარსეთი, არდაველი“).

1. ბასიანის მხარეთა სამი კანტონი — საკუთრივ ბასიანი, კარნიფორი და ხორტევანი — შედიოდა მესხეთის იმ ნაწილში, რომელსაც მე-13 საუკუნის დასაწყისში ეწოდებოდა სამცხის სასპასალარო, ხოლო უფრო გვიან სამცხე-საათაბაგო.

სახელდობრ კანტონები საკუთრივ ბასიანი და კარნიფორი გაერთიანებული იყო მესხეთის ფარგლებში როგორც ერთი სამხარეო ერთეული, საერთო სახელწოდებით „კარნიფორი“, ხოლო ხორტევანის კანტონი შეერთებული იყო მესხეთის კოლას კანტონთან და შეადგენდა ერთ სამხარეო ერთეულს სახელწოდებით „კოლა“¹.

2. ბასიანის მხარეთა დანარჩენი ორი კანტონი, ე. ი. საკუთრივ კარის კანტონი და ზარიშტიანი (წინუბანი) — შედიოდა მესხეთ-ქართლის სანაპირო ოლქში — თორის (თორი-ახალციხის) სამფლობელოში².

3. თვით ქალაქი კარი გამოყოფილი იყო კარის კანტონიდან როგორც ცალკე ადმინისტრაციული ერთეული და შეადგენდა მეფის დომენს³.

ასეთი იყო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დანაწილება ბასიანის მხარეებისა მე-13 საუკუნის დასაწყისიდან ვიდრე მე-13 საუკუნის 70-იან წლებამდე (1278 წლამდე).

1278 წლიდან ამ ადმინისტრაციულ დანაწილებაში შემდეგი ცვლილება მოხდა: ქალაქი კარი (რომელიც ამ დრომდე შეადგენდა მეფის დომენს), და საკუთრივ კარის კანტონი (რომელიც ამ დრომდე თორის სამფლობელოში შედიოდა) გადავიდა საქართველოს სახელმწიფოს მთავარი ვაზირის სადუნ ათაბაგის მფლობელობაში⁴.

1281 წლიდან (სადუნის გარდაცვალების შემდეგ) — ვიდრე 1290-იან წლებამდე კარი და მისი კანტონი ისევ საქართველოს სახელმწიფოს ვაზირის — სადუნის მემკვიდრის მფლობელობაში იმყოფება.

ხოლო მე-13 საუკუნის დასასრულს (1295—1298 წლებს შორის) კარის კანტონი, ქალაქ კარით, შეუერთდა სამცხე-საათაბაგოს⁵.

ამის შემდეგ, მე-13 საუკუნის დასასრულიდან მოკიდებული, სამცხე-საათაბაგოს ფარგლებში მოქცეულია ბასიანის მხარეთა ოთხი კანტონი (საკუთრივ ბასიანისა, კარნიფორისა, ხორტევანისა და კარისა, ქალაქ კარით), ხოლო თორის სამფლობელოში — ზარიშტიანის (წინუბანის) კანტონი.

*

რათა მკითხველი უფრო ახლო იყოს ორიენტირებული მესხეთისა და მასთან დაკავშირებული მხარეების ტერიტორიული მოცულობის საკითხში დასახელებულ ეპოქაში, ვათავსებთ აქ რუკას:

მესხეთი და მესხეთთან დაკავშირებული ოლქები:
აღმოსავლეთი ლაზეთ-ქანეთი და ბასიანის მხარე
მე-13—14 საუკუნეთა საზღვარზე.

¹ მითითება წყაროზე იხ. ზემოთ, გვ. 529.

² ზარიშტიანის (წინუბანის) კანტონის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 529—530. კარის კანტონის შესახებ იხ. თამარის მეორე ისტორია (ისტორია-ახმანთა გაგრძელება) გვ. *699/495—; ეამთა-აღმწერელი. გვ. *874/718; შდრ. ლაშა-გიორგის დროინდელი მემკვიდრე (ანასეული ქარაოლის-ცხოვრება, 1942 წ.) გვ. 245.


³ იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944 წ. გვ. 32; ეამთააღმწერელი, გვ. *874/18.

⁴ იხ. ეამთააღმწერელი, გვ. *874/718.

⁵ იხ. იქვე, ივ. *915/758 და 773 (შენიშვნა, ტექსტი — ქართლის ცხოვრების ბროსეს, სამეგრელოს მთავრის და ბარათაშვილისეული გარიანტებისა).

მესეთი

და მისათმთას დასავლეთიკავლანი,
 არძსხვული კადეი-ლახნერი და მადიანი მადიანი
 XIII-XIV საუკუნეთა სარეკონი



ცალკე ადმინისტრაციული ერთეულების მოცულობა რუკაზე ნაჩვენებია 1300-იანი წლებისათვის.

რუკის განმარტებისათვის საჭიროა აღნიშნოთ შემდეგი:

დასახელებულ ეპოქაში, 1300-იანი წლებისათვის, მესხეთი და მესხეთთან დაკავშირებულ ოლქები გაერთიანებულია სამ ერთეულში: I. სამცხე-საათაბაგო; II. თორის სამფლობელო; III. თმოგვის სამფლობელო.

I. სამცხე-საათაბაგოში შედის შემდეგი სამხარეო ერთეულები¹.

ა) მტკერის ხეობისა და ბასიანის მხარენი (= „ხუთნი თემნი სამცხისანი“):

1. სამცხე.

2. არტანის.

3. კოლა. (კოლასთან ადმინისტრაციულად დაკავშირებულია ბასიანის მხარეთა კანტონი 3-ა ხორტევენი).

4. კარნიფორი (რომლის ფარგლებშიაც გაერთიანებულია ბასიანის მხარეთა ორი კანტონი: 4-ა საკუთრივ კარნიფორი და 4-ბ ბასიანი).

5. კარი.

ბ) კოროხის ხეობის მხარენი (= შავშთა, კლარჯთა და ტაოელთა თემნი):

6. შავშეთი.

7. აპარა.

8. კლარჯეთი.

9. ნიგალის-ხევი.

10. სპერი (= ვაშლოვანი).

11. ტაონი.

გ) ზღვის სანაპირო მხარე (= ლაზ-ქანთა თემი):

12. აღმოსავლეთი ლაზეთ-ქანთი.

II თორის სამფლობელოში შედის შექდევნი მხარეები და კანტონები:

13. თორის მხარე (ქართლისა და ჯაეახეთის სანაპირო).

14. ჯაეახეთის მხარე.

15. აშოცის მხარე (ქართლისა და ჯაეახეთის სანაპირო).

15-ა. ზარიშტიანის (წინუბანის) კანტონი (ბასიანის მხარეთა ნაწილი)².

¹ სამხარეო ერთეულთა ნუსხა იხ. ქამთალაღწერელი, გვ. *915/58. ქამთალაღწერელის დასახელებული ტექსტის შ.სახ; ბ და აგრეთვე იმავე ძეგლის მეორე ტექსტის (გვ. *8 5/7.9) შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 366—367. სამცხე-საათაბაგოს საკუთრივ მესიური პროვინციების დაყოფა ორ ზონად: 1) „ხუთნი თემნი სამცხისანი“ და 2) შავშთა კლარჯთა და ტაოელთა თემნი— იხ. ბეჟა აღბულას სამართლის წიგნის შესავალში (თ. ქორდანიას გამოცემა, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 257).

² თორის და ჯაეახეთის მხარეთა შესახებ იხ. ქამთალაღწერელი, გვ. *812/655, *826/671, *829/674, *864—5/708—9, *932 764.

თორის სამფლობელოში ამას გარდა შედიოდა აშოცის მხარე და ზარიშტი-

III თმოგვის სამფლობელოში შედის სამი კანტონი¹:

16-ა. საკუთრივ თმოგვი.

16-ბ. ხავეთი².

16-გ. პალაკაციო³.

*

მესხეთის მხარეთა ტერიტორიულ-ადმინისტრაციული დანაწილების განხილვის შემდეგ აქ საჭიროა ცალკე შეეცხოთ აგრეთვე საკითხს მესხეთის მხარეთა მოსახლეობის სატომო შემადგენლობის შესახებ.

თამარის ეპოქაში და მომდევნო ხანაში ვიდრე მე-15—16 საუკუნეებამდე მესხეთის მხარეთა მოსახლეობა განიყოფება შემდეგ ხუთ სატომო ერთეულად¹:

1. თორელნი (თორელ-ჯავახნი).
2. საკუთრივ მესხნი.
3. შავშნი.
4. კლარჯნი.
5. ტაოელნი.

ცალკე სატომო ერთეულთა შესახებ საჭიროა შემდეგი აღენიშნოთ:

ა) თორელნი (თორელ-ჯავახნი) ეს არის მოსახლეობა თორ-ჯავახეთის მხარეთა და თმოგვის სამფლობელოსი. თორელნი განიყოფებიან ორ სა-

ანი (წინუბანი), რომლებიც მდებარეობენ თორ-ჯავახეთსა და საკუთრივ კარის კანტონს შორის და რომელთა ხაზით თორის სამფლობელო 1278 წლამდე დაკავშირებული იყო საკუთრივ კარის კანტონთან.

თორის სამფლობელოში, გარდა ჩამოთვლილი ოთხი ერთეულისა (თორი, ჯავახეთი, აშოცი, ხარიშტიანი) შედიოდა აგრეთვე შიდა-ქართლის ნაწილი (მტკვრის სამხრეთით), მაგრამ უკანასკნელ სექტორს—შიდა-ქართლის ზონას—აქ არ ვეხებით, რამდენადაც ჩვენ აქ შემოვფარგლავთ მხოლოდ მესხეთის ტერიტორიებს.

თორის სამფლობელოს შესახებ აქ საჭიროა აგრეთვე შემდეგზედაც მივუთითოთ. თორის სამფლობელოში მე-12 საუკუნის დასასრულიდან—მე-13 საუკუნის მეორე ნახევრამდე შედიოდა ქალაქი ახალციხე (ამის გამო თორის მფლობელებს ეწოდებოდათ თორელ-ახალციხელები), ხოლო მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან ახალციხე შეუერთდა სამცხის მხარეს, რომლის ნაწილსაც იგი წარმოადგენს გეოგრაფიულად.

¹ თმოგვის სამფლობელოს შესახებ იხ. ეპითალმწერელი გვ. *917/761, *920/763, *924/769, აგრეთვე ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 23.

² ხავეთის კანტონის შესახებ იხ. სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხა, გვ. 77. (რომ ხავეთის კანტონი თმოგვის სამფლობელოში შედიოდა, ეს ირკვევა ვაჰანის ძეგლის მინაწერებში მოხსენებული პუნქტებიდან).

³ თმოგვის სამფლობელო მე-12—13 საუკუნეთა საზღვარზე ითვლებოდა „სანაპირო“ ოლქად (იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 23) და როგორც ირკვევა მოიცავდა სანაპირო სექტორს—პალაკაციოს კანტონს. რომლითაც იგი ემიჯნებოდა კარის მხარეს. (თმოგველნი, როგორც მონაპირენი, იღებდნენ მონაწილეობას კარის გარემოცვაში 1206 წელს, იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, გვ. 32).

¹ ისტორია-აზმანი, გვ. *669/459, *610/382.

თემო ერთეულად: თორელნი და ჯავახნი¹, რომლებიც მოსახლეობენ შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში:

1-ა. თორელნი — თორის მხარეში;

1-ბ. ჯავახნი — ჯავახეთის მხარეში და თმოგვის სამფლობელოში².

ბ) მესხთა დანარჩენი ოთხი ტომი მოსახლეობს სამცხე-საათაბაგოში. ეს ოთხი ტომი განიყოფება შემდეგ სათემო ერთეულებად და განსახლებულია შემდეგ ტერიტორიულ ერთეულებში.

სამცხე-საათაბაგოში მოსახლე მესხთა ტომები:	მესხთა ტომების სათემო დანაწილება:	ტერიტორიული ზონები განსახლებისა:
2. საკუთრივ მესხნი.	2-ა. მესხნი სამცხისა ³ . „სხუანი თემისა და თემისა მესხნი“ ⁴ . 2-ბ. არტანელნი ⁵ . 2-გ. კოლაელნი ⁶ . 2-დ. კარნიფორელნი ⁷ .	1. სამცხე. 2. არტანი. 3. კოლა. 4-5. კარნიფორი და კარი. 6. შავშეთი. 7. აკარა.
3. შავშენი.	3-ა. საკუთრივ შავშენი ⁸ . 3-ბ. აკარელნი ⁹ .	8. კლარჯეთი. 9. ნიგალის-ხევი.
4. კლარჯენი.	4-ა. საკუთრივ კლარჯენი ¹⁰ . 4-ბ. ნიგალის-ხეველნი ¹¹ . 4-გ. სპერელნი ¹² .	10. სპერი (=ვაშლოვანი).
5. ტაოელნი.	5. ტაოელნი ¹³ .	11. ტაონი.

«სხუანი თემის სამცხისა»

¹ იხ. ქართალმწერელი, გვ. *932/784 (ჯავახნი და თორელნი); გვ. *760/587 (ჯავახნი); გვ. *765/594, *920/763 და სხვ. (თორელნი).

² რომ თმოგვის სამფლობელო ჯავახეთის ნაწილად ითვლებოდა, იხ. ბასილი ეზოსმოძღვარი, 1944 წ., გვ. 23.

³ იხ. ქართალმწერელი, გვ. *924/769.

⁴ იხ. ისტორია-აზმანნი, გვ. *614/338.

⁵ იხ. ქართალმწერელი, გვ. *765/594, *793/631: *924/769.

⁶ იხ. იქვე.

⁷ იხ. ქართალმწერელი, გვ. *793/631, *924/769.

⁸ იხ. ისტორია-აზმანნი, გვ. *610/382, *669/459; ქართალმწერელი, გვ. *758/584, *774/605, *793/631, *827/672, *923/767, *924/769.

⁹ იხ. ქართალმწერელი, გვ. *658/703 (მაკარელნი).

¹⁰ იხ. ისტორია-აზმანნი, გვ. *610/382, *669/459; ქართალმწერელი, გვ. *758/584, *774/605, *793/631, *827/672, *923/767, *924/769.

¹¹ იხ. ქართალმწერელი, გვ. *830/675, *858/702, *875/719, *922/767.

¹² იხ. ისტორია-აზმანნი, გვ. *657/444; ქართალმწერელი, გვ. *875/719, *922—925/766—770.

¹³ იხ. ტაოელთა შესახებ ისტორია-აზმანნი, გვ. *610/382, *657/444, *694/459; ქართალმწერელი, გვ. *758/584, *760/587, *765/594, *774/605, *793/631, *795/634, *817/761; *920/763; *924/769.

დასახელებულ ეპოქაში ბასიანის მხარეთა მოსახლეობა, საერთო სახელწოდებით „კარნიფორენი“, ყოველთვის მოიხსენება მესხეთის ტომთა ჯგუფში. ასე, იხ. ჟამთააღმწერელი:

გვ. *924/769: „...მესხნი (სამცხისა), შავშნი, კლარჯნი, კოლა-არტაან-კარნიფორენი, ტაოელნი“.

გვ. *793/631: „ტაოელნი, შავშ-კლარჯნი, კოლა-არტაან-კარნიფორენი, მესხნი (სამცხისა)“.

სამცხე-საათაბაგოს საკანონმდებლო ძეგლის ბეჟა-აღბუღას სამართლის წიგნის შესავალში ათაბაგი აღბუღა (მე-14 საუკუნის ნახევარი)—აღნიშნავს, რომ ამ ძეგლის დადგენის დროს იგი ეთათბირა „ხუთსავე თემსა სამცხისასა, ტაოელთა, შავშთა და კლარჯთა“¹.

„ხუთნი თემნი სამცხისანი“ ეს არის საკუთრივ სამცხე, არტაანი, კოლა, კარნიფორი, კარი,—რომელთა მოსახლეობას შეადგენდნენ „თემისა და თემისა მესხნი“².

რომ „ხუთნივე თემნი სამცხისანი“ და მათ შორის „კოლა-არტაან-კარნიფორენი“ ეკუთვნოდნენ საკუთრივ მესხთა ტომს, ამას ადასტურებს აგრეთვე ცნობა მე-13 საუკუნის ისტორიკოსის ბასილი ეზოსმოდერისა. ისტორიკოსი, ეხება რა საქართველოს სამხედრო სანაპირო ოლქს კოლა-არტაან-კარნიფორის ზონაში, რომელსაც არტაანის სანაპირო ერქვა, აღნიშნავს ამ ოლქის შესახებ: „არტაანი, —სადა მესხნი მონაპირობდეს“³.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც მოიპოვება მესხეთის (და მისი ნაწილის ბასიანის მხარეების) მოსახლეობის შესახებ თამარის ეპოქაში და მომდევნო ხანაში ვიდრე მე-15—16 საუკუნეებამდე.

*

ბასიანის მხარეთა ისტორიის ფაქტებიდან დასახელებულ ეპოქაში აქ საკი-როა აგრეთვე აღვნიშნოთ, რომ ბასიანის მხარეთა ტერიტორიაზე, ქალაქ კარში (ყარსში) მე-13 საუკუნის დასაწყისიდან შეიქმნა ქართველთა (მართლმადიდებელთა) საეპისკოპოსო, რომელიც შედის მცხეთის საკათალიკოსოს ფარგლებში და რომელიც არსებობს მომდევნო საუკუნეთა მანძილზე. ტერიტორია კარის ქართული საეპისკოპოსოსი ასეა აღწერილი სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ცნობილ ნუსხაში:

„კარელის (კარის მამათმთავრის) სამწყსო: სულა კარი (კარის თემი), და კოლისა და ოლთისის გადმოღმა გაჩევეანი (=კარნიფორის თემი) და კალხევანი“⁴.

მე-13 საუკუნის პირველ მესამედში კარის მამათმთავრად არის საბა სვი-ნგელოზი კარელი, ქართველი მწერალი⁵.

ეპოქიდან, როდესაც კარის (ყარსის) მხარე საქართველოს საზღვრებში შედიოდა, ამ მხარეში დაწყულია მნიშვნელოვანი ძეგლები.

საკმაოა აღვნიშნოთ, რომ განთქმული კარის (ყარსის) ციხე, რომელიც აულბელ სიმაგრედ ითვლებოდა და რომელმაც მოაღწია მე-20 საუკუნემდე,

¹ იხ. თ. გორჯანია, ქრონიკები, II, 1897 წ., გვ. 257.

² შტრ. ისტორია-ახმანი, გვ. *614/338.

³ იხ. ბასილი ეზოსმოდერის, 1944 წ., გვ. 23.

⁴ იხ. სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხა, ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შეიშენანი, I, 1907 წ., I, გვ. 77.

⁵ იხ. ხელნაწერი 1233 წლისა, A-85, გვ. 293—297.

ავებულია ქართველთა მფლობელობის დროს მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში.

კარის ციტადელის კედლებზე მე-20 საუკუნის დასაწყისამდე დაკული იყო ქართული წარწერები.

ერთ მათგანში იკითხვის:

„ქრონიკონსა 457.

„მე კარისა ამირაზან ----- აღვაშენე ----- მეფობასა [—ადიდენ ღმერთ-მან!—] რუსუდა[ნისასა] ----- წელსა მეფ[ობისა მათისა მეთხუთმეტესა] -----“.

წარწერაში მოხსენებული მეფე რუსუდანი არის ასული თამარ დიდისა. ქრონიკონი წარწერისა (457) უდრის 1237 წელს. ამ დროს, რუსუდანის მეფობაში, დაუმთავრებიათ მშენებლობა, ხოლო დასაწყისი მშენებლობისა, ცხადია, უფრო ადრინდელ ხანას—თამარ დიდის ეპოქას ეკუთვნის, როდესაც ასეთი დიდი მშენებლობის წამოსაწყებად არსებობდა სათანადო პირობები.

კარის ციხის ეს მშენებლობა, რომელიც მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში ჩაუტარებია საქართველოს სახელმწიფოს, ცხადია იმით იყო გამოწვეული, რომ კარის ძველი ციხე დიდად დაზიანებულია იმ ბრძოლების შედეგად, რომელიც ქართველებმა გადაიხადეს კარის აღებისას, კარის ციტადელის ხანგრძლივი გარემოცვის დროს მე-13 საუკუნის დასაწყისში.

კარის ციხის ამ ახალ მშენებლობაში, რომელიც გაგრძელებულა მე-13 საუკუნის დასაწყისიდან—1237 წლამდე, საქართველოს სახელმწიფოს ხელისუფლებასთან ერთად მონაწილეობა მიუღიათ აგრეთვე თვით კარის მოქალაქეებსაც (რომელთაც, როგორც ეს აღნიშნულია წარწერებში, თავისი ხარჯით აუგიათ ციხის რამდენიმე ბურჯი).

მე-13 საუკუნის პირველ მეოთხედში კარის ციხე-ქალაქისა და მხარის მმართველად იყო იოანე ახალციხელ-თორელი, რომელიც ატარებდა ტიტულს „ამირთა-ამირა“, და რომელიც დაადგინა კარში თამარ მეფემ 1206 წელს. იოანეს მმართველობა გაგრძელდა 1206 წლიდან 1225 წლამდე, როდესაც იოანე გმირულად დაიღუპა ხვარაზმელებთან ბრძოლაში (გარნისში).

ამ იოანეზე მიუთითებს კარის ციტადელის ქართული წარწერის ერთი ფრაგმენტი, რომელშიაც იოანე მოიხსენება ქართველთა (აფხაზთა) მეფესთან ერთად (თვით სახელი მეფისა, წარწერის დაზიანების გამო, არ შენახულა)¹.

იოანე ახალციხელის (თორელის) კარის ამირთა-ამირად დადგენის შესახებ თამარ მეფის მიერ, და იოანეს სამხედრო საქმიანობის შესახებ კარის მხარეში, მემატიანე გადმოგვცემს:

„მეფემან [თამარ]—აიღო კარი და დაუტევა კარის მცველად ახალციხელი იოანე, და აჩინა მონაპირედ, და უბოძა ამირთა-ამირაობა; რომლის-თვისცა დიდი წყენა შეექმნათ თურქთა, რამეთუ დიდად აენებდა; და წარულო

¹ კარის წარწერათა შესახებ—იხ. აკად. ე. თაყაიშვილი, Христианские памятники (Материалы по археологии Кавказа, под редакцией П.С. Уваровой, т. XII, 1909), გვ. X—XI.—დომიტრი ბაქრაძე, Кавказ в древних памятниках христианства (Записки Общ. Люб. Кавказской археологии, I, 1875 წ.), გვ. 75—80.—აკად. მარი ბროსე, Mémoires de l'Académie, VII série, t. VIII, № 10, Inscr. georg. et autres, recueillies par le Père N. Sargisian, გვ. 20—22.

თურქთა გარეშემონი ქვეყანანი, აღიხენა და მიითვალნა... და იოანესე უბოძა კეჩროლი და მისი ქვეყანა“¹.

კეჩროლი აუღია იოანეს მმას შალვა თორელს, რომელზედაც შემატიანე გადმოგვეცემს:

„აილო კეჩროლი შალვა თორელმან მისითა ხრმლითა და ომითა მისათხრო-ბელითა, რომელ არა ყოფილა კაცთა შორის მისებრი ჭაბუკი და მეომარი“².

ბასიანის მთარის ძეგლთაგან აქ აღენიშნავთ აგრეთვე ლენამორის ქართულ მონასტერს, რომელიც მდებარეობს კარნიფორის პროვინციაში (სახელდობრ პუნქტში, რომელსაც ძველად ლენამორი რქმევია, ხოლო ამ ეჟამად ეწოდება ჩახგლი; იგი მდებარეობს არაქსის ხეობაში, ქალაქ ყალიზმანიდან 20 კილომეტრის დაშორებით). ქართული კულტურის ეს მნიშვნელოვანი ძეგლი—ლენამორის მონასტერი, რომელიც დღემდის კარგად არის დაცული, აგებულია მე-14 საუკუნეში. ძეგლის ქართული წარწერებიდან მთავარ წარწერას აქვს თარიღი—1362 წელი³.

*

დასასრულ, ბასიანის მხარეთა ისტორიის უკანასკნელი პერიოდის შესახებ, როდესაც, მე-15—16 საუკუნეთა მანძილზე, ბასიანის მხარეები უცხოელ დამპყრობელთა ხელში გადავიდა.

ბასიანის მხარეთა ტერიტორიიდან საქართველომ პირველად დაჰკარგა კარი. მე-15 საუკუნის დასაწყისში ქალაქი კარი და მისი რაიონი დაიპირეს თურქმენებმა. ეს მოხდა იმ პერიოდში, როდესაც საქართველოს ყოფილი ძლიერება უკვე გატეხილი იყო თემურლენგის გაქანადგურებელ შემოსევათა შედეგად.

თურქმენთა ტომების ხელში კარი რჩება მე-15 საუკუნის მანძილზე. მე-16 საუკუნის დასაწყისში კარი შეიერთა თურქეთის (ოსმალეთის) იმპერიამ.

ეს კუთხე, კარი და მისი რაიონი, რომელიც საქართველომ დაჰკარგა მე-15 საუკუნეში, მხოლოდ მცირედი ნაწილი იყო ბასიანის მხარეთა ტერიტორიისა. ქალაქ კარისა და მისი ზონის დაკარგვის შემდეგ საქართველოს საზღვრებში (სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში) ისევ რჩება ბასიანის მხარეთა მთავარი ნაწილი, სახელდობრ კანტონები: საკუთრივ ბასიანი, კარნიფორი, ხორტევანი და ზარიშტიანი (წინუბანი).

ბასიანის მხარეთა ეს კანტონები თურქეთმა (ოსმალეთმა) დაიპყრო მესხეთის დანარჩენ ტერიტორიებთან ერთად მე-16 საუკუნეში.

აქ საჭიროა აღენიშნოთ ამასთან, რომ მესხეთის მხარეთა ბედი ბასიანში გადაწყდა. აქ, ბასიანში გადაიხადეს ქართველებმა უკანასკნელი დიდი ბრძოლა ოსმალეთთან—მესხეთის მხარეებისათვის.

ოსმალეთმა, როგორც ცნობილია, დაიწყო დიდი შემოტევა საქართველოს წინააღმდეგ მე-16 საუკუნის 40-იან წლებში.

1543 წელს ოსმალეთის ლაშქარი შეზოვიდა მესხეთის სამხრეთ ზონაში და ტაოს მხარე ააოხრა. გადამწყვეტი ბრძოლა გაიმართა ქარაღაქს, სადაც ქართველებმა სასტიკად დაამარცხეს ოსმალეები. ოსმალთა ლაშქარი, რომელიც

¹ იხ. თმარის მეორე ისტორია, გვ. *699/495—6.

² იხ. ლაშა-გიორგის დროინდელი შემატიანე (ანასეული ქართლის ცხოვრება, 1942 წ.) გვ. 244.

³ ცნობები ლენამორის (ჩანგლის) ძეგლის შესახებ პირველად გამოაქვეყნეს მარი ბოსიუმ და დიმიტრი ბაქრაძემ. ხოლო დაწვრილებითი აღწერილობა ლენამორის ძეგლისა, წარწერათა გაშიფრეთ, მოცემული აქვს აკად. ე. თაყაიშვილს, წიგნში: არქეოლოგიური ექსპედიცია კოლა-თლთისში და ჩანგლში 1907 წელს, გამოცემა 1938 წლისა, გვ. 78—87.

22 000 ჯარისკაცისაგან შესდგებოდა, მოსპობილ იქმნა, ოსმალთა სარდლო-ბასთან ერთად.

ამის შემდეგ ოსმალეთის სულთანმა 1545 წელს გამოგზავნა საქართველოს წინააღმდეგ დიდი ლაშქარი, რომელშიაც შევიდა ანატოლიის მთავარი სამხედრო ძალები.

ოსმალთა ეს ლაშქარი შემოიჭრა მესხეთში, ბასიანის მხარეში. ოსმალთა ჯარს ბასიანში მიეგება საქართველოს გაერთიანებული ლაშქარი. გადანწყვეტი ბრძოლა მოხდა ბასიანის მხარეში, სოხოისტოში. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალებმა ბასიანის ამ ბრძოლის დროს დაჰკარგეს ოთხჯერ მეტი ჯარისკაცი. ვიდრე ქართველებმა, რიცხვითი დიდი უპირატესობა მაინც ოსმალთა მხარეზე იყო. სასტიკ ბრძოლაში, — როგორც გადმოგვცემს მემოტიანე, — ქართველებმა „ჰქენეს დიდი სახელი და შემუსრეს ყოველივე საომარი საქურველი“ და მხოლოდ შემდეგ „სიმრავლისაგან ოსმალთა სპათა“ ქართველთა ჯარი გატყდა. ოსმალეთის მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა თუმცა დიდი დანაკლისი განიცადა, მაგრამ საბოლოოდ მაინც გამარჯვება ოსმალეთს დარჩა¹.

ბასიანის აღების შემდეგ სამხოეთ-საქართველოს ზღუდე მორღვეული იყო. ოსმალებმა ამის შემდეგ მომდევნო უახლოეს წლებში თანდათანობით დაიპირეს მეახეთი.

ბასიანის ომიდან ხუთი წლის შემდეგ 1550 წელს ოსმალებმა დაიპირეს ტაოთა მხარე, სპერის ზონასთან ერთად. ორი წლის შემდეგ, 1552 წელს, ოსმალებმა დაიპირეს არტაან-კოლა და კლარჯეთ-შავშეთი, ვიდრე არსიანის მთამდე. ხოლო მე 16 საუკუნის მეორე ნახევარში ოსმალებმა მოახდინეს ოკუპაცია მთელი მესხეთისა.

ბასიანის მხარეები, მესხეთის სხვა მხარეებთან ერთად, დარჩა ოსმალთა მფლობელობაში მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე.

1878 წელს ბასიანის მხარეთა მთავარი ნაწილი (სახელდობრ ძველი ოთხი კანტონი: კარი, კარნიფორი, ხორტევენი და ზარიშტიანი ანუ წინუბანი) შემოიერთა რუსეთმა. მაგრამ 1918—1920 წლებში ეს მხარე ხელახლა დაქვერილ იქმნა თურქეთის მიერ.

5

სამართო დასკვნები საქართველოს სამხრეთ მხარეთა ისტორიის საკითხთა გამო

ჩვენ განვიხილეთ მთელის მოცულობით საქართველოს სამხრეთ მხარეთა ისტორიის საკითხები, რაც მსჯელობის საგანს წარმოადგენდა საისტორიო მეცნიერებაში უკანასკნელი საუკუნე-ნახევრის მანძილზე, და რა საკითხიც ახლებურად დაისვა მას შემდეგ, რაც გამოქვეყნდა მეთე საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის ძეგლი.

წინამდებარე გამოკვლევამ ცხად ჰყო, თუ რაოდენი შეცდომა დაგროვილა საისტორიო მეცნიერებაში სამხრეთ საქართველოს ისტორიის საკითხთა გამო ამ საუკუნე-ნახევრის განმავლობაში.

¹ იხ. ქართლის ცხოვრების შედგენი (მარიამ დედოფლის ვარიანტის გამოცემასთან) გვ 920—922. — ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, 1940 წ., გვ. 65—66. — ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია (ქართლის ცხოვრება, II, 1854 წ.), გვ. 160. — ქრონიკონები (იმავე გამოცემით) გვ. 242.

ისტორიული ქეშმარიტების დამახინჯების საფუძველზე საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი ცხადდებოდა არა-ქართულ ქვეყნად. არა-ქართული ქვეყნების რიცხვს მიაკუთვნებდნენ ისტორიული იბერიის სამხრეთ ნახევარს: მესხეთის მხარეთა უდიდეს ნაწილს და სამხრეთ ქართლს მთლიანად,

ხოლო საკითხი არ განისაზღვრებოდა ქართულ მხარეთა არა-ქართულ ქვეყნად გამოცხადებით. ამასთან დაკავშირებით სრულიად ყალბ გაშუქებას ღებულობდა საქართველოს ისტორიის ძირითადი საკითხები (პირველ რიგში საკითხები ქართული კულტურის ისტორიისა), — რამდენადაც სამხრეთი საქართველო (—მესხეთი და სამხრეთი ქართლი) ესოდენ დიდ როლს თამაშობდა ძველი საქართველოს ისტორიულ ცხოვრებაში.

წინამდებარე გამოკვლევის მანძილზე ჩვენ მოგვიხდა მთელი სიგრძე-სიგანით შევხებოდით ამ საკითხს, რათა აღვედგინა ისტორიული ქეშმარიტება.

წარმოდგენილი გამოკვლევის შემდეგ სამხრეთ-საქართველოს ისტორიის შესახებ დადგენილად ჩაითვლება შემდეგი ფაქტები.

1. ისტორიულ წარსულში, როგორც ანტიკურ ხანაში, ისე საშუალო საუკუნეებში, საქართველოს ნაწილს წარმოადგენდა ეთნოგრაფიულად (მოსახლეობის შეპადგენლობითა და გავრცელებული ენის მიხედვით)—მესხეთის ქვეყანა მთელის მოცულობით, ე. ი. მხარეები: სამცხე, ჯაფახეთი (თმოგვით და თორით), არტაან-კოლა, აქარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალი, სპერი, ტაონი.

2. ასევე ისტორიულ წარსულში საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა ეთნოგრაფიულად ქვემო-ქართლის მხარეები: თრიალეთი, ტაშირის პროვინციები, გარდაბანი („ქართველთა ეგლი“).

3. გარდამავალი ტერიტორიული ზონა საქართველოს სამხრეთ სანაპიროზე მდებარეობდა არა ქოროხისა და მტკვრის ხეობებში, სადაც განუგენილია მესხეთისა და ქვემო-ქართლის მხარეები, არამედ არაქსის ხეობაში; ასეთ გარდამავალ ზონას წარმოადგენდა ბასიანის მხარეები (საკუთრივ ბასიანი და კარის მხარე), — რომლებიც, როგორც პოლიტიკურად, ისე ეთნოგრაფიულადაც საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებული მთელი ისტორიული პერიოდების მანძილზე.

ასეთია დასკვნები, რაც გამომდინარეობს ყველა არსებული ქართული, სომხური და ბეოძნული საისტორიო წყაროების ყოველმხრივი ანალიზიდან.

ჩვენ ამით ვამთავრებთ მეათე საუკუნის ქართველი მწერლის გიორგი მერჩულის ცნობების განხილვას საქართველოს ისტორიის საკითხებზე, და კერძოდ განხილვას საკითხისას სამხრეთ საქართველოს შესახებ, რომლის ისტორიისადაც ახალი შუქი მოჰფინა გიორგი მერჩულის თხზულებამ, ამ პირველხარისხოვანმა ავთენტურმა საისტორიო ძეგლმა, რომელიც ძველმა ქართულმა მწერლობამ გვიანდერა.

ნაწილი მეორე

კრიგოლ სანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობა

*

გიორგი მერჩულის ლიტერატურული მემკვიდრეობა
პიმნოგრაფიულ პოეზიაში

*

ქელ-ქართული პოეზია V-XI საუკუნეთა



VII

ძველ-ქართული კოეფიის სალესო ფორმები

გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობა

გიორგი მერჩულის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჰიმნობრაფიულ კოეფიაში

გიორგი მერჩულის თხზულებაში დატულია ცნობა გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მოღვაწეობის შესახებ.

კერძოდ გიორგი მერჩულეს დაუთავს ცნობა, რომ გრიგოლ ხანძთელი არის ავტორი პოეტური ძეგლისა, — საგალობელთა კრებულისა, რომელსაც «საწელიწდო იადგარი» ერქვა.

გიორგი მერჩულე, მოგვითხრობს რა გრიგოლ ხანძთელის „სიბრძნის-მეტყველების“ შესახებ, — გადმოგვცემს შემდეგს:

„არს ხანძთას კელითა მისითა დაწერილი, სულისა მიერ წმიდისა, საწელიწდო იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“¹.

გიორგი მერჩულის ამ უალრესად საყურადღებო ცნობიდან ამრიგად ირკვევა:

1. გრიგოლ ხანძთელი არის ავტორი «საწელიწდო იადგარისა».

2. «საწელიწდო იადგარის» თვით გრიგოლ ხანძთელის ავტოგრაფული ხელნაწერი დატული ყოფილა ხანძთაში და გიორგი მერჩულე იცნობდა ამ ხელნაწერს.

ხოლო რამდენად მნიშვნელოვანი ძეგლი ყოფილა გრიგოლ ხანძთელის ეს საწელიწდო იადგარი, თუ რამდენად მალლად აფასებდა გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის ამ შრომას, ჩანს იმის მიხედვით, რომ საწელიწდო იადგარი გრიგოლ ხანძთელისა მერჩულეს მიაჩნია შთაგონებულად „სულისა მიერ წმიდისა“. გიორგი მერჩულის შეფასებით, გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარის „სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“, გრიგოლ ხანძთელი „ფრიად კეთილ სიტყუათა“ ხელოვანი ყოფილა. ასეთ შეფასებას აძლევს გრიგოლ ხანძთელის ხელოვნებას გიორგი მერჩულე, თვით უდიდესი ხელოვანი ქართული სიტყვისა.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 80.

საკითხავია ამის შემდეგ, — ნუთუ გრიგოლ ხანძთელის ეს ლიტერატურული ძეგლი დაკარგულია?

როგორც გამოიჩვენა არა, — იგი არ ყოფილა დაკარგული.

ძველ-ქართულ ხელნაწერთა საგანძურებში ჩვენ დრომდე მოღწეულია «საწელიწდო იადგარი» რამდენიმე რედაქციის სახით. საჭირო იყო ამ რედაქციების შესწავლა და გრიგოლ ხანძთელის შრომის გამოვლენა.



საწელიწდო იადგარის შესწავლისა, მისი რედაქციული ფილიაციის გარკვევისა და გრიგოლ ხანძთელის ტექსტების დადგენის შემდეგ, გამოიჩვენა, რომ გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარის სახით ჩვენ გვაქვს მართლაც დიადი ძეგლი.

იგი გრანდიოზულია ჯერ მართო თავისი მოცულობითაც.

საწელიწდო იადგარი წარმოადგენს პოეტური ჰიმნების (ანუ როგორც ძველ-ქართულად ეძახდნენ — საგალობლების) კრებულს.

ძირითად ხელნაწერში X საუკუნისა, რომლის შედგენილობაში წარმოდგენილია გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი, ჩვენ გვაქვს გრიგოლ ხანძთელისადმი კუთვნილი შემდეგი ტექსტები:

ა) 81 საგალობელი დიდი ფორმისა, ეგრეთწოდებული „გ ა ლ ო ბ ა ნ ი“ („გალობანი“ გარკვეული პოეტური ფორმა იყო; ყოველი ცალკეული „გალობანი“ შესდგებოდა რვა ან ცხრა თავისაგან, თვითეულ თავს „გალობა“ ერქვა. გრიგოლ ხანძთელის ტექსტებში ყოველი „გალობანი“ რვა გალობისაგან შესდგება);

ბ) 123 საგალობელი მცირე ფორმისა, ეგრეთწოდებული სტიქარონნი.

ყველა ეს საგალობელი დაწერილია ლექსად, ნაწილი სილაბური მუხლედოვანი ლექსით (იამბიკონები), ნაწილი სილაბური თავისუფალი წყობის ლექსით (საგალობელთა „მარცვლელი“).

ეს რაც შეეხება პირველ ძირითად ხელნაწერს; აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ეს ძირითადი ხელნაწერი არ მოღწეულა სრულად, მას აკლია ნახევარზე მეტი ნაწილი.

დანარჩენ ხელნაწერებში, რომლებიც საქართველოს სიძველეთ-საცავებში მოიპოვება, გამოვლენილია დამატებით გრიგოლ ხანძთელისადმი კუთვნილი 36 საგალობელი დიდი ფორმისა („გალობანი“) და 60-მდე საგალობელი მცირე ფორმისა — სტიქარონნი.



ცალკეა აღსანიშნავი „ძ ლ ი ს პ ი რ ნ ი“, მცირე ფორმის საგალობელი, რომელიც ჩვეულებრივ ორი სტროფული ერთეულისაგან შესდგება. „ძლისპირანი“ — ეს არის მაჩვენებელი საწელიწდო იადგარის ძირითადი ტექსტის სალექსო საზომებისა: საწელიწდო იადგარის „გალობანი“ ამ ძლისპირთა საზომებთან შეფარდებით იწერება. — „ძლისპირანი“ შესავალის სახით დართული აქვს საწელიწდო იადგარს.

სულ გრიგოლ ხანძთელს ეკუთვნის (როგორც ეს ირკვევა ძლისპირთა კრებულების ანალიზისა და რედაქციული ფილიაციის მიხედვით) — 310 ძლისპირი

(მათ შორის 16 იამბიკონური; დანარჩენნი შესრულებულია საგალობელთა „მარცვლედით“).

ასეთია მოცულობა გრიგოლ ხანძთელის ამ მთავარი ლიტერატურული შრომისა — საწელიწდო იადგარისა.

იგი წარმოადგენს უდიდეს პოეტურ ძეგლს, რომელიც ჩვენ დრომდე მოღწეულა ქართული მწერლობის ისტორიის პირველი პერიოდიდან, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასეულიდან.

ჩვენ ქვემოთ გაეცნობით მას და ვნახეთ, რომ საესებით გამართლებულია ის დიდი შეფასება, რომელიც მისცა გიორგი მერჩულემ გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარს, — რომ მისნი „სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“, რომ გრიგოლ ხანძთელი „ფრიად კეთილთა სიტყუათა“ ხელოვანი იყო. საწელიწდო იადგარი ქვემარტად უკვდავ-ჰყოფს გრიგოლ ხანძთელის სახელს ქართული სიტყვიერების ისტორიაში.

გარდა ამ გრანდიოზული ძეგლისა, — საწელიწდო იადგარისა, — გრიგოლ ხანძთელს სხვა ლიტერატურული შრომებიც ჰქონია; ზოგი მათგანი ჩვენ დრომდისაც მოღწეულა.

ა) გრიგოლ ხანძთელს ჰყუთვნის, როგორც შემდეგ გამოიკვევა, ჩვენ დრომდე მოღწეული შესანიშნავი პოეტური ძეგლი — „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“, დაწერილი თავისებური სალექსო ფორმით — „წყობილი სიტყუარიცხუელი“.

ბ) გრიგოლ ხანძთელს ჰყუთვნებია ევქოლოგიური კრებული, საიდანაც ჩვენ დრომდე მოღწეულა სამი ჰიმნი.

გ) გრიგოლ ხანძთელს, როგორც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე, დაუწერია წესი და განგება ხანძთის საეპანისა. ეს ძეგლი ჩვენ დრომდე არ მოღწეულა.

დ) გრიგოლ ხანძთელს ჰყუთვნებია შესხმაჲ ქებისაჲ ბაგრატ ქართველთა ხელმწიფისა. არც ეს ტექსტია მოღწეული.

მივმართოთ ამის შემდეგ თვით გიორგი მერჩულის ლიტერატურულ მეგვიდრეობას.

გამოკვლევის პირველ ნაწილში ჩვენ მითითებული გვქონდა, რომ არსებული წყაროებით გიორგი მერჩულე იყო არა მხოლოდ ქართული პროზის დიდი ოსტატი, — ავტორი გრიგოლ ხანძთელის ცხორებისა, — არამედ რომ იგი ამავე დროს, როგორც ირკვევა, პოეტი ყოფილა.

ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, აღსანიშნავად ერთ-ერთი პოეტური ფორმისა, ჩვენ გვხვდება სახელწოდება: „მერჩულიული“ („მერ-

ჩ უ ლ ი უ ლ ნ ი უ ც ხ ნ ი“). ირკვევა ამრიგად, რომ გიორგი მერჩულე ახალ პოეტურ ფორმათა შემომღები ყოფილა ძველ-ქართულ პოეზიაში.

ძველ-ქართულ ხელნაწერთა კოლექციებზე მუშაობისას, რომელსაც ჩვენ ვაწარმოებდით გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოვლინებისა და დადგენისათვის, ჩვენ ამავე დროს ვაწარმოებდით ძიებას გიორგი მერჩულის პოეტური ტექსტებისას. ამ მიზნით ჩვენ გავეცანით ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ყველა ტექსტებს, რომლებიც კი აღმოჩნდა ჩვენ დრომდე მოღწეულს ძველ-ქართულ ხელნაწერებში.

ძიება დაგვირგვინდა გიორგი მერჩულის პოეტურ ნაწარმოებთა აღმოჩენით.

ჩვენ დრომდე გადაარჩენილა გიორგი მერჩულის პოეტური ჰიმნების ორი კრებული:

1. საგალობელნი სამარადისონი რვა-ხმანი. კრებულის ის ნაწილი, რომელიც ჩვენ დრომდე გადაარჩენილა, შეიცავს 10 საგალობელს დიდი ფორმისა (ეგრეთწოდებული „გალობანი“).

კრებული, როგორც ირკვევა, დიდი მოცულობისა ყოფილა. კრებულის სტრუქტურის მიხედვით, კრებულში, სრულის სახით, უნდა ყოფილიყო არა ნაკლები 48 საგალობელისა დიდი ფორმისა („გალობანი“).

ყველა საგალობელი ამ კრებულისა, მოღწეული ჩვენ დრომდე, დაწერილია ფორმით, რომელსაც შემდეგ, ამ კრებულის მიხედვით, დარქმევია „მერჩულიული უცხონი“.

2. მეორე კრებულია — საგალობელნი აღვსებისანი რვა-ხმანი. ეს მეორე კრებული სრულად მოღწეულა. მასში შედის 21 საგალობელი დიდი ფორმისა („გალობანი“) და 46 საგალობელი მცირე ფორმისა (სტიქარონი).

ეს მეორე კრებული დაწერილია ფორმით: მერჩულიული თავ-ბოლო მორთულნი.

•

აქ საჭიროა აღვნიშნოთ აგრეთვე, რომ ახალი შენაძენი ძველი ქართული მწერლობის საგანძურისა არ განისაზღვრება მარტო გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის ლიტერატურული მემკვიდრეობის აღმოჩენით.

ძველ-ქართულ ხელნაწერ კოლექციებზე მუშაობის დროს, გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის ტექსტებთან ერთად, გამოვლინებულ და აღმოჩენილ იქმნა მთელი წყება განსაკუთრებული მნიშვნელობის მასალებისა ძველი ქართული ლიტერატურის უძველესი პერიოდის ისტორიის აღსადგენად. გამოვლინებულნი არიან ახალი მწერლები, პოეტი-ჰიმნოგრაფები, რომლებიც დღემდე ცნობილნი არ იყვნენ; ასეთია, მაგალითად, ბასილი საბაწმიდელი, უძველესი პოეტი-ჰიმნოგრაფი V — VIII საუკუნეებისა, რომლის მოღვაწეობის დრო ზუსტად არ ისაზღვრება, მაგრამ, როგორც ეს ცხდი ხდება მისი ნაწარმოების არქაული პოეტური ფორმის მიხედვით, ყოველ შემთხვევაში VIII საუკუნეზე გვიან ხანას არ ეკუთვნის; ასეთია პოეტი-ჰიმნოგრაფები შემდგომი ხანისა: ეპიფანე მოძღუარი (ხანძთელი) VIII — IX საუკუნეთა, მაკარი ლეთეთელი IX საუკუნისა, ბასილი (ხანძთელი) IX საუკუნისა, ივანე მგალობელი X

საუკუნისა, გიორგი საბაწმიდელ-სინელი X საუკუნისა, რატი (ორბელი) X — XI საუკუნეთა; შეივსო ჩვენი ცნობები მთელ რიგ მწერლებზე, როგორც, მაგალითად, იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელის შესახებ, რომელიც, როგორც გამოიჩვენა, X საუკუნის უდიდესი ქართველი პოეტ-ჰიმნოგრაფების რიცხვს ეკუთვნის; და სხვანი.

დასასრულ, ქართული ლექსის ისტორიის შესახებ.

შეიძლება ითქვას, რომ დღემდე ძველი ქართული ლექსის, ძველი ქართული წყობილი-სიტყვის ისტორია ბურუსით იყო მოცული.

არც ისე ბევრი ხანია მას შემდეგ, რაც ფიქრობდნენ, რომ უძველესი ნიმუშები ქართული ლექსისა ჩვენ გვაქვს მეთორმეტე საუკუნიდან.

როდესაც ნ. მარმა 1902 წელს მოაპოვა მოკლე 13-სტრიქონიანი ლექსი ფილიპესი, რომელიც X საუკუნეს ეკუთვნის, ეს ითვლებოდა უდიდეს აღმოჩენად და ქართული წყობილი-სიტყვის ისტორიის ქრონოლოგიური ფარგლების დიდ გაფართოებად.

მას შემდეგ ჩვენ მიერ დადგენილი იყო მთელი რიგი ახალი მეტად მნიშვნელოვანი ფაქტები ქართული ლექსის ისტორიიდან (გამოცემა X საუკუნის ქართული ჰიმნოგრაფების ლექსებისა, რომლებიც იამბიკონებით და საგალობელთა მარცვლედით არის დაწერილი; დადგენა ჰაგიოგრაფიული პოემის „აბუკურამს“ ლექსითი სახეობისა; გამოვლენა ლექსების ფრაგმენტებისა ლეონტი მროველის წიგნში «ცხოვრება ქართველთა», პროკოპის მარტივილობაში, ეფრემ მცირის „ელინთა მეზღაპრეობაში“ და სხვ.).

ხოლო ამჟამად, შეიძლება ითქვას, ნათელი ეფინება ქართული ლექსის, ქართული წყობილი-სიტყვის ისტორიას.

ირკვევა, რომ ქართულ ლექსს უძველესი სათავეები აქვს.

უკვე შეიძლება გადაჭრით ითქვას, გამოვლინებული მასალების საფუძველზე, რომ ქართულ ლექსს, ყოველ შემთხვევაში, ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორც ქართულ პროზას.

და ეს, რასაკვირველია, ასეც იყო მოსალოდნელი. (მოვიგონოთ ძველი ბერძნული ლიტერატურის მაგალითი, სადაც ლექსი უფრო ადრე დამკვიდრდა მწერლობაში, ვიდრე პროზის ლიტერატურული ფორმები გამოემუშავებოდა).

ამჟამად ჩვენ გვაქვს საშუალება აღვადგინოთ ქართული ლექსის, ქართული წყობილი-სიტყვის ისტორია V საუკუნიდან მოკიდებული. (უფრო მეტიც: ფოლკლორული სახის ლექსითი ტექსტები, შეტანილი ქართულ მატრიანებში, V საუკუნეზე ადრინდელია).

ირკვევა ამასთან, რომ ქართული ლექსი, ქართული წყობილი-სიტყვა, ქართული მწერლობის ამ უძველეს პერიოდში უაღრესად მდიდარი და მრავალსახოვანი ყოფილა.

ხოლო ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ძველ-ქართულ ლიტერატურაში არსებულა არა ერთი სახის ლექსთწყობა, როგორც ამას დღემდე ფიქრობდნენ, არამედ სამი სახის ლექსთწყობა, რომლებიც თავისი წყობით. მეტრულ-რიტმული სტრუქტურით, სხვადასხვა სისტემებს წარმოგვიდგენენ.

ეს სამი სახეობა ქართული ლექსისა, რომელიც მიღებული ყოფილა ძველ-ქართულ ლიტერატურაში, შემდეგნაირად:

1. სილაბური მუხლედოვანი ლექსი (ძველ-ქართული კლასიკური ლექსი);
2. სილაბური უკვეთელი ლექსი (ძველ-ქართული საგალობელთა «მარცვ-ლედი»);

3. «წყობილი სიტყუა რიცხუედი» (ანუ მოკლე აღნიშვნით «წყობილი სიტყუა»), ძველ-ქართული თავისუფალი უმარცვლედო ლექსი, შინაარსობ-ლივ-ტაეპობრივი რიტმიკით (ამ უკანასკნელს მესამე სახეობას პარალელი აქვს ძველ აღმოსავლურ ლექსთწყობებში).

ჩვენ გვაქვს საშუალება გავითვალისწინოთ ისტორია ძველი ქართული ლექსის სამივე სახეობისა.

აღენიშნავთ ამასთან, რომ აღმოჩენილია სალექსო საზომების კრებული IX — X საუკუნეთა («ძლისპირნი», ძველ-ქართული ჭაშნიკი), სადაც წარმოდგენილია და სისტემაშია მოყვანილი ყველა საზომები, რომელიც მიღებული იყო მეორე სახის ლექსთწყობაში, — საგალობელთა «მარცვლედი».

ასეთია სურათი, რაც ჩვენ წინაშე იშლება ახლად გამოვლენილი სალიტერატურო წყაროების საფუძველზე, ძველი და ახალი მასალების ახლებურად განხილვის შექმნე.

ჩვენ ვხედავთ და ვრწმუნდებით, რომ ძველი ქართული ლიტერატურა არის ძალადი რანგის ლიტერატურა, რომელიც, ამავე ხანის ბერძნულ-ბიზანტიურ ლიტერატურასთან ერთად, დგას საშუალო საუკუნეების ევროპული მსოფლიოს ლიტერატურათა პირველ რიგში.

გასაგებია ყოველივე ამის შემდეგ, რომ ქართული ლიტერატურის განვითარება საშუალო საუკუნეებში დაგვირგვინდა ისეთი დიადი, მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენით, როგორც არის შოთა რუსთაველის «ვეფხისტყაოსანი».

გადავდივართ რა აქ აღძრული საკითხების განხილვაზე, პირველ რიგში ჩვენ შევჩერდებით ძველი ქართული პოეზიის სალექსო ფორმებზე, სამი სახის ლექსთწყობაზე, რომელიც მიღებული იყო ძველ ქართულ პოეზიაში.

VII, ა

ძველ-ქართული პოეზიის სალექსო ფორმები

ბ. სილაგური მუხლედოვანი ლექსი

(ძველ-ქართული კლასიკური ლექსი)

1

ძველ-ქართული სალექსო ტერმინოლოგია

ვიდრე შევეუდგებოდეთ ძველ-ქართული პოეზიის სალექსო ფორმების განხილვას, ჩვენ აქ წინასწარ შევჩერდებით ძველ-ქართულ სალექსო ტერმინოლოგიაზე.

ლექსის სახელწოდებად ძველ-ქართულ მწერლობაში იხმარებოდა ტერმინები: «სიტყუაჲ»; «წყობილი სიტყუაჲ»; «სიტყუაჲ მარცულელი»; «ლექსი»; «იამბიკო»; «შაირი».

პოეტის სახელწოდებად ძველ-ქართულ მწერლობაში გვხვდება: «სიტყვს-მოქმედი»; «გამომთქუმელი»; «გამომეტყუელი»; «სცმდერის-მწერალი»; «მგოსანი»; «მელექსე»; «მოშაირე».

•

ჩამოთვლილი ტერმინებიდან უძველესია, თავისთავადი ქართულია:

სახელწოდებანი ლექსისა — «სიტყუაჲ», «წყობილი სიტყუაჲ», «სიტყუაჲ მარცულელი»;

სახელწოდებანი პოეტისა — «სიტყვს-მოქმედი», «გამომთქუმელი», «გამომეტყუელი».

XII საუკუნის დასაწყისის პოეტთან შავთელთან („აბდულმესიანი“) ლექსი («წყობილი სიტყუა») აღინიშნება ტერმინით «სიტყუა» (იხ. სტროფები 13, 571, 1011).

სახელწოდება «წყობილი სიტყუაჲ» (ფორმით «წყობილ-სიტყვაობა») დამოწმებულია ანტონ I-თან.

სახელწოდება «სიტყუაჲ მარცულელი» დამოწმებულია ეფრემ მცირესთან (XI საუკ.). ასე, მაგალითად, ეფრემ მცირის „ელინთა მეზღაპრობაში“ ჩვენ გვაქვს შემდეგი ტექსტი:

„უმიროს გამომეტყუელსა, ენება რაჲ გაჰოჩინებაჲ და შტურვალებაჲ, რომელთა აქუნდა დიომიდის ბრძოლათა შინა, იგავით მიამსგავსა იგი იროსს, და გამოტყუა მისთვის სიტყუაჲ მარცულელი, ვითარმედ:

[ამას მოსდევს ციტატი ლექსად]:

«ამის ვისიშე / დგომაჲ ცხენისაჲ / სასმენელ იქმნა / ბაკათა ზედა»¹.



ლექსის უძველეს სახელწოდებასთან «სიტყუაჲ», «წყობილ სიტყუაჲ», «სიტყუაჲ მარცულელი», დაკავშირებულია უძველესი სახელწოდება პოეტისა «სიტყუს-მოქმედი».

სახელწოდება «სიტყუს-მოქმედი» დამოწმებულია ძველ-ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ V საუკუნიდან.

„მოციქულთა საქმის“ XVIII თავში (28-ე მუხლში) ბერძნული ტერმინი *ποιητής* (=პოეტი) გადმოცემულია ტერმინით: «სიტყუს-მოქმედი».

„მოციქულთა საქმის“ უძველეს ქართულ რედაქციაში A, რომელიც წარმოდგენილია ხელნაწერებში S — 407 და S — 1318, და რომელიც V საუკუნიდან მომდინარეობს, ჩვენ ვკითხულობთ:

„...ვითარცა იგი ვინმე თქუნგანნი სიტყუს-მოქმედნი (*ποιηται*) იტყვან:

[ამას მოსდევს ციტატი ლექსად]:

«რომლისა იგი ნათესავეცა ვართ...»².

ქართულს «სიტყუს-მოქმედნი» — ბერძნულში შეეფარდება *ποιηται*.

„მოციქულთა საქმის“ შემდგომი ხანის XI საუკუნის რედაქციაში, რომელიც გიორგი მთაწმიდელს ეკუთვნის, ჩვენ გვაქვს გლოსები, სადაც აღსანიშნავად ცნებისა პოეტი — იხმარება ეგვევ ტერმინი «სიტყუს-მოქმედი» და ამის პარალელად «გამომთქუმელი». ბერძენ პოეტებს ჰომიროსსა და არატე კილიციელს ამ გლოსებში «სიტყუს-მოქმედი» და «გამომთქუმელი» ეწოდება.

იხ. ხელნაწერი 1083 წლისა, A — 584, გვ. 4ა:

«არატუ და ომირუ სიტყუს-მოქმედთაჲ»;

იგივე ხელნაწერი A — 584, გვ. 44 ბ:

«არატუ და ომირუ გამომთქუმელთაჲ».

ეფრემ მცირესთან პოეტი აღინიშნება სახელწოდებით: «გამომეტყუელი». იხ. „ელინთა მეზღაპრობა“ უწყება ჰომიროსის (უმიროსის) შესახებ: «უმიროსს გამომეტყუელი» (იხ. ზემოთ, აქვე)³.



პარალელად უძველესი ხანის სახელწოდებასთან «სიტყუს-მოქმედი», ცნება პოეტის აღსანიშნავად არქაულ ტერმინს წარმოადგენს აგრეთვე სახელწოდება «სიმღერი-ს-მწერალი». ისიც V საუკუნიდან არის დამოწმებული. ეს

¹ იხ. ხელნაწერი საქართველოს სახ. მუზეუმისა A — 109. — პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპიქის სალიტერატურო შემეყიდრეობა, გვ. 52.

² იხ. ხელნაწერები საქართველოს სახ. მუზეუმისა: S — 407, გვ. 230ა, S — 1318, გვ. 121ბ.

³ იოანე ფილოსოფოსთან პოეტს ეწოდება *მოქმედი*, რაც ზუსტად შეეფარდება ბერძნულს *ποιητής* — იხ. იოანე ფილოსოფოსის პროკლეს კომენტარები, უწყება ჰესიოდეს (ისიოდოსის) შესახებ: „...ისიოდოსცა მოქმედი [= *ποιητής*] თან მიუქმობს მეტყუელი...“ (გვ. 213).

სახელწოდება «სიმღერის-მწერალი» იმასთან არის დაკავშირებული, რომ უძველეს ხანაში ლექსი იმღერებოდა ხოლმე, ლექსი იგივე სიმღერა იყო.

პავლეს ეპისტოლეთა ძველ-ქართულ ვერსიაში, რომელიც V საუკუნიდან მომდინარეობს, შესაჯავლ წერილში «აღწერილი საღმრთოთა წამებათაჲ», ძველ-ბერძენ პოეტს (კომედიოგრაფს) მენანდრეს ეწოდება „ს ი მ ლ ე რ ი ს-მ წ ე რ ა ლ ი“ ანუ „ს ი მ ლ ე რ ა თ-მ წ ე რ ა ლ ი“.

იხ. ხელნაწერები S — 407 (გვ. 16a) და S — 1138 (გვ. 14a):

«მენანდრსი ს ი მ ლ ე რ ი ს-მ წ ე რ ლ ი ს ა (var. ს ი მ ლ ე რ ა თ-მ წ ე რ ლ ი ს ა) ზ რ ა ხ ე ბ ა ო ო ».

შეადარეთ აქ მოყვანილი გამოთქმა „მენანდრს სიმღერის-მწერალი (სიმღერათ-მწერალი)“ და ქვემოთ-მოყვანილი ტექსტი არსენი იყალთოელიდან: „მენანდროს მოშაპირე (მოშაირე)“.

გარდა საკუთრივ ქართულ სახელწოდებათა ცნება პოეტის აღსანიშნავად («სიტყვს-მოქმედი», «სიმღერის-მწერალი», «გამომთქუმელი» და «გამომეტყუელი») — ძველ-ქართულ მწერლობაში ადრიდანვე დამკვიდრებულია აღმოსავლურიდან (ირანულიდან) მომდინარე ტერმინი: «მ გ ო ს ა ნ ი».

«მგოსანი» ძველ-ქართულად ნიშნავდა აშულს, პოეტს-მომღერალს (შეად. «სიმღერის-მწერალი»). მგოსანი როგორც საკუთარ ლექსთა, ისე სხვათა ლექსების მომღერალი იყო.

VIII საუკუნის ქართველი ავტორი ლეონტი მროველი მოიხსენებს ძველ-ქართველ მგოსნებს. იგი მოგვითხრობს რა II საუკუნის ქართველი მეფის ფარსმან ქველის დაღუპვის შესახებ, წერს:

„მაშინ იქმნა გლოვა, ტირილი და ტყება ყოველთა ქართველთა ზედა. წარჩინებულთგან ვიდრე გლახადმდე, და იტყებდეს თავთა მათთა, და ყოველთა შინა ქალაქებთა და დაბნებთა დასხდიან მ გ ო ს ა ნ ი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი, და იქსენებდიან სიქუელესა და სიმკნესა და სიშუენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა, და იტყოდეს ესრეთ...“

(ამას მოსდევს ტექსტი „წყობილი სიტყვით“, რომელიც ქვემოთ, სათანადო ადგილას იქნება მოყვანილი)!

გადავიდეთ ამის შემდეგ ძველ-ქართულ სახელწოდებებზე, რომლებიც დღემდე ცოცხალია და ხმარებაშია: ლ ე ქ ს ი, მ ე ლ ე ქ ს ე.

სიტყვა „ლ ე ქ ს ი“ ქართულში შემოსულია ბერძნულიდან. ეს სიტყვა უძველესი დროიდანვე შეუთვისებია ქართულ ენას, იგი ადრიდანვე ღრმად გახალხურებულია და დამკვიდრებულია ქართული ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში.

ბერძნულად ტერმინს „ლექსი“ (λῆξις) აქვს ზოგადი მნიშვნელობა: სიტყვა.

ძველ-ქართულში ამ ტერმინს ორნაირი მნიშვნელობა მიეცა: ა) სიტყვა; ბ) წყობილი სიტყვა.

შემდეგ ძველ-ქართულში შინაარსი ამ ტერმინისა ვიწროვდება; პირველი მნიშვნელობა (მარტივად „სიტყვა“) ხმარებიდან გამოდის და ტერმინი „ლექსი“ საბოლოოდ დამკვიდრდა აღსანიშნავად ცნებისა „წყობილი სიტყვა“.

¹ იხ. ლეონტი მროველი, გვ. • 162/39.

აქ უაღრესად მნიშვნელოვანია და ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ტერმინი „ლექსი“ ბერძნულში აღნიშნავდა ზოგადად ცნებას „სიტყვა“ და მას არ ჰქონდა ბერძნულში დამკვიდრებული მნიშვნელობა ვიწრო სპეციალური ტერმინისა „წყობილი სიტყვა“.

ამდენად ტერმინი „ლექსი“, როგორც სპეციფიკური ტერმინი აღსანიშნავად ცნებისა „წყობილი სიტყვა“, ქართული წარმოშობისაა, ქართული ტერმინია.

ტერმინს „ლექსი“ ეს მეორადი მნიშვნელობა „წყობილი სიტყვისა“ ძველ ქართულში, ჩანს, ადრეულ ხანაში მიუღია, და, როგორც აღვნიშნეთ, ეს ტერმინი ძველი დროიდანვე ღრმად გახალხურებული ჩანს. ამ ტერმინს „ლექსი“ განუდევნია ხალხურში ძველ-ქართული ტერმინი — „სიტყუაჲ“, „წყობილი სიტყუაჲ“, „მარცულედი სიტყუაჲ“.

ტერმინები „ლექსი“, „მელექსე“ კანონიზებას ღებულობს ძველ-ქართულ პოეზიაში.

რუსთაველთან ტერმინი „ლექსი“ იხმარება მხოლოდ ამ ერთად-ერთი მნიშვნელობით „წყობილი სიტყვა“ (და არა ორი მნიშვნელობით, — მარტივად სიტყვა და წყობილი სიტყვა) ¹.

•

ძველ-ქართულში აღსანიშნავად ცნებისა „ლექსი“ („წყობილი სიტყვა“) ჩვენ გვხვდება აგრეთვე ტერმინი „ი ა მ ბ ი კ ო“.

ტერმინი ბერძნულიდან მომდინარეობს.

ეს ტერმინი ძველ-ქართულ მწერლობაში ორნაირი მნიშვნელობით იხმარებოდა: ა) 12-მარცვლედი ლექსი (ეს არის ძირითადი მნიშვნელობა ტერმინისა); ბ) ზოგადად ლექსი.

ტერმინი „იამბიკო“ ზოგადი მნიშვნელობით „ლექსი“ დამოწმებულია ეფრემ მცირესთან (XI საუკ.) და იოანე ფილოსოფოსთან (XI — XII საუკ.).

დავითის ფსალმუნთა კომენტარების (კატენების) შესავალ წერილში ეფრემ მცირე დავითის ფსალმუნთა შესახებ წერს:

„...სახარულევან და ტკბილ ექმნების ყოველთა მუხლედად ი ა მ ბ ი კ ო დ [=ლექსად.—პ. ი.] შემოკლებითა სიტყვსაჲთა. რამეთუ უმრავლესთა ფსალმუნთა რიცხუდობაჲ და მარცულედობაჲ ცხად არს საფსალმუნეთა შინა ებრაელთასა...“ ².

იოანე ფილოსოფოსი პროკლეს კომენტარების ბოლოსიტყვაობაში წერს გრიგოლ ნაძიანძელის შესახებ (იხ. გვ. 223):

„...თ ი თ ო ს ა ხ ე თ ა ს ა ზ ო მ თ ა ი ა მ ბ ი კ ო თ ა [=ლექსთა] მუკლ-

¹ იხ. აგრეთვე XII — XIII საუკუნეთა ძეგლები: „ისტორია-აზმანნი შარავანდედთანი“, გვ. * 678/472: „...ლექსად აღწერა“, გვ. * 596/365: „...ესე ვითარად დალექსავს მლექსავი ვინმე...“. ბასილი ეზონაშვილი, გვ. 34, 23: „თამარის ქებათა მელექსეობიდან“.

² იხ. ხელნაწერი H — 1758, გვ. 14b.

თ ა ს ა ა სწავებს¹ და ნაქმართა [=თხზულებათა] სიტყვერთასა განარჩევს².

ტერმინი „იამბიკო“, ზოგადი მნიშვნელობით „ლექსი“, მწიგნობრული წარმოშობისაა და მას ფართე გავრცელება არ მიუღია.

ძველ-ქართულ მწერლობაში, შედარებით გვიან ხანაში, VII — XI საუკუნეებში, გავრცელებას ლებულობს არაბულიდან მომდინარე ტერმინები: შ ა ი რ ი (შაპირი) და მ ო შ ა ი რ ე (მოშაპირე).

ეს ტერმინები დამოწმებულია XI — XII საუკუნის ავტორებთან — არსენი იყალთოელთან (ხრონოლოგია გიორგი ამარტოლისა, გვ. 225 „მენანდროს მოშაპირე“; შეად. ზემოთ, პავლეს ეპისტოლეთა შესავალ წერილში: „მენანდრძ სიმღერის-მწერალი“), ვისრამიანში, ვეფხის-ტყაოსანში.

დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ ძველ-ქართული პოეზიის სპეციფიკურ ენარს, — ჰ ი მ ნ ე ბ ს, ძველ-ქართულად ეწოდებოდა: „ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი“, „გ ა ლ ო ბ ა ნ ი“, „დასდებელნი“.

პოეტ-ჰიმნოგრაფს ეწოდება «მგალობელი» (შეადარეთ ზემოთ: «სიმღერის-მწერალი»).

ამ უკანასკნელ ტერმინთა შესახებ ქვემოთ გვაქვს საუბარი.

2.

ძველი ქართული ლექსთაფუძვლის სამი სახეობა

ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მანძილზე, V საუკუნიდან მოკიდებული ვიდრე XVIII საუკუნემდე, ქართულ მწერლობაში მიღებული ყოფილა სამი სახეობა ქართული ლექსისა, რომლებიც თავისი წყობით, მეტრულ-რიტმული სტრუქტურით, არსებითად განსხვავდებიან ერთი-მეორისაგან. ესენია:

1. სილაბური მუხლედოვანი ლექსი ანუ ძველ-ქართული კლასიკური ლექსი.

ამ ლექსის უძველესი ჩვენ დრომდე მოღწეული ნიმუშები დამოწმებულია V — VIII საუკუნეებიდან. მისი უმაღლესი სრულყოფილი სახე ჩვენ გვაქვს შოთა რუსთაველის უკვდავ პოემაში — „ვეფხის-ტყაოსანი“. თავის სტრუქტურას იგი უცვლელად ინარჩუნებს XVIII საუკუნემდე (დავით გურამიშვილი, ბესიკი) და გადმოდის XIX საუკუნეში.

2. სილაბური უკვეთელი ლექსი ანუ ძველ-ქართული თავისუფალი ლექსი — საგალობელთა «მარცვლელი». იგი მიღებული იყო ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში V — XVIII საუკუნეებისა. კერძოდ გრიგოლ ხანძთელი, უდიდესი წარმომადგენელი ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიისა, ძირითადად იყენებს ამ მეორე სალექსო ფორმას — სილაბურ უკვეთელ ლექსს (პირველ სალექსო ფორმასთან, სილაბურ მუხლედოვან ლექსთან ერთად).

¹ გრიგოლ ნაძიანძელი, როგორც ცნობილია, სხვადასხვა საზომებს („თითო სახეთა საზომთა“) სპარობდა, — ჰექსამეტრს (ირაკომა), ელეგიურ დისტიქს (ქექსამეტრ — პენტამეტრი), იამბებს, ანაკრეონტულ საზომს და სხვა მეტრებს.

² „განმარჩევლობა“ — იოანე ფილოსოფოსთან „კრიტიკას“ აღნიშნავს; იხ. იქვე (გვ. 223): „ნაქმართა განმარჩევლობა“ (=თხზულებათა კრიტიკა).

გარდა ჰიმნოგრაფიული პოეზიისა, ეს მეორე სახეობა ძველ-ქართული ლექსისა, — სილაბური უკვეთელი ლექსი, — გვხვდება აგრეთვე ძველი ქართული მწერლობის სხვა ჟანრებშიაც (ჰაგიოგრაფიული პოემა „აბუყურაჲ“ IX საუკუნისა).

3. «წყობილი სიტყუა რიცხუედი» (ანუ მოკლე აღნიშვნით: «წყობილი სიტყუა»), ძველ-ქართული თავისუფალი უმარცვლედო ლექსი, შინაარსობლივ-ტაეპობრივი რიტმიკით. ამ თავისებური ლექსის რიტმიკას ჰქმნის არა „მარცვლედობა“ ტაეპებისა, არამედ „რიცხუედობა“ შინაარსობლივად შეკრული ტაეპებისა (სახეთა პარალელიზმის ფართოდ გამოყენებით). ეს მესამე სახის ლექსი უპირატესად გვხვდება ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასეულის ქართული მწერლობის ძეგლებში (ბიბლიის ძველ-ქართული ვერსიის გალობანი, კერძოდ, საგალობელნი ფსალმუნთა წიგნისა; ძველ-ქართული ფოლკლორული წარმოშობის ტექსტები ლეონტი მროველის წიგნში „ცხოვრება ქართველთა“; გრიგოლ ხანძთელის „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“; „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“ და სხვანი).

ჩვენი განხილვის საგანი აქ პირველ რიგში იქნება ძველი ქართული ლექსის პირველი ძირითადი სახეობა, ე. ი. ქართული კლასიკური ლექსი V — XVIII საუკუნეთა (სილაბური მუხლედოვანი ლექსი).

რაც შეეხება ძველი ქართული ლექსის მეორე სახეობას (სილაბური უკვეთელი ლექსი, საგალობელთა «მარცვლედი») და მესამე სახეობას («წყობილი-სიტყუა რიცხუედი») მათ ჩვენ ქვემოთ ცალკე განვიხილავთ.

3

ძველი ქართული კლასიკური ლექსის მეტრული სტრუქტურა.

ძველი ქართული კლასიკური ლექსის გამო უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს მისი ორგანიული კავშირი ქართულ ხალხურ პოეზიასთან. ძველ ქართულ კლასიკურ ლექსში ჩვენ გვაქვს იგივე წყობა, იგივე მეტრული სტრუქტურა, რაც ქართული ენის (და საერთოდ ყველა ქართველური ენაკავებისა და დიალექტების) ხალხურ ლექსში.

აშკარაა, კლასიკური ქართული ლექსის სათავე და პირველწყარო არის ქართული ხალხური სიტყვიერება, ძველ-ქართული ხალხური პოეზია. ამას ადასტურებს როგორც დამთხვევა კლასიკური ძველ-ქართული ლექსისა ხალხურ ლექსთან, ისე თვით ის გარემოება, რომ კლასიკური ქართული ლექსი თავისი რიტმული აღნაქვსით ადექვატურად უპასუხებს ქართულ ენაში მოცემულს ბუნებრივ პროზოდისა.

ამრიგად ძველ-ქართული ლექსის ზემოთ-დასახელებული სამი სახეობიდან (1 — კლასიკური ქართული ლექსი, 2 — საგალობელთა «მარცვლედი», 3 — «წყობილი სიტყუა რიცხუედი»), ძირითად ქართულად მისაჩნევია პირველი, რომლის წარმოქმნა ქართული ენის წიაღში მომხდარა. მასში არ შეინიშნება უცხოურ (ბერძნულ, აღმოსავლურ) ლექსთწყობათა რაიმე ძირეული, ფორმაციის მიმცემი გავლენა.

რაც შეეხება მეორე სახეობას (საგალობელთა «მარცვლელი»), მის ფორმირებაზე, როგორც შემდეგ დავინახავთ, უშუალო გავლენა ჰქონდა ბერძნულ ლექსთწყობას.

თუ როგორი წარმოშობისაა მესამე სახეობა ძველ-ქართული ლექსისა («წყობილი სიტყვა რიცხვედი»), ეს კითხვა არაა სავსებით ნათელი. ამ თავისებურს უმარცვლედო ლექსს პარალელი აქვს ძველ აღმოსავლურ ლექსთწყობაში სემური ენებისა. მაგრამ მთელი რიგი გარემოებათა გვაფიქრებინებს, რომ ეს ლექსთწყობა არ უნდა იყვეს ნასესხები ქართულში, არამედ ქართულ ნიადაგზე წარმოქმნილი. ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავია ის უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ უძველესი ქართული ფოლკლორული ტექსტები, შეტანილი ლეონტი მროველის თხზულებაში «ცხორება ქართველთა», ამ მესამე ლექსთწყობას წარმოგვიდგენს. საფიქრებელი ხდება, რომ ამ არქაული ტიპის უმარცვლედო ლექსის სახით ჩვენ გვაქვს ის არქაული ქართული ლექსთწყობა, რომელიც წინ უსწრებდა მუხლედოვანი ქართული ლექსის საბოლოო ჩამოყალიბებას. წარმოქმნა ქართული ლექსთწყობის ამ ადრინდელი სახეობისა უძველეს ეპოქას, არქაულ ანტიკურ ხანას უნდა მიეკუთვნოს.

რაც შეეხება უფრო გვიან ეპოქას, ადრეულ საშუალ საუკუნეებს, ამ მესამე სახეობის ლექსის შემდგომ ფორმირებაზე გავლენა ჰქონდა აღმოსავლურ პოეზიას — ბიბლიის მეშვეობით.



სილაბური მუხლედო კლასიკური ქართული ლექსისა.

ქართული კლასიკური ლექსის მეტრული სტრუქტურის საფუძველს შეადგენს არა ტერფი (როგორც ეს გვაქვს ტონურსა და ქვანტიტეტურს მეტრულ ლექსთწყობაში), არამედ სილაბური მუხლედო სხვადასხვა ზომისა, ორ-მარცვლელიდან ცხრა-მარცვლედამდე, რომლებიც ერთმანეთისაგან განიყოფება მუდმივი ცეზურებით.

თავისი მუხლედოვანი წყობით ქართული კლასიკური ლექსი განსხვავდება ძველ-ქართული ლექსის დანარჩენი ორი სახეობისაგან:

ძველი ქართული ლექსის მეორე სახეობაში (ე. ი. საგალობელთა მარცვლედში), ყოველი ტაეპი წარმოადგენს ერთს მთლიანს, უკვეთელს სილაბურ ერთეულს (რომელიც გრძელ ტაეპებში განიყოფება მოძრავი ცეზურით); ტაეპი არაა აქ დანაწევრებული (განკვეთილი) მკვიდრ, უცვლელ მუხლებად (მუდმივი ცეზურით).

რაც შეეხება ძველი ქართული ლექსის მესამე სახეობას («წყობილ-სიტყვას»), იგი როგორც მოვიხსენეთ, სრულიად განსხვავებულს სალექსო სისტემას წარმოადგენს, რომელიც ემყარება არა მარცვლედოვან წყობას, არამედ შინაარსობლივ-ტაეპობრივ რიტმიკას.



სილაბური მუხლედების სახეობანი.

კლასიკურ ქართულ ლექსში ჩვენ გვაქვს სილაბურ მუხლედთა შემდეგი სახეობანი:

- მოკლე მუხლები: 2-მარცვლელი;
3-მარცვლელი;
საშუალო მუხლები: 4-მარცვლელი;
5-მარცვლელი;
6-მარცვლელი (დაქტილური, ბოლო-სპონდერული, რეული);
7-მარცვლელი (ბოლო-დაქტილური, ბოლო-ქორეული, რეული);
გრძელი მუხლები: 8-მარცვლელი;
9-მარცვლელი.

მოკლე მუხლები, ქართული ენის ბუნებრივი პროზოდის თანახმად, არ ჰქმნიან საზომების უწყვეტელ სერიას (ორიანი ან სამიანი დიმეტრები, ორიანი ან სამიანი ტრიმეტრები, ორიანი ან სამიანი ტეტრამეტრები, და ა. შ.); მოკლე მუხლები შედის როგორც შემადგენელი ნაწილი შენაერთ საზომებში (საშუალო და გრძელ მუხლებთან შეკავშირებით; იხ. ქვემოთ, საზომების ტაბულა). ამას გარდა, მოკლე მუხლები გვხვდება დამოუკიდებელი მუხლედ-ტაეპების — მონომეტრების სახით (ორიანი მონომეტრი და სამიანი მონომეტრი იამბიკონებისა).

აქ რამდენიმე შენიშვნა გრძელ მუხლებზე.

გრძელი მუხლები ქართული ლექსისა, 8-მარცვლელი და 9-მარცვლელი, იჩენენ ტენდენციას გაიყონ ორ-ორ მუხლებად; გვიან ხანაში ეს გრძელი მუხლები, ერთიანი 8-მარცვლელი და ერთიანი 9-მარცვლელი, ხმარებიდან გამოდიან კიდევ.

ერთიან 8-მარცვლედ მუხლედს, ეგრეთწოდებულ „რეულ“ შაირს, ენაცვლება ორი მუხლელი დაბალი შაირისა (5-მარცვლელი და 3-მარცვლელი) და მაღალი შაირისა (ორი 4-მარცვლელი).

ქართულ მწერლობაში რუსთაველის შემდეგ ერთიანი 8-მარცვლელი მუხლებით წყობილი ლექსი იშვიათად გვხვდება, მწერლობაში გაბატონებულია დაბალი და მაღალი შაირის ფორმები (3-, 4- და 5-მარცვლედები), მაგრამ ხალხურ პოეზიაში ერთიანი 8-მარცვლელი მუხლები „რეული“ შაირისა დღემდის ცოცხალია და ხმარებაშია (ასე, 8-მარცვლელი მუხლებებისაგან შემდგარი „რეული“ შაირით არის გამოთქმული ხალხური არსენას ლექსი). მწერლობაშიაც, თუმცა სპორადიულად, მაგრამ მაინც გვხვდება 8-მარცვლელი მუხლელი „რეული“ შაირისა, როგორც მე-18 საუკუნეში, ისე მე-19 საუკუნეშიაც (დავით გურამიშვილის ლექსი „მზეთა-მზის ვედრება“, — „მზევ სიშორითა შენითა!“, ილია ჭავჭავაძის „ბაზალეთის ტბა“, პოემა „დიმიტრი თავდადებული“).

„რეული“ შაირის ამ წყობას, რომელიც იყენებდა ერთიანს 8-მარცვლედ მუხლედს, როგორც შემდეგ დავინახავთ, უძველესი ტრადიცია აქვს. 8-მარცვლელი მონომეტრი ფართე გავრცელებით სარგებლობდა ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში.

ეს რაც შეეხება 8-მარცვლედ მუხლედს.

უგრძესი სახეობა მუხლედისა ქართულ სილაბურ მუხლედოვან ლექსში არის 9-მარცვლელი. ეს სახეობა, 9-მარცვლელი ერთიანი მუხლელი, მიღებულია ხალხურს „მთიბლურ“ საზომში.

მართული სილაბური მუხლედოვანი ლექსის საზომები

გადავდივართ ამის შემდეგ ქართული სილაბური მუხლედოვანი ლექსის საზომთა აღნუსხვაზე.

სპეციალურ ლიტერატურაში დღემდე არაა სათანადო სისრულით აღწერილი და სისტემაში მოყვანილი ქართული სალექსო საზომები.

ჩვენ აქ ვიძლევიტ სილაბური მუხლედოვანი ლექსის ქართულ პოეზიაში მიღებული საზომების სრულს კლასიფიკაციას ერთი სისტემატიზებული ტაბულის სახით.

(იხ. ტაბულა: ძველი ქართული სილაბური მუხლედოვანი ლექსის საზომები, გვ. 562 — 573).

5

ჰრონოლოგიური მიმოხილვა

დასასრულ, ჩვენ აქ წარმოვადგენთ სილაბური მუხლედოვანი ლექსის სალექსო საზომთა მოკლე ჰრონოლოგიურ მიმოხილვას, სადაც ვუჩვენებთ, თუ რომელ ძველ-ქართულ ტექსტებში არის დამოწმებული ესა თუ ის საზომი.

V — VIII საუკუნეები.

1. მარტვილობა პროკოპისი.

ქართული მწერლობის ძეგლში — „მარტვილობა პროკოპისი“ — რომელიც V — VII საუკუნეებით თარიღდება (ამ ძეგლში მიღებულია წარმართული ხანის კალენდარული ტერმინოლოგია), მოიპოვება ციტატა ჰომიროსიდან ლექსად, ბისტკიკაურის 20-მარცვლადი საზომით (v — 12: 5 | 5 | 5 | 5). მოგვყავს ტექსტი¹:

„და პირველთა მათ ომეროსისთა წარმოიღებდა სტიქონთა, და თქუა:

«არა კეთილ არს: მრავალ-უფლებამ: ერთ უფალ იყავნ: და ერთ მეუფს:»

(ილიადა, II, 204).

ბისტკიკაური საზომისა და ჰომიროსის აქ ციტირებული V — VII საუკუნეთა ქართული ტექსტის შესახებ იხ. ჩვენ წერილში: „რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო მემკვიდრეობა“ (რუსთაველის ინსტიტუტის „რუსთაველის კრებული“, 1938 წ.), გვ. 52.

2. „ახალი აღთქმის“ წიგნები: პავლეს ეპისტოლე ტიტეს მიმართ და მოციქულთა საქმე.

ახალი აღთქმის წიგნების ბერძნულ დედანში. — პავლეს ეპისტოლეში ტიტეს მიმართ და მოციქულთა საქმეში, — როგორც ცნობილია. ორ ადგილას მოიპოვება სალექსო სტრიქონები. ეს არის ციტატები ლექსად. ამოღებული

(გაგრძელება 574 გვერდზე)

¹ იხ. ხელნაწერები საქ. მუზეუმისა A — 95, გვ. 953, H — 535, გვ. 176 b.

№№	საზომების რიცხვითი ფორმულა	საზომების ისტორიულთან შეფარებული სახელწოდებანი
A. მარტივი საზომები		
I—II. ორიანი და სამიანი მუხლედ-ტაეები:		
v-1	2	ორ-მარცვლადი მუხლედ-ტაეი
v-2	3	სამ-მარცვლადი " "
III. მაღალი შაირის წყობის საზომები (ოთხიანი მუხლედებით):		
v-3	4	მაღალი შაირის ოთხ-მარცვლადი
v-4	4 4	" " ორ-მარცვლადი (რეული, მაღალი)
v-5	4 4 4	" " თორმეტ-მარცვლადი (იამბიკონ-შაირი ^{ანუ} იამბიკონი ვ)
v-6	4 4 4 4	" " თექვსმეტ-მარცვლადი (საკუთრივ მაღალი შაირი)
v-7	4 4 4 4 4 (~)	" " ოც-მარცვლადი
v-8	4 4 4 4 4 4	" " ოცდაოთხ-მარცვლადი („გრძელადი შაირი სამკვეთი“, მაღალი)

* შემოკლებანი ავტორთა დასახელების დროს:

- 1) მარტვ. პრ. — მარტივობა პროკოპისი (V — VII ს.ს.)
- 2—ა) პავ. — პავლეს ეპისტოლე ტიტეს მიმართ (V ს.)
- 2—ბ) მოც. — საქმე მოციქულთა (V ს.)
- 3) ლეონტი მრ. — ლეონტი მროველი (VIII ს.)
- 4) შიმშ. — ჰიმნოგრაფიული პოეზია.
- 5) გრ. ხანძთ. — გრიგოლ ხანძთელი (758 — 860 წ.წ.).
- 6) შინჩხი — ივანე შინჩხი (X ს.).
- 7) ი. მტბ. — იოვანე მტბევაარი (X ს.).
- 8) მიქ. მოდრ. — მიქელ მოდრეკილი (X ს.).
- 9) ფილ. — ფილიპე (X ს.).
- 10) ი.—ზ. — იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელი (X ს.).
- 11) გ. მთ. — გიორგი მთაწმიდელი (1009—1065 წ.წ.).
- 12) ეფრ. მც. — ეფრემ მცირე (XI ს.).

საზომების სახელწოდებანი მეტრული სტრუქტურის მიხედვით	ავტორები*	№№
A. მარტივი საზომები		
I—II. ორიანი და სამიანი მუხლდ-ტაქები:		
ორიანი მონომეტრი	ჰიმნ. ი. შავთ.	V—1
სამიანი „	ჰიმნ. ი. შავთ.	V—2
III. ოთხიანი საზომები:		
ოთხიანი მონომეტრი	ჰიმნ. ი.—ზ. ჩახრ.	V—3
„ დიმეტრი	ი.—ზ. საბა	V—4
„ ტრიმეტრი	ი.—ზ. ეფრ. მც. პ. გელათ.	V—5
„ ტეტრამეტრი	ფილ. ი.—ზ. ჩახრ. შოთა	V—6
„ პენტამეტრი		V—7
„ ჰექსამეტრი	კაშნ. (ძვ.)	V—8

* შემოკლებანი ავტორთა დასახელების დროს:

- 13) კან. — ლექსი „კანონთათვის“ (XI ს.).
- 14) არს. ო. — არსენი იყალთოელი (XI—XII ს.ს.).
- 15) იეზ. — იეზუკიელ მრწემი (XII—XIII ს.ს.).
- 16) ბ. გელათ. — პეტრე გელათელი (XII—XIII ს.ს.).
- 17) ო. შავთ. — იოვანე შავთელი („გალობანი ვარაჟისა ღმრთისმშობელისანი“ XII—XIII ს. ს.).
- 18) შავთ. — [დავით] შავთელი („აბდულუმესიანი“) XII ს.
- 19) ჩახრ. — ჩახრ-ჯხანისძე (XII—XIII ს.ს.).
- 20) შოთა — შოთა რუსთაველი (XII—XIII ს.ს.).
- 21) კაშნ. (ძვ.) — „კაშნიკი“ (ძველნი ხმანი).
- 22) საბა — სულხან-საბა ორბელიანი (1658—1725 წ.წ.).
- 23) დ. გურამ. — დავით გურამიშვილი (1705—1792 წ.წ.).
- 24) ბესიკო — ბესარიონ გაბაშვილი (1751—1791 წ.წ.).

№№	საზომების რიცხვითი ფორმულა	საზომების ისტორიულთან შეფარებული ხაზელწოდებანი
IV. ბისტრიკაურის წყობის საზომები (ხუთიანი მუხლებდებით):		
v-9	5	ბისტრიკაურის ხუთ-მარცვლელი
v-10	5 5	" ათ-მარცვლელი
v-11	5 5 5	" თხუთმეტ-მარცვლელი
v-12	5 5 5 5	" ოც-მარცვლელი საკუთრივ ბისტრიკაური)
V. ექვსიანი წყობის საზომები (ექვსიანი მუხლებდებით):		
ა) რეული:		
v-13	6	ექვსიანის ექვს-მარცვლელი (რეული)
v-14	6 6	" თორმეტ-მარცვლელი (ა)
v-15	6 6 6	" თვრამეტ-მარცვლელი (ბ)
v-16	6 6 6 6	" ოცდაოთხ-მარცვლელი (გ)
ბ) დაქტილური:		
v-17	6-ა	ექვსიანი დაქტილურის ექვს-მარცვლელი
v-18	6-ა 6-ა	" " თორმეტ-მარცვლელი
v-19	6-ა 6-ა 6-ა	" " თვრამეტ-მარცვლელი
v-20	6-ა 6-ა 6-ა 6-ა	" " ოცდაოთხ-მარცვლელი
გ) ბოლო-სპონდერული:		
v-21	6-ბ	ექვსიანი ბოლო-სპონდერული ექვს-მარცვლელი
v-22	6-ბ 6-ბ	" " " თორმეტ-მარცვლელი
v-23	6-ბ 6-ბ 6-ბ	" " " თვრამეტ-მარცვლელი
v-24	6-ბ 6-ბ 6-ბ 6-ბ	" " " ოცდაოთხ-მარცვლელი

<p>საზომების სახელწოდებანი მეტრული სტრუქტურის მიხედვით</p>	<p>ა ვ ტ ო რ ე ბ ე</p>	<p>№№</p>
<p>IV. ხუთიანი საზომები:</p>		
<p>ხუთიანი მონომეტრი</p>	<p>ჰიმნ. გრ. ხანძთ. გ. მთ. ი. შავთ. შავთ. ჩახრ.</p>	<p>ვ— 9</p>
<p>„ დიმეტრი</p>	<p>მოც. გრ. ხანძთ. შავთ. ჩახრ. საბა</p>	<p>ვ—10</p>
<p>„ ტრიმეტრი</p>	<p>დ. გურამ.</p>	<p>ვ—11</p>
<p>„ ტეტრამეტრი</p>	<p>მარტვ. პრ. ეფრ. მც. იეს. შავთ. ჩახრ.</p>	<p>ვ—12</p>
<p>V. ექვსიანი საზომები:</p>		
<p>ა) რეული:</p>		
<p>ექვსიანი მონომეტრი (რეული)</p>	<p>ჰიმნ. დ. გურამ.</p>	<p>ვ—13</p>
<p>„ დიმეტრი (რ)</p>		<p>ვ—14</p>
<p>„ ტრიმეტრი (რ)</p>		<p>ვ—15</p>
<p>„ ტეტრამეტრი (რ)</p>		<p>ვ—16</p>
<p>ბ) დაქტილური:</p>		
<p>ექვსიანი დაქტილური მონომეტრი</p>	<p>დ. გურამ.</p>	<p>ვ—17</p>
<p>„ „ დიმეტრი</p>		<p>ვ—18</p>
<p>„ „ ტრიმეტრი</p>		<p>ვ—19</p>
<p>„ „ ტეტრამეტრი</p>		<p>ვ—20</p>
<p>გ) ბოლო-სპონდეური:</p>		
<p>ექვსიანი ბოლო-სპონდეური მონომეტრი</p>	<p>დ. გურამ.</p>	<p>ვ—21</p>
<p>„ „ „ დიმეტრი</p>		<p>ვ—22</p>
<p>„ „ „ ტრიმეტრი</p>		<p>ვ—23</p>
<p>„ „ „ ტეტრამეტრი</p>		<p>ვ—24</p>

№№	სახომების რიცხვითი ფორმულა	სახომების ისტორიულთან შეფარდებული სახელწოდებანი
VI. ფერხისულის წყობის სახომები (შვიდიანი მუხლედებით)		
ა) რ ე უ ლ ი:		
v-25	7	ფერხისულის შვიდ-მარცვლელი (რეული)
v-26	7 7	" თოთხმეტ-მარცვლელი („)
v-27	7 7 7	" ოცდაერთ-მარცვლელი („)
ბ) ბოლო-დაქტილური:		
v-28	7-ა	ფერხისული ბოლო-დაქტილურის შვიდ-მარცვლელი
v-29	7-ა 7-ა	" " " თოთხმეტ-მარცვლელი (საკუთრივ ფერხისული)
v-30	7-ა 7-ა 7-ა	" " " ოცდაერთ-მარცვლელი
გ) ბოლო-ქორეული:		
v-31	7-ბ	ფერხისული ბოლო-ქორეულის შვიდ-მარცვლელი
v-32	7-ბ 7-ბ	" " " თოთხმეტ-მარცვლელი
v-33	7-ბ 7-ბ 7-ბ	" " " ოცდაერთ-მარცვლელი
VII. რეული შაირის წყობის სახომები (რეიანი მუხლედებით):		
v-34	8	რეული ² შაირის რვა-მარცვლელი (რეული, რეული)
v-35	8 8	" " თექვსმეტ-მარცვლელი (საკუთრივ რეული შაირი)
v-36	8 8 8	" " ოცდაოთხ-მარცვლელი („გრძლელი შაირი სამკვეთი“, რეული)
VIII. მთიბლურის წყობის² სახომები (ცხრიანი მუხლედებით):		
v-37	9	მთიბლურის ცხრა-მარცვლელი
v-38	9 9	" თვრამეტ-მარცვლელი

საზომების სახელწოდებანი მეტრული სტრუქტურის მიხედვით	ავტორები	№№
VI. შეიდიანის საზომები:		
გ) რეული:		
შეიდიანი მონომეტრი (რეული)	ჰიმნ. გრ. ხანძთ. გ. მთ.	V-25
" დიმეტრი (")	ი. შავთ. ბესიკი	V-26
" ტრიმეტრი (")	გრ. ხანძთ.	V-27
ა) ბოლო-დაქტილური:		
შეიდიანი ბოლო-დაქტილური მონომეტრი	} კან. (ძვ.) დ. გურამ.	V-28
" " " დიმეტრი		V-29
" " " ტრიმეტრი		V-30
ბ) ბოლო-ქორეული:		
შეიდიანი ბოლო-ქორეული მონომეტრი	(XX ს.)	V-31
" " " დიმეტრი		V-32
" " " ტრიმეტრი		V-33
VII. რვიანის საზომები:		
რვიანი მონომეტრი	ჰიმნ. დ. გურამ.	V-34
" დიმეტრი	(ხალხური)	V-35
" ტრიმეტრი		V-36
VIII. ცხრიანის საზომები:		
ცხრიანი მონომეტრი	ჰიმნ. გ. მთ. ი. შავთ.	V-37
" დიმეტრი	(ხალხური)	V-38

№№	სახომების რიცხვითი ფორმულა	საზომების ისტორიულთან შეფარდებული სახელწოდებანი
ბ. შენაერთი საზომები		
IX. ბისტოკაურ-ორიანის წყობის შენაერთი სახომები (ხუთიანი და ორიანი მუხლებებით) იხ. №№ 31, 32, 33.		
X. დაბალი შაირის წყობის შენაერთი სახომები (ხუთიანი და სამიანი მუხლებებით): ¹		
v-39	5 3 (~)	დაბალი შაირის რვა-მარცვლელი (რეული, დაბალი)
v-40	5 3 (~) 5 3 (~)	" " თექვსმეტ-მარცვლელი (საკუთრივ დაბალი შაირი)
v-41	5 3 (~) 5 3 (~) 5 3 (~)	" " ოცდაოთხ-მარცვლელი (ჩგრძლელი შაირი სამკვეთი", დაბალი)
v-42	5 3	" " რვა-მარცვლელი დაღმავალი
XI. შაირ-ბისტოკაურის [მაღალი შაირისა და ბისტოკაური წყობის] შენაერთი სახომები (ოთხიანი და ხუთიანი მუხლებებით)		
ა) ორ-ნაწევრიანი:		
v-43	4 5	შაირ-ბისტოკაურის ცხრა-მარცვლელი ²
v-44	4 5 4 5	" " თვრამეტ-მარცვლელი
ბ) სამ-ნაწევრიანი:		
v-45	4 4 5	შაირ-ბისტოკაურის ცამეტ-მარცვლელი ³
v-46	5 4 5	" " თოთხმეტ-მარცვლელი ⁴
გ) ოთხ-ნაწევრიანი:		
v-47	4 5 4 4	შაირ-ბისტოკაურის ჩვიდმეტ მარცვლელი ⁵
v-48	5 4 5 5	" " ცხრამეტ-მარცვლელი ⁶

¹ ქართულ ლექსში მიღებულია დაბალი შაირის (ხუთიანი-სამიანი დიმეტრის) ო რ კ ე რ-ძ ი სახეობა: 5 | 3 (~) || 5 | 3 (~). ხოლო ცალკე დამოუკიდებელ სახომთა სახით არ იხმარება ა ლ მ ა ე ა ლ ი და და ლ მ ა ე ა ლ ი სახეობანი, რომლებიც, ბუნებრივი პროზოდის მიხედვით, უნდა შეზღუდულ მიჯნებს უდებენ ლექსს, ვიდრე ორკერძი სახეობა. (ა ლ მ ა ე ა ლ ი დიმეტრი—3 | 5; ტეტრამეტრი—3 | 5 || 3 | 5; ჰექსამეტრი—3 | 5 || 3 | 5 || 3 | 5. — დაღმავალი დიეტრი—5 | 3; ტეტრამეტრი—5 | 3 || 5 | 3; ჰექსამეტრი—5 | 3 || 5 | 3 || 5 | 3). მხოლოდ გამონაკლისის სახით, იანბიკონთა იპოსტასებში, გვხვდება ერთი დაღმავალი სახეობა (დაღმავალი დიმეტრი): 5 | 3 (იხ. № 42).

² ცალკე დამოუკიდებელ სახომთა სახით შემოღებული არ ყოფილა დაღმავალი და ორ-კერძი სახეობანი (დაღმავალი დიმეტრი—5 | 4; ტეტრამეტრი—5 | 4 || 5 | 4; ორკერძი დიმეტრი—4 | 5 ~; ტეტრამეტრი—4 | 5 ~ || 4 | 5 ~). ხალხურში არის („მთიბლურის“ ვარიაციები).

საზომების სახელწოდებანი შეტრული ხტრუქტურის მიხედვით	ავტორები	№№
B. შინაგარე საზომები		
IX. ხუთიან-ორიანი შენაერთი საზომები;		
ობ. №№ 31, 32, 33		
X. ხუთიან-სამიანი შენაერთი საზომები:¹		
ხუთიან-სამიანი დიმეტრი (ორკერძი)	საბა	V—39
" " ტეტრაპეტრი (ორკერძი)	ლეონტი შრ. კან. ეფრ. მც.	V—40
" " ჰექსამეტრი (ორკერძი)	არს. ი. ჩახრ. შოთა ბესიკი	V—41
" " დიმეტრი (დაღმავალი)	გრ. ხანძმ.	V—42
XI. ოთხიან-ხუთიან შენაერთი საზომები:		
ა) ორ-ნაწევრიანი:		
ოთხიან-ხუთიანი დიმეტრი (აღმავალი) ²	დ. გურამ.	V—43
" " ტეტრაპეტრი (აღმავალი)		V—44
ბ) სამ-ნაწევრიანი:		
ოთხიან-ხუთიანი ტრიმეტრი ცამეტ-მარცვლდი (აღმავალი) ³	დ. გურამ.	V—45
" " " თოთხმეტ-მარცვლდი (შუალედური) ⁴	ბესიკი	V—46
გ) ოთხ-ნაწევრიანი:		
ოთხიან-ხუთიანი ტეტრაპეტრი ჩვიდმეტ-მარცვლდი (ა) ⁵	დ. გურამ.	V—47
" " " ცხრაპეტ-მარცვლდი ⁶	ბესიკი	V—48

¹ ცალკე დამოუკიდებელ საზომთა სახით შემოღებული არ ყოფილა შუალედური, დაღმავალი და რეული სახეობანი (შუალედური—4 | 5 | 4; დაღმავალი—5 | 4 | 4; რეული—4 | 4 | 5, ~4 | 5 | 4, ~5 | 4 | 4).

² ცალკე დამოუკიდებელ საზომთა სახით შემოღებული არ ყოფილა აღმავალი, დაღმავალი და რეული სახეობანი. (აღმავალი—4 | 5 | 5; დაღმავალი 5 | 5 | 4; რეული 4 | 5 | 5, ~5 | 4 | 5, ~5 | 5 | 4).

³ ცალკე დამოუკიდებელ საზომთა სახით შემოღებული არ ყოფილა ჩვიდმეტ-მარცვლდის შემდეგი სახეობანი: ბ) 4 | 4 | 5; გ) 4 | 4 | 5 | 4; დ) 5 | 4 | 4 | 4; ე) რეული (4 | 4 | 5, ~4 | 4 | 5, 4, ~4 | 5 | 4 | 4, ~5 | 4 | 4 | 4).

⁴ ცალკე დამოუკიდებელ საზომთა სახით შემოღებული არ ყოფილა ცხრაპეტ-მარცვლდის შემდეგი სახეობანი: ბ) 4 | 5 | 5 | 5; გ) 5 | 5 | 4 | 5; დ) 5 | 5 | 5 | 4; ე) რეული (4 | 5 | 5 | 5, ~5 | 4 | 5 | 5, ~5 | 5 | 4 | 5, ~5 | 5 | 5 | 4).

№№	სახომების რიცხვითი ფორმულა	სახომების ისტორიულთან შეფარებული სახელწოდებანი
		<p align="center">XII. შთიბლურ—ბისტრიკაურის წყობის შენაერთი საზომი (ცხრიანი და ხუთიანი მუხლებდებით)</p>
v-49	9 5 5	შთიბლურ-ბისტრიკაურის ცხრა-მარცვლელი
		<p align="center">XIII. შაირ-ექესიანის [შაირისა და ექესიანი ბოლო-საონდური წყობის] შენაერთი სახომები (ოთხიან-რეული და ექესიანი ბოლო-საონდური მუხლებდებით):</p>
		<p align="center">ა) ორ-ნაწევრიანი:</p>
v-50	4 6-ა	შაირ-ექესიანის ათ-მარცვლელი (მუხრანული, ათ-მარცვლელი)
v-51	4 6-ა 4 6-ა	" " ოც-მარცვლელი (" ოც-მარცვლელი)
		<p align="center">ბ) სამ-ნაწევრიანი:</p>
v-52	8 6-ა	შაირ-ექესიანის თოთხმეტ-მარცვლელი, რეული (ხალხური „ეო-მეო“)
v-53	4 4 6-ა	შაირ-ექესიანის თოთხმეტ-მარცვლელი, მაღალი
v-54	5 3(~) 6-ა	" " " " დაბალი
		<p align="center">XIV. შაირ-ფერხისულის [მაღალი შაირისა და ფერხისული წყობის] შენაერთი სახომები (ოთხიანი და შვიდიანი მუხლებდებით):</p>
		<p align="center">ა) ორ-ნაწევრიანი:</p>
v-55	4 7	შაირ-ფერხისულის თერთმეტ-მარცვლელი ¹
v-56	4 7 4 7	" " ოცდაორ-მარცვლელი ¹
		<p align="center">ბ) სამ-ნაწევრიანი:</p>
v-57	4 4 7	შაირ-ფერხისულის თხუთმეტ-მარცვლელი ¹

¹ ოთხიან—შვიდიან შენაერთ სახომებში დაღმკეული და ორკერძი სახომები შილებუ-

საზომების სახელწოდებანი მეტრული სტრუქტურის მიხედვით	ავტორები	№№
<p>XII. ცხრიან-ხუთიანი შენაერთი საზომი:</p> <p>ცხრიან-ხუთიანი ტრიმეტრი, ცხრამეტ-მარცვლდი</p>		
	პაე.	V-49
<p>XIII. ოთხიან-რეული და ექვსიანი ბოლო-სპონდურო შენაერთი საზომები:</p> <p>ა) ორ-ნაწევრიანი:</p> <p>ოთხიან-ექვსიანი ბოლო-სპონდურო დიმეტრი, " " " " ტეტრამეტრი</p>		
	} კან. (ძვ.)	V-50
		V-51
<p>გ) სამ-ნაწევრიანი:</p> <p>ოთხიან-ექვსიანი ბოლო-სპონდურო დიმეტრი, რეული " " " " ტრიმეტრი, მაღალი " " " " ტრიმეტრი, დაბალი</p>		
	დ. გურამ.	V-52
	დ. გურამ.	V-53
		V-54
<p>XIV. ოთხიან-შვიდიანი შენაერთი საზომები:</p> <p>ა) ორ-ნაწევრიანი:</p> <p>ოთხიან-შვიდიანი დიმეტრი (აღმავალი)¹ " " ტეტრამეტრი (აღმავალი)¹</p>		
	დ. გურამ. ბესიკი	V-55
		V-56
<p>ბ) სამ-ნაწევრიანი:</p> <p>რეულ-შვიდიანი ტრიმეტრი (აღმავალი)¹</p>		
	ბესიკი	V-57

ლი არაა (რადგან საზომთა გასარჩევად პროზოდული მიჯნები არაა მკვეთრად გამოვლინებული).

№№	სახომების რიცხვითი ფორმულა	სახომების ისტორიულთან შეფარდებულ სახელწოდებანი
		XV. ექსიან-ბისტოკაურის წყობის შენაერთი სახომი (ექსიანი და ხუთიანი მუხლედებით):
▼-58	6 5	ექსიან-ბისტოკაურის თერთმეტ-მარცვლელი ¹
		XVI. ბისტოკაურ-ფერხისულის წყობის შენაერთი სახომები ანუ იამბიკონები (ხუთიანი და შვიდიანი მუხლედებით):
▼-59	5 7(~)	ბისტოკაურ-ფერხისულის თორმეტ-მარცვლელი, ორკვრძი (იამბიკონი ა/ბ)
▼-60	5 7	„ „ „ „ აღმავალი („ ა)
▼-61	7 5	„ „ „ „ დაღმავალი („ ბ)
		XVII. ექსიან-ფერხისული წყობის შენაერთი სახომები (ექსიანი და შვიდიანი მუხლედებით):
▼-62	6 7	ექსიან-ფერხისულის ცამეტ-მარცვლელი, აღმავალი
▼-63	6 7(~)	„ „ „ „ ორკვრძი ²
		XVIII. სამიან-მთიბლური წყობის შენაერთი სახომი (სამიანი და ცხრიანი მუხლედებით):
▼-64	3 9	სამიან-მთიბლურის თორმეტ-მარცვლელი, აღმავალი (იამბიკონი გ) ³
		XIX. ფერხისულ-მთიბლური წყობის შენაერთი სახომი (შვიდიანი და ცხრიანი მუხლედებით):
▼-65	7 9	ფერხისულ-მთიბლურის თექვსმეტ-მარცვლელი ⁴
		XX. დაბალ/შაირ-ბისტოკაურის შენაერთი სახომი (დაბალ-შაირის რფულისა და ხუთიანი მუხლედებით):
▼-66	5 3(~) 5	შაირ-ბისტოკაურის ცამეტ-მარცვლელი (იამბიკონი გრძელი)
		XXI. რეული (გარდაღმავალი) სახომი:
▼-67	4-5-6-7 5-6-7-8	რეული ორ-კვითი, ათ-თორმეტ მარცვლელი

¹ აღმავალი და ორკვრძი სახეობანი შემოღებული არ ყოფილა.

² დაღმავალი სახეობა შემოღებული არ ყოფილა.

საზომების სახელწოდებანი მეტრული სტრუქტურის მიხედვით	ავტორები	№№
XV. ექვსიან-ხუთიანი შენაერთი საზომი:		
ექვსიან-ხუთიანი დიმეტრი (დაღმავალი) ¹	ბესიკი	v—58
XVI. ხუთიან-შვიდიანი შენაერთი საზომები:		
ხუთიან-შვიდიანი დიმეტრი, ორკერძი	გრ. ხანძთ. მინჩხი ი. მტბ.	v—59
" " " აღმავალი	გრ. ხანძთ. მინჩხი ი. მტბ. მიქ. შოდრ.	v—60
" " " დაღმავალი	გრ. ხანძთ. მინჩხი ი. მტბ.	v—61
XVII. ექვსიან-შვიდიანი შენაერთი საზომები:		
ექვსიან-შვიდიანი დიმეტრი, აღმავალი	საბა	v—62
" " " ორკერძი ²	დ. გურამ.	v—63
XVIII. სამიან-ცხრიანი შენაერთი საზომი:		
სამიან-ცხრიანი დიმეტრი, აღმავალი ³	[გრ. ხანძთ.] მინჩხი ი. მტბ.	v—64
XIX. შვიდიან-ცხრიანი შენაერთი საზომი:		
შვიდიან-ცხრიანი დიმეტრი, აღმავალი ⁴	გრ. ხანძთ.	v—65
XX. დაბალ/შაირ-ხუთიანი შენაერთი საზომი:		
რეულ-ხუთიანი ტრიმეტრი, დაბალი:	საბა	v—66
XXI. რეულ⁵ (გარდაღმავალი) საზომი		
რეული დიმეტრი, ათ-თორმეტ მარცვლელი	გ. მთ.	v—67

¹ დაღმავალი და ორკერძი სახეობანი შემოღებული არ ყოფილა.

⁴ დაღმავალი და ორკერძი სახეობანი შემოღებული არ ყოფილა.

ანტიკური ხანის ავტორებიდან, ეპემენიდე კრეტელისა და არატე კილიკიელის თხზულებებიდან. ახალი აღთქმის ძველ-ქართულ ტექსტშიაც, რომელიც V საუკუნიდან მომდინარეობს, ეს ადგილები ასევე ლექსად არის თარგმნილი. სახელდობრ ეპემენიდე კრეტელის ტექსტი გადმოღებულია მთიბლურ-ბისტიკაურის 19-მარცვლელი სალექსო საზომით (v — 49); არატე კილიკიელის ტექსტი 10-მარცვლელი სალექსო საზომით ბისტიკაურის წყობისა (v — 10).

ა) ეპემენიდე კრეტელის ტექსტი.

ეპემენიდე კრეტელი, რომელსაც მიემართებოდა „წინასწარმეტყუელის“ (= „მისნის“) სახელი, VI საუკუნის მწერალია (ივ. წ.). იგი ყოფილა ავტორი ვრცელი პოემისა არგონავტების და იაზონის ლაშქრობის შესახებ კოლხეთის ქვეყანაში. მასვე ეკუთვნოდა პოემა „თეოგონია ანუ მისნობანი“ (Θεογονία ἢ Μισνοβάνι).

ეპემენიდეს ამ უკანასკნელი პოეშიდან ერთი ციტატი ლექსად მოყვანილია პავლეს ეპისტოლეში ტიტეს მიმართ (I, 12). იხ. ამ ციტატის შესახებ H. Diels, Vorsokratiker, II, 1912 წ.

რომ ეს ციტატი წარმოადგენს ლექსს, აღებულს ეპემენიდეს თხზულებიდან, ეს კარგად სცოდნიათ ახალი აღთქმის ძველ ბერძენ კომენტატორებს, აგრეთვე ძველ-ქართულ მთარგმნელებსაც. ასე, პავლეს ეპისტოლეში ძველ-ქართულ თარგმანში, A—რედაქციაში, რომელიც V საუკუნიდან მომდინარეობს (ხელნაწერები S—407, S—1398, S—1138), შესავალ წერილში — „აღწერილი საღმრთოთა წაქებათაჲ“, ამ ტექსტის შესახებ აღნიშნულია: „ეპემენიდესი, კრეტელისა მისნისა ზნნაჲ“ (იხ. S—407, გვ. 19b; შეად. იქვე გვ. 11b, 12a; S—1138, გვ. 19; შეად. იქვე 8b, 9a). ესევე ცნობა ეპემენიდეს შესახებ აღნიშნულია შენიშვნის სახით თვით პავლეს ეპისტოლეს სათანადო ტექსტთან (იხ. S—407, გვ. 181b, S—1398, გვ. 71a)¹.

ბერძნულ დედანში სათანადო ადგილი პავლეს ეპისტოლესა ასე იკითხვის: εἰπὲν τὸς κτ̄ ἀνδρῶν ἰδοὺς ἀπ᾿ αὐτῶν ἀποφῆκεν (ამას მოსდევს ციტატი ლექსად):

Κεῖνος δὲ ἠσέσασα, καὶ τὸ μαρτυρῶν, ὑπ᾿ ἑτέροις ἀποῖν.

ეს ციტატი ეპემენიდე კრეტელიდან წარმოადგენს კლასიკური ჰექსამეტრის ტაეპს.


ჰექსამეტრი ძველ-ქართულად, როგორც ირკვევა მოღწეული ტექსტებიდან, სამნაირად გადმოაქებოდა: ბისტიკაური 20-მარცვლდით (იხ. ზემოთ-მოყვანილი მაგალითი პროკოპის მარტვილობიდან), მთიბლურ-ბისტიკაური 19-მარცვლდით, ხოლო უფრო გვიან დაბალი შაირის 16-მარცვლდით. ამ საზომებიდან ბერძნულ ჰექსამეტრს რიტმული წყობით ყველაზე მეტად ეკორესპონდირება მთიბლურ-ბისტიკაური 19-მარცვლდი.

კერძოდ ეპემენიდე კრეტელის ტექსტი ძველ-ქართულ მთარგმნელს ამ უკანასკნელი საზომით, მთიბლურ-ბისტიკაურის 19-მარცვლდი მეტრით, უთარგმნია; ტექსტი ეპემენიდე კრეტელის ამ ჰექსამეტრული ტაეპისა ძველ-ქართულ თარგმანში ასე იკითხვის:

«კრეტელნი მარადის მტყუარნი, / მკეცნი ბოროტნი / მუცელნი უქმნი / ».

(ნიშნით / აღნიშნული გვაქვს ხელნაწერებში წარმოდგენილი მეტრული პუნქტუაცია: იხ. ხელნაწერი S—407, გვ. 181b, ხელნაწერი S—1398, გვ. 71a)².

მეტრული წყობა ტაეპისა ასეთია: 9 || 5 + 5. მოყვანილ ლექსში იგი რიტმულად ასეა გაწყობილი (ჰიპერმეტრული ჰექსამეტრის სახით):



აღნიშნავთ ამასთან, რომ დასახელებული მეტრი, მთიბლურ-ბისტიკაური 19-მარცვლდი,

¹ შეად. ხელნ. A—584, გვ. 225a: „[ეპემენიდე] კრეტელთა მისნისა მისნობაჲ“.

² აღნიშნავთ ამასთან, რომ ეპისტოლეში ძველ-ქართული თარგმანის შესავალ წერილში „აღწერილი საღმრთოთა წაქებათაჲ“ — ტექსტი ლექსისა მოყვანილია სტილისტური ვარიაციით, მაგრამ იმავე მეტრის დაცვით:

«კრეტელნი ოდესვე მტყუარნი, / მკეცნი ბოროტნი, / მუცელნი უქმნი / ».

(იხ. ხელნ. S—407, გვ. 19b).

თავის წყობით უახლოვდება მეორე ქართულს 19-მარცვლედ მეტრს, — შაირ-ბისტიკაურს; შეადარეთ მათი წყობა:

მთიბლურ-ბისტიკაური 19-მარცვლელი (v — 49): 9 | 5 | 5.

შაირ-ბისტიკაური 19-მარცვლელი (v — 48): 9(4'5) | 5 | 5.

მაგალითი ამ მეტრისა, შაირ-ბისტიკაურის 19-მარცვლელი საზომისა ნე-18 საუკუნის პოეზიაში — იხ. ბესიკიან, ლექსში „ცრემლთა მდინარე“:

„ცრემლთა მდინარე, სისხლ მწინარე, || მიპყრობს ხედვასა, ვითღა გინილო?

სოფლისა ბრჭალმან, ვით გრიგალმან || ჩემსა ბედსა უსწორა კილო!“

ბ) არატე კილიკიელის ტექსტი.

მოციქულთა საქმის XVII თავის 28-ე მუხლში ჩვენ გვაქვს მოკლე ციტატი, ამოღებული IV საუკუნის (ძვ. წ.) პოეტის არატე კილიკიელის თხზულებიდან „ომიროსის შესახებ“ (*Περί Ομηρίων*).

ამ ციტატის გამო ძველ-ქართული თარგმანის შენიშვნაში აღნიშნულია: „არატე და ომირი სიტყვს-მოქმედთაჲ“ (იხ. ხელნ. A — 584, გვ. 42), „არატე და ომირი გამოქმედთაჲ“ (ხელნ. A—584, გვ. 44b).

ბერძნულ დედანში სათანადო ადგილი მოციქულთა საქმისა ასე იკითხვის:

ὁς καὶ τὴν τὴν κατὰ τὴν ἀποστολὴν ἐπιγράφεται.

(ამას მოსდევს ციტატა ლექსად):

«ὅσ' ἔτι καὶ ἕνος ἔσται».

ციტატი ლექსად წარმოდგენს ჰექსამეტრის ნაწევარს (ნაბევარ-ჰექსამეტრს).

როგორც ვნახეთ, ჰექსამეტრი ძველ-ქართულად უქველეს პერიოდში, V — VII საუკუნეებში, გადმოიცემოდა ბისტიკაური 20-მარცვლელი საზომით და მთიბლურ-ბისტიკაური 19-მარცვლელი საზომით. ხოლო ნახევარ-ჰექსამეტრი ქართულად გადმოცემულა ბისტიკაური 10-მარცვლელით.

მოციქულთა საქმის ძველ-ქართულ თარგმანში, A—რედაქციაში, რომელიც V საუკუნიდან მომდინარეობს (იხ. ხელნ. S—407, გვ. 230a, S—1318, გვ. 121b) სათანადო ტექსტი მოციქულთა საქმისა ასე იკითხვის:

„... ვითარცა იგი ვინმე თქუენგანნი სიტყვს-მოქმედნი [*ἀποστολῆς* = პოეტნი] იტყვან:

(ამას მოსდევს ციტატა ლექსად):

«რომლისა იგი ნათესავცა ვართ».

აქ ჩვენ გვაქვს ჩვეულებრივი ქართული 10-მარცვლელი ლექსი ბისტიკაური წყობისა (ხუთიანი დიმეტრი: 5 | 5).

დამატებით აქ საკვირაო აღვნიშნოთ აგრეთვე ორი ციტატი, რომელიც წარმოდგენილია პავლეს პირველ ეპისტოლეში კორინთელთადმი.

ა) თავი XV, 33. აქ ციტირებულია ანტიკური ავტორის მენანდრეს ტექსტი. მხოლოდ ბერძნულ დედანში ტექსტი მოყვანილია არა ლექსად, არამედ პროზით. (სპეციალურ ლიტერატურაში ის აზრია გამოთქმული, რომ ავტორი იცნობდა მენანდრეს თქმას არა თვით მენანდრეს თხზულებიდან, არამედ როგორც ხალხში მოარულ ანდაზას, სადაც ლექსითი სახე დატული არ ყოფილა).

რაკი ბერძნულ დედანში ტექსტი პროზით იყო მოყვანილი, ქართულშიც ტექსტი პროზით არის გადმოცემული, ხოლო მითითება მენანდრეზე ქართულ წყაროებშიაც მოიპოვება. პავლეს ეპისტოლეთა ძველ-ქართული თარგმანის ევრსიეზში აღნიშნული ტექსტის გამო დატულია გლოსები:

„მენანდრისი სიმღერის-მწერლისა (var. სიმღერათ-მწერლისა) ზრახებაჲ“.

იხ. ხელნ. S—407, გვ. 16a, 84b; S—1138, გვ. 14a).

„მენანდროს ზრახებაჲ თაიღს“ (იხ. ხელნ. S—407, გვ. 12a; S—1138, გვ. 9a).

ბ) თავი XV, 32. ამ მეორე ადგილას ციტირებულია ძველი ბერძენი ავტორის დემოდოკეს ანდაზური თქმა. დემოდოკეს ამ ანდაზის გავლენით გადაკეთებულია აგრეთვე ესაიას ერთი ადგილი ბერძნულ სეპტანტაში (XXII, 13).

დემოდოკეს დასახელებული ანდაზური თქმა აგრეთვე პროზით არის წარმოდგენილი ბერძნულ ტექსტში; ასევეა ქართულშიაც.

პაულეს ეპისტოლეთა ძველ-ქართული თარგმანის ვერსიებში ამ ანდაზური თქმის გამოცდულია გლოსები:

„დემოდოკსი ლაკონიკსი იგავი; მოუქსენებიც ესაიაცა“.

(იხ. ხელნ. S—407, გვ. 84ხ; შუად. იქვე, გვ. 11ხ, 12ა, S—1138, გვ. 7ხ, 9ხ, 14ა).

„საეროჲ სიტუჲაჲ, ლაკონიკელთა ძუელი იგავი“.

(იხ. ხელნ. A—584, გვ. 142ხ).

3. «უფალთა წიგნი» და ლეონტი მროველი.

ლეონტი მროველის თხზულებაში „ცხოვრება ქართველთა მეფეთა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა“ (VIII ს.) მოიპოვება ციტატი წიგნიდან «ცხოვრება სპარსთა» («უფალთა წიგნი») დაბალი შაირის 16-მარცვლელი სალექსო საზომით (v—40: 5 | 3 ~ || 5 | 3 ~), რითმიანი. მოგვყავს ტექსტი:

«რომელმან შეჰკრა ჯაჰკვა ბევრასჲ გუელთა უფალი,
და დაბა მთასა რაჲს ზედა, რომელ არს კაცთ-შეუვალი» —
ესეითარი წერილ არს «ცხოვრებასა სპარსთასა»¹.

ეს ტექსტი განსაკუთრებით საყურადღებოა იმის გამო, რომ აქ დამოწმებულია სწორედ ის ხალხური სალექსო საზომი, დაბალი შაირის 16-მარცვლელი. რომელიც გამოიყენა და უმაღლეს სრულყოფამდე აიყვანა შოთა რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“.

4. ჰიმნოგრაფიული პოეზია (V — VIII ს. ს.).

ჰიმნოგრაფიული პოეზიის „მარცვლელი“ თავისი წყობით თუმცა განსხვავდება სილაბური მუხლედოვანი ლექსის წყობისაგან, მაგრამ ჰიმნოგრაფიული პოეზიის „მარცვლელის“ საზომთა ნაწილი, სახელდობრ მონომეტრულ საზომები, იგივეა რაც სილაბურ მუხლედოვან ლექსში. ეს საზომებია:

ორიანი მონომეტრი (v — 1)	ექვსიანი მონომეტრი (v — 13)
სამიანი „ (v — 2)	შვიდიანი „ (v — 25)
ოთხიანი „ (v — 3)	რვაიანი „ (v — 34)
ხუთიანი „ (v — 9)	ცხრიანი „ (v — 37)

VIII საუკუნის მეორე ნახევარი — X საუკუნე

5. გრიგოლ ხანძთელი (758 — 860 წ.წ.).

გრიგოლ ხანძთელის მიერ შემოღებულია შემდეგი რვა სალექსო საზომი:

- ა) v — 60: ხუთიანი-შვიდიანი დიმეტრი, აღმავალი (იამბიკონი ა, 5 | 7).
- ბ) v — 61: „ „ „ დაღმავალი (იამბიკონი ბ, 7 | 5).
- გ) v — 59: „ „ „ ორკერძი (იამბიკონი ა/ბ, 5 | 7 ~).

¹ იხ. პ. ინგოროყვა, შოთა რუსთაველი და მისი პოემა (შესავალი წერილი. ვეფხისტყაოსნის საიუბილეო გამოცემისა, 1937 წ.) გვ. V. — პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ჟურნ. „მნათობი“, 1939 წ., № 4, გვ. 96 — 97.

დ) v — 64: სამიან-ცხრიანი დიმეტრი აღმავალი (იამბიკონი გ, 3 | 9).

ე) v — 26: შეიდიანი დიმეტრი (იამბიკონური დისტიქონისა I-ა, 7 | 7).

ვ) v — 10: ხუთიანი დიმეტრი (" " I-ბ, 5 | 5).

ზ) v — 42: ხუთიან-სამიანი დიმეტრი, დაღმავალი (იამბიკონური დისტიქონისა II-ა, 5 | 3).

ც) v — 65: შეიდიან-ცხრიანი დიმეტრი, აღმავალი (იამბიკონური დისტიქონისა II-ბ, 7 | 9).

გარდა ამ რვა სალექსო საზომისა, რომლებიც გრიგოლ ხანძთელის მიერ არის შემოღებული, გრიგოლ ხანძთელისეულ იამბიკონურ გალობათა I და II ფორმებში აგრეთვე მიღებულია ჰიმნოგრაფიული პოეზიის მონომეტრული საზომები:

v — 9: ხუთიანი მონომეტრი;

v — 25: შეიდიანი მონომეტრი.

მოგვყავს საილუსტრაციოდ მაგალითები გრიგოლ ხანძთელის ტექსტებიდან.

1) გალობანი გიორგისნი, ოღა I:

ქრისტემს შედარო, / ღირსად საგალობლო,
რავამს ჯუარს ეცვ / ღუაწლით შენით მის თანა,
უბიწოა წმიდაა / გუამი შენი განათლდა
ვითარცა ოქროა / ბრწყინვალეა ბრძმედსა შინა...

აქ ჩვენ გვაქვს იამბიკონი ა, ხუთიან-შეიდიანი დიმეტრი აღმავალი (5 | 7).

2) იგივე გალობანი, ოღა III:

მოინადირე / ღომი კლვად შენ, გიორგი,
და დაშრიტე მძვნვარედ / აღძრვაა მუნ მათი...

აქ ჩვენ გვაქვს იამბიკონი ა/ბ (ორ-კერძი): პირველ ტაეპში ხუთიან-შეიდიანი დიმეტრი, აღმავალი სახეობა (5 | 7), მეორე ტაეპში — დაღმავალი სახეობა (7 | 5).

3) იგივე გალობანი, ოღა V:

ძელსა დამოეიდე / მსგავსად მაცხოვარისა,
მცნეო გიორგი, / და ღოღი გაქუნდა
საპყრობილედ გუამსა შენსა...

პირველ ტაეპში ჩვენ გვაქვს შეიდიანი დიმეტრი (7 | 7), მეორე ტაეპში ხუთიანი დიმეტრი (5 | 5).

4) გალობანი ნათელთანი, ოღა VI:

რომელმან იგი / ცეცხლი შემწუველობისაა
ყო მშობელად ცუარისა...

პირველი ტაეპი — ხუთიან-შეიდიანი დიმეტრი აღმავალი (5 | 7), მეორე ტაეპი შეიდიანი მონომეტრი.

5) გალობანი ნათელთანი, ოღა VI:

იხილვე მსგავსად კაცთა
შეერთებული / გუამსა მას
უძღურსა შეურაცხსა, / რომელ წმიდა ჰყავ განბანითა

პირველი ტაეპი — შეიდიანი მონომეტრი, მეორე ტაეპი — ხუთიან-სამიანი დიმეტრი დაღმავალი (5 | 3), მესამე ტაეპი — შეიდიან-ცხრიანი დიმეტრი აღმავალი (7 | 9).

6) გალობანი გიორგისნი, ოღა II:

ყუავილი იგი
სიკაბუკის შენისაა, / მცნეო გიორგი,
დააწინდე მოკუდავი / უკუდავებასა
და ცხოველ ხარ შენ ცათა!

¹ ტაეპთა ტეტრასტიქონური სახეობა.

პირველი ტაეპი — ხუთიანი მონომეტრი, ბოლო ტაეპი — შვიდიანი მონომეტრი¹.

გრიგოლ ხანძთელის პოეტურ მემკვიდრეობაზე დაწვრილებით ქვემოთ გვაქვს საუბარი.

6 — 7) ივანე მინჩხი და იოვანე მტბევარი.

X საუკუნის ამ ორი ჰიმნოგრაფის პოეტურ მემკვიდრეობაში ჩვენ გვაქვს საგალობელი, დაწერილი იამბიკონურ გალობათა III ფორმით, სადაც მიღებულია საზომები: v — 60, v — 61 და v — 64. ამ საგანზე იხ. ქვემოთ.

8) მიქაელ მოდრეკილი (X ს.).

იამბიკონური 12-მარცვლედის სხვადასხვა სახის საზომებიდან, რომლებიც მიღებული იყო VIII — X საუკუნეთა ქართულ ჰოეზიაში (5 | 7, 7 5, 5 | 7 ~, 3 | 9), აგრეთვე „უკვეთელი“ წყობის საზომები 2; 10 და 12), მიქაელ მოდრეკილმა შოახდინა კანონიზაცია ერთი ძირითადი სახეობისა: 5 7 — ხუთიანი-შვიდიანი დიმეტრი აღმავალი (v—60). მიქაელ მოდრეკილის მიერ დამკვიდრებულს იამბიკონურ გალობათა IV ფორმაში მხოლოდ ეს უკანასკნელი საზომია მიღებული (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 369 — 375).

მიქაელ მოდრეკილის მიერ კანონიზებული ეს საზომი 12-მარცვლელი იამბიკონისა მიღებულია XI — XVIII საუკუნეთა სამოძღვრო და საფილოსოფიო პოეზიაში (ეფრემ მცირე, არსენი იყალთოელი, იოანე ფილოსოფოსი, დავით აღმაშენებელი, დემეტრე I, თამარ მეფე და სხვანი).

9. ფილიპე (X ს.).

ფილიპეს ჩვენ დრომდე მოღწეული ლექსი — ქებაჲ ბეთლემისაჲ, ქალწულისა და ძისაჲ — დაწერილია მაღალი შაირის 16-მარცვლელი სალექსო საზომით (v — 6: 4 | 4 || 4, 4). მოგვყავს ტექსტი².

ქებაჲ ბეთლემისაჲ,
ქალწულისაჲ და ძისაჲ

(თავნი იტყვან: აფილიპე. — ბეთლემიჲ).

1. [ქალწულისათჳს] შესუთა მათგან ოქროვანთა შემკული ხარ შენ, ქალწულო;
იაკინთე ძოწეული სამოსლად გაქუს. ღმრთის-მშობელო;
ლამპრითა მით ბრწყინვალითა მიგვეგებეთ. დედოფალო;
ითხოვე შენ მოტყეებაჲ ბრალთა ჩუენთაჲ, დიდებულო.

¹ საზომზე V — 64 იამბიკონი გ (სამიანი-ცხრიანი დიმეტრი აღმავალი: 3 · 9). იხ. ქვემოთ.

² ხელნაწერები სინას მთისა 59 (A) და 64 (B). ნ. მარი, TP, XII, 1910 წ., LVI, Описание рукоп. Сино. мон., 1941 წ., გვ. 102 — 103, პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 364.

1₃ ოქროანთა A || 1₄ შემკობილ B || 3₁ მიგვეგებით A, მიგებვით B || 4₂ შენ abs. B || 4₃

2. [ბეთლემისათვის] პატიოსან და წმიდა არს სახლი შენი, სანატრელო;
 ეკლესიაჲ ბეთლემისაჲ ცათა მსგავს არს, უბიწოო;
 ბუნებათა შემოქმედი ვიცანთ შენგან, ო ბეთლემო;
 ემსგავსე შენ სამყაროთა ზეცისათა, ო წმიდაო;
 თაყუანის ვსცემთ ქუაბსა მავას ღიდებულსა, ო უბრწყნელო.

3. [ძისათვის] ლოცვაჲ ჩუენი შეიწირე, ბაგასა მას მწოლარეო;
 ეც მოსაეთა შენთა პოენაჲ წყალობისაჲ, სახიერო;
 მაღლი შენი მფარველ მეყავნ მე, უღირსსა, მოწყალეო;
 ითხოვე ღლეს თხოვაჲ ჩემი ცოდვილისაჲ, მწყალობელო.

!0. იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელი (X ს.).

იოანე-ზოსიმეს ლექსი — ანდერძი იადგარისაჲ — დაწერილია მაღალი შაირის პოლიმეტრით, სადაც გამოყენებულია მაღალი შაირის სალექსო საზომების სახეობანი: 4-მარცვლელი (v — 3), 8-მარცვლელი (v — 4), 12-მარცვლელი (v — 5) და 16-მარცვლელი (v — 6).

მოგვეყავს ტექსტი¹.

ანდერძი იადგარისაჲ

(მუკლთა თაენი და ბოლონი სახელსა იტყვან: აგეორგიჲ)

- | | |
|---|---|
| 1. ბუნდნი იგი ზეცისანი შენ წმიდასა განწყობილნი
გიგალობენი | (16) 4 ო 4 ო 4 ო 4
(4) |
| მე უღირსი შეგვირდები, რათა ვიყო მათ თანავე
შენგან უძაბ! | (16) 4 ო 4 ო 4 ო 4
(4) |
| 2. ესე შესხმა სულიერი შენ მიერვე მოცემული,
კაცთა მიერ მოღუაწეთა ფრიად სიბრძნით გამოთქმული,
შეიწირე ჩემ-მიერცა,
კაცთ-მოყუარე! | (16) 4 ო 4 ო 4 ო 4
(16) 4 ო 4 ო 4 ო 4
(8) 4 ო 4
(4) |
| 3. ორთა მიერ ბრწყინვალეთა ღმრთისა კაცთა სასურველთა,
სიღრმითა მით გულისაჲთა სათნოდ ღმრთისად შეკრებული,
ვითარცა რაჲ მარგალიტი ურიცხვსა სასყიდლისა,
ჩუენ მოგუეცა, მორწმუნენო! | (16) 4 ო 4 ო 4 ო 4
(16) 4 ო 4 ო 4 ო 4
(16) 4 ო 4 ო 4 ო 4
(8) 4 ო 4 |

ჩემთაჲ B || 5₆ სახელა A, B || 6₄ მობაძე B || 6₆ უბიწო B || 7₄ ცისათა AB.

¹ ხელნაწერი სინას მთისა 34, X საუკუნისა. — ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ., გვ. 59. — კ. კეკელიძე ამ ლექსს „იამბიკონა“ უწოდებდა და შეცდომით აღნიშნავდა. ვითომც აქ „არავეითარი საზომი, უბრალო მარცვალთა რაოდენობაც კი, ბოლოში დაკული არაა“ (იხ. კ. კეკელიძე, ქართ. ლიტ. ისტ., I, 1941 წ., გვ. 150). სინამდვილეში კი აქ გვაქვს, როგორც მოიხსენიეთ, მაღალი შაირის პოლიმეტრი. (ლექსის რიტმული სტრუქტურა დადგენილი გექონდა მოხსენებაში „აბუკურაჲს“ შესახებ, რომელიც წაეკითხეთ თბილისის უნივერსიტეტის ენის, ლიტერატურის და ხელოვნების ინსტიტუტში 1934 წელს).

1. — 1₆ განწყობილნი (გამომცემელის მიერ არაა სწორად ამოკითხული: თ — თ).

2. — 2₈ გამწმენით (გამომცემელის მიერ არაა სწორად ამოკითხული: თა — თთ).

- | | |
|---|---|
| 4. რათა ჩუენცა ვიხარებდეთ შუენიერად ღატკობილთა
კმათა მათთა სიმრავლითა,
გალობითა ბრწყინვალითა, შესხმითა მით წმიდათადათა,
რომლითაცა იღიდები შენ, სახიერ! | (16) 4 4 4 4 4
(8) 4 4
(16) 4 4 4 4 4
(12) 4 4 4 4 |
| 5. მანგვმრავლე ქუელის-მოქმედ განძი ესე სულიერი,
• მოცემული შენ მიერი;
ძალსა მისსა მყვენ მიმწოდომელ, რათა არა იყოს იგი
ჩუენდა აუბ! | (16) 4 4 4 4 4
(8) 4 4
(16) 4 4 4 4 4
(4) |
| 6. იხარებდით მოძღურებითა სულიერად შესხმისადათა,
• კრებულთა მსწავლელთაო,
ვურთიდეთ რაჲ სიტყუათა მათ გალობითა კმეანითა,
რომელთაგან იღიდების კაცთმოყუარქ ღმერთი ჩუენი. | (16) 4 4 4 4 4
(8) 4 4
(16) 4 4 4 4 4
(16) 4 4 4 4 4 |

სახელად გეორგი, ძმაჲ ჩემი.

XI — XIII საუკუნეები

11. გიორგი მთაწმიდელი (1009 — 1065 წ.წ.).

გიორგი მთაწმიდელის მიერ შემოღებულ იამბიკონურ გალობათა ფორმაში (V) მიღებულია საზომები: v — 9, v — 25, v — 37.

ამას გარდა, გიორგი მთაწმიდელის პოეტურ მემკვიდრეობაში ჩვენ გვაქვს ლექსი — ქებაჲ პავლესი (ანდერძი პავლეს ეპისტოლეთა თარგმანისა) — დაწერილი გარდამავალი სახის საზომით (v — 67): რეული დიმეტრი ათ-თორმეტ მარცვლელი (4 — 7 || 5 — 8). მოგვყავს ტექსტი¹.

ქებაჲ პავლესი
(ანდერძი პავლეს ეპისტოლეთა თარგმანისა)

ა

(თავნი იტყვან: «დაესრულა პავლე»)

ღიდებულთა ' კრისტეს მოციქულთა თაო!	(4 8)
ახალსა ამას ' ერსა საღმრთოსა,	(5 5)
მკლესიისა ' ნესტუად კმატკბილად,	(8)
საღმრთოჲ მჯული ' დაგვმტკიცე, ნეტარო;	(4 7)
რამეთუ ძირი ' უღმრთობისაჲ განჰფხუარ	(5 7)
შმაღლეს, უფროჲს ' ცათა მაღალთა;	(5 5)
ღირწებაჲ პურიათაჲ ' დაანთქ ქუესკენელთა,	(7 5)
აჰკედ სამ ცამდე, ' ღმრთივ სწავლულ იქმენ,	(5 5)
პირნი ბრძენთა მათ ' ზუაეთანი დაჰკმენ;	(")
აცხოვნენ კაცნი ' იქსენ სოფელი,	(")
პითარცა მზე რაჲ ' აღავსე სოფლით.	(")
ლოცვით მაღლობაჲ ' ღმრთისაჲ მოგუმადლე,	(")
მშმაკათა მტერთა ' საბრკენი დაჰკსნენ.	(")

5. — 3₄ მიმწოდებელ || 3₈ ოგი abx.

6. — 3₁ ვურთიდეთ.

¹ ხელნაწერი საქართველოს სახ. მუზეუმისა A — 584.

(თავნი და ბოლონი იტყუან: ქრისტე, შეიწყალე
ცოლეილი გეორგია)

ჰეზით დიდებაა ' შენი თანა გუაძ.	(555)
რომელი მკსნელმან ' ქრისტემან ჩინებულ გყო!	(577)
ისრად ელვისად, ' ენად ცეცხლისად.	(555)
სამებისა ' დიდებაა ღმრთისმეტყუელ ჰყავ;	(477)
ტომთა და ნათესავთა ' შთააცუ ნათელი;	(755)
ეკლესიაჲ ჰყავი ' შენ ამაღლებულ;	(655)
შაბათნი დაქსენ, ' დააცხრეე შჯული,	(555)
ერთ-არსებისა ' ბრწყინვალე ქადაბ!	(")
იოტე ბნელი, ' მტერი დასთრგუნე,	(")
წესთა ზესკნელთა ' წარაკედ, წმიდაო!	(")
შოველთა ღმრთისა ' პირისპირ მდგომ ხარ.	(")
აღქმული იგი ' გვრგვნი დაგუადბ.	(")
ღმობიერ ყვენ ' გულნი ჩუენნი ფიცხელნი.	(477)
ერთბამად მკვდრ მყვენ ' სასუფეველსა.	(555)

12. ეფრემ მცირე (XI ს.).

ეფრემ მცირემ დაამკვიდრა ქართულ პოეზიაში სალექსო საზომი — მაღალი შაირის 12-მარცვლელი ანუ იამბიკონ-შაირი (v — 5: 4 | 4 | 4). ეს საზომი ეფრემ მცირემდე სპორადიულად გვხვდება (როგორც შემადგენელი ნაწილი იოანე-ზოსიმეს მაღალი შაირის პოლიმეტრისა; იხ. ზემოთ, გვ. 578 — 579). მაღალი შაირის 12-მარცვლელით არის დაწერილი ეფრემ მცირის ლექსი — ქებაჲ გრიგოლ ღმრთისმეტყუელისაჲ. მოგვყავს მისი დასაწყისი¹.

ქებაჲ გრიგოლ ღმრთისმეტყუელისაჲ

[კიდურ-წერილობა, ლექსად, ოთხეული სტროფით]:

„ჭ ფრიალო, მოძღურებისა უფსკრულთაგან,
სრულითა მით საზომითა სრულქმნილითა,
შემწე ჩემდა იქმენ ღლესა განმჯისასა,
რომლისათვის გხადი უნდოდ მცირე ეფრემ.“

[დასაწყისი ქებისა]

ჭ ადამის ზესთა ქმნილო, დამცველ ხატის.
ფრთე-ოქროვან სასობით ენოსისებრ,
რომლისათვის ნოე ყოფაჲ ითქუმოდეს თუ,
ისაკისებრ აბრაამის მსხუერპლ ხარ დაკლულ,
ათორმეტ შვილ მამამთავრად განკუთვნილი...

იმავე საზომით არის დაწერილი ლექსები „იქმნა ემბან...“ (ანდერძი ეფრემ მცირისეული დავითნის კატენებისა) და „მომეც მაღლი...“. მოგვყავს მათი ტექსტი.

¹ იხ. ხელნ. საქართველოს სსრ. მუზეუმისა A — 292.

ა.

«იქმნა ემბან...»¹

მუხლედთა კიდურ-წერილი იტყვს ლექსად:
«იქმნა ემბან სულის დავით და ძალ ნიშთა»

ათნი ეს ————— ე სრულ რიცხუედა ——— ღ ლამპრად გაქუნდი — ნ,
ნაწილ და გუა ——— მ იყენედ შეხდ ————— ა ანეულნ ————— ი,
მათნი ჯეჯლე ——— ბ ლოცვათა ხუა — — ვ ძალ მტერთ უში ——— შ,
ქებით ბოძეს ——— ა შგალობდ ————— ი, ალიტყუ ესრე ——— ტ:
იქმნა ემბა ————— ნ სულის დავი ————— ტ და ძალ ნიშთ ——— ა!

ბ.

«მომეც მადლი...»¹

მუხლედთა კიდურ-წერილი იტყვს ლექსად:
«მომეც მადლი ნიჭთა დიდთა ქებათ შენთა»

ცუდად მოშრო ——— მ არის ყოლა ————— ღ ღიდად მოში ——— შ.
ენაჲ შენდ ————— ა თვთ მოსრულ ——— ი ალიტყუ ეს ————— ე.
მვედრებელა ——— ღ ჰეშმარიტა . ————— ღ, ბნელი დაქსე ——— ნ,
ოჯნდომ მყავ სრუ — ღ, ისმენდა მა ————— ტ მსრეთ კმობი ——— ტ:
მომეც მადლ ————— ი ნიჭთა დიდთ ——— ა ქებათ შენთ ——— ა!

ეფრემ მცირის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში ჩვენ გვაქვს ციტატები ჰომიროსიდან ბისტიკაურის 20-მარცვლელი საზომით (v — 12) და დაბალი შაირის 16-მარცვლელი საზომით (v — 40). მოგვყავს მათი ტექსტი.

ა) ციტატი ჰომიროსითგან ბისტიკაურის 20-მარცვლელი საზომით. წიგნი „ელინთა მეზლაპრეობა“³:

„უშიროს გამომეტყუელსა ენება რაჲ გამოჩინებაჲ სიმასხლისაჲ და მკურვალეებისაჲ, რომელი აქუნდა ღიომიდის ბრძოლათა შინა, იგავით მიაშსგავსა იგი იროას. და გამოთქუა მისთვის სიტყუაჲ მარცვლელი, ვითარმედ:

«ამის ვისიმე ' დგომამ ცხენისაჲ ' სასშენელ იქმნა ' ბაკათა ზედა»
(ილიადა VI, 506)

ბ) ციტატი ჰომიროსითგან დაბალი შაირის 16-მარცვლელი საზომით. წიგნი დიონისი არეოპაგელისა⁴:

„... დედაკაცსა იტყოდის პირშობდ შშობელსა, რომლისათვის იგივე უშიროს იტყვს:

«ბარბით-მცემელობს ' პირშო-შობ ' ვერ მეცნიერი ' შობისაჲ»
(ილიადა XVII, 5)

¹ იხ. ხელნ. საქართველოს სახ. მუზეუმისა Q — 37, გვ. 645 (შეად. ხელნ. სინას მთის. 67, ნ. მარის აღწ., გვ. 163).

² იხ. ხელნ. სინას მთისა 67 (ნ. მარის აღწერ., გვ. 163).

³ იხ. ხელნ. საქართველოს სახ. მუზეუმისა A — 109. — პ. ინგოროყვა, რუსთაველის ეპიკის სალიტერატურო მემკვიდრეობა, გვ. 52.

⁴ იხ. ხელნ. საქართველოს სახ. მუზეუმისა A — 163, გვ. 440, ს. ყაუხჩიშვილი, ეფრემ მცირე და ბერძნული ლექსთწყობის საკითხები (თბ. უნივ. შრომები, XXVIIb, 1946 წ., გვ. 71).

13. ლექსი «კანონთათვის» XI საუკუნისა.

ლექსი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმ მხრით, რომ იგი დაწერილია დაბალი შაირის 16-მარცვლელი საზომით (v — 40), ოთხ-ტაეპოვანი სტროფით (კატრენი), ერთიანი რითმით, ე. ი. XI საუკუნის ამ ლექსში ჩვენ გვაქვს ზუსტად იგივე სალექსო ფორმა, რაც ვეფხის-ტყაოსანში. მოგვყავს ტექსტი¹:

კანონთავს

ოვთქუამს პირველი კანონი ოთხთა ბრძნად გამოკულეული;
საში სამ-სამთა ორგან პრთავს, ძედ ქალწულისად წუეული,
ხუთთაგან ცხრამდე ორ-ორსა, ვითა ვინ იყო ჩუეული;
მეათისათვის თვის-თვისად მეტყუელებს თვთოეული.

14. არსენი იყალთოელი (XI — XII ს. ს.).

არსენი იყალთოელის — ე პ ი ტ ა ფ ი ა დ ა ვ ი თ ა ლ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი ს ა დაწერილია დაბალი შაირის 16-მარცვლელი საზომით (v — 40), ოთხ-ტაეპოვანი სტროფით (კატრენი), ერთიანი რითმით, ე. ი. ამ ლექსშიაც ჩვენ გვაქვს იგივე ფორმა, რაც ვეფხის-ტყაოსანში. მოგვყავს ტექსტი².

¹ იხ. ხელნ. საქართველოს სახ. მუზეუმისა H—1741. ხელნაწერი (ძირითადი ტექსტი) გადაწერილია 1048 წელს. ლექსი ჩაწერილია ხელნაწერში ნუსხური დამწერლობით, რომელიც პალეოგრაფიულად XI საუკუნით თარიღდება. (ამავე თარიღს — XI საუკუნეს — მიუთითებს აგრეთვე ორთოგრაფია; აქ იხმარება კომპლექსი „უე“ და არა „უც“, რაც ხმარებაში დამკვიდრდა XI საუკუნის დასასრულიდან მოცილებული).

ლექსს წინ უძღვის შემდეგი ტექსტი, რომელიც წარმოადგენს ოთხთავის (სახარების) კანონთა განრიგებას:

პირველი კანონი:

1 : მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე

კანონნი მეორითგან — მეოთხემდე:

- 2: მათე, მარკოზ, ლუკა.
- 3: მათე, ლუკა და იოვანე.
- 4: მათე, მარკოზ, და იოვანე.

კანონნი მესუთითგან — მეცხრემდე:

- 5: მათე, ლუკა.
- 6: მათე, მარკოზ.
- 7: მათე, და იოვანე.
- 8: მარკოზ, ლუკა.
- 9: ლუკა და იოვანე.

მეათე კანონი:

10: თვთეულმან მათგანჴან რომლისათვისე.

² იხ. გარიგება კელმწიფის კარისა (ე. თაყაიშვილის გამოცემა, 1920 წ.), გვ. 12. ხელნ. საქართველოს სახ. მუზეუმისა S — 1512, S — 2385. პ. ინვოროყვა, რუსთაველის ეპოქის სალიტერატურო შემკვიდრეობა, გვ. 73.

ვის ნაპარმავეს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვარსა გარე გამესხნეს.
თევზნი ამერთა წყალთანი იმერთა წყალთა შთამესხნეს, —
აწლა ამათსა მოქმელსა კელნი გულზედან დამესხნეს.

15. იეზუციელ მრწემი (XII — XIII ს. ს.).

ანდერძი წიგნისა „ანთებ თეათა ...“ დაწერილია ბისტიკაურის 20-მარცვ-
ლელი საზომით (v — 12) ¹.

16. პეტრე გელათელი (XII — XIII ს. ს.).

ანდერძი წიგნისა „კიბე განსთალე გელათს ნაგები“ დაწერილია მაღალი
შაირის 12-მარცვლელი საზომით (v — 5) ².

17. იოვანე შავთელი (XII — XIII ს. ს.).

იოვანე შავთელის თხზულებაში „გალობანი ვარძიისა ღმრთის-მშობელი-
სანი“ (1206 წ.), რომელიც დაწერილია იამბიკონურ გალობათა VI ფორ-
მით, მიღებულია სალექსო საზომები: v — 1, v — 2, v — 9, v — 25,
v — 37 (იხ. ამ.საგანზე ქვემოთ).

*

XII — XIII საუკუნეთა საერო პოეზიის მთავარ ძეგლებში — შავთელის
„აბდულმესიანში“, ჩახრუხაისძის „თამარიანში“ და შოთა რუსთაველის
„ვეფხისტყაოსანში“ შემდეგი სალექსო საზომებია მიღებული.

18. [დავით] შავთელი, „ა ბ დ უ ლ მ ე ს ი ა ნ ი“ (XII ს. 20-იანი წლ.).

„აბდულმესიანი“ დაწერილია ბისტიკაურის 20-მარცვლელი საზომით
(v — 12), რომელიც რითმებით განიყოფება 5- და 10-მარცვლედ ნაწევრებად
(v — 9 და v — 10). მაგალითი:

„მზრდელ არს მონათა, ' ზეცით მონათა ' ივლისის მზემან ზედ ლომთა ჯდომით,
ტომნი და ერნი, ' ყრმანი და ბერნი, ' აღიდებდიან შვებით და ხლდომით...“ (10, 1 — 2)

19. ჩახრუხაისძე, „თ ა მ ა რ ი ა ნ ი“ (XII — XIII ს. ს.).

„თამარიანის“ ოდები (ავრეთვე ელეგია) დაწერილია იმავე ბისტიკაური
20-მარცვლელი საზომით (v — 12), რომელიც რითმებით განიყოფება 5- და
10-მარცვლედ ნაწევრებად (v — 9 და v — 10) ³. მაგალითი:

¹ ტექსტი იხ. ხელნ. საქართველოს სახ. მუზეუმისა A — 711 (ძვ. ქართული ლიტ. კრესტო-
მათა, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, I, 1946 წ., გვ. 380).

² ტექსტი იხ. ხელნ. საქართველოს სახ. მუზეუმისა A — 39 (ძვ. ქართული ლიტ. კრესტო-
მათა, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, I, 1946 წ., გვ. 394).

³ განსხვავება შავთელისა და ჩახრუხაისძის ფორმებისა იმაში მდგომარეობს, რომ გარეგანი
რითმა შავთელთან მოიცავს ერთ სტროფს, ხოლო ჩახრუხაისძესთან ყოველ ოდას ერთი გა-
რეგანი რითმა აქვს.

„თვით დგას ეტლითა ' მსწრაფლ მომხვეტლითა ' აგარის ტომთა გულსა შხამისად.
უცნი ავითა, ' უც ნიავეითა ' საუფლო სული ჟამის ჟამისად...“ (III, 12 — 13)

„თამარიანში“ ამას გარდა გვხვდება სტროფები დაბალი შაირისა და მაღალი შაირის საზომებით.

ა) სტროფი დაბალი შაირის 16-მარცვლედით (v — 40), კატრენი. ერთ-ერთშიანი:

«შენ მწუნობი ხარ მნათობთა, მთვარეს ასმენ, ლებ, არი ღენ,
შენ შუქნი ელვა-ეთერთა მზისა მწვერვალთა არიღენ.
შენ სისხლთა შენთა ურჩთასა უზღო-უშსგავსოდ არ იღენ,
აწცა ნათლისა ისარნი მკვერტელთა გულუმს არიღენ» (III, 16).

ბ) სტროფი მაღალი შაირის 16-მარცვლედით (v — 6), რომელიც შინაგან: ერთმებით განიყოფება 4-მარცვლედ ნაწევრებად (v — 3):

„თამარ წყნარი, ' შესაწყნარი, ' ხმა-ნარნარი, ' პირ-მცინარი,
მზე მთინარი, ' საჩინარი, ' წყალი მქნარი ' მომდინარი...“ (II, 16)

20. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“ (XII — XIII ს. ს.).

პოემაში ორი საზომია მიღებული: დაბალი შაირის 16-მარცვლედი (v — 40) და მაღალი შაირის 16-მარცვლედი (v — 6).

• • •

21. «ქაშნიკი» მამუკა ბარათაშვილისა, «ძველნი ხმანი».

მამუკა ბარათაშვილის „ქაშნიკში“, გარდა ცნობილი საზომებისა, დასახელებულია ზეთი ახალი სალექსო საზომი:

ა) v — 8: „გრძლელი შაირი სამკვეთი“, მაღალი, 24-მარცვლედი. „ქაშნიკში“ მოყვანილია ამ საზომის მაგალითი, წარწერით „ძველი“:

„პატარასა სუფთას ქალსა გარე ცეცხლი ედებოდა, მავსებელი ჰყავს არეინა“.

(იხ. ქაშნიკი, 1920 წ., გვ. 13).

ბ) v — 28, 29. ფერხისული ბოლო-დაქტილურის 7- და 14-მარცვლედნი.

„ქაშნიკში“ მოყვანილია ამ საზომის მაგალითი, წარწერით „ძველი“:

„ეაანო, ვანო,
ცოლი მოიყვანო“ (გვ. 10)

ამავე საზომის მაგალითად მამუკა ბარათაშვილს მოჰყავს საკუთარი ლექსი:

„აამო, ამო
საყვარელსა რამო,
ასე ვითა ენებოს, თავი დააწამო...“ (გვ. 10)

ამავე საზომით დაწერილს დავით გურამიშვილის ლექსს აქვს ზედწერილი: „სიმღერა ფერკისული. «აგერ მიღმარ ახოს»-ს სანაცვლოდ სათქმელი“¹. დასაწყისი:

¹ „აგერ მიღმარ ახოსა“ — ძველი ხალხური ლექსი ყოფილა („ფერხისული“). დავით გურამიშვილის მეორე ლექსს, დაწერილს ამავე საზომით, აქვს წარწერა: „ახა, წმიდა კოპალე-ს სანაცვლოდ სამღერალი“ (გვ. 108). ეს ლექსიც, „ახა, წმიდა კოპალე“ ასევე ძველი ხალხური ლექსი ყოფილა (წარმართული ღვთაების კოპალეს შესახებ).

„ემშაკეულთ ახოსა
ანგლოზმან მნახოსა,
მწეროს ჯვარი ქრისტესი, გულზედ გამომსახოსა...“
(იხ. დავითიანი, 1911 წ., გვ. 119 — 120).

დ-ე) v — 50, 51. ოთხიან-ექვსიანი ბოლო-სპონდეური (დიმეტრი და ტეტრა-მეტრი).

ამ საზომის მაგალითად „ქაშნიკში“ მოყვანილია ლექსი, წარწერით „მუხ-რანული“ (ავტორის დაუსახელებლად). დასაწყისი:

„სამკალი აქვს სამუშაო, ძალო,
თუ მოიპკი, კეთილსა იქმ, რძალო...“ (გვ. 23).



XVIII საუკუნე

22. სულხან-საბა ორბელიანი (1658 — 1725 წ.წ.), ქილილა და დამანა.

სულხან-საბა ორბელიანის მიერ შემოღებულია საზომები:

ა) v — 62: ექვსიან-შვიდიანი დიმეტრი, აღმავალი (6. 7).

მაგალითი: „უცხო“-ს ბოლო ტაეპი (ქილილა და დამანა, 1949 წ., გვ. 9მ).
(იმავე საზომის მაგალითი „ნარგიზოვანში“:

„ქქვიან მას სახელად ' ქართლი მშვენიერია“).

ბ) v — 66: შაირ-ბისტიკაურის 13-მარცვლელი (3 | 3 ~ | 5). მაგალითი:

„მრავალთა ეამთა მოგებად ' თემთა იარო,
ეგოდენ ზრუნვა უმეტეს ' გაიზიარო...“ (გვ. 145).

გ-ე) გარდა დასახელებული ორი საზომისა, რომლებიც შემოღებულია სა-ბას მიერ, საბამ დამოუკიდებელი საზომების სახით დაამკვიდრა დაბალი შაირის 8-მარცვლელი (v — 39), მაღალი შაირის 8-მარცვლელი (v — 4) და ბისტიკაუ-რის 10-მარცვლელი (v — 10). მაგალითები:

დაბალი შაირის 8-მარცვლელისა:

„კოზაკმა უთხრა დედასა
სიტყვასა გეტყვი ყბედასა“ (გვ. 14).

მაღალი შაირის 8-მარცვლელისა:

„რა ოსტატი ასოთ სხმიდა,
მისი გული სხვას იწერთიდა“ (გვ. 24).

ბისტიკაურის 10-მარცვლელისა:

„დიდა, მაღალსა, ნათელსა მზესა:
მცირე ღრუბელი შეუცვლის ზნესა“. (გვ. 349).

23. დავით გურამიშვილი (1705 — 1792).

დავით გურამიშვილის მიერ შემოღებული საზომები:

ა) v — 17: ექვსიანი ბოლო-სპონდეური მონომეტრი (6-ბ). მაგალითი:

„მოწყალების კარო...“

(დავითიანი, 1911 წ., გვ. 107).

ბ) v — 52: რეულ-ექსიანი ბოლო-სპონდეური დიმეტრი, რეული (ხალხური „ეო-მეო“, 8||6-ბ). მაგალითი:

„დიდება შენდა, დიდება, ' სახით მზეთა-მზეო!..“ (გვ. 63).

გ) v — 53: რეულ-ექსიანი ბოლო-სპონდეური ტრიმეტრი, მაღალი (4|4 || 6-ბ). მაგალითი:

„ზუბოკიდან ' მომავალმან ' ენახე ერთი ქალი“ (გვ. 133 — 135).

დ) v — 21: ექსიანი დაქტილური მონომეტრი (6-ა). მაგალითი:

„... ვიწყო მე გალობა,
ნიყოს მან წყალობა...“ (გვ. 125 — 128) ¹.

ე) v — 43: ოთხიან-ხუთიანი დიმეტრი, აღმავალი (4|5). მაგალითი:

„ვამე ცოდვილს ' და უნანელსა...“ (გვ. 111 — 112)

ვ) v — 45: ოთხიან-ხუთიანი ტრიმეტრი, 13-მარცვლელი, აღმავალი (4|4|5). მაგალითი:

„ეთქვათ, რა ვარდმან ' თავის-თავზედ ' თქვა სიტყვა ავი...“ (გვ. 142 — 143)

ზ) v — 47: ოთხიან-ხუთიანი ტეტრამეტრი, 17-მარცვლელი (4, 5 || 4|4). მაგალითი:

„კმარა, კმარა, ' ნულარა სცოდავ, ' სულს აგების ' მიხედვს შვება ...“ (გვ. 138)

წ) v — 11: ხუთიანი ტრიმეტრი (5|5.5). მაგალითი:

„აღდგა ქრისტე და ' აღმოიყვანა ' აღამიანნი...“ (გვ. 108 — 109).

თ) v — 55: ოთხიან-შვიდიანი დიმეტრი, აღმავალი (4|7). მაგალითი:

„ვა რამდენი ' ყვავის ზაფხულს ' ახალნი...“ (გვ. 143 — 145) ².

ი) v — 63: ექსიან-შვიდიანი დიმეტრი, ორქერძი (6|7~). მაგალითი:

„აე, ღმერთო, აღმიხილე ' თვალი გონებისა...“ (გვ. 291 — 293).

გარდა დასახელებული 10 საზომისა, რომლებიც შემოღებულია დავით გვარამიშვილის მიერ, დავით გვარამიშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე საზომები:

v — 13: ექსიანი მონომეტრი, რეული. საზომი მიღებული იყო ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიაში. დავით გვარამიშვილთან ეგევე საზომი გვხვდება „ქაყვია მწყემსში“ (სტროფის ბოლო 3—5 ტაქები), აგრეთვე ლექსში „მეორე დავითის შესხმა“ („აბრაამის ღმერთი, საბათი ერთი...“), გვ. 122 — 123.

v — 34: რვიანი მონომეტრი (რეული შაირის 8-მარცვლელი). როგორც აღნიშნული გვექონდა, „რეული“ შაირი, 8-მარცვლელი ერთიანი მუხლედებით. ჩვენ გვაქვს ქართულ ხალხურ ლექსში. საზომი 8-იანი მონომეტრი მიღებული იყო ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში. ეგევე საზომი—რვიანი მონომეტრი („რეული“ შაირის 8-მარცვლელი) ჩვენ გვაქვს დავით გვარამიშვილის ლექსში „მზეთა-მზის ვედრება“ („მზევ! სიშორითა შენითა...“), გვ. 61 — 63.

¹ ლექსი „მესამე დავითის შესხმა“. ყოველი სტროფის 3 — 6 ტაქები.

² სტროფის 1 — 4 ტაქები (მე-5 ტაქი შვიდიანი მონომეტრი). საზომი v — 54 დამოუკიდებელი სახით იხ. ბესიკთან; მაგალითი:

„შავნი შაშვნი, შავს გალიას შემსხდარნი...“ (გვ. 21).

24. ბესარიონ გაბაშვილი (1751 — 1791).

ბესარიონ გაბაშვილის მიერ შემოღებულია საზომები:

ა) v — 46: ოთხიან-ხუთიანი ტრიმეტრი, 14-მარცვლენი (5 | 4 | 5). გავრცელებული საზომი ახალი ქართული პოეზიისა. მაგალითი:

„შენის ბაგისა ' ოჩნი მეცნეს: ' ტუბილი და მწარე,
ორკეცად შენი ' სიყვარული ' თავს დამაფარე“

(ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, 1932 წ., გვ. 11).

ბ) v — 48: ოთხიან-ხუთიანი ტეტრამეტრი, 19-მარცვლენი (5 | 4 | 5 | 5). მაგალითი:

„ცრემლთა მდინარე ' სისხლ-მჩინარე ' მიპყრობს ხედვასა ' ვითლა გიხილო? "
(გვ. 66).

გ) v — 57: ექვსიან-ხუთიანი დიმეტრი, დაღმავალი (6 | 5). მაგალითი:

„რა გული დავაგე ' შენად სარებლად...“ (გვ. 18 — 19).

დ) v — 56: შაირ-ფერხისულის 15-მარცვლენი (4 | 4 | 7). მაგალითი:

„რას მისობ, ' ისარს ისობ, ' ის გიხარის, აი რა!“ (გვ. 23 — 24) ¹

ე) v — 41: „გრძლენი შაირი სამკვეთი“, 24-მარცვლენი, დაბალი (5 | 3 ~ | 5 | 3 ~ | 5 3 ~). მაგალითი:

„პირველ სიმდაბლეს აღეკარ, ' მზა ყვენ ლოცვითა ზენანი, ' წყალობით ძალთა
მფენანი“ (გვ. 34)

გარდა დასახელებული ხუთი საზომისა, რომლებიც შემოღებულია ბესარიონ გაბაშვილის მიერ, ბესარიონ გაბაშვილის მემკვიდრეობაში საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე საზომი v — 25: შვიდიანი მონომეტრი რეული. ეს საზომი მიღებული იყო ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიის „მარცვლენში“ და იამბიკონთა იპოსტასებში. ბესარიონ გაბაშვილმა იგი დაამკვიდრა დამოუკიდებელი საზომის სახით ².

ჩვენ ამით ვამთავრებთ ამ ქრონოლოგიურ მიმოხილვას, თუ რომელ ძველ-ქართულ ავტორებთან არის დამოწმებული ქართული კლასიკური ლექსის (სილაბური მუხლედოვანი წყობის) საზომები.



ძველ-ქართული სილაბური ლექსი
და ახალი ქართული პოეზიის ლექსი
(შ ე ნ ი შ ვ ნ ა)

რა ურთიერთობაშია ძველ-ქართული პოეზიის სილაბური ლექსი მუხლედოვანი წყობისა ახალი ქართული პოეზიის ლექსთან?

ჩვენს მიზანს აქ არ შეადგენს ამ საკითხის განხილვა და აქ მხოლოდ რამდენიმე შენიშვნით დავკმაყოფილდებით.

¹ ბოლო ტაეპი ლექსისა „სტვენს ბულბული“, გვ. 23 — 25. (შეად. ეგვევ საზომი აკაკისთან: „ბულბული ვარდს' მამინ დაჰყევს, ' როცა ეშხით მთვრალია“).

² მაგალითი:
„პაერს ტოროლა დაგტრფის, —
შეგბრალდეს შენ, ალალო!“ (გვ. 22)

ძველ-ქართული სილაბური ლექსი მუხლედოვანი წყობისა, რომელსაც ასეთი ხანგრძლივი ტრადიცია აქვს ძველ-ქართულ პოეზიაში, გადმოღის XIX საუკუნის ქართულს პოეზიაშიაც და თავის მეტრულ სტრუქტურას უცვლელად ინარჩუნებს XIX საუკუნის მანძილზე.

ლექსი XIX საუკუნის დიდი ქართველი პოეტებისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და აკაკი წერეთლისა, ილია ჭავჭავაძისა და ვაჟა-ფშაველასი, — ეს არის იგივე კლასიკური ქართული ლექსი, სილაბური ლექსი მუხლედოვანი წყობისა.

XX საუკუნის ახალ ქართულ პოეზიაში ქართულს ლექსში გამოვლენილია ზოგიერთი ახალი რიტმული შესაძლებლობა; ახალი ქართული პოეზიის ლექსში ჩნდება ტონური ლექსწყობის ზოგიერთი ელემენტი; კერძოდ, ახალი ქართული პოეზიის ლექსში, ძველი მუხლედოვანი წყობის ფარგლებში, მუხლედოვანი წყობის დაურღვევლად, ზოგჯერ გამოივლინება ტერფი, როგორც ლექსწყობის ორგანიზებული სახეობა (ძირითადში დაქტილური ტერფი).

უნდა აღინიშნოს ამასთან, რომ ქართული ლექსის ყველა შესაძლებლობანი ამ მხრივ ჯერ საესებით გაშლილი არაა, არაა დამუშავებული მთელი რიგი საზომები (ძირითადში დაქტილური, და აგრეთვე დაქტილურის მიმდგომნი სახეობანი), რომელიც პროზოდნადად ბუნებრივად არის მოცემული ქართულს ენაში.

ამრიგად, თუ ძველი ქართული პოეზიის ლექსი ეს არის წმინდა სილაბური ლექსი მუხლედოვანი წყობისა, ახალი ქართული პოეზიის ლექსი (თუ მხედველობაში მივიღებთ უკვე გამოვლენილ ელემენტებს, და მით უფრო გავითვალისწინებთ მისი განვითარების ტენდენციას) — ეს არის სილაბურ-ტონური ლექსი მუხლედოვან-ტერფოვანი წყობისა.

მაინც დომინანტა ქართული ლექსისა, მისი ძირითადი ტონალობა, — ეს არის სილაბურობა (და სილაბურობასთან დაკავშირებული მუხლედოვანი წყობა), — რომელიც ქართულს ენაში დიდი რიტმიული მრავალსახეობის შემცველია.



VII, ა

ძველ-ქართული პოეზიის სალექსო ფორმები

ბ. სილაგური უკვეთილი ლექსი (საბალოგელთა «მარცვლელი»)

მეორე სახეობა ძველ-ქართული ლექსთწყობისა არის ძველ-ქართული სილაბური უკვეთელი ლექსი, — საგალობელთა «მარცვლელი».

ეს მეორე სახის ლექსთწყობა მიღებული იყო ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში.

ეგვე ლექსთწყობა ჩვენ გვხვდება აგრეთვე ძველი ქართული მწერლობის სხვა ჟანრებშიაც; ასე, ამავე სახის ლექსთწყობით არის შესრულებული ძველ-ქართული ჰაგიოგრაფიული პოემა „აბუკურაჲ“ (IX ს.).

ბ

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის სალექსო ფორმის ამოხსნა.

აქ თავდაპირველად საჭიროა შევჩერდეთ ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის სალექსო ფორმის ამოხსნაზე, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია ძველი ქართული მწერლობისა.

ძველი ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის შესახებ ის აზრი იყო გავრცელებული, ვითომც იგი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში 12-მარცვლედ იამბიკონებს, პროზით იწერებოდა, პროზას წარმოადგენდა.

ძველ-ქართული საეკლესიო მწერლობის უდიდესი სპეციალისტი ჩვენი დიდი მეცნიერი აკად. კ. კეკელიძე დღესაც ამტკიცებს, რომ ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიის ძეგლები, იამბიკონთა გამოკლებით, ვითომც ეს არის „უბრალო პროზული ჰიმნები“, რომლებიც, ავტორის დასკვნით, — „არავითარ ზომას და კანონს არ ემორჩილებიან“¹.

როგორც ცნობილია, ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული მთელი რიგი ტექსტები გამოქვეყნებული ჰქონდათ აგრეთვე აკად. ნ. მარსა და აკად. ივ. ჯავახიშვილს, სინას მთის ძველ-ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში. ამ დიდ მეცნიერებს აგრეთვე შეუმჩნეველი დარჩათ, რომ ძველ-ქართული ჰიმნები ეს არის არა პროზული ტექსტები, არამედ თავისებური ლექსთწყობით შესრულებული პოეტური ნაწარმოებნი.

¹ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951 წ., გვ. 561.

რაზედ ემყარება ეს შემცდარი შეხედულება, ვითომც ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ძეგლები პროზით არის ნაწერი?

ეს შემცდარი შეხედულება იქიდან მომდინარეობს, რომ ძველ ხელნაწერებში ლექსები იწერებოდა არა იმ სახით, როგორც ახლა იბეჭდება (ე. ი. ყოველი ტაეპი ცალკე სტრიქონის სახით), არამედ იწერებოდა გაბმით, პროზის მსგავსად.

მაშ როგორღა განარჩევდნენ ლექსსა და პროზას? მარტო სმენით?

არა. განარჩევდნენ მ ე ტ რ უ ლ ი პ უ ნ ქ ტ უ ა ც ი ი თ. ლექსის გაბმით დაწერილ ტექსტებში — მეტრული პუნქტუაციით, წერტილებით, — გამოიყოფოდა ერთმანეთისაგან ყოველი ტაეპი (და აგრეთვე ნახევარ-ტაეპი, როდესაც ტაეპი მუდმივი ცეზურით ორად განიკვეთება).

აი ეს მეტრული პუნქტუაცია შეუმჩნეველი დარჩათ მკვლევარებს და მაის ლექსი პროზად მიიღეს.

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ფორმის საიდუმლოება ჩვენს პირველად ამოვეიცანით, როდესაც ვებუშაობდით ძველ-ქართულ ტექსტებზე და ვაშხადებდით გამოსაცემად ნაშრომს: „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“. პირველი ნიმუშები ამოხსნილი ტექსტებისა ამ შრომაშია გამოქვეყნებული.

ტექსტების ლექსითი ფორმა ასე იქმნა პირველად ამოშიფრული:

მიქაელ მოდრეკილის ცნობილ ხელნაწერში X საუკუნისა, რომელიც ჰიმნოგრაფიული პოეზიის კრებულს წარმოადგენს, ჩვენი ყურადღება მიიქცია, თუ როგორ არის ამ კრებულში წარმოდგენილი იამბიკონებით, ე. ი. 12-მარცვლედ ლექსით დაწერილნი ნაწარმოებნი.

ყველა ასეთი ტექსტები (—რომელთა სათაურშიაც აღნიშნულია, რომ ისინი დაწერილია იამბიკონით, ე. ი. 12-მარცვლედი ლექსით) — ხელნაწერში მოყვანილია გაბმით, პროზის მსგავსად.

იამბიკონთა ამ ტექსტების გაცნობისას ჩვენს წინაშე აღიძრა საკითხი, თუ რით განარჩევდნენ ასე ერთგვარი სახით დაწერილს პროზასა და ლექსს, მარტო სმენით, თუ არსებობდა რაიმე გრაფიკული მაჩვენებელი სალექსო ფორმისა, მეტრისა. როცა ეს საკითხი ჩვენს წინაშე აღიძრა, მაშინვე ყურადღება მივაქციეთ პუნქტუაციას, რომელიც მეტრული პუნქტუაცია აღმოჩნდა. ლექსის ამ გაბმით დაწერილ ტექსტებში მეტრული პუნქტუაციით — წერტილებით — გამოყოფილი აღმოჩნდა ყოველი ტაეპი (და აგრეთვე ნახევარ-ტაეპი, როდესაც ტაეპი მუდმივი ცეზურით ორად განიკვეთება).

ავიღოთ მაგალითისათვის მიქაელ მოდრეკილის კრებულში მოთავსებული ტექსტი, რომელსაც აქვს ზედწერილი: „ი ა მ ბ ი კ ო ნ ნ ი, თქუმულნი ივანე მინჩხისანი“. X საუკუნის ქართველი პოეტის ივანე მინჩხის ეს ნაწარმოები დაწერილი იამბიკონებით, შეიცავს 33 სტროფს, ანუ, როგორც ძველ-ქართულად ერქვა, მუხლს.

ხელნაწერში იამბიკონებს დართული აქვს ავტორის ასეთი შენიშვნა:

„ყოველსა მუკლსა 60 შეტყუებაჲ [=მარცვალი] აქუს, 5-ჯერ 12“.

ამრიგად ავტორი საგანგებოდ მიუთითებს, რომ იამბიკონების ყოველ მუხლში (სტროფში) 60 მარცვალაა; რომ მუხლი (სტროფი) შესდგება 5 ტაეპისაგან, რომელთაგან თვითთულში 12 მარცვალაა.

ტექსტი კი მოყვანილია გაბმით, პროზის მსგავსად.

მოგვყავს მაგალითისათვის ტექსტის ერთი მუხლი (სტროფი) იმ სახით, როგორადაც ეს წარმოდგენილია ხელნაწერში (ზუსტად ვიცავთ ხელნაწერის პუნქტუაციას):

„განუკუთელი. განიკუთა ქუეყანაჲ. და დაეფლა აბელი რომელ მოიკლა. ძმისა კელითა. შეიწყევა ქუეყანაჲ. ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი. იკურთხა მის წილ. აწ და უკუნისამდე“¹.

[შინაარსი ამ ტექსტისა შემდეგია:

„განუკუთელი ღედამიწა პირველად განიკუთა, როდესაც გასქრეს პირველი საფლავი და დამარხეს აბელი, რომელიც მოიკლა ძმის (კენის) ხელით. ამ დროს დაიწყებულა ღედამიწა. ხოლო როდესაც ღედამიწაში დამარხეს ღმერთ-კაცი (ჯვარტმული ქრისტე), ამ უამიდან ღედამიწა იკურთხა აწ და უკუნისამდე.“]

დავალაგოთ ამის შემდეგ ტექსტი ისე, როგორც იგი დაყოფილია პუნქტუაციის (წერტილების) მიხედვით. მივიღებთ შემდეგ სურათს:

განუკუთელი	(5)	}
განიკუთა ქუეყანაჲ,	(7)	
და დაეფლა აბელი, რომელ მოიკლა	(12)	}
ძმისა კელითა;	(5)	
შეიწყევა ქუეყანაჲ!	(7)	}
ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი.	(12)	
იკურთხა მის წილ	(5)	}
აწ და უკუნისამდე!	(7)	

(შ ე ნ ი შ ე ნ ა. ციფრები არშიაზე აღნიშნავენ მარცვალთა რაოდენობას სტრიქონში).

როგორც ვხედავთ, აქ ჩვენ გვაქვს არა პროზა, არამედ ლექსი, რომლის საზომი გამოვლინებულია მეტრული პუნქტუაციით.

აქ საჭიროა აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი. ავტორი ზემოთ-მოყვანილ შენიშვნაში გვაუწყებს, რომ იამბიკონის ყოველი მუხლი შეიცავს ხუთ ტაეპს, რომელთაგან თვითთულში 12 მარცვალაა. მაშასადამე ზემოთ-მოყვანილ ტექსტში 5-მარცვლედ და 7-მარცვლედ სტრიქონები წარმოადგენენ ნახევარ-ტაეპებს (ტაეპის ისეთ ნაწილებს, რომლებიც მუდმივი უძრავი ცეზურით არის გაყოფილი).

ხოლო როდესაც ჩვენ ტექსტს დავალაგებთ ხუთ ტაეპად, როგორც ამას ავტორი მიუთითებს, მივიღებთ შემდეგს სურათს:

განუკუთელი / განიკუთა ქუეყანაჲ,	(5+7)	12
და დაეფლა აბელი, რომელ მოიკლა		12
ძმისა კელითა; / შეიწყევა ქუეყანაჲ!	(5+7)	12
ხოლო ოდეს დაეფლა ღმერთი და კაცი,		12
იკურთხა მის წილ / აწ და უკუნისამდე!	(5+7)	12

შ ე ნ ი შ ე ნ ა. ნიშნით / აქ (და ქვემოთ ყველგან) აღნიშნული გვაქვს მუდმივი ცეზურა, რომელიც ნახევარ-ტაეპის ბოლოში მოდის, და რაც ხელნაწერში წერტილით აღინიშნება.

სრული ტექსტი ამ იამბიკონთა გამოცემული გვაქვს დასახელებულს ჩვენს წიგნში: „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“, გვ. 11—17.

მეტრული პუნქტუაციის აღმოჩენა ჰიმნოგრაფიულ იამბიკონურ ტექსტებში გახდა დასაყრდენი დანარჩენი სალექსო ფორმების გასახსნელად.

ჰიმნოგრაფიული ტექსტების კითხვის დროს ჩვენ შევნიშნეთ გარკვეული რიტმიულობა საგალობელთა, თუმცა ეს რიტმი არა ჰგავდა ჩვეულებრივ დღემდე ცნობილი ქართული ლექსების რიტმს; საგალობელთა რიტმი იგრძნობოდა, როგორც ბევრად უფრო რთული და ამასთან ერთგვარად უფრო დინამიურიც, ვიდრე რიტმი ჩვეულებრივი ქართული ლექსების.

ყველა ეს ჰიმნოგრაფიული ტექსტები გამართულია ზუსტად იმავე სახის მეტრული პუნქტუაციით, როგორც ზემოთ-განხილული იამბიკონები.

როდესაც ჩვენ ამ ჰიმნების ტექსტები გავხსენით და გავაწყვეთ მეტრული პუნქტუაციის მიხედვით, გამოირკვა, რომ ჰიმნებში ჩვენ გვაქვს მართლაც რთული და მეტად თავისებური ლექსი, რომელიც ემყარება არა მხოლოდ ტაქტურ რივს, არამედ სტროფულ-ტაქტურ რიტმიკას.

ჰიმნებში ჩვენ გვაქვს რიტმიული მონაცვლეობა სტროფული ერთეულებისა, სტროფებისა და ანტისტროფების სახით. ყოველ ცალკეულ გალობაში ძირითად სტროფულ ერთეულს ანუ სტროფს მოსდევს ანტისტროფები, რომლებიც დაწერილია იმავე წყობის ტაქტებით, განსხვავებული ზომის ტაქტთა იმავე თანამიმდევრობით, რაც ჩვენ გვაქვს ძირითად სტროფში.

მოგვყავს აქ ტექსტი პირველი ჰიმნისა, რომლის ნაგალითზედაც პირველად ამოვხსენით ბუნება ქართული ჰიმნოგრაფიის ამ თავისებური ლექსთწყობისა.

ეს ჰიმნი, რომელიც დაცულია X საუკუნის ხელნაწერში, მიქაელ მოდრეკილის კრებულში, — წარმოადგენს აღდგომის საგალობელს. ეკუთვნის იგი X საუკუნის პოეტს ივანე მინჩხის და იკითხვის შემდეგნაირად¹:

1	რაჟამს მოხუელი	(5)
(სტროფი)	ზეციით ქუეყანად, [ჟ] მესნელო ჩუნო,	(10)
	და ინებე შენ	(5)
	შობაჲ დედისაგან უბიწოისა.	(11)
	ცხოვრებისათჳს	(5)
	აღამის ნათესაჳისა —	(8)
	შეცთომილისა, მრავალ-მოწყალე!	(10)
2	ჯუარს ეცუ კორცითა	(5)
(ანტისტროფი)	ბუნებით უნებელი ღმრთეებაჲ.	(10)
	შთაჰქედ ქუესკნელად	(5)
	და განაქარვე მთაერობაჲ ბნელისაჲ,	(11)
	და აღადგიწე	(5)
	ბუნებაჲ კაცთაჲ დანთქმული.	(8)
	ბუნებაჲ კაცთაჲ, და გადიღებდა.	(10)

¹ იხ. მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 509 — 510.

3	რაკამს დაეფალ,	(5)
(ანტისტროფი)	მაცხოვარ, გულსა ქუეყანისასა,	(10)
	ცანი იგლოედეს,	(5)
	და აღივსნეს მნათობნი მწუხარებითა.	(11)
	ხოლო განათლდეს	(5)
	ბნელისა მყოფნი, ნათლისა —	(8)
	უხილაისა ბრწყინვალეებითა.	(10)

4	საგლოველ იყო	(5)
(ანტისტროფი)	მიხედვად პირსა მგლოვარეთასა,	(10)
	რაკამს ტიროდეს	(5)
	მწუხარედ აღესებულნი ცრემლითა.	(11)
	და ეძიებდეს	(5)
	გუამსა მას სამეუფოსა,	(8)
	სამ დღე კაცთაებრ მკუდრად შერაცხილსა	(10)

• • •

საგალობელი შეიცავს 9 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით, ასეთი სტროფულ-ტაეპობრივი წყობით; აქ ჩვენ დავბეჭდეთ პირველი ოთხი სტროფული ერთეული. სრული ტექსტი ამ საგალობელისა გამოქვეყნებული გვაქვს წიგნში: „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“, გვ. 19 — 21.

•

მოგვყავს აგრეთვე მეორე ჰიმნი, რომლის სალექსო ფორმა ჩვენ ამოვხსენით ზემოთმოყვანილ პირველ ჰიმნთან ერთად და რომელიც გამოქვეყნებული გვაქვს წიგნში „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“, გვ. 30 — 31.

ეს მეორე ჰიმნი, — საგალობელი „აქებდითსა“, — ეკუთვნის იმავე მეთე საუკუნის პოეტს ივანე მინჩხის. მოთავსებულია იგი მიქაელ მოდრეკილის ზემოთ-დასახელებულ კრებულში X საუკუნისა.

საგალობელი მიძღვნილია თევდოსი მეფისადმი და იკითხვის შემდეგნაირად ¹:

ა	მწყემსო კეთილო ¹	(5) }
(სტროფი)	სალმრთოთა სამწყსოთაო.	(7) }
	ღირსო მეფეო,	(5)
	შენ ემსგავსე მნესა მას გონიერსა,	(11)
	მიძლე ტალანტი უფლისა შენისაჲ.	(11)
	განამრავლე იგი ¹	(6) }
	და მიუძღუნე	(5) }
	მრავალ-ნაწილად ¹	(5) }
	მიმნიჭებელსა.	(5) }

• • •

¹ იხ. მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 221. — ხელნაწერის ვარიანტული წაკითხვები: ა, 5₁ მიძლე] და მიიღე. — ბ, 3₁ გზადის] მოგიგებს.

ბ	ღირსო მეფეო /	(5)
(ანტისტროფი)	სანატრელო თევდოსი,	(7)
	გხადის მეოხად	(5)
	მეფეა ჩუენი, მადიდებელი შენი,	(11)
	და პატივ-სცემს დღესასწაულსა შენსა;	(11)
	ითხოვე ქრისტემსგან /	(6)
	და შენ-თანავე	(5)
	გვრგვინოსან ყოს /	(5)
	სასუფეველსა.	(5)

საგალობელი შეიცავს ოთხ სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით; ჩვენ აქ დაებეჭდეთ ორი მათგანი, 1 — სტროფი, 4 — ანტისტროფი. საგალობელს ბოლოში, მეხუთე ანტისტროფის სახით, დართული აქვს ქებაა მარიაშისი, დაწერილი იმავე საზომით. იკითხვის იგი შემდეგნაირად ¹:

უზუმთაეს ხარ /	(5)	}
ქებულებათა, ღირსო,	(7)	
უშუენიერეს	(5)	}
ყოველთა სამკაულთა, ღმრთის-მშობელო,	(11)	
უნათლეს მნათობთა სამყაროგსათა,	(11)	}
რამეთუ საღმრთოათა /	(6)	
ნათლითა სავსე	(5)	}
პარადის პნათობ /	(5)	
წინაშე ღმრთისა.	(5)	}

მოყვანილი ლექსის განმარტებისათვის საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი.

თევდოსი, ვისდამიც არის მიძღვნილი ეს საგალობელი, წარმოდგენილი იყო როგორც იდეალური მეფე „მწყემსი კეთილი“ (არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ აქ შეხვედრები ნ. ბარათაშვილისა X საუკუნის ამ ძეგლთან. შეადარეთ დასაწყისი ნ. ბარათაშვილის პოემისა „ბედი ქართლისა“: „მწყემსო კეთილო, შენს წმიდა სამწყსოს...“ და დასაწყისი აქ მოყვანილი საგალობელისა: „მწყემსო კეთილო / საღმრთოთა სამწყსოთაო...“).

„მეფეა ჩუენი“, რომელსაც აქ მოიხსენებს ივანე მინჩხი, და ეისი სახელითაც იგი ლაპარაკობს, არის დასავლეთ საქართველოს მეფე გიორგი II (922 — 957 წ.წ.), რომლის თანამედროვე და თანამოდევანე იყო მინჩხი.

გიორგი II დიდად აფასებდა მინჩხს, როგორც პოეტს. მინჩხის ერთ-ერთ საგალობელს დაცული აქვს წარწერა: „ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერებთან მინჩხისადა“.

მინჩხის შესახებ დაწერილებით შემდეგ გვაქვს საუბარი.

¹ იხ. მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 221 — 222. — ხელნაწერის ვარიანტული წაკითხვა: 3, + და " უშუენიერეს.

როგორც მაგალითი საგალობელთა ლექსთწყობისა მოგვყავს აგრეთვე მესამე ჰიმნი, სტიქარონი „აქებდითსა“, რომელიც ეკუთვნის X საუკუნის განთქმულ პოეტს მიქაელ მოდრეკილს. დაცულია ეს საგალობელი მიქაელის ცნობილ კრებულში და იკითხვის შემდგენაირად¹:

ა	ადამის თხემსა ზედა	(7)
(სტროფი)	ჯუარს-ეცუ მგორე ადამ კორცითა, ქრისტე.	(12)
	და მამასა შეჰვედრე	(7)
	ცხოველს-მყოფელი სული შენი უბიწოა;	(12)
	ავაზაკმან გიცნა შენ,	(7)
	ქეა ღმრთისაჲ, ვნებულ კორცითა ვნებადითა,	(12)
	აღსაარებით კმა ყო:	(7)
	«მომიქსენე, უფალო,	(7)
	მოსლვასა მას შენსა კულად დიდებით».	(11)
. . .		
ბ	განგებუნეს შიშით ბჳენი	(7)
(ანტისტროფი)	ზესკნელს ცათანი, ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო.	(12)
	რაჳამს აღჰმადლდი ზეცად	(7)
	მთისა მისგან წმიდისა ზეთისხილთაჲსა;	(12)
	ღრუბელმან შეგიწყნარა,	(7)
	ეკორცოთა გიცნეს და შიშით ღალად-ყვეს:	(12)
	«აღახუნით ბჳენი,	(7)
	ზეცის ერის-მთავარნო,	(7)
	და შევიდეს მეუფეა დიდებისაჲ»	(11)

საგალობელი შეიცავს ექვს სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით, ასეთი სტროფულ-ტაეპობრივი წყობით; ჩვენ აქ დავებეჭდეთ ორი მათგანი: 1 — სტროფი, და 4 — ანტისტროფი.

სრული ტექსტი საგალობელისა იხილეთ იმავე ჩვენს ადრინდელ შრომაში „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“, გვ. 334 — 335.

2.

კავშირი ძველ-ქართული ჰიმნობრაფიული პოეზიის სალექსო ფორმისა ბერძნული ლირიკის სალექსო ფორმასთან.

როდესაც კი ჩვენ ამოვშიფრეთ ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ლექსის სახეობა, ჩვენთვის მაშინვე ნათელი გაჩნდა უახლოესი ნათესაობა ქართული ჰიმნოგრაფიის სალექსო ფორმისა ბერძნული ლირიკის სალექსო ფორმასთან.

ვინც კი გაცნობილია ძველ ბერძნულ პოეზიას, მას, რასაკვირველია, კარგად მოეხსენება, რომ ძველ ბერძნულ ქორულ ლირიკაში სწორედ ამავე სახის ლექსთწყობა იყო მიღებული, — სტროფულ-ტაეპობრივი რთული რიტმიკით.

¹ იხ. მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 501. — ხელნაწერის ვარიანტული წაკითხვები: ა, 4₃ შენი აბს. — 9, კულად აბს. — ბ, 4₃ წმიდისა აბს.

ქორულ ლირიკაში ჩვენ გვაქვს ისეთივე მონაცვლეობა სტროფებისა და ანტი-სტროფებისა, როგორც ქართული ჰიმნოგრაფიის ლექსში.

ამავე დროს ქორულ ლირიკაში ჩვენ გვაქვს ასეთივე რთული ტაეპობრივი წყობა, ყოველ სტროფში შეწყობა სხვადასხვა საზომის მქონე ტაეპებისა.

ქორული ლირიკის ეს უაღრესად თავისებური და დინამიური ლექსი გადმოვიდა ბერძნულ დრამაშიაც, სახელდობრ ბერძნული დრამის იმ ნაწილებში. სადაც გამოდის ქორო. (ასე, მაგალითად, სოფოკლეს ტრაგედიაში „ოიდიპოს მეფე“ ჩვენ გვაქვს 13 ნაკვეთი, სადაც იხმარება ქორული ლირიკის ეს სპეციფიკური სალექსო ფორმა სტროფებისა და ანტისტროფების სახით; ტრაგედიაში „ოიდიპოს კოლონოში“ — 15 ნაკვეთი; ტრაგედიაში „ანტიგონე“ — 17 ნაკვეთი).

როდესაც ჩვენ პირველად ამოვხსენით ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ლექსის სახეობა, სწორედ ამ ფაქტმა, — რომ ქართული ჰიმნოგრაფიის ლექსი თავისი სტრუქტურით ემთხვევა ქორული ლირიკის სტროფულ-ტაეპობრივს აღნაგობას, — დაგვიდასტურა ჩვენი დასკვნის სისწორე.

აქ საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ ამასთან, რომ როდესაც ჩვენ პირველად ამოვხსენით ქართული ჰიმნოგრაფიის ლექსი, ჩვენ ამ დროს ჯერ კიდევ არ ვიცნობდით საშუალო საუკუნეთა ბერძნულ ქრისტიანულ პოეზიას (იგი საერთოდ ნაკლებ შესწავლილია და არაა ისე ფართოდ ცნობილი), ჩვენ ვიცნობდით მხოლოდ ძველ-ბერძნულ ქორულ ლირიკას და ქორული ლირიკის სალექსო ფორმებს ძველ-ბერძნულ დრამაში.

ხოლო მას შემდეგ რაც გავეცანით ბერძნულს საშუალო საუკუნეთა ქრისტიანულ პოეზიას, ეს ჩვენი დასკვნები კიდევ უფრო განმტკიცდა.

საქმე ის არის, რომ ბერძნული ქრისტიანული პოეზიის ფორმა იგივეა, რაც ძველი ბერძნული ქორული ლირიკისა. ასე, — ბერძნული ქრისტიანული პოეზიის ირმოსი — იგივეა, რაც ქორული ლირიკის სტროფი, ქრისტიანული პოეზიის ტროპარი — იგივეა, რაც ქორული ლირიკის ანტისტროფი.

გარდა იმისა, რომ ბერძნული ქრისტიანული პოეზია იცავს ძველი ქორული ლირიკის სტროფულ-ტაეპობრივ აღნაგობას სტროფებისა და ანტისტროფების სახით, ქრისტიანულ პოეზიაში ჩვენ გვაქვს ამავე დროს ასეთივე რთული ტაეპობრივი წყობა, რთული ტაეპობრივი რიტმიკა, ყოველ სტროფში შეწყობა სხვადასხვა საზომის მქონე ტაეპებისა.

ამრიგად ქრისტიანული პოეზია აგრძელებს ძველი ბერძნული ქორული ლირიკის ტრადიციებს.

თავისთავად ეს ფაქტი, რომ ქრისტიანული ხანის პოეზია ქორული ლირიკის მემკვიდრე ყოფილა, მოულოდნელს არას შეიცავს და ეს სავსებით ბუნებრივიცაა. ქორული ლირიკის ფორმა ძველ საბერძნეთში გამოიყენებოდა რელიგიური ელფერის მქონე ჰიმნებისათვის. ამასთან ქორულ ლირიკას ფართო სახალხო გავრცელება ჰქონდა, — ქორული ლირიკის ფორმა ეს იყო ფორმა ქორული, საგუნდო საგალობლებისა, — და პოეზიის ამ ფორმამ მოაღწია ქრისტიანულ ეპოქამდე. ხოლო ახალ ისტორიულ ეპოქაში ეს ფორმა გამოყენებულ იქმნა ახალი რელიგიისათვის; აქ არსებობდა არათორი შეეცვლილა, შეიცვალა მხოლოდ სახელები. — ზევისის სახელი შეიცვალა უფალის სახელით. აპოლონის

და დიონისოს სახელები შეიცვალა ქრისტეს სახელით. ჰერას და დემეტრას სახელები შეიცვალა მარიამის სახელით.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ქრისტიანული ხანის ჰიმნოგრაფიული პოეზიის ფორმას უძველესი სათავეები აქვს, იგი არის მემკვიდრე ძველი ქორული ლირიკისა.

3

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ძეგლები. — დავით აღმაშენებლის «გალობანი სინანულისანი»

იმისათვის, რათა უფრო სრულად ვიყოთ ორიენტირებული ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის სალექსო ფორმის საკითხებში, ჩვენ გავეცნობით ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ზოგიერთ ძეგლებს მთლიანის სახით.

პირველ რიგში ჩვენ აქ შევჩერდებით დავით აღმაშენებლის ჰიმნოგრაფიულ ნაწარმოებზე: გალობანი სინანულისანი.

*

დავით III — უდიდესი სახელია საქართველოს სახელმწიფოს ძველ ისტორიაში დიდი თამარის სახელთან ერთად; მას, როგორც საქართველოს სახელმწიფოს დიდ მშენებელს, ისტორიამ სამართლიანად მიაკუთვნა სახელწოდება აღმაშენებლისა.

დავით აღმაშენებელი, როგორც ცნობილია, უგანათლებულესი ადამიანი იყო თავისი ეპოქისა.

როგორც ერთგვარი ძვირფასი რელიქვია, მოსაგონარი ამ დიდი ადამიანისა, ჩვენ დრომდე გადარჩენილა დავითის «გალობანი სინანულისანი».

ჩვენი დიდი სახელმწიფო მოღვაწეებისათვის ისტორიულ წარსულში არ იყო უცხო პოეზია; იგი არც დავითისათვის ყოფილა უცხო.

დავითი, ალბათ, იშვიათად იცლიდა მწერლობისათვის. მაგრამ გარდა ამ პოეტური ძეგლისა — «გალობანი სინანულისანი» — დავითს სხვა შემთხვევებშიაც მიუმართავს პოეზიისათვის.

ქართულ მატრიანებში დაცულია ცნობა, რომ როდესაც დავითმა დაამარცხა დიდი კოალიცია მუსულმანური მსოფლიოსი დიდგორთან (რასაც შედეგად მოჰყვა თბილისის განთავისუფლება და საბოლოო განდევნა უცხოელ დამპყრობელთა საქართველოს საზღვრებიდან), — დავითმა ბრძოლის ტროფეები წარგზავნა გელათში; დავითს ამ დროს დაუწერია ჰიმნი გამარჯვებისა, რომელიც, მატრიანის ცნობის მიხედვით, — აღწერილი ყოფილა იამბიკონებით, ოცდახუთ ლექსად, ხუთეული სტროფებით¹.

სამწუხაროდ, დავითის ეს იამბიკონები არ მოღწეულა.

*

«გალობანი სინანულისანი» დავით აღმაშენებლისა რამდენჯერმე იყო გამოცემული.

¹ იხ. ისტორია — აზმანის შარავანდედთანი, გვ. *676/472. — აქ აღძრულ საკითხს ვეხებით წერილში: თამარ მეფის იამბიკონები, ეურნ. „მნათობი“, 1941 წ., № 3, გვ. 119, 133 — 135.

ტექსტის უკანასკნელი გამოცემა ეკუთვნის აკად. კ. კეკელიძეს¹.

სამწუხაროდ ყველა ეს გამოცემები, და მათ შორის უკანასკნელი გამოცემაც დამზადებული კ. კეკელიძის მიერ, დეფექტურია. გამომცემლები ვერ გარკვეულან ჰიმნოგრაფიული პოეზიის თავისებურ სალექსო ფორმაში და ბეჭდავენ ამ საგალობლებს პროზის სახით. (უცნაურია, რომ არავინ დაფიქრებია იმ გარემოებას, რომ „გალობანი“ არ შეიძლებოდა ყოფილიყო პროზა; თვით ეს სახელწოდება „გალობანი“ გვაგულისხმებდა, რომ აქ სალექსო ფორმასთან გვაქვს საქმე). სინამდვილეში «გალობანი სინანულისანი» წარმოადგენს არა პროზას, არამედ დაწერილია ჰიმნოგრაფიაში მიღებული სილაბური უკვეთელი ლექსით, საგალობელთა «მარცვლედით».

ვბეჭდავთ დავით აღმაშენებლის ამ პოეტურ ნაწარმოებს სრულად XIII საუკუნის სამი ხელნაწერის მიხედვით:

A = ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა A—85 (გვ. 187b — 190 a).

B = ხელნაწერი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმისა A—290 (გვ. 245b — 247b).

C = გელათური ხელნაწერი, ამჟამად დაცული ქუთაისის მუზეუმში K — 22 (გვ. 212b — 215a).

XIII საუკუნის სამივე ხელნაწერში საგალობელთა სალექსო ფორმა. წესის თანახმად, აღნიშნულია მეტრული პუნქტუაციით, სახელდობრ:

ა) ყოველი ტაეპი გაყოფილია ერთმანეთისაგან პუნქტუაციის ნიშნით;

ბ) პუნქტუაციის ნიშნით გაყოფილია აგრეთვე ნახევარ-ტაეპები, როდესაც ტაეპი, მუდმივი ცეზურით, ორად განიკვეთება (გამოცემაში ნახევარ-ტაეპის ბოლოში დასმული ცეზურის ეს ნიშანი აღნიშნული გვაქვს ამ სახით: ').

«გალობანი სინანულისანი» შესდგება 8 გალობისაგან. პირველ შვიდ გალობაში ოთხ-ოთხი სტროფული ერთეულია (ერთი — სტროფი, სამი — ანტი-სტროფი). ხოლო უკანასკნელს დამამთავრებელს VIII გალობაში ხუთი სტროფული ერთეულია (ერთი — სტროფი, ოთხი — ანტისტროფი).

ამრიგად თვითვე გალობაში ჩვენ გვაქვს რიტმიული მონაცვლეობა სტროფულ ერთეულთა სტროფებისა და ანტისტროფების სახით. ყოველი ანტისტროფი უცვლელად იმეორებს ძირითადი სტროფის რიტმიკას, ე. ი. ყოველი ანტისტროფი დაწერილია იმავე წყობის ტაეპებით, განსხვავებული ზომის ტაეპთა იმავე თანამიმდევრობით, რაც ჩვენ გვაქვს ძირითად სტროფში.

ეს ჰქმნის გალობათა უაღრესად რთულს რიტმიულს ქსოვილს.

მოგვყავს გალობათა ტექსტი.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. ციფრები, დასმული არშიაზე. :ლ-შნ:ვენ მარცვლთა რიცხვს ტაეპში).

¹ კ. კეკელიძის მიერ დადგენილი ტექსტი დავით აღმაშენებლის ამ ნაწარმოებისა დაბეჭდილია ს. ყუბანეიშვილის გამოცემაში „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომატია“, I, 374—376.

გალობანი სინანულიანი

კმა VII

გალობა I

«წამისყოფითა» (— ამათ ზელა)

1	რომლისაცა წინაშე	(7)
(სტროფი)	ქედ-დადრეკილ არს ყოველი,	(8)
	მუქლი ყოველი მოდრეკების და ენაჲ ყოველი	(14)
	შენსა / კმობს აღსარებასა,	(2+6) 8
	მეცა, ზენაო სიტყუაო,	(8)
	აღმსარებელსა მომხედენ.	(8)
2	ხატსა თვისსა ღამსგავსე	(7)
(ანტისტროფი)	და საკრველად გრძნობადისა	(8)
	და გონიერისა მყოფობისა დამაწესე,	(14)
	შენებრ / არსთა სიტყუებისა	(2+6) 8
	ჩემ შორისცა შეკრებითა,	(8)
	ხოლო მე უმაღლო გექმენ.	(8)
3	ბუნებითნი რაჲ ძალნი	(7)
(ანტისტროფი)	არა სჯულთაებრ ვიქუმიენ, —	(8)
	მსგავსებისგან დაეკლდი და დაეკბადე ბოროტი,	(14)
	ხოლო / ხილულთა-მიერსა	(2+6) 8
	გემოვნებასა ვრცელადრე	(8)
	განუხუენ გრძნობანი ჩემნი.	(8)
4	ქალწულო, ბრალეულთა	(7)
(ანტისტროფი)	თავმდებო, რომელმან სიტყუაჲ	(8)
	განაზრქე კორცითა და კარვითა მიწისაჲთა, —	(14)
	სიზრქე / უსასობისაჲ	(2+6) 8
	განმძარცუე, დედაო, რათა	(8)
	მონანული შეგივრდე შენი	(8)

გალობა II

«ღმერთო მაცხოვარო» (— ამათ ზელა)

1	ბუნებითსა რაჲ პორფირსა	(8)
(სტროფი)	თვთმფლობელობასა თანა	(8)
	მეფობისაცა შარავანდნი	(9)
	მარწმუნენ, ხოლო / მე ენებათა ბილწთა	(5+6) 11
	მონებად მიგჰყიდე თავი,	(8)
	რამეთუ რომლისგანცა ვინ	(8)
	ძლეულ არნ, მისდაცა დამონებულ არნ.	(11)

I, 1. — 3₂ ყოველი abs. ABC || 5₂ ზენაო abs. ABC.

I, 2. — 3₃ მყოფობისად BC || 4₁ შწერ A || 6₄ ვიქმენ A.

I, 3. — 5₂ ვრცელად ABC || 6₃ ჩემნი ABC.

I, 4. — 3₁ განაზრქე A || 3₃₋₄ დაკრვითა A || 5₂ დედაო abs. ABC.

II, 1. — 3₂ შარავანდენი C || 5₁ მონდ A, მონად BC || 7₂ არს A.

2	კენის მკლევლებრი ცნობამ.	(8)
(ანტიტროფი)	სუითის ძეთა ლირწებამ.	(8)
	გმირთა სილოდით მავალობამ.	(9)
	ხუთ-ქალაქელთა / შეგინების მწვრე. —	(5+6) 11
	უფრომასად ვამრავალწილე.	(8)
	ვითარცა რამ დაღმართ მსრბოლმან	(8)
	მდინარემან უკეთურებისამან.	(11)
3	მეგვპტური გულმძიმობამ.	(8)
(ანტიტროფი)	ქანანელთ ჩუეულებანი.	(8)
	მსხუერალვამ ნაგებთამ, ზმნამ და სახრვამ.	(9)
	კოწოლი თმთამ, / და სხუანი, რომელთამ	(5+6) 11
	შენ ჰბრძანე არა მსგავსებამ.	(8)
	უწარმდებესად მოვიგენ	(8)
	თვთ მათთა პირმშოთა სახეთასაცა.	(11)
4	ამისთვის იყო ქალწული	(8)
(ანტიტროფი)	და კორცქმნამ სიტყვსამ, რათა	(8)
	დედობრივთა ოხათა მიერ	(9)
	ცხოვნდენ ცოდვილნი, / რომელთამ პირველი,	(5+6) 11
	საშუალი და დასასრული, —	(8)
	მე ვარ, ვითარცა უფსკრული.	(8)
	შესაკრებელი ბილწებისა ღუართამ.	(11)

გ ა ლ ო ბ ა მ III

«რაყამს ესმა» (— ამათ ზედა)

1	ისრაჲლისა მეფეთა	(8)
(სტროფი)	ვჰბაძედ, გარნა უსჯულოთა,	(8)
	რავდენ მეძლო ვსცთებოდე / მაღალთა ზედა	(7+5) 12
	კუმევისა, და წარმართთა აღრევისა მიერ,	(13)
	და ძალთა ცისათა თაყუანის-ცემისა.	(12)
2	ზენამსა მოძრაობისა	(8)
(ანტიტროფი)	ასურასტანული ზმნობამ,	(8)
	და ცთომილთა ვარსკულავთა / და უცთომელთა	(7+5) 12
	კრებამ და განყრამ, სუე და ბედი, და შობის დღე.	(13)
	ვითარ საღმრთოთა უსმენელმან, ვიჩქურენ.	(12)
3	ელინთა მიერ ვერ ცნობამ	(8)
(ანტიტროფი)	სიბრძნითა ღმრთისამათა ღმრთისამ,	(8)
	და შემოქმედისაგან / შექმნულთა მიმართ	(7+5) 12
	ცვალებამ თაყუანის-ცემისამ, სრულ ვჰყავ, რაყამს	(13)
	თითოეულსა ვნების კერპსა ვჰმსახურე.	(12)

II, 2. — 4₂ შეგინებულა ABC || 5₁ უფრომას B || 6₃ აღმართ ABC || 7₂ უკეთურებისა ღუართამან C.

II, 3. — 2₁ ქანანელთა BC || 3₂ ნაშობთამ A || 3₃ მზნ^ა A || 6₂ მოვიგე A || 7₂ მათ ABC.

II, 4. — 3₂ უხათა A || 4₁ ცხოვნდენ A.

III, 1. — 3₁ + და " რავდენ (რაოდენ C) ABC. III, 2. — 4₂ და abs A || 5₁ ვ^ა A.

III, 3. — 2₃ ღმერთი A || 3₄ მიმართ] მ^რ C || 5₁ თითოეულისა AB, თვთოეულისა C || 5₃ ვნებისა ABC.

4	ამისთვის ღმერთ-შაშაქაცობრ	(8)
(ანტისტროფი)	მოქმედ იქმნა ზესთა ღმერთთაჲ,	(7+5) 12
	რათა კაცებრ უწყოდნის / ვნებანი ჩუენნი,	(7+5) 12
	და ღმერთებრ იქსნიდეს ბრალთაგან, რომელთაცა	(13)
	ღმრთისმშობელად ქადაგონ ქალწული დედაჲ.	(12)

გ ა ლ ო ბ ა ა IV

«შენდა აღვიმსთობთ» (—ამათ ზედა)

1	სჯულნი დაფორგუნენ	(5)
(სტროფი)	წიგნისაჲ, და ახალი ბუნებითი,	(11)
	და კუალად სჯულისა შენისა	(9)
	მოწამე, — სჯული / გონებისაჲ, — ცოდვისა	(5+7) 12
	და კორცთა სჯულსა მე დაეამონე.	(10)
2	თითოეულთა	(5)
(ანტისტროფი)	მკეცთაგან შეზავებულსა ვემსგავსე	(11)
	მრავალგუარსა და მრავალხატსა,	(9)
	და სხუა-ჟამად სხუებრ / ხილულსა და მკენარსა.	(5+7) 12
	ბუნებისებრ თითოეულისა.	(10)
2	არაჲ შევძრწუნდი	(5)
(ანტისტროფი)	მანგლისაგან მფრინვალისა, რომელი	(11)
	შურსა სიკუდილისასა მიჰკლვის,	(9)
	რომელნი ჩემებრ / მიმდემად ცრულ ფუცვიდენ	(5+7) 12
	განსაკრომელსა სახელსა შენსა.	(10)
4	ამისთვის სისხლთა	(5)
(ანტისტროფი)	ქალწულღებრივთაგან კორცნი ღმრთისანი,	(11)
	და ახალი შეზავებაი	(9)
	ღმერთი და კაცი, / რათა იოხდეს დედაჲ	(5+7) 12
	ჩემებრ განწირვით უსასო-ქმნილთა.	(10)

გ ა ლ ო ბ ა ა V

«დანთქმული ღელვათა» (—ამათ ზედა)

1	სოლომონისაჲსა	(6)
(სტროფი)	წურბლისა მსგავსად ვერ მაძლარი	(9)
	სხუათა სოფლის-	(4)
	კიდეთა ვეძებდ დასაპყრობელად, და ღმრთის საზღვართა ვაბრალობდ.	(18)
	ვითარცა მცირეთა მათ და უნდოთა, —	(11)
	ჩემისამდე უძღებებისა და გულის-თქუმისა.	(14)

III, 4. — 2₃ ზეშთა BC || 4₆ რომელთა ABC || 5₄₋₅ ~ დედაჲ ქალწული C.

IV, 1. — 1₁ შჯულნი B (3₁ შჯულისა, 4₂ შჯული, 5₃ შჯულისა B) || 2₄ ბუნებითურთ BC || 3₂ კუალად abs BC; კუალად+სხუაჲ A || 4₃ გონებისაჲ] ბუნებისა A || 4₄ ცოდვისა] კორცთაჲსა A || 5₄ მე abs. ABC || 5₅ დავემონე A.

IV, 2. — 1₁ თვითოეულსა A || 2₂ შეზავებულსა (შემზავებელსა) + მკეცსა ABC || 4₂ სხუა ჟამ ABC.

IV, 3.—4₅ ფიცვიდენ A || 5₂ სასხელსა A.

IV, 4. — 2₁ ქალწულღებრივთა A || 3₃ შეზავებაჲ ABC.

V, 1. — 1₁ სოლომონისაჲსა C || 4₂ ვეძებ BC || 4₃ დაპყრობად BC || 4₅ ღმრთისა ABC || 4₇ ვაბრალობ BC || 5₃ მათ abs ABC || 6₂ უძღებებისა A.

2	ბოროტად გარდაეკედ	(16)
(ინტისტროფი)	საზღვართა, შეეპართე სახლი სახლსა,	(9)
	აგარაკი —	(4)
	აგარაკსა, და უუძღურესთა მიეპსუეჲე ნაწილი მათი,	(18)
	და ვიღუწიდ ყოვლად უმეზობლობასა.	(11)
	ვითარმცა მართოჲ ვმკვდრობდი ქუეყანასა ზედა.	(14)

3	მბრძოლ ვეჲმენ ყოველთა	(6)
(ინტისტროფი)	წესთა სჯულისა შენისათა,	(9)
	და ქორწილთჲ	(4)
	მიერ ხენშეთა ვმძღაგრე საწოლსა, და სახეთა მათ ბოროტთა	(18)
	მიცემითა ვაცოდეჲ ერი ჩემი,	(11)
	ვითარცა იგი მეფეთა მისთა ისრაჲლი.	(14)

4	ამისთვის ქალწული	(6)
(ინტისტროფი)	დედაი, და შობაჲ ახალი	(9)
	სიტყუსაი	(4)
	რათა ახალი ხატ-ყოფაჲ კულავ მისცეს ცოდვით განმრყუნელთა	(18)
	მისთა,	(18)
	დედობრიოთა რაჲ ოხათა ბრძმელითა	(11)
	ლაადნოს ყოველივე ნივთი შეცოდებისაჲ.	(14)

გ ა ლ ო ბ ა მ VI

«ყრმათა ბაბილონს» — ამათ ზედა;

1	ვეცხლი ვითარცა	(5)
(სტროფი)	მიწაჲ, და ოქროჲ ვითარ თიკაჲ უბნისაჲ ვიუნჯენ.	(15)
	და თაყუანის-ვეც ანგაპრებისა მამონას,	(12)
	ვითარ იგი ძულეთა მათ —	(7)
	ბაალს და ასტარტეს	(6)
	და ქამოსს საძაგელსა.	(7)
2	სიტყუაჲ წმიდაჲ და	(5)
(ანტისტროფი)	ბჭეთა ზედა მამხილებელი მოვიძულენ, ხოლო	(15)
	მლიქნელთა ძმაცული სივერაგე ვითნე.	(12)
	და შემასმენელთანი	(7)
	დავიტკბენ ზრახვანი,	(6)
	და ცრუნი განესცენ მსჯაერნი.	(7)

V, 2. — 2₁ საზღვართა + და ABC || 3₁ + და " აგარაკი ABC || 5₃ ყოვლად abs. ABC || 6₄ ვმკვდრობდ A.

V, 3. — 2₂ სჯულისათა A || 4₄ საწოლსა + ჩემსა ABC || 4₆ მათ] ე"რ ABC || 6₂ თგ abs. BC.

V, 4. — 2₁ დედაჲ ABC || 3₁ სიტყუსაჲ ABC || 4₄ კულავ] მეორედ ABC. || 6₂ ყოველი ABC.

VI, 1. — 6₂ ქამოს C.

VI, 2. — 1₂ წმიდაჲ] ღმრთისაჲ A||3₁ მელიქნეთა A||3₄ ვითნე A||6₄ ზე abs. ABC.

3	ცრემლნი ქურიეთანი	(5)
(ანტისტროფი)	და ობოლთა ბრგუნელი ტირილი არაჲ შეეიწყალე.	(15)
	არა განუხუენ ნაწლევნი მოქენეთა,	(12)
	და უფრომსლა შენ, ქრისტე,	(7)
	რომელი იზრდები	(6)
	მცირედცა ზრდით მათითა.	(7)
4	ამისთვის შობაჲ	(5)
(ანტისტროფი)	ღმერთისაჲ ადამიანისაგან დედაკაცისა,	(15)
	რათა მიწით-შობილთა კაცთა ცთომასა,	(12)
	ვითარცა ღმერთისა დედაჲ,	(7)
	დაქსნიდეს, ქალწული,	(7)
	და იოხდეს ცოდვილთა.	(7)

გ ა ლ ო ბ ა ა VII

«შეუწუველმან მაყუალმანა (— ამით ზედა)

1	ესენი ვცოდენ სახარებისა სჯულთა	(12)
(სტროფი)	და მცნებათა შენთა შინა, —	(8)
	მცემელთა რაჲ ყურიმლისა მიჰყრობასა,	(11)
	და გლახაკათვს განშიშულებასა,	(10)
	და რადთურთით არა ფიცსა შენ,	(9)
	სჯულისმდებელი ჩემი, ჰბრძანებდი,	(10)
	და გულის-თქუმითა მიმხედველობასა	(11)
	განსრულებულად მრუშებად დასდებდი.	(11)
2	დაღათუ ესრეთ გავხრწნენ ყოვლნი გრძნობანი	(12)
(ანტისტროფი)	და ყოვლად ხრწნილება ვიქმენ,	(8)
	გარნა არაჲვე აღვიხუენ მე კელნი,	(11)
	არცა დაედევ სასოებაჲ ჩემი	(10)
	ღმერთისა მიმართ უცხოჲსა, არცა	(9)
	უცხოთესლი ვყავ სარწმუნოებაჲ	(10)
	საწურთელ სულისა, გარეშე მისსა,	(11)
	რომელ მასწავეს ღმრთისმეტყუელთა შენთა.	(11)
3	და აწ, მომდრეკელი მუკლთა გულისათაჲ.	(12)
(ანტისტროფი)	ვკმობ, ვითარცა სხუაჲ მანასე,	(8)
	მილხინე, ♯ მეუფეო, მილხინე,	(11)
	და ნუ წარმწყმედ მე ცოდვათა შინა,	(10)
	და ნუ იქსენებ ძვრთა ჩემთა,	(9)
	და ნუ დამსჯი მე ქუესკნელთა თანა,	(10)
	რამეთუ შენ ხარ ღმერთი მონანულთაჲ.	(11)
	ამალლებულ ზესკნელს ცათა ძალთაგან.	(11)

VI, 3. — 2₃ ბრგუნელი A, ბრგუნელი B || 2₅ არ BC || 4₁ და abs ABC || 4₄ ქრისტეს BC || 6₁ მცირედითა A || 6₂ ზრდითა ABC.

VI, 4. — 2₂ ადამიანისაგან BC || 3₂ მიწით-შობილსა A.

VII, 1. — 2₄ ~ შინა შენთა C || 7₂ გულის-თქუმით ABC || 8₁ აღსრულებულად A.

VII, 2. — 1₁ დაღათუ A || 3₄ მე abs AB || 6₁ უცხოთესლი + რაჲმე BC || 6-7 ვყავ სარწმუნოებაჲ საწურთელ | სარწმუნოებაჲ საწურთელ ვყავ ABC || 8₁ რომელი ABC.

VII, 3. — 4₄ მე abs ABC || 4₅ ცოდვასა A || 5₁ და abs BC || 5₃ მოიქსენებ AC || 6₁ და abs BC.

4	საკუთრად ღმრთისმშობლად გქადაგებთ, უხრწნელო	(12)
ჩინტისტროფი)	ქალწულო, და გურწამს, ვითარმედ	(8)
	პატივი ხატისა შენისაჲ შენდა	(11)
	წიადმოვალს, ღმერთის-მეტყუელთაებრ,	(10)
	და ცოდვილთასა მოქცევასა	(9)
	ანიშებ მის მიერ, ვითარ ცხად-ჰყოფს	(10)
	თეატროი იგი მრჩობლთა სოფელთაჲ,	(11)
	სიკეთე ეგვპტის ღირსი მარიაჲ.	(11)

გ ა ლ ბ ა ა VIII

«მტკრთეელმან გამოუთქუებელად» — ამით ზედა

1	ქამი რაჲ წულილთა და კმელთა აღმოფშვნვათაჲ წარმოდგეს,	(16)
(სტროფი)	ზარი მეფობისაჲ წარქდეს და ღიდებაჲ დაშრტეს,	(14)
	შუებანი უქმ იქმნენ,	(6)
	ყუავილოვნებაჲ დაქნეს,	(7)
	სხუამან მიილოს სკიპტრაჲ,	(7)
	სხუასა შეუდგენ სჰანი,	(7)
	მაშინ შემიწყალე, მსაჯულო ჩემო!	(11)
2	გან-რად-ელოს წიგნი ღლესა მას შინა სასჯელისასა	(16)
(ჩინტისტროფი)	და მე ქედღადრეკილი წარმოვიღგე განკითხვად,	(14)
	მსაჯული მართლ სჯიდე,	(6)
	მსახურთა რისხვაჲ ქროდის,	(7)
	მართალნი ნეტარებდენ,	(7)
	ცოდვილთა ჰგუემდეს ცეცხლი,	(7)
	მაშინ შემიწყალე, იესუ ჩემო!	(11)
3	ვინაჲთგან აღსაარებით გრძნობად და შეკრებად იწყო	(16)
(ჩინტისტროფი)	ძუალი ძუალს თანა და ნაწეკარი ნაწეკარსა	(14)
	და განკმელთა მოპბერა	(6)
	სული კჳალად გებისაჲ,	(7)
	მრწამს ვითარმედ აღვსებაჲ	(7)
	სრულ ყოს ღმერთმან ჩემ შორის	(7)
	ყოვლისევე სინანულით აღდგომისაჲ.	(11)
4	მარტივო სრულო სამ მზეო და ერთო ცისკროვნებაო,	(16)
(ჩინტისტროფი)	განმინათლე მხედველობითი სულისაჲ, რათა	(14)
	გიხილო ნათელი	(6)
	ნათლითა უფლისაჲთა,	(7)
	სულითა ღმრთისაჲთა ძეჲ	(7)
	გამოგვბრწყინეო მაშინ	(7)
	დაუსრულებელთა საუკუნეთა.	(11)

VII, 4. — 3₂ შენდამო ABC || 5₂ ცოდვილთა ABC || 6₄ ე^ა ABC || 7₁ თეატროი ABC || 8₂ ეგვპტისაჲ BC, შენი A || 8₃ ღირსო A.

VIII, 1. — 1₄ და კმელთა] ამოშლილია A-ში || 3₁ შუებანი] შნ^აბანი (შუენებანი) A || 3₂ იქმნეს C.

VIII, 2. — 1₄ მას ABC || 1₅ სასჯელთასა B || 3₂ სჯიდეს A.

VIII, 3. — 2₂ ძუალსა თანა ABC || 4₂ შობისაჲ BC || 6₁₋₃ სრულ ყოს ღმერთმან] აღასრულოს A || 7₁ ყ^ანავე C, ყ^ანავე B, ყ^ანავე A.

VIII, 4. — 1₁ მარტიო ABC || 1₆ და ანს ABC || 1₆ ერთ ABC || 4₁ ნათლითა] ამაზედ წედება B-ზელნაწერის ტექსტი ღეფექტობის გამო || 6₁ გამოგიბრწყინეო AC.

5	არაა უხილავს მზესა ქალწულ-დედაა თვნიერ შენსა,	(16)
(ანტისტროფი)	არცა ჩემოდნად ბრალეულსა ნათელი მისი,	(14)
	გარნა მე შენითა	(6)
	ობითა, დედოფალო,	(7)
	ვესაე ხილვად ნათელსა	(7)
	ძისა შენისასა და	(7)
	ნათელსა ზემთა საუკუნეთასა.	(11)

4

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის საღმრთო ფორმა —
სილაბური უკვეთელი ლექსი (საგალობელთა «მარცვლედნი») და მისი მებრული სტრუქტურა.

ნუსხა სილაბური უკვეთელი ლექსის ტაქტობრივ საზომთა.

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ძირითადი სალექსო ფორმა, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, ეს არის სილაბური უკვეთელი ლექსი (საგალობელთა «მარცვლედნი»).

ამ ლექსთწყობის — ს ი ლ ა ბ უ რ ი უ კ ვ ე თ ე ლ ი ლ ე ქ ს ი ს — მეტრული სტრუქტურის საფუძველს შეადგენს არა ტერფი (როგორც ეს გვაქვს ტონურსა და ქვანტიტეტურს მეტრულ ლექსთწყობაში), არა სილაბური მუხლედნი (როგორც ეს გვაქვს სილაბური ლექსთწყობის ძირითად სახეობაში, კერძოდ ქართულ სილაბურ მუხლედოვან ლექსში), არამედ ტ ა ე პ ი, მთლიანად აღებული.

ამ ლექსთწყობაში, — სილაბურ უკვეთელ ლექსში, — ყოველი ტაეპი წარმოადგენს ერთს მთლიანს, უკვეთელ სილაბურ ერთეულს (რომელიც გრძელ ტაეპებში განიყოფება მოძრავი ცეზურიით); ტაეპი აქ არაა დანაწევრებული (განკვეთილი) მკვიდრ, უცვლელ მუხლედებად, როგორც ეს ჩვენ გვაქვს სილაბურ მუხლედოვან ლექსში.

*

სილაბური უკვეთელი ლექსის ტაეპობრივი საზომები შემდეგ ჯგუფებად განიყოფება.

A. მარტივი საზომები:

ა. მონომეტრული საზომები ანუ მუხლედ-ტაეპები.

ბ. პოლიმეტრული ანუ უკვეთელი მოძრავ-ცეზურიანი საზომები.

B. შენადგენი საზომები, აღნიშნული ცეზურებით.

მარტივი საზომების პირველი (ა) ქვე-ჯგუფი — მონომეტრული საზომები — შეიცავს ტაეპებს ორ-მარცვლედნიდან — ცხრა-მარცვლედამდე. ეს მონომეტრული საზომები ანუ მუხლედ-ტაეპები ამ ლექსთწყობაშიაც იგივეა, რაც მუხლედოვან სილაბურ ლექსში.

მარტივი საზომების მეორე (ბ) ქვე-ჯგუფი — პ ო ლ ი მ ე ტ რ უ ლ ი ანუ უკვეთელი მოძრავ-ცეზურიანი საზომები შეიცავს ტაეპებს ათ-მარცვლედნიდან თვრამეტ-მარცვლედამდე. იგი ორ წყებად განიყოფება: ათ — ცამეტ მარცვლედნი (იამბიკონის მიმდგომნი); თოთხმეტ — თვრამეტ მარცვლედნი (შაირის მიმდგომნი).

დასასრულ, საზომების მეორე ჯგუფი: შენადგენი საზომები, აღნიშნული ცეზურებით.

იმ წესების მიხედვით, რომელიც მიღებულია ჰიმნოგრაფიული პოეზიის იამბიკონური საზომებისათვის, ირკვევა შემდეგი: როდესაც ჰიმნოგრაფიულ ლექსში ერთიმეორის გვერდით უწევს ორი მოკლე ზომის სალექსო ერთეული, რომელთა მარცვლების საერთო რიცხვი არ აღემატება თორმეტ-ცამეტ მარცვლედს (ე. ი. იამბიკონური საზომის მოცულობას), ხდება მათი დაკავშირება ერთი შენადგენი ტაეპის სახით. ასეთ შენადგენ ტაეპში გაერთიანებული მოკლე სალექსო ერთეულები (ნახევარ-ტაეპები) განიყოფება ერთმანეთისაგან მკვიდრი ცეზურით, რაც აღინიშნება ხოლმე მეტრული პუნქტუაციით.

ასეთია სტრუქტურა სილაბური უკვეთელი ლექსის ტაეპობრივი საზომებისა.

მოგვყავს ამ განმარტებათა შემდეგ ძველ-ქართული სილაბური უკვეთელი ლექსის (საგალობელთა «მარცვლედის») ტაეპობრივი საზომების სრული ნუსხა.

(იხ. ტაბულა 608 — 610 გვერდებზე)

5

ძველ-ქართული «ჰაზნიკი» IX — X საუკუნეთა «ძლი სპირნი»

(კოდექსი საგალობელთა სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომებისა მუსიკალურის კომპოზიციებით)

მკითხველს, რასაკვირველია, კარგად მოეხსენება, რომ ქართულს ენაზე არსებობს *ars poetica* — «ჰაზნიკი», რომელიც შედგენილია XVIII საუკუნის პირველ ნახევარში პოეტის მამუკა ბარათაშვილის მიერ. «ჰაზნიკში» აღნუსხულია სალექსო საზომები, რომელიც მიღებული იყო ქართულ სილაბურ მუხლედოვან ლექსთწყობაში XVIII საუკუნეში.

ასეთივე სახის ძველი არსებულა ძველ-ქართულ მწერლობაშიაც.

ეს არის ძველ-ქართული ჰაზნიკი IX — X საუკუნეთა, რომელსაც ეწოდება «ძლი სპირნი». ეს ძველი — «ძლი სპირნი» არის კოდექსი საგალობელთა სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომებისა, მუსიკალურის კომპოზიციებით. ამ ძველში აღნუსხულია და სისტემაში მოყვანილი ყველა სალექსო საზომები, რომლებიც კი იხმარებოდა ძველ-ქართულ სილაბურ უკვეთელ ლექსში, საგალობელთა «მარცვლედში».

(გაგრძელება იხ. 611 გვ.)

№№	საზომების რიცხვითი აღნიშვნა	საზომების სახელწოდებანი
A		
მართივი საზომები		
ა.		
მონომეტრული საზომები ანუ მუხლედ-ტაეები		
h- 1 (=v- 1)	2	ორიანი მონომეტრი (ორ-მარცვლადი მუხლედ-ტაეი)
h- 2 (=v- 2)	3	სამიანი " (სამ-მარცვლადი მუხლედ-ტაეი)
h- 3 (=v- 3)	4	ოთხიანი " (მაღალი შაირის ოთხ-მარცვლადი)
h- 4 (=v- 9)	5	ხუთიანი " (ბისტოკაურის ხუთ-მარცვლადი)
h- 5 (=v- 13)	6	ექვსიანი " (რეული ექვს-მარცვლადი)
h- 6 (=v- 25)	7	შვიდიანი " (ფერხისულის რეული შვიდ-მარცვლადი)
h- 7 (=v- 34)	8	რვაიანი " (რეული შაირის რვა-მარცვლადი)
h- 8 (=v- 37)	9	ცხრიანი " (მთიბლურის ცხრა-მარცვლადი)
ბ.		
უკვეთელი (მოძრავ-ცოფურიანი) საზომები		
ა. ათ-ცამეტ მარცვლადი (იაზბიკონის მიმდგომი)		
h- 9	10	ათიანი უკვეთელი (იაზბიკონის მიმდგომი ათ-მარცვლადი, ლიპომეტრული)
h- 10	11	თერთმეტიანი " (" " თერთმეტ-მარცვლადი, ლიპომეტრული)
h- 11	12	თორმეტიანი " (იაზბიკონი ე)
h- 12	13	ცამეტიანი " (იაზბიკონის მიმდგომი ცამეტ-მარცვლადი, ჰიპერმეტრული)
ბ. თოთხმეტ-თვრამეტ მარცვლადი (შაირის მიმდგომი)		
h- 13	14	თოთხმეტიანი უკვეთელი (შაირის მიმდგომი თოთხმეტ-მარცვლადი, ლიპომეტრული)
h- 14	15	თხუთმეტიანი " (" " თხუთმეტ მარცვლადი, ლიპომეტრული)
h- 15	16	თექვსმეტიანი " (" " თექვსმეტ-მარცვლადი)
h- 16	17	ჩვიდმეტიანი " (" " ჩვიდმეტ-მარცვლადი, ჰიპერმეტრული)
h- 17	18	თვრამეტიანი " (" " თვრამეტ-მარცვლადი, ჰიპერმეტრული)

B

შენადგენი საზომები, აღნიშნული ცაზუაბით

h-13	2+2	ორიანი	შენადგენი დიმეტრი
h-19	2+3	ორიან-სამიანი	" "
h-20	2+4	ორიან-ოთხიანი	" "
h-21	2+5	ორიან-ხუთიანი	" "
h-22	2+6	ორიან-ექვსიანი	" "
h-23	2+7	ორიან-შვიდიანი	" "
h-24	2+8	ორიან-რვიანი	" "
h-25	2+9	ორიან-ცხრიანი	" "
h-26	2+10	ორიან-ათიანი	" (იამბაკონი დ)
[h-26/a	2+11	ორიან-თერთმეტიანი	"]

*

h-27	3+2	სამიან-ორიანი	შენადგენი დიმეტრი
h-28	3+3	სამიანი	" "
h-29	3+4	სამიან-ოთხიანი	" "
h-30	3+5	სამიან ხუთიანი	" "
h-31	3+6	სამიან-ექვსიანი	" "
h-32	3+7	სამიან-შვიდიანი	" "
h-33	3+8	სამიან რვიანი	" "
h-34 (II V - 64)	3+9	სამიან-ცხრიანი	" "
[h-35/a	3+10	სამიან-ათიანი	"]

*

h-35	4+2	ოთხიან-ორიანი	შენადგენი დიმეტრი
h-36	4+3	ოთხიან სამიანი	" "
h-37 (II V - 4)	4+4	ოთხიანი	" "
h-38 (II V - 43)	4+5	ოთხიან-ხუთიანი	" "
h-39	4+6	ოთხიან-ექვსიანი	" "
h-40 (II V - 54)	4+7	ოთხიან-შვიდიანი	" "
h-41	4+8	ოთხიან-რვიანი	" "
[h-41/a	4+9	ოთხიან-ცხრიანი	"]

*

h-42 (II V - 32)	5+2	ხუთიან-ორიანი	შენადგენი დიმეტრი
h-43 (II V - 42)	5+3	ხუთიან სამიანი	" "

№№	სახომეოს რიცხვითი აღნიშვნა	საზომების სახელწოდებანი
h-44	5+4	ხუთიან-ოთხიანი შენადგენი დიმეტრი
h-45 (II v-10)	5+5	ხუთიანი
h-46	5+6	ხუთიან-ექვსიანი " "
h-47 (II v-60)	5+7	ხუთიან-შვიდიანი " "
[h-47/a	5+8	ხუთიან-რვაიანი " "
		*
h-48	6+2	ექვსიან-ორიანი შენადგენი დიმეტრი
h-49	6+3	ექვსიან-სამიანი " "
h-50	6+4	ექვსიან-ოთხიანი " "
h-51 (II v-27)	6+5	ექვსიან-ხუთიანი " "
h-52 (II v-14)	6+6	ექვსიანი " "
[h-52/a	6+7	ექვსიან-შვიდიანი " "]
		*
h-53	7+2	შვიდიან-ორიანი შენადგენი დიმეტრი
h-54	7+3	შვიდიან სამიანი " "
h-55	7+4	შვიდიან-ოთხიანი " "
h-56 (II v-61)	7+5	შვიდიან-ხუთიანი " "
[h-56/a	7+6	შვიდიან-ექვსიანი " "
		*
h-57	8+2	რვაიან-ორიანი შენადგენი დიმეტრი
h-58	8+3	რვაიან სამიანი " "
h-59	8+4	რვაიან-ოთხიანი " "
[h-59/a	8+5	რვაიან-ხუთიანი " "]
		*
h-60	9+2	ცხრიან-ორიანი შენადგენი დიმეტრი
h-61	9+3	ცხრიან-სამიანი " "
[h-61 a	9+4	ცხრიან-ოთხიანი " "]
		*
h-62	10+2	ათიან-ორიანი შენადგენი დიმეტრი
[h-62/a	10+3	ათიან-სამიანი " "]
		*
[h-63/b	11+2	თერთმეტიან ორიანი შენადგენი დიმეტრი

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ეს ძეგლი «ძლისპირნი» ჩვენ გამოვავ-
ლინეთ და მის შინაარსს გავეცანით უკანასკნელ ხანებში, როდესაც ეს წიგნი
უკვე დაწერილი იყო და მისი ძირითადი ნაწილი უკვე დაბეჭდილი. (დაბეჭდილი
იყო მთლიანად წიგნის პირველი ნაწილი, ბეჭდვის პროცესში იყო დამატებანი).

ისიც უნდა ითქვას ამასთან, რომ მნიშვნელობას ამ ძეგლისას, ძლისპირთა
კრებულისას,—რომელიც სალექსო საზომების კრებული აღმოჩნდა,—ჩვენ ვერც-
კი გავიგებდით, თუ კი უკვე ამოხსნილი არ გვექონოდა ძველ-ქართული ჰიმნო-
გრაფიის ლექსითი ფორმა, სილაბური უკვეთელი ლექსის (საგალობელთა «მარ-
ცელედის») ლექსითი სახეობა, არ გვექონოდა დადგენილი მეტრული პუნქტუა-
ციის მნიშვნელობა.



ამ ძეგლის — «ძლისპირთა» კრებულის გამოვლენის საბაზი შემდეგი გახდა.
მას შემდეგ, რაც დაუადგინეთ, რომ ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიის ძეგლები
ლექსად არის ნაწერი, ჩვენს ყურადღებას იქცევდა ამ ლექსთა ზედწერილები,
რაც ჩვენთვის აუხსნელი რჩებოდა. საქმე ის არის, რომ ყოველ ცალკე გალო-
ბას თავში აქვს დართული მოკლე ზედწერილები ასეთი ტიპისა:

- „სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არსა« —ამათ ზედა“.
- „ვეითარცა რაჲ სიონს« —ამათ ზედა“.
- „უხილავთა მხილველმან« —ამათ ზედა“.
- „ზღვსა მის მეწამულისა« —ამათ ზედა“.

ზოგჯერ კი (უფრო ხშირად) ასეთ ზედწერილებს ბოლოში არც კი ემატება
ეს ბოლო-დანართი — „ამათ ზედა“, და გალობათა მოკლე ზედწერილები ასეთ
სახეს ატარებს: «სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს», «ვეითარცა რაჲ სიონს» და
მისთანანი.

ავიღოთ მაგალითისათვის ზემოთ-დაბეჭდილი «გალობანი სინანულისანი»
დავით აღმაშენებელისა. ეს «გალობანი», როგორც ენახეთ, რვა გალობისაგან
შესდგება, რომელთაგან თვითეული გალობა ცალკე დამოუკიდებელი სტრო-
ფულ-ტაეპობრივი საზომით არის ნაწერი.

და ჩვენ ვხედავთ, რომ აქ ყოველ გალობას, დაწერილს ასეთი განსხვავებუ-
ლი სტროფულ-ტაეპობრივი საზომით, აქვს ზემოთ-მოყვანილი ტიპის ზედწე-
რილები, სახელდობრ:

- გალობა I: «წამის-ყოფითა» (—ამათ ზედა).
- „ II: «ღმერთო მაცხოვარო» (—ამათ ზედა).
- „ III: «რაქამს ესმა» (—ამათ ზედა).
- „ IV: «შენდა აღვიმსთობთ» (—ამათ ზედა).
- „ V: «დანთქმული დეღვათა» (—ამათ ზედა).
- „ VI: «ყრმათა ბაბილონს» (—ამათ ზედა).
- „ VII: «შეუწუველმან მაყუალმან» (—ამათ ზედა).
- „ VIII: მტვრთველმან გამოუთქუმელად (—ამათ ზედა).

რას აღნიშნავს ეს ზედწერილები? საფიქრებელი ხდებოდა, რომ აქ გვაქვს:

ა) ან სალექსო საზომების მაჩვენებლები;

ბ) ან მაჩვენებლები საგალობელთა მუსიკისა. („გალობანი“ როგორც ცხო-
ბილია, იგალობებოდა);

გ) ან, რაც უფრო საფიქრებელი იყო, აქ უნდა გვეჩინოდა მაჩვენებელი ერთ-
დროულად სალექსო საზომისა და მუსიკისა. მართლაც, როგორც ეს კარგად
ცნობილია ძველი ლირიკის ისტორიიდან, ლირიკული პოეზიის დარგები — მე-
ლიკა და ქორიკა — განუყრელად დაკავშირებული იყო მუსიკასთან. ყოველ
ლირიკულ ტექსტს ახლდა ხოლმე საგანგებო ჰანგი, გალობა. ამის გამო იყო
რომ, კერძოდ, ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში ჰიმნებს, — თვით ტექსტს, — «გალო-
ბანი» ერქვა.

რომ ეს ზედწერილები ყოველ შემთხვევაში სალექსო საზომს აღნიშნავდა
(დაკავშირებით მუსიკასთან, თუ დაუკავშირებლად), ამას გვაფიქრებინებდა
ანალოგიური მაგალითები შემდგომი ეპოქის ქართული პოეზიიდან. მკითხველმა
მოიგონოს ანალოგიური ზედწერილები სალექსო საზომებისა ალორბინების
ხანის ქართულ პოეზიაში, მაგალითად, ბესიკთან: „თეჯლისის ხმაზედ“, „ხმა
«—გულამოსკენითი»“, „ხმა «—მრისხანებითი»“; ან-და დავით გურამიშვილ-
თან ზედწერილი — მითითებანი სალექსო საზომებისა — «ახა, წმიდა კოპალე»,
«პატარა ქალო თინაო», «ეო — მეო, ქალო ქალთა მზეო», «აგერ მიღმარ ახოსა»
და სხვანი.

რაკი ამრიგად ყველაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ ჰიმნოგრაფიული ტექს-
ტების ზემოთ-აღნიშნულ ზედწერილებში გვაქვს სალექსო საზომების სახელ-
წოდებანი, ჩვენ შევუდექით ამოწერას ასეთი ზედწერილებისას, რომლებიც კი
ჰიმნოგრაფიულ ტექსტებზე მუშაობის დროს გვხვდებოდა. ბოლოს ზედწერი-
ლების ასეთ კარტოთეკაში რამდენიმე ასეული სახელწოდება დაგვიგროვდა.
ეს მიუთითებდა ჰიმნოგრაფიული ლექსის საზომთა დიდ სიმდიდრეზე (რაც
ისედაც აშკარა იყო თვით მოღწეული ჰიმნოგრაფიული ძეგლების საზომთა
მართლაც საოცარი მრავალგვარობისა და მრავალსახეობის მიხედვით).

ჰიმნოგრაფიულ ტექსტებზე მუშაობისას ჩვენ, ცხადია, იმასაც ვაქცევდით
ყურადღებას, რომ იქნებ შეგვხვედროდა ამ ზედწერილების მიმდგომი ჰიმნები,
რომლებიც დაწყებული ყოფილიყოს იმ სიტყვებით, ზედწერილებში რომ არის
აღნიშნული (ე. ი. ისეთი ჰიმნები, რომლებიც იწყებოდეს სიტყვებით: „სოფ-
ლისა ზღუაჲ აღძრულ არს“, „ვითარცა რაჲ სიონს“ და მისთანანი).

მაგრამ ჰიმნოგრაფიულ ტექსტებზე ხანგრძლივი მუშაობის მანძილზე ჩვენ
ვერ მივაგენით ვერც ერთს ასეთს ტექსტს, რომელიც დაწყებული ყოფილიყოს
ზედწერილებში აღნიშნული სიტყვებით.

მხოლოდ სულ ბოლო დროს ეს ძიება შედეგით დაგვირგვინდა.



ჰიმნოგრაფიული პოეზიის დიდ კრებულში, მიქაელ მოდრეკილის ცნობილს
ხელნაწერში, რომელიც არა ერთგზის ვახსენეთ, თავში მოთავსებულია ჰიმნო-
გრაფიული ტექსტების ერთი წყება, რომლის სახელწოდებაა „ძ ლ ი ს პ ი რ ნ ი“
ანუ „ძლისპირნი და ღმრთისმშობელისანნი“.

ეს შესავალი ნაწილი ამ კრებულისა ძალზე დაზიანებულად არის მოღწეულს; არაა შენახული დასაწყისი, ამასთან ტექსტი ძალზე ხარვეზოვანია, შეიძლება ითქვას დაფლეთილია შინაარსობლივად, აკლია ტექსტის სხვადასხვა ნაწილები, ხოლო დაცული ნაწილებიც არაა თანრიგით ერთმანეთს მიყოლებული. (საერთო მოცულობით დაკარგულია, როგორც ირკვევა რვეულებრივი აღრიცხვიდან, ტექსტის ორ-მესამედზე მეტი).

მიქაელ მოდრეკილის კრებულზე ჩვენ ხანგრძლივად ვმუშაობდით, მაგრამ სწორედ ეს შესავალი ნაწილი ჩვენ ბოლომდე შეუსწავლელი დაგვრჩა.

ეს გამოწვეული იყო იმით, რომ, ჯერ ერთი, ხელნაწერის ეს ნაწილი, როგორც აღვნიშნეთ, ძალზე დაზიანებულია და ამიტომ მისი შესწავლა ბოლოსათვის გადავდევით. ამას გარდა, ამ ნაწილის ჰიმნოგრაფიულმა ტექსტებმა პირველის თვალის გადავლებით არ მიიქცია ჩვენი ყურადღება, და თითონ ხასიათიც ამ ჰიმნოგრაფიული ტექსტებისა პირველი გაცნობისას გაუგებარი დარჩა. იგი არ იყო არც „გალობანი“, არც სტიქარონთა ჩემთეის მანამდე ნაცნობი სახეობა. ამიტომ იყო, რომ ამ დაზიანებულ ტექსტებზე მუშაობა ბოლოსთვის მოვიტოვეთ, რათა მას, ძირითადი მუშაობის დასრულების შემდეგ, დაებრუნებოდით.

ჩვენ ჩავატარეთ მუშაობა ყველა ძირითადი ჰიმნოგრაფიული ტექსტების შესასწავლად, რამაც ძალზე დიდი დრო მოითხოვა, და მხოლოდ ამ ბოლო დროს მოგვეცა საშუალება დაებრუნებოდით ამ უკანასკნელს შეუსწავლელად დარჩენილ ტექსტებს, რომელიც მოთავსებულია მიქაელ მოდრეკილის კრებულის თავში.

და აქ ჩვენ სრულიად მოულოდნელი აღმოჩენა მოგველოდა.

მიქაელ მოდრეკილის კრებულის ამ შესავალ ნაწილზე მუშაობის დაწყებისას ჩვენ ჯერ ჩავატარეთ ტექნიკური აღწერილობა და შევედგით ტექსტების გაცნობას; ამოვიწერეთ ზოგიერთი ტექსტების დასაწყისი; კერძოდ, ამოვიწერეთ ერთი „ძლისპირი“, რომელიც იწყება სიტყვებით: „სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს“. ამ ლექსმა მიიქცია ჩვენი ყურადღება თავისი ღრმა პოეტურობით; და ჩვენ მაშინვე მოგვაგონდა, რომ ეს ლექსი „ძლისპირი“, იწყება სწორედ იმავე სიტყვებით, რომელიც ჩვენ გვხვდება ჰიმნოგრაფიული ტექსტების ზედწერილებში და რომელიც ჩვენ სალექსო საზომის მაჩვენებელად მიგვაჩნდა.

გადავზინჯეთ დანარჩენი ტექსტები, და აქაც ასეთივე სურათი აღმოჩნდა: ყველა გაზინჯული ლექსები — ძლისპირები იწყებოდა იმავე სიტყვებით, რომელიც წარმოდგენილია ჰიმნოგრაფიული ტექსტების ზედწერილებში.

აშკარა იყო, რომ ჩვენს წინაშე ძლისპირთა კრებულის სახით იდვა ქ ა შ ნ ი კ ი, მაჩვენებელი საგალობელთა სალექსო საზომებისა.

და არა მხოლოდ სალექსო საზომებისა; სალექსო საზომებთან ერთად იგი. ცხადია, წარმოადგენს საგალობელთა მუსიკის მაჩვენებელსაც; ყოველ ასეთ ლექსთან-ძლისპირთან აღნიშნულია მისი გალობაც — ძველ-ქართული სანოტო ნიშნებით (ნევმებით).

მაგრამ ჯერ შევჩერდეთ ამ ძლისპირზე „სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს“, რომელმაც პირველად მიიქცია ჩვენი ყურადღება.

უნდა ითქვას, რომ ეს ლექსი—ძლისპირი ნამდვილი პოეტური შედეგია.

ავტორი ამ ლექსისა, რომელიც შენახულა X საუკუნის ხელნაწერში, არის, როგორც შემდეგ გამოირკვევა, VIII — IX საუკუნეთა განთქმული ქართველი მგოსანი გრიგოლ ხანძთელი (758 — 860 წ.წ.).

კერძოდ, გასაოცარია უცნაური შეხვედრა ჩვენი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილისა VIII — IX საუკუნეთა ამ ძველ-ქართველ ავტორთან.

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსი „ჩემი ლოცვა“ თითქოს დაწერილია მას შემდეგ, რაც მან გადაიკითხა გრიგოლ ხანძთელის ეს ძლისპირი „სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს“. ნ. ბარათაშვილის ლექსი თითქოს წარმოადგენს გრიგოლ ხანძთელის ლექსის პასუხს.

მკითხველს, რასაკვირველია, კარგად ახსოვს შემდეგი ადგილი ნ. ბარათაშვილის ლექსიდან „ჩემი ლოცვა“:

ცხოვრების წყაროვ, მასვ წმიდათა წყალთაგან შენთა,
დამანთქე მასში საღმობანი გულისა სენთა
არა დაპჭროლონ ნაესა ჩემსა ქართა ვნებისა,
არამედ მოეც მას საღგური მყუდროებისა!

გადავიკითხოთ ამის შემდეგ გრიგოლ ხანძთელის ლექსი.

რამდენი საერთო აქვს ნ. ბარათაშვილის ლექსს გრიგოლ ხანძთელის ლექსთან თავისი საერთო სულით!

აი თვით ეს ლექსი-ძლისპირი გრიგოლ ხანძთელისა.

ძ ლ ის პ ი რ ი

1	სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს	(7)
(სტროფი)	ლეღვითა ცოდვისაჲთა,	(7)
	საშინელად დამნთქამს მე,	(7)
	და მოვივლტი შენდა ნავთსაყუდლისა,	(11)
	და ესრეთ გიღალადებ:	(7)
	დანთქმისაგან მიქსენ მე ' —	(7)
	მრავალ-მოწყალე!	(5)



2	ქალწულო დროითალო.	(?)
(ანტიპატროფი)	რომელმან გვშეე სიტყუაჲ	(7)
	დაუსაბამოდ კორციო,	(7)
	დააცხრევენ ღელვანი განძვებულნი,	(11)
	გულის-სიტყუანი ჩემნი,	(7)
	და მოეც სულსა ჩემსა ' —	(7)
	სიწმიდღე საღმრთოჲ!	(5)

აღსანიშნავია, რომ გრიგოლ ხანძთელისა და ნ. ბარათაშვილის ლექსებს

აერთებს არა მარტო საერთო განწყობილება, არამედ აქ არის შეხვედრა თვით სახეებისა და ცალკე გამოთქმებისაც კი; ასე, შეადარეთ:

<p>გრიგოლ ხანძთელი:</p> <p>და მოვივლტი შენდა ნათესაყუდლისა...</p> <p>•</p> <p>ა-ფლისა ზღუაჲ აღძრულ ლეღითა ცოდვისაჲთა...</p> <p>•</p> <p>ჯანტქმისაგან მიქსენ მე, მრავალ-მოწყალე...</p> <p>•</p> <p>და მოეც სულსა ჩემსა სიწმიდღე საღმრთოა...</p>	<p>ნ. ბარათაშვილი:</p> <p>არამედ მოეც მას საღვური მყუდროებისა...</p> <p>•</p> <p>არა დაქროლონ ნაესა ჩემსა ქართა ვნებისა...</p> <p>•</p> <p>დაძანტქე მასში სალმობანი გულისა სენთა...</p> <p>•</p> <p>არამედ მოეც...</p>
--	--

ან-და შეადარეთ გრიგოლ ხანძთელის ლექსში: „დააცხრვენ ღელვანი განძვ-ნებულნი, გ უ ლ ი ს-ს ი ტ ყ უ ა ნ ი ჩემნი“ და ნ. ბარათაშვილისა: „... სალ-მობანი გ უ ლ ი ს ა სენთა“.

ნ. ბარათაშვილი, რასაკვირველია, არ იცნობდა X საუკუნის ხელნაწერში დამარბულს გრიგოლ ხანძთელის ძლისპირს. აქ ჩვენ გვაქვს კონვენიალური შეხვედრა ორი გენიოსი მგოსნისა.

მაგრამ დაეუბრუნდეთ კვლევის უშუალო საგანს, ძლისპირთა კრებულის ლექსთა ამ ქაშნიკის რაობის დადგენას.

გრიგოლ ხანძთელის ზემოთ-მოყვანილი ძლისპირის სტროფულ ერთეულში ჩვენ გვაქვს, როგორც ვნახეთ, შემდეგი ზომის ტაეპები, შემდეგის თანამიმდევ-რობით: 7-მარცვლედი, 7-მარცვლედი, 7-მარცვლედი, 11-მარცვლედი, ისევ 7-მარცვლედი და ბოლოს 12-მარცვლედი (რომელიც ბუნებრივი პროზოდით განიყოფება 7 და 5 მარცვლედებად).

ავილოთ ამის შემდეგ ჰიმნები, რომლებსაც თავში დართული აქვთ ზედწე-რილი: «სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს...».

ასეთია, მაგალითად, საგალობელი X საუკუნის ქართველი პოეტის იოვანე მტბევეარისა, გალობანი შობისანი, V გალობა (დაცულია მიქაელ მოდრეკილის კრებულში, გვ. 74).

ასეთია საგალობელი IX—X საუკუნის ანონიმი ავტორისა, წარწერით „ქარ-თულნი“, — გალობანი ნათელთანი, V გალობა (დაცულია მიქაელ მოდრეკილის კრებულში, გვ. 162—163).

და ჩვენ ვხედავთ, რომ ეს გალობანი, რომელთა თავში ჩვენ გვაქვს ეს ზედ-წერილი «სოფლისა ზღუამ აღძრულ არს...», დაწერილია ზუსტად იმავე საზომით, იმავე სტროფულ-ტაქტობრივი წყობით, როგორც ძლისპირი «სოფლისა ზღუამ აღძრულ არს...».

მოგვყავს ეს ტექსტები:

იოვანე მტბევეარი (X საუკ.)

გალობანი შობისანი

გ ა ლ ო ბ ა მ V

«სოფლისა ზღუამ აღძრულ არს...»

1	ესერა თვსთა თანა	(7)
(სტროფი)	მოვალს ქრისტჳ შეუფეამ	(7)
	სახლელულ ვეჰმნეთ ღირსად	(7)
	და შევიწყნაროთ სულითა გულსა შინა,	(11)
	რათა მოვიღოთ მისგან	(7)
	ნაყოფი სიშართლისამ,	(7)
	ვითარცა ღმერთ არს.	(5)
2	იესეს ძირისაგან	(7)
(ანტისტროფი)	მორჩი აღყუაგებული,	(7)
	სასოებამ წარმართთამ	(7)
	აღმოსცენდა, რომლისა ნაყოფითა	(11)
	განიკურნა სიმწარემ	(7)
	ხისა მის ცნობადისამ	(7)
	და მაცხოვნა ჩუნ.	(5)
3	საკრეელთა ცოდვისათა	(7)
(ანტისტროფი)	განახეთქს ღღეს მაცხოვარი	(7)
	შეკრული სახუეგლითა,	(7)
	და განამდიდრებს დაგლახაკებულთა	(11)
	იესუ სახიერი	(7)
	ნეთსით სიგლახაკითა,	(7)
	ვითარცა ღმერთ არს.	(5)
4	ღელვანი აშაონი	(7)
(ანტისტროფი)	გულის-სიტყუანი ჩემნი	(7)
	მკდომ შეჰმნეს მე უწყალოდ.	(7)
	აწ აღძრულნი მტერისა მიერ ზაკვთ.	(11)
	არამედ შენ, ქალწულო,	(7)
	მიმიძელუ მე მყუდროსა	(7)
	ნავთსაყუდელსა.	(5)

გალობანი ნათელაჲნი

გ ა ლ ო ბ ა ა V

«სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს...»

1	ტყავისა სამოსელსა	(7)
(სტროფი)	განიძარცუავს ღღეს ადამ	(7)
	იორდანესა შინა	(7)
	და შეიმოსს ნათლისა სამოსელსა	(11)
	საღმართთათა მით მადლითა	(7)
	სულისაგან და წყლისა	(7)
	განახლებულსა.	(5)
2	მდინარე მადლისაჲ და	(7)
(ანტისტროფი)	საშუებელი სულისაჲ	(7)
	მასუ ჩუნ ნათლის-ღებითა	(7)
	შენითა ღღეს, ძეო მხოლოდ შობილო,	(11)
	და განბანაჲ ცოდვათაჲ	(7)
	მომანიჲკე, სახიერ	(7)
	ნათლის-ღებითა.	(5)

...



«სეთივე სურათი გვაქვს ჩვენ ყველა ძლისპირებში გამოუკლებლივ. ყოველი ჰიმნოგრაფიული ლექსი, რომლის ზედწერილშიაც აღნიშნულია საზომის მაჩვენებელი (როგორც, მაგალითად, ზემოთ-მრეყანილ ტექსტებში—„სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს“), ზუსტად იმეორებს იმ სალექსო საზომს, იმ სტროფულ-ტაქტობრივ წყობას, რომელიც წარმოდგენილია ამავე სახელწოდების ძლისპირში (ე. ი. ძლისპირში, რომელიც იწყება ზედწერილში მითითებულ სიტყვებით).

საკითხი, ამრიგად, სავსებით ნათელია. ირკვევა, რომ კრებული «ძლისპირნი» — ეს არის სალექსო ჭაშნიკი, სალექსო საზომების კოდექსი (მუსიკალური კომპოზიციის დართვით).

6

ძველ-ქართული ჭაშნიკის — ძლისპირთა კრებულის — რედაქცია

მას შემდეგ, რაც დადგენილ იქმნა, რომ კრებული «ძლისპირნი» — ეს არის ჭაშნიკი, — კოდექსი სალექსო საზომებისა, ჩვენ შევისწავლეთ ამ ძეგლის ყველა ჩვენთვის ხელმისაწვდომი ხელნაწერები.

ჯერ კიდევ მანამდის, სანამ გამოირკვეოდა, რომ «ძლისპირნი» არის ჭაშნიკი, ჩვენ ვიცოდით, რომ ძეგლები, ამ სახელწოდებით «ძლისპირნი», არა

ერთი მოიპოვება ჩვენს სიძველეთ-საცავებში; ხოლო ერთი ასეთი ტექსტი ჩვენ ნახული გვქონდა სვანეთში (სოფელ იელში), 1931 წელს სვანეთში მოგზაურობის დროს. ჩვენ მივიღეთ ზომები, რათა სვანეთში დაცული ამ ხელნაწერი ტექსტის პირი მთლიანად (იგი ამჟამად მესტიის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში ჩამოტანილი აღმოჩნდა).

ამას გარდა, საქართველოს გარეთ, სინას მთისა და ათონის ძველ-ქართულ ხელნაწერთა კოლექციებში, აგრეთვე მოიპოვება ხელნაწერები, სადაც წარმოდგენილია «ძლისპირნი» (სულ ხუთი ხელნაწერი; ამათგან ოთხი, გადაწერილი X საუკუნეში, დაცულია სინას მთაზე: Sin. — 1, Sin. — 14, Sin. — 65 და Sin. — 34; ერთი, გადაწერილი X — XI საუკუნეთა საზღვარზე, დაცულია ათონზე: Ath. 47/85). მაგრამ ეს ხელნაწერები ჩვენთვის მიუწოდებელი იყო.

საქართველოში დაცული «ძლისპირთა» ხელნაწერები ქრონოლოგიურად და რედაქციულად შემდეგ ჯგუფებად ნაწილდება:

ა) ხელნაწერები X საუკუნისა:

A = იელის კრებული X საუკუნის დასასრულისა (ხელნაწერი ამჟამად დაცულია მესტიის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში);

B = მიქაელ მოდრეკილის კრებული 978 — 988 წლებისა (ხელნაწერი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში S — 425).

C = ალავერდული იორდანესული კრებული X საუკუნის დასასრულისა (ხელნაწერი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში A — 603).

ბ) ხელნაწერები XIII — XV საუკუნეთა:

d = აბუსერისძე ტბელის კრებული XIII საუკუნისა (ხელნაწერი დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში A — 85);

e = გელათური კრებული XIII საუკუნისა (ხელნაწერი დაცულია ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში K — 22);

f = კრებული 1480 — 1481 წლებისა (ხელნაწერი დაცულია ქუთაისის სამხარეთმცოდნეო მუზეუმში K — 564).

(ჩვენ აქ აღარ ჩამოვთვლით უფრო გვიან ხანის ხელნაწერებს, რომელთაც ქვემოთ-განსახილველი საკითხებისათვის არა აქვთ მნიშვნელობა).

ძლისპირთა კრებულები რედაქციულად სხვადასხვა მოცულობისაა. ძლისპირთა შეკრებისა და სისტემატიზაციის საქმეში დიდი მუშაობა გაუწევია კერძოდ X საუკუნის განთქმულ პოეტს მიქაელ მოდრეკილს.

ძლისპირთა კრებულის B დედანს (II რედაქცია) დართული აქვს მიქაელ მოდრეკილის შემდეგი ბოლოსიტყვაობა:

„შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელი იგი არა მიზუზი ყოვლისა კეთილჲაჲ, შე... მიქაელ მოდრეკილმან... ვილუაწე და ყოვლით კერძო შრომაჲ ვაჩუენე უზეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულსმოდგინედ ძიებათა შეკვრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით

კერძოვე, რომელიც ეპოვენ ენითა ქართველთადათა... სრულნი ყოვლითა განგებითა, და დაწერიეთა წმიდასა ამას შინა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და ქეშმარიტებითა, და ესრეტა გახეაწესე თავით თვისით, და უმჯობეს ვყავ უმეტრებითა სიგლახაკისა ჩემისადათა, რამეთუ ყოველსა კმასა პირველ უფალო-ღალატყავისა ძლისპირნი დაწერენ და შემდგომად გალობათანი... და ყოვლითურთ სრულ იქმნა მუშაკობაჲ ესე საღმრთოჲ ძალითა და შეწეენითა ყოვლად სახიერისა მხოლოდსა ღმრთისადათა...» (იხ. მიქაელ მოდრეკილის ხელნაწერი, გვ. 44).



გავეცნოთ ამის შემდეგ, თუ როგორია ძლისპირთა მოცულობა სხვადასხვანაირედაქციის კრებულებში.

თავდაპირველად საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ძლისპირები განიყოფება ორ წყებად:

ა) ძლისპირნი დიდი ფორმის საგალობელთა ანუ ძლისპირნი «გალობათა»;

ბ) ძლისპირნი მცირე ფორმის საგალობელთა ანუ ძლისპირნი-სტიქაროეთა (იგივე ძლისპირნი «უფალო-ღალატყავისა»).

ჩვენ აქ თავდაპირველად საუბარი გვექნება პირველ ჯგუფზე: ძლისპირნი «გალობათა» (დიდი ფორმის საგალობელთა).



ყველაზე სრული სახით «გალობათა» (დიდი ფორმის საგალობელთა) ძლისპირნი დაცულია C რედაქციაში (III რედაქციაში), რომელიც წარმოდგენილია ალავერდულ კრებულში და რომელიც X საუკუნის დასასრულს ეკუთვნის.

სულ C რედაქცია (III რედაქცია) შეიცავს «გალობათა» (დიდი ფორმის საგალობელთა) 893 ძლისპირს.

ირკვევა ამრიგად, რომ X საუკუნის დასასრულისათვის ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში ხმარებაში ყოფილა დიდი ფორმის «გალობათა» 893 საღმრთო ფორმა, სტროფულ-ტაქობრივი საზომი.

აქედან ჩვენ ვხედავთ, თუ რა მაღალი ღონისათვის მიუღწევია ჰიმნოგრაფიული პოეზიის განვითარებას ამ ეპოქისათვის. X საუკუნის დასასრულისათვის.



ძლისპირთა კრებულების შედარებითი ანალიზი და ხელნაწერთა რედაქციული ფილიაცია გვაძლევს საშუალებას დავანაწილოთ «გალობათა» (დიდი ფორმის საგალობელთა) ძლისპირები, ეპოქების მიხედვით,—ორ ჯგუფად:

პირველი (ძირითადი) ჯგუფი, — რომელიც შეიცავს 397 ძლისპირს;

მეორე, შემდგომი ხანის ჯგუფი, — რომელიც შეიცავს 495 ძლისპირს.

პირველი (ძირითადი) ჯგუფის ძლისპირნი შეადგენს X საუკუნის ყველა ხელნაწერების ძირითად ფენს, ხოლო განკერძოებით, შეურევენელი სახით იგი წარმოდგენილია A დედანში.

ეს პირველი ჯგუფის ძლისპირნი, როგორც ირკვევა, ძირითადში ეკუთვნის გრიგოლ ხანძთელს. სახელდობრ, როგორც ამის შესახებ დაწვრილებით შემდეგ

გვექნება საუბარი, გრიგოლ ხანძთელის დიდი ფორმის ჰიმნოგრაფიულ ძეგლებში, რომლებიც დაცულია მიქაელ მოდრეკილისა და გოლგოთურ კრებულებში, გამოყენებულია 310 სალექსო ფორმა (სტროფულ-ტაემობრივი საზომები), — რომლებიც ამ პირველი ჯგუფის ძლისპირებს უდგება. ამის მიხედვით ამ პირველი ჯგუფის 397 ძლისპირიდან ყოველ შემთხვევაში 310 ძლისპირი გრიგოლ ხანძთელისად არის მისაჩნევი.



გრიგოლ ხანძთელის ხანის შემდეგ, IX — X საუკუნეთა მანძილზე, ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში მრავალი ახალი საზომები შექმნილა.

X საუკუნის 70-იან/80-იან წლებში მიქაელ მოდრეკილს, როგორც აღვნიშნეთ, შეუგროვებია სალექსო საზომთა აღმნიშვნელი ყველა ძლისპირები, რომლებიც კი მისი დროისათვის არსებულა ქართულს ენაზე, მოუხდენია მათი სისტემატიზაცია და შეუტანია იგი ძლისპირთა თავის ახალ კრებულში. (მიქაელ მოდრეკილი, ძლისპირთა კრებულის ბოლოსიტყვაობაში, როგორც აღნიშნული გვექონდა, წერს: „... ვიღუაწე და ყოვლით კერძო შრომაჲ ვაჩუენე უზეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულსმოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა..., სრულნი ყოვლითა განგებითა, და დავწერენ წმიდასა ამას შინა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და ქეშმარიტებითა...“).

მიქაელ მოდრეკილის ეს ძლისპირთა კრებული ჩვენ დრომდე დაზიანებულად არის მიღწეული, მას აკლია ტექსტის დიდი ნაწილი, მაგრამ, როგორც ამას გვიჩვენებს მიქაელ მოდრეკილის კრებულის გადარჩენილი ნაწილის შეფარდება უფრო სრულად დაცულ C დედანთან, მიქაელის კრებულში უნდა ყოფილიყო სალექსო საზომთა აღმნიშვნელი 800-მდე ძლისპირი. ამრიგად გრიგოლ ხანძთელის შემდეგ ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში მიღებული სტროფულ-ტაემობრივი სალექსო საზომების რიცხვი ერთი ორად გაზრდილა.



მესამე, მიქაელ მოდრეკილის ხანის მომდევნო რედაქცია ძლისპირთა კრებულისა წარმოდგენილია C დედანში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, X საუკუნის დასასრულს ეკუთვნის.

C დედანში შეტანილია ყველა ის ძლისპირები, რომლებიც ჩვენ გვაქვს მიქაელ მოდრეკილის კრებულში, და ამის დამატებით აქ წარმოდგენილია კიდევ ახალნი ძლისპირნი. სულ C დედანში, მიქაელ მოდრეკილის კრებულის მოღწეულ ნაწილთან შედარებით, შეტანილია 43 ახალი ძლისპირი. (დაახლოებით ამდენივე ახალი ძლისპირი უნდა გვექონოდა აგრეთვე კრებულის იმ ნაწილში, რომლის შესაფარდი ნაწილი მიქაელის ხელნაწერს აკლია დაზიანების გამო):

სულ ძლისპირთა კრებულის C რედაქციაში (III რედაქციაში) წარმოდგენილია, როგორც მოხსენებული გვექონდა, დიდი ფორმის საგალობელთა («გალობათა») სალექსო საზომების აღმნიშვნელი 893 ძლისპირი.

ჩვენ აქამდე ვეხებოდით ძლისპირთა პირველ ჯგუფს, რომლებიც გადმო-
გვცემენ დიდი ფორმის საგალობელთა (ე. ი. «გალობათა») სალექსო საზომებს.

გადავიდეთ ამის შემდეგ მეორე ჯგუფზე, რომელსაც წარმოადგენენ მცირე
ფორმის საგალობელთა ანუ სტიქარონთა ძლისპირნი (იგივე
„უფალო-ღალადყავისა“ ძლისპირნი).

თუ როგორი იყო ძლისპირთა ამ მეორე ჯგუფის მოცულობა VIII — X
საუკუნეებში, ამის შესახებ ჩვენ ძალზე ნაკლები ცნობები მოგვეპოვება.

საქმე ის არის, რომ X საუკუნის ხელნაწერებში სტიქარონთა ძლისპირნი
ცოტა მოღწეულა. A დედანში სტიქარონთა ძლისპირნი შეტანილი არაა. C
დედანს აკლია პირველი ნაწილი (19 რვეული), სადაც მოთავსებული ყოფილა
სტიქარონთა ძლისპირნი. რაც შეეხება B დედანს (მიქაელ მოდრეკილის კრე-
ბულს), აქ თუმცა წარმოდგენილია სტიქარონთა ძლისპირნი, მაგრამ მცირე
რაოდენობით, რადგან მიქაელის კრებულში განსაკუთრებით დაზიანებულად
არის მიღწეული სწორედ ის ნაწილები, რომლებიც სტიქარონთა ძლისპირებს
შეიცავდა.

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის სტიქარონთა ძლისპირნი შენა-
ხულა XIII — XV საუკუნეთა დედნებში, ე. ი. d, e და f დედნებში.

XIII — XV საუკუნეთა ამ დედნების შესწავლიდან ირკვევა ორი რამ:

ა) სტიქარონთა ძლისპირნი, მოთავსებულნი ამ დედნებში, მომდინარეობენ
VIII — X საუკუნეთა კრებულებიდან. (ეს მტკიცდება იმის მიხედვით, რომ ამ
ძლისპირთა მიმდგომი სალექსო საზომები ჩვენ გვხვდება ადრევე, ამ საზომე-
ბით არის დაწერილი სტიქარონები, რომლებიც შეტანილია ჰიმნოგრაფიულ
ძეგლთა უძველეს ხელნაწერებში, — მიქაელის კრებულში, ერუშენულ კრე-
ბულში, იელურ კრებულში, წვირბულ კრებულში და სხვ.)

ბ) XIII — XV საუკუნეთა დასახელებულ დედნებში ჩვენ გვაქვს არა
სრული კრებული ძლისპირებისა, არამედ გამონაკრები ძლისპირთა სრული კრე-
ბულებიდან. (ამას ადასტურებს ორი რამ: 1. მეათე საუკუნის ხელნაწერებში
ჩვენ გვაქვს დიდი რაოდენობა, მთელი წყება სტიქარონებისა, რომელთა სა-
ლექსო საზომების აღმნიშვნელი ძლისპირები XIII — XV საუკუნეთა ამ დედ-
ნებში წარმოდგენილი არაა; 2. რომ XIII — XV საუკუნეთა ეს დედნები საერ-
თოდ გამონაკრებს წარმოადგენენ და არა სრულს კრებულებს, ეს დასტურდება
იმის მიხედვითაც, რომ აქ ძლისპირთა პირველი ჯგუფიც, — ე. ი. «გალობათა»
ძლისპირები, — ასევე გამონაკრების სახით არის წარმოდგენილი).

სულ XIII — XV საუკუნეთა დასახელებულ ხელნაწერებში, ე. ი. d, e და f
დედნებში, შეტანილია საერთო რიცხვით 244 ძლისპირი სტიქარონთა სალექსო
საზომებისა.

რაც შეეხება მიქაელ მოდრეკილის ძლისპირთა კრებულის იმ ნაწილს, რო-
მელიც ჩვენ დრომდე გადაჩენილია, აქ მოღწეულა სტიქარონთა სალექსო საზო-
მების აღმნიშვნელი 48 ძლისპირი.

(თუ რამდენად არა სრულად არის წარმოდგენილი ძლისპირები XIII — XV
საუკუნეთა d, e და f დედნებში, ჩანს, კერძოდ, იმის მიხედვითაც, რომ მიქაელ
მოდრეკილის კრებულში დაცულ სტიქარონთა 48 ძლისპირიდან XIII — XV

საუკუნეთა დედნებში შეტანილია მხოლოდ 4 ძლისპირი, ხოლო დანარჩენი 44 სტიქარონი ამ გამონაკრები სახის დედნებში აღარ მოხვედრილა).

სულ ამრიგად XIII — XV საუკუნეთა d, e და f დედნებში და მიქაელ მოდრეკილის ძლისპირთა კრებულის გადარჩენილ ნაწილში საერთო რიცხვით მოღწეულა 324 ძლისპირი, აღმნიშვნელი სტიქარონთა სტროფულ-ტაეპობრივი საზომებისა.

ჩვენ ამით ვამთავრებთ ამ წინასწარ საუბარს ძველ-ქართულ ჭაშნიკის — ძლისპირთა კრებულების შედგენილობის შესახებ.

მოგვყავს ამის შემდეგ ცხრილები, სადაც წარმოდგენილია ნუსხა (აღრიცხვა) დიდი ფორმის საგალობელთა («გალობათა») ძლისპირებისა X საუკუნის ხელნაწერების, A, B და C დედნების მიხედვით.

(იხ. ცხრილები 623—630 გვერდებზე).

7

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ძეგლთა
სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომების მიმოხილვა.

გადავდივართ ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ძეგლთა სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომების მიმოხილვაზე, საზომებისა, რომელთა სახეობანი განსაზღვრულია ძველ-ქართულს სალექსო ჭაშნიკში, კრებულში «ძლისპირნი».

როგორც აღნიშნული გვექონდა, ძლისპირთა კრებულებში ფიქსირებულია დიდი ფორმის საგალობელთათვის (ე. ი. „გალობათათვის“) 893 სტროფულ-ტაეპობრივი საზომი, ხოლო მცირე ფორმის საგალობელთათვის (სტიქარონთათვის) 324 სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომი.

რასაკვირველია, ჩვენ აქ არ გვაქვს საშუალება შევეხოთ მთელის მოცულობით ყველა ამ საზომებს.

მაგრამ, რამდენადაც ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის სალექსო საზომები სავსებით უცნობ სამყაროს წარმოადგენს და ძირითადად მხოლოდ ამჟამად ხდება ცნობილი, — ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ ფართოდ წარმოგვედგინა აქ ცნობები ამ საზომთა შესახებ, და ამასთან ერთად გავცნობოდით ამ საზომით შესრულებულს ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის სხვადასხვა ნიმუშებს.

ქვემოთ, ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომები ასეთის თანრიგით გვექნება განხილული: პირველ რიგში ჩვენ წარმოვადგენთ ცნობებს დიდი ფორმის ნაწარმოებთა („გალობათა“) საზომების შესახებ, შემდეგ მცირე ფორმის საგალობელთა (სტიქარონთა) საზომების შესახებ.

(გაგრძელება იხ. 631 გვ.)

ძველ-ქართული «ბაზნიკი»
ძლისპირნი

• • •

ძლისპირნი ღიღი ფორმის საბალობელთა («ბალობათა»)

ნუსხა (აღრიცხვა) ძლისპირებისა

X საუკუნის ხელნაწერების — A, B და C დედნების მიხედვით.

აღნუსხვის წესი, შემოკლებანი და პირობითი ნიშნები:

არაბული ციფრებით აღნუსხულია ძლისპირები იმ თანამიმდევრობით, როგორც ძლისპირნი წარმოდგენილია ყველაზე სრულ კრებულში — C დედანში (ალავერდულ იორდანესეულ კრებულში). ვარიანტული სხვაობანი A — დედნისა (იელური კრებულისა) და B — დედნისა (მიქაელ მორდგეილის კრებულისა) აღნაშენულია ცხრილების ბოლოში დართულ შენიშვნებში.

ძლისპირნი განიყოფება ორ მთავარ ჯგუფად:

ა. პირველი (ძირითადი) ჯგუფი — ძლისპირთა პირველადი ფენი, წარმოდგენილი დედნეზში A, B და C.

ბ. მეორე ჯგუფი — ძლისპირთა მეორადი ფენი, წარმოდგენილი მხოლოდ B და C დედნებში.

✱

ძლისპირთა პირველი (ძირითადი) ჯგუფი:

ოთხკუთხედში □ ჩანს ნომრები იმ ძლისპირთა, რომელთა საზომებით დაწერილია ვრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარის საგალობელი (სახელდობრ ის ნაწილი საგალობელთა, რომლებიც მოღწეულა მიქაელ მორდგეილის კრებულსა და გოლგოთურ კრებულში).

✱

ძლისპირთა მეორე ჯგუფი:

უ = ძლისპირნი — სახელწოდებით „უცხონი“.

მ. = ძლისპირნი — სახელწოდებით „მორთულნი“ („სპადუქნი“).

* = ძლისპირნი ვარსკვლავიანნი (C დედნის ჩვენებით).

პ — ა — ქართ. = ძლისპირნი „პასექთაჲ“, ა, ზედწერილით „ქართულნი“.

პ — ბ — ქართ. = პასექთაჲ ბ, ქართულნი (ძლისპირნი, რომელთა საზომებით დაწერილია მიქაელ მორდგეილის საგალობელი აღსევისანი რვა-ქმანი).

მ/პ — ბ — ქართ. (მინჲ.-თ) = მორთულნი (სპადუქნი), პასექთაჲ ბ ქართულნი (ივანე მინჩხის თვით-ძლისპირნი).

პ — ბ — ქართ. (მიქ.-თ.) = პასექთაჲ ბ ქართულნი (მიქაელ მორდგეილის თვით-ძლისპირნი).

ქართ. = ძლისპირნი უსახელონი, წარწერით «ქართულნი» (= ქჷ), მიქაელ მორდგეილის კრებულს აღნიშვნით.

მერჩ. = გიორგი მერჩულის თვით-ძლისპირნი ქართულნი.

ახ = ახალნი, ძლისპირნი, რომელნიც მხოლოდ C დედანში მოიპოვება (არაა B-ში და A-ში).

იამბ. = იამბიკონნი (ორივე ჯგუფში).

შენიშვნა.

ძლისპირთა კრებულებში გალობათა ძლისპირები დალაგებულია შემდეგის თანრიგით, „ხმების“ თანამიმდევრობით: ხმა I, II, III, IV, V, VI, VII, VIII.

ყოველ ხმაში აღნუსხულია გალობანი; I, I-ა, II, III, IV, V, VI, VII, VIII.

ბალ- ბანი	ძლისპირთა პირველი (ძირითადი) ჯგუფი	ძლისპირთა მეორე ჯგუფი
I	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6; 7	უ—8; *9; 10; 11; კ—ა—ქართ.—12; 13; მ/პ—ბ—ქართ.—14.
I—ა		*1; 2; *3; 4; *5; 6; *7; მ/პ—ბ—ქართ.— 8; *9.
II	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6;	*7; უ—*8; 9; კ—ა—ქართ.—*10; *11; მ/პ—ბ—ქართ.—*12.
III	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6; 7;	8; 9; უ—*10; 11; 12; კ—ა—ქართ.—13; მ/პ—ბ—ქართ.—14; *15.
IV	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6; 7;	უ—*8; *9; *10; მ/პ—ბ—ქართ.— 11; 12.
V	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6; 7 7; 8;	უ—*9; *10; 11; კ—ა—ქართ.—11ა); მ/პ—ბ—ქართ.—*12.
VI	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4; 5 ; 6;	*7; 8; უ—9; 10; 11; 12; კ—ა—ქართ.—13; მ/პ—ბ—ქართ.—14.
VII	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6; 7; 8;	9; 10; უ—11; კ—ა—ქართ.—11; მ/პ—ბ—ქართ.—12.
VIII	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6; 7; 8;	9; უ—10; 11; 12; 13; კ.—ა—ქართ.—14; მ.პ—ბ—ქართ.—15.

II ხმა

I	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4; 5; 6 ; 7 ; 8 ;	9; უ—10; კ—ბ—ქართ.—11.
I—ა		1; 2; 3; კ—ბ—ქართ.—4; *4a; 4b.
II	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5; 6 ;	7; 8; 9; უ—10; კ—ბ—ქართ.—10a; 10b.
III	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5;	6; უ—*7; *8; 9; *10; *11; *12; კ—ბ—ქართ.—12 a.
IV	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5; 6; 7; 8; 9;	10; 11; 12; *12 a; კ—ბ—ქართ.—12 b.
V	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6 ;	7; *8; უ—*9; 10; 11; კ—ბ—ქართ. 11 a.
VI	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5; 6 ;	უ—7; *8; *9; *10; კ—ბ—ქართ.—11.
VII	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5; 6; 7 ; 8; 9; 10 ;	11; უ—12; 13; 14; 15; 16; *17; 18; კ—ბ—ქართ.—19.
VIII	1 (იაზბ.) ; 2 ; 3 ; 4 ; 5; 6; 7; 8; 9 ; 10; 11;	უ—*12; 13; 14; 15; *16; 17; *18; 19—25; 25a; 25b.

გალობანი	ძლისპირთა პირველი (ძირითადი) ჯგუფი	ძლისპირთა მეორე ჯგუფი
I	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; 4;	მერხ.—თ.—ქართ.—*5; *6; *7; *8; პ—ბ—ქართ.—9 (იაშბ.); 9a; 9b.
I—ა		პ—ბ—ქართ.—1 (იაშბ.); 2; *3; 4; *5; *6; 7; 7a; 7b.
II	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; 4;	5; მერხ.—თ.—ქართ.—*6; *7; პ—ბ— ქართ.* 8 (იაშბ.); 8a; 8b.
III	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; 3; $\boxed{4}$;	5; 6; *7; მერხ.—თ.—ქართ.—*8; პ—ბ— ქართ.—9 (იაშბ.); 9a.
IV	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; 4;	5; 6; 7; მერხ.—თ.—ქართ.—*8; პ—ბ— ქართ. (იაშბ.); 9a.
V	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; 4;	5; *6; *7; მერხ.—თ.—*8; პ—ბ—ქართ.—9 (იაშბ.).
VI	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; 4;	*5; მერხ.—თ.—ქართ.—*6; პ—ბ— ქართ.*7 (იაშბ.)
VII	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; 4;	*5; უ—6; *7; 8; 9; მერხ.—თ.—ქართ.— *10; 11; 12; 12a; პ—ბ—ქართ.—12b (იაშბ.).
VIII	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; 4;	უ—*5; 6; *7; მერხ.—თ.—ქართ.—*8; *9; *10; პ—ბ—ქართ.—11 (იაშბ.); 12; 13; *14; 15—21; 21a; 21b.

IV ხმა

I	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; $\boxed{4}$; $\boxed{5}$; $\boxed{6}$; $\boxed{7}$; $\boxed{8}$; $\boxed{9}$; 10;	იაშბ.—*11; *12; *13; 14; *15; პ—ბ— ქართ.—16 (მიქ.—თ.)
I—ა		1; 2; 3; 4; იაშბ.—*5; *6; *7; *8; *9; *10; 11; *12; 13; 14; *15; პ—ბ— ქართ.—16 (მიქ.—თ.); 17.
II	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; $\boxed{4}$; $\boxed{5}$; $\boxed{6}$; $\boxed{7}$; $\boxed{8}$; $\boxed{9}$;	იაშბ.—10; *11; 12; 13; *14; 15; პ—ბ— ქართ.—16 (მიქ.—თ.)
III	ა—1; $\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; $\boxed{4}$; $\boxed{5}$; $\boxed{6}$; $\boxed{7}$; $\boxed{8}$; 9; $\boxed{10}$; $\boxed{11}$;	იაშბ.—12; 13; უ—14; 15; 16; პ—ბ— ქართ.—17 (მიქ.—თ.)
IV	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; $\boxed{4}$; $\boxed{5}$; $\boxed{6}$; $\boxed{7}$; 8; $\boxed{9}$; 10; $\boxed{11}$;	იაშბ.—12; 13; უ—*14; 15; 16; პ—ბ— ქართ.—17 (მიქ.—თ.)
V	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; $\boxed{4}$; $\boxed{5}$; $\boxed{6}$; $\boxed{7}$; $\boxed{8}$;	იაშბ.—9; 10; *11; *12; 13; უ—14; 15; პ—ბ—ქართ.—16 (მიქ.—თ.)
VI	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; $\boxed{4}$; $\boxed{5}$; 6; $\boxed{7}$; $\boxed{8}$; $\boxed{9}$;	იაშბ.—*10; 11; 12; უ—13; 14; 15; 16 *17; 18; 19; 20; პ—ბ—ქართ.—21 (მიქ.—თ.)
VII	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; $\boxed{4}$; 5; $\boxed{6}$; $\boxed{7}$; $\boxed{8}$; 9; $\boxed{10}$; $\boxed{11}$;	იაშბ.—*12; 13; 14; 15; *16; 17; 18; 19; პ—ბ—ქართ.—20 (მიქ.—თ.)
VIII	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; $\boxed{4}$; $\boxed{5}$; 6; $\boxed{7}$; $\boxed{8}$; $\boxed{9}$; $\boxed{10}$; $\boxed{11}$;	*12; 13; იაშბ.—14; 15; 16; 17; *18; *19; 20; 21; *22; *23. *24; 25; *26; პ—ბ—ქართ.—27 (მიქ.—თ.)

გალობანი	ძლისპირთა პირველი (ძირითადი) ჯგუფი	ძლისპირთა მეორე ჯგუფი
I	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; 3; 4;	5; *6; პ—ბ—ქართ.—*7.
I—ა		*1; 2; *3; პ—ბ—ქართ.—*4; *5.
II	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; 3; 4;	*5; უ—*6; პ—ბ—ქართ.—*7.
III	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; 3; 4;	უ—*5; 6; პ—ბ—ქართ.—*7.
IV	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; 3; 4;	*5; 6; პ—ბ—ქართ.—*7.
V	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; 4; 5;	6; 7; პ—ბ—ქართ.—8; *9.
VI	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; 3; 4;	5; 6; პ—ბ—ქართ.—*7.
VII	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; 3; 4;	*5; 6; 7; პ—ბ—ქართ.—8.
VIII	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; 3; 4; 4-ა;	5; *6; 7; *8; *9; 10; პ—ბ—ქართ.—*11; 12—18.

I	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; 4;	5; 6; პ—ბ—ქართ.—*7.
I—ა		1; 2; პ—ბ—ქართ.—3; *4; *5.
II	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; 4;	უ—5; პ—ბ—ქართ.—*6; ქართ.—7.
III	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$;	4; უ—*5; პ—ბ—ქართ.—*6; ქართ.—7.
IV	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$;	4; 5; უ—6; პ—ბ—ქართ.—*7.
V	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; 3; $\boxed{4}$;	*5; უ/—პ—ბ—ქართ.—*6; ქართ.—7.
VI	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; $\boxed{3}$; 4;	5; უ—6; პ—ბ—ქართ.—7.
VII	$\boxed{1}$; $\boxed{2}$; 3; $\boxed{4}$;	5; 6; უ—*7; 8; *9; 10; პ—ბ—ქართ.—11.
VIII	$\boxed{1}$; 2; $\boxed{3}$; $\boxed{4}$;	5; 6; პ—ბ—ქართ.—*7; უ—8; 9; *10.

ვალობანი	ძლისპირთა პირველი (ძირითადი) ჯგუფი	ძლისპირთა მეორე ჯგუფი
I	1 ; 2 ; 3; 4 ;	მ/პ-ბ-ქართ.—*5 (მინხ.—თ); 6; 7; *8; 9; *10; 11.
I-ა		1; 2; მ/პ-ბ-ქართ.—*3 (მინხ.—თ.); *4; *5; *6.
II	1 ; 2 ; 3 ; 4 ;	მ პ-ბ-ქართ.—5 (მინხ.—თ.); *6; 7; 8; 9; 10.
III	1 ; 2 ; 3 ; 4 ;	მ/პ-ბ-ქართ.—5 (მინხ.—თ.); *6; 7; 8; 9; 10.
IV	1 ; 2; 3 ; 4; 5 ;	მ/პ-ბ-ქართ.—6 (მინხ.—თ.); *7; 8; 9.
V	1 ; 2 ; 3; 4 ; 5 ;	მ/პ-ბ-ქართ.—6 (მინხ.—თ.); 7; 8.
VI	1 ; 2; 3 ; 4 ; 5;	მ/პ-ბ-ქართ.—*6 (მინხ.—თ.); *7; 8; 9.
VII	1 ; 2 ; 3 ; 4 ;	მ/პ-ბ-ქართ.—*5; (მინხ.—თ.); 6; 7.
VIII	1 ; 2 ; 3; 4 ;	მ.პ-ბ-ქართ.—5 (მინხ.—თ.); *6; 7; 8; 9; *10.

VIII ხმა

I	1 ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6 ; 7 ; 8 ; 9;	უ—10; 11; *12; 13; 14; პ-ბ-ქართ.—15; ახ.—16.
I-ა		ქართ.—1; ახ.—2; ქართ.—3; ქართ.—4; ქართ.—5; ახ.—6; ქართ.—7; ქართ.—8; პ-ბ-ქართ.—*9; ახ.—10; ახ.—*11; ახ.—12—19.
II	1 ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6 ; 7 ;	*8; 9; *10; ქართ.—*11; პ-ბ-ქართ.—12.
III	1 ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6 ; 7 ;	მ-8; 9; 10; *11; პ-ბ-ქართ.—12.
IV	1 ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6 ; 7 ;	მ-8; ახ.—9; 10; პ-ბ ქართ.—11; 12; ახ.—13; 14; ახ.—15.
V	1 ; 2; 3 ; 4 ; 5 ; 6 ; 7 ; 8 ; 8-ა 9 ; 10;	11; 12; ქართ.—13; პ-ბ-ქართ.—14; ახ.—15.
VI	1 ; 2 ; 3 ; 4 ; 5 ; 6 ; 7 ; 8 ; 2/9;	*10; 11; პ-ბ-ქართ.—12; ახ.—13; ახ.—14.
VII	1 ; 2 ; 3 ; 4 5 ; 7 ; 8 ; 9;	10; 11; *12; პ-ბ — ქართ. — 13; ახ. — *14; ახ.—15—20.
VIII	1 ; 2 ; 3; 4 ; 5 6; 7 ; 8; 9 ; 10 ;	ახ.—11; 12; *13; 14; 15; ახ.—*16; ახ.—*17; *18; ახ.—19; ახ.—20; 21; პ-ბ-ქართ.—22; ახ.—*23; ახ.—24—28; ახ.—*29; ახ.—30—33.

ძ ლ ი ს პ ი რ თ ა C დ ე დ ნ ის ტ ე ქ ს ტ ის შ ე ს ა ხ ე ბ .

ძლისპირთა აღნუსხვას ჩვენ საფუძვლად დაედეთ C-დედანი, რადგან იგი, როგორც შოვისხენეთ, წარმოდგენს ძლისპირთა ყველაზე სრულ კრებულს.

C დედანს აკლია დეფექტობის გამო ნაწილი I და II ხმებისა, სახელდობრ I ხმის VI გალობის ბოლო (მე-7 ძლისპირის შემდეგ), VII — VIII გალობანი და II ხმის I — III გალობანი.

ძლისპირთა ნუსხა იმ ნაწილში, რომელიც აკლია C დედანს, აღდგენილი გვაქვს შემდეგი წყაროების მიხედვით:

ა) ძლისპირთა პირველი (ძირითადი) ჯგუფი აღდგენილი გვაქვს A დედნის ტექსტის თანახმად;

ბ) ძლისპირთა მეორე ჯგუფი აღდგენილი გვაქვს:

ა) I ხმის VI გალობის ბოლო ძლისპირნი №№ 8 — 14) და I ხმის VIII გალობის ძლისპირნი №№ 10 — 15 აღდგენილი გვაქვს B დედნის მიხედვით. (დანარჩენი ტექსტი აკლია B დედანსაც დეფექტობის გამო).

ბ) XIII — XV საუკუნეთა ძლისპირთა კრებულების (d, e, f დედნების) მიხედვით აღდგენილი გვაქვს: I ხმის VII გალობის ძლისპირნი №№ 9, 10; II ხმის I გალობის ძლისპირნი № 9, I-ა გალობის ძლისპირნი №№ 1—4, IV გალობის ძლისპირნი №№ 8, 9.

გ) ძლისპირნი I ხმის VII გალობის №№ 11, 12, II ხმის I გალობის №№ 10, 11, I-ა გალობის № 4 და II გალობის № 10 აღდგენილი გვაქვს B და C დედნების საერთო სტრუქტურის მიხედვით. აქედან 3. — 8. — ქართ.-ის ჯგუფის ძლისპირთა მიმდგომი საგალობლები შენახულა მიქაელ მორდრეკილის კრებულში (იხ. მიქაელის საგალობელნი აღესებისანი რეაქმანი, გალობანი I და II ხმისა).

დ) ძლისპირნი II ხმის I-ა გალობისა №№ 4a და 4b და II გალობის №№ 10a, 10b — დაეულია C დედნის დამატებაში.

ღ ა ნ ა რ ჩ ე ნ ი შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი C დ ე დ ნ ის ტ ე ქ ს ტ ის შ ე ს ა ხ ე ბ

ა) I ხმის III გალობის ძლისპირი № 15 C დედანში მიწერილია არშიაზე.

ბ) I ხმის V გალობის ძლისპირი № 11a აკლია C დედანს. დაეულია B დედანში.

გ) ძლისპირები IV ხმის III გალობისა № a-1 და VIII ხმის V გალობისა № 8-ა აკლია C დედანს. დაეულია A დედანში. (ამ საზომით დაწერილი საგალობლები არის აგრეთვე მიქაელ მორდრეკილის კრებულში).

დ) ძლისპირი VI ხმის VII გალობისა № 10-ა აკლია C დედანს. აღდგენილი გვაქვს VI ხმის ძლისპირთა შედგენილობის საერთო სტრუქტურის მიხედვით. (ამ საზომით დაწერილი საგალობლები არის მიქაელ მორდრეკილის კრებულში, — იხ. მიქაელის საგალობელნი აღესებისანი რეაქმანი, გალობანი VI ხმისა).

ე) C დედანი, შედარებით ზემოთ-დაბეჭდილ ცხრილებთან, თანრიგის შემდეგ სხვაობას წარმოგვიდგენს:

I ხმის	IV გალობის	ძლისპირი	№ 7	გადასმულია № *9-ის შემდეგ;
I-ა	VI	"	№ 6	№ *7-ის "
II	VIII	"	№ 11	№ *12-ის "
III	VII	"	№ 4	№ *5-ის "
IV	V	"	№ 8	№ *12-ის "
V	IV	"	№ 5	№ *7-ის "
VII	VII	"	№ 3	№ 7-ის "
VIII	VIII	"	№ ახ.-11	№ 9-ის "

ძლისპირთა B დედნის ტექსტის შესახებ

ძლისპირთა B დედანი, რომელიც წარმოდგენილია მიქაელ მორდრეკელის კრებულში, დაცულია, როგორც მოვიხსენეთ, დეფექტურად; მას აკლია ტექსტის მეტი ნაწილი.

სულ B დედანში შენახულა შემდეგნი ძლისპირნი, რომლებიც ამ კრებულში დალაგებულია ქვემოთ აღნიშნული თანრიგით:

I ხმა: I გალობა №№ 1 — 8 (შემდეგ აკლია დეფექტობის გამო). — V გალობა №№ 1 — 10; 11ა; 12. — VI გალობა: №№ 1 — 14. — VIII გალობა (თავი აკლია დეფექტობის გამო) — №№ 10 — 15.

მთლიანად აკლია ხმები: II, III, IV, V, VI ხმის I გალობა.

VI ხმა: I-ა გალობა (თავი აკლია დეფექტობის გამო) — №№ 4, 5. — II გალობა: №№ 1, 3, 2, 4 — 7. — III გალობა: №№ 1, 3, 4, 2, 5 — 7. — IV გალობა: №№ 1, 3, 2, 4, 5 — 7. — V გალობა: №№ 1 — 7. — VI გალობა: №№ 1, 2 (შემდეგ აკლია დეფექტობის გამო). — VIII გალობა (თავი აკლია დეფექტობის გამო) — №№ 6, 8 — 10, 7.

VII ხმა: I გალობა (აკლია დეფექტობის გამო); I-ა გალობა (თავი აკლია დეფექტობის გამო) — № 5. — II გალობა: №№ 1 — 4, 6 — 10, 5. — III გალობა: №№ 1, 2, 4, 3, 6 — 9, 5. — IV გალობა: №№ 1, 3 — 5, 2, 7 — 9, 6. — V გალობა: №№ 1, 2, 4, 3, 5, 7, 8, 6. — VI გალობა: №№ 1, 3 — 5, 2, 7 — 9, 6. — VII გალობა: №№ 1 — 3 (შემდეგ აკლია დეფექტობის გამო).

VIII ხმა: I გალობა: №№ 1 — 15. — I-ა გალობა: №№ 1, 3 — 5, 7 — 9. — II გალობა: №№ 1, 3 — 7, 2, 8 — 12. — III გალობა: №№ 1, 5, 2, 6, 4, 3, 7 — 12. — IV გალობა: №№ 1, 3, 5, 4, 6, 7, 2, 8, 10 — 12, 14. — V გალობა: №№ 1, 3 — 10, 2, 11 — 14. — VI გალობა: №№ 1 — 8, 2/9, 10 — 12. — VII გალობა: №№ 1 — 6, 8, 7, 9 — 13. — VIII გალობა: №№ 1, 5 — 7, 4, 8, 2, 3, 10, 9, 13, 12, 14, 15, 21, 18, 22.

B დედანში აღნიშვნა „ქართული“ (= „ქ“) მოწერილი აქვს მეორე ჯგუფის შემდეგი წყების ძლისპირებს:

წყება 3-ბ-ქართ: ძლისპირნი I ხმის V გალობისა № 11 ა; VI გალობისა № 13; VIII გალობისა № 14.

წყება 3-ბ-ქართ: ძლისპირნი I ხმის V გალობისა № 12; V გალობისა № 14; VIII გალობისა № 15. — VI ხმის II გალობისა № 6; III გალობისა № 6; IV გალობისა № 7; V გალობისა № 6; VIII გალობისა № 7. — VII ხმის III გალობისა № 5; IV გალობისა № 6; V გალობისა № 6; VI გალობისა № 6. — VIII ხმის I-ა გალობისა № 9; II გალობისა № 12; III გალობისა № 12; IV გალობისა № 11; V გალობისა № 14; VI გალობისა № 12; VII გალობისა № 13, VIII გალობისა № 17.

წყება უსახელონი „ქართ“ (= „ქ.“): ძლისპირნი VI ხმის II გალობისა № 7; III გალობისა № 7; V გალობისა № 7. — VIII ხმის I-ა გალობისა №№ 1, 3, 4, 5, 7, 8; II გალობისა № 11.

მიქაელ მორდრეკელის კრებულის VI განყოფილებაში გიორგი მერჩულის აღვსების საგალობლებს III ხმისა აქვს ზედწერილი: „ქართულნი, ძლისპირითურთ“ (იხ. გვ. 418). მისი მიმდგომი ძლისპირებია: III ხმის I გალობისა № 5, II გალობისა № 6, III გალობისა № 8, IV გალობისა № 8, V გალობისა № 8, VI გალობისა № 6, VII გალობისა № 10, VIII გალობისა № 8.

ძლისპირთა A დედნის ტექსტის შესახებ

ძლისპირთა A დედანში (იელის ხელნაწერში) დაცულია, როგორც აღნიშნული გვქონდა, ძლისპირთა კრებულის უძველესი სახე, სახელდობრ ამ კრებულში შეტანილია ძველი ძლისპირნი. — ძლისპირთა პირველი (ძირითადი) ჯგუფი.

დროთა მანძილზე ამ კრებულს, შედგენილობის მხრით, მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებანი განუცდია:

ა) დამატებულია მეორე ჯგუფის ძლისპირთაგან 4 ძლისპირი:

1) I ხმის II გალობის ძლისპირი № 7 (დამატებულია ბოლოში);

2) II ხმის V გალობის ძლისპირი № 8 (დამატებულია ბოლოში);

3) III ხმის VII გალობის ძლისპირი № 4 (დამატებულია შუაში, ასეთ თანრიგში: 1, 2, 4, * 5, 3.

4) IV ხმის VIII გალობის ძლისპირი № 14 (იაშბ.), დამატებულია ბოლოში.

ბ) აკლია პირველი ჯგუფის ძლისპირთაგან 12 ძლისპირი:

II ხმისა: V გალობისა № 4; VII გალობის № 9; VIII გალობის № 7.

III ხმისა: IV გალობის № 2.

IV ხმისა: III გალობის № 3; III გალობის № 9; V გალობის № 8.

V ხმისა: IV გალობის № 5.

VII ხმისა: IV გალობის № 2; V გალობის № 3; VI გალობის № 2.

VIII ხმისა: VIII გალობის № 9.

დასასრულ აღენიშნავთ, რომ ძლისპირთა თანრიგი A დედანში განსხვავდება C დედნის თანრიგისაგან.

სახელდობრ A დედანი, შეფარდებით ზემოთ-დაბეჭდილ ცხრილებთან, შემდეგ სხვაობას წარმოგიდგენს თანრიგის მიხედვით:

I ხმა: I გალობა, №№ 1, 2, 4, 3, 5 — 7.

II ხმა: V გალობა, №№ 1—3, 5, 8, 6.—VIII გალობა, №№ 1—3, 8, 4, 9, 10, 5, 12, 6.

III ხმა: VI გალობა, №№ 1, 2, 5, 4, 3.

IV ხმა: I გალობა, №№ 1, 5, 4, 7 — 9, 10, 6, 2.—II გალობა, №№ 3, 5, 4, 2, 6, 7 — 9, 1.—III გალობა, №№ 1, 5, 11, 6, 8, 1, 10, 4, 7, 2.—IV გალობა, №№ 3, 6, 4, 5, 7—11, 1, 2.—V გალობა, №№ 4, 1, 3, 2, 5—7.—VI გალობა, №№ 3, 5, 4, 2, 6, 1, 8, 9, 7.—VII გალობა, №№ 3, 2, 4—7, 10, 8, 1, 9.—VIII გალობა, №№ 3, 10, 4, 9, 1, 5, 11, 8, 7, 6, 2 14.—V ხმა №№ 1, 2, 4, 3.

V ხმა: IV გალობა, №№ 1, 2, 4, 3.

VI ხმა: V გალობა, №№ 1, 4, 2, 3.—VI გალობა, №№ 1, 3, 2, 4.—VII გალობა, №№ 1, 4, 2, 3.—VIII გალობა, №№ 1, 4, 3, 2.

VIII ხმა: II გალობა, №№ 1, 3 — 7, 2.—III გალობა, №№ 1 — 6, 2, 4 [5], 7, 3.—IV გალობა, №№ 1, 3, 5, 4, 7, 6, 2.—V გალობა, №№ 3, 1, 4, [5, 6], 7, 8, 10, 9, 2.—VI გალობა, №№ 3—7, 1, 8, 2/9ბ.—VIII გალობა, №№ 1, 5—7, 4, 8, 2, 10, 3.

ქველ-ქართული ჰიმნოგრაფიული კოეჯის
დიდი ფორმის ნაწარმოებთა („გალობათა“)
სტროფულ-ტაქტობრივი საზომები

ა

სტროფულ-ტაქტობრივი სალექსო საზომები (მუსიკალურის კომპოზიციებით)
პირველი ხმისა.

*

1. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ვი-თ-არ-ც-ა-რა-ა-ს-ი-ონ-ს“ (გალობა VI, ძლისპირი 3; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა:

$$\frac{8. 8. 7. 7.}{4+7. \quad 13. 13(6+7)}.$$

შ ე ნ ი შ ვ ნ ა.

საზომების რიცხვით ფორმულაში აქ (და ყველგან ქვემოთ) ციფრების თანრიგი აღნიშნავს, თუ რა ზომის ტაქტები რა თანამიმდევრობით არის დალაგებული სტროფში;

ციფრებით ხაზს ზემოთ აღნიშნულია უცეზურო მოკლე საზომები, ე. ი. მონომეტრული მუხ-ლედ-ტაქტები ((9-მარცვლედამდე);

ციფრებით ხაზს ქვემოთ — აღნიშნულია ცეზურიანი გრძელი საზომები.

მოგვეყავს მაგალითი:

გრიგოლ ხანძთელი (VIII — IX ს.).

ძლისპირი 1

ვითარცა რაა' სიონს შინა მდგომარეა,	(4+7)
იყენეს ყრმანი ცეცხლსა შინა,	(8)
და ანგელოზისა მსგავსად	(8)
გამოუჩნდა უფალი.	(7)
და განუქარვა ალი —	(7)
იგი საქუმილისაჲ — ცუარითა, და იტყოდეს:	(13)
კურთხეულ ხარ, ღმერთო,	(6)
შენ მამათა ჩუენთაო!	(7)

ამ საზომით არის დაწერილი გრიგოლ ხანძთელის საგალობელნი, რომლებიც ქვემოთ (გვ. 779 — 785) გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა სიაში აღნიშნული გვაქვს №№-ებით 27 და 156 (მეექვსე გალობანი).

*

2. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „გი-ხ-ა-რო-დ-ენ-ქ-ა-ლ-წ-უ-ლ-თ-ა-ს-ი-ქ-ა-დ-უ-ლ-ო“ (გალობა, VIII, ძლისპირი 9; საზომი მეორე ჯგუფისა).

საზომის რიცხვითი ფორმულა:

$$\frac{7. 7.}{4-7. \quad 7-3.}$$

1 ძლისპირთა დედნები ABC.

მოგვეყავს მაგალითი:

ძლისპირი 2

ა (სტროფი)	გიხაროდენ, ქალწულთა სიქადულო,	(4,7)
	გიხაროდენ, დედაო,	(7)
	უსძლოო ღმრთისმშობელო,	(7)
	რომელსა ჩუენ ყოველნი ¹	(7)
	— გადიდებთ!	(3)

...

ბ (ანტისტროფი)	გიხაროდენ, შენ ცათა უფრცეველსო,	(4,7)
	გიხაროდენ, საყდართა	(7)
	მალალთა უმაღლესო,	(7)
	რომელსა ჩუენ ყოველნი ¹	(7)
	— გადიდებთ!	(3)

•

3. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „შენ დიდებულო ქალწულო“ (გალობა VIII, ძლისპირი 6; საზომი პირველი ჯგუფისა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{8. 7. 7. 8.}{7. 3.}$

მოგვეყავს მაგალითი:

ძლისპირი 1

ა (სტროფი)	შენ დიდებულო ქალწულო,	(8)
	დედაო ნათლისაო,	(7)
	გონებითა წმიდითა,	(7)
	ვითარცა უზეშთაეს ხარ	(8)
	ყოველთასა, ყოველნი ¹	(7)
— გადიდებთ!	(3)	

ბ (ანტისტროფი)	შენ მზისა უბრწყინველესო,	(8)
	უარეს ბუნებათა	(7)
	სიტყესა დამტევენელო	(7)
	და უზეშთაეს მშობელო,	(8)
	ყოველნი მორწმუნენი ¹	(7)
— გადიდებთ!	(3)	

•

4. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ნაკურცხალი ცეცხლისაჲ“ (გალობა IV, ძლისპირი 4; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

¹ ძლისპირთა დედანი B (C-ს აკლია დეფექტობის გამო).

² ძლისპირთა დედნები AB (C-ს აკლია დეფექტობის გამო).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7.6.8.}{13(6-7)} \frac{7.6.8.}{13(6-7)}$

მოგვეყავს მაგალითი:

გრიგოლ ხანძთელი (VIII — IX ს.).

ძლისპირი 1

ნაკურცხალი ცეცხლისაჲ	(7)
შეახო ბაგეთა	(6)
სერაბინმან ესაიას,	(8)
და განწმიდა იგი ქადაგად ¹ , და იტყოდა	(6-7)
მკვდრნო ქუეყანისანო,	(7)
ისწავეთ სიმართლე,	(6)
რამეთუ დადუნა უღმრთოჲ!	(8)

(მკითხველი მიაქცევს ყურადღებას, რომ გრიგოლ ხანძთელის ამ ძლისპირში არის შეხვედრა პუშკინის ლექსთან „წინასწარმეტყველი“, რომელიც ქართულად გადმოიღო ილია ჭავჭავაძემ: პუშკინი ემყარება ბიბლიის — ესაია წინასწარმეტყველის წიგნის — ამავე ადგილს, რომელსაც ემყარება გრიგოლ ხანძთელი).

საზომით „ნაკურცხალი ცეცხლისაჲ“ დაწერილია IV გალობა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა № 25.

ბ

სალექსო საზომები (მუსიკალურის კომპოზიციებით) მეორე ხმისა.

5. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ღამე რაჲ თანა წარგუქდა“ (გალობა IV, ძლისპირი e დედნისა 8).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{(7.7) 14.}{11.} \frac{(8.6) 14.}{12}$

მაგალითი:

ძლისპირი 2

ღამე რაჲ თანა წარგუქდა,	(7)
და მოგუეახლა ჩუენ დღე,	(7)
და ნათელი სოფელსა გამოუჩნდა. —	(11)
ამისთვისცა გიგალობთ შენ	(8)
მღვძარეთა თანა,	(6)
და დიდების-გმეტყუელებს ¹ ყოველი ერი!	(12)

¹ ძლისპირთა დედნები AC (B-ს აკლია დეფექტობის გამო).

² ძლისპირთა დედანი e. — მღვძარეთა ანგელოზთა.

მაგალითი:

ძლისპირი 1

რომელმან სიტყვთ / არარამსაგან არსად	(5+7)
შექმენ დაბადებულნი,	(7)
და განამტკიცენ სულითა —	(8)
მპყრობელო ყოველთაო,	(7)
განმაძლიერენ / შენდამი მორწმუნენი.	(5+7)

IX — X საუკუნეთა ამ ძლისპირს, როგორც ვხედავთ, ეხმაურება რუსთაველის პოემის დასაწყისი („რომელმან შექმნა...“).

8. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „უ ხ ი ლ ა ვ თ ა მ ხ ი ლ ვ ე ლ მ ა ნ“ (გალობა I-ა, ძლისპირი 4; საზომი მეორე ჯგუფისა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. 9. 7. 9.}{10. 10.}$

მაგალითი:

ძლისპირი 2

უხილავთა მხილველმან	(7)
სასწულთა მხილველმან მოსე.	(9)
წინამსწარ მოასწავა	(7)
კსნამ წარმართთამ ძელისა მიერ, —	(9)
კელნი რამ ჯუარის სახედ განიყრნა	(10)
და მით დასცა მტერი ამაღკი.	(10)

9. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ე ჰ ა, ბ ე რ წ ო“ (გალობა II, ძლისპირი 2; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{8. 7. 7. 6.}{6+5. 6+5.}$

მაგალითი:

გრიგოლ ხანძთელი (VIII—IX ს. ს.)

ძლისპირი 3

ეჰა, ბერწო სულო ჩემო,	(8)
და ნაყოფთაგან ცუდო, —	(7)
აღკუუავენ ღმრთისა მიერ,	(7)

¹ ძლისპირთა დედანი C (B-ს აკლია დეფექტობის გამო).

² ძლისპირთა დედანი C (B-ს აკლია დეფექტობის გამო).

³ ძლისპირთა დედნები AC (B-ს აკლია დეფექტობის გამო).

და ნაცოფიერი — '	(6)
ესრეთ დალაღებ:	(5)
არამ ვინ არს წმიდაჲ, '	(6)
არამ ვინ არს მართალ, '	(6)
შენებრ, უფალო	(5)

ამ საზომით არის დაწერილი IV გალობა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა №№ 153 და 161. მოგვყავს მაგალითისათვის სტროფი საგალობელთაგან № 161 ¹:

— ვითარ შეუცავი ღმერთი	(8)
შეიციე აწ, საფლავო,	(7)
ვითარ დაუტევნელი	(7)
დაიტყე, ქუაბო?	(6)
ვინ არს, მითხარ ჩუენ?	(5)
— ზესე არს იესუ,	(6)
რომელი კორცითა	(6)
მოკუდა და აღდგაჲ	(5)

10 — 17. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ა შ ე ნ ი თ ა“ (გალობა I, მლისპირი 5; საზომი გიორგი მერჩულისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. 7. 7. 7. 7.}{13. 14. 12. 14.}$

მაგალითი:

გიორგი მერჩულე (IX — X საუკ.)

გალობანი აღვებზინანი III კმისა ²

გ ა ლ ო ბ ა ა |

1	ქრისტე, ღმრთისა სიტყუაო,	(7)
(სტროფი)	მოხუედ შენ მქსნელად ჩუენდა	(7)
	წიალთაგან მამულთა	(7)
	თანა-დაუსაბამოჲ,	(7)
	და სათნო იყავ ' სიმდაბლითა დაშკვდრებაჲ	(13)
	ღმერთმან ჩუენ კაცთა შორის,	(7)
	რომელმან დაუტევენ ' წიალნი მამისანი,	(14)
	ამისთვისცა გილაღადებთ, სახიერო:	(12)
	საკურველთ-მოქმედსა ღმერთსა ' უგალობდეთ ერნო!	(14)

¹ მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 412.

² მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 418.

1. — 5₄ სიმდაბლით || 7₁ რომელმან + არამ || 8₃ სახიერ.

4	სიკუდილი მგლოვარე არს	(7)
(ანტისტროფი)	აღდგომასა მკუდრეთითა	(7)
	ყოველთა მკსნელისასა,	(7)
	რომელი ღმრთებრ აღდგა.	(7)
	და თანა აღადგინა ' მკუდარნი საფლავთაგან,	(13)
	რომელნიცა შთაენთქნეს	(7)
	სულთა მფლობელსა ბნელსა, ' მთავარსა ბნელისასა,	(14)
	რომელნი ქრისტეს ' აღდგომასა აქებენ:	(12)
	საკვრველთ-მოქმედსა ღმერთსა ' უგალობდეთ, ერნო!	(14)

(გალობა შეიცავს ოთხ სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით აქ მოვიყვანეთ 1 — სტროფი, და 4 — ანტისტროფი).

გიორგი მერჩულის „გალობანი აღესებისანი“, საიდანაც მოვიყვანეთ ეს მაგალითი, წარმოადგენს ეგრეთწოდებულ „თვით-ძლისპირს“, ე. ი. როგორც სალექსო საზომი, ისე მუსიკალური კომპოზიცია გიორგი მერჩულეს ეკუთვნის.

გალობანი შესდგება 8 გალობისაგან (26 სტროფული ერთეული). ყოველი გალობა დამოუკიდებელი საზომით არის დაწერილი.

მოგვყავს საზომთა სახელწოდებანი და რიცხვითი ფორმულები II — VIII გალობათა (რაც შეეხება I გალობას, მისი ნიმუში ზემოთმოყვანილ მაგალითში იყო წარმოდგენილი).

გალობა	ძლისპირი	საზომთა სახელწოდებანი	რიცხვითი ფორმულა
II	6	კლდესა ზედა	$\begin{array}{r} 9. 9. 8. \\ 18. \quad 14. \\ \hline 6. 6. \quad 7. 6. 7. \\ \hline 10. \quad 15. \end{array}$
III	8	ქერაბინთა ზედა	$\begin{array}{r} 7. 7. 9. \\ \hline 14. 14. 16. \end{array}$
IV	8	გამოუჩნდა ბრწყინვალედ	$\begin{array}{r} 8. \quad 8. \\ \hline 10. 13. \quad 11. 11. 15. \end{array}$
V	8	მვსნელო ჩუენო	$\begin{array}{r} 6. \quad 8. 8. \\ \hline 12. 14. 14. \end{array}$
VI	6	ქალდეელნი იგი	$\begin{array}{r} 6. 9. \\ \hline 15. \quad 11. 13. 12. 15. \end{array}$
VII	10	შენ რომელმან ცნობაჲ	$\begin{array}{r} 7. 7. 8. 4. \quad 7. 7. 6. \\ \hline 12. \quad 13. \end{array}$
VIII	8	მთასა ზედა სინასა	

18—25 სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ღაღაღ-ეყავ სულ-თქუმიით“ (გალობა V, ძლისპირი 5; საზომი გრივოლ ხანძთელისეული).

მაგალითი:

მიქაელ შორეული (X საუკ.)

გალობანი ნათელთანი III კმისა ¹

გ ა ლ ო ბ ა ა V

1 (სტროფი)	რომელმან დაართენ ზესენელი წყალთა ზედა, მეუფეო ყოველთაო, მონისა ხატიოა გამოშინდი იორდანესა წყალთა ზედა ნათლისღებად სიმდაბლითა.	(12) (8) (6) (8) (12)
2 (ანტისტროფი)	რომელმან დააფუძნე უფსკრულთა ზედა მტყიკედ სივრცეა ქუეყანისაჲ, სიტყუაო ღმრთისაო, დღეს იორდანისა წყალთა სათნო იჩინე განბანაჲ, უცოდველო.	(12) (8) (6) (8) (12)
3 (ანტისტროფი)	რომელმან შეპზლუდენ საზღვარნი ზღუათანი და დაამტყიკენ ძალითა, შენვე შეპმუსრენი თავნი ვეშაპთანი, ქრისტე, ნათლისღებითა იორდანისა წყალთა.	(12) (8) (6) (8) (12)

ეს გალობაც IX — X საუკუნეთა აგრეთვე ეხმაურება რუსთაველის პოემის დასაწყისს („რომელმან შექმნა სამყარო...“).

ანონიმი ავტორის გალობანი ნათელთანი III ხმისა, საიდანაც მოვიყვანეთ ეს მაგალითი, მთლიანად გამოცემული გვაქვს, სალექსო ფორმის დაცვით, ჩვენს ადრინდელს შრომაში: ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 403 — 409.

გალობანი შესდგება 9 გალობისაგან (28 სტროფული ერთეული). თვითეული გალობა დამოუკიდებელი საზომით არის დაწერილი.

მოგვყავს საზომთა სახელწოდებანი და მათი რიცხვითი ფორმულები:

¹ მიქაელ შორეულის კრებული, გვ. 148 — 149.
I. — S₄ სიმდაბლით.

გალობა	ძლისპირი	საზომთა სახელწოდებანი	რიცხვითი ფორმულა
I	3	ღმერთსა, რომელმან	$\frac{8. \quad 5. \quad 7. \quad 9.}{12.}$
I-ა	4	უხილაეთა მხილველმან	(იხ. ზემოთ, № 8).
II	3	განამტკიცენ უფალო	$\frac{7. \quad 7. \quad 7. \quad 7.}{11.}$
III	4	ცანი შუენიერებამან	$\frac{8. \quad 6.}{14. \quad 16. \quad 10}$
IV	3	აღვიმსთობთ შენდამი	$\frac{7. \quad 6. \quad 6.}{15. \quad 12.}$
V	3	ღაღად-ვეკ სულ-თქემით	(იხ. აქვე, ზემოთ).
VI	3	სამნი ყრმანი	$\frac{7. \quad 8. \quad 7.}{12. \quad 16.}$
VII	3	თაყუანის-ცემულსა	$\frac{6. \quad 9. \quad 8. \quad 6.}{16.}$
VIII	3	ღმრთისმშობელსა უბიწოსა	$\frac{8. \quad 7.}{10. \quad 11. \quad 9.}$

ყველა საზომები, გარდა გალობათა დამატებითი მუხლისა (გალობა I-ა), — გრიგოლ ხანძთელისეულია.

ღ

სალექსო საზომები (მუსიკალურის კომპოზიციებით) მეოთხე ხმისა.

26 — 28. სალექსო საზომები და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებებით:
 ა. „ა რ ა რ ა ჯ ა რ ს ს ა ხ ე ლ“ (გალობა I, ძლისპირი 7; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული);

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{8. \quad 7. \quad 7. \quad 7. \quad 7.}{12.}$

ბ. „ს ი ყ უ ა რ უ ლ ი წ ყ ა ლ ო ბ ი ს ა ჯ“ (გალობა III, ძლისპირი 1 ა; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული);

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{8. \quad 7. \quad 7. \quad 7.}{12.}$

გ. „შ ო ბ ა ჯ შ ე ნ ი უ ხ რ წ ნ ე ლ“ (გალობა VIII, ძლისპირი 5; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული);

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. \quad 5. \quad 5. \quad 5. \quad 9.}{11. \quad 12.}$

დასახელებული საზომებით არის დაწერილი გალობანი ნინოჯსნი, — I, III და VIII (ავტორი — ნინოჯსნი II ჰიმნოგრაფი IX — X საუკ.); სახელდობრ:

I გალობა — საზომით ა; III გალობა — საზომით ბ; VIII გალობა — საზომით გ.

გალობანი ნინოძისნი¹

გ ა ლ ბ ა ა I

- ა. ადიდე შენ, ქრისტე, ქართლი (8)
 სამითა დიდებითა: (7)
 კუართითა მით შენითა, (7)
 ქელთა შენთა სამსკულითა, (7)
 ფერქთა შენთა ფიცრითა, — (7)
- ბ. ქუყანაჲ დავიწყებული, (8)
 კერპთა დაბნელებული, (7)
 კულაჲ მოქსენებული, (7)
 ღმრთისა შეწყალებული, (7)
 ნინოძის განახლებული. (7)

გ ა ლ ბ ა ა II

- ა. მერუსალემით ჩრდილოსა (8)
 ღოიწია წყალობისა ნაბერწყალი, — (12)
 ნინო ქრისტესს მკევალი, (7)
 და ალატყანა ცეცხლი (7)
 ღმრთის-მეცნიერებისაჲ. (7)
- ბ. ზაბილონ მამამან მისმან (8)
 ფრანგნი უკუე მოაქცივნა მასვლითა, (12)
 ხოლო ნეტარმან ნინო (7)
 მოაქცივნა ქართველნი (7)
 ჯუართთა ცხოველითა. (7)

გ ა ლ ბ ა ა VIII

- ა. იქმენ შენ ქართლისა მქადაგებელად, (11)
 და დასდეუ სჯული წმიდაჲ უცვალებელად, (12)
 და ჰგიეს შეუძრეულად (7)
 მართალსა ზედა¹ (5)
 ალსარებასა, ¹ (5)
 მოძღუარო ნინო! (5)
 მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათვის. (9)
- ბ. ნინო, მოწაფეო მაცხოვრისაო, (11)
 და მოციქულო ჩრდილომასა სოფლისაო, (12)
 შენ ხარ მოძღუარ ქართლისაჲ, (7)
 სუეტი ნათლისაჲ, ¹ (5)
 ცუარი ღრუბლისაჲ, ¹ (5)
 მზრდელი სულისაჲ, (5)
 მასწავლელი სიხარულისაჲ. (9)

¹ ქელიშური ხელნაწერი.

I, ა. — 4₁ + და¹ ქელთა || 5₁ + და¹ ფერქთა || I, ბ. — 5₁ ნინოძის + მიერ.

III, ბ. — 2₂ უკუე abs.

VIII, ა. — 2₄ წმიდაჲ abs. || 5, ალსარებასა] სარწმუნოებასა || VIII, ბ. — 3₃ მოძღუარი.

ამავე საზომით არის დაწერილი გრიგოლ ხანძთელის საგალობელი:
 საზომით ა — საგალობელი № 87, I გალობა.
 საზომით ბ — საგალობელი № 145, III გალობა.
 საზომით გ — საგალობელი № 91, VIII გალობა.
 საზომით ა დაწერილია აგრეთვე ივანე მინჩხის გალობანი ეფთჳმე დიდ-
 სანი, I გალობა; მოგვყავს აქედან მაგალითი:

ივანე მინჩხი (X საუკ.)

გალობანი ეფთჳმე დიდისანი I

გ ა ლ ო ბ ა ა I

აღმოსცენდი ღმრთისა მიერ	(8)
წყაროჲ სათნობათაჲ	(7)
სიყრმით შენითგან, ღირსო.	(7)
და მოსცევჲ ცის-კიდენი	(7)
კეთილთა საქმეთაგან.	(7)

(I გალობა ივანე მინჩხისა შეიცავს სამ სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით; აქ მო-
 ვიყვანეთ პირველი მათგანი; დანარჩენი იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული ... პოეზია, გვ. 32—33)



29. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ი ხ ა
 რ ე ბ ს ე კ ლ ე ს ი ა ა“ (გალობა II, ძლისპირი 3; საზომი გრიგოლ ხანძთე-
 ლისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. \quad 7.}{11. \quad 10.}$

მაგალითი:

ეზრა (X საუკ.)

გალობანი ეფთჳმე დიდისანი I

გ ა ლ ო ბ ა ა II

ა.	ეძიებდ გონებითა	(7)
	და პრბიოდე სარბიელთა ცისათა,	(11)
	სული წმიდაჲ გიძლოდა	(7)
	და მისწუდებოდე მიუწდომელსა.	(10)
ბ.	სამეზისა ნათლითა	(7)
	ჰნათობდი, ღირსო, ყოველსა სოფელსა,	(11)
	ჰბრწყინედი რაჲ სანთელი	(7)
	მალაღსა მას ზედა სასანთელსა.	(10)

¹ შიქაელ მადრეკილის კრებული, გვ. 224.

ა. — 1, ეძიებდი.

(II გალობა ეზრასი შეიცავს 4 სტროფულ ერთეულს დაწერილს ამ საზომით; აქ მოვიყვანეთ 3 და 4).

ამავე საზომით „იხარებს“ დაწერილია მეორე გალობანი გრიგოლ ხანძთელის შემდეგ საგალობელთა: №№ 14, 88, 90, 127, 141, 145, 151, 163.

ამავე საზომითვე არის დაწერილი აგრეთვე საგალობელნი სტეფანე სანანოძის-ძე ქყონდიდელისა—გ ა ლ ო ბ ა ნ ი ჰ ა ბ ო ხ ს ნ ი, გალობა II (მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 180).

30. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ს მ ე ნ ა მ ე ს მ ა მ ე“ (გალობა III, ძლისპირი 10; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

მაგალითი:

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{5. 7.}{9. 10.}$

გრიგოლ ხანძთელი (VIII — IX ს. ს.)

ძლისპირი 1

ნავთსაყუდელი (5)
მყუდროი ხარი, შენ, ქალწულო, (9)
ღელვა-გუემულნი ესე (7)
შენდა მოვივლტით, განმარინენ ჩუენი (10)

ამავე საზომით არის დაწერილი III გალობა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა № 28. მოგვყავს აქედანაც მაგალითი 2:

მოეტ, უფალო, (5)
მეფესა ჩუენსა მორწმუნესა (9)
ძლიერი საჭურველი, (7)
და დაამქუ სიმრაველჳ ბარბაროზთაჲ. (10)

31. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „მ ა მ ა თ ა ჩ უ ე ნ თ ა“ (გალობა VI, ძლისპირი 7; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. 7. 7.}{8. 8. 8.}$

მაგალითი:

¹ ძლისპირთა დედნები AC (B-ს აქლია დეფექტობის გამო).

² მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 278.

ძლისპირი¹

მამათა ჩუენთა ღმერთო,	(7)
ნუ მიმცემ ჩუენ სრულიად,	(7)
არამედ კადნიერ მყვენ—	(7)

ღაღადებად შენდა მომართ:	(8)
კურთხეულ ხარ შენ, უფალო,	(8)
ღმერთო მამათა ჩუენთაო!	(8)

32 — 40. მიქაელ მოდრეკილი: გალობანი აღესცებისანი IV ხმისა.

გალობანი შეიცავს 9 გალობას, — 40 სტროფულ ერთეულს (თვითეულ გალობაში ხუთ-ხუთი). ყოველი გალობა დაწერილია დამოუკიდებელი საზომით, ე. ი. სულ საგალობლებში გამოყენებულია 9 საზომი.

(საზომები ატარებენ შემდეგ სახელებს და ძლისპირთა ნუსხაში უპირაეთ შემდეგი ადგილი: საზომი — „შალალმან უხილავისა“, გალობა I, ძლისპირი 14; საზომი — „აღვიდეთ სათნოებათა“, გალობა I-ა, ძლისპირი 16; საზომი — „რომელმან სახედ“ გალობა II, ძლისპირი 16; საზომი — „აღიტყუა ღმრთისმეტყუელი“ გალობა III, ძლისპირი 17; საზომი — „უფალი მფლობელი“, გალობა IV, ძლისპირი 17; საზომი — „მოქცევამან ცოდვისამან“, გალობა V, ძლისპირი 16; საზომი — „უფროას სიმძაფრესა“, გალობა VI, ძლისპირი 21; საზომი — „ღიდებული საკრველი“, გალობა VII, ძლისპირი 20; საზომი — „გონებაჲ კაცთა“, გალობა VIII, ძლისპირი 26).

მიქაელ მოდრეკილის ეს გალობანი, როგორც აღნიშნულია ზედწერილში, არის „თვთ-ძლისპირნი“, ე. ი. მიქაელ მოდრეკილს ეკუთვნის ამ საგალობელთა როგორც სალექსო საზომები, ისე მუსიკა.

მიქაელ მოდრეკილის ამ საგალობელთა საზომებს ახასიათებს მეტად რთული რიტმიკა, რაც შეპირობებულია სტროფების მრავალტაეპიანობით. (საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მიქაელ მოდრეკილი სხვა შემთხვევებშიაც ხმარობს რთული რიტმიკის მქონე მრავალ-ტაეპოვან სტროფებს).

მიქაელ მოდრეკილი ამ საგალობლებში ზოგჯერ იყენებს რითმას, რაც რიტმულად აკავშირებს ტაეპებს ამ მრავალ-ტაეპედ სტროფებში.

დამატებაში ჩვენ ვბეჭდავთ ექსცერპტულად მიქაელ მოდრეკილის ამ საგალობლებს (იხ. გვ. 088 — 089).

41—48. სტეფანე სანანოძის-ძე ჭყონდიდელი: გალობანი ჰაბოძისნი.

გალობანი შეიცავს 9 გალობას (30 სტროფულ ერთეულს). ყოველი გალობა დაწერილია დამოუკიდებელი საზომით.

მოგვყავს საზომთა სახელწოდებანი და მათი რიცხვითი ფორმულები:

¹ ძლისპირთა ღედნები AC (B-ს აკლია დეფექტობის გამო).

გალობა	ძლისპირო	საზომთა სახელწოდებანი	რიცხვითი ფორმულა
I	3	ზღვსა მის მეწამულისა	8. 9. 9. 8. 9. 5. 5.
I-ა	1	ისმენდინ ქუეყანა	6. <u>6. 6. 8.</u> 11. 11. 12. 12.
II	3	იხარებს ეკლესია	(იხ. ზეით, № 29).
III	3	სიტყუამან კორცნი	<u>7/8. 7 7/8. 7/8.</u> 12.
IV	3	შენ უფალო, ნათელი	<u>4. 8. 7. 8.</u> 11.
V	1	ღალღებდა წინასწარმეტყუელი	<u>4. 4. 6. 5.</u> 14. 16.
VI	3	საქუმილსა შინა აბრამეანნი	<u>7. 9.</u> 12. 12. 16.
VII	1	მცხნელო ყოველთაო	<u>8.</u> 11 (6-5). 11 (6-5). 11. 11.
VIII	5	შობაა შენი უხრწნელ	<u>7. 5. 5. 5.</u> 11 11. 13.

ყველა საზომები, გარდა გალობათა დამატებითი მუხლისა (გალობა I ა), — გრიგოლ ხანძთელისეულია.

სტეფანე სანანოაძე ჰყონდიდელის საგალობლებს ვებქდავთ დამატებაში (ექსცერპტულად, გვ. 092 — 095).

49—56. ივანე მინჩხი: გალობანი ეფთვმედიდისა.

გალობანი შეიცავს 9 გალობას (30 სტროფს). ყოველი გალობა დაწერილია ცალკე საზომით.

მოგვეყავს საზომთა სახელწოდებანი და მათი რიცხვითი ფორმულები:

გალობა	ძლისპირო	საზომთა სახელწოდებანი	რიცხვითი ფორმულა
I	7	არარაა არს სახედ	(იხ. ზემოთ, № 26)
I-ა	4	გალობა სულიერი	<u>8. 7. 8. 7. 7.</u> 12. 10.
II	2	არაა სიბრძნითა	<u>5. 7.</u> 11. 10. 13.
III	6	მოსდრიკენ ქე ცანი	<u>7. 7.</u> 11. 11. 11.
IV	5	ულმრთოთა ვერ იხილონ	<u>7. 7. 8. 7. 8.</u> 13.
V	2	შთავეარდი მე სიღრმესა	<u>7.</u> 10. 11. 11 (4+7).
VI	2	ბაბილონს სამთა ყრმათა	<u>7. 5+6. 6.</u> 15. 10.
VII	4	ყრმანი ბრწყინვალენი	<u>7. 7.</u> 10. 13. 12. 10. 14.
VIII	9	უწინარეს შობისა	<u>7.</u> 12. 12. 10.

ყველა საზომები, გარდა დამატებითი მუხლისა (გალობა I ა), — გრიგოლ ხანძთელისეულია.

საგალობელნი, სალექსო ფორმის დაცვით, დაბეჭდილი გვაქვს წიგნში: ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 32 — 37.

57 — 63. ი ვ ა ნ ე ქ ო ნ ქ ო ზ ი ს-ძ ე: გალობანი ჰაბოხსნი. გალობანი შეიცავს 9 გალობას (28 სტროფულ ერთეულს), ყოველი გალობა დაწერილია დამოუკიდებელი საზომით.

მოგვეყავს საზომთა სახელწოდებანი და მათი რიცხვითი ფორმულები:

გალობა	ძლისპირი	საზომთა სახელწოდებანი	რიცხვითი ფორმულა
I	4	ზღუად უვალი	$\frac{7. 9. 7. \quad 7.}{12. \quad 13}$
I-ა	4	გალობა სულიერი	იხ. № № 48—55)
II	4	ბუნებით ლმობიერი	$\frac{9. 8. 8. 8. \quad 9}{10. \quad 10.}$
III	11	განხრახვად საიდუმლოა	$\frac{11(7+4). 10. 12(5+7) \quad 9.}{10}$
IV	4	ნაწილ ჩემდა ხარი	$\frac{7. \quad 9.}{10. 10. 14. \quad 15.}$
V	3	ცოდვისა სიღრმესა	$\frac{8. \quad 8. 9.}{11. \quad 17.}$
VI	4	არაა მმსახურე	$\frac{5. \quad 7. 9. 5.}{10. 11. \quad 14.}$
VII	2	ყრმანი ბრწყინვალენი	(იხ. № № 48—55)
VIII	4	ყოველნი ტომნი	$\frac{7. \quad 9. \quad 7. 6. 5.}{16. 11. 11.}$

ყველა საზომები, გარდა დამატებითი მუხლისა (გალობა I-ა), — გრიგოლ ხანძთელისეულია.

საგალობელნი, სალექსო ფორმის დაცვით, დაბეჭდილი გვაქვს წიგნში: ძველ-ქართული ... პოეზია, გვ. 39 — 45.

0

სალექსო საზომები (მუსიკალურას კომპოზიციებით) მეზუთე ხმისა.

64 — 71. გ რ ი გ ო ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს გალობანი ჰაბოხსნი დაწერილია V ხმის საზომებით.

მოგვეყავს საზომთა სახელწოდებანი და მათი რიცხვითი ფორმულები:

გალობა	ქლისპირი	საზომთა სახელწოდებანი	რიცხვითი ფორმულა
I	1	ეტლთა სიმრავლეა	$\frac{9. \quad 8.}{13 (6+7). \quad 11. 13 (7+6).}$
II	1	რომელმან დააფუძნე	$\frac{3. \quad 6.}{11. 12 (3+9). \quad 10. 10. 10 (5+5).}$
III	1	ესმა მოსლვაი	$\frac{8. \quad 9.}{11. \quad 10. \quad 10.}$
IV	1	რომელმან შეიმოსე	$\frac{8. 9. 7.}{13. 10.}$
V	5	შთავრდომილვარ სიღრმესა	$\frac{7. 7. \quad 8. \quad 9. \quad 9 (3+6). \quad 9. \quad 8. \quad 8.}{8. 8. 8. \quad 7. \quad 8. 8.}$
VI	1	უფროასად აღმადლებულმან	$\frac{12 (5+7). \quad 13. \quad 12. \quad 13.}{8. 8. 7. \quad 9. 5.}$
VIII	1	ესაჲ მზიარულ იყავ	$\frac{5+5. \quad 5+5. \quad 5.}{5+5. \quad 5+5. \quad 5.}$

გრიგოლ ხანძთელის გალობანი ჰაბოხსნი დაბეჭდილი გვაქვს ქვემოთ სრულად.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ ყველა ეს საზომები, რომლებიც აქ იყო აღნუსხული, გამოყენებული აქვს ივანე მინჩხის საგალობლებში — გალობანი თედოსი მეფისა. ტექსტი ივანე მინჩხის ამ საგალობელთა, სალექსო ფორმის დაცვით, დაბეჭდილი გვაქვს წიგნში: ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 23 — 30.

3.

სალექსო საზომები (მუსიკალური კომპოზიციებით) შეექვხე ხმისა.

72. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „არაჲ ვინ არს წმიდაჲ შენებარ“ (გალობა II, ქლისპირი 1; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა:
$$\frac{8. 7. 7. 7. 7.}{4+7.}$$

მაგალითები:

I

ივანე მტბეგარი (X საუკ.)

გალობანი შობისანი¹

გალობა I

1
(სტროფი)

რომელმან დაჰბადნა ცანი
სიტყვთა, — იხილვების

(8)
(7)

¹ მიქაელ მორდრეკილის კრებული, გვ. 74. — II გალობა შეიცავს სამ სტროფულ ერთეულს. დაწერილს ამ საზომით (აქ დავებუდეთ 1 და 3).

ბაგასა პირუტყუთასა (7)
 შწოლარემ სახუველითა, (7)
 რათა ბუნებამ ჩუენი (7)
 აღიყვანოს / ზეცისა სუფეასა. (4+7)

3 რომელი ქერობინთაგან (8)
 (ანტისტროფი) შეუძლებელ არს განცდად. (7)
 დაუტეენელი ღმერთი, (7)
 დატევენულ იქმნების დღეს (7)
 ბაგასა პირუტყუთასა, (7)
 რათა აღამ / გახრწნილი განაახლოს (4+7)

II

გალობანი ნათელთანი¹

წყლითა რღუნასა ცოდვისასა (8)
 გუახარებს დაცხრომასა (7)
 სულისა იგი ტრედი, (7)
 რამეთუ მაღლისა რტომ (7)
 უტკრთავს, და განგუყოფს (7)
 ყოველთავე უხრწნელებასა მაღლით! (4+7)

ამ საზომით „არაფინ არს წმიდამა შენებრ“ დაწერილია VI გალობა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა №№ 129, 171.



73. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „გიხაროდენ, საყდარო: მაღლისათ“ (გალობა VIII, ძლისპირი 9; საზომი II ჯგუფისა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. 7. 9.}{4\underline{7}. 4\underline{7}. 5\underline{7}. 5+7.}$

მაგალითი:

ძლისპირი²

გიხაროდენ საყდარო მაღლისათ, (47)
 გიხაროდენ სულ მცირეო ღრუბელო, (47)
 გიხაროდენ საწმისო (1)
 : ცუარისა საღმრთოჲსათ, (7)
 გიხაროდენ მაყუალო ' შეუხებელო, (57)
 გიხაროდენ მიზეზო / კაცთა კსნისათ, (5+7)
 გიხაროდენ, სძალო ღმრთისათ! (9)

¹ მიქაელ მორდრეკილის კრებული, გვ. 162. — III გალობა შეიცავს სამ სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დავებქდეთ მესამე).

² ძლისპირთა დედნები BC.

74. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „იონა ბრაელმან“ (გალობა V, ძლისპირი 6; საზომი მეორე ჯგუფისა, — ქვე-ჯგუფი: უცხონი, პასექთაჲ ბ ქართულნი).

საზომი გვხვდება ორი ვარიანტით:

ა) 7.7. 7.7. 9.7. 4.6. 4.9.

ბ) 6.7. 6.8. 9.6. 4.6. 4.8.

მეორე (ბ) ვარიანტი წარმოდგენილია შესანიშნავ ძველ-ქართულ ლექსზე X საუკუნისა¹:

მგლოვარე ღელა (ძლისპირი)		
აეზაკთა შორის		(6)
	პხედვიდა ძელსა ზელა	(7)
დამოკიდებულსა		(6)
	ძესა თვსსა ღმრთის-მშობელი!	(8)
შეურეებული გონებითა		(9)
	გოდებით იტყოდა:	(6)
ეჭემპარიტად		(4)
	მწარეა არს ტყვილი —	(6)
შვილობისაჲ,		(4)
	გონებასა კაცობრივსაჲ	(8)

პირველი (ა) ვარიანტი საზომისა წარმოდგენილია X საუკუნის მეორე პოეტურ ძეგლში:

მიქაელ მორექილი (X საუკ.)

გალობანი აღვსებხანი VI კმისა²

გ ა ლ ბ ა ჲ V

1 (სტროფი)	უხილავი ღმრთეებაჲ,	(7)	
	ბუნებით უვნებელი,	(7)	
	სიტყუაჲ შეუხებელი,	(7)	
	შანთი აუგებელი, —	(7)	
	მოსუელ ვნებალ, ღმრთისა, სიტყუაო,	(9)	
	ბუნებითა ქორცთაჲთა,	(7)	
	მოჰკუედ ნეფსით /	(4)	
		მოკუდავთა კსნისათვს,	(6)
	და უკუდავად /	(4)	
		პგიე ბუნებით. უქცველო!	(9)

¹ ძლისპირთა დედნები BC.

² მიქაელ მორექილის კრებული, გვ. 488. — V გალობა შეიცავს 3 სტროფულ ჭრთულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დაებეჭდეთ 1 და 3).

(ინტისტროფი)

იქსენ სიკუდილისაგან	(7)
სული ჩემი, სახიერ,	(7)
ვითარცა იონა	(7)
მუცლისგან ვეშაპისა, —	(7)
აღმომიყვანე მღვმისაგან	(9)
ცოდვათა ჩემთაგან	(7)
განუხრწნელად.	(4)
ვითარცა იგი	(6)
სიღრმეთაგან,	(4)
და მაცხოვრე მე აღდგომითა.	(9)

75. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „რომელმან უფსკრულთა“ (გალობა I, ძლისპირი 7; საზომი II ჯგუფისა, იგივე ქვეჯგუფი, რაც № 73-ში).

საზომის რიცხვითი ფორმულა: 6. 6. 6. 6. 8. 9. 7. 8. 9.

მაგალითი:

მიქაელ მოდრეკილი (X საუკ.)

გალობანი აღვებისანი VI კმისა |

გ ა ლ ო ბ ა ე |

1	უფსკრულსა წყუდიადსა	(6)
(სტროფი)	უშეკრებისა,	(6)
	დანთქმული ტვრითთა	(6)
	ცოდვისა ბრალთაგანთა,	(6)
	აღმომიყვანე, სახიერ,	(8)
	ღმრთის-შეცნიერების ნათელსა,	(9)
	რათა განბრწყინებულა	(7)
	ვაქებდე ღღესასწაულსა	(8)
	ამას ნათლითა შემოსილსა	(9)

4
(ანტისტროფი)

აღივსნეს საღმრთოგანსა	(6)
ნათლისა ელვითა	(6)
ბნელის საუნჯენი,	(6)
რაყამს შთაქედ, ქრისტე.	(6)
შენ ნათელი უსხეულოგ;	(8)
განაკუთეთ ძალი წყუდიადისაგ,	(9)
და მის მიერ დაშვილთა	(7)
სულთა აწ აღმოუწოდე	(8)
ნათლად ღმრთეებისა შენისა.	(9)

3. — 4₁ მუცლისაგან || 10₂ მე ანს.

¹ მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 487. — I გალობა შეიცავს 5 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დავებქდეთ 1 და 4).

1. — 6₁ ღმრთის-შეცნიერებისა || 4. — 3₁ ბნელისა || 5₁ შენ ანს. || 8₂ აწ ანს.

75-ა. ზემოთ-დასახელებულ სალექსო საზომს № 75 რიტმულად ენათესა-
 ვება (დასაწყისი ნაწილით) — საზომი გრიგოლ ხანძთელის სტიქარონისა (საგა-
 ლობელი ალესებისა I ხმისა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{6. 6. 6. \quad 9. 9. 7.}{11. 12. 11.}$

მოგვყავს გრიგოლ ხანძთელის სტიქარონის ტექსტი (ექსცერპტულად) ¹:

1	რაკამს დაემსჭუალე	(6)
(სტროფი)	ჯუარსა ძელისასა,	(6)
	მაშინ მოაკუდინე	(6)
	ძალი სიკუდილისაჲ,	(6)
	და შიშისაგან შენისა შეიძრნეს	(11)
	საფუძველნი ჯოჯოხეთისანი, ქრისტე!	(12)
	ძალითა / შენითა სამარეთაგან	(3+8) 11
	მკუდარნი აღდგეს, / და ავაზაკსა	(4+5) 9
	საპოთხჳ მოეც, მაცხოვარო	(9)
	ჩუენო, დიდებაჲ შენდა!	(7)

...

4	საღმრთოჲ საკუმეველი	(6)
(ანტისტროფი)	და ნელსაცხებელი	(6)
	სულნელი შეზავეს	(6)
	ცრემლთ-თანა დედათა,	(6)
	ნელსაცხებელის მომღებელთა ღირსთა,	(11)
	შემურვად საღმრთოთა კორცთა შენთა, ქრისტე,	(12)
	არამედ / შენ, ცხოვრების მომცემელო,	(3+8) 11
	განეცხადე / და ეტყოდე მათ:	9 (4+5)
	„გიხაროდენ, ესძლიე სიკუდილსა,	(7)
	ახარეთ მოციქულთა!“	(7)

...

7	რაკამს აღმობრწყინდი	(6)
(ანტისტროფი)	საფლაგიჲ, სახიერ,	(6)
	ღმრთივ შეუნიერებით	(6)
	ნათლით ბრწყინვალითა. —	(6)
	მეუფეჲ უძლეველ, ძლევაშემოსილ,	(11)
	მძლე ჯოჯოხეთისაჲ და სიკუდილისაცა, —	(12)
	გიხილა / უბიწო მშობელმან შენმან	(3+8) 11
	და აღივსო / სიხარულითა,	(4+5) 9
	მწუხარების წილ პირველისა,	(9)
	და ქებით გადიდებდა.	(7)

76. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ც ე ც-
 ხ ლ ი შ ვ დ-წ ი ლ მ ო ტ ყ ი ნ ა რ ე ა“ (გალობა VII, ძლისპირი 10ა; საზომი
 II ჯგუფისა, — იგივე ქვე-ჯგუფი, რაც №№-ში 73 და 74).

¹ იხ. მიქაელ შოდრეკილის კრებული, გვ. 358 — 359.

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{8 \cdot 7 \cdot 7}{3+7}$, $\frac{7}{4-7}$, $\frac{7 \cdot 7}{5+8}$.
 (ტაეპები სტროფულ ერთეულში განიყოფება სამ-სამ ნაკვეთად).

მაგალითი:

მიქაელ მოდრეკილი (X საუკ.)

გალობანი აღესებისანი VI კმისა ¹

გ ა ლ ბ ა ა VII

1	ქრისტემან მიხუნა კორცნი	(8)
(სტროფი)	ქალწულისა სხეულსა	(7)
	წესითურთ ბუნებისაჲთ,	(7)
	არამედ /	(3)
	იყოვე თავისუფალ	(7)
	ქორც-შემოსილი ღმერთი,	(7)
	უცოდველი, / ბრალთაგან ცოდვისათა,	(4,7)
	ხოლო ნუფსით იგუემა	(7)
	აღამის ცოდვათათჳს,	(7)
	მიეცა ვნებად /	(5)
	უვნებელი კსნად ვნებულთა.	(8)
	*	
2	რაჲ არს საკრველი ესე.	(8)
(ანტისტროფი)	უფრომსი ბუნებისაჲ,	(7)
	ზეშთა აღმატებული,	(8)
	რამეთუ /	(3)
	შალალთა შინა მყოფი	(7)
	შეუწერელი ღმერთი	(7)
	აწ კორციითა / იხილვა მკუდრად უსულოდ.	(4,7)
	დაებეჳდა საფლავსა,	(7)
	გამოქსნისა საფასეჲ	(7)
	დაჳქნა სიკუდილი, /	(5)
	და აღდგა უკუდავი მკუდრეთით.	(8)

77 — 82. მიქაელ მოდრეკილის საგალობელნი აღესებისანი VI ხმისა, საი-დანაც ზემოთ მოვიყვანეთ სამი საზომის (სამი გალობის) მაგალითი (№№ 75, 76, 77), შესდგება 9 გალობისაგან (33 სასტროფო ერთეული). ყოველი გალობა დაწერილია დამოუკიდებელი საზომით. ამრიგად გარდა დასახელებული 3 საზომისა, საგალობელში წარმოდგენილია კიდევ 6 საზომი.

¹ მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 501. — VII გალობა შეიცავს სამ სტროფულ ერთეულს, დაბეჳდილს ამ საზომით (აქ დაებეჳდეთ 1 და 2).

2. — 2, უფრომს || 7, აწ abs.

(ეს ექვსი საზომი ატარებენ შემდეგ სახელებს და ძლისპირთა ნუსხაში უქირავთ შემდეგი ადგილი: საზომი — „რომელმან განვლო“, გალობა I-ა, ძლისპირი 3; საზომი — „მომხედენ ჰქსნელო“, გალობა II, ძლისპირი 6; საზომი — „თქემული ამაკომ“, გალობა III, ძლისპირი 6; საზომი — „ნესტემან კმა-მაღალმან“, გალობა IV, ძლისპირი 7; საზომი — „სტკებნიდეს გზებარესა“, გალობა VI, ძლისპირი 7; საზომი — „ღრუბელსა სულმცირესა“, გალობა VIII, ძლისპირი 7).

სრული ტექსტი საგალობელთა, სალექსო ფორმის დაცვით, გამოცემული გვაქვს წიგნში: ძველ-ქართული ... პოეზია, გვ. 322 — 334.

83. საზომი VI ხმის ჯგუფისა სახელწოდებით „სოფლისა ზღუაჲ აღძრულ არს“ (გალობა V, ძლისპირი 1) — განხილული გვექონდა ზემოთ, სათანადო მაგალითების მოყვანით (იხ. გვ. 614 — 617).

•

სალექსო საზომები (მუსიკალური კომპოზიციებით) მეშვიდე ხმისა.

84 — 91. დ ა ვ ი თ ა ღ მ ა შ ე ნ ე ბ ე ლ ი ს გა ლ ო ბ ა ნ ი ს ი ნ ა ნ უ ლ ი ს ა ნ ი, რომლის ტექსტი მთლიანად გვექონდა ზემოთ მოყვანილი (იხ. გვ. 600 — 606), დაწერილია VII ხმის საზომებით.

საზომთა სახელები და მათი რიცხვითი ფორმულები:

გალობა	ძლისპირი	საზომთა სახელწოდებანი	რიცხვითი ფორმულა
I	2	წამისყოფითა	$\frac{7. 8. \quad 8 (2+6). 8. 8.}{14.}$
II	2	ღმერთო მაცხოვარო	$\frac{8. 8. 9. \quad 8. 8.}{11 (5+6). \quad 11.}$
III	1	რაჟამს ესმა	$\frac{8. 8.}{12 (7+5). \quad 13. \quad 12.}$
IV	5	შენდა აღვიმსთობ	$\frac{5. \quad 9.}{11. \quad 12 (5+7). \quad 10.}$
V	1	დანთქმული ლელვითა	$\frac{6. 9. 4.}{18 (10+8). \quad 11. \quad 14.}$
VI	3	ყრმათა ბაბილონს	$\frac{5. \quad 7. 6. 7.}{15. \quad 12.}$
VII	1	შეუწუელმან მაყუალმან	$\frac{8. \quad 9.}{12 \quad 11. \quad 10. \quad 10. \quad 11.}$
VIII	1	მტკრთველმან გამოჯთქუმელად	$\frac{6. \quad 7. 7. 7.}{16. \quad 14. \quad 11.}$

ყველა საზომები — გრიგოლ ხანძთელისეულია.

92. ხალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ქ უ ე ყ ა ნ ა ს ა მ წ ყ უ რ ნ ე ბ ს ა“ (გალობა I, ძლისპირი 2; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{12. 16. 10. 13.}{}$

მაგალითი:

გალობანი გიორგი მთაწმიდელისანა

(აღბეკდულნია, XI საუკ.)¹

გ ა ლ ო ბ ა I

1	შადლი ბაგეთა შენთა, ' მირონის სახედ	(12)
(სტროფი)	აღმომცენარე, ' დააწუთე ჩემ ზედა, ' ტუბილო მამაო,	(16)
	რათა განბრძნობილმან გონებითა,	(10)
	გვრგვნი ქებისაა ' ღმრთივ-ბრწყინვალე შეგითხზნა.	(13)
2	ორნატთა შინა ' საღმრთოთა მოძღურებათა	(12)
(ანტისტროფი)	აღმოსცენდი შენ, ' ნერგი ეგე წმიდაა, ღმრთივ-დანერგული,	(16)
	და სულისა ნეკტართა მორწყული	(10)
	ნამუშაქეად ღმრთისა ' გამოსჩნდი გიორგი	(13)

ამ საზომით დაწერილია I გალობა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა №№ 7, 93, 97, 99, 125, 140, 179.

ამავე საზომითვე დაწერილია I გალობა გიორგი მთაწმიდელის საგალობელთა — გალობანი ეფთვმე მთაწმიდელისა (ხელნაწერი H — 1710).

93. ხალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „უ გა ლ ო ბ დ ე თ უ ფ ა ლ ს ა, რ ო მ ე ლ მ ა ნ გ ა ნ ი ყ ვ ა ნ ა“ (გალობა I, ძლისპირი 8; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა:

მაგალითი: $\frac{7. 7.}{11. 11.}$

¹ ხელნაწერი S—363, გალობანი აკროსტიხით (აღბეკდულნია). — I გალობა შეიცავს 4 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დაებეკდეთ 1 და 2).

2. — 3₈ ნექტართაგან.

გალობანი ნინოჲსნი I

გ ა ლ ო ბ ა ა I

1	მოვედით, უგალობდეთ	(7)
(სტროფი)	შესხმითა ქებისაჲთა ' მკნესა ნინოს,	(11)
	ტაძარსა მას წმიდასა	(7)
	ვადიდებდეთ გალობითა ახლითა.	(11)
2	დღეს ნათლითა საღმრთოჲთა	(7)
(ანტისტროფი)	განენათლდეთ, ' მორწმუნენო, სიხარულით,	(11)
	და ვდღესასწაულობდეთ	(7)
	ქსენებასა ' ღირსად-მოღუაწისასა.	(11)

ამ საზომით არის დაწერილი I გალობა, შემდეგ საგალობელთა:
 გრიგოლ ხანძთელისა №№ 22, 109;
 გიორგი მთაწმიდელისა — გალობანი იოდასაფისნი (ხელნაწერი H — 1710).
 რიტმულად აქ დასახელებულ საზომს ენათესავება საზომი „იხარებს ეკლესიაჲ“ (იხ. ზემოთ № 29).



94. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ი ხ ი ლ ე თ, ი ხ ი ლ ე თ“ (გალობა I a, ძლისპირი 1; საზომი მეორე ჯგუფისა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{8(6+2) \cdot 9 \cdot 9 \cdot 8 \cdot 8 \cdot 8}{4+9}$

მაგალითი:

მიქაელ მოღრეკილი (X საუკ.)

გალობანი ანტონი მოღუაწისანი²

გ ა ლ ო ბ ა I

1.	აღიღე შენ, ღირსო, ' (6) }
(სტროფი)	შური (2) }
	მოსესი და ელიაისი (9)
	და მსგავსად მათსა იხიღე შენ (9)

¹ ხელნაწერები A=წვირმული: B=Sin.—59; C=Sin.—64; D=Sin.—93; E=ქელიშური; F=გიორგი მთაწმიდელისეული თთუენი — 2338. — I გალობა შეიცავს სამ სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დაბეჭდეთ 1 და 2).

1. — 4₁ ვადიდებდეთ AE] უგალობდეთ დღეს BC.

3. — 2₁ განენათლდეთ A] განენათლდით BC, განებრწყინდეთ E || 2₂ მორწმუნენი BC || 3₂ ვდღესასწაულობდეთ AE] ვდღესასწაულობთ ჩუენ BC || 4₁—2 ღირსად ქსენებასა.

² მიქაელ მოღრეკილას კრებული, გვ. 216. — I გალობა შეიცავს 3 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ ვბეჭდავთ 1 და 2).

უხილაეი და ეზრახე; (8)
 განპბრწყინდი, სულითა, ბრძენო, (8)
 აღეგზენ საღმრთოთ შურიტა, (8)
 და მით შესწყუნ ' (4)
 ეკალნი სოფლის საცთურტანი, (9)
 ანტონი ღმერთ-შემოსილო. (8)

2 მოჰხედა მალამან ' (6)
 (ანტიტროფი) მსხურაპლთა (2)
 შენთა უბიწოთა, ნეტარო, (9)
 ვითარცა აბელისთა, ანტონი (9)
 ვითარცა ენუქ მართალი, (8)
 სათნო ეყავ ღმერთსა, ღირსო, (8)
 სიწმიდითა სულისაჲთა, (8)
 და ვითარცა ' (4)
 ნოე დაგიცვა უენებელად (9)
 წყლით-რღუნისგან უღმრთოებისა. (8)

95. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ქლიერებითა შენითა“ (გალობა II, ძლისპირი 2; საზომი გრიგოლ ბანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{8. 8. \quad 9. 9.}{11. 11.}$

მაგალითი:

ბასილი ბაგრატიის-ძე სახულელ-შთაწმიდელი (X—XI საუკ.)

გალობანი ეფთჳშე შთაწმიდელისანი¹.

გ ა ლ ბ ა ა ||

ა. არამ დაქსნდი შენ, წმიდაო, (9)
 ღუაწლთა მოთმინებისაგან, (8)
 არცა მიენდევ ' განზრახეასა შენსა, (11)
 დაღაცათუ უფსკრულ ' იყავ სიბრძნისაჲ, (11)
 არამედ შეუდეგ ნებასა . (9)
 შენ მამათა სულიერთასა. (9)

ბ. განანათლე შენ წმიდათა (8)
 წიგნთა ნათლითა, მამათ, (8)
 რომელნი მრავლითა ' შრომითა სთარგმნენ, — (11)
 ქუეყანაჲ და ენაჲ ' ჩუენი ბრწყინვალედ . (11)
 და ეკლესიაჲ განამდიდრე (9)
 მარგალიტთა მათგან წმიდათა. (9)

1. — S₃ ეზრახე + მალალსა || 2. — S₁ + და " ვითარცა || 10₁ წყლით რღუნისაგან.

¹ ხელნაწერი H — 1710, გვ. 68ა. — II გალობა შეიცავს 6 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დაებეჭდეთ 4 და 5).

ა. — 4₄ უფსკრული || 5 — 6 შენ ნებასა || 5. — 2₁ + მათ " წიგნთა.

ამ საზომით არის დაწერილი II გალობა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა №№ 4, 5, 24.

*

96. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „არამეინ არს წმიდამ“ (გალობა II, ძლისპირი 5; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა:
$$\frac{7.}{6+5. \quad 14(\overline{7}). \quad 6+5.}$$

მაგალითი:

გალობანი გიორგი მთაწმიდელისანი (აღბეჭდულნი, XI საუკ.)¹

გ ა ლ ო ბ ა მ II

1	კიდობანი წმიდამ	(8)
(სტროფი)	სათნობათამ	(5)
	შეკმზადე, სანატრელო,	(7)
	და მას შინა განერი ' მომსრეელსა მას ფარაოს	(7,7)
	მდინარეთა შინა '	(6)
	საწუთრომასათა.	(5)
	...	
4	კალამი სულისამ	(6)
(ანტისტროფი)	აღილო სიბრძნით,	(5)
	დედოფალო წმიდაო,	(7)
	მადლთა მათ შენთა მიერ ' განბრძნობილმან გიორგი	(7,7)
	და აღწერნა შენნი '	(6)
	ქებულეებანი.	(5)

ამ საზომით არის დაწერილი II გალობა შემდეგ საგალობელთა: გრიგოლ ხანძთელისა №№ 9, 13, 26, 89, 100, 110, 126, 140, 146, 147, 179; მიქაელ მოდრეკილისა — გალობანი ნათელთანი VIII ხმისა (მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 170);

დავით ტბელის-ძისა — გალობანი ბარალამ სირო-კავკასელისა (Ath. — 84/55);

გიორგი მთაწმიდელისა — გალობანი ეფთვემე მთაწმიდელისა და იოდასაფისა (ხელნაწერი H — 1710).

*

97. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „მესმა უფალო განგებამ“ (გალობა III, ძლისპირი 2; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

¹ ხელნაწერი S — 353. — II გალობა შეიცავს 4 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ ღებეჭდეთ 1 და 4).

4. — 4₂ მათ abs.

საზომი წარმოდგენილია ვარიაციებით:

$$\begin{aligned}
 & \text{ა) } \frac{8}{12} \frac{9}{11(6+5)}; \quad \text{ბ) } \frac{8}{12(6+6)} \frac{9}{11(6+5)}; \\
 & \quad \text{გ) } \frac{8}{13(6+7)} \frac{9}{11(6+5)}.
 \end{aligned}$$

მაგალითები:

I

თანე შტბევარი (X საუკ.)

გალობანი ბასილისნი I

გ ა ლ ბ ა ა III

1	სიტყუათა შენთა ელვანი	(8)
(სტროფი)	გამოუჩნდეს. ღმერთ-შემოსილო, სოფელსა,	(12)
	და სულისა ბრწყინვალეზანი	(9)
	ნისლსა ცოდვისასა / განიოტებდეს.	(6+5) 11
2	კიდობნად შჯულისად გიცნობთ,	(8)
(ანტიტროფი)	რამეთუ სიტყუანი საღმრთონი გქონან შენ,	(12)
	ვითარცა ფიცარნი ქვისანი,	(9)
	სავსენი სიბრძნითა / სულიერითა.	(6+5) 11

II

გიორგი მთაწმიდელი (XI საუკ.)

გალობანი იოდასაფისნი²

გ ა ლ ბ ა ა III

	ნაცვალად წარმავალისა	(8)
	ამის მეუბისა / მოაგე წარუვალი	(6+6) 12
	და უცვალეზელ სუფივამ,	(9)
	იოდასათ ბრძენო, / საუკუნესა.	(6+5) 11

III

გიორგი მთაწმიდელი (XI საუკ.)

გალობანი ეფთჳმე მთაწმიდელისანი³

გ ა ლ ბ ა ა III

1	განსწმიდე ხატი სულისამ	(8)
(სტროფი)	და განაერცე იგი საღმრთოთაგან ხედვათა	(6+7) 13
	მამო, სამგზის სანატრულო,	(9)
	და შემწყნარებელ ჰყავ / მადლთა საღმრთოთა.	(6+5) 11

¹ მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 120. — III გალობა შეიცავს 3 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დაებეჭდეთ 1 და 2).

² ხელნაწერი H — 1710, გვ. 111ა. — III გალობა შეიცავს 4 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დაებეჭდეთ მეოთხე).

³ ხელნაწერი H — 1710, გვ. 65ა. — III გალობა შეიცავს 4 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დაებეჭდეთ 1 და 4).

4	საცხოვრებლად მრავალთა	(8)
(ანტისტროფი)	უღაბნოთა შინა / ქალაქნი აღაშენენ.	(6+7) 13
	ექმენ წინამძღუარ ცხოვრებისა	(9)
	სულთა შერყეულთა მტერისა მიერ.	(6+5) 11

ამავე საზომით (ა, ბ და გ ვარიანტებით) არის დაწერილი III გალობა შემდეგ საგალობელთა:

გრიგოლ ხანძთელისა №№ 4, 5, 13, 22, 24, 93, 95, 97, 101, 109, 125, 126, 138, 140, 143;

გალობანი ნინოძისნი III ჰიმნოგრაფისა (ბოდბელისა);
 მიქაელ მორეკილისა — გალობანი ნათელთანი VIII ხმისა;
 დავით ტბელის-ძისა — გალობანი ბარალამ სირო-კავკასელისა.

98. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „მესმა მე ქრისტე“ (გალობა III, ძლისპირი 4; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{8. 5.}{7. 5. 7. 5.} 10.$

მაგალითები:

ბასილი ბაგრატიის-ძე ხახულელ-მთაწმიდელი (X—XI საუკ.)

გალობანი ეფთვზე მთაწმიდელისანი¹

გ ა ლ ბ ა ა III

1	შეიმკვე სამოსლითა ' სიწმიდისაჲთა	(7. 5)
(სტროფი)	და შთაიკუ ქალწულებაჲ ' ვითარცა ცეცხლი	(7. 5)
	და სრულიად უცხო იყავ '	(8)
	მწიკულისა მისგან	(5)
	გულის-თქუმათაჲსა, ღირსო ეფთვზე.	(10)
2	განსაცდელთა მრავალთაჲ ' ღელეჲ განაჰე.	(7. 5)
(ანტისტროფი)	მამო, ვითარცა რაჲ ' კლდეჲ მტკიცეჲსა,	(7+5)
	და მრავალ-ღონესა მტერსა '	(8)
	მთმინებისა	(5)
	ცეცხლი აღუდე დაუშრეტელი.	(10)
3	გეორედ ოქროპირად ' გიცნობთ ქართველნი,	(7. 5)
(ანტისტროფი)	ეფთვზე სანატრელო, ' და მსგავსად მისსა	(7+5)
	აღმავსებ კელესიასა '	(8)
	ჩუნესა ტკიბილთა მათ	(5)
	სწავლათა მისთა სიმდიდრისაგან.	(10)

¹ ხელნაწერი H — 1710, გვ. 68ა. — III გალობა შეიცავს 7 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დავბეჭდეთ 1, 2, 3, 4).

1. — 5₃ ეფთვში || 3. — 3₁ აღმავსებელ || 4. — 3₂ გემოსა

4	მყუდროდ ნავთსაყუდელად ' გუექმენ, მამაო,	(7,5)
(ანტისტროფი)	და მკურნალ წყლულებასა ' სულთა ჩუენთასა,	(7,5)
	რამეთუ შეგემოსა შენ '	(8)
	სიმდაბლე იგი	(ა;
	ქრისტეის მკსნელისაჲ, ყოელად ქებულო.	(10)

II

გალობანი გიორგი მთაწმიდელისანი („აღბეკელინი“, XI საუკ.)¹

გ ა ლ ო ბ ა ა III

1	ლხინებისა მდინარედ ' აღმოგვცუნდა	(7,5)
(სტროფი)	გონებისა შენისა ' წყაროჲ ბრწყინვალეჲ,	(7,5)
	და ეკლესიაჲ ქრისტეჲსი '	(8)
	დაათრო მდიდრად	(5)
	ნექტარმან ერცელმან წიგნთა შენთამან.	(10)
2	ეტრფიალე სიბრძნესა, ' ღმერთ-შემოსილო,	(7,5)
(ანტისტროფი)	და შეიყვარე იგი ' უფროჲ ყოელისა,	(7,5)
	და ვითარცა მარგალიტი '	(8)
	პატიოსანი	(5)
	სულისა საუნჯეთა დაჰმარხე.	(10)
3	საცნობელნი კორცთანი ' აღიკრძალენ შენ,	(7,5)
(ანტისტროფი)	ხოლო სულისა ' საცნობელნი განაგრცენ,	(5,7)
	და კრძალულებისა ძეგლად '	(8)
	აღგვმართე ჩუენ	(5)
	ცხოვრებაჲ შენი, ღირსო გიორგი!	(10)

ამ საზომით არის დაწერილი III გალობა შემდეგ საგალობელთა:
 გრიგოლ ხანძთელისა №№ 7, 26, 89, 100, 111;
 სტრატეგი საბაწმიდელის ხსენებისა (იელის იადგარი).

99. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით:
 „რო მ ე ლ მ ა ნ ღ ა მ ი ს ა გ ა ნ“ (გალობა IV, ძლისპირი 6: საზომი გრიგოლ
 ხანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7}{12} \frac{7}{10}$.

მაგალითი:

¹ ხელნაწერი S — 363. — III გალობა შეიცავს 4 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ სა-
 ზომით (აქ დაებეჭდეთ 1, 2, 3).

გალობანი იოდასაფისნი¹

გ ა ლ ო ბ ა ა IV

1	ოქროძსა მდინარენი	(7)
(სტროფი)	პირით შენით დიოდეს, ' ღმერთ-შემოსილო,	(12)
	და ნაკადულითა მით	(7)
	ცრემლთა შენტაფთა ' მორსწყე ქუეყანამ.	(10)
2	სულისაგან წმიდისა	(7)
(ანტისტროფი)	ადგებულმან დასცენ ' ბანაკნი მტერთანი,	(12)
	იოდასაჟ ნეტარო,	(7)
	და ო ახარე გუნდსა უკორცოთასა.	(10)

ამ საზომით არის დაწერილი IV გალობა შემდეგ საგალობელთა:

გრიგოლ ხანძთელისა №№ 13, 26, 100;

ბასილი ბაგრატიის-ძისა — გალობანი ეფთვმე მთაწმიდელისა.

რიტმულად ეს საზომი ენათესავება ზემოთ-დასახელებულ საზომებს: „იხარებს ეკლესიამ“ და „უგალობდეთ უფალსა, რომელმან განიყვანა“ (იხ. №№ 29, 92).



100. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „მომიტევენ სახიერ“ (გალობა V, ძლისპირი 1; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

საზ-მის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7}{10} \cdot \frac{7 \cdot 7 \cdot 7}{5+8}$

მაგალითი:

ზოსიმე მთაწმიდელი (XI საუკ.)

გალობანი ილარიონ ქართველისანი²

გ ა ლ ო ბ ა ა V

ივლტოდე შენ შფოთთაგან	(7)
სოფლისათა, ღირსო ილარიონ,	(10)
და ცუდსა დიდებასა	(7)
სრულიად განუშორე	(7)
და ვითარცა მთიები	(7)
აღმოსავალით	(5)
დასაველთად მიიწიე.	(8)

¹ ხელნაწერი H — 1710, გვ. 111ა. — IV გალობა შეიცავს 4 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დავებუქდეთ 1 და 2).

² ხელნაწერი A — 558. — V გალობა შეიცავს 5 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დავებუქდეთ პირველი).

ამ საზომით არის დაწერილი V გალობა შემდეგ საგალობელთა:
 გრიგოლ ხანძთელისა №№ 6, 7, 93, 99, 101, 143, 177;
 მიქაელ მოდრეკილისა — გალობანი ანტონი მოლუაწისა;
 გიორგი მთაწმიდელისა — გალობანი ეფთჳმე მთაწმიდელისა და იოდასა-

ფისა;
 გალობანი საბა განწმედლისა (ხელნაწერი Sin. — 65).

*

101. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით:
 „ისაკის მიერ“ (გალობა V, ძლისპირი 9; საზომი გრიგოლ ხანძთელი-
 სეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა:
$$\frac{9. 5.}{5+6. 5+6. 10. 10.}$$

მაგალითი:

ზაგრატ ბასილის-ძე, ხახულელ-მთაწმიდელი (X — XI საუკ.)

გალობანი ეფთჳმე მთაწმიდელისანი¹.

გ ა ლ ო ბ ა ა V

1	2 უშურველი /	(5)
(სტროფი)	იგი მადლი ღმრთისაჲ.	(6)
.	3 სიტკბოებაჲ	(5)
	იგი საწადელი.	(6)
	და ძლიერებაჲ გამოუთქუმელი.	(10)
	რომელმან ნათლად ცხოვრებისა	(9)
	ქართველთა ერსა	(5)
	მოსცა ეფთჳმე. და დასცა მტერის	(10)
	...	
2	მოქალაქობაჲ /	(5)
(ანტისტროფი)	უკორცოთა მსგავსად	(6)
	ნიეთიერიტა /	(5)
	კორციტა აჩუენეს	(6)
	ძალითი ძალად აღმატებულთა	(10)
	ღმერთ-შემოსილთა მათ მამათა,	(9)
	და შენითა მით	(5)
	წინამძღურობითა სრულ-ყვეს სრბაჲ მათი.	(10)

ამავე საზომით არის დაწერილი V გალობა შემდეგ საგალობელთა:
 გრიგოლ ხანძთელისა №№ 126, 147, 178;
 გალობანი კოსტანტი კახაძისა ქართველისანი;
 გალობანი გიორგი მთაწმიდელისანი «აღბეკდულნი».

¹ ხელნაწერი H — 1710, გვ. 68b — 69a. — V გალობა შეიცავს 6 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დაებჭდეთ 1 და 3).

1. — მ₂ ეფთჳმი.

102. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია — სახელწოდებით: „ყ რ მ ა თ ა ღ მ რ თ ი ს მ ს ა ხ უ რ თ ა“ (გალობა VI, ძლისპირი 8; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{8. 8.}{11. 11. 14. 10.}$

მაგალითი:

ბასილი ბაგრატიძე, ხახულელ-მთაწმიდელი (X — XI საუკ.).

გალობანი ეფთჳმე მთაწმიდელისანი¹

გ ა ლ ო ბ ა ა VI

შესხმანი წმიდათანი ' განაშუენენ	(11)
და ცხორებანი მათნი ' აღგვწერენ	(11)
და ენაჲ ჩუენი ' ნაკულუღეანი განავერცეღე.	(14)
მამათ ეფთჳმე, და ჳღაღადებთ:	(10)
კურთხეულ ხარ შენ, უფალო,	(8)
ღმერთო მამათა ჩუენთაო!	(8)

ამ საზომით არის დაწერილი VI გალობა შემდეგ საგალობელთა: გრიგოლ ხანძთელისა №№ 7, 21, 94, 110, 146; გალობანი კოსტანტი კახაძსა ქართველისანი; გიორგი მთაწმიდელისა — გალობანი ეფთჳმე მთაწმიდელისა და იოდასაფისა.

103. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია — სახელწოდებით: „ღ მ რ თ ი ს ა გ ა რ დ ა მ ო ს ლ ვ ა ს ა“ (გალობა VI, ძლისპირი 10; საზომი მეორე ჯგუფისა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. 6. 6. 7.}{12 (7\text{—}5).} \quad \frac{7. 7.}{12 (5+7).}$

მაგალითები:

მიქაელ მორეკილი (X საუკ.)

გალობანი ყოველთა წმიდათანი²

გ ა ლ ო ბ ა ა VI

სძალსა ქრისტემსსა ნინოს,	(7)
ქართლისა ქადაგსა,	(6)
გარსკულავსა მნათობსა	(6)
საღმრთოჲთა მით ნათლითა,	(7)
და კერპთა სიბნელისა ' მათებელსა, —	(7\text{—}5)

¹ ხელნაწერი H — 1710, გვ. 69ა. — VI გალობა შეიცავს 6 სტროფულ ერთეულს, დაწერილი ამ საზომით (აქ დავებუდეთ პირველი).

² მიქაელ მორეკილის კრებული, გვ. 233. — VI გალობა შეიცავს 5 სტროფულ ერთეულს, დაწერილი ამ საზომით (აქ დავებუდეთ მეხუთე).

მოვედით, შევაშკობდეთ (7)
 გაენეს და რიფსიმეს, (7)
 მენესა შუშანიკს / მათ თანავე ვაქებდეთ. (5+7)

II

ზოსიმე მთაწმიდელი (XI საუკ.)

გალობანი ილარიონ ქართველისანი¹

გ ა ლ ო ბ ა ა VI

ნათლად ღმრთივ-მოცემულად (7)
 გიყნობს დასავალი, (6)
 ნეტარო მამაო, (6)
 და მხიარულ არს პრომი, (7)
 და უფრომსად განცხრების ' თესალონიკე. (7,5)
 რამეთუ შენ მას შინა (7)
 განხუედ სოფლით, და მიხუედ (7)
 წინაშე ღმრთისა, / მამაო ილარიონსი (5+7)

104. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია — სახელწოდებით: „მთასა ზედა“ (გალობა VII, ძლისპირი 3; საზომი გრიგოლ ხანძთელი-სეული).

საზომი ორი ვარიანტით:

ა) $\frac{6.}{4+7. \quad 4+7. \quad 5-7. \quad 5+7.}$; ბ) $\frac{6. \quad 6. \quad 6.}{4+7. \quad 4+7. \quad 5-7.}$

მაგალითები:

I

გიორგი მთაწმიდელი (XI საუკ.)

გალობანი ეფთჳმე მთაწმიდელისანი.

გ ა ლ ო ბ ა ა VII

ა. ცრემლთა მიერ / მორსწყე ყანაჲ სულისაჲ (4+7)
 და ზეთითა / ღუაწლთა და შრომათაჲთა (4+7)
 ქალწულებისა / სანთელი განაოხე, (5,7)
 და შეხუედ სასძლოსა (6)
 საუკუნესა / ბრძენთა ქალწულთა თანა (5+7)

¹ ხელნაწერი A — 558. — VI გალობა შეიცავს 6 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დავებქდეთ მესამე).

² ხელნაწერი H — 1710, გვ. 65b. — VII გალობა შეიცავს 4 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დავებქდეთ 2 და 3).

სიყუარული. / სიმდაბლე და სიმშვედე.	(4+7)
სასოებაჲ, / ლოცვაჲ და მღვდარებაჲ.	(4+7)
სარწმუნოებაჲ / მტკიცე, შეურყეველი,	(5+7)
სრულებით მოიგენ,	(6)
აუჯალთა თანა / სათნოებათა მწყობრსა.	(5+7)

II

„აღლობანი გიორგი მთაწმიდელისანი (აღბეჭდულნი). XI საუკ.)“¹

გ ა ლ ბ ა ა V

1 (სტროფი)	ენაჲ შენი / ოქრომასა უწმიდესად	(4+7)
	განაბრწყინებს / კრისტეჲს ეკლესიასა,	(4+7)
	და შეილთა მისთა / განაშუენებს მადლითა,	(5+7)
	და კსენებაჲ შენი — /	(6)
	საშუებელ სულიერ /	(6)
	გუეკმნების, ბრძენო	(6)
2 (ანტისტროფი)	ნათელმან მან / მამისა ნათლისამან	(4+7)
	განაბრწყინვა / კორცთაგან განსლეაჲ შენი,	(4+7)
	და თავთა თანა / მოციქულთა გადიდა	(5+7)
	დღესა ამას შინა /	(6)
	ყოვლად დიდებულსა /	(6)
	მიცვალებისასა.	(6)

ამავე საზომით (ა და ბ ვარიანტებით) არის დაწერილი VII გალობა შემდეგ საგალობელთა:

გრიგოლ ხანძთელისა №№ 4, 5, 21, 89, 95, 100, 109, 125, 126, 137;
იოვანე მტბევეარისა — გალობანი ბასილისი (მიქაელ მოღრეკილის კრებული, გვ. 121);
გიორგი მთაწმიდელისა — გალობანი იოდანსაფისი.



105. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია — სახელწოდებით: „ქებით აკურთხევიდი“ (გალობა VII, ძლისპირი 9; საზომი პირველი ჯგუფისა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{6. 8. \quad 8. 6. 6. 6. 6.}{12. \quad \quad \quad 11.}$

მაგალითი:

¹ ხელნაწერი S — 353. — VII გალობა შეიცავს 4 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დაბეჭდეთ 1 და 2).

გალობანი ეფთჳმე მთაწმიდელისანი¹.

გ ა ლ ო ბ ა ა VII

ითხოვე ქრისტემგან	(6)
ჩუენ მგალობელთა შენთათჳს —	(8)
სოფლისა ზღუასა შინა მყოფთა — გამოკსნამ	(12)
ლეღუათაგან მძჳნარეთა,	(8)
რომელთა აღგჳძრავს	(6)
მტერი ო იგი მოშურნე.	(6)
არამედ შენითა	(6)
ვედრებითა დაჰქსენ	(6)
მისი მზაკუეარებაჲ, სულთა განმხრწნელი.	(11)

ამავე საზომით არის დაწერილი ზოსიმე მთაწმინდელისა — გალობანი ილარიონ ქართველისა, VII გალობა.



106. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „რომელმან დაჰართენ“ (გალობა VII, ძლისპირი 12; საზომი მეორე ჯგუფისა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{5. 9. 9.}{4 \cdot 7. 5 + 7.} \frac{9. 5.}{6 \cdot 9.}$

მაგალითი:

ძლისპირი²

რომელმან დაართენ	(5)
წყალთა ზედა ზესკნელნი მისნი,	(9)
და შეაყენე ზღუაჲ ქჳშასა,	(9)
და გიპყრიეს ქუეყანაჲ ბრძანებითა. —	(4 7)
შენ გიგალობს მზეჲ,	(5)
შენ გადიღებს მთოვარე,	(7)
შენდა შესწირვენ დიდებასა	9
ქმნულნი შენნი,	5
და აღგამაღლებენ ³ შემოქმედსა უკუნისამდე.	(6 9)



107. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „განკვრდეს ზესკნელს“ (გალობა VIII, ძლისპირი 2; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{8.}{11. 11. 7 \cdot 5.} \frac{7. 8.}{7 \cdot 5.}$

მაგალითი:

¹ ხელნაწერი H — 1710, გვ. 69ხ — 70ა. — VII გალობა შეიცავს 6 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დაებეჭდეთ მეხუთე).

² ძლისპირთა დედნები BC.

გალობანი ანტონი მოლუაწისანი¹

გ ა ლ ო ბ ა მ VIII

ენისა უძლურისა ' კინინი შესხმამ,	(11)
უღირსთა ბაგეთა ' ძღუენი უბიწომ,	(11)
გვრგვნითურთ ქებისათ ' მიიღე, ღირსო	(7)5
ღმერთშემოსილი ანტონი,	(8)
და მითხოვე ღმრთისაგან ' დიდი წყალობამ,	(7)5
მეფესა ჩუენსა ძღვევამ,	(7)
და წარმართება ფერკთა	(7)
ჩუენთა გზასა მშვედობისასა.	(8)

ამ საზომით არის დაწერილი VIII გალობა შემდეგ საგალობელთა:
 გრიგოლ ხანძთელისა №№ 24, 93, 125, 140, 177;
 გალობანი საბა განწმედილისა;
 მიქაელ მოდრეკილისა — გალობანი ყოველთა წმიდათა;
 ზოსიმე მთაწმიდელისა — გალობანი ილარიონ ქართველისა.

108. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია — სახელწოდებით:
 „რო მ ე ლ მ ა ნ წ ი ნ ა მ ს წ ა რ“ (გალობა VIII, ძლისპირი 4; საზომი გრი-
 გოლ ხანძთელისეული).

საზომი ვარიანტებით:

ა) $\frac{9. 6. 7. 7.}{11. 11.}$; ბ) $\frac{8. 7. 8. 7.}{10. 11.}$

მაგალითები:

I

გალობანი კოსტანტი კახაძისნი

ქართველისა მოწამისანი²

(IX—X საუკ.)

გ ა ლ ო ბ ა მ VIII

ა.	შენ, რომელი წყაროვსა მისგან	(9)
	ცხორებისა — ასუამ,	(6)
	დამაშურალად იწროვსა	(7)
	მის გზისა მოგზაურთა —	(7)
	ფართობად შეიწყნარებ, — რომლითა	(11)
	წმიდამ კოსტანტი გვრგვნოსან იქმნა.	(11)

¹ მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 217. — VIII გალობა შეიცავს 3 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ დავბეჭდეთ მესამე).

² მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 339 — 340. — VIII გალობა შეიცავს 3 სტროფულ ერთეულს (აქ დავბეჭდეთ 2 და 3).

ა. — 2₁ ცხორებასა || 3. — 2₂ იქმნა + წმიდამ || 5₃ იგი abs.

ტეშმარიტსა მოქალაქობას	(3)
ღირს იქმნა კოსტანტი,	(6)
რომელმან მათი იგი	(7)
მეფობაჲ შეურაცხ-ყო,	(7)
და გვრგვნი იგი ზეცისაჲ მოიგო,	(11)
და აწ მუხს არს სულთა ჩუენთათჳს.	(11)

II

იოვანე მტბვეარი (X საუკ.)

გალობანი ბასილისნი ¹

გალობა VIII

რტოდ ვენახისა საღმრთოჲსა	(8)
გამოშჩნდი შენ, ბასილი,	(7)
სათნოვეებისა ტეჲანნი	(8)
გამოიხუენ, მამაო,	(7)
და ღვწოჲ გულისხმის ყოფისაჲ ასუ	(10)
სამწყსოთა ქრისტეჲსთა, ყოვლად ნეტარო	(11)

III

მიქაელ მოდრეკილი (X საუკ.)

გალობანი ნათელთანი ²

გალობა VIII

ძლეულ იქმნა ღღეს ბელიარ	(8)
ყოვლითურთ დასით მისით.	(7)
რამეთუ ქრისტე მოვიდა	(8)
მეუფეჲ უძლეველი,	(7)
და შეწუა ღმრთეებისა ცეცხლითა	(10)
გესლი გუელისა მის წარმწყმედელისაჲ	(11)

ამ საზომით არის დაწერილი VIII გალობა შემდეგ საგალობელთა:
 გრიგოლ ხანძთელისა № 7, 26, 89, 95, 120, 138, 147, 23;
 დავით ტბელის-ძისა — გალობანი ბარალამ სირო-კაეკასელისა.
 გალობანი გიორგი მთაწმიდელისა აღბეჭდულნი.

¹ მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 121. — VIII გალობა შეიცავს 3 სტროფულ ერთეულს (აქ დავბეჭდეთ პირველი).

² მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 171. — VIII გალობა შეიცავს 3 სტროფულ ერთეულს (აქ დავბეჭდეთ პირველი).

109 — 117. მიქაელ მოდრეკილი: გალობანი ადვსე-ბისანი VIII ხმისა.

გალობანი შეიცავს 9 გალობას — 27 სტროფულ ერთეულს (თვითეულ გალობაში სამ-სამი). ყოველი გალობა დაწერილია დამოუკიდებელი საზომით, ე. ი. სულ საგალობლებში გამოყენებულია 9 საზომი.

(საზომები ატარებენ შემდეგ სახელებს და ძლისპირთა ნუსხაში უქირავთ შემდეგი ადგილი: საზომი — „საღმრთოთა ბრძანებითა“, გალობა I, ძლისპირი 15; საზომი — „უღაბნოსა შას სიციხისასა“, გალობა I-ა, ძლისპირი 9; საზომი „შენ ქრისტე ღმერთო“, გალობა II, ძლისპირი 12; საზომი — „ღმრთისმეტყუელმან ამბაკომ“ გალობა III, ძლისპირი 12; საზომი — „მიზეზი იგი ბხელისაჲ“ გალობა IV, ძლისპირი 14; საზომი — „პირველვე გამოისახა“, გალობა V, ძლისპირი 14; საზომი — „მოხაენი მადლისანი“, გალობა VI, ძლისპირი 12; საზომი — „რომელი გარდა-მოქდა“, გალობა VII, ძლისპირი 13; საზომი — „სიბრძნემან ღმრთისამან იშენა“, გალობა VIII, ძლისპირი 22).

სრული ტექსტი მიქაელ მოდრეკილის ამ საგალობელთა, სალექსო ფორმის დაცვით, გამოცემული გვაქვს წიგნში: „ძველ-ქართული... პოეზია“, გვ. 322 — 334.

ამავე საზომებით არის დაწერილი იოვანე მტბევარის გალობანი შობისანი (მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 80 — 83).

•

საგალობელნი „სპადუქნი“ ანუ „მორთულნი“

118—135. დიდი ფორმის საგალობელთა („გალობათა“) სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომების მიმოხილვის დასასრულს ჩვენ გამოვყოფთ და ცალკე ვეხებით საგალობლებს, რომელთაც ეწოდებოდათ „სპადუქნი“ („სპადუქნი უცხონი“), ანუ „მორთულნი“.

მიქაელ მოდრეკილის ორი გალობანი, რომელიც შედის ციკლში „გალობანი ადვსე ბისანი რვა-კმანი“ (ოქტოიხო), სახელდობრ გალობანი I ხმისა და VII ხმისა, ატარებენ შემდეგს ზედწერილებს:

გალობანი I ხმისა:

„სპადუქნი უცხონი, ურთიერთას შეყოფილნი და განყოფილნი შეტყუებით, მსგავსი მსგავსებითა, და თითოეული განთესებითა, ქართულნი“ (იხ. გვ. 379);

VII ხმის გალობათა ზედწერილში მოკლედ აღნიშნულია: „სპადუქნი“ (იხ. გვ. 516).

ძლისპირთა C დედანში ამავე ჯგუფის საგალობლებს, ნაცვლად ტერმინისა „სპადუქნი“, ეწოდება „მორთულნი“.

•

რას წარმოადგენს ამ სახეობის „გალობანი“, რომელსაც რქმევია ეს ორმაგი სახელი: „სპადუქნი“ („სპადუქნი უცხონი“) და „მორთულნი“?

როგორც აღნიშნული გვქონდა, საგალობელნი დიდი ფორმისა, ეგრეთ-

წოდებული „გალობანი“, შესდგებოდა ან რვა გალობისაგან, ან ცხრა გალობისაგან (როდესაც ერთვოდა დამატებითი I-ა გალობა, ეგრეთ-წოდებული „მოიხილესა“).

ჩვეულებრივი წესის თანახმად, ყოველი ცალკე გალობა იწერებოდა ცალკე დამოუკიდებელი სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომით, და ყოველ ასეთ გალობას მისი მიმდგომი ცალკე მუსიკალური კომპოზიცია ჰქონდა. ამრიგად ცხრა გალობის შემკველს დიდი ფორმის საგალობელში („გალობან“-ში) ცხრაჯერ იცვლებოდა სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომი და ცხრაჯერ იცვლებოდა მისი მიმდგომი მუსიკალური კომპოზიცია.

ხოლო გალობანი — „სპადუქნი“ ანუ „მორთულნი“ შემდეგ თავისებურებას წარმოადგენდა: ცხრა გალობის შემკველ „გალობან“-ში სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომი იცვლებოდა არა ცხრაჯერ, არამედ ხუთჯერ, სახელდობრ ერთნაირი სალექსო საზომით იწერებოდა:

- ა) გალობანი I და I-ა;
- ბ) „ II და III;
- გ) „ IV და V;
- დ) „ VI და VII;
- ე) „ VIII.

რაც შეეხება მუსიკალურ კომპოზიციას, იგი, ჩვეულებრივი წესის თანახმად, ცხრაჯერ იცვლებოდა.

აი ამ გარემოებას, რომ სპადუქის წყობის გალობებში ერთს სალექსო საზომს ორი მუსიკალური კომპოზიცია შეეფარდებოდა, მიუთითებს ზემოთ-მოყვანილი ზედწერილი აღვსების I ხმის გალობათა. ეს ზედწერილი შემდეგს გადმოგვცემს:

„სპადუქნი უცხონი, ურთიერთას შეყოფილნი და განყოფილნი შეტყუებით [=მარცვლედობით], მსგავსი მსგავსებითა [ლექსათა მარცვლედობითა], და თითოეული განთვსებითა [გალობითა]“.

„შენიშვნა. ძველ-ქართულად ტერმინი „შეტყუება“ ლექსის მარცვლედობას აღნიშნავს (შეადარეთ ჩვეულებრივი ზედწერილები იამბიკონური ლექსებისა, რომლის მუხლი 12-მარცვლედო ხუთი ტაეპისაგან შესდგება, ე. ი. 60 მარცვალს შეიცავს; ამ ზედწერილებში იკითხვის: „უოველსა მუქლსა 60 შეტყუება [=მარცვალი] აქუს, ხუთჯერ თორმეტი“).

■

♣

ძველ-ქართულ პიმნოგრაფიულ პოეზიაში ეს ფორმა „სპადუქნი“ ანუ „მორთულნი“ შემოულია X საუკუნის განთქმულს პოეტს ივანე მინჩხს.

ვიდრე შევეხებოდეთ ივანე მინჩხის ამ სახის საგალობლებს, — „სპადუქნი“ ანუ „მორთულნი“, — ჩვენ აქ ჯერ შევჩერდებით ამ პოეტის ვინაობაზე და გავეცნობით მისი შემოქმედების ხასიათს.

ივანე მინჩხი (ანუ მინჩხური) ყოფილა თანამედროვე დასაველეთ საქართველოს (აფხაზეთის) მეფის გიორგი II-ისა (922 — 957 წ.წ.).

ივანე მინჩხის ერთ-ერთ პოეტურ ნაწარმოებს — გალობანი გიორგი სანი (რომელიც, როგორც შემდეგ ვნახავთ, დაწერილია ფორმით — „სპადუქნი“ ანუ „მორთულნი“) აქვს ასეთი ზედწერილი:

„ხოლო ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერებთან მინჩხისადა“.

ამ საგალობლებს, დაცულს ხელნაწერში Sin. — 2, მინჩხი ურთავს შემდეგს კიდურწერილს: „წმიდაო გიორგი, შეეწიე გიორგი მეფესა წინაშე მეუფეთა მეუფისა და აღიდე“.

გიორგი, მეფე დასავლეთ საქართველოსი (აფხაზეთისა), რომელსაც ზემოთ-მოყვანილ უწყებაში ეწოდება „კარგი“ და „დიდი“, ფართოდ განათლებული ადამიანი იყო. მას მიმოწერა ჰქონდა კონსტანტინეპოლის პატრიარქთან და მწერალთან ნიკოლაოზ I-თან (გარდაიცვალა 925 წელს).

თვით ივანე მინჩხიც წარმოშობით დასავლეთ საქართველოდან ყოფილა. ზედწოდება მწერლისა მინჩხი, მინჩხური, დაკავშირებულია დასავლეთ საქართველოს გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებასთან: ინჩხი ანუ ინჩხური. ამ სახელწოდებით — ინჩხური, იგივე ინჩხი, ცნობილია პუნქტი, რომელიც მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ძველი კულტურული ცენტრის ჰყონდიდის (მარტვილის) მიდამოებში.

ძველ ქართული სახელთა-წარმოების თანახმად, გეოგრაფიულ სახელწოდებათაგან ნაწარმოებ სახელებს თავში ერთვის მაწარმოებელი ნიშანი „მ“. ასე, გეოგრაფიული სახელიდან აწყუერი, ძველ ქართულში გვაქვს მ-აწყუერიელი; არადეთი, აქედან მ-არადელი; რუისი, აქედან მ-რუელი (მ-როველი); ტბეთი, აქედან მ-ტბევი; აჭარა, აქედან მ-აჭარელი; ეგვბტე, აქედან მ-ეგვბტელი; არგუეთი, აქედან მ-არგუელი; ეგრისი, აქედან მ-ეგრელი, ანუ, უფრო ძველი ფორმით : მ-ეგრი¹.

ასევე გეოგრაფიული პუნქტის სახელწოდებიდან ინჩხი (იგივე ინჩხური), ნაწარმოებია სახელწოდება მ-ინჩხი, მ-ინჩხური (|| მ-ინჩხ-ური).

გეოგრაფიული პუნქტი ინჩხი (ინჩხური), სამშობლო ივანე მინჩხისა (მინჩხურისა), როგორც მოვიხსენეთ, მდებარეობს ჰყონდიდის სანახებში. არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ ჰყონდიდი ააშენა და საეპისკოპოსო კათედრა განაწესა ჰყონდიდში დასავლეთ საქართველოს მეფემ გიორგი II-ემ, რომელთანაც დაკავშირებული იყო თავისი მოღვაწეობით ივანე მინჩხი.

ივანე მინჩხი გარდაცვლილა X საუკუნის 70-იან/80-იან წლებამდე. როდესაც მიქაელ მოღრეკილმა შეადგინა ცნობილი ჰიმნოგრაფიული კრებული (978—988 წ.წ.), ივანე მინჩხი უკვე გარდაცვლილი ყოფილა. მინჩხის ერთ-ერთ ნაწარმოებს, რომელიც მიქაელ მოღრეკილს შეაქვს თავის კრებულში, მიქაელი უკეთებს ასეთ ზედწერილს: „ქ. ივანე მინჩხისანი. — ქრისტე განუსუენე სულსა მისსა“ (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 21).

ივანე მინჩხი, გარდა იმისა, რომ იგი გამოჩენილი პოეტი იყო, ამავე დროს კომპოზიტორი ყოფილა. ქვემოთ, როდესაც ჩვენ განვიხილავთ ივანე მინჩხის სტიქარონებს, ვნახავთ, რომ ივანე მინჩხის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობაში მრავლად არის წარმოდგენილი ეგრეთწოდებული „თვთნი“ ანუ „თვთ-ძლის-პირნი“, ე. ი. პოეტური ჰიმნები, რომელთა სალექსო საზომები ივანე მინჩხს

¹ ფორმა „მ-ეგრი“ იხ. ლეონტი მროველთან (ანასეული ქართლის ცხოვრება, გვ. 26, 33 (ორგზის), 35, 36).

შემოულია და სალექსო საზომებთან ერთად მათი მუსიკალური კომპოზიციაც შეუქმნია.

ივანე მინჩხი, როგორც ირკვევა, უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა თანამედროვეთა შორის როგორც პოეტი და კომპოზიტორი. გიორგის საგალობელთა ზედწერილში, როგორც მოხსენებული გეჭონდა, საგანგებოდ აღნიშნულია, რომ „ესე გალობანი მას კარგსა გიორგი მეფესა, დიდსა, დიდითა ედრებითა აღუწერებთან მინჩხისადა“.

ივანე მინჩხის, გარდაცვალების შემდეგ, მიემართება ზედწოდება „ნეტარი“. მიქაელ მოდრეკილის კრებულში მოთავსებულს ივანე მინჩხის იამბიკონებს აქვს ასეთი ზედწერილი: „იამბიკონნი, თქუმულნი ნეტარისა ივანე მინჩხისანი“ (იხ. პ. ინგოროყვა, ძველი ქართული... პოეზია, გვ. 11). ხელნაწერ კრებულში Sin.—5 ივანე მინჩხის საგალობელთა შესახებ აღნიშნულია: „თქუმულნია ნეტარისა მინჩხისა ქართველისანი“.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ივანე მინჩხი არ ყოფილა სასულიერო პირი, რომ ამით აგვეხსნა მისი ზედწოდება „ნეტარი“. ივანე მინჩხი პოლომდე საერო პირად დარჩენილა. ამას ადასტურებს თვით მისი სახელის ფორმა ივანე (და არა იოვანე). როგორც ცნობილია, ეს სახელი სასულიერო პირთა მიმართ მიღებული იყო ფორმით „იოვანე“, ხოლო ხალხური ფორმა „ივანე“ მხოლოდ საერო პირთ მიემართებოდა. (ასე, მიქაელ მოდრეკილის კრებულში სასულიერო პირნი მოიხსენებიან სახელით იოვანე: იოვანე მტბევარი, იოვანე დამასკელი, ხოლო საერო პირნი სახელით ივანე: ივანე მინჩხი, ივანე კონქოზის-ძე).

ამრიგად ზედწოდება „ნეტარი“ მიემართება ივანე მინჩხის არა იმის გამო, რომ იგი იყო სასულიერო პირი, არამედ მისი ღვაწლისათვის ჰიმნოგრაფიული პოეზიისა და მუსიკის დარგში.

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ ივანე მინჩხის საგალობლებს — გალობანი გიორგისნი; იგი, როგორც მოვიხსენეთ, დაცულია ხელნაწერში Sin.—2 და გამოცემულია აკად. ივ. ჯავახიშვილის შრომაში „სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა“ (რომელიც ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა).

„გალობანი“ ამ გამოცემაში დაბეჭდილია როგორც პროზა. სინამდვილეში კი აქ ჩვენ გვაქვს ლექსი,—ჰიმნოგრაფიული პოეზიის ჩვეულებრივი სალექსო ფორმა, ე. ი. საგალობელთა «მარცვლელი».

ირკვევა ამასთან, რომ ივანე მინჩხის ეს გალობანი არის „თვთი“ ანუ „თვთ-ძლისპირი“, ე. ი. როგორც სალექსო ფორმა, ისე მუსიკალური კომპოზიცია ამ გალობათა ივანე მინჩხის ეკუთვნის.

ივანე მინჩხის ამ გალობათა გამოქვეყნების შემდეგ მომხდარა მისი სალექსო ფორმის კანონიზება, იგი შეუტანიათ ძველ-ქართულ სალექსო კაშნიკში, ძლისპირთა კრებულში; სახელდობრ ძლისპირთა დედნებში B და C ივანე მინჩხის ამ გალობათა პირველი სტროფები შეტანილია როგორც მაჩვენებელი დამოუკიდებელი სალექსო საზომებისა.

რა ფორმაა ეს ახალი სალექსო ფორმა, ეს ახალი სტროფულ-ტაეპობრივი წყობა, რომელიც შემოუღია ივანე მინჩხის ამ თავის თვთძლისპირში — „გ ა ლ ბ ა ნ ი გ ი ო რ გ ი ს ნ ი“?

ეს არის სწორედ ის ფორმა „სპადუქნი“ ანუ „მორთულნი“, რომელზედაც აქ გვექონდა საუბარი. სახელდობრ ეს „გალობანი“ შეიცავს არა ცხრა სალექსო საზომის მონაცვლეობას ცხრა მუსიკალურ კომპოზიციასთან ერთად, არამედ აქ ხუთი სალექსო საზომი შეწყობილია ცხრა მუსიკალურ კომპოზიციასთან. აქ გვაქვს — „სპადუქნი უცხონი, ურთიერთას შეყოფილნი და განყოფილნი შეტყუებით [=მარცვლედობით], მსგავსი მსგავსებითა [ლექსთა მარცვლედობითა] და თითოეული განთვსებითა [გალობითა]“.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ ძლისპირთა C დედანში, სადაც შეტანილია ივანე მინჩხის ამ გალობათაგან ყოველი გალობის პირველი სტროფი, როგორც სალექსო საზომთა მაჩვენებელი, მათ ახლავს წარწერა „მ ო რ თ უ ლ ნ ი“.

ივანე მინჩხის მიერ შემოღებულს ამ ფორმას „სპადუქნი“ („მორთულნი“) ფართე გავრცელება მიუღია X საუკუნეში.

მიქაელ მოდრეკილის გალობანი აღვსებისანი VII ხმისა, რომელიც ზემოთ დავასახელეთ, და რომელსაც აქვს ზედწერილი „სპადუქნი“, დაწერილია ზუსტად იმავე ფორმით, როგორც ივანე მინჩხის თვთძლისპირნი — „გ ა ლ ბ ა ნ ი გ ი ო რ გ ი ს ნ ი“.

რომ მიქაელ მოდრეკილი ამ შემთხვევაში იცავდა ივანე მინჩხის შემოღებულს სალექსო ფორმას (მუსიკალურის კომპოზიციით), ეს ფიქსირებულია მიქაელ მოდრეკილის გალობათა ზედწერილებში: მიქაელ მოდრეკილის ყოველი ცალკეული გალობის დასაწყისში ზედწერილის სახით მოყვანილია ხოლმე, როგორც სალექსო საზომისა და მუსიკის მაჩვენებელი, პირველი სიტყვები ივანე მინჩხის შესაფარდი გალობის პირველი სტროფიდან.

მოგვყავს ამის შემდეგ სახელწოდებანი ამ VII ხმის სპადუქთა სალექსო საზომებისა და მუსიკალური კომპოზიციებისა, — სალექსო საზომთა რიცხვითი ფორმულების ჩვენებით. — ვუჩვენებთ ამასთან, თუ რა ადგილი უჭირავს ამ საზომებს ძლისპირთა ნუსხაში¹.

(იხ. ცხრილი 673 გვერდზე)

დამატებაში მოგვყავს ექსცერპტულად თვით ტექსტები ივანე მინჩხის და მიქაელ მოდრეკილის ამ გალობათა, — VII ხმის სპადუქთა (ივანე მინჩხიდან — ტექსტები პირველი სამი სალექსო საზომისა, მიქაელ მოდრეკილიდან ბოლო ორი სალექსო საზომისა. იხ. დამატებანი, გვ. 083 — 084, 085 — 086.

¹ აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ხელნაწერი Sin.—2, სადაც მოთავსებულია ივანე მინჩხის გალობანი, ნაკლულევანია, რის გამო მინჩხის ამ საგალობლებს აკლია ბოლო ნაწილი, VI—VIII გალობანი. ამ დეფექტის შევსება ნაწილობრივ შესაძლო ხდება ძლისპირთა B და C დედნების მიხედვით, სადაც შეტანილია VI, VII და VIII გალობათა პირველი სტროფები, როგორც სალექსო საზომთა აღმნიშვნელნი ძლისპირნი.

„სპადუქნი“ („მორთულნი“) VII ხმის

გალობა	ძლისპირი	საზომთა და მუსიკალური კომპოზიციების სახელწოდება	საზომთა რიცხვითი ფორმულა
I	5	წმიდაო ღმერთო	} 5. <u>8. 7. 7.</u> 11. 12. 10. 14. 11.
I-a	3	განკურთა გულითა	
II	5	შურის - მგებელი	} <u>9(2+7).</u> 8. 8. 12 (5+7). 13 (5+8). 12. 12
III	5	გამოხუედ ქრისტე	
IV	6	მიდგომილებაჲ	} 7.9.6. 8.8.9. 9. <u>12. 10. 10.</u>
V	6	წინა აჩუენა	
VI	6	მეუფეთა მეუფისა	} 8. 9. 8. 6. 8. 10. 12. 12. 11 (7+4). 12
VII	5	მაღალსა ღმერთსა	
VIII	5	დიდებითა მით	9. 9. 9. 9. 9. 8. <u>11. 11. 12 (3+9). 11. 11.</u>

ივანე მინჩხის მიერ შემოღებული ფორმა — „სპადუქნი“ („მორთულნი“) VII ხმისა, — გარდა შიქაელ მოდრეკილისა, მიქაელზე ადრე, გამოუყენებია აგრეთვე ორ ანონიმ ავტორს; ერთ მათგანს დაუწერია გალობანი სპადუქნი VII ხმისა, ალიტერაციის იმ ფორმის დაცვით, რომელიც X საუკუნის ჰიმნოგრაფიაში ცნობილია სახელწოდებით „მ ე რ ჩ უ ლ ი უ ლ ნ ი“. (არა ჩანს, ვინ იყო ამ გალობათა ავტორი, თვით გიორგი მერჩულე, თუ სხვა პოეტი, რომელმაც „მერჩულიული“ ალიტერაცია გამოიყენა; არაა გამორიცხული, რომ ავტორია თვით გიორგი მერჩულე, რომელიც ივანე მინჩხის თანამედროვე იყო.). მეორე ანონიმური ტექსტი ჩვეულებრივი სახისაა, უალიტერაციო.

ეს ორი ტექსტი, — მერჩულიული და მეორე ანონიმისა, ჩვენ დრომდე არ მოღწეულა, შენახულა მხოლოდ მათი ექსცერპტები ძლისპირთა კრებულებში, — ანტისტროფები „ღმრთისმშობელისანი“; აგრეთვე მიქაელის გალობათა ბოლო წარწერებში, რომლითაც აღინიშნება „ღმრთისმშობელისანი“, გვხვდება მითითებანი ამავე ტექსტებზე.

როგორც ცნობილია, ყოველ გალობას თავში ერთვოდა ძლისპირის ძირითადი სტროფი, რომელიც აღნიშნავდა სალექსო საზომს, ხოლო ბოლოში ერთვოდა „ღმრთისმშობელისანი“, რომელიც წარმოადგენდა ანტისტროფს.

ძლისპირთა კრებულებში B და C, სალექსო საზომების მაჩვენებელი ძლისპირის სახით ყოველთვის მოყვანილია ივანე მინჩხის გალობათა პირველი სტროფი; ხოლო „ღმრთისმშობელისანი“-ს სახით მოყვანილია ხან მინჩხისეული, ხან მერჩულიული, ხან მეორე ანონიმისა¹.

¹ სახელდობრ ძლისპირთა C დედაწი მოყვანილია „ღმრთისმშობელისანი“: II, IV, V, VIII გალობებში — მინჩხისეული; VII გალობაში — მერჩულიული; I და VI გალობები — მინჩხისეული და მერჩულიული ერთად; I და III გალობებში — მეორე ანონიმისა.

ძლისპირთა B დედაწი ყველა შემთხვევაში მოყვანილია მერჩულიული „ღმრთისმშობელისანი“.

(მერჩულიული „ღმრთისმშობელისანი“ დასაწყისი ბევრით ალიტერაციულად ყოველთვის შეფარდებულია ძლისპირის დასაწყის ბგერასთან).

ასევე მიქაელ მოდრეკილის გალობათა დასაწყისას წარწერებში სალექსო საზომთა მაჩვენებელი ძლისპირების სახით ყოველთვის მითითებულია ივანე მინჩხის გალობათა პირველი სტროფი; ზოლო გალობათა ბოლო წარწერებში, სადაც აღინიშნება „ღმრთისმშობლისანი“, მითითებულია ამ ბოლო ანტისტროფების ხან მინჩხისეული ტექსტი, ხან „მერჩულიუნი“ და ხან ანონიმისა¹.

ჩვენ აქამდე ვეხებოდით „სპადუქთა“ („მორთულთა“) ჯგუფის გალობათა მხოლოდ ერთ სახეობას, სახელდობრ იმ სახეობას, რომელსაც წარმოგვიდგენს „სპადუქთა“ VII ხმის საგალობელნი, — ზემოთმოხსენებულნი ივანე მინჩხის გალობანი გიორგისნი და მიქაელ მოდრეკილის გალობანი აღვსებისანი VII ხმისა.

ამას გარდა არსებობს „სპადუქთა“ („მორთულთა“) ჯგუფის მეორე სახეობა: გალობანი I ხმისა. იგი წარმოდგენილია ორი ტექსტით, რომლებიც მიქაელ მოდრეკილის კალამს ეკუთვნის; ესენია გალობანი აღვსებისანი I ხმის, (იხ. მიქაელის კრებული, გვ. 379—381) და გალობანი ნათელთანი I ხმისა (იხ. მიქაელის კრებული, გვ. 143—145).

საერთო სტრუქტურა I ხმის ამ გალობათა იგივეა, რაც ზემოთ-განხილული VII ხმის საგალობლებისა; აქაც გალობანი, შემდგარი ცხრა გალობისაგან, შეიცავს ხუთი სტროფულ-ტაეპობრივი საზომის მონაცვლეობას ცხრა მუსიკალურ კომპოზიციასთან შეწყობით.

მოგვყავს სახელწოდებანი ამ I ხმის სპადუქთა სალექსო საზომებისა და მუსიკალური კომპოზიციებისა, — სალექსო საზომთა რიცხვითი ფორმულების აღნიშვნით. (ვუჩვენებთ ამასთან, თუ რა ადგილი უჭირავს მათ ძლისპირთა ნუსხაში).

„სპადუქნი“ („მორთულნი“) I ხმისა

გალობა	ძლისპირი	საზომთა და მუსიკალური კომპოზიციების სახელწოდება	საზომთა რიცხვითი ფორმულა
I	14	სულმან საღმრთომან	} 5. 9. 9. 7. 11. 12. 10. 14. 11.
I-a	8	თავსა წიგნთასა	
II	12	მესნელო იესუ	} 9. 8. 8. 12 (5+7). 13 (5+8). 12 (4+8). 12.
III	14	თანა - არსება	
IV	11	სულიერმან ებანმან	} 7. 3. 9. 9. 9. 9. 11 (4+7). 11. 13 (5+8). 5+5
V	12	იონა მენაეთა	
VI	14	ქრისტემან ღმერთმან	} 8. 9. 8. 6. 4. 10. 13 (6+7). 12 (7+5). 13. 12.
VII	12	გონება უბიწო	
VIII	15	შენ ღირსად	9. 9. 9. 9. 8. 8. 10. 10. 11. 11. 11. 11.

¹ სახელდობრ მინჩხისეული ტექსტი მითითებულია 4-ჯერ (გალობანი I-a, V, VI, VII); მერჩულიუნი 3-ჯერ (გალობანი I, II, IV); ანონიმისა 2-ჯერ (გალობანი III, VIII).

VII ხმისა და I ხმის სპადუქთა სალექსო საზომების შედარებიდან ცხადი ხდება, რომ ეს ორი სახეობა ნათესაობაშია ერთმანეთთან არა მხოლოდ საერთო სტრუქტურით, არა მხოლოდ იმით, რომ ორივენი ხუთ სტროფულ-ტაეპობრივ საზომს შეიცავენ, არამედ ეს ნათესაობა უფრო შორს მიდის; საქმე ის არის, რომ გალობათა ხუთი სტროფულ-ტაეპობრივი საზომებიდან პირველი ორი თითქმის იდენტურია ორსავე სახეობაში, ხოლო ბოლო სამი საზომი თუმცა შორდება ერთმანეთს, მაგრამ არა არსებითად.

ამრიგად სპადუქთა ის სახეობა, რომელიც ჩვენ გვაქვს I ხმის საგალობლებში, წარმოადგენს ივანე მინჩხისეული ზემოთ-განხილული VII ხმის სპადუქთა ვარიაციას.

I ხმის სპადუქთა ტექსტებიდან — მიქაელ მოდრეკილის გალობანი ნათელთანი I ხმისა დაბეჭდილი გვაქვს სრულად, სალექსო ფორმის დაცვით, ჩვენს აღრიხდელს შრომაში „ძველ-ქართული... პოეზია“, გვ. 385—386. ხოლო მიქაელ მოდრეკილის გალობანი აღვსებისანი I ხმისა, სალექსო ფორმის დაცვით, დაბეჭდილი გვაქვს ექსცერპტულად დამატებაში (იხ. გვ. 086—087).

ჩვენ ამით დავამთავრებთ საუბარს ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიის ამ ჯგუფის საგალობელთა შესახებ, რომელსაც ეწოდებოდა „სპადუქნი“ („სპადუქნი უცხონი“) და „მორთულნი“¹.

შენიშვნა სახელწოდებათა „სპადუქნი“-ს და „მორთულნი“-ს შესახებ.

ა) სახელწოდება საგალობელთა (სალექსო საზომისა — მუსიკალური კომპოზიციით) — „სპადუქნი“ წარმოადგება სახელწოდებისაგან მუსიკალური საკრავისა, რომელსაც ბერძნულად ერქვა „სპადიკი“ (σπαδική, σπαδικός), ხოლო ქართულად „სპადუქი“ რქმევია. იგი ჩანგის მსგავს სიმებიან საკრავს წარმოადგენდა. სახელწოდება „სპადუქნი“ საგალობელს დარქმევია იმის გამო, რომ ეს საგალობლები, როგორც ირკვევა, სრულდებოდა ამ მუსიკალური საკრავის „სპადუქის“ თანხლებით.

ბ) მეორე სახელწოდება „მორთულნი“ ჩანს ნიშნავს იმასვე, რასაც მოკაზმული. ასეთ განმარტებას ამართლებს მეორე პარალელური ზედწოდება სპადუქთა — „უცხონი“. მიქაელ შორდრეკილის კრებულში სპადუქთა საგალობლებს VII ხმისა, როგორც მოვიხსენეთ, აქვს შემდეგი ზედწერილი: „სპადუქნი უცხონი, ურთიერთს შეყოფილნი და განყოფილნი შეტყუებოთ [მარტულდობით], მსგავსი მსგავსებითა და თვითიული განთვებითა, „ქართულნი“ (იხ. ზემოთ, გვ. 668). ამრიგად, რაკი ეს საგალობელნი „ქართულნი“ ყოფილა, ცხადია უცხონი აქ ნიშნავს არა გარეშეს (უცხოს), არამედ იმსავე, რასაც „მორთულნი“, მოკაზმულნი „საუცხო“ (ძვ.-ქართულად „უცხო“).

ი.

საგალობელნი ორ-ტაეპედი (მრჩობლელი) და სამ-ტაეპედი სტროფებით ერთხმოვანი წყობისა.

დიდი ფორმის საგალობელთა („გალობათა“) მიმოხილვის დასასრულს ჩვენ აგრეთვე გამოვყოფთ და ცალკე შევიჩერდებით ერთხმოვანი წყობის სა-

¹ აღვნიშნავთ ამასთან, რომ გარდა სპადუქთა ორი სახეობისა, რომელიც აქ განვიხილეთ, ე. ი. გარდა VII და I ხმის გალობათა, არსებულა აგრეთვე გალობანი VIII ხმისა. მაგრამ მისი სრული ტექსტი ჯერჯერობით აღმოჩენილი არაა. აქ VIII ხმის გალობათაგან შენახული მხოლოდ ორი ძღისპირა, ჩართული ძღისპირთა კრებულებში (იხ. VIII ხმა, III გალობა, ძღისპირი № 8, IV გალობა, ძღისპირი № 3); მათ, ძღისპირთა C დედანში, მოწერილი აქვთ: „მორთულნი“ (=სპადუქნი). ამ შესამე ტექსტს, მისი ფრაგმენტულობის გამო, აქ აღარ განვიხილავთ.

გალობლებზე, რომლებიც გაწყობილია ორ-ტაეპედი (მრჩობლედ) და სამ-ტაეპედი სტროფებით.

როგორც წარმოდგენილი მიმოხილვიდან ცხადი გახდა, ჰიმნოგრაფიული პოეზიის სტროფულ წყობას ახასიათებს მრავალტაეპიანობა; აქ იშვიათად გვხვდება ხუთ-ტაეპედზე ნაკლები სტროფები, ხოლო მრავალტაეპედი სტროფები, ათ-მარცვლედამდე და მეტიც, ჩვეულებრივი მოვლენაა.

ამასთან ჰიმნოგრაფიული პოეზიის სტროფულ წყობას ახასიათებს მრავალხმიანობა, ე. ი. ერთი სტროფის ფარგლებში სხვადასხვა ზომის ტაეპების შეწყობა.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჰიმნოგრაფიული პოეზიის სალექსო ფორმის ძირითადი პრინციპია გვერდის ავლა ერთსახოვანი სიმეტრიისა, არტისტული დარღვევა ერთფეროვანი ჰარმონიისა, ერთსახოვანი სიმეტრიული წყობისა, რითაც ჰიმნოგრაფიული პოეზიის ლექსი დიდ დინამიურობას აღწევს.

მაგრამ ჰიმნოგრაფიული პოეზიისათვის არაა მთლიანად უცხო, სტროფული წყობის მრავალხმიანობასთან ერთად, აგრეთვე ერთხმიანობა; ამასთან, რთული მრავალტაეპოვანი სტროფული წყობის გვერდით ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში გვხვდება აგრეთვე მოკლე ორ-ტაეპედი და სამ-ტაეპედი სტროფები. (ამათზე უფრო ხშირია კატრენი, ოთხ-ტაეპედი).

მოგვყავს მაგალითები.

136. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „მი ე ს ც ე თ ჩ უ ე ნ დ ღ ე ს“ (ხმა VI, გალობა I-ა, ძლისპირი № 1; საზომი მეორე ჯგუფისა).

სტროფი წარმოდგენს მრჩობლედს (ორ-ტაეპედს). თვითეული ტაეპი 7-მარცვლედია.

საზომის მაგალითად ჰაშნიკში (ძლისპირთა კრებულში) მოყვანილია შემდეგი ძლისძირი:

მიესკეთ ჩუენ დღეს დიდებაჲ (7)

უფალსა ღმერთსა ჩუენსა. (7)

137. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „უ გა ლ ბ დ ე თ უ ფ ა ლ ს ა“ (ხმა IV, გალობა I, ძლისპირი № 9; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

სტროფი წარმოდგენს სამ-ტაეპედს. თვითეული ტაეპი 7-მარცვლედია.

საზომის მაგალითად ჰაშნიკში მოყვანილია შემდეგი ძლისპირი (გრიგოლ ხანძთელისეული):

უგალობდეთ უფალსა (7)

გალობითა ახლითა, (7)

რამეთუ დიდებულ არს (7)

ამ საზომით არის დაწერილი I გალობა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა № 97.

138. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „კ ლ დ ე ს ა მ ა ს ზ ე დ ა“ (ხმა II, გალობა II, ძლისპირი № 8; საზომი პირველი ჯგუფისა).

სტროფი წარმოადგენს მრჩობლედს (ორ-ტაეპედს). თვითეული ტაეპი 10-მარცვლედია.

საზომის მაგალითად ქაშნიკში მოყვანილია შემდეგი ძლისპირი:

კლდესა მას ზედა დაგუამტყიყე ჩუენ	(10)
მცნებათა შენთასა, კაცთმოყუარე!	(12)

139. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „უ გა ლ ო ბ დ ე თ უ ფ ა ლ ს ა“ (ხმა III, გალობა I, ძლისპირი № 4; საზომი პირველი ჯგუფისა).

სტროფი წარმოადგენს მრჩობლედს (ორ-ტაეპედს). თვითეული ტაეპი 11-მარცვლედია.

საზომის მაგალითად ქაშნიკში მოყვანილია ძლისპირი:

უგალობდეთ, უფალსა, მორწმუნენო,	(11)
სასწაულთა მოქმედსა დიდებულსა.	(11)

140. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ს ა და“ (ხმა III, გალობა VIII, ძლისპირი № 3; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

სტროფი წარმოადგენს მრჩობლედს (ორ-ტაეპედს). თვითეული ტაეპი 12-მარცვლედია, იამბიკონური; ამათგან პირველი ტაეპი განიკვეთება მუდმივი ცეზურით 5+7, ხოლო მეორე ტაეპი მოძრავ-ცეზურიანია.

საზომის მაგალითად ქაშნიკში მოყვანილია ძლისპირი (გრიგოლ ხანძთელისეული):

ღმრთისმშობელსა და ' ქალწულად დადგომილსა	(5+7) 12
დედასა მკსნელისასა ' ჩუენ ვადიდებდეთ.	12

ამ საზომით არის დაწერილი VIII გალობა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა № 163. მოგვეყავს აქედანაც მაგალითი:

ჯუარცუმულსა ჩუენთვის ' და ქუეყანას დაფლულსა	(5+7) 12
და აღდგომილსა მკუდრეთით ' ჩუენ ვადიდებდეთ.	12

რომელმან მკუდრეთით ' აღდგომით განაახლა	(5+7) 12
ადამის ნათესავი ' მას ვადიდებდეთ.	12

141. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ღ ა ღ ა დ-ე ყ ა ვ გ უ ლ ი თ ა“ (ხმა III, გალობა V, ძლისპირი № 4; საზომი პირველი ჯგუფისა).

სტროფი წარმოდგენს მრჩობლედს (ორ-ტაეპედს). თვითეული ტაეპი 12-მარცვლედია, იამბიკონური; ამათგან პირველი ტაეპი მოძრავ-ცეზურიანია, ხოლო მეორე ტაეპი განიკვეთება მუდმივი ცეზურით 5+7. (ამრიგად, შედარებ. ზემოთ-აღნიშნულ საზომთან № 140, აქ შებრუნებით არის წარმოდგენილი მუდმივ-ცეზურიანი და მოძრავ-ცეზურიანი ტაეპების თანამიმდევრობა).

საზომის მაგალითად ქაშნიკში მოყვანილია ძლისპირი:

ლაღად-გყავ გულითა ჩემითა შენდამი,	12
ისმინე ჩემი / უფალო, ღმერთო ჩემო!	(5+7) 12

142. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ს ა უ კ უ ნ ე თ ა შ ე მ თ ე მ ე დ ი ს ა“ (ხმა IV, გალობა VIII, ძლისპირი № 16; საზომი მეორე ჯგუფისა).

სტროფში ჩვენ გვაქვს შემდეგი ზომის ტაეპები შემდეგი თანმიმდევრობით: 5, 5; 7, 7. ამრიგად კატრენში აქ გაერთიანებულია მრჩობლედად გაწყობილი ტაეპობრივი საზომები.

საზომის მაგალითად ქაშნიკში მოყვანილია ძლისპირი:

საუკუნეთა	(5)
შემოქმედისა	(5)
დედასა და ქალწულსა	(7)
გალობით ვადიდებდეთ.	(7)

ამავე ტიპისაა საზომები, რომლებიც ზემოთ გვქონდა განხილული და რომლებშიაც ერთხმიანი სტროფები ასეა განლაგებული:

საზომი № 6. ერთხმიანი ტაეპები კატრენში განლაგებულია მრჩობლედის სახით:

8(4+4), 8; 12(5+7), 12(5+7).

საზომი № 95. ერთხმიანი ტაეპები ექვს-ტაეპედში განლაგებულია მრჩობლედის სახით:

8, 8; 11, 11; 9, 9.

საზომი № 93. ერთხმიანი ტაეპები კატრენში განლაგებულია ჯვარედინის სახით:

7, 11; 7, 11.

საზომი № 8. ერთხმიანი ტაეპები ექვს-ტაეპედის პირველ ოთხ ტაეპში განლაგებულია ჯვარედინის სახით, ბოლო ორ ტაეპში მრჩობლედის სახით:

7, 9; 7, 9; 10, 10.

საზომი № 31. ერთხმიანი ტაეპები ექვს-ტაეპედში განლაგებულია სამეულებად:

7, 7, 7; 9, 9, 9.

აღნიშნავთ აქ აგრეთვე სამ-ტაეპედ სტროფებს, რომლის ორი ტაეპი ერთხმოვანია, ხოლო მესამე ტაეპი განსხვავებული მეტრისაა.

143. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „რ ო მ ე ლ ი მ ა მ ა თ ა ლ“ (ხმა V, გალობა VI, ძლისპირი № 5; საზომი პირველი ჯგუფისა).

სტროფი წარმოადგენს სამ-ტაეპედს, რომელშიაც წარმოდგენილია შემდეგი ზომის ტაეპები შემდეგის თანამიმდევრობით: 6, 6, 10.

საზომის მაგალითად ქაშნიკში მოყვანილია ძლისპირი:

რომელი მამათაჲ	(5)
და ჩუენი ღმერთი ხარ,	(6)
კურთხეულ ხარ შენ უკუნისამდე.	(10)

ანტისტროფში, წესის თანახმად, ტაეპთა ასეთივე თანამიმდევრობაა.

•

144. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „მ ე ს მ ა, უ ფ ა ლ ო“ (ხმა III, გალობა III, ძლისპირი № 4; საზომი გრიგოლ ხანძთელისეული).

სტროფი წარმოადგენს სამ-ტაეპედს, რომელშიაც წარმოდგენილია შემდეგი ზომის ტაეპები შემდეგი თანამიმდევრობით: 8, 11, 11.

საზომის მაგალითად ქაშნიკში მოყვანილია ძლისპირი:

შესმა, უფალო, განგებაჲ	(9)
საიდუმლოთა მათ შენთა წმიდათაჲ	(11)
და გადიდე შენ მხოლოჲ, კაცთ-მოყვარე!	(11)

(ასევეა გაწყობილი ანტისტროფი).

•

145. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ს ა ი დ უ მ ლ ო ჲ მ ე ს მ ა“ (ხმა I, გალობა III, ძლისპირი № 9; საზომი პირველი ჯგუფისა).

სტროფი წარმოადგენს სამ-ტაეპედს, რომელშიაც წარმოდგენილია შემდეგი ზომის ტაეპები შემდეგი თანამიმდევრობით: 9, 7, 7.

საზომის მაგალითად ქაშნიკში მოყვანილია ძლისპირი:

საიდუმლოჲ შესმა, უფალო,	(9)
ცხებულთა შენთა კსნისაჲ	(7)
და გადიდე, მოწყალე!	(7)

(ასევეა გაწყობილი ანტისტროფი).

•

146. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ზ დ ვ ს ა ღ ე ლ ვ ა ნ ი“ (ხმა I, გალობა I, ძლისპირი № 7; საზომი პირველი ჯგუფისა).

სამ-ტაეპედი, რომელშიაც წარმოდგენილია შემდეგი ზომის ტაეპები შემდეგი თანამიმდევრობით: 11, 9, 9.

საზომის მაგალითად ქაშნიკში მოყვანილია ძლისპირი:

ზღვსა ღელვანი განვლო ისრაელმან
ძალითა ზეგარდამოითა,
ფერკითა დაულტოლველითა

(11)
(9)
(9)

(ასევეა გაწყობილი ანტისტროფი).

ჩვენ ამგზის ამით დავამთავრებთ დიდი ფორმის საგალობელთა („გალობათა“) სტროფულ-ტაეპობრივი საზომების ამ ზოგადს მიმოხილვას.

ქვიძოთ, გამოკვლევის მომდევნო ნაწილში, ჩვენ შემთხვევა გვექნება დამატებით შევეხებით დიდი ფორმის საგალობელთა („გალობათა“) სხვა საზომებსაც¹.

7,ბ

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის
მცირე ფორმის ნაწარმოებთა (სტიქარონთა)
სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომები

გადავდივართ ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის მცირე ფორმის ნაწარმოებთა (სტიქარონთა) სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომების განხილვაზე.

ჰიმნოგრაფიული პოეზიის დიდი ფორმის საგალობელნი („გალობანი“) და მცირე ფორმის საგალობელნი („სტიქარონნი“ — შემდეგ სხვაობას წარმოგვიდგენენ.

¹ მოგეყავს ამ უკანასკნელთა ნუსხა:

147. სალექსო საზომი: „ნათელი დაუსაბამო“ ანუ „ნუ მტირ მე დედაო“ (ხმა VI, გალობა VIII, ძლისპირი № 6). მაგალითი გიორგი მერჩულიდან იხ. გვ. 850 — 851 (დასაწყისი: „ნუ მწუხარე ხარ. უსძლოო...“).

148. სალექსო საზომი: „ძლეულ იქმნეს“ (ხმა I, გალობა VIII, ძლისპირი № 6). მაგალითი გრიგოლ ხანძთელიდან. იხ. გვ. 809 (დასაწყისი: „ერი შენი...“).

149. სალექსო საზომი: „ყოველნი ტომნი“ (ხმა VI, გალობა VIII, ძლისპირი № 4). მაგალითი გრიგოლ ხანძთელიდან იხ. გვ. 811 (დასაწყისი: „ნუ შეურაცხ-ყოფ...“).

150. სალექსო საზომი: „რომელჲც მოსცა ძლევაი“ (ხმა II, გალობა II, ძლისპირი № 2). მაგალითი გრიგოლ ხანძთელიდან იხ. გვ. 811.

151. სალექსო საზომი: „შენ, უფალო, ნათელი ხარ“ (ხმა IV, გალობა IV, ძლისპირი № 3). მაგალითი გრიგოლ ხანძთელიდან იხ. გვ. 812.

152. სალექსო საზომი: „შეძრწუნდეს დაბადებულნი“ (ხმა VIII, გალობა VIII, ძლისპირი № 1). მაგალითი გრიგოლ ხანძთელიდან იხ. გვ. 813 (დასაწყისი: „გარდააცვ მშკლდსა...“).

153. სალექსო საზომი: „ღმრთისა შეუძლებელ არს“ (ხმა VI, გალობა VIII, ძლისპირი № 1). მაგალითი გრიგოლ ხანძთელიდან იხ. გვ. 816 (დასაწყისი: „სამწყსომ შენი...“).

154. სალექსო საზომი: „კურთხეულ არს“ (ხმა VIII, გალობა VIII, ძლისპირი № 14). მაგალითი მიქაელ მორტეკილიდან იხ. გვ. 030.

155. სალექსო საზომი: „სიტყუა ღმრთისაჲ უხილაეი“ (ხმა III, გალობა VIII, ძლისპირი № 2). მაგალითი ანონიმიდან იხ. გვ. 865 (დასაწყისი: „მალაღ და საშინელ არს...“).

156 — 163. სალექსო საზომები ბერძნულიდან თარგმნილი კოზმან იერუსალიმელის „გალობათა“, იხ. გვ. 826 — 829.

„გალობანი“, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, წარმოადგენს რთულს კომპოზიციას, — იგი შესდგება რვა ან ცხრა გალობისაგან. „გალობათა“ ჩვეულებრივ ტიპში ყოველი ცალკე გალობა შესრულებულია ცალკე დამოუკიდებელი სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომით, ასე რომ „გალობანი“, მთლიანად აღებული, მოიცავს რვა ან ცხრა სალექსო საზომს (იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ცალკეული გალობაა მასში); ხოლო გალობათა იმ ტიპში, რომელსაც „სპადუქნი“ ანუ „მორთულნი“ ეწოდება, „გალობანი“ მოიცავს ხუთ სალექსო საზომს (ე. ი. აქ ერთი საზომით გაერთიანებულია გალობანი I და I-ა, II და III, IV და V, VI და VII; VIII — ცალკე საზომით სრულდება).

რაც შეეხება მცირე ფორმის საგალობელს — სტიქარონს, იგი არ განიყოფება ცალკე ერთეულებად, როგორც „გალობანი“, იგი თავისი წყობით ერთ მთლიანს წარმოადგენს. სტიქარონი თავისი სტრუქტურით ზუსტად იმავე სახეობისაა, როგორც ერთი ცალკე გალობა დიდი ფორმის საგალობელთა (ე. ი. „გალობათა“):

ა) ისევე, როგორც ყოველი ცალკე გალობა დიდი ფორმის საგალობელთა („გალობათა“) — სტიქარონი იწერება ერთი სტროფულ-ტაეპობრივი საზომით;

ბ) სტიქარონი აგებულია სტროფისა და ანტისტროფის პრინციპზე; ყოველ სტიქარონში ჩვენ გვაქვს ერთი ძირითადი სტროფი, რომლის წყობა უცვლელად მეორდება ყველა მის მომდევნო ანტისტროფებში.

ჩვენ აქ გავეცნობით ზოგიერთ სტიქარონთა სალექსო საზომებს.

•

1. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ცხოვრების მომცემელითა“ (VIII ხმა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $3+5. 7. 7. 9(2+7). 7. 9.$

მაგალითი:

ნინოჲს III პიმნოგრაფი, ბოდბელი (IX—X საუკ.)

საგალობელი ნინოჲსი

სტიქარონი «აქებდითსა»¹

1	ცხოვრების ¹	(3)
სტროფი	მომცემელითა	(5)
	ვნებითა მით შენითა,	(7)
	ქრისტე, დამდაბლდეს ბორცუნი	(7)
	მაღალნი, დადნეს არმაზ-ზადენი,	(9)
	რაყამს ¹	(2)
	გზანი საუკუნენი	(7)
	გეუწყნეს ნინოჲს შიერ,	(7)
	შქადაგებელისა შენისა.	(9)

¹ ხელნაწერები: A = Sin. — 59, B = Sin. — 64.

1. — 1_გ არმაზადენი A, არმაზადენი B.

2	ასულმან /		(3)
(ანტისტროფი)		ზაბულოვნისმან	(5)
		ძესა მას მალღისასა	(7)
		შვილ უსხნა განდგომილნი,	(7)
		დაბნელებულნი კერპთა მიერ,	(9)
	ნინო — /		(2)
		ქართულნი წარუდგინა	(7)
		ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა,	(7)
		რათა მარადის აღიდებდენ.	(9)
*			
3			
(ანტისტროფი)	მოვედით, /		(3)
		ახალ-ნაყოფნო	(5)
		ახლის ვენაკისანო,	(7)
		ჰ მკვდრნო ქართლისანო.	(7)
		და ვღღესასწაულობდეთ,	(9)
	ღმერთსა /		(2)
		ყოველთასა ვაქებდეთ,	(7)
		რამეთუ ნინოჲს მიერ	(7)
		კერპთა საცთურისაგან გუკსნნა.	(9)

*

2. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ჰ ს ა-ს წ ა უ ლ ი მ ა დ ლ ი ს ა ს ა უ ნ ჯ ე ს ა ნ ი ნ ო ს“ (VIII ხმა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{8 \cdot 7 \cdot 7}{14 \cdot 12 \cdot 12} \cdot \frac{8}{14 \cdot 12 (5 + 7)}$.

ეს საზომი, რომელსაც ძლისპირის სახით საფუძვლად დასდებია ნინოჲს უძველესი საგალობელი („ჰ სასწაული მადლისა საუნჯესა ნინოს“), მეტად გავრცელებული ყოფილა ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში; ასე, ამ საზომით არის დაწერილი:

1. ნინოჲს II ჰიმნოგრაფის სტიქარონი უ (= „უფალო-დალადაყვისა“), დაცული ჰელიპურ ხელნაწერში.
2. საგალობელი სტეფანე პირველ-მოწამისა, სტიქარონი აღვიესენითსა (წვირმის იადგარინ ხელნაწერი, 27. XII).
3. საგალობელი თეკლა პირველმოწამისა, სტიქარონი უ (წვირმის ხელნაწერი, 26. VII).
4. საგალობელი მარკოზ მახარებელისა, სტიქარონი ა („აქებდითსა“ ; წვირმული ხელნაწერი, 25, IV).
5. საგალობელი იოანე მახარებელისა და არსენი მონაზონისა, სტიქარონი უ (წვირმული ხელნაწერი, 8. V).
6. საგალობელი სემეონ ალაფელისა, სტიქარონი უ (წვირმული ხელნაწერი, 27. VIII).
7. გიორგი მთაწმიდელისა: საგალობელი ეფთჳმე მთაწმიდელისა, სტიქარონი უ (ხელნაწერი H — 1710).

მოგვეყავს მაგლითები პირველი და მეშვიდე.

2. — 2₁ ზაბულოვნისამან A.
 3. — 2₁ — 2₂ ახალნო ნაყოფნო AB || 3₁ ახლისა || 4₁ ჰ abs.

საგალობელი ნინოძისი

სტიქარონი «უფალო და დადყვისა»¹

1 მოვედით, ჰ მორწმუნენო, (8)
 (სტროფი) ერთკმობით პატივ-ვსცემდეთ (7)
 [სძალსა ქრისტემსსა ნინოს], (7)

რამეთუ ესე არს მოძღუარი, მსგავს მოციქულთა, (14)
 რომელი მოივლინა ჩრდილოდასა ქუეყნად. (12)
 და მადლითა საღმრთოდათა გამომიქსნა ჩუენი (12)

ჰ შრომანი შენნი, სანატრელო მოციქულო, (14)
 რომელნი ჰყვენ / ჩუენდა მომართ (4+4) 8
 მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათჳს. (9)



2 ჰ სასწაული საკვრველი (8)
 (ანტისტროფი) რამეთუ ძელი იგი, (7)
 ცხორების მომცემელი (7)

დედაკაცისა ლოცვითა მყის აღმართების, (14)
 დღეს დიდების-მეტყუელებს ქართველთა ენაჲ. (12)
 და წარიელტიან არმაზ-ზადენთა ერნი (12)

ჰ შრომანი შენნი, სანატრელო მოციქულო, (14)
 რომლითაცა / მაცხოვენენ ჩუენ, (4+4) 8
 მეოხ გუეყავ სულთა ჩუენთათჳს. (9)



3 ჰ დიდი საკვრველებჲა, (8)
 (ანტისტროფი) ვითარ უძღური იგი (7)
 ბუნებაჲ დედობრივი — (8)

საკვრველად განძლიერდების, და სიმკნესა მას (14)
 ბრძენთა მეთევზურთასა მიემსგავსების, (12)
 და ნინოძს მიერ განათლდების ქუეყანაჲ, — (12)

რომელმან ნისლი უღმრთოებისაჲ განაქარავა, (14)
 და მზუჲ იგი / სიმართლისაჲ (4+4) 8
 გამოგვბრწყინდა ქრისტე ჩუენი. (9)

¹ ქელიშური ხელნაწერი. — სტიქარონი შეიცავს 4 სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ სა-
 ზომით (აქ დავებეჭდეთ 1, 2, 3).

1. — 1₂ ჰ abs. || 2₁ + და " ერთკმობით || 4₄ მოძღუარი abs. || 4₆ მსგავსი.

2. — 6₂ იელტიან || 8₂ აცხოვენენ.

3. — 1₂ — 3 დიდსა საკვრველებასა || 5₁ ბრძენთა abs. || 7₁ რომელმან ხ¹.

საკალობელი ეფთვმე შთაწმიდელისა

სტიქარონი აუფალო და დადყავისა¹

მამაო წმიდაო ეფთვმე,	(7)
ალილე შუნ სიჩხოჯთვან	(7)
ჯუარი შენი მკართა შესთა,	(8)
და შეუღვეგ ქრისტესა, ყოელად ქებულო ღირსო,	(14)
და კორციელი განზრახვაჲ განიშორე,	(12)
და განაბრწყინვე სული სათნოებითა, —	(12)
ჰ სიძენეთა შენთა და ღუაწლთა, ღმერთშემოსილო,	(14)
რომელთათჳს / სუფვე მართალთა თანა.	(5+7) 12
ითხოვე ჩუენთჳს წყალობაჲ.	(8)

3. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: «რ ა მ ს ი ხ ი ლ ა» (V ხმა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{5}{5+7. \quad 11. \quad 11. \quad 11 (6+5), \quad 5, \quad 5.}$

მაგალითი:

გრიგოლ ხანძთელი (VIII — IX ს.)

ქებაჲ მარიაჲსი²

უზუშთაეს ხარ / ქერაბინთასა, ღირსო,	(5+7)
უშუენიერეს	(5)
ყოველთა სამკაულთა, ღმრთისმშობელო,	(11)
უნათლეს მნათობთა სამყაროჲსათა,	(11)
რამეთუ საღმრთოჲთა /	(6) }
მაღლითა სავსეჲ,	(5) }
პნათობ მარადის /	(5) }
წინაშე ღმრთისა	(5) }

ამ საზომით არის დაწერილი გრიგოლ ხანძთელის სტიქარონი („აქებ-ღითსა“), აბო ტფილელისადმი მიძღვნილი. სტიქარონი შეიცავს 8 სტროფულ ერთეულს, რომლებიც ყველა დასახელებული საზომით არის შესრულებული. ქებაჲ მარიაჲსი, რომელიც აქ მოვიყვანეთ, წარმოადგენს სტიქარონის ბოლო ანტისტროფს (მერვეს).

გრიგოლ ხანძთელის ეს სტიქარონი, მიძღვნილი აბოსადმი, დაბეჭდილი გვაქვს სრულად დამატებაში (გვ. 081 — 082).

¹ ხელნაწერი H — 1710, გვ. 63b — 64a.

² შიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 184.

ამავე საზომით არის დაწერილი ივანე მინჩხის სტიქარონი „აქებდითსა“, მიძღვნილი თევდოსი მეფისადმი, რომლის ექსცერპტიც ზემოთ მოვიყვანეთ (იხ. გვ. 594—595). ივანე მინჩხის ეს სტიქარონი შეიცავს ხუთ სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით; მეხუთე დამამთავრებელი ანტისტროფის სახით ივანე მინჩხს განმეორებული აქვს აქ მოყვანილი გრიგოლ ხანძთელის სეული ქებაა მარია მისი¹. როგორც ირკვევა, გრიგოლ ხანძთელის ეს ქებაა, დაწერილი მდიდარი და ამავე დროს ჰარმონიული რიტმით, დიდი პოპულარობით სარგებლობდა.

4. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „გ ი ხ ა რ ო დ ე ნ წ ი ნ ა მ ო რ ბ ე დ ო“ (V ხმა).

საზომის რიცხვითი ფორმულა:
$$\begin{array}{ccccccc} 9. & 3. & 6. & 7. & & & 8. & 7. \\ & 12. & 11. & 13. & 13. & 13. & & \end{array}$$

ამ რთული საზომით დაწერილ საგალობელი აბოასი (სტიქარონი „უფალო დადაყავისა“), რომელიც ეკუთვნის გრიგოლ ხანძთელს, დაბეჭდილი გვაქვს დამატებაში (გვ. 80 — 81).

5. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „რ ა ე მ ს დ ა ე მ ს ქ უ ა ლ ე“ (I ხმა).

საზომის რიცხვითი ფორმულა:
$$\begin{array}{ccccccc} 6. & 6. & 6. & 6. & & & 9. & 9. & 7. \\ & & & & 11. & 12. & 11. & & \end{array}$$

ამ საზომით დაწერილი საგალობელი აღესებისა (სტიქარონი „აქებდითსა“), რომელიც ეკუთვნის გრიგოლ ხანძთელს, დაბეჭდილი გვაქვს ზემოთ (იხ. გვ. 650).

6. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „დ ა ი ძ ი ნ ა ს ა ფ ლ ა ვ ს ა“ (VI ხმა).

საზომის რიცხვითი ფორმულა:
$$\begin{array}{ccccccc} 7. & & 7. & & 7. & & & 8 \\ & 11 & (4-7). & 11 & (4-7). & 13. & 13 & (6+7). \end{array}$$

მაგალითი:

ძლისპირი².

დაიძინა საფლავსა	(7)
ვითარ კაცმან ' წყლულებითა მომწყდარმან	(4-7)
დაუძინებულთა მათ	(7)
ბუნებათა ' დამბადებულმან ღმერთმანს	(4-7)
არამედ განიღვძა	(7)
ბრძანებითა მით, ' რომელ ამენო მოწაფეთა,	(13)
და არესა შინა '	(5)
ღამისასა, ვითარცა	(7)
მზე აღმობრწყინდა საფლავით!	(9)

¹ ივანე მინჩხის ტექსტში ვარიანტული წაკითხვებია: 1₂ ქერაბინთასა] ქებულებათა. 2₁ მადლითა] ნათლითა. 6 ჰნათობ მარადის] (სიტყვები გადასმულია).

² ძლისპირთა დედანი f (VI ხმა, № 10). — 1₂ საფლავსა + შინა || 2₁ ე^ა.

ამავე საზომით არის დაწერილი ივანე მინჩხის სტიქარონი „ვილკებდით უწყინოდ“ (ხელნ. Sin. — 5, 119 b; Sin. — 75, გვ. 162 a — b).

7. ზემოთ-აღნიშნულს სალექსო საზომს „დაიძინა საფლავსა“ რიტმულად ენათესავენ სალექსო საზომი სახელწოდებით: „და ე მ კ ვ დ რ ა...“ (VI ხმა).
საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. \quad 7. \quad 7. \quad 7. \quad 7.}{12. \quad 12. \quad 12. \quad 11.}$

ამ საზომით არის დაწერილი მიქაელ მოდრეკილის სტიქარონი, — საგალობელი აღესებისა VI ხმისა, რომლის ტექსტი დაებეჭდეთ ზემოთ (იხ. გვ. 596).

8. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „მ ხ ო ლ ო დ შ ო ბ ი ლ ი“ (VII ხმა).
საზომის რიცხვითი ფორმულა:

$$\frac{7. \quad 7. \quad 7. \quad 7. \quad 7. \quad 6. \quad 8.}{12(5-7). \quad 12. \quad 12(7-5). \quad 5+7. \quad 6+7. \quad 6+7.}$$

საზომი წარმოადგენს რთული რიტმიკის, მრავალტაეპედი წყობის ნიმუშს. მაგალითი, — მიქაელ მოდრეკილის სტიქარონი «უფალო ღალადყავისა» (საგალობელი აღესებისა VII ხმისა) — მოგვყავს დამატებაში (გვ. 090 — 091).

* * *

სტიქარონნი თვთ-ძლისპირნი
ივანე მინჩხისა

ივანე მინჩხი, როგორც უკვე იცის მკითხველმა, იყო არა მხოლოდ პოეტიკიზმნოგრაფი, არამედ ამავე დროს იგი ყოფილა მუსიკოსი-კომპოზიტორი.

ივანე მინჩხს ეკუთვნის, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, დიდი ფორმის საგალობელთა — „სპადუქთა“ ანუ „მორთულთა“ სალექსო საზომის შემოღება და მუსიკალური კომპოზიციის შექმნა.

ამას გარდა, ივანე მინჩხის ჩვენ დრომდე გადარჩენილ ლიტერატურულ მემკვიდრეობაში მრავლად არის წარმოდგენილი მცირე ფორმის საგალობელნი სტიქარონნი, — „თვთნი“ ანუ „თვთძლისპირნი“; ივანე მინჩხს ეკუთვნის ამ „თვთძლისპირნი“ სტიქარონების როგორც სალექსო საზომები, ისე მუსიკალური კომპოზიცია.

ვიძლევით ამ სტიქარონთა ნუსხას.

9. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ამ ა ო ა რ ს ც ხ ო რ ე ბ ა მ“ (IV ხმა).
საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{9. \quad 9. \quad 8. \quad 8. \quad 9.}{12. \quad 12.}$

მოგვყავს ტექსტი 1:

ძლისპირი

(„ამაო არს...“)

1	ამაო არს ცხორებაჲ ჩუენი	1	(9)
(სტროფი)	ვინათგან დაქსნის ზას სიკუდილი!		(9)
	და ცუდად ხატად ვალნ კაცი,		(9)
	ამაოდ შურებინ, იუნჯებნ,		(8)
	და არა უწყინ, ვისდაცა იყოს იგი.		(12)
	ჯერ არს ჩუენდა გულისკმის-ყოფაჲ		(9)
	და ზრუნეაჲ ცხორებისა საუკუნოჲსაჲ.		(12)

ძლისპირი

(„მეციხევეს ჩუენ საწუთროჲ...“)

2	მეციხევეს ჩუენ საწუთროჲ ესე.	(9)
(ანტისტროფი)	რომელთა არა გულისკმა-ვეყოთ	(9)
	დაუდგრომგლობაჲ მისა,	(9)
	და მაცთუნებს ჩუენ მარადის	(8)
	ღონითა მით მანქანებათა მისთაჲთა.	(12)
	და ამოსა დამაჯერებს	(9)
	ვითარცა ღამე სიზმარი მძინარესა.	(12)

ივანე მინჩხის ლექსები აღბეჭდილია ქრისტიანული პესიმიზმით. კერძოდ, ივანე მინჩხის სტრიქონები, რომ ცხოვრება არისო სიზმარი, და ისევე როგორც სიზმარი აჯერებსო ადამიანს ამაოს, რომ ვითომც იგი სინამდვილეო („და ამოსა დამაჯერებს, ვითარცა ღამე სიზმარი მძინარესა“) — გვაგონებს განთქმულ ადგილს შექსპირის „ქარიშხალიდან“.

10. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „გ უ ლ ი ს კ მ ა-ვ ე ყ თ ა მ ა ო ე ბ ა ა“ (III ხმა).
 საზომის რიცხვითი ფორმულა:
$$\frac{6. 8.}{(4+7) 11. 12. 11. \quad 11. 14.}$$

1 ძლისპირი ა („ამაო არის...“ — იხ. ხელნაწერებში: ა) A=Sin. -- 75, გვ. 114 ა; ბ) ძლისპირთა დედანი ე (IV ხმა, № 27).
 ძლისპირი ბ („მეციხევეს ჩუენ საწუთროჲ...“) — იხ. ხელნაწერებში: ა) A=Sin. -- 75, გვ. 114 ა; ბ) ძლისპირთა დედანი ე (IV ხმა, № 29).
 სტიქარონი მთელი მოცულობით შეიცავს 4 სტროფულ ერთეულს (ა ძლისპირი=1; ბ=2).
 ა. — 3₁ და ა₁₅ A || 4₂ შურებინ + და A || 5₄ ვისდა Ae.
 1. — 1₃ საწუთროჲ ე || 2₂ არა] ვერ A || 4₂ გაუტუნებს A || 5₂ მით აბს. ე || 6₃ მაჯერებს A.

აღვივსენითსა

1

(სტროფი)

გულიკმა-ვეყოთ / ამაოებად ჩუენი,	(4+7) 11
რამეთუ ყოველნი მოკუდავ და შიწა ვართ.	(12)
და ჟამნი ჩუენნი ვითარცა სიზმარნი,	(11)
და არაჲ ვერჩდეთ ჩუენ	(6)
წუთსა ამას ცხოვრებასა	(8)
რამეთუ ვითარცა აჩრდილი წარვალს,	(11)
და ვითარცა მტლური ქუეყანისაჲ განიბნევის.	(14)
შეინახნეთ / საწუფროჲსა საფრკენი,	(4+7) 11
ვითარცა მტერისა ბადენი განუენილნი —	(12)
პირსა ქუეყანისასა, დავიმდაბლნეთ	(11)
თავნი საღმრთოჲთა მით	(6)
სიმდაპლითა, რომლითაცა	(8)
დავიცვნეთ ჩუენ მარადის უვნებელად,	(11)
და არაჲ შევითხიენეთ სასიკუდინედ მას შინა.	(14)



11. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „მთ ვ ხ ე დ ნ ე თ შ ი ნ ა ვ ა ნ ი ს ა“ (II ხმა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: 8. 7. 8., 7. 7. 8., 8. 9., 9. 9. ^{10.}

ივანე მინჩხის სტიქარონისაგან, რომელიც დაწერილია ამ საზომით („მივ-ხედნეთ შინაგანისა“), და რომელიც ოთხ სტროფულ ერთეულს შეიცავს, მოგვეყავს უკანასკნელი, მეოთხე ანტისტროფი:

ქება მარიამისა

ღმრთისშობელსა ვადიდებდეთ.	(7)
შობელსა და ქალწულსა,	(7)
ღედასა მეუფისასა,	(8)
ვენაკსა გრნიერსა,	(7)
ტაძარსა პირმეტყუელსა,	(7)
ზარძიშსა მას ოქროჲსასა,	(8)
სადგურსა მანანაჲსასა,	(8)
ღრუბელსა სავსესა ნათლითა,	(9)
მაგრილობელსა სულთა ჩუენთასა,	(10)
საღმრთოსა ზღუდესა მტკიცესა,	(9)
მცველსა ყოვლისა სოფლისასა.	(9)

1 ხელნაწერები: ა) A=Sin. — 75, გვ. 145ა — ბ) ძლისპირთა დედანი ე (III ხმა № 19).

2. — 5₆ რლითა A || 6₃ მარადის 2ს₅ A.

სტიქარონი A-ში შეიცავს ოთხ სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით (აქ მოვიყუენთ პირველი ორი).

² სტიქარონი იხ. ხელნაწერებში: ა) A=Sin. 5, გვ. 38ა — 39ა; ბ) სტიქარონთა დედანი [(II ხმა, № 16).

6₁ ბარძიშსა] ტაკუქსა A.

12. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „რ ა ე ა მ ს მ ო ხ უ ე დ ი“ (VII ხმა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{5.}{10.} \frac{5.}{10.} \frac{5.}{8.} \frac{5.}{5.}$

ტექსტი ივანე მინჩხის თვითძლისპირი სტიქარონისა („თუნნი“), რომელიც დაწერილია ამ საზომით, დაბეჭდილი გვაქვს ზემოთ (იხ. გვ. 593 — 594).

13. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით: „ნ უ მ ც ა ვ ე მ ს გ ა ვ ს ე ბ ი თ“ (III ხმა).

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{6.}{11.} \frac{8.}{11.} \frac{9.}{13.}$

მოგვყავს ტექსტი.

სტიქარონი
„ნუმცა ვემსგავსებით“¹

ნუმცა ვემსგავსებით, ძმანო,	(9)
ხეთა ზამთრისათა უნაყოფოთა,	(11)
ფურცელ-დაცვენებულთა ბელგკონთა,	(11)
რათა არა მოვიდოთ ჩუნე პატიყი იგი	(13)
უნაყოფოთა ლედვსაჲ,	(8)
რომელი წყევით განაქმო ქრისტემან,	(11)
არამედ ნაყოფიერ ვიქმნეთო!	(9)

(სტიქარონი შეიცავს ოთხ სტროფულ ერთეულს, დაწერილს ამ საზომით; აქ მოვიყვანეთ 1 სტროფი).

ამავე საზომით არის დაწერილი მიქაელ მოდრეკილის სტიქარონი „აქებ-დიდისა“, — საგალობელი აღესებისა III ხმისა, რომელიც დაბეჭდილი გვაქვს წიგნში „ძველ-ქართული... პოეზია“, გვ. 377—378.

ყველა ზემოთ-ჩამოთვლილი თვითძლისპირნი ივანე მინჩხისა, შემდეგ შეუტანიათ ძლისპირთა კრებულებში, კანონიზებული სალექსო საზომებისა და მუსიკალური კომპოზიციების სახით.

ძლისპირთა კრებულში e ისინი შეტანილია შემდეგი №№-ებით:

„ამაო არს ცხორებაჲ“ (9 ა) და „მეკიცხევს ჩუნე“ (9 ბ) — ძლისპირნი IV ხმისა № № 27 და 29;

„გულისკმა ვყოთ ამოებაჲ“ (10) — ძლისპირი III ხმისა № 19;

„რაეაჲს მოხუედი“ (12) — ძლისპირი VII ხმისა № 17;

„ნუმცა ვემსგავსებით“ (13) — ძლისპირი III ხმისა № 18.

ძლისპირთა კრებულში f.

„მეხედნეთ შინაგანისა“ (11) — ძლისპირი. II ხმისა № 16.

¹ ხელნაწერები: ა) A=Sin. — 5, გვ. 88 ბ; ბ) B=Sin. — 75, გვ. 105 ბ; გ) ძლისპირთა ლედ-ნები: e (III ხმა, № 18), f (III ხმა, № 5).

1₃ + შ“ძმანო A || 2₂ ხეთა+მათ AB || 5₁ უნაყოფოთა] უნაყოფის მის AB.

14. გარდა ზემოთჩამოთვლილი ძლისპირებისა, რომლებიც წარწერილია ივანე მინჩხის სახელით, ჩანს, ივანე მინჩხს ეკუთვნის, სტილის მიხედვით, წარუწერელი ძლისპირი „უ ა მ ნ ი ჩ ე მ ნ ი“, რომელიც შეტანილია ძლისპირთა კრებულში e (VII ხმა, ძლისპირი № 11).

ძლისპირის სალექსო საზომის რიცხვითი ფორმულა:

$$\overline{20 (4 + 16)} \quad \overline{20 (10 + 10)} \quad \overline{20 (9 + 11)}$$

მოგვეყავს ტექსტი.

ჟამნი ჩემნი

(სტიქარონი ძლისპირი)

- | | |
|---|--------|
| ჟამნი ჩემნი
ვითარცა რაჲ სიზმარნი განქარდებიან. | } (20) |
| და დღითი დღე მოაკლდების რიცხუსა
აღრიცხულთა მათ დღესა ჩემთასა. | } (20) |
| და ყოვლისავე დამქსნელ არს სიკუდილი
აწ ვიღუაწოთ მოსლვადმდე მისა | } (20) |

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ X საუკუნის ეს ძლისპირი, კერძოდ ბოლო ტაეპი (დასკვნა: „აწ ვიღუაწოთ მოსლვამდე მისა“), შორეულად ეხმაურება ბარათაშვილის სტრიქონებს („მაგრამ რადგანაც კაცნი ვეპქვიან...“).

15 — 27. ივანე მინჩხის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, გარდა ზემოთ-მოყვანილი თვითძლისპირი სტიქარონებისა, ჩვენ გვაქვს აგრეთვე მთელი რიგი სხვა სტიქარონებისა, რომლებიც ასევე „თვითძლისპირნი“ არიან, ე. ი. რომელთა სალექსო საზომები და მუსიკალური კომპოზიციები ივანე მინჩხს ეკუთვნის.

ჩვენ აქ დავკმაყოფილდებით ამ სტიქარონთა სალექსო საზომების სახელწოდებათა მოყვანით:

- ა) „ს ი ბ ტ ყ უ ა ჲ და უ ს ა ბ ა მ ო ა“ (I ხმა, სტიქარონი უ; ხელნაწერი Sin. — 5, გვ. 28b — 29b).
- ბ) „ვ ი თ ა რ ც ა ი გ ი პ ი რ ე ლ ა დ ვ ე“ (III ხმა, სტიქარონი უ; ხელნაწერი Sin. — 75, გვ. 83b — 85a).
- გ) „ნ ა თ ე ლ ი და უ ღ ა მ ე ბ ე ლ ი“ (IV ხმა, სტიქარონი უ; ხელნაწერი Sin. — 75, გვ. 131a — 132a).
- დ) „მ ე გ ა ნ ვ ი წ ი რ ე ს უ ლ ი“ (V ხმა, სტიქარონი უ; ხელნაწერი Sin. — 75, გვ. 152b — 153a).
- ე) „ს ი ბ რ ძ ნ ე ჲ ღ მ რ თ ი ს ა ა“ (V ხმა, სტიქარონი უ; ხელნაწერი Sin. — 75, გვ. 171b — 173b).
- ვ) „ქ ა ც თ ა თ ვ ს კ ა ც ი ქ მ ნ ა“ (VI ხმა, სტიქარონი; ხელნაწერი Sin. — 75, გვ. 158a — 158b).

ზ) „ქაბეზა რაჲ შეიქმოსა“ (VI ხმა, სტიქარონი უ; ხელნაწერი Sin.—5, გვ. 178a — b).

შ) „მეუფეო ქრისტე მოწყალებით“ (VII ხმა, სტიქარონი უ; ხელნაწერები: Sin.—5, გვ. 144a — b; Sin.—75, გვ. 209b — 210a).

თ) „მარხვითა ვისწრაფოთ“ (სტიქარონი უ; ხელნაწერი Sin.—5, გვ. 30a).

ი) „ვერთავსიდვა“ (სტიქარონი ა; ხელნაწერი Sin.—75, გვ. 26a — 27a).

ია) „რომელი უწინარეს“ (სტიქარონი ა; ხელნაწერები: Sin.—5, გვ. 83b Sin.—75, გვ. 94a — b).

იბ) „ნუგეშინისმცემელი“ (სტიქარონი; ხელნაწერები: Sin.—5, გვ. 120b; Sin.—75; გვ. 163b — 154a).

იგ) „სანთელი იგი ზეცისაჲ“ (სტიქარონი; ხელნაწერი Sin.—5).

* * *

სტიქარონნი თვთღლისპირნი მიქაელ მოდრეკილისა

28 — 41. მიქაელ მოდრეკილი, გარდა იმისა, რომ იგი იყო შესანიშნავი პოეტი-ჰიმნოგრაფი, ამავე დროს, როგორც მოხსენებული გვექონდა, იგი ყოფილა მუსიკოსი-კომპოზიტორი.

ჩვენ უკვე გვექონდა განხილული მიქაელ მოდრეკილის გალობანი ადვსებისანი IV ხმისა, რომლებიც არიან „თვთღლისპირნი“ („თვთნი“), ე. ი. რომელთა როგორც სალექსო საზომები, ისე მუსიკალური კომპოზიცია მიქაელ მოდრეკილს ეკუთვნის. სულ საგალობელთა ამ ჯგუფში, მიქაელს, როგორც ვნახეთ, გამოყენებული აქვს ცხრა სალექსო საზომი.

ამას გარდა, მიქაელ მოდრეკილის სალიტერატურო მემკვიდრეობაში წარმოდგენილია სტიქარონები, რომლებიც ასევე „თვთღლისპირნი“ („თვთნი“) არიან, და რომელთა სალექსო საზომები (მუსიკალური კომპოზიციათ) — მიქაელისაა.

თუ სახელდობრ რომელ სტიქარონთა საზომები შემოუღია მიქაელს, ეს მას აღნიშნული ჰქონია ძლისპირთა ნუსხაში, წარწერით: „თვთი“.

სამწუხაროდ, მიქაელ მოდრეკილის კრებულში სწორედ ძლისპირთა ნუსხა არის დაზიანებულად მოღწეული; მას აკლია უდიდესი ნაწილი, და მხოლოდ ცალკეული ნაწილებია გადარჩენილი I, II, VI, VII და VIII ხმების სტიქარონთა

ძლისპირთა ნუსხის იმ ნაწილში, რომელიც ჩვენ დრომდე გადარჩენილია, მიქაელის წარწერა „თვთი“ დაუცავს ხუთი სტიქარონის ძლისპირს, რომელთა სალექსო საზომები მიქაელს შემოუღია.

მოგვყავს ამ სალექსო საზომების სახელწოდებანი და მათი მეტრის აღმნიშვნელი რიცხვითი ფორმულები.

ა) საზომი: „რომელმან მოწყალებით“ (II ხმა; იხ. გვ. 520,
საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. 7. 7. 7. 7. 8. 9.}{10.}$

ბ) საზომი: „აღხუ მასა ბაგეთასა“ (VI ხმა; გვ. 89);
საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. 7. 7. 8. 9.}{10.}$

გ) საზომი: „გიხილეთ მქსნელო“ (VI ხმა; გვ. 89).
საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. 8. 7. 7. 7. 9.}{10.}$

დ) საზომი: „რომელი დმრთეებით“ (VII ხმა; გვ. 246);
 საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{6. 7. 7. 7.}{7. 9.}$
 7_ 6. 7_ 7. 10

ე) საზომი: „წიალნი მამისანი“ (VII ხმა; გვ. 246);
 საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. 8. 7. 1. 4.}{11.}$

როგორც ვხედავთ საზომთა რიცხვითი ფორმულებიდან, საზომებში ძირითადად გამოყენებულია 7-მარცვლადი მონომეტრი. (41 ერთეულიდან 7-მარცვლად ტაეპებზე მოდის 26 ერთეული. დანარჩენი სახის ტაეპებზე: 6-მარცვლადზე 2; 8-მარცვლადზე 4; 9-მარცვლადზე 5; 10-მარცვლადზე — 3; 11-მარცვლადზე 1).



როგორც აღვნიშნეთ, ზემოთჩამოთვლილი ხუთი თვითძლისპირი სტიქარონის მიქაელისადმი კუთვნილება ირკვევა ძლისპირთა ნუსხიდან.

ამას გარდა, მიქაელის კრებულის ძირითადი ტექსტის ჩვენებებიდან დაშტებით ირკვევა მიქაელისადმი კუთვნილება ცხრა თვითძლიაპირი სტიქარონისა. ესენია: ერთი სტიქარონი „აქებდითსა“ და რვა სტიქარონი „უფალო დალადაყვისა“ გერნი, რომლებიც შედის მიქაელ მოღრეკილის მცირე ოკთოხონში (საგალობელნი აღვსებისანი რვა-ჯაადი).

ჩვენ აქ დავკმაყოფილდებით საზომთა სახელწოდებების ჩამოთვლით.

სტიქარონი „აქებდითსა“:

ე) საზომი — „საუკუნეთა უპირატესი“ (გვ. 456)

სტიქარონი „უფალო დალადაყვისა“ გერნი:

ზ) საზომი — „განუზომელითა სიყუარულითა“ (გვ. 378 — 379)

შ) საზომი — „განზრახვამკსნისაჲ“ (გვ. 404)

თ) საზომი — „გამოუთქუმელითა სიბრძნითა“ (გვ. 422 — 423)

ი) საზომი — „გუაუწყეჩუენ“ (გვ. 446)

ია) საზომი — „გამოხუელქრისტე“ (გვ. 471)

იბ) საზომი — „გამოუთქუმელი დმერთი“ (გვ. 486)

ივ) საზომი — „გიცანთწარმართთა“ (გვ. 515)

იდ) საზომი — „განსრულებასარიცხსა“ (გვ. 3)



სტიქარონი თვითძლისპირი

კურდანაი-კვრიკესი

42. მეათე საუკუნის ქართველ ჰიმნოგრაფს კურდანაი-კვრიკეს კუთვნიის სტიქარონი თვითძლისპირი „კაცთათვს ზეცით“.

იგი შესდგება რვა სტროფული ერთეულისაგან. ყოველ სტროფულ ერთეულში შვიდი ტაეპია. ამათგან პირველ ექვს ტაეპებში მონომეტრული საზომებია (7 — 9 მარცვლადები), ბოლო მეშვიდე ტაეპში დიმეტრული საზომი (10 — 12 მარცვლადები).

კურდანაი-კვრიკეს ამ საგალობელს ვბეჭდავთ დამატებაში (გვ. 096 — 097).

*
სტიქარონი რატი ორბელისა

43. სალექსო საზომი და მუსიკალური კომპოზიცია სახელწოდებით:

საზომის რიცხვითი ფორმულა: $\frac{7. 8. 6. 8.}{11.}$

ამ საზომით არის დაწერილი სტიქარონი რატი ორბელისა (X—XI ს.ს.), რომელსაც ვბეჭდავთ დამატებაში (გვ. 098).

*
ბასილი ხანძთელის სტიქარონები.

44—45. IX საუკუნის პოეტ-ჰიმნოგრაფს ბასილის (ხანძთელს) ეკუთვნის სტიქარონები, დაწერილი თავისებური ფორმით — 63-მარცვლელი შვიდ-ტაეპოვანი სტროფებით, გაწყობილი აკროსტიხებით.

საზომი ბასილისეული 63-მარცვლელი შვიდტაეპოვანი სტროფისა მოცემულია შემდეგს ძლისპირში:

სუფევს ღმერთი წარმართთა ზედა!	(3)
გიხაროდენ ყოველსა ერსა,	(9)
რომელიცა ქალწულისაგან —	(9)
გამოგვჩნდა ნებისთ თვისით. და მოგუშაღლა	(9+3)
ცხორებაჲ ჩუენ უხრწნელი,	(9—2)
და საცთური იგი კერპთაჲ	(9—1)
ქუეყანისაგან განაქარვა.	(9)

საზომს საფუძვლად უდევს 9-მარცვლელი მონომეტრი; მხოლოდ მეოთხე ტაეპში 9-მარცვლელს ემატება 3 მარცვალი, ხოლო მომდევნო ორი ტაეპის მანძილზე ეს 3 მარცვალი ისევ აკლდება (მეოთხეს—2, მეხუთეს — 1, ე. ი. საერთო ჯამით 3 მარცვალი). სტროფი ბოლოში ისევ შეიკვრის 9-მარცვლელით.

ამრიგად აქ ნათლად არის გამოვლენილი ის საერთო ტენდენცია, რომელიც ახასიათებს ჰიმნოგრაფიული პოეზიის სალექსო ფორმას, — დარღვევა ერთფეროვანი სიმეტრიისა მარცვლედობის მომატება-დაკლებით.

საერთო ჯამით ბასილისეულ შვიდტაეპოვან სტროფში არის 63 მარცვალი (7×9).

ეს თავისებური ფორმა ბასილის გამოუყენებია სტიქარონთა მთელი სერიისათვის, რომლებიც გაწყობილია აკროსტიხებით.

მოგვყავს ამ სტიქარონთა ნუსხა¹.

1. საგალობელი ბასილი კესარიელისა. სტიქარონი ბასილისეული სტროფებით (ე. ი. შვიდტაეპოვანი 63-მარცვლელით), გაწყობილი აკროსტიხით: „ბასილი“.

¹ ტექსტი 1—6 დაკულია მიქაელ მოდრეკილის კრებულში (იხ. აღწერილობა დამატებაში, გვ. 018), მე-7 სინურ ხელნაწერში Sin. — 59, მე-8 და მე-9 გოლგოთურ ხელნაწერში H — 2337 (იხ. აღწერილობა დამატებაში, გვ. 045—046).

2. საგალობელი გ რ ი გ ო ლ ნ ა ძ ი ა ნ ძ ე ლ ი ს ა. ს ტ ი ქ ა რ ო ნ ი ი მ ა ვ ე სა ზ ო მ ი თ, აკროსტიხით — „გრიგოლი“.

3. საგალობელი ი ო ვ ა ნ ე ო ქ რ ო პ ი რ ი ს ა. ს ტ ი ქ ა რ ო ნ ი ი მ ა ვ ე სა ზ ო მ ი თ, აკროსტიხით — „იოვანე“.

4. საგალობელი ა ბ ო ტ ფ ი ლ ე ლ ი ს ა. ს ტ ი ქ ა რ ო ნ ი ი მ ა ვ ე სა ზ ო მ ი თ, აკროსტიხით — „აბო“.

5. საგალობელი ჯ ვ ა რ ი ს ა. ს ტ ი ქ ა რ ო ნ ი ი მ ა ვ ე სა ზ ო მ ი თ, აკროსტიხით — „ჯუარი“.

6. საგალობელი მ ა მ მ ა თ ა მ ო ლ უ ა წ ე თ ა. ს ტ ი ქ ა რ ო ნ ი ი მ ა ვ ე სა ზ ო მ ი თ, აკროსტიხით — „მესმა“.

7. საგალობელი მ ა რ ი ა მ ი ს ა. ს ტ ი ქ ა რ ო ნ ი ი მ ა ვ ე სა ზ ო მ ი თ, აკროსტიხით — „მარიამ“.

8. საგალობელი ს ვ მ ე ო ნ ს ა ლ ო ს ი ს ა. ს ტ ი ქ ა რ ო ნ ი ი მ ა ვ ე სა ზ ო მ ი თ, აკროსტიხით — „სალოსი“.

9. გარდა ამისა, ბასილის ეკუთენის პატარა პოემა „ი ო ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი დ ა ჰ ე რ ო დ ე“, რომელიც შესდგება ორი საგალობელისაგან. ორი სტიქარონისაგან.

მეორე სტიქარონი ამ პოემისა წარმოადგენს ბასილისეულ სტროფს (ე. ი. შვიდტაეპოვან 63-მარცვლედს).

რაც შეეხება პირველ სტიქარონს, იგი გაწყობილია ბასილისეული აკროსტიხით „მესმა“ (შეადარეთ ზემოთ, სტიქარონი 6), ხოლო საზომი სხვაა; ეს არის საზომი სახელწოდებით: „სარწმუნოებით ყოველნი“.

რიცხვითი ფორმულა ამ მეორე საზომისა შემდეგია:

$$\frac{8. 7. 7. 8. \quad 7. 7. 7. 7. 8. 7.}{12 \qquad \qquad \qquad 12. 5+5.}$$

(7-მარცვლელი და 8-მარცვლელი ტაეპები ერთმანეთს ენაცვლებიან).

მოგვყავს აქ ბასილი ხანძთელის ორი ტექსტი: საგალობელი ა ბ ო ტ ფ ი ლ ე ლ ი ს ა და „ი ო ვ ა ნ ე ნ ა თ ლ ი ს მ ც ე მ ე ლ ი დ ა ჰ ე რ ო დ ე“.

საგალობელი აბო ტფილელისა
(თავნი იტყვან: «აბო»)

1	აღმსარებელნი სამებისნი	(9)
(სტროფი)	მორწმუნენი ადამიანნი,	(9)
	აღმასრულებელნი უფლისა	(9)
	ამას დღესა ნათელითა შემოსილსა,	(9+3)
	საღმრთოვთა მით შესხმითა	(9-2)
	უგალობდეთ ქსენებასა	(9-1)
	აბო ახლის მოწამისასა *	(9)

მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 177.

1. — 3₁ საუფლოსა || 7₂ ახლისა.

* აღსანიშნავია, რომ აბოს ამ სტიქარონში ახალი მოწამე ეწოდება. კერძოდ, ამის მიხედვითაც დასტურდება, რომ ბასილის მოღვაწეობა IX საუკუნეზე გვიან ხანას არ ეკუთვნის.

2
(ანტისტროფი) ბუნებათა უზეშთაესო (9)
 შეიმოსე ბუნება ჩემი, (9)
 ღმრთის სიტყუაო მხოლოდ შობილო, (9)
 და ნათელს იღე ქორციითა, უცოდველო, (9+3)
 რომლისა მსგავსებითა, (9-2)
 ნათელს იღო მქნეშან აბო (9-1)
 წყლითა და სისხლთა დათხვევითა. (9)

3
(ანტისტროფი) მუკვარისმყოფელთა ქრისტეასთა (9)
 უშუალოთა ისმაიტელთა, (9)
 ნაშობთა შორის ბნელისათა, (9)
 ვარსკულავად მნათობად გამოპბრწყინდი, მქნეო. (9+3)
 ♪ მოწამეო აბო, (9-2)
 და საღმრთოდათა ნათლითა (9-1)
 განანათლენ ქართლისა მყოფნი. (9)

იოვანე ნათლისმცემელი და პეროდე

• •

საგალობელი I

(თაენი იტყვან: «მესმია»)

1
(სტროფი) შოვედით დღეს ყოველნივე, (8)
 რომელნი ჩინებულ ხართ (7)
 ერად ღმრთისად მორწმუნედ, (7)
 და იხილეთ ხილვად იგი, (8)
 რომელიცა ყო პეროდე უგუნურმან, (12)
 რამეთუ შეურაცხ-ყო (7)
 სიყუარული ძმობისაჲ, (7)
 და შეცვალა მან წესი (7)
 შჯულისაჲ წარმდებებით; (7)
 ხოლო უფროსი ყოველთა (8)
 ნაშობთაჲ იოვანე — (7)
 ამხილებდა მას, ვითარმედ არა ჯერ არს, (12)
 ვითარმცა გესუა ძმის ცოლი ცოლად. (5+5)

2. — 1₂ უზეშთაეს || 3₁ ღმრთისა.

3: — 5₁ ♪ abs.

გოლგოთური ხელნაწერი H—2337, გვ. 271a—272a.

2	მაე წინააღმართმეტყუელი,	(8)
(ანტიისტროფი)	და უფროსი წინააღმართ-	(7)
	მეტყუელთაჲ, ვერ თავს იღებდა	(6)
	ხილვად უწესოვნაჲა	(8)
	გულის-თქუმიტა შეკრულთა მათ მემრუშეთა,	(12)
	არამედ გონიერად	(7)
	ამხილებდა სიბრძნითა;	(7)
	ხოლო პეროღია, გულის-	(8)
	თქუმიტის მოყუარემან ასპიტმაჲ	(8)
	ნაშობი იგი თვისი —	(7)
	მროკვალად წარუდგინა	(7)
	განლიგებულსა პეროდეს მთრეალობითა,	(12)
	რათა სთხოოს თავი / აოგანესი.	(5+5)

3	მაშინ შევიდა ქალი ოგი	(8)
(ანტიისტროფი)	წარმწყმედელი სულისაჲ	(7)
	შედგნებულთა თანა	(7)
	მოსუმურთა მახიობელებრ,	(8)
	რომლისაჲ კვრობადცა ღირს არა იყო,	(12)
	და როკვიდა რაჲ იგი	(7)
	შორის შეინახეთა	(7)
	განლიგებულთა, მაშინ	(7)
	სინდა შეფესა როკვაჲ იგი,	(8)
	და პრქუა მას: „ითხოვე, რაჲცა	(8)
	გნებავს ზოგი მეფობისა!“	(8)
	ხოლო მან პრქუა მას: „მომეც მე, ჰ პეროდე,	(12)
	ღანკნითა თავი / იოვანესი“.	(5+5)

• •

საგალობელი II

1	ვინ არაჲ იგლოედეს გოლითა	(9)
(სტროფი)	ანუ ვინმე არა შეწუხდეს	(9)
	მორწმუნე! ნათლისა-მცემელსა,	(9)
	უოხვნოთა კეთილთა მახარებელსა,	(9+3)
	ქრისტეს წინამორბედსა,	(9-2)
	ღმრთის მქადაგებელსა ქმასა,	(9-1)
	დღეს უღმრთონი დაადუმებენ.	(9)
2	ესრეთ ეტყოდა იოვანე	(9)
(ანტიისტროფი)	უწესოსა მეფეს პეროდეს:	(9)
	„მე გიქადაგე საღმრთოჲ წესი,	(9)
	ხოლო შენ დაგტკბა პეროღიაჲსგან ზრახვამ;	(9+3)
	კულა მთიწიოს ჟამი,	(9-2)
	მიიღო მისაგებელი	(9-1)
	საქმეთაებრ შენთა ბოროტთა!“	(9)

3	ოთხთა საშთავროთა მთავარმან,	(9)
(ანტისტროფი)	საწუთროძსა განლაღებულმან,	(9)
	ეშმაკისაგან ჩემებულმან,	(9)
	წარწყმედასა თვისსა ზედა მოხარულმან,	(9+3)
	უგუნურმან პეროდჳ, —	(9—2)
	იოვანე ღმრთისა კაცი	(9—1)
	ნიჰად მისცა შეძავთა ბილწთა.	(9)
4	აღზრუნითა ეშმაკისაძათა	(9)
(ანტისტროფი)	ღღეს შეითქუნეს ორნი ასპიტნი —	(9)
	გესლითა მაკუდინებელითა,	(9)
	შურითა და ბილწებითა გულის-თქუმითა,	(9+3)
	სილოდათა ღონითა,	(9—2)
	ბოროტისა განზრახვითა,	(9—1)
	რათა წარწყმიდონ იოვანე.	(9)

სტეფანე სანანოძს-ძე ჭყონდიდელის სტიქარონი
საგალობელი სტეფანე პირველმოწამისა

46. ბასილი ხანძთელისეული ზემოთ-განხილული სალექსო ფორმა, 7-ტაე-პოვანი 63-მარცველდი, — გამოყენებული აქვს X საუკუნის პოეტ-ჰიმნოგრაფს სტეფანე სანანოძს-ძე ჭყონდიდელს; მხოლოდ მას შეუტანია ამ ფორმაში ზოგიერთი ცვლილება.

ა) სტეფანესეული სტროფი, ისევე როგორც ბასილისეული სტროფი, 7 ტაეპს შეიცავს და 63-მარცველდს წარმოადგენს, მხოლოდ აქ 4 მარცვალი გადატანილია მეოთხე ტაეპიდან მესამე ტაეპში (და სათანადოდ შეცვლილია თვით ძლისპირის ტექსტიც).

ბ) სტეფანესეული ტექსტი გაწყობილია რითმით. (რითმა მარტივია, იმ სახისა, როგორც ჩვენ გვაქვს ჰაგიოგრაფიულ პოემაში „აბუკურაჲ“).

სტეფანე ამასთან იცავს ბასილისეულ აკროსტიხულ წყობასაც.

აღსანიშნავია ამას გარდა შემდეგი ფორმალისტური ხასიათის დეტალი სტეფანესეულ სტიქარონში: აქ ყოველი სტროფის ყოველ მესამე ტაეპში სახელდებით მოიხსენება ის პირი, ვისდამიც მიძღვნილია ეს საგალობელი: ს ტ ე ფ ა ნ ე (1, 2, 3, 4 და 6 სტროფული ერთეულები) resp. პ ი რ ვ ე ლ მ ო წ ა მ ე (შე-5 სტროფული ერთეული).

მოგვყავს ამ საგალობელის ტექსტი.

საგალობელი სტეფანე პირველმოწამისა
(თავნი იტყვან: «სტეფანე»)

ძ ლ ი ს პ ი რ ი

	სუფევს ღმერთი წარმართთა ზედა!	(9)
	გიხაროდენ ყოველსა ერსა,	(9)
	რომელიცა ქალწულისაგან გამოგვჩნდა	(9)
	ნებსით თვისით, და მოგუმადლა	(9+3)
	ცხოვრებაჲ ჩუენ უხრწნელი,	(9-?)
	და საცთური იგი კერპთაჲ	(9-1)
	ქუეყანისაგან განაქარვა.	(9)
•		
1 (სტროფა)	<p>ტალღარნი შენ ზეცისანი (9) განგებუნეს ზესკნელისანი, (9) სტეფანე, და იხილენ საყდარნი ღმრთისანი, (9+4) — სტეფანე და ერნი მუნ ნათლისანი, (9-1) ზემთა კრებულისანი, (9-2) მაქებელნი მამისანი, (9-1) ძისა და სულის-წმიდისანი. (9)</p>	
2 (ანტისტროფი)	<p>ქა, სრული სათნოებითა, (9) საესე იგი სასოებითა, (9) სანატრელი სტეფანე, სარწმუნოებითა, (9+4) — სტეფანე მამისა აღსარებითა, (9-1) და ძისა დიდებითა, (9-2) სულის-წმიდისა ქებითა, (9-1) სამებისა ქადაგებითა. (9)</p>	
3 (ანტისტროფი)	<p>ჴარისველმან მოშურნემან (9) და შემდგომად კურმან რჩეულმან (9) სიკუდილდ მისცა სტეფანე პავლე მოციქულმან, (9+4) — სტეფანე. ხოლო ერმან უშჯულომან, (9-1) კრებულმან ამაომან, (9-2) ქეაჲ დაჰკრიბა უწყალომან (9-1) და გვრგვნოსან ყო უფალმან. (9)</p>	

A=მიქაელ მოდრეკილის კრებული. B=ხელნაწერი A-596. C=გიორგი მთაწმიდელის თთუენი S-4999 (ტექსტი გადამუშავებულია).

1. — 1₂ შენ abs. AB || 2₁ განგებუნეს + შენ BC || 3₆ ღმრთისანი abs. A (არის B-ში, აგრეთვე C-ში) || 4₃ მუნ abs. AB || 7₃₋₄ სულისა წმიდისანი AB.

2. — 3₃ სარწმუნოებითა] აღსარებითა B || 4₂ აღსარებითა] სუფევითა B || 5₁ და abs. AB || 6₁₋₂ ულისა წმიდისანი AB || 6₃ ქებითა] მადლითა AB.

4 (ანტისტროფი)	ანგელოზნი აღგიარებენ, აღამეანნი აღიდებენ ღუწლსა შენსა, წმიდაო სტეფანე, აქებენ. მღღელნი ღღესასწაულობენ, მთავარნი უგალობენ, და მეფენი იხარებენ და მეოხად აღგიარებენ.	(9) (9) (9+4) — სტეფანე. (9—1) (9—2) (9—1) (9)
5 (ანტისტროფი)	ნათლისა წარუვალისამან მოწამეთა მათ წინამძღუარმან წამა ქვა მარჯულ მამისა პირველმოწამემან, მასწავლელმან მარტულამან, წინამძღუარმან მწირთამან, მოძღუარმან მოლუწეთამან და მეოხმან მორწმუნეთამან.	(9) (9) (9+4) — პირველ- მოწამე (9—1) (9—2) (9—1) (9)
“ (ანტისტროფი)	ქრი მას ბრალსა დასდებდა. და კრებული ქვასა დაჰკრებდა, ხოლო სტეფანე ქრისტესა აღიარებდა, სიკუდილსა მას იხარებდა, სულსა შეჰვედრებდა. ერისთვის ევედრებოდა. და გვრგვინოსან იქმნებოდა.	(9) (9) (9+4) — სტეფანე. (9—1) (9—2) (9—1) (9)

—
•
სტიქარონები:

ა. «იუდა». — ბ. «ნეტარ არს».

ჩვენს მიმოხილვას სტიქარონთა სერიისას დავამთავრებთ ორი სტიქარონის ტექსტით. ესენია სტიქარონი, — ლექსები: „იუდა“ და „ნეტარ არს“.

46. ლექსი (სტიქარონი) „იუდა“ შენახულა ძლისპირთა კრებულებში e და f (ძლისპირი VI ხმისა; e № 27, f № 23).

დაწერილია ლექსი თავისუფალი, რეჩიტატიული ტიპის საზომით.

ლექსის შინაარსის გასაგებად საჭიროა მკითხველმა მოიგონოს სახარების ლეგენდა.

სახარების თხრობის თანახმად, ქრისტემ, ერთი დღით ადრე ვიდრე მას შეიპყრობდნენ და შემდეგ ჯვარს აცემდნენ, საღამო გაატარა თავის მოწაფეებთან. მათ შორის იყო იუდაც.

4. — 1₂ აღიარებენ B || 3₃ წმიდაო abs. AB (მენო C) || 4₁ მღღელნი + და " AB || 6₁ და abs. AB.

5. — 1₂ წარუვალისამან A || მათ წინამძღუარმან წინამძღურისამან B || B-ს აკლია მე-5 სტროფის 3—7 ტაქები (მის დედანსაც ჰკლებია: ხელნაწერში დატოვებულია ცარიელი ადგილი).

6. — 1₂ მას abs. AB || 3₁ ხოლო + წმიდაა AB || 4₂ მას abs. B || 6₁ ერისათვის AB.

ქრისტემ დამოძღვრა მოწაფეები. მოწაფეთაღმი სიყვარულის აღსანიშნავად ქრისტემ დახანაფები მოწაფეებს (მათ შორის იუდას).

ქრისტემ და მოწაფეებმა ერთად მიიღეს პური („საიდუმლო სერობა“).

ქრისტემ უთხრა მოწაფეებს, რომ ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, რომელიც მათთან ერთად ესწრება სერობას და საერთო ლანგარიდან (პინაკიდან) სჭამს პურს, გასცემს მას. მიუხედავად დამწუხრებელი მოწაფეების ვედრებისა, ქრისტემ არ დაასახელა გამცემელი.

იმ საღამოსვე იუდამ გასცა ქრისტე, რისთვისაც მიიღო 30 ვერცხლი.

რათა ქრისტე ეცნოთ მის შესაპყრობლად მოსულებს, იუდამ, წინასწარ დათქმული ნიშნის თანახმად, გადააკოცა ქრისტე შეხვედრის დროს („იუდას ამბორი“).

იუდამ, გადმოგვცემს ლეგენდა, ადრევე მიიღო მისაგებელი; იუდამ ვერ გაუძლო სულიერ ქენჯნას, გადაჰყარა 30 ვერცხლი და თავი ჩამოიხრჩო.

მოგვყავს ლექსის ტექსტი.

(ლექსს მღეროდნენ ეგრეთწოდებულ დიდ ხუთშაბათს, «საიდუმლო სერობის» მოსაგონარ დღეს, როდესაც, ლეგენდის თანახმად, იუდამ გასცა ქრისტე).

იუდა

(სტიქარონი ძლისპირი)

იუდამან უღმრთო მან	(7)
უფალო, რომელმან	(6)
შთამოჰყო კელი პინაკსა	(8)
შენ თანა სერობასა, —	(7)
განურთხა კელი უღმრთოთა	(8)
რათა მიიღოს ვერცხლი	(7)

რომელი პრაცხდა	(5)
ფასსა ნელსაცხებლისასა,	(8)
არაჲ შეძრწუნდა განსყიდასა შენსა,	(5, 6)
რომელი უსასყიდლოჲ ხარ!	(8)

წარმოჰყუნა ფერკნი, რათა დაჰბანნე,	(10)
და ამბორს გიყო შენ	(6)
ამბორს-ყოფითა სიცრუისადთა	(10)

და მიგცნა შენ უღმრთოთა,	(7)
და განვარდა	(4)
კრებულისაგან მოწაფეთაჲსა	(10)

და დააგლო ოც-დაათი იგი ვერცხლი...	(12)
და შემდგომად სამისა დღისა	(9)
აღდგომაჲ შენი ვერ იხილა	(9)

47. ლექსი (სტიქარონი) „ნეტარ არს“ შენახულა ძლისპირთა კრებულებში d და e (ძლისპირი VI ხმისა).

ლექსის საზომის რიცხვითი ფორმულა:

$$\frac{10(3+7) \cdot 10}{7 \cdot 7 \cdot 7} ; \frac{7 \cdot 7 \cdot 7}{11 \cdot 11 \cdot 10 \cdot 10} ; \frac{9 \cdot 9}{10}$$

მოგვეყავს ტექსტი:

ნეტარ-არს

(სტიქარონი ძლისპირი)

ნეტარ არს,	(3)
რომელმან გულის-კმა ყოს	(7)
გლახაკისა და ღვერდომილისამა	(10)
ღმერთმან დაიცივას იგი,	(7)
და სანატრელ ყოს ქუეყანასა ზედა, —	(11)
რამეთუ თვთ ღმერთი არს	(7)
მამამ ობოლთამ და მსაჯული ქერიეთამ,	(11)
გლახაკთა მეგობარი,	(7)
და მქსნელი ყოველთა დაწუნებულთამ,	(10)
და შემწე, რომელნი ხადიან მას	(10)
ქეშმარიტად ნეტარ არს კაცი,	(9)
რომელიცა ესავს უფალსა.	(9)

ჩვენ ამით ვამთავრებთ მცირე ფორმის საგალობელთა — სტიქარონთა — ამ ზოგად მიმოხილვას.

აღვნიშნავთ ამასთან, რომ გარდა იმ სტიქარონებისა, რომელთაც ჩვენ შევეხეთ ზემოთ-წარმოდგენილ მიმოხილვაში, 15 სტიქარონი, სალექსო ფორმის დაცვით, გამოქვეყნებული გვაქვს ჩვენს აღრიხდელს შრომაში „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“. ეს სტიქარონები ეკუთვნის X საუკუნის ჰიმნოგრაფ-პოეტებს — მიქაელ მოღრეკილს (11), ივანე მინჩხს (3), ანონიმს (1).

მოგვეყავს ამ წინათ გამოქვეყნებული სტიქარონების სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომების სახელწოდებანი და მითითებანი ტექსტებზე.

ა) სალექსო საზომები I ხმისა:

- 48. „ქრისტე კაცთმოყუარე“ (სტიქარონი უ, ივანე მინჩხისა, გვ. 31—32).
- 49. „ეპა, დიდებული საკრეელი“ (სტიქარონი უ, მიქაელ მოღრეკილისა, გვ. 383—385).
- 50. „მოძიებად წარმართთა“ (სტიქარონი ა, მიქაელ მოღრეკილისა, გვ. 396—398).
- 51. „ნეტარებაჲ პირველი“ (სტიქარონი „მომოქსენენი“, მიქაელ მოღრეკილისა, გვ. 399—401).

ბ) სალექსო საზომი II ხმისა:

- 53. „მოველით თქვენ, წარმართნო“ (სტიქარონი ა, ანონიმისა, გვ. 410—411).

გ) სალექსო საზომები III ხმისა:

- 54. „ვითარცა იგი პირველ“ (სტიქარონი უ, მიქაელ მოღრეკილისა, გვ. 365—367).

55. „რომელი უწინარეს ყოვლისა“ (სტიქარონი ა, მიქაელ მოდრეკილისა, გვ. 376—377).
 56. „ქერაბინთა მიერ“ (სტიქარონი „ალაესე“, მიქაელ მოდრეკილისა, გვ. 402—403).
 დ) სალექსო საზომი IV ხმისა:
 57. „პირველქმნული ადამ“ (სტიქარონი ა, ივანე მინჩხისა, გვ. 17—18).
 ე) სალექსო საზომი VI ხმისა:
 58. „კაცებად რაჲ შეიმოსე“ (სტიქარონი უ, მიქაელ მოდრეკილისა, გვ. 319—322).
 ვ) სალექსო საზომები VII ხმისა:
 59. „შედომილთათჳს“ (სტიქარონი უ, მიქაელ მოდრეკილისა, გვ. 168—169. საზომი გამოცემაში აღნიშნულია მეტრული პუნქტუაციით).
 60. „მონისა ხატითა“ (სტიქარონი ა, მიქაელ მოდრეკილისა, გვ. 174—175. საზომი გამოცემაში აღნიშნულია მეტრული პუნქტუაციით).
 ზ) სალექსო საზომები VIII ხმისა:
 61. „მთასა თაბორსა“ (სტიქარონი უ, მიქაელ მოდრეკილისა, გვ. 338—342).
 62. „ეთთარ გამოუთქუმელი“ (სტიქარონი ა, მიქაელ მოდრეკილისა, გვ. 357—358).
 63. „ჰ მიუწდომელი“ (სტიქარონი ა, ივანე მინჩხისა, გვ. 37—38).

8

სილაბური უკვეთელი ლექსი

ტაეპობრივი რიტმიკით

(მეორე სახეობა ძველ-ქართული სილაბური უკვეთელი ლექსისა)

ჩვენ გავეცანით სილაბური უკვეთელი ლექსის პირველ სახეობას, რომელიც მიღებულია ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში; ამ პირველ სახეობას, როგორც გამოირკვა, წარმოადგენს სილაბური უკვეთელი ლექსის სტროფულ-ტაეპობრივი რიტმიკით.

ამის გვერდით ძველ-ქართულ ლიტერატურაში არსებული მეორე სახეობა ამავე ლექსისა: სილაბური უკვეთელი ლექსი ტაეპობრივი რიტმიკით.

ეს მეორე სახეობა ჩვენ გვაქვს ჰაგიოგრაფიულ პოემაში აბუკურაჲ, რომელიც ეკუთვნის IX საუკუნეს, და აგრეთვე ტექსტში „ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ“, რომელიც დართული აქვს პოემას „აბუკურაჲ“.

სხვაობა სილაბური უკვეთელი ლექსის ამ ორი სახეობისა შემდეგში მდგომარეობს.

პირველ სახეობაში, — სილაბურ უკვეთელ ლექსში სტროფულ-ტაეპობრივი წყობით, — საფუძველი რიტმიკისა არის არა ტაეპი, ცალკე აღებული, არამედ სხვადასხვა საზომის ტაეპთა შეწყობილი სახეობა, გაერთიანებული სტროფში. ეს ერთი მთლიანი რთული სტროფულ-ტაეპობრივი კომპლექსი რიტმულის მონაცვლეობით მეორდება სტროფებისა და ანტისტროფების სახით. აი ეს სტროფულ-ანტისტროფული წყობა არის ძირითადი გამომავლინებელი სილაბური უკვეთელი ლექსის ამ პირველი სახეობის რთული რიტმიკისა.

მეორე სახეობა, — სილაბური უკვეთელი ლექსი ტაეპობრივი რიტმიკით, —

ემყარება თავის რიტმიკაში არა სტროფულ-ტაეპობრივ კომპლექსს, არამედ ტაეპს. სტროფულ-ანტისტროფული წყობა აქ მიღებული არაა.

სილაბური უკვეთელი ლექსის ამ მეორე სახეობაში ტაეპთა დალაგება სტროფში შემდეგ წესებს ემყარება: სტროფში აქ შეიძლება გაერთიანდეს როგორც ერთი საზომის, ისე სხვადასხვა საზომის მქონე ტაეპები; ხოლო როდესაც სტროფში ერთიანდება სხვადასხვა საზომის ტაეპები (რაც ხშირი შემთხვევაა), ყოველი განსხვავებული საზომის ტაეპს სტროფში უნდა ჰქონდეს თავისი პარალელი ერთი ან რამდენიმე იმავე საზომის ტაეპის სახით. მაგალითად, თუ ჩვენ გვაქვს სტროფში გაერთიანება 7-მარცვლელი, 10-მარცვლელი და 12-მარცვლელი ტაეპებისა, ყოველივე ამათგანის შესაფარდად სტროფში უნდა იყვეს იმავე საზომის სხვა ტაეპიც, ერთი ან რამდენიმე.

ამრიგად ამ მეორე სახეობის რიტმიკისათვის დამახასიათებელია არა სტროფებისა და ანტისტროფების წყობა, არამედ ტაეპებისა და ანტი-ტაეპების წყობა; სტროფში ყოველ ტაეპს აქ უპასუხებს ერთი ან რამდენიმე იმავე საზომის ანტი-ტაეპი.

ამას გარდა, ლექსის ამ მეორე სახეობაში მიღებულია რითმა.

რითმა მარტივი სახისაა, ჩვეულებრივ ორმარცვლელი ან ერთმარცვლელი (დაქტილური რითმა იშვიათია).

ჰაგიოგრაფიული ტექსტი — მ ო თ ხ რ ო ბ ა ა ა ბ უ კ უ რ ა ა ს ი წ ა მ ე ბ ი ს ა თ ვ ს მ ი ქ ა ე ლ ს ა ბ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა — დაბეჭდილი ჰქონდა აკად. კ. კეკელიძეს თავის მონუმენტალურ გამოცემაში Keimena, I, რომელიც 1918 წელს გამოქვეყნდა. ტექსტი კ. კეკელიძეს დაბეჭდილი აქვს პროზის სახით.

ტექსტის გაცნობამ, მასში მკაფიოდ გამორჩეულმა რითმებმა, ჩვენთვის ცხადი გახადეს, რომ ამ ტექსტში ჩვენ გვაქვს არა პროზა, არამედ ლექსი თავისებური სახისა, ის ლექსი, რომელსაც ჩვენ სილაბურ უკვეთელ ლექსს ვუწოდებთ.

როდესაც ჩვენ ამოვხსენით ამ ტექსტის ლექსითი ფორმა და აღვადგინეთ პოემის ლექსითი სახე, ჩვენ წავიკითხეთ მოხსენება ამ ჰაგიოგრაფიული პოემის შესახებ ენის, ლიტერატურის და ხელოვნების ინსტიტუტში 1934 წელს. აკად. კ. კეკელიძემ გაიზიარა ამ მოხსენებაში წარმოდგენილი ჩვენი დებულებანი ჰაგიოგრაფიული პოემის ლექსითი სახეობის შესახებ (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941 წ., გვ. 556 — 557).

აღდგენილი ლექსითი ტექსტი ამ ჰაგიოგრაფიული პოემისა — მ ო თ ხ რ ო ბ ა ა ა ბ უ კ უ რ ა ა ს ი წ ა მ ე ბ ი ს ა თ ვ ს მ ი ქ ა ე ლ ს ა ბ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა (შემოკლებით „ა ბ უ კ უ რ ა ა“) და გამოკვლევა მის შესახებ, სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელი დაგვრჩა (წინასწარი ცნობები ამ პოემაზე იხ. ჩვენს შრომაში: „ძველი ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა“, ეურნ. „მნათობი“, 1939 წ. № 9, გვ. 116 — 119, № 10 გვ. 249 — 254).

ჩვენ იმედი გვაქვს პოემის აღდგენილი ტექსტი, გამოკვლევით, გამოვაქვეყნოთ ახლო მომავალში.

აქ კი მოგვყავს ერთი ნაწყვეტი ამ პოემიდან, IV თავი, როგორც ნიმუში ძველ-ქართული ლექსის ზემოთაღნიშნული სახეობისა (ე. ი. სილაბური უკვეთელი ლექსისა — ტაეპობრივი რიტმიკით).

ქვემოთ-მოყვანილ ტექსტში — პოემის IV თავში, სადაც აღწერილია შეხვედრა და საუბარი დედოფლის სეიდასი და მონაზონის მიქაელ საბაწმიდელისა, ჩვენ გვაქვს ერთნაირი pendant ბიბლიური მოთხრობისა იოსებ მშვენიერისა და პენტეფრის მეუღლის შესახებ.

ამირა-მუმნის (ხალიფის) ცოლი, დედოფალი სეიდა, პირველი შეხვედრის-თანავე განმსკვალება სიყვარულით მონაზონის მიქაელ საბაწმიდელისადმი; და როდესაც დედოფალი ვერ პოულობს თანაგრძნობას, იგი დასწამებს მიქაელს ცილს, ვითომც მიქაელმა განიზრახა დედოფლის შეურაცხება.

მოგვეყავს ტექსტი პოემის ამ IV თავისა.

IV

43	და ვითარცა შევიდა კარსა ტაძრისასა კრაეი იგი,	} (16)
	შევიდა გულსა დედაკაცისასა მგელი იგი,	} (16)
	რომელი არა დასცხრების ბრძოლასა მონაზონთასა.	} (16)
44	აღძრა სეიდა ცოლი ამირა-მუმნისაჲ და შთაუგდო ტრფიალებჲჲ მონაზონისაჲ, —	(13) (13)
45	რამეთუ იყო გრძელ ჰასაკითა, და ჭაბუყ ყამითა, და შუენიერ ხატითა,	(13) (6) (8)
	ხოლო ყვითელ პირითა — მძაფრითა მარხვითა, შრომითა და მღვძარებითა.	(8) (6) (10)

ს ე ი დ ა

46	ჲ. კირვეულო ჭაბუყოსი ტყუე თუ ხარ — გამოგიყილო, და სნეულ თუ ხარ — განგკურნო, გლახაკ თუ ხარ — განგამდიდრო	(8) (8) (8) (8)
----	--	--------------------------

ხელნაწერი Ath. — 57/8.

43. -- 2₂ იგი abs. || 3₃ მის abs. — 44.—1₂ სეიდა abs.

45.—1₂ იყო + იგი.— 46.—3₁ და abs.

მ ი ქ ა ე ლ

- 47 ტყუედ ვიყავ სოფლისად, (7)
 და აწ ქსნილ ვარ უფლისად; (7)
 მონაჲ ვიყავ ცოდვისად, (7)
 აწ მონაჲ ვარ მალღისად; (7)
- 48 არა ვარ სნეულ გუამითა, (8)
 არცა გლახაკ საფასითა, (8)
- 49 არამედ სნეულ სულითა, (8)
 და ნაკლულ სინანულითა, (8)
 წყლულ ქრისტეს სიყუარულითა (8)

ს ე ი დ ა

- 50 ჰ ჰაბუკო, (4)
 უბადრუკო (4)
 უკუეთუ მეგობარ ჩემდა იყო, (10)
 მე შენ კეთილი გიყო, (7)
 ცხორებამ შენდა ვიყო, (7)
 და შენ უფრომს მრავალთასა იყო (10)

მ ი ქ ა ე ლ

- 51 ჰ დედაკაცო რაისა გნებავს ცხორებისა ჩემისა აწყუეღამ, (10+10)
 და მოყუასთა ჩემთა მოწყუეღამ, (10)
 და სულისა ჩემისა წარწყმეღამღ (10)

ს ე ი დ ა

- 52 უკეთუ არა მერჩდე გონებითა, (12)
 განუკაჲო გუამი შენი გუემითა, (12)
 და განსაცდელთა სიმძაფრითა, (9)
 და გარდარეულითა ტანჯუითა (9)

მ ი ქ ა ე ლ

- 53 ა მორჩილებამ (4) }
 შენი — (2) }
 არს ურჩებამ (4) }
 ღმერთისა ჩემისად; (6) }

47.—4₁ + ზოლო " აწ.— 49.—1₂ სნეულ + ვარ. —

50.—5₁ + და " ცხორებამ.— 52.—3₁ და abs. —

53.—3₁— ურჩებამ] ურჩებაა || 5₁ კუალად] და || 7₁ არსეე abs. || 14₁ ჩემი abs. —

ბ	კულად ნებაჲ	(4)
	შენი —	(2)
	არსვე ვნებაჲ	(4)
	თავისა ჩემისაჲ:	(6)
გ	ხოლო გუემაჲ	(4)
	ჩუმა —	(2)
	განსუენებაჲ	(4)
	გუამისა ჩემისაჲ:	(6)
დ	სატანჯველი	(4)
	ჩუმა —	(2)
	საშუებელი	(4)
	სულისა ჩემისაჲ	(6)

ს ე ი დ ა

54 ა	ანუ არა	(4)
	მე ვარა —	(3)
ბ	საქებელ,	(3)
	საშუებელ,	(3)
	და საწადელ?!	(4)

მ ი ქ ა ე ლ

55	არა ხარ შენ საქებელ,	(7)
	არამედ საქიქებელ!	(7)
	არა საშუებელ,	(5)
	არამედ საენებელ!	(6)
	არა საწადელ	(5)
	არამედ საძაგელ!	(6)

ვ

56	შაშინ აღიძრა ასპიდი იგი გულითა,	(13)
	და აღიესო ტირილითა,	(8)
	გულის-წყრომითა მრავლითა,	(8)
	და უბრძანა შეკრეჲა მისი მშუღდის საბლითა	(13)
	და ტანჯეჲა ტაჯგანაგითა	(8)

• • •

(სეიდა დედოფალი მოითხოეს აბანოსის ფიცარს და დასწერს მასზე წერილს, მიმართულს ხალიფისადმი; წერილი შეიცავს ცილისწამებას, მიქაელის დასმენას, მიქაელს შეკრულს წარუდგენენ ხალიფს, რის შემდეგაც იწყება მიქაელის გასამართლება).

54.—2₁—2 ვარ მეა. — 55.—2₂ საქიქელ.—

56.—3₁—2 მრავლითა გულისწყრომითა || 5₂ ტანჯეჲა + მისი.

გარდა პოემა „აბუკურაჲს“ აქ მოყვანილი ნაწყვეტისა, როგორც ნიმუში ძველ-ქართული სილაბური უკვეთელი ლექსისა ტაეპობრივი რიტმიკით, ქვემოთ, VII — დ თავში, მთლიანად მოყვანილი გვაქვს ლექსი: „ქებაჲსა აბაჲსი და საბაჲში დისაჲ (გვ. 743 — 745).

სილაბური უკვეთელი ლექსის ლექსთაჯგუფის
სხვადასხვა საკითხები

აღვნიშნავთ აქ ძველ-ქართული სილაბური უკვეთელი ლექსის მეტრიკის ზოგიერთ თავისებურებას.

ჰიპერმეტრია და ლიპომეტრია. საზომთა მონაცვლეობა (ჰიპოსტასური შენაცვლება).

ისევე როგორც ბერძნული ჰიმნოგრაფიის ლექსში, ქართული ჰიმნოგრაფიის სილაბურ უკვეთელ ლექსში დასაშვებად ითვლება ცალკეულ ტაეპთა ჰიპერმეტრია (მარცლის მეტობა ტაეპში) და ლიპომეტრია (მარცლის დაკლება ტაეპში).

ქართული სილაბური უკვეთელი ლექსი არა იშვიათად მიმართავს მონათესავე, მარცვლედობით ახლო მდგომი საზომების მონაცვლეობას (ჰიპოსტასური შენაცვლება). ასე, მაგალითად, ერთმანეთს ზოგჯერ ენაცვლება 7-მარცვლელი და 8-მარცვლელი მონომეტრი; ასევე ერთმანეთს ენაცვლება დიმეტრული 10-მარცვლელი და 11-მარცვლელი; იამბიკონური დიმეტრის 12-მარცვლელს ზოგჯერ ენაცვლება 13-მარცვლელი (ჰიპერმეტრია), ან 11-მარცვლელი (ლიპომეტრია); და სხვანი.

დიერესი და სინერესი.

ძველ-ქართული სილაბური უკვეთელი ლექსის მეტრიკაში (ისევე როგორც ბერძნულ მეტრიკაში) მიღებულია დიერესი და სინერესი.

ქართულ ლექსში ნახევარხმოვანი და ნახევარხმოვანი უ (პრჯგუ), წესის თანახმად, არ ჰქმნიან მარცვალს, ტაეპის მარცვალთა სათვალავში ისინი მხედველობაში არ მიიღებიან. მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ისინი ჩაითვლებიან როგორც სრულხმოვანნი (დიერესი), ე. ი. ნახევარხმოვანი და გამოითქმის როგორც სრულხმოვანი ი, ნახევარხმოვანი უ გამოითქმის როგორც სრულხმოვანი უ.

სინერესი ძველ-ქართულ სილაბურ ლექსში შემდეგში გამოიხატება:

ა) ორი ერთიმეორის გვერდით მდგომი ხმოვანი ზოგჯერ ერთიანდება ერთი ხმოვნის სახით; ასე, სინერესის შემთხვევაში, მაგალითად, სიტყვა „განაახლა“ ჩაითვლება არა ოთხმარცვლოვნად, არამედ სამმარცვლოვნად (ერთიანდება ორი ა). ასევე, როდესაც სიტყვა იწყება იმავე ხმოვნით რომლითაც დასრულდა წინა სიტყვა, დასაშვებია სინერესი; მაგალითად „კაციღი“, სინერესის

შემთხვევაში, ჩაითვლება სამ მარცვლად, ასევე „დასადვიდა“ სამ მარცვლად ჩაითვლება.

ბ) სრულხმოვანი ი და უ სინერგის შემთხვევაში ჩაითვლებიან ნახევარ-ხმოვნებად (ე. ი. ხმოვანი ი გამოიქმის როგორც ნახევარხმოვანი ჟ, ხმოვანი უ გამოიქმის როგორც ნახევარხმოვანი უ).

ს ი ტ ყ ვ ა თ ა გ ა ნ კ ვ ე თ ა - გ ა დ ა ტ ა ნ ა .

ძველ-ბერძნულ ლექსთწყობაში, როგორც ცობილია, მიღებული იყო სიტყვის ორად განკვეთა, გადატანა ერთი ტაქიდან მეორე ტაქში სიტყვის ნაწილისა.

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის სილაბურ უკვეთელ ლექსში თუმცა იშვიათად, მაგრამ ადგილი აქვს სიტყვათა ასეთს განკვეთა-გადატანას (რაც აღინიშნება მეტრული პუნქტუაციის ნიშნის დასმით სიტყვის განსაკვეთ ნაწილთან).

ძველ-ქართული სილაბური უკვეთელი ლექსის ე ვ ფ ო ნ ი ა .

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიის ლექსში მიღებული იყო ალიტერაცია.

ალიტერაციის საკითხს დაწვრილებით შევხებით VII, თ თავში, როდესაც განვიხილავთ გიორგი მერჩულის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობას.

დასარულ რ ი თ მ ი ს შესახებ.

რითმა განუყრელი ნაწილია ძველ-ქართული სილაბური მუხლედოვანი ლექსისა, ე. ი. ქართული კლასიკური ლექსისა, რომელსაც სათავეები ძველ-ქართულ ხალხურ პოეზიაში აქვს.

რაც შეეხება ჰიმნოგრაფიულ პოეზიას, აქ რითმა მიღებული არაა. ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზია ამ შემთხვევაში იცავს ძველი ბერძნული ლექსთწყობის ტრადიციას.

რითმა ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში მხოლოდ სპორადიულად გვხვდება, როგორც, მაგალითად, ფილიპე ბეთლემელის ლექსში (ისიც საერო პოეზიის ტრადიციული მეტრით, შაირის საზომით არის დაწერილი), მიჭაელ მორდრეკილის ჰიმნების ცალკეულ პასაჟებში, სტეფანე სანანოძის-ძის საგალობელში, ადგილ-ადგილ სხვა ჰიმნებშიაც.

აქ საკირთა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებასაც, რომ ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში ხმარება რითმისა სტილის დარღვევადაც კი ითვლებოდა.

ასე მაგალითად, X საუკუნის ჰიმნოგრაფის სტეფანე სანანოძის-ძის საგალობელი, რომელიც რითმოდანად არის დაწერილი, უფრო გვიან ხანაში გადაუკეთებიათ ურითმო ჰიმნის სახით, და XI საუკუნის საგალობელთა კრებულში (S — 4999) შეტანილია ეს მეორე ვარიანტი, ურითმო ჰიმნი.

ეს რაც შეეხება საკუთრივ ჰიმნოგრაფიულ პოეზიას.

ხოლო მეორე ეანრში, ჰაგიოგრაფიულ პოეზიაში, სადაც ხმარებაშია ძველ-ქართული სილაბური უკვეთელი ლექსის მეორე სახეობა (ტაქსობრივი რიტმიკით), — მიღებულია რითმა. ასე, როგორც ვნახეთ, ამ მეორე ეანრის ჩვენ დრომდე მოღწეული ძეგლი, პოემა „ა ბ უ კ უ რ ა ჟ“, რითმით არის შესრულებული.

ძველ-ქართული კოეხიის საღმრთო ფორმები

გ. «წყობილი სიტყვა რიცხული»

(მოკლე აღნიშვნით: «წყობილი სიტყვა»)

მესამე სახეობა ძველ-ქართული ლექსთწყობისა არის «წყობილი სიტყვა რიცხული», ანუ მოკლე აღნიშვნით «წყობილი სიტყვა» («წყობილი სიტყვა»).

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ტერმინი «წყობილი სიტყვა» ფართე მნიშვნელობით აღნიშნავდა საერთოდ ლექსს; ხოლო გვიან ხანაში ეს სახელწოდება «წყობილი სიტყვა» სპეციალურად მიეკუთვნება ქართული ლექსთწყობის იმ თავისებურს მესამე სახეობას, რომელზედაც აქ გვაქვს საუბარი. (ასე, ქართული ლექსთწყობის ეს მესამე სახეობა მოიხსენება სახელწოდებით «წყობილი სიტყვა» ბესიკთან¹).

რამდენადაც ქართული ლექსის ამ მესამე სახეობის «წყობილი სიტყვის» რიტმიკას ახასიათებს არა «მარცვლელობა» ტაეპისა (მარცვალთა სათვალავი ტაეპში), არამედ «რიცხველობა» ტაეპთა (ტაეპობრივი რიტმიკა), სრული და ზუსტი სახელწოდება ქართული ლექსის ამ მესამე სახეობისა იქნება «წყობილი სიტყვა რიცხული»².

ქვემოთ ჩვენ მოკლე აღნიშვნით «წყობილი სიტყვა» ყოველთვის ვგულისხმობთ ქართული ლექსთწყობის ამ მესამე სახეობას «წყობილი სიტყვა რიცხული».

1

«წყობილი სიტყვის» ტექსტები

ძველი ქართული მწერლობის პირველი ათასწლეულის ძეგლებში.

ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა შესწავლამ ჩვენ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასწლეულის ძეგლებში ჩვენ გვაქვს ნიმუშები აქ დასახელებული ლექსთწყობისა, «წყობილი სიტყვისა».

ამ სახის ლექსთწყობის ნიმუშები ჩვენ პირველად გამოვავლინეთ ლეონტი მროველის თხზულებაში «ცხორება ქართველთა». სახელდობრ გამოირკვა, რომ

¹ იხ. ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული, 1931 წ., გვ. 83, სტრ. 26 — გვ. 87, სტრ. 28.

² შესახებ ტერმინთა «რიცხულობა» და «მარცვლელობა» — იხ. ეფრემ მცირე. ზემოთ, გვ. 556.

«წყობილი სიტყვით» ყოფილა დაწერილი უძველესი ძველ-ქართული ფოლკლორული ტექსტები, შესული ლეონტი მროველის თხზულებაში:

1. გლოვა ქართველთა მეფის ფარსმან ქველისა («მგოსანთა» თქმული);
2. ბრძოლა მირვან ქართველთა მეფისა და დურძექთა;
3. ბრძოლა გმირთა და სასტიკება ჰაერისა;
4. თქმულებანი ფარნავაზზე (სიხმარი ფარნავაზისა; ნადირობა ფარნავაზისა და პოვნა განძისა).

გამოირკვა ამასთან, რომ «წყობილი სიტყვით» არის დაწერილი გრიგოლ ხანძთელის «სავედრებელნი» (I, I-a, II, III) და «ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ».

«წყობილი სიტყვის» ფორმით არის დაწერილი აგრეთვე «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ».

ამავე ფორმით არის დაწერილი იოვანე ბოლნელის «მღღელთ-მოძღუართათჳს» (შესხმა).

ამავე ფორმას «წყობილ სიტყვას» იყენებს უძველესი ხანის ქართული ჰიმნოგრაფია (ეგრეთწოდებულნი საგალობელნი «ძუელნი ქართულნი»).

მას შემდეგ, რაც გამოვავლინეთ «წყობილი სიტყვის» ტექსტები ძველ-ქართულს ორიგინალურ ძეგლებში, ჩვენ შევისწავლეთ ძველ-ქართული თარგმნილი ძეგლები.

როგორც ცნობილია, «წყობილი სიტყვის» ტიპის ლექსთწყობა მიღებული იყო აღმოსავლურ პოეზიაში სემურ ენათა. «წყობილი სიტყვის» კლასიკური ნიმუშები ჩვენ გვაქვს ძველ-ებრაულ ბიბლიაში. ძველმა ებრაულმა პოეზიამ არ იცის სხვა სახის ლექსთწყობა, გარდა «წყობილი სიტყვისა».

იბადებოდა საკითხი, თუ როგორ არის გადმოცემული ძველ-ქართულ მწერლობაში ძველი ებრაული პოეზიის ტექსტები, ბიბლიის პოეტური ქმნილებანი, «წყობილი სიტყვის» ფორმის დაცვით, თუ დაუცველად?

გამოირკვა, რომ «წყობილი სიტყვა» იმდენად დამკვიდრებული ფორმა ყოფილა არქაული ეპოქის ქართულს მწერლობაში, რომ ბიბლიური პოეზიის ტექსტები ქართულად უთარგმნიათ მათი ფორმის «წყობილი სიტყვის» დაცვით.

ასე, «წყობილი სიტყვით» არის გადმოცემული ქართულად დავითის ფსალმუნნი. ასევე «წყობილი სიტყვით» არის თარგმნილი ბიბლიის ცნობილი გალობანი (გალობა მოსესი I და II, და სხვანი).

«წყობილი სიტყვის» რიტმული სტრუქტურა

(ტაეპოეზიის წყობა)

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ «წყობილი სიტყვის» რიტმული სტრუქტურის საფუძველს შეადგენს არა «მარცვლედობა» ტაეპისა, არა მ უ ხ ლ ე დ ო ვ ა ნ ი ა ნ ტ ე რ ფ ო ვ ა ნ ი წყობა ტაეპთა (როგორც ეს გვაქვს სილაბურს, ტონურს, ქვანტიტეტურ ლექსთწყობებში), არამედ ტ ა ე პ ო ვ ა ნ ი წყობა. გამოსავალი რიტმული ერთეული აქ არის მთლიანი ტაეპი. დამოუკიდებლად მისი „მარცვლედობისა“, სიგრძე-სიმოკლისა. ტაეპი აქ შექ-

რული უნდა იყოს შინაარსობლივი ერთიანობით. ლექსთწყობას აქ ჰქმნის არა მუხლედთა და ტერფთა რიტმისა, არამედ შინაარსობლივად ერთიანი ტაქების რიტმისა, მთლიან ტაქთა რიტმიული მონაცვლეობა.

«წყობილი სიტყვის» თავისებურებას შეადგენს ამასთან ის გარემოება, რომ ტაქთა რიტმიული მონაცვლეობისა და შეპირისპირების დროს აქ ფართედ გამოიყენება ეგრეთ-წოდებულ სახეთა პარალელიზმი.

დაეაჯგუფოთ ამის შემდეგ წყობილი სიტყვის სხვადასხვა სახეობანი და ფორმები.

«წყობილი სიტყვის» სტროფების ფორმები (ტაქობრივი შედგენილობა. «რიცხუდობა») აღნუსხულია ცხრილში I (გვ. 712).

«წყობილი სიტყვა» სტროფული შედგენილობის მიხედვით განიყოფება ოთხ სახეობად. იხ. ცხრილი II (იქვე, გვ. 712).

3

«წყობილი სიტყვა» ძველ-ქართულ ბიბლიურ ტექსტებში

გადავივართ «წყობილი სიტყვის» ძველ-ქართული ტექსტების მიმოხილვაზე.

პირველ რიგში შევჩერდებით თარგმნილ ძეგლებზე, ბიბლიურ ტექსტებზე.

ა.

დავითის ფსალმუნები.

ფსალმუნი XVIII.

ბიბლიის ტექსტებიდან ქართულ ენაზე «წყობილი სიტყვით» გადმოღებულია დავითის ფსალმუნთა წიგნი.

დავითის ფსალმუნებიდან აქ ჩვენ ავიღებთ XVIII ფსალმუნს, რომელიც «წყობილი სიტყვის» ტიპურ ნიმუშს წარმოადგენს როგორც ბიბლიის ებრაულ დედანში, ისე ბიბლიის ძველ-ქართულ ვერსიაში.

ფსალმუნში 41 სტროფია.

ებრაელ დედანში ფსალმუნი შეიცავს საერთო რიცხვით 107 ტაქსს. (ცალკეული სტროფები მეტ-წილად ორ-ორ ტაქტოვანია, მაგრამ არის ერთ-ტაქტედი. სამ-ტაქტედი და ოთხ-ტაქტედი სტროფები).

ქართულ ტექსტს ჩვენ გავეცნობით ორი დედნის მიხედვით:

A = ხელნაწერი საქართველოს სახ. მუზეუმისა A — 38, გადაწერილი 904 წელს, სადაც წარმოდგენილია ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული რედაქცია, ძირითადში V საუკუნიდან მომდინარე;

B = ხელნაწერი საქართველოს სახ. მუზეუმისა B — 37, გადაწერილი 1091 წელს. აქ წარმოდგენილია იგივე V საუკუნიდან მომდინარე ტექსტი, ზოგიერთი არა-არსებითი რედაქციული ცვლილებით, რომელიც მასში შეუტანია გიორგი

(გაგრძელება იხ. 713 გვერდზე)

I
«წყობილი სიტყვის» სტროფების
ტაქსონომი შეფასებულთა «აჩიხველობა»

№№	სახელწოდებანი
A სტროფები ჩვეულებრივი წყობისა	
ph—1	ერთ-ტაეპედი
ph—2	ორ-ტაეპედი (მრჩობლელი ჩვეულებრივი)
ph—3	სამ-ტაეპედი (სამეული)
ph—4	ოთხ-ტაეპედი (ოთხეული)
ph—5	ხუთ-ტაეპედი (ხუთეული)
ph—6	ექვს-ტაეპედი (ექვსეული)
შენიშვნა. სტროფები ექვს-ტაეპედზე მეტი ხომისა იშვიათად იხმარება.	
B სტროფები მრჩობლელ-რიცხველი წყობისა	
ა. ს რ უ ლ ნ ი:	
ph—2a	მრჩობლელი ორ-ტაეპოვანი სრული
ph—2b	„ ოთხ-ტაეპოვანი სრული
ბ. კ ვ ე თ ი ლ ნ ი:	
ph—2c	მრჩობლელი ერთ-ტაეპოვანი ორ-კვეთი
ph—2d	„ ორ-ტაეპოვანი ოთხ-კვეთი
ph—2e	„ სამ-ტაეპოვანი ექვს-კვეთი
ph—2f	„ ოთხ-ტაეპოვანი რვა-კვეთი
გ. დ ა ნ ა რ ჩ ე ნ ნ ი:	
ph—2g	მრჩობლელი მდინარი ორ-ტაეპოვანი
ph—2h	„ ორნაწევრიანი, მოკლე-გრძელ-ტაეპოვანი.

II
«წყობილი სიტყვის» სახეობანი

№№	სახელწოდებანი
ph—I	წყობილი სიტყვაა თავისუფალი (ხმარებაშია სხვადასხვა სახის სტროფები ჩვეულებრივი წყობისა)
ph—II	წყობილი სიტყვაა მრჩობლელი ერთხმიანი (ხმარებაშია ერთ-ერთი სახის მრჩობლელი სტროფები)
ph—III	წყობილი სიტყვაა მრჩობლელი მრავალხმიანი (ხმარებაშია სხვადასხვა სახის მრჩობლელი სტროფები)
ph—IV	წყობილი სიტყვაა ხუთ-ტაეპედი ანუ იამბიქონისებური «ძუელი» (ხმარებაშია ხუთ-ტაეპედი სტროფები)

მთაწმიდელს (ცელილებანი ეხება ცალკეულ სიტყვებს, ხოლო ფორმა წყობი-
ლი სიტყვის ლექსთწყობისა უცვლელად არის დანარჩუნებული).

დასახელებული დედნებიდან პირველი ხელნაწერი 904 წლისა (A) — ფსალმუნთა წიგნის
მეცნიერულ გამოცემას წარმოადგენს, კომენტარების დართით. ეს ხელნაწერი განსაკუთრებით
ძვირფასია იმ მხრივ, რომ აქ დატულია ძველ-ქართული სტიქომეტრია, მუნებად განრიგება.

მეორე ხელნაწერი 1091 წლისა (B) — წარმოადგენს დიდი ქართველი მწერლისა და მეცნიე-
რის ეფრემ მცირის კაპიტალურ შრომას, — დავითის ფსალმუნთა კატენებს, ეფრემ მცირის
შესავალი წერილით. კატენები შეიკავს, კომენტარებთან ერთად, დავითის ფსალმუნთა ტექსტ-
საც. რედაქტირებულს გიორგი მთაწმიდელის მიერ. 1091 წლის ამ ხელნაწერში აღნიშნულია
ფსალმუნთა ქართული ტექსტის ტაქობრევი დანაწილება (ყოველი ტაქი იწყება მთავრულით).
რამდენადაც 1091 წლის ხელნაწერი გადწერილია ეფრემ მცირის სიკუცხლეში, მისივე ზე-
დაძველებლობით, ეფრემის უახლოესი თანამშრომელის იოვანე მთავარაგს-ძის მიერ, სრული სი-
ზუსტე ტექსტისა აქ სავსებით უზრუნველყოფილია.

გავეცნოთ ამის შემდეგ გალობის ტექსტს.

ვინაიდან XVIII ფსალმუნი დიდი მოცულობისაა, მოგვყავს მისი ნაწილი,
სტროფები V — XV.

(რომაული ციფრები აღნიშნავს სტროფების სათვალავს; არაბული ციფრები — მუხლთა სა-
თვალავს A — 38 ხელნაწერის მიხედვით).

ფსალმუნი XVIII

- V. — 4 შარე მომადგეს მე საღმობანი სიკუდილისანი,
და ღუართა უშჯულოებისათა შემადრწუნეს მე;
-
- VI. — 5 საღმობათა ჯოჯოხეთისათა მომიცევს მე,
და მომეწიფნეს მე მახენი სიკუდილისანი.
-
- VII. — 6 შირსა ჩემსა ეხადე უფალსა,
და ღმრთისა ჩემისა მიმართ ღალად ყყავ;
- 7 შეისმინა ტაძრით წმინდით მისით კმისა ჩემისაჲ,
და ღალადებაჲ ჩემი მის წინაშე მიიწიოს ყურთა მისთა.
-
- VIII. — 8 დაიძრა და შეძრწუნდა ქუეყანაჲ,
და საფუძველნი მათანი შეშფოთნეს,
- 9 და შეირყინეს, რამეთუ შერისნდა მათ ღმერთი.
-
- IX. — 10 აღქდა კუამლი რისხვასა მისსა,
და ცეცხლი პირისა მისისაგან აღატყდეს,
და ნაკუერცხალნი აღეზნნეს მისგან.
-
- X. — 11 და მოდრიკნა ცანი და გარდამოქდა,
და ნისლი ქუეშე ფერტთა მისთა.

XI.—12 და აქდა ქერობინთა ზედა და აფრინდა,
აფრინდა იგი ფრთეთა ზედა ქართასა.

XII.—13 და დაღვა ბნელი საფარველად მისსა,
და გარემოას მისსა საყოფელი მისი,
14 ბნელისა წყალი ღრუბელთა შინა ჰაერისათა.

XIII.—15 ბრწყინვალეებითა მისითა მის წინაშე ღრუბელნი წარვიდეს,
სეტყუაჲ და ნაბერწყალი ცეცხლისაჲ.

XIV.—16 და ქუხდა უფალი ცით გამო,
და მალაღნან მოსცა კმაჲ თვისი;

XV.—17 შიავლინნა ისარნი და განაბნინა იგინი,
და ელკანი განამრავლნა და შეაძრწუნნა იგინი. ¹

თუ როგორ მიმართებაშია ერთმანეთთან ტაეობრივი შედგენილობის მხრით ებრაული და ქართული ტექსტები, ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი, მოთავსებული 715 გვერდზე.

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ ფსალმუნის 51 სტროფიდან — ტაეობრივი შედგენილობა ერთნაირია ებრაული და ქართული ტექსტების 43 სტროფში. ხოლო 8 სტროფში ტაეობრივი შედგენილობა ებრაულ და ქართული ტექსტებისა სხვადასხვანაირია.

სახელდობრ სხვაობა შემდეგში გამოიხატება.

XVI სტროფის სამი ტაეი ქართულად გადმოცემულია ოთხ ტაეად.

XXIV სტროფის ერთი ტაეი ქართულად გადმოიცემა ორ ტაეად; ასევე XLVI სტროფის ერთი ტაეი ქართულად ორ ტაეად არის გადმოცემული.

XLIX სტროფის ორი ტაეი ქართულად გადმოცემულია სამ ტაეად.

LJ სტროფის ოთხი ტაეი ქართულად სამ ტაეად არის გადმოცემული.

XXXVI სტროფის ორი ტაეი ქართულად გადმოცემულია ოთხ ტაეად (ქართული ტექსტი შინაარსობლივად გაწერსობილია).

II სტროფი ებრაულ დედანში შეიცავს ორ ტაეს, III სტროფი სამ ტაეს; ქართულში ტექსტი სტროფისა სხვაგვარად არის დაყოფილი და ტაეთა რიცხვიც შეცვლილია. სახელდობრ II სტროფის 2 ტაეი და III სტროფის პირველი ტაეი ქართულში შერწყმულია და გადმოცემულია ორ ტაეად. III სტროფის ორი დანარჩენი ტაეი ქართულშიაც ორ ტაეად გადმოიცემა.

(იხ. გაგრძელება 716 გვერდზე)

¹ ფსალმუნთა ტექსტი დავებუდეთ Q—37 ხელნაწერის თანახმად. მოგვყავს აქ ვარიანტებო A—38 ხელნაწერის მიხედვით:

5, პირთა || 6, —4 უფლისა მიმართ დაღად-დყავ || 6, დაღად-ყავ] ვილოცე || 7, —6 შეისმინა ჩემო უფალმან ტაძრით წიღიით მისით || 7, 10 — 15 მიიწია მის წინაშე ყურთა მისთა || 8, იძრა || 9, —2 და შეირყინეს] შეძრწუნდა || 10, ალატყდა || 10, 11—12 ნაბერწყალნი გარდამოეთხოვდეს || 12, 1—7 აქდა ქერობინთა, აფრინდა, აღმალდა || 13, მისსა abs. || 14, წყალი || 15, —6 ღრუბელთა წარიდეს || 7, 8, 9, 10, 10, 11, 11, 12, 13, 15, 16, 17, 17, 17 და abs.

ფსალმუნთა ღაპითისი XVIII

სტროფები	ებრაული ტექსტი	ქართული ტექსტი	ქართული სტიქოსეგურია (სათვალავი მუხლებისა)	სტროფები	ებრაული ტექსტი	ქართული ტექსტი	ქართული სტიქოსეგურია (სათვალავი მუხლებისა)
	ტაქების რიცხვი სტროფში	ტაქების რიცხვი სტროფში			ტაქების რიცხვი სტროფში	ტაქების რიცხვი სტროფში	
I	სათაური	სათაური	სათაური	XXVI	2	2	29
II	2 }	2 }	1 }	XXVII	2	2	30
III	3 }	2 }	2 }	XXVIII	2	2	31
IV	1	1	3	XXIX	2	2	32
V	2	2	4	XXX	2	2	33
VI	2	2	5	XXXI	2	2) } 1)	34 } 35 }
VII	3	2) } 1) }	6) } 7) }	XXXII	2	2	36
VIII	3	2) } 1) }	8) } 9) }	XXXIII	2	2	37
IX	3	3	10	XXXIV	2	2	38
X	2	2	11	XXXV	2	2	39
XI	2	2	12	XXXVI	2	2) } 2)	40 } 41 }
XII	3	2) } 1) }	13) } 14) }	XXXVII	2	2	42
XIII	2	2	15	XXXVIII	2	2	43
XIV	2	2	16	XXXIX	2	2	44
XV	2	2	17	XL	2	2	45
XVI	3	2) } 2) }	18) } 19) }	XLI	2	2	46
XVII	2	2	20	XLII	2	2	47
XVIII	2	2	21	XLIII	3	3	48
XIX	2	2	22	XLIV	2	2	49
XX	2	2	23	XLV	2	2	50
XXI	2	2	24	XLVI	1	2	51
XXII	2	2	25	XLVII	2	2	52
XXIII	2	2	26	XLVIII	2	2	53
XXIV	1	2	27	XLIX	2	3	54
XXV	2	2	28	L	2	2	55
				LI	4	2) } 1)	56 } 57 }

ქართული სტიქომეტრია, — მუხლებად დანაწილება, — შემდეგს სურათს წარმოგვიდგენს.

ფსალმუნის 51 სტროფი ქართულ ტექსტში 57 მუხლად ნაწილდება; მათ შორის:

46 მუხლი — ორ-ტაეპოვანია;

6 მუხლი — ერთ-ტაეპოვანია (მუხლები: 3, 7, 9, 14, 35, 57);

3 მუხლი — სამ-ტაეპოვანია (მუხლები: 10, 49, 54).

განხილული XVIII ფსალმუნი, და საერთოდ დავითის ფსალმუნთა უმრავლესობა, წარმოგვიდგენს წყობილი სიტყვის პირველ სახეობას, რომელსაც ვუწოდებთ „წყობილი სიტყვა თავისუფალი“, და რომელშიაც ტაეპების რაოდენობა მუხლების (სტროფების) ფარგლებში განსაზღვრული არაა. (იხ. ცხრილი 712 გე.).

ბ.

გალობაჲ მოსესი II

ბიბლიის მეორე წიგნში და მესამე წიგნში, როგორც ცნობილია, მოთავსებულია ძველი ებრაული პოეზიის განთქმული ძეგლები, — გალობანი, რომლებიც წარწერილია მოსეს სახელით. გალობაჲ I მოთავსებულია წიგნში „გამოსლვათაჲ“ (XV, 1 — 18), გალობაჲ II მოთავსებულია წიგნში „მეორე სჯული“ (XXXII, 1 — 43).

ჩვენ აქ ჯერ შევჩერდებით II გალობაზე.

მოსეს სახელით წარწერილი II გალობის ქართულ ტექსტს ჩვენ გავეცნობით ქართული ბიბლიის გელათური ხელნაწერის მიხედვით (A — 1108), სადაც წარმოდგენილია ბიბლიის ტექსტი კომენტარების დართვით.

ამ ხელნაწერის პირველი ნაწილი წარმოადგენს დიდი ქართველი მწერლისა და მეცნიერის არსენი იყალთოელის ავტოგრაფს. (გვერდები 1 — 205).

მეორე ნაწილი (გვერდები 206 — 301, რომელიც შეიცავს წინასწარმეტყველთა ტექსტს) — არის ავტოგრაფი მეორე ქართველი მწერლის, ანონიმი გელათელი ბიბლიოლოგისა.

გალობა მოსესი II მოთავსებულია ხელნაწერის პირველ ნაწილში, რომელიც არსენი იყალთოელის მიერ არის გადაწერილი.

არსენი იყალთოელის ავტოგრაფული ხელნაწერი განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმ მხრივ. რომ გალობათა ტექსტი აქ გამართულია მეტრისა და რიტმის აღმნიშვნელი პუნქტუაციით.

აქ ჩვენ გვაქვს ორი წყების ნიშნები, — დიდი პაუზისა და მცირე პაუზის აღმნიშვნელნი:

დიდი პაუზა აღინიშნება მძიმე სასვენი ნიშანით (ორი წერტილი და ტირე); მცირე პაუზა აღინიშნება მსუბუქ სასვენი ნიშანით (წერტილი, მძიმე).

პაუზის ეს ნიშნები დაისმის ტაეპების ბოლოში, სახელდობრ:

დიდი პაუზის ნიშანი დაისმის მუხლის დამამთავრებელი ტაეპის ბოლოში;

მცირე პაუზის ნიშანი დაისმის დანარჩენი ტაეპების ბოლოში (ე. ი. თუ მუხლი ორ-ტაეპოვანია, მცირე პაუზის ნიშანი პირველი ტაეპის ბოლოში დაისმის, ხოლო თუ მუხლი სამ-ტაეპოვანია, მცირე პაუზის ნიშანი დაისმის პირველ და

მეორე ტაეპებთან, რომლებიც წინ უსწრებენ მუხლის დამამთავრებელს მესამე ტაეპს).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ არსენი იყალთოელისეული ხელნაწერის ტაეპობრივ განრიგებას უდგება სტიქომეტრია, — მუხლებად დანაწილება, — რომელიც წარმოდგენილია ხელნაწერში A — 38 904 წლისა.

ხელნაწერი A—38, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, და რომელიც დავითის ფსალმუნთა სამეცნიერო გამოცემას წარმოადგენს, დავითის ფსალმუნებთან ერთად დამატების სახით მოთავსებულია ბიბლიის სხვა გალობანი, რომლებიც «წყობილი სიტყვით» არის აღწერილი, მათ შორის გალობანი მოსესი (I და II).

არსენი იყალთოელის ავტოგრაფულ ხელნაწერში გალობა შეიცავს 145 ტაეპს, რომლებიც მეტრული პუნქტუაციით (მძიმე პაუზის ნიშნებით) გაერთიანებულია 71 მუხლობრივ ერთეულად (ყოველ მუხლში ჩვეულებრივ ორ-ორი ტაეპია, ხოლო იშვიათი გამონაკლისის სახით, რამდენიმე შემთხვევაში, სამ-სამი ტაეპი).

სტიქომეტრია, — მუხლებად განრიგება, — რომელიც წარმოდგენილია ხელნაწერში A — 38, ზუსტად უდგება არსენი იყალთოელის ხელნაწერის მუხლებად განრიგებას; ყოველი მუხლის დასრულება უწევს სწორედ იქ, სადაც არსენი იყალთოელის ხელნაწერში მეტრული პუნქტუაციის სათანადო ნიშანი (მძიმე პაუზის ნიშანი) არის დასმული.

გავეცნოთ ამის შემდეგ თვით გალობის ტექსტს.

ვინაიდან გალობის ტექსტი დიდი მოცულობისაა (იგი 43 სტროფს შეიცავს), მოგვყავს ნაწილი, სტროფები I — II და VII — XIV.

გამოცემის პირობათი ნიშნები:

ტაეპის დამამთავრებელი მცირე პაუზა, რაც არსენი იყალთოელის ხელნაწერში აღინიშნება მსუბუქი სასვენი ნიშნით, გამოცემაში აღნიშნული გვაქვს ნიშნით'

მუხლის დამამთავრებელი დიდი პაუზა, რაც არსენი იყალთოელის ხელნაწერში აღინიშნება მძიმე სასვენი ნიშნით, გამოცემაში აღნიშნული გვაქვს ნიშნით "

რომაული ციფრები აღნიშნავს სტროფებს; არაბული ციფრები აღნიშნავს მუხლებს A — 38 ხელნაწერის სტიქომეტრიის თანახმად.

გალობა მოსესი II

I.—1

მოიხილე ცაო და ვიტყვოდი:'

და ისმენდინ ქუეყანაჲ სიტყუათა პირისაგან ჩემისა. "

II.—2

•
მოილოდებოდედ ვითარცა წუჲაჲ აღმოტუნაჲ ჩემი, '

და გარდამოედინ ვითარცა ცუარი სიტყუანი ჩემნი. "

3

ვითარცა წუჲაჲ კლერტსა ზედა. '

და ვითარცა თოელი თივასა. "

.....

ხელნაწერი A—1108 (ავტოგრაფი არსენი იყალთოელისა).

14 ' რიტმის (მცირე პაუზის) აღნიშნული პუნქტუაციის ნიშანი ხელნაწერში გალასულია.

38 '' ხელნაწერში აქ ერთი წერტილია, ე. ი. მოკლე პაუზის (') ნიშანი, რაც ლათინურს წარმოადგენს; რიტმული წყობის თანახმად აქ გრძელი პაუზა (") მოდის.

- VII.—9 შოიკსენე დღენი საუკუნოდასანი; '
გულისკმა ყვემ წელიწადნი ნათესაე-ნათესაეთანი; "
- 10 ბეთხე მამასა შენსა, და მიგიოხრას შენ, '
მოხუცებულთა შენთა, და გაუწყონ შენ. "
- VIII.—11 ოდეს განყენა მალაღმან ნათესაენი, '
ვიოარ მიმოსთესნა ძენი ადამისნი, "
- 12 დაადგინნა საზღვარნი თესლებისანი '
რიცხვსაებრ ანგელოზთა ღმრთისათა, "
- IX. 13 და იქმნა ნაწილ უფლისა '
ერი მისი '
იაკობი, '
საზომ სამკვდრებელისა მისისა '
ისრაელი. "
- X.—14 უნაკულუო ყო იგი უდაბნოს [შინა], '
წყურილსა სიცხისასა ურწყულსა შინა, "
- 15 შეიცვა იგი, და განსწაულა იგი, '
და დაიცვა იგი, ვითა გუგაჲ თუალისაჲ. "
- XI.—16 ვითარცა არწივმან დაიფარნის ბუდენი თესნი, '
და მართუეთა ზედა თესთა სუროდა, — "
- 17 განმყოფელმან ფრთეთა თესთამან შეიწინარა იგინი '
და აღიხუნა იგინი ბექთ-საშუალსა ზედა თესსა; "
- XII.—18 უფალი მბოლოჲ უძლოდა მათ, '
და არა იყო მათთანა ღმერთი უცხოჲ. "
- XIII.—19 აღმოიყვანნა იგინი ძალსა ზედა ქუეყანისასა, '
აქამნა მათ ნაშრომნი აგარაკთანი, "
- 20 აწოთ თაფლი კლდისაგან '
და ზეთი მყარისაგან კლდისა; "
- XIV —21 ერბოსა ზროხათასა და სძესა ცხოვართასა, '
ცმელსა თანა კრავთა და ვერძთაჲსა, — '
ნაშობსა კუროთა და ვაცთასა, — '
22 ცმელსა თანა თირკუმელთა, იფქლისა თანა; '
და სისხლსა ყურძნისასა სუმიდეს ღვნოსა. "
-

123 ო რიტმის (მცირე პუნქტის) აღმნიშვნელი პუნქტუაციის ნიშანი ხელნაწერში გადასულია..
143 ო წაშლილია სიტყვა „შინა“ (მასთან ერთად წაშლილია რიტმის აღმნიშვნელი პუნქტუაციის ნიშანი).

223—6 იფქლისათასა. !

თუ როგორია გალობის ებრაული და ქართული ტექსტების ტაეპობრივი განრიგება, ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა ცხრილი, მოთავსებული 720 გვერდზე.

ამ ცხრილიდან ჩვენ ვხედავთ, რომ გალობის 43 სტროფიდან ტაეპობრივი შედგენილობა ებრაული და ქართული ტექსტებისა ერთნაირია 41 სტროფში. სხვაობა არის მხოლოდ ორ სტროფში.

ეს სხვაობა შემდეგში გამოიხატება:

XVII სტროფში ებრაულში 4 ტაეპია, ხოლო არსენი იყალთოელისეულ ტექსტში 2 ტაეპია. (რაც შეეხება ხელნაწერს A — 38, აქ ორი მუხლია, 4 ტაეპის შესაფარდი ტექსტით).

XVIII სტროფში ებრაულში 5 ტაეპია, ქართულში 9 ტაეპია (სხვაობა წარმოსდგება არა იმის გამო, რომ ებრაული ტექსტის 5 ტაეპი დაყოფილი იყუვს 9 ტაეპად. არამედ ქართულ ტექსტი შინაარსობლივად არის გაფართოებული; დამატებული ტექსტი 4 ზედმეტ ტაეპს მოიცავს).

ქართული სტიქომეტრია, მუხლებად განრიგება, შემდეგ სურათს წარმოგვიდგენს.

ქართულ ტექსტში გალობის 43 სტროფი 71 მუხლად ნაწილდება, სახელდობრ:

- ა) ყველა 4-ტაეპოვანი სტროფი ნაწილდება ორ-ორ ტაეპოვან მუხლად;
- ბ) ყველა 2-ტაეპოვანი სტროფი უცვლელად რჩება ცალკე მუხლების სახით;
- გ) სტროფები XIV და XXXIX, რომლებიც ხუთ-ხუთ ტაეპს შეიცავს, ნაწილდება ორ და სამ-ტაეპოვან მუხლებად.
- დ) სტროფი XLIII, რომლის ქართული ტექსტი 9 ტაეპს შეიცავს, ნაწილდება ოთხ მუხლად, მათ შორის 3 მუხლი ორ-ტაეპოვანია, ერთი მუხლი სამ-ტაეპოვანი.

ქართული ტექსტი გალობისა, თავისი მუხლობრივი წყობით, ეკუთვნის «წყობილი სიტყვის» მეორე სახეობას, რომელსაც ეუწოდებთ «წყობილი სიტყვა მრჩობლენი ერთ-ხმიანი» (იხ. ცხრილი, 712 გვ.). ქართული ტექსტის მუხლები, როგორც ვნახეთ, ძირითადად მრჩობლენი სახისაა, ორ-ტაეპოვანია; სახელდობრ 71 მუხლიდან ორ-ტაეპოვანია 68 მუხლი, და მხოლოდ გამონაკლისის სახით ჩვენ გვხვდება სამი სამ-ტაეპოვანი მუხლი¹.

გ.

გალობაჲ მოსესი I

ვინაიდან ბიბლიის არსენი იყალთოელისეულ ავტოგრაფულ ხელნაწერს აკლია ის ნაწილი, სადაც მოთავსებული იყო გალობა მოსესი I, გალობის ტექსტს ჩვენ გავიცნობით ორი სხვა დედნის მიხედვით.

A = მცხეთური ბიბლია (ხელნაწერი საქართველოს სახ. მუზეუმისა A—51);

B = ეფრემ მცირისეული ფსალმუნთა კატენების ზემოთდასახელებული 1091 წლის ხელნაწერი Q — 37 (ამ ხელნაწერში, დავითის ფსალმუნებთან (იხ. გაგრძელება 721 გვერდზე)

¹ დასასრულ აღნიშნავთ, რომ ტექსტი გალობისა, წარმოდგენილი ხელნაწერში A — 38, რედაქციულად განსხვავდება არსენი იყალთოელისეული ხელნაწერის ტექსტიდან. სხვაობა ეხება მხოლოდ ფრაზეოლოგიას, ხოლო წყობილი სიტყვის ფორმა და მუხლებად დანაწილება ორივე რედაქციაში ერთი და იგივეა.

ბალობაჲ მოსესი II

სტროფები	ებრაული ტექსტი	ქართული ტექსტი	ქართული სტიქონე ჴრია (სათვალავი მუხლებიჲა)	სტროფები	ებრაული ტექსტი	ქართული ტექსტი	ქართული სტიქონე ჴრია (სათვალავი მუხლებიჲა)
	ტაქების რიკევი სტროფში	ტაქების რიკევი სტროფში			ტაქების რიკევი სტროფში	ტაქების რიკევი სტროფში	
I	2	2	1	XXII	4	2 } 2 }	35 } 36 }
II	4	2 } 2 }	2 } 3 }	XXIII	2	2	37
III	2	2	[4]	XXIV	4	2 } 2 }	38 } 39 }
IV	4	2 } 2 }	5 } 6 }	XXV	4	2 } 2 }	40 } 41 }
V	2	2	7	XXVI	2	2	42
VI	4	2 } 2 }	8 } 9 }	XXVII	4	2 } 2 }	43 } 44 }
VII	4	2 } 2 }	10 } 11 }	XXVIII	2	2	45
VIII	4	2 } 2 }	12 } 13 }	XXIX	2	2	46
IX	2	2	14	XXX	4	2 } 2 }	47 } 48 }
X	4	2 } 2 }	15 } 16 }	XXXI	2	2	49
XI	4	2 } 2 }	17 } 18 }	XXXII	4	2 } 2 }	50 } 51 }
XII	4	2 } 2 }	17 } 18 }	XXXIII	2	2	52
XIII	4	2 } 2 }	15 } 16 }	XXXIV	2	2	53
XIV	2	2	19	XXXV	4	2 } 2 }	54 } 55 }
XV	4	2 } 2 }	20 } 21 }	XXXVI	4	2 } 2 }	56 } 57 }
XVI	5	3 } 2 }	22 } 23 }	XXXVII	2	2	58
XVII	4	2 } 2 }	24 } 25 }	XXXVIII	4	2 } 2 }	59 } 60 }
XVIII	2	2	26	XXXIX	5	2 } 3 }	61 } 62 }
XIX	4	2 } 2 }	27 } 28 }	XL	2	2	63
XX	2	2	29	XLI	4	2 } 2 }	64 } 65 }
XXI	4	2 } 2 }	31 } 32 }	XLII	4	2 } 2 }	66 } 67 }
XXII	4	2 } 2 }	33 } 34 }	XLIII	5	2 } 2 } 3 } 2 }	68 } 69 } 70 } 71 }

ერთად, დამატების სახით, მოთავსებულია კომენტარი და ტექსტი «წყობილი სიტყვით» შესრულებული ბიბლიური გალობებისა, მათ შორის გალობა მოსესი I).

ტექსტი ამ ორი ხელნაწერისა ერთმანეთს ახლო უდგება, გარდა ზოგიერთი უმნიშვნელო სტილისტური სხვაობისა (რაც ყველა აღნიშნული გვაქვს ვარიანტებში).

ხელნაწერებში ტაეპები ერთმანეთისაგან განიყოფება პუნქტუაციით (ამასთან B ხელნაწერში, გარდა პუნქტუაციის ნიშნისა, ტაეპები იხითაც გამოიყოფა, რომ იწყება მთავრულით).

გალობა მოსესი I ბიბლიის ებრაულ ტექსტში 40 ტაეპს შეიცავს.

ქართული ტექსტი, როგორც ამას გვიჩვენებს საერთო მეტრული პუნქტუაცია A და B ხელნაწერთა, ასევე 40-ტაეპოვანია.

ქართულ ტექსტს ამასთან შემდეგი რიტმიული თავისებურება ახასიათებს: ქართულ ტექსტში ტაეპები რიტმიულად ბუნებრივად განიყოფება ორ ნახევარ-ტაეპად.

ასეთი რიტმიული განკვეთა ტაეპებისა ორ ნაწილად იმდენად ნათლად არის გამოვლენილი, რომ A ხელნაწერში მთელ რიგ შემთხვევებში იგი პუნქტუაციის ნიშნითაც აღინიშნება¹.

მოგვყავს ამ განმარტებათა შემდეგ გალობის ტექსტი (მთლიანად).

რომაელი ციფრები აღნიშნავს სტროფებს. ქართული ასო-ნიშნები (ა, ბ, გ) აღნიშნავს ტაეპებს, რომელთაგან თვითელი განკვეთილია ორ ნახევარ-ტაეპად.

ნიშნებით " და ' გადმოვეცით ხელნაწერებში წარმოდგერილს მეტრულ პუნქტუაციის (ნიშანი " მიუთითებს ტაეპის ბოლოში დასმულ სასვენს; ნიშანი ' მიუთითებს ნახევარ-ტაეპის ბოლოში დასმულ სასვენს).

გალობა მოსესი I²

I.—ა	უგალობდით უფალსა, რამეთუ დიდებით დიდებულ არსი "
ბ	ცბენები და მიწარები შთასთხია ზღუასა. "
•	
II.—გ	შემწე და მუარეულ მეწმნა მე მაცხოვარებად. "
დ	ესე ღმერთი ჩემი, და ვადიდო ესე; "
ე	ღმერთი მამისა ჩემისაჲ, და აღვამალო ესე. "

¹ A ხელნაწერში გამოყოფილია სასვენნი ნიშნებით ნახევარ-ტაეპები სტროფებში III, V, IX იზ, ით, VIII კვ, XVII ლთ, XVIII. ორ შემთხვევაში ნახევარ-ტაეპები გამოყოფილს B — ხელნაწერშიაც: IX იზ და XVIII.

² ვარიანტები:
II₁₀ და B] abs. A.

III.—ე	უფალი შემპუსრველ ბრძოლათა, ' უფალ სახელი მისი. "
IV.—ზ	ეტლები ფარაოჲსი და ძალი მისი შთასთხია ზღუასა, "
ც	რჩეული მკედრები სამ-მდგომნი დაანთქა ზღუასა მეწამულსა. "
V.—თ	ზღუამან დაფარნა იგინი; ' დაქდეს სიღრმედ ვითარცა ლოდნი. "
VI.—ი	მარჯუენაჲ შეაი, უფალო, დიდებულ არს ძალითა შენითა; "
ია	მარჯუენამან შენმან, უფალო, მოსრნა მტერნი შენნი. "
VII.—ობ	და სიშრავლითა დიდებისა შენისაჲთა შემპუსრენ მკდომნი; "
იგ	მიავლინე რისხვად შენი, და შეჭამნა იგინი ვითარცა ლერწამი. "
VIII.—იდ	და სულისაგან გულისწყრომისა შენისა განიოო წყალი, "
იე	შეპყინდეს — ვითარცა ზღუდენი — წყალნი, "
ივ	შეპყინდეს ღელენი შუა ზღუასა. "
IX.—იზ	თქუა მტერმან: ' ვღეენო, ვეწიო, "
იძ	და განვიყო ნატყუენაჲი: და განვიძლო სული ჩემი; "
იწ	მოესრა მახვლითა ჩემითა, ' ეუფლოს კელი ჩემი. "

III₃ '] მეტრის (ნახევარ-ტაეპის) აღმნიშვნელი პუნქტუაციის ნიშანი არის A-ში.

V₁ ზღუამან B] ღრმამან A || V₃ '] მეტრის (ნახევარ-ტაეპის) აღმნიშვნელი პუნქტუაციის ნიშანი არის A-ში || V₄ დაქდეს B] შთაქდა A || V₇ ლოდნი B] ლოდი A.

VII₆ მკდომნი B] წინააღმდგომნი A || VII₁₂ იგინი B] იგი A.

VIII₅ განიოო B] განიყო A.

IX₂ '] მეტრის (ნახევარ-ტაეპის) აღმნიშვნელი პუნქტუაციის ნიშანი არის A-ში || IX₄ "] მეტრის (ტაეპის დასრულების) აღმნიშვნელი პუნქტუაციის ნიშანი abs. AB-ში || IX₁₄ '] მეტრის (ნახევარ-ტაეპის) აღმნიშვნელი პუნქტუაციის ნიშანი არის A-ში.

X.—კ	მიაელინე სული შენი, და დაფარნა იგინი ზღუამან: "
კა	დაკდეს, ვითარცა ბრპენი, წყალსა შინა ფრიალსა. "
•	
XI.—კბ	ვინ არს მსგავს შენდა ღმერთთა შორის, უფალო? "
კბ	ვინ — მსგავს შენდა წმიდათა შორის დიდებული. "
კდ	საკურველი დიდებათა შინა, მოქმედი ნიშებისაჲ? "
•	
XII.—კე	მიყაე მარჯუენაჲ შენი; შთანთქა იგინი ქუეყანამან. "
•	
XIII.—კვ	უძელუ სიმართლითა შენითა ერსა შენსა ამას, ' რომელი იქსენ; "
კვ	ნუგეშინის-ეც ძალითა შენითა ბანაკსა წმიდასა შენსა. "
•	
XIV.—კთ	ესმა წარმართთა, — და განრისხნეს; "
კთ	სალმობამან შეიყრნა მკვდრნი ფილისტიმისანი. "
•	
XV.—ლ	მაშინ ისწრაფეს ერისთავთა ედომისათა, "
ლა	და მთავართა მოაბელთასა; "
ლბ	ძრწოლამან შეიყრნა იგინი, და განყდეს ყოველნი მკვდრნი ქანანისანი "
•	
XVI.—ლგ	დაეცინ მათ ზედა შიში და ძრწოლაჲ, "
ლდ	სიდიდითა მკლავისა შენისაჲთა ქვაჲ იქმნედ. — "

X₁ მიაელინე B] მოაელინა A.

XIII₆] მეტრის (ნახევარ-ტაეპის) აღმნიშვნელი პუნქტუაციის ნიშანი A-ში არის სიტყვა „ამას“ შემდეგ, B-ში ამ სიტყვის წინ.

XIV₃ და abs. AB || XIV₄ „] მეტრის (ტაეპის დასრულების) აღმნიშვნელი პუნქტუაციის ნიშანი abs. AB-ში || XIV + და „ სალმობამან A (B-ში „და“ არაა).

XV₃ ერისთავთა B] მთავართა A || XV₄] მეტრის (ტაეპის დასრულების) აღმნიშვნელი პუნქტუაციის ნიშანი abs. B-ში || XV₁₂ განყდეს B] დადნეს A.

ლე ვიდრეშდის წარგლოს
ერმან შეშმან. უფალო, "

ლე ვიდრეშდის წარგლოს
ერმან შეშმან ამან, რომელ მოიგე. "

XVII.—ლბ შეუყვანენ და დაპნერვენ ივინი
მთაჲ მკედრობისა შენისასა, "

ლმ განმზადებულსა მას
სამკედრებულსა შენსა, "

ლა რომელ ტეკა. უფალო. სიწმიდედ. უფალო, '
რომელ ვაჲსაჲსაჲც კელთა შენთა. "

XVIII.—ბ უფალი გეუღმ არს საყუენს, '
და საყუენსა შეიპყეა. "

ქართული ტექსტი გალობისა წარმოგვიდგენს «წყობილი სიტყვის» მესამე სახეობას. რომელსაც ელწოდებთ «წყობილი სიტყვა მრჩობლადი მრავალმნიანი» (იხ. ცნობილი. გვ. 712). ამ ტექსტს სხვადასხვა სახის კეფთილ-ტაეზიანი სტროფები: ერთ-ტაეზოვანი ორ-კვეთი, ორ-ტაეზოვანი ოთხ-კვეთი, სამ-ტაეზოვანი ექვს-კვეთი, ოთხ-ტაეზოვანი რვა-კვეთი ¹.

ღ

გალობა ანბანისი

ამ ბიბლიურ გალობას, დაწერილს «წყობილი სიტყვით», ჩვენ გავეცნობით გელათური ბიბლიის ხელნაწერის ნიშნულით.

გალობა მოთავსებულია გელათური ბიბლიის მეორე ნაწილში, რომელიც წარმოადგენს ანონაში გელათელი ბიბლიოლოგის ავტოგრაფს.

როგორც არსენი იყალთოელის ავტოგრაფში, ასევე გელათელი ბიბლიოლო-

XVI₁₁ დაეინ B | დაეინ A || XVI₂₁ ამან B | უფალო A.

XVII₁ მას მის. აბ || XVII₁₁ სიწმიდე B | სიწმიდე A || XVII₁₀ ' მეტრის (ნაბეარ-ტაეზის) აღმნიშნული პეტრეატიის ნიშანი არის A-ში.

XVIII₁₁ მეტრის (ნაბეარ-ტაეზის) აღმნიშნული პეტრეატიის ნიშანი არის AB-ში.

ვარიანტები B-სი:

2₁ შექმნი შეყო || 2₂ მაცხოვარებადი მკნელად || 2₁₂ 18 ესე | იგი || 4₁₀ სამ-მდგომთა || 4₁₃ + მას " შეწამულსა || 5₁ ღითარ || || 6₅ არს მის. || 6₇ შენითა მის. || 6₁₃ შენი მის. || 8₇ შეპყინდა || 8₁₀ ზღვრესა წყალთა || 8₁₀₋₁₁ შეპყინდა ღელეთათა || 9₅ და მის. || 9₁₁ ჩემი მის. || 9₁₅ უფლებდეს || 10₁₁₋₁₂ წყალთა ფრადთა || 11₁₁₋₁₂ დიდებული წმიდათა შინა || 11₁₅₋₁₆ დიდებთა || 11₁₇ + და " მოქმედი || 12₁ დანთქნა || 13₇ რომელ.

¹ დასასრულ დავრჩენია აღნიშნოთ. რომ ტექსტი გალობისა, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერში A — 38, რედაქციულად განსხვავდება იმ ტექსტისაგან, რომელიც აქ დავებდეთ (ე. ი. მცხეთის ბიბლიისა და 1091 წლის ხელნაწერის ტექსტისაგან). განსხვავებაა როგორც ფრაზეოლოგიის მხრით, ისე მეტლობრივ-ტაეზობრივი გარჩევების მხრითაც. A — 38 ხელნაწერის ტექსტი განიყოფება 25 მეტრად და შესრულებულია «წყობილი სიტყვის» იმ სახეობით, რომელსაც ეწოდებთ «წყობილი სიტყვა მრჩობლადი ერთმნიანი» (მუხლები, თავისი რიტმული წყობით, წარმოგვიდგენენ ორ-ტაეზოვან მრჩობლადებს).

გის ავტოგრაფშიაც, გალობანი გამართულია მეტრის და რიტმის აღმნიშვნელი პუნქტუაციით, სახელდობრ:

დიდი პაუზა აღინიშნება მძიმე სასეენი ნიშნით (ორი წერტილი და ტირე); მცირე პაუზა აღინიშნება მსუბუქი სასეენი ნიშნით (წერტილი).

პაუზის ეს ნიშნები დაისმის, წესის თანახმად, ტაქტების ბოლოში:

დიდი პაუზის ნიშანი დაისმის ნუბლის დანაწევრებელი ტაქტის ბოლოში;

მცირე პაუზის ნიშანი დაისმის დანარჩენი ტაქტების ბოლოში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ჩვენს ხელნაწერში წარმოდგენილი გალობის მუხლებად განრიგება ზუსტად უდგება A — 38 ხელნაწერის სტიქო-მეტრიას.

A — 38 ხელნაწერში გალობა ნაწილდება 32 მუხლად. ჩვენ ხელნაწერშიაც გალობა ასევე 32 მუხლად არის განწილებული (დიდი პაუზის აღმნიშვნელი პუნქტუაციის ჩვენების თანახმად). ამასთან ყოველი მუხლის დასასრული ჩვენს ხელნაწერსა და A — 38 ხელნაწერში ზუსტად უდგება ერთმეორეს.

ამ განმარტებათა შემდეგ გავვეცნოთ გალობის ტექსტს. ვინაიდან გალობა დიდი მოცულობისაა, მოგვეცეს ნაწილი, XI და XVI-XVII სტროფება.

ტაქტის დამამთავრებელი მცირე პაუზა, რაც ხელნაწერში აღინიშნება მსუბუქი სასეენი ნიშნით, გამოცემაში აღნიშნული გვაქვს ნიშნით /

მუხლის დამამთავრებელი დიდი პაუზა, რაც ხელნაწერში აღინიშნება მძიმე სასეენი ნიშნით, გამოცემაში აღნიშნული გვაქვს ნიშნით "

რომაული ციფრები აღნიშნავენ სტროფებს; არაბული ციფრები აღნიშნავენ მუხლებს A — 38 ხელნაწერის სტიქომეტრიის თანახმად.

- XI.—17 ამაღლდა მზე, /
და მთოვარე დადგა წესსა ზედა მისსა. "
- 18 ნათლად სატყორცნი შენნი ეილოღინ, /
ბრწყინვალეზად ეღვიასა სატყორცელნი შენნი. "
- ...
- XVI.—24 დავიცევ და შეძრწუნდა გული ჩემი /
კმისაგან ლოცვისა ბაკეთა იგმთასა; "
- 25 და შეეღვა ძრწოლა ძუალთა ჩემთა, /
და ენუქე კერძო პეშაა შემლოთნა კორცი ჩემი. "
- 26 განვისუენო დღესა შინა ჭირისა ჩემისასა. /
აღსლეასა ჩემსა ერისადმი მსხემობისა ჩემისა; "
- XVII.—27 მით რამეთუ ლელუმან არა ინაყოფიეროს, /
და არა იყუნენ ნაშრომნი ენაქსა შორის; "
- 28 ცრუობდეს საქმე ზეთის-ხილისაჲ, /
და ველთა არა ყონ მწუანვილი; "
- 29 მოაკლდეს საქმელისაგან ცხოვარნი, /
და არა იყუნენ კარნი ზროხანი ბაკათა ზედა. "

გალობა წარმოადგენს «წყობილი სიტყვის» მეორე სახეობას, რომელსაც ვუწოდებთ „წყობილი სიტყვა მრჩობლელი ერთხმიანი“ (იხ. ცხრილი, გვ. 712). გალობის 32 მუხლიდან 29 მუხლი წარმოადგენს ორ-ტაეპოვან მრჩობლედებს, და მხოლოდ გამონაკლისის სახით სამჯერ გვხვდება სამ-ტაეპელი მუხლები (სახელდობრ მუხლები X, XII და XVI).

4

«წყობილი სიტყვის»

უმველესი ფოლკლორული ქართული ძეგლები,
დაცული ლეონტი მროველის თხზულებაში.

«წყობილი სიტყვის» სალექსო ფორმას ქართულად რომ უძველესი ტრადიცია ჰქონდა, ამას ადასტურებს ის გარემოება, რომ წყობილი სიტყვით არის შესრულებული არქაული ხასიათის ფოლკლორული ძეგლები, რომლებიც შესულია ლეონტი მროველის თხზულებაში. «ცხორება ქართველთა მეფეთა და პირველითგანთა მამათა და ნათესავთა».

გავეცნოთ ამ ძეგლებს.

ა

ბრძოლა ქართველთა მეფისა მირვანისა და დურძუკთა

ეს ფოლკლორული წარმოშობის ძეგლი, რომელიც მოჰყავს ლეონტი მროველს, ეხება ქართველთა მეფეს მირვანს (ქართული მატრიანეებით — პირველი მეფის ფარნავაზის ერთ-ერთ უახლოეს მემკვიდრეს), რომელმაც, ლეონტი მროველთან დაცული გადმოცემის თანახმად, პირველმა შეაბა დარიალს კარი, და რომელსაც ბრძოლა ჰქონდა კავკასიის მთიელებთან — დურძუკებთან.

ბრძოლა ასეა გადმოცემული ამ ძეგლში «წყობილი სიტყვით»:

ბრძოლა ქართველთა მეფისა მირვანისა და დურძუკთა

I მაშინ მირვან გარდაქდა ცხენისაგან,
და მივიდა ქუეითთა თანა თუსთა,
და წარუძღლა წინა ქუეითთა,
და ზურგით შემოადგინნა მკედარნი;

II და მივიდა კართა მათ შინა
ვითარცა ჯიქი სიფიცხლითა,
ვითარცა ვეფხვ სიმჰნითა,
ვითარცა ლომი ზახილითა.

III იქმნა მათ შორის
ბრძოლა ხასტიკი;

I. — 2 მირიან M || 6 და abs. BM || 14 და abs. BM.

II. — 2 მოვიდა M || 7 ჯიქუი M || 8 სიფიცხითა B.

ხოლო მირვანს ვერ ჰკუთდა მახვლი ღურძუქთა
 ვითარცა კლდესა სიხსა,
 და დგა იგი უძრავად
 ვითარცა კოშკი მტკიცე.

ქართული ზეპირი სიტყვიერების ეს უძველესი ძეგლი, აღბეჭდილი ნამდვილი ხალხურობით, წარმოადგენს «წყობილი სიტყვის» ლექსთწყობის ერთ-ერთ უშესანიშნავეს ნაწარმოებს თავისი მკვეთრი, ჩამოსხმული რიტმიკით.

ძეგლში ჩვენ გვაქვს «წყობილი სიტყვის» მესამე სახეობა, რომელსაც ვუწოდებთ „წყობილი სიტყვა მრჩობლელი მრავალხმიანი“ (იხ. ზემოთ ცხრილი: „წყობილი სიტყვის სახეობანი“, გვ. 712).

ტაეები კვეთილი ტიპისაა, ყოველი ტაეები ორად იკვეთება.

სტროფები მრჩობლელ-რიცხველი სახისაა: ერთ-ტაეპოვანი ორ-კვეთი და ორ-ტაეპოვანი ოთხ-კვეთი.

ბ — გ

თქმულებანი ფარნავაზზე

ფოლკლორული წარმომობისაა აგრეთვე ის თქმულებანი ქართველთა პირველი მეფის ფარნავაზის შესახებ, რომლებიც «წყობილი სიტყვით» არის შესრულებული, და რომლებიც დაუცავს ლეონტი მროველს.

პირველი თქმულება:

•

სიზმარი ფარნავაზისა

•

I მამინ იხილა ფარნავაზ სიზმარი,
 რეცა იყო იგი სახლსა შინა უკაცურსა,
 და ეგულეებოდა განსლვა,
 და ვერ განვიდა;

•

II მამინ შემოვიდა სარკუმელსა მისსა შუქი მზისა,
 და მოერტყა წელთა მისთა,
 და განიზიდნა,
 და გამოიყვანა სარკუმელსა მას.

•

III და ვითარ განვიდა ველად,
 იხილა მზე ქუე მდაბლად,
 მიჰყო ქელი მისი და მოჰყოცა ცუარი პირსა მზისასა,
 და იცხო პირსა მისსა.

IV. — გ მირიანს M || 10—11 და დგა] დადგა B, და დადგა M || 12 იგი abs. BM.

I. — ვ—4 სიზმარი ფარნავაზ B.

II. — 1 — 2] abs. M, მამინ გამოვიდა B || 11—12 გაზიდინი M || 14 განიყვანა B.

III. — 1 და abs. M || 7—8 ქუემდებარედ B || 12 და abs. B || 15—16 პირსა მზისასა]. პირსა მისსა M. პირისა მისისა B.

ბ

ნადირობა ფარნავეზისა და პოვნა განძისა

- I ხოლო მას დღესა შინა განვიდა [ფარნავეზი] და ნადირობდა მართო.
და დღესა იყო ირემთა ეულსა დილოძისასა;
და იფლტოვებს ირემთა —
ღირღალთა შინა ტფილისისათა.
- II და მისდევდა ფარნავეზი,
სტუორდა ისაბი და პკრა ირემსა;
და მუირედ წარვლო ირემსან,
და დაეცა ძირსა კლდისასა.
- III მოვიდა ფარნავეზი ირემსა ზედა,
და დღე იგი მწუხრი გარდაქდა;
და დაჯდა ირემსა მას თა.ა. რათამცა დაპყო მუნ ღამე,
და დიღუელმცა წარვიდა.
- IV ხოლო კლდისა მას ძირსა ქუაბი იყო,
რომლისა კარი აღმოქმნულ იყო ქვითა ძუელად.
და სიძუელითა შექქმნოდა
დარღუევა შენებულსა მას.
- V მაშინ დაასხა წჳმა მძაფრი,
ხოლო ფარნავეზი აღილო ჩუგლუგი,
და გამოარღვა კარი ქუაბისა მის.
რათა მუნ შიგა დაიმშრალა წჳმისა მისგან.
- VI და შევიდა ქუაბსა მას,
და იხილა მუნ შინა —
განძი მიუქლომელი,
ოქრო და ვეცხლი მიუწლომელი.

ორივე თქმულება წარმოადგენს «წყობილი სიტყვის» მეორე სახეობას, რომელსაც ვუწოდებთ „წყობილი სიტყვა მრჩობლელი ერთხმისანი“ (იხ. ცხრილი: „წყობილი სიტყვის სახეობანი“, გვ. 712).

ორსავე ძეგლში ჩვენ გვაქვს ერთი სახის სტროფები: ორ-ტაეპოვანი ოთხ-კვეთი.

II. — 1 და abs. BM.

III. — 18 ღამე + იგი B.

IV. — 6-8 ~ იყო ქუაბი B || 13-14 და სიძუელითა abs. M || 15 შექქმნოდა M.

V. — 1 მაშინ მუნ M || 7 აღმოილო B.

VI. — 10 მიუქლომელი მიუწლომელი BM || 13 ვეცხლი + და სამსახურებელი ოქროსა და ვეცხლისა B.

გლოვა ქართველთა მეფისა ფარსმან ქველისა

ქვემოთმოყვანილი ფოლკლორული ძეგლი ეხება II საუკუნის ქართველთა მეფეს ფარსმან I-ეს, რომელსაც „ფარსმან ქველის“ სახელწოდება მიემართება. და რომელიც, ლეონტი მროველთან დაკლები გადმოცემის თანახმად, ლაღატით დაიღუპა.

შესავალი უწყება ამ ფოლკლორული ტექსტის გამო, დაცული ლეონტი მროველის თხზულებაში. განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს იმ მხრით, რომ აქ მოიპოვება ცნობა უძველესი ხანის ქართველ ხალხურ «მცოდნეთა» შესახებ.

მოვეყავს ლეონტი მროველის უწყება და ტექსტი „გლოვისა“.

გლოვა ქართველთა მეფისა ფარსმან ქველისა

მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი და ტყუბა სოველთა ქართველთა ზოგა. წარჩინებულითჲან ვიდრე ჯლახადმღე. და იტყუბდე! თათთა მათთა. და ყოველთა შინა ქალაქებთა და დაზნებთა დასსდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი, და იკუნებდიან სიქეულებსა და სიმკნესსა, და სიანუენიერესა და სახიერებასა ფარსმანს ქველისასა და იტყოდეს ესრეთ:

1. ვაი ჩუენდა,
რამეთუ მოგვიძინა ' ჩუენ სუემან ბოროტმანი
2. და მეფე ჩუენი,
რომლისა მიერ კსნილ ციყვენით ' მონებისაგან მტურთაჲსა, —
3. მოიკლა იგი
კაცთა მათ ' მგრძნებულთაგან.
4. და აწ მივეცენით
ჩუენ წარტყუენვად ' ნათესავთა უცხოთა!

ძეგლში ჩვენ გვაქვს «წყობილი სიტყვის» მესამე სახეობა, რომელსაც ვუწოდებთ „წყობილი სიტყვა მრჩობლედნი ერთხმისანი“ (იხ. ცხრილი: „წყობილი სიტყვის სახეობანი“, გვ. 712).

სტროფები წარმოადგენენ იშვიათი წყობის ტიპს: ორ-ნაწიერიანი მოკლე-გრძელ ტაქტოვანი. ყოველ მოკლე ტაქტს მოსდევს გრძელი ტაქტი.

1. 4 მოვიძინა M, მოგვიძინა B, მოგუიძულნა A || 5—6 ჩუენ სუემან] სიკუდილბან M || 7 ჩუენ abs. M.
 2. 4—5 რომლისაგან BM || 6 მონებისაგან ABM.
 3. 2 იგი abs AB || 4 მათ abs. A || 4—5 კაცთაგან მგრძნებულთა M₃ კაცთა გრძნულთაგან A
 4. 4 ჩუენ abs. M || 6—7 ~ უცხოთა ნათესავთა A.

ბრძოლა გმირთა და სასტიკება ჰაერისა

ძველი ქართული ხალხური სიტყვიერების ამ უაღრესად მნიშვნელოვან ძეგლზე, — «ბრძოლა გმირთა და სასტიკება ჰაერისა», — რომელიც მოყვანილი აქვს ლეონტი მროველს, ჩვენ უკვე გვექონდა სხვა ადგილას საუბარი¹.

ეს ძველი უძველესი ხალხური ეპოსის ნაშთს წარმოადგენს. ამას უჩვენებს, კერძოდ, მისი წყობა, რომელიც თავიდან ბოლომდე აგებულია სახეების პარალელიზმზე. ხოლო, რაც მთავარია, ხალხურ ეპოსთან მას აკავშირებს თვით მითოლოგიური მისი შინაარსი. აქ გადმოცემულია — მითოსის ასაქეჭში — სურათი კეთილი და ბოროტი სულების ბრძოლისა ტაროსის შეცვლის დროს.

ეს ჩანს ამ ძეგლის მეორე პარალელური მწკრივიდან, რომელშიაც აღბეჭდილია ტაროსის თანდათან შეცვლა. სურათი ტაროსის შეცვლისა აქ თანმიმდევრად იშლება ასეთის თანდათანობით:

ჯერ იწყება „სასტიკება ჰაერისა“,

გამოჩნდება „ღრუბელი სქელი“,

ღრუბელში გამოჰქრება „ელვა ცისა“,

შემდეგ „ხმა ქუხილისა“,

ამას მოჰყვება „ტეხა მეხისა“,

მას უკან „სეტყვა ხშირი“,

და ბოლოს „წვიმისა დვარი“.

აღსანიშნავია, რომ ეპოსის ამ ფრაგმენტში არის ერთგვარი შეხვედრა უძველეს ქართულ ეპიკურ თქმულებასთან ამირანის შესახებ.

ამირანს ძველი ეპოსის ერთი ლექსი აღარებს საავდროდ გამზადებულს ღრუბელს; ემსგავსაო —

„ამირან — შავსა ღრუბელსა,

საავდროდ გამზადებულსა“.

ლეონტი მროველის თხზულებაში დაცული ეპიკური ფრაგმენტი იძლევა გარკვეულს პარალელიზმს ამირანის ეპოსის იმ ეპიზოდთან, სადაც აღწერილია ტაროსის ღვთაების („ღრუბელთა ბატონის“) ასულის კამარ-ჰალის მოტაცება ზეციური კოშკიდან ამირანის მიერ. ამირანს მოჰყავს მოტაცებული კამარ და მათ გზაში პირველად „წამოეწია ღრუბელი“; ქალი ამბობს: „ეს მამა-ჩემის ჯარი წამოვიდა და მისი ჩრდილია“. შემდეგ „წამოეწიათ წინწკალი“; ქალი ამბობს: „მამა-ჩემის ჯარი ზღვას გამოვიდა, იმათი ფეხის ნამია“. შემდეგ დაიწყება „კოკისპირული წვიმა“. იწყება ბრძოლა ამირანსა და კამარის მამას (ტაროსის ღვთაებას) შორის, და ეპოსის სიტყვიერებით — „ამირანის ხმალი კამარის მამის მუზარადს რომ მოხედებოდა, ნაპერწკლის ცეცხლი ენთებოდა“.

მოგვეყავს ტექსტი ძეგლისა.

ბრძოლა გმირთა და სასტიკება ჰაერისა

1

1. იქმნა მათ შორის ბრძოლა სასტიკი —
რომელი ენსგავსა სასტიკებასა ჰაერისასა;

2. რამეთუ მტუერი ფერცისა მათისა —
ვითარცა ღრუბელი სქელი;

¹ იხ. პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ენიმკის მოამბე, 1941 წ., X, გვ. 102 — 103.

1. 7 ემსგავსებოდა B.

3. ელვა აბჯრისა მათისა —
ვითარცა ელვა ცისა;
4. კმა პირისა მათისა —
ვითარცა კმა ქუხილისა;
5. სროლა ისრისა მათისა —
ვითარცა [ტეხა მეხისა];
6. ტყორცა ქვისა მათისა —
ვითარცა სეტყუა ქშირი;
7. და დათხევა სისხლისა მათისა —
ვითარცა წვმისა ღუარი.

ამ ძეგლში ჩვენ გვაქვს «წყობილი სიტყვის» მეორე სახეობა; მრჩობლედ იტხმნიანი (იხ. ზემოთ გვ. 712, «წყობილი სიტყვის» სახეობათა ნუსხა). სტროფის წყობა წარმოგვიდგენს ფორმას: მდინარი, ორ-ტაეპოვანი.

5

«წყობილი სიტყვის» ძებლები ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში V—VIII საუკუნეთა (საგალობელნი «ძუელნი ქართულნი»)

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ ძველი ქართული ჰიმნოგრაფიის ძირითადი სალექსო ფორმა არის მეორე სახეობა ქართული ლექსისა, — სილაბური უკვეთელი ლექსი (საგალობელთა «მარცვლელი»).

რა დროიდან შემოვიდა ხმარებაში ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში ქართული ლექსის ეს სახეობა, — საგალობელთა მარცვლელი, — ამის შესახებ ჩვენ ცნობები არა გვაქვს. მაგრამ ყოველ შემთხვევაში VIII—IX საუკუნეებიდან, გრიგოლ ხანძთელის ხანიდან მოკიდებული, იგი საბოლოოდ განმტკიცდა ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში და საყოველთაო გავრცელება მიიღო.

ამავე დროს ირკვევა შემდეგი უაღრესად მნიშვნელოვანი ფაქტი ქართული ლექსთწყობის ისტორიიდან. ქართული მწერლობის ისტორიის ადრინდელ პერიოდში, VIII საუკუნის უწინარეს ხანაში, ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში მიღებული ყოფილა ქართული ლექსის მესამე სახეობა, ე. ი. «წყობილი სიტყვა».

ჩვენ არ გვაქვს ცნობა იმის შესახებ, «წყობილი სიტყვა» ერთად-ერთი სალექსო ფორმა იყო ჰიმნოგრაფიული პოეზიისა ამ ადრინდელ ხანაში თუ არა; იქნებ «წყობილი სიტყვა» აქ ეხმარებოდა სილაბური უკვეთელი ლექსის («მარცვლელის») გვერდით? ეს ჩვენ არ ვიცით; ყოველ შემთხვევაში ეს გამორიცხული არაა. ხოლო ამ ადრინდელი ხანის ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში რომ გავრცელება ჰქონდა «წყობილი სიტყვის» სალექსო ფორმას, ეს ირკვევა მოღწეული ძეგლების მიხედვით.

5. — სიმრავლე ისართა B, სიმრავლე ერისა M.

6. 1 და + ტყორცა B.

7. — წვმისა ღუარი] ღუარი სეტყვათა B, სეტყუა M.

აღსანიშნავია ამასთან, რომ «წყობილი სიტყვის» ფორმით დაწერილს საგალობლებს უკვე X საუკუნის ხელნაწერებში ეწოდება «ძუელნი ქართულნი». ამრიგად მას უმეტესად, რაც VIII — IX საუკუნეებიდან მოკიდებული ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში საბოლოოდ დამკვიდრდა სილაბური უკვეთელი ლექსის ფორმა (საგალობელთა «მარცვლედმა»), ხოლო «წყობილი სიტყვის» ფორმა ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში ხმარებიდან გამოვიდა, «წყობილი სიტყვით» დაწერილი ძველი ჰიმნებისათვის «ძუელნი ქართულნი» შეუტრქმევიათ. («წყობილი სიტყვის» თვით სალექსო ფორმასაც მიემართება ეს სახელწოდება «ძუელნი»).

ჩვენ აქ შეგვიერთდებით ორ ასეთ ჰიმნოგრაფიულ ძეგლზე, რომლებიც «წყობილი სიტყვის» ფორმით არის დაწერილი.

•

ბასილი საბაწმიდელი დასდებელნი საბა განწმედილისა

აქ დასახელებული ჰიმნოგრაფიული ძეგლი — დასდებელნი (საგალობელნი) საბა განწმედილისა — მოთავსებულია სინას მთაზე დატულს X საუკუნის ხელნაწერში, კრებულში Sin. — 65. რომელიც გადაწერილია განთქმული ქართველი მწერლის იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელის მიერ.

ეს ჰიმნოგრაფიული ძეგლი ხელნაწერში ატარებს ასეთს სათაურს:

„მამისა საბაასი დასდებელნი. — უფალო დადაყავსა. — ძუელნი ქართულნი“.

ტექსტი ამ საგალობელთა (დასდებელთა) დაბეჭდილი აქვს Sin. — 65 ხელნაწერის მიხედვით ნ. მარს, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (გვ. 150 — 160).

ნ. მარს გამოცემაში არაა გამოვლენილი საგალობელთა სალექსო ფორმა («წყობილი სიტყვის» ფორმა). ხოლო, რაც მთავარია, ნ. მარს ვერ შეუნიშნავს, რომ საგალობელნი გაწყობილია აკროსტიხით, და რომ აკროსტინში აღნიშნულია ავტორის ვინაობა: „ბ ა ს ი ლ ი“¹.

ბასილი, როგორც ეს ჩანს საგალობელთა შინაარსიდან, საბაწმიდელი მოღვაწე ყოფილა².

რამდენადაც ამ ავტორის — ბასილი საბაწმიდელის — თხზულება უკვე X საუკუნის ხელნაწერში მოიხსენება ზედწერილით «ძუელნი ქართულნი», და რამდენადაც საგალობლები დაწერილია «წყობილი სიტყვის» ფორმით, რომელი ფორმაც, როგორც აღვნიშნეთ, ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში VIII — IX საუკუნეებიდან მოკიდებული შესცვალა ახალმა სალექსო ფორმამ (საგალობელთა «მარცვლედმა»), — ცხადი ხდება, რომ ბასილი საბაწმიდელი უძველესი ხანის ქართველი ჰიმნოგრაფი ყოფილა, V — VIII საუკუნეებისა, ყოველ შემთხვევაში VIII საუკუნეზე არა უგვიანესი.

¹ აკროსტიხებში ავტორთა ვინაობა აღინიშნება ხოლმე „უფალო დადაყავის“ ჯგუფის საგალობლებში. აქ დასახელებული საგალობელიც (სადაც აკროსტინში აღნიშნულია ავტორის ვინაობა «ბასილი») — უფალო დადაყავის“ ჯგუფს ეკუთვნის.

² კერძოდ იხ. III სტროფი (გამოთქმა: „...აღაშენე ქვე ე გ ე უღაბნოასაჲ“).

როგორც ცნობილია, საბაწმიდა ქართული მწიგნობრობის უძველესი ცენტრი იყო. კერძოდ, საბაწმიდაში დამუშავდა ქართული ოთხთავის ის ძველი რედაქცია, რომელიც „საბაწმიდურის“ სახელით იყო მონათლული, და რომელიც „ხანმეტის“ გვერდით მოიხსენება გიორგი მთაწმიდელის ცნობილს ანდერძში.

ადრინდელი საბაწმიდელი ქართველი მწერლების ვინაობა დღემდე უცნობი იყო; ამჟამად პირველად ხდება ცნობილი V—VIII საუკუნეთა ამ უძველესი ქართველი ჰიმნოგრაფის — ბ ა ს ი ლ ი სა ბ ა წ მ ი დ ე ლ ი ს — ვინაობა.

ბასილი საბაწმიდელის ეს საგალობელნი დაბეჭდილი გვაქვს დასტებაში (იხ. გვ. 0101 — 0102).

დაწერილია ეს საგალობლები «წყობილი სიტყვის» მეორე სახეობით: მრჩობლელი ერთ-ხმისანი (იხ. შემოთ გვ. 712. „წყობილი სიტყვის“ სახეობათა ნუსხა).

სტროფი მრჩობლელ-რიცხვედი წყობისაა.

ყოველი სტროფი განიყოფება ორ ნაწილად:

ა) სტროფის ძირითადი ნაწილი შეიცავს ოთხ ტაეპს (მრჩობლელი ოთხ-ტაეპოვანი სრული);

ბ) სტროფის მეორე ნაწილი არის რედრენი, რომელიც მეორდება ყველა სტროფებში და რომელიც ორ ტაეპს (მრჩობლელს) შეიცავს.

ბ

«იამბიკონნი ქართულსა ანბანსა ზედა, ძუელნი».

«წყობილი სიტყვის» ფორმით დაწერილი მეორე ჰიმნოგრაფიული ტექსტი, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, მოთავსებულია იმავე ხელნაწერ კრებულში X საუკუნისა Sin. — 65.

ეს არის საგალობელნი „ენკენისა“ ანუ „სატფურებისა“ (რომლებიც იგალობებოდა ახლად აგებულ შენობათა კურთხევის დროს).

X საუკუნის დასახელებულ ხელნაწერში ამ საგალობლებს აწვს შემდეგი ზედწერილი:

«ი ა მ ბ ი კ ო ნ ნ ი ქ ა რ თ უ ლ ს ა ა ნ ბ ა ნ ს ა ზ ე დ ა, ძ უ ე ლ ნ ი ა».

ამ საგალობელთა სახით ჩვენ გვაქვს გერმანოლოგიული „კანონი“, ძველ-ქართულად „გალობანი“, რომელიც ამ ძეგლში ცხრა გალობას შეიცავს („მოიხილეს“ ჩათვლით), და რომელსაც ბოლოში დართული აქვს მეათე საგალობელი — სტიქარონი „აქებდითსა“.

საგალობლები თავიდან ბოლომდე („აქებდითსა“-ს ჩათვლით) გაწყობილია ანბანური აკროსტიხით (იწყება ანით, თავდება ზ-ვით).

საგალობლებს, როგორც აღვნიშნეთ, იამბიკონები ეწოდება („იამბიკონნი ქართულსა ანბანსა ზედა, ძუელნი“). მაგრამ ამ „ძუელ“ იამბიკონებს არაფერი აქვს საერთო იმ იამბიკონებთან, რომელიც ქართულ ლექსთწყობაში დამკვიდრდა VIII—IX საუკუნეებიდან, გრიგოლ ხანძთელის ხანიდან მოკლებული.

ქართულ მწერლობაში, VIII—IX საუკუნეებიდან, იამბიკონი ეოქვა 12-მარცვლედ ქართულ ლექსს (თავისი ჰიპოსტასებით).

ხოლო ის საგალობლები, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, არათუ არაა დაწერილი 12-მარცვლელი იამბიკონური საზომით, არამედ იგი საერთოდ არ წარმოადგენს საგალობელთა «მარცვლედის» ლექსთწყობას, არამედ აქ ჩვენ გვაქვს სულ სხვა სახის ლექსთწყობა, — ტიპიური ლექსთწყობა «წყობილი სიტყვისა».

ხოლო რად ეწოდება ამ საგალობლებს „იამბიკონნი“?

როგორც ირკვევა, ამ საგალობლებს იამბიკონნი ეწოდება არა ლექსწყობის სახეობის მიხედვით, არამედ სტროფიკის მიხედვით.

ამ საგალობელთა ყოველი სტროფი ხუთ-ტაეპოვანია; აქ ჩვენ გვაქვს იმავე სახის სტროფიკა, რაც მიღებულია საშუალო საუკუნეთა ბერძნულში — იამბიკონებით (იამბიკონური ტრიმეტრებით) აღწერილს „გალობებში“ („კანონებში“).

აი სად არის სათავე, რომ ამ ქართულ საგალობლებს „იამბიკონნი“ ეწოდება; სახელწოდება აქ იგულისხმებს სტროფიკას და არა მეტრიკას. აქ ჩვენ გვაქვს ჩვეულებრივი «წყობილი სიტყვის» ლექსთწყობის ხუთ-ტაეპედი¹.

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ საგალობელთა საკითხის განხილვას.

ირკვევა ამრიგად, რომ ეს საგალობელნი — «იამბიკონნი ქართულსა ანბანსა ზედა, ძუელნი» — მართლაც ძველი წარმოშობისა ყოფილა, უფრო აღრინდელი, ვიდრე ხმარებაში შემოვიდოდა 12-მარცვლელი ქართული ლექსი, რომელიც ქართულ პოეზიაში, VIII — IX საუკუნეებიდან მოკიდებული, იამბიკონის სახელწოდებით დამკვიდრდა. ეს საგალობელნი — «იამბიკონნი ქართულსა ანბანსა ზედა ძუელნი», — ისევე როგორც ბასილი საბაწმიდელის ზემოთგანხილულნი საგალობელნი, — ეკუთვნის ქართული ჰიმნოგრაფიის უძველეს ხანას, V — VIII საუკუნეებს.

ექსცერპტი ამ საგალობელთაგან «იამბიკონნი ქართულსა ანბანსა ზედა, ძუელნი» — მოგვყავს დამატებაში (გვ. 0101).

6

«წყობილი სიტყვის» დანარჩენი მთავარი ძეგლები პირველი ათასწლეულისა

ამათ რიცხვს ეკუთვნის:

ა. გრიგოლ ხანძთელის «ს ა ვ ე დ რ ე ბ ე ლ ნ ი» (I, II, III) და «ქ ე ბ ა მ კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ა უ დ ა ბ ნ ო თ ა მ, რომელთაც ქვემოთ განვიხილავთ (გვ. 735 — 738, 739 — 742).

ბ. «ქ ე ბ ა მ ქ ა რ თ ვ ე ლ თ ა მ დ ა ქ ა რ თ უ ლ ი ს ა ე ნ ი ს ა მ», რომელსაც ასევე ქვემოთ ვეხებით (გვ. 746 — 753).

გ. იოვანე ბოლნელის «მ დ ე ლ თ-მ ო ძ ლ უ ა რ თ ა თ ვ ს» (ქება), რომლის ექსცერპტი მოგვყავს დამატებაში (გვ. 0105 — 0106).

¹ იხ. გვ. 712, «წყობილი სიტყვის» სახეობათა ნუსხა, IV სახეობა.

VII, დ

გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობა «სავედრებელნი»

გადავდივართ რა გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობის მიმოხილვაზე, პირველ რიგში შევჩერდებით გრიგოლ ხანძთელის იმ თხზულებებზე, რომელთა ტექსტიც გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფს გიორგი მერჩულეს შეუტანია თვით გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების აღწერაში.

ესენია:

ა) «სავედრებელნი» (I, II, III).

ბ) «ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ».

პირველად აქ განვიხილავთ ტექსტებს «ს ა ვ ე დ რ ე ბ ე ლ ნ ი».

გრიგოლ ხანძთელის «სავედრებელთა» ტექსტები მის ბიოგრაფს გიორგი მერჩულეს მოჰყავს გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოდების აღწერის დროს.

ა) სავედრებელი I.

გიორგი მერჩულე თავის წიგნის პირველ ნაწილში (თავი V) მოგვითხრობს, თუ როგორ დააფუძნა გრიგოლ ხანძთელმა ხ ა ნ ძ თ ა, რომელმაც ესოდენ დიდი როლი შეასრულა ძველი ქართული განათლების ისტორიაში. (ხანძთის დაფუძნება მოხდა 782 წლის ახლო.)

გიორგი მერჩულე, აგვიწერს რა ხანძთაში მშენებლობის დაწყებას, მოჰყავს გრიგოლ ხანძთელის სავედრებელი — ლოცვაჲ, რომელიც გრიგოლ ხანძთელს ამ დროს წარმოუთქვამს. ბიოგრაფი წერს:

„და შთამოვიდა ადგილსა მას ჩინებულსა სამონასტრედ [ხანძთას], ხოლო წმიდამან გრიგოლ გონებითა შემუსრვილითა ლოცვაჲ ესე ცრემლითა კელ-გან-პყრობით წართქუა“¹.

ამას მოსდევს გრიგოლ ხანძთელის ეს სავედრებელი ლოცვაჲ. რომელიც დაწერილია «წყობილი სიტყვის» ფორმით.

ბ) სავედრებელი II.

უფრო გვიან, 815 წლის ახლო, გრიგოლ ხანძთელმა ააშენა ტაძარი ხანძთისა «გ ი ო რ გ ი ჯუართა მოქადულის» სახელზედ (რომელიც ქართველთა მთარ-ველად ითვლებოდა).

¹ იხ. გიორგი მერჩულე, ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 26 — 28.

გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფი გიორგი მერჩულე წიგნის VIII თავში, მოგვითხრობს რა ტაძრის მშენებლობის დაწყების შესახებ, წერს:

„ხოლო ნეტარმა გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიოჲ [ხანძთისაჲ] დააეკა, და ვითარ დაიწყებდა ეკლესიასა, ესე ლოცვაჲ ცრემლით წართქუა“¹.

ამას მისდევს გრიგოლ ხანძთელის ეს მეორე სავედრებელი ლოცვაჲ, აგრეთვე დაწერილი «წყობილი სიტყვის» ფორმით.

გ) სავედრებელი III.

მომდევნო ხანაში, მკე წლის ახლო, გრიგოლ ხანძთელმა დააფუძნა მეორე სავანე შატბერთი, რომელსაც ისეთივე დიდი როლი ეკუთვნის ძველი ქართული განათლების ისტორიაში, როგორც ხანძთას.

გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფი გიორგი მერჩულე, მოგვითხრობს რა შატბერთის დაფუძნებას შესახებ, წერს:

„და რ. ჯამს მოვიდა ნეტარი მამაჲ გრიგოლ შატბერთს, მაშინ ცრემლთა მისთა მღინარითა ირწყვოდა ადგილი იგი. იტყოდა რაჲ ლოცვასა ამას“².

ამას მისდევს გრიგოლ ხანძთელის ეს მესამე სავედრებელი ლოცვაჲ, რომელიც აგრეთვე «წყობილი სიტყვის» ფორმით არის დაწერილი.

გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფის გიორგი მერჩულის თხზულების მოყვანილი ადგილებიდან ცხადი ხდება, რომ გიორგი მერჩულეს ხელთა ჰქონდა გრიგოლ ხანძთელის თხზულებანი, მათ შორის ექპოლოგიური კრებული, რომელშიაც, კერძოდ, შეტანილი ყოფილა შემოთღმასახლებული «სავედრებელნი».

ამ კრებულის ცალკეულ თხზულებებს დართული ჰქონია უწყება, თუ როდის, რა ვითარებაში დაიწერა ისინი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ძველ-ქართულ მწერლობაში ჩვენ გვაქვს სხვა ანალოგიური მაგალითები, როდესაც ამავე სახის ექპოლოგიურ ტექსტებს დართული აქვს შემოთმოყვანილი სახის უწყებანი, რომლებშიაც აღნიშნულია მათი დაწერის დრო და ვითარება.

ასე, მაგალითად, ჩვენამდე მოღწეულა ორი «ოხითაჲ» (სავედრებელი), რომლებიც მოკუთვნება VI საუკუნის ქართველ მოღვაწეს შიო მღვიმელს. ამ სავედრებელთ აქეთ შემდეგი ზოგადი ზედწერილი: «თქუშულნი წმიდისა და ნეტარისა შიოჲს მიერა». — ხოლო პირველ სავედრებელს დართული აქვს შემდეგი უწყება:

„ესე ნეტლი, ოდეს პირველადვე ქუემისა ქუაბსა იყო, — — — მაშინ გამოთქუა და უკუანაჲსენელ მისცა მოწაფეთა, რათა დაისწავონ“.

მეორე სავედრებელს ახლავს ასეთი უწყება:

„ხოლო ოდეს განსრულდა ეკლესიაჲ წმიდისა სამებისაჲ, ესე ოხითაჲ [სავედრებელი] მაშინ გამოთქუა“³.

ამრიგად აქ ჩვენ გვაქვს სრული ანალოგია შემოთმოყვანილ უწყებებთან, რომლებიც გრიგოლ ხანძთელს ეხება.

¹ იხ. იქვე, გვ. 36 — 38.

² იხ. იქვე, გვ. 63 — 64.

³ იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 413 — 414.

გავეცნოთ ამის შემდეგ ამ «სავედრებელთა» ტექსტებს.

დაწერილია ისინი, როგორც მოვიხსენეთ «წყობილი სიტყვის» ფორმით, სახელდობრ «წყობილი სიტყვის» პირველი სახეობით („წყობილი სიტყვა თავისუფალი, მრავალ-ხმიანი“, იხ. ზემოთ, გვ. 712, «წყობილი სიტყვის» სახეობათა ნუსხა).

მოგვეყავს აქ პირველი «სავედრებელის» ტექსტი.

«სავედრებელი» ლოცვა, როგორც ეს განსაზღვრულია თვით მისი ენართ, ცხადია, წმინდა რელიგიური ხასიათისაა, იგი აღბეჭდილია საშუალ-საუკუნებრივი ქრისტიანული მსოფლმხედველობით.

შინაარსი ამ «სავედრებელისა» (ლოცვისა), ცხადია, უცხოა თანამედროვე მკითხველისათვის; მაგრამ აქ ყურადღებას იპყრობს მისი მაღალი მხატვრული ფორმა, ძველი ქართული ენის ნამდვილი მუსიკალური ქლეადობა.

პირველი «სავედრებელი», როგორც მოვიხსენეთ, დაწერილია VIII საუკუნის ბოლოს, 782 წლის ახლო. ქრონოლოგიურად იგი წინ უსწრებს იოანე საბანის-ძის პოეტურ ტექსტს «ქებაჲ ჰაბოამისი» (რომელიც მეოთხე თავის სახით არის დართული იოანე საბანის-ძის თხზულებასთან).

პირველ «სავედრებელის» სახით ჩვენ გვაქვს ერთ-ერთი უძველესი, ზუსტად დათარიღებული, და ამავე დროს ავტორით სახელ-წარწერილი ორიგინალური ძეგლი ქართული «წყობილი სიტყვისა».

სავედრებელი ჟამსა ხანძთისა შენებისაჲ

პირველი

(ოდეს დააფუძნა საკანე ხანძთისა)

• • •

[ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, თ. V, გვ. 26 — 28].

„და შთამოყიდეს ადგილსა მას — ჩინებულსა სამონასტრედ [ხანძთას]. ხოლო წინ გრიგოლ გონებითა შემუსრვილითა ლოცვაჲ ესე ცრემლითა ქელგანპყრობით წართქუა:

•

I ჟამსა ამას უცხოებისა და უპოვარებისა ჩუენისასა, ქრისტე, არა შემეშინოს ჩუენ ბოროტისაგან,

•

II რამეთუ შენ, უფალი, ჩუენ თანა ხარ, განმშაღებელი ჩუენთვის ადგილსა ამას კეთილსა, განსასუენებელსა ნებისა შენისასა,

•

III რომელსა შინა მარადის ვედრებასა შევსწირავთ მოსალოდებელისა მისთვის დღისა — დიდებით მეორედ მოსლვისა შენისასა, ღმერთო,

IV რაჟამს იგი საშინელებათა ზარი და საყვრისა ოხრაჲ —
შეძრწუნებდეს დაბადებულთა ყოველთა,

V რამეთუ მიეცემოდინ ყოველნი ბრალეულნი გუემათა და საარებათა,
ხოლო მართალთა ახარებდეს ცხორებასა დაუსრულებელსა!

VI მაშინ ეტყებდენ ყოველნი ტომნი ქუეყანასანი,
რამეთუ არს უბიწოთაცა შეძრწუნება ზარი შენი!

VII ხოლო მართალნი მათვს იგლოვდენ,
რამეთუ არს უბიწოთაცა შეძრწუნება ზარი შენი!

VIII რომლისაგან მე ვძრწვი, რამეთუ განუმზადებულ ვარ,
არაჲთუ უმეცრებისა ანრდილთა შეყენებული,
არამედ უღებებისა მედგრობათაგან ძლეული,

IX ვკმობ სულთქუმით: რაჟამს მოიწიოს დაქსნაჲ გუამთაჲ და მხილებაჲ ცოდვათაჲ,
და კუალად განახლებაჲ და შეერთებაჲ სულისა და კორცთაჲ,
რომელთაჲ-მე ცხორებად საუკუნოდ, და რომელთაჲ-მე სატანჯველად საუკუნოდ,

X მაშინ ვინაჲ იყოს ჩემდა ქსნაჲ ბრალთა პატიჲისაგან,
რამეთუ არაჲ მომიციეს მე საქმეჲ,
რომლითამცა უბრალო ვიპოვე წინაშე საყდართა შენთა, ქრისტე!

[782 წლის ახლო]

გრიგოლ ხანძთელის დანარჩენი ტექსტები ამავე ჯგუფისა (სავედრებელი
ჟამსა ხანძთისა შენებისასა მეორე და სავედრებელი ჟამსა შატბერთის შენები-
სასა) — მოგვეყავს დამატებაში (იხ. გვ. 102 — 104).

VII, ე

გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობა:
«ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ».

«ქების» ჰანრის ძებლები ძველ-ქართულ კოფიაში პირველი ათასწლეულსა:
«ქებაჲ საბაჲსი და საბაწმინდისაჲ»;
«ქებაჲ ქართველთაჲ და ქართულისა ენისაჲ».

გიორგი მერჩულეს, გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფიაში, გარდა «სავედრე-ბელთა» ტექსტებისა, მოჰყავს აგრეთვე გრიგოლ ხანძთელის სხვა ნაწარმოები:
«ქ ე ბ ა ჯ კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ა უ დ ა ბ ნ თ ა ჲ».

ეს ძეგლი, «ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ» ნამდვილი სამკაულია ძველ-ქართული პოეზიისა.

გიორგი მერჩულის თხზულებიდან ჩვენ ვგებულობთ ამასთან, თუ როდის და სად დაუწერია იგი გრიგოლ ხანძთელს.

გიორგი მერჩულე თავისი თხზულების XV — XVII თავებში მოგვითხრობს, რომ გრიგოლ ხანძთელი კლარჯეთიდან ჩავიდა დასავლეთ საქართველოში. სადაც მან ინახულა დასავლეთ საქართველოს მეფე დიმიტრი II (825 — 861 წ.წ.). დიმიტრი მეფის თანამოღვაწეობით გრიგოლ ხანძთელმა დასავლეთ საქართველოში დაარსა საეპისკოპოსო უბე.

ეს მომხდარა 826 წლის ახლო ხანებში.

გიორგი მერჩულე, ამთავრებს რა მოთხრობას გრიგოლ ხანძთელის დასავლეთ საქართველოში ყოფნისა და უბის საეპისკოპოსოს დაარსების შესახებ, წერს:

„ხოლო ჟამსა წამოსლვისა მათისასა, გამოჰკითხა მეფემან დიმიტრი მამასა გრიგოლს გულს-მოდგინედ სახეჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ, რათა აუწყოს მას ადგილთა მათ წმიდათა ნიშანი ყოველი.

„და მამამან გრიგოლ ჰრქუა მას:

„ღმრთის-მსახურო მეფეო, დადაცათუ თრიაღ განვაპრავლო სიტყუაჲ, ვერვე მისწუთების გონებაჲ ჩემი ყოველსა მას უდაბნოთა მათ სიკეთესა უწყებად შენდა,.... არამედ ვთქუა მრავლისაგან მცირედი ესრეთ“.

ამის შემდეგ მოყვანილია გრიგოლ ხანძთელის ეს ტექსტი «ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ».

ამრიგად, გიორგი მერჩულის პირდაპირი ცნობის თანახმად, «ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ» არის «თქუმული» გრიგოლ ხანძთელისა, იგი გრიგოლ

ხანძთელს დაუწერია («უთქუამს») დიმიტრი მეფის პასუხად, მიძღვნილი ყოფილა დიმიტრი მეფისადმი¹.

გავეცნოთ ამის შემდეგ «ქების» ტექსტს.

«ქების» ტექსტი დაწერილია «წყობილი სიტყვის» ფორმით, სახელდობრ «წყობილი სიტყვის» მეორე სახეობით: „მრჩობლელი ერთ-ხმიანი“ (იხ. ზემოთ, გვ. 712, «წყობილი სიტყვის» სახეობათა ნუსხა).

სტროფების ფორმა: ორ-ტაეპოვანი ოთხ-კვეთი (ტაეპები ეგრეთ-წოდებულნი „კვეთილი“ სახისაა, ყოველი ტაეპი რიტმულად ორად განიკვეთება).

მოგვყავს «ქების» ტექსტი.

გრიგოლ ხანძთელი

ქება კლარჯეთისა უღაბნოთაჲ

1. ა. რამეთუ ბუნებით ერთ-გუამ არს
ქუყყანაჲ უღაბნოთაჲ მათ,
ბ. და კეთილად შეზაქებულ
მზისაგან და პაერისა,
2. ა. რამეთუ არცა ფრიადი სიცხეჲ
შესწუავს მათ,
ბ. და არცა გარდარეული სიცოვეჲ
შეაურებეს მყოფთა მისთა,
3. ა. არამედ განწესებით დვას
თვსსა საზღვარსა,
ბ. უნოტიოდ, უხორშაკოდ,
უმინოდ, მზუარეჲ,
4. ა. რამეთუ კაცთა
ნახჭნი ფერქთანი —
ბ. არაოდეს თიქიან ექმნებიან
სლვასა მათსა.

¹ აღენიშნავთ ამასთან, რომ ძველ-ქართულ მწერლობაში ტერმინი «თქუმული» ჩვეულებრივი ზედწერილია ნაწარმოებთა, კერძოდ, პოეტურ ნაწარმოებთა; ასე, იხ. ზედწერილები პოეტურ ძეგლთა: «იამბიკონნი თქუმულინი ნეტარისა ივანე მინჩხისანი (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულიერო პოეზია, გვ. 11); «იამბიკონნი იოვანე მტბეეარ ეპისკოპოსისა თქუმულინი» (ibid, გვ. 55); «დასდებელნი თქუმულინი იოვანე მტბეეარ ეპისკოპოსისანი (ibid, გვ. 76, 90, 102, 120); დასდებელნი — «თქუმულინი» მიქაელ მოდრეკილისა (ibid, გვ. 247, 383).

5. ა. ხოლო წყალი კეთილი
და ზეშაჲ ნებისაებრ —
ბ. უნაკლულოდ აქუს აღმოცენებული
ქვშათა მათ შინა.

6. ა. ურიცხვ მალნარი
და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ,
ბ. ბუნებით მხიარულებაჲ
მოცემულ არს ღმრთისაგან.

7. ა. და არს იგი უგზო და მიუვალ რაძთურთით
სოფლისა წესისა მცხოვრებელთაგან,
ბ. რამეთუ ღ ა დ ო თ ა მ თ ა თ ა შ ი ნ ა მ ა ლ ა ლ თ ა
არს მკედრობაჲ მათი,

8. ა. და მორტყმულ არს ერთ-კერძო მთაჲ იგი,
და ერთ-კერძო [ქ ე ე ნ ი კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ა ნ ი,
ბ. ხოლო] შ ა ე შ ე თ ი ს ა დ ი ღ თ ა წ ყ ა ლ თ ა შ ე კ რ ე ბ ი ს ა გ ა რ ე მ ო ს ლ ე ვ ა ო
გარე-მოადგს ზღუდის სახედ უძრავისა.

9. ა. და ესრეთ ყოვლით კერძო შიზღუდვილ არიან
მთათა მიერ, და ქეენებისა,
ბ. და წყალთა მათგან
საშინელად ძნელოვანთა ადგილთა მავალთაჲსა.

10. ა. და მონასტერთა მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ,
არცა ყანაჲ საცნაუი,
ბ. არამედ დიდითა შრომითა როჴიკისა მისლეჲჲ აქუს
კარაულისა ზურგითა.

11. ბ. და მცირედ ვენაქნი ჴირით და ურვით დაუნერგვიან,
და ეგრეთვე მტილები,
ბ. ხოლო მხალთა ველისათაჲ
არს სიმრავლე ურიცხვ.

12. ა. და ამას ყოველსა თანა უშიშ არს გული მათი
უქრისტოთა მათ ურწმუნოთა შერყევისაგან,
ბ. და ყოვლისა ძრვისა
ქამსა კელმწიფეთა მტერობისასა.

- 13. ა. და ესრეთ მრავლით მშუდობითა
მყუდროებით არიან,
- ბ. და ყოველადვე
ქრისტესა აღიდებენ.

- 14. ა. რამეთუ ღმერთმან დასაბამსავე დაბადებისასა
უკუანამსთათეს ჟამთა დაჰბადნა იგინი.
- ბ. მონაზონთა სამკვდრებელად
და ყოველთა ქრისტეანეთა შესავედრებლად ორ-კერძოვე.

[826 წლის ახლო]



გრიგოლ ხანძთელის ამ პოეტურ ქმნილებაში აღსანიშნავია ბუნების ღრმა გრძნობა.

უნდა გვახსოვდეს, რომ საშუალო საუკუნეთა მსოფლიო პოეზიის ძეგლებში ბუნება იშვიათად არის ასახული, ბუნება აქ მხოლოდ სპორადული სახით გვხვდება, ისიც მკრთალად.

ამდენად გრიგოლ ხანძთელს ეს პოეტური ქმნილება ერთი იშვიათ ძეგლთაგანია საშუალო საუკუნეთა პოეზიაში.



გრიგოლ ხანძთელის ამ თხზულებასთან დაკავშირებით — «ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ», — გავეცნოთ აგრეთვე ამავე ჟანრის მეორე ნაწარმოებს — «ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ», რომელიც ამავე ეპოქას ეკუთვნის.

ეს მეორე ძეგლი — «ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ» არაა ორიგინალური, იგი თარგმნილი ნაწარმოებია. მისი ავტორია VIII—IX საუკუნეთა მოღვაწე ამბა ბასილი საბაწმიდელი (ბასილი იყო საბაწმიდის წინამძღვრად 796 — 807 წლებში).

ამბა ბასილის ეს თხზულება, როგორც ამის შესახებ სხვა ადგილას გვაქვს საუბარი, უთარგმნია ქართულად IX საუკუნის პირველ მეოთხედში ძველ ქართველ პოეტს, «აბუყურაჲს» მღვქსავს.

ქართული ტექსტი ამ ძეგლისა — «ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ» — შესრულებულია ძველი ქართული სილაბური უკვეთელი ლექსის იმ სახეობით, რომელიც ტაეპობრივ რიტმიკას ემყარება.

ძველი ქართული სილაბური უკვეთელი ლექსის ამ სახეობის შესახებ ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი «აბუყურაჲს» ტექსტთან დაკავშირებით (იხ. ზემოთ, გვ. 702—703). ასეთი სახის ლექსი განსხვავდება საგალობელთა სილაბური უკვეთელი ლექსის ფორმისაგან იმით, რომ ჩვენ გვაქვს აქ არა სტროფებისა და ანტისტროფების შეპირისპირება (როგორც ამას ადგილი აქვს საგალობლებში), არამედ ლექსი აქ საკუთრივ ტაეპობრივ რიტმიკას არის დაყვარებული; ნაცვლად სტროფებისა და ანტისტროფების წყობისა აქ ჩვენ გვაქვს ტაეპებისა და ანტი-ტაეპების წყობა. (სტროფში აქ ან ერთი ზომის ტაეპებია, ან-და, როდესაც სტროფში სხვადასხვა ზომის ტაეპები იხმარება, ყოველი ზომის ტაეპს შეეფარდება იმავე სტროფის ფარგლებში ერთი ან რამდენიმე ანტი-ტაეპი, ე. ი. იმავე ზომის ტაეპი).

ლექსი განწყობილია უსრული რითმებით იმ სახისა, როგორც გვხვდება პირველი ათასეულის «სასულიერო» პოეზიის ძველ-ქართულ ტექსტებში.

მოგვყავს ამ განმარტებათა შემდეგ თვით ტექსტი ამ ძეგლისა.

შედარება გრიგოლ ხანძთელის თხზულებისა ამ ძეგლთან «ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ», არ ლაპარაკობს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ.

იმ დროს, როდესაც გრიგოლ ხანძთელის «ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ» პოეზიის შედევრია, უკანასკნელი, «ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ» ჩვეულებრივი „სამონასტრო“ პოეზიის ნიმუშს წარმოადგენს.

იგი ინტერესს იწვევს მხოლოდ თავისი სიძველით, და აგრეთვე თავისი არქაული სახის სალექსო ფორმით, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ ათასეულში იხმარებოდა¹.

აი ტექსტი ამ უკანასკნელი ძეგლისა.

ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ .

: ა : :

- | | | |
|----|--|--|
| 1. | მე ბასილა გლაზაკჲმან აღწერე სარგჯელად
მწერალთად, მკითხველთად, და მსმენელთად,
და მამისა ჩუენისა საბაჲს საქსენებელად,
საქებელად და სადიდებელად. | (4)
(10)
(14)
(10) |
| 2. | რომელმან ყო უდაბნოჲ ურწყული
ვითარცა ქალაქი განთქმული,
მტერთაგან გარემოცული,
ფრიად სასტიკად შებმული,
ხილულთა და უხილავთა ბრძოლილი
და ღმრთისაგან ზეგარდამო დაცვული; | (10)
(10)
(8)
(8)
(11)
(11) |
| 3. | არაუისადა მინდობილი,
არცა კაცთა შიუდრებული,
არაშედ ღმრთისა განგებული,
და მის მიერ დაწესებული; | (9)
(9)
(9)
(9) |
| 4. | დუაწლთათჳს ფრიად განწირული
და კეთილთათჳს დამარხული,
ჭირსა უწყალოჲ მიაბოლი
და საუკუნოდ შეწყალებული; | (9)
(9)
(9)
(9) |

¹ აღნიშნავთ ამასთან, რომ სალექსო ფორმა ამ ძეგლისა «ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ» დადგენილი გვექონდა ჩვენს მოხსენებაში „აბუქურაჲს“ შეახებ 1944 წელს.

ხელნაწერები: A=Ath—57/8; B: C.

1. — 1₁ + ხ " მე A || 2₁—₄ მწერალთა, მკითხველთა და მსმენელთა A.

2. — 4₁ + და " ფრიად A || 5₃ უხილავთაგან A || 4 ბრძოლით A.

3. — 1₃ არაუისადა A || 3₂ ღმრთისაგან AC.

4. — მეორე ტაეპი („და კეთილთათჳს დამარხული“) გამოჩენილია A-ში. C-ში არის.

5. და მას შინა ეკლესიამ ღმრთივ-ქმნული, (11)
 მართლ-აღსარებასა და მტკიცებული, (11)
 და უკუნისამდე დამყარებელი. (11)

6. და ვითარცა ეგრესალტმისა (10)
 საყოფელნი — საყუარელ უფლისა, (10)
 და სანატრელ ყოვლის მორწმუნისა (10)
 მუნ მან შინა დამკვდრებულისა, — (10)

7. ეგრევე ლაერამ საბამსამ (8)
 დელე იგი არს გლოვისამ, (8)
 და სანატრელ იგი ყოვლისა (9)
 მას შინა დამკვდრებულისა (9)
 კაცისა ნათელდებულისა. (9)

8. და ვითარცა ეგრესალტმი (9+10)
 მეუფე არს ყოველთა ქალაქთამ, (9+10)
 ეგრევე ლაერამცა საბამსი (9+10)
 მთავარ არს ყოველთა უღაბნოთამ. (9+10)

9. და უკუეთუ ეგრესალტმისამ — (11)
 რამ სწორებამ არს სხვსა ქალაქისამ, (11)
 ეგრევე ლაერისა საბაწმიდისამ — (11)
 რამ მსგავსებამ არს სხვსა მონასტრისამ! (11)

: ბ :

10. ესე საბამ საქებელ და საქადული, (12)
 რომელმან შეკრიბა კრებული რჩეული, (12)
 კილითა ქუეყანისათამთ მოსრული; (12)

11. მამისა მიერ მოწოდებული, (10)
 და ძისა მიერ შეწყნარებული, (10)
 სულის-წმიდისა მოყვანებული (10)

12. ამან წმიდისა სამებისა მონამან, (12)
 და დიდისა ეფთიმისა მოწაფემან, (12)
 და წმიდისა თევდოსისა მეგობარმან, (12)

6. — 1₃ იერუსალტმისა AC (8,1₃ იერუსალტმი AC. — 9,1₃ იერუსალტმისამ AC. — 17,3₃ იერიქოს AC) || 2₂ საყუარელ + არიან AC || 3₂ სანატრელ] ნეტარ არს AC (7,3₂ სანატრელ] ნეტარ არს AC) || 3₂ ყოვლისა AC || 4₁ მუნ abs. AC.

7. — 1₁ ეგრეთვე AC (8,3₁ ეგრევე A₁ ეგრეთვე B. — 9,3₁ ეგრევე A₁ ეგრეთვე C) || 1₃ ლაერისამ AC || 1₃ საბამსი A, საბამსი C || 4₃ იგი abs. AC || 4₃ დამკვდრებულისა] და დადებულისა C.

8. — 2₂ მ^რფ B || 3₂ ლაერამ AC || 4₁—2 მთავარი A, მთავარი არს C:

9. — 2₄ სხვსა] ს^რხესა B || 3₂ ლაერისა abs. AC.

10. — 1₅ საქადული A || მეორე ტაეპი („რომელმან შეკრიბა კრებული რჩეული“) abs. A (არის C-ში) || 3₁ კიდეთა A, კილით B || 6 ქუეყანისამთ B.

11. — 3₂ სულისა წმიდისა AC.

12. — 2₃ ეფთიმის AB || 3₃ თევდოსის A, თევდოსის B.

13.	და მრავალთა მკნეთა მარტულეზულთა მამამან, მოძღუარმან სულიერმან საბა სანატრელმან, ესე ვითარნი მოწაუენი მოიპოუნა მან, —	(14) (14) (14)
14.	ვითარ მამანი: იოვანს, სტეფანს, და თომა, — და თეოდორე აბუკურა.	(9) (3) (3) (9)
15.	იოვანს ეპისკოპოსი სოხასტრისა, — კლდესა კმელსა აღმომაცენებელი ხისა, — და მომსთულებელი ტბილისა ნაყოფისა.	(13) (13) (13)
16.	მამა სტეფანს ზღუა-მკუდარსა ზედა ვილოდა. და მრავალთა საკვრელებათა იქმოდა, რომელმანცა უღაბნოსა დასცა თავკედი.	(13) (13) (13)
17.	და თომა, რომელი ლავრასა სწავლითა რწყვიდა, და დაფარულსა მონაზონთასა ხელიდა, და საბაწმილით ძერიქოს მოწაუეს სციდა.	(13) (13) (13)
18.	და აბუკურა, ახალნერგი საბაწმილისა, ბწყემსი და მღღელთ-მოძღუარი ასურეთისა, და სასწაულთა-მოქმედი ბაბილოვნისა.	(13) (13) (13)
19.	და სხუანი მრავალნი მოღუაწენი, საბაჲსა მოწაუენი და ქრისტეს მოწამენი, წმიდანი მამანი. კაბუენი და ბერნი, სამარტუროსა ლავრასა წამებულნი, ცეცხლითა დამწუარნი და მახვლითა მომწყდარნი.	(12) (7) (7) (12) (12) (7) (7)
20.	ამან წმიდამან ბერმან მამამან ჩუენმან და მღღელმან საბა, ნერგმან სამოთხისამან, ესე ვითარნი შტონი აღზარდა ამან,	(12) (12) (12)
21.	და მრავლფერითა — ყუაელითა — შეამკუნა, და სულიერითა — ნაყოფითა — აღავსნა, და უფლისა — იესუ ქრისტესა — შეწირნა!	(13) (13) (13)

13. — 1₃ მკნეთა abs. AC || 3₅ მან abs. AC.
 14. — 1₁ ვითა A || 2 მამანი abs. AC || 1—2 სტეფანს და იოვანს A || 3₂ თომა A || 4₃ აბუკურა AC.
 15. — 1₁ + და " იოვანს AC || 3 სოხასტრისა A, სოხასტრელი B || 2₁— კლდესა კმელსა abs. A (არის C-ში). — სტროფები 15 და 16 გადასხმულია ერთი-მეორის ადგილას.
 16. — 3₁ რომელმან AC.
 18. — 1₂ + თეოდორე " აბუკურა B || 3₁ და abs. A (არის C-ში) || 3 ბაბილონისა A.
 19. — 2₁ საბაჲს AB || 5₁ სამარტუროსა + მან AC.
 20. — 2₁ და abs. AC || 2₃— ნერგმან სამოთხისამან საბა AC.
 21. — 2₂ სულიერითა] სულნელითა BC || 3₂ უფლისა + ჩუენისა ABC.

დასასრულ გადავდივართ განხილვაზე პირველი ათასეულის ქართული მწერლობის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლისა:

«ქებაჲ ქართველთაჲ და ქართულისა ენისაჲ».

წინასწარ შევჩერდებით სხვადასხვა სახის ბიბლიოგრაფიულ ცნობებზე ამ ძეგლის შესახებ.

ა. ძეგლის შემცველი ხელნაწერები.

ძეგლი დაცულია რამდენიმე პირის სახით, რომლებიც სხვადასხვა დროს გადაუწერია X საუკუნის ქართველ მწერალს იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელს.

იოანე-ზოსიმე, რომელიც დიდი პატრიოტი იყო თავისი ქვეყნისა, შეიძლება ითქვას ერთგვარად შეყვარებულა ამ ნაწარმოებზე; იოანე-ზოსიმეს «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ» შეაქვს ქართულ ხელნაწერთა კრებულებში, როგორც კრებულთა დამამთავრებელი ნაწარმოები.

მოგვყავს ნუსხა ხელნაწერებისა, რომლებშიაც მოთავსებულია ტექსტი — «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ».

A = ხელნაწერი 962 წლისა; ტექსტი «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ» შეტანილია იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილ კრებულში «სამეცნიეროჲ», რომელშიაც, სხვა ტექსტებთან ერთად, მოთავსებულია მნიშვნელოვანი ძეგლი ძველ-ქართული საეკლესიო მწერლობისა, საპატრიარქო-საკალენდარო ტრაქტატი: «გამოძიებასათვის ჟამთა და წელთა». ხელნაწერი ამჟამად დაცულია ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავში. («ქების" ტექსტის ეს უძველესი ნუსხა აღმოვაჩინეთ ტიშენდორფისეული პალიმფსესტების კოლექციაში).

B = ხელნაწერი 979 წლისა Sin. — 38. (ტექსტი «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ» ჩაწერილია როგორც დამამთავრებელი ნაწარმოები, იოანე-ზოსიმეს მიერ გადაწერილს 979 წლის ხელნაწერში, რომელიც შეიცავს ოთხთავს და ქრონიკონის ცხრილს, იმავე ტრაქტატით: «გამოძიებისათვის ჟამთა და წელთა»).

C = ჩანაწერი 981 წლისა, Sin. — 32/33. («ქებაჲს" ტექსტი იოანე-ზოსიმეს 981 წელს ჩაუწერია ძველი ქართული მწერლობის ძეგლთა დიდ ქრესტომათიაში «მრავალთაჲში», რომელიც გადაწერილია მაკარი ლეთეელის რედაქტორობით 864 წელს, და რომელიც მესამედ შეუქმოსავს იოანე-ზოსიმეს 981 წელს. «ქებაჲს" ტექსტს აქ ეწოდება «ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ».

D = ხელნაწერი 981 — 982 წლებისა, Sin. — 6. («ქებაჲს" ტექსტი ჩაწერილია როგორც დამამთავრებელი ნაწარმოები პაგოგრაფიული კრებულისა, რომელიც იოანე-ზოსიმეს 981 — 982 წლებში გადაუწერია. «ქებაჲს" თვით ნაწარმოების ზედწერილში ეწოდება: «ქართულისა ენისათვის», ხოლო საჩივრში იგი აღნიშნულია სრული სათაურით: «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ»).

ბ. ძეგლის მოცულობა.

ზემოთდასახელებულ ოთხს ხელნაწერში მოთავსებულია, როგორც აღვნიშნეთ. ერთი ტექსტი: «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ» (რომლის სახელწოდება აღინიშნება სხვადასხვა ვარიაციებით: «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ», «ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ», «ქართულისა ენისათვის»; არსებულა აგრეთვე სახელწოდების ასეთი ვარიანტიც: «შესხმაჲ ქართულისა ენისაჲ». — იხ. ქვემოთ; «შესხმაჲ» იმასვე ნიშნავს, რასაც «ქებაჲ»).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ძეგლის ტექსტი, როგორც ირკვევა. არაა სრულად მოღწეული.

ზემოთდასახელებულ ოთხ ხელნაწერში იოანე-ზოსიმეს შეუტანია მხოლოდ

მეორე ნაწილი ამ ძეგლისა «ქებაჲ (resp. შესხმაჲ) ქართულისა ენისაჲ»; ხოლო ძეგლი, როგორც ირკვევა, სრულის სახით, ორი ნაწილისაგან შესდგებოდა:

- ა. «ქებაჲ (resp. შესხმაჲ) ქართველთაჲ»;
- ბ. «ქებაჲ (resp. შესხმაჲ) ქართულისა ენისაჲ».

ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავში ჩვენ აღმოვაჩინეთ მთელი სერია იოანე-ზოსიმეს ავტოგრაფებისა, რომლებიც სხვადასხვა ხელნაწერების ნაწილებს წარმოადგენენ (NN Gr. VI, VII, VIII, XI, XII, XVIII, XIX, XXIII, XXIV; Syr. 16/1, 16/2, 16/3).

მათ შორის ჩვენ გვხვდება იოანე-ზოსიმეს ხელით გადაწერილი ეტრატის ერთი ფურცელი, რომელზედაც მოთავსებულია ს ა რ ჩ ე ვ ი ერთ-ერთი ხელნაწერი კრებულისა (რომლის ნაწილსაც ეს ფურცელი შეადგენდა).

ვინაიდან ეს ს ა რ ჩ ე ვ ი კრებულისა; გადაწერილი იოანე ზოსიმეს მიერ, ინტერესს წარმოადგენს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, მოგვყავს იგი სრულად.

- [1] „შეკრებანი [...] დაბადება ბ, რიცხუთა ბ, მეფეთა ბ, იგავთა გ, ესაჲმასი ზ, იერემიასი [— — — — —]
- [2] შეყისა ღმრთის-მოყუარისა [მირ]იან მცხეთისაჲ, და იყო რაჲმს მოიქცა — დედმდე, და იყო რაოდენი მეფე [...]. *
- [3] [— — — — —] ამბაკოპისი, ა ნაუმისაჲ, იგავთა ლ, კულა იერემიასი და ესაჲმასი დ. ჰსესი ბ, კულა ესაჲმასი.
- [4] სახელები წინასწარმეტყუელთა ოცდა სამთაჲ.
- [5] ღორთეოსისი — საპეოცდათთა მოწაფეთა უფლისთა და ათორმეტთა მოციქულთაჲ.
- [6] ძუელისა და ახლისა შჯულისა წიგნი და მუქნი.
- [7] თხრობაჲ ვარსკულაეისაჲ [— — — — —].
- [8] [— — — — —] სასწაულთათჳს.
- [9] [— — — — —] განძისაჲ.
- [10] ექუსნი კრებანი [...].
- [11] კულად ესაჲმასი და დანიელისი და სხუაჲ ა-ნიშნინი თავი და ბოლოჲ, ეგრეთვე რუთი, და მსაჯულთაჲ, და დაბადებაჲ, და ძუელნი წიგნი ყოველნი.
- [12] განგებაჲ კანონისა სრულისაჲ ყოვლითა შესამკობლითა.
- [13] და საბაწმიდისა განგებაჲ ეგრე სრული.
- [14] ქრონიკონი იერუსალმჳურად და ქართულად.
- [15] დავითის [ფსალმუნთა მოსწაეებაჲ].
- [16] ქებაჲ ქებათაჲ [— — — — —].
- [17] [— — — — —].
- [18] [— — — — —] წიგნთა კითხვსათჳს.
- [19] [— — — — —].
- [20] ანდერძი [ცოდვილისა] იოანესი.

[21—23] შესხმაჲ საბამსი და საბაწმიდისაჲ, და ქართველთაჲ, და ქართველთა ენისაჲ¹.

კრებულიდან, რომლის შინაარსიც აღნუსხულია ამ ფურცელზე, ჩვენამდე გადარჩენილია მხოლოდ რამდენიმე ტექსტის ცალკეული უმნიშვნელო ნაწილი.

* ისტორიული შინაარსის ეს ტექსტი, რომელიც, როგორც ჩანს ზედწერილის მიხედვით. მეფეთა ნუსხას შეეცადა, სამწუხაროდ არ მოღწეულა.
¹ ბოლოში მიწერილია იმავე ხელით, მაგრამ სხვა მელნით: „და გვედრებით [ლოცუასა] წმიდანო მამანო ქართველნო, ამენ“.

კრებულის ძირითადი ნაწილი დაკარგულია. კერძოდ, არ მოღწეულა ხელნაწერის ის ნაწილიც, რომელზედაც მოთავსებული ყოფილა უკანასკნელი ტექსტები:

«შესხმაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ,
და ქართველთაჲ,
და ქართველთა ენისაჲ».

ამ უკანასკნელი სამი ტექსტის შესახებ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: პირველი ტექსტი — «შესხმაჲ (resp. ქებაჲ) საბაჲსი და საბაწმიდისაჲ», როგორც ვხედავთ, არის ის ნაწარმოები, რომელიც ჩვენ დავბეჭდეთ ზემოთ (იხ. გვ. 743—745). ეს ტექსტი, როგორც აღნიშნული გვექონდა, არაა ორიგინალური ქართული ნაწარმოები, არამედ თარგმნილია ქართულად IX საუკუნის პირველ მეოთხედში.

რაც შეეხება მეორე და მესამე ტექსტებს «ქებაჲ (resp. შესხმაჲ) ქართველთაჲ» და «ქებაჲ (resp. შესხმაჲ) ქართველთა (ქართულისა) ენისაჲ», რასაკვირველია ორიგინალური ქართული ნაწარმოებია. ცხადია ამრიგად, რომ ამ ორიგინალურ ქართულ ტექსტებს არა აქვთ უშუალო კავშირი პირველ ტექსტთან («შესხმაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ»).

გ. რ ა ს შე ი ც ა ვ დ ა ტ ე ქ ს ტ ი : «ქებაჲ ქართველთაჲ».
წარმოდგენილი მასალებიდან ამრიგად ირკვევა, რომ ძეგლი, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს, ორი ნაწილისაგან შესდგებოდა: «ქებაჲ (resp. შესხმაჲ) ქართველთაჲ» და «ქებაჲ (resp. შესხმაჲ) ქართულისა ენისაჲ».

მეორე ნაწილი ძეგლისა, «ქებაჲ (შესხმაჲ) ქართულისა ენისაჲ», როგორც მოვიხსენეთ, ჩვენამდე მოღწეულა;

ხოლო რას შეიცავდა პირველი ნაწილი ამ ძეგლისა: «ქებაჲ (შესხმაჲ) ქართველთაჲ», რომელიც აღარ მოღწეულა ჩვენ დრომდე?

ამას ერთგვარ სანიშნოს იძლევა ანალოგიური შინაარსი მეორე ძეგლისა, — «ქებაჲ საბაჲსი და საბაწმიდისაჲ», რომელიც ჩვენს ძეგლთან ერთად ყოფილა მოთავსებული ზემოთ-აღნიშნულ ხელნაწერ კრებულში. ამ ძეგლში, საბაჲსა და საბაწმიდის „ქებასთან“ (შესხმასთან) ერთად, ჩვენ გვაქვს „ქება“ (შესხმა) საბაწმიდელ მოღვაწეთა, — ბერძენთა და ასურთა (იხ. „ქების“ მეორე თავი).

ამნაირადვე, ჩვენი ძეგლის იმ ნაწილში, რომელსაც რქმევია «ქებაჲ (შესხმაჲ) ქართველთაჲ», საფიქრებელია, წარმოდგენილი იყო «ქებაჲ (შესხმაჲ) — ქართველთა მოღვაწეთა».

ხოლო რამდენადაც ჩვენი ძეგლი, როგორც ეს სავარაუდებელია ზოგიერთ ჩვენებათა გამო, კლარჯეთშია დაწერილი, კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის ნაწარმოებია, აქ, საფიქრებელია, პირველ რიგში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო „ქებაჲ (შესხმაჲ)“ კლარჯეთის ქართველ მოღვაწეთა, გრიგოლ ხანძთელისა და მისი მოწაფეებისა.

რასაკვირველია, არაა ამასთან გამორიცხული, არამედ სავარაუდებელია კიდევ, რომ აქ ამავე დროს წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო „ქებაჲ (შესხმაჲ)“ სხვა ქართველი მოღვაწეებისა; ამასთან „ქებაჲ“, საფიქრებელია, ზოგადი ხასიათის შესხმასაც შეიცავდა, მით უფრო, რომ ძეგლის ამ ნაწილს ჰქონია ასეთი ზოგადი სახელი: «ქებაჲ (შესხმაჲ) ქართველთაჲ».

დ. ძეგლის ფორმა.

ძეგლის ის ნაწილი, რომელიც ჩვენამდე მოღწეულა («ქებაჲ ქართულისა ენისაჲ») დაწერილია «წყობილი სიტყვის» ფორმით, სახელდობრ «წყობილი სიტყვის» მეორე სახეობით: მრჩობლელი ერთ-ხმიანი (იხ. ზემოთ, გვ. 712, «წყობილი სიტყვის» სახეობათა ნუსხა).

სტროფების ფორმაა: ორ-ტაეპოვანი ოთხ-კვეთი (ტაეპები ეგრეთ-წოდებული „კვეთილი“ სახისაა, ყოველი ტაეპი რიტმულად ორად იკვეთება).

ამრიგად, «წყობილი სიტყვის» ფორმა აქ იგივეა, რაც გრიგოლ სანაბელის ტექსტში «ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ».

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ტექსტი — «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ» — შეიცავს სტროფულ ალიტერაციას. სახელდობრ აქ გვაქვს თავედი მარცვლელი ალიტერაცია, აგებული მარცვალზე „და“ (პირველი სტროფის დასაწყისში თავედი ალიტერაცია „და“ გამოვლენილია სიტყვაში: „დანარხულ“; დანარჩენი სტროფების დასაწყისში იგი გადმოიკემა კავშირით: „და“).

ამ შენიშვნათა შემდეგ მოგვყავს თვით ტექსტი ამ ძეგლისა:

ქებაჲ ქართველთაჲ და ქართულისა ენისაჲ

ა.

ქებაჲ ქართველთაჲ

(არ მოღწეულა)

ბ.

ქებაჲ ქართულისა ენისაჲ

1. ა. ღამარხულ არს ენაჲ ქართული
დღედმდე შეორედ მოსლვისა მესიისა საწამებულად,
ბ. რათა ყოველსა ენასა
ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
2. ა. ღა ესე ენაჲ
მძინარე არს დღესამომდე,
ბ. და სახარებასა შინა ამას ენასა
ლაზარე ჰრქვან.

სათაური. AB-ში: „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“. D-ში: ზედწერილში — „ქართულისა ენისათჳს“, სარჩევში — „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“. C-ში „ქებაჲ და დიდებაჲ ქართულისა ენისაჲ“ (სათაურს C-ში წინ უძღვის: „სახელითა ღმრთისაჲთა“. AB-ში სათაურს ბოლოში დაჰტებელი აქვს: „ლოცვა ყაეთ“).

1. გ მესიისა] მისისა ABCD.

2. 4 მძინარე BC || 12 ლაზარე B.

3. ა. ღა ახალმან ნინო მოაქცია
 ბ. და ჰელენე დედოფალმან,
 ესე არიან ორნი დანი,
 ვითარცა მარიამ და მართამ.

4. ა. ღა მეგობრობამ
 ბ. ამისთვის თქუა [მახარებელმან],
 რამეთუ ყოველი საიდუმლოა
 ამას ენასა შინა დამარხულ არს.

5. ა. ღა ოთხისა დღისა მკუდარი
 ბ. ამისთვის თქუა დავით წინამწარმეტყუელმან,
 რამეთუ ათასი წელი —
 ვითარცა ერთი დღეა.

6. ა. ღა სახარებასა შინა ქართულსა ხოლო, თავსა მათესსა,
 ბ. წილი ზის, რომელ ასოა არს,
 და იტყუეს ყოვლად
 ოთხ ათასსა მარაგსა, —

7. ა. ღა ესე არს ოთხი დღეა,
 ბ. და ოთხისა დღისა მკუდარი,
 ამისთვის მისთანაე დაფლული
 სიკუდილითა ნათლისღებისა მისისადა.

8. ა. ღა ესე ენაა
 ბ. შემკული / და კურთხეული სახელითა უფლისადათა,
 მდაბალი / და დაწუნებული —
 მოელის ღღესა მას მეორედ მოსლევასა უფლისასა,

9. ა. ღა სასწაულად ესე აქუს
 ბ. ას-ოთხი წელი
 უმეტემს სხუათა ენათა
 ქრისტემს მოსლევითგან ვიდრე დღესამომდე

3. 6 ჰელენე B, 3 ჰელენე C, ელენი D.

4. 5 მახარებელმან abs. ABCD || 6 რამეთუ ვითარმედ ABCD.

5. 14 დღეშ ABCD.

6. 6—6 ხოლო თავსა თავსა ხოლო ABCD || 7 მათშსა ABC, მათესსა D || 8 წილი წერილი ABCD || 15 ყოვლად abs. D.

7. 5 დღეშ ABCD || 11 მისთანა D.

9. 5 ას-ოთხი ოთხმეოცდაათოთხმეტი ABCD (რდ → ედ) || 7 უმეტეს ABC, უმეტეს D || 10 ქშს C, ქნეს ABD || 13 დღედმდე A.

10. ა. ღბ ესე ყოველი, რომელი წერილ არს,
მოწამედ წარმოგიტხარ,
ბ. ას-ოთხი ესე წელი,
და წილი ანბანისაჲ.

ვინ არის ავტორი ამ ძეგლისა?

გამოთქმული იყო მოსაზრება (აკად. კ. კეკელიძის მიერ)¹, რომ ავტორი უნდა იყოს იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელი.

მაგრამ ეს მოსაზრება არ მართლდება. იოანე-ზოსიმე არის მხოლოდ გადამწერი ამ ძეგლისა და არა ავტორი. თვით იოანე-ზოსიმე არსად, არც ერთ ხელნაწერში არ ასახელებს თავის-თავს ავტორად; ხოლო ერთ ხელნაწერში იგი პირდაპირ მოიხსენებს თავის-თავს მხოლოდ როგორც გადამწერელს (ხელნაწერი C: „მჩკლი“; იხ. აქვე, სქოლიო მე-10 სტროფისა).

რომ იოანე-ზოსიმე არ არის ავტორი ამ ძეგლისა, არამედ მხოლოდ გადამწერი, ამას სრულის უეჭველობით ადასტურებს ორი გარემოება:

ა. იოანე-ზოსიმეს გადაწერილ ხელნაწერებში ტექსტი ამ ძეგლისა ადგილ-ადგილ დაზიანებულად არის წარმოდგენილი. როგორც ჩანს, ეს ძეგლი არა ერთგზის გადაწერილა და მას დაზიანება განუცდია, ეიღრე იგი იოანე-ზოსიმეს ხელში მოხვდებოდა. აზრის ისეთი დამამახინჯებელი შეცდომები, რომელსაც ჩვენ ვხვდებით იოანე-ზოსიმეს გადაწერილ ხელნაწერებში, თვით ავტორს, რასაკვირველია, არას შემთხვევაში არ მოუვიდოდა.

ასე, იოანე-ზოსიმეს გადაწერილ ტექსტში ჩვენ გვაქვს ასეთი შეცდომები:

- ა) სტროფი 1. უნდა იყოს „მისისა“, წერია: „მისისა“.
ბ) სტროფი 6. უნდა იყოს „წილი“ (სახელწოდება ასოსი), წერია: „წერალი“.
გ) სტროფი 10. იგივე სიტყვა „წილი“ (სახელწოდება ასოსი) სამ ხელნაწერში (A, B, C) იკითხვის დამახინჯებულად, როგორც „წელი“
დ) ამავე სტროფში წერია: „წარმოგიტხარს“; აქ შეცდომით გაერთიანებულია ორი სიტყვა „წარმოგიტხარ ას(-ოთხი)“, ფრაზიდან: „წარმოგიტხარ ას-ოთხი ესე წელი...“
ე) რიცხვი „ას-ოთხი“ (ანუ ასო-ნიშნებით: „რღ“) ერთ შემთხვევაში, მე-9 სტროფში, იკითხვის როგორც „ოთხშეოცდაათოთხმეტი“ („ეღ“, ე. ი. „რ“ დაზიანებულა როგორც „ე“); მეორე შემთხვევაში, — მე-10 სტროფში, — A, B და C ხელნაწერებში იკითხვის როგორც „ასი“ (ე. ა.

10. ა—ყოველი, რომელი] რომელი, რომელი A.

10. 7—14: მოწამედ წარმოგიტხარ ას-ოთხი (ოდ) ესე წელი და წილი ანბანისაჲ;

A-ში: მოწამედ წარმოგიტხარ ასი ესე წელი (და) ანბანისაჲ.

BC-ში: მოწამედ წარმოგიტხარ ასი ესე წელი ანბანისაჲ.

D-ში: მოწამედ წარმოგიტხარას ესე წილი ანბანისაჲ.

ბოლოში მანაწერია: ლოცვა ყავთ D || ლოცვა ყავთ ან A || ლოცვა ყავთ წმიდანო ღისანო ლოცვა ყავთ ან B || ლოცვა ყავთ წმიდანო ღმრთისანო ლოცვა ყავთ. ქე შეიწყალე მჩკლი ინე ან C.

¹ იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, 1951 წ., გვ. 146.

ჯგუფში „რდ“, რაც ას-ოთხს აღნიშნავს, დაკარგულია ბოლო „დ“, ოთხის აღმნიშვნელი). D ხელნაწერში რიცხვი სრულიად ამოვარდნილია.

ვ) თუ რაოდნად დამაზინჯებულად არის წარმოდგენილი ხელნაწერებში მთელი ტექსტი მეათე სტროფისა, ამას მკითხველი გაითვალისწინებს სქოლიოში აღნიშნული ვარიანტებიდან. ამ სტროფის მეორე ნახევრის ნამდვილი პირველადი ტექსტი ასეთია: „მოწამედ წარმოგიტხარ ას-ოთხი ესე წელი და წილი ანბანისა“. ხოლო ხელნაწერებში ეს ტექსტი ასეა დაზიანებულად წარმოდგენილი: A-ში: „მოწამედ წარმოგიტხარ ასი ესე წელი (და) ანბანისა“ (ე. ი. აკლია ორი სიტყვა: „ოთხი“ და „წილი“); B და C-ში „მოწამედ წარმოგიტხარ ასი ესე წელი ანბანისა“ (აქ აკლია სამი სიტყვა: „ოთხი“, „და“, „წილი“); D-ში: „მოწამედ წარმოგიტხარას ესე წილი ანბანისა“ (დაზიანებულია სიტყვები: „წარმოგიტხარ ას-ოთხი“ და გამოჩენილია: „წელი და“).

ამრიგად სავესებით ამჟღავნა, რომ იოანე-ზოსიმეს ხელთა ჰქონია ამ ძეგლის ისეთი დედანი, სადაც ტექსტი მნიშვნელოვნად დაზიანებული ყოფილა.

ბ. მეორე გარემოება, რომლის მიხედვითაც უდავოდ დასტურდება, რომ იოანე-ზოსიმე არ არის ავტორი ამ ძეგლისა, არის შემდეგი. როგორც ცნობილია, ძველ-ქართული წელთაღრიცხვა განსხვავდებოდა დასავლეთში მიღებული წელთაღრიცხვისაგან. სახელდობრ ქართული წელთაღრიცხვა წინ უსწრებს ბიზანტიურ წელთაღრიცხვას 96 წლით, ალექსანდრულ წელთაღრიცხვას 104 წლით, იერუსალიმურ (პანოდორესეულ) წელთაღრიცხვას 112 წლით.

იოანე-ზოსიმე საბაწმინდელ-სინელს, როგორც ცნობილია, ეკუთვნის ვრცელი რედაქცია ძველ-ქართული ქრონოლოგიურ-საკალენდარო ტრაქტატისა: „ცნობისათვის და უწყებისათვის ჰეშმარიტად, რომელი მოგუეთხრა ჩუენ მოძღვართა მიერ განსაზღვრებული, გამოძიებისათვის ჯამთა და წელთა...“

იოანე-ზოსიმე ამ ტრაქტატში, რომელიც ავტოგრაფულ ხელნაწერშია დაცული, ეხება რა იმ სხვაობას, რომელიც არსებობდა ძველ-ქართულ წელთაღრიცხვასა და დასავლურ, კერძოდ იერუსალიმურ წელთაღრიცხვას შორის, იმ აზრს გამოსთქვამს, რომ სწორია იერუსალიმური წელთაღრიცხვა, ხოლო ქართული, რომელიც 112 წლით წინ უსწრებს იერუსალიმურ წელთაღრიცხვას, შეცდომას წარმოადგენსო. იოანე-ზოსიმე წერს:

„ას და ათორმეტითა წლითა წინაჲთ თუალვენ ქართველნი ქრონიკონისა თავისა დაწყებასა ვისისაგანმე მოცთუნებითა“¹.

სულ სხვა აზრისაა ამ საგანზე ავტორი ჩვენი ძეგლისა „ქება ქართულისა ენისა“. ავტორი ამ ძეგლისა ქართული წელთაღრიცხვის მეტობას მიიჩნევს პროვიდენციალურ მოვლენად; იგი მას მისტიურ განმარტებას აძლევს, რომ ამ მეტობის მიხედვითაც მტკიცდებაო ქართულის უპირატესობა სხვათა ენათა წინაშე.

ამრიგად, ჩვენი ძეგლის ავტორი და იოანე-ზოსიმე ქართული წელთაღრიცხვის მეტობის შესახებ დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრისა არიან.

ასეთია უდავო ფაქტები, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ იოანე-ზოსიმე არაა ავტორი ამ ძეგლისა „ქება ქართულისა ენისა“; იგი არის მხოლოდ გადამწერი.

¹ იხ. „გამოძიებისათვის ჯამთა და წელთა“, იოანე-ზოსიმეს ავტოგრაფული ხელნაწერი, დაცული ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავში.

მაშ ვინ არის ავტორი?

ამის შესახებ ჩვენ პირდაპირი პასუხი არა გვაქვს.

ხოლო ერთი რამის აღნიშვნა კი შეიძლება: ეს ძეგლი გამოსულია გიორგი მერჩულის სალიტერატურო სკოლიდან; არაა გამორიცხული ისიც, რომ ავტორი იყოს თვით გიორგი მერჩულე.

აქ ჩვენ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას შემდეგ ნიშნულ მხარეს:

ჩვენ უკვე მივუთითეთ, რომ ძეგლში «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ» ჩვენ გვაქვს სტროფული ალიტერაცია. სახელდობრ აქ გვაქვს თავედი მარცვლელი ალიტერაცია, აგებული მარცვალზე „ღა“. (პირველი სტროფის დასაწყისში თავედი ალიტერაცია „ღა“ გამოვლენილია სიტყვით „ღამარხულ“; დანარჩენი სტროფების დასაწყისში იგი გადმოიკემა კავშირით: „ღა“).

თავედი ალიტერაცია X საუკუნის ქართულ მწერლობაში ცნობილია სახელწოდებით: „მერჩულიულნი“, რის მიხედვითაც ირკვევა, რომ ამ ფორმის დამამკვიდრებელი ქართულ მწერლობაში გიორგი მერჩულე ყოფილა.

ამრიგად «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ» ამ ნიშნულობის, თავედი ალიტერაციის ფორმის მიხედვით, ეკუთვნის ან თვით გიორგი მერჩულეს, ან გიორგი მერჩულის სკოლის მწერალს, რომელსაც გამოუყენებია „მერჩულიული“ ფორმა თავედი ალიტერაციისა.

აღსანიშნავია, რომ ამ ძეგლის მოღწეული ხელნაწერები დროის მიხედვითაც ემთხვევა გიორგი მერჩულის ხანას. გიორგი მერჩულე X საუკუნის პირველი ნახევრის მწერალია. ცხობრება გრიგოლ ხანძთელისა, დაწერილი გიორგი მერჩულის მიერ მისი ცხოვრების დასზე, 950 წელს გამოქვეყნდა. ხოლო მოღწეული ხელნაწერები ჩვენი ძეგლისა — «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ» გადაწერილია უახლოეს მომდევნო ათეულ წლებში, A ხელნაწერი 962 წელს, B — 979-ს, C და D 981 — 982 წლებში.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ ამასთან, რომ გიორგი მერჩულის უმცროსი თანამედროვე იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელი, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ ძეგლის გავრცელებაში, ვიდრე იგი პალესტინაში გადასახლდებოდა, უფრო ადრე, X საუკუნის პირველ ნახევარში, მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელის მიერ დაარსებულ საეპისკოპოსოში — შატბერტში. მაშასადამე, მას აქ შეეძლო გასცნობოდა ამ ძეგლს „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

VII, 3

გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობა: «საწელიწდო იადგარი»

(მიმოხილვა, ნაწილი I)

გადავდივართ გრიგოლ ხანძთელის მთავარ შრომაზე: «საწელიწდო იადგარი».

«საწელიწდო იადგარი» გრიგოლ ხანძთელისა, ჰიმნების ეს დიდი კრებული, — მთავარი ძეგლია ძველ-ქართული პოეზიისა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი ათასეულიდან.

გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფს გიორგი მერჩულეს დაცული აქვს უაღრესად საყურადღებო ცნობა გრიგოლ ხანძთელის ამ მთავარი შრომის შესახებ; გიორგი მერჩულე მოგვითხრობს:

„ხოლო ნეტარი მამაჲ ჩუენი გრიგოლ... მოძღურებისა მისისა სწავლითა აღავესებდა გულსა მოწაფეთა თვსთასა.

„რამეთუ არა ხოლო თუ წიგნთა საღმრთოთა ოდენ სიბრძნის-მეტყუელებდა ყოვლით კერძო, არამედ წმიდისა კათოლიკე ეკლესიისა საქადაგებელსა გალობასა სრულიად წელიწდისა განგებითა მოძღუარი იყო განუკითხველად...

„რამეთუ არს ხანძთას კელითა მისითა დაწერილი, სულისა მიერ წმიდისა, საწელიწდო იადგარი, რომლისა სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“¹.

გიორგი მერჩულის ამ უაღრესად საყურადღებო ცნობიდან ირკვევა:

1. გრიგოლ ხანძთელი არის ავტორი „საწელიწდო იადგარისა“.

2. „საწელიწდო იადგარის“ თვით გრიგოლ ხანძთელის ავტოგრაფული ხელნაწერი დაცული ყოფილა ხანძთაში და გიორგი მერჩულე იცნობდა ამ ხელნაწერს.

თუ რამდენად მალლად აფასებდა გიორგი მერჩულე გრიგოლ ხანძთელის ამ შრომას, ჩანს იმის მიხედვით, რომ საწელიწდო იადგარი გრიგოლ ხანძთელისა მერჩულეს მიაჩნია შთაგონებულად „სულისა მიერ წმიდისა“. გიორგი მერჩულის შეფასებით გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარის „სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“; ასეთ შეფასებას აძლევს გრიგოლ ხანძთელის ხელოვნებას გიორგი მერჩულე, ქართული მხატვრული სიტყვის ეს უდიდესი ხელოვანი.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 80.

საკითხავია ამის შემდეგ, — რა ბედი ეწია ამ ძეგლს? ნუთუ გრიგოლ ხანძთელის ეს შრომა დაკარგულია?

როგორც ირკვევა, იგი არ არის დაკარგული.

ძველ-ქართულ ხელნაწერთა საგანძურებში «საწელიწდო იადგარი» ჩვენ დრომდე მოღწეულა რამდენიმე რედაქციის სახით. საჭიროა მხოლოდ ამ რედაქციების შესწავლა და გრიგოლ ხანძთელის შრომის გამოვლენა.

1

«იადგარის» ორი სახე ძველ-ქართულ მწიგნობარში:

ა. მოკლე იადგარი (დღესასწაულთანი)

ბ. საწელიწდო იადგარი

ძველ-ქართულ მწიგნობარში, ვიდრე XI საუკუნემდე, «იადგარი» ეწოდებოდა საგალობელთა წიგნს, ჰიმნების კრებულს.

არსებობდა ორი სახე იადგარისა:

ა. მოკლე იადგარი (დღესასწაულთანი);

ბ. საწელიწდო იადგარი.

მოკლე იადგარი (დღესასწაულთანი) — შედარებით ვიწრო მოცულობისა იყო და შეიცავდა საგალობლებს (ჰიმნებს), რომლებიც სრულდებოდა დღესასწაულებში, საკუთრივ საეკლესიო დღეებში.

საწელიწდო იადგარი — ბევრად უფრო ვრცელი სახისა იყო, იგი შეიცავდა საგალობლებს მთელი წლის მანძილზე. საგალობლები საწელიწდო იადგარში დალაგებული იყო კალენდარულის თანამიმდევრობით. ცალკეული საგალობელი დაკავშირებული იყო ამათუიმ თარიღთან. (საგალობლები მიეძღვნებოდა სარელიგიო თემებს, სხვადასხვა საეკლესიო და საისტორიო ამბებს, სხვადასხვა ისტორიულ მოღვაწეებს, რომელთა მოგონება ხდებოდა ცალკეული საკალენდარო თარიღებისათვის).

გავეცნოთ ამის შემდეგ ორივე სახის იადგარის ყველა არსებულს რედაქციებსა და ხელნაწერებს, რომლებიც ეკუთვნიან ეპოქას XI საუკუნემდე.

პირველ რიგში შევჩერდებით მოკლე იადგარებზე.

ა.

მოკლე იადგართა რედაქციები და ხელნაწერები

მოკლე იადგართა ტიპის ძველ-ქართული ძეგლები, ვიდრე XI საუკუნემდე, შემდეგ ჯგუფებად იყოფა:

A. საკუთრივ მოკლე იადგარნი;

B. საგალობელნი ქართული «კანონისა»;

C. გამოკრებულნი მოკლე იადგარნი.

მოგვეყავს თვითეული ჯგუფის რედაქციათა და ხელნაწერთა ნუსხა.

A. საკუთრივ მოკლე იადგარნი.

1. მოკლე იადგარი არქაული რედაქციისა (ძირითადი ნაწილი არა უგვიანესი VII — VIII საუკუნეთა).

დაუღლია ქილ-ეტრატის ხელნაწერში H — 2123 (ა, ბ, გ) — IX საუკუნისა.

2. მოკლე იადგარი პალესტინური ქართული სკოლისა VIII — X საუკუნეთა ანუ საგალობელნი „ძველნი“ და „ახალნი“, შედგენილი ორი მოღვაწისა:

ა) ანონიმისა (საბაწმიდელი ჰიმნოგრაფისა, VIII — IX ს. ს.) — ძველნი საგალობელნი;

ბ) გიორგი საბაწმიდელ-სინელისა (X ს.) — ახალნი საგალობელნი.

დაუღლია ორ ხელნაწერში:

1) Sin. — 34, 932 — 940 წლებისა;

2) Sin. — 26 (მეორე განყოფილება), შევსებული, 954 წლისა.

B. საგალობელნი ქართული «კანონისა».

მოკლე იადგარის უძველეს ტექსტებთან ერთად დასახელებული უნდა იყვეს საგალობელნი ქართული «კანონისა» („იერუსალემის განჩინებისა და განწესების“ ძველ-ქართული ვერსიისა), რომელიც შეიცავს სხვადასხვა მცირე ფორმის საგალობელთა კრებას, და რომელიც არქაული წარმოშობისაა. („იერუსალემის განჩინებისა და განწესების“ ძველ-ქართული ვერსია, როგორც ამის შესახებ შემდეგ გვაქვს საუბარი, VIII საუკუნის ნახევარს ეკუთვნის და საგალობლებიც ამ ხანისაა).

საგალობელნი ქართული «კანონისა» (ნაწილი) დაუღლია X საუკუნის ხელნაწერში Sin. — 37.

C. გამოკრებულნი მოკლე იადგარნი.

ამ მესამე ჯგუფს არა აქვს დამოუკიდებელი მნიშვნელობა, რადგან ამ ჯგუფის კრებულებში კი არ არიან თავიდანვე შედგენილნი მოკლე იადგარის სახით, არამედ წარმოადგენენ გვიანდელ გამოკრებებს საწელიწდო იადგართაგან, ე. ი. აქ გვაქვს საწელიწდო იადგარის შემოკლებული ტექსტი. (შემოკლება მოუხდენიათ იმ მიზნით, რათა შეედგინათ სადღესასწაულო საგალობელთა ვიწრო მოცულობის კრებულები).

ამრიგად ამ მესამე ჯგუფს არა აქვს მნიშვნელობა იმ საკითხებისათვის, რომელნიც ქვემოთ ჩვენი განხილვის საგანი იქნება, — ისინი არ იძლევიან დასაყრდენს იადგართა ძირითადი რედაქციების ერთმანეთთან დამოკიდებულების გასარკვევად.

შინც, ბიბლიოგრაფიული სინარულიათვის, ჩაპოვთვლით ამ მესამე ჯგუფის კრებულებსაც. ამ მესამე ჯგუფს წარმოადგენენ შემდეგი ძველ-ქართული ხელნაწერები ვიღრე XI საუკუნემდე:

1. გამოკრებული მოკლე იადგარი, ხელნაწერი Sin. — 40, X საუკუნისა, გადაწერილი პალესტინაში (საბაწმიდაში) სვიმეონ მგალობელის მიერ. (ანდერძ-ჩანაწერში კრებული მოიხსენება სახელწოდებით: „იადგარნი გამოკრებულნი“);

2. გამოკრებული მოკლე იადგარი, ხელნაწერი Sin. — 18, X საუკუნისა, პალესტინური წარმოშობისა;

3. გამოკრებული მოკლე იადგარი, ხელნაწერი A — 596, XI საუკუნის დასაწყისისა.

საწელიწდო იადგარის რედაქციები და ხელნაწერები

გავეცნოთ ამის შემდეგ იადგარის მეორე ტიპს, — საწელიწდო იადგარს.

მოგვყავს აქ სრული კლასიფიცირებული ნუსხა საწელიწდო იადგარის ყველა არსებული რედაქციებისა და ხელნაწერებისა.

I

ძველი რედაქციები

(მერვე/მეცხრე — მეათე საუკუნეთა)

ა — ჯგუფი:

საწელიწდო იადგარი მესხეთის (ზემო-ქართლის) სალიტერატურო სკოლისა.

1. მიქაელ მოდრეკილის კრებული (შატბერთული), გადაწერილი 978 — 988 წლებში.

2. ერუშენული კრებული, გადაწერილი XI საუკუნის დასაწყისში.

3. თპიზური კრებული (გამონაკრები), გადაწერილი 1093 წელს.

ბ — ჯგუფი:

საწელიწდო იადგარი პალესტინის ქართული სალიტერატურო სკოლისა.

4. პირველი რედაქცია:

კრებულები X საუკუნისა Sin. — 1 და Sin. — 14¹.

5. პირველი რედაქციის განშტოებანი:

ა) წვირმული კრებული, გადაწერილი X — XI საუკუნეთა საზღვარზე.

ბ) იელური კრებული, გადაწერილი X საუკუნის დასასრულს.

6. მეორე რედაქცია:

ა) კრებული X საუკუნისა Sin. — 59.

ბ) კრებული X საუკუნისა Sin. — 64 და 65².

II

საწელიწდო იადგარი «ახლად» წოდებული

(შედგენილი X — XI საუკუნეთა საზღვარზე)

დაცულია XI საუკუნის ხელნაწერებში: გოლგოთურ ხელნაწერში 1049 წლისა (H — 2337), ხელნაწერში S — 552, გოლგოთურ მეორე ხელნაწერში 1052 წლისა (Sin. — 5).

¹ ნაწილი ამავე რედაქციის ტექსტებისა დაცულია X საუკუნის ხელნაწერში Sin. — 26 (პირველი განყოფილება). ამ ხელნაწერს ცალკე ეხებოთ.

² გამონაკრები ამავე რედაქციიდან დაცულია X საუკუნის ხელნაწერში Sin. — 20. — ამას გარდა ამავე რედაქციის კრებულის ნაწყვეტს წარმოადგენს ხელნაწერი A — 190.

გარდა საწელიწდო იადგარის დასახელებული კრებულებისა, საწელიწდო იადგარის ცალკე დამატებითი ნაწილები გვხვდება აგრეთვე ცალკე დამატებითი წიგნების სახითაც. ასეთ დამატებით წიგნებში შედის: ა) შესავალი საწელიწდო იადგარისა („ძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი“); ბ) ბოლო-დამატება საწელიწდო იადგარისა („შესხმანი ღმრთისმშობელისანი“).

ასეთი დამატებითი წიგნი საწელიწდო იადგარისა წარმოდგენილია ხელნაწერებში:

1. იორდანესელი ალავერდული კრებული (A — 603), გადაწერილი X საუკუნის დასასრულს, რომელშიაც შედის ორივე დასახელებული ტექსტი: ა) შესავალი საწელიწდო იადგარისა; ბ) ბოლო-დამატება.

2. ჯოჯიკისეული ტაოური კრებული (მესხეთიდან, ტაოს მხარიდან მომდინარე, ამჟამად დაცულია ათონზე N 85 — B1.), გადაწერილი X — XI საუკუნეთა საზღვარზე. შეიცავს პირველ ტექსტს (საწელიწდო იადგარის შესავალს).

ასეთია ყველა არსებული ხელნაწერები საწელიწდო იადგარისა, რომლებიც ჩვენ გვაქვს ძველი ქართული მწერლობის მემკვიდრეობაში.

ბ.

საწელიწდო იადგარის სტრუქტურა.

ვინაიდან ჩვენ მოგვიხდება შევჩერდეთ საწელიწდო იადგარის სხვადასხვა ხელნაწერთა შედგენილობაზე, საჭიროა ამთავითვე გათვალისწინებული გვქონდეს საწელიწდო იადგარის სტრუქტურა, მისი განყოფილებებად დანაწილება.

საწელიწდო იადგარი ერთნაირი სტრუქტურისაა ორივე ჯგუფის ძველ რედაქციებში, ე. ი. როგორც მესხეთის (ზემო-ქართლის) სკოლის ხელნაწერებში, ისე პალესტინის ქართული სკოლის ხელნაწერებში.

სახელობრ, ამ ძველ რედაქციებში საწელიწდო იადგარი შესდგება შემდეგი ნაწილებისაგან:

შესავალი; შვიდი განყოფილება; დამატებანი.

მოგვეყავს მათი აღნუსხვა:

შესავალი:

ა. ძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი.

(მაჩვენებელი სალექსო საზომებისა, მუსიკალური კომპოზიციით).

განყოფილება I — V.

(საგალობლნი დალაგებულია წლის მანძილზე კალენდარული თანამიმდევრობით).

I. იადგარი საზამთროდ (საგალობლნი კალენდარული წრისა
21 ღეკემბრიდან — 25 მარტამდე).

II. ხაგალობლნი მარხვათა (მოძრავი კალენდარული წრე, ა).

იადგარი
საზამთროდ

III. ხაგალობელნი ზატიკთა (მოძრავი კალენდარული წრე, ბ).

IV. იადგარი საზაფხულოჲ (საგალობელნი კალენდარული წრისა 25 მარტიდან — 31 აგვისტომდე).

V. იადგარი სთულისა და ზამთრის დადგისა (საგალობელნი კალენდარული წრისა 1 სექტემბრიდან — 20 დეკემბრამდე).

იადგარი
საზაფხულო

განყოფილებანი VI და VII (სპეციალური განყოფილებანი)

VI. ხაგალობელნი ადვხებისა რეა-კმანი.

VII. ხაგალობელნი სამარადისონი რეა-კმანი.

დამატებანი

დ/ა. შესხმანი ღმერთისმშობელისანი რეა კმათა ზედა.

დ/ბ. გალობანი სამებისანი რეა კმათა ზედა.

ღ

პირველი ზოგადი დასკვნები

წარმოვადგენთ პირველ ზოგად დასკვნებს, რაც გამომდინარეობს ყველა ზემოთდასახელებული წყაროების ყოველმხრივი ანალიზიდან, და რომლებიც ეხებიან იადგარის ტექსტის ისტორიას ძველ ქართულ მწერლობაში.

1. პირველი ძირითადი ცნობა, რომელიც ჩვენ გვაქვს აქ აღძრულ საკითხზე, ეს არის, როგორც მოვიხსენეთ, ცნობა გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფის გიორგი მერჩულისა იმის შესახებ, რომ გრიგოლ ხანძთელი არის ავტორი საწელიწდო იადგარისა.

2. გიორგი მერჩულის ეს ცნობა სრულიად გარკვეული ხასიათისაა და არ იწვევს არავითარ გაუგებრობას ან რაიმე ცილობას.

ამასთან ამ ცნობას ეთანხმება და ადასტურებს სხვა წყაროების ჩვენებაც. მართლაც, ყველა არსებული მასალების განხილვიდან ირკვევა, რომ გრიგოლ ხანძთელის ეპოქამდე ქართულად არსებულა არა „საწელიწდო იადგარი“, არამედ იადგარის ძველი არქაული სახეობა: მოკლე იადგარი (დღესასწაულთანი). იადგარის ეს ძველი სახეობა, როგორც მოვიხსენეთ, ჩვენამდე მოღწეულა კიდევ ორი ხელნაწერის სახით:

ა) მოკლე იადგარი არქაული რედაქციისა, რომელიც დატულია ჰილ-ეტრატის ხელნაწერში H — 2123 (ა, ბ, გ).

ბ) მოკლე იადგარი პალესტინური ქართული სკოლისა, დატული ხელნაწერში Sin. — 34 (აგრეთვე მეორე განყოფილებაში ხელნაწერისა Sin. — 26).

ამას გარდა, გრიგოლ ხანძთელის ეპოქამდე არსებობდა საგალობელნი ქართული «კანონისა», რომელიც შეიცავდა მცირე ფორმის საგალობელთა კრებას, და რომელიც ასევე არქაული წარმოშობისაა, — VIII საუკუნეს ეკუთვნის. (ქართული «კანონის» ეს საგალობლებიც ჩვენ დრომდე მოღწეულა და დატულია ხელნაწერში Sin. — 37).

3. საწელიწდო იადგარის ყველა არსებული ხელნაწერების პრეციზული ანალიზიდან ირკვევა ამასთან, რომ საწელიწდო იადგარი გრიგოლ ხანძთელისა არ მოღწეულა ჩვენ დრომდე პირვანდელი სახით; საწელიწდო იადგარი, საგალობელთა კრებული, რომელიც შეუდგენია გრიგოლ ხანძთელს VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის პირველ ნახევარში, მომდევნო ხანაში, IX — X საუკუნეებში, შეუვსიათ ახალი საგალობლებით. ამრიგად საწელიწდო იადგარის ჩვენ დრომდე მოღწეული ძველი რედაქციების სახით ჩვენ გვაქვს არა პირვანდელი რედაქცია, არამედ განვრცობილი რედაქციები, რომლის პირველად ფენს შეადგენს გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი, ხოლო მეორად ფენს დამატებული საგალობლები.

ამრიგად საჭიროა საწელიწდო იადგარის ამ განვრცობილი და შევსებული რედაქციებიდან გამოვლენილ იქმნას მისი პირველადი ფენი, — გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი.

4. საწელიწდო იადგარის ხელნაწერები ძველი რედაქციისა, როგორც აღნიშნული გვქონდა, ორ ჯგუფად იყოფა: ა — ჯგუფი და ბ — ჯგუფი.

ა — ჯგუფს შეადგენს საწელიწდო იადგარის ხელნაწერები მესხეთის (ზემო-ქართლის) სკოლისა;

ბ — ჯგუფს შეადგენს საწელიწდო იადგარის ხელნაწერები პალესტინური ქართული სკოლისა.

რამდენადაც გრიგოლ ხანძთელი ეკუთვნოდა მესხეთის (ზემო-ქართლის) სალიტერატურო სკოლას (— თვით გრიგოლ ხანძთელი იყო დამაარსებელი ამ სკოლისა), — ბუნებრივია, რომ გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი უფრო სრული და შეურევნელი სახით დაცული უნდა იყვეს საწელიწდო იადგარის იმ ხელნაწერებში, რომლებიც მესხეთის (ზემო-ქართლის) სალიტერატურო სკოლიდან მომდინარეობენ.

ამის გამო ჩვენ პირველად ა — ჯგუფის ხელნაწერებზე შევჩერდებით.

ა — ჯგუფის ხელნაწერებიდან მთავარი ხელნაწერია მიქაელ მოდრეკილის განთქმული ხელნაწერი საწელიწდო იადგარისა, რომელიც მესხეთიდან მომდინარეობს.

მიქაელ მოდრეკილის ეს კრებული საწელიწდო იადგარისა გადაწერილია შატბერთში, ე. ი. სწორედ იმ საეანეში, რომელიც დააარსა თვით გრიგოლ ხანძთელმა, და სადაც, ცხადია, განსაკუთრებით წმიდად იყო დაცული გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო ტრადიციები.

2

მიჰაელ მოდრეკილის კრებული:

საწელიწდო იადგარი ბრიგოლ ხანძთელისა,

დამატებული და შევსებული IX — X საუკუნეებში.

გადაედივართ მიქაელ მოდრეკილის კრებულის განხილვაზე.

მიქაელ მოდრეკილის კრებული, როგორც ეს ცხადი გახდება შემდეგი მიმოხილვიდან, არის ერთ-ერთი მთავარი წყარო, რომლის მიხედვითაც შესაძლო

ხდება აღდგენა გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო მემკვიდრეობისა. მიქაელ მოდრეკილის კრებულის სახით ჩვენ გვაქვს საწელიწდო იადგარი გრიგოლ ხანძთელისა, დამატებული და შევსებული IX — X საუკუნეებში.

გავეცნოთ ამ კრებულს.

მიქაელ მოდრეკილის კრებულის პალეოგრაფიული სახე და დაცულობა.

მიქაელ მოდრეკილის კრებული, — „საუნჯე მეთე საუკუნისა“, როგორც უწოდა ამ ხელნაწერს ერთ-ერთმა პირველმა მისმა აღმწერელმა, — ამჟამად დაცულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში (ფონდი S, 425).

ხელნაწერი გადაწერილია ჩინებულად დამუშავებულ ეტრატზე, კლასიკური ნუსხური დამწერლობით. ჯერ მარტო ტექნიკური შესრულების მხრით, ეს კრებული ერთ-ერთი უშესანიშნავესი ძეგლთაგანია ძველი ქართული იწიგნობრობისა.

ხელნაწერი დიდი ფორმატისაა, in quarto. ზომა გვერდისა 39 X 30 სანტიმეტრი (ნაწერი ტექსტისა გვერდზე 29 X 20 სანტიმეტრი).

ხელნაწერი საუკუნეთა მანძილზე მნიშვნელოვნად დაზიანებულა, იგი, სამწუხაროდ, ნაკლებად არის მოღწეული: აკლია დასაწყისში, შუაში და ბოლოშიაც.

როგორც ირკვევა რვეულთა სათვალავის მიხედვით, სულ ხელნაწერში თავდაპირველად ყოფილა 1264 გვერდი (გარდა ბოლო ნაწილისა, რომელიც დაკარგულია და რომლის მოცულობა გაურკვეველი რჩება). მოღწეულია 544 გვერდი; აკლია 720 გვერდი (გარდა დაკარგული ბოლო ნაწილისა).

ხელნაწერის დეტალური ტექნიკური აღწერილობა წარმოდგენილი გვაქვს დამატებაში (იხ. გვ. 01 — 06).

მიქაელ მოდრეკილის კრებულის ანდერძები.

მთავარი ანდერძები მიქაელ მოდრეკილის კრებულისა, რომელიც, წესისამებრ, მოთავსებული უნდა ყოფილიყო კრებულის დასასრულში (ბოლოსიტყვის სახით), აგრეთვე დასაწყისშიაც (წინასიტყვის სახით), ჩვენ დრომდე არ მოღწეულა ხელნაწერის დაზიანების გამო.

მაგრამ ის ანდერძებიც, რომლებიც შენახულა ხელნაწერის შუა ნაწილებში, და რომლებიც დართულია კრებულის ცალკე განყოფილებებთან, მნიშვნელოვანია; ეს ანდერძები გვაძლევენ საშუალებას ზუსტად დავადგინოთ კრებულის გადაწერის დრო; ამასთან ეს ანდერძები შუქსა ჰჭენენ კრებულთან დაკავშირებულს სხვადასხვა ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს.

მოგვყავს ეს ანდერძები:

ანდერძი № 1. ამ ანდერძით მთავრდება საწელიწდო იადგარის შესავალი ნაწილი („ძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი“); ანდერძი მოთავსებულია იადგარის ამ შესავალი ნაწილის — ძლისპირთა შემდეგ და იადგარის I განყოფილების წინ. იგი ასე იკითხვის:

ა (იხ. ხელნაწერის გვ. 43; ნაწერია მთავრულით, წითლურით):

„ღიდებამა შენდა, ქრისტე, დაესრულნეს შეწვენითა შენითა ძლისპირნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, სადიდებელად სახელისა შენისათვის წმიდისა...“

ქრისტე, მფლობელო ორთავე სუფევათაო, მეოხებითა ყოველთა წმიდათა შენთაჲთა, უშეტეს აღიღე შენ მიერ ღირსად გვრგვინოსანი უძლეველი მეფეთა მეფე და ვით კურაპალატი და დასკენ ყოველნი მტერნი და წინააღმდეგომნი შეფუობისა მათისანი ქუეშე ფერკთა მათთა უძლეველითა ძალითა მკლავისა შენისაჲთა, ამენ, იყავნ“.

ბ (იხ. ხელნაწერის გვ. 44; ნაწერია მთავრულით, შავით):

„შეწვენითა ღმრთისაჲთა, რომელი იგი არს მიზეზი ყოვლისა კეთილისაჲ, მე გლახაკმან მიქაელ მოდრეკილმან, ძმის-წულმან ღმერთშემოსილისა მამისა და ვითისმან, ვილუაწე და ყოვლით კერძო შრომაჲ ვარუენე უზეშთაეს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულს-შოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერძოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართ-ველთაჲთა მეხურნი: ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, და დავეწერენ წმიდასა ამას შინა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და ქეშმარიტებითა, და ესრეტ განვაწესე თავით თვისით, და უმჯობეს ვყავ უმეცრებითა სიგლახაკისა ჩემისაჲთა, რაჲმეთუ ყოველსა კმასა პირველ უფალო-ღაღატყავისა ძლისპირნი დავწერენ და შემდგომად გალობათანი, თვნიერ ქარაგ-მისა, და ყოვლითურთ სრულ იქმნა მუშაკობაჲ ესე საღმრთოჲ ძალითა და შეწვენითა ყოვლად სახიერისა მხოლოჲსა ღმრთისაჲთა...“

(ამის შემდეგ იწყება საწელიწდო იადგარის I განყოფილება).

ანდერძი № 2. მოთავსებულია დეკემბრის თვის საგალობელთა ბოლოში (I განყოფილება); იხ. ხელნაწერის გვ. 111 (ნაწერია მთავრულით, წითლურით):

„ქრისტე ღმერთო, დიდებამა შენდა, დაესრულა თთუშ დეკემბერი.“

უფალო, აღიღე უძლეველი მეფე და ვით კურაპალატი, ამენ.

უფალო, წყალობით მოიკსენე სული უღირსთა მონათა შენთაჲ და ვითისი და გლახაკისა მიქაელ მოდრეკილისაჲ“.

ანდერძი № 3. მოთავსებულია განცხადების (ნათლისღების) საგალობელთა ბოლოში (I განყოფილება); იხ. ხელნაწერის გვ. 171 (ნაწერია მთავრულით, წითლურით):

„ქრისტე ღმერთო, რომელმან ნათლისღებითა სოფელი განანათლე, წყალობით მოიკსენე სული და ვითისი და მიქაელისი“.

ანდერძი № 4. მოთავსებულია VI განყოფილების თავში; იხ. ხელნაწერის გვ. 357 (ნაწერია მთავრულით, წითლურით):

„აღდგომაო და ცხოვრებაო მოსავთა შენთაო, მიზეზო კეთილისაო ქრისტე, უხუებით მომნიჭე-ველო ნიკთა სრულთა მადლისა შენისათა, კურთხეულ არს ცხოველს-მყოფელი სახელი წმიდაჲ შენი...“

ქრისტე აღიღენ უძლეველი მეფენი სუმბატ და გურგენ“.

ანდერძი № 5. მოთავსებულია VI განყოფილების პირველი ნაწილის ბოლოში (IV კმის საგალობელთა დასასრულში); იხ. ხელნაწერის გვ. 457 (ნაწერია მთავრულით, წითლურით):

„ქრისტე ღმერთო... დაესრულა კერძოჲ საგალობელთა აღდგომისა შენისათაჲ. უფალო, წყალობით მოიკსენე სული, და ვითისი“.

ან დერძი № 6. ბოლოსტყეა VI განყოფილებისა. იხ. ხელნაწერის გვ. მ (პირველი აბზაცი ხაწერია მთავრულით, წითლურით; დანარჩენი ტექსტი, — სიტყვებიდან „შეწენითა დიდად სახიერისა...“, — შავით):

„დიდება შენდა ქრისტე, მიზეზო ყოვლისა კეთილისაო. დაესრულნეს შეწენითა შენითა საგალობელნი წისა აღდგომისა შენისანი, რომლითა ილიდების ცხოველს-ყოფელი სახელი წა შენი...“

შეწენითა დიდად სახიერისა ღმრთისადათა, მე გლახაკმან და ფრიად უღებებით ცხოვრებულმან, ღელვათა სოფლისათა დანთქმულმან და სიმძიმითა ბრალთა სიმრავლისადათა დაღონებულმან მიქაელ მოდრეკილმან, ვილუაწე და უზეშთავს უძღურისა ძალისა ჩემისა შრომადა ვაჩუენე და შეგკრიბენ საგალობელნი ესე წისა აღდგომისანი, რომელნი ვპოენ ენითა ქართველთადათა მეხურნი: ბერძულნი და ქართულნი, სრულნი ყოვლითა განგებითა, წესისაებრ საეკლესიოდასა, უფალო დაღატყავითა, ოხითითა, მოიხილითა და აქებდითითა. ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით, სისწორითა კალომასადათა და უცთომელობითა ნიშნისადათა.

იხილე, მღვდლო ღმერთ-შენოსილო, კინნაკი ესე ნამუშავეი უნდოთა კელთა ჩემთადა, რაჟამს უშრომელად აღმოვიგოს საღმრთოდასა ამისგან წყაროდასა. მოიკსენე საწყალობელი სული ჩემა ქრისტეს სიყუარულისათვის, რაჟამთა თქუენცა კაოვით მაღლი მოწყალებისადა და სასყიდელი სიყუარულისადა, რომელნი იკითხვიდეთ, ისწავებდეთ, გინათუ ისმენდეთ სიტყუათა ღმრთიე-სულიერთა საგალობელთა ღმრთისათა...“

უფალო, წყალობით მოიკსენე სული მამისა და ვითისი, იოვანესი, და ვითისი, და წყალობა ყვე საწყალობელისა მიქაელისათვის“.

3

მიქაელ მოდრეკილის კრებულის გადაწერის დრო

მიქაელ მოდრეკილის ზემოთმოყვანილ ანდერძებში მოიხსენებიან შემდეგნი ისტორიულნი პირნი:

1. დავით III დიდი, კურაპალატი (961/978 — 1001 წ.წ.).

დავით გახდა მფლობელი იმიერი ტაოსი 961 წლიდან. (961 — 66 წლებში დავითი არაჲ თანამმართველი თავისი ძმის ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა, ხოლო 966 წლიდან, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის გარდაცვალების შემდეგ, დავითი ერთპიროვნული ხელმწიფეა). 961 წლიდანვე დავითმა მიიღო მაგისტროსის ტიტული. 977/978 წლებში დავითმა მიიღო კურაპალატობა და შემოიერთა ზიზანტიიდან აღმოსავლეთის მხარენი. გარდაიცვალა 1001 წელს.

2. გურგენ მეფე (მეფეთა-მეფე), 975/978/994 — 1008 წ.წ.

975 წლიდან გურგენი არის ფაქტობრივი მმართველი შიდა-ქართლისა. 978 წელს, თავისი მამის ბაგრატ II-ის სიკოცხლეში, მიიღო მეფის (მეფეთ-მეფის) ტიტული (მას შემდეგ, რაც გურგენის შვილი ბაგრატ III მეფედ ეკურთხა დასავლეთ საქართველოში). 994 წლიდან გურგენი, მამის გარდაცვალების შემდეგ, ხდება მფლობელი ამიერი ტაოსი, და ამავე დროს იგი არის თანამმართველი ბაგრატ III-ისა. გარდაიცვალა 1008 წელს.

3. სუმბატ არტანუჯელი, ერისთავთ-ერისთავი, ხელმწიფე (მეფე) კლარჯეთისა (941/966 — 988 წ.წ.).

სუმბატი მიიღებს სამფლობელოდ კლარჯეთის დედაქალაქს არტანუჯსა და კლარჯეთის სანახებს 941 წელს. იგი რჩება კლარჯეთისა და არტანუჯის მფლობელად ეიდრე გარდაცვალებამდე (გარდაიცვალა 988 წელს).

966 წელს სუმბატს მიეკუთვნა ერისთავთ-ერისთავის ტიტული (ბაგრატ ერისთავთ-ერისთავის გარდაცვალების შემდეგ).

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ტიტული „ერისთავთ-ერისთავისა“ სუმბატს მიეკუთვნებოდა საქართველოს სახელმწიფოს ზოგადი იერარქიის ხაზით, ხოლო ამავე დროს სუმბატი იყო მფლობელი-ხელმწიფე კლარჯეთის მხარისა. კლარჯეთში გადაწერილ ძეგლებში სუმბატს

ბეფის ზედწოდება მიემართება. ასე, იხილეთ ანდერძი შატბერთული სახარებისა, რომელიც გადაწერილია 973 წელს კლარჯეთში (შატბერთის სავანეში), და რომელ ანდერძშიაც ჩვენ ვკითხულობთ: „ღირს ექიმენ... იოვანე, ნართულად ბერაჲ, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა...“, სალოცველად შეფეთა ჩუენთათვის: ბაგრატ ქართველთა მეფისა, დავით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა-ერისთავისა“.

ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი, როგორც მფლობელი-ხელმწიფე კლარჯეთისა, „მეფის“ ტიტულით მოიხსენება აქ იმნაირადვე, როგორც მის გვერდით დასახელებულნი ბაგრატ ქართველთა მეფე და დავით მაგისტროსი, — სამივე ესენი არიან, კლარჯი მწერლის სიტყვით, — „მეფენი ჩუენნი“.

დასახელებულ სამ მეფეთაგან, — პირველი არის ბაგრატ II (მამა გურგენისა); დავით მაგისტროსი — არის დავით III, რომელმაც შემდეგ, 977/8 წლ., კურაპალატის ტიტული მიიღო, ე. ი. ცნობილი დავით კურაპალატი; ხოლო მეფე სუმბატ, ერისთავთ-ერისთავი, არის იგივე მეფე სუმბატ (ერისთავთ-ერისთავი), რომელსაც მოიხსენებს მიქაელ მოდრეკილი გურგენის გვერდით („მეფენი სუმბატ და გურგენ“; იხ. ანდერძი № 4)¹.

ის გარემოება, რომ მიქაელ მოდრეკილის კრებულში ერთდროულად მოიხსენებიან ზემოთჩამოთვლილნი ისტორიულნი პირნი, ცხად-ჰყოფს, რომ მიქაელ მოდრეკილის კრებული გადაწერილია 978 — 988 წლებში:

არა უადრეს 978 წლისა, რამდენადაც დავითმა კურაპალატის ტიტული მიიღო 977/978 წლებში, ხოლო გურგენმა მეფის ტიტული 978 წლიდან;

არა უგვიანეს 988 წლისა, რადგან ამ წელს გარდაიცვალა კლარჯეთის მფლობელი სუმბატი.

დ

მიქაელ მოდრეკილის მოღვაწეობის ადგილი — შატბერთი.

იმისათვის, რათა გათვალისწინებული გვექონდეს ყველა მასალები, რომლებიც მიქაელ მოდრეკილს შეეხება, დამატებად იმ მასალებისა, რაც ზემოთ იყო მოყვანილი, მოგვყავს აქ ანდერძები სამი ხელნაწერისა, რომელთაგან ერთი გადაწერილია ოშკში (ტაოში) 977 წელს, ხოლო ორი შატბერთში (კლარჯეთში) X საუკუნის 70-იან წლებში.

1. ანდერძი ოშკის 077 წლის ხელნაწერისა (კრებულისა «სამოთხე»).

ამ ხელნაწერი კრებულის დამზადების ინიციატორი და დამკვეთელი ყოფილა X საუკუნის მეორე ნახევრის განთქმული მოღვაწე იოანე-თორნიკე (თორნიკე ერისთავი). ანდერძი ხელნაწერისა, იოანე-თორნიკეს დავალებითა და სახელით, შეუდგენია და ჩაუწერია ხელნაწერში დავითს, რომელიც თავის თავს მიქაელ მოდრეკილის დის-წულად მოიხსენებს.

მოგვყავს ეს ანდერძი, რომელიც ბევრნაირად არის საყურადღებო:

¹ აქ საჭიროა აღენიშნოთ ამასთან, რომ სუმბატის სახელწოდებით აქ, ცხადია, არ შეიძლება იგულისხმებოდეს სუმბატ, ძე ბაგრატ II-ისა, რომელიც გარდაიცვალა 992 წელს. ჯერ ერთი ეს მეორე სუმბატი უმცროსი იყო გურგენზე და, ცხადია, მას არ დასახელებდნენ გურგენის წინ („მეფენი სუმბატ და გურგენ“); ხოლო, რაც მთავარია, სუმბატ ბაგრატის-ძეს არ ეჭირა X საუკუნის სახელმწიფოებრივ იერარქიაში ისეთი ადგილი, რომ მისთვის მეფე ეწოდებინათ; იგი არც მოიხსენება არსად მეფის სახელით.

„მე იოანე თორნიკ-ყოფილმან, და ძმამან ჩემმან იოანე ცარაზუეაჩე, ძეთა სულეურთხეულისა ჩორდევანელისათა, მოვიგეთ და დაეწერეთ წმიდათა ესე წიგნი, რომელსა ეწოდების წმიდათა მამათა მიერ «სამოთხმ»... სალოცველად და სადიდებელად პირველად ძლიერისა და ღმრთისმსახურისა მეფისა და ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატისა და დავითისათვის... რამეთუ მართლმადიდებლობისა თვალი არს და ნსგაესად შემოქმედისა თვისისა სიმდაბლისა წესსა შინა დაუკლებელად იქვეის... და მათთა შემდგომად სალოცველად თავთა ჩუენთა: პირველად იოანე თორნიკ-ყოფილმან და აწ წმიდათა მეფეთა მიერ იოანე სენგელაზისათვის, — რომელმანცა სიყუარულისათვის ღმრთისა დაუტკეა დიდებამ ქუეყანისა და პოვა ზეცისა... მსწრაფლ შეიცვალა ხატი ერისკაცობისა და შეიმოსა სახე მეუღაბნოეთამ... და ერთგულებით ქმსახურა ძელსა ცხოვრებისასა და წმიდათა მეფეთა, რაჟამს იგი აღმოჩნდა ქუეყანასა საბერძნეთისასა კაცი განლაღებული [სკლიაროსი] და მქდომად აღუდგა წმიდათა მეფეთა: ამან ისწრაფა და მოიწია ძლიერისა და ყოველ კერძოვე უძლეველისა დავით კურაპალატისა და ბრძანებითა ამითთა დაამხუა განზრახეამ მისი და განამტკიცნა წმიდანი მეფენი..., და მერმე იოანე ცარაზუეაჩისათვის, და მეუღლისა მისისა, და შვილთა მისთა: მიქაელისა, ჩორდევანელ ზორავეარისა, ჩოროლოდისათვის და თორნიკისათვის; და ძმისწულთა ჩემთა * ჩორდევანელ პატრიკისათვის და ბაგრატ პატრიკისათვის; და სალოცველად სულისა ბაგრატ მაგისტროსისა, და შმობელთა ჩემთა ჩორდევანელისათვის, და მარიამისათვის, და ძმათა ჩემთა ბაგრატისათვის და არშუშამსათვის და აბუპარბისათვის და მამის-ძმისა აბუპარბისათვის და არშუშამსათვის, და ყოვლისა სახლისა ჩემისა მიკვალე-ბულთათვის...

„დაიწერა წმიდათა ესე წიგნი დიდებულსა ლეარასა ოშქს... მამობასა საბამსა, — ქრისტემან აკურთხენი — ქელითა სტეფანე დეკანოზისა მათა, და მისითავე ქელითა შეიმოსა. ღმერთმან აკურთხენი ქრონიკონი იყო რკზ [=977 წ.].

ესე ანდერძი მე უღირსმან დავით, დისწულმან ღმერთმემოსილისა მიქაელ მოდრეკილისამან, დაეწერე“ 1.

მიქაელ მოდრეკილი იმდენად განთქმული მოღვაწე ყოფილა, რომ დავითი თავის-თავს მოიხსენებს არა მამის-შვილობით, არამედ მიქაელ მოდრეკილის დის-წულობით, რომელსაც „ღმერთ-შემოსილს“ უწოდებს.

2. ანდერძი შატბერთული კრებულისა 969 — 976 წლებისა 2.

ქართული ლიტერატურის ისტორიაში კარგად ცნობილი შატბერთული (შატბერდული) კრებულის ანდერძში, რომელიც დაწერილია შატბერთელი მწერლის იოანე ბერაჟს მიერ, ვკითხულობთ:

„...შეუდგე კეთილსა გულს-მოდგინებასა მე ცოდვილი და უნარჩევესი ყოველთა მოწესეთამ იოანე ბერაჟი და განეასრულე წმიდათა ესე წიგნი: [1] კაცისა შესაქმმ, და შეორედ წიგნი თუალთამ და [3] სახის-მეტყუელი, და [4] იხოლიტე, და [5] ქართლისა მოქცევა, და [6] ცხოვე-

(*) ე. ი. იოანე თორნიკ-ყოფილისა; ანდერძი იოანე თორნიკ-ყოფილის სახელით არის დაწერილი.

¹ იხ. R. Blake, Catalogue des manuscrits ... d'Yviron au mont Athos, გვ. 49 — 50. შეად. დიმიტრი ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, გვ. 243 — 245; ალ. ცავარელი, Сведения, I, გვ. 89 — 91; თ. ყორღანია, ქრონიკები, I, გვ. 107 — 108.

² თარიღის დაზუსტება ხერხდება ხელნაწერში მოთავსებული საბერძნეთის მეფეთა სიის მიხედვით.

ბაჲ იაკობ ნისიბინელისაჲ — და [7] თარგმანებაჲ ზოგთა-რე ფსალმუნთა დაეითოსათა, ზოღუწებითა და თანადგომითა დედის-ძმისა ჩემისა მიქაელისა, და ძმისა ჩემისა დავითისა, და სხუაჲ არაჲ არაეისი ჰრთავს, თვნიერ სიგლახაქისა ჩემისა; და შეეწირე შატბერდს... რომელსაცა შინა აღვიზარდე..“

შატბერთული კრებულის ხელნაწერის განხილვიდან ირკვევა, რომ მისი ერთი ნაწილი გადაწერილია მიქაელ მოდრეკილის მიერ.

ჩვენ უკვე ვნახეთ ოშკური 977 წლის ხელნაწერის ანდერძში, რომ დაეითი თავის-თავს მოიხსენებს მიქაელ მოდრეკილის დის-წულად. ხოლო შატბერთის კრებულის ანდერძიდან ირკვევა, რომ იოანე ბერაჲ ყოფილა ძმა დაეითისი და ამრიგად იოანე ბერაჲც მიქაელის დის-წული ყოფილა.

შატბერთის კრებულის ანდერძის თანახმად, მთავარი ნაწილი ამ შესანიშნავი კრებულისა გადაუწერია იოანე ბერაჲს, ხოლო იოანე ბერაჲსათვის დახმარება გაუწევიათ ბიძას (დედის-ძმას) მიქაელს და ძმას დაეითს, — წიგნი შესრულებული არისო, გადმოგვცემს იოანე ბერაჲ, — «მოღუაწებითა და თანადგომითა დედის-ძმისა ჩემისა მიქაელისა და ძმისა ჩემისა დაეითისითა».

მიქაელ მოდრეკილის ცნობილი კრებულის (საწელიწდო იადგარის ხელნაწერის) და აქ დასახელებული შატბერთის კრებულის შედარებითი განხილვიდან დასტურდება, რომ შატბერთის კრებულში მიქაელ მოდრეკილს გადაუწერია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“; ხელი მიქაელ მოდრეკილის კრებულისა და ხელი „ქართლის მოქცევისა“, რომელიც შატბერთის კრებულშია მოთავსებული, ერთი და იგივეა.

3. ანდერძი შატბერთული სახარებისა 973 წლისა.

ხელნაწერი გადაწერილია იმავე იოანე ბერაჲს მიერ და ანდერძიც მის მიერვე არის დაწერილი.

ნაწყვეტი ამ ხელნაწერის ანდერძიდან ზემოთაც გვქონდა მოყვანილი. მოგვყავს ანდერძის ძირითადი ნაწილი:

„...ღის ვიქმენ... იოანე, ნართულად, ბერაჲ, აღსრულებად წმიდასა ამას სახარებასა... სალოცველად მეფეთა ჩუენთათვის: ბაგრატ ქართველთა მეფისა, დაეით მაგისტროსისა, სუმბატ ერისთავთა-ერისთავისა...“

„...მე იოანე ბერაჲმან, მწერალმან შატბერდელმან, შატბერდს დავეწერე და პარხალს შევწირე სალოცველად ყოველთა ძმათა შატბერდელთა“.


შევაჯამოთ ამის შემდეგ ყველა ის ცნობები, რომელთაც შეიცავს ზემოთწარმოდგენილი ანდერძები X საუკუნის ხელნაწერებისა.

მოგვყავს ჯერ ამ ანდერძებში მოხსენებულ პირთა გენეალოგიური ნუსხები¹:

ა) იოანე-თორნიკე (თორნიკე ერისთავი) და მასთან ნათესაობაში მყოფნი პირნი (იხ. ნუსხა 767 გვერდზე).

¹ გენეალოგიურ ნუსხათა მოყვანა მით უფრო აუცილებელი ხდება, რომ ზოგი მკვლევარი ერთმანეთში ურეკს სხვადასხვა ცნობებს და მიქაელ მოდრეკილს ხან აცხადებენ თორნიკე ერისთავის ბიძად, დაეით მტბევეარის ძმად, ხან ეფთვმე მთაწმიდელის ძმად; ყოველსავე ამას, როგორც ეს ცხადია ზემოთ-მოყვანილი ტექსტებიდან, არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან.

ბ) მიქაელ მოღრეკილი და მასთან ნათესაობაში მყოფნი პირნი:



დასახელებულნი პირნი მოიხსენებია:

1. დავით, ბიძა მიქაელ მოღრეკილისა: მიქაელ მოღრეკილის კრებულის ანდერძში № 1.
2. მიქაელ მოღრეკილი: ა) შატბერთის კრებულის ანდერძში (969 — 976 წ.წ.); ბ) ოშკური ზელნაწერის ანდერძში (977 წ.); გ) თვით მიქაელ მოღრეკილის კრებულის ანდერძებში.
3. იოანე ბერაჲ: ა — ბ) ორივე შატბერთული ზელნაწერის ანდერძში; გ) მიქაელ მოღრეკილის კრებულის ანდერძში № 6.
4. დავით, ძმა იოანე ბერაჲსა: ა) შატბერთის კრებულის ანდერძში (969 — 976 წ.წ.); ბ) ოშკური ზელნაწერის ანდერძში (977 წ.); მიქაელ მოღრეკილის კრებულის ანდერძებში №№ 2, 3, 5.



მოყვანილი ცნობებიდან ირკვევა, რომ ძირითადი სამოღვაწეო ადგილი მიქაელ მოღრეკილისა და ძმების იოანე ბერაჲსა და დავითისა ყოფილა გრიგოლ ზანძთელის მიერ დაარსებული სავანე შატბერთი, კლარჯეთში. ისინი, ჩანს, წარმოშობითაც შატბერთის სანახებიდან, კლარჯეთიდან ყოფილან. იოანე ბერაჲ გადმოგვცემს, რომ იგი შატბერთში აღიზარდა (იხ. ანდერძი შატბერთული კრებულისა 969 — 976 წ.წ.).

თვითეულ ამ პირთა შესახებ შემდეგი ცნობები გვაქვს:

1. იოანე ბერაჲ, როგორც ირკვევა, მუდმივად შატბერთში მოღვაწეობდა; იგი მოიხსენებს კიდევ თავის-თავს ასეთის ზედწოდებით: „მწერალი შატბერდელი“ (იხ. ანდერძი შატბერთული სახარებისა 973 წ.).

იოანე ბერაჲ, ჩანს, გარდაცვლილა X საუკუნის 70-იან წლებში. მიქაელ მოღრეკილის კრებულის გადაწერის დროს (978 — 988 წ.წ.) იგი, საფიქრებელია, უკვე ცოცხალი აღარ იყო (მიქაელის კრებულში იოანე მხოლოდ ერთხელ არის დასახელებული საერთო მოსახსენებელში, — იხ. ანდერძი № 6).

2. დავითი, ძმა იოანე ბერაჲსა, X საუკუნის 70-იან წლებში, როგორც ვნახეთ, შატბერთში მოღვაწეობს. 977 წელს მას შატბერთის მეზობლად, ოშკში ვხვდავთ. შემდეგ იგი, ჩანს, შატბერთში ბრუნდება. დავითს, საფიქრებელია, ერთგვარი თანამოღვაწეობა გაუწევია. მიქაელისათვის საწელიწდო იადგარზე მუშაობის დროს, რამდენადაც დავითი არა ერთგვის მოიხსენება იადგარის ანდერძებში.

3. მიქაელ მოღრეკილი, როგორც ირკვევა, შატბერთელი მოღვაწეა. 969 — 976 წლებში იგი, როგორც ვნახეთ, შატბერთში მკვიდრობდა და მონაწილეობა მიუღია შატბერთის კრებულის შედგენაში (გადაუწერია ძველ-ქართული საისტორიო ძეგლი „მოქცევაჲ ქართლისაჲ“).

რომ კერძოდ საწელიწდო იადგარის კრებული მიქაელ მოდრეკილისა შატბერთის სავანეში, კლარჯეთშია გადაწერილი, ამას მიუთითებს აგრეთვე შემდეგი ნიშანდობლივი ჩვენებაც.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ მიქაელ მოდრეკილის კრებულის ანდერძში მოიხსენება კლარჯეთის მფლობელი სუმბატ ერისთავთ-ერისთავი არტანუჯელი — მეფის ტიტულით. დასახელება ანდერძში კლარჯეთის ადგილობრივი მფლობელისა, და მით უფრო დასახელება მისი მეფის ტიტულით, ცხადია, იმისი მაჩვენებელია, რომ კრებული კლარჯეთშია გადაწერილი.

მაგრამ აქ შესაძლოა მეტიც აღინიშნოს. მიქაელ მოდრეკილი არათუ მოიხსენებს კლარჯეთის მფლობელს მეფის ტიტულით, არამედ იგი ასახელებს მას გურგენ მეფის წინ. ანდერძში ისინი ასე არიან მოხსენებული: „ქრისტე აღიღენ უძლეველნი მეფენი სუმბატ და გურგენ“ (იხ. ანდერძი № 4).

უნდა ვიცოდეთ, რომ როდესაც იწერებოდა მიქაელის კრებული, ე. ი. 978 — 988 წლებში, გურგენი იყო ფაქტიური განმგებელი შიდა-ქართლისა, დასავლეთ საქართველოსი, და მესხეთის ერთი ნაწილისა (ამიერი ტაოსი); სუმბატ ერისთავთ-ერისთავი კი იყო მფლობელი ერთი კუთხისა, კლარჯეთის მხარისა. ამრიგად ის გარემოება, რომ მიქაელ მოდრეკილი კლარჯეთის ამ ადგილობრივ მფლობელს მოიხსენებს გურგენზე უფრო ადრე, მხოლოდ იმით შესაძლოა იქმნეს გამართლებული, რომ მიქაელ მოდრეკილი კლარჯეთის მკვიდრი იყო და რომ მიქაელის კრებული კლარჯეთში, შატბერთის სავანეშია გადაწერილი.

0

მიქაელ მოდრეკილის კრებულში შეტანილია «საწელიწდო იადგარი» გრიგოლ ხანძთელისა

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ მიქაელ მოდრეკილის კრებული დაზიანებულად არის მოღწეული, მას აკლია თავი და ბოლო, და ამიტომაც მთავარი ანდერძები მიქაელ მოდრეკილის კრებულისა, რომელიც, წესისამებრ, მოთავსებული უნდა ყოფილიყო კრებულის დასასრულში (ბოლო-სიტყვის სახით), აგრეთვე დასაწყისშიაც (წინა-სიტყვის სახით), ჩვენ დრომდე არ მოღწეულა.

მაგრამ ის ანდერძებიც, რომლებიც შენახულა ხელნაწერის შუა ნაწილებში, და რომლებიც დართულია კრებულის ცალკე განყოფილებებთან ცხად-ჰყოფს, თუ რა მიზნებს ისახავდა მიქაელ მოდრეკილი კრებულის შედგენის დროს, თუ რას წარმოადგენს კრებული.

მიქაელ მოდრეკილს ამ კრებულის შედგენით გრანდიოზული საქმე შეუსრულებია: მიქაელ მოდრეკილს ამ კრებულში შეუგროვებია ყველა საგალობლები, რომლებიც მის დროს ქართულს ენაზე არსებულა.

მიქაელ მოდრეკილის კრებული რომ ასეთი სახისაა, ასეთი მოცულობისაა, ეს ეკვიპოტანელად ირკვევა იმ ანდერძების მიხედვით, რომლებიც ჩაწერილია მიქაელ მოდრეკილის მიერ კრებულში.

ასე, ანდერძში, რომელიც მოთავსებულია კრებულის შესავალი ნაწილის ბო-

ლოში (I განყოფილების წინ), მიქაელ მოდრეკილი, როგორც ვნახეთ, შემდეგს გადმოგვცემს:

„შეწევნითა ღმრთისაჲთა, რომელი იგი არს მიზეზი ყოვლისა კეთილისაჲ, მე — მიქაელ მოდრეკილმან, ... ვილუაწუ და ყოვლით კერპო შრომაჲ ვაჩუენე უზეშთაჲს ძალისა ჩემისა და ფრიადითა ხარკებითა და გულს-მოდგინედ ძიებითა შევკრიბენ ძლისპირნი ესე ყოვლით კერპოვე, რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა..., სრულნი ყოვლითა განგებითა, და დაეწერენ წმიდასა ამას. შინა წიგნსა ყოვლითა განმარტებითა და კვებარტებითა..., და ყოვლითურთ სრულ იქმნა მუშაჲობაჲ ესე საღმრთოჲ ძალითა და შეწევნითა ყოვლად სახიერისა მხოლოჲსა ღმრთისაჲთა“ (იხ. ანდერძი № 1).

ამასვე გადმოგვცემს მიქაელ მოდრეკილი მეორე ანდერძში, რომელიც მოთავსებულია ხელნაწერის ბოლო ნაწილში, კრებულის VI განყოფილების დასასრულს და რომელიც ერთგვარ ბოლო-სიტყვას წარმოადგენს; აქ ჩვენ ვკითხულობთ:

„შეწევნითა დიდად სახიერისა ღმრთისაჲთა მე — მიქაელ მოდრეკილმან ვილუაწუ და უზეშთაჲს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომაჲ ვაჩუენე და შევკრიბენ საგალობელნი..., რომელნი ვპოვენ ენითა ქართველთაჲთა..., სრულნი ყოვლითა განგებითა, ...ძლიერად და სიწმიდით და სიმართლით, სისწორითა კილოჲსაჲთა და უცთომელობითა ნიშნისაჲთა.

„იხილე... ნამუშაჲევი უნდოთა კელთა ჩემთაჲ, ოდეს უშრომელად აღმოვიდო საღმრთოჲსა ამისგან წყაროჲსა, მოიკსენე საწყალობელი სული ჩემი ქრისტეს სიყუარულისაჲთჲს, ... რომელნი იკითხვიდეთ, ისწავებდეთ, გინათუ ისწავებდეთ სიტყუათა ღმრთიჲ-სულთაჲთა საგალობელთა ღმრთისაჲთა“ (იხ. ანდერძი № 6).

საკითხავია ამის შემდეგ, რა შედის მიქაელ მოდრეკილის ამ კრებულში, რომელიც თავისი სახეობით «საწელიწდო იადგარის» განვრცობილ რედაქციას წარმოადგენს.

პირველ რიგში აქ, ცხადია, შედის საწელიწდო იადგარი გრიგოლ ხანძთელისა; სწორედ გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი აძლევს ამ კრებულს საწელიწდო იადგარის ტიპურ სახეს, საწელიწდო იადგარის სტრუქტურას.

ჩვენ უკვე დადგენილი გვქონდა, რომ საწელიწდო იადგარი, — პირველწყარო ამ ტიპის კრებულთა, — შედგენილია გრიგოლ ხანძთელის მიერ (როგორც ამას პირდაპირ აღნიშნავს გრიგოლ ხანძთელის ბიოგრაფი გიორგი მერჩულე). გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი არის ის ძირითადი ფენი, რომელიც საფუძვლად უდევს საწელიწდო იადგართა განვრცობილ რედაქციებს.

ხოლო მიქაელ მოდრეკილის კრებულში, საწელიწდო იადგარის ამ განვრცობილ რედაქციაში, რომ არის შესული გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი, ამას დამატებით ადასტურებს შემდეგი:

მიქაელ მოდრეკილი მოღვაწეობდა კლარჯეთში, მისი კრებული, როგორც დადგენილია, კლარჯეთში არის გადაწერილი. სახელდობრ შატბერთის სავანეში, რომელიც დაარსებული იყო გრიგოლ ხანძთელის მიერ.

ხანძთა და შატბერთი, ეს ორი სავანე გრიგოლ ხანძთელისა, იყვნენ პირველ

რიგში დამცველნი გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო ტრადიციებისა. ამ სავანეებში დატული იყო გრიგოლ ხანძთელის სალიტერატურო შრომები; კერძოდ, აქ დატული იყო, როგორც ამას პირდაპირ მიუთითებს გიორგი ფერჩულე. გრიგოლ ხანძთელის მთავარი შრომა — საწელიწდო იადგარი.

მიქაელ მოდრეკილი თვით მოგვიხსრობს იმ დიდი შრომის შესახებ, რომელიც მას საგალობელთა შესაგროვებლად გაუწევია; იგი გადმოგვცემს, — «ვიღუაწე და ყოვლით კერძო შრომაჲ ვაჩუენე უზემთავს ძალისა ჩემისა, და ღრიალითა ხარკებითა გულს-მოდგინედ ძიებითა» — მეუკრიბეო ყველა საგალობლები, რომლებიც კი ქართულ ენაზე მოიპოვებოდაო.

რაკი მიქაელ მოდრეკილს ასეთი დიდი შრომა გაუწევია საგალობელთა ძიებისათვის, რათა არ გამორჩენოდა ქართულ ენაზე არაებულნი საგალობელნი, და სისრულეში მოუყვანია კიდევ თავისი გრანდიოზული საქმე, — ცხადია, მიქაელ მოდრეკილი პირველ რიგში თავის კრებულში შეუტანია გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი, რომელაც საგალობელთა ძირითად კრებულს წარმოადგენდა, და რომლის დედანი დატული იყო გრიგოლ ხანძთელის იმავე სავანეებში, სადაც მიქაელ მოდრეკილი მოღვაწეობდა.

3

მიქაელ მოდრეკილის კრებულის შედგენილობა

გადავიდეთ ამის შემდეგ მიქაელ მოდრეკილის კრებულის შედგენილობის დადგენაზე მთელის მოცულობით.

მიქაელ მოდრეკილის კრებულის ძირითად პირველად ფენს, როგორც აღვნიშნეთ, შეადგენს გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი.

ამას გარდა კრებულში შეტანილია საგალობელნი შემდეგ ავტორთა:

- 2) თვით მიქაელ მოდრეკილისა;
- 3) გიორგი მერჩულისა;
- 4) იოვანე მტბევიარისა;
- 5) ივანე მინჩხისა;
- 6) სტეფანე სანანოძის-ძე ჭყონდიდელისა;
- 7) ეზრასი;
- 8) ივანე ქონქოზის-ძისა;
- 9) ბასილი ხანძთელისა;
- 10) კურდანი — კვრიკესი;
- 11) მაკარი ლეთეთელისა;
- 12) ანონიმებისა.

ჩვენს წინაშე იდგა ასეთი საკითხი: გამოგვერკვია, თუ რა ეკუთვნის ყველა ამ დანარჩენს ზემოთ-ჩამოთვლილ ავტორებს და ანონიმებს, რათა ამ ავტორთა და ანონიმთა ტექსტების გამოკლებით მიგვეღო მიქაელის კრებულის ის პირველადი ძირითადი ფენი, რომელიც შეადგენს გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარს.

სულ მიქაელ მოდრეკილის კრებულში (ე. ი. კრებულის იმ ნაწილში, რომელიც ჩვენ დრომდე გადარჩენილია) მოთავსებულია 196 საგალობელი დიდი

ფორმისა, მათ შორის: 193 ეგრეთწოდებული „გალობანი“ („კანონი“); 2 დას-
დებელთა ჯგუფი; 1 შესხმანი.

ამას გარდა კრებულში მოთავსებულია 755 საგალობელი მცირე ფორმისა
(სტიქარონნი „უფალო-ლაღადაყავსა“ და „აქებდითსა“, „ოხითანი“ და სხვანი) ¹.

მიქაელ მოდრეკილის კრებულის ტექსტების ანალიზიდან ირკვევა, რომ
კრებულის ძირითად პირველად ფენს [= გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო
იადგარს] ეკუთვნის კრებულის დაახლოებით ერთი მესამედი.

სახელდობრ კრებულის დიდი ფორმის 196 საგალობელთაგან, ძირითად
პირველად ფენს [= გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარს] ეკუთვნის 81
საგალობელი; ხოლო კრებულის მცირე ფორმის 755 საგალობელიდან კრებუ-
ლის ძირითად ფენს [= გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარს] ეკუთვნის
123 საგალობელი.

მიქაელ მოდრეკილის კრებულის შედგენილობა დაწერილებით აღნუსხულია
სპეციალურ დამატებაში, რომელიც ერთვის ამ წიგნს (იხ. დამატებანი,
გვ. 01 — 038 და 0107 — 0120).

აქ კი მოკლედ ჩამოვთვლით, თუ რა ეკუთვნის კრებულში თვითეულ ავტორს.

2. მიქაელ მოდრეკილი.

მიქაელ მოდრეკილს, X საუკუნის ამ გამოჩენილს პოეტს ჰიმნოგრაფს, ეკუთვ-
ნის მნიშვნელოვანი ნაწილი კრებულში მოთავსებული საგალობლებისა. სახელ-
დობრ მიქაელ მოდრეკილს ეკუთვნის 31 საგალობელი დიდი ფორმისა და 151
საგალობელი მცირე ფორმისა.

ამას გარდა ცალკე ჯგუფს შეადგენს მიქაელური მცირე ფორმის საგალო-
ბელნი („მოიხილესა“, სხვადასხვა სტიქარონნი, ოხითანი), საერთო რიცხვით
217, დართული სხვა ავტორების საგალობლებთან დამატებათა სახით.

მიქაელ მოდრეკილის ტექსტების გამოყოფა შესაძლო გახდა შემდეგი მაჩ-
ვენებლების მიხედვით:

ა) ჩვენ დავადგინეთ მიქაელ მოდრეკილის ფსევდონიმი კრიპტოგრამა;

ბ) სპეციფიურია მიქაელ მოდრეკილის სალექსო ფორმა. მიქაელის ჰიმნები
„მოკაზმული“ ხასიათისაა. კერძოდ, მიქაელი ხშირად მიმართავს აკროსტიხებს;
ამასთან მიქაელი ხმარობს ეგრეთწოდებული ფართო მოცულობის აკროსტი-
ხების ფორმას, რაც მხოლოდ მიქაელ მოდრეკილთან გვხვდება და არ იხმარება
არსად სხვაგან ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიაში VIII — XIII საუკუნეებისა.
აღსანიშნავია ამას გარდა, რომ მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა ერთ-ერთი
ძირითადი ციკლი, საგალობელნი აღვსებისანი რვა-კმანი (მცირე ოქტოიხო),
გაერთიანებულია „მოკაზმულ“ ფორმათა გარკვეული წყობით.

¹ მცირე ფორმის საგალობლების საერთო რიცხვში ნაჩვენები გვაქვს აგრეთვე საგალობლე-
ბი „მოიხილესა“ (გალობათა დამატებითი მუხლი I-ა). მცირე საგალობელთა საერთო რიცხვიდან
755 „მოიხილეს“ ჯგუფის საგალობლებზე მოდის 153.

გ) უაღრესად თავისებურია მიქაელ მოდრეკილის სტილი. კერძოდ, საგალობელთა ერთი ჯგუფის მიქაელისადმი კუთვნილების დადგენა შესაძლო ხდება „საქვეყნო სათხოვართა“ ტექსტის მიხედვით.

მიქაელის ავტორობის საკითხს ჩვენ ცალკე ნარკვევს ვუძღვნით სპეციალურ დამატებაში (იხ. გვ. 024 — 031).

3. გიორგი მერჩულე.

გიორგი მერჩულეს მიქაელ მოდრეკილის კრებულში ეკუთვნის 21 საგალობელი დიდი ფორმისა („გალობანი“) და 46 საგალობელი მცირე ფორმისა.

გიორგი მერჩულის საგალობლებს ჩვენ საგანგებოდ ვეხებით სპეციალურად თავში გიორგი მერჩულის შესახებ (იხ. თავი VII, თ.).

4. იოვანე მტბევარი.

იოვანე მტბევარს ეკუთვნის 14 საგალობელი დიდი ფორმისა (გალობანი — 12, დასდებელთა ჯგუფები — 2) და 49 საგალობელი მცირე ფორმისა.

იოვანე მტბევარის საგალობელნი ყველა სახელ-წარწერილია.

5. ივანე მინჩხი.

ივანე მინჩხს ეკუთვნის 3 საგალობელი დიდი ფორმისა (გალობანი) და 11 საგალობელი მცირე ფორმისა.

ივანე მინჩხის საგალობელნი სახელ-წარწერილია.

6. სტეფანე სანანოას-ძე ჰყონდიდელი.

სტეფანე სანანოას-ძეს ეკუთვნის 1 საგალობელი დიდი ფორმისა და 4 საგალობელი მცირე ფორმისა.

სტეფანე სანანოას-ძის საგალობლებიც აგრეთვე სახელ-წარწერილია.

7. ეზრა.

ეზრას ეკუთვნის 1 საგალობელი დიდი ფორმისა (გალობანი) და 3 საგალობელი მცირე ფორმისა.

ეზრას საგალობელი სახელ-წარწერილია. ამას გარდა ავტორის ვინაობა აღნიშნულია აკროსტიხით.

8. ივანე ქონქოზის-ძე.

ივანე ქონქოზის-ძეს ეკუთვნის 1 საგალობელი დიდი ფორმისა (გალობანი) და 1 საგალობელი მცირე ფორმისა. — სახელ-წარწერილია.

9. ბასილი (ხანძთელი).

ბასილის ეკუთვნის 6 საგალობელი მცირე ფორმისა. ამათგან ერთი სახელ-წარწერილია, დანარჩენთა კუთვნილება ბასილისადმი ირკვევა მათი სპეციფიური ფორმით; ექვსივე საგალობელი დაწერილია ერთიდაიმავე საზომით, შვიდეული სტროფებით (63-მარცვლელი), და გაწყობილია სახელობითი აკროსტიხებით.

(ამას გარდა მიქაელის კრებულში გვაქვს კიდევ 1 მცირე ფორმის საგალობელი, დაწერილი იმავე სახის სახელობითი აკროსტიხით. მაგრამ განსხვავებული საზომით).

10. კურდანაი-კვრიკე.

კურდანაის ეკუთვნის 1 მცირე ფორმის საგალობელი.

საგალობელი სახელ-წარწერილია (ამას გარდა აეტორის ვინაობა აღნიშნულია აკროსტიხით).

11. მაკარი ლეთეთელი.

მაკარის ეკუთვნის ერთი ტექსტი დიდი ფორმისა (შესხმა). — სახელ-წარწერილია.

12. ანონიმები.

ანონიმური ტექსტები, რომლებიც არ ეკუთვნიან კრებულის ძირითადს პირველად ფენს, საკმაოდ ბევრია, სახელდობრ 42 საგალობელი დიდი ფორმისა და 141 საგალობელი მცირე ფორმისა.

რომ ეს საგალობლები გვიანდელი წარმოშობისაა და არ ეკუთვნიან ძირითად ფენს, ეს ირკვევა მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით:

ა) ამ საგალობელთა ხსენებანი არ მოიპოვება ქვემოთ-მოხსენებულ წყაროებში: 1. მიქაელის «კანონში»¹; 2. პალესტინურ იადგართა პირველ

¹ მიქაელის «კანონის» სახელწოდებით აღნიშნული გვაქვს მიქაელ მოდრეკილის ტექსტა «გალობანი ყოველთა წმიდათანი», რამელიც საწელიწდო იადგარს ემყარება და სადაც აღნუსხულია საწელიწდო იადგარის ხსენებანი. ეს ტექსტი მრავალ მხრივ არის მნიშვნელოვანი.

ა) უკრ ერთი, როგორც აღნიშნული გვექონდა, მიქაელ მოდრეკილის კრებული სრულის სახით არ მოღწეულა, კრებულს, დეფექტობის გამო, აკლია ნაწილები; ხოლო დასახელებული ტექსტი, მიქაელის «კანონი», იძლევა საშუალებას აღვადგინოთ მესხური სკოლის საწელიწდო იადგარის ხსენებათა სრული ციკლი.

ბ) ირკვევა ამასთან, რომ მიქაელ მოდრეკილს ეს ტექსტი დაუწერია უფრო ადრინდელ ხანაში, ვიდრე იგი შეადგენდა თავის კრებულს, ვინაიდან აქ არ არის შეტანილი მთელი რიგი ხსენებათა, რომელთა საგალობელნი უფრო გვიან ხანაში მიქაელ მოდრეკილს შეუტანია თავი. კრებულში.

ამის მიხედვით ცხადი ხდება, რომ ყველა ეს საგალობლები, რომელთა ხსენებანი არაა აღნიშნული მიქაელის «კანონში», არ ეკუთვნიან საწელიწდო იადგარის ძირითად ფენს.

მიქაელ მოდრეკილის «კანონის» შესახებ იხ. დაწერილებით სპეციალურ დამატებაში, (გვ. 055 — 062).

წყებაში¹. (ნაწილი ხსენებათა არ მოიპოვება პირველ წყაროში, ნაწილი არ მოიპოვება მეორეში, ნაწილი არაა არც ერთსა და არც მეორეში).

ბ) ეს საგალობლები განსხვავდება ძირითადი ფენის საგალობელთაგან ფორმით. ასე, აკროსტიხების ტიპი სხვაა (უფრო „ფართო“ მოცულობისა); გვხვდება ალიტერაციის სახეობა, რაც ხმარებაში დამკვიდრდა X საუკუნიდან; გვხვდება გალობათა დამატებითი მუხლი „მოიხილესა“, რაც პირველი ფენის საგალობლებში არ ყოფილა; და სხვ.

ასეთია მიქაელ მოდრეკილის კრებულის ეს მეორე ნაწილი, რომელიც წარმოადგენს კრებულის მეორად ფენს და რომელშიაც წარმოდგენილი არიან ავტორები: მიქაელ მოდრეკილი, გიორგი მერჩულე, იოვანე მტბევაი, ივანე მინჩხი, სტეფანე სანანოჲს-ძე, ეზრა, ივანე ქონქოზის-ძე, ბასილი ხანძთელი. მაკარი ლეთეთელი და ამას გარდა მთელი რიგი ანონიმებისა. ეს მეორადი ფენი საერთო რიცხვით შეიცავს 112 საგალობელს დიდი ფორმისა და 632 საგალობელს მცირე ფორმისა.

ამ მეორადი ფენის გამოკლებით ჩვენ ვღებულობთ მიქაელის კრებულის პირველად ძირითად ფენს, — გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარის ტექსტს, — რომელიც საფუძვლად დასდებია მიქაელის კრებულს. ეს ძირითადი პირველადი ფენი მიქაელის კრებულისა, — გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარი შეიცავს, როგორც აღნიშნული გეჰონდა, 81 საგალობელს დიდი ფორმისა და 123 საგალობელს მცირე ფორმისა.

რომ ეს უკანასკნელი საგალობლები ეკუთვნიან კრებულის პირველად ძირითად ფენს, ამის საკონტროლო შემოწმებას დამატებით იძლევა შემდეგი:

1. ყველა საგალობლები ამ პირველადი ძირითადი ფენისა დაწერილია იმ საზომებით, რომელიც ჩვენ გვაქვს ძლისპირთა პირველ ძირითად ნაწილში, აქ არ გვხვდება საზომები ძლისპირთა მეორე ნაწილისა;

2. ყველა ამ საგალობელთა ხსენებანი არის როგორც მიქაელის «კანონში», ისე პალესტინურ იადგარებში.

3. ამ საგალობლებში არ გვხვდება აკროსტიხების გვიანდელი ტიპები. არ გვხვდება ალიტერაციების სახეობა, რაც ხმარებაში დამკვიდრდა X საუკუნიდან, და სხვანი.

ასეთია ის საფუძვლები, რომელთა მიხედვითაც დადგენილია მიქაელის კრებულის შედგენილობა და გარკვეულია მოცულობა კრებულის პირველადი ძირითადი ფენისა — გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარისა.

(უფრო დაწვრილებით მიქაელის კრებულის შედგენილობის შესახებ იხ. სპეციალურ დამატებაში, გვ. 01 — 038 და 107 — 0120).

¹ პალესტინურ იადგართა ტექსტების პირველ წყებას წარმოადგენს ზელნაწერი Sin.—1, (რომლის ტექსტები შემდეგ შესულა უფრო ვრცელს მეორე რედაქციაში Sin — 64, 65 და A — 190).

ერუშენული ქრებული საწელიწდო იადგარისა.
გოლგოთური ქრებული საწელიწდო იადგარისა.

მიქაელ მოდრეკილის კრებული, როგორც ამის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი, დაზიანებულად არის მოღწეული, მას აკლია ნახევარზე მეტი ტექსტი.

შეესება გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარის იმ ნაწილთა, რომელიც აკლია მას მიქაელის კრებულში, შესაძლო ხდება საწელიწდო იადგარის დაზარალებული სელნაწერების მიხედვით.

იმავე მეთოდების გამოყენებით, რომელიც ჩვენ მოვიხმარეთ მიქაელ მოდრეკილის ტექსტების ანალიზისა და დიფერენცირების დროს, საწელიწდო იადგართა დანარჩენ სელნაწერებშიაც ჩვენ გამოვაკლინეთ მათი ძირითადი პირველადი ფენი, რომელიც მომდინარეობს საწელიწდო იადგართა საერთო ძირითადი პირველწყაროდან, — გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარიდან.

ამ სახით გამოვლენილია ძირითადი პირველადი ფენი [=გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარიდან მომდინარე], ხელნაწერებში: **ე რ უ შ ე ნ უ ლ** კრებულში და **გ ო ლ გ ო თ უ რ** კრებულში.

1. საწელიწდო იადგარის ერუშენული კრებული გადაწერილია XI საუკუნის დასაწყისში. იგი წარმოადგენს მესხეთის (ზემო-ქართლის) სკოლის ძეგლს; გადაწერილია მესხეთში, ერუშენში (ერუშეთში), არტაანის მხარეში. (ხელნაწერი ამჟამად დაცულია სვანეთში).

კრებული წარმოადგენს საწელიწდო იადგარის ნაწილს, ერთ ტომს, რომელშიაც შეტანილია საგალობელნი სამი თვის საკალენდარო წრისა, ივნისი — აგვისტო.

2. საწელიწდო იადგარის გოლგოთური კრებული გადაწერილია 1049 წელს (დაცულია საქართველოს სახ. მუზეუმში, H — 2337). წარმოადგენს «ახლად» წოდებული საწელიწდო იადგარის ნაწილს, ერთ ტომს, რომელშიაც შეტანილია საგალობლები ორი თვის საკალენდარო წრისა, — ივლისი — აგვისტო.

ამ ხელნაწერებში, ერუშენულსა და გოლგოთურ კრებულებში, ჩვენ გვაქვს საწელიწდო იადგარის ძირითადი პირველადი ფენი [=გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარიდან მომდინარე] — შემდეგის მოცულობით:

1. საგალობლებში **ი ვ ნ ი ს ი ს** საკალენდარო წრისა (რომელიც დაუცავს ერუშენულ ხელნაწერს) — ძირითად პირველად ფენს ეკუთვნის საგალობლები 11 საკალენდარო თარიღისა, რომელიც შეიცავს 11 საგალობელს დიდი ფორმისა (გალობანი), მცირე ფორმის საგალობელთა დართვით¹.

2. საგალობლებში **ი ვ ლ ი ს ი ს** და **ა გ ვ ი ს ტ ო ს** საკალენდარო წრეებისა (რომლებიც დაუცავს ორივე ხელნაწერს — **ე რ უ შ ე ნ უ ლ ს ა** და **გ ო ლ გ ო თ უ რ ს**) — ძირითად პირველად ფენს ეკუთვნის საგალობლები 25 საკალენდარო თარიღისა, რომელიც შეიცავს 25 საგალობელს დიდი ფორმისა (გა-

¹ მცირე ფორმის საგალობელთა შესახებ იხ. დამატება, გვ. 040, შენიშვნა 1.

ლობანი), მცირე ფორმის საგალობელთა დართვით (ამ უკანასკნელთა რიცხვია 41).

აღწერილობა ერუშენულ და გოლგოთურ კრებულთა და მათი შედგენილობის დეტალური განხილვა იხ. სპეციალურ ნარკვევებში (დამატებანი, გვ. 038 — 052 და 0108).

4.

პალესტინურ საწელიწდო იადგართა კრებულები და მათი შეფარდება მიქაელის «კანონთან»

პალესტინური სკოლის საწელიწდო იადგართა ხელნაწერების ნუსხა წარმოდგენილი იყო ზემოთ (იხ. გვ. 757).

პალესტინური სკოლის საწელიწდო იადგართა ძირითადი ხელნაწერებე საზღვარგარეთ, სინას მთაზეა დაცული. მართალია, არსებობს ამ ხელნაწერთა საკმაოდ დაწერილებითი აღწერილობა, შედგენილი ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ, მაგრამ ისინი, ცხადია, ვერ მოგვეცემენ პასუხს ყველა იმ კითხვებზე, რომელსაც კვლევა-ძიება აღძრავს. თვით ტექსტები ხელმიუწვდომელია.

დასახელებული აღწერილობების ცნობებიდან (ტექსტების სათაურებიდან), აგრეთვე სინური ხელნაწერების სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული ექსცერპტებიდან, დასტურდება, რომ პალესტინურ საწელიწდო იადგარებში შესულია გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარის ტექსტები¹.

ამას გარდა განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს და მნიშვნელოვან დასკვნებს იძლევა შეფარდება პალესტინური იადგარების ხსენებათა სიისა მიქაელის «კანონთან».

ჩვენ უკვე მოხსენებული გვქონდა მიქაელ მორდრეკილის «კანონი», რომელიც საწელიწდო იადგარს ემყარება, და რომელშიაც შესულია საწელიწდო იადგარის ხსენებანი (იხ. ზემოთ, გვ. 774, შენიშვნა. მიქაელის «კანონი» დეტალურად განხილული გვაქვს სპეციალურ ნარკვევში, იხ. დამატება, გვ. 055 — 062).

მიქაელ მორდრეკილის «კანონი» ნაწილობრივ ავსებს იმ დანაკლისს, რომელიც ჩვენ გვაქვს მიქაელ მორდრეკილის კრებულში. მიქაელის კრებული, როგორც აღნიშნული გვქონდა, არ მოღწეულა სრული სახით, კრებულს, დეფექტობის გამო, აკლია ნაწილები; მიქაელის «კანონს» კი დაუცავს საწელიწდო იადგარის ხსენებათა მთელი ციკლი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან ერთი გარემოება, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობა აქვს საწელიწდო იადგარის ძველი მოცულობის დადგენისათვის. საქმე ის არის, რომ მიქაელის «კანონი», როგორც ირკვევა, უფრო ადრინდელი ხანისაა, ვიდრე მიქაელი შეადგენდა თავის კრებულს, საწელიწდო იადგარის განვრცობილს რედაქციას («კანონში» არაა წარმოდგენილი მთელი რიგი ხსე-

¹ ასე, მაგალითად, პალესტინურ იადგარის სინურ ხელნაწერში № 1 წარმოდგენილია გრიგოლ ხანძთელისეული ტექსტები №№ 2 და 16; სინურ ხელნაწერში № 65 წარმოდგენილია გრიგოლ ხანძთელისეული ტექსტები №№ 124 და 125. (გრიგოლ ხანძთელისეული ტექსტების ნომრები შიითიებული გვაქვს 779—785 გვერდებზე მოთავსებული სიის თანახმად).

ნებათა, რომელთა საგალობელნი უფრო გვიან ხანაში მიქაელს შეუტანია კრებულში). ამრიგად მიქაელის «კანონი» ემყარება საწელიწდო იადგარის არა გვიანდელს განვრცობილს რედაქციას, არამედ მესხური სკოლის საწელიწდო იადგარის ადრინდელს რედაქციას.

დასაზუსტებლად საკითხისა, თუ როგორი იყო მოცულობა საწელიწდო იადგარის ადრინდელი სახეობისა, მნიშვნელობა აქვს მიქაელის «კანონისა» და პალესტინურ საწელიწდო იადგართა შედარებით შესწავლას.

ეს შედარება ჩვენ გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ საწელიწდო იადგარის ხსენებათა ადრინდელი სია, ე. ი. ნუსხა იმ ხსენებათა, რომელთაღმე მიძღვნილი იყო საგალობლები როგორც ძველ მესხურ იადგარებში (რომელთაც ემყარება მიქაელის «კანონი»), ისე პალესტინურ იადგართა პირველწყაროში.

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ გადაუწყვეტელად დარჩენილს უკანასკნელ საკითხს გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარის მოცულობის შესახებ.

იმისათვის, რათა აღვადგინოთ სრული სურათი, თუ როგორი მოცულობისა იყო მთლიანი სახით საწელიწდო იადგარი გრიგოლ ხანძთელისა, ეს პირველადი ფენი საწელიწდო იადგართა განვრცობილი რედაქციებისა, — ჩვენ დავგრჩენია გარკვევა ერთი კითხვისა, სახელდობრ საკითხისა: როგორი იყო მოცულობა გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარის იმ ნაწილისა, რომელიც აკლია მიქაელის კრებულს, ერუშენულ კრებულს და გოლგოთურ კრებულს.

ამ კითხვის გარკვევაში ჩვენ დახმარება უნდა გაგვიწიოს მიქაელის «კანონისა» და პალესტინურ საწელიწდო იადგართა შეფარდებაში.

საკითხავია, რა სურათს იძლევა ამ საძიებელი ნაწილისათვის შეფარდება მიქაელის «კანონისა» და პალესტინურ იადგართა?

შეფარდებიდან ირკვევა, რომ საწელიწდო იადგარის იმ ნაწილში, რომელიც აკლია მიქაელის კრებულს, ერუშენულ კრებულს და გოლგოთურ კრებულს, ყოფილა 62 ძირითადი საკალენდარო თარიღი. 62 ძირითადი ხსენება, რომელთაღმე მიძღვნილი ყოფილა საგალობლები. ეს 62 ძირითადი ხსენება არის საერთო ძირითადი ფენი მიქაელის «კანონისა» და პალესტინურ საწელიწდო იადგართა.

სია ამ 62 ხსენებისა, ყველა წყაროებზე მითითებით, წარმოდგენილია სპეციალურ დამატებაში (იხ. დამატებანი, გვ. 053 — 055).

5

დასკვნები

ჩვენ დავამთავრეთ მიმოხილვა საწელიწდო იადგარის ხელნაწერებისა, რომელთა მიხედვით ირკვევა. თუ რა მოცულობისა იყო საწელიწდო იადგართა ძირითადი პირველადი ფენი, — საწელიწდო იადგარი გრიგოლ ხანძთელისა.

წარმოდგენილი მიმოხილვიდან გამოირკვა, რომ ჩვენ დრომდე მოღწეულა გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარის შემდეგ ტექსტები:

1. მიქაელ მორდრეკილის კრებულში: 81 საგალობელი დიდი ფორმისა (გალობანი) და 123 საგალობელი მცირე ფორმისა.

2. ერუშენულ კრებულში — საგალობელი იენისის თვის საკალენდარო წრისა: 11 საგალობელი დიდი ფორმისა (გალობანი), მცირე ფორმის საგალობელთა დართვით¹.

3. ერუშენულ და გოლგოთურ კრებულებში ერთად — საგალობელი ივლისის და აგვისტოს საკალენდარო წრისა: 25 საგალობელი დიდი ფორმისა (გალობანი), მცირე ფორმის საგალობელთა დართვით (ამ უკანასკნელთა რიცხვია 41).

4. ამას გარდა, მიქაელის «კანონისა» და პალესტინურ საწელიწდო იადგართა შეფარდებიდან ირკვევა, რომ საწელიწდო იადგარის იმ ნაწილში, რომელიც აკლია მიქაელის კრებულს, ერუშენულ კრებულს და გოლგოთურ კრებულს, — საწელიწდო იადგარის ძირითადი ფენი შეიცავდა 62 ხსენებას, რომელთაგან მიძღვნილი ყოფილა საგალობელნი.

მიმოხილვის დასასრულს მოგვყავს მთლიანი შემაჯამებელი ნუსხა გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარის შედგენილობისა, საგალობელთა სიით.

• • •

საწელიწდო იადგარი გრიგოლ ხანძთელისა
(შედგენილობა)

A. მიქაელ მორდრეკილის კრებული (ძირითადი პირველადი ფენი). №№ 1 — 28, 124 — 148, 152 — 179.

B. ერუშენული კრებული (ძირითადი პირველადი ფენი). №№ 76 — 86.

C. ერუშენული და გოლგოთური კრებულნი (ძირითადი პირველადი ფენი). №№ 87 — 111.

D. ხსენებათა ნუსხა პალესტინურ საწელიწდო იადგართა და მიქაელ მორდრეკილის «კანონის» მიხედვით. №№ 29 — 75, 112 — 123, 149 — 151.

■

სიაში აღნიშნული გვაქვს:

ა) რა კალენდარულ თარიღთან არის დაკავშირებული საგალობელი;

ბ) ვისდამი, რა ხსენებისადმი არის მიძღვნილი საგალობელი;

გ) საგალობელთა სახეობა. — საგალობელი დიდი ფორმისა აღნიშნული გვაქვს სრული ახელწოდებით: გალობანი. — საგალობელი მცირე ფორმისა აღნიშნული გვაქვს შემოკლებით უ¹ (=შესავალი სტიქარონი, ეგრეთწოდებული „უფალო-დალადაყასა“); ა² (=დამატაურებელი სტიქარონი, ეგრეთწოდებული „აქებდითსა“).

გვერდების აღნუსხვა უჩვენებს: A — ჯგუფთან მიქაელ მორდრეკილის კრებულის გვერდებს, C — ჯგუფთან გოლგოთური კრებულის გვერდებს.

¹ მცირე ფორმის საგალობელთა შესახებ იხ. დამატება, გვ. 040, შენიშვნა 1.

განყოფილება I

(საგალობელნი კალენდარული წრისა 23 ღვემბრიდან — 25 მარტამდე)

- 1) 23. XII. წინამოსწაება შობისა. — უ^ნ; გალობანი აკროსტიხით: „მაცხოვრისა შობასა ღვგლობდეთ“; ა^ნ. (გვ. 54 — 56)
- 2) შობისა წინა კვრიაკე. წინამოსწაება შობისა. — უ^ნ; გალობანი — იამბიკონნი იოანე დამასკელიდან (შენიშვნის დართვით: „ყოველსა მუქლსა 60 შეტყუებაჲ [მარტვალი] აქუს, 5-ჯერ 12“); ა^ნ. (გვ. 65 — 67)
- 3) 24. XII. წინადღესასწაულობა შობისა. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 67 — 70)
- 4-9) 25. XII. შობა იესუსი. — საგალობელთა ექვსი ჯგუფი (თვითეულ ჯგუფში — გალობანი, სტიქარონთა დართვით). (გვ. 83 — 97).
- 10) 26. XII. დავით მეფე (მეფსალჴუნე) და იაკობ ძმა იესუსი. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 98 — 100).
- 11) 27. XII. სტეფანე პირველმწამე. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 100 — 104)
- 12) 28. XII. პეტრე და პავლე მოციქულნი. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 104 — 106)
- 13) 29. XII. ჩხვლი ყრმანი, ეროდეს მიერ მომწყდარნი. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 106—108).
- 14) 30. XII. იაკობ და იოანე, ძენი ზებედესნი. — უ^ნ; გალობანი. (გვ. 108 — 110)
- 15) 1. I. ბასილი კესარიელი. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 112—115)
- 16) განცხადებისა წინა კვრიაკე. — უ^ნ; გალობანი — იამბიკონნი იოანე დამასკელიდან (შენიშვნის დართვით: „იამბიკონნი 60 [მარტვალი], 5 [ტაქი], 12 [მარტვალი ტაქსი]“). ა^ნ (გვ. 130 — 133)
- 17) 5. I. წინადღესასწაულობა განცხადებისა. — უ^ნ; გალობანი. (გვ. 133 — 137)
- 18) 6. I. განცხადება. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 153—155)
- 19) 7. I. მეორე დღე განცხადებისა და ქსენება ჰაზო ქართუელისა. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 181 — 184)
- 20) 8. I. მესამე დღე განცხადებისა. — უ^ნ; გალობანი — იამბიკონნი (ორიგინალურნი. — შენიშვნის დართვით: „5 [ტაქი]; 12 [მარტვალი ტაქსი]; 60 [მარტვალი მუხლში]“); ა^ნ. (გვ. 191 — 193)
- 21) 13. I. განცხადებისა მსგეფსი და ხსენება მამათა სინელთა. — გალობანი; ა^ნ. (გვ. 201 — 204)
- 22) 16. I. მშობელნი მარიამისნი. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 213 — 214)
- 23) 17. I. ანტონი მოღუაწე. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 214 — 215)
- 24) 22. I. ყოველნი წმიდანი. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 235 — 239)
- 25) 25. I. გრიგოლ ნაოიანძელი. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 251 — 254)
- 26) 27. I. იოანე ოქროპირი. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 259 — 263)
- 27) 28. I. ყოველნი მამანი შეუღებონენი. — უ^ნ; გალობანი. (გვ. 268 — 271)
- 28) 29. I. ქსენება ჯუარისა, რომელი ეწუენა კონსტანტინე მეფესა. — უ^ნ; გალობანი; ა^ნ. (გვ. 277 — 278)

D:¹

- 29) 31. I. კვროზ და იოანე მარტვილნი.
- 30) 1. II. ეფრემ ასური.
- 31) 2. II. შეგებება.

¹ D ჯგუფში, როგორც მოვიხსენეთ, აღნუსხულია მხოლოდ ხსენებანი, რომელთაც ეხება საგალობელნი.

- 32) 10. II. თეოდონი შლედელთმოდლუარი.
- 33) 9. III. ორმეოცნი სებასტიელი მარტვილი.
- 34) 25. III. ხარება.

განყოფილება II

(საგალობელნი მოძრავი კალენდარული წრისა ა, — საგალობელნი მარხვათა)

- 35) კვრიაკე I კორცითა აღებოსა.
- 36) ყველიერისა პარასკევი: მთავარანგელოზთანი.
- 37) ყველიერისა შაბათი (ანუ კორციელისა პარასკევი): ნინეველთანი.
- 38) კვრიაკე II.
- 39) პირველი შაბათი მარხვათა: თეოდორე უძლეველი.
- 40—44) კვრიაკენი III, IV, V, VI, VII.
- 45) ბზობისა პარასკევი: ლაზარეს მოსწავება და მღვდელთმოდლუართანი.
- 46) ბზობისა შაბათი: ლაზარეს აღდგომა.
- 47) ბზობა.
- 48-53) ვნებისა კვრიაკე.

განყოფილება III

(საგალობელნი მოძრავი კალენდარული წრისა ბ, — საგალობელნი ზატიკთა)

- 54) აღესება. (იხ. დამატებით სპეციალური განყოფილება VI, №№ 155 — 180).
- 55) ახალი კვრიაკე.
- 56) II სამშაბათსა: დედანი მენელსაცხებლენი, რომელნი გლოვით საფლავად მივიდეს.
- 57) II შაბათსა: იესუ და განრღუეული.
- 58) III კვრიაკესა: იოსებ არიმათიელი და ნიკოდემოს.
- 59) IV ოთხშაბათსა: ადამ და წმიდანი.
- 60) აღმალლება.
- 61) მარტვლია.
- 62) შემდგომად მარტვლისა ორშაბათსა: სულისა წმიდისანი.
- 63) შემდგომად მარტვლისა ოთხშაბათსა (ანუ 7 მაისს): ქართლის ჯუარისაჲ.

განყოფილება IV

(საგალობელნი კალენდარული წრისა 25 მარტიდან — 31 აგვისტომდე)

- 64) 23. IV. გიორგი მთავარმოწამე.
- 65) 25. IV. მარკოზ მახარებელი.
- 66) 1. V. იერემია წინასწარმეტყუელი.
- 67) 2. V. ათანასე ალექსანდრიელი.
- 68) 6. V. იობ მართალი.
- 69) 7. V. ჯუარისა გამოჩინება.
- 70) 8. V. იოანე მახარებელი და არსენი მონაზონი.
- 71) 9. V. ესაია წინასწარმეტყუელი.
- 72) 12. V. ეპიფანე კვპრელი.
- 73) 24. V. სუმეონ ანტიოქელი.
- 74) 30. V. კვპრიანე მამათმთავარი.
- 75) 31. V. კატიანოს და ნისტერეონ მოღუაწენი.

76) 5. VI. კონონ მარტილი, ძითურთ. — გალობანი აკროსტიხით: „კონონს, ქრისტეს მოწამესა, უგალობდეთ, ერსო“.

77) 11. VI. პარნაბა მოციქული. — გალობანი, აკროსტიხით: „გიხაროდენ ბარნაბა, მოციქულო უფლისაო“.

78) 12. VI. ბატლოპე მოციქული. — გალობანი.

79) 17. VI. ამოს წინასწარმეტყველი. — გალობანი აკროსტიხით: „წინასწარმეტყველისა ამოსის საქაენებელი მოაწია“.

80) 18. VI. ლეონტი მარტილი. — გალობანი.

81) 19. VI. კერიელი ალექსანდრიელი. — გალობანი.

82) 24. VI. შობა იოანე წინამორბედისა. — გალობანი.

83) 25. VI. ზაქარია და ელისაბედ. — გალობანი.

84) 26. VI. თებრონია მარტილი. — გალობანი.

85) 28. VI. პაულე მოციქული. — გალობანი.

86) 30. VI. ათორმეტნი მოციქულნი. — გალობანი.

C:

87) 2. VII. პაულე, ბირონ, თეონ და ირონ მარტილნი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 10ა — 12ბ)

88) 6. VII. იოანე პალაერელი. — უ; გალობანი. (გვ. 21ხ — 24ხ)

89) 7. VII. პროკოპი მარტილი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 31ა — 33ბ)

90) 15. VII. კურიე და ივლიტა მარტილნი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 41ა — 48ა)

91) 17. VII. მარინა მარტილი. — უ; გალობანი. (გვ. 55ხ — 61ხ)

92) 20. VII. ქრისტინა მარტილი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 80ხ — 83ხ)

93) 23. VII. მარიამ მკვდაწელი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 80ხ — 83ხ)

94) 26. VII. თეკლა პირველმოწამე. — გალობანი?

95) 27. VII. სემეონ პალაბელი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 98ა — 100ა)

96) 28. VII. პანტელეიმონ მარტილი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 107ა — 110ა)

97) 1. VIII. მაკაბელნი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 126ა — 129ა)

98) 4. VIII. ელია წინასწარმეტყველი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 144 ხ — 147 ხ)

99) 5. VIII. მოსე წინასწარმეტყველი და მოსწაეება ფერისცვალებისა. — უ; გალობანი; ა (გვ. 148ხ — 151ხ).

100) 6. VIII. ფერისცვალება. — უ; გალობანი ა. (გვ. 158ხ — 161ა)

101) 9. VIII. მათათა მოციქული. — უ; გალობანი; ა. (გვ. 176ა — 179ხ)

102) 11. VIII. ელიანოს მარტილი. — გალობანი. (გვ. 184ხ — 185ხ)

103) 13. VIII. წინამოსწაეება მიცვალება მარიამისა. — უ; გალობანი და ა — საერთო აკროსტიხით: „მიცვალებასა ყოლად უბიწოდისასა გალობით შეუაქობდეთ“. (გვ. 188ხ — 192ა)

104) 14. VIII. წინა დღე მიცვალებისა მარიამისა. — უ; გალობანი; ა. (გვ. 192ა — 195ხ)

105) [15. VIII]. მიცვალება მარიამისა. — უ; გალობანი; ა. (გვ. 213ა — 216ა).

106) 20. VIII. სამუელ წინასწარმეტყველი. — უ; გალობანი. (გვ. 235ა — 237ხ)

107) 21. VIII. ლუციოზ მარტილი. — უ; გალობანი. (გვ. 237ხ — 240ხ)

108) 26. VIII. საბა ასური. — უ; გალობანი. (გვ. 253ა — 254ხ).

¹ B გვეფის წარმომადგენელი ერუშენელი ხელნაწერი, რომელიც სენათშია დაცული, აღწერილი გვექონდა 1931 წელს. ამ აღრიხდელ აღწერილობაში აღნუსხული გვაქვს მხოლოდ დიდი ფორმის საგალობლნი (გალობანი), ხოლო მცირე ფორმის საგალობლნი (უ და ა) აღნუსხული არაა. (ამასთან ხელნაწერის გვერდებს არ ვუჩვენებთ, რადგან 1931 წელს ხელნაწერი პაგინირებული არ იყო).

² ამ თარიღზე საგალობლები არის ერუშენულ კრებულში (იხ. დამატება, გვ. 043 — 044, შენიშვნა 9).

109) 27. VIII. პიმენ მოლუაწე. — უ; გალობანი და ა — საერთო აკროსტიხით: „პიმენს სა-
მწყსოთა მწყეჟსსა უგალობდეთ“. (გვ. 258ს — 261ა).

110) 28. VIII. წინა დღე იოანეს თავის კუეოისა. — უ; გალობანი და ა — საერთო აკრო-
სტიხით: „უგალობდეთ წინამორბედსა, იოვანე შევაკობდეთ“. (გვ. 261ს — 264ს).

111) 29. VIII. იოანეს თავის კუეთა. — უ; გალობანი; ა. (გვ. 267 — 275ს).

-----D:

განყოფილება V

(საგალობელნი კალენდარული წრისა I სექტემბრიდან — 20 დეკემბრამდე)

112) 4. IX. მოსე წინასწარმეტყუელი.

113) 8. IX. შობა მარიაჰისი.

114) 9. IX. იოეკიმ და ანა.

115) 13. IX. ენკენია.

116) 14. IX. ჯუართა აღპერობა.

117) 20. IX. ლუკა მახარებელი.

118) 25. IX. ევტათი მარტიელი.

119) 27. IX. ზაქარიაჲს დაღუმება.

120) 28. IX. ხარიტონ მოლუაწე.

121) 1. X. არეთა მარტიელი, კრებულითურთ.

122) 3. X. ბიეტორ და სტეფანია, მარტიელი.

123) 4. X. დანიელ წინასწარმეტყუელი.

-----A:

124) 10. X. გრიგოლ მართელი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 288 — 290)

125) 11. X. რიფსიმე და მოუუასნი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 290 — 292)

126) 17. X. კოზმან და დამიანე მარტიელი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 294 — 296)

127) 20. X. კორნელი ასისტავი, მარტიელი — უ; გალობანი; ა. (გვ. 296 — 297)

128) 21. X. ილარიონ მოლუაწე. — უ; გალობანი; ა. (გვ. 297 — 297)

129) 26 — 27. X. იოანე წინამორბედი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 302 — 304)

130) 3. XI. გიორგი მთავარმოწამე. — გალობანი — იაჰვიკონნი (ორიგინალური). (გვ. 311 — 313)

131) 8. XI. მთავარანგელოზნი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 313 — 315)

132 — 134) 10. XI. გიორგი მთავარმოწამე (ქსენებისა მსვეფსი)

საგალობელთა I ჯგუფი: უ; გალობანი; ა. (გვ. 315 — 317)

„ II ჯგუფი: უ; გალობანი; ა. (გვ. 317 — 318)

„ III ჯგუფი: გალობანი. (გვ. 318 — 320)

135) 11. XI. შინა მარტიელი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 320 — 321)

136) 12. XI. იოანე მოწყალე. — უ; გალობანი; ა. (გვ. 324 — 325)

137) 14. XI. მთავარანგელოზნი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 328 — 329)

138) 15. XI. გურია, სამონა და აბოზო მარტიელი. — უ; გალობანი ა. (გვ. 329 — 331)

139) 16. XI. ტაძრად მიყვანება მარიაჰისა. — უ; გალობანი და ა — საერთო აკროსტიხით: „განმანათლებელსა ჩვენსა დედოფალსა უგალობდეთ დღეს“. (გვ. 331 — 333)

140) 17. XI. ბასილი და გრიგოლ მღვდელთმოდურნი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 333 — 335)

141) 21. XI. მათე მახარებელი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 336 — 338)

142) 23. XI. მერკულე მარტიელი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 340 — 341)

143) 24. XI. ევატერიანე მარტიელი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 341 — 342)

144) 25. XI. პეტრე აღქსანდრიელი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 342 — 344)

145) 30. XI. ანდრია მოციქული. — უ; გალობანი; ა. (გვ. 346 — 347)

- 146) 1. XII. იაკობ ძმა იესუსი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 348 — 349)
 147) 3. XII. ბარბარე მარტილი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 349 — 350)
 148) 4. XII. ბარბარე და იელია მარტილნი და იონანე დამასკელი. — უ; [გალობანი; ა] (გვ. 350)

—————D:

- 149) 5. XII. საბა განწყედილი.
 150) 6. XII. ნიკოლოზ მღვდელთმოძღუარი.
 151) 13. XII. ევსტრათი მარტილი და მოყუასნა.

—————A:

- 152) 17. XII. მოდისტოზ იერუსალიმელი. — უ; გალობანი. (გვ. 351)
 153) 20. XII. ეგნატე ანტიოქელი. — უ; გალობანი; ა. (გვ. 355 — 356)

განყოფილება VI
 (საგალობელნი აღესებისანი რვა-კმანი)

საგალობელნი I ხმისა (გვ. 357 — 367):

- 154) პირველი ჯგუფი: უ; გალობანი — იამბიკონნი (ორიგინალური); ა.
 155) მეორე ჯგუფი: უ; გალობანი.
 156) მესამე ჯგუფი: გალობანი.
 157) მეოთხე ჯგუფი: გალობანი.

საგალობელნი II ხმისა (გვ. 384, 237 — 238, 385 — 390):

- 158) პირველი ჯგუფი: უ; გალობანი — იამბიკონნი იონანე დამასკელიდან (შენიშვნის დართვით; „ყოველსა მუქლსა 60 შეტყუებაჲ [მარტვალი] არს 5-ჯერ 12“) ა.
 159) მეორე ჯგუფი: უ; გალობანი.
 160) მესამე ჯგუფი: გალობანი.

საგალობელნი III კმისა (გვ. 409 — 416):

- 161) პირველი ჯგუფი: უ; გალობანი; ა.
 162) მეორე ჯგუფი: გალობანი.
 163) მესამე ჯგუფი: უ; გალობანი.

საგალობელნი IV კმისა (გვ. 425 — 439):

- 164) პირველი ჯგუფი: უ; გალობანი.
 165) მეორე ჯგუფი: უ; გალობანი.
 166) მესამე ჯგუფი: გალობანი.
 167) მეოთხე ჯგუფი: უ; გალობანი.
 168) მეხუთე ჯგუფი: უ; გალობანი.

საგალობელნი V კმისა (გვ. 458 — 463):

- 169) პირველი ჯგუფი: უ; გალობანი.
 170) მეორე ჯგუფი: გალობანი.

საგალობელნი VI კმისა (გვ. 474 — 482):

- 171) პირველი ჯგუფი: უ; გალობანი; ა.

172) შიორე ჯგუფი: გალობანი; ა^ა.

173) მისამე ჯგუფი: უ^ა; გალობანი.

საგალობელნი VII კმისა (გვ. 502 — 509):

174) პირველი ჯგუფი: უ^ა; გალობანი; ა^ა.

175) მეორე ჯგუფი უ^ა; გალობანი.

176) მესამე ჯგუფი: გალობანი.

საგალობელნი VIII კმისა (გვ. 524 — 533):

177) პირველი ჯგუფი: უ^ა; გალობანი; ა^ა.

178) მეორე ჯგუფი: გალობანი; ა^ა.

179) მესამე ჯგუფი: უ^ა; გალობანი; ა^ა.

უფრო დაწვრილებითი ცნობები იხ. სპეციალურ დამატებებში:

A ჯგუფის შესახებ — გვ. 07 — 013, 0107 — 0108 და 0117 — 0120;

B ჯგუფის შესახებ — გვ. 040;

C ჯგუფის შესახებ — გვ. 043 — 045 და 0108;

D ჯგუფის შესახებ — გვ. 052 — 055.

VII, 9

«საწელიწდო იაღგარის გრიგოლ ხანძთელისა»

(მიმოხილვა, ნაწილი II)

გალობანი გიორგისნი. — გალობანი ნათელთანი და ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველსანი. — «საქვეყნო სათხოვარნი» გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა. — გალობანი აღვსებისანი. — გალობანი ნათელთანი. — სტიქარონი ჰაბოხსნი. — ბერძნულიდან გადმოღებული ჰიმნები გრიგოლ ხანძთელისა. — ძველ-ქართული იამბიკონური ლექსის მეტრიკა.

გადავდივართ გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იაღგარის ტექსტების მიმოხილვაზე.

ვინაიდან გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობა პირველად ხდება ცნობილი ქართულ მწერლობაში და ტექსტები გამოუცემელაა. ჩვენ აქ ამგზის, პირველ რიგში, თვით ტექსტების მოყვანა მოგვიხდება. იმ მდგომარეობაში, რომელშიაც იმყოფება ჩვენი დიდი ლიტერატურული წარსულის შესწავლის საქმე, ძველი ქართული ლიტერატურის მემკვიდრეობის შესწავლის საქმე, ტექსტების მეცნიერული პუბლიკაცია პირველი ამოცანაა ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობისა.

1

გალობანი გიორგისნი

გ ა ლ ო ბ ა ნ ი გ ი ო რ გ ი ს ნ ი — პირველი ნაწარმოები იყო გრიგოლ ხანძთელისა, რომელსაც ჩვენ გავეცანით, და რომლის მიხედვითაც ჩვენთვის იმ თავითვე ნათელი გახდა, რომ გრიგოლ ხანძთელი უდიდესი ლიტერატურული ფიგურაა საშუალო საუკუნეთა ქართული მწერლობიდან პირველი ათასეულისა.

როდესაც ჩვენ, ძველ-ქართულ მწერლობაში დაცული მონაცემების მიხედვით, დავადგინეთ, რომ გრიგოლ ხანძთელს ეკუთვნის «საწელიწდო იაღგარი», — უძველესი რედაქცია «საწელიწდო იაღგარისა», — და შევუდექით კრებულის მოცულობის გარკვევას საწელიწდო იაღგარის მოღწეული განვრცობილი რედაქციების მიხედვით, პირველი ტექსტი, რომლის ძიებასაც ჩვენ შევუდექით, ეს იყო გალობანი გიორგისნი.

მთელ რიგ ჩვენებათა გამო აშკარა იყო, რომ გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იაღგარში უნდა გვექონოდა გალობანი გიორგისნი; ეს აშკარა იყო შემდეგის მიხედვით:

ა) ჯერ ერთი, გიორგის ხსენება უკვე არის წარმოლოდინილი არქაული პერიოდის მოკლე იაღგარში, რომელიც ჩვენ დრომდე მოღწეულა და რომელიც

დაცულია ცნობილს კილ-ეტრატის ხელნაწერში (H — 2123). და თუ გიორგის ხსენება უკვე წარმოდგენილია მოკლე იადგარში არქაული პერიოდისა, მით უფრო გიორგის ხსენება, ცხადია, წარმოდგენილი უნდა იყოს საწელიწდო იადგარში, რომლის ხსენებათა წრე გაცილებით უფრო ფართო მოცულობისაა. მოკლე იადგარის ხსენებათა ჯგუფი არის ერთგვარი ძირითადი ჩონჩხი საწელიწდო იადგარისა; საწელიწდო იადგარი შეიცავს მოკლე იადგარის ყველა ხსენებას — ახალ ხსენებათა მთელი ციკლების დართვით.

ბ) გრიგოლ ხანძთელმა, როგორც ცნობილია, ხანძთის საეპარქიის დაარსებასა და ხელსა ზედა — გიორგი ჯუარითა მოქადულისა, ახოვნისა და სახელოვნად განთქმულისა ბრწყინვალედ», გიორგისა, რომელიც, როგორც ცნობილია, ქართულთა მფარველად ითვლებოდა.

ამჟამად ამრიგად, რომ რაკი თვით საეპარქიის ხანძთისა გრიგოლ ხანძთელმა დაარსა გიორგის სახელზედ, საწელიწდო იადგარში გრიგოლ ხანძთელისა უწინარეს ყოვლისა სწორედ გიორგის საგალობელნი უნდა ყოფილიყო მოთავსებული.

ხსენება გიორგისა ძველ საქართველოში, როგორც ცნობილია, ნოემბრის თვეში იყო დანიშნული (აქედან წარმოსდგება თვით სახელწოდებაც თვისა: გიორგობის-თვე); სახელდობრ ძირითადი დღე ხსენებისა იყო 3 ნოემბერი (— ეს თარიღია დანიშნული გიორგის ხსენებისათვის არქაული პერიოდის მოკლე იადგარში); ხოლო მეორე დღე ხსენებისა იყო 10 ნოემბერი (პირველი თარიღის — 3 ნოემბერის — ერთი კვირის შემდეგ, — „სწორზე“, ანუ, როგორც ძველ-ქართულად იტყოდნენ — „მსგეფსსა ზედა“).

საწელიწდო იადგარის მოღწეულ ძირითად რედაქციაში — მიქაელის კრებულში, გიორგის ხსენების პირველადი თარიღისათვის, ე. ი. 3 ნოემბრისათვის, მოთავსებულია საგალობელთა ორი ჯგუფი:

ერთია — გალობანი, რომელიც იწყება სიტყვებით: „კრავი იგი...“ და რომელსაც დართული აქვს სტიქარონები;

მეორეა — გალობანი, რომელიც იწყება სიტყვებით: „შენ, მეუფეო, რაჟამს გამოაბრწყინე“.

ამ ორი ტექსტიდან — ის გალობანი, რომელიც იწყება სიტყვებით „კრავი იგი“, თარგმანს წარმოადგენს; ბერძნული ტექსტი ამ საგალობლისა ეკუთვნის იოანე დამასკელს; ქართული თარგმანი შესრულებულია გრიგოლ ხანძთელის შემდგომ ეპოქაში, მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში ან მეათე საუკუნეში. რომ ეს თარგმანი არ ეკუთვნის გრიგოლ ხანძთელს, არამედ შემდეგ ხანაშია შესრულებული, არა უადრეს IX საუკუნის მეორე ნახევრისა. უდავოდ ირკვევა მისი საზომის მიხედვით: ეს საზომი არ მოიპოვება ძლისპირების პირველს ძირითად ფენში, არამედ იგი ძლისპირთა მხოლოდ მეორე გვიანდელ ფენშია წარმოდგენილი.

ამ გვიანდელი IX — X საუკუნის ტექსტის გამოკლებით, საწელიწდო იადგარში, გიორგის ხსენების პირველად თარიღზე, ე. ი. 3 ნოემბრის თარიღზე, ჩვენ ვვრჩება ერთად-ერთი ტექსტი — გალობანი გიორგისნი, რომელიც გრიგოლ ხანძთელს ეკუთვნის (ე. ი. ტექსტი, რომელიც იწყება სიტყვებით: „შენ, მეუფეო, რაჟამს გამოაბრწყინე“; იხ. მიქაელის კრებული, გვ. 311 — 313).

გარდა დასახელებული ორი ტექსტისა, ძველ-ქართულ მწერლობაში ჩვენ გვაქვს კიდევ მთელი რიგი ვალობათა, რომლებიც გიორგისადმი არის მიძღვნილი. ბიბლიოგრაფიული სისტემისათვის მოგვყავს აქ სრული ნუსხა ყველა ამ ვალობათა, რომლებიც კი მოიპოვება ძველ-ქართულ მწერლობაში VIII — XI საუკუნეებისა.

VIII — XI საუკუნეთა მანძილზე ქართულ მწერლობაში ჩვენ გვაქვს სულ 12 ვალობანი („კანონი“), მიძღვნილნი გიორგისადმი. (ამ 12 ვალობათა რიცხვში ჩათვლილი გვაქვს ზემოთ-დასახელებული ორი ვალობანიც).

ამ 12 ვალობათაგან ორი ორიგინალურია; რვა თარგმნილია ბერძნულიდან; ხოლო საკითხი ორი ტექსტისა (რომელთაგან ერთი წარწერილია მიქაელის სახელით, ხოლო მეორე, პალესტინის ქართული სკოლიდან მომდინარე, ავტორ-წარუწერელია) — გაურკვეველი რჩება, ორიგინალურია ისინი, თუ თარგმნილი.

ორი ორიგინალური ვალობანი შემდეგია:

1) გრიგოლ ხანძთელის ზემოთდასახელებული ვალობანი „შენ, მეუფეო, რაჟამს გამოაბრწყინე“ (დაცული მიქაელის კრებულში — 3 ნოემბრის თარიღზე).

2) ივანე მინჩხის ვალობანი (იწყება სიტყვებით: „წმიდაო ღმერთო, დამბადებელო და გამოუთქუმელო“; დაცულია ხელნაწერში Sin. — 2, 23. IV-ის თარიღზე).

რაც შეეხება თარგმნილ ვალობებს, ისინი ოთხ ჯგუფად იყოფა.

პირველ ჯგუფს წარმოადგენს სამი ვალობანი:

3) იოანე დამასკელისა (იწყება სიტყვებით: „ენასა უძღურსა“);

4) კოზმან იერუსალიმელისა (იწყება სიტყვებით: „მორბედება ღუაწლთამ რამ მოიგე“;

5) ანონიმი იერუსალიმელი ჰიმნოგრაფისა (იწყება სიტყვებით: „მადლი მე აწ მომანივე“).

ამ სამი ტექსტის ძველი ქართული თარგმანი მოთავსებულია მიქაელ მორიცილის კრებულში გიორგის ხსენების მეორე თარიღისათვის, 10 ნოემბრისათვის (იხ. მიქაელის კრებული, გვ. 315 — 320).

ამ ძველ თარგმანებზე ცალკე გვექნება საუბარი.

აქ აღვნიშნავთ მხოლოდ პირველი ორი ტექსტის შემდგომ ისტორიას:

ა) XI საუკუნეში გიორგი მთაწმიდელს, როდესაც მან შეადგინა თავისი დიდი ჰიმნოგრაფიული კრებული „თთუნნი“, მოუხდენია რედაქტირება პირველი (იოანე დამასკელის) ტექსტის იმ ძველი თარგმანისა, რომელიც დაცულია მიქაელის კრებულში და შეუტანია იგი „თთუნნი“ (გიორგი მთაწმიდელის ეს ახალი რედაქცია პირველი ტექსტისა იწყება სიტყვებით: „კრავი იგი უბიწოა“. „თთუნნი“ იგი მოთავსებულია 23. IV-ის თარიღზე).

ბ) მეორე (კოზმან იერუსალიმელის) ტექსტის სამი თარგმანი არსებობს: პირველი, უძველესი, რომელიც ზემოთ დავასახელებთ და რომელიც დაცულია მიქაელის კრებულში; მეორე, თარგმანი X საუკუნისა, რომელიც პალესტინის ქართული სკოლიდან მომდინარეობს და დაცულია იელის ხელნაწერში X ს. (ეს

მეორე თარგმანი იწყება სიტყვებით: „რაჟამს მოიგე მორბელება ლუაწლისა რჩეულისაჲ“. იელის ხელნაწერში იგი მოთავსებულია 23. IV-ის თარიღზე). მესამე თარგმანი ეკუთვნის გიორგი მთაწმიდელს და მოთავსებულია გიორგი მთაწმიდელის „თთუენში“ (იწყება სიტყვებით: „სტადიონსა შინა მკვრცხლად მორბელებად იხილევ“. მოთავსებულია „თთუენში“ 23. IV-ის თარიღზე).

მეორე ჯგუფი წარმოდგენილია ერთი გალობით:

6) იოანე დამასკელისა — „კრავი იგი“, რომელზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი და რომელიც მოთავსებულია საწელიწდო იადგარში 3 ნომბრის თარიღზე. ეს გალობანი, რომელიც შესრულებულია გვიანდელი ხანის საზომით, თარგმნილია, როგორც აღვნიშნეთ, გრიგოლ ხანძთელის ეპოქის შემდეგ, IX საუკუნის მეორე ნახევარში ან X საუკუნეში.

ეგვევ გალობანი, ახალის რედაქციით, შეტანილი აქვს გიორგი მთაწმიდელს თავის „თთუენში“ (იმავე 3. IX-ის თარიღზე).

მესამე ჯგუფი წარმოდგენილია ერთი ტექსტით:

7) იოანე დამასკელისა — გალობანი (იწყება სიტყვებით: „რომელმან ამოუბრწყინვა სოფელსა“). თარგმანი შესრულებულია პალესტინის ქართულ სკოლაში X საუკუნეში. ტექსტი დაცულია იელის და წვირმის ხელნაწერებში X — XI ს. ს. (გალობანი მოთავსებულია 23. IV-ის თარიღზე). ეგვევ ტექსტი მოთავსებულია გიორგი მთაწმიდელის „თთუენში“ (იმავე თარიღზე).

მეოთხე ჯგუფს შეადგენს სამი გალობანი, რომლებიც უთარგმნია გიორგი მთაწმიდელს XI საუკუნეში; ესენია:

8) თეოფანე პალესტინელისა (იწყება სიტყვებით: „ღმრთისა საყდარსა წინაშე მდგომარე ხარ“). თარგმანი შესრულებულია იამბიკონით.

9) იოანე მონაზონისა (იწყება სიტყვებით: „ღმრთის მსახურებისა იქმნენ ნამუშავევ“).

10) გერმანოს I პატრიარქისა (იწყება სიტყვებით: „ქრისტეანეთა მნათობსა მოწამესა“).

სამივე ეს გალობანი მოთავსებულია გიორგი მთაწმიდელის „თთუენში“ (23. IV-ის თარიღზე).

დასასრულ, უკანასკნელი ორი ტექსტის შესახებ, რომელთა საკითხი გაურკვეველი რჩება, ორიგინალურია ისინი თუ თარგმნილი. ესენია:

11) გალობანი, მოთავსებული გიორგი მთაწმიდელის „თთუენში“ 23. IV-ის თარიღზე და წარწერილი მიქაელის სახელით (გალობანი იწყება სიტყვებით: „განმინათლე გონებაჲ“). გიორგი მთაწმიდელს თავის „თთუენში“ შეჰქონდა ძველი ქართული ტექსტები, როგორც თარგმნილი ბერძნულიდან, ისე ორიგინალური ქართულნი. ხოლო რამდენადაც ბერძნულ ლიტერატურაში უცნობია ჰიმნოგრაფი მიქაელის სახელით, საფიქრებელი ხდება, რომ მიქაელი, აღმწერელი ამ გალობათა, ქართველი ავტორია. არაა გამორიცხული, რომ ეს მიქაელი იყვეს იგივე მიქაელ მოდრეკილი. საკითხის საბოლოო გადაწყვეტას აძნელებს ის გარემოება, რომ მიქაელ მოდრეკილის კრებულს აკლია სწორედ ის ნაწილი, რომელშიაც მოთავსებული იყო 23. IV-ის თარიღის საგალობელნი, ასე რომ ჩვენ არ გვაქვს საშუალება შევამოწმოთ, იყო თუ არა ეს გალობანი მიქაელის კრებულში.

12) გალობანი — მოთავსებული იელის და წვირმის X — XI ს. ს. ხელნაწერებში 23. IV-ის თარიღზე, რომელიც იწყება სიტყვებით: „ბუნებაა წყლისა მდინარისაჲ“. ტექსტი წარუწერელია და გაურკვეველი რჩება, ორიგინალურია იგი თუ თარგმნილი. მომდინარეობს ეს ტექსტი პალესტინის ქართული სკოლიდან (იელის და წვირმის ხელნაწერები, რომლებშიაც წარმოდგენილია ეს გალობანი, პალესტინური სკოლის კრებულებია).

დაეუბრუნდეთ ამის შემდეგ გრიგოლ ხანძთელის საგალობელთ, რომელნიც მიძღვნილია გიორგისადმი.

გიორგის კულტი, როგორც ირკვევა, ადრიდანვე განმტკიცებულა საქართველოში და გახალხურებულა კიდევ.

„გიორგი ჯუარითა მოქადული“ იყო სიმბოლო უძლეველობისა, სახე უძლეველი მხნე მხედარისა, რომელიც მისაბაძ მაგალითად იყო დასახული უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს. გრიგოლ ხანძთელი, «სავედრებელში», რომელიც მას აღუწერია ხანძთის დაარსების დროს, ამბობს: „...უძეტეს იპოვა სიმკნითა წმიდაჲ გიორგი, და მრავლით ქამითგან უშჯულოთაგან ზარგანკდილთა ქრისტეანეთა ასწავა სიმკნეჲ ძლიერი, მხიარულებით რაჲ მოითმინნა მრავალფერნი სატანჯველნი და ძლევით-შემოსილი იდიდა...“ (იხ. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 37).

გრიგოლ ხანძთელის გალობანი გიორგისნი წარმოდგენს მოკლე პოემას. დაწერილია იგი კლასიკური ქართული ლექსით, იამბიკონით.

გრიგოლ ხანძთელის ამ პოემის სახით ჩვენ გვაქვს უძველესი ძეგლი ქართული წყობილიტყვაობისა, რომელიც ჩვენ დრომდე არა ფრაგმენტულად, არამედ მთლიანის სახით მოღწეულა.

მაგრამ გრიგოლ ხანძთელის პოემა ინტერესს იწვევს არა მხოლოდ იმით, რომ იგი ქართული პოეზიის უძველესი ძეგლია; იგი ინტერესს იწვევს თავისი მაღალი პოეტური ღირსებებით.

გრიგოლ ხანძთელის ეს პოემა ნამდვილ პოეტურ შედევრს წარმოდგენს. ცოტაა ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, და არა მარტო ქართულში, არამედ საერთოდ საშუალო საუკუნეთა ბიზანტიურსა და აგრეთვე დასავლურს ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში ისეთი ძეგლები, რომლის დაყენება შეიძლებოდაც გრიგოლ ხანძთელის ამ პოემის გვერდით.

რასაკვირველია, როდესაც გარდასრულ ეპოქათა პოეტურ ნაწარმოებთა შესახებ ვმსჯელობთ, საჭიროა ისტორიული პერსპექტივის გათვალისწინება. ცხადია, ბევრი რამ გარდასრულ ეპოქათა ძეგლებში უცხოა თანამედროვე მკითხველისათვის. სხვაა მსოფლმხედველობა, სხვაა ისტორიული გარემო. სხვაა თვით პოეზიის ქანრი, თავისი სხვადასხვა პირობითი ელემენტებით.

მაგრამ ნამდვილი პოეტური არ იჩრდილება გარდასრულ ეპოქათა უცხო საბურველს ქვეშ.

გრიგოლ ხანძთელის პოემა ჩვენს ყურადღებას იპყრობს მაღალი პოეტური ფორმით, ასევე მისი შინაარსით.

გრიგოლ ხანძთელის პოემა წარმოადგენს გმირობის შეუღარებელ ჰიმნს.

გრიგოლ ხანძთელის პოემაში გიორგი, მხნე მხელაოი (რომელიც, როგორც მოვიხსენეთ, ქართველთა მთარველად ითვლებოდა), წარმოდგენილია როგორც განსახიერება ჭეშმარიტი გმირობისა, გმირობისა — რომელიც ამარცხებს თვით სიკვდილს.

სწორედ იმით, რომ გიორგიმ გასწირა თავი, აიტანა არაადამიანური სატანჯველნი და მტარვალთა მიერ წამებით აღასრულა თავისი სიცოცხლე, სწორედ ამით დაამარცხა მან სიკვდილი, იზეიმა სიკვდილი სიკვდილისა, იზეიმა დაამარცხება მტერთა, სიკვდილის მოციქულთა.

მგოსანი ამბობს წამებით აღსრულებული, ცეცხლის აღში დამწვარი გიორგის შესახებ:

ნათელსა ბრწყინვალესა, საკურველითა,
აკვედ შენ ეტლთა მათ ზედა ცეცხლისათა —
წამებისა, — გიორგი — აოტენ მტერნი,
და მოიქცე შენ ძლევეთ გვრგვინოსანი (III, 2)

მგოსანი გადმოგვცემს, რომ ყოველი ცალკეული წამება, რომელიც გიორგიმ გმირულად გადაიტანა, იყო მისი განბრწყინება, უკვდავების მიღწევა:

პირველ განზადეს შენტუს ურმისა თუალი
იგი საშინელ. და მ.ს შინა დაპრილი
მახვლის მიჯრ უხრწყნელებით იაოე.
ვითარცა ოქროა ბრწყინვალეა ბრამედსა შინა
განსაცდელთასა, მოწამეო გიორგი (VI, 2)

როდესაც გიორგის ფეხზე ჩააცევს სპილენძის გავარვარებული ფეხსაცმელი (ცანდალნი), რომელიც სახილვევადაც კი საზარელი იყო, ეს გახდა მიზეზი ადამიანთა მტერის ვეშაპის — გველის მოსპობისა გიორგის მიერ, სწორედ მაშინ გაისრისა ვეშაპი — გველი, რომელიც ქურდულად ჰებენდა ადამიანთა მოღგმას:

ჰ ახოვანო, მკნეო მარტკლთა შორის,
რაცაჲ განჯურდეს შენტუს ცანდალნი იგი
სპილენძისანი. საზარელნი ხილვითა,
ფერკთა შესხმადა თავს იხხენ შენ. გიორგი,
და მით ვეშაპი მოკაალ, მკენარი ბრკალთაჲ. (VI, 3)

გიორგი სამი დღე ცეცხლის აღშია გახვეული; მტარვალნი მეფენი მოვლიან, რომ გიორგი გატყდება ამ აუტანელი სატანჯველით; მაგრამ ისინი ხელავენ სულ სხვას, სიკვდილის დამარცხებას; გიორგი, ცეცხლის აღში გახვეული, მოსჩანს როგორც სიძე, გაჩირალდნებულ ტაძარში მდგომარე; იგი ბრწყინავს როგორც სიძე, ნათელი ტაძრიდან ეზოში გამომავალი:

შენ. მოწამეო, ცეცხლსა მას მგზნებარესა
შინა სამი დღე იქცოდე...
გიხილეს რამ მეფეთა მძღავრთა, ვითარცა
სიძეჲ რამ მდგომარეჲ ტაძარსა შინა,
ბრწყინევედ გამომავალი ეზოჲთ, სანატრელო (VI, 1)

პოემაში ცალკეა აღსანიშნავი გრძობა მშვენიერებისა, ასახვა მშვენიერებისა უკვდავების ასპექტში, ერთგვარი გაღმერთება მშვენიერებისა. პოემა ამ მხრივ უნიკალური მოვლენაა საშუალო საუკუნეთა მსოფლიო ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში.

მგოსნის სიტყვით, გიორგიმ, ახალგაზრდა ჭაბუკმა, რომელიც ამქვეყნიურ განსახიერება იყო მშვენიერებისა, თავისი გამირობით დაამარცხა სიკვდილი, დაამარცხა თვით ღრო, რომელსაც უნდა დაეკნო მისი სიჭაბუკე, უკვდავებში მიანიჭა თავის მშვენიერ სიჭაბუკეს.

მგოსანი ამბობს:

შუაწიერებამ ბრწყინვალე სიკეთისად.
სიმდიდრე იგი საფასეთა მათ შერთამ,
ყუაილი იგი სიჭაბუკის შენისად, —
მკნო გიორგი — და აწინდე მოკუდავი
უკუდავებასა... (II, 1)

მგოსანი მიმართავს გიორგის:

არად შუპრაცხე სიმძაფრე სატანჯველთამ,
არცა შეძრწუნდი შიშა სიკუდილისასა,
და უკუდავებას სიბრძნით შენ და უმკვდრე
ქმნულ-კეთილომასა შენსა, ახოვანო (I, 3)
„ქმნულ-კეთილობა“ — მშვენიერება).

სხვა ადგილას პოეტი ამბობს:

ქრისტემს მკედარო, ღირსად საგალობელო,
რაქამს ჯუარს ეცვ ღუაწლით შენით მის თანა,
უჩიწომ წმიდამ გუამი შენი განათლდა
ვითარცა ოქრომ ბრწყინვალე ბრძმედსა შინა,
და განახლდა სიჭაბუკე შენი, მკნო (I, 2)
(იხ. აგრეთვე II, 23-4; II, 42-4; VIII, 43-4).



გრიგოლ ხანძთელი ბრწყინვალე ხელოვანია ქართული სიტყვისა. მართლაც ისტორიის სამართლიანი მსჯავრია გამოხატული გიორგი მერჩულის მიერ, როდესაც იგი გრიგოლ ხანძთელის პოეზიის გამო ამბობს, რომ მისნი „სიტყუანი ფრიად კეთილ არიან“.

გრიგოლ ხანძთელი მართლაც „ფრიად კეთილთა სიტყუათა“ ხელოვან ყოფილა, გრიგოლ ხანძთელის პოეზიაში ჟღერს ძველი ქართული ენა მთელთა თავისი საზეიმო სიდიადით, მთელი თავისი სრულხმოვანებით.

თანამედროვე მკითხველისათვის, რომელიც სპეციალურად არ იცნობს ძველ-ქართულს, შესაძლოა ბოლომდე მისაწვდომი არ დარჩეს მთელი ბრწყინვალეობა ძველ-ქართული ენისა გრიგოლ ხანძთელის პოეზიაში.

მაინც გრიგოლ ხანძთელის მხატვრული სიტყვა იმდენად არის შინაგანად განათებული თავისი ხატოვანებით, რომ ვფიქრობთ, იგი, მიუხედავად იმისა, რომ ათას წელზე მეტი ხანით არის დაშორებული ჩვენ ღროს, ძირითადად გასაგები იქნება თანამედროვე მკითხველისათვის.

მოგვყავს აქ გრიგოლ ხანძთელის პოემა ჰიმნი — გალობანი გიორგისნი — სრულად.

2 (ანტიტროფი)	გესმოდა შენ კმაჲ / უფლისაჲ. სანატრელო: „ვინამთგან შეურაცხ ყუჲ ქმნულ-კეთილობაჲ, მე განუახლო / სიკაბუჲე კულაჲ შენი და მე უხრწნელად / დაგიკვა შენ ზეცასა, ნაშობ ნათლისა / გეწოდოს შენ. გიორგი“	(5+7) (12) (5+7)⌒ (5+7)⌒ (5+7)
3 (ანტიტროფი)	კმა ჰყუჲ შენ ქრისტემს / მიმართ. ♀ მოწამეო, გიორგი: „კმა არს აწ ჩემდა სიტკბოებაჲ სიყუარულისა / შენისაჲ. შემირაცხავს მე სიმდიდრეჲ სოფლისაჲ / ზღვეუად მას ზედა, რათა შენ მხოლოდ / მარგალიტი მოგისყიდოს“	(5+7) (12) (5+7)⌒ (7+5)⌒ (5+7)
4 (ანტიტროფი)	აწ იხილა რაჲ / უხილაემან ღირსებით წადიერებაჲ სიკაბუჲის შენისაჲ და სიყუარული / სრულებისა შენისაჲ უცალებულად / შეგიწუნარა, გიორგი, აფრენით ზეცად / ნათელმან სამებისმან.	(5+7) (12) (5+7)⌒ (5+7)⌒ (5+7)

გ ა ლ ო ბ ა ჲ III

«საქმენი შენნია» — ამით ზედა-

1 (სტროფი)	რაჲჲს იხილენ. მოღუაწეო გიორგი, მეფენი თაყუანებად კერპთა უსულთა, კმა ჰყუჲ შენ მათდა / მიმართ: „ღმერთნი მტყუყვარნი, რომელთ ცაჲ და ქუეყანაჲ / არა დაჰბადესი“ წარწყმდენ იგინი დიდებითა ღმრთისაჲთა.	(12) (12) (5+7) (7+5) (12)
2 (ანტიტროფი)	ნათელსა ბრწყინვალესა. საპურველითა, მკედრობითა [— — —] ცხორებისაჲთა აღჰქედ შენ ეტლთა / მათ ზედა ცეცხლისაჲთა, — წამებისა. — გიორგი — / აოტენ მტერნი, და მოიქეც შენ ძლევეთ გვრგვინოსანი.	(12) (12) (5+7) (7+5) (12)
3 (ანტიტროფი)	ღუაწლითა რჩეულითა [— — — — —] რქათა მათ ზედა მეფეთა მძვნეარეთა, მოინადირე / ლომი კლეად შენ. გიორგი, და დაშრიტე მძვნეარედ / აღძრეჲ მუნ მათი ბოროტი, ვითარცა აღძრეჲ ვეშაპისაჲ.	(12) (12) (5+7) (7+5) (12)
4 (ანტიტროფი)	ღრუბლისა მის წილ ნათლისა — გვარვიდა შენ ეკლესიაჲ. სუეტისა მის წილ ცეცხლისა — შენ ჯუარი წმიდაჲ / გიძლოდა. რომელიცა მიიღე სიმკნით, მკნეო, / და მიჰრბიოდე სასუფეველად. ვითარ ირემი წყაროდ.	(12) (12) (5+7) (7+5) (12)

II, 2. — 1₂—4 კმაჲ უფლისაჲ შენ || 3₄ კულაჲ abs. || 4₆ ზეცასა] სასუფეველსა.

II, 3. — 1₆ ♀ abs. || 2₄ აწ abs. || 3₁ სიყუარულისაჲ.

II, 4. — 1₁ აწ abs. || 2₂ სიკაბუჲისა || 5₂ ზეცად abs.

III, 1. — 2₂—4 თაყუანის-ცემად კერპთა უსულთა || 4₁—2 რომელთა ცანი.

III, 2. — 3₂ შენ abs. || 4 ცეცხლისა || 4₁ წამებისა || 3 აღუოტენ.

III, 3. — 1₂ რჩეულითა + გუამისაჲთა || 2₆ მძვნეარეთასა || 3₁ მონადირე + ვითარცა ||

4 შენ abs. || 4₆ მუნ იგი.

III, 4. — 2₁ ეკლესიაჲ + იგი || 3₁ შენ abs. || 4₃ მკნეო abs. || 5₂ ვითარცა.

1 (სტროფი)	იქცეოდე შენ / მათა სიონისათა ვითარ ირემი მოსურნედ წყაროდ მიმართ, [— — — — —] მოიწყალ ისრითა მით ჯუარისაჲთა [— — —] და ალაკე წყურილი შენი სიყუარულით მისითა.	(5+7) (12) (12) (12) (12)
2 (ანტისტროფი)	სამსჯაეროსა მას / მეფეთა მრისხანეთა, რომელნი ძნევით იზრახებდეს შენ ზედა, კმა ჰყავ. ვითარცა ლომმან კმა ჰყოს გულ-ქველად, და შეკმუსრენი კერანი იგი მცბიერნი, და სიელტოლა ჰყვეს ყოველთა სოფლად მათდა.	(5+7) (12) (12) (12) (12)
3 (ანტისტროფი)	მდგომარე იყავ / ცეცხლსა მას აღგზებულსა [— — — — —] მეფეთაცა ზილვასა. და დაუკრდა მათ კმაჲ შენი, გიორგი: -ვერ ღირს არს ენებაჲ ესე ამის ჯამისაჲ შერმისა მარად მის თანა დიღებასა."	(5+7) (12) (12) (12) (12)
4 (ანტისტროფი)	გულსმოდგინებით / მოწრათედ მიპრბოდე კულსა მას მწყემსთ-მთაერისასა. ახოვანო, და იგი წარგიძლუა შენ სასუფეველსა — სულთა ცხორებისასა მას სახარულსა, სამყოფელსა მას მამისა მისისასა.	(5+7) (12) (12) (12) (12)

გ ა ლ ო ბ ა ე V

1 (სტროფი)	შეიმოსე წყალთაგან / ნათლის-ღებითა — ქრისტე, მკნეო გიორგი / ხოლო ჯუარცუმასა სისხლითა წამებისაჲთა ეზიარე მისთვის სასუფეველსა / მას წარუვალსა მკვდრ ხარ აწ. ახოვანო, ღუაწლისა მძლეო!	(7+7) } (5+5) } (12) (7+5) (12)
2 (ანტისტროფი)	ძელსა დამოუკიდე / მსგაესად მაცხოვარისა, მკნეო გიორგი. / და ლოდი გაქუნდა საპყრობილედ გუამსა შენსა ამისთვისცა აღდგომილი საფლავით / ტბილი იესუ განცხადებულად თუალით შენით იხილეს!	(7+7) } (5+5) } (12) (7+5) (12)
3 (ანტისტროფი)	მახვლსა მოუდრიკე / თავი საწამებელად მისთვის, რომელმან / მოადრიკა თავი	(7+7) } (5+5) }

IV, 1. — 2₁ ვითარცა || 3₁ — — — —] წყალთაგან (?) || 5₁ სიყუარულითა.

IV, 2. — 1₄ მრისხანეთასა || 2₂ — მძნეარელ იზრახებოდეს || 3₂ — კმა ჰყოს abs. || 4₁ შეკმუსრენ || 4 იგი abs. || 5₂ — სიელტოლად იწვეს.

IV, 3. — 1₄ მას შინა || 3₃ მათ მისს. || 4₃ არს არიან || 7 ჯამისანი || 5₂ მარად abs.

IV, 4. — 3₄ შენ abs. || 4₃ — სიხარულსა მას || 5₁ — სამყოფელსა მას abs.

V, 1. — 2₃ ხ⁷] და || 4 ჯუარცუმასა + მისსა || 4₁ მისთვის abs. || 3 მას მისსა || 5₁ — მკვდრ ხარ აწ abs.

V, 2. — 1₃ მიმსგაესებული || 2₃ და abs || 4₃ — ტბილი იესუ abs || 5₁ — თუალითა ზენითა.

	გნებასა ჯუარსა ზედა, და აწ მის მიერ	(12)
	განგებუნეს ზესენელისა / კარნი ბჭეთანი	(7+5)
	და მკედარი — ცათა სარბიელს მიიწიე.	(12)
4	ქალწულის დედოფლისა, / მალღის დედისა ღმრთისა,	(7+7)
(ანტისტროფი)	მისა მიმართ შენ / შესწირე ძლუნე	(5+5)
	მართლად-აღსარებისაჲ, ჰ ახოვანო	(12)
	სიმდიდრეჲ იგი ნიჭთაჲ / ძისა მისისაჲ	(7+5)
	ზიილე და განუყაე მაქებელთ შენთა.	(12)

გ ა ლ ო ბ ა ა VI

«რომელმან პირველ» — ამათ ზედა

1	შენ, მოწამეო, / ცეცხლსა მას მგზნებარესა	(5+7)
(სტროფი)	შინა სამი დღე იქცეოდე [— — —]	(12)
	გიხილეს რაჲ მეფეთა / მძლავრთა, ვითარცა	(7+5)
	სიძე რაჲ მდგომარეჲ / ტაძარსა შინა,	(7+5)
	ბრწყინვედ გამოშაველი / ეზოთ, სანატრელო	(7+6)
2	პირველ განმზადეს / შენთვის ურმისა თუალი	(5+7)
(ანტისტროფი)	იგი საზარელ, და მას შინა დაპურილი	(12)
	მახვლის მიერ / უხრწნელებით იპოე.	(5+7)
	ვითარცა ოქროჲ / ბრწყინვალეჲ ბრძმელსა შინა	(5+7)
	განსაცდელთასა, / მოწამეო გიორგი	(5+7)
3	ჰ ახოვანო, / მკნეო მარტკლთა შორის,	(5+7)
(ანტისტროფი)	რაჲამს განკურდეს შენთვის ცანდალნი იგი	(12)
	სპილენძისანი, / საზარელნი ხილვითა,	(5+7)
	ფერკთა შესხმადა / თავს ისხენ შენ, გიორგი,	(5+7)
	და მით ვეშაპი / მოჰკალ, მკებნარი ბრჭალთაჲ.	(5+7)
4	სამგზის ნეტარო, / მსახურო სამებისო,	(5+7)
(ანტისტროფი)	რომლის წინაშე სდგა კადნიერად, მკნეო,	(12)
	აწ ქებაჲ შენი / ბრწყინაეს ეკლესიათა	(5+7)
	და მორწმუნენი / მეუხად აღგაირებთ,	(5+7)
	მიკსენ ჰირთაგან / აწ მგალობელნი შენნი.	(5+7)

გ ა ლ ო ბ ა ა VII

«დაბადებულნი» — ამათ ზედა

1	„მრავალ არს ჰირი / მართლისაჲ!“ — კმა ჰყო მკნემან	(5+7)
(სტროფი)	სატარჯველთა მათ სიმძაფრესა მას შინა; —	(12)
	„ხოლო ჰმატნ ვნებაჲ / ჰრისტეისი — შრომას ჩუენსა	(5+7)

V, 3. — 3₁ ვნებასა abs. || 6 აწ abs. || 4₂ — კარნი ზესენელისა || 5₄ სარბიელსა.
V, 4. — 1₁ ქალწულისა || 3 მალღისა abs. || 2₃₋₄ — შესწირე შენ || 3₁ მართლად-აღსარებისაჲ
|| 2₂ abs. || 4₂ — ნიჭთა მათ ძისა მისისათაჲ || 5₄ მაქებელთა.
VI, 1. — 5₃ ეზოთ + თვსით.
VI, 2. — 1₄ ურმის || 2₂ საზარელი || 3₁ მახვლისა || 3 უხრწნელ || 5₂ მთავარ-მოწამეო.
VI, 3. — 1₄ მარტკლთა] მოწამეთა || 3₁ სპილენძისანი] რკინისანი || 5₃₋₄ მოჰკალ ვეშაპი
|| 6 ბრჭალთაჲ.
VI, 4. — 1₂ ნეტარო] სანატრელო || 4 სამებისაო || 2₁ რომლისა || 6 მკნეო] გეორგი || 3₁ აწ
abs. || 6 ეკლესიასა შინა || 4₂ მორწმუნენი abs. || 5₂ ჰირისაგან || 6 აწ abs.

- რა ღმერთი ღმერთთაჲ / ჯუარს ეცუა ჩუენ კაცთათჳხ, (5+7) ¹
 რაჲ არს სიკუდილი / კაცისაჲ ღმერთისათჳს. (5+7)
 ყოვლნი საქმენი — უფალსა აკურთხეველით!
- 2 (ანტისტროფი) ღმერთი ღმერთთაჲ / გიორგი მკსნელის მიმართ: (5+7)
 ეინაჲ გიხილე უფალი ღმერთისაჲ, (12)
 არ მოვიწყინო / შედგომაჲ გზათა შენთაჲ, (5+7)
 აწ სულსა ჩემსა / დაესდებ მე შენთჳს, მკსნელო, (5+7) ¹
 და შენთანა ჯუარს / ვეცუმი [— — — —] (5+7)
 ყოვლნი საქმენი — უფალსა აკურთხეველით!
- 3 (ანტისტროფი) პრქუა მკსნელმან თჳსსა / საყუარელსა მოწამეს (5+7)
 გიორგის ღუაწლსა შინა: „შენ აღმიარებ (12)
 წინაშე კაცთა, / ხოლო მე შენ გადილო (5+7)
 წინაშე მამის / ჩემისა ზეცათაჲსა, (5+7) ¹
 და აწ მიილე / გვრგვნი და ღალადებდ: (5+7) ¹
 ყოვლნი საქმენი — უფალსა აკურთხეველით!“
- 4 (ანტისტროფი) მიუვო მკსნელმან / გიორგის ახოუნას: (5+)
 „შენ ხარ მთავარი მოწამეთაჲ, მოდასე (12)
 და მძნობარეცა / ქერობინთა მათ თანა, (5+7)
 და აწ მიილე / ჩემგან გვრგვნი, მსგავსი (5+7) ¹
 შეუენებისა მის / შენისაჲ და ღალადებდ: (5+7)
 ყოვლნი საქმენი — უფალსა აკურთხეველით!“

გ ა ლ ო ბ ა ა VIII

„უზემთავს არსა — ამათ ზელა.“

- 1 (სტროფი) უზემთავს არს / ბუნებასა კაცთასა (5+7)
 ძალი საღმრთოთა / სასწაულთაჲ. გიორგიი (5+7)
 რაჲამს უწოდე / მკუდარსა დავიწყებულსა, (5+7)
 ძულთა განკმელთა, მყის შეიმოსნა კორცნი, (12)
 შეერთებულმან / ძალი მიიღო სლვისაჲ. (5+7)
- 2 (ანტისტროფი) შენ, მოწამეო, / კმა ჰყავ კერპთა მათ მიმართ (5+7)
 უკმოძთა კმითა / და რისხვით ეტყოდე მათ: (5+7)
 „წარმართთა კერპნო, / რად იკადრებთ ღმერთებად (5+7)
 სახელის-ღებად, აწ ეინაჲთგან აქა არს (12)
 მოწამეჲ ღმრთისაჲ, / რომელ არს მკნეჲ მკედარიი“ (5+7)

VII, 1. — 17 მკნემან გეორგი || 31 ხოლო არამედ || 5-8 ენებანი ქრისტესნი შრომათა ჩუენთა || 41 რა abs. || 54 კაცთაჲ.

VII, 2. — 15-8 მკსნელის მიმართ abs. || 21 ვინაჲთგან || 2 გიხილე + მე || 3 არაჲ მოვიწყინე მე შედგომაჲ მცნებათა შენთაჲ || 47 მკსნელო abs. || 51 და abs.

VII, 3. — 13-4 საყუარელსა თჳსსა || 6 მოწამესა || 24 შენ + მე || 35 შენ abs. || 42 მამისა || 58 ღალადებდი.

VII, 4. — 14 ახოუნას abs. || 24 მოწამეთა + ახოანო და || 31-2 და მძნობარეცა ანგელოზთაჲ და მძნობარე || 4 მათ abs. || 6 თანა + წმიდათა || 44 ჩემგან abs. || 51 შეუენიერებისა || 2 მის abs || 55 ღალადებდი.

VIII, 1. — 54 სლვისაჲ abs.

VIII, 2. — 16 მათ abs || 36 ღმერთებად abs. || 41 სახელის-ღებად + თქუენ საძაგელნო || 4 აწ abs.

3	ბრძანა მეფემან / და რისხვით გეტყოდა შენ:	(5+7)
(ანტისტროფი)	„რამ არს სახელი / შენი, რომელ ესოდენ	(5+7)
	იკადრე ღმერთთა / და რუენთაყა წინაშე“	(5+7)
	არქუ მას „სახელი ჩემი — ქრისტეანობამ,	(12)
	ხოლო კაცთაგან — / გიორგი მეწოდების.“	(5+7)
4	რაყამს განიპყრენ / კელნი ჯუარისა სახედ	(5+7)
(ანტისტროფი)	ლოცვასა შინა, / მიიღე სული წმიდამ,	(5+7)
	და მოუდრიკე / მახვლსა თავი შენი,	(5+7)
	და შექვედრე უმანკოა სული უფალსა,	(12)
	რომელმან მკვდრ გყო / შენ ზეცასა, გიორგი	(5+7)

2.

ბალობანი ნათელთანი და ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისანი

მეორე ნაწარმოები გრიგოლ ხანძთელისა, რომლის გრიგოლ ხანძთელისადმი კუთვნილება ჩვენ თავიდანვე დავადგინეთ, და რომელიც გახდა ერთ-ერთი დასაყრდენი გრიგოლ ხანძთელის სხვა ნაწარმოებთა გამოვლინებისათვის, — ეს არის მეორე პოემა გრიგოლ ხანძთელისა: **გ ა ლ ო ბ ა ნ ი ნ ა თ ე ლ თ ა ნ ი** და **ჰ ა ბ ო ი ს მ ა ი ტ ე ლ - ყ ო ფ ი ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ი ს ა ნ ი**.

რომ გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარში, რომელიც შედგენილია VIII საუკუნის დასასრულსა და IX საუკუნის პირველ ნახევარში, უეჭველად უნდა ყოფილიყო ბალობანი აბო (ჰაბო) ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისა, ეს თავიდანვე აშკარა იყო იმ მასალებიდან, რომელიც ჩვენ გვაქვს აბოს ხსენების შესახებ VIII — IX საუკუნეთა ქართულ წყაროებში.

აბოს კანონიზაცია, როგორც ცნობილია, მოხდა VIII საუკუნის ოთხმოციანი წლების ბოლოს, — ამ დროიდან მისი კულტი ოფიციალურად არის აღიარებული და საყოველთაო გავრცელებას ღებულობს. ამ დროსვე იწერება აბოს მარტვილობა. აბოს ხსენება ამავე დროსვე, VIII საუკუნის დასასრულში, შეტანილია მოკლე იადგარში არქაული რედაქციისა. ასევე აბოს ხსენება შეაქვთ ქართულ «კანონში» (იერუსალიმური განწესება და განჩინება), ხოლო მისი მარტვილობა შეაქვთ სპეციალურ კრებულში «მრავალთავი», რომელიც მთავარ (ძირითად) ხსენებებთან დაკავშირებულს საკითხავების წიგნს წარმოადგენდა¹.

აშკარაა, საწელიწდო იადგარში გრიგოლ ხანძთელისა, რომელიც იმ ეპოქის ძეგლია, როდესაც საბოლოოდ და საყოველთაოდ განმტკიცდა აბოს კულტი,

VIII, 3. — 1—4 რისხვით და || 6 შენ abs. || 26 ესოდენ || 32—5 ღმერთთა — წინაშე წინაშე ღმერთთასა || 44 ჩემი + უზუშთაეს არს

VIII, 4. — 14 ჯუარის || 3, და abs. || 44 უმანკო abs. || 54—5 შენ ზეცასა ზეცისა სასუფეველსა

¹ ასეთი ტიპისაა კრებულები: შეუშური მრავალთავი (A — 19); პარხალური მრავალთავი (A — 95, პირველი ნაწილი). შატბერთელი მრავალთავი (A — 1109 + A 1287, H — 2097, (A — 713. S — 5225). აქ საჭიროა აღნიშნათ ამათთან. რომ კრებულისაგან „მრავალთავი“ განსხვავდება კრებული „მოწამეთა“ და წმინდა ჰაგიოგრაფიული კრებულები, რომლებიც სხვა ტიპისაა, სხვა დანიშნულებისა. (ამის აღნიშვნა საჭირო ხდება იმის გამო, რომ გვიან ხანაში ერთმანეთს ურევდნენ ჰაგიოგრაფიულ კრებულებსა და „მრავალთავს“).

უნდა ყოფილიყო გალობანი, მიძღვნილი აბოს ხსენებისადმი (მით უფრო, რომ აბოს ხსენება თვით მოკლე იადგარის არქაულ რედაქციაშიაც კი ყოფილა შეტანილი).

აბოს ხსენება დაწესებული იყო 7 იანვრისათვის.

მიქაელ მოღრეკლის კრებულში, რომელიც საწელიწდო იადგარის განვრცობილ რედაქციას წარმოადგენს, 7 იანვრის თარიღისათვის მოთავსებულია სამი „გალობანი“ („კანონი“):

1) გალობანი (კანონი), რომელიც იწყება სიტყვებით: „დაღაცათუ დამბადებელმან“ („გალობას“ ახლავს ორი სტიქარონი: უ და ა).

2) გალობანი (კანონი), რომელიც იწყება სიტყვებით: „იესუ ღმრთისა სიტყუო“. (ამ გალობასაც ახლავს სტიქარონი).

3) გალობანი (კანონი), რომელიც იწყება სიტყვებით: „რომელმან იორდანეს“.

ამ სამი ტექსტიდან მეორე გალობანი (რომელიც იწყება სიტყვებით „იესუ ღმრთისა სიტყუო“), — ეკუთვნის, როგორც ამის შესახებ დაცულია პირდაპირი მითითება, X საუკუნის მწერალს სტეფანე სანანოზს-ძე ჰყონდიდელს.

მესამე გალობანი (რომელიც იწყება სიტყვებით: „რომელმან იორდანეს“), ეკუთვნის X საუკუნის მწერალს ივანე ქონქოზის-ძეს.

ამ გვიანდელი X საუკუნის ტექსტების გამოკლებით ჩვენ გვრჩება ერთად-ერთი ტექსტი, — გალობანი აბოხსნი, რომელიც გრიგოლ ხანძთელს ეკუთვნის (— გალობანი, რომელიც იწყება სიტყვებით: „დაღაცათუ დამბადებელმან“; იხ. მიქაელის კრებული, გვ. 182 — 184).



გრიგოლ ხანძთელის ეს პოემა გალობანი ნათელთანი და ჰაბოხსნი იხსენიებულია ქართულ ენისა და ლიტერატურის ისტორიაში შთაგონებულია გმირობის იმავე სულით, აღბეჭდილია გმირობის იმავე პათოსით, რაც ჩვენ გვაქვს ზემოთ-განხილულ პოემაში გალობანი გიორგისნი.

პოემის ფორმის შესახებ.

გრიგოლ ხანძთელის ეს მეორე პოემა დაწერილია ქართული ლექსის მეორე სახეობით, სილაბური უკვეთელი ლექსით (საგალობელთა «მარცვლელი»). თუ პირველ ძეგლში — გალობანი გიორგისნი — ჩვენ გავეცანით გრიგოლ ხანძთელისეულ პირველ სალექსო ფორმას, სილაბურ მუხლედოვან ლექსს (იამბიკონს), ამ მეორე ნიმუშში ჩვენ გავეცნობით, თუ როგორის ხელოვნებით ჰფლობს გრიგოლ ხანძთელი ამ მეორე სალექსო ფორმას. გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა «მარცვლელი» აღბეჭდილია რიტმის დიდი დინამიურობით.

მოგვყავს გრიგოლ ხანძთელის გალობათა ტექსტი სრულად.

შენიშვნა. აბო, როგორც ცნობილია, არაბებმა აწამეს ნათლისღება დღეს. ამის გამო გრიგოლ ხანძთელის გალობანი ორ პლანშია გაშლილი, — იგი მიძღვნილია ერთდროულად ნათელთათვის და აბოხსათვის. პოემა („გალობანი“) შესდგება რვა გალობისაგან. ყოველ გალობაში ხუთი სტროფული ერთეულია, რომელთაგან ორი მიძღვნილია ნათელთათვის, ხოლო სამი აბოხსათვის არის მიძღვნილი.

გალობანი
ნათელთანი და პაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისანა

ქმა V

გალობა I

«ეტლთა სიმრავლეთა» — ამათ ზედ.

[ნათელთათუს]

1	დაღაცათუ დამადებულმან	(9)
(სტროფი)	სიტყუამან ღმრთისამან / შეიმოსა კაცებამ	(6+7) 13
	და მით ნათელ-ილო ჩუენთვის,	(8)
	ხოლო არამთუ ბუნებით შეირწყუნეს	(11)
	ღმრთებამ და კაცებამ, / არამედ შეიყვნეს.	(7+6) 13
2	დაღაცათუ ვითარცა ტრედი	(9)
(ანტისტროფი)	იხილვა გუამითა / დღეს სული უხილავი	(6+7) 13
	ნათლის-ლებასა ქრისტემსსა,	(8)
	არამედ არა ბუნებითა აქუნდა	(11)
	გუამოვნებისა ხატი, / გარნა მსგავსებითა.	(7+6) 13

[პაბომსთუს]

3	შემდგომად დიდისა მის დღისა	(9)
(ანტისტროფი)	დღესასწაულისა / განმანათლებელისა	(6+7) 13
	ნათლისლებისა უფლისა,	(8)
	შევამკოთ აწ. ერნო, მოღუაწისაცა	(11)
	ახლისა მოწამისა / კსენებამ პაბომსი.	(7+6) 13
4	რაყამს მოიწია ბაბილონდ	(9)
(ანტისტროფი)	მთავარი ქართლისამ, / მაშინ ნეტარი პაბო,	(6+7) 13
	შჯულითა ისმაიტელი,	(8)
	შეიწყნარა განგებითა ღმრთისამათა	(11)
	და მის მიერ გულისხმა ყო / ძალი ქრისტემსა.	(6+5) 13

მეჩაელ მორდუცილის კრებული, გვ. 181 — 184.

I, 2. — 4₃ ბუნებით || 5₁ გუამოვნებისა + იგი || 4 მსგავსებით.

I. 3. — 4₃ აწ abs

5	განიზრახა გულისხმის-ყოფით	(9)
(ანტისტროფი)	მედგრობაჲ შჯულისა / თჳსისა მამულისაჲ	(6+7) 13
	ქრისტემს-მოყუარემან პაბო,	(8)
	და მყის დაუტეეა სიციბილი იგი	(11)
	პირველი, და აღიარა / ქრისტემს ღმრთეებაჲ.	(8+5) 13

გ ა ლ ო ბ ა ა II

«რომელმან დააფუძნე» — ამთ ზედა.

[ნათელთათვის]

1	ღმრთად იცნა	(3)
(სტროფი)	ქრისტე იორდანემან და შეძრწუნდა	(11)
	ძალისა / მისგან ყოვლად შეუძრველისა.	(3+9) 12
	დასცხრა ოხრისაგან,	(6)
	ღუმილით ისწაუა კრძალულებით	(10)
	ჯანბანად საუფლოთა მათ კორცთა	(10)
	შემოქმედისა, / ყოველთა ღმრთისა.	(5+5) 10

2	მსახურნი	(3)
(ანტისტროფი)	იგი სამებისანი უხილაენი	(11)
	თანადგეს / მაეხოვრისა ნათლისღებასა	(3+9) 12
	გარემოდს საღმრთოსა	(6)
	საბანელსა, / წმიდაარსობითა	(10)
	აქებდეს მხოლოდ შობილსა ძესა,	(10)
	კორციითა ჩუენთვის / ნათელღებულსა.	(5+5) 10

[პაბომსთვის]

3	ბნელთა მათ	(3)
(ანტისტროფი)	აერთა ღრუბელთა უნაყოფოთა	(11)
	კითარცა / ვარსკულაჲი ცისაჲ გამობრწყინდა	(3+9) 12
	ქრისტემსა მოწამედ,	(6)
	და არეთა შინა ჩრდილომსათა	(10)
	მზეებრ გამობრწყინდა სანატრელი	(10)
	პაბო, და ქნათობს / ქართლისა მკედრთა.	(5+5) 10

4	ყუაიელი	(3)
(ანტისტროფი)	სულნელი ძირთაგან უნაყოფოთა	(11)
	გამოჩნდა / ფერიითა მით მეწამულითა.	(3+9) 12
	და სულმან წმიდამან	(6)
	აღიტაცა ზეცად გონებითა,	(10)
	და მუნ უჩუენა შუებაჲ წმიდათაჲ	(10)
	ყუაიელოვანსა / სამოთხისასა.	(5+5) 10

I, 5. — 1₂ გულისხმის-ყოფითა || 4₆ იგი abs.

II, 1. — 3₃ ყოვლად abs.

II, 2. — 2₁ იგი მსა.

II, 3. — 2₂ ღრუბელთაგან || 3₃ ცისაჲ abs. || 4₁ ქრისტეს || 6₃ სანატრელი] ნეტარო.

5	მკეტა მათ	(3)
(ანტიტროფი)	მძუნვარეთა და სისხლისა მჭამელთა,	(11)
	მარადის / მტერთა სულისა წმიდისათა,	(3+9) 12
	რაყამს გულისხმა ყვეს	(6)
	სარწმუნოვებად მიუქცეველი,	(10)
	რომელი აქუნდა ნეტარსა ჰაბოს,	(10)
	განიზრახეს მათ / წარწყმელად მისი.	(5+5) 10

გ ა ლ ო ბ ა ი I I I

«ესმა მოსლვია» — ამათ ზედა.

[ნათელათვს]

1	კბილთა მათ გუელისათა გესლოვან ყვეს	(11)
(სტროფი)	პირველქმნული, ხატად ღმრთისა	(8)
	დაბადებული, ხოლო ქრისტემან	(10)
	იორდანესა განბანითა	(9)
	კუალად განასაქეტაკა ხატებამ.	(10)
2	ვითარცა იხილა ნათლისმცემელმან	(11)
(ანტიტროფი)	დაუსაბამოდ ნათელი	(8)
	ნათლისღებად მომავალი, ქრისტე,	(10)
	ღმრთად იცნა და კრავად სახელსდვა,	(9)
	რომელი დაკლვად იყო სოფლისთვის.	(10)

[ჰაბოხსთვის]

3	ეძიებდეს შეპყრობად მოწამესა	(11)
(ანტიტროფი)	ქრისტეისასა უშჯულონი,	(8)
	ხოლო იგი ნეფსითა მიეცა	(10)
	ქელთა მათთა, ვითარცა მკსნელი,	(9)
	მოსიკუდილ ქელთა მტერთა მისთასა.	(10)
4	რამეთუ ცხოვრებამ ჩემი ქრისტე არს —	(11)
(ანტიტროფი)	სიკუდილი შესაძინელ არს. —	(8)
	ესრემთ კმობდი, ქრისტემს მოწამეო,	(10)
	წინაშე უშჯულოთა მძლავრთა,	(9)
	და მისთვის დასთხიენ სისხლნი შენნი.	(10)
5	ისწავებდა წიგნთაგან და მოძღუართა	(11)
(ანტიტროფი)	ღირსად სარწმუნოებასა	(8)
	და წესისა შჯულსა წმიდაჲ ჰაბო,	(10)
	და სიხარულით აღიღებდა	(9)
	მამასა ძით და სულით წმიდიითურთ.	(10)

III, 1. — 4₁ იორდანეს || 5₂ ხატებამ abs.

III, 3. — 3₃ ნეფსით.

III, 4. — 2₁ + და " სიკუდილი || 3₃ ქრისტემს abs.

III, 5. — 3₄ წმიდაჲ ნეტარო.

[ნათელათუსს]

1	რომელმან განახუნა საქანელნი ცისანი	(13)
(სტროფი)	და წყალნი იგი ზესკნელისანი	(10)
	დამოადინა ქუეყანად.	(8)
	დღეს განიზანების კორცითა	(3)
	იორდანისა წყალთა.	(7)
2	რომელმან შექმნა ზღუაჲ ესე დიდი და ვრცელი	(13)
(ანტისტროფი)	და კმელი ქელთა მისთა დაჰბადეს,	(10)
	დღეს ოვი ნათელსა იღებს —	(8)
	დაულამებელი ნათელი,	(9)
	თვთმნათობი არსებად.	(7)

[ჰაბოჲსთუსს]

3	ეტყოდა რაჲ ჰაბო ნათესავთა მათ თვისთა:	(13)
(ანტისტროფი)	კეთილ არს დატევებად ბნელისად	(10)
	და მოწრაფებად ნათელსა	(8)
	ღმრთისა მეცნიერებისასა,	(9)
	მონებად სამებისა.	(7)
4	ესმა რაჲ ესე ერსა ისმაიტელთასა,	(13)
(ანტისტროფი)	აღეგზნეს ცეცხლებრ გულისწყრომითა	(10)
	და მკეცებრ იღრჳენდეს კბილთა,	(8)
	რაჲთა მისცენ იგი მოსიკუდიდ.	(9)
	ჰაბო ქრისტეჲს მოწამედ.	(7)
5	არად შეჰრაცხა განრისხებად უშეულოთად	(13)
(ანტისტროფი)	და არცა ყოვლად ზარგანკლილ იქმნა,	(10)
	რამეთუ უყუარდა ქრისტეჲ,	(8)
	და არაჲ დასცხრებოდა კითხვად	(9)
	წიგნებთა მათ საღმრთოთა.	(7)

[ნათელათუსს]

1	ზეციით ჰხადა უფსკრულსა	(7)
(სტროფი)	იორდანესა ზედა	(7)
	უფსკრულსა მას სიბრძნისასა	(8)
	შამამან ძესა კორცმესხმულსა,	(9)

IV, 2. — 3₂ იგი abs.

IV, 3. — 1₆ მათ abs. || 4₁ ღმრთის.

IV, 4. — 1₃ ესე abs. || 4₃ იგი abs.

IV, 5. — 5₁ წიგნთა.

	და ესე / ესმა იოვანეს, ვითარმედ — ესე არს ბუნებით ქეა ჩემი და თანასწორი არსებაჲ დაუსაბამოდ.	(3+6) 9 (9) (8) (8)
2 (ანტისტროფი)	დღეს დუჲან მდინარენი და ოხრიან აერნი, ღრუბელნი სამყაროთანი აცურევენ ცუარსა მას საღმრთოსა, შეითქუნეს / მეტყუელი და უტყუ. იოვანე და იორდანე, და შიშით განბანეს კორცნი მკსნელისანი უცოდველნი.	(7) (7) (8) (9) (3+6) 9 (8) (8) (8)
* [პაბომსტვს]		
3 (ანტისტროფი)	მოიწია რა პაბომს ქამი მოღუაწებისაჲ, მყის მოიწინეს მსახურნი უშუქულომსა მსაჯულისანი, შეიპყრეს / მოწამეჲ ქრისტემისი, და შეკრული საკრველითა მით სამშუკაეროდ მისცეს უმშუკაეროდ და ჰგუემდეს მსგავსად მკსნელისა.	(7) (7) (8) (9) (3+6) 9 (9) (8) (8)
4 (ანტისტროფი)	განიხარა ნეტარმან საპყრობილესა შინა უმშუკაეროდ გუემაჲ ქრისტემსტვს და იწყო დაუცადებელად სულთქუშითა / კმობაჲ ქრისტემს მიმართ აჲჲ ესერა სიხარულით დაესდებ შენტვს სულსა ჩემსა, შეიეღრე, მაცხოვაროჲ	(7) (7) (8) (9) (3+6) 9 (9) (8) (8)
5 (ანტისტროფი)	აუწყა მას ქრისტემან ქამი აღსრულებისაჲ, მისცა სიმკნე გულსა მისსა, სიტყიყეა გონებასა მისსა: მას ჟამსა / ჰრქუა მის-თანათა შათ: აჲ არღარა სადა მიხილოთ, რამეთუ მსურის მე განსლვად და ქრისტემსა თანა ყოფად.	(7) (7) (8) (9) (3+6) 9 (9) (8) (8)

ვ. 2. — 8₁ მკსნელისანი + ყოელად.

ვ. 3. — 6₄ მით abs.

ვ. 4. — 2₁ საპყრობილესა (+ მას) შინა (მეოთხე ტაეჲად) || 4₁ და abs. || 5₂ კმობდა.

ვ. 5. — 4₁ + და " სიტყიყეა || 6₁ აწ abs || 8₂ ქრისტეს.

გ ა ლ ო ბ ა ა VI

«უფრომსად აღმალლებულმან» — ამათ ზედა.

[ნათელთათვის]

1	შეინანა დაბადებამ	(8)
(სტროფი)	კაცისა და მბადებულმან	(8)
	და რისხეით აღკოცნა წყლითა	(8)
	ნოეეს-ზე ნათესავით,	(7)
	აწლა მითვე წყლითა მკსნელმან	(8)
	აღკოცნა ცოდეაჲ ჩუენნი.	(8)
2	ღმრთეებისა სამკედურმან	(8)
(ანტისტროფი)	შთაიცუა ვითარცა მატლი	(8)
	მიწისაგანი ბუნებამ	(8)
	და მით ნოინადირა	(7)
	წყალთა მათ შინა ვეშაჲ	(8)
	მომზირალა ბრჭალთა ჩუენთამ.	(8)

[პაბომათვის]

3	აღეგზნეს გულისწყრომითა	(8)
(ანტისტროფი)	უღმრთონი ისმაიტელნი	(8)
	პაბომათვის მოლუაწისა	(8)
	და ეტყოდეს მსაჯულსა:	(7)
	«წარწყმიდე მაცთური ესე,	(8)
	მკლომი შჯულისა ჩუენისაჲ!»	(8)
4	მოჰყვანდა ვითარცა კრავი	(8)
(ანტისტროფი)	ნეფსითა დაკლვად კრისტემსთვს	(8)
	გზასა მას წამებისასა;	(8)
	იშვებდა სიხარულით,	(7)
	მოუდრიკა თავი კრმალსა,	(8)
	შეკედრა სული უფალსა.	(8)
5	ძისა აღმსარებელი,	(8)
(ანტისტროფი)	მამისა მადიდებელი	(8)
	და მაქებელი სულისამ,	(8)
	უშჯულოთა ქელითა	(7)
	დაიკლა ვითარცა კრავი,	(8)
	შეიწირა მსხურაჲლად ღმრთისა.	(8)

VI, 1. — 5₁ აწ.

VI, 2. — 5₂ მათ.

VI, 3. — 6₁ + და " მკლომი.

VI, 4. — 2₁ ნეფსითა] ნეფსით თვისით || 4₁ იშვებდა] განსცხრებოდა და || 5₂ კრმალსა] მახვლსა || 6₁ + და " შეკედრა.

VI, 5. — 3₁ და abs. || 6₁ + და " შეიწირა.

[ნათელთათვის]

1 (სტროფი) იორდანესა / ვითარცა უზეშეთესსა (5+7) 12
 ყოველთა მდინარეთასა — მაქებელ ვექმნნეთ, (13)
 რამეთუ განწმიდა დღეს სულმან წმიდამან (12)
 და ემბაზ ექმნა საღმრთოთა კორცთა ქრისტემსთა. (13)

2 (ანტისტროფი) დაჰბადე ქრისტე / აღამ ხატად ბრწყინვალედ. (5+7) 12
 ხოლო მაცთურმან აცთუნა და დააბნელა, (13)
 არამედ მოხუედ და კულად ბრწყინვალე ჰყავ (12)
 ნათლისღებითა და მაცთური დააბნელე. (13)

[ჰაბომსთვის]

3 (ანტისტროფი) შიში უღმრთოთაჲ / განაგდეს მორწმუნეთა (5+7) 12
 და სურვილით ამბორს უყოფდეს უბიწოსა (13)
 მარტვლსა, რაჲ იხილეს აღსრულებული (12)
 ქრისტემსთვის კეთილითა აღსარებითა. (13)

4 (ანტისტროფი) გამოჩნდა ზეცით / ვარსკულავი მოტყინარეჲ (5+7) 12
 ღამესა ბნელსა მნათობი მზეებრ ბრწყინვალეჲ (13)
 გუამსა მას ზედა ქრისტემს მოწამისასა, (12)
 პატივად ღუაწლთა ჰაბო მქნედ მოღუაწისათა. (13)

5 (ანტისტროფი) შეკრიბნეს ძულანი / ახოვნისა ჰაბომსნი (5+7) 12
 და შთაყარნეს დიდსა მას მდინარესა მტკუარსა (13)
 ხოლო ივინი ბრწყინვიდეს წყალთა შინა (12)
 ვითარცა მთიებნი ყოვლად მნათობიერნი. (13)

გ ა ლ ო ბ ა VIII

[ნათელთათვის]

1 (სტროფი) რომელმან შეკრიბნა წყალნი (8)
 შესაკრებელსა მას ერთსა (8)
 საღმრთოჲთა ბრძანებითა (7)
 და დაადგინნა / ვითა თხიერთა (5+5)
 უფსკრულისა მათ საუნჯეთა — (9)
 ღმრთისა სიტყუამან. — (5)
 წყლითა ნათელ-სცა / წინამორბედმან. (5+5)

VII, 1. — 1₃ უზეშთაესსა.

VII, 3. — 3₁—₂ მარტვლსა რაჲ] ქ^ეს მოწამესა რაჲამს.

VII, 4. — 2₃ მნათობი abs.

VII, 5. — 2₈ მტკუარსა abs.

VIII, 1. — 2₈ მას abs. || 4₃ ვითარცა || 5₂ მას abs.

2	დაუსაზამოდასა შვისა	(8)
(ანტიტროფი)	ნათლისა ნათლისღებითა	(8)
	დამდაბლებულ არიან	(7)
	და დაბნელებულ / უკუნისამდე	(5+5)
	მაენებელნი სულნი ბოროტნი,	(9)
	და მზებრ ნათობენ	(5)
	ნათელღებულნი / ადამიანნი.	(5+5)

*
[ჰაბომსტუს]

3	ზეგარდამო წოდებული	(8)
(ანტიტროფი)	სარწმუნოჲ ქრისტესს მოწამეჲ	(8)
	სანთელი მოტყინარეჲ	(7)
	ნეტარი ჰაბომ / დაფარეს აჲა	(5+5)
	სხეულითა ისმაიტელთა,	(9)
	ხოლო ქრისტესს მიერ	(5)
	ნათობს სულითა / სასუფეველსა.	(5+5)

4	უვარის-მყოფელნი შენნი	(8)
(ანტიტროფი)	და შომსრეელნი მართალთანი,	(8)
	სიცრუვისა მოქმედნი	(7)
	და ურწმუნონი / ისმაიტელნი,	(5+5)
	ჰ, ქრისტე, მისცენ მწარესა მას	(9)
	საუკუნესა	(5)
	სატანჯველსა / დაუსრულებელსა.	(5+5)

5	უძლეველო მოწამეო,	(8)
(ანტიტროფი)	სრბამ კეთილად აღასრულენ	(8)
	და აწ მკვდრ ხარ ნათელსა	(7)
	გამოუთქვამელსა; ევედრე ღმერთსა,	(5+5)
	რათა დაამკუნეს მტერნი ჩუენნი	(9)
	აგარეანნი,	(5)
	და ძლევაჲ მოსცეს / შეფესა ჩუენსა.	(5+5)

VIII, 2. — 6₂. მზებრ.

VIII, 3. — 3₂ მოტყინარეჲ] განბრწყინებული || 5₁ სხეულითა] კორციითა.

VIII, 4. — 2₁ და abs. || 4₁ და abs. || 5₁ ჰ abs.

VIII, 5. — 4₃ ღმერთსა] ქ¹ესა.

«საქვეყნო სათხოვარნი»
გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა

ჩვენ რასაკვირველია არ გვაქვს საშუალება შევეხოთ მთელის მოცულობით გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო იადგარს, რომელიც შეიცავს ასეულზე მეტ საგალობლებს დიდი ფორმისა („გალობანი“) და მთელ წყებას მცირე ფორმის საგალობლებისას (სტიქარონნი, ძლისპირნი), — მით უფრო, რომ ეს ძეგლები მხოლოდ ეხლა ხდება ცნობილი და ჯერ კიდევ გამოქვეყნებული არაა.

იმისათვის, რათა წარმოდგენა ვიქონიოთ გრიგოლ ხანძთელის ამ საგალობელთა ზოგიერთ მხარეზე, ჩვენ აქ შევჩერდებით გალობათა ეპილოგებზე, სადაც წარმოდგენილია «საქვეყნო სათხოვარნი».

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ გრიგოლ ხანძთელის თვითოეული საგალობელი დიდი ფორმისა — „გალობანი“ — შესდგება რვა გალობისაგან, რვა ოდისაგან.

უკანასკნელი ოდა, მერვე, წარმოადგენს გალობათა ერთგვარ ეპილოგს, სადაც წარმოდგენილია «საქვეყნო სათხოვარი», და სადაც პოეტი გამოსთქვამს თავის გულისნადებს საქვეყნო საქმეთა გამო.

ამ „საქვეყნო სათხოვართა“ მიხედვით ჩვენ ვხედავთ, თუ რა მგზნებარე პატრიოტული სულით არის შთაგონებული პოეტი, რომლის გულსაც ღრმად დასჩნევია სამშობლო ქვეყნის მწუხარება თუ სიხარული, ბედი თუ უბედობა.

•

გალობათა ტექსტებს ჩვენ გავეცნობით ქრონოლოგიურის თანამიმდევრობით.

გალობათა ეს ეპილოგები ინტერესს წარმოადგენს კერძოდ იმ მხრივაც, რომ ისინი იძლევიან საშუალებას გავითვალისწინოთ საგალობელთა ქრონოლოგიური რიგი.

ა.

არაბთა მფლობელობის ხანა, მეფობის აღდგენამდე

(VIII საუკუნის დასასრული — IX საუკუნის დასაწყისი)

პირველი პერიოდი გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობისა (— VIII საუკუნის ბოლო და IX საუკუნის დასაწყისი) — უწევს არაბთა მფლობელობის «ყამთა სიავის» ხანას, როდესაც, უცხოელ დამპყრობელთა საუკუნე-ნახევრის ბატონობის შემდეგ, თვით არსებობაც კი ქართველი ხალხისა, მისი მომავალი, ექვს ქვეშ იყო დაყენებული.

„აღვერიენით ერსა ამას უცხოსა, შჯულითა განდგომილსა ქრისტესგან“, — ამბობს არაბთა შესახებ ამ ეპოქის მწერალი იოანე საბანის-ძე VIII საუკუნის დასასრულს¹.

¹ იხ. იოანე საბანის-ძე, მარტვილობა აბო ტფილელისა, გვ. 79.

იგივე ავტორი წერდა:

„ვართ ყურესა ამას ქუეყანისასა — მძლავრებასა ქუეშე დამონებულნი, და ნაკლულეეანებითა და სიგლახაკითა შეკრულნი, ვითარცა რკინითა, ხარკსა ქუე-
შე მათსა გუემულნი და ქენჯნილნი, ძვრ-ძვრად ზღუეულნი, — შიშითა განილე-
ვიან და ირყევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა!“¹

«ქამთა-სიავის» ამ ეპოქაში არის შექმნილი გრიგოლ ხანძთელის საგალო-
ბელთა პირველი წყება.

ისინი აღბეჭდილი არიან ასეთივე ღრმა მწუხარებით სამშობლო ქვეყნის
დამხობის გამო.

ასე, ამ დროს ეკუთვნის გრიგოლ ხანძთელის საგალობელნი აღვსებისანი
(I, 4), რომელიც მთავრდება ასეთი «საქვეყნო სათხოვართ»: ²

ერი შენი / იქსენ სახიერებით,	(4+7)
განწირული და გლახაკი,	(8)
რომელი ლუაწლსა შინა	(7)
დაწუნებულ არს მარადის მტერთაგან,	(11)
არამედ შენდა მოივლტის,	(8)
სახიერ, ვითარცა ღმერთ ხარ, რათა იქსნე —	(12)
მტერთაგან მადიდებელნი შენნი.	(10)

«საქვეყნო სათხოვარში» მეორე საგალობელისა, რომელიც ამავე ეპოქას
ეკუთვნის, პოეტი წერს ³:

ერი მართლმადიდებელი,	(8)	}
მორწმუნე აღმსარებელი,	(8)	
შენდა მიმართ შევდრებელი,	(8)	
გვედრებით შენ, /	(5)	}
ქრისტე, მიქსნე ჩუენ	(5)	
ისმაიტელთაგან ყრმათა,	(8)	}
და შეახეთქენ /	(5)	
კლდესა, წმიდისა /	(5)	
გიორგის მიერ.	(5)	

ასევე დანარჩენ საგალობლებში ამავე ეპოქისა გამოთქმულია ვედრება
მტერთაგან დაცვისათვის ქვეყნისა ⁴.

ასე იხილეთ «საქვეყნო სათხოვარნი საგალობელთა:

ა) გალობანი რიფსიმე მარტვილისა და მოყუასთა (II, X) ⁵:

გვთხოვე უვნებლად
დაცვაჲ მტერთა ჩუენთაგან.

¹ იხ. იქვე, გვ. 58.

² საგალობელნი № 157. (აქ და ქვემოთ გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა №№-ები მითი-
თებული გვაქვს იმ სიის მიხედვით, რომელიც მოთაესებულია 779 — 785 გვერდებზე); მიქაელ
მოდრეკილის კრებული, გვ. 367.

³ საგალობელნი გიორგისნი, 10.X (№ 134); მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 320.

⁴ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი საგალობლები (№№ 125, 136, 9, 20) დაწერილია მეფობის
აღდგენამდე (809—813 წლებამდე); მათში მეფე არ მოიხსენება.

⁵ საგალობელნი № 125; მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 292.

ბ) გალობანი იოანე მოწყალისა (12. XI)¹:

მშვდობით დაცვაჲ მტერისა საფრქეთაგან.

გ) გალობანი შობისანი (25. XII)²:

წარგვმართე გზასა მშვდობისასა

დ) გალობანი ნათელთანი (8. I), სადაც განმეორებულია იგივე «საქვეყნო სათხოვარი»³:

წარგვმართე / გზასა მშვდობისასა.

ბ.

მეფობის აღდგენა აშოტ I-ის დროს (809 — 813 წ.წ.);
მომღვენო დამარცხება, და აშოტ I-ის გადასვლა შავშეთ-კლარჯეთში.

ამ წიგნის პირველი ნაწილის III თავში ჩვენ დაწერილებით გვქონდა საუბარი იმ ბრძოლების შესახებ, რომელსაც აწარმოებდა ქართველი ხალხი არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ IX საუკუნის დასაწყისში.

800 — 809 წლებში, ჰარუნ არ-რაშიდის ხალიფობის უკანასკნელ პერიოდში, საქართველოში ადგილი ჰქონდა მთელ რიგ აჯანყებებს.

არაბთა საწინააღმდეგო მოძრაობის ხელმძღვანელი იყო ქართლის ერისმთავარი აშოტ I ბაგრატიონი, დიდის სახელწოდებით ცნობილი.

ჰარუნ არ-რაშიდის სიკვდილის შემდეგ (809 წელს), არაბთა ხალიფატში, როგორც ცნობილია, იწყება ანარქია, ბრძოლა ხალიფობის პრეტენდენტთა. ამით ისარგებლეს იბერიაში; აჯანყებულებმა განდევნეს არაბთა რაზმები და ფაქტიურ დამოუკიდებლობას მიაღწიეს.

აშოტ I-მა ამ დროს, 809 — 813 წლებში, აღადგინა «მეფობაჲ ქართლისაჲ».

მაგრამ ეს გამარჯვება ხანმოკლე გამოდგა. ხალიფ მამუნის გამეფების დროიდან (813 წ.) არაბთა ისევ გაძლიერდა კავკასიაში და აშოტ I არაბებთან ბრძოლაში დამარცხდა.

ძველი ქართველი ისტორიკოსი სუმბატ დავითის-ძე გადმოგვცემს: „მაშინ განძლიერდა ქელმწიფება აგარიანთა (არაბთა) და იწყეს ძიება აშოტისა, და ვერ უძლო წინააღმდეგობად მათდა აშოტ“⁴. დამარცხებული აშოტ I იძულებული გახდა გასცლოდა თბილისსა და შიდა-ქართლს და თავი შეაფარა დასავლეთ-მესხეთის სანაპირო თემს შავშეთ-კლარჯეთს (ე. ი. იმ მხარეს, სადაც მოღვაწეობდა გრიგოლ ხანძთელი).

ამ დროს, საქართველოს ამ დიდი პოლიტიკური კრიზისის დროს, როდესაც ისევ დაემხო ხანმოკლე დროით აღდგენილი «მეფობაჲ ქართლისაჲ», ეკუთვნის გრიგოლ ხანძთელის ძლისპირთა ერთი ნაწილი, რომელშიაც ჩვენ გვესმის პოეტის ღრმა მწუხარება, ეროვნული კატასტროფით გამოწვეული.

¹ საგალობელი № 136; მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 325.

² საგალობელი № 9; მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 97.

³ საგალობელი № 20; მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 193.

⁴ იხ. სუმბატის ქრონიკა, გვ. * 573/342.

ერთ-ერთ ძლისპირში, — «საქვეყნო სათხოვარში», — პოეტი ამბობს ¹:

ნუ შეურაცხ-ჰყოფ	(5)
ერსა შენსა გლახაკსა და დაწუნებულსა,	(13)
არამედ შემწე ეყავნ	(7)
მარჯუნაჲ შენი ძლიერი და მალაღი,	(12)
შობილო ქალწულისაგან,	(7)
და მიკსნენ ჩუენ მონებისგან მტერთა ჩუენთამსა	(13)
აგარის ნათესავთა,	(7)
და ძლევაჲ მოჰმადლე / შეფესა ჩუენსა.	(6+5)

მეორე ძლისპირში, — «საქვეყნო სათხოვარში», — პოეტი ამბობს ²:

ვეედრე ძესა
შენსა, და ღმერთსა ჩუენსა, ყოვლად უბიწოო,
რათა მოგუანიჭოს ჩუენ
გამოქსნად უღლისაგან მტერთა ჩუენთამსა,
და შეფესა ჩუენსა მოჰმადლოს
ძლევაჲ ბარბაროზთაჲ!

ბ.

იბერიის მხარეთა განთავისუფლება.
«ქართველთა სამეფოს» რესტავრაცია.
(815 — 826 წ.წ.).

წიგნის პირველი ნაწილის III თავში ჩვენ აღდგენილი გვქონდა იბერიის მხარეთა მომდევნო ხანის ისტორია.

აშოტ I-მა, მას შემდეგ რაც იგი გადავიდა და გამაგრდა შავშეთ-კლარჯეთში, ყოველმხრივ გამოიყენა დროებითი შესვენება; აშოტმა თანდათან შემოიკრიბა და დარაზმა ძალები, რის შემდეგ ისევ განაახლა ბრძოლა არაბთა წინააღმდეგ იბერიის მხარეთა გასანთავისუფლებლად.

815 — 820 წლებში არაბთა წინააღმდეგ მებრძოლ ქართველთა ძალებისათვის ხელსაყრელი საგარეო ვითარება შეიქმნა. პურამიტების მოძრაობამ ადარბადაგანში, განდგომამ ცენტრალური ხელისუფლებისაგან კავკასიის არაბთა ჯარების მხედართმთავრისა, განხეთქილებამ კავკასიაში დამკვიდრებულ არაბ ბელადებს შორის, გამოიწვია არაბთა ყოფილი ძლიერების შესუსტება კავკასიაში. „მოუძღურებულ იყვნეს სარკინოზნი (არაბნი) და განდიდნა აშოტი“, — ასე ახასიათებს შექმნილ ვითარებას ძველი ქართველი ისტორიკოსი ³.

აშოტ I, იწყებს რა შეტევას არაბთა წინააღმდეგ შავშეთ-კლარჯეთიდან, თანდათან გაანთავისუფლებს და გააერთიანებს თავის მფლობელობის ქვეშ იბერიის ქვეყნების მეტ ნაწილს და დაიჭერს აგრეთვე ალბანის სანაპირო თემებს ვიდრე ბარდავის ქალაქამდე. .

¹ ძლისპირი IV ხმისა, ვალობა VIII, № 4 (ძლისპირთა დედნები A და C). ძლისპირები აქ და ქვემოთ მითითებული გვაქვს იმ ნუსხის მიხედვით, რომელიც მოთავსებულია 623—630 გვერდებზე.

² ძლისპირი II ხმისა, ვალობა IV, № 3 (ძლისპირთა დედნები A და C).

³ მატიანე ქართლისა, გვ. *441/229.

ძველი ქართველი მემკვიდრე სუმბატ დავითის-ძე მოგვითხრობს, რომ აშოტ I, რომელმაც დაიწყო ბრძოლები შავშეთ-ქლარჯეთიდან, — „კუალად ეუფლა ქუეყანათა ვიდრე კარამდე ბარდავის ქალაქისა, და მრავალგზის მოსცა ღმერთ-მან აშოტ კურაპალატსა ძლევა და დიდი დიდება ბრძოლათა შინა“ (გვ. *574/344).



დავებრუნდეთ გრიგოლ ხანძთელის საგალობლებს.

გრიგოლ ხანძთელის საგალობლებში ჩვენ გვაქვს გამოძახილი ქვეყნის იმდროინდელი ცხოვრებისა.

პოეტი შთაგონებულია ქართველი ხალხის ამ ისტორიული გამარჯვებებით. არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ, რომ ჩვენამდე გადარჩენილა ერთ-ერთი საგალობელი გამარჯვებისა, ძლისპირი, რომელიც გრიგოლ ხანძთელს დაუწერია ქართველი ჯარის გამარჯვების გამო, და რომელსაც, როგორც ირკვევა, მღეროდნენ გამარჯვების აღსანიშნავად გამართულს საეკლესიო დღესასწაულზე.

მოგვყავს ამ საგალობელიდან პირველი სტროფი ¹:

რომელმან მოსცა ძლევაი ' მეფესა ჩუენსა უფალმან,	(8+8)
და აღამაღლა	(5)
რქაჲ ცხებულისაჲ და Ⴀ ადიდა ეკლესიაჲ	(12)
მართლმადიდებლობასა შინა, —	(9)
ამას უღალადებთ დღეს:	(7)
არა ვინ არს წმიდაჲ, ვითარ ღმერთი ჩუენი	(12)



მოდწეულა აგრეთვე ძლისპირი, დაწერილი გრიგოლ ხანძთელის მიერ, — ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი ბ რ ძ ო ლ ი ს ა, რომელსაც მღეროდა ქართველი ჯარი.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ საგალობელთა კრებულში, რომელიც გადაწერილია X საუკუნის დასასრულს, — ხელნაწერში A — 603, — ჩაწერილია საგალობელის მუსიკაც, ძველ-ქართული სანოტო ნიშნებით (ნევშებით).

მუსიკა ბრძოლის ამ საგალობელისა ამოცნობილი არაა; ხოლო მისი ტექსტი ასეთია ²:

შენ, უფალო, ' ნათელი ხარ მომავალი სოფლად,	14
განმანათლებელი გულსა / მორწმუნეთა შენთასა,	(8+7) 15
რომელნი ღირსად ' თაყუანის-გცემთ შენ!	10
შენ საჭურველი ხარ ' უძლეველი, ღმრთის-მშობელო.	14
წყობასა მტერთა ჩუენთასა / შეუძრველად დამიცვენ	(8+7) 15
მოსავნი შენგან ' შობილისანი	10

მკითხველს რასაკვირველია არ უნდა ეუცხოვოს, რომ ბრძოლის საგალობელი საეკლესიო შინაარსისაა. ასეთი იყო საბრძოლო სიმღერები ყველგან საშუალო საუკუნეებში, კერძოდ ბიზანტიაში.

¹ ძლისპირი II ხმისა, გალობა II, № 2 (ძლისპირთა დედანი A).
² ძლისპირი IV გმისა, გალობა IV, № 3 (ძლისპირთა დედნები A და C).

საგალობელის მეხუთე ტაეპის გაგებისათვის საჭიროა აღვნიშნოთ, რომ ძველ-ქართულად „წყობა“ ნიშნავდა „ბრძოლას“.

მებრძოლნი შესთხოვენ ღმრთის-მშობელს (რომლის წილდომილადაც ითვლებოდა საქართველო): „წყობასა (= ე. ი. ბრძოლასა) მტერთა ჩვენთასა შეუძრველად დამიცვენ“, — მებრძოლნი ქართველთა ჯარი შეურყეველად, შეუძრველად დაიციეო.

ძლისპირის სტროფში — „გ ა რ დ ა ა ც ვ მ შ ვ ღ ღ ს ა“ — გრიგოლ ხანძთელი — ძველი ბიბლიური პოეტების პათოსით შემდეგი სიტყვებით მიმართავს ღვთაებას, როგორც წინამძღოლს ბრძოლაში¹:

გარდააც მშვლდა, ♀ ძლიერო,	(10)
წარემართე და სუფევდ, რომელი იშვე ჩვენთვის	(14)
ქალწულისაგან,	(5)
და მტერნი ჩუენი ურწმუნონი დაუმორჩილენ	(14)
მეფესა ჩუენსა მორწმუნესა;	(9)
რომელსაცა უპყრიეს ჯუარი შენი,	(11)
და აცხოენე ერი შენი,	(8)
რომელნი სარწმუნოებით	(8)
გალობითა გადიდებენ.	(8)

თუ როგორის პატრიოტულის შეურიგებლობითა და მძულვარებით არის გამსჭვალული გრიგოლ ხანძთელი არაბ დამპყრობელთა მიმართ, ეს ჩანს, მაგალითად, შემდეგი ადგილიდან ჰაბოხადში მიძღვნილ გალობათა, სადაც პოეტი — „მახვილით პყრობილი სჯულის“ მიმდევარ არაბთა (ანუ როგორც იმ დროს ეძახდნენ — ისმაიტელთა ანუ აგარიანთა) შესახებ ამბობს:

უეარის-ყოფელნი შენი	(8)
და მომსრეელნი მართალთანი,	(8)
სიცრუისა მოქმედნი	(7)
და ურწმუნონი / ისმაიტელნი.	(5+5)
♀ ქრისტე, მისცენ მწარესა მას	(9)
საუკუნესა /	(5)
სატანჯველსა /	(5)
დაუსრულებელსა 2.	(5)

გალობათა „საქვეყნო სათხოვარში“ პოეტი გამოხატავს ხალხის გულის-თქმას:

რათა დაამკუნეს მტერნი ჩუენნი
 ავარეანნი,
 და ძლევაჲ მოსცეს / მეფესა ჩუენსა 3.

¹ ძლისპირი VIII ხმისა, გალობა VIII, № 1 (ძლისპირთა ღედნები A, B და C).

² გალობანი ჰაბოხისნი, იხ. ზემოთ, გვ. 767.

³ იხ. იქვე, გვ. 767.

ეგევე «საქვეყნო სათხოვარი» მეორდება ლეიტმოტივის სახით საგალობლების მთელ ციკლში.

ასე, იხ. საგალობელნი:

ა) გალობანი მოდისტოს პატრიარქისა (17. XII):¹

მოცემად ძლეუად შეფესა
და დამდაბლებად ბარბაროზთაჲ მათ.

ბ) გალობანი სამოელ წინასწარმეტყუელისა (20. VIII):²

და ე თ ი ს ძლეუად მოჰმადლე
მეფესა მორწმუნესა / ... მტერთა მიმართ.

გ) გალობანი ალესებისა (1. 3):³

... ძლეუად მოჰმადლე მეფესა
მტერთა წყობასა.

დ) გალობანი ელიანოს მარტილისა (11. VIII):⁴

მოც ძლეუად მეფესა
მორწმუნესა მტერსა ზედა.

ე) გალობანი ყოველთა წმიდათა (22. I):⁵

მოჰმადლე ძლეუად მეფესა
მტერთა მიმართ უღმრთოთა, სახიერ!

ვ) ძლისპირი VII:⁶

...ძლევისა მომნიჭებულ' მტერთა მიმართ
მეფესა მორწმუნესა.

ზ) გალობანი იოანე წინამორბედისა, I (28. VIII):⁷

ითხოვე მონიჭებად ძლეუად მეფესა.

თ) გალობანი იოანე წინამორბედისა, II (29. VIII):⁸

ძლეუად მეფესა მორწმუნესა.

ი) გალობანი მოსე წინასწარმეტყუელისა (5. VIII):⁹

ძლეუად მეფესა მორწმუნესა.

¹ საგალობლები № 152; მიქაელ მოდრეცილოს კრებული, გვ. 351.

² საგალობელნი № 106; გოლგოთური კრებული, გვ. 237ბ.

³ საგალობელნი № 156; მიქაელ მოდრეცილოს კრებული, გვ. 364.

⁴ საგალობელნი № 102; გოლგოთური კრებული, გვ. 185ბ.

⁵ საგალობელნი № 24; მიქაელ მოდრეცილის კრებული, გვ. 239.

⁶ ძლისპირი VII ხმისა, გალობა VIII, № 4 (ძლისპირთა დედნები A, B და C).

⁷ საგალობელნი № 110; გოლგოთური კრებული, გვ. 264ბ.

⁸ საგალობელნი № 111; გოლგოთური კრებული, გვ. 275ბ.

⁹ საგალობელნი № 99; გოლგოთური კრებული, გვ. 151ბ.

ა) გალობანი გურიამსი და მოყუასთა (15. XI):¹

ძლევაჲ მეფესა ღმრთის-მსახურსა.

აა) გალობანი პაულე და ბილონ და მოყუასთა (2. VI):²

მოცემად მშვდობაჲ
მეფესა მორწმუნესა მტერსა ზედა

აბ) გალობანი გიორგისნი (10 X):³

მშვდობით დაცვაჲ მეფისა მორწმუნისა.

•

ცალკე აღენიშნავეთ გრიგოლ ხანძთელის საგალობლებს, რომლებშიაც „საქვეყნო სათხოვარის“ საგანი არის „მ შ ვ დ ო ბ ა მ ს ო ფ ლ ი ს ა მ“ (ე. ი. ქვეყნისა; ძველ-ქართულად „სოფელი“ — ქვეყანას ნიშნავდა), ანუ „მ შ ვ დ ო ბ ა მ ე რ ი ს ა მ“, და ქართველთა მეფისა „ძლევაჲ მტერთა ურწმუნოთა“. ასე, იხილეთ:

ა) ძლისპირნი VII ხმისა:⁴

მშვდობაჲ სოფელსა მოჰმადლე,
და ძლევაჲ მტერთაჲ / ჯუარითა მოეცი
მეფესა ღმრთის-მოყუარესა
მტერთა მიმართ ურწმუნოთა.

ბ) გალობანი ბასილისი და გრიგოლისი (17. XI):⁵

მშვდობაჲ სოფელსა მოჰმადლოს,
და ძლევაჲ მტერთა მიმართ მეფესა მორწმუნესა.

გ) გალობანი მარიამ მაგდანელისა (22. VII):⁶

... სოფელსა მშვდობაჲ,
და ძლევაჲ მოჰმადლოს მეფესა ჩუენსა / მორწმუნესა.

დ) გალობანი მარიამობის წინა დღისა (14. VII):⁷

მეფესა ჩუენსა ძლევაჲ,
და ერსა მისსა მშვდობაჲ.

¹ საგალობელნი № 138; მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 331.

² საგალობელნი № 87; გოლგოთური კრებული, გვ. 12b.

³ საგალობელნი № 132; მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 317.

⁴ ძლისპირი VII ხმისა, გალობა II, № 2 (ძლისპირთა დედნები A, B და C).

⁵ საგალობელნი № 140; მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 335.

⁶ საგალობელნი № 93; გოლგოთური კრებული, გვ. 83b.

⁷ საგალობელნი № 104; გოლგოთური კრებული, გვ. 195b.

წიგნის პირველი ნაწილის III თავში ჩვენ შევხვდეთ გრიგოლ ხანძთელისა და ქართველთა სამეფოს მეთაურის აშოტ I-ის პირველი შეხვედრის აღწერილობას, რომელიც წარმოდგენილია გიორგი მერჩულის თხზულებაში, და რომელიც ბიბლიური მოთხრობის ხაზებშია გაშლილი.

გიორგი მერჩულე ამ შეხვედრის აღწერის დროს დაგვიხატავს აშოტ I-ს, როგორც სახელმწიფოს ღირსეულ მეთაურს, ხოლო გრიგოლ ხანძთელი წარმოდგენილია როგორც სულიერი მოძღვარი ერისა.

აშოტ I მისასალმებელ სიტყვაში მიმართავს გრიგოლს როგორც „სიქადულს“ ქვეყნისა, „შემწევნელს“ მორწმუნეთა და სჯულისა „ზღუდეს“; ხოლო გრიგოლი საპასუხო სიტყვაში გამოსთქვამს რწმენას, რომ ქართველ ხალხს არ მოაკლდება მკვიდრობა და მთაერობა — „ქუეყანათა ამათ უკუნისადმე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა, და მათათა საუკუნეთა, და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე“¹.

გრიგოლ ხანძთელი, გიორგი მერჩულის დახასიათებით — „მადლითა სავსე, განსრულებული სიბრძნითა, კეთილად-განმგებელი მოლუაწე“, რომლისთვისაც ასე ახლო იყო ახლად აღდგენილი ქართველთა სამეფოს მშენებლობის საქმე, უახლოეს ურთიერთობას ამყარებს, როგორც ეს დასტურდება გრიგოლ ხანძთელის ჰიმნებიდან, აშოტ I-თან, რომელიც სათავეში ედგა ქართველთა სამეფოს, ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს მშენებლობას და რომელიც დაუცხრომელ ბრძოლას აწარმოებდა არაბებთან ქვეყნის თავისუფლების დასაცველად.

თუ რამდენად ახლო ურთიერთობა დამყარებულა გრიგოლ ხანძთელსა და აშოტ I-ს შორის, ჩანს იმის მიხედვით, რომ გრიგოლ ხანძთელი თავის ჰიმნებში ზოგჯერ თვით მეფის სახელითაც ლაპარაკობს. ასე, მაგალითად ერთ ძლისპირში, რომელიც «საქვეყნო სათხოვარს» შეიცავს, გრიგოლ ხანძთელი ამბობს²:

სამწყსოჲ შენი დაიციევ. ქალწულო ღმრთის-მშობელო,	(14)
და მეფე მორწმუნე განაძლიერე,	(11)
რომელი გხადის შემწედ, და ნიშითა	(11)
ჯუარისაჲთა სძლეეს მტერთა, განძლიერებულე,	(7+5)
და აღვიარებს დედად მქსნელისა	(10)
და ქებით გადიდებს.	(6)

როგორც ვხედავთ, გრიგოლ ხანძთელი აქ თვით მეფის მაგიერ ლაპარაკობს, როგორც მეფის აზრთა, მეფის რწმენის გადმომცემელი: „გხადის შემწედ“, „აღვიარებს დედად“, „ქებით გადიდებს“.

საქვეყნო სათხოვარში მეორე საგალობელისა გრიგოლ ხანძთელი ამბობს³:

მოეც შენ, მეუფეო, ძლევაჲ	(9)
მეფესა მორწმუნესა —	(7)
მტერთა მიმართ ბარბაროზთა,	(8)

¹ ოს. ზემოთ, გვ. 84 — 85.

² ძლისპირი VI ხმისა, გალობა VIII, № 1 (ძლისპირთა დედნები A, C).

³ გალობანი შარიაშობისა, 13. VIII (№ 103); გოლგოთური კრებული, გვ. 192a.

რომელსაცა უპყროეს ჯუარი
შენი, და ჰქონან სახელნი
უბიწომასა დედისა შენისა
ქალწულისანი.

(4+5) 9
(8)
(10)
(5)

დ.

ბაგრატ I-ის ხანა (826 — 870 წ.წ.)

აშოტ I დაიღუპა არაბებთან ბრძოლაში 826 წელს. გრიგოლ ხანძთელი ამ დროს არ იყო საქართველოში, იგი საბერძნეთში იმყოფებოდა. საქართველოში დაბრუნებულმა გრიგოლმა დაიტირა ქვეყნისათვის თავდადებული გმირი.

აშოტ I-ის შემდეგ ქართველთა სამეფოს მეთაური ხდება ბაგრატ I, თავისი ძმების თანამმართველობით.

გრიგოლ ხანძთელმა, როგორც გადმოგვცემს გიორგი მერჩულე, მიუძღვნა ბაგრატ I-ს, როდესაც იგი სახელმწიფოს ჩაუდგა სათავეში, — „ჯერისაებრი შესხმაჲ“¹.

გიორგი მერჩულის სიტყვით, გრიგოლ ხანძთელის „ქებაჲ იგი შესხმისაჲ ჟამისა მის ბრძენთა მიერ შეუცავი“ იყო, ე. ი. ეს შესხმა იყო იმდენად ღრმა შინაარსისა, რომ თვით იმ დროინდელი ბრძენნიც კი განცვიფრებული იყვნენ მისი სიღრმით.

შესხმაჲ, ცხადია, იმავე პატრიოტული სულით იყო შთაგონებული, რომლითაც გამსჭვალულია გრიგოლ ხანძთელის სიტყვები, მიმართული აშოტ I-სადმი. სადაც გრიგოლი გამოსთქვამს რწმენას, რომ მარადისია ქართველი ხალხის მკვიდრობა „ქვეყანათა ამათ, უკუნისამდე ჟამთა“, და რომ „იყვენ იგინი მტკიცედ უფროჲს კლდეთა მყართა და მათა საუკუნეთა“, და რომ ქართველი ხალხის სახელი დიდებით იქნებაო მოსილი.

ბაგრატ I-ის დროს (826 — 876 წ.წ.), გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდს, როდესაც გრიგოლ ხანძთელი უკვე მოხუცებას იყო მიწვენილი, ეკუთვნის გრიგოლ ხანძთელის გალობანი ჯუარისანი (29. I)².

გალობის II ოდაში ვკითხულობთ:

მოეც, უფალო, მეფესა ჩუნესა მორწმუნესა

ძლევისა საკურველი

და დაამკუ სიმაღლე ბარბაროზთაჲ

გალობათა ეპილოგში (VIII ოდა) — «საქვეყნო სათხოვარში», პოეტი ამბობს:

მეფენი ღმრთის-მოყუარენი

მძლე ყვენ მარადის მტერთა ზედა,

და ერი მორწმუნეთაჲ

დაიცევ საცთურთაგან.

მეფე, მოხსენებული II ოდაში, — ბაგრატ I-ია. VIII ოდაში მრავლობითა ოციხვით „მეფენი“, იგულისხმება ბაგრატ I, მეთაური სამეფოსი, და მისნი თანამმართველნი, ძმები — ადარნერსე უხუცესი და გუარამ მამფალა.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 85—86.

² საგალობელნი № 28; მიქაელ მოღრეკილის კრებული, გვ. 277 — 278.

ბალობანი აღმსებისანი. — ბალობანი ნათელთანი. —
სტიქარონი ჰაბომსნი.

იმისათვის. რათა მკითხველმა უფრო სრული წარმოდგენა იქონიოს გრიგოლ ხანძთელის საწელიწდო ადგარის ნაწარმოებთა საერთო ხასიათისა და სტილის შესახებ, მოგვყავს დამატებაში გრიგოლ ხანძთელის ტექსტები:

ა) ჰიმნები, შესრულებულნი სილაბური მუხლედოვანი ლექსით, იამბიკონური საზომით:

1. გალობნი აღვსებისანი. იხ. გვ. 074 — 077 (ტექსტი მოგვყავს სრულად).

2. გალობანი ნათელთანი. იხ. გვ. 078 — 079 (ტექსტი მოგვყავს გამოკრებით).

ბ) ჰიმნები, შესრულებული სილაბური უკვეთელი ლექსით, საგალობელთა მარცვლდით:

3. სტიქარონი ჰაბომსი ა („უფალო ღალადყავისა“) იხ. გვ. 080 — 81 (ტექსტი მოგვყავს სრულად).

4. სტიქარონი ჰაბომსი ბ („აქებდითსა“) იხ. გვ. 081 — 82 (ტექსტი მოგვყავს სრულად).

ჩვენ აქ საგანგებოდ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას კერძოდ დასაწყის სტროფს პირველი ტექსტისას: გალობანი აღვსებისანი.

გრიგოლ ხანძთელის ამ სტროფს ეხმაურება ვეფხის-ტყაოსნის პროლოგის სტროფი.

აი თვით ეს სტროფი გრიგოლ ხანძთელის ჰიმნისა:

რომელმან დაჰქუსი / სიმრგულეა ცისაჲ, სიტყუაო,	(5+7)
და შორის მისსა მნათობთა განწესებაჲ	(12)
სოფელსა მოეცა, / ხოლო აწ გამოპრწყინდი	(5+7)
ნათლად დაზნელებულთა, / და ჯუარსა ზედა	(7+5,)
აღმალღებთა / მოეცა მკუდართა ცხოვრებაჲ.	(5+7)

როგორც ვხედავთ, დასაწყისი ამ სტროფისა („რომელმან დაჰქუსი [=შეჰქმენ] სიმრგულეა ცისაჲ, სიტყუაო, და შორის მისსა მნათობთა განწესებაჲ სოფელსა მოეცა...“) — ახლო უდგება ვეფხის-ტყაოსნის პროლოგს, უდგება არა მარტო შინაარსით, არამედ თვით ფორმითაც (ორივე იწყება ერთი და იმავე სიტყვით: „რომელმან...“):

„რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონაზერითა“...

აქ აღსანიშნავია არა მარტო შინაარსობლივი დამთხვევა ამ ორი ტექსტისა, არამედ მათი ადგილი გრიგოლ ხანძთელის საგალობლებში ერთის მხრით, და ვეფხის-ტყაოსანში მეორეს მხრით: ორივე შემთხვევაში ეს სტროფები თხრობის დასაწყისს წარმოადგენს, ამ სტროფებით იწყება თხრობა.

სახელდობრ გრიგოლ ხანძთელის პოეტურ მემკვიდრეობაში ჩვენ გვაქვს დიდი ციკლი საგალობელთა — საგალობელნი აღვსებისანი რვა-ხმანი, რომელიც შეიცავს 26 საგალობელს დიდი ფორმისა (გალობანი); აი ეს

ციკლი იხსნება სწორედ ზემოთ-მოყვანილი სტროფით, — „რომელმან დაქუესი სიმრგულეჲ ცისაჲ, სიტყუაო...“, — ისევე როგორც ვეფხის-ტყაოსანი იწყება სტროფით — „რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა...“

რაც უფრო მეტს ვსწავლობთ შოთას უკვდავ პოემას, მით უფრო ნათელი ხდება ვეფხის-ტყაოსნის ორგანული კავშირი ძველ-ქართულ სამყაროსთან. კერძოდ, აქ აღნიშნული დამთხვევა ვეფხის-ტყაოსნის პროლოგისა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა პროლოგთან, ამისი ერთი-ერთი მანიშნებელია.

არაა ინტერესს მოკლებული აღვნიშნოთ აქ აგრეთვე შეხვედრა გრიგოლ ხანძთელთან XI — XII საუკუნეთა ქართველი ფილოსოფოსის იოანესი (პეტრიწისა).

გრიგოლ ხანძთელის ზემოთ-მოყვანილ ტექსტში ყურადღებას იქცევს გამოთქმა: „დაქუესი“, ე. ი. დაქუესოვე (ძირისაგან ქსვა, ქსოვა). ეს გამოთქმა „დაქუესი“ გრიგოლ ხანძთელთან იხმარება შესათარღად ცნებისა — „შექმენ“: „რომელმან დაქუესი [=შექმენ] სიმრგულეჲ ცისაჲ, სიტყუაო [=ლმერთო]“

იოანე ფილოსოფოსი ასევე ხმარობს ამავე სიტყვას „დაქსვა“, „ქსვა“, შესათარღად ცნებისა „შექმნა“.

ახე, იხ. იოანე ფილოსოფოსის — „განმარტებაჲ პროკლესთვის დიადოხოსისა“, თავი 17:

„ვითარცა იტყვს «ტიმოქსა» შორის, ვითარმედ ყოველთა მბადმან ღმერთმან... შეზავაო საყოველთაოჲ სული, და მისცნა მას სიტყუანი გუამოვნებითი არსთანი, ... და ოდეს რაჲ მოვიდეს დავიწყებად... კუალად აღიკვნებდეს სიმდიდრეთა მამისათა, რომელ დასხნა და ქუესა [=„დაქსოვა“, „შექმენა] მის შორის მამამან“ (II, 52).

იოანე ფილოსოფოსის ტერმინოლოგიის შესახებ ის აზრია გავრცელებული; ვითომც იოანემ „ხელოვნურად“ შექმნა თავისი ფილოსოფიური ტერმინოლოგია, ისე რომ საამისო ტრადიცია ძველ-ქართულ მწერლობაში ვითომც მას არ ჰქონდა.

მაგრამ რიგი ტერმინებისა, რომელსაც იოანეს მიერ „ხელოვნურად“ შეაზღუდად მიიჩნევენ, ჩანს ძველი წარმოშობისა. ბევრ მათგანს, საფიქრებელია, სათავეები აქვს უძველესი ხანის ქართულ ფილოსოფიურ მწერლობაში, რომლის ძეგლები ჩვენ დრომდე აღარ მოღწეულა.

საგულსხმოა ამ მხრივ, რომ ტერმინები, რომლებიც იოანე ფილოსოფოსთან გვხვდება, და რომლებიც იოანეს მიერ ხელოვნურად „შეთხზულად“ იყო მისაჩნევი, ჩვენ ვხვდებამთელი საუკუნეებით ადრე. — იგი დამოწმებულია გრიგოლ ხანძთელთან. ამის ერთ-ერთი ნიმუშაა ზემოთ-მოყვანილი მაგალითი.

აქ საკიროა აღინიშნოს ამასთან, რომ გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურული მემკვიდრეობა ჩვენ დრომდე მთლიანად არ მოღწეულა. გრიგოლ ხანძთელი არა მხოლოდ პოეტი-ჰიმნოგრაფი იყო. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს გრიგოლ ხანძთელის „სიბრძნის-მეტყუელების“ შესახებ. არაა გამორიცხვად, არამედ ეს საფიქრებელია კიდევ, რომ გრიგოლ ხანძთელს ფილოსოფიური (ფილოსოფიურ-თეოლოგიური) ხასიათის ნაშრომები ჰქონოდა.

5

ბერძნულიდან გადმოღებული ჰიმნები გრიგოლ ხანძთელისა

ჩვენ ცალკე შევჩერდებით გრიგოლ ხანძთელის თარგმანებზე.

გრიგოლ ხანძთელის პოეტურ მემკვიდრეობაში საპატიო ადგილი უჭირავს ბერძნულიდან გადმოღებულ ჰიმნებს.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ გრიგოლ ხანძთელის პოეტური მემკვიდრეობის მთავარი ნაწილი ჩვენ დრომდე მოღწეულა მიჩაელ მოდრეკილის კრებულში; სახელდობრ მიჩაელ მოდრეკილის კრებულში დაცულია გრიგოლ ხანძთელის 81 საგალობელი დიდი თორმისა ანუ გალობანი, და 123 საგალობელი მცირე თორმისა ანუ სტიქარონნი.

წყაროების შესწავლით ირკვევა, რომ დასახელებული 81 საგალობელიდან დიდი ფორმისა (გალობანი) ორიგინალური ქართულია 44 გალობანი; ბერძნულიდან გადმოღებულია 20 გალობანი; ხოლო 17 გალობათა საკითხი გაურკვეველი რჩება. (რაც შეეხება მცირე ფორმის საგალობლებს ანუ სტიქარონებს, ისინი ძირითადადში, როგორც ირკვევა, ორიგინალური ქართულია).

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ 'ბერძნულიდან გადმოღებული ტექსტები გრიგოლ ხანძთელისა არ წარმოადგენენ თარგმანს ჩვეულებრივის გაგებით, არამედ აქ ჩვენ გვაქვს თავისუფალი გადამუშავება ბერძნული დედნებისა. ეს ჩვენთვის ნათელი გახდება, როდესაც გავეცნობით ბერძნული და ქართული ტექსტების ურთიერთობას.

*

მოგვყავს ნუსხა იმ 20 გალობათა, რომელთა ბერძნულიდან დამოკიდებულება დადგენილია.

მათ შორის 11 გალობანი გადმოღებულია იოანე დამასკელიდან; 8 გალობანი გადმოღებულია კოზმან იერუსალიმელიდან; ერთი გალობანი ანონიმურია.

A. გალობანი, გადმოღებულნი იოანე დამასკელიდან
გალობანი, გადმოღებულნი იოანე დამასკელიდან ორ ჯგუფად განიყოფება: ა) გალობანი — შესრულებულნი იამბიკონური ლექსით; ბ) გალობანი — შესრულებულნი სილაბური უკვეთელი ლექსით, საგალობელთა მარცვლედით.

ა) გალობანი — შესრულებულნი იამბიკონური ლექსით:

№ 2. გალობანი შობისა.

№ 16. გალობანი ნათელთანი (ნათლისღებისა).

№ 158. გალობანი აღვებისანი (აღდგომისა).

შენიშვნა. საგალობელთა №№-ები (№ 2, № 16, № 158) მიუთითებენ იმ ნუმერაციას. რომლითაც საგალობლები აღნიშნულია გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა მთლიან ნუსხაში (იხ. მთლიანი ნუსხა ზემოთ, გვ. 779 — 785).

ასევე ქვემოდაც ყველგან საგალობელთა №№-ები იმავე სრული ნუსხის ნუმერაციას მიუთითებენ.

ბ) გალობანი — შესრულებულნი საგალობელთა მარცვლედით:

№ 11. გალობანი სტეფანე პირველმოწამისა (27. XII).

№ 12. გალობანი პეტრე და პავლე მოციქულთა (28. XII).

№ 13. გალობანი ჩხვლთა ყრმათა (29. XII).

№ 14. გალობანი იაკობისა და იოანესი, ძეთა ზებედესთა (30. XII).

№ 15. გალობანი ბასილი კესარიელისა (1. I).

№ 132. გალობანი გიორგი მთავარმოწამისა (10. XI).

№ 143. გალობანი ეკატერინე მარტვილისა (24. XI).

№ 144. გალობანი პეტრე ალექსანდრიელისა (25. XI).

B. გალობანი, გადმოღებულნი კოზმან იერუსალიმელიდან
(შესრულებულნი საგალობელთა მარცვლედით)

№ 3. გალობანი შობისანი.

№ 10. გალობანი დავით მეფისანი და იაკობისნი, იესუს ძმისა (26. XII).

№ 17. გალობანი ნათელთანი (ნათლისღებისა).

№ 25. გალობანი გრიგოლ ნაძიანძელისა (25. I).

№ 133. გალობანი გიორგი მთავარმოწამისა (10. XI).

№ 135. გალობანი მინა მარტვილისა (11. XI).

№ 153. გალობანი ეგნატე ანტიოქიელისა (20. XII).

№ 159. გალობანი აღესებისანი (აღდგომისა).

C. ანონიმური საგალობელი

№ 134. გალობანი გიორგი მთაწარმოწამისა (10. XI).

■

ბერძნულიდან გადმოღებული დასახელებული 20 საგალობელის შესახებ წყაროებში შემდეგი ცნობები მოგვეპოვება.

a. მიქაელ მოდრეკილის კრებულში.

მიქაელ მოდრეკილის კრებულში ამ ტექსტების შესახებ შემდეგი ცნობებია დაცული: ა) წარწერილია იოანე დამასკელის სახელით ტექსტები: №№ 2, 16, 158 (იამბიკონები); წარწერილია კოზმან იერუსალიმელის სახელით ტექსტები: №№ 3, 17, 159; წარწერილია „ბერძნული“—ტექსტი № 14 (ეკუთვნის ი. დამასკელს). — დანარჩენი ტექსტები წარუწერელია.

b. გიორგი მთაწმიდელის საგალობელთა კრებულში.

გიორგი მთაწმიდელის საგალობელთა კრებულებში (თთუნისა და პარაკლიტონში) შეტანილია გრიგოლ ხანძთელისეული 16 ტექსტი, გადმოღებულნი ბერძნულიდან, სახელდობრ:

ა) იოანე დამასკელისა: №№ 2, 16, 158 (იამბიკონები), 11, 12, 13, 14, 15, 132, 143, 144. ყველანი წარწერილია იოანეს (დამასკელის) სახელით;

ბ) კოზმან იერუსალიმელისა: №№ 3, 10, 133, 135, 153. ყველანი წარწერილია კოზმანის სახელით.

c. დანარჩენი ტექსტები.

ა) კუთვნილება კოზმან იერუსალიმელისადმი ტექსტისა № 25 ირკვევა ბერძნული წყაროების მიხედვით.

ბ) ტექსტი № 134, შინაარსის მიხედვით, იერუსალიმშია დაწერილი, იგი ანონიმ იერუსალიმელ ჰიმნოგრაფს ეკუთვნის.

■

ჩამოვთვლით აგრეთვე იმ 17 გალობათა, რომელთა საკითხი, როგორც მოვიხსენეთ, გაურკვეველა რჩება, ორიგინალური ქართულია ისინი, თუ ბერძნულიდან გადმოღებულნი. ეს 17 გალობანი შემდეგნაირად: №№ 1, 8, 129, 155 — 162, 164, 165, 169 — 172, 174, 175, 177 და 179.

ყველა ეს საგალობელი, რომლებიც დაცულია მიქაელ მოდრეკილის კრებულში, ამავე დროს შეტანილია გიორგი მთაწმიდელის საგალობელთა კრებულებში (№№ 1, 8 და 129 — გიორგი მთაწმიდელის თთუნში, დანარჩენნი გიორგი მთაწმიდელის პარაკლიტონში).

როგორც ირკვევა გიორგი მთაწმიდელის საგალობელთა კრებულების შესწავლიდან, გიორგი მთაწმიდელს თავის კრებულებში შეჰქონდა ძველ-ქართული ჰიმნები, უმთავრესად გადმოღებულნი ბერძნულიდან; მაგრამ ნაწილობრივ მას ორიგინალური ძველ-ქართული ჰიმნებიც შეუტანია თავის კრებულებში. ამიტომ გაურკვეველი რჩება, თუ რას წარმოადგენს დასახელებული 17 გალობანი, ორიგინალურია ისინი, თუ ბერძნულიდან გადმოღებულნი.

აქ აღსანიშნავია ამასთან შემდეგიც. გიორგი მთაწმიდელის საგალობელთა კრებულებში ბერძნულიდან გადმოღებულ გალობათა შესახებ მეტ წილად აღნიშნულია ხოლმე, თუ ვინ არის მათი ავტორები. (კერძოდ გრიგოლ ხანძთელის ბერძნულიდან გადმოღებული ტექსტების შესახებ, რომლებიც გიორგი მთაწმიდელს შეუტანია თავის კრებულებში, ყოველთვის არის მითითებული ბერძენ ავტორთა ვინაობა). ხოლო დასახელებულ 17 საგალობლებს არავითარი აღნიშნვა ავტორებისა არ ახლავს. ეს გარემოება აძლიერებს იმის ვარაუდს, რომ დასახელებულნი გალობანი უფრო ორიგინალური ქართულნი უნდა იყვნენ, ვიდრე ბერძნულიდან გადმოღებულნი.

■

იმისათვის რათა გავეცნოთ გრიგოლ ხანძთელის თარგმანთა ხასიათს, ჩვენ განვიხილავთ იოანე დამასკელიდან გადმოღებულს ორ ტექსტს, რომლებიც შესრულებულია იამბიკონური ლექსით (გალობანი ნათელთანი, გალობანი შობისანი) და კოზმან იერუსალიმელიდან გადმოღებულს ერთ ტექსტს, შესრულებულს სილაბური უკვეთელი ლექსით, საგალობელთა მარცვლედით (გალობანი შობისანი).

ა

გ ა ლ ო ბ ა ნ ი ნ ა თ ე ლ თ ა ნ ი (ნ ა თ ლ ი ს ღ ე ბ ი ს ა ნ ი)
გადმოღებული იოანე დამასკელიდან

ამ ჰიმნის ქართული ტექსტი დაცულია X საუკუნის ხელნაწერებში: მიქაელ მოღრეკილის კრებულში, წვირმულ კრებულში, ხელნაწერებში Sin. — 1 და Sin. — 14.

მიქაელ მოღრეკილის კრებულში მას აქვს შემდეგი ზედწერილი: „იამბიკონნი 60, 5, 12, ნეტარისა იოვანე დამასკელისანი“.

(რიცხვი 60 აღნიშნავს მარცვალთა რაოდენობას სტროფში; რიცხვი 5 აღნიშნავს ტაქთა რაოდენობას სტროფში; რიცხვი 12 აღნიშნავს მარცვალთა რაოდენობას ტაქტში).

მოგვყავს სტროფი პირველი გალობიდან — ბერძნულად და ქართულად. ბერძნული ტექსტი¹:

*“Ὁρθροῦ φαιήτις τοῖς βροτιῖς ὀελιοφθόρου
Νῦν ἐξ ἐρηίου πρὸς ὑμῖν Ἰσχυρίστου.
“Αυτὸς ἔπειθεξ ἡλίου ἰθὺ ἀβχῆου,
Χῆστου Σαφάνθιου ἰθὺ γεναύχου ἱερῆου
Ἰῦπου τε πινυτὸς ἐκχιῦμαι ἰθὺ κελίου.*

[სიტყვა-სიტყვით თარგმანი:

„როდესაც შუქმომთენი ცისკარი გამოჩნდა ახლა ადამიანთათვის უდაბნოდან იორდანეს წყლებსაკენ“, უფალო, მოუშვირე შენი მზიური კისერი, რათა მოიტაცო გვარის მთავარი ბნელი ადგილისა“ და ყოველგვარი მწიკულისაგან განსწმინდო ქმნილება“].

¹ იხ. Anthologia graeca, carminum christianorum W. Christ-ის და M. Parankas-ის გამოცემა, 1871 წ., გვ. 209.

• იგულისხმება იოანე ნათლისმცემელი.

•• „ბნელი ადგილი“ — იგულისხმება ჯოჯოხეთი.

გრიგოლ ხანძთელის თარგმანში ეს სტროფი შემდეგნაირად არის გადმოცემული იამბიკონური ლექსით:

შენ, მეუფეო, რაეამს გამოაბრწყინე	(5+7)
ცისკარი დღისაჲ, უღაბნოჲსა ქადაგი,	(5+7)
იორდანესა, — სიმდაბლით მოუდრიკე	(5+7)
თავი შენი მას, რათა შემუსრო თავი	(5+7)
ვეშაისაჲ მის, და მიქსნენ მორწმუნენი.	(12)

იოანე დამასკელის სტილი, როგორც ცნობილია, უაღრესად ხელოვნურია, იგი გადატვირთულია ხელოვნური გამოთქმებით. ამასთან იოანე დამასკელის ჰიმნებში ჩვენ გვაქვს რთული წყება თეოლოგიური ხასიათის სახეებისა, რაც ერთგვარ სქოლასტიკურ იერს აძლევს იოანე დამასკელის ჰიმნებს.

გრიგოლ ხანძთელის ტექსტი, შედარებით იოანე დამასკელის ტექსტთან, უფრო მხატვრულია. გრიგოლ ხანძთელი თავის თარგმანში იცავს იოანე დამასკელის ტექსტის თეოლოგიურ სახეთა რთულ წყობას, მაგრამ გრიგოლ ხანძთელის ტექსტი უფრო ნათელია, პოეტურობით არის აღბეჭდილი. ამასთან გრიგოლ ხანძთელი ბრწყინვალე ოსტატია ქართული ლექსისა, იგი დიდის არტისტიულობით ძერწავს შინაგანის რიტმით შეკრულს ძველ-ქართულ იამბიკონურ ლექსს.



აღსანიშნავია ამავე დროს შემდეგი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება, რაც ახასიათებს გრიგოლ ხანძთელის მთარგმნელობითს მეთოდს. ეს არის გრიგოლ ხანძთელის სრულიად თავისუფალი დამოკიდებულება ბერძნული კანონიზებული ტექსტების მიმართ. გრიგოლ ხანძთელი კი არ თარგმნის ტექსტებს ჩვეულებრივის გაგებით, არამედ იგი იძლევა მათს თავისუფალ გადაშეშავებას, — რასაც ძველ-ქართულად „მოკაზმეა“ ეწოდებოდა.

იმ შემთხვევებში, როდესაც გრიგოლ ხანძთელი საჭიროდ მიიჩნევს, იგი იძლევა სათარგმნელი ტექსტის ცალკეული ნაწილების უზუსტეს თარგმანს; ცალკეულ შემთხვევებში იგი გადაამუშავებს ტექსტს. მაგრამ ეს ცოტაა; ცალკეულ შემთხვევებში იგი აკლებს ტექსტს მთელ ნაწილებს, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში იგი ავსებს ტექსტს მეტად მნიშვნელოვანი დამატებებით.

იოანე დამასკელის აქ დასახელებული გალობანი ნათელთან ბერძნულ დედანში შეიცავს 26 სტროფს. გრიგოლ ხანძთელს თავის ქართულ თარგმანში ბერძნული ტექსტის ამ 26 სტროფიდან გამოუკლია 11 სტროფი და დაუმატებია თავისი საკუთარი 10 სტროფი. ამრიგად ქართული ტექსტი ამჟამად შეიცავს 25 სტროფს, რომელშიაც ბერძნულიდან დარჩენილია მხოლოდ 15 სტროფი. ხოლო ახლად დამატებულია გრიგოლ ხანძთელის მიერ 10 სტროფი (50 ტაეპი).

თუ როგორ მიმართებაშია ერთმანეთთან ბერძნული და ქართული ტექსტები, თუ სახელდობრ რომელი სტროფებია გამოკლებული ბერძნულიდან და

რომელი სტროფებია ახლად დამატებული, ამის შესახებ წარმოდგენას მოგვცემს აქვე დართული ცხრილი.

შენიშვნა. ქართულ ტექსტში ახლად დამატებულ სტროფებს უზის + და ჩასმულია ოთხკუთხედში □. ბერძნულიდან გამოკლებული სტროფები აღნიშნულია ტირეთი —

	I გალობა	II გალობა	III გალობა	IV გალობა
ი. დამასკელი	1. 2. 3.	1. 2. 3.	1. 2. 3. 4.	1. 2. 3.
გრ. ხანძთელი	- 1. 2. □+3.	- - - □+1. +2. +3.	- 1. 2 - □+3.	- - - 2 □+1. +3.
	V გალობა	VI გალობა	VII გალობა	VIII გალობა
ი. დამასკელი	1. 2. 3	1. 2. 3. 4.	1. 2. 3.	1. 2. 3.
გრ. ხანძთელი	1. - 2. □+3.	1. 2. 3. 4.	- 1. 2 □+3.	- 1. 2. □. 3.

*

როგორც ცნობილია, იოანე დამასკელი უდიდესი ავტორიტეტი იყო საშუალ საკუნეთა ორთოდოქსალურ ქრისტიანულ მსოფლიოში. იოანე დამასკელის ჰიმნები კანონიზებული სახის ტექსტებად ითვლებოდნენ. ერთი ბიზანტიელი მწერალი (სვიდა) წერს კიდევ, რომ იოანე დამასკელის ჰიმნები, კომან იერუსალიმელის ჰიმნებთან ერთად, იარსებებენო თვით მსოფლიოს აღსასრულამდეო...

იოანე დამასკელის ჰიმნების თარგმანები ბერძნულიდან სხვა ქრისტიან ხალხთა ენებზე სრულდებოდა უცვლელი სახით.

ხოლო ის გარემოება, რომ გრიგოლ ხანძთელი ასე თავისუფლად ეკიდება ამ უდიდესი საეკლესიო ავტორიტეტის იოანე დამასკელის ტექსტებს და იძლევა მისი ჰიმნების გადამუშავებას, „მოკაზმეას“, მაჩვენებელია ამ ეპოქის ქართული კულტურის თავისთავადი ხასიათისა, იმ დიდი სიმაღლისა, რომლისთვისაც ქართულ კულტურას მიუღწევია, დამოუკიდებლობის სულისა, რომლითაც აღბეჭდილია იგი.

თვით გრიგოლ ხანძთელი, ცხადია, უდიდესი ავტორიტეტით მოსილი მწერალი ყოფილა, რომ იგი უფლებამოსილად ითვლებოდა შეეცვალა მსოფლიო ორთოდოქსალური ეკლესიის მიერ განმტკიცებული ტრადიცია, შეეცვალა კანონიზებული სახის საეკლესიო ტექსტები.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ გრიგოლ ხანძთელი არა სდგას ამ მხრივ განკერძობულად; ასეთივე დამოუკიდებლობის სულით არის აღბეჭდილი ამ ეპოქის სხვა ქართველი მწერლების შემოქმედება. კერძოდ ასეთი ხასიათისაა მთარგმნელობითი მუშაობა გრიგოლ ხანძთელის დიდი მემკვიდრის ეფთიმე მთაწმიდელისა, რომელიც ასევე უდიდეს ავტორიტეტად იყო აღიარებული, რომელიც იძლევა ქრისტიანული მწერლობის ძეგლთა თავისუფალ გადამუშავებას ქართულ ენაზე, რომელიც უფლებამოსილად ითვლებოდა შეეცვალა „მოძღუართა მიერ განსაზღვრებული“, ანუ, როგორც აღნიშნავს ეფრემ მცირე, „ქელეწიფებოდა შემატებაჲცა და დაკლებებაჲცა“.

ამ ჰიმნის ტექსტი დაცულია X საუკუნის ხელნაწერებში: მიქაელ მოდრეკილის კრებულში, იელურ კრებულში, ხელნაწერებში Sin. — 1 და Sin. — 14. მიქაელ მოდრეკილის კრებულში მას აქვს ზედწერილი:

„იამბიკონნი თქუმულნი ღმერთშემოსილისა იოვანე დამასკეველ მთავარმღდელისანი. ყოველსა მუკლსა 60 შეტყუებაჲ [მარცხული] აქუს, 5-ჯერ 12. ზ. ფრთხილო, შენ გულისხმა ყავ...“

(ეკრიანტი ზედწერილისა კრებულში Sin. — 1: „იამბიკონნი იოვანეს და მასკელისა თქუმულნი. ყოველსა მუკლსა 60 შეტყუებაჲ [მარცხული] არს, ვინ გაიგონოს კმაჲ“).

მოგვყავს სტროფი პირველი გალობიდან ბერძნულად და ქართულად. ბერძნული ტექსტი¹:

*Ἦνεγκε γιστήρ ἡγιασμένη λόγιον,
Σαφῶς ἀφλέκτω ζαγιοφοιμένη Βάτω,
Μιχέντα μοιρφή τῆ βροτησίῳ μέδν,
Ἐνάς ἰάλαυσαν ἠθδὲν ἀνάς τῆς πύλαι
Λύοντα πικράς, δὲ βροτοὶ δαξάζομεν*

[სიტყვა-სიტყვითი თარგმანი:

„წმიდა წიაღმა, შეუწყავი ეკლნარის მსგავსად ნათლად ასახულმა, მოიტანა სიტყვა, კაცთა სახესთან შერეული ღმერთი, რომელმან დაჰხსნა (განაქარვა) აღრინდელი მწარე წყევა უბედურის ევამს წიაღისა; მას [—ღმერთსა] ადამიანნი ვადიდებთ“.

გრიგოლ ხანძთელის თარგმანში ეს სტროფი შემდეგნაირად არის გადმოცემული იამბიკონური ლექსით:

წიაღით წმიდით / სიტყუა ღმრთისაჲ გამოჩნდა,	(5+7)
მაგავსად მაყულისა არაჲ შეიწუა მისგან,	(12)
შეზავებითა / ბუნებასა კაცთასა,	(5+7)
და ევამს წყევაჲ დაჰხსნა / პირველ-ყოფილი,	(7+5 _ა)
რომელსა ჩუენ დღეს / გალობით უგალობდეთ.	(5+7)

ისევე, როგორც ზემოთ განხილული ჰიმნი — გალობანი ნათელთან, ეს მეორე ჰიმნიც — გალობანი შობისანი, გრიგოლ ხანძთელის ქართულ თარგმანში გადამუშავებული („მოკაზმული“) სახით არის წარმოდგენილი. ბერძნული ტექსტი ამ მეორე ჰიმნისა შეიცავს 25 სტროფს. აქედან გრიგოლ ხანძთელს ქართულ თარგმანში დაუტოვებია 14 სტროფი (გამოუყლია 11 სტროფი) და დაუმატებია ახალი 3 სტროფი.

თუ როგორ მიმართებაშია ერთმანეთთან ბერძნული და ქართული ტექსტები, თუ სახელდობრ რომელი სტროფებია გამოკლებული ბერძნულიდან და რომელი სტროფებია ახლად დამატებული გრიგოლ ხანძთელის მიერ, ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა აქვე დართული ცხრილი.

შ ე ნ ი შ ე ნ ა . აქაც დამატებულ სტროფებს უზის + და ჩასმულია ოთხკუთხედში □ . გამოკლებული სტროფები აღნიშნულია ტირეთი —

¹ Christ — Paraniikas-ის გამოცემა, გვ. 205.

	I გალობა	II გალობა	III გალობა	IV გალობა
ი. დამასკელი	1. 2. 3.	1. 2. 3. 4.	1. 2. 3.	1. 2. 3.
გრ. ხანძთელი	— 1. 2.	— 1. 2. —	1. 2 —	— 1. 2.

	V გალობა	VI გალობა	VII გალობა	VIII გალობა
ი. დამასკელი	1. 2. 3.	1. 2. 3. 4	1. 2 3.	1. 2. 3.
გრ. ხანძთელი	— 1. 2	— 1. 2 — <u>+3.</u>	— — 2 <u>+1.</u>	— 1. 2. <u>+3.</u>

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ იოანე დამასკელის ტექსტის შევსება („მოკაზმვა“) ქართულს ენაზე ამით არ დასრულებულა. უფრო გვიან ხანაში, X საუკუნეში, მიქაელ მოდრეკილს ამ საგალობელთათვის ახლად დაუმატებია ექვსი ორიგინალური სტროფი (სახელდობრ თითო-თითო სტროფი I, II, III, IV, V და VII გალობათა ბოლოს) ¹. ამრიგად ქართული ტექსტი კიდევ უფრო დაშორდა ბერძნულ პროტოტიპს.

ბ

გალობანი შობისანი

გადმოღებული კოზმან იერუსალიმელიდან.

ამ ჰიმნის ქართული ტექსტი დატულია მიქაელ მოდრეკილის კრებულში და აქვს შემდეგი ზედწერილი: „დასდებელნი თქუმულნი კოზმან იერუსალიმელი-სანი“.

გალობათა ბერძნული ტექსტი დაწერილია სილაბური ტიპის ლექსით, საგალობელთა მარცვლედით.

ამავე სახის ლექსითვე — საგალობელთა მარცვლედით — არის გადმოღებული იგი ქართულად გრიგოლ ხანძთელის მიერ.

მოგვყავს შედარებისათვის პირველი სტროფი პირველი გალობისა ბერძნულად და ქართულად.

ბერძნული ტექსტი ²:

<i>Χριστός γέννηται· ἡγιότατος·</i>	(9)
<i>Χριστός ἔξ ὀβριονίου· ἀναρρηοίας·</i>	(11)
<i>Χριστός ἔτι ᾠδῆ· θυσίῳ</i>	(9)
<i>ἄγιος εἰς πάντας ἡ γῆ</i>	(7+4)
<i>καὶ ἐν ἁρμονίῳ ἁρμονίῳ, λαός,</i>	(6+7)
<i>ὅτι θεογέννητος.</i>	(1)

შენიშვნა. რაცხვები არშიაზე, აქ და ქვემოთ, აღნიშნავს მარცვალთა რაოდენობას ტაქტში.

¹ ამას გარდა მიქაელ მოდრეკილს დაურთავს დამატებითი გალობა „მოიხილესა“ (I-ა) შესრულებული არა იამბიკონებით, არამედ საგალობელთა მარცვლედით.

² Christ — Paranikas-ის გამოცემა, გვ. 165 — 166.

[სიტყვა-სიტყვითი თარგმანი:

„ქრისტე იშვის, — აღიღებდით; ქრისტე ზეტათავან, — მიეგებეთ; ქრისტე ქვეყანასა ზე და, — აღამალლებდეთ; უგალობდეთ უფალსა მთელი ქვეყანა, და სიხარულით უგალობდეთ, ერნო, რადგან დიდებულ არს“].

გრიგოლ ხანძთელის თარგმანში, რომელიც შესრულებულია იმავე სტროფულ-ტაეპობრივი მეტრით, ტექსტი იკითხვის შემდეგნაირად:

ქრისტეს შობასა ვადიდებდეთ,	(9)
ქრისტესა ზეცისსა მიეგებუოდით,	(11)
ქრისტესა ჩუენ ქვეყანისანი	(9)
აღამალლებდეთ, — ღმერთსა' დიდებულსა, —	(7+4)
და აწ სიხარულით' უგალობდეთ, ერნო,	(6+7)
რამეთუ დიდებულ არს.	(7)

მოგვყავს აგრეთვე მეორე ადგილი, პირველი სტროფი V გალობისა ბერძნული ტექსტი¹:

<i>* Ηλιε οὐρανὸς ἔχριστός ὁ θεὸς ἦμας,</i>	(5+7)
<i>γαυδὸς ἐν παντί (i) πᾶσι ἁγᾶσιν ἡμεῖς</i>	(11)
<i>τὰς ἡμέρας</i>	(5)
<i>ὁ γέννησεν ἐν ἀρχαῖς τοῦ κόσμου</i>	(11)
<i>ἐν φάτιν ἡμῶν ἐκείνων ἰσχυρῶς,</i>	(12)
<i>ἐγένετο [1] σπουδαῖον καὶ θεὸς</i>	(2+7)
<i>πολυπλόκους οὐρανῶν παρρησιασάων</i>	(11)

[სიტყვა-სიტყვითი თარგმანი:

„მოვიდა განხორციელებული ქრისტე ღმერთი ჩვენი, რომელიც დაჰბადა მამამ უწინარეს ცისკრისა, ხოლო უმანყო ძალთა აღვირის მყრობელი ჩაწვა ზაგაში, მჩვენებში გახვეული, და ანთავისუფლებს შეეოდებათა მრავალ-ხლართულ წყებებს“].

ქართული ტექსტი შესრულებულია იმავე მეტრით (მცირეოდენის ვარიაციით) და იკითხვის შემდეგნაირად:

მამისა მიერ' შობილი უწინარეს	(5+7)
მთებისა, ქრისტე ღმერთი, მოვიდა	(11)
და იშვა ბეთლემს	(5)
მყრობელი აღვრთა მათ ძალთა ცისათამ;	(12)
რომელმან დაჰქსნა ცოდვათა ჩუენთა საკრეულნი,	(13)
ესე' ზაგასა პირუტყუთასა	(2+7)
შეხვეული მჩურითა დღეს მიიწვიანა.	(11)

ასეთი სახისაა ბერძნული და ქართული ტექსტების შეფარდება.

შედარება ბერძნული და ქართული ტექსტებისა მთელის მოცულობით გვიჩვენებს, რომ გრიგოლ ხანძთელს კოზმან იერუსალიმელის ტექსტიდან გამოუკლია 6 სტროფი (სახელდობრ პირველი სტროფები II — VII გალობათა)².

¹ Christ-Paranikas-ის გამოცემა, გვ. 167.

² აღნიშნავთ ამასაც, რომ Christ Paranikas-ის გამოცემაში ბერძნული ტექსტი VIII გალობისა დაზიანებულ დედნიდან არის დამოკიდებული. სახელდობრ ტექსტი, რომელიც გამოცემაში აღნიშნულია როგორც VIII გალობის მე-4 სტროფი, სინამდვილეში შეიცავს მე-4 სტროფის პირველ ნახევარს და მე-5 სტროფის მეორე ნახევარს (აკლია, დეფექტობის გამო, მე-4 სტროფის მეორე ნახევარი და მე-5 სტროფის პირველი ნახევარი).

უფრო გვიან ხანაში, X საუკუნეში, კოზმან ერუსალიმელის ტექსტს შევსება განუცდია; სახელდობრ მიქაელ მოდრეკილს X საუკუნეში დაუმატებია კოზმან იერუსალიმელის ამ გალობათათვის ორი ახალი სტროფი¹.

ამას გარდა მიქაელ მოდრეკილს დაურთავს დამატებითი გალობა „მოიხილესა“ — I-ა. (როგორც ამის შესახებ სხვა ადგილას გვაქვს საუბარი, მიქაელ მოდრეკილს თავის საგალობელთა კრებულში ეს დამატებითი გალობა I-ა — „მოიხილესა“ — დაურთავს ყველა მ-ნაწევრიან გალობათათვის, რომლებშიაც ეს მეცხრე ნაწევარი, — გალობა I-ა — არ იყო).



დასასრულ ბერძნული და ქართული ტექსტების მეტრიკის, სალექსო წყობის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, და როგორც ეს ჩანს მოყვანილი მაგალითებიდან, ბერძნული და ქართული ტექსტები — ორივე შესრულებულია ერთი და იმავე სახის ლექსთწყობით, — სილაბური ტიპის საგალობელთა მარცვლედით.

ქართული უდგება ბერძნულს არა მარტო ლექსთწყობის საერთო ხასიათით, არამედ მეტწილად უდგება აგრეთვე სტროფების ტაეპობრივი წყობითაც. სახელდობრ პირველი ექვსი გალობის მანძილზე ქართულში თითქმის მთლიანად უცვლელად არის დაცული ბერძნული ტექსტის მეტრი და მხოლოდ ადგილ-ადგილ არის დაშვებული მცირეოდენი ვარიაციები. უფრო დაშორებულია ერთმანეთს VII გალობის მეტრი. ხოლო მეტრი VIII გალობისა განსხვავებული სახისაა ბერძნულსა და ქართულში.

თუ როგორ მიმართებაშია ერთმანეთთან ბერძნული და ქართული ტექსტების მეტრი, შესახებ წარმოდგენას იძლევა აქვე დართული ცხრილი.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. ცხრილის რიცხვები და მათი თანრიგი უჩვენებენ, თუ რა ზომის ტაეპები რა თანამიმდევრობით მისდევენ ერთმანეთს ყოველი გალობის სტროფულ ერთეულებში.

I გალობა								
ბერძნულად:	9;	11;	9;	7+4;	6+7;	6.		
ქართულად:	"	"	"	"	"	7.		
II გალობა								
ბერძნულად:	6;	7+5;	9;	7;	<u>5+4</u> ;	10;	7.	
ქართულად:	"	"	"	"	9	"	"	
III გალობა								
ბერძნულად:	9;	8;	10;	7;	<u>7</u> ;	10;	6;	10;
ქართულად:	"	"	"	"	6	"	"	"
IV გალობა:								
ბერძნულად:	<u>11</u> ;	11;	<u>8</u> ;	<u>6</u> ;	<u>7</u> ;	<u>7</u> ;	<u>7</u> .	
ქართულად	3+8;	"	14;	9;	5	+	7.	

¹ სახელდობრ თითო-თითო სტროფი IV და V გალობათა ბოლოში.

V გალობა:

ბერძნულად: 5+7; 11; 5; 11; 12; 2+7; 11.
 ქართულად: " " " 12 13 " "

VI გალობა

ბერძნულად: 7; 11; 6; 11; 13; 12;
 ქართულად: " " 8; 9 " "

VII გალობა

ბერძნულად: 12; 10; 10; 4; 14; 11; 13; 16; 7;
 ქართულად: " " 7; 8 " " 3; 13; 10

VIII გალობა:

ბერძნულად: 6; 7; 13 10; 11; 5; 10.
 ქართულად: 4; 10; 7; 10; 8; 11; 13.

6

ძველ-ქართული იამბიკონური ლექსის მეტრიკა

გრიგოლ ხანძთელის „საწელიწდო იადგარის“ მიმოხილვის დასასრულს ჩვენ შევჩერდებით ძველ-ქართული იამბიკონური ლექსის მეტრიკაზე, ლექსისა, რომლის დამამკვიდრებელი ქართულს პოეზიაში არის გრიგოლ ხანძთელი.

ა

იამბიკონური ლექსის საზომები

იამბიკონური ლექსის საზომები 16 სახეობას წარმოადგენს. ესენია:

ა) იამბიკონური 12-მარცვლელი საზომები — 6 სახეობა (№№: i — 1, i — 2, i — 3, i — 4, i — 5, i — 6).

ბ) იამბიკონთა დისტიქონური საზომები — 4 სახეობა (№№: i — 7, i — 8, i — 9, i — 10).

გ) იამბიკონური ჰემისტიქონური საზომები — 6 სახეობა (№№: i — 11, i — 12, i — 13, i — 14, i — 15, i — 16).

თუ როგორია მეტრული სტრუქტურა ამ საზომთა, ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა აქვე დართული ცხრილები:

ძირითადი ცხრილი № 1: იამბიკონური საზომების სახეობანი, წარმოდგეხილი იამბიკონურ გალობათა ფორმებში (იხ. გვ. 830).

დანართი ცხრილი № 1ა: იამბიკონური შენაერთები დისტიქონ-ტრისტიქონ-ტეტრასტიქონი წარმოდგენილი იამბიკონურ გალობათა ფორმებში (იხ. გვ. 831).

იამბიკონურ საზომთა აღნიშნული 16 სახეობიდან ცამეტი წარმოადგენს სილაბური მუხლედოვანი ლექსის წყობას (№№: i — 1, i — 2, i — 3, i — 4, i — 7, i — 8, i — 9, i — 10, i — 11, i — 12, i — 13, i — 14, i — 15); სამი — სილაბური უკვეთელი ლექსის წყობას (№№: i — 5, i — 6, i — 16).

(გაგრძელება 832 გვერდზე)

იამბიკონური ს. ზომების სა-ეობანი
წა-მოდგენილი ია ბიკონუ გალოჯათა ფორმებში

№№	საზომების რიცხვითი აღნიშვნა	საზომების სახელწოდებანი	გუჯდება ფორმებში
A. იამბიკონური ორჰეტ-მარცვლელი საზომები			
i- 1 (=v-60)	5 + 7	იამბიკონი ა (ხუთიან-შვიდიანი დიმეტრი, აღმ-ვალი)	} I,II,III,IV
i- 2 (=v- 61)	7+5	იამბიკონი ბ (ხუთიან შვიდ იანი დიმეტრი, დაღმავალი)	
i- 3 (=v-59)	5+7 (~)	იამბიკონი ა/ბ (ხუთიან-შვიდიანი დიმეტრი, ორკრძი)	} I,II,III
i- 4 (=v- 64)	3+9	იამბიკონი გ (სა იან-ცხრიანი დიმეტრი, აღმავალი)	
i- 5 (=h-26)	2 + 10	იამბიკონი დ (ორიან-ათიანი შენაერთი დიმეტრი, აღმავალი)	} II
i- 6 (= h - 11)	12	იამბიკონი ე (თარმეტნი უკვეთელი)	
B. იამბიკონთა დისტიკონური საზომები			
იამბიკონური დისტიკონი I:			
i- 7 (=v 25)	7+7	შვიდიანი დიმეტრი	} II
i- 8 (=v-10)	5+5	ხუთიანი დიმეტრი	
იამბიკონური დისტიკონი II:			
i- 9 (=v 42)	5 . 3	ხუთიან-სამიანი დიმეტრი, დაღმავალი	} I
i- 10 (=v - 64)	7 + 9	შვიდიან-ცხრიანი დიმეტრი, აღმავალი	
C. იამბიკონთა ჰემისტრიკონური საზომები			
i- 11 (=v - 1)	2	ორიან-მონეტერი	VI
i-12 (=v- 2)	3	სამიანი "	VI
i-13 (=v- 9)	5	ხუთიანი "	II,V,VI
i 14 (=v-25)	7	შვიდიანი "	I,II,V,VI
i-15 (=v-37)	9	ცხრიანი "	V VI
i-16 (= h -9)	10	ათიანი უკვეთელი	I,VI

იამბიკონური შენაერთები დისტიქონ—ტრისტიქონი—ტეტრასტიქონი
წარმოდგენილი იამბიკონო გელობათა ფორმებში

№№	სახეების რიცხვითი აღუხიშენა	სახეების სახელწოდებანი	გველეხა ფორმები
i-2, 1	$\frac{7+5}{7} \cup \frac{5+7}{10 \quad 7}$	<p>A. იამბიკონური დისტიქონ—ტრისტიქონი I</p> <p>A-ა. დისტიქონური სახეობა: იამბიკონი ბ+ა</p>	I
i-14	7	<p>A - ბ ტრისტიქონური სახეობა: შვიდიანი მონომეტრი (ტრინისტიქონის 1 და 3 ტაქები)</p>	
i-16	10	<p>ათიანი უკვეთილი (" 2 ტაქი)</p>	
i-1	$\frac{5+7}{5} \cup \frac{5+7}{12} \cup \frac{5+7}{7}$	<p>B იამბიკონური დისტიქონ—ტრისტიქონი II</p> <p>B-ა. დისტიქონური სახეობა: იამბიკონი ა, ორგზისი</p>	II
i-13	5	<p>B-ბ. ტრისტიქონური სახეობა: ხუთიანი მონომეტრი (ტრისტიქონის 1 ტაქი)</p>	
i-6	12	<p>თორმეტანი უკვეთილი (" 2 ტაქი)</p>	
i-14	7	<p>შვიდიანი მონომეტრი (" 3 ტაქი)</p>	
i-1	$\frac{5+7}{5} \cup \frac{5+7}{12} \cup \frac{5+7}{12} \cup \frac{5+7}{7}$	<p>C. იამბიკონური ტრისტიქონ—ტეტრასტიქონი</p> <p>C-ა ტრისტიქონური სახეობა იამბიკონი ა საგზისი</p>	I
i-13	5	<p>C-ბ ტეტრასტიქონური სახეობა: ხუთიანი მონომეტრი (ტეტრასტიქონის 1 ტაქი)</p>	
i-6	12	<p>თორმეტანი უკვეთილი (" 2 და 3 ტაქი)</p>	
i-14	7	<p>შვიდანი მონომეტრი (" 4 ტაქი)</p>	

დასახელებული საზომებიდან გრიგოლ ხანძთელის მიერ შემოღებულია 12 საზომი: $i-1$, $i-2$, $i-3$, $i-5$, $i-6$, $i-7$, $i-8$, $i-9$, $i-10$, $i-13$, $i-14$, $i-16$.

ივანე მინჩხთან პირველად გვხვდება საზომი $i-4$.

გიორგი მთაწმიდელის მიერ შემოღებულია საზომი $i-15$.

იოანე შავთელის მიერ შემოღებულია საზომები: $i-11$, $i-12$.

ბ

იამბიკონურ გალობათა ფორმები ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში

დიდი ფორმის საგალობელნი ანუ „გალობანი“, როგორც იცის მკითხველმა, შესდგება 8 გალობისაგან (ხოლო როდესაც ერთვის დამატებითი I-ა, — „მოიხილესა“, — 9 გალობისაგან).

დიდი ფორმის ასეთი საგალობელნი — „გალობანი“, დაწერილნი იამბიკონური ლექსით, წარმოგვიდგენენ ზემოთ-დასახელებული 16 იამბიკონური საზომების სხვადასხვა სახით შეწყობას თვითეული გალობის სტროფულ ერთეულებში.

სულ ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში ჩვენ გვხვდება ექვსი ფორმა იამბიკონურ გალობათა, რომლებშიაც დასახელებული იამბიკონური საზომები განსხვავებულად არის განრიგებული ყოველი ცალკეული გალობის სტროფებში.

ვიძლევიტ ამ ექვსი ფორმის აღნუსხვასა და აღწერას.



1. გრიგოლ ხანძთელისეული იამბიკონურ გალობათა ფორმა I.

იამბიკონურ გალობათა ამ I ფორმას წარმოგვიდგენენ შემდეგი საგალობელნი:

ა) გრიგოლ ხანძთელი — გალობანი აღცებისანი („რომელმან დაქუსი სიმრგულეა ცისაჲ, სიტყუაო...“), იხ. გვ. 074 — 077;

ბ) გრიგოლ ხანძთელი — გალობანი ნათელთანი („საუკუნეთა შემოქმედი არსებაჲ...“), იხ. გვ. 073 — 079 (გამოკრებით).

გ) გრიგოლ ხანძთელი — გალობანი შობისანი, გადმოღებული იოანე დამასკელიდან („წილით წმიდით სიტყუაჲ ღმრთისაჲ გამოჩნდა...“), იხ. გვ. 824 (ექსცერპტი).

დ) ანონიმი — გალობანი სულისანი („გალობაჲ საღმრთოჲ შეეწიროთ...“, კრებულიდან: ოპიზურნი საგალობელნი სამარადისონი (რვა-ხმანი), იხ. 070 და 099 (ექსცერპტი).

ე) გიორგი მთაწმიდელისა — მთელი რიგი გალობანი თთუნში და სხვა ჰიმნოგრაფიულ კრებულებში.

ვ) ზოსიმე მთაწმიდელი — გალობანი ეფთვმე მთაწმიდელისანი („აღახუენ თუალნი სულისა ჩემისანი“), ათონური 1074 წლის ხელნაწერი, გვ. 342 — 350.

(ჩვენ აქ აღვსახეთ ტექსტები XI საუკუნემდე, მთაწმიდელთა სკოლის ჩათვლით).

გრიგოლ ხანძთელის იამბიკონურ გალობათა I ფორმა (რომლის მიღვენებით არის დაწერილი ყველა ზემოთ დასახელებული საგალობელნი) შეიცავს იამბიკონური საზომების რვა სახეობის გაერთიანებას, თითო სახეობას თვითეულ გალობაში. სახელდობრ I გალობის პირველ ძირითად სტროფში მოცე-

მულია პირველი სახეობა, რომელსაც იმეორებენ ამავე გალობის მომდევნო ანტისტროფები; II გალობის პირველ ძირითად სტროფში მოცემულია მეორე სახეობა, რომელსაც იმეორებენ ამავე გალობის მომდევნო ანტისტროფები. ასევეა ყველა დანარჩენი გალობები, III, IV, V, VI, VII, VIII.

თუ როგორია სტროფულ-ტაეპობრივი წყობა ცალკეულ გალობათა, ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა აქვე დართული ცხრილი:

I გალობა:	5 + 7;	12;	5+7;	$\frac{7+5-5+7}{7}; 10; 7.$
II გალობა:	5 + 7;	12;	12;	7 + 5; 5 + 7.
III გალობა:	5 + :	12;	12;	5 + 7; 12.
IV გალობა:	12;	12;	12;	12; 2 + 10.
V გალობა:	12;	12;	12;	12. 12.
VI გალობა:	5 + 7;	$\frac{7 + 5 - 5 + 7}{7}; 10;$	$\frac{7}{7};$	$\frac{5 + 3; 7 + 9.}{7};$
VII გალობა:	12;	12;	12;	12; 5 + 7.
VIII გალობა:	12;	12;	12;	12; 5 + 7.

სახელწოდება ცალკეულ გალობათა სტროფულ-ტაეპობრივი ერთეულებსა შემდეგი: (ძლისპირთა საწყისების მიხედვით; პირველი ხმა): I — „ს ა ს წ ა უ ლ ი თ ა ი კ ს ნ ა“ (ძლისპირი № 1); II — „ღ მ ე რ თ ო მ ო ხ ე დ ე ნ“ (ძლისპირი № 1); III — „პ ი რ ე ე ლ ა უ წ ყ ა“ (ძლისპირი № 1); IV — „ს ა ც თ უ რ თ ა ბ ნ ე ლ თ ა“ (ძლისპირი № 1); „შ თ ა ქ ღ ა ი ო ნ ა“ (ძლისპირი № 1); „ს ი ყ უ ა რ უ ლ ი თ ა“ (ძლისპირი № 1); „ყ რ მ ა ნ ი ბ ა ბ ი ლ ო ნ ს“ (ძლისპირი № 1); „ჯ ე რ ა რ ს ღ უ შ ი ლ ი“ (ძლისპირი № 1).

2. გრიგოლ ხანძთელისეული იამბიკონურ გალობათა ფორმა II.

იამბიკონურ გალობათა ამ მეორე ფორმას წარმოგიდგენენ საგალობელნი:

ა) გრიგოლ ხანძთელი — გალობანი გიორგისნი („შენ, მეუფეო, რაჟამს გამოაბრწყინე || მთიები დღისამ, მოწამეთა მთავარი...“), იხ. გვ. 792 — 797.

ბ) გრიგოლ ხანძთელი — გალობანი ნათელთანი იოანე დამასკელიდან („შენ, მეუფეო, რაჟამს გამოაბრწყინე || ცისკარი დღისამ უღაბნოთა ქადაგი...“), იხ. გვ. 822 (ექსტრაქტი).

გ) გრიგოლ ხანძთელი — გალობანი ალესებისანი იოანე დამასკელიდან („ქელსა ზედა რაჟამს დაწესით დაპოეილა...“), იხ. გვ. 012.

დ) გიორგი მთაწმიდელისა — მთელი რიგი გალობანი თთუენში და სხვ. კანონგრაფიულ კრებულებში.

ე) ეზრა მთაწმიდელი — გალობანი იოანე მთაწმიდელისანი („იწრო არს ჩემდა, ნეტარო იოანე...“), იხ. ათონური 1074 წ. ხელნაწერი (დანართი ნაწილი), გვ. 331 — 338.

(ჩვენ აქ აღვუხსნეთ ტექსტები XI საუკუნემდე, მთაწმიდელთა სკოლის ჩათვლით).

გრიგოლ ხანძთელის იამბიკონურ გალობათა II ფორმა (რომლის მიდევნებით არის დაწერილი ყველა ზემოთ-ჩამოთვლილი საგალობელნი) შეიცავს იამბიკონურ საზომთა რვა სახეობის გაერთიანებას, (იმავე წესით, როგორც I ფორმაში).

თუ როგორია ამ II ფორმაში სტროფულ-ტაეპობრივი წყობა ცალკეულ გალობათა, ამის შესახებ წარმოვდგენას იძლევა აქვე დართული ცხრილი.

I გალობა:	5+7;	5+7;	5+7;	5+7;	12.
II გალობა:	5+7;	12;	$\frac{5+7}{5};$	$\frac{5+7}{12};$	$\frac{5+7}{7}.$
III გალობა:	12;	12;	5+7;	7+5;	12.
IV გალობა:	5+7;	12;	12;	12;	12.
V გალობა:	$\frac{7+7}{5};$	$\frac{5+5}{5};$	12;	7+5;	12.
VI გალობა:	5+7;	12;	5+7;	5+7;	5+7.
VII გალობა:	5+7;	12;	5+7;	$\frac{5+7}{5};$	$\frac{5+7}{12};$
VIII გალობა:	5+7;	5+7;	5+7;	12;	5+7.

სახელწოდება ცალკეულ გალობათა სტროფულ-ტაეპობრივი ერთეულებისა შემდეგია (ძლისპირთა საწყისების მიხედვით, მეორე ხმა): I — „ზღვსა დელვათა“ (ძლისპირი № 1); II — „განკსნილნი...“ (ძლისპირი № 1); III — „საქმენი შენნი“ (ძლისპირი № 1); IV — „განვიბანენით“ (ძლისპირი № 1); V — „წინაისწარმეტყუელჲან“ (ძლისპირი № 1); VI — „რომელმან პირველ“ (ძლისპირი № 1); VII — „დაბადებულნი“ (ძლისპირი № 1); VIII — „უზეშთაეს არს“ (ძლისპირი № 1).

3. მინჩხისეული იამბიკონურ გალობათა ფორმა III.

ვინ არის შემომღები იამბიკონურ გალობათა III ფორმისა, ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არა გვაქვს. ძლისპირთა კრებულებში ეს III ფორმა ფიქსირებულია ძლისპირთა მეორე ჯგუფში, რომელიც IX — X საუკუნეებს ეკუთვნის. ყველაზე ადრინდელი ავტორი, რომელთანაც დამოწმებულია ეს ფორმა, არის ივანე მინჩხი (ამიტომ ამ ფორმას მინჩხისეული ვუწოდეთ). სახელ-

დობრ ამ ფორმით არის დაწერილი მინჩხის გალობანი აღვსებისანი („ჩემთვის დაადგრა...“; იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 11 — 17).

ამავე ფორმით არის დაწერილი იოვანე მტბევიარის გალობანი შობისანი („იხარებდით ყოველი დაბადებული...“; იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 55 — 67).

ამავე ფორმით არის აგრეთვე დაწერილი გალობანი სულისა წმიდისანი, გაღმოდებული იოანე დაძასკელიდან (მარტვილისა ორშაბათსა; იხ. ხელნაწერი Sin. — 1, გვ. 141 a და შდღ., წვირპული კრებული, გვ. 119b და შდღ.).

იამბიკონურ გალობათა III ფორმა შეიცავს იამბიკონურ საზომთა რვა სახეობის გაერთიანებას (იმავე წესით, როგორც I და II ფორმებში).

თუ როგორია III ფორმაში სტროფულ-ტაქობრივი წყობა ცალკეულ გალობათა, ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა აქვე დართული ცხრილი.

I გალობა:	12;	12;	3+9;	7+5;	5+7.
II გალობა:	5+7;	12;	5+7;	12;	5+7.
III გალობა:	12;	12;	7+5;	12;	5+7.
IV გალობა:	12;	7+5;	7+5;	12;	7+5.
V გალობა:	5+5;	7+5;	12;	5+7;	12.
VI გალობა:	12;	5+7;	7+5;	12;	7+5.
VII გალობა:	5+7;	12;	5+7;	12	7+5.
VIII გალობა:	5+7;	7+5;	12;	5+7;	7+5.

სახელწოდება ცალკეულ გალობათა სტროფულ-ტაქობრივი ერთეულებისა შემდეგია (ძლისპირთა საწყისების მიხედვით, მეოთხე ხვა): I „საღმრთო მან ნის ღმან“ (ძლისპირი № 11); II — „ლოცეა მან...“ (ძლისპირი № 10); III — „შენ, მე უფეო...“ (ძლისპირი № 12); IV — „მოვედი თ დღეს...“ (ძლისპირი № 12); V — „შენ ქრისტე...“ (ძლისპირი № 9); VI — „მძღაერ მან...“ (ძლისპირი № 10); VII — „სამსახეობაჲ საჲ მბეისაჲ...“ (ძლისპირი № 12); VIII — „გიხაროდენ შენ...“ (ძლისპირი № 14).

4. მიქაელ მოდრეკილისეული იამბიკონურ გალობათა ფორმა IV.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ მიქაელ მოდრეკილმა იამბიკონურ საზომთა სხვადასხვა სახეობათაგან მოახდინა კანონიზაცია ერთი ძირითადი სახეობისა: ხუთიან-შვიდიანი დიმეტრი აღმავალი 5+7 (იხ. გვ. 578).

იამბიკონურ გალობათა IV ფორმაში, რომელიც მიქაელ მოდრეკილს ეკუთვნის; გალობათა მთელ მანძილზე იხმარება მხოლოდ ეს ერთი საზომი: 5 + 7.

ამ ფორმით არის დაწერილი მიქაელ მოდრეკილის გალობანი აღვსებ-სანი III ხმისა (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული ... პოეზია, გვ. 369—375).

5—6. იამბიკონურ გალობათა გიორგი მთაწმიდელისეული ფორმა V და იოანე შავთელისეული ფორმა VI (მომდინარენი გრიგოლ ხანძთელისეული I ფორმიდან).

გიორგი მთაწმიდელის ცნობილი გალობანი შობისანი, რომელიც სტროფული აკროსტიხით არის შესრულებული (S — 4999, გვ. 546 — 553), წარმოადგენს იამბიკონურ გალობათა ცალკე V ფორმას. იგი ძირითადადში იამბიკონურ ჰემისტიქონურ ტაეებზე არის აგებული. გიორგი მთაწმიდელისეული ეს V ფორმა მომდინარეობს გრიგოლ ხანძთელისეული I ფორმიდან და განსხვავდება ამ უკანასკნელისაგან იმით, რომ გრიგოლ ხანძთელისეული I ფორმის ტაეები, რომლებიც აღნიშნული ცეზურებით განიკვეთება ორ ნახევარტაეებად, V ფორმაში ორ დამოუკიდებელ ტაეებად არის წარმოდგენილი.

იოანე შავთელის გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობელისანი (ხელნაწერი K — 22, გვ. 209b — 212b) წარმოადგენს იამბიკონურ გალობათა VI ფორმას. იგი მომდინარეობს გრიგოლ ხანძთელისეული I და გიორგი მთაწმიდელისეული V ფორმებიდან, წარმოადგენს ამ უკანასკნელის ვარიაციას.

თუ სახელდობრ რა მიმართებაშია გიორგი მთაწმიდელისეული V ფორმა და იოანე შავთელისეული VI ფორმა მათ პროტოტიპთან — გრიგოლ ხანძთელის I ფორმასთან, ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა აქვე დართული ცხრილი (იხ. გვ. 837).

ძლისპირული სახელწოდებანი გალობათა სტროფულ-ტაეობრივი ერთეულებისა გიორგი მთაწმიდელისეულ და იოანე შავთელისეულ V და VI ფორმებში იგივეა, რაც გრიგოლ ხანძთელისეულ I ფორმაში.

გ.

ქართული იამბიკონური ლექსის
ბერძნულთან ურთიერთობა

ქართული იამბიკონური ლექსი, რომელიც ქართულ პოეზიაში შემოულია გრიგოლ ხანძთელს, დაკავშირებულია საშუალო საუკუნეთა ბერძნულ-ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის იამბიკურ 12-მარცვლედ ლექსთან.

თავის მხრივ საშუალო-საუკუნეთა ბერძნულ-ბიზანტიური ჰიმნოგრაფიის 12-მარცვლედი იამბიკური ლექსი დამოკიდებულია ანტიკური ხანის ბერძნული იამბიკური ტრიმეტრისაგან (ე. ი. იმ სალექსო საზომისაგან, რომელიც მიღებული იყო ძველ-ბერძნულ ტრაგედიებში).

(გაგრძელება 838 გვერდზე)

იამპიკონუს გალობათა გრიგოლ ხანძთელიძისეული ფორმა I
და მისგან მომდინარენი: გიორგი მთაწმიდელიძისეული V ფორმა
და იონანე შავთელიძისეული VI ფორმა

	გალობა I					გალობა V				
გრ. ხანძთ. I . .	5+7;	12;	5+7;	$\frac{7+5}{7} \frac{5+7}{10} \frac{7}{7}$		12	12	12	12	12.
გ. მთაწმ. V . .	5; 7;	12;	5; 7;	7; 10; 7.		12	12	12	12	12.
ი. შავთ. VI . .	5; 7;	12;	5; 7;	7; 10; 7.		12	12	12	12	12
	გალობა II					გალობა VI				
გრ. ხანძთ. I . .	5+7;	12;	12;	7+5;	5+7.	5+7	$\frac{7+5}{7} \frac{5+7}{10} \frac{7}{7}$	5+3;	7+9.	
გ. მთაწმ. V . .	5; 7;	12;	12;	7; 5;	5; 7.	12;	7; 10; 7;	5;	12; 9.	
ი. შავთ. VI . .	12;	12;	12;	7; 5;	12.	5; 7;	7; 10; 7;	5; 3;	7; 9.	
	გალობა III					გალობა VII				
გრ. ხანძთ. I . .	5; 7;	12;	12;	5+7;	12.	12;	12;	12;	12;	5+7
გ. მთაწმ. V . .	5; 7;	12;	12;	5; 7;	12.	12;	12;	12;	12;	12.
ი. შავთ. VI . .	5; 7;	12;	12;	5; 7;	12.	12;	12;	12;	12;	12.
	გალობა IV					გალობა VIII				
გრ. ხანძთ. I . .	12;	12;	12;	12;	2+10.	12;	12;	12;	12;	5+7.
გ. მთაწმ. V . .	12;	12;	12;	12;	12.	12;	12;	12;	12;	12.
ი. შავთ. VI . .	12;	12;	12;	12;	2; 10.	12;	12;	12;	12;	12.

საშუალ საუკუნეთა ბერძნულ-ბიზანტიური 12-მარცვლელი იამბიკო უდგება ანტიკური ხანის ბერძნულ იამბიკურ ტრიმეტრს მხოლოდ მარცვალთა რაოდენობით, ხოლო მათი მეტრულ-რიტმული სტრუქტურა სხვადასხვაა, ისინი ლექსთწყობის სხვადასხვა სისტემებს წარმოგვიდგენენ. ანტიკური ხანის ბერძნული იამბიკური ტრიმეტრი ქვანტიტეტურ ლექსთწყობას ეკუთვნის, იგი დამყარებული იყო გრძელი და მოკლე მარცვლების მონაცვლეობაზე. ხოლო საშუალ საუკუნეთა ბერძნულში, როგორც ცნობილია, გრძელი მარცვლები აღარ არსებობდა და საშუალ-საუკუნეთა ბერძნულ-ბიზანტიური ლექსთწყობის სახით ჩვენ გვაქვს არა ქვანტიტეტური, არამედ სილაბურ-ტონური ლექსთწყობა. კერძოდ საშუალ-საუკუნეთა ბერძნულ-ბიზანტიური იამბიკური 12-მარცვლელი ლექსი ტიპიურს სილაბურს სალექსო საზომს წარმოადგენს.

ამრიგად საშუალ-საუკუნეთა ბერძნულ-ბიზანტიური 12-მარცვლელი იამბიკო თავისი სტრუქტურით უფრო ახლო სდგას ქართულ იამბიკონურ სილაბურ ლექსთან, ვიდრე ანტიკური ხანის ქვანტიტეტზე დამყარებულ იამბიკურ ტრიმეტრთან.

ქართული იამბიკონური ლექსი დაკავშირებულია ბერძნულთან არა მარტო საზომით; იგი დაკავშირებულია ბერძნულთან იამბიკონურ გალობათა ფორმებით. ე. ი. იამბიკონური ლექსის სხვადასხვა იპოსტასური ვარიაციების გარკვეული კანონზომიერი განლაგებით იამბიკონურ გალობებში.

ასე, ზემოთ-აღწერილ იამბიკონურ გალობათა I ფორმა (გვ. 832 — 833), შემოღებული ქართულ პოეზიაში გრიგოლ ხანძთელის მიერ, უდგება იოანე დამასკელის ცნობილი პოეტური ძეგლის — შობის იამბიკურ გალობათა ფორმას (თვით ეს ძეგლი იოანე დამასკელისა, ფორმის სრული დაცვით, ქართულად თარგმნილია გრიგოლ ხანძთელის მიერ, იხ. გვ. 825 — 826).

ასევე ზემოთ-აღწერილი იამბიკონურ გალობათა II ფორმა (გვ. 833 — 834), აგრეთვე შემოღებული ქართულ პოეზიაში გრიგოლ ხანძთელის მიერ. უდგება იოანე დამასკელის მეორე პოეტური ძეგლის — განცხადების იამბიკურ გალობათა ფორმას (ეს მეორე ძეგლი იოანე დამასკელისა, ფორმის სრული დაცვით, აგრეთვე თარგმნილია გრიგოლ ხანძთელის მიერ, იხ. გვ. 822 — 824).

ზემოთ-აღწერილი იამბიკონურ გალობათა III ფორმა (გვ. 834 — 835), რომელიც გვხვდება X საუკუნის ქართველ პოეტებთან ივანე მინჩხთან და იოვანე მტბევართან, უდგება იოანე დამასკელის მესამე პოეტური ძეგლის, — სულიწმიდის იამბიკურ გალობათა ფორმას (ეს მესამე ძეგლიც, ფორმის სრული დაცვით, აგრეთვე თარგმნილია ქართულად. მთარგმნელის ვინაობა უცნობია. თარგმანი მოღწეულა ხელნაწერებში Sin. — 1 X საუკ., და წვირბულ კრებულში X — XI სს., იხ. ზემოთ, გვ. 835).

ეს რაც შეეხება იამბიკურ გალობათა პირველ სამ ფორმას. იამბიკურ გალობათა დანარჩენი ფორმები — IV, V და VI (იხ. გვ. 835 — 837) — საკუთრივ ქართულია და მათ ბერძნულ-ბიზანტიურ გალობებში („კანონებში“) — პარალელები არა აქვს.

აქ საჭიროა აღინიშნოს ამასთან შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოება.

როგორც ეს გამოირკვა ქართული და ბერძნული იამბიკონური ლექსის შედარებითი შესწავლიდან, ევროპის თანამედროვე ფილოლოგიურ მეცნიერებაში დღემდე არ ყოფილა ამოცნობილი ბერძნულ-ბიზანტიური იამბიკონური ლექსის ბუნება, მისი სტრუქტურა; სახელდობო დადგენილი არ ყოფილა შემდეგი ფაქტები:

ა) რომ იამბიკონური 12-მარცვლელი ლექსი სილაბური წყობისა საშუალ-საუეუნეთა ბერძნულში შევლევს ხუთ სახეობას წარმოადგენს: 12-მარცვლელი მოძრავ-ცეზურიანი და ოთხი სახეობა მუდმივი (აღნიშნული) ცეზურებით: 5+7, 7+5, 3+9 და 2+10 (იხევე როგორც ქართულში).

ბ) რომ საშუალო საუეუნეთა ბერძნულ-ბიზანტიურ იამბიკონურ გალობებში ჩვენ გვაქვს არა მხოლოდ 12-მარცვლელი ტაეები, არამედ ამასთან ერთად მათი იპოსტასური ვარიაციები კერძოდ ტაეებია დისტიქონური გაერთიანებანი, სადაც ორი ტაეის მარცვალთა საერთო ჯამი უდრის 24-ს, ხოლო ცალკე ტაეები არა-თანაზომიერი მეტრისაა; სახელდობრ ბერძნულში (იხევე როგორც ქართულში) ჩვენ გვაქვს იამბიკონური დისტიქონებს ასეთი ტაეები:

A) 7+7 და 5+5 (წარმოადგენს გაერთიანებას ორი 12-მარცვლელი ტაეებისა, ნახევარ-ტაეებია გადასმით: 7+5 და 7+5).

B) 5+3 და 7+9 (წარმოადგენს გაერთიანებას ორი 12-მარცვლელი ტაეებისა, ნახევარ-ტაეებია გადასმით: 5+7 და 3+9).

იამბიკონური ლექსი, საზომთა ასეთი ვარიაციით, რიტმის განსაკუთრებულ დინამიურობას აღწევს.

გ) დასასრულ, რაც მთაერია, დადგენილი არ ყოფილა იამბიკონურ გალობათა მეტრიკის ისეთი ძირითადი მნიშვნელობის ფაქტი, როგორცაა ზემოთ-აღწერილი იამბიკონურ გალობათა ფორმები, ე. ი. რომ იამბიკონურ გალობებში ჩვენ გვაქვს გარკვეული კანონზომიერი თანამიმდევრობით განლაგებული იამბიკონური ლექსის სხვადასხვა იპოსტასური სახეობანი.

სახელდობრ იმ მასალებით, რაც ჩვენ ხელთ არის, ბერძნულში ჩვენ გამოვავლინეთ იამბიკონურ გალობათა სამი ფორმა, რომელთაგან ერთი უდრის ზემოთ-აღწერილს ქართულ I-ს, მეორე — ქართულ II-ს, მესამე — ქართულ III-ს.

ამ ფორმების დადგენა ბერძნულში შესაძლო გახდა ბერძნული ტექსტების შეფარდებიდან მათ ძველ-ქართულ ვერსიებთან, კერძოდ იოანე დამასკელის იამბიკონურ გალობათა შეფარდებიდან მათ ძველ-ქართულ თარგმანებთან. შეფარდება მეტრული პუნქტუაციით გაწყობილი ქართული ტექსტებისა ბერძნულთან გვიჩვენებს, რომ იოანე დამასკელის იამბიკონური გალობანი (კანონი) შობისა ზუსტად უდგება ქართულ I ფორმას, გალობანი (კანონი) განცხადებისა ზუსტად უდგება ქართულ II ფორმას, ხოლო გალობანი (კანონი) სული-წმიდისა ზუსტად უდგება ქართულ III ფორმას.

იმის გამო, რომ ამოხსნილი არაა იამბიკონურ გალობათა ფორმები, ბერძნულ-ბიზანტიური იამბიკონური გალობანი დეფექტური სახით იბეჭდება. ასე, Christ — Paranikas-ის ცნობილ კრებულში Anthologia graeca carminum christianorum. იოანე დამასკელის ცნობილი ჰიმნები დაბეჭდილია იმ სახით, რომ არაა გამოვლენილი მეტრული სტრუქტურა, საზომთა იპოსტასური ვარიაციები.

კერძოდ შობის გალობათა *ა'* ოდის ყველა სტროფების 4 და 5 ტაეები უნდა დალაგდეს არა იმ სახით, როგორც დაბეჭდილია, არამედ შემდეგი სახის ტაეებად: 5+3 და 7+9 (იხ. გვ. 207).

განცხადების გალობათა *ა'* ოდის ყველა სტროფების 1 და 2 ტაეები უნდა დალაგდეს არა იმ სახით, როგორც დაბეჭდილია, არამედ შემდეგი სახის ტაეებად 7+7 და 5+5 (იხ. გვ. 211).

იმის გამო, რომ არაა ამოხსნილი წესი ტაეების განკეთისა მუდმივი ცეზურებით (რაც ზუსტად არის რეგლამენტრებული გალობათა თვითეულ ფორმაში), დაშვებულია არასწორი წაკითხვები. ასე მაგალითად, შობის გალობათა *ა'* ოდის მე-5 სტროფის მე-5 ტაეის ტექსტი უნდა გასწორდეს შემდეგნაირად: *αλειζιου εν ελξησμηθιεν η αμαρταν*, როგორც ამას მოითხოვს ტაეის განკეთისა მუდმივი ცეზურით მეორე მარცვლის შემდეგ (იხ. გვ. 207).

ჩვენ ამგზის დავეკმაყოფილდებით ამ მოკლე შენიშვნებით ბერძნულ-ბიზანტიურ გალობათა იამბიკურ ლექსზე, მისი მეტრული სტრუქტურის შესახებ.

აქ საკიროს საზოგადოდ აღენიშნოთ ამასთან, რომ არა მარტო ბერძნულ-ბიზანტიური იამბიკური ლექსის საკითხს, არამედ საერთოდ ბერძნულ-ბიზანტიური ლექსთწყობის სხვადასხვა საკითხებს შუქი ეფინება ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ლექსთწყობის (საგალობელთა «მარცვლელის») მონაცემების მიხედვით.

განხილვა ბერძნული ლექსთწყობის საკითხებისა ქართული მასალების შუქზე ცალკე თემას წარმოადგენს, რომელსაც სხვა დროს დავუბრუნდებით.

VII, 6

გრიგოლ ხანძთელის არ-მოღწეული ნაწარმოებნი

წესი და განგება ხანძთის სავანისა

გიორგი მერჩულის ცნობით, გრიგოლ ხანძთელს დაუწერია წესი და განგება ხანძთის სავანისა. გიორგი მერჩულის დახასიათებით, გრიგოლ ხანძთელის მიერ აღწერილი ეს ძეგლი იყო — „სიბრძნით განსაზღვრებული და მეცნიერებით განბრწყინებული, და ყოველთაგან წმიდათა ადგილთა გამორჩევით შეკრებული, ვითარცა საფასეა და უღვწეულთა კეთილთა“¹.

ეს ძეგლი ჩვენ დრომდე არ მოღწეულა.

თუ რა სახის იყო საერთოდ ამ ტიპის ძეგლები ძველ-ქართულ მწერლობაში, ეს ჩვენ შეგვიძლია გავითვალისწინოთ ჩვენ დრომდე მოღწეული მეორე ანალოგიური ძეგლიდან — წესი და განგება პეტრიწონის სავანისა². ეს უკანასკნელი შედგენილია XI საუკუნეში (1084 წელს) პეტრიწონის სავანეში და გამოქვეყნებული იყო ამ სავანის დამაარსებელის განთქმული მოღვაწის გრიგოლ ბაკურიანის-ძის მიერ.

ამ სახის ძეგლები ყოველწლიურად რამდენიმე-გზის საჯაროდ იკითხვოდა სავანეში (კერძოდ, პეტრიწონის ძეგლის კითხვა დანიშნული იყო წელიწადში სამჯერ).

პეტრიწონის სავანე, როგორც ცნობილია, ბიზანტიის იმპერიაში მდებარეობდა (ბალკანეთში), და წესი და განგება ბიზანტიაში იყო შედგენილი ქართულ ენაზე, ბერძნული თარგმანის დართვით.

პეტრიწონის სავანის წესისა და განგების შემდგენელთ, გრიგოლ ბაკურიანის-ძის სურვილის თანახმად, საფუძვლად აუღიათ ბიზანტიური ანალოგიური ძეგლი, წესი და განგება კონსტანტინეპოლის პანაგის სავანისა.

მაგრამ უეჭველია, რომ ამ ძეგლის შემდგენელთ, ბერძნულ წყაროსთან ერთად. სახელმძღვანელოდ უნდა ჰქონოდათ აგრეთვე ამავე სახის ქართული ძეგლებიც.

პირველ რიგში მათ, ცხადია, უნდა ესარგებლნათ ამ სახის ძეგლით „საქართველოს სინაჲს“ განთქმული სავანეებისა — ხანძთისა და შატბერთისა, რომლე-

¹ იხ. გიორგი მერჩულე, ცხობება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 47.

² იხ. Typicon Gregorii Pacuriani, Louvain, 1954 (ქართული ტექსტი და ლათინური თარგმანი, სერიაში Corpus scriptorum christianorum orientaliu, vol. 143).

ბიცი საყოველთაოდ ცნობილსა და განთქმულს კულტურულ კერებს წარმოადგენდნენ, და რომელთა წესი და განგება აღწერილი იყო ძველი საქართველოს განთქმული მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის მიერ (უნდა გვახსოვდეს ამასთან, რომ თვით გრიგოლ ბაკურიანის-ძე, დამაარსებელი პეტრიწონის საევანისა, ტაო-კლარჯეთის მხარიდან იყო).

პეტრიწონის საევანის წესისა და განგების შემდგენელნი კარგად რომ იცნობდნენ არა მხოლოდ გრიგოლ ხანძთელისეულ წესსა და განგებას, არამედ საერთოდ გრიგოლ ხანძთელის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ჩანს იმის მიხედვით, რომ პეტრიწონის საევანის წესისა და განგების შესავალში ჩვენ გვაქვს ერთგვარი ანარეკლი გრიგოლ ხანძთელის ცნობილი პოეტური ნაწარმოებისა — „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“. საკმარისია გადავიკითხოთ პეტრიწონის საევანის წესისა და განგების შესავალი, რათა ცხადი გახდეს, რომ მთელი რიგი გამოთქმები და სახეები ამ შესავალისა მომდინარეობენ ამ პოეტური ნაწარმოებიდან „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“.

ასე შეადარეთ:

ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ:

რამეთუ ბუნებით ერთ-გუამ არს
ქუეყანაჲ უდაბნოთაჲ მათ,
და კეთილად შეზავებულ
მზისაგან და ჰაერისა...

ხოლო წყალი კეთილი,
და შეშაჲ ნებისაებრ,
უნაკლულად აქუს აღმოცენებული
ქვშათა მათ შინა,

ურიცხვ მალნარი
და სიმრავლე წყალთა ჰამოთაჲ,
ბუნებით მხიარულებაჲ
მოცემულ არს ღმრთისაგან

ვენაქნი... დაუნერგვიან
და ეგრეთვე მტილები,
ხოლო მხალთა ველისათაჲ
არს სომრავლე ურიცხვ.

შესავალი პეტრიწონის საევანის
წესისა და განგებისა:

ესევეითარსა ამას შუენიერსა უდაბნო-
სა, რომელი აღსაესე არს მრავლითა კე-
თილითა, ესე იგი არს მრავლითა ტკბა-
ლითა წყლითა და წყაროებითა...

და თითოახითა ნაყოფითა, ხილითა
და ვენაქებითა, და მტილითა გუარად-
კუარადითა.

საფიქრებელი ხდება, რომ გრიგოლ ხანძთელის მიერ აღწერილ ძეგლთან ერთად — წესი და განგებაჲ ხანძთის საევანისა — იმავე ხელნაწერში გადაწერილი ყოფილა აგრეთვე გრიგოლ ხანძთელის პოეტური ტექსტიც — „ქებაჲ კლარჯეთისა უდაბნოთაჲ“; პეტრიწონის საევანის წესისა და განგების აღმწერელნი ძეგლის შესავალს სწერენ გრიგოლ ხანძთელის ამ პოეტური ნაწარმოების უშუალო შთაბეჭდილების ქვეშ.

აი ყოველივე ის, რაც ჯერჯერობით შეიძლება ითქვას გრიგოლ ხანძთელის ჩვენ დრომდე არ მოღწეულ ძეგლზე — წესი და განგებაჲ ხანძთის საევანისა —

¹ იხ. § 4.

რომელიც, გიორგი მერჩულის სიტყვით, იყო — „სათასეა დაუღვენელთა კეთილთაჲ“, „სიბრძნითა განსაზღვრებული და მეცნიერებით გაბრწყინებული“.

2

შესხმა ქებისა ბაგრატ ქართველთა ხელმწიფისა

გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ როდესაც არაბებთან ბრძოლაში გმირულად დაიღუპა აშოტ I დიდი, და საქართველოს სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა აშოტ I-ის ახალგაზრდა მემკვიდრე ბაგრატ I, გრიგოლ ხანძთელმა მიუძღვნა ბაგრატ I-ს „ჯერისაებრი შესხმაჲ“¹.

გრიგოლ ხანძთელის ეს „შესხმაჲ“, საფიქრებელია, ლიტერატურულ ნაწარმოებს წარმოადგენდა; იგი, ჩანს, განეკუთვნებოდა იმ ლიტერატურულ ჟანრს, რომელსაც ძველ-ქართულ მწერლობაში „შესხმაჲ“ ანუ „ქებაჲ“ („შესხმაჲ ქებისაჲ“) ეწოდებოდა.

გიორგი მერჩულე ამ „შესხმის“ შესახებ გადმოგვცემს, რომ „შესხმაჲ იგი ქებისაჲ ჟამისა მის ბრძენთა მიერ შეუცავი“ იყო, ეს შესხმა იყო იმდენად ღრმა შინაარსისა, რომ იმდროინდელნი ბრძენნი მისი სიღრმით განცვიფრებულნი იყვნენ.

ასეთია ეს საყურადღებო უწყება გიორგი მერჩულისა გრიგოლ ხანძთელის ამ „შესხმის“ შესახებ.

„შესხმა“, რომელიც იმ ხანას ეკუთვნოდა, როდესაც საქართველო სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებს აწარმოებდა არაბ დამპყრობელთა წინააღმდეგ, და მიძღვნილი იყო ბაგრატ I-სადმი, რომელიც სათავეში ჩაუდგა ქვეყანას მისი მამის გმირულად დაღუპვის შემდეგ, უეჭველია გამსჭვალული იყო ღრმა პატრიოტული სულით, რომლითაც აღბეჭდილია გრიგოლ ხანძთელის შემოქმედება.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 62.

VII, თ

გიორგი მერჩულის ლიტერატურული მემკვიდრეობა ქიზნოგრაფიულ პოეზიაში

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ გიორგი მერჩულე არა მხოლოდ იყო ქართული პროზის უბრწყინვალესი ოსტატი, არამედ რომ იგი ამავე დროს პოეტი იყო. გიორგი მერჩულე ახალი ფორმების შემომღები ყოფილა ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში.

ჩვენ აქ გავეცნობით გიორგი მერჩულის ლიტერატურულ მემკვიდრეობას ჰიმნოგრაფიული პოეზიის დარგში.

1

ფორმა «მერჩულიული უცხონი».

თავდაპირველად აქ ჩვენ შეეჩერდებით ფორმაზე, რომელიც ძველ-ქართულ პოეზიაში ცნობილი იყო სახელწოდებით: «მერჩულიული უცხონი». ასე ეწოდებოდა ძველ-ქართულ პოეზიაში ალიტერაციით გაწყობილ ლექსებს. ალიტერაციის დამამკვიდრებელი ქართულ პოეზიაში გიორგი მერჩულე ყოფილა და აქედან მიუღია ალიტერაციულ წყობას ეს სახელწოდება — «მერჩულიული უცხონი».

გიორგი მერჩულის მომდევნო ხანის პოეტებიდან გიორგი მერჩულის მიერ შემოღებულს ალიტერაციის ფორმას ზოგჯერ იყენებს გიორგი მერჩულის უმცროსი თანამედროვე X საუკუნის პოეტი მიქაელ მოდრეკილი. თვით ეს სახელწოდება ალიტერაციით გაწყობილი ლექსისა — «მერჩულიული უცხონი» მიქაელ მოდრეკილთან არის დამოწმებული.

მიქაელ მოდრეკილს, როგორც ცნობილია, ეკუთვნის ორიგინალური ჰიმნოგრაფიული ძეგლი — მცირე ოქტოიზო (საგალობელნი აღვსებისანი რვა—ხმანი), რომლის ტექსტი ჩვენ სრულად გამოცემული გვაქვს ადრინდელს შრომაში „ძველ-ქართული სასულიერო პოეზია“ (I — გვ. 258 — 273; II — 273 — 285; III — გვ. 365 — 378; IV — გვ. 369 — 381, 290 — 307; V — გვ. 307—317; VI — გვ. 318 — 337; VII — გვ. 381—383, 168 — 176; VIII — გვ. 337 — 338). მიქაელ მოდრეკილის ამავე ძეგლის შესახებ იხ. აგრეთვე წინამდებარე გამოცელებაში (გვ. 019—021, 024—031).

მიქაელ მოდრეკილის ეს მცირე ოქტოიზო შეიცავს საგალობელთა რვა ჯგუფს. აქ შედის რვა „გალობანი“ („კანონნი“), სტიქარონთა დართით.

მიქაელ მოდრეკილი მცირე ოქტოიზოში ფართოდ იყენებს ქართულს პოეზიაში შემოღებულს ახალ ფორმებს.

ასე გალობანი VII დაწერილია ფორმით „სპადუქნი“ („მორთულნი“), რომელიც შემოღებულია მიქაელ მოდრეკილის უფროსი თანამედროვის ივანე მინჩხის მიერ (იხ. ზევით, გვ. 672).

გალობანი I ასევე დაწერილია ფორმით „სპადუქნი“ („მორთულნი“), რომელიც უდგება იმავე მინჩხისეულ ფორმას (იხ. ზევით, გვ. 674—675).

ამას გარდა მიქაელ მოდრეკილი იყენებს სხვადასხვა სახის „მოკაზმულობას“, კერძოდ აკროსტიხთა ფორმას. ასე, აკროსტიხებით არის შესრულებული გალობანი II, IV, VI, VII, VIII, და აგრეთვე დიდი ნაწილი სტიქარონთა.

ხოლო გალობანი V მთლიანად გაწყობილია სტროფული ალიტერაციებით და აქვს შემდეგი ზედწერილი: «მერჩულიული უცხონი».

სახელდობრ ამ ტექსტში (V „გალობანი“), რომელსაც აქვს ეს ზედწერილი «მერჩულიული უცხონი», ალიტერაციები შემდეგის სახით არის განრიგებული: ყოველი ცალკე გალობის სტროფული ერთეულები (=დასდებლნი) იწყება იმავე ბგერით, რომლითაც იწყება სალექსო საზომის აღმნიშვნელი ძლისპირი.

მოგვყავს აქ ნუსხა ასეთი ალიტერაციული საწყისებისა, გალობათა მანძილზე ხმარებული საალიტერაციო სიტყვებისა, რომლებიც იწყებიან ერთი და იმავე ბგერით. სულ აქ გვაქვს ცხრა ალიტერაცია (ტავტოგრამა), თვითველ გალობაში თითო-თითო, სახელდობრ: გალობა I — „შ“; გალობა I-ა — „შ“; გალობა II — „ნ“; გალობა III — „შ“; გალობა IV — „თ“; გალობა V — „ვ“; გალობა VI — „ს“; გალობა VII — „მ“; გალობა VIII — „ც“.

გალობანი V. ალიტერაციათა ნუსხა

გალობა	ალიტერაცია	ძლისპირის ალიტერაციული საწყისი	დასდებულთა ალიტერაციული საწყისები
I	შ	შეწვენაჲ	შენისა; შობილი; შენ.
I-ა	უ	უცნაურისა	ურჩებისა; უხილაჲმან; უფსკრულმან.
II	ნ	ნიკი	ნადირებით; ნეფსით; ნათელსა.
III	შ	შენ	შენი; შენ; შენი.
IV	თ	თაჲადმან	თქუმულისა; თაჲი; თანა.
V	ვ	ვითარცა	ვინაჲთგან; ვჲადაგებთ; ვინარებთ.
VI	ს	სარწმუნოებაჲ	საკრეულებითა; სასოვებაჲ; სუფევს.
VII	მ	მელტოდა	მსე; მქმნა; მტყოდა.
VIII	ც	ცაჲ	ცხოველს-მყოფელთა; ცათა; ცანი; ცათა.

აქ საკიროა აღვნიშნოთ აგრეთვე შემდეგი. შესწავლა ალიტერაციებით შესრულებული ყველა ასეთი საგალობლებისა («მერჩულიული უცხონი») — გვიჩვენებს, რომ ალიტერაციები შემდეგს ვარიაციებს წარმოგვიდგენენ:

ა) ალიტერაცია თავედი, ასოედი: როდესაც შეფარდებულია დასაწყისი ასო;

ბ) ალიტერაცია თავედი, მარცვლელი: როდესაც შეფარდებულია დასაწყისი მარცვალი;

გ) ალიტერაცია ვერბალური: როდესაც მეორდება სიტყვა;

დ) ალიტერაცია ფრაზული: როდესაც მეორდება რამდენიმე სიტყვა.

გიორგი მერჩულის მიერ შემოღებულია ალიტერაციის ძირითადი, წმიდა სახეობა: თავედი ალიტერაცია. რაც შეეხება უკანასკნელ ორ სახეობას (განმეორება სიტყვებისა და ფრაზებისა სტროფების დასაწყისში), იგი ჩვენ ადრინდელ ჰიმნებშია ცხველება, მაგრამ ალიტერაციის სისტემაში ისინი აყვანილია გიორგი მერჩულის მიერ. მერჩულე სიტყვებისა და ფრაზების ამგვარ განმეორებას იყენებს როგორც ალიტერაციის ფორმას (ვერბალური და ფრაზული ალიტერაციები), უფარდებს რა მათ ალიტერაციის ძირითად სახეობასთან (თვედ ალიტერაციასთან) ერთ ალიტერაციულ წყობაში.

2

ჰიმნების კრებული

ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ს ა მ ა რ ა დ ი ს ო ნ ი რ ვ ა - ხ მ ა ნ ი
ბ ი ო რ ბ ი მ ე რ ჩ უ ლ ი ს ა

(დაწერილი ფორმით მერჩულიულნი უცხონია)

მას შემდეგ, რაც გამოიკვია, რომ ალიტერაციის ფორმა ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში გიორგი მერჩულის შემოღებული ყოფილა, საძიებელი ხდებოდა თვით გიორგი მერჩულის ჰიმნები.

გიორგი მერჩულისადმი კუთვნილი ჰიმნების დადგენას ერთგვარად აადვილებდა ის გარემოება, რომ ასეთი დადგენისათვის ჩვენ აღმოგვაჩნდა სრულიად გარკვეული ნიშნობლივი მაჩვენებელი, როგორცაა ალიტერაციული წყობა.

იმისათვის, რათა გამოგვევლინა გიორგი მერჩულისადმი კუთვნილი ჰიმნები, ჩვენ შევისწავლეთ ყველა კრებულები ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიისა, განვიხილეთ ყველა ძველ-ქართული ხელნაწერები, სადაც კი მოსალოდნელი იყო ჰიმნოგრაფიული ტექსტების აღმოჩენა.

ძიება შედეგით დაგვირგვინდა.

ამჟამად დადგენილია გიორგი მერჩულისადმი კუთვნილი ჰიმნების ორი კრებული:

I. ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ს ა მ ა რ ა დ ი ს ო ნ ი რ ვ ა - ხ მ ა ნ ი;

II. ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ი ა დ ვ ს ე ბ ი ს ა ნ ი რ ვ ა - ხ მ ა ნ ი.

ჩვენ ჯერ აქ პირველ კრებულზე შევჩერდებით.

ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ს ა მ ა რ ა დ ი ს ო ნ ი რ ვ ა - ხ მ ა ნ ი გიორგი მერჩულისა მოღწეულა XI საუკუნის ხელნაწერში A — 93, რომელიც დაცულია საქართველოს მუზეუმის ძველ-ქართულ ხელნაწერთა საგანძურში.

ხელნაწერი A — 93 გადაწერილია 1093 წელს კლარჯეთში, ოპიზაში.

ოპიზა, როგორც ცნობილია, ერთ-ერთი სავანე იყო „საქართველოს სინაისა“, ოპიზა მდებარეობდა ხანძის გვერდით, სადაც მოღვაწეობდა გიორგი მერჩულე.

დასახელებული ოპიზური ხელნაწერი შეიცავს გიორგი მთაწმიდელის პარაკლიტონს, რომელშიაც დამატების სახით შეტანილია გამონაკრებნი ძველქართულ საგალობელთა კრებულებიდან, კლარჯულ საწელიწდო იადგართაგან. ამ დამატებათა შორის წარმოდგენილია გიორგი მერჩულის საგალობელი სამარადისონი რვა-ხმანი.

ხელნაწერის დაწერილებითი აღწერილობა, მისი შედგენილობის დეტალური აღნუსხვა წარმოდგენილია სპეციალურ დამატებაში, რომელიც ერთვის ამ წიგნს (იხ. დამატებანი, გვ. 062 — 073).

პარაკლიტონის ჰიმნები, როგორც ცნობილია, რვა ჯგუფად ნაწილდება, აქ ჩვენ გვაქვს ეგრეთწოდებული რვა—ხმანი. საგალობელი რვა ხმად არის დანაწილებული.

ვინაიდან ოპიზური ხელნაწერი, თავისი დამატებებით, დიდი მოცულობისა ყოფილა, იგი გვიან ხანაში გაუყვიათ ორ ნაწილად: 1—4 ხმები (ეგრეთწოდებული „კმანი“, ძირითადი ხმები) და 5—8 ხმები (ეგრეთწოდებული „გუერდნი“ ანუ დამატებითი ხმები).

ოპიზური ხელნაწერის ჩვენ დრომდე მოღწეული ტექსტი წარმოადგენს თავდაპირველი კრებულის პირველ ნაწილს, 1—4 ხმებს (ე. ი. ძირითად ხმებს). მეორე ნაწილი დაკარგულია.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ხელნაწერის ეს პირველი ნაწილიც არაა დაცული სრულად; მას აკლია დასაწყისი რეჟელები, ადგილ-ადგილ აკლია შუა ნაწილებშიც.



გამონაკრებნი გიორგი მერჩულის ჰიმნების კრებულისა — საგალობელი სამარადისონი რვა—ხმანი, რომელიც შენახულა ამ დაზიანებულად დაცულს ხელნაწერში, ამჟამად შეიცავს 10 საგალობელს დიდი ფორმისა — „გალობანი“.

კრებულის სტრუქტურიდან ამავე დროს ირკვევა, რომ საგალობელი ყოველი ხმისა (ძირითადი ხმებისა) გიორგი მერჩულის ამ კრებულში თავდაპირველად შეიცავდა 12 საგალობელს დიდი ფორმისა („გალობანი“), ასე რომ საგალობელი პირველი ოთხი ძირითადი ხმებისა სრულის სახით შეიცავდა 48 საგალობელს დიდი ფორმისა — „გალობანი“.

ჩვენ აქ ვეხებით კრებულის მხოლოდ პირველ ნაწილს, ე. ი. 1—4 ხმებს (ძირითად ხმებს); რაც შეეხება კრებულის მეორე ნაწილს, 5—8 ხმებს (ე. ი. „გუერდის“ ხმებს), საკითხს მათ შესახებ საერთოდ დიად ვტოვებთ, რადგან ეს ნაწილი ხელნაწერისა, როგორც მოვიხსენეთ, აღარ შენახულა.

კრებულის პირველ ნაწილის (ძირითადი ხმების) სტრუქტურის შესახებ იხ. დაწერილებით დამატებანი, გვ. 066—067.

გიორგი მერჩულის კრებულის ყოველი ცალკე გალობანი 8 გალობისაგან შესდგება და შეიცავს 32 სტროფს. ჩვენ დრომდე გადარჩენილი 10 გალობანი საერთო რიცხვით 320 სტროფისაგან შესდგება. ამრიგად 48 გალობანი (ძირითადი ხმები) სრული სახით 1536 სტროფს შეიცავდა.

ირკვევა, ამრიგად, რომ გიორგი მერჩულის ეს ძეგლი დიდი მოცულობისა ყოფილა (თავისი მოცულობით ეს 48 გალობანი ძირითადი ხმებისა უახლოვდება ვეფხის-ტყაოსანს, რომელიც ვახტანგისეულ გამოცემაში 1587 სტროფს შეიცავს).

გიორგი მერჩულის ჰიმნების ეს კრება — ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ს ა მ ა რ ა დ ი ს ო ნ ი რ ე ა — ხ მ ა ნ ი — დაწერილია ფორმით, რომელსაც შემდეგ ეწოდა „მ ე რ ჩ უ ლ ი უ ლ ნ ი უ ც ხ ო ნ ი“. ათივე გალობანი ამ კრებულსა, რომლებიც ჩვენ დრომდე მოღწეულა, მთლიანად გაწყობილია სტროფული ალიტერაციებით.

ალიტერაციები აქ ზუსტად იმავე ტიპისაა და იმავე სახით არის გაწყობილი, როგორც ზემოთ-მოყვანილ მაგალითში, რომელსაც დაცული აქვს ზედწერილი „მერჩულიული უცხონი“. ყოველი ცალკე გალობის სტროფული ერთეულები (დასდებელნი) აქ იწყება იმავე ბგერით, რომლითაც იწყება სალექსო სპოზმის აღმნიშვნელი ძლისპირი.

მოგვყავს აქ საილუსტრაციოდ მაგალითები მესამე გალობათაგან.

გალობანი III. ალიტერაციათა ნუსხა

გალობა	ალიტერაცია	ძლისპირის ალიტერაციული საწყისი	დასდებელთა ალიტერაციული საწყისები
I	ღ	ღელვათა	ღმერთი; ღირსებისა; ღმრთისმეტყველებანი; ღირს-მყავ.
II	ა	აღუუაილნა	აღუუაილნა; აღემართა; აღამალენ; აღმადგინე.
III	მ	მობხედ	მიფინა; მოავლინე; მსთუად; მეფისა.
IV	შ	შუამდგომელ	შუამდგომელ; შანთი; შეენიერებასა; შიშუელი.
V	ღ	ღელვამან	ღმრთისა; ღუაწლნი; ღელვათაგან; ღმრთისმშობელი.
VI	ბ	ბრძანებამან	ბუნებამან; ბრწყინვალებასა; ბანითა; ბნელისაგან.
VII	ხ	საკუმილი	საუფლოთა; სასანთლესა; საუნჯესა; სულთქუმაჲ.
VIII	ღ	ღაუსაბამოჲსაგან	ღაუსაბამოჲ; ღიდებოჲ; ღიდებისა; ღაბეჭდული.

ასეთივე სურათი გვაქვს ყველა დანარჩენ გალობებში (იხ. ნუსხა დანარჩენ გალობათა ალიტერაციებისა სპეციალურ დამატებაში, გვ. 068 — 070).

ამრიგად ირკვევა, რომ გიორგი მერჩულეს არა მხოლოდ შემოუღია ალიტერაციული წყობა ძველ-ქართულ პოეზიაში, გიორგი მერჩულეს არა მხოლოდ თითო-ორი ალიტერაციებით შესრულებული ლექსები გამოუქვეყნებია, არამედ მას გამოქვეყნებული ჰქონია მთელი წიგნი — ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ს ა მ ა რ ა დ ი ს ო ნ ი რ ე ა — ხ მ ა ნ ი, რომელიც მთლიანად გაწყობილია სტროფული ალიტერაციებით. აშკარაა ამ წიგნის მიხედვით დარქმევია ალიტერაციულ წყობას ის სახელი, რომლითაც იგი ცნობილია შემდგომი ხანის ქართულ პოეზიაში: «მერჩულიულნა უცხონი».

ჰიმნების კრებული

ს ა ბ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ა ლ მ ს ე ბ ი ს ა ნ ი რ მ ა — ხ მ ა ნ ი

ბიოგრაფიული მარჩულისა

(დაწერილი ფორმით: მერჩულიულნი თავბოლო მორთულნი)

გადავდივართ გიორგი მერჩულის ჰიმნების მეორე კრებულზე.

მიქაელ მოდრეკილის ცნობილს ხელნაწერში, საწელიწდო იადგარში, — როგორც ამის შესახებ უკვე გეჰქონდა საუბარი, მოიპოვება სპეციალური განყოფილება, მეექვსე, სადაც წარმოდგენილია საგალობელთა ციკლი: საგალობელნი აღვსებ ისანი რვა-ხმანი.

როგორც აღნიშნავს მიქაელ მოდრეკილი VI განყოფილების ბოლოშიცვაობაში, აქ წარმოდგენილია სრული კრება ამ ციკლის ყველა საგალობელთა. მიქაელ მოდრეკილს შეუტკრებია და გადაუწერია ყველა საგალობელნი ამ ჯგუფისა, რომლებიც კი ქართულ ენაზე მოიპოვებოდა (იხ. გვ. 763).

საგალობელნი ამ VI განყოფილებაში გარკვეულს თანრიგით არის დალაგებული; საგალობელნი განიყოფება რვა ჯგუფად (რვა ხმის მიხედვით), ხოლო ყოველ ჯგუფში ჩვენ გვაქვს სამი ფენი, ასეთის თანამიმდევრობით:

1. პირველი ძირითადი ფენი (=გრიგოლ ხანძთელისა);
2. მეორე ფენი (=გიორგი მერჩულისა);
3. მესამე ფენი (=ახალნი საგალობელნი: ივანე მინჩხისა, იოანე მტბევეარისა და მიქაელ მოდრეკილისა).

მეორე ფენი (=გიორგი მერჩულისეული), რომელსაც ყოველი ხმის საგალობელთა შორის უჭირავს შუა ნაწილი, განსხვავდება თავისი სტრუქტურით როგორც მის წინ მოთავსებული პირველი ძირითადი ფენისაგან (=გრიგოლ ხანძთელისეული საგალობელნი), ისე მისი მომდევნო მესამე ფენისაგან (=ახალნი საგალობელნი ივანე მინჩხისა, იოვანე მტბევეარისა და მიქაელ მოდრეკილისა). განსხვავდება იმით, რომ ამ მეორე ფენში ჩვენ გვაქვს ალიტერაციული წყობა, — «მერჩულიულნი».

ამასთან მერჩულიული ალიტერაციები აქ წარმოდგენილია გარკვეული სისტემით, თავისებურის განრიგებით: მერჩულიულნი თავბოლო მორთულნი. სახელდობრ ალიტერაციები აქ შემდეგნაირად არის განრიგებული:

ა) საგალობელთა ყოველი ჯგუფის თავში მოთავსებულია სტიქარონი „უფალო ღალადყავისა“, რომელიც აუცილებლად გაწყობილია მერჩულიული ალიტერაციით (ასეთი ალიტერაციის მქონე სტიქარონი ჩვეულებრივ ერთია, მაგრამ შესაძლოა იყოს ორიც).

ბ) ამას მოსდევს „გალობანი“, სადაც ალიტერაცია სავალდებულოდ არ ითვლება, — იგი შესაძლოა იყოს როგორც სადა, ისე ალიტერაციების მქონე.

გ) საგალობელთა ყოველი ჯგუფის ბოლოში მოთავსებულია სტიქარონი „აქებდითსა“, რომელიც აუცილებლად მერჩულიული ალიტერაციებით არის გაწყობილი (ასეთი ალიტერაციის მქონე დამამთავრებელი სტიქარონი ჩვეულებრივ ერთია, მაგრამ შეიძლება იყოს ორიც).

ამრიგად, საგალობელთა ყოველი ჯგუფი თავ-ბოლო მორთულია, თავშიც და ბოლოშიაც მას აუცილებლად ერთვის მერჩულიული ალიტერაციებით გაწყობილი სტიქარონები.

სულ საგალობელნი აღვსებისანი რვა — ხმანი ამ ციკლისა, მერჩულიულნი თავ-ბოლო მორთულნი, შესდგება საგალობელთა 21 ჯგუფისაგან. თუ როგორ არის აქ განაწილებული ალიტერაციის მქონე და სადა საგალობლები, ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა ქვემოთ მოთავსებული ცხრილი.

შემოკლებანი და პიროპითი ნიშნები:

უ[~] = სტიქარონი „უფალო ღაღადყვისა“:

ა[~] = სტიქარონი „აქებდითსა“.

* (ვარსკვლავი) უზის იმ საგალობლებს (სტიქარონი, გალობანი), რომლებიც გაწყობილია ალიტერაციებით.

ცხრილი

საგალობელნი აღვსებისანი რვა — ხმანი
(მერჩულიულნი თავ-ბოლო მორთულნი)

საგალობელნი I ხმისა:

1. *უ[~] || გალობანი || *ა[~]
2. *უ[~] || გალობანი || *ა[~]
3. { *უ[~] || გალობანი || *ა[~]
4. { || გალობანი || *ა[~]

საგალობელნი II ხმისა:

5. *უ[~] || გალობანი || *ა[~]
6. *უ[~] || გალობანი || *ა[~]
7. *უ[~] || *გალობანი || *ა[~]
8. *უ[~], *უ[~] || [გალობანი || *ა[~]]
9. *უ[~] || *გალობანი || *ა[~]

საგალობელნი III ხმისა:

საგალობელნი IV ხმისა:

10. *უ[~] || გალობანი || *ა[~]
11. *უ[~] || გალობანი || *ა[~]
12. *უ[~] || გალობანი || *ა[~]

საგალობელნი V ხმისა:

13. *უ[~] || გალობანი || *ა[~]
14. *უ[~], *უ[~] || გალობანი || *ა[~]

საგალობელნი VI ხმისა:

15. *უ[~], *უ[~] || გალობანი || *ა[~]

საგალობელნი VII ხმისა:

16. — || გალობანი || *ა[~]
17. *უ[~], *უ[~] || *გალობანი || *ა[~]

საგალობელნი VIII ხმისა:

18. *უ[~] || გალობანი || *ა[~]
19. *უ[~] || გალობანი || *ა[~]
20. *უ[~] || გალობანი || *ა[~]
21. *უ[~], *უ[~] || გალობანი || *ა[~], *ა[~].

ამრიგად საგალობელთა მთელ ციკლში ჩვენ გვაქვს ალიტერაციების შემდეგი განრიგება: საგალობელთა თავში დართულია 24 სტიქარონი „უფალო ღალადყავისა“ (უ), რომლებიც ყველა გაწყობილია ალიტერაციებით; საგალობელთა ბოლოში დართულია 22 სტიქარონი „აქებდითსა“ (ა), რომლებიც ასევე ყველა გაწყობილია ალიტერაციებით. ამას გარდა გალობათაგან ორი (№№ 7 და 17) აგრეთვე ალიტერაციებით არის შესრულებული.

(იხ. დამატებით კრებულის აღწერილობა, გვ. 013—014, სადაც მოყვანილია ალიტერაციების ნუსხა).

გადავიდეთ ამის შემდეგ საგალობელთა ამ ციკლთან დაკავშირებული სხვა საკითხების განხილვაზე.

ჰიმნების ეს ციკლი საგალობელნი აღვსებისანი რვეა—ხმანი (მერჩულიულნი თავ-ბოლო მორთულნი), როგორც ირკვევა, ნაწილობრივ ორიგინალური ქართულია, ხოლო ნაწილობრივ ბერძნულიდან არის გადმოღებული.

თუ რომელია ამ ტექსტებს შორის საკუთრივ ორიგინალური ქართული, ეს ირკვევა მიქაელ მოდრეკილის კრებულის პირდაპირი ჩვენებების მიხედვით. მიქაელ მოდრეკილის კრებულში ორიგინალურ ქართულ ტექსტებს ახლავს აღნიშვნა „ქართული“, ანუ შემოკლებით „ქ“ (ისევე როგორც ბერძნულიდან თარგმნილ ტექსტებს ახლავს აღნიშვნა „ბერძულნი“, ანუ შემოკლებით „ბ“).

მიქაელ მოდრეკილის კრებულის პირდაპირ ჩვენებათა მიხედვით ირკვევა, რომ ამ ციკლის 46 სტიქარონიდან ორიგინალური ქართულია 42 სტიქარონი. რაც შეეხება 4 სტიქარონს, მათ არ ახლავს რაიმე აღნიშვნა (სახელდობრ შემდეგ სტიქარონებს: № 1 უ; № 4 ა; № 10 უ; № 19 ა). ეს უკანასკნელი 4 სტიქარონი, საფიქრებელია, ბერძნულიდან არის გადმოღებული, მხოლოდ არა თარგმნილი (რადგან მათ არა აქვთ წარწერა „ბერძულნი“ ანუ „ბ“), არამედ ბერძნული ტექსტი აქ ჩანს გადაკეთებულია და გადამუშავებული; ასეთს გადამუშავებას ძველ-ქართულად „მოკაზმვა“ ეწოდებოდა და დასახელებული 4 სტიქარონის სახით ჩანს ასეთი „მოკაზმული“ ტექსტები გვაქვს.

რაც შეეხება „გალობებს“, ამათგან ორიგინალური ქართულია სამი: №№ 7, 17 და 9. (კერძოდ უკანასკნელი გალობანი, № 9, რომელსაც აქვს წარწერა: „ქართულნი, ძლისპირითურთ“, ეგრეთწოდებულ თვთძლისპირს წარმოადგენს, ე. ი. ორიგინალურია არა მხოლოდ ტექსტი, არამედ თვით სალექსო საზომი ამ ლექსისა, მუსიკალურ კომპოზიციასთან ერთად, გიორგი მერჩულეს ეკუთვნის).

რაც შეეხება დანარჩენ გალობათა, მათ არ ახლავს არავითარი აღნიშვნა. ეს გალობანი, ისევე როგორც ზემოთდასახელებული 4 სტიქარონი, საფიქრებელია ბერძნულიდან არის დამოკიდებული, მხოლოდ აქაც უნდა გვქონდეს არა თარგმანი (რადგან მათ არა აქვთ წარწერა „ბერძულნი“ ანუ „ბ“), არამედ ისინი, ჩანს, გადმოკეთებული და გადამუშავებული ტექსტებია, ეგრეთ-წოდებული „მოკაზმულნი“.

აღსანიშნავია, რომ გიორგი მთაწმიდელმა, რომელმაც თავის საგალობელთა კრებულებში შეიტანა ბერძნულ საგალობელთა აღრიხდელი, IX — X საუკუნე-

თა თარგმანები, გიორგი მერჩულის ტექსტებიდან შეუტანია მხოლოდ ერთადერთი ტექსტი, გალობანი № 13, რომელიც ბერძნულ ორიგინალთან ჩანს შედარებით უფრო ახლო მდგარა¹. ხოლო დანარჩენი ტექსტები გიორგი მერჩულისა, ეგრეთწოდებულნი „მოკაზმულნი“, ჩანს იმდენად დაშორებული ყოფილა ბერძნულ პროტოტიპს, რომ გიორგი მთაწმიდელს ისინი აღარ შეუტანია საგალობელთა კრებულებში სხვა თარგმანებთან ერთად.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ბერძნულიდან გადმოკეთებულ და „მოკაზმულ“ გალობათა ტექსტებში გიორგი მერჩულეს ჩაურთავს მთლიანი ორიგინალური ნაკვეთები, რომლებიც ხელნაწერში აღნიშნულია წარწერით „ქართულნი“ (= „ქ“).

ამ მოგვყავს აქ ამ დამატებულ ნაკვეთთა ნუსხა.

გალობანი № 1.—დამატებულია, წარწერით „ქართულნი“ (= „ქ“): V გალობის მე-3 სტროფი; VI გალობა მთლიანად (გაწყობილია ალიტერაციით).

გალობანი № 3.—დამატებულია, წარწერით „ქართულნი“ (= „ქ“): IV გალობის მე-3 სტროფი; V გალობის მე-3 და მე-4 სტროფები; VI გალობის მე-3 სტროფი; VI გალობის მე-3 და მე-4 სტროფები.

გალობანი № 4.—დამატებულია, წარწერით „ქართულნი“ (= „ქ“): IV გალობის მე-3 სტროფი; V გალობის მე-3 სტროფი.

გალობანი № 5.—დამატებულია, წარწერით „ქართულნი“ (= „ქ“): I გალობის დამატება, ზედწერილით „სხუანი“ (გაწყობილია ალიტერაციით); II გალობა მთლიანად (გაწყობილია ალიტერაციით); V გალობის მე-3 სტროფი; V გალობის დამატება, ზედწერილით: „სხუანი“.

გალობა № 6.—დამატებულია წარწერით „ქართულნი“ (= „ქ“): II გალობის მე-3 სტროფი.

გალობა № 15.—დამატებულია წარწერით „ქართულნი“ (= „ქ“): IV გალობის დამატება, ზედწერილით „სხუანი“ (გაწყობილია ალიტერაციით); VII გალობის დამატება, ზედწერილით „სხუანი“; VIII გალობის დამატება, ზედწერილით „სხუანი“.

საგალობელთა ამ ჯგუფის მიმოხილვის დასასრულს საჭიროა ხაზი გაუყუსვით შემდეგს.

გიორგი მერჩულისათვის ალიტერაციის ფორმა, როგორც ირკვევა, განსაკუთრებით ახლო ყოფილა, ამ ფორმას იგი იშვიათად უვლის გვერდს.

გიორგი მერჩულის ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობაში უალიტერაციო სადალექსებით შესრულებულია უმთავრესად ბერძნულიდან დამოკიდებული, ბერძნულიდან გადმოკეთებულ-გადამუშავებული („მოკაზმული“) ტექსტები. (უალიტერაციოდ ისინი დატოვებულია იმის გამო, რომ თვით ბერძნული დედნები, ჩანს, უალიტერაციონი იყვნენ). ხოლო ორიგინალური ქართული ნაწარმოებნი თითქმის ყოველთვის ალიტერაციებით არის შესრულებული. ასე 42 ორიგინალური ქართული სტიქარონი ყველა ალიტერაციებით არის გაწყობილი. სამი ორიგინალური ქართული გალობებიდან ერთი, № 9, რომელიც თვითძლისპირს წარმოადგენს, სადად არის შესრულებული, ხოლო ორი №№ 7 და 17 ალიტერაციებით არის გაწყობილი. „მოკაზმულ“ ლექსებში ჩართული ქართული ორიგინალური ნაკვეთებიდან ოთხი ასევე ალიტერაციებით არის შესრულებული.

¹ დასახელებული ტექსტი, გალობანი № 13, შეტანილია გიორგი მთაწმიდელის პარაკლიტონში.

განსაკუთრებით ნიშანდობლივია გიორგი მერჩულის მანერისათვის გალობანი № 7. ამ გალობათა შემადგენელ 8 გალობათაგან, I გალობა არაა ორიგინალური ქართული, იგი „მოკაზმულია“, გადმოკეთებული ბერძნულიდან (ამიტომაც მას არ ახლავს წარწერა, რომელიც მიუთითებდეს მის ქართულობას); გალობანი II, III, IV, V, VI და VII — ორიგინალური ქართულია (რაც აღნიშნულია სათანადო წარწერებით); გალობა VIII ორი საგალობელისაგან შესდგება, ამათგან ერთია — ქართული (წარწერილი), მეორეა ბერძნულიდან მომდინარე „მოკაზმული“ (წარუწერელი). და ჩვენ ვხედავთ, რომ გალობათა ამ შემადგენელი ნაწილებიდან, ბერძნულიდან მომდინარე ნაწილი, ე. ი. I გალობა და VIII გალობის მეორე საგალობელი შესრულებულია სადად, უალიტერაციოდ (რადგან თვით ბერძნული დედნები, ჩანს, უალიტერაციო იყო); ხოლო ორიგინალური ქართული გალობანი, ე. ი. გალობანი II, III, IV, V, VI, VII და VIII გალობის პირველი საგალობელი, — ყველა გაწყობილია „მერჩულიული“ ალიტერაციებით.

ალიტერაცია, როგორც ირკვევა, მერჩულისეული სპეციფიური ფორმა ყოფილა; ამრიგად ის სახელწოდება, რომელიც ალიტერაციულ ფორმას მიუღია ძველ-ქართულ პოეზიაში, — სახელწოდება „მერჩულიული“, მართლაც ყოველმხრივ გამართლებულია.

4

გიორგი მერჩულის
საგალობელი აღვსებისა:
ს ი ტ ყ უ ა ნ ი ძ ი ს ა დ ა დ ე დ ი ს ა

გიორგი მერჩულის პოეტური მემკვიდრეობა მხოლოდ ესაა ხდება ცნობილი. ჩვენი ლიტერატურათმცოდნეობის მორიგი ამოცანაა გამოქვეყნება როგორც გრიგოლ ხანძთელის, ისე გიორგი მერჩულის პოეტური მემკვიდრეობისა.

წინამდებარე გამოკვლევის მანძილზე ჩვენ შემთხვევა გვექონდა გაცნობოდით გიორგი მერჩულის სალექსო ფორმას, ექსცერპტს გიორგი მერჩულის ჰიმნიდან — გალობანი აღვსებისანი მესამე ხმისა (იხ. ზევით, გვ. 635—636). ეს ჰიმნი, როგორც აღნიშნული გვექონდა, წარმოადგენს თვთქლისპირს. გიორგი მერჩულეს ეკუთვნის შემოდება სალექსო საზომებისა (რვა სტროფულ-ტაეპობრივი მეტრისა), რომლებიც წარმოადგენილია დიდი ფორმის ამ საგალობელში.

გიორგი მერჩულის პოეტური სტილის გასაცნობად მოგვყავს აქ მეორე ტექსტიც, გიორგი მერჩულის საგალობელი აღვსებისა: ს ი ტ ყ უ ა ნ ი ძ ი ს ა დ ა დ ე დ ი ს ა ¹.

საგალობელი ყურადღებას იქცევს თავისი დრამატიული ფორმით; იგი დიალოგის სახით არის გაშლილი.

საყურადღებოა ამასთან ამ ლექსის სტროფულ-ტაეპობრივი წყობა, სადაც სხვადასხვა საზომები, მარცვლედობით ახლო მდგომი მონათესავე მეტრები, დიდის არტისტიულობით არის შეხამებული.

მოგვყავს ტექსტი.

¹ ციკლიდან: საგალობელი აღვსებისანი რვა-ხმანი.

საგალობელი ადვებისა I

სიტყუანი ძისა და დედისა

კმამ VI.

გალობამ VIII. ქართულნი.

«ნათელი დაუსაზამო» — ამით ზედა.

[ძეა]

1

(სტროფი)

- „ნუ მწუხარე ხარ, უსძლოო, (8)
- უბიწოო დედაო, (7)
- მიი. ლო ო. ძობილი (7)
- შენგან ამ ქუეყანად ღმერთი — (7)
- ქორციტა ჯუარ-ცუმული (6)
- შორის აკა ხაკთა. — (6)
- რამეთუ ნეფსით თვისით (7)
- დაკითმენ აწ სიკუდილსა, (7)
- ცხორებისა მიზეზსა. (7)
- სოფელისა კსნისათვის! (7)

[დედა]

2

(ანტისტროფი)

- „ღმრთისა სიტყუაო მხოლოო, (8)
- მხოლოდსაგაა მამისა (7)
- ძეო მიოლოდ შობილო! (7)
- დადაცათუ კაკ იქმენ (7)
- და მიიღე. მისნალო (6)
- ბუნებაჲ განხრწნადი (6)
- ბუიქა. სგაა კმისა. (7)
- ხოლო ღმერთ ხარ ბუნებით (7)
- ვითარ დაისაჯები (7)
- უკუდავი მოკუდავთავს?! (7)

[ძეა]

3

(ანტისტროფი)

- „ვითარცა სთქუ. უბიწოო, (8)
- ღმერთი ვარ აუაებითა (7)
- გარე-შეუწურელი. (7)
- უკუდავი ღმრთეებითა. (7)
- არამედ ქორციტა (6)
- გემოი სიკუდილისაჲ (6)
- ვიხილე უხილა მანი (7)
- ხოლო აწ მოვაკუდინო (7)
- სიკუდილი და ღმრთეებით (7)
- აღედ გი საფლავისაგანი! (7)

* შიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 485

4	— „ნუ დაჰქსნი აწ სიქადულსა	(8)
(ანტიტროფი)	ჩემსა, ღმრთისა სიტყუაო,	(7)
	ძეო მხოლოდ შობილო	(7)
	არუენე, უძლეველო,	(7)
	ღმრთეებისა ძალი,	(6)
	აღთქუმაჲ აღასრულე,	(6)
	აღდგომითა საფლაკით	(7)
	არცხვენე მოძულეთა,	(7)
	და ადიდენ, რომელნი	(7)
	ღირსად გადიდებენ შენი“	(7)

* * *

5	ჰ დედაო მქსელისაო	(8)
(ანტიტროფი)	უბიწოო ქალწულო,	(7)
	უსძლოო ღმრთის-შობელო,	(7)
	უმეტესად იხარებდ:	(7)
	ქემან შენმან ღმერთმან	(6)
	ქუესკენელი შემუსრა,	(6)
	სიკუდილი მოაკუდინა,	(7)
	და ძლევაშემოსილი,	(7)
	ვითარცა თქუა პირველად,	(7)
	აღდგა აწ დღეს საფლაკითი	(7)

სტროფულ-ტაეპობრივი სალექსო საზომი, რომლითაც დაწერილია ეს ლექსი, ცნობილი იყო ორი სახელწოდებით: „ნათელი და უსაბამოჲ“ (ამ სახელწოდებით არის აღნიშნული სალექსო საზომი გიორგი მერჩულის საგალობელის ზედწერილში); მეორე სახელწოდებაა: „ნუ მტირ მე, დედაო“ (დასაწყისი სიტყვები X საუკუნის ძლისპირისა, რომელიც გიორგი მერჩულის საგალობელის pendant-ს წარმოადგენს: „ნუ მტირ მე, დედაო, რაჟამს მიხილო მე ძე შენი საფლავსა დადებული...“) ¹.

5

მერჩულიული მრავალხმა („ოხითაჲ“)
ტაეპობრივ-მუსულმანური რიტმიკით

გიორგი მერჩულის ნოვატორული როლი ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში მრავალმხრივი ყოფილა.

ჩვენ ვნახეთ, რომ გიორგი მერჩულეს დაუმკვიდრებია ძველ-ქართულ პოეზიაში ალიტერაციის ფორმა, რის გამო ამ ფორმას დარქმევია „მერჩულიული უცხონი“.

მერჩულეს შემოუღია ამასთან სალექსო საზომები, რომლებიც პირველად არის ხმარებული მერჩულეს „თვთძლისპირ“ ჰიმნებში — გალობანი აღვსებოსანი III ხმისა.

5.—1, ჰ abs || 10₂ აწ abs.

¹ ძლისპირთა დედანი C (ძლისპირი დაცულია სრულად) და B (დაცულია ძლისპირის ბოლო ნაწილი).

ამას გარდა გიორგი მერჩულეს შემოულია ერთი უაღრესად საინტერესო სალექსო საზომი რთული რიტმიული აღნაგობისა, რომელიც ემყარება არა სტროფულ-ტაეპობრივ რიტმიკას, არამედ ტაეპობრივ-მუხლედოვან რიტმიკას. ეს რთული საზომი, რომელსაც ჩვენ მრავალხმას ვუწოდებთ, ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიაში აგრეთვე ცნობილია სახელწოდებით: „მერჩულიული“.

მიქაელ მოდრეკილის კრებულში ჩვენ გვაქვს ნიმუში ამ საზომისა, მერჩულიული მრავალხმისა.

საგალობელი ეკუთვნის მიქაელ მოდრეკილს. იგი წარმოადგენს ბასილი კესარიელის შესხმას. ზედწერილში ეს საგალობელი მოიხსენება სახელწოდებით „მერჩულიული“, რის მიხედვითაც დასტურდება, რომ საზომის შემომღებო მერჩულე იყო.

მოგვყავს ტექსტი მიქაელ მოდრეკილის ამ საგალობელისა, „მერჩულიული“ საზომით დაწერილისა.

ქება ბასილისი¹

ოხითამ, მუხუთე კმა
მერჩულიული

საკვრველთ ' — მოქმედო ' ბასილი	(9) 3 3 3 3
სიტყუამან შენმან ' ადგილით თვსით ცვალა,	(12) 5 7
მთამ იგი	(3)
მტკიცემ, საუკუნითან ' დამყარებული,	(12) 7 5
და დაათუნა ' კულად თვსსა ' ადგილსა მადლმან,	(13) 4 4 4 5
ღმრთისა მიერ ' მოცემულმან ' შენდა, ნეტარო,	(13) 4 4 4 5
მოძღურებათა	(4)
და სწავლათა შენთა მოწამედ;	(9) 4 5
და რწმენეს —	(3)
ყოველთა კაცთა, ' რამეთუ	(8) 5 3
საყდარმან შენმან ' შეამკო	(8) 5 3
რიცხვ ექუსთა ' კრებათამ	(7) 4 3
წმიდათა მათ ' მამათამ,	(7) 4 3
რომელთა შორის ' დიდებულ იქმენ, ვითარ	(12) 5 7
ცა მოწამედ	(4)
ქრისტემსი, და მეოხი ' ჩუენი წინაშე	(12) 7 5
უფლისა.	(3)

ამ მრავალხმიანს საზომში გათვალისწინებულია რიტმიული მონაცვლეობა — განმეორება როგორც ტაეპებისა, ისე ტაეპში შემავალი მუხლედებისა (3, 4, 5 და 7 მარცვლედთა).

ასეთი შეზომილი, ჰარმონიულად შეფარდებული ტაეპოვან-მუხლედოვანი წყობა, ჰქმნის ამ ლექსის მდიდარს პოლიფონიურ რიტმს.

¹ მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 113.
5-9 ~ || 9₂ + 6-

VIII

ძველ-ქართული პოეზია V საუკუნიდან — XI საუკუნემდე

მოკლე ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა
(ავტორები. — ტექსტებისა და ხელნაწერების ნუსხა)

I

V — VIII საუკუნეები

1. დავითის ფსალმუნნი. — ბიბლიის გალობანი. (V საუკ.).

გადმოღებულია ქართულად «წყობილი სიტყვით».

ძველი ქართული «წყობილი სიტყვის» ამ ძეგლთა შესახებ იხ. დაწვრილებით ზემოთ, გვ. 711 — 726.

(იქვეა მოყვანილი «წყობილი სიტყვის» ტექსტები ამ ძეგლებიდან: დავითის ფსალმუნთა XVIII, გვ. 713 — 714; გალობა მოსესი I, გვ. 721 — 724; გალობა მოსესი II, გვ. 717 — 718; გალობა ამბაკომისი, გვ. 725).

2. შიო მღვიმელი (VI ს.)

ლიტერატურული ტრადიცია შიო მღვიმელს ჰიმნოგრაფად სთვლის. ავთენტური ტექსტები დადგენილი არაა.

ხელნაწერებში დაცულია შიო მღვიმელისადმი მიწერილი ორი საგალობელი („ოხითაჲ“, — იხ. ხელნაწერები A — 160, A — 130, A — 425).

გამოცემა შიო მღვიმელის სახელით წარწერილ საგალობელთა ტექსტებისა: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 412 — 413.

3. ბასილი საბაწმიდელი (V — VIII ს. ს.).

ბასილი საბაწმიდელისაგან მოღწეულა საგალობელი საბა განწმედილისა (სტიქარონი, აკროსტიხით), დაწერილი „წყობილი სიტყვის“ ფორმით. საგალობელი დაცულია ხელნაწერში X საუკუნისა Sin. — 65, წარწერით: „ძუელნი ქართულნი“.

ბასილი საბაწმიდელი, როგორც დადგენილი გვაქვს გამოკვლევაში, უძველესი ქართველი ჰიმნოგრაფია, V — VIII საუკუნეთა; მისი ცხოვრების დრო

თუმცა ზუსტად არ ისაზღვრება, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, VIII საუკუნეზე გვიან ხანას არ ეკუთვნის. (წარწერა, რომელიც ახლავს ბასილი საბაწმიდელის საგალობელს «ძუელნი ქართულნი», შეეფარდება ამ ჰიმნოგრაფიული ტექსტის არქაულ სალექსო ფორმას; ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში, VIII — IX საუკუნეებიდან მოკიდებული, „წყობილი სიტყვის“ ფორმის ნაცვლად საერთო გავრცელება მიიღო მეორე ფორმა, — საგალობელთა «მარცვლედმა»).

ბასილი საბაწმიდელის შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 731 — 732.

საგალობელი ბასილი საბაწმიდელისა დაბეჭდილი გვაქვს დამატებაში, გვ. 0110 — 0111.

4. საგალობელნი: «იამბიკონნი ქართულსა ანბანსა ზედა ძუელნი» (V — VIII ს. ს.)

საგალობელნი მოღწეულა X საუკუნის ხელნაწერში Sin. — 65.

ამ შემთხვევაშიაც წარწერა «ძუელნი» შეეფარდება ამ ჰიმნოგრაფიული ძეგლის არქაულ სალექსო ფორმას; ძველი სახის „იამბიკონნი“ (უმარცვლედო), რომლითაც შესრულებულია ეს საგალობელნი, — გვიან ხანაში, VIII — IX საუკუნეებიდან მოკიდებული, შესცვალა კლასიკურმა ქართულმა იამბიკონმა. 12-მარცვლედმა ლექსმა, რომელიც დაამკვიდრა ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში გრიგოლ ხანძთელმა.

საგალობელთა შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 733 — 734.

ექსცერპტი საგალობელთაგან დაბეჭდილი გვაქვს დამატებაში, 0101.

5. საგალობელთა კრებული — მოკლე იადგარი VII — VIII საუკუნეთა, «მრავალთავის» მიმდგომი.

ტექსტი ამ საგალობელთა დაცულია ჰილ-ეტრატის ხელნაწერში H — 2123 (ა. ბ. გ.), რომელიც გადაწერილია IX საუკუნეში.

ეს ჰიმნოგრაფიული კრებული, მისი ძირითადი პირველადი ფენი, კალენდარული წრის მიხედვით, იმავე ეპოქაშია შედგენილი, როდესაც შეუდგენიათ ძველ-ქართული საკითხავთა კრებული «მრავალთავი»; ხოლო ეს უკანასკნელი ძეგლი, «მრავალთავი», ხანმეტურ ხელნაწერშია მოღწეული, მისი ჩამოყალიბება VII საუკუნის საზღვრებს აქეთ არ გადმოსცილდება.

საგალობელთა კრებულში, გარდა აღრიხნდელი, VII საუკუნიდან მომდინარე ტექსტებისა, შესულია აგრეთვე შემდგომი ხანის ტექსტები VIII (აგრეთვე, ნაწილობრივ, IX) საუკუნეთა, მათ შორის საგალობელნი ჰაბოხსნი, რომელიც VIII საუკუნის დასასრულს ეკუთვნის (იხ. ქვემოთ, № 26).

6. საგალობელთა კრებული — ქართული «კანონისა» (resp. «დიდი კანონისა») VIII საუკუნისა.

ქართული ტექსტი «კანონისა» („იერუსალიმის განჩინებისა და განწესების“ ძველ-ქართული ვერსიისა) ეკუთვნის VIII საუკუნის შუა წლებს, ქართლის კათალიკოზის იოანე დიდის დროს (როდესაც, არჩილ II-ის ხანაში, განმტკიცდა საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა) ¹.

¹ Terminus ante quem non: კათალიკოზობა მამამასნი (VIII საუკუნის 30-იანი — 40-იანი წლები); მამამას ხსენება შეტანილია „კანონის“ ძირითად ტექსტში (იხ. „კანონის“ ლ-

«კანონში» წარმოდგენილია. იმ დროს არსებულ საგალობელთა ნუსხა, მოცემულია მათი რეგლამენტაცია; იხ. ხელნაწერები «კანონისა» — კალისა VIII — IX საუკუნისა, ლატალისა X საუკუნისა, Sin. — 37 982 წლისა.

რაც შეეხება თვით საგალობელთა ტექსტებს, ნაწილი ამ საგალობელთა ტექსტებისა დატულია დამატებაში «დიდი კანონის» ხელნაწერისა Sin. — 37.

სულ ამ ხელნაწერში ჩვენ გვაქვს 135 საგალობელი ეგრეთწოდებული მცირე ფორმებისა.

(დასახელებული საგალობელი მცირე ფორმებისა ასე ნაწილდება: „დასდებელი“ — 80, „იბაკონი“ — 70, „ოხითა“ — 17, „ქელთა“ — 9, „სიწმიდისაჲ“ — 7, „განიცადენი“ — 5, „აღაფსენი“ — 2, „წარდგომა“ — 1).

7. უძველესი ქართული ფოლკლორული «წყობილი სიტყვის» ძეგლები და «უფალთა წიგნის» ექსცერპტი ლექსად, დატული ლეონტი მროველის წიგნში „ცხორება ქართველთა“.

«წყობილი სიტყვის» უძველესი ქართული ფოლკლორული ტექსტების შესახებ იხ. ზემოთ, გამოკვლევაში, გვ. 726 — 731 (იქვეა გამოცემული თვით ტექსტები: ა. ბრძოლა ქართველთა მეფისა შირიანისა და დურძუკთა; ბ — გ. თქმულებანი ფარნავაზზე; დ. გლოვა ქართველთა მეფისა ფარსმან ქუელისა; ე. ბრძოლა გმირთა და სასტიკება ჰაერისა).

«უფალთა წიგნის» ლექსითი ექსცერპტის შესახებ იხ. გვ. 576.

II

VIII საუკუნის მეორე ნახევარი — X საუკუნე

- II — ა. მესხეთის (ზემო-ქართლის) სკოლა.
- II — ბ. საკუთრივ ქართლის სკოლა.
- II — გ. კახეთ-ჰერეთის სკოლა.
- II — დ. დასავლეთ საქართველოს (აფხაზეთის) სკოლა.
- II — ე. პალესტინის ქართული სკოლა.

II — ა.

მესხეთის (ზემო-ქართლის) სკოლა

8. გრიგოლ ხანძთელი (758 — 860 წ.წ.).

ა) საგალობელთა წიგნი — ს ა წ ე ლ ი წ დ ო ი ა დ გ ა რ ი.

სრული ნუსხა საგალობლებისა, რომელიც შედის ძველ-ქართული ჰიმნო-გრაფიული პოეზიის ამ მთავარ წიგნში, იხ. გვ. 779 — 785.

ტალური ხელნაწერი, [კალის ხელნაწერი ამ ნაწილში დეფექტურია], აგრეთვე „კანონიდან“ მოპ-
დინარე ჩვენება იოანე-ზოსიმეს კალენდარისა).

Terminus post quem non: კათალიკოზობა ს ა რ მ ე ა ნ ი ს ი და თარიღი ა რ ჩ ი ლ ი ს
წაშებისა (VIII საუკუნის მეორე ნახევარი); მათი ხსენება არ ყოფილა შეტანილი „კანონის“
ძირითად ტექსტში და შემდეგ დაუმატებიათ (იხ. „კანონის“ პარიზული ხელნაწერი, და-
ნართი).

რაც შეეხება თვით ტექსტებს, წინამდებარე გამოკვლევაში დაბეჭდილი გვაქვს, — სალექსო ფორმის დაცვით, — გრიგოლ ხანძთელის შემდეგნი ნაწარმოებნი:

- № 130. გალობანი გიორგისნი (იამბიკონნი), გვ. 793 — 798 (სრულად).
- № 154. გალობანი აღვსებისანი (იამბიკონნი), გვ. 074 — 077 (სრულად). სტიქარონი აღვსებისა, გვ. 650 (გამოკრებით).
- № 20. გალობანი ნათელთანი (იამბიკონნი), გვ. 078 — 079 (გამოკრებით).
- № 19. გალობანი ჰაბოჰსნი, გვ. 800 — 807 (სრულად); სტიქარონი ჰაბოჰსნი, გვ. 080 — 082 (სრულად).

ძ ლ ი ს პ ი რ ნ ი (16 საგალობელი):

- „სოფლისა ზღუამ აღძრულ არს“, გვ. 614 — 615. — „ვითარცა რამ სიონს“, გვ. 631 — 632. — „გიხაროდენ, ქალწულთა სიქადულო“, გვ. 632. — „ნაქუერცხალი ცეცხლისამ“, გვ. 633. — „ეჰა, ბერწო სულო ჩემო“, გვ. 635. — „ნავთსაყუდელი მყუდროი“, გვ. 642. — „მამათა ჩუენთა“, გვ. 643. — „უგალობდეთ უფალსა“, გვ. 676. — „ღმრთისშობელსა და“, გვ. 677. — „მესმა, უფალო, განგებამ“, გვ. 678. — „ნუ შეურაცხ-ჰყოფ“, გვ. 811. — „ევედრე ძესა“, გვ. 811. — „რომელმან მიაცა ძლევაი“, გვ. 812. — „შენ, უფალო, ნათელი ხარ“, გვ. 812. — „გარდააცვ მძვლსა“, გვ. 813. — „სამწყსომ შენი“, გვ. 816.

შოკლე ექსცერპტები შემდეგ ნაწარმოებთაგან:

- № 157 — გალობანი აღვსებისანი, გვ. 809. — № 161 — გალობანი აღვსებისანი, გვ. 636. — № 134 — გალობანი გიორგისნი, გვ. 809. — № 103 — გალობანი მარიამისნი, გვ. 816 — 817. — № 28 — გალობანი ჯუარისა, გვ. 713. — №№ 2, 16, გალობანი (იამბიკონნი), გადმოღებულხითანე დაქსევილიდან გვ. 825, 823. — № 3 — გალობანი, გადმოღებული კოზმან იერუსალიმილიდან, გვ. 827.

ბ) ს ა ვ ე დ რ ე ბ ე ლ ნ ი (ევექლოგიონი). მოღწეულია 3 ტექსტი;

1. სავედრებელი ჟამსა ხანძთისა შენებისასა — პირველი;
2. სავედრებელი ჟამსა ხანძთისა შენებისასა — მეორე;
3. სავედრებელი ჟამსა შატბერთისა შენებისასა.

(იხ. გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, თავები V, VIII, XXI. ტექსტები, — წყობილი სიტყვის ფორმის დადგენით, — იხ. წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 737 — 738, 0102 — 0104).

გ) ქ ე ბ ა მ კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ა უ დ ა ბ ნ ო თ ა მ .

(იხ. გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, თავი XVIII. ტექსტი, — წყობილი სიტყვის ფორმის დადგენით, — იხ. წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 740—742).



მესხეთის (ზემო ქართლის) ჰიმნოგრაფიულ სკოლას, რომლის მეთაური და მთავარი წარმომადგენელი იყო გრიგოლ ხანძთელი, ეკუთვნიან შემდეგი ავტორები:

- გრიგოლ ხანძთელის მოწაფენი: ე პ ი ფ ა ნ ე მ ო ძ ღ ვ ა რ ი (ხანძთელი), VIII—IX ს.ს.; მ ა კ ა რ ი (ლეთეთელი), IX ს.; ბ ა ს ი ლ ი (ხანძთელი), IX ს.;
- გრიგოლ ხანძთელის დაარსებულ საეანებში — ხანძთასა და შატბერთში — მოღვაწე ჰიმნოგრაფები: გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ე (IX — X ს.); მ ი ქ ა ე ლ მ ო დ რ ე კ ი ლ ი (X ს.);

დანარჩენი ჰიმნოგრაფები მესხეთის (ზემო-ქართლის) სკოლისა: იოვანე მტბევარი, ეზრა, ივანე ქონქოზის-ძე, კურდანი — კვრიკე, ივანე მგალობელი, ანონიმი ჰიმნოგრაფები მესხეთის (ზემო-ქართლის) სკოლისა.

9. ეპიტანე მოძღვარი (ხანძთელი). VIII — IX ს.

ეპიტანე იყო მოწაფე გრიგოლ ხანძთელისა და მეორე წინამძღვარი ხანძთისა გრიგოლ ხანძთელის შემდეგ.

ბიოგრაფიული ცნობები ეპიტანეს შესახებ იხ. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 41, 98, 99, 121, 127, 159 — 163, 171, 172.

ეპიტანეს, როგორც ირკვევა ოპიზური 1093 წლის ხელნაწერის ცნობებიდან, დაუწერია:

გალობები სადიდებელი სამებისა, რვა-კმათა ზედა. იგი 16 გალობათა (კანონს) შეიცავდა. აქედან მოღწეულა 4 გალობანი მოლიანად და 1 გალობის ფრაგმენტი (დაცულია დასახელებულ ოპიზურ ხელნაწერში 1093 წლისა; იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 072 — 073).

ეპიტანე მოძღვარის ჰიმნოგრაფიულ პოეზიას ძველ საქართველოში, როგორც ირკვევა, დიდად აფასებდნენ. საყურადღებოა ამ მხრივ უწყება XI საუკუნის ქართველი მწიგნობრის ათანასე ოპიზარისა, რომელმაც 1093 წელს გადასწერა ეპიტანე მოძღვარის საგალობელნი (როგორც დამატება გიორგი მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან გადმოღებული საგალობლებისა). ათანასე ოპიზარი, ადარებს რა ეპიტანე მოძღვარის საგალობლებსა და გიორგი მთაწმიდელის მიერ ბერძნულიდან გადმოღებულ საგალობლებს, წერს:

„ვესავე უფალსა, რომელ ესე წმიდისა სამებისა გალობები, წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგი მთაწმიდელსა [რომელ] უთარგმნია, ვითა ბერძულად ყოფილ არიან, — აწ ესე ქართულნი შჯობან... ეპიტანეს ვისმე მოძღვარსა უთქუმან, და არიან ათექუსმეტნი, ესე იგი არს ყოველთა კმათა ორ-ორი“...

ათანასე ოპიზარი არ იწონებს ბერძნულ საგალობლებს იოანე დამასკელის საგალობელთა ტიპისას (— ასეთი საგალობლები ხელოვნური ხასიათისა იყო) და მათზე მალლა ეპიტანე მოძღვარის ქართულ საგალობლებს აყენებს (იხ. ანდერძი ოპიზური 1093 წლის ხელნაწერისა, გვ. 178a; დამატებანი, გვ. 072 — 073).

10. მაკარი ლეთეთელი, ხანძთელ-საბაწმიდელი (IX ს.).

მაკარი ლეთეთელი წარმოშობით ქართლიდან იყო, სოფელ ლეთეთიდან.

მაკარი ჯერ ხანძთაში მოღვაწეობდა, იგი იყო მოწაფე გრიგოლ ხანძთელისა¹.

¹ წერილში გრიგოლ ხანძთელისადმი (იხ. ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 111) მაკარის ეწოდება „სულიერად შეილი“ გრიგოლ ხანძთელისა, ხოლო მაკარის თანამოღვაწეს არსენის ეწოდება „სულიერად ძმის-წული“ გრიგოლ ხანძთელისა. მაკარი ყოფილა გრიგოლ ხანძთელის პირდაპირი მოწაფე, ხოლო არსენი ყოფილა მოწაფე გრიგოლ ხანძთელის მოწაფისა, ხანძთა-მატბერთის ერთ-ერთი მოღვაწისა.

შემდეგ მაკარი გადასახლებულა პალესტინაში და მოღვაწეობდა საბა-
წმიდაში. საბაწმიდაში ყოფნის დროს მაკარის რედაქტორობით არის გადა-
წერილი 864 წელს ძველი ქართული მწერლობის განთქმული ძეგლი „მრავალ-
თავი“ (ქრესტომათია).

მაკარის, საბაწმიდაში მოღვაწეობის დროს, ახლო კავშირი ჰქონია დამყა-
რებული და მიმოწერას აწარმოებდა თავის მასწავლებელთან გრიგოლ ხანძ-
თელთან.

მაკარის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან ჩვენ დრომდე მოღწეულა
ერთი ჰიმნოგრაფიული ძეგლი, შესხმანი ღმრთისმშობელისანი, გადმოღებული
მაკარის მიერ ბერძნულიდან, რომელიც შეტანილია მიქაელ მოდრეკილის კრე-
ბულში (გვ. 494 — 500), სადაც იგი ატარებს შემდეგ ზედწერილს:

„შესხმანი წისა ღმრთისმშობელისანი და ოხითანი, დღესასწაულთა სათქუ-
მელნი, საუფლოთა საქმარნი, ფარაფთონნი მოსართავნი ბერძულნი, თქუმულნი
წმიდისა ოხმანისნი, თარგმნილნი გლახაკისა მაკარისი“.

აქ საკიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ამ ძეგლის დედანში მაკარის მოხსე-
ნებული ჰყავს თავისი თანამდგომნი თანამოღვაწენი: მოსე და არსენი. ნაწარ-
მოების ზედწერილთან დაართულია მოსახსენებელი: „ო ო ღ ო, შეიწყალე გლ-
ხაკი მოსე სულითა“; ხოლო საგალობელთა ტექსტის ერთ-ერთ მუხლთან
ჩაწერილია მეორე მოსახსენებელი: „ქრისტე, შეიწყალე ცოდვილი არსენი“.

ის გარემოება, რომ საგალობელთა ანდერძ-მოსახსენებლებში მაკარისთან
ერთად მოიხსენებიან მოსე და არსენი, — სრულის უეჭველობით ადასტურებს,
რომ მაკარი, გადმომღები ქართულად ტექსტისა „შესხმანი ღმრთისმშობელი-
სანი“, და მაკარი, მოწაფე გრიგოლ ხანძთელისა, მოხსენებული გრიგოლ ხანძ-
თელის ცხორებაში, ერთი და იგივე პირია; გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში
მაკარის თანამოღვაწეებად დასახელებული არიან იგივე პირნი: მოსე და
არსენი¹.

მაკარის ჰიმნოგრაფიული ძეგლი „შესხმანი ღმრთისმშობელისანი“, გარდა
მიქაელ მოდრეკილის კრებულისა, შეტანილია აგრეთვე ხელნაწერებში A — 603,
Sin. — 1, Sin. — 65 და საწელიწდო იადგარის წვირმულ ხელნაწერში.

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ X საუკუნის ავტორის იოანე-ზოსიმე საბა-
წმიდელ-სინელის ჩვენ დრომდე მოღწეულ ერთ ანდერძში მოხსენებულია:
„ლო ცვაჲ ოთხი, თქუმული მაკარისი“². საფიქრებელია, რომ ამ
ევქოლოგიური ტექსტების ავტორიც მაკარი ლეთეთელი იყო, რადგან სხვა
მაკარი ამ ეპოქის (IX—X საუკუნეების) ქართულ მწერლობაში ცნობილი არაა.

11. ბასილი (ხანძთელი). IX ს.

ბიოგრაფიული ცნობები ბასილის შესახებ იხ. ცხორება გრიგოლ ხანძთე-
ლისა, გვ. 75, 152, 153, 173, 174³.

¹ იხ. გიორგი მერჩულე, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, გვ. 111 — 113.

² იხ. იოანე-ზოსიმეს ავტოგრაფული ხელნაწერი, ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის ტიშენ-
ლორთისეული პალიმფსესტების კოლექცია, Gr. VII, 2.

³ იხ. დამატებით ზემოთ, გვ. 674, შენიშვნა * (მათითება ბასილის ცხორების დროის
შესახებ).

ბასილი წარმოშობით დაბალი ფენებიდან იყო: იგი იყო მსახური ქალის შვილი; ბავშვობაში მწყემსობას ეწეოდა.

ბასილი აღიზარდა ხანძთაში. იყო მოწაფე გრიგოლ ხანძთელისა.

შემდეგ ბასილი არჩეულ იქნა წინამძღვრად ხანძთის საეპისკოპოსოს (იგი მესამე წინამძღვარია ხანძთისა, გრიგოლისა და ეპიტანეს შემდეგ).

ბასილის ეკუთვნის სტიქარონები, დაწერილი თავისებური სალექსო ფორმით, შეიდ-ტაეპოვანი სტროფებით (63-მარცვლელი), გაწყობილი აკროსტიხებით. სულ მოღწეულა 8 სტიქარონი ასეთი ფორმისა (მათი სია იხ. ზემოთ, გვ. 693 — 694). ამას გარდა, ბასილის ეკუთვნის პატარა პოემა „იოანე ნათლისმცემელი და ჰეროდე“.

გამოცემა ტექსტებისა იხ. წინამდებარე გამოკვლევაში: სტიქარონი „აბო“, გვ. 694 — 695; „იოანე ნათლისმცემელი და ჰეროდე“, გვ. 695 — 696.

12. გიორგი მერჩულე (IX — X სს.).

გიორგი მერჩულის მემკვიდრეობას ჰიმნოგრაფიული პოეზიის დარგში, როგორც დადგენილი გვექონდა, შეადგენს საგალობელთა ორი დიდი კრებული. რომლებიც შედიოდა საწელიწდო იადგარში სპეციალურ განყოფილებათა სახით.

ა) კრებული პირველი: საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი (დაწერილი ფორმით: მერჩულიელნი უცხონი). ამ კრებულის პირველი ოთხი ხმის საგალობელნი შეიცავდა 48 გალობათა ციკლს; აქედან მოღწეულია 10 გალობანი (ობიზურ ხელნაწერში 1093 წლისა; იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 066 — 070, და ზემოთ, გვ. 846 — 848).

ბ) კრებული მეორე: საგალობელნი აღვსე ბისანი რვა-კმანი (დაწერილი ფორმით: მერჩულიელნი თავ-ბოლო მორთულნი). მოღწეულა სრულად: 21 გალობანი და 46 სტიქარონი (მიქაელ მოდრეკილის კრებულში. იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 012 — 014, და ზემოთ, გვ. 849 — 853).

გამოცემა ტექსტებისა:

1. საგალობელნი: სიტყუანი ძისა და დედისა (სალექსო ფორმის დაცვით) იხ. წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 854 — 855.

2. გალობანი აღვსე ბისანი III ხმისა („ქართულნი, ძლისპირითურთ“) — იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 285—290. — ექსცერპტები, სალექსო ფორმის დაცვით, იხ. წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 686 — 687.

13. მიქაელ მოდრეკილი (X ს.).

მიქაელ მოდრეკილის მემკვიდრეობას ჰიმნოგრაფიული პოეზიის დარგში შეადგენს:

А. საგალობელნი საწელიწდო იადგარის წრისა: 31 საგალობელი დიდი ფორმისა („გალობანი“) და 151 საგალობელი მცირე ფორმისა (სტიქარონნი და გალობა „მოიხილესა“). მათ შორის:

¹ გარდა მიქაელ მოდრეკილის კრებულისა იგივე ტექსტები შენახულა ხელნაწერებში NN 5, 6, 11 — ობიზურ ხელნაწერში 1093 წლისა; N 18 — ხელნაწერში Sin. — 65; № 13 — გიორგი მთაწმიდელის პარაკლიტონის ხელნაწერებში.

ა) საგალობელნი აღვსებისანი რვაჲმანი, — 8 გალობანი („მოიხილე“-თი და სტიქარონებით).

ბ) საგალობელნი ნათელთათვის რვაჲმათა ზედა, — 7 გალობანი („მოიხილე“-თი და სტიქარონებით).

გ) დანარჩენი საგალობელნი, — 16 გალობანი („მოიხილე“-თი და სტიქარონებით).

Б. ცალკე ჯგუფს შეადგენს მიქაელური მცირე ფორმის საგალობელნი („მოიხილესა“, სხვადასხვა სტიქარონი, ოხითანი), საერთო რიცხვით 217, რომლებიც შეტანილია მიქაელ მოდრეკილის ცნობილ კრებულში და დართულია სხვა ავტორების საგალობლებთან დამატებათა სახით.

გარდა ამისა, მიქაელ მოდრეკილს ეკუთვნის რედაქტირება ძველ-ქართული ქაშნიკისა, კრებულისა «ძლისპირნი» («ძლისპირთა» კრებულის მეორე რედაქცია).

ყველა დასახელებულნი საგალობელნი დაცულია მიქაელ მოდრეკილის ავტორგრაფულ კრებულში (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 019 — 033, 037 — 038, 0110 — 0113) ¹.

გამოემა ტექსტებისა: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია:

ტექსტი № 1 — გვ. 247 — 257; № 2 — გვ. 258 — 273; № 3 — გვ. 273 — 285; № 4 — გვ. 365 — 378 (სალექსო ფორმის დაცვით); № 5 — გვ. 379 — 381 (სალექსო ფორმის დაცვით), 290 — 307; № 6 — გვ. 307 — 317; № 7 — გვ. 318 — 336 (სალექსო ფორმის დაცვით); გვ. 381 — 383, 168 — 176 (მეტრული პუნქტუაციის აღნიშვნით); № 9 — გვ. 337 — 358 (სალექსო ფორმის დაცვით); № 11 — გვ. 383 — 403 (სალექსო ფორმის დაცვით); № 13 — გვ. 204 — 212; № 15 — გვ. 212 — 219; № 16 — გვ. 225 — 227; № 17 — გვ. 228 — 234; № 18 — გვ. 235 — 239; № 20 — გვ. 195 — 199; № 21 — გვ. 240 — 246. — ამათ გარდა მცირე ფორმის საგალობლები (სტიქარონი): უ — გვ. 166 — 167 (მეტრული პუნქტუაციის აღნიშვნით); უ, ო, ა — გვ. 177 — 180; უ — გვ. 200; უ, ო, ა — გვ. 201 — 203; მ (ჩართული გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ჯგუფში № 21) — გვ. 182 — 183; მ (ჩართული გიორგი მერჩულის აღვსების საგალობელთა ჯგუფში № 9) — გვ. 286 — 287.

წინამდებარე გამოკვლევაში გამოქვეყნებულია, სალექსო ფორმის დაცვით, მიქაელ მოდრეკილის შემდეგნი ნაწარმოებნი (ექსცერპტულად):

ტექსტი № 2 — გვ. 086 — 087; № 8 — გვ. 085 — 086, 090 — 091; № 5 — გვ. 088 — 089; № 7 — გვ. 648, 649, 651, 596; № 13 — გვ. 638; № 8 — გვ. 667; № 21 — გვ. 654, 655; № 1 — გვ. 662 (მუხლი ნინოას შესახებ); ძლისპირი — გვ. 030; ოხითაჲ მერჩულიელი — გვ. 856.

ტექსტი № 30 — გამოცემულია კ. კეკელიძის მიერ. (იხ. Житие Иоанна Урхайского, ХВ, II, 3, გვ. 340 — 348).

14. იოვანე მტბევარი (X ს.).

ბიოგრაფიული ცნობები იოვანე მტბევარის შესახებ დაცულია ანდერძებში ტბეთის ოთხთავისა, რომელიც გადაწერილია იოვანეს თანამოღვაწეობით 995 წელს (იხ. ხელნაწერი ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავისა, ი. ბატონიშვილის კოლექცია, № 212).

იოვანეს დედ-მამას ჰრკმევიათ არსენი და მარიამი.

იოვანე ყოფილა ტბეთის ეპისკოპოსად 978 — 988 წლებში (მიქაელ მოდრეკილის კრებულის გადაწერის დროს) და ამის მომდევნო ხანაში ვიდრე 995

¹ ამას გარდა, ერთი ტექსტი (№ 4) შეტანილია თბილურ ხელნაწერში 1093 წლისა (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 065).

წლამდე. ტბეთი, როგორც ცნობილია, მდებარეობს შავშეთში, გრიგოლ ხანძთელის მოღვაწეობის ადგილის ხანძთა-შატბერტის მეზობლად.

უფრო გვიან, 995 წლის შემდეგ, იოვანე დაუდგენიათ მაწყვერელად, სამცხის მხარეში.

იოვანე მტბევარს ეკუთვნის საგალობელნი საწელიწდო იადგარის წრისა.

მოღწეულა 14 საგალობელნი დიდი ფორმისა (12 გალობანი და 2 დასდებელთა ჯგუფი — „დასდებელნი შუალამისანი“) და 49 საგალობელნი მცირე ფორმისა (სტიქარონნი და საგალობელნი „მოიხილესა“).

საგალობელნი შეტანილია იოვანე მტბევარის თანამედროვისა და თანამოღვაწის მიქაელ მოდრეკილის კრებულში (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 014 — 016) ¹.

მიქაელი მალალ შეფასებას აძლევს იოვანე მტბევარის პოეტურ მემკვიდრეობას. მიქაელის სიტყვით ისინი არიან თქმულნი „სიბრძნითა სულისა წმიდისაათა“ (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 90).

თავის საგალობელთა კრებულში მიქაელ მოდრეკილს საგანგებოდ მოუთავსებია პორტრეტი იოვანე მტბევარისა, როგორც გამოჩენილი მგონისა.

იოვანე მტბევარის ნაწარმოებნი გამოცემულია მთლიანად (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 46 — 150; კერძოდ № 2 — სალექსი ფორმის დაცვით, გვ. 55 — 67).

წინამდებარე გამოკვლევაში მოყვანილია, სალექსო ფორმის დაცვით, ექსცერპტები შემდეგი ტექსტებისა: № 3 — გვ. 616, 646; № 7 — გვ. 657, 667.

15. ეზრა (X ს.).

საგალობელნი ე ფ თ ვ მ ე დიდისა (1 გალობანი, „მოიხილე“-თი, 2 სტიქარონი).

ხელნაწერები: მიქაელ მოდრეკილის კრებული (ტექსტი დაცულია სრულად, იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 017 — 018); A — 596 (სტიქარონი ა).

პიმნოგრაფი ეზრა, ავტორი ამ საგალობელთა, საფიქრებელია, არის ეზრა ანჩელი, რომელიც მოხსენებულია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისეულ დამატებაში („ეზრა, ღირსი ანჩელი მამამთავარი ეპისკოპოსი, დიდებულთა აზნაურთა დაფანჩულთა შვილი“, იხ. გვ. 167). იგი იყო თანამედროვე მიქაელ მოდრეკილისა.

ეზრა მიუძღვნის თავის საგალობლებს საურმაგსა და მის ძეს მირიანს. ონომასტიკონის მიხედვით ეს პირნი ეკუთვნიან სამცხის ერისთავთა მირიანის-ძეთა (ჩორჩანელთა) გვარეულობას, რომელთა გვარში მიღებული იყო სპეციფიკური სახელები ძველ-ქართული სამეფო დინასტიისა, რომლის გვერდის შტოსაც ეს გვარეულობა, ჩანს, წარმოადგენდა (ამ გვარეულობაში მიღებულია სახელები მირიან, საურმაგ, აგრეთვე სასან და მისთანანი). მირიანის-ძენი იყვნენ კტიტო-

¹ გარდა ამისა, გიორგი მთაწმიდელის თთუენში შეტანილია ბერძნულიდან გადმოღებულ 3 ტექსტი იოვანე მტბევარისა, რომელთაგან ორი წარმოადგენს ახალ თარგმანს გიორგი მთაწმიდელისა (იოვანე მტბევარის ტექსტების გათვალისწინებით. № 1, № 3). ხოლო ერთი — იოვანე მტბევარისეულ თარგმანს სარედაქციო ცვლილებათ (№ 7). ბერძნულიდან გადმოღებულ იმ ტექსტების შესახებ იხ. დამატებანი, გვ. 0114.

რები ხანძთისა (ხანძთაში აღიზარდა არსენი მირიანის-ძე, შემდეგ ქართლისა კათალიკოზი არსენი I, დიდად წოდებული).

გამოცემა ტექსტისა: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 158 — 163.

მქსეცრპტი (სალექსო ფორმის დაცვით) იხ. წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 641.

16. ივანე ქონქოზის-ძე (X ს.)

საგალობელნი ჰ ა ბ ო ჯ ს ნ ი (გალობანი, „მოიხილე“-თი).

ხელნაწერი: მიქაელ მოდრეკილის კრებული (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 017).

ივანე ქონქოზის-ძე, როგორც ირკვევა, საერო პირი ყოფილა, რასაც ადასტურებს სახელის ხალხური ფორმა ივანე (და არა იოვანე, როგორც ეს მიღებული იყო სასულიერო პირთათვის).

აღნიშნავთ ამასთან, რომ იშვიათი სახელი ქონქოზი (სახელი ივანეს მამისა) ჩვენ გვხვდება ზემოთ-დასახელებულ სამცხის ერისთავთა მირიანის-ძეთა (ჩორჩანელთა) გვარეულობაში (იხ. ათონის ივერიის მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, 1901 წ., გვ. 225, აღაპი № 37).

გამოცემა ტექსტისა: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 39—45 (სალექსო ფორმის დაცვით).

17. კურდანი — კვრიკე (X ს.).

საგალობელი აღვსებისა (1 სტიქარონი).

ხელნაწერი: მიქაელ მოდრეკილის კრებული (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 017).

აღნიშნავთ, რომ საგალობელთა კიდურწერილობაში ავტორი მოიხსენება საერო (იშვიათად ხმარებული) სახელით: კურდანი. ავტორი ამ საგალობელთა დაწერის დროს საერო პირი ყოფილა.

უფრო გვიან კურდანი ბერად შემდგარა და კვრიკეს სახელი მიუღია. X საუკუნის 70-იან წლებში იგი საქართველოდან ჩასულა სინას მთაზე და 977 წელს გადაუწერია პავლეს ეპისტოლენი და მოციქულთაჲ, რომელთა ანდერძში იგი მოიხსენება როგორც კვრიკე — კურდანი (იხ. ხელნაწერი Sin. — 60).

გამოცემა ტექსტისა: სალექსო ფორმის დაცვით, იხ. დამატებანი, გვ. 096—097.

18. ივანე მგალობელი.

საგალობელნი ს ი ს ო ჯ ს ნ ი (1 გალობანი, 2 სტიქარონი).

ხელნაწერები: ერუშენული კრებული, გოლგოთური კრებული 1049 წლისა, S — 552 (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 045, 048).

გალობათა აქვთ კიდურწერილობა: „სისოჯს გლახაკი ივანე გალობით შეასხამს“.

საგალობელთა ავტორის ვინაობის შესახებ არაფერი ვიცით გარდა იმისა, რომ მას ივანე რქმევია.

აქ შესაძლოა აღიძრას საკითხი, ხომ არ არის ამ საგალობელთა ავტორი ივანე იდენტური ამავე სახელის მქონე სხვა ჰიმნოგრაფებთან, ე. ი. ხომ არ არის იგი ან ივანე ქონქოზის-ძე ან ივანე მინჩხი. როგორც ირკვევა, არა. საქმე ის არის, რომ „გალობანი“ ივანე ქონქოზის-ძისა და ივანე მინჩხისა სხვა სტრუქ-

ტურისაა, იგი 9-ნაწევრიანია, ე. ი. ცხრა გალობის (ოდის) შემცველი, ხოლო სისომას გალობანი 8-ნაწევრიანი, 8 გალობის შემცველი.

იმისათვის, რომ გავარჩიოთ ეს ავტორი ამავე სახელის მქონე სხვა ჰიმნოგრაფებისაგან, ჩვენ მას პირობითად ვუწოდებთ ივანე მგალობელი (ძველ-ქართულ მწერლობაში ჰიმნოგრაფს მიემართებოდა ზედწოდება „მგალობელი“; შეად. ბერძნული *μελωδός*. თვით ივანეს ამ ჰიმნების კიდურწერილობაში ხაზგასმულია „მგალობელობა“: „სისომას... ივანე გალობით შეასხამს“).

19. ოპიზურნი საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი.

მოდწეულა 27 საგალობელი დიდი ფორმისა (გალობანი), რომლებიც შეტანილია ოპიზურ ხელნაწერში 1093 წლისა (იხ. ოპიზური ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 065 — 066, 070 — 072). ტექსტები ეკუთვნის ხანას IX საუკუნედან — XI საუკუნემდე.

ამ ტექსტებიდან ჩვენ გამოვამჯავნებთ ექსცერპტი მეორე გალობათა, რომლებიც იამბიკონებით არის დაწერილი, — „გალობანი სულისანი“ (იხ. გვ. 099).

20. საგალობელნი აღვსებისანი კლარჯულ იადგართა, X — XI საუკუნეებისა.

მიქაელ მოდრეკილის კრებულში შემოკრებილი არის ყველა საგალობელნი აღვსებისანი (აღდგომისანი), რომლებიც კი დაწერილი ყოფილა ქართულ ენაზე 978 — 988 წლებამდე (როდესაც გადაიწერა მიქაელის კრებული). მიქაელ მოდრეკილი თავის კრებულის ანდერძში წერს: „...ვილუაწე და უზეშთაეს უძლურისა ძალისა ჩემისა შრომაჲ ვაჩუენე და შეეკრიბენ საგალობელნი ესე წაადისა აღდგომისანი, რომელნი ეპოენ ენითა ქართველთაჲთა“ (იხ. ხელნაწერის გვ. 8; შეად. ზემოთ, გვ. 763).

გარდა ამ ტექსტებისა, რომლებიც წარმოდგენილია მიქაელ მოდრეკილის კრებულში და რომლებიც ეკუთვნიან ხანას 978 — 988 წლებამდე, ჩვენამდე მოდწეულა კიდევ 5 საგალობელი აღვსებისა, რომლებიც შეტანილია ოპიზურ ხელნაწერში 1093 წლისა და რომლებიც გამოკრებილია კლარჯულ იადგართაგან X — XI საუკუნეებისა (იხ. აღწერა ოპიზური ხელნაწერისა, გვ. 065).

ეს ხუთი ახალი ტექსტი, რომელთაც არ იცნობს მიქაელ მოდრეკილი, დაწერილია 978 — 988 წლების შემდეგ, X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნეში.

ამათგან მეორე ტექსტი (გალობანი: „მძლე ექმენ უძლეველი სიკუდილსა მძლავრსა“) — დაწერილია 990-იან წლებში. იგი ეხება იმ დიდ გამარჯვებას მუსულმანებზე, რომელიც მოიპოვა ქართველთა შეერთებულმა ლაშქარმა 990 — 997 წლებში, დავით კურაპალატის დროს.

ამ საგალობელთა VIII გალობაში (ე. ი. საგალობელთა იმ ნაწილში, სადაც ჩვეულებრივ „საქვეყნო სათხოვარი“ არის ჩართული), ქართველი პოეტი ჰიმნოგრაფი წერს:

მაღალ და საშინელ არს სიონს	(9)
და დიდებულ ყოველსა ქუყანასა ზედა	(13)
ქრისტე მაცხოვარი ჩუენი,—	(8)
რომელმანცა გამოაბრწყინეა	(9)
ბნელისაგან ნათელი	(7)
და მოსცა ძლევაჲ მეფეთა ჩუენთა.	(10)

რამდენადაც საგალობელში მოიხსენებიან „მეფენი ჩუენნი“, იგი, ცხადია, დაწერილია არა უგვიანეს XI საუკუნის დასაწყისისა, როდესაც, ბაგრატ III-ის დროს, საქართველოში ერთ-მეფობა მყარდება.

ამრიგად ამ საგალობელთა თარიღი ზუსტად ისაზღვრება. იგი დაწერილია, როგორც აღვნიშნეთ, არა უადრეს 978 — 988 წლებისა, ხოლო ამავე დროს მისი დაწერის თარიღი, როგორც ირკვევა, XI საუკუნის დასაწყისს აქვთ არ გადმოსცილდება.

ამ სათარღო ფარგლებს შორის, სახელდობრ 998 წელს, გაერთიანებულმა ქართველთა ლაშქარმა, რომელშიაც შედიოდა დავით დიდი კურაპალატის სამფლობელოს ჯარები სპასალარის გაბრიელის მოთავეობით, ბაგრატ III-ის მამის გურგენ მეფეთა-მეფის სამფლობელოს ჯარი ფერის ჯოჯოკის-ძის მოთავეობით, და სხვა ქართველ მფლობელთა („მეფეთა“) ჯარი, აგრეთვე ქართველთა მოკავშირე სომეხთა ლაშქარი გაგოც ანელისა და აბას ვანანდელის სამფლობელოებიდან, — დიდი გამარჯვება მოიპოვა მუსულმანთა კოალიციაზე, რომელსაც მეთაურობდა ირანის ადარბადაგანის ამირა მაჰლანი და რომელშიაც შედიოდნენ ხორასანის ამირა და ირახის სხვა მფლობელი მთავრები.

ამ დიდი გამარჯვების შედეგად, როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები გაფართოებულ იქნა სამხრეთის მიმართულებით ვიდრე ვანის ტბამდე.

ამ ისტორიულ გამარჯვებას ეხმაურება X საუკუნის ქართველი პოეტი-ჰიმნოგრაფი დასახელებულ საგალობელში.

21. მესხეთის (ზემო-ქართლის) სკოლის ანონიმური ჰიმნოგრაფიული ძეგლები.

21-ა. მიქაელ მოდრეკილის კრებულის ანონიმური ტექსტები IX — X ს.ს. საგალობელნი საწელიწდო იადგარის წრისა: 42 საგალობელნი დიდი ფორმისა (გალობანი) და 141 საგალობელნი მცირე ფორმისა (სტიქარონნი და საგალობელნი „მოიხილესა“). იხ. მიქაელ მოდრეკილის კრებულის აღწერილობა, გვ. 034 — 037 (ამას გარდა ანონიმური ტექსტები, აღწერილი გრიგოლ ხანძთელთან № 1, 2, 22, 24, 25, 26, 40, 42, იხ. გვ. 0107—0108, და მიქაელ მოდრეკილთან № 12, იხ. გვ. 0112 — 0113) ¹.

გამოცემულია ტექსტი № 14, — პ. ინგოროყვა, ძველ ქართული... პოეზია, გვ. 219 — 224. — ექსტერატები ამავე ტექსტიდან (სალექსო ფორმის დაცეით) იხ. წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 617, 647.

21-ბ. ერუშენული კრებულის მეორე ფენი,—12 გალობანი (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 040 — 041, 048).

¹ მიქაელ მოდრეკილის კრებულის ანონიმური ტექსტებიდან № 5 და 11 გვწვდება აგრეთვე ხელნაწერში Sin. — 57, № 6 — ხელნაწერში A — 596.

ამას გარდა 15 ტექსტი, გადმოღებული ბერძნულიდან, შეტანილია გიორგი მთაწმიდელის თთუნა და პარაკლიტონში — რედაქციული ცვლილებებით (№№ 4, 5, 6, 7, 10, 24, 25, 26, 27, 28, 29, 30, 31, 35, 39).

21-გ. ძირითადში მესხეთის (ზემო-ქართლის) სკოლას ეკუთვნის ანონიმური ჰიმნოგრაფიული ძეგლები, რომლებიც შეტანილია დავით ტბელი-ს-ძისა და რატისეული იადგარის პირველ ნაწილში (მეორე ფენი),—27 საგალობელი დიდი ფორმისა — „გალობანი“ (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 046—048).

21-დ. ძირითადში მესხეთის (ზემო-ქართლის) სკოლას ეკუთვნის ანონიმური ძლისპირნი, რომელთა ტექსტები გამოქვეყნებული გვაქვს წინამდებარე გამოკვლევაში (სალექსო ფორმის დაცვით). იხილეთ:

„შენ დიდებულო ქალწულო“, გვ. 632. — „ღამე რა თანა წარგუქა“, გვ. 633. — „ლაღად-ეყავ დღეს“, გვ. 634. — „რომელჲან სიტყვთ“, გვ. 635. — „უხილაეთა მხილველჲან“, გვ. 635. — „გიზაროდენ, საყდარო მადლისაო“, გვ. 647. — მგლოვარე დედა, გვ. 648. — „რომელჲან დაპრთენ“, გვ. 665. — „მიესკეთ ჩუენ დღეს“, გვ. 676. — „კლდესა მას ზედა“, გვ. 676. — „უვალობდეთ უფალსა“, გვ. 677. — „ლაღად-ეყავ გულითა“, გვ. 677. — „საუკუნეთა შემოქმედისა“, გვ. 678. — „რომელი მაჲათაჲ“, გვ. 678. — „საიდუმლოჲ მესჲა“, გვ. 679. — „ზღვსა ლელვანი“, გვ. 679. — „დაიძინა საფლავსა“, გვ. 685. — „სუფევს ღმერთი“, გვ. 685. — იუდა, გვ. 700. — ნეტარ არს, გვ. 701.

22. დავით და ტირიჭანის ჰიმნოგრაფი (დივრელი).

საგალობელნი დავითისა და ტირიჭანისა (გალობანი სტიქარონებით).

საგალობელნი, მომდინარე იადგართა ძველი მესხური რედაქციებიდან, ჩართულია ხელნაწერებში H — 1710, Sin. — 92.

(როგორც საგალობელთა ტექსტიდან ირკვევა, ავტორი ტაოელი ყოფილა; იგი თავისი მოღვაწეობით დაკავშირებული ყოფილა ტაოჲს პუნქტთან დივარი, რის გამო მას დივრელს ვუწოდებთ).

23. ქართული ენის ქებისა დამსხემი.

ძეგლი, რომლისაგანაც ჩვენ დრომდე მოღწეულა «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ», თავდაპირველად, სრულის სახით, შესდგებოდა ორი ნაწილისაგან: ა) «ქებაჲ ქართველთაჲ»; ბ) «ქებაჲ ქართულისა ენისაჲ».

პირველი ტექსტი („ქებაჲ ქართველთაჲ“) არ მოღწეულა (დაცულია მითითება იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელის ბიბლიოგრაფიულ უწყებაში, იხ. გვ. 747). მეორე ტექსტი დაცულია X საუკუნის ოთხ ხელნაწერში.

უფრო დაწვრილებით ამ ძეგლის შესახებ იხ. გვ. 746 — 749.

გამოცემა ტექსტისა, — წყობილი სიტყვის ფორმის დაცვით, — იხ. აქვე, გვ. 749 — 751.

24. ფსალმუნნი უამთანი, ქართული (შატბერთული), IX ს.

ხელნაწერები: ა) Sin. — 34; ბ) ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავის ტიშენდორფისეული კოლექცია (პალიმფსესტები).

(იხ. უწყება იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელისა, ქვემოთ, გვ. 876 — 877)

30. იოანე ბოლნელი (IX ს.)¹.

მ დ დ ე ლ თ-მ ო ძ ლ უ ა რ თ ა თ ვ ს (ქებაჲ).

გამოცემები ტექსტისა: ა) იოანე ბოლნელ ეპისკოპოსის ქადაგებანი, 1911, გვ. 85—88, წყობილი სიტყვის ფორმის დაუცველად. ბ) წინამდებარე გამოკვლევაში დაბეჭდილია, წყობილი სიტყვის ფორმის აღდგენით, ნაწილი ტექსტისა, იხ. დამატებანი, გვ. 0105 — 0106.

II-გ.

კახეთ-ჰერეთის სკოლა

31. ნინოჲს III ჰიმნოგრაფი, ბოლბელი (IX — X ს.ს.).

საგალობელნი ნ ი ნ ო ჲ ს ნ ი (1 გალობანი, 4 სტიქარონი).

ხელნაწერები: Sin. — 59, Sin. — 64, Sin. — 93, წვირბული, ქელიშური, გიორგი მთაწმიდელისეული თთუენის ხელნაწერი H — 2338.

როგორც საგალობელთა ტექსტიდან ირკვევა, ჰიმნოგრაფი თავისი მოღვაწეობით დაკავშირებული იყო ბოლბესთან, რის გამო მას ბოლბელ ჰიმნოგრაფს ვუწოდებთ.

გამოცემები ტექსტისა: ა) ნ. მარი, Опис. груз. рукоп. Сино. мон., გვ. 103—106. ბ) ე. თაყაიშვილი, ОР, II, გვ. 811 — 814. გ) ექსცერპტები, სალექსო ფორმის დაცვით, იხ. წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 654 (გალობანი), 681 (სტიქარონი).

II-დ

დასავლეთ საქართველოს სკოლა

32. ივანე მინჩხი (მინჩხური). X ს.

ცნობები ივანე მინჩხის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. იხ. ზემოთ. გვ. 669—676.

ივანე მინჩხის ლიტერატურული მემკვიდრეობიდან მოღწეულია საგალობელნი საწელიწდო იადგარისა, — 6 გალობანი და 46 სტიქარონი. იგი ნაწილდება სამ ჯგუფად: ა. საგალობელნი საწელიწდო იადგარისა—თთუეთა წრისა; ბ. საგალობელნი აღვსებისანი რვა-კმანი; ც. წიგნი საგალობელი სამ-ფსალმუნთაჲ (ტრიოდლი).

ა. საგალობელნი საწელიწდო იადგარისა — თთუეთა წრისა.

1) საგალობელნი თევდოსი მეფისა (1 გალობანი, „მოიხილე“-თი, 3 სტიქარონი).

ხელნაწერი: მიქაელ მოდრეკილის კრებული (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 016).

გამოცემა: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 21—31 (სალექსო ფორმის დაცვით) ექსცერპტი — წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 594 — 595.

¹ იოანე ბოლნელი არის მწერალი არა X — XI საუკუნეთა, როგორც ამას ზოგნი ფიქრობენ. არამედ IX საუკუნისა (იხ. ამის შესახებ პ. ინგოროყვა, ქართული მწერლობის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, ჟურნ. „მნათობი“, 1939 წ., № 10 — 11, გვ. 258 — 261).

2) საგალობელნი ევთვი დიდისა (1 გალობანი, „მოიხილე“-თი, 3 სტიქარონი).

ხელნაწერები: მიქაელ მოდრეკილის კრებული, სრულად (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 016); A — 596 (უ, გალობანი).

გამოცემა: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 31 — 38 (სალექსო ფორმის დაცვით).

ექსტერატი წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 641.

3) საგალობელნი გიორგისნი (გალობანი, „მოიხილე“-თი).

ხელნაწერი: Sin. — 2.

გამოცემები: ა) ივ. ჯავახიშვილი, სინას მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ., გვ. 145 — 149. ბ) წინამდებარე გამოკვლევა, სადაც ტექსტი შოგვეყავს სალექსო ფორმის აღდგენით (გვ. 083 — 084, გამოწაკებნი I, III და IV გალობათაგან).

4) საგალობელნი ფერისცვალებისა (გალობანი, „მოიხილე“-თი).

ხელნაწერები: გოლგოთური 1049 წლისა (სრულად, იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 045); Sin. — 56 (ნაწყვეტი).

გამოცემა: ნ. მარი, *op. cit.*, გვ. 92 (Sin.—56-ის ნაწყვეტი).

5) საგალობელნი მარიამის მიცვალებისანი (1 გალობანი, „მოიხილე“-თი, 2 სტიქარონი).

ხელნაწერი: გოლგოთური კრებული 1049 წლისა (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 045).

ბ. საგალობელნი აღვსებისანი რვა-კმანნი:

6) საგალობელი აღვსებისა IV კმისა (1 გალობანი — იამბიკონნი, „მოიხილე“-თი, 1 სტიქარონი).

ხელნაწერები: მიქაელ მოდრეკილის კრებული და ოპიზური 1093 წლის ხელნაწერი (იხ. ხელნაწერთა აღწერილობა, გვ. 016, 065).

გამოცემა: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 11 — 18 (სალექსო ფორმის დაცვით).

6-ა) საგალობელი აღვსებისა VII კმისა (1 სტიქარონი).

ხელნაწერი: მიქაელ მოდრეკილის კრებული (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 016).

გამოცემა: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 19 — 21 (სალექსო ფორმის დაცვით).
ექსტერატი—წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 597—598.

ც. წიგნი საგალობელი სამფსალმუნთაჲ (ტრიოდნი).
სტიქარონნი „უფალო ღალადყავი“, „აქებდითი“, „აღვიესენითი“.

ა-კზ) საგალობელნი ტრიოდის კალენდარული წრის პირველი ნახევრისა.

ხელნაწერები: Sin. — 5 და Sin. — 75.

(საერთო უწყება საგალობელთა ჯგუფის შესახებ ხელნაწერში Sin.—5, გვ. 286: „უფალო-ღალადყავ, აქებდითი, — თქუმულნია ნეტარისა მინჩხისა ქართველისანი“).

გამოცემები ტექსტებისა:

ა) ივ. ჯავახიშვილი, *op. cit.*, გვ. 149 — 163.

ბ) წინამდებარე გამოკვლევაში გამოქვეყნებული გვაქვს შემდეგი ტექსტები (სტიქარონ-ოთქლისპირნი), სალექსო ფორმის ალღენით: „ამო არს“ და „მეციტხეს ჩუენ“ (გვ. 687). — „გულისკმა-ეყოთ“ (გვ. 688). — „მივხედნეთ შინაგაზისა“ (ქებაჲ მარიამისაი) — გვ. 688. — „ნუმცა ემსგავსებით“ (გვ. 689).

კ) საგალობელი შიომასი.

ხელნაწერები: A — 160, A — 425.

გამოცემა: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 361—362.

ქ) ივანე მინჩხს უნდა ეკუთვნოდეს სტილის მიხედვით (და აგრეთვე შინაარსობლივი შეხვედრის მიხედვითაც) წარუწერილი ძლისპირი „ეამნი ჩემნი“, რომელიც დაბეჭდილი გვაქვს წინამდებარე გამოკვლევის 690 გვერდზე.

33. სტეფანე სანანოას-ძე ჭყონდიდელი (X ს.)

1. საგალობელი ჰ ა ბ ო ა ს ნ ი (1 გალობანი, „მოიხილე“-თი, 2 სტიქარონი).

ხელნაწერი: მიქაელ მოდრეკილის კრებული (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 016); A — 596 (უ¹, გალობანი).

გამოცემა ტექსტისა: ა) პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 151 — 155. — ბ) სალექსო ფორმის დაცვით ტექსტი იბეჭდება წინამდებარე გამოკვლევის დამატებაში, გვ. 092 — 095 (გალობანი I, 1-ა, IV, V, VIII).

2. საგალობელი ს ტ ე ფ ა ნ ე ა ს ი (სტიქარონი).

ხელნაწერები: მიქაელ მოდრეკილის კრებული (იხ. ხელნაწერის აღწერილობა, გვ. 016); A — 596; გიორგი მთაწმიდელისეული თთუენი S-4999.

გამოცემა ტექსტისა: პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული... პოეზია, გვ. 156 — 157, და აქვე. გვ. 648 — 699, — სალექსო ფორმის დაცვით.

II, ე

პალესტინის ქართული სკოლა

34. აბუკურაჲს მღვქსავი (IX ს.)

ა. ა ბ უ კ უ რ ა ა . ჰაგიოგრაფიული პოემა.

ბ. ქ ე ბ ა ა ს ა ბ ა ა ს ი და ს ა ბ ა წ მ ი დ ი ს ა ა ¹.

ხელნაწერები: Ath. — 57/8 (ორივე ტექსტი); A — (მეორე ტექსტი).

ძველი ქრთული მწერლობის ამ მეტად მნიშვნელოვანი ძეგლების — „აბუკურაჲს“ და „ქების“ — შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 703—705 და 742—743.

¹ მეორე ნაწარმოები, „ქებაჲ საბაასი და საბაწმიდისაჲ“, წარმოდგენს თარგმანს აშბა ბასილი (II) საბაწმიდელის ტექსტისას. აშბა ბასილი საბაწმიდელი, ავტორი ამ მეორე ტექსტისა, იყო საბაწმიდის წინამძღვარი 796 — 807 წლებში.

აქ საჭიროა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ ეს აშბა ბასილი საბაწმიდელი სხვა პირია, ვიდრე ბასილი საბაწმიდელი, რომელსაც ეკუთვნის ზემოთდასახელებული საგალობელი საბაასნი (იხ. № 3). ბასილი საბაწმიდელი, ავტორი საბას საგალობელთა (ე. ი. № 3-ისა), ქართველია, მის თხზულებას, როგორც აღვნიშნეთ, აქვს ზედწერილი: „ძუელნი ქართულნი“. ზოლო მეორე ავტორი, აშბა ბასილი საბაწმიდელი, აღმწერელი „ქებისა“, უცხოელია, რომლის ნაწარმოები უთარგმნია ქართულად IX საუკუნის მწერალს.

ემისათვის, რათა გავარჩიოთ ეს ორი ავტორი, ჩვენ მათ შემდეგნაირად მოვიხსენებთ: პირველ ავტორს (ქართველს) ვუწოდებთ — ბასილი ს ა ბ ა წ მ ი დ ე ლ ი, მეორე ავტორს (უცხოელს) — ა შ ბ ა ბ ა ს ი ლ ი ს ა ბ ა წ მ ი დ ე ლ ი.

გამოცემა ტექსტებისა:

ა) პირველი ტექსტის („აბუკურაჲს“) ექსცერპტი, გვ. 704 — 706.

ბ) მეორე ტექსტი („ქებაჲ“), სრულად გვ. 743—745.

35—36. მოკლე იადგარი პალესტინის ქართული სკოლისა («ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ი ა დ გ ა რ ნ ი»), შეკრებილი ორთა მოღვაწეთა:

ა) ანონიმი საბაწმიდელი ჰიმნოგრაფისა (IX ს.) — «ძ უ ე ლ ნ ი» საგალობელი (49 საგალობელი);

ბ) გიორგი საბაწმიდელ-სინელისა (X ს.) — «ა ხ ა ლ ნ ი» საგალობელი (26 საგალობელი).

ეს ძეგლი დატულია ხელნაწერში Sin.—34, რომელიც გადაწერილია პალესტინაში (საბაწმიდაში) განთქმული ქართველი მწერლის იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელის მიერ 932—940 წ.წ.

ხელნაწერი Sin.—34 წარმოადგენს კრებულს, რომელიც შესდგება ხუთი განყოფილებისაგან. აქედან იადგარს უკირავს მესამე განყოფილება.

რათა გავიკეთებთ ხელნაწერის შედგენილობაში, ვიძლევიტ ხელნაწერის შინაარსის აღწერას.

განყოფილება I. «ემნი ათორმეტნი, ქართულად და საბაწმიდურად», ფ. 1—24 (თავში აქლია ორი რეუელი).

განყოფილება II. «კ რ ე ბ ა მ თ თ უ ე თ ა მ წ ე ლ ი წ დ ი ს ა მ» (=კალენდარი იოანე-ზოსიმესი), ფ. 25—33.

განყოფილება III. «ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ი ა დ გ ა რ ნ ი, რომელსა შინა წერილ არიან დღესასწაულნი ყოველნი, — ა ხ ა ლ ნ ი და ძ უ ე ლ ნ ი».

აქ გვაქვს ექვსი ქვე-განყოფილება (ა—ე):

ა) «დასდებელი (საგალობელი) სამარადისოთა დღეთანი ა ხ ა ლ ნ ი, კვპრულნი» (12 საგალობელი), ფ. 34—37.

[ბ—ე. ძ უ ე ლ ნ ი საგალობელი]:

ბ) «დასდებელი (საგალობელი) აღდგომისანი» (8 საგალობელი) ფ. 46—47.

გ) «ძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი, ყოველთა კმათა ზედა მიწყებით თითოჲ თავად-თავადნი» (რეა-კმათა ზედა) ფ. 57—61a.

დ) «დასდებელი (საგალობელი) დღესასწაულისანი» (საგალობელი 19 საკალენდარო თარიღისა), ფ. 61b—86a.

ე) «დასდებელი (საგალობელი) სამარადისოთა დღეთანი» (15 საგალობელი), ფ. 86b—101a.

[ვ. ა ხ ა ლ ნ ი საგალობელი]:

ვ) «დასდებელი (საგალობელი) დღესასწაულთანი, სქემისა მიცემისანი, და მარხეთანი» (14 საგალობელი), ფ. 101b—123a.

III განყოფილების მეორე ნაწილს [ბ—ვ] დართული აქვს შენიშვნა (ფ. 123a):

„მარხვანი სრულიად [= ვ], და დღესასწაულნი ყოველნი სრულიად [= გ, დ, ე], და იაკონი მარხვათანი და დღესასწაულთანი სრულიად, და აღდგომისა კმანი სრულიად [= ბ], და სამარადისონი სრულიად [= ე], —

ყოველნი ძ უ ე ლ ნ ი წინამთ ჰპოვნე [= ბ—ე],

და ა ხ ა ლ ნ ი ყოველნი ზემომთ ჰპოვნე [= ვ]“.

III-ა დამატებანი საგალობელ იადგართა ა (ფ. 123b, 130—131, 138 — 146) ¹.

განყოფილება IV. ქრონიკონი. ფ. 196 — 202a.

განყოფილება V. სხვადასხვა მცირე განგებანი. ფ. 202b. — 203².

III-ბ. დამატება საგალობელ იადგართა ბ, ფ. 204 — 210³.

ხელნაწერის ანდერძში, რომელიც ეწება კრებულის ყველა განყოფილებებს, რითხვის (ფ. 143b):

„ესე საგალობელნი იადგარნი, რომელსა შინა წერილ არიან დღესასწაულნი ყოველნი, — ახალნი და ძუელნი სრულიად [= III, III-ა, III-ბ],

და ეამნი ათორმეტნი სრულიად, ქართულად და საბაწმიდურად [= I],

და ქრონიკონი სრულიად [= IV],

და სხუამ მრავალი განგებაჲ [= II, V]. —

მომადლა უფალმან დაწერა ლერასა და უღაბნოსა წმიდისა მამისა ჩუენისა [საბაძსა]“ ⁴.

ხელნაწერში წარმოდგენილს ჰიმნოგრაფიულ კრებულს — საგალობელნი იადგარნი — ბოლოში დართული აქვს იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელის მიერ დაწერილი ბოლოსიტყვაობა ლექსად (ანდერძი იადგართა), საიდანაც ჩვენ ვგებულობთ, რომ ეს კრებული საგალობელთა („შესხმაჲ სულიერი“) შეკრებილია ორი მგოსნის მიერ:

„ორთა მიერ ბრწყინვალეთა ღმრთისა კაცთა სასურველთა,

სიღრმითა მით გულისაჲთა სათნოდ ღმრთისად შეკრებული,

ვითარცა რაჲ მარგალიტი ურიცხვსა სასყიდლისაჲ,

ჩუენ მოგუეცა, მორწმუნენო,

რათა ჩუენცა ვიხარებდეთ შუენიერად დატკობილთა

კმათა მათთა სიმრავლითა,

გალობითა ბრწყინვალითა...“ ⁵

ერთი ამ ორ მგოსანთა შორის, რომელსაც ეკუთვნის ამ კრებულის «ახალნი» საგალობელნი, ყოფილა, როგორც ამას აღნიშნავს იოანე-ზოსიმე ბოლო მინაწერში, — «სახელად გეორგი, ძმად ჩემი».

ამავე მგოსნის სახელი «გეორგი» აღნიშნულია აგრეთვე თვით ლექსის აკროსტიხში.

¹ ფურცლები 124 — 129, 132 — 137, 147 — 195 გვიან ხანაში არის დამატებული, — ნაწერია არა ეტრატზე, არამედ ქალაღზე (ბომბიციხზე). — რაც შეეხება ეტრატზე ნაწერ ძველ ტექსტს, აქ ჩვენ გვაქვს:

ა) საგალობელნი აღდგომისანი „ძუელნი“, ფ. 123b, 130a — 131b;

ბ) შეკრებილად მსგეფსისა დღესასწაულნი. ფ. 132a — 140b;

გ) სხვადასხვა ფსალმუნნი, ფ. 140b — 141a;

დ) იბაკონი, ფ. 141a — 143a;

ე) დასდებელნი ღმრთისმშობელისანი. ფ. 144a — 146a.

ფურცელზე 153b მოთავსებულია ხელნაწერის ანდერძი.

² ა. მოციქულთა ნუსხა; ბ. ათნი მცნებანი; გ. თულათავს პატიოსანთა; დ) — ე. წაგნნი ბეჭდულნი ძუელისა და ახლისა აღთქუმისანი.

³ საგალობელნი სამარადისონი (დასდებელნი წმიდათანი და საშაბათონი).

⁴ შესამე განყოფილებების ტექსტები ამ კრებულისა (საგალობელნი იადგარნი) წარმოდგენილია აგრეთვე იოანე-ზოსიმეს მიერ 954 წელს გადაწერილ ხელნაწერში Sin. — 26, სხვადასხვა სახის ცვლილებებით (იხ. ხელნაწერის მეორე ნაწილი, ფურცლები 36a — 305b).

⁵ იხ. ხელნაწერი, ფ. 208a. — სრული ტექსტი იოანე-ზოსიმეს ლექსისა იხ. ზემოთ, გვ. 579 — 580.

ეს მგოსანი, გიორგი საბაწმიდელ-სინელი, როგორც ირკვევა საბაწმიდაში (პალესტინაში) და სინას მთაზე გადაწერილი X საუკუნის ხელნაწერებიდან, მართლაც უახლოესი თანამოღვაწე ყოფილა იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელისა. X საუკუნის 30-იან — 60-იან წლებში გიორგი და იოანე-ზოსიმე ერთად მოღვაწეობენ საბაწმიდაში, ხოლო 70-იან — 80-იან წლებში სინას მთაზე.

გიორგი და იოანე-ზოსიმე ერთად მოიხსენებიან X საუკუნის შემდეგ ხელნაწერებში (932 — 940 წლებიდან — 986 წლამდე):

Sin. — 34 (932 — 940 წ.წ., გადაწერილია საბაწმიდაში); Sin. — 26 (954 წ., გადაწერილია საბაწმიდაში); ხელნ. ტიშენდორფისეული კოლექციისა (ლენ. საჯ. წ., 949 — 965 წ.წ., გადაწერილია საბაწმიდაში); Sin. — 1 (უთარილო); Sin. — 67 (პინაწერი 973 წლისა, სინაზე); Sin. — 39 (974 წ., გადაწერილია სინაზე); Sin. — 47 (977 წ., გადაწერილია სინაზე); Sin. — 15 (978 წ., გადაწერილია სინაზე); Sin. — 38 (979 წ., გადაწერილია სინაზე); Sin. — 69/ცავ. (979 წ., გადაწერილია სინაზე); Sin. — 32 (პინაწერი 981 წლისა, სინაზე); Sin. — 37 (982 წ., გადაწერილია სინაზე); Sin. — 92/ცავ. (986 წ., გადაწერილია სინაზე); Sin. — 62 (უთარილო);

37. იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელი (X ს.)

იოანე-ზოსიმეს სალიტერატურო მემკვიდრეობა სასულიერო პოეზიის დარგში:

1. ანდერძი იადგართა (მიძღვნა გიორგისადმი), ლექსი, იხ. ზემოთ, გვ. 579 — 580.

2. ფსალმუნნი ყამთანნი.

ავტოგრაფული ხელნაწერები: ა) Sin.-34. ბ) ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავის ტიშენდორფისეული კოლექცია (პალიმფსესტები).

3. 12 ლოცვანი კალისტოსისნი (იხ. ქვემოთ, გვ. 877).

ამას გარდა იოანე-ზოსიმე არის მონაწილე პალესტინური სკოლის დიდი საწელიწდო იადგარის შედგენისა.

მოგვეყავს აქ დღემდე უცნობი ანდერძი მეორე ძეგლისა, — ფსალმუნნი ყამთანნი, — რომელიც მოღწეულა იოანე-ზოსიმეს ავტოგრაფულ ხელნაწერში¹.

იოანე-ზოსიმე ამ ანდერძში თავს იმართლებს იმ ცვლილებათა გამო, რომელიც მას შეუტანია ეჰანის ფსალმუნთა ტრადიციულ ტექსტში.

იოანე-ზოსიმეს ეჰანის ფსალმუნთა ახალ რედაქციას საფუძვლად დასდებია ეჰანის ფსალმუნთა ძველი ტექსტი, რომელიც მიღებული ყოფილა შატბერთში, და რომელსაც იოანე-ზოსიმე უწოდებს ეჰანიქართულნი.

ეს ძველი ტრადიციული ტექსტი იოანე-ზოსიმეს არსებითად შეუცვლია, ნაწილი ფსალმუნთა გამოუტოვებია, ნაწილი შეუქოკლებია, და, რაც მთავარია, დაუმატებია ახალნი ფსალმუნნი.

ვინაიდან ფსალმუნნი ეჰმთანი რელიგიური დანიშნულების ტექსტებს წარმოადგენდა, რომლებიც „განსაზღვრებული“ იყო „წმიდათა მამათა და მოძღუართა მიერ“, ცხადია იოანე-ზოსიმეს ამ ცვლილებებს, რაც არღვევდა საუკუნეებით დამკვიდრებულს ტრადიციას, არ შეეძლო არ გამოეწევა პროტესტი ორთოდოქსალური წრეებისა და გამოუწევეია კადეც. და იოანე-ზოსიმე დიპლომატიურად თავს იმართლებს; იგი ვითომ აღიარებს თავის შეცდომას, აპობს ესცდებოდით. მაგრამ საბოლოოდ მარტ თავის ტექსტს იცავს. იოანე-ზოსიმე, აღნიშნავს რა, თუ რა სახის ცვლილებანი შეიტანა მან ტრადიციულ ტექსტში, სთხოვს გადამწერთ, ჩემ მიერ დამატებულნი

¹ იხ. ლენინგრადის საჯარო წიგნთსაცავის ტიშენდორფისეული კოლექცია (პალიმფსესტები, Syr, 16/1).

ფსალმუნნი ცალკე დასწერეთ, რომ მკითხველთ ჰქონდეს საშუალება ძველისა და ახლის გარჩევისათ, და მკითხველმა თვით აირჩიოს, რასაც საჭიროდ დაინახავსო.

აი თვით ეს ანდერძი იოანე-ზოსიმესი:

„...ქრისტეს მწყურარეო და სანატრელნო და წმიდანო მამანო და ძმანო ჩემო! პირველად შეგივრდები ყოველთა ვედრებითა... ესე ე ა მ ნ ი — დიად მოშლილად არიან, დედად ნუენ იმსახურებთ, ნუცა მას, და ნუცა რომელიცა ჩემი დაჩაგრევილი მოგხუდეს. ამისთვის. წმიდანო ღმრთისანო, რამეთუ მიწყებით რეგუნნი ვიყავ და სადაცა რაიმე მეტი ვყო, ჩაურთი ჩემით გულით, და რეცა მიხარებ, და უფროსგან დაეკლი, და ზოგი გრძელი ლოცვაა ორად გავწყუდი. გინა სიტყუები მრავალგან ქუე დაუტევი, გინა შეუმატი უცუბობითა დიად უკუნურებითა ჩემითა და უმოძღურობითა. ნათელნო და წმიდანო მამანო, დიად თავქედი, თავმოთნე და ამპარტავანი — ვიყავ სიყრმით ჩემითგან, და ვერვის თავ უყავ მორჩილებით ერთსა მოძღუარსა, და არცა იყო ჩემ თანა ყოველად სიმდაბლჳ და მორჩილებამა, არამედ ყოველად ნებასა ჩემსა ბოროტსა შედგომილ ვიყავ. და დილინეს დღენი ჩემნი ამას უკეთურსა განგებასა ჩემსა შინა... შემინდვით და ლოცუა ყაეთ ჩემთვის ღმრთისა სიყუარულისათვის...“

ესე ნიშანი შეისწავლენ, ბერძულთა ძველთა წიგნთა შინა არიან დასხმულ:

ამას ★ მასკულავი ჰქვან ★

და ამას → ისარი ჰქვან →

და ამას ÷ ზღუა ვრცელი ჰქვან ÷

და ამას — კერძო ზღვსა ვრცელისა ჰქვან —

და რად. გინა თუ რამათვის, განძი წარიყოსებ და მუნ შინა ჰსცნა ამითი ძალი, და შემინდეთ. რომელ აქა დამისხან.

აწ ესე ნიშნები ზედა დამიც სასწავლელად და შენ გულისხმა ყავ, წმიდაო ზამაო!

რომელ მიწყებით განწესებულთა ეამთანი არიან ფსალმუნნი, და კანონი, და ზედა ლოცვანი, რომელსა შატბერდელი დაყუდებულნი ცხადად ილოცვენ, — მათ ზედა დამაც ნიშნად შავითა წამლითა ისარი →. გინა შავითავე წამლითა მასკულავი ★. აწ სადა ჰპოო შავი ისარი, გინა შავი მასკულავი, იგი არიან მიწყებით განწესებულთა ეამთანი, და ამით ნიშნითა უწყოდე საერონი და შინა მყოფთანი.

ხოლო რომელი უფროს განწესებულისა მის ეამისა მეტად შემირთან ფსალმუნნი, გინა ლოცვანი, გინა სიტყუა მეტი, — მას ზედა დამიც ნიშნად წითლითა [ზღუა] ვრცელი ÷ გინა მასკულავი წითლითა ★ და ამით ნიშნითა უწყოდი მეტობა.

და რომელი ლოცვა ორად გამოყოფია, გინა თუ სიტყუა დამიდგება, მას ზედა დამისუამს ნიშნად კერძო ზღვსა წითლითა —.

აწ. სადაცა ჰპოო ზღუა ვრცელი, გინა კერძო ზღვსა ვრცელისა]. გინა მასკულავი, გინა ისარი, წითლითა დასმულნი, იცოდეთ ვითარმედ იგინი არიან მეტად. უფროს განწესებულისა მის.

ხოლო შენ უკუეთუ სწერდე, ესე მეტნი ლოცვანი ეამთაგან კიდე ერთგან დაწერენ; და ესე კალისტოსისა ლოცვანი თორმეტნი. ეგრეთვე კიდე მიწყებით ერთგან დაწერენ; და მეტნი ფსალმუნნი ეგრე კიდე მისწავებით საცნაურად ყვენ, დაწერენ. — და მერმე ვითარად უნდეს ვის. ეგრეთ იტყოდის. სხუა ნუ ვინ სტუბის ჩემებრ უეცად. რამეთუ არა შეგავს და არცა სადა კეთილ არს შემატება, გინა დაკლება რამსაჲ. უფროს გასსაზღვრებულისა მის წმიდათა მამათა და მოძღუარათაჲსა“.

როგორც მოვიხსენეთ, იოანე-ზოსიმე ეამნის ფსალმუნთა ძველ რედაქციას, რომელიც მიღებული ყოფილა შატბერდში, უწოდებს «ეამნი ქართულნი», ხოლო ეამნის ფსალმუნთა ახალი რედაქციისათვის მას დაურქმევია «ეამნი საბაწმიდურნი» (იოანე-ზოსიმე საბაწმიდაში მოლენაწობდა ამ დროს, X საუკუნის 30-იან — 60-იან წლებში, და ეს სახელწოდება „საბაწმიდური“ ამის გამო არის დარქმეული).

იოანე-ზოსიმეს ავტოგრაფულ ხელნაწერში Sin. — 34 წარმოდგენილია, როგორც აღნიშნავს თვით ივანე-ზოსიმე თავის ანდერძში, ორივე ტექსტი: „ეამნი ათორმეტნი სრულიად და საბაწმიდურნი“

რადღა (იხ. ზემოთ, გვ. 874). იოანე-ზოსიმეს, ზემოთ-დასახელებული საგანგებო ნიშნებით (ისარი, მასკულავი, ზღვა-ვრცელი, კერძო ზღვისა-ვრცელისა) ამ ხელნაწერში აღნიშნული აქვს, თუ რას მოიცავს ძველი ტექსტი („ჟამნი ქართულნი“) და რას მოიცავს ახალი ტექსტი („ჟამნი საბაწმიდურნი“ — იოანე-ზოსიმესელი) ¹.

38. ფილიპე (X ს.).

ა) ქებაჲ ბეთლემისაჲ, ქალწულისა და ძისაჲ.

ხელნაწერები: Sin.-59, Sin.-64.

გამოცემანი ტექსტისა: ნ. მარი, TP, XII, გვ. LVI; Описание груз. рукоп. Сино. мон., გვ. 102 — 103; პ. ინგაროყეა, ძველ-ქართული ... პოეზია, გვ. 464 და წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 578 — 579.

ბ) პალესტინის სკოლის საწელიწდო იადგარის შედგენაში მონაწილეობა.

39. საწელიწდო იადგარი პალესტინური ქართული სკოლისა 954 — 978 წლებისა, შედგენილი გიორგი საბაწმიდელ-სინელისა, ფილიპესი და იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელის მონაწილეობით.

ეს დიდი ჰიმნოგრაფიული კრებული ორი რედაქციით არის წარმოდგენილი:

39-ა. საწელიწდო იადგარი პალესტინური ქართული სკოლისა, პირველი რედაქცია.

აქ შედის:

ა) საგალობელნი 146 საკალენდარო თარიღისა;

ბ) 36 საგალობელი აღესებისა;

გ-ე) საგალობელნი სამარადისონი; ძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი; შესხმანი.

ხელნაწერები: Sin.-1, Sin.-14 ².

(ამავე რედაქციის განუტოებას წარმოადგენენ წვირბის და იელის ხელნაწერები).

39-ბ. საწელიწდო იადგარი პალესტინური ქართული სკოლისა, მეორე განვრცობილი რედაქცია.

მეორე განვრცობილი რედაქცია წარმოდგენილია ხელნაწერებში Sin.-59 და Sin.-64, 65.

¹ მოგეყავს აქ დამატებით ერთი გლოსა იოანე-ზოსიმეს ამ ხელნაწერიდან Sin. — 34 (ფ. 13a): „აქამთ წამართ წინამთ ასაღებელნი ფსალმუნები მეტად შერთულნი არიან [ე. ი. დამატებულნი არიან], ჟამთა ქართულთა არა ქონან, ყოვლადე სადაგად კანონსა აიღებენ, შენ ვითა გინე [= ვითა გინდა] ყავ. ესე ორ-ორი ფსალმუნი დამიწერია, შენ, თუ დაიზარებდე, ერთაჲ რომელაჲ გინდეს თქუი. რომელსა ზედა ნიშნად დამისუჲს შაჲითა ისარი: —“.

² პირველ ნაწილში ხელნაწერისა Sin. — 26 (ფ. 1 — 357), რომელიც 954 წელს ეკუთვნის, ჩვენ გვაქვს დასაწყისი საწელიწდო იადგარის პირველ რედაქციაზე მუშაობისა. სახელდობრ ამ პირველ ნაწილში ხელნაწერისა Sin. — 26 ჩაწერილია: ა) საგალობლები ახალ ხსენებათა (29. XII-დან — 7. V-მდე, თავი აკლია), რომლებიც დაურთავთ მოკლე იადგარისათვის (ე. ი. ტექსტისათვის № 32); ბ) ამას გარდა, ძველი ხსენებანი მოკლე იადგარისა აქ შევსებულია ახალი საგალობლებით. — ყველა ეს დამატებანი, რომლებიც წარმოდგენილია პირველ ნაწილში ხელნაწერისა Sin. — 26, საფუძვლად დასდებია საწელიწდო იადგარის იმ პირველ რედაქციას, რომელიც დასრულებულია სახით ჩვენ გვაქვს ხელნაწერებში Sin. — 1 და Sin. — 14.

ხელნაწერი Sin.-59 შედგენილია როგორც დამატება პირველი რედაქციისა; აქ, შედარებით პირველ რედაქციასთან, წარმოდგენილია შემდეგი დამატებანი:

ა) დამატებულია საგალობელნი 87 ახალი საკალენდარო თარიღისა;

ბ) პირველი რედაქციის 30 თარიღის ხსენებანი შეესებულია ახალი საგალობლებით;

3) გაფართოებულია ტრიოდის (მარხვათა წრის) საგალობელნი;

4) დამატებულია აღვსების 6 საგალობელი.

ხელნაწერი Sin. — 64, 65 (რომლებიც წარმოდგენენ ერთი წიგნის ორ ტომს) — იძლევა გაერთიანებას საწელიწდო იადგარის პირველი რედაქციისას და Sin.-59-ის ტექსტებისა, 13 ახალი თარიღის საგალობელთა დამატებით¹.

პალესტინური სკოლის საწელიწდო იადგარის შემადგენელი ტექსტების შესახებ აქ საჭიროა დამატებით აღინიშნოს:

ა) საწელიწდო იადგარში შესულია ტექსტები პალესტინური სკოლის მოკლე იადგარისა, რომელიც ეკუთვნის ანონიმ საბაწმიდელ ჰიმნოგრაფს (IX ს.) და გიორგი საბაწმიდელ-სინელს (X ს.).

ბ) საწელიწდო იადგარში (ორივე რედაქციაში, როგორც პირველში, ისე მეორეში) შეტანილია ტექსტები მესხეთის (ზემო-ქართლის) სკოლის საწელიწდო იადგარიდან (ტექსტები გრიგოლ ხანძთელისა, გიორგი მერჩულისა, ბასილი ხანძთელისა და სხვათა).

აქ საჭიროა აღინიშნოს ამასთან, რომ პალესტინური სკოლის საწელიწდო იადგარის ძირითადი ხელნაწერები Sin.-1, Sin.-64 და 65 გადაწერილია იოანე-ზოსიმე საბაწმიდელის მიერ; იოანე-ზოსიმე თვით გამოჩენილი მგოსანი იყო, ავტორი ფსალმუნთა, იგი ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ ლექსს (იხ. მისი „ანდერძი იადგართა“, გვ. 579—580) და უეჭველია იოანე-ზოსიმეს უახლოესი მონაწილეობა უნდა მიეღო საწელიწდო იადგარის შედგენაში.

პალესტინის ქართული კოლონიის დანარჩენ მოღვაწეთაგან საწელიწდო იადგარის კრებულში წარმოდგენილია გიორგი საბაწმიდელ-სინელი (რომელსაც ეკუთვნის, როგორც აღვნიშნეთ, მოკლე იადგარიდან მომდინარე ტექსტები, და ალბათ სხვა ტექსტებიც) და ფილიპე.

¹ ხელნაწერი Sin. — 64, 65, ჩანს, გადაწერილია 979 წლის უწინარეს. სინელი მოღვაწე კვიციე მიმნაპროელი. 979 წელს დაწერილ ანდერძში (იხ. ხელნ. Sin. — 38), ჩამოთვლის ხელნაწერებს, რომლებიც მას შეუწირავს სინას მთის ქართული სავანისათვის და მათ შორის აღნიშნავს წიგნს: «იადგარი ახალი». როგორც ირკვევა სინას მთის ქართულ ხელნაწერთა კოლექციის შესწავლიდან, აქ იგულისხმება ხელნაწერი Sin. — 64, 65 (მინაწერებში აქ ხელნაწერისა Sin. — 64, 65, კვიციე მოიხსენება როგორც „მომგებელი ხელნაწერისა“; რაც შეეხება იადგარის სხვა ხელნაწერებს, მათში კვიციე მოხსენებული არაა).

შეთარღება იადგარის სხვადასხვა ხელნაწერთა თარიღებისა გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ პალესტინური ქართული სკოლის საწელიწდო იადგარის შედგენის დრო: როგორც ირკვევა, ეს პიმნოგრაფიული კრებული დამუშავებულია 954—978 წლებს შორის. ჩვენ უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ 954 წლის ხელნაწერში Sin. — 26 წარმოდგენილია დასაწყისი საწელიწდო იადგარის პირველ რედაქციაზე მუშაობისა (იხ. ზემოთ, გვ. 878, შენიშვნა); ხოლო საწელიწდო იადგარის უკანასკნელი რედაქცია (მეორე განვრცობილი რედაქცია) წარმოდგენილია ხელნაწერში Sin. — 64, 65, რომელიც 979 წელზე ადრინდელ დროს ეკუთვნის.

X საუკუნის ბოლო — XI საუკუნე

III-ა. ქართულ — სიროპალესტინური სკოლა X — XI ს.ს.

III-ბ. მთაწმიდელთა სკოლა X — XI ს.ს.

III-ა.

ქართულ-სიროპალესტინური სკოლა X — XI ს.ს.

40. დავით ტბელის-ძე (ტბელი). X — XI ს.ს.

ა) საგალობელნი ბ ა რ ა ლ ა მ სიროკავკასელისა.

ხელნაწერები: Ath. — 55/84; გოლგოთური კრებული 1049 წლისა H-2337; S-552.

გამოცემა ტექსტისა: ნ. მარი, *Архивр. мат. по груз. рукоп. Иверя*, II, გვ. 138 — 144.

ბ) „ახლად“ წოდებული X — XI საუკუნეთა საწელიწდო იადგარის შედგენაში მონაწილეობა (იხ. ქვემოთ № 43).

41. რატი (ორბელი). X — XI ს. ს.

ა) საგალობელნი ტ ი ტ ე მოციქულისა.

ხელნაწერი: გოლგოთური კრებული 1049 წლისა. (ტექსტი პირველი საგალობელისა უ დაბეჭდილია აქვე, გვ. 098, სალექსო ფორმის დაცვით).

ბ) „ახლად“ წოდებული X — XI საუკუნეთა საწელიწდო იადგარის შედგენაში მონაწილეობა (იხ. ქვემოთ № 43).

42. სამოელი.

საგალობელნი (სახელობითი აკროსტიხით), დაცული ტრიოდის (სამფსალმუნთაჲს) ხელნაწერში Sin.—5 (1052 წლისა). იხ. ქვემოთ № 43-ბ.

43. საწელიწდო იადგარი X საუკუნის დასასრულისა — XI საუკუნის დასაწყისისა, „ახლად“ წოდებული, შედგენილი დ ა ვ ი თ ტ ბ ე ლ ი ს - ძ ი ს ა და რ ა ტ ი ს (ო რ ბ ე ლ ი ს) მონაწილეობით.

ძირითადი ნაწილი:

ა) საკუთრივ „ი ა დ გ ა რ ი“ ანუ „თთუენი წელიწდისანი“.

დამატებითი წიგნები:

ბ) ტრიოდი ანუ სამფსალმუნთაჲ, წიგნი საგალობელი მარხვათაჲ; გ) წიგნი საგალობელი ზატიკათაჲ; დ) პარაკლიტონი — ოქტაიხონი (რვა-კმანი).

ვიძლევიტ აქ ცნობებს ამ «ახლად» წოდებული საწელიწდო იადგარის ცალკეულ ნაწილთა შესახებ.

43-ა. „ი ა დ გ ა რ ი“ — „თთუენი წელიწდისანი“.

მოდწეულა ორი „თთუე“, — ივლისი — აგვისტო.

ხელნაწერები: გოლგოთური 1049 წლისა H-2337; S-552.

შედგენილობა:

ა) ნაწილი პირველი: ძველნი საგალობელნი. შეიცავს საგალობელთა 60 ჯგუფს (ძირითადი ფენი — გრიგოლ ხანძთელისა — 26, ივანე მინჩხისა — 2, ბასილი ხანძთელისა — 3, ბასილურის მიმდგომი — 1, ივანე მგალობელისა — 1, ანონიმებისა — 27) ¹.

ბ) ნაწილი მეორე: ახალნი საგალობელნი. შეიცავს საგალობელთა 45 ჯგუფს (მათ შორის 1 — დავით ტბელის-ძისა, 1 — რატისა; დანარჩენი 43 ჯგუფი ანონიმურია).

დაწერილებითი აღწერილობა საწელიწდო იადგარის ამ ნაწილისა (№ 43-ა) იხ. ქვემოთ, გვ. 042 — 052.

43-ბ. ტრიოდნი ანუ სამ-ფსალმუნთაჲ, წიგნი საგალობელი მარხვათაჲ.

ხელნაწერი: გოლგოთური 1052 წლისა (Sin. — 5).

შედგენილობა:

ა) თარგმანები: ელია პატრიარქი იერუსალიმელი, სტეფანე საბაწმიდელი, თეოდორე ასტუდელი, ანდრია კრიტელი, ლეონ პრობატიკელი.

ბ) ქართველი ავტორები: 1) «უფალო-ღალადყავ, აქებდითი,—თქუმულნია ნეტარისა მინჩხისა ქართველისანი» (იხ. ცნობა, დატული ხელნაწერში, გვ. 28b.) საგალობელნი სამოელისა (აკროსტიხით); 3) ქართულნი — აკროსტიხებით.

43-გ. წიგნი საგალობელი ზატიკთაჲ. არ მოღწეულა.

43-დ. პარაკლიტონი — ოქტაიხონი (რვა-კმანი).

მითითება გოლგოთურ ხელნაწერებში 1049 წლისა (H—2337, გვ. 28 a), და 1052 წლისა (Sin.-5, გვ. 28b) ².

შენიშვნა

«ახლად» წოდებული X — XI საუკუნეთა საწელიწდო იადგარის შესახებ.

საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქის მელქისედეკის ცნობილ სიგელში, რომელიც XI საუკუნის 20-იან წლებს ეკუთვნის, მოიხსენება ჰიმნოგრაფიული კრებული: «საწელიწდო იადგარი ახალი».

ამ «ახალი» საწელიწდო იადგარის ჩვენ დრომდე მოღწეული ტექსტები წარმოდგენილია ხელნაწერებში, რომლებიც ზემოთ იყო დასახელებული: ა) გოლგოთურ ხელნაწერში 1049 წლისა (რომელსაც უდგება ხელნაწერი S—552), სადაც დატულია იადგარის ძირითადი ნაწილი (თთუენი წელიწდისანი); ბ) მეორე გოლგოთურ ხელნაწერში 1052 წლისა, რომელშიაც წარმოდგენილია დამატებითი წიგნი სამ-ფსალმუნთაჲ.

ეს ჰიმნოგრაფიული კრებული. — კერძოდ ძირითადი ნაწილი კრებულისა იადგარი — თთუენი, — თავისი კალენდარით (მასში აღნიშნული ხსენებებით) და აგრეთვე საგალობელთა

¹ ცალკეა აღსანიშნავი მითითება 1052 წლის მეორე გოლგოთურ ხელნაწერში (Sin. — 5) — ნინოს საგალობელთა შესახებ: „წმინდა ნინოსის — იადგარსა ჰპოო“ (იხ. ხელნ. ფ. 28b).

² ამ რედაქციის პარაკლიტონი-ოქტაიხონი წარმოდგენილი უნდა იყოს სინას მთაზე დატული ხელნაწერში Sin. — 3, რომელიც სათანადო სისრულით აღწერილი არაა.

პოელობით, განიხილეთ ორივე საწელიწდო იადგათა აღიხილელ. IX — X საუკუნეების რედაქციებისაგან (მესხური IX — X საუკუნეთა, პალესტინური X საუკუნისა), ისე გვიანდელი ჰეგლისაგან, გიორგი მთაწმიდელის თთუნისაგან, რომელზედაც გიორგი მთაწმიდელმა მუშაობა დაიწყო XI საუკუნის 40-იან წლებში¹, ხოლო ძირითადი მუშაობა ჩაატარა და დაამთავრა 1056—1060 წლებში².

ამ ჰიმნოგრაფიული კრებულის -- ახლად წოდებული საწელიწდო იადგარის -- შესახებ აღდგენილად ჩაითვლება შემდეგი:

1. კრებულის შედგენის დრო.

ის გარემოება, რომ XI საუკუნის 20-იან წლებში ამ ჰიმნოგრაფიულ კრებულს ეწოდება ახალი, გვიჩვენებს, რომ იგი შედგენილია X — XI საუკუნეთა მიჯნაზე, არა უგვიანეს XI საუკუნის ათიან-ოციანი წლებისა. (თვით ხელნაწერებიც, როგორც ვნახეთ, ბევრით არაა დამორებული ამ დროს, ისინი გადაწერილია იერუსალიმში, გოლგოთის სავანეში, 1049 და 1052 წლებში. აღვნიშნავთ ამასთან, რომ 1049 წლის ხელნაწერის მინაწერები იძლევა პირდაპირ ჩვენებას, რომ ეს ხელნაწერი არის არა პირველდანი, არამედ დამოკიდებულია სხვა უფრო ძველი დედნისაგან; იხ. ხელნაწერის გვ. 218ხ, შენიშვნა გადამწერისა 16 ავვისტოს საგალობელთა გამო: „მე ვითა დედასა ვპოე, ვგრე დაწერე, შენ სადაცა ვნებავს, ვგრე გარდაქმე“).

2. კრებულის შემადგენელი ნაწილები.

კრებულში, როგორც აღვნიშნეთ, ორნაირი მასალა წარმოდგენილი: ძველი და ახალი. კრებულის შემდგენლებს ფართოდ წარმოუდგენიათ ამ კრებულში აღნიშნული ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა (ტექსტები IX — X საუკუნეთა საწელიწდო იადგართა, — საგალობელნი გრიგოლ ხანძთელისა, ბასილი ხანძთელისა, ივანე მინჩხისა, ივანე მგალობელისა, ანონიმებისა). ამავე დროს აქ ასევე ფართოდ არის წარმოდგენილი ახალი საგალობელნი.

კერძოდ, საწელიწდო იადგარის ძირითადი წიგნის (თთუნის) მოღწეულ ნაწილში, როგორც აღნიშნული გვექონდა, ძველი და ახალი საგალობლები ასე ნაწილდება: ძველი ტექსტები (IX — X საუკუნეთა) — საგალობელთა 60 ჯგუფი; ახალი ტექსტები — საგალობელთა 45 ჯგუფი.

აქ საჭიროა შევჩერდეთ კრებულში წარმოდგენილი ახალი საგალობლების ავტორებზე.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ საწელიწდო იადგარის ძირითადი წიგნის (იადგართთუნის) ახალი საგალობლების ავტორებიდან ირკვევა ორი ავტორის ვინაობა: დავით ტბელის-ძისა და რატისა.

დავით ტბელის-ძეს ეკუთვნის საგალობელნი ბარალამ სიროკავკასელისა;

რატისა ეკუთვნის საგალობელნი ტიტე მოციქულისა. რატის სახელი აღნიშნულია საგალობელთა ჯგუფის აკროსტიხში, სახელდობრ პირველ საგალობელში „უფალო-ლაღადავისა“ (ავტორთა ვინაობა საზოგადოდ აღინიშნებოდა ამ პირველი წყების — „უფალო-ლაღადავის“ აკროსტიხებში).

რატი, როგორც ცნობილია, საგვარეულო სახელი იყო ორბელთა (ორბელთანთა) და ეს რატიც, როგორც ირკვევა, ორბელთა გვარეულობას ეკუთვნოდა.

დავით ტბელის-ძისა და რატის სალიტერატურო მუშაობაში შეინიშნება ერთგვარი კავშირი. ორბელთა გვარეულობას დასავლეთ საქართველოში, როგორც ცნობილია, აშენებული ჰქონდა მონასტერი ბარალამ სიროკავკასელის სახელობისა; ბარალამის ეს მონასტერი ორბელთა საგვარეულო სავანედ, „თვსად“ (საკუთარ) მონასტრად ითვლებოდა³.

ხოლო დავით ტბელის-ძეს, როგორც ეს ირკვევა ხელნაწერიდან Ath. — 55/84, უთარგმნია ქართულად სწორედ ამ წმიდანის, ბარალამ სიროკავკასელის ცხოვრება, და მასვე ეკუთვნის საგალობელნი ბარალამ სიროკავკასელის პატივად⁴.

ამრიგად ის გარემოება, რომ ჩვენს ჰიმნოგრაფიულ კრებულში ერთად არის წარმოდგენილი ერთის მხრით რატის საგალობლები, ხოლო ამის გვერდით ორბელთა საგვარეულო მონასტრის წმიდანის ბარალამის საგალობლები, იმისი მაჩვენებელია, რომ სალიტერატურო

¹ XI საუკუნის 40-იან წლებში გიორგი მთაწმიდელმა დაამუშავა დასაწყისი ამ ჰიმნოგრაფიული კრებულისა, — თთუე სექტემბერი (იხ. ცხორება გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 298).

² იხ. ცხორება გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 309, 311.

³ იხ. ცხორება გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 316.

⁴ იხ. ნ. მარო, *op. cit.*, I, გვ. 46.

პოლევწეობა რატისა და დავით ტბელის-ძისა (ბარალამის საგალობელთა აღმწერელისა) ერთბაშეთთან იყო დაკავშირებული.

არაა გამორიცხული ისიც, რომ თვით დაარსება ორბელთა მიერ მათ სამფლობელოში ბარალამის სახელობის საგანისა, დავით ტბელის-ძის თანამოღვაწეობით მომხდარიყოს.

საქმე ის არის, რომ ბარალამ სიროკავკასელი ადგილობრივი სირიელი წმიდანი იყო. სირიაში, ანტიოქიის სანახებში, შავ მთაზე, არსებობდა საეანე ბარალამ სიროკავკასელისა, რომელსაც ბარალამ-წმიდა ერქვა¹, და საერთოდ ბარალამის კულტი უმთავრესად აქ, შავმთაზე იყო გავრცელებული. ხოლო ცნობილია ამავე დროს, რომ ეს კუთხე, შავ-მთა, აღრიდანვე წარმოადგენდა ქართველთა სამონასტრო კოლონიზაციის მხარეს. აქ, შავმთაზე, X—XI საუკუნეებში არსებობდა დიდი ტრადიციების მქონე ქართული სალიტერატურო სკოლა.

დავით ტბელის-ძე თავისი მოღვაწეობის ერთი პერიოდით ჩანს დაკავშირებული იყო შავმთასთან (სირიასთან). კერძოდ აქ, შავმთაზე ყოფილა დაცული უძველესი დედანი დავით ტბელის-ძის მიერ თარგმნილი ბარალამ სიროკავკასელის ცხოვრებისა, რომლისგანაც მომდინარეობს შავმთური ხელნაწერი Ath. — 55/84². შავმთაზევე არის გადაწერილი მეორე კრებული XI საუკუნის დასაწყისისა A—142, რომელშიაც შესულა დავით ტბელის-ძის ტექსტები. შავმთაზე ხსოვნა დავით ტბელის-ძისა ცოცხალი იყო შემდეგაც — XI საუკუნის მანძილზე³.

და ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოში, ორბელთა სამფლობელო მხარეში, დაუარსებიათ საეანე ნაკლებ ცნობილი ადგილობრივი შავმთელი წმინდანის ბარალამ სიროკავკასელის სახელობისა, გვაფიქრებინებს, რომ ამ საეანის დაარსებაში მონაწილეობა უნდა მიეღო შავმთელ მოღვაწეს, რომელთა რიცხვს ჰკუთვნებია დავით ტბელის-ძე.

დასასრულ რამდენიმე შენიშვნა რატის — ორბელის — შესახებ.

როგორც გვიჩვენებს თარიღების შეხვედრა, იგი არის ცნობილი ისტორიული მოღვაწე X — XI საუკუნეთა — რატი I ორბელი. X საუკუნის 80-იან წლებში რატი იყო კლდეკართა ერისთავი და მემატიანის სიტყვით — „ჰქონდა ციხე ატენისა, და ქართლისაგან მტკუარისა სამხრით კერძო ყოველივე, თრიალეთი, მანგლისის-ქევი და საკურთი“; რატის, საქართველოს ამ უძლიერეს ფეოდალს, თავი დამოუკიდებლად ეპირა, და, როგორც მოგვითხრობს მემატიანე, „არა მორჩილობდა კეთილად მეფესა ბაგრატს“⁴. 989 წელს საქართველოს მეფემ ბაგრატ III-ემ დაიმორჩილა რატი და ჩამოართვა მას ქართლ-თრიალეთის სამფლობელოება⁵. ამის შემდეგ, როგორც ვაძმოგვეცემს იგივე მემატიანე⁶, რატი დამკვიდრდა „მამულსა თვისსა არგუეთს“, დასავლეთ საქართველოში (სადაც მდებარეობდა ორბელთა საგვარეულო საეანე ბარალამ-წმიდა).

აღსანიშნავია, რომ ორბელთა სახლი, როგორც ირკვევა, ფართო ლიტერატურული ტრადიციების მატარებელი იყო.

გარდა იმისა, რომ ლიტერატურულ მოღვაწეობას ეწეოდა რატი, მისი უახლოესი მეგობარი, რატის შვილიშვილი, განთქმული ლიპარიტ ორბელი, ეს უგვირგვინო მეფე, ცნობილი მეტოქე ბაგრატ IV-ისა, ასევე ფართო ლიტერატურულ ინტერესებს იჩენდა.

ჩვენამდე მოღწეულა ლიპარიტ ორბელის ერთი თეოლოგიური ტექსტი⁷, რომელიც ლიპარიტის ფართო განათლების მაჩვენებელია.

გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი მოგვითხრობს, რომ როდესაც ლიპარიტი, უკვე ბერად შემდგარი, შეხვდა შუამთაზე გიორგი მთაწმიდელს, ლიპარიტმა გადააწერინა გიორგი მთაწმიდელის თხზულებათა კრებულები „თვისისა მონასტრისა ბარალამ-წმიდისათვის“ — დასავლეთ საქართველოში, და თან უმატებს, რომ ლიპარიტმა გიორგის თხზულებათა

¹ იხ. ხელნ. Sin. — 56 (ნ. მარის აღწერილობა, გვ. 91) — „ბარალამ-წმიდა, ქართველთა მონასტერი“; Sin. — 96 (ნ. მარის აღწერილობა, გვ. 274, — „ბარალამ-წმიდელი“).

² იხ. ნ. მარო, Агиогр. мат. по груз. рукоп. Иверя, II, გვ. 45 — 46.

³ იხ. ეფრემ მცირის უწყება, ხელნ. A—292 (თ. უორდანი, ქრონიკები, I, გვ. 227).

⁴ იხ. მატიანე ქართლისა, გვ. * 465/240.

⁵ იხ. მატიანე ქართლისა, გვ. * 465—467/240—242.

⁶ იხ. მატიანე ქართლისა, გვ. * 467/242.

⁷ იხ. ხელნაწერი ქუთაისის მუზეუმისა № 21, ფ. 483r — 484v (ტექსტი გამოცემულია ბ. კახაძის მიერ, ენიშკის შობაზე, XIV, 1944 წ., გვ. 88 — 90).

გაერტელებისათვის „უფროს ყოველთასა“ იღვაწაო. ამასთან გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ ლიპარიტმა გიორგი მთაწმიდელს „თვისსა მონასტრისაგან გაკუეთილი შეუქმნა, და სიმტკიცე თვისთა ქელითა დაწერა, და შუენიერი ქებაა და მადლობაა დაწერა მას შინა ღუაწლთა მისთათვის“¹

ლიპარიტისეული ეს ტექსტი — „ქებაა და მადლობაა ღუაწლთათვის გიორგი მთაწმიდელისა“ ჩვენამდე არ მოღწეულა. იგი, ჩანს, მართლაც საყურადღებო ლიტერატურული ძეგლი ყოფილა, თუკი გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფი, თვით ბრწყინვალე მწერალი, მას „შუენიერის“ სახელით მოიხსენებს.

III-ბ.

მთაწმიდელთა სკოლა

აქ ვიძლევიტ მოკლე მშრალ ნუსხას მთაწმიდელთა სკოლის სალიტერატურო მემკვიდრეობისას სასულიერო პოეზიის დარგებში.

44. ეფთიმე მთაწმიდელი (953 — 1028 წ.წ.)

ა) საგალობელნი თთუეთანი

(„თთუე სექტემბერი — თვთო გალობითა“, — ცნობა გიორგი მცირე მთაწმიდელისა, გვ. 298²; „მრავალთა წმიდათა გალობები“ — ცნობა გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 29³; „შესხმანი წმიდათანი“ — ცნობა ბასილი ბაგრატიის-ძისა⁴).

ბ) ტრიოდი — სამ-ფსალმუნთაჲ, საგალობელნი მარხვათანი

(„დასდებელნი მარხვათანი სრულიად“ — ცნობა გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 29).

გ) პარაკლიტონის საგალობელნი (შვიდეულის სავედრებელნი)⁵.

დ) ფსალმუნი ჟამნთანი

(„შუალამისანი ბერძულნი“, „ლოცვანი ბერძულნი მამისანი“ — ცნობა გიორგი მთაწმიდელისა, გვ. 30).

ე) ლოცვა — „უფალო... სახიერო და მრავალმოწყალო“ (წარწერით: „თქუმული წდისა მამისა ჩუენისა ეფთვმი ქართველისაჲ“).

ხელნაწერი საქართველოს ცენტრ-არქივისა, 321⁶.

¹ იხ. ცხორება გიორგი მთაწმიდელისა, 1901 წ., გვ. 316.

² ცხორება გიორგი მთაწმიდელისა, 1901 წლის გამოცემა.

³ ცხორება იოანესი და ეფთვმესი, 1946 წლის გამოცემა.

⁴ ბასილი ბაგრატიის-ძე, საგალობლებში „გალობანი მამისა ეფთვმესნი“, ეფთვმეს შესახებ წერს (ხელნ. H—1710, გვ. 69):

„შესხმანი წმიდათანი განაშუენენ
და ცხორებანი მათნი აღგვწერენ...“

⁵ იხ. კ. კეკელიძე, Груз. версия жития И. Дамаскина, ХВ, III, 2, გვ. 136.

⁶ იხ. კ. კეკელიძე, ზოგიერთი საკითხი ეფთიმე ქართველის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ, თბ. უნ. შრ., ტ. 51, გვ. 195 — 198.

45. ბასილი ბაგრატიის-ძე ხახუღელ-მთაწმიდელი (X — XI სს.)¹.

გალობანი ე ფ თ ვ მ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ნ ი .

ხელნაწერი H-1710.

გამოცემა ტექსტისა: ე. მეტრეველი, ქართული ორიგინალური ჰიმნოგრაფიის ისტორიისათვის XI საუკუნეში (თბ. პედ. ინსტ. შრ. IX, 1952 წ., გვ. 206 — 214).

ექსცერპტები, სალექსო ფორმის დაკვირვებით, იხ. წინამდებარე გამოკვლევაში, გვ. 655. 658. 661, 665, 884).

46. ბასილი II მთაწმიდელი (XI ს.).

საგალობელნი ე ფ თ ი მ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ნ ი .

გამოცემანი ტექსტისა: ა) ათონის ... 1074 წ. ს., 1901 წ., გვ. 209 — 215; ბ) ძველ-ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, გვ. 357 — 360.

47. გიორგი მთაწმიდელი (1009 — 1065 წ.წ.).

გიორგი მთაწმიდელი, გრიგოლ ხანძთელის გვერდით, უდიდესი წარმომადგენელია ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიისა.

გიორგი მთაწმიდელის მემკვიდრეობა ჰიმნოგრაფიული პოეზიის დარგში გრანდიოზულია ჯერ მარტო თავისი მოცულობით.

გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა² გაერთიანებულია 19 კრებულის სახით.

ძ ი რ ი თ ა დ ი კ რ ე ბ უ ლ ე ბ ი .

ძირითადი ჰიმნოგრაფიული კრებულები გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფს ასე აქვს აღნუსხული²:

1 — 12) «თთუენი ათორმეტნივე სრულიად». შეიცავს 12 წიგნს;

13 — 14) «დიდი პარაკლიტონი [პარაკლიტონი და ოქტოიხონი], სხვათა მრავლითა კეთილითა აღსავესე». განიყოფება ორ წიგნად (ქმანი და გუერდნი);

15) «დიდი მარხვანი»;

16) «და ზატიკნი, ეგრეთვე მრავლითა ფერითა კეთილითა აღსავესე».

ეს თექვსმეტი წიგნი შეიცავს 1000-ზე მეტს საგალობელს დიდი ფორმის. (გალობანი).

დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ი წ ი გ ნ ე ბ ი .

დამატებითი წიგნები გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფს ასე აქვს ჩამოთვლილი²:

¹ ბასილი ბაგრატიის-ძე მოღვაწეობდა ხახულსა და მთაწმიდაზე. მთაწმიდაზე ბასილი იყო ეფთიმე მთაწმიდელის დროს და მოსწრებია ეფთიმეს გარდაცვალებას. საგალობლებში ეფთიმეს შესახებ ბასილი წერს:

„აღვიესებით, მამაო,

მრავლითა მწუხარებითა

და ცრემლთა ნაკადულითა.

რამეს მოვიკსენოთ სიობლე ჩუენი

შენისა ტკბილისა წინაძღურობისაგან...“

² იხ. ცხორება გიორგი მთაწმიდელისა (ხელნაწერი S—363, გვ. 59 — 60).

³ იხ. იქვე, გვ. 59.

17) «სტიქარონნი საწელიწდონი ღღესასწაულისანი, რომელნი თთუეთაცა თანა სწერიან»;

18) «სტიქარონნი სამარადისონი თვთ-ავეჯნი უძლისპირონი»;

19) «სტიქარონნი ძლისპირთა ქუეშე, რომელთა შინა სხუანიცა მრავალნი კეთილნი სწერია, და მათვე შინა მარხეთა სტიქარონნი».

ჰიმნოგრაფიული ტექსტები, რომლებიც შესულია ამ 19 კრებულში, მთლიანად ლექსით არის შესრულებული, ძირითადად ძველ-ქართული სილაბური უკვეთელი ლექსით (საგალობელთა «მარცვლელი»), ხოლო ნაწილი იამბიკონებით.

ხელნაწერები გიორგი მთაწმიდელის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობისა მრავლად მოიპოვება (უძველესნი, მათ შორის ავტოგრაფები, მთაწმიდაზეა დაცული).

გიორგი მთაწმიდელის ამ უდიდესი ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობიდან, რომელიც 17 წიგნს შეიცავს, გამოცემულია მხოლოდ რამდენიმე ტექსტი:

ა) საგალობელნი შობისანი და საგალობელნი ნათლის-ღებისანი (სხვადასხვა სახის იამბიკონური ლექსებით) — იხ. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, გვ. 352 — 355 (ყერძოდ. გამოცემა მეორე ტექსტისა — ნათლისღების საგალობელთა — მრავალ შეცდომას შეიცავს)¹.

ბ) საგალობელნი ეფთვმე მთაწმიდელისა, — იხ. ე. მეტრეველი, *op. cit.*, გვ. 206 — 208.

გ) საგალობელნი იოანესაჲ ჰინდოთა მეფისა — იხ. იქვე, გვ. 214 — 217.

წინამდებარე გამოკვლევის მანძილზე ჩვენ შემთხვევა გვექონდა მოგვეყვანა რამდენიმე ექს-ეკრპტი გიორგი მთაწმიდელის ჰიმნებიდან, მათი სალექსო ფორმის დაცვით (იხ. გვ. 657, 660, 663, 684).

ცალკეა აღსანიშნავი გიორგი მთაწმიდელის წვრილი ლექსები.

ა) ა ნ დ ე რ ძ ი ს ა ხ ა რ ე ბ ი ს თ ა რ გ მ ა ნ ი ს ა, იამბიკონით. დაცულია ოთხთავის ცნობილ გელათურ ხელნაწერში (Q — 908 გვ. 02v). მოგვეყავს აქ იგი, როგორც ნიმუში გიორგის პოეტური სტილისა:

განსაკრთომელთა / ღმრთისა საქმეთა წიგნი,
მშაზით მადლთათ / აღმომშობელი ჩუენი,
მსჯტიკვარად გაქუს / ოფლით ნამუშაქევი;
რომელთა გწყურის, / სუემდით წყალსა ცხოველსა.
გარნა ჩემდადცა / იოხდით, რომლისასა
იტყვან თაენი სტიხოსთანი სახელსა.

ლექსის კიდურწერილობა-აკროსტიხი („თაენი სტიხოსთანი“) შეიცავს ავტორის სახელს: «გეორგი».

ბ — ე) ქ ე ბ ა ნ ი ო თ ხ თ ა მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ თ ა ნ ი (მათესი, მარკოზისა, ლუკასი და იოანესი). დაცულია იმავე გელათურ ხელნაწერში (Q—908, გვ. 13v, 91 v, 144 v, 223 v). მოგვეყავს აქ მეოთხე ტექსტი, ქ ე ბ ა ე ი ო ა ნ ე მ ა ხ ა რ ე ბ ე ლ ი ს ა.

¹ შეცდომას წარმოადგენს აგრეთვე გამოქვეყნების ცნობა, ვითომც ეს საგალობელნი შობისა და ნათლისღებისა თარგმანს წარმოადგენდეს (გვ. 351). ეს საგალობელნი გიორგი მთაწმიდელის ორიგინალური ნაწარმოებია.

ქუხილთა ძეგან, / ქალწულ-მახარებელმან,
ძედ ქალწულისა' უსძლოასა წოდებულმან,
ბრწყინვალეზამან / დიდთა მოციქულთამან,
და უფროჲს მათსა ქრისტემს შეყუარებულმან,
და მკერდსა მისსა საღმრთოსა მიყრდნობილმან, —
უმადლეს სხუათა / იქუსა სახარებაჲ,
დაუსაბამოდ ღმრთად იგი ღმრთისმეტყუელა,
იგივე კაცად ქორცშესმულად ასწავა,
ნიშთ-მოქმედებაჲ / და ვნებათა თავსდებაჲ
საცხორებელი — პატმოსს შინა აღწერა,
და მიერ მზეებრ ზოგად ყოველსა ზედა
სწავლით მიჰფინა ღმერთ-ყოფისა მიმთხუევამ.

3) ქ ე ბ ა ე პ ა ვ ლ ე ს ი (ანდერძი პავლეს ეპისტოლეთა თარგმანისა).
ტექსტი დაბეჭდილი გეაქეს აქვე, იხ. გვ. 580 — 581.

48. გიორგი მცირე მთაწმიდელი (XI ს.)

სიტყვა გლოვისა — გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალებისა გამო.
ხელნაწერი S-353.

გამოცემა ტექსტისა: ათონის ... 1074 წ. ხ., 1901, გვ. 339 — 343.

49. ზოსიმე მთაწმიდელი (XI ს.)

ა) საგალობელნი ე ფ თ ი მ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ნ ი.

ბ) საგალობელნი ი ლ ა რ ი ო ნ ქ ა რ თ ე ე ლ ი ს ა ნ ი.

ხელნაწერი A-558, 1074 წ. (ა — ძირითად ნაწილში, ბ — დანართ ნაწილში).

გამოცემანი ტექსტებისა:

.. საგალობელნი ეფთჳმე მთაწმიდელისა: ათონის... 1074 წ. ხ., გვ. 202 — 208. კერძოდ გალობანი (კანონი) რომელიც იამბიკონური 12-მარცვლელი ლექსით არის ნაწერი, დასახელებულ გამოცემაში შეცდომით პროზად არის დაბეჭდილი.

ბ. საგალობელნი ილარიონ ქართველისა: ა) ათონის... 1074 წ. ხ., გვ. 177 — 186. ხ) ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტომათია, გვ. 360 — 363 (გამოკრებით). ც) ექსტერპტები. სალექსო ფორმის დაკვირვებით, იხ. წინამდებარე გამოკვლევაში გვ. 660, 663.

50. იოანე მთაწმიდელის ანონიმი ჰიმნოგრაფი (XI ს.).

საგალობელნი ი ო ა ნ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ნ ი.

ხელნაწერი A-558, 1074 წ. (დანართი ნაწილი).

გამოცემა ტექსტისა: ათონის ... 1074 წ. ხ., 1901, გვ. 197 — 201.

51. ეზრა მთაწმიდელი (XI ს.)

საგალობელნი ი ო ა ნ ე მ თ ა წ მ ი დ ე ლ ი ს ა ნ ი.

ხელნაწერი A-558, 1074 წ. (დანართი ნაწილი).

გამოცემანი ტექსტისა: ა) ათონის ... 1074 წ. ხ., 1901, გვ. 190 — 197; ბ) ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ს. ყუბანეიშვილის გამოცემა, გვ. 355 — 357 (გამოკრებით). გალობანი (კანონი), რომელიც იამბიკონური 12-მარცვლელი ლექსით არის ნაწერი, ორსავე გამოცემაში შეცდომით პროზად არის დაბეჭდილი.

52. საგალობელნი გიორგი მთაწმიდელისანი. XI საუკ.

ხელნაწერი S-353, XI საუკუნისა. შეიცავს ხუთ გალობას (მათ შორის ერთი — «აღბეკდული», კიდურწერილიანი) და სტიქარონებს.

გამოცემანი: ა) ათონის... 1074 წ. ხ., გვ. 352; დაბეკდილია ერთი გალობა («აღბეკდული»): ლექსურად, და ნაწილი სტიქარონებისა. ბ) წინამდებარე გამოკვლევაში დაბეკდილი გვაქვს ექსერპტები «აღბეკდულ» გალობათა, სალექსო ფორმის დაცვით, იხ. გვ. 653, 659, 664.

ჩვენ ამით ვამთავრებთ ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის ამ მოკლე ბიბლიოგრაფიული ხასიათის მიმოხილვას V საუკუნიდან — XI საუკუნემდე (მთაწმიდელთა სალიტერატურო სკოლის ჩათვლით).

უფრო სრულად გამოკვლევის ამ მერვე თავში აღძრული საკითხები განხილული გვაქვს ძველი ქართული მწერლობის ისტორიაში, რომელიც მზადდება გამოსაქვეყნებლად.

I

ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული კოეფიის
ხელნაწერი კრებულში

(ხელნაწერთა აღწერილობა. — კრებულთა რედაქციული შედგენილობა. — ავტორები).

A

მიქაელ მოღრეკილის კრებულში:

ს ა წ ე ლ ი წ დ რ ი ი ა დ გ ა რ ი გ რ ი ზ რ ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს ა
დამატებული და შევსებული IX — X საუკუნეებში

კრებულის შედგენილობა.

I. გრიგოლ ხანძთელი. საწელიწდო იადგარი [= კრებულის ძირითადი პირველადი ენის].

II — XII. დამატებანი IX — X საუკუნეა. (ავტორები: II. გიორგი შერჩულე. — III. იოვანე მტბეარა. — IV. ივანე მინჩხი. — V. სტეფანე სანანოძის-ძე ქყონდიდელი. — VI. ივანე ქონჭოზის-ძე. — VII. ეზრა. — VIII. კურდანიი-კვრიყე. — IX. ბასილი ხანძთელი. — IX-ა. ბასილურის მიმდგომი მცირე ფორმის საგალობლები. — X. მაკარი ლეთეელი, ხანძთელ-საბაწმიდელი. — XI. მიქაელ მოღრეკილი. — XI-ა. მიქაელური მცირე ფორმის საგალობლები. — XII. ანონიმური საგალობლები).

XIII. საწელიწდო იადგარის შესავალი — ძლისპირნი.

ა. ხელნაწერის პალეოგრაფიული სახე და დაცულობა.

მიქაელ მოღრეკილის კრებული გადაწერილია ჩინებულად დამუშავებულ ეტრატზე X საუკუნის კლასიკური ნუსხური დამწერლობით. სათაურები და ანდერძები მთაერულით არის ნაწერი.

ხელნაწერი დიდი ფორმატისაა, in quarto. ზომა გვერდისა 39 X 30 სანტიმეტრი. ზომა ნაწერი ტექსტისა გვერდზე 29 X 20 სანტიმეტრი.

ხელნაწერი შესდგება 16-გვერდიანი რვეულებისაგან¹. თავდაპირველი პაგინაცია აღნიშნულია რვეულთა სათვალავით.

ხელნაწერი ნაკლულად არის მოღწეული; აკლია თავში, შუაში და ბოლოშია. უკანასკნელი მოღწეული რვეულია მე-80.

რვეულთა სათვალავის მიხედვით სულ ხელნაწერში თავდაპირველად ყოფილა 1264 გვერდი (გარდა დაკარგული ბოლო ნაწილისა). აქედან შენახულა 544 გვერდი, აკლია 720 გვერდი (გარდა დაკარგული ბოლო ნაწილისა).

ხელნაწერი შეიცავს საგალობელთა კრებულს — საწელიწდო ი ა დ გ ა რ ს.
საწელიწდო იადგარის ცალკეულ ნაწილთა დაცულობა ასეთია:

¹ მხოლოდ, როგორც გამოჩაქისი, მე-80 რვეული შესდგება 12 გვერდისაგან, 67-ე რვეული — 6 გვერდისაგან.

საწელიწდო იადგარის შესავალი: „ქლისპირნი და ღმრთისმშობელი სანაი“.

კობულის ეს ნაწილი შეიცავდა 1—10 რვეულებს და 1 გვერდს მე-11 რვეულისა.— სულ 161 გვერდს. აქედან შენახულა 47 გვერდი, აკლია 114 გვერდი.

შენახული ნაწილი:

ა) პირველი რვა რვეულიდან, რომელიც თავდაპირველად 128 გვერდს შეიცავდა, შენახულა 20 გვერდი. მოღწეული გვერდები, ეხლანდელის ნუმერაციით, თავისი პირვანდელი თანამიმდევრობით ასე უნდა დალაგდეს: 519 — 520, 517 — 518, 279 — 286, 89 — 90, 87 — 88, 243 — 246;

ბ) რვეული მე-9: შენახულა 10 გვერდი (ეხლანდელის ნუმერაციით გვ. 17 — 26), აკლია 5 გვერდი;

გ) რვეული მე-10: შენახულა სრულად, 16 გვერდი (ეხლანდელის ნუმერაციით გვ. 27 — 42);

დ) რვეული მე-11, პირველი გვერდი (ეხლანდელის ნუმერაციით გვ. 43).

■

საწელიწდო იადგარი, I განყოფილება: საგალობელნი კალენდარული წრისა 21 დეკემბრიდან 25 მარტამდე (იადგარი საზამთროდ).

მოღწეულა კალენდარული წრე 21 დეკემბრიდან — 29 იანვრამდე. ეს ნაწილი მოიცავს ტექსტს მე-11 რვეულის მეორე გვერდიდან — 25-ე რვეულამდე (ჩათვლით). სულ თავდაპირველად ამ ნაწილში იყო 239 გვერდი, აქედან შენახულა 225 გვერდი, დაკარგულა 14 გვერდი².

შენახული გვერდები ეხლანდელის ნუმერაციით (თავისი პირვანდელი თანამიმდევრობით): 44 — 66. 91 — 236, 239 — 242, 247 — 278.

■

ამის შემდეგ დაკარგულია საწელიწდო იადგარის შემდეგი ნაწილები:

ა) I განყოფილების ბოლო (საგალობელნი კალენდარული წრისა 29 იანვრიდან — 25 მარტამდე);

ბ) II განყოფილება მთლიანად (საგალობელნი მოძრავი კალენდარული წრისა ანუ საგალობელნი მარხვათა);

გ) III განყოფილება მთლიანად (საგალობელნი მოძრავი კალენდარული წრისა ბ ანუ საგალობელნი ზატაქთა);

დ) IV განყოფილება მთლიანად (საგალობელნი კალენდარული წრისა 25 მარტიდან 31 აგვისტომდე ანუ იადგარი საზაფხულოდ);

ე) V განყოფილების დასაწყისი (საგალობელნი კალენდარული წრისა 1 სექტემბრიდან 20 დეკემბრამდე ანუ იადგარი სთულისა და ზამთრის დადგისა). აქედან დაკარგულა ტექსტები კალენდარული წრისა 1 სექტემბრიდან — 7 ოქტომბრამდე, შენახულა ტექსტები მხოლოდ 7 ოქტომბრიდან მოკიდებული.

სულ ეს დაკარგული ნაწილი მოიცავდა 36 რვეულს (სახელდობრ 26-ე რვეულიდან — 61-ე რვეულამდე ჩათვლით), ე. ი. 576 გვერდს.

■

საწელიწდო იადგარი, V განყოფილება: საგალობელნი კალენდარული წრისა 1 სექტემბრიდან — 20 დეკემბრამდე (იადგარი სთულისა და ზამთრის დადგისა).

¹ ხელნაწერი გვიან ხანაში არასწორად აუკინძავთ და ხელნაწერის ფურცლები თანამედროვე ნუმერაციით არეულად მისდევს ერთმანეთს.

² სახელდობრ დაკარგულია მე-14 რვეულიდან 6 გვერდი, მე-18 რვეულიდან 4 გვერდი, 22-ე რვეულიდან 2 გვერდი.

ამ ნაწილს, როგორც მოვიხსენეთ, აკლია დასაწყისი (I სექტემბრიდან — 7 ოქტომბრამდე). შენახულა კალენდარული წრე 7 ოქტომბრიდან 20 დეკემბრამდე. ამასთან შენახულა არა სრულად, არამედ 16 გვერდის დაკლებით.

სახელდობრ საგალობელნი კალენდარული წრისა 7 ოქტომბრიდან 20 დეკემბრამდე შეიცავდა ექვს რეულს: 62, 63, 64, 65, 66, 67¹, — სულ 86 გვერდს. აქედან დაკარგულია 66-ე რეული (16 გვერდი), რომელზედაც მოთავსებული ყოფილა საგალობლები კალენდარული წრისა 5 დეკემბრიდან — 16 დეკემბრამდე.

გადარჩენილი ნაწილი მოიცავს შემდეგ გვერდებს (ეხლანდელის ნუმერაციით): 62, 63, 64 და 65 რეულები 287 — 350 გვერდებს; 67 რეული 351 — 356 გვერდებს.

*

ს ა წ ე ლ ი წ ლ ო ი ა დ გ ა რ ი, VI გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა: საგალობელნი აღვსებისანი რეუკმანი.

მოიცავს რეულებს 68 — 78 და 79 რეულს 8 გვერდს. სულ საერთო მოცულობით თავდაპირველად იყო 184 გვერდი, აქედან შენახულა 182, აკლია მხოლოდ 2 გვერდი (71-ე რეულში).

შენახული გვერდები ეხლანდელის ნუმერაციით (თავისი პირვანდელი თანამიმდევრობით): 357 — 384, 237 — 238, 385 — 488, 501 — 516, 521 — 544, 1 — 8.

*

ს ა წ ე ლ ი წ ლ ო ი ა დ გ ა რ ი, VII გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა: საგალობელნი სამარადისონი².

შეიცავს 79-ე რეულის ბოლო 8 გვერდს და მე-80 რეულის პირველ 6 გვერდს, სულ 14 გვერდს (= თანამედროვე ნუმერაციით 9 — 16, 489 — 494).

*

ს ა წ ე ლ ი წ ლ ო ი ა დ გ ა რ ი ს ბ ო ლ ო დ ა მ ა ტ ე ბ ა:

შესხმანი მარიამისნი (რეუკმათა ზედა).

შეიცავს მე-80 რეულის 6 გვერდს (ეხლანდელის ნუმერაციით გვ. 495 — 500). ბოლო აკლია ამაზე წყდება ხელნაწერი.

მიქაელის კრებულის რეეულბრივი შედგენილობისა და ტექსტის დაცულობის საერთო სურათს წარმოგვიდგენს აქვე დართული ცხრილი (იხ. გვ. 04).

*

ბ. ხელნაწერის გადამწერნი.

ხელნაწერის გადამწერნი საბია.

მთავარი ნაწილი ხელნაწერისა გადამწერილია თვით რედაქტორის მიქაელ მოდრეკილის მიერ. ხოლო ნაწილი გადამწერილია მიქაელის ორი თანამშრომელის მიერ, რომელთაგან ერთის სახელი უცნობია (ჩვენ მას ქვემოთ ანონიმ გადამწერს ვუწოდებთ), ხოლო მეორის სახელია ეფთვმე.

ხელნაწერის გადარჩენილი 544 გვერდიდან მიქაელის მიერ გადამწერილია 408 გვერდი, ანონიმი გადამწერის მიერ 46 გვერდი, ეფთვმეს მიერ 90 გვერდი. სახელდობრ მიქაელს მიერ გადამწერილია უკანასკნელი გვერდი საწელიწლო იადგარის შესავალისა (ეხლანდელის ნუმერაციით გვ. 43), I განყოფილება მთლიანად და VI განყოფილება მთლიანად (რეულები 11 — 25, 68 — 78 და 79-ე რეულის პირველი რვა გვერდი); ანონიმის მიერ გადამწერილია შესავალი, გარდა უკანასკნელი გვერდისა (რეულები 1 — 10); ეფთვმეს მიერ გადამწერილია V და VII განყოფილებანი და ბოლო დამატება (რეულები 62 — 67, 79-ე რეულის 9 — 16 გვერდები და მე-80 რეული). ცალკეულ გადამწერთა შესახებ საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი.

¹ ამათგან უკანასკნელი 67-ე რეული 12-გვერდიანია (იხ. ზემოთ, გვ. 01. შენიშვნა).

² კრებულში შეტანილი ყოფილა სამარადისო საგალობელთა გამოწერები.

მიქაელ მოდრაილის კრეატივის რეპუბლიკური შეფასების
და ტექსტის დაცულობა

რეპულები	თავდაპირ- ველად შეიცავდა გვერდებს	ამჟამად არის გვერდები	აკლია გვერდები	მოღწეული გვერდები ეს ლანდელი ნუმერაციით (პირვანდელის თანამიმდევრობით)
1	16	4	12	(...) 519—520 (...), 517—518 (...)
2	16	8	8	279—282 (...), 283—286 (...)
3—7	80	—	80	—
8	16	8	8	89—90 (...), 87—88 243—244 (...), 245—246 (...)
9	16	10	6	17—22 (...), 23—26
10	16	16	—	27—42
11—13	48	48	—	43—86, 91—94
14	16	10	6	95—96 (...), 97—104
15—17	48	48	—	105—152
18	16	12	4	153—164 (...)
19—21	48	48	—	165—212
22	16	14	2	213—214 (...), 215—226
23—24	32	32	—	227—236, 239—242, 247—264
25	16	14	2	265—276 (...), 277—278
26—61	576	—	576	—
62—65	64	64	—	287—350
66	16	—	16	—
67	6	6	—	351—356
68—70	48	48	—	357—384, 237—238, 385—402
71	16	14	2	403—416 (...)
72—78	112	112	—	417—488, 501—516, 521—544,
79	16	16	—	1—16
80	12	12	—	489—500

შენიშვნა. მრავალწერტილები (...) აღნიშნავს, თუ სად უწევს რეპულებში დარღვლილი ფურცლები.

ანონიმის გადაწყვერის მიერ შესრულებული ნაწილი დიდად მიემსგავსება ხელის მიხედვით მიქაელის მიერ გადაწერილ ნაწილს¹.

აღსანიშნავია კერძოდ ერთი გარეგანი განმასხვავებელი ნიშანი. ანონიმის მიერ გადაწერილი ნაწილი (= 1 — 10 რვეულები) განირჩევა მიქაელის და აგრეთვე ეფთვმეს მიერ გადაწერილ ნაწილთაგან სტრიქონების რიცხვით გვერდში; ანონიმის მიერ გადაწერილ ნაწილში (1 — 10 რვეულებში) გვერდში 35 სტრიქონია, მიქაელისა და ეფთვმეს გადაწერილ ნაწილში 40 სტრიქონი (და ეს იმ დროს, როდესაც საერთო მოცულობა დაწერილი გვერდისა ერთნაირია სამსავე ნაწილში).

რომ კრებულის 1 — 10 რვეულები (ე. ი. ანონიმის გადაწერილი ნაწილი) არ ეკუთვნის მიქაელ შოდრეკილს, ამას გვაფიქრებინებს შემდეგი: მიქაელი თავისი გადაწერილი ნაწილის ანდერძებში ყოველთვის მოიხსენებს თავისთავს თავმდაბლური ეპითეტებით (— როგორც ეს მოვლულა იყო ბერებში) — „გლახაკი მიქაელ შოდრეკილი“ (გვ. 8, 44, 457), „საწყალობელი მიქაელ“ (გვ. 8), „უღირსი მონაჲ მიქაელ“ (გვ. 153). იგი არასოდეს არ უწოდებდა თავისთავს „მამაჲ“.

ხოლო ანონიმის მიერ გადაწერილ ნაწილში (რვეულები 1 — 10) მიქაელზე საუბარია მესამე პირით, იგი აქ მოიხსენება, ყოველგვარი თავმდაბლური ეპითეტის გარეშე, ზედწოდებით „მამაჲ“.

იხ. გვ. 41, სადაც გადაწყვერის ხელით ჩაწერილია:

„იესუ ქრისტე, აღიდენ სულითა მამაჲ მიქაელ, ამენ“.

დასასრულ, აქ საქიროა ცალკე შევეხოთ კრებულის მესამე ნაწილს.

კრებულის ეს მესამე ნაწილი, გადაწერილი ეფთვმეს მიერ, მნიშვნელოვანად განსხვავდება კრებულის პირველი და მეორე ნაწილებსაგან, რომლებიც გადაწერილია მიქაელისა და ანონიმის მიერ. თავდაპირველად აღსანიშნავია შემდეგი: იმ დროს, როდესაც მიქაელის გადაწერილ ტექსტებს, და აგრეთვე ანონიმის მიერ გადაწერილ ტექსტებს, ახასიათებს განსაკუთრებული სიზუსტე, მესამე ნაწილის ტექსტები ნაკლების ზედმიწევნითობით არის შესრულებული (ამ მესამე ნაწილში არაიშვიათია სხვადასხვა სახის შეცდომები სიტყვების დაწერილობაში, მეტრული პუნქტუაციის აღნიშვნაში, ზოგჯერ გამოჩენილია სიტყვები, ფრაზები და სხვ.).

ხოლო, რაც მთავარია, ეს მესამე ნაწილი განსხვავდება კრებულის ძირითადი ნაწილისაგან (პირველ და მეორე ნაწილთაგან) — რედაქციულად. ამ მესამე ნაწილის ტექსტებს, როგორც არკვევა, არ გაუვლია მიქაელ შოდრეკილის რედაქცია. აღნიშნავთ აქ ერთ მნიშვნელოვანს სხვაობას. კრებულის ძირითადი ნაწილის საგალობლებში მიქაელ შოდრეკილს ყველგან შეუტანია მუხლი „მოიხილესა“ (გალობა I-ა), სადაც კი ძველ საგალობლებს ასეთი მუხლი აკლდა. ხოლო კრებულის მესამე ნაწილში ასეთ დამატებებს აღგილი არა აქვს. (ასე, იხ. საგალობლები, სადაც არაა დართული მუხლი „მოიხილესა“, — გრიგოლ ხანძთელისეული №№ 35 — 40, 42 — 43 46. 48 — 63, ანონიმური საგალობლები №№ 15 — 23, 30, 31).

ამასთან აღსანიშნავია შემდეგი უაღრესად მნიშვნელოვანი სხვაობა. იმ დროს, როდესაც კრებულის ორი ძირითადი ნაწილი, გადაწერილი მიქაელის და ანონიმის მიერ, სანოტო ნიშნებით არის ვაწყობილი, მესამე ნაწილი, გადაწერილი ეფთვმეს მიერ, არაა ნოტირებული. ეფთვმეს გადაწერილ ნაწილში. 90 გვერდის მანძილზე, სანოტო ნიშნები გვხვდება მხოლოდ ერთგან. სახელდობრ 294 გვერდის სულ 1 სტრიქონში).

*

გ. ხელნაწერის ანდერძები.

მთავარი ანდერძები ხელნაწერის იმ ნაწილისა. რომელიც გადაწერილია მიქაელ შოდრეკილის მიერ, და რომლებიც შეიცავენ ძვირფას ბიბლიოგრაფიულ ცნობებს და შუქსა ჰყენენ მთელ რიგს ისტორიულ-ლიტერატურულ საკითხებს, უკვე მოყვანილი და გარჩეული იყო ზემოთ.

რაც შეეხება ხელნაწერის იმ ნაწილს, რომელიც გადაწერილია ეფთვმეს მიერ, აქ ვრცელი ანდერძები არ მოიპოვება. აქ გვაქვს მხოლოდ რამდენიმე მოკლე მოსახსენებელი:

1) გვ. 327: „ქე შეიწყალე მიქაელ“ (გადამწერი წყალობას უსურვებს მიქაელ შოდრეკილს).

2) გვ. 9: „ქე შეიწყალე სტეფანე“ (სტეფანე იხ. მიქაელ შოდრეკილისეულ ანდერძში № 5).

¹ ხელის ახლო მსგავსებამ არ უნდა გავაკვიროს; ცნობილია ძველ-ქართული ხელნაწერები, რომელთა ანდერძებში აღნიშნულია, რომ ხელნაწერი გადაწერილია რამდენიმე გადაწყვერის მიერ. მაგრამ ხელნაწერის ყველა ნაწილი დამწერლობის მიხედვით იდენტულია.

ამათ გარდა, გადაწერილი ორ ადგილას თავდაბლეთად მოისხენებს თავის თავს შემდეგ წარწერებში:

3) გვ. 491 (მთავრულით): „ო^რო (უფალო) შ^ე (შეიწყალო) ეფთჳმე ცოდვილი მწარედ“.

4) 356 (ნუსხური): ქ^ე (ქრისტე) შ^ე (შეიწყალო) ეფ^{თჳ}მე^{მე} ც^{ოდ}ვილი^{ნი} მწ^{არ}ედ“ (წარწერა წარხოცილია) ¹.

დ. ხელნაწერის თარიღი. ხელნაწერის თარიღის საკითხი უკვე განხილული გექონდა. ზემოთ ხელნაწერი გადაწერილია 978 — 988 წლებს შორის.

ე. კრებულის შედგენილობა.

კრებულის შედგენილობა შემდეგია:

I გრიგოლ ხანძთელი. საწელიწდო იადგარი [= კრებულის პირველადი ძირითადი ღენი].

II — XII. დამატებანი XI — X საუკუნეთა. (ავტორები: II გიორგი მერჩულე. — III იოანე იტბევარი. — IV ივანე მინჩხი. — V სტეფანე სანაზრამს-ძე ჭყონდიდელი. — VI ივანე ქონჭო-ხის-ძე. — VII ეზრა. — VIII კურდანი-ეკრიყე. — IX ბასილი ხანძთელი. — IX-ა ბასილურის მიმდგომი მცირე ფორმის საგალობლები. — X მაკარი ლეთეთელი, ხანძთელ-საბაწმიდელი. — XI მიქაელ მორდრეკილი. — XI-ა მიქაელური მცირე ფორმის საგალობლები. — XII ანონიმური საგალობლები).

XIII საწელიწდო იადგარის შესავალი — ძლისპირნი.

¹ აღვნიშნავთ ამასთან, რომ კრებულის ამ მესამე ნაწილში. ძველი ქართველი ავტორის მაკარის (ლეთეთელის) მიერ ქართულად თარგმნილი ტექსტის ზედწერილში, მაკარის სახელთან ერთად მოიხსენება მოსე, ხოლო ტექსტის შუაში არსენი. ეს პირნი — მოსე და არსენი — არიან თანამედროვენი არა გადაწერისა (X საუკ.), არამედ ესენი იყვნენ თანამშრომელნი თვით მთარგმნელის მაკარისა (IX საუკ.) და მათი სახელები, როგორც ირკვევა. თვით მაკარის დედანში ყოფილა მოხსენებული.

აქ საკიროა აგრეთვე დამატებით აღვნიშნოთ გადაწერის ეფთჳმეს წარწერებზე შემდეგი.

ზოგიერთნი მკვლევარნი (თ. ჟორდანი, კ. კეკელიძე) ფიქრობენ, რომ პირველი წარწერა ეფთჳმესი („უფალო შეიწყალო ეფთჳმე ცოდვილი მწარედ“) ვითომც ჩაწერილია ხელნაწერში კნობილი მოლუაწის ეფთიმე მთაწმიდელის მიერ.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს წარწერა კი არ არის სხვა პირის მიერ ჩაწერილი, არამედ თვით გადაწერის ანდრე-მოსახსენებელს წარმოადგენს. ხელი წარწერისა (და არათუ ხელი, არამედ თვით მელანიც) იგივეა რაც ძირითად ტექსტში.

(ამას გარდა მკვლევართ შეუმჩნეველი დარჩენიათ მეორე წარწერა გადაწერის ეფთჳმესი, დაზიანებული, მოთავსებული ხელნაწერის 356 გვერდზე).

აღმრული საკითხის გამო უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს არავითარი საბუთი იმისა, რომ წარწერაში მოხსენებული ეფთჳმე იყოს ეფთიმე მთაწმიდელი. ჩვენ არ გვაქვს არავითარი ჩვენება იმის შესახებ, რომ ეფთიმე მთაწმიდელი, რომელიც ბავშვობის დროს იქმნა წაყვანილი საბერძნეთში, შემდეგ ტაო-კლარჯეთში დაბრუნებულიყოს. (978 — 988 წლებში, როდესაც გადაწერილია ჩვენი კრებული ტაო-კლარჯეთში, ეფთიმე მთაწმიდელი არა საქართველოში, არამედ ათონზე მოღვაწეობდა). ხოლო რაც შეეხება სახელს ეფთჳმე, ეს სახელი საშუალო საუკუნეთა საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული, და სახელის იგივეობა, ცხადია, არაფერს ამტკიცებს.

მაგრამ ამაზე მეტიც შესაძლოა აღინიშნოს. საქმე ის არის, რომ ჩვენ ვიცით ეფთიმე მთაწმიდელის ხელი ავტოგრაფული ხელნაწერიდან 991 წლისა, რომელიც დატულია ათონის მთაზე (№ 72/79). იხ. პირი ამ ხელნაწერიდან (ნუსხური ტექსტი, თარიღი და თაური ასოები ასომთავრულით) — გამოცემებში: ნ. მარი, *Агиограф. материалы по груз. рукоп. Иверы, I*, გვ. 86; ა. ცაგარელი, *Сведения . . .*, I, პალ. ტაბ., va. vb; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I — II, 1913 წ. გვ. 472 — 473. — ფურცლები, ამ ხელნაწერიდან ამოღებული. ჩამოტანილია საქართველოში და დატულია საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში № A—1769). შედარებიდან ცხადი ხდება, რომ საერთო ხასიათი ხელისა ეფთიმე მთაწმიდელის ავტოგრაფში და მიქაელ მორდრეკილის კრებულში (როგორც ნუსხური, ისე ასომთავრული) სრულებით სხვადასხვაა.

• • •

1. გრიგოლ ხანძთელი [= საწელიწდო იადგარის ძირითადი პირველადი ფენი].

საწელიწდო იადგარი, განყოფილება I

(საგალობელნი კალენდარული წრისა 21 დეკემბრიდან — 25 მარტამდე)¹.

< * 1) 21. XII. წინამოსწავება შობისა და ქსენება მამათმთავართა.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; [ნ¹ — აკროსტიხით „მესმა“²; გალობანი; მ¹]; ა¹. გვ. 47 — 49.>

< * 2) 22. XII. წინამოსწავება შობისა.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; [უ¹]; [ო¹]; გალობანი; მ¹]; ა¹; [ა¹; ა¹ — გერნი მეხურნი]. გვ. 49 — 52.>

3) 23. XII. წინამოსწავება შობისა.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; [ო¹]; გალობანი — აკროსტიხით: „მაცხოვრისა შობასა უგალობდეთ“; მ¹, — აკროსტიხის გარეშე]; ა¹. გვ. 54 — 56.

¹ ქვემოთ, საგალობელთა ჩამოთვლის დროს, ტეხილ რკალებში < >, ვარსკვლავის (*): დარ-
თეთს, აღნიშნული გვაქვს საგალობელთა ის ჯგუფები, რომელთა ეუთენილება საწელიწდო
იადგარის ძირითადი პირველადი ფენისადმი (ე. ი. გრიგოლ ხანძთელისადმი) საბოლოოდ დად-
გენილად ვერ ჩაითვლება და რომელთა საკითხი ჯერ კიდევ საძიებელია. ასეთი გაურკვეველ
საგალობლების რიცხვს ეკუთვნიან საგალობელთა ჯგუფები: < * 1 >, < * 2 >, < * 24 >, < * 25 >, < * 26 >.

კერძოდ საგალობლების პირველი ორი ჯგუფის შესახებ საჭიროა აღინიშნოს შემდეგი.
როგორც ქვემოთ-მოყვანილი ნუსხიდან ჩანს, ხსენება — «წინამოსწავება შობისა» საწელიწდო
იადგარში წარმოდგენილია სამ სხვადასხვა თარიღზე, საგალობელთა სამი ჯგუფით: < * 1 >, < * 2 > და 3.

ხსენების იგივეობის გამო არაა გამორიცხული, რომ საწელიწდო იადგარის ძირითად პირ-
ველად ფენს ეკუთვნოდეს მხოლოდ ერთი მათგანი, სახელდობრ უკანასკნელი, მე-3 (რომელიც
თავის თარიღით პირდაპირ გადაბმულია და უშუალოდ წინ უძღვის მომდევნო ხსენებებს).

აქ საჭიროა შევჩერდეთ აგრეთვე პირობით ნიშნებზე.

ქვემოთ, აღწერილობაში, საგალობლები დიდი ფორმისა, ეგრეთ-წოდებული „კანონი“
(ძველ-ქართულად „გალობანი“) აღნიშნული გვაქვს სრული ზედწოდებით: გალობანი. ხოლო
მცირე ფორმის საგალობელნი აღნიშნული გვაქვს შემდეგი შემოკლებებით:

უ¹ = საგალობელი ზედწოდებით „უფალო ღაღაღყაესა“.

ა¹ = საგალობელი ზედწოდებით „აქებდითსა“.

ო¹ = საგალობელი ზედწოდებით „ოხითაჲ“.

ნ¹ = საგალობელი ზედწოდებით „ნეტარ-არჩანთა“.

მმ¹ = საგალობელი ზედწოდებით „მომიქსენენი“.

ქ¹ = საგალობელი ზედწოდებით „ქელთა-ბანისაჲ“.

ს¹ = საგალობელი ზედწოდებით „სიწმიდისაჲ“.

ალე¹ = საგალობელი ზედწოდებით „ალევესენითი“.

ალ¹ = საგალობელი ზედწოდებით „ალაესე“.

სტ¹ = სტიქარონი.

შემოკლებით „მ¹“ აღინიშნება დამატებითი მუხლი გალობათა (1-ა), რომელსაც ეწოდება
„მოიხილესა“. — შემოკლებით თ¹ აღინიშნება ტერმინი „თვითი“.

² სწორ რკალებში [] მოთავსებული გვაქვს საგალობლები მცირე ფორმისა, რომლებიც არ
ეკუთვნიან დასახელებული ჯგუფის ძირითად ფენს, არამედ შემდეგ არიან დამატებულნი. ასეთი
დამატებანი, როგორც განმარტებული გვაქვს, უმთავრესად ეკუთვნის მიქაელ მოღრეკილს, ხოლო

4) შობისა წინა კვრა.

საგალობელთა ჯგუფი: უ; [უ]; [ო]; გალობანი — იამბიკონნი იოვანე დამასკელიდან — ზედწერილით: „იამბიკონნი თქუმულნი იოვანე დამასკეველ მთავარმღვდელისანი; ყოველსა მუქლსა 60 შეტყუებაჲ აქუს, 5-ჯერ 12; ჰ. ფრთხილო, შენ გულისხმა ყავ...“; [მ] — აჩაა იამბიკო; ა; [ა]. გვ. 65 — 67.

5) 24. XII. წინა ღღე შობისა.

საგალობელთა ჯგუფი ზედწერილით: „დასდებელნი თქუმულნი კოზმან იმარუსალემელისანი“; უ; [ნ]; [ო]; გალობანი (ზედწერილით: „კოზმას[ი]“); [მ]; ა; [ა]. გვ. 67 — 70.

6.— 11) 25. XII. შობა.

საგალობელთა პირველი ჯგუფი: უ; [ო]; გალობანი; [მ]; ა. გვ. 83 — 85.

- მეორე ➤ : უ; [ო]; გალობანი; [მ]; ა. გვ. 85 — 86, 91 — 92
- მესამე ➤ : უ; [ო]; გალობანი; [მ]; ა. გვ. 92 — 94.
- მეოთხე ➤ : უ; [ო]; გალობანი; [მ]; ა. გვ. 94 — 95.
- მეხუთე ➤ უ; [ო]; გალობანი; [მ]; (ა). გვ. 96 1.
- მეექვსე ➤ (უ; [ო]; გალობანი; [მ]; ა. გვ. 97 2.

12) 26. XII. დავით მეფე (მეფსალმუნე) და იაკობ ძმა იესუსი.

საგალობელთა ჯგუფი: უ; [უ]; [ო]; გალობანი; [მ]; ა; [ა]. გვ. 98 — 100.

13) 27. XII. სტეფანე პირველმოწამე.

საგალობელთა ჯგუფი: უ; [უ]; [ნ — აკროსტიხით: „სტეფანე“; გვერდის არშიის წარწერაში აღნიშნულია ავტორის ვინაობა: „სტეფანე“; [ო]; გალობანი; [მ]; ა; [ა]. გვ. 100 — 104.

14) 28. XII. პეტრე და პავლე მოციქულნი.

საგალობელთა ჯგუფი: უ; [ო]; გალობანი; [მ]; ა. გვ. 104 — 106.

15) 29. XII. ჩჩვლინი ყრმანი, ეროდეს მიერ მომწყდარნი.

საგალობელთა ჯგუფი: უ; [ო]; გალობანი; [მ]; ა. გვ. 106 — 108.

16) 30. XII. იაკობ და იოვანე, ძენი ზებედესნი.

საგალობელთა ჯგუფი: უ; [ო]; გალობანი [მ]; ა. საგალობელთა ჯგუფის თავში, გვ. 108, გვერდის არშიაზე, წარწერა: „ბერძულნი“. გვ. 108—110.

17) I. X. ბასილი კესარიელი.

საგალობელთა ჯგუფი: [უ — წარწერით გვერდის არშიაზე: „ქართული. წელიწდის თავი.“]; [უ — აკროსტიხით „თეოფანე“, წარწერით გვერდის არშიაზე: „ბერძულნი“]; უ; [ო — ზედწერილით: „მერჩულიელი“]; [ნ — აკროსტიხით „ბასილი“; გვერდის არშიის წარწერაში აღნიშნულია ავტორის ვინაობა: „ბასილი“]; გალობანი; [მ]; ა; [ა; სტ 1]. გვ. 112 — 115.

18) განცხადების წინა კვრა.

საგალობელთა ჯგუფი: უ; [ო]; გალობანი — იამბიკონნი იოვანე დამასკელიდან, ზედწერილი ბასილი ხანძთელს, სტეფანე სანანოას-ძე ქუონდიდელს, იოვანე მტბეუარს, ივანე მინჩხის, კურდანაის და ანონიმებს.

საგალობლები, რომლებიც ქვემოთ, აღწერილობაში, მოთავსებული გვაქვს სწორ რეკლებში [], და რომელთაც აჩა აქვთ არაერთარი შენიშვნა, ეკუთვნის მიქაელ მოდრეკილს და მის შიმდგომ ანონიმებს (ეგრეთ-წოდებული „მიქაელურნი“), ხოლო დანარჩენი ჯგუფის დამატებულ საგალობლებს, რომლებიც ასევე მოთავსებული გვაქვს სწორ რეკლებში [], ყველას ახლავს შენიშვნა.

კერძოდ აქ მითითებული საგალობელი [ნ — აკროსტიხით „მესმა“] ეკუთვნის ბასილი ხანძთელს (იხ. ქვემოთ, ბასილის საგალობელთა ნუსხა).

1 საგალობლებს აკლია ბოლო (წყდება II გალობაზე).

2 საგალობლებს აკლია თავი (იწყება III გალობიდან).

3 თარგმანი ანონიმისა.

• სტიქარონის ზედწერილი გადასულია.

წერილი: „იამბიკონნი 60^ა 5^ა 12^ა ნეტარისა იოვანე დამასკელასანი“; [მ⁻ — არაა იამბიკო]; ა⁻; [ა⁻]. გვ. 130 — 133.

19) 5. I. წინაღვე განცხადებისა.

საგალობელთა ჯგუფი — ზედწერილით „დასდებულნი კოზმან „მცრუსალემელისანი“ : ე⁻; [ო⁻]; გალობანი; [მ⁻]; ა⁻; [ა⁻]. გვ. 133 — 137.

20) 6. I. განცხადება.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁻; [უ⁻]; [ო⁻]; გალობანი; [მ⁻]; [ა⁻]; ა⁻ — მეხურნი. გვ. 152 — 155.

21) 7. I. მეორე დღე განცხადებისა და ქსენება ჰაბო ქართველისა.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁻; გალობანი; [მ⁻]; ა⁻. გვ. 181 — 184.

22) 8. I. მესამე დღე განცხადებისა და ქსენება იოვანე სოხსტრელისა.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁻; გალობანი; [მ⁻]; ა⁻. გვ. 184 — 187.

23) 9. I. მეოთხე დღე განცხადებისა.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁻; [უ⁻ — თავედი ალიტერაციით — „ს“]; [ო⁻]; გალობანი. წარწყ-
რით არშიაზე: „5: 12: 60: . იამბიკონნი.“; [მ⁻ — არაა იამბიკო]; ა⁻. გვ. 191 — 193.

< * 24) 10. I. მეხუთე დღე განცხადებისა¹. >

< * 25) 11. I. მეექვსე დღე განცხადებისა და ქსენება თვედოსი მოღუაწისა.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁻; [უ⁻]; [ო⁻]; გალობანი; [მ⁻]; ა⁻; [ა⁻]. გვ. 195 — 198. >

< * 26) 12. I. მეშვიდე დღე განცხადებისა და ქსენება ფილოთეოზ მარტვილისა და მოყუასთა.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁻; [ო⁻]; გალობანი; [მ⁻]; ა⁻. გვ. 198 — 201. >

27) 13. I. განცხადების მსგეფსი და ქსენება მამათა სინელთა.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁻; [უ⁻]; [ო⁻]; გალობანი; [მ⁻]; ა⁻; [ა⁻; ა⁻]. გვ. 201 — 204.

28) 16. I. მშობელნი მარიამისნი (სატფურება ქოზიბის ეკლესიისა).

საგალობელთა ჯგუფი: უ⁻; [ო⁻]; გალობანი; [მ⁻]; ა⁻. გვ. 213 — 214.

29) 17. I. ანტონი მოღუაწე.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁻; (გალობანი; [მ⁻]); ა⁻. გვ. 214, 215.

ხელნაწერს 214 და 215 გვერდებს შორის აკლია ერთი ფურცელი, რის გამო დაკარგულია საგალობელთა ძირითადი ნაწილი (შენახულა: დასაწყისი უ⁻-სი, გალობათაგან VII და VIII ოდები, ა⁻).

30) 22. I. ყოველნი წმიდანი.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁻; [ო⁻]; გალობანი; [მ⁻]; ა⁻. გვ. 235 — 239.

¹ ამ თარიღზე მიქაელ მოღრეკილის კრებულში (გვ. 194 — 195) მოთავსებულია საგალობელთა ჯგუფი: უ⁻; გალობანი; მ⁻; ა⁻. საგალობელთა მთელ ჯგუფს აქვს საერთო აკროსტიხი: „რომელმან ნათელს იღე, ქრისტე, განგუანათლე ჩუენ“. მ⁻ შედის აკროსტიხში.

რამდენადაც საწელიწდო იადგარის ძირითადი პირველადი ფენის საგალობლები (ფრიგოლ სანძთელისეული) არ შეიცავდა საგალობელს მ⁻, ცხადია, საგალობელთა მთელი ეს ჯგუფი არ ეკუთვნის ძირითად ფენს.

ამრიგად მიქაელ მოღრეკილის კრებულში ან გამორჩენილა რაიმე მიზეზის გამო ძველი ძირითადი ფენის საგალობლები ამ თარიღისა (რომელშიაც არ უნდა ყოფილიყო საგალობელი მ⁻); ან-და, თუ გამორჩენილი არაა, მაშინ ძირითად ფენში საერთოდ არ ყოფილა საგალობლები ამ თარიღზე (10. I, მეხუთე დღე განცხადებისა).

თუ ეს მეორე შესაძლებლობა გამართლდა, მაშინ, ცხადია, ძირითად ფენს არ უნდა ეკუთვნოდეს აგრეთვე არც მომდევნო ორი საგალობელნი ამავე წრისა: № 25 (10. I, მეექვსე დღე განცხადებისა) და № 26 (12. I, მეშვიდე დღე განცხადებისა).

31) 25. I. გრიგოლ ნაძიანძელი.
საგალობელთა ჯგუფი: უ¹; [ო¹]; [ნ¹ — აკროსტიხით „გრიგოლი“]¹; გალობანი; [მ¹]; ა¹; [ა¹].
გვ. 251 — 254.

32) 27. I. იოვანე ოქროპირი.
საგალობელთა ჯგუფი: უ¹; [უ¹]; [უ¹ — ზელწერილით: „მტბეერისა თქუმულნი“]; [ო¹]; [ნ¹];
გლობანი; [მ¹]; ა¹; [ა¹]. გვ. 259 — 263.

33) 28. I. ყოველი მამანი გეუდაბნოენი.
საგალობელთა ჯგუფი: უ¹; [ო¹]; [ნ¹]; გალობანი; [მ¹]; ა¹. გვ. 266 — 271.

34) 29. I. ქსენება ჯუარისა, რომელი ეჩუენა კონსტანტინე მეფესა.
საგალობელთა ჯგუფი: უ¹; [ო¹]; [ნ¹ — აკროსტიხით „ჯუარი“]¹; გალობანი; [მ¹]; ა¹.
გვ. 277 — 278.

(შემდეგ ხელნაწერს აკლია I განყოფილების ბოლო და მთლიანად განყოფილებანი II,
III და IV).

საწელიწდო იადგარი, განყოფილება V
(საგალობელნი კალენდარული წრისა 1 სექტემბრიდან — 20 დეკემბრამდე).

თაეში აკლია საგალობლები 1 სექტემბრიდან — 9 ოქტომბრამდე.

35) 10. X. გრიგოლ პართელი.
საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა¹. გვ. 288 — 290.

36) 11. X. რიფსიმე და მოყუასნი.
საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა¹. გვ. 290 — 292.

37) 17. X. კოზმან და დამიანე მარტვილნი.
საგალობელთა ჯგუფი: უ¹; [უ¹]²; გალობანი; ა¹. გვ. 294 — 296.

38) 20. X. კორნელი ასისტავი.
საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა¹. გვ. 296 — 297.

39) 21. X. ილარიონ მოღუაწე.
საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; [ა¹ — თავედი ალიტერაციით „რ“]⁴; ა¹. გვ. 297 —
299.

40) 22. X. შაკარი.
საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა¹. გვ. 299 — 301.

41) 26 — 27. X. იოანე ნათლისმცემელისა თავის პოენა და დადგმა.
საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; [მ¹]⁵; ა¹. გვ. 302 — 304.

42 — 43) 3. XI. ქსენება გიორგი მთავარმოწამისა (ლუდიის გიორგიწმიდისა ეკლესიისა
სატყურის).

42) საგალობელთა პირველი ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა¹; [ა¹ — თავედი ალიტერაციით „გ“]⁶.
გვ. 309 — 311.

43) საგალობელთა მეორე ჯგუფი: გალობანი (იამბიკონნი). გვ. 311 — 313.

¹ — ² ბასილი ხანძთელისა.

³ — ⁶ დამატებანი ანონიმისა. (აქ მითითებული დამატებანი, მკორე ფორმის საგალობელნი
ძ¹, უ¹ და ა¹, — არ ეკუთვნის „მიქაელურ“ ჯგუფს, რადგან V განყოფილებას არ გაუვლია მო-
ქაელ მოღრეკილის რედაქცია).

- 44) 8. XI. მთაწარანგელოზნი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი: [მ^ნ]; ა^ნ; გვ. 313 — 315.
- 45 — 47). 10. X. ქსენება გიორგი მთაწარმოწამისა (ლუდის გიორგიწმიდის ეკლესიის სატურის მსგეფსი).
45) საგალობელთა პირველი ჯგუფი: უ^ნ; [უ^ნ]; გალობანი; [მ^ნ]; ა^ნ. გვ. 315—317.
46) საგალობელთა მეორე ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 317 — 318.
47) საგალობელთა მესამე ჯგუფი: გალობანი, აკროსტიხით: „მადლი მე აწ მომანიკე სულისა საუნჯეთაგან, ქრისტე“; [მ^ნ — არ შედის აკროსტიხში]⁵. გვ. 318 — 320.
- 48) 11. XI. შინა მარტილი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 320 — 321.
- 49) 12. XI. იოანე მოწყალე.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. 324 — 325.
- 50) 14. XI. მთაწარანგელოზნი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 328 — 329.
- 51) 15. XI. გურია, სამონა და აბიბო მარტილნი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 329 . . 331.
- 52) 16. XI. ტაძრად მიყვანება მარიამისა.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გალობანი და ა^ნ საერთო აკროსტიხით: „განმანათლებელსა ჩუენსა დედოფალსა უგალობდეთ ღღეს“. გვ. 331 — 333.
- 53) 17. XI. ბასილი და გრიგოლი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 333 — 335.
- 54) 21. XI. მათე მახარებელი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 336 — 333.
- 55) 23. XI. მერკვლე მარტილი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 340 — 341.
- 56) 24. XI. ეკატერინე მარტილი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 341 — 342.
- 57) 25. XI. პეტრე ალექსანდრიელი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 342 — 344.
- 58) 30. XI. ანდრია მოციქული.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 346 — 347.
- 59) 1. XII. იაკობ ძმა იესუსი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 348 — 349.
- 60) 3. XII. ბარბარე მარტილი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 349 — 350.
- 61) 4. XII. ბარბარე და ივლია მარტილნი და იოვანე დამასკელი.
საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; [უ^ნ]⁶. --- (აკლია მეორე უ^ნ-ს ბოლო, გალობანი, ა^ნ). გვ. 350

(ხელნაწერს ამის შემდეგ აკლია ტექსტი, საგალობლები კალენდარული წრისა 5 დუკემბრიდან — 16 დეკემბრამდე).

62) 17. XII. მოდისტოზ იერუსალიმელი.

საგალობელთა ჯგუფი: --- უ^რ (შენახულა ბოლო); გალობანი. გვ. 351.

63) 20. XII. ეგნატე ანტიოქელი.

საგალობელთა ჯგუფი: უ^რ; გალობანი; ა^რ. გვ. 355 — 356.

საწელიწდო იადგარი, განყოფილება VI:

საგალობელნი აღვსებისა რეა — კმანი.

საგალობელნი პირველი კმისა:

64) პირველი ჯგუფი: უ^რ; [ო^რ]; გალობანი — იამბიკონნი; [მ^რ — არაა იამბიკო]; ა^რ; [მ^რ]; [ო^რ; კ^რ; ს^რ]. გვ. 357 — 360.

65) მეორე ჯგუფი: უ^რ; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 360 — 362.

66) მესამე ჯგუფი: უ^რ; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 362 — 364.

67) მეოთხე ჯგუფი: მითითება უ^რ ძლისპირზე; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 364 — 367.

საგალობელნი მეორე კმისა:

68) პირველი ჯგუფი: უ^რ; [ო^რ]; გალობანი — იამბიკონნი იოკანე დამასკელიდან — ზედწერილით: „თქუბულნი ღმერთშემოსილისა იოკანე დამასკელისანი იამბიკონნი. ყოველსა მუკლსა 60 შეტყუებაჲ არს, 5-ჯერ 12. ზ, ფრთხილო, გულისნმა ყავ...“; [მ^რ — არაა იამბიკო]; ა^რ; [ო^რ; კ^რ; ს^რ]. გვ. 384, 237 — 238, 385.

69) მეორე ჯგუფი: უ^რ; გალობანი — წარწერით (385 გვერდის ქვედა არშიაზე): „ნეტარისა გობან იმრუსალემელისანი“; [მ^რ]; ა^რ. გვ. 385 — 388.

70) მესამე ჯგუფი: უ^რ; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 388 — 390.

საგალობელნი მესამე კმისა:

71) პირველი ჯგუფი: უ^რ; [უ^რ — თავედი ალიტერაციით „უ“]; [ო^რ]; გალობანი; ა^რ; [მ^რ]; [ო^რ; კ^რ; ს^რ]. გვ. 409 — 411.

72) მეორე ჯგუფი: უ^რ; [უ^რ]; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 411 — 413.

73) მესამე ჯგუფი: უ^რ; [უ^რ]; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 414 — 416.

საგალობელნი მეოთხე კმისა:

74) პირველი ჯგუფი: უ^რ; [უ^რ]; [ო^რ]; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 425 — 427.

75) მეორე ჯგუფი: უ^რ; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 427 — 429.

76) მესამე ჯგუფი: უ^რ; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 429 — 432.

77) მეოთხე ჯგუფი: უ^რ; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 432 — 436.

78) მეხუთე ჯგუფი: უ^რ; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 436 — 439.

საგალობელნი მეხუთე კმისა:

79) პირველი ჯგუფი: უ^რ; [უ^რ]; [ო^რ]; გალობანი; [მ^რ]; ა^რ; [ო^რ; კ^რ; ს^რ]. გვ. 458 — 461

80) მეორე ჯგუფი: უ^რ; [უ^რ]; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 461 — 463.

საგალობელნი შეექვეს კმისა:

81) პირველი ჯგუფი: უ^რ; [უ^რ]; [ო^რ]; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. 474 — 476.

82) მეორე ჯგუფი: უ^რ; [უ^რ]; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 476 — 479.

83) მესამე ჯგუფი: უ^რ; [უ^რ]; გალობანი; [მ^რ]; ა^რ. გვ. 479 — 482.

საგალობელნი მეშვიდე კმისა:

84) პირველი ჯგუფი: უ[~]; [უ[~]]; [ო[~]]; გალობანი; [მ[~]]; ა[~]. გვ. 502 — 504.

85) მეორე ჯგუფი: უ[~]; [უ[~]]; გალობანი; [მ[~]]; ა[~]. გვ. 504 — 506.

86) მესამე ჯგუფი: უ[~]; [უ[~]]; გალობანი; [მ[~]]; ა[~]. გვ. 507 — 509.

საგალობელნი მერვე კმისა:

87) პირველი ჯგუფი: უ[~]; [უ[~]]; [ო[~]]; გალობანი; [მ[~]]; ა[~]; [ო[~]; კ[~]; ს[~]]. გვ. 524 — 527.

88) მეორე ჯგუფი: უ[~]; [უ[~]]; გალობანი; [მ[~]]; ა[~]. გვ. 527 — 530.

89) მესამე ჯგუფი: უ[~]; [უ[~]]; გალობანი; [მ[~]]; ა[~]. გვ. 530 — 533.

• • •

II. გიორგი შერჩულე.

საწელიწდო იადგარი, განყოფილება VI:
ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ა ღ ე ს ე ბ ი ს ა რ ვ ა - კ მ ა ნ ი .
თაე-ბოლო მორთულნი.

საგალობელნი პირველი კმისა (გვ. 367 — 376). საგალობელთა ოთხი ჯგუფი:

1. უ[~] (ვერბ. ალიტერაცია „ეპა“ 7-ჯერ) || გალობანი || ა[~] (ვერბ. ალიტერაცია „რომელ“ 7-ჯერ). —

2. უ[~] (თავედი ალიტერაცია „ს“ 7-ჯერ) || გალობანი || ა[~] (ვერბ. ალიტერაცია „რომელ“ 7-ჯერ). —

3—4. უ[~] (ვერბ. ალიტერაცია „შენ“ 7-ჯერ) || გალობანი || ა[~] (თავედი ალიტერაცია „მ“ 6-ჯერ) || გალობანი || ა[~] (ვერბ. ალიტერაცია „ჯუარსა“ 7-ჯერ).

საგალობელნი მეორე კმისა (გვ. 390 — 398). საგალობელთა სამი ჯგუფი:

5. უ[~] (ვერბ. ალიტერაცია „შენ“ 7-ჯერ) || * || გალობანი || ა[~] (ვერბ. ალიტერაცია „შენ“ 7-ჯერ). —

6. უ[~] (თავედი ალიტერაცია „რ“ 8-ჯერ) || გალობანი || ა[~] (თავედი ალიტერაცია „ა“ 7-ჯერ). —

7. უ[~] (ვერბ. ალიტერაცია „რომელ“ 6-ჯერ) || გალობანი ** || ა[~] (ვერბ. ალიტერაცია „ეპა“ 7-ჯერ). —

საგალობელნი მესამე კმისა (გვ. 416... 417 — 421). საგალობელთა ორი ჯგუფი:

8. უ[~] (ვერბ. ალიტერაცია „რომელ“ 7-ჯერ) || უ[~] (...ხელნაწერს ფურცელი აკლავ, სადაც მოთავსებული იყო უ[~]-ს ბოლო, გალობანი და ა[~]).

9. *** || უ[~] (ვერბ. ალიტერაცია „შენ“ 8-ჯერ) || გალობანი **** || ა[~] (თავედი ალიტერაცია „დ“ 6-ჯერ).

* მეორე სტიქარონი უ[~] — მოურთავე (დანართია).

** გალობანი დაწერილია ფორმით „მერჩულიულნი უცხონი“ (გარდა I გალობისა). ალიტერაციები (თავედი, ვერბალური, ფრაზული): გალობა II — ფრაზა „შენ უფალო რაჟამს“ 3-ჯერ; III — „ე“ 3-ჯერ; IV — „დამქსნელ“ 3-ჯერ; V — „დ“ 3-ჯერ; VI — „კ“ 3-ჯერ; VII — „შეძრწუნდეს“ 4-ჯერ; VIII — „სიტყუაჲ“ 3-ჯერ.

*** პირველი სტიქარონი უ[~] — მოურთავე (დანართია).

**** გალობანი — ზედწერილით: „ქართულნი ძლისპირითურთ“, აკროსტიხით: „ქრისტეს აღგოჰასა ეიხარებდეთ“ (მ[~] არ შედის აკროსტიხში).

საგალობელნი ქეთხე კმისა (გვ. 439 — 446). საგალობელთა სამი ჯგუფი:

10. უ⁻ (თვედი ალიტერაცია „ს“ 6-ჯერ) || გალობანი || ა⁻ (თვედი ალიტერაცია „გ“ 6-ჯერ). —

11. უ⁻ (ფრაზული ალიტერაცია: „ღმრთისა სიტყუაო მხოლო“ 6-ჯერ) || გალობანი || ა⁻ (თვედი ალიტერაცია „ც“ 6-ჯერ). —

12. უ⁻ (თვედი ალიტერაცია „ნ“ 6-ჯერ) || გალობანი || ა⁻ (თვედი ალიტერაცია „ს“ 6-ჯერ). —

საგალობელნი მეხუთე კმისა (გვ. 463 — 470). საგალობელთა ორი ჯგუფი:

13. უ⁻ (თვედი ალიტერაცია „რ“ 7-ჯერ) || * || გალობანი || ა⁻ (ვერბ. ალიტერაცია „პოველით“ 6-ჯერ). —

14. უ⁻ (ვერბ. ალიტერაცია: „საიდუმლოსა“ 6-ჯერ) უ⁻ (თვედი ალიტერაცია „ს“ 6-ჯერ). || გალობანი || ა⁻ (ფრაზული ალიტერაცია: „მიუწოდომელ სიმდაბლემ შენი ქრისტე ღმრთისა სიტყუაო“ 6-ჯერ).

საგალობელნი მეექვსე კმისა (გვ. 482 — 486).

15. უ⁻ (ვერბ. ალიტერაცია „რომელ“ 6-ჯერ) || უ⁻ (ვერბ. ალიტერაცია „დაუსაბამოა“ 6-ჯერ) || გალობანი || ა⁻ (ფრაზული ალიტერაცია: „თანამფლობელი სიტყუაჲ მამისა და სულისაჲ“ 6-ჯერ). —

საგალობელნი მეშვიდე კმისა (გვ. 509 — 515). საგალობელთა ორი ჯგუფი:

16. ** || გალობანი || ა⁻ (თვედი ალიტერაციით „ა“ 6-ჯერ).

17. უ⁻ (თვედი ალიტერაციით „ღ“ 6-ჯერ) || უ⁻ (ვერბალური ალიტერაციით „რეკამს“ 6-ჯერ). || გალობანი *** || ა⁻ (ფრაზული ალიტერაცია: „მთავრობათა ზეცისათა და უქორცოთა კრებულსა ქერაზინთა და სერაზინთა“ 6-ჯერ).

საგალობელნი მერვე კმისა (გვ. 533 — 544). საგალობელთა ოთხი ჯგუფი:

18. **** || უ⁻ (ფრაზული ალიტერაცია: „უბირატეასი ყოველთა მთავრობათაჲ“ 6-ჯერ) || გალობანი || ა⁻ (ფრაზული ალიტერაცია: „ვითარ ვინ გამოთქუას საიდუმლოჲ შენი ღმრთისა სიტყუაო, რამეთუ“ 6-ჯერ). —

19. უ⁻ (თვედი ალიტერაცია „უ“ 6-ჯერ) || გალობანი || ა⁻ (ვერბ. ალიტერაცია „შენ“ 6-ჯერ). —

20. უ⁻ (ფრაზული ალიტერაცია „სიტყუაო ღისაო“ 6-ჯერ) || უ⁻ (თვედი ალიტერაცია „მ“ 6-ჯერ) || გალობანი || ა⁻ (თვედი ალიტერაცია „შ“ 6-ჯერ).

21. უ⁻ (ვერბ. ალიტერაცია „ვითარცა“ 6-ჯერ) || უ⁻ (ვერბ. ალიტერაცია „უფალ“ 6-ჯერ) || გალობანი || ა⁻ (თვედი ალიტერაცია „ჰ“ 6-ჯერ) || ა⁻ (ვერბ. ალიტერაცია „იხილეს“ 6-ჯერ).

* მეორე სტიქარონი უ⁻ — მოუერთავი (დანართი).

** სტიქარონი — უ⁻ — დანართნი: მიქაელ მორეკელისა, წარწერით — „მიქაელ“, გვ. 509 (ფრაზული ალიტერაციით: „მხოლოდ შობილი ძეჲ და სიტყუაჲ მამისაჲ“, მეორდება 6-ჯერ); ივანე მინჩისა — მოუერთავი (წარწერით „მინჩი“, გვ. 510); კურდანასა — საავტორო წარწერით „კოვრდანაჲ“ (გვ. 510) და აკროსტიხით „კორდანი“.

*** გალობანი დაწერილია ფორმით „მერჩულიულნი უცხონი“. ალიტერაციები: გალობა I — „რომელმანცა“ 3-ჯერ; II — „რომელ“ 3-ჯერ; III — „ღ“ 3-ჯერ; IV — „უ“ 3-ჯერ; V — „უ“ 3-ჯერ; VI — „მ“ 3-ჯერ; VII — „რომელი“ 3-ჯერ; VIII — „უ“ 3-ჯერ.

**** სტიქარონი უ⁻ — მოუერთავი (დანართი).

III. იოვანე მტბევარი.

საწელიწდო იადგარი, განყოფილება I.

1) 21. XII. წინამოსწავება შობისა.

საგალობელთა ჯგუფი: [უ¹]; უ²; უ³; ო⁴; გალობანი; მ⁵; ა⁶. გვ. 44 — 47.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 44 (მეორე უ¹-ს გასწვრივ, განის არშიაზე) „იოვანე მტბევარი“; გვ. 45 (გალობათა დასაწყისის გასწვრივ, განის არშიაზე) — „იოვანე მტბევარი“ (დაქარაგმებით: „იოვანე მტ⁷“).

2) 23. XII. წინამოსწავება შობისა და ქსენება იოსებ მართლისა.

საგალობელთა ჯგუფი: [უ — აკროსტიხით „იოსებ“]; გალობანი, ზედწერილით: „იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისა თქუმულნი“; მ⁵; [ა⁶; ა⁷]. გვ. 56 — 60.

3) 24. XII. წინა დღე შობისა.

საგალობელთა ჯგუფი: უ²; უ³; ო⁴; გალობანი; მ⁵; ა⁶; ა⁷. გვ. 73 — 75.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 73 (რომელზედაც მოთავსებულია პირველი და მეორე უ², ო⁴ და გალობათა დასაწყისი), ქვედა არშიაზე. — „ი. იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისა მოკაზმულნი“.

4 — 5) 25. XII. შობა.

საგალობელთა ჯგუფი: უ²; უ³; უ⁴; უ⁵; უ⁶; ო⁷; დასდებელნი შუალამისანი (11 დასდებელი); გალობანი (მ⁸-თი) — აკროსტიხით: „ქრისტეს შობასა შეეაჰკობდეთ ერნო“; ა⁹. გვ. 78 — 82.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 78 (საერთო ზედწერილი საგალობელთა ჯგუფისა) — „დასდებელნი ქრისტეს შობისანი, თქუმულნი ღმერთშემოსილისა იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისანი“.

6 — 7) 1. I. ბასილი კესარიელი.

საგალობელთა პირველი ჯგუფი: [უ¹ — თაველი ალიტერაციით „ს“]; [უ²]; [ო³]; გალობანი; მ⁴; ა⁵. გვ. 116 — 119.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 117 (გალობათა ტექსტის გასწვრივ, განის არშიაზე) — „თქუმულნი ღმერთშემოსილისა იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისანი სიბრძნითა სულისა წმიდისაჲთა, მოწამენი ცხოვრებისანი და მუწყებელნი სასწაულთანი“.

საგალობელთა ამ პირველი ჯგუფის ბოლოს, 119 გვერდზე (განის არშიაზე) მოთავსებულია ორი მინიატიურა, წარწერებით: 1 „წ¹ ბასილი კესარიელი“; 2 „იოვანე მტბევარი ეპისკოპოსი“. ორივეს ხელთ უპყრიათ გრაგნილები, წარწერებით; ბასილის გრაგნილზე სწერია: „ნესტუსა დაეით თავსა თთვეთასა“ (სიტყვები ამოღებულია ბასილის თხზულებიდან, იხ. „მრავალთაჲ“, A — 1109, გვ. 41); იოვანე მტბევარის გრაგნილზე სწერია: „მომიტვე მე კადნიერებაჲ არა ღირსსა“ (სიტყვები ამოღებულია იოვანე მტბევარის ამავე პირველი ჯგუფის საგალობელიდან, იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული ... პოეზია, გვ. 98).

საგალობელთა მეორე ჯგუფი: [უ²]; [ო³]; გალობანი; მ⁴ [ა⁵]. გვ. 119 — 122.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 120 (გალობათა დასაწყისის გასწვრივ, განის არშიაზე) — „იოვანე მტბევარი“.

საგალობელთა ჯგუფის თავში — ზედწერილი: „ქართულნი“.

8 — 9) 6. I. განცხადება.

საგალობელთა ჯგუფი: უ²; უ³; უ⁴; უ⁵; ო⁶; დასდებელნი შუალამისანი (10 დასდებელი); გალობანი; მ⁷; ა⁸; ა⁹. გვ. 137 — 143.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 137 (საერთო ზედწერილი საგალობელთა ჯგუფის თავში) — „დასდებელნი თქუმულნი ღმერთშემოსილისა იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისანი“.

¹ არშიაზე მიწერილია ავტორის სახელი: «ეფრემ» (ალბათ ეფრემ ასური; ან, იქნებ, ეფრემ მაწყუერელი?)

² დამატება ბასილურის ტიპისა (ბასილი ხანძთელის მცირე ფორმის საგალობელთა მიმდგომი ფორმით).

10) 20. I. ეთვჳმე მოღუაწე.

საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; ვალობანი; მ^ნ; ა^ნ. გვ. 226 — 228.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 226 (რომელზედაც მოთავსებულია უ^ნ და გალობათა დასაწყისი),
ვჳდა არშიაზე — „იოვანე! მსტ^ნაქვარისანი“.

11) 23. I. კლიმი ანკვრელი და აგათანგელოზი, მარტვილი.

საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; ვალობანი; მ^ნ; ა^ნ. გვ. 241 — 248.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 241 (რომელზედაც მოთავსებულია უ^ნ და გალობათა დასაწყისი).
ქვედა არშიაზე — „თქუმულნი ღმერთშემოსილისა იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისანი“.

12) 25. I. გრიგოლ ნაძიანძელი.

საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; ვალობანი; მ^ნ; ა^ნ. გვ. 254 — 256.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 254 (რომელზედაც მოთავსებულია უ^ნ და გალობათა დასაწყისი),
ქვედა არშიაზე — „ქ იოვანე მტბევარისანი“.

13) 28. I. ყოველნი მამანი შეუღაბნოენი.

საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; ვალობანი; მ^ნ; ა^ნ. გვ. 271 — 273.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 271 (საერთო ზედწერილი საგალობელთა ჯგუფის თავში, ტექსტ-
ში) — „დასდებელნი ღმერთშემოსილთა მამათანი, იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისანი“.

საგალობელნი მცირე ფორმისა.

ა) 24. XII. შობისა წინა დღე.

საგალობელი ა^ნ, წარწერით (არშიაზე): „იოვანე მტბევარი“, გვ. 72.

(დამატებულია მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა ჯგუფთან. № 21; იხ. ქვემოთ).

ბ) 27. I. იოვანე ოქროპირი.

საგალობელი უ^ნ, ზედწერილით (ტექსტში): „მტბევრისა თქუმულნი“. გვ. 259.

(დამატებულია გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ჯგუფთან. № 32; იხ. ზემოთ).

გ) 28. I. ყოველნი მამანი შეუღაბნოენი.

საგალობელი უ^ნ, წარწერით (არშიაზე): „იოვანე“. გვ. 276.

(დამატებულია ანონიმის საგალობელთა ჯგუფთან № 8; იხ. ქვემოთ).

საწელიწდო იადგარი, განყოფილება VI.

14) საგალობელნი აღვსებისა, მეორე კმისა (რიგით — მე-7).

საგალობელთა ჯგუფი: [უ^ნ]; უ^ნ; ვალობანი; მ^ნ; ა^ნ. გვ. 398 — 403.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 399 (მეორე უ^ნ-ს დასაწყისის გასწვრივ, განის არშიაზე) — „იოვანე
მტბევარი“; გვ. 400 (ვალობათა დასაწყისის გასწვრივ, განის არშიაზე) — „იოვანე“.

• • •

IV. ივანე მინჩხი.

საწელიწდო იადგარი, განყოფილება I.

1) 19. I. თედოსი მეფე.

საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; ო^ნ; ვალობანი; მ^ნ; ა^ნ. გვ. 219 — 222.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 219 (საგალობელთა ჯგუფის თავში, გვერდის არშიაზე) — „ქ. ივანე
მინჩხისანი. ქრისტე, განუსუენე სულსა მისსა“.

2) 20. ეთვჳმე მოღუაწე.

საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; ო^ნ; ვალობანი; მ^ნ; ა^ნ. გვ. 222 — 223.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 223 (რომელზედაც მოთავსებულია ვალობანი და ა^ნ), ქვედა არ-
შიაზე — „ქ. მინჩხისანი“.

საწელიწდო იაღგარი, განყოფილება VI.

3) საგალობელი აღესებისა, მეოთხე კმისა (რიგით — მე-9).

საგალობელთა ჯგუფი: გალობანი — იამბიკონნი; მ^ა; ა^ა (აკროსტიხით „აღღა“). გვ. 447 — 449.

გალობათა დასაწყისში წარწერა (გვ. 447): „ყოველსა მუჭლსა 60 შეტყუებაჲ აქუს, 5-ჯერ 12. იამბიკონნი თქუელნი ნეტარისა ივანე მინჩასანი. ჰ, ფრთხილო, გულისხმა ყაე...“.

საგალობელი მცირე ფორმისა.

ა) საგალობელი აღესებისა უ^ა. გვ. 510.

(დამატებულია გიორგი მერჩულისეულ აღესების საგალობელთა ჯგუფთან, № 16; იხ. ზემოთ).
ავტორის აღნიშვნა: გვ. 510 (ქედა არშიაზე) — „მინჩხი“.

• • •

V. სტეფანე ხანანოას-ძე კუონდიდელი.

საწელიწდო იაღგარი, განყოფილება I.

1) 7. I. მეორე დღე განცხადებისა და კსენება ჰაბო ქართველისა.

საგალობელთა ჯგუფი: უ^ა; გალობანი; მ^ა; ა^ა. გვ. 179 — 181.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 179 (რომელზედაც მოთაესებულია უ^ა და გალობათა დასაწყისი).
ქვედა არშიაზე — „ქ. სტეფანე კუონდიდ[ელი]სა ნეტარისანი, ხანანოას-ძისანი. ქრისტე დიდებულ ყაე სული მათი“.

საგალობელი მცირე ფორმისა.

ა) 27. I. სტეფანე პირველმოწამე.

საგალობელი ნ^ა. აკროსტიხით „სტეფანე“. გვ. 101 — 102.

(დამატებულია გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ჯგუფში, № 12, იხ. ზემოთ).

ავტორის აღნიშვნა: გვ. 101 (გვერდის არშიაზე) — „სტეფანე“.

• • •

VI. ივანე ქონქოზის-ძე.

საწელიწდო იაღგარი, განყოფილება I.

1) 7. I. მეორე დღე განცხადებისა და კსენება ჰაბო ქართველისა.

საგალობელნი: [უ^ა]; [ო^ა]; [ნ^ა — აკროსტიხით „აბო“]; გალობანი; მ^ა; [ა^ა]. გვ. 176 — 179.

ავტორის აღნიშვნა: გვ. 177 (ზედწერილი გალობათა) — „ივანე ქონქოზის-ძისანი“.

• • •

VII. ეზრა.

საწელიწდო იაღგარი, განყოფილება I.

1) 20. I. ევთვიე მოლუაწე.

საგალობელთა ჯგუფი: უ^ა; გალობანი; მ^ა; ა^ა. გვ. 223 — 226.

¹ ბასილი ხანძთელისა.

აკროსტიხები: „ეზრა“ (უ¹); „ქრისტე აღიდე საურმაგ და ძეგ მისი შირიან“ (გალობანი), „აქენ“ (ა¹).

ავტორის აღნიშვნა: გვ. 223 (გვერდის არშიაზე): „ეზრა“ (და აგრეთვე აკროსტიხში).

• • •

VIII. კურდანი-კვრიკე.

საწელიწდო იადგარი, განყოფილება VI.

ა) აღვსების საგალობელი მცირე ფორმისა — უ¹, აკროსტიხით „კორდანი“. გვ. 510.
(დამატებულია გიორგი მერჩულისეულ აღვსების საგალობელთა ჯგუფთან, № 15; იხ. ზემოთ).
ავტორის აღნიშვნა: საგალობელთა ზედწერილში (გვ. 510) — „კორდანი“ (და აგრეთვე აკროსტიხში — „კორდანი“).

• • •

IX. ბასილი ხანძთელი.

საწელიწდო იადგარი, განყოფილება I.

საგალობელნი მცირე ფორმისა.

ა) 1. I. ბასილი კესარიელი.

საგალობელი „ნეტარ-არიანთა“, 7-ული სტროფებით (63-მარცვლელი) და სახელობითი საქებელი აკროსტიხით „ბასილი“. გვ. 113.

(დამატებულია გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ჯგუფში, № 17; იხ. ზემოთ).

ავტორის აღნიშვნა: წარწერა გვერდის არშიაზე — „კ. ბასილი“.

ბ) 25. I. გრიგოლ ნაშიანძელი.

საგალობელი „ნეტარ-არიანთა“, სახელობითი საქებელი აკროსტიხით „გრიგოლი“, დაწერილი ა — საგალობელის ზემოთ-აღნიშნული საზომით. გვ. 252.

(დამატებულია გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ჯგუფში, № 31; იხ. ზემოთ).

გ) 27. I. იოვანე ოქროპირი.

საგალობელი „ნეტარ-არიანთა“, სახელობითი საქებელი აკროსტიხით „იოვანე“, დაწერილი ა — საგალობელის ზემოთ-აღნიშნულის საზომით. გვ. 263.

(დამატებულია ანონიმურ საგალობელთა ჯგუფში, № 6; იხ. ქვემოთ).

დ) 7. I. აბო.

საგალობელი „ნეტარ-არიანთა“, სახელობითი საქებელი აკროსტიხით „აბო“, დაწერილი ა — საგალობელის ზემოთ-აღნიშნული საზომით. გვ. 173.

(დამატებულია ივანე ქონქოზის-ძის საგალობელთა ჯგუფში; იხ. ზემოთ).

ე) 29. I. ქსენება ჯუარისა.

საგალობელი „ნეტარ-არიანთა“, საქებელი აკროსტიხით „ჯუარი“, დაწერილი ა — საგალობელის ზემოთ-აღნიშნული საზომით. გვ. 277.

(დამატებულია გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ჯგუფში, № 34; იხ. ზემოთ).

ვ) 22. I. ქსენება მამათმთავართა.

საგალობელი „ნეტარ-არიანთა“, აკროსტიხით „მესმა“, დაწერილი ა — საგალობელის ზემოთ-აღნიშნული საზომით. გვ. 48.

(დამატებულია გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ჯგუფში, № 1; იხ. ზემოთ).

IX-ა. ბახილურის მიმდგომი მცირე ფორმის საგალობლები.

საწელიწდო იადგარი, განყოფილება I.

ა) 23. იოსეთ მართალი.

საგალობელნი „უფალო დადაყავისა“, სახელობითი საქებელი აკროსტიხით „იოსეთ“, დაწერილი ბასილისეული საზომის მიმდგომი ვარიანტული სახეობით. გვ. 56.

(დამატებულია იოვანე მტბევარის საგალობელთა ჯგუფში, № 2; იხ. ზემოთ).

X. მაკარი ლეთთელი (ხანძთელ-საბაწმიდელი).

საწელიწდო იადგარი, ბოლო დამატება.

1) შესხმანი ღმრთისმშობელისანი (რვა-კმათა ზედა) და ოხითანი.

ზედწერილი: „შესხმანი წისა ღმრთისმშობელისანი და ოხითანი, დღესასწაულთა სათქუ-
მელნი, საუფლოთა საქმარნი, თარაფთონნი მოსართაენი ბერძულნი, თქუმულნი წისა კოზმა-
ნისნი, თარგმნილნი გლახაქისა მაკარისნი“. გვ. 494 — 500 (შენახულა შესხმათა პირველი ექვსი
ხმა; ბოლო აკლია).

XI. მიქაელ მოღრეკილი.

—

საწელიწდო იადგარი, განყოფილებანი I, V, VI.

(I განყოფილება: №№ 1, 11—28; V განყოფილება: №№ 29—32; VI განყოფილება №№ 2—10).

1) 22. I. ყოველნი წმიდანი.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; მ²; ა³. საერთო აკროსტიხით. გვ. 230 — 234.

ტექსტში, საგალობელთა ჯგუფის თავში, შემდეგი ზედწერილია: „დასდებელნი აღბეკ-
დულნი აკრისტიხონნი. თაენი სიტყუასა იტყვან ესრჷთ: ამეოხ მეყეენით ყოელნო წმიდანო
წინაზე მეუფისა დღესა მას განკითხვისასა“. დასდებელნი თქუმულნი ორმეოცისა, ათისა, ექუსა-
სისა, ერთისა, ხუთისა და ოც-და-ათისანი“ [= მიქაელისნი]¹. — იქვე არშიაზე მიწერილია:
აქ²კლა.

*

საგალობელნი აღესებისა რვა-კმანი.

2) საგალობელნი პირველი კმისა. გვ. 377 — 383.

ზედწერილი საგალობელთა ჯგუფის თავში (გვ. 377): „დასდებელნი... აღდგომისანი ქარ-
თულნი“.

შეიცავს შემდეგ საგალობლებს, შემდეგის თანრიგით:

- უ¹, — თაველი ალიტერაციით („მ² 7-ჯერ“);
- უ², — თაველი ალიტერაციით („მ² 7-ჯერ“);
- უ³ — გერნი (აკროსტიხით „გერნი“);

¹ როგორც ეს დადგენილი გვაქვს ჩვენს ადრინდელ შრომ:ში, კრიპტოგრაფა (რიცხვითა აღნიშნვა) — „ორმეოცი, ათი, ექუსასი, ერთი, ხუთი და ოცდაათი“ — წარმოადგენს მიქაელ მოღრეკილის ფსევდონიმს; იგი აღნიშნავს რიცხვ-ნიშნებით სახელს ამიქაელ: მ[40] — ი[10] — კ[600] — ა[1] — ე[5] — ლ[30]. (იხ. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული ... პოეზია, გვ. XII).

გალობანი, ზედწერილით (გვ. 379): „სპადუქნი უცხონი, ურთიერთას შეყოფილნი და განყოფილნი, შეტყუებით მსგავსი მსგავსებრთა და თითოეული განთვსებრთა. ქართულნი“: მ⁺; ა⁻, — ვერბალური ალიტერაციით („კითარცა“ 6-ჯერ); ა⁻, — თავედი ალიტერაციით („ლ“ 7-ჯერ).

3) საგალობელნი მეორე კმისა. გვ. 403 — 408.

ზედწერილი საგალობელთა ჯგუფის თავში (გვ. 403): „დასდებელნი... აღდგომისანიე ქართულნი“.

შეიცავს შემდეგს საგალობლებს, შემდეგის თანრიგით:

უ⁻ — ვერბალური ალიტერაციით („პირველ“ 7-ჯერ);

უ⁻ — გერნი (აკროსტიხით „გერნი“);

უ — უცხონი, გალობანი, მ⁻ და ა⁻ საერთო აკროსტიხით: „ქრისტე აღდგა მკუდრეთით. ვიხარებდეთ მორწმუნენო“.

4) საგალობელნი მესამე კმისა. გვ. 421 — 424.

ზედწერილი საგალობელთა ჯგუფის თავში (გვ. 421): „დასდებელნი... აღდგომისანიე“.

შეიცავს შემდეგს საგალობლებს შემდეგი თანრიგით:

უ⁻ — ფრაზული ალიტერაციით („კითარცა იგი პირველადე“ 6-ჯერ);

უ⁻ — გერნი (აკროსტიხით „გერნი“).

გალობანი — იამბიკონი, ზედწერილით (გვ. 422): „იამბიკონი. ყოველსა მუქლსა 60 შეტყუე-ბაჲ არს, 5-ჯერ 12. თქუჲლნი ორმეოცისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, [ხუთისა] და ოცდაათისანი [= მიქაელისანი]. ხოლო შენ, ფრთხილო, გულისხმა ყაე და ჩემ ცოდვილისათჳს ლოცვა ყაე“; მ⁻:

ა⁻ — აკროსტიხით: „ქრისტე“

ა⁻, — აკროსტიხით: „აღდგა“

გალობანი დაწერილია ფორმით „მერჩულიულნი უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I თავედი ალიტერაცია „უ“ (3-ჯერ)

„ I → „ „ „ „გ“ (3-ჯერ)

„ II ფრაზული ალიტერაცია „მხოლოდ შობილო ქრისტე ღმრთისა სიტყუაო“

‘3-ჯერ):

გალობა III თავედი ალიტერაცია „გ“ (3-ჯერ)

„ IV „ „ „გ“ (3-ჯერ)

„ V „ „ „გ“ (3-ჯერ)

„ VI „ „ „გ“ (3-ჯერ)

„ VII „ „ „ა“ (3-ჯერ)

„ VIII „ „ „მ“ (4-ჯერ)

5) საგალობელნი მეოთხე კმისა. გვ. 446, 450 — 457.

ზედწერილი საგალობელთა ჯგუფის თავში (გვ. 446): „დასდებელნი... აღდგომისანიე“.

შეიცავს შემდეგს საგალობლებს შემდეგი თანრიგით:

უ⁻ — გერნი (აკროსტიხით „გერნი“);

უ⁻, გალობანი — „თვთ-ძლისპირნი“, მ⁻, ა⁻, ო⁻, კ⁻, ს⁻ — საერთო აკროსტიხით: „აღდგო-მასა მაცხოვრისასა უგალობდეთ მორწმუნენო და აღდგომილსა ვაჭებდეთ“. აკროსტიხთა და-საწყისში (გვ. 450) ზედწერილი: „დასდებელნი... ქართულნი აღბეჭდულნი აკრისტინონი“.

6) საგალობელნი მეხუთე კმისა. გვ. 470 — 474.

ზედწერილი საგალობელთა ჯგუფის თავში (გვ. 470): „დასდებელნი... აღდგომისანიე ქართულნი“.

შეიცავს შემდეგს საგალობლებს, შემდეგის თანრიგით:

უ⁻, — ვერბალური ალიტერაციით („კითარცა“ 6-ჯერ);

უ⁻ — გერნი (აკროსტიხით „გერნი“);

გალობანი, ზედწერილით (გვ. 471): „მერჩულიულნი უცხონი“; მ⁻;

ა⁻, — ვერბალური ალიტერაციით („უფალო“ 9-ჯერ).

გალობანი, დაწერილი ფორმით „მერჩულიუღნი უცხონი“. შეიცავს შემდეგ ალიტერაციებს:

გალობა	I	თავედი	ალიტერაცია	„შ“ (3-ჯერ)
„	1-ა	„	„	„უ“ (3-ჯერ)
„	II	„	„	„ნ“ (3-ჯერ)
„	III	ეერბალური	„	„შენ“ (3-ჯერ)
„	IV	თავედი	„	„თ“ (3-ჯერ)
„	V	„	„	„ვ“ (3-ჯერ)
„	VI	„	„	„ს“ (3-ჯერ)
„	VII	„	„	„ე“ (3-ჯერ)
„	VIII	„	„	„ც“ (4-ჯერ)

7) საგალობელნი მეექვსე კმისა. გვ. 486 — 488, 501 — 502.

ზედწერილი საგალობელთა ჯგუფის თავში (გვ. 486): „დასდებელნი... აღდგომისანივე კარ-თელნი“.

შეიცავს შემდეგ საგალობლებს, შემდეგი თანრიგით:

უ — გერნი (აკროსტიხით „გერნი“);

უ — უცხონი, გალობანი, მ, ა, ო, კ, ს — საერთო აკროსტიხით: „გალობით უგალობ-დეთ ნათლითა შემოსილსა ქრისტეს აღდგომასა“.

8) საგალობელნი მეშვიდე კმისა. გვ. 515 — 516, 521 — 523.

შეიცავს შემდეგ საგალობლებს, შემდეგი თანრიგით:

უ — გერნი (აკროსტიხით „გერნი“),

უ — გალობანი — სპადუქნი, მ, და ა — საერთო აკროსტიხით: „გინჯაროდენ, ერნო, ქრისტე აღდგა, სიხარული ყოველთაჲ“;

ო, კ, ს, — უაკროსტიხოდ.

ავტორის აღნიშვნა: 516 გვერდზე (საიდანაც იწყება აკროსტიხი), განის არშიაზე მიწერილია — „მიქაელისი“.

9) საგალობელნი მერვე კმისა. გვ. 3 — 8.

შეიცავს შემდეგ საგალობლებს, შემდეგი თანრიგით:

უ — გერნი (აკროსტიხით „გერნი“);

უ — გერნი, გალობანი, მ და ა — საერთო აკროსტიხით: „რომელი ასდგე მკუღრეთით. უფალო, დიდებაჲ შენდა“.



დამატებითი საგალობელი აღესებისა.

10) საგალობელნი აღესებისა მერვე კმისა (რაგით — მე-8).

საგალობელთა ჯგუფი: უ; უ; გალობანი; მ; ა. გვ. 544, 1 — 3.



საგალობელნი ნათელთათვს, რვა კმათა ზედა.

11 — 12) საგალობელნი პირველი და მეორე (|| მესამე?) კმისა. გვ. 143 — 149.

11) საგალობელთა პირველი ჯგუფი:

უ (კმაჲ 1); გალობანი [კმაჲ 1]; მ; ა [კმაჲ 1]; ო (კმაჲ 1); მმ (კმაჲ 1); (დამატება: კ, ს, აღ — კმაჲ 7);

< * 12) მეორე გალობანი [კმაჲ 2, resp. 3?]; მ; ა; ა. >¹

ზედწერილი (საგალობელთა პირველი ჯგუფის თავში, გვ. 143): „თთუესა იანეარსა 6, ნათ-ლისდებამ უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი, დასდებელნი აკრისტიხონნი აღბეჭდულნი. თქუ-ძულნი ორმოციისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ზუთისა და ოცდაათისანი [= მიქაელისნი]. ფრთხილო, გულისხმა ყავ და უღირისა მონისა მიქაელისთვს ლოცუა ყავ“.

პირველი უ, პირველი გალობანი, მ და პირველი ა საერთო აკროსტიხით: „ქრისტემან ნათელს ილო და სოფელი განანათლა“.

მმ — ფრაზული ალიტერაციით („ნეტარებაჲ პირველი“ 5-ჯერ).

¹ ამ ტექსტის — № 12-ის შესახებ იხ. ქვემოთ, გვ. 032, შენიშვნა.

13) საგალობელნი მესამე კმისა. გვ. 149 — 153.

ზედწერილი (გვ. 149): „ამასვე დღესა ნათლითა შემოსილსა დასდებელნი ნათლისღებისანი ქართულნი“.

საგალობელთა ჯგუფში შედის: უ (კმაჲ 3); უ (კმაჲ 3); (დამატება: ო — კმაჲ 2, ნ — კმაჲ 5); გალობანი (კმაჲ 3); მ; ა [კმაჲ 3].

მეორე უ და მომდევნო საგალობელნი საერთო აკროსტიხით: „აჲა კრავი ღმრთისაჲ, რომელმან აღიხუნა ცოდვანი სოფლისანი“.

14) საგალობელნი მეოთხე კმისა. გვ. 155 — 158.

ზედწერილი (გვ. 153):

საგალობელთა ჯგუფში შედის: უ (კმაჲ 4); (დამატება: ო — კმაჲ 1); გალობანი (კმაჲ 4); მ; ა [კმაჲ 4].

საგალობელთა ჯგუფს აქვს საერთო აკროსტიხი: „შეინანეთ, რამეთუ მოახლებულ არს სასუფეველი ცათაჲ“.

15) საგალობელნი მეხუთე კმისა. გვ. 158 — 161.

ზედწერილი (გვ. 158): „ამასვე დღესა ნათლითა შემოსილსა დასდებელნი... ნათლისღებისანივე ქართულნი“.

საგალობელთა ჯგუფში შედის: უ (კმაჲ 5); უ [კმაჲ 5]; ნ [კმაჲ 5]; ო [კმაჲ 5]; გალობანი [კმაჲ 5]; მ; ა [კმაჲ 5]; ა [კმაჲ 5].

მეორე უ, ნ, ო, გალობანი, მ და პირველი ა საერთო აკროსტიხით: „რომელი იორდანეს გამოსცხადენ, უფალო, დიდებაჲ შენდა“.

პირველი უ თავედი ალიტერაციით („ი“ 3-ჯერ); ბოლო ა ვერბალური ალიტერაციით („ვითარცა“ 3-ჯერ).

16) საგალობელნი მეექვსე კმისა. გვ. 163 — 164.

ზედწერილი (გვ. 163): „ამასვე დღესა ნათლითა შემოსილსა დასდებელნი ნათლისღებისანივე აღბეჭდულნი აკრისტობონნი ქართულნი“.

საგალობელთა ჯგუფში შედის: უ (კმაჲ 6); უ [კმაჲ 6]; (დამატება: ო — კმაჲ 5); გალობანი (კმაჲ 6); მ --- ბოლო აკლია.

საგალობელთა ჯგუფს აქვს საერთო აკროსტიხი: „ნათლისღებითა ---“ (ბოლო აკლია).

17) საგალობელნი მეშვიდე კმისა. გვ. 165 — 168.

ზედწერილი (გვ. 165): „ამასვე დღესა ნათლითა შემოსილსა დასდებელნი ნათლისღებისანივე ქართულნი“.

საგალობელთა ჯგუფში შედის: (დამატება — უ, კმაჲ 6); უ; ო (კმაჲ 7); გალობანი [კმაჲ 7]; მ; ა [კმაჲ 7]; ა [კმაჲ 7]; ა [კმაჲ 7].

გალობანი დაწერილია ფორმით „მერჩულიულნი უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I ვერბალური ალიტერაცია „ღმერთსა“ (3-ჯერ)

„ I-a თავედი „მ“ (3-ჯერ)

„ II „ „ „ „გ“ (3-ჯერ)

„ III „ „ „ „ს“ (3-ჯერ)

„ IV „ „ „ „შ“ (3-ჯერ)

„ V „ „ „ „ი“ (3-ჯერ)

„ VI ვერბალური „საკუმილი“ (3-ჯერ)

„ VII „ „ „რომელი“ (3-ჯერ)

„ VIII თავედი „ჟ“ (3-ჯერ)

პირველი უ თავედი ალიტერაციით („მ“ 3-ჯერ); პირველი ა ვერბალური ალიტერაციით („დღეს“ 5-ჯერ); მესამე ა თავედი ალიტერაციით („ნ“ 4-ჯერ).

18) საგალობელნი მერვე კმისა. გვ. 168 — 171.

ზედწერილი (გვ. 168): „ამასვე დღესა ნათლითა შემოსილსა დასდებელნი“; არშიაზე წარწერილია: „ანბანისანი“.

საგალობელთა ჯგუფში შედის: უ (კმაჲ 8); უ [კმაჲ 8]; უ მეხუთე [კმაჲ 8]; უ [კმაჲ 8]; ო [კმაჲ 8]; გალობანი [კმაჲ 8]; მ; ა [კმაჲ 8]; ა [კმაჲ 8]; ა [კმაჲ 8].

მეოთხე უ, ო გალობანი, მ და პირველი ა გაერთიანებულია ანბანური აკროსტიხით.

დამატებითი საგალობელნი ნათელათვის და აღვსებისა.

19) განცხადებისა შემდეგი კერა: „დასდებელნი ნათლისღებისანი და აღდგომისანი აღბეჭდულნი“. გვ. 172 — 176.

საგალობელთა ჯგუფი: უ; უ; ო; ნ; გალობანი მ; ა. საერთო აკროსტიხით: „განმზადენ გზანი უფლისანი და წრფელ ყვენ ალაგნი მისნი“.

დანარჩენი საგალობლები

რიგი პირველი, ა.

20) 24. XII. შობისა წინა დღე.

საგალობელთა ჯგუფი: უ; უ; გალობანი მ; ა; [ა, წარწერით გვერდის არშიაზე: „იოვანე მტბეარა“]. გვ. 70 — 72.

საგალობლები, გარდა უკანასკნელი ა-სი, საერთო აკროსტიხით: „ქრისტე იშვების, უგალობდეთ, ერნო, სიხარულით“.— ზედწერილი საგალობელთა ჯგუფის თავში (გვ. 71): „ქართულნი“.

21) 17. I. ანტონი მოლუაწე.

საგალობელთა ჯგუფი: უ; ო; გალობანი; მ; ა. გვ. 215 — 217.

საგალობლები — საერთო აკროსტიხით: „მამათა მამათასა ანტონის უგალობდეთ ერნო“.

ზედწერილი საგალობელთა ჯგუფის თავში (გვ. 215): „დასდებელნი... ანტონი მოლუაწისანი ქართულნი, აღბეჭდულნი აკროსტიხონნი“.

რიგი პირველი, ბ.

22) 24. XII. შობის წინა დღე.

საგალობელთა ჯგუფი: უ; უ; გალობანი; მ; ა; ა. გვ. 75 — 78.

პირველი უ თავედი ალიტერაციით („მ 3-ჯერ), მეორე უ და მომდევნო საგალობელნი საერთო აკროსტიხით: „ღიღებამ მალალთა შინა ღმერთსა ყოველთასა. ამენ“.

23) 3. I. წინამოსწავება განცხადებისა დ კსენება მამათთავართა.

საგალობელთა ჯგუფი: უ; ო; გალობანი; მ; ა. გვ. 124 — 128. საერთო აკროსტიხით: „მამათთავართა კრებული დღეს ჩუენთანა იხარებს სულიერად“.

24) 13. I. განცხადებისა მსგეფსი და კსენება მამათა სინელთა.

საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი; მ; ა. გვ. 204 — 207. საერთო აკროსტიხით: „უფლისა ხათლისღებასა და მამათა კსენებასა ვაქებდეთ“.

რიგი პირველი, გ.

25) 22. XII. წინამოსწავება შობის.

საგალობელთა ჯგუფი: უ; უ; გალობანი; მ; ა; ა. გვ. 52 — 54.

მეორე უ, გალობანი, მ და პირველი ა საერთო აკროსტიხით: „ქრისტეს შობასა ვიხარებდეთ მორწმუნენო“. ბოლო ა თავედი ალიტერაციით („მ 3-ჯერ).

26) 14. I. სკიტელნი მამანი.

საგალობელთა ჯგუფი: უ; ო; გალობანი; მ; ა. გვ. 207 — 211. საერთო აკროსტიხით: „მეოხ მეყენით ღმერთშემოსილნო მამანო წინაშე დაუსაბამოძსა სამებისა“.

27) 15. I. ბაბილა ანტიოქელი.

საგალობელთა ჯგუფი: უ; ო; გალობანი; მ; ა. გვ. 211 — 213. საერთო აკროსტიხით: „ღმერთშემოსილსა ბაბილას შევაპკობდეთ“.

28) 26. I . იოანე მმარხეელი.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; ო¹; გალობანი; მ¹; ა¹. გვ. 257 — 258. საერთო აკროსტიხით: „იოანეს შამათთაჯარსა გალობით შევაშკობდეთ“.

რიგი მეორე, ა.

29) 12. XI. იოანე მოწყალე.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; უ²; გალობანი; მ¹; ა¹. გვ. 321 — 324. საერთო აკროსტიხით (გარდა პირველი უ¹-სი): „იოანეს ეგვიპტისა მთიებსა შევაშკობდეთ“.

30) 12. XI. იოანე ურპაელი.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; ო¹; გალობანი; მ¹; ა¹. გვ. 325 — 328. საერთო აკროსტიხით „ვაქებდეთ იოანეს, ღირსსა მღვდელთ-მოძღუარსა“.

31) 19. XII. დეონისიოს ბრძენთ-მთავარი.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; ო¹; გალობანი; მ¹; ა¹. გვ. 353 — 357. საერთო აკროსტიხით: „დეონისიოს ბრძენთ-მთავარსა შევაშკობდეთ, ერნო“.

რიგი მეორე, ბ.

32) 18. XII. პალადიოსი.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; ო¹; გალობანი; მ¹; ა¹; გვ. 352 — 353. საერთო აკროსტიხით (გარდა ა¹-სი): „პალადიოს ღმერთშემოსილსა შევასხვიდეთ. ერნო“.

* * *

მიქაელ მოღრეკილის ავტორობის საკითხის განხილვა.

საგალობელთა ზემოთ-ჩამოთვლილი 32 ჯგუფის მიქაელ მოღრეკილისადმი კუთვნილება დასტურდება შემდეგი საბუთებით.

ა. საგალობელნი აღესებისანი რვა-ქმანი
(საგალობელნი №№ 2 — 9).

საგალობელთა ეს რვა ჯგუფი (რვა-ქმანი) ერთ მთლიან წარმოადგენს.

ჯერ კიდევ ჩვენს აღრინდელ გამოცემაში „ძველ ქართული სასულიერო პოეზია“, ამ საგალობლებზე ჩვენ ვწერდით:

„ქართულ საგალობელთა შორის, რომლებიც მიქაელის კრებულში ჩართულ ოკტოიხოში (= იადგარის VI განყოფილებაში) არიან მოთავსებულნი, — განკერძოებით სდგას დასდებელთა (საგალობელთა) რვა ჯგუფი. შენობისა და სტილის სრული იგივეობა ამ ჰიმნებში ცხად-პყოფს, რომ ისინი ერთ ავტორს ეკუთვნიან. ოკტოიხოში (= იადგარის VI განყოფილებაში) ამ საგალობლებს ადგილიც განკერძოებული უქირავთ: თვითეული მათგანი თვითეული ხმის ბოლოშია დართული. დასდებელთა (საგალობელთა) ეს რიგი თავისთავად პატარა ოკტოიხოს წარმოადგენს: საგალობელთა თითო ჯგუფი თითო ხმაზეა დადებული... ეს პატარა ოკტოიხო, როგორც ამას მიქაელის სახელწარწერილ ჰიმნებთან შედარება ცხად-პყოფს, ამავე მწერლის კალამს ეკუთვნის“ (იხ. გვ. XII — XIII).

თავდაპირველად საკიროა აღვნიშნოთ, რომ საგალობელთა ეს რვა ჯგუფი დაწერილია ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული პოეზიის „მოკავშულობის“ ფართოდ გამოყენებით, როგორცაა აკროსტიხი და ალიტერაცია, მერჩულიუღნი უცხონი.

ჯერ მარტო გარეგანი ფორმა საგალობელთა ამ რვა ჯგუფისა ცხად-პყოფს, რომ ეს საგალობლები ერთი განუყოფელი მთლიანია, შეკრული ერთიანი სტრუქტურული წყობით.

მკითხველი გაეცნოს საგალობელთა წყობას, რაზედაც წარმოდგენას იძლევა აქვე დართული სქემა:

(იხ. სქემა 026 — 027 გვერდებზე).

ამ სქემიდან ჩვენ ვხედავთ:

საგალობელთა A ჯგუფი ყველა შემთხვევებში მორთულია ალიტერაციით;

საგალობელთა B ჯგუფი ყველა შემთხვევებში გაწყობილია აკროსტიხით „გერნი“;

საგალობელთა C ჯგუფი ყველა შემთხვევებში გაერთიანებულია საერთო აკროსტიხით გალობასთან (D-სთან);

საგალობელთა D ჯგუფი (გალობანი) ყოველთვის მოკაზმულია: II, IV, VI, VII, VIII — გაწყობილია აკროსტიხით; III, V დაწერილია ფორმით „მერჩულილნი უცხონი“; I დაწერილია ფორმით „სპადუქნი უცხონი“.

საგალობელთა E ჯგუფი მორთულია ალიტერაციით ან აკროსტიხით.

ამრიგად, ერთიანობა საგალობელთა ამ რვა ჯგუფისა ჯერ მარტო ფორმალური ნიშნების მიხედვითაც სრულიად უდავოა.

ამ საგალობელთა მიქაელ მოდრეკილისადმი კუთვნილებას ადასტურებს შემდეგი.

ა) კრიპტოგრამული ტექსტი, წარწერილი საგალობელთან № 4: „თქუმულნი ოთხმოციისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისანი“ [= ე. ი. მიქაელისნი]. — იხ. ზემოთ. გვ. 019.

ბ) სავეტროო წარწერა საგალობელთან № 8: „ მიქაელისი “ (იხ. ზემოთ, გვ. 021).

გ) საგალობლებს აქვს ზედწერილი „ქართულნი“, რაც ჩვეულებრივ მიქაელ მოდრეკილის საგალობლებს ერთვის (იხ. საგალობლები №№ 2, 3, 5, 6, 7; შეადარეთ აგრეთვე ქვემოთ საგალობლები №№ 13, 15, 16, 17, 20, 21).

დ — ე) ამას გარდა ამ საგალობელთა მიქაელ მოდრეკილისადმი კუთვნილებას ადასტურებს აგრეთვე ორი ნიშანდობლივი მაჩვენებელი:

1. აკროსტიხების სახეობა;

2. „საქვეყნო სათხოვარნი“.

აქ ჩვენ მოგვიხდება შეეჩერდეთ ამ ორ უკანასკნელ საკითხზე.



ძველ-ქართულ გალობათა აკროსტიხების სახეობანი

VIII — XI საუკუნეთა ქართულ პოეზიაში

და მიქაელ მოდრეკილისეული ფართო მოცულობის აკროსტიხები.

VIII — XI საუკუნეთა პოეზიის ყველა მოღწეული ძეგლების შესწავლიდან ირკვევა, რომ აკროსტიხები ძველ-ქართულ გალობათა („კანონებისა“) VIII — XI საუკუნეებში შემდეგს შეიღ სახეობას წარმოადგენდა მოცულობის მიხედვით.

A-ჯგუფი მ-ნაწევრიანი გალობანი (= ზ).

2) „ II: ზ + ბ (= მ-ნაწევრიანი გალობანი + სტიქარონი ა).

1) ხანძთელური I: ზ (= მ-ნაწევრიანი გალობანი).

3) ანონიმური A: უ + ზ + ბ (= სტიქარონი უ + მ-ნაწევრიანი გალობანი + სტიქარონი ა).

(იხ. გაგრძელება 028 გვერდზე).

მიქაელ შოღერეცილი
საგალობელნი აღმსვინისანი ჩმა-ჟმანი
 (საგალობელთა შუობის სქება)

საგალობელნი	A	B	C	D	E	F
საგალობელნი I კმისა	1. <u> </u> <u> </u> <u> </u> (ალიტერაცია) 2. <u> </u> <u> </u> <u> </u> (ალიტერაცია)	3. <u> </u> <u> </u> <u> </u> (აკროსტიხი "გერნი")		4. <u> </u> <u> </u> <u> </u> <u> </u> საღუქნი შუხონი	5. <u> </u> <u> </u> <u> </u> (ალიტერაცია) 6. <u> </u> <u> </u> <u> </u> (ალიტერაცია)	
საგალობელნი II კმისა	1. <u> </u> <u> </u> <u> </u> (ალიტერაცია)	2. <u> </u> <u> </u> <u> </u> (აკროსტიხი "გერნი")	3. <u> </u> <u> </u> <u> </u> შუხონი	4. <u> </u> <u> </u> <u> </u> <u> </u> გალობანი	5. <u> </u> <u> </u> <u> </u>	
საგალობელნი III კმისა	1. <u> </u> <u> </u> <u> </u> (ალიტერაცია)	2. <u> </u> <u> </u> <u> </u> (აკროსტიხი "გერნი")		აკროსტიხი		
საგალობელნი IV კმისა		1. <u> </u> <u> </u> <u> </u> <u> </u> (აკროსტიხი "გერნი")	2. <u> </u> <u> </u> <u> </u> <u> </u>	3. <u> </u> <u> </u> <u> </u> <u> </u> გალობანი მეჩუღიულნი შუხონი (იამბიკონნი)	4. <u> </u> <u> </u> <u> </u> (აკროსტიხი) 5. <u> </u> <u> </u> <u> </u> (აკროსტიხი)	5-7. <u> </u> <u> </u> <u> </u> <u> </u> <u> </u> 5-7. <u> </u> <u> </u> <u> </u> <u> </u> <u> </u>

აკროსტიხი

საგალობელი	A	B	C	D	E	F
საგალობელი V ვმისა	1. <u> </u> უ (ალიტერაცია)	2. <u> </u> უ (აკროსტიხი "გერნი")		3. <u> </u> გალობანი მერქულიუღნი უცონი	4. <u> </u> ა (ალიტერაცია)	
საგალობელი VI ვმისა		1. <u> </u> უ (აკროსტიხი "გერნი")	2. <u> </u> უ უცონი	3. <u> </u> გალობანი	4. <u> </u> ა	5-7. <u> </u> თ, <u> </u> კ, <u> </u> ს
საგალობელი VII ვმისა		1. <u> </u> უ (აკროსტიხი "გერნი")	2. <u> </u> უ	3. <u> </u> გალობანი სადუქნი აკროსტიხი	4. <u> </u> ა	5-7. <u> </u> თ, <u> </u> კ, <u> </u> ს
საგალობელი VIII ვმისა		1. <u> </u> უ (აკროსტიხი "გერნი")	2. <u> </u> უ გერნი	3. <u> </u> გალობანი აკროსტიხი	4. <u> </u> ა	

ბ-ჯგუფი: 9-ნაწევრიანი გალობანი „მოიხილეთი“ (= ზმ).

- 4) მინჩხური : ზმ (= 9-ნაწევრიანი გალობანი).
 5) ანონიმური B: ზმ + ა (= 9-ნაწევრიანი გალობანი + სტიქარონი ა).
 6) ეზრასეული : $\left\{ \begin{array}{l} უ (= სტიქარონი უ: სახელი ავტორისა). \\ ზმ (= 9-ნაწევრიანი გალობანი: საკუთრივ აკროსტიხი). \\ ა (= სტიქარონი ა: „ამენ“). \end{array} \right.$

ც-ჯგუფი.

- 7) მიქაელ მოდრეცილოსეული ფართე მოცულობის აკროსტიხები.
 ძირითადი სახეობაა: უ + ზმ + ა, შემდეგის ვარიაციებით *:

- 8 a) $\boxed{უ} \text{ ————— } + \boxed{ზმ} + \boxed{ა}$
 8 b) $\boxed{უ} \text{ ————— } + \boxed{ზმ} + \boxed{ა} + ა$
 8 c) $\boxed{უ} + უ \text{ ————— } + \boxed{ზმ} + \boxed{ა}$
 8 d) $\boxed{უ} \text{ — } + \Omega \text{ — } + \boxed{ზმ} + \boxed{ა}$
 8 e) $\boxed{უ} + უ + \Omega \text{ — } + \boxed{ზმ} + \boxed{ა}$
 8 f) $\boxed{უ} \text{ — } + \Omega + \Omega + \boxed{ზმ} + \boxed{ა}$
 8 g) $\boxed{უ} + უ + \Omega + \Omega + \boxed{ზმ} + \boxed{ა}$
 8 ხ) $\boxed{უ} \text{ — } + \Omega + \Omega + \boxed{ზმ} + \boxed{ა}$
 8 ი) $\boxed{უ} \text{ — } + \boxed{ზმ} + \boxed{ა} + \Omega + \Omega + \Omega$

აკროსტიხთა აღნიშნული სახეობანი ჩვენ გვხვდება შემდეგ ავტორებთან.

1) ხანძთელური I (ზ); გრიგოლ ხანძთელი (იხ. აქვე, გვ. 011, № 47; გვ. 07, № 3); გიორგი პერჩულე (იხ. აქვე, გვ. 013, № 9); ივანე მგალობელი (იხ. აქვე, გვ. 045); გიორგი მთაწმიდელი¹; ეზრა მთაწმიდელი²; ანონიმები (იხ. გვ. 037, № 20; გვ. 051, № 34; გვ. 051, № 37; გვ. 051, № 41; გვ. 072, № 24)³.

2) ხანძთელური II (ზ+ა): გრიგოლ ხანძთელი (იხ. აქვე, გვ. 011, № 52; გვ. 044, № 17; გვ. 045, №№ 24, 25); ანონიმები (იხ. აქვე, გვ. 046, გვ. 046, №№ 1, 2; გვ. 047, № 15; გვ. 049, № 1; გვ. 051, № 35; გვ. 051, № 36).

3) ანონიმური A (უ+ზ+ა): ბასილი მთაწმიდელი⁴; ზოსიმე მთაწმიდელი⁵; ანონიმი (იხ. აქვე, გვ. 035 — 036; № 12; გვ. 036, № 15).

4) მინჩხისეული (ზმ): მინჩხი⁶; იოვანე მტბევაი (იხ. აქვე, გვ. 015, № 5; ანონიმები (იხ. აქვე, გვ. 035, № 5; გვ. 036, № 13).

5) ანონიმური B (ზმ + ა): ანონიმები (გვ. 035, №№ 10, 11)⁷.

6) ეზრასეული (ზ = ავტორი; ზმ = ძირითადი აკროსტიხი; ა = „ამენ“): ეზრა (X საუკ. იხ. აქვე, გვ. 017).

* ო = „ოხოთაჲ“; ნ = „ნეტარ-არიანთა“; კ = „კელთა-ბანისაჲ“; ს = „სიწმიდისაჲ“.

¹ იხ. იაშვილიანი საგალობელნი შობისა (ხელნ. S—4999) და ნათლისღებისანი (H—2338).

² იხ. ათონის 1074 წლ. ხელნ., გვ. 331 — 338 (გამოცემის გვ. 191 — 197).

³ იხ. აგრეთვე ანონიმური აკროსტიხები: ა) ხელნაწერში Sin. — 59 (ნ. მარის აღწერილობა, გვ. 107); ბ) გიორგი მთაწმიდელისადმი მიძღვნილ საგალობელთა, — ხელნაწერში S — 353 (შეად. გამოცემა, ათონის 1074 წლ. ხელნ., გვ. 354 — 357).

⁴ იხ. ათონის 1074 წლ. ხელნ., გვ. 353 — 364 (გამოცემის გვ. 209 — 215).

⁵ იხ. ათონის 1074 წლ. ხელნ., გვ. 313 — 323, 341 — 353 (გამოცემის გვ. 177 — 185, 202 — 208).

⁶ იხ. ხელნ. Sin — 2 (ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, გვ. 145 — 147).

⁷ იხ. აგრეთვე ანბანური აკროსტიხი ანონიმისა ხელნაწერში Sin. — 65 (ნ. მარის გამოცემა, გვ. 146 — 149).

რაც შეეხება მიქაელ მოდრეკილისეული ფართო მოცულობის აკროსტიხებს, იგი არსად არაა დამოწმებული ძველ-ქართულ ჰიმნოგრაფიულ პოეზიაში VIII — XI საუკუნეთა მანძილზე და მხოლოდ მიქაელ მოდრეკილთან გვხვდება; სახელდობრ:

უ + გმ + ა	(იხ. მიქაელის საგალობელი: №№ 1, 3, 9, 11, 24, 25, 30)
უ + გმ + ა + ა	(„ „ „ № 22).
უ + უ + გმ + ა	(„ „ „ № 20).
უ + ო + გმ + ა	(„ „ „ №№ 8, 14, 18, 21, 23, 26, 27, 28, 29, 31).
უ + უ + ო + გმ + ა	(„ „ „ № 16).
უ + ო + ნ + გმ + ა	(„ „ „ № 13).
უ + უ + ო + ნ + გმ + ა	(„ „ „ № 19).
უ + ნ + ო + გმ + ა	(„ „ „ № 15).
უ + გმ + ა + ო + კ + ხ	(„ „ „ №№ 5, 7) I.

„საქვეყნო სათხოვარი“.

ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი იმის შესახებ, რომ გალობათა უქანასკნელ სტროფებში (VIII გალობაში) გამოთქმულია ზოლმე „საქვეყნო სათხოვარი“.

გრიგოლ ხანძთელის საგალობლებში, „საქვეყნო სათხოვარის“ სხვადასხვა ტექსტებს შორის, ორჯონის გვხვდება შემდეგი „სათხოვარი“ (იხ. საგალობლები №№ 10, 22):

„წარგვმართე გზასა მშვიდობისასა“

ეს „საქვეყნო სათხოვარი“ განმეორებული აქვს გიორგი მერჩულეს ერთ საგალობელში შემდეგი სახით (იხ. საგალობელი № 1):

„და მით წარგვმართე გზასა მშვიდობისასა,
მესნელო!“

ეს სათხოვარი, რაც გრიგოლ ხანძთელის ტექსტებში ორჯონის გვხვდება, ზოლო გიორგი მერჩულისაში ერთხელ, მიქაელ მოდრეკილის პოეზიაში „საქვეყნო სათხოვარის“ ერთ-ერთ მთავარ ლეიტმოტივს წარმოადგენს.

ამასთან ეს „საქვეყნო სათხოვარი“ მიქაელ მოდრეკილთან ჩვეულებრივ გადმოცემულია შემდეგნაირად: მგალობელი შესთხოვს სა ხ ი ე რ ს (ღმერთს), რათა — „წარუმართოს ფერქთა ჩუენთა გზასა მშვიდობისასა“.

ეს ფრაზა, ამ სახით, როგორც უცვლელი ლეიტმოტივი, მეორდება მიქაელ მოდრეკილის საგალობელთა მთელ რიგში. ასე, იხ. „საქვეყნო სათხოვარი“ შემდეგ საგალობელთა:

საგალობელი № 8:

მოჰმადლე ძლევაჲ მეფესა მორწმუნესა
მტერთა ურწმუნოთა წინააღმდგომთაჲ,
და წარუმართე, სა ხ ი ე რ,
ფერქთა ჩუენთა გზასა მშვიდობისასა.

საგალობელი № 9:

მოჰმადლე ძლევაჲ მეფესა ჩუენსა,
აკურთხე ერი შენი,
და დაიცევე სამკვდრებელი შენი...
და წარუმართე ფერქთა
ჩუენთა გზასა მშვიდობისასა.

1 აქ ჩამოთვლილ ფართო მოცულობის აკროსტიხთაგან, პირველი მარტივი სახეობა (უ + გმ + ა), გარდა მიქაელის საგალობელთა, მხოლოდ ერთხელ გვხვდება VIII — XI საუკუნეებში, სახელდობრ გაურკვეველს ანონიმურ საგალობელში, რომელიც მოხსენებული გვაქვს 09 გვერდზე, შენიშვნა 1.

საგალობელი № 21:

მეფესა ჩუენსა ძლევამ,
და წარმართებამ ფერქთა
ჩუენთა გზასა მშვდობისასა.

საგალობელი № 14:

...ძლევამ მტერთამ მეფესა მორწმუნესა
და წარმართებად ღლეს
ფერქთა ჩუენთა გზასა მშვდობისასა.

საგალობელი № 10:

მოიქსენე / სამწყსომ შენი სახიერ,...
და წარუმართე ფერქთა
ჩუენთა გზასა მშვდობისასა.

საგალობელი № 22:

მოიხილე ჩუენ ზედა
მადლით წმიდით, სახიერო,
და წარუმართე ფერქთა
ჩუენთა გზასა მშვდობისასა.

საგალობელი № 24:

ბაგეთაგან / უღირსთა უძლური შესხმამ
შეიწირე ..., სახიერ,
და წარუმართე ფერქთა
ჩუენთა გზასა მშვდობისასა.

საგალობელი № 13:

წარუმართე ფერქთა ჩუენთა, სახიერ,
გზასა მშვიდობისასა.

საგალობელი № 23:

წარუმართე აწ ფერქთა ჩუენთა, სახიერ,
კემშარიტსა / გზასა მშვდობისასა.

ამას გარდა, როგორც ამას შესახებ ცალკე გვაქვს საუბარო, მიქაელ მოდრეცილის მიერ რედაქტირებულს საწელიწდო იადგარის შესავალში („ძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი“), მოთავსებულია ძლისპირი, რომელიც, როგორც ირკვევა, მიქაელ მოდრეცილს ეკუთვნის, და რომელშიაც ჩვენ გვაქვს შემდეგი „საქეყნო სათხოვარი“¹:

კურთხეულ არს უფალი ღმერთი	(9)
ისრაელისაჲ, — / რომელმან აღმიდგინა	(5+7)
ჩუენ რქამ ცხოვრებისაჲ — სახლსა მას	(9)
და ვითის, მონისა თვისისაჲ,	(10)
რამეთუ გამოგვბრწყინდა	(8)
ჩუენ მომავალი მადლით,	(7)
და წარუმართა ფერქთა ჩუენთა	(9)
გზასა მშვდობისასა.	(7)

აშკარაა, ყველა ეს საგალობლები ერთი ავტორისაა².

¹ იხ. მიქაელ მოდრეცილის კრებული, გვ. 43.

² აღენიშნაეთ ამასთან, რომ გამოთქმა—„წარმართებამ ფერქთა ჩუენთა გზასა მშვდობისასა“ აქ მოყვანილი სახით ჩვენ არ გვხვდება VIII—XI საუკუნეთა ქართული პოეზიის დანარჩენი ძეგლების „საქეყნო სათხოვარში“. ეს ფრაზა მხოლოდ ორგზის აქვს განმეორებული იოვანე მტბეუარს, რომელიც მიქაელ მოდრეცილის პოეზიის დიდ გავლენას განიცდიდა (იხ. საგალობლები №№ 5, 9.—აღენიშნაეთ ამასთან, რომ იოვანე მტბეუარის საგალობლები, მოთავსებულნი არებულში, ყოველთვის სახელ-წარწერილია, და ამიტომ მათი აღრევა მიქაელ მოდრეცილის ტექსტებთან თავისთავად გამორიცხულია).

დაუბრუნდეთ ამის შემდეგ მიქაელის საგალობელთა იმ ჯგუფს, რომელიც აქ ჩვენი განილვის საგანს შეიცავს: საგალობელნი აღვსებისანი რვა-კმანი.

წარმოდგენილი მიმოხილვა აკროსტიხების ტიპოლოგიისა და მიქაელ მორდრეკილისეულ „საქვეყნო სათხოვართა“ ჩვენ გვაძლევს ახალ დამატებითს საბუთს, რომ საგალობელთა ეს ჯგუფი მიქაელ მორდრეკილის ეკუთვნის. სახელდობრ ამ საგალობლებში ჩვენ გვაქვს მიქაელ მორდრეკილისეული ფართო მოცულობის აკროსტიხები (იხ. საგალობელნი №№ 3, 5, 7, 8, 9) და აგრეთვე მიქაელ მორდრეკილისეული „საქვეყნო სათხოვარნი“ (საგალობელნი №№ 8, 9).

ბ. საგალობელნი ნათელთან ირვა-კმათა ზედა.
(საგალობელნი №№ 11 — 18).

ეს მეორე ჯგუფი საგალობელთა ისევე ერთს მთლიანს წარმოადგენს, როგორც ზემოთ-განხილული საგალობელნი აღვსებისანი რვა-კმანი.

ამ საგალობელთა მიქაელ მორდრეკილისადმი კუთვნილებას ადასტურებს შემდეგი.

ა) ამ საგალობელთა თავში ჩვენ გვაქვს მიქაელ მორდრეკილის კრიპტოგრაფული ზედწერილი: „თქუმულნი ორმეოცისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისანი“ [= ე. ი. მიქაელისნი]. იქვე აღნიშნულია: „ფრთხილო, გულისხმა ყავ და უღირსისა მონისა მიქაელის-თვს ლოცვა ყავ“ (იხ. ზემოთ, გვ. 021).

ბ) ამავე ჯგუფის საგალობლებში ჩვენ გვაქვს მიქაელ მორდრეკილისეული ფართო მოცულობის აკროსტიხები (იხ. საგალობლები №№ 13, 14, 15, 16, 18).

გ) ამავე ჯგუფის საგალობლებში ჩვენ გვაქვს აგრეთვე მიქაელ მორდრეკილისეული „საქვეყნო სათხოვარნი“ (იხ. საგალობლები №№ 13, 14).

დ) დასასრულ, ამავე საგალობლებში გვაქვს ზედწერილები „ქართული“, რაც ჩვეულებრივ მიქაელ მორდრეკილის საგალობლებს ერთეის (იხ. საგალობლები №№ 13, 15, 16, 17) ¹.

დანარჩენი საგალობლების მიქაელ მორდრეკილისადმი კუთვნილება ირკვევა შემდეგის მიხედვით:

საგალობელი № 1. ამ საგალობელს აქვს მიქაელ მორდრეკილის კრიპტოგრაფული ზედწერილი: „თქუმულნი ორმეოცისა, ათისა, ექუსასისა, ერთისა, ხუთისა და ოცდაათისანი“ [= ე. ი. მიქაელისნი]. (იხ. ზეით, გვ. 019). იქვე არშიაზე მოთავსებულია მიქაელ მორდრეკილის ავტორობის აღმნიშვნელი წარწერა: „მქლ“. ამას გარდა საგალობელი გაწყობილია მიქაელ მორდრეკილისეული ფართო მოცულობის აკროსტიხით.

¹ საგალობელთა ამ ჯგუფიდან საექვოდ შესაძლოა ჩაითვალოს მიქაელისადმი კუთვნილება მხოლოდ ერთი ტექსტისა, — გალობათა № 12. ეს ტექსტი, გალობანი № 12, საგალობელთა მთელ ამ ჯგუფში ერთგვარი უცხო აპენდიქსის შთაბეჭდილებას სტოვებს; მიქაელისადმი მის კუთვნილებას საექვოდ ხდის შემდეგი:

ა) გალობანი № 12 რიგის მიხედვით უნდა იყოს მეორე ხმისა. ხოლო საგალობელთა ზედწერილები მესამე ხმას მიუთითებს, რაც არღვევს მთელი ჯგუფის წყობას.

ბ) გალობანი № 12 განკერძოებით დგას მთელ ჯგუფში იმ მხრივაც, რომ მას არ ახლავს სტიქარონები უ¹ („უფალო-დადაყვისა“), აგრეთვე არ ახლავს ო¹ („ოხითაჲ“).

ამას გარდა ამ საგალობელთა მიქაელისადმი კუთვნილება არ მტკიცდება არც აკროსტიხთა ტიპით (იგი უაკროსტიხთა), არც წარწერით „ქართული“ (ასეთი წარწერა არა აქვს), არც „საქვეყნო სათხოვარით“ (ტექსტში ასეთი შეტანილი არაა).

ყოველივე აღნიშნულის გამო მიქაელისადმი კუთვნილება გალობათა № 12 საექვოდ უნდა ჩაითვალოს. ამის გამო ზემოთ-მოყვანილს ნუსხაში (გვ. 021) იგი, როგორც საექვოდ ტექსტი, ჩვენ მოვათავსეთ ტიხილ რკალებში < >, ვარსკვლავის (*) დართვით, ისე როგორც ეს მიღებული გვაქვს სხვა საექვოდ ტექსტების მიმართ.

საგალობელი № 10. აქ ჩვენ გვაქვს მიქაელ მორდვეკილისეული „საქვეყნო სათხოვარი“.

საგალობელი № 19. აქ გვაქვს მიქაელ მორდვეკილისეული ფართო მოცულობის აკროსტიხი.

საგალობელი № 20. საგალობელს აქვს ზედწერილი „ქართულნი“, რაც ჩვეულებრივ მიქაელის საგალობლებს ერთვის. საგალობელი გაწყობილია მიქაელ მორდვეკილისეული ფართო მოცულობის აკროსტიხით.

საგალობელი № 21. აქაც გვაქვს ზედწერილი „ქართულნი“, მიქაელ მორდვეკილისეული ფართო მოცულობის აკროსტიხი, და აგრეთვე მისივე „საქვეყნო სათხოვარი“.

საგალობლები №№ 22, 23, 24. აქ გვაქვს მიქაელ მორდვეკილისეული ფართო მოცულობის აკროსტიხნი და მისივე „საქვეყნო სათხოვარი“.

საგალობლები №№ 25, 26, 27, 28, 29, 30, 31. აქ გვაქვს მიქაელ მორდვეკილისეული ფართო მოცულობის აკროსტიხნი.

საგალობელი № 32. აქაც ფართო მოცულობის აკროსტიხია, რომელიც უახლოედება მიქაელისეულ ტიპს: **შ + ო + ზმ** (აკროსტიხში არ შედის ბოლო სტიქარონი ა¹, რაც ნორმიდან ერთგვარ გადახვევას წარმოადგენს). საგალობელნი ტექსტის სტილისტიკური ნიშნების მიხედვით. მიქაელ მორდვეკილისად არის მისაჩნვეი.

• • •

XI — ა.

მიქაელური მცირე ფორმის საგალობლები ჩართული საგალობელთა სხვადასხვა ჯგუფებში.

მიქაელ მორდვეკილი, როგორც მოხსენებული გვქონდა, კრებულის ანდერძებში აღნიშნავს, რომ მან არა მარტო შეპკრიბა საგალობელნი, არამედ რედაქცია უყო მათ, შეავსო ისინი. ერთ ანდერძში მიქაელი ამბობს: „**ე ს რ მ თ გ ა ნ ვ ა წ ე ს ე თ ა ვ ი თ თ ვ ს ი თ დ ა უ მ ჯ ო ბ ე ს ე ყ ა ვ . . .** რამეთუ ყოველსა კმასა პირველ უფალო-ღაღადდ ყავისა ძლისპირნი დავწერენ და შემდგომად გალობათანი...“ (იხ. ხელნაწერი, გვ. 44). მეორე ანდერძში მიქაელი აღნიშნავს, რომ მან შეადგინა საგალობელნი „სრულნი ყოველთა განგებითა. წესისაებრ საეკლესიოთა, უფალო-ღაღადდ ყავითა, ოხითითა, მოიხილითა და აქებდითითა“ (იხ. ხელნაწერი, გვ. 8).

მიქაელ მორდვეკილის კრებულის ანალიზიდან ირკვევა შემდეგი:

ა) საწელიწდო იადგარის ძველი რედაქცია (გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის ტექსტები) — 8-ნაწევრიან გალობებს შეიცავდა და არა 9-ნაწევრიანს, ე. ი. აქ არ იყო საგალობელნი „მოიხილესა“ (ეს დასტურდება კერძოდ გალობათა აკროსტიხული ტექსტებიდან). მიქაელს ასეთ 8-ნაწევრიან გალობათათვის დაუმატებია მეცხრე ნაწევარი — საგალობელნი „მოიხილესა“. (ამის გამოა, რომ მიქაელი ზემოთ-მოყვანილ ანდერძში საგანგებოდ მოიხსენებს ამ ჯგუფის საგალობლებს: „**მ ო ი ხ ი ლ ე ს ა**“.

ბ) ასევე ძველ რედაქციაში (გრიგოლ ხანძთელის ტექსტებში) არ ყოფილა საგალობელნი „ოხითაჲ“ და ესენიც მიქაელს დაუმატებია (იხ. იმავე ანდერძში მითითება საგალობლებზე „**ო ხ ი თ ა ჲ**“).

გ) თუ ძველ რედაქციაში არ იყო საგალობელნი „ოხითაჲ“, ცხადია, მით უფრო აქ არ უნდა ყოფილიყო უფრო იშვიათად ხმარებულნი მცირე ფორმის საგალობელნი — **ქ¹, ს¹, მმ¹, ნ¹**, რომლებიც ასევე დამატებულნი ჩანან¹.

¹ რომ ამ ჯგუფის საგალობელნი მიქაელ მორდვეკილის დამატებულია, ამას დოკუმენტალურად ადასტურებს შემდეგი:

საგალობელნი მმ¹ = „**მომიკსენენი**“ (რომელიც დართულია გრიგოლ ხანძთელის საგალობლებთან № 64, იხ. ხელნაწერის გვ. 360) — ზუსტად უდგება მიქაელ მორდვეკილის ამავე საბელწოდების საგალობელს „**მომიკსენენი**“ — როგორც რიტმული წყობით, ისე სტილისტიკურად: (ორსავე საგალობელში ყოველ სტროფში განმეორებულია დასაწყისის 2 ტაქტი, ასევე განმეორებულია რეფრენიც. იხ. საგალობელნი მიქაელ მორდვეკილისა № 11, დასდებელი „**მომიკსენენი**“, ხელნაწერის გვ. 147).

დ) მიქაელ მოდრეკილის კრებულის ცალკე ნაწილების შედარებითი ანალიზიდან ირკვევა აგოეთვე, რომ საწელიწდო იადგარის ძირითად ფენში ყოველ „კანონს“ („გალობანი“) დართული ქჷონია არა უმეტეს ორი სტიქარონისა (თეში „უ“, ბოლოში „ა“). ეს გარემოება დასტურდება საწელიწდო იადგარის იმ ნაწილიდან, რომელიც გადაწერალია ეფთჷმეს მიერ, და რომელსაც არ გაუვლია მიქაელ მოდრეკილის რედაქცია.

ამრიგად ორზე ზედმეტი სტიქარონები, რომლებიც ჩვენ გვხვდება დართული გრიგოლ ხანძთელის ცალკეულ „კანონებთან“ — დამატებულნი ჩანან. რომ მიქაელ მოდრეკილს დაუმატებია „კანონებთან“ ამ ჯგუფის სტიქარონები უ⁷ და ა⁷, ეს ჩანს აგრეთვე მიქაელ მოდრეკილის ზეპოთჷყოყვანილი ანდერძიდანაც, სადაც ჩვენ გვაქვს პირდაპირი მითითება სტიქარონებზე უ⁷ („უფალო-ლადაყავისა“) და ა⁷ („აქებდითსა“).

რასაკვირველია, შეუძლებელია გადაკრით ითქვას, რომ ყველა ეს დამატებული მცირე ფორმის საგალობლები — სტიქარონები ეკუთვნოდეს მიქაელ მოდრეკილს. არაა გამორიცხული, რომ ნაწილი ამ დამატებათა ეკუთვნოდეს აგრეთვე სხვადასხვა ანონიმებს.

ამეამად შეუძლებელია გარჩევა იმისა, თუ რომელია ამ დამატებულ სტიქარონთა შორის თეით მიქაელისა, და რომელია დანართი მისი მიმდგომი ანონიმებისა. სტილის მიხედვით რაიმე არსებითი სხვაობა მათ შორის არ შეინიშნება. ამიტომ ყველა ამ დამატებულს მცირე ფორმის საგალობლებს — სტიქარონებს ვაერთებთ საერთო სახელწოდებით — « მიქაელ უ რ ი » (ე. ი. მიქაელისა და მისი მიმდგომნი).

მოგვყავს ამის შემდეგ ნუსხა ამ ჯგუფის ყველა მცირე ფორმის საგალობელთა, რომლებიც დამატებულია საწელიწდო იადგარის სხვადასხვა ნაწილებში.

ა. დამატებანი გრიგოლ ხანძთელის საგალობლებთან.

1 — 59) საგალობელნი მ⁷ („მოიხილესა“) — 59 საგალობელი (დართულია გრ. ხანძთელის საგალობლებთან №№ 1 — 23, 25 — 34 და 64 — 89)!

60 — 101) საგალობელნი ო⁷ („ოხითაჲ“) — 42. საგალობელი (დართულია გრ. ხანძთელის საგალობლებთან №№ 2 — 20, 23, 25 — 28, 30 — 34, 64 — ორი, 68 — ორი, 71 — ორი, 74, 79 — ორი, 81, 84, 87 — ორი).

102 — 126) საგალობელნი უ⁷ („უფალო-ლადაყავსა“) — 25 საგალობელი (დართულია გრ. ხანძთელის საგალობლებთან №№ 2, 4, 12, 13, 17, 20, 23, 25, 27, 32, 71 — 74, 79 — 89).

127 — 141) საგალობელნი ა⁷ („აქებდითსა“) 15 საგალობელი (დართულია გრიგოლ ხანძთელის საგალობლებთან №№ 2 — ორი, 4, 5, 12, 13, 17 — 20, 25, 27 — ორი, 31, 32).

142 — 146) საგალობელნი კ⁷ („კელთა-ბანისაჲ“) — 5 საგალობელი (დართულია გრიგოლ ხანძთელის საგალობლებთან №№ 64, 68, 71, 79, 87).

147 — 151) საგალობლები ს⁷ („სიწმიდისაჲ“) — 5 საგალობელი (დართულია გრ. ხანძთელის იმავე საგალობლებთან).

152) საგალობელი მმ⁷ („მომოქსენენი“) — 1 (დართულია გრ. ხანძთელის საგალობლებთან № 64).

153 — 155) საგალობელი ნ⁷ („ნეტარ-არინთა“) — 3 (დართულია გრ. ხანძთელის საგალობლებთან №№ 5, 32, 33).

156) სტიქარონი (ზედწერილი გაურკვეველი) — 1 (დართულია გრიგოლ ხანძთელის საგალობლებთან № 17).

ბ. დამატებანი გიორგი მერჩულის საგალობლებთან.

157 — 177) საგალობელნი მ⁷ („მოიხილესა“) — 21 საგალობელი (დართულია გ. მერჩულია საგალობლებთან №№ 1 — 21).

¹ აღწერილობის ძირითად ტექსტში დამატებული მცირე ფორმის საგალობლები ყველგან მოთავსებული გვაქვს სწორ რკალეებში [].

178 — 181) საგალობელი უ⁷ („უფალო-ლაღადყავისა“) — 4 საგალობელი (დართულია გ. მერჩულის საგალობლებთან №№ 5, 9, 13, 18)¹.

182) საგალობელი უ⁷ („უფალო-ლაღადყავისა“) — 1 საგალობელი, წარწერით „მიქაელ“ (დართულია გ. მერჩულის საგალობლებთან № 16)².

გ. დამატებანი ივანე ქონქოზის-ძის საგალობლებთან.

ივანე ქონქოზის-ძის საგალობლები, როგორც ეს ირკვევა ზედწერილის მიხედვით (იხ. ზემოთ, 017, ხელნაწერის გვ. 177), შეიცავდა მარტო „იანონს“ (9-ნაწევრიან გალობებს). ხოლო ხელნაწერში ივანე ქონქოზის-ძის ამ ტექსტთან დართულია შემდეგი 3 მცირე ფორმის საგალობელი:

183) საგალობელი ო⁷ („ოხითაჲ“) — 1;

184) საგალობელი უ⁷ („უფალო-ლაღადყავისა“) — 1.

185) საგალობელი ა⁷ („აქებდითსა“) — 1.

დ. დამატებანი იოვანე მტბევიარის საგალობლებთან.

მიქაელ მორდვეილის კრებულში მოთავსებული იოვანე მტბევიარის საგალობლები ეკვლა წარწერილია ავტორის სახელით. ხოლო ამ სახელ-წარწერილ იოვანე მტბევიარისეულ საგალობლებთან დართულია შემდეგი წარუწერელ საგალობლები მცირე ფორმისა:

186 — 187) საგალობელი ო⁷ („ოხითაჲ“) — 2 საგალობელი (დართულია ი. მტბევიარის საგალობლებთან №№ 6, 7).

188 — 192) საგალობელი უ⁷ („უფალო-ლაღადყავისა“) — 5 საგალობელი (დართულია ი. მტბევიარის საგალობლებთან №№ 1, 6 — ორი, 7, 14).

193 — 196) საგალობელი ა⁷ („აქებდითსა“) — 4 საგალობელი (დართულია ი. მტბევიარის საგალობლებთან №№ 2 — ორი, 7, 14).

• • •

XII. ანონიმური საგალობელი [= კრებულის მეორადი ფენი].

საწელიწდო იადგარი, განყოფილება I.

ჯგუფი I (საგალობელი ახალი კალენდარული წრისა, ა)³.

1) 31. XII. პეტრე და იოვანე მოციქულნი.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁷; ო⁷; გალობანი; მ⁷; ა⁷. გვ. 110 — 111.

2) 4. I. წინამოსწაება განცხადებისა.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁷; ო⁷; გალობანი; მ⁷; ა⁷. გვ. 128 — 130.

3) 23. I. კლიმი ანკერელი.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁷; ო⁷; გალობანი; მ⁷; ა⁷. გვ. 239 — 241.

ჯგუფი II (საგალობელი ახალი კალენდარული წრისა, ბ)⁴.

4) 18. I. ანტონი რავახი.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁷; ო⁷; გალობანი; მ⁷; ა⁷; ა⁷. გვ. 218 — 219.

1,2 ამათან საგალობელი № 16 წარწერილია მიქაელის სახელით. დანარჩენი საგალობლები (№№ 5, 9, 13, 18) ფორმის მიხედვით განირჩევა მერჩულისეული „მორთული“ (ალიტერაციებიანი) სტიქარონებისგან.

3 ქსენებანი ამ ჯგუფისა არაა პალესტინურ საწელიწდო იადგარებში. (მიქაელის კანონში არის № 3; არა ჩანს, იყო თუ არა №№ 1 და 2).

4 ქსენებანი ამ ჯგუფისა არაა მიქაელის კანონში. (პალესტინურ საწელიწდო იადგარებში არის № 4 — სხვა თარიღზე, № 5 — იმავე თარიღზე).

5) 21. I. მაქსიმოს აღმსაარებელი.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹ [თავედი ალიტერაციით, „მ“ 4-ჯერ]; ო¹; გალობანი; მ¹; ა¹. გვ. 228 — 230.

გალობანი — აკროსტიხით: „დიდებულსა მაქსიმოსს უგალობდეთ“ (მ¹ — შედის აკროსტინში). უ¹ — თავედი ალიტერაციით („მ“ 3-ჯერ).

ჯგუფი III.

ა. მარტიენი.

6 — 7) 27. I. იოვანე ოქროპირი.

საგალობელთა პირველი ჯგუფი: უ¹; ო¹; [ნ¹ — აკროსტიხით „იოვანე“]¹; გალობანი მ¹; ა¹. გვ. 263 — 266. საგალობელთა მეორე ჯგუფი: უ¹; გალობანი; მ¹; ა¹; ა¹. გვ. 265 — 268².

8) 28. I. ყოველი მამანი მეუღაბნოენი.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; [უ¹ — იოვანე მტბევიარისა, წარწერით გვერდის არშიაზე: „იოვანე“]; გალობანი (შენახულა I გალობა და მ¹-ის დასაწყისი; აკლია, გალობათა ძირითად ნაწილთან ერთად, ა¹). გვ. 276³.

ბ. მერჩულიელთა მიმდგომნი.

9) 8. I. მესამე დღე განცხადებისა და ქსენება იოვანე სოხასტრელისა.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; მ¹; ა¹. გვ. 187 — 191. ა¹ — თავედი ალიტერაციით („ს“ 4-ჯერ)⁴.

გ. აკროსტიხიანნი⁵.

10) 23. XII. წინამოსწაეება შობისა.

საგალობელთა ჯგუფი — ზედწერილით: „დასდებელნი თქუმულნი ანდრია მოძღურისა კრიტელ ეპისკოპოსისანი“. საგალობელთა ჯგუფში შედის: უ¹; გალობანი; მ¹; ა¹. გვ. 60 — 64. აკროსტიხი (გალობანი, მ¹, ა¹): „მაცხოვრისა მოსლვასა და ბეთლემს შობასა წმიდისაგან ქალწულისა დასთა ზეცისათა განწყობილთა თანა უგალობდეთ მას“.

11) 2. I. სილიბისტრო რომის პაპი.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; ო¹; გალობანი; მ¹; ა¹; ა¹. გვ. 122 — 124.

აკროსტიხი (— გალობანი, მ¹ და პირველი ა¹): „სილიბისტროს რომთა ვარსკულავსა ვაქებდეთ, ერნო“.

საგალობელთა ჯგუფის დასაწყისში წარწერა (გვ. 122, არშიაზე): „ბერძულნი“.

12) 24. I. ტიმოთე ეფესელი.

საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; მ¹; ა¹. გვ. 248 — 251.

¹ ბასილი ხანძთელისა.

² საგალობელნი №№ 6 — 7 ეკუთვნიან კრებულის მეორად ფენს. (კრებულის ძირითადი პირველად; ფენისა არის ამ ქსენების პირველნი საგალობელნი = გრიგოლ ხანძთელისეული № 32).

³ საგალობელნი № 8 ეკუთვნის კრებულის მეორად ფენს. (კრებულის ძირითადი პირველად; ფენისა არის ამ ქსენების პირველნი საგალობელნი = გრიგოლ ხანძთელისეული № 33).

⁴ საგალობელნი № 9, და აგრეთვე ქვემოთ აღნუსხულნი №№ 18, 19, 22, 23, — არ ეკუთვნიან კრებულის ძირითად პირველად ფენს, არამედ მეორად ფენს, რამდენადაც აქ გვხვდება მერჩულიელთა მიმდგომი ფორმა.

⁵ აკროსტიხიანნი საგალობელნი №№ 10, 11, 12, 13, აგრეთვე № 5, აკროსტიხების წყობის მიხედვით, არ ეკუთვნიან კრებულის ძირითად პირველად ფენს, არამედ მეორად ფენს (საგალობლებში №№ 10, 11, 13 და 5 აკროსტიხში შედის მ¹, საგალობლებში № 12 აკროსტიხში შედის ო¹).

უ, გალობანი და ა — საერთო აკროსტიხით: „ღირსა ტიმოთეს, მთიებზა ეფესოსა, უგალობდეთ“ (მ — აკროსტიხს გარეშეა).

საგალობლებს აქვს წარწერა (გვ. 249, ქვედა არშიაზე): „ბერძენი. POMANC YFM“.

13) 28. I. ყოველნი მამანი მეუდაბნოენი.

საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი; მ; ა. გვ. 273 — 275.

გალობანი — აკროსტიხით: „ღმერთშემოსილთა მამათა გალობით შევას[ხმიდეთ“; ბოლო ექვსი ასო აკროსტიხისა არაა; მ შედის აკროსტიხში.

13a) იხ. საგალობელთა ჯგუფი. დასახელებული 09 გვერდზე. შენიშვნა 1.

ჯგუფი IV.

14) 6. I. განცხადება.

საგალობელთა ჯგუფი: უ; ო; გალობანი; მ; ა. გვ. 161 — 163.

ზედწერილი საგალობელთა ჯგუფის დასაწყისში (გვ. 161): „დასდებელნი უფლისა ნათლის-ღებისანიე ქართლნი. კარგნა“.

გალობის მუხლებში „მოიხილესა“ (1a) და „ქურთხეულარსა“ (VI) ფრაზული ალიტერაცია: „შენ რომელმან“ (სამ-სამგერ); საგალობელში ა: „სიტყუაო მხოლოდ შობილო“ (14-ჯერ)¹.

■

საწელიწდო იადგარი, განყოფილება V.

ჯგუფი I (საგალობელნი ახალი კალენდარული წრისა, ა)².

15) 28. X. დემეტრე მარტვილი.

საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი; ა. ანბანური აკროსტიხით. გვ. 306 — 307.

ჯგუფი II (საგალობელნი ახალი კალენდარული წრისა, ბ)³.

ა. მარტიენი.

16) 23. X. ანასტასი მარტვილი.

საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი; ა. გვ. 301 — 302.

17) 22. XI. კოსტანტი კახაძე.

საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი. გვ. 338 — 340

მერჩულიელთა მიმდგომნი.

18) 16. X. გრიგოლ ნოსელი.

საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი; ა. გვ. 292 — 294.

საგალობელნი თავ-ბოლო მორთულია: უ — თავედი ალიტერაციით („მ“ 4-ჯერ), ა — ეერბალური ალიტერაციით („შენ“ 3-ჯერ).

19) 1. XI. გრიგოლ რომის პაპი.

საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი; ა. გვ. 308 — 309.

საგალობელნი თავ-ბოლო მორთულია: უ — ეერბალური ალიტერაციით („მამაო“ 3-ჯერ), ა — ეერბალური ალიტერაციით („გინაროდენ“ 3-ჯერ).

¹ საგალობელნი № 14 კრებულის მეორად ფენს ეკუთვნის. (კრებულის პირველადი ფენისა არის საგალობელნი ამავე თარიღისა, მოთავსებული ხელნაწერის 153 — 155 გვერდებზე = გრაგოლ ხანძთელისეული № 20).

² ქსენება დემეტრესი არაა პალესტინურ საწელიწდო იადგარებში (მიქაელის კანონში არის).

³ ქსენებანა ამ ჯგუფისა არაა მიქაელის კანონში (პალესტინურ იადგარებში არის № №-ები 15, 17, 19. ხოლო № №-ები 16 და 18 არაა არც პალესტინურში).

გ. აკროსტიხანი.

20) 19. XI. თალეღე მარტვილი.

გალობანი, აკროსტიხით: „მეოხ გუეუე თალეღე მოწამეო“. გვ. 335 — 336.

ჯგუფი III.

მარტივნი.

21) 26 — 27. X. იოანე ნათლისმცემელისა თავისა პოენა და დაღგმა.

საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი. გვ. 304 — 306.

მერჩულიულნი მიმდგომნი.

22). 7. X. სერგი და ბაქოზ მარტვილნი.

საგალობელთა ჯგუფი (თაეში აკლია უ^ნ); ----- გალობანი (დაცულია ბოლო); ა^ნ. გვ. 287 — 288.

მე-5 გალობა („ლადადყაესა“) — თავედი (მერჩულიული) ალიტერაციით („მ“ 3-ჯერ).

ა^ნ — ფრაზული ალიტერაციით („წმიდანო მარტვილნო“ 3-ჯერ). რაც, შესაძლოა, თავ-ბოლო მორთულობის მეორე (ბოლო) ნაწილს წარმოადგენდეს.

23) 27. XI. იაკობ დაქრილი.

საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; უ^ნ; ო^ნ; გალობანი; ა^ნ; ა^ნ. გვ. 344 — 346.

გალობათა VII და VIII მუხლები თავედი (მერჩულიული) ალიტერაციით (VII — „მ“ 3-ჯერ; VIII — „ა“ 3-ჯერ).



საწელიწდო იადგარი, განყოფილება VII.

24—31) «დასდებელნი საშაბათონი წმიდათანი» (რეა კმათა ზედა). გვ. 9—16: 489—492.

24) საგალობელნი პირველი კმისა: უ^ნ; გალობანი; მ^ნ; ა^ნ.

25) საგალობელნი მეორე კმისა: უ^ნ; გალობანი; მ^ნ; ა^ნ.

26) საგალობელნი მესამე კმისა: უ^ნ; გალობანი; მ^ნ; ა^ნ.

27) საგალობელნი მეოთხე კმისა: უ^ნ; გალობანი; მ^ნ; ა^ნ.

28) საგალობელნი მეხუთე კმისა: უ^ნ; გალობანი; მ^ნ; ა^ნ.

29) საგალობელნი მეექვსე კმისა: უ^ნ; გალობანი; მ^ნ; ა^ნ.

30) საგალობელნი მეშვიდე კმისა: უ^ნ; გალობანი; მ^ნ; ა^ნ.

31) საგალობელნი მერვე კმისა: უ^ნ; გალობანი; მ^ნ; ა^ნ.

32 — 33) «დასდებელნი სულისანი». გვ. 492 — 494.

32) საგალობელნი მერვე კმისა, პირველი ჯგუფი: უ^ნ; გალობანი, ა^ნ.

33) საგალობელნი მერვე კმისა, მეორე ჯგუფი: უ^ნ; გალობანი, ა^ნ.



XII-ა

ანონიმური მცირე ფორმის საგალობლები.

ჩართული საგალობელთა სხვადასხვა ჯგუფებში.

ა) საგალობელი უ^ნ, აკროსტიხით „თეოფანე“, წარწერით „ბერძულნი“; მთარგმნელი უცნობია. (დართულია გრიგოლ ხანძთელის საგალობლებთან № 16).

ბ — ე) საგალობლები მ^ნ („მოიხილესა“) — 4 საგალობელი (დართულია გრიგოლ ხანძთელის საგალობლებთან №, № 41, 44, 45, 47).

ვ — ზ) საგალობელი უ⁷ („უფალო-დადადყავსა“) — 2 საგალობელი (დართულია გრიგოლ ხანძთელის საგალობლებთან №№ 37, 45).

შ — ია) საგალობლები ა⁷ („აქებდითსა“) — 4 საგალობელი (დართულია გრიგოლ ხანძთელის საგალობლებთან №№ 39, 42, 44, 61).

• • •

საწელიწდო იადგარის შესავალი.

« ძ ლ ი ს პ ი რ ნ ი და ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი ს ა ნ ი »

რ ვ ა კ მ ა თ ა ზ ე და

(ბერძნულნი და ქართულნი).

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ საწელიწდო იადგარის შესავალი — ძ ლ ი ს პ ი რ ნ ი და ღ მ რ თ ი ს მ შ ო ბ ე ლ ი ს ა ნ ი — მიქაელ მოდრეკილის ხელნაწერში ძალზე დაზიანებულად არის მოღწეული (იხ. გვ. 02).

სანელდობრ, რვა ხმათა საგალობლების ციკლიდან ხელნაწერში დაცულია ნაწყვეტები I ხმის საგალობელთა და უმნიშვნელო ფრაგმენტი II ხმის საგალობელთა; მთლიანად აკლია საგალობელი III, IV და V ხმებისა; შენახულა ნაწილი VI და VII ხმების საგალობელთა; სრულად მოღწეულა მხოლოდ VIII ხმის საგალობელი (თუმცა აქაც აკლია უ⁷-ს დასაწყისი).

მიქაელ მოდრეკილის ხელნაწერის ამ ნაწილის ასეთი ფრაგმენტული ხასიათის გამო ცხადია შეუძლებელია სათანადო საფუძვლიანობით განხილულ იქმნას ამ საგალობელთა ციკლის შესახები საკითხები მართო მიქაელის ხელნაწერზე დამყარებით.

ტექსტი ამ საგალობელთა «ძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი» გარდა მიქაელის კრებულისა შენახულა აგრეთვე მთელ რიგ სხვა ხელნაწერებში: ალავერდულ ხელნაწერში A—603 XI საუკუნის დასაწყისისა; აბუსერისძე ტბელის ხელნაწერში A—85 XIII საუკუნისა; გელათურ ხელნაწერში K—22 XIII საუკუნისა; ქუთათურ ხელნაწერში K—564, XV საუკუნისა. იელურ ხელნაწერში X ს. (დაცულია სვანეთში); აგრეთვე საზღვარგარეთულ ქართულ ხელნაწერთა კოლექციებში: სინურ ხელნაწერებში X საუკუნისა №№ 1, 14, 34, 65, ათონურ ხელნაწერში X—XI ს.ს. № 47/85.

ქმობთ ჩვენ ცალკე ვეხებით საგალობელთა ამ ჯგუფს ძლისპირნი და ღმრთისმშობელისანი ყველა ხელმისაწვდომი ხელნაწერი პირველწყაროების მონაცემებზე დამყარებით.

B.

საწელიწდო იადგარი, მრუშენული კრებული.

ა) ზოგადი ცნობები ხელნაწერზე.

საწელიწდო იადგარის ერთ უმეტეს დაცული კრებული დაცულია სვანეთში. (1931 წელს, როდესაც ჩვენ აღევჩრეთ ეს ხელნაწერი, იგი ინახებოდა ადიშში, ცნობილ ადიშის სახარების ხელნაწერთან ერთად).

ხელნაწერი გადაწერილია ქალღმერთზე, ნუსხური დამწერლობით (სათაურები და ზოგი ანდერძები — მთავრულით). ზომა ხელნაწერის გვერდისა 18 X 11 სანტიმეტრი, ნაწერი ტექსტისა გვერდზე 14 X 7 სანტიმეტრი. (ნაწერია ერთ სვეტად. გვერდში 18 სტრიქონია).

ხელნაწერი შესდგება 16-გვერდიანი რვეულებისაგან. ხელნაწერის უკანასკნელი გადარჩენილი რვეულია 48-ე. (ამრიგად ხელნაწერი შეიცავდა, გარდა დაკარგული ბოლო ნაწილისა, 768 გვერდს).

ხელნაწერი დაშლილ ყდაშია (წინა ყდა, ყუა და ძველი აკინძულობა დაცულია; უკანა ყდა დაკარგულია).

ხელნაწერი დაზიანებულად არის მოღწეული. ცარგად შენახულა 2—14 და 17—30 რვეულებში; პირველ რვეულს აკლია ორი ფურცელი, ორიც დახეულია; მე-16, მე-17 და 31—33 რვეულებში, გარე არშიებთან ერთად, დაზიანებულია ნაწილობრივ ტექსტიც. 36—46 რვეულებში ფურცლები სინახევროდ შენახულა; 47-ე რვეული და 48-ე რვეულის პირველი ოთხი ფურცელი კიდევ უფრო ფრაგმენტარული სახითაა მოღწეული; შემდეგ მისდევს ნაფლეთები).

ხელნაწერი ხელის მიხედვით ეკუთვნის XI საუკუნის დასაწყისს.

ხელნაწერი, როგორც ირკვევა, გადაწერილია მესხეთში, ერუშენში (ერუშეთში), არტაანის მხარეში. ხელნაწერის გადაწერის ინიციატორია სტეფანელი ერუშენელი ეპისკოპოსი. იგი მოიხსენება ხელნაწერის მთელ რიგ ანდერძებში.

ა) ანდერძი იენისის თვის საგალობელთა ბოლოს:

„ქ. იესუ ქრისტე, მეუფეო საუკუნეთაო, ოხითა მშობელისა შენისამთა და ედრებითა წმიდათა მოციქულთა შენთამთა, აღიდე სულითა და ქორცითა ნებისყოფელი შენი სტეფანე ერუშენელ ეპისკოპოსი.“

ბ) ანდერძი ივლისის თვის საგალობელთა ბოლოს:

„მეუფეო მეუფეთაო და უფალო უფლებათაო, სამებაო წმიდაო, ოხითა და ედრებითა ყოველთა წმიდათა შენთამთა აღიღმ წინაშე საყდართა სუფევისა შენისათა ნებისყოფელი შენი სტეფანე მამადმთაეარი.“

გარდა მოყვანილი ანდერძებისა, სტეფანე მამათმთაეარი მოიხსენება ხელნაწერში კიდევ ცხრაჯერ (იხ. ანდერძნი-მოსახსენებელნი შემდეგი თარიღების საგალობლებთან: 24. VI, 7. VII, 11. VII, 19. VII, 21. VII, 2. VIII, 4. VIII, 8. VIII, 11. VIII).

ერთ ანდერძ-მოსახსენებელში, რომელიც ჩაწერილია 1 აგვისტოს თარიღს საგალობელთა ბოლოს, იკითხვის:

„ქრისტე აღიდე გიორგი მრუელი სულითა“.

აქ საკვირა აღნიშნოთ ამასთან, რომ საწელიწდო იადგარის ეს ერუშენული ხელნაწერი, როგორც ირკვევა, ერთი წარმოშობისაა საქართველოს მუზეუმში დაცულ ხელნაწერთან H—341.

ხელნაწერი H—341 (მარტიროლოგიურ-ჰაგიოგრაფიული კრებული) გადაწერილია ჭალალღზე (და არა ეტრატზე), ისევე როგორც საწელიწდო იადგარის ხელნაწერი; ამ ორი ხელნაწერის სახით ჩვენ გვაქვს უძველესი ქართული მანუსკრიპტები, ჭალალღზე ნაწერი. ორივე ხელნაწერი პალეოგრაფიულად, ხელის მიხედვით, ერთსა და იმავე ხანას, XI საუკუნის დასაწყისს ეკუთვნის. ხოლო, რაც მთავარია, H—341 ხელნაწერის გადაწერის ინიციატორი ყოფილა იგივე სტეფანე მამათმთაეარი, რომელიც მოიხსენება საწელიწდო იადგარის ხელნაწერში. შეადარეთ H—341 ხელნაწერის ანდერძები:

ა) ნაწილი პირველი, რვეული „იე“, ფ. 1ხ (გვ. 166):

„ქრისტე ღმერთო, აღიდე მამადმთაეარი სტეფანე სულიერთ[ა] დიდებითა, და ძმანი მათნი, ყოველი სამწყსოა და კრებულ[ნი] მათნი. და მამა სტეფანე აღიდე, უფალო ღმერთო, სულიერად და ქორციელად ორთავე სუფევათა შინა. ამენ, იყავნ.“

ბ) ნაწილი პირველი, რვეული „იი“, ფ. 3ა (გვ. 197).

„ქრისტე ღმერთო, აღიდე მამადმთაეარი სტეფანე შენ მიერითა დიდებითა, სულიერითა და ქორციელითა, ორთავე სუფევათა შინა, და წმიდათა მღვდელთმოძღუართა თანა და წმიდათა მოწამეთა თანა დაუსყდრე სასუფეველსა შენსა, ამენ, — სტეფანეთურთ და ყოვლით კრებულთ მათით, ამენ...“

ბ. კრებულის შედგენილობა.

ერუშენული ხელნაწერი წარმოადგენს საწელიწდო იადგარის ერთ ტომს, რომელშიაც შეტანილი ყოფილა საგალობელნი სამი თვის კალენდარული წრისა, 1 იენისიდან 31 აგვისტომდე. აქედან ხელნაწერში აშეამად დაცულია საგალობელნი საკალენდარო წრისა 1 იენისიდან — 20 აგვისტომდე (ჩათვლით). აკლია, ხელნაწერის დაზიანების გამო, საგალობელნი 21 აგვისტოდან — 31 აგვისტომდე.

აქ ჩვენ ვიძლევიტ აღწერილობას ერუშენული ხელნაწერის მხოლოდ ერთი ნაწილისას. — საგალობელნი იენისის თვის საკალენდარო წრისა.

რაც შეეხება საგალობლებს ივლისის — აგვისტოს თვეებისა, მათ ჩვენ შეეხებით ცალკე. მას

შემდეგ რაც განვიხილავთ ივლის — აგვისტოს თვის საგალობლებს გოლგოთური 1049 წლის ხელნაწერის მიხედვით. (იხ. ქვემოთ, გვ. 047, შენიშვნა, დართული გოლგოთური ხელნაწერის აღწერილობასთან, აგრეთვე გვ. 042, 043, 045, 046 (შენიშვნები).

ერუშენულ ხელნაწერში წარმოდგენილია იენისის თვის საკალენდარო წრიდან საგალობელთა 17 ჯგუფი.

საგალობლები ორ ნაწილად განიყოფება:

I. კრებულის პირველადი ძირითადი ფენი [= გრიგოლ ხანძთელი], — საგალობელთა 11 ჯგუფი.

II. კრებულის მეორადი ფენი (საგალობელნი ახალი კალენდარული წრისა) — საგალობელთა 6 ჯგუფი.

კომლევით მათ აღნუსხვას.

ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი ი ე ნ ი ს ი ს თ ვ ი ს კ ა ლ ე ნ დ ა რ უ ლ ი წ რ ი ს ა ¹

I. გრიგოლ ხანძთელი [= საწელიწდო იადგარის ძირითადი პირველადი ფენი] ².

1) 5. VI. კონონ მარტიელი ძითურთ. — საგალობელნი აკროსტიხით: „კონონს, ქრისტეს მოწამესა, უგალობდეთ ერნო“.

2) 11. VI. ბარნაბა მოციქული. — საგალობელნი აკროსტიხით: „გინხაროდენ ბარნაბა, მოციქულო უფლისაო“.

3) 12. VI. ბართლომე მოციქული. — საგალობელნი.

4) 17. VI. ამოს წინასწარმეტყველი. — საგალობელნი აკროსტიხით: „წინასწარმეტყველის ამოსის საკსენებელი მოიწია“.

5) 18. VI. ლეონტი მარტიელი. — საგალობელნი.

6) 19. VI. კვრილე ალექსანდრიელი. — საგალობელნი.

7) 24. VI. შობა იოანე წინამორბედისა. — საგალობელნი.

8) 25. VI. ზაქარია და ელისაბედ. — საგალობელნი.

9) 26. VI. ფებრონია მარტიელი. — საგალობელნი.

10) 28. VI. პავლე მოციქული. — საგალობელნი.

11) 30. VI. ათორმეტნი მოციქულნი. — საგალობელნი.

II. ანონიმები ³.

1) 1. VI. პისტი და მოყუასნი. — საგალობელნი.

¹ საგალობელთა აღწერილობაში (რომელიც ჩვენ მიერ 1931 წელს მოკლე სახით იყო შესრულებული) — ყოველი თარიღისათვის აღნუსხულია მხოლოდ დიდი ფორმის საგალობელნი („გალობანი“ ანუ „კანონი“). მცირე ფორმის საგალობელნი (სტიქარონნი უ¹, ა¹) აღნუსხული არაა.

² ყველა სხენებანი, გარდა ერუშენული ხელნაწერისა, არის აგრეთვე მიქაელის კანონში და პალესტინურ საწელიწდო იადგარებში.

³ საწელიწდო იადგარის მეორადი ფენი, საგალობელნი ახალი საკალენდარო წრისა. (სხენებანი № № 2, 3, 4, 5 არაა მიქაელის კანონში; № 6 არაა პალესტინურ საწელიწდო იადგარებში; № 1 არაა არც მიქაელის კანონში და არც პალესტინურ საწელიწდო იადგარებში).

2) 2. VI. იოვანე ქოზიბელი. — საგალობელნი აკროსტიხით: „ქოზიბელსა იოვანეს შე-
ქასხმიდეთ“.

3) 10. VI. ბენეფორიოს მოძღუარი. — საგალობელნი.

4) 13. VI. ტრვფილე კვპრელი. — საგალობელნი.

5) 21. VI. მამაჲ. — საგალობელნი.

6) 27. VI. ტრაქოს და მოყუასნი. — საგალობელნი.

С

საწელიწდო იადგარი X საუკუნის დასასრულისა — XI საუკუნის დასაწყისისა
«ახლად» წოდებული,
შედგენილი დავით ტბელის-ძისა და რატის (ორბელის) მონაწილმოხით.

ნაწილი პირველი: ძველნი საგალობელნი (VIII — X ს.ს.)

ნაწილი მეორე: ახალნი საგალობელნი (X — XI ს.ს.)

ა. იადგარის წიგნები.

საწელიწდო იადგარი X საუკუნის დასასრულისა — XI საუკუნის დასაწყისისა, «ახლად»
წოდებული, რომლის შედგენაში მონაწილეობა მიუღიათ დავით ტბელის-ძესა და რატის
(ორბელს), როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, შეიკადა შემდეგ წიგნებს:

ძირითადი ნაწილი: „თთუენი წელიწდისანი“ — საგალობელნი 12 თვის საკალენ-
დარო წრისა (საკუთრივ «იადგარიჲ»);¹

დამატებითი წიგნები: ა) ტრიოდი ანუ სამ-ფსალმუნთაჲ, წიგნი საგალობელი მარხეთაჲ;
ბ) წიგნი საგალობელი ზატიკთაჲ; გ) პარაკლიტონი-ოქტაიხონი (რეა-ქმანე).

კრებულის ძირითადი ნაწილიდან („თთუენი წელიწდისანი“ ანუ საკუთრივ „იადგარი“) მოღწეულა საგალობელნი ორი თვის საკალენდარო წრისა, იელისისა და აგვისტოსი. იგი წარ-
მოდგენილია ორ ხელნაწერში: ა) გოლგოთურ ხელნაწერში 1049 წლისა (ამჟამად დაცულია სა-
ქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, იქ—2337). ბ) ხელნაწერში საქართველოს სახელმწიფო
მუზეუმისა S—552, XI საუკუნისა.

კრებულის დამატებითი წიგნებიდან მოღწეულა პარველი დამატებითი წიგნი ტრიოდი ანუ
სამ-ფსალმუნთაჲ, წიგნი საგალობელი მარხეთაჲ. იგი წარმოდგენილია მეორე გოლგოთურ ხელ-
ნაწერში 1052 წლისა, რომელიც ამჟამად დაცულია სინას მთაზე (Sin.—5)².

ჩვენ აქ განვიხილავთ იადგარის ძირითად ნაწილს, რომელიც წარმოდგენილია გოლგოთურ
ხელნაწერში 1049 წლისა და ხელნაწერში S—552. — საგალობელნი იელის-აგვისტოს საკალენ-
დარო წრისა.

¹ სახელწოდება „იადგარი“ იხ. მითითება გოლგოთური ხელნაწერისა 1052 წლისა (Sin.—5, გვ. 28b).

² მესამე დამატებითი წიგნის პარაკლიტონ-ოქტაიხონის შესახებ დაცულია მითითება გოლ-
გოთურ ხელნაწერებში 1049 წლისა (გვ. 281a, იხ. ქვემოთ, გვ. 050) და 1052 წლისა (გვ. 28b).
ამ რედაქციის პარაკლიტონი-ოქტაიხონი წარმოდგენილი უნდა იყოს სინას მთაზე დაცულ
ხელნაწერში Sin.—3, რომელიც სათანადო სისრულით აღწერილი არაა.

ბ. ხელნაწერთა პალეოგრაფიული სახე და დაცულობა.

C¹. გოლგოთური ხელნაწერი 1049 წლისა.

ხელნაწერი გადაწერილია ეტრატზე, ნუსხური დამწერლობით (სათაურები მთავრულით). ფორმატი in 8°. ზომა ხელნაწერის გვერდისა 25,5 × 17,5 სანტიმეტრი, ნაწერი ტექსტისა გვერდზე 16,5 × 10,5 სანტიმეტრი. (ნაწერია ერთ სვეტად. გვერდში 28 სტრიქონია).

ხელნაწერი სრულად არის დაცული. შეიცავს 285 ფურცელს.

ცნობებს ხელნაწერის თარიღზე, გადაწერის ადგილზე, ასევე გადაწერის ინიციატორის, გადაწერის და მათ თანამშრომელთა შესახებ, გადმოგვცემს ხელნაწერის ანდერძი (იხ. ფ. 285ა):

„...დაესრულნეს თთუენი წელიწდისანი ბრძანებითა და მოლუაწებითა ღმერთ-შემოსილისა და სახიერისა მამისა და ტკბილისა მოძღურისა იოვანე გოლგოთელი-საძთა, აჲნ. დაიწერნეს და განსრულდეს ქრონიკონსა სმთ [= 1049 წ.], კელითა საწყალობელისა... მიქაელისითა... ვინ ესე წიგნი რაჲთა მიზეზითა გოლგოთას გამოაქუას, შემკაჩუნებელ არს... შეიშოსა კელითა კურთხეულისა მამისა ნისტერეონისითა... პავ-ლესთვსცა ლოცვა ყავთ“.

კალენდარული წრე საწელიწდო იადგარის ამ რედაქციისა, როგორც ირკვევა, იწყებოდა 1 სექტემბრიდან და სრულდებოდა 31 აგვისტოთი. წინამდებარე ხელნაწერი წარმოადგენს უკანასკნელ ტომს საწელიწდო იადგარის ამ ნაწილისა (ათთუენი წელიწდისანი): იგი შეიცავს საგალობლებს ივლის-აგვისტოს საკალენდარო წრისა (იწყება 1 ივლისით, სრულდება 31 აგვისტოთი).

C². ხელნაწერი S—552.

ხელნაწერი გადაწერილია ეტრატზე. ნუსხური დამწერლობით. ფორმატი in 8°. ზომა ხელნაწერის გვერდისა 23,5 × 17,5 სანტიმეტრი, ნაწერი ტექსტისა გვერდზე 19 × 12 სანტიმეტრი. (ნაწერია ერთ სვეტად. გვერდში 30 სტრიქონია).

ხელნაწერი ხელის მიხედვით XI საუკუნის პირველ ნახევარს ეკუთვნის.

ხელნაწერის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია მოღწეული. სულ ხელნაწერიდან გადარჩენილია 47 ფურცელი.

ხელნაწერი დაშლილია, ფურცლები არეული (თავისი პირვანდელი თანამიმდევრობით ფურც-ლები ასე უნდა დალაგდეს: 9—13, 13 bis, 31, 14—20, 1—8, 20—30, 32—46).

ხელნაწერის გადარჩენილ ნაწილში წარმოდგენილია საგალობლები ივლისის თვის საკალენდარო წრისა.

ხელნაწერი წარმოადგენს იადგარის სრული კომპლექტის ნაწილს; ხელნაწერის მე-12 ფურცლის შენიშვნაში მითითებულია ნომბრის თვის საგალობელი¹.

გ. იადგარის შედგენილობა.

იადგარის საგალობელი ივლის-აგვისტოს საკალენდარო წრისა შედგება ორი ნაწილისაგან: ნაწილი პირველი: ძველნი საგალობელნი (56 საგალობელთა ჯგუფი: გრიგოლ ხანძთელისა, ივანე მინჩხისა, ბასილი ხანძთელისა, ბასილურის მიმდგომი, ივანე მგალობელისა, ანონიმებისა).

ნაწილი მეორე: ახალნი საგალობელნი (45 საგალობელთა ჯგუფი; მათ შორის 1 ეკუთვნის დაეთ ტბელისძეს, 1 — რატის, 43-ის ავტორები მითითებული არაა).

ნაწილი პირველი — ძველნი საგალობელნი — თავის მხრივ ასე ნაწილდება:

ა) კრებულის პირველადი ძირითადი ფენი = გრიგოლ ხანძთელი, — საგალობელთა 26 ჯგუფი.

ბ) ივანე მინჩხი — საგალობელთა 2 ჯგუფი.

გ) ივანე მგალობელი — 1 გალობანი.

დ) ბასილი ხანძთელი — მცირე ფორმის 3 საგალობელი.

¹ მე-12 ფურცელზე — ივლისის 5-ის თარიღზე — მოთავსებულია საგალობელი ფილიპე მოციქულისა, ხოლო შენიშვნები აღნიშნულია: „სხუანი ნოენბერსა არიან :იდ: მუნ ბრძანეთ“.

უ) ბასილურის მიმდგომი მცირე ფორმის 1 საგალობელი.

3) ანონიმები = კრებულის მეორადი ფენი, — საგალობელთა 27 ჯგუფი.

ნაწილი მეორე — ახალი საგალობელი — თავის მხრივ ასე ნაწილდება:

ა) საგალობელნი ახალი კალენდარული წრისა, — საგალობელთა 36 ჯგუფი. (როგორც თვით კსენებანი, ისე საგალობელნი, არის მხოლოდ გოლგოთურ ხელნაწერში 1049 წლისა და S—552-ში, ხოლო სხვა რედაქციის საწელიწდო იადგარებში არ მოიპოვება);

ბ) შეესება ძველ ძირითად კსენებათა ახალი საგალობლებით, — საგალობელთა 9 ჯგუფი (საგალობლები არის მხოლოდ გოლგოთურ ხელნაწერში 1049 წლისა და S—552-ში, ხოლო სხვა რედაქციის საწელიწდო იადგარებში არ მოიპოვება).

ა? წინასწარ განმარტებათა შემდეგ გადავდივართ იადგარის თვითული ნაწილის აღწერაზე¹.

* * *

ნაწილი პირველი: ძველნი საგალობელნი.

I გრიგოლ ხანძთელი [= საწელიწდო იადგარის ძირითადი პირველადი ფენი]².

1) 2. VII. პაულე, ბილონ, თონ და ირონ მარტვილნი. — საგალობელთა ჯგუფი უ¹; გალობანი; ა¹. გვ. 10a — 12b.

2) 6. VII. იოვანე პალაგრელი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი. გვ. 21b — 24b.

3) 8. VII. პროკოპი მარტვილი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა¹. გვ. 31a — 33b.

4) 15. VII. კვიციე და იელიტა მარტვილნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; [სტ¹]; გალობანი; ა¹; [აღვ¹]³. გვ. 41a — 42a.

5) 17. VII. მარინა მარტვილი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; [ა¹ მერჩულიული თავედი ალიტერაციით „ღ“, 4-ჯერ]⁴. გვ. 59b — 61b.

6) 20. VII. ქრისტინა მარტვილი⁵. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა¹. გვ. 87a — 90a⁶.

7) 23. VII. მარიაჲ მაგდანელი⁷. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა¹. გვ. 80b — 83b⁸.

8) 26. VII. თეკლა პირველმოწამე⁹. — საგალობელნი.

¹ ძირითადი ტექსტი ქვემოთ-მოყვანილი აღწერილობისა ემყარება გოლგოთურ ხელნაწერს 1049 წლისა, ხოლო სხვაობანი S—552 ხელნაწერის შენახული ნაწილისა ნაწილებია შენიშვნებში.

² ყველა ხსენებანი არის ერუშენულ კრებულში, მიქაელის კანონში და პალესტინურ საწელიწდო იადგარებში.

³ სტ¹ და აღვ¹ — მერმეა დამატებული (არაა S—552-ში).

⁴ ა¹ მერმეა დამატებული.

⁵ ქრისტინა მარტვილის ხსენება ერუშენულ ხელნაწერში აღნიშნულია 20. VII-ს, ხოლო გოლგოთურ ხელნაწერში 24. VII-ს.

⁶ S—552-ში უ¹ და ა¹ აკლია დეფექტობის გამო; დამატებულია ო¹.

⁷ მარიაჲ მაგდანელის ხსენება ერუშენულ ხელნაწერში აღნიშნულია 23. VII-ს, ხოლო გოლგოთურ ხელნაწერში 22. VII-ს.

⁸ S—552-ში უ¹ და ა¹ აკლია დეფექტობის გამო; დამატებულია ო¹.

⁹ თეკლა პირველმოწამის ხსენება, რომელიც საწელიწდო იადგარის ძირითად ფენს ეკუთვნის, აღნიშნულია ერუშენულ ხელნაწერში 26. VII-სათვის. ეს ხსენება არის აგრეთვე მიქაელის

- 9) 27. VII. სუმეონ ჰალაბელი¹. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 98ა — 100ა.
- 10) 28. VII. პანტელეიმონ მარტვილი². — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; [სტ^ნ]³; გალობანი; ა^ნ. გვ. 107ა — 110ა.
- 11) 1. VIII. მაკაბელნი. საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 126ა — 129ა.
- 12) 4. VIII. ელია წინასწარმეტყველი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი ა^ნ. გვ. 144ბ — 147ბ.
- 13) 5. VIII. მოსე წინასწარმეტყველი და მოსწავება ფერისცვალებისა. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 148ბ — 151ბ.
- 14) 5. VIII. ფერისცვალება. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ — გერნი; გალობანი; ა^ნ. გვ. 158ბ — 161ა.
15. 9. VIII. მატათა მოციქული. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 176ა — 179ბ.
- 16) 11. VIII. ელიანოს მარტვილი. — გალობანი. გვ. 184ბ — 185ბ.
- 17) 13. VIII. ბეთლემს კრებაჲ მარიამისა. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 188ბ — 192ა.
გალობანი და ა^ნ საერთო აკროსტიხით: „მიცვალებასა ყოლად უბიწოძსასა გალობით შე-
გამკობდეთ“.
(ამვე თარიღზე შენიშვნა: „...მაქსიმე აღმსაარებელისა ყოველი ჰჰოო იანუარსა 21“).
- 18) 14. VIII. წინაღვე მიცვალებისა მარიამისა. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; [სტ^ნ/თ^ნ]⁴; გალობანი; ა^ნ. გვ. 192ა — 195ბ.
- 19) 15. VIII. მიცვალება მარიამისა. — საგალობელთა ჯგუფი: [უ^ნ, თაველი ალიტერაციით „მ“ 3-ჯერ]; უ^ნ; [სტ^ნ]; გალობანი; [მ^ნ]; ა^ნ; [ალვ^ნ — გერნი]⁵. გვ. 197ა — 202ბ.
- 20) 16. VIII. მარიამის მიცვალებისანივე. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ გალობანი; [მ^ნ]⁶; ა^ნ — გერნი. გვ. 213ა — 216ბ.
- 21) 20. VIII. სამოელ წინასწარმეტყველი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი. გვ. 235ა — 237ბ.
- 22) 21. VIII. ლუკიოზ მარტვილი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი. გვ. 237ბ — 240ბ.

ცანონში და პალესტინურ იადგარებში. რაც შეეხება გოლგოთურ ხელნაწერს, აქ თეკლას ხსენება 26. VII-ს შეტანილი არაა. ეს აიხსნება არა იმით, რომ თეკლას ხსენება გვიანდელი იყვეს, არამედ იმით, რომ თეკლას ხსენება აღინიშნებოდა აგრეთვე მეორე თარიღზედაც (24. IX); საწელიწლო იადგარის ის რედაქცია, რომელსაც წარმოგვიდგენს გოლგოთური ხელნაწერი, თეკლას ხსენებას, ცხადია, ამ მეორე თარიღს მიაკუთვნებდა.

¹ სუმეონ ჰალაბელის ხსენება ერუშენულ ხელნაწერში აღნიშნულია 27. VII-ს, ხოლო გოლგოთურ ხელნაწერში 26. VII-ს.

² პანტელეიმონ მარტვილის ხსენება ერუშენულ ხელნაწერში აღნიშნულია 28. VII-ს. ხოლო გოლგოთურ ხელნაწერში 27. VII-ს.

³ სტ^ნ — დანართია, რადგან არღვევს ძირითადი ფენის საგალობელთა სტრუქტურას.

⁴ სტ^ნ/თ^ნ — დანართია.

⁵ მცირე ფორმის საგალობლები: უ^ნ — ალიტერაციით, სტ^ნ, მ^ნ, ალვ^ნ, — დანართებია, რადგან არღვევენ ძირითადი ფენის საგალობელთა სტრუქტურას.

⁶ მ^ნ — დანართია.

23) 26. VIII. საბა ასური. — საგალობელთა ჯგუფი: უ⁷; გალობანი. გვ. 253a — 254b.

24) 27. VIII. პიმენ მოლუაწე. — საგალობელთა ჯგუფი: უ⁷; გალობანი; ა⁷. გვ. 258b — 261a.

გალობანი და ა⁷ სერთო აკროსტიხით: „პიმენს, სამწყსოთა მწყემსსა, ყოველნი უგალობდეთ“ (ა⁷-ს ბოლო ტაეპი აკროსტიხში არ შედის).

25) 28. VIII. წინადლე იოვანეს თავის-კუეთისა. — საგალობელთა ჯგუფი: უ⁷; გალობანი; ა⁷. გვ. 261b — 264b.

გალობანი და ა⁷ საერთო აკროსტიხით: „უგალობდეთ წინამორბედსა, იოვანეს შევაჰკობდეთ“.

26) 29. VIII. იოვანეს თავის-კუეთა.

საგალობელთა ჯგუფი: უ⁷; [უ⁷]; უ⁷; უ⁷ გერნი; უ⁷ გერნი; უ⁷ გერნი; უ⁷ გერნი; სტ⁷ აკროსტიხით „მესმა“ — ბასილუელი; სტ⁷ ბასილუელი; თ⁷; გალობანი; [მ⁷]; ა⁷; [აღე⁷]¹. გვ. 267a — 275b.

II. ივანე მინჩხი².

4) 6. VIII. ფერისცვალება. — საგალობელთა ჯგუფი: გალობანი; მ⁷. გვ. 161a — 164a³.

5) 15. VIII. მიცვალება მარიაჰისი. — საგალობელთა ჯგუფი: უ⁷; გალობანი; მ⁷; ა⁷. გვ. 210a — 213a.

საგალობელთა თავში (გვ. 210a, არშიაზე) მიწერილია: „მინჩხ⁷არი“.

III. ივანე მგალობელი.

1) 7. VII. სისოჲ მოლუაწე. — საგალობელთა ჯგუფი: უ⁷; გალობანი; ა⁷. გვ. 24b — 26a. გალობანი აკროსტიხით: „სისოჲს გლახაკი ივანე გალობით შეასხამს“.

IV. ბასილი ხანძთელი.

საგალობელნი მცირე ფორმისა⁵.

ზ) 21. VII. სუმონ სალოსი. — საგალობელი სტიქარონი, ბასილური საზომით და სახელობითი საქებელი აკროსტიხით: „სალოსი“. გვ. 77b.

¹ მცირე ფორმის საგალობელნი, მოთავსებულნი სწორ რკალებში [] — დანართებია, რადგან არღვევენ ძირითადი ფენის საგალობელთა სტრუქტურას.

² მინჩხის დიდი ფორმის საგალობელთა აღნუსხვას ეიწყებთ 4 ს-დან (სსსს 1 — 3 იხ. მ. ა. ქაელ მოდრეკილის კრებულში).

³ რომ „გალობანი“ ეკუთვნის ივანე მინჩხს, ეს ირკვევა შემდეგის მიხედვით. ნ. მარს სინას მთის ძველ-ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში (გვ. 92) დაბეჭდილი აქვს მოკლე საგალობელი ფერისცვალებისა. წარწერით „მინჩხი“. როგორც შედარებიდან გამოიკვეა, ეს მოკლე საგალობელი ყოფილა ნაწილი ივანე მინჩხის დიდი ფორმის ნაწარმოებისა — „გალობანი“ („კანონი“). რომლის სრული ტექსტი დაცულია გოლგოთურ ხელნაწერში.

⁴ S—552 ხელნაწერში დამატებულია საგალობელი ო⁷.

⁵ ბასილი ხანძთელის მცირე ფორმის საგალობელთა აღნუსხვას ეიწყებთ ზ-დან (ა—ე იხ. მოკაელ მოდრეკილის კრებულში).

(დამატებულია 21. VII-ის სემონ სალოსის საგალობელთა ჯგუფში).

შ—თ). 29. VIII. იოვანე ნათლისმცემელი და პეროდე. — საგალობელთა ჯგუფი: ა) სტიქარონი ბასილური აკროსტიხით „მესმა“. გვ. 271ა—ბ; ბ) სტიქარონი ბასილური საზომით; გვ. 271ბ — 272ა.

(დამატებულია 29. VIII-ის საგალობელთა ჯგუფში).

•

IV-ა. ბასილურის მიმდგომი მცირე ფორმის საგალობელი.

ა) 16. VIII. ეგლო. — საგალობელი უ^რ სახელობითი საქებელი აკროსტიხით „ეგლო“, მაგ. რომ ბასილურისაგან განსხვავებული საზომით. გვ. 216ა — 217ა.

(დამატებულია 16. VIII-ის ეგლონ განშორებულის საგალობელთა ჯგუფში, იხ. ქვემოთ, გვ. 048, № 19).

■

V. ანონიმური საგალობელნი [= იადგარის მეორადი ფენი]¹.

1). 5. VII. — დომენტი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^რ; გალობანი; ა^რ. გვ. 18ა — 21ბ.

გალობანი და ა^რ საერთო აკროსტიხით: „გინხაროდენ დომენტი, ღუაწლით განშუენებულო ახოვანო“.

2) 8. VII. პროკოპი მარტიელი. — საგალობელთა ჯგუფი: გალობანი; ა^რ. საერთო ანბანური აკროსტიხით (აკროსტიხი იწყება ა-ნით და თავდება ძ-ილით). გვ. 33ბ — 36ა.

3) 10. VII. ორმეოცდახუთნი მარტიელინი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^რ; გალობანი; ა^რ გვ. 38ბ — 41ბ².

¹ რომ ქვემოთ აღნუსხული ტექსტები №№ 1 — 27 არ ეკუთვნის იადგარის ძირითად პირველად ფენს, არამედ მეორად ფენს შეადგენს, ირკვევა შემდეგის მიხედვით.

ა) ქვემოთ ჩამოთვლილი ხსენებანი არ გვხვდება შემდეგ წყაროებში: №№ 1, 24 — არაა მიქაელის კანონში და პალესტინურ იადგარებში; № 7 — არაა მიქაელის კანონში, პალესტინურ იადგარებში და ერუშენულში; № 15, 23 — არაა პალესტინურ იადგარებში და ერუშენულში; № 19 — არაა მიქაელის კანონში და ერუშენულში; № 12 — არაა ერუშენულში.

ბ) საგალობელნი მარიამისნი №№ 20, 21, 22, რომლებიც მოყვანილია გვიანდელს დამატებით თარიღებზე 17. VIII და 18. VIII არ ეკუთვნიან ძირითად პირველად ფენს, არამედ მეორად ფენს; მარიამის საგალობელნი ძირითადი პირველადი ფენისა არის თავდაპირველ თარიღებზე 13 — 16. VIII. (იხ. ზემოთ, გრიგოლ ხანძთელისეული №№ 18, 19, 20).

გ) ასევე მეორად ფენს წარმოადგენენ საგალობლები პროკოპისა № 2, კვირიკისი და ივლიტასი №№ 5 და 6, პანტელეიმონისა № 13, ფერისცვალებისა №№ 16, 17, იოანეს თავის-კუეთისა № 25. ძირითადი საგალობლები ამავე ხსენებათა იხ. ზემოთ, გრიგოლ ხანძთელისეული №№ 3, 4, 10, 14, 26.

დ) მეორად ფენს წარმოადგენს აგრეთვე საგალობლები კოზმან-დამიანესი №№ 9 — 10, მიკუთვნებული იელისის საკალენდარო წრისათვის; ძირითადი საგალობლები არის თავდაპირველ თარიღზე 17. X (იხ. მიქაელის კრებული, გრიგოლ ხანძთელისეული № 36).

ე) საგალობელნი № 17 — გვიანდელი, მერჩულისეულის მიმდგომი, სახეობით არის დაწერილი (თავ-ბოლო მორთულია).

ვ) საგალობელში № 11 არის დამატებითი მუხლი „მოიხილესა“.

² S—552-ში აკლია უ^რ ღეფექტობის გამო.

4) 11. VII. მართა, სუმონის დედა¹. — საგალობელთა ჯგუფი: უ²; გალობანი; ა³. გვ. 15ა — 18ა.

5) 15. VII. კვრიკე და იელიტა მარტივლინი. — საგალობელთა ჯგუფი: უ²; გალობანი; ა³. გვ. 48ა — 50ბ².

6) 16. VII. კვრიკესი და იელიტასიეე. — საგალობელთა ჯგუფი (თავ-ბოლო მორთული): უ² („ჰ³ 3-ჯერ); გალობანი; ა³ („ო³ ო დაღაცათუ³ 3-ჯერ)³. გვ. 53ბ — 55ბ.

7) 17. VII. მოციქულნი და ათენაგე მარტივლი. — საგალობელთა ჯგუფი: გალობანი; მ⁴. გვ. 62ა — 64ა.

8) 18. VII. ათანასე კოლუმელი. — საგალობელთა ჯგუფი: უ²; გალობანი; ა³. გვ. 64ა — 66ა⁴.

9 — 10) კოზმან-დამიანე მარტივლინი⁵. — საგალობელთა პირველი ჯგუფი: უ²; გალობანი. მეორე ჯგუფი: გალობანი. გვ. 2ა — 6ბ.

11) 21. VII. სუმეონ სალოსი. — საგალობელთა ჯგუფი: უ²; [სტ⁶ სახელობითი საქებელი აკროსტიხით „სალოსი“, ბასილი ხანძთელისა]; გალობანი; მ⁴; ა³. გვ. 76ბ — 80ბ.

12) 26. VII. კრებაა გაბრიელ მთავარანგელოზისა, — საგალობელთა ჯგუფი: უ²; გალობანი; ა³. გვ. 100ა — 104ა.

13) 27. VII. პანტელეიმონ მარტივლი. — გალობანი. გვ. 110ა — 112ბ.

14) 2. VIII. სტეფანე პირველმოწამის ნაწილთა პოენა. — საგალობელთა ჯგუფი: უ²; სტ⁶: გალობანი; ა³; აღვ⁷. გვ. 132ბ — 137ა.

15) 2. VIII. შეიდნი ყრბანი ეფესელნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ²; გალობანი; ა³. გვ. 137ა — 141ა.

გალობანი და ა³ — საერთო აკროსტიხით: „ეფესოასა ვარსკულავთა შვდთა ყრმათა უგალობდეთ“.

16 — 17) 6. VIII. ფერისტეალება.

საგალობელთა პირველი ჯგუფი: უ²; სტ⁶; გალობანი; მ⁴; ა³; აღვ⁷ — გერნი. გვ. 154ბ — 158ბ.

საგალობელთა მეორე ჯგუფი: უ²; გალობანი; მ⁴; ა³; ა³. გვ. 164ა — 167ბ.

18) 8. VIII. მელქისედეკი. — საგალობელთა ჯგუფი (თავ-ბოლო მორთული): უ² („შენ³ 3-ჯერ); გალობანი; ა³ („ჰ³ 3-ჯერ). გვ. 170ბ — 173ა⁷.

ა) 15. VIII. მიცვალეზა მარიამისა. — მცირე საგალობელთა ორი ჯგუფი:

ა) უ²; გერნი (ფრაზული ალიტერაცია: „საიდუმლოდ დაძინებისა შენისაჲ“ 3-ჯერ); კერნი: გერნი; გერნი. გვ. 202ბ — 206ბ.

¹ მართას ხსენება ერუშენულ ხელნაწერში აღნიშნულია 11. VII-ს, ხოლო გოლგოთურსა და S—552-ში 5. VII-ს.

² S—552-ში აკლია უ², ზედმეტია მეორე უ² და ო³.

³ უ² და ა³ (თავ-ბოლო მორთული) მერმეა დამატებული (არაა S—552-ში).

⁴ S—552-ში უ² და ა³ შენაცვლებულია (უ²-ს აქვს ზედწერილი ა³, ა³-ს უ²).

⁵ კოზმან-დამიანეს ხსენება ერუშენულ ხელნაწერში აღნიშნულია 19. VII-ს, ხოლო გოლგოთურ ხელნაწერში 1. VII-ს.

⁶ S—552-ში არაა სტ⁶, ხოლო დამატებულია ო³ (ა³ აკლია ღეფექტობის გამო).

⁷ გოლგოთურ ხელნაწერში 10. VIII-ის თარიღზე დადებულია ხსენება მამა მარტივლისა (გვ. 179ბ — 181ბ: საგალობელთა ჯგუფი — უ², გალობანი, ა³). მამა მარტივლის ხსენება იხ. ერუშენულ ხელნაწერში, 21. VI-ის თარიღზე (ზემოთ, გვ. 041).

ბ) თ; გერნი; გერნი; თ; თ; თ; თ (შენიშვნა: „აქედითა იქმარე“). გვ. 206ბ — 210ა.

19) 16. VIII. ეგლონ განშორებული. — საგალობელთა ჯგუფი: უ (სახელობითი საქებელი აქროსტიხით „ეგლო“); გალობანი; ა. გვ. 216ბ — 218ბ.

20) 17. VIII. მარიაშის სატფური არმასიას. — საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი: ა. გვ. 222ბ — 224ბ.

21) 17. VIII. მარიაშის მიცვალებსანიეე. — საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი: ა. გვ. 224ბ — 228ა.

22) 18. VIII. მარიაშის მიცვალებსანიეე. — საგალობელთა ჯგუფი (თაე-ბოლო მორთული): უ („ზეცისა“ 3-ჯერ); გალობანი; ა („შ სასწაული საკვრველთაჲ“ 5-ჯერ). გვ. 228ა — 230ა.

23) 19. VIII. ანდრია და მის-თანანი. — საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი. გვ. 233ბ — 235ა.

24) 28. VIII. მარტვილი ანთო და კოდრატი ეპისკოპოსი მდნისელი. — საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი; ა. გვ. 264ბ — 266ბ.

25) 29. VIII. თეანეს თაეის-ქუეთა. — საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი: ა. გვ. 275ბ — 278ა.

•

დამატებანი S—522 ხელნაწერისა:²

[26] 5. VII. ფილიპე მოციქული. — საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი; ა. გვ. 12 — 13, 2.

27) 12. VII. ფილექტემონ მარტვილი. — საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი ა. გვ. 2—4].

¹ შენიშვნა ერუშენული ხელნაწერის იელისისა და აგვისტოს საკალენდარო წრის საგალობელთა შესახებ.

ერუშენულ ხელნაწერში, როგორც აღნიშნული გვექონდა, ჩვენ გვაქვს საგალობელნი იელი-სის თვისა სრულად და აგვისტოს თვისა 20 რიცხვამდე (შემდეგ ხელნაწერს აკლია დეფექტობის გამო).

ამ საგალობელთაგან ძირითადი ნაწილი მიძღვნილია იმავე ხსენებათათვის, რაც გოლგოთური ხელნაწერის პირველ ნაწილშია წარმოდგენილი; იხ. ზემოთ ხსენებანი:

ა) ძირითადი პირველადი ფენისა (გრიგოლ ხანძთელისეული): №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8 (იხ. შენიშვნა გვ. 043 — 044), 9, 10, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18, 19.

ბ) ივანე მგალობელის საგალობელი (იხ. ზემოთ, გვ. 045).

გ) ხსენებანი ანონიმურ საგალობელთა: №№ 1, 2, 4, 6, 8, 9 — 10, 11, 17, 18, 25, 26.

გარდა ამ საგალობლებისა, რომლებიც მიძღვნილია იმავე ხსენებათათვის, რაც გოლგოთური ხელნაწერის პირველ ნაწილშია წარმოდგენილი, ერუშენულ ხელნაწერში არის დამატებით საგალობელთა ექვსი ჯგუფი შემდეგ ხსენებათა: 1¹⁾ 1. VII. ამბაკომ წინასწარმეტყუელისა; 2¹⁾ 3. VII. თამა მოციქულისა; 3¹⁾ 14. VII. კვრიკეს და იელიტას წინადღესასწაულისა; 4¹⁾ 3. VIII. ელისე წინასწარმეტყუელისა; 5¹⁾ ფერისცვალების შერე დღისა; 6¹⁾ 10. VIII. თუკა მარტვილისა.

² ქვემოთ აღნიშნული ორი ხსენება №№ 27 და 28 არაა გოლგოთურ ხელნაწერში, არის S—552-ში. ესევე ხსენებანი არის აგრეთვე მიქაელის კანონში.

ა.

საგალობელი ახალი საკალენდარო წრისა¹.

- 1) 2. VII. ღმრთისმშობლისა სამოსლისა თაყუანისცემა ვლადკერნას.— საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 6b — 10a.
გალობანი და ა² სპერთო აკროსტიხით: „უძლური გალობაა შეიწირე ღმრთისმშობელო“.
- 2) 7. VII. კვრიკაჲ პალესტინელი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; სტ¹; გალობანი; ა². გვ. 28a — 31a².
- 3) 9. VII. ბაგრატ ტაერომენიელი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 36a — 38b².
- 4) 12. VII. ლოლინდუხტი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 41b — 44a¹.
- 5) 16. VII. მამანი, რომელი შეკრბეს ქალკიდონს. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 55b — 59b⁵.
6. 18. VII. იაკინთო მარტვილი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 66a — 69a⁶.
- 7) 19. VII. „წმიდისა მამისა ჩუენისა ღმერთშემოსილისა ბარლაამისა“. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა. გვ. 69a — 72a⁷.
(საგალობელთა ჯგუფი ეკუთვნის დავით ტბელისძეს).
- 8 — 9) 20. VII. აღმადლება ელია წინასწარმეტყუელისა. — საგალობელთა პირველი ჯგუფი: უ¹/თ¹; გალობანი; ა². მეორე ჯგუფი: გალობანი⁸. გვ. 72a — 76b.
- 10 — 11) 24. VII. ანამს დაძინება.
საგალობელთა პირველი ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 92a — 94a.
[საგალობელთა მეორე ჯგუფი: უ¹; გალობანი]⁹.
- 12) 26. VII. ერმოლაოზ, ერმიპო და ერმოკრიტე. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 104a — 107a.
- 13) 28. VII. მარტვილი ევსტათი ანკვრელი, მოციქულნი პროხოზე, ნიკანორ, ტიმონა, პარმენა, აკაკი მარტვილი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 112b — 115b.

¹ როგორც ხსენებანი, ისე საგალობელი არის მხოლოდ გოლგოთურ ხელნაწერში და S—552-ში.

² 4. VII-ს შემდეგ იწყება ხელნაწერის S—552-ის ტექსტი. — საგალობლები № 2 არის გოლგოთურ ხელნაწერში, არაა S—552-ში.

³ საგალობლები № 3 არის გოლგოთურში. (S—552 ამ ადგილას დეფექტურია).

⁴ საგალობლები № 4 არის გოლგოთურში. (S—552 ამ ადგილას დეფექტურია).

⁵ საგალობლები № 5 არის მხოლოდ გოლგოთურში; არაა S—552-ში.

⁶ საგალობლები № 6 არის მხოლოდ გოლგოთურში; არაა S—552-ში.

⁷ საგალობლები № 7 არის როგორც გოლგოთურში, ისე S—552-ში.

⁸ საგალობლები № 8 — 9 არის მხოლოდ გოლგოთურში არაა S—552-ში.

⁹ ანამს საგალობელთა პირველი ჯგუფი არის გოლგოთურში და S—552-ში; მეორე ჯგუფი მხოლოდ S—552-ში (ამ უკანასკნელში კსენების თარიღად აღნიშნულია 25. VII).

14) 29. VII. მარტილნი კალინიე დანდრელი და ალექსანდრე. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 115b — 118b.

15) 30. VII. იოვანე მქედარი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 118b — 121b.

16) 1. VIII. სოფია და ასულნი მისნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 129a — 132b.

17) 3. VIII. დოლმატი და ფავსტე მოლუაწენი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 141a — 144b.

18) 4. VIII. ქრისტინა სპარსი და იამ მარტილნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 147b — 148b.

19) 7. VIII. დომენტი სპარსი და ირინე დედოფალი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 167b — 170b.

20) 8. VIII. მარინოს ბერი, ელევთერი და ცოლი მისი ლეონიდა და შვილნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 173a — 176a.

21) 10. VIII. ლაერენტი, ქსვსტე და იპოლიტე მარტილნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 181b — 184b.

22) 12. VIII. ფოტი და ანიკინტო მარტილნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 185b — 188b.

23) 14. VIII. მიქეა წინასწარმეტყუელი. — გალობანი. გვ. 195b — 197a.

24) 16. VIII. დიომიდე მარტილი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 219a — 222a.

25) 18. VIII. ლაერო და ფლორო მარტილნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 230a — 233b.

26) 22. VIII. ალათონიე და მის-თანანი მარტილნი ერენეოს ეპისკოპოსითურთ. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 240b — 242b.

27) 23. VIII. შემოსლვა ღმრთიე-ქმნულისა ხატისა ედესით კონსტანტინეპოლედ. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი. გვ. 242b — 246b.

28) 23. VIII. ეესტათი და მელეტი ანტიოქელნი და კალინიკოს კონსტანტინეპოლელი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი; ა^ნ. გვ. 246b — 250a.

29) 25. VIII. ტიტე მოციქული. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ (ავტორის აღმნიშვნელი აკროსტიხით: „რ ა ტ ი“); გალობანი; ა^ნ. გვ. 250a — 253a.

30) 30. VIII. ალექსანდრე, იოვანე და პაულე კონსტანტინეპოლელნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი. გვ. 278a — 281a.

(გვ. 281a, შენიშვნა: „აქებდითი ჰპოენე პარაკლიტონსა, ღ^ნ გ^{ნი}“).

31) 31. VIII. ხალკუპრატის დადება ღმრთისმშობლის სარტყელისა. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ (წარწერით: „ოთქუშულნი წ^ნისა მაქსიმესნი“); გალობანი; ა^ნ. გვ. 281a — 284b.



მეორე ნაწილის საგალობელთა შორის ერთ ჯგუფს წარმოადგენს №№ 32, 33; ეს საგალობელნი, „საქვეყნო სათხოვართა“ ტექსტის მიხედვით, ერთ ავტორს ეკუთვნის.

32) 4. VII. მარკოზ განშორებული. — საგალობელთა ჯგუფი: უ^ნ; გალობანი. გვ. 12b — 5a.

38) შ. VIII. ევსელნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 151b — 154b.

მეორე ნაწილის საგალობელთა შორის ასევე ერთ ჯგუფს წარმოადგენს №№ 34, 35, 36, რომლებიც ბერძნული აკროსტიხებით არის გაწყობილი.

34) 23. VII. ევგენი, აებრატი და იაკინთე მარტვილნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 83b — 87a¹.

გალობანი ბერძნული აკროსტიხით (ზედწერილი: „აკროსტიხონი, თავები სიტყუაჲ ბერძული — ღალთოფთრო მარტირე ებგენიე პრზვი ეიმონჲ“).

35) 25. VII. ევპრაქსია და შობელნი მისნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 94a — 97b.

გალობანი და ა² საერთო ბერძნული აკროსტიხით: „ანიმნის ომინ პანტეს ევსებოს ევპრაქსიას“ (წარწერით არშიაზე: „სიტყუაჲ ბერძული“). ა²-ს უკანასკნელი მუხლი უაკროსტიხია.

36) 26. VIII. ანდრიაწე და ანატოლი მარტვილნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 254b — 258b.

გალობანი და ა² საერთო ბერძნული აკროსტიხით: „ანიმნის ომენ ევსებოს ანდრიაწე კე ანატოლო“ (შენიშვნით: „ბერძულეზერ“). ა²-ს ბოლო ორი ტაეპი აკროსტიხში არ შედის.

ბ.

შ ე ვ ს ე ბ ა ძ ე ე ლ (ძ ი რ ი თ ა დ) ს ა კ ს ე ნ ე ბ ე ლ თ ა
ა ხ ა ლ ი ს ა გ ა ლ ო ბ ლ ე ბ ი თ .

37) 31. VII. იოვანე ოქროპირი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 121b — 126a.

გალობანი აკროსტიხით: „იოვანეს ოქროპირსა გალობით შევამკობდეთ“.

გალობანი ახალ თარგმანს წარმოადგენს, განსხვავებულს მიქაელ მოდრეკელის კრებულის ტექსტიდან².

38) 15. VII. კვრიკე და ივლიტა მარტვილნი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი. გვ. 50b — 53a³.

39) 24. VII. ქრისტინა მარტვილი. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა². გვ. 90a — 91b³.

[40] 7. VII. სისოჲ მოლუაწე. — საგალობელთა ჯგუფი: უ¹; გალობანი; ა²]⁴.

[41] 13. VII. წინამოსწაეება კვრიკეს და ივლიტას ქსენებისა. — საგალობელთა ჯგუფი: --- (აკლია); გალობანი (თავი აკლია); ა².

გალობანი — აკროსტიხით: „--- (თავი აკლია) --- შეუნიერსა ივლიტას უგალობდეთ“]⁵.

[42 — 43] 14. VII. წინა დღე კვრიკეს და ივლიტას ქსენებისა.

საგალობელთა პირველი ჯგუფი: უ¹; გალობანი (ბოლო აკლია); ---

¹ S—552-ში ხსენების თარიღად დადებულია [4]. VII; იხ. გვ. 9 — 10; უ¹ S—552-ში აკლია დეფექტობის გამო.

² საგალობლები დატულია გოლგოთურ ხელნაწერში. (S—552-ს ეს ნაწილი აკლია დეფექტობის გამო).

³ საგალობლები № 38 და 39 არის გოლგოთურ ხელნაწერში, არაა S—552-ში.

⁴ საგალობლები № 40 არის S—552-ში (გვ. 16 — 18), არაა გოლგოთურ ხელნაწერში.

⁵ საგალობლები № 41 არის S—552-ში (გვ. 5 — 7), არაა გოლგოთურ ხელნაწერში.

საგალობელთა მეორე ჯგუფი: --- (თავი აკლია); გალობანი (თაე-ნაკლული); ა]¹.

[44] 16. VII. მეორე დღე კვირის და ივლიტას ქსენებისა. — საგალობელთა ჯგუფი: უ; გალობანი; ა]².

[45] 17. VII. მარინა მარტვილი. — საგალობელთა ჯგუფი: უ; ო; გალობანი; ა]³.

D

საწელიწდო იადგართა ძირითადი პირველადი ფენი (გრიგოლ ხანძთელიწველი).

საწელიწდო იადგართა ძირითად პირველად ფენს წარმოგიდგენს საერთო ხსენებანი:

1) მიქაელ მოდრეკილის კრებულისა; 2) მიქაელ მოდრეკილის კანონისა; 3) ერუშენული კრებულისა; 4) გოლგოთური კრებულის პირველი ნაწილისა; 5) პალესტინურ საწელიწდო იადგართა პირველი ნაწილისა.

მოდწეული ტექსტების განაწილება:

A. მიქაელ მოდრეკილის კრებულის ძირითადი პირველადი ფენი (= საერთო ხსენებანი მიქაელ მოდრეკილის კრებულისა, მიქაელ მოდრეკილის კანონისა და პალესტინურ საწელიწდო იადგართა პირველი ნაწილისა).

= გრიგოლ ხანძთელისა A, 1 — 89 (იხ. გვ. 07 — 012).

B. ერუშენული კრებულის ძირითადი პირველადი ფენი (= საერთო ხსენებანი ერუშენული კრებულისა, მიქაელ მოდრეკილის კანონისა და პალესტინურ საწელიწდო იადგართა პირველი ნაწილისა).

= გრიგოლ ხანძთელისა B, 1 — 11 (იხ. გვ. 040).

C. ერუშენულ და გოლგოთურ კრებულთა ძირითადი პირველადი ფენი (= საერთო ხსენებანი ერუშენული კრებულისა, გოლგოთური კრებულის პირველი ნაწილისა, მიქაელ მოდრეკილის კანონისა და პალესტინურ საწელიწდო იადგართა პირველი ნაწილისა).

= გრიგოლ ხანძთელისა C, 1 — 26 (იხ. გვ. 043—045).

D. პალესტინურ საწელიწდო იადგართა პირველი ნაწილის ძირითადი პირველადი ფენი (= საერთო ხსენებანი პალესტინურ საწელიწდო იადგართა პირველი ნაწილისა და მიქაელ მოდრეკილის კანონისა).

¹ საგალობლები № № 42 — 43 არის S—552-ში (გვ. 7, 8, 21), არაა გოლგოთურ ხელნაწერში.

² საგალობლები № 44 არის S—552-ში (გვ. 26 — 28), არაა გოლგოთურ ხელნაწერში.

³ საგალობლები № 45 არის S—552-ში (გვ. 28 — 30), არაა გოლგოთურ ხელნაწერში. (კერძოდ დასდებელი უ და ო S—552-ში დართულია არა № 45-ის გალობასთან, არამედ მეორესთან, რომელიც საერთოა გოლგოთური ხელნაწერის ტექსტთან).

ქვემოთ მოყვანილია D ჯგუფის ხსენებანი საწელიწდო იადგარის იმ ნაწილთაგან, რომლებიც დეფექტობის გამო აკლია A, B და C ჯგუფის დედნებს (მიქაელ მოდრეკილის, ერუშენულს და გოლოთურ კრებულებს).

საწელიწდო იადგარი, განყოფილება I.
(საგალობელნი კალენდარული წრისა 21 დეკემბრიდან — 25 მარტამდე).

.....*

- 1) 31. I. კვროზ და იოანე მარტვილი. — (მ. კ. № 82; Sin. — 1, Sin. — 64, A—190) ¹.
- 2) 1. II. ეფრემ ასური. — (მ. კ. № 139; Sin. — 1, Sin. — 64, A—190).
3. 2. II. შეგებება („ტაძარს მიქუმა“). — (მ. კ. № 25; Sin. — 1, Sin. — 64, A—190).
- 4) 10. II. თეოდნია. — (მ. კ. № 135; Sin. — 1, Sin. — 64, A—190).
- 5) 9. III. ორმოცნი (სებასტიენი). — (მ. კ. № 78; Sin. — 1, Sin. — 64).
- 6) 25. III. ხარება. — (მ. კ. № 23; Sin. — 1, Sin. — 64).

საწელიწდო იადგარი, განყოფილება II.
(საგალობელნი მოძრავი კალენდარული წრისა ა, — საგალობელნი მარხვათა).

- 7) კვრიაკე კორცითა აღებისა. — (მ. კ. № 29-ა; Sin. — 1, Sin. — 64).
- 8) ყველიერისა პარასკევი: მთავარ-ანგელოზთანი. — (მ. კ. № 1; Sin. — 1, Sin. — 64).
- 9) ყველიერისა შაბათი (ანუ კორციელისა პარასკევი): ნინეველთანი. — (მ. კ. № 29-ა; Sin. — 1, Sin. — 64).
- 10) კვრიაკე II ყველითა აღებისა. — (მ. კ. № 29-ა; Sin. — 1, Sin. — 64).
- 11) პირველი შაბათი მარხვათა: თეოდორე უძღველი. — (მ. კ. № 60; Sin. — 1, Sin. — 60).
- 12 — 16) კვრიაკენი III, IV, V, VI, VII. — (მ. კ. № 29-ა; Sin. — 1, Sin. — 64).
17. ბზობისა პარასკევი: ლაზარეს მოსწავება და მღვდელ-მოძღუართანი. — (მ. კ. № 56; Sin. — 1, Sin. — 64).
- 18) ბზობისა შაბათი: ლაზარეს აღდგომა. — (მ. კ. № 56; Sin. — 1, Sin. — 64).
- 19) ბზობა („ყრმათაგან ჩჩვლთა ბაბაის შეწირვამ“). — (მ. კ. № 28; Sin. — 1, Sin. — 64).
- 20 — 25) ვნებისა კვრიაკე („ნეფსით ვნებაჲ“). — (მ. კ. № 29-ბ; Sin. — 1, Sin. — 64).

საწელიწდო იადგარი, განყოფილება III.
(საგალობელნი მოძრავი კალენდარული წრისა ბ, — საგალობელნი ზატიკთა).

- 26) აღსება. — (მ. კ. № 30-ა; Sin. — 1, Sin. — 64).
- 27) ახალი კვრიაკე. — (მ. კ. № 30-ბ; Sin. — 1, Sin. — 64).
- 28) II სამშაბათი: დედანი მენელსაცხებლენი. — (მ. კ. № 73; Sin. — 1, Sin. — 64).
- 29) II შაბათი: იესუ და განრღუეული. — (მ. კ. № 27-ბ; Sin. — 1, Sin. — 64).
- 30) III კვრიაკე: იოსებ არიმათიელი და ნიკოდემოს. — (მ. კ. № 55; Sin. — 1, Sin. — 64).

* საგალობელნი კალენდარული წრისა 21 დეკემბრიდან — 29 იანვრამდე იხ. მიქაელ მოდრეკილის კრებულში (= გრიგოლ ხანძთელისა, 1 — 34, გვ. 07 — 09).

¹ მ. კ. = მიქაელ მოდრეკილის კანონი (№ აღნიშნაეს ხსენებათა რიგს მიქაელის კანონის ტექსტში, იხ. გვ. 057 — 062). — პალესტინური იადგარის პირველ ნაწილს წარმოგვიდგენენ ხელნაწერები: Sin. — 1, და მისგან მომდინარე ტექსტები მეორე რედაქციაში Sin. — 64 და 65, A — 190.

- 31) განზოგება ზატიკთა. IV ოთხშაბათი: აღამ და წმიდანი. — (მ. კ. № 3; Sin.—1, Sin.—64).
 32) აღმალემა. — (მ. კ. № 31-ა; Sin.—1, Sin.—64).
 33) მარტულია. — (მ. კ. № 31-ბ; Sin.—1, Sin.—64).
 34) შემდგომად მარტკლიისა ორშაბათსა: სულისა წმიდისანი. — (მ. კ. № 31-გ; Sin.—1, Sin.—64).
 35) შემდგომად მარტკლიისა ოთხშაბათსა (ანუ 7 მაისს): ქართლს ჯუარისაჲ. — (მ. კ. № 75-ბ; Sin.—1, Sin.—64).
 35-ა) ქსენება ნინოჲსი. — (მ. კ. № 75-ა)¹.

საწელიწდო იადგარი, განყოფილება IV.
 (საგალობელნი კალენდარული წრისა 25 მარტიდან — 31 აგვისტომდე).

- 36) 23. IV. გიორგი მთავარმოწამე. — (მ. კ. № 59-ა; Sin.—1, Sin.—64).
 37) 25. IV. მარკოზ მახარებელი. — (მ. კ. № 53; Sin.—1, Sin.—64).
 38) 1. V. იერემია წინასწარმეტყუელი. — (მ. კ. № 12; Sin.—1, Sin.—64).
 39) 2. V. ათანასე ალექსანდრიელი. — (მ. კ. № 126; Sin.—1, Sin.—64).
 40) 6. V. იობ მართალი. — (მ. კ. № 18; Sin.—1, Sin.—64).
 41) 7. V. ჯუარისა გამოჩინება. — (მ. კ. № 29-გ; Sin.—1, Sin.—64).
 42) 8. V. იოანე მახარებელი და არსენი მონაზონი. — (მ. კ. № 143; Sin.—1, Sin.—64).
 43) 9. V. ესაია წინასწარმეტყუელი. — (მ. კ. № 11; Sin.—1, Sin.—64).
 44) 12. V. ეპიტანე კვპრელი. — (მ. კ. № 120; Sin.—1, Sin.—64).
 45) 24. V. სუმეონ ანტიოქელი. — (მ. კ. № 157; Sin.—1, Sin.—64).
 46) 30. V. კვპრიანე მამათმთავარი. — (მ. კ. № 134; Sin.—1, Sin.—64).
 47) 31. V. კატანოზ და ნისტერონ მოლუაწენი. — (მ. კ. № 154; Sin.—1, Sin.—64).

..... *

¹ ნინოს ხსენება ძველ წყაროებში დადებულია ან ზატიკთა კალენდარულ წრეში (ისევე როგორც ქართლის ჯუარის სახსენებელი), ან 14. I-ს (სახსენებელი ნინოს გარდაცვალებისა). თარიღი პირველი ჯგუფისა — იხ. იერუსალიმის დიდი კანონის პარიზულ ხელნაწერში და იოანე-ზოსიმეს კალენდარში (შეადარე ნინოს ცხორების ვერსიებში დაცული თარიღი მცხეთის ჯუარის აღმართებისა). მეორე თარიღი, 14. I, იხ. პალესტინურ საწელიწდო იადგარის ხელნაწერებში და აგრეთვე იოანე-ზოსიმეს კალენდარში (მეორეგზის).

იადგართა იმ რედაქციაში, რომელსაც ემყარება მიქაელის კანონი, ნინოს ხსენება დადებული უფილა ზატიკთა წრეში; ამას ადასტურებს ორი რამ:

ა) მიქაელის კრებულში შენახულა იანერის თვის საგალობლები, მაგრამ აქ 14 იანერისათვის ნინოს საგალობლები არაა შეტანილი;

ბ) მიქაელის კანონში ნინო მოიხსენება მენელსაცხებლედ დედათა გვერდით, ხოლო ამ უკანასკნელთა ხსენება ზატიკთა საკალენდარო წრეს ეკუთვნის.

სამწუხაროდ ჩვენამდე არ მოღწეულა მიქაელის კრებულის ის ნაწილი, რომელიც ზატიკთა საგალობლებს შეიცავდა. ამის გამო გაურკვეველია, თუ რას წარმოადგენდა ნინოს საგალობლები ზატიკთა საკალენდარო წრისა, იყო ეს იგივე კალობლები, რაც პალესტინურ საწელიწდო იადგარებში 14 იანეარსა წარმოდგენილი (იხ. Sin.—59. Sin.—64, წვირბული), თუ იქ, ზატიკთა განსხვავებული თარიღისათვის, განსხვავებული საგალობლები იყო დადებული.

* საგალობელნი იენისის კალენდარული წრისა იხ. ერუშენულ ხელნაწერში (= გრიგოლ ხანძთელისა B, 1—11, გვ. 040). საგალობელნი იელისის და აგვისტოს კალენდარული წრისა იხ. ერუშენულ ხელნაწერებში (= გრიგოლ ხანძთელისა C, 1—26, გვ. 043—045).

- 48) 4. IX. მოსე წინასწარმეტყუელი. — (მ. კ. № 4-ბ; Sin. — 1, [Sin. — 65]).
49) 8. IX. შობა მარიამისი. — (მ. კ. № 35-დ; Sin. — 1, Sin. — 65).
50) 9. IX. იოვაკიმ და ანა. — (მ. კ. № 32; Sin. — 1, Sin. — 65).
51) 13. IX. ენკენია. — (მ. კ. № 30-გ; Sin. — 1, Sin. — 65).
52) 14. IX. ჯუართა აღბურობა. — (მ. კ. № 29-გ; Sin. — 1, Sin. — 65).
53) 20. IX. ლუკა მახარებელი. — (მ. კ. № 54; Sin. — 1, Sin. — 65).
54) 25. IX. ეესტათი მარტიელი. — (მ. კ. № 102; Sin. — 1, Sin. — 65).
55) 27. IX. ზაქარიას დაღუმება. — (მ. კ. № 33-ბ; Sin. — 1, Sin. — 65).
56) 28. IX. ხარიტონ მოლუაწე. — (მ. კ. № 149; Sin. — 1, Sin. — 65).
57) 1. X. არეთა მარტიელი, კრებულთურთ. — (მ. კ. № 95; Sin. — 1, Sin. — 65).
58) 3. X. ბიქტორ და სტეფანიდა მარტიელნი. — (მ. კ. № 103; Sin. — 1, Sin. — 65).
59) 4. X. დანიელ წინასწარმეტყუელი. — (მ. კ. № 14; Sin. — 1, Sin. — 65).

..... *

- 60) 5. XII. საბა განწმენდილი. — (მ. კ. № 152; Sin. — 1, Sin. — 65).
61) 6. XII. ნიკოლაოზ მღვდელთ-მოძღუარი. — (მ. კ. № 116; Sin. — 1, Sin. — 65).
62) 13. XII. ეესტათი მარტიელი და მოყუასნი. — (მ. კ. № 88; Sin. — 1, Sin. — 65).

..... **

A '.

მიქაელ მორდრეკილის «ქანონი» საწელიწდო იადგარისა.

მიქაელ მორდრეკილის კრებულთ, — საწელიწდო იადგარი მესხური სკოლისა (გრიგოლ ხანძთელისა და გამგრძელებელთა), — სრულის სახით არ მოღწეულა; ამ კრებულს, როგორც ენახეთ, დეფექტობის გამო, აკლია ნაწილები.

მაგრამ, როგორც მოხსენებული გექონდა, ჩვენამდე მოღწეულა ერთი ტექსტი მიქაელ მორდრეკილისა; რომელიც გვაძლევს საშუალებას გაეითვალისწინოთ, თუ როგორი მოცულობისა იყო საწელიწდო იადგარი მესხური სკოლისა. ეს არის საგალობელნი მიქაელ მორდრეკილისა, — დას-

* საგალობელნი კალენდარული წრისა 10 ოქტომბრიდან — 4 დეკემბრამდე იხ. მიქაელ მორდრეკილის კრებულში (= გრიგოლ ხანძთელისა, A, 35 — 61, გვ. 011).

** საგალობელნი კალენდარული წრისა 17 დეკემბრიდან — 20 დეკემბრამდე იხ. მიქაელ მორდრეკილის კრებულში (= გრიგოლ ხანძთელისა, A, 62 — 63, გვ. 011).

საგალობელნი იადგარის VI განყოფილებისა, — საგალობელნი აღვსებისა რეა-კმანი. — იხ. მიქაელ მორდრეკილის კრებულში (= გრიგოლ ხანძთელისა, A, 64 — 89, გვ. 011 — 012).

დებელნი ყოველთა წმიდათანი („ქსენებაჲ ყოველთა წმიდათა ძუელისა და ახლისა შჯულისა“). იგი ემყარება საწელიწდო იადგარს. ყველა ის ხსენებანი, რომლებიც წარმოდგენილი იყო საწელიწდო იადგარში, ჩვენ გვაქვს აღნუსხული ამ საგალობელში.

მიქაელ მორდეკილის ეს ტექსტი დაბეჭდილია ჩვენს გამოცემაში „ძველ-ქართული ... პოეზია“, გვ. 247 — 257.

შედარება მიქაელ მორდეკილის ამ საგალობლებისა მიქაელ მორდეკილისავე საწელიწდო იადგარის ხელნაწერთან, აგრეთვე დანარჩენ საწელიწდო იადგარებთან (ერუშენული, გოლგოთური და პალესტინური დედნები)—გვაძლევს საშუალებას აღვადგინოთ, თუ როგორი იყო კალენდარული წრე ანუ „კანონი“ მესხური სკოლის საწელიწდო იადგარის იმ ტექსტისა, რომელიც საფუძვლად დასდებია მიქაელ მორდეკილის დასახელებულ საგალობლებს — „დასდებელნი ყოველთა წმიდათანი“.

ირკვევა ამასთან ერთი უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება: მიქაელ მორდეკილის ეს საგალობლები უფრო აღრინდელ ხანაში დაუწერია, ვიდრე მიქაელი შეადგენდა მესხური სკოლის საწელიწდო იადგარის ახალს განერციობილ რედაქციას და გადასწერდა თავის კრებულს. ეს ირკვევა იმის მიხედვით, რომ მიქაელის ამ საგალობლებში — „დასდებელნი ყოველთა წმიდათანი“ („ქსენებაჲ ყოველთა წმიდათა ძუელისა და ახლისა შჯულისათა“) — არაა მოხსენებული მთელი რიგი წმიდანებისა, რომელთა საგალობელნი უფრო გვიან ხანაში მიქაელ მორდეკილს შეუტანია თავის კრებულში. ასეთია ხსენებანი:

- | | |
|---------------------------------|--------------------------------|
| 1) 18. I. ანტონი რაეახი. | 8) 23. X. ანასტასი მარტვილი. |
| 2) 19. I. თევდოსი მეფე. | 9) 12. XI. იოანე ურპაელი. |
| 3) 20. I. ეფთვმე მოლუაწე. | 10) 18. XI. გრიგოლ რომის პაპი. |
| 4) 21. I. მაქსიმოს აღმსარებელი. | 11) 19. XI. თალელე მარტვილი. |
| 5) 23. I. აგათანგელის მარტვილი. | 12) 22. XI. კოსტანტი კახაა. |
| 6) 26. I. იოანე მმარხველი. | 13) 18. XII. პალადიოსი. |
| 7) 16. X. გრიგოლ ნოსელი. | |

ამათ შორის საგალობლები იოანე მმარხველისა, იოანე ურპაელისა და პალადიოსისა—დაუწერია შემდეგ ხანაში თვით მიქაელ მორდეკილს (იხ. მიქაელის საგალობლები №№ 28, 30, 32). ხოლო დანარჩენთა შესახებ მიქაელს შეუტანია თავის გვიანდელ კრებულში შემდეგი ტექსტები: თევდოსი მეფის საგალობლები — ივანე მინჩხისა (იხ. № 1); ეფთვმე მოლუაწის საგალობლები — ივანე მინჩხისა (იხ. № 2), ივანე მტბევეარისა (იხ. № 10) და ეზრასი: აგათანგელის მარტვილის საგალობლები — იოვანე მტბევეარისა (იხ. № 11); საგალობლები ანტონი რაეახისა, მაქსიმოს აღმსარებელისა, ანასტასი მარტვილისა, კოსტანტი კახაასა, გრიგოლ ნოსელისა, გრიგოლ რომის პაპისა და თალელე მარტვილისა — ანონიმებისა (იხ. №№ 4, 5, 16, 17, 18, 19, 20).

ირკვევა ამავე დროს მეორე, აგრეთვე მნიშვნელოვანი გარემოება. საწელიწდო იადგარის ძველ მესხურ რედაქციაში, რომელიც საფუძვლად დასდებია მიქაელის „კანონს“ („დასდებელნი ყოველთა წმიდათანი“) — ყოფილა საგალობლები ეროვნულ ქართველ წმიდათა, ნინოსი და შუშანიკისი: ისინი მოხსენებულია მიქაელის „კანონში“. ხოლო თუ ეს საგალობლები არ შენახულა, ეს ამით აიხსნება, რომ მიქაელის კრებულს, დეფექტობის გამო, აკლია ის ნაწილები, სადაც მოთავსებული ყოფილა ეს საგალობლები.



ამ წინასწარ განმარტებათა შემდეგ მოგვყავს მიქაელის „კანონის“ ტექსტი.

ქვემოთ მოყვანილ სიაში წარმოდგენილია ხსენებანი მიქაელის ტექსტისა; თვითველ ხსენებანსთან აღნიშნულა თარიღი და მითითებული გვაქვს საგალობლები იმ ხსენებათა, რომლებიც წარმოდგენილია საწელიწდო იადგარებში.

- ა.
1. ანგელოზნი. — ა) 8. XI (ბ. A, № 44). — ბ) 14. XI (ბ. A, № 50). — მარხვ. (ბ. D, № 8)
- ბ.
2. მამათმთავარნი ძუელისა აღთქუმისანი. — 21. XI (ბ. A, № 1. — მტბ. № 1).
მამათმთავართა შორის:
 3. აღამ. — ზატიკ. (ბ. D, № 31).

გ. წინასწარმეტყუელნი ძუელისა აღთქუმისანი:

4. მოსე. — 4. XI (ბ. D, № 48).
5. აპრონ. — 5. XI (Sin. — 59, Sin. — 64).
6. ისუ ძე ნავესი. — 3. IX (Sin. — 59, Sin. — 64).
7. სამოელ. — 20. VIII (ბ. C, № 21).
8. დავით მეფე — წინასწარმეტყუელი. — 26. XII (ბ. A, № 12).
9. ელია. — 4. VIII (ბ. C, № 12).
10. ელისე. — 4. VIII (ერუშენ./ან. № 5 ზ).
11. ესაია. — 10. V (ბ. D, № 43).
12. იერემია. — 1. V (ბ. D, № 38).
13. იეზეკიელ. — ...²
14. დანიელ. — 4. X (ბ. D, № 59).
მცირე წინასწარმეტყუელნი; მათ შორის:
15. ამოს. — 17. VI (ბ. B, № 4).
16. ამბაკომ. — 1. VII (ერუშენ./ან. № 1 ზ).

დ. სხუანი ძუელისა აღთქუმისანი:

17. მელქისედეკ მღვდელთმოდღუარი. — 8. VIII (გოლგ.-ერუშ./ან. № 18).
18. იობ მართალი. — 6. V (ბ. D, № 40).
19. სამნი ყრმანი, ანანია, აზარია, მისაელ. — 24. VIII (Sin. — 59, Sin. — 65, წვირმ.. იელ.).
20. შვიდნი ყრმანი მკაბელნი, დედითურთ. — 1. VIII (ბ. C, № 11).
21. შვიდნი ყრმანი ეფესელნი. — 2. VIII (გოლგ./ან. № 15).
22. სემეონ მღვდელი. — 3. II (Sin. — 59, Sin. — 64, A—190).

¹ შემოკლებანი:

ბ. = გრიგოლ ზანძთელი (A — მიქაელ მოდრეკილის კრებული, B — ერუშენული კრებული, C — გოლგოთური კრებულის პირველი ნაწილი, ერუშენულთან ერთად, D — პალესტინურ საწელიწდო იადგართა პირველი ნაწილი). — მერჩ. = გიორგი მერჩულე. — მინჩხი = ივანე მინჩხი. — ივ. კ. = ივანე ქონჭოზის-ძე. — სტ. ზ. = სტეფანე სანანოას-ძე ქყონდიდელი. — მტბ. = იოვანე მტბეუარი. — მიქ. = მიქაელ მოდრეკილი. — ანონიმები: მიქ./ან. = მიქაელ მოდრეკილის კრებულისა; ერუშ./ან. = ერუშენული კრებულისა; გოლგ./ან. = გოლგოთური კრებულის პირველი ნაწილისა; გოლგ.-ერუშ./ან. = გოლგოთურის პირველი ნაწილისა ერუშენულთან ერთად; ნ-ნნჟ/ან. = ხელნაწერისა S—552.

² ტექსტი არ მოღწეულა (მიქაელის კრებულს სათანადო ნაწილი აკლია).

ე. იესუ.

23. ხარება. — 25. III (ბ. D, № 6).
24. ბეთლემს შობა. — 21 — 24. XII, 25. XII (ბ. A, №№ 2 — 11. — მტბ. №№ 3 — 5. — შიქ. №№ 20, 22, 25).
25. ტაძარს მიქუმა. — 2. II (ბ. D, № 3)).
26. იორდანეს განბანა. — 3 — 5. I; 6. I; 7 — 13. I (ბ. A, №№ 18 — 27. — მტბ. №№ 8, 9. — შიქ. №№ 11 — 19, 23).
27. <ნიშნი>. — ა) 5 — 6. VIII (ბ. C, № 13, 14. — მინჩხი, გოლგ. № . — გოლგ./ან. №№ 16 — 17). — ბ) ზატიკ. (ბ. D, № 29).
28. ყრმათაგან ჩხვლთა ბაჰაჰს შეწირვა [ბზობა]. — მარხე. (ბ. D, № 19).
29. ნეთსით ვნებაჲ:
ა) მარხე. (ბ. D, №№ 7, 9, 10, 12 — 16).
ბ) ვნებისა კვრიაკე — „ნეთსით ვნებაჲ“ (ბ. D, №№ 20 — 25).
გ) ჯუარისანი: 29. I (ბ. A, № 34); 7. V (ბ. D, № 41); 14. IX (ბ. D, № 52).
30. აღდგომა.
ა) საკუთრივ აღდგომისანი (ბ. A, №№ 64 — 89; D, № 26. — მერჩ. №№ 1 — 21. — მინჩხი № 3. — მტბ. № 14. — შიქ. №№ 2 — 10).
ბ) ახალ კვრიაკისა: ზატიკ. (ბ. D, № 27).
გ) ენკენისა: 13. IX (ბ. D, № 51).
31. აღმალლება <და მარტკლოა>. — ა) აღმალლება (ბ. D, № 32). — ბ) მარტკლოა (ბ. D, № 33). — გ) სულის წმიდისა (ბ. D, № 34).

ე¹ მარიაჲ და მშობელნი; იოსეფ ღირსი და თანამედროენი; წინამორბედი და მშობელნი.

32. იოეაკიმ და ანა. — 9. IX (ბ. D, № 50).
33. ზაქარია და ელისაბეთ. — ა) 25. VI (ბ. B, № 8). — ბ) 27. IX (ბ. D, № 55).
34. იოსეფ ღირსი. — 23. XII (მტბ. № 2).
- 22-ბ. სალომე და ანა. — 3. II (Sin. — 59, Sin. — 64, A—190).
35. მარიაჲ. — ა) 16. I (ბ. A, № 28). — ბ) 16. XI (ბ. A, № 52). — გ) 13 — 16. VIII (ბ. C, №№ 18, 19, 20. — მინჩხი, გოლგ. № 5). — დ) 8. IX (ბ. D, № 49). — ე) 15. V (Sin. — 59, Sin. — 64).
36. იოანე წინამორბედი. — ა) 26 — 27. X (ბ. A, № 41). — ბ) 24. VI (ბ. B, № 7). — გ) 28 — 29. VIII (ბ. C, №№ 25, 26, გოლგ./ან. № 25).

ე² მოციქულნი, მახარებელნი, მოწაფენი და სხვანი თანამედროენი იესუჲსანი.

მოციქულნი:

37. ათორბეტნი მოციქულნი. — 30. VI (ბ. B, № 11).
38. პეტრე }
39. პავლე } ა) 28. XII (ბ. A, № 14). — ბ) 28. VI (ბ. B, № 10).
40. ანდრია. — 30. VI (ბ. A, № 58).
41. იაკობ. — 30. XII (ბ. A, № 16).
42. იოანე. — 30. XII (ბ. A, № 16). — 8. V (ბ. D, № 42, არსენი მონაზონთან ერთად).
43. ფილიპე. — 5. VII (S—552/ან. № 26).
44. თომა. — 3. VII (ერუშ./ან. № 2¹).
45. ბართლომე. — 12. VI (ბ. B, № 3).

46. თადეოზ. — . . . ¹
 47. იაკობ. — . . . ¹
 48. სკემონ. — . . . ¹
 49. მატათია (მათე). — 9. VIII (ბ. C, № 15).
 <50. იუდა>. — 23. I (Sin. — 59, Sin. — 64).
 სამეოცდაათნი მოციქულნი [მათ შორის:
 51. ბარნაბა. — 11. VI (ბ. B, № 2).

მხარებელნი:

52. მათე. — 21. XI (ბ. A, № 54).
 53. მარკოზ. — 25. VI (ბ. D, № 37).
 54. ლუკა. — 20. IX (ბ. D, № 53).
 (იოანე — იხ. № 43).

სხუანი მოწაფენი და თანამედროვენი:

55. იოსებ და ნიკოდემოს. — ზატიკ. (ბ. D, № 30).
 56. ლაზარე და ზაქე. — მარხვ. (ბ. D, №№ 17, 18).
 28-ა. ყრმანი ებრაელნი მაქებელნი. — მარხვ. (ბ. D, № 19).
 57. ყრმანი ეროდეს მოსრეილნი. — 29 XII (ბ. A, № 15).

ვ¹. მარტვლნი მამანი.

58. სტეფანე ლუაწლისა მძლე. — ა) 27. XII (ბ. A, № 13). — ბ) 2. VIII (გოლგ./ან. № 14).
 59. გიორგი დიდებული. — ა) 23. IV (ბ. D, № 36). — ბ) 3. XI (ბ. A, №№ 42, 43). —
 გ) 10: XI (ბ. A, №№ 45 — 47).
 60. თეოდორე უძლეველი. — მარხვ. (ბ. D, № 11).
 61. დიმიტრი. — 28. X (მიქ./ან. № 15).
 62. პანტელეიმონ. — 28. VII (ბ. C, № 10, გოლგ./ან. № 13).
 63. სერგი და ბაქოზ. — 7. X (მიქ./ან. № 20).

ვ². მარტვლნი დედანი.

64. ერინე. — 5. VII (Sin. — 59, Sin. — 64, იელ.).
 65. მარინა. — 17. VII ბ. C, № 5).
 66. ბარბარა } 3. XII, 4. XII (ბ. A, №№ 60, 61).
 67. ივლია }
 68. ეკატერინა. — 24. XI (ბ. A, № 56).
 69. თეკლა. — 26. VII (ბ. C, № 8).
 70. ფებრონია. — 26. VI (ბ. B, № 9).
 71. ქრისტინა. — 20. VII (ბ. C, № 6).
 72. ანასტასია. — . . . ¹.

ვ³. დედანი მენელსაცხებელნი.

73. დედანი მენელსაცხებელნი. — ზატიკ. (ბ. D, № 28. [მათ შორის:
 74. მარიამ მაგდანელი. — 23. VII (ბ. C, № 7)].

¹ ტექსტი არ მოღწეულა (მიქაელის კრებულის სათანადო ნაწილი აკლია).

ვ⁴. დედანი, მოლუაწენი და მარტვლნი ქართლისანი.

75-ა. ნინო. — [ზატიკ.]¹.

75-ბ. მცხეთისა ჯუარი. — ზატიკ. [= 7. V] (ბ. D, № 35).

76. გაენე და რიფსიმე. — 11. X (ბ. A, № 36).

77. შუშანიკი. — [21. VIII] ...².

ვ⁵. დანარჩენნი მარტვლნი მამანი.

78. ორმოცენი (სებასტიელნი). — 9. III (ბ. D, № 5).

79. ორმოცდახუთნი. — 10. VII (ერუშ.-გოლგ./ან. № 3).

80. სამიათას ორას სამეოცდაათნი ...³.

81. გურია, სამონა და აბიბოს. — 15. IX (ბ. A, № 51).

82. კვროზ და იოანე. — 31. I (ბ. D, № 1).

83. პრომანოზ და ცხრანი ყრმანი. — [13. II] ...³.

84. კოზმან და დამიანე. — 17. X (ბ. A, № 37).

85. კვრიკე და იელიტა. — 15. VII (ბ. C, № 4, გოლგ./ან. № 5).

86. კონონ ძითურთ. — 5. VI (ბ. B, № 1).

87. დავით და ქირიკან, დელითურთ. — [17. V] ...⁴.

88. ეესტრატო და მის-თანანი. — 13. XII (ბ. D, № 62).

89. იაკობ (დაქრილი). — 27. XI (მიქ./ან. № 21).

90. ტრაქოს და მის-თანანი. — 27. VI (ბ. ერუშ./ან. № 6).

91. პავლე, ბილონ, თეონ და ერონ. — 2. VII (ბ. C, № 1).

92. კორნელეოზ. — 20. X (ბ. A, № 38).

93. პატერმათეოზ და კარპიანე. — ...³.

94. ლუკიოზ. — 21. VIII (ბ. C, № 22).

95. არეთა კრებულითურთ. — I. X (ბ. D, № 57).

96. მერკვლე. — 23. XI (ბ. A, № 55).

97. მენა. — 11. XI (ბ. A, № 48).

98. ლეონტი. — 18. VI (ბ. B, № 5).

99. პროკოპი. — 8. VII (ბ. C, № 3. — გოლგ./ან. № 8).

100. ანდრეა. — 19. VIII (გოლგ./ან. № 23).

101. ელიანოზ. — 11. VIII (ბ. C, № 16).

102. ეესტაფი. — 25. IX (ბ. D, № 54).

103. ბიქტორ და სტეფანიდოს. — 3. X (ბ. D, № 58).

104. ფილექტემონ. — 12. VII (S—552/ან. № 27).

105. ფილოთეოზ. — 12. I (ბ. A, № 27).

106. ალექსანდრე. — ...³.

¹ ნინოს საგალობელთა შესახებ იხ. ზემოთ, გვ. 054, შენიშვნა.

² შუშანიკის ხსენება ქართულ წყაროებში ორი თარიღით აღინიშნება: 17. XI და 21. VIII. იადგართა იმ რედაქციაში, რომელსაც ემყარება მიქაელის კანონი, შუშანიკის ხსენება დადებული უფილა 21 აგვისტოსათვის. ამით აიხსნება, რომ შუშანიკის საგალობლები არ მოღწეულა, რადგან მიქაელის კრებულს დეფექტობის გამო აგვისტოს თვის საგალობლები აკლია.

³ ტექსტი არ მოღწეულა (მიქაელის კრებულს სათანადო ნაწილი აკლია).

⁴ ტექსტი დავითისა და ტირიკანის (ქირიკანის) საგალობელთა მიქაელის კრებულში არ შენახულა, რადგან ხელნაწერს სათანადო ნაწილი (მაისის თვის საგალობელნი) აკლია. საგალო-

107. ქრისტეფორე. — 1. VI (Sin. — 64, წვირბ. იელ.).
 108. ელია (ღამაშკელი). — 4. II (Sin. — 59, Sin. — 64, A—190).
 109. პაბო. — 7. I (ბ. A, № 21; ივ. ქ.; სტ. ქყ.).

ზ. მღვდელთმოდლუარნი.¹

110. იაკობ, ძმა იესუხისი. — ა) 26. XII (ბ. A, № 11). — ბ) 1. XII (ბ. A, № 59).
 111. ეგნატი. — 20. XII (ბ. A, № 63).
 112. დეონისიოს. — 19. XII (მიქ. № 31).
 113. ტიმოთე. — 24. I (მიქ./ან. № 12).
 114. ბასილი კესარიელი. — 1. I (ბ. A, № 17. — მტბ. № 6, 7).
 115. გრიგოლ ღმრთივ-გამომეტყუელი. — 25. I (ბ. A, № 31. — მტბ. № 12).
 116. ნიკოლაოზ. — 6. XII (ბ. D, № 61).
 117. პორფირე (ლაზელი). — 23. II (Sin. — 59, Sin. — 64).
 118. გრიგოლ სასწაულთა-მოქმედი. — 17. XI (ბ. A, № 53).
 119. იოვანე ოქროპირი. — 27. I (ბ. A, № 32).
 120. ეპიფანე კვპრელი. — 12. V (ბ. D, № 11).
 121. სილიბისტრო რომელი. — 2. I (მიქ./ან. № 11).
 122. პეტრე ალექსანდრიელი. — 25. XI (ბ. A, № 57).
 123. კლემე ანკვრელი. — 23. I (მიქ./ან. № 3. — მტბ. № 11, აგათანგელოზთან ერთად).
 124. გრიგოლ პართეელი. — 10. X (ბ. A, № 34).
 125. პამფილე კესარიელი. — 16. II (Sin. — 59, Sin. — 64, A—190).
 126. ათანასე ალექსანდრიელი. — 2. V (ბ. D, № 39).
 127. ბასილი. — 17. XI (ბ. A, № 53).
 128. ბაბილა. — 15. I (მიქ. № 27).
 129. სოფრონ (იერუსალიმელი). — 11. V (Sin. — 59, Sin. — 64).
 130. სპირიდონ. — 10. XII (Sin. — 65).
 131. მოდისტოს. — 17. XII (ბ. A, № 62).
 132. იოვანე (მოწყალე). — 12. XI (ბ. A, № 49. — მიქ. № 29).
 133. კვირილე (ალექსანდრიელი). — 19. VI (ბ. B, № 6).
 134. კვპრიანე. — 30. V (ბ. D, № 46).
 135. თეოდონია. — 10. II (ბ. D, № 4).
 136. მაკარი. — 22. X (ბ. A, № 40).
 137. კვირიაკოზ. — 17. X (Sin. — 59, Sin. — 64).
 138. იოვანე (ღამასკელი). — 4. XII (ბ. A, № 61).
 139. ეფრემ (ასური). — 1. II (ბ. D, № 2).

ბელნი დავითისა და ტირიქანისა, მომდინარე საწელიწდო იადგარის ძველი მესხური რედაქციე-
 ბიდან, შენახულა ხელნაწერში H—1710, რომელიც ტაოელი (დივრელი) ჰიმნოგრაფის კალამს
 ეკუთვნის.

¹ ხსენებათა „ზ“ ჯგუფში (მღვდელთმოდლუარნი), გარდა აქ აღნიშნული 30 ხსენებისა
 (№ 110 — 139), რომლებიც საწელიწდო იადგარიდან არის აღებული (— ყველა ესენი დამოწ-
 მებულია საწელიწდო იადგარის ხელნაწერებში), მიქაელ მოდრეკილის საგალობლებში მოიხსენება
 დამატებით 31 მღვდელთმოდლუარი, რომელთა სახელები აღებულია სხვა წყაროებიდან (იაკობის
 ეამის-წირვის მოსახსენებელი და სხვ.).

მ. მოლუაწენი¹.

140. მოლუაწენი მამანი სანატრელნი. — 28 I (ბ. A, №№ 33. — მტბ. № 13).
141. აბბა პავლე. — 17. I (ბ. A, № 29. — მიქ. № 21).
142. ანტონი. —
143. არსენი. — 8. V (ბ. D, № 42).
144. სტეფანე. — 2. IV (Sin. — 59, Sin. — 64).
145. პიმენ. — 27. VIII (ბ. C, № 24).
146. გელასი. — 14. XII (Sin. — 65).
147. ჯერასიმე. — 9. II (Sin. — 59, Sin. — 64, A—190).
148. სისოი. — 7. VII (ივანე მგალობელი).
149. ხარიტონ. — 28. IX (ბ. D, № 56).
150. საბა ასური. — 26. VIII (ბ. C, № 23).
151. იოვანე პალაკრელი. — 6. VII (ბ. C, № 22).
152. საბა (განწმენდილი). — 5. XII (ბ. D, № 60).
153. ილარიონ. — 21. X (ბ. A, № 39).
154. ნისტერეონ და კატიანოს. — 31. V (ბ. D, № 47).
155. თეოდოსი. — 11. I (ბ. A, № 25).
156. მარია მევკპტელი. — 1. V (Sin. — 59, Sin. — 64, წვირმ.).
157. სვმეონ ანტიოქელი. — 24. V (ბ. D, № 45).
158. სვმეონ ალაფელი. — 27. VII (ბ. C, № 9).
159. სვმეონ სალოსი. — 21. VII (გოლგ.-ერუშ./ან. № 11).
160. იოანე სოხასტრელი. — 8. I (ბ. A, № 22).
161. მამანი სინელნი. — 13. I (ბ. A, № 26. — მიქ. № 24).
162. მევკპტელნი სკიტელნი. — 14. I (მიქ. № 26).

*

163. ყოველნი წმიდანი. — 22. I (ბ. A, № 30. — მიქ. № 1).

E

ქ ლ ა რ ჯ უ ლ ს ა წ ე ლ ი წ დ ო ი ა დ გ ა რ თ ა გ ა მ ო ნ ა კ რ მ ზ ი
დაცული ოპიზურ ხელნაწერში 1008 წლისა

ზოგადი ცნობები ოპიზურ ხელნაწერზე 1008 წლისა.

ოპიზური ხელნაწერი 1093 წლისა (დატული ამჟამად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში A—93), გადაწერილია ეტრატზე, ნუსხური დამწერლობით.

ხელნაწერი დიდი ფორმატისაა, in 4°. ზომა ხელნაწერის გვერდისა 34 X 25 სანტიმეტრი; ნაწერი ტექსტისა გვერდზე 28 X 18 სანტიმეტრი. (ნაწერია ერთ სვეტად. გვერდში 35 სტრიქონია).

¹ სხენებათა „მ“ ჯგუფში („მოლუაწენი“), გარდა აქ აღნიშნული 23 ხსენებისა (№№ 140 — 162), რომლებიც საწელიწდო იადგარიდან არის აღებული (— ყველა ესენი დამოწმებულია საწელიწდო იადგარის ხელნაწერებში), მიქაელ მორდეკილის საგალობლებში მოიხსენება დამატებით 44 მეუღაბნოე, რომელთა სახელები აღებულია პაგიოგრაფიული მწერლობის სხვადასხვა ძეგლებიდან.

ბიბლიოგრაფიულ ცნობებს ხელნაწერის შესახებ იძლევა გადაწყვერის მთავარი ანდერძი (იხ. ფ. 206ა — 207ა):

„ქვე აღიდე წამამ ჩუენი გიორგი მთაწმიდელი, რომლისა შეწეენითა დავნუსხე წმიდამ ესე და სულთა განმანათლებელი პარაკლიტონი.

„სახელითა ღმრთისაჲთა... მე უღირსი და ფრიად საწყალობელი... ათანასე არვანდ ყოფილი ღირს ვიქმენ დაწერად და აღსრულებად ყოვლითურთ ბრწყინვალესა... ამას პარაკლიტონსა, სრულსა და უკლებსა, ვითა უთარგმნია წმიდასა მამასა გიორგი მთაწმიდელსა, — რომლისა კურთხევაჲ და კსენებაჲ მისი საუკუნომცა არს, — და შევეწირე უნდომ ესე ნაწუშაკევი კელთა ჩემთაჲ სანთელსა მას ბრწყინვალესა... წინამორბედსა... [საეანესა ოპიზას].

„ხოლო თქუენ, ღმერთმემოსილხო წმიდანო მამანო, აწ მყოფნო და კულად მომავალხო, დიდებულისა და სახელ-განთქმულისა ოპიზისა მკვდრხო, რომელნი ჰბრწყინავთ საღმრთოთაჲ მადლითა, იხილოთ რაჲ ნამუშაკევი ესე კელთა ჩემთაჲ, თქუთ სიტყუაჲ წყალობისაჲ.

„დაიწერა ქრონიკონსა : ტ : იბ : [= 1093 წ.], დიდებულსა ლაერასა შინა ოპიზას. დედაჲ გიორგი მთაწმიდელისა ნუსხისაგან დაწერილი მქონდა... აღვასრულე და დავეწერე წმიდამ ესე წიგნი მართალი და უნაკულთა.“

*

ხელნაწერი თავდაპირველად შეიცავდა პარაკლიტონს სრულად, ე. ი. საგალობლებს რვა ხმისა. გვიან ხანაში, რადგან ხელნაწერი დიდი მოცულობისა ყოფილა, იგი გაუყვიათ ორ ნაწილად: 1 — 4 ხმები და 5 — 8 ხმები. მოღწეული ხელნაწერი წარმოადგენს პირველ ნაწილს, 1 — 4 ხმებს.

ხელნაწერი თავდაპირველად, ვიდრე ორ ნაწილად გაჰყოფდნენ, შეიცავდა, რვეულთა ოცდაპირველი სათვალავის თანახმად, — 64 რვეულისა და 2 ფურცელს, ე. ი. საერთო რიცხვით 1028 გვერდს. ამჟამად ხელნაწერში 414 გვერდია.

ხელნაწერის ორად გაყოფა დასტურდება როგორც რვეულთა თავდაპირველი სათვალავის მიხედვით, ისე სხვა ნიშნებითაც¹.

აქ საჭიროა აღენიშნოთ ამასთან, რომ ხელნაწერი არსებული სახითაც, — ე. ი. პარაკლიტონის 1 — 4 ხმები, — არაა მთლად სრულად დაცული. თავში დაკარგულა პირველი ოთხი რვეულის 31 ფურცელი (შენახულა 1 ფურცელი). შემდგომ რვეულებს აგრეთვე აკლია ადგილადგილ ფურცლები.

ამასთან ფურცლები არეულია. (თავდაპირველი თანამიმდევრობის თანახმად ხელნაწერის ფურცლები ასე უნდა დალაგდეს: 39, 18 — 24, 9 — 17, 25 — 38, 40 — 47, 1 — 8, 48 — 206).

*

ხელნაწერის შედგენილობა.

ოპიზური ხელნაწერი 1093 წლისა, როგორც ეს აღნიშნულია მთავარ ანდერძში, შეიცავს ძირითადში გიორგი მთაწმიდელის პარაკლიტონს.

მაგრამ ხელნაწერის რედაქტორს, გარდა გიორგი მთაწმიდელის ტექსტისა, თავის კრებულში შეუტანია აგრეთვე სხედასხვა გამოჩაკრებნი კლარჯულ საწელიწდო იადგართაგან.

¹ ხელნაწერის ორად განაწილების დროს ყოფილა შემთხვევები, როცა უკანასკნელი მე-4 ხმის ბოლო ნაწილი, რომელიც ერთი ფურცლიდან მეორე ფურცელზე გადადიოდა, გაუყოფბითა მეორე ნაწილისათვის; ასეთ შემთხვევებში დაკლებული სტრიქონები მიუწერიათ პირველი ნაწილის ბოლოში (იხ. ფ. 170b, 184b), ან, თუ დაკლებული ტექსტი დიდი იყო, დაუმატებიათ ახალი ფურცელი (იხ. ფ. 176, 185). ამავე დროს არის შემთხვევები, როდესაც ხელნაწერის ორად გაყოფის დროს მე-8 ხმის ბოლო გამოჰყოლია პირველ ნაწილს (იხ. ფ. 171a, 178a).

აღსანიშნავია ამას გარდა, რომ საგალობელთა ერთი პატარა თავი, — დასდებლნი მარიამისნი მწუხრისა, — აღარ გაუყვიათ ორად და იგი მთლიანად პირველ ნაწილში დაუტოვებიათ.

თუ რა ეკუთვნის ამ კრებულში გიორგი მთაწმიდელს, და რა არის აქ დამატებული კლარჯულ საწელიწდო იადგართაგან, ამის დადგენა შესაძლებელია სრული სიზუსტით.

საქმე ის არის, რომ ჩვენამდე მოღწეულა გიორგი მთაწმიდელისეული ხელნაწერები, სადაც გიორგი მთაწმიდელისეული ტექსტი წარმოდგენილია უცვლელად, ყოველგვარ დამატებათა გარეშე (იხ. ხელნაწერები A—94, A—290 და მრავალნი სხვანი).

შედარება გიორგი მთაწმიდელის პარაკლიტონის ხელნაწერებისა და ოპიზური 1093 წლის ხელნაწერისა ცხად-პყოფს, რომ ოპიზურ ხელნაწერში დამატებულია კლარჯულ საწელიწდო იადგართაგან საგალობელთა შემდეგი ოთხი ჯგუფი:

ა. საგალობელნი აღვსებისანი რვა-კმანი (გალობანი გრიგოლ ხანძთელისა, გიორგი მერჩულისა, მიქაელ მოღრეკილისა, ივანე მინჩხისა და X—XI ს.ს. ანონიმებისა).

ბ. გიორგი მერჩულე — საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი.

გ. საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი (ანონიმური).

დ. ეპიფანე მოძღუარი [ხანძთელი] — გალობები სადიდებელი სამებისა.

ვიძლევიტ კლარჯული საწელიწდო იადგარების ამ გამონაკრებთა აღწერილობას.

ა.

საგალობელნი აღვსებისანი რვა-კმანი.

I. გრიგოლ ხანძთელი.

პარაკლიტონის თავდაპირველ დედანში თვით გიორგი მთაწმიდელს შეტანილი ჰქონია გრიგოლ ხანძთელის 16 გალობანი აღვსებისა (სახელდობრ მიქაელ მოღრეკილის კრებულში მოთავსებული შემდეგი გალობანი: №№ 64 და 65 პირველი კმისა; 68 და 70 მეორე კმისა; 71 და 72 მესამე კმისა; 74 და 75 მეოთხე კმისა; 79 და 80 მეხუთე კმისა; 81 და 82 მეექვსე კმისა; 84 და 85 მეშვიდე კმისა; 87 და 88 მერვე კმისა).

ოპიზური ხელნაწერის რედაქტორს დამატებით შეუტანია კრებულში გრიგოლ ხანძთელის შემდეგი ხუთი გალობანი აღვსებისა, I—IV კმათა:

1) გალობანი აღვსებისა პირველი კმისა (აკლია დასაწყისი) გვ. 39a (= მიქაელ მოღრეკილის კრებულის № 67, იხ. ზემოთ).

2) გალობანი აღვსებისა პირველი კმისა (აკლია ბოლო) გვ. 39a — b (= მიქაელ მოღრეკილის კრებულის № 66, იხ. ზემოთ).

3) გალობანი აღვსებისა მეორე კმისა, გვ. 35b — 37a (= მიქაელ მოღრეკილის კრებულის № 68, იხ. ზემოთ).

4) გალობანი აღვსებისა მესამე კმისა, გვ. 75b — 76b (= მიქაელ მოღრეკილის კრებულის № 73, იხ. ზემოთ).

5) გალობანი აღვსებისა მეოთხე კმისა, გვ. 123a — 124b (= მიქაელ მოღრეკილის კრებულის № 77, იხ. ზემოთ).

II. გიორგი მერჩულე.

პარაკლიტონის თავდაპირველ დედანში თვით გიორგი მთაწმიდელს შეტანილი ჰქონია გიორგი მერჩულის გალობა № 13.

ოპიზური ხელნაწერის რედაქტორს დამატებით შეუტანია კრებულში გიორგი მერჩულის შემდეგი სამი გალობანი:

1) გალობანი აღვსებისა მეორე კმისა, გვ. 37ა — 38ბ, 40ბ — 42ბ (= მიქაელ მორდგეილის კრებულის № 5, იხ. ზემოთ).

2) გალობანი აღვსებისა მეორე კმისა, გვ. 38ბ — 40ბ (= მიქაელ მორდგეილის კრებულის № 6, იხ. ზემოთ).

3) გალობანი აღვსებისა მეოთხე კმისა, გვ. 126ა — 126ბ (= მიქაელ მორდგეილის კრებულის № 11, იხ. ზემოთ).

III. მიქაელ მორდგეილი.

მიქაელ მორდგეილის აღვსების საგალობელთაგან ოპიზური ხელნაწერის რედაქტორს კრებულში შეუტანია:

1) გალობანი აღვსებისა მეოთხე კმისა, იამბიკონნი (აკლია შუა ნაწილი) გვ. 78ბ — 79ა (= მიქაელ მორდგეილის კრებულის № 4, იხ. ზემოთ).

IV. ივანე მინჩხი.

ივანე მინჩხის ტექსტებიდან ოპიზური ხელნაწერის რედაქტორს კრებულში შეუტანია:

1) გალობანი აღვსებისა მეოთხე კმისა, გვ. 127ბ — 128ბ (= მიქაელ მორდგეილის კრებული, № 3, იხ. ზემოთ).

V. ახალი საგალობელნი აღვსებისანი კლარჯულ იადგართაგან X — XI ს.ს. (ანონიმები).

1) გალობანი აღვსებისა მესამე კმისა (დასაწყისი: „უგალობდეთ უფალსა, მორწმუნენო, სასწაულთა-მოქმედსა დიდებულსა...“), გვ. 76ბ — 77ა.

2) გალობანი აღვსებისა მესამე კმისა (დასაწყისი: „მძლე ექმნა უძლეველი სიკუდილსა მძლავრსა...“), გვ. 77ა — 78ბ.

3) გალობანი აღვსებისა მეოთხე კმისა (დასაწყისი: „კაცად უვნებელად გიცნობთ...“), გვ. 124ბ — 125ა.

4) გალობანი აღვსებისა მეოთხე კმისა ((დასაწყისი: „კრეტსაბმელი ტაძრისაჲ განიპო...“), გვ. 125ა — 125ბ.

5) გალობანი აღვსებისა მეხუთე კმისა (დასაწყისი: „გივალბთ შენ, რომელმან მიჩუენნ ჩუენ საქურველი უძლეველი...“), გვ. 126ბ — 127ბ.

• • •

საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი:

ბ. გიორგი მერჩულისა (გამონაკრები);

გ. ანონიმური ოპიზური (გამონაკრები).

გიორგი მთაწმიდელის პარაკლიტონის თავდაპირველ დედანში საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი შეიცავდა 144 საგალობელს, აქედან საგალობელნი პირველი ოთხი ხმისა — 72 საგალობელს (ოპიზურ ხელნაწერში, როგორც აღვსებთ, პირველი ოთხი ხმის საგალობლები დატული).

ოპიზური ხელნაწერის რედაქტორს თავის კრებულში, გიორგი მთაწმიდელის საგალობლებს გარდა, შეუტანია დამატების სახით გამონაკრები ამავე ტიპის შემდეგი კრებულებიდან:

ა) გიორგი მერჩულე, — საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი. სულ ოპიზური ხელნაწერში შეტანილია ამ კრებულიდან 10 გალობანი (I — III კმათა).

ბ) საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი, — ანონიმური ოპიზური. სულ ხელნაწერში ამ კრებულიდან შეტანილია 27 გალობანი (I — IV კმათა).

თუ როგორ არის განაწილებული ხელნაწერში საგალობლები გიორგი მთაწმიდელისა, გიორგი მერჩულისა, და ანონიმური ოპიზური, ამის სურათს წარმოგვიდგენს ცხრილი 067 გვერდზე.

ვიძლევი ამის შემდეგ ცალ-ცალკე აღწერას გიორგი მერჩულის და ანონიმური ოპიზური კრებულებისას — საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი.

• • •

ბ.

გიორგი მერჩულე

საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი

(გამონაკრები)

გიორგი მერჩულის კრებულის თავდაპირველი მოცულობა.

„საგალობელნი სამარადისონი“ — გიორგი მთაწმიდელისეული სქემის თანახმად შემდეგნაირად არის განრიგებული: ყოველი დღისათვის დადებულია სამი საგალობელი, ორი ძირითადი და ერთი დამატებითი (მარიაშისა). სულ I — IV ხმათა 72 საგალობელიდან — 48 არის ძირითადი, 24 — დამატებითი (იხ. სქემა 067 გვერდზე).

ის გარემოება, რომ გიორგი მერჩულის მოღწეულ საგალობელთა შორის წარმოდგენილია მხოლოდ ძირითადი საგალობელნი და არც ერთხელ არ გვხვდება დამატებითი საგალობელნი, გეძლევის საფუძველს დავასკვნათ, რომ გიორგი მერჩულის კრებულში ყოველი დღისათვის მხოლოდ ორი ძირითადი საგალობელი ყოფილა დადებული. ამის მიხედვით, გიორგი მერჩულის კრებულში საერთო რიცხვი I — IV კმის საგალობლებისა ყოფილა არა 72, როგორც გიორგი მთაწმიდელთან, არამედ 48, სახელდობრ აქ წარმოდგენილი ყოფილა შემდეგი ძირითადი საგალობელნი გიორგი მთაწმიდელისეული სქემისა (მოდწეულნი საგალობელნი შემოხაზულია):

1,	2;	4,	5;	7,	8;	10,	11;	<u>13</u> ,	14;	16,	17;	19,	20;
<u>22</u> ,	23;	25,	<u>26</u> ;	<u>28</u>	<u>29</u> ;	<u>31</u> ;	32;	34,	35;	37,	38;	<u>40</u> ;	41;
43,	<u>44</u> ,	46,	<u>47</u> ;	<u>49</u>	50;	52,	53;	55,	56;	58,	59;	61,	62;
64,	65;	67,	68;	70.	71.								

გადავდივართ გიორგი მერჩულის კრებულის მოღწეული ნაწილის აღწერაზე.

■

გალობანი პირველი კმისა

პირველი კმის გალობათაგან [№№ 1 — 18 გიორგი მთაწმიდელისეული სქემის თანახმად] მოღწეულა ერთი — № 13 (ხელნაწერის ეს ნაწილი დაზიანებულია).

1) [№ 13] გალობანი ჯუარისანი (დასაწყისი: „მონებად მტერთა მოცემული...“), გვ. 22ა — 23ს.

საბალობელნი სამარადისონი რვა-კმანი
(პირველი ოთხი კმის საგალობელნი ოპიზური ხელნაწერისა)

ს ა გ ა ლ ო ბ ე ლ ნ ი	I კ მ ა	II კ მ ა	III კ მ ა	IV კ მ ა
ო რ შ ა ბ ა თ ი. დღე მთაქარანგელოზთა				
ა. საგალობელნი სინანულისა	[1]	19	ო	37
ბ. " მთაქარანგელოზთა	[2]	20		38
*გ. " მარიამისა.	[3]	21		39
ს ა მ შ ა ბ ა თ ი. დღე ნათლისმცემლისა				
ა. საგალობელნი სინანულისა	[4]	22	მ	40
ბ. " ნათლისმცემლისა	[5]	23		41
*გ. " მარიამისა	[6]	24		42
ო თ ხ შ ა ბ ა თ ი. დღე მარიამისა და ჯუარისა.				
ა. საგალობელნი ჯუარისა	[7]	25		43
ბ. " მარიამისა	[8]	26	მ	44
*გ. " მარიამისა	[9]	27		45
ხ უ თ შ ა ბ ა თ ი. დღე მოციქულთა				
ა. საგალობელნი მარიამისა	[10]	28	მ	46
ბ. " მოციქულთა	[11]	29	მ	47
*გ. " მარიამისა	12	30		48
პ ა რ ა ს კ ე ვ ი. დღე ჯუარისა				
ა. საგალობელნი ჯუარისა	13	მ	31	მ
ბ. " მარიამისა	14		32	50
*გ. " მარიამისა	15	ო	33	51
შ ა ბ ა თ ი. დღე წმიდათა და სულისა.				
ა. საგალობელნი წმიდათა	16	ო	34	52
ბ. " სულისა	17	ო	35	53
*გ. " მარიამისა	18	ო	36	54

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. არაბული ციფრებით (1—18, 19—36, 37—54, 55—72) აღნიშნულია გიორგი მთაწმიდელის საგალობელნი (მათი თანამიმდევრობით I—IV კეების დარგლებში).

მ—საგალობელნი გიორგი მერჩულისა.

ო—საგალობელნი ანონიქურნი ოპიზურნი. (ო-ში, შესაფარდად საგალობელთა №№ 23, 52, 56—ორ-ორი საგალობელია).

დაწერილია ფორმით „მერჩულიუნი უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I	ალიტერაცია	„მ“ (მონებად მომიქსენე, მოქმედება, მონამ).
„ II	„	„წ“ (წყალი, წყლებამ, წმიდასა, წარმდებამ).
„ III	„	„კ“ (კურთხეულ, კეთილთა, კარი, კურნებამ).
„ IV	„	„ღ“ (ღონენი, ღირსებით, ღრუბლითა, ღამესა).
„ V	„	„ბ“ (პირველი, პატივი, პირველ 2).
„ VI	„	„ყ“ (ყოველი 4).
„ VII	„	„ს“ (საქურველითა, საგრილსა, სახე, სამშუალ).
„ VIII	„	„ღ“ (დაესაჯა, დაშვილსა, დაგუესაჯა, დიდებული).

გალობანი მეორე კმისა.

მეორე კმის გალობათაგან [№ 19 — 36 გიორგი მთაწმიდელისეული სქემის თანახმად], ხელნაწერში წარმოდგენილია 5 გალობანი: № 22, 26, 28, 29, 31.

2 [№ 22] გალობანი სინანულისანი (დასაწყისი: „ღმერთო ძლიერო, მკდომი ჩემო...“), გვ. 5b — 7a.

დაწერილია ფორმით „მერჩულიუნი უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I	ალიტერაცია	„ღ“ (ღმერთო 2, ღელვათა, ღელვამან).
„ II	„	„ა“ (აღვიხილავ, აღმმართე, აღმადგინე, აღმავსე).
„ III	„	„მ“ (მომეც, მოწყალეობით, მომავალნი, მიისწრაფე).
„ IV	„	„შ“ (შეძრწუნებულნი, შენ 3).
„ V	„	„ღ“ (ღელვა 3, ღმერთო).
„ VI	„	„ბ“ (ბუნებამ, ბრძოლამ, ბაგეთა, ბუნებისა).
„ VII	„	„ს“ (საქუმილი, საქმეთა, სიტბოებითა, საუფლოთა).
„ VIII	„	„ღ“ (ღიდსა, დაღონებული, ღიდისა, დაუსაბამო).

3) [№ 26] გალობანი მარიამისნი (დასაწყისი: „ღმერთო შემოქმედი...“) გვ. 49a — 5a).

დაწერილია ფორმით „მერჩულიუნი უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I	ალიტერაცია	„ღ“ (ღმერთი, ღირსებისა, ღმრთის-მეტყუელებანი ღირს-მყავ).
„ II	„	„ა“ (აღუუავილნა, აღმართა, აღაპაღღენ, აღმადგინე).
„ III	„	„მ“ (მიეფინა, მოავლანე, მსთუად, მეფისა).
„ IV	„	„შ“ (შუამდგომელ, შანთი, შუენიერებასა, შიშუელი).
„ V	„	„ღ“ (ღმრთისა, ღუაწლნი, ღელვათაგან, ღმრთისმშობელი).
„ VI	„	„ბ“ (ბუნებამან, ბრწყინვალეებასა, ბანითა, ბნელისაგან).
„ VII	„	„ს“ (საუფლომთა, სასანთლესა, საუნჯესა, სულთქუამ).
„ VIII	„	„ღ“ (დაუსაბამო, დიდებო, დიდებისა, დაბეკდული).

4) [№ 28] გალობანი მოციქულთანი (დასაწყისი: „ღელვათა დანთქმული...“), გვ. 56b — 57b.

დაწერილია ფორმით „მერჩულიუნი უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I	ალიტერაცია	„ღ“ (ღელვათა, ღმრთი, ღელვათა, ღელვანი).
„ II	„	„ა“ (აღავსეთ, აღმოსცენდა, აღვისებულო, აღაუუავეთ).
„ III	„	„მ“ (მომფენელად, მოგავლინა, მომცემელნი, მდინარითა).
„ IV	„	„შ“ (შვდ-წილ, შეშფოთებულ, შემწუველნი, შენ).
„ V	„	„ღ“ (ღელვანი, ღელვათა, ღელვამ, ღმრთისა).
„ VI	„	„ბ“ (ბუნებისა, ბობღისა, ბორგნეულებამ, ბადეთა).
„ VII	„	„ს“ (საქუმილი, სასონო, სასოდ, სიმძლავრე).
„ VIII	„	„ღ“ (დაემტკიცა, დაბნელებული, დიდებულ, დამძიმებული).

5) [№ 29] გალობანი მარიამისნი (დასაწყისი: „უგალობდეთ...“), გვ. 59ა — 60ა.

დაწერილია ფორმით „მერჩულიულნი უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I	ალიტერაცია	„უ“ (უგალობდეთ 3, ოხამ).
„ II	„	„კ“ (კუერთხად, კარაეო, კადნიერებაჲ, კარნი).
„ III	„	„მ“ (მაცხოვარი, მოეტ, მოკუდა, მოწყალებით).
„ IV	„	„შ“ (შენ 2, შემიბრკუმა, შეძრწუნდეს).
„ V	„	„ს“ (საიდუმლოჲ, სულისა, სიღრმენი, სამოთხისა).
„ VI	„	„რ“ (რომელი 4).
„ VII	„	„რ“ (რომელ 4).
„ VIII	„	„რ“ (რომელ 4).

საგალობლებში შემდეგ დაუმატებიათ მუხლი „ჰოისილესა“ (I-ა), რომელიც არაა ალიტერაციით გაწყობილი („რომელმან“ — 3, „მშობლო“).

6) [№ 31] გალობანი ჯუარისანი (დასაწყისი: „ღმერთსა, რომელმან მიქსნა პირველ...“), გვ. 62ბ — 63ა.

დაწერილია ფორმით „მერჩულიულნი უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I	ალიტერაცია	„ღ“ (ღმერთსა, ღელვათა, ღმერთი, ღმრთეებისა).
„ II	„	„ა“ (აღაუუაილნა, აღიკოცა, აღემართა, აღჰქედ).
„ III	„	„მ“ (მომეტ, მოგუეტ, მნათობთა, მომცემელი).
„ IV	„	„შ“ (შეჰმუსრე, შენ, შეძრწუნდა, შეიძრა).
„ V	„	„ღ“ (ღელვათაგან, ღმერთი, ღმერთო, ღელვათაგან).
„ VI	„	„ბ“ (ბუნებაჲ, ბუნებანი, ბნელი, ბაგენი).
„ VII	„	„ს“ (სიმტკიცე, სამსკჟალითა, საშინელსა, საშინელ).
„ VIII	„	„ღ“ (დანერგვითა, დაისაჯე, დაბადებულთა 2).

გალობანი მესამე კმისა

მესამე კმის გალობათაგან [№№ 37 — 54 გიორგი მთაწმიდელისეული სქემის თანახმად] ხელნაწერში წარმოდგენილია 4 გალობა: №№ 40, 44, 47, 49.

7) [№ 40] გალობანი სინანულისანი (დასაწყისი: „რომელი დაცემულ ვარ...“), გვ. 89ბ — 90ბ.

დაწერილია ფორმით „მერჩულიულნი უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I	ალიტერაცია	„რ“ (რომელი, რომელმან 2, რომელი).
„ II	„	„ე“ (ეჰა, ემბაზად, ეჰა, ესე).
„ III	„	„მ“ (მოწყალეებაჲ, მოელიან, მომკუდარი. მ...).
„ IV	„	„ქ“ (ქრისტე 2, ქველის-მოქმედი, ქრისტე).
„ V	„	„ღ“ (დანთქმული, დამნთქა, დასაბამი, დაეც).
„ VI	„	„ვ“ (ვითარცა, ვნებათა, ვითარცა 2).
„ VII	„	„ც“ (ცხორებაჲ, ცოდენი, ცეცხლი, ცალიერ).
„ VIII	„	„ს“ (სიტყვათა, სიმწართა, სიტკობებაჲ, სიტკობებითა).

8) [№ 44] გალობანი მარიამისნი (დასაწყისი: „უფალო, რაჟამს ჯერ იჩინე...“), გვ. 94ა — 95ა.

დაწერილია ფორმით „მერჩულიულნი უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I	ალიტერაცია	„უ“ (უფალო 2, უზეშთაესი, უერცელეს).
„ II	„	„მ“ (მოვიდა, მოსჰე, მოვედით, მეოხ).
„ III	„	„ქ“ (ქრისტე 2, ქადაგებდეს, ქუესკნელისა).
„ IV	„	„ჩ“ (ჩუენ 4).
„ V	„	„კ“ (კორცთა 2, კსნისა, კორციელებრი).
„ VI	„	„ღ“ („ღმრთისა სიტყუასა, რომელმანცა“ 4).
„ VII	„	„მ“ (მაყუალი, მიიხუნა, მონებისა, მთავარი).
„ VIII	„	„წ“ (წინამსწარმეტყუელნი, წესთა, წინა, წინამდებარეთა).

9) [№ 47] გალობანი მოციქულთანი (დასაწყისი: „ოოქელთა სული წმიდაჲ...“), გვ. 99ს — 101ს.

დაწერილია ფორმით „მერჩულიული უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I	ალიტერაცია „რ“ (რომელთა, რომელმან, რომელთა 2).
„ II	„ „ე“ (ეპა, ენითა, ენაჲ, ერთობით).
„ III	„ „მ“ (მოპრწყენით, მოპთინეს, მოპკნენით, მოიფრინენით).
„ IV	„ „ქ“ (ქუეყანასა, ქუხილითა, ქრისტეს, ქუეყანისა).
„ V	„ „დ“ (დამვდრებული, დააცხრვეთ, დაენთქა, დანთქმული).
„ VI	„ „ვ“ (ვითარცა 4).
„ VII	„ „ც“ (ცეცხლისა, ცუარი, ცეცხლი, ცოდვათათჳს).
„ VIII	„ „ს“ (სიტყუათა, სივრცესა, სილაღე, საცთური, სურნელებითა).

10) [№ 49]. გალობანი გუარისანი (დასაწყისი: „რომელმან ჯერ იჩინე...“), გვ. 105ა — 106ა.

დაწერილია ფორმით „მერჩულიული უცხონი“, შემდეგი ალიტერაციებით:

გალობა I	ალიტერაცია „რ“ (რომელმან 3, რომელი).
„ II	„ „ე“ (ეპა, ემხილა, ენაჲ, ერი).
„ III	„ „მ“ (მოსაენი, მომეც, მახვლი, მძღე).
„ IV	„ „ქ“ (ქუესცნელისა 2, ქმნული, ქუესცნელისა).
„ V	„ „დ“ (დანერგვითა, დანთქმული, დაეცა, დამდაბლებული).
„ VI	„ „ვ“ (ვითარცა, ვადიდებდეთ, ვითარცა 2).
„ VII	„ „ც“ (ცხორებად, ცხორებაჲ, ცხორებად, ცათა).
„ VIII	„ „ს“ (საშჯელი, საშინელსა, საშინელ, საქურველად).

ბ.

საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი.
ანონიმური ოპიზური.
(გამონაკრები)

თავდაპირველი მოცულობა ოპიზური ანონიმური კრებულისა საგალობელნი სამარადისონი რვა-კმანი“.

ოპიზურ ანონიმურ კრებულში ჩვენ გვხვდება ცალკეული დღეებისათვის როგორც ძირითადი ორი საგალობელი, ისე დამატებითი მესამე საგალობელი (მარიამისა). ამის მიხედვით, ოპიზური ანონიმური კრებული „საგალობელნი სამარადისონი“ იმავე ტიპისა და მოცულობისა ყოფილა, როგორც გიორგი მთაწმიდელისეული.

გადადვივართ ოპიზური კრებულის მოღწეული ნაწილის აღწერაზე.

გალობანი პირველი კმისა.

პირველი კმის 18 გალობათაგან [№№ 1 — 18 გიორგი მთაწმიდელისეული სქემის თანახმად] სტენაწერში წარმოდგენილია: №№ 15, 16, 17, 18 (ხელნაწერს დასაწყისი აკლია).

1) [№ 15]. გალობანი მარიამისნი (დასაწყისი: „ეინ შემძღებელ არს მითხრობად...“), გვ. 9ა — 10ა.

2) [№ 16]. გალობანი წინასწარმეტყუელთა და მოწამეთანი (დასაწყისი: „ქელითა წინამწარმეტყუელთათა“), გვ. 16ა — 17ბ.

3) [№ 17]. გალობანი სულისანი, იამბიკონნი (დასაწყისი: „გალობაჲ საღმრთოჲ შევწიროთ...“), გვ. 17ბ, 25ა — 26ა.

4) [№ 18]. გალობანი მარამისნი (დასაწყისი: „მაყულმან გამოგსახა პირეელვე...“), გვ. 30a — 31b.

გალობანი მეორე კმისა.

მეორე კმის 18 გალობათაგან [№№ 16 — 36 გიორგი მთაწმიდელისეული სქემის თანახმად] ხელნაწერში წარმოდგენილია: №№ 19, 23-ა, ბ, 35.

5) [№ 19]. გალობანი სინანულისანი (დასაწყისი: „დანთქმულსა ვნებათა უფსკრულსა...“), გვ. 43b — 45a. გალობანი ეკუთვნის გვიანდელს, მეორად ფენს: არის მუხლი „მოიხილესა“ (I-ა). რაც ძირითადი ფენის გალობებში არაა.

6) [№ 23-ა]. გალობანი ნათლისმცემელისანი (დასაწყისი: „ნათლისმცემელო მეუფისაო...“), გვ. 1b — 3a. საგალობელთა თავში (გვ. 1b, გვერდის არშიაზე) წარწერა: „იოსებ“ (— მითითება საგალობელის ბერძნული ორიგინალის აუტორზე, იგულისხმება IX საუკუნის ჰიმნოგრაფი იოსებ მაგალობელი, გარდაიცვალა 883 წელს).

7) [№ 23-ბ]. გალობანი ნათლისმცემელისანი (დასაწყისი: „რომელი ეგე ბრწყინავ ნათლითა...“), გვ. 4b — 5b. გალობანი ეკუთვნის გვიანდელს, მეორად ფენს: არის მუხლი „მოიხილესა“.

8) [№ 35]. გალობანი წინამსწარმეტყუელთა, მოწამეთა და სულთანი (დასაწყისი: „ორღანოდ ს აღმართოდ...“), გვ. 70a — 72a.

გალობანი მესამე კმისა.

მესამე კმის 18 გალობათაგან [№№ 37 — 54 გიორგი მთაწმიდელისეული სქემის თანახმად], ხელნაწერში წარმოდგენილია: №№ 37, 38, 40, 41, 52-ა, ბ, 53.

9) [№ 38]. გალობანი მთავარანგელოზთანი (დასაწყისი: „შენ ხარ დაუსაბამო...“), გვ. 80b — 81b.

10) [№ 37]. გალობანი სინანულისანი (დასაწყისი: „ნის გემოდს ხილეთა...“), გვ. 83a — 84a.

11) [№ 41]. გალობანი ნათლისმცემელისანი (დასაწყისი: „ბერწისაგან მუცლისა სურნელ-ბითა...“), გვ. 88b — 89b.

შენიშვნა. 1093 წლის ხელნაწერში მოთავსებულია ორი რედაქცია ამ საგალობლისა: ჯერ მოყვანილია უფრო გვიანდელი ხანის გიორგი მთაწმიდელისეული ტექსტი, ხოლო მას მოსდევს აქ დასახელებული ტექსტი; ამ უკანასკნელს ხელნაწერში აქვს შემდეგი ზედწერილი (იხ. გვ. 83a): „იგივე გალობანი, ვითარ პირველ ქართულად გუქონდეს“.

12) [№ 40]. გალობანი სინანულისა და წმიდათანი (დასაწყისი: „ჰ, მორწმუნენო, ესტიროდით გულსმოდგინედ“), გვ. 90b — 92b. ეკუთვნის გვიანდელს, მეორად ფენს: არის მუხლი „მოიხილესა“.

13) [№ 52-ა]. გალობანი წინამსწარმეტყუელთა და მოწამეთანი (დასაწყისი: „კურნო სიწილისანო...“), გვ. 113b.

14) [№ 52-ბ]. გალობანი მღვდელთმოდუართანი (დასაწყისი: „მომმადლე მე უღირსსა...“), გვ. 113b — 115b.

15) [№ 53]. გალობანი სულთანი (დასაწყისი: „განუსუენე ქრისტე სახიერ...“), გვ. 115b — 116b.

■
გალობანი მეოთხე კმისა.

მეოთხე კმის 18 გალობათაგან [№№ 55 — 72 გიორგი მთაწმიდელისეული სქემის თანახმად], ზელნაწერში წარმოდგენილია: 56-ა, ბ, 55, 59, 60, 62, 63, 65, 67, 70, 71, 72.

16) [№ 56-ა]. გალობანი ზეცისა ძალთანი (დასაწყისი: „გიგალობთ შენ უფალო...“), გვ. 131ა — 132ა.

17) [№ 56-ბ]. გალობანი მთავარანგელოზთანი (დასაწყისი: „ვითარცა საღმრთონი...“), გვ. 132ა — 133ა.

18) [№ 55]. გალობანი სინანულისანი (დასაწყისი: „წყაროჲ ხარ წყალობისაჲ...“), გვ. 134ბ — 135ბ.

19) [№ 59]. გალობანი ნათლისმცემელისა და სინანულისანი (დასაწყისი: „მთიებსა მას წინა-მსროლსა...“), გვ. 140ა — 141ბ.

20) [№ 60]. გალობანი მარიამისნი (დასაწყისი: „რომელმან უზემთაეს სიტყვსა...“), გვ. 143ბ — 145ა. ეკუთვნის გვიანდელს, მეორად ფენს, არის მუხლი „მიიხილესა“.

21) [№ 62]. გალობანი მარიამისნი და ჯუარისანი (დასაწყისი: „მოჰფინე დღეს ჩემ ზედა...“), გვ. 145ბ — 146ბ.

22) [№ 63]. გალობანი მარიამისნი (დასაწყისი: „ყოველთა ჰირვეულთათჳს ნუგეშინის-მცემელად გამოშჩნდი...“), გვ. 151ა — 152ბ. ეკუთვნის გვიანდელს მეორად ფენს: არის მუხლი „მიიხილესა“.

151 გვერდს არშიაზე მიწერილია: „ჩართულია. ესე არა მთაწმიდელისაჲა“.

23) [№ 65]. გალობანი მოციქულთანი (დასაწყისი: „კრებულსა მოციქულთასა...“), გვ. 152 — 153.

24) [№ 67]. გალობანი ჯუარისანი (დასაწყისი: „ძელსა ცხორებისასა სიკუდილისა მო-ტებელსა...“), გვ. 155ა — 156ბ.

გალობანი დაწერილია აკროსტიხით. გალობათა დასაწყისში — ზედწერილი: „თავნი იტყვან: ძელსა ცხორებისა ჩუენისასა ვადიდებდეთ.“

25) [№ 71]. გალობანი სულისანი (დასაწყისი: „სარწმუნოებით შესუენებულთათჳს...“). გვ. 165ა — 165ბ.

26) [№ 70]. გალობანი წმიდათა და წინამსწარმეტყუელთანი (დასაწყისი: „მღგომარეო წინაშე ღმრთეებისა საყდართა...“), გვ. 165ბ — 167ა.

27) [№ 72]. გალობანი მარიამისნი (დასაწყისი: „მთავარანგელოზისა გაბრიელის თანა ვი-გალობთ...“), გვ. 167ა — 169ა.

■ * ■

ღ.

ეპიფანე მოძღუარი (ხანძთელი)

«გალობები სადიდებელი წმიდისა და ერთარისისა სამებისა წმიდისაჲ

რვა კმათა ზედა»

ქართულნი.

ანდერძი ოპიზური 1093 წლის ზელნაწერის გადამწერისა (გვ. 178ა):

«ვესავ უფალსა, რომელ ესე წმიდისა სამებისა გალობები, — წმიდასა მამასა ჩუენსა გიორგი მთაწმიდელსა [რომელ] უთარგმნია, ვითა ბერძულად ყოფილ არიან, — აწ ესე ქართულნი

შჯობან, ამისთვის, რამეთუ არა დამასკელისა თქუმულნია; არამედ ეკიფანეს ვისმე, მოძღუარსა უთქუჲმან, და არიან ათექუსმეტნი, ესე იგი არს ყოველთა კმათა ორ-ორი. ხოლო მე ცოდვილმან ათანასე რვანი ოდენ დავწერენ; და თუ ვის სრულებით უნდენ, თავადსა მთა-წმიდელისა წიგნსა სწერიან. ლოცვა ყაეთ ჩემთვის, წმიდანო მამანო, რომელმანცა ესე წმიდაჲ და ღმრთიე-სულიერი წიგნი კნახოთ...“

მოდწეულა 4 გალობა სრულად და 1 გალობის ფრაგმენტი.

- 1) გალობა პირველი კმისა (დასაწყისი: „სამხატოენებით სამმთაერობაო...“), გვ. 171a — 172b.
- 2) გალობა მეორე კმისა (დასაწყისი: „დაუსაბამოდ ბრწყინავ, მამაო...“), გვ. 172b — 173b.
- 3) გალობა მესამე კმისა (დასაწყისი: „სამბრწყინვალეო ღმრთეებაო...“), გვ. 173b — 175a.
- 4) გალობა მეოთხე კმისა (დასაწყისი: „ღმერთო და მეუფეო და უფალო უფლებათაო...“); გვ. 175a — 176a.
- 5) გალობა მერვე კმისა, ფრაგმენტი (ბოლო), გვ. 178a.

ტ ე მ ს ტ ე მ ბ ი

გრიგოლ ხანძთელი

გალობანი აღვსებისანი
(იამბიკონნი)

კმაჲ I

გ ა ლ ო ბ ა ა I

«სასწაულითა» — ამათ ზედა.

1 (სტროფი)	რომელმან დაქუესი / სიმრგულეჲ ცისაჲ, სიტყუაო. და შორის მისსა მნათობთა განწესებაჲ სოფელსა მოეც, / ხოლო აწ გამოპბრწყინდი ნათლად დაბნელებულთა, / და ჯუარსა ზედა აღმალელებითა / მოეც მკუდართა ცხოვრებაჲ.	(5+7) (12) (5+7) (7+5⌋) (5+7)
2 (ანტისტროფი)	აღმოიყვანენ / ჯოჯოხეთით ქუესკნელით, ღმრთისა სიტყუაო, სიკუდილითა შენითა, რამეთუ რაჟამს / დაიდევ სამარესა, აღდგეს მკუდარნი საფლავით, / და სიხარულით თაყუანის-გცემდეს / მძლესა სიკუდილისასა.	(5+7) (12) (5+7) (7+5⌋) (5+7)
3 (ანტისტროფი)	საფლავსა შინა / ახალსა განაახლენ დაბადებულნი, და მყოფთა ბნელისათა უკუდავებისა / ნათლითა გამოუჩნდი, და თანა აღადგინენ / აღამეანნი — დიდებად შენდა / ძლევისა გალობითა.	(5+7) (12) (5+7) (7+5⌋) (5+7)

გ ა ლ ო ბ ა ა II

«ღმერთო მოხედენ» — ამათ ზედა.

1 (სტროფი)	მორწყე წყაროჲთა / გუერდისა შენისაჲთა ქუეყანაჲ ესე ეკლის გამოძებელი, რომელმანცა ნაყოფად აღმოაცენსა ღღეს გუამნი წმიდათანი, / რომელნი აღდგეს სამარეთაგან, / გამო-რაჲ-ხუედ საფლავით.	(5+7) (12) (12) (7+5) (5+7)
---------------	--	---

A = მიქაელ მოდრეკილის კრებული (გვ. 357 — 358); B = ხელნაწერი საქართველოს მუზეუმისა A — 94 (გვ. 6b — 10a).

ოთხი სტროფული ერთეული დამატებულია მიქაელ მოდრეკილის მიერ, სახელდობრ მესამე ანტისტროფები II გალობისა, IV გალობისა, V გალობისა და VI გალობისა. გამოცემაში ეს დამატებული ანტისტროფები ჩასმული გვაქვს სწორ რეკლებში [].

I, 1. — ზ₃ მკუდართა! კაცთა B.

2 (ანტისტროფი)	საწერტელ იქმენ / სიკუდილისა, უფალო, რაჟამს ადამის თხემსა მეორეჲ ადამ დამოკვიდე ძელსა, და სიკუდილითა სიკუდილი მოაკუდინე, / და წყევისაგან იქსენ სოფელი / აღდგომითა შენითა.	(5+7) (12) (12) (7+5) (5+7)
3 (ანტისტროფი)	[მოჰკალ სიკუდილი, / უკუდავო, სიკუდილითა, და აღადგინენ მკუდარნი აღდგომითა დღეს, რომელთა წამეს მიუწოდოშელი ძალი ღმრთეებისა შენისაჲ, / და სიხარულით თავყუანის-გაცემდეს / აღდგომილსა სიკუდილით.]	(5+7) (12) (12) (7+5) (5+7)

გ ა ლ ო ბ ა ა III

«პირველ აუწყა» — ამთ ზედა.

1 (სტროფი)	ორად განაჲე / კურთხითა ჯუარისაჲთა წყუდიადი იგი ქუესენელს ჯოჯოხეთისაჲ, და მსხდომარეთა მათ ბნელსა და აჩრდილთა გამოუბრწყინე / ნათელი ღმრთეებისაჲ, და ძლიერებით ასდევ ქრისტე საფლავით.	(5+7) (12) (12) (5+7) (12)
2 (ანტისტროფი)	პირველ გახრწნილსა / ადამს გემომს ხილვითა დიდებაჲ იგი უხრწნელებისაჲ კუალად შეემოსების, რამეთუ აღეშართა ტაძარი კორცთაჲ / აღდგომასა ქრისტემსსა, რომლითა ცხომდა დღეს ყოველი სოფელი.	(5+7) (12) (12) (5+7) (12)
3 (ანტისტროფი)	შენ აღადგინე / დაცემული, მდებარეჲ. დავიწყებული და დანთქმული სიღრმესა, — ბუნებაჲ კაცთაჲ, და ღირს ჰყავ ცხოვრებასა საუკუნესა, / თანა შეერთებითა ღმრთეებისაჲთა უქცეველად განაღმრთვე.	(5+7) (12) (12) (5+7) (12)

გ ა ლ ო ბ ა ა IV

«აკეთურთა ბნელთა» — ამთ ზედა.

1 (სტროფი)	ცათა მეუფეჲ ნეფსით დაჰგლახაკენი. დამზადებელი სიტყუაჲ კორციელ იქმენ და გამოიქსენ ადამ ტყუუობისაგან, და კუალად აგე პირველსა დიდებასა ნეფსით / სიკუდილითა შენითა, უფალო!	(12) (12) (12) (12) (2+10)
2 (ანტისტროფი)	შე-რაჲ-ხუედ, ქრისტე, ჯოჯოხეთისა ბჰეთა, აღმოიყვანე ხატად შენდა შექმნული ხრწნილებისაგან, ხოლო აღდგომაჲ შენი გამოუცხადე წმიდათა მათ ღედათა, და მწრაფლ / წარვიდეს ხარებად მოციქულთა.	(12) (12) (12) (12) (2+10)

11, 3. — abs. B.

III, 1. — 3₃ მათ abs. AB || 4₁ გამოაბრწყინე B.

III, 3. — 3₅ მეჲ B.

IV 1. — 4₄ პირველსაჲ A.

IV, 2. — 2₂ ხატად] ტაძრად B || 5₄₋₅ ~ მოციქულთა ხარებალ B.

3	[გამოხუედ, ქრისტე, საფლავით დაბეკდულით,	(12)
ანტისტროფი)	ბეჭედნი ეგნეს აღუტეხელად ყოვლად,	(12)
	ტილონი იგი, და სუდარი, — მოწამედ	(12)
	აღდგომისათვის, — საფლავი ცალიერი,	(12)
	მცველნი / შიშით დაცემულნი ზარგანქდილნი.]	(2+12)

გ ა ლ ო ბ ა ა V .

«შთაქლა იონა» — ამათ ზედა.

1	არაჲ მოაკლდი ცათა შინა ყოფასა,	(12)
(ანტისტროფი)	ქრისტე, წიაღთა მამისა. შენისათა,	(12)
	და კაცთა შორის კორცითა სძლე სიკუდილსა,	(12)
	რომლითა დაჰქსენ ჯოჯოხეთისა ძალი,	(12)
	კაცთმოყუარებით იქსნენ დაბადებულნი.	(12)
2	ნათელი საღმრთოდ გამოაბრწყინვე, ქრისტე,	(12)
(ანტისტროფი)	სოფელსა შინა ცხოვრების მომცემელი —	(12)
	აღდგომაჲ შენი, და ღმრთის მეცნიერებით	(12)
	განათლებულნი მორწმუნენი შეესწირავთ	(12)
	შენდა ქებასა კმითა გალობისაჲთა.	(12)
3	შთაქლა საფლავად სოფლისა შემოქმედი,	(12)
(ანტისტროფი)	მღვმესა ბნელსა დაიდვა თვთ-მნათობი	(12)
	შეუხებელი ნათელი უსხეულოჲ,	(12)
	დღეს აღმობრწყინდა მიერ მზეჲ სიმაართლისაჲ	(12)
	და განანათლა კიდენი სოფლისანი	(12)

გ ა ლ ო ბ ა ა VI

«სიყუარულით» — ამათ ზედა.

1	ცხოვრება იქმნა / განმაცხოველებელი —	(5+7)
(სტროფი)	სიკუდილი შენი, ქრისტე / რამეთუ ტვრთი	(7+5) }
	ცოდებათა ჩუნთაჲ / ბეჭთა თვისთა იტვრთე	(5+7)
	და პირველ-ქმნული / აცხოვნე.	(5+3)
	კურთხეულ ხარ მარადის, / შენ, ღმერთო მამათა ჩუნთათა!	(7+9)
2	სიმაღლე იგი / კაცთა წარმწყმედელისაჲ	(5+7)
(ანტისტროფი)	კორცითა დაამდაბლე, / და მსხლომარეთა	(7+5) }
	ჯოჯოხეთს შინა / ნათელი აღდგომისაჲ	(5+7)
	გამოუბრწყინვე, / და ესრეთ	(5+3)
	დალადებდეს: «მამათა / ჩუნთა ღმერთო, კურთხეულ ხარ	} (7+9) }
	შენ!»	
3	რომელი მოკულა / ნეფსით თვისით კორცითა,	(5+7)
(ანტისტროფი)	ჰგიეს ღმერთი უკუდავი / ბუნებითა მით	(7+5) }
	ღმრთეებისაჲთა / ყოვლად შეუხებელად.	(5+7)

IV, 3. — abs. B.

V, 1. — 1₂ დააკლდი B.

V, 2. — 1₃ გამოუბრწყინვე B || 4₃ შესწირენ B.

VI, 1. — 5₅ შენ abs. A; შენ + უფალთ B.

VI, 2. — 5₇ შენ მარადის B.

გ ა ლ ო ბ ა ა VII

«ყრმანი ბაბილონს» — ამთ ზელა

- | | |
|-------------------|--|
| 1
(სტროფი) | მოხუედ ყოველთა კსნად თანანადებისა (12)
ნეფსით ენებითა უვნებელობაა მოეტ. (12)
და რომელნი ადამის გამო დაეცნეს (12);
გარდასლევითა მით ხისა გემოას ხილევითა. (12)
კუალად აღმართე / და შენ თანა აღიღენ. (5+7) |
| 2
(ანტისტროფი) | ვითარ შინარეა ძილისაგან ასღეგი, (12)
და ვითარცა რისხვით ძლიერმან სძლის მტერსა — (12)
მოაკუდინე ვეშაი სულთა განმხრწნელი, (12)
და მაცხოვენ ჩუენ, რომელნი აღგამალღებთ (12)
შენ, შეუფესა, / აღდგომილსა საფლავით. (5+7) |
| 3
(ანტისტროფი) | წარ-რამ-კდა ლამეა იგი შაბათისაჲ მის, (12)
მაშინ მარიამ მაგდანელმან მოყუსებით (12)
მსთუად მოიღეს ნელ-საცხებელი სულნელი (12)
შემურვად კორცთა შენთა, ქრისტე მაცხოვარ, (12)
და ანგელოზმან / ჰრქუა მათ: „აღგა უფალი!“ (5+7) |

გ ა ლ ო ბ ა ა VIII

«ჯერ არს ღმელი» — ამთ ზელა.

- | | |
|-------------------|---|
| 1
(სტროფი) | ბუნებაჲ იგი მოკუდავი შეიმოსე (12)
და შეიერთე შუემდგომელობითა (12)
გონიერისა სულისაჲთა, ერთ გუამად (12)
იცნობე, ქრისტე, რომელითაჲ იენე, (12)
და რომლითაჲ / აცხოვენ ხატი შენი. (5+7) |
| 2
(ანტისტროფი) | ძალი ძლიერთაჲ მოუძღურდა ღღეს, ქრისტე. (12)
რამეთუ ღმერთი კორციელად გამოშჩნდი (12)
ცხოვრებისათჳს კაცთა ნათესავისა, (12)
შთაჰქედ საფლავად და მსხდომარენი ბნელსა (12)
აღმოიყვანენ / ღმრთეებისა ძალითა. (5+7) |
| 3
(ანტისტროფი) | მკდომარე ლოდსა ანგელოზი ნათლისაჲ (12)
ღღეს განეცხადა მტირალთა მთ ღედათა (12)
და ახარებდა: „ნუ ეძიებთ მას აქა, (12)
არამედ უთხართ მოწაფეთა და პეტრეს, (12)
ვითარმედ აღდგა, / იხილეთ გალილევას“. (5+7) |

VI, 3. — abs. B || 5₄ საუკუნეთა A.

VII, 2. — 2₃—გ სძლის მტერსა] რამ სძლის სძლე B || 3₁ + და " მოაკუდინე B.

VII, 3. — 2₄ მოყუსებითურთ AB.

VIII, 1. — 4₃ + და " რომლითაჲ B || 5₂ რომლითაჲ abs. B || 6 შენი] თჳსი B.

VIII, 3. — 5₃ იხილოთ B.

გალობანი ნათელთანი

(იაგბიკონნი)

!

კმაჲ I

გ ა ლ ო ბ ა ჲ I

«სასწაულითა» — ამთ ზედა.

- | | | |
|------------------|--|---|
| 1
(სტროფი) | საუკუნეთა / შემოქმედი არსებაჲ
უპირატესი დაწყებასა ჟამთასა,
დაუწყებელი / და დაუსრულებელი,
დაუსაბამოჲ ღმერთი / განკაცდა ჩუენთვის
და იორდანეს / ღმრთად და კაცად გუეცნობა. | (5+7)
(12)
(5+7)
(7+5)⌒
(5+7) |
| 2
(ანტიტროფი) | შეაყუე შანთი / უნივთოჲ უსხეულოჲ,
აუგებელი, გარე-შეუწერელი,
ღმრთისა სიტყუათ, / შანთსა სხეულოვანსა,
ზუნებაჲ ღმრთეებისაჲ — / ადამის ხატსა,
რომლითა გიცანთ / კორცითა, იორდანეს. | (5+7)
(12)
(5+7)
(7+5)⌒
(5+7) |
| 3
(ანტიტროფი) | მასხურე წყალი / ცხოველი, ქრისტე ღმერთო,
რომელი ეგე ხარ წყაროჲ ცხოვრებისაჲ,
და მით განწმიდე / მწინეული ცოდვათა ჩუენთაჲ,
მადლითა სულისაჲთა / აღბეჭდენ სულნი
და კორცნი ჩუენნი / სიწმიდით შეერთებად. | (5+7)
(12)
(5+7)
(7+5)⌒
(5+7) |

.....

გ ა ლ ო ბ ა ჲ III

«პირველ აუწყა» — ამთ ზედა.

- | | | |
|------------------|---|--|
| 1
(სტროფი) | მზე სიმართლისაჲ, / მნათობი შორის ორთა
მათ ცხოველთასა, აღმალღდა სულიერსა
საცნაურსა მას ქალწულებისა მთასა;
მთოვარე ეგო / წესსავე ზედა თვისსა, —
ქალწულებასა, — ყოვლად წმიდაჲ ქალწული. | (5+7)
(12)
(12)
(5+7)
(12) |
| 2
(ანტიტროფი) | მიწისაგანსა / ქცევადსა ბუნებასა,
შემსგავსებულსა შენგან, ღმრთისა სიბრძნეო,
უქცეველითა შეერთებითა, ქრისტე,
შეეზავე რაჲ / ყოვლითურთ შეურწყმელად
და იორდანეს გამოსცხადენ კორცითა. | (5+7)
(12)
(12)
(5+7)
(12) |

მიქელ მოდრეკილის კრებული, გვ. 192 — 193. იბეჭდება გამოკრებით (გალობანი I, III, VII).

3	პირველვე გიცნა / განკაცებისა, ქრისტე.	(5+7)
(ანტისტროფი)	განკაცებადი ღმერთი კაცთა ქსნისათუს —	(12)
	ღმერთშემოსილმან ამბაკომ და გქადაგა	(12)
	ჩრდილოეთ მალნართათ / მომავალად, სახიერ,	(5+7)
	რომელი მოხუედ განბანად, უცოდველო.	(12)

.....

გ ა ლ ო ბ ა ე VI

«სიყუარულითა» — მათ ზედა

1	რომელმან იგი / ნიეთი შემწუველობისად	(5+7)
(სტროფი)	ყო მშობელად ცუარისა,	(7) }
	შეცვალნა ბუნებითა მათ შჯულთა	(10) }
	წესთა განწესებანი, —	(7) }
	[— — — —] / ესე ღღეს	(5+3) }
	შეეზავა კორცითა — / საღმრთოჲ ცეცხლი — იორდანესა.	(7+9) }
2	პატიე სცა ცეცხლმან / მმარხველთა შჯულისათა	(5+7)
(ანტისტროფი)	უბიწოდ დამარხვითა	(7) }
	განუხრწნელად გუამთა მათ განხრწნადთა,	(10) }
	და ღღეს აქა ასწავა	(7) }
	იორდანემან / განბანად,	(5+3) }
	შიშით, საუფლოთა მათ / კორცთა მქსნელისა ჩუენისაჲა.	(7+9) }
3	სიმდაბლემ შენი, / მაღალო, დაუკვრდა	(5+7)
(ანტისტროფი)	ზეცისა მქედრობათა,	(7) }
	რაცემს უმთავრესი მთავრობათაჲ	(10) }
	იხილვე მსგავსად კაცთა	(7) }
	შეერთებული / გუამსა მას	(5+3) }
	უძლურსა შეურაცხსა, / რომელ წმიდა ჰყავ განბანიითა.	(7+9) }

.....

—

VI, 1. — 65 იორდანისა წყალთი.

VI, 3. — 63 რომელი.

სტიქარონი
ნათელთანი და ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისანი

კმ.ა V

სტიქარონი «უფალო ღაღადყავსა»

[ნათელთათვის]

1	გიხაროდენ, წინამორბედო	(9)
(სტრუფი)	და საღმრთოჲსა მოსლვისა შქადაგებელო,	(12)
	აჲა ღღეს	(3)
	მოვიდა გალილეამთ იორდანედ	(11)
	ქრისტე, კრავი ღმრთისაჲ,	(6)
	ტარიგი წმიდაჲ, ჩუენთვის	(5+2) 7
	განმზადებული მოსიკუდიდ / ნეფსით ჯუარითა,	(8+5) 13
	რომელმანცა / აღიხუნა სოფლისა ცოდვანი;	(4+9) 13
	განმზადე აწ, / იორდანეო, განბანად	(5+8) 13
	უბიწოთა კორცთა მისთა,	(8)
	რომელსა არა უქმდა	(7)
	საბანელი განწმედად,	(7)
	არამედ ჰნებავს განწმედაჲ წყალობაჲ;	(10)
	ამას / თავყუანის-გსცეთ,	(2+4) 6
	რომლისაგან ჰპოვა სოფელმან	(9)
	ღღეს დიდი / წყალობაჲ	(3+3) 6

[ჰაბომსთვის]

2	გამოშჩნდი ვარსკულაჲვად მნათობად,	(9)
(ანტცსტროფი)	განმანათლებელად ქართლისა, ნეტარო,	(12)
	და ღუაწლი	(3)
	ჩენი უფროჲს ნათელსა მას მზისასა	(11)
	ბრწყინვალედ გამოჩნდა	(6)
	სახედ ელვისა, / ბრძენო,	(5+2) 7
	საცნაურად სამყაროთა / ზესკნელისათა,	(8+5) 13
	სახილველად / ყოველთა კიდეთა ცისათა,	(4+9) 13
	რაჲამს ხატ ექმენ / უფლისა ნათლისღებასა,	(5+8) 13
	და განმზადებული შთაქედ	(8)
	ემბაზსა ღუაწლისასა,	(7)

სტიქარონი «უფალო ღაღადყავსა» — მიქაელ მოდრეკილის კრებული გვ. 181 — 182; სტიქარონი «აქედღოსა» — იხ. იქვე, გვ. 184.

	და ორგზის ნათელს იღე	(7)
	წყლითა და სისხლითა, მკნეო ჰაბო!	(10)
	ღმერთსა / ევედრე აწ	(2+4) 6
	მონიჭებად სულთა ჩუენთათჳს	(9)
	ღღეს ღიღი / წყალობაჲ.	(3+3) 6
3		
(ანტიტროფი)	მკუდრად აღთქუმისა გამოზბრწყინდი	(9)
	და ძელ ზეცისა ჩინებისად იწოდე.	(12)
	ნაშობად	(3)
	აბრაჰამისა იქმენ, სანატრელო!	(11)
	ისაჲჲ მჳორე,	(6)
	ნეფსით მოგურილი / დაკლუად.	(5+2) 7
	შესაწირაუად უფლისა, / სულად სულნელად	(8+5) 13
	გიცნა, ღირსო, / ეკლესიამან, და ენითა	(4+9) 13
	შვილთა თჳსთაჲთა კმობს ღუაწლთა შენთა სიმკნესა,	(5+8) 13
	რომელიცა აწ შეიმკო	(8)
	სახედ ძოწეულისა,	(7)
	და განშუენდა ბრწყინეალედ	(7)
	ს.რ.სხლითა შენითა, მოწამეო!	(10)
	ღმერთსა / ევედრე აწ	(2+4) 6
	მონიჭებად სულთა ჩუენთათჳს	(9)
	ღღეს ღიღი / წყალობაჲ.	(3+3) 6

ბ

სტიქარონნი «აქებღიოსა»

«რაცამს იხილნა» — ამით ზედა

[ნათელთათჳს]

1	განწმინდა წყალნი / წყალთა დამბადებულმან,	(5+7)
(სტროფი)	განიბანა რაჲ	(5)
	მათ შინა ორითა მით ბუნებითა,	(11)
	აკურთხნა სულისა მიერ წმიდისა,	(11)
	და ჩუენ მოგუანიჭა / მათ მიერ, მკსნელმან	(6+5) 11
	ნათელღებულთა / სასუფეველი.	(5+5) 10
2	მდინარეჲ ღმრთისაჲ / აღიესო საღმრთოჲთ წყლითა	(5+7)
(ანტიტროფი)	ცხოველითა ღღეს —	(5)
	— იორდანე, რაცამს შეეზავა მას	(11)
	წყაროჲ უხრწნელეებისაჲ, სიტყუაჲ ღმრთისაჲ,	(11)
	რომლისა ცუარითა / იხარებს ჯეჯლი	(6+5) 11
	სულთა მართალთა / ნათელღებულთა.	(5+5) 10

2. — 4₄ მას abs. || 15₃ ჩუენთა.

3. — 4₃ სანატრელო ნეტარო || 5₁ ისაჲ || 10₂ აწ abs. || 15₃ ჩუენთა.

1. — 3₄ მით abs.

2. — 1₄ საღმრთოჲთა || 3₄ მას abs.

3	ვითარცა ესმა / კმაღ ზეცით იოვანეს, —	(5+7)
(ანტიტროფი)	ოხრად მამისად, —	(5)
	მას ჟამსა პრქუა ერსა: ააბა ესერა	(11)
	მდგომარე არს თქუენ შორის კრავი ღმრთისად,	(11)
	მე ნათელს გცემ წყლითა, / იგი ნათელს გცემს	(6+5) 11
	სულით წმიდითა / და ცეცხლითა.ა	(5+5)

•

[ჰაბომისთვის]

4	რაჟამს შეჰვედრა / ჰაბო სული უფალსა,	(5+7)
(ანტიტროფი)	ზეცისა გუნდნი	(5)
	წინა უძლოდეს მას სიხარულითა,	(11)
	და აღიყვანეს გალობითა ზეცად,	(11)
	და მამად აბრაჰამ / მიეგებოდა,	(6+5) 11
	და შეიწყნარა / წიაღთა თვისთა.	(5+5)

5	რაჟამს მიუპყრა / მოწამემან ქრისტემან	(5+7)
(ანტიტროფი)	ლუწლისა მძღემან	(5)
	მუნ მახვლსა ქედი თვისი ქრისტემისთვის,	(11)
	მას ჟამსა კმა ყვეს მადლით უკორცოთა:	(11)
	აღმოვედ ჩუენ თანა, / გიწყესს უფალი	(6+5) 11
	და იხარებდი / წინაშე მისსა.ა	(5+5)

6	რომელთა მოკლეს / უმშჯაეროდ წმიდაჲ ჰაბო,	(5+7)
(ანტიტროფი)	დაესაჯა მათ	(5)
	საშჯელი საუკუნოჲ ჯოჯოხეთი,	(11)
	და ბნელიცა იგი გარესკნელისად,	(11)
	ხოლო იგი ბრწყინავს / წინაშე ღმრთისა	(6+5) 11
	ნათელსა შინა / უკუნისამდე.	(5+5)

7	რაჟამს მოვიდეს / მსაჯული სახიერი,	(5+7)
(ანტიტროფი)	დაჯდეს განკითხვად	(5)
	საყდართა სუფევისა თვისისათა,	(11)
	[—————]	(11)
	მაშინ მეოხ გუეყავ, / ნეტარო ჰაბო,	(6+5) 11
	წინაშე ღმრთისა / სულთა ჩუენთათვის.	(5+5)

•

[მარიამისთვის]

8	უზეშთაეს ხარ / ქერაბინთასა, ღირსო,	(5+7)
(ანტიტროფი)	უშუენიერეს	(5)
	ყოველთა სამკაულთა, ღმრთისმშობელო,	(11)
	უნათლეს მნათობთა სამყაროჲსათა,	(11)
	რამეთუ საღმრთოჲთა / მადლითა სავესეჲ	(6+5) 11
	პნათობ მარადის / წინაშე ღმრთისა.	(5+5)

3. — 6₁ სულითა.
 4. — 3₄ სიხარულით || 4₁ და abs.
 5. — 3₁ მუნ abs.
 6. — 1₄ წმიდაჲ] ნეტარი || 4₂ ბნელი.
 7. — 2₁ + და " დაჯდეს.

გალობანი გიორგისნი

სპადუქნი (მორთულნი)

თვთ-ძლისპირნი

ხოლო ესე გალობანი მას კარგსა გიორგო
მეტესა, დიდსა, დიდითა ვედრებითა აღუწერე-
ბიან შინჩისა და,
რომელთა თაენი იტყვან: «წმიდაო გეორგი,
შეეწიენ გეორგო მეფესა წინაშე შეუფეთა მეუ-
ფისა და აღიდუ».

კმაჲ I

გ ა ლ ბ ა ა II

- ა. მოეც სინათლე (5)
- გონებასა ჩემსა, ტკბილო იესუ, (11)
- და გულსა ცნობაჲ გონიერად გამგონე, (12)
- ბრმათა განმაბრძნობელი უფალო, (10)
- რომელმან მოეც სიტყუაჲ უსმსა, შობითგან უტყუსა, (14)
- იგივე მადლი, სახიერ, (3)
- მომეც უღირსსა ამას, (7)
- რათა აღმოვთქუა ქებაჲ (7)
- შენისა მოწამისა გიორგისი. (11)

*

- ბ. ვითარცა ვარდი (5)
- სურნელი ფერითა შუენიერიითა (11)
- გამოშინდი ეკალთაგან უნაყოფოთა, (12)
- და ვითარცა სანთელი აღენთე (10)
- შორის ბნელსა ნათესავეთა მათ უგულისკმოთა, (14)
- დიდებულო მოწამეო, (8)
- სძაგებდ განცხადებულად (7)
- კერპთა მათთა მტყუართა, (7)
- ამისთვის აღემზადნეს მოკლვად შენდა. (11)

გ ა ლ ო ბ ა ა III

ა.	განიმსტურენ სიბრძნით / გზანი საუკუნოძსა	(5+7)
	ცხოვრებისანი,	(5)
	და გულისკმა ყავე საზღუარი	(5)
	ცუდისა ამის საწუთროძსაძ,	(8)
	რამეთუ ყოვლით კერძოით ამაო არს,	(12)
	და სიხარულით შეეყავე	(8)
	წმიდათა გზასა, გიორგი,	(8)
	და განეშორე გზათა სიცრუვისათა.	(12)

*

ბ.	ისარნი იგი / ძლიერისა ლესულნი	(5+7)
	განაწონა ღღეს	(5)
	გულსა მგლისასა წმიდამან,	(3)
	და ვითარცა მონადირემან	(8)
	ქრისტემსმან, დასცა მკეცი იგი მძვნეარე,	(12)
	და ისარებენ ცხოვარნი	(8)
	პირმეტყუელნი, და გალობენ:	(8)
	დიდებაძ ძალსა შენსა, ძლიერო ქრისტე!	(12)

გ ა ლ ო ბ ა ა IV

ა.	ეკლტოდა საწუთროძსა	(7)
	საცთურთა ბნელთა ნიეთიერთა,	(9)
	რამეთუ განათლდა	(5)
	უნიეთოძთა მით ნათლითა —	(8)
	იესუმსითა — გიორგი,	(8)
	საშუებელნი მოიძაგნა მან	(9)
	და შუებად შეპრაცხნა გუემანი მკნემან მან,	(12)
	ამისთვის დაადგრა მის თანა	(9)
	საღმრთოძ სული საკურველთ-მოქმედი,	(10)
	და მის მიერ ზარ-სცემდა უღმრთოთა.	(10)

*

ბ.	ეკუეთნეს ქარნი იგი	(7)
	საშინელნი განსაცდელთანი —	(9)
	გოდოლსა სულისა	(5)
	წმიდისა აღმწნებულსა,	(8)
	წმიდასა მას მოწამესა	(8)
	და ზღუდესა მორწმუნეთასა,	(9)
	ხოლო ვერ შეარყიეს სიმტკიცე მისი,	(12)
	რამეთუ დამყარებულ იყო	(9)
	არა ქვმასა ზედა, არამედ	(10)
	კლდესა ზედა ქრისტემს მცნებათასა.	(10)

III, ა. — 53 კერძო.

IV, ა. — 63 მან abs.

მიქაელ მოდრეკილი

გალობანი აღვსებინანი VII კმისა

სპადუქნი (მორთულნი).

გ ა ლ ბ ა ა VII

«მაღალსა ღმერთსა» — ამათ ზედა.

- ა. ავაზაკთა შორის ჯუარს-უცუ, მკნელო, (10)
და დაისაჯე ძელითა (8)
მართლ-მსაჯული ყოველთა დაბადებულთაჲ. (12)
მოჰკუედ ბუნებითა მოკუდავითა, შაცხოვარ, (12)
ჰგიე, უხრწნელო, შეუხებლად (9)
საღმრთოჲთა მით ბუნებითა, (8)
რამეთუ დაჰმარხენი (7)
თუთებანი (4)
შეურწყუემელთა მათ (6)
ბუნებათანი, სახიერ, (8)
და გიყანთ მხოლოჲ ორითა ბუნებითა (12)
- ბ. რაჲ არს უცხოჲ ესე სასწაული (10)
და ხილვაჲ განსაკრთომელი? (8)
ჰ სიმდაბლეჲ მალლისაჲ მიუწლომელი, (12)
რამეთუ შემოსელი ცათაჲ ღრუბლითა. (12)
გარე-შეუწერელი ღმერთი. (9)
შეიხვა სუდართა; (8)
ცათა დაუტევნელი (7)
შეიცვა დღეს (4)
ქორციითა საფლავმან, (5)
და მკუდართა თანა იხილვა (8)
უკუდავი ღმერთი მხოლოჲ დაუსაბამოჲ (12)

მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 516, 521 — 523. იხეკლება გამოკრებით (VII, 1, 2; VIII, 2, 3).

VII, ა. — 2₁ abs. || 3₁ მსაჯული || 4₁ შაცხოვარმან abs. || 5₁ + და " ჰგიე.

- ა. — ..იოსებ რჩეულო, მითხარ ჩუენ, (9)
 ეინ არს ესე ჯუარს-ცუმულ კორცითა, (9)
 რომელი გარდამოჰსენ ძელით? (9)
 ..მაუწყე ჩუენ. ნიკოდემოს ქებულო. (11)
 ეინ შეჰმურე წებათა მკუდართაჲთა, (11)
 შეხვე ტილოჲთა და სუდართა, (11)
 და დასდეგ საფლავსა შინა? (8)
 — «ესე არს — (3)
 ქრისტე ღმერთი დაუსაბამოჲ, (9)
 რომელმან იგნო და მოკუდა კორცითა (11)
 სოფლისა ცხოვრებისათჳს, (8)
 ამან სიკუდილი მოკლას და აღდეგს მკუდრეთით!» (12)
- ბ. ცოველთა მეუფეო, ქრისტე, (9)
 მაღალო ღმერთო, უხილავო, (9)
 დაბადებულთა შემოქმედო, (9)
 მოიხილე აწ მაღლით წმიდით შენით (11)
 ჩუენ უღირსთა მონათა შენთა ზედა. (11)
 და აღმავსენ მაღლითა საღმრთოითა (11)
 აღდგომისა შენისაჲთა! (8)
 მოჰმადლე (3)
 ძლევაჲ მეფესა მორწმუნესა (9)
 მტერთა ურწმუნოთა წინააღმდეგომთაჲ. (11)
 და წარუმართე, სახიერ, (8)
 აწ ფერკთა ჩუენთა გზასა მშველობისასა. (12)

მიქაელ მორდრეკილი

გალობანი აღვსებინანი | კმისა *

სპადუქნი უცხონი, ურთიერთას შეყოფილნი და განყოფილნი
 შეტყუებით, მსგავსი მსგავსებითა და თითოეული განთჳსებითა.
 ქართულნი.

გ ა ლ ო ბ ა ე V

- ცხოვრებისა მომცემელი (7)
 სამარესა / ახალსა დაგდევეს შენ, (4+7) 11
 — მაცხოვარ! — (3)
 და ლოდსა შენსა დასითურთ დაჰბეჭდეს (11)
 უშჯულოთა მათ მღდელთ-მოძღუართა, (9)
 რამეთუ ნუფსით / მოჰკული კორცითა. უკუდავო, (5 + 8) 13

VIII, ბ.—6₁ + და " აღმავსენ || 12₁ აწ abs.

* მიქაელ მორდრეკილის კრებული, გვ. 379 — 381. იბეჭდება გამოკრებით (V, 2, 3; VI, 2, 3).

V, ა. — 5₂ მათ abs. || 8₂ შენ abs. || 11₂ + ნათელსა " თვთ-მნათობსა.

და მოკუდავი უკუდავ ჰყავ. მქსნელო,	(9)
გეუფლა შენ წყუღიადი ბნელი,	(9)
ბუნებითა მით /	(5)
აღამისითა,	(5)
შეუხებელსა თვთ-მნათობსა.	(9)

ბ.

სულიერითა კმითა	(7)
და საღმრთოთა / სახიობითა ვიტყვთ	(4+7) ::
ქრისტესა	(3)
ერთობით ჩუენ ყოველნი მორწმუნენი,	(11)
უენებელსა ბუნებითა მით	(9)
უსხეულოთა, / საღმრთოთა, ხოლო ენებულად —	(5+8) 13
აღამის კორციითა ენებადითა,	(10)
და ესრეთ ვიცნობთ მხოლოსა მას	(9)
ორად ბუნებად, /	(5)
შეურევნელად,	(5)
ღმრთეებითა და კაცებითა	(9)

გ ა ლ ბ ა ე VI

«ქრისტემან ღმერთმან» — ამათ ზედა.

მკედრისა მიერ რაჟამს განელო	(10)
საღმრთო გუერდი შენი, ქრისტე,	(8)
გარდამოსწუთეს წუეთნი /	(6)
სისხლისა და წყლისანი,	(7)
და შეწუეს ჯოჯოხეთი /	(7)
საფუძველითურთ.	(5)
ხოლო რაჟამს გიხილა შენ ქუესკნელმან	(11)
სამარესა დადებული,	(8)
შეძრწუნდა და ზარ-განკდილმან განუტეენა	(12)
სულნი საუკუნითგანნი /	(8)
მძინარენი,	(4)
აღამისა ურჩებითა მომწყდარნი.	(11)

ვ.

და ელვისა მსგავსი ანგელოზი	(10)
რაჟამს იხილეს მცველთა მათ,	(8)
მცხინვარებისაგან /	(6)
დაცვეს ქუეყანასა	(7)
ზარ-განკდილნი შიშითა; /	(7)
ხოლო დედათა,	(5)
გლოვისა წილ, სიხარული აუწყა,	(11)
ღალადებით ეტყოდა მათ:	(8)
«გიხაროდენ, ქრისტე აღდგა, ვითარცა თქუა,	(12)
ღირსნო არამედ წარვედით /	(8)
და ახარეთ	(4)
მოწაფეთა მისთა აღდგომაღ ღმრთისაღ.»	(11)

VI, ა. — 7, შენ abs. || 12, აღამის.

VI, ბ. — 1, და abs. || 9—10 „ღირსნო“ გადატანილია მე-9 ტაეპში, შემდგომად სიტყვისა „გიხაროდენ“.

გალობანი ალესებისანი IV კმისა

თუთლისპირნი

გალობა IV

- ა.
- დაუსაბამოგსაგან მამისა (10)
 ქრისტე, ძეა და სიტყუა დაუსაბამო (11)
 უპირატეს ჟამთა ყოფილი, (9)
 მხოლოდ მხოლოგსაგან უდედოდ შობილი, (12)
 აღსასრულსა ჟამთასა ჩუენთს განკაცებული, (14)
 ჯუარითა ნეფსით თვსით ვნებული, (10)
 მტერთა თვსთაგან გუემული, ' ვითარცა კრავი დაკლული, (16)
 კორციითა სიკუდიდ მოყვანებული, (11)
 სამ დღე საფლავსა დადებული, (9)
 ბექდითა დაბექდული, (7)
 დაკრძალული ' და მცველთა მიერ დაცველი, (12)
 ცხოველი ' და ცხოვრების მომცემელი, (11)
 აღდგა საფლავით, ვითარცა ღმერთ არს. (10)

- ბ.
- ერნი ნათლისანი გარემოგს დგეს (10)
 ნათლითა შემოსილსა მას საფლავსა, (11)
 რომლისაგან აღმოგვბრწყინდა (9)
 ქრისტე, დაუსაბამო იგი ნათელი! (12)
 მენელსაცხებულთა მოსსებს მწუხარებაი, (14)
 და განუქარევს მგლოვარებაი, (10)
 რაჟამს აუწყეს ქრისტეს აღდგომისა სახარებაი! (16)
 ეტყოდეს მაგდანელსა: ჯგიხაროდენს (11)
 აღდგომილ არს ქრისტე საფლავით, (9)
 ისწავეთ აწ სიმტიციეი — (7)
 სიტყუათაჲ, წამებითა საქმეთაჲთა, (12)
 იხილენით ტილონი და სუდარი, (11)
 სასწაულნი აღდგომისანი.ჲ (10)

გალობა V

- ა.
- მოქცევმან ცოდვისამან (7)
 და უფსკრულმან უზჯულოვებისამან (11)
 დამნთქა სიღრმესა საცთურთასა (9)
 ნავითა უდებებისადთა (9)
 ეკუთნეს სულსა ჩემსა (9)
 დელვანი მტერისა განსაცდელთან, (11)
 შთამნთქა უწყალოდ მკეცმან სულთა მომსრველმან. (12)
 და აწ ' (2)
 შენდა მოვივლტი, ქრისტე, ცხოვრებისა სასო, — (14)
 მოყავ კელი შეწევისაჲ, (8)
 მიკსენ ვითარ იონა ვეშაპისგან, (11)
 და პეტრე დანთქმისაგან... (7)

მიქაელ შოდრეკილის კრებული, გვ. 450 — 456. იბეჭდება გამოკრებით (IV, 3, 4; V, 1, 2; VIII, 1, 3).

IV, ბ. — 3₂ აღმობრწყინდა.

V, ა. — 6₁ დელვანი + და ნიაქარნი: — 12₁ და abs.

- ბ. ურჩებით მომნადირა (7)
- და საწადელი ზაკუევით აღმიტეუა (11)
- მატურმან, თავმან ბოროტთამან, (9)
- რამეთუ, რომლითა დაეცა, (9)
- ღით იზრახა წარწყმედაჲ ჩემი, — (9)
- უცნებით პირველ-ჟამისა ღმერთ-ყოფაჲ, (11)
- დამაჯერა დამსგავსებაჲ მალალსა დამბადებელსა, (12)
- და მით / (2)
- მომკლა ჭამითა ხისა მისგან ცნობადისაჲსა, (14)
- რომლისათვისცა თაუადი (8)
- სიტყუაჲ ღმერთისაჲ განკაცუნა და მოვიდა (11)
- ნეფსით ვნებად ჯუარითა... (7)

გ ა ლ ბ ა ა VIII

- ა. გონებაჲ კაცთა მეტყუელთაჲ მოუძღურდა, (12)
- და სიბრძნე სოფლისა ბრძენთაჲ დაინთქა (11)
- უფსკრულსა მიუწოდომელობისასა, (11)
- ორ-კერძოჲსა მისთვის შობისა შენისა, (12)
- ღმრთისა სიბრძნეო! — (5)
- რამეთუ იძლინეს ბუნებანი, (10)
- და განცვრდეს მეტყუელებანი! (9)
- ღმრთეებრ შობაჲ შენი უცნაურ და გამოუკუღვეველ, (14)
- და განკაცებაი უცხო და მიუწდომელ; (13)
- შენ იშვე კორციითა დედისაგან, (10)
- შობილი ღმრთეებით მამისაგან; (10)
- შესცვალენ ბუნებანი, (7)
- განაკვრენ მთავრობანი, — (8)
- რაჟამს აჩუენენ საკვრველებანი, (11)
- დაჰმარხენ ორთა ბუნებათა თუთებანი, (13)
- და აღძრენ მეტყუელებანი (8)
- დიღებად ღმრთეებისა შენისა. (10)

- ბ. მი-რამ-ხუედ შემუსრვად შენ ჯოჯოხეთისა, (12)
- ქრისტე უძლეველი, ღმერთი ყოველთაჲ, (11)
- ცხადად ამხილე მძლავრსა უძღურებაჲ, (11)
- რაჟამს მაცთურსა მოუსპე ძლიერებაჲ, (12)
- და წყუდიადისაჲ (5)
- განაქარვე მეუფებაჲ, მკსნელო! (10)
- მაშინ სიკუდილი გლოით კმობდა: (9)
- «განქარდა სუფევაჲ ჩემი, რამეთუ მოვიდა (14)
- მეუფეჲ მეუფეთაჲ, მალალთა მფლობელი, (13)
- რომელ შევიწყნარე უმცრებით, (10)
- რომელმან ღმრთეებით მომაკუდინა, (10)
- და საუკუნითგანნი (7)
- მკუდარნი კელმწიფედ მიმიხუნა!» (8)
- ესე არს აესუ, ღმერთი უძლეველი, (11)
- რომელი ჯუარს-ეცუა, მოკუდა და დაეფლა, (13)
- მოგუანიჭა უკუდავებაჲ (8)
- და ბნელისა მყოფთა განათლებაჲ! (10)

საგალობელი აღსებებისა VII კმისა

სტიქარონი «უფალო-ლაღადყავსა»¹

1	<p>მხოლოდ შობილი ' ძეა და სიტყუაჲ მამისაჲ ბუნებით უვნებელი, შეუხებელი. მოხუდ ვნებად კორცითა უკორცოთა მფლობელი; შესწირე თავი თვისი ' მსხუერპლად მამისა, ბუნებაჲ, რომელ ჩუენგან მიიღე, უცოდველო. და აღასრულე, მკსნელო. ყოველი მოღუაწებაჲ ქანისა ჩუენისაჲ. გუარითა მოპკუედ ნეფსით ' უკუდავი ღმრთეებაჲ მაცხოვრად მოკუდავთა ' ლახურითა განიგუწირე. სული უბიწოჲ შეპვედრე ქელთა მამისათა. ' ცხოვრების მომცემელო!</p>	<p>(5,7) (12) (7) (7) (7,5) (7) (7) (7) (5) (7) (7) (6) (6) (7) (8) (6) (7) </p>
---	---	---

2	<p>მხოლოდ შობილი ' ძეა და სიტყუაჲ მამისაჲ, ცხოველი და ცხოვრებისა მომცემელი, იხილე მკუდრად უსულოდ ბუნებითა კორცთაჲთა; ბუნებით შეუხებელ, ' დაუსაბამოჲ, უხილაეი და გარე- შეუწერელი ღმერთი შეიხვე ტილოსა; არსებით შეუცავო, შეგიცვა შენ ცათა დაუტევნელი ' კნინმან მან საფლავმან, შთაპკედ ქუესკნელსა ' მას სიღრმესა, მაღალთა საყდართა მჯღომარეჲ ღმერთი, და ბნელსა მყოფთა ' ნათლად აღმოუწოდე.</p>	<p>(5,7) (12) (7) (7) (7,5) (7) (7) (7) (7) (5) (7) (6) (6) (7) (8) (6) (7) </p>
---	--	---

მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 509. იბეჭდება გამოკრებით (პირველი სამი სტროფული ერთეული; სულ სტიქარონი 6 სტროფულ ერთეულს შეიცავს).

2. — 14, მას abs.

3
(ანტიისტროფი)

მხოლოდ შობილი ' ძეგ და სიტყუამ მამისამ, (5,7)
ჯუარს დამსჭუალული, ნეფსით თვსით ვნებული. (12)
ურწმუნოთა გუემული, (7)
ყურიმლის ცემად მოსრული, (7)
საჟლაჟსა დადებული' და დაბეჭდული (7,5)
სიკუდილისა დამსჯელი (7)
და ბნელისა დამკსნელი. (7)
ღმერთი შეუწერელი. (7)
არსებით უქცეველი (7)
და უვნებელი (5)
ყოვლად შეუხებელი ' (7) |
დაუბადებელი, (6) |
დაუსრულებელი, ' (6) |
ცხოვრების მომცემელი. (7) |
ქრისტე აღდგომილ არს მკუდრებით (8)
და ცხოველ არს იგი ' (6) |
აწ და უკუნისამდე. (7) |

სტეფანე სანანოძის-ძე ჰერონდიდელი

გალობანი ნათელთანი

და პაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისანი

კმაჲ 1V

გ ა ლ ო ბ ა ა |

«ზღუსა მის მეწამელისა» — ამათ ზედა

1 (სტროფი)	იესუ ღმრთისა სიტყუაო, მასწავე ჩუენ სიტყუაჲ სიბრძნისაჲ ქუჲად ნათლისღებასა წმიდასა შენსა, და ღირსად გალობად უძლეველთა ღუაწლთა მოწამისა პაბო, კეთილად / მოდუაწისათა.	(8) (9) (9) (8) (9) (5) (5)
2 (ანტისტროფი)	რომელიცა განშიშულდა დღეს იორდანეს შინა კორციითა, სანატრელმან მან მოწამემან პაბო მისთვის განიძარცუა ძუელი კაცი საქმითურთ მისით, და შეიმოსა / ძალი ქრისტეჲსი.	(8) (9) (9) (8) (9) (5) (5)
3 (ანტისტროფი)	ყოველნი თესლნი მოედიო მკვდრთა თანა ქართლისათა დღეს, და იხილეთ ღუაწლისა მძლე პაბო, განშუენებული ბრწყინვალედ სისხლითა წამებოისითა, ღირსად გალობით / მას უგალობდეთ.	(8) (9) (9) (9) (9) (5) (5)

მიქაელ მოდრეკილის კრებული, გვ. 179 — 181. იბეჭდება გამოკრებით (გალობანი 1, 1-ა, IV, V, VIII).

I, 1. — 4₃ ღირსად abs.

1, 2. — 3₂ მან abs. || 5₄ მისით abs.

გ ა ლ ო ბ ა ა I-ა

«ისმენდინ ქუეყანამ» — ამათ ზედა.

- | | | |
|--------------|--|------|
| 1 | შეკმუსრე, მაცხოვარ, | (6) |
| (სტროფი) | იორდანეს თაეები ვეშაპისამ, | (11) |
| | დამალული წყალთ-შინა პირველითგან, | (11) |
| | რამეთუ ქმამ საღმრთოთა მქადაგებელთამ | (12) |
| | აღასრულე განგებით, ღმრთისა სიტყუაო, | (12) |
| | რაჟამს მონისაგან | (6) |
| | ნათელს იღე, მქსნელო, | (6) |
| | და განანათლე სოფელი. | (8) |
| 2 | მაცხოვრისა თანა | (6) |
| (ანტისტროფი) | ნათელს იღე ღუაწლისა მძლეო ჰაბო, | (11) |
| | რაჟამს შთაჰქედ ემბაზსა ღუაწლისასა, | (11) |
| | ვითარცა მქსნელი ჩუენი იორდანესა, | (12) |
| | და სისხლისა მის დათხვეითა განაჰბანე | (12) |
| | გუამი შენი, რაჟამს | (6) |
| | დაიკალ უწყალოდ | (6) |
| | მახვლითა მტერთამთა. | (8) |
| 3 | სისხლთა დათხვეითა | (6) |
| (ანტისტროფი) | მეწამულ ჰყავ ღუაწლი, ჰ სანატრელო. | (11) |
| | ყოვლად ქებულო მოწამეო ჰაბო, | (11) |
| | და შეამკვე ვითარცა ძოწეულითა | (12) |
| | ეკლესიამ წარმართთამ და შეჰკრიბენი | (12) |
| | მას შინა ყოველნი | (6) |
| | მგალობლად ღუაწლთა მათ | (6) |
| | შენთა, ქრისტემს მოწამეო. | (8) |
| 4 | არცხვენე, ნეტარო, | (6) |
| (ანტისტროფი) | ნაშობთა მათ მქეველისათა უღმრთოთა. | (11) |
| | და დაუყვენ პირნი მათნი მგმობარნი | (11) |
| | საღმრთოთამ მით სიბრძნითა ზეგარდამოძთა, | (12) |
| | რაჟამს ჰქადაგე სამებად ერთ-ღმრთეებად, | (12) |
| | და განსწმიდე ქართლი | (6) |
| | სისხლისა შენისა | (6) |
| | დათხვეითა, მოწამეო. | (8) |

გ ა ლ ო ბ ა ა IV

«შენ, უფალო, ნათელი ხარა» — ამათ ზედა.

- | | | |
|----------|----------------------------|------|
| 1 | შენ უფალო, | (4) |
| (სტროფი) | იორდანეს განაჰქიქე მაცთური | (11) |
| | შენვე განამტკიცე გული | (8) |
| | მოწამისა ჰაბოძისი. | (7) |
| | რომელმანცა აღვიარა. | (8) |

I-ა, 2. — 5₃ მის abs.

I-ა, 3. — 2₄ ჰ abs. || 6₂ შინა + ერთობით.

2	პურობილ იქმენ	(4)
(ანტისტროფი)	ძვრის მოქმედებრ, ჰაბო სანატრელო,	(11)
	არამედ გამოიქსნიდი /	(8)
	სულთა მინძღავრებულთა	(7)
	მტერისაგან ბოროტისა.	(8)

3	ნათლისღებაჲ	(4)
(ანტისტროფი)	სამი მოიგე, მკნეო მოწამეო,	(11)
	წყლითა, სულით, და სისხლითა /	(8)
	და შემდგომად ცეცხლითა	(7)
	გამობრწყინდა ღუაწლი შენი.	(8)

გ ა ლ ო ბ ა ა V

«ლაღადებდა წინასწარმეტყუელი» — ამათ ზედა.

1	ლაღადებდა	(4)
(სტროფი)	კადნიერად სანატრელი ჰაბო და ეტყოდა	(14)
	უშჯულოთა	(4)
	ისმაიტელთა: განმეშოვრენით მე, ჰ უკეთესნო,	(16)
	და გამოვიძინე /	(6)
	ღმრთისა მცნებანი!	(5)

2	განშიშულდი შენ	(4)
(ანტისტროფი)	სათნობათ მოგებითა, ღირსო, და ჰყუაოდე	(14)
	გვრგვნითა	(4)
	მოდუაწებისაჲთა სრულითა, და ესრეთ კმა ჰყავ, მკნეო:	(16)
	სასო ჩემდა არს /	(6)
	ქრისტე ღმერთი!	(5)

3	ღუაწლსა სრულსა	(4)
(ანტისტროფი)	მკნედ გამოჩნდა მოწამე ჰაბო და აღავსო მან	(14)
	ეკლესიაჲ	(4)
	ნელსაცხებელთა სულნელებითა, და წმიდა ყო ერი —	(16)
	მადლითა საღმრთოთაჲთა /	(6)
	გამორჩეული!	(5)

გ ა ლ ო ბ ა ა VIII

«შობაჲ შენი უხრწნელ» — ამათ ზედა.

1	კმითა მამისაჲთა წყალთა მათ ზედა.	(11)
(სტროფი)	და განბანითა ძისაჲთა მათ შინა,	(11)
	და სულისა წმიდისა	(7)
	სახედ ტრედისა გარდამოსლვითა მათ ზედა,	(13)
	განწმინდნეს წყალნი.	(5)
	და გუეკმნეს აწ ჩუენ მეორედ მშობელ.	(5, 5)

IV, 2. — 2₃ ჰაბო abs.

IV, 3. — 2₃ მკნეო abs.

V, 2. — 4₇ მკნეო abs.

V, 3. — 2₇ მან abs. || 4₁—2 სულნელებითა ნელსაცხებელისაჲთა.

2	განპბრწყინდი შენ სულითა, ჰ მკნეთ,	(11)
(ანტიტროფი)	ალანთენი სანთელნი და ჰგალობდი	(11)
	ვითარცა შემწირველი	(7)
	საკუერთხთა უბიწოთაჲ მღდელი მგალობელი,	(13)
	და თავსა თვისსა	(5)
	სიხარულითა ' მოგზაურ ექმენ.	(5_5)
3	დავითს კმასა ლაღაღებდი, ჰაბო,	(11)
(ანტიტროფი)	და ნეტარისა მის ავაზაკისა	(11)
	თანა ჰქმობდი ძლიერად	(7)
	«მომიქსენე, მაცხოვარო. სასუფეველსა!»	(13)
	აწ მეოხ გუეყავ	(5)
	მადიდებელთა ' შენთა, წმიდაო!	(5_5)
4	განწყობილსა შორის ანგელოზთასა	(11)
(ანტიტროფი)	და დასსა წმიდათა მოწამეთასა	(11)
	განპრწყინებული იხარებ,	(7)
	სანატრელო ჰაბო, აწ ევედრე ქრისტესა,	(13)
	რათა ძლევაი	(5)
	მადლით მოჰმადლოს ' მეფესა ჩუენსა.	(5_5)



VIII, 2. — 1₄ ჰ abs. || 4₄ მგალობელი abs.

VIII, 3. — 4₂ მაცხოვარო] მკსნელო.

VIII, 4. — 5₁ მადლით abs.

საგალობელი ალესებისა
სტიქარონი «უფალო და ღდაეისა»
(თვთ-ძლისპირი)

[თავნი იტყვან: «კორდანიი»]

1 (სტროფი)	:პ:	<p>პაცთათჳს ზეცით ქუეყანად (8) გარდამოქედ, კაცთ-მოყუარე. (8) მოქცეუად შეცთომილთა, (7) შეკრებად განზნულთა, (7) განკურნებად უძღურთა, (7) ძიებად ადამისა, (7) და ცხოვრებად ' ყოველისა სოფლისა. (11)</p>
2 (ანტისტროფი)	:მ:	<p>მრით ბუნებით სრულითა, (8) ღმრთეებით და კაცებითა, (8) გამოპბრწყინდი ქალწულისგან (8) უფალი უფლებათაჲ, (7) მფლობელი ცხოვრებისაჲ, (7) რათა აცხოვნო კაცი, (7) რომელიცა ' შექმენ შენ ხატად შენდა. (11)</p>
3 (ანტისტროფი)	:რ:	<p>რომელმან ცას აღწრ ასხნა (8) და სიკუდილი მოაკუდინა, (8) რომელმან ბეჭდის საყოფელი (9) იგი საშეჯელისა ჩუენისაჲ (9) ჯუარსა შემშკულა, ძლიერმან, (8) და ძუელი შჯული ცვალა, (7) და პირველსა მას ' სამკვდრებელსა ღირს მყენა. (12)</p>
4 (ანტისტროფი)	:ღ:	<p>ღაფლევითა შენითა, ქრისტე, (8) აღდგეს მკუდარნი საფლავთაგან, (8) დაბეჭდევითა შენითა (7) ყოველნი გუამნი წმიდათანი (9) გამოვიდეს სამარისაგან — (9) დიდებად შენდა, მკსნელო, (7) რათა წამონ ' მათ ძლიერებაჲ შენი. (11)</p>

ნიჴაელ მორდრეკილის კრებული, გვ. 510.

1. — 4₁ + და " შეკრებად.

2. — 1₁₋₂ ორითა ბუნებითა || 5₂ ცხოვრებასა და სიკუდილისაჲ || 7₁ რომელი || 7₃ შენ abs

3. — 1₂ ცასა || 5₃ ძლიერმან] რომელმან || 6₁ და abs.

4. — 7₃ მათ abs.

5 (ანტისტროფი)	:ა:	<p>აუწყა ანგელოზმან მან (8) დედათა აღდგომაჲ, ქრისტე. (8) წარაელინა ხარებად (7) და მითხრობად მოციქულთა (8) აღდგომასა შენსა, რათა (8) წარვიდენ გალილეას (7) და მუნ გიხილონ ' უფალი და მოძღუარი. (12)</p>
6 (ანტისტროფი)	:ნ:	<p>ნათელი უკუდავებისაჲ (8) მიეუინა ბნელსა მყოფთა, (8) განათლებულთა კმა ყვეს: (7) ემოიწია მკსნელი ჩუენი! (8) რომელი ასდგ მკუდრეთით (7) ღმრთეებისა ძალითა, (7) ცხოვრების მომცემლო, ' დიდებაჲ შენდა! (12)</p>
7 (ანტისტროფი)	:ა:	<p>აღსლვასა შენსა მამისა (8) ამცნებდი რაჲ მოციქულთა: (9) აღვალ მე მამისადა, (7) ყოველთა შემოქმედისა, (8) დაადგერიით სიონს შინა, (8) ვითარმედ შეიმოსოთ (7) მალლით გამო ' ძალი საღმრთოჲ საკვრეელად. (12)</p>
8 (ანტისტროფი)	:ი:	<p>იხარებს, მ უბიწოო, (8) კრებაჲ წინამსწარმეტყუელთაჲ (8) და მოციქულთა გუნდნი, (7) რამეთუ შემოქმედი (7) შენგან იშვა, მეუფეა! (7) მას ევედრე, წმიდაო, (7) ცხოვრებისათვის ' სულთა ჩუენთამსა. (10)</p>

5. — 1₃ მან abs. || 2₂ აღდგომაჲ + შენი || 5₂ შენსა + მკსნელა

7. — 3₃ მამისა.

8. — 1₂ მ] შენ მიერ || 2₁ კრებული || 4₂ შემოქმედი + მათი || 5₂ მეუფეა + მეუფეთაჲ.

რატო ორბელი

საგალობელი ტიტე მოციქულისა

(თავნი იტყვან: «რ ა ტ ი»)

- | | | | |
|-------------------|------|---|----------------------------------|
| 1
(სტროფი) | :რ: | რომელი ცად მესამედ
მიიწია და ესმა მას
უსმენელი სიტყუაჲ,
მას დაემოწაფე, ტიტე,
და ისწავე მისგან გზაჲ კემმარიტი. | (7)
(8)
(6)
(8)
(11) |
| 2
(ანტისტროფი) | :პ: | აღივსე შენ სიბრძნითა
სულისა მიერ წმიდისა
და ერთგულ მოწაფე
იქმენ პავლე მოციქულის,
და მის-თანა ჰქადაგე სახარებაჲ. | (7)
(8)
(6)
(8)
(11) |
| 3
(ანტისტროფი) | :ტი: | ტიტე, ქრისტეს ქადაგო,
გეურვალე იყავ შურიითა
საღმრთოჲთა, ვითარცა
ღოძღუარი შენი, და დასწვ
სწაელისა ცეცხლითა კერპთა საცთური. | (7)
(8)
(6)
(8)
(11) |

გალობანი სულისანი

გ ა ლ ო ბ ა ა I

ცხორებაჲ ესე / წარვალს და განილევის,	(5+7)
შუენიერებაჲ და ღიდებაჲ დაქნების,	(12)
ხოლო სიმდიდრე / დაღების და წარწყმდების.	(5+7)
რასა ცუდად ვმადლოით, / ოღეს ყოველნი	(7+5)
მოკუდავნი ვართ / და მიწად მიქცევადნი	(5+7)

...

გ ა ლ ო ბ ა ა II

მ მოვედით, ძმანო, / შთაეხედნეთ საფლავთა,	(5+7)
სადა არს შური, საოცრებაჲ და კლომაჲ,	(12)
სადა არს ძვრის ქსენებაჲ და ზუაობაჲ	(12)
და ქორცთა გულის-თქუმანი, / აჰა ესერა	(7+5)
მიწა, ნაცარ და / თიჯა ქმნილ არს ყოველი.	(5+7)

...

ოპიზური კრებული A — 93.

I. — 2₁— და ღიდებაჲ და შუენიერებაჲ || 4₂ ოღეს] რამეთუ.

II. — 5₁ მიწა + და.

მამისა საბაძსი დასდებელნი

✠ უ ფ ა ლ ო ღ ა ღ ა ღ - ყ ა გ ს ა ✠

ძუელნი ქართულნი

(თაფნი იტყვან: «ბასილი»).

I :ბ: ბუნებათა შეცვალებითა ' და ბოროტისა განდევნითა,
უზეშთაეს იქმენ ყოველთა საცთურთა ამის სოფლისათა, წმიდაო საბა,
რომელმან განაპოხე შეუნიერად უდაბნოა,
და სიხარული ქრისტემს-მიერი შეიმოსე;
ჩუენ ცოდვილთათჳს მეოხ გუეყავ,
ქადაგო უდაბნოხსაო, წმიდაო საბა!

*

II :ა: აღილე შენ ჯუარი და შეუდეგ ქრისტესა
სახეთა მათოჳს ვნებისათა — მარხვითა და ლოცვითა,
და უზეშთაესისა მოლოდებითა, ვითარცა საშუებელთა შინა,
მარადის სიხარულით იქცეოდე;
ჩუენ ცოდვილთათჳს მეოხ გუეყავ,
ქადაგო უდაბნოხსაო, წმიდაო საბა!

*

III :ხ: სუეტისა მიერ ნათლისა გამოცხადებითა და მოსწაეებითა
აღაშენე ქევი ეგე უდაბნოხსაა, ვითარცა სამოთხეა შეუნიერი,—
დანერგვითა მას შინა ნებისყოფელთა ქრისტემსთა, —
რომელი ირწყებოდეს და აღეშენებოდეს მდინარეთაგან ცრემლთა
შენთამსაჲ;
ჩუენ ცოდვილთათჳს მეოხ გუეყავ,
ქადაგო უდაბნოხსაო, წმიდაო საბა!

*

IV :ი: იქცეოდე ღიდი ეგე მღდელი და საკვრველი კაცი
უდაბნოთა მათ შინა კასტელისათა და აღაშენე მონასტერი,
და მას შინა დაამკვდრე სიმარავლეა მონაზონთაჲ, რომელთა შორის
ბნათობ შენ, წმიდაო, ვითარცა მთიები ბრწყინვალეა;
ჩუენ ცოდვილთათჳს მეოხ გუეყავ,
ქადაგო უდაბნოხსაო, წმიდაო საბა!

V :ლ: ლომთა თანა საშინელთა და მძუნარეთა
 იქცეოდე რაჲ საბა ნეტრეულო,
 რამეთუ გაქუნდა შენ თვსად საჭურველად თავადი ქრისტე,
 რომელმან მოგანიჭა შენ გვრგვნი დიდებისაჲ და ცხოვრებაჲ საუკუნოჲ —
 ჩუენ ცოდვილთათჲს მეოხ გუეყავ
 ქადაგო უდაბნოჲსაო, წმიდაო საბა!

VI :ი: იქცეოდე მათა და ქუაბთა და ნაპრალთა ქუეყანისათა
 ჳირვეული, ძვრ-ხილული და ნაკულეუენი,
 მოლოდებითა ჳეშმარიტისა ნათლისაჲთა,
 ამისთვის ღირს იქმენ შესლვად სუფევასა და დაუსრულებელსა:
 ჩუენ ცოდვილთათჲს მეოხ გუეყავ.
 ქადაგო უდაბნოჲსაო, წმიდაო საბა!

დასდებელი სატფურებისანი

იამბიკონნი ქართულსა ანბანსა ზედა ძუელნი *

გ ა ლ ბ ა ა I

I ანგელოზთა თანა / და ძალთა ზეცისათა / მოვედით, ერნო, "
 ვდლესასწაულობდეთ დლესასწაულსა / ახალსა სატფურებისასა, "
 გალობითა ახლითა უგალობდეთ ქრისტესა, "
 რომელმან დაამტკიცნა ეკლესიანი ჯუარითა, "
 რამეთუ დიდებით დიდებულ არს!

II ბრწყინვალე და ზეშთა დიდებული ტაძარი, " სამკვდრებელი სულისა წმიდისაჲ, "
 აღმართა / შესავედრებულად მორწმუნეთა, "
 რომელსა შინა კრებული ანგელოზთაჲ (")
 იხარებს და ჩუენ თანა უგალობს ქრისტესა, "
 რამეთუ დიდებით დიდებულ არს!

III ბანგებულებითა და სიბრძნითა ღმრთეებისაჲთა / აღმენებულსა წმიდასა ტაძარსა " "
 დლესასწაულობენ ზეცისა წესნი, "
 და ძალთა ზეცისათა თანა ძენი კაცთანი — "
 ამის დამტკიცებასა უგალობენ ქრისტესა, "
 რამეთუ დიდებით დიდებულ არს!

* ხელნაწერი Sin. — 65, გვ. 75a — 76b.

გრიგოლ ხანძთელი

სავედრებელი ჟამსა ხანძთისა შენებისასა

მეორე

(ოდეს ალაშენა ტაძარი ხანძთისა,
სახელსა ზედა გიორგი ჯუარითა მოქადულისა)

• • •

[ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თ. VIII, გვ. 36—37]
„ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი იგი საეკლესიოჲ
[ხანძთისაჲ] დააეკა, და ვითარ დაიწყებდა ეკლესიასა,
ესე ლოცვაჲ ცრემლით წართქუა:

I კრისტე ღმერთო, კორცშესხმისა შენისა განგებულებად
ღმრთებერ აჩუენე შენთა დაბადებულთა,

II და შიშით კმსახურეს მეუფებასა შენსა
წინასწარშეტყუელთა — წინასწარ-უწყებითა,
მოციქულთა — ქადაგებითა,
მოწამეთა — ჭეშმარიტითა აღსარებითა,
და წმიდათა სოფლისა კრებათა და ღირსთა მეუღაბნოეთა მამათა —
მარადის ღიდებითა სახელისა შენისა წმიდისაჲთა.

III და ესე ოთხ-კერძო კრებული საღმრთოჲ წმიდათა ყოველთა,
გარემოდგომილი ზღუდის სახედ უძრავისა,
სიმტკიცე ექმნენს წმიდათა შენთა ეკლესიათა;

IV რამეთუ შენ თვთ სიბრძნემან იშენე —
თავისა თვისისა სახლი სიწმიდისაჲ,
შესავედრებელად ერთა მორწმუნეთა.

V და რამეთუ წმიდასა ეკლესიასა სახელ-სდეე გუამად შენდა,
და წმიდასა შენსა სახელსა ზედა, და სახელსა წმიდათა შენთასა, —
შეუძრველად ალაშენენ და დაამტკიცენ წმიდანი ეკლესიანი.

• • •

VII შენ, უფალო, აწცა აკურთხე ადგილი ესე,
წმიდისა შენისა ეკლესიისა სამკვდრებელი,
მადლითა შენითა და წმიდათა ოხითა,

VIII რათა ღირს ვიქმნე გლახაკი შენი სრულიად აღშენებად ამისა
სახელსა ჴედა და უძლეველსა სარწმუნოებასა —
ღიდისა მოწამისა შენისა გიორგი ჯუარითა მოქადულისა,

IX ახოვნისა და სახელოვნად განთქმულისა ბრწყინვალედ —
შორის წმიდათა შენთა მარტვლთა და მოწამეთა,
რომელთაცა ქორცნი მახვლითა დაიჭრებოდეს,
ხოლო სარწმუნოებად არა განიკუთვებოდა;

X ხოლო მათ ყოველთა უმეტეს იპოვა სიმკნითა წმიდად გიორგი,
და მრავლით ქამითგან უშჯულოთაგან ზარგანჯილითა ქრისტეანეთა —
ასწავა სიმკნეა ძლიერი,

XI მხიარულებით რაჲ მოითმინა მრავალფერნი სატანჯველნი
და ძლევიტ შემოსილი იდიდა
ცათა შინა და ქუეყანასა ჴედა..

[815 წლის ახლო]

გრიგოლ ხანძთელი

სავედრებელი ჟამსა შატბერთის შენებისასა

[ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა, თ. XXI, გვ. 63—64]
და რაჟამს მივიდა ნეტარი მამაჲ გრიგოლ შატ-
ბერთს, მაშინ ცრემლთა მისთა მდინარითა ირწყუოდა
ადგილი იგი, იტყოდა რაჲ ლოცვასა ამას:

I «მეუფებითა სუფევისა შენისაჲთა, ქრისტე,
უშრომელად დაჰბადენ დაბადებულნი ყოველნი,
და კელმწიფებით განმგებელ ხარ ყოველთა ქმნულთა შენთა,

II რამეთუ ცათა შემოქმედი და ანგელოზთა დამბადებელი,
და ქუეყანისა დამამტკიცებელი და ზღუათა დამამყარებელი,
და წულილადთაცა საქმეთა მოქმედვე ხარ,

III ვითარცა თქუა ღაგიომ:
დარა თუშცა უფალმან აღაშენა სახლი,
ცუღად შურებთან მაშენებელნი მისნოჲ.

IV აწ, უფალო, იყვნედ ყურნი შენი
მორჩილ კმასა ლოცვისა ჩუენისასა.

V და აკურთხე ადგილი ესე მადლითა შენითა,
და აღაშენე მონასტერი —
გაისასუენებელი სიწმიდისა სამკვდრებელთა შენთა.

VI და მოეც მას სახელი კეთილად-სახელოვანი —
შორის თესლებსა მრავალსა სადიდებელად შენდა, ყოველთა შეუფეო.
უხილავად შეწევნითა ძლიერისა მკლავისა შენისაჲთა...ჲ

...

[830 წლის ახლო]

მღვდელთ-მოძღუართათჳს

(ქებაჲ)

•

I ვინმეჲცა არა იხარებდა ღღეს —
საკსენებელსა წმიდათა მღვდელთ-მოძღუართასა,
ანუ ვინმეჲცა არა სუროდა აღსრულებად —
საკსენებელი წმიდათა მღვდელთ-მოძღუართაჲ,

•

II ანუ ვინმეჲცა იყო და არა გული უთქუმიდა —
წადიერებით სმენად გალობათა მათ,
ჩომელნი აღესრულებიან მორწმუნეთა მიერ —
საკსენებელსა წმიდათა მღვდელთ-მოძღუართასა.

. . .

•

X ექმნეს განმანათლებელ დაზნელებულთა,
ექმნეს წინამძღუარ შეცთომილთა,
იყვნეს საყუდელ და შესავედრებელ შეცდომილთათჳს,
ექმნეს ზღუდე და შემწე ჭირვეულთა მათ.

•

XI ექმნეს მწყემს კეთილ
წმიდანი იგი მღვდელთ-მოძღუარნი,
და მწყსილეს სამწყსოთა მათ ქრისტეჲსთა,
ცხოვართა მათ პირ-შეტყუელთა.

. . .

•

XIV მშიერნი განაძლეს პურითა,
და ასუეს წყალი წყურთა,
და შიშულნი შემოსნეს სამოსლითა,
სტუმრის-მოყუარე იყვნეს და უცხოთა შემწყნარებელ:

*

XV იქმნეს მკურნალ სნეულთა,
ექმნეს მიმავალ და მნახველ მყოფთა მათ საპყრობილესა შინა,
მოსწრაფე იყვნეს [ყოვლადვე]
სიყუარულსა ყოველთა მიმართ;

*

XVI ექმნეს მამა ობოლთა,
და მსაჯულ ექმნეს ყოველთა ქურივთა ერისა მათისათა,
იყვნეს მოწყალე და მწყალობელ გლახაკთა,
ებგურ და შემწყყნარებელ ექმნეს.

. . .

*

XXI შეემოსა მათ ხატი მშვიდობისაჲ,
ქჳონდა და ეპყრა მათ კანონი და წესი სარწმუნოებისაჲ,
გვთხრეს, გუასწავეს, და გუაუწყეს ჩუენ —
ღმრთის-მსახურებაჲ და იტყოდეს:

*

XXII «თქუას ენამანცა ჩუენმან სიტყუაჲ შენი,
რამეთუ ყოველნი მცნებანი შენნი სიმაართლით არიან,
და იყავნ ქელი შენი მაცხოვრად ჩუენდა,
რამეთუ მცნებანი შენნი აღვირჩიენით»;

*

XXIII «რამეთუ სუროდა სულსა ჩუენსა მაცხოვრებაჲ შენი, უფალო,
და შჯული შიარს ზრახვად ჩუენდა», —
[ამას] ეხევითარსა ზრახვასა ზრახვიდეს
და ამას ესევითარსა ზრუნვასა ზრუნვიდეს.

*

XXIX და რომელნიმე მათგანნი უღაბნოთა შე[ერ]დომილნი, —
მთათა, და ქუაბთა, და ნაპრალთა ქუეყანისათა, —
ნაკლულეეანნი, ჳირეუელნი, და ძვრ-ხილულნი;
რომელთათვისცა ღირსეე არა იყო სოფელი ესე.

. . .

Corrigenda et addenda

I

**გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ნუსხის დაწესება
ძველ-ქართული ჭაშნიკის — ძლისპირთა, კრებულის — მიხედვით.**

ძველ-ქართული ჭაშნიკის — «ძლისპირთა» კრებულის — აღმოჩენამ ახალი მასალა შეგებინა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ნუსხის დასაწესებლად.

როგორც უკვე აღნიშნული გეჟონდა (გვ. 607, 611), ხასიათი ძლისპირთა კრებულისა, რომ იგი საგალობელთა ჭაშნიკის, — სალექსო საზომების კრებულს წარმოადგენს, ჩვენ დაეადგინეთ მას შემდეგ, როდესაც ამ წიგნის პირველი ნაწილი უკვე დაბეჭდილი იყო, ხოლო «დამატებანი», რომელიც ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული კრებულების აღწერასა და ანალიზს შეიცავს, ბეჭდვის პროცესში იმყოფებოდა და მასში ახალ დამატებათა შეტანა აღარ იყო შესაძლებელი.

აქ აღვნიშნავთ, თუ რა ახალ მასალას იძლევა ძლისპირთა კრებული გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ნუსხის დასაწესებლად.

•

როგორც ეს დადგენილი გვაქვს გამოკვლევაში, გრიგოლ ხანძთელის საგალობელნი შეადგენენ საწელიწდო იადგარის ჩვენ დრომდე მოღწეული ხელნაწერების პირველ ძირითად ფენას.

მაგრამ არსებული მასალები ზოგიერთ შემთხვევაში არ იძლევა საშუალებას სრული სიზუსტით განვსაზღვროთ, თუ რომელი საგალობელია პირველი ძირითადი ფენისა, და რომელია შემდეგ დამატებული. და ძლისპირთა კრებული იძლევა ახალს დამატებით მაჩვენებელს საკითხის შესამოწმებლად და დასაწესებლად.

როგორც გამოირკვა ზემოთ-წარმოდგენილი ანალიზიდან, რომელიც ძლისპირთა ხელნაწერების ფილიაციას ემყარება, ხელნაწერ კრებულებში წარმოდგენილი ძლისპირები ორ ჯგუფად განიყოფება:

- ა) პირველი ძირითადი ჯგუფი (პირველადი ფენი);
- ბ) მეორე ჯგუფი (მეორადი ფენი).

(იხ. ამ საკითხზე დაწერილებით ზემოთ, გვ. 617 — 630).

ხოლო რამდენადაც გრიგოლ ხანძთელის საგალობელნი წარმოადგენენ საწელიწდო იადგარის პირველად ძირითად ფენს, ჩვენ, მაშასადამე, უნდა მივიღოთ დამთხვევა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა (ე. ი. პირველადი ძირითადი ფენისა) თვით ძლისპირთა პირველად ძირითად ფენთან, ე. ი. პირველ ძირითად ჯგუფთან.

და ეს მართლაც ასე აღმოჩნდა. შედარებიდან გამოირკვა, რომ გრიგოლ ხანძთელის საგალობელნი უდგება ძლისპირთა პირველად ფენს, ე. ი. შესრულებულია იმ სალექსო საზომებით, რომლებიც ძლისპირთა პირველად ძირითად ჯგუფშია წარმოდგენილი.

ამავე დროს ძლისპირთა კრებულის ასეთი ხასიათის ჩვენებამ მოგვცა საშუალება გავეყრკინა ზოგიერთი გაურკვეველი საკითხი და დაგვეზუსტებია გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ნუსხა.

მიქაელ მოდრეკილის კრებულის აღწერის დროს ჩვენ მითითებული გეჰონდა ერთ წყება საგალობლებზე, რომელთა შესახებ გაურკვეველი რჩებოდა, ძირითად პირველად ფენს ეკუთვნის ისინი, თუ შემდეგ არიან დამატებულნი. კერძოდ, ასეთ „საეკვო“ საგალობელთა რიცხვს ჩვენ ვაკუთვნებდით საგალობლებს, რომლებიც მიქაელ მოდრეკილის კრებულის ნუსხაში აღნიშნული გეჰქვს ნომრებით 1 და 2, აგრეთვე საგალობლებს, რომლებიც შეადგენენ ერთ ჯგუფს: №№ 24, 25 და 26 (იხ. ამ „საეკვო“ საგალობელთა შესახებ ზემოთ, გვ. 07 და 09).

ძლისპირთა კრებულის აღმოჩენის შემდეგ დადასტურდა, რომ ეს საგალობლები მართლაც არ ეკუთვნის ძირითად პირველად ფენს.

სახელდობრ ამ საგალობელთა შესახებ ძლისპირთა კრებული შემდეგ ჩვენებებს იძლევა:

გ ა ლ ო ბ ა ნ ი № 1. ამ ჰიმნოგრაფიული ტექსტის ერთი გალობა (I) დაწერილია საზომით, რომელიც ეკუთვნის ძლისპირთა არა ძირითად პირველად ფენს, არამედ მეორად ფენს (ძლისპირი № 10).

გ ა ლ ო ბ ა ნ ი № 2. ამ ჰიმნოგრაფიული ტექსტის ორი გალობა, III და V, ასევე დაწერილია საზომებით, რომლებიც ეკუთვნის არა ძირითად პირველად ფენს, არამედ მეორად ფენს (II გალობა — ძლისპირი № 12, V გალობა — ძლისპირი № 8).

გ ა ლ ო ბ ა ნ ი №№ 24, 25, 26. საგალობელთა ეს ჯგუფი (რომელიც ერთ წყებას წარმოადგენს), აგრეთვე არ ეკუთვნის ძირითად პირველად ფენს. ასე, № 26-ის გალობა VII დაწერილია საზომით, რომელიც მეორე ჯგუფს (ე. ი. გვიანდელ ფენს) წარმოადგენს (სახელდობრ იგი № 7 ძლისპირის საზომით არის დაწერილი).

გარდა დასახელებულ ზეთ საგალობელთა, დამატებით გამოირკვა, რომ ძირითად პირველად ფენს არ ეკუთვნის შემდეგი ოთხი გალობანი: მიქაელ მოდრეკილის კრებულისა № 22, 40 და 42 (იხ. გვ. 09 — 010) და გოლგოთური კრებულისა № 19 (იხ. გვ. 044). ამ ოთხი საგალობელის შესახებ ძლისპირთა კრებული შემდეგ ჩვენებებს იძლევა:

გ ა ლ ო ბ ა ნ ი № 22 (მიქაელის კრებულისა). ამ ჰიმნოგრაფიული ტექსტის გალობა VII დაწერილია საზომით, რომელიც ეკუთვნის მეორად ფენს (ძლისპირი № 11).

გ ა ლ ო ბ ა ნ ი № 40 (მიქაელის კრებულისა). ამ ჰიმნოგრაფიული ტექსტის I და II გალობა დაწერილია საზომებით, რომლებიც მეორად ფენს ეკუთვნის (ძლისპირები № 6 და 8ა).

გ ა ლ ო ბ ა ნ ი № 42 (მიქაელის კრებულისა). ამ ჰიმნოგრაფიული ტექსტის ექვი გალობა დაწერილია საზომებით, რომლებიც მეორად ფენს ეკუთვნის (I გალობა — ძლისპირი № 9; II — ძლისპირი № 7; III — ძლისპირი № 7; V — ძლისპირი № 7; VI ძლისპირი № 10; VII — ძლისპირი № 17).

გ ა ლ ო ბ ა ნ ი № 19 (გოლგოთური კრებულისა). ამ ჰიმნოგრაფიული ტექსტის სამი გალობა დაწერილია საზომებით, რომლებიც მეორად ფენს ეკუთვნის (II — ძლისპირი № 12; IV — ძლისპირი № 14; V — ძლისპირი № 11).

საგალობელთა ზემოთ-ჩამოთვლილი ცხრა ჯგუფის გამოკლებით, რომლებიც არ ეკუთვნის საგალობელთა ძირითად პირველად ფენს, ჩვენ ვლებულობთ გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა დაზუსტებულ ნუსხას.

გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა ამ დაზუსტებულ ნუსხაში ამრიგად შედის:

მიქაელ მოდრეკილის კრებულისა: საგალობელთა 81 ჯგუფი;

გოლგოთური კრებულისა: საგალობელთა 25 ჯგუფი.

ერუშენული კრებულისა: საგალობელთა 11 ჯგუფი.

ყველა ეს საგალობელნი წარმოადგენენ საწელიწდო იადგარის ძირითად პირველად ფენს და ამავე დროს ემთხვევიან ძლისპირთა კრებულის ძირითად პირველად ფენს.

სრული დაზუსტებული ნუსხა გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა, რომელიც ემყარება ზემოთ-აღნიშნულ მონაცემებს, მოყვანილი გეჰქვს გაჰოკვლევის 779 — 785 გვერდებზე.

საგალობელნი «ქართულნი» და «ბერძნულნი»
მიჰაელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულისა.

რაც უფრო მეტს ვსწავლობთ მიჰაელ მოდრეკილის კრებულს, მით უფრო ვრწმუნდებით, რომ ეს «საუნჯე X საუკუნისა» ნამდვილ სამეცნიერო გამოცემას წარმოადგენს ძველ-ქართული ჰიმნოგრაფიული ძეგლებისას.

მიჰაელ მოდრეკილი თავის კრებულის ანდერძში, როგორც ცნობილია, არა ერთგზის აღნიშნავს, რომ ამ კრებულში მან შეაგროვა ყველა საგალობლები, რომლებიც კი არსებობდა ქართულ ენაზე, როგორც ქართულნი, ისე ბერძნულნი (იხ. გვ. 762 — 763).

ხოლო რომელია კრებულში შეტანილ საგალობელთა შორის ქართულნი, და რომელია ბერძნულნი, ამის შესახებ ჩვენ დღემდე ამომწურავი ცნობები არ გავაჩნდა.

მართალია, მიჰაელ მოდრეკილის კრებულში ზოგიერთ საგალობელთა ჯგუფებს მოწერილი აქვს „ქართულნი“, ზოგს „ბერძნულნი“, მაგრამ ეს ეხება საგალობელთა მხოლოდ მცირედ ნაწილს.

ამას გარდა, კრებულში აღნიშნულია ქართველი მწერლები, რომელთაც ეკუთვნის ესა თუ ის საგალობელი. მაგრამ საძიებელი რჩებოდა, არის თუ არა ამ მწერალთა საგალობლები ყველა ორიგინალური ქართული, თუ მათ შორის არის თარგმანები, ანდა გადმოკეთებული ტექსტები, ეგრეთწოდებული „მოკაზმულნი“.

ამ საკითხს შეუი მოეფინა, როდესაც ამოვხსენით მიჰაელ მოდრეკილის კრებულის ერთი პირობითი ნიშანი.

მიჰაელ მოდრეკილის კრებულში საგალობელთა მთელ ჯგუფებს არშიაზე მიწერილი აქვთ ასო-ნიშანი «ქ». ამ ასო-ნიშანს არ მიუქცევია მკვლევართა ყურადღება, მით უფრო, რომ იგი პირველის შეხედვით „ქანწილის“ ნიშნად იყო მისაჩნევი, რაც ჩვენ გვხვდება ძველ-ქართულ ხელნაწერებში.

მაგრამ როდესაც, მიჰაელ მოდრეკელის კრებულზე ხანგრძლივი მუშაობის შემდეგ, დაუკვირდით, თუ როგორ არის განრიგებული ეს ასო-ნიშნები არშიებზე, აშკარა გახდა, რომ ეს ასო-ნიშნები არ წარმოადგენენ „ქანწილს“.

თუკი აქ „ქანწილი“ გვქონოდა, იგი გარკვეულის სისტემით უნდა ყოფილიყო განრიგებული. აქ კი არაერთარ სისტემას ადგილი არა აქვს, ეს ასო-ნიშანი „ქ“ ხან სისტემატურად არის მოწერილი ერთი წყების საგალობელთა სტროფებთან, ხოლო მეორე წყების საგალობელთა სტროფებთან იგი არც ერთხელ არ გვხვდება.

როდესაც ამ დეტალს მივაქციეთ ყურადღება, საიდანაც გამოიჩნდა, რომ ჩვენ აქ არა გვაქვს „ქანწილი“, ჩვენთვის მაშინვე აშკარა გახდა, რომ ასო-ნიშანი „ქ“, რომელიც დართულია გარკვეული ჯგუფის საგალობლების სტროფებთან, წარმოადგენს შემოკლებას: „ქართულნი“. (ამ ტიპის შემოკლებანი, როგორც ასო-ნიშნები, ისე პირობითი ნიშნები, მიღებული იყო ძველ-ქართულ პალეოგრაფიაში. პირობით ნიშანთა შესახებ იხ. აქვე, ცნობა X საუკუნის მწერლის იოანე-ზოსიმე საბაწმიდელ-სინელისა, გვ. 877).

რომ ასო-ნიშანი „ქ“ აღნიშნავს შემოკლებას „ქართულნი“, ეს საეცებით დადასტურდა შემდეგი ანალიზიდან. სახელდობრ ტექსტების განხილვიდან გამოიჩნდა:

ა) ყველა იმ საგალობლებს, რომელთაც სათაურში წარწერილი აქვთ შეუმოკლებლად — «ქართულნი», ცალკე გალობათა სტროფებთან ყოველთვის აქვს მოწერილი ეს ასო-ნიშანი „ქ“.

ბ) ასევე საგალობლებს, რომელთა ზედწერილებში დასახელებულია ქართველი ავტორები, არშიაზე ცალკე გალობათა სტროფებს მოწერილი აქვს ეს ასო-ნიშანი „ქ“.

გ) საგალობლებს, რომელთა ზედწერილებში აღნიშნულია ბერძენი ავტორები (იოანე დამასკელი, კოზმან იერუსალიმელი და სხვ.) არშიაზე ეს ასო-ნიშანი „ქ“ არ გვხვდება.

დ) ეს ასო-ნიშანი არ გვხვდება აგრეთვე იმ საგალობლებთან, რომელთაც აქვთ ზედწერილი (სრულის სახით) «ბერძნულნი» (ავტორთა დაუსახელებლად).

ე) დასასრულ, არშიებზე ჩვენ გვხვდება მიწერილი არა მხოლოდ ასო-ნიშანი „ქ“. რაც, ცხადია, ქართულს აღნიშნავს, არამედ აგრეთვე ასო-ნიშანი „ბ“, რაც, აშკარაა, ბერძნულს აღნიშნავს.

ამ უკანასკნელმა გარემოებამ საბოლოოდ დაადასტურა ჩვენი ვარაუდი.

ამრიგად ეს ორი ასო-ნიშანი „ქ“ და „ბ“ (სხვა ასო-ნიშნები ხელნაწერში არ გვხვდება). აღნიშნავენ: პირველი, „ქ“ = „ქართულნი“, მეორე, „ბ“ = „ბერძნულნი“.

მასასადამე, შემთხვევითი არ ყოფილა ის გარემოება, რომ მიქაელ მორდრეკელი თავის ინდერძებში ასე სისტემატიურად აღნიშნავს, რომ მან თავის კრებულში შეაგროვა საგალობელნი „ქართულნი“ და „ბერძნულნი“. მას თვით კრებულში, როგორც მოსალოდნელი იყო, აღუნიშნავს კიდევ, თუ რომელი საგალობელია ქართული და რომელია ბერძნული.

ამ ასო-ნიშანთა შესახებ, „ქ“ (= „ქართულნი“) და „ბ“ (= „ბერძნულნი“), საჭიროა დამატებით აღვნიშნოთ შემდეგი.

ა) ეს ასო-ნიშნები პატარა ფორმის საგალობლებს (სტიქარონებს) მოწერილი აქვთ ერთხელ, დასაწყის სტროფთან.

ბ) როდესაც საგალობელი დიდი ფორმისაა, ეგრეთწოდებული „გალობანი“, ასო-ნიშანი მოწერილი აქვს ყოველ ცალკე გალობას, მაგრამ ზოგჯერ იგი მოწერილია ერთხელ, გალობათა თავში.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ეს ასო-ნიშნები ჩვენ გვხვდება კრებულის ძირითად ნაწილში, რომელიც გადაწერილია მიქაელ მორდრეკელის მიერ. ხოლო კრებულის მეორე ნაწილში, რომელიც გადაწერილია ეფთვმეს მიერ, ეს ასო-ნიშნები „ქ“ და „ბ“ საერთოდ მოწერილი არაა.

მიქაელ მორდრეკელის კრებულის პირველ ძირითად ნაწილში, რომელც გადაწერილია მიქაელ მორდრეკელის მიერ, სულ მოთავსებულია 143 საგალობელი დიდი ფორმისა (141 გალობანი და 2 დასდებულია წყება) და 631 საგალობელი მცირე ფორმისა (სტიქარონი).

ამ საგალობელთა შესახებ ხელნაწერის ზედწერილები შემდეგ ცნობებს იძლევა:

53 საგალობელი დიდი ფორმისა და 480 სტიქარონი აღნიშნულია როგორც „ქართულნი“.

10 საგალობელი დიდი ფორმისა და 3 სტიქარონი აღნიშნულია როგორც „ბერძნული“.

1 საგალობელი დიდი ფორმისა აღნიშნულია როგორც „მოკაზმული“ (ე. ი. გადამუშავებული).

79 საგალობელი დიდი ფორმისა და 148 სტიქარონი წარუწერელია, მათ არ ახლავთ მითითება, ქართულია ისინი თუ ბერძნული.

აქ უადრესად საყურადღებოა ის გარემოება, რომ მნიშვნელოვანი ნაწილი საგალობელთა წარუწერელად არის დატოვებული. აქედან ჩვენ ვხედავთ მიქაელ მორდრეკელის ცნობათა ზუსტ ხასიათს. მიქაელს აღუნიშნავს ზედწერილით „ქართულნი“ და „ბერძნული“ ის საგალობელნი, რომელთა ქართული და ბერძნული წარმომავლობა მას სცოდნია. ხოლო საგალობლები, რომელთა შესახებ მას არ ჰქონდა პირდაპირი ცნობა, ქართულია ისინი თუ ბერძნული, ასეთი საგალობლები მას წარუწერელად დაუტოვებია.

გვეცნობთ ამის შემდეგ მიქაელ მორდრეკელის კრებულის ცნობებს ქართულ, ბერძნულ და „მოკაზმულ“ (გადამუშავებულ) საგალობელთა შესახებ.

ქართველი ავტორები აქ შემდეგის თანამიმდევრობით გვექნება განხილული:

1. მიქაელ მორდრეკელი. — 2. იოანე მტბევეარი. — 3. ივანე მინჩხი. — 4. სტეფანე სანა-ნოაჰ-ძე. — 5. ივანე ქონქოზის-ძე. — 6. ეზრა. — 7. ბასილი ხანძთელი. — 8. კურდანი — კკრიე. — 9. ანონიმური საგალობელნი. — 10. გიორგი მერჩულე. — 11. გრიგოლ ხანძთელი.

შენიშვნა. თვითული ავტორის ტექსტები ქვემოთ აღნიშნული გვაქვს იმ ნომრებით, რომლებითაც ისინი აღნიშნულია მიქაელ მორდრეკელის კრებულის აღწერილობაში (გვ. 07 — 038).

1. მიქაელ მორდრეკელი.

მიქაელ მორდრეკელის კრებულის ძირითად ნაწილში, რომელიც მიქაელ მორდრეკელის მიერ არის გადაწერილი, მოთავსებულია მიქაელის ნაწარმოებთა მთავარი ნაწილი.

სულ ამ ნაწილში მოთავსებულია მიქაელის 27 საგალობელი დიდი ფორმისა (გალობანი) და 135 საგალობელი მცირე ფორმისა (სტიქარონი).

მიქაელის ნაწარმოებნი მთლიანად „ქართული“ ყოფილა (გარდა მცირე ფორმის ოთხი ტექსტისა, რომლებიც წარუწერელია და რომელთა საკითხი გაურკვეველი რჩება).

მოგვყავს ნუსხა მიქაელის ნაწარმოებთა.

შენიშვნა. აქ მოყვანილ სიაში (და აგრეთვე ქვემოთ ყველგან წინამდებარე თავის ფარგლებში) ვარსკვლავით * აღნიშნულია ის საგალობელნი, რომელთაც ხელნაწერში მიწერილი აქვთ „ქ“ (= „ქართულნი“).

№ 1) [²] უ; * გალობანი; * მ; * ა¹.

№ 2) * უ; * უ; * უ; * გალობანი; * მ; * ა².

№ 3) * უ; * უ; * გალობანი; * მ; * ა³.

№ 4) * უ; * უ; * გალობანი; * მ; * ა; * ა.

№ 5) [²] უ; * უ; * გალობანი; * მ; * ა; * ო; * კ; * ს⁴.

№ 6) [²] უ; * უ; * გალობანი; * მ; * ა⁵.

№ 7) [²] უ; [²] უ; * გალობანი; * მ; * ა; [²] ო; * კ; * ს⁶.

№ 8) * უ; * უ; * გალობანი; * მ; * ა; * ო; * კ; * ს.

№ 9) * უ; * უ; * გალობანი * მ; [²] ა⁷.

№ 10) * უ; * უ; * გალობანი; * მ; * ა.

№ 11) * უ; * გალობანი; * მ; * ა; * ო; * მმ; * კ; * ს; * აღვ.

< № 12 >.

№ 13) * უ; * უ; * ო; * ნ; * გალობანი; * მ; * ა⁸.

№ 14) * უ; * ო; * გალობანი; * მ; * ა;

№ 15) [²] უ; * უ; * ნ; * ო; * გალობანი; * მ; [²] ა; * ა⁹.

¹ (№ 1.) პირველ უ-ს არა აქვს მოწერილი „ქ“, რადგან იგი უშუალოდ მოსდევს ზედწერილს, სადაც დასახელებულია თვით ავტორი (მიქაელი).

² (№ 2.) საგალობელთა მთელ ჯგუფს აქვს საერთო ზედწერილი „ქართულნი“ და ამას გარდა ცალკე საგალობლებსაც მოწერილი აქვთ „ქ“ (= ქართულნი).

³ (№ 3.) საგალობელთა მთელ ჯგუფს აქვს საერთო ზედწერილი „ქართულნი“ და ამას გარდა ცალკე საგალობლებსაც მოწერილი აქვთ „ქ“ (= ქართულნი).

⁴ (№ 5.) პირველ უ-ს არშიაზე მოწერილი აქვს დიდი წილქანი. დანარჩენ საგალობლებს აქვს ზოგადი ზედწერილი „ქართულნი“ და ამას გარდა ცალკე საგალობლებს ყველას მოწერილი აქვს „ქ“.

⁵ (№ 6.) საგალობელთა მთელ ჯგუფს აქვს საერთო ზედწერილი: „ქართულნი“ (ამის გამო ზედწერილის უშუალოდ მომდევნო პირველ უ-ს არა აქვს არშიაზე მოწერილი „ქ“). ყველა საგალობლებს, რომლებიც მოსდევნ პირველ უ-ს, მოწერილი აქვთ „ქ“.

⁶ (№ 7.) თავში მოწერილი აქვს საერთო ზედწერილი „ქართული“ (ამის გამო ამის უშუალოდ მომდევნო პირველ უ-ს არა აქვს მოწერილი არშიაზე „ქ“). არა აქვს მოწერილი „ქ“ აგრეთვე მეორე უ-ს და ო-ს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს უბრალო ლაფსუსია, გადაწერის შეცდომა; რომ ეს წარუწერელი საგალობლები ქართულნი, ამას ადასტურებს საერთო ზედწერილი „ქართულნი“ და აგრეთვე ის, რომ ეს წარუწერელნი საგალობელნი გაერთიანებულია ქართულ საგალობლებთან საერთო აკროსტიხით; ისინი ერთდროულად, ერთი ავტორის მიერ არის დაწერილი.

⁷ (№ 9.) ა-ს არა აქვს მოწერილი არშიაზე „ქ“, მაგრამ ეს შემთხვევითი ლაფსუსია, გადაწერის შეცდომა, რადგან ეს საგალობელი გაერთიანებულია ქართულ საგალობლებთან საერთო აკროსტიხით.

⁸ (№ 13.) საგალობელთა მთელ ჯგუფს აქვს საერთო ზედწერილი „ქართულნი“ და ამას გარდა ცალკე საგალობლებსაც მოწერილი აქვთ „ქ“ (= ქართულნი).

⁹ (№ 15.) საგალობელთა მთელ ჯგუფს აქვს საერთო ზედწერილი „ქართულნი“ და ამას გარდა ცალკე საგალობლებსაც მოწერილი აქვთ „ქ“ (პირველ ა-ს მოქრილი აქვს არშია).

- № 16) • უ; • უ; • ო; • გალობანი; • მ; [ა]¹.
 № 17) [•] უ; [•] უ; ო; • გალობანი; [•] მ; • ა; • ა; • ა².
 № 18) უ; უ; • უ; • უ; • ო; • გალობანი; • მ; • ა; • ა; • ა.
 № 19) • უ; • უ; • ო; • ნ; გალობანი; • მ; ა³.
 № 20) [•] უ; • უ; • გალობანი; • მ; • ა⁴.
 № 21) • უ; • ო; • გალობანი; • მ; • ა⁵.
 № 22) • უ; • უ; • გალობანი; • მ; • ა; • ა.
 № 23) • უ; • ო; • გალობანი; • მ; • ა.
 № 24) [•უ]; • გალობანი; • მ; • ა⁶.
 № 25) • უ; • უ; • გალობანი; • მ; • ა; • ა.
 № 26) • უ; • ო; • გალობანი; • მ; • ა.
 № 27) • უ; • ო; • გალობანი; • მ; • ა.
 № 28) • უ; • ო; • გალობანი; • მ; • ა.

ამრიგად, როგორც ირკვევა, მიქაელ მოდრეკილის ზემოთ-ჩამოთვლილ საგალობელთაგან ორიგინალური ქართულია 27 საგალობელი დიდი ფორმისა — გალობანი, და 131 საგალობელი მცირე ფორმისა — სტიქარონი.

არა აქვს მოწერილი „ქ“ (= „ქართულნი“) მხოლოდ ოთხს მცირე ფორმის საგალობელს, (სახელობრ № 8 — ს; № 18 — უ, უ; № 19 — ა); მაგრამ რადგანაც მიქაელ მოდრეკილის ჰიმნოგრაფიული მემკვიდრეობა მთლიანად ორიგინალური ქართული ყოფილა, საფიქრებელი ზდება, რომ ეს ოთხი მცირე ტექსტი აგრეთვე ქართულია და რომ აქ შემთხვევით არის გამორჩენილი აღნიშვნა ასო-ნიშანისა „ქ“. (ასეთი სახის ლაფსუსები, გამორჩენა წარწერათა, ჩვენ გვაქვს, როგორც ვნახეთ, სხვა შემთხვევებშიაც, უდავოდ ქართული ჯგუფის სხვა ტექსტების მიმართაც).

აქ საჭიროა ცალკე შეეჩერდეთ ტექსტზე № 12.

მიქაელ მოდრეკილის კრებულის აღწერის დროს ჩვენ, მთელ რიგ გარემოებათა გამო, საეკვოდ ჩაეთვალეთ ამ ტექსტის — № 12-ის — მიქაელისადმი კუთვნილება (იხ. ზემოთ 021 და 031, შენიშვნა). ამჟამად ეს ეკვი საბოლოოდ მტკიცდება.

¹ (№ 16). საგალობელთა მთელ ჯგუფს აქვს საერთო ზედწერილი „ქართულნი“ და ამას გარდა ცალკე საგალობლებსაც მოწერილი აქვთ „ქ“. (მეორე უ-ს მოკრილი აქვს არშია. გაერთიანებულია დანარჩენ ქართულ საგალობლებთან საერთო აკროსტიხით).

² (№ 17). საგალობელთა მთელ ჯგუფს აქვს საერთო ზედწერილი „ქართულნი“; ცალკე საგალობლებს მოწერილი აქვთ „ქ“. პირველ ორ სტიქარონს და მ-ს მოკრილი აქვს არშიები. ო-ს არა აქვს მოწერილი „ქ“, მაგრამ ეს გადაწერის შეცდომაა; რომ ო ქართულ ჯგუფს ეკუთვნის, ამას ადასტურებს საერთო ზედწერილი „ქართულნი“.

³ (№ 19). გალობანს არა აქვს მოწერილი „ქ“ (= ქართულნი) მაგრამ ეს, ჩანს, ლაფსუსია, გადაწერის შეცდომა; გალობანი გაერთიანებულია დანარჩენ ქართულ საგალობლებთან საერთო აკროსტიხით.

⁴ (№ 20). საგალობელთა მთელ ჯგუფს თავში აქვს საერთო ზედწერილი „ქართულნი“ (ამის გამო ამის უშუალოდ მომდევნო პირველ უ-ს არა აქვს არშიაზე მოწერილი „ქ“). ყველა საგალობლებს, რომლებიც მოსდევნენ პირველ უ-ს, მოწერილი აქვთ „ქ“.

⁵ (№ 21). საგალობელთა მთელ ჯგუფს აქვს საერთო ზედწერილი „ქართულნი“ და ამას გარდა ცალკე საგალობლებსაც მოწერილი აქვთ „ქ“ (= ქართულნი).

⁶ (№ 24). ყველა საგალობლებს მოწერილი აქვთ „ქ“ (= ქართულნი) გარდა პირველ სტიქარონისა უ. მაგრამ გამოტოვება წარწერისა „ქ“ პირველ სტიქარონთან. როგორც ირკვევა, გადაწერის შეცდომას წარმოადგინს: რომ პირველი სტიქარონი უ ქართულ ჯგუფს ეკუთვნის, დასტურდება იმის მიხედვით, რომ იგი გაერთიანებულია დანარჩენ საგალობლებთან საერთო აკროსტიხით.

საგალობელთა ჯგუფი № 12 შეიცავს შემდეგ ტექსტებს: საგალობელნი დიდი ფორმისა — „გალობანი“ „მოიხილეს“ დართეთ, და ორი სტიქარონი (ა^ა, ა^ა). აღსანიშნავია, რომ დიდი ფორმის საგალობელთა არც ერთ გალობას ცხრა გალობათა შორის, და აგრეთვე არც ერთ სტიქარონს არა აქვს არაერთი აღნიშვნა არც იმისა, რომ ისინი ქართულია, და არც იმისა, რომ ისინი ბერძნულია. ამრიგად აშკარა ხდება, რომ ეს ტექსტები არათუ არ ეკუთვნიან მიქაელ მოდრეკილს, არამედ მიქაელს, როგორც ჩანს, ცნობაც არა ჰქონია ამ ანონიმურ საგალობელთა შესახებ, ქართულია ისინი, თუ ბერძნულიდან გადმოღებულნი.

1ა. საგალობელნი მიქაელურნი.

მიქაელ მოდრეკილის ხელნაწერის აღწერის დროს ჩვენ დაწვრილებით გვექონდა საუბარი მიქაელ მოდრეკილის კრებულის მცირე ფორმის საგალობელთა შესახებ, რომელთაც ვაერთიანებთ საერთო სახელწოდებით მიქაელურნი. ეს არის მცირე ფორმის საგალობლები, რომლებიც დართულია დამატების სახით გრიგოლ ხანძთელის, გიორგი მერჩულის, ივანე ქონქოზის-ძის და იოვანე მტბევარის საგალობლებთან, და რომლებიც ძირითადად მიქაელ მოდრეკილს ეკუთვნის (იხ. ზემოთ, გვ. 032 — 034).

სულ მიქაელ მოდრეკილის კრებულში ჩვენ გვაქვს 218 მცირე ფორმის საგალობელი ამ ჯგუფისა¹.

დასახელებულ 218 საგალობელთაგან 187 საგალობელს აქვს წარწერა „ქ“ (= ქართულნი). ხოლო 31 საგალობელი წარუწერელია.

2. იოვანე მტბევარი.

იოვანე მტბევარის ნაწარმოებნი ოთხ ჯგუფად ნაწილდება.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. ქვემოთ-მოყვანილ სიაში (როგორც ყველგან ამ თავის ფარგლებში) ვარსკვლავით * აღნიშნულია ის საგალობელნი, რომელთაც ხელნაწერში აქვთ აღნიშვნა: „ქ“ = „ქართულნი“.

A. პირველი ჯგუფი:

№ 2) * გალობანი; * მ^ა.

№ 4 — 5) * უ^ა; * უ^ა; * უ^ა; * უ^ა; * უ^ა; * უ^ა; * ო^ა; * დასდებულნი; * გალობანი; * მ^ა; ა^ა.

№ 6) * გალობანი; * მ^ა; * ა^ა.

№ 8 — 9) * უ^ა; * უ^ა; * უ^ა; * უ^ა; * უ^ა; * ო^ა; * დასდებულნი; * გალობანი; * მ^ა; * ა^ა.

№ 11) * უ^ა; * გალობანი; * მ^ა; * ა^ა.

№ 13) * უ^ა; * გალობანი; * მ^ა; * ა^ა.

№ 14) * უ^ა; * გალობანი; * მ^ა.

№№ ა, ბ, გ) * ა^ა; * უ^ა; * უ^ა.

¹ იხ. ძირითადი ნუსხა, გვ. 032 — 034. აქ წარმოდგენილი ძირითადი ნუსხის 196 საგალობელს ემატება 35 საგალობელი, რომლებიც, როგორც დამატებით გამოირკვა, დართულია გრიგოლ ხანძთელის საგალობლებთან (იხ. ქვემოთ, გვ. 0119, საგალობელნი აღნიშნულნი ვარსკვლავით *), ხოლო აქვდება 11 საგალობელი (სახელდობრ მცირე ფორმის საგალობლები, რომლებიც აღწერილია 07 — 09 გვერდებზე ნომრებთან 1, 2, 22, 25 და 26 და ჩასმულია სწორ რკალეებში []. როგორც გამოირკვა, საგალობელთა ეს უკანასკნელი ჯგუფი №№: 1, 2, 22, 25 და 26 არ ეკუთვნის საწელიწდო იადგარის ძირითად პირველად ფენს, — იხ. ამ საკითხზე ზემოთ, გვ. 0107 — 0108).

ყველა საგალობელი ამ ჯგუფისა, როგორც ირკვევა მინაწერებიდან, ქართულია. მხოლოდ ერთ სტიქარონს ა^ა (№ 4 — 5) არ ახლავს არაერთი აღნიშვნა^ა.

B. მეორე ჯგუფი.

№ 3) უ^ა — ბ[ერძნულნი]; * უ^ა; ო^ა; გალობანი; * მ^ა; * ა^ა; * ა^ა.

საგალობლებს აქვს შემდეგი ზედწერილი, რომელიც ეხება დიდი ფორმის საგალობლებს („გალობანი“): „იოვანე მტბევარ ეპისკოპოსისა მოკაზმულნი“. ტერმინი „მოკაზმულნი“, როგორც ირკვევა, ნიშნავს: გადაშეშავებულნი.

„გალობანი“ დამოკიდებული ყოფილა ბერძნული ორიგინალიდან; ეს ირკვევა იმის მიხედვით, რომ უფრო გვიან, XI საუკუნეში, იმავე გალობათა ტექსტი უთარგმნია გიორგი მთაწმიდელს (იოვანე მტბევარის „მოკაზმული“ ტექსტის გათვალისწინებით) და შეუტანია იგი თავის საგალობელთა კრებულში — თთუნში.

C. მესამე ჯგუფი.

№ 1) * უ^ა; უ^ა; * ო^ა; გალობანი; [*] მ^ა; ა^ა.

№ 10) უ^ა; გალობანი; * მ^ა; ა^ა.

№ 12) * უ^ა; გალობანი; * მ^ა; ა^ა.

სამივე საგალობელი დიდი ფორმისა („გალობანი“) და მათთან ერთად ნაწილი სტიქარონებისა — წარუწერელია. როგორც ირკვევა, მიქაელ მოღრეკილს მათ შესახებ ცნობები არა ჰქონია.

სხვა წყაროებიდან ირკვევა, რომ გალობანი № 1 გადმოღებული ყოფილა IX საუკუნის ბერძენი ჰიმნოგრაფის იოსებ მგალობელის ტექსტიდან. ესევე გალობანი უფრო გვიან უთარგმნია გიორგი მთაწმიდელს (იოვანე მტბევარის ტექსტის გათვალისწინებით) და შეუტანია თავის საგალობელთა კრებულში — თთუნში.

დანარჩენ ორ გალობათა საკითხი გაურკვეველია. უფრო საფიქრებელია, რომ ისინი ორიგინალური ქართულია; ყოველ შემთხვევაში აღსანიშნავია, რომ გიორგი მთაწმიდელს არ შეუტანია ისინი თავის საგალობელთა კრებულებში, სადაც მას, ბერძნულიდან შესრულებულ ახალ თარგმანებთან ერთად, ძველი თარგმანებიც შეჰქონდა.

D. მეოთხე ჯგუფი.

№ 7) * გალობანი; * მ^ა.

მიქაელ მოღრეკილს გალობანი № 7 აღნიშნული აქვს როგორც „ქართული“. მაგრამ ეს შეცდომაა; არა ჩანს მხოლოდ, ეს შეცდომა მიქაელისაა, თუ მისი წყაროსი. (საერთოდ უნდა აღნიშნოს, რომ მიქაელის ცნობები ზუსტია; იმ მრავალ ცნობათაგან, რომლებიც ჩვენ მიქაელის კრებულში გვაქვს სწვდასხვა ტექსტების შესახებ, შემდგომი აღმოჩნდა მხოლოდ ორი ცნობა, ერთი აქ აღნიშნული, და მეორედ ცნობა შესახებ ანონიმური ტექსტისა № 35, რომელსაც ქვემოთ შევხვებით).

გალობანი № 7 წარმოადგენს არა ორიგინალურ ტექსტს, არამედ გადმოღებულია VIII საუკუნის ბერძენი ჰიმნოგრაფის გერმანოს პატრიარქის ტექსტიდან. იოვანე მტბევარის ეს თარგმანი, ზოგიერთი რედაქციული ცვლილებით, გიორგი მთაწმიდელს შეუტანია თავის თთუნში (გიორგი მთაწმიდელს დასახელებული ჰყავს აეტორი საგალობლისა — გერმანოს პატრიარქი).

3. ივანე მინჩხი.

ივანე მინჩხის ნაწარმოებნი ასეა აღნიშნული მიქაელის კრებულში:

№ 1) * უ^ა; * ო^ა; * გალობანი; * მ^ა; * ა^ა.

№ 3) * გალობანი; * მ^ა; * ა^ა;

№ ა) * უ^ა.

№ 2) უ^ა; * ო^ა; გალობანი; * მ^ა; ა^ა.

1 რაკი ყველა დანარჩენი ტექსტები საგალობელთა ამ წყებისა № 4 — 5 ქართულია, საფიქრებელი ხდება, რომ ეს უკანასკნელი მოკლე ტექსტიც ქართული უნდა იყოს და დაკლება „მოკაზმანისა კ“ გადაწერის შეცდომას უნდა წარმოადგენდეს.

ტექსტები № 1, 3 და ა, როგორც ეს აღნიშნულია წარწერებით, — ქართულია.

ხოლო № 3-დან წარუწერელად არის დატოვებული დიდი ფორმის საგალობელნი — გალობანი და სტიქარონნი უ⁷ და ა⁷.

მიქაელი საეგებით მართებულად განასხვავებს № 3-ის ტექსტებს მინჩხის სხვა ქართულ ტექსტებისაგან. როგორც ირკვევა ბერძნული წყაროებიდან, გალობანი № 3 გადმოღებულია ბერძნულიდან, იოანე დამასკელის საგალობელთაგან.

4. სტეფანე სანანოჲს-ძე.

მისი ნაწარმოებნი ასეა აღნიშნული მიქაელის კრებულში:

№ 1) * უ⁷; * გალობანი; [*] მ⁷; * ა⁷.

№ ა) ნ⁷.

ტექსტები № 1-ისა, რომლებიც აბო ტფილელის საგალობლებს წარმოადგენენ, ცხადია, ქართულია, და ასეც არის აღნიშნული ხელნაწერში.

რაც შეეხება საგალობელს № ა, იგი წარუწერელია. მაგრამ ამ შემთხვევაში წარწერა „ქ“ (= ქართული) ჩანს შემთხვევით არის გამოჩენილი, გადაწერის შეცდომას წარმოადგენს. საქმე ის არის, რომ ესვე საგალობელი შეტანილია გიორგი მთაწმიდელის თთუენში (S — 4999) და აქ ავტორად დასახელებულია სტეფანე. თუკი ეს საგალობელი ბერძნულიდან იყოს გადმოღებული, გიორგი, მის კრებულში მიღებული წესის თანახმად, ბერძენ ავტორს აღნიშნავდა, და არა ქართულ მთარგმნელს.

5. ივანე ქონქოზის-ძე.

მისი ნაწარმოები ასეა აღნიშნული მიქაელის კრებულში:

№ 1) * გალობანი; * მ⁷.

საგალობელნი, მიძღვნილნი აბო ტფილელისადმი, ქართულია.

6. ეზრა.

ეზრას საგალობელთა ჯგუფი ასეა აღნიშნული მიქაელის კრებულში:

№ 1) * უ⁷; * გალობანი; * მ⁷; * ა⁷.

საგალობელნი, წარწერის თანახმად, ქართულია.

7. ბასილი ხანძთელი.

ექვსი სტიქარონი ბასილი ხანძთელისა (№№ ა, ბ, გ, დ, ე, ვ) — ყველა აღნიშნულია როგორც ქართული.

7-ა. ბასილური საგალობელი (№ ა). აღნიშნულია როგორც ქართული.

8. კურდანი — კვრიკე.

მისი საგალობელი წარუწერელია.

საგალობელი წარმოადგენს თვთქლისპირს და მაშასადამე ორიგინალური ქართულია (კურდანი-კვრიკეს ეკუთვნის როგორც ტექსტი ამ საგალობელთა, ისე შემოღება თვით სალექსო საზომისა, მუსიკალური კომპოზიციით).

9. ანონიმური საგალობელნი.

ანონიმური საგალობელნი შემდეგ ჯგუფებად განიყოფება:

A. პირველი ჯგუფი.

№ 3) * უ⁷; * ო⁷; * გალობანი; * მ⁷; * ა⁷.

¹ საგალობელთა ძველი ზედწერილი გადარეცხილია, ახალი გამოდის არშიაზე და ამ ახალი ზედწერილის წარწერისას, ჩანს, წარუხოციათ არშიაზე მიწერილი „ქ“.

№ 8) * უ; * გალობანი; * მ.

№ 14) [*] უ; [*] ო; [*] გალობანი; [*] მ; * ა.

ყველა საგალობელში ქართულნია.

(უკანასკნელი № 14 ტექსტის საგალობელთა პირველ ოთხ ჯგუფს მოჭრილი აქვს არშიები, სადაც აღნიშნული უნდა ყოფილიყო ასო-ნიშანი „ქ“; მაგრამ საგალობელთა ჯგუფს სათაურში აქვს საერთო ზედწერილი: „დასდებელნი... ქ ა რ თ უ ლ ნ ი. კარგნია“).

B. მეორე ჯგუფი:

№ 10) ზედწერილით — „ანდრია მოძღურისა კრიტელ ეპისკოპოსისანი“. უ; გალობანი; მ; ა.

№ 12) ზედწერილით — „ბერძელნი“. POMANC ႁႵႵႵ. * უ; გალობანი; * მ; ა.

№ 11) ზედწერილით — „ბერძელნი“. უ; * ო; გალობანი; * მ; ა; ა.

სამივე საგალობელი დიდი ფორმისა — „გალობანი“ ბერძნულია. ამათგან № 10 შეტანილია გიორგი მთაწმიდელის თთუენში.

C. მესამე ჯგუფი.

№ 4) * უ; * ო; გალობანი; * მ; * ა; * ა.

№ 5) უ; * ო; გალობანი; * მ; ა.

№ 6) უ; * ო; * ნ; გალობანი; * მ; * ა.

№ 7) * უ; გალობანი; მ; * ა; * ა.

№ 38 (ბ. 25) 1. უ; უ; * ო; გალობანი; * მ; ა; * ა.

დიდი ფორმის საგალობელი — „გალობანი“ ყველა წარუწერელია. მიქაელ მოდრეკილს მათ შესახებ ცნობები არა ჰქონია.

როგორც ირკვევა სხვა წყაროებიდან, ხუთივე გალობანი ბერძნულიდან არის გადმოღებული: № 4, 5 და 6 ეკუთვნის იოანე დამასკელს; № 7 თეოფანეს; № 39 სტეფანე საბაწმიდელს. (ყველა ეს გალობანი შეტანილი აქვს გიორგი მთაწმიდელს თავის თთუენში).

D. მეოთხე ჯგუფი:

№ 13) უ; გალობანი; * მ; ა.

გალობანი წარუწერელია; ხოლო * მ, რომელიც გაერთიანებულია გალობასთან ერთი აკროსტიხით, წარწერილია როგორც „ქ“ (= ქართული). ასეთი სხვაობა ერთი მთლიანი ტექსტის სხვადასხვა ნაწილთა აღნიშვნაში, გვაფიქრებინებს რომ წარუწერელი გალობანი არაა ქართული, არამედ ან თარგმანია, ან „მოკაზმული“ (გადამუშავებული) ტექსტი.

E. მეხუთე ჯგუფი.

№ 35 (ბ. 2)². * უ; უ; ო; * გალობანი; * მ; ა. ა. ბ[ერძნული]; ა.

გალობანი წარწერილია როგორც ქართული, მაგრამ ეს შეცდომაა; საგალობელი გადმოღებულია VII — VIII საუკუნეთა ბერძენი ჰიმნოგრაფის ანდრია კრიტელის ტექსტიდან. (საგალობელი შეტანილია გიორგი მთაწმიდელის თთუენში, ანდრია კრიტელის ავტორობის აღნიშვნით).

F. მეექვსე ჯგუფი.

№ 1) * უ; * ო; გალობანი; * მ; ა.

№ 2) უ; ო; გალობანი; * მ; * ა.

№ 9) უ; გალობანი; * მ; * ა.

№ 34 (ბ. 1)³ უ; * ნ; გალობანი; * მ; ა.

¹ აღწერილი ხანძთელთან № 25, გვ. 09.

² აღწერილი ხანძთელთან № 2, გვ. 07.

³ აღწერილი ხანძთელთან № 1, გვ. 07.

№ 36 (ბ. 22)¹ უ; გალობანი; * მ; ა.

№ 37 (ბ. 24)² უ; გალობანი; * მ; ა.

№ 39 (ბ. 26)³ უ; * ო; გალობანი; * მ; * ა.

ყველა დიდი ფორმის საგალობელნი (გალობანი) ამ ჯგუფისა წარუწერელია. მიქაელს მათ შესახებ ცნობები არა ჰქონია. დასახელებული გალობანი, საფიქრებელია, ქართულნია, რადგან არც ერთი მათგანი არაა შეტანილი გიორგი მთაწმიდელის თთუენში. (გიორგი მთაწმიდელს, როგორც მოვიხსენეთ, შეტანილი აქვს თავის საგალობელთა კრებულებში ბერძნული ჰიმნების ძველი თარგმანები).

10 — 11. გადავიდეთ ამის შემდეგ გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულის ტექსტებზე.

მიქაელ მოდრეკილის კრებულის შედგენილობის ანალიზიდან ირკვევა, რომ მიქაელ მოდრეკილს თავისი კრებულის შედგენის დროს ხელთა ჰქონია, როგორც ძირითადი წყარო, საწე-ლიწდო იადგარის აღრიხდელი რედაქცია, რომელშიაც შეტანილი ყოფილა ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებნი გრიგოლ ხანძთელისა [= ძირითადი პირველადა ფენი] და ამასთან ერთად ნაწარ-მოებნი გიორგი მერჩულისა და ზოგიერთი ანონიმებისა, რომელთაც ეკუთვნით ზემოთ-დასახე-ლებულნი წარუწერელი ტექსტები [= მეორადი ფენი].

მიქაელ მოდრეკილს ამ ძირითადს კრებულში დაუმატებია მის მიერ შეკრებილი ჰიმნოგრა-ფიული ნაწარმოებნი, რომელნიც, უმთავრესად, ავტორ-წარწერილია, სახელდობრ ნაწარმოებნი იოვანე მტბევიარისა, ივანე მინჩხისა, სტეფანე სანანოას-ძისა, იოვანე ქონქოზის-ძისა, ეზრასი, ნაწილობრივ ბასილი ხანძთელისა (წარწერილი ტექსტი) და დასაძრულ მრავალრიცხოვანი ჰიმნები თვით მიქაელ მოდრეკილისა.

მიქაელ მოდრეკილის ძველი ძირითადი პირველწყარო (რომელშიაც წარმოდგენილი ყოფილა ტექსტები გრიგოლ ხანძთელისა, გიორგი მერჩულისა და ანონიმებისა), როგორც ირკვევა, არ შეიცავდა სრულ ცნობებს იმის შესახებ, თუ რა წარმოშობისაა ამ კრებულში მოთავსებული ყველა ტექსტები; ცხადია, ამით აიხსნება, რომ მიქაელ მოდრეკილი არ იძლევა ისეთს სრულს ცნობებს ამ ძველი ტექსტების შესახებ, როგორსაც იგი გადმოგვცემს მის მიერ შეგროვილი ძალი ჰიმნოგრაფიული ტექსტების შესახებ (იოვანე მტბევიარისა, ივანე მინჩხისა და სხვათა). ამკარაა, რომ მიქაელ მოდრეკილს უცელელად, შეუესებლად დაუტოვებია ის არა სრული ჩვენე-ბანი, რაც მის ხელში ქონებულ ძველ ხელნაწერში მოიპოვებოდა.

თუ რა სახისაა ამ ძველი პირველწყაროდან მომდინარე ჩვენებანი გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ-ლის ნაწარმოებებზე, ამას ჩვენ გავეცანით სპეციალურ ნარკვევში გიორგი მერჩულის შესახებ (იხ. გვ. 851 — 852).

აქ კი შევჩერდებით გ რ ი გ ო ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს ტ ე ქ ს ტ ე ბ ზ ე .

მიქაელ მოდრეკილის კრებულის იმ ნაწილში, რომელსაც ჩვენ აქ ვეხებით, ვ. ი. მიქაელის კრებულის ძირითად ნაწილში, რომელიც მიქაელის მიერ არის გადაწერილი, წარმოდგენილია გრიგოლ ხანძთელის 55 საგალობელი დიდი ფორმისა (გალობანი) და 75 საგალობელი მცირე ფორ-მისა (სტიქაროხნი).

ამ ტექსტებიდან წარწერილია მხოლოდ 11 გალობანი.

მათ შორის 4 გალობანი წარწერალია როგორც ქართული, სახელდობრ: № 8, გალობანი შობისანი; № 9, გალობანი შობისანი; № 21, გალობანი ჰაბოასანი; № 23, გალობანი ნათელთანი (იამბიკონნი).

წარწერილია, როგორც გადმოღებული იოანე დამასკელიდან სამი იამბიკონური ტექსტი, სახელდობრ: № 4, გალობანი შობისანი; № 18, გალობანი ნათელთანი; № 68, გალობანი აღვსებისანი.

1 აღწერილი ხანძთელთან № 22, გვ. 09.

2 აღწერილი ხანძთელთან № 22, გვ. 09.

3 აღწერილი ხანძთელთან № 25, გვ. 09.

წარწერილია, როგორც გადმოდებული კოზმან იერუსალიმელიდან სამი გალობანი, რომელიც წყვილის სახით მიჰყვება იოანე დამასკელის იამბიკონებს და იმავე თემებს ესება, სახელდობრ: № 5, გალობანი შობისანი; № 19, გალობანი ნათელთანი; № 69, გალობანი აღესებისანი.

წარწერილია როგორც „ბერძენული“ (ავტორის დაუსახელებლად): № 16, გალობანი იაკობისი და იოანესი.

რაც შეეხება დანარჩენ ტექსტებს, ე. ი. ტექსტების დიდ უმრავლესობას, სახელდობრ 44 საგალობელს დიდი ფორმისა (გალობანი) და 75 სტიქარონს, ესენი ყველა წარუწერელია. ეს გარემოება, რასაკვირველია, იმის მანიშნებელია, რომ აქ ძველ ტექსტებთან გვაქვს საქმე, და რომ მიჰყავს მორდეკილის დროს აღრინდელი ხანის — VIII — IX საუკუნის ავტორის — გრეგორ ხანძთელის სალტერატურო მოღვაწეობის შესახებ უკვე სრული ცნობები აღარაა ჰქონიათ. მიჰყავს მორდეკილმა არ იცის, თუ რომელია ამ ტექსტებიდან „ქართული“, რომელია „ბერძენული“ და მათ წარუწერელად სტოვებს.

ხოლო როგორია საქმის ნამდვილი ვითარება?

ჩვენ მიუძღვენით ცალკე სპეციალური ნარკვევი გრიგოლ ხანძთელის თარგმნილ ტექსტებს (იხ. გვ. 819—829). იმ მასალების მიხედვით, რომელიც ამ ნარკვევშია წარმოდგენილი, ირკვევა, რომ 55 საგალობელიდან დიდი ფორმისა (გალობანი), რომელიც მოთავსებულია მიჰყავს მორდეკილის კრებულს პირველ ნაწილში, 26 გალობანი ქართულია, 13 ბერძენული, ხოლო საკითხი 16 გალობათა შესახებ გაურკვეველი რჩება.

საერთო რიცხვით კი, მიჰყავს მორდეკილის კრებულის ორსავე ნაწილში წარმოდგენილია გრიგოლ ხანძთელის 81 საგალობელი დიდი ფორმისა (გალობანი); ამათ შორის 44 ქართულია, 20 ბერძენული, ხოლო საკითხი 17 გალობათა გაურკვეველია.

აქ საჭიროა შევეხოთ აგრეთვე მეორე საკითხს.

მიჰყავს მორდეკილმა, როგორც ეს უკვე ზევით გვეჩვენა გარკვეული, არა მარტო შეადგინა ჰიმნოგრაფიული კრებული, არამედ მან შეავსო საგალობელთა ცალკეული ჯგუფები სხვადასხვა სახის დამატებებით.

ამ დამატებათათვის მიჰყავს მორდეკილს მოუწერია ასო-ნიშანი „ქ“ (= ქართული), რაც აადვილებს ამ დამატებათა ამოცნობასა და გამოყოფას.

მიჰყავს მორდეკილის დამატებანი გრიგოლ ხანძთელის ჰიმნებში — შემდგენია.

1. დამატებათა პირველი ჯგუფი.

როგორც ეს უკვე ზევით დავადგინეთ, გრიგოლ ხანძთელის საგალობელნი დიდი ფორმისა — „გალობანი“ შესდგებოდა რვა ნაწევრისაგან, რვა გალობისაგან. ამ რვა-ნაწევრიან გალობათათვის მიჰყავს მორდეკილს დაუმატებია დამატებითი გალობა I-ა „მოიხილესა“ (ეს დამატებითი გალობა I-ა მიჰყავს მორდეკილს დაურთავს არა მხოლოდ გრიგოლ ხანძთელის ტექსტებისათვის, არამედ საერთოდ ყველა 8-ნაწევრიან გალობათათვის).

სულ მიჰყავს მორდეკილის კრებულის ძირითად ნაწილში, როგორც მოვიხსენეთ, წარმოდგენილია 55 საგალობელი დიდი ფორმისა — „გალობანი“, რომლებსაც ყველას დართული აქვს ეს დამატებითი გალობა I-ა!

2. დამატებათა მეორე ჯგუფი.

გრიგოლ ხანძთელის საგალობელნი ყოველი ცალკე თარიღისათვის ჩვეულებრივ შესდგებოდა სამი ერთეულისაგან: (1) საგალობელი დიდი ფორმისა — „გალობანი“; (2—3) ორი მცირე ფორმის საგალობელი — სტიქარონი (უ^ლ და ა^ლ), რომელთაგან ერთი თავში დაერთვოდა, ხოლო მეორე ბოლოში (იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 033).

¹ დამატებანი, როგორც მოვიხსენეთ, მოწერილია ასო-ნიშანით „ქ“. მხოლოდ ზოგიერთ ცალკეულ შემთხვევაში ეს ასო-ნიშანი მოწერილი არაა. ეს რამდენიმე მოუწერელი ტექსტი ან ბერძენულიდან არის გადმოდებული (თარგმნილი, ან „მოკაზმული“), ანდა, რაც უფრო საფიქრებელია, ასო-ნიშანის მოუწერელობა გადაწერის შეცდომას წარმოადგენს (ამ სახის ლაფსუსს, როგორც ზემოთ ვნახეთ, სხვა შემთხვევებშიაც აქვს ადგილი).

მაგრამ გრიგოლ ხანძთელის ტექსტებში ეს ორი დამატებითი სტიქარონი ყველა საგალობელთა ჯგუფებს არა ჰქონია. ზოგჯერ საგალობელთა ჯგუფში წარმოდგენილი ყოფილა გალობანი არა ორი სტიქარონის დართვით, არამედ ერთი სტიქარონის დართვით; ზოგჯერ კი მარტო გალობანი ყოფილა წარმოდგენილი, სტიქარონთა დაუერთველად.

მიქაელ მოდრეკილს საგალობელთა ყველა ჯგუფისათვის ერთგვარი სახე მიუყვია და დაურთავს დამატებითი სტიქარონები იმ ჯგუფებისათვის, რომელთაც ასეთები არა ჰქონდა.

ამ დამატებული სტიქარონების გამოყოფას აადვილებს ის გარემოება, რომ ყველა იანნი, წესისამებრ, მიქაელ მოდრეკილს აღნიშნული აქვს ასო-ნიშნებით „ქ“.

მოგეყავს აქ ნუსხა გრიგოლ ხანძთელის იმ საგალობელთა, რომელთათვის მიქაელ მოდრეკილს დაუმატებია საწყისის ეს სტიქარონები უ¹ და დამამთავრებელი სტიქარონი ა².

შ ე ნ ი შ ე ნ ა. მიქაელის მიერ დამატებული საწყისის სტიქარონები (უ¹) და დამამთავრებელი სტიქარონები (ა²), რომელთაც მოწერილი აქვთ ასო-ნიშანი „ქ“, ქვემოთ-მოყვანილ სიაში აღნიშნულია ვარსკვლავით * და ჩასმულია სწორ რკალებში [].

№ 8) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 9) [* უ¹]; გალობანი; [* ა²].

№ 10) [* უ¹]; გალობანი; ...¹.

№ 16) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 19) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 27) [* უ¹]; გალობანი; ა².

№ 33) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 65) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 66) [* უ¹]; გალობანი; [* ა²].

№ 67) გალობანი [* ა²].

№ 69) უ¹; გალობანი [* ა²].

№ 70) [* უ¹]; გალობანი; [* ა²].

№ 72) [* უ¹]; გალობანი [* ა²].

№ 73) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 74) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 75) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 76) [* უ¹]; გალობანი; [* ა²].

№ 77) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 78) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 79) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 80) [* უ¹]; გალობანი; [* ა²].

№ 82) [* უ¹]; გალობანი; ა².

№ 83) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 85) უ¹; გალობანი; [* ა²].

№ 86) [* უ¹]; გალობანი; [* ა²].

№ 88) [* უ¹]; გალობანი; ა².

3. დამატებათა მესამე ჯგუფი.

გარდა მეორე მუხლში აღნიშნული დამატებული სტიქარონებისა (საწყისის სტიქარონები და დამამთავრებელი სტიქარონები), მიქაელ მოდრეკილს დაურთავს სხვა მცირე ფორმის საგალობელნი (უ¹, ა², ო³, ნ⁴, მმ⁵, კ⁶, ს⁷ — რომელთაც ჩვენ ვაერთიანებთ საერთო სახელით „მიქაელურნი“).

მათი ნუსხა იხილეთ მიქაელ მოდრეკილის კრებული ალწერილობაში, გვ. 07 — 38, სადაც ეს დამატებული საგალობელნი მოთავსებული გვაქვს სწორ რკალებში².

4. დამატებათა მეოთხე ჯგუფი (ინტერპოლაციები).

მიქაელ მოდრეკილის კრებულის ტექსტების შესწავლიდან ირკვევა, რომ მიქაელს მოუხდენია ინტერპოლირება ცალკეულ საგალობელთა, ჩაუმატებია მათში სტროფები. ეს შემდეგით ყოფილა გამოწვეული. გრიგოლ ხანძთელის ჰიმნებში ცალკეული გალობა ზოგჯერ შეიცავდა ორ სტროფს. ხოლო მიქაელ მოდრეკილის პოეტოკით ყოველ გალობაში უნდა იყოს არა ნაკლები სამი სტროფისა. ამიტომ გრიგოლ ხანძთელის ყველა ჰიმნებში, სადაც ორ-სტროფიანი გალობა გვხვდება, მიქაელს დაუმატებია ასეთ გალობათათვის მესამე სტროფი.

მიქაელ მოდრეკილის ყველა ამ ინტერპოლაციებს, წესისამებრ, მოწერილი აქვთ ასო-ნიშანი „ქ“.

მოგეყავს აქ ნუსხა მიქაელ მოდრეკილის ყველა ამ ინტერპოლაციებისა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა. რომაული ციფრებით აღნიშნულია დიდი ფორმის საგალობელთა (გალობათა) ორსტროფიანი გალობები, რომელთაც დართული აქვთ ინტერპოლაცია — მესამე სტროფის სახით.

¹ ტექსტი დაზიანებულია.

² იხ. დამატებითი გვ. 0113.

№ 4) I.—II.—III.—IV.—V.—VII.
№ 5) IV.—V.
№ 19) VI.
№ 64) II.—IV.—V.—VI.
№ 65) IV.—V.
№ 66) II.—IV.—V.—VI.
№ 67) II.—IV.

№ 68) IV.—V.
№ 69) II.—IV.—VI.
№ 70) II.—IV.—V.
№ 71) VI.
№ 72) IV.—V.
№ 73) VI.

საგალობლებში № 73 დამატებულია IV გალობანი მთლიანად (X საუკუნისათვის ტექსტი IV გალობისა, ჩანს, დაზიანებული ყოფილა).

ამას გარდა № 65-ის სტიქარონს უ^რ დამატებული აქვს 4—7 სტროფები.

ამით განისაზღვრება ყველა ის დამატებანი, რომელიც მიჰაელ მოდრეკილს დაურთავს გრაგულ ხანძთელის ჰიმნებისათვის.

სრული დაზუსტებული ნუსხა გრიგოლ ხანძთელის ნაწარმოებთა, ყველა აქ აღნიშნული კორექტივების გათვალისწინებით, მოყვანილი გვაქვს გამოკვლევაში, გვ. 779—785.

შინაარსი

ნაწილი პირველი

წინასიტყვა

4

I. თარიღი ბიოგრაფი მერჩულის ძეგლისა — გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა. — ავტორის ვინაობა.

1. ძეგლის თარიღი (7—10). — 2. ავტორი — გიორგი მერჩულე (10—28).

II. ეპოქა, ასახული ბიოგრაფი მერჩულის ძეგლში.

29

III. ქართლ-მცხეთის ფეოდალური სახელმწიფო («ქართველთა სამეფო») და ცნობები მის შესახებ ბიოგრაფი მერჩულის ძეგლში

35

1. აღმოსავლეთი საქართველო მე-8 საუკუნის მეორე ნახევრიდან — მე-9 საუკუნის დასაწყისამდე (ქართლის ერისმთავარი: ნერსე II, სტეფანოზ IV და აშოტ I. — 35 — 39). — 2. აშოტ I-ის მოღვაწეობა. ბრძოლა აზერის (ქართლის) დამოუკიდებლობისათვის და ქართველთა სამეფოს აღდგენა (800—826 წ.წ. — 39—68). — 3. ქართველთა სამეფო მე-9 საუკუნეში ბაგრატ I მეფე-კურაპალატის დროს (826 — 876 წ.წ. — 69 — 76). — 4. გადმოცემა, წარმოდგენილი გიორგი მერჩულის ძეგლში და ისტორიულ წყაროებში ქართველ მეფეთა გვარეულობის (ბაგრატიონთა სახლის) შთამომავლობა-სადაურობის შესახებ (76 — 99). — 5. ცნობები გიორგი მერჩულის ძეგლისა შეუთ-არტანისა და მიმდგომი მხარეების მმართველი მთავრების (ერისთავთა-ერისთავების) შესახებ (99 — 103). — 6. სია ქართველთა სამეფოს მეთაურთა — მეფეთა და კურაპალატთა მე-9 საუკუნის დასაწყისიდან — მე-11 საუკუნის დასაწყისამდე (103 — 109). — 7. დასკვნები (110 — 113).

IV. დასავლეთ საქართველოს ფეოდალური სახელმწიფო («აფხაზეთის სამეფო») და ცნობები მის შესახებ ბიოგრაფი მერჩულის ძეგლში

114

შესავალი (114 — 117). — 1. აფხაზეთის მხარეთა ეთნიკური შემადგენლობა ანტიკურ ხანაში და საშუალო საუკუნეებში (118 — 189). — 2. დაწვრილთა საქართველოს «აფხაზეთის სამეფოს» დაარსების ისტორიისათვის

1. გალობანი გიორგისნი (786 — 798). — 2. გალობანი ნათელთანი და
ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისანი (798 — 807). — 3. «საქვეყნო
სათხოვარნი» გრიგოლ ხანძთელის საგალობელთა (808 — 817). — 4. გალო-
ბანი აღესებისანი. გალობანი ნათელთანი. სტიქარონნი ჰაბოძისნი (818 —
819). — 5. ბერძნულიდან გადმოღებული ჰიმნები გრიგოლ ხანძთელისა (819 —
829). — 6. ძველ-ქართული იამპიკონური ლექსის მეტრიკა (829 — 840).

VII, თ. გრიგოლ ხანძთელის არმოღწეულნი ნაწარმოებნი

VII, თ. გიორგი მერჩულის ლიტერატურული მემკვიდრეო-
ბა ჰიმნობრაფიულ კოფიანაში

1. ფორმა მერჩულიელნი უცხონი» (844 — 846). — 2. ჰიმნების კრე-
ბული საგალობელნი სამარადისონი რეა-ხვანი» გიორგი მერჩულისა (846 —
848). — 3. ჰიმნების კრებული საგალობელნი აღესებისანი რეა-ხვანი»
გიორგი მერჩულისა (849 — 853). — 4. გიორგი მერჩულის საგალობელი
აღესებისა: ლიტურჯისა და დედისა (853 — 855). — 5. მერჩულიელი
მრავალხმა («ხოხითაჲ») ტაეპობრიე-მუხლედოვანი რიტმიკით (855 — 856).

VIII. ძველ-ქართული კოფიანა V საუკუნიდან—XI საუკუნემდე

დამატებანი

1. ძველ-ქართული ჰიმნობრაფიული კოფიანის კრებუ-
ლები (ხელნაწერთა აღწერილობა. — კრებულთა რედაქციული შედგე-
ნილობა. — ავტორები).

A. მიქაელ მოდრეკილის კრებული: საწელიწადო იადგარი გრიგოლ
ხანძთელისა, დამატებული და შეესებული IX—X საუკუნეებში (01 —
038). — B. საწელიწადო იადგარი, ერთშენული კრებული (038 — 041). —
C. საწელიწადო იადგარი X საუკუნის დასასრულისა — XI საუკუნის და-
საწყისისა, «ახლად» წოდებული, შედგენილი დაეით ტბელის-ძისა და რატის
(ორბელის) მონაწილეობით (041 — 052). — D. საწელიწადო იადგართა ძი-
რითადი პირველადი ფენი (გრიგოლ ხანძთელისეული. — გვ. 052 — 055). —
A¹. მიქაელ მოდრეკილის «კანონი» საწელიწადო იადგარისა (055 — 062). —
E. კლარჯულ საწელიწადო იადგართა გამონაკრები, დაცული ოპიზურ ხელ-
ნაწერში 1093 წლისა (062 — 073).

II. ტექსტები.

გრიგოლ ხანძთელი, გალობანი აღესებისანი (074 — 077). — გრიგოლ
ხანძთელი, გალობანი ნათელთანი (078 — 079). — გრიგოლ ხანძთელი, სტი-
ქარონნი ნათელთანი და ჰაბო ისმაიტელ-ყოფილისა ქართველისანი (080 —
082). — ივანე მინჩხი, გალობანი გიორგისნი (083 — 084). — მიქაელ
მოდრეკილი, გალობანი აღესებისანი VII ხმისა (085 — 086). — მიქაელ
მოდრეკილი, გალობანი აღესებისანი I ხმისა (086 — 087). — მიქაელ
მოდრეკილი, გალობანი აღესებისანი IV ხმისა (088 — 089). — მიქაელ
მოდრეკილი, საგალობელი აღესებისა VII ხმისა, სტიქარონი (090 — 091). —

სტეფანე სანანოას-ძე კყონდიდელი, გალობანი ნათელთანი და ჰაბო ისპა-
იტელ-ყოფილისა ქართველისანი (092 — 095). — კურდანი-კვრივე, სა-
გალობელი აღესებისა (096 — 097). — რატი ორბელი, საგალობელი ტიტე
შოციქულისა (098). — გალობანი სულიანისანი (099). — ბასილი საბაწმიდელი,
ჰაშისა საბაას დასდებელნი, ძუელნი ქართულნი (0100 — 0101). — დასდე-
ბელნი სატფურებისანი, იამბიკონნი ქართულსა ანბანსა ზედა ძუელნი
(0101). — გრიგოლ ხანძთელი, სვედრებელი ჟამსა ხანძთისა შენებისასა,
მეორე (0102 — 0103). — გრიგოლ ხანძთელი, სვედრებელი ჟამსა შატბერ-
თის შენებისასა (0103 — 0104). — იოვანე ბოლნელი, მღვდელთ-მოდღუარ-
ათვს (0105 — 0106).

Corrigenda et addenda

. 0167

რედაქტორი პროფ. ვარლამ ღონღუა

გამომცემლობის რედაქტორი თედო შავიშვილი
მხატვარი ლადო გრიგოლია
ტექრედაქტორი შალვა დემეტრაძე
კორექტორები: { ლეილა ინგოროყვა
 { ლილი ზედგინიძე
 { ციალა ქაროსანიძე
კონტროლიორ-კორექტორი თამარ იოსელიანი

გადაეცა წარმოებას 17/VII-51 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XII-54 წ.
ანაწყობის ზომა 7X11. ქალაღდის ზომა 70X108¹/₁₆. სასტამბო ფორმათა რაოდენობა 63,5. ტირაჟი 10.000. შეკვეთის № 500. უშე 01608.

* * *

წიგნი აიწყო და დაიბეჭდა საქართველოს კულტურის ნამინისტროს მთავარ-პოლიგრაფგამომცემლობის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატში. აიკინძა გამომცემლობა „საბჭოთა მწერალის“ სტამბაში.

ПАВЛЕ ИНГОРОКВА

ГЕОРГИЙ МЕРЧУЛЕ

ГРУЗИНСКИЙ ПИСАТЕЛЬ X ВЕКА

ОЧЕРКИ ПО ИСТОРИИ ЛИТЕРАТУРЫ, КУЛЬТУРЫ
И ГОСУДАРСТВЕННОЙ ЖИЗНИ ДРЕВНЕЙ ГРУЗИИ.

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Мцрალი».

Тбилиси

1954